



Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

<http://ciml.250x.com>



GEORGIA

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia



ბ. შარდსი

კაპიტალი

პროლეტარებო ყველა მშენებელი, შეერთდით!

კ. მ ა რ ქ ს ი


კაპიტალი

ეკონომიკური ექსპოზიის კრიტიკა

ტომი პირველი

წიგნი I: კაპიტალის წარმოების პროცესი

საბართველოს სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა
1954



ქართული ბამოცემის წინასიტყვაობა

კ. მარქსის «კაპიტალის» პირველი ტომი ქართულ ენაზე 1930 წელს გამოვიდა. «კაპიტალის» პირველმა ქართულმა გამოცემამ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას, პარტიულ და კომკავშირულ აქტივს, მოსწავლე ახალგაზრდობას. ქართველი მკითხველი უმთავრესად სწორედ ამ გამოცემის საშუალებით გაეცნო «კაპიტალს», რომელსაც ვ. ი. ლენინმა მეცნიერული სოციალიზმის მთავარი და ძირითადი თხზულება უწოდა. პირველი ქართული გამოცემა ამ გენიალური ქმნილებისა, რომელშიც ყველაზე ღრმად და სრულყოფილადაა წარმოდგენილი ის უდიდესი გადატრიალება, რაც მარქსმა მოახდინა საზოგადოების მეცნიერული შემეცნების სფეროში, — მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა, და მეორე გამოცემის საჭიროება დიდიხანია იგრძნობოდა.

ახალი გამოცემის მომზადებისას აუცილებელი გახდა «კაპიტალის» არსებითად ხელახალი თარგმნა.

ეს იმით იყო გამოწვეული, რომ:

1. 1930 წლის თარგმანი შესრულებული იყო «კაპიტალის» კაუცკისეული გამოცემიდან, რომელიც გამოქვეყნდა 1914 წელს (გერმანულ ენაზე) ე. წ. სახალხო გამოცემის სახით. როგორც ცნობილია, კარლ მარქსის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემისას კაუცკი ეწეოდა მარქსის თხზულებათა თავისუფალ «გადამუშავებას», ხოლო არაიშვიათად მათ პირდაპირ ფალსიფიკაციას; ეს ბედი არც «კაპიტალის» კაუცკისეულ გამოცემას აცდენია. სწორედ ამიტომ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტმა «კაპიტალის» ახალი რუსული გამოცემისას საფუძვლიანად გადასინჯა და გაასწორა სტეპანოვ-

სკვორცოვის თარგმანი, რათა ტექსტი გაწმენდილიყო კაუცკის მიერ შეტანილი ნებისმიერი ცვლილებებისაგან.

2. 1930 წლის ქართულ თარგმანში მრავალი ადგილი არაზუსტად არის თარგმნილი, ხოლო მთელ რიგ ადგილებში აშკარა შეცდომებიც კი არის დაშვებული, რაც აქა-იქ მეტნაკლებად აბუნდოვანებდა ტექსტს და აძნელებდა აზრის გაგებას.

3. «კაპიტალის» პირველ ქართულ გამოცემაში არ იყო დაცული ტერმინთა ერთიანობა. მაგ. «Reproduktion» თარგმნილია ხან როგორც «აღდგენა» და ხან როგორც «რეპროდუქცია»; «Produktivkraft» — ხან როგორც «საწარმოო ძალა» და ხან კიდევ როგორც: «შრომის ნაყოფიერება» და სხვ. ახალ თარგმანში ტერმინები — ძირითადად — უნიფიცირებულია.

4. «კაპიტალის» პირველი ქართული გამოცემიდან საკმაოდ დიდ დროს გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა ქართული სამეცნიერო, კერძოდ ეკონომიური ტერმინოლოგია; ხმარებაში შემოვიდა მთელი რიგი ახალი სიტყვები, ტერმინები, რამდენადაც შეიცვალა და დაზუსტდა აგრეთვე მართლწერა. ყოველივე ეს ასახულია «კაპიტალის» ახალ ქართულ თარგმანში.

«კაპიტალის» ახალი ქართული თარგმანი შესრულებულია მეოთხე გერმანული გამოცემიდან, რომელიც მომზადებული იყო ენგელსის მიერ მარქსის პირადი მითითებების საფუძველზე და იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რაც მარქსის გარდაცვალების შემდეგ მის ხელნაწერებში აღმოჩნდა. თარგმანი შედარებულია აგრეთვე ახალ რუსულ გამოცემასთან. თარგმნისას გამოყენებული იყო თვით ავტორის მიერ შესწორებული ფრანგული გამოცემა, რომელსაც მარქსი მაღალ შეფასებას აძლევდა, და ინგლისური გამოცემა. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მარქსის მიერ ინგლისური წყაროებიდან მოყვანილი მასალების თარგმნისას.

«კაპიტალის» პირველი ტომის ახალი თარგმანი ეკუთვნის პავლე იაშვილს. რედაქცია შეასრულა სარედაქციო კომისიამ (პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. კუპრაძე, კომისიის წევრები: ი. ბაჯაძე, პ. გუგუშვილი, ა. ნუცუბიძე, ა. ქუთელია, ა. ჯიშიაშვილი).

ს. კ. კ. ვ. კ-თან არსებული
მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის
ინსტიტუტის საპარტოვო ფილიალი

Wilmshurst 20
 2 Wm. Thurst. 16 Aug. 1867.

Dear Fred,

from the Laysan Langue (49.) Das heißt
 fertig corrigirt der Ausgabe — München —
Verlag, umfasst 1 1/4 Langue
und Die ganz corrigirt zweckmäßige
Ausgabe des Wörterbuchs. Das Wörter ist
vielleicht das Beste was ich je
in der Welt gesehen habe und
ich hoffe es zu sein und ich hoffe
es zu sein und ich hoffe es zu sein
und ich hoffe es zu sein und ich hoffe
es zu sein und ich hoffe es zu sein

with much
 kind regards
 to all

Yours truly
 Wm. Thurst.

ფაქსინილე მარკსის 1867 წ. 16 აგვისტოს წერილისა ენგელსისადმი

(დაპატარავებულია)

დაპის 2 საათი, 1867 წ. 16 აგვისტო

ქვირფასო ფრედ!

ეს — ეს არის დავამოკრე უკანასკნელი თაბახის (49) კორექტურა. დანართი —
 ლექსების ფორმები, — წერილად დაბეჭდილი, შეიცავს 1 1/4 თაბახს.
 წინასიტყვაობაც, კორექტურაგაყვებულს, გუშინ გავგზავნე. ამრიგად ეს
 ტომი მზად არის. მხოლოდ შენ უნდა გიპაძლოდე, რომ ეს შესაძლებელი გახდა! ჩემთვის
 რომ შენ თავი არ დაგეღო, მე ვერაპგზით ვერ შევძლებდი მთელი იმ უზარმაზარი სამუშაოს
 შესრულებას, რასაც ეს სამი ტომი მოითხოვდა. მადლობის გრძნობით აღსავსე გადაგუებევი!

აქვე დართულია ორი სუფთა თაბახი.

თხოვეტი გირვანჯა სტერლინგი მივიღე, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ.

სალამი, ჩემო ძვირფასო, ერთგულ მოგობარო!

შენი კ. მარკსი.

ვ უ ქ ლ ვ ნ ი

ჩემს დაუვინწყარ მებობარს

პროლეტარიატის გაბედულ, ერთგულ, კეთილშობილ, მოწინავე
მებრძოლს

ვილჰელმ ვოლფს

დაიბადა ტარნაუში 1809 წლის 21 ივნისს. გარდაიცვალა გადასახლებაში
მანჩესტერში 1864 წლის 9 მაისს.

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის

ნაწარმოები, რომლის პირველ ტომს მე საზოგადოებას ვაწვდი, წარმოადგენს იმ შრომის გაგრძელებას, რომელიც 1859 წელს გამოვაქვეყნე სათაურით: «Zur Kritik der Politischen Oekonomie» («პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»). ხანგრძლივი შეჩერება დაწყებასა და განგრძობას შორის გამოიწვია წლობით გაგრძელებულმა ავადმყოფობამ, რაც ისევ და ისევ მაწყვეტინებდა მუშაობას.

ზემოაღნიშნული უფრო ადრინდელი ნაწარმოების შინაარსი რეზიუმეს სახით მოცემულია ამ ტომის პირველ თავში. ეს ასე გავაკეთე არა მარტო იმისათვის, რომ გამოკვლევა უფრო დაკავშირებული და სრული ყოფილიყო. თვით გადმოცემა არის გაუმჯობესებული. მრავალი პუნქტი, რომელიც უწინ მხოლოდ გაკვრით იყო აღნიშნული, აქ შემდგომ განვითარებულია, რამდენადაც გამოკვლევის საგანი ამის ნებას იძლეოდა, მაშინ როდესაც, პირიქით, ის, რაც უწინ დაწვრილებით იყო გაშუქებული, აქ მხოლოდ გაკვრითაა აღნიშნული. განყოფილებანი ღირებულების თეორიისა და ფულის თეორიის ისტორიის შესახებ აქ, რასაკვირველია, სრულიად გამოტოვებულია. მაგრამ მკითხველი, რომელიც წინა ნაშრომს იცნობს, წინამდებარე ნაწარმოების პირველი თავის შენიშვნებში იპოვის ახალ წყაროებს ამ თეორიების ისტორიისათვის.

ყოველი დასაწყისი ძნელია, — ეს მართებულია ყოველი მეცნიერებისათვის. ამ შემთხვევაშიც პირველი თავის გაგება, განსაკუთრებით იმ განყოფილებისა, რომელიც საქონლის ანალიზს შეიცავს, ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენს. რაც შეეხება საკუთრივ ღირებულების

სუბსტანციისა და ღირებულების სიდიდის ანალიზს, მე იგი, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, პოპულარული გაეხადე¹. ღირებულების ფორმა, რომლის დამთავრებული სახე ფულადი ფორმაა, მეტად უშინაარსო და მარტივია. მიუხედავად ამისა, ადამიანის გონება ამოდ-ცდილობდა მის გაგებას 2 000 წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, გაცილებით უფრო შინაარსიანი და რთული ფორმების ანალიზი მან შეძლო, ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით მაინც. რატომ? იმიტომ რომ განვითარებულა სხეულის შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე სხეულის უჯრედისა. გარდა ამისა, ეკონომიური ფორმების ანალიზის დროს არ შეიძლება არც მიკროსკოპის, არც ქიმიური რეაქტივების გამოყენება. ორივეს მაგივრობა უნდა გასწიოს აბსტრაქციის ძალამ. მაგრამ შრომის პროდუქტის საქონლური ფორმა, ანუ საქონლის ღირებულებრივი ფორმა, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ეკონომიური უჯრედის ფორმაა. უცოდინარ ადამიანს მისი ანალიზი უბრალო წვრილმანების ქექად მოეჩვენება. და მართლაც აქ ლაპარაკია წვრილმანებზე, მაგრამ მხოლოდ ისეთ წვრილმანებზე, რომლებთანაც საქმე აქვს, მაგალითად, მიკროანატომიას.

ამიტომ იმ განყოფილების გამოკლებით, რომელიც ღირებულების ფორმას არკვევს, ამ წიგნს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ იგი ძნელი გასაგებია. მე, რასაკვირველია, მხედველობაში მყავს მკითხველი, რომელსაც სურს რაიმე ახალი შეისწავლოს, მაშასადამე, თვითონაც იაზროვნოს.

ფიზიკოსი უკვირდება ბუნების პროცესებს ან იქ, სადაც ისინი უაღრესად მკაფიო ფორმით ვლინდებიან და ნაკლებად არიან გაბუნდოვანებულნი ხელშემშლელი ზეგავლენებით, ანდა იგი ახდენს ექსპერიმენტებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისეთ პირობებში, რომელნიც უზრუნველყოფენ პროცესის მსვლელობას წმინდა სახით. ამ

¹ ეს მით უფრო აუცილებლად მივიჩნიე, რომ ის განყოფილება კი ფ. ლასალის თხზულებისა შულცე - დელიჩის წინააღმდეგ, სადაც, როგორც ავტორი აცხადებს, გადმოცემულია ჩემი გამოკვლევის «სულიერი კვინტესენცია» ამ საგნის შესახებ, მნიშვნელოვან გაუგებრობას შეიცავს. სხვათა შორის: თუ ფ. ლასალმა თავის ეკონომიურ ნაწარმოებთა ყველა ზოგადი თეორიული დებულება, მაგალითად, კაპიტალის ისტორიული ხასიათის შესახებ, წარმოებით ურთიერთობათა და წარმოების წესს შორის არსებული კავშირის შესახებ და სხვ. და სხვ., თითქმის სიტყვასიტყვით გადაიღო ჩემი თხზულებებიდან, გადაიღო თვით ჩემ მიერ შექმნილი ტერმინოლოგია კი, და თანაც წყაროს აღუნიშნავად, — ეს, რასაკვირველია, პროპაგანდის მოსაზრებებით აიხსნება. მე არ ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, მისი თეორიის ცალკეულ დეტალებზე და ამ თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე, რომელთანაც საერთო არაფერი მაქვს.

Das Kapital.

Kritik der politischen Oekonomie.

Von

Karl Marx.

Erster Band.

Buch I: Der Produktionsprocess des Kapitals.

Das Recht der Uebersetzung wird vorbehalten.

Hamburg

Verlag von Otto Meissner.

1867.

New-York: L. W. Schmidt. 24 Barclay-Street.

«კაპიტალის» I ტომის პირველი გერმანული გამოცემის გარეკანი.

(დაკაპიტარაცეპულია.)

ნაწარმოებში ჩემი გამოკვლევის საგანს შეადგენს კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი შესაბამისი წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი. კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანა დღემდე ინგლისია. ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ მივმართავ უმთავრესად ამ ქვეყანას ჩემი თეორიული დასკვნების საილუსტრაციოდ. მაგრამ, თუ გერმანელი მკითხველი დაიწყებს ფარისევლურად მხრების აწევას ინგლისის მრეწველობისა და მიწათმოქმედების მუშათა მდგომარეობის გამო, ანდა ოპტიმისტურად თავის დამწვიდებას იმით, რომ გერმანიაში საქმე სრულიადაც არ არის ასე ცუდად, მაშინ მე უნდა შევნიშნო მას: *De te fabula narratur!* [შენზე ამბობენ ამ ისტორიას!].

არსებითია აქ, თავისთავად, არა მაღალი ან დაბალი დონე იმ საზოგადოებრივი ანტაგონიზმების განვითარებისა, რომელნიც კაპიტალისტური წარმოების ბუნებრივი კანონებიდან გამომდინარეობენ. არსებითია თვით ეს კანონები, თვით ეს ტენდენციები, რომელნიც რკინისებური აუცილებლობით მოქმედებენ და ხორციელდებიან. ინდუსტრიულად უფრო განვითარებული ქვეყანა ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას მხოლოდ მისი მომავლის სურათს უჩვენებს.

მაგრამ ამასაც თავი დაეანებოთ. სადაც ჩვენში კაპიტალისტური წარმოება სავსებით დამკვიდრდა, — მაგალითად, საკუთრივ ფაბრიკებში, — იქ მდგომარეობა ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე ინგლისში, რადგან ჩვენში არ არსებობს რაიმე საპირისპირო საფაბრიკო კანონების სახით. ყველა სხვა სფეროში ჩვენ, ისევე როგორც მთელ დანარჩენ კონტინენტურ დასავლეთ ევროპასაც, გვტანჯავს არა მარტო განვითარება კაპიტალისტური წარმოებისა, არამედ მისი ნაკლებად განვითარებაც. თანამედროვე უბედურებასთან ერთად ჩვენ გვტანჯავს მთელი რიგი მემკვიდრეობრივი უბედურებანი, რომელნიც იქიდან წარმოდგებიან, რომ ისევ განაგრძობენ უბადრუკ არსებობას ძველისძველი, დრომოკმული წარმოების წესები და მათი შესაბამისი დროის-შეუფერებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობანი. ჩვენ გვტანჯავენ არა მარტო ცოცხლები, არამედ მკვდრებიც. *Le mort saisit le vif!* [მკვდარი ცოცხალს ჩასჭიდება!]

გერმანიისა და დასავლეთ ევროპის დანარჩენი კონტინენტური ქვეყნების სოციალური სტატისტიკა ინგლისის სტატისტიკასთან შედარებით უბადრუკია. მაგრამ იგი მაინც სწორედ იმდენად კი იხდის საბურველს, რომ მის უკან მედუზას თავს მოვკრათ თვალი. ჩვენ შევიძრწუნდებოდით ჩვენივე საკუთარი მდგომარეობით, მთავრობები და პარლამენტები რომ პერიოდულად ნიშნავდნენ, როგორც ეს ინგლისში ხდება, კომისიებს ეკონომიური პირობების გამოსაკვლევად, ეს

კომისიები რომ აღკურვილნი იყვნენ ისეთივე უფლებებით ჭეშმარიტების გამოსაკვლევად, როგორც ინგლისში, ამ მიზნისათვის რომ მოსახერხებელი იყოს ისეთივე საქმის მცოდნე, მიუდგომელი და გამბედავი ადამიანების გამონახვა, როგორიც არიან ინგლისის ფაბრიკის ინსპექტორები, ინგლისის ექიმები, რომლებიც «Public Health»-ის («საზოგადოებრივი ჯანმრთელობის») შესახებ ანგარიშებს ადგენენ, ინგლისის კომისიის წევრები, რომლებმაც გამოიკვლიეს ქალთა და ბავშვთა ექსპლოატაციის პირობები, მუშების ბინები, კვება და სხვ. პერსეი უჩინმაჩინის ქუდს საკირობელა ურჩხულთა სადევნელად. ჩვენ კი უჩინმაჩინის ქუდს თვალებსა და ყურებზე ვიფარებთ, რათა ურჩხულთა არსებობის უარყოფა შეეძლოთ.

არ უნდა მივეცეთ ილუზიებს. როგორც XVIII საუკუნეში ამერიკის ომი დამოუკიდებლობისათვის ქარიშხლის მაუწყებელი საყვირის ხმად გაისმა ევროპის ბურჟუაზიისათვის, ასევე ევროპის მუშათა კლასისათვის იგივე როლი ითამაშა ამერიკის სამოქალაქო ომმა XIX საუკუნეში. ინგლისში გადატრიალების პროცესი სრულიად აშკარა გახდა. განვითარების გარკვეული საფეხურის მიღწევისთანავე იგი კონტინენტსაც უნდა მოედოს. აქ იგი უფრო მკაცრ ან უფრო ჰუმანურ ფორმებს მიიღებს თვით მუშათა კლასის განვითარების დონის მიხედვით. ამრიგად, გარდა სხვა რაიმე უფრო მაღალი მოტივებისა, ამჟამად გაბატონებულ კლასებს მათი საკუთარი ინტერესები უკარნახებს მოსპონ მუშათა კლასის განვითარების ყველა ის დაბრკოლება, რომელთა რეგულირებაც კანონმდებლობითი გზით შესაძლებელია. ამიტომაც, რომ მე, სხვათა შორის, ამ ტომში ესოდენ დიდი ადგილი დავუთმე ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობის ისტორიას, შინაარსსა და შედეგებს. ყოველ ერს შეუძლია ისწავლოს და უნდა ისწავლოს კედელ სხვა ერისაგან. მაშინაც კი, როცა საზოგადოებამ თავისი განვითარების ბუნებრივი კანონის კვალს მიაგნო, — ამ ნაწარმოების საბოლოო მიზანს კი სწორედ თანამედროვე საზოგადოების მოძრაობის ეკონომიური კანონის აღმოჩენა შეადგენს, — იგი ვერც განვითარების ბუნებრივ ფაზებს გადაახტება და ვერც გააუქმებს მათ დეკრეტებით. მაგრამ მას შეუძლია შეამოკლოს და შეამსუბუქოს ნშობიარობის ტკივილები.

ორიოდე სიტყვა შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად. კაპიტალისტისა და მიწის მესაკუთრის ფიგურებს მე სრულიადაც არ ვხატავ ივარდისფრად. მაგრამ აქ ლაპარაკია პიროვნებებზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი არიან ეკონომიურ კატეგორიათა განსახიერებანი, განსაზღვრული კლასობრივი ურთიერთობისა

და ინტერესების მატარებელი. ჩემს თვალსაზრისს, რომელიც საზოგადოების ეკონომიური ფორმაციის განვითარებას ისე განიხილავს როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, უფრო ნაკლებად შეუძლია, ვიდრე სხვა რომელიმე თვალსაზრისს, ცალკეული პიროვნება პასუხისმგებელი გახადოს იმ ურთიერთობისათვის, რომლის ქმნილებადაც იგი რჩება სოციალურად, რაგინდ მაღლაც აიწიოს მან ამ ურთიერთობაზე სუბიექტურად.

პოლიტიკური ეკონომიის დარგში თავისუფალი მეცნიერული კვლევა მარტო იმ მტრებს როდი ხვდება, რომლებთანაც მას საქმე აქვს ყველა სხვა დარგში. იმ მასალის თავისებური ხასიათი, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის განხილვის საგანს შეადგენს, იწვევს მის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე ადამიანის სულის ყველაზე მკაცრ, ყველაზე წვრილმან და ყველაზე გაბოროტებულ გრძნობებს, იწვევს საბრძოლველად კერძო ინტერესის ფურცებს. მაგალითად, ინგლისის უზენაესი ეკლესია მისი სიმბოლო სარწმუნოების 39 მუხლიდან 38-ზე თავდასხმას უფრო ადვილად შეუწოდებს, ვიდრე მისი ფულიადი შემოსავლის $\frac{1}{39}$ -ზე თავდასხმას. დღეს თვით ათეიზმიც culpa levis [უმნიშვნელო ცოდვას] წარმოადგენს საკუთრების ტრადიციული ურთიერთობის კრიტიკასთან შედარებით. მაგრამ აქაც ერთგვარი პროგრესი ექვს გარეშეა. დავასახელებ, მაგალითად, ამ უკანასკნელ კვირებში გამოქვეყნებულ ლურჯ წიგნს: «Correspondence with Her Majesty's Missions Abroad, regarding Industrial Questions and Trades Unions». ინგლისის ტახტის წარმომადგენლები უცხოეთში აშკარად აღიარებენ აქ, რომ გერმანიაში, საფრანგეთში, — ერთი სიტყვით, ევროპის კონტინენტის ყველა კულტურულ სახელმწიფოში, — რადიკალური ცვლილება კაპიტალსა და შრომას შორის არსებულ ურთიერთობაში ისევე საგრძნობი და ისევე გარდუვალია, როგორც ინგლისში. ამავე დროს ატლანტის ოკეანის იქითა მხარეს ბ-ნმა უეიდმა, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, საჯარო მიტინგზე განაცხადა: მონობის გაუქმების შემდეგ დღის წესრიგში დგება კაპიტალისა და მიწის საკუთრების ურთიერთობის რადიკალური ცვლილებაო. ასეთია დროების ნიშნები; მათი დაძალვა არ შეიძლება არც მეწამული მანტიით, არც შავი ანაფორით. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ხვალვე სასწაული მოხდება. მაგრამ ეს იმის მაჩვენებელია, როგორც ამას თვით გაბატონებული კლასები უკვე ბუნდოვნად გრძნობენ, რომ ახლანდელი საზოგადოება მტკიცე კრისტალი კი არაა, არამედ გარდაქმნისუნარიანი და მუდამ გარდაქმნის პროცესში მყოფი ორგანიზმია.

ამ ნაწარმოების მეორე ტომში განხილული იქნება კაპიტალის მიმოქცევის პროცესი (წიგნი II) და ერთობლივი პროცესის ფორმები (წიგნი III), ხოლო დასკვნითს მესამე ტომში (წიგნი IV) — ეკონომიურ თეორიათა ისტორია.

მეცნიერული კრიტიკის ყოველი აზრი ჩემთვის სასურველია. ეგრეთ-წოდებული საზოგადოებრივი აზრის ცრურწმენათა მიმართ, რომელსაც მე არასოდეს არ ვუთმობდი, ჩემს დევიზად უწინდებურად რჩება დიდებული ფლორენციელის სიტყვები:

Segui il tuo corso, e lascia dir le genti! [იარე შენი გზით და, დაე, ვინც რა უნდა თქვას!]

კარლ მარქსი.

ლონდონი, 1867 წ. 25 ივლისი

ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის

უწინარეს ყოვლისა მე უნდა მივუთითო ამ ნაწარმოების პირველი გამოცემის მკითხველებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც შეტანილია მეორე გამოცემაში. წიგნის უფრო მკაფიო დაყოფა ყველას თვალში ეცემა. დამატებითი შენიშვნები ყველგან აღნიშნულია როგორც შენიშვნები მეორე გამოცემისათვის. რაც შეეხება თვით ტექსტს, აქ ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

თავი I, 1 — მეტი მეცნიერული სიზუსტით არის შესრულებული ღირებულების გამოყვანა განტოლებათა ანალიზიდან, რომელნიც გამოხატავენ ყოველ საცვლელ ღირებულებას, ხაზგასმით აღნიშნულია აგრეთვე პირველ გამოცემაში მხოლოდ გაკვრით მითითებული კავშირი ღირებულების სუბსტანციასა და საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით ღირებულების სიდიდის განსაზღვრას შორის. თავი I, 3 («ღირებულების ფორმა») სრულიად გადამუშავებულია: ეს აუცილებელი იყო უკვე იმის გამო, რომ პირველ გამოცემაში იგი ორჯერ იყო გადმოცემული. გაკვრით აღენიშნავ, რომ ეს ორმაგი გადმოცემა ნაკარნახევი იყო ჩემი მეგობრის დ-რ ლ. კუგელმანის მიერ ჰანოვერიდან. მე იგი ვინახულე 1867 წლის გაზაფხულზე, როცა ჰამბურგიდან მოვიდა პირველი სასინჯი ანაბეჭდები, და მან დამარწმუნა, რომ მკითხველთა უმრავლესობისათვის აუცილებელია ღირებულების ფორმის დამატებითი, უფრო დიდაქტიური ახსნა-განმარტება.

პირველი თავის უკანასკნელი განყოფილება: «საქონლის ფეტიშური ხასიათი და სხვ.» — მეტწილად შეცვლილია. თავი III, 1 («ლირე-ბულებათა საზომი») გულდასმით გადასინჯულია, რადგან ეს განყოფილება პირველ გამოცემაში დაუდევრად იყო შესრულებული, — მკითხველს მივუთითებდი იმ გადმოცემაზე, რომელსაც უკვე შეიცავდა «Zur Kritik der Politischen Oekonomie», Berlin 1859. მნიშვნელოვნად გადამუშავებულია VII თავი, განსაკუთრებით ნაწილი მე-2.

უსარგებლო იქნებოდა ტექსტის ყველა იმ ნაწილობრივი ცვლილების დაწვრილებით აღნიშვნა, რომელიც ხშირად სტილისტური ხასიათისაა. ეს ცვლილებები გაფანტულია მთელ წიგნში. მიუხედავად ამისა. პარიზში გამოსაცემი ფრანგული თარგმანის გადათვლიერებისას ნე ვამჩნევ ახლა, რომ გერმანული ორიგინალის ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს ზოგან უფრო საფუძვლიან გადამუშავებას, ზოგან პეტ სტილისტურ გამართვას ანდა შემთხვევითი შეცდომების უფრო გულდასწით გასწორებას. მაგრამ ამისთვის დრო აღარ დამრჩა, რადგან მხოლოდ 1871 წლის შემოდგომაზე, როცა სხვადასხვა გადაუღებელი სამუშაო მქონდა, მივიღე ცნობა, რომ წიგნი მთლად გაყიდულიყო და მეორე გამოცემის ბეჭდვა უკვე 1872 წლის იანვარში უნდა დაწყებულიყო.

ის გაგება, რომელიც «კაპიტალმა» მალე ჰპოვა გერმანიის მუშათა კლასის ფართო წრეებში, საუკეთესო ჯილდოა ჩემი შრომისათვის. ბ-ნი მაიერი, ვენელი მეფაბრიკე, კაცი, რომელიც ეკონომიურ საკითხებში ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, გერმანია-საფრანგეთის ომის დროს გამოცემულ ერთ ბროშურაში სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ ის დიდი უნარი თეორიული აზროვნებისა, რაც გერმანელების მემკვიდრეობრივ განძად ითვლებოდა, სრულიად გაქრა გერმანიის ეგრეთწოდებულ განათლებულ კლასებში და, პირიქით, კვლავ იღვიძებს მის მუშათა კლასში.

გერმანიაში პოლიტიკური ეკონომია დღემდე უცხოურ მეცნიერებად რჩებოდა. გუსტავ ფონ გიულენბა თავის წიგნში: «Geschichtliche Darstellung des Handels, der Gewerbe etc.», სახელდობრ ამ ნაწარმოების პირველ ორ ტომში, რომელიც 1830 წელს გამოვიდა, უკვე გააჩვენა მეტწილად ის ისტორიული პირობები, რომლებიც აფერხებდნენ ჩვენში კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებას, მაშასადამე, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბებასაც. ამრიგად, გერმანიაში არ არსებობდა სასიცოცხლო ნიადაგი პოლიტიკურად

ეკონომიისათვის. ეს უკანასკნელი ნაზა საქონლის სახით შემოჰქონდათ ინგლისიდან და საფრანგეთიდან. პოლიტიკური ეკონომიის გერმანელი პროფესორები მოწაფეებად რჩებოდნენ. უცხო სინამდვილის თეორიული გამოხატულება მათ ხელში გადაიქცა დოგმების კრებულად და ან დოგმებს ისინი განმარტავდნენ მათი გარეწამიველი წვრილბურჟუაზიული სამყაროს თვალსაზრისით, ე. ი. განმარტავდნენ უკუღმართად. ისინი ცდილობდნენ თავიანთი მეცნიერული უძლურების გრძნობა, რის მთლიანად ჩახშობასაც ვერ ახერხებდნენ, და ის უსიამოვნო შეგნება, რომ მათ უნდა ემასწავლებლათ მათთვის მართლაცდა უცხო სფეროში, — დაეფარათ ლიტერატურულ-ისტორიული განსწავლულობის მოჩვენებითი სიდიადით ანდა ეგრეთწოდებულ კამერალურ მეცნიერებათა დარგიდან გადმოღებული უცხო მასალის აღრევით იმ ცოდნათა დომენალში, რომელთა განმკურნავი ცეცხლი უნდა განვლოს გერმანული ბიუროკრატიის ყოველმა იმედებით აღვსილმა კანდიდატმა.

1848 წლიდან კაპიტალისტური წარმოება სწრაფად განვითარდა გერმანიაში და ამჟამად იგი უკვე თავისი სპეკულაციური აყვავების ხანას განიცდის. მაგრამ ჩვენს პროფესიონალ მეცნიერებს ბედი არ წყალობს. სანამ მათ შეეძლოთ პოლიტიკური ეკონომიის კვლევა-ძიებაში მიუღდგომლობა გამოეჩინათ, გერმანიის სინამდვილეში არ არსებობდა თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობანი. ხოლო როგორც კი ეს ურთიერთობანი ვაჩნდა, ეს ისეთ ვითარებაში მოხდა, რაც უკვე შეუძლებელს ხდიდა მათს მიუღდგომელ შესწავლას ბურჟუაზიული თვალთახედვის ფარგლებში. რამდენადაც პოლიტიკური ეკონომია ბურჟუაზიულია, ე. ი. რამდენადაც იგი კაპიტალისტურ წყობილებას განიხილავს არა როგორც განვითარების ისტორიულად წარმავალ საფეხურს, არამედ, პირიქით, როგორც საზოგადოებრივი წარმოების აბსოლუტურ და საბოლოო ფორმას, მას შეუძლია მეცნიერებად დარჩეს მხოლოდ მანამდე, ვიდრე კლასობრივი ბრძოლა ფარულ მდგომარეობაში რჩება. ან მხოლოდ ცალკეულ გამოვლინებებში მელაენდება.

ავილოთ ინგლისი. მისი კლასიკური პოლიტიკური ეკონომია იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა კლასობრივი ბრძოლა განუვითარებელი იყო. ინგლისის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი, რიკარდო, ბოლოს, შეგნებულად იღებს თავის გამოკვლევათა ამოსავალ პუნქტად კლასთა ინტერესების, ხელფასისა და მოგების, მოგებისა და მიწის რენტის დაპირისპირებულობას,

როდესაც იგი ამ დაპირისპირებულობას გულუბრყვილოდ განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ კანონს. მაგრამ ამით ბურჟუაზიულმა მეცნიერებამაც პოლიტიკური ეკონომიის დარგში თავის გადაულახავ საზღვარს მიაღწია. ჯერ კიდევ რიკარდოს სიცოცხლეში და თვით რიკარდოს საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიულ ეკონომიურ მეცნიერებას დაუპირისპირდა კრიტიკა სისმონდის სახით¹.

შემდგომ პერიოდს, 1820 — 1830 წწ., ახასიათებს ინგლისში მეცნიერული კვლევა-ძიების გამოცოცხლება პოლიტიკური ეკონომიის დარგში. ეს იყო პერიოდი რიკარდოს თეორიის როგორც ვულგარიზაციის და გავრცელებისა, ისე მისი ბრძოლისა ძველი სკოლის წინააღმდეგ. იმართებოდა ბრწყინვალე პაექრობანი. ის, რაც ამ დროს ეკონომისტებმა გააკეთეს, ნაკლებად არის ცნობილი ევროპის კონტინენტზე, რადგან პოლემიკა გაფანტულია მეტწილად საეურნალო სტატიებში, შემთხვევითი ხასიათის ბროშურებსა და პამფლეტებში. ამ პოლემიკის მიუდგომელი ხასიათი — თუმცა რიკარდოს თეორიას უკვე იყენებდნენ მაშინ გამონაკლისის სახით თავდასხმის იარაღად ბურჟუაზიული მეურნეობის წინააღმდეგ — აიხსნება იმ დროის პირობებით. ერთი მხრივ, თვით მსხვილი მრეწველობა ახლახან იყო გამოსული თავისი ყმაწვილობის ასაკიდან, რასაც ის გარემოება ადასტურებს, რომ იგი მხოლოდ 1825 წლის კრიზისით იწყებს თავისი თანამედროვე ცხოვრების პერიოდულ წრებრუნვას. მეორე მხრივ, კლასობრივი ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის უკანა რიგში იყო დაყენებული: პოლიტიკურ სფეროში იმ ქიშპობით, რომელიც საღმრთო კავშირის ირგვლივ თავმოყრილ მთავრობათა და ფეოდალებსა და ბურჟუაზიის წინამძღოლობით ამოძრავებულ ხალხთა მასებს შორის არსებობდა, ეკონომიურ სფეროში კი იმ ქიშპობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამრეწველო კაპიტალსა და არისტოკრატიულ მიწათმფლობელობას შორის და რომელიც საფრანგეთში იმალებოდა პარცელური საკუთრებისა და მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესთა დაპირისპირებულობის მიღმა, ხოლო ინგლისში აშკარად გამოვლინდა პურის კანონების გამოცემის შემდეგ. ამ პერიოდის პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურა ინგლისში მოგვაგონებს შეტევისა და ქარიშხლის პერიოდს საფრანგეთში დ-რ კენეს სიკვდილის შემ-

¹ იხ. ჩემი შრომა: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», Berlin 1859, გვ. 39
 ქ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 67].

დევ, მაგრამ მოგვაგონებს იმ აზრით, როგორც ზატხულის მიწურული გაზატხულს მოგვაგონებს. 1830 წელს დაიწყო გადამწყვეტი კრიზისი.

ბურჟუაზიამ საფრანგეთსა და ინგლისში პოლიტიკური ძალაუფლება დაიპყრო. ამ დროიდან დაწყებული კლასობრივი ბრძოლა, პრაქტიკულად და თეორიულად, სულ უფრო მკაფიო და საშიშ ფორმებს იღებს. მასთან ერთად მეცნიერული ბურჟუაზიული ეკონომიის სასიკვდილო ზარმაც დაჰკრა. ამიერიდან საქმე შეეხებოდა უკვე არა იმას, სწორია თუ არა ესა თუ ის თეორემა, არამედ — სასარგებლოა იგი კაპიტალისტთვის თუ საზიანო, ხელსაყრელია მისთვის თუ არა-ხელსაყრელი, შეეთანხმება იგი პოლიციურ მოსაზრებებს თუ არა. უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაქირავებული მჯღაბნელების მყვირალა პოლემიკა იჭერს, მიუდგომელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს კი — არაკეთილსინდისიერი, მლიქვნელური აპოლოგეტიკა. ის მომაბეზრებელი პაწია ტრაქტატებიც კი, რომლებსაც აქვეყნებდა Anti-Cornlawleague [პურის კანონების წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა] მეფაბრიკეების — კობდენისა და ბრაიტის მეთაურობით, წარმოადგენდნენ ერთგვარ ინტერესს, თუ მეცნიერულს არა, ისტორიულს მაინც, თავისი პოლემიკით მიწათმფლობელური არისტოკრატის წინააღმდეგ. მაგრამ ეს უკანასკნელი ნესტარიც ვულგარულ ეკონომიას ხელიდან გამოაცალა ფრიტრედერულმა კანონმდებლობამ სერ რობერტ პილის დროიდან დაწყებული.

1848 — 1849 წწ. კონტინენტურმა რევოლუციამ ინგლისზედაც იქონია გავლენა. ის ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ აცხადებდნენ მეცნიერული მნიშვნელობის პრეტენზიას და არ კმაყოფილდებოდნენ გაბატონებულ კლასთა უბრალო სოფისტებისა და სიკოფანტების როლით, ცდილობდნენ შეეთანხმებინათ კაპიტალისტური პოლიტიკური ეკონომია პროლეტარიატის მოთხოვნებთან, რომელთა უგულვებლყოფა უკვე აღარ შეიძლებოდა. აქედან წარმოდგა ის უილაჯო სინკრეტიზმი, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია ჯონ სტიუარტ მილი. ეს «ბურჟუაზიული» პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრებაა, როგორც ეს უკვე ჩინებულად გააშუქა დიდმა რუსმა მეცნიერმა და კრიტიკოსმა ნ. ჩერნიშევსკიმ თავის ნაწარმოებში: «Очерки политической экономии по Миллю».

ამრიგად, გერმანიაში კაპიტალისტური წარმოების წესი მომწიფდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფრანგეთსა და ინგლისში მისი ანტაგონისტური ხასიათი ისტორიულ ბრძოლებში დიდი ხმაურით

გამოაშკარავდა, მაშინ როდესაც გერმანიის პროლეტარიატს უკვე ჰქონდა გაცილებით უფრო გარკვეული თეორიული კლასობრივი შეგნება, ვიდრე გერმანიის ბურჟუაზიას. ამრიგად, როგორც კი აქ პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიული მეცნიერება თითქოს შესაძლებელი შეიქნა, იგი კვლავ შეუძლებელი გახდა.

ასეთ პირობებში მისი ბელადები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი, — ბრძენნი, განაორჩენის მოტრფიალენი, პრაქტიკოსი ადამიანები, შემოკრბნენ ბასტიას, ვულგარულ-ეკონომიური აპოლოგეტიკის ამ ყველაზე ბანალური და ამიტომ ყველაზე იღბლიანი წარმომადგენლის, დროშის ირგვლივ; მეორენი, — პროფესორულად ამაყნი თავიანთი მეცნიერების ღირსებით, გაჰყვნენ ჯ. სტ. მილს მის ცდაში — შეერიგებინა შეურიგებელი. როგორც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკურ ხანაში, ისე მისი დაქვეითების ხანაშიც გერმანელები დარჩნენ უცხოეთის უბრალო მოწაფეებად, მიმბაძველებად და თაყვანისმცემლებად, უცხოური ნსსვილი ფირმების პროდუქტთა მეწვრილნაე დამატარებლებად.

ამრიგად, გერმანული საზოგადოების ისტორიული განვითარების თავისებურებანი გამოორიცხებდნენ «ბურჟუაზიული» პოლიტიკური ეკონომიის ყოველგვარ შემდგომ ორიგინალურ განვითარებას, მაგრამ არა მისი კრიტიკის შესაძლებლობას. რამდენადაც ასეთი კრიტიკა წარმოადგენს საერთოდ გარკვეულ კლასს, იგი შეიძლება წარმოადგენდეს ნხოლოდ იმ კლასს, რომლის ისტორიული მოწოდებაა — მოახდინოს გადატრიალება კაპიტალისტური წარმოების წესში და საბოლოოდ მოსპოს კლასები, ე. ი. შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პროლეტარიატს.

გერმანიის ბურჟუაზიის სწავლული და არასწავლული ბელადები შეეცადნენ ჯერ დუმილით შეხვედროდნენ «კაპიტალს», როგორც ეს მათ მოახერხეს ჩემი აღრინდელი ნაშრომების მიმართ. მაგრამ როცა ეს ტაქტიკა დროთა ვითარების შესაფერი აღარ აღმოჩნდა, მათ, ჩემი წიგნის კრიტიკის საბაბით, მოათავსეს მთელი რიგი რჩევა-დარიგებანი «ბურჟუაზიული სინდისის დასამშვიდებლად», მაგრამ მუშათა პრესაში — იხ. მაგალითად, იოსებ დიკგენის სტატიები «Vulksstaat»-ში — შეხვედნენ ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგეებს, რომლებისთვისაც მათ დღემდე პასუხი არ გაუციათ¹.

¹ გერმანული ვულგარული ეკონომიის ენაბოძიკი ყბედები იწუნებენ ჩემი ნაწარმოების სტილსა და ახრთა გადმოცემას. არაეის არ შეუძლია განსაჯოს ჩემზე უფრო მკაცრად «კაპიტალის» ლიტერატურული ნაკლი. მაგრამ მე მაინც, ამ ვაჟბატონებისა და

КАПИТАЛЪ.

КРИТИКА ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМІИ.

СОДЪЕЖЕНІЕ

КАРЛА МАРКСА.

ПЕРЕВОДЪ СЪ НѢМЕЦКАГО.

ТОМЪ ПЕРВЫЙ.

КНИГА I. ПРОЦЕССЪ ПРОИЗВОДСТВА БАШЕНА.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
ИЗДАНИЕ Н. П. ПОЛЯКОВА.

1872

«კაპიტალის» I ტომის პირველი რუსული გამოცემის ვარჯიანი.
(დაპატენტებულია.)

«კაპიტალის» მშვენიერი რუსული თარგმანი გამოვიდა 1872 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში. მთელი გამოცემა 3 000 ეგზემპლარის რაოდენობით ამჟამად უკვე თითქმის გასაღებულია. ჯერ კიდევ 1871 წელს ბ-მა ნ. ზიბერმა, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორმა კიევის უნივერსიტეტში, თავის შრომაში: «Теория ценности и капитала Д. Рикардо» ნათელყო, რომ ჩემი თეორია ღირებულების, ფულისა და კაპიტალის შესახებ არსებითად სმიტისა და რიკარდოს მოძღვრების აუცილებელი შემდგომი განვითარებაა. დასავლეთ-ევროპელ მკითხველს აოცებს ამ ღირსშესანიშნავი წიგნის ერთხელვე მიღებული წმინდა თეორიული თვალსაზრისის თანამიმდევრულად და მტკიცედ გაცარება.

«კაპიტალში» გამოყენებული მეთოდი არ იყო ჯეროვნად გაგებული, როგორც ამას უკვე მისი ერთიმეორის საწინააღმდეგო განმარტებანი ადასტურებენ.

ასე, მაგალითად, პარიზის «Revue Positiviste» მისაყვედურებს. ერთი მხრივ, რომ მე პოლიტიკურ ეკონომიას მეტაფიზიკურად განვიხილავ, მეორე მხრივ კი, — აბა მიხვდით რას? — რომ მე ვკმაყოფილდები მხოლოდ მოცემულის კრიტიკული დანაწევრებით, ნაცვლად იმისა, რომ შევთხზა რეცეპტები (კონტისებური?) მომავლის სამზარეულოსათვის. მეტაფიზიკოსობაში ბრალდების წინააღმდეგ პროფესორი ზიბერი შენიშნავს: «რამდენადაც ლაპარაკია საკუთრივ თეორიაზე, მარქსის მეთოდი მთელი ინგლისური სკოლის დედუქციური მეთოდია, რომლის ნაკლსა და უპირატესობასაც იზიარებენ საუკეთესო თეორეტიკოსი-ეკონომისტები» [Н. Зибер: «Теория ценности и капитала Д. Рикардо», გვ. 170]. ბ-ნი მ. ბლოკი — «Les Théoriciens du

მათი საზოგადოების საამებლად და თანაც ყურადსაღებად, მოვიყვან აქ ინგლისური და რუსული კრიტიკის აზრს. «Saturday Review», რომელიც უხეველად მტრულადაა განწყობილი ჩემი შეხედულებების მიმართ, თავის შენიშვნაში პირველი გერმანული გამოცემის შესახებ ამბობს: გადმოაცემის წესი «თვით უადრესად მშრალ ეკონომიურ საკითხებსაც თავისებურ სილამაზეს (charm) აძლევს». «С.-П. Ведомости» 1872 წლის 20 აპრილის ნომერში, სხვათა შორის, შენიშნავს: «აზრთა გადმოცემა მის შრომაში (ზოგიერთი მეტად სპეციალური ნაწილის გამოკლებით) გამოირჩევა სიცხადით, საყოველთაო მისაწვდომობით და, მიუხედავად სავანის მეცნიერული სიმადლისა, არაჩვეულებრივი სიცხველით. ამ მხრივ ავტორი... სრულიად არა ჰგავს გერმანულ მეცნიერთა უმრავლესობას, რომლებიც... თავიანთ თხზულებებს ისეთი ბუნდოვანი და მშრალი ენით წერენ, რომ ჩვეულებრივ მოკვდავს თავი უსკდება». თანამედროვე გერმანულ-ნაციონალურ-ლიბერალური პროფესორული ლიტერატურის მკითხველებს თავი კი არა, სულ სხვა რამ უსკდებათ.

Socialisme en Allemagne. Extrait du «Journal des Économistes», juillet et août 1872» — აღმოაჩენს, რომ ჩემი მეთოდი ანალიზურია და, სხვათა შორის, ამბობს: ამ თხზულებით ბ-ნმა მარქსმა ადგილი დაიკავა ფრიად გამოჩენილ ანალიტიკოს მოაზროვნეთა შორისოა. გერმანელი რეცენზენტები, რა თქმა უნდა, ჰეგელიანურ სოფისტიკაზე გაჰყვირიან. პეტერბურგის «Вестник Европы» ერთ სტატიაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ «კაპიტალის» მეთოდს განიხილავს (1872 წ. მაისის ნომერი, გვ. 427 — 436), თვლის, რომ ჩემი კვლევის მეთოდი უადრესად რეალისტურია, გადმოცემის მეთოდი კი, საუბედუროდ, გერმანულ-დიალექტიკური. იგი ამბობს: «პირველი შეხედვით, თუ გადმოცემის გარეგნული ფორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მარქსი უდიდესი იდეალისტი-ფილოსოფოსია, თანაც ამ სიტყვის «გერმანული», ე. ი. ცუდი მნიშვნელობით. ნამდვილად კი იგი შეუდარებლად უფრო რეალისტია, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი ეკონომიური კრიტიკის საქმეში... იდეალისტად მისი ჩათვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება». მე არ შემიძლია უკეთესად ვუპასუხო ბ-ნ ავტორს, თუ არა ზოგიერთი ამონაწერით მისივე საკუთარი კრიტიკიდან; ამასთან ეს ამონაწერი შეიძლება საინტერესო იყოს ბევრი ჩემი მკითხველისათვის, რომლებსთვისაც რუსული ორიგინალი მიუწვდომელია.

ბ-ნ ავტორს მოჰყავს ამონაწერი ჩემი წიგნის «Zur Kritik der Politischen Oekonomie», Berlin 1859, გვ. IV — VII, წინასიტყვაობიდან. სადაც განმარტებული მაქვს ჩემი მეთოდის მატერიალისტური საფუძველი, და შემდეგ განაგრძობს:

«მარქსისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი რამ: იპოვოს იმ მოვლენების კანონი, რომელთაც იგი იკვლევს. ამასთან მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო კანონი, რომელიც განაგებს ამ მოვლენებს, სანამ მათ გარკვეული ფორმა აქვთ და იმ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან, რომელსაც ამჟამად ვამჩნევთ. მისთვის, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე კანონი მათი ცვალებადობის, მათი განვითარებისა, ე. ი. ერთი ფორმიდან მეორეში, ურთიერთდამოკიდებულებათა ერთი წყობილებიდან მეორეში გადასვლის კანონი. რაკი მან ეს კანონი აღმოაჩინა, იგი უფრო დაწვრილებით განიხილავს იმ შედეგებს, რომელთა სახით ეს კანონი ვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ამის შესაბამისად მარქსი მხოლოდ ერთ რამეზე ზრუნავს: ზუსტი მეცნიერული გამოკვლევით დაამტკიცოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული წყობილების აუცილებლობა და რაც შეიძლება

შეუბღაღავად აღნიშნოს ფაქტები, რომლებიც მისთვის ამოსავალ პუნქტს და დასაყრდენს შეადგენენ. მისთვის სრულიად საკმარისია, თუ მან დაამტკიცა თანამედროვე წყობილების აუცილებლობასთან ერთად აუცილებლობაც მეორე წყობილებისა, რომელშიც პირველი უნდა გადავიდეს აუცილებლად, სულ ერთია, ფიქრობენ ამას ადამიანები, თუ არ ფიქრობენ, შეგნებული აქვთ მათ ეს, თუ არა აქვთ შეგნებული. მარქსი განიხილავს საზოგადოებრივ მოძრაობას როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელსაც განაგებენ კანონები, რომელნიც არათუ დამოკიდებულნი არ არიან ადამიანის ნებასა, ცნობიერებასა და ზრახვაზე, არამედ, პირიქით, თვითონ განსაზღვრვენ მის ნებას, ცნობიერებას და ზრახვებს... თუ შეგნებული ელემენტი კულტურის ისტორიაში ესოდენ დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, მაშინ ვასაგებია, რომ კრიტიკას, რომლის საგანიც თვით ეს კულტურაა, ყველაზე ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს საფუძვლად ესა თუ ის ფორმა ან ესა თუ ის შედეგი ცნობიერებისა. ესე იგი არა იღეა, არამედ მხოლოდ გარეშე მოვლენა შეიძლება წარმოადგენდეს მისთვის ამოსავალ პუნქტს. კრიტიკის საგანი იქნება ფაქტის შედარება, შეპირისპირება და შეჯერება არა იღეასთან, არამედ სხვა ფაქტთან. კრიტიკისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ორივე ფაქტი რაც შეიძლება ზედმიწევნით იყოს გამოკვლეული და ნამდვილად წარმოადგენდეს განვითარების სხვადასხვა საფეხურს, და რომ, გარდა ამისა, არანაკლებ ზედმიწევნით იყოს გამოკვლეული ის წესი, თანამიმდევრობა და კავშირი, რომლებშიც განვითარების ეს საფეხურები ვლინდება. შეიძლება ზოგიერთ მკითხველს ასეთი კითხვაც დაებადოს: ეკონომიური ცხოვრების ზოგადი კანონები ხომ ერთი და იგივეა, სულ ერთია, გამოვიყენებთ მათ თანამედროვე თუ წარსული ცხოვრების მიმართ? მაგრამ სწორედ ამას არ ცნობს მარქსი. ასეთი ზოგადი კანონები არ არსებობს მისთვის. მისი აზრით, პირიქით, ყოველ დიდ ისტორიულ პერიოდს თავისი კანონები აქვს... მაგრამ როგორც კი ცხოვრებამ განვითარების მოცემული პერიოდი განვლო, მოცემული სტადიიდან გამოვიდა და მეორეში შევიდა, მას უკვე სხვა კანონები განაგებენ. ერთი სიტყვით, ეკონომიური ცხოვრება ამ შემთხვევაში წარმოგვიდგენს მოვლენას, სრულიად ანალოგიურს იმისას, რასაც ჩვენ ბიოლოგიურ მოვლენათა სხვა დარგებში ვამჩნევთ... ამ (ეკონომიური) ცხოვრების მოვლენათა შინაგანი აგებულებისა და ქმედითი მდგომარეობის თვისებათა დაკვირვებულ ანალიზს არაერთხელ დაურწმუნებია მრავალი მკვლევარი, უკვე ორმოციანი წლებიდან,

იმაში, რომ შემცდარია ეკონომიური კანონის ბუნებაზე ძველი ეკონომისტების ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეკონომიური კანონი ფიზიკისა და ქიმიის კანონების ერთგვაროვანია... მოვლენათა უფრო ღრმა ანალიზმა ცხადყო, რომ სოციალური ორგანიზმები ისევე საფუძვლიანად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, როგორც მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმები... ამიტომ ერთი და იგივე მოვლენა, ამ ორგანიზმთა სხვადასხვა აგებულებისა, მათი ორგანოების სხვადასხვაგვარობისა და იმ პირობების განსხვავების გამო, რომლებშიც ეს ორგანოები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს და სხვ., — შეიძლება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე... სულ სხვადასხვა კანონს ექვემდებარებოდეს. მარქსი უარყოფს, მაგალითად, იმის აღიარებას, რომ მოსახლეობის გადიდების კანონი ერთი და იგივეა ყოველთვის და ყველგან, ყველა დროისა და ყველა ადგილისათვის. პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ განვითარების ყოველ საფეხურს გამრავლების თავისი კანონი აქვს... ის, რაც ეკონომიურ ცხოვრებაში ხდება, დამოკიდებულია ეკონომიურ ძალთა წარმადობის დონეზე... წარმადობის სხვადასხვაობისას მისი შედეგებიც სხვადასხვა იქნება, და მათთან ერთად მათი მმართველი კანონებიც. ამრიგად, როცა მარქსი მიზნად ისახავდა გამოეკვლია და აეხსნა მეურნეობის კაპიტალისტური წყობილება, მან მხოლოდ ზუსტი მეცნიერული ზედმიწევნით ჩამოაყალიბა ის მიზანი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ეკონომიური ცხოვრების ზუსტ გამოკვლევას... ასეთი გამოკვლევის მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმ კერძო კანონების გამორკვევაში, რომლებსაც ექვემდებარება მოცემული სოციალური ორგანიზმის წარმოშობა, არსებობა, განვითარება, სიკვდილი და მისი შეცვლა სხვა, უფრო მაღალი, ორგანიზმით. და ეს ღირებულება აქვს სწორედ მარქსის წიგნს».

როდესაც ბ-ნმა ავტორმა ის, რასაც იგი ჩემს ნამდვილ მეთოდს უწოდებს, ასე ჩინებულად და, რამდენადაც საკითხი პირადად ჩემ მიერ ამ მეთოდის გამოყენებას შეეხება, ასე კეთილგანწყობილებით მოხაზა, რა მოხაზა მან, თუ არა დიალექტიკური მეთოდი?

რასაკვირველია, გადმოცემის წესი ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევის წესისაგან. კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმას და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება ნამდვილი მოძრაობის სათანადო წესით გადმოცემა. თუკი ეს მოხერხდა და მასალის ცხოვრებამ თავისი იდეალური ასახულობა ჰპოვა, მაშინ ერთი შეხედვით

შეიძლება მოვეჩვენოს, რომ საქმე გვაქვს აპრიორულ კონსტრუქციასთან.

ჩემი დიალექტიკური მეთოდი თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ მისი სრული დაპირისპირებულობაა. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იღვის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, დემიურგია სინამდვილისა, რომელიც მის გარეგან გამოვლინებას წარმოადგენს. ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი.

ჰეგელის დიალექტიკის მამისტიფიცირებელი მხარე მე გავაკრიტიკე თითქმის 30 წლის წინათ, იმ დროს, როცა ის ჯერ კიდევ მოდაში იყო. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მე „კაპიტალის“ პირველ ტომს ვამუშავებდი, აბეზარი, დიდი პრეტენზიებისა და შეზღუდული გონების მქონე ეპიგონები, რომელნიც ამჟამად ტონის მიმცემნი არიან განათლებულ გერმანიაში, ისეთი აბუხად აგდებით ეპყრობოდნენ ჰეგელს, როგორც ლესინგის დროს ომახიანი მოსე მენდელსონი ეპყრობოდა სპინოზას, — სახელდობრ, როგორც ემკვდარ ძალისა. ამიტომ მე საჯაროდ გამოვაცხადე ჩემი თავი ამ დიდი მოაზროვნის მოწაფედ და იმ თავში, სადაც ღირებულების თეორიაა განხილული, ალაგ-ალაგ თავს ვიწონებდი კიდევ ვამოთქმის იმ მანერით, რომელიც დამახასიათებელია ჰეგელისათვის. მისტიფიკაციას, რომელიც დიალექტიკამ ჰეგელის ხელში განიცადა, სრულიადაც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ პირველად სწორედ ჰეგელმა წარმოგვიდგინა ამომწურავად და შეგნებულად დიალექტიკის მოძრაობის ზოგადი ფორმები. ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას. საჭიროა იგი გადმოვაყიროთ, რათა მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალი აღმოვჩინოთ.

თავისი მისტიფიცირებული ფორმით დიალექტიკა მოდოდ იქცა გერმანიაში, რადგან ისე ჩანდა, თითქოს იგი არსებულ მდგომარეობას აქებ-ადიდებს. თავისი რაციონალური სახით დიალექტიკა ბრაზსა ჰგვრის და შიშის ზარსა სცემს ბურჟუაზიას და მის დოქტრინერ-იდეოლოგებს, რადგან არსებულის პოზიტიურ გაგებაში მას შეაქვს ამავე დროს ამ არსებულის უარყოფის, მისი აუცილებელი დაღუპვის გაგებაც. ყოველ განხორციელებულ ფორმას იგი განიხილავს მოძრაობის მდინარებაში, მაშასადამე, მისი წარმავალი მხარის მიხედვითაც, იგი არაფრის წინაშე ქედს არ იხრის და მთელი თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია.

წინააღმდეგობით აღსავსე მოძრაობა კაპიტალისტური საზოგადოებისა ყველაზე ხელშესახებად აგრძნობინებს თავის თავს პრაქტიკოს-ბურჟუას იმ პერიოდული ციკლის მერყეობით, რომელსაც თანამედროვე მრეწველობა განიცდის და რომლის უმაღლეს წერტილსაც საყოველთაო კრიზისი წარმოადგენს. კრიზისი კვლავ ახლოვდება, თუმცა ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაშია; თავისი ფართო სარბიელის საშუალებით, თავისი მოქმედების ინტენსივობით იგი ახალი საღმრთო პრუსიულ-გერმანული იმპერიის მეტიჩრებსაც კი დიალექტიკას ჩაუჭედავს თავში.

კარლ მარქსი.

ლონდონი. 1873 წ. 24 იანვარი.

Londres 18 Mars 1872.

Au citoyen Maurice de Châteauneuf

Cher citoyen,

J'approuve à votre idée de publier la traduction de *Das Kapital* en livraisons périodiques. Sous cette forme l'ouvrage sera plus accessible à la classe ouvrière et pour moi cette considération l'emporte sur toute autre.

Voilà le beau côté de votre médaille, mais en voici le revers: la méthode dialectique que j'ai employée et qui n'avait pas encore été appliquée aux sujets économiques, rend assez ardue la lecture des premiers chapitres, et il est à craindre que le public français toujours impatient de conclusion, aude de connaître le rapport des principes généraux avec les questions immédiates qui le passionnent, ne se rebute parce qu'il n'aura pas tout d'abord passé outre.

C'est là un désavantage contre lequel je ne puis rien si ce n'est toutefois prévenir et prévenir les lecteurs soucieux de vérité. Il n'y a pas de route royale pour la science et ceux-là seulement ont chance d'arriver à ses sommets lumineux qui ne craignent pas de se fatiguer à gravir ses sentiers escarpés.

Recevez, cher citoyen, l'assurance de mes
sentiments dévoués.

Karl Marx.

გაქსიძილე წერილისა, რომელიც მარქსმა მიწერა ლაშატრს — «კაპიტალის»
ფრანგული თარგმანის გამოცემელს.
(დაბატარავებულია.)

წინასიტყვაობა ფრანგული გამოცემისათვის

მოქალაქე მორის ლაშატრს.

ძვირფასო მოქალაქე!

თქვენი იდეა, რომ «კაპიტალის» თარგმანი პერიოდული ნაკვეთების სახით გამოიცეს, ძალიან მომწონს. ასეთი ფორმით ნაწარმოები უფრო ხელმისაწვდომი იქნება მუშათა კლასისათვის და ეს მოსაზრება კი ჩემთვის ყველა სხვა მოსაზრებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ასეთია მედალის წინა მხარე; მაგრამ არის მისი უკანა მხარეც: ანალიზის მეთოდი, რომლითაც მე ვსარგებლობ და რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული ეკონომიური საკითხების მიმართ, საკმაოდ ძნელ საკითხავად ხდის პირველ თავებს და ვშიშობ, რომ ფრანგულ საზოგადოებას, რომელიც ყოველთვის მოუთმენლად ესწრაფვის საბოლოო დასკვნებს და სწყურია იმის გაგება, თუ რა კავშირი აქვს ზოგად პრინციპებს იმ საკითხებთან, რომელნიც მას უშუალოდ აღელვებენ, არ დაეკარგოს ინტერესი წიგნისადმი, თუ იგი, კითხვის დაწყებისთანავე, ვერ შეძლებს ერთბაშად შემდგომ თავებზე გადასვლას.

ამ ერთგვარი უხერხულობის საწინააღმდეგოდ მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია: წინასწარვე მივაქციო ქეშმარიტებას მოწყურებული მკითხველის ყურადღება ამ სიძნელეზე და გავაფრთხილო იგი. მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარაგზა [route royale], და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკებზე ასვლისას.

მიიღეთ, ძვირფასო მოქალაქე, რწმუნება ჩემს ერთგულებაში.

კარლ მარქსი.

ლონდონი, 1872 წ. 18 მარტი.

ბოლოსიტყვაობა ფრანგული გამოცემისათვის

ბ-ნმა ჟ. რუამ იკისრა მოეცა რაც შეიძლება ზუსტი და სიტყვა-სიტყვითი თარგმანიც კი. მან კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი ამოცანა. მაგრამ სწორედ მისმა კეთილსინდისიერებამ და მეტისმეტმა სიზუსტემ მაიძულა შემეცვალა რედაქცია, რათა იგი უფრო ხელმისაწვდომი გამეხადა მკითხველისათვის. ეს ცვლილებები, რომლებსაც დროდადრო ვახდენდი, რადგან წიგნი ცალკე ნაკვეთებად გამოდიოდა, ყოველთვის ერთნაირი გულმოდგინებით ვერ იყო შესრულებული და ამან გამოიწვია სტილის უთანაბრობა.

მაგრამ რაკი ერთხელ ხელი მოვკიდე შემოწმებას, საჭიროდ მივიჩნიე ეს შემოწმება გამეგრეებინა ორიგინალის ძირითად ტექსტზე (მეორე გერმანული გამოცემა), — გამემარტივებინა ზოგიერთი ადგილი, შემევესო სხვები, შემეტანა ისტორიული ან სტატისტიკური დამატებანი, დამერთო კრიტიკული შენიშვნები და სხვა. როგორც უნდა იყოს მისი ლიტერატურული ნაკლი, ამ ფრანგულ გამოცემას ორიგინალისაგან დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება აქვს და ამიტომ ამ გამოცემით უნდა ისარგებლონ იმ მკითხველებმაც, რომლებმაც გერმანული ენა იციან.

ქვემოთ მე მომყავს მეორე გერმანული გამოცემის ბოლოსიტყვაობიდან ის ადგილები, სადაც ლაპარაკია პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაზე გერმანიაში და ამ ნაწარმოებში გამოყენებულ მე-თორღზე.

კარლ მარქსი

წინასიტყვაობა მისამე გამოცემისათვის

მარქსს არ დასცალდა თვითონ მოემზადებინა დასაბეჭდად ეს მისამე გამოცემა. ბუმბერაზი მოაზროვნე, რომლის სიდიადის წინაშე ამჟამად მისი მოწინააღმდეგენიც კი ქედს იხრიან, გარდაიცვალა 1883 წლის 14 მარტს.

მე, რომელმაც მარქსის სახით ორმოცი წლის საუკეთესო, უერთ-გულესი მეგობარი დავკარგე, მეგობარი, რომლისგანაც მე უფრო მეტად ვარ დავალეული, ვიდრე ამის გამოთქმა სიტყვით შეიძლება, — ვალად მხედა გამოვაქვეყნო როგორც პირველი ტომის ეს მისამე გამოცემა, ისე მეორე ტომიც, რომელიც მარქსმა ხელნაწერის სახით დატოვა. მე აქ მკითხველს უნდა ჩავაბარო ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ შევასრულე ჩემი მოვალეობის პირველი ნაწილი.

მარქსს თავდაპირველად განზრახვა ჰქონდა გადაემუშავებინა პირველი ტომის ტექსტის უდიდესი ნაწილი, უფრო მკაფიო ფორმულირებანი მიეცა ზოგიერთი თეორიული დებულებისათვის, დაემატებინა ახალი, შეეცხო ისტორიული და სტატისტიკური მასალა უახლესი დროის მონაცემებით. ავადმყოფობამ და მეორე ტომის საბოლოო რედაქციაზე მუშაობის აუცილებლობამ ხელი ააღებინა მას ამ განზრახვაზე. უნდა შეტანილიყო ყველაზე საჭირო ცვლილებანი და დართოდა მხოლოდ ის დამატებანი, რომლებსაც უკვე შეიცავდა ამ ხნის განმავლობაში გამოსული ფრანგული გამოცემა (*«Le Capital», par Karl Marx. Paris, Lachâtre, 1873*).

მარქსის წიგნებში აღმოჩნდა «კაპიტალის» გერმანული ეგზემპლარი, რომელიც ალაგ-ალაგ გასწორებული იყო მის მიერ და შეიცავდა

მითითებებს ფრანგულ გამოცემაზე; აღმოჩნდა აგრეთვე ფრანგული-
 ეგზემპლარი, სადაც ზუსტად იყო აღნიშნული ის ადგილები, რომელ-
 თა გამოყენებაც მარქსს უნდოდა ახალ გამოცემაში. ეს ცვლილე-
 ბანი და დამატებანი, მცირეოდენის გამოკლებით, შეეხება წიგნის
 უკანასკნელ ნაწილს, იმ განყოფილებას, სადაც განხილულია კაპიტა-
 ლის დაგროვების პროცესია. ამ განყოფილებაში წინანდელი ტექსტი
 უფრო უცვლელად მისდევდა წიგნის თავდაპირველი რედაქციის
 ტექსტს, მაშინ როდესაც წინა განყოფილებათა ტექსტი საფუძვლიან-
 ნად იყო გადაშუშავებული. ამიტომ სტილიც აქ უფრო ცოცხალი,
 უფრო ჩამოსხმული იყო, მაგრამ ამავე დროს ნაკლებ დამუშავებუ-
 ლიც, ანგლიციზმებით სავსე და ალაგ-ალაგ ბუნდოვანიც; აზრის
 განვითარების მსვლელობას აქა-იქ ხარვეზები ემჩნეოდა, რადგან
 ცალკეული მნიშვნელოვანი მომენტები მხოლოდ გაკვრით იყო აღნიშ-
 ნული.

რაც შეეხება სტილს, მარქსმა თვითონ გადასინჯა და შეასწორა
 საფუძვლიანად ბევრი ქვეგანყოფილება და ამით, ისევე როგორც
 ხშირი სიტყვიერი მითითებებით, მომცა იმის საზომი, თუ რამდენად
 შემეძლო ინგლისური ტექნიკური გამოთქმებისა და ანგლიციზმების
 თავიდან აშორება. ჩანართებსა და დამატებებს მარქსი, ცოცხალი
 რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, თვითონვე გადაამუშავებდა და
 სადა ფრანგულ ენას შეეკუმშული გერმანული ენით შეცვლიდა. მე
 უნდა დავკმაყოფილებულიყავი მათი უბრალო გადატანით ტექსტის
 სათანადო ადგილებში და თანაც ისე, რომ ისინი რაც შეიძლება მე-
 ტად შეთანხმებული ყოფილიყო ძირითად ტექსტთან.

ამრიგად, ამ მესამე გამოცემაში მე არ შემეცვლია არც ერთი
 სიტყვა, რომლის შესახებაც დანამდვილებით დარწმუნებული არ ვყო-
 ფილიყავი, რომ თვით ავტორი შეცვლიდა მას. რა თქმა უნდა, მე
 აზრადაც არ მომსვლია შემეტანა «კაპიტალში» ის გავრცელებული
 ჟარგონი, რომლითაც გერმანულ ეკონომისტებს თავიანთი აზრების
 გამოთქმა სჩვევიათ, — ეს აბდა-უბდა, რომლის მიხედვით, მაგალი-
 თად, მას, ვინც ნაღდ ფულზე სხვის შრომას იღებს, ეწოდება სამუ-
 შაოს მიმცემი [Arbeitgeber], ხოლო ვისაც ხელფასში შრომას
 ართმევენ — სამუშაოს მიმღები [Arbeitnehmer]. ფრანგებიც სიტ-
 ყვას «travail» ყოველდღიურ ცხოვრებაში «მოსაქმეობის» აზრით ხმა-
 რობენ. მაგრამ ფრანგები სრულიად მართებულად გიჟად მიიჩნევდნენ
 იმ ეკონომისტს, რომელიც მოიწადინებდა კაპიტალისტისათვის ეწო-
 დებინა donneur de travail [სამუშაოს მიმცემი], ხოლო მუშისათვის —
 receveur de travail [სამუშაოს მიმღები].

ასევე დაუშვებლად მივიჩნე ი ს, რომ ტექსტში ყველგან ხმარებული ინგლისური ფულის, ზომისა და წონის ერთეულები დამეყვანა მათს ახალგერმანულ ეკვივალენტებზე. როცა «კაპიტალის» პირველი გამოცემა გამოვიდა, გერმანიაში იმდენი მრავალგვარი ზომა-წონის ერთეული იყო, რამდენიც დღეა წელიწადში; ამასთან იყო ორგვარი მარკა (საიმიპერიო მარკა არსებობდა იმ დროს მხოლოდ ზეტბერის თავში, რომელმაც იგი 30-იანი წლების დამლევს გამოიგონა), ორგვარი გულდენი და, სულ ცოტა, სამგვარი ტალერი, მათ შორის — ერთი, რომლის ერთეულს «ახალი ორი მესამედი» შეადგენდა. ბუნებისმეცნიერებაში გაბატონებული იყო მეტრული, მსოფლიო ბაზარზე კი — ინგლისური ზომა და წონა. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივი იყო ინგლისური საზომი ერთეულებით სარგებლობა იმ წიგნში, რომელიც იძულებული იყო თავისი ფაქტობრივი მონაცემები თითქმის მარტოოდენ ინგლისის სამრეწველო ურთიერთობათა სფეროდან აეღო. ეს უკანასკნელი მოსაზრება ამჟამადაც გადამწყვეტი რჩება, მით უმეტეს, რომ სათანადო ურთიერთობანი მსოფლიო ბაზარზე თითქმის არ შეცვლილა და მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან დარგებში, განსაკუთრებით რკინისა და ბამბის მრეწველობაში, დღესაც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური ზომა და წონაა გაბატონებული.

დასასრულ ორიოდ სიტყვა კიდევ ციტირების იმ წესის შესახებ, რომელსაც მარქსი იყენებდა და რომელიც ნაკლებად იყო გაგებული. წმინდა ფაქტობრივი მონაცემების მოყვანის ან აღწერის დროს ციტატები, — მაგალითად, ინგლისური ლურჯი წიგნებიდან, — ცხადია, დოკუმენტების უბრალო დამოწმებაა. მაგრამ სულ სხვაა მაშინ, როცა სხვა ეკონომისტების თეორიულ შეხედულებათა ციტირება ხდება. აქ ციტატების საშუალებით დადგენილ უნდა იქნას მხოლოდ ის, თუ სად, როდის და ვის მიერ იყო პირველად მკაფიოდ გამოთქმული ესა თუ ის აზრი, რომელიც ეკონომიურ მოძღვრებათა განვითარებაში გარკვეულ საფეხურს შეადგენს. ამასთან აქ საყურადღებოა მხოლოდ ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ეკონომიურ შეხედულებას მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ისტორიისათვის, რომ იგი თავისი დროის ეკონომიური პირობების ცოტად თუ ბევრად ადეკვატური თეორიული გამოხატულებაა. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, აქვს ამა თუ იმ ეკონომიურ შეხედულებას რაიმე აბსოლუტური ან შეფარდებითი მნიშვნელობა თვით ავტორის თვალსაზრისისათვის, თუ იგი უკვე სავსებით ისტორიის კუთვნილებად იქცა, — სრულიად უმნიშვნელოა. მაშასადამე, ეს ციტატები შეადგენენ მხოლოდ განუწყვეტელ,

ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან ამოღებულ კომენტარს ტექსტის მიმართ და არაკვევენ ეკონომიური თეორიის ცალკეულ, უფრო მნიშვნელოვან მიღწევათა თარიღებსა და ავტორებს. და ასეთი მუშაობა მეტად საჭირო იყო მეცნიერებაში, რომლის ისტორიკოსებიც დღემდე მხოლოდ ტენდენციური, თითქმის კარიერისტული უვიცობით გამოირჩევიან. ამიტომ ადვილი გასაგებია აგრეთვე, თუ რატომაა, რომ მარქსს, — მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობის შესაბამისად, — მხოლოდ გამონაკლისის სახით უხდება გერმანელი ეკონომისტების ციტირება.

იმედი მაქვს, რომ მეორე ტომის გამოქვეყნება 1884 წლის განმავლობაში მოხერხდება.

ფრიდრიხ ენგელსი.

ლონდონი, 1883 წ. 7 ნოემბერი.



წინასიტყვაობა ინგლისური გამოცემისათვის

«კაპიტალის» ინგლისური გამოცემის გამოქვეყნება არავითარ გამართლებას არ საჭიროებს. პირიქით, უფრო მოსალოდნელი იყო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ დაყოვნდა დღემდე ეს ინგლისური გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია ამ წიგნში განვითარებული თეორიები როგორც ინგლისის, ისე ამერიკის პერიოდულ პრესასა და მიმდინარე ლიტერატურაში მსჯელობის, თავდასხმის, დაცვის, განმარტებისა და დამახინჯების საგანი გახდა.

როდესაც სულ მალე «კაპიტალის» ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1883 წელს ცხადი გახდა, რომ ამ ნაწარმოების ინგლისური გამოცემა ნამდვილად საჭირო იყო, მისტერ სემუელ მური—მარქსისა და ამ სტრიქონების ავტორის დიდი ხნის მეგობარი, რომელიც, შეიძლება, ყველაზე უკეთ იცნობდა თვით წიგნს, — დათანხმდა და იკისრა ამ წიგნის თარგმნა, რომლის გამოქვეყნებასაც მარქსის ლიტერატურული ანდერძის აღმსრულებელნი ესწრაფოდნენ. შევთანხმდით, რომ მე ხელნაწერს შევადარებდი ორიგინალს და შევიტანდი ისეთ ცვლილებებს, რომლებსაც მიზანშეწონილად მივიჩნევდი. მაგრამ როცა თანდათან გამოირკვა, რომ მისტერ მურს მისი პროფესიული დატვირთულობა ხელს უშლიდა თარგმანი ისე მალე დაემთავრებინა, როგორც ეს ჩვენ ყველას გვსურდა, ჩვენ სიხარულით მივიღეთ დრეველინგის წინადადება, რომ იგი სამუშაოს ნაწილს იკისრებდა. ამავე დროს მისის ეველინგმა, მარქსის უმცროსმა ქალიშვილმა, იკისრა ციტატების შემოწმება და იმ მრავალრიცხოვანი ადგილების პირველადი

ტექსტის აღდგენა, რომლებიც მარქსმა ინგლისელი ავტორებიდან და ლურჯი წიგნებიდან აიღო და გერმანულად თარგმნა. ეს სამუშაო მან მთლიანად შეასრულა, რამდენიმე აუცილებელი გამონაკლისის გარდა.

დ-რ ეველინგის მიერ თარგმნილია წიგნის შემდეგი ნაწილები: 1) თავი X (სამუშაო დღე) და XI (ზედმეტი ღირებულების ნორმა და მასა); 2) განყოფილება VI (ხელფასი, თავები XIX — XXII); 3) XXIV თავის მე-4 პარაგრაფიდან (ეგარემოებანი, რომელნიც და სხვ.ა.) წიგნის ბოლომდე, აქ შედის XXIV თავის უკანასკნელი ნაწილი, XXV თავი და მთელი VIII განყოფილება (თავები XXVI — XXXIII); 4) ავტორის ორივე წინასიტყვაობა*. წიგნის მთელი დანარჩენი ნაწილი თარგმნილია მისტერ მურის მიერ. ამრიგად, თვითული მთარგმნელი პასუხისმგებელია სამუშაოს იმ ნაწილისათვის, რომელიც მან შეასრულა, საერთო პასუხისმგებლობა კი მთელი სამუშაოსათვის მე მეკისრება.

მესამე გერმანული გამოცემა, რომელიც საფუძვლად დაედო მთელ ჩვენს მუშაობას, მე მოვამზადე 1883 წელს. მისი მომზადებისას მე გამოვიყენე ავტორის მიერ დატოვებული შენიშვნები, სადაც ავტორს მითითებული ჰქონდა მეორე გამოცემის ტექსტის ის ადგილები, რომლებიც 1873 წელს გამოქვეყნებულ ფრანგულ ტექსტში¹ აღნიშნული ადგილებით უნდა ყოფილიყო შეცვლილი. ამრიგად, მეორე გამოცემის ტექსტში შეტანილი ცვლილებები საერთოდ ეთანხმება იმ ცვლილებებს, რაც მარქსს აღნიშნული ჰქონდა საკუთარი ხელით დაწერილ მითითებებში ინგლისური თარგმანის მიმართ, რომელიც გათვალისწინებული იყო ამ ათი წლის წინათ ამერიკაში, მაგრამ ვერ განხორციელდა უმთავრესად საქმის მცოდნე და შესაფერი მთარგმნელის უყოლობის გამო. ხელნაწერი, რომელიც ამ მითითებებს შეიცავდა, სრულ განკარგულებაში გადმოგვცა ჩვენმა ძველმა მეგობარმა — ფ. ა. ზორგემ ჰობოკენიდან (ნიუ-ჯერსის შტატი). ამ ხელნაწერში აღნიშნულია კიდევ რამდენიმე დამატებითი ჩანართი ფრანგული გამოცემიდან; მაგრამ რადგან ეს ხელნაწერი დაწერილია რამდენიმე წლით ადრე იმ მითითებებამდე, რომელნიც მარქსმა მესამე გამოცემისთვის დასახა, მე შესაძლებლად ჩავთვალე ხელნაწერით

* «კაპიტალის» I ტომის ინგლისური გამოცემის თავების ნუმერაცია, ისე როგორც ფრანგული გამოცემისაც, არ ემთხვევა გერმანულ გამოცემათა ნუმერაციას. რ. ე. დ.

¹ «Le Capital», par Karl Marx. Traduction de M. J. Roy, entièrement révisée par l'auteur. Paris, Lachâtre. ეს თარგმანი, განსაკუთრებით წიგნის უკანასკნელ ნაწილში, მნიშვნელოვან ცვლილებებსა და დამატებებს შეიცავს მეორე გერმანული გამოცემის ტექსტთან შედარებით.

მესარგებლნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა იგი გვშველოდა სიძნელეთა დაძლევაში. ასევე მეტი წილი ძნელი ადგილების მიმართ ჩვენ ვიშველიებდით ფრანგულ ტექსტს. როგორც დასაყრდენ პუნქტს იმისათვის, თუ რის მსხვერპლად ვაღებას დათანხმდებოდა თვით ავტორი, როდესაც თარგმნისას დედნის სრული მნიშვნელობიდან რაიმე მსხვერპლად უნდა ვაღებულიყო.

მაგრამ არის ერთი სიძნელე, რომელიც მკითხველს თავიდან ვერ ავაცილებთ: ესაა ზოგიერთი ტერმინის ხმარება ისეთი მნიშვნელობით, რომელიც განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რაც მას აქვს არა მარტო სიტყვახმარების დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ ჩვეულებრივ პოლიტიკურ ეკონომიაშიც. მაგრამ ეს გარდუვალი იყო. ყოველი ახალი თვალსაზრისი მეცნიერებაში გულისხმობს გარკვეულ რევოლუციას ამ მეცნიერების ტექნიკურ ტერმინებში. ამას საუკეთესოდ ადასტურებს ქიმიკა, სადაც მთელი ტერმინოლოგია რადიკალურად იცვლება დაახლოებით ყოველ ოც წელიწადში და სადაც ძნელად თუ ვნახავთ ისეთ ორგანულ შენაერთს, რომელსაც არ განეგლოს მთელი რიგი სხვადასხვა სახელწოდებანი. პოლიტიკური ეკონომია ჩვეულებრივ კომერციული და სამრეწველო ცხოვრების ტერმინებს იმ სახით იღებდა, რა სახითაც მათ პოულობდა, იყენებდა მათ და სრულიად ვერ ამჩნევდა, რომ ამით იგი თავს იზღუდავდა იმ ცნებათა ვიწრო ფარგლებით, რომლებსაც ეს ტერმინები გამოხატავდნენ. მაგალითად, კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ სრულიად გარკვევით იცოდა, რომ მოგებაც და რენტაც მხოლოდ ქვედანაყოფებია, წილადებია პროდუქტის იმ გადაუხდელი ნაწილისა, რომელიც მუშამ უნდა მისცეს თავის მეწარმეს (პროდუქტის ამ ნაწილის პირველ მიმთვისებელს, თუმცა არა უკანასკნელსა და ერთადერთ მფლობელს). მაგრამ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიაც კი არასოდეს არ ვასცილებია მოგებისა და რენტის ჩვეულებრივი გაგების ფარგლებს, არასოდეს არ გამოუკვლევია პროდუქტის ეს გადაუხდელი ნაწილი (რასაც მარქსი ზედმეტ პროდუქტს უწოდებს) მის ერთობლიობაში, როგორც მთლიანობა; ამიტომ მას არასოდეს არ მიუღწევია არც მისი წარმოშობისა და ბუნების, არც იმ კანონების ნათელი გაგებისათვის, რომელნიც მისი ღირებულების შემდგომ განაწილებას აწესრიგებენ. ასევე მთელ მრეწველობას, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის გამოკლებით, განურჩევლად მოიცავს ტერმინი მანუფაქტურა და ამით წარმოიქმნება განსხვავება ეკონომიური ისტორიის ორ დიდ და არსებითად სხვადასხვა პერიოდს შორის: ხელშრომის დანაწილებაზე დამყარებული საკუთრივ მანუფაქტურის

პერიოდსა და მანქანების გამოყენებაზე დამყარებული თანამედროვე მრეწველობის პერიოდს შორის. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ თეორია, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას კაცობრიობის ეკონომიური ისტორიის მხოლოდ წარმავალ სტადიად განიხილავს, უნდა ხმარობდეს იმ ავტორების ჩვეული ტერმინოლოგიისაგან განსხვავებულ ტერმინებს, რომლებიც წარმოების ამ ფორმას მარადიულ და საბოლოო ფორმად განიხილავენ.

ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ ციტირების ის მეთოდი, რომელსაც ავტორი ხმარობს. უმრავლეს შემთხვევაში ციტატები ავტორისათვის წარმოადგენენ, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, ტექსტში წამოყენებულ მტკიცებათა დოკუმენტურ დასაბუთებას. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეკონომისტების თხზულებებიდან ადგილები ციტირებულია იმის ნათელსაყოფად, თუ როდის, სად და ვის მიერ იყო პირველად ნათლად გამოთქმული გარკვეული შეხედულება. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როცა ციტირებული შეხედულება მნიშვნელოვანია როგორც მეტ-ნაკლებად ადეკვატური გამოსახულება საზოგადოებრივი წარმოების და გაცვლის პირობებისა, რომელნიც გარკვეულ ხანაში ბატონობდნენ; თანაც ციტირება ხდება სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, ეთანხმება მოყვანილი შეხედულება მარქსის საკუთარ შეხედულებას თუ არა, ანდა, სხვა სიტყვებით, აქვს თუ არა მას საყოველთაო მნიშვნელობა. ამრიგად, ეს ციტატები აესებენ ტექსტს მეცნიერების ისტორიიდან აღებული გზადაგზა კომენტარით.

ჩვენი თარგმანი მოიცავს ამ ნაწარმოების მხოლოდ პირველ წიგნს. მაგრამ ეს პირველი წიგნი თავისთავად უაღრესად დამთავრებულ ნაშრომია და ოცი წლის განმავლობაში იგი დამოუკიდებელ ნაწარმოებად ითვლებოდა. მეორე წიგნი, რომელიც შე 1885 წელს გერმანულ ენაზე გამოვეცი, უეჭველად არაა სრული მესამე წიგნის გარეშე; ეს მესამე წიგნი კი 1887 წლის დასასრულზე ადრე ვერ გამოქვეყნდება. როდესაც მესამე წიგნის გერმანული ორიგინალი გამოიცემა, მაშინ დროული იქნება ვიფიქროთ ორივე წიგნის ინგლისური გამოცემის მომზადებაზე.

კონტინენტზე «კაპიტალს» ხშირად «მუშათა კლასის ბიბლიას» უწოდებენ. ვერავინ, ვინც კი მუშათა კლასის მოძრაობას იცნობს, ვერ უარყოფს იმას, რომ «კაპიტალში» გაკეთებული დასკვნები დღითიდღე სულ უფრო და უფრო ძირითადი პრინციპები ხდება მუშათა კლასის დიადი მოძრაობისათვის არა მარტო გერმანიასა და შვეიცარიაში, არამედ ასევე საფრანგეთსა, ჰოლანდიასა და ბელგიაში,

ამერიკაში და თვით იტალიასა და ესპანეთშიც კი, რომ ყველგან მუშათა კლასი ამ დასკვნებს სულ უფრო და უფრო თავისი მდგომარეობისა და თავის მისწრაფებათა ყველაზე შესაფერ გამოსახულებად ცნობს. თვით ინგლისშიც სწორედ ამჟამად მარქსის თეორიებს უდიდესი გავლენა აქვთ სოციალისტურ მოძრაობაზე, რომელიც «განათლებულთა» წრეებში არანაკლებ ვრცელდება, ვიდრე მუშათა კლასში.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. სწრაფად ახლოვდება ის დრო, როცა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის საფუძვლიანი გამოკვლევა გარდუვალი ეროვნული აუცილებლობა გახდება. ინგლისის სამრეწველო სისტემის მსვლელობა, რომელიც შეუძლებელია წარმოებისა და, მაშასადამე, ბაზრების განუწყვეტელი და სწრაფი გაფართოების გარეშე, — გაყინვის წერტილამდეა მისული. თავისუფალმა ვაჭრობამ ამოწურა თავისი რესურსები; მანჩესტერიც კი დაექვებუღია თავის ამ წინანდელ ეკონომიურ სახარებაში¹. სხვა ქვეყნების მრეწველობა, რომელიც სწრაფად ვითარდება, წინ ელობება ინგლისის მრეწველობას ყველგან, არა მარტო მფარველობითი ბაეებით დაცულ ბაზრებზე, არამედ ნეიტრალურ ბაზრებზეც, და ლამანშის გამოღმა მხარეზეც კი. მაშინ როდესაც მწარმოებლური ძალები გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ბაზრების გაფართოება, უკეთეს შემთხვევაში, არითმეტიკული პროგრესიით მიმდინარეობს. შეფერხების, აყვავების, ჭარბწარმოებისა და კრიზისის ათწლიური ციკლი, რომელიც 1825 წლიდან 1867 წლამდე ყოველთვის მეორდებოდა, როგორც ჩანს, მართლა შეწყდა, მაგრამ შეწყდა მხოლოდ იმისათვის, რომ ხანგრძლივი და ქრონიკული დეპრესიის ჭაობში შევეყვანეთ. აყვავების პერიოდი, რასაც ესოდენ მოუთმენლად ელიან, არ მოდის და არა; როგორც კი თითქოს მათი მაუწყებელი სიმპტომები ჩნდებიან, ისინი მყისვე ქრებიან. ამასობაში კი ყოველი შემდგომი ზამთარი ხელახლა აყენებს კითხვას: «რა ვუყოთ უმუშევრებს?» და მიუხედავად იმისა, რომ უმუშევართა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, არავის

¹ მანჩესტერის საეკონომიკო პალატის მორიგ კვარტალურ კრებაზე, რომელიც დღეს საღამოთი შედგა, ცხარე დისკუსია გაიმართა თავისუფალი ვაჭრობის საკითხზე. წამოყენებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: «რადგან 40 წლის განმავლობაში ამაოდ ველოდით, რომ სხვა ერები გააყვებოდნენ ინგლისის მაგალითს თავისუფალი ვაჭრობის საკითხში, პალატა ფიქრობს, რომ ახლა დადგა დრო, როცა ეს თვალსაზრისი უნდა გადაისინჯოს». ეს რეზოლუცია უარყოფილ იქნა მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით: 21 ხმა მომხრე იყო და 22 — წინააღმდეგი. «Evening Standard» — 1886 წ. 1 ნოემბერი.

ძალუძს. ამ კითხვას პასუხი გასცეს, და ჩვენ შეგვიძლია თითქმის გამოვიანგარიშოთ ის მომენტი, როცა უმუშევრები მოთმინებას დაკარგავენ და თავიანთ ბედს საკუთარ ხელში აიღებენ. უეჭველია, ასეთ მომენტში მოსმენილ უნდა იქნას ხმა იმ ადამიანისა, რომლის მთელი თეორია შედგება ინგლისის ეკონომიური ისტორიის და მდგომარეობის შესწავლისა, რასაც იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა, ხმა ადამიანისა, რომელიც ამ შესწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში ინგლისი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გარდუვალი სოციალური რევოლუცია მთლიანად მშვიდობიანი და ლეგალური საშუალებებით შეიძლებოდა მომხდარიყო. ამასთან, რასაკვირველია, მას არასოდეს არ ავიწყდებოდა დაემატებინა: საეჭვოა იმის მოლოდინი, რომ ინგლისის გაბატონებული კლასები დაემორჩილებიან ამ მშვიდობიან და ლეგალურ რევოლუციას ისე, რომ «proslaver rebellion» [ჯვანყი მონობის დასაცავად] არ მოახდინონო.

ფრიდრიხ ენგელსი.

1886 წ. 5 ნომბერი.

წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის

მეოთხე გამოცემა მოითხოვდა ჩემგან როგორც ტექსტის, ისე შენიშვნების შეძლებისამებრ საბოლოო დადგენას. მოკლედ აღვნიშნავ, თუ როგორ შევასრულე ეს ამოცანა.

ფრანგული გამოცემისა და მარქსის ხელნაწერი შენიშვნების ხელახლა შედარების შემდეგ კიდევ შევიტანე გერმანულ ტექსტში ფრანგულიდან ამოღებული რამდენიმე დამატება. ეს დამატებანი შემდეგ გვერდებზეა: 80 (მესამე გამოც., 88 გვ.) [ამ ტომის 149—151 გვ.], 458—460 (მესამე გამოც., 509—510 გვ.) [ამ ტომის 621—626 გვ.], 547—551 (მესამე გამოც., 600 გვ.) [ამ ტომის 734—741 გვ.], 591—593 (მესამე გამოც., 644 გვ.) [ამ ტომის 788—793 გვ.] და 596 (მესამე გამოც., 648 გვ.) [ამ ტომის 795—796 გვ.], შენიშვნა 79. გარდა ამისა, ფრანგული და ინგლისური გამოცემების მიხედვით, მე შევიტანე ტექსტში (მეოთხე გამოც., 461—467 გვ.) [ამ ტომის 626—634 გვ.] ვრცელი შენიშვნა მალაროს მუშების შესახებ (მესამე გამოც., 509—515 გვ.). დანარჩენი მცირე ცვლილებები წმინდა ტექნიკური ხასიათისაა.

გარდა ამისა მე შევიტანე დამატებით რამდენიმე განმარტებითი შენიშვნა, განსაკუთრებით იქ, სადაც ამას, ჩემი აზრით, შეცვლილი ისტორიული პირობები მოითხოვდა. ყველა ეს დამატებითი შენიშვნა მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში და მიწერილი აქვს ჩემი ინიციალები ან «D. H.»*.

* ამ გამოცემაში კვადრატული ფრჩხილები შეცვლილია ხვეულით. რ ე დ.

მრავალრიცხოვანი ციტატების სრული შემოწმება აუცილებელი გახდა ამ დროის განმავლობაში გამოსული ინგლისური გამოცემისათვის. მარქსის უმცროსმა ქალიშვილმა, ელენორამ, იკისრა ყველა ციტირებული ადგილის შედარება ორიგინალთან, ასე რომ ინგლისურ გამოცემაში ციტატები, რომელთა დიდი უმრავლესობაც ინგლისური წყაროებიდანაა ამოღებული, გერმანულიდან პირუკუ თარგმანს კი არ წარმოადგენენ, არამედ — თვით ინგლისურ ორიგინალურ ტექსტს. ამრიგად, მეოთხე გამოცემისათვის მე უნდა გამეთვალისწინებინა ეს აღდგენილი ტექსტი. ამასთან აქა-იქ აღმოჩნდა მცირე უსწორობანი: სწორად არ იყო მითითებული გვერდები, რაც აიხსნება ნაწილობრივ რვეულებიდან გადაწერის დროს დაშვებული მცდარი ჩანაწერებით, ნაწილობრივ კი სამი გამოცემის მანძილზე დაგროვილი მცდარბეჭდილებით; სწორად არ იყო დასმული ბრჭყალები ანდა გამოტოვების ნიშნები, — შეცდომა, რომელიც გარღვევალა ამონაწერთა რვეულებიდან მასობრივი ციტირების დროს. ალაგ-ალაგ ციტატების თარგმნისას ვერ იყო სათანადო სიტყვა შერჩეული. ზოგიერთი ადგილი ციტირებული იყო ძველი, 1843 — 1845 წწ. პარიზში ყოფნის დროს შედგენილი რვეულებიდან, როცა მარქსმა ინგლისური ენა ჯერ კიდევ არ იცოდა და ინგლისელ ეკონომისტებს ფრანგულ თარგმანებში კითხულობდა; იქ, სადაც ორმაგი თარგმანის გამო ამა თუ იმ ციტატის აზრს რამდენადმე სხვა ელფერი ეძლეოდა, მაგალითად, სტიუარტის, იურისა და სხვ. ციტატებში, — ახლა უკვე ინგლისური ტექსტით შეიძლებოდა სარგებლობა. ასეთივე იყო სხვა მცირე უსწორობანი და შეცდომები. თუ ახლა მეოთხე გამოცემას წინა გამოცემას შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ შესწორების მთელ ამ ჯათატევად პროცესს არავითარი ისეთი ცვლილება არ შეუტანია ტექსტში, რაც მოხსენიების ღირსი იყოს. მხოლოდ ერთი, რიჩარდ ჯონსიდან აღებული, ციტატა არ აღმოჩნდა (მე-4 გამოც., გვ. 562 [ამ ტომის 755 გვ.], შენიშვნა 47). მარქსს, ალბათ, წიგნის სათაურის აღნიშვნაში მოუვიდა შეცდომა*. ყველა სხვა ციტატა ინარჩუნებს თავის სრულ დამამტკიცებელ ძალას, ან ეს უკანასკნელი ძლიერდება კიდევ ციტატების ახლანდელი უფრო ზუსტი სახით.

მაგრამ აქ მე იძულებული ვარ დავუბრუნდე ერთ ძველ ამბავს.

პირადად მე მხოლოდ ერთი შემთხვევა ვიცი, როცა მარქსის მიერ ციტირებული ერთი ადგილის სისწორეში ეჭვი იყო შეტანილი. მაგ-

* მარქსი არ შემცდარა წიგნის სათაურის დასახელებაში, მან მხოლოდ გვერდი აღნიშვნა არახუსტად: 37-ის მაგივრად დასახელებული აქვს 36 გვერდი (იხ. ამ ტომის გვ. 755). რ. ე. დ.

რამ რადგან ამ ციტატის სისწორეში დაეკვებას მარქსის სიკვდილის შემდეგაც ჰქონდა ადგილი, ამიტომ მე არ შემიძლია მას გვერდი ავუარო.

ბერლინის «Concordia»-ში, გერმანელ მეფაბრიკეთა კავშირის ორგანოში, 1872 წლის 7 მარტს გამოქვეყნდა ანონიმური წერილი: «როგორ მოჰყავს კარლ მარქსს ციტატები». ამ სტატიის ავტორი გულუხვი მორალური აღშფოთებით და არაპარლამენტური გამოთქმებით აცხადებს, თითქოს მარქსს დაემახინჯებინოს ციტატა გლადსტონის საბიუჯეტო სიტყვიდან, რომელიც ამ უკანასკნელმა 1863 წლის 16 აპრილს წარმოთქვა (ციტატა მოთავსებულია მუშათა საერთაშორისო ასოციაციის სადამფუძნებლო მანიფესტში 1864 წელს და განმეორებულია «კაპიტალში», ტ. I, მეოთხე გამოც., გვ. 617, მესამე გამოც., გვ. 671 [ამ ტომის გვ. 820 — 821]). ფრაზა: «სიმდიდრისა და ძლიერების ეს თავბრუდამხვევი ზრდა... მთლიანად შეძლებული კლასებით შემოისაზღვრება», — «Hansard»-ის სტენოგრაფიულ (კვაზი-ოფიციალურ) ანგარიშში სრულებით არ არის, — ამბობს სტატიის ავტორი. მაგრამ ეს ფრაზა არსად არ არის გლადსტონის სიტყვაში. იქ სწორედ პირიქითაა ნათქვამი. (და შავი შრიფტით): **მარქსმა ფორმალურად და არსებითად შეთხზა ეს ფრაზა-ოა.**

მარქსმა, რომელსაც «Concordia»-ს ეს ნომერი მაისში გამოუგზავნეს, ანონიმურ ავტორს უპასუხა 1 ივნისის «Volksstaat»-ში. რადგან მას აღარ ახსოვდა, რომელი საგაზეთო ანგარიშიდან ამოიღო ეს ციტატა, იგი დაკმაყოფილდა იმით, რომ ჯერ მიუთითა სავსებით ანალოგიურ ციტატაზე ორ ინგლისურ გამოცემაში და შემდეგ მოიყვანა «Times»-ის ანგარიში, რომლის მიხედვით გლადსტონი ამბობს: «ასეთია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა სიმდიდრის მხრივ. უნდა ვალიარო, მე თითქმის შეშფოთებით და მწუხარებით დავუწყებდი ცქერას სიმდიდრისა და ძლიერების თავბრუდამხვევ ზრდას, დარწმუნებული რომ ვიყო, რომ იგი შეძლებული კლასებით შემოისაზღვრება. მაგრამ ეს ფაქტები არ გვაძლევენ არავითარ ცნობებს მუშა-მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ. სიმდიდრის ის ზრდა, რომელიც მე ავწერე, — ჩემი აზრით, სრულიად ზუსტ მონაცემებზე დამყარებით, — მთლიანად შემოსაზღვრულია შეძლებული კლასებით».

ამრიგად, გლადსტონი ანბობს აქ, რომ მისთვის ძალიან სამწუხარო იქნებოდა, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ეს სწორედ ასეაო: ძლიერებისა და სიმდიდრის ეს თავბრუდამხვევი ზრდა სავსებით შეძლებული კლასებით შემოისაზღვრება. რაც შეეხება კვაზი-ოფიციალურ «Hansard»-ს მარქსი განაგრძობს: «ბატონი გლადსტონი

იმდენად კეთილგონიერი იყო, რომ მან თავისი სიტყვის ამ უკანა-რიცხვით შეთხზული რედაქციიდან ამოაგდო ის ადგილი, რომელიც უეჭველად სახელს უტეხდა მას როგორც ინგლისის ხაზინის-კანცლერს. ეს, სხვათა შორის, ტრადიციული საპარლამენტო ჩვეულებაა ინგლისში და სრულიადაც არ წარმოადგენს ნამცეცა ლასკერის გამოგონებას ბებელის წინააღმდეგა.

მაგრამ ანონიმი სულ უფრო და უფრო ცხარდება. თავის პასუხში («Concordia», 4 ივლისი) იგი მეორე ხელიდან გამოსულ წყაროებს ვანზე ტოვებს და მორცხვად აღნიშნავს, თანახმად «ჩვეულებისა», საპარლამენტო სიტყვების ციტირება სტენოგრაფიული ანგარიშების მიხედვით უნდა ხდებოდესო; მაგრამ, ირწმუნება იგი შემდეგ, «Times»-ის ანგარიში (რომელშიც მოთავსებულია «შეთხზული» ფრაზა) და «Hansard»-ისაც (რომელშიც ეს ფრაზა გამოტოვებულია) «არსებითად და სავსებით ერთი და იგივეაო», «Times»-ის ანგარიში ასევე შეიცავს «სადამფუძნებლო მანიფესტის ცნობილი ადგილის პირდაპირ საპირისპირო» განცხადებასო; ამასთან ეს ვაჟბატონი გულდასმით ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ამ ვითომდა «საპირისპირო» განცხადების გვერდით მოთავსებულია სწორედ «ცნობილი ადგილი». მიუხედავად ყოველივე ამისა, ანონიმი გრძნობს, რომ მახეში გაება და რომ მხოლოდ რაიმე ახალ ხრიკს თუ შეუძლია მისი დახსნა. თავის სტატიას, რომელიც, როგორც ახლახან დავინახეთ, მთლიანად გაჟღენთილია «უტიფარი სიცრუით», იგი იწყებს ყოველად უშვერი ლანძღვით, როგორც, მაგალითად: «mala fides», «უნამუსობა», «ცრუ დამოწმება», «ეს ყალბი ციტატა», «უტიფარი სიცრუე», «სავსებით გაყალბებული ციტატა», «ეს გაყალბება», «პირდაპირ უსირცხვილოდ» და ა. შ. მაგრამ ამავე დროს იგი ცდილობს შეუმჩნეველად გადაიტანოს სხვა დარგში საკამათო საკითხი და ამიტომ გვპირდება, რომ «მეორე სტატიაში გაგვიმართავს, თუ რა მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენ (ე. ი. «არაცრუ» ანონიმი) გლადსტონის სიტყვების შინაარსს». თითქოს-და მის აზრს, სრულიად უმნიშვნელოს ყველასათვის, რაიმე კავშირი ჰქონდეს საგანთან! ეს მეორე სტატია გამოქვეყნდა 11 ივლისის «Concordia»-ში.

მარქსმა ერთხელ კიდევ გასცა პასუხი 7 აგვისტოს «Volksstaat»-ში, სადაც სათანადო ადგილი მოიყვანა 1863 წლის 17 აპრილის «Morning Star»-ისა და «Morning Advertiser»-ის ანგარიშებიდან. ორივე ამ წყაროს მიხედვით გლადსტონი ამბობს, რომ მას შეიპყრობდა შიში და სხვ. სიმდიდრისა და ძლიერების ამ თავებრუდამხვევი ზრდის ცქერით, იგი რომ დარწმუნებული იყოს, რომ ეს ზრდა მხოლოდ

შედლებული კლასებით (classes in easy circumstances) შემოისაზღვრება. მაგრამ ეს ზრდა მართლაც შემოისაზღვრება იმ კლასებით, რომელნიც საკუთრებას ფლობენო (entirely confined to classes possessed of property). ამრიგად, ამ ანგარიშებშიც სიტყვასიტყვით განმეორებულია ვითომდა მარქსის მიერ «შეთხზული» ფრაზა. შემდეგ, «Times»-ის და «Hansard»-ის ტექსტების შეჯერებით მარქსმა ერთხელ კიდევ სრული სიცხადით დაამტკიცა, რომ ეს ნამდვილად წარმოთქმული ფრაზა, როგორც ეს აღნიშნული იყო მეორე დილით სამი იმავდროულად გამოსული და ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი გაზეთის ანგარიშებში, გამოტოვებულია «Hansard»-ის ანგარიშში, რომელიც გადათვალთვლებულია ორატორის მიერ არსებული ჩვეულების» თანახმად, რომ გლადსტონმა, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, «მოიპარა იგი უკანა რიცხვითა; დასასრულ, მარქსი აცხადებს, რომ მას დრო არა აქვს ანონიმთან მეტი პოლემიკისათვის. მაგრამ ანონიმი, როგორც ჩანს, ყელამდე სავსე იყო იმითიც, რაც მან უკვე მიიღო, ყოველ შემთხვევაში მარქსისთვის ამის შემდეგ აღარ გამოუგზავნიათ «Concordia»-ს ნომრები.

ამით თითქოს საქმე საბოლოოდ ამოიწურა და დავიწყებას მიეცა. მართალია, ამის შემდეგაც ისეთი ადამიანების მხრიდან, რომელთაც კავშირი ჰქონდათ კემბრიჯის უნივერსიტეტთან, ერთხელ თუ ორჯერ მოაღწია ჩვენამდე საიდუმლოებით აღსავსე ხმებმა იმ საშინელი ლიტერატურული დანაშაულის შესახებ, რომელიც ვითომდა მარქსმა ჩაიდინა «კაპიტალიზმი». მაგრამ, მიუხედავად ყველა იმ გულდასმითი ძიებისა, რაც ამ მიმართულებით ჩატარდა, რისამე გარკვევით დადგენა სრულიად არ ხერხდებოდა. და აი 1883 წლის 29 ნოემბერს, მარქსის გარდაცვალებიდან რვა თვის შემდეგ, «Times»-ში გამოვიდა Trinity College, Cambridge-ით აღნიშნული და სედლი ტეილორის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც ამ კაცუნამ, რომელიც წყნარი კოოპერაციული საქმიანობით იყო გართული, სრულიად მოულოდნელად გაგვაგებინა, ბოლოს, არა მარტო კემბრიჯის ქორები, არამედ «Concordia»-ს ანონიმური ავტორის ვინაობაც.

ყველაზე უცნაური ის არის, — წერს Trinity College-ს კაცუნა, — რომ პროფესორ ბრენტანოს (რომელსაც მაშინ კათედრა ჰქონდა ბრესლავლში, ახლა კი სტრასბურგში) წილად ხვდა... გამოემქლავნებინა mala fides, რომლითაც, ცხადია, ნაქარნახევი იყო გლადსტონის სიტყვიდან მოყვანილი ციტატა ინტერნაციონალის (სადამფუძნებლო) მანიფესტში. ბატონი კარლ მარქსი... შეეცადა ციტატის დაცვას და სასიკვდილოდ კრუნჩხვა მოკულებული (deadly shifts), რა მდგომარეობაშიც 3 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. 1.

იგი სწრაფად ჩააგდო ბრენტანოს ოსტატურმა იერიშებმა, იმდენად გაკადნიერდა, რომ ამტკიცებდა, ბ-ნმა გლადსტონმა თავისი 1863 წლის 17 აპრილის «Times»-ში გამოქვეყნებული ანგარიში შეთითხნა, ვიდრე იგი «Hansard»-ში გამოქვეყნდებოდა, რათა იქიდან ამოეგდო ერთი ადგილი, რომელიც უეჭველად სახელს უტეხდა მას როგორც ინგლისის ხაზინის კანცლერსო. როცა ბრენტანომ ტექსტების დაწვრილებითი შეჯერებით დაამტკიცა, «რომ «Times»-ის და «Hansard»-ის ანგარიშები ერთმანეთს ეთანხმება იმ მხრივ, რომ აბსოლუტურად გამორიცხავენ იმ აზრს, რაც მოხერხებულად ამოგლეჯილი ცალკეული ადგილების ციტირებამ შეიტანა გლადსტონის სიტყვებში, მაშინ მარქსმა უარი განაცხადა შემდგომ პოლემიკაზე დროის უქონლობის მომიზეზებით!».

აი სად მარხია ძაღლის თავი! ასე ბრწყინვალედ აისახა კემბრიჯის საწარმოო-კოოპერაციულ ფანტაზიაში ბ-ნ ბრენტანოს მიერ «Concordia»-ში გაჩაღებული ანონიმური კამპანია! აი, ასე იდგა გერმანელ მეფაბრიკეთა კავშირის ეს წმიდა გიორგი, ასე იქნევდა ხმალს და «ოსტატურად ურტყამდა», მაშინ როდესაც ჯოჯოხეთის გველეშაპი მარქსი, მის ფეხქვეშ სწრაფად განრთხმული, ხრიალებდა «სასიკვდილოდ კრუნჩხვამოცული».

და, მიუხედავად ამისა, ამ ბრძოლის მთელი ეს აღწერა არიოსტოს სტილით მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ჩვენი წმიდა გიორგის ხრიკები დაფაროს. აქ ლაპარაკია უკვე არა «შეთხზულ სიცრუეზე», «გაყალბებაზე», არამედ «ცალკეული ციტატების მოხერხებულად ამოგლეჯაზე» (craftily isolated quotation). მთელი საკითხი გადატანილი იყო სრულიად სხვა სფეროში, და წმიდა გიორგიმ და მისმა კემბრიჯელმა მებაჯრემ მშვენიერად იცოდნენ, თუ რატომ მოხდა ასე.

ელენორა მარქსმა პასუხი გასცა ტეილორს ყოველთვიურ ჟურნალში «To-Day» (1884 წ. თებერვალი), რადგან «Times»-მა უარი განაცხადა მისი სტატიის დაბეჭდვაზე. მან უწინარეს ყოვლისა ზუსტად აღადგინა პოლემიკის შინაარსი: «შეთხზა» თუ არა მარქსმა ის ფრაზა, რომელსაც მას ბრალად უყენებდნენ? — აი რას შეეხებოდა დავა. ბ-ნ სედლი ტეილორმა ამაზე უპასუხა, რომ, მისი აზრით, მარქსსა და ბრენტანოს შორის ატეხილ დავაში «საკითხს იმის შესახებ, იყო თუ არა ეს ფრაზა ბ-ნ გლადსტონის სიტყვაში, სრულიად მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა» იმ საკითხთან შედარებით, «მოყვანილია ციტატა გლადსტონის სიტყვის ნამდვილი აზრის გადმოცემის თუ მისი დამახინჯების განზრახვით?» შემდეგ იგი აღიარებს,

რომ «Times»-ის ანგარიში «მართლა შეიცავს სიტყვიერ წინააღმდეგობას», მაგრამ სიტყვის შემდგომი შინაარსი, განმარტებული სწორად, ე. ი. ლიბერალურ-გლადსტონური მნიშვნელობით, გვიჩვენებს, თუ რის თქმა სურდა ბატონ გლადსტონსო («To-Day», 1884 წ. მარტი), ამასთან ყველაზე კომიკური ის არის, რომ ჩვენს კემბრიჯელ კაცუნას დაქინებით მოჰყავს გლადსტონის სიტყვის ციტატა არა «Hansard»-ის ანგარიშის მიხედვით, როგორც ეს მიღებულია, ანონიმური ბრენტანოს აზრით, არამედ — «Times»-ის ანგარიშის მიხედვით, რომელიც, იმავე ბრენტანოს აზრით, «უეჭველად უვარგისია». ბუნებრივია, ფატალური ფრაზა ხომ არ არის «Hansard»-ში!

ელეონორა მარქსისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ამ არგუმენტაციის გაცამტვერება «To-Day»-ის იმავე ნომრის ფურცლებზე. ორში ერთი: ან ბ-ნ ტეილორს წაკითხული აქვს 1872 წლის პოლემიკა, და მაშინ იგი «ტყუის» ახლა, თანაც ტყუის არა მარტო იმის «შეთხზვით», რაც არ ყოფილა, არამედ იმის «უარყოფითაც», რაც იყო. ანდა მას სრულიად არ წაუკითხავს ეს პოლემიკა, — და მაშინ უფლებაც არ ჰქონდა კრინტი დაედრა. ასეა თუ ისე, ეჭვს გარეშე იყო, რომ იგი ერთი წუთითაც ვერ ბედავდა მხარი დაეჭირა თავისი მეგობრის ბრენტანოს მიერ წამოყენებული ბრალდებისათვის — მარქსმა «შეთხზა» ციტატაო. პირიქით, მარქსს ბრალს სდებენ ახლა უკვე არა იმაში, რომ მან «შეთხზა», არამედ იმაში, რომ მან მნიშვნელოვანი ფრაზა ამოაგდო. მაგრამ ეს ფრაზა სინამდვილეში ციტირებულია სადამფუძნებლო მანიფესტის მე-5 გვერდზე, სწორედ რამდენიმე სტრიქონით წინ იმ ფრაზაზე, რომელიც ვითომდა «შეთხზულია». რაც შეეხება წინააღმდეგობას, რომელსაც გლადსტონის საბიუჯეტო სიტყვა შეიცავს, — განა თვით მარქსი არ აღნიშნავს «კაპიტალში», გვ. 618, შენიშ. 105 (მე-3 გამოც., გვ. 672) [ამ ტომის 821 — 822 გვ.] «მუდმივ და მყვირალა წინააღმდეგობას გლადსტონის 1863 და 1864 წლების საბიუჯეტო სიტყვებში!» იგი მხოლოდ არ კისრულობს სედლი ტეილორის მსგავსად ამ წინააღმდეგობათა გათქვეფას ლიბერალურ კეთილსულოვნებაში. ე. მარქსის პასუხი ასეთი დასკვნით თავდება: «პირიქით, მარქსს არც დაუმალავს ისეთი რამ, რაც ყურადღების ღირსია, და სრულებით არც არაფერი «შეთხზავს». მაგრამ მან აღადგინა და დაევიწყებისაგან იხსნა ერთი ფრაზა გლადსტონის სიტყვაში, ფრაზა, რომელიც უეჭველად წარმოთქმული იყო, მაგრამ რალაცნაირად გაქრა «Hansard»-ში.

ამის შემდეგ ბ-ნი სედლი ტეილორიც დაშოშმინდა. შედეგი მთელი ამ პროფესორული ლაშქრობისა, რომელიც ორი ათეული წლის

მანძილზე და ორ დიდ ქვეყანაში გაგრძელდა, ის იყო, რომ მას შემდეგ აღარავის გაუბედნია ექვის შეტანა მარქსის ლიტერატურულკეთილსინდისიერებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერიდან ბ-ნი სედლი ტეილორიც ისეთივე უნდობლობით შეხედავს ბ-ნ ბრენტანოს ლიტერატურული ბრძოლის ბიულეტენებს, როგორც ბ-ნი ბრენტანო — «Hansard»-ის პაპისებურ უცდომელობას.

ფ. ენგელსი.

ლონდონი, 1890 წ. 25 ივნისი.

წიგნი პირველი
ქვეიგალის წარმოების პროცესი

ბანკოფილება პირველი

საქონელი და ფული

თავი პირველი

საქონელი

1. საქონლის ორი ფაქტორი: სახვარი ღირებულება და ღირებულება (ღირებულების სუბსტანცია, ღირებულების სიღიღე)

სიმდიდრე საზოგადოებისა, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი ბატონობს, უამრავი საქონლის გროვას¹ წარმოადგენს¹, ცალკეული საქონელი კი — მის ელემენტარულ ფორმას. ამიტომ ჩვენნი გამოკვლევა საქონლის ანალიზით იწყება.

საქონელი უწინარეს ყოვლისა გარეგანი საგანია, ნივთი, რომელიც თავისი თვისებით ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამ მოთხოვნილების ბუნება, სულ ერთია, წარმოშობს მას, მაგალითად, კუჭი თუ ოცნება, სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას². აქ აგრეთვე არც იმაზეა ლაპარაკი, თუ როგორ აკმაყოფილებს ეს ნივთი ადამიანის მოთხოვნილებას, — უშუალოდ, როგორც საარსებო საშუალება, ე. ი. როგორც მოხმარების საგანი, თუ არაპირდაპირი გზით, როგორც წარმოების საშუალება.

¹ K. Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 3
ც. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 15].

² «სურვილი გულისხმობს მოთხოვნილებას; იგი სულის მადაა და ისევე ბუნებრივია მისთვის, როგორც შიმშილი სხეულისათვის... (ნივთების) უმეტეს ნაწილს ღირებულება იმითაა აქვს, რომ სულის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს». Nicholas Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter. In Auswer to Mr. Locke's Considerations etc.». London 1696, გვ. 2, 3.

ყოველი სასარგებლო ნივთი, როგორც, მაგალითად, რკინა, ქალაქი და ა. შ., შეიძლება ორნაირი თვალსაზრისით განვიხილოთ: თვისებრიობისა და რაოდენობის მიხედვით. ყოველი ასეთი ნივთი მრავალი თვისების ერთობლიობაა და ამიტომ შეიძლება სასარგებლო იყოს სხვადასხვა მხრივ. ამ სხვადასხვა მხარისა და, მაშასადამე, ნივთთა გამოყენების მრავალნაირი წესის აღმოჩენა ისტორიული განვითარების საქმეა³. იგივე ითქმის საზოგადოებრივ საზომთა გამოყენებაზე სასარგებლო ნივთთა რაოდენობისათვის. საქონლის საზომთა სხვადასხვაობა გამომდინარეობს ნაწილობრივ გასაზომი საგნების სხვადასხვა ბუნებიდან, ნაწილობრივ პირობითი შეთანხმებიდან.

ნივთის სარგებლიანობა ამ ნივთს სახმარ ღირებულებად ხდის⁴. მაგრამ ეს სარგებლიანობა ჰაერში როდი ჰკიდია. საქონლის სხეულის თვისებებით გაპირობებული, იგი ამ სხეულის გარეშე არ არსებობს. ამიტომ საქონლის სხეული, როგორც, მაგალითად, რკინა, ხორბალი, ალმასი და ა. შ., თვით არის სახმარი ღირებულება, ანუ დოვლათი. ეს მისი ხასიათი არ არის იმაზე დამოკიდებული, ბევრი თუ ცოტა შრომა ეხარჯება ადამიანს მის სახმარ თვისებათა მითვისებაზე. სახმარ ღირებულებათა განხილვისას მუდამ იგულისხმება მათი რაოდენობრივი განსაზღვრულობა, მაგალითად, დუქინი საათი, ადლი ტილო, ტონა რკინა და სხვა. საქონელთა სახმარი ღირებულებანი განსაკუთრებული დისციპლინის — საქონელმცოდნეობის საგანს შეადგენენ⁵. სახმარი

³ ნივთებს აქვთ დამახასიათებელი შინაგანი თვისება (virtue — ბარბონისათვის სახმარი ღირებულების სპეციფიკური სახელწოდება), რომელიც ყველგან უცვლელი რჩება; მაგალითად, მაგნიტის თვისება რკინის მიზიდვისა (N. Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter etc.». London 1696, გვ. 6). მაგნიტის თვისება რკინის მიზიდვისა სასარგებლო გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი საშუალებით აღმოჩენილ იქნა მაგნიტური პოლარობა.

⁴ ყოველი ნივთის ბუნებრივი ღირებულება [natural worth] იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს უნარი დააკმაყოფილოს ადამიანის აუცილებელი მოთხოვნილებანი ან ემსახუროს მისი ცხოვრების კეთილმოწყობას (John Locke: «Some Considerations on the Consequences of the Lowering of Interest», 1691, «Works»-ში, გამოც. London 1777, ტ. II, გვ. 28). მე-17 საუკუნეში ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ინგლისელ მწერალთა თხზულებებში სიტყვას «worth» სახმარი ღირებულების აღსანიშნავად და «value»-ს საცვლელი ღირებულების აღსანიშნავად; ეს სრულიად შეესაბამება იმ ენის ხასიათს, რომელსაც უყვარს უშუალოდ მოცემული საგნები გამოხატოს გერმანულად, რეფლექტირებული კი — რომანულად.

⁵ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებულია fictio juris (იურიდიული ფიქცია), თითქოს ყოველ ადამიანს, როგორც საქონლის მყიდველს, საქონლის ენციკლოპედიური ცოდნა აქვს.

ღირებულების რეალიზაცია მხოლოდ გამოყენების ანუ მოხმარების პროცესში ხდება. სახმარი ღირებულებანი სიმდიდრის ნივთიერ შინაარსს შეადგენენ, სულ ერთია, როგორც უნდა იყოს ამ სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმა. საზოგადოების იმ ფორმაში, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, სახმარი ღირებულება იმავე დროს ნივთიერი მატარებელია საცვლელი ღირებულებისა.

საცვლელი ღირებულება უწინარეს ყოვლისა წარმოგვიდგება როგორც რაოდენობრივი თანაფარდობა, როგორც პროპორცია, რომლის მიხედვით ერთი გვარეობის სახმარი ღირებულება შეორე გვარეობის სახმარ ღირებულებაზე გაიცვლება⁶, წარმოგვიდგება თანაფარდობად, რომელიც დროისა და ადგილის მიხედვით მუდმივ იცვლება. ამიტომ საცვლელი ღირებულება შემთხვევითი ხასიათის და წმინდა რელატიურ მოვლენად გვეჩვენება, საქონლის შინაგანი, იმანენტური საცვლელი ღირებულება (valeur intrinsèque) კი, მაშასადამე, რალაც *contradictio in adjecto*-დ⁷. განვიხილოთ საგანი უფრო ახლო.

განსაზღვრული საქონელი, მაგალითად, ერთი კვარტერი ხორბალი გაიცვლება x საჩექმე ვაქსზე, ან y აბრეშუმზე, ან z ოქროზე და ა. შ., ერთი სიტყვით იგი გაიცვლება სხვა საქონელზე უალრესად სხვადასხვა პროპორციით. მაშასადამე, ხორბალს აქვს მრავალგვარი საცვლელი ღირებულება: ნაცვლად ერთადერთისა. მაგრამ, რადგან x საჩექმე ვაქსიც, y აბრეშუმიც, z ოქროც და ა. შ. ერთი კვარტერი ხორბლის საცვლელ ღირებულებას წარმოადგენენ, ამიტომ x საჩექმე ვაქსი, y აბრეშუმი, z ოქრო და ა. შ. უნდა იყვნენ ერთმეორის შემცვლელი ანუ თანატოლი საცვლელი ღირებულებანი. აქედან გამომდინარეობს, პირველი, რომ ერთი და იმავე საქონლის სხვადასხვა საცვლელი ღირებულებანი გამომხატავენ რაიმე იჯიურს. და მეორე, რომ საცვლელი ღირებულება შეიძლება საერთოდ იყოს

⁶ «ღირებულება ის შეფარდება, რომლის მიხედვით ერთი ნივთი გაიცვლება მეორეზე, ერთი პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობა მეორე პროდუქტის განსაზღვრულ რაოდენობაზე» (Le Trosue: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 889).

⁷ «არაფერს არ შეუძლია ჰქონდეს შინაგანი საცვლელი ღირებულება» (N. Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter etc.». London 1696, გვ. 6), ან, როგორც ბეტლერი ამბობს:

«The value of a thing
is just as much as it will bring».

(ნივთის ღირებულება სწორედ იმდენია, რამდენსაც იგი მოიტანს.)

მხოლოდ გამოსახვის წესი. «გამოვლინების ფორმა» მისგან განსხვავებული რაიმე შინაარსისა.

ავიღოთ ორი საქონელი, მაგალითად, ხორბალი და რკინა. როგორც უნდა იყოს მათი საცვლელი შეფარდება, იგი ყოველთვის შეიძლება გამოიხატოს განტოლებით, რომელშიც ხორბლის განსაზღვრული რაოდენობა რკინის განსაზღვრულ რაოდენობას ეტოლება. მაგალითად, 1 კვარტერი ხორბალი = a ცენტნერ რკინას. რას გვეუბნება ეს განტოლება? იმას, რომ ორ სხვადასხვა ნივთში, ე. ი. 1 კვარტერ ხორბალში და a ცენტნერ რკინაში ერთი და იმავე სიდიდის საერთო რამ არსებობს. მაშასადამე, ორივე ნივთი უდრის მესამეს, რომელიც თავისთავად არც პირველია და არც მეორე. ამრიგად, თვითეული მათგანი, რამდენადაც იგი საცვლელი ღირებულებაა, დაყვანილ უნდა იქნას ამ მესამეზე.

უბრალო გეომეტრიული მაგალითი ნათელყოფს ამას. სწორი ხაზებით შემოსაზღვრული რომელიმე ფიგურის ფართობი რომ განვსაზღვროთ და ერთმანეთს შევადაროთ, მათ სამკუთხედებად ვშლით. თვით სამკუთხედი დაგვყავს მისი ხილვადი ფიგურისაგან სრულიად განსხვავებულ გამოსახულებამდე — მისი ფუძისა და სიმაღლის ნამრავლის ნახევრამდე. სწორედ ასევე საქონელთა საცვლელი ღირებულებანიც დაყვანილ უნდა იქნან იმ საერთოზე, რომლის მეტ თუ ნაკლებ ოდენობასაც ისინი წარმოადგენენ.

ეს საერთო რამ არ შეიძლება იყოს გეომეტრიული, ფიზიკური, ქიმიური ან სხვა რაიმე ბუნებრივი თვისება საქონლისა. საქონელთა სხეულებრივი თვისებანი მხედველობაში მიიღება საერთოდ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მათ სასარგებლო ნივთებად, მაშასადამე, სახმარ ღირებულებებად ხდიან. მაგრამ, მეორე მხრივ, საქონელთა საცვლელ შეფარდებას ნათლად ახასიათებს სწორედ აბსტრაქტირება მათი სახმარი ღირებულებებისაგან. საქონელთა საცვლელი შეფარდების ფარგლებში თვითეულ სახმარ ღირებულებას სწორედ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ყოველ სხვას, თუკი იგი სათანადო პროპორციით არის მოცემული. ან, როგორც მოხუცი ბარბონი ამბობს: ერთი გვარეობის საქონელი ისევე კარგია, როგორც მეორე, თუ მათი საცვლელი ღირებულება ერთნაირია. არავითარი განსხვავება, ანუ სხვადასხვაობა არ არსებობს იმ ნივთებს შორის, რომელთაც ტოლი სიდიდის საცვლელი ღირებულება აქვთ⁸. როგორც სახ-

⁸ ერთი გვარეობის საქონელი ისევე კარგია, როგორც მეორე, თუ მათი საცვლელი ღირებულება ერთნაირია. არავითარი განსხვავება, ანუ სხვადასხვაობა არ არსებობს იმ ნივთებს შორის, რომელთაც ტოლი სიდიდის საცვლელი ღირებულება

მარი ღირებულება საქონელი, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა თვისებრიობის მქონეა, როგორც საცვლელი ღირებულება კი იგი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვადასხვა რაოდენობის მქონე, მაშასადამე, სახმარი ღირებულების არც ერთ ატომს არ შეიცავს.

თუ საქონლის სხეულის სახმარ ღირებულებას მხედველობაში არ მივიღებთ, მას მხოლოდ ერთი თვისება დარჩება, სახელდობრ ის, რომ იგი შრომის პროდუქტია. მაგრამ მაშინ თვით შრომის პროდუქტიც სრულიად სხვა სახეს ღებულობს. თუ ჩვენ მისი სახმარი ღირებულებისაგან აბსტრაჰირებას ვახდენთ, მაშინ აბსტრაჰირებას ვახდენთ აგრეთვე მისი იმ სხეულებრივი შემადგენელი ნაწილებისა და ფორმებისაგან, რომელნიც პროდუქტს სახმარ ღირებულებად ხდიან. იგი უკვე აღარ არის მაგიდა, ან სახლი, ან ნართი, ან სხვა რომელიმე სასარგებლო ნივთი. ყველა მისი თვისება, რომელთაც გრძნობით აღვიქვამთ, გამქრალია. იგი უკვე აღარ არის აგრეთვე პროდუქტი დურგლის, კალატოზის, მრთველის შრომისა, ან კიდევ სხვა რომელიმე განსაზღვრული მწარმოებლური შრომისა. შრომის პროდუქტთა სასარგებლო ხასიათთან ერთად ქრება მათში წარმოდგენილი შრომის სასარგებლო ხასიათიც, ქრება, მაშასადამე, ამ შრომის სხვადასხვა კონკრეტული ფორმა; ისინი უკვე აღარ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ყველა დაყვანილია ადამიანის იგიურ შრომაზე, ადამიანის აბსტრაქტულ შრომაზე.

განვიხილოთ ახლა შრომის პროდუქტთა residuum-ი [ნაშთი]. მათგან სხვა აღარაფერი დარჩა, თუ არა მხოლოდ ერთი და იგივე მოჩვენებითი საგნობრიობა, მხოლოდ უბრალო შენადედი ადამიანის განუსხვავებელი შრომისა, ე. ი. ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვისა დამოუკიდებლად ამ ხარჯვის ფორმისაგან. ეს ნივთები ახლა მხოლოდ იმას გამოხატავენ კიდევ, რომ მათს წარმოებაზე დახარჯულია ადამიანის სამუშაო ძალა, დაგროვილია ადამიანის შრომა. როგორც კრისტალები ამ მათთვის საერთო საზოგადოებრივი სუბსტანციისა, ისინი ღირებულებანია — საქონელთა ღირებულებანი.

თვით საქონელთა საცვლელ შეფარდებაში მათი საცვლელი ღირებულება მოგვევლინა როგორც მათი სახმარი ღირებულებისაგან სრულიად დამოუკიდებელი რამ. თუ ჩვენ მართლაც შრომის პროდუქტთა სახმარი ღირებულებისაგან აბსტრაჰირებას მოვახდენთ,

აქვთ. 100 გირვანქა სტერლინგის ტყვიას ან რკინას ისეთივე საცვლელი ღირებულება აქვს, როგორც იმავე 100 გირვანქა სტერლინგის ვერცხლს ან ოქროს» (N. Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter etc.» London 1696, გვ. 53 და 7).

მაშინ მივიღებთ მათს ღირებულებას, როგორც იგი ახლახან იყო განსაზღვრული. მაშასადამე, ის საერთო, რაც საქონლის საცვლელი შეფარდებით, ანუ მისი საცვლელი ღირებულებით გამოიხატება, არის მისი ღირებულება. გამოკვლევის შემდგომი მსვლელობა კვლავ მიგვიყვანს ჩვენ საცვლელ ღირებულებასთან როგორც ღირებულების გამოსახვის აუცილებელ წესთან, ანუ მისი გამოვლინების აუცილებელ ფორმასთან; მაგრამ ეს ღირებულება უწინარეს ყოვლისა ამ ფორმისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნას განხილული.

ამრიგად, სახმარ ღირებულებას, ანუ დოვლათს, ღირებულება მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ მასში ადამიანის აბსტრაქტული შრომაა გასაგნობრივებული, ანუ მატერიალიზებული. როგორღა უნდა გაიზომოს მისი ღირებულების სიდიდე? მასში მოქცეული შრომის, ღირებულების შემქმნელი სუბსტანციისა, რაოდენობით. თვით შრომის რაოდენობა გაიზომება მისი ხანგრძლიობით, სამუშაო დროით, სამუშაო დროს კი კვლავ თავისი მასშტაბი აქვს დროის განსაზღვრული ნაწილების სახით, როგორცაა საათი, დღე და სხვ.

შეიძლება მოგვჩვენებოდა, რომ თუკი საქონლის ღირებულება მისი წარმოების განმავლობაში დახარჯული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, მაშინ რაც უფრო ზარმაცი ან ნაკლებ დახელოვნებულია ადამიანი, მით უფრო მეტი ღირებულება აქვს მის საქონელს, რადგან მას მეტი დრო დასჭირდება მის დასამზადებლად. მაგრამ შრომა, რომელიც ღირებულების სუბსტანციას შეადგენს, არის ადამიანის იგიური შრომა, ადამიანის ერთი და იმავე სამუშაო ძალის ხარჯვა. საზოგადოების მთელი სამუშაო ძალა, რომელიც საქონელთა სამყაროს ღირებულებებით გამოიხატება, აქ ადამიანის ერთსა და იმავე სამუშაო ძალას ნიშნავს, თუმცა იგი ურიცხვი ინდივიდუალური სამუშაო ძალებისაგან შედგება. ავითყულო ასეთი ინდივიდუალური სამუშაო ძალა ადამიანის ისეთივე სამუშაო ძალაა, როგორც ყველა სხვა, რამდენადაც მას საზოგადოებრივი საშუალო სამუშაო ძალის ხასიათი აქვს და მოქმედებს როგორც ასეთი საზოგადოებრივი საშუალო სამუშაო ძალა, მაშასადამე, ამა თუ იმ საქონლის საწარმოებლად აგრეთვე მხოლოდ საშუალოდ აუცილებელ ანუ საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს საქიროებს. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო ის სამუშაო დროა, რომელსაც მოითხოვს ამა თუ იმ სახმარი ღირებულების დამზადება წარმოების არსებულ საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში და შრომის დახელოვნებისა და ინტენსივობის საზოგადოებრივ, საშუალო დონეზე. მაგალითად, ინგლისში ორთქლის საფეიქრო დაზვის შემოღების შემ-

დეგ მოცემული რაოდენობის ნართის ქსოვილად გარდაქმნისათვის შესაძლოა უწინდელი შრომის მხოლოდ ნახევარი იყოს საკმარისი. და მართლაც, ხელით მომუშავე ფეიქარი ინგლისში უწინდებურად იმავე სამუშაო დროს ხარჯავდა ამ გარდაქმნისათვის, მაგრამ მისი ინდივიდუალური სამუშაო საათის პროდუქტი ახლა საზოგადოებრივი სამუშაო საათის მხოლოდ ნახევარს გამოხატავდა და ამიტომ მისი ღირებულება უწინდელთან შედარებით სანახევროდ შემცირდა.

მაშასადამე, ღირებულების სიდიდე ამა თუ იმ სახმარი ღირებულებისა განისაზღვრება მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით, ანუ მისი დამზადებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით⁹. ცალკეულ საქონელს აქ მნიშვნელობა აქვს საერთოდ როგორც თავისი გვარის საშუალო ეგზემპლარს¹⁰. ამიტომ ყველა საქონელი, რომელიც ტოლი რაოდენობის შრომას შეიცავს, ანუ რომელიც ერთი და იმავე სამუშაო დროის განმავლობაში შეიძლება დამზადდეს, ღირებულების მხრივ ერთნაირი სიდიდისაა. ერთი საქონლის ღირებულება შეეფარდება ყოველი სხვა საქონლის ღირებულებას ისე, როგორც პირველის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო შეეფარდება მეორის წარმოებისათვის. აუცილებელ სამუშაო დროს. «როგორც ღირებულებანი, ყველა საქონელი შედგებულნი სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობაა»¹¹.

ამიტომ ამა თუ იმ საქონლის ღირებულების სიდიდე მუდმივი დარჩებოდა, მისი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო რომ მუდმივი იყოს. მაგრამ სამუშაო დრო იცვლება შრომის მწარმოებლური ძალის ყოველ ცვლილებასთან ერთად. შრომის მწარმოებლური ძალა განისაზღვრება მრავალნაირი გარემოებით, სხვათა შორის მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით, მეცნიერების განვითარებისა და

⁹ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. «მათი (სახმარი საგნების) ღირებულება, როცა ისინი ერთმანეთზე იცვლებიან, განისაზღვრება შრომის რაოდენობით, რომელიც აუცილებლად საჭიროა და ჩვეულებრივ იხარჯება მათ საწარმოებლად». («Some Thoughts on the Interest of Money in general, and particularly in the Public Funds etc.». London, გვ. 36). წარსული საუკუნის ამ ღირსშესანიშნავ ანონიმურ თხზულებას თარიღი არა აქვს. მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს, რომ იგი გამოქვეყნებულია გეორგ II-ის დროს, დაახლოებით 1739 ან 1740 წელს.

¹⁰ «ყველა ერთი და იმავე გვარის პროდუქტები წარმოადგენენ არსებითად მხოლოდ ერთ მასას და მათი ფასი განისაზღვრება საერთოდ და განსაკუთრებულ გარემოებათა მიუხედავად» (Le Trosne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 893).

¹¹ K a r l M a r x: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 6
 ლ. მ ა რ კ ს ი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 20].

მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციით, წარმოების საშუალებათა მოცულობითა და ქმედუნარიანობით და ბუნებრივი პირობებით, შრომის ერთი და იგივე რაოდენობა, მაგალითად, მოსავლიან წელს მ ბუშელი ხორბლით გამოიხატება, მოუსავლიან წელს კი — მხოლოდ 4 ბუშელით. შრომის ერთი და იგივე რაოდენობა მდიდარ სამადნეებში მეტ ლითონს იძლევა, ვიდრე ლარიბში და სხვა. აღმასი იშვიათად მოიპოვება მიწის ქერქში და ამიტომ მისი მონახვა, საშუალოდ, ბევრი სამუშაო დრო ჯდება. მაშასადამე, მისი მცირე მოცულობა ბევრ შრომას გამოხატავს. ჯეკობი ეკვობს, რომ ოქროს ოდესმე თავისი სრული ღირებულება აენახლათურებიანოს. მით უფრო ითქმის ეს აღმასზე. ეშვეგეს მიხედვით 1823 წელს ბრაზილიის მაღაროებიდან აღმასის მთელმა ამოღებამ ოთხმოცი წლის განმავლობაში ვერ მიაღწია იმავე ბრაზილიის შაქრისა და ყავის პლანტაციათა წელიწად-ნახევრის საშუალო პროდუქციის ფასს, თუმცა იგი გაცილებით მეტ შრომას, მაშასადამე, მეტ ღირებულებას გამოხატავდა. მაღაროები რომ უფრო მდიდარი ყოფილიყო, შრომის იგივე რაოდენობა აღმასის უფრო მეტი რაოდენობით გამოიხატებოდა და მისი ღირებულებაც დაიწევდა. ნახშირის აღმასად გადაქცევა რომ მცირედი შრომით მოხერხდეს, მაშინ აღმასის ღირებულება შეიძლება აგურის ღირებულებაზე დაბლა დაეცეს. საერთოდ: რაც უფრო მეტია შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო ნაკლებია ამა თუ იმ ნაწარმის დასამზადებლად აუცილებელი სამუშაო დრო, მით უფრო ნაკლები შრომის მასა მასში კრისტალიზებული, მით უფრო ნაკლებია მისი ღირებულება. პირიქით, რაც უფრო მცირეა შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო მეტია ამა თუ იმ ნაწარმის დასამზადებლად აუცილებელი სამუშაო დრო, მით უფრო მეტია მისი ღირებულება. მაშასადამე, ამა თუ იმ საქონლის ღირებულების სიდიდე იცვლება პირდაპირი პროპორციით მასში განხორციელებული შრომის რაოდენობის მიმართ და შებრუნებული პროპორციით ამ შრომის მწარმოებლური ძალის მიმართ.

ნივთი შეიძლება სახმარი ღირებულება იყოს და ღირებულებას კი არ წარმოადგენდეს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მისი სარგებლიანობა ადამიანისთვის შრომით გაშუალებული არაა. ასეთია, მაგალითად, ჰაერი, უყი ნიადაგი, ბუნებრივი მდელი, უღრანი ტყე და სხვა. ნივთი შეიძლება სასარგებლო და ადამიანის შრომის პროდუქტი იყოს, საქონელს კი არ წარმოადგენდეს. ვინც თავისი პროდუქტით თავის საკუთარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მართალია, ქმნის სახმარ ღირებულებას, მაგრამ არა საქონელს. იმისათვის, რომ

საქონელი აწარმოოს, მან უნდა შექმნას არა მარტო სახმარი ღირებულება, არამედ სახმარი ღირებულება სხვისთვის, საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება. (და არა მხოლოდ სხვისთვის საზოგადოდ. ნაწილი პურის მოსავლიდან, რომელიც შუა საუკუნეების გლეხს მოჰყავდა, ღალის სახით ფეოდალ-მებატონეს მიჰქონდა, ნაწილი კი სამეათედოს სახით — ხუცესს. მაგრამ არც ღალის სახით და არც სამეათედოს სახით გაღებული პური არ გადაქცეულა საქონლად იმის გამო, რომ იგი წარმოებული იყო სხვისთვის. პროდუქტი რომ საქონლად იქცეს, იგი გაცვლის საშუალებით უნდა გადავიდეს იმის ხელში, ვისაც ის სახმარი ღირებულების სახით ემსახურება^{11a}. ბოლოს, ნივთი არ შეიძლება ღირებულება იყოს, თუ იგი მოხმარების საგანს არ წარმოადგენს. თუ ხივთი უსარგებლოა, მაშინ უსარგებლოა შასზე დახარჯული შრომაც, იგი არ ითვლება შრომად და ამიტომ არავითარ ღირებულებას არა ქმნის.

2. საქონელში განხორციელებული შრომის ორადი ხასიათი

თავდაპირველად საქონელი წარმოდგა ჩვენ წინაშე ორადი ბუნებით: როგორც სახმარი ღირებულება და როგორც საცვლელი ღირებულება. შემდეგში აღმოჩნდა, რომ შრომასაც, რამდენადაც იგი ღირებულებითაა გამოსახული, აღარა აქვს უკვე ის ნიშნები, რომელიც ეკუთვნიან მას როგორც სახმარ ღირებულებათა შემქმნელს. საქონელში მოქცეული შრომის ეს ორადი ბუნება პირველად მე დავასაბუთე კრიტიკულად¹². რადგან ეს პუნქტი პოლიტიკური ეკონომიის გაგების ამოსავალი პუნქტია, ამიტომ იგი აქ უფრო დაწვრილებით უნდა გავაშუქოთ.

ავიღოთ ორი საქონელი, მაგალითად, ერთი სერთუკი და ათი ადლი ტილო. ვთქვათ, სერთუკის ღირებულება ორჯერ მეტია 10 ადლი ტილოს ღირებულებაზე, ასე რომ თუ 10 ადლი ტილო = w , მაშინ სერთუკი = $2w$.

სერთუკი არის სახმარი ღირებულება, რომელიც განსაკუთრებულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მის დასამზადებლად საჭიროა განსაზღვრული სახის მწარმოებლური მოქმედება. ეს უკანასკნელი

^{11a} { შენი შვნი მე - 4 გამოცემისათვის: ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები მე იმიტომ მომყავს, რომ მათი გამოტოვების გამო ხშირად ადგილი ჰქონდა გაუგებრობას, თითქოს მარქსს საქონლად მიაჩნდეს ყოველი პროდუქტი, რომელსაც სხვა ვინმე მოიხმარს და არა ის პირი, ვინც იგი აწარმოვა. — შ. მ. }

¹² Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», Berlin 1859, გვ. 12, 13 და შ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 28 — 30 და შ. }

განსაზღვრულია თავისი მიზნით, ოპერაციათა წესით, საგნით, საშუალებით და შედეგით. იმ შრომას, რომლის სარგებლიანობა, ამგვარად, მისი პროდუქტის სახმარი ღირებულებით ანუ იმით გამოიხატება, რომ მისი პროდუქტი სახმარი ღირებულებაა, ჩვენ მოკლედ სასარგებლო შრომას ვუწოდებთ. ამ თვალსაზრისით შრომა მუდამ მის სასარგებლო ეფექტთან დაკავშირებით განიხილება.

როგორც სერთუკი და ტილო თვისებრივად სხვადასხვა სახმარი ღირებულებაა, ასევე სხვადასხვაა თვისებრივად მათი არსებობის გამაპირობებელი შრომა — თერძობა და ფეიქრობა. ეს ნივთები რომ თვისებრივად სხვადასხვა სახმარ ღირებულებას და, მაშასადამე, თვისებრივად სხვადასხვა სასარგებლო შრომის პროდუქტს არ წარმოადგენდნენ, მაშინ ისინი საერთოდ ვერც დაუპირდაპირდებოდნენ ერთიმეორეს როგორც საქონელნი. სერთუკი არ გაიცვლება სერთუკზე, ერთი სახმარი ღირებულება — იმავე სახმარ ღირებულებაზე.

სხვადასხვაგვარ სახმარ ღირებულებათა, ანუ საქონლის სხეულთა, ერთობლიობაში ვლინდება ერთობლიობა ასევე მრავალნაირი, თავისი გვარობით, სახეობით, ჯგუფით, ქვესახეობით, ნაირსახეობით ერთმანეთისაგან განსხვავებული სასარგებლო შრომისა, — ვლინდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ეს უკანასკნელი საქონელწარმოების არსებობის პირობაა, თუმცა, შებრუნებით, საქონელწარმოება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობის პირობას არ შეადგენს. ძველ ინდურ თემში შრომა საზოგადოებრივად დანაწილებულია, მაგრამ პროდუქტები საქონლად არ იქცევა. ანდა, უფრო ახლო მაგალითი რომ ავიღოთ, ყოველ ფაბრიკაში შრომა სისტემატურად არის დანაწილებული, მაგრამ ეს დანაწილება არ არის განხორციელებული იმით, რომ მუშები თავიანთ ინდივიდუალურ პროდუქტებს ერთიმეორეზე ცვლიან. მხოლოდ თავისთავადი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა კერძო შრომის პროდუქტები უპირდაპირდებიან ერთმანეთს საქონლის სახით.

ამრიგად ჩვენ დავინახეთ: ყოველი საქონლის სახმარი ღირებულება შეიცავს გარკვეულ მიზანშეწონილ მწარმოებლურ მოქმედებას, ანუ სასარგებლო შრომას. სახმარი ღირებულებანი ვერ დაუპირდაპირდებიან ერთიმეორეს როგორც საქონელნი, თუ ისინი თვისებრივად განსხვავებულ სასარგებლო შრომას არ შეიცავენ. იმ საზოგადოებაში, რომლის პროდუქტებიც საყოველთაოდ საქონლის ფორმას ღებულობენ, ე. ი. საქონელმწარმოებელთა საზოგადოებაში, ეს თვისებრივი განსხვავება სხვადასხვა სასარგებლო შრომისა, რომელიც ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოებს, როგორც კერძო საქმიან-

ნობა დამოუკიდებელი მწარმოებლებისა, ვითარდება შრომის მრავალწევროვან სისტემად, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებად.

სერთუქისათვის, თუმცა, სულ ერთია, ვინ ატარებს მას, თერძი თუ მისი მუშტარი. ორივე შემთხვევებში იგი მოქმედებს როგორც სახმარი ღირებულება. ასევე ნაკლებად იცვლება თავისთავად სერთუქსა და მის მწარმოებელ შრომას შორის არსებული ურთიერთობა იმიტომ, რომ თერძობა განსაკუთრებულ პროფესიად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დამოუკიდებელ რგოლად იქცევა. იქ, სადაც ამას შემოსვის მოთხოვნილება აიძულებდა, ადამიანი მთელი ათასი წლობით თერძობდა, ვიდრე იგი თერძი გახდებოდა. მაგრამ არსებობა სერთუქის, ტილოსი, საერთოდ ნივთიერი სიმდიდრის ყოველი ელემენტისა, რომელიც ბუნებაში მზად არ მოიპოვება, მუდამ გამეშვებული უნდა ყოფილიყო სპეციალური, მიზანშეწონილად წარმართული მწარმოებლური მოქმედებით, რომელიც ბუნების გარკვეულ ნივთიერებებს ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებებს უფარდებს. ამიტომ შრომა, როგორც სახმარი ღირებულების შემქმნელი, როგორც სასარგებლო შრომა, ადამიანის არსებობის პირობას შეადგენს ყოველგვარი საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად; იგი მარადიული, ბუნებრივი აუცილებლობაა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს ნივთიერებათა ცვლა ადამიანსა და ბუნებას შორის, ე. ი. თვით ადამიანის სიცოცხლე.

სახმარი ღირებულებანი: სერთუქი, ტილო და სხვ., ერთი სიტყვით, საქონლური სხეულები წარმოადგენენ ორი ელემენტის — ბუნების ნივთიერებისა და შრომის — შეერთებას. თუ სერთუქს, ტილოს და სხვ. ჩვენ ჩამოვაცილებთ ჩველა იმ სხვადასხვა სასარგებლო შრომის ერთობლივ ჯამს, რასაც ისინი შეიცავენ, მუდამ დარჩება მატერიალური სუბსტრატი, რომელიც ადამიანის დაუნმარებლად ბუნების მიერ არის მოცემული. ადამიანს თავის წარმოებაში შეუძლია მხოლოდ ისე იმოქმედოს, როგორც თვით ბუნება მოქმედებს, ე. ი. მხოლოდ ნივთიერებათა ფორმები შეცვალოს¹³. კიდევ მეტი. თვით ამ ფორმათა

¹³ «სამყაროს ყოველი მოვლენა, იქნება იგი გამოწვეული ადამიანის ხელით თუ ბუნების საყოველთაო კანონებით, ნამდვილ ახალ შემოქმედებას კი არ წარმოადგენს არამედ მხოლოდ მატერიის გარდაქმნას. შეერთება და დანაწილება — აი ერთად ერთი ელემენტები, რომელთაც ადამიანის გონება პოულობს, როცა იგი კლავწარმოების იდეას ანალიზს უკეთებს; ასევე ღირებულებისა (სახმარი ღირებულების, თუმცა ვერა აქ თავის პოლემიკაში ფიზიოკრატებთან თვითონ არ არის კარგად გარკვეული რომელი სახის ღირებულებაზე ლაპარაკობს) და სიმდიდრის კლავწარმოების დროს, როცა მიწა, ჰაერი და წყალი მინდორზე მცენარედ იქცევიან, ან როცა ადამიანის

გარდამქმნელ შრომაში ადამიანს მუდამ ბუნების ძალები ეხმარება. მაშასადამე, შრომა არ არის ერთადერთი წყარო მის მიერ წარმოებული სახმარი ღირებულებებისა, ნივთიერი სიმდიდრისა. როგორც ვილიამ პეტი ამბობს, შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა — მისი დედა.

ვალდებულად ახლა საქონლიდან, როგორც მოხმარების საგნიდან, საქონლის ღირებულებაზე.

ჩვენი ვარაუდის თანახმად, სერთუქს ორჯერ მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე ტილოს. მაგრამ ეს მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავებაა, რომელიც ჯერჯერობით არ გვანტერესებს. ამიტომ გავიხსენოთ, რომ თუ სერთუქის ღირებულება ორჯერ მეტია, ვიდრე 10 ადლი ტილოსი, მაშინ 20 ადლი ტილოს ღირებულებას იგივე სიდიდე ექნება, რაც ერთ სერთუქს. როგორც ღირებულებანი, სერთუქი და ტილო ერთი და იგივე სუბსტანციის მქონე ნივთებია, ერთგვაროვანი შრომის ობიექტური გამოხატულებანი არიან. ხოლო თერძობა და ფეიქრობა თვისებრივად სხვადასხვა შრომაა. მაგრამ არის საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, სადაც ერთი და იგივე ადამიანი შენაცვლებით ხან თერძობს და ხან ფეიქრობს, სადაც, მაშასადამე, ეს ორი სხვადასხვაგვარი შრომა მხოლოდ ერთი და იმავე ინდივიდის შრომის მოდიფიკაციაა და ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სხვადასხვა ინდივიდთა განსაკუთრებულ, მტკიცედ ჩამოყალიბებულ ფუნქციას, — სწორედ ისე, როგორც სერთუქი, რომელსაც დღეს ჩვენი თერძი კერავს, და შარვალი, რომელსაც იგი ხვალ გააკეთებს, მხოლოდ ერთი და იმავე ინდივიდუალური შრომის ვარიაციებს გულისხმობენ. შემდეგ, უბრალო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, შრომის მოთხოვნის ცვალებადი მიმართულებების მიხედვით, ადამიანის შრომის გარკვეული ნაწილი შენაცვლებით ხან თერძობისა და ხან ფეიქრობის სახით გამოდის. შრომის ფორმების ეს ცვალებადობა არ შეიძლება დაუბრკოლებლად ხდებოდეს, მაგრამ იგი უნდა ხდებოდეს. თუ მწარმოებლური მოქმედების გარკვეულ ხასიათს და, მაშასადამე, შრომის სასარგებლო ხასიათს მხედველობაში არ მივიღებთ, მასში დარჩება მხოლოდ ის, რომ იგი ადამიანის სამუშაო

ხელში მწერის წებოვანი გამონადენი აბრეშუმად იქცევა, ან კიდევ, როცა ლითონის ცალფული ნაჭრები ერთიანდებიან და საათის მექანიზმს ქმნიან (Pietro Verri: *Meditazioni sulla Economia Politica* (პირველად დაიბეჭდა 1773 წ.) იტალიელი ეკონომისტების გამოცემაში — *Custodi*-ს კრებული *Parte Moderna*, ტ. XV, გვ. 21, 22).

ძალის დახარჯვაა. თერძობაც და ფეიქრობაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თვისებრივად სხვადასხვა მწარმოებლური მოქმედებაა, ორივე წარმოადგენს ადამიანის ტვინის, კუნთების, ნერვების, ხელებისა და სხვ. მწარმოებლურ დახარჯვას, და ამ აზრით ორივე — ადამიანის შრომაა. ეს არის ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვის მხოლოდ ორი სხვადასხვა ფორმა. რასაკვირველია, თვით ადამიანის სამუშაო ძალა ცოტად თუ ბევრად განვითარებული უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ ფორმით დაიხარჯოს. მაგრამ საქონლის ღირებულება გამოხატავს ადამიანის შრომას უბრალოდ, ადამიანის შრომის დახარჯვას საერთოდ. როგორც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გენერალი ან ბანკირი დიდ როლს ასრულებს, ადამიანი კი თავისთავად, პირიქით, მეტად უბადრუკს¹⁴, ასევე ემართება აქ ადამიანის შრომასაც. იგი იმ მარტივი სამუშაო ძალის დახარჯვაა, რომელიც საშუალოდ ყოველ ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ მომზადებას მოკლებულ, ადამიანს თავის სხეულებრივ ორგანიზმში აქვს. თუმცა თვით მარტივი საშუალო შრომა სხვადასხვა ქვეყანაში და კულტურის სხვადასხვა ეპოქაში თავის ხასიათს იცვლის, მაგრამ ამა თუ იმ საზოგადოებაში იგი მაინც გარკვეულად მოცემულია. უფრო რთული შრომა მხოლოდ ახარისხებულ, ანუ, უკეთ, გამრავალჯერადებულ მარტივ შრომას ნიშნავს, ასე რომ რთული შრომის ნაკლები რაოდენობა მარტივი შრომის მეტ რაოდენობას უდრის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს რედუქცია, — რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანა, — მუდამ წარმოებს. საქონელი შეიძლება ურთულესი შრომის პროდუქტი იყოს, მაგრამ მისი ღირებულება ამ საქონელს მარტივი შრომის პროდუქტს უტოლებს და ამიტომ თვითონ მარტივი შრომის მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას წარმოადგენს¹⁵. სხვადასხვა პროპორცია, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახის შრომა დაყვანილია მარტივ შრომაზე, როგორც მის საზომ ერთეულზე, საზოგადოებრივი პროცესის მეოხებით მწარმოებელთა ზურგს უკან მყარდება და ამიტომ მათ იგი ისეთ რამედ ეჩვენებათ, რაც ტრადიციითაა დაწესებული. შემდეგში სიმარტივისათვის ყოველნაირი სახის სამუშაო ძალას უშუალოდ მარტივ სამუშაო ძალად მივიჩნევთ, რითაც თავიდან ავიცილებთ რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანის საჭიროებას.

¹⁴ შეად. Hegel: *Philosophie des Rechts*. Berlin 1840, გვ. 250, § 190.

¹⁵ მკითხველს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ აქ ლაპარაკია არა ხელფასზე, ანუ ღირებულებაზე, რომელსაც მუშა, ვთქვათ, ერთ სამუშაო დღეში იღებს, არამედ საქონლის ღირებულებაზე, რომელშიც მისი სამუშაო დღე საგნობრივდება. ხელფასის კატეგორია საერთოდ ჯერ კიდევ არ არსებობს ჩვენი გამოცვლელის ამ საფეხურზე.

მაშასადამე, როგორც სერთუჯისა და ტილოს ღირებულებაში მოხდენილია აბსტრაქტირება მათი სახმარი ღირებულების განსხვავებულობისაგან, ასევე იმ შრომაშიც, რომელიც ამ ღირებულებითაა გამოხატული, ხდება აბსტრაქტირება მისი სასარგებლო ფორმების — თერძობისა და ფეიქრობის — განსხვავებულობისაგან. როგორც სერთუჯი და ტილო სახმარ ღირებულებათა სახით წარმოადგენენ მიზანშეწონილი, მწარმოებლური მოქმედების შეერთებას მაუდთან და ნართთან, ხოლო ღირებულებათა სახით, პირიქით, შრომის მხოლოდ ერთგვაროვან შენადედს, სწორედ ასევე ამ ღირებულებებში მოქცეულ სხვადასხვა შრომას მნიშვნელობა აქვს არა მაუდთან და ნართთან მათი მწარმოებლური დამოკიდებულების გამო, არამედ მხოლოდ როგორც ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვას. თერძობა და ფეიქრობა სწორედ მათი სხვადასხვა თვისებრიობის გამო არიან სახმარ ღირებულებათა — სერთუჯისა და ტილოს — შემქმნელი ელემენტები. სერთუჯის და ტილოს ღირებულების სუბსტანციას კი წარმოადგენენ ისინი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოხდენილია აბსტრაქტირება მათი განსაკუთრებული თვისებრიობისაგან და რამდენადაც ორთავეს ერთი და იგივე თვისებრიობა, ადამიანის შრომის თვისებრიობა აქვს.

მაგრამ სერთუჯი და ტილო წარმოადგენენ არა მარტო ღირებულებებს საერთოდ, არამედ განსაზღვრული სიდიდის ღირებულებებსაც: ჩვენი ვარაუდის თანახმად სერთუჯს ორჯერ მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე 10 ადლ ტილოს. საიდანაა ეს სხვაობა მათი ღირებულების სიდიდეში? იქიდან, რომ ტილო : შეიცავს მხოლოდ ნახევარს იმ შრომისას, რომელიც მოქცეულია სერთუჯში, ასე რომ სერთუჯის საწარმოებლად უნდა დაიხარჯოს სამუშაო ძალა ორჯერ მეტი დროის განმავლობაში, ვიდრე ეს საჭიროა 10 ადლი ტილოს საწარმოებლად.

ამრიგად, თუ სახმარი ღირებულების მიმართ საქონელში განხორციელებულ შრომას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ თვისებრივად, ღირებულების სიდიდის მიმართ მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ რაოდენობრივად, მას შემდეგ, რაც იგი უკვე დაყვანილია ადამიანის შრომაზე ყოველგვარი შემდგომი თვისებრიობის გარეშე. პირველ შემთხვევაში საკითხი ეხება იმას, თუ როგორია და რას ქმნის შრომა, მეორე შემთხვევაში იმას, თუ რამდენი შრომა იხარჯება და როგორია მისი ხანგრძლიობა. რადგან საქონლის ღირებულების სიდიდე მხოლოდ მასში მოქცეული შრომის რაოდენობას გამოხატავს, ამიტომ გარკვეული პროპორციით აღებული საქონელი მუდამ ტოლი ღირებულების უნდა იყვნენ.

თუ მწარმოებლური ძალა ყველა იმ სასარგებლო შრომისა, რომელიც, ვთქვათ, სერთუკის საწარმოებლად არის საჭირო, უცვლელი რჩება, მაშინ სერთუკების ღირებულების სიდიდე იზრდება მათი რაოდენობის მიხედვით. თუ ერთი სერთუკი, მაგალითად, x სამუშაო დღეს წარმოადგენს, ორი სერთუკი წარმოადგენს $2x$ სამუშაო დღეს და ა. შ. მაგრამ დაეუშვათ, რომ სერთუკის საწარმოებლად აუცილებელი შრომა ორჯერ გადიღდა ჯან სანახევროდ შემცირდა. პირველ შემთხვევაში ერთ სერთუკს იმდენი ღირებულება აქვს, რამდენიც უწინ ორ სერთუკს ჰქონდა, მეორე შემთხვევაში ორ სერთუკს მხოლოდ იმდენი ღირებულება აქვს, რაც უწინ ერთს ჰქონდა, თუმცა ორივე შემთხვევაში სერთუკი იმავე სამსახურს ასრულებს და მასში მოქცეული სასარგებლო შრომა ახლაც იმავე ღირსებისაა, როგორც უწინ. მაგრამ მის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა შეიცვალა.

სახმარი ღირებულების მეტი რაოდენობა თავისთავად მეტ ნივთიერ სიმდიდრეს შეადგენს: ორი სერთუკი მეტს, ვიდრე ერთი. ორი სერთუკით შეიძლება ორი ადამიანი შეიმოსოს, ერთით — მხოლოდ ერთი და ა. შ. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ნივთიერი სიმდიდრის მზარდ მასას შეესაბამებოდეს მისი ღირებულების სიდიდის იმავდროული დაწვევა. ეს დაპირისპირებული მოძრაობა შრომის ორადი ხასიათიდან გამომდინარეობს. მწარმოებლური ძალა, რასაკვირველია, მუდამ სასარგებლო, კონკრეტული შრომის მწარმოებლური ძალაა და ნამდვილად განსაზღვრავს მხოლოდ მიწანშეწონილი მწარმოებლური მოქმედების ეფექტიანობის ხარისხს მოცემული დროის განმავლობაში. ამიტომ სასარგებლო შრომა პროდუქტების უფრო მდიდარი ან უფრო ლარიზი წყარო ხდება პირდაპირი შეფარდებით თავისი მწარმოებლური ძალის ზრდასთან ან დაკლებასთან. პირიქით, მწარმოებლური ძალის ცვალებადობა თავისთავად საქონლის ღირებულებით გამოხატულ შრომას სრულიად არ ეხება. რადგან მწარმოებლური ძალა შრომის კონკრეტულ სასარგებლო ფორმას ეკუთვნის, მას, რასაკვირველია, აღარ შეუძლია შეეხოს შრომას, რამდენადაც კონკრეტული სასარგებლო ფორმისაგან ამ შრომის განყენება ხდება. ამიტომ ერთი და იგივე შრომა ერთსა და იმავე დროის განმავლობაში მუდამ იმავე სიდიდის ღირებულებას იძლევა, როგორადაც უნდა იცვლებოდეს მისი მწარმოებლური ძალა. მაგრამ იმავე დროის განმავლობაში იგი სახმარი ღირებულების სხვადასხვა რაოდენობას გვაძლევს, მეტს, როცა მწარმოებლური ძალა მატულობს და ნაკლებს, როცა იგი მცირდება. მწარმოებლური ძალის იგივე ცვლილება, რომელიც შრომის ნაყოფიერებას, და, ამიტომ მის მიერ მოცემულ სახმარ ღირებულებათა მასას

ადიდებს, ამცირებს, მაშასადამე, ამ გადიდებული ერთობლივი მასის ღირებულების სიდიდეს, თუ კი იგი მისი წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროის რაოდენობას ამოკლებს. და ასევე პირუკუ.

ყოველი შრომა არის, ერთი მხრივ, ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვა ამ სიტყვის ფიზიოლოგიური მნიშვნელობით და როგორც ამ თვისების მქონე, როგორც ადამიანის ერთნაირი, ანუ ადამიანის აბსტრაქტული შრომა, იგი ქმნის საქონელთა ღირებულებას. მეორე მხრივ, ყოველი შრომა არის ადამიანის სამუშაო ძალის განსაკუთრებული მიზანშეწონილი ფორმით დახარჯვა და როგორც ამ თვისების მქონე, როგორც კონკრეტული სასარგებლო შრომა, იგი ქმნის სახმარ ღირებულებებს¹⁶.

3. ღირებულების ფორმა ანუ საცვლელი ღირებულება

საქონელი ქვეყნად სახმარ ღირებულებათა, ანუ საქონლის სხეულთა ფორმით გვევლინება, როგორც, მაგალითად, რკინა, ტილო, ხორბალი და სხვ. ეს არის მისი უბრალო ნატურალური ფორმა. მაგრამ საქონელი მხოლოდ იმიტომაცაა საქონელი, რომ ორადია, მოხმარების საგანია და იმავე დროს ღირებულების მატარებელიც. მაშასადამე, იგი გვევლინება მხოლოდ როგორც საქონელი, ანუ მას საქონლური ფორმა აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ორგვარი ფორმა აქვს: ნატურალური ფორმა და ღირებულების ფორმა.

¹⁶ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ შრომა არის საბოლოო და რეალური საზომი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ყველა საქონლის ღირებულების ყველა დროში შეფასება და შედარება» ა. სმიტი ამბობს: ყველა დროში და ყველა ადგილას შრომის თანატოლ რაოდენობას თვით მუშისთვის ერთი და იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეს. თავისი ჯანმრთელობის, ძალის და მოქმედების ნორმალურ მდგომარეობაში და დახელოვნების საშუალო ხარისხის დროს, რომელიც მას გააჩნია, მან უნდა გაიღოს მუდამ ერთი და იგივე რაოდენობა თავისი მოსვენების, თავისუფლების და ბედნიერებისა» («Wealth of Nations», ტ. I, თ. V). [შეად. ა დ ა მ ს მ ი ტ ი: «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». თბილისი 1938, ტ. I, გვ. 43 და 38.] ერთი მხრივ, ა. სმიტი აქ (ყველგან არა) საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით ღირებულების განსაზღვრას ურევს შრომის ღირებულებით საქონლის ღირებულების განსაზღვრაში და ამიტომ ცდილობს დაამტკიცოს, რომ შრომის თანატოლ რაოდენობას მუდამ იგივე ღირებულება აქვს. მეორე მხრივ, იგი გრძნობს, რომ შრომა, რამდენადაც იგი საქონლის ღირებულებით გამოიხატება, მხოლოდ სამუშაო ძალის დახარჯვას ნაშნავს, მაგრამ ამ დახარჯვას იგი უყურებს ისევ მხოლოდ როგორც თავისუფლების, მოსვენებისა და ბედნიერების მსხვერპლად გაღებას და არა როგორც აგრეთვე ნორმალურ, სასიცოცხლო მოქმედებას. რასაკვირველია, სმიტს თანამედროვე დაქირავებული მუშა ჰყავს მხედველობაში. გაკილებით უფრო სწორად ამბობს ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული (შენიშვნა 9) ანონიმური წინამორბედი ა. სმიტისა: «ვინმემ ერთი კვირა მოანდომა

საქონელთა ღირებულებითი საგნობრიობა იმით განიჩქევა ქვრივი კვიკლისაგან, რომ არავენ იცის რა მხრიდან უნდა ჩასკიდოს მას ხელი. სრულიად წინააღმდეგ საქონლის სხეულის გრანობად ტლანქი საგნობრიობისა, მის ღირებულებითს საგნობრიობაში ბუნების ნივთიერების არც ერთი ატომი არ შედის. ამიტომ ყოველი ცალკეული საქონელი შევიძლიათ აბრუნოთ და სინჯოთ, რამდენიც ვნებავთ, იგი როგორც ღირებულებითი ნივთი მოუხელებელი რჩება. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ საქონელს ღირებულებითი საგნობრიობა მხოლოდ იმდენად გააჩნია, რამდენადაც იგი ერთი და იმავე საზოგადოებრივი ერთიანობის, ადამიანის შრომის, გამოხატულებაა და რომ, მაშასადამე, მისი ღირებულებითი საგნობრიობა წმინდა საზოგადოებრივი ხასიათისაა, მაშინ თავისთავად გასაგები იქნება ისიც, რომ იგი მხოლოდ საქონელთა საზოგადოებრივ ურთიერთშეთარდებაში შეიძლება გამოვლინდეს. მართლაც, ჩვენ გამოვდიოდით საქონელთა საცვლელი ღირებულებიდან, ანუ მათი საცვლელი შეთარდებიდან, რათა მასში დამალული მათი ღირებულების კვალისთვის მიგვეგნო. ახლა ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ღირებულების გამოვლინების ამ ფორმას.

ყველამ იცის, თუნდაც რომ მეტი არაფერი იცოდეს, რომ საქონელთ აქვთ ღირებულების საერთო ფორმა — ფულადი ფორმა, რომელიც უაღრესად მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს, მათ სახმარ ღირებულებათა აქრელებულ ნატურალურ ფორმებთან შედარებით. აქ საჭიროა შევასრულოთ ის, რის შესრულებასაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია არც კი ცდილა, სახელდობრ, ცხადყოთ ამ ფულადი ფორმის წარმოშობა, მაშასადამე, კვალდაკვალ გავყვით

მოთხოვნილების რაიმე საგნის დამზადებას... და ის, ვინც ამ საგანში მას სხვა რაიმე საგანს უცვლის, მისი ნამდვილი ეკვივალენტის გამოსარკვევად უკეთეს სახომს ვერ პოუვებს, თუ არა იმას, რომ გამოიანგარიშებს, თუ რომელი საგანი დაუჯდა თვით მას იგივე შრომა და დრო. ეს ნამდვილად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შრომა, რომელიც ერთმა ადამიანმა განსახლურული დროის განმავლობაში რომელიმე საგანზე დახარჯა, გაიცვლება იმ შრომაში, რომელიც მეორე ადამიანმა იმავე დროის განმავლობაში მეორე საგანს მოანდომა (*Some Thoughts on the Interest of Money in general etc.*, გვ. 39).

{ მ-4 გამოცემისათვის: «ინგლისურ ენას ის უპირატესობა აქვს, რომ მას შრომის ამ ორი სხვადასხვა ხასიათის აღსანიშნავად ორი სხვადასხვა სიტყვა მოეპოვება. შრომა რომელიც სახმარ ღირებულებას ქმნის და თვისებრივად განისაზღვრება, აღინიშნება სიტყვით work, წინააღმდეგ სიტყვისა labour; ხოლო შრომა, რომელიც ღირებულებას ქმნის და მხოლოდ რაოდენობრივად განიზომება, აღინიშნება labour-ით, წინააღმდეგ work-ისა», იხ. შენიშვნა ინგლისური თარგმანისათვის, გვ. 14. — **შ. მ.** } ამ ტომში იხ. შენიშვნა 4, თავი I. რე დ.}

ღირებულების იმ გამოხატულების განვითარებას, რომელსაც საქონელთა ღირებულებითი შეფარდება შეიცავს, მისი უმარტივესი და სრულიად შეუმჩნეველი ფორმიდან თვალისმომკრელ ფულად ფორმამდე. ამით გაქრება ამავე დროს ფულის საიდუმლოებაც.

ცხადია, რომ უმარტივესი ღირებულებითი შეფარდება არის ამა თუ იმ საქონლის ღირებულებითი შეფარდება ერთადერთ სხვაგვარ საქონელთან, სულ ერთია, რომელიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი. მაშასადამე, ორი საქონლის ღირებულებათა შეფარდება იძლევა ღირებულების უმარტივეს გამოხატულებას ამა თუ იმ საქონლისათვის.

A. ღირებულების მარტივი, ცალკეული ანუ შემთხვევითი ფორმა

x საქონელი $A=y$ საქონელ B -ს, ანუ: x საქონელი A y საქონელ B -ს ღირებულებისაა

(20 ადლი ტილო=1 სერთუკს, ანუ: 20 ადლი ტილო 1 სერთუკის ღირებულებისაა).

1) ღირებულების გამოხატულების ორი პოლუსი: ღირებულების შემსაღები ფორმა და ეკვივალენტური ფორმა

ღირებულების ყველა ფორმის საიდუმლოება ღირებულების ამ მარტივ ფორმაში იმალება. ამიტომ მთავარ სიძნელეს მისი ანალიზი წარმოადგენს.

ორი სხვადასხვაგვარი საქონელი A და B , ჩვენს მაგალითში ტილო და სერთუკი, აქ, აშკარაა, ორ სხვადასხვა როლს ასრულებს. ტილო თავის ღირებულებას გამოხატავს სერთუკით, სერთუკი წარმოადგენს ღირებულების ამ გამოხატულების მასალას. პირველი საქონელი აქტიურ როლს ასრულებს, მეორე — პასიურს. პირველი საქონლის ღირებულება გამოხატულია როგორც შეფარდებითი ღირებულება, ანუ იგი იმყოფება ღირებულების შეფარდებითს ფორმაში. მეორე საქონელი მოქმედებს როგორც ეკვივალენტი, ანუ ეკვივალენტურ ფორმაში იმყოფება.

ღირებულების შეფარდებითი ფორმა და ეკვივალენტური ფორმა ურთიერთ თანაკუთვნილი, ურთიერთ გამაპირობებელი, განუყოფელი მომენტებია, მაგრამ ამავე დროს ურთიერთგამომრიცხავი ანუ დაპირისპირებული კიდურები, ე. ი. ღირებულების ერთი და იმავე გამოხატულების პოლუსებია; ისინი მუდამ ნაწილდებიან სხვადასხვა საქონელთ შორის, რომლებსაც ღირებულების გამოხატულება ერთიმეორეს უფარდებს. მაგალითად, მე არ შემიძლია ტილოს ღირებულება ტილოთივე გამოვხატო. 20 ადლი ტილო = 20 ადლ ტილოს — ღირე-

ბულების გამობატულებას არ წარმოადგენს. ეს განტოლება უფრო საწინააღმდეგოს გვეუბნება: 20 ადლი ტილო სხვა არაფერია, თუ არა 20 ადლი ტილო, ე. ი. მოხმარების საგნის — ტილოს განსაზღვრული რაოდენობა. მაშასადამე, ტილოს ღირებულება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ შეფარდებით, ე. ი. სხვა საქონლით. ამიტომ ტილოს ღირებულების შეფარდებითი ფორმა გულისხმობს, რომ მას სხვა რომელიმე საქონელი ეკვივალენტის ფორმით უპირისპირდება. მეორე მხრივ, ეს სხვა საქონელი, რომელიც ეკვივალენტის სახით გამოდის, არ შეიძლება იმავდროულად ღირებულების შეფარდებითს ფორმაში იმყოფებოდეს. იგი როდი გამოხატავს თავის ღირებულებას. ის მხოლოდ მასალას აძლევს სხვა საქონლის ღირებულების გამობატულებას.

მართალია, გამოთქმა: 20 ადლი ტილო = 1 სერთუკს, ანუ 20 ადლი ტილო 1 სერთუკის ღირებულებისაა, შებრუნებულ შეფარდებასაც შეიცავს, სახელდობრ: 1 სერთუკი = 20 ადლი ტილოს, ანუ 1 სერთუკი 20 ადლი ტილოს ღირებულებისაა. მაგრამ სერთუკის ღირებულება რომ შეფარდებითად გამოვხატო, ეს განტოლება მე ხომ უნდა შევებრუნო, და როგორც კი ამას გავაკეთებ, სერთუკის მაგიერ ეკვივალენტად იქცევა ტილო. მაშასადამე, ერთსა და იმავე საქონელს ღირებულების ერთსა და იმავე გამობატულებაში არ შეუძლია იმავდროულად ორივე ფორმით გამოვიდეს. პირიქით, ეს ფორმები პოლარულად ვამორიცხავენ ერთიმეორეს.

იმყოფება ესა თუ ის საქონელი ღირებულების შეფარდებითს ფორმაში, თუ მის დაპირისპირებულ ეკვივალენტურ ფორმაში, — ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ადგილზე, რომელიც მას თვითველ შემთხვევაში უჭირავს ღირებულების გამობატულებაში, ე. ი. დამოკიდებულია იმაზე, წარმოადგენს იგი საქონელს, რომლის ღირებულებაც გამოიხატება, თუ იმ საქონელს, რომლითაც ღირებულება გამოიხატება.

2) ღირებულების შემადგენითი ფორმა

ა) ღირებულების შეფარდებითი ფორმის შინაარსი

იმის გამოსარკვევად, თუ როგორაა ამა თუ იმ საქონლის ღირებულების მარტივი გამობატულება მოქცეული ორი საქონლის ღირებულებითს შეფარდებაში, ეს უკანასკნელი, უწინარეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ მისი რაოდენობრივი მხარისაგან სრულიად დამოუკიდებლად. უმეტეს შემთხვევაში სწორედ პირიქით იქცევიან და ღირებულებითს შეფარდებაში ხედავენ მხოლოდ პროპორციას, სადაც ორი სხვადასხვაგვარი საქონლის განსაზღვრული რაოდენობა შეთანატო-

ლებულია ერთმანეთთან. ვერ ამჩნევენ, რომ სხვადასხვა ნივთთა სიდიდენი რაოდენობრივად შედარებადი ხდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გარკვეულ ერთიანობაზე არიან დაყვანილნი. მხოლოდ როგორც გამოხატულებანი გარკვეული ერთიანობისა ისინი წარმოადგენენ ერთსახელწოდებიან და, მაშასადამე, თანაზომად სიდიდეებს¹¹.

რამდენ სერთუქსაც უნდა უდრიდეს 20 ადლი ტილოს ღირებულება, ერთს, ოცს თუ x სერთუქს, ე. ი. რამდენი სერთუქიც — ბევრი თუ ცოტა — უნდა ღირდეს ტილოს განსაზღვრული რაოდენობა, ყოველი ასეთი პროპორცია მუდამ გულისხმობს, რომ ტილო და სერთუქი, როგორც ღირებულების სიდიდენი, გარკვეული ერთიანობის გამოხატულებაა, ერთი და იმავე ბუნების ნივთებია. ტილო = სერთუქს არის ამ განტოლების საფუძველი.

მაგრამ ეს ორი თვისებრივად გათანატოლებული საქონელი ერთსა და იმავე როლს როდი ასრულებს. მხოლოდ ტილოს ღირებულება პოულობს თავის გამოხატულებას. და როგორ? შეფარდებით სერთუქთან, როგორც თავის «ეკვივალენტთან», ან მასზე «გაცვლისუნარიანთან». ამ შეფარდებაში სერთუქი გამოდის როგორც ღირებულების არსებობის ფორმა, როგორც ღირებულებითი ნივთი, რადგან მხოლოდ ამ სახით არის სერთუქი იგივე, რაც ტილო. მეორე მხრივ, მხოლოდ აქ მქლავნდება ანუ დამოუკიდებელ გამოხატულებას იღებს ტილოს საკუთარი ღირებულებითი ყოფიერება, რადგან ტილო მხოლოდ ღირებულების სახით შეიძლება შეუფარდდეს სერთუქს, როგორც რაიმე ტოლფასიანს ანუ მასზე გაცვლისუნარიანს. ასე, მაგალითად, ერბომეავე და ჭიანჭველმეავეს პროპილის ეთერი ორი სხვადასხვა ნივთიერებაა. მაგრამ ორივე შედგება ერთი და იმავე ქიმიურ სუბსტანციათაგან — ნახშირბადის (C), წყალბადის (H) და ჟანგბადისაგან (O), და თანაც სწორედ ერთი და იმავე პროცენტული შედგენილობით, სახელდობრ: $C_4 H_8 O_2$. თუ ჩვენ ერბომეავეს, ჭიანჭველმეავეს პროპილის ეთერს გავუთანატოლებდით ეს, ჯერ-ერთი, იმას აღნიშნავდა, რომ ჭიანჭველმეავეს პროპილის ეთერი ამ თანაფარდობაში $C_4 H_8 O_2$ -ის არსებობის ფორმაა მხოლოდ და, მეორე, ამით

¹¹ იმ ორიოდვე ეკონომისტმა, რომელნიც, როგორც, მაგალითად, ს. ბელი, ღირებულების ფორმის ანალიზს ახდენდნენ, ვერავითარ დასკვნამდე მისულა ვერ შეძლეს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ისინი ღირებულების ფორმას და ღირებულებას ერთმანეთში შერევენ და, მეორე, იმიტომ, რომ პრაქტიკულ ბურჟუას უხეში ზეგავლენით ისინი იმთავითვე მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივ განსაზღვრულობას აქევენ ყურადღებას. რაოდენობის ფლობა... ღირებულებას «შეადგენს» («Money and its Vicissitudes». London 1837, გვ. 11). ავტორი ს. ბელი.

ნათქვამი იქნებოდა, რომ ერობმჟავაც $C_4H_8O_2$ -საგან შედგება. მაშასადამე, ჭიანჭველმჟავას პროპილის ეთერის ერობმჟავასთან განთანატოლებით გამოხატული იქნებოდა მათი ქიმიური სუბსტანცია განსხვავებით მათი ფიზიკური ფორმისაგან.

როცა ვამბობთ: საქონელი, როგორც ღირებულება, ადამიანის შრომის უბრალო შენადედიანო, ჩვენს ანალიზს იგი დაჰყავს აბსტრაქტულ ღირებულებაზე, მაგრამ მას არ აძლევს მისი ნატურალური ფორმისაგან განსხვავებული ღირებულების ფორმას. სულ სხვაა ერთი საქონლის მეორესთან ღირებულებითი შეფარდების დროს. საქონლის ღირებულებითი ხასიათი აქ მჟღავენდება მისი საკუთარი შეფარდებით მეორე საქონელთან.

როცა, მაგალითად, სერთუკი, როგორც ღირებულებითი ნივთი, ტილოს უთანატოლდება, მასში მოქცეული შრომა უთანატოლდება ტილოში მოქცეულ შრომას. მართალია, თერძობა, რომელიც სერთუკს ქმნის, სხვაგვარი კონკრეტული შრომაა, ვიდრე ფეიქრობა, რომელიც ტილოს ქმნის. მაგრამ ფეიქრობასთან გათანატოლებას თერძობა ფაქტიურად დაჰყავს იმაზე, რაც ამ ორივე სახის შრომაში ნამდვილად ერთნაირია, — მათს საერთო თვისებაზე: ადამიანის შრომაზე. შემდეგ, ამ არაპირდაპირი გზით ნათქვამია ის, რომ ფეიქრობას, რამდენადაც იგი ღირებულებას ქსოვს, არავითარი განმასხვავებელი ნიშნები თერძობისაგან არა აქვს, მაშასადამე, იგი ადამიანის აბსტრაქტული შრომაა. მხოლოდ სხვადასხვაგვარ საქონელთა ეკვივალენტობის გამოხატულება ამჟღავენებს ღირებულების შემქმნელი შრომის სპეციფიკურ ხასიათს იმით, რომ მას სხვადასხვაგვარ საქონელში მოქცეული სხვადასხვაგვარი შრომა ნამდვილად დაჰყავს მათთვის საერთოზე, ადამიანის შრომაზე საერთოდ^{17*}.

მაგრამ საკმარისი არ არის გამოვხატოთ იმ შრომის სპეციფიკური ხასიათი, რომელიც ტილოს ღირებულებას შეადგენს. ადამიანის სამუშაო ძალა დენადს მდგომარეობაში, ანუ ადამიანის შრომა, ქმნის ღირებულებას, მაგრამ თვით შრომა ღირებულება არ არის. იგი

^{17*} შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ერთი პირველ ეკონომისტთაგანი, რომელმაც ვილიამ პეტის შემდეგ განჭვრიტა ღირებულების ბუნება, სახელგანთქმული ფრანკლინი, ამბობს: «რადგან ვაჭრობა საერთოდ სხვა არაფერია, თუ არა ერთი შრომის გაცემა მეორეზე. ამიტომ ყველა ნივთის ღირებულება ყველაზე სწორად შრომით ფასდება» («The Works of B. Franklin etc., edited by Sparks. Boston 1836», ტ. II, გვ. 267). ფრანკლინს ვერ გაუგია, რომ, როცა ის ყველა ნივთის ღირებულებას «შრომითა» ფასებს, იგი მხედველობის გარეშე ტოვებს ერთიმეორეზე გაცივლილ შრომათა სხვადასხვაობას და, მაშასადამე, ისინი ადამიანის ერთნაირ შრომაზე

ღირებულებად იქცევა შედეგებულ მდგომარეობაში, საგნობრივ ფორმაში. იმისათვის, რომ ტილოს ღირებულება გამოვხატოთ როგორც ადამიანის შრომის შენადედი, იგი უნდა გამოიხატოს როგორც «საგნობრიობა», რომელიც ნივთობრივად განსხვავდება თვით ტილოსაგან და იმავე დროს მისთვის და სხვა საქონლისათვის საერთოს წარმოადგენს. ეს ამოცანა უკვე ამოხსნილია.

ტილოს ღირებულებითს შეფარდებაში სერთუკი ნიშნავს თვისებრივად ტილოს თანატოლ ნივთს, იმავე ბუნების ნივთს, იმიტომ რომ იგი ღირებულებაა. ამიტომ აქ სერთუკი ნიშნავს ნივთს, რომელშიც ვლინდება ღირებულება, ანუ რომელიც თავისი ხელშესახები ნატურალური ფორმით ღირებულებას წარმოადგენს. თუმცა სერთუკი, საქონელ-სერთუკის სხეული, მხოლოდ სახმარი ღირებულებაა. სერთუკი ისევე ნაკლებად გამოხატავს ღირებულებას, როგორც ტილოს რომელიმე საუკეთესო ნაჭერი. ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ სერთუკი ტილოსთან ღირებულებითი შეფარდების ფარგლებში მეტს ნიშნავს, ვიდრე მის გარეშე, სწორედ ისე, როგორც ზოგი ადამიანი ბრჭყვიალა სერთუკში მეტს ნიშნავს, ვიდრე უმისოდ.

სერთუკის წარმოებაზე თერძის შრომის სახით ფაქტიურად ადამიანის სამუშაო ძალაა დახარჯული. მაშასადამე, მასში დაგროვილია ადამიანის შრომა. ამ მხრივ სერთუკი «ღირებულების მატარებელია», თუმცა ეს მისი თვისება თვითონ არ გამოსკვივის მის ქსოვილში, რაგინდ წმინდაც იყოს იგი. ტილოს ღირებულებითს შეფარდებაში კი იგი მნიშვნელობის მქონეა მხოლოდ ამ მხრივ, მაშასადამე, როგორც განსხვავებული ღირებულება, როგორც ღირებულებითი სხეული. მიუხედავად იმისა, რომ სერთუკი ღილებშეკრული მოგვევლინა, ტილომ მაინც იცნო მასში მონათესავე ლამაზი სული ღირებულებისა. მაგრამ სერთუკს არ შეუძლია ტილოს მიმართ ღირებულებას წარმოადგენდეს, თუ იმავე დროს ტილოსათვის ღირებულება სერთუკის ფორმას არ მიიღებს. ასე, მაგალითად, ინდივიდ A-ს არ შეუძლია მოეპყრას ინდივიდ B-ს როგორც უდიდებულესობას, თუ A-ს თვალში ეს უდიდებულესობა იმავე დროს B-ს სხეულბრივ სახეს არ ღებულობს და, მაშასადამე, სახის ნაკვთებს, თმას და კიდევ ბევრ სხვა რამეს ქვეყნის ყოველ მბრძანებელთან ერთად არ იცვლის.

დაჰყავს. თუმცა მან ეს არ იცის, მაგრამ უნებურად მაინც გამოთქვამს. იგი ლაპარაკობს ჯერ ერთ შრომაზე, შემდეგ — მეორე შრომაზე, ბოლოს — შრომაზე, ყოველი შემდგომი განმარტების გარეშე, როგორც ყველა ნივთის ღირებულების სუბსტანციაზე.

მაშასადამე, ღირებულებითს შეფარდებაში, რომელშიც სერთუკი ტილოს ეკვივალენტს შეადგენს, სერთუკის ფორმის ღირებულების ფორმის მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საქონელ ტილოს ღირებულება საქონელ სერთუკის სხეულით გამოიხატება, ერთი საქონლის ღირებულება — მეორე საქონლის სახმარი ღირებულებით. როგორც სახმარი ღირებულება ტილო სერთუკისაგან გრძნობადად განსხვავებული ნივთია, როგორც ღირებულება — იგი «სერთუკისმაგვარია» და ამიტომ სერთუკივით გამოიყურება. ამრიგად, იგი იღებს თავისი ნატურალური ფორმისაგან განსხვავებული ღირებულების ფორმას. მისი ღირებულებითი ყოფიერება გვევლინება მის მსგავსებაში სერთუკთან, როგორც ცხოვარის ბუნება ქრისტიანისა — მის მიმსგავსებაში ღვთის კრავთან.

ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უწინ საქონლის ღირებულების ანალიზმა გვამცნო, ახლა მას თვითონ ტილო გვაუწყებს, რა წამსაც იგი სხვა საქონელთან, სერთუკთან, ურთიერთობაში შედის. მხოლოდ, თავის აზრებს იგი ამქლავებს ერთადერთი მისთვის მისაწვდომი ენით — საქონლის ენით. რათა გამოთქვას, რომ შრომა, როგორც ადამიანის შრომის აბსტრაქტული თვისების მქონე, ქმნის მის, ტილოს, საკუთარ ღირებულებას, იგი ამბობს, რომ სერთუკი, რამდენადაც იგი ტილოს ტოლფასოვანია, ე. ი. რამდენადაც სერთუკი ღირებულებაა, იმავე შრომისაგან შედგება, როგორც თვითონ ტილო. რათა გამოთქვას, რომ მისი მაღალი ღირებულებითი საგნობრიობა მისი ტლანქი სელის სხეულისაგან განსხვავებულია, იგი ამბობს, რომ ღირებულება სერთუკისებრ გამოიყურება და ამიტომ თვითონ, როგორც ღირებულებითი ნივთი, ჰგავს სერთუკს, ისე როგორც წყლის ერთი წვეთი მეორეს. აღვნიშნავთ გაკვრით, რომ საქონლის ენასაც, ებრაული ენის გარდა, აქვს კიდევ სხვა მრავალი, ცოტად თუ ბევრად დამუშავებული, კილოკავი. მაგალითად, გერმანული «Wertheisein» უფრო მკრთალად გამოიხატავს, ვიდრე რომანული ზმნა valere, valer, valoir, იმ ფაქტს, რომ გათანატოლება საქონელ B-სი საქონელ A-სთან არის საქონელ A-ს საკუთარი ღირებულების გამოხატულება. Paris vaut bien une messel [პარიზი, რასაკვირველია, ერთ წირვად კი ღირს!]

ამრიგად, ღირებულებითი შეფარდების საშუალებით საქონელ B-ს ნატურალური ფორმა საქონელ A-ს ღირებულების ფორმად იქცევა, ანუ საქონელ B-ს სხეული საქონელ A-ს ღირებულების სარკედ იქცევა¹⁸. როცა საქონელი A შეეფარდება საქონელ B-ს როგორც

¹⁸ ადამიანსაც რამდენადმე იგივე ემართება, რაც საქონელს, რადგან ადამიანი ამ ქვეყნად არც სარკით იხადება და არც ფიბტეანური ფილოსოფოსის სახით: «მე —

ლირებულების სხეულს, როგორც ადამიანის შრომის მატერიალიზაციას, იგი სახმარ ღირებულება *Б*-ს თავისი საკუთარი ღირებულების გამოხატულების მასალად ხდის. საქონელ *А*-ს ღირებულებას, ამგვარად გამოხატულს საქონელ *Б*-ს სახმარი ღირებულებით, შეფარდებითი ღირებულების ფორმა აქვს.

ბ) ღირებულების შეფარდებითი ფორმის
რაოდენობრივი განსაზღვრულობა

ყოველი საქონელი, რომლის ღირებულება გამოხატულ უნდა იქნას, განსაზღვრული რაოდენობის მოხმარების საგანს წარმოადგენს, მაგალითად, 15 შეფელ ხორბალს, 100 გირვანქა ყავას და სხვ. საქონლის ეს განსაზღვრული რაოდენობა ადამიანის შრომის განსაზღვრულ რაოდენობას შეიცავს. მაშასადამე, ღირებულების ფორმამ უნდა გამოხატოს არა მარტო ღირებულება საერთოდ, არამედ რაოდენობრივად განსაზღვრული ღირებულება, ანუ ღირებულების სიდიდე. ამიტომ, საქონელ *А*-ს და საქონელ *Б*-ს, ე. ი. ტილოს და სერთუკის ღირებულებითს შეფარდებაში საქონელი სერთუკი უტოლდება ტილოს არა მარტო თვისებრივად, როგორც ღირებულების სხეული საერთოდ, არამედ — ტილოს განსაზღვრულ რაოდენობას, მაგალითად, 20 ადლ ტილოს, უტოლდება ღირებულების სხეულის, ანუ ეკვივალენტის, განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად, ერთი სერთუკი.

განტოლება: «20 ადლი ტილო = 1 სერთუკს, ანუ 20 ადლი ტილო ერთი სერთუკის ღირებულებისაა» გულისხმობს, რომ ერთ სერთუკში სწორედ იმდენივე ღირებულებითი სუბსტანციაა მოქვეყნებული, რამდენიც 20 ადლ ტილოში, რომ საქონლის ორივე ეს რაოდენობა, მაშასადამე, ტოლი შრომა, ანუ ტოლი სამუშაო დრო, ღირს. მაგრამ 20 ადლი ტილოს ანუ 1 სერთუკის საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დრო იცვლება საფეიქრო ან სამკერვალო შრომის მწარმოებლური ძალის ყოველ ცვლილებასთან ერთად. ახლა უფრო დაწვრილებით უნდა გამოვიკვლიოთ ამ ცვლილების გავლენა ღირებულების სიდიდის შეფარდებითს გამოხატულებაზე.

მე ვარ, ამიტომ თავის თავს იგი ჯერ სხვა ადამიანში ხედავს, როგორც სარკეში, მხოლოდ მიმართებით ადამიან პაულისთან როგორც თავის მსგავსთან, ამყარებს ადამიანი პეტრო მითარობას თავის თავთან როგორც ადამიანთან. ამით პაულებს როგორც ასეთი, მთელი თავისი პაულებებური სხეულურობით, ხდება მისთვის მნახველოვანი როგორც გამოვლინების ფორმა ადამიანისა მოდერისა.

I. ვთქვათ, ტილოს ღირებულება იცვლება¹⁹, მაშინ როდესაც სერთუკის ღირებულება მუდმივი რჩება. თუ ტილოს საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დრო ორკეცდება, მაგალითად, იმ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების გამო, რომელიც სელს იძლევა, მაშინ ორკეცდება მისი ღირებულებაც. ნაცვლად განტოლებისა: 20 ადლი ტილო = 1 სერთუკს, ჩვენ გვექნებოდა: 20 ადლი ტილო = 2 სერთუკს, რადგან 1 სერთუკი ახლა შეიცავს მხოლოდ იმის ნახევარ სამუშაო დროს, რასაც 20 ადლი ტილო. პირიქით, თუ ტილოს საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დრო სანახევროდ მცირდება, მაგალითად, საფეიქრო დაზგათა გაუმჯობესების გამო, მაშინ სანახევროდ კლებულობს ტილოს ღირებულებაც. ამის შესაბამისად ახლა ჩვენ გვაქვს: 20 ადლი ტილო = $1\frac{1}{2}$ სერთუკს. მაშასადამე, თუ საქონელ B-ს ღირებულება იგივე რჩება, საქონელ A-ს შეფარდებითი ღირებულება, ე. ი. მისი ღირებულება, გამოხატული საქონელ B-თი, მატულობს და კლებულობს პირდაპირი პროპორციით საქონელ A-ს ღირებულებასთან.

II. ვთქვათ, ტილოს ღირებულება მუდმივი რჩება, მაშინ როდესაც სერთუკის ღირებულება იცვლება. თუ ამ პირობებში სერთუკის საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დრო ორკეცდება, მაგალითად, მატყლის ცუდი გამოსავლიანობის გამო, მაშინ ნაცვლად განტოლებისა: 20 ადლი ტილო = 1 სერთუკს, გვექნება: 20 ადლი ტილო = $1\frac{1}{2}$ სერთუკს. პირიქით, თუ სერთუკის ღირებულება სანახევროდ ეცემა, მაშინ 20 ადლი ტილო = 2 სერთუკს. თუ საქონელ A-ს ღირებულება იგივე რჩება, მისი შეფარდებითი, საქონელ B-თი გამოხატული, ღირებულება კლებულობს ან მატულობს შებრუნებული პროპორციით B-ს ღირებულების ცვლილებასთან.

თუ ჩვენ ამ ორ სხვადასხვა შემთხვევას, I და II მუხლში აღნიშნულს, ერთმანეთს შევადარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ შეფარდებითი ღირებულების სიდიდის ერთი და იგივე ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს სრულიად საპირისპირო მიზეზებით. ასე, მაგალითად, განტოლებიდან: 20 ადლი ტილო = 1 სერთუკს მიიღება: 1) განტოლება: 20 ადლი ტილო = 2 სერთუკს, ან იმიტომ, რომ ორკეცდება ტილოს ღირებულება, ან იმიტომ, რომ ნახევრდება სერთუკის ღირებულება, და 2) განტოლება: 20 ადლი ტილო = $1\frac{1}{2}$ სერთუკს, ან

¹⁹ გამოთქმა «ღირებულება» აქ, როგორც ეს გაკერით უკვე ხემათ ალაგ-ალაგ ხდებოდა, იხმარება რაოდენობრივად განსაზღვრული ღირებულების, მამასადაჰე, ღირებულების სიდიდის აღსანიშნავად.

იმიტომ, რომ ნახევრდება ტილოს ღირებულება, ან იმიტომ, რომ ორკეცდება სერთუკის ღირებულება.

III. ვთქვათ, ტილოს და სერთუკის საწარმოებლად აუცილებელი შრომის რაოდენობა იცვლება იმავდროულად, ერთი და იმავე მიმართულებით და ერთი და იმავე პროპორციით. ამ შემთხვევაში უწინდებურად 20 ადლი ტილო = 1 სერთუკს, სულ ერთია, როგორც უნდა შეიცვალოს მათი ღირებულება. მათი ღირებულების ცვლილებას გამოვამყლავნებთ, როგორც კი შევადარებთ მათ მესამე საქონელს, რომლის ღირებულება უცვლელი რჩება. თუ ყველა საქონლის ღირებულება იმავდროულად და ერთი და იმავე პროპორციით აიწვედა ან დაეცემოდა, მაშინ მათი შეფარდებითი ღირებულება უცვლელი დარჩებოდა. საქონელთა ღირებულების ნამდვილ ცვლილებას იქიდან დავინახავდით, რომ იმავე სამუშაო დროის განმავლობაში ახლა საყოველთაოდ საქონლის მეტი ან ნაკლები რაოდენობა დამზადდებოდა, ვიდრე უწინ.

IV. ვთქვათ, ტილოს და სერთუკის საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დრო, და, მაშასადამე, მათი ღირებულება, იცვლება იმავდროულად, ერთი და იმავე მიმართულებით, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით, ანდა — საწინააღმდეგო მიმართულებით და სხვა. ყველა ამგვარი შესაძლებელი კომბინაციის გავლენა საქონლის შეფარდებითს ღირებულებაზე მოცემულია მარტივად I, II და III მუხლში აღნიშნული შემთხვევების გამოყენებით.

მაშასადამე, ღირებულების სიდიდის ნამდვილი ცვლილებანი არ აისახება არც მკაფიოდ და არც ამომწურავად მათს შეფარდებითს გამოხატულებაში ან შეფარდებითი ღირებულების სიდიდეში. საქონლის შეფარდებითი ღირებულება შეიძლება იცვლებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ღირებულება მუდმივი რჩება. მისი შეყარდებითი ღირებულება შეიძლება მუდმივი რჩებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ღირებულება იცვლება, და, ბოლოს, სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ მისი ღირებულების სიდიდისა და ამ უკანასკნელის შეფარდებითი გამოხატულების იმავდროული ცვლილებანი ერთმანეთს ემთხვეოდეს²⁰.

²⁰ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ეს თანუმთხვევაობა ღირებულების სიდიდესა და მის შეფარდებითს გამოხატულებას შორის ვულგარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გამოიყენა მისთვის ჩვეული გონებაბახვილობით. მაგალითად, დავეუშვათ მხოლოდ, რომ *A* იმიტომ კლებულობს, რომ მატულობს *B*, რომელზედაც იგი იცვლება, თუკა ამასთანავე *A*-ზე არანაკლები შრომა იხარჯება, ვიდრე უწინ და თქვენი ღირებულების საყოველთაო პრინციპი მტკრად იქცევა... თუკი დავეუშვებთ იმას, რომ *A*-ს ღირებულება *B*-სთან შეფარდებით იმიტომ მატულობს,

3) ეკვივალენტური ფორმა

ჩვენ დავინახეთ: როდესაც რომელიმე საქონელი + (ტილო) თავის ღირებულებას რომელიმე სხვაგვარი საქონლის B-ს (სერთუკის) სახმარი ღირებულებით გამოხატავს, იგი თვით ამ უკანასკნელზე ღირებულების თავისებურ ფორმას, ე. ი. ეკვივალენტურ ფორმას აღბეჭდავს. საქონელი ტილო თავის საკუთარ ღირებულებითს ყოფიერებას იმით ამჟღავნებს, რომ მას სერთუკი უტოლფასიანდება, ისე რომ ეს უკანასკნელი ღირებულების არავითარ ფორმას, განსხვავებულს მისი სხეულებრივი ფორმისაგან, არ იღებს. ამრიგად, ტილო თავის საკუთარ ღირებულებითს ყოფიერებას სინამდვილეში იმით გამოხატავს, რომ სერთუკი შეიძლება უშუალოდ გაიცვალოს მასში. მაშასადამე, ამა თუ იმ საქონლის ეკვივალენტური ფორმა არის სხვა საქონელზე მისი უშუალოდ გაცვლადობის ფორმა.

თუ რომელიმე სახეობის საქონელი, მაგალითად, სერთუკი, რომელიმე მეორე სახეობის საქონლის, მაგალითად, ტილოს ეკვივალენტის როლს ასრულებს, თუ, მაშასადამე, სერთუკი იმ დამახასიათებელ თვისებას იძენს, რომ იგი ტილოზე უშუალოდ გაცვლადობის ფორმაში იმყოფება, — ამით სრულიადაც არ არის მოცემული ის პროპორცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სერთუკისა და ტილოს ერთმანეთზე გაცვლა. ეს პროპორცია, რადგან ტილოს ღირებულების სიდიდე მოცემულია, დამოკიდებულია სერთუკის ღირებულების სიდიდეზე.

რომ B-ს ღირებულება A-სთან შეფარდებით კლებულობს, მაშინ ინგრევა ის საფუძველი, რომელზედაც რიკარდო თავის დიად დებულებას აშენებს, სახელდობრ, რომ საქონლის ღირებულება მუდამ მასში განხორციელებული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, რადგან, თუკი A-ზე გაწეული ხარჯების ცვლილება ცვლის არა მარტო მის საკუთარ ღირებულებას B-სთან შეფარდებით, რომელზედაც იგი იცვლება, არამედ B-ს ღირებულებასაც A-სთან შეფარდებით, — თუმცა არავითარი ცვლილება არ მომხდარა B-ს წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობაში, — ცხადია, მაშინ ინგრევა არა მარტო ის დოქტრინა, რომლის მიხედვით საგანზე დაბარჯული შრომის რაოდენობა მის ღირებულებას აწესრიგებს, არამედ ის დოქტრინაც, რომლის თანახმადაც ამა თუ იმ საგნის წარმოების ხარჯები მის ღირებულებას აწესრიგებენ» (J. Broadhurst: «Political Economy». London 1842, გვ. 11, 14).

ასეთივე უფლებით ბ-ნ ბროდჰარსტს შეეძლო ეთქვა: «ჩაუკვირდით ^{10/20}, ^{10/80}, ^{10/100} და სხვ. რიცხობრივ შეფარდებებს. რიცხვი 10 უცვლელი რჩება, და, მიუხედავად ამისა, მისი შეფარდებითი სიდიდე, ე. ი. მისი სიდიდე მნიშვნელებთან — 20, 50 და 100-თან შეფარდებით, განუწყვეტლივ მცირდება. მაშასადამე, ჯარწყულება ის დიადი პრინციპი, რომ მთელი რიცხვის სიდიდეს, როგორც, მაგალითად, 10-სას, მასში არსებული ერთეულების რაოდენობა აწესრიგებს».

5 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

იქნება სერთუკი ეკვივალენტის სახით და ტილო შეფარდებითი ღირებულების სახით, თუ პირიქით, ტილო — ეკვივალენტის სახით და სერთუკი — შეფარდებითი ღირებულების სახით გამოხატული, სერთუკის ღირებულების სიდიდე უწინდებურად მისი წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით განსაზღვრული, მაშასადამე, მისი ღირებულების ფორმისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრული რჩება. მაგრამ როგორც კი ღირებულების გამოხატულებაში საქონელი სერთუკი ეკვივალენტის ადგილს იკერს, მისი ღირებულების სიდიდე, როგორც ასეთი, არავითარ გამოხატულებას არ პოულობს. პირიქით, ღირებულების განტოლებაში იგი მხოლოდ რომელიმე ნივთის განსაზღვრული რაოდენობის სახით გამოდის.

მაგალითად: 40 ადლი ტილო «ღირს» — რა? ორი სერთუკი. რადგან აქ საქონელი სერთუკი ეკვივალენტის როლს ასრულებს, სახმარი ღირებულება სერთუკი ტილოს მიმართ ღირებულებითი სხეულის სახით გამოდის, ამიტომ საკმარისია სერთუკთა განსაზღვრული რაოდენობა ტილოს ღირებულების განსაზღვრული რაოდენობის გამოსახატავად. მაშასადამე, 2 სერთუკს შეუძლია 40 ადლი ტილოს ღირებულების სიდიდის გამოხატვა, მაგრამ მათ არასდროს არ ძალუძთ გამოხატონ თავიანთი საკუთარი ღირებულების სიდიდე, სერთუკთა ღირებულების სიდიდე. იმ ფაქტის ზერეფე გაგებამ, რომ ღირებულებითს განტოლებაში ეკვივალენტს მუდამ რომელიმე ნივთის, სახმარი ღირებულების, მხოლოდ უბრალო რაოდენობის ფორმა აქვს, შეკდომაში შეიყვანა და აიძულა ბეილი, ისე როგორც სხვა მრავალი მისი წინამორბედი და მომდევნო, ღირებულების გამოხატულებაში მხოლოდ რაოდენობითი შეფარდება დაენახა. საქონლის ეკვივალენტური ფორმა, პირიქით, ღირებულების არავითარ რაოდენობრივ განსაზღვრას არ შეიცავს.

პირველი თავისებურება, რომელიც ეკვივალენტური ფორმის განხილვისას თვალში გეცემათ, არის შემდეგი: სახმარი ღირებულება თავისი დაპირისპირებულობის, ე. ი. ღირებულების გამოვლინების ფორმა ხდება.

საქონლის ნატურალური ფორმა ღირებულების ფორმად იქცევა. მაგრამ *nota bene*: საქონელ *B*-სთვის (სერთუკის, ხორბლის ან რკინისთვის და სხვ.) ეს *quid pro quo* ხდება მხოლოდ ღირებულებითი შეფარდების ფარგლებში, რომელშიც რომელიმე სხვა საქონელი *A* (ტილო და სხვ.) მასთან შედის, — მხოლოდ ამ შეფარდების ფარგლებში. რადგან არც ერთ საქონელს არ შეუძლია შეუფარდდეს

თავის თავს როგორც ეკვივალენტს, მაშასადამე, არ შეუძლია აგრეთვე თავისი საკუთარი ნატურალური გარეგნობა თავისივე საკუთარი ღირებულების გამოხატულებად აქციოს, ამიტომ იგი უნდა შეუფარდდეს სხვა საქონელს, როგორც ეკვივალენტს, ანუ რომელიმე სხვა საქონლის ნატურალური გარეგნობა თავისი საკუთარი ღირებულების ფორმად გაიხადოს.

ეს შეიძლება ნათელვყოთ იმ საზომის მაგალითით, რომელიც შეეფერება საქონელთა სხეულებს როგორც ასეთებს, ე. ი. როგორც სახმარ ღირებულებებს. შაქრის თავი, როგორც სხეული, მძიმეა და ამიტომ წონა აქვს, მაგრამ არც ერთი შაქრის თავის ამ წონის არც უშუალოდ დანახვა და არც შეხება არ შეიძლება. ჩვენ ვიღებთ ახლა რკინის სხვადასხვა ნაჭრებს, რომელთა წონა წინასწარ განსაზღვრულია. რკინის სხეულებრივი ფორმა, თავისთავად განხილული, ისევე ნაკლებად წარმოადგენს სიმძიმის გამოვლინების ფორმას, როგორც შაქრის თავი. მიუხედავად ამისა, შაქრის თავი რომ სიმძიმის სახით გამოვხატოთ, ჩვენ მას ვაყენებთ წონითს შეფარდებაში რკინასთან. ამ შეფარდებაში რკინას მნიშვნელობა აქვს როგორც სხეულს, რომელიც სიმძიმის გარდა არაფერს არ გამოხატავს. ამიტომ რკინის ოდენობანი შაქრის წონის საზომად იხმარება და შაქრის სხეულის მიმართ მხოლოდ სიმძიმის უბრალო განსხეულებას, სიმძიმის გამოვლინების ფორმას წარმოადგენენ. ამ როლს რკინა ასრულებს მხოლოდ იმ შეფარდების ფარგლებში, რომელშიც მასთან შედის შაქარი ან სხვა რომელიმე სხეული, რომლის წონაც მონახულ უნდა იქნას. ორივე ამ ნივთს რომ სიმძიმე არ ჰქონდეს, ისინი ვერ შევიდოდნენ ერთმანეთთან ამ მიმართებაში და, მაშასადამე, ერთი მათგანი ვერც გამოხატავდა მეორის სიმძიმეს. თუ ორთავეს სასწორზე დავდებთ, მართლაც დავინახავთ, რომ სიმძიმის მხრივ ორივე ერთი და იგივეა და ამიტომ, განსაზღვრული პროპორციით აღებული, ერთი და იმავე წონისაა. როგორც რკინის სხეული, წონის საზომის სახით, შაქრის თავის მიმართ მხოლოდ სიმძიმეს წარმოადგენს, ასევე ჩვენს ღირებულებითს გამოხატულებაში სერთუკის სხეული ტილოს მიმართ მხოლოდ ღირებულებას წარმოადგენს.

მაგრამ აქ თავდება ანალოგია. შაქრის თავის წონის გამოხატულებაში რკინა წარმოადგენს ორივე სხეულისათვის საერთო ბუნებრივ თვისებას, მათს სიმძიმეს, — მაშინ როდესაც ტილოს ღირებულების გამოხატულებაში სერთუკი წარმოადგენს ამ ორი ნივთის ზებუნებრივ თვისებას: მათს ღირებულებას, რაღაც წმინდა საზოგადოებრივს.

რადგან რომელიმე საქონლის, მაგალითად, ტილოს, ღირებულების შეფარდებითი ფორმა გამოხატავს მის ღირებულებითს ყოფიერებას როგორც მისი სხეულისაგან და ამ სხეულის თვისებათაგან სრულიად განსხვავებულ რაიმეს, გამოხატავს, მაგალითად, როგორც სერთუქისმაგვარ რაიმეს, ამიტომ თვითონ ეს გამოხატულება მიგვითითებს იმაზე, რომ მასში საზოგადოებრივი ურთიერთობა იმალება. საპირისპირო ხასიათი აქვს ეკვივალენტურ ფორმას. ეს ფორმა ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის სხეული, მაგალითად, სერთუქი, მოცემული ნივთი როგორც ასეთი, ღირებულებას გამოხატავს და, მაშასადამე, მას ბუნებითვე ღირებულების ფორმა აქვს. თუმცა ეს მართებულია მხოლოდ ღირებულებითი შეფარდების ფარგლებში, სადაც საქონელი ტილო შეეფარდება საქონელ სერთუქს როგორც ეკვივალენტს²¹. მაგრამ, რადგან ამა თუ იმ ნივთის თვისებები არ წარმოიშვება სხვა ნივთებთან მისი შეფარდებით, არამედ მხოლოდ მჟღავნდება ასეთ შეფარდებაში, ამიტომ გვეჩვენება, თითქოს სერთუქსაც თავისი ეკვივალენტური ფორმა, თავისი უშუალო გაცვლადობის უნარი ისევე ბუნებითვე აქვს, როგორც თავისი თვისება, რომ მას სიმძიმე აქვს და სითბოს ინახავს. აქედან წარმოდგება ეკვივალენტური ფორმის იდუმალობა, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომისტის ბეცი თვალში მხოლოდ მაშინ ამჩნევს, როდესაც ეს ფორმა მას უპირისპირდება მზა სახით — როგორც ფული. მაშინ ეკონომისტი ცდილობს თავი დააღწიოს ოქროსა და ვერცხლის მისტიკურ ხასიათს იმით, რომ მათ ნაცვლად გვაჩეჩებს ნაკლებ თვალისმომკრელ საქონელს და მუდამ განახლებული სიამოვნებით ჩამოთვლის ყველა იმ უბრალო საქონლის ნუსხას, რომელნიც თავის დროზე საქონლის ეკვივალენტის როლს ასრულებდნენ. იგი ვერ ხვდება, რომ უკვე ღირებულების უმარტივესი გამოხატულება, როგორც, მაგალითად, 20 ადლი ტილო = 1 სერთუქს, ეკვივალენტური ფორმის საიდუმლოების ამოცნობას იძლევა.

სხეული საქონლისა, რომელიც ეკვივალენტის როლს ასრულებს, მუდამ ადამიანის აბსტრაქტული შრომის განსხეულებას ნიშნავს და მუდამ განსაზღვრული სასარგებლო, კონკრეტული შრომის პროდუქტია. მაშასადამე, ეს კონკრეტული შრომა ადამიანის აბსტრაქტული

²¹ ასეთი რეფლექტური განსაზღვრებანი საერთოდ ერთგვარ თავისებურებას წარმოადგენენ. მაგალითად, ეს კაცი მეფეა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ადამიანები მას ეპყრობიან როგორც ქვეშევრდომნი. ისინი კი, პირიქით, ფიქრობენ, რომ ქვეშევრდომნი არიან, რადგან იგი მეფეა.

შრომის გამოხატულება ხდება. თუ სერთუკი, მაგალითად, ადამიანის აბსტრაქტული შრომის უბრალო განხორციელებაა, მაშინ თერძის შრომაც, რომელიც ფაქტიურად მასში ხორციელდება, ადამიანის აბსტრაქტული შრომის უბრალო განხორციელების ფორმაა. ტილოს ღირებულების გამოხატულებაში თერძის შრომის სარგებლიანობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი ქმნის ტანსაცმელს, მაშასადამე, ერთი ანდაზისა არ იყოს — ადამიანებსაც, არამედ — იმაში, რომ იგი ამზადებს სხეულს, რომელსაც ზედ ეტყობა, რომ იგი ღირებულებაა, მაშასადამე, შენადეღია შრომისა, რომელიც სრულიად არ განსხვავდება ტილოს ღირებულებაში გასაგნობრივებული შრომისაგან. იმი-
 ჶათვის, რომ ღირებულების ასეთი საკე მოგვეცეს, თვით თერძობა არათერს არ უნდა ასახავდეს, გარდა თავისი აბსტრაქტული თვისე-
 ბისა, — ადამიანის შრომისა.

როგორც თერძობის, ისე ფეიქრობის ფორმით იხარჯება ადამიანის სამუშაო ძალა. ამიტომ ორივე ამ მოქმედებას აქვს ადამიანის შრომის ზოგადი თვისება და განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად, ღირებულების წარმოების დროს, ისინი მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნან. ყოველივე ამაში არათერია მისტიკური. მაგრამ საქონლის ღირებულების გამოხატულებაში საქმე სხვა-ნაირ სახეს იღებს. იმის გამოსახატავად, მაგალითად, რომ ტილოს ღირებულებას ქმნის ფეიქრობა არა თავისი კონკრეტული ფორმით, როგორც ფეიქრობა, არამედ თავისი ზოგადი თვისებით, როგორც ადამიანის შრომა, — მას უპირისპირდება თერძობა, ტილოს ეკვივალენტის შემქმნელი კონკრეტული შრომა, როგორც ადამიანის აბსტრაქტული შრომის განხორციელების თვალსაჩინო ფორმა.

მაშასადამე, ეკვივალენტური ფორმის მეორე თავისებურება ისაა, რომ კონკრეტული შრომა თავისი დაპირისპირებულობის, ადამიანის აბსტრაქტული შრომის, გამოვლინების ფორმად იქცევა.

მაგრამ რადგან ეს კონკრეტული შრომა, თერძობა, ადამიანის განუსხვავებელი შრომის უბრალო გამოხატულებაა, ამიტომ მას სხვა შრომასთან, ტილოში მოქცეულ შრომასთან, ტოლობის ფორმა აქვს და, მაშასადამე, თუმცა იგი კერძო შრომაა, როგორც ყველა სხვა საქონლის მწარმოებელი შრომა, მაინც უშუალოდ საზოგადოებრივი ფორმის შრომას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ გამოიხატება იგი პროდუქტით, რომელიც სხვა საქონელზე უშუალოდ გაცვლის უნარ-მქონეა. მაშასადამე, ეკვივალენტური ფორმის მესამე თავისებურება არის ის, რომ კერძო შრომა თავისი დაპირისპირებულობის ფორმად, უშუალოდ საზოგადოებრივი ფორმის შრომად იქცევა.

ეკვივალენტური ფორმის ეს ორი უკანასკნელად განმარტებული თავისებურება კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნება, თუ გავიხსენებთ იმ დიდ მკვლევარს, რომელმაც ღირებულების ფორმას, ისევე როგორც აზროვნების, საზოგადოების და ბუნების მრავალ ფორმას, პირველმა გაუყეთა ანალიზი. ეს მკვლევარია არისტოტელე.

უწინარეს ყოვლისა, არისტოტელე ნათლად გამოთქვამს, რომ საქონლის ფულადი ფორმა მხოლოდ უფრო განვითარებული სახეა ღირებულების მარტივი ფორმისა, ე. ი. ერთი საქონლის ღირებულების გამოხატულებისა რომელიმე სხვა საქონლით. არისტოტელე ამბობს:

«5 სარეცელი = 1 სახლს» («Κλίναί πέντε ἀντί οὐκίας»)

«არ განსხვავდება» შემდეგისაგან:

«5 სარეცელი = ამდენ და ამდენ ფულს»,

(«Κλίναί πέντε ἀντί... ἄσση ἀί πέντε κλίνας»)

შემდეგ, არისტოტელე ხედავს, რომ ღირებულებითი შეფარდება, რომელიც შეიცავს ღირებულების ამ გამოხატულებას, თავის მხრივ იწვევს იმას, რომ სახლი სარეცელს თვისებრივად უთანატოლდება, და რომ ეს ორი გრძნობადად სხვადასხვა ნივთი მათი არსების ასეთი ტოლობის გარეშე ვერ შეეფარდებოდა ერთმანეთს როგორც თანაზომადი სიდიდეები. «გაცვლა, — ამბობს იგი, — არ შეიძლება ტოლობის გარეშე, ხოლო ტოლობა — თანაზომადობის გარეშე» («ἐστὶ ἰσότης μὴ ἰσότης συμμετρείας»), მაგრამ აქ იგი საგონებელში ვარდება და თავს ანებებს ღირებულების ფორმის შემდგომ ანალიზს. «მაგრამ სინამდვილეში შეუძლებელია («ἂν μὲν ὅτι ἀληθείας ἀβυσσος») რომ ესოდენ სხვადასხვაგვარი ნივთები თანაზომადნი», ე. ი. თვისებრივად თანატოლნი იყვნენ. ეს გათანატოლება შეიძლება მხოლოდ უცხო რამ იყოს ნივთების ნამდვილი ბუნებისათვის, მაშასადამე, მხოლოდ «ხელოვნური საშუალება პრაქტიკული მოთხოვნისათვის».

ამრიგად, არისტოტელე თვითონვე გვეუბნება, თუ რის გამო არ ხერხდება მისი ანალიზის შემდგომი განგრძობა, სახელდობრ ღირებულების ცნების უქონლობის გამო, რა არის ის თანატოლი, ე. ი. ის საერთო სუბსტანცია, რომელსაც წარმოადგენს სახლი სარეცლისთვის ამ უკანასკნელის ღირებულების გამოხატულებაში? ასეთი რამ «სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს», ამბობს არისტოტელე. რატომ? სახლი სარეცლის მიმართ წარმოადგენს რაღაც თანატოლს, რამდენადაც იგი ისეთ რამეს გამოხატავს, რაც ორივეში, სარეცელსა და სახლში, ნამდვილად ტოლია. და ეს — ადამიანის შრომადა-

მაგრამ ის ფაქტი, რომ საქონლის ღირებულების ფორმით გამოხატულია ყველა შრომა როგორც ადამიანის ტოლი და, მაშასადამე, ტოლმნიშვნელოვანი შრომა, — არ შეეძლო არისტოტელეს ამოკეითხა თვით ღირებულების ფორმიდან, იმიტომ რომ ბერძნული საზოგადოება დამყარებული იყო მონურ შრომაზე და, მაშასადამე, მის ბუნებრივ საფუძველს ადამიანთა და მათი სამუშაო ძალის უთანასწორობა შეადგენდა. ღირებულების გამოხატულების საიდუმლოება, ყველა შრომის ტოლობა და ტოლმნიშვნელობა, რადგანაც და რამდენადაც იგი წარმოადგენს ადამიანის შრომას საერთოდ, შესაძლოა ამოცნობილ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანის თანასწორობის იდეამ უკვე ხალხში გამჯდარი ერთგვარი რწმენის სიმტკიცე მოიპოვა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც საქონლური ფორმა შრომის პროდუქტის საყოველთაო ფორმაა, მაშასადამე, სადაც აგრეთვე ადამიანთა, როგორც საქონელმფლობელთა, ურთიერთობა გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა. არისტოტელეს გენია სწორედ იმაში ბრწყინავს, რომ იგი საქონელთა ღირებულების გამოხატულებაში ტოლობის ურთიერთობას ამქლავნებს. მხოლოდ ისტორიული ზღუდე საზოგადოებისა, რომელშიც იგი ცხოვრობდა, უშლის მას ხელს გამოძებნოს, თუ რაში მდგომარეობს «სინამდვილეში» ეს ტოლობის ურთიერთობა.

4) ღირებულების მარტივი ფორმა მთლიანად

საქონლის ღირებულების მარტივ ფორმას შეიცავს მისი ღირებულებითი შეფარდება სხვაგვარ საქონელთან, ანუ საცვლელი შეფარდება ამ უკანასკნელთან. საქონელ *A*-ს ღირებულება თვისებრივად გამოიხატება საქონელ *B*-ს საქონელ *A*-ზე უშუალოდ გაცვლისუნარიანობით. რაოდენობრივად იგი გამოიხატება საქონელ *B*-ს განსაზღვრული რაოდენობის საქონელ *A*-ს განსაზღვრულ რაოდენობაზე გაცვლისუნარიანობით. სხვა სიტყვებით: საქონლის ღირებულება დამოუკიდებლად არის გამოხატული მაშინ, როდესაც იგი «საცვლელი ღირებულების» სახით არის წარმოდგენილი. როცა ჩვენ ამ თავის დასაწყისში, საერთოდ მიღებული ჩვეულების მიხედვით, ვამბობდით: საქონელი არის სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება, ეს, ზუსტად რომ ვთქვათ, სწორი არ იყო. საქონელი არის სახმარი ღირებულება, ანუ მოხმარების საგანი და «ღირებულება». იგი ამ ორადი სახით, როგორიც სინამდვილეშია, გვევლინება, როგორც კი მისი ღირებულება ღებულობს საკუთარ, მისი ნატურალური

ფორმისაგან განსხვავებულ გამოვლინების ფორმას, სახელდობრ, საცვლელი ღირებულების ფორმას, და ეს ფორმა საქონელს, იზოლირებულად განხილულს, არასოდეს არა აქვს, არამედ იგი აქვს მას მუდამ მხოლოდ ღირებულებითს შეფარდებაში, ანუ საცვლელ შეფარდებაში მეორე, სხვაგვარ საქონელთან. რაკი ეს ვიცით, მაშინ ზემოაღნიშნული გამოთქმა არავითარ გაუგებრობას არ იწვევს და მხოლოდ შემოკლების მიზნით იხმარება.

ჩვენმა ანალიზმა ცხადყო, რომ ღირებულების ფორმა, ანუ საქონლის ღირებულების გამოხატულება, საქონლის ღირებულების ბუნებიდან გამომდინარეობს და არა, პირიქით, ღირებულება და ღირებულების სიდიდე — მათი გამოხატულების წესიდან, ე. ი. საცვლელი ღირებულებიდან. მაგრამ სწორედ ამ ილუზიას იზიარებენ როგორც მერკანტილისტები და მათი თანამედროვე მოტრფიალენი, მაგალითად, ფერრიე, ვანილი და სხვ.²² ისე აგრეთვე მათი ანტიპოდები, თავისუფალი ვაჭრობის თანამედროვე კომი-ვოიაჟორები, როგორცაა ბასტია და ძმანი მათნი. მერკანტილისტები მთავარ მნიშვნელობას ანიჭებენ ღირებულების გამოხატულების თვისებრივ მხარეს, მაშასადამე, საქონლის ეკვივალენტურ ფორმას, რომელიც თავის დასრულებულ სახეს ფულში პოულობს, — თანამედროვე ფრიტრედერიული აზრებით მოვაჭრენი კი, რომლებმაც რაღაც უნდა დაუჯდეთ თავისი საქონელი უნდა გაასაღონ, პირიქით, მთავარ ყურადღებას აქცევენ ღირებულების შეფარდებითი ფორმის რაოდენობრივ მხარეს. მაშასადამე, მათთვის საქონლის ღირებულებაც და ღირებულების სიდიდეც მხოლოდ იმ გამოხატულებაში არსებობს, რომელსაც ისინი ღებულობენ საცვლელ შეფარდებაში, ე. ი. მხოლოდ ყოველდღიური პრეისკურანტის ფურცელში. შოტლანდიელი მაკლეოდი, რომელსაც პროფესიად გაუხდია ლომბარდსტრიტის ბანკირების რუტინული აზრების რაც შეიძლება მეცნიერულად შელამაზება, ცრუმორწმუნე მერკანტილისტებისა და ფრიტრედერიული იდეებით განათლებულ მოვაჭრეთა მოხდენილ სინთეზს წარმოადგენს.

საქონელ *A*-ს იმ ღირებულებითი გამოხატულების ახლო განხილვამ, რომელსაც შეიცავს მისი ღირებულებითი შეფარდება საქონელ *B*-სთან, გვიჩვენა, რომ ამ შეფარდების ფარგლებში საქონელ *A*-ს

²² შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. — F. L. A. Ferrier (ბაეების სუბინსპექტორი): «Du Gouvernement considéré dans ses Rapports avec le Commerce», Paris 1805, და Charles Ganilh: «Des Systèmes d'Économie Politique etc.», მე-2 გამოც., Paris 1821.

ნატურალური ფორმა გამოდის მხოლოდ როგორც სახე სახმარი ღირებულებისა, საქონელ *Б*-ს ნატურალური ფორმა კი — მხოლოდ როგორც ღირებულების ფორმა, ანუ ღირებულების სახე. მაშასადამე, სახმარი ღირებულებისა და ღირებულების შინაგანი დაპირისპირებულობა, რომელიც საქონელშია დაფარული, გამოიხატება გარეგნული დაპირისპირებულობით, ე. ი. ორი საქონლის შეფარდებით, სადაც ერთი საქონელი, რომლის ღირებულებაც უნდა გამოხატულ იქნას, უშუალოდ მხოლოდ სახმარი ღირებულების როლს ასრულებს, მეორე საქონელი კი, რომლითაც ღირებულება გამოიხატება — უშუალოდ მხოლოდ საცვლელი ღირებულების როლს. მაშასადამე ამა თუ იმ საქონლის ღირებულების მარტივი ფორმა მასში მოქცეული დაპირისპირებულობის — სახმარი ღირებულებისა და ღირებულების დაპირისპირებულობის — გამოვლინების მარტივი ფორმაა.

შრომის პროდუქტი ყველა საზოგადოებრივ წყობაში მოხმარების საგანია, მაგრამ განვითარების მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრული ეპოქა, რომელიც სახმარი ნივთის წარმოებაზე დახარჯულ შრომას გამოხატავს როგორც ამ ნივთის «საგნობრივ» თვისებას, ე. ი. როგორც მის ღირებულებას, — აქცევს შრომის პროდუქტს საქონლად. აქედან გამომდინარეობს, რომ საქონლის ღირებულების მარტივი ფორმა იმავე დროს შრომის პროდუქტის მარტივი საქონლური ფორმაა, რომ, მაშასადამე, საქონლური ფორმის განვითარებაც ღირებულების ფორმის განვითარებას ემთხვევა.

პირველი შეხედვითვე ჩანს არასაკმარისობა ღირებულების მარტივი ფორმისა, ამ ჩანასახური ფორმისა, რომელიც მხოლოდ რიგი მეტამორფოზების გავლის შემდეგ მომწიფდება ფასის ფორმად.

საქონელ *А*-ს გამოხატულება რომელიმე საქონელ *Б*-თი, საქონელ *А*-ს ღირებულებას განასხვავებს მხოლოდ მისი საკუთარი სახმარი ღირებულებისაგან და ამიტომ აყენებს მას მხოლოდ საცვლელ შეფარდებაში რომელიმე სახეობის ცალკეულ, თვით მისგან განსხვავებულ საქონელთან, ნაცვლად იმისა, რომ გამოხატოს მისი თვისებრივი თანატოლობა და რაოდენობრივი პროპორციულობა ყველა სხვა საქონელთან. ერთი საქონლის ღირებულების მარტივ, შეფარდებით ფორმას შეესაბამება მეორე საქონლის ცალკეული ეკვივალენტური ფორმა. ასე, მაგალითად, ტილოს ღირებულების შეფარდებით გამოხატულებაში სერთუქს აქვს მხოლოდ ეკვივალენტური ფორმა, ანუ უშუალოდ გაცვლადობის ფორმა, ამ ცალკეული საქონლის — ტილოს შიშართ.

მაგრამ ღირებულების ცალკეული ფორმა თავისთავად გადადის უფრო სრულ ფორმაში. თუმცა ამავე ფორმის საშუალებით საქონელ A -ს ღირებულება მხოლოდ ერთ სხვაგვარ საქონელში გამოიხატება; მაგრამ თუ რა სახეობისაა ეს მეორე საქონელი — სერთუკია იგი, რკინა, ხორბალი თუ სხვ. — ეს სულ ერთია. მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სახეობის საქონელთან შედის იგი ღირებულებითს შეფარდებაში, წარმოიშვება ერთი და იმავე საქონლის ღირებულების სხვადასხვა მარტივი გამოხატულება^{22a}. საქონლის ღირებულების შესაძლებელ გამოხატულებათა რიცხვი შემოფარგულია მხოლოდ მისგან განსხვავებული სახის საქონელთა რიცხვით. ამრიგად, საქონლის ღირებულების განცალკევებული გამოხატულება იქცევა მისი ღირებულების სხვადასხვა მარტივ გამოხატულებათა მწყკრეად, რომლის გაგრძელება ყოველთვის შეიძლება.

B. ღირებულების სრული ანუ გაზლილი ფორმა

z საქონელი $A = u$ საქონელ B -ს, ან $= v$ საქონელ C -ს, ან $= w$ საქონელ D -ს, ან $= x$ საქონელ E -ს, ან $=$ და ა. შ.

(20 ადლი ტილო $= 1$ სერთუკ, ან $= 10$ გირე. ჩაის, ან $= 40$ გირე. ყავას, ან $= 1$ კვარტერ ხორბალს, ან $= 2$ ფნც ოქროს, ან $= 1/2$ ტონა რკინას, ან $=$ და ა. შ.)

1) ღირებულების გაზლილი შემფარდებითი ფორმა

რომელიმე საქონლის, მაგალითად, ტილოს ღირებულება ახლა საქონელთა სამყაროს სხვა ურიცხვი ელემენტებით არის გამოხატული. ყოველი სხვა საქონლის სხეული ტილოს ღირებულების საჩველ იქცევა²³. ამრიგად, თვითონ ეს ღირებულება მხოლოდ ახლა

^{22a} შენი შვნა მე-2 გამოცემისათვის. მაგალითად, ჰომეროსი ერთი ნივთის ღირებულებას რიგი სხვადასხვა ნივთის მწყკრეით გამოხატავს.

²³ ამიტომ ლაპარაკობენ ტილოს სერთუკ-ღირებულებაზე, როდესაც მის ღირებულებას სერთუკებით გამოხატავენ, — მის ხორბალ-ღირებულებაზე, როდესაც მას ხორბლით გამოხატავენ და ა. შ. ყოველი ასეთი გამოხატვა ნიშნავს იმას, რომ ეს ტილოს ღირებულებაა, რომელიც სერთუკის, ხორბლის და სხვ. სახმარ ღირებულებაში გვექვინება. «რადგან ყოველი საქონლის ღირებულება მის საცვლელ შეფარდებას აღნიშნავს... ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მასზე... როგორც ხორბალ-ღირებულებაზე, მაუდ-ღირებულებაზე და სხვ. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სხვა საქონელთან ხდება მისი შედარება; ამრიგად, არსებობს ათასი სხვადასხვაგვარი ღირებულება, სწორედ იმდენი, რამდენიც საქონელია, და ყველა ეს ღირებულება ერთნაირად რეალური და ერთნაირად ნომინალურია» («A Critical Dissertation on the Nature, Measures and Causes of Value: chiefly in reference to the writings of Mr. Ricardo and his followers. By the Author of Essays on the Formation etc. of Opinions». London

გვევლინება ნამდვილად როგორც ადამიანის განუსხვავებელი შრომის შენაღები. ეს იმიტომ, რომ მისი შემქმნელი შრომა ახლა სრულიად ნათლად არის გამოხატული როგორც შრომა, რომელსაც უტოლდება ადამიანის ყოველი სხვა შრომა, სულ ერთია, როგორი ნატურალური ფორმაც უნდა ჰქონდეს მას და, მაშასადამე, რაშიაც უნდა საგნობრივდებოდეს იგი — სერთუქში, ხორბალში, რკინაში, ოქროში თუ სხვ. ამიტომ ტილო თავისი ღირებულების ფორმის მეოხებით ახლა საზოგადოებრივ მიმართებაშია აგრეთვე არა მარტო ერთ განცალკევებულ სხვაგვარ საქონელთან, არამედ საქონელთა მთელ სამყაროსთან. როგორც საქონელი, იგი ამ სამყაროს მოქალაქეა. ამავე დროს მისი გამოხატულების უსასრულო მწკრივი იმის მაჩვენებელია, რომ საქონლის ღირებულებისათვის სულ ერთია, თუ რომელი იქნება სახმარი ღირებულების ის განსაკუთრებული ფორმა, რომლითაც იგი ვლინდება.

პირველ ფორმაში: 20 ადლი ტილო = 1 სერთუქს, შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს ის ფაქტი, რომ ეს ორი საქონელი განსახლვრული რაოდენობრივი შეფარდებით ერთიმეორეზე გაცვლისუნარიანია. მეორე ფორმაში, პირიქით, მაშინვე ნათლად გამოსჭვივის შემთხვევითი გამოვლინებისაგან არსებითად განსხვავებული და მისი განსახლვრელი საფუძველი. ტილოს ღირებულება თავისი სიდიდით უცვლელი რჩება, სულ ერთია, გამოხატავს მას სერთუქი, ყავა, რკინა, თუ ურიცხვი სხვა საქონელი, რომელიც სხვადასხვა მფლობელს ეკუთვნის. შემთხვევითი ურთიერთობა ორ ინდივიდუალურ საქონელ-მფლობელს შორის აქ მოხსნილია. ნათელი ხდება, რომ გაცვლა კი არ აწესრიგებს საქონლის ღირებულების სიდიდეს, არამედ, პირიქით, საქონლის ღირებულების სიდიდე აწესრიგებს მის საცვლელ შეფარდებას.

2) განსაკუთრებული მკვივალენტური ფორმა

თვითეული საქონელი: სერთუქი, ჩაი, ხორბალი, რკინა და სხვ., ტილოს ღირებულების გამოხატულებაში გამოდის როგორც ეკვივალენტი და, მაშასადამე, როგორც ღირებულების სხეული. თვითეული

1825, გვ. 39). ს. ბელს, ავტორს ამ ანონიმური თხზულებისა, რომელმაც თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია ინგლისში, წარმოუდგენია, რომ ერთი და იმავე საქონლის ღირებულების ამ აკრელებულ შეფარდებითს გამოხატულებაზე მითითებით მან მოსპო ღირებულების ცნების ყოველგვარი განსახლვრა. იმ გარემოებას, რომ მან, სხვათა შორის, მიუხედავად თავისი საკუთარი შეზღუდულობისა, რიკარდოს თეორიის მტკიცეულ ადგილებს მიაგნო, ამტკიცებს ის გაბრაზებული კილო, რომლითაც მას თავს დაესხა რიკარდოს სკოლა, მაგალითად, «Westminster Review»-ში.

ამ საქონლის განსაზღვრული ნატურალური ფორმა ახლა განსაკუთრებული ეკვივალენტური ფორმაა სხვა მრავალთან ერთად. ასევე მრავალნაირი სახის განსაზღვრული, კონკრეტული სასარგებლო შრომა, მოქცეული სხვადასხვა საქონლის სხეულში, წარმოადგენს ახლა საერთოდ ადამიანის შრომის განხორციელების ანუ გამოვლინების წესობად ამდენსავე მრავალ განსაკუთრებულ ფორმას.

ვ) ღირებულების სხული ანუ გაშლილი ფორმის ნაკლავანება

ჯერ-ერთი, საქონლის ღირებულების შეფარდებითი გამოხატულება დაუშთავრებელია, იმიტომ რომ ღირებულების გამოხატულებათა მწკრივი არასოდეს არ მთავრდება. ის ჯაჭვი, რომელშიც ღირებულების ერთი განტოლება მეორეს უკავშირდება, შეიძლება შეუწყვეტილად გაგრძელდეს ყოველი სახეობის საქონლის ჩართვით, რომელიც ახლად გამოდის და ღირებულების ახალი გამოხატულების მასალას იძლევა. მეორე, ეს ჯაჭვი წარმოადგენს ღირებულების ერთიმეორისაგან მოწყვეტილ და სხვადასხვაგვარ გამოხატულებათა ჭრელ მოზაიკას. დასასრულ, თუ ყოველი საქონლის შეფარდებითი ღირებულება, როგორც ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, ამ გაშლილი ფორმით გამოიხატება, მაშინ თვითეული საქონლის ღირებულების შეფარდებითი ფორმა წარმოადგენს ღირებულების გამოხატულებათა უსასრულო მწკრივს, რომელიც ყოველი სხვა საქონლის ღირებულების შეფარდებითი ფორმისაგან განსხვავდება. ღირებულების გაშლილი, შეფარდებითი ფორმის ნაკლი მის შესაბამის ეკვივალენტურ ფორმაშიც აისახება. რადგან თვითეული ცალკეული სახეობის საქონლის ნატურალური ფორმა აქ სხვა ურიცხვ განსაკუთრებულ ეკვივალენტურ ფორმებთან ერთად განსაკუთრებულ ეკვივალენტურ ფორმას წარმოადგენს, ამიტომ არსებობს საერთოდ მხოლოდ შეზღუდული ეკვივალენტური ფორმები, რომელთაგან თვითეული ყველა დანარჩენს გამოირიცხავს. ასევე განსაზღვრული, კონკრეტული, სასარგებლო სახეობის შრომა, რომელიც საქონლის თვითეულ განსაკუთრებულ ეკვივალენტშია მოქცეული, წარმოადგენს ადამიანის შრომის გამოვლინების მხოლოდ განსაკუთრებულ და, მაშასადამე, არა ამომწურავ ფორმას. მართალია, ეს შრომა გამოვლინების თავის სრულ ანუ ტოტალურ ფორმას იღებს ამ განსაკუთრებულ ფორმათა გამოვლინების ერთობლიობაში. მაგრამ ამ სახით მას არა აქვს გამოვლინების ერთიანი ფორმა.

თუმცა ღირებულების გაშლილი შეფარდებითი ფორმა მხოლოდ ღირებულების მარტივ შეფარდებით გამოხატულებათა ანუ

პირველი ფორმის განტოლებათა ჯამისაგან შედგება, როგორც, მაგალითად:

$$20 \text{ ადლი ტილო} = 1 \text{ სერთუქს}$$

$$20 \text{ ადლი ტილო} = 10 \text{ გირვ. ჩაის და სხვ.}$$

მაგრამ თვითეთლი ეს განტოლება შებრუნებით იდენტურ განტოლებასაც შეიცავს:

$$1 \text{ სერთუქი} = 20 \text{ ადლ ტილოს}$$

$$10 \text{ გირვანჭა ჩაი} = 20 \text{ ადლს ტილოს და სხვ.}$$

მართლაც: თუ ვინმე თავის ტილოს მრავალ სხვა საქონელზე, ცვლის და, მაშასადამე, მის ღირებულებას სხვა საქონელთა მწკრივით გამოხატავს, მაშინ ბევრმა სხვა საქონელმფლობელმაც თავისი საქონელი აუცილებლად ტილოზე უნდა გაცვალოს და, მაშასადამე, თავისი სხვადასხვა საქონლის ღირებულება ერთი და იმავე მესამე საქონლით, ტილოთი გამოხატოს. მაშასადამე, თუ ჩვენ შევაბრუნებთ მწკრივს: 20 ადლი ტილო = 1 სერთუქს, ანუ = 10 გირვანჭა ჩაის, ანუ = და სხვ. ე. ი. თუ გამოვხატავთ შებრუნებულ შეფარდებას, რომელიც არსებითად უკვე ამ მწკრივშია მოქცეული, მაშინ მივიღებთ:

C. ღირებულების საყოველთაო ფორმას

$$\begin{array}{l} 1 \text{ სერთუქი} \\ 10 \text{ გირვ. ჩაი} \\ 40 \text{ გირვ. ყავა} \\ 1 \text{ კვარტ. ხორბალი} \\ 2 \text{ უნცი ოქრო} \\ \frac{1}{2} \text{ ტონა რკინა} \\ x \text{ საქონელი } A \\ \text{და სხვ. საქონელი} \end{array} = \left. \vphantom{\begin{array}{l} 1 \\ 10 \\ 40 \\ 1 \\ 2 \\ \frac{1}{2} \\ x \end{array}} \right\} 20 \text{ ადლ ტილოს.}$$

1) ღირებულების ფორმის უცვლელი ხასიათი

ყველა საქონელი ახლა თავის ღირებულებას გამოხატავს 1) მარტივად, რადგან გამოხატავს ერთადერთი საქონლით და 2) ერთსახოვანად, რადგან გამოხატავს ერთი და იმავე საქონლით. მათი ღირებულების ფორმა მარტივია და საერთო, მაშასადამე, საყოველთაო.

ფორმები I და II აღწევდნენ მხოლოდ იმას, რომ გამოეხატათ ამა თუ იმ საქონლის ღირებულება როგორც მისი საკუთარი სახმარი ღირებულებისაგან, ანუ მისი საქონლური სხეულისაგან, განსხვავებული რამ.

პირველი ფორმა იძლეოდა ღირებულების ასეთ განტოლებებს: 1 სერთუკი = 20 ადლ ტილოს, 10 გირვანქა ჩაი = $\frac{1}{2}$, ტონა რკინას და სხვა. სერთუკის ღირებულება გამოიხატება აქ როგორც ტილოს თანატოლი რამ, ჩაის ღირებულება — როგორც რკინის თანატოლი რამ და სხვა. მაგრამ ეს ტილოს თანატოლი რამ და რკინის თანატოლი რამ, სერთუკისა და ჩაის ღირებულების ეს გამოხატულებანი, ისევე განსხვავებულნი არიან ერთიმეორისაგან, როგორც თვით ტილო და რკინა. აშკარაა, რომ ამ ფორმას პრაქტიკულად ადგილი აქვს მხოლოდ თავდაპირველად, როცა შრომის პროდუქტები საქონლად იქცევა შემთხვევითი და თითო-ოროლა გაცვლის საშუალებით.

მეორე ფორმა პირველზე უფრო სრულად განასხვავებს საქონლის ღირებულებას მისი საკუთარი სახმარი ღირებულებისაგან, რადგან აქ, მაგალითად, სერთუკის ღირებულება, თავის ნატურალურ ფორმას ახლა ყველა შესაძლებელი ფორმით უპირისპირდება, როგორც ტილოს თანატოლი, რკინის თანატოლი, ჩაის, სხვათა, რისაც გენბავთ — ყველაფრის თანატოლი, მაგრამ არა როგორც სერთუკის თანატოლი. მეორე ნხრივ, აქ საქონელთა ყოველი საერთო ღირებულებითი გამოხატულება პირდაპირ გამოირიცხულია, რადგან ყოველი ცალკეული საქონლის ღირებულებითს გამოხატულებაში ყველა სხვა საქონელი მხოლოდ ეკვივალენტის ფორმით გვევლინება. ღირებულების გაშლილი ფორმა პირველად გვხვდება ფაქტიურად მაშინ, როცა შრომის რომელიმე პროდუქტი, მაგალითად, პირუტყვი, არა გამოიკლისის სახით, არამედ უკვე ჩვეულებრივად სხვადასხვა საქონელზე იცვლება.

ჩვენ მიერ ახლადმიღებული ფორმა III გამოიხატავს საქონელთა სამყაროს ღირებულებებს ერთი და იმავე მისგან გამოყოფილი საქონლით, მაგალითად ტილოთი და, ამრიგად, წარმოგვიდგენს ყველა საქონლის ღირებულებას ტილოსთან მათი შეთანატოლებით. როგორც ტილოს თანატოლი, ყოველი საქონლის ღირებულება განსხვავდება ახლა არა მარტო თავისი საკუთარი სახმარი ღირებულებისაგან, არამედ ყველა სახმარი ღირებულებისაგან და სწორედ ამით გამოიხატავს იმას, რაც მას საერთო აქვს ყველა სხვა საქონელთან. მაშასადამე, მხოლოდ ეს ფორმა ამყარებს ნამდვილად დამოკიდებულებას საქონელთა შორის როგორც ღირებულებებს შორის, ანუ შესაძლებლობას აძლევს მათ გამოვიდნენ ერთიმეორის მიმართ როგორც საცვლელი ღირებულებანი.

ორივე წინანდელი ფორმა თვითიული ცალკე გამოხატავს ყოველი საქონლის ღირებულებას, სულ ერთია, იქნება ეს ერთადერთ რომელიმე სხვაგვარ საქონელში, თუ მრავალ მისგან განსხვავებულ საქონელთა მწკრივში. ორივე შემთხვევაში ცალკეული საქონლის, ასევე ერთადერთი, კერძო საქმეა, თუ ღირებულების რომელ ფორმას მიიღებს, და ამას იგი ასრულებს სხვა საქონელთა დაუხმარებლად. ეს უკანასკნელნი მის მიმართ მხოლოდ ეკვივალენტის პასიურ როლს ასრულებენ. პირიქით, ღირებულების საყოველთაო ფორმა აღმოცენდება მხოლოდ როგორც საქონელთა სამყაროს საერთო საქმე. ესა თუ ის საქონელი ღირებულების საყოველთაო გამოხატულებას მხოლოდ იმიტომ იღებს, რომ იმავდროულად ყველა სხვა საქონელი თავის ღირებულებას იმავე ეკვივალენტით გამოხატავს და ყოველი სახეობის საქონელი, რომელიც ახლად გამოდის, ასევე უნდა მოიქცეს. ამით მედევნდება, რომ საქონელთა ღირებულებითი საგნობრიობა, რადგან იგი ამ ნივთთა მხოლოდ «საზოგადოებრივ მყოფობას» წარმოადგენს, შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე მხოლოდ მათი ყოველმხრივი საზოგადოებრივი მიმართებით, მაშასადამე, მათი ღირებულების ფორმა საზოგადოებრივად მიღებული ფორმა უნდა იყოს.

ტილოსთან თავის ტოლობის ფორმაში ყველა საქონელი გვევლინება არა მარტო თვისებრივად თანატოლ რამედ, ღირებულებად საერთოდ, არამედ — იმავე დროს ღირებულების რაოდენობრივად შესადარ სიდიდედ. რადგან ისინი თავიანთი ღირებულების სიდიდეს ერთსა და იმავე მასალაში, ტილოში, ასახავენ, ამიტომ ღირებულების ეს სიდიდენი ურთიერთ აისახებიან ერთიმეორეშიც. მაგალითად, 10 გირვანქა ჩაი = 20 ადლ ტილოს და 40 გირვანქა ყავა = 20 ადლ ტილოს. მაშასადამე, 10 გირვანქა ჩაი = 40 გირვანქა ყავას. ანუ: 1 გირვანქა ყავაში მოქცეულია მხოლოდ მეოთხედი ნაწილი ღირებულების სუბსტანციისა, შრომისა, რომელიც განხორციელებულია 1 გირვანქა ჩაიში.

საქონელთა სამყაროს ღირებულების საყოველთაო შეფარდებითი ფორმა ამ სამყაროდან გამორიცხულ ეკვივალენტურ საქონელს, ტილოს, საყოველთაო ეკვივალენტის ხასიათს ანიჭებს. მისი საკუთარი ნატურალური ფორმა ამ სამყაროს ღირებულების საერთო სახეა, მაშასადამე, ტილო ყველა სხვა საქონელზე უშუალოდ გაცვლისუნარიანია. მისი სხეულებრივი ფორმა გამოდის როგორც ადამიანის ყოველგვარი შრომის ცხადი განსახიერება, როგორც ამ შრომის საყოველთაო საზოგადოებრივი გარსი. ფეიქრობა, კერძო შრომა, რომელიც ტილოს აწარმოებს, იმავე დროს იმყოფება საყოველთაო

საზოგადოებრივ ფორმაში, ყველა სხვა შრომასთან ტოლობის ფორმაში. ურიცხვი განტოლებანი, რომელთაგანაც ღირებულების საყოველთაო ფორმა შედგება, ტილოში განხორციელებულ შრომას უტოლებენ რიგრიგობით ყოველ სხვა საქონელში მოქცეულ შრომას და ამით ფექრობას ხდიან საერთოდ ადამიანის შრომის გამოვლინების საყოველთაო ფორმად. ამრიგად, საქონლის ღირებულებაში გასაგნობრივებული შრომა გამოხატულია არა მარტო უარყოფითად, როგორც შრომა, სადაც ნამდვილი შრომის ყველა კონკრეტული ფორმისა და სასარგებლო თვისებებისაგან აბსტრაჰირება ხდება. მისი საკუთარი დადებითი ბუნებაც გარკვეულად მოჩანს. იგი წარმოადგენს ყველა რეალური შრომის დაყვანას ადამიანის შრომის იმ ხასიათზე, რომელიც მათთვის საერთოა, დაყვანას — ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვაზე.

ღირებულების საყოველთაო ფორმა, რომელიც შრომის პროდუქტებს ადამიანის განუხსხვავებელი შრომის უბრალო შენადედასახით წარმოგვიდგენს, თავისი საკუთარი აგებულებით გვიჩვენებს, რომ იგი საქონელთა სამყაროს საზოგადოებრივი გამოხატულებაა. ამრიგად, იგი ცხადყოფს, რომ ამ სამყაროს ფარგლებში შრომის ზოგად-ადამიანური ხასიათი მის სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს შეადგენს.

2) ღირებულების შემადგენითი ფორმისა და ეკვივალენტური ფორმის განვითარების ურთიერთობა

ღირებულების შეფარდებითი ფორმის განვითარების ხარისხს შეესაბამება ეკვივალენტური ფორმის განვითარების ხარისხი. მაგრამ, და ეს უეჭველად აღსანიშნავია, ეკვივალენტური ფორმის განვითარება არის მხოლოდ გამოხატულება და შედეგი ღირებულების შეფარდებითი ფორმის განვითარებისა.

ამა თუ იმ საქონლის ღირებულების მარტივი, ანუ განცალკევებული, შეფარდებითი ფორმა მეორე საქონელს განცალკევებულ ეკვივალენტად ხდის. შეფარდებითი ღირებულების გაშლილი ფორმა, ერთი საქონლის ღირებულების ეს გამოხატულება ყველა სხვა საქონელში, ანიჭებს მათ სხვადასხვაგვარი განსაკუთრებული ეკვივალენტების ფორმას. ბოლოს, ერთი განსაკუთრებული სახის საქონელი ღებულობს საყოველთაო ეკვივალენტის ფორმას, იმიტომ რომ ყველა სხვა საქონელი მას თავისი ღირებულების ერთიანი, საყოველთაო ფორმის მასალად ხდის.

მაგრამ იმდენადვე, რამდენადაც საერთოდ ღირებულების ფორმა ვითარდება, ვითარდება აგრეთვე დაპირისპირებულობა მის ორივე პოლუსს შორის, ღირებულების შეფარდებითსა და ეკვივალენტურ ფორმას შორის.

უკვე პირველი ფორმა: 20 ადლი ტილო = 1 სერთუქს, შეიცავს ამ დაპირისპირებულობას, მაგრამ არ ახდენს მის ფიქსაციას. იმისდა მიხედვით, თუ როგორ წავიკითხავთ ამ განტოლებას, პირდაპირ თუ შებრუნებით, ამ ორი საქონლის თვითეული კიდური, როგორც, მაგალითად, ტილო და სერთუქი, თანაბრად ხან ღირებულების შეფარდებითს ფორმაში და ხან ეკვივალენტურ ფორმაში აღმოჩნდება. აქ ჯერ კიდევ საკმაოდ ძნელია პოლარული დაპირისპირებულობის ფიქსაცია.

ფორმა II-ში მუდამ მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობის საქონელს შეუძლია მთლიანად გაშალოს თავისი შეფარდებითი ღირებულება, ანუ თვითონ მას აქვს მხოლოდ ღირებულების გაშლილი შეფარდებითი ფორმა, რადგანაც და რამდენადაც ყველა სხვა საქონელი მას ეკვივალენტური ფორმით უპირისპირდება. აქ უკვე აღარ შეიძლება ღირებულებითი განტოლების ორი მხარის გადანაცვლება, — მაგალითად, 20 ადლი ტილო = 1 სერთუქს ან = 10 გირვანქა ჩაის ან = 1 კვარტერ ხორბალს და სხვ., — უიმისოდ, თუ არ შეიცვალა მისი საერთო ხასიათი და იგი ამ ტოტალური ფორმიდან ღირებულების საყოველთაო ფორმაში არ გადავიდა.

ბოლოს, უკანასკნელი ფორმა, ფორმა III, საქონელთა სამყაროს აძლევს ღირებულების საყოველთაო-საზოგადოებრივ შეფარდებითს ფორმას, რადგანაც და რამდენადაც ყველა საქონელი, რომელიც საქონელთა სამყაროს ეკუთვნის, გარდა მარტო ერთი გამონაკლისისა, გამოირიცხულია ამ საყოველთაო ეკვივალენტური ფორმიდან. ამიტომ ერთი საქონელი, ტილო, იმყოფება ყველა სხვა საქონელზე უშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმაში, ანუ უშუალოდ საზოგადოებრივ ფორმაში, რადგანაც და რამდენადაც ყველა სხვა საქონელი არ იმყოფება ამ ფორმაში²⁴.

²⁴ პირველი შეხედვით, მართლაც სრულიადაც არა ჩანს საყოველთაო უშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმიდან, რომ იგი საქონლის წინააღმდეგობრივი ფორმაა და რომ იგი ისევე განუყრელია არაუშუალო გაცვლისუნარიანობის ფორმისაგან, როგორც მაგნიტის ერთი პოლუსის დადებითობა მისი მეორე პოლუსის უაზოფითობისაგან. ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შესაძლებელია ყველა საქონელი ერთსა და იმავე დროს უშუალო გაცვლისუნარიანობით აღაბეჭდოს, როგორც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შესაძლებელია ყველა კათოლიკე პაპად გადაიქცეს 6 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

პირიქით, საქონელი, რომელიც საყოველთაო ეკვივალენტის სახით გამოდის, მოკლებულია საქონელთა სამყაროს ღირებულების ერთიან და, მაშასადამე, საყოველთაო შეფარდებითს ფორმას. თუ ტილო, ე. ი. რომელიმე საყოველთაო ეკვივალენტურ ფორმაში მყოფი საქონელი, იმავე დროს აგრეთვე ღირებულების საყოველთაო შეფარდებითს ფორმაში მონაწილეობას მიიღებდა, მაშინ თვით მას თავისი თავისათვის ეკვივალენტის სამსახური უნდა გაეწია. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით: 20 ადლი ტილო = 20 ადლ ტილოს, ე. ი. მივიღებდით ტაქტოლოგიას, სადაც არაა გამოხატული არც ღირებულება და არც ღირებულების სიდიდე. საყოველთაო ეკვივალენტის შეფარდებითი ღირებულება რომ გამოვხატოთ, ჩვენ, პირიქით, ფორმა III უნდა შევებარუნოთ. საყოველთაო ეკვივალენტს არ მოვპოვება სხვა საქონელთან ღირებულების საერთო შეფარდებითი ფორმა, არამედ მისი ღირებულება შეფარდებით გამოიხატება ყველა სხვა საქონელთა სხეულების უსასრულო მწკრივით. ამრიგად, ღირებულების გაშლილი შეფარდებითი ფორმა, ანუ ფორმა II, გვევლინება ახლა როგორც საქონელ-ეკვივალენტის ღირებულების სპეციფიკური შეფარდებითი ფორმა.

ვ) გადახვლა ღირებულების საყოველთაო ფორმიდან ფულად ფორმამდე

საყოველთაო ეკვივალენტური ფორმა ღირებულების ფორმაა საერთოდ. მაშასადამე, იგი შეიძლება ეკუთვნოდეს ყოველ საქონელს. მეორე მხრივ, ესა თუ ის საქონელი იმყოფება მხოლოდ საყოველთაო

წვრილ ბურჟუასთვის, რომელიც საქონელწარმოებაში ადამიანის თავისუფლებისა და ინდივიდუალური დამოუკიდებლობის *nec plus ultra*-ს ხედავს, რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა აეცილებინა ამ ფორმასთან დაკავშირებული უხერხულობანი, განსაკუთრებით ის უხერხულობა, რომ საქონელი უშუალო გაცვლისუნარიანობას მოკლებულია. ამ ფილისტერული უტოპიის შეფერადება შეადგენს პრუდონის სოციალიზმს, რომელიც, როგორც სხვა ადგილას მაქვს აღნიშნული, ორიგინალობითაც კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ იმას იმჟორებს, რაც დიდი ხნით ადრე და გაცილებით უკეთესად განავითარეს გრემი, ბრემი და სხვებმა. თუმცა ეს გარემოება სრულიად ხელს არ უშლის იმას, რომ ასეთი სიბრძნე ამჟამად ზოგიერთ წრეებში «science»-ს [მეცნიერების] სახელით საღდება. არც ერთი სკოლა ისე არ ყოფილა გატაცებული სიტყვით «science», როგორც პრუდონის სკოლა, რადგან

«Wo Begriffe fehlen,

Da stellt zur rechten Zeit ein Wort sich ein».

[«იქ, სადაც ცნება არა ჩანს ნათლად,

სიტყვა მაშინვე ჩნდება მის ნაცვლად». გოეთე: «ფაუსტი».]

ეკვივალენტურ ფორმაში (ფორმა III), რადგანაც და რამდენადაც იგი, როგორც ეკვივალენტი, ყველა სხვა საქონლის მიერ გამოირიცხება მათი წრიდან. და მხოლოდ იმ წუთიდან, როცა ეს გამოირიცხვა საბოლოოდ აღმოჩნდება ერთი სპეციფიკური განსაკუთრებული სახის საქონლის ხვედრად, — მხოლოდ ამ მომენტიდან საქონელთა სამყაროს ერთიანი შეფარდებითი ღირებულების ფორმა ობიექტურ სიმტკიცესა და საყოველთაო საზოგადოებრივ მნიშვნელობას ღებულობს.

ის სპეციფიკური სახეობის საქონელი ახლა, რომლის ნატურალურ ფორმას ეკვივალენტური ფორმა საზოგადოებრივად შეეზარდა, იქცევა ფულად საქონლად, ანუ მოქმედებს როგორც ფული. საქონელთა სამყაროში საყოველთაო ეკვივალენტის როლის შესრულება ხდება მისი სპეციფიკური საზოგადოებრივი ფუნქცია და, მაშასადამე, მისი საზოგადოებრივი მონოპოლია. ეს პრივილეგიური მდგომარეობა იმ საქონელთა შორის, რომელნიც ფორმა II-ში ტილოს განსაკუთრებული ეკვივალენტების სახით გამოდიან, ხოლო ფორმა III-ში თავიანთ შეფარდებითს ღირებულებას ყველანი ტილოთი გამოხატავენ, ისტორიულად მოიპოვა ერთმა განსაზღვრულმა საქონელმა, ოქრომ. ამიტომ თუ ფორმა III-ში საქონელ ტილოს ადგილას საქონელ ოქროს მოვათავსებთ, ჩვენ მივიღებთ:

D. ფულად ფორმას

20 ადლი ტილო	=	} 2 უნც ოქროს
1 სერთუკი	=	
10 გირვ. ჩაი	=	
40 გირვ. ყავა	=	
1 კვარტ. ხორბალი	=	
$\frac{1}{2}$ ტონა რკინა	=	
x საქონელი A	=	

ფორმა I-დან ფორმა II-ზე და ფორმა II-დან ფორმა III-ზე გადასვლის დროს არსებითი ცვლილებები ხდება. პირიქით, ფორმა IV არაფრით არ განსხვავდება ფორმა III-საგან, გარდა იმისა, რომ ახლა ტილოს მაგივრად საყოველთაო ეკვივალენტური ფორმა აქვს ოქროს. ოქრო ფორმა IV-ში რჩება იმად, რაც ტილო ფორმა III-ში იყო — საყოველთაო ეკვივალენტად. წინსვლა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ უშუალო საყოველთაო გაცვლადობის ფორმა, ანუ საყოველთაო ეკვივალენტური ფორმა, ახლა, საზოგადოებრივი ჩვეულების გამო, საბოლოოდ შეეზარდა საქონელ ოქროს სპეციფიკურ ნატურალურ ფორმას.

ოქრო მხოლოდ იმიტომ უპირისპირდება ყველა სხვა საქონელს, ფულის სახით, რომ იგი უკვე უწინ უპირისპირდებოდა მათ საქონლის სახით. ყველა სხვა საქონლის მსგავსად, იგი გამოდიოდა ეკვივალენტის სახითაც, ხან როგორც ცალკეული ეკვივალენტი გაცვლის განცალკევებულ აქტებში, ხან კი როგორც განსაკუთრებული ეკვივალენტი სხვა საქონელ-ეკვივალენტებთან ერთად. მან თანდათან იწყო მოქმედება, როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, ცოტად თუ ბევრად ფართო წრეებში, როგორც კი ოქრომ საქონელთა სამყაროს ღირებულების გამოხატულებაში ამ ადგილის მონოპოლია მოიპოვა, იგი ფულად საქონლად იქცა, და მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა იგი უკვე ფულადი საქონელი გახდა, იწყებს ფორმა IV ფორმა III-გან განსხვავებას, ანუ ღირებულების საყოველთაო ფორმა ფულად ფორმად გადაიქცევა.

რომელიმე საქონლის, მაგალითად, ტილოს, ღირებულების მარტივი შეფარდებითი გამოხატულება მეორე საქონლით, მაგალითად, ოქროთი, რომელიც უკვე ფულადი საქონლის სახით მოქმედებს, არის ფასის ფორმა. მაშასადამე, ტილოს «ფასის ფორმა» ასეთია:

20 ადლი ტილო = 2 უნც ოქროს,

ანუ, თუ 2 გირვანქა სტერლინგი 2 უნცი ოქროს სამონეტო სახელწოდებაა,

20 ადლი ტილო = 2 გირვანქა სტერლინგს.

ფულადი ფორმის ცნების სიძნელე მხოლოდ საყოველთაო ეკვივალენტური ფორმის, მაშასადამე, საერთოდ ღირებულების საყოველთაო ფორმის, ფორმა III-ის, გაგებაშია. ფორმა III გადადის უკუ-ქცევით ფორმა II-ში, ღირებულების გაშლილ ფორმაში, და ამ უკანასკნელის ჩამომყალიბებელი ელემენტი არის ფორმა I: 20 ადლი ტილო = 1 სერთუქს, ანუ x საქონელი $A = y$ საქონელ B -ს. მაშასადამე, მარტივი საქონლური ფორმა ფულადი ფორმის ჩანასახია.

4) საქონლის ფიზიკური ხასიათი და მისი საიდუმლოება

პირველი შეჩვევით საქონელი თავისთავად გასაგებ, ტრივიალურ ნივთად გვეჩვენება. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ფრიად უცნაური ნივთია, სავსე მეტაფიზიკური ცბიერებით და თეოლოგიური აზირობულობით. რამდენადაც იგი სახმარი ღირებულებაა, მასში არავითარი იდუმალობა არაა, სულ ერთია, განვიხილავთ მას იმ თვალსაზრისით, რომ იგი თავისი თვისებებით აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს, თუ იმ თვალსაზრისით, რომ იგი ამ თვისებებს

აქენს მხოლოდ როგორც პროდუქტი. ადამიანის შრომისა. ცხადია, რომ ადამიანი თავისი მოქმედებით ბუნების ნივთიერებათა ფორმებს ამა თუ იმ მისთვის სასარგებლო სახით ცვლის. ხის ფორმა, მაგალითად, იცვლება, როცა მისგან მაგიდას აკეთებენ. მიუხედავად ამისა, მაგიდა მაინც რჩება ხედ, ჩვეულებრივ გრძობად ნივთად. მაგრამ როგორც კი ის საქონლის სახით გამოდის, იგი ხდება გრძობადად ზეგრძობადი ნივთი. იგი არა მარტო დგას თავისი ფეხებით დედამიწაზე, არამედ თავდაყოფაც დგება ყველა სხვა საქონლის წინაშე და თავისი ხის თავიდან წარმოშობს ბევრად უფრო საკვირველ უცნაურობებს, ვიდრე ის, რომ უეცრად თავისი ნებით ცეკვა დაეწყო²⁵.

ამრიგად, საქონლის მისტიკური ხასიათი არ გამომდინარეობს მისი სახმარი ღირებულებიდან. ასევე ნაკლებად გამომდინარეობს იგი ღირებულების განსაზღვრათა შინაარსიდან. ეს იმიტომ რომ, ჯერ-ერთი, რაც უნდა სხვანაირი იყოს სასარგებლო შრომა, ანუ მწარმოებლური მოქმედება, ფიზიოლოგიური ქეშმარიტებაა, რომ ისინი ადამიანის ორგანიზმის ფუნქციებია და ყოველი ასეთი ფუნქცია, როგორც უნდა იყოს მისი შინაარსი და ფორმა, არსებითად ადამიანის ტვინის, ნერვების, კუნთების, გრძობის ორგანოების და სხვ. დახარჯვას წარმოადგენს. მეორე, ის, რაც ღირებულების სიდიდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს, სახელდობრ, ასეთი დახარჯვის ხანგრძლიობა, ანუ შრომის რაოდენობა, — ეს რაოდენობა უკვე ხელშესახებადაც განსხვავებადია შრომის თვისებრიობისაგან. იმ სამუშაო დროს, რომელიც საჭიროა საარსებო საშუალებათა წარმოებისათვის, ყველა პირობებში უნდა დაეინტერესებინა ადამიანი, თუმცა არა ერთნაირად განვითარების სხვადასხვა საფეხურზე²⁶. ბოლოს, როგორც კი ადამიანები ამა თუ იმ წესით ერთმანეთისათვის მუშაობას იწყებენ, მათი შრომაც საზოგადოებრივ ფორმას იღებს.

მაშასადამე, საიდან წარმოდგება შრომის პროდუქტის იღუმალი ხასიათი, როგორც კი ეს პროდუქტი საქონლის ფორმას იღებს?

²⁵ მოვიგონოთ, რომ ჩინეთმა და მაგიდებმა ცეკვა დაიწყეს მაშინ, როცა მთელი დანარჩენი ქვეყნიერება, თითქოს, მყუდროებაში იმყოფებოდა — *pour encourager les autres* [სხვების წასახალისებლად].

²⁶ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ძველ გერმანულებში ერთი მორგენი მიწის სიდიდეს ერთი დღის შრომის მიხედვით ანგარიშობდნენ; აქედან — მორგენის სახელწოდება: Tagwerk (ანუ Tagwanne) (jurnale ანუ jurnalis, terra jurnalis, jornalis ანუ diornalis), Mannwerk, Mannskraft, Mannsnaad, Mannshaut და ა. შ. იხ. Georg Ludwig von Maurer: «Einleitung zur Geschichte der Mark-, Hof-, u. s. w. Verfassung etc.». München 1854, გვ. 129 და შემდ.

ცხადია, თვით ამ ფორმიდან. ადამიანის სხვადასხვა შრომის თანატოლობა ლებულობს შრომის პროდუქტთა ტოლი ღირებულებითი საგნობრიობის ნივთობრივ ფორმას; ზომა ადამიანის სამუშაო ძალის ხარჯვისა, ამ ხარჯვის ხანგრძლიობით გამოხატული, ლებულობს შრომის პროდუქტთა ღირებულების სიდიდის ფორმას; ბოლოს მწარმოებელთა ურთიერთობანი, რომელშიც მათი შრომის ეს საზოგადოებრივი განსაზღვრულობანი ხორციელდება, შრომის პროდუქტთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმას იღებენ.

მაშასადამე, საქონლური ფორმის საიდუმლოება მდგომარეობს უბრალოდ იმაში, რომ ეს ფორმა სარკეა, რომელიც ადამიანებს მათი საკუთარი შრომის საზოგადოებრივ ხასიათს წარმოუდგენს როგორც თვით შრომის პროდუქტთა საგნობრივ ხასიათს, როგორც ამ ნივთობუნებით თანდაყოლილ საზოგადოებრივ თვისებებს, მაშასადამე, მწარმოებელთა საზოგადოებრივ ურთიერთობასაც ერთობლივ შრომასთან წარმოუდგენს როგორც მათ გარეშე არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას საგანთა შორის. ასეთი *quid pro quo*-ს მეოხებით შრომის პროდუქტი ხდება საქონელი, გრძობადად ზეგრძობადი, ანუ საზოგადოებრივი ნივთი. ამგვარადვე ამა თუ იმ ნივთით გამოწვეული შუქის შთაბეჭდილება მხედველობის ნერვზე წარმოგვიდგება არა როგორც სუბიექტური გაღიზიანება თვით მხედველობის ნერვისა, არამედ — როგორც თვალის გარეშე არსებული ნივთის საგნობრივი ფორმა. მაგრამ მხედველობითს აღქმაში შუქი ნამდვილად გადადის ერთი ნივთიდან, ე. ი. გარეშე საგნიდან, მეორე ნივთზე, თვალზე. ეს — ფიზიკური ურთიერთობაა ფიზიკურ ნივთებს შორის. პირიქით, საქონლურ ფორმას და შრომის პროდუქტთა ღირებულებითს ურთიერთობას, რომლითაც ეს საქონლური ფორმა გამოიხატება, აბსოლუტურად არათფერი აქვს საერთო ამ პროდუქტთა ფიზიკურ ბუნებასთან და აქედან გამომდინარე ნივთთა ურთიერთობასთან. ეს მხოლოდ თვით ადამიანთა განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც აქ მათთვის ნივთთა ურთიერთობის ფანტასმაგორულ ფორმას იღებს. ამიტომ ამ მოვლენის ანალოგია რომ გამოენახოთ, რელიგიური სამყაროს ბუნდოვან სფეროს უნდა მივმართოთ. აქ ადამიანის ტვინის პროდუქტები წარმოგვიდგება დამოუკიდებელ არსებათა სახით, რომელნიც საკუთარი სიცოცხლით არიან დაჯილდოებულნი და განსაზღვრულ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და ადამიანებთან. ასევე ემართება საქონელთა სამყაროში ადამიანის ხელით შექმნილ პროდუქტებს. ამას მე ვუწოდებ ფეტიშიზმს, რომელიც დაერთვის შრომის პროდუქტებს, რამდენადაც მათ საქონელთა სახით

აწარმოებენ, და რომელიც, მაშასადამე, განუყრელია საქონელწარმოებისაგან.

საქონელთა სამყაროს ეს ფეტიშური ხასიათი გამომდინარეობს, როგორც ზემოთ მოცემულმა ანალიზმა უკვე გვიჩვენა, იმ შრომის თავისებური საზოგადოებრივი ხასიათიდან, რომელიც საქონელს აწარმოებს.

მონხარების საგნები საერთოდ მხოლოდ იმიტომ იქცევა საქონლად, რომ ისინი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოებული კერძო შრომის პროდუქტებია. ამ სხვადასხვა კერძო შრომის კომპლექსი შეადგენს საზოგადოების ერთობლივ შრომას. რადგან მწარმოებელნი საზოგადოებრივ კონტაქტში მხოლოდ თავიანთი შრომის პროდუქტთა გაცვლის საშუალებით შედიან, ამიტომ მათი კერძო შრომის სპეციფიკური საზოგადოებრივი ხასიათიც მხოლოდ ამ გაცვლის ფარგლებში ვლინდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სხვადასხვა კერძო შრომა სინამდვილეში ხორციელდება მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი შრომის რგოლი იმ ურთიერთობის საშუალებით, რომელსაც გაცვლა ამყარებს შრომის პროდუქტებს შორის და ამ უკანასკნელთა მეშვეობით მწარმოებლებს შორის. ამიტომ ამ უკანასკნელთ მათი კერძო შრომის საზოგადოებრივი ურთიერთობა ეჩვენებათ ისე, როგორც ნამდვილად არის, ე. ი. ეჩვენებათ არა როგორც პიროვნებათა უშუალო საზოგადოებრივი ურთიერთობა თვით მათს შრომაში, არამედ, პირიქით, როგორც პიროვნებათა ნივთობრივი ურთიერთობა და ნივთთა საზოგადოებრივი ურთიერთობა.

შრომის პროდუქტები მხოლოდ თავიანთ გაცვლის ფარგლებში იღებენ საზოგადოებრივად თანატოლ ღირებულებითს საგნობრიობას, რომელიც გამოთიშულია მათი გრძნობადად განსხვავებული სახმარი საგნობრიობისაგან. შრომის პროდუქტის ეს გათიშვა სასარგებლო ნივთად და ღირებულება-ნივთად პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა გაცვლა უკვე საკმაოდ გავრცელებული და იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ სასარგებლო ნივთები გაცვლისთვის იწარმოება, მაშასადამე, ნივთთა ღირებულებითი ხასიათი უკვე თვით მათი წარმოების დროს მიიღება მხედველობაში. ამ მომენტიდან დაწყებული, მწარმოებელთა კერძო შრომა ფაქტიურად ორად საზოგადოებრივ ხასიათს იღებს. ერთი მხრივ, როგორც განსაზღვრული სასარგებლო შრომა, იგი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას და, ამრიგად, ადასტურებდეს, რომ იგი რგოლია ერთობლივი შრომისა, ე. ი. შრომის საზოგადოებრივი

დანაწილების ბუნებრივად აღმოცენებული სისტემისა. მეორე მხრივ, თავის საკუთარ მწარმოებელთა მრავალგვარ მოთხოვნალებას იგი მხოლოდ იმდენად აკმაყოფილებს, რამდენადაც ერთი განსაკუთრებული სასარგებლო კერძო შრომა მეორე განსაკუთრებული სახეობის სასარგებლო კერძო შრომაზე შეიძლება გაცვლილ იქნას და, მაშასადამე, მას ეტოლება. *Toto coelo* [ყოველმხრივ] ერთიმეორისაგან განსხვავებულ შრომათა ტოლობა შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ მათი ნამდვილი უტოლობისაგან აბსტრაქციაში, მათ დაყვანაში იმ საერთო ხასიათზე, რომელიც მათ აქვთ, როგორც ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვას, როგორც ადამიანის აბსტრაქტულ შრომას. კერძო მწარმოებელთა ტენი მხოლოდ ასახავს მათი კერძო შრომის ამ ორად საზოგადოებრივ ხასიათს იმ ფორმებით, რომლებიც პრაქტიკულ ურთიერთობაში, პროდუქტთა გაცვლაში გვევლინებიან; მაშასადამე, მათი კერძო შრომის საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათს ასახავს ისეთი ფორმით, რომ შრომის პროდუქტი უნდა იყოს სასარგებლო, სახელდობრ, სხვებისთვის სასარგებლო; სხვადასხვაგვარი შრომის ტოლობის საზოგადოებრივ ხასიათს იგი ასახავს ამ მატერიალურად განსხვავებული ნივთების, შრომის პროდუქტების, საერთო ღირებულებითი ხასიათის ფორმით.

მაშასადამე, ადამიანები თავიანთი შრომის პროდუქტებს უპირისპირებენ ერთიმეორეს როგორც ღირებულებებს არა იმიტომ, რომ მათთვის ეს ნივთები ადამიანის ერთგვაროვანი შრომის მხოლოდ ნივთობრივ გარსს წარმოადგენენ. პირიქით. როცა ისინი უტოლებენ თავიანთ სხვადასხვაგვარ პროდუქტებს ერთიმეორეს როგორც ღირებულებებს გაცვლის პროცესში, ამით ისინი უტოლებენ ერთიმეორეს თავის სხვადასხვა შრომას როგორც ადამიანის შრომას. მათ ეს არ იციან, მაგრამ ასე იქცევიან²⁷. ამრიგად, ღირებულებას უშობლზე არ აწერია თავისი ვინაობა. კიდევ მეტი: ღირებულება შრომის ყოველ პროდუქტს საზოგადოებრივ იეროგლიფად აქცევს. შემდეგში ადამიანები ცდილობენ გამოიციონ ამ იეროგლიფის აზრი, ჩასწვდნენ თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი პროდუქტის საიდუმლოებას,

²⁷ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. იმიტომ, როდესაც გალიანი ამბობს: ღირებულება არის ორ პიროვნებას შორის ურთიერთობა — «*La Ricchezza è una ragione tra due persone*», — ამ სიტყვებისთვის მას უნდა დაემატებინა: ნივთობრივ გარსში დაფარული ურთიერთობა (Galiani: «*Della Moneta*», გვ. 221, ტ. III *Custodi*-ს კრებულისა: «*Scrittori Classici Italiani di Economia Politica*». Parte Moderna. Milano 1803).

ვინაიდან განსაზღვრა მოხმარების საგნებისა როგორც ღირებულებებისა, ადამიანთა საზოგადოებრივი პროდუქტია, ისე როგორც; მაგალითად, ენა. შემდგომი მეცნიერული აღმოჩენა, რომ შრომის პროდუქტები, რამდენადაც ისინი ღირებულებებია, მათს წარმოებაზე დახარჯული ადამიანის შრომის მხოლოდ ნივთობრივ გამოხატულებებს წარმოადგენენ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მთელ ეპოქას ქმნის, მაგრამ იგი სრულიადაც ვერ სძობს შრომის საზოგადოებრივი ხასიათის საგნობრივ გარეგნულობას. ის, რაც წარმოების ამ განსაკუთრებული ფორმისათვის, საქონელწარმოებისათვის, ძალაშია, სახელდობრ ის, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კერძო შრომათა სპეციფიკური საზოგადოებრივი ხასიათი მდგომარეობს მათს, როგორც ადამიანის შრომის, თანატოლობაში, და რომ იგი შრომის პროდუქტთა ღირებულებითი ხასიათის ფორმას იღებს, — ეს იმათ, ვინც საქონელწარმოების ურთიერთობითაა შებოქილი, როგორც ზემოაღნიშნულ აღმოჩენამდე, ისე მის შემდეგაც, ისევე ურყევად ეჩვენებათ, როგორც ის, რომ ჰაერი — როგორც ფიზიკური სხეულებრივი ფორმა — ძველებურად განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებამ იგი მის შემადგენელ ელემენტებად დაშალა.

პროდუქტების გამცვლელთ პრაქტიკულად უწინარეს ყოვლისა ის საკითხი აინტერესებთ, თუ სხვის რამდენ პროდუქტს მიიღებენ ისინი თავიანთ საკუთარ პროდუქტში, მაშასადამე, რა პროპორციით მოხდება პროდუქტთა ერთიმეორეზე გაცვლა. როდესაც ეს პროპორცია ერთგვარ ჩვეულებებისებურ სიმტკიცეს აღწევს, მაშინ გვეჩვენება, თითქოს იგი თვით შრომის პროდუქტთა ბუნებიდან გამომდინარეობს, ასე რომ, მაგალითად, ერთი ტონა რკინა და ორი უნცი ოქრო ერთნაირი ღირებულებისაა, ისე როგორც ერთი გირვანქა ოქრო და ერთი გირვანქა რკინა, [მიუხედავად მათი სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური თვისებებისა, ერთნაირი წონისაა. შრომის პროდუქტთა ღირებულებითი ხასიათი სინამდვილეში მხოლოდ მაშინ იღებს სიმტკიცეს, როდესაც ეს პროდუქტები მოქმედებას იწყებენ როგორც ღირებულებითი სიდიდენი. ეს უკანასკნელნი მუდმივად იცვლებიან, პროდუქტების გამცვლელთა სურვილისა, წინასწარცოდნისა და საქმიანობისაგან დამოუკიდებლად. მათი საკუთარი საზოგადოებრივი მოძრაობა მათ თვალში იღებს საგნების მოძრაობის ფორმას, რომლის კონტროლქვეშ ისინი იმყოფებიან, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გაუწიონ მას კონტროლი. საჭიროა სავსებით განვითარებული საქონელწარმოება იმისათვის, რათა თვით გამოცდილებამ წარმოშვას მეცნიერული გაგება იმისა, რომ სხვადასხვა კერძო შრომა,

ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოებული, მაგრამ როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივად აღმოცენებული რგოლები ყოველმხრივ ერთმანეთზე დამოკიდებულნი, — მუდამ დაიყვანება თავის საზოგადოებრივად განსაზღვრულ პროპორციულ საზომზე, ვინაიდან კერძო შრომათა პროდუქტების შემთხვევითსა და განუწყვეტლად მერყევ საცვლელ შეფარდებაში ამ პროდუქტების წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო ძალდატანებით ხორციელდება როგორც მარეგულირებელი ბუნებრივი კანონი, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, მიზიდულობის კანონი ვლინდება, როცა ვინმეს თავზე სახლი ენგრევა²⁸. ამიტომ ღირებულების სიდიდის განსაზღვრა სამუშაო დროით არის საიდუმლოება, რომელიც დაფარულია საქონელთა შეფარდებითი ღირებულების თვალნათლივ მოძრაობაში. ამ საიდუმლოების აღმოჩენა სპობს ილუზიას, თითქოს შრომის პროდუქტთა ღირებულების სიდიდის განსაზღვრა წმინდა შემთხვევითი იყოს, მაგრამ იგი სრულიადაც არ სპობს ღირებულების სიდიდის ნივთობრივ ფორმას.

აზროვნება ადამიანთა ცხოვრების ფორმების შესახებ და, მაშასადამე, ამ ფორმების მეცნიერული ანალიზიც, საერთოდ ნამდვილი განვითარების საწინააღმდეგო გზას იჩიევს. ეს აზროვნება იწყება post festum და ამიტომ განვითარების პროცესის დამთავრებულ შედეგებს იღებს ამოსავალ წერტილად. იმ ფორმებს, რომლებიც შრომის პროდუქტებს საქონლის ბეჭედს ასვამენ და ამიტომ საქონელმიმოქცევის წანამძღვარს წარმოადგენენ, უკვე აქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების ნატურალური ფორმების სიმტკიცე, სანამ ადამიანი შეეცდებოდეს თავის თავს ანგარიში მისცეს არა ამ ფორმების ისტორიული ხასიათის შესახებ, — ეს ფორმები მას, პირიქით, უკვე უცვლელად მიაჩნია, — არამედ მათი შინაარსის შესახებ. ამრიგად, მხოლოდ საქონელთა ფასების ანალიზმა მიგვიყვანა ღირებულების სიდიდის განსაზღვრამდე, მხოლოდ საქონელთა საერთო ფულადმა გამოხატულებამ მიგვიყვანა მათი ღირებულებითი ხასიათის ფიქსაციამდე. მაგრამ სწორედ საქონელთა სამყაროს ეს დამთავრებული ფორმა — ფულადი

²⁸ «რა უნდა ვიფიქროთ ისეთ კანონზე, რომელსაც მხოლოდ პერიოდული რევოლუციების გზით შეუძლია განხორციელდეს? იგია სწორედ ბუნების კანონი, რომელიც მონაწილეთა შეუგნებლობაზეა დამყარებული» (Friedrich Engels: «Umriss zu einer Kritik der Nationalökonomie» «Deutsch-Französische Jahrbücher», herausgegeben von Arnold Ruge und Karl Marx. Paris 1844). [შეად. ფ. ენგელსი ი. «ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი 1947, გვ. 26.]

ფორმა — ჰფარავს ნივთთა საბურვლით კერძო შრომათა საზოგადოებრივ ხასიათს და, მაშასადამე, კერძო მწარმოებელთა საზოგადოებრივ ურთიერთობას, ნაცვლად იმისა, რომ გამოამჟღავნოს ეს ურთიერთობა. როცა მე ვამბობ, რომ სერთუკი, ფეხსაცმელი და სხვ. შეეფარდება ტილოს, როგორც ადამიანის აბსტრაქტული შრომის საყოველთაო განსხეულებას, ამ გამოთქმის უაზრობა ყველას თვალში ეცემა. მაგრამ, როცა სერთუკის, ფეხსაცმლის და სხვ. მწარმოებელნი ამ საქონელთ უფარდებენ ტილოს ან — რაც სრულიად არ ცვლის საქმეს — ოქროსა და ვერცხლს, როგორც საყოველთაო ეკვივალენტს, მაშინ მათი კერძო შრომის შეფარდება ერთობლივ საზოგადოებრივ შრომასთან მათ სწორედ ამ უაზრო ფორმით წარმოუდგება.

სწორედ ამგვარი ფორმები შეადგენენ ბურჟუაზიული ეკონომიის კატეგორიებს. ესენი არიან საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, მაშასადამე, აზროვნების ობიექტური ფორმები ამ ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი წარმოების წესის — საქონელწარმოების — წარმოებითი ურთიერთობათათვის. ამიტომ საქონელთა სამყაროს მთელი მისტიციზმი, ყველა ის ჯადოსნობა და მოჩვენება, რომელიც საქონელწარმოების საფუძველზე შრომის პროდუქტებს ბურჟუაზი მხვევს, მყისვე ქრება, როგორც კი ჩვენ წარმოების სხვა ფორმებზე გადავდივართ.

რადგან პოლიტიკურ ეკონომიას რობინზონადები უყვარს²⁸, უწინარეს ყოვლისა რობინზონს ვესტუმროთ მის კუნძულზე. თუმცა იგი თავიდანვე სულ უბრალო ცხოვრებას არის ჩვეული, მაგრამ მაინც უნდა დაიკმაყოფილოს სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება და ამიტომ უნდა შეასრულოს სხვადასხვა სახის სასარგებლო შრომა, მაგალითად, გააკეთოს სამუშაო იარაღი, დაამზადოს ავეჯეულობა, მოაშინაუროს ლამა, ითევენაოს, ინადიროს და სხვა. ლოცვასა და სხვა ამის მსგავსზე

²⁸ შენი შენა მე-2 გამოცემისათვის. რიკარდოსაც კი თავისი რობინზონადა აქვს. «იგი პირველყოფილ მეთევხესა და პირველყოფილ მონადირეს, როგორც საქონელმფლობელთ, დაუყოვნებლივ აცვლენინებს ერთიმეორეზე თევზსა და ნანადირევს იმ სამუშაო დროის პროპორციულად, რომელიც ამ საცვლელ ღირებულებებშია გასაგნობრივებული. ამ შემთხვევაში იგი ვარდება ანაქრონიზმში, როცა ვარაუდობს რომ პირველყოფილი მეთევხე და პირველყოფილი მონადირე თავიანთი შრომის იარაღების შესაფასებლად მიმართავენ ყოველწლიური პროცენტების იმ საანგარიშო ცხრილს, რომელსაც 1817 წელს ლონდონის ბირჟაზე ხმარობდნენ. «ბ-ნი ოუნის პარალელოგრაფები», ჩანს, საზოგადოების ის ერთადერთი ფორმა იყო, რომელსაც, ბურჟუაზიული ფორმის გარდა, რიკარდო იცნობდა» (K. Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 38, 39). [შეად. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 66 — 67.]

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ, რადგან ჩვენი რობინზონი მასში სიამოვნებას პოულობს და ამგვარ მოქმედებას დასვენებად თვლის. მიუხედავად თავისი მწარმოებლური ფუნქციების სხვადასხვაობისა, მან იცის, რომ ეს ფუნქციები იმავე რობინზონის მოქმედების მხოლოდ სხვადასხვა ფორმაა, მაშასადამე, ადამიანის შრომის მხოლოდ სხვადასხვა სახეობაა. თვით გაჭირვება აიძულებს მას ზუსტად გაანაწილოს თავისი დრო ამ თავის სხვადასხვა ფუნქციებს შორის. თუ რომელი ფუნქცია დაიჭერს მეტ ადგილს მის ერთობლივ საქმიანობაში, ეს დამოკიდებულია იმ სიძნელის მეტნაკლებობაზე, რომელიც მან უნდა გადალახოს დასახული სასარგებლო ეფექტის მისაღწევად. ამას ასწავლის მას გამოცდილება, და ჩვენი რობინზონი, რომელმაც გემის დაღუპვის დროს საათი, თავდავთარი, მელანი და საწერ-კალამი გადაარჩინა, მალე იწყებს, როგორც ნამდვილი ინგლისელი, თავისი თავის შესახებ ანგარიშის წარმოებას. მისი საინვენტარო დავთარი შეიცავს ნუსხას მოსახმარი საგნებისას, რომელნიც მას გააჩნია, სხვადასხვა ოპერაციებისას, რომელნიც საჭიროა ამ საგნების საწარმოებლად, ბოლოს, იმ სამუშაო დროისას, რაც მას საშუალოდ ეხარჯება ამ სხვადასხვა პროდუქტთა განსაზღვრული რაოდენობის დასამზადებლად. მთელი ურთიერთობა რობინზონსა და იმ ნივთებს შორის, რომელნიც თვით მის მიერ შექმნილ სიმდიდრეს შეადგენენ, აქ იმდენად მარტივი და გამჭვირვალეა, რომ თვით ბატონი მაქს ვირტიც კი შეძლებდა მის გაგებას გონების განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე. და მიუხედავად ამისა, ეს ურთიერთობა ღირებულების ყველა არსებითს განსაზღვრას შეიცავს.

გადავიდეთ ახლა რობინზონის ნათელი კუნძულიდან ევროპის ბნელ შუა საუკუნეებში. დამოუკიდებელი ადამიანის ნაცვლად ჩვენ აქ ვხედავთ ყველას დამოკიდებულს — ყმებს და მებატონეებს, ვასალებს და სენიორებს, საერო პირებს და ხუცებს. პიროვნული დამოკიდებულება ახასიათებს აქ როგორც მატერიალური წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას, ისე ამ წარმოების საფუძველზე აგებული ცხოვრების სფეროებს. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ პიროვნული დამოკიდებულების ურთიერთობანი მოცემულ საზოგადოებრივ საფუძველს შეადგენენ, შრომასა და პროდუქტებს არ სჭირდებათ მათი რეალობისაგან განსხვავებული ფანტასტიკური ფორმის მიღება. საზოგადოებრივი ცხოვრების მექანიზმში ისინი ნატურალურ მომსახურებათა და ნატურალურ ბეგარათა სახით შედიან. შრომის უშუალო საზოგადოებრივ ფორმას აქ შეადგენს მისი ნატურალური ფორმა, მისი განსაკუთრებულობა და არა მისი საყოველთაობა, როგორც ამას ადგილი

აქვს საქონელწარმოებაზე დაბყარებულ საზოგადოებაში. საბეგროსაბატონო შრომა სწორედ იმგვარადვე გაიზომება დროის ხანგრძლიობით, როგორც საქონლის მწარმოებელი შრომაც, მაგრამ თვითუღმსუყმამ იცის, რომ თავისი ბატონის სამსახურში იგი თავისი პირადი სამუშაო ძალის განსაზღვრულ რაოდენობას ხარჯავს. ის სამეათედღა, რომელიც მან ხუცესს უნდა უხადოს, უფრო ნათელი რამ არის, ვიდრე ხუცესის ლოცვა-კურთხევა. ამიტომ, როგორი აზრისაც უნდა ვიყოთ იმ ნიშანდობლივ ნიღაბზე, რომლითაც აქ ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა პირთა საზოგადოებრივი ურთიერთობა მათს შრომაში ვლინდება აქ სწორედ როგორც მათი საკუთარი პიროვნული ურთიერთობა და არ არის გახვეული ნივთების, შრომის პროდუქტების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოსელში.

საერთო, ე. ი. უშუალოდ განსაზოგადოებული შრომის განსახილველად საჭირო არ არის მიემართოთ მის პირველყოფილ ფორმას, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ყველა კულტურული ხალხის ისტორიის ზღურბლზე³⁰. უფრო ახლო მაგალითს იძლევა სოფლად პატრიარქალური მრეწველობა გლეხის ოჯახისა, რომელიც თავისი საკუთარი საჭიროებისათვის აწარმოებს ხორბალს, პირუტყვს, ნართს, ტილოს, ტანსაცმელს და სხვა. ეს სხვადასხვა ნივთი ოჯახისათვის წარმოადგენს მისი საოჯახო შრომის სხვადასხვა პროდუქტს, მაგრამ ეს პროდუქტები თვითონ არ უპირდაპირდებიან ერთმანეთს საქონელთა სახით. სხვადასხვა შრომა, რომელიც ამ პროდუქტებს ქმნის, მაგალითად, ხენა-თესვა, პირუტყვის მოშენება, რთვა, ქსოვა, თერძობა და სხვა, თავისი ნატურალური ფორმით საზოგადოებრივ ფუნქციებს წარმოადგენს, ვინაიდან ესაა ფუნქციები ოჯახისა, რომელსაც, ისევე

³⁰ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. «ამ ბოლო დროს გავრცელდა სასაცილო ცრუ შეხედულება, თითქოს პირველყოფილი თემური საკუთრების ფორმა სპეციფიკურად სლავური ან თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ რუსული ფორმა იყოს. იგი პირველყოფილი ფორმაა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ რომაელებსა, გერმანელებსა და კელტებს შორის; ინდოელებში კი დღესაც ვხვდებით ამის მრავალნაირ ნიმუშებს, თუმცა ნაწილობრივ უკვე დაშლილი სახით. თემური საკუთრების აზიური, განსაკუთრებით ინდური ფორმების უფრო გულდასმითი შესწავლა დაგვიმტკიცებდა, თუ პირველყოფილი თემური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან როგორ წარმოდგება მისი დაშლის სხვადასხვა ფორმები. ასე, მაგალითად, რომაული და გერმანული კრძო საკუთრების სხვადასხვა ორიგინალური ტიპები შეიძლება გამოყვანილ იქნან ინდური თემური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან» (Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 10). [შეად. კარლ მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი 1953, გვ. 25 — 26.]

როგორც საქონელწარმოებას, შრომის თავისი საკუთარი, ბუნებრივად აღმოცენებული დანაწილება აქვს. სქესისა და ასაკის განსხვავებანი, ისევე როგორც შრომის ბუნებრივი პირობები, რომელნიც წელიწადის დროის ცვლასთან ერთად იცვლებიან, აწესრიგებენ შრომის დანაწილებას ოჯახში და ოჯახის ცალკეულ წევრთა სამუშაო დროს. მაგრამ ინდივიდუალურ სამუშაო ძალთა დახარჯვა, რომელიც დროის ხანგრძლიობით გაიზომება, გვევლინება აქ იმთავითვე თვით შრომის საზოგადოებრივ განსაზღვრად, რადგან ინდივიდუალური სამუშაო ძალები იმთავითვე მოქმედებენ აქ როგორც ოჯახის საერთო სამუშაო ძალის ორგანოები.

ბოლოს, სხვადასხვაობისათვის, წარმოვიდგინოთ თავისუფალ ადამიანთა კავშირი, რომელნიც წარმოების საერთო საშუალებებით მუშაობენ და თავიანთ მრავალ ინდივიდუალურ სამუშაო ძალას შეგნებულად ხარჯავენ როგორც ერთ საზოგადოებრივ სამუშაო ძალას. რომინზონის შრომის ყველა განსაზღვრა მეორდება აქ, მხოლოდ საზოგადოებრივად და არა ინდივიდუალურად. რომინზონის შრომის ყველა პროდუქტი მხოლოდ და მხოლოდ მისი პირადი პროდუქტი იყო და, მაშასადამე, უშუალოდ მოხმარების საგანი მისთვის. თავისუფალ ადამიანთა კავშირის შრომის ერთობლივი პროდუქტი საზოგადოებრივი პროდუქტია. ამ პროდუქტის ერთი ნაწილი კვლავ გამოიყენება როგორც წარმოების საშუალებანი. იგი საზოგადოებრივი რჩება. მეორე ნაწილს კი საარსებო საშუალებათა სახით კავშირის წევრები ხმარობენ. ამიტომ იგი მათ შორის უნდა განაწილდეს. ამ განაწილების წესი იცვლება თვით საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმის განსაკუთრებული სახისა და მწარმოებელთა ისტორიული განვითარების სათანადო დონის შესაბამისად. მხოლოდ იმისთვის, რომ პარალელი გავავლოთ საქონელწარმოებასთან, ვიგულისხმოთ, რომ თვითეული მწარმოებლის წილი საარსებო საშუალებებში ამ მწარმოებლის სამუშაო დროით განისაზღვრება. მაშასადამე, სამუშაო დრო შეასრულებდა ორმაგ როლს. მისი საზოგადოებრივად გვემაზომიერი 'განაწილება' ამყარებს შრომის სხვადასხვა ფუნქციის სწორ შეფარდებას სხვადასხვა მოთხოვნილებასთან. მეორე მხრივ, სამუშაო დრო ამასთანავე საზომია მწარმოებელთა ინდივიდუალური მონაწილეობისა საერთო შრომაში და, მაშასადამე, საერთო პროდუქტის ინდივიდუალურად მოსახმარ ნაწილშიც. ადამიანთა საზოგადოებრივი დამოკიდებულება თავიანთი შრომისადმი და თავიანთი შრომის პროდუქტებისადმი აშკარად მარტივი რჩება როგორც წარმოებაში, ისე განაწილებაში.

საქონელმწარმოებელთა საზოგადოებისათვის, რომლის საყოველთაო საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებელი თავიანთ პროდუქტებს ეპყრობიან როგორც საქონელს, მაშასადამე, როგორც ღირებულებას, და ამ ნივთობრივ ფორმაში თავიანთ კერძო შრომას ერთიმეორეს უფარდებენ როგორც ადამიანის ერთნაირ შრომას, — ასეთი საზოგადოებისათვის ქრისტიანობა, მისი აბსტრაქტული ადამიანის კულტით, განსაკუთრებით მისი განვითარების ბურჟუაზიულ საფეხურზე, პროტესტანტიზმით, დეიზმით და სხვ., ყველაზე შესაფერი რელიგიური ფორმაა. ძველი აზიური, ანტიკური და სხვ. წარმოების წესების დროს შრომის პროდუქტის საქონლად გადაქცევა და, მაშასადამე, ადამიანთა არსებობაც საქონელმწარმოებელთა სახით, დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, მაგრამ ეს როლი მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც უფრო ძლიერდება თემური წყობილების რღვევის პროცესი. მოვაჭრე ხალხები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არსებობენ მხოლოდ ძველი ქვეყნის ნაპრალებში, როგორც ეპიკურეს ღმერთები, ან როგორც ებრაელები პოლონური საზოგადოების სვრეტებში. ეს ძველი საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმები გაცილებით უფრო მარტივია და ცხადი, ვიდრე ბურჟუაზიული, მაგრამ ისინი დამყარებული არიან ან მოუმწიფებლობაზე ინდივიდუალური ადამიანისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია სხვებთან ბუნებრივ-გვაროვნული კავშირის ჭიპლარი, ანდა დამყარებული არიან უშუალო ბატონობისა და დამონების ურთიერთობაზე. მათი არსებობა გაპირობებულია შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარების დაბალი საფეხურით და ადამიანთა სათანადოდ შეზღუდული ურთიერთობით მათი მატერიალური ცხოვრების შექმნის პროცესში, მაშასადამე, შეზღუდული ურთიერთობით ერთიმეორესთან და ბუნებასთან. ეს რეალური შეზღუდულობა იდეალურად აისახება ძველ ნატურალურ და ხალხურ რელიგიებში. რეალური სამყაროს რელიგიური ასახულობა შეიძლება საერთოდ მხოლოდ მაშინ გაქრეს, როცა ადამიანთა პრაქტიკული საყოველღეო ცხოვრების ურთიერთობა გამოხატული იქნება განუწყვეტლივ როგორც გამჭვირვალე და გონივრული დამოკიდებულება ადამიანებისა ერთიმეორესთან და ბუნებასთან. საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის, ე. ი. მატერიალური წარმოებითი პროცესის, სახე მხოლოდ მაშინ მოიხსნის თავის მისტიკურ ბურუსიან საბურველს, როცა იგი საზოგადოებრივ კავშირში თავისუფლად გაერთიანებულ ადამიანთა პროდუქტი გახდება და მათს შეგნებულ გეგმაზომიერ კონტროლს დაექვემდებარება. მაგრამ ამისთვის აუცილებელია საზოგადოების

მატერიალური საფუძველი ანუ მისი არსებობის მთელი რიგი მატერიალური პირობები, რომელნიც თავის მხრივ ხანგრძლივი და ტანჯვით აღსავსე ისტორიული განვითარების ბუნებრივად აღმოცენებულ შედეგს წარმოადგენენ.

მართალია, პოლიტიკურმა ეკონომიამ ანალიზი გაუკეთა — თუმცა არასაკმაოდ³¹ — ღირებულებას და ღირებულების სიდიდეს და ამ

³¹ ღირებულების სიდიდის შესახებ რიკარდოს ანალიზის არასაკმარისობას — ეს ანალიზი კი ყველაზე უკეთესია — ამ შრომის მესამე და მეოთხე წიგნიდან დაიგნახავთ. ხოლო არც შეეხება ღირებულებას საერთოდ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია არსად რა განასხვავებს მკაფიოდ და შეგნებულად შრომას, როგორც იგი ღირებულებით გამოიხატება, იმავე შრომისაგან, რანდენადაც იგი თავისი პროდუქტის სახმარი ღირებულებით გამოიხატება. ფაქტიურად იგი მათ, რასაკვირველია, განასხვავებს, რადგან იგი შრომას ერთ შემთხვევაში რაოდენობრივად განიხილავს, მეორეში კი — თვისებრივად. მაგრამ მას ახრადაც არ მოსდის, რომ შრომათა მარტოოდენ რაოდენობრივი განსხვავება გულისხმობს მათს თვისებრივ ერთიანობას ანუ ტოლობას, მაშასადამე, მათ დაყვანას ადამიანის აბსტრაქტულ შრომაზე. რიკარდო, მაგალითად, აცხადებს, რომ იგი ერთანბნება დესტიუტ-დე-ტრასის, როცა ეს უკანასკნელი ამბობს: «რადგან უეჭველია, რომ ჩვენი ფიზიკური და სულიერი უნარი ჩვენს ერთადერთ თავდაპირველ სიმდიდრეს შეადგენს, ამიტომ ამ უნარის გამოყენება, ე. ი. ამა თუ იმ სახის შრომა, ჩვენი თავდაპირველი განძია; და მუდამ ამ გამოყენებით იქნება ყველის ნივთი, რომელსაც ჩვენ სიმდიდრეს ვუწოდებთ... უეჭველია ამათთანავე, რომ ყოველი ეს ნივთი მხოლოდ იმ შრომას წარმოადგენს, რომელმაც იგი შექმნა და თუ იგი შეიცავს ღირებულებას, ან ორ სხვადასხვა ღირებულებასაც კი, მაშინ მას შეუძლია ეს ღირებულება მხოლოდ მისი შემქმნელი შრომის ღირებულებისაგან მიიღოს» (R i c a r d o: «The Principles of Polit. Econ.», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 334). [შეად: დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937. გვ. 236.] ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დესტიუტს რიკარდო თავის საკუთარ უფრო ღრმა აზრს მიაწერს. თუმცა დესტიუტი, ერთი მხრივ, მართლა ამბობს, რომ ყველა ნივთი, რომელნიც სიმდიდრეს შეადგენენ, იმ შრომას წარმოადგენენ, რომელმაც ისინი შექმნა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ ისინი თავის «ორ სხვადასხვა ღირებულებას» (სახმარ ღირებულებას და საცკლელ ღირებულებას) «შრომის ღირებულებისაგან» ღებულობენ. ამით დესტიუტი იმავე შეუსაბამობაში ვარდება, რაშიც ვულგარული პოლიტიკური ეკონომია, რომელიც ერთი საქონლის (ამ შემთხვევაში შრომის) ღირებულებას წინასწარ გულისხმობს, რათა შემდეგ მისი საშუალებით სხვა საქონელთა ღირებულება განსაზღვროს. რიკარდოს კი დესტიუტის სიტყვები ისე ესმის, რომ როგორც სახმარი ღირებულებით, ისე საცკლელი ღირებულებით გამოიხატება შრომა (და არა შრომის ღირებულება). მაგრამ თვით რიკარდო იმდენად სუსტად განასხვავებს იმ შრომის ორად ხასიათს, რომელიც ორგვარად არის წარმოდგენილი, რომ მთელი ერთი თავის მანძილზე: «Value and Riches, their Distinctive Properties» [ღირებულება და სიმდიდრე, მათი დამახასიათებელი თვისებებუბანია] იძულებულია გულმოდგინეთ ეკამათოს ვინმე ე. ბ. სეის გაკვეთილ აზრებს. ამიტომაც იგი ბოლოს სრულიად განკვირვებულია, რომ თუმცა დესტიუტი მასთან ერთად ღირებულების წყაროდ შრომას აღიარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღირებულების ცნების განსაზღვრაში მაინც სეის ემზრობა.

ფორმებში დაფარული შინაარსი აღმოაჩინა. მაგრამ მას არც კი წამოუყენებია ოდესმე საკითხი, თუ რატომ იღებს ეს შინაარსი ამ ფორმას, მაშასადამე, რატომ გამოიხატება შრომა ღირებულებით და შრომის ხანგრძლიობა, როგორც მისი საზომი, — შრომის პროდუქტის ღირებულების სიდიდით?³² ფორმულები, რომელთაც შუბლზე აწერიათ, რომ ისინი ეკუთვნიან იმ საზოგადოებრივ ფორმაციას, სადაც ჯერ კიდევ ადამიანი კი არ ბატონობს წარმოების პროცესზე, არამედ წარმოების პროცესი ბატონობს ადამიანზე, — მის ბურჟუაზიულ

³² კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მან ვერასდროს ვერ მოახერხა საქონლის ანალიზიდან და კერძოდ საქონლის ღირებულების ანალიზიდან გამომდინარე ღირებულების ფორმა, რომელიც ამ ღირებულებას სწორედ საცვლელ ღირებულებად ხდის. სწორედ თავის საუკეთესო წარმომადგენელთა სახით, როგორცაა ა. სმიტი და რიკარდო, იგი განიხილავს ღირებულების ფორმას როგორც სრულიად განურჩეველს ანდა თვით საქონლის ბუნებისათვის გარეგან რაიმეს. ამის მიზეზი მარტო ის კი არაა, რომ მის ყურადღებას ღირებულების სიდიდის ანალიზი მთლიანად იპყრობს. იგი უფრო ღრმავა. შრომის პროდუქტის ღირებულების ფორმა ყველაზე უფრო აბსტრაქტული, მაგრამ ამასთანავე ყველაზე საყოველთაო ფორმაა ბურჟუაზიული წარმოების წესისა, რომელიც ამით ხასიათდება როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული სახეობა და ამით ამასთანავე ერთად ხასიათდება ისტორიულად; ამიტომ, თუ ბურჟუაზიულ წარმოების წესს საზოგადოებრივი წარმოების მარადიულ ბუნებრივ ფორმად დავსახავთ, მაშინ აუცილებლად შეუძენველი დარჩება აგრეთვე სპეციფიკურობა ღირებულების ფორმისა, მაშასადამე, საქონლის ფორმისა, შემდგომ განვითარებაში კი — ფულადი ფორმისა, კაპიტალის ფორმისა და სხვა. ამიტომ იმ ეკონომისტების ნაწერებში, რომელნიც სავსებით შეთანხმებულნი არიან იმაში, რომ ღირებულების სიდიდის საზომს სამუშაო დრო წარმოადგენს, ჩვენ ვხვდებით უღირსად აჭრელბულ და წინააღმდეგობით აღსავსე შეხედულებებს ფულზე, ე. ი. საყოველთაო ეკვივალენტის დასრულებულ ფორმაზე. განსაკუთრებით ცხადად ჩანს ეს, მაგალითად, საბანკო საქმის განხილვის დროს, როცა ფულის ჩვეულებრივი ვულგარული განმარტებებით შორს ვერ წახვალ. ამის საწინააღმდეგოდ წარმოიშვა რესტავრირებული მერკანტილური სისტემა (განილი და სხვ.), რომელიც ღირებულებაში მხოლოდ საზოგადოებრივ ფორმას ხედავს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ მის გამონაკრთომს, მოკლებულს ყოველგვარ სუბსტანციას. აქ ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღვნიშნო, რომ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიად მე ვგულისხმობ მთელ იმ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც, დაწყებული ვ. პეტით, იკვლევს ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის შინაგან კავშირს, წინააღმდეგ ვულგარული ეკონომიისა, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითი კავშირის სფეროში ტრიალებს და იმ მასალას, რომელიც დიდი ხანია დამუშავა მეკნიერულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, განუწყვეტლივ ხელახლად ღეჟავს იმ მიზნით, რათა გასაგები გახადოს, ან ვთქვათ, ტლანქი მოკლენები და შეუფერხებს მისი ბურჟუაზიის საშინაო მოთხოვნილებას; დანარჩენში კი იგი იმით კმაყოფილდება, რომ პედანტურად სისტემაში მოიყვანოს ბურჟუაზიული წარმოების აგენტების გაცვეთილი და მედიდურობით სავსე წარმოდგენანი მათს საკუთარ საუკეთესო სამყაროზე და ისინი მარადიულ კემშარიტებებად გამოაცხადოს.

შეგნებას მიაჩნია ისეთსავე თავისთავად გასაგებ ბუნებრივ აზრებზე-
ლობად, როგორც თვით მწარმოებლური შრომა. ამიტომ ეს ფორმაცია
საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმის წინაბურჟუაზიულ ფორმებს
დაახლოებით ისე ებყრობა, როგორც საეკლესიო მამები წინაქრის-
ტიანულ რელიგიებს ებყრობოდნენ³³.

³³ «ეკონომისტებს მსჯელობის უცნაური წესი აქვთ. მათთვის მხოლოდ ორგვარი
დაწესებულება არსებობს — ხელოვნური და ბუნებრივი. ფეოდალური დაწესებულებანი
ხელოვნურია, ბურჟუაზიული კი — ბუნებრივი. ამ მხრივ ისინი მოგვაგონებენ თეოლო-
გებს, რომელნიც აგრეთვე ორგვარ რელიგიას აწესებენ. ყოველი რელიგია, რომელიც
მათი არ არის, ადამიანის გამოწავლია, ხოლო მათი საკუთარი რელიგია — ღვთისური
გამოცხადებაა. ამგვარად, ოდესღაც იყო ისტორია, მაგრამ დღეს იგი აღარ არის»
(Karl Marx: «Misère de la Philosophie. Réponse à la Philosophie de la
Misère de M. Proudhon», 1847, გვ. 113). [შეად. კარლ მარქსი: «ფილოსო-
ფიის სილატაჟე», თბილისი 1938, გვ. 111.] ჭეშმარიტად სასაცილოა ბ-ნი ბასტია,
რომელიც ფიქრობს, ვითომც ძველი ბერძნები და რომაელები მხოლოდ ძარცვა-გლე-
ჯით ცხოვრობდნენ. მაგრამ ადამიანმა რომ მთელი საუკუნეები ძარცვა-გლეჯით
იცხოვროს, ამისთვის მუდამ უნდა მოიპოვებოდეს საძარცვი რამ, ე. ი. საძარცვი
საგნის განუწყვეტელი კლავწარმოება უნდა ხდებოდეს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ
ბერძნებსაც და რომაელებსაც ჰქონდათ რაიმე წარმოების პროცესი, მაშასადამე, რაიმე
ეკონომიკა, რომელიც მათი ქვეყნის მატერიალურ საფუძველს შეადგენდა სწორედ ისევე,
როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკა თანამედროვე ქვეყნის საფუძველს შეადგენდა. ან იქნებ
ბასტიან ფიქრობს, რომ მონურ შრომაზე დამყარებული წარმოების წესი ძარცვა-გლეჯის
სისტემას ეყრდნობა? მაშინ იგი საზიფათო გზას ადგება. თუ კი აზროვნების ისეთი
ბუმბერაზი, როგორიც არისტოტელეა, მონური შრომის შეფასებაში სცდებოდა, მაშინ
როგორ შეეძლო აერჩია სწორი გზა დაქირავებული შრომის შეფასებაში ისეთ ქონდ-
რის კაცს, როგორიც ბასტიაა? — ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა მოკლედ ვუპასუ-
ხო შენიშვნაზე, რომელიც მოთავსებული იყო ერთ გერმანულ-ამერიკულ გაზეთში
ჩემი შრომის — «Zur Kritik der Politischen Oekonomie», 1859, — გამოქვეყნების
გამო. გაზეთის აზრით, ჩემი შეხედულება, რომ განსაზღვრული წარმოების წესი და
მისი მუდამ შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობანი, მოკლედ, «საზოგადოების ეკო-
ნომიური სტრუქტურა შეადგენს რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და
პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების
განსაზღვრული ფორმები შეესაბამება», და რომ «მატერიალური ცხოვრების წარმოე-
ბის წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ
პროცესს» [კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953,
გვ. 10], — ყველაფერი ეს, გაზეთის აზრით, თუმცა სწორია დღევანდელი ქვეყნის მი-
მართ, სადაც გაბატონებულია მატერიალური ინტერესები, მაგრამ არ არის სწორი
არც შუა საუკუნეებისათვის, სადაც კათოლიციზმი ბატონობდა, და არც ათენისა და
რომისათვის, სადაც გაბატონებული იყო პოლიტიკა. უწინარეს ყოვლისა, საკვირვე-
ლია, თუ ვისმე ჰგონია, რომ ეს გაცვეთილი ფრაზები შუა საუკუნეებისა და ანტიკური
ქვეყნის შესახებ ვისთვისმე უცნობი იყო. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ შუა
საუკუნეებს არ შეეძლო ეცხოვრა კათოლიციზმით და ანტიკურ ქვეყანას — პოლიტი-
კით. პირიქით, ის წესი, რომლითაც აქ საარსებო საშუალებათა მოპოვება ხდებოდა,

თუ რამდენად შეჰყავს შეცდომაში ზოგიერთი ეკონომისტი საქონელთა სამყაროს დამახასიათებელ ფეტიშიზმს, ანუ შრომის საზოგადოებრივ განსაზღვრათა საგნობრივ გარეგან სახეს, ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს მოსაწყენი და უაზრო კამათი ბუნების როლის შესახებ საცვლელი ღირებულების შექმნაში. რადგან საცვლელი ღირებულება განსაზღვრული საზოგადოებრივი ხერხია ნივთზე დახარჯული შრომის გამოსახატავად, ამიტომ მას არ შეუძლია შეიცავდეს უფრო მეტ ბუნებრივ ნივთიერებას, ვიდრე, მაგალითად, სათამაშუქო კურსი შეიცავს.

რადგან საქონლის ფორმა ბურჟუაზიული წარმოების ყველაზე უფრო საყოველთაო და ყველაზე განუვითარებელი ფორმაა, რის გამოც იგი ძალიან ადრე იწყებს არსებობას, თუმცა არა ისე გაბატონებული და, მაშასადამე, დამახასიათებელი სახით, როგორც ღღეს, ამიტომ გვეჩვენება, რომ მისი ფეტიშური ხასიათის განჭვრეტა ჯერ კიდევ შედარებით ადვილია. მაგრამ უფრო კონკრეტულ ფორმებში თვით ეს მოჩვენებითი სიმარტივეც ქრება. საიდან წარმოდგება მონეტარული სისტემის ილუზიები? იქიდან, რომ იგი ოქროსა და ვერცხლში ვერ ხედავდა იმას, რომ ისინი, როგორც ფული, გამოხატავენ საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთობას, მაგრამ გამოხატავენ ბუნებრივი ნივთების ფორმით, რომელთაც უცნაური საზოგადოებრივი თვისებები აქვთ. აიღეთ ახლა თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია, ასე მედიდურად რომ დასცინის მონეტარულ სისტემას: განა მისი ფეტიშიზმი აშკარა არ ხდება, როგორც კი იგი კაპიტალზე მსჯელობას იწყებს? განა დიდი ხანია, რაც გაქრა ფიზიოკრატების ილუზია, რომ მიწის რენტა მიწიდან გამომდინარეობს და არა საზოგადოებიდან?

მაგრამ საგანს რომ წინ არ გაუუსწროთ, ვიკმაროთ აქ კიდევ ერთი მაგალითი თვით საქონლური ფორმის შესახებ. საქონელთ რომ ენა ჰქონდეთ, ასე იტყოდნენ: ჩვენი სახმარი ღირებულება შეიძლება საინტერესო იყოს ადამიანისათვის. ჩვენ, როგორც ნივთებს, იგი სრულიად არ გვეკუთვნის. მაგრამ რაც ჩვენს ნივთობრივ ბუნებას ეკუთვნის, ეს არის ჩვენი ღირებულება. ამას ამტკიცებს ჩვენი, როგორც ნივთ-საქონელთა, საკუთარი მიმოქცევა. ჩვენ ერთმანეთს ვუპირისპირდებით

გვიხსნის, თუ რატომ ასრულებდა მთავარ როლს ერთ შემთხვევაში პოლიტიკა, მეორეში კი — კათოლიციზმი. გარდა ამისა, სრულიად საკმარისია, მაგალითად, რომის რესპუბლიკის ისტორიის ზერღელ გაცნობა იმის გასაგებად, რომ მისი ისტორიის საიდუმლოებას მიწის საკუთრების ისტორია შეადგენს. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ დონ-კიხოტი დაისაჯა იმ შემცდარი აზრის გამო, ვითომც მოხეტიალე რაინდობათანაბრად ეგუებოდეს საზოგადოების ყოველ ეკონომიურ ფორმას.

მხოლოდ როგორც საცვლელი ღირებულებანი. ყური დაუფგდოთ ახლა, თუ როგორ ლაპარაკობს საქონლის სულში ჩახედული ეკონომისტი: «ღირებულება (საცვლელი ღირებულება) ნივთების თვისებაა, სიმდიდრე (სახმარი ღირებულება) — ადამიანისა. ამ აზრით ღირებულება აუცილებლად გულისხმობს გაცვლას, სიმდიდრე კი — არაა»³⁴. «სიმდიდრე (სახმარი ღირებულება) არის ადამიანის ატრიბუტი, ღირებულება კი — საქონელთა ატრიბუტი. ადამიანი ან საზოგადოება მდიდარია, ხოლო მარგალიტი ან ალმასი — ძვირფასი... მარგალიტს ან ალმასს ღირებულება აქვს როგორც მარგალიტს ან ალმასს»³⁵. დღემდე არც ერთ ქიმიკოსს არ აღმოუჩენია მარგალიტსა და ალმასში საცვლელი ღირებულება. ხოლო ამ ქიმიური სუბსტანციის აღმომჩენი ეკონომისტები, რომელნიც ღრმა კრიტიკულ აზროვნებას განსაკუთრებით ჩემულობენ, ფიქრობენ, რომ ნივთთა სახმარი ღირებულება დამოუკიდებელია მათი ნივთიერი თვისებებისაგან, ღირებულება კი, პირიქით, თანდაყოლილი აქვთ მათ, როგორც ნივთებს. ამას მათ უდასტურებს ის უცნაური გარემოება, რომ ნივთების სახმარი ღირებულება ადამიანისთვის ხორციელდება გაცვლის გარეშე, მაშასადამე, უშუალო ურთიერთობაში ადამიანსა და ნივთს შორის, მათი ღირებულება კი, პირიქით, ხორციელდება მხოლოდ გაცვლაში, ე. ი. საზოგადოებრივ პროცესში. ვის არ გაახსენდება აქ კეთილი დოგმერი, რომელიც ღამის დარაჯს სიკოლს ასე ასწავლის ქკუას: «ადამიანის კარგი გარეგნობა გარემოებათა წყალობაა, ხოლო წერა-კითხვის ცოდნა მონიჭებულია ბუნებით»³⁶.

³⁴ «Observations on certain verbal disputes in Political Economy, particularly relating to Value and to Demand and Supply». London 1821, გვ. 16.

³⁵ S. Bailey: «A Critical Dissertation on the Nature etc. of Value», გვ. 165.

³⁶ «Observations»-ის ავტორი და ს. ბელი რიკარდოს ბრალსა სდებენ, რომ მან საცვლელი ღირებულება რაღაც წმინდა რელატიურიდან, აბსოლუტურ რაიმედ აქცია. პირიქით. მოჩვენებითი რელატივობა, რომელიც ამ ნივთებს, მაგალითად, ალმასსა და მარგალიტს, როგორც საცვლელ ღირებულებებს, აქვთ, რიკარდომ დაიყვანა მათი გარეგნობის ქვეშ დაფარულ ნამდვილ შეფარდებაზე, ე. ი. მათს, როგორც ადამიანის შრომის უბრალო გამოხატულებათა, რელატივობაზე. თუ რიკარდოელებმა ბეილის უხეზად, მაგრამ არასაბუთიანად უპასუხეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თვით რიკარდოს თხზულებებში ვერ აღმოაჩინეს იმ შინაგანი კავშირის ახსნა, რომელიც ღირებულებასა და ღირებულების ფორმას, ანუ საცვლელ ღირებულებას შორის არსებობს.

თაში მეორე

გაცვლის პროცესი

საქონელი თვითონ ვერ წაეა ბაზარში და თვითონ ვერ გაიცვლება სხვა საქონელზე. მაშასადამე, ჩვენ უნდა მივმართოთ მის მცველს, საქონელმფლობელს. საქონელი ნივთია და ამიტომ ადამიანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. თუ იგი ნებაყოფლობით არ დამორჩილდება, ადამიანს შეუძლია მასზე ძალა იხმაროს, ე. ი. წაილოს იგი³⁷. ეს ნივთები რომ საქონელთა სახით ერთმანეთს შეეფარდონ, საჭიროა საქონელმფლობელნი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ როგორც პიროვნებანი, რომელთა ნებაც ამ ნივთებს განაგებს, ასე რომ ერთი მათგანი მეორის ნებასურვილით, მაშასადამე, თვითეული მათგანი მხოლოდ ორთავესათვის საერთო ნებისყოფის აქტის საშუალებით, ითვისებს სხვის საქონელს, ასხვისებს რა თავისას. ამიტომ ორივემ ერთმანეთი კერძო მესაკუთრედ უნდა იცნოს. ეს იურიდიული ურთიერთობა, რომლის ფორმა ხელშეკრულებაა, — სულ ერთია, კანონით არის იგი გამოხატული თუ არა, — ნებითი ურთიერთობაა, რომლითაც ეკონომიური ურთიერთობა გამოისახება. ამ იურიდიული, ანუ ნებითი, ურთიერთობის შინაარსი მოცემულია თვით ეკონომიური ურთიერთობით.³⁸

³⁷ კეთილმორწმუნეობით ესოდენ განთქმულ XII საუკუნეში ამ საქონელთა შორის ხშირად ფრიად აზიზი ნივთები მოიპოვება. იმ დროის ერთი ფრანგი პოეტი სხვადასხვა საქონელს შორის, რომელიც ლანდის ბაზარზე იყო გატანილი, მაგალითად, ფართლეულობა, ფეხსაცმელი, ტყავი, სამიწათმოქმედო იარაღები, ქურჭი, და სხვ., ასახელებს აგრეთვე «*femmes folles de leur corps*» [ქალებს, რომელნიც თავიანთ სხეულს ყიდიან].

³⁸ პრედონი მარადიული სამართლიანობის, *justice éternelle*-ს თავის იდეალს ჯერ იღებს იმ იურიდიული ურთიერთობიდან, რომელიც საქონელწარმოებას შეეფერება, რითაც — გაკერით შეენიშნაეთ — ყველა ფილისტერისათვის ესოდენ სანუგეშოდ ასაბუთებს იმ აზრს, რომ საქონელწარმოების ფორმა ისევე მარადიულია, როგორც სამართლიანობა. შემდეგ კი, პირიქით, მას სურს ნამდვილი საქონელწარმოება და

პიროვნებანი აქ არსებობენ ერთმანეთისათვის მხოლოდ როგორც საქონლის წარმომადგენელი და, მაშასადამე, როგორც საქონელმფლობელი. გამოკვლევის შემდგომ მსვლელობაში ჩვენ დავინახავთ საერთოდ, რომ პიროვნებათა დამახასიათებელი ეკონომიური ნიღაბი მხოლოდ განსახიერებაა იმ ეკონომიური ურთიერთობისა, რომლის მატარებლებადაც ისინი ერთიმეორეს უპირისპირდებიან.

რაც საქონელმფლობელს საქონლისაგან განასხვავებს, ეს სწორედ ის გარემოებაა, რომ საქონლისათვის ყველა სხვა საქონლის სხეული მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულების გამოვლინების ფორმას წარმოადგენს. ბუნებით ლეველერი [გამათანასწორებელი] და ცინიკოსი, საქონელი მუდამ მზადაა გაცვალოს ყოველ სხვა საქონელში არა მარტო სული, არამედ სხეულიც, თუნდაც ეს საქონელი თავისი გარეგნობით უფრო ნაკლებად მიზიდველი იყოს, ვიდრე მარიტორნა. საქონლის ამ უუნარობას — გაარჩიოს სხვა საქონელთა კონკრეტული თვისებანი — საქონელმფლობელი თავისი საკუთარი ხუთი და კიდევ მეტი გრძნობით ავსებს. მისთვის მის საქონელს უშუალო სახმარი ღირებულება არა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას ბაზარზე არ გაიტანდა. ამ საქონელს სახმარი ღირებულება აქვს სხვებისთვის. საქონელმფლობელისათვის მას მხოლოდ ის უშუალო სახმარი ღირებულება აქვს, რომ იგი საცვლელი ღირებულების მატარებელია და, მაშასადამე, გაცვლის საშუალებაა³⁹. ამიტომ საქონელმფლობელი ცდილობს თავისი საქონელი გაასხვისოს ისეთ საქონელზე გაცვლით, რომლის სახმარი ღირებულებაც მას აკმაყოფილებს. ყველა საქონელი მისი მფლობელისათვის არასახმარი ღირებულებაა,

მისი შესაფერი ნამდვილი სამართალი გარდაქმნას ამ იდეალის შესაბამისად. რას ვიტყვი იმ ქიმიკოსზე, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ ნივთიერებათა ცვლის ნამდვილი კანონები შეესწავლა და მათს საფუძველზე ესა თუ ის ამოცანა გადაეჭრა, მოისურვებდა ნივთიერებათა ცვლის გარდაქმნას «naturalité»-ს და «affinité»-ს [«ბუნებურობის» და «თვისობის»] «მარადიული იდეების» მიხედვით? ვანა, როცა გვეუბნებოდნენ, რომ «მეუბნეობა» ეწინააღმდეგება «justice éternelle»-ს [«მარადიულ სამართლიანობას»], «équité éternelle»-ს [«მარადიულ სიმართლეს»], «mutualité éternelle»-ს [«მარადიულ სოლიდარობას»] და სხვა «vérités éternelles»-ს [«მარადიულ ჭეშმარიტებებს»], რაიმე მეტ ცოდნას ვიძენთ ჩვენ იმასთან შედარებით, რაც მეუბნეობის შესახებ იცოდნენ ეკლესიის მამებმა, როცა ამბობდნენ, რომ იგი ეწინააღმდეგება «grâce éternelle»-ს [«მარადიულ მოწყალებას»], «foi éternelle»-ს [«მარადიულ სარწმუნოებას»] და «volonté éternelle de Dieu»-ს [«ღვთის მარადიულ ნებას»]?

³⁹ ფინიდან ყოველი დოვლათის მოხმარება ორნაირია. პირველი არის ნივთის, როგორც ასეთის, თვისება, ხოლო მეორე — არა; ასე, მაგალითად, სანდალი იხმარება ფეხის შესამოსად და გასაცვლელად. ერთიც და მეორეც სანდლის სახმარი ღირე-

არამფლობელისათვის კი — სახმარი ღირებულება. მაშასადამე, ისინი მუდმივად უნდა გადადიოდნენ ხელიდან ხელში. ხოლო ხელიდან ხელში გადასვლა შეადგენს მათს გაცვლას, გაცვლაში კი ისინი შეეფარდებიან ერთიმეორეს როგორც ღირებულებანი და რეალიზებული ხდებიან როგორც ღირებულებანი. ამიტომ საქონელი უნდა რეალიზებულ იქნას როგორც ღირებულება, ვიდრე მისი რეალიზაცია მოხდებოდეს სახმარი ღირებულების სახით.

მეორე მხრივ, საქონელმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი სახმარი ღირებულებას შეადგენს, ვიდრე იგი ღირებულების სახით თავის რეალიზაციას შეძლებდეს. ეს იმიტომ, რომ მასზე დახარჯული ადამიანის შრომა ანგარიშში მიიღება იმდენად, რამდენადაც იგი სხვისთვის სასარგებლო ფორმითაა დახარჯული. მაგრამ სასარგებლოა თუ არა შრომა სხვისთვის, მაშასადამე, აკმაყოფილებს თუ არა მისი პროდუქტი სხვის მოთხოვნილებას, — ამის დამტკიცება მხოლოდ მის გაცვლას შეუძლია.

ყოველ საქონელმფლობელს სურს თავისი საქონელი გაასხვისოს მხოლოდ ისეთ სხვა საქონელზე გაცვლით, რომლის სახმარი ღირებულება მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამდენად გაცვლა მისთვის მხოლოდ ინდივიდუალური პროცესია. მეორე მხრივ, მას სურს რეალიზაცია უყოს თავის საქონელს როგორც ღირებულებას, მაშასადამე, რეალიზაცია უყოს იმავე ღირებულების მქონე ყოველ სხვა მისთვის სასურველ საქონელში, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა მის საკუთარ საქონელს სახმარი ღირებულება სხვა საქონელთა მფლობელისთვის. ამდენად გაცვლა მისთვის საყოველთაო საზოგადოებრივი პროცესია. მაგრამ ერთი და იგივე პროცესი არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს ყველა საქონელმფლობელისათვის მხოლოდ ინდივიდუალური და თანაც მხოლოდ საყოველთაო საზოგადოებრივი პროცესი.

თუ საგანს უფრო ახლო დაუუკვირდებით, დავინახავთ, რომ თვითეული საქონელმფლობელისთვის ყოველი სხვისი საქონელი მისი საქონლის განსაკუთრებული ეკვივალენტია, ამიტომ მისი საკუთარი საქონელი ყველა სხვა საქონლის საყოველთაო ეკვივალენტია. მაგრამ, რადგან საქონელმფლობელნი ყველანი ერთნაირად მოქმედებენ, არც ერთი საქონელი საყოველთაო ეკვივალენტი არ არის და ამიტომ საქონელთ არც გააჩნიათ ღირებულების საყოველთაო შეფარდებითი

ბულებაა, რადგან ისიც, ვინც სანდალს მისთვის საჭირო რაიმეზე, მაგალითად საქმელზე, ცელის, სანდალს ხმარობს, როგორც სანდალს. მაგრამ ეს არ არის მისი მოხმარების ბუნებრივი წესი, რადგან სანდალი, გაცვლისათვის არ არსებობს (Aristoteles: «De Republica», წიგ. I, თავი 9).

ფორმა, სადაც ისინი უტოლდებიან ერთიმეორეს როგორც ღირებულებანი და შეედრებიან ერთმანეთს როგორც ღირებულების სიდიდენი. ამიტომ ისინი უპირისპირდებიან ერთიმეორეს საერთოდ არა როგორც საქონელნი, არამედ — მხოლოდ როგორც პროდუქტები, ანუ სახმარი ღირებულებანი.

თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩვენი საქონელმფლობელნი ისევე მსჯელობენ, როგორც ფაუსტი: «პირველიდგან იყო საქმე». ამიტომ მათ უკვე იმოქმედეს, სანამ მსჯელობას დაიწყებდნენ. საქონლის ბუნების კანონები საქონელმფლობელთა ბუნებრივ ინსტინქტში ვლინდება. მათ შეუძლიათ თავიანთი საქონელი შეუფარდონ ერთიმეორეს მხოლოდ როგორც ღირებულებანი და, მაშასადამე, მხოლოდ როგორც საქონელნი, იმით, რომ ისინი შეუფარდებენ და დაუპირისპირებენ მას სხვა რომელიმე საქონელს როგორც საყოველთაო ეკვივალენტს. ეს დაგვანახვს საქონლის ანალიზმა. მაგრამ მხოლოდ საზოგადოებრივ აქტს შეუძლია გადააქციოს რომელიმე განსაზღვრული საქონელი საყოველთაო ეკვივალენტად. ამიტომ ყველა სხვა საქონელთა საზოგადოებრივი აქტი გამოჰყოფს ერთ განსაზღვრულ საქონელს, რომლითაც ისინი ყოველმხრივ თავიანთ ღირებულებას გამოხატავენ. ამით ამ საქონლის ნატურალური ფორმა საზოგადოებრივად დადასტურებულ ეკვივალენტურ ფორმად იქცევა. საყოველთაო ეკვივალენტად ყოფნა საზოგადოებრივი პროცესის მეოხებით გამოყოფილი საქონლის სპეციფიკური საზოგადოებრივი ფუნქცია ხდება. ასე იქცევა იგი ფულად. «*Illi unum consilium habent et virtutem et potestatem suam bestiae tradunt*». «*Et ne quis possit emere aut vendere, nisi qui habet characterem aut nomen bestiae, aut numerum nominis ejus*» (Apocalypse) [«მათ ერთი ნება აქვს, და ძალსა და ხელმწიფებასა მათსა მხეცსა მისცემენ... და რათა არავის ხელეწიფებოდეს სყიდვად, ანუ განსყიდვად, გარნა, რომელთა აქვნდეს ბეჭედი სახელისა მხეცისა მის, ანუ რიცხვი სახელისა მისისა» (გამოცხადება იოანესი, თ. XVII, მ. 13 და თ. XIII, მ. 17)].

ფულადი კრისტალი აუცილებელი შედეგია გაცვლის პროცესისა, რომელშიც შრომის სხვადასხვაგვარი პროდუქტები ფაქტიურად ერთმანეთს უტოლდებიან და, მაშასადამე, ფაქტიურად საქონლად იქცევიან. გაცვლის გაფართოებისა და გაღრმავების ისტორიული პროცესი ავითარებს საქონლის ბუნებაში მთვლემარე დაპირისპირებულობას სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის. აღებმიცემობისათვის ამ დაპირისპირებულობის გარეგნულად გამოხატვის საჭიროება იწვევს საქონლის ღირებულების დამოუკიდებელი ფორმის შექმნას

და არ ცხრება მანამდე, ვიდრე ეს ფორმა საბოლოოდ არ იქნება მიღწეული საქონლის გაორებით: საქონლად და ფულად. მაშასადამე, რა ზომითაც შრომის პროდუქტების საქონლად გადაქცევა ხდება, იმ ზომითვე წარმოებს საქონლის ფულად გადაქცევა⁴⁰.

პროდუქტების უშუალო გაცვლას აქვს, ერთი მხრივ, ღირებულების მარტივი გამოხატულების ფორმა, მეორე მხრივ კი იგი ჯერ კიდევ მოკლებულია ამ ფორმას. ეს ფორმა იყო: x საქონელი $A=y$ საქონელ B -ს. პროდუქტების უშუალო გაცვლის ფორმა კი ასეთია: x მოხმარების საგანი $A=y$ მოხმარების საგან B -ს⁴¹. აქ ნივთები A და B გაცვლამდე საქონელს არ წარმოადგენენ, არამედ ასეთები მხოლოდ გაცვლის მეოხებით ხდებიან. პირველი მდგომარეობა, რომელშიც მოხმარების რაიმე საგანი პოტენციურად წარმოადგენს საცვლელ ღირებულებას, — ეს არის მისი მყოფობა არასახმარი ღირებულების სახით, ე. ი. სახმარი ღირებულების იმ რაოდენობის სახით, რომელიც მისი მფლობელის უშუალო მოთხოვნილებებს აღემატება. ნივთები თავისთავად ადამიანის გარეშე არსებობენ და ამიტომ მათი გასხვისება შესაძლებელია. ამ გასხვისებას რომ საურთიერთო ხასიათი მიეცეს, ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ ადამიანებმა იგულისხმონ ერთმანეთი და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს როგორც ამ გასასხვისებელი ნივთების კერძო მესაკუთრენი და, სწორედ ამით, როგორც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი პიროვნებანი. მაგრამ ურთიერთ განრიდებულობის ასეთი დამოკიდებულება არ არსებობს ბუნებრივად აღმოცენებული თემის წევრთათვის, სულ ერთია — იქნება იგი პატრიარქალური ოჯახი, ძველი ინდური თემი, ინკების სახელმწიფო თუ სხვა. საქონელგაცვლა იწყება იქ, სადაც თემები თავდება, უცხო თემებთან ანდა ამ თემების წევრებთან მათი კონტაქტის პუნქტებში. მაგრამ როგორც კი ერთხელ ესა თუ ის ნივთი საქონლად იქცევა საგარეო ურთიერთობაში, იგი უკუქმედების ძალით საქონელი ხდება

⁴⁰ ამის მიზეზით უნდა შეფასდეს ყალბბანდობა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისა, რომელსაც სურს გაამარადოს საქონელწარმოება და იმავე დროს მოსპოს დაპირისპირებულობა ფულსა და საქონელს შორის, მაშასადამე, გააუქმოს თვით ფული, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ დაპირისპირებულობაში არსებობს. ასევე კარგად შეიძლება დაპირისპირება და კათოლიციზმის დატოვება. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ჩემს თხზულებაში: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 61 და შემდ. [ე. მარქსი: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი 1953, გვ. 100 და შემდ.]

⁴¹ ვიდრე ერთმანეთზე იცვლება მოხმარების არა ორი სხვადასხვა საგანი, არამედ, როგორც ამას ხშირად ველურებში ვხვდებით, ერთსა და იმავე საგანში ეკვივალენტის სახით სრულიად სხვადასხვა ნივთების ქაოტურ მასას იძლევიან, მანამდე პროდუქტთა თვით უშუალო გაცვლაც მხოლოდ ჩანასახური ფორმით არსებობს.

აგრეთვე თემის შიგნითაც. მისი რაოდენობრივი საცვლელი შეფარდება თავდაპირველად სრულიად შემთხვევითია. საქონელთა გაცვლა შესაძლებელია მათი მფლობელების ნებისყოფის აქტის საშუალებით, რომელიც მიმართულია ამ საქონელთა ურთიერთი გასხვისებისაკენ. ამავდროს მოთხოვნილება სხვისი მოსახმარი საგნების მიმართ თანდათან მტკიცდება. გაცვლის მუდმივი განმეორება ამ გაცვლას რეგულარულ საზოგადოებრივ პროცესად ხდის. ამიტომ დროთა მსვლელობაში შრომის პროდუქტთა ერთი ნაწილი მაინც განზრახ უნდა იწარმოებოდეს გასაცვლელად. ამ მომენტიდან, ერთი მხრივ, მკვიდრდება გათიშვა უშუალო მოხმარებისათვის ნივთთა სარგებლიანობასა და გაცვლისათვის მათ სარგებლიანობას შორის. მათი სახმარი ღირებულება ეთიშება მათს საცვლელ ღირებულებას. მეორე მხრივ, რაოდენობრივი შეფარდება, რომლის მიხედვითაც ეს ნივთები ერთმანეთზე იცვლება, დამოკიდებული ხდება თვით მათს წარმოებაზე. ჩვეულება განამტკიცებს მათ როგორც ღირებულების სიდიდეებს.

პროდუქტთა უშუალო გაცვლის დროს თვითეული საქონელი მისი მფლობელისთვის უშუალოდ გაცვლის საშუალებას წარმოადგენს, ხოლო ეკვივალენტი — არამფლობელისთვის, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელისთვის იგი სახმარი ღირებულებაა. მაშასადამე, გაცვლის საგანი ჯერ კიდევ არ იღებს ღირებულების არავითარ ფორმას, რომელიც დამოუკიდებელი იყოს მისი საკუთარი სახმარი ღირებულებისაგან, ანუ გამცვლელ პირთა ინდივიდუალური მოთხოვნილებისაგან. ამ ფორმის აუცილებლობა ვითარდება გაცვლის პროცესში შემავალ საქონელთა რიცხვისა და ნაირსახეობის ზრდასთან ერთად. ამოცანა ჩნდება მისივე ამოხსნის საშუალებებთან ერთად. ალღებ-მიცემა, სადაც საქონელმფლობელნი თავიანთ საკუთარ საქონელს სხვადასხვა საქონელზე ცვლიან და მათ ერთიმეორეს უტოლებენ, არ შეიძლება მოხდეს უიმისოდ, თუ ეს სხვადასხვა საქონელი სხვადასხვა საქონელმფლობელთა მიერ მათი ალღებ-მიცემის ფარგლებში არ გაიცვალა ერთსა და იმავე მესამე სახის საქონელზე და არ შეუტოლდა მას ღირებულების სახით. ასეთი მესამე საქონელი, რაკი იგი მრავალი სხვადასხვა საქონლის ეკვივალენტი ხდება, იღებს უშუალოდ, თუმცა ვიწრო საზღვრებში, საყოველთაო, ანუ საზოგადოებრივ, ეკვივალენტურ ფორმას. ეს საყოველთაო ეკვივალენტური ფორმა ჩნდება და ქრება იმ წუთიერ საზოგადოებრივ კონტაქტთან ერთად, რომელმაც იგი წარმოშვა. შენაცვლებით და წარმავალი სახით იგი ხან ერთ საქონელს ხვდება წილად და ხან მეორეს. მაგრამ საქონელგაცვლის განვითარებასთან ერთად საყოველთაო ეკვივალენტური ფორმა მტკიცედ

შეეზრდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი რომელიმე განსაკუთრებული სახის საქონელს, ანუ ყალიბდება ფულადი ფორმის სახით. თუ რა სახის საქონელს შეეზრდება იგი, ეს პირველად შემთხვევის საქმეა, მაგრამ საერთოდ და მთლიანად აქ ორ გარემოებას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ფულადი ფორმა უკავშირდება ან გაცვლის გზით გარედან შემოტანილ უმნიშვნელოვანეს საგნებს, რომელნიც ნამდვილად ადგილობრივ პროდუქტთა საცვლელი ღირებულების გამოვლინების ბუნებრივად აღმოცენებულ ფორმას წარმოადგენენ, ანდა იგი უკავშირდება მოხმარების საგანს, რომელიც ადგილობრივი გასასხვისებელი ქონების მთავარ ელემენტს შეადგენს, როგორც, მაგალითად, პირუტყვი. მომთაბარე ხალხები ყველაზე პირველად ავითარებენ ფულად ფორმას, რადგან მთელი მათი ავლადილება მოძრავ და, მაშასადამე, უშუალოდ გასასხვისებელ ფორმაში იმყოფება და რადგან მათი ცხოვრების პირობები განუწყვეტლივ აახლოვებს მათ უცხო თემებთან, მაშასადამე, აქეზებს მათ პროდუქტთა გაცვლისათვის. ადამიანები ხშირად თვით ადამიანს მონის სახით თავდაპირველ ფულად მასალად იყენებდნენ, მაგრამ მიწას — არასოდეს. ასეთი იდეის წარმოშობა მხოლოდ უკვე განვითარებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იყო შესაძლებელი. იგი გაჩნდა XVII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ხოლო მისი განხორციელება, ნაციონალური მასშტაბით, პირველად სცადეს ერთი საუკუნის შემდეგ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს.

იმდენად, რამდენადაც საქონელგაცვლა თავის ვიწრო-ლოკალურ ფარგლებს არღვევს, მაშასადამე, საქონლის ღირებულება საერთოდ ადამიანის შრომის მატერიალიზაციად ვითარდება, ფულადი ფორმა ისეთ საქონელზე გადადის, რომელიც თავისი ბუნებით გამოსადეგია საყოველთაო ეკვივალენტის საზოგადოებრივი ფუნქციისათვის, სახელდობრ იგი გადადის ძვირფას ლითონებზე.

რომ «ოქრო და ვერცხლი ბუნებით ფული არ არის, მაგრამ ფული ბუნებით ოქრო და ვერცხლია»⁴², ამას ამტკიცებს ამ ლითონების ბუნებრივი თვისებების ფულის ფუნქციებთან დამთხვევა⁴³. მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენ ფულის მხოლოდ ერთი ფუნქცია ვიცით,

⁴² Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 135. [შეად. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 206.] «ძვირფასი ლითონი... ბუნებით ფულია» (Galiani: «Della Moneta», Custodiani კრებულში, Parte Moderna, ტ. III, გვ. 137).

⁴³ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ზემოციტირებულ ჩემს შრომაში, განყოფილება «ძვირფასი ლითონები».

სახელდობრ, რომ იგი წარმოადგენს საქონლის ღირებულების გამოვლინების ფორმას, ანუ იმ მასალას, რომლითაც საქონელთა ღირებულების სიდიდენი საზოგადოებრივად გამოიხატება. ღირებულების გამოვლინების ადეკვატურ ფორმად, ანუ ადამიანის აბსტრაქტული და, მაშასადამე, იგიური შრომის მატერიალიზაციად შეიძლება მხოლოდ ისეთი ნივთიერება იყოს, რომლის ყველა ეგზემპლარს ერთი და იგივე თვისებრიობა აქვს. მეორე მხრივ, რადგან ღირებულების სიდიდეთა განსხვავება წმინდა რაოდენობრივია, ამიტომ ფულადი საქონელიც წმინდა რაოდენობრივი განსხვავების შემცველი უნდა იყოს, მაშასადამე, სურვილისამებრ უნდა შეიძლებოდეს მისი დანაწილება და ამ ნაწილების ხელახლა შეერთება. ოქროსა და ვერცხლს კი ბუნებით აქვთ ეს თვისებები.

ფულადი საქონლის სახმარი ღირებულების გაორადება ხდება. თავის განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებასთან ერთად, რაც მას ეკუთვნის როგორც საქონელს, — მაგალითად, ოქრო შეიძლება გამოყენებულ იქნას კბილების დასაპლომბად, ფუფუნების საგნების დასამზადებლად და სხვ., — იგი იძენს ფორმალურ სახმარ ღირებულებას, რომელიც მისი სპეციფიკური საზოგადოებრივი ფუნქციებიდან გამომდინარეობს.

რადგან ყველა სხვა საქონელი ფულის მხოლოდ განსაკუთრებულ ეკვივალენტს წარმოადგენს, ფული კი — მათს საყოველთაო ეკვივალენტს, ამიტომ ყოველი სხვა საქონელი, როგორც განსაკუთრებული საქონელი, შეეფარდება ფულს როგორც საყოველთაო საქონელს⁴⁴.

ჩვენ დავინახეთ, რომ ფულადი ფორმა მხოლოდ გარკვეულ საქონელთან მჭიდროდ დაკავშირებული ანარეკლია მასთან ყველა სხვა საქონლის მიმართებისა. მაშასადამე, რომ ფული საქონელია⁴⁵, ეს გარე-

⁴⁴ «ფული უნივერსალური საქონელია» (Verri: «Meditazioni sulla Economia Politica», გვ. 16).

⁴⁵ «თავისთავად ვერცხლი და ოქრო, რომელიც შეიძლება ფულადი ლითონის საერთო სახელით აღვნიშნოთ... საქონელია..., რომლის ღირებულება ხან მატულობს და ხან კლებულობს... ფულადი ლითონი მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ მეტი ღირებულების მქონეთ, როდესაც მისი მცირე წონით შეიძლება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო პროდუქტთა მეტი რაოდენობის ყიდვა და სხვ.» («A Discourse on the General Notions of Money, Trade and Exchanges, as they stand in relation each to other. By a Merchant». London 1693, გვ. 7). «ვერცხლი და ოქრო, იქნება იგი ფულად მოჭრილი თუ არა, თუმცა ყველა სხვა ნივთის საზომად იხმარება, არანაკლებ არის საქონელი, ვიდრე ღვინო, ხეთი, თამბაქო, ტანისამოსი ან ქსოვილი» («A Discourse concerning Trade, and that in particular of the East-Indies

მოება მხოლოდ იმათთვის შეადგენს აღმოჩენას, ვინც მისი დასრულებული ფორმიდან გამოდის, რათა შემდეგ გაუყეთოს მას ანალიზი. გაცვლის პროცესი ანიჭებს საქონელს, რომელსაც იგი ფულად აქცევს, არა მის ღირებულებას, არამედ მისი ღირებულების სპეციფიკურ ფორმას. ამ ორი განსაზღვრის ერთმანეთში არევაში გამოიწვია ის, რომ ოქროსა და ვერცხლის ღირებულება მხოლოდ წარმოსახვით ღირებულებად მიაჩნდათ⁴⁶. რადგან ფული განსაზღვრულ ფუნქციებში თვით მისივე უბრალო ნიშნებით შეიძლება შეიცვალოს, ამიტომ აქედან წარმოიშვა მეორე შეცდომა, ვითომც ფული უბრალო ნიშანი იყოს. მეორე მხრივ, ამ შეცდომაში იმალებოდა ბუნდოვანი მიხვედრა იმისა, რომ ფულადი ფორმა თვით ამ ნივთისათვის რაღაც გარეშეს წარმოადგენს და გამოვლინების ფორმაა მის უკან დაფარული ადამიანთა ურთიერთობისა. ამ მნიშვნელობით ყოველი საქონელი იქნებოდა ნიშანი, რადგან იგი, როგორც ღირებულება, მასზე დახარჯული ადამიანის შრომის ნივთობრივ გარსს წარმოადგენს⁴⁷. მაგრამ როდესაც უბრალო

etc.». London 1689, გვ. 2). «სამეფოს [ინგლისის] კაპიტალი და სიმდიდრე მარტო ფულით არ განისაზღვრება, აგრეთვე არ შეიძლება ოქროს და ვერცხლის გამოკლება საქონლის რიცხვიდან» («The East-India Trade a most Profitable Trade». London 1677, გვ. 4).

⁴⁶ ოქრო და ვერცხლი, როგორც ლითონი, ღირებულებას შეიცავდა უფრო ადრე, ვიდრე მონეტად გადაიქცეოდა (Galvani: «Della Moneta»). ლოკი ამბობს: «ადამიანთა საყოველთაო შეთანხმებამ ვერცხლს, იმ თვისებების გამო, რომელიც მას ფულისთვის შესაფერად ხდიან, მიანიჭა წარმოსახვითი ღირებულება». ლო, პირიქით, ამბობს: «როგორ მიანიჭებდა სხვადასხვა ერი რომელიმე ნივთს წარმოსახვით ღირებულებას ან როგორ შეძლებდა დამკვიდრებულიყო ეს წარმოსახვითი ღირებულება?». მაგრამ თუ როგორ ნაკლებად ესმოდა თვით ლოს საქმის ვითარება, ეს მისივე შემდეგი სიტყვებიდან მტკიცდება: «ვერცხლის გაკვლა ხდებოდა თანახმად სახმარი ღირებულებისა, რომელიც მას ჰქონდა, მაშასადამე, თანახმად მისი ნამდვილი ღირებულებისა; მისი ფულად აღიარების გამო მან დამატებითი ღირებულება (une valeur additionnelle) მიიღო» (Jean Law: «Considérations sur le numéraire et le commerce», E. Daire-ს გამოცემა: «Economistes Financiers du XVIII siècle», გვ. 469, 470).

⁴⁷ ფული ნიშანია მისი (საქონლის) (V. de Forbonnais: «Éléments du Commerce», ახალი გამოც., Leyde 1766, ტ. II, გვ. 143). «როგორც ნიშანი, მას საქონელი იზიდავს» (იქვე, გვ. 155). «ფული ნიშანია ნივთისა და მას წარმოადგენს» (Montesquieu: «Esprit des Lois». Oeuvres. London 1767, ტ. II, გვ. 3). «ფული უბრალო ნიშანი არ არის, რადგან თვით იგი სიმდიდრეა. ფული არ არის წარმომადგენელი ღირებულებისა, იგი თვით ღირებულებაა» (Le Trosne: «De l'Intérêt Social», გვ. 910). «როდესაც ღირებულების ცნებას ვიკვლით, თვით ნივთი იფულისხმება მხოლოდ როგორც ნიშანი და ნივთს მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად, არამედ იმისდა მიხედვით, რაც ღირს» (Hegel: «Philosophie des Rechts», გვ. 100).

ნიშნებად დავსახავთ იმ საზოგადოებრივ თვისებებს, რომლებსაც ნივთები ღებულობენ, ან იმ ნივთობრივ თვისებებს, რომელთაც განსაკუთრებული წარმოების წესის საფუძველზე შრომის საზოგადოებრივი განსაზღვრანი ღებულობენ, ამით ვალიარებთ იმავე დროს, რომ ეს თვისებები ადამიანის აზროვნების თვითნებური პროდუქტია. ასეთი იყო XVIII საუკუნის განმანათლებელთა ჩვეული მანერა, რომელსაც ისინი იყენებდნენ იმისათვის, რომ ღროებით მაინც ჩამოეხსნათ საიდუმლოების სამოსელი ადამიანთა ურთიერთობის იმ იდუმალი ფორმებისათვის, რომელთა წარმოშობის ახსნა მათ ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინათ.

უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, რომ საქონლის ეკვივალენტური ფორმა მისი ღირებულების სიდიდის რაოდენობრივ განსაზღვრას არ შეიცავს. თუ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ოქრო ფულია, მაშასადამე, შესაძლებელია მისი უშუალოდ გაცვლა ყველა სხვა საქონელზე, ამით ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც არ ვიცით, თუ რა ღირებულებისაა, მაგალითად, 10 გირვანქა ოქრო. როგორც ყოველ სხვა საქონელს, ოქროს შეუძლია თავისი საკუთარი ღირებულების სიდიდე მხოლოდ შეფარდებით გამოხატოს სხვა საქონლით. მისი საკუთარი ღირებულება განსაზღვრულია მისი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროით და გამოიხატება ყოველი სხვა საქონლის იმ რაოდენობით, რომელშიც კრისტალიზებულია იმდენივე სამუშაო დრო⁴⁸. ოქროს ღირებუ-

გკონომისტებზე უფრო ადრე იურისტებმა გააერთიანეს ის აზრი, თითქოს ფული უბრალო ნიშანი იყოს, ხოლო ძვირფასი ლითონები — მარტოოდენ მოჩვენებითი ღირებულების მქონე. ისინი სჩადიოდნენ ამას, როგორც მეფის ხელისუფლების ლაქიები, რომელნიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მეფის მიერ ფულის გაყალბების უფლებას ასაბუთებდნენ რომის იმპერიის ტრადიციებით და პანდექტებში ფულის შესახებ მოცემული ცნებებით: «არავინ გაბედოს ეკვის შეტანა იმაში, — ამბობს მათი გაწვრთნილი მოწაფე ფილიპ ვალუა 1346 წლის ერთ დეკრეტში, — რომ მხოლოდ ჩვენ და ჩვენს მეფურ უდიდებულესობას გვეკუთვნის მონეტის მოჭრა, მომარაგება, მისდარიბა და ყოველგვარი განქარაგულება, მისი ტრიალში გაშვება და ისეთი ფასის დაწესება, როგორც ეს ჩვენ გესურს და საუკეთესოდ მიგვანია». ეს რომის სამართლის დოგმას შეადგენდა, რომ იმპერატორი ფულის ღირებულებას დეკრეტით აწესებს. გადაჭრით აკრძალული იყო ფულის საქონლის მსგავსად ხმარება. «ფული არავინ არ უნდა იყიდოს, რადგან ის, რაც საჯარო მოხმარებისთვის არის დანიშნული, საქონლად არ უნდა იქცეს». სწორი მსჯელობა ამის შესახებ იხ. G. F. Pagnini: «Saggio sopra il giusto pregio delle cose», 1751, Custodi-ის Parte Moderna-ში, ტ. II. სახელდობრ თავისი თხზულების მეორე ნაწილში პანინი ეკამათება ბ-ნ იურისტებს.

⁴⁸ «თუ ერთი უნცი ვერცხლის მოტანას პერუს სამადნეებიდან ლონდონში იგივე დრო დასჭირდება, როგორც ერთი ბუშელი პურის წარმოებას, მაშინ პირველი პროდუქტი მეორის ბუნებრივ ფასს წარმოადგენს; თუ ახალი და უფრო მდიდარი მადნე-

ლების შეფარდებითი სიდიდის ასეთი ფიქსაცია ხდება მისი წარმოების ადგილას, უშუალო გაცვლითი ვაჭრობის დროს. როგორც კი ოქრო მიმოქცევაში ფულის სახით შედის, მისი ღირებულება უკვე მოცემულია. თუ უკვე XVII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ფულის ანალიზით გამორკვეული იყო, რომ ფული საქონელია, ეს მაინც მხოლოდ ანალიზის დასაწყისი იყო. სიძნელე იმის გაგებაში კი არაა, რომ ფული საქონელია, არამედ იმაში, თუ როგორ, რატომ და რის მეოხებით იქცევა საქონელი ფულად⁴⁹.

ჩვენ დავინახეთ, რომ უკვე ღირებულების უმარტივეს გამოხატულებაში, x საქონელი $A = y$ საქონელ B -ს, იქმნება ილუზია, თითქოს ნივთს, რომლითაც მეორე ნივთის ღირებულების სიდიდე გამოხატული, თავისი ეკვივალენტური ფორმა ამ შეფარდებისაგან დამოუკიდებლად აქვს, როგორც ბუნებით თანდაყოლილი საზოგადოებრივი თვისება. ჩვენ გამოვიკვლიეთ, თუ როგორ მკვიდრდება ეს ილუზია. იგი დასრულებულ ფორმას იღებს, როგორც კი საყოველთაო ეკვივალენტური ფორმა ერთი განსაკუთრებული სახეობის საქონლის ნატურალურ ფორმას შეეზრდება, ანუ ფულადი ფორმის სახით ყალიბდება. ამასთან ისე გვეჩვენება, თითქოს განსაზღვრული საქონელი იმიტომ კი არ იქცევა ფულად, რომ ყველა სხვა საქონელი მასში

ბის აღმოჩენის გამო, ორი უნცი ვერცხლის მოპოვება ახლა ისევე ადვილად შეიძლება, როგორც უწინ ერთის, მაშინ ერთი ბუშელი პური, *caeteris paribus* [სხვა თანაბარ პირობებში], ათი შილინგი ვღირება, თუ უწინ იგი 5 შილინგი ღირდა» (William Petty: «A Treatise on Taxes and Contributions». London 1667, გვ. 31).

⁴⁹ ბატონი პროფესორი როშერი ჩვენ ასე გვასწავლის: «ფულის მცდარი განმარტებანი შეიძლება ორ მთავარ ჯგუფად დაიყოს: ერთნი მას თვლიან საქონელზე უფრო მეტად, მეორენი კი — უფრო ნაკლებად». შემდეგ ბ-ნი როშერი იძლევა ფულის შესახებ თხზულებათა აქრელებულ კატალოგს, რომელშიც სრულიად არ მოჩანს ფულის თეორიის ნამდვილი ისტორიის მცირედი გაგებაც კი, და ბოლოს ათავენს ასეთი მორალით: «თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ახალი ეკონომისტების უმრავლესობა არასაკმაო ყურადღებას აქცევს იმ თავისებურებას, რომელიც განასხვავებს ფულს სხვა საქონელთაგან (მაშასადამე, ფული მაინც მეტი ან ნაკლებია საქონელზე?)... იმდენად, რამდენადაც ეს ასეა, განილის და სხვათა ნახევრად მერკანტილისტური რეაქცია მთლად უსაფუძვლო როდია» (Wilhelm Roscher: «Die Grundlagen der Nationalökonomie», მე-3 გამოცემა, 1858, გვ. 207 — 210). მეტი — ნაკლები — არასაკმაო — იმდენად — რამდენადაც — არასავსებით! რა ნათელი განსაზღვრაა ცნებებისა! და ამგვარ ეკლექტიკურ პროფესორულ ლაყბობას ბატონი როშერი მორცხვად უწოდებს პოლიტიკური ეკონომიის «ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მეთოდს». ესეც კია, რომ მეცნიერება დავალებულია ერთი მისი აღმოჩენით, სახელდობრ, რომ «ფული სასიამოვნო საქონელია».

თავის ღირებულებას გამოხატავს, არამედ, პირიქით, თითქოს ყველა ეს საქონელი მასში თავის ღირებულებას საყოველთაოდ იმიტომ გამოხატავს, რომ იგი ფულია. მეშვეობითი მოძრაობა ქრება თავის საკუთარ შედეგში და არავითარ კვალს არ ტოვებს. ყველა საქონელი, თავის მხრივ დახმარების გაუწევლად, თავისი საკუთარი ღირებულების განსახიერებას მზად პოულობს სხვა საქონლის სხეულში, რომელიც მის გარეშე და მის გვერდით არსებობს. ეს ნივთები, ოქრო და ვერცხლი, იმ სახით, როგორც ისინი მიწის წიაღიდან ამოდიან, ადამიანის ყოველგვარი შრომის უშუალო განსახიერებას წარმოადგენენ. აქედან წარმოდგება ფულის ჯადოსნური ხასიათი. წმინდა ატომისტური ურთიერთობა ადამიანთა შორის მათს საზოგადოებრივ წარმოების პროცესში და, ამიტომ, მათი კონტროლისა და შეგნებული ინდივიდუალური მოქმედებისაგან დამოუკიდებელი ნივთობრივი სახე მათი საკუთარი წარმოებითი ურთიერთობისა, უწინარეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ მათი შრომის პროდუქტები საყოველთაოდ საქონლის ფორმას იღებენ. ამრიგად, ფულის ფეტიშის გამოცანა არის საქონლის ფეტიშის გამოცანა, მხოლოდ უფრო ცხადად დასანახი თვალისმომკრელი.

თავი მესამე

ფული ანუ საქონელმომოქცევა

1. ღირებულებათა საზომი

ამ შრომაში ყველგან, გამარტივებისათვის, ფულად საქონლად ოქროს ვგულისხმობ.

ოქროს პირველი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მისცეს საქონელთა სამყაროს მისი ღირებულების გამოხატულების მასალა, ე. ი. გამოხატოს საქონელთა ღირებულებანი როგორც ერთი და იმავე სახელწოდების სიდიდენი, თვისებრივად ერთნაირნი და რაოდენობრივად შესადარნი. ამრიგად, იგი მოქმედებს როგორც ღირებულებათა საყოველთაო საზომი და მხოლოდ ამ ფუნქციის მეოხებით იქცევა ოქრო, ეს სპეციფიკური ეკვივალენტური საქონელი, უწინარეს ყოვლისა ფულად.

საქონელნი ფულის საშუალებით როდი ხდებიან თანაზომადნი. პირიქით. სწორედ იმიტომ, რომ ყველა საქონელი, როგორც ღირებულებანი, ადამიანის გასაგნობრივებულ შრომას წარმოადგენს და, მაშასადამე, თავისთავად თანაზომადია, — სწორედ ამიტომ მათ შეუძლიათ თავიანთი ღირებულება ერთი და იმავე სპეციფიკური საქონლით გაზომონ და ეს უკანასკნელი ამით თავიანთი ღირებულების საერთო საზომად, ე. ი. ფულად გადააქციონ. ფული როგორც ღირებულების საზომი საქონლის ღირებულების იმანენტური საზომის, ანუ სამუშაო დროის, გამოვლინების აუცილებელი ფორმაა⁵⁰.

⁵⁰ საკითხი, თუ რატომ არ წარმოადგენს ფული უშუალოდ თვით სამუშაო დროს, ისე რომ, მაგალითად, ქალაქის ფულის ნიშანი წარმოადგენდეს x სამუშაო საათს, სრულიად უბრალოდ დაიყენება შემდეგ საკითხზე: რატომ უნდა გამოიხატებოდნენ შრომის პროდუქტები საქონელწარმოების საფუძველზე საქონელთა სახით, რადგან საქონლის გამოხატულება შეიცავს მის გაორებას საქონლად და ფულად საქონლად. ან რატომ არ შეიძლება კეზო შრომა განვიხილოთ როგორც უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა, ე. ი. როგორც მისი საპირისპირო მოვლენა. «შრომის ფულის» ზერედე,

საქონლის ღირებულების გამოხატულება ოქროთი: x საქონელი $A = y$ ფულად საქონელს — არის საქონლის ფულადი ფორმა, ანუ მისი ფასი. ახლა საკმარისია მხოლოდ ერთი განტოლება, მაგალითად, 1 ტონა რკინა = 2 უნც ოქროს, რათა რკინის ღირებულება გამოვხატოთ საზოგადოებრივად სავალდებულო ფორმით. ეს განტოლება აღარ საჭიროებს მხარდამხარ იაროს იმ განტოლებათა მწკრივში, რომელნიც სხვა საქონელთა ღირებულებას გამოხატავენ, იმიტომ რომ ეკვივალენტურ საქონელს, ოქროს, უკვე აქვს ფულის ხასიათი. ამიტომ საქონლის ღირებულების საყოველთაო შეფარდებითს ფორმას კვლავ აქვს ახლა თავისი პირვანდელი, მარტივი, ანუ განცალკევებული, რელატიურ ღირებულების ფორმის სახე. მეორე მხრივ, ღირებულების გაშლილი შეფარდებითი გამოხატულება, ანუ ღირებულების რელატიურ გამოხატულებათა უსასრულო მწკრივი, ხდება ფულადი საქონლის ღირებულების სპეციფიკურად შეფარდებითი ფორმა. მაგრამ ეს მწკრივი ახლა უკვე საზოგადოებრივადაა მოცემული საქონლის ფასებში. საკმარისია შებრუნებით წავიკითხოთ პრეისკურანტის ფასები და ფულის ღირებულების სიდიდეს ვპოვებთ ყოველგვარი შესაძლებელი საქონლით გამოხატულს. ფულს კი ფასი არა აქვს. იმისათვის, რომ ფულმა მონაწილეობა მიიღოს სხვა საქონელთა ღირებულების ამ ერთიან შეფარდებითს ფორმაში, იგი უნდა შეუფარდდეს თვით თავისთავს, როგორც თავის საკუთარ ეკვივალენტს.

საქონელთა ფასი, ანუ ფულადი ფორმა, როგორც მათი ღირებულების ფორმა საერთოდ, მათი ხელშესახები, რეალური სხეულებრივი ფორმისაგან განსხვავებული და, მაშასადამე, მხოლოდ იდეალური, ანუ წარმოდგენაში არსებული, ფორმაა. რკინის, ტილოს, ხორბლის და სხვ. ღირებულება არსებობს, თუმცა უხილავად, თვით ამ ნივთებში. იგი გამოიხატება ოქროსთან მათი ტოლობით, ოქროსთან ისეთი

ჟღერაობით ხასიათი საქონელწარმოების საფუძველზე დაწერილებით სხვა ადგილას მაქვს განხილული («Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 61 და შემდ.).
 [ქ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 104 და შემდ.] აქ კი აღვნიშნავთ, რომ, მაგალითად, ოუენის «შრომის ფული» ისევე ნაკლებად არის «ფული», როგორც, ვთქვათ, თეატრის ბილეთი. ოუენი გულისხმობს უშუალოდ განსაზოგადოებულ შრომას, ე. ი. წარმოების ისეთ ფორმას, რომელიც დიამეტრალურად უპირისპირდება საქონელწარმოებას. შრომის ქვეითარი ადასტურებს მხოლოდ მწაზმობების ინდივიდუალურ მონაწილეობას საერთო შრომაში და მის ინდივიდუალურ პუტენციას საერთო პროდუქტის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც განკუთვნილია მონაწილისთვის. მაგრამ ოუენს ფიქრადაც არ მოსდის საქონელწარმოების ნიადაგზე დარჩეს და იმავე დროს გვერდი აუხვიოს მის აუცილებელ პირობებს ფულის ფოკუსების საწინააღმდეგობით.

შეფარდებით, რომელიც, ასე ვთქვათ, მხოლოდ მათს თავში ტრიალებს. ამიტომ საქონელმფლობელმა უნდა გამოაბას მათ თავისი ენა, ანუ ჩამოჰკიდოს მათ ქალაღის ნიშნები, რათა გარესამყაროს ამცნოს მათი ფასები⁵¹. რადგან საქონელთა ღირებულების გამოხატულება ოქროთი იდეალურია, ამიტომ ამ ოპერაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე მხოლოდ წარმოდგენაში არსებული, ანუ იდეალური, ოქრო. თვითეულმა საქონელმფლობელმა იცის, რომ მისი საქონელი ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ნამდვილ ოქროდ ქცეული, როცა მან მის ღირებულებას ფასის ფორმა, ანუ წარმოდგენაში არსებული ოქროს, ფორმა მისცა, და რომ მისთვის ნამდვილი ოქროს ერთი ნამცეციც კი არ არის საჭირო, რათა მილიონობით საქონლის ღირებულება ოქროთი შეაფასოს. მაშასადამე, ფული თავის ფუნქციას ღირებულების საზომის სახით ასრულებს მხოლოდ როგორც წარმოდგენაში არსებული, ანუ იდეალური, ფული. ამ გარემოებამ წარმოშვა ყოვლად უაზრო თეორიები⁵². თუმცა ღირებულების საზომის ფუნქციას მხოლოდ წარმოდგენაში არსებული ფული ასრულებს, ფასი მაინც მთლიანად დამოკიდებულია რეალურ ფულად მასალაზე. ღირებულებას, ე. ი. ადამიანის შრომის რაოდენობას, რომელსაც, მაგალითად, ერთი ტონა რკინა შეიცავს, გამოხატავს ფულადი საქონლის გონებით წარმოდგენილი რაოდენობა, რომელიც იმდენსავე შრომას შეიცავს. მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ რა იხმარება ღირებულების

⁵¹ ველური ან ნახევრადველური სხვაგვარად სარგებლობს თავისი ერთ. კაპიტანი პარი მოკვითხრობს, მაგალითად, ბაფინის ყურეს დასავლეთი ნაპირის მცხოვრებლებზე: «ამ შემთხვევაში (პროდუქტთა გაცვლის დროს)... ისინი ერთ ლოკვენ მას (გაცვლისათვის შეთავაზებულ ნივთს) ორჯერ, რის შემდეგაც ისინი გარიგებას, ეტყობა, მათდა სასიამოვნოდ დამთავრებულად თვლიან». აღმოსავლეთის ესკიმოსებშიც სწორედ ასევე ერთ ლოკვედა მყიდველი ნივთს მისი მიღების დროს. ამრიგად, თუ ჩრდილოეთში ენა იხმარება ნივთის შექმნის ორგანოდ, საკვირველი არ არის, რომ სამხრეთში საკუთრების დაგროვების ორგანოდ მუცელი ითვლება და კაფრი ადამიანის სიმდიდრეს მისი ღიბის მიხედვით აფასებს. კაფრები მეტად გამჭრიანი ხალხია: 1864 წელს, სწორედ იმ დროს, როცა ინგლისის ჯანმრთელობის ოფიციალური ანგარიში ჩიოდა, რომ მუშათა კლასის დიდ ნაწილს ცხიმოვანი ნივთიერება ალიაო, ვინმე დ - რ ჰარვეიმ, რა თქმა უნდა, არა სისხლის მიმოქცევის აღმომჩენმა, დიდი ქონება შეიძინა შარლატანური რეცეპტების საშუალებით, რომლებსაც ზურჯუხა და არისტოკრატია ზედმეტი ქონის ტვირთისაგან უნდა გაენთავისუფლებია.

⁵² იხ. Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». «Theorien von der Masseinheit des Geldes», გვ. 53 და შემდ. [კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». «ფულის საზომი ერთეულის თეორიები». თბილისი 1953, გვ. 89 და შემდ.]

საზომად: ოქრო, ვერცხლი თუ სპილენძი, — ტონა რკინის ღირებულება ფასის სულ სხვადასხვა გამოხატულებას იღებს, ანუ ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის სულ სხვადასხვა რაოდენობის სახით წარმოგვიდგება.

ამიტომ თუ ორი სხვადასხვა საქონელი, მაგალითად, ოქრო და ვერცხლი, ერთსა და იმავე დროს ღირებულების საზომის როლს ასრულებს, მაშინ ყველა საქონელს აქვს ფასის ორი სხვადასხვა გამოხატულება: ოქროს ფასი და ვერცხლის ფასი, რომელნიც მშვიდად თავსდებიან ერთიმეორის გვერდით, სანამ ვერცხლის და ოქროს ღირებულებითი შეფარდება უცვლელი რჩება, მაგალითად = 1:15. მაგრამ ღირებულების ამ შეფარდების ყოველი ცვლილება არღვევს შეფარდებას საქონელთა ოქროს ფასსა და ვერცხლის ფასს შორის და, ამრიგად, ფაქტიურად ადასტურებს იმას, რომ ღირებულების საზომის გაორადება ეწინააღმდეგება მის ფუნქციას⁵³.

⁵³ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. *იქ, სადაც ვერცხლი და ოქრო ერთიმეორის გვერდით არსებობს როგორც კანონიერი ფული, ე. ი. როგორც ღირებულების საზომი, მუდამ ადგილი ჰქონდა უნაყოფო ცდას — განეხილათ ისინი ერთსა და იმავე მატერიალად. ვარაუდი იმისა, რომ ერთი და იგივე სამუშაო დრო უცვლელად საფაბრიკოებდა ერთსა და იმავე პროპორციაში მყოფ ვერცხლსა და ოქროში, სინამდვილეში ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ვერცხლი და ოქრო ერთი და იგივე მატერიაა და რომ ვერცხლი, ეს ნაკლებ ძვირფასი ლითონი, ოქროს უცვლელი წილადი ნაწილია. ედუარდ III-ის ნეფობიდან დაწყებული გეორგ II-ის დრომდე ინგლისური ფულის მიმოქცევის ისტორია წარმოადგენს იმ დარღვევათა განუწყვეტელ მწყურველ, რომელთაც იწვევდა კოლიხია ოქროსა და ვერცხლის ღირებულების კანონით დაწესებულ თანაფარდობასა და მათი ღირებულების ნამდვილ რყევათა შორის. ხან ოქრო აყო მეტად შეფასებული და ხან ვერცხლი. ძალიან დაბლა შეფასებული ლითონი ამოიღებოდა მიმოქცევიდან, გადაიდნობოდა და უცხოეთში იგზავნებოდა. მაშინ ორივე ლითონის ღირებულების შეფარდება კანონით ხელახლა იცვლებოდა, მაგრამ სულ მალე ახალ ნომინალურ ღირებულებასა და ღირებულებათა ნამდვილ თანაფარდობას შორის წამოიჭრებოდა ხოლმე იგივე კონფლიქტი, რაც ძველი ნომინალური ღირებულების დროს. ჩვენს დროშიც ოქროს ღირებულების ძალიან სუსტმა და წარმავალმა დაცემამ ვერცხლთან შედარებით, რაც შედეგი იყო ვერცხლის გაძლიერებული მოთხოვნისა ინდოეთსა და ჩინეთში, გამოიწვია უფრო ფართო მასშტაბით იგივე მოვლენა საფრანგეთში, სახელდობრ ვერცხლის გაზიდვა და ოქროს მიერ მისი განდევნა მიმოქცევიდან. 1855, 1856, 1857 წლების განმავლობაში საფრანგეთში შეტანილმა ოქრომ იქიდან გატანილ ოქროს 41 580 000 გირვანქა სტერლინგით გადააჭარბა, მაშინ როდესაც გატანილმა ვერცხლმა შემოტანილს — 14 704 000 გირვანქა სტერლინგით. მართლაც, ისეთ ქვეყნებში, როგორც საფრანგეთია, სადაც ორივე ლითონი კანონით ღირებულების საზომს წარმოადგენს და ორივეს მიღება სავალდებულოა გადახდის დროს, — თანაც ყველას შეუძლია თავისი სურვილისამებრ ან ვერცხლით ან ოქროთი გადაიხადოს, — იმ ლითონს, რომლის ღირებულებაც მაღლა იწვევს, აქვს აჯიო და, ყველა სხვა საქონლის

საქონელი, რომლის ფასიც განსაზღვრულია, ყველა ასეთ ფორმას იღებს: a საქონელი A -სი $= x$ ოქროს; b საქონელი B -სი $= y$ ოქროს; c საქონელ C -სი $= z$ ოქროს და ა. შ., სადაც a , b , c სხვადასხვა სახის საქონელ A , B , C -ს განსაზღვრულ მასას წარმოადგენენ, ხოლო x , y , z — ოქროს განსაზღვრულ მასას. ამიტომ საქონელთა ღირებულებანი გადაიქცა წარმოდგენაში არსებულ სხვადასხვა სიდიდის მქონე ოქროს რაოდენობად. მაშასადამე, მიუხედავად საქონლის სხეულთა აჭრელებული სხვადასხვაობისა, ისინი გადაიქცნენ ერთნაირი სახელწოდების სიდიდეებად, ოქროს სიდიდეებად. როგორც ოქროს ასეთი სხვადასხვა რაოდენობა, ისინი ერთმანეთს ედრებიან და ერთიმეორით გაიზომებიან, და ასე ვითარდება ტექნიკურად აუცილებლობა მათი შეფარდებისა ოქროს რაიმე ფიქსირებულ ოდენობასთან, როგორც მათს საზომ ერთეულთან. თვით ეს საზომი ერთეული ჯერად ნაწილებად შემდგომი დაყოფის გზით მასშტაბად ვითარდება. ოქროს, ვერცხლს და სპილენძს, ვიდრე ფულად გადაიქცეოდნენ, უკვე აქვთ ასეთი მასშტაბი თავიანთი ლითონწონის სახით, ასე რომ, მაგალითად, გირვანქა წარმოადგენს საზომ ერთეულს და იყოფა, ერთი მხრივ, უნცებად და სხვ., ხოლო, მეორე მხრივ, იკრიბება ცენტრებად და სხვ.⁵⁴ ამიტომ ყოველი ლითონური მიმოქცევის დროს წონის მასშტაბის უკვე არსებული სახელწოდებანი ფულის მასშტაბის, ანუ ფასთა მასშტაბის, თავდაპირველ სახელწოდებებსაც შეადგენენ.

როგორც ღირებულების საზომი და როგორც ფასების მასშტაბი, ფული ორ სრულიად სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ღირებულებათა

მსგავსად, თავის ფასს ზომავს ძალიან მალა შეფასებული ლითონით, მაშინ როდესაც ღირებულების საზომს წარმოადგენს მხოლოდ ეს უკანასკნელი ლითონი. მთელი ისტორიული გამოცდილება ამ დარგში უბრალოდ იმის მიჩვენებელია, რომ იქ, სადაც ღირებულების საზომის ფუნქციას კანონით ორი საქონელი ასრულებს, ფაქტიურად ამ როლს ყოველთვის მხოლოდ ერთი მათგანი ინარჩუნებს (Karl Marx: *«Zur Kritik der Politischen Oekonomie»*, გვ. 52, 53). [შეად. კ. მარქსი: *«პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»*. თბილისი 1953, გვ. 88;— 89.]

⁵⁴ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ის უცნაური მოვლენა, რომ უნცი ოქრო ინგლისში, როგორც ფულის მასშტაბის ერთეული, ჯერად ნაწილებად არ იყოფა, შემდეგნაირად აიხსნება: «თავდაპირველად ჩვენი სამონეტო სისტემა შეგუებული იყო მხოლოდ ვერცხლის ხნარებასთან; ამიტომ ყოველთვის შეიძლება ეთი უნცი ვერცხლიდან ფულის ერთეულების გაჯეუული სათანადო რიცხვის უნაშთოდ მოჭრა; მაგრამ, რადგან ოქრო მხოლოდ შემდეგ იქნა შეტანილი სამონეტო სისტემაში, რომელიც მხოლოდ ვერცხლთან იყო შეგუებული. ამიტომ უნცი ოქროდან აღარ შეიძლება ამ ერთეულების სათანადო რიცხვის უნაშთოდ მოჭრა» (Maclaren: *«History of the Currency»*. London 1858, გვ. 16).

საზომს იგი წარმოადგენს როგორც ადამიანის შრომის საზოგადოებრივი განხორციელება, ფასის მასშტაბს — როგორც ლითონის ფიქსირებული წონა. როგორც ღირებულებათა საზომი იგი ემსახურება იმას, რომ უაღრესად სხვადასხვა საქონლის ღირებულება გადააქციოს ფასად, წარმოდგენაში არსებულ ოქროს რაოდენობად; როგორც ფასების მასშტაბი, იგი ზომავს ოქროს ამ რაოდენობას. ღირებულებათა საზომით სხვადასხვა საქონელი გაიზომება როგორც ღირებულება, ხოლო ფასების მასშტაბი, პირიქით, ზომავს ოქროს სხვადასხვა რაოდენობას ოქროს განსაზღვრული რაოდენობით და არა ოქროს ერთი რაოდენობის ღირებულებას ოქროს სხვა რაოდენობის წონით. ფასების მასშტაბისათვის საჭიროა ფიქსირებულ იქნას ოქროს განსაზღვრული წონა როგორც საზომი ერთეული. აქ, ისე როგორც ერთნაირი სახელწოდების სიდიდეთა ზომის ყოველი სხვა განსაზღვრისას, საზომთა თანაფარდობის სიმტკიცეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ფასების მასშტაბი მით უფრო უკეთ ასრულებს თავის ფუნქციას, რაც უფრო უცვლელად გვემსახურება ოქროს ერთი და იგივე რაოდენობა როგორც საზომი ერთეული. ღირებულებათა საზომად ოქროს შეუძლია გვემსახუროს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თვითონ შრომის პროდუქტია, მაშასადამე, პოტენციურად ცვალებადი ღირებულებაა⁵⁵.

უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ ოქროს ღირებულების ცვლილება სრულიად ვერ აბრკოლებს მის ფუნქციას, როგორც ფასების მასშტაბს. როგორც უნდა შეიცვალოს ოქროს ღირებულება, ოქროს სხვადასხვა რაოდენობის ღირებულებითი შეფარდება ერთმანეთთან მუდამ იგივე რჩება. თუ ოქროს ღირებულება 1000-ჯერ დაეცემოდა, 12 უნც ოქროს, ისევე როგორც უწინ, თორმეტჯერ მეტი ღირებულება ექნებოდა, ვიდრე ერთ უნც ოქროს, და ფასების განსაზღვრისას კი საქმე ეხება მხოლოდ ოქროს სხვადასხვა რაოდენობის ერთმეორესთან შეფარდებას. მეორე მხრივ, რადგან უნცი ოქრო სრულიად არ იცვლის თავის წონას თავისი ღირებულების დაცემის ან აწევის დროს, ამიტომ ასევე ნაკლებად იცვლება მისი ჯერადი ნაწილების წონაც და, ამრიგად ოქრო, როგორც ფასების მყარი მასშტაბი, მუდამ ერთსა და იმავე სამსახურს ეწევა, სულ ერთია, როგორც უნდა იცვლებოდეს მისი ღირებულება.

⁵⁵ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ინგლისურ თხზულებებში წარმოდგენილად არეულია ერთმანეთში ღირებულების საზომი (measure of value) და ფასების მასშტაბი (standard of value). ფუნქციები და, მაშასადამე, მათი სახელწოდებანი მუდამ ერთმანეთშია არეული.

ოქროს ღირებულების ცვლილება არ აბრკოლებს აგრეთვე მის ფუნქციას, რომელსაც ის ღირებულების საზომის სახით ასრულებს. ეს ცვლილება ეხება ერთსა და იმავე დროს ყველა საქონელს, მაშასადამე, *caeteris paribus* [სხვა თანაბარ პირობებში], მათ ურთიერთ შეფარდებითს ღირებულებას უცვლელად ტოვებს, თუმცა ყველა ეს ღირებულება ახლა ოქროს უფრო მაღალი ან უფრო დაბალი ფასებით გამოიხატება, ვიდრე უწინ.

როგორც ერთი საქონლის ღირებულების მეორე საქონლის სახმარი ღირებულებით გამოხატვის დროს, ასევე საქონლის ოქროთი შეფასების დროსაც იგულისხმება მხოლოდ, რომ ამა თუ იმ დროს ოქროს განსაზღვრული რაოდენობის წარმოება შრომის განსაზღვრული რაოდენობა, ღირს. საქონელთა ფასების მოძრაობის მიმართ საერთოდ, ძალაში რჩება ღირებულების მარტივი, შეფარდებითი გამოხატულების ზემოთ გარკვეული კანონები.

საქონელთა ფასების საყოველთაო ზრდა ფულის ღირებულების უცვლელობის დროს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იზრდება საქონელთა ღირებულება; საქონელთა ღირებულების უცვლელობის დროს კი — თუ ეცემა ფულის ღირებულება. პირიქით. საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემა ფულის ღირებულების უცვლელობის დროს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონელთა ღირებულება ეცემა; საქონელთა ღირებულების უცვლელობის დროს კი — თუ იზრდება ფულის ღირებულება. აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ფულის ღირებულების ზრდა იწვევს საქონლის ფასების პროპორციულ დაცემას, ან ფულის ღირებულების დაცემა — საქონლის ფასების პროპორციულ ზრდას. ეს ითქმის მხოლოდ ისეთ საქონელზე, რომლის ღირებულება უცვლელი რჩება. ისეთი საქონელი, მაგალითად, რომლის ღირებულებაც ფულის ღირებულებასთან ერთად თანაბრად და იმავედროულად იზრდება, იმავე ფასებს ინარჩუნებს. თუ მისი ღირებულება უფრო ნელა ან უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ფულის ღირებულება, მაშინ მისი ფასის დაცემა ან ზრდა განისაზღვრება იმ განსხვავებით, რომელიც მისი ღირებულების მოძრაობასა და ფულის ღირებულების მოძრაობას შორის არსებობს და სხვა.

დავუბრუნდეთ ახლა ფასის ფორმის განხილვას.

სხვადასხვა მიზეზების გამო ლითონის წონის ფულადი სახელწოდებანი თანდათან ეთიშებიან თავიანთ თავდაპირველ წონითს სახელწოდებებს. ამ მიზეზთა შორის ისტორიულად გადამწყვეტი მნიშვნელობის არიან: 1) უცხო ფულის შემოღება ნაკლებად განვითარებულ

ხალხებში; ასე, მაგალითად, ძველ რომში ვერცხლის და ოქროს მონეტები თავდაპირველად მიმოიქცეოდა როგორც უცხოეთის საქონელი. ამ უცხოეთის ფულის სახელწოდებანი განსხვავდებიან ადგილობრივი წონითი სახელწოდებებისაგან. 2) სიმდიდრის განკითარებასთან ერთად ნაკლებად ძვირფასი ლითონი ღირებულების საზომის ფუნქციას კარგავს იმის გამო, რომ მას აძევენ უფრო ძვირფასი ლითონი: სპილენძს აძევენ ვერცხლი, ვერცხლს — ოქრო, თუმცა ეს თანამიმდევრობა ყოველ პოეტურ ქრონოლოგიას ძლიერ ეწინააღმდეგება⁵⁶. გირვანქა, მაგალითად, ნამდვილი გირვანქა ვერცხლის ფულადი სახელწოდება იყო. მაგრამ როცა ოქროს მიერ ვერცხლი განიღვენა, როგორც ღირებულების საზომი, იგივე სახელწოდება მიეკუთვნა ოქროს რაოდენობას, რომელიც შეადგენს, შესაძლებელია, გირვანქის $\frac{1}{15}$ -ს და სხვ., იმ შეფარდების მიხედვით, რაც ოქროსა და ვერცხლის ღირებულებას შორის არსებობს. გირვანქა, როგორც ფულადი სახელწოდება, და გირვანქა, როგორც ოქროს ჩვეულებრივი წონითი სახელწოდება, ახლა გათიშულია ერთმანეთისაგან⁵⁷. 3) მრავალი საუკუნის განმავლობაში მთავრების მიერ ფულის განუწყვეტელი გაყალბება, რამაც ფულის მონეტის თავდაპირველი წონისაგან ნამდვილად მარტოოდენ მისი სახელწოდება დატოვა⁵⁸.

ამ ისტორიული პროცესების მეოხებით ლითონის წონის ფულადი სახელწოდების გათიშვა მისი ჩვეულებრივი წონითი სახელწოდებისაგან ხალხურ ჩვეულებად გადაიქცა. რადგან ფულადი მასშტაბი, ერთი მხრივ, წმინდა პირობითი მნიშვნელობისაა, ხოლო, მეორე მხრივ, საყოველთაო აღიარებას საჭიროებს, ამიტომ იგი ბოლოს და ბოლოს კანონით წესრიგდება. ძვირფასი ლითონის განსაზღვრული წონითი ნაწილი, მაგალითად, უნცი ოქრო, ოფიციალურად იყოფა ჯერად ნაწილებად, რომელნიც ლეგალური ნათლობის სახელებს იღებენ, მაგალითად: გირვანქა, ტალერი და სხვა. ასეთი ჯერადი ნაწილი.

⁵⁶ სხვათა შორის ამას არც საყოველთაო ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

⁵⁷ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ასე, მაგალითად, ინგლისური გირვანქა ახლა თავისი პირვანდელი წონის $\frac{1}{3}$ -ზე ნაკლებს შეიცავს, შოტლანდიური გირვანქა უნის გამოცხადების წინ — მხოლოდ $\frac{1}{30}$, ფრანგული ლიერი — $\frac{1}{16}$, ესპანური მარავედი — $\frac{1}{1000}$ -ზე ნაკლებს, პორტუგალიური რეი — გაცილებით უფრო მცირე ნაწილს.

⁵⁸ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. «ის მონეტები, რომელთა სახელწოდება დღეს მხოლოდ იდეალურია, ყოველი ერის უძველესი მონეტებია და ყველა ისინი ერთ დროს რეალური იყვნენ და სწორედ იმიტომ, რომ ისინი რეალური იყვნენ, საანგარიშო ფულის როლს ასრულებდნენ» (Galiani: «Della Moneta», გვ. 153).

რომელიც ამიერიდან ფულის საზომ ერთეულს წარმოადგენს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, თავის მხრივ კვლავ იყოფა სხვა ჯერად ნაწილებად, რომელთაც კანონიერი ნათლობის სახელები ეძლევათ, მაგალითად, შილინგი, პენსი და სხვა⁵⁹. ლითონის განსაზღვრული წონითი რაოდენობანი უწინდებურად რჩება ლითონის ფულის მასშტაბად. შეიცვალა მხოლოდ დანაწილება და სახელწოდება:

მაშასადამე, ფასები, ანუ ოქროს რაოდენობანი, რომლებადაც იდეალურად საქონლის ღირებულებანი გადაიქცნენ, გამოიხატება ახლა ფულადი სახელწოდებით, ანუ ოქროს მასშტაბის კანონით მიღებული საანგარიშო სახელწოდებით. მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ ვთქვათ: 1 კვარტერი ხორბალი = ერთ უნც ოქროს, ინგლისში იტყვიან, იგი უდრის 3 გირვანქა სტერლინგს 17 შილინგს და 10¹/₂ პენსსო. ამრიგად, საქონელი თავისი ფულადი სახელწოდებით გვამცნობს, თუ რა ღირებულებისაა იგი, ხოლო ფული საანგარიშო ფულის როლს ასრულებს ყოველთვის, როცა საჭირო ხდება რომელიმე ნივთის ფიქსირება ღირებულების სახით და, მაშასადამე, ფულადი ფორმით⁶⁰.

ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება სრულიად გარეგნული რამაა მისი ბუნებისათვის. მე არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანის შესახებ, თუ მარტო ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია. ასევე ქრება ფულად სახელწოდებებში: გირვანქა, ტალერი, ფრანკი, დუკატი და სხვ. ღირებულებითი შეფარდების ყოველივე ნასახი. არე-დარევა ამ კაბალისტური ნიშნების ფარული აზრის შესახებ მით უფრო ძლიერია, რომ ფულადი სახელწოდებანი ერთსა და იმავე დროს საქონლის ღირებულებასაც გამოხატავენ და ლითონის წონის, ფულადი მასშტაბის, გარკვეულ ნაწილებსაც⁶¹. მეორე მხრივ, აუცილებელია, რომ

⁵⁹ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ბ-ნი დავიდ ურკარტი თავის «Familiar Words»-ში აღნიშნავს იმ საშინელებას (!), რომ ამჟამად გირვანქა (გირვანქა სტერლინგი) — ინგლისური ფულადი მასშტაბის ერთეული — დაახლოებით 1/4 უნც ოქროს უდრის. «ეს საზომის გაყალბებაა და არა მასშტაბის დამყარება». ოქროს წონის ამ «ყალბ სახელწოდებაში», როგორც ყველგან, იგი ცივილიზაციის გამყალბებელ ხელს ხელდას.

⁶⁰ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. «როცა ანაზარსის ჰკითხეს, თუ რისთვის ხმარობენ ელინები ფულსო, მან უპასუხა: საანგარიშოდო» (Athenaeus «Deipnosophistarum [libri quindecim]», წიგ. IV, 49-ე ტ. მე-2 გამოც. Schweighäuser, 1802 [გვ. 120]).

⁶¹ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. «რადგან ოქრო ფასების მასშტაბის სახით იმავე საანგარიშო სახელწოდებით გვევლინება, როგორც საქონლის ფასები. ასე რომ, მაგალითად, ერთი უნცი ოქრო, ისევე როგორც ერთი ტონა რკინა

ღირებულება, განსხვავებით საქონელთა სამყაროს აქრელებულ სხეულთაგან, განვითარდეს ამ ირაციონალურ ნივთობრივ, მაგრამ ამასთანავე მარტივ საზოგადოებრივ ფორმად⁶².

ფასი საქონელში გასაგნობრივებული შრომის ფულადი სახელწოდებაა. მაშასადამე, ეკვივალენტობა საქონლის და ფულის იმ რაოდენობისა, რომლის სახელწოდება ამ საქონლის ფასს შეადგენს, უბრალო ტაქტოლოგიაა⁶³, ისე როგორც საერთოდ ამა თუ იმ საქონლის ღირებულების შეფარდებითი გამოხატულება მუდამ ორი საქონლის ეკვივალენტობის გამოხატულებაა. მაგრამ თუ ფასი, როგორც საქონლის ღირებულების სიდიდის მაჩვენებელი, იმავე დროს მისი ფულთან საცვლელი შეფარდების მაჩვენებელია, აქედან არ გამომდინარეობს შებრუნებული დასკვნა, რომ ფულთან საქონლის

3 გირვანჯა სტერლინგით 17 შილინგით და 10 1/2 პენსით გამოიხატება, — ამიტომ ოქროს ამ სხვადასხვა საანგარიშო სახელწოდებას ოქროს მონეტური ფასი დაარქვეს. აქედან წარმოიშვა უცნაური წარმოდგენა, თითქოს ოქრო (ან ვერცხლი) თავისივე საკუთარი მასალით შეფასდება და, განსხვავებით ყველა სხვა საქონლისაგან, სახელმწიფოსაგან ღებულს მტკიცე ფასს. ოქროს განსაზღვრული წონითი რაოდენობისათვის განუთვნილ საანგარიშო სახელწოდებათა ფიქსაციას ამ წონითი რაოდენობის ღირებულების ფიქსაციად ღებულმდენს (Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 52). [შეად. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 87.]

⁶² შეად. «ფულის საზომი ერთეულის თეორიები» «Zur Kritik der Politischen Oekonomie»-ში, გვ. 53 და შემდ. [პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი 1953, გვ. 89 და შემდ.]. ფანტაზია «მონეტური ფასის» აწვევის ან დაწვევის შესახებ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფულადი სახელწოდებანი, რომლებიც ოქროს ან ვერცხლის კანონით განსაზღვრული წონითი ნაწილებისათვის არის კანონით დაწესებული, სახელმწიფოს გადააქვს მეტი ან ნაკლები წონის ნაწილებზე და ამისდა მიხედვით მომავლისთვის ქრის, ვთქვათ, 1/4 უნცი ოქროდან, ნაცვლად 20 შილინგისა, 40 შილინგს, — ეს ფანტაზია, რამდენადაც იგი წარმოადგენს არა უზებრო ფინანსურ ოპერაციას, მიმართულს სახელმწიფო და ღირსი კრედიტორების წინააღმდეგ, არამედ მიზნად ისახავს ეკონომიურ «სასწაულთმოქმედ წამლობას», ისე ამომწურავად გარკვევა პეტრი თავის ნაშრომში «Quantulumque concerning Money. To the Lord Marquis of Halifax», 1682, რომ უკვე მის უშუალოდ მოადგენო მწერლებს, სერ დედლი ნორსს და ჯონ ლოკს, შემდგომ მწერლებზე თუ აღარას ვიტყვით, მხოლოდ მისი აზრების გავლენაზეა შექმლით. «ხალხის სიმდიდრის გაათავება რომ დეკრეტით იყოს შესაძლებელი, — ამბობს სხვათა შორის ის, — მაშინ გაუგებარი იქნებოდა, რომ ჩვენმა მთავრობებმა ამდენ ხანს არ გამოსცეს ასეთი დეკრეტები» (ზემოთ დასახელებული თხზულება, გვ. 36).

⁶³ ანდა უნდა ვაღიაროთ, რომ ერთი მილიონი ფული უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე იმდენივე ღირებულების საქონელი (Le Trosne: «De l'Intérêt Social», გვ. 922), ე. ი. «რომ განსაზღვრული ღირებულება უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე მისი ტოლი სხვა ღირებულება».

საცვლელი შეფარდების მაჩვენებელი აუცილებლად მისი ღირებულების სიდიდის მაჩვენებელია. ვთქვათ, 1 კვარტერი ხორბლით და 2 გირვანქა სტერლინგით (დაახლოებით $\frac{1}{2}$ უნცი ოქრო) გამოიხატება თანაბარი სიდიდის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა. ეს 2 გირვანქა სტერლინგი ერთი კვარტერი ხორბლის ღირებულების სიდიდის ფულადი გამოხატულებაა, ანუ მისი ფასია. თუ გარემოება ნებას გვაძლევს შევაფასოთ კვარტერი ხორბალი 3 გირვანქა სტერლინგად ან გვაიძულებს შევაფასოთ იგი 1 გირვანქა სტერლინგად, მაშინ 1 გირვანქა სტერლინგი და 3 გირვანქა სტერლინგი, როგორც ხორბლის ღირებულების სიდიდის გამოხატულებანი, ან ძალიან ცოტაა, ან ძალიან ბევრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ხორბლის ფასს წარმოადგენენ, იმიტომ რომ, ჯერ-ერთი, ორივე მისი ღირებულების ფორმაა, ე. ი. ფული, მეორე, ფულთან მისი საცვლელი შეფარდების მაჩვენებელია. წარმოების პირობების უცვლელობის ანუ შრომის მწარმოებლური ძალის უცვლელობის პირობებში ერთი კვარტერი ხორბლის კვლავწარმოებისათვის უნდა დაიხარჯოს იმდენივე საზოგადოებრივი სამუშაო დრო, რამდენიც მანამდე იხარჯებოდა. ეს გარემოება არ არის დამოკიდებული არც ხორბლის მწარმოებლისა და არც სხვა რომელიმე საქონელმფლობელის ნებაზე. მაშასადამე, საქონლის ღირებულების სიდიდე გამოიხატავს აუცილებელ, საქონლის შექმნის პროცესისთვის იმანენტურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ სამუშაო დროსთან. ღირებულების სიდიდის ფასად გადაქცევასთან ერთად ეს აუცილებელი დამოკიდებულება ვლინდება როგორც საქონლის საცვლელი შეფარდება მის გარეშე არსებულ ფულად საქონელთან. მაგრამ ამ შეფარდებით შეიძლება გამოიხატოს როგორც საქონლის ღირებულების სიდიდე, ისე აგრეთვე მასთან შედარებით ის მეტი ან ნაკლები, რომელიც თან ახლავს არსებულ პირობებში საქონლის გასხვისებას. მაშასადამე, ფასსა და ღირებულების სიდიდეს შორის რაოდენობრივი თანაუმთხვევადობის შესაძლებლობა, ანუ ღირებულების სიდიდისაგან ფასის გადახრის შესაძლებლობა, თვით ფასის ფორმაშია ჩაქსოვილი. ეს გარემოება არ არის ამ ფორმის ნაკლი, არამედ, პირობით, იგი მას ხდის იმ წარმოების წესის ადეკვატურ ფორმად, სადაც წესრიგს შეუძლია უწესრიგობის ქაოსში გზა გაიკვლიოს მხოლოდ როგორც საშუალოს ბრმადმოქმედ კანონს.

მაგრამ ფასის ფორმამ შეიძლება დაუშვას არა მარტო შესაძლებლობა რაოდენობრივი თანაუმთხვევადობისა ღირებულების სიდიდესა და ფასს შორის, ე. ი. ღირებულების სიდიდესა და მის საკუთარ ფულად გამოხატულებას შორის, არამედ მას შეუძლია შეიფაროს

თვისებრივი წინააღმდეგობა, ასე რომ ფასი საერთოდ აღარ რჩება ღირებულების გამოხატულებად, თუმცა ფული საქონელთა ღირებულების ფორმაა მხოლოდ. ნივთები, რომელნიც თავისთავად საქონელს არ წარმოადგენენ, მაგალითად, სინდისი, პატიოსნება და სხვ., შეიძლება ფულზე გასაყიდი შეიქნენ თავიანთ მფლობელთათვის და, ამგვარად, ფასის საშუალებით საქონლის ფორმა მიიღონ. მაშასადამე, ნივთს შეიძლება ფორმალურად ფასი ჰქონდეს, ღირებულება კი არ ჰქონდეს. ფასის გამოხატულება აქ ხდება წარმოსახვითი, როგორც მათემატიკის ზოგიერთი სიდიდენი. მეორე მხრივ, ფასის წარმოსახვითი ფორმაც, როგორც, მაგალითად, ფასი დაუმუშავებელი მიწისა, რომელსაც ღირებულება არა აქვს, რადგან მასში არ არის გასაგნობრივებული ადამიანის შრომა. შეიძლება ფარავდეს ნამდვილ ღირებულებითს შეფარდებას ან მისგან ნაწარმოებ შეფარდებას.

ფასი, ისევე როგორც ღირებულების შეფარდებითი ფორმა საერთოდ, გამოხატავს საქონლის, მაგალითად, ერთი ტონა რკინის, ღირებულებას იმით, რომ ეკვივალენტის განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად, უნცი ოქრო, შეიძლება უშუალოდ გაიცვალოს რკინაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ, პირიქით, შესაძლებელია რკინის უშუალოდ გაცვლა ოქროზე. მაშასადამე, საქონელმა რომ პრაქტიკულად შეასრულოს საცვლელი ღირებულების როლი, მან უნდა მოიცილოს თავისი ნატურალური სხეული, მარტოდენ წარმოდგენაში არსებული ოქროდან უნდა გადაიქცეს ნამდვილ ოქროდ, თუნდაც რომ ეს გადაქცევა საქონლისათვის უფრო «მწარე» იყოს, ვიდრე ჰეგელის «ცნებისათვის» აუცილებლობიდან თავისუფლებაში გადასვლა, ან ასთავისათვის ქერქის გამოცვლა, ანდა წმინდა იერონიმესათვის განძარცვა ძველისა ადამისა⁶⁴. თავის რეალურ, მაგალითად, რკინის სახესთან ერთად საქონელს შეიძლება თავის ფასში ღირებულების იდეალური სახე, ანუ წარმოდგენაში არსებული ოქროს სახე, ჰქონდეს, მაგრამ მას არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს იყოს ნამდვილი რკინაც და ნამდვილი ოქროც. საქონელს რომ ფასი მიეცეს, ამისთვის საკმარისია მასთან შეთანატოლებულ იქნას წარმოდგენაში არსებული ოქრო. მაგრამ იგი უნდა შეიცვალოს ნამდვილი ოქროთი, რათა თავის

⁶⁴ თუ იერონიმეს თავის სიყრმეში ბევრი ჯაფა გადახდა თავისი მატერიალური ხორცის დასაცხრომად, რასაც ამტკიცებს მისი ბრძოლა უდაბნოში ლამაზი ქალების სახებთან, მას, ხანში შესულს, ბრძოლა სჭირდებოდა სულიერ ხორცთან. ჩემი თავი, — ამობას იგი, — მაგალითად, — წარმოვიდგინე ახრით მსოფლიო მსაჯულის წინაშე. «ვინა ხარ?» მეკითხება ხმა. «მე ქრისტიანი ვარ». «სტყუი», გრგვინავს მსოფლიო მსაჯული. «შენ მხოლოდ ციცერონელი ხარ!»

მფლობელს საყოველთაო ეკვივალენტის სამსახური გაუწიოს. მაგალითად, რკინის მფლობელი რომ შეეყაროს სატრფიალო საქონლის მფლობელს და მიუთითოს მას, რომ რკინის ფასი ფულადი ფორმააო, იგი პასუხად იმასვე მიიღებდა, რაც ზეცაში წმ. პეტრემ მიუგოდანტეს, როცა ამ უკანასკნელმა წაუკითხა მას სიმბოლო სარწმუნოებისა:

«Assai bene è trascorsa
D'esta moneta già la lega e'l peso,
Ma dinmi so tu l'hai nella tua borsa.»

[ამ მონეტის წონა და შედგენილობა ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ მითხარი, გაქვს თუ არა იგი ქისაში]

ფასის ფორმა გულისხმობს საქონელთა გასხვისებას ფულზე და ამ გასხვისების აუცილებლობას. მეორე მხრივ, ოქრო მხოლოდ იმიტომ მოქმედებს როგორც ღირებულების იდეალური საზომი, რომ გაცვლის პროცესში იგი უკვე ფულადი საქონლის სახით ტრიალებს. ამიტომ ღირებულებათა იდეალურ საზომში ლითონის ფული იმალება.

2. მიმოცემვის საშუალება

ა) საქონელთა მეტამორფოზი

ჩვენ დავინახეთ, რომ საქონელთა გაცვლის პროცესი წინააღმდეგობრივ და ერთიმეორის გამომრიცხველ დამოკიდებულებას შეიცავს. საქონლის განვითარება არ სპობს ამ წინააღმდეგობებს, მაგრამ ქმნის ფორმას, რომლითაც მათ შეუძლიათ იმოძრაონ. ეს არის საერთოდ ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც იხსნება ნამდვილი წინააღმდეგობანი. წინააღმდეგობაა, მაგალითად, ის, რომ ერთი სხეული განუწყვეტლივ ეცემა მეორეზე და ასევე განუწყვეტლივ განელტვის მას. ელიპსი არის მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა, რომლითაც ეს წინააღმდეგობა ერთსა და იმავე დროს კიდევ ხორციელდება და კიდევ იხსნება.

რამდენადაც საქონელთა გაცვლის პროცესს საქონელი გადააქვს ერთი ხელიდან, სადაც იგი არ წარმოადგენს სახმარ ღირებულებას, მეორეში, სადაც იგი სახმარ ღირებულებას წარმოადგენს, იმდენად ეს პროცესი ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლაა. ერთი სახეობის სასარგებლო შრომის პროდუქტი იჭერს მეორე სახეობის სასარგებლო შრომის პროდუქტის ადგილს. როცა ის იმ ადგილს მიაღწევს, სადაც იგი სახმარ ღირებულებად გვემსახურება, საქონელი საქონელგაცვლის სფეროდან მოხმარების სფეროში გადადის. ჩვენ

აქ მხოლოდ საქონელთა გაცვლის სფერო გვანტერესებს. მაშასადამე, ჩვენ მთელი პროცესი უნდა განვიხილოთ მხოლოდ ფორმის მხრივ, ე. ი. უნდა განვიხილოთ მხოლოდ საქონელთა ფორმის ცვლა, ანუ შეტამორფოზი, რომელიც ნივთიერებათა საზოგადოებრივ ცვლას მოსაშუალებებს.

ფორმათა ამ ცვლის სრულიად არასაკმაო გაგებას იწვევს, მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ თვით ღირებულების ცნების შესახებ არსებული ბუნდოვანება, ის გარემოება, რომ ამა თუ იმ საქონლის ფორმის ყოველი ცვლა ხდება ორი საქონლის, ჩვეულებრივი საქონლის და ფულადი საქონლის, გაცვლის საშუალებით. თუ ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ამ ნივთიერ მომენტს, საქონლის გაცვლას ოქროზე, მაშინ შეუმჩნეველი დაგვრჩება სწორედ ის, რაც უნდა დავინახოთ, სახელდობრ, თუ რა ემართება საქონლის ფორმას. შეუმჩნეველი დაგვრჩება ის, რომ ოქრო, როგორც მხოლოდ საქონელი, ფული არ არის, და რომ ყველა სხვა საქონელი თავისი ფასებით თვით უფარდდება ოქროს როგორც თავის საკუთარ ფულად სახეს.

პირველად საქონელი შედის გაცვლის პროცესში მოუოქრავი, დაუშაქრავი, თავისი ბუნებრივი სახით. გაცვლის პროცესი ქმნის საქონლის გაორებას საქონლად და ფულად, გარეგან დაპირისპირებულებას, რომლითაც საქონელი გამოხატავს თავის იმანენტურ დაპირისპირებულობას სახმარი ღირებულებისა და ღირებულების სახით. ამ დაპირისპირებულობაში საქონელი როგორც სახმარი ღირებულება უპირისპირდება ფულს როგორც საცვლელ ღირებულებას. მეორე მხრივ, ამ დაპირისპირების ორივე მხარე წარმოადგენს საქონელს, მაშასადამე, სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობას. მაგრამ განსხვავებათა ეს ერთიანობა ორივე პოლუსზე სათითაოდ გამოიხატება შებრუნებული სახით და ამით წარმოადგენს იმავე დროს მათს ურთიერთმიმართებას. საქონელი რეალურად სახმარი ღირებულებაა; მისი ღირებულებითი ყოფიერება მხოლოდ იდეალურად ვლინდება ფასში, რომელიც გამოხატავს მის მიმართებას ოქროსადმი, ეს ოქრო კი უპირისპირდება მას როგორც მისი ღირებულების რეალური სახე. პირიქით, ოქროს ნივთიერება მხოლოდ ღირებულების მატერიალიზაციის, ე. ი. ფულის როლს ასრულებს. ამიტომ ოქრო რეალურად საცვლელი ღირებულებაა. მისი სახმარი ღირებულება ჯერ მხოლოდ იდეალურად ვლინდება ღირებულების შეფარდებითს გამოხატულებათა მწკრივში, სადაც იგი ეფარდება მოპირდაპირე საქონელთ როგორც თავის რეალურ სახმარ ფორმათა ერთობლიო-

ზას. საქონელთა ეს ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ფორმები წარმოადგენენ მათი გაცვლის პროცესის მოძრაობის ნამდვილ ფორმებს.

გავყვეთ ახლა რომელიმე საქონელმფლობელს, თუნდაც ჩვენს ძველ ნაცნობ ფეიქარს, გაცვლის პროცესის ასპარეზზე, საქონელთა ბაზარზე. მისი საქონლის, 20 ადლი ტილოს, ფასი განსაზღვრულია. მისი ფასი უდრის 2 გირვანქა სტერლინგს. ფეიქარი თავის ტილოს 2 გირვანქა სტერლინგზე ცვლის და, როგორც ძველი ყაიდის კაცი, ამ 2 გირვანქა სტერლინგს კვლავ ცვლის იმავე ფასის მქონე საოჯახო ბიბლიაზე. ტილო, რომელიც მისთვის მხოლოდ საქონელია, ღირებულების მატარებელი, გასხვისდება ოქროზე, რომელიც ამ ტილოს ღირებულებითი სახეა, და ამ სახიდან ხელახლა გასხვისდება სხვა საქონელზე, ბიბლიაზე, რომელიც, როგორც მოხმარების საგანი, უნდა გადავიდეს ფეიქარის სახლში და იქ სულის ცხონების მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. მაშასადამე, საქონლის გაცვლის პროცესი წარმოებს ორი, ერთმანეთის მოპირდაპირე და ერთიმეორის შემავსებელი, მეტამორფოზის სახით — საქონლის ფულად გადაქცევისა და ფულიდან მისი საქონლად უკუგადაქცევის სახით⁶⁶. საქონლის მეტამორფოზის მომენტები იმავე დროს საქონელმფლობელის გარიგებანია — გაყიდვა, საქონლის გაცვლა ფულზე; ყიდვა, ფულის გაცვლა საქონელზე, და ამ ორი აქტის ერთიანობა: გაყიდვა, ყიდვის მიზნით.

თუ ფეიქარი შეხედავს ახლა თავისი სავაჭრო გარიგების საბოლოო შედეგს, აღმოჩნდება, რომ მას აქვს ბიბლია ტილოს ნაცვლად, თავისი თავდაპირველი საქონლის ნაცვლად — იმავე ღირებულების, მაგრამ სხვაგვარი სარგებლიანობის, საქონელი. ასეთივე წესით ითვისებს იგი სხვა საარსებო საშუალებებს და წარმოების საშუალებებს. მისი თვალსაზრისით მთელი პროცესი მოსაშუალოებს მხოლოდ მისი შრომის პროდუქტის გაცვლას სხვისი შრომის პროდუქტზე, მოსაშუალოებს პროდუქტთა გაცვლას.

მაშასადამე, საქონლის გაცვლის პროცესი წარმოებს ფორმათა შემდეგი ცვლის სახით:

⁶⁶ «*Ἐκ δὲ τοῦ... πρὸς ἀνταρθεσίῃαι πάντα, φησὶ ὁ Ἡράκλειτος, καὶ πῦρ ἀπύρωται, ὅπως χρεὸς χρεῖσται καὶ χρεῖσται χρεὸς*». [ყველაფერი წარმოადგება... ცეცხლისაგან და ცეცხლი ყველაფრისაგან, ისე, როგორც ოქრო იქცევა საქონლად და საქონელი ოქროდ] (F. Lassalle: «Die Philosophie Herakleitos des Dunkeln». Berlin 1858, ტ. I, გვ. 222). ლასალის შენიშვნა ამ ადგილას, გვ. 224. შენიშვნა 3, შეცდომით განიხილავს ფულს როგორც ღირებულების უბრალო ნიშანს.

საქონელი — ფული — საქონელი.

ს — ფ — ს.

თავისი ნივთიერი შინაარსით ეს მოძრაობა არის ს — ს, საქონლის გაცვლა საქონელზე, საზოგადოებრივი შრომის ნივთიერი ცვლა, რომლის შედეგშიც თვით პროცესი წყდება.

ს — ფ. საქონლის პირველი მეტამორფოზი, ანუ გაყიდვა. საქონლის ღირებულების გადახტომა საქონლის სხეულიდან ფულის სხეულში არის, როგორც ეს სხვა ადგილას აღვნიშნე, საქონლის *salto mortale* [საბედისწერო ნახტომი]. თუ იგი მარცხით დასრულდა, მაშინ მოტყუებული რჩება, მართალია არა საქონელი, მაგრამ, რასაკვირველია, საქონელმფლობელი. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება იმდენადვე ცალმხრივად ხდის მის შრომას, რამდენადაც მრავალმხრივად მის მოთხოვნილებებს. სწორედ ამიტომ ემსახურება მას მისი პროდუქტი მხოლოდ როგორც საცვლელი ღირებულება. მაგრამ საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის ეკვივალენტურ ფორმას პროდუქტი მხოლოდ ფულის მეოხებით იღებს, ფული კი სხვის ჯიბეში იმყოფება. ამ ფულის იქიდან ამოსაღებად აუცილებელია, რომ საქონელი უწინარეს ყოვლისა ფულის მფლობელისათვის წარმოადგენდეს სახმარ ღირებულებას, მაშასადამე, მასზე დახარჯული შრომა საზოგადოებრივად სასარგებლო ფორმით უნდა იყოს დახარჯული, ანუ მან უნდა გაამართლოს თავისი თავი, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთ-ერთმა რგოლმა. მაგრამ შრომის დანაწილება ბუნებრივად აღმოცენებული საწარმოო ორგანიზმია, რომლის ქსოვილებიც იქსოვებოდა და ახლაც იქსოვება საქონელმწარმოებელთა ზურგს უკან. შესაძლებელია საქონელი ახალი სახის შრომის პროდუქტი იყოს და მას მიზნად ჰქონდეს ახლად წარმოშობილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ან თვით სურდეს იკისროს პირველად ამა თუ იმ მოთხოვნილების შექმნა. განსაკუთრებულმა შრომითმა ოპერაციამ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ერთ-ერთი ფუნქცია იყო ერთი და იმავე საქონელმწარმოებლის მრავალ ფუნქციითა შორის, დღეს შეიძლება კავშირი გაწყვიტოს მათთან, გახდეს დამოუკიდებელი და სწორედ ამიტომ თავისი ნაწილობრივი პროდუქტი დამოუკიდებელი საქონლის სახით ბაზარზე გაგზავნოს. ამასთან პირობები შეიძლება იყოს მომწიფებული ან მოუნწიფებელი ამ გამოცალკევების პროცესისათვის. დღეს ესა თუ ის პროდუქტი აკმაყოფილებს ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. ხვალ — კი შეიძლება იგი სავსებით ან ნაწილობრივ განდევნილ იქნას თავისი ადგილიდან

მისი მსგავსი პროდუქტის მიერ. ესა თუ ის შრომა, მაგალითად, ჩვენი ფეიქრის შრომა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პატენტისანი რგოლიც რომ იყოს, ამით ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის გარანტირებული სწორედ მისი 20 ადლი ტილოს სახმარი ღირებულება. თუ საზოგადოებრივი მოთხოვნილება ტილოს მიმართ, — და ამასაც თავისი ზომა აქვს, ისე როგორც ყველაფერს, — უკვე დაკმაყოფილებულია სხვა მეტოქე ფეიქრების მიერ, მაშინ ჩვენი მეგობრის პროდუქტი ჭარბი, ზედმეტი და ამით უსარგებლო ხდება. თუმცა ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება, მაგრამ ჩვენი ფეიქარი იმიტომ როდი გამოდის ბაზარზე, რომ საჩუქრები არიგოს. დავუშვათ, რომ მისი პროდუქტის სახმარი ღირებულება დასტურდება და საქონელიც, მაშასადამე, თავისკენ იზიდავს ფულს. მაგრამ იბადება კითხვა: რამდენი იქნება ეს ფული? პასუხი უკვე წინასწარ მოცემულია საქონლის ფასში, მისი ღირებულების სიდიდის მაჩვენებელში. ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ წმინდა სუბიექტურ შეცდომებს, რომლებიც შეიძლება საქონელმფლობელის ანგარიშში მოხდეს და რომელთაც ბაზარი მაშინვე ობიექტურად ასწორებს. ვთქვათ, მწარმოებელმა თავის პროდუქტზე მხოლოდ საშუალო საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო დახარჯა. მაშასადამე, საქონლის ფასი მასში გასაგნობრივებული საზოგადოებრივი შრომის რაოდენობის მხოლოდ ფულადი სახელწოდებაა. მაგრამ ჩვენი ფეიქრის ნებართვის გარეშე და მის ზურგს უკან ტილოს ქსოვის ძველმა ტრადიციულმა საწარმოო პირობებმა დუღილი იწყეს. ის, რაც გუშინ ერთი ადლი ტილოს წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს უეჭველად შეადგენდა, დღეს აღარ შეადგენს, როგორც ამას გულმოდგინეთ გვიჩვენებს ფულის მფლობელი ჩვენი მეგობრის სხვადასხვა მეტოქეების მიერ გამოქვეყნებული ფასებიდან. მისდა საუბედუროდ, ქვეყანაზე ბევრი სხვა ფეიქარი მოიპოვება. დავუშვათ, ბოლოს, რომ ბაზარზე გამოტანილი ტილოს თვითეული ნაჭერი მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს შეიცავს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ამ ნაჭრების საერთო ჯამი მაინც შეიცავდეს ზედმეტად დახარჯულ სამუშაო დროს. თუ ბაზრის სტრუქტურა არ შეუძლია შთანთქას ტილოს მთელი რაოდენობა ნორმალური ფასის კვალობაზე, ორ შილინგად ადლი ტილო, ეს იმას ამტკიცებს, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი სამუშაო დროის ზომაზე მეტი ნაწილია დახარჯული ტილოს ქსოვის სახით. შედეგი ისეთივეა, თითქოს ტილოს ყოველ ცალკეულ მქსოველს თავის ინდივიდუალურ პროდუქტზე საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროზე მეტი დაეხარჯოს.

აქ მართლდება ანდაზა: «ერთად დაიჭირეს, ერთად ჩამოახრჩვესთ». ბაზარზე მთელი ტილო მხოლოდ ერთ საქონლად ითვლება, თვითფული ნაჭერი — მის ჯერად ნაწილად. და მართლაც, ყოველი ინდივიდუალური ადლის ღირებულება მხოლოდ ადამიანის ერთგვაროვანი შრომის ერთი და იმავე საზოგადოებრივად განსაზღვრული რაოდენობის მატერიალიზაციაა*.

როგორც ვხედავთ, საქონელს უყვარს ფული, მაგრამ «the course of true love never does run smooth» [ენამდვილი სიყვარული არასოდეს არ მიმდინარეობს წყნარად]. რაოდენობრივი სტრუქტურა საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმისა, რომელიც თავის membra disjecta-ს [დაქუცმაცებულ წევრებს] შრომის დანაწილების სისტემაში წარმოგვიდგენს, ისევე სტიქიურ-შემთხვევითია, როგორც მისი თვისებრივი სტრუქტურა. ამიტომ ჩვენი საქონელმფლობელნი აღმოაჩენენ, რომ შრომის იგივე დანაწილება, რომელიც მათ დამოუკიდებელ კერძო მწარმოებლად ხდის, იმავე დროს წარმოების საზოგადოებრივ პროცესს და ამ პროცესში მათს ურთიერთობას თვით მათგან დამოუკიდებელს ხდის, რომ პიროვნებათა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლობას მათი ყოველმხრივი ნივთობრივი დამოკიდებულების სისტემა ავსებს.

შრომის დანაწილება შრომის პროდუქტს საქონლად აქცევს და ამით მის ფულად გადაქცევას აუცილებელს ხდის. ამასთანავე იგი შემთხვევის საქმედ ხდის იმას, მოხერხდება თუ არა ეს გადაქცევა. მაგრამ აქ მოვლენა უნდა განვიხილოთ წმინდა სახით, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ მისი ნორმალური მიმდინარეობა. თუკი საერთოდ ხდება ეს მოვლენა, მაშასადამე, თუ საქონელი გაუსაღებელი არ ჩნება ბაზარზე, მაშინ მუდამ ადგილი აქვს მისი ფორმის ცვლას, თუმცა არანორმალურ შემთხვევებში ფორმის ამ ცვლის დროს სუბსტანცია — ღირებულების სიდიდე — შეიძლება შეკვეცილ ან გადიდებულ იქნას.

ერთი საქონელმფლობელისათვის ოქრო იჭერს მისი საქონლის ადგილს, მეორისთვის საქონელი — მისი ოქროს ადგილს. მოვლენა,

* ნ. ფ. დანიელსონისადმი 1878 წ. 28 ნოემბრის თარიღით მიწაწერ წერილში მარქსი ამ ფრაზას შემდეგნაირად ასწორებდა: «და მართლაც, ყოველი ინდივიდუალური ადლის ღირებულება მხოლოდ მატერიალიზაციაა იმ საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრული ნაწილისა, რომელიც დახარჯულია ადლთა მთელ რაოდენობაზე (კ. მარქსის და ფ. ენგელსის თხზ., ტ. XXVII, რუს. გამოც., გვ. 18). ანალოგიური შესწორება შეტანილია «კაპიტალის» I ტომის მე-2 გერმანული გამოცემის იმ ეგზემპლარში, რომელიც მარქსს ეკუთვნოდა; თუმცა ეს შესწორება მარქსის ხელით არ არის შეტანილი. რ. ე. დ.

რომელიც თვალში გვეცემა, იმაში მდგომარეობს. რომ საქონელი და ოქრო, 20 აღლი ტილო და 2 გირვანქა სტერლინგი, ხელიდან ხელში გადადის, ანუ ადვილს იცვლის, ე. ი. გაიცვლება ერთიმეორეზე. მაგრამ რაზე გაიცვლება საქონელი? მისი საკუთარი ღირებულების საყოველთაო სახეობაზე. რაზე იცვლება ოქრო? მისი სახმარი ღირებულების განსაკუთრებულ სახეობაზე. რატომ უპირდაპირდება ოქრო ფულის სახით ტილოს? იმიტომ, რომ თავის ფასს, — 2 გირვანქა სტერლინგს, — ანუ თავის ფულად სახელწოდებას, ტილო უკვე უფარდებს ოქროს როგორც ფულს. საქონლის პირვანდელი ფორმის მოხსნა წარმოებს საქონლის გასხვისების გზით, მაშასადამე, იმ მომენტში, როდესაც მისი სახმარი ღირებულება ნამდვილად იზიდავს ოქროს, რომელიც მის ფასში მხოლოდ იდეალურად არსებობს. ამიტომ ფასის, ანუ საქონლის ღირებულების მხოლოდ იდეალური ფორმის, რეალიზაცია არის იმავე დროს, პირიქით, ფულის მხოლოდ იდეალური სახმარი ღირებულების რეალიზაცია, საქონლის ფულად გადაქცევა არის იმავე დროს ფულის საქონლად გადაქცევა. ეს მთლიანი პროცესი ორმხრივი პროცესია: საქონელმფლობელის პოლუსიდან — გაყიდვა, ფულის მფლობელის საპირისპირო პოლუსიდან — ყიდვა. ანდა გაყიდვა არის ყიდვა, ს — ფ არის იმავე დროს ფ — ს⁶⁶.

ჩვენ არ ვიცით დღემდე ადამიანთა სხვა ეკონომიური ურთიერთობა, გარდა საქონელმფლობელთა ურთიერთობისა, ურთიერთობისა, სადაც საქონელმფლობელნი სხვისი შრომის პროდუქტს მხოლოდ საკუთარი პროდუქტის გასხვისების გზით ითვისებენ. ამიტომ ერთ საქონელმფლობელს შეიძლება მეორე მხოლოდ ფულის მფლობელის სახით დაუპირისპირდეს, ან იმიტომ, რომ მისი შრომის პროდუქტი ბუნებით ფულად ფორმას ატარებს და, მაშასადამე, ფულად მასალას, ოქროს და სხვ. წარმოადგენს, ანდა იმიტომ, რომ მისმა საკუთარმა საქონელმა უკვე იცვალა კანი და ჩამოიცილა თავისი პირვანდელი სახმარი ფორმა. ოქრომ რომ ფულის როლი შეასრულოს, ამისთვის, რასაკვირველია, საჭიროა იგი საქონლის ბაზარზე რომელიმე პუნქტით შემოვიდეს. ეს პუნქტი იმყოფება მისი წარმოების სათავესთან, სადაც იგი შრომის უშუალო პროდუქტის სახით იმავე

⁶⁶ «ყოველი გაყიდვა არის იმავე დროს ყიდვა» (D r. Q u e s n a y: «Dialogues sur le Commerce et les Travaux des Artisans». «Physiocrates», გამოც. Daire, ნაწ. I, Paris 1846, გვ. 170), ანუ, როგორც კნე თავის «Maximes»-ში ამბობს: «გაყიდვა ყიდვაა». [იხ. «Maximes du docteur Quesnay», publiées par Dupont de Nemours, «Physiocrates», გამოც. E. Daire, ნაწილი I, Paris 1846, გვ. 392]

ღირებულების შრომის სხვა პროდუქტზე იცვლება. მაგრამ ამ მომენტიდან დაწყებული, იგი მუდამ საქონელთა რეალიზებულ ფასებს წარმოადგენს⁶⁷. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოქროს გაცვლას საქონელზე მისი წარმოების სათავეშივე, ოქრო ყოველი საქონელმფლობელის ხელში არის მისი გასხვისებული საქონლის უკუგდებული ფორმა, გაყიდვის, ანუ საქონლის პირველი მეტამორფოზის, ს — ფ, შედეგი⁶⁸. იდეალურ ფულად, ანუ ღირებულების საზომად, ოქრო იმიტომ იქცა, რომ ყველა საქონელი თავის ღირებულებას მისი საშუალებით ზომავდა და, ამრიგად, ოქროს ხდიდა თავისი სახმარი ფორმის წარმოდგენაში არსებულ დაპირისპირებულობად — თავისი ღირებულების სახედ. რეალურ ფულად ოქრო იმიტომ იქცევა, რომ ყველა საქონელი თავისი ყოველმხრივი გასხვისების მეოხებით მას თავის ნამდვილად უკუგდებულ ანუ გარდაქმნილ სახმარ ფორმად და, მაშასადამე, თავისი ღირებულების ნამდვილ სახედ ხდის. როგორც ღირებულების სახე, საქონელი წარიხოცავს თავისი ბუნებრივად აღმოცენებული სახმარი ღირებულების და მისი წარმომშობი განსაკუთრებული სასარგებლო შრომის ყოველივე კვალს, რათა ადამიანის განუსხვავებელი შრომის ერთსახოვან საზოგადოებრივ მატერიალიზაციად გადაიქცეს. ამიტომ ფულს არ ემჩნევა, თუ რა სახეობისაა ამ ფულად გადაქცეული საქონელი. თავისი ფულადი ფორმით ერთი საქონელი სწორედ ისევე გამოიყურება, როგორც მეორე. ამიტომ ფული შეიძლება ნაგავიც იყოს, თუმცა ნაგავი ფული არ არის. დაეუშვათ, რომ ის ორი ოქრო, რომელზედაც ჩვენი ფეიქარი თავის საქონელს გაცვლის გზით ასხვისებს, ერთი კვარტერი ხორბლის გარდაქმნილი ფორმაა. ტილოს გაყიდვა, ს — ფ, არის იმავე დროს მისი ყიდვაც, ფ — ს. მაგრამ როგორც ტილოს გაყიდვა, ეს პროცესი იწყებს მოძრაობას, რომელიც მისი საპირისპირო აქტით, ბიბლიის ყიდვით, თავდება; როგორც ტილოს ყიდვა, იგი ათავებს მოძრაობას, რომელიც მისი საპირისპირო აქტით, ხორბლის გაყიდვით, დაიწყა. ს — ფ (ტილო — ფული), ეს პირველი ფაზა მოძრაობისა ს — ფ — ს (ტილო — ფული — ბიბლია), არის იმავე დროს ფ — ს (ფული — ტილო) უკანასკნელი ფაზა მეორე მოძრაობისა ს — ფ — ს (ხორბალი — ფული — ტილო). ამა თუ იმ საქონლის პირველი მეტამორფოზი, საქონლური

⁶⁷ ერთი საქონლის ფასი შეიძლება მხოლოდ მეორე საქონლის ფასით იქნას გადახდილი (Mercier de la Rivière: «L'Ordre Naturel et Essentiel des Sociétés Politiques», «Physiocrates», გამოც. Daire, ნაწილი II, გვ. 554).

⁶⁸ «ფულის პატრონი რომ გახდეს, ჯერ უნდა გაყიდოს რამე» (იქვე, გვ. 543).

ფორმიდან მისი გადაქცევა ფულად, იმავე დროს არის მუდამ მეორე მოპირისპირე მეტამორფოზი სხვა რომელიმე საქონლისა, ამ უკანასკნელის უკუგადაქცევა ფულადი ფორმიდან საქონლად ⁶⁹.

ფ — ს. საქონლის მეორე, ანუ დასკვნითი მეტამორფოზი: ყიდვა. რადგან ფული ყველა სხვა საქონლის უკუგდებულ სახეს, ანუ მათი საყოველთაო გასხვისების შედეგს წარმოადგენს, ამიტომ იგი აბსოლუტურად გასხვისებადი საქონელია. ფული შებრუნებით კითხულობს ყველა ფასს და, ამრიგად, აისახება ყოველი საქონლის სხელში, როგორც საქონლად თავისი საკუთარი გარდაქმნის მორჩილ მასალაში. ამასთანავე ერთად ფასები, ეს მთარეყე თვალები, რომლითაც საქონელი ფულს ეალერსება, გვიჩვენებენ ფულის გარდაქმნის უნარიანობის საზღვარს, სახელდობრ მის საკუთარ რაოდენობას. რადგან საქონელი თავის ფულად გადაქცევის პროცესში ქრება, ამიტომ ფულს არ ეტყობა, თუ როგორ ჩაუვარდა იგი მის მფლობელს ხელში, ან რა გადაიქცა ამ ფულად. «Non olet» — ფულს სუნი არ უდის», როგორც უნდა იყოს მისი წარმომობა. თუ, ერთი მხრივ, ფული გაყიდული საქონლის წარმომადგენელია, მეორე მხრივ, იგი საყიდელი საქონლის წარმომადგენელია ⁷⁰.

ფ — ს, ე. ი. ყიდვა, იმავე დროს არის გაყიდვაც, ს — ფ; ამიტომ ერთი საქონლის უკანასკნელი მეტამორფოზი არის იმავე დროს მეორე საქონლის პირველი მეტამორფოზი. ჩვენი ფეიქრისათვის მისი საქონლის ცხოვრების გზა თავდება ბიბლიით, რადაც მან მის; მიერ მიღებული 2 გირვანქა სტერლინგი გადააქცია. მაგრამ ბიბლიის გამყიდველი ფეიქრისაგან მიღებულ 2 გირვანქა სტერლინგს არაყად აქცევს. ფ — ს, დასკვნითი ფაზა ს — ფ — ს-ისა (ტილო — ფული — ბიბლია) არის იმავე დროს ს — ფ, პირველი ფაზა ს — ფ — ს-ისა (ბიბლია — ფული — არაყი). რადგან საქონელმწარმოებელს მხოლოდ ცალმხრივი პროდუქტი გამოაქვს ბაზარზე, ამიტომ იგი მას ხშირად დიდი რაოდენობით ყიდის, მაშინ როდესაც მისი მრავალგვარი მოთხოვნილება აიძულებს მას განაღდებული ფასი, ანუ მიღებული ფულადი

⁶⁹ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ოქროს ან ვერცხლის მწარმოებელი, რომელიც თავის პროდუქტს ცვლის მის წინასწარ გაუყიდევად.

⁷⁰ თუ ფული ჩვენს ხელში იმ ნივთებს წარმოადგენს, რომელთა ყიდვაც ჩვენ შეიძლება მოვისურვოთ, ამასთანავე იგი იმ ნივთებსაც წარმოადგენს, რომლებიც ჩვენ ამ ფულზე გაყიდეთ (Mercier de la Rivière: «L'Ordre Naturel et Essentiel des Sociétés Politiques», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 586).

თანხა, დააქმუცმაცოს მუდამ მრავალრიცხოვანი ყიდვის აქტებისათვის. ამიტომ ერთი გაყიდვა სხვადასხვა საქონლის ყიდვის მრავალი აქტის ამოსავალი წერტილი ხდება. ამგვარად, ერთი საქონლის დასკვნითი მეტამორფოზი სხვა საქონელთა პირველი მეტამორფოზების ჯამს წარმოადგენს.

თუ ახლა ჩვენ განვიხილავთ რომელიმე საქონლის, მაგალითად: ტილოს, ერთობლივ მეტამორფოზს, უწინარეს ყოვლისა, დავინახავთ, რომ იგი შედგება ორი ერთმანეთის საპირისპირო და ერთიმეორის შემავსებელი მოძრაობისაგან: ს — ფ-ისა და ფ — ს-საგან. საქონლის ეს ორი ერთმანეთის საპირისპირო გარდაქმნა ხორციელდება საქონელმფლობელის ორ ერთიმეორის საპირისპირო საზოგადოებრივ პროცესში და აისახება ამ საქონელმფლობელის ორ ერთიმეორის საპირისპირო ეკონომიურ როლში. როგორც გაყიდვის აგენტი. იგი გამყიდველია, ხოლო როგორც ყიდვის აგენტი — მყიდველი. მაგრამ, როგორც საქონლის ყოველ გარდაქმნაში მისი ორივე ფორმა, საქონლური ფორმა და ფულადი ფორმა, ერთსა და იმავე დროს არსებობს, მხოლოდ ერთიმეორის საპირისპირო პოლუსებზე, ასევე ერთსა და იმავე საქონელმფლობელს, როგორც გამყიდველს, უპირისპირდება მეორე მყიდველი, ხოლო როგორც მყიდველს — მეორე გამყიდველი. როგორც ერთი და იგივე საქონელი თანამიმდევრობით გაივლის ორ ერთიმეორის საპირისპირო გარდაქმნას, ე. ი. საქონლიდან ფულად და ფულიდან საქონლად იქცევა, ასევე ერთი და იგივე საქონელმფლობელი ასრულებს ხან გამყიდველისა და ხან მყიდველის როლს. მაშასადამე, ეს როლები მტკიცე არ არის, არამედ საქონელმომოქცევის ფარგლებში განუწყვეტლად გადადის ერთი პირიდან მეორეზე.

საქონლის ერთობლივი მეტამორფოზი თავისი უმარტივესი ფორმით ოთხ კიდურს და სამ *personae dramatis* [მოქმედ პირს] გულისხმობს. პირველად საქონელს უპირისპირდება ფული როგორც მისი ღირებულების სახე, რომელსაც მის მიღმა, სხვის ჯიბეში ნიეთობრივად ხელშესახები რეალობა აქვს. ამრიგად, საქონელმფლობელს უპირისპირდება ფულის მფლობელი. როგორც კი საქონელი ფულად იქცევა, ეს უკანასკნელი იქცევა მის წარმავალ ეკვივალენტურ ფორმად, რომლის სახმარი ღირებულება ანუ შინაარსი მოღმა — სხვა საქონელთა სხეულში არსებობს. ფული, როგორც საქონლის პირველი გადაქცევის საბოლოო პუნქტი, იმავე დროს არის მისი მეორე გადაქცევის ამოსავალი პუნქტი. ამრიგად, გამყიდველი პირველ აქტში

მყიდველი ხდება მეორე აქტში, სადაც მას მესამე საქონელმფლობელი გამყიდველის სახით უპირისპირდება⁷¹.

საქონლის მეტამორფოზის ორივე საპირისპირო მოძრაობის ფაზა ერთ წრებრუნვას წარმოადგენს. საქონლური ფორმა, საქონლური ფორმის მოხსნა, საქონლური ფორმისადმი დაბრუნება. ყოველ შემთხვევაში თვით საქონელი აქ დაპირისპირებულად არის განსაზღვრული: ამოსავალ პუნქტში საქონელი თავისი მფლობელისათვის არასახმარი ღირებულებაა, საბოლოო პუნქტში კი — სახმარი ღირებულებაა. ასევე ფული თავდაპირველად გვევლინება როგორც ღირებულების მკვრივი კრისტალი, რომელადაც საქონელი გადაიქცევა, რათა შემდეგ იგი საქონლის უბრალო ეკვივალენტურ ფორმად გალღვეს.

ორი მეტამორფოზი, რომელიც ერთი საქონლის წრებრუნვას შეადგენს, იმავე დროს ორი სხვა საქონლის შებრუნებულ ნაწილობრივ მეტამორფოზს წარმოადგენს. ერთი და იგივე საქონელი (ტილო) იწყებს თავისი საკუთარი მეტამორფოზების მწყობრს და ამთავრებს მეორე საქონლის (ხორბლის) მთლიან მეტამორფოზს. თავისი პირველი გარდაქმნის დროს, გაყიდვის აქტში, იგი ამ ორ როლს საკუთრივ თვითონ ასრულებს. ხოლო როგორც ოქროს ქუპრი, რომლის სახითაც საქონელი თვით გაივლის ყოველი საქონლური სხეულის გზას, იგი ამასთანავე ერთად ამთავრებს რომელიმე მესამე საქონლის პირველ მეტამორფოზს. მაშასადამე, წრებრუნვა, რომელიც შემოხაზულია თვითეული საქონლის მეტამორფოზების მწყობრით, განუყრელად გადაეწვნის სხვა საქონელთა წრებრუნვას. ერთობლივი პროცესი წარმოგვიდგება როგორც საქონელმომოქცევა.

საქონელმომოქცევა არა მარტო ფორმალურად, არამედ არსებითადაც განსხვავებულია პროდუქტთა უშუალო გაცვლისაგან. მართლაც, საკმარისია მხოლოდ თვალი გადავალოთ ზემოაწერილ პროცესს. უეჭველია, ფეიქარმა ტილო გაცვალა ბიბლიაზე, საკუთარი საქონელი — სხვისაზე. მაგრამ ეს მოვლენა, როგორც ასეთი, მხოლოდ მისთვისაა სინამდვილე. ბიბლიის გამყიდველი, რომელსაც მხურვალე სასმელი ურჩევნია ცივ წმინდანობას, სრულიადაც არ ფიქრობდა ბიბლიის გაცვლას ტილოზე; ასევე ფეიქარმაც არ იცის, რომ მის ტილოზე ხორბალი იქნა გაცვლილი და სხვა. B-ს საქონელი იჭერს A-ს საქონლის ადგილს, მაგრამ A და B არ ცვლიან ურთიერთშორის

⁷¹ ამრიგად, აქ არის ოთხი საბოლოო პუნქტი და სამი კონტრაგენტი, რომელთაგან ერთი გვევლინება ორჯერ (Le Trotsne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 909).

თავიანთ საქონელს. სინამდვილეში შეიძლება მოხდეს, რომ *A*-მ და *B*-მ შენაცვლებით ერთმანეთისაგან იყიდონ საქონელი, მაგრამ ასეთი კერძო დამოკიდებულება სრულიადაც არ არის გამოწვეული საქონელმომოქცევის საყოველთაო პირობებით. ერთი მხრივ, ჩვენ აქ ვხედავთ, თუ როგორ არღვევს საქონელგაცვლა პროდუქტთა უშუალო გაცვლის ინდივიდუალურ და ლოკალურ ზღუდეებს და ავითარებს ადამიანის შრომის პროდუქტთა ნივთიერ ცვლას. მეორე მხრივ, ვითარდება მთელი რიგი საზოგადოებრივი, ბუნებრივი ურთიერთობანი, რომელნიც მოქმედ პირთა კონტროლის გარეშე იმყოფებიან. ფეიქარს მხოლოდ იმიტომ შეუძლია გაყიდოს ტილო, რომ გლენმა უკვე გაყიდა ხორბალი; სასმლის მოყვარულს იმიტომ შეუძლია გაყიდოს ბიბლია, რომ ფეიქარმა გაყიდა ტილო; არაყის გამომხდელს შეუძლია გაყიდოს თავისი მაცოცხლებელი წყარო იმიტომ, რომ მეორემ საუკუნო ცხოვრების წყარო უკვე გაყიდა და ა. შ.

ამიტომ საქონელმომოქცევის პროცესი არ თავდება, როგორც ეს ხდება პროდუქტთა უშუალო გაცვლის დროს, სახმარი ღირებულების ადგილის შეცვლით და ხელიდან ხელში გადასვლით. ფული არ ქრება იმის გამო, რომ საბოლოოდ იგი ერთი საქონლის მეტამორფოზების მწკრივიდან გამოვარდება. იგი სულ მუდამ ილექება საქონელთა მიერ მიმოქცევაში დაცლილ ადგილას. მაგალითად, ტილოს ერთობლივ მეტამორფოზში: ტილო — ფული — ბიბლია, პირველად ტილო გამოვარდება მიმოქცევიდან, მის ადგილს ფული იჭერს, შემდეგ ბიბლია გამოვარდება მიმოქცევიდან, მის ადგილს კიდევ ფული იჭერს. ერთი საქონლის მეორე საქონლით შეცვლის გამო მესამე პირს ხელში შერჩება ფულადი საქონელი⁷². მიმოქცევა განუწყვეტილად იწურავს ფულის ოფლს.

არაფერია იმაზე მეტი უაზრობა, ვიდრე ღოგმა იმის შესახებ, ვითომც საქონელმომოქცევა იწვევდეს ყიდვისა და გაყიდვის აუცილებელ წონასწორობას, აქაოდა — ყოველი გაყიდვა არის ყიდვა, და *vice versa* [პირიქით]. თუ ამით იმის თქმა უნდათ, რომ ნამდვილად მომხდარ გაყიდვათა რიცხვი ყიდვათა იმავე რიცხვს უდრის, მაშინ ეს უშინაარსო ტავტოლოგიაა. მაგრამ ამით იმის დამტკიცება სურთ, რომ გამყიდველს თავისი საკუთარი მყიდველი მოჰყავს ბაზარზე. გაყიდვა და ყიდვა იდენტური აქტია როგორც ურთიერთდამოკიდე-

⁷² შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. თუმცა ეს მოვლენა სრულიად ცხადია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკონომისტები, განსაკუთრებით ფრიტრედერები *vulgaris*, უმეტეს შემთხვევაში მას მაინც ვერ ამჩნევენ.

ბუღალტერი ორ პოლარულად მოპირისპირე პიროვნების — საქონელმფლობელის და ფულის მფლობელისა. ისინი შეადგენენ ორ პოლარულად დაპირისპირებულ აქტს, როგორც ერთი და იმავე პირის მოქმედებას. ამიტომ ყიდვისა და გაყიდვის იგივეობა გულისხმობს, რომ საქონელი უსარგებლო შეიქნება, თუ ჩავარდა მიმოქცევის ალკიმიურ ამბუხში და არ ამოვიდა იქიდან ფულის სახით, თუ საქონელმფლობელმა იგი არ გაყიდა, მაშასადამე, ფულის მფლობელმა არ აყიდა. ეს იგივეობა შემდეგ იმას გულისხმობს, რომ გაცვლის პროცესი, კიდევ რომ მოხერხდეს იგი, ქმნის განსაზღვრულ შეჩერების პუნქტს, საქონლის ცხოვრებაში განსაზღვრულ პერიოდს, რომელიც შეიძლება ცოტა თუ ბევრ ხანს გაგრძელდეს. რადგან საქონლის პირველი მეტამორფოზი ერთსა და იმავე დროს გაყიდვაც არის და ყიდვაც, ამიტომ ეს ნაწილობრივი პროცესი იმავე დროს დამოუკიდებელი პროცესია. მყიდველს აქვს საქონელი, გამყიდველს ფული, ე. ი. ისეთი საქონელი, რომელიც მუდამ ინარჩუნებს მიმოქცევის უნარს, სულ ერთია, უფრო ადრე გამოვა იგი ხელახლა ბაზარზე თუ უფრო გვიან. ვერავინ შეძლებს გაყიდვას, უიმისოდ, თუ მეორემ არ აყიდა. მაგრამ არაერთთვის არ არის საჭირო უშუალოდ იყიდოს იმიტომ, რომ თვითონ გაყიდა. საქონელმომოქცევა არღვევს პროდუქტთა გაცვლის დროებრივ, ადგილობრივ და ინდივიდუალურ ზღუდეებს სწორედ იმით, რომ იგი აქ იმ უშუალო იგივეობას, რომელიც არსებობს თავისი შრომის პროდუქტის გაცვლასა და სამაგიეროდ სხვისი შრომის პროდუქტის მიღებას შორის, გაყიდვისა და ყიდვის სახით ორ საპირისპირო აქტად თიშავს. ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი და ერთიმეორის მოპირისპირე პროცესები შინაგან ერთიანობასა ქმნიან, სწორედ იმას ნიშნავს, რომ მათი შინაგანი ერთიანობა ვარეგან დაპირისპირებულობაში მოძრაობს. როდესაც ვარეგანი გამოცალკევება შინაგანად დამოკიდებული, ე. ი. ერთიმეორის შემავსებელი პროცესებისა განსაზღვრულ წერტილს აღწევს, მაშინ მათი ერთიანობა ხორციელდება ძალდატანებით — კრიზისის სახით. საქონლისთვის დამახასიათებელი იმანენტური დაპირისპირებულობა სახმარებელუბებასა და ღირებულებას შორის, დაპირისპირებულობა კერძო შრომისა, რომელიც იმავე დროს უშუალოდ უნდა გამოიხატოს როგორც საზოგადოებრივი შრომა, დაპირისპირებულობა განსაკუთრებული და კონკრეტული შრომისა, რომელსაც იმავე დროს მხოლოდ აბსტრაქტულად საყოველთაო შრომის მნიშვნელობა აქვს, დაპირისპირებულობა ნივთის გაპიროვნებისა და პიროვნებათა განივთებისა — ეს იმანენტური წინააღმდეგობა თავისი მოძრაობის განვითარებულ

ფორმებს საქონლის მეტამორფოზის დაპირისპირებულობაში პოულობს. მაშასადამე, ეს ფორმები შეიცავენ კრიზისის შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა მოითხოვს ისეთ გარემოებათა მთელ ერთობლიობას, რომელნიც მარტივი საქონელმომოქცევის ფარგლებში ჯერ კიდევ სრულიად არ არსებობენ⁷³.

როგორც საქონელმომოქცევის შუამავალი, ფული მიმოქცევის საშუალების ფუნქციას იღებს.

ბ) ფული ს ტ რ ი ა ლ ი

ფორმათა ცვლა, რომელშიც ხდება შრომის პროდუქტთა ნივთიერი ცვლა, ს — ფ — ს, გულისხმობს იმას, რომ ერთი და იგივე ღირებულება საქონლის სახით შეადგენს პროცესის ამოსავალ პუნქტს და ისევ უბრუნდება ამავე პუნქტს საქონლის სახით. ამიტომ საქონელთა ეს მოძრაობა წარმოადგენს წრებრუნვას. მეორე მხრივ, იგივე ფორმა გამორიცხავს ფულის წრებრუნვას. ამ ფორმის შედეგია ფულის მუდმივი დაშორება მისი ამოსავალი პუნქტიდან და არა მასთან დაბრუნება. სანამ გამყიდველს თავისი საქონლის გარდაქმნილი ფორმა. ფული, ხელში უჭირავს, მანამდე საქონელი პირველი მეტამორფოზის სტადიაში იმყოფება, ანუ განვლილი აქვს თავისი მიმოქცევის მხოლოდ პირველი ნახევარი. თუ პროცესი — გაყიდვა ყიდვის მიზნით — დასრულდა, მაშინ ფულიც ხელიდან ეცლება კვლავ თავის თავდა-

⁷³ შეად. ჩემი შენიშვნები ჯერ მისი შესახებ: «Zur Kritik der Politischen Oekonomie»-ში, გვ. 74 — 76 ს. მარჯვნივ: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 118 — 122]. ეკონომიური აპოლოგეტიკის მეთოდისათვის ამ შემთხვევაში დამახასიათებელია ორი პუნქტი: პირველი, საქონელმომოქცევის და პროდუქტთა უშუალო გაცვლის გაიგივება მათ შორის არსებულ განსხვავებათაგან უბრალო აბსტრაქტიზებით. მეორე, კაპიტალისტური წარმოებითი პროცესის წინააღმდეგობათა უარყოფის ცდა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ წარმოების აგენტების ურთიერთობანი დაჰყავთ საქონელმომოქცევიდან გამომდინარე მარტივ ურთიერთობაზე. მაგრამ საქონელწარმოება და საქონელმომოქცევა ისეთი მოვლენებია, რომელნიც სრულიად სხვადასხვა წარმოების წესს ეკუთვნიან, თუმცა სხვადასხვა მოცულობით და მნიშვნელობით. მაშასადამე, ჩვენ ჯერ კიდევ სრულიად არაფერი ვიცით ამ წარმოების წესთა *differentia specifica* - ხე [დამახასიათებელ განსხვავებაზე] და, ამიტომ, არც შეგვიძლია მათზე ვიმსჯელოთ, თუ გვეცოდინება მხოლოდ მათთვის საერთო აბსტრაქტული კატეგორიები საქონელმომოქცევისა. არც ერთ მეცნიერებაში. გარდა პოლიტიკური ეკონომიისა, არ არის გამეფებული ასეთი ყოყორება ელემენტარული, ზოგადი ფრაზებით. მაგალითად, ე. ბ. სეი კანდიერდება იმსჯელოს კრიზისებზე. რადგან მან იცის, რომ საქონელი პროდუქტია.

პირველ მფლობელს. რასაკვირველია, ფეიქარს ფული ისევ დაუბრუნდება, თუ მას შემდეგ, რაც მან ბიბლია იყიდა, კიდევ გაყიდა ტილო. მაგრამ, ფულის დაბრუნება ამ შემთხვევაში ტილოს პირველი 20 ადლის მიმოქცევის შედეგი როდია; პირიქით, ამ მიმოქცევის მეოხებით ფეიქარს ფული ხელიდან გამოეცალა და ბიბლიის პატრონის ხელში გადავიდა. იგი ბრუნდება უკან მხოლოდ იმის გამო, რომ ახალი საქონლისათვის განახლებულია ან განმეორებულია იგივე მიმოქცევის პროცესი და იმავე შედეგით მთავრდება, როგორც უწინ. მაშასადამე, საქონელმომოქცევის პროცესით ფულის მიერ უშუალოდ მიღებული მოძრაობის ფორმა წარმოადგენს მის მუდმივ დაშორებას ამოსავალი პუნქტიდან, მის გადასვლას ერთი საქონელმფლობელის ხელიდან მეორის ხელში, ანუ მის ტრიალს (*currency, cours de la monnaie*).

ფულის ტრიალი გვიჩვენებს ერთი და იმავე პროცესის მუდმივ, ერთფეროვან განმეორებას. საქონელი იმყოფება მუდამ გამყიდველის მხარეზე, ფული — მუდამ მყიდველის მხარეზე, როგორც ყიდვის საშუალება. ფული მოქმედებს როგორც ყიდვის საშუალება, ახდენს რა იგი საქონლის ფასის რეალიზაციას. ამ რეალიზაციის გზით ფულს საქონელი გამყიდველის ხელიდან მყიდველის ხელში გადააქვს, მაშინ როდესაც თვითონ იგი იმავდროულად მყიდველის ხელიდან გამყიდველის ხელში გადადის, რათა შემდეგში კვლავ გაიმეოროს იგივე პროცესი სხვა საქონელთან. ის გარემოება, რომ ფულის მოძრაობის ეს ცალმხრივი ფორმა საქონლის მოძრაობის ორმხრივი ფორმიდან გამომდინარეობს, დაფარული რჩება. თვით საქონელმომოქცევის ბუნება წარმოშობს საპირისპირო მოჩვენებითობას. საქონლის პირველი მეტამორფოზი თვალსაჩინოა არა მარტო როგორც ფულის მოძრაობა, არამედ როგორც თვით საქონლის საკუთარი მოძრაობაც, მისი მეორე მეტამორფოზი კი თვალსაჩინოა მხოლოდ როგორც ფულის მოძრაობა. თავისი მიმოქცევის პირველ ნახევარში საქონელი უცვლის ფულს თავის ადგილს. ამით მისი სახმარი ფორმა იმავე დროს გამოვარდება მიმოქცევიდან და გადადის მოხმარების სფეროში⁷⁴. მის ადგილს იკერს საქონლის ღირებულების განსახიერება, ანუ მისი ფულადი ნილაბი. მიმოქცევის მეორე ნახევარს საქონელი

⁷⁴ მაშინაც კი, როცა საქონელი რამდენჯერმე იყიდება, — მოვლენა, რომელიც აქ ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არსებობს, — თავისი საბოლოო გაყიდვის მომენტიდან იგი მიმოქცევიდან მოხმარების სფეროში გადადის, რათა აქ საარსებო საშუალებებს სახით ან წარმოების საშუალებების სახით ვასწიოს სამსახური.

გაივლის უკვე არა თავისი საკუთარი ნატურალური სახით, არამედ თავის ოქროს სამოსელში გახვეული. ამით მოძრაობის უწყვეტობა მხოლოდ ფულის დამახასიათებელია და იგივე მოძრაობა, რომელიც საქონლისთვის ორ ერთმანეთის მოპირისპირე პროცესს შეიცავს, როგორც ფულის საკუთარი მოძრაობა, მუდამ იმავე პროცესს შეიცავს, ე. ი. პროცესს, რომელშიც ფული ადგილს იცვლის მუდამ სხვა საქონლის მიმართ. ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს საქონელმომოქცევის შედეგი, შენაცვლება ერთი საქონლისა მეორეთი, წარმოიშვება არა მისი საკუთარი ფორმების ცვლით, არამედ ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციის მეოხებით, თითქოს ფულს, როგორც მიმოქცევის საშუალებას, მოძრაობაში მოჰყავს თავისთავად უმოძრაო საქონელი, გადააქვს იგი იმ ხელიდან, სადაც ის არ წარმოადგენს სახმარ ღირებულებას, იმ ხელში, სადაც ის სახმარი ღირებულებაა, და ამას იგი ასრულებს თავისი საკუთარი მოძრაობის მუდამ საპირისპირო მიმართულებით. ფული გამუდმებით განაშორებს საქონელს მიმოქცევის სფეროს, იჭერს რა მიმოქცევაში გამუდმებით მის ადგილს და შორდება რა ამით თავის საკუთარ ამოსავალ პუნქტს. ამიტომ, თუმცა ფულის მოძრაობა მხოლოდ საქონელმომოქცევის გამოხატულებაა, საქონელმომოქცევა, პირიქით, გვეჩვენება მხოლოდ როგორც ფულის მოძრაობის შედეგი⁷⁵.

მეორე მხრივ, ფულს მხოლოდ იმიტომ აქვს მიმოქცევის საშუალების ფუნქცია, რომ იგი საქონელთა გათავისთავადებული ღირებულებაა. ამიტომ ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, მოძრაობა სინამდვილეში მხოლოდ თვით საქონელთა ფორმის საკუთარი მოძრაობაა. მაშასადამე, ეს უკანასკნელი თვალსაჩინოდ უნდა აისახებოდეს კიდევ ფულის ტრიალში. ასე, მაგალითად, ტილო პირველად თავის საქონლურ ფორმას თავის ფულად ფორმად აქცევს. უკანასკნელი კიდური მისი პირველი მეტამორფოზისა ს — ფ, ე. ი. ფულადი ფორმა, იქცევა შემდეგ პირველ კიდურად მისი უკანასკნელი მეტამორფოზისა ფ — ს, ე. ი. მისი უკუგადაქცევისა ბიბლიად. მაგრამ ფორმის თვითეული ეს ცვლა წარმოებს საქონლისა და ფულის ერთმანეთზე გაცვლის საშუალებით, მათი ადგილების ურთიერთ შეცვლით. ერთი და იგივე მონეტა მოედინება გამყიდველის ხელში როგორც საქონლის გასხვისებული სახე და ტოვებს ამ ხელს როგორც საქონლის

⁷⁵ «მას (ფულს) არა აქვს სხვა მოძრაობა, გარდა იმისა, რომელიც მინიჭებული აქვს პროდუქტების მიერ» (Le Trosne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 885).

აბსოლუტურად გასასხვისებელი სახე. იგი ორჯერ იცვლის ადგილს. ტილოს პირველ მეტამორფოზს მოაქვს ეს მონეტა ფეიქრის ჯიბეში, მეორე მეტამორფოზს კი კვლავ გააქვს იგი იქიდან. მაშასადამე, ერთი და იმავე საქონლის ორი დაპირისპირებული ფორმის ცვლა აისახება ფულის მიერ ორჯერ ადგილის შეცვლაში ერთიმეორის საპირისპირო მიმართულებით.

პირიქით, თუ საქონლის მხოლოდ ცალმხრივ მეტამორფოზს აქვს ადგილი, სულ ერთია როგორ — მარტივი ყიდვის თუ მარტივი გაყიდვის სახით, — მაშინ იგივე ფული მხოლოდ ერთხელ იცვლის ადგილს. მისი მეორე ადგილცვლა მუდამ გამოხატავს საქონლის მეორე მეტამორფოზს, მის უკუგადაქცევას ფულიდან. იმავე მონეტის ხშირად განმეორებულ ადგილცვლაში აისახება არა მარტო ერთი რომელიმე საქონლის მეტამორფოზთა მწკრივი, არამედ საერთოდ საქონელთა სამყაროს ურიცხვ მეტამორფოზთა ერთიმეორეზე გადაბმაც. თუმცა, თავისთავად იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ მარტივი საქონელმომოქცევის აქ განხილულ ფორმას შეეხება.

ყოველი საქონელი, მიმოქცევაში თავისი პირველი შებიჯებისთანავე, თავისი ფორმის პირველი შეცვლისთანავე, გამოდის მიმოქცევიდან, რომელშიც მუდამ ახალი საქონელი შედის. ფული კი, პირიქით, როგორც მიმოქცევის საშუალება, მუდამ მიმოქცევის სფეროში ბინადრობს და მუდამ იქ ტრიალებს. ამრიგად, იბადება კითხვა, თუ რამდენ ფულს ნთქავს გამუდმებით ეს სფერო.

ამა თუ იმ ქვეყანაში ყოველდღე წარმოებს საქონელთა მრავალი, იმავდროული და, მაშასადამე, სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით მიმდინარე მეტამორფოზები, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხრივ — მხოლოდ გაყიდვა და მეორე მხრივ — მხოლოდ ყიდვა. თავისი ფასით საქონელი უკვე შეთანატოლებულია ფულის განსაზღვრულ, წარმოდგენაში არსებულ რაოდენობასთან. რადგან აქ განხილული უშუალო მიმოქცევის ფორმა საქონელსა და ფულს სხეულებრივად მუდამ ერთიმეორეს უპირისპირებს, პირველს — გაყიდვის პოლუსზე, მეორეს — ყიდვის საპირისპირო პოლუსზე, ამიტომ მიმოქცევის საშუალებათა მასა, რომელიც საჭიროა საქონელთა სამყაროს მიმოქცევის პროცესისათვის, უკვე განსაზღვრულია საქონელთა ფასების ჯამით. მართლაც, ფული მხოლოდ რეალურად წარმოადგენს ოქროს ჯამს, უკვე იდეალურად გამოხატულს საქონელთა ფასების ჯამით. მაშასადამე, ამ ჯამების ტოლობა თავისთავად გასაგებია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქონელთა ღირებულების უცვლელობისას მათი ფასები იცვლება თვით ოქროს (ფულადი მასალის) ღირებულებასთან ერთად:

პროპორციულად მატულობენ, როდესაც კლებულობს ეს ღირებულება, და, პირიქით, კლებულობენ, როდესაც იგი მატულობს. იმისდა მიხედვით, მატულობს თუ კლებულობს საქონელთა ფასების ჯამი, თანაბრად უნდა მატულობდეს ან კლებულობდეს მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა. ყოველ შემთხვევაში მიმოქცევის საშუალებათა მასის ცვლილებას წარმოშობს აქ, რასაკვირველია, თვით ფული, მაგრამ არა თავისი ფუნქციით, როგორც მიმოქცევის საშუალება, არამედ თავისი ფუნქციით, როგორც ღირებულების საზომი. ჯერ იცვლება საქონელთა ფასი შემბრუნებული პროპორციით ფულის ღირებულების ცვლილების მიმართ და შემდეგ იცვლება მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა პირდაპირი პროპორციით საქონლის ფასის ცვლილების მიმართ. სრულიად იმავე მოვლენას ექნებოდა ადგილი, თუ, მაგალითად, ოქროს ღირებულება კი არ დაეცემოდა, არამედ ვერცხლი შეცვლიდა მას, როგორც ღირებულების საზომს, ანდა — ვერცხლის ღირებულება კი არ აიწევდა, არამედ ოქრო განდევნიდა მას ღირებულების საზომის ფუნქციიდან. პირველ შემთხვევაში მეტი ვერცხლი იქნებოდა მიმოქცევაში, ვიდრე უწინ ოქრო, მეორე შემთხვევაში — ნაკლები ოქრო, ვიდრე უწინ ვერცხლი. ორივე შემთხვევაში შეიცვლებოდა ფულადი მასალის ღირებულება, ე. ი. ღირებულება იმ საქონლისა, რომელიც მოქმედებს როგორც ღირებულებათა საზომი, შეიცვლებოდა ამიტომ საქონლის ღირებულების გამოხატულება ფასებით და, მაშასადამე, მიმოქცევაში მყოფი იმ ფულის მასაც, რომელიც ამ ფასების რეალიზაციას ემსახურება. ჩვენ დავინახეთ, რომ საქონელ-მიმოქცევის სფეროს აქვს ხვრელი, რომლიდანაც მიმოქცევაში შედის ოქრო (ან ვერცხლი, ერთი სიტყვით, ფულადი მასალა) როგორც განსაზღვრული ღირებულების მქონე საქონელი. ეს ღირებულება ნაგულისხმევია ფულის, როგორც ღირებულების საზომის, ფუნქციის დროს, მაშასადამე, ფასების განსაზღვრის დროს. მაგალითად, თუ ეცემა თვითონ ღირებულების საზომის ღირებულება, მაშინ ეს, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება იმ საქონელთა ფასის ცვლილებაში, რომელნიც გაიკვლებიან ძვირფას ლითონზე, როგორც საქონელზე, უშუალოდ ამ ლითონის წარმოების ადგილას. სხვა საქონელთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ბურჟუაზიული საზოგადოების ნაკლებად განვითარებულ მდგომარეობაში, ჯერ კიდევ დიდხანს ფასდება ღირებულების საზომის ახლა უკვე დაძველებული, ილუზორულად ქცეული ღირებულებით. მაგრამ ერთი საქონელი გავლენას ახდენს მეორეზე თავისი ღირებულებითი შეფარდებით, ოქროთი და ვერცხლით გამოხატულ საქონელთა ფასები თანდათან უთანატოლდებიან ერთმანეთს იმ პროპორციის

პიხედვით, რომელიც განსაზღვრულია თვით საქონელთა ღირებულებით, სანამ, ბოლოს, ყველა საქონლის ღირებულება არ შეფასდება ფულადი ლითონის ახალი ღირებულების შესაბამისად. ამ გათანაბრებების პროცესს თან ახლავს განუწყვეტელი ზრდა ძვირფასი ლითონებისა, რომელნიც მიმოქცევაში შედიან მათზე უშუალოდ გაცვლილი საქონლის სანაცვლოდ. ამიტომ, იმდენადვე, რამდენადაც საქონელთა შესწორებული ფასები საყოველთაოდ ვრცელდება, ანუ რამდენადაც საქონელთა ღირებულების შეფასება ხდება ლითონის ახალი, დაცემული და განსაზღვრულ პუნქტამდე კლებადი ღირებულების მიხედვით, — უკვე მოიპოვება მიმოქცევაში მათი რეალიზაციისათვის საჭირო ძვირფასი ლითონის დამატებითი მასა. იმ ფაქტების ცალმხრივმა დაკვირვებამ, რომლებიც ოქროსა და ვერცხლის ახალი საბადოების აღმოჩენას მოჰყვა, XVII და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში გამოიწვია მცდარი დასკვნა, თითქოს საქონლის ფასებმა იმიტომ მოიმატა, რომ მეტი ოქრო და ვერცხლი მოქმედებდა როგორც მიმოქცევის საშუალება. შემდეგში ოქროს ღირებულება ნაგულისხმევია როგორც მოცემული სიდიდე, რასაც იგი ნამდვილად წარმოადგენს ფასების დაწესების დროს.

მაშასადამე, ამ ვარაუდის მიხედვით მიმოქცევის საშუალებათა მასა განსაზღვრულია საქონელთა სარეალიზაციო ფასების ჯამით. თუ ვიგულისხმებთ შემდეგ, რომ მოცემულია თვითეული სახეობის საქონლის ფასი, მაშინ, ცხადია, საქონელთა ფასების ჯამი დამოკიდებული იქნება მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასაზე. დიდი თავის მტკრევა არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ, თუ 1 კვარტერი ხორბალი ღირს 2 გირვანქა სტერლინგი, 100 კვარტერი ეღირება 200 გირვანქა სტერლინგი, 200 კვარტერი — 400 გირვანქა სტერლინგი და ა. შ., მაშასადამე, ხორბლის მასასთან ერთად უნდა გაიზარდოს ფულის მასაც, რომელიც გაყიდვის დროს მის ადგილს იჭერს.

თუ საქონელთა მასას მოცემულად ვიგულისხმებთ, მაშინ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა მატულობს ან კლებულობს საქონელთა ფასების რყევასთან ერთად. ფულის ეს მასა იზრდება და ეცემა, იმიტომ რომ მატულობს ან კლებულობს საქონელთა ფასების ჯამი მათი ფასების ცვალებადობის გამო. ამისთვის სრულიად არ არის საჭირო, რომ ყველა საქონლის ფასმა ერთსა და იმავე დროს მოიმატოს ან დაიკლოს. ზოგიერთ უმთავრეს საქონელთა განსაზღვრული რიცხვის ფასების აწევა ერთ შემთხვევაში, ან დაკლება მეორე შემთხვევაში, საკმარისია იმისათვის, რომ მოიმატოს ან დაიკლოს მიმოქცევაში მყოფი ყველა საქონლის სარეალიზაციო ფასების ჯამმა, მაშასადამე,

იმისათვის აგრეთვე, რომ მეტი ან ნაკლები ფული შევიდეს მიმოქცევაში. რასაც უნდა ასახავდეს საქონელთა ფასების ცვალებადობა, — ღირებულების ნამდვილ ცვალებადობას თუ მხოლოდ საბაზრო ფასების რყევას, — ორივე შემთხვევაში გავლენა მიმოქცევის საშუალებათა მასაზე ერთნაირია.

ვთქვათ, გვაქვს რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი, იმავედროული და, მაშასადამე, სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით მიმდინარე გაყიდვა, ანუ ნაწილობრივი მეტამორფოზი, მაგალითად, ერთი კვარტერი ხორბლის, 20 ადლი ტილოსი, 1 ბიბლიის და 4 გალონი არაყისა. თუ თვითეული ამ საქონლის ფასი უდრის 2 გირვანქა სტერლინგს, და, მაშასადამე, სარეალიზაციო ფასების ჯამი — 8 გირვანქა სტერლინგს, მაშინ მიმოქცევაში უნდა შევიდეს 8 გირვანქა სტერლინგის ტოლი ფულადი მასა. თუკი, პირიქით, თვითეული ეს საქონელი ჩვენთვის ცნობილ მეტამორფოზთა მწკრივის რგოლს წარმოადგენს: 1 კვარტერი ხორბალი — 2 გირვანქა სტერლინგი — 20 ადლი ტილო — 2 გირვანქა სტერლინგი — 1 ბიბლია — 2 გირვანქა სტერლინგი — 4 გალონი არაყი — 2 გირვანქა სტერლინგი, — მაშინ ეს ორი გირვანქა სტერლინგი მიმოაქცევეს რიგრიგობით სხვადასხვა საქონელს, ახდენს რა იგი რიგრიგობით მათი ფასების, მაშასადამე, აგრეთვე ფასების ჯამის — 8 გირვანქა სტერლინგის, რეალიზაციას, რათა ბოლოს არაყის გამომხდელის ხელში შეისვენოს. ეს 2 გირვანქა სტერლინგი ოთხ შემოტრიალებას ასრულებს. ერთი და იმავე მონეტების მიერ ასეთი განმეორებითი ადგილცვლა გამოხატავს საქონლის ფორმის ორმაგ ცვლას, მის მოძრაობას მიმოქცევის ორ ერთმანეთის მოპირისპირე საფეხურზე და სხვადასხვა საქონლის მეტამორფოზთა ერთიმეორეზე გადაბმას⁷⁶. ორი დაპირისპირებული და ერთიმეორის შემეცნებელი ფაზა, რომელსაც ეს პროცესი გაივლის, არ შეიძლება ხდებოდეს სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით, არამედ მხოლოდ დროში უნდა მისდევდეს ერთიმეორეს. ამიტომ მისი ხანგრძლიობის საზომს წარმოადგენს დროის გარკვეული მონაკვეთი, ანუ იმავე მონეტის შემოტრიალებათა რიცხვით მოცემულ დროში გაიზომება ფულის ტრიალის სისწრაფე. ვთქვათ, ზემოაღნიშნული ოთხი საქონლის მიმოქცევის პროცესი გრძელდება, მაგალითად, ერთ დღეს. მაშინ

⁷⁶ მხოლოდ პროდუქტებს მოჰყავს იგი (ფული) მოძრაობაში და მიმოაქცევეს მას... მისი (ფულის) მოძრაობის სისწრაფე მისი რაოდენობის მაგივრობას ეწევა. როცა საჭიროა, ის ხელიდან ხელში გადადის ისე, რომ ერთ წუთსაც არ ჩერდება» (Le Trotsne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 915, 916).

სარეალიზაციო ფასების ჯამი შეადგენს 8 გირვანქა სტერლინგს, ერთი და იმავე მონეტის შემოტრიალების რიცხვი ერთი დღის განმავლობაში — 4 და მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა — 2 გირვანქა სტერლინგს, ანუ მიმოქცევის პროცესის განსაზღვრული დროის მონაკვეთისათვის:

საქონელთა ფასების ჯამი

ერთსახელწოდებიანი მონეტების შემოტრიალების რიცხვი = ფულის მასა-ს,

რომელიც მოქმედებს მიმოქცევის საშუალების სახით. ამ კანონს საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. ამა თუ იმ ქვეყნის მიმოქცევის პროცესი განსაზღვრული დროის პერიოდში მოიცავს, ერთი მხრივ, მრავალ დაქსაქსულ, იმავდროულ და პარალელურად მიმდინარე გაყიდვის (ან ყიდვის) აქტებს, ანუ ნაწილობრივ მეტამორფოზებს, რომლებშიც ერთი და იგივე მონეტა მხოლოდ ერთხელ იცვლის ადგილს, ანუ მხოლოდ ერთ შემოტრიალებას აკეთებს; მეორე მხრივ, იგივე პროცესი მოიცავს მრავალ, ნაწილობრივ პარალელურად მიმდინარე, ნაწილობრივ ერთმანეთში გადახლართულ, მეტ-ნაკლებ მრავალწევროვან მეტამორფოზთა მწკრივს, სადაც ერთი და იგივე მონეტა მეტ-ნაკლებ მრავალრიცხოვან შემოტრიალებას აკეთებს. მაგრამ მიმოქცევაში მყოფი ყველა ერთსახელწოდებიანი მონეტის შემოტრიალებათა ერთობლივი რიცხვი იძლევა ცალკეული მონეტის შემოტრიალებათა საშუალო რიცხვს, ანუ ფულის ტრიალის საშუალო სისწრაფეს. ფულის მასა, რომელიც, მაგალითად, მიმოქცევის დღიური პროცესის დასაწყისის შედის ამ პროცესში, რასაკვირველია, განსაზღვრულია იმ საქონელთა ფასების ჯამით, რომელნიც იმავდროულად და სივრცეობრივად ერთიმეორის გვერდით მიმოქცევიან. მაგრამ პროცესის შიგნით თვითეული მონეტა, ასე ვთქვათ, პასუხისმგებელია მეორე მონეტისათვის. თუ ერთი მათგანი აღიდებს თავისი ტრიალის სისწრაფეს, ამით ფერხდება მეორის ტრიალის სისწრაფე, ანდა მეორე მონეტა სრულიად გამოვარდება მიმოქცევის სფეროდან, რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია შთანთქას ოქროს მხოლოდ ისეთი მასა, რომელიც, გამრავლებული მისი თვითეული ელემენტის ტრიალის საშუალო რიცხვზე, სარეალიზაციო ფასების ჯამს უდრის. ამიტომ, თუ მონეტების შემოტრიალების რიცხვი მატულობს, მაშინ მიმოქცევაში მყოფი მათი მასა კლებულობს. თუ მათი შემოტრიალების რიცხვი კლებულობს, მაშინ მათი მასა მატულობს. რადგან ფულის მასა, რომელიც მიმოქცევის საშუალების სახით მოქმედებს, განსაზღვრულია მოცემული საშუალო სისწრაფის დროს, ამიტომ საკმარისია მიმოქცევაში გადასროლილ იქნას, მაგალითად, განსაზღვრული რაოდენობის 10 კ. მარჭსი. ყვავილანი, ტ. I.

ერთგირვანქიანი ბანკნოტები, რათა მას სწორედ იმავე რაოდენობის ოქროს სოვერენები გამოეცალოს, — ხერხი, რომელიც ყველა ბანკმა კარგად იცის.

როგორც ფულის ტრიალში საერთოდ მხოლოდ საქონელთა მიმოქცევის პროცესი, ე. ი. მათი წრებრუნვა ერთმანეთის მოპირისპირე მეტამორფოზების სახით ვლინდება, ასევე ფულის ტრიალის სისწრაფეში ვლინდება საქონელთა ფორმის ცვლის სისწრაფე, მეტამორფოზთა მწკრივების განუწყვეტელი ჩაქსოვა ერთმანეთში, ნივთიერებათა ცვლის სიჩქარე, საქონელთა სწრაფი გაქრობა მიმოქცევის სფეროდან და მათი ასეთივე სწრაფი შეცვლა ახალი საქონლით. მაშასადამე, ფულის ტრიალის სისწრაფეში ვლინდება ერთმანეთის მოპირისპირე და ერთიმეორის შემავსებელი ფაზების დენადი ერთიანობა, საქონლის სახმარი სხეულის გარდაქმნა ღირებულების სხეულად და უკუგარდაქმნა ღირებულების სხეულისა სახმარ სხეულად, ანუ ორივე პროცესის, ე. ი. ყიდვისა და გაყიდვის, ერთიანობა. პირიქით, ფულის ტრიალის შენელებაში ვლინდება ამ პროცესების გათიშვა და ერთიმეორის მოპირისპირე პოლუსებად განცალკევება, ფორმათა ცვლის და, მაშასადამე, ნივთიერებათა ცვლის შეფერხება. თუ საიდან წარმოიშვება ეს შეფერხება, ეს, რასაკვირველია, თვით მიმოქცევას არ ემჩნევა. მიმოქცევა მხოლოდ თვით მოვლენას გვიჩვენებს. გავრცელებულ შეხედულებას, რომელიც ამჩნევს, რომ ფულის ტრიალის შენელებასთან ერთად ფული უფრო იშვიათად ჩნდება და ქრება მიმოქცევის პერიფერიის ყველა პუნქტზე, ბუნებრივად მიაჩნია ახსნას ეს მოვლენა მიმოქცევის საშუალებათა არასაკმარე რაოდენობით⁷⁷.

⁷⁷ რადგან ფული... ყიდვისა და გაყიდვის ჩვეულებრივ საზომს წარმოადგენს, ამიტომ ყველას, ვინც რაიმე უნდა გაყიდოს და ვერ პოულობს მყიდველს, ჰგონია, რომ საქონლის გაუსაღებლობის მიზეზი ფულის ნაკლებობაა სახელმწიფოში ან ოლქში. აქედან წარმოდგება საერთო ჩივილი «ფულის ნაკლებობაზე». მაგრამ ეს დიდი გაუგებრობაა... და მართლაც, რა უნდათ იმათ, ვინც ფულზე გაჰყვირის?... ფერმერი ჩივის... მს ჰგონია, რომ მისი პროდუქტი კარგ ფასად გაიყიდებოდა, მეტი ფული რომ ყოფილიყო სახელმწიფოში... ამრიგად, როგორც ჩანს, ფულს კი არ საჭიროებს იგი, არამედ კარგ ფასს თავისი ზორბლისა და პირუტყვისათვის, რომელიც მას სურს გაყიდოს, მაგრამ არ შეუძლია. რატომ არ შეუძლია მას ეს ფასი მიიღოს?... 1) ან იმიტომ, რომ სახელმწიფოში საერთოდ ძალიან ბევრია ხორბალი და პირუტყვი, ასე რომ უმრავლესობას იმათგან, ვინც ბაზარზე მოდის, მასავით თავისი პროდუქტის გაყიდვა სურს, ყიდვის მსურველი კი ცოტა მოიპოვება; ან 2) შეფერხებულია ჩვეულებრივი გასაღება იმის გამო, რომ საქონელი არ გადის უცხოეთში; ანდა 3) შემციობებულია მოხმარება, რადგან მოსახლეობა, მაგალითად, გადარბიების გამო, იმდენს ვეღარ ხარჯავს ოჯახის საჭიროებაზე, რამდენსაც უწინ, ასე რომ ნაღდი ფულის რაოდენობის გადიდება კი არ მისცემს ფერმერს პროდუქტების გაყიდვის საშუალებას,

ამრიგად, დროის ყოველ მონაკვეთში მიმოქცევის საშუალების სახით მოქმედი ფულის მთელი რაოდენობა განსაზღვრულია, ერთი მხრივ, მიმოქცევაში მყოფ საქონელთა სამყაროს ფასების ჯამით, მეორე მხრივ — მათი დაპირისპირებული სამომოქცევო პროცესების უფრო ნელი ან უფრო სწრაფი მდინარებით, რომელზედაც დამოკიდებულია ის, თუ ფასთა ამ ჯამის რა ნაწილის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს ერთი და იმავე მონეტის საშუალებით. მაგრამ საქონელთა ფასების ჯამი დამოკიდებულია თვითეული სახეობის საქონლის როგორც მასაზე, ისე ფასზე. მაგრამ ეს სამი ფაქტორი: ფასების მოძრაობა, მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა და, ბოლოს, ფულის ტრიალის სისწრაფე, შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა პროპორციით იცვლებოდეს; ამიტომ ფასების სარეალიზაციო ჯამმა და, მაშასადამე, მიმოქცევის საშუალებათა მასამ, რომელიც მის მიერ არის გაპირობებული, შეიძლება ფრიად მრავალი კომბინაცია განიცადოს. ჩვენ აქ ჩამოვთვლით მხოლოდ იმ კომბინაციებს, რომელნიც საქონელთა ფასების ისტორიაში უმნიშვნელოვანესნი არიან.

საქონელთა ფასების უცვლელობისას მიმოქცევის საშუალებათა მასამ შეიძლება მოიმატოს, თუ მატულობს მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა ან თუ კლებულობს ფულის ტრიალის სისწრაფე, ანდა თუ ორივე გარემოება ერთად მოქმედებს. პირიქით, მიმოქცევის საშუალებათა მასა შეიძლება შემცირდეს, თუ მცირდება საქონელთა მასა ან მატულობს მიმოქცევის სისწრაფე.

საქონელთა ფასების საყოველთაო აწევის დროს მიმოქცევის საშუალებათა მასა შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ მიმოქცევაში მყოფ

არამედ მოსპობა ერთ-ერთი ზემოაღნიშნული იმ სამი მიზეზისა, რომელიც მართლა ავიწროვებს ბაზარს... ვაჭარი და მედუქნე სწორედ ასევე განიცდიან ფულის ნაკლებობას, ე. ი. ისინიც ვერ ასაღებენ ბაზრის ცუდი პირობების გამო იმ საქონელს, რომლითაც ვაჭრობენ... ერი მაშინ ჰყვავის ყველაზე უფრო, როდესაც სიმდიდრე სწრაფად გადადის ხელიდან ხელში (Sir Dudley North: «Discourses upon Trade». — London 1691, გვ. 11 — 15, სხვადასხვა ადგილას). ჰერენშვანდის მთელი თაღლითური მსჯელობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველი წინააღმდეგობა, რომელიც საქონლის ბუნებიდან გამომდინარეობს და, ამიტომ საქონელმომოქცევაში ვლინდება, თითქოს შეიძლება მოსპობილ იქნას მიმოქცევის საშუალებათა გამრავლებით. ხალხში გავრცელებული ილუზიიდან, რომელიც წარმოებისა და მიმოქცევის პროცესის შეფერხებას მიმოქცევის საშუალებათა სიმცირეს მიაწერს, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ მიმოქცევის საშუალებათა ნამდვილ ნაკლებობას, მაგალითად, ოფიციალური ხრიკების გამო «regulation of currency»-ს [მიმოქცევის საშუალებათა რეგულირების] სფეროში, არ შეუძლია თავის მხრივ გამოიწვიოს შეფერხება.

საქონელთა მასა კლებულობს იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც მატულობს მისი ფასი, ანდა თუ ფულის ტრიალის სისწრაფე იზრდება ფასების მომატების პროპორციულად, მაშინ როდესაც მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა უცვლელი რჩება. მიმოქცევის საშუალებათა მასამ შეიძლება იკლოს, თუ საქონელთა მასა უფრო ჩქარა მცირდება, ან ტრიალის სისწრაფე უფრო ჩქარა მატულობს, ვიდრე ფასები იზრდება.

საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემის დროს მიმოქცევის საშუალებათა მასა შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ საქონელთა მასა იზრდება იმავე პროპორციით, რომლითაც ეცემა მისი ფასი, ან თუ ფულის ტრიალის სისწრაფე კლებულობს იმავე პროპორციით, როგორც ფასები. მიმოქცევის საშუალებათა მასა შეიძლება გაიზარდოს, თუ საქონელთა მასა უფრო სწრაფად იზრდება, ან მიმოქცევის სისწრაფე უფრო ჩქარა კლებულობს, ვიდრე საქონლის ფასები ეცემა.

სხვადასხვა ფაქტორის ვარიაციები შეიძლება ერთიმეორის კომპენსირებას ახდენდნენ, ასე რომ, მათი მულმივი ცვალებადობის მიუხედავად, საქონელთა სარეალიზაციო ფასების საერთო ჯამი და, მაშასადამე, მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობაც მულმივი რჩება. ამიტომ ჩვენ ვამჩნევთ, განსაკუთრებით უფრო ხანგრძლივი პერიოდების განხილვისას, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასას ყოველ ქვეყანაში გაცილებით უფრო მულმივი საშუალო დონე აქვს და გაცილებით ნაკლები გადახრები ამ საშუალო დონიდან, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ერთი შეხედვით; გამონაკლისს შეადგენენ ძლიერი პერტურბაციები, რომელთაც პერიოდულად წარმოშობენ წარმოებისა და ვაჭრობის კრიზისები და უფრო იშვიათად თვით ფულის ღირებულების ცვლილებანი.

კანონი, რომ მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა განისაზღვრება მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების ჯამით და ფულის ტრიალის საშუალო სისწრაფით⁷⁸, შეიძლება ასეც გამოიხატოს: როდესაც მოცემულია საქონელთა ღირებულების ჯამი და საქონელთა მეტამორფოზების

⁷⁸ არსებობს ფულის განსაზღვრული ზომა და პროპორცია, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ერის ვაჭრობის საწარმოებლად; ამაზე მეტი ან ნაკლები დააბრკოლებდა ვაჭრობას. ეს სწორედ ისევეა, როგორც წვრილ ვაჭრობაში საჭიროა ფარტინგების განსაზღვრული რაოდენობა ვერცხლის მონეტის დასახურდავებლად და ისეთი ანგარიშების გასასწორებლად, რომლებისთვისაც არ გამოდგება თვით უწვრილესი ვერცხლის მონეტაც კი... როგორც ვაჭრობაში საჭირო ფარტინგების რაოდენობა განისაზღვრება მყიდველთა რიცხვით, მათი ყიდვის აქტების სიხშირით და, უწინარეს ყოვლისა, ყველაზე წვრილი ვერცხლის მონეტის ღირებულებით, ასევე ჩვენი ვაჭრობის-

საშუალო სისწრაფე, მაშინ ტრიალში მყოფი ფულის ანუ ფულადი მასალის რაოდენობა დამოკიდებულია ამ ფულადი მასალის საკუთარ ღირებულებაზე. ის ილუზია, თითქოს, პირიქით, საქონელთა ფასები განისაზღვრება მიმოქცევის საშუალებათა მასით და ეს უკანასკნელი თავის მხრივ თვითეულ ქვეყანაში არსებული ფულადი მასალის მასით⁷⁹, ემყარება მის თავდაპირველ მიმდევართა იმ უაზრო ჰიპოთეზას,

თვის საჭირო ფულის (ოქროსი და ვერცხლის) რაოდენობა განისაზღვრება გაცვლის აქტების სიხშირით და გადასახდელთა სიდიდით» (William Petty: «A Treatise on Taxes and Contributions». London 1667, გვ. 17). იუმის თეორიას ჯ. სტიუარტისა და სხვ. წინააღმდეგ იცავდა ა. იუნგი თავის «Political Arithmetic»-ში, London 1774, სადაც მოიპოვება ასეთი განსაკუთრებული თავი: «Prices depend on; quantity of money» [ფასები დამოკიდებულია ფულის რაოდენობაზე], გვ. 122 და შემდ. ჩემს «Zur Kritik der Politischen Oekonomie»-ში, გვ. 149 [კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი 1953, გვ. 225], მე აღვნიშნავ შემდეგს: «საკითხს მიმოქცევაში მყოფი მონეტის რაოდენობის შესახებ იგი (ა. სმიტი) დუმობით იზორებს თავიდან, როდესაც სრულიად მედარად განიხილავს ფულს როგორც უბრალო საქონელს». ეს ითქმის ა. სმიტის შრომის მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც იგი ფულს იკვლევს ex officio. ზოგჯერ კი, მაგალითად, როცა პოლიტიკური ეკონომიის წინანდელ სისტემებს აკრიტიკებს, იგი სწორ აზრს გამოთქვამს: თვითეულ ქვეყანაში მონეტის რაოდენობა წესრიგდება იმ საქონელთა ღირებულებით, რომელნიც მან უნდა მიმოაქციოს... ყოველწლიურად თვითეულ ქვეყანაში ნაყიდი და გაყიდული საქონლის ღირებულება მოითხოვს ფულის განსაზღვრულ რაოდენობას, რათა მიმოაქციოს საქონელი და გაანაწილოს იგი მის ნამდვილ მომხმარებელთა შორის, მაგრამ ფულის მეტი რაოდენობის გამოყენება მას არ შეუძლია. მიმოქცევის არზი აუცილებლად იზიდავს თავისკენ ფულის რაოდენობას, რაც საკმარისია მის ასახეობად და მეტს ვერასოდეს ვერ დაიტევს» («Wealth of Nations», წიგ. IV, თავი I). ამგვარადვე იწყებს ა. სმიტი თავის თხზულებას ex officio შრომის დანაწილების ხორებით. შემდეგ კი, უკანასკნელ წიგნში — სახელმწიფოს შემოსავლის წყაროების შესახებ, ის გზადაგზა კვლავ აღადგენს ა. ფერგუსონის, თავისი მასწავლებლის, კრიტიკას შრომის დანაწილების შესახებ.

⁷⁹ თვითეული ერის საქონლის ფასები უეჭველად იზრდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ მატულობს ხალხში ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა, მაშასადამე, თუ რომელიმე ქვეყანაში კლებულობს ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა, ყველა საქონლის ფასები უნდა დაეცეს ფულის ამ შემცირების შესაბამისად (Jacob Vanderlin: «Money answers all Things». London 1734, გვ. 5). ვანდერლინტის თხზულების და იუმის «Essays»-ს გულდასმითი შედარება არავითარ ეჭვს არ ტოვებს ჩემში იმის შესახებ, რომ იუმი იცნობდა და სარგებლობდა ვანდერლინტის ამ საერთოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებით. იმ შეხედულებას, რომ მიმოქცევის საშუალებათა მასა განსაზღვრავს ფასებს, ჩვენ ვხედებით ბარბონის და კიდევ უფრო ძველი მწერლების ნაწერებშიც. არავითარ უხერხულობას, ამბობს ვანდერლინტი, არ წარმოშობს შეუძლებელ დევიდ ვაჭრობა, პირიქით, მას დიდი სარგებლობა მოაქვს... რადგან, თუ ამის უბოლო დევიდ ვაჭრობა, პირიქით, მას დიდი სარგებლობა მოაქვს... რადგან, თუ ამის უბოლო რომელიმე ერის ნაღდი ფულის მარაგი შემცირდება, რის თავიდან აცილებაც მიზნად აქვს საქონლის შემოზიდვის ამკრძალავ ღონისძიებებს, მაშინ იმ ერებში,

ვითომც საქონელი უფასოდ და ფული უღირებულებოდ შედის მიმოქცევის პროცესში, სადაც შემდეგ საქონელთა ნარეობის განსაზღვრული ნაწილი ლითონის გროვის განსაზღვრულ ნაწილზე იცვლება⁸⁰.

სადაც ნაღდი ფული მიედინება, ყველა საქონლის ფასებმა უნდა მოიმატოს ნაღდი ფულის მატების შესაბამისად... ხოლო ჩვენი მანუფაქტურის პროდუქტები და ყველა სხვა საქონელი მალე ისე იაფი იქნება, რომ ვაჭრობის ბალანსი ჩვენთვის ხელსაყრელი შეიქნება და ამის გამო ფული ჩვენ ისე უკან დაგვიბრუნდება» («Money answers all Things», გვ. 43, 44).

⁸⁰ ყოველი ცალკეული სახეობის საქონელი რომ თავისი ფასით მიმოქცევაში. მყოფ ყველა საქონელთა ფასების ჯამის ელემენტს შეადგენს, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რანაირად შეიძლება უთანაბრობად სახმარი ღირებულებანი მთელი თავიანთი ოდენობით გაიცვალონ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ოქროსა და ვერცხლის მასაზე. თუ ფანტაზიის აღმაფრენით საქონელთა სამყაროს ერთადერთ ერთობლივ საქონლად მივიჩნევთ და თვითფულ საქონელს ამ ერთობლივი საქონლის მხოლოდ ჯერად ნაწილად წარმოვიდგენთ, მაშინ ჩვენ მივიღებთ ანგარიშის ასეთ საუცხოო ნიმუშს: ერთობლივი საქონელი, = x ცენტ. ოქროს, საქონელი A = ერთობლივი საქონლის ჯერად ნაწილს, = x ცენტ. ოქროს ისეთსავე ჯერად ნაწილს. ამას სრულიად გულუბრყვილოდ ამბობს მონტესკიე: «თუ მთელი ქვეყნის ოქროსა და ვერცხლის მასას შევადარებთ მთელ იმ საქონლის ჯამს, რომელიც იქ მოიპოვება, მაშინ უტყველია, რომ ყოველი ცალკეული ნაწარმი ანუ საქონელი შეიძლება ფულის განსაზღვრულ რაოდენობას შეედაროს. წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ნაწარმი ანუ საქონელი მოიპოვება, ანდა მხოლოდ ერთი საქონელია გასაყიდი, და რომ იგი ფულის მსგავსად იყოფა. მაშინ ამ საქონლის განსაზღვრული ნაწილი შეესაბამება ფულის მასის განსაზღვრულ ნაწილს, პირველის მთელი რაოდენობის ნახევარი — მეორის მთელი რაოდენობის ნახევარს და სხვ.; ... საქონლის ფასების განსაზღვრა არსებითად მუდამ დამოკიდებულია იმ შეფარდებაზე, რომელიც არსებობს საქონლის მთელ რაოდენობასა და ფულის ნიშნების მთელ რაოდენობას შორის» (Montesquieu: «Esprit des Lois», Oeuvres. London 1767, ტ. III, გვ. 12, 13). ამ თეორიის შემდგომი განვითარების შესახებ რიკარდოს და მისი მოწაფეების ჯემს მილის, ლორდ ოვერსტონისა და სხვ. მიერ შეად. «Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 140 — 146, 150 და შემდ. [კ. მარკსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 211-220, 225 და შემდ.]. — ბატონი ჯონ სტიუარტ მილი, როგორც ეს მის ეკლექტიკურ ლოგიკას შეფერის, ერთსა და იმავე დროს იზიარებს თავისი მამის ჯემს მილის შეხედულებას და მის საწინააღმდეგო აზრებსაც. როდესაც მის სახელმძღვანელოს «Principles of Political Economy» [«პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები»] ტექსტს ადარებ წინასიტყვაობას (პირველი გამოცემა), სადაც იგი თავის თავს თანამედროვე ა. სმიტს უწოდებს, ადარ იცი რა უფრო. გაგიკვირდეს, მისი გულუბრყვილობა, თუ გულუბრყვილობა საზოგადოებისა, რომელმაც მას დაუჯერა და მართლა ადამ სმიტად დასაბა, თუმცა მას და ა. სმიტს შორის ისეთივე მსგავსებაა, როგორც გენერალ ვილიამს ყარსელსა და ჰერცოგ ველინგტონს შორის. ჯონ სტ. მილის ეკონომიური ხასიათის ორიგინალური გამოკვლევები, რომელნიც არც მოცულობით და არც შინაარსიანობით არ გამოირჩევა, მთლიანად. მითაყვებულა 1844 წ. გამოცემულ მის წიგნაკში: «Some Unsettled Questions of»

ე) მონეტა. ღირებულების ნიშანი

ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციიდან წარმოდგება მისი მონეტური სახე. საქონელთა ფასში, ანუ საქონელთა ფულად სახელწოდებაში იდეალურად არსებული ოქროს წონითი ნაწილი უნდა დაუპირისპირდეს მათ მიმოქცევის პროცესში, როგორც იმავე სახელწოდების ოქროს ნაჭერი, ანუ მონეტა. როგორც ფასების მასშტაბის დაწესება, ფულის მოქრაც სახელმწიფოს საქმეა. სხვადასხვა ეროვნულ სამოსელში, რომელსაც ოქრო და ვერცხლი მონეტის სახით ატარებენ და რომელსაც კვლავ გაიხდიან მსოფლიო ბაზარზე, ვლინდება ის გათიშვა, რომელიც არსებობს საქონელმომოქცევის შინაგან ანუ ეროვნულ სფეროსა და მის საყოველთაო მსოფლიო ბაზრის სფეროს შორის.

მაშასადამე, ოქროს მონეტა და ოქროს ზოდი იმთავითვე მხოლოდ გარეგნობით განირჩევიან ერთმანეთისაგან, და ოქრო მუდამ შეიძლება გარდაიქმნას ერთი ფორმიდან მეორედ⁸¹. ზარაფხანიდან გამოშვებული გზა კი იმავე დროს გადასადნობი ქვაბისაკენ მიმავალი გზაა.

Political Economy. ლოკი პირდაპირ ამბობს, რომ ოქროსა და ვერცხლის ღირებულების უქონლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი ღირებულება განისაზღვრება მათი რაოდენობით. რადგან ყველა შეთანხმდა იმაში, რომ ოქროსა და ვერცხლს მიეცეს წარმოსახვითი ღირებულება... ამიტომ ამ ლითონების შინაგანი ღირებულებაც სხვა არა არის რა, თუ არა მათი რაოდენობა» (*Some Considerations on the Consequences of the Lowering of Interest*, 1691, *Works*, გამ. 1777, ტ. II, გვ. 15).

⁸¹ რასაკვირველია, ისეთი დეტალების განხილვა, როგორიცაა, მაგალითად, ფულის მოჭრის საფასური და სხვა, ჩემს ამოცანას სრულიად არ შეადგენს. მაგრამ რომანტიკულ სიკოფანტს ადამ მიულერს, აღფრთოვანებულს იმ დიადი ხელგაშლილობით, რომელსაც იჩენს ინგლისის მთავრობა ფულის მუქთად მოჭრით, არ შეგვიძლია არ დაუპირისპიროთ სერ დედლი ნორსის შემდეგი მსჯელობა: «ვერცხლსა და ოქროს, როგორც ყველა სხვა საქონელს, თავისი მიქცევა და მოქცევა აქვს. ესპანეთიდან შემოტანის შემდეგ... ოქრო და ვერცხლი ტაუერში იგზავნება და იქ მონეტებად იჭრება. მალე ამის შემდეგ შეიძლება ოქროს ან ვერცხლის ზოდები კვლავ საჭირო გახდნენ ექსპორტის მიზნით. თუ ლითონი ზოდად არ მოიპოვება, რადგან სულ მონეტებად არის მოჭრილი, როგორ უნდა მოიქცნენ მაშინ? მას ხელშეორედ გადაადნობენ. აქ ზარალს ადგილი არა აქვს, რადგან ფულის მოჭრა პატრონს არაფერი უჯდება. ერთი კი ზარალობს, რადგან მან უნდა იკისროს იმ ჩალის დაწვინის ზარაფები, რომელიც სახედარს უნდა დაუყარონ. ვაჭარს (თუც ნორსი ერთი უდიდესი ვაჭართაგანი იყო კარლოს II-ის დროს) რომ ფულის მოჭრაში საფასურის გაღება უხდებოდეს, მაშინ იგი ასე განუსჯელად არ გაგზავნიდა ვერცხლს ტაუერში; მოჭრილ ფულს კი მუდამ მეტი ღირებულება ექნებოდა, ვიდრე მოუჭრელ ვერცხლს» (*North: «Discourses upon Trade»*. London 1691, გვ. 18).

სახელდობრ, ტრიალში ოქროს მონეტა ცვდება, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ოქროს მონეტის სახელწოდება და მისი ოქროს სუბსტანცია, ნომინალური შინაარსი და რეალური შინაარსი იწყებენ თავიანთ გათიშვის პროცესს. ერთი სახელწოდების ოქროს მონეტები სხვადასხვა ღირებულების ხდებიან, იმიტომ რომ სხვადასხვა წონა აქვთ. ოქრო, როგორც მიმოქცევის საშუალება, სცილდება ოქროს, როგორც ფასების მასშტაბს და ამით შეწყვეტს აგრეთვე იმ საქონელთა ნამდვილ ეკვივალენტად ყოფნას, რომელთა ფასების რეალიზაციასაც ახდენს. ასეთი არევ-დარევის ისტორია შუა საუკუნეებისა და ახალი დროის — თვით XVIII საუკუნემდე — მონეტის ისტორიას შეადგენს. მიმოქცევის პროცესის ბუნებრივი ტენდენცია — მონეტის არსებობა ოქროს სახით გადააქციოს ოქროს მოჩვენებად, ე. ი. მონეტა — მისი ოფიციალური ლითონშეცულობის სიმბოლოდ, აღიარებულია თვით ყველაზე თანამედროვე კანონმდებლობის მიერ: ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ლითონის დანაკარგის იმ ხარისხს, რომლის დროსაც მონეტა კარგავს კურსს, ანუ დემონეტიზაციას განიცდის.

თუ თვით ფულის ტრიალი მონეტის რეალშეცულობას გამოჰყოფს მისი ნომინალშეცულობისაგან, მის ლითონურ მყოფობას — მისი ფუნქციური მყოფობისაგან, მაშინ იგი ფარულად უკვე შეიცავს იმის შესაძლებლობას, რომ ლითონის ფული მისი სამონეტო ფუნქციის მხრივ შეიცვალოს სხვა მასალისაგან გაკეთებული ნიშნებით ანუ სიმბოლოებით. ოქროს ან ვერცხლის მეტად მცირე წონითი ნაწილების მოჭრის ტექნიკური სიძნელეები და ის გარემოება, რომ თავდაპირველად უფრო დაბალი ღირსების ლითონები იხმარება უფრო ძვირფასი ლითონების მაგივრად ღირებულების საზომად, ვერცხლი — ოქროს მაგივრად, სპილენძი — ვერცხლის მაგივრად, რომელნიც მიმოიქცევიან ფულის სახით იმ მომენტამდე, სანამ უფრო ძვირფასი ლითონი მათ ტახტიდან გადმოაგდებდეს, — ყოველივე ეს ისტორიულად ნათელყოფს ვერცხლისა და სპილენძის ნიშნების, როგორც ოქროს მონეტის მოადგილეების, როლს. ისინი იჭერენ ოქროს ადგილს საქონელშიმოქცევის იმ სფეროში, სადაც ყველაზე უფრო სწრაფად ტრიალებს მონეტა და, მაშასადამე, ყველაზე უფრო სწრაფადაც ცვდება, ე. ი. იქ, სადაც ყიდვა და გაყიდვა განუწყვეტლივ ახლდება სულ მცირე მასშტაბით. რათა ოქროს ამ თანამგზავრებს ხელი შეუშალოს თვით ოქროს ადგილზე დამკვიდრების საქმეში, კანონი აწესებს მეტად დაბალ პროპორციას, რომლის ფარგლებშიც სავალდებულოა ანგარიშის გასწორების დროს მხოლოდ მათი მიღება ოქროს ნაცვლად. განსაკუთრებული სფეროები, სადაც სხვადასხვა სახის

მონეტა ტრიალებს, რასაკვირველია, ერთმანეთშია ჩაქსოვილი. ხურდა ფული გვევლინება ოქროს გვერდით ოქროს უმცირესი წილადების გადასახდელად. ოქრო განუწყვეტლივ შედის საცალო მიმოქცევის სფეროში, მაგრამ ასევე განუწყვეტლივ იდევნება იქიდან წვრილ ფულზე დახურდავების გზით⁸².

ვერცხლისა და სპილენძის ნიშნების ლითონშეცულობა თვითნებურად არის კანონის მიერ განსაზღვრული. ტრიალში ისინი კიდევ უფრო სწრაფად ცვდებიან, ვიდრე ოქროს მონეტა. ამიტომ მათი სამონეტო ფუნქცია ფაქტიურად სრულიად დამოუკიდებელი ხდება მათი წონისაგან, ე. ი. ყოველივე ღირებულებისაგან. ოქროს მონეტური არსებობა სრულიად სცილდება მის ღირებულებით სუბსტანციას. მაშასადამე, ნივთებმა, რომლებიც შედარებით ღირებულებას მოკლებული არიან, ქალაღის ნაჭრებმა, შეიძლება ოქროს მაგივრობა გასწიონ და მონეტის როლი შეასრულონ. ლითონურ ფულად ნიშნებში მათი წმინდა სიმბოლური ხასიათი ჯერ კიდევ რამდენადმე დამალულია. ქალაღის ფულში კი ეს ხასიათი აშკარად ჩანს. ჩვენ ვხედავთ: *ce n'est que le premier pas qui coûte* [მხოლოდ პირველი ნაბიჯია ძნელი].

აქ ლაპარაკია მხოლოდ სახელმწიფო ქალაღის ფულზე იძულებითი კურსით. იგი წარმოდგება უშუალოდ ლითონური მიმოქცევიდან. საკრედიტო ფული კი, პირიქით, გულისხმობს ისეთ ურთიერთობას, რომელიც მარტივი საქონელმომოქცევის თვალსაზრისით ჯერ კიდევ სრულიად უცნობია ჩვენთვის. გაკვრით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ როგორც ნამდვილი ქალაღის ფული წარმოდგება ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციიდან, ასევე საკრედიტო

⁸² თუ ვერცხლის მონეტის რაოდენობა არასოდეს არ აღემატება იმას, რაც წვრილი გადასახდელისათვის არის საჭირო, მაშინ შეუძლებელია იგი დაგროვდეს იმ რაოდენობით, რაც საკმარისია მსხვილი გადასახდელისათვის... ოქროს ზმარება მსხვილი გადასახდელისათვის გულისხმობს აუცილებლად აგრეთვე მის ზმარებას საცალო ვაჭრობაში: ოქროს მონეტის პატრონი ხარჯავს მას წვრილად ყიდვის დროს და ნაყიდ საქონელთან ერთად ხურდად ვერცხლს ლეზულობს. ასეთი გზით ვერცხლის ნაჭარბი, რომელიც უამისოდ ცალობით მოვაჭრეს დაუგროვდებოდა, სცილდება მას და საერთო მიმოქცევაში იფანტება. მაგრამ თუ იმდენი ვერცხლი მოიპოვება, რამდენიც საჭიროა ოქროს დაუზმარებლად წვრილი ანგარიშების გასასწორებლად, მაშინ ცალობით მოვაჭრე თავისი საცალო ვაჭრობის დროს მიიღებს ვერცხლს და ეს უკანასკნელი აუცილებლად მის ხელში დაგროვდება» (David Buchanan: *Inquiry into the Taxation and Commercial Policy of Great Britain*. Edinburgh 1844, გვ. 248, 249).

ფულის ბუნებრივად აღმოცენებული ფესვები ჩამარხულია ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქციაში⁸².

ქალაქის ნიშნები, რომლებზედაც აღბეჭდილია ფულადი სახელწოდება, მაგალითად, 1 გირვანქა სტერლინგი, 5 გირვანქა სტერლინგი და სხვ., სახელმწიფოს გარედან შეაქვს მიმოქცევის პროცესში. რამდენადაც ისინი ნამდვილად იმავე სახელწოდებიანი ოქროს ადგილას მიმოქცევიან, იმდენად მათს მოძრაობაში მხოლოდ თვით ფულის ტრიალის კანონები აისახება. ქალაქის ფულის მიმოქცევის სპეციფიკური კანონი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მისი დამოკიდებულებიდან ოქროსთან, მხოლოდ იქიდან, რომ იგი ოქროს წარმომადგენელია. და ეს კანონი მარტივად იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის ფულის გამოშვება უნდა შეიზღუდოს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მის მიერ სიმბოლურად წარმოდგენილი ოქრო (ან ვერცხლი) ნამდვილად მიმოქცევაში უნდა ყოფილიყო. მართალია, ოქროს რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიმოქცევის სფერომ შთანთქმას, მუდმივად ირყევა განსაზღვრულ საშუალო დონეზე ან მაღლა ან დაბლა. მაგრამ მიმოქცევაში მყოფ საშუალებათა მასა ამა თუ იმ ქვეყანაში არასოდეს არ ეცემა იმ განსაზღვრულ მინიმუმზე დაბლა, რომელიც გამოცდილებით მყარდება. ის გარემოება, რომ ეს მინიმალური მასა თავის შემადგენელ ნაწილებს განუწყვეტლივ იცვლის, ე. ი. რომ მუდამ ახალ-ახალი ოქროს მონეტებისაგან შედგება, რასაკვირველია, სრულიად არ ცვლის მის მოცულობას და მის მუდმივ

⁸² ფინანსების მანდარინმა ვან-მაო-ინმა თავის თავს ნება მისცა და ზეცის ძეს წარუდგინა პროექტი, რომლის ფარულ მიზანს შეადგენდა ჩინეთის სახელმწიფო ასიგნატების გადაქცევა გასანადღებელ ბანკნოტებად. ამისთვის იგი საასიგნატო კომიტეტის ანგარიშში 1854 წლის აპრილს გვარიანად დატუქსეს. დაჭკრეს თუ არა მას აგრეთვე სათანადო რაოდენობით ბანკნოტების ჯობი, — ეს არ არის მოხსენიებული. კომიტეტმა, — ნათქვამია ანგარიშის დასასრულს, — გულდასმით აწონ-დაწონა მისი პროექტი და დანახა, რომ მასში ყველაფერი ეჭვების სასარგებლოდ არის მიმართული, ტახტს კი არავითარი სარგებლობა არ მოულის» (*Arbeiten der Kaiserlich Russischen Gesandtschaft zu Peking über China*, თარგმანი რუსულიდან დ-რ კ. აბელისა და ფ. ა. მეკლენბურგისა, I ნაწ., Berlin 1858, გვ. 47 და შ.). ლითონის დეკარგვის შესახებ, რომელსაც ტრიალის გამო განუწყვეტლივ განიცდის ოქროს მონეტა, აი რას ამბობს ინგლისის ბანკის ერთ-ერთი «governor»-ი [დირექტორი], როგორც მოწმე, ლორდთა პალატის კომისიის («საბანკო აქტების» შესახებ) წინაშე: ყოველწლიურად სოვერენების (ამ სიტყვის პოლიტიკური გაგებით კი არა: «sovereign» — გირვანქა სტერლინგის სახელწოდება) ახალი ჯგუფი შესამჩნევად კლებულობს წონაში. ჯგუფი, რომელიც წლის განმავლობაში როგორც სრულწონიანი მიმოქცევა, კარგავს, გაცემის გამო, იმდენს, რომ მეორე წელიწადს სასწორი მის წინააღმდეგ იხრება» (*House of Lords' Committee 1848, № 429*).

ტრიალს მიმოქცევის სფეროში. მაშასადამე, იგი შეიძლება შეიცვალოს ქალაქის სიმბოლოებით. მაგრამ თუ, პირიქით, დღეს მიმოქცევის ყველა არხი მათი ფულადი ტევადუნარიანობის უკიდურეს საზღვრამდე ივსება ქალაქის ფულით, ხვალ შეიძლება, საქონელმომოქცევის მერყეობის გამო, ისინი ზომამდე მეტად სავსენი აღმოჩნდნენ. იკარგება ყოველგვარი ზომა. მაგრამ თუ ქალაქის ფული გადასცდა თავის ზომას, ე. ი. იმავე სახელწოდების ოქროს მონეტის რაოდენობას, რომელსაც შეეძლო მიმოქცევაში ყოფნა, მაშინ, თუ არას ვიტყვი მათი საყოველთაო დისკრედიტირების საშიშროებაზე, იგი საქონელთა სამყაროში მაინც მხოლოდ ოქროს იმ რაოდენობას წარმოგვიდგენს, რომელიც საერთოდ შეიძლება მის მიერ წარმოდგენილი იქნას, მაშასადამე, იმ რაოდენობას, რომელიც ამ სამყაროს იმანენტური კანონებით განისაზღვრება. თუ, მაგალითად, ქალაქის ბილეთების მთელი მასა ორი უნცი ოქროს სახელწოდებას ატარებს, რეალურად კი ერთი უნცი ოქროს მაგივრობას ეწევა, მაშინ ფაქტიურად ერთი გირვანქა სტერლინგი, ვთქვათ $\frac{1}{4}$ უნცი ოქროს ნაცვლად $\frac{1}{8}$ უნცის ფულადი სახელწოდება იქნება. შედეგი ისეთივეა, როგორც მაშინ, ოქროს რომ ცვლილება განეცადა ფასების საზომის ფუნქციაში. ამიტომ იგივე ღირებულება, რომელიც უწინ 1 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ფასით გამოიხატებოდა, ახლა 2 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ფასით გამოიხატება.

ქალაქის ფული არის ოქროს ნიშანი, ანუ ფულის ნიშანი. მისი დამოკიდებულება საქონლის ღირებულებასთან მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ღირებულება იდეალურად ოქროს იმავე რაოდენობითაა გამოხატული, რომელიც ქალაქის ნიშნებში გრძნობით აღქმულ სიმბოლურ გამოხატულებას ღებულობს. ქალაქის ფული მხოლოდ იმდენად არის ღირებულების ნიშანი, რამდენადაც იგი წარმომადგენელია ოქროს რაოდენობისა, რომელიც, როგორც ყველა სხვა საქონლის რაოდენობა, ღირებულების რაოდენობაც არის⁸⁴.

⁸⁴ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. თუ რა ბუნდოვნად აქვთ წარმოდგენილი ფულის საუკეთესო თეორეტიკოსებსაც კი ფულის სხვადასხვა ფუნქცია, ამას გვიჩვენებს, მაგალითად, შემდეგი ადგილი ფულარტონიდან: «რამდენადაც საკითხი ჩვენს საშინაო აღებმაცემობას ეხება, ფულის ყველა ფუნქცია, რომელსაც ჩვეულებრივ ოქროს და ვერცხლის მონეტა ასრულებს, შეიძლება ასეთივე წარმატებით შესრულდეს დაუზღურდავებელი ბილეთების მიმოქცევით, რომელთაც არაერთი სხვა ღირებულება არა აქვთ, გარდა კანონით დაწესებული ამ ხელოვნური და პირობითი ღირებულებისა. ეს ფაქტია, რომლის უარყოფა, ჩემი აზრით, არავის შეუძლია. ამგვარ ღირებულებას შეეძლო სავსებით დაეკმაყოფილებინა ყველა ის მოთხოვნილება.

ბოლოს ისმის კითხვა, თუ რატომ შეიძლება შეიცვალოს ოქრო ღირებულებას მოკლებული თვით მისივე უბრალო ნიშნებით? მაგრამ, როგორც დავინახეთ, იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თავისი ფუნქციის მხრივ, როგორც მონეტა, ანუ მიმოქცევის საშუალება, იზოლირებული, ანუ დამოუკიდებელი ხდება. მართალია, ამ ფუნქციის დამოუკიდებლად გახდომა არ ვრცელდება თვითეულ ოქროს მონეტაზე, თუმცა ვლინდება იმაში, რომ გაცვეთილი ოქროს ნაჭერი განაგრძობს მიმოქცევაში ყოფნას. ოქროს ნაჭერი სწორედ მანამდე წარმოადგენს მარტოოდენ მონეტას, ანუ მიმოქცევის საშუალებას, სანამ იგი ნამდვილად იმყოფება ტრიალში. მაგრამ ის, რაც არ ვრცელდება ცალკეულ ოქროს მონეტაზე, ვრცელდება ოქროს იმ მინიმალურ მასაზე, რომლის შეცვლაც ქალაქის ფულით შესაძლებელია. ეს მასა მუდამ მიმოქცევის სფეროში იმყოფება, მუდამ მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება და, ამიტომ, არსებობს მხოლოდ და მხოლოდ როგორც ამ ფუნქციის მატარებელი. მაშასადამე, მისი მოძრაობა წარმოადგენს საქონლის მეტამორფოზის, ს — ფ — ს-ის, დაპირისპირებული პროცესების მხოლოდ ერთიმეორეში გადასვლას; ამ მეტამორფოზის დროს საქონელს უპირისპირდება მისი ღირებულებითი სახე მხოლოდ იმისათვის, რომ მაშინვე კვლავ გაქრეს. საქონლის საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელი გამოხატულება აქ მხოლოდ წუთიერი მომენტიია. ეს საქონელი დაუყოვნებლივ მეორე საქონლით იცვლება. ამიტომ საკმარისია აგრეთვე ფულის მხოლოდ სიმბოლური არსებობა იმ პროცესში, რომელსაც ეს ფული მუდამ ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს. ფულის ფუნქციური მყოფობა, ასე ვთქვათ, შთანთქავს მის მატერიალურ მყოფობას. როგორც საქონლის ფასების წარმავლად გაობიექტებული ანარეკლი, ფული ამ შემთხვევაში მოქმედებს ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც თავისი თავის ნიშანი და ამიტომაც მისი შეცვლა ნიშნებით შესაძლებელია⁸⁵. საქონლია მხოლოდ, რომ ფულის ნიშანს ჰქონდეს

რომელიც დღეს სრული ღირებულების მქონე მონეტის საშუალებით კმაყოფილდება, და თვითონ ღირებულების მასშტაბის აუცილებლობაც კი ზედმეტი გაეხად, თუ გამოშვებული ბილეთების რაოდენობა ჯეროვან ფარგლებს არ გასცდებოდა (Ful-larton: «Regulation of Currencies», მე-2 გამოც., London 1845, გვ. 21). მაშასადამე, რადგან შესაძლებელია მიმოქცევაში ფულადი საქონლის შეცვლა ღირებულების უბრალო ნიშნებით, ამიტომ იგი ზედმეტია, როგორც ღირებულების საზომი და ფასების მასშტაბი!

⁸⁵ იქიდან, რომ ოქრო და ვერცხლი, როგორც მონეტა, ე. ი. მარტოოდენ როგორც მიმოქცევის საშუალება, თავისი თავის ნიშანი ხდება, ნიკოლა ბარბონს გამოაქვს მთავრობის უფლება «to raise money» [მონეტის ღირებულების აწევისა]

თავისი ობიექტურად საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ამ უკანასკნელს ქალაქის სიმბოლო იძულებითი კურსის მეოხებით იძენს. ამ სახელმწიფოებრივ იძულებას ძალა აქვს მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების ფარგლებს შიგნით, ანუ შინაგანი მიმოქცევის სფეროში, მაგრამ ამასთანავე მხოლოდ აქ გადადის მთლიანად ფული თავის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ანუ მონეტის, ფუნქციაში და, მაშასადამე, შეუძლია ქალაქის ფულის სახით მოიპოვოს თავისი ლითონური სუბსტანციისაგან გარეგნულად გამოცალკევებული და წმინდა ფუნქციური არსებობა.

3. ფული

საქონელი, რომელიც მოქმედებს როგორც ღირებულების საზომი და, ამიტომ, აგრეთვე, უშუალოდ ან მოადგილეთა მეშვეობით, როგორც მიმოქცევის საშუალება, არის ფული. ამიტომ ოქრო (ან ვერცხლი) — ფულია. ოქრო მოქმედებს როგორც ფული, ერთი მხრივ, იქ, სადაც იგი უნდა გვევლინებოდეს თავის ოქროს (ან ვერცხლის) სხეულში, მაშასადამე, — როგორც ფულადი საქონელი, ე. ი. არც წმინდა იდეალურად, როგორც ეს ღირებულების საზომის ფუნქციის ასრულებისას ხდება, და არც ისეთ რამედ, რაც შეიძლება შეცვლილ იქნას წარმომადგენლით, როგორც ეს მიმოქცევის საშუალების ფუნქციის ასრულებისას ხდება; მეორე მხრივ, ოქრო (ან ვერცხლი) მოქმედებს როგორც ფული იქ, სადაც მისი ფუნქცია — სულ ერთია, ასრულებს იგი ამ ფუნქციას თვითონ პირადად, თუ მოადგილეთა მეშვეობით — განამტკიცებს მას როგორც ღირებულების ერთადერთ სახეს, ანუ როგორც საცვლელი ღირებულების ერთადერთ ადეკვატურ მყოფობას ყველა სხვა საქონელთა, როგორც უბრალო სახმარ ღირებულებათა, მიმართ.

ა) განძის შექმნა

საქონლის ორი მოპირდაპირე მეტამორფოზის შეუწყვეტელი წრებრუნვა, ანუ გაყიდვისა და ყიდვის აქტების ერთიმეორეში ღენადი

ე. ი. უფლება, რომ, მაგალითად, ვერცხლის რაოდენობას, რომელსაც გროში ჰქვია, მისცეს ვერცხლის მეტი რაოდენობის სახელწოდება, მაგალითად, ტალერი და, ამგვარად, კრედიტორებს ვალი ტალერის ნაცვლად გროშით გადაუხადოს. «ფული ცვდება და წონას კარგავს ხელიდან ხელში ხშირი გადასვლის გამო... ვაჭრობაში ყურადღებას აქცევენ ფულის სახელწოდებას და კურსს და არა ვერცხლის რაოდენობას... ხელისუფლების ავტორიტეტის ძალით იქცევა ლითონის ნაჭერი ფულად» (N. Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter. In Answer to Mr. Locke's Considerations etc.». London 1696, გვ. 29, 30, 25).

გადასვლა, ვლინდება ფულის შეუჩერებელ ტრიალში, ანუ მის, როგორც მიმოქცევის *perpetuum mobile*-ს [განუწყვეტლივ მოქმედი მექანიზმის], ფუნქციაში. ფულის იმობილიზაცია ანუ მისი გადაქცევა, როგორც ბუაგილბერი ამბობს, *meuble*-დან *immeuble*-ად [მოძრავიდან უძრავად], მონეტიდან ფულად, ხდება, როგორც კი წყდება მეტამორფოზთა მწკრივი და გაყიდვა აღარ ივსება მისი მომდევნო ყიდვით.

საქონელმიმოქცევა თავისი განვითარების თვით პირველ საფეხურზევე წარმოშობს აუცილებლობას და დაუცხრომელ მისწრაფებას — შეინარჩუნოს პირველი მეტამორფოზის პროდუქტი, საქონლის გარდაქმნილი სახე, ანუ მისი ოქროს ჭუპრი⁸⁶. საქონელს ყიდიან არა იმისთვის, რომ სხვა საქონელი იყიდონ, არამედ იმისთვის, რომ საქონლური ფორმა ფულადი ფორმით შეცვალონ. ნივთიერებათა ცვლის უბრალო მოსაშუალებე რგოლიდან ფორმის ეს ცვლა თვითმიზანი ხდება. საქონლის გასხვისებული სახე ბრკოლდება და არ შეუძლია იმოქმედოს როგორც საქონლის აბსოლუტურად გასასხვისებელმა სახემ, ანუ როგორც მისმა მარტოოდენ სწრაფწარმავალმა ფულადმა ფორმამ. ამით ფული განძად ქვევდება და საქონლის გამყიდველი განძის დამგროვებელი ხდება.

საქონელმიმოქცევის სწორედ პირველ ხანებში სახმარ ღირებულებათა მხოლოდ ნამეტი იქცევა ფულად. ამრიგად, ოქრო და ვერცხლი თავისთავად ხდება სიჭარბის, ანუ სიმდიდრის, საზოგადოებრივი გამოხატულება. განძის დაგროვების ასეთი გულუბრყვილო ფორმა მკვიდრდება იმ ხალხთა შორის, სადაც ტრადიციულ წარმოების წესს, რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილებას, შეესაბამება მოთხოვნილებათა მტკიცედ შემოსაზღვრული ვიწრო წრე. ამას ეხედავთ ჩვენ, მაგალითად, აზიელ ხალხებში, განსაკუთრებით ინდოელებს შორის. ვანდერლინტი, რომელსაც ჰგონია, რომ საქონელთა ფასები ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ოქროსა და ვერცხლის მასით განისაზღვრება, ეკითხება თავის თავს, თუ რატომ არის ასე იათი ინდოეთის საქონელი? პასუხი: იმიტომ რომ ინდოელები ფულს მიწაში მარხავენ. 1602-დან 1734 წლამდე, შენიშნავს იგი, მათ ჩამარხეს 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი ვერცხლით, რომელიც თავ-

⁸⁶ «ფულადი სიმდიდრე სხვა არა არის რა... თუ არა სიმდიდრე ფულადქცეული პროდუქტებით» (*Mercier de la Rivière: «L'Ordre Naturel et Essentiel des Sociétés Politiques», «Physiocrates», გამოც. Daire, ნაწილი I, Paris 1846, გვ. 573*). პროდუქტებით გამოხატულმა ღირებულებამ მხოლოდ თავისი ფორმა შეიცვალა» (იქვე, გვ. 486).

დაპირველად შემოტანილი იყო ამერიკიდან ვეროპაში⁸⁷. 1856-დან 1866 წლამდე, მაშასადამე, 10 წლის განმავლობაში, ინგლისმა შეიტანა ინდოეთში და ჩინეთში (ჩინეთში შეტანილი ლითონის დიდი ნაწილი ისევ ინდოეთში მიედინება) 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი ვერცხლი, რომელიც მანამდე ავსტრალიის ოქროზე იყო გაცვლილი.

საქონელწარმოების შემდგომ განვითარებასთან ერთად თვითფულმა საქონელმწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს თავისთვის *nexus rerum*-ი, გარკვეული «საზოგადოებრივად აღიარებული საწინდარია»⁸⁸. მისი მოთხოვნილებანი განუწყვეტლივ ახლდებათ და მოითხოვენ მისგან სხვისი საქონლის განუწყვეტლივ ყიდვას, მაშინ როდესაც მისი საკუთარი საქონლის წარმოება და გაყიდვა დრო ღირს და დამოკიდებულია შემთხვევებზე. რათა იყიდოს გაუყიდველად, მან ჯერ უნდა გაყიდოს უყიდველად. ეს ოპერაცია, საყოველთაო მასშტაბით წარმოებული, თითქოს თავის თავს ეწინააღმდეგება. მაგრამ ძვირფასი ლითონები თავიანთი წარმოების სათავეში უშუალოდ იცვლება სხვა საქონელზე. აქ ხდება გაყიდვა (საქონელმფლობელთა მხრივ), ყიდვა კი (ოქროს ან ვერცხლის მფლობელთა მხრივ) — არა⁸⁹. შემდგომი გაყიდვის აქტებიც, რომელთაც არ მოსდევს ყიდვა, მოსაშუალებოებენ მხოლოდ ძვირფასი ლითონების შემდგომ განაწილებას ყველა საქონელმფლობელთა შორის. ამ გზით იქმნება ალებ-მიცემის ყველა პუნქტზე ოქროსა და ვერცხლის განძი უაღრესად სხვადასხვა ოდენობით. საცვლელი ღირებულების სახით საქონლის შენახვის ან საქონლის სახით საცვლელი ღირებულების შენახვის შესაძლებლობასთან ერთად იღვიძებს ოქროს მოხვეჭის წყურვილი. საქონელმომოქცევის გაფართოებასთან ერთად იზრდება ფულის — სიმდიდრის ამ მუდამ ბრძოლისათვის მზადყოფი, აბსოლუტურად საზოგადოებრივი ფორმის — ძალა. «ოქროს საკვირველი ნივთია! ვისაც იგი აქვს, ყველაფრის ბატონია, რასაც კი მოისურვებს. ოქრო სულსაც კი სამოთხეში მიმავალ გზას უხსნის» (კოლუმბი, წერილი იამაიკიდან, 1503 წ.). რადგან ფულს გარედან არ

⁸⁷ «სწორედ ამ ჩვეულების შედეგია, რომ ასე დაბლა დასობს ყველა მათი პროდუქტი და საქონელი» (Vanderlint: «Money answers all Things». London 1734, გვ. 95, 96).

⁸⁸ «ფული — საწინდარია» (John Bellers: «Essays about the Poor, Manufactures, Trade, Plantations, and Immorality». London 1699, გვ. 13).

⁸⁹ ყიდვა, ამ სიტყვის კატეგორიული მნიშვნელობით, გულისხმობს სწორედ, რომ ოქრო ან ვერცხლი უკვე წარმოადგენს საქონლის გარდაქმნილ სახეს, ანუ გაყიდვის შედეგს.

ემჩნევა, რომელი ნივთია იმად ქცეული, ამიტომ ფულად იქცევა ყველაფერი: საქონელიც და არა საქონელიც. ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდება. მიმოქცევა იქცევა უზარმაზარ საზოგადოებრივ ამბუხად, რომელშიც ყველაფერი ცვივა, რათა იქიდან ფულადი კრისტალის სახით ამოვიდეს. ამ ალქიმის ძალას ვერ უმაგრდება თვით წმინდანთა ნაწილები და მით უმეტეს *res sacrosanctae, extra commercium hominum* [საღმრთო საგნები, რომელნიც გამორიცხულნი არიან ადამიანთა ალებშიცემობითი ურთიერთობიდან]⁹⁰. როგორც ფულშია წაშლილი საქონელთა ყველა თვისებრივი განსხვავება, ასევე ფულიც, თავის მხრივ, როგორც რადიკალური ლეველერი, სპობს ყველა განსხვავებას⁹¹. მაგრამ ფული თვითონ საქონელია, გარეგანი ნივთი, რომელიც შეიძლება ყოველი ადამიანის კერძო საკუთრება გახდეს. ამრიგად, საზოგადოებრივი ძალა კერძო პირის კერძო ძალად იქცევა. ამიტომ ანტიკური საზოგადოება გმობს ფულს, როგორც მონეტას, რომელზედაც მისი ეკონომიური და ზნეობრივი წყობილება

⁹⁰ ჰენრიხ III, საფრანგეთის უუქრისტიანესი მეფე, ძარცვავს მონასტრებსა და სხვ., იტაცებს რა მათს რელიკვიებს, რათა ეს უკანასკნელნი ვერცხლად აქციოს. ცნობილია, თუ რა როლს ასრულებს საბერძნეთის ისტორიაში ფოკლების მიერ განძეულობის გატაცება დელფის ტაძრიდან. ძველს დროში, როგორც ცნობილია, საქონელთა ღმერთს ტაძრებში ჰქონდა ბინა. ეს უკანასკნელნი «საღმრთო ბანკები» იყვნენ. ფინიკიელებს, ამ მოვაქრე ხალხს *par excellence* [განსაკუთრებით], ფული ყველა ნივთის გასხვისებულ ფორმად მიაჩნდათ. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ის ქალწულები, რომელნიც სიყვარულის ქალ-ღმერთის დღესასწაულზე უცხოელებს ნებდებოდნენ, მიღებულ ფულს საჩუქრად ამ ღმერთს სწირავდნენ.

⁹¹ ოქრო! ყვითელი, მოელვარე, ძვირფასი ოქრო!...

ამდენი ოქრო, თავმოყრილი, შავს გაათეთრებს,

გონჯს დაამშვენებს, მდაბალს აქცევს კეთილშობილად,

ბებერს — ჭაბუკად, ქალაჩუნას — მხნედ და მამაცად.

რად არის ასე, ჰე, ღმერთებო, რად არის ასე?

ის თქვენს ქურუმებს და მსახურებს განდევნის თქვენგან,

გულად ვაჟაკებს გამოაცლის თავქვეშ ბალიშებს;

ყვითელი მონა

შეაკავშირებს და დაარღვევს სხვადასხვა რწმენას;

წყევლს აკურთხებს; ძველ კეთრს აქცევს სათაყვანებლად;

ქურდებს შემოასავს დიდებით და მაღალწოდებით

და დასაბამს სკამზე სენატორთა გვერდით; დედაბერს,

დიდი ხნის წინათ დაქვრივებულს, კვლავ გაათხოვებს...

...გასწი, წყევლო მონავ,

ქვეყნის ნათრევო დედაცაცო...

შ ე ქ ს პ ი რ ი: «ტიმონ ათენელი» [თარგმანი ინგლისურიდან გ. გაჩეჩილაძისა].

ხურდავდება⁹². თანამედროვე საზოგადოება, რომელმაც თავის სიყმაწვილეშივე თმით ამოათრია პლუტოსი [სიმდიდრის ღმერთი] დედამიწის წიაღიდან⁹³, მიესალმება ოქროს როგორც თავისი ყველაზე ძირითადი სასიცოცხლო პრინციპის ბრწყინვალე განსახიერებას.

საქონელი, როგორც სახმარი ღირებულება, განსაზღვრულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ნივთიერი სიმდიდრის განსაზღვრულ ელემენტს შეადგენს. მაგრამ საქონლის ღირებულებით იზომება საქონლის მიმზიდველობითი ძალა ნივთიერი სიმდიდრის ყველა ელემენტის მიმართ, მაშასადამე, იზომება მისი მფლობელის საზოგადოებრივი სიმდიდრე. ბარბაროსულად პრიმიტიული საქონელმფლობელისთვის, თვით დასავლეთ-ევროპელი გლეხისთვისაც კი, ღირებულება განუყრელია ღირებულების ფორმისაგან, მაშასადამე, ოქროს და ვერცხლის განძის გადიდება მისთვის ღირებულების გადიდებაა. მართალია, ფულის ღირებულება იცვლება, იქნება ეს შედეგი მისი საკუთარი ღირებულების თუ საქონელთა ღირებულების შეცვლისა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის, ერთი მხრივ, იმას, რომ 200 უნცი ოქრო უწინდებურად 100 უნცი ოქროზე მეტ ღირებულებას შეიცავს, 300 უფრო მეტს, ვიდრე 200 და სხვ., და არც იმას, მეორე მხრივ, რომ ამ ნივთის ლითონური ნატურალური ფორმა რჩება ყველა საქონლის საყოველთაო ეკვივალენტურ ფორმად, ადამიანის ყოველი შრომის უშუალო საზოგადოებრივ განხორციელებად. განძის დაგროვებისადმი მისწრაფება ბუნებით უზომოა. თვისებრივად ანუ თავისი ფორმის მიხედვით ფულს საზღვარი არა აქვს, ე. ი. იგი ნივთიერი სიმდიდრის საყოველთაო წარმომადგენელია, რადგან შესაძლებელია მისი უშუალოდ გადაქცევა ყოველ საქონლად. მაგრამ ამასთანავე ერთად ფულის ყოველი რეალური ჯამი ზღვარდებულია რაოდენობრივად, ამიტომაც იგი მხოლოდ ყიდვის საშუალებაა შეზღუდული ქმედუნარიანობით. ეს წინააღმდეგობა ფულის რაოდენობრივ საზღვარსა და მის თვისებრივ უსაზღვრობას შორის აიძულებს განძის დამგროვებელს მუდამ კვლავ გასწიოს დაგროვებისათვის სიზიფის შრომა. მას იგივე ემართება, რაც

⁹² ადამიანთა შორის არაფერს არ შეუქმნია ისეთი ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც ფულს. იგი ანადგურებს ქალაქებს, აძევებს ხალხს სახლებიდან და რყვნის მის გონებას. კეთილ. ადამიანს ცუდ საქმეზე აქებებს და ყოველ მოქმედებაში უპატიოსნობა შეაქვს (სოფოკლეს: ანტიგონე).

⁹³ «*Ἐπιπλοῦσθαι τῆς πλοῦσεῖας ἀπέξου ἐκ τῶν μαχῶν τῆς γῆς ἀπὸ τῶν Πλοῦσταίων*. [სიხარბე ღამობს თვით პლუტოსის ამოყვანას დედამიწის წიაღიდან], (Athenaeus: «*Deipnosophistarum [libri quindecim]*», წიგნი VI, თავი 23 Schweifhüser 1802, ტ. II, გვ. 397).

ქვეყნის დამპყრობელს, რომელიც ყოველი ახალი ქვეყნის დაპყრობით მხოლოდ ახალ საზღვარს იპყრობს.

ოქრო რომ შეინარჩუნო ფულის სახით და, მაშასადამე, დაიტოვო როგორც განძის შექმნის ელემენტი, უნდა შეაჩერო მისი მიმოქცევაში გაშვება, ანუ მისი გადაქცევა ყიდვის საშუალებიდან მოხმარების საშუალებად. ამიტომ განძის დამგროვებელი ფულის ფეტიშს მსხვერპლად სწირავს თავის ხორციელ სიამოვნებას. იგი გულმოდგინედ მისდევს დათმენის სახარებას. მეორე მხრივ, მას მიმოქცევიდან ფულის სახით მხოლოდ იმის გამოტანა შეუძლია, რაც მასში საქონლის სახით შეაქვს. რაც უფრო მეტს აწარმოებს იგი, მით უფრო მეტის გაყიდვა შეუძლია მას. მაშასადამე, შრომისმოყვარეობა, მომპირნეობა და სიძუნწე შეადგენენ მის ძირითად სათნოებას, ბევრის გაყიდვა, ცოტას ყიდვა კი — მთელ მის პოლიტიკურ ეკონომიას⁹⁴.

განძის უშუალო ფორმას თან ახლავს მისი ესთეტიკური ფორმაც: ოქროს და ვერცხლის საქონელთა ფლობა. ეს უკანასკნელი იზრდება ბურჟუაზიული საზოგადოების სიმდიდრესთან ერთად. «*So youns riches ou paraissons riches*» [«გავმდიდრდეთ, ან მდიდრად გამოვჩნდეთ»] (დიდრო). ასე იქმნება ნაწილობრივ ოქროსა და ვერცხლის სულ უფრო და უფრო ფართო. ბაზარი მათი ფულადი ფუნქციებისაგან დამოუკიდებლად, ნაწილობრივ კი — ფულის მიწოდების ფარული წყარო, რომელიც განსაკუთრებით საზოგადოებრივი ქარტეხილის პერიოდებში გადმოსჩქეფს.

განძის შექმნა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს ლითონის მიმოქცევის ეკონომიაში. მისი უახლოესი ფუნქცია ოქროს და ვერცხლის მონეტის ტრიალის პირობებიდან გამომდინარეობს. ჩვენ დავინახეთ, თუ მოცულობის, ფასების და სისწრაფის მხრივ საქონელთა მიმოქცევის მუდმივ რყევასთან ერთად როგორ შეუჩერებლად მიიქცევა და მოიქცევა ტრიალში მყოფი ფულის მასა. მაშასადამე, ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს გაფართოებისა და შეკუმშვის უნარი. ხან ფული უნდა მიიზიდებოდეს როგორც მონეტა და შედიოდეს მიმოქცევაში, ხან კი მონეტა უნდა იდევნებოდეს როგორც ფული და ტოვებდეს მიმოქცევას. რათა ფაქტიურად ტრიალში მყოფი ფულის მასა მუდამ შეესაბამებოდეს მიმოქცევის სფეროს გავსილობის დონეს, ამა თუ იმ

⁹⁴ ყოველი საქონლის გამყიდველთა რიცხვის რაც შეიძლება გამრავლება და მყიდველთა რიცხვის შემცირება, — ამ მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს პოლიტიკური ეკონომიის ყველა დონისძიება (Verri: «*Meditazioni sulla Economia Politica*», იტალიელი ეკონომისტების გამოცემაში — *Custodi*-ს კრებული, *Parte Moderna*, ტ. XV, გვ. 52).

ქვეყანაში არსებული ოქროს ან ვერცხლის რაოდენობა უნდა აღემატებოდეს მონეტის ფუნქციის შენსრულელებელი ლითონის რაოდენობას. ეს პირობა სრულდება იმის მეოხებით, რომ ფული განძის ფორმას იღებს. განძის აუზები იმავე დროს ტრიალში მყოფი ფულის მიქცევისა და მოქცევის არხებს წარმოადგენენ და ამიტომ ფული არასოდეს არ ავსებს ზომაზე მეტად თავისი ტრიალის არხებს⁹⁵.

ბ) გადახდის საშუალება

საქონელმომოქცევის იმ უშუალო ფორმაში, რომელიც ჩვენ აქამდე განვიხილეთ, ღირებულების ერთი და იგივე სიდიდე მუდამ ორადი სახით არსებობდა: საქონლის სახით ერთ პოლუსზე და ფულის სახით — საპირისპირო პოლუსზე. ამიტომ საქონელმფლობელნი ერთმანეთს ხვდებოდნენ მხოლოდ როგორც ერთიმეორის მოპირისპირე ეკვივალენტების წარმომადგენელნი. მაგრამ საქონელმომოქცევის განვითარებასთან ერთად ვითარდება ურთიერთობანი, რომელთა მეოხებით საქონლის გასხვისება ეთიშება დროის მიხედვით მისი ფასის რეალიზაციას. აქ საკმარისია აღვნიშნოთ ყველაზე მარტივი ამ ურთიერთობათაგან. ერთი სახეობის საქონელი თავისი წარმოებისათვის მეტ დროს მოითხოვს, მეორე კი — ნაკლებს. სხვადასხვა საქონლის წარმოება დაკავშირებულია წელიწადის სხვადასხვა დროსთან. ერთი საქონელი იქვე თავის ბაზართან წარმოიშვება, ხოლო მეორე შორეულ ბაზარზე უნდა გაემგზავროს. ამიტომ ერთ საქონელმფლობელს უფრო

⁹⁵ «ყოველ ერს ვაჭრობის საწარმოებლად სჭირდება ნაღდი ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც იცვლება, ხან მეტი და ხან ნაკლები, გარემოების მიხედვით... ფულის ეს მიქცევა და მოქცევა თავისთავად წესრიგდება მთავრობის ჩაურევლად... კასრები რიგრიგობით მუშაობს: როცა ცოტაა ფული, ზოდს მონეტად ჰკრიან, ხოლო როცა ცოტაა ფულადი ლითონი, მონეტა ისევ ზოდად გადაიდნობა» (Sir D. North: «Discourses upon Trade». London 1691, Postscript., გვ. 3). ჯონ სტიუარტ მილი, რომელიც დიდხანს ოსტ-ინდოეთის კომპანიაში მსახურობდა, ადასტურებს, რომ ინდოეთში ასლაც ვერცხლის სამკაული უშუალოდ განძის რაღს ასრულებს. «ვერცხლის სამკაულები ზარაფბანაში იგზავნება, როცა პროცენტის ნორმა მაღალია, და ისევ იღებს თავის პირვანდელ სახეს, როცა პროცენტის ნორმა ეცემა» (ჯ. სტ. მილის ჩვენება, «Reports on Bankacts 1857», № 2084 და 2101). 1864 წლის ერთი საპარლამენტო დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ინდოეთში ოქროსა და ვერცხლის იმპორტს და ექსპორტს ეხება, 1863 წელს ოქროს და ვერცხლის იმპორტი სკარბობდა ექსპორტს 19 367 764 გირვანქა სტერლინგით. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში 1864 წლამდე ძვირფას ლითონთა იმპორტი სკარბობდა მათს ექსპორტს 109 652 917 გირვანქა სტერლინგით. ამ საუკუნის განმავლობაში ინდოეთში 200 000 000 გირვანქა სტერლინგზე გაცილებით მეტი მონეტა იყო მოჭრილი.

ადრე შეუძლია გამოვიდეს როგორც გამყიდველი, ვიდრე მეორე გამოვა როგორც მყიდველი. როდესაც ერთი და იგივე გარიგება ხშირად მეორდება ერთსა და იმავე პირებს შორის, მაშინ საქონელთა გაყიდვის პირობები მათი წარმოების პირობებით წესრიგდება. მეორე მხრივ, ზოგიერთი სახეობის საქონლით სარგებლობა, მაგალითად, სახლით სარგებლობა, გაიყიდება ხოლმე განსაზღვრული ვადით. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ იღებს მყიდველი ნამდვილად საქონლის სახმარ ღირებულებას. ამიტომ იგი საქონელს ყიდულობს უფრო ადრე, ვიდრე მასში ფასს გადიხდიდეს. ერთი საქონელმფლობელი ყიდის ნაღდ საქონელს, ხოლო მეორე ყიდულობს როგორც ფულის უბრალო წარმომადგენელი ანუ როგორც სამერმისო ფულის წარმომადგენელი. გამყიდველი ხდება მევალე, მყიდველი კი — მოვალე. რადგან საქონლის მეტამორფოზი, ანუ საქონლის ღირებულების ფორმის განვითარება, აქ იცვლება, ამიტომ ფულიც სხვა ფუნქციას იძენს. იგი გადახდის საშუალება ხდება⁹⁶.

მევალის ან მოვალის როლი აქ მარტივი საქონელმიმოქცევიდან გამომდინარეობს. უკანასკნელის ფორმის ცვლილება ამ ახალ ბეჭედს ასვამს გამყიდველს და მყიდველს. მაშასადამე, ეს, უწინარეს ყოვლისა, ისევე სწრაფწარმავალი და მიმოქცევის ერთი და იმავე აგენტების მიერ რიგრიგობით შესრულებული როლია, როგორც გამყიდველის და მყიდველის როლი. მაგრამ აქ მათი დაპირისპირებულობა თავიდანვე მოკლებულია გულუბრყვილო ხასიათს და უფრო მეტი კრიტიკალიზაციის უნარს იჩენს⁹⁷. მაგრამ იგივე როლი შეიძლება წარმოიშვას საქონლის მიმოქცევისაგან დამოუკიდებლადაც. კლასობრივი ბრძოლა ანტიკურ ქვეყანაში, მაგალითად, წარმოებს უმთავრესად მევალესა და მოვალეს შორის ბრძოლის ფორმით და რომში ეს ბრძოლა თავდება მოვალე-პლებების დაღუპვით, რომლის ადგილსაც მონა იკავებს. უშუა საუკუნეებში იგივე ბრძოლა თავდება მოვალე-ფეოდალის დაღუპვით, რომელიც ეკონომიური ბაზისის დაკარგვით

⁹⁶ ლუთერი განასხვავებს ფულს როგორც ყიდვის საშუალებას და როგორც გადახდის საშუალებას. «შენ ორმაგ ზიანს მყენებ — აქ მე არ შემძლია გადავიხადო, იქ კი არ შემძლია ვიყიდო» (Martin Luther: «An die Pfarrherrn, wider den Wucher zu predigen». Wittenberg 1540).

⁹⁷ აი როგორი ურთიერთობა იყო მოვალეებსა და მევალეებს შორის ინგლისელ ვაჭრებში XVIII საუკუნის დასაწყისს: აქ, ინგლისში, ისეთი მკაცრი სულია გამეფებული ვაჭარ ხალხში, როგორსაც ჩვენ ვერ შევხვდებით ვერც ერთ საზოგადოებრივ წრეში და ვერც ქვეყნის სხვა რომელიმე კუთხეში («An Essay on Credit and the Bankrupt Act». London 1707, გვ. 2).

თავის პოლიტიკურ ძალაუფლებასაც კარგავს. მაგრამ ფულადი ფორმა აქ — და მევალესა და მოვალეს შორის არსებულ ურთიერთობას ხომ ფულადი ურთიერთობის ფორმა აქვს — მხოლოდ ცხოვრების უფრო ღრმად ჩამარხული ეკონომიური პირობების ანტაგონიზმს ასახავს.

დავუბრუნდეთ საქონელმომოქცევის სფეროს. ეკვივალენტების, საქონლისა და ფულის, ერთსა და იმავე დროს გამოსვლა გაყიდვის პროცესის ორივე პოლუსზე უკვე შეწყდა. ფული მოქმედებს ახლა, ჯერ-ერთი, როგორც ღირებულების საზომი გაყიდული საქონლის ფასის განსაზღვრისას. ხელშეკრულებით დაწესებული მისი ფასით იზომება მყიდველის ვალდებულება, ე. ი. ფულადი თანხა, რომელიც მან განსაზღვრულ ვადაზე უნდა გადაიხადოს. მეორე, ფული მოქმედებს როგორც ყიდვის იდეალური საშუალება. თუმცა იგი მხოლოდ მყიდველის შნრივ ფულის დაპირებაში არსებობს, მაგრამ მისი საშუალებით ხდება საქონლის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლა. გადახდის საშუალება მხოლოდ გადახდის ვადის გასვლისას შედის ნამდვილად მიმოქცევაში, ე. ი. გადადის მყიდველის ხელიდან გამყიდველის ხელში. მიმოქცევის საშუალება განძად იქცა, იმიტომ რომ მიმოქცევის პროცესი პირველ ფაზაშივე შეწყდა, ანუ საქონლის გარდაქმნილი ფორმა გაშორდა მიმოქცევას. გადახდის საშუალება შედის მიმოქცევის პროცესში, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქონელი უკვე გამოვიდა იქიდან. ფული აღარ მოსაშუალებობს უკვე პროცესს. იგი დამოუკიდებლად ამთავრებს ამ პროცესს როგორც საცვლელი ღირებულების აბსოლუტური მყოფობა, ანუ როგორც საყოველთაო საქონელი. გამყიდველმა საქონელი ფულად აქცია, რათა ფულის საშუალებით რაიმე მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, განძის დამგროვებელმა, — რათა საქონელი ფულადი ფორმით შეინახოს, მოვალე-მყიდველმა, — რათა გადახდა შეძლოს. თუ იგი არ გადაიხდის, მისი ქონება იძულებითი წესით გაიყიდება. მაშასადამე, საქონლის ღირებულებითი სახე, ე. ი. ფული ხდება ახლა გაყიდვის თვითმიზანი იმ საზოგადოებრივი აუცილებლობის მეოხებით, რომელიც თვით მიმოქცევის პროცესის ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

მყიდველი ფულს უკუაქცევს საქონლად, სანამ იგი საქონელს ფულად აქცევდეს, ანუ საქონელთა მეორე მეტამორფოზს პირველზე უმალ ახდენს. გამყიდველის საქონელი მიმოქცევა, თავისი ფასის რეალიზაციას ახდენს, მაგრამ ფულის მიმართ მხოლოდ კერძო-უფლებრივი ტიტულის სახით. ფულად გადაქცევამდე საქონელი სახმარ

ღირებულებად იქცევა. მისი პირველი მეტამორფოზის შესრულება მხოლოდ შემდგომში ხდება²⁸.

მიმოქცევის პროცესის თვითეულ განსაზღვრულ პერიოდში ვადადამდგარი ვალდებულებანი იმ საქონელთა ფასების ჯამს წარმოადგენენ, რომელთა გაყიდვამაც ისინი გამოიწვია. ამ ფასების ჯამის რეალიზაციისათვის საჭირო ფულის მასა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია გადახდის საშუალებათა ტრიალის სისწრაფეზე. ეს უკანასკნელი გაპირობებულია ორი გარემოებით: მევალებებისა და მოვალეების დამოკიდებულებათა ურთიერთ გადაჯაჭვით, ისე რომ *A*, რომელიც ფულს თავისი მოვალე *B*-საგან იღებს, ამ ფულს შემდეგ თავის მოვალეს *C*-ს უხდის და სხვ., — და გადახდის სხვადასხვა ვადებს შორის არსებული დროის ხანგრძლიობით. ერთიმეორის მომდევნო გადასახდელთა, ანუ შემდეგში განხორციელებულ პირველ მეტამორფოზთა, ჯაჭვი არსებითად განსხვავდება ჩვენ მიერ წინათ განხილულ მეტამორფოზთა მწკრივების ურთიერთ გადახლართვისაგან. მიმოქცევის საშუალების ტრიალით არა მარტო გამოიხატება გამყიდველსა და მყიდველს შორის არსებული კავშირი; თვით ეს კავშირი მხოლოდ ფულის ტრიალში და მასთან ერთად წარმოიშვება. გადახდის საშუალების მოძრაობა კი პირიქით, უკვე მანამდე დამთავრებული სახით არსებულ საზოგადოებრივ კავშირს გამოხატავს.

გაყიდვათა იმავდროულობა და თანაარსებობა ზღუდავს მონეტის მასის კომპენსირების შესაძლებლობას ტრიალის სისწრაფით. პირიქით, ისინი ახალ ბერკეტს ქმნიან გადახდის საშუალებათა ეკონომიაში. ერთსა და იმავე ადგილას გადასახდელთა კონცენტრაციასთან ერთად ბუნებრივად ვითარდებიან საგანგებო დაწესებულებანი და მეთოდები მათი ურთიერთ გაბათილებისათვის. ასე,

²⁸ შენი შენა მე-2 გამოცემისათვის. შემდეგი ამონაწერიდან, რომელიც ამოღებულია 1859 წელს გამოქვეყნებული ჩემი შრომიდან, მკითხველი დაინახავს, თუ ტექსტში რატომ არ არის მხედველობაში მიღებული დაპირისპირებული ფორმა. პირიქით, პროცესში ფ — ს ფული შეიძლება გასხვისებულ იქნას როგორც ნამდვილი ყიდვის საშუალება და, ამრიგად, საქონლის ფასის რეალიზაცია მანამდე მოხდეს, სანამ ფულის სახმარი ღირებულების რეალიზაცია მოხდებოდეს, ანუ სანამ საქონელი გასხვისდებოდეს. ეს ხდება, მაგალითად, ჩვეულებრივი საბანკინო ხელმოწერის ფორმით, ანდა იმ ფორმით, რომლითაც ინგლისის მთავრობა ოპიუმს ყიდულობს რაიოტებისაგან ინდოეთში... მაგრამ აქაც ფული მხოლოდ იმ ფორმით მოქმედებს, რომელიც უკვე ცნობილია ჩვენთვის, ე. ი. ყიდვის საშუალების ფორმით... რასაკვირველია, კაპიტალის დაავანება ფულის ფორმითაც ხდება... მაგრამ ეს თვალსაზრისი მარტივი მიმოქცევის ჰორიზონტს სცილდება («Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 119, 120). [ს. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 183].

მაგალითად, *virements* [ვალების გადატანა] შუა საუკუნეების დროინდელ ლიონში. საკმარისია მხოლოდ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვალის მოთხოვნანი *A*-სი *B*-სას, *B*-სი *C*-სას, *C*-სი — *A*-სას და სხვა, რომ გარკვეულ ფარგლებში მოხდეს მათი ურთიერთ გაბათილება, როგორც დადებითი და უარყოფითი სიდიდეებისა. ამრიგად, საჭირო რჩება მხოლოდ ვალის ბალანსის გადახდა. რაც უფრო ფართოა გადასახდელთა კონცენტრაცია, მით უფრო ნაკლებია შეფარდებით ეს ბალანსი, მაშასადამე, ნაკლებია მიმოქცევაში მყოფ გადახდის საშუალებათა მასა.

ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია უშუალო წინააღმდეგობას შეიცავს. რამდენადაც გადასახდელნი ერთმანეთს აწონასწორებენ, ფული მოქმედებს მხოლოდ იდეალურად როგორც საანგარიშო ფული, ანუ ღირებულებათა საზომი. რამდენადაც კი ფულმა ნამდვილი გადახდა უნდა შეასრულოს, იგი გამოდის არა როგორც მიმოქცევის საშუალება, არა როგორც ნივთიერებათა ცვლის მხოლოდ სწრაფწარმავალი და მეშვეობითი ფორმა, არამედ — როგორც საზოგადოებრივი შრომის ინდივიდუალური განხორციელება, როგორც საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელი მყოფობა, როგორც აბსოლუტური საქონელი. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებული სიმძლავრით მტლავნდება წარმოებისა და ვაჭრობის კრიზისების იმ მომენტში, რომელსაც ფულის კრიზისი ეწოდება⁹⁹. უკანასკნელს მხოლოდ იქ აქვს ადგილი, სადაც მთლიანად განვითარებულია ერთიმეორის მომდევნო გადასახდელთა განუწყვეტელი ჯაჭვი და მათი ურთიერთ გაწონასწორების ხელოვნური სისტემა. ამ მექანიზმის საყოველთაო შეფერხების დროს, სულ ერთია, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი, ფული უეცრად და უშუალოდ საანგარიშო ფულის წმინდა იდეალური სახიდან ლითონის ფულად იქცევა. მისი შეცვლა ჩვეულებრივი საქონლით შეუძლებელი ხდება. საქონლის სახმარი ღირებულება კარგავს ღირებულებას და მისი ღირებულება ქრება მისივე საკუთარი ღირებულების ფორმის წინაშე. ჯერ კიდევ გუშინ ბურჟუა, ვაჭრობა-მრეწველობის აყვავებით გაბრუებული, საგანმანათლებლო ფილოსოფიის მედიდურობით

⁹⁹ ფულის კრიზისი, რომელიც ტექსტში განსაზღვრულია როგორც თვითველი წარმოებისა და ვაჭრობის ყოველგვარი საყოველთაო კრიზისის განსაკუთრებული ფაზა, უნდა განვესხვავოთ იმ სპეციალური სახის კრიზისისაგან, რომელსაც აგრეთვე ფულის კრიზისი უწოდებენ, მაგრამ რომელიც დამოუკიდებლად შეიძლება წამოიჭრას და მრეწველობასა და ვაჭრობაზე მხოლოდ უკუქცევითი გავლენა იქონიოს. ეს ის კრიზისებია, რომელთა მოძრაობის ცენტრს ფულადი კაპიტალი წარმოადგენს და ამიტომ მისი უშუალო სფერო ბანკი, ბირჟა და ფინანსებია. { მ ა რ ქ ს ი ს შ ე ნ ი შ ე ნ ა მ გ - 3 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს . }

ფულს უბრალო ილუზიად აცხადებდა. მხოლოდ საქონელია ფული. მხოლოდ ფულია საქონელი! გაისმის ანეჟამად მსოფლიო ბაზარზე. როგორც ირემს სწყურია ცივი წყალი, ისე ბურჟუას სულს სწყურია ახლა ფული; ეს ერთადერთი სიმდიდრე¹⁰⁰. საქონელსა და მისი ღირებულების სახეს, ე. ი. ფულს შორის არსებული დაპირისპირებულობა კრიზისის დროს აბსოლუტურ წინააღმდეგობად იზრდება. ამიტომ ფულის გამოვლინების ფორმაც აქ უმნიშვნელოა. ფულის წყურვილი იგივე რჩება, სულ ერთია, რითაც უნდა ხდებოდეს გადახდა — ოქროთი თუ საკრედიტო ფულით, მაგალითად ბანკოტებით¹⁰¹.

თუ ახლა განსაზღვრული პერიოდის მანძილზე მიმოქცევაში მყოფი ფულის ერთობლივ ჯამს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი, თუ მოცემულია მიმოქცევის და გადახდის საშუალებათა ტრიალის სისწრაფე, უდრის: საქონელთა სარეალიზაციო ფასების ჯამს პლუს ვადადამდგარ გადასახდელთა ჯამი, მინუს ურთიერთ გამაწონასწორებელი გადასახდელნი და, ბოლოს, მინუს იმ შემოტრიალებათა რიცხვი, რომლის დროსაც ერთი და იგივე მონეტა მოქმედებს რიგრიგობით ხან როგორც მიმოქცევის საშუალება და ხან როგორც გადახდის საშუალება. მაგალითად, გლეხი ყიდის თავის პურს 2 გირვანქა სტერლინგად, რომელიც, ამგვარად, მიმოქცევის საშუალების ფუნქციას

¹⁰⁰ «საკრედიტო სისტემის ეს უეცარი გარდაქმნა მონეტარულ სისტემად პრაქტიკულ პანიკას თეორიულ შიშს უმატებს, და მიმოქცევის აგენტები თრთიანთ თავიანთ საკუთარ ურთიერთობათა ამოუცნობელი საიდუმლოების წინაშე» (Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 126). [კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი 1953, გვ. 193.] «ღარიბები უმუშევრად არიან, რადგან უფულობის გამო მდიდრები სამუშაოს ვერ აძლევენ, თუმცა მათ საარსებო საშუალებათა და ტანისამოსის დასამზადებლად იგივე მიწა და სამუშაო ძალა გააჩნიათ, როგორც უწინ. ერის ნამდვილ სიმდიდრეს კი სწორედ ეს შეადგენს, და არა ფული» (John Bellers: «Proposals for Raising a Colledge of Industry». London 1696, გვ. 3).

¹⁰¹ აი როგორ სარგებლობენ ასეთი მომენტებით «amis du commerce» — [ვაჭრობის მეგობრები]: ერთი ასეთი შემთხვევის დროს (1839 წელს) ერთმა ხნიერმა მევახშე-ბანკირმა (სიტიდან) სახურავი ახადა თავის მაგიდას, რომლის წინაც იჯდა, დასტობით გადმოულაგა მეგობარს ბანკოტები და დაუფარავი სიხარულით განუცხადა. — ეს 600 000 გირვანქა სტერლინგის ბანკოტებია, გადანახული მაქვს, რომ ფულის ნაკლებობა გავაძლიერო და დღესვე ნაშუადღევს სამი საათის შემდეგ გამოვუშვებ ბაზარზე» («The Theory of the Exchanges. The Bank Charter Act of 1844». London 1864, გვ. 81). ნახევრად ოფიციალური ორგანო «The Observer» 1864 წლის 24 აპრილის თარიღით წერდა: «ვაჭრელებულია ფრიად უცნაური ხმები იმ ზომების შესახებ, რომელთაც მიმართეს, რათა გამოეწვიათ ბანკოტების ნაკლებობა... თუმცა საეჭვოა, რომ რაიმე ამგვარი ხერხი ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ ხმები ამის შესახებ ისე ფართოდაა გავრცელებული, რომ იგი მართლაც ღირსია აქ აღინიშნოს»

ასრულებს. გადახდის ვადის დადგომისას ის ამ 2 გირვანქა სტერლინგს იხდის ტილოში, რომელიც მას უწინ ფეიქარმა მიაწოდა. იგივე 2 გირვანქა სტერლინგი მოქმედებს ახლა როგორც გადახდის საშუალება. შემდეგ ფეიქარი ყიდულობს ბიბლიას ნაღდ ფულზე და ეს 2 გირვანქა სტერლინგი კვლავ მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება და ა. შ. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოცემულია ფასები, ფულის ტრიალის სისწრაფე და გადასახდელთა ეკონომია, ერთიმეორეს მაინც არ ჰფარავენ განსაზღვრულ პერიოდში, მაგალითად, ერთი დღის განმავლობაში, ტრიალში მყოფი ფულის მასა და მიმოქცევაში მყოფი საქონლის მასა. ტრიალებს ფული, წარმომადგენელი ისეთი საქონლისა, რომელიც უკვე დიდი ხანია გასულია მიმოქცევიდან. ტრიალებს საქონელი, რომლის ფულადი ეკვივალენტი მხოლოდ მომავალში გვევლინება. მეორე მხრივ, ყოველ დღეს დადებული და იმავე დღეს ვადადამდგარი ვალდებულებანი სრულიად არათანაზომად სიდიდეებს წარმოადგენენ¹⁰².

საკრედიტო ფული წარმოდგება უშუალოდ ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქციიდან; ამასთან გაყიდულ საქონელში მიღებული ვალდებულების ქალაქები თვითონ იწყებენ კვლავ მიმოქცევას და ვალის მოთხოვნები ერთი პირიდან მეორე პირზე გადააქვთ. მეორე მხრივ, საკრედიტო საქმის გაფართოებასთან ერთად იმავე ოდენობით ფართოვდება ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია. როგორც გადახდის საშუალება, ფული იძენს თავისი არსებობის საკუთარ ფორმებს, რითაც იგი მსხვილ სავაჭრო გარიგებათა სფეროში პოულობს თავშესაფარს, მაშინ როდესაც ოქროსა და

¹⁰² ყუიდეის აქტების ან ხელშეკრულებათა ჯამს, რომელთაც ერთი განსაზღვრული დღის განმავლობაში აქვთ ადგილი, არავითარი გავლენა არ ექნება ფულის იმ რაოდენობაზე, რომელიც იმავე დღეს ტრიალში იმყოფება; უმრავლეს შემთხვევაში იგი თავის გამოხატულებას პოუვს სულ სხვადასხვაგვარი თამასუქებით, რომელთა ფულადი თანხა მხოლოდ შემდეგ, უფრო გვიან, შევა ტრიალში... არ არის აუცილებელი, რომ დღეს გაცემული თამასუქები ან გახსნილი კრედიტები თავისი რაოდენობის, საერთო ჯამისა ან ვადის მხრივ რითიმე წაგავდეს იმ საკრედიტო გარიგებებს, რომლებიც დადებული იქნება ხვალ ან ზეგ; პირიქით, მრავალი დღევანდელი თამასუქი და კრედიტი ვადის გასლისას ხვდება ვალდებულებათა მასას, რომლებიც წარმოშობილია სრულიად განუსაზღვრელ მთელ რიგ წინა თარიღებში; 12, 6, 3 და 1 თვით გაცემული თამასუქები ხშირად ისე დავითხვევიან ერთმანეთს, რომ ერთსა და იმავე დღეს გასასტუმრებელ ვალდებულებათა მასას განსაკუთრებულად ადიდებენ». («The Currency Theory Reviewed; in a Letter to the Scottish People. By a Banker in England». Edinburgh 1845, გვ. 29, 30, სხვადასხვა ადგილას).

ვერცხლის მონეტა უმთავრესად წერილი ვაჭრობის სფეროში იღებება¹⁰³.

საქონელწარმოების განვითარების განსაზღვრული დონისა და მოცულობის პირობებში ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია სცილდება საქონელთა მიმოქცევის სფეროს ფარგლებს. ფული ხელშეკრულებათა საყოველთაო საქონელი ხდება¹⁰⁴. რენტა, გადასახადი და ა. შ. ნატურით გადასახდელიდან ფულად გადასახდელად იქცევა. თუ რა ძლიერად განაპირობებს ამ გარდაქმნას წარმოების პროცესის საერთო ხასიათი, ამას ამტკიცებს, მაგალითად, ორჯერ მომხდარი უნაყოფო ცდა რომის იმპერიისა, რომ ფულით აკრეფილიყო ყველა გამოსაღები. საფრანგეთის გლეხების საშინელი სიღარიბე ლუი XIV-ის დროს, რასაც ასე მჭერმეტყველურად გმობენ ბუაგილბერი, მარშალ ვობანი და სხვები, გამოწვეული იყო არა მარტო

¹⁰³ როგორც მაგალითი იმისა, თუ რა უმნიშვნელო როლს ასრულებს ნამდვილი ფული საკუთრივ სავაჭრო ოპერაციების შესრულების დროს, მოგვყავს აქ ლონდონის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ფირმის (მორისონი, დილონი და კომპ.) ცნობები მისი წლიური ფულადი შემოსულობისა და გადასახდელის შესახებ. ამ ფირმის 1856 წლის ოპერაციები, რაც მრავალ მილიონ გირვანქა სტერლინგს უჭირავს, ჩვენ მიერ დაყვანილია ერთი მილიონის მასშტაბზე.

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ა :

გ ა ც ე მ ა :

ბანკირების და ვაჭრების ვადიანი თამასუქები 533 596 გირვ. სტ.	ვადიანი თამასუქები 302 674 გირვ. სტ. ჩეკები ლონდონის ბანკირებზე . . . 663 672 > > ინგლისის ბანკის ბანკ- ნოტები 22 743 > > ოქრო 9 427 > > ვერცხლი და სპილენძი 1 484 > >
ბანკირების და სხვ. ჩეკები, წარდგენისთანავე გასანაღდებელი . . . 357 715 > >	
პროვინციული ბანკების ბანკნოტები 9 627 > >	
ინგლისის ბანკის ბანკ- ნოტები 68 554 > >	
ოქრო 28 089 > >	
ვერცხლი და სპილენძი 1 486 > >	
საფოსტო გზავნილი . 933 > >	

საერთო ჯამი 1 000 000 გ. სტ.

საერთო ჯამი 1,000 000 გ. სტ.

(«Report from the Select Committee on the Bankacts». July 1858, გვ. LXXI).

¹⁰⁴ აღებშიცემითი ურთიერთობის ხასიათი იმნაირად შეიცვალა, რომ საქონლის საქონელზე გაცვლის ნაცვლად, მისი მიწოდების და მიღების ნაცვლად ახლა გაყიდვა და ფულის გადახდა წარმოებს და ყოველგვარი აღებ-მიცემა ახლა... წმინდა ფულად ოპერაციებს წარმოადგენს» («An Essay upon Public Credit», მე-3 გამოც., London 1710, გვ. 8).

გადასახადის სიდიდით, არამედ აგრეთვე ნატურალური გადასახადის ფულად გადასახადად გადაქცევიდაც¹⁰⁶. მეორე მხრივ, თუ ნატურალური ფორმა მიწის რენტისა, რომელიც აზიაში იმავე დროს სახელმწიფო გადასახადის მთავარ ელემენტს შეადგენს, ემყარება იქ წარმოების ურთიერთობას, რომლის კვლავწარმოქმნაც, მსგავსად ბუნების ურთიერთობისა, უცვლელი სახით ხდება, — გადახდის ეს ფორმა უკუქცევითი ზეგავლენის მეოხებით განამტკიცებს თავის მხრივ წარმოების ძველ ფორმას. იგი თურქეთის იმპერიის თავდაცვის ერთ-ერთ საიდუმლოებას შეადგენს. თუ საგარეო ვაჭრობა, რომელიც ევროპამ იაპონიას თავს მოახვია, გამოიწვევს ამ ქვეყანაში ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევას, მაშინ იაპონიის სანიმუშო სამიწათმოქმედო კულტურის აღსასრულიც დადგება. ამ კულტურის არსებობის ვიწრო ეკონომიური პირობები მოისპობა.

თვითეულ ქვეყანაში მყარდება გადახდის განსაზღვრული საყოველთაო ვადები. ეს ვადები ნაწილობრივ დამყარებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კვლავწარმოების სხვა წრებრუნვებს, წარმოების ბუნებრივ პირობებზე, რომელნიც დაკავშირებული არიან წელიწადის დროთა ცვლასთან. ისინი აწესრიგებენ იმ გადასახდლებსაც, რომელნიც არ გამომდინარეობენ პირდაპირ საქონელმომოქცევიდან, როგორც, მაგალითად, გადასახადი, რენტა და ა. შ. ფულის მასა, რომელიც საჭიროა წელიწადის განსაზღვრულ დღეებში მთელ საზოგადოებაში გაბნეული გადასახდელთათვის, გადახდის საშუალებათა ეკონომიაში იწვევს პერიოდულ, მაგრამ სრულიად ზერელე პერტურბაციებს¹⁰⁶. გადახდის საშუალებათა ტრიალის სისწრაფის კანონიდან

¹⁰⁵ «ფული ყველაფრის ჯალათი გახდა». საფინანსო ხელოვნება ის «გამოსახდელი ქვაბია, სადაც ოზშივარად აქცევენ დოვლათისა და საქონლის უზარმაზარ მასას, რათა მიიღონ ეს საბედისწერო ნალექი». «ფული ადამიანთა მთელ მოდგმას ომს უტანდებს» (Boisguillebert: «Dissertation sur la Nature des Richesses, de l'Argent et des Tributs», გამოც. Daire, «Economistes financiers». Paris 1843, ტ. I, გვ. 413, 419, 417).

¹⁰⁶ «სული წმინდის მოფენის დღეს 1824 წელს, — მოუთხრობს ბატონი კრეგი საპარლამენტო კომისიას 1826 წელს, — ედინბურგში ბანკოტების ისეთი დიდი მოთხოვნა იყო, რომ 11 საათისათვის ჩვენს განკარგულებაში არც ერთი ბანკოტი არ მოიპოვებოდა. ჩვენ რიგრიგობით სხვადასხვა ბანკს მივმართეთ, რათა სესხის სახით მიგველო ბანკოტები, მაგრამ ვერაფერს გავხდით და იძულებული ვიყავით მრავალი გარაიგება «slips of paper»-ის [ქალაქის ნაქუფებისა] საშუალებით მოგვეხდინა. მაგრამ ნაშუადღევის 3 საათისათვის ყველა ბანკოტმა ისევ მოიყარა თავი იმ ბანკებში, საიდანაც უწინ გავიდა. ბანკოტები მხოლოდ ხელიდან ხელში გადავიდა». თუმცა საშუალო რიცხვი ბანკოტებისა, რომელნიც შოტლანდიაში ნამდვილად მოიქცევა, 3 მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლებია, მიუხედავად ამისა, გადახდის

გამომდინარეობს, რომ გადახდის საშუალებათა მასა, რომელიც საქიროა ყველა პერიოდული გადასახდელისათვის, როგორც უნდა იყოს ამათი წყარო, — გადასახდელის პერიოდების ხანგრძლიობასთან შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფება¹⁰⁷.

ფულის, როგორც გადახდის საშუალების, განვითარება იწვევს ფულის დაგროვების აუცილებლობას გადასახდელი თანხების ვადებში. მაშინ როდესაც ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებასთან ერთად ქრება განძის შექმნა როგორც გამდიდრების დამოუკიდებელი ფორმა, იგი, პირიქით, იზრდება ამ განვითარებასთან ერთად გადახდის საშუალებათა სათადარიგო ფონდის სახით.

ე) მსოფლიო ფული

მიმოქცევის შინაგან სფეროდან გამოსვლისთანავე ფული კვლავ გაიძრობს იქ შექმნილ ლოკალურ ფორმებს — ფასების მასშტაბის, მონეტის, ხურდა ფულისა და ღირებულების ნიშნის ფორმას და უკანვე უბრუნდება ძვირფასი ლითონების პირვანდელი ზოდის ფორმას. მსოფლიო ვაჭრობაში საქონელი თავის ღირებულებას უნივერსალურად

სხვადასხვა ვადების დროს წლის განმავლობაში მოძრაობაში მოდის ყველა ბანკნოტი, რომელიც ბანკირების ხელში იმყოფება, სულ დაახლოებით 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ამ შემთხვევებში ბანკნოტები ერთადერთ სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებენ, და ამ ფუნქციის შესრულებისთანავე კვლავ ბრუნდებიან სათანადო ბანკებში, საიდანაც უწინ გავიდნენ (John Fullarton: «Regulation of Currencies» მე-2 გამ. London 1845, გვ. 86, შენიშ.). განმარტებისთვის დაეუმატებთ კიდევ, რომ ფულარტონის ნაშრომის გამოქვეყნების დროს შოტლანდიაში ანაბარზე ხდებოდა არა ჩეკების, არამედ მხოლოდ ბანკნოტების გაცემა.

¹⁰⁷ კითხვაზე: «თუ წლის განმავლობაში დაგვირდებოდა გადასახდელთა გასტუმრება 40 მილიონის რაოდენობით, იქნებოდა თუ არა საკმარისი იგივე 6 მილიონი (ოქროთი) ყველა ბრუნვისათვის, რომელთაც ამ შემთხვევაში ვაჭრობა მოითხოვდა?», პეტი უპასუხებს მისთვის ჩვეული ოსტატობით: «მე ვუპასუხებ: დიახ, საკმარისი იქნებოდა. თუ ყველა ბრუნვა მოხდებოდა მოკლე ვადაში, მაგალითად, კვირის განმავლობაში, როგორც ამას ადგილი აქვს ღარიბ ხელოსნებსა და მუშებს შორის, რომელნიც ფულს ყოველ შაბათს იღებენ და იხდიან, მაშინ 40-მილიონიანი გადასახდელის შესასრულებლად საკმარისი იქნებოდა $\frac{40}{6}$ მილიონი. მაგრამ თუ ვადები კვარტალურია, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენი ჩვეულების თანახმად რენტის გადახდისა და გადასახადის აკრეფის დროს, მაშინ საჭირო იქნებოდა 10 მილიონი. მაშასადამე, თუ ვიგულისხმებთ, რომ საერთოდ გადახდა წარმოებს სხვადასხვა ვადებში ერთიდან ცამეტ კვირამდე, ჩვენ უნდა შევეერთოთ 10 მილიონი და $\frac{10}{6}$ მილიონი და ავიღოთ აქედან ნახევარი, რომელიც $5\frac{1}{2}$ მილიონს შეადგენს, ასე რომ საკმარისი იქნებოდა, მაშასადამე, ეს $5\frac{1}{2}$ მილიონი» (William Petty: «Political Anatomy of Ireland» 1672, გამოც., London 1691, გვ. 13, 14).

გაშლის. ამიტომ სწორედ მისი ღირებულების დამოუკიდებელი სახე უპირისპირდება მას აქ მსოფლიო ფულის სახით. მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე მოქმედებს ფული სრული მოცულობით როგორც საქონელი, რომლის ნატურალური ფორმა ამასთანავე ერთად არის უშუალოდ ადამიანის შრომის in abstracto განხორციელების საზოგადოებრივი ფორმა. არსებობის წესი მისი ცნების ადეკვატური ხდება.

მიმოქცევის შინაგან სფეროში ღირებულების საზომის სამსახურს, და მაშასადამე, ფულის სამსახურს, მხოლოდ, ერთი რომელიმე საქონელი შეიძლება ასრულებდეს. მსოფლიო ბაზარზე ბატონობს ღირებულების ორგვარი საზომი: ოქრო და ვერცხლი¹⁰⁸.

¹⁰⁸ აქედან ნათელია უაზრობა ყოველი კანონმდებლობისა, რომელიც ავალებს ნაციონალურ ბანკებს მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით ფულის სახით მოქმედი ძვირფასი ლითონის დაგროვებას. ყველასთვის ცნობილია, მაგალითად, ინგლისის ბანკის მიერ თავისთვის «ნებაყოფლობით შექმნილი» დაბრკოლებანი, ოქროს და ვერცხლის შეფარდებითი ღირებულების ცვლილების დიად ისტორიულ ეპოქათა შესახებ იხილეთ **Karl Marx**: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 136 და შემდ. [ქ. მარქის: «პოლიტ. ეკონ. კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 206 და შემდ.]. დამატება მე-2 გამოცემისათვის. სერ რობერტ პილი თავის საბანკო აქტში 1844 წ. ცდილობდა გაჭირვებიდან თავის დაღწევას იმით, რომ ინგლისის ბანკს ბანკნოტების გამოშვების უფლება მისცა ვერცხლის ზოდების უზრუნველყოფით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ვერცხლის მარაგი არ უნდა ყოფილიყო ოქროს მარაგის $\frac{1}{4}$ -ზე მეტი. თანაც ვერცხლის ღირებულების შეფასება ხდება მისი საბაზრო ფასის მიხედვით (ოქროთი) ლონდონის ბაზარზე. [ქმ-4 გამოცემისათვის. ჩვენ კვლავ ვიმყოფებით ოქროს და ვერცხლის შეფარდებითი ღირებულების ძლიერი ცვლილების ეპოქაში. დაახლოებით 25 წლის წინათ ოქროს და ვერცხლის ღირებულებას შორის შეფარდება იყო $15\frac{1}{2} : 1$, ახლა იგი დაახლოებით $= 22 : 1$, და ვერცხლის ღირებულება კიდევ განუწყვეტლივ ეცემა ოქროსთან შედარებით. ეს არსებითად შედეგია ორივე ლითონის წარმოების წესში მომხდარი გადატრიალებისა. უწინ ოქროს მოპოვება ხდებოდა თითქმის მხოლოდ ოქრონარევი ალუვიალური ფენების გარეცხვით, ე. ი. ოქრონარევი ქანების გამოფიტვის პროდუქტების გარეცხვით. ახლა ეს მეთოდი აღარ არის საკმარისი და სულ უფრო და უფრო ადვილს უთმობს თვით ოქრონარევი კვარცის ძარღვების უშუალო დამუშავებას; ამ წესს აქამდე მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, თუმცა მას ჯერ კიდევ ძველად (დიოდორე, III, 12 — 14) [Diodor's v. Sicilien Historische Bibliothek, წიგ. III, § 12 — 14. Stuttgart 1828, გვ. 258 — 261] კარგად იცნობდნენ. მეორე მხრივ, არა მარტო აღმოჩენილ იქნა ახალი უდიდესი ვერცხლის ბუდობები დასავლეთ ამერიკის კლდიან მთებში, არამედ რკინიგზების გაყვანით გაადვილდა მისვლა როგორც მათთან, ისე მექსიკის ვერცხლის მადნებთან, რის გამოც შესაძლებელი გახდა თანამედროვე მანქანების და სათბობი მასალის მიტანა და ამით — ვერცხლის მოპოვება უდიდესი მასშტაბით და უფრო მცირე ხარჯებით. მაგრამ დიდი განსხვავება არსებობს იმ მხრივ, თუ რა სახით მოპოვება ორივე ლითონი მადნის ძარღვებში. ოქრო უმეტესად ხალასად გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ გაბნეულია სულ მცირე ნამცეცხვად კვარცში; ამიტომ ძარღვის მთელი ქანი უნდა დაიფხვანს და ოქრო

მსოფლიო ფული მოქმედებს როგორც გადახდის საყოველთაო საშუალება, როგორც ყიდვის საყოველთაო საშუალება და როგორც აბსოლუტურად საზოგადოებრივი მატერიალიზაცია სიმდიდრისა საერთოდ (universal wealth). გადახდის საშუალების ფუნქცია, საშუალებისა, რომელიც საჭიროა საერთაშორისო ბალანსების გაწონასწორებისათვის, უპირატეს როლს ასრულებს. აქედან მერკანტილური სისტემის ლოზუნგი — ვაჭრობის ბალანსი¹⁰⁹. საერთაშორისო ყიდვის საშუალებად ოქრო და ვერცხლი გვემსახურება არსებითად მაშინ, როცა უეცრად ირღვევა ნივთიერებათა ცვლის ჩვეულებრივი წონასწორობა სხვადასხვა ერებს შორის. დასასრულ, ფული მოქმედებს როგორც აბსოლუტურად საზოგადოებრივი მატერიალიზაცია სიმ-

ამორიეხოს ან ამოიკრიფოს ვერცხლის წყლით. 1 000 000 გრამი კვარციდან ხშირად 1 — 3 გრამამდე ოქრო ძლივს გამოდის, ძალიან იშვიათად 30-დან 60 გრამამდე. ზალსი ვერცხლი იშვიათად გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ იგი გვხვდება განსაკუთრებული მადნის სახით, რომელიც შედარებით ადვილი გამოსაყოფია ძარღვის ქანისაგან და რომელიც უმეტეს ნაწილად 40 — 90% ვერცხლს შეიცავს; ან იგი უფრო მცირე რაოდენობით ურევია სპილენძის, ტყვიისა და სხვა მადნებს, რომელთა დამუშავება თავისთავად ხელსაყრელია. უკვე აქედან ჩანს, რომ მაშინ როდესაც ოქროს წარმოებისათვის საჭირო შრომა უფრო გაიზარდა, ვიდრე შემცირდა, ვერცხლის წარმოებისათვის საჭირო შრომა შესამჩნევად შემცირდა, მაშასადამე, ამ უკანასკნელის ღირებულების დაცემა სრულიად ბუნებრივად აიხსნება. ღირებულების ეს დაცემა ფასის უფრო ძლიერი დაცემით პოვებდა გამოხატულებას, რომ ვერცხლის ფასს ჯერ კიდევ ახლაც ხელაღწურად მაღალ დონეზე არ აჩერებდნენ. მაგრამ ამერიკის ვერცხლის ბუღობების ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული და დამუშავებისათვის მისაწვდომი, და ამიტომ არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ ვერცხლის ღირებულება კიდევ დიდ ხანს განაგრძობს შემდეგშიც დაცემას. ამას კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი მოხმარებისა და ფუფუნების საგნებისათვის ვერცხლის მოთხოვნის შედარებითმა შემცირებამ, მისმა შეცვლამ მოვერცხლილი საქონლით. აღუშინით და სხვა. ამის შემდეგ ნათელია, თუ რამდენად უტოპოურია ბიშეტალის-ტური წარმოდგენა, თითქოს შესაძლებელი იყოს იძულებითი ინტერნაციონალური კურსით ვერცხლის ღირებულების ისევ აწევა ოქროს ღირებულებასთან შედარებით მის უწინდელ დონემდე, ე. ი. 1:15¹/₂. უფრო მოსალოდნელია, რომ ვერცხლი სულ უფრო მეტად დაკარგავს ფულის თვისებას მსოფლიო ბაზარზეც. — **ფ. შ** }

¹⁰⁹ მერკანტილური სისტემის მოწინააღმდეგებმა, სისტემისა, რომელიც მსოფლიო ვაჭრობის მიზნად სახვდა ვაჭრობის ბალანსის ნამეტის დაფარვას ოქროთი და ვერცხლით, თავის მხრივ სრულიად ვერ გაიგეს მსოფლიო ფულის ფუნქცია. თუ როგორ აისახება მხოლოდ მცდარი გაგება იმ კანონებისა, რომელნიც მიმოქცევის საშუალებათა მასას აწესრიგებენ, ძირფას ლითონთა საერთაშორისო ნომარობის მცდარ გაგებაში, — ეს მე დაწერილებით დავამტკიცე რიკარდოს მაგალითზე (*Zur Kritik der Politischen Oekonomie*, გვ. 150 და შემდ.). [შეად. კ. მ ა რ ქ ს ი : პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი 1953, გვ. 227 და შემდ.] მისი მცდარი დოგმა: არახელსაყრელი ვაჭრობის ბალანსი მუდამ მხოლოდ მიმოქცევის საშუალებათა

დიდრისა მაშინ, როცა საქმე ეხება არა ყიდვას ან გადახდას, არამედ სიმდიდრის გადატანას ერთი ქვეყნიდან მეორეში და როცა ეს გადატანა საქონლის ფორმით გამოირიცხულია ან საქონლის ბაზრის კონიუნქტურათა გამო, ანდა თვით იმ მიზნის გამო, რომელსაც ეს გადატანა ემსახურება¹¹⁰.

როგორც თავისი შინაგანი მიმოქცევისათვის, ისე მსოფლიო ბაზარზე მიმოქცევისათვის თვითეული ქვეყანა საჭიროებს განსაზღვრულ სათადარიგო ფონდს. მაშასადამე, განძის ფუნქციები გამომდინარეობენ ნაწილობრივ ფულის, როგორც შინაგანი მიმოქცევისა და გადახდის საშუალების, ფუნქციიდან, ნაწილობრივ მისი, როგორც მსოფლიო ფულის, ფუნქციიდან^{110a}. უკანასკნელი როლის შესასრუ-

სიკარბით არის წარმოშობილი... ლითონის ფულის გახიდევა უცხოეთში გამოწვეულია მისი გაიფხვით და არის არა შედეგი, არამედ მიზეზი არახელსაყრელი ბალანსისა— უკვე ბარბონს აქვს გამოთქმული: «ფაქრობის ბალანსის გათანასწოლება, თუ ასეთს აღვიკოთ აქვს, არ არის ამა თუ იმ კრიდან უცხოეთში ფულის გახიდევის მიზეზი. ეს გახიდევა შედეგია ძვირფასი ლითონის ღირებულების განსხვავებისა სხვადასხვა ერებში» (N. Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter». London 1696, გვ. 59). მაკ კულოზი (იხ. «The Literature of Political Economy, a classified catalogue», London 1845) აქებს ბარბონს ამ აზრის წინასწარი განჭვრეტისათვის, მაგრამ გონივრულად ერიდება თუნდაც ერთი სიტყვით მოიხსენიოს ის გულუბრყვილო ფორმები, რომლებითაც ბარბონი გამოთქვამს «currency principle»-ს აბსურდულ წინამძღვრებს. ამ კატალოგის უკრიტიკოება და პირდაპირ არაკეთილსინდისიერებაც კი იმ ნაწილში აღწევს თავის უმაღლეს წერტილს, სადაც მოთხრობილია ფულის თეორიის ისტორია, რადგან აქ მაკ კულოზი მლიქვნელობს როგორც სიკოფანტი ლორდ ოვერსტონისა (ყოფილი ბანკირი ლიდიისა), რომელსაც იგი «facile princeps argentariorum»-ს [«ბანკირების უცილობელ წინამძღოლს» უწოდებს].

¹¹⁰ მაგალითად, სუბსიდებისა და ფულადი სესხების დროს ომის საწარმოებლად ან ბანკების მიერ ნაღდი ფულით გადასახდელთა განახლებისათვის და სხვ. ღირებულება შესაძლებელია სწორედ ფულადი ფორმით შეიქნეს საჭირო.

^{110a} შე ნ ი შე ნ ა მე-2 გამოცემისათვის. იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყნებში, სადაც ლითონის ფულის სისტემაა, განძის შექმნის მექანიზმს შეუძლია საერთაშორისო ვალდებულებათა ყველა აცილებელი ფუნქცია შეასრულოს და თანაც საყოველთაო მიმოქცევის მხრივ ყოველივე საგრძნობი დაზმარების გარეშე. — მე, მართლაც, ვერ მოვიხსურებდი იმაზე უფრო დამაჯერებელი საბუთი მომეყვანა, ვიდრე ამას გვიჩვენებს ის სიადვილე, რომლითაც საფრანგეთმა, რომელიც ჯერ მხოლოდ ძალას იკრებდა გამანადგურებელი შემოსევის გამო განცდილი შერყევის შემდეგ წელში გასამართლად, 27 თვის განმავლობაში გადაუხადა დაახლოებით 20 მილიონი [გირვანკა სტერლინგი] კონტრიბუცია მოკავშირე სახელმწიფოებს და თანაც ამ თანხის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მან გადაიხადა ლითონის ფულით, ისე რომ ფულის შინაგანი ტრიალის საგრძნობ შეზღუდვას ან შეფერხებას ანდა მისი სათამაშუკო კურსის

ლებლად მუდამ საჭიროა ნამდვილი ფულადი საქონელი, სხეულოვანი ოქრო და ვერცხლი, რის გამოც ჯემს სტიუარტი ოქროს და ვერცხლს, მათი მხოლოდ ლოკალური მოადგილეებისაგან განსხვავებით, გარკვევით ახასიათებს როგორც money of the world [მსოფლიო ფულს].

ოქროსა და ვერცხლის ნაკადს ორგვარი მოძრაობა აქვს. ერთი მხრივ, იგი, სათავიდან გამოსული, ედება მთელ მსოფლიო ბაზარს, სადაც მას სხვადასხვა რაოდენობით ჩაიჭერს მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალური სფერო, რათა იგი შევიდეს მათი ტრიალის შინაგან არხებში, შეცვალოს გაცვეთილი ოქროს და ვერცხლის მონეტები, გახდეს ფუფუნების საგნების მიწოდების მასალა და ჩამოყალიბდეს განძად ¹¹¹. ეს პირველი მოძრაობა გამეშვებულია საქონელში რეალიზებული ნაციონალური შრომის პირდაპირი გაცვლით ძვირფას ლითონში რეალიზებულ იმ ქვეყნების შრომაზე, რომელნიც ოქროს და ვერცხლს აწარმოებენ. მეორე მხრივ, ოქრო და ვერცხლი განუწყვეტლივ მიდი-მოდის მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალურ სფეროებს შორის, ე. ი. ხდება მოძრაობა, რომელიც სათამაშუკო კურსის მუდმივ რყევას მისდევს ¹¹².

ბანკის რეზერვუარებში მასობრივად თავმოყრილი განძის რაოდენობას განვითარებული ბურჟუაზიული წარმოების ქვეყნები შემო-

რამე საშიშ რყევას ადგილი არ ჰქონია» (Fullarton: «Regulation of Currencies», გამოც. მე-2, London 1845, გვ. 141). [მე-4 გამოცემისათვის კიდევ უფრო განსაცვიფრებელ მაგალითს წარმოადგენს ის სიადვილე, რომლითაც იმავე საფრანგეთმა 1871 — 1873 წლების 30 თვის განმავლობაში დაახლოებით ათჯერ მეტი კონტრიბუციის გადახდა შეძლო, და ესეც ისევ მეტწილად ლითონის ფულით. — **შ. შ.**]

¹¹¹ «ერებს შორის ფული ნაწილდება მათი მოთხოვნილებების მიხედვით... მით, რომ იგი მუდამ მიიხიდება საქონელთა მიერ (Le Trosne: «De l'Intérêt Social» «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 916). «სამადნეები, რომელნიც განუწყვეტლივ გვაწვდიან ოქროს და ვერცხლს, საქმაოდ უხვი არიან, რათა ყოველ ერს ასეთი საჭირო რაოდენობა მიაწოდონ» (J. Vanderlint: «Money answers all Things». London 1734, გვ. 40).

¹¹² «სათამაშუკო კურსი ყოველკვირეულად მატულობს და კლებულობს; წლის განმავლობაში იგი რომელიმე ერისთვის ხან განსაკუთრებით ხელსაყრელია, ხან კი ასევე განსაკუთრებით მიმართულია მის წინააღმდეგ» (N. Barbon: «A Discourse concerning Coining the New Money lighter». London 1696, გვ. 39).

საზღვრავენ იმ მინიმუმით, რომელიც საჭიროა ამ განძის სპეციფიკური ფუნქციებისათვის¹¹³. განსაზღვრული გამონაკლისის გარდა, განძის რეზერვუარების ზედმეტად ავსება მათს საშუალო დონესთან შედარებით მოწმობს საქონელმომოქცევის შეფერხებას, ანუ საქონლის მეტამორფოზთა მდინარების შეწყვეტას¹¹⁴.

¹¹³ ამ სხვადასხვა ფუნქციებს შორის შეიძლება საზიფათო კონფლიქტი მოხდეს, როგორც კი მათ ბანკოტების დასაზღვრადეველი ფონდის ფუნქცია დაემატება.

¹¹⁴ იმ ფული, რომელიც შინაგანი ვაჭრობისათვის აბსოლუტურად აუცილებელ რაოდენობას აღემატება, მკვდარი კაპიტალია და მის მფლობელ ქვეყანას მისგან არავითარი მოგება არა აქვს, გარდა იმისა, რომ საგარეო ვაჭრობის გზით იგი უცხოეთში გაიტანება და იქიდან ისევ შემოიტანება» (John Beller: «Essays about the Poor». London 1669, გვ. 13). «რა უნდა ვქნათ, თუ ლითონის ფული მოჭარბებულად ვაკვს? ჩვენ შეგვიძლია ყველაზე სრულწონიანი მონეტა გადავადნოთ და მშენიერ სუფრის ჭურჭლულად ვაქციოთ, ან გავიტანოთ როგორც საქონელი იქ, სადაც მას საჭიროებენ და მოითხოვენ, ანდა გავასესხოთ იქ, სადაც პროცენტის ნორმა დიდია» (W. Petty: «Quantulumcunque concerning Money», 1682, გვ. 39). «ფული — მხოლოდ ცხიმი ა პოლიტიკური სხეულისა, რის გამოც მისი სიჭარბე ისევე აბრკოლებს ამ სხეულის მოქნილობას, როგორც მისი ნაკლებობა აავადებს მას;... როგორც ცხიმი კუნთების მოძრაობას აადვილებს, კვებაეს სხეულს საჭმლის ნაკლებობის დროს, ღრუებს ამოავსებს და სხეულს ალამაზებს ასევე ფული აადვილებს სახელმწიფოს მოქმედებას, შემოაკვს, როცა ქვეყნის შიგნით სიჭირბეჭადობა, უცხოეთიდან საარსებო საშუალებები, ისტუმრებს ვალს... და ამშვენებს მთელ ორგანიზმს; რასაკვირველია, — დასძინს ირონიულად ავტორი, — ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შეეხება იმ პირთ, რომელთაც ფული უხვად აქვთ» (W. Petty: «Political Anatomy of Ireland» 1672, გამოც. London 1691, გვ. 14).

განყოფილება მეოცე

ფულის გადაქცევა კაპიტალად

თავი მეოთხე

ფულის გადაქცევა კაპიტალად

1. კაპიტალის საყოველთაო ფორმულა

საქონელმომოქცევა კაპიტალის [ამოსავალი] ჰუნქტია. საქონელ-წარმოება და განვითარებული საქონელმომოქცევა, ვაჭრობა, წარმოადგენენ კაპიტალის წარმოშობის ისტორიულ წანამძღვრებს. მსოფლიო ვაჭრობა და მსოფლიო ბაზარი მე-16 საუკუნეში დასაწყისის აძლევენ კაპიტალის თანამედროვე ისტორიას.

თუ ჩვენ საქონელმომოქცევის ნიეთიერ შინაარსს, სხვადასხვა სახმარი ღირებულების გაცვლას, მხედველობის გარეშე დავტოვებთ და განვიხილავთ მხოლოდ ეკონომიურ ფორმებს, რომლებსაც ეს პროცესი წარმოშობს, დაეინახავთ, რომ მისი საბოლოო პროდუქტი ფულია. საქონელმომოქცევის ეს საბოლოო პროდუქტი კაპიტალის გამოვლინების პირველი ფორმაა.

ისტორიულად კაპიტალი მიწის საკუთრებას ყველგან უპირისპირდება უწინარეს ყოვლისა ფულის სახით, როგორც ფულადი ქონება, როგორც ვაჭრული კაპიტალი და მევახშური კაპიტალი¹. მაგრამ საჭირო არ არის კაპიტალის წარმოშობის ისტორიის მიმოხილვა იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ფული კაპიტალის გამოვლინების პირველი ფორმაა. იგივე ისტორია მეორდება ყოველდღიურად ჩვენ თვალწინ. ყოველი ახალი კაპიტალი თავდაპირველად გამოდის

¹ დაპირისპირებულობა პირადი დამონებისა და ბატონობის ურთიერთობაზე დამყარებულ მიწის საკუთრების ძალასა და ფულის უპიროვნო ძალას შორის ნათლად გამოხატული ორი ფრანგული ანდახით: «Nulle terre sans seigneur». — «L'argent n'a pas de maître» [არ არის მიწა უბატონოდა. «ფულის ბატონი არა ჰყავსა].

ასპარეზზე, ე. ი. ბაზარზე, საქონლის, შრომის ან ფულის ბაზარზე, ჯერ კიდევ როგორც ფული, ფული, რომელიც განსაზღვრული პროცენტების მეოხებით კაპიტლად უნდა გადაიქცეს.

ფული როგორც ფული და ფული როგორც კაპიტალი განირჩევა ერთიმეორისაგან უწინარეს ყოვლისა მხოლოდ თავისი მიმოქცევის სხვადასხვა ფორმით.

საქონელმიმოქცევის უშუალო ფორმა არის ს — ფ — ს, საქონლის გადაქცევა ფულად და ფულის უკუგადაქცევა საქონლად, გაყიდვა ყიდვისათვის. მაგრამ ამ ფორმის გვერდით ჩვენ ვხვდებით მეორე, სპეციფიკურად მისგან განსხვავებულ, ფორმას ფ — ს — ფ, ფულის გადაქცევას საქონლად და საქონლის უკუგადაქცევას ფულად, ყიდვას გაყიდვისათვის. ფული, რომელიც თავის მოძრაობაში ამ უკანასკნელ მიმოქცევას აკეთებს, კაპიტლად იქცევა, კაპიტალი ხდება და უკვე თავისი დანიშნულებით კაპიტალს წარმოადგენს.

დავაკვირდეთ უფრო ახლო მიმოქცევას ფ — ს — ფ. იგი, მარტივი საქონელმიმოქცევის მსგავსად, ორ მოპირისპირე ფაზას გაივლის. პირველ ფაზაში, ფ — ს, ყიდვა, ფული საქონლად იქცევა. მეორე ფაზაში, ს — ფ, გაყიდვა, საქონელი ხელახლა ფულად იქცევა. ორივე ფაზის ერთიანობა კი წარმოადგენს ერთობლივ მოძრაობას, სადაც ფული გაიცვლება საქონელზე და იგივე საქონელი — კვლავ ფულზე, ე. ი. საქონელს ყიდულობენ, რათა იგი გაყიდონ, ან, — თუ ყიდვასა და გაყიდვას შორის არსებულ ფორმალურ განსხვავებებს მხედველობაში არ მივიღებთ, — ფულით ყიდულობენ საქონელს და საქონლით — ფულს². შედეგი, რომლითაც მთელი ეს პროცესი ამოიწურება, არის ფულის გაცვლა ფულზე, ფ — ფ. თუ 100 გირვანქა სტერლინგით 2 000 გირვანქა ბამბას ვყიდულობ და ამ 2 000 გირვანქა ბამბას ხელახლა 110 გირვანქა სტერლინგად ვყიდი, აქ საბოლოო შედეგი ისაა, რომ მე გავცვალე 100 გირვანქა სტერლინგი 110 გირვანქა სტერლინგზე, ფული — ფულზე.

ცხადია უწინარეს ყოვლისა, რომ მიმოქცევის პროცესი ფ — ს — ფ უაზრო და უშინაარსო იქნებოდა, თუ ამ შემოვლითი გზით ერთი ფულადი ღირებულება იმავე ფულად ღირებულებაზე გაიცვლებოდა, მაგალითად, 100 გირვანქა სტერლინგი 100 გირვანქა სტერლინგზე. შეუდარებლად უფრო მარტივი და საიმედო დარჩებოდა

² «ფულით საქონელს ყიდულობენ და საქონლით ფულს» (Mercier de la Rivière: «L'Ordre Naturel et Essentiel des Sociétés Politiques», «Physiocrates», გამოც. Daire, ნაწ. II, გვ. 543).

მეთოდი განძის დამგროვებლისა, რომელიც თავის 100 გირვანქა სტერლინგს ხელიდან არ უშვებს და ინახავს, ნაცვლად იმისა, რომ იგი სახიფათო მიმოქცევას მიანდოს. მეორე მხრივ, რა ფასადაც უნდა გაყიდოს ვაჭარმა 100 გირვანქა სტერლინგად ნაყიდი ბამბა, — 110 გირვანქა სტერლინგად, 100 გირვანქა სტერლინგად, ან თუნდაც მხოლოდ 50 გირვანქა სტერლინგად, — ყველა შემთხვევაში მისი ფული აკეთებს თავისებურ და ორიგინალურ მოძრაობას, რომელიც სრულიად სხვაგვარია, ვიდრე მარტივი საქონელმიმოქცევის დროს, მაგალითად, გლეხის ხელში, რომელიც პურს ყიდის და მიღებული ფულით ტანისამოსს ყიდულობს. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა დავახასიათოთ განსხვავებანი ფორმის მხრივ ორ წრებრუნვას შორის: ფ — ს — ფ და ს — ფ — ს შორის. ამით გამოძეღვენდება ამასთანავე შინაარსეული განსხვავებაც, რომელიც ამ ფორმითი განსხვავების უკან იმალება.

განვიხილოთ უწინარეს ყოვლისა, თუ რა არის საერთო ამ ორ ფორმაში.

ორივე წრებრუნვა იწლება ერთსა და იმავე ორ დაპირისპირებულ ფაზად: ს — ფ, გაყიდვა, და ფ — ს, ყიდვა. თვითეულ ამ ორ ფაზაში ერთმანეთს უპირისპირდება იგივე ორი ნივთობრივი ელემენტი, საქონელი და ფული, და ორი პიროვნება ერთი და იმავე დამახასიათებელი ეკონომიური ნილაბით — მყიდველი და გამყიდველი. თვითეული ამ ორი წრებრუნვიდან იმავე დაპირისპირებულ ფაზათა ერთიანობაა და ეს ერთიანობა ორივეჯერ ხორციელდება სამი კონტრაგენტის საშუალებით, რომელთაგან ერთი მხოლოდ ყიდის, მეორე — მხოლოდ ყიდულობს, მესამე კი რიგრიგობით ყიდულობს და ყიდის.

მაგრამ რაც ამ ორივე წრებრუნვას, ს — ფ — ს და ფ — ს — ფ, უკვე იმთავითვე ერთიმეორისაგან თიშავს, ეს არის მიმოქცევის ერთი და იმავე დაპირისპირებულ ფაზათა შებრუნებული თანამიმდევრობა. მარტივი საქონელმიმოქცევა იწყება გაყიდვით და თავდება ყიდვით, ხოლო ფულის, როგორც კაპიტალის, მიმოქცევა იწყება ყიდვით და თავდება გაყიდვით. იქ მოძრაობის ამოსავალ და ბოლო პუნქტს შეადგენს საქონელი, აქ კი — ფული. პირველ ფორმაში ერთობლივ პროცესს მოსაშუალებობს ფული, მეორეში, პირიქით, საქონელი.

მიმოქცევაში ს — ფ — ს ფული ბოლოს იქცევა საქონლად, რომელიც სახმარი ღირებულების სახით გვემსახურება. მაშასადამე, აქ ფული დახარჯულია საბოლოოდ. შებრუნებულ ფორმაში ფ — ს — ფ მყიდველი, პირიქით, ფულს იმიტომ ხარჯავს, რომ ფული მიიღოს როგორც გამყიდველმა. საქონლის ყიდვისას იგი ფულს მიმოქცევაში იმიტომ

ისერის, რომ შემდეგში იგი იმავე საქონლის გაყიდვით კვლავ დაიბრუნოს. იგი ფულს ხელიდან უშვებს მხოლოდ ფარული განზრახვით, რათა ხელახლა დაეპატრონოს მას. მაშასადამე, აქ ფული მხოლოდ აევანდება³.

ს — ფ — ს ფორმაში ერთი და იგივე ფული ორჯერ იცვლის ადგილს. გამყიდველი ფულს ღებულობს მყიდველისაგან და მით მეორე გამყიდველს ისტუმრებს. ერთობლივი პროცესი, რომელიც იწყება საქონელში ფულის მიღებით, თავდება საქონელში ფულის მიცემით. პირიქით ხდება მეორე ფორმაში ფ — ს — ფ. ერთი და იგივე ფული კი არ იცვლის აქ ორჯერ ადგილს, არამედ ერთი და იგივე საქონელი. მყიდველი მას გამყიდველის ხელიდან იღებს და მეორე მყიდველს აძლევს. როგორც მარტივ საქონელმიმოქცევაში ერთი და იმავე ფულის ორგზის ადგილცვლას შედეგად მოსდევს მისი საბოლოოდ გადასვლა ერთი ხელიდან მეორეში, ისე აქ ერთი და იმავე საქონლის ორგზისი ადგილცვლა იწვევს იმას, რომ ფული უბრუნდება თავის პირველ ამოსავალ პუნქტს.

ფულის უკუმოდინება მის ამოსავალ პუნქტთან არ არის იმაზე დამოკიდებული, გაიყიდება თუ არა საქონელი უფრო ძვირად, ვიდრე იგი ნაყიდი იყო. ეს გარემოება გავლენას ახდენს მხოლოდ უკუმოდინარე ფულის თანხის სიდიდეზე. თვით ფულის უკუმოდინების მოვლენას კი ადგილი აქვს, როგორც კი ნაყიდი საქონელი ხელახლა გაიყიდება, მაშასადამე, როგორც კი წრებრუნვა ფ — ს — ფ მთლიანად მთავრდება. ამრიგად, აქ ჩვენ ვპოულობთ გრძნობით აღქმადს განსხვავებას ფულის, როგორც კაპიტალის, მიმოქცევისა და მისი, როგორც უბრალოდ ფულის, მიმოქცევის შორის.

წრებრუნვა ს — ფ — ს სრულიად დამთავრებულია, რა წამსაც კი ერთი საქონლის გაყიდვას მოაქვს ფული, რომელიც მეორე საქონლის ყიდვას კვლავ უკან მიაქვს. და თუ ფული თავის ამოსავალ პუნქტს მაინც უბრუნდება, ეს ხდება მხოლოდ მთელი პროცესის განახლების ანუ განმეორების მეოხებით. როდესაც 1 კვარტერ პურს 3 გირვანქა სტერლინგად ვყიდი და ამ 3 გირვანქა სტერლინგით ტანსაცმელს ვყიდულობ, მაშინ ჩემთვის 3 გირვანქა სტერლინგი საბოლოოდ დახარჯულია. მე მასთან უკვე არაფერთარი საქმე აღარა მაქვს. ეს ფული ეკუთვნის ტანსაცმლით მოვაჭრეს. თუ მეორე კვარტერ პურს ვაყიდი,

³ როდესაც რომელიმე ნივთს გაყიდვის მიზნით ყიდულობენ, გაღებულ თანხას აევანებულ ფულს უწოდებენ; ხოლო თუ ნივთს ყიდულობენ არა გადასაყიდად, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ფული დახარჯულია (James Stewart: 'Works' etc., edited by General Sir James Stewart, his son. London 1805, ტ. I, გვ. 274).

ფული ისევ მე დამიბრუნდება, მაგრამ არა პირველი გარიგების ძალით, არამედ მხოლოდ მისი განმეორების გამო. ფული ისევ წავა ჩემგან, როგორც კი მეორე გარიგებას დავამთავრებ და ხელახლა ვიყიდი. მაშასადამე, მიმოქცევაში ს — ფ — ს ფულის დახარჯვას არაფერი საერთო არა აქვს ფულის უკუმოდინებასთან. ფ — ს — ფ-ში, პირიქით, ფულის უკუმოდინება თვით მისი დახარჯვის წესით არის გაპირობებული. თუ ფულის ეს უკუმოდინება არ ხდება, მაშინ მთელი ოპერაცია ჩაშლილია, ანუ პროცესი შეწყვეტილი და ჯერ დაუმთავრებელია, რადგან გვაკლია მისი მეორე ფაზა, გაყიდვა, რომელიც ავსებს და ამთავრებს ყიდვას.

წრებრუნვა ს — ფ — ს იწყება ერთი კიდური საქონლით და თავდება მეორე კიდური საქონლით, რომელიც მიმოქცევიდან გამოდის და მოხმარებაში გადადის. მაშასადამე, ამ წრებრუნვის საბოლოო მიზანი არის მოხმარება, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მოკლედ, — სახმარი ღირებულება. წრებრუნვა ფ — ს — ფ, პირიქით, იწყება ფულის კიდურით და ბოლოს იმავე კიდურს უბრუნდება. ამიტომ მისი მამოძრავებელი მოტივი და განმსაზღვრელი მიზანი თვით საცვლელი ღირებულებაა.

მარტივ საქონელმიმოქცევაში ორივე კიდურს ერთი და იგივე ეკონომიური ფორმა აქვს. ორივე საქონელია. ამასთან ორივენი ღირებულების ერთი და იმავე სიდიდის შემცველი საქონელია. მაგრამ თვისებრივად ისინი სხვადასხვა სახმარი ღირებულებებია, მაგალითად, პური და ტანსაცმელი. პროდუქტთა გაცვლა, სხვადასხვა ნივთიერებათა ცვლა, რომლებითაც საზოგადოებრივი შრომა გამოიხატება, შეადგენს აქ მოძრაობის შინაარსს. სხვაგვარადაა საქმე მიმოქცევაში ფ — ს — ფ. ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ იგი უშინაარსოა, რადგან ტავტოლოგიურია. ორივე კიდურს ერთი და იგივე ეკონომიური ფორმა აქვს. ორივე ფულია, მაშასადამე, თვისებრივად ისინი განსხვავებულ სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენენ, რადგან ფული სწორედ საქონელთა ისეთი გარდაქმნილი სახეა, რომელშიაც მათი განსაკუთრებული სახმარი ღირებულება წაშლილია. 100 გირვანქა სტერლინგის ჯერ ბამბაზე გაცვლა და შემდეგ ამ ბამბის კვლავ 100 გირვანქა სტერლინგზე გაცვლა, მაშასადამე, შემოვლითი გზით ფულის ფულზე, იმავეს იმავეზე გაცვლა, გვეჩვენება იმდენადვე უმიზნო, რამდენადაც უაზრო ოპერაციად⁴. ერთი ფულადი თანხა შეიძლება

⁴ «ფულს ფულზე არ ცვლიან», — ამ სიტყვებით მიმართავს მერსიე დე ლა რივიერი მერკანტილისტებს («L'Ordre Naturel et Essentiel des Sociétés Politiques», «Physiocrates», გამოც. Daire, გვ. 486). ერთ თხზულებაში, რომელიც ex professio

მეორე ფულადი თანხისაგან საერთოდ მხოლოდ სიდიდით განსხვავდებოდეს. ამიტომ პროცენტის ფ — ს — ფ შინაარს წარმოშობს არა მისი კიდური პუნქტების თვისებრივი განსხვავება, რადგან ისინი ორივე ფულია, არამედ — მხოლოდ მათი რაოდენობრივი სხვაობა. საბოლოოდ მიმოქცევიდან უფრო მეტი ფული გამოდის, ვიდრე იქ თავდაპირველად იყო გადასროლილი. მაგალითად, 100 გირვანქა სტერლინგად ნაყიდი ბამბა ხელახლა იყიდება 100 + 10 გირვანქა სტერლინგად, ანუ 110 გირვანქა სტერლინგად. ამიტომ ამ პროცენტის სრული ფორმა არის ფ — ს — ფ', სადაც ფ' = ფ + Δფ, ე. ი. უდრის თავდაპირველად ავანსებულ ფულად თანხას პლუს ნაზრდი. თავდაპირველი ღირებულების ამ ნაზრდს, ანუ ნამეტს, მე ვუწოდებ — ზედმეტ ღირებულებას (surplus value). მაშასადამე, თავდაპირველად ავანსებული ღირებულება არა მარტო შეინარჩუნებს თავის თავს მიმოქცევაში, არამედ იგი მასში იცვლის თავის სიდიდეს, მიმატებს ზედმეტ ღირებულებას, ანუ განიცდის თვითზრდას (verwertet sich) და სწორედ ეს მოძრაობა აქცევს მას კაპიტალად.

მართალია, შესაძლებელია ისიც, რომ ს — ფ — ს-ში ორივე კიდური პუნქტი ს და ს, მაგალითად, პური და ტანსაცმელი, რაოდენობრივად სხვადასხვა ღირებულებითი სიდიდენი იყოს. შეიძლება

[სპეციალურად] «ვაჭრობას» და «სპეკულაციას» განიხილავს, შემდეგს კვითხულობთ: ყოველი ვაჭრობა სხვადასხვაგვარი ნივთების გაცემაში მდგომარეობს; და სარგებლობაც (ვაჭრისათვის?) სწორედ ამ სხვადასხვაობიდან წარმოდგება. ერთი გირვანქა პურის გაცემა ერთ გირვანქა პურზე სრულიად უსარგებლო იქნებოდა... აქედან — ხელსაყრელი კონტრასტი ვაჭრობასა და თამაშს შორის, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ფულის ფულზე გაცელას» (Th. Corbet: «An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals; or the Principles of Trade and Speculation explained». London 1841, გვ. 51). თუმცა კორბეტი ვერ აჩვენებს, რომ ფ — ფ, ე. ი. ფულის ფულზე გაცელა, არა მარტო სავაჭრო კაპიტალის, არამედ ყველა კაპიტალის მიმოქცევის დამახასიათებელი ფორმაა, მაგრამ იგი იმას მინც აღიარებს, რომ ვაჭრობის სახეობათაგან ეს ფორმა — სპეკულაცია — იგივეა, რაც თამაში; მაგრამ შემდეგ გამოდის მაც კულობი და აცხადებს, რომ ყოველი ყიდვა, გაყიდვის მიზნით წარმოებული, სპეკულაციაა და, მაშასადამე, ისობა განსხვავება სპეკულაციასა და ვაჭრობას შორის. ყოველი გარიგება, რომლის დროსაც რომელიმე პირი პროდუქტს ხელახლა გაყიდვის მიზნით ყიდულობს, ნამდვილად სპეკულაციაა» (Mac Culloch: «A Dictionary Practical etc. of Commerce». London 1847, გვ. 1009). გაცილებით უფრო გულუბრყვილოა პინტო, ანსტერდამის ბირჟის პინდარი: «ვაჭრობა თამაშია (ამ დებულებას იგი ლოკიდან სესხულობს) და, რასაკვირველია, მათხოვრებთან თამაშით ვერაფერს მოიგებ. თუ ვინმე დიდი ხნის განმავლობაში მუდამ და ყველასთან მოგებაშია, მოგების დიდი ნაწილი ნებაყოფლობით ისევ უნდა დაუბრუნოს სხვას, რათა ხელახლა თამაში დაიწყოს» (Pinto: «Traité de la Circulation et du Crédit». Amsterdam 1771, გვ. 231).

გლახმა თავისი პური მის ღირებულებაზე მეტად გაყიდოს, ან ტანსაცმელი მის ღირებულებაზე ნაკლებად იყიდოს. მეორე მხრივ, ისიც შეიძლება, რომ ტანსაცმლით მოვაჭრემ მოატყუოს გლახი. მაგრამ ღირებულების ასეთი სხვაობა თვით მიმოქცევის ამ ფორმისათვის წმინდა შემთხვევითი რამაა. მიმოქცევის ეს ფორმა, წინააღმდეგ პროცესისა $\Phi - \Sigma - \Phi$, სრულიადაც არ კარგავს თავის აზრსა და მნიშვნელობას, როცა მისი ორივე კიდური პუნქტი, მაგალითად, პური და ტანსაცმელი, ეკვივალენტებია. პირიქით, მათი ღირებულების ტოლობა აქ პროცესის ნორმალური მსვლელობის პირობას წარმოადგენს.

განმეორება, ანუ განახლება გაყიდვისა ყიდვის მიზნით, ისევე როგორც თვით ეს პროცესი, თავის ზომას და მიზანს პოულობს მის გარეშე მდებარე საბოლოო მიზანში, მოხმარებაში, განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. გაყიდვის მიზნით წარმოებული ყიდვის დროს კი, პირიქით, დასაწყისი და ბოლო ერთი და იგივეა, სახელდობრ ფული, საცვლელი ღირებულება, და უკვე ამის გამო ეს მოძრაობა უსასრულოა. მართალია, Φ გადაიქცა $\Phi + \Delta \Phi$ -დ, ანუ 100 გირვანქა სტერლინგი $100 + 10$ გირ. სტერლინგად. მაგრამ მარტოდენ თვისებრივად განხილული, 110 გირვანქა სტერლინგი იგივეა, რაც 100 გირვანქა სტერლინგი, სახელდობრ ფული. ხოლო რაოდენობრივად განხილული, 110 გირვანქა სტერლინგი, ისევე როგორც 100 გირვანქა სტერლინგი, ღირებულების შემოსაზღვრულ ჯამს წარმოადგენს. თუ ეს 110 გირვანქა სტერლინგი დაიხარჯებოდა როგორც ფული, იგი თავის როლს შეიცვლიდა. ამ შემთხვევაში ფული აღარ იქნებოდა კაპიტალი. მიმოქცევას მოცილებული, იგი განძად ქვედებდა და მას ერთი ფარტინგიც აღარ მოემატება, თუნდაც მეორედ მოსვლამდე იყოს შენახული. მაშასადამე, რაკი საქმე ღირებულების ზრდას ეხება, ასეთი ზრდის თანაბარი მოთხოვნილება აქვს როგორც 110 გირვანქა სტერლინგს, ისე 100 გირვანქა სტერლინგს, რადგან ორივე ეს თანხა საცვლელი ღირებულების ზღვარდებულ გამოხატულებას წარმოადგენს, მაშასადამე, ორივეს ერთი და იგივე მოწოდება აქვს: მიუახლოვდნენ აბსოლუტურ სიმდიდრეს თავიანთი სიდიდის გაფართოებით. მართალია, თავდაპირველად ავანსებული ღირებულება — 100 გირვანქა სტერლინგი — ერთი წუთით განსხვავდება 10 გირვანქა სტერლინგი ზედმეტი ღირებულებისაგან, რომელიც მას მიმოქცევაში ემატება, მაგრამ ეს განსხვავება მაშინვე ისევ ქრება. პროცესის დასასრულს ჩვენ შედეგად როდი გვრჩება ერთ მხარეზე თავდაპირველი ღირებულება — 100 გირვანქა სტერლინგი და მეორე

მხარეზე — ზედმეტი ღირებულება, 10 გირვანქა სტერლინგი. რაც შედეგად გვრჩება — ეს არის ერთი მთლიანი ღირებულება 110 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, რომელსაც სრულიად ისეთივე შესაფერი ფორმა აქვს ღირებულების ზრდის პროცესის დასაწყებად, როგორც თავდაპირველ 100 გირვანქა სტერლინგს. მოძრაობა თავდება ფულით, რომელიც კვლავ ახალ, ასეთსავე მოძრაობას იწყებს⁵. მაშასადამე, ბოლო ყოველი ცალკეული წრებრუნვისა, სადაც ყიდვა გაყიდვის მიზნით წარმოებს, უკვე თავისთავად ახალი წრებრუნვის დასაწყისს წარმოადგენს. მარტივი საქონელმომოქცევა — გაყიდვა ყიდვისათვის — საშუალებაა მიმოქცევის გარეშე მდებარე საბოლოო მიზნის მისაღწევად, სახმარ ღირებულებათა მისათვისებლად, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ფულის, როგორც კაპიტალის, მიმოქცევა კი, პირიქით, თვითმიზანია, რადგან ღირებულების თვითზრდა მხოლოდ ამ მუდმივად განახლებული მოძრაობის ფარგლებში არსებობს. ამიტომ კაპიტალის მოძრაობას საზღვარი არა აქვს⁶.

⁵ «კაპიტალი იყოფა... თავდაპირველ კაპიტალად და მოგებად, კაპიტალის ნაშატად... თუმცა პრაქტიკაში ეს მოგება მაშინვე ისევ უერთდება კაპიტალს და მასთან ერთად მიმოქცევაში შედის» (F. Engels: «Umriss zu einer Kritik der National-Ökonomie», «Deutsch-Französische Jahrbücher, herausgegeben von Arnold Ruge und Karl Marx». Paris 1844, გვ. 99). [ფ. ენგელსი: «ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1947, გვ. 21.]

⁶ არისტოტელე ქრემატიტიკას უპირისპირებს ეკონომიკას. იგი გამოდის ეკონომიკიდან. რამდენადაც ეს უკანასკნელი შექმნის ხელოვნებაა, იგი კმაყოფილება ცხოვრებისათვის აუცილებელი და ოჯახისათვის ან სახელმწიფოსთვის სასარგებლო დოვლათის შექმნით. «ჭეშმარიტი სიმდიდრე (δὲ δόξα μόνον ἰσχυρῶς) ამგვარ სახმარ ღირებულებათაგან შედგება; ვინაიდან კეთილი ცხოვრებისთვის საკმარისი რაოდენობა ამ სახის ქონებისა უსახლერო არ არის. მაგრამ არის კიდევ მეორეგვარი შექმნის ხელოვნება, რომელსაც უპირატესად და სამართლიანად ქრემატიტიკა ეწოდება და რომლისთვისაც თითქოს არ არსებობს სიმდიდრის და ქონების საზღვარი. საქონლით ვაჭრობა (ἢ ἀπαιχμαχίη) სიტყუასიტყვით წერილმანით ვაჭრობას ნიშნავს და არისტოტელე ამ ფორმას იღებს, რადგან მასში გადამწყვეტ როლს სახმარი ღირებულება ასრულებს) თავისი ბუნებით ქრემატიტიკას არ ეკუთვნის, ვინაიდან გაცვლა აქ მხოლოდ თვით მათთვის (მყიდველისა და გამყიდველისთვის) საჭირო საგნებზე ვრცელდება. ამიტომ, — განაგრძობს იგი, — საქონლით ვაჭრობის თავდაპირველად ფორმა გაცვლითი ვაჭრობა იყო, მაგრამ მის გაფართოებასთან ერთად აუცილებლობით წარმოიშვა ფული. ფულის გამოგონებით გაცვლითი ვაჭრობა აუცილებლად უნდა განვითარებულიყო ἀπαιχμαχίη-დ, საქონლით ვაჭრობად, ხოლო ეს უკანასკნელი, წინააღმდეგ მისი პირვანდელი ტენდენციისა, გადაიქცა ქრემატიტიკად, ე. ი. ფულის შექმნის ხელოვნებად. ქრემატიტიკა შემდეგ ეკონომიკისაგან იმით განსხვავდება, რომ მისთვის მიმოქცევა სიმდიდრის წყაროა (ποικίλων ἄριστων... τὰν ἄριστων ἀπαιχμαχίη).

როგორც ამ მოძრაობის შეგნებული მატარებელი, ფულის მფლობელი კაპიტალისტი ხდება. მისი პიროვნება ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მისი ჯიბე, ის პუნქტია, საიდანაც ფული გამოდის და სადაც იგი ბრუნდება. ამ მიმოქცევის ობიექტური შინაარსი — ღირებულების ზრდა — მისი სუბიექტური მიზანია, და მხოლოდ რამდენადაც აბსტრაქტული სიმდიდრის მუდამ მზარდი მითვისება მისი ოპერაციების ერთადერთი მამოძრავებელი მოტივია, ამდენად იგი მოქმედებს როგორც კაპიტალისტი, ე. ი. როგორც განსახიერებული, ნებისყოფით და შეგნებით დაჯილდოებული კაპიტალი. მაშასადამე, სახმარი ღირებულება არასოდეს არ უნდა განვიხილოთ როგორც კაპიტალისტის უშუალო მიზანი⁷. ასევე მისი მიზანი განცალკევებული მოგება კი არ არის, არამედ მოგების მიღების დაუტყბრომელი მოძრაობაა⁸. ეს სწრაფვა აბსოლუტური გამდიდრებისადმი⁹, ეს გაშმაგებული ნადირობა ღი-

იგი მთლიანად ფულზეა აგებული, რადგან ფული ამგვარი გაცვლის დასაწყისი და დასასრულია (*τὸ γὰρ ῥῆσιμα σοιχεῖσιν καὶ πέραις τῆς ἀλλαγῆς ἐστίν*). ამიტომ ის სიმდიდრეც, რომლისკენაც ქრემატიკაც მიისწრაფვის, უსახლვროა. როგორც სწორედ ყოველი ხელოვნება, რომელსაც თავისი ამოცანა საშუალებად კი არ მიიჩნია, არამედ საბოლოო მიზნად, უსახლვროა თავის მისწრაფებაში სულ უფრო და უფრო დაუახლოვდება ამ მიზანს, მაშინ როდესაც ის ხელოვნება, რომელიც მხოლოდ საშუალებას ეძებს თავის მიზნისთვის, უსახლვრო არ არის, რადგან თვით ეს მიზანი მას სახლვარს უდებს, — ასევე ამ ქრემატიკასაც არა აქვს სახლვარი თავისი მიზნისათვის, არამედ მისი მიზანი აბსოლუტური გამდიდრებაა. სახლვარი აქვს ეკონომიკას და არა ქრემატიკას... პირველი ისახავს მიზნად თვით ფულისაგან განსხვავებულ რაიმეს, მეორე კი... — ფულის გამრავლებას... არევა ამ ორი ფორმისა, რომელნიც ერთი მეორეში გადადიან, ხოგვიერთებს საბაზს აძლევს ფულის შენახვა და მისი უსახლვროდ გამრავლება ეკონომიკის საბოლოო მიზნად მიიჩნეონ (Aristoteles: «De Republica», გამოც. Bekker, წიგ. I, თავი 8 და 9, სხვადასხვა ადგილას).

⁷ «საქონელი კი (აქ სახმარი ღირებულების მნიშვნელობით) არ შეადგენს მრეწველი კაპიტალისტისათვის განსახლვრელ მიზანს... მისი საბოლოო მიზანი — ფულია» (Th. Chalmers: «On Political Economy etc.», მე-2 გამოც., Glasgow 1832, გვ. 165 — 166).

⁸ «თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ვაჭარი არაფრად აგდებს უკვე მიღებულ მოგებას, მაგრამ მისი ყურადღება მაინც მუდამ მომავლისკენა მიჰყრობილი» (A. Genovesi: «Lezioni di Economia Civile» (1765). Custodi-ის გამოცემა იტალიელ ეკონომისტებისა, Parte Moderna, ტ. VIII, გვ. 139).

⁹ «კაპიტალისტის მთავარ მოქმედებას მუდამ განსახლვრავს მოგების დაუტყბრომელი წყურვილი, *auri sacra fames*» [ოქროს წყურვილი სურვილი] (Mac Culloch: «The Principles of Political Economy». London 1830, გვ. 179). რა თქმა უნდა, ასეთი შეზღუდულება იმავე მაკ კულოხს და კომპანიას ხელს არ უშლის, რომ თეორიულ სიძნელეთა დროს, მაგალითად, საქონლის ჰარბზარმოების განხილვისას, იგივე კაპიტალისტო გადააქციონ ყთილ მოქალაქედ, რომელსაც მხოლოდ სახმარი ღირებულება აინტე-

რებულებზე საერთო თვისებაა როგორც კაპიტალისტის, ისე განძის დამგროვებლისა, მაგრამ მაშინ როდესაც განძის დამგროვებელი მხოლოდ გიჟი კაპიტალისტია, კაპიტალისტი განძის რაციონალური დამგროვებელია. ღირებულების შეუწყვეტელ გადიდებას, რომელსაც განძის დამგროვებელი ესწრაფვის, ცდილობს რა იხსნას ფული მიმოქცევისაგან¹⁰, უფრო გონიერი კაპიტალისტი იმით აღწევს, რომ იგი ფულს სულ ახლად და ახლად მიმოქცევაში ისვრის^{10 a}.

დამოუკიდებელი ფორმები, ფულადი ფორმები, რომელთაც მარტივი მიმოქცევის პროცესში საქონელთა ღირებულება იღებს, მოსაშუალებობენ მხოლოდ საქონელგაცვლას და მოძრაობის საბოლოო შედეგში ქრებიან. პირიქით, მიმოქცევაში ფ — ს — ფ ორივე, საქონელი და ფული, მოქმედებს მხოლოდ როგორც სხვადასხვა ხერხი თვითონ ღირებულების არსებობისა: ფული — როგორც საყოველთაო, ხოლო საქონელი, როგორც განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, მხოლოდ შენიღბული ხერხი ღირებულების არსებობისა¹¹. ღირებულება ერთი ფორმიდან განუწყვეტლივ გადადის მეორეში, მაგრამ ისე, რომ ამ მოძრაობაში იგი არასოდეს არ იკარგება და, ამრიგად, ავტომატურ სუბიექტად იქცევა. თუ მოვახდენთ გამოვლინების იმ განსაკუთრებული ფორმების ფიქსაციას, რომლებსაც თვითმზარდი ღირებულება თავის სასიცოცხლო წრებრუნვაში რიგრიგობით იღებს, მაშინ ასეთ ახსნა-განმარტებას მივიღებთ: კაპიტალი არის ფული, კაპიტალი არის საქონელი¹². მაგრამ სინამდვილეში ღირებულება აქ იმ ერთგვარი პროცესის სუბიექტად იქცევა, სადაც იგი თავისი ფულადი და საქონლური ფორმების განუწყვეტელ ცვლასთან ერთად თვითონ იცვლის რესებს და რომელსაც ნამდვილი მგლური მადაც კი უვითარდება ფებსაცმელების, ჭუდეების, კერცების, ჩითისა და სხვა მეტად ჩვეულებრივ საოჯახო სახმარ ღირებულებათა მიმართ.

¹⁰ «Σύμψη» [ახსნა] — ბერძნების ერთ-ერთი დამახასიათებელი გამოთქმაა განძის დაგროვების აღსანიშნავად. ამგვარადვე ინგლისური «to save» ხსნასაც ნიშნავს და დაზოგვასაც.

^{10 a} «უსასრულობას, რომელსაც ნივთები წინსვლაში ვერ აღწევენ, თავიანთ წრებრუნვაში აღწევენ» (Galvani [«Della Moneta», წიგ. II, «Scrittori Classici Italiani di Economia Politica», Custodi-ს გამოც., ტ. III, მილანი 1803, გვ. 156]).

¹¹ «თავისთავად ნივთიერება კი არ შეადგენს კაპიტალს, არამედ ამ ნივთიერების ღირებულება» (J. B. Say: «Traité d'Économie Politique», მე-3 გამოც., Paris 1817: ტ. II, გვ. 429).

¹² «ტრიალში მყოფი ფული [currency] (!), გამოყენებული მწარმოებლური მიზნით, არის კაპიტალი» (Macleod: «The Theory and Practice of Banking», London 1855, ტ. I, თავი I, გვ. 55). «კაპიტალი საქონელია» (James Mill: «Elements of Political Economy», London 1821, გვ. 74).

თავის სიდიდეს, ზედმეტი ღირებულების სახით სცილდება თავის თავს როგორც თავდაპირველ ღირებულებას, თვითონ განიცდის ზრდას. ეს ხდება იმიტომ, რომ მოძრაობა, რომელშიც მას ზედმეტი ღირებულება ერთვის, არის მისი საკუთარი მოძრაობა, მისი ზრდა, მაშასადამე, მისი თვითზრდა. მან შეიძინა ღირებულების წარმოშობის ჯადოსნური უნარი, იმიტომ რომ თვითონ იგი ღირებულებაა. იგი წარმოშობს ცოცხალ შვილებს ან, ყოველ შემთხვევაში, ოქროს კვერცხებს სდებს.

როგორც თვითმზარდი სუბიექტი ამ პროცესისა, სადაც იგი ფულად ფორმას და საქონლურ ფორმას ხან იღებს და ხან იცილებს, მაგრამ ამასთანავე ამ ცვალებადობაში თავს ინარჩუნებს და იზრდება, — ღირებულება უწინარეს ყოვლისა საჭიროებს დამოუკიდებელ ფორმას, რომლის საშუალებითაც დასტურდება მისი იგივეობა მის, საკუთარ თავთან. და ეს ფორმა მას მხოლოდ ფულის სახით აქვს. ამიტომ ფული ღირებულების თვითზრდის ყოველი პროცესის ამოსავალი და დასკვნითი პუნქტია. იგი იყო 100 გირვანქა სტერლინგი, ახლა კი 110 გირვანქა სტერლინგია და სხვ. მაგრამ თვით ფული აქ ღირებულების მხოლოდ ერთი ფორმათაგანია, რადგან ღირებულებას ორი ფორმა აქვს. საქონლური ფორმის მიუღებლად ფული კაპიტალად ვერ გადაიქცევა. მაშასადამე, ფული არ გამოდის აქ საქონლის წინააღმდეგ პოლემიკურად, როგორც ეს განძის დაგროვების დროს ხდება. კაპიტალისტმა იცის, რომ ყველა საქონელი, რაც უნდა უვარგისად გამოიყურებოდეს იგი ან რაც უნდა ცუდი სუნი უღიოდეს მას, სულითა და ჭეშმარიტებითა მაინც ფულია, შინაგანად წინადაცვეთილი ებრაელია, და თანაც სასწაულთმოქმედი საშუალება, რომ ფულიდან უფრო მეტი ფული გაკეთდეს.

თუ მარტივ მიმოქცევაში საქონელთა ღირებულება მათს სახმარ ღირებულებასთან დაპირისპირებით უკეთეს შემთხვევაში დამოუკიდებელ ფულად ფორმას იღებს, აქ იგი უეცრად წარმოგვიდგება როგორც თვითგანვითარებადი, თვითმოძრავი სუბსტანცია, რომლისთვისაც საქონელი და ფული ორივე მხოლოდ უბრალო ფორმებია. მაგრამ კიდევ მეტი. ნაცვლად იმისა, რომ საქონელთა ურთიერთობა გამოხატოს, იგი ახლა, ასე ვთქვათ, კერძო ურთიერთობაში შედის თავის თავთან. იგი როგორც თავდაპირველი ღირებულება განსხვავდება თავის თავისაგან როგორც ზედმეტი ღირებულებისაგან, ისე როგორც მამა ღმერთი განსხვავდება თავის თავისაგან როგორც ძე ღმერთისაგან, თუმცა ორივე ერთი და იგივე ხნისაა და ნამდვილად მხოლოდ ერთ პიროვნებას წარმოადგენს; ვინაიდან ავანსებული 100

გირვანქა სტერლინგი მხოლოდ ზედმეტი ღირებულების, 10 გირვანქა-სტერლინგის, მეოხებით იქცევა კაპიტალად, და როგორც კი იგი კაპიტალად გადაიქცა, როგორც კი იშვა ძე და ძისაგან — მამა, კვლავ ქრება მათი განსხვავება და ორივე ერთარსი ხდება: 110 გირვანქა სტერლინგი.

მაშასადამე, ღირებულება იქცევა თვითმოძრავ ღირებულებად, თვითმოძრავ ფულად და როგორც ასეთი — კაპიტალად. იგი გამოდის მიმოქცევიდან, ისევე შედის ამ მიმოქცევაში, ინახება და მრავლდება მასში, ბრუნდება იქიდან გაზრდილი და მუდამ ხელახლა იწყებს ერთსა და იმავე წრებრუნვას¹³. ფ—ფ', ფულის გამოძიეკი ფული, — money which begets money, — ამ სიტყვებით აგვიწერენ კაპიტალს მისი პირველი განმმართველები, მერკანტილისტები.

მართალია, ყიდვა, რათა გაყიდო, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყიდვა, რათა უფრო ძვირად გაყიდო, ფ—ს—ფ', გვეჩვენება მხოლოდ ერთი სახეობის კაპიტალის, ვაჭრული კაპიტალის, დამახასიათებელ ფორმად. მაგრამ სამრეწველო კაპიტალიც ფულია, რომელიც საქონლად იქცევა და საქონლის გაყიდვის მეოხებით ხელახლა გადაიქცევა მეტ ფულად. აქტები, რომლებსაც ადგილი აქვს შუალედებში ყიდვასა და გაყიდვას შორის, მიმოქცევის სფეროს გარეშე, სრულიადაც არ ცვლიან მოძრაობის ამ ფორმას. ბოლოს, პროცენტ-მომტან კაპიტალში მიმოქცევა ფ—ს—ფ', წარმოგვიდგება შეკვეცილი სახით, თავის შედეგში მოსაშუალებ რგოლის გარეშე, თავისი, ასე ვთქვათ, ლაბიდარული სტილით, როგორც ფ—ფ', როგორც ფული, რომელიც მეტ ფულს უდრის, როგორც ღირებულება, რომელიც მეტია თავის თავზე.

მაშასადამე, ფ—ს—ფ' წარმოადგენს ნამდვილად კაპიტალის საყოველთაო ფორმულას იმ სახით, რა სახითაც ეს კაპიტალი მიმოქცევის სფეროში უშუალოდ ვლინდება.

2. საყოველთაო ფორმულის წინააღმდეგობანი

მიმოქცევის ის ფორმა, რომელშიც ფულის ქუპრი კაპიტალად გადაიქცევა, ეწინააღმდეგება ყველა უწინ განვითარებულ კანონებს საქონლის, ღირებულების, ფულისა და თვით მიმოქცევის ბუნების შესახებ. მარტივი საქონელმიმოქცევისაგან მას განასხვავებს იმავე

¹³ «კაპიტალი... ღირებულებაა, რომელიც განუწყვეტლივ მრავლდება» (Sismond i: «Nouveaux Principes d'Économie Politique», ტ. I, გვ. 88, 89).

ორი დაპირისპირებული პროცესის, ყიდვისა და გაყიდვის, შებრუნებული თანამიმდევრობა. მაგრამ როგორ უნდა მოახდინოს ასეთმა წმინდა ფორმალურმა განსხვავებამ ამ პროცესების ბუნების ჯადოსნური გარდაქმნა?

კიდევ მეტი: ეს შებრუნებული თანამიმდევრობა არსებობს მხოლოდ ერთისთვის იმ სამი მოსაქმე მეგობრიდან, რომელნიც ერთმანეთს შორის გარიგებას დებენ. როგორც კაპიტალისტი, მე საქონელს ვყიდულობ *A*-სგან და ამ საქონელს შემდეგ მივეყიდი *B*-ს: როგორც უბრალო საქონელმფლობელი კი, საქონელს მივეყიდი *B*-ს და შემდეგ საქონელს ხელახლა ვყიდულობ *A*-სგან. მოსაქმე მეგობრებისათვის — *A*-სა და *B*-სთვის — ეს განსხვავება არ არსებობს. ისინი გამოდიან საქონელთა მხოლოდ გამყიდველის ან მყიდველის სახით. თვითონ მე მათ ყოველთვის ვუპირისპირდები როგორც ფულის უბრალო მფლობელი ან საქონელმფლობელი, როგორც მყიდველი ან როგორც გამყიდველი; ამასთან ორივე თანამიმდევრული მეტამორფოზის დროს ერთ პიროვნებას ვუპირისპირდები მხოლოდ როგორც მყიდველი, მეორეს კი მხოლოდ როგორც გამყიდველი, ერთს — მხოლოდ როგორც ფული, მეორეს მხოლოდ როგორც საქონელი, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ვუპირისპირდები როგორც კაპიტალი ან როგორც კაპიტალისტი, ე. ი. ისეთი რაიმეს წარმომადგენელი, რაც ფულზე ან საქონელზე მეტი იყოს, ან რასაც რაიმე სხვაგვარი მოქმედების შესრულება შეეძლოს, ვიდრე ფულს ან საქონელს შეუძლია. ჩემთვის *A*-სგან ყიდვა და *B*-სთვის მიყიდვა ერთი თანამიმდევრული მწკრივია. მაგრამ კავშირი ამ ორ აქტს შორის მხოლოდ ჩემთვის არსებობს. *A*-სთვის საინტერესო არ არის ჩემი გარიგება *B*-სთან, და *B*-სთვის — ჩემი გარიგება *A*-სთან. თუ მე მოვინდომებდი ამეხსნა მათთვის ის განსაკუთრებული დამსახურება, რომელიც ამ მწკრივის თანამიმდევრობის შებრუნებით მიმიძღვის, ისინი მაშინ დამიმტკიცებდნენ, რომ თვითონ მე მწკრივის ეს თანამიმდევრობა მაქვს შემცდარად წარმოდგენილი და რომ მთელი ეს გარიგება ყიდვით კი არ დაწყებულია და გათავებულია გაყიდვით, არამედ, პირიქით — დაიწყო გაყიდვით და გათავდა ყიდვით. მართლაც, ჩემი პირველი აქტი, ყიდვა, *A*-ს თვალსაზრისით გაყიდვა იყო, ხოლო ჩემი მეორე აქტი, გაყიდვა, *B*-ს თვალსაზრისით ყიდვა იყო. არ დაკმაყოფილდებიან რა ამით, *A* და *B* გარდა ამისა განაცხადებენ, მწკრივის მთელი ეს თანამიმდევრობა ზედმეტი და თვალთმაქცობა იყო. *A* უშუალოდ მიჰყიდის საქონელს *B*-ს და *B* უშუალოდ იყიდის *A*-სგან. ამით მთელი გარიგება ჩვეულებრივი საქონელმიმოქცევის ცალმხრივ აქტად იქცევა, უბრალო გაყიდვად *A*-ს თვალ-

საზრისით და უბრალო ყიდვად *B*-ს თვალსაზრისით. ამრიგად, ამ აქტების მწკრივის თანამიმდევრობის შებრუნებით ჩვენ ვერ გავცდით მარტივი საქონელმომოქცევის სფეროს და, ჩვენ, პირიქით, უნდა განვიხილოთ, შესაძლებელს ხდის თუ არა ეს სფერო თავისი ბუნებით მასში შემავალ ღირებულებათა ზრდას და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების წარმოქმნას.

ავიღოთ მიმოქცევის პროცესი იმ ფორმით, რომელშიაც იგი უბრალო საქონელგაცვლას წარმოადგენს. ეს ხდება ყოველთვის მაშინ, როცა ორივე საქონელმფლობელი ერთმანეთისაგან საქონელს ყიდულობს და მათი ურთიერთ ფულად ვალდებულებათა ბალანსის გასწორება ვალის გადახდის ვადაზე ხდება. აქ ფული ასრულებს საანგარიშო ფულის როლს, რათა საქონელთა ღირებულება მათი ფასებით გამოხატოს, მაგრამ არ უპირისპირდება თვით საქონელს ნივთობრივად. რამდენადაც საქმე სახმარ ღირებულებას შეეხება, ცხადია, რომ ორივე გამცვლელი შეიძლება მოგებული დარჩეს. ორივე ასხვისებს საქონელს, რომელიც მათთვის უსარგებლოა როგორც სახმარი ღირებულება, და ორივე ღებულობს საქონელს, რომელიც მათ მოსახმარებლად ესაჭიროებათ და გარიგების ეს სარგებლობა შეიძლება მარტოდენ ამით არ ამოიწურებოდეს. *A*, რომელიც ღვინოს ყიდის და პურს ყიდულობს, შეიძლება მეტ ღვინოს აწარმოებს, ვიდრე პურის მომყვან *B*-ს იმავე სამუშაო დროის განმავლობაში შეეძლო ეწარმოებინა და პურის მომყვანი *B* იმავე სამუშაო დროის განმავლობაში მეტ პურს აწარმოებს, ვიდრე ღვინის მომყვან *A*-ს შეეძლო ეწარმოებინა. ამრიგად, *A* იმავე საცვლელ ღირებულებაში მეტ პურს ღებულობს, ხოლო *B* — მეტ ღვინოს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თვითელი მათგანი იძულებული იქნებოდა თავისთვის, გაუცვლელად, ეწარმოებინა ღვინოც და პურიც. მაშასადამე, სახმარი ღირებულების მიმართ შეიძლება ითქვას, რომ «გაცვლა ისეთი გარიგებაა, რომლის დროსაც ორივე მხარე მოგებაში რჩება»¹⁴. სხვაგვარადაა საქმის ვითარება საცვლელი ღირებულების მიმართ. ადამიანი, რომელსაც ბევრი ღვინო აქვს და პური კი არ გააჩნია, გარიგებას დებს იმასთან, ვისაც ბევრი პური აქვს და ღვინო კი არ მოეპოვება, და მათ შორის ხდება გაცვლა ხორბლისა, რომლის ღირებულება 50-ს უდრის, ღვინოზე,

¹⁴ გაცვლა უცნაური გარიგებაა, რომლის დროსაც ორივე მხარე მუდამ (!) მოგებაშია (Destutt de Tracy: «Traité de la Volonté et de ses Effets». Paris 1826, გვ. 68). იგივე წიგნი შემდგომ გამოვიდა სათაურით «Traité d'Économie Politique».

რომლის ღირებულებაც აგრეთვე 50-ია. ეს გაცვლა არც ერთისთვის და არც მეორისთვის საცვლელი ღირებულების გადიდებას არ მოასწავებს, და ეს იმიტომ, რომ თვითეული მათგანი გაცვლამდე იმავე სიდიდის ღირებულებას ფლობდა, რაც მან ამ ოპერაციის საშუალებით შეიძინა¹⁵. საქმეს სრულიად არ ცვლის ის გარემოება, რომ საქონელთ შორის გამოდის ფული მიმოქცევის საშუალების სახით და ყიდვისა და გაყიდვის აქტები თვალსაჩინოდ ერთმანეთს სცილდება¹⁶. საქონელთა ღირებულება გამომხატულია მათი ფასებით უფრო ადრე, ვიდრე ისინი მიმოქცევაში შევიდოდნენ, მაშასადამე, ღირებულება მიმოქცევის წინამძღვარია და არა მისი შედეგი¹⁷.

თუ პროცესს აბსტრაქტულად განვიხილავთ, ე. ი. მხედველობის გარეშე დავტოვებთ იმ გარემოებებს, რომელნიც მარტივი საქონელ-მიმოქცევის იმანენტური კანონებიდან არ გამომდინარეობენ, დავინახავთ, რომ ამ მიმოქცევაში, გარდა ერთი სახმარი ღირებულების შეცვლისა მეორეთი, წარმოებს მხოლოდ საქონლის მეტამორფოზი, საქონლის ფორმის უბრალო შეცვლა. ერთი და იგივე ღირებულება, ე. ი. გასაგნობრივებული საზოგადოებრივი შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ერთსა და იმავე საქონელმფლობელის ხელში რჩება პირველად მისი საქონლის სახით, შემდეგ — ფულის სახით, რადაც ეს საქონელი გარდაიქმნა, ბოლოს, ისევ საქონლის სახით, რადაც ეს ფული ხელახლა უკუგარდაიქმნა. ფორმათა ეს ცვლა არ შეიცავს ღირებულების სიდიდის ცვლილებას. ხოლო ცვლილება, რომელსაც ამ პროცესში თვით საქონლის ღირებულება განიცდის, მხოლოდ მისი ფულადი ფორმის შეცვლით შემოიფარგლება. ეს ფულადი ფორმა არსებობს ჯერ გასაყიდად მიწოდებული საქონლის ფასის სახით, შემდეგ — ფულის თანხის სახით, რომელიც უკვე ამ ფასით იყო გამოხატული, და ბოლოს — ეკვივალენტური საქონლის ფასის სახით. ფორმათა ეს ცვლა თავისთავად ისევე ნაკლებად შეიცავს ღირებულების სიდიდის შეცვლას, როგორც ხუთგირვანქიანი ბანკნოტის დახურვა დაკვება სოვერენებად, ნახევარსოვერენებად და შილინგებად. მაშასა-

¹⁵ Mercier de la Rivière: «L'Ordre Naturel et Essentiel», «Physiocrates», გამოც. Daire, ნაწ. II, გვ. 544.

¹⁶ «თავისთავად საცხებით სულ ერთია, ერთი ამ ორი ღირებულებიდან ფულს წარმოადგენს, თუ ორივე ჩვეულებრივი საქონელია» (Mercier de la Rivière, იქვე, გვ. 543).

¹⁷ «ღირებულებას კონტრაგენტები კი არ განსაზღვრავენ, იგი მათ გარიგებამდე უკვე განსაზღვრულია» (Le Trosne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 906).

დამე, რამდენადაც საქონლის მიმოქცევა მისი ღირებულების მარტოდენ ფორმათა ცვლას განაპირობებს, იგი განაპირობებს, თუკი ეს მოვლენა წმინდად მიმდინარეობს, ეკვივალენტების გაცვლას. ამიტომ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიაც კი, — თუმცა იგი სრულიად ვერ ხვდება, თუ რა არის ღირებულება, — ყოველთვის, როდესაც იგი ცდილობს, რამდენადაც მას ეს ძალუძს, მოვლენა წმინდა სახით განიხილოს, გულისხმობს, რომ მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ფარავს, ე. ი. რომ მათი მოქმედება საერთოდ ქარწყლდება. მაშასადამე, თუ სახმარი ღირებულების მხრივ ორივე კონტრაგენტს მოგების მიღება შეუძლია, საცვლელი ღირებულების მხრივ ორივე მხარე ვერ მოიგებს. აქ, პირიქით, შემდეგი ითქმის: «სადაც თანასწორობაა, იქ მოგება არ არის»¹⁸. თუმცა საქონელი შეიძლება გაიყიდოს ისეთ ფასად, რომელიც მისი ღირებულებისაგან იხრება, მაგრამ ასეთი გადახრა საქონელგაცვლის კანონის დარღვევას წარმოადგენს¹⁹. თავისი წმინდა სახით საქონელგაცვლა ეკვივალენტთა გაცვლაა, მაშასადამე, იგი არ იძლევა ღირებულების გადიდების ხარჯზე გამდიდრების საშუალებას²⁰.

ამიტომ იმ ცდების უკან, რომელნიც საქონელმიმოქცევას ზედმეტი ღირებულების წყაროდ სახავენ, ჩვეულებრივად იმალება *quid pro quo*, სახმარი ღირებულების და საცვლელი ღირებულების ერთმანეთში არევა. ასე მოსდის, მაგალითად, კონდილიაკს: «მცდარია ის აზრი, თითქოს საქონელგაცვლის დროს ტოლი ღირებულება იცვლება ტოლ ღირებულებაზე. პირიქით. თვითეული კონტრაგენტი მუდამ ნაკლებ ღირებულებას აძლევს მეტ ღირებულებაში... და მართლაც, მუდამ რომ ტოლ ღირებულებებს ცვლიდნენ ერთიმეორეზე, მაშინ ვერც ერთი კონტრაგენტი მოგებას ვერ მიიღებდა. ნამდვილად კი ორივე იგებს, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იგებდეს. რატომ?»

¹⁸ «Dove è eguaglianza, non è lucro» (Galvani: «Della Moneta», Custodiana კრებულის IV ტ.: [«Scrittori Classici Italiani di Economia Politica», Parte Moderna, გვ. 244]).

¹⁹ «გაცვლა ერთ-ერთი მხარისათვის არახელსაყრელი ხდება, როდესაც ესა თუ ის გარეშე გარემოება ფასს ამცირებს ან მალლა სწევს: თანასწორობა ამ დროს დარღვეულია; მაგრამ ეს დარღვევა ამ გარეშე მიზეზით ხდება და არა გაცვლის გამო» (Le Trostne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 904).

²⁰ «გაცვლა თავისი ბუნებით თანასწორობაზე დამყარებული ხელშეკრულებაა, რომლის საგანი ორი თანატოლი ღირებულებაა. ამიტომ იგი გამდიდრების საშუალება არ არის, რადგან აქ სწორედ იმდენს იძლევიან, რამდენსაც იღებენ» (Le Trostne, იქვე, გვ. 903).

ნივთის ღირებულება მდგომარეობს მხოლოდ მის მიმართებაში ჩვენს მოთხოვნილებებთან. რაც ერთისთვის მეტია, ის მეორისთვის ნაკლებია და, პირიქით... ხომ არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ გასაყიდად გავვაქვს ჩვენი საკუთარი მოხმარებისათვის აუცილებელი ნივთები... ჩვენ გვსურს ჩვენთვის უსარგებლო ნივთი გავსცეთ, რათა საჭირო ნივთი მივიღოთ; ჩვენ გვინდა მეტში ნაკლები მივცეთ... რასაკვირველია, ბუნებრივია ის მსჯელობა, რომ გაცვლის დროს ერთ ღირებულებას მეორე ტოლ ღირებულებაზე ცვლიან, რაკი ამ გასაცვლელი ნივთების ღირებულება ერთი და იმავე რაოდენობის ფულს უდრის... მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ მეორე მოსაზრებაც; ისმის კითხვა: ვცვლით თუ არა ორთავენი ნაჭარბს ჩვენთვის სხვა რაიმე აუცილებელზე²¹. ჩვენ ვხედავთ, რომ კონდილიაკი არათუ ურევს ერთმანეთში სახმარ ღირებულებას და საცვლელ ღირებულებას, არამედ ჭეშმარიტად ბავშვური გულუბრყვილობით ცდილობს განვითარებული საქონელწარმოების მქონე საზოგადოება შეცვალოს ისეთი წყობილებით, სადაც მწარმოებელი თავის საარსებო საშუალებებს თვითონვე აწარმოებს და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების ნამეტს, ნაჭარბს, უშვებს მიმოქცევაში²². მიუხედავად ამისა, კონდილიაკის არგუმენტს ხშირად იმეორებენ თანამედროვე ეკონომისტები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათთვის საჭიროა საქონელგაცვლის განვითარებული ფორმა, ვაჭრობა, ზედმეტი ღირებულების შექმნის წყაროდ დასახონ. «ვაჭრობა, — ამბობენ, მაგალითად, — პროდუქტებს ღირებულებას მატებს, რადგან იმავე პროდუქტებს მომხმარებლის ხელში უფრო მეტი ღირებულება აქვთ, ვიდრე მწარმოებლის ხელში, და ამიტომ ვაჭრობა განხილულ უნდა იქნას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით (strictly) როგორც

²¹ Condillac: «Le Commerce et le Gouvernement» (1776), გამოც. Daire et Molinari «Mélanges d'Économie Politique»-ში, Paris 1847, გვ. 267 და 291.

²² ამიტომ ლე ტრონი თავის მეგობარ კონდილიაკს სრულიად სამართლიანად უპასუხებს: «განვითარებულ საზოგადოებაში საერთოდ ადგილი არა აქვს რაიმე სიჭარბეს» [«De l'Intérêt Social», გვ. 907]. ამავე დროს იგი აღიზიანებს მას ასეთი წინიშნით: «თუ ორივე მხარე გაცვლის დროს თანასწორად მეტს იღებს თანასწორად ნაკლებისათვის, მაშინ ორივე თანასწორად იღებს» [იქვე, გვ. 904]. რადგან კონდილიაკს ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არა აქვს საცვლელი ღირებულების ბუნებაზე, ამიტომ იგი საუკეთესო ავტორიტეტია საკუთარი ბავშვური ცნებების შექმნით გატაცებულ ბატონ პროფესორ ვილჰელმ რომერისათვის. იხ. მისი «Die Grundlagen der Nationalökonomie», Dritte Auflage, 1858.

წარმოების აქტი»²³. მაგრამ საქონელში ფულს ორჯერ არ იხდიან, ერთხელ სახმარ ღირებულებაში და მეორედ საცვლელ ღირებულებაში. და თუ საქონლის სახმარი ღირებულება მყიდველისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე გამყიდველისთვის, მისი ფულადი ფორმა გამყიდველისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე მყიდველისთვის. განა წინააღმდეგ შემთხვევაში გაყიდდა იგი თავის საქონელს? ამიტომ ასეთივე უფლებით შეიძლება გვეთქვა, რომ მყიდველი ასრულებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით (strictly) «წარმოების აქტს», როცა, მაგალითად, ვაჭრის წინდება ფულად აქცევს.

თუ ერთმანეთზე იცვლება ტოლი საცვლელი ღირებულების საქონელი ან საქონელი და ფული, მაშასადამე, ეკვივალენტები, მაშინ, ცხადია, მიმოქცევიდან ვერაფერ ვერ მიიღებს იმაზე მეტ ღირებულებას, რაც მას ამ მიმოქცევაში შეაქვს. ასეთ შემთხვევაში არ ხდება ზედმეტი ღირებულების შექმნა. მაგრამ თავისი წმინდა სახით საქონელთა მიმოქცევის პროცესი ეკვივალენტების გაცვლას განაპირობებს. თუმცა სინამდვილეში ეს პროცესები წმინდა სახით არ მიმდინარეობენ. ამიტომ წარმოვიდგინოთ, რომ ადგილი აქვს არა-ეკვივალენტების გაცვლას.

ყოველ შემთხვევაში საქონლის ბაზარზე მხოლოდ საქონელმფლობელი უპირისპირდება საქონელმფლობელს, და ის ძალა, რომელსაც აქ ეს პირები ერთიმეორის მიმართ იჩენენ, მხოლოდ მათი საქონლის ძალაა. საქონელთა ნივთიერი განსხვავება გაცვლის ნივთიერი მოტივია და საქონელმფლობელთ ხდის ურთიერთ დამოკიდებულს ერთიმეორეზე, რადგან არც ერთ მათგანს არ უპყრია ხელთ თავისი საკუთარი მოთხოვნილების საგანი და ყოველ მათგანს ხელთ აქვს სხვისი მოთხოვნილების საგანი. გარდა მათს სახმარ ღირებულებათა ამ ნივთიერი განსხვავებისა, საქონელთა შორის არსებობს კიდევ მხოლოდ ერთი განსხვავება: განსხვავება მათს ნატურალურ ფორმასა და მათს გარდაქმნილ ფორმას შორის, საქონელსა და ფულს შორის. ამგვარად, საქონელმფლობელნი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ როგორც გამყიდველნი, ე. ი. მფლობელნი საქონლისა, და როგორც მყიდველნი, ე. ი. მფლობელნი ფულისა.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ რაიმე გაუგებარი პრივილეგიის გამო, გამყიდველს შეუძლია საქონელი მის ღირებულებაზე მეტად გაყიდოს, ვთქვათ, 100-ად ღირებული საქონელი — 110-ად, მაშასადამე,

²³ S. P. Newman: «Elements of Political Economy». Andover and New York 1835, გვ. 175.

ფასზე 10%-ის ნომინალური წანამატით. ამრიგად, გამყიდველი იღებს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც 10-ს უდრის. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი გამყიდველი იყო, იგი მყიდველი ხდება. მას ახლა მესამე საქონელმფლობელი უპირისპირდება როგორც გამყიდველი, რომელიც, თავის მხრივ, სარგებლობს პრივილეგიით: საქონელი 10%-ით უფრო ძვირად გაყიდოს. ჩვენმა საქონელმფლობელმა 10 მოიგო როგორც გამყიდველმა, რათა 10 წაეგო როგორც მყიდველს²⁴. საერთოდ, მთელი ეს ამბავი ფაქტიურად იმით თავდება, რომ ყველა საქონელმფლობელი თავის საქონელს ღირებულებაზე 10%-ით მეტად ყიდის, რაც სავსებით იგივეა, მათ რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაეყიდნათ. საქონელთა ფასებზე ამგვარ საყოველთაო ნომინალურ წანამატს ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორც, მაგალითად, საქონელთა ღირებულების შეფასებას ოქროს ნაცვლად ვერცხლით. ფულადი სახელწოდებანი, ე. ი. საქონელთა ფასები, გაიზრდებოდა, მაგრამ საქონელთა ღირებულებითი შეფარდებანი უცვლელი დარჩებოდა.

წარმოვიდგინოთ, პირიქით, რომ მყიდველი აღჭურვილია პრივილეგიით იყიდოს საქონელი მის ღირებულებაზე დაბლა. აქ საჭიროა კი არ არის იმის გახსენება, რომ მყიდველი კვლავ გამყიდველი ხდება. ის უკვე გამყიდველი იყო, სანამ მყიდველი გახდებოდა. როგორც გამყიდველმა, მან უკვე დაქარგა 10%, სანამ ამ 10%-ს მოიგებდა როგორც მყიდველი²⁵. ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება.

მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების შექმნა და, ამიტომ, ფულის კაპიტალად გადაქცევა, არ შეიძლება აიხსნას არც იმით, რომ გამყიდველი საქონელს მის ღირებულებაზე მეტად ყიდის და არც იმით, რომ მყიდველი საქონელს მის ღირებულებაზე დაბლა ყიდულობს²⁶.

²⁴ აპოლუქტის ნომინალური ღირებულების გადიდება... გამყიდველთ არ ამდიდრებს... რადგან ისინი სწორედ იმდენსავე კარავენ როგორც მყიდველნი, რამდენსაც იგებენ როგორც გამყიდველნი («The Essential Principles of the Wealth of Nations etc.». London 1797, გვ. 66).

²⁵ «თუ გამყიდველნი იძულებულნი არიან 18 ლივრად პროდუქტთა ისეთი რაოდენობა გაყიდონ, რომელიც ნამდვილად 24 ლივრის ღირებულებისაა, მაშინ, ისინი, თავის მხრივ, თუ ამ თანხას ყიდვისთვის გამოიყენებენ, 18 ლივრად მიიღებენ იმას, რაშიც 24 ლივრი უნდა გადაეხადათ» (Le Trosne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 897).

²⁶ «არც ერთ გამყიდველს არ შეუძლია თავისი საქონელი მუდამ ძვირად გაყიდოს, ისე რომ იძულებული არ გახდეს სხვა გამყიდველთა საქონელი ასევე მუდამ ძვირად იყიდოს; ამავე მიზეზით არც ერთ მომხმარებელს არ შეუძლია მუდამ ნაკლები გადაიხადოს იმაში, რასაც ყიდულობს, ისე რომ იძულებული არ გახდეს შესა-

პრობლემა სრულიადაც არ გამარტივდება იმით, თუ მასში ფართულად შევიტანთ მისთვის უცხო ურთიერთობას და, მაგალითად, პოლკოვნიკ ტორენსთან ერთად ვიტყვი: «ნამდვილი მოთხოვნა მდგომარეობს მომხმარებელთა უნარსა და მიდრეკილებაში (!) გაიღონ საქონელში, — იქნება ეს უშუალო თუ მეშვეობითი გაცვლის გზით, — კაპიტალის ყველა შემადგენელი ნაწილის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე საქონლის წარმოება ღირსა»²⁷. მიმოქცევაში მწარმოებელნი და მომხმარებელნი ერთმანეთს მხოლოდ გამყიდველთა და მყიდველთა სახით უპირისპირდებიან. მტკიცება, ზედმეტი ღირებულება მწარმოებლისთვის იქიდან წარმოდგება, რომ მომხმარებელნი საქონელში მის ღირებულებაზე მეტს იხდიანო, ნიშნავს მხოლოდ შენიღბული სახით იმ მარტივი დებულების წამოყენებას, თითქოს საქონელმფლობელს, როგორც გამყიდველს, პრივილეგია ჰქონდეს საქონელი ფასზე წამატებით გაყიდოს. გამყიდველმა თვით აწარმოვა საქონელი ან იგი საქონელმწარმოებელთა წარმომადგენელია, მაგრამ მყიდველიც სწორედ ასევე ან თვითონ აწარმოებს საქონელს, რომელიც მისი ფულით არის გამოხატული, ანდა იგი ამ საქონლის მწარმოებელთა წარმომადგენელია. მაშასადამე, მწარმოებელი უპირისპირდება მწარმოებელს. მათ განასხვავებს მხოლოდ ის, რომ ერთი ყიდულობს და მეორე ყიდის. ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ, თუ დავუშვებთ, რომ საქონელმფლობელი, როცა მწარმოებლის სახელით გამოდის, თავის საქონელს ღირებულებაზე უფრო მეტად ყიდის, ხოლო, როცა მომხმარებლის სახელით გამოდის, მას უფრო ძვირად ყიდულობს²⁸.

ამიტომ თანამიმდევრული დამცველნი იმ ილუზიისა, რომ ზედმეტი ღირებულება გამომდინარეობს ფასზე ნომინალური წანამატიდან, ანუ იქიდან, რომ გამყიდველს აქვს პრივილეგია საქონელი ძალიან ძვირად გაყიდოს, გულისხმობენ ისეთი კლასის არსებობას, რომელიც მხოლოდ ყიდულობს და არ ყიდის, მაშასადამე, მხოლოდ მოიხმარს და არ აწარმოებს. იმ თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ აქამდე მივალწიეთ, ე. ი. მარტივი მიმოქცევის თვალსაზრისით, ასეთი კლასის არსებობა ჯერ კიდევ ვერ აიხსნება. მაგრამ გაუუსწროთ წინ ჩვენს

ბამისად დაუკლოს ფასი იმ საქონელზე, რომელსაც ყიდის» (Mercier de la Rivière: «L'Ordre Naturel et Essentiel», «Physiocrates», გამოც. Daire, ნაწ. II, გვ. 555).

²⁷ R. Torrens: «An Essay on the Production of Wealth». London 1821 გვ. 349.

²⁸ «რასაკვირველია, აშკარა აბსურდია ის აზრი, თითქოს მოგებას მომხმარებელი იხდიდეს. განა ვინ არის ეს მომხმარებელი?» (G. Ramsay: «An Essay on the Distribution of Wealth». Edinburgh 1836, გვ. 183).

ანალიზს. ფული, რომლითაც ასეთი კლასი მუდამ ყიდულობს, უნდა მუდამ მოედინებოდეს მისკენ თვით იმავე საქონელმფლობელთაგან, და თანაც გაუცვლელად, მუქთად, რაიმე უფლების ანდა დაკანონებული ძალდატანების საფუძველზე. ამ კლასს რომ საქონელი მის ღირებულებაზე უფრო მეტად მიჰყიდო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოტყუებით უკან დაიბრუნო იმ ფულის ნაწილი, რომელიც მას მუქთად გადაეცია²⁹. ასე, მაგალითად, მცირე აზიის ქალაქები ყოველწლიურ ფულად ხარკს უხდიდნენ ძველ რომს. ამ ფულით რომი მათგან სხვადასხვა საქონელს ყიდულობდა და თანაც მეტად ძვირად ყიდულობდა. მცირეაზიელები ატყუებდნენ რომაელებს იმით, რომ ვაჭრობის გზით უკანვე სტყუებდნენ თავიანთ დამპყრობელთ გადახდილი ხარკის ნაწილს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოტყუებულნი მაინც მცირეაზიელები რჩებოდნენ. თავიანთ საქონელში მათ ყოველ შემთხვევაში მათსავე საკუთარ ფულს უხდიდნენ. ეს არ არის გამდიდრების, ანუ ზედმეტი ღირებულების შექმნის მეთოდი.

მაშასადამე, დავრჩეთ საქონელგაცვლის ფარგლებში, სადაც გამყიდველი მყიდველია და მყიდველი — გამყიდველი. ჩვენი სიძნელე შეიძლება იქიდან წარმოდგა, რომ პიროვნებებს ჩვენ მხოლოდ გაპიროვნებული კატეგორიების სახით განვიხილავდით და არა ინდივიდუალურად.

საქონელმფლობელი *A* შეიძლება იმდენად მოხერხებული იყოს. რომ მუდამ ატყუებდეს თავის კოლეგებს *B*-ს ან *C*-ს, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელთ არ შესწევთ საშუალებას გადახდის უნარი, რაგინდ ამის მსურველნიც იყვნენ. *A* მიჰყიდის *B*-ს 40 გირვანქა სტერლინგად ღირებულ ღვინოს და ამ გაცვლით იძენს 50 გირვანქა სტერლინგად ღირებულ ხორბალს. *A*-მ თავისი 40 გირვანქა სტერლინგი 50 გირვანქა სტერლინგად აქცია, მცირე ყულით მეტი ფული შეიძინა და თავისი საქონელი კაპიტალად გადააქცია. დავაკვირდეთ ამ მოვლენას უფრო ახლო. გაცვლამდე გვექონდა 40 გირვანქა სტერლინგის ღვინო *A*-ს ხელში და 50 გირვანქა სტერლინგის ხორბალი *B*-ს ხელში, ე. ი. 90 გირვანქა სტერლინგი ერთობლივი ღირებულება. გაცვლის შემდეგ

²⁹ «თუ ვინმე თავის საქონელს ვერ ასაღებს, ურჩევს თუ არა ბ-ნი მალთუსი მას თავისი ფული სხვას მისცეს, რათა ამ უკანასკნელმა მისგან საქონელი იყიდოს?» — ასე ეკითხება ერთი აღმწოთებული რიკარდოელი მალთუსი, რომელიც, თავისი მოწადის, ხუცეს ჩალმერსის მსგავსად, ხობბას ასბამს მარტოოდენ მყიდველთა, ანუ მომხმარებელთა კლასის ეკონომიურ მნიშვნელობას. იხ. «An Inquiry into those Principles respecting the Nature of Demand and the Necessity of Consumption, lately advocated by Mr. Malthus etc.». London 1821. გვ. 55.

ჩვენ იგივე ერთობლივი ღირებულება გვაქვს 90 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. მიმოქცევაში მყოფი ღირებულება ერთი ატომითაც არ გადიდებულა, შეიცვალა მხოლოდ მისი განაწილება *A*-სა და *B*-ს შორის. ერთ მხარეზე გვევლინება ზედმეტი ღირებულების სახით ის, რაც მეორე მხარეზე ღირებულების დანაკლისია, ერთ მხარეზე პლუსად გამოდის ის, რაც მეორეზე მინუსია. იგივე ცვლილება მოხდებოდა იმ შემთხვევაშიც, *A*-ს რომ *B*-სთვის პირდაპირ მოეპარა 10 გირვანქა სტერლინგი და გაცვლის ფორმას არ ამოფარებოდა. ცხადია, მიმოქცევაში მყოფ ღირებულებათა ჯამს ვერ გაადიდებს ვერავითარი ცვლილება მათს განაწილებაში, ისე როგორც ებრაელი ვერ გაადიდებს სრულებით ამა თუ იმ ქვეყნის ძვირფასი ლითონების მასას მით, რომ იგი ანა დედოფლის დროინდელ ფარტინგს გინეიზე გაყიდის. ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალისტთა მთელ კლასს არ შეუძლია თავის საკუთარ ხარჯზე მდიდრდებოდეს³⁰.

მაშასადამე, როგორც უნდა იტრიალო, შედეგი მაინც იგივე რჩება. თუ ერთმანეთზე ეკვივალენტები გაიცვლება, არავითარი ზედმეტი ღირებულება არ წარმოიშვება, ხოლო თუ არა-ეკვივალენტების გაცვლა ხდება, ასევე არავითარი ზედმეტი ღირებულება არ წარმოიშვება³¹. მიმოქცევა, ანუ საქონელგაცვლა, არავითარ ღირებულებას არა ქმნის³².

³⁰ დესტიუტ-დე-ტრასი, მიუხედავად იმისა, ანდა, შეიძლება, სწორედ იმიტომ, რომ იგი *Membre de l'Institut* [ინსტიტუტის წევრი] იყო, საწინააღმდეგო შეხედულებას იზიარებდა. მრეწველი კაპიტალისტები, ამბობს იგი, თავიანთ მოგებას იმით იღებენ, რომ ისინი ყველა საქონელს უფრო ძვირად ყიდნიან, ვიდრე მათი წარმოება ღირს. და ვისლა მიჰყდიან ამ საქონელს? პირველ ყოვლისა, ერთიმეორეს» (*Traité de la Volonté et de ses Effets*. Paris 1826, გვ. 239).

³¹ «ორი ერთმანეთის ტოლი ღირებულების გაცვლა არც ადიდებს და არც ამცირებს საზოგადოებაში არსებულ ღირებულებათა მასას. ორი უთანატოლო ღირებულების გაცვლა... აგრეთვე სრულებით არ ცვლის საზოგადოებრივ ღირებულებათა ჯამს, იგი მხოლოდ უმატებს ერთის ჯონებას იმას, რასაც მეორის ჯონებას აკლებს (J. B. Say: *Traité d'Economie Politique*. Paris 1817, ტ. II, გვ. 443, 444). სეი, რომელიც, რასაკვირველია, სრულიად არ ფიქრობს ამ დებულებიდან გამომდინარე დასკვნებზე, თითქმის სიტყვასიტყვით სესხულობს მას ფიზიოკრატებისაგან. თუ რა-რიგად გამოიყენა მან მის დროს მივიწყებული თხზულებები ფიზიოკრატებისა თავისი საკუთარი «ღირებულების» გასადიდებლად, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს. *Monsieur* სეის «განთქმული» დებულება: «პროდუქტს მხოლოდ პროდუქტით ყიდულობენ» (იქვე, ტ. II, გვ. 441) ფიზიოკრატის ორიგინალში (Le Trosne: *De l'Intérêt Social*, «Physiocrates», გამ. Dairo, Paris 1846, გვ. 899) ასეა გამოთქმული: პროდუქტის გადახდა მხოლოდ პროდუქტით შეიძლება».

³² «გაცვლა პროდუქტებს საზოგადოდ არავითარ ღირებულებას არ მატებს» (F. W. A. L. A. N. D.: *The Elements of Political Economy*. Boston 1853, გვ. 169).

ამიტომ გასაგებია, რომ კაპიტალის ძირითადი ფორმის ჩვენს ანალიზში, იმ ფორმის ანალიზში, რომლითაც კაპიტალი თანამედროვე საზოგადოების ეკონომიურ ორგანიზაციას განსაზღვრავს, კაპიტალის პოპულარულ და, ასე ვთქვათ, წარღვნამდელ ფორმებს, ე. ი. სავაჭრო კაპიტალს და მევახშურ კაპიტალს, ჯერჯერობით სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ.

საკუთრივ სავაჭრო კაპიტალში ფორმა ფ — ს — ფ', ე. ი. ყიდვა, რათა უფრო ძვირად გაყიდო, ყველაზე უფრო წმინდა სახით გვევლინება. მეორე მხრივ: მთელი მისი მოძრაობა მიმოქცევის სფეროში მიმდინარეობს. მაგრამ, რადგან შეუძლებელია თვით მიმოქცევიდან აეხსნათ ფულის კაპიტალად გადაქცევა, ზედმეტი ღირებულების წარმოქმნა, ამიტომ შეუძლებლად გვეჩვენება სავაჭრო კაპიტალის არსებობა, რამდენადაც ეკვივალენტების ერთმანეთზე გაცვლა ხდება³³; ამიტომ მისი არსებობა შეიძლება აეხსნათ მხოლოდ მყიდველ და გამყიდველ საქონელმწარმოებელთა ორმხრივი მოტყუებით მათ შორის პარაზიტული ვაჭრის მიერ. ამ მნიშვნელობით ამბობს ფრანკლინი: «ომი ძარცვაა, ხოლო ვაჭრობა — მოტყუება»³⁴. სავაჭრო კაპიტალის ზრდა რომ სხვანაირად აეხსნათ და არა საქონელმწარმოებელთა უბრალო მოტყუებით, ამისთვის საჭიროა მთელი რიგი შუალედური რგოლები, რომელნიც აქ, სადაც ჩვენს ერთადერთ წანამძღვარს საქონელმიმოქცევა და მისი მარტივი მომენტები შეადგენენ, სრულიად არ მოგვეპოვება.

რაც სავაჭრო კაპიტალზე ვთქვით, იგივე ითქმის კიდევ მეტი უფლებით მევახშურ კაპიტალზე. სავაჭრო კაპიტალში ორი კიდური პუნქტი — ფული, რომელსაც ბაზარზე გადაისვრიან, და გაზრდილი ფული, რომელსაც ბაზრიდან ამოიღებენ — დაკავშირებულია ერთმანეთთან ყოველ შემთხვევაში ყიდვისა და გაყიდვის მეშვეობით, მიმოქცევის მოძრაობის მეშვეობით. მევახშურ კაპიტალში კი ფორმა

³³ «უცვლელი ეკვივალენტების ბატონობის დროს ვაჭრობა შეუძლებელი იქნებოდა» (G. O p d y k e: «A Treatise on Political Economy». New York 1851, გვ. 66 — 69). «იმ განსხვავებას, რომელიც რეალურ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის არსებობს, საფუძვლად უდევს სახელდობრ ის ფაქტი, რომ ნივთის ღირებულება განსხვავდება ვერაფროდებული ეკვივალენტისაგან, რომელსაც მასში ვაჭრობის დროს იძლევიან, ე. ი. რომ ეს ეკვივალენტი არ არის ეკვივალენტი» (F. Engels: «Umriss zu einer Kritik der Nationalökonomie», «Deutsch-Französische Jahrbücher». Paris 1844, გვ. 95, 96). [შეად. ფ. ენგელსი: «ნარკვევები» პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი 1947, გვ. 17.]

³⁴ Benjamin Franklin. «Works», ტ. II, გამოც. Sparks-ისა «Positions to be examined concerning National Wealth»-ში, გვ. 376.

ფ — ს — ფ' შეეკვეცილია და კიდური პუნქტები ყოველივე მოსაშუალო რგოლის გარეშე არიან დაკავშირებული ერთმანეთთან: ფ — ფ', ფული, რომელიც მეტ ფულზე იცვლება; ეს ფორმა ფულის ბუნებას ეწინააღმდეგება და, მაშასადამე, მისი ახსნა საქონელგაცვლის თვალსაზრისით შეუძლებელია. ამიტომ არისტოტელე ამბობს: «ქრემატისტიკა ორგვარია, ერთი ვაჭრობას ეკუთვნის, მეორე — ეკონომიკას; უკანასკნელი აშუცილებელია და ქების ღირსი, პირველი დაფუძნებულია მიმოქცევაზე და სამართლიანად არის გაკიცხული (რადგან იგი არ არის ბუნებრივი და ურთიერთ მოტყუებაზეა დამყარებული). ამიტომ მევახშეობა ყველას სამართლიანად სძაგს, რადგან აქ თვით ფულია შეძენის წყარო და არ იხმარება იმისათვის, რისთვისაც იგი შემოღებული იყო. ფული ხომ საქონელგაცვლისათვის წარმოიშვა, პროცენტი კი ფულით მეტ ფულს აკეთებს. აქედანაა მისი სახელწოდებაც («*τραπεζα*» «პროცენტი» და «*შობილი*»). რადგან შობილი მშობელს წააგავს. მაგრამ პროცენტი ფულია ფულისაგან, ისე რომ შეძენის ყველა სხვა დარგთან შედარებით იგი უაღრესად არაბუნებრივია»³⁵.

ჩვენი გამოკვლევის შემდგომ მსვლელობაში ვნახავთ, რომ პროცენტმომტანი კაპიტალიც, სავაჭრო კაპიტალის მსგავსად, ნაწარმოები ფორმაა, და ამასთანავე ერთად ვნახავთ, თუ რატომ გვევლინებიან ისინი ისტორიულად კაპიტალის თანამედროვე ძირითად ფორმაზე უფრო ადრე.

როგორც გამოირკვა, ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება მიმოქცევამ წარმოშვას, მაშასადამე, მისი შექმნის დროს მიმოქცევის ზურგს უკან ისეთი რამ უნდა ხდებოდეს, რაც თვით მიმოქცევის პროცესში უხილავია³⁶. მაგრამ შეიძლება ზედმეტი ღირებულება საიდანმე სხვაგვარად წარმოიშვას, თუ არა მიმოქცევის პროცესიდან? მიმოქცევა საქონელმფლობელთა ყველა ურთიერთდამოკიდებულების ჯამია. მიმოქცევის გარეშე საქონელმფლობელი დამოკიდებულებაშია ჯერ კიდევ მხოლოდ თავის საკუთარ საქონელთან. რაც შეეხება ამ უკანასკნელის ღირებულებას, ეს დამოკიდებულება შემოიფარგლება იმით, რომ საქონელი შეიცავს მისი მფლობელის საკუთარი შრომის გარკვეულ რაოდენობას, რომელიც განსაზღვრული საზოგადოებრივი კანონების მიხედვით გაიზომება. შრომის ეს რაოდენობა გამოიხატება

³⁵ Aristoteles: «De Republica», წიგ. I. თავი 10 [გვ. 17].

³⁶ «მოგება ბაზრის ჩვეულებრივ პირობებში გაცვლით არ იქმნება. ის რომ უწინ არ ყოფილიყო, მაშინ მას არც ამ გარეგნის შემდეგ შეეძლო ყოფნა» («*Ramsay: An Essay on the Distribution of Wealth*». Edinburgh 1836. გვ. 184).

მისი საქონლის ღირებულების სიდიდით და რადგან ღირებულების სიდიდე საანგარიშო ფულში არის წარმოდგენილი, ამიტომ აღნიშნული შრომის რაოდენობა გამოიხატება საქონლის ფასით, მაგალითად, 10 გირვანქა სტერლინგით. მაგრამ მისი შრომა არ გამოიხატება საქონლის ღირებულებით და ამ ღირებულების ნამეტით, არ გამოიხატება ფასით, რომელიც 10-ს უდრის და იმავე დროს — 11-ს, ე. ი. არ გამოიხატება ღირებულებით, რომელიც თავის თავზე მეტია. საქონელმფლობელს შეუძლია თავისი შრომით შექმნას ღირებულებანი, მაგრამ არა თვითმზარდი ღირებულებანი. მას შეუძლია საქონლის ღირებულება გაადიდოს იმით, რომ იგი არსებულ ღირებულებას ახალი შრომით ახალ ღირებულებას მიუმატებს, მაგალითად, ტყავისაგან ფეხსაცმელს გააკეთებს. იმავე ნივთიერებას ახლა მეტი ღირებულება აქვს, რადგან იგი შრომის უფრო მეტ რაოდენობას შეიცავს. ამიტომ ფეხსაცმელს მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე ტყავს, მაგრამ ტყავის ღირებულება იგივე დარჩა, რაც იყო. ეს ღირებულება არ გაზრდილა, ფეხსაცმლის წარმოების დროს მას არ მიმატებია ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, შეუძლებელია საქონელმწარმოებელმა მიმოქცევის სფეროს გარეშე, სხვა საქონელმფლობელებთან ურთიერთობაში შეუსვლელად, გაადიდოს ღირებულება და ამიტომ ფული ან საქონელი კაპიტალად გადააქციოს.

მაშასადამე, კაპიტალი არ შეიძლება მიმოქცევიდან წარმოიშვას და ასევე არ შეიძლება მიმოქცევიდან არ წარმოიშვას. იგი ერთსა და იმავე დროს მიმოქცევაში და არა მიმოქცევაში უნდა წარმოიშვას. ამრიგად, ჩვენ ორადი შედეგი მივიღეთ.

ფულის კაპიტალად გადაქცევა უნდა აიხსნას საქონელგაცვლის იმანენტური კანონების საფუძველზე, ასე რომ ამოსავალ პუნქტად ეკვივალენტების გაცვლა უნდა ჩაითვალოს³⁷. ჩვენმა ფულის მფლო-

³⁷ მოკემული ახსნა-განმარტების შემდეგ მკითხველი გაიგებს, რომ ეს მხოლოდ შემდეგს ნიშნავს: კაპიტალის წარმოქმნა შესაძლებელი უნდა იყოს მაშინაც, როცა საქონლის ფასი საქონლის ღირებულებას უდრის. იგი არ შეიძლება აიხსნას საქონლის ფასის საქონლის ღირებულებისაგან გადახრით. თუ ფასი ღირებულებისაგან მართლა იხრება, მაშინ იგი ჯერ უნდა დავიყვანოთ ამ უკანასკნელზე, ე. ი. გვერდი უნდა აუღებოთ ამ გარემოებას, როგორც სრულიად შემთხვევითს, რათა წმინდა სახით წარმოვიდგინოთ საქონელგაცვლის საფუძველზე კაპიტალის წარმოქმნის ფენომენი და რათა მისი განხილვის დროს შეცდომაში არ შეგვიყვანოს ხელშემშლელმა და საქმის ნამდვილი ვითარებისათვის უცხო, მეორეხარისხოვანმა, გარემოებებმა. თუმცა ენობილია, რომ ასეთი დაყვანა სრულებითაც არ არის მართოდენ მეცნიერული პროცედურა. საბაზრო ფასების მუდმივი რყევა, მათი აწევა და დაწევა, ერთმანეთს ჰფარავს და სპობს და თავისთავად დაიყვანება საშუალო ფასზე როგორც თავის შინა-

ბელმა, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ კაპიტალისტის ჩანასახს წარმოადგენს, საქონელი მისი ღირებულების მიხედვით უნდა იყიდოს. მისი ღირებულების მიხედვით უნდა გაყიდოს და, ბოლოს, მიუხედავად ამისა, პროცესის დასასრულს მისგან მეტი ღირებულება მიიღოს, ვიდრე შიგ მოათავსა. მისი გადაქცევა პეპელად უნდა ხდებოდეს მიმოქცევის სფეროში და იმავე დროს არა მიმოქცევის სფეროში. ასეთია პრობლემის პირობები. *Hic Rhodus, hic salta!* [იი როდოსი, აქ გადახტი!]

3. საშუალო ძალის ყიდვა და გაყიდვა

იმ ფულის ღირებულების ცვლილება, რომელიც კაპიტალად უნდა გადაიქცეს, არ შეიძლება თვით ფულში მოხდეს, რადგან როგორც ყიდვის საშუალება ან როგორც გადახდის საშუალება, ფული მხოლოდ იმ საქონლის ფასის რეალიზაციას ახდენს, რომელსაც ფულით ყიდულობენ ან რომელშიც ფულს იხდიან, მაშინ როდესაც ფული, შეჩერებული თავის საკუთარ ფორმაში, ღირებულების უცვლელ სიდიდედ ქვევდება³⁸. ასევე ნაკლებად შეიძლება ეს ცვლილება წარმოშვას მიმოქცევის მეორე აქტმა, საქონლის ხელახალმა გაყიდვამ, რადგან ეს აქტი საქონელს მხოლოდ ნატურალური ფორმიდან ისევ ფულად ფორმად აქცევს. მაშასადამე, ცვლილება უნდა მოხდეს თვით საქონელში, რომელსაც პირველ აქტში ფ — ს ყიდულობენ, და არა მის ღირებულებაში, რადგანაც ადგილი აქვს ეკვივალენტების გაცვლას. ამასთან საქონელში ფასს იხდიან მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით. მაშასადამე, ცვლილება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ საქონლის

გან ნორმაზე. ეს უკანასკნელი გზისმანათობელი ვარსკვლავია, მაგალითად, ვაჭრის ან მრეწველისათვის ყოველ წამოწყებაში, რომელიც ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ დროს მოითხოვს. მაშასადამე, მან კარგად იცის, რომ, თუ საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მთლიანად განვიხილავთ, საქონელი სინამდვილეში არც მეტად გაიყიდება და არც ნაკლებად, არამედ იგი გაიყიდება მისი საშუალო ფასის მიხედვით. მაშასადამე, დაუინტერესებელი აზროვნება რომ საერთოდ მის ინტერესს წარმოადგენდეს, კაპიტალის წარმოქმნის პრობლემა მას ასე უნდა დაეყენებინა: რანაირად შეიძლება კაპიტალი წარმოიშვას იმ პირობებში, როცა ფასების რეგულირება ხდება საშუალო ფასით, ე. ი. საბოლოო ანგარიშით საქონლის ღირებულებით? ვაპობ: «საბოლოო ანგარიშით», რადგან საშუალო ფასები და საქონელთა ღირებულების სიდიდენი პირდაპირ არ ემთხვევიან ერთმანეთს, როგორც ეს ა. სმიტს, რიკარდოს და სხვებს ჰგონიათ.

³⁸ «ფულის ფორმაში... კაპიტალი მოგებას არ ქნის» (Ricardo: «Principles of Political Economy», გამოც. მე-3, London 1821, გვ. 267). [შუად. დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 189.]

სახმარი ღირებულებიდან როგორც ასეთიდან, ე. ი. მისი მოხმარებიდან. ჩვენმა ფულის მფლობელმა რომ ამა თუ იმ საქონლის მოხმარებიდან ღირებულება მიიღოს, იგი ისეთი ბედნიერი უნდა იყოს, რომ მიმოქცევის სფეროს ფარგლებში, ე. ი. ბაზარზე, აღმოაჩინოს საქონელი, რომლის სახმარ ღირებულებასაც თვით ექნებოდა ის განსაკუთრებული თვისება, რომ იგი ღირებულების წყაროა, — ისეთი საქონელი, რომლის ფაქტიური მოხმარების პროცესიც, ამრიგად, თვით იქნებოდა შრომის გასაგნობრივების პროცესი, მაშასადამე, ღირებულების შექმნის პროცესი. და ფულის მფლობელი პოულობს კიდევ ბაზარზე ასეთ სპეციფიკურ საქონელს — შრომის უნარს, ანუ სამუშაო ძალას.

სამუშაო ძალად, ანუ შრომის უნარად, ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობას, რაც ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს, და რაც ადამიანს მოძრაობაში მოჰყავს ყოველთვის, როცა რაიმე სახეობის სახმარ ღირებულებას აწარმოებს.

მაგრამ იმისათვის, რომ ფულის მფლობელმა სამუშაო ძალა საქონლის სახით ბაზარზე იპოვოს, შესრულებული უნდა იყოს სხვადასხვა პირობა. საქონელგაცემა თავისთავად დამოკიდებულების არავითარ სხვა ურთიერთობას არ შეიცავს, გარდა იმ ურთიერთობისა, რომელიც მისი საკუთარი ბუნებიდან გამომდინარეობს. ამ წინამძღვრის მიხედვით სამუშაო ძალას შეუძლია გამოვიდეს ბაზარზე როგორც საქონელი მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად, როცა და რამდენადაც მას ბაზარზე გამოიტანს ანუ გაყიდის როგორც საქონელს მისი საკუთარი მფლობელი, ე. ი. პიროვნება, რომლის სამუშაო ძალასაც ის წარმოადგენს. მისმა მფლობელმა რომ ის გაყიდოს როგორც საქონელი, იგი მის განკარგულებაში უნდა იყოს, მაშასადამე, იგი თავისი შრომის უნარის, თავისი პიროვნების თავისუფალი მესაკუთრე უნდა იყოს³⁹. სამუშაო ძალის მესაკუთრე და ფულის მფლობელი ერთმანეთს ხედებიან ბაზარზე და ერთიმეორესთან ურთიერთობაში შედიან როგორც თანასწორუფლებიანი საქონელმფლობელნი, რომელნიც ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ერთი მყიდველია, მეორე კი გამყიდველი, მაშასადამე, ორივე იურიდიულად თანა-

³⁹ ძველი კლასიკური დროის რეალურ ენციკლოპედიებში შეიძლება კაცმა ამოიკითხოს ის უაზრობა, თითქოს ანტიკურ ქვეყანაში კაპიტალი საცესებით განვითარებული იყო, — აკლდა მხოლოდ თავისუფალი მუშა და საკრედიტო დაწესებულებანი. ბ-ნი მომზენიც არა ერთსა და ორ *quid pro quo*-ს სჩადის თავის *«რომის ისტორიაში»*.

სწორი პიროვნებაა. ამ ურთიერთობის ხანგრძლივი არსებობა მოითხოვს, რომ სამუშაო ძალის მესაკუთრემ თავისი საქონელი მუდამ მხოლოდ განსაზღვრული ვადით გაყიდოს, რადგან, თუ იგი მას მთლიანად და ერთხელ და სამუდამოდ გაყიდის, ამით თავის თავს გაყიდის და თავისუფალი მოქალაქედან გადაიქცევა მონად, საქონელმფლობელიდან — საქონლად. როგორც პიროვნებას, მას მუდამ უნდა ჰქონდეს დამოკიდებულება თავის სამუშაო ძალასთან როგორც თავის საკუთრებასთან და, მაშასადამე, როგორც თავის საკუთარ საქონელთან, და ეს კი შეუძლია მას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის თავის სამუშაო ძალას ყოველთვის მხოლოდ დროებით, განსაზღვრული ვადით, გადასცემს მყიდველს მის განკარგულებაში, მოხმარებისათვის, მაშასადამე, რამდენადაც იგი სამუშაო ძალის გასხვისებით ამ ძალის საკუთრებაზე ხელს არ იღებს⁴⁰.

მეორე არსებითი პირობა იმისათვის, რომ ფულის მფლობელმა სამუშაო ძალა ბაზარზე საქონლის სახით იპოვოს, იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო ძალის მფლობელი, ნაცვლად იმისა, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდეს გაყიდოს საქონელი, რომელშიც გასაგნობრივებულია მისი შრომა, პირიქით, იძულებული უნდა იყოს გასაყიდად გაიტანოს საქონლის სახით თვით თავისი სამუშაო ძალა, რომელიც მხოლოდ მის ცოცხალ ორგანიზმში არსებობს.

⁴⁰ ამიტომ სწვადასხვა კანონმდებლობა განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადას შრომითი ზელშეკრულებისათვის. იმ ხალხებში, სადაც შრომა თავისუფალია, ყველა კანონმდებლობა აწესებს ზელშეკრულების შეწყვეტის პირობებს. სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით მექსიკაში (ამერიკის სამოქალაქო ომამდე აგრეთვე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მექსიკას ჩამოაშორეს, და არსებითად დუნის პაროენციებშიც კუზას გადატრიალებამდე), მონობა არსებობს ფარული ფორმით, ეგრეთწოდებული «პეონაჟის» სახით. იმ სესხის მეოხებით, რომელიც შრომამიგებით უნდა იქნას გადახდილი, და რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის, არა მარტო ცალკეული მუშა, არამედ მთელი მისი ოჯახიც ფაქტიურად სხვა პირთა და მათი ოჯახების საკუთრება ხდება. ზუარესმა გააუქმა «პეონაჟი». ეგრეთწოდებულმა იმპერატორმა მაქსიმილიანემ კვლავ შემოიღო იგი დეკრეტით, რომელიც წარმომადგენელთა ვაშინგტონის პალატაში სამართლიანად იყო დაგმობილი როგორც მექსიკაში მონობის ხელახლა შემომღები დეკრეტი. «მე შემძლია... ზღვარდებული ვადით გავასხვისო სხვა პირზე ჩემი განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი უნარითა და მოქმედების შესაძლებლობით სარგებლობა, რადგან ყოველივე ეს ამ ზღვარდების შემდეგ მხოლოდ გარეგნულ მიმართებ.შია ჩემს მთლიანობასა და საყოველთაობასთან. მაგრამ თუ მე გავასხვისებდი მთელ ჩემს დროს, რომელიც შრომის პროცესში იღებს კონკრეტულ სახეს, გავასხვისებდი ჩემი მწარმოებლური მოქმედების მთლიანობას, ამით მე სხვის საკუთრებად გადავაქცევი ამ მოქმედების არსს, ჩემს საყოველთაო მოქმედებას და სინამდვილეს, ჩემს პიროვნებას» (H e g e l: «Philosophie des Rechts». Berlin 1840, გვ. 104, § 67).

იმისათვის, რომ ვინმეს შეეძლოს სამუშაო ძალისაგან განსხვავებული რაიმე საქონელი გაყიდოს, რასაკვირველია, მას უნდა ჰქონდეს წარმოების საშუალებანი, მაგალითად, ნედლი მასალა, შრომის იარაღები და სხვა. მას არ შეუძლია უტყავოდ ფეხსაცმლის დამზადება. გარდა ამისა, იგი საჭიროებს საარსებო საშუალებებს. არავის, თვით მეოცნებესაც კი, რომელიც მომავლის მუსიკას ქმნის, არ შეუძლია იარსებოს მომავლის პროდუქტებით, მაშასადამე, არ შეუძლია იარსებოს იმ სახმარი ღირებულებებით, რომელთა წარმოება ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, და როგორც თავისი გაჩენის პირველ დღეს დედამიწაზე, ისე ახლაც ადამიანი უნდა საზრდოობდეს ყოველდღიურად, ვიდრე წარმოებას დაიწყებდეს და მაშინაც, როდესაც აწარმოებს. თუ პროდუქტები საქონელთა სახით მზადდება, მაშინ მათი წარმოების დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს მათი გაყიდვა, და მხოლოდ ამ გაყიდვის შემდეგ შეუძლიათ მათ დააკმაყოფილონ მწარმოებლის მოთხოვნილებანი. წარმოებისათვის აუცილებელ დროს ემატება გაყიდვისათვის აუცილებელი დრო.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ფულის მფლობელმა თავისი ფული კაპიტალად გადააქციოს, მან საქონლის ბაზარზე უნდა იპოვოს თავისუფალი მუშა, თავისუფალი ორნაირი მნიშვნელობით: ჯერ-ერთი იმ მხრივ, რომ მუშას, როგორც თავისუფალ პიროვნებას, თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს სამუშაო ძალა როგორც თავისი საქონელი, მეორე, იმ მხრივ, რომ მას არ უნდა გააჩნდეს გასაყიდად არავითარი სხვა საქონელი, — იგი ცარიელ-ტარიელი, თავისუფალი უნდა იყოს მისი სამუშაო ძალის პრაქტიკული გამოყენებისათვის საჭირო ყველა საგნისაგან.

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ უპირისპირდება ეს თავისუფალი მუშა მიმოქცევის სფეროში ფულის მფლობელს, არ აინტერესებს ფულის მფლობელს, რომელიც მზად პოულობს შრომის ბაზარს როგორც საქონლის ბაზრის განსაკუთრებულ განყოფილებას. იგი ჯერ-ჯერობით ჩვენც ასევე ნაკლებად გვიანტერესებს. ჩვენ ამ ფაქტს ვემყარებით თეორიულად, როგორც ფულის მფლობელი ემყარება მას პრაქტიკულად. ერთი რამ მაინც აშკარაა: ბუნება არ ქმნის ერთ მხარეზე ფულისა და საქონლის მფლობელთ, მეორე მხარეზე მარტოდენ საკუთარი სამუშაო ძალის მფლობელთ. ეს ურთიერთობა არ არის ბუნებრივ-ისტორიული და ასევე ნაკლებად არის იგი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ყველა ისტორიული პერიოდისთვის საერთო იყოს. ცხადია, ეს ურთიერთობა თვით წარმოადგენს წარსული ისტორიული განვითარების შედეგს, მრავალ ეკონომიურ

გადატრიალებათა პროდუქტს, საზოგადოებრივი წარმოების მთელ რიგ უფრო ძველ ფორმაციათა დაღუპვის პროდუქტს.

ის ეკონომიური კატეგორიებიც, რომელთაც ჩვენ უწინ განვიხილავდით, თავიანთი ისტორიული წარმოშობის კვალს ატარებენ. პროდუქტის არსებობა საქონლის სახით გარკვეულ ისტორიულ პირობებს გულისხმობს. იმისათვის, რომ საქონლად იქცეს, პროდუქტი არ უნდა იქნას წარმოებული როგორც უშუალო საარსებო საშუალება თვით მწარმოებლისათვის. კვლევა-ძიება რომ განგვეგრძო და გვეკითხა, თუ რა პირობებში იღებს ყველა პროდუქტი და თუნდაც მათი უმრავლესობა საქონლის ფორმას, მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ ეს მხოლოდ სრულიად სპეციფიკური, კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე ხდება. მაგრამ ასეთი კვლევა-ძიება საქონლის უშუალო ანალიზს დაშორდებოდა. საქონელწარმოებას და საქონელმიმოქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტთა დიდი უმრავლესობა, უშუალოდ საკუთარი მოხმარებისათვის განკუთვნილი, საქონლად არ იქცევა. მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების პროცესი ჯერ კიდევ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არ დაქვემდებარებია საცვლელი ღირებულების ბატონობას. პროდუქტის გადაქცევა საქონლად შრომის იმდენად განვითარებულ დანაწილებას გულისხმობს საზოგადოების შიგნით, რომ სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რომელიც უშუალო გაცვლითი ვაჭრობის დროს ეს-არის იწყება, უკვე დამთავრებულია. მაგრამ განვითარების ასეთი საფეხური საერთოა ისტორიულად უაღრესად სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისათვის.

თუ ჩვენ ახლა ფულს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი საქონელ-გაცვლის განსაზღვრულ დონეს გულისხმობს. ფულის განსაკუთრებული ფორმები — საქონლის უბრალო ეკვივალენტი, ან მიმოქცევის საშუალება, ან გადახდის საშუალება, განძი და მსოფლიო ფული — აღნიშნავენ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ სხვადასხვაა ამა თუ იმ ფუნქციის გამოყენების მოცულობა და როგორ სჭარბობს შედარებით ესა თუ ის ფუნქცია, საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის განვითარების მეტად სხვადასხვა საფეხურს. მიუხედავად ამისა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველა ამ ფორმის შესაქმნელად საკმარისია შედარებით სუსტად განვითარებული საქონელმიმოქცევა. სხვაგვარადაა საქმის ვითარება კაპიტალის მიმართ. მისი არსებობის ისტორიული პირობები სრულიადაც არ ამოიწურება საქონლისა და ფულის მიმოქცევის არსებობით. კაპიტალი მხოლოდ იქ წარმოიშვება, სადაც წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა მფლობელი

ბაზარზე ნახულობს თავისუფალ მუშას როგორც თავისი სამუშაო ძალის გამყიდველს, და უკვე ეს ერთი ისტორიული პირობა შეიცავს მთელ მსოფლიო ისტორიას. ამიტომ კაპიტალი იმთავითვე გვაუწყებს საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის განსაკუთრებული ეპოქის დადგომას⁴¹.

ეს თავისებური საქონელი, სამუშაო ძალა, ჩვენ ახლა უფრო ახლოს უნდა განვიხილოთ. როგორც ყველა სხვა საქონელს, მასაც ღირებულება აქვს⁴². რით განისაზღვრება ეს ღირებულება?

სამუშაო ძალის ღირებულება, მსგავსად ყველა სხვა საქონლის ღირებულებისა, განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რომელიც აუცილებელია ამ სპეციფიკური საქონლის წარმოებისთვის, მაშასადამე, მისი კვლავწარმოებისთვისაც. რამდენადაც სამუშაო ძალა ღირებულებაა, იგი თვით წარმოადგენს მხოლოდ მასში გასაგნობრივებული საზოგადოებრივი საშუალო შრომის განსაზღვრულ რაოდენობას. სამუშაო ძალა არსებობს მხოლოდ როგორც ცოცხალი ინდივიდის უნარი. მაშასადამე, სამუშაო ძალის წარმოება გულისხმობს ამ ინდივიდის არსებობას. რაკი ინდივიდის არსებობა მოცემულია, სამუშაო ძალის წარმოება მდგომარეობს თვითონ ინდივიდის კვლავწარმოებაში, ანუ მისი სიცოცხლის შენარჩუნებაში. ცოცხალი ინდივიდი თავისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საჭიროებს საარსებო საშუალებათა გარკვეულ რაოდენობას. მაშასადამე, სამუშაო ძალის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო უდრის იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია ამ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად, ანუ სამუშაო ძალის ღირებულება არის იმ საარსებო საშუალებათა ღირებულება, რომელნიც აუცილებელია მისი მფლობელის არსებობის შესანარჩუნებლად. მაგრამ სამუშაო ძალა ხორციელდება მხოლოდ მისი გარეგანი გამოვლინებით, იგი მხოლოდ შრომაში მჟღავნდება. ხოლო სამუშაო ძალის მოქმედების, შრომის პროცესში იხარჯება ადამიანის კუნთების, ნერვების, ტვინის და სხვ. განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ხელახლა უნდა ანაზღაურდეს. ეს გაძლიერებული დახარჯვა

⁴¹ ამრიგად, კაპიტალისტურ ეპოქას ანასიათებს ის, რომ სამუშაო ძალა თვით მუშისთვის მისი კუთვნილი საქონლის ფორმას იღებს, მაშასადამე მისი შრომა — დაჭირავებული შრომის ფორმას. მეორე მხრივ, მხოლოდ ამ მომენტიდან იღებს შრომის პროდუქტთა საქონლური ფორმა საყოველთაო ხასიათს.

⁴² ღირებულება (value or worth) ადამიანისა, ისევე როგორც ყველა სხვა ნივთისა, მისი ფასია, ე. ი. იმდენი, რამდენსაც მისი ძალის მოხმარებაში იძლევიან (T. h. Hobbes: «Leviathan», «Works»-ში, გამოც. Molesworth, London 1839 — 1844, ტ. III, გვ. 76).

გაძლიერებულ ანაზღაურებას მოითხოვს⁴³. სამუშაო ძალის მესაკუთრეს, რომელმაც დღეს იშრომა, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ხვალაც გაიმეოროს იგივე პროცესი ძალღონისა და ჯანმრთელობის იმავე პირობებში. მაშასადამე, საარსებო საშუალებათა რაოდენობა უნდა საკმარისი იყოს იმისათვის, რომ შეინახოს მშრომელი ინდივიდი, როგორც ასეთი, მისი ცხოვრების ნორმალურ მდგომარეობაში. თვით ბუნებრივი მოთხოვნილებანი, როგორცაა, მაგალითად, საზრდო, ტანსაცმელი, გათბობა, ბინა და სხვ., სხვადასხვანაირია ამა თუ იმ ქვეყნის კლიმატურ და სხვა ბუნებრივ თავისებურებათა მიხედვით. მეორე მხრივ, ეგრეთწოდებულ აუცილებელ მოთხოვნილებათა მოცულობა, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილების წესი, თვით არის ისტორიული პროდუქტი და ამიტომ დამოკიდებულია მეტწილად ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ დონეზე, სხვათა შორის, არსებითად იმაზეც, თუ რა პირობებში და, მაშასადამე, რა ჩვეულებებით და სასიცოცხლო მოთხოვნებით ჩამოყალიბდა თავისუფალი მუშათა კლასი⁴⁴. მაშასადამე ყველა სხვა საქონლისაგან განსხვავებით, სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრა ისტორიულ და მორალურ ელემენტს შეიცავს. მაგრამ განსაზღვრულ ქვეყანაში და განსაზღვრულ პერიოდში მუშისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა რაოდენობა საშუალოდ მოცემულ სიდიდეს წარმოადგენს.

სამუშაო ძალის მესაკუთრე მოკვდავია. მაშასადამე, იმისათვის, რომ ბაზარზე მისი გამოსვლა უწყვეტი იყოს, როგორც ამას გულისხმობს ფულის განუწყვეტელი გადაქცევა კაპიტალად, სამუშაო ძალის გამყიდველმა უნდა მარადპყოს თავისი თავი, «ისევე როგორც მარადყოფს თავის თავს ყოველი ცოცხალი ინდივიდი, ე. ი. გამრავლების გზით»⁴⁵. ის სამუშაო ძალა, რომელიც გაცვეთის ან სიკვდილის გამო ბაზარს აკლდება, უნდა განუწყვეტლივ ხელახლა შეიცვალოს ახალი სამუშაო ძალის სულ ცოტა იმავე რაოდენობით მაინც. მაშასადამე, სამუშაო ძალის წარმოებისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა რაოდენობა შეიცავს ამ სამუშაო ძალის შემცველ ადამიანთა, ე. ი. მუშათა

⁴³ ძველ რომში *villicus*, როგორც მეურნე, რომელიც სოფლის მეურნეობის მონების სათავეში იღდა, იღებდა «უფრო ნაკლებს, ვიდრე მონები, რადგან იგი მათთან შედარებით უფრო მსუბუქ შრომას ეწეოდა» (Th. Mommsen: «Römische Geschichte», 1856 გვ. 810).

⁴⁴ შეად. W. Th. Thornton: «Overpopulation and its Remedy». London 1846.

⁴⁵ პეტი.

შვილების, საარსებო საშუალებებსაც, ასე რომ ამ თავისებურ საქონელ-მფლობელთა რასა საქონლის ბაზარზე მარადისდება⁴⁶.

ადამიანის საერთო ბუნების ისე გარდასაქმნელად, რომ მან შეიძინოს დახელოვნება და გაწაფულობა შრომის განსაზღვრულ დარგში, გადაიქცეს განვითარებულ და სპეციფიკურ სამუშაო ძალად, საქიროა გარკვეული სწავლა ანუ აღზრდა, რომელიც, თავის მხრივ, საქონლის ეკვივალენტების მეტი ან ნაკლები რაოდენობა ღირს. სწავლაზე გაწეული ეს ხარჯები სხვადასხვაა სამუშაო ძალის მეტი თუ ნაკლები კვალიფიკაციის მიხედვით. მაშასადამე, სწავლის ეს ხარჯები, რომელნიც ჩვეულებრივი სამუშაო ძალისათვის სრულიად უმნიშვნელოა, ამ ძალის წარმოებაზე დახარჯულ ღირებულებათა საერთო რაოდენობაში შედის.

ამრიგად, სამუშაო ძალის ღირებულება დაიყვანება საარსებო საშუალებათა განსაზღვრული ჯამის ღირებულებაზე. ამიტომ იგი იცვლება ამ საარსებო საშუალებათა ღირებულებასთან ერთად, ე. ი. მათი წარმოებისათვის საქირო სამუშაო ღრის სიდიდესთან ერთად.

საარსებო საშუალებათა ერთი ნაწილი, მაგალითად, კვების პროდუქტები, სათბობი მასალა და სხვ. ყოველდღიურად მოიხმარება და ყოველდღიურადვე ხელახლა უნდა ანაზღაურდეს. სხვა საარსებო საშუალებანი კი, როგორცაა მაგალითად, ტანისამოსი, ავეჯი და სხვ., მოიხმარება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ამიტომ ისინი შედარებით ხანგრძლივი დროის განვლის შემდეგ საქიროებენ აღდგენას. ზოგიერთი საქონელის ყიდვა ან მისი საფასურის გადახდა საქიროა ყოველდღე, ზოგის — ყოველკვირა, ან ყოველ სამ თვეში ერთხელ და სხვა. მაგრამ, როგორც უნდა განაწილდეს ამ ხარჯების ჯამი, მაგალითად, მთელი წლის განმავლობაში, იგი უნდა დაიფაროს ყოველდღიური საშუალო შემოსავლით. თუ სამუშაო ძალის წარმოებისთვის ყოველდღიურად საქირო საქონლის მასა = A -ს, ყოველკვირეულად საქირო = B -ს, ყოველკვარტალურად საქირო = C -ს და სხვ., მაშინ ამ საქონელთა ყოველდღიური საშუალო რაოდენობა = $\frac{365 A + 52 B + 4 C + \text{და ა. შ.}}{365}$. თუ დავუშვებთ, რომ ამ საშუალო

⁴⁶ ამის (შრომის) ბუნებრივი ფასი... აუცილებელ საარსებო საშუალებათა და კომფორტის საგნების იმ რაოდენობას წარმოადგენს, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ჰავისა და ჩვეულებების მიხედვით საქიროა იმისათვის, რომ თვითონ მუშა შეინახოს და მას შეაძლებინოს ისეთი ოჯახის რჩენა, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე შრომის შეუსუსტებელ მიწოდებას» (R. Torrens: «An Essay on the External Corn Trade». London 1815, გვ. 62). სიტყვა «შრომა» აქ შეცდომით არის ნახმარი სამუშაო ძალის ნაცვლად.

დღისათვის აუცილებელი საქონლის მასა შეიცავს 6 საათის საზოგადოებრივ შრომას, მაშინ სამუშაო ძალაში ყოველდღიურად გასაგნობრივდება საზოგადოებრივი საშუალო შრომის ნახევარი დღე, ანუ სამუშაო ძალის ყოველდღიური წარმოებისათვის საჭირო იქნება სამუშაო დღის ნახევარი. შრომის ეს რაოდენობა, რომელიც სამუშაო ძალის ყოველდღიური წარმოებისთვის არის საჭირო, შეადგენს მის დღიურ ღირებულებას, ანუ ყოველდღიურად კვლავწარმოებული სამუშაო ძალის ღირებულებას. თუ საზოგადოებრივი საშუალო შრომის ნახევარი დღე ასევე 3 შილინგი ოქროთი, ანუ 1 ტალერი ოქროთი, გამოიხატება, მაშინ ერთი ტალერი იქნება ის ფასი, რომელიც სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებას შეესაბამება. თუ საშუალო ძალის მფლობელი ამ ძალას ყოველდღე ერთ ტალერად ყიდის, მაშინ მისი გასაყიდი ფასი მის ღირებულებას უდრის და, ჩვენი ვარაუდის თანახმად, ფულის მფლობელიც, რომელსაც დაუცხრომელი წყურვილი აქვს თავისი ტალერი კაპიტლად აქციოს, ამ ღირებულებას იხდის.

სამუშაო ძალის ღირებულების უდაბლეს, ანუ მინიმალურ, საზღვარს ქმნის იმ საქონელთა მასის ღირებულება, რომელთა ყოველდღე მიუწოდებლად სამუშაო ძალის მატარებელს, ადამიანს, არ შეუძლია განაახლოს თავისი სასიცოცხლო პროცესი, მაშასადამე, ამ მინიმალურ საზღვარს ქმნის ფიზიკურად აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება. თუ სამუშაო ძალის ფასი ამ მინიმუმამდე დაიწვეს, მაშინ იგი დაიწვეს თავის ღირებულებაზე დაბლა, რადგან ამ პირობებში სამუშაო ძალის შენარჩუნება და გამოვლენა მხოლოდ დაუძლურებული სახით შეიძლება. ყოველი საქონლის ღირებულება კი განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა ნორმალური ხარისხის საქონლის საწარმოებლად.

მეტისმეტად იაფფასიანი სანტიმენტალობა იქნებოდა, თუ ჩვენ უხეშ განსაზღვრად მივიჩნევდით სამუშაო ძალის ღირებულების ასეთ განსაზღვრას, საგნის ბუნებიდან გამომდინარე განსაზღვრას, და ჩივილით ვიტყოდით როსის მსგავსად: «შრომის უნარის (*puissance de travail*) ისე განხილვა, რომ წარმოების პროცესის დროს შრომის შესანარჩუნებლად საჭირო საარსებო საშუალებანი მხედველობაში არ მიიღო, ნიშნავს საკუთარი ფანტაზიის ქმნილების (*être de raison*) განხილვას. ვინც ამბობს შრომას, ვინც ამბობს შრომის უნარს, იგი იმავე დროს ამბობს მუშას და მუშის საარსებო საშუალებებს, მუშას და ხელფასს»⁴⁷. როცა ვინმე ამბობს შრომის უნარით, ეს არ

⁴⁷ Rossi: «Cours d'Économie Politique». Bruxelles 1842, გვ. 370.

ნიშნავს, რომ ამბობს შრომაო, და ასევე როცა ვინმე ამბობს საქმლის მონელების უნარიო, არ ნიშნავს, რომ ამბობს საქმლის მონელებაო. ამ უკანასკნელი პროცესისთვის, როგორც ვიცით, მარტო კარგი სტომაქი არ კმარა. ვინც შრომის უნარზე ლაპარაკობს, იგი გვერდს არ უხვევს მის შესანარჩუნებლად საჭირო აუცილებელ საარსებო საშუალებებს. პირიქით, ამ საარსებო საშუალებათა ღირებულება შრომის უნარის ღირებულებითაა გამოხატული. ეს შრომის უნარი უსარგებლოა მუშისთვის, თუ იგი მას ვერ გაყიდის, უფრო მეტიც, მუშა ულმობელ ბუნებრივ აუცილებლობად განიცდის იმ გარემოებას, რომ მისმა შრომის უნარმა საარსებო საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობა მოითხოვა თავისი წარმოებისთვის და მუდამ ახლად და ახლად მოითხოვს მათ თავისი კვლავწარმოებისათვის. იგი მაშინ სისმონდისთან ერთად აღმოაჩენს: «შრომის უნარი... არა არის რა, თუ იგი გაყიდული არ არის»⁴⁸.

ამ სპეციფიკური საქონლის, სამუშაო ძალის, თავისებური ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ მყიდველსა და გამყიდველს შორის ხელშეკრულების დადებით მისი სახმარი ღირებულება ჯერ კიდევ ფაქტიურად მყიდველის ხელში არ გადადის. მისი ღირებულება, მსგავსად ყველა სხვა საქონლის ღირებულებისა, განსაზღვრული იყო, სანამ იგი მიმოქცევაში შევიდოდა, რადგან სამუშაო ძალის წარმოებისათვის უკვე დახარჯული იყო საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, მაგრამ მისი სახმარი ღირებულება მდგომარეობს მხოლოდ მის შემდგომ აქტიურ გამოვლინებაში. ამიტომ სამუშაო ძალის გასხვისება და მისი ნამდვილი გამოვლინება, ე. ი. მისი არსებობა სახმარი ღირებულების სახით დროის მიხედვით ერთმანეთს სცილდება. ხოლო ისეთი საქონლის გაყიდვის დროს, რომლის სახმარი ღირებულების ფორმალური გასხვისება და ამ სახმარი ღირებულების მყიდველისათვის ფაქტიურად გადაცემა დროის მანძილით ერთმანეთს დაშორებულია, — მყიდველის ფული უმეტეს ნაწილად მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება⁴⁹. ყველა ქვეყანაში, სადაც კაპიტალისტური

⁴⁸ S i m o n d i: «Nouveaux Principes d'Économie Politique», ტ. I, გვ. 113.

⁴⁹ «ყოველ შრომას მხოლოდ მისი შესრულების შემდეგ ისტუმრებენ» («An Inquiry into those Principles respecting the Nature of Demand etc.» [London 1821], გვ. 104). «კომერციული კრედიტის დასაწყისი იმ მომენტს უნდა მივაკუთვნოთ, რთდესაც მუშას, წარმოების ამ პირველ შემოქმედს, თავისი დანაზოგის გამო შესაძლებლობა მიეცა დალოდებოდა თავისი შრომის გასამრჯელოს გარკვეული ვადის — კვირის, ორი კვირის, თვის, სამი თვის და ა. შ. — გასულამდე» (Ch. G a n i l h: «Des Systèmes d'Économie Politique», მე-2 გამოც., Paris 1821, ტ. II, გვ. 150).

წარმოების წესი არსებობს, სამუშაო ძალის ფასს ისტუმრებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან უკვე იმოქმედა იმ ვადის განმავლობაში, რაც მისი ყიდვის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაგალითად, ყოველი კვირის ბოლოს. ამრიგად, მუშა თავისი სამუშაო ძალის სახმარ ღირებულებას ყველგან ავენისი სახით აძლევს კაპიტალისტს; იგი ნებას აძლევს მყიდველს მისი სამუშაო ძალა მოიხმაროს, სანამ ეს მყიდველი მის ფასს გადაიხდიდეს, მაშასადამე, მუშა ყველგან კრედიტს უხსნის კაპიტალისტს. ეს კრედიტი რომ უბრალო გამონაგონი არ არის, ამას გვიჩვენებს არა მარტო კრედიტორის მიერ ხელფასის დაკარგვა, რასაც ადგილი აქვს კაპიტალისტის გაკოტრების შემთხვევაში⁵⁰, არამედ აგრეთვე მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც უფრო ხანგრძლივ გავლენას ახდენენ⁵¹. მაგრამ თვით საქონელგაცვლის ბუნება არ იცვლება იმით, თუ რა სახით მოქმედებს ფული: როგორც ყიდვის საშუალება, თუ როგორც გადახდის საშუალება. სამუშაო ძალის ფასი, ისევე როგორც სახლის ქირა, განსაზღვრულია ხელშეკრულების

⁵⁰ «მუშა თავის სამუშაო ძალას სესხის სახით იძლევა», მაგრამ, ცბიერად დასძენს შტორხს, ის «არავითარ რისკს არ ეწევა», გარდა «თავისი ხელფასის დაკარგვისა, ... რადგან მუშას წარმოებაში არაფერი მატერიალური არ შეაქვს» (Storch: «Cours d'Économie Politique». Petersbourg 1815, ტ. II, გვ. 36, 37).

⁵¹ აი მაგალითი. ლონდონში ორნაირი სახაბაზოა: «full priced», სადაც პურს მისი სრული ღირებულების მიხედვით ყიდიან, და «undersellers», სადაც პურს მის ღირებულებაზე დაბლა ყიდიან. ხაბაზთა ეს უკანასკნელი კატეგორია შეადგენს მათი საერთო რიცხვის 3/4-ზე მეტს (გვ. XXXII, მთავრობის კომისიის პ. ს. ტრემენჯირის «Reports»-ში «Grievances complained of by the journeymen bakers etc.» შესახებ. London 1862). ეს undersellers-ები ყიდიან, თითქმის უკლებლივ, ისეთ პურს, რომელიც ფალსიფიცირებულია შაბის, საპნის, კალაქის, კირის, დერბიშირის დაფქვილი ქვის შერევით და სხვა ამგვარი სასიამოვნო, ნოყიერი და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ინგრედიენტებით. (იხ. ზემომოხსენებული ლურჯი წიგნი, აგრეთვე ანგარიში «Committee of 1855 on the Adulteration of Bread» და დოქტორ ჰესელის — «Adulterations Detected», მე-2 გამ., London 1861.) სერჯონ გორდონმა თავის ჩვენებაში კომიტეტის წინაშე 1855 წელს განაცხადა, რომ «ასეთი ფალსიფიკაციის გამო ის ღარიბი, რომლის დღიურ საზრდოს ორი გირვანქა პური შეადგენს, სინამდვილეში ახლა ამ მასაზრდოვებელი ნივთიერების ერთ მეოთხედსაც ვერ იღებს, იმას რომ თავი დავანებოთ, თუ რა მავნე გავლენას ახდენს ეს ფალსიფიკაცია მის ჯანმრთელობაზე». იმის მიუხედავად, თუ რატომ, რომ «მუშათა კლასის ძალიან დიდი ნაწილი», მიუხედავად იმისა, რომ მისთვის კარგად ცნობილია ეს ფალსიფიკაცია, მაინც ყიდულობს შაბს, დაფქვილ ქვას და სხვ., ტრემენჯირი (ზემოაღნიშნულ მოხსენებაში, გვ. XLVIII) შემდეგ გარემოებას ასახელებს: მუშები «იძულებული არიან თავიანთ ხაბაზს ან მეწერილმანეს ისეთი პური გამოართვან, როგორც მიცემაც ამ უკანასკნელთ მოეხასიათებათ». რადგან მუშები თავიანთ ხელფასს სამუშაო კვირის მხოლოდ დამლევს იღებენ, ამიტომ იმ პურის ფასს გადახდაც, რომელსაც

დადების დროს, თუმცა მისი რეალიზაცია შემდეგ ხდება. სამუშაო ძალა უკვე გაყიდულია, თუმცა მასში ფასს მხოლოდ შემდეგ იხდიან. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა მისი წმინდა სახით გავიგოთ, სასარგებლო იქნება ჯერჯერობით ვიგულისხმოთ, რომ სამუშაო ძალის მფლობელი თავისი საქონლის გაყიდვასთან ერთად ყოველთვის ხელშეკრულებით დათქმულ ფასსაც ღებულობს.

ჩვენ ახლა ვიცით, თუ რა წესით განისაზღვრება ღირებულება, რომელსაც ფულის მფლობელი უხდის ამ თავისებური საქონლის, სამუშაო ძალის, მფლობელს. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება, რომელსაც ფულის მფლობელი, თავის მხრივ, გაცვლის დროს იღებს, მქლავნდება მხოლოდ სამუშაო ძალის ნამდვილ გამოყენებაში, მისი მოხმარების პროცესში. ამ პროცესისთვის საჭირო ყველა ნივთს, როგორც, მაგალითად, ნედლ მასალას და სხვ., ფულის მფლობელი

მათი ოჯახები ხარჯავენ მთელი კვირის განმავლობაში, მათ მხოლოდ ამ კვირის დამლევს შეუძლიათ. ამის შემდეგ ტრემენჩირი დასძენს და ამას მოწმეების ჩვენებით ადასტურებს: «საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეთი ნარევი პური საგანგებოდ ამგვარი მუშტრისთვის მზადდება» (*It is notorious that bread composed of those mixtures, is made expressly for sale in this manner*). ინგლისის მრავალ სასოფლო-სამეურნეო ოლქში (განსაკუთრებით კი შოტლანდიისა) ხელფასს ორ კვირაში და თვეშიც კი ერთხელ იძლევიან. გადახდის ამ ხანგრძლივი ვადების გამო სოფლის მეურნეობის მუშა იძულებულია ნისიად იყიდოს მისთვის საჭირო საქონელი... მან ყველაფერში მაღალი ფასები უნდა იხადოს და ფაქტიურად მიჯაჭვულია იმ საწვარილმანოზე, რომელიც მას ნისიად აძლევს საქონელს. ასე, მაგალითად, ჰორინგს-ჰემში (უილტში), სადაც ხელფასი მუნას თვეში ერთხელ ეძლევა, მას 2 შილინგი და 4 პენსი უჯდება stone [14 გირანქა] ფქვილი, რაც სხვაგან 1 შილინგი და 10 პენსად შეუძლია იყიდოს» (*Sixth Report on Public Health by The Medical Officer of the Privy Council etc.*, 1864, გვ. 264). «1853 წელს პეიზლის და კილმარნოკის (დასავლეთი შოტლანდია) დამხითავებმა გაფიცვის საშუალებით მიაღწიეს ხელფასის გადახდის ვადის შემცირებას ერთი თვიდან ორ კვირამდე» (*Reports of the Inspectors of Factories for 31st October 1853*, გვ. 34). როგორც შემდგომი სასიამოვნო განვითარება იმ კრედიტისა, რომელსაც მუშა კაპიტალისტი უხსნის, შეიძლება განვიხილოთ ინგლისის ქვანახშირის მალარობის მფლობელთა მეთოდი, რომლის მიხედვით მუშას კაპიტალისტი ხელფასს თვის დამლევს აძლევს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში მუშა კაპიტალისტისაგან იღებს სესხს, ხშირად საქონლის სახით, რომელშიც იგი იძულებულია საბაზრო ფასზე მეტი გადაიხადოს (*Trucksystem*). ქვანახშირის მრეწველთა შორის საერთო ჩვეულებაა ხელფასის თვეში ერთხელ გადახდა და მანამდე მუშებისთვის ყოველი კვირის დამლევს ავანსის მიცემა. ამ ავანსის მიცემა ხდება დუქანში (სახელდობრ *tommyshop*-ში, ე. ი. საწვარილმანო დუქანში, რომელიც თვით ამ მალარობის პატრონს ეკუთვნის); მუშები აქ ერთ კეთხეში ფულს იღებენ და მაშინვე მეორე კუთხეში ისევ უკან აბრუნებენ» (*Children's Employment Commission, 3rd Report. London 1864, გვ. 38, № 192*).

საქონლის ბაზარზე ყიდულობს და მასში სრულ ფასს იხდის: სამუშაო ძალის მოხმარების პროცესი იმავე დროს საქონლისა და ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესია. სამუშაო ძალის მოხმარება, მსგავსად ყოველი სხვა საქონლის მოხმარებისა, ბაზრის, ანუ მიმოქცევის სფეროს, გარეთ მიმდინარეობს. ამიტომ დავეტოვოთ ეს მყვირალა, ზედაპირული და ყველასთვის ხელმისაწვდომი სფერო და ფულის მფლობელთან და სამუშაო ძალის მფლობელთან ერთად წავიდეთ წარმოების ფარულ ადგილას, რომლის ბჭესთან ვკითხულობთ: **No admittance except on business.** [უსაქმოდ შესვლა აკრძალულია.] აქ ჩვენ ვავეცნობით არა მარტო იმას, თუ როგორ აწარმოებს კაპიტალი, არამედ იმასაც, თუ როგორ აწარმოებენ თვით მას, კაპიტალს. მოგების მიღების საიდუმლოება, ბოლოს, უნდა გადაიშალოს ჩვენ თვალწინ.

მიმოქცევის, ანუ საქონელგაცვლის სფერო, რომლის ფარგლებში სამუშაო ძალის ყიდვა და გაყიდვა წარმოებს, ადამიანის თანდაყოლილ უფლებათა მართლაც ნამდვილი საშობეა. აქ მხოლოდ თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება და ბენტამი ბატონობს. თავისუფლება! ვინაიდან ამა თუ იმ საქონლის, მაგალითად, სამუშაო ძალის, მყიდველი და გამყიდველი მხოლოდ საკუთარ თავისუფალ ნებისყოფას მიჰყვება. ისინი ხელშეკრულებებს დებენ, როგორც თავისუფალი, იურიდიულად თანასწორი პიროვნებანი. ხელშეკრულება ის საბოლოო შედეგია, რომლითაც მათი ნებისყოფა თავის საერთო იურიდიულ გამოხატულებას პოულობს. თანასწორობა! ვინაიდან ისინი ერთმანეთთან დამოკიდებულებაში შედიან მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი და ეკვივალენტს ეკვივალენტზე ცვლიან. საკუთრება! ვინაიდან თვითფულის განკარგულებაში მხოლოდ ისაა, რაც მისია. ბენტამი! ვინაიდან თვითფული მათგანი მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს. ერთადერთი ძალა, რომელიც მათ ერთმანეთს შეახვედრებს და ურთიერთდამოკიდებულებაში აყენებს, არის მათი ანგარების, მათი საკუთარი სარგებლობის და მათი კერძო ინტერესების ძალა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თვითფული, ამგვარად, მხოლოდ თავის თავისთვის ზრუნავს და სხვისთვის კი არავინ, ისინი ყველანი, ნივთთა წინასწარ განსაზღვრული ჰარმონიის ძალით, ან ყოველდამოხერხებული განგების ხელმძღვანელობით, მხოლოდ თავიანთ ურთიერთ სარფას, თავიანთ საერთო სარგებლობას და საერთო ინტერესს ახორციელებენ.

როდესაც მარტივი მიმოქცევის, ანუ საქონელგაცვლის, სფეროს ვცილდებით, სფეროს, საიდანაც ფრიტრედერი vulgaris ჰკრებს შეხედულებებს, ცნებებს და მასშტაბს თავისი მსჯელობისათვის

კაპიტალისა და დაქირავებული შრომის საზოგადოების შესახებ, — ჩვენ ვამჩნევთ, რომ უკვე იცვლება რამდენადმე ჩვენი *dramatis personae* [მოქმედ პირთა] ფიზიონომია. ყოფილი ფულის მფლობელი წინ მიაბიჯებს როგორც კაპიტალისტი, ხოლო სამუშაო ძალის მფლობელი უკან მისდევს მას როგორც მისი მუშა; პირველი მრავალმნიშვნელოვნად იღიმება და საქმის დაწყება სწყურია, მეორე კი თავჩაქინდრული, უგულოდ მიჩანჩალებს, როგორც ადამიანი, რომელმაც თავისი საკუთარი ტყავი ბაზარზე გაიტანა გასაყიდად და მომავალში არაფერს მოელის, გარდა ამ ტყავის დათრიმვისა.

განყოფილება მესამე

ახსოლუგური ზედმედი ღირებულების წარმოება

თავი მესამე

ზრომის პროცესი და ღირებულების ზრდის პროცესი

1. ზრომის პროცესი

სამუშაო ძალის მოხმარება თვით ზრომაა. სამუშაო ძალის მყიდველი მოიხმარს ამ ძალას იმით, რომ იგი მის გამყიდველს ამუშავებს. ამის გამო სამუშაო ძალის გამყიდველი ხდება *actus* [სინამდვილეში] მოქმედი სამუშაო ძალა, მუშა, მაშინ როდესაც უწინ იგი ასეთი იყო მხოლოდ *potentia* [პოტენციურად]. თავისი ზრომა რომ საქონლით გამოხატოს, მან იგი უწინარეს ყოვლისა უნდა გამოხატოს სახმარი ღირებულებებით, ნივთებით, რომელნიც რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. მაშასადამე, კაპიტალისტი მუშას ამზადებინებს რაიმე განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებას, რაიმე განსაზღვრულ საგანს. ის გარემოება, რომ სახმარი ღირებულების, ანუ დოვლათის, წარმოება კაპიტალისტისთვის და მის კონტროლქვეშ ხდება, სრულიად არ ცვლის ამ წარმოების საერთო ბუნებას. ამიტომ ზრომის პროცესი უნდა განვიხილოთ თავდაპირველად ყოველივე განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად.

ზრომა არის უწინარეს ყოვლისა პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალოებს, აწესრიგებს და კონტროლს უწყევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირისპირდება როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები,

თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. როცა ის ამ მოძრაობის საშუალებით გარეშე ბუნებაზე შემოქმედებას ახდენს და ცვლის მას, იგი იმავე დროს ცვლის თავის საკუთარ ბუნებასაც. იგი ავითარებს საკუთარ ბუნებაში მთვლენარე სხვადასხვა უნარს და ამ ბუნების ძალთა ლალ მოძრაობას თავის საკუთარ ნებას უმორჩილებს. ჩვენ აქ შრომის ცხოველისებურ პირველ ინსტიქტურ ფორმებს არ ვეხებით. საზოგადოების იმ მდგომარეობასთან შედარებით, როდესაც მუშა თავისი საკუთარი სამუშაო ძალის გამოყენებად გამოდის საქონლის ბაზარზე, პირველყოფილ ხანას მიეკუთვნება ის მდგომარეობა, როდესაც ადამიანის შრომას ჯერ კიდევ ვერ ჩამოუშორებია თავისი თავდაპირველი ინსტიქტური ფორმა. შრომას ჩვენ ვვულისხმობთ ისეთი ფორმით, რომლითაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს. ობობა ასრულებს ისეთ ოპერაციებს, რომელნიც ფეიქრის ოპერაციებს მოგვაგონებენ, და ფუტკარი თავისი ფიჭის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწვილებს. მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკარისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჯრედს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი. შრომის პროცესის დასასრულს ვლებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს; იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს. და ეს დაქვემდებარება განცალკევებულ აქტს როდი წარმოადგენს. გარდა იმ ორგანოების დაძაბვისა, რომელნიც შრომას ასრულებენ, მთელი ამ შრომის განწავლობაში აუცილებელია მიზანშეწონილი ნებისყოფა, რომელიც ყურადღების სახით ვლინდება, და აუცილებელია მით უფრო, რაც უფრო ნაკლებ იტაცებს შრომა მუშას თავისი შინაარსით და შესრულების წესით, მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებ სიამოვნებას აყენებს მუშას შრომა როგორც მისი საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალების თავისუფალი მოძრაობა.

შრომის პროცესის მარტივი მომენტებია: მიზანშეწონილი მოქმედება, ანუ თვით შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალებანი. დედამიწა (ეკონომიური თვალსაზრისით წყალიც მას მიეკუთვნება) იმ სახით, რა სახითაც იგი თავდაპირველად ადამიანს ამარაგებს

საზრდოთი, მზა საარსებო საშუალებებით¹, არსებობს სრულიად მის დაუხმარებლად როგორც ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი. ყველა ნივთი, რომელთაც შრომა მხოლოდ გამოაცალკეებს დედამიწასთან უშუალო დაკავშირებიდან, ბუნების მიერ მოცემული საგნებია შრომისა. ასე, მაგალითად, თევზი, რომელსაც იჭერენ, მისი საარსებო სტიქიიდან — წყლიდან — გამოითიშება, ხე, რომელსაც უღრან ტყეში ჭრიან, მადანი, რომელსაც მისი ბუდობიდან იღებენ. პირიქით, თუ შრომის საგანი თვით უკვე, ასე ვთქვათ, წინანდელი შრომით არის დაწმენდილი, მაშინ ჩვენ მას ნედლ მასალას ვუწოდებთ. ასეთია, მაგალითად, ამოღებული მადანი, რომელიც გარეცხვის პროცესშია. ყოველი ნედლი მასალა შრომის საგანია, მაგრამ შრომის ყოველი საგანი ნედლი მასალა როდია. შრომის საგანი ნედლ მასალას წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან შრომის მეშვეობით უკვე ცვლილება განიცადა.

შრომის საშუალება არის ნივთი ანუ კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ. მუშა სარგებლობს ნივთთა მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, რათა, თავისი მიზნის შესაბამისად, გამოიყენოს ისინი როგორც ძალა-საშუალებანი სხვა ნივთებზე ზემოქმედებისათვის². საგანი, რომელსაც მუშა უშუალოდ ეუფლება, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ მზამზარეულ საარსებო საშუალებათა მოპოვებას, მაგალითად, ნაყოფის მოგროვებას, როდესაც მარტოოდენ მუშის საკუთარი სხეულის ორგანოები ასრულებენ შრომის საშუალებათა როლს, — არის არა შრომის საგანი, არამედ შრომის საშუალება. ამრიგად, საგანი, მოცემული თვით ბუნების მიერ, იქცევა მისი მოქმედების ორგანოდ, რომელსაც იგი თავისი საკუთარი სხეულის

¹ ისე გვეჩვენება, თითქოს დედამიწის თვითმოსულ ნაყოფს, რომელიც მცირეა რაოდენობით და ადამიანისგან სრულიად დამოუკიდებელი, იმგვარადვე იძლეოდეს ბუნება, როგორც ახალგაზრდა კაცს ეძლევა მცირე თანხა, რათა ამ თანხით მან საქმიანობის გზა გაიკვალოს და თავისი ცხოვრება მოაწყოს» (James Stewart: «Principles of Political Economy», გამოც. Dublin 1770, ტ. I, გვ. 116).

² «გონება ისევე ხერხიანია, როგორც ძალღვანი. ხერხიანობა საერთოდ მდგომარეობს იმ მეშვეობითი სახის მოქმედებაში, რომელიც, აიძულებს რა ობიექტებს მათი ბუნების შესაბამისად ზემოქმედება მოახდინონ ერთმანეთზე და ურთიერთდამუშავება განიცადონ, ისე რომ თვითონ უშუალოდ ამ პროცესში არ ერევა, — მაინც მხოლოდ თავის მიზანს ახორციელებს» (Hegel: «Encyklopädie», ნაწილი I. «Die Logik», Berlin 1840, გვ. 382).

ორგანოებს უმატებს და ამით, წინააღმდეგ ბიბლიისა, თავის ბუნებრივ სხეულს აგრძელებს. დედამიწა მისი საზრდოს თავდაპირველი საკუქნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც. დედამიწა მას აძლევს, მაგალითად, ქვას, რომელსაც იგი იყენებს სასროლად, სახეხად, საწნეველად, საჭრელად და სხვა. თვით დედამიწაც შრომის საშუალებაა, მაგრამ მისი, როგორც შრომის საშუალების, გამოყენება მიწათმოქმედებაში, თავის მხრივ, გულისხმობს შრომის მთელ რიგ სხვა საშუალებათა არსებობას და სამუშაო ძალის შედარებით მაღალ განვითარებას³. თუ შრომის პროცესი საერთოდ რამდენადმე მანაც განვითარებულია, იგი საჭიროებს უკვე შრომის დამუშავებულ საშუალებებს. უძველესი დროის ადამიანთა გამოქვაბულებში ჩვენ ვპოულობთ ქვის სამუშაო იარაღებსა და საჭურველს. დამუშავებულ ქვასა, ხესა, ძვლებსა და ნიჟარასთან ერთად კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში შრომის საშუალების მთავარ როლს ასრულებს მოშინაურებული, მაშასადამე, უკვე შრომის მეოხებით გარდაქმნილი, გამოზრდილი ცხოველი⁴. შრომის საშუალებათა გამოყენება და შექმნა, თუმცა ეს ჩანასახის ფორმით უკვე ზოგიერთი გვარეობის ცხოველებსაც მოეპოვებათ, სპეციფიკურად ადამიანის შრომის პროცესს ახასიათებს და ამიტომ ფრანკლინი ადამიანს განსაზღვრავს როგორც «a toolmaking animal»-ს, იარაღის მკეთებელ ცხოველს. რა მნიშვნელობაც ძვლების ნაშთების აგებულებას აქვს გამქრალ ცხოველების გვარეობათა ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს გამქრალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება⁵. შრომის საშუალებანი არა მარტო საზოგადოებად ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიც შრომა იწარმოებს. თვით შრომის საშუალებებს შორის შრომის მექანიკური

³ თავის სხვა მხრივ უბადრუკ ნაწარმოებში: «Théorie de l'Économie Politique», Paris 1815 [ტ. I, გვ. 266], განილს ფიზიოკრატების საწინააღმდეგოდ ჩამოთვლილი აქვს სრული სისწორით ვრცელი მწკრივი შრომის პროცესებისა, რომელნიც საკუთრივ მიწათმოქმედების წინამძღვარს წარმოადგენენ.

⁴ თავის თხზულებაში: «Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses» (1766) [Oeuvres, გამოც. Daire. ტ. I] ტიურგო კარგად არკვევს მოშინაურებული ცხოველის მნიშვნელობას კულტურის დასაწყისისათვის.

⁵ ყველა საქონლიდან საკუთრივ ფუფუნების საგნებს ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წარმოების სხვადასხვა ეპოქის ტექნოლოგიური შედარებისათვის.

საშუალებანი, რომელთა ერთობლიობასაც შეიძლება ეწოდოს წარმოების ძვალ-კუნთოვანი სისტემა, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმოების ეპოქისათვის გაცილებით უფრო ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ, ვიდრე შრომის ისეთი საშუალებანი, რომელნიც მხოლოდ შრომის საგნის შენახვას ემსახურებიან და რომელთა ერთობლიობასაც ზოგადად წარმოების სისხლძარღვოვანი სისტემა შეიძლება ეწოდოს, როგორცაა, მაგალითად, მიღები, კასრები, კალათები, ქილები და სხვ. მხოლოდ ქიმიურ წარმოებაში ასრულებენ ესენი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს^{5a}.

გარდა იმ ნივთებისა, რომელთა მეშვეობით შრომა ზემოქმედებას ახდენს შრომის საგანზე და რომელნიც, მაშასადამე, ამა თუ იმ სახით შრომის მოქმედების გამტარებელნი არიან, შრომის პროცესის საშუალებებს, ამ სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობით, მიეკუთვნება ყველა მატერიალური პირობები, რომელნიც საერთოდ საჭიროა იმისათვის, რათა პროცესი წარმოებდეს. ეს პირობები არ შედის უშუალოდ შრომის პროცესში, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველთა გარეშე ან სრულიად ვერ იწარმოებს, ანდა მხოლოდ არასრულყოფილად იწარმოებს. შრომის ამგვარ საყოველთაო საშუალებას წარმოადგენს კვლავ დედამიწა თვითონ, რადგან იგი მუშას აძლევს *locus standi* [საყრდენ საფუძველს], ხოლო მის პროცესს — მოქმედების არეს (*field of employment*). ამგვარ შრომის საშუალებებს, უკვე განხორციელებულთ შრომის მეშვეობით, წარმოადგენენ, მაგალითად, სამუშაო შენობები, არხები, გზები და სხვ.

მაშასადამე, შრომის პროცესში ადამიანის მოქმედება შრომის საშუალებათა მეოხებით შრომის საგნის წინასწარ გათვალისწინებულ ცვლილებას ახდენს. პროცესი პროდუქტში იფერფლება. შრომის პროცესის პროდუქტი არის სახმარი ღირებულება, ბუნების ნივთიერება, რომელიც ფორმის ცვლილების გზით შეგუებულია ადამიანის მოთხოვნილებებთან. შრომა შეუერთდა შრომის საგანს. შრომა გასაგნობრივდა და საგანი გადამუშავდა. ის, რაც მუშის მხარეზე მოძრაობის [Unruhe] ფორმით ვლინდებოდა, ახლა პროდუქტის მხარეზე

^{5a} შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. თუმცა დღემდე ისტორიულ მეცნიერებას ძალიან ნაკლებად აქვს შესწავლილი მატერიალური წარმოების განვითარება, მაშასადამე, საფუძველი მოვლი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, ამიტომ, ნაშვლი ისტორიისაც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ისტორიამდელი ხანა მაინც, ბუნების მეცნიერული და არა ევრეთწოდებული ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველზე, დაყოფილია იარაღებისა და საჭურვლის მასალათა მიხედვით ქვის ხანად, ბრინჯაოს ხანად და რკინის ხანად.

ვლინდება მკვიდრი თვისების [ruhende Eigenschaft] ფორმით, ყოფიერების ფორმით. მუშამ დაართა და პროდუქტი ნართია.

თუ მთელ პროცესს მისი შედეგის, პროდუქტის, თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ორივე, შრომის საშუალება და შრომის საგანი, გვევლინება როგორც წარმოების საშუალებანი⁶, თვით შრომა კი — როგორც მწარმოებლური შრომა⁷.

როცა ერთი სახმარი ღირებულება შრომის პროცესიდან პროდუქტის სახით გამოდის, სხვა სახმარი ღირებულებანი, წინანდელი შრომითი პროცესების პროდუქტები, შედიან მასში წარმოების საშუალებათა სახით. ერთი და იგივე სახმარი ღირებულება, რომელიც ერთი შრომითი პროცესის პროდუქტია, მეორე შრომითი პროცესისათვის წარმოების საშუალებას შეადგენს. ამიტომ პროდუქტი არა მარტო შედეგია შრომითი პროცესისა, არამედ იმავე დროს მისი პირობაც არის.

გარდა მომპოვებელი მრეწველობისა, რომელიც თავის შრომის საგანს ბუნებაში პოულობს, — როგორცაა სამთამადნო საქმე, ნადირობა, თევზაობა და სხვ. (მიწათმოქმედება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თავდაპირველად უყ მიწას ამუშავებს), — მრეწველობის ყველა დარგი ამუშავებს ისეთ საგანს, რომელიც ნედლ მასალას, ე. ი. უკვე შრომით დაწმენდილ საგანს, უკვე თვით შრომის პროდუქტს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, თესლი მიწათმოქმედებაში. ცხოველები და მცენარეები, რომელნიც ჩვეულებრივ ბუნების პროდუქტებად მიაჩნიათ, ნამდვილად შრომის პროდუქტებია და ისიც არა მარტო გასული წლის შრომისა, არამედ თავიანთი ახლანდელი ფორმებით ისინი წარმოადგენენ იმ განუწყვეტელი გარდაქმნის პროდუქტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მრავალ თაობათა მანძილზე ადამიანის კონტროლქვეშ. ადამიანის შრომის მეშვეობით. ხოლო რაც შეეხება კერძოდ შრომის საშუალებებს, ყველაზე ზერელე დაკვირვებითაც კი ჩანს, რომ მათს დიდძალ უმრავლესობას წარსული შრომის კვალი აჩნევია.

ნედლი მასალა შეიძლება პროდუქტის მთავარ სუბსტანციას შეადგენდეს ან მის წარმოქმნაში მონაწილეობდეს როგორც მხოლოდ დამბ-

⁶ პარადოქსად გვეჩვენება, მაგალითად, რომ თევზს, რომელიც ჯერ დაჭერილი არ არის, ვუწოდოთ წარმოების საშუალება თევზაობისათვის. მაგონამ ჯერ არავის გამოუგონებია ისეთი ხერხი, რომ თევზის კერა შეიძლებოდეს იმ წყალში, სადაც იგი არ მოიპოვება.

⁷ მწარმოებლური შრომის ეს განსაზღვრა, რომელსაც შრომის მარტივი პროცესის თვალსაზრისით ვღებულობთ, სრულიად არ არის საკმარისი კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის.

მარე მასალა. დამხმარე მასალა ან მოიხმარება შრომის საშუალების მიერ, როგორც, მაგალითად, ნახშირი — ორთქლის მანქანის მიერ, ზეთი — თვლების მიერ, თივა — მუშა-ცხენის მიერ, ან იგი უერთდება ნედლ მასალას, რათა მასში ნივთიერი ცვლილება გამოიწვიოს, — როგორც, მაგალითად, ქლორი უერთდება ხამ ტილოს, ნახშირი — რკინას, საღებავი — მატყლს, — ანდა ხელს უწყობს თვით შრომის შესრულებას, როგორც, მაგალითად, სამუშაო სადგომის გასანათებლად და გასათბობად გამოყენებული მასალა. განსხვავება ძირითად მასალასა და დამხმარე მასალას შორის ქრება საკუთრივ ქიმიურ წარმოებაში, რადგან არც ერთი აქ გამოყენებული ნედლი მასალა არ გვევლინება კვლავ პროდუქტის სუბსტანციის სახით⁸.

რადგან თვითველ ნივთს მრავალი თვისება აქვს და ამის გამო გამოსადეგია სხვადასხვანაირი გამოყენებისათვის, ამიტომ შესაძლებელია ერთი და იგივე პროდუქტი ნედლ მასალას შეადგენდეს სულ სხვადასხვა შრომითი პროცესისათვის. მაგალითად, ხორბალი ნედლი მასალაა მეწისქვილესთვის, სახამებლის მწარმოებლისათვის, არაყის გამომხდელისთვის, პირუტყვის მომშენებლისათვის და სხვ. თესლის სახით იგი ნედლი მასალა ხდება თავისი საკუთარი წარმოებისათვის. სწორედ ასევე ნახშირი სამთამადნო მრეწველობიდან გამოდის როგორც პროდუქტი და მასში შედის როგორც წარმოების საშუალება.

ერთი და იგივე პროდუქტი შრომის ერთსა და იმავე პროცესში შეიძლება შრომის საშუალებაც იყოს და ნედლი მასალაც. მაგალითად, პირუტყვი მისი გასუქებისას ნედლი მასალაა, რომელიც გადაბუშავენას განიცდის, და იმავე ღროს სასუქის დამზადების საშუალებაცაა.

მომხმარებისათვის მზა ფორმის მქონე პროდუქტი შეიძლება ისევ ნედლი მასალა გახდეს სხვა პროდუქტისთვის, როგორც, მაგალითად, ყურძენი ნედლი მასალა ხდება ღვინისათვის. ანდა შრომა თავის პროდუქტს ისეთი ფორმით იძლევა, რომლითაც იგი კვლავ მხოლოდ ნედლ მასალად გამოიყენება. ნედლ მასალას ასეთ მდგომარეობაში ეწოდება ნახევარფაბრიკატი, თუმცა, შეიძლება, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეწოდებინა მისთვის საფეხურფაბრიკატი [Stufenfabrikat], როგორც,

⁸ შტორხი განასხვავებს საკუთრივ ნედლ მასალას, როგორც «matière»-ს, დამხმარე მასალისაგან, როგორც «matériaux»-საგან [H. Storch: «Cours d'Économie Politique». Paris. 1815, ტ. I, თავ. მე-6, წიგნი II, გვ. 288]. შერბულიე დამხმარე მასალას «matières instrumentales»-ს უწოდებს [Cherbuliez: «Richesse ou Pauvreté». Paris 1841, გვ. 14].

მაგალითად, ბამბა, ძაფი, ნართი და სხვა. თავდაპირველ ნედლ მასალას, თუმცა იგი თვით უკვე პროდუქტია, შეიძლება მოუხდეს კიდევ სხვადასხვა პროცესის მთელი რიგი საფეხურების გავლა, სადაც იგი მუდამ შეცვლილი სახით მოქმედებს ხელახლა როგორც ნედლი მასალა, ვიდრე იგი არ მიაღწევს, ბოლოს, შრომის უკანასკნელ პროცესს, საიდანაც ის უკვე მზა საარსებო საშუალების სახით ან შრომის მზა საშუალების სახით გამოდის.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: გვევლინება ესა თუ ის სახმარი ღირებულება ნედლ მასალად, შრომის საშუალებად თუ პროდუქტად, — ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარკვეული ფუნქცია აქვს მას შრომის პროცესში, რა ადგილს იკავებს იგი მასში, და ამ ადგილის შეცვლასთან ერთად იცვლება მისი აღნიშნული განსაზღვრებანიც.

ამიტომ პროდუქტები, როცა ისინი შრომის ახალ პროცესებში შედიან წარმოების საშუალებათა სახით, კარგავენ პროდუქტის ხასიათს. ისინი მოქმედებენ მხოლოდ როგორც ცოცხალი შრომის მატერიალური ფაქტორები. მრთველისთვის თითისტარი მხოლოდ საშუალებაა, სელი კი — მხოლოდ საგანი რთვისა. რასაკვირველია, უმასალოდ და უთითისტაროდ რთვა არ შეიძლება. ამიტომ ამ პროდუქტთა არსებობა რთვის დასაწყისშივე ნაგულისხმევია. მაგრამ ის გარემოება, რომ სელი და თითისტარი წარსული შრომის პროდუქტებია, თვით ამ პროცესისათვის ისევე სულ ერთია, როგორც კვების აქტისთვის სულ ერთია ის გარემოება, რომ პური გლეხის, მეწისქვილის, ხაბაზის და სხვათა წარსული შრომის პროდუქტია. პირიქით. თუკი წარმოების საშუალებანი შრომის პროცესში ამჟღავნებენ თავიანთ ბუნებას როგორც წარსული შრომის პროდუქტები, — ეს მხოლოდ მათი ნაკლის გამო ხდება. დანა, რომელიც არა ჭრის, ნართი, რომელიც მუდამ წყდება და სხვ., ცოცხლად მოგვავაონებენ დანის გამკეთებელ *ა*-ს და მრთველ *ბ*-ს. კარგ პროდუქტში სრულიად წარხოცილია კვალი წარსული შრომის მონაწილეობისა მის სახმარ თვისებათა შექმნაში.

მანქანა, რომელიც შრომის პროცესში არ მონაწილეობს, უსარგებლოა. გარდა ამისა იგი განიცდის ნივთიერებათა ბუნებრივი ცვლის გამანადგურებელი ძალის გავლენას. რკინა ჟანგდება. ხე ლპება. ნართი, რომელიც ქსოვისთვის არ გამოიყენება, გაფუჭებული ბამბაა. ცოცხალმა შრომამ ამ ნივთებს ხელი უნდა ჩასჭიდოს, მკვდრეთით აღადგინოს და მათი მარტოოდენ შესაძლებელი სახმარი ღირებულებანი ნამდვილ და მოქმედ სახმარ ღირებულებად აქციოს. შრომის ალით

მოცულნი და შრომის მიერ თავის ორგანოებად ათვისებულნი, შრომის პროცესში მოწოდებულნი იმ ფუნქციებისთვის, რომელნიც მათს იდეასა და დანიშნულებას. შეესაბამებინ, — ეს ნივთები თუმცა მოიხმარებიან, მაგრამ მოიხმარებიან მიზანშეწონილად, როგორც შემქმნელი ელემენტები ახალი სახმარი ღირებულებისა, ახალი პროდუქტებისა, რომელთაც ძალუძთ შევიდნენ ინდივიდუალურ მოხმარებაში როგორც საარსებო საშუალებანი, ანდა — შრომის ახალ პროცესში როგორც წარმოების საშუალებანი.

ამრიგად, თუ არსებული პროდუქტები არა მარტო შედგება შრომის პროცესისა, არამედ მისი არსებობის პირობებიც, მეორე მხრივ, მათი შესვლა შრომის პროცესში, მაშასადამე, მათი კონტაქტი ცოცხალ შრომასთან, ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რომ წარსული შრომის ეს პროდუქტები შენახულ და რეალიზებულ იქნან როგორც სახმარი ღირებულებანი.

შრომა მოიხმარს თავის ნივთიერ ელემენტებს, თავის საგანსა და თავის საშუალებებს, ნთქავს მათ და, მაშასადამე, მოხმარების პროცესს წარმოადგენს. ეს მწარმოებლური მოხმარება იმით განსხვავდება ინდივიდუალური მოხმარებისაგან, რომ უკანასკნელის დროს პროდუქტები მოიხმარება როგორც ცოცხალი ინდივიდის საარსებო საშუალებანი, ხოლო პირველის დროს, — როგორც საარსებო საშუალებანი შრომისა, ინდივიდის მოქმედი სამუშაო ძალისა. ამიტომ ინდივიდუალური მოხმარების პროდუქტი თვით მომხმარებელია, ხოლო მწარმოებლური მოხმარების შედეგი — მომხმარებლისგან განსხვავებული პროდუქტი.

რამდენადაც შრომის საშუალება და შრომის საგანი თვით უკვე პროდუქტებია, შრომა მოიხმარს პროდუქტებს პროდუქტების საწარმოებლად, ანუ იყენებს პროდუქტებს როგორც პროდუქტთა წარმოების საშუალებებს. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც თავდაპირველად შრომის პროცესი მხოლოდ ადამიანსა და მის დაუხმარებლად არსებულ მიწას შორის წარმოებს, ახლაც შრომის პროცესში ჯერ კიდევ მონაწილეობენ წარმოების ისეთი საშუალებანიც, რომელნიც ბუნების მიერ არიან მოცემული და არ წარმოადგენენ ბუნების ნივთიერების შეერთებას ადამიანის შრომასთან.

შრომის პროცესი, როგორც ჩვენ იგი მისი მარტივი და აბსტრაქტული მომენტებით გამოვხატეთ, არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, მითვისება ბუნების მონაცემისა ადამიანის მოთხოვნილებათათვის, საყოველთაო პირობა ნივთიერებათა ცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის, მარადიული ბუნებრივი

პირობა აღამიანთა ცხოვრებისა და, მაშასადამე, იგი დამოუკიდებელია ამ ცხოვრების ამა თუ იმ ფორმისგან, პირიქით, საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის. ამიტომ ჩვენ არ გვჭირდებოდა მუშის განხილვა სხვა მუშებთან ურთიერთობაში. ჩვენთვის საკმარისი იყო აღამიანი და მისი შრომა ერთ მხარეზე, ხოლო ბუნება და მისი ნივთიერებანი — მეორეზე. როგორც ხორბლის გემოთი ვერ გაიგება, თუ ვინ მოიყვანა იგი, ასევე შრომის პროცესს არ ემჩნევა, თუ რა პირობებში მიმდინარეობს იგი: მონების ზედამხედველის სუსხიან მათრახქვეშ, თუ კაპიტალისტის გაფაციცებული მეთვალყურეობის ქვეშ, ასრულებს მას ცინცინატი თავისი ორიოდე იუგერის დამუშავების გზით, თუ ველური, რომელიც ნადირსა ჰკლავს ქვით⁹.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კაპიტალისტს in spe [კაპიტალისტს პერსპექტივაში]. ჩვენ იგი დავტოვეთ მას შემდეგ, რაც მან საქონლის ბაზარზე შრომის პროცესისათვის ყველა აუცილებელი ფაქტორი იყიდა: მატერიალური ფაქტორები, ანუ წარმოების საშუალებანი, და პიროვნული ფაქტორი, ანუ სამუშაო ძალა. მცოდნე კაცის ცბიერი თვალთ მან წარმოების ის საშუალებანი და სამუშაო ძალა ამოიჩინა, რომელნიც შესაფერისია მისი განსაკუთრებული საწარმოსათვის: სართავისათვის, ფეხსაცმლის ფაბრიკისათვის და სხვ. ამრიგად, ჩვენი კაპიტალისტი ახლა იწყებს მის მიერ ნაყიდი საქონლის, სამუშაო ძალის, მოხმარებას, ე. ი. აწყებინებს სამუშაო ძალის მატარებელს, მუშას, მისი შრომით წარმოების საშუალებათა მოხმარებას. რასაკვირველია, შრომის პროცესის საყოველთაო ბუნება არ იცვლება იმით, რომ მას მუშა კაპიტალისტისთვის ასრულებს და არა თავისთვის. მაგრამ თვით ის განსაზღვრული წესიც, რომლის მიხედვითაც ფეხსაცმელი იკერება ან ნართი ირთვის, არ შეიძლება ერთბაშად შეიცვალოს საქმეში კაპიტალისტის ჩარევით. კაპიტალისტმა თავდაპირველად უნდა აიღოს სამუშაო ძალა იმ სახით, რა სახითაც იგი მას ბაზარზე პოულობს, მაშასადამე, აიღოს მისი შრომაც იმ სახით, რა სახითაც ის აღმოცენებულია იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ კაპიტალისტები არ არსებობდნენ. თვით წარმოების წესის გარდაქმნა

⁹ ალბათ, ამ უაღრესად ლოგიკური საფუძვლით პოლკოვნიკმა ტორენსმა აღმოაჩინა ველურის ქვაში კაპიტალის დასაწყისი. პირველ ქვაში, რომელსაც ველური დეგნილ ნადირს ესვრის, პირველ ჯოხში, რომლითაც იგი ხელით მიუწვდომელ ნაყოფს მოიხიდავს, ჩვენ ვხედავთ ერთი საგნის მითვისებას მეორე საგნის შეძენის მიზნით, და, ამრიგად, აღმოვაჩინეთ კაპიტალის დასაწყისს» (R. Torrens: «An Essay on the Production of Wealth etc.», გვ. 70, 71). ამ პირველი ჯოხით [stock] აიხსნება, ალბათ, ისიც, თუ რატომაა, რომ ინგლისურ ენაში stock კაპიტალის სინონიმია.

კაპიტალისადმი შრომის დაქვემდებარების გზით შეიძლება მოხდეს მხოლოდ შემდეგში და ამიტომ ჩვენც იგი შემდეგ უნდა განვიხილოთ.

შრომის პროცესი, როგორც კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის მოხმარების პროცესი, ორ თავისებურ მოვლენას გვიჩვენებს.

მუშა მუშაობს კაპიტალისტის კონტროლქვეშ და მისი შრომაც ამ კაპიტალისტს ეკუთვნის. კაპიტალისტი თვალყურს ადევნებს, რომ მუშაობა წესიერად სრულდებოდეს და წარმოების საშუალებანი მიზანშეწონილად გამოიყენებოდეს, რომ, მაშასადამე, ნედლი მასალა არ იფლანგებოდეს და შრომის იარაღები იზოგებოდეს, ე. ი. იარაღები იცვითებოდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მათი ხმარება მუშაობაში.

მეორე მხრივ კი: პროდუქტი კაპიტალისტის საკუთრებაა და არა უშუალო მწარმოებლის, მუშისა. კაპიტალისტი იხდის, მაგალითად, სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებას. მაშასადამე, ამ ძალის მოხმარება, როგორც ყველა სხვა საქონლისა, — მაგალითად, ერთი დღით დაჭირავებული ცხენისა, — ეკუთვნის კაპიტალისტს დღის განმავლობაში. საქონლის მოხმარება ეკუთვნის საქონლის მყიდველს და სამუშაო ძალის მფლობელიც, როდესაც იგი თავის შრომას იძლევა, სინამდვილეში მხოლოდ მის მიერ გაყიდულ სახმარ ღირებულებას იძლევა. იმ წუთიდან, როდესაც იგი კაპიტალისტის სახელოსნოში შევიდა, მისი სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება, მაშასადამე, ამ ძალის მოხმარება, შრომა, კაპიტალისტს ეკუთვნის. სამუშაო ძალის ყიდვით კაპიტალისტმა შეუერთა თვით შრომა როგორც ცოცხალი ფერმენტი პროდუქტის წარმომქმნელ მკვდარ ელემენტებს, რომელნიც ასევე მას ეკუთვნიან. მისი თვალსაზრისით შრომის პროცესი მხოლოდ მოხმარებაა მის მიერ ნაყიდი საქონლისა, სამუშაო ძალისა, მაგრამ მისი მოხმარება მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც ამ ძალას წარმოების საშუალებებს შეუერთებს. შრომის პროცესი არის პროცესი კაპიტალისტის მიერ ნაყიდ ნივთებს შორის, მის კუთვნილ ნივთებს შორის. ამიტომ ამ პროცესის პროდუქტი მას ეკუთვნის მთლიანად სწორედ ისევე, როგორც დუღილის პროცესის პროდუქტი მის ღვინის სარდაფში¹⁰.

¹⁰ პროდუქტი უკვე მითვისებულია, სანამ იგი კაპიტალად გადაიქცეოდეს; ეს გადაქცევა მას ვერ იხსნის ამ მითვისებისაგან (Cherbuliez: «Richesse ou Pauvreté», გამ. Paris 1841, გვ. 54). როდესაც პროდუქტარი თავის შრომას საარსებო საშუალებათა (approvisionnement) განსახდურულ რაოდენობაზე ყიდის, ამით იგი სრულიად ხელს იღებს ყოველგვარ მონაწილეობაზე პროდუქტში. პროდუქტის

2. ღირებულების ზრდის პროცესი

პროდუქტი — კაპიტალისტის საკუთრება — განსაზღვრული სახ-
მარი ღირებულებაა: ნართი, ფეხსაცმელი და სხვა. მაგრამ, თუმცა,
მაგალითად, ფეხსაცმელი რამდენადმე საზოგადოებრივი პროგრესის
ბაზისს შეადგენს და ჩვენი კაპიტალისტიც გადაჭრით პროგრესის-
ტია, იგი მაინც ფეხსაცმელს ფეხსაცმლის გულისათვის არ აწარ-
მოებს. საქონელწარმოებაში საერთოდ სახმარი ღირებულება ისეთი-
ნითი არ არის «*qu'on aime pour lui-même*» [რომელიც უყვართ თა-
ვისთავად]. აქ საერთოდ სახმარი ღირებულება მხოლოდ იმიტომ
და იმდენად იწარმოება, რამდენადაც და რადგანაც იგი მატე-
რიალური სუბსტრატია, მატარებელი საცვლელი ღირებულებისა.
და ჩვენი კაპიტალისტი ორი რამისათვის ზრუნავს. ჯერ-ერთი, მას
სურს აწარმოოს ისეთი სახმარი ღირებულება, რომელიც საცვლელ
ღირებულებას შეიცავს, ე. ი. აწარმოოს გასაყიდად განკუთვნილი
საგანი, საქონელი. მეორე, მას სურს აწარმოოს ისეთი საქონელი,
რომლის ღირებულება მეტია, ვიდრე მისი წარმოებისათვის საჭირო
იმ საქონელთა — წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალის — ღი-
რებულების ჯამი, რომელთა შესაძენად მან საქონლის ბაზარზე თავისი
ნაღდი ფული დააყენა. მას სურს აწარმოოს არა მხოლოდ სახმარი
ღირებულება, არამედ საქონელიც, არა მხოლოდ სახმარი ღირებუ-
ლება, არამედ ღირებულებაც; და არა მხოლოდ ღირებულება, არამედ
ზედმეტი ღირებულებაც.

და მართლაც, რადგან აქ საქონელწარმოებაზეა ლაპარაკი, აქამდე
ჩვენ, ცხადია, პროცესის ერთ მხარეს განვიხილავდით. როგორც თვით
საქონელი სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობაა,
ასევე მისი წარმოების პროცესიც შრომის პროცესისა და ღირებულე-
ბის შექმნის პროცესის ერთიანობა უნდა იყოს.

მითვისება ისეთივე რჩება, როგორც წინათ იყო: იგი სრულიად არ შეცვლილა აღნი-
შნული გარიგების გამო პროდუქტი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტს,
რომელმაც წელი მასალა და *approvisionnement*-ი გაიღო. ეს მკაცრი დასკვნა
მითვისების კანონისა, რომლის ძირითად პრინციპს, პირიქით, შეადგენდა ყოველი
მუშის უკილობელი საკუთრების უფლება მის პროდუქტზე (იქვე, გვ. 58). როდე-
საც მუშები ხელფასისათვის მუშაობენ, მაშინ კაპიტალისტი შესაკუთრება არა მარ-
ტო კაპიტალისა (აქ წარმოების საშუალებანი იგულისხმება), არამედ — შრომისაც
(*of the labour also*). თუ კაპიტალის ცნებაში, როგორც ეს მიღებულია, ინსაც შევი-
ტანთ, რაც მუშას ხელფასის სახით ეძლევა, მაშინ კაპიტალისგან განცალკევებულად
შრომზე ლაპარაკი უახოზაა. სიტყვა «კაპიტალი» ამ ძნიშვნელობით ორთვეს შეი-
ცავს, — კაპიტალსაც და შრომასაც (James Mill: «*Elements of Political
Economy etc.*». London 1821, გვ. 70, 71).

მაშ განვიხილოთ ახლა წარმოების პროცესი როგორც ღირებულების შექმნის პროცესიც.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველი საქონლის ღირებულება განსაზღვრულია მის სახმარ ღირებულებაში მატერიალიზებული შრომის რაოდენობით, ე. ი. მისი წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით. იგივე ითქმის პროდუქტზეც, რომელიც ჩვენმა კაპიტალისტმა შრომის პროცესის შედეგად მიიღო. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიანგარიშოთ ამ პროდუქტში გასაგნობრივებული შრომა. ვთქვათ, მაგალითად, ეს პროდუქტი ნართია.

ამ ნართის დასამზადებლად პირველ ყოვლისა საჭირო იყო სათანადო ნედლი მასალა, მაგალითად, 10 გირვანქა ბამბა. თუ რა ღირებულებისაა ეს ბამბა, ამის ძიება აქ საჭირო აღარაა, რადგან კაპიტალისტმა იგი ბაზარზე მისი ღირებულების მიხედვით იყიდა, მაგალითად, 10 შილინგად. ბამბის ფასში უკვე გამოსახულია მისი წარმოებისთვის საჭირო შრომა როგორც საშუალო საზოგადოებრივი შრომა. ვიგულისხმობთ შემდეგ, რომ ბამბის გადამუშავების დროს გაცვეთილ თითისტართა რაოდენობა, რომელნიც ჩვენთვის აქ შრომის ყველა გამოყენებულ საშუალებას წარმოადგენენ, 2 შილინგი ღირებულებისაა. თუ 12 შილინგის რაოდენობის ოქროს 24 სამუშაო საათის, ანუ 2 სამუშაო დღის, პროდუქტად ჩავთვლით, მაშინ აქედან უწინარეს ყოვლისა ის გამომდინარეობს, რომ ნართში 2 სამუშაო დღეა გასაგნობრივებული.

იმ გარემოებამ, რომ ბამბამ თავისი ფორმა შეიცვალა და თითისტართა გაცვეთილი ნაწილი სრულიად გაქრა, ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ღირებულების ზოგადი კანონის თანახმად, 10 გირვანქა ნართი, მაგალითად, 10 გირვანქა ბამბისა და $\frac{1}{4}$ თითისტრის ეკვივალენტი იქნება, თუ 40 გირვანქა ნართის ღირებულება = 40 გირვანქა ბამბის ღირებულებას + ერთი მთელი თითისტრის ღირებულება, ე. ი. თუ ამ განტოლების ორივე მხარის საწარმოებლად საჭიროა ერთი და იგივე სამუშაო დრო. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე სამუშაო დრო ერთჯერ ნართის სახმარ ღირებულებაშია განხორციელებული, მეორეჯერ კი — ბამბისა და თითისტრის სახმარ ღირებულებაში. მაშასადამე, ღირებულებისათვის სულ ერთია, ვლინდება იგი ნართში, თითისტარში თუ ბამბაში. ის გარემოება, რომ თითისტარი და ბამბა, ნაცვლად იმისა, რომ ერთიმეორის გვერდით მშვიდად იყვნენ, რთვის პროცესში ერთმანეთს უკავშირდებიან, რითაც მათი მოხმარების ფორმები იცვლება და ორივე ნართად იქცევა, — ისევე ნაკლებად მოქმედებს მათს ღირებულებაზე, როგორც იმოქმედებდა ის გარემოება,

რომ ორივე ნივთში უბრალო გაცვლის საშუალებით ნართის ეკვივალენტური რაოდენობა იყოს მიღებული.

ბამბის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო ნაწილია იმ სამუშაო დროისა, რომელიც აუცილებელია ნართის საწარმოებლად; ბამბა-ნართის ნედლი მასალაა და ამიტომ მის წარმოებაზე დახარჯული დრო ნართშია მოქცეული. ასევე ითქმის თითისტართა იმ რაოდენობის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დროის შესახებაც, რომლის გაუცვეთლად ანუ მოუხმარებლად ბამბის ნართად გარდაქმნა შეუძლებელია¹¹.

მაშასადამე, რამდენადაც აქ ლაპარაკია ნართის ღირებულებაზე, იმ სამუშაო დროზე, რომელიც ნართის დასამზადებლად არის საჭირო, იმდენად სხვადასხვა განსაკუთრებული შრომითი პროცესები, დროით და ადგილით ერთმანეთს დაცილებულნი, რომლებიც უნდა შესრულდნენ თვით ბამბისა და გაცვეთილ თითისტართა საწარმოებლად და ბოლოს ბამბისა და თითისტრისგან ნართის მისაღებად, — ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთი და იმავე შრომითი პროცესის სხვადასხვა თანამიმდევრული ფაზები. მთელი შრომა, რომელსაც ნართი შეიცავს, წარსული შრომაა. სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ნართის შემქმნელი ელემენტების წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დრო უკვე წინარენამყოს ეკუთვნის, Plusquamperfekt-შია, მაშინ როდესაც საბოლოო პროცესზე, ბამბის რთვაზე, უშუალოდ დახარჯული სამუშაო დრო აწმყოს უახლოვდება, Perfekt-შია. თუ სახლის ასაშენებლად საჭიროა შრომის გარკვეული რაოდენობა, მაგალითად, 30 სამუშაო დღე, მაშინ ამ სახლში განხორციელებული სამუშაო დროის საერთო რაოდენობაში სრულიად არაფერი იცვლება იმით, რომ ოცდამეათე სამუშაო დღე წარმოებაში 29 დღით გვიან შევიდა, ვიდრე პირველი სამუშაო დღე. ამრიგად, შრომის მასალაში და შრომის საშუალებაში მოქცეული სამუშაო დრო ჩვენ შეგვიძლია სრულიად ისე განვიხილოთ, თითქოს იგი რთვის პროცესის მხოლოდ უფრო ადრინდელ სტადიაში დახარჯულიყოს, იმ შრომაზე ადრე, რომელიც ბოლოს იქნა მიმატებული, რთვის ფორმით.

¹¹ ასატონლის ღირებულებაზე გავლენას ახდენს არა მარტო ის შრომა, რომელიც უშუალოდ საქონელზე იხარჯება, არამედ ის შრომაც, რომელიც წარმოების პროცესში მონაწილე ხელსაწყობებსა, იარაღებსა და შენობებზე დახარჯული (Ricard: «The Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 16). [დ. რ ი კ ა რ დ. ო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი, 1937, გვ. 11.]

მაშასადამე, წარმოების საშუალებათა, ბამბისა და თითისტართა ღირებულებანი, გამოსახულნი 12 შილინგის ფასით, ნართის ღირებულების, ანუ პროდუქტის ღირებულების, შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

აქ მხოლოდ ორი პირობა უნდა შესრულდეს. ჯერ-ერთი—ბამბა და თითისტარი ნამდვილად რაიმე სახმარი ღირებულების საწარმოებლად უნდა იქნას გამოყენებული. ჩვენს მაგალითში მათ ნართი უნდა აწარმოონ. ღირებულებისთვის სულ ერთია, თუ რომელი სახმარი ღირებულება იქნება მისი მატარებელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რომელიმე სახმარი ღირებულება უნდა იყოს მისი მატარებელი. მეორე: ნაგულისხმევია, რომ დახარჯულია მხოლოდ ის სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია წარმოების არსებულ საზოგადოებრივ პირობებში. მაშასადამე, თუ 1 გირვანქა ნართის დასართავად მხოლოდ 1 გირვანქა ბამბაა საჭირო, მაშინ 1 გირვანქა ნართის დასამზადებლად შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ 1 გირვანქა ბამბა. ასევე ითქმის თითისტრის შესახებაც. კაპიტალისტს რომ ოქროს თითისტრის ხმარება მოეპოიანოს რკინის თითისტრის ნაცვლად, ნართის ღირებულებაში მაინც მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა იანგარიშება, ე. ი. ის სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია რკინის თითისტართა საწარმოებლად.

ჩვენ ახლა ვიცით, თუ ნართის ღირებულების რა ნაწილს შეადგენენ წარმოების საშუალებანი, ბამბა და თითისტარი. ეს ნაწილი უდრის 12 შილინგს, ანუ ორი სამუშაო დღის მატერიალიზაციას. მაშასადამე, ახლა ლაპარაკია ღირებულების იმ ნაწილზე, რომელსაც თვით მრთველის შრომა უმატებს ბამბას.

ეს შრომა ჩვენ ახლა სრულიად სხვა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ, ვიდრე შრომის პროცესის დროს. იქ ლაპარაკი იყო მიზანშეწონილ მოქმედებაზე, რომელსაც ბამბა ნართად უნდა გარდაექმნა. რაც უფრო მიზანშეწონილია შრომა, მით უფრო კარგია ნართი, თუ ყველა სხვა პირობებს უცვლელად ვიგულისხმებთ. ბამბის მრთველის შრომა სპეციფიკურად განსხვავებული იყო ყველა სხვა სახეობის მწარმოებლური შრომისაგან, და ეს განსხვავება ვლინდებოდა სუბიექტურად და ობიექტურად, რთვის განსაკუთრებულ მიზანში, მისი განსაკუთრებული ხასიათის ოპერაციებში, მისი წარმოების საშუალებათა განსაკუთრებულ ბუნებაში, მისი პროდუქტის განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებაში. ბამბა და თითისტარი რთვა-შრომის საარსებო საშუალებებს წარმოადგენენ, მაგრამ ბამბითა და თითისტრით ხრახნული ზარბაზნები ვერ გაკეთდება. პირიქით, რამდენადაც ბამბის

მრთველის შრომა ღირებულების შემქმნელია, ე. ი. ღირებულების წყარო, იგი სრულიად არ განსხვავდება ზარბაზნის მბურღავის შრომისაგან, ან, რაც აქ უფრო ახლოსაა ჩვენს საგანთან, იგი არ განსხვავდება ბამბის მოწყვანის და თითისტრის მკეთებლის შრომისაგან, რომელიც ნართის წარმოების საშუალებებშია განხორციელებული. მხოლოდ ამ იგივეობის გამოა შესაძლებელი, რომ ბამბის მოყვანა, თითისტართა დამზადება და ბამბის რთვა ერთი და იმავე ერთობლივი ღირებულების, ნართის ღირებულების, მარტოოდენ რაოდენობრივად განსხვავებულ ნაწილებს შეადგენენ. აქ ლაპარაკი აღარაა უკვე შრომის თვისებრიობაზე, მის ბუნებასა და შინაარსზე, არამედ ლაპარაკია მხოლოდ მის რაოდენობაზე. ეს უქანასკნელი ადვილად აღსარიცხავია. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ რთვა-შრომა მარტივი შრომაა, საზოგადოებრივი საშუალო შრომა. შემდეგში დავინახავთ, რომ ამის საპირისპირო ვარაუდი სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას.

შრომის პროცესის განმავლობაში შრომა ნულამ გადადის მოქმედების [Unruhe] ფორმიდან ყოფიერების ფორმაში, მოძრაობის ფორმიდან — საგნობრიობის [Gegenständlichkeit] ფორმაში. რთვის მოძრაობა ერთი საათის შემდეგ ნართის გარკვეული რაოდენობითაა გამოხატული, მაშასადამე, შრომის განსაზღვრული რაოდენობა, ერთი სამუშაო საათი, ბამბაშია გასაგნობრივებული. ჩვენ ვამბობთ: სამუშაო საათი, ე. ი. მრთველის სასიცოცხლო ძალის დახარჯვა ერთი საათის განმავლობაში, რადგან რთვა-შრომას აქ მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა; რამდენადაც იგი სამუშაო ძალის დახარჯვაა და არა — რამდენადაც რთვის სპეციფიკური შრომაა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ იმ გარემოებას აქვს, რომ პროცესის განმავლობაში, ე. ი. ბამბას ნართად გარდაქმნის დროს, მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო იხარჯებოდეს. თუ წარმოების ნორმალურ, ე. ი. საშუალო საზოგადოებრივ პირობებში a გირვანქა ბამბა ერთი სამუშაო საათის განმავლობაში b გირვანქა ნართად უნდა გადაიქცეს, მაშინ 12 საათის სამუშაო დღედ მხოლოდ ის სამუშაო დღე ჩაითვლება, რომელიც $12 \times a$ გირვანქა ბამბას გარდაქმნის $12 \times b$ გირვანქა ნართად და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო იანგარიშება ღირებულების შემქმნელად.

როგორც თვით შრომა, ისე ნედლი მასალაც და პროდუქტიც აქ სულ სხვა სახით წარმოგვიდგება, ვიდრე საკუთრივ შრომის პროცესის თვალსაზრისით მათი განხილვისას. ნედლ მასალას აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი შრომის განსაზღვრულ

რაოდენობას შეიწოვს. ამ შეწოვის მეოხებით ნედლი მასალა მართლაც ნართად იქცევა, რადკან სამუშაო ძალა რთვის ფორმით დაიხარჯა და შეუერთდა მას. მაგრამ პროდუქტი, ნართი, ახლა მხოლოდ ბამბის მიერ შეწოვილი შრომის საზომს წარმოადგენს. თუ ერთი საათის განმავლობაში $1\frac{2}{3}$ გირვანქა ბამბა ირთვის, ანუ $1\frac{2}{3}$ გირვანქა ნართად იქცევა, მაშინ 10 გირვანქა ნართი 6 შეწოვილ სამუშაო საათს აღნიშნავს. პროდუქტის განსაზღვრული და გამოცდილების მიხედვით დაწესებული რაოდენობა ახლა მხოლოდ შრომის განსაზღვრულ რაოდენობას, სამუშაო დროის განსაზღვრულ შედეგებულ მასას გამოხატავს. იგი მხოლოდ ერთი საათის, ორი საათის, ერთი დღის საზოგადოებრივი შრომის მატერიალიზაციაა.

ის გარემოება, რომ შრომა სწორედ რთვის სახით წარმოებს, რომ მისი მასალა ბამბაა, ხოლო მისი პროდუქტი ნართია, აქ ისევე უმნიშვნელოა, როგორც ის გარემოება, რომ შრომის საგანი თვით უკვე პროდუქტია, მაშასადამე, ნედლ მასალას წარმოადგენს. მუშას რომ სართავ სახელოსნოს ნაცვლად მალაროში ემუშავნა, მაშინ შრომის საგანი, ე. ი. ნახშირი, ბუნების მიერ იქნებოდა მოცემული. მაგრამ ბუდობიდან ამოღებული ნახშირის განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად, ერთი ცენტნერი, მაინც შეწოვილი შრომის განსაზღვრული რაოდენობის გამოხატველი იქნებოდა.

სამუშაო ძალის გაყიდვის დროს ნაგულისხმევი იყო, რომ მისი დღიური ღირებულება = 3 შილინგს, რომ ამ 3 შილინგში 6 სამუშაო საათია განხორციელებული და რომ, მაშასადამე, შრომის ეს რაოდენობა საჭიროა მუშის ერთი დღის საარსებო საშუალებათა საშუალო რაოდენობის საწარმოებლად. თუ ჩვენი მრთველი ერთი სამუშაო საათის განმავლობაში $1\frac{2}{3}$ გირვანქა ბამბას $1\frac{2}{3}$ გირვანქა ნართად გარდაქმნის¹², მაშინ 6 საათის განმავლობაში 10 გირვანქა ბამბიდან 10 გირვანქა ნართს დაამზადებს. მაშასადამე, რთვის პროცესის განმავლობაში ბამბა 6 სამუშაო საათს შეიწოვს. იგივე სამუშაო დრო გამოიხატება 3 შილინგი ოქროთი. მაშასადამე, თვით რთვის საშუალებით ბამბას 3 შილინგი ღირებულება ემატება.

დავაკვირდეთ პროდუქტის, 10 გირვანქა ნართის, ერთობლივ ღირებულებას. მასში $2\frac{1}{2}$ სამუშაო დღეა გასაგნობრივებული: 2 დღე ბამბაში და თითისტრებშია მოქცეული და $\frac{1}{2}$ დღის შრომა შეწოვილია რთვის პროცესის განმავლობაში. იგივე სამუშაო დრო გამოიხატება 15 შილინგი ოქროთი. მაშასადამე, 10 გირვანქა ნართის ფასი, რომელიც

¹² რიცხვები აქ სრულიად ნებისმიერია.

მის ღირებულებას შეესაბამება, 15 შილინგს შეადგენს, ხოლო ერთი გირვანქა ნართის ფასი — 1 შილინგს და 6 პენსს.

ჩვენი კაპიტალისტი გაცეზულია. პროდუქტის ღირებულება უდრის ავანსებული კაპიტალის ღირებულებას. ავანსებული ღირებულება არ გადიდებულა, მას არ წარმოუშვია ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე, ფული არ გადაქცეულა კაპიტალად. 10 გირვანქა ნართის ფასი უდრის 15 შილინგს და 15 შილინგი დაიხარჯა საქონლის ბაზარზე პროდუქტის წარმომქმნელ ელემენტებზე, ანუ, რაც იგივეა, შრომის პროცესის ფაქტორებზე: 10 შილინგი — ბამბაზე, 2 შილინგი — თითისტართა გაცვეთილ რაოდენობაზე და 3 შილინგი — სამუშაო ძალაზე. ნართის გადიდებული ღირებულება ვერ შევლის საქმეს, რადგან მისი ღირებულება მხოლოდ ჯამია იმ ღირებულებათა, რაც წინათ ბამბასა, თითისტარებსა და სამუშაო ძალაზე იყო განაწილებული, ხოლო არსებულ ღირებულებათა ასეთი უბრალო შეკრებისაგან არასდროს არ შეიძლება წარმოიშვას ზედმეტი ღირებულება¹³. ყველა ეს ღირებულება კონცენტრირებულია ახლა ერთ ნივთში, მაგრამ სწორედ ასევე კონცენტრირებული იყო იგი 15 შილინგში, ვიდრე ეს ფულადი თანხა დანაწილდებოდა სამი საქონლის ყიდვით.

ეს შედეგი თავისთავად საკვირველი არ არის. ერთი გირვანქა ნართის ღირებულება 1 შილინგს და 6 პენსს უდრის და ამიტომ 10 გირვანქა ნართში ჩვენს კაპიტალისტს საქონლის ბაზარზე 15 შილინგის გადახდა დასჭირდებოდა. ყიდულობს იგი თავისთვის სახლს ბაზარზე მზამზარეულად, თუ თვითონ ააშენებინებს მას თავისთვის, სულ ერთია, არც ერთი ეს ოპერაცია არ გაადიდებს ფულს, რომელიც სახლის შესაძენად არის დახარჯული.

კაპიტალისტმა, რომელმაც ვულგარული ეკონომია მშვენივრად იცის, შეიძლება თქვას, რომ მან თავისი ფული იმ მიზნით დააავანსა,

¹³ ეს არის ძარითადი დებულება, რომელსაც ეყარება ფიზიოკრატების მოძღვრება იმის შესახებ, რომ ყოველი არასამიწათმომქმედო შრომა არამწარმოებლურია, და ეს დებულება უცილობელია პროფესიით ეკონომისტისათვის. ამ წესს, — რომლის თანახმად ერთ ნივთს მრავალი სხვა ნივთის ღირებულება მიეთვლება (მაგალითად, ტილოს — ფეიქრის მიერ მოხმარებულ საარსებო საშუალებათა ღირებულება), ანუ ერთ ღირებულებას, ასე ვთქვათ, ზედიზედ ფენობით რამდენიმე ღირებულება დაემატება, — შედეგად აქვს ამ ღირებულების სათანადო ოდენობით გაბერება... ტერმინი შეკრება საუკეთესოდ გამოხატავს იმ წესს, რომლითაც იქმნება შრომის პროდუქტთა ფასი; ეს ფასი არის მრავალი მოხმარებული და ერთად შეკრებილი ღირებულების მხოლოდ ერთობლივი ჯამი. მაგრამ ნეკრება არ ნიშნავს გამრავლებას» (Mercier de la Rivière: *L'Ordre Naturel et Essentiel* etc.), «Physiocrates», გამოც. Daire, II ნაწილი, გვ. 599).

რომ მეტი ფული მიეღო მისგან. მაგრამ ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზა ხომ კეთილი სურვილებით არის მოფენილი, და სწორედ ასევე კაპიტალისტსაც შესაძლებელია განზრახვა ჰქონოდა წარმოებისათვის მიუმართავად ფული ეშოვნა¹⁴. იგი იმუქრება. მეორედ მას ვერაფერს შე-
 აცდენს. მომავალში ის მზა საქონელს იყიდის ბაზარზე, ნაცვლად იმისა, რომ თვით დაამზადოს იგი. მაგრამ თუ ყველა მისი ძმები-კაპიტალისტები ასევე მოიქცევიან, მაშინ სადღა უნდა ნახოს მან ეს საქონელი ბაზარზე? ფულს ხომ ვერ შეჭამს. იგი ახლა ქადაგებას იწყებს. მისი დათმენა მხედველობაშია მისაღები. მას შეეძლო თავისი 15 შილინგი გაეფლანგა. ნაცვლად ამისა მან იგი მწარმოებლურად მოიხმარა და მისგან ნართი დაამზადა. მაგრამ სამაგიეროდ ხომ მას ახლა სინდისის ქეჯნის ნაცვლად ნართი აქვს ხელში. მას სრულიად არ შეშვენის განძის დამგროვებლის როლში გამოსვლა, რომელმაც დაგვანახვა, თუ რა შედეგი მოსდევს ასეკტიზმს. გარდა ამისა, სადაც არა არის რა, იქ მეფეც კარგავს თავის უფლებას. როგორც უნდა იყოს კაპიტალისტის დათმენის დამსახურება, არაფერი რჩება ისეთი, რითაც შეიძლებოდა მისი განსაკუთრებულად გადახდა, რადგან ღირებულება პროდუქტისა, რომელიც წარმოების პროცესიდან გამოდის, ამ პროცესში შეტანილ საქონელთა ღირებულების ჯამს უდრის მხოლოდ. მაშასადამე, კაპიტალისტმა თავი უნდა დაიმშვიდოს იმით, რომ სათნოება თავის ჯილდოს სათნოებაშივე პოუვებს. მაგრამ ნაცვლად ამისა კაპიტალისტი მომბებზრებელი ხდება. ნართი მისთვის უსარგებლოა. მან ეს ნართი გასაყიდად აწარმოვა. ასეა და, ვინ უშლის, — გაყიდოს იგი, ან, რაც უფრო მარტივია, აწარმოოს მომავალში მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც მის საკუთარ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ, — აი რეცეპტი, რომელიც მას უკვე მისმა შინაურმა ექიმმა მაკ კულოხმა გამოუწერა როგორც ნაცადი საშუალება ჭარბწარმოების ებიდემიის წინააღმდეგ. მაგრამ კაპიტალისტი ჯიუტად ყალყზე დგება. განა მუშა შეძლებდა არარაობიდან მხოლოდ თავისი ხელებით შრომის პროდუქტების შექმნას, საქონლის წარმოებას? განა კაპიტალისტმა არ მისცა მას მასალა, რომლითაც და რომელშიც მარტოოდენ შეუძლია მუშას თავის შრომას ხორცი შეასხას? და, რადგან საზოგადოების უმეტესი ნაწილი ასეთ უქონელთაგან შედგება, განა მან უსაზღვრო

¹⁴ ასე, მაგალითად, 1844 — 1847 წლებში მან თავისი კაპიტალის [ერთი] ნაწილი მწარმოებლური საქმიანობიდან ამოიღო, რათა იგი რკინიგზის აქციების სახით სპეკულაციაში გაეშვა. ასევე სამოქალაქო ომის დროს ამერიკაში მან ფაბრიკა დაკეტა და მუშები ქუჩაში გაყარა, რათა ლივერპულის ბამბის ბირჟაზე თამაში დაეწყო.

სამსახური არ გაუწია თავისი წარმოების საშუალებებით, თავისი ბამბით და თავისი თითისტრებით საზოგადოებას და თვით მუშასაც, რომელიც მან, გარდა ამისა, საარსებო საშუალებებითაც მოამარაგა? და განა ეს სამსახური მან სათვალავში არ უნდა ჩააგდოს? მაგრამ, განა მუშამ, თავის მხრივ, მას სამაგიერო სამსახური არ გაუწია იმით, რომ ბამბა და თითისტარი ნართად გადააქცია? გარდა ამისა, საქმე აქ სამსახურს როდი ეხება¹⁵. სამსახური მხოლოდ სასარგებლო მოქმედებაა ამა თუ იმ სახმარი ღირებულებისა, იქნება ეს უკანასკნელი საქონელი თუ შრომა¹⁶. მაგრამ აქ საქმე გვაქვს საცვლელ ღირებულებასთან. კაპიტალისტმა მუშას 3 შილინგის ღირებულება გადაუხადა. მუშამ მას ზუსტი ეკვივალენტი დაუბრუნა ბამბისადმი მიმატებული 3 შილინგი ღირებულების სახით, ე. ი. ღირებულებაში ღირებულება დაუბრუნა. ჩვენი მეგობარი, რომელიც ეს-არის თავისი კაპიტალით მედიდურობდა, ახლა უეცრივ თავისი საკუთარი მუშის უპრეტენზიო სახეს იღებს. განა თვითონ კი არ მუშაობდა? განა შრომას არ ასრულებდა მრთველს რომ მეთვალყურეობასა და ზედამხედველობას უწევდა? განა ეს მისი შრომა, თავის მხრივ, ღირებულებას არა ქმნის? ამ სიტყვებზე მისივე საკუთარი ზედამხედველი და მისივე მმართველი მხრებს იჩეჩვენ. მაგრამ აქ კაპიტალისტმა მხიარული ღიმილით ისევ წინანდელი სახის გამოძეტყველება მიიღო. იგი თურმე გვაბრიყვებდა ჩვენ მთელი თავისი წუწუნით. ყველაფერ ამას იგი გროზა-

¹⁵ აქებინე შენი თავი, მთართვევინე, მოაკაზმვინე... მაგრამ ვინც იღებს იმაზე მეტს ან უკეთესს (რაც თვით მიუცია), იგი მევაზშეა, და ეს სამსახურის გაწევას კი არ ნიშნავს მოყვასისათვის, არამედ — ვნების მიყენებას, როგორც ეს წარმოდგება ქურდობითა და ავაზაკობით. მოყვასისადმი სამსახური და სიყვითე არ არის ყველაფერი ის, რასაც ამ სახელს უწოდებენ. მრუში დედაკაცი და მრუში მამაკაცი ერთმანეთს დიდ სამსახურს უწვენ და ასიამოვნებენ. რეიტარი დიდ რეიტარულ სამსახურს უწევს კაცისკვლელს და ცეცხლისწამკიდებელს, როდესაც მას ეხმარება ძარცვა-გლეჯაში შაზა გზებზე და ქვეყნისა და ხალხის აწიოკებაში. პაპისტები დიდ სამსახურს უწვენ ჩვენებს იმით, რომ ყველას წყალში არ ახრჩობენ, არ სწავენ, არ ხოცავენ, ციხეებში არ ალბობენ, არამედ ზოგს ცოცხალს ტოვებენ და აძევებენ, ანდა მთელ ქონებას, ართმევენ. თვით ეშმაკიც კი განუზომლად დიდ სამსახურს უწევს თავის მსახერთ... ერთი სიტყვით, ქვეყანა სავსეა დიადი, უადრესი, ყოველდღიურად წარმოებული სამსახურითა და სიკეთით. (Martin Luther: An die Pfarrherra, wider den Wucher zu predigen etc. Wittenberg 1540 [გვ. 8 — 9]).

¹⁶ ამის გამო «Zur Kritik der Politischen Oekonomie»-ში, Berlin 1859, გვ. 14, მე, სხვათა შორის, შევნიშნავ: «გასაგებია, თუ რა «სამსახურს» უნდა უწევდეს «სამსახურის» (service) კატეგორია ისეთი ჯურის ეკონომისტებს, როგორიც ე. ბ. სეი და ფ. ბასტია არიან» [ე. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» თბილისი 1953, გვ. 31].

დაც არ აგდებს. ყოველივე ამას და მსგავს უხეირო ფანდებს და უაზრო ჩმახვას იგი პოლიტიკური ეკონომიის პროფესორებს მიანდობს, რომელნიც ამისთვის საგანგებო გასამრჯელოს იღებენ. თვითონ კი იგი პრაქტიკული ადამიანია, რომელიც თუმცა ყოველთვის მოფიქრებულად როდი ლაპარაკობს იმაზე, რაც უშუალოდ მის საქმეს არ ეხება, მაგრამ რომელმაც ყოველთვის იცის ის, რასაც თავისი საქმიანობის სფეროში აკეთებს.

დავაკვირდეთ საქმეს უფრო ახლო. სამუშაო ძალის დღიური ღირებულება 3 შილინგს შეადგენდა, რადგან თვით მასში ნახევარი სამუშაო დღეა გასაგნობრივებული, ე. ი. რადგანაც სამუშაო ძალის წარმოებისათვის ყოველდღიურად აუცილებელი საარსებო საშუალებანი ნახევარი სამუშაო დღე ღირს. მაგრამ წარსული შრომა, რომელსაც სამუშაო ძალა შეიცავს, და ცოცხალი შრომა, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს, სამუშაო ძალის შენარჩუნების დღიური ხარჯები და ამ ძალის დღიური დახარჯვა — ეს ორი სრულიად სხვადასხვა სიდიდეა. პირველი განსაზღვრავს მის საცვლელ ღირებულებას, მეორე კი შეადგენს მის სახმარ ღირებულებას. ის გარემოება, რომ მუშის სიცოცხლის შესანარჩუნებლად 24 საათის განმავლობაში ნახევარი სამუშაო დღეა საჭირო, მუშას სრულიადაც არ უშლის ხელს მთელი დღე იმუშაოს. მაშასადამე, სამუშაო ძალის ღირებულება და შრომის პროცესში ამ ძალის მოხმარებით შექმნილი ღირებულება ორი სხვადასხვა სიდიდეა. ღირებულების ეს სხვაობა ჰქონდა მხედველობაში კაპიტალისტს, როდესაც იგი სამუშაო ძალას ყიდულობდა. სამუშაო ძალის სასარგებლო თვისება, მისი უნარი ნართის ან ფეხსაცმლის დამზადებისა, მხოლოდ იმიტომ იყო *conditio sine qua non* [აუცილებელი პირობა], რომ შრომა სასარგებლო ფორმით უნდა დაიხარჯოს, რათა ღირებულება შექმნას. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქონლის სპეციფიკური სახმარ ღირებულებას, ე. ი. იმ თვისებას, რომ ეს საქონელი წყაროა ღირებულებისა და თანაც უფრო მეტი ღირებულებისა, ვიდრე თვით მას აქვს. სწორედ ესაა ის სპეციფიკური სამსახური, რომელსაც კაპიტალისტი სამუშაო ძალისგან მოელის. და კაპიტალისტიც ამასთან საქონელგაცვლის მარადიული კანონების თანახმად იქცევა. მართლაც, სამუშაო ძალის გამყიდველი, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის გამყიდველი, ამ ძალის საცვლელი ღირებულების რეალიზაციას ახდენს და მის სახმარ ღირებულებას ასხვისებს. მას არ შეუძლია პირველის მიღება, თუ მეორე არ გასცა. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება, თვით შრომა, ისევე ნაკლებად ეკუთვნის მის გამყიდველს, როგორც გაყიდული ზეთის სახმარი ღირებულება —

ზეთით მოვაქვრეს. ფულის მფლობელმა სამუშაო ძალის დღიური ღირებულება გადაიხადა; ამიტომ მასვე ეკუთვნის ამ სამუშაო ძალის მოხმარება მთელი დღის განმავლობაში, ე. ი. დღიური შრომა. ის გარემოება, რომ სამუშაო ძალის დღიურად შენახვა მხოლოდ ნახევარი სამუშაო დღე ღირს, თუმცა ამ ძალას შეუძლია მთელი დღე იმოქმედოს, იმუშაოს, რომ, მაშასადამე, ის ღირებულება, რომელსაც ქმნის სამუშაო ძალის მოხმარება ერთი დღის განმავლობაში, ორჯერ მეტია მის საკუთარ დღიურ ღირებულებაზე, — ეს მყიდველის განსაკუთრებული ბედია, მაგრამ განყიდველის მიმართ არავითარ უსამართლობას არ წარმოადგენს.

ჩვენმა კაპიტალისტიმ წინასწარ გაითვალისწინა ეს casus - ი, რომელიც მას მხიარულ გუნებაზე აყენებს. ამიტომ მუშა სახელოსნოში პოულობს წარმოების აუცილებელ საშუალებებს არა მარტო ექვსსაათიანი, არამედ თორმეტსაათიანი შრომის პროცესისათვის. თუ 10 გირვანქა ბამბა 6 სამუშაო საათს შეიწოვდა და 10 გირვანქა ნართად იქცეოდა, 20 გირვანქა ბამბა 12 სამუშაო საათს შეიწოვს და 20 გირვანქა ნართად გადაიქცევა. განვიხილოთ შრომის გახანგრძლივებული პროცესის პროდუქტი. 20 გირვანქა ნართში ახლა 5 სამუშაო დღეა გასაგნობრივებული: 4 — მოხმარებული ბამბისა და თითისტრების მასაში და 1 — ბამბის მიერ რთვის პროცესში შეწოვილი. მაგრამ 5 სამუშაო დღის გამოხატულება ოქროთი უდრის 30 შილინგს, ანუ 1 გირვანქა სტერლინგს და 10 შილინგს. მაშასადამე, ეს არის 20 გირვანქა ნართის ფასი. გირვანქა ნართი უწინდებურად 1 შილინგი და 6 პენსი ღირს. მაგრამ პროცესში შეტანილ საქონელთა ღირებულების ჯამი 27 შილინგს შეადგენდა. ნართის ღირებულება 30 შილინგს შეადგენს. პროდუქტის ღირებულება მისი წარმოებისათვის ავანსებულ ღირებულებასთან შედარებით $\frac{1}{4}$ -ით გაიზარდა. ამრიგად, 27 შილინგი 30 შილინგად გადაიქცა. მან 3 შილინგი ზედმეტი ღირებულება წარმოშვა. ბოლოს ოინი მოხერხდა. ფული კაპიტალად გადაიქცა.

პრობლემის ყველა პირობა ამოხსნილია და საქონელგაცვლის კანონები სრულიადაც არ დარღვეულა. ეკვივალენტი ეკვივალენტზე იცვლებოდა. კაპიტალისტი, როგორც მყიდველი, თვითფულ საქონელში — ბამბაში, თითისტარში, სამუშაო ძალაში — მის ღირებულებას იხდიდა. ამის შემდეგ მან მოიმოქმედა ის, რასაც საქონლის ყველა სხვა მყიდველი აკეთებს. მან მოიხმარა საქონლის სახმარი ღირებულება. სამუშაო ძალის მოხმარების პროცესმა, რომელიც იმავე დროს საქონლის წარმოების პროცესიცაა, 30 შილინგად ღირებული პროდუქტი — 20 გირვანქა ნართი — მოგვცა. ახლა კაპიტალისტი ბრუნ-

დება ბაზარზე, სადაც მან უწინ საქონელი იყიდა, და ყიდის საქონელს. გირვანქა ნართს იგი 1 შილინგად და 6 პენსად ყიდის; ე. ი. ერთი გროშით არც მეტად და არც ნაკლებად მის ღირებულებასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მიმოქცევიდან იგი იღებს 3 შილინგით იმაზე მეტს, რაც მასში შეიტანა თავდაპირველად. მთელი ეს პროცესი, კაპიტალისტის ფულის კაპიტალად გადაქცევა, ხდება მიმოქცევის სფეროში და ასევე არა მიმოქცევაში. მიმოქცევის მეშვეობით — იმიტომ, რომ იგი გაპირობებულია სამუშაო ძალის ყიდვით საქონლის ბაზარზე. არა მიმოქცევაში — იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ამზადებს ღირებულების ზრდის პროცესს, რომელიც წარმოების სფეროში ხდება. და ასე «tout pour le mieux dans le meilleur des mondes possibles» [ყველა შესაძლებელ ქვეყანათა შორის ამ საუკეთესო ქვეყანაში ყველაფერი საუკეთესოდ მიმდინარეობს].

იმით, რომ კაპიტალისტი ფულს ისეთ საქონლად აქცევს, რომელიც ახალი პროდუქტის შემქმნელ ნივთიერ ფაქტორს, ანუ შრომის პროცესის ფაქტორს, წარმოადგენს, იმით, რომ საქონლის მკვდარ საგნობრიობას ცოცხალ სამუშაო ძალას უერთებს, — იგი ღირებულებას, წარსულს, გასაგნობრივებულს, მკვდარ შრომას აქცევს კაპიტალად, თვითმზარდ ღირებულებად, სულდგმულ ურჩხულად, რომელიც «მუშაობას» იწყებს als hätte' es Lieb' im Leibe [თითქოს სიყვარულის ვნებით შეპყრობილი].

თუ ჩვენ ახლა ღირებულების შექმნის პროცესს და ღირებულების ზრდის პროცესს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ღირებულების ზრდის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ღირებულების შექმნის პროცესი, განგრძობილი განსაზღვრულ პუნქტს იქით. თუ ღირებულების შექმნის პროცესი მხოლოდ იმ პუნქტს აღწევს, სადაც კაპიტალის მიერ გადახდილი ღირებულება სამუშაო ძალისა ახალი ეკვივალენტით არის ანაზღაურებული, მაშინ იგი ღირებულების შექმნის მარტივი პროცესია. თუ კი ღირებულების შექმნის პროცესი ამ პუნქტს იქით გრძელდება, მაშინ იგი ღირებულების ზრდის პროცესი ხდება.

შემდეგ, თუ ჩვენ ღირებულების შექმნის პროცესს შევადარებთ შრომის პროცესს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი ის სასარგებლო შრომაა, რომელიც სახმარ ღირებულებას აწარმოებს. აქ მოძრაობა განიხილება თვისებრივად, — მისი განსაკუთრებული ხასიათის, მიზნისა და შინაარსის მხრივ. იგივე შრომის პროცესი ღირებულების შექმნის პროცესში მხოლოდ მისი რაოდენობის მხრივ გვევლინება. აქ საკითხი შეეხება მხოლოდღა დროს, რომელსაც შრომა თავისი ოპერაციისთვის საჭიროებს ანუ მხოლოდ დროის ხანგრძლიობას,

რომლის განმავლობაშიც სამუშაო ძალა მწარმოებლურად იხარჯება. შრომის პროცესში შემაჯავალი საქონელიც აქ მნიშვნელობას ღებულობს უკვე არა როგორც ფუნქციურად განსაზღვრული ნივთიერი ფაქტორი მიზანშეწონილად მოქმედი სამუშაო ძალისა. იგი იანგარიშება მხოლოდ როგორც გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრული რაოდენობა. შრომა, — მოქცეულია იგი წარმოების საშუალებებში, თუ მიმატებულია სამუშაო ძალის მიერ, — მხოლოდ დროის რაოდენობის მიხედვით იანგარიშება. იგი წარმოადგენს ამდენსა და ამდენ საათს, დღეს და სხე.

მაგრამ შრომა იანგარიშება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სახმარი ღირებულების წარმოებაზე დახარჯული დრო საზოგადოებრივად აუცილებელია. ამით ბევრი რამაა ნათქვამი. სამუშაო ძალა ნორმალურ პირობებში უნდა მოქმედებდეს. თუ რთვისთვის საზოგადოებრივად გაბატონებულ შრომის საშუალებას სართავი მანქანა წარმოადგენს, მაშინ არ შეიძლება მუშას ხელში ძველებური ჯარა მიეცეს. ნორმალური ხარისხის ბამბის ნაცვლად მუშას არ უნდა ეძლეოდეს ხარახურა, რომელიც ყოველ წუთს წყდება. და თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ ორივე შემთხვევაში იგი ერთი გირვანქა ნართის საწარმოებლად უფრო მეტ სამუშაო დროს დახარჯავდა, ვიდრე ეს საზოგადოებრივად აუცილებელია, თუმცა ეს ზედმეტი დრო ვერ შექმნიდა ღირებულებას ანუ ფულს. მაგრამ შრომის მატერიალური ფაქტორების ნორმალური ხასიათი დამოკიდებულია არა მუშაზე, არამედ კაპიტალისტზე. შემდგომ პირობას თვით სამუშაო ძალის ნორმალური ხასიათი შეადგენს. იმ სპეციალობაში, სადაც სამუშაო ძალა გამოიყენება, ამ ძალას უნდა გააჩნდეს დახელოვნების, გაწაფულობისა და სისწრაფის მიღწეული საშუალო დონე. მაგრამ ჩვენმა კაპიტალისტმა შრომის ბაზარზე ნორმალური ღირსების სამუშაო ძალა იყიდა. ეს ძალა ჩვეულებრივი საშუალო ზომის დაძაბულობით, საზოგადოებრივად ჩვეულებრივი ინტენსივობის დონის მიხედვით უნდა იხარჯებოდეს. კაპიტალისტი ამას ისეთივე გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, როგორც იმას, რომ არც ერთი წუთი შრომის გარეშე, უქმად არ იფლანგებოდეს. სამუშაო ძალა მან განსაზღვრული ვადით იყიდა. მას სურს მიიღოს, რაც მას ეკუთვნის. მას არ სურს, რომ იგი გაჭურდონ. ბოლოს, — და ამისთვის იმავე ბატონს თავისი საკუთარი *свое право* [სისხლის სამართლის კოდექსი] აქვს, — ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნედლი მასალისა და შრომის საშუალებათა მიზანშეწონელ მოხმარებას, რადგან გაფლანგული მასალა ან გაფლანგული შრომის საშუალებანი გასაგნობრივებული შრომის ზედმეტად დახარჯულ

რაოდენობას წარმოადგენენ, მაშასადამე, ისინი არ იანგარიშება და პროდუქტის ღირებულების წარმოქმნაში არ მონაწილეობენ¹⁷.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ: ზემოთ საქონლის ანალიზიდან მიღებული განსხვავება შრომასა, რამდენადაც ეს შრომა სახმარ ღირებულებას ქმნის, და იმავე შრომას შორის, რამდენადაც იგი ღირებულებას ქმნის, წარმოგვიდგა ახლა როგორც წარმოების პროცესის სხვადასხვა მხარეთა განსხვავება.

¹⁷ ეს ერთი იმ გარემოებათაგანია, რომელნიც აძვირებენ მონობაზე დამყარებულ წარმოებას. მუშა, ძველთაგან მოსწრებულად ნათქვამის თანახმად, განსხვავდება აქ მხოლოდ როგორც *instrumentum vocale* [მეტყველების უნართი დაჯილდოებული იარაღი] ცხოველისგან როგორც *instrumentum senivocale*-სგან [ხმის გამომცემი იარაღისგან] და შრომის უსულო იარაღისგან როგორც *instrumentum mutum*-ისგან [მუნჯი იარაღისგან]. მაგრამ თვითონ ტყუა აგრძობობინებს ცხოველსა და შრომის იარაღს, რომ იგი მათი მსგავსი კი არ არის, არამედ — ადამიანია. მათგან თავისი განსხვავების შეგნებას იგი აღწევს იმით, რომ ცუდად ეპყრობა და ანადგურებს მათ *con amore* [სიამოვნებით]. ამიტომ ასეთი წარმოების წესის პირობებში ეკონომიურ პრინციპად არის აღიარებული მეტად ტლანკი და ნძიმე სამუშაო იარაღების ხმარება, რადგან სწორედ ამ სიტლანკისა და სიმძიმის გამო ეს იარაღები უფრო ძნელად გასაფუჭებელია. სამოქალაქო ომის დაწყებამდე მექსიკის ყურესთან მდებარე მონათმფლობელურ შტატებში იხმარებოდა ძველი ჩინური კონსტრუქციის გუთანის, რომელიც ღორსა და თხუწელასავით ჩიჩქინდა მიწას, მაგრამ კვალს არ ავლებდა და ბელტს არ აბრუნებდა. შეად. J. E. Cairnes: *The Slave Power*, London 1862, გვ. 46 და შემდ. თავის *Sea Board Slave States*-ში ოლმსტედი მოგვითხრობს სხვათა შორის: «მე მაჩვენეს აქ ისეთი იარაღები, რომლებსაც ჩვენში არც ერთი ჭკუთამყაფი ადამიანი ხელში არ მისცემდა დაქირავებულ მუშას; მათი სიმძიმე და სიტლანკე, მე ვფიქრობ, 10% -ით მაინც უფრო აძნელებს შრომას იმ იარაღებთან შედარებით, რომლებსაც ჩვენში ხმარობენ. მაგრამ მე მარწმუნებდნენ, რომ მონების მხრივ იარაღებისადმი დაუდევარი და ტლანკი მოპყრობის გამო ხელსაყრელი არ იქნებოდა მათთვის ხელში უფრო მსუბუქი და ნაკლებ ტლანკი იარაღების მიცემა, და რომ ის იარაღები, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ მუდამ ჩვენს მუშებს და ამით მოგვებულცი ვრჩებით, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა ვირჯინიის პურის მინდვრებზე, თუცა ნიადაგი აქ უფრო რბილია და ნაკლებ ტკიანი, ვიდრე ჩვენში. ასევე ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომბა, რომ ყველა ფერმაზე ცხენების მაგიერ ჯორები ჰყავო, პირველ და ამავე დროს, ცხადია, უფრო დამარწმუნებელ საბუთად ის მოსაზრება წამოაყენეს, რომ ცხენა ვერ აიტანდა იმ მოპყრობას, რასაც იგი ჩვეულებრივ განიცდის ზანების მხრივ. ზანგის ხელში ცხენი მალე უძლურდება ან სახიჩრდება, მაშინ როდესაც ჯორი იტანს ცემას და საკვების ნაკლებობას ისე, რომ მისი სხეული ზიანს არ განიცდის; იგი არც ცივდება და არც ავად ხდება, როდესაც ცუდად უკლიან ან ბეკრს ამუშაებენ. შორს წასვლა არ მჭირდება, — საკმარისია იმავე ოთახში, სადაც ვწერ, ფანჯარასთან დაედგე, რათა თითქმის ყოველთვის დავინახო ისეთი მოპყრობა პირუტყვი-სადმი, რისთვისაც ჩრდილოეთის ფერმერი დაუყოვნებლივ დაითხოვდა თავის მუშას» [გვ. 46, 47].

როგორც ერთიანობა შრომის პროცესისა და ღირებულების შექმნის პროცესისა, წარმოების პროცესი საქონელთა წარმოების პროცესია; როგორც ერთიანობა შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესისა, იგი კაპიტალისტური წარმოების პროცესია, საქონელწარმოების კაპიტალისტური ფორმაა.

უკვე წინათ იყო აღნიშნული, რომ ღირებულების ზრდის პროცესისთვის სავსებით სულ ერთია, არის კაპიტალისტის მიერ მითვისებული შრომა მარტივი, საშუალო საზოგადოებრივი შრომა თუ უფრო რთული შრომა, შრომა უფრო მაღალი ხვედრითი წონისა. შრომა, რომელსაც საშუალო საზოგადოებრივ შრომასთან შედარებით უფრო მაღალი, უფრო რთული შრომის მნიშვნელობა აქვს, ისეთი სამუშაო ძალის გამოვლინებაა, რომლის წარმოქმნა უფრო დიდ ხარჯებს მოითხოვს, რომლის წარმოება მეტი სამუშაო დრო ღირს და რომელსაც ამიტომ უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მარტივ სამუშაო ძალას. თუ ამ ძალის ღირებულება უფრო მაღალია, სამაგიეროდ იგი უფრო მაღალ შრომაშიც ვლინდება და ამიტომ დროის ერთნაირ პერიოდებში შედარებით უფრო მაღალ ღირებულებებში საგნობრივდება. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ხარისხის მხრივ განსხვავება მრთველის შრომასა და ოქრომჭედლის შრომას შორის, შრომის ის ნაწილი, რომლითაც მუშა-ოქრომჭედელი მხოლოდ თავისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულებას აღადგენს, თვისებრივად სრულიად არ განსხვავდება შრომის იმ დამატებითი ნაწილისაგან, რომლითაც იგი ზედმეტ ღირებულებას ქმნის. აქაც ზედმეტი ღირებულება წარმოიშვება მხოლოდ შრომის რაოდენობრივი ნამეტით, იმავე შრომითი პროცესის გახანგრძლივებით: ერთ შემთხვევაში — ნართის წარმოების პროცესის, ხოლო მეორე შემთხვევაში — საოქრომჭედლო წარმოების პროცესის გახანგრძლივებით¹⁸.

¹⁸ განსხვავება რთულსა და მარტივ შრომას შორის, «skilled» [კვალიფიციურსა] და «unskilled labour»-ს [არაკვალიფიციურ შრომას] შორის, დამყარებულია ნაწილობრივ მარტოოდენ ილუზიებზე ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ განსხვავებებზე, რომელნიც უკვე დიდი ხანია რეალობას მოკლებულნი არიან და მხოლოდ ტრადიციულ პირობითობის ძალით განაგრძობენ არსებობას; ნაწილობრივ კი იგი დამყარებულია ბუშათა კლასის გარკვეული ფენების უფრო უმწეო მდგომარეობაზე, რის გამოც ამ ფენებს სხვებზე უფრო ნაკლებად შესწევთ ღონე თავიანთი სამუშაო ძალა მისი ღირებულების მიხედვით გაინაღდონ. თანაც შემთხვევითი გარემოებანი აქ ისეთ დიდ როლს ასრულებენ, რომ ერთი და იმავე სახის შრომა ადგილს იცვლის. მაგალითად, იქ, სადაც მუშათა კლასის ფიზიკური ძალა მოდუნებულია და შედარებით დაუძლურებული, როგორც ეს ხდება განვითარებული კაპიტალისტური წარმოების მქონე ყველა

მეორე მხრივ, ღირებულების წარმოქმნის ყოველ პროცესში უფრო მაღალი შრომა ყოველთვის საშუალო საზოგადოებრივ შრომაზე უნდა დაიყვანებოდეს, მაგალითად, უფრო მაღალი შრომის ერთი დღე — მარტივი შრომის x დღეზე¹⁹. მაშასადამე, ჩვენ ზედმეტ ოპერაციას თავიდან ავიცილებთ და ანალიზს გავამარტივებთ, თუ ვიგულისხმებთ, რომ კაპიტალის მიერ გამოყენებული მუშა მარტივ, საშუალო საზოგადოებრივ შრომას ასრულებს.

ქვეყანაში, შემდეგ მოვლენას აქვს ადგილი: ტლანქ შრომას, რომელიც დიდი კუნთებრივი ძალის დაბარჯვას მოითხოვს, საერთოდ უფრო მაღალი ადგილი უჭირავს, ვიდრე გაცილებით უფრო ფაქიზ შრომას, რომელიც მარტივი შრომის საფუძურზე ჩამოდის; მაგალითად, bricklayer-ის [კალატოზის] შრომას ინგლისში გაცილებით უფრო მაღალი ადგილი უჭირავს, ვიდრე სახიანი ქსოვილის ფეიქრის შრომას. მეორე მხრივ, fustian cutter-ის [ბამბის ხავერდის მკრეპავის] შრომა, თუმცა იგი უფრო დიდ ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვს და გარდა ამისა ჯანმრთელობისთვისაც ძალიან მავნებელია, «მარტივ» შრომადაა მიჩნეული. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ევრაფო-დებულ «skilled labour» [კვალიფიციურ შრომას] რაოდენობრივად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაციონალურ შრომაში. ლენგი ანგარიშობს, რომ ინგლისში (და უელსში) 11 მილიონზე მეტი ადამიანის არსებობა მარტივ შრომაზეა დამყარებული. 18 მილიონი მცხოვრებიდან — რასაც მისი თხზულების გამოქვეყნების დროს ამ ქვეყნის მოსახლეობა შეადგენდა — 1 მილიონი არისტოკრატიისა და 1 $\frac{1}{2}$ მილიონი ლარიბ-ლატაკის, მაწანწალის, ბოროტმოქმედის, მეძვის და სხვ. გამოკლების შემდეგ, რჩება საშუალო კლასის 4 650 000 სული, წერილ რანტიეთა, მოხელეთა, მწერალთა, ხელოვანთა, სკოლის მასწავლებელთა და სხვ. ჩათვლით. ამ 4 $\frac{2}{3}$ მილიონის მისაღებად საშუალო კლასის მშრომელ ნაწილს იგი აკუთვნებს, ბანკირებისა და სხვ. გარდა, ყველა კარგულფასიან «ფაბრიკის მუშას!» Bricklayer-ებიც კი «რთული შრომის მუშათა» კატეგორიაში არიან ჩათვლილი. შემდეგ ამისა რჩება ზემოაღნიშნული 11 მილიონი (S. Lainig: «National Distress etc.». London 1844 [გვ. 51 — 52]). ის დიდი კლასი, რომელსაც სურსათის სანაცვლოდ არაფრის გაღება არ შეუძლია, გარდა მარტივი შრომისა, ხალხის მთავარ მასას შეადგენს (James Mill სტატიაში «Civility», «Encyclopaedia Britannica»-ს დამატება, 1831).

¹⁹ «როდესაც აღინშნავენ შრომას როგორც ღირებულების საზომს, აუცილებლად განსაზღვრული სახის შრომას გულისხმობენ... მისი შეფარდება სხვა სახეობის შრომასთან ადვილი გამოასარკვევია» («Outlines of Political Economy». London 1832, გვ. 22, 23).

თავი მეთხუთსი

მუშაობის კავშირები და ცვალებადი კავშირები

შრომის პროცესის სხვადასხვა ფაქტორი სხვადასხვანაირ მონაწილეობას იღებს პროდუქტის ღირებულების წარმოქმნაში.

მუშა შრომის საგანს ახალ ღირებულებას უმატებს შრომის განსაზღვრული რაოდენობის მიმატებით, განურჩევლად იმისა, თუ როგორია მისი შრომის კონკრეტული შინაარსი, მიზანი და ტექნიკური ხასიათი. მეორე მხრივ, მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას ჩვენ კვლავ ვპოულობთ პროდუქტის ღირებულების შემადგენელი ნაწილების სახით, მაგალითად, ბამბისა და თითისტრების ღირებულებას — ნართის ღირებულებაში. მაშასადამე, წარმოების საშუალებათა ღირებულება ინახება პროდუქტზე მისი გადატანით. ეს გადატანა ხდება წარმოების საშუალებათა პროდუქტად გადაქცევის დროს, შრომის პროცესში. იგი შრომის მეშვეობით ხდება. მაგრამ როგორ?

მუშა არ მუშაობს ერთსა და იმავე დროს ორმაგად: ჯერ იმისთვის, რომ თავისი შრომით ბამბას ღირებულება მიუმატოს, და მეორე იმისთვის, რომ ბამბის ძველი ღირებულება შეინახოს, ანუ, რაც იგივეა, ღირებულება ბამბისა, რომელსაც ის ამუშავებს, და თითისტრებისა, რომლებითაც ის მუშაობს, პროდუქტზე — ნართზე — გადაიტანოს. ძველ ღირებულებას იგი ახალი ღირებულების უბრალო მიმატებით ინახავს. მაგრამ, რადგან შრომის საგნისადმი ახალი ღირებულების მიმატება და პროდუქტში ძველი ღირებულების შენახვა ორი სულ სხვადასხვა შედეგია, რომელთაც მუშა ერთსა და იმავე დროს აღწევს, თუმცა ამ დროს იგი მხოლოდ ერთჯერ მუშაობს, ამიტომ, ცხადია, შედეგის ეს ორადი ხასიათი შეიძლება მხოლოდ აიხსნას თვით მისი შრომის ორადი ხასიათით. ერთსა და იმავე დროს შრომამ ერთი თვისების გამო ღირებულება უნდა შექმნას, ხოლო მეორე თვისების გამო ღირებულება უნდა შეინახოს ანუ გადაიტანოს.

როგორ უმატებს თვითეული მუშა სამუშაო დროს და, ამიტომ, ღირებულებასაც? ყოველთვის მხოლოდ თავისი განსაკუთრებული მწარმოებლური შრომის ფორმით. მრთველი უმატებს სამუშაო დროს მხოლოდ იმით, რომ ართავს, ფეიქარი — მხოლოდ იმით, რომ ქსოვს, მკედელი მხოლოდ იმით, რომ კედს. და მხოლოდ ამ მიზანშეწონილი ფორმის მეოხებით, რომელშიც ისინი საზოგადოდ უმატებენ შრომას და, მაშასადამე, ახალ ღირებულებას, ე. ი. რთვის, ქსოვის, კედვის მეოხებით, წარმოების საშუალებანი — ბამბა და თითისტარი, ნართი და საფეიქრო დაზგა, რკინა და გრდემლი — პროდუქტის, ახალი სახმარი ღირებულების შემქმნელი ელემენტები ხდებიან²⁰. მათი სახმარი ღირებულების ძველი ფორმა ქრება, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ სახმარი ღირებულების ახალი ფორმით მოგვევლინოს. მაგრამ ღირებულების შექმნის პროცესის განხილვისას აღმოჩნდა, რომ, რამდენადაც სახმარი ღირებულება ახალი სახმარი ღირებულების წარმოებისთვის მიზანშეწონილად მოიხმარება, გამოყენებული სახმარი ღირებულების შესაქმნელად აუცილებელი სამუშაო დრო იმ სამუშაო დროის ნაწილს შეადგენს, რომელიც აუცილებელია ახალი სახმარი ღირებულების შესაქმნელად, ე. ი. წარმოადგენს სამუშაო დროს, რომელიც მოხმარებული წარმოების საშუალებიდან ახალ პროდუქტზე გადაიტანება. მაშასადამე, მუშა ინახავს მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას ანუ მას ისინი, როგორც ღირებულების შემადგენელი ნაწილები, პროდუქტზე გადააქვს არა თავისი შრომის მიმატებით საერთოდ, არამედ ამ მისამატებელი შრომის განსაკუთრებული სასარგებლო ხასიათის, მისი სპეციფიკური მწარმოებლური ფორმის მეოხებით. როგორც ამგვარი მიზანშეწონილი მწარმოებლური მოქმედება — რთვა, ქსოვა, კედვა — შრომა წარმოების საშუალებებს მკედრებით აღადგენს მარტოდონ თავისი კონტაქტით, შთაბერავს მათ სულს — აქცევს შრომის პროცესის ფაქტორებად და მათთან შეერთებით პროდუქტებს ქმნის.

მუშის სპეციფიკური მწარმოებლური შრომა რომ რთვა არ იყოს, იგი ბამბას ვერ გადააქცევდა ნართად და, მაშასადამე, ბამბისა და თითისტარის ღირებულებასაც ნართზე ვერ გადაიტანდა. პირიქით, თუ იგივე მუშა ხელობას გამოიცვლის და დურგალი გახდება, მაშინ იგი უწინდებურად ყოველი სამუშაო დღით ღირებულებას მიუმატებს თავის მასალას. მაშასადამე, ამ ღირებულებას იგი უმატებს თავისი

²⁰ «შრომა იძლევა ახალ ქმნილებას მის მიერ მოსაობლის ნაცვლად» («An Essay on the Political Economy of Nations. London 1821, გვ. 13).

შრომით არა იმიტომ, რომ ეს შრომა მრთველის შრომას ან ღურგლის შრომას წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ იგი აბსტრაქტული საზოგადოებრივი შრომაა საერთოდ, და იგი უმატებს ღირებულების განსაზღვრულ სიდიდეს არა იმიტომ, რომ მის შრომას განსაკუთრებული სასარგებლო შინაარსი აქვს, არამედ იმიტომ, რომ იგი განსაზღვრული დროის განმავლობაში გრძელდება. მაშასადამე, მრთველის შრომა თავისი აბსტრაქტული ზოგადი თვისებით, როგორც ადამიანის სამუშაო ძალის დახარჯვა, ბამბისა და თითისტრის ღირებულებას ახალ ღირებულებას უმატებს, ხოლო თავისი კონკრეტული, განსაკუთრებული, სასარგებლო თვისებით, როგორც რთვის პროცესის, წარმოების ამ საშუალებათა ღირებულება მას პროდუქტზე გადააქვს და ამგვარად მათს ღირებულებას პროდუქტში ინახავს. აქედან წარმოდგება ორადი ხასიათი შრომის შედეგისა დროის ერთსა და იმავე მომენტში.

შრომის უბრალო რაოდენობრივი მიმატებით ხდება ახალი ღირებულების მიმატება, ხოლო მიმატებული შრომის თვისებრიობის გამო წარმოების საშუალებათა ძველი ღირებულება ახალ პროდუქტში ინახება. ერთი და იმავე შრომის ეს ორმხრივი მოქმედება, როგორც მისი ორადი ხასიათის შედეგი, აშკარად მეღავენდება სხვადასხვა მოვლენებში.

წარმოვიდგინოთ, რომ რაიმე გამოვონება მრთველს შესაძლებლობას აძლევს 6 საათში იმდენი ბამბა დაართოს, რამდენსაც უწინ 36 საათში ართავდა. მის შრომას, როგორც მიზანშეწონილად სასარგებლო მწარმოებლურ მოქმედებას, თავისი ძალა გაუქვესკვედა. ამ შრომის პროდუქტი გაექვესკვებულია: 36 გირვანქა ნართია 6 გირვანქის ნაცვლად. მაგრამ 36 გირვანქა ბამბა ახლა იმდენსავე სამუშაო დროს შეიწოვს, რამდენსაც უწინ 6 გირვანქა შეიწოვდა. მათ ემატება ახალი შრომა ექვსჯერ ნაკლები, ვიდრე ძველი მეთოდის დროს, მაშასადამე, ემატება უწინდელი ღირებულების მხოლოდ ერთი მეექვსედი. მეორე მხრივ, პროდუქტში, 36 გირვანქა ნართში, ახლა ბამბის გაექვესკვებული ღირებულებაა. რთვის ამ 6 საათში ნედლი მასალის ექვსჯერ მეტი ღირებულება ინახება და გადაიტანება პროდუქტზე, თუმცა ამავე ნედლ მასალას ახლა ექვსჯერ ნაკლები ახალი ღირებულება ემატება. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად არსებითად განსხვავდება შრომის ის თვისება, რომლის გამოც იგი ერთი და იმავე განუყოფელი პროცესის განმავლობაში ღირებულებას ინახავს, იმ თვისებისაგან, რომლითაც იგი ღირებულებას ქმნის. რაც უფრო მეტი აუცილებელი სამუშაო დრო ხმარდება რთვის ოპერაციის განმავლობაში.

ბამბის ერთსა და იმავე რაოდენობას, მით უფრო მეტია ის ახალი ღირებულება, რომელიც ბამბას ემატება, ხოლო რაც უფრო მეტი გირვანქა ბამბა დაირთვება ერთი და იმავე სამუშაო დროის განმავლობაში, მით უფრო დიდია ძველი ღირებულება, რომელიც პროდუქტში შეინახება.

ვიგულისხმობთ, პირიქით, რომ რთვა-შრომის ნაყოფიერება უცვლელი რჩება, მაშასადამე, ერთი გირვანქა ბამბის ნართად გადაქცევისთვის მრთველს ახლაც იმდენივე სამუშაო დრო სჭირდება, როგორც უწინ; თვით ბამბის საცვლელი ღირებულება კი, ვთქვათ, იცვლება, ერთი გირვანქა ბამბის ფასი ახლა ექვსჯერ დიდდება ან ექვსჯერ მცირდება. ორივე შემთხვევაში ბამბის იმავე რაოდენობას მრთველი იმავე სამუშაო დროს და, მაშასადამე, იმავე ღირებულებას უმატებს, და ორივე შემთხვევაში გარკვეული დროის განმავლობაში ნართის იმავე რაოდენობას აწარმოებს. მიუხედავად ამისა, ღირებულება, რომელიც მას ბამბიდან ნართზე, ე. ი. პროდუქტზე გადააქვს, ერთ შემთხვევაში ექვსჯერ მეტია უწინდელთან შედარებით, ხოლო მეორე შემთხვევაში — ექვსჯერ ნაკლები. ასევეა მაშინაც, როდესაც შრომის საშუალებანი ძვირდება ან იაფდება, მაგრამ შრომის პროცესში იმავე სამსახურს ასრულებენ, რასაც უწინ.

თუ რთვის პროცესის ტექნიკური პირობები უცვლელი რჩება და ასევე სათანადო წარმოების საშუალებათა ღირებულებაც არ იცვლება, მაშინ მრთველი უწინდებურად თანაბარი სამუშაო დროის განმავლობაში უცვლელი ღირებულების თანაბარი რაოდენობის ნედლ მასალასა და მანქანებს მოიხმარს. ღირებულება, რომელსაც იგი პროდუქტში ინახავს, ამ შემთხვევაში პირდაპირ შეფარდებაშია იმ ახალ ღირებულებასთან, რომელსაც იგი პროდუქტს უმატებს. ორ კვირაში იგი ორჯერ მეტ შრომას უმატებს პროდუქტს, ვიდრე ერთ კვირაში. მაშასადამე, — ორჯერ მეტ ღირებულებას და ამავე დროს იგი ხმარობს ორჯერ მეტ მასალას, რომელსაც ორჯერ მეტი ღირებულება აქვს, და ცვეთს ორჯერ მეტ მანქანებს, რომელთა ღირებულებაც ორჯერ მეტია; მაშასადამე, ორი კვირის პროდუქტში ორჯერ მეტ ღირებულებას შეინახავს, ვიდრე ერთი კვირის პროდუქტში. წარმოების მოცემულ უცვლელ პირობებში მუშა მით უფრო მეტ ღირებულებას შეინახავს, რაც უფრო მეტ ღირებულებას უმატებს; მაგრამ იგი მეტ ღირებულებას შეინახავს არა იმიტომ, რომ მეტ ღირებულებას უმატებს, არამედ იმიტომ, რომ ამ ღირებულებას იგი უცვლელ და მისი საკუთარი შრომისაგან დამოუკიდებელ პირობებში უმატებს.

რასაკვირველია, ერთგვარი შეფარდებითი აზრით შეიძლება ითქვას, რომ მუშა მუღამ იმავე პროპორციით ინახავს ძველ ღირებულებას, როგორთაც იგი ახალ ღირებულებას უმატებს. აიწვევს ბამბის ღირებულება 1 შილინგიდან 2 შილინგამდე, თუ დაიწვევს 6 პენსამდე, მუშა ერთი საათის პროდუქტში მუღამ ორჯერ ნაკლებ ბამბის ღირებულებას ინახავს, — სულ ერთია, როგორც უნდა იცვლებოდეს ეს ღირებულება, — ვიდრე ორი საათის პროდუქტში. შემდეგ, თუ მისი საკუთარი შრომის ნაყოფიერება იცვლება, მატულობს ან კლებულობს, იგი, მაგალითად, ერთ სამუშაო საათში დაართავს მეტ ან ნაკლებ ბამბას, ვიდრე უწინ, და ამის შესაბამისად ერთი საათის პროდუქტში მეტ ან ნაკლებ ბამბის ღირებულებას შეინახავს. მაგრამ ყოველივე ამასთან ორი სამუშაო საათის განმავლობაში იგი ორჯერ მეტ ღირებულებას შეინახავს, ვიდრე ერთი საათის განმავლობაში.

ღირებულება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის წმინდა სიმბოლურ გამოხატულებას ღირებულების ნიშნით, მხოლოდ ამა თუ იმ სახმარი ღირებულების, ამა თუ იმ ნივთის სახით არსებობს. (თვით ადამიანი, თუ იგი განიხილება როგორც მარტოოდენ მყოფობა სამუშაო ძალისა, ბუნების საგანია, ნივთია, თუმცა ცოცხალი, ცნობიერი ნივთი, შრომა კი ამ ძალის ნივთიერი გამოვლინებაა.) ამიტომ, თუ სახმარი ღირებულება იკარგება, იკარგება ღირებულებაც. წარმოების საშუალებანი არ კარგავენ ღირებულებას თავის სახმარ ღირებულებასთან ერთად, რადგან შრომის პროცესის მეოხებით ისინი თავიანთი სახმარი ღირებულების თავდაპირველ ფორმას ნამდვილად მხოლოდ იმისთვის კარგავენ, რომ პროდუქტში სხვა სახმარი ღირებულების ფორმა შეიძინონ. მაგრამ, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ღირებულებისთვის ამა თუ იმ სახმარი ღირებულების სახით არსებობა, მისთვის მაინც, როგორც ამას საქონელთა მეტამორფოზი გვიჩვენებს, სულ ერთია, თუ რომელ სახმარ ღირებულებაში არსებობს იგი. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ შრომის პროცესში წარმოების საშუალების ღირებულება მხოლოდ იმდენად გადადის პროდუქტში, რამდენადაც წარმოების საშუალება თავის დამოუკიდებელ სახმარ ღირებულებასთან ერთად თავის საცვლელ ღირებულებასაც კარგავს. პროდუქტს იგი მხოლოდ იმ ღირებულებას გადასცემს, რომელსაც თვითონ კარგავს როგორც წარმოების საშუალება. მაგრამ შრომის პროცესის მატერიალური ფაქტორების მდგომარეობა ამ მხრივ სხვადასხვანაირია.

ნახშირი, რომლითაც მანქანას ათბობენ, უკვალოდ ქრება, ასევე ზეთიც, რომელსაც თვლების ღერძს უსვამენ და ა. შ. საღებავები და

სხვა დამხმარე ნივთიერებანი ქრებიან, მაგრამ თავს იჩენენ პროდუქტის თვისებებში. ნედლი მასალა პროდუქტის სუბსტანციას შეადგენს, მაგრამ თავის ფორმას იცვლის. მაშასადამე, ნედლი მასალა და დამხმარე ნივთიერებანი კარგავენ დამოუკიდებელ სახეს, რომლითაც ისინი, როგორც სახმარი ღირებულებანი, შრომის პროცესში შევიდნენ. სხვაგვარადაა საქმე საკუთრივ შრომის საშუალებების მიმართ. ინსტრუმენტი, მანქანა, ფაბრიკის შენობა, ჭურჭელი და სხვ. შრომის პროცესში მხოლოდ მანამდე ეწევიან სამსახურს, სანამ თავიანთ თავდაპირველ სახეს ინარჩუნებენ, და ხვალაც სწორედ იმავე სახით შევლენ შრომის პროცესში, როგორც გუშინ. შრომის საშუალებანი ინარჩუნებენ თავიანთ საკუთარ სახეს პროდუქტის მიმართ როგორც თავისი სიცოცხლის მანძილზე, ე. ი. შრომის პროცესის განმავლობაში, ისე თავისი სიკვდილის შემდეგაც. მანქანების, იარაღების, სახელოსნოების და სხვ. გვამები წინანდებურად განაგრძობენ არსებობას იმ პროდუქტებისაგან განცალკევებულად, რომელთა წარმოშობასაც ისინი ხელს უწყობდნენ. თუ ჩვენ ახლა განვიხილავთ მთელ იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც შრომის ერთ-ერთი ასეთი საშუალება მოქმედებს დღიდან სახელოსნოში შესვლისა მისი იქიდან საჭუქნაოში გადადგებამდე, დავინახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მისი სახმარი ღირებულება მთლიანად მოხმარებულია შრომის მიერ და ამიტომ მისი საცვლელი ღირებულება მთლიანად გადასულია პროდუქტზე. თუ საქსოვმა მანქანამ, მაგალითად, ათ წელიწადს გაძლო, მისი ერთობლივი ღირებულება 10 წლის შრომის პროცესის განმავლობაში 10 წლის პროდუქტზეა გადასული. მაშასადამე, შრომის ამა თუ იმ საშუალების სიცოცხლის პერიოდი მოიცავს მეტ თუ ნაკლებ რიცხვს შრომითი პროცესებისას, რომლებიც მუდამ ხელახლა მეორდება შრომის საშუალების დახმარებით. შრომის საშუალებასაც ის ემართება, რაც ადამიანს. თვითეულ ადამიანს ყოველ დღე 24 საათის სიცოცხლე აკლდება. მაგრამ არც ერთ ადამიანს არ ეტყობა ზუსტად, თუ რამდენი დღე მოაკლდა უკვე მის სიცოცხლეს. მაგრამ ეს გარემოება სრულიად ხელს არ უშლის სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებებს, რომ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობიდან ფრიად სწორი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მეტად სარფიანი დასკვნები გამოიტანონ. ასეა შრომის საშუალების შესახებაც. გამოცდილებით იციან, თუ რამდენ ხანს გაძლებს საშუალოდ შრომის ესა თუ ის საშუალება, მაგალითად, განსაზღვრული ტიპის მანქანა. ვთქვათ, მისი სახმარი ღირებულება შრომის პროცესში მხოლოდ ექვს დღეს ძლებს. ამ შემთხვევაში იგი თვითეულ სამუშაო დღეში საშუალოდ თავისი სახმარი

ღირებულების $\frac{1}{6}$ -ს კარგავს და ამიტომ თავისი ღირებულების $\frac{1}{6}$ -ს გადასცემს დღიურ პროდუქტს. ასეთი წესივით ანგარიშობენ შრომის ყველა საშუალების გაცვეთას, მაგალითად, მათი სახმარი ღირებულების ყოველდღიურ დაკლებასა და პროდუქტზე მათი სათანადო დღიური ღირებულების გადატანას.

აქედან ნათლად ჩანს, რომ წარმოების საშუალება არასოდეს იმაზე მეტ ღირებულებას არ გადასცემს პროდუქტს, რასაც თვით კარგავს შრომის პროცესში თავისი საკუთარი სახმარი ღირებულების მოსპობის გამო. წარმოების საშუალება რომ არავითარ ღირებულებას არ კარგავდეს, ე. ი. თვით რომ ადამიანის შრომის პროდუქტი არ იყოს, მაშინ იგი ვერავითარ ღირებულებას ვერ გადასცემდა პროდუქტს. მაშინ იგი სახმარი ღირებულების წარმოქმნელი იქნებოდა და საცვლელი ღირებულების წარმოქმნაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ასეთი მდგომარეობაა წარმოების ყველა იმ საშუალების მიმართ, რომელიც მოცემულია თვით ბუნების მიერ, ადამიანის დაუხმარებლად, როგორც, მაგალითად, დედამიწა, ქარი, წყალი, რკინაბუდობში, ხე ულრან ტყეში და სხვა.

აქ ჩვენ თვალწინ შეივსო საინტერესო მოვლენა წარმოვიდგება. ვთქვათ, მანქანა, მაგალითად, 1000 გირვანქა სტერლინგი ღირებულებისაა და ვთქვათ, იგი 1000 დღეში ცვდება. ამ შემთხვევაში ყოველდღიურად მანქანის ღირებულების $\frac{1}{1000}$ თვით მანქანიდან მის დღიურ პროდუქტზე გადადის. ამავე დროს მთელი მანქანა განაგრძობს, თუმცა კლებადი სასიცოცხლო ძალით, მუშაობას შრომის პროცესში. ამრიგად, ჩანს, რომ შრომის პროცესის ესა თუ ის ფაქტორი, წარმოების ესა თუ ის საშუალება, მთლიანად შედის შრომის პროცესში და მხოლოდ ნაწილობრივ — ღირებულების ზრდის პროცესში. შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესის განსხვავება აქ მათს მატერიალურ ფაქტორებში აისახება, რადგან წარმოების ერთი და იგივე საშუალება, როგორც შრომის პროცესის ელემენტი, მთლიანად, ხოლო როგორც ღირებულების შექმნის ელემენტი, მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შედის იმავე წარმოების პროცესში²¹.

²¹ აქ შრომის საშუალებათა, მანქანათა, შენობათა და სხვათა შეკეთებაზე როდია ლაპარაკი. მანქანა, რომელიც რემონტშია, მოქმედებს არა როგორც შრომის საშუალება, არამედ როგორც შრომის მასალა, ამ შემთხვევაში ნაწილად კი არ მუშაობენ, არამედ თვით მანქანის დაზუზავება ხდება, რათა თავიდან აიცილონ მისი სახმარი ღირებულების დეჟექტები. შეკეთების ასეთი სამუშაოები, ჩვენი მიზნის გამო, ყოველთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ შრომაში ჩარიცხულად, რომელიც საჭიროა შრომის საშუალებათა საწარმოებლად. ტექსტში ლაპარაკია ისეთ გაცვეთაზე, რომ

მეორე მხრივ, წარმოების საშუალება შეიძლება, პირიქით, მთლიანად შედიოდეს ღირებულების ზრდის პროცესში, თუმცა იგი შრომის პროცესში მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შედის. ვთქვათ, ბამბის რთვის დროს ყოველდღიურად 115 გირვანქას აკლდება 15 გირვანქა, რომელიც შეადგენს არა ნართს, არამედ *devil's dust*-ს [ბამბის მტვერს]. მიუხედავად ამისა, თუ ეს 15 გირვანქა ნორმალური დანაკარგია და ბამბის გადამუშავების საშუალო პირობებში აუცილებელია, ღირებულება ამ 15 გირვანქა ბამბისა, რომელიც ნართის ელემენტს არ შეადგენს, სწორედ ისევე შედის ნართის ღირებულებაში, როგორც იმ 100 გირვანქა ბამბის ღირებულება, რომელიც ნართის სუბსტანციას შეადგენს. 15 გირვანქა ბამბის სახმარი ღირებულება მტვერად უნდა იქცეს, რათა 100 გირვანქა ნართი წარმოიქმნას. მაშასადამე, ამ ბამბის მოსპობა ნართის წარმოების პირობაა. სწორედ ამიტომ გადასცემს იგი ნართს თავის ღირებულებას. ასევე ითქმის შრომის პროცესის ყველა ნარჩენის შესახებ, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რამდენადაც ეს ნარჩენები არ ქმნიან ხელახლა წარმოების ახალ საშუალებებს და. მაშასადამე არ ქმნიან ახალ დამოუკიდებელ სახმარ ღირებულებებს. ასე, მაგალითად, მანჩესტერის დიდ მანქანათმშენებელ ფაბრიკებში აღდამიანი ნახავს რკინის ნარჩენების მთელ მთებს; ეს ნარჩენები უზარმაზარი მანქანების მიერ ბურბუშელად ქცეული რკინის ნაჭრებია.

მელსაც ვერავითარი ექიმი ვერ განკურნავს და რომელიც თანდათანობით იწყებს სიკვდილს, «ისეთ გაცეცთაზე, რომლის დროგამოშვებითი შეკეთება შეუძლებელია და რომელიც, მაგალითად, დანას ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ მის შესახებ მედანე ამბობს, შეკეთება არ ღირსო». ტექსტში ჩვენ დავინახეთ, რომ მანქანა, მაგალითად, მთლიანად შედის შრომის ყოველ ცალკეულ პროცესში, მაგრამ მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შედის ღირებულებას ზრდის იმედროულ პროცესში. ამის მიხედვით შეგვიძლია განვსაჯოთ ცნებათა ასეთი არევა: «წინდების საქსოვი მანქანის აგებაზე დაზარალებული მანქანათმშენებლის შრომის ნაწილის შესახებ რიკარდო ამბობს», რომ ეს ნაწილი, მაგალითად, წყვილი წინდის ღირებულებაშია მოქცეული. «მაგრამ, მთელი ის შრომა, რომელიც თვითეულ წყვილ წინდას ქმნის... შეიკავს აგრეთვე მანქანათმშენებლის მთელ შრომას და არა ნაწილს; ვინაიდან, თუკი ერთი მანქანა ბევრ წყვილ წინდას აწარმოებს, მაგრამ არც ერთი წყვილის დამზადება არ შეიძლება მანქანის ყველა ნაწილის დაუმარებლად» (*Observations on certain verbal disputes in Political Economy, particularly relating to Value, and to Demand and Supply*. London 1821. გვ. 54). ეს არაჩვეულებრივად თავმომწონე «wiseacre» [კუთხის კოლოფი] ავტორი თავის აზრთა არე-დარევაში და მასზე აგებულ პოლემიკაში მხოლოდ იმ მხრივ არის მართალი, რომ არც რიკარდოს და არც სხვა რომელიმე ეკონომისტს, როგორც რიკარდომდე, ისე რიკარდოს შემდეგ, არ გაუმიჯნავს ზედმიწევნით ერთმანეთისგან შრომის ორივე მხარე და, ამიტომ, მით უფრო არ მოუხდენია ღირებულების წარმოქმნაში მათი სხვადასხვა როლის ანალიზი.

რომელთაც სალამოობით აქედან დიდი საზიდებით რკინის სამსხმელო ქარხნებში ეზიდებიან და რომელნიც მეორე დღეს იქიდან ჩამოსხმული რკინის სახით ისევე ფაბრიკაში გადააქვთ.

წარმოების საშუალებებს მხოლოდ იმდენად გადააქვთ ღირებულება ახალი სახის პროდუქტზე, რამდენადაც ისინი შრომის პროცესის დროს კარგავენ ღირებულებას თავისი ძველი სახმარი ღირებულების სახით. მაქსიმუმი ღირებულების დანაკარგისა, რომელიც მათ შეიძლება შრომის პროცესში განიცადონ, ცხადია, შემოსაზღვრულია ღირებულების იმ თავდაპირველი სიდიდით, რომელიც მათ ჰქონდათ შრომის პროცესში შესვლისას, ანუ მათი საკუთარი წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროით. ამიტომ წარმოების საშუალებებს არასოდეს არ შეუძლიათ პროდუქტს იმაზე მეტი ღირებულება მიუმატონ, ვიდრე თვითონ ისინი შეიცავენ დამოუკიდებლად შრომის პროცესისაგან, რომელსაც ემსახურებიან. რაგინდ სასარგებლო იყოს შრომის რაიმე მასალა, რაიმე მანქანა, წარმოების რაიმე საშუალება, მაინც ეს საშუალება, თუ იგი 150 გირვანქა სტერლინგი, ვთქვათ, 500 სამუშაო დღე ღირს, ვერასოდეს 150 გირვანქა სტერლინგზე მეტს ვერ მიუმატებს ერთობლივ პროდუქტს, რომლის შექმნასაც იგი ემსახურება. წარმოების საშუალების ღირებულება განსაზღვრულია არა იმ შრომითი პროცესით, რომელშიც იგი წარმოების საშუალების სახით შედის, არამედ იმ შრომითი პროცესით, საიდანაც იგი პროდუქტის სახით გამოდის. შრომის პროცესში იგი სამსახურს ეწევა მხოლოდ როგორც სახმარი ღირებულება, როგორც სასარგებლო თვისებებით აღჭურვილი ნივთი და ამიტომ იგი ვერავითარ ღირებულებას ვერ გადასცემდა პროდუქტს, რომ მას პროცესში შესვლამდე ღირებულება არ ჰქონოდა²².

²² ამიტომ ადვილი გასაგებია გაცვეთილი ჩმაზა ე. ბ. სეისა, რომელსაც სურს გამოიყვანოს ზედმეტი ღირებულება (პროცენტი, მოგება, რენტა) «services productifs»-დან [მწარმოებლური სამსახურიდან], რასაც წარმოების საშუალებანი, მაგალითად, მიწა, იარაღები, ტყავი და სხვ. თავიანთი სამხარი ღირებულებათ ასრულებენ შრომის პროცესში. ბატონი ვილჰელმ როშერი, რომელიც არასოდეს არ გაუშვებს შეთხვევას აღნუსხოს შავით თეთრზე აპოლოგეტური მოსახრებანი, წარმოთქამს: ე. ბ. სეი («Traité», ტ. I, თავი 4) სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: ზეთსახდელი ქარხნის მიერ წარმოებული ღირებულება, ყველა ხარჯების გამოკლებით, ნამდვილად ხომ ახალ რამეს წარმოადგენს, არსებითად განსხვავებულს იმ შრომისაგან, რომლითაც თვით ზეთსახდელი ქარხანაა შექმნილი («Die Grundlagen der Nationalökonomie», მე-3 გამოც., 1858. გვ. 82, შენიშვნა). სასებთი მართებულა! ზეთსახდელ ქარხანაში გამოხდელი ზეთი არის მეტად განსხვავებული რამ იმ შრომისაგან, რაც ქარხნის აგება ღირს. ღირებულებად კი ბატონი როშერი ისეთ საგანს

როდესაც მწარმოებლური შრომა წარმოების საშუალებებს ახალი პროდუქტის შემქმნელ ელემენტებად აქცევს, მათი ღირებულება ერთგვარ სულთა გადასახლებას განიცდის. მოხმარებული სხეულიდან იგი ახლად ჩამოყალიბებულ სხეულში გადადის. მაგრამ სულის ეს გადასახლება, ასე ვთქვათ, ნამდვილი შრომის ზურგს უკან ხდება. მუშას არ შეუძლია ახალი შრომა მიუმატოს, მაშასადამე, ახალი ღირებულება შექმნას, თუ მან ძველი ღირებულება არ შეინახა, რადგან შრომა მან მუდამ განსაზღვრული სასარგებლო ფორმით უნდა მიუმატოს, ხოლო სასარგებლო ფორმით შრომის მიმატება მას არ შეუძლია, თუ პროდუქტები ახალი პროდუქტის წარმოების საშუალებებად არ აქცია და ამით მათი ღირებულება ახალ პროდუქტზე არ გადაიტანა. მაშასადამე, ღირებულების მიმატების გზით ღირებულების შენახვა არის ბუნებრივი თვისება მოქმედი სამუშაო ძალისა, ცოცხალი შრომისა, ბუნების ნაჩუქარია, რომელიც მუშას არად უღირს, მაგრამ კაპიტალისტს ბევრს აძლევს იმით, რომ არსებულ კაპიტალღირებულებას უნახავს²²⁴. სანამ საქმე კარგად მიდის, კაპიტალისტი ძალზე გართულია მოგების მიღებით და ვერ ამჩნევს შრომის ამ მუქთ ნაჩუქარს. შრომის პროცესის ძალდატანებითი

გულისხმობს, როგორც არის «ზეთი», რადგან «ზეთს» ღირებულება აქვს; და რადგან «ბუნებაში» მიწერალური ზეთი მოიპოვება, თუმცა შედარებით არცთუ «ძალიან ბლომად», რაც, ალბათ, მხედველობაში აქვს მის მეორე შენიშვნას: «საცვლელ ღირებულებებს იგი (ბუნება) თითქმის სრულიად არ წარმოშობს!» [იქვე, გვ. 79.] რონერის მიხედვით ბუნების მდგომარეობა საცვლელი ღირებულების მიმართ ისეთივე გამოდის, როგორც ერთი უგუნური ქალიშვილისა ბავშვის მიმართ, რომელიც მას მართალია ეყოლა, მაგრამ — «სულ მთლად პატარა». ზემოხსენებული შემთხვევის გამო იგივე «მეცნიერი» (*savant sérieux*) შენიშნავს კიდევ: «იკარდოს სკოლას შრომის ცნების ფაზგალში ჩვეულებრივ შეაქვს კაპიტალიც, როგორც «დახოვცილი შრომა». მაგრამ ეს უხერხულია (!), რადგან (!) კაპიტალის მფლობელმა (!) უომ (!) მაინც (!) უფრო მეტი (!) გააკეთა, ვიდრე უბრალო (!) წარმოება (!) და (!?) შენახვა მისი (რისი?) «სახელდობრ (!?)» დაითმინა პირადი სამაოვნება, რისთვისაც იგი, მაგალითად (!), პროცენტს მოითხოვს» (იქვე). რა «მოზარბებულა» პოლიტიკური ეკონომიის ეს ანატომიურ-ფიზიოლოგიური მეთოდია, რომელიც «ღირებულებას» ასე მარტივად «მოთხოვნიდან» აეთიარებს!

²²⁴ «ფერმერის წარმოებაში ხმარებულ ყველა იარაღიდან ადამიანის შრომა... ისეთი იარაღია, რომლასგანაც ყველაზე მეტად შეიძლება ფერმერი მოელოდეს თავისი კაპიტალის ანაზღაურებას. დანარჩენი ორი — კაპიტალი მუშაპირუტყვის სახით და... ურმები, გუთნები, ნიჩბები და სხვ. — სრულიად უმნიშვნელოა, თუ მათ პირველის გარკვეული რაოდენობა არ შეუერთდა» (Edmund Burke: *Thoughts and Details on Scarcity*, originally presented to the Right Hon. W. Pitt in the Month of November 1795, გამოც. London 1800, გვ. 10).

შეწყვეტა, კრიზისები, ხდის ამ მუქთ საჩუქარს კაპიტალისტისთვის ხელშესახებად შესაძლებელს²³.

წარმოების საშუალებათა მოხმარებისას საერთოდ მოიხმარება მათი სახმარი ღირებულება, რომლის მოხმარებითაც შრომა პროდუქტებს ქმნის. მათი ღირებულება სინამდვილეში არ მოიხმარება²⁴, მაშასადამე, მათი არც კვლავწარმოება შეიძლება. ეს ღირებულება ინახება, მაგრამ არა იმიტომ, რომ შრომის პროცესში თვით რაიმე ოპერაციას განიცდის, არამედ იმიტომ, რომ სახმარი ღირებულება, რომელშიაც ის თავდაპირველად არსებობს, თუმცა ქრება, მაგრამ ქრება მხოლოდ სხვა სახმარ ღირებულებაში. ამიტომ წარმოების საშუალებათა ღირებულება კვლავ გვეკლინება პროდუქტის ღირებულებაში, მაგრამ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, იგი არ იკვლავწარმოება, იწარმოება ახალი სახმარი ღირებულება, რომელშიაც ძველი საცვლელი ღირებულება კვლავ გვეკლინება²⁵.

²³ 1862 წლის 26 ნოემბრის «Times»-ში ერთი მეფობრივი, რომელიც თავის სარ-თაჟ ფაბრიკაში 800 მუშას ამუშავებს და ყოველკვირეულად საშუალოდ 150 შვეკრა ოსტინდურ ანუ დაბლოვებით 130 შვეკრა ამერიკულ ბამბას ხმარობს, ჩივის საზოგადოების წინაშე იმ ბარჯების გამო, რომლებიც მას ყოველწლიურად მოსდის ფაბრიკის მუშაობის შეჩერებით. ამ ბარჯებს იგი 6 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით ანგარიშობს. მათში არის ისეთი ბარჯებიც, რომლებიც ჩვენ არ გვანტერესებს, როგორც მაგალითად, მიწის რენტა, გადასახადები, დაზღვევის პრემიები, ჯამაგირი მუშებისათვის, რომელნიც წლიურად დაქირავებულნი არიან, მმართველისათვის, ბუღალტრისათვის, ინჟინრისათვის და სხვ. მაგრამ შემდეგ იგი ანგარიშობს 150 გირვანქა სტერლინგის ნახშირს, რათა ფაბრიკა დროგამოშვებით გაათბოს და ორთქლის მანქანა ხანდახან აამუშაოს; გარდა ამისა, იგი ანგარიშობს ხელფასს იმ მუშებისთვის, რომელთა დროგამოშვებითა შრომამ მანქანები ასამუშავებლად მხდა უნდა ამყოფოს. ბოლოს, 1 200 გირვანქა სტერლინგს ანგარიშობს მანქანების გაფუჭებისთვის, რადგან ამინდი და სხვა ბუნებრივი განანადგურებელი ფაქტორები არ წყვეტენ თავის მოკმდეებას იმის გამო, რომ ორთქლის მანქანა აღარ ბრუნავს. ამასთან იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მკირე თანხა, 1 200 გირვანქა სტერლინგი, იმიტომ არის ნაანგარიშევი, რომ მანქანები უკვე ძალზე გაკვეთილია.

²⁴ «წარმოებლური მოხმარება: როდესაც საქონლის მოხმარება წარმოების პროცესის ნაწილს შეადგენს... ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს ღირებულების მოხმარებას» (S. P. Newman: «Elements of Political Economy». Andover and New York 1835, გვ. 296).

²⁵ ერთ ჩრდილო-ამერიკულ სახელმძღვანელოში, რომელიც, შეიძლება, 20-ჯერაც გამოიცა, ვკითხულობთ: «სავსებით უმნიშვნელოა, თუ რა ფორმით გვეკლინება ხელახლა კაპიტალი». წარმოების ყოველგვარ იმ შეზღუდვებზე ნაწილთა მრავალსიტყვიერად ჩამოთვლის შემდეგ, რომელთა ღირებულებაც პროდუქტში კვლავ გვეკლინება, დასკვნის სახით ნათქვამია შემდეგი: «სხვადასხვაგვარი სურსათი, ტანისამოსი და ბინა, რაც აუცილებელია ადამიანის არსებობისა და კომფორტისათვის, აგრეთვე»

სულ სხვაგვარადაა საქმე შრომის პროცესის სუბიექტური ფაქტორის, ე. ი. მოქმედი სამუშაო ძალის მიმართ. მაშინ როდესაც შრომას თავისი მიზანშეწონილი ფორმის მეოხებით წარმოების საშუალებათა ღირებულება პროდუქტზე გადააქვს და ამით მას ინახავს, მისი მოძრაობის ყოველი მომენტი დამატებითს ღირებულებას, ახალ ღირებულებას ქმნის. ვიგულისხმობ, რომ წარმოების პროცესი იმ პუნქტზე წყდება, სადაც მუშამ თავისი საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულების ეკვივალენტის წარმოება დაასრულა, სადაც, მაგალითად, 6 საათის შრომით მან 3 შილინგი ღირებულება მიუმატა. ეს ღირებულება წარმოადგენს პროდუქტის ღირებულების ნამეტს ამ ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილებთან შედარებით, რომელნიც წარმოების საშუალებათა ღირებულებამ წარმოშვა. ეს ერთადერთი ახალი ღირებულებაა, რომელიც ამ პროცესში წარმოიშვა, პროდუქტის ღირებულების ერთადერთი ნაწილი, რომელიც თვითონ ამ პროცესის მეოხებით არის წარმოებული. რასაკვირველია, იგი ანაზღაურებს მარტოოდენ იმ ფულს, რომელიც სამუშაო ძალის ყიდვისას კაპიტალისტმა დააფანსა და თვით მუშამ საარსებო საშუალებათა შესაძენად დახარჯა. დახარჯული 3 შილინგის მიმართ 3 შილინგი ახალი ღირებულება მარტოოდენ პირველი 3 შილინგის მარტივ კლავწარმოებას წარმოადგენს. მაგრამ ეს ახალი ღირებულება ნამდვილად კლავწარმოებულია, და არა მხოლოდ მოჩვენებითად, — როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულება. ერთი ღირებულების ანაზღაურება მეორით აქ ახალი ღირებულების შექმნის მეშვეობით ხდება.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ შრომის პროცესი იმ ფარგალს იჭიბვრძელდება, სადაც ხდება სამუშაო ძალის ღირებულების მარტოოდენ ეკვივალენტის კლავწარმოება და მისი მიმატება შრომის

ცვლილებას განიცდის. ყველა ეს საგანი ჰდროვამოშვებით მოიხმარება, და მათი ღირებულება კვლავ გვევლინება ახალ ძალაში, რომელსაც ისინი ადამიანის სხეულსა და გონებას ანიჭებენ, და, ამრიგად, ქმნიან ახალ კაპიტალს, რომელიც ხელახლა გამოიყენება წარმოების პროცესში: (F. W a y l a n d: «The Elements of Political Economy». Boston 1853, გვ. 31, 32). ყველა სხვა უცნაურობას რომ თავი დაეანებოთ, შევნიშნავთ, რომ, მაგალითად, პუჩის ფასი კი არ გვევლინება კვლავ განახლებულ ძალაში, არამედ მისი სისხლის წარმოქმნელი ელემენტები. ხოლო ძალის ღირებულების სახით კვლავ გვევლინება, პირიქით, არა საარსებო საშუალებანი, არამედ — მათი ღირებულება. იგივე საარსებო საშუალებანი, თუ მათი ღირებულება ორჯერ ნაკლებია, სრულიად იმდენსავე კუნთებს, ძვლებს და სხვას, ერთი სიტყვით — იმავე ძალას წარმოშობენ, მაგრამ არა იმავე ღირებულებისას. «ღირებულების» ეს გარდაქმნა «ძალად» და მთელი ეს ფარისევლური გაურკვევლობა ფარავენ იმ ცდას, თუცა სრულიად ამაოს, რომ ზედმეტი ღირებულება ავანსებულ ღირებულებათა კვლავ მოვლინების უბრალო ფაქტიდან გამოიყვანონ.

საგნისადმი. 6 საათის ნაცვლად, რაც ამისთვის საკმარისი იქნებოდა. შრომის პროცესი, მაგალითად, 12 საათს გრძელდება. მაშასადამე, სამუშაო ძალის ამოქმედებით არა მარტო იკვლავწარმოება მისი საკუთარი ღირებულება, არამედ ნამეტი ღირებულებაც იწარმოება. ეს ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს პროდუქტის ღირებულების ნამეტს იმ ელემენტების ღირებულებასთან შედარებით, რომლებიც მოხმარებულია პროდუქტის შესაქმნელად, ე. ი. წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ღირებულებასთან შედარებით.

იმ სხვადასხვა როლის გარკვევით, რომელსაც პროდუქტის ღირებულების წარმოქმნაში შრომის პროცესის სხვადასხვა ფაქტორი ასრულებს, ჩვენ სინამდვილეში დავახასიათეთ კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების ფუნქციები მისი საკუთარი ღირებულების ზრდის პროცესში. პროდუქტის მთელი ღირებულების ნამეტი, მისი წარმომქმნელი ელემენტების ღირებულების ჯამთან შედარებით, არის ნამეტი ღირებულება გაზრდილი კაპიტალისა მის თავდაპირველად დაავანსებულ კაპიტალიზაციასთან შედარებით. წარმოების საშუალებანი, ერთი მხრივ, და სამუშაო ძალა, მეორე მხრივ, მხოლოდ არსებობის სხვადასხვა ფორმებია, რომლებიც თავდაპირველმა კაპიტალიზაციებამ მიიღო თავისი ფულადი ფორმის მოცილებისა და შრომის პროცესის ფაქტორებად გადაქცევის დროს.

მაშასადამე, კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც წარმოების საშუალებებად, ე. ი. ნედლ მასალად, დამხმარე მასალად და შრომის საშუალებად იქცევა, წარმოების პროცესში თავისი ღირებულების სიდიდეს არ იცვლის. ამიტომ მე მას კაპიტალის მუდმივ ნაწილს ანუ, მოკლედ, მუდმივ კაპიტალს ვუწოდებ.

პირიქით, კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალადაა ქცეული, წარმოების პროცესში იცვლის თავის ღირებულებას. იგი აკვლავწარმოებს თავის საკუთარ ეკვივალენტს და გარდა ამისა ნამეტს, ზედმეტ ღირებულებას, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იცვლებოდეს, იყოს მეტი ან ნაკლები. კაპიტალის ეს ნაწილი მუდმივი სიდიდიდან განუწყვეტლივ იქცევა ცვალებად სიდიდედ. ამიტომ მე მას კაპიტალის ცვალებად ნაწილს ანუ, მოკლედ, ცვალებად კაპიტალს ვუწოდებ. კაპიტალის იგივე შემადგენელი ნაწილები, რომელნიც შრომის პროცესის თვალსაზრისით განსხვავდებიან როგორც ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, როგორც წარმოების საშუალებანი და სამუშაო ძალა, ღირებულების ზრდის პროცესის თვალსაზრისით განსხვავდებიან როგორც მუდმივი კაპიტალი და ცვალებადი კაპიტალი.

მუდმივი კაპიტალის ცნება სრულიადაც არ გამოორიცხავს რევოლუციას მისი შემადგენელი ნაწილების ღირებულებაში. ვიგულისხმობთ, რომ გირვანქა ბამბა დღეს 6 პენსი ღირს და ხვალ, ბამბის მოუსავლობის გამო, მისმა ფასმა 1 შილინგამდე აიწია. უწინდელი ბამბა, რომლის გადამუშავება გრძელდება, ნაყიდა 6 პენსის ღირებულების კვალობაზე, მაგრამ ახლა პროდუქტს მატებს ღირებულების ნაწილს 1 შილინგის კვალობაზე. უკვე დართული ბამბა, რომელიც შესაძლოა კიდევ მიმოიქცევა ბაზარზე ნართის სახით, პროდუქტს მატებს ასევე ორჯერ მეტ ღირებულებას მის თავდაპირველ ღირებულებასთან შედარებით. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ღირებულების ეს ცვლილებანი დამოუკიდებელია ბამბის ღირებულების ზრდისაგან თვით რთვის პროცესში. უწინდელი ბამბა რომ სრულიად არ შესულიყო შრომის პროცესში, იგი ახლა მაინც 1 შილინგად შეიძლება გაყიდულიყო ნაცვლად 6 პენსისა. პირიქით: რაც უფრო ნაკლები შრომითი პროცესები აქვს მას გავლილი, მით უფრო უეჭველია ეს შედეგი. ამიტომ სპეკულაციის წესი ასეთია: ღირებულების ამგვარი რევოლუციის დროს სპეკულაციას ყველაზე ნაკლებად გადამუშავებულ ნედლ მასალაზე ეწევიან, ე. ი. უფრო ნართზე, ვიდრე ქსოვილზე და უფრო თვით ბამბაზე, ვიდრე ნართზე. ღირებულების ცვლილება აქ ხდება იმ პროცესში, რომელიც ბამბას აწარმოებს, და არა იმ პროცესში, სადაც ბამბა წარმოების საშუალებად და, მაშასადამე, მუდმივ კაპიტალად მოქმედებს. თუმცა საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოქცეული შრომის რაოდენობით, მაგრამ თვით ეს რაოდენობა განსაზღვრულია საზოგადოებრივად. თუ შეიცვალა საქონლის წარმოებისთვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო, — ბამბის ერთი და იგივე რაოდენობა კი, მაგალითად, ცუდი მოსავლის დროს შრომის უფრო მეტ რაოდენობას წარმოადგენს, ვიდრე კარგი მოსავლის დროს, — მაშინ ეს გარემოება უკუგავლენას ახდენს ძველ საქონელზე, რომელიც მუდამ მისი გვარეობის მარტოოდენ ცალკეული ეგზემპლარის როლს ასრულებს²⁶ და რომლის ღირებულება მუდამ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით გაიზომება, მაშასადამე, მუდამ იმ შრომით, რომელიც აუცილებელია არსებულ საზოგადოებრივ პირობებში.

²⁶ ყველა ერთი და იმავე გვარეობის პროდუქტები წარმოადგენენ, სწორად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთ მასას, რომლის ფასი ერთად განისაზღვრება, ცალკეული შემთხვევის განსაკუთრებული პირობებისაგან დამოუკიდებლად (Le Trosne: «De l'Intérêt Social», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 893).

ღირებულება შრომის საშუალებებისა, მანქანებისა და სხვ., რომელნიც წარმოების პროცესში უკვე სამსახურს ეწვეიან, მაშასადამე, ღირებულების ის ნაწილიც, რომელსაც ისინი პროდუქტს გადასცემენ, შეიძლება ცვლილებას განიცდიდეს სწორედ ისევე, როგორც ნედლი მასალის ღირებულება. თუ, მაგალითად, ახალი გამოგონების გამო გარკვეული ტიპის მანქანათა კვლავწარმოება შესაძლებელი არის ნაკლები შრომის დახარჯვით, მაშინ ძველი მანქანები ცოტად თუ ბევრად ღირებულებას კარგავენ და ამიტომაც მათ შედარებით ნაკლები ღირებულება გადააქვთ პროდუქტზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ღირებულების ცვლილება იმ წარმოებითი პროცესის გარეთ წარმოიშვება, სადაც მანქანა წარმოების საშუალების სახით მოქმედებს. ამ პროცესში მას პროდუქტზე არასოდეს არ გადააქვს იმაზე მეტი ღირებულება, რაც მას ამ პროცესისაგან დამოუკიდებლად აქვს.

როგორც წარმოების საშუალებათა ღირებულებაში მომხდარი ცვლილება, — თუმცა იგი თავის უკუგავლენას ახდენს უკვე მას შემდეგ, რაც წარმოების საშუალებანი წარმოების პროცესში შევიდნენ, — არ ცვლის ამ საშუალებათა ხასიათს, ე. ი. იმას, რომ ისინი მუდმივ კაპიტალს წარმოადგენენ, სწორედ ასევე მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის არსებულ შეფარდებაში მომხდარი ცვლილებაც ნაკლებად ეხება მათს ფუნქციურ განსხვავებას. მაგალითად, შრომის პროცესის ტექნიკური პირობები შეიძლება ისე გარდაიქმნას, რომ სადაც უწინ 10 მუშა 10 მცირეღირებულებიანი სამუშაო იარაღით ნედლი მასალის შედარებით მცირე რაოდენობას გადაამუშავებდა, იქ ახლა 1 მუშა უფრო ძვირი მანქანით 100-ჯერ მეტ ნედლ მასალას გადაამუშავებს. ამ შემთხვევაში მუდმივი კაპიტალი, ე. ი. გამოყენებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების მასა, ძალზე გაიზრდებოდა, ხოლო კაპიტალის ცვალებადი ნაწილი, სამუშაო ძალისთვის ავანსებული, ძალზე შემცირდებოდა. მაგრამ ეს ცვლილება ეხება მხოლოდ მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის სიდიდეთა შეფარდებას, ანუ იმ შეფარდებას, რომლის მიხედვით მთელი კაპიტალი მუდმივ და ცვალებად შემადგენელ ნაწილებად იყოფა, და, პირიქით, არ ეხება განსხვავებას მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის.

თავი მეშვიდე

ზედმეტი ღირებულების ნორმა

1. სამუშაო ძალის მასშტაბაციის ხარისხი

ზედმეტი ღირებულება, რომელიც ავანსებულმა კაპიტალმა C -მ წარმოშვა წარმოების პროცესში, ანუ ავანსებული კაპიტალირებულების — C -ს ზრდა, გვევლინება, უწინარეს ყოვლისა, როგორც ნამეტი პროდუქტის ღირებულებისა ამ პროდუქტის მწარმოებელი ელემენტების ღირებულებათა ჯამთან შედარებით.

კაპიტალი C ორ ნაწილად იყოფა: ფულად თანხად — c , რომელიც იხარჯება წარმოების საშუალებებზე და მეორე ფულად თანხად v , რომელიც იხარჯება სამუშაო ძალაზე; c წარმოადგენს მუდმივ კაპიტალად გადაქცეულ, ხოლო v — ცვალებად კაპიტალად გადაქცეულ ღირებულების ნაწილს. მაშასადამე, თავდაპირველად $C = c + v$, მაგალითად, ვთქვათ, ავანსებული კაპიტალი 500 გირვანქა სტერლინგი = 410 გირვანქა სტერლინგი მუდმივ კაპიტალს (c) + 90 გირვანქა სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი (v). წარმოების პროცესის დასასრულს ჩვენ ვღებულობთ საქონელს, რომლის ღირებულება უდრის $(c + v) + m$, სადაც m ზედმეტი ღირებულებაა, მაგალითად, 410 გირვანქა სტერლ. (c) + 90 გირვანქა სტერლ. (v) + 90 გირვანქა სტერლ. (m). თავდაპირველი კაპიტალი C გადაიქცა C^1 -დ, 500 გირვანქა სტერლინგიდან — 590 გირვანქა სტერლინგად. სხვაობა მათ შორის უდრის m , ე. ი. 90 გირვანქა ზედმეტ ღირებულებას. რადგან წარმოების ელემენტების ღირებულება ავანსებული კაპიტალის ღირებულებას უდრის, ამიტომ ნამდვილი ტაქტოლოგიაა ის, რომ პროდუქტის ღირებულების ნამეტი მისი მწარმოებელი ელემენტების ღირებულებასთან შედარებით უდრის ავანსებული კაპიტალის ზრდას, ანუ წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას.

მაგრამ ეს ტაქტოლოგია უფრო დაწვრილებითს განმარტებას მოითხოვს. ხდება შედარება პროდუქტის ღირებულებისა წარმოების იმ ელემენტებთან, რომლებიც მოხმარებულია პროდუქტის წარმოქმნის

დროს. მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ნაწილი, რომელიც შრომის საშუალებებისგან შედგება, თავისი ღირებულების მხოლოდ ერთ ნაწილს გადასცემს პროდუქტს. მაშინ როდესაც მეორე ნაწილი თავისი ძველი ფორმით განაგრძობს არსებობას. რადგან ეს უკანასკნელი არავითარ როლს არ ასრულებს ღირებულების წარმოქმნაში, ამიტომ იგი შეგვიძლია აქ მხედველობაში არ მივიღოთ. მისი გათვალისწინება არაფერს არ შეცვლიდა. ვიგულისხმობთ, რომ c , რომელიც უდრის 410 გირვანქა სტერლინგს, შედგება 312 გირვანქა სტერლინგის ნედლი მასალისა, 44 გირვანქა სტერლინგის დამხმარე ნივთიერებისა და პროცესში გაცვეთილ 54 გირვანქა სტერლინგის მანქანებისაგან, ხოლო ნამდვილად გამოყენებული მანქანების ღირებულება 1054 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. პროდუქტის ღირებულების წარმოებისათვის ავანსებულად ჩვენ ვანგარიშობთ მხოლოდ 54 გირვანქა სტერლინგ ღირებულებას, რომელსაც მანქანა თავისი მოქმედების დროს კარგავს და ამიტომ პროდუქტს გადასცემს. თუ 1000 გირვანქა სტერლინგსაც ჩავთვლიდით, რომელიც თავისი ძველი ფორმით განაგრძობს არსებობას, — როგორც ორთქლის მანქანა და სხვ., — მაშინ ეს 1000 გირვანქა სტერლინგი ორივე მხარეზე უნდა ჩაგვეთვალა, ავანსებული ღირებულების მხარეზე და პროდუქტის ღირებულების მხარეზე ²⁶ ა, და, ამრიგად, მივიღებდით *resp.* [შესაბამისად] 1500 გირვანქა სტერლინგს და 1590 გირვანქა სტერლინგს. სხვაობა, ანუ ზედმეტი ღირებულება, უწინდებურად 90 გირვანქა სტერლინგი იქნებოდა. ამიტომ ღირებულების წარმოებისათვის ავანსებულ მუდმივ კაპიტალად ჩვენ მუდამ ვგულისხმობთ ყველგან, სადაც კი აზრთა საერთო მსვლელობიდან საწინააღმდეგო არ გამომდინარეობს, მხოლოდ წარმოებაში მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას.

რაკი ეს ნაგულისხმევია, დავუბრუნდეთ ფორმულას $C = c + v$, რომელიც იღებს სახეს $C' = (c + v) + m$ და სწორედ ამის გამო C იქცევა C' -დ. ჩვენ ვიცით, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება პროდუქტში მხოლოდ ხელახლა გვევლინება. მაშასადამე, პროცესში ნამდვილად ახლადშექმნილი ღირებულება განსხვავდება პროცესიდან მიღებული პროდუქტის ღირებულებისაგან; ამიტომ იგი უდრის არა

²⁶ ა. «თუ ჩვენ ანგარიშში შევიტანთ იმ ძირითადი კაპიტალის ღირებულებას, რომელიც გამოყენებულია როგორც ავანსებული კაპიტალის ნაწილი, მაშინ ამ კაპიტალის ღირებულების ნაშთი წლის ბოლოს უნდა ჩავთვალოთ როგორც წლიური ამონაგების ნაწილი» (Malthus: «Principles of Political Economy», მე-2 გამოც., London 1836, გვ. 269).

$(c + v) + m$, ანუ არა 410 გირვ. სტერლ. $(c) + 90$ გირვ. სტერლ.
 $(v) + 90$ გირვ. სტერლ. (m) , როგორც ეს პირველი შეხედვით გვეჩ-
 ყენება, არამედ — $v + m$, ანუ 90 გირვ. სტერლ. $(v) + 90$ გირვ. სტერლ.
 (m) , ე. ი. უდრის არა 590 გირვანქა სტერლინგს, არამედ — 180
 გირვანქა სტერლინგს. მუდმივი კაპიტალი c რომ 0-ს უდრიდეს, სხვა
 სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ არსებობდეს მრეწველობის ისეთი
 დარგი, სადაც კაპიტალისტს არ დასჭირდებოდა არაერთი წარ-
 მოებული საშუალებანი წარმოებისა, არც ნედლი მასალა, არც დამხ-
 მარე ნივთიერება, არც შრომის იარაღები, არამედ სადაც იგი მხო-
 ლოდ ბუნების მიერ მოცემულ ნივთიერებას და სამუშაო ძალას გა-
 მოიყენებდა, მაშინ პროდუქტზე მუდმივი ღირებულების არც ერთი
 ნაწილი არ გადავიდოდა. პროდუქტის ღირებულების ეს ელემენტი,
 ჩვენს მაგალითში 410 გირვანქა სტერლინგი, სრულიად ჩამოშორდე-
 ბოდა, მაგრამ ახლადშექმნილი ღირებულება 180 გირვანქა სტერლინ-
 გის რაოდენობით, რომელიც 90 გირვანქა სტერლინგ ზედმეტ ღირე-
 ბულებას შეიცავს, სწორედ იმავე სიდიდეს შეინარჩუნებდა, როგორც
 იმ შემთხვევაში, რომ c ღირებულების უდიდეს ჯამს წარმოადგენდეს.
 მაშინ ჩვენ გვეჩვენებოდა $C = (0 + v) = v$, და C' , ღირებულებაგაზრდილი
 კაპიტალი, $= v + m$, $C' - C$ უწინდებურად $= m$. პირიქით, თუ $m = 0$,
 სხვა სიტყვებით, თუ სამუშაო ძალა, რომლის ღირებულებაც ცვალებ-
 ბადი კაპიტალის სახით არის ავანსებული, მხოლოდ ეკვივალენტს
 აწარმოებდა, მაშინ $C = c + v$ და C' (პროდუქტის ღირებულება) $=$
 $(c + v) + 0$, მაშასადამე, $C = C'$. ავანსებული კაპიტალის ღირებუ-
 ლება არ გაიზრდებოდა.

მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზედმეტი ღირებულება მხო-
 ლოდ შედგება ღირებულების იმ ცვლილებისა, რომელსაც განიცდის v ,
 სამუშაო ძალად ქცეული ნაწილი კაპიტალისა, რომ, მაშასადამე,
 $v + m = v + \Delta v$ (v პლუს v -ს ნაზრდი). მაგრამ ღირებულების ნამდ-
 ვილი ცვლილება და ის შეფარდება, რომლის მიხედვითაც ღირებუ-
 ლება იცვლება, ბუნდოვანი ხდება იმით, რომ თავისი ცვალებადი
 შემადგენელი ნაწილის ზრდის შედეგად იზრდება ავანსებული ერთობ-
 ლივი კაპიტალიც. წინათ ის 500 იყო, ახლა 590 გახდა. ამრიგად,
 პროცესის წმინდა ანალიზი მოითხოვს სრულიად მხედველობის გარეშე
 დავტოვოთ კაპიტალღირებულების ის ნაწილი, რომელშიც მუდმივი
 კაპიტალის ღირებულება მხოლოდ ხელახლა გვევლინება; ახლა, მა-
 შასადამე, მივიჩნით, რომ მუდმივი კაპიტალი $c = 0$ და ამით გამოვიყე-
 ნოთ მათემატიკის ის კანონი, რომლის მიხედვით ცვლადსა და მუდმივ

სიდიდეებზე წარმოებს ოპერაციები, როცა მუდმივი ცვლადთან მხოლოდ შეკრება-გამოკლებით არის დაკავშირებული.

მეორე სიძნელე ცვალებადი კაპიტალის თავდაპირველი ფორმიდან გამომდინარეობს. ზემოაღნიშნულ მაგალითში $C' = 410$ გირვანქა სტერლინგ მუდმივ კაპიტალს $+ 90$ გირვანქა სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი $+ 90$ გირვანქა სტერლინგი ზედმეტი ღირებულება. მაგრამ 90 გირვანქა სტერლინგი მოცემულ, მაშასადამე, მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს, და ამიტომ მისი განხილვა ცვალებადი სიდიდის სახით უაზრობად გვეჩვენება. მაგრამ, სინამდვილეში 90 გირვ. სტერლ. (შ), ანუ 90 გირვანქა სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი აქ მხოლოდ სიმბოლოა იმ პროცესისა, რომელსაც ეს ღირებულება გაივლის. სამუშაო ძალის საყიდლად ავანსებული კაპიტალის ნაწილი გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრული რაოდენობაა, მაშასადამე, ღირებულების მუდმივი სიდიდეა, ისევე როგორც თვით ნაყიდი სამუშაო ძალის ღირებულება. მაგრამ თვით წარმოების პროცესში ავანსებული 90 გირვანქა სტერლინგის ნაცვლად გამოდის მოქმედი სამუშაო ძალა, მკვდარი შრომის ნაცვლად — ცოცხალი შრომა, უმოძრაო სიდიდის ნაცვლად — დენადი სიდიდე, მუდმივის ნაცვლად — ცვალებადი. შედეგია s -ს კვლავწარმოება, პლუს s -ს ნაზრდი. კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით მთელი ეს პროცესი თვითმოძრაობაა სამუშაო ძალად გარდაქმნილი თავდაპირველი მუდმივი ღირებულებისა. ამ ღირებულებას მიეწერება მთელი პროცესი და მისი შედეგი. ამიტომ, თუმცა 90 გირვანქა სტერლინგი ცვალებადი კაპიტალის ფორმულა, ანუ თვითმზარდი ღირებულება წინააღმდეგობით სავსე მოვლენად გვეჩვენება, მაგრამ იგი მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების იმანენტურ წინააღმდეგობას გამოხატავს.

მუდმივი კაპიტალის გატოლება O -თან ერთი შეხედვით უცნაურად გვეჩვენება. მაგრამ ასეთი გატოლება განუწყვეტლივ ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, როცა ვისმეს სურს გამოიანგარიშოს ინგლისის მოგება ბამბის მრეწველობაში, უწინარეს ყოვლისა, იგი გამოაკლებს ბამბის ფასს, რომელიც ინგლისმა გადაუხადა შეერთებულ შტატებს, ინდოეთს, ეგვიპტეს და სხვ., ე. ი. O -ს გაუტოლებს იმ კაპიტალღირებულებას, რომელიც მხოლოდ ხელახლა გვევლინება პროდუქტის ღირებულებაში.

რასაკვირველია, ზედმეტი ღირებულების შეფარდებას არა მარტო კაპიტალის იმ ნაწილთან, საიდანაც ის უშუალოდ წარმოიშვება და რომლის ღირებულების ცვლილებასაც ის წარმოადგენს, არამედ — ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთანაც, თავისი დიდი ეკონომიური

მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით ამ შეფარდებას მესამე წიგნში განვიხილავთ. იმისათვის, რომ კაპიტალის ერთი ნაწილი გაიზარდოს მისი სამუშაო ძალად გარდაქმნის გზით, კაპიტალის მეორე ნაწილი წარმოების საშუალებებად უნდა გადაიქცეს. იმისათვის, რომ ცვალებადმა კაპიტალმა იმოქმედოს, მუდმივი კაპიტალი უნდა დააყვანდეს სათანადო პროპორციის მიხედვით, იმისდა კვალად, თუ როგორია შრომის პროცესის განსაზღვრული ტექნიკური ხასიათი. მაგრამ ის გარემოება, რომ რომელიმე კომიური პროცესისთვის ამბუხი და სხვა ჭურჭელი იხმარება, სრულიად არ უშლის ხელს, რომ ანალიზის დროს თვით ამბუხი მხედველობის გარეშე დავტოვოთ. რამდენადაც ღირებულების შექმნა და ღირებულების ცვლილება თავისთავად. ე. ი. წმინდა სახით განიხილება, წარმოების საშუალებანი, მუდმივი კაპიტალის ეს ნივთიერი ფორმები, მხოლოდ ნივთიერებას იძლევიან, რომელშიც დენადი, ღირებულების შემქმნელი ძალის ფიქსაცია უნდა მოხდეს. ამიტომ ამ ნივთიერების ბუნებას, სულ ერთია, ბამბა იქნება იგი თუ რკინა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. არა აქვს მნიშვნელობა აგრეთვე ამ ნივთიერების ღირებულებასაც. ეს ნივთიერება მხოლოდ საკმარისი რაოდენობის უნდა იყოს იმისათვის, რომ წარმოების პროცესის დროს დასახარჯი შრომის რაოდენობის შეწოვა შეეძლოს. როდესაც ეს მასა მოცემულია, შეიძლება მისი ღირებულება იზარდებოდეს ან მცირდებოდეს, ან იგი სრულიად მოკლებული იყოს ღირებულებას, როგორც მიწა და ზღვა, — ამას ღირებულების შექმნისა და ღირებულების ცვლილების პროცესზე სრულიად გავლენა არა აქვს²⁷.

მამასადამე, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ კაპიტალის მუდმივ ნაწილს O -ს ვუტოლებთ. ამიტომ ავანსებული კაპიტალი $(c + v)$ დაიყვანება v -ზე, ხოლო პროდუქტის ღირებულება $(c + v) + m$ — ახლადშექმნილ ღირებულებაზე $(v + m)$. თუ ახლადშექმნილი ღირებულება = 180 გირვანქა სტერლინგს, რომლითაც გამოიხატება მთელი წარმოების პროცესის განმავლობაში მიმდინარე შრომა, მაშინ ჩვენ უნდა გამოვაკლოთ ცვალებადი კაპიტალის ღირებულება ტოლი 90 გირვანქა სტერლინგისა იმისათვის, რომ მივიღოთ ზედმეტი ღირებულება ტოლი

²⁷ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. თავისთავად იგულისხმება, რომ, ლუკრეციუსის თქმისა არ იყოს, «nil posse creari de nihilo» (არაფრისაგან არა იქმნება რა.) [Titus Lucretius Carus: «De rerum natura», წიგნი, I, ტაბი 155, 156.] ღირებულების შექმნა სამუშაო ძალის შრომად გადაქცევა. თავის მხრივ, სამუშაო ძალა უწინარეს ყოვლისა ბუნების ნივთიერებაა, ადამიანის ორგანიზმად გარდაქმნილი.

90 გირვანქა სტერლინგისა. რიცხვი 90 გირვანქა სტერლინგი = m გამოხატავს აქ წარმოებული ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეს. ხოლო მისი პროპორციული სიდიდე, მაშასადამე, შეფარდება, რომლის მიხედვით ცვალებადი კაპიტალი გაიზარდა, ცხადია, განსაზღვრულია ზედმეტი ღირებულების შეფარდებით ცვალებად კაპიტალთან, ანუ გამოხატულია წილადით $\frac{m}{v}$. მაშასადამე, ზემომოყვანილ

მაგალითში იგი გამოხატულია წილადით $\frac{90}{90} = 100\%$. ცვალებადი კაპიტალის ამ შეფარდებით ზრდას, ანუ ზედმეტი ღირებულების შეფარდებით სიდიდეს მე ვუწოდებ ზედმეტი ღირებულების ნორმას²⁸.

ჩვენ დავინახეთ, რომ მუშა შრომის პროცესის ერთი ნაწილის განმავლობაში მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას აწარმოებს, ე. ი. მისთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებას. რადგან მუშა ისეთ პირობებში აწარმოებს, რომელთაც საფუძვლად შრომის საზოგადოებრივი დანაწილება უდევს, ამიტომ იგი აწარმოებს თავის საარსებო საშუალებებს არა პირდაპირ, არამედ, განსაკუთრებული საქონლის, მაგალითად, ნართის სახით, აწარმოებს თავის საარსებო საშუალებათა ღირებულების ანუ იმ ფულის ტოლ ღირებულებას, რომლითაც იგი ამ საშუალებებს ყიდულობს. მისი სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელსაც იგი ამისთვის ხარჯავს, მეტი ან ნაკლებია, მის საშუალო ყოველდღიურ საარსებო საშუალებათა ღირებულების მიხედვით, მაშასადამე, მათი წარმოებისათვის საჭირო საშუალო ყოველდღიური სამუშაო დროის მიხედვით. თუ მის ყოველდღიურ საარსებო საშუალებათა ღირებულება საშუალოდ 6 გასაგნობრივებულ სამუშაო საათს გამოხატავს, მაშინ მუშამ ამ ღირებულების საწარმოებლად საშუალოდ ყოველდღე 6 საათი უნდა იმუშაოს. იგი რომ მუშაობდეს არა კაპიტალისტისათვის, არამედ თავისთვის, დამოუკიდებლად, მაშინ მას, ყველა დანარჩენ უცვლელ პირობებში, უწინდებურად საშუალოდ დღის ასეთივე ნაწილის განმავლობაში უნდა ემუშავნა, რათა თავისი სამუშაო ძალის ღირებულება ეწარმოებინა და ამით თავისი შენარჩუნებისთვის, ანუ განუწყვეტელი კვლავწარმოებისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებანი შეეძინა.

²⁸ სწორედ ისე, როგორც ინგლისელი ამბობს: «rate of profits», «rate of interest» (მოგების ნორმა, პროცენტის ნორმა) და სხვა. III წიგნში დავინახეთ, რომ მოგების ნორმის გაგება ადვილია, თუ ზედმეტი ღირებულების კანონებს ვიცნობთ. შებრუნებული გზით არ შეიძლება გაგება ni l'un. ni l'autre [არც ერთის, არც მეორისა].

პაგრამ, რადგან იგი სამუშაო დღის იმ ნაწილში, რომლის განმავლობაშიც სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებას, ვთქვათ, 3 შილინგზე აწარმოებს, მხოლოდ იმ ღირებულების ეკვივალენტს აწარმოებს, რომელიც მას კაპიტალისტმა უკვე გადაუხადა²⁸ ა, მაშასადამე ახლად შექმნილი ღირებულებით მხოლოდ აევანსებულ ცვალებად კაპიტალ-ღირებულებას ანაზღაურებს, — ამიტომ ღირებულების ასეთი წარმოება გვევლინება როგორც მარტივი კვლავწარმოება. ამრიგად, სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომლის განმავლობაში ეს კვლავწარმოება ხდება, შე ვუწოდებ აუცილებელ სამუშაო დროს, ხოლო იმავე დროის განმავლობაში დახარჯულ შრომას — აუცილებელ შრომას²⁹. აუცილებელს მუშისთვის, იმიტომ რომ იგი მისი შრომის საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებელია; აუცილებელს კაპიტალისტისთვის და მისი სამყაროსთვის, იმიტომ რომ მუშის მუდმივი არსებობა მათი ბაზისია.

შრომის პროცესის მეორე პერიოდი, — ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მუშა აუცილებელი შრომის საზღვრებს იქით მუშაობს, — მას თუმცა უღირს შრომად, სამუშაო ძალის დახარჯვად, მაგრამ მისთვის არავითარ ღირებულებას არ ქმნის. იგი ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელიც ხიბლავს კაპიტალისტს. არარაობიდან შექმნის მთელი მიმზიდველობით. სამუშაო დღის ამ ნაწილს შე ვუწოდებ ზედმეტ სამუშაო დროს, ხოლო მის განმავლობაში დახარჯულ შრომას — ზედმეტ შრომას (*surplus labour*). რამდენადაც საერთოდ ღირებულების შესაცნობად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი გავიგოთ როგორც მხოლოდ შედეგებული სამუშაო დრო, როგორც მხოლოდ გასაგნობრივებული შრომა, იმდენადვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზედმეტი ღირებულების შესაცნობად იმას, რომ ეს უკანასკნელი გავიგოთ როგორც მხოლოდ შედეგებული ზედმეტი სამუშაო დრო, როგორც მხოლოდ გასაგნობრივებული

²⁸ ა. {შენიშვნა მე-3 გამოცემისათვის. ავტორი აქ ეკონომისტების ზეუღლ ენასწარობს. ვაიხსენოთ, რომ, როგორც ეს 222-223 გვერდზეა ნაჩვენები, სინამდვილეში აევანს აძლევს არა კაპიტალისტი მუშას, არამედ მუშა — კაპიტალისტი — ფ. ე.}

²⁹ ამ ნაშრომში აქამდე ჩვენ ვხმარობდით სიტყვას აუცილებელი სამუშაო დრო, იმ დროის აღსანიშნავად, რომელიც საზოგადოებრივად აუცილებელია საერთოდ ამა თუ იმ საქონლის საწარმოებლად. ამის შემდეგ ამ სიტყვას ჩვენ ვიხმარებდით იმ სამუშაო დროის მიმართაც, რომელიც აუცილებელია ისეთი სპეციფიკური საქონლის საწარმოებლად, როგორცაა სამუშაო ძალა. ერთი და იმავე *termini technici* [ტექნიკური ტერმინების] ხმარება სხვადასხვა აზრით უზღერბულია, მაგრამ საკვებით მისი თავიდან აცილება შეუძლებელია არც ერთ დარგში არ ხერხდება. შეად. მაგალითად, პათემატის უმაღლესი და ელემენტური ნაწილები.

ზედმეტი შრომა. მხოლოდ ის ფორმა, რომლითაც გამოიწურება ეს ზედმეტი შრომა უშუალო მწარმოებლიდან, მუშიდან, განასხვავებს ერთმანეთისაგან საზოგადოების ეკონომიურ ფორმაციებს, მაგალითად, მონობაზე დამყარებულ საზოგადოებას დაქირავებულ შრომაზე დამყარებული საზოგადოებისაგან³⁰.

რადგან ცვალებადი კაპიტალის ღირებულება მის მიერ ნაყიდ სამუშაო ძალის ღირებულებას უდრის, რადგან ამ სამუშაო ძალის ღირებულება სამუშაო დღის აუცილებელ ნაწილს განსაზღვრავს, ხოლო ზედმეტი ღირებულება, თავის მხრივ, განისაზღვრება სამუშაო დღის ნამეტი ნაწილით, — ამიტომ აქედან შემდეგი გამომდინარეობს: ზედმეტი ღირებულება შეეფარდება ცვალებად კაპიტალს, როგორც ზედმეტი შრომა შეეფარდება აუცილებელ შრომას, ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმა $\frac{m}{v} = \frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}}$. პროპორციის ორივე ნაწი-

ლი ერთსა და იმავე შეფარდებას გამოხატავს სხვადასხვა ფორმით: ერთ შემთხვევაში გასაგნობრივებული შრომის ფორმით, მეორეში — დენადი შრომის ფორმით.

ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა ზუსტი გამოხატულებაა კაპიტალის მიერ სამუშაო ძალის, ანუ კაპიტალისტი მიერ მუშის ექსპლოატაციის ხარისხისა^{30a}.

³⁰ ვუმარიატად გოტშედისგებრი გენიალობით აღმოუჩენია ბატონ ვილჰელმ თუკიდიდემ როშერს, რომ თუ ზედმეტი ღირებულების ანუ ზედმეტი პროდუქტის შექმნა და ამისთან დაკავშირებული დაგროვება დღევანდელ დღეს შედეგია კაპიტალისტის „მომჭირნეობისა“, რისთვისაც კაპიტალისტი „მაგალითად, პროცენტს მოითხოვს“, პირიქით, „კულტურის დაბალ საფეხურებზე... ძლიერნი სუსტებს აიძულებენ მომჭირნეობა გასწიონ“ („Die Grundlagen der Nationalökonomie“, მე-3 გამოც., 1858, გვ. 82, 78). რის მომჭირნეობა? შრომის თუ არასებული ნამეტი პროდუქტებისა? ნამდვილი უვიცობის გარდა აპოლოგეტური შიში ღირებულების და ზედმეტი ღირებულების კეთილსინდისიერი ანალიზის წინაშე და შიში იმის წინაშე, რომ ვინ თუ ბოლიციის თვალსაზრისით საზიფათო-საწინააღმდეგო შედეგი გამოვიდესო, — აი რა აიძულებს როშერს და კომპანიას ცოტად თუ ბევრად საგულისხმიერო მოტივები, რომლებითაც კაპიტალისტი უკვე არსებული ზედმეტი ღირებულების მის მიერ მითვისებას ამართლებს, გადააქციონ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საფუძვლად.

^{30a} ა შენ ი შენ: მე-2 გამოცემისათვის. ზედმეტი ღირებულების ნორმა თუმცა ზუსტი გამოხატულებაა სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხისა, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის გამოხატულება ექსპლოატაციის აბსოლუტური სიდიდისა. თუ, მაგალითად, აუცილებელი შრომა = 5 საათს და ზედმეტი შრომა = 5 საათს, მაშინ ექსპლოატაციის ხარისხი = 100%. ექსპლოატაციის სიდიდე აქ 5 საათით გაიზომება. ხოლო თუ აუცილებელი შრომა = 6 საათს და ზედმეტი შრომა = 6 საათს, მაშინ ექსპლოატაციის ხარისხი 100% უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც ექსპლოატაციის სიდიდე იზრდება 20%-ით, 5-დან 6 საათამდე.

ჩვენი ვარაუდის თანახმად, პროდუქტის ღირებულება = 410 გირვ. სტერლ. (c) + 90 გირვ. სტერლ. (v) + 90 გირვ. სტერლ. (m). ავანსებული კაპიტალი = 500 გირვანჭა სტერლინგს. რადგან ზედმეტი ღირებულება = 90, ავანსებული კაპიტალი კი = 500, ჩვეულებრივი გამოანგარიშების წესის მიხედვით გამოგვივიდოდა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა (რომელსაც მოგების ნორმაში ურევენ) = 18% -ს, ანუ შეფარდების ისეთ რიცხვს, რომლის სიმცირე გულს აუჩუყებდა ბატონ კერის და სხვა ჰარმონისტებს. სინამდვილეში კი ზედმეტი

ღირებულების ნორმა უდრის არა $\frac{m}{C}$, ანუ $\frac{m}{c+v}$, არამედ უდრის $\frac{m}{v}$,

მაშასადამე, არა $\frac{90}{500}$, არამედ $\frac{90}{90} = 100\%$, რაც 5-ჯერ და კიდევ

უფრო მეტია, ვიდრე ექსპლოატაციის მოჩვენებითი ხარისხი. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცით არც სამუშაო დღის აბსოლუტური სიდიდე, არც შრომის პროცესის პერიოდი (დღე, კვირა და სხვ.), და, ბოლოს, არც რიცხვი მუშებისა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს მოძრაობაში მოჰყავს 90 გირვანჭა სტერლინგ ცვალებად კაპიტალს, მიუხედავად ამისა, ზედმეტი ღირებულების ნორმა $\frac{m}{v}$, ვინაი-

დან იგი შეიძლება გარდაქმნილ იქნას შეფარდებად $\frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}}$,

ზედმიწვევით გვიჩვენებს სამუშაო დღის ორი შემადგენელი ნაწილის ურთიერთ შეფარდებას. ეს შეფარდება უდრის 100% . მაშასადამე, მუშა დღის ერთნახევარს თავისთვის მუშაობდა, ხოლო მეორე ნახევარს — კაპიტალისტისთვის.

ამრიგად, ზედმეტი ღირებულების გამოანგარიშების მეთოდი მოკლედ ასეთია: ჩვენ ვიღებთ პროდუქტის მთელ ღირებულებას და O-ს ვუტოლებთ იმ მუდმივ კაპიტალღირებულებას, რომელიც მხოლოდ ხელახლა გვევლინება პროდუქტის ღირებულებაში. ღირებულების დანარჩენი ჯამი არის ერთადერთი, საქონლის შექმნის პროცესში ნამდვილად ახლადშექმნილი ღირებულება. თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულება, ჩვენ მას ამ ახლადშექმნილი ღირებულებიდან გამოვაკლებთ, რათა ცვალებადი კაპიტალი მივიღოთ. პირიქით უნდა მოვიქცეთ, თუ მოცემულია ცვალებადი კაპიტალი და ვეძებთ ზედმეტ ღირებულებას. თუ ორივე მოცემულია, მაშინ უნდა შევასრულოთ მხოლოდ დასკვნითი ოპერაცია, უნდა გამოვიანგარიშოთ ზედმეტი ღირებულების შეფარდება ცვალებად კაპიტალთან, $\frac{m}{v}$.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი მარტივია, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე მაგალითით გავავარჯიშოთ მკითხველი აზროვნების იმ წესში, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მეთოდს და მკითხველისთვის უჩვეულოა.

უწინარეს ყოვლისა, ავიღოთ, მაგალითად, სართავი ფაბრიკა 10 000 თითისტრით, სადაც ამერიკული ბამბისაგან ირთვის № 32 ნართი და ერთი თითისტრით ყოველკვირეულად 1 გირვანქა ნართი იწარმოება. ნარჩენი 5% -ს უდრის. მაშასადამე, 10 600 გირვანქა ბამბა ყოველკვირეულად 10 000 გირვანქა ნართად და 600 გირვანქა ნარჩენად გადამუშავდება. 1871 წლის აპრილში ეს ბამბა $7\frac{3}{4}$ პენსი ღირდა გირვანქა, მაშასადამე, 10 600 გირვანქა ბამბა დამრგვალებულად — 342 გირვანქა სტერლინგი. 10 000 თითისტარი, წინასწარი სართავი მოწყობილობისა და ორთქლის მანქანის ჩათვლით, ღირს თითო ცალი 1 გირვანქა სტერლინგი, მაშასადამე, სულ 10 000 გირვანქა სტერლინგი. მათი წლიური გაცვეთა შეადგენს 10% -ს = 1 000 გირვანქა სტერლინგს, ანუ კვირაში 20 გირვანქა სტერლინგს. ფაბრიკის შენობის ქირა შეადგენს 300 გირვანქა სტერლინგს ანუ 6 გირვანქა სტერლინგს კვირაში. ნახშირი (4 გირვანქა — საათში ერთ ცხენის ძალაზე, 100 ცხენის (ინდიკატორულ) ძალაზე და 60 საათზე კვირაში, შენობის გათბობის ჩათვლით) — 11 ტონა კვირაში, 8 შილინგისა და 6 პენსის კვალობაზე ტონა, ღირს დამრგვალებული ანგარიშით $4\frac{1}{2}$ გირვანქა სტერლინგი კვირაში; გაზი — 1 გირვანქა სტერლინგი კვირაში. ზეთი $4\frac{1}{2}$ გირვანქა სტერლინგი კვირაში, ანუ, ყველა დამხმარე ნივთიერება = 10 გირვანქა სტერლინგს კვირაში. მაშასადამე, ღირებულების მუდმივი ნაწილი 378 გირვანქა სტერლინგია კვირაში. ხელფასი კვირაში 52 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. გირვანქა ნართის ფასი უდრის $12\frac{1}{4}$ პენსს, ანუ 10 000 გირვანქა ნართის ფასი — 510 გირვანქა სტერლინგს; მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება იქნება 510 გირ. სტერლ. გამოვაკლოთ 430 გირ. სტერლ. = 80 გირ. სტერლინგს. ღირებულების მუდმივ ნაწილს, 378 გირვანქა სტერლინგს, ვუტოლებთ 0-ს, რადგან იგი მონაწილეობას არ იღებს ყოველკვირეული ღირებულების შექმნაში. რჩება ყოველკვირეული ახლადშექმნილი ღირებულება $132 = 52 (v)$ გირვ. სტერლ. + 80 (m) გირვ. სტერ-

ლინგი. ამრიგად, ზედმეტი ღირებულების ნორმა = $\frac{80}{52} = 153\frac{11}{13}\%$.

საშუალოდ ათსაათიან სამუშაო დღეში ვიღებთ: აუცილებელი შრომა = $3^{21}/_{32}$ საათს, ხოლო ზედმეტი შრომა = $6^2/_{33}$ საათს³¹.

ჯეკობი, როდესაც იგი ვარაუდობს ხორბლის ფასს 80 შილინგს კვარტერზე, ხოლო საშუალო მოსავალს 22 ბუშელს აკრზე, ისე რომ ერთი აკრი 11 გირვანქა სტერლინგს იძლევა, 1815 წლისთვის ადგენს შემდეგ ანგარიშს, რომელსაც სერიოზული დეფექტები აქვს, — რადგან მასში სხვადასხვა მუხლის ურთიერთდაფარვა წინასწარვეა გაკეთებული, — მაგრამ ჩვენი მიზნისათვის იგი საკმარისია:

ღირებულების წარმოება 1 აკრზე

თესლი (ხორბალი)	1 გირვ. სტ. 9 შილ.	სამეთედო, გამოსა-
სასუქი	2 გირვ. სტ. 10 შილ.	ღები და ხარკი . . .
ხელფასი	3 გირვ. სტ. 10 შილ.	რენტა
სულ	7 გირვ. სტ. 9 შილ.	ფერმერის მოგება .
		და პროცენტი . . .
		სულ
		3 გირვ. სტ. 11 შილ.

ზედმეტი ღირებულება, — მუდამ იგულისხმება, რომ პროდუქტის ფასი მის ღირებულებას უდრის, — ნაწილდება აქ სხვადასხვა რუბრიკებს შორის: მოგება, პროცენტი, სამეთედო და სხვა. ეს რუბრიკები ჩვენთვის უმნიშვნელოა. ჩვენ მათ ერთმანეთს ვუმატებთ და ვიღებთ ზედმეტ ღირებულებას—3 გირვანქა სტერლინგს და 11 შილინგს, თესლისა და სასუქისათვის განკუთვნილ 3 გირვანქა სტერლინგს და 19 შილინგს ჩვენ ვუტოლებთ— როგორც კაპიტალის მუდმივ ნაწილს—ნულს. რჩება ავანსებული ცვალებადი კაპიტალი—3 გირვანქა სტერლინგი და 10 შილინგი, რომლის ნაცვლად წარმოებულია 3 გირვანქა სტერლინგი და 10 შილინგი + 3 გირვანქა სტერლინგი და 11 შილინგი ახალი ღირებულება. მაშასადამე, $\frac{m}{p}$ შეადგენს $\frac{3 \text{ გირვ. სტერლ. } 11 \text{ შილ.}}{3 \text{ გირვ. სტერლ. } 10 \text{ შილ.}}$

100%³²-ზე მეტს. თავისი სამუშაო დღის ნახევარზე მეტს მუშა ხარჯავს იმ ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე, რომელსაც სხვადასხვა პირები სხვადასხვა საბაბით ერთმანეთში იხაწილიან^{31a}.

³¹ შენი შენა მ-ე-2 გამოცემისათვის. სართავი ფაბრიკის მგალითი, რომელიც მოცემული იყო პირველ გამოკემაში და მიეუთუნებოდა 1860 წელს, ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომას შეიცავდა. ტექსტში აღნიშნული სრულიად ზუსტი მონაცემები მანჩესტერის ერთმა მეფაბრიკემ გადმომცა. — უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში წინათ ცხენძალას ცილინდრის დიამეტრის მიხედვით ანგარიშობდნენ, ხოლო ახლა — ნამდვილი ძალის მიხედვით, რაჟელოსაც ინდიკატორი უჩვენებს.

^{31a} ზემოაღნიშნული გამრანგარიშება მხოლოდ საილუსტრაციოა. სახელდობრ, ნაგულისხმევი, რომ ფასი = ღირებულებას. III წიგნში ჩვენ დავინახავთ, რომ ფასების და ღირებულების ეს გათანაბრება, საშუალო ფასებისთვისაც კი, ასე მარტივი სახით როდი ხდება.

2. პროდუქტის ღირებულების გამოჩატულება პროდუქტის პროპორციული ნაწილებით

დავუბრუნდეთ ახლა იმ მაგალითს, რომელმაც გვიჩვენა, თუ როგორ აკეთებს კაპიტალისტი ფულიდან კაპიტალს. მისი მრთველის აუცილებელი შრომა შეადგენდა 6 საათს, ზედმეტი შრომა — ამდენივეს და ამიტომ სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი — 100% -ს.

თორმეტი საათის სამუშაო დღის პროდუქტი 20 გირვანქა ნართია 30 შილინგი ღირებულებისა. ამ ნართის ღირებულების $\frac{8}{10}$ -ზე არანაკლები (24 შილინგი) შექმნილია წარმოების მოხმარებულ საშუალებათა იმ ღირებულებით (20 გირვანქა ბამბა — 20 შილინგისა, თითისტრები და სხვა — 4 შილინგისა), რომელიც მხოლოდ ხელახლა გვევლინება, ანუ შედგება მუდმივი კაპიტალისაგან. დანარჩენი $\frac{2}{10}$ წარმოადგენს რთვის პროცესში წარმოქმნილ 6 შილინგ ახალ ღირებულებას, რომლის ერთი ნახევარი სამუშაო ძალის ავანსებულ დღიურ ღირებულებას ანუ ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, ხოლო მეორე ნახევარი 3 შილინგ ზედმეტ ღირებულებას ქმნის. მაშასადამე, ამ 20 გირვანქა ნართის ღირებულება შემდეგნაირად შედგება:

ნართის ღირებულება 30 შილინგი = 24 შილ. (c) + 3 შილ. (v) + 3 შილ. (m).

რადგან მთელი ეს ღირებულება ერთობლივი პროდუქტით, 20 გირვანქა ნართით, გამოიხატება, ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს აგრეთვე ღირებულების სხვადასხვა ელემენტის გამოხატვაც პროდუქტის პროპორციული ნაწილებით.

თუ ნართის ღირებულება — 30 შილინგი — 20 გირვანქა ნართში არსებობს, მაშინ ამ ღირებულების $\frac{8}{10}$, ანუ მისი მუდმივი ნაწილი, 24 შილინგი, პროდუქტის $\frac{8}{10}$ -ში, ე. ი. 16 გირვანქა ნართში არსებობს. აქედან $13\frac{1}{2}$ გირვანქა წარმოადგენს ნედლი მასალის ღირებულებას, 20 შილინგის დართულ ბამბას, ხოლო $2\frac{1}{2}$ გირვანქა — მოხმარებული დამხმარე ნივთიერებათა და შრომის საშუალებათა, თითისტართა და სხვ. ღირებულებას 4 შილინგის რაოდენობით.

მაშასადამე, $13\frac{1}{2}$ გირვანქა ნართი წარმოადგენს ერთობლივ პროდუქტზე, 20 გირვანქა ნართზე, მოხმარებულ მთელ ბამბას, ერთობლივი პროდუქტის ნედლ მასალას, მაგრამ ამაზე მეტს — ალარაფერს. თუმცა მასში მხოლოდ $13\frac{1}{2}$ გირვანქა ბამბაა მოქცეული — $13\frac{1}{2}$ შილინგი ღირებულებისა, მაგრამ მისი დამატებითი ღირებულება, $6\frac{1}{2}$ შილინგი, იმ ბამბის ეკვივალენტს შეადგენს, რომელიც დანარჩენ $6\frac{1}{2}$ გირვანქა ნართშია დართული. ეს ისეა, თითქოს ამ $6\frac{1}{2}$ გირვანქა ნართიდან გამოწიწნილი იყოს მთელი ბამბა და თითქოს

ერთობლივი პროდუქტის მთელი ბამბა $13\frac{1}{8}$ გირვანქა ნართში იყოს ჩატენილი. სამაგიეროდ ეს $13\frac{1}{8}$ გირვანქა ნართი არ შეიცავს ახლა არც მოხმარებულ დამხმარე ნივთიერებათა და შრომის საშუალებათა ღირებულების და არც რთვის პროცესში შექმნილი ახალი ღირებულების არც ერთ ატომს.

ასევე შემდეგი $2\frac{1}{8}$ გირვანქა ნართი, რომელშიც მოქცეულია მუდმივი კაპიტალის ნაშთი (=4 შილინგს), სხვას არას წარმოადგენს, გარდა იმ დამხმარე ნივთიერებათა და შრომის საშუალებათა ღირებულებისა, რომელნიც მოხმარებულია ერთობლივ პროდუქტზე — 20 გირვანქა ნართზე.

ამრიგად, პროდუქტის $\frac{8}{10}$, ანუ 16 გირვანქა ნართი, განხილული სხეულებრივად როგორც სახმარი ღირებულება, როგორც ნართი. თუმცა პროდუქტის დანარჩენი ნაწილების მსგავსად რთვა-შრომის ქმნილებას წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, ამ თვალსაზრისით იგი არ შეიცავს რთვა-შრომას, თვით რთვის პროცესის დროს შეწოვილ შრომას. ეს ისეა, თითქოს იგი დაურთველად გადაქცეულიყოს ნართად და თითქოს მისი ნართის ფორმა წმინდა მოჩვენება იყოს. მართლაც, თუ კაპიტალისტი მას 24 შილინგად ყიდის და ამით თავის წარმოების საშუალებებს კვლავ ყიდულობს, მაშინ, ცხადია, რომ 16 გირვანქა ნართი — ეს არის მხოლოდ გადაცემული ბამბა, თითისტარი, ნახშირი და სხვა.

პირიქით, პროდუქტის დანარჩენი $\frac{2}{10}$, ანუ 4 გირვანქა ნართი: ახლა სხვას არას წარმოადგენს, გარდა 6 შილინგი ახალი ღირებულებისა, რომელიც წარმოებულია თორმეტი საათის რთვის პროცესში. რაც მოხმარებული ნედლი მასალისა და შრომის საშუალებათა ღირებულებიდან იყო მასში მოქცეული, უკვე გამოეცალა მას და შეეხორცა პირველ 16 გირვანქა ნართს. 20 გირვანქა ნართში განხორციელებული რთვა-შრომა კონცენტრირებულია პროდუქტის $\frac{2}{10}$ -ში. ეს ისეა, თითქოს 4 გირვანქა ნართი მრთველმა ჰაერიდან დაართა ან ისეთი ბამბისაგან და ისეთი თითისტრებით, რომელნიც ადამიანის შრომის დაუხმარებლად ბუნების მიერ არიან მოცემული და პროდუქტს არაფითარ ღირებულებას არ მატებენ.

ამ 4 გირვანქა ნართიდან, რომელიც, ამრიგად, რთვის დღიური პროცესის დროს, მთელ ახლადშექმნილ ღირებულებას შეიცავს, ერთი ნახევარი წარმოადგენს მხოლოდ მოხმარებული სამუშაო ძალის ამნაზღაურებელ ღირებულებას, მაშასადამე, 3 შილინგ ცვალებად კაპიტალს, ხოლო დანარჩენი 2 გირვანქა ნართი — მხოლოდ 3 შილინგ ზედმეტ ღირებულებას.

რადგან მრთველის 12 სამუშაო საათი 6 შილინგში საგნობრივდება, ამიტომ 30 შილინგის ნართის ღირებულებაში გასაგნობრივებულია 60 სამუშაო საათი. ეს უკანასკნელი არსებობს 20 გირვანქა ნართში, რომლის $\frac{8}{10}$, ანუ 16 გირვანქა, მატერიალიზაციაა 48 სამუშაო საათისა, რომელიც წინ უძღოდა რთვის პროცესს, სახელდობრ — ნართის წარმოების საშუალებებში გასაგნობრივებული შრომისა, ხოლო $\frac{2}{10}$, ანუ 4 გირვანქა, პირიქით, მატერიალიზაციაა 12 სამუშაო საათისა, რომელიც თვით რთვის პროცესშია დახარჯული.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ნართის ღირებულება უდრის იმ ჯამს, რომელსაც შეადგენს ნართის წარმოებაში შექმნილი ახალი ღირებულება პლუს მის წარმოების საშუალებებში უკვე წინათ არსებული ღირებულება. ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შეიძლება გამოიხატოს პროდუქტის ღირებულების ფუნქციურად ანუ ცნების მხრივ განსხვავებული შემადგენელი ნაწილები თვით პროდუქტის პროპორციული ნაწილებით.

პროდუქტის — წარმოების პროცესის შედეგის — ეს დაშლა პროდუქტის რაოდენობად, რომელიც მხოლოდ წარმოების საშუალებებში მოქცეულ შრომას, ანუ კაპიტალის მუდმივ ნაწილს გამოხატავს, მეორე რაოდენობად, რომელიც მხოლოდ წარმოების პროცესში მიმატებულ აუცილებელ შრომას, ანუ კაპიტალის ცვალებად ნაწილს გამოხატავს, და, მესამე, პროდუქტის უკანასკნელ რაოდენობად, რომელიც მხოლოდ იმავე პროცესში მიმატებულ ზედმეტ შრომას, ანუ ზედმეტ ღირებულებას გამოხატავს, — ეს დაშლა ისევე მარტივია, როგორც მნიშვნელოვანი, რასაც დავგანახებებს მისი შემდგომი გამოყენება დახლართული და ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების მიმართ.

ჩვენ ეს-არის განვიხილეთ ერთობლივი პროდუქტი, როგორც თორმეტი საათის სამუშაო დღის დამთავრებული შედეგი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ის აგრეთვე მისი წარმოშობის პროცესში და მაინც გამოვხატოთ ნაწილობრივი პროდუქტები, როგორც პროდუქტის ფუნქციურად განსხვავებული ნაწილები.

მრთველი 12 საათში 20 გირვანქა ნართს აწარმოებს, მაშასადამე, ერთ საათში — $1\frac{2}{3}$ გირვანქას, ხოლო 8 საათში — $13\frac{1}{3}$ გირვანქას, ე. ი. ნაწილობრივ პროდუქტს, რომლის ღირებულება უდრის მთელი სამუშაო დღის განმავლობაში დართული ბამბის ერთობლივ ღირებულებას. სწორედ ამგვარადვე შემდგომი 1 საათის და 36 წუთის ნაწილობრივი პროდუქტი = $2\frac{2}{3}$ გირვანქა ნართს და ამიტომ გამოხატავს 12 საათის განმავლობაში მოხმარებულ შრომის საშუალებათა ღირებულებას. ამნაირადვე აწარმოებს მრთველი შემდგომ 1 საათსა

და 12 წუთში 2 გირვანქა ნართს = 3 შილინგს — პროდუქტის ღირებულებას, რომელიც უდრის მთელ ახლადშექმნილ ღირებულებას, რასაც იგი 6 საათის აუცილებელი შრომით აწარმოებს. ბოლოს, უკანასკნელ $\frac{2}{3}$ საათში იგი აწარმოებს ისევ 2 გირვანქა ნართს, რომლის ღირებულება უდრის მისი ნახევარი დღის ზედმეტი შრომით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას. გამოანგარიშების ეს წესი ინგლისელი მეფაბრიკის შინაურ საჭიროებას ემსახურება და იგი იტყვის, მაგალითად, რომ პირველ 8 საათში, ანუ სამუშაო დღის $\frac{2}{3}$ -ში, მხოლოდ თავის ბამბას ინაზღაურებს და სხვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ფორმულა სწორია, რომ სინამდვილეში იგი მხოლოდ პირველი ფორმულაა, გადატანილი სივრციდან, სადაც პროდუქტის დამთავრებული ნაწილები ერთიმეორის გვერდით იმყოფებიან, დროში, სადაც იგივე ნაწილები ერთიმეორეს მისდევენ. მაგრამ ამ ფორმულას შეიძლება თან ახლდეს აგრეთვე ფრიად ბარბაროსული წარმოდგენა, განსაკუთრებით იმათ თავში, ვინც პრაქტიკულად იმდენადვეა დაინტერესებული ღირებულების ზრდის პროცესით, რამდენადაც იმით, რომ თეორიულად მცდარად გაიგოს იგი. ამრიგად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მრთველი, მაგალითად, თავისი სამუშაო დღის პირველ 8 საათში აწარმოებს, ანუ ანაზღაურებს, ბამბის ღირებულებას, შემდგომ 1 საათსა და 36 წუთში — მოხმარებულ შრომის საშუალებათა ღირებულებას, შემდგომ 1 საათსა და 12 წუთში — ხელფასის ღირებულებას, და მხოლოდ განთქმულ «უკანასკნელ საათს» უძღვნის იგი ფაბრიკის პატრონს, ზედმეტი ღირებულების წარმოებას. ამგვარად, მრთველს ორმაგი სასწაული მიეწერება: ჯერ ის, რომ იგი აწარმოებს ბამბას, თითისტარს, ორთქლის მანქანას, ნახშირს, ზეთს და სხვ. სწორედ იმ მომენტში, როდესაც მათი საშუალებით არათავს, და შემდეგ, — რომ განსაზღვრული ინტენსივობის ერთ სამუშაო დღეს იგი ხუთ სამუშაო დღედ აქცევს. სახელდობრ, ჩვენს მაგალითში ნედლი მასალის და შრომის საშუალებათა წარმოება $\frac{24}{8}$, ე. ი. 4 თორმეტ საათიან სამუშაო დღეს მოითხოვს, ხოლო მათი ნართად გადაქცევა — კიდევ ერთ თორმეტსაათიან სამუშაო დღეს. რომ მტაცებლურ სიხარბეს სჯერა ასეთი სასწაულები და რომ მას საქმეობრივ არა ჰყავს დოქტრინერისიკოფანტი, რომელიც ამ სასწაულებს ასაბუთებს, — ამას ქვემოთ მოყვანილი ცნობილი ისტორიული მაგალითი გვიჩვენებს.

3. სენიორის «უკანასკნელი საათი»

1836 წლის ერთ მშვენიერ დილას თავისი ეკონომიური ცოდნით და ლამაზი სტილით განთქმული ნასაუ ვ. სენიორი, ეს თავისებური კლაურენი ინგლისელ ეკონომისტთა შორის, ოქსფორდიდან მანჩესტერში 18 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

იყო მიწვეული, რათა აქ მას პოლიტიკური ეკონომია ესწავლა, ნაცვლად იმისა, რომ იგი ოქსფორდში სხვებისათვის ესწავლებია. მეფაბრიკეებმა იგი მებრძოლად აირჩიეს ახლად გამოქვეყნებული Factory Act-ის [საფაბრიკო აქტის] და ამაზე უფრო შორს მიმავალი 10 საათის სამუშაო დღის აგიტაციის წინააღმდეგ. ჩვეული პრაქტიკული გამჭირახობით მათ გამოიცნეს, რომ ბ-ნი პროფესორი «wanted a good deal of finishing» [ჯერ კიდევ გვარიან გაშალა-შინებას საჭიროებდა]. ამიტომ გაიწვიეს იგი მანჩესტერში. მეფაბრიკეებისაგან მანჩესტერში მიღებული გაკვეთილი ბატონმა პროფესორმა თავის მხრივ სტილისტიკურად შეალამაზა შემდეგ პამფლეტში: «Letters on the Factory Act, as it affects the cotton manufacture». London 1837. აქ, სხვათა შორის, შეიძლება ვნახოთ შემდეგი საგულისხმო ადგილები:

«ახლანდელი კანონის დროს არც ერთ ფაბრიკას, სადაც 18 წლისაზე ნაკლები ხნის პირები მუშაობენ, არ შეუძლია 11 1/2 საათზე მეტი იმუშაოს დღეში, ე. ი. თორმეტ-თორმეტი საათი პირველ 5 დღეში და 9 საათი შაბათს. შემდეგი ანალიზი (!) გვიჩვენებს, რომ ასეთ ფაბრიკაში მთელი წმინდა მოგება უკანასკნელი საათიდან წარმოდგება. მეფაბრიკე სულ 100 000 გირვანქა სტერლინგს ხარჯავს: 80 000 გირვანქა სტერლინგს ფაბრიკის შენობასა და მანქანებზე, 20 000 გირვანქა სტერლინგს — ნედლ მასალასა და ხელფასზე. ფაბრიკის წლიურმა ბრუნვამ, — თუ ვიგულისხმებთ, რომ კაპიტალი წელიწადში ერთხელ გადაბრუნდება და მთლიანი მოგება 15% შეადგენს, — უნდა მოგვცეს 115 000 გირვ. სტერლინგი ღირებულების საქონელი... ოცდასამი ნახევარი საათიდან, რომელიც სამუშაო დღეს შეადგენს, თვითული ნახევარი საათი ამ 115 000 გირვანქა სტერლინგის 5/115-ს, ანუ 1/23-ს აწარმოებს ყოველდღიურად. ამ 28/23-დან, რომელიც მთლიანად 115 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენს (constituting the whole 115 000 Pfd. St.), 20/23, ე. ი. 100 000 გირვანქა სტერლინგი 115 000 გირვანქა სტერლინგიდან, მხოლოდ კაპიტალს ანაზღაურებს; 1/23, ანუ 5 000 გირვანქა სტერლინგი 15 000 გირვანქა სტერლინგი მთლიანი მოგებიდან (!) ფაბრიკის და მანქანების გაცვეთას ანაზღაურებს. დანარჩენი 2/23, ე. ი. თვითული დღის ორივე უკანასკნელი ნახევარსაათი, 10% წმინდა მოგებას აწარმოებს. ამიტომ, თუ ფასების უცვლელობის დროს ფაბრიკა შეიძლება 11 1/2 საათის ნაცვლად 13 საათი ემუშაენა, მაშინ, საბრუნავი კაპიტალისადმი დაახლოებით 2 600 გირვანქა სტერლინგის მიმატებით, წმინდა მოგება ორკეცზე

მეტი იქნებოდა. მეორე მხრივ, თუ სამუშაო დღე 1 საათით შემცირდებოდა, წმინდა მოგება გაქრებოდა, ხოლო თუ $1\frac{1}{2}$ საათით, — გაქრებოდა მთლიანი მოგებაცა³².

და ამას უწოდებს ბატონი პროფესორი «ანალიზს!» თუ მან მართლა დაიჯერა მეფაბრიკეთა გოდება, რომ მუშა სამუშაო დღის საუკეთესო ნაწილს შენობების, მანქანების, ბამბის, ნახშირის და სხვ. ღირებულების წარმოებაზე, მაშასადამე, კვლავწარმოებაზე, ანუ ანაზღაურებაზე, ხარჯავს, მაშინ ყოველი ანალიზი ზედმეტი იყო. მას სულ უბრალოდ უნდა ეპასუხნა: ბატონებო! თქვენ რომ მუშა 10 საათი ამუშაოთ ნაცვლად $11\frac{1}{2}$ საათისა, ყველა დანარჩენ უცვლელ პირობებში, ბამბის, მანქანების და სხვ. ყოველდღიური მოხმარება $1\frac{1}{2}$ საათით შემცირდება. მაშასადამე, თქვენ იმდენსავე მოიგებთ, რამდენსაც

³² Senior: «Letters on the Factory Act etc.» London 1837. გვ. 12. 13. ჩვენ აქ არ ვეხებით ზოგიერთ კურობებს, რომელთაც ჩვენ მიზნისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგალითად, იმის მტკიცებას, ვითომც მეფაბრიკეები გაცვეთილი მანქანების და სხვ., მაშასადამე, კაპიტალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის ანაზღაურებას მოგების, — ბრუტო თუ ნეტო, მთლიანი თუ წმინდა მოგების, — ხარჯზე ანგარიშობენ. არ ვეხებით აგრეთვე იმას, სწორია თუ მცდარი რიცხვითი მონაცემები. რომ ეს მონაცემები ეგრეთწოდებულ «ანალიზზე» მეტი არ ღირან, — ეს დაამტკიცა ლეონარდ ჰორნერმა «A Letter to Mr. Senior etc.»-ში. London 1837 [გვ. 30 — 42]. ლეონარდ ჰორნერი იყო ერთი წევრთაგანი იმ კომისიისა, რომელიც 1833 წელს ფაბრიკების მდგომარეობას იკვლევდა. მან, როგორც ფაბრიკის ინსპექტორმა და ფაქტიურად ფაბრიკის ცენზორმა (1859 წლამდე), დაუეიწყარი სამსახური გაუწია ინგლისის მუშათა კლასს. მთელი თავისი სიცოცხლე იგი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო გაბოროტებული მეფაბრიკეების, არამედ მინისტრების წინააღმდეგაც, რომლებისთვისაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო დაეთვალათ მეფაბრიკეთა «ხმები» ქვედა პალატაში, ვიდრე «მუშა ხელის» სამუშაო საათები ფაბრიკაში.

და მ ა ტ ე ბ ა 32 შენიშვნისათვის. შინაარსის სიყალბეზე რომ სულაც არაფერი ვთქვათ, სენიორის თხზულებაში თვით გადმოცემა არის თავგზაბანეული. აი რის თქმა უნდოდა მას ნამდვილად: მეფაბრიკე მუშას ყოველდღიურად $11\frac{1}{2}$ საათს, ანუ $\frac{23}{2}$ საათს ამუშავებს. მსგავსად ცალკეული სამუშაო დღისა, წლიურ შრომასაც შეადგენს $11\frac{1}{2}$ ანუ $\frac{23}{2}$ საათი, გამრავლებული მთელი წლის სამუშაო დღეების რიცხვზე. ამ ვარაუდის მიხედვით $\frac{23}{2}$ სამუშაო საათი აწარმოებს 115 000 გირ. სტერლინგის წლიურ პროდუქტს; $\frac{1}{2}$ სამუშაო საათი აწარმოებს 115 000 გირ. სტერლ. $\times \frac{1}{23}$ -ზე; $\frac{20}{2}$ სამუშაო საათი აწარმოებს 115 000 გირ. სტერლ. $\times \frac{20}{23} = 100 000$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. მხოლოდ ავანსებულ კაპიტალს ანაზღაურებს. რჩება $\frac{3}{2}$ სამუშაო საათი, რომელსაც აწარმოებს 115 000 გირ. სტერლ. $\times \frac{3}{23} = 15 000$, ე. ი. მთლიან მოგებას. ამ $\frac{3}{2}$ სამუშაო საათიდან ნახევარი სამუშაო საათი აწარმოებს 115 000 გირ. სტერლ. $\times \frac{1}{23} = 5 000$ გირვ. სტერლინგს, ე. ი. იგი აწარმოებს ფაბრიკისა და მანქანების გაცვეთის მხოლოდ ანაზღაურებას. უკანასკნელი ორი სამუშაო ნახევარსაათი, ე. ი. უკანასკნელი სამუშაო საათი აწარმოებს 115 000 გირ. სტერლ. $\times \frac{2}{23} = 10 000$ გირვ. სტერლ., ე. ი. წმინდა მოგებას. ტექსტში პროდუქტის უკანასკნელ $\frac{2}{23}$ -ს სენიორი თვით სამუშაო დღის ნაწილებად აქცევს.

დაკარგავთ. თქვენი მუშები ამიერიდან ავანსებული კაპიტალიზმის კვლავწარმოებაზე, ანუ ანაზღაურებაზე, $1\frac{1}{2}$ საათით ნაკლებს დახარჯავენ. ხოლო თუ სენიორი მათს სიტყვას არ ერწმუნა და როგორც საქმის მცოდნემ საჭიროდ მიიჩნია გარკვეული ანალიზი, მაშინ ბატონი მეფაბრიკეებისაგან უწინარეს ყოვლისა უნდა მოეთხოვნა, რომ იმ საკითხში, რომელიც ეხება მხოლოდ და მხოლოდ წმინდა მოგების შეფარდებას სამუშაო დღის სიდიდესთან, მათ ერთმანეთში დომხალივით არ აერიათ მანქანები და ფაბრიკის შენობები, ნედლი მასალა და შრომა, არამედ კეთილენებებინათ და ერთ მხარეზე გამოეყოთ მუდმივი კაპიტალი, რომელიც მოქცეულია ფაბრიკის შენობაში, მანქანებში, ნედლ მასალაში და სხვ., ხოლო, მეორე მხარეზე, — ხელფასისთვის ავანსებული კაპიტალი. თუ აღმოჩნდებოდა, მაგალითად, რომ მეფაბრიკეთა გამოანგარიშებით მუშა ხელფასს აკვლავწარმოებს, ანუ ანაზღაურებს, $\frac{2}{3}$ სამუშაო საათში, ანუ ერთ საათში, მაშინ ჩვენს ანალიტიკოსს უნდა განეგრძო ასე:

თქვენი მონაცემების თანახმად, მუშა თავის ხელფასს უკანასკნელი საათის წინა საათში აწარმოებს, ხოლო უკანასკნელ საათში — თქვენს ზედმეტ ღირებულებას, ანუ წმინდა მოგებას. რადგან დროის თანაბარ მონაკვეთში იგი თანაბარ ღირებულებას აწარმოებს, ამიტომ უკანასკნელი საათის წინა საათში შექმნილ პროდუქტს იგივე ღირებულება აქვს, რაც უკანასკნელი საათის პროდუქტს. შემდეგ, მუშა მხოლოდ მაშინ აწარმოებს ღირებულებას, როცა იგი შრომას ხარჯავს და მისი შრომის რაოდენობა მისი სამუშაო დროით გაიზომება. ეს უკანასკნელი, თქვენი მონაცემებით, $11\frac{1}{2}$ საათს უდრის დღეში. ამ $11\frac{1}{2}$ საათის ერთ ნაწილს იგი თავისი ხელფასის წარმოებაზე, ანუ ანაზღაურებაზე ხარჯავს, ხოლო მეორე ნაწილს — თქვენი წმინდა მოგების წარმოებაზე. ამაზე მეტს ის სამუშაო დღის განმავლობაში არას აკეთებს. მაგრამ რადგან, თქვენივე მონაცემების თანახმად, მისი ხელფასი და მის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება თანატოლ ღირებულებას წარმოადგენენ, ამიტომ, ცხადია, რომ იგი თავის ხელფასს $5\frac{3}{4}$ საათში აწარმოებს, ხოლო თქვენს წმინდა მოგებას — დანარჩენ $5\frac{3}{4}$ საათში. შემდეგ, რადგან ორი საათის განმავლობაში წარმოებული პროდუქტის — ნართის — ღირებულება უდრის მუშის ხელფასისა და თქვენი წმინდა მოგების ღირებულების ჯამს, ამიტომ ნართის ეს ღირებულება უნდა იზომებოდეს $11\frac{1}{2}$ სამუშაო საათით: უკანასკნელი საათის წინა საათში წარმოებული პროდუქტი — $5\frac{3}{4}$ სამუშაო საათით, და უკანასკნელი საათის პროდუქტიც ditto [ასევე]. ჩვენ ახლა ფრიად საჭოჭმანო პუნქტს მივალწიეთ. მაშ, ყურადღება! უკანასკნელი საათის

წინა სამუშაო საათი ისეთივე ჩვეულებრივი სამუშაო საათია, როგორც პირველი. Ni plus, ni moins [არც მეტი, არც ნაკლები]. ამიტომ, როგორ შეუძლია მრთველს ერთ სამუშაო საათში აწარმოოს ნართის ღირებულება, რომელიც $5\frac{3}{4}$ სამუშაო საათს გამოხატავს? სინამდვილეში იგი არც ახდენს ასეთ სასწაულს. სახმარი ღირებულება, რომელსაც იგი ერთ სამუშაო საათში აწარმოებს, ნართის განსაზღვრული რაოდენობაა. ამ ნართის ღირებულება გაიზომება $5\frac{3}{4}$ სამუშაო საათით, საიდანაც $4\frac{3}{4}$ უკვე მოქცეულია, მის დაუხმარებლად, წარმოების საშუალებებში, ბამბაში, მანქანებში და სხვ., რომელნიც მოხმარებულია ერთი საათის განმავლობაში, ხოლო $\frac{1}{4}$, ანუ ერთი საათი, მიმატებულია თვით მის მიერ. მაშასადამე, რადგან მისი ხელფასი $5\frac{3}{4}$ საათში იწარმოება, ხოლო ერთი საათის რთვის პროდუქტი — ნართი — ავრთვევ $5\frac{3}{4}$ სამუშაო საათს შეიცავს, ამიტომ არავითარი ჯალდობრა არ არის იმაში, რომ $5\frac{3}{4}$ საათის რთვით მის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება ერთი საათის რთვის პროდუქტის ღირებულებას უდრის. მაგრამ თქვენ სრულიად ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ იგი ბამბის, მანქანების და სხვ. ღირებულების საკვლავწარმოებლად, ანუ «ასანაზღაურებლად», თავისი სამუშაო დღის ერთ ატომ დროს მინც კარგავს. იმით, რომ მისი შრომა ბამბიდან და თითისტრებიდან ნართს ამზადებს, იმით, რომ იგი რთავს, — ბამბის და თითისტართა ღირებულება თავისთავად გადადის ნართზე. ეს შედეგია მისი შრომის თვისებრიობისა და არა რაოდენობისა. რასაკვირველია, ერთ საათში იგი ბამბის და სხვ. უფრო მეტ ღირებულებას გადაიტანს ნართზე, ვიდრე ნახევარ საათში, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ საათში უფრო მეტ ბამბას ართავს, ვიდრე $\frac{1}{2}$ საათში. მაშ გაიგეთ: თქვენი მტკიცება, მუშა უკანასკნელი საათის წინა საათში თავის ხელფასს აწარმოებს, ხოლო უკანასკნელ საათში — წმინდა მოგებასო, იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ მისი სამუშაო დღის ორი საათის პროდუქტში — ნართში, — იქნება ეს საათები წინ თუ უკან, — $11\frac{1}{2}$ საათის შრომაა განხორციელებული, სწორედ იმდენი საათი, რამდენიც მთელ მის სამუშაო დღეში ითვლება. ხოლო მტკიცება, რომ პირველ $5\frac{3}{4}$ საათში იგი თავის ხელფასს აწარმოებს, ხოლო მეორე $5\frac{3}{4}$ საათში — თქვენს წმინდა მოგებას, — ეს კვლავ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პირველ $5\frac{3}{4}$ საათისთვის თქვენ იხდით, ხოლო მეორე $5\frac{3}{4}$ საათისთვის არ იხდით. მე ვლაპარაკობ შრომის გადახდაზე, თქვენს ჟარგონს რომ მივყვე, და არა სამუშაო ძალის გადახდაზე. მაგრამ, ბატონებო, თუ თქვენ ახლა შეადარებთ იმ სამუშაო დროის შეფარდებას, რომელიც საფასურს იხდით, იმ სამუშაო დროსთან, რომელშიც საფასურს

არ იხდით, — მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ მათი შეფარდება არის ნახევარი დღის შეფარდება ნახევარ დღესთან, მაშასადამე 100⁰/₀, რაც, ყოველ შემთხვევაში, გვარიან პროცენტს შეადგენს. ყოველ ექვს გარეშეა აგრეთვე ის, რომ თუ თქვენს «მუშახელს» აიძულებთ 11¹/₂ საათის ნაცვლად 13 საათი იმუშაოს და თუ, — რაც სრულიად თქვენს ყაიდაზე იქნებოდა, — ამ ზედმეტ 1¹/₂ საათს მხოლოდ ზედმეტ შრომას მიუმატებთ, მაშინ ეს ზედმეტი შრომა 5³/₄ საათიდან 7¹/₄ საათამდე გაიზრდება, და ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100⁰/₀-დან 126²/₂₃⁰/₀-დე აიწევს. ხოლო თქვენ მეტისმეტად განუსჯელი სანგეინიკოსები უნდა იყოს, თუ იმედოვნებთ, რომ 1¹/₂ საათის მიმატებით ზედმეტი ღირებულების ნორმა 100⁰/₀-დან 200⁰/₀-დე და 200⁰/₀-ზე მაღლაც კი აიწევს, ე. ი. რომ იგი «ორკეცზე მეტად გაიზრდება». მეორე მხრივ, — ადამიანის გული საკვირველი რამაა, განსაკუთრებით როცა ადამიანი ამ გულს საფუღე ქისით ატარებს, — თქვენ მეტისმეტად უიმედო პესიმისტები უნდა იყოს, თუ გეშინიათ, რომ სამუშაო დღის 11¹/₂ საათიდან 10¹/₂ საათამდე შემცირებით თქვენი წმინდა მოგება მთლად გაქარწყლდება. სრულიადაც არა. თუ ყველა დანარჩენ პირობებს უცვლელად ვიგულისხმებთ, ზედმეტი შრომა 5³/₄ საათიდან 4³/₄ საათამდე დაიწევს, რაც ჯერ კიდევ იძლევა ზედმეტი ღირებულების სრულიად საკმაო ნორმას, სახელდობრ 82¹/₂₃⁰/₀-ს. მაგრამ საბედისწერო «უკანასკნელი საათი», რომელზედაც თქვენ უფრო მეტ ზღაპრებს გვიამბობდით, ვიდრე ქილიასტები მეორედ მოსვლაზე, — ეს არის «all his!» [ცარიელი ლაყობა]. მისი დაკარგვით არც თქვენ დაკარგავთ «წმინდა მოგებას» და არც ორივე სქესის ის ბავშვები დაკარგავენ «სულიერ სიწმინდეს», რომელთა ექსპლოატაციასაც თქვენ ეწვეით^{32a}.

^{32a} თუ სენიორმა დაამტკიცა, რომ მეფაბრიკეთა წმინდა მოგება, ინგლისის ბამბის მრეწველობის არსებობა და მსოფლიო ბაზარზე ინგლისის გაბატონებული მდგომარეობა დამოკიდებულია უკანასკნელ სამუშაო საათზე, დ-რ ენდრიუ იურმა [იხ. «The Philosophy of Manufactures». London 1835, გვ. 406], გარდა ამისა, დაამტკიცა თავის მხრივ, რომ თუ ფაბრიკაში მომუშავე ბავშვებს და 18 წლისაზე ნაკლები ხნის ახალგაზრდებს მთელი 12 საათით არ ჩაეკეტევენ ფაბრიკის შენობის თბილ და ხეობრივად წმინდა ატმოსფეროში, არამედ ყერთი საათით ადრე გაავადებენ გულქვა და ფუქსავატ გარუსამყაროში, მაშინ ეს ბავშვები უსაკმარისობისა და უზნეობის გამო თავიანთ სულიერ ჯანმრთელობას დაკარგავენ. 1848 წლიდან დაწყებული ფაბრიკის ინსპექტორები თავიანთ ნახევარწლიურ «Reports»-ში [ანგარიშებში] დაუცხრომლად აღიზიანებენ მეფაბრიკეებს «უკანასკნელი საათით», «საბედისწერო საათით». ასე, მაგალითად, ბ-ნი ჰაუელი თავის 1855 წლის 31 მაისის საფაბრიკო ანგარიშში ამბობს: «შემდეგი მახვილგონიერად შედგენილი გამოანგარიშება (სენიორიდან მოჰყავს ციტატა)

როდესაც მართლა დაჰკრავს თქვენი «უკანასკნელი საათი», მოიგონეთ მაშინ ოქსფორდელი პროფესორი. ჯერჯერობით კი ნახვამდის

რომ სწორი იყოს, მაშინ შეერთებულ სამეფოში ბამბის ყოველი ფაბრიკა, დაწყებული 1850 წლიდან, ზარალით იმუშავებდა» («Reports of the Inspection of Factories for the half year, ending 30th April 1855», გვ. 19, 20). 1848 წელს, როდესაც, 10 საათის ბილი გავიდა პარლამენტში, მეფაბრიკებმა აიძულეს ზოგიერთი მუშები, რომლებზეც ნორმირებული სამუშაო დღე ვრცელდებოდა, გამოსულიყვნენ პეტრიციით ამ ბილის წინააღმდეგ; ეს მოხდა სელსართავ სასოფლო ფაბრიკებში, რომლებიც გაფანტული იყო დორსეტის და სომერსეტის საგრაფოებს შორის. აი რას ვკითხულობთ, სხვათა შორის, ამ პეტრიციაში: «ჩვენ, მთხოვნელი-მშობლები, ვფიქრობთ, რომ ზედმეტ უქმ საათს მხოლოდ ჩვენი შვილების დემორალიზაცია მოჰყვება, რადგან უსაქმურობა ყოველგვარი მანკიერების წყაროა». 1848 წლის 31 ოქტომბრის საფაბრიკო ანგარიში ამაზე შემდეგს დასძენს: «სელსართავი ფაბრიკების ატმოსფერო, სადაც ამ სათნო და ფაქიზი მშობლების ბავშვებს უზღებათ მუშაობა, ისე გაუღენთილია ნედლი მასალის უამრავი მტვრით და ბეწვებით, რომ იქ 10 წუთით გაჩერებაც კი ძალზე არასასიამოვნოა, რადგან თქვენ ამ დროს საშინელ ტანჯვას განიცდით; თქვენი თვალები, ყურები, ცხვირის ნესტოები და პირი მყისვე ივსება სელის მტვრის ნისლით, რომელსაც თავს ვერაფრით ვერ დააღწევთ. თვით შრომა, მანქანების საშინელი სისწრაფის გამო, მუდმივ სიმარდეს და მოძრაობას მოითხოვს შეუსუსტებელი ყურადღების კონტროლქვეშ. ამიტომ სისასტიკედ უნდა ჩაითვალოს ათქმევინო მშობლებს სიტყვა «სიხარმაკე» თავიანთი ბავშვების მიმართ, რომელნიც, ჰამისთვის აუცილებელი დროის გამოკლებით, მთელი 10 საათი მიჯაჭვულნი არიან ამ სამუშაოზე ასეთ ატმოსფეროში... ეს ბავშვები უფრო მეტხანს მუშაობენ, ვიდრე სოფლის მეურნეობის მოჯამაგირეები მეზობელ სოფლებში... ასეთი სასტიკი ბრალდების წაყენება უსაქმურობასა და უზნეობაში» დაგმობილ უნდა იქნას, როგორც წმინდა წყლის ფარისევლობა და უსირცხვილო თვალთმაქცობა. საზოგადოების ერთი ნაწილი დაახლოებით 12 წლის წინათ აღშფოთებული იყო იმ აბლომით, რომლითაც საჯაროდ და სრულიად სერიოზულად, თანაც მაღალი ავტორიტეტის სანქციით, აუწყებდნენ ქვეყანას, ვითომც მეფაბრიკის მთელი წმინდა მოგება შრომის უკანასკნელი საათიდან გამომდინარეობდეს და ამიტომ სამუშაო დღის ერთი საათით შემცირება ვითომც მთელ წმინდა მოგებას სპობდეს; საზოგადოების ეს ნაწილი, ვაბობთ ჩვენ, არც კი დაიჯერებს, როდესაც თავისი საკუთარი თვალთ იხილავს, რომ ორიგინალური აღმოჩენა უკანასკნელი საათის კეთილმოქმედი თვისებების შესახებ მას შემდეგ იმდენად გაუმჯობესდა, რომ იგი ახლა თანაბრად შეიცავს «მორალსაც» და «მოგებასაც», ასე რომ, თუ ბავშვების შრომის ხანგრძლიობა სრულ 10 საათამდე შემცირდება, მაშინ მეპატრონეთა წმინდა მოგებასთან ერთად გაქრება ბავშვების ზნეობაც, რადგან ერთიც და მეორეც ამ უკანასკნელ, ამ საბედისწერო საათზე დამოკიდებული» («Reports of Insp. of Fact. for 31st Oct. 1848», გვ. 101). იმავე საფაბრიკო ანგარიშში მოყვანილია შემდეგ ბ-ნ მეფაბრიკების «ზნეობის» და «სათნოების» ნიმუშები და ჩამოთვლილია ყველა ის გაიძევრობა, ზრიკები, მოტყუება, მუქარა, სიყალბე და სხვ., რომელთაც ისინი მიმართავდნენ, რათა გამოეტყუებინათ ზოგიერთი სრულიად უმწეო მუშისათვის

უკეთეს ქვეყანაში შეყრამდე. *Addio!*...³³ 1836 წელს სენიორის მიერ აღმოჩენილი უკანასკნელი საათის ნალარა 1848 წლის 15 აპრილს კვლავ დაჰკრა ჯემს ვილსონმა, ერთ-ერთმა მთავარ ეკონომიურ მანდარინთაგანმა ლონდონის «Economist»-ში 10-საათიანი სამუშაო დღის კანონის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის დროს.

4. ზედმეტი პროდუქტი

პროდუქტის იმ ნაწილს (20 გირვანქა ნართის $\frac{1}{10}$ -ს, ანუ 2 გირვანქა ნართს § 2-ის მაგალითში), რომლითაც ზედმეტი ღირებულება გამოიხატება, ჩვენ ზედმეტ პროდუქტს (*surplus produce, produit net*) ვუწოდებთ. როგორც ზედმეტი ღირებულების ნორმა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების შეფარდებით არა კაპიტალის ერთობლივ ჯამთან, არამედ მის ცვალებად შემადგენელ ნაწილთან, ასევე ზედმეტი პროდუქტის დონეც განისაზღვრება მისი შეფარდებით არა მთელ დარჩენილ პროდუქტთან, არამედ პროდუქტის იმ ნაწილთან, რომლითაც აუცილებელი შრომა გამოიხატება. როგორც ზედმეტი ღირებულების

ხელმოწერა ამგვარ პეტიციებზე და წარედგინათ შემდეგ პარლამენტში, როგორც მრეწველობის მთელი დარგის და მთელ საგრაფოთა პეტიციები. ეგრეთწოდებული ეკონომიური «მეცნიერების» დღევანდელი მდგომარეობისათვის ფრიად დამახასიათებელ ფაქტად რჩება ის, რომ ვერც თვით სენიორი, რომელიც, მის სასახლეოდ უნდა ითქვას, შემდეგ ენერგიულად გამოვიდა საფაბრიკო კანონმდებლობის მომხრედ, და ვერც მისი ადრინდელი და შემდგომი მოწინააღმდეგენი, ვერ გაერკვნენ ამ «ორიგინალური აღმოჩენის» სოფიზმებში. ისინი მხოლოდ ფაქტებს და გამოცდილებას მიმართავენ. *Why* და *wherefore* [როგორ და რისთვის] — ეს კითხვები მათთვის საიდუმლოებად დარჩა.

³³ მაგრამ ბატონმა პროფესორმა მანჩესტერში გასეირნებით მაინც ცოტა რამ შეიძინა! «*Letters on the Factory Act*»-ში მთელი წმინდა მოგება, «სარფა» და «პროცენტი» და «*something more*»-ც კი [«ზოგი რამ მეტიცა»] მუშის ერთ გადაუხდელ სამუშაო საათზეა დამოკიდებული! ერთი წლით ადრე სენიორმა ოქსფორდელი სტუდენტებისა და განათლებული ფილისტერების სარგო-სახეიროდ დაწერილ თავის «*Outlines of Political Economy*»-ში წინააღმდეგ რიკარდოს თეორიისა, რომელიც ღირებულებას სამუშაო დროით განსაზღვრავს, «აღმოაჩინა» კიდევ, რომ მოგება კაპიტალისტის შრომიდან წარმოდგება, ხოლო პროცენტი მისი ასეკტიზმიდან, მისი «*Abstinenz*»-დან [«დათმენიდანა». ეს ჩნახვა თვითონ ძველი იყო, მაგრამ სიტყვა «*Abstinenz*» [«დათმენა»] — ახალი. ბატონმა რომერმა სწორად თარგმნა იგი გერმანულ ენაზე სიტყვით «*Enthaltung*» [«დათმენა»]. მაგრამ მისმა კომპატრიოტებმა, — ვირტებმა, შულცებმა და სხვა მიხელებმა, — რომელნიც ნაკლებად იცნობდნენ ლათინურს, ეს ცნება ბერძონაზნურ ელფერით შემოსეს და «დათმენა» გადააქციეს «*Entsagung*»-ად [«თვითთარყოფადა»].

წარმოება კაპიტალისტური წარმოების განმსაზღვრელი მიზანია, ამგვარადვე სიმდიდრის ხარისხი გაიზომება არა პროდუქტის აბსოლუტური სიდიდით, არამედ ზედმეტი პროდუქტის შეფარდებითი სიდიდით³⁴.

აუცილებელი შრომის და ზედმეტი შრომის ჯამი, დროის იმ მონაკვეთთა ჯამი, რომელთა განმავლობაში მუშა თავისი სამუშაო ძალის ამნაზღაურებელ ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, ქმნის მისი სამუშაო დროის აბსოლუტურ სიდიდეს — სამუშაო დღეს (working day).

³⁴ «იმ ადამიანისთვის, რომელსაც 20 000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი აქვს, რაც მას ყოველწლიურად 2 000 გირვანქა სტერლინგ მოგებას აძლევს, სრულიად არ ექნებოდა მნიშვნელობა, ამუშავეს მისი კაპიტალი 100 თუ 1 000 მუშას, ანდა იყიდება მის მიერ წარმოებული საქონელი 10 000 თუ 20 000 გირვანქა სტერლინგად, თუკი მუდამ იგულისხმება, რომ მისი მოგება ყველა ამ შემთხვევაში 2 000 გირვანქა სტერლინგზე დაბლა არ იწევს. განა ასეთივე არ არის მთელი ერის რეალური ინტერესი? თუ ვიგულისხმებთ, რომ მისი რეალური წმინდა შემოსავალი, მისი რენტა და მოგება უცვლელია, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი მცხოვრებისაგან შედგება ეს ერი — 10 თუ 12 მილიონისაგან» (Ricardo: «The Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 416). [დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 292.] რიკარდოზე დიდი ხნით ადრე არტურ იუნგი, ზედმეტი პროდუქტის ფანტიკოსი, საერთოდ ყბედი და კრიტიკულ უნარს მოკლებული მწერალი, რომლის რეპუტაცია შებრუნებულ შეფარდებაშია მის დამსახურებასთან, სხვათა შორის, ამბობდა: «რა სარგებლობას მიიღებდა თანამედროვე სახელმწიფო მთელი იმ პროვინციისაგან, რომლის ნიადაგის დამუშავება იწარმოებდა ძველ რომაულ ყაიდაზე, წვრილი, დამოუკიდებელი გლეხების მიერ, თუნდაც ყველაზე საუკეთესო წესით? რა მიზანი ექნებოდა ამას, გარდა იმ გრათადერთისა, რომ აქ ადგილი ექნებოდა მხოლოდ ადამიანების მოშენებას (the mere purpose of breeding men)», რასაც თავისთავად არავითარი მიზანი არა აქვს» (is a most useless purpose) (Arthur Young: «Political Arithmetic etc.». London 1774, გვ. 47).

დ ა მ ა ტ ე ბ ა 3 4-ე შე ნ ი შ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს. «უცნაურია ის ძლიერი მიდრეკილება, რომ წმინდა შემოსავალი დასახონ მუშათა კლასისთვის ხელსაყრელად... მაშინ როდესაც ცხადია, რომ იგი შეიძლება ხელსაყრელი იყოს არა მისი სიწმინდის გამო» (Th. Hopkins: «On Rent of Land etc.». London 1828, გვ. 126).

თავი მერვე

სამუშაო დღე

1. სამუშაო დღის საზღვრები

ჩვენ გამოვდიოდით იმ ვარაუდიდან, რომ სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა მისი ღირებულების მიხედვით ხდება. სამუშაო ძალის ღირებულება, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, მისი წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით განისაზღვრება. მაშასადამე, თუ იმ საარსებო საშუალებათა წარმოება, რომელთაც მუშა საშუალოდ ყოველდღიურად მოიხმარს, ნ საათს მოითხოვს, მაშინ მან უნდა იმუშაოს საშუალოდ ნ საათი დღეში, რათა ყოველდღიურად აწარმოოს თავისი სამუშაო ძალა, ანუ აკვლავწარმოოს მისი გაყიდვით მიღებული ღირებულება. ამ შემთხვევაში მისი სამუშაო დღის აუცილებელი ნაწილი ნ საათს უდრის, და, ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, იგი მოცემული სიდიდეა. მაგრამ, ამით თვით სამუშაო დღის სიდიდე ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

ვიგულისხმობთ რომ ხაზი a ————— b აუცილებელი სამუშაო დროის ხანგრძლიობას, ანუ სიგრძეს, გამოხატავს, ვთქვათ ნ საათს. იმისდა მიხედვით, გაგრძელება შრომა a -ს იქით 1, 3 თუ ნ საათით და სხვა, ჩვენ მივიღებთ სამ სხვადასხვა ხაზს:

ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე I. ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე II.

a ————— b — c , a ————— b — c ,

ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე III.

a ————— b ————— c ,

რომლებიც სამი სხვადასხვა ხანგრძლიობის — 7, 9 და 12 საათის — სამუშაო დღეს გამოხატავენ. გაგრძელების ხაზი b გამოხატავს ზედმეტი შრომის სიგრძეს. რადგან სამუშაო დღე = $ab + bc$ ანუ a -ს,

იგი ცვალებად სიდიდე ხე-სთან ერთად იცვლება. რადგან ab მოცემულია, ამიტომ ხე-ს შეფარდება ab -სთან ყოველთვის შეიძლება გაიზომოს. ეს შეფარდება I სამუშაო დღეში შეადგენს ab -ს $\frac{1}{6}$ -ს, II სამუშაო დღეში — $\frac{2}{6}$ -ს და III სამუშაო დღეში — $\frac{3}{6}$ -ს. შემდეგ, რადგან შეფარდება $\frac{\text{ზედმეტი სამუშაო დრო}}{\text{აუცილებელი სამუშაო დრო}}$ ზედმეტი ღირებულების ნორმას განსაზღვრავს, ამიტომ ეს ნორმა მოცემულია ამ შეფარდებით. სამ სხვადასხვა სამუშაო დღეში იგი შეადგენს შესაბამისად $16\frac{2}{3}$, 50 და 100% . პირიქით, მარტო ზედმეტი ღირებულების ნორმა სამუშაო დღის სიდიდეს ვერ მოგვეცემდა. თუ, მაგალითად, იგი 100% იქნებოდა, მაშინ სამუშაო დღის ხანგრძლიობა შეიძლებოდა ყოფილიყო 8, 10, 12 საათი და ა. შ. იგი იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ სამუშაო დღის ორი შემადგენელი ნაწილი, აუცილებელი შრომა და ზედმეტი შრომა, ტოლი სიდიდისაა, მაგრამ იგი ვერ გვიჩვენებდა, თუ რა სიდიდისაა თვითთელი ეს ნაწილი.

მაშასადამე, სამუშაო დღე მუდმივი სიდიდე კი არ არის, არამედ ცვალებადი სიდიდეა. თუმცა ერთი მისი ნაწილი იმ სამუშაო დროით განისაზღვრება, რომელიც თვით მუშის მუდმივი კლავწარმოებისათვის არის საჭირო, მაგრამ მისი საერთო სიდიდე იცვლება ზედმეტი შრომის სიგრძესა, ანუ ხანგრძლიობასთან ერთად. ამიტომ სამუშაო დღის განსაზღვრა შესაძლებელია, მაგრამ თავისთავად იგი განუსაზღვრელია³⁵.

ამრიგად, თუმცა სამუშაო დღე მყარ სიდიდეს კი არ წარმოადგენს, არამედ — დენადს, მაგრამ მეორე მხრივ, მისი ცვლილება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებს შიგნით ხდებოდეს. მისი მინიმალური ფარგლების განსაზღვრა მაინც შეუძლებელია. მართალია, თუ ვიგულისხმებთ, რომ გაგრძელების ხაზი ხე, ანუ ზედმეტი შრომა, ნულს უდრის, მაშინ ჩვენ მივიღებთ მინიმალურ საზღვარს, სახელდობრ დღის იმ ნაწილს, რომლის განმავლობაშიც მუშამ აუცილებლად უნდა იმუშაოს თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე აუცილებელ შრომას შეუძლია მუშის სამუშაო დღის მხოლოდ ერთი ნაწილი შეადგინოს, მაშასადამე, სამუშაო დღე არასოდეს არ შეიძლება ამ მინიმუმამდე შემოკლდეს. სამაგიეროდ სამუშაო დღეს მაქსიმალური საზღვარი აქვს. მისი გაგრძელება გარკვეულ ფარგლებს იქით შეუძლებელია. ეს

³⁵ «სამუშაო დღე განუსაზღვრელი სიდიდეა; იგი შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე» (An Essay on Trade and Commerce; containing Observations on Taxes etc. London 1770, გვ. 73.).

მაქსიმალური საზღვარი ორნაირად განისაზღვრება. ჯერ-ერთი, სამუშაო ძალის ფიზიკური საზღვრით. დღე-ღამის განმავლობაში, რომლის ბუნებრივი ხანგრძლიობაც 24 საათს უდრის, ადამიანს შეუძლია თავისი სასიცოცხლო ძალის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა დახარჯოს. ასე, მაგალითად, ცხენს შეუძლია დღითი-დღე მხოლოდ 8 საათი იმუშაოს. დღის ერთი ნაწილის განმავლობაში ძალამ უნდა დაისვენოს, იძინოს, მეორე ნაწილის განმავლობაში ადამიანმა უნდა დაიკმაყოფილოს სხვა ფიზიკური მოთხოვნილებანი, — ისაზრდოს, დაიცვას სისუფთავე, შეიმოსოს და სხვა. გარდა ამ წმინდა ფიზიკური საზღვრებისა, სამუშაო დღის გაგრძელება მორალურ საზღვრებსაც აწყდება. მუშა საჭიროებს დროს ინტელექტუალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთა მოცულობა დარიცხვი კულტურის საერთო მდგომარეობით განისაზღვრება. ამიტომ სამუშაო დღის ცვალებადობა ფიზიკურ და სოციალურ საზღვრებს შიგნით მოძრაობს. მაგრამ ორივე საზღვარი ფრიად ელასტიკური ბუნებისაა და უაღრესად ფართო გასაქანს იძლევა. ასე, მაგალითად, ჩვენ ვხვდებით 8, 10, 12, 14, 16, 18 საათის სამუშაო დღეს, ე. ი. სხვადასხვა სიგრძის სამუშაო დღეს.

კაპიტალისტმა სამუშაო ძალა მისი დღიური ღირებულების მიხედვით იყიდა. ამ სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება კაპიტალისტს ეკუთვნის ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. მაშასადამე, მან მოიპოვა უფლება, რომ თავისი საჭიროებისათვის მუშა მთელი დღის განმავლობაში ამუშაოს. მაგრამ რა არის სამუშაო დღე? ³⁶ ყოველ შემთხვევაში იგი უფრო ნაკლებია, ვიდრე ბუნებრივი დღე სიცოცხლისა. მაგრამ რამდენად? კაპიტალისტს თავისი საკუთარი შეხედულება აქვს ამ *ultima Thule*-ზე [უკიდურეს საზღვარზე], — სამუშაო დღის აუცილებელ საზღვარზე. როგორც კაპიტალისტი, იგი მხოლოდ გაპიროვნებული კაპიტალია. მისი სული კაპიტალის სულია. მაგრამ კაპიტალს ერთადერთი სასიცოცხლო მისწრაფება აქვს, მისწრაფება — გაადიდოს თავისი ღირებულება, შექმნას ზედმეტი ღირებულება, შეიწოვოს თავისი მუდმივი ნაწილით, წარმოების საშუა-

³⁶ ეს კითხვა შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ცნობილი კითხვა სერო რობერტ პილისა, რომელიც მან ბირმინჰამის საეკონომიკურ პალატას დაუსვა; «რა არის გირვანქა (სტერლინგი)?» — კითხვა, რომელიც შეიძლება დასამუღიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ფულის ბუნებაზე პილს ისეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, როგორც ბირმინჰამელ *«little shilling men»*-ს [სიტყვების თამაში: «დეველვაციის მომხრენი» და იმავე დროს «ადამიანები, რომელნიც გროშად არ ღირან»].

ლებებით, ზედმეტი შრომის რაც შეიძლება მეტი მასა³⁷. კაპიტალი მკვდარი შრომაა, რომელიც ვაშპირის მსგავსად მხოლოდ მაშინ ცოცხლდება, როცა ცოცხალ შრომას შეიწოვს, და მით უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, რაც უფრო მეტ ცოცხალ შრომას შეიწოვს. დრო, რომლის განმავლობაშიც მუშა მუშაობს, ის დროა, რომლის განმავლობაშიც კაპიტალისტი მის მიერ ნაყიდ სამუშაო ძალას მოიხმარს³⁸. თუ მუშა იმ სამუშაო დროს, რომელიც მის განკარგულებაშია, თავისი საჭიროებისათვის მოიხმარს, იგი ქურდავს კაპიტალისტს³⁹.

ამრიგად, კაპიტალისტი აქ საქონელგაცვლის კანონს ემყარება. როგორც ყველა სხვა მყიდველი, იგი ცდილობს თავისი საქონლის სახმარი ღირებულებისაგან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღოს. მაგრამ უეცრივ გაისმის მუშის ხმა, რომელიც არ ისმოდა წარმოების პროცესის აურზაურში.

საქონელი, რომელიც მე შენ მოგყიდე, იმით განირჩევა სხვა საქონელთა მასისაგან, რომ მისი მოხმარება ქმნის ღირებულებას, და უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე თვითონ ღირს. ეს იყო იმის საფუძველი, რომ შენ იგი იყიდე. რაც შენთვის კაპიტალის ღირებულების ზრდას წარმოადგენს, ის ჩემთვის სამუშაო ძალის ზედმეტი ხარჯვაა. მე და შენ ბაზარზე მხოლოდ ერთი კანონი ვიცით: საქონელგაცვლის კანონი. საქონლის მოხმარება კი ეკუთვნის არა გამყიდველს, რომელიც მას ასხვისებს, არამედ — მყიდველს, რომელიც მას იძენს. ამიტომ ჩემი დღიური სამუშაო ძალის მოხმარება შენ გეკუთვნის. მაგრამ ამ სამუშაო ძალის დღიური გასაყიდი ფასის საშუალებით მე უნდა შემეძლოს მისი ყოველდღიურად კვლავწარმოება და, მაშასადამე, მისი ხელახლა გაყიდვა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ

³⁷ «კაპიტალისტის ამოცანას შეადგენს ის, რომ დახარჯული კაპიტალის საშუალებით რაც შეიძლება მეტი შრომა მიიღოს» (J. G. Courcelle-Sencuil: «Traité Théorique et Pratique des Entreprises Industrielles», მე-2 გამოც., Paris 1857, გვ. 63).

³⁸ «ერთი საათის შრომის დაკარგვა დღიურად უდიდეს ზარალს მოასწავებს ვაჭრობის მამდევარ სახელმწიფოსთვის. ამ სამეფოს ღარიბ მშრომელთა შორის, განსაკუთრებით მანუფაქტურის ბრბოში, მეტად დიდია ფუფუნების საგნების მოხმარება; მაგრამ ამასთან ისინი თავიანთ დროსაც ხარჯავენ, რაც ყველაზე დამლუბველი გაფლანგვაა» («An Essay on Trade and Commerce etc.», London 1770, გვ. 47 და 153).

³⁹ «თუ თავისუფალი მუშა ერთ წუთს ისვენებს, ხარბი ეკონომია, რომელიც მას გაუაციცებით თვალყურს ადევნებს, ამტკიცებს, რომ მუშა მას ქურდავს» (N. Lingue: «Théorie des Lois Civiles etc.», London 1767, ტ. II, გვ. 466).

ბუნებრივ დაუძლეურებას სიბერის და სხვ. გამო, მე უნარი უნდა მქონდეს ხეალ იმავე ნორმალური ძალით, ჯანმრთელობითა და ხალისით ვიმუშავო, როგორც დღეს. შენ მე მუდამ «მომჭირნეობის» და «დათმენის» სახარებას მიქადაგებ. მაშ კარგი! მსგავსად გონიერი და მომჭირნე მესაკუთრისა, მეც მსურს ვიმომჭირნეო ჩემს ერთადერთ ქონებაზე, სამუშაო ძალაზე და თავი შევიკავო მისი უაზრო გაფლანგვისაგან. მე მინდა იგი ყოველდღე მხოლოდ იმდენად გავხადო დენადი, მოვიყვანო მოძრაობაში და ვაქციო შრომად, რამდენადაც ეს მისი არსებობის ნორმალურ ხანგრძლიობასა და საღ განვითარებას შეეფერება. სამუშაო დღის უზომო გაგრძელებით შენ შეგიძლია ერთ დღეში მოძრაობაში მოიყვანო ჩემი სამუშაო ძალის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე მე სამ დღეში შემიძლია აღვადგინო. ამგვარად, რასაც შენ შრომაზე იგებ, მე მაკლდება შრომის სუბსტანციაში. ჩემი სამუშაო ძალით სარგებლობა და ამავე ძალის გაძარცვა — სრულიად სხვადასხვა რამეა. თუ დროის საშუალო ხანგრძლიობა, რაც საშუალო მუშას შეუძლია გაძლოს შრომის გონივრული ზომის პირობებში, 30 წელიწადს შეადგენს, მაშინ ჩემი სამუშაო ძალის ღირებულება, რასაც შენ ყოველ-

დღიურად მიხდი, = მისი ერთობლივი ღირებულების $\frac{1}{365 \times 30}$, ანუ $\frac{1}{10950}$.

ხოლო თუ შენ მოიხმარ მას 10 წლის განმავლობაში, მაშინ შენ მიხდი დღიურად მისი საერთო ღირებულების $\frac{1}{10950}$ -ს, ნაცვლად $\frac{1}{3650}$ -ისა, მაშასადამე, დღიური ღირებულების მხოლოდ $\frac{1}{3}$ -ს და, ამრიგად, ყოველდღიურად მპარავ ჩემი საქონლის ღირებულების $\frac{2}{3}$ -ს. შენ მინაზღაურებ დღიურ სამუშაო ძალას, მაშინ როდესაც ხმარობ სამი დღის სამუშაო ძალას. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს ხელშეკრულებას და საქონელგაცვლის კანონს. მაშასადამე, მე მოვითხოვ ნორმალური ხანგრძლიობის სამუშაო დღეს და ამას რომ მოვითხოვ, არ მივმართავ შენს კეთილ გულს, რადგან ფულის საქმეში გულკეთილობას ადგილი არა აქვს. შეიძლება შენ სამაგალითო მოქალაქე იყო, შეიძლება პირუტყვთა მფარველი საზოგადოების წევრიც იყო და გარდა ამისა წმინდანის სახელი გქონდეს მოხვეჭილი, მაგრამ იმ ნივთს, რომელსაც შენ ჩემ მიმართ წარმოადგენ, მკერდში გული არ უცემს. ის, რაც მასში თითქმის ძგერს, ჩემი საკუთარი გულის ძგერაა. მე მოვითხოვ ნორმალურ სამუშაო დღეს, იმიტომ რომ, როგორც ყველა სხვა გამყიდველი, მე ჩემი საქონლის ღირებულებას მოვითხოვ ⁴⁰.

⁴⁰ ლონდონელი მწიგნობელი მუშების დიდი გაფიცვის დროს, 1860 — 1861 წლებში, რაც სამუშაო დღის 9 საათამდე შემცირების მიზნით მოეწყო, მათი კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული იყო განცხადება, რომელიც თითქმის სიტყვისიტყვით ემთხვევა იმ

ჩვენ ვხედავთ: თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამუშაო დღის მეტად ელასტიკურ საზღვრებს, თვით საქონელგაცვლის ბუნებიდან არ გამომდინარეობს სამუშაო დღის არავითარი საზღვარი, მაშასადამე, არც ზედმეტი შრომის საზღვარი. კაპიტალისტი იცავს თავის უფლებას როგორც მყიდველი, როდესაც ცდილობს, რაც შეიძლება გააგრძელოს სამუშაო დღე და სადაც კი შესაძლებელია, ერთი სამუშაო დღე ორად აქციოს. მეორე მხრივ, გაყიდული საქონლის სპეციფიკური ბუნება საზღვარს უდებს ამ საქონლის მოხმარებას მყიდველის მიერ, და მუშა იცავს თავის უფლებას როგორც გამყიდველი, როდესაც ცდილობს სამუშაო დღე განსაზღვრული ნორმალური სიდიდით შეზღუდოს. მაშასადამე, აქ ადგილი აქვს ანტინომიას, უფლება უპირისპირდება უფლებას, და ორივე ერთნაირად დადასტურებულია საქონელგაცვლის კანონით. ორი თანასწორი უფლების შეტაკების დროს გადამწყვეტია ძალა. ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების ისტორიაში სამუშაო დღისთვის ნორმის დაწესება წარმოვედგება როგორც ბრძოლა სამუშაო დღის საზღვრებისათვის, — ბრძოლა ერთობლივ კაპიტალისტსა, ე. ი. კაპიტალისტთა კლასსა, და ერთობლივ მუშასა, ე. ი. მუშათა კლასს შორის.

2. ზედმეტი შრომის დაუცხრომელი ვაჭარნი და ბოიარინი

კაპიტალს ზედმეტი შრომა არ გამოუგონია. ყველგან, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს წარმოების საშუალებათა მონოპოლია ეკუთვნის, მუშამ, თავისუფალმა თუ არათავისუფალმა, იმ სამუშაო დროს, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის, უნდა მიუმატოს ზედმეტი სამუშაო დრო, რათა აწარმოოს საარსებო საშუალებანი წარმოების საშუალებათა მესაკუთრისთვის⁴¹, იქნება ეს მესაკუთრე ათენელი *ἄλλος ἀχρεὺς* [არისტოკრატი] ეტრუსკელი თეოკრატი, *civis romanus* [რომაელი მოქალაქე], ნორმანელი ბარონი, ამერიკელი მონათმფლობელი, ვალაქელი ბოიარინი, თანამედროვე ლენდლორდი თუ

მსჯელობას, რომლითაც ჩვენი მუშა თავს იცავს. ამ განცხადებაში ირონიულად აღნიშნულია, რომ ყველაზე გაუმძაღარს «building masters»-თა [შენებელ მეწარმეთა] შორის ვინმე სერ მ. პიტოს «წმინდანის სახელი აქვს მოხვეჭილი». (იმავე პიტოს 1867 წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია, რაც შტრუსბერგს!)

⁴¹ ისინი, ვინც მუშაობენ... ნამდვილად ასახრდობენ როგორც პენსიონერებს, წოდებულთ «მდიდრებად... ისე თავიანთ თავსაც» (Edmund Burke: «Thoughts and Details on Scarcity», London 1800, გვ. 2, 3).

კაპიტალისტი ⁴². ამასთან ცხადია, რომ, თუ რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში სჭარბობს არა საცვლელი ღირებულება, არამედ სახმარი ღირებულება პროდუქტისა, მაშინ ზედმეტი შრომა შემოსაზღვრულია მოთხოვნილებათა უფრო ვიწრო ან უფრო ფართო წრით, მაგრამ თვით წარმოების ბუნებიდან არ გამომდინარეობს უსაზღვრო მოთხოვნილება ზედმეტი შრომისა. ამიტომ ძველ დროში გადამეტებული შრომა საშინელი ფორმით გვევლინება იქ, სადაც ადგილი აქვს საცვლელი ღირებულების მოპოვებას მისი დამოუკიდებელი ფულადი სახით, — ოქროსა და ვერცხლის წარმოებაში. იძულებითი მომაკვდინებელი მუშაობა აქ გადამეტებული შრომის ოფიციალურ ფორმას წარმოადგენს. საკმარისია მარტო დიოდორე სიცლიელი წავიკითხოთ ⁴³. მაგრამ ეს გამონაკლისი იყო ძველ ქვეყანაში. ხოლო როგორც კი ხალხები, რომელთა წარმოება ჯერ კიდევ მონური შრომის, საბატონო შრომის და სხვ. შედარებით დაბალ ფორმებში მოძრაობს, ჩაითრევიან მსოფლიო ბაზარში, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესია გაბატონებული, ბაზარში, რომელიც მათი წარმოების პროდუქტების საზღვარგარეთ გაყიდვას მთავარ ინტერესად აქცევს, — მონობის, ბატონყმობის და სხვ. ბარბაროსულ საშინელებას გადამეტებული შრომის ცივილიზებული საშინელება ემატება. ამიტომ ზანგების შრომას ამერიკის კავშირის სამხრეთ შტატებში ზომიერი პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა შენარჩუნებული, სანამ წარმოების მიზანს უმთავრესად საკუთარ მოთხოვნილებათა უშუალო დაკმაყოფილება შეადგენდა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ბამბის ექსპორტი ამ შტატების სასიცოცხლო ინტერესად გადაიქცა, ზანგის გადამეტებული შრომა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში უდრიდა მისი სიცოცხლის მოხმარებას შვიდი სამუშაო წლის განმავლობაში, გულქვა ანგარიშზე დამყარებული სისტემის ფაქტორად იქცა. აქ საქმე უკვე იმაში აღარ იყო.

⁴² ნიბური თავის «Römische Geschichte»-ში [მე-5 გამოც. 1853 წ., გვ. 74]-ფრიად გულუბრყვილოდ შენიშნავს: «არ შეიძლება იმის დაფარვა, რომ ისეთი ნაწარმოებნი, როგორც ეტრუსკელთა ნაწარმოებებია, რომელნიც თავიანთი ნანგრევებითაც კი განკვიფრებას იწვევენ, პატარა (!) სახელმწიფოებში ბატონების და ყმების არსებობას გულისხმობენ». უფრო ღრმა არის სისმონდის შენიშვნა, რომ «ბრიუსელის მაქმანები» დამჭირაველებს და დაჭირავებულ მუშებს გულისხმობენ.

⁴³ «არ შეიძლება შეხედო და არ შეგებრალოს მათი საშინელი ბედის გამო ეს უბედურები (ოქროს მალაროებში მომუშავენი ეგვიპტისა, ეთიოპიასა და არაბეთს შუა), რომელთაც არც კი შეუძლიათ სუფთად შეინახონ თავიანთი სხეული და დაფარონ თავიანთი სიტეტლე. ეს იმიტომ, რომ აქ ადგილი არა აქვს შეწყნარებას და შებრალებას არც ავადმყოფთა, არც დასახინრებულთა, არც მოხუცთა და არც ქალთა სი-

რომ მისგან სასარგებლო პროდუქტების გარკვეული რაოდენობა ამოეგოთ. ახლა საქმე თვით ზედმეტი ღირებულების წარმოებაში იყო. ასევე ითქმის საბატონო შრომაზე, მაგალითად, ღუნაის სამთავროებში.

ზედმეტი ღირებულების დაუცხრომელი წყურვილის შედარება ღუნაის სამთავროებში ასეთსავე წყურვილთან ინგლისის ფაბრიკებში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, რადგან ზედმეტ შრომას საბატონო ბეგარის დროს დამოუკიდებელი, უშუალოდ აღქმადი ფორმა აქვს.

ვიგულისხმობ, რომ სამუშაო დღე შეიცავს 6 საათს აუცილებელ შრომას და 6 საათს ზედმეტ შრომას. ამ შემთხვევაში თავისუფალი მუშა კაპიტალისტს კვირაში 6×6 , ანუ 36 საათ ზედმეტ შრომას აძლევს. ეს იგივეა, რომ იგი კვირაში 3 დღეს თავისთვის მუშაობდეს, ხოლო 3 დღეს უსასყიდლოდ კაპიტალისტისთვის. მაგრამ ეს თვალნათლივ არა ჩანს. ზედმეტი შრომა და აუცილებელი შრომა ერთმანეთშია არეული. ამიტომ მე შემიძლია იგივე ურთიერთობა, მაგალითად, ასეც გამოვხატო: თვითეულ წუთში მუშა 30 წამს თავისთვის მუშაობს, ხოლო 30 წამს — კაპიტალისტისთვის და სხვა. სულ სხვაგვარადაა საქმე საბატონო შრომის მიმართ. აუცილებელი შრომა, რომელსაც, მაგალითად, ვალაქელი გლეხი თავისი არსებობის შესანარჩუნებლად ასრულებს, გამოყოფილია სივრცეებრივად მისი ზედმეტი შრომისაგან, რომელსაც იგი ბოიარინის სასარგებლოდ ასრულებს. პირველ შრომას იგი თავის საკუთარ მიწაზე ასრულებს, მეორეს — ბატონის მამულში. ამიტომ სამუშაო დროის ორივე ნაწილი დამოუკიდებლად და ერთიმეორის გვერდით არსებობს. საბატონო შრომის ფორმაში ზედმეტი შრომა ზუსტად გამოყოფილია აუცილებელი შრომისაგან. გამოვლინების ფორმათა ეს სხვადასხვაობა, ცხადია, არაფერს ცვლის ზედმეტი შრომის და აუცილებელი შრომის რაოდენობითს შეფარდებაში. სამი დღის ზედმეტი შრომა კვირაში რჩება სამი დღის შრომად, რომელიც არავითარ ეკვივალენტს არა ქმნის თვით მუშისთვის, სულ ერთია, საბატონო შრომად იწოდება იგი, თუ დაქირავებულ შრომად. მაგრამ კაპიტალისტისთვის ზედმეტი შრომის დაუცხრომელი წყურვილი ვლინდება სამუშაო დღის

სუსტის მიმართ. ყველამ უნდა იმუშაოს მათრახის შიშით, ვიდრე სიკვდილი ბოლოს არ მოუღებს მათს ტანჯვას და გაჭირვებას» («Diodor's von Sicilien Historische Bibliothek». [Stuttgart 1828], წიგნი 3, თავი 13, გვ. 260).

19 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

უზომო გაგრძელებისადმი მისწრაფებაში, ბოიარინისა კი — უფრო მარტივად: საბატონო დღეების უშუალო ძებნა-ნადირობაში⁴⁴.

საბატონო შრომა დუნაის სამთავროებში დაკავშირებული იყო სხვადასხვა ნატურალურ რენტასთან და ბატონყმობის სხვა ატრიბუტებთან, მაგრამ იგი შეადგენდა უმთავრეს ხარკს გაბატონებული კლასის სასარგებლოდ. იქ, სადაც საბატონო შრომა არსებობდა, იგი იშვიათად წარმოიშვებოდა ბატონყმობიდან, პირიქით, ბატონყმობა უმეტესწილად უფრო საბატონო შრომიდან წარმოიშვებოდა⁴⁵. ასე იყო რუმინეთის პროვინციებში. მათი თავდაპირველი წარმოების წესი დამყარებული იყო თემურ საკუთრებაზე, მაგრამ ისეთ თემურ საკუთრებაზე, რომელიც განსხვავდება სლავური და უფრო კი ინდური ფორმისაგან. მიწების ერთი ნაწილი თემის წევრების მიერ დამოუკიდებლად მუშავდებოდა როგორც თავისუფალი კერძო საკუთრება, ხოლო მეორე ნაწილი — *ager publicus* [სათემო მიწები] — კოლექტიურად. ამ კოლექტიური შრომის პროდუქტები შეადგენდა ნაწილობრივ სარეზერვო ფონდს მოუსაგლობისა და სხვა შემთხვევებისათვის, ნაწილობრივ კი — სახელმწიფო ფონდს ომის, რელიგიის და სხვ. სათემო ხარჯების დასაფარავად. დროთა ვითარებაში სამხედრო და სასულიერო წარჩინებულმა პირებმა ამ თემურ საკუთრებასთან ერთად მიითვისეს ყველა მასთან დაკავშირებული ბეგარაც. თავისუფალი გლეხების შრომა მათს სათემო მიწაზე გადაიქცა საბატონო შრომად სათემო მიწის დამტაცებელთა სასარგებლოდ.

⁴⁴ შემდეგი მიმოხილვა ეხება რუმინეთის პროვინციების მდგომარეობას, როგორც იგი ჩამოყალიბდა ყირიმის ომის შემდეგ მომხდარი გადატრიალების წინ.

⁴⁵ [შენიშვნა მე-3 გამოცემისათვის. ეს შეხება აგრეთვე გერმანიასაც, განსაკუთრებით ელბის აღმოსავლეთით მდებარე პრუსიას. მე-15 საუკუნეში გერმანელი გლეხი, თუმცა თითქმის ყველგან განსაზღვრულ ვალდებულებას შრომით და პროდუქტით იხდიდა, მაგრამ სხვა მხრივ, ფაქტიურად მინიცი, ის თავისუფალი ადამიანი იყო. გერმანელი კოლონისტები ბრანდენბურგსა, პომერანიასა, სილეზიასა და აღმოსავლეთ პრუსიაში უფლებრივადაც კი თავისუფალ ადამიანებად იყვნენ ცნობილნი. თავადაზნაურობის გამარჯვებამ გლეხთა ომში ამას ბოლო მოუღო. არა მარტო სამხრეთ გერმანიის დამარცხებული გლეხები იქცნენ ხელახლა ყმებად. უკვე მე-16 საუკუნის ნახევრიდან დაწყებული ყმების მდგომარეობაში ჩაადგეს აღმოსავლეთი პრუსიის, ბრანდენბურგის, პომერანიის, სილეზიისა და ცოტა ხნის შემდეგ შლეზიე-პოლშტეინის თავისუფალი გლეხებიც (Maurer: «Geschichte der Fronhöfe, der Bauernhöfe und Hofverfassung in Deutschland». Erlangen 1862—1863, ტ. IV. — Meitzen: «Der Boden und die landwirtschaftlichen Verhältnisse des preussischen Staates nach dem Gebietsumfange von 1866». Berlin 1873. — Hanssen: «Leibeigenschaft in Schleswig-Holstein».) — ვ. შ.]

ამასთან ერთად განვითარდა ბატონყმური ურთიერთობა, თუმცა მხოლოდ ფაქტიურად და არა იურიდიულად, სანამ მსოფლიოს განმათავისუფლებელმა რუსეთმა არ დააკანონა იგი ბატონყმობის მოსპობის საბაბით. საბატონო სამუშაოთა კოდექსი, რომელიც 1831 წელს რუსმა გენერალმა კისელიოვმა გამოაქვეყნა, რასაკვირველია, ნაკარნახევი იყო თვით ბოიარების მიერ. ამრიგად, რუსეთმა ერთი დაკვირვებით მოინადირა დუნაის სამთავროების მაგნატები და მთელი ევროპის ლიბერალური კრეტიზების მოწონებაც დაიმსახურა.

«Règlement organique»-ის თანახმად, — ასე ეწოდება საბატონო სამუშაოთა ამ კოდექსს, — თვითეულ ვალაქელ გლეხს, დაწვრილებით ჩამოთვლილ მრავალრიცხოვან ნატურალურ ბეგარათა გარდა, დაკისრებული აქვს ეგრეთწოდებული მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ: 1) 12 სამუშაო დღე საერთოდ, 2) ერთი დღე მინდვრად მუშაობა და 3) ერთი დღე შეშის მოზიდვა. სულ ერთიმეორეზე — 14 დღე წელიწადში. მაგრამ პოლიტიკური ეკონომიის ღრმა გაგებით ამ კოდექსში სამუშაო დღე აღებულია არა მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ როგორც სამუშაო დღე, რომელიც აუცილებელია საშუალო დღიური პროდუქტის დასამზადებლად, ხოლო საშუალო დღიური პროდუქტი ისე ეშმაკურად არის განსაზღვრული, რომ თვით ციკლობიც კი ვერ გაართმევდა თავს მას დღე-ღამეში. ამიტომ თვით «რეგლამენტი» მშრალად, წმინდა რუსული ირონიით განმარტავს, რომ 12 სამუშაო დღეში 36 დღის ფიზიკური შრომის პროდუქტი უნდა ვიგულისხმოთ; ერთი დღის მინდვრად მუშაობაში — სამი დღე და ერთი დღის შეშის მოზიდვაში — ასევე სამი დღე. სულ: 42 საბატონო დღე. ხოლო ამას უნდა მიუვმატოთ ეგრეთწოდებული «J o b a g i e», სამსახური, რომელსაც გლეხი ეწევა მემამულის სასარგებლოდ წარმოების საქროებათა განსაკუთრებულ შემთხვევებში. თვითეული სოფელი ვალდებულია «Jobagie»-სთვის ყოველწლიურად გამოიყვანოს, თავისი მოსახლეობის სიდიდის შესაბამისად, მუშახელის განსაზღვრული კონტინგენტი. ეს დამატებითი საბატონო შრომა თვითეული ვალაქელი გლეხისთვის ნაანგარიშეა 14 დღედ. ამრიგად, სვალდებულო საბატონო შრომა წლიურად 56 სამუშაო დღეს უდრის. მაგრამ სამიწათმოქმედო წელიწადი ვალაქიაში, ცუდი ჰავის გამო, მხოლოდ 210 დღისაგან შედგება, რომელსაც გამოაკლდება 40 დღე კვირა-უქმეების და საშუალოდ 30 დღე ავდრისა, სულ 70 დღე. რჩება 140 სამუშაო დღე. საბატონო შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან —

56

84, ანუ $66\frac{2}{3}\%$, ზედმეტი ღირებულების გაცილებით უფრო

ნაკლებ ნორმას გამოხატავს, ვიდრე ის ნორმა, რომელიც ინგლისის მიწათმოქმედების ან ფაბრიკის მუშის შრომას აწესრიგებს. მაგრამ ეს მხოლოდ კანონით დადგენილი საბატონო შრომაა. «Règlement organique»-მა კიდევ უფრო მეტი «ლიბერალიზმით», ვიდრე ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობამ, შეძლო გაეადვილებინა თავისივე საკუთარი გვერდის ავლა. მას შემდეგ, რაც მან 12 დღე 54 დღედ აქცია, ყოველ ამ 54 საბატონო დღის ნომინალურ დღიურ შრომას იგი კვლავ ისე განსაზღვრავს, რომ შემდგომ დღეებს აუცილებლად რაიმე დამატება მოუწევს. მაგალითად, ერთ დღეში უნდა გაიმარჯლოს სარეველა ბალახებისაგან მიწის ისეთი ფართობი, რომელიც ამ ოპერაციისათვის, განსაკუთრებით სიმინდის ყანებში, ორჯერ მეტ დროს მოითხოვს. კანონით დაწესებული დღიური შრომა ზოგიერთ სამიწათმოქმედო სამუშაოსათვის ისე შეიძლება განიმარტოს, რომ ეს დღე მაისში იწყება და ოქტომბერში თავდება. მოლდავეთისთვის წესები კიდევ უფრო სასტიკია. «12 საბატონო დღე «Règlement organique»-ის მიხედვით, — წამოიძახა გამარჯვებით დამთვრალმა ერთმა ბოიარინმა, — 365 დღეს აღწევს წელიწადში!»⁴⁵.

თუ დუნაის სამთავროების «Règlement organique»-ი დადებითი გამოხატულება იყო ზედმეტი შრომის დაუცხრომელი წყურვილისა, რაც დაკანონებულია თვითეული მისი პარაგრაფით, ინგლისური Factory Acts [საფაბრიკო აქტები] იმავე წყურვილის უარყოფითი გამოხატულებაა. ეს კანონები ლაგამს სდებენ კაპიტალის მისწრაფებას სამუშაო ძალის უსაზღვრო გამოწოვისადმი სამუშაო დღის იძულებითი შეზღუდვით სახელმწიფოს მიერ, თანაც იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც კაპიტალისტი და ლენდლორდი ბატონობენ. მხედველობაში რომ არ მივიღოთ მუშათა მზარდი მოძრაობა, რომელიც დღით-დღე საშიში ხდებოდა, საფაბრიკო შრომის შეზღუდვა ნაკარნახევი იყო იმავე აუცილებლობით, რომელმაც გამოიწვია გუანოს გადმოღვრა ინგლისის მინდვრებზე. იგივე ბრმა მტაცებლობა, რომელიც ერთ შემთხვევაში მიწის გამოფიტვას იწვევდა, მეორე შემთხვევაში ძირს უთხრიდა ერის სასიცოცხლო ძალას. პერიოდული ეპიდემიები ისევე ცხადად ღალატდებდნენ აქ, როგორც ჯარისკაცების ტანის ზომის შემცირება გერმანიისა და საფრანგეთში⁴⁶.

⁴⁵ შემდგომი დაწვრილებითი ცნობების ნახვა შეიძლება E. Regnault-ის «Histoire Politique et Sociale des Principautés Danubiennes»-ში. Paris 1855 [გვ. 304 და შ.].

⁴⁶ «საერთოდ, როდესაც ორგანული არსება თავისი მოდგმის საშუალო ზომას აღემატება, ეს გარემოება, გარკვეულ ფარგლებში, მის წარმატებას მოასწავებს. რაც

ამჟამად მოქმედი (1867) Factory Act-ი [საფაბრიკო აქტი] 1850 წლისა აწესებს საშუალო კვირეული დღისთვის 10 საათს, სახელდობრ: კვირის პირველი 5 დღისთვის 12 საათს, დღის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე, საიდანაც $1\frac{1}{2}$ საათი კანონით საუზმეს უნდა მოხმარდეს და 1 საათი — სადილს, მაშასადამე, რჩება $10\frac{1}{2}$ სამუშაო საათი, — და 8 საათი შაბათისთვის, დღის 6 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე, საიდანაც $1\frac{1}{2}$ საათი საუზმეს ხმარდება. რჩება 60 სამუშაო საათი: $10\frac{1}{2}$ — კვირის პირველი 5 დღისთვის, $7\frac{1}{2}$ — კვირის უკანასკნელი დღისთვის⁴⁷. კანონის შესრულებაზე მეთვალყურეობისათვის დანიშნული არიან საგანგებო ზედამხედველები, ფაბრიკის ინსპექტორები, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს და რომელთა ანგარიშებსაც პარლამენტი ყოველ ნახევარ წელიწადს აქვეყნებს. ამრიგად, ეს ანგარიშები იძლევა მუდმივ და ოფიციალურ სტატისტიკას ზედმეტი შრომისადმი კაპიტალისტების დაუცხრომელი წყურვილის შესახებ.

მოვუსმინოთ ერთი წუთით ფაბრიკის ინსპექტორებს⁴⁸:

შეხება ადამიანს, მისი სხეულის ზომა მცირდება, თუ მისი კეთილდღეობა დაზიანებულია, სულ ერთია, იქნება ეს გამოწვეული ფიზიკური თუ სოციალური პირობებით. ყველა ევროპულ ქვეყანაში, სადაც კონსკრიპცია არსებობს, დღიდან ამ უკანასკნელის შემოღებისა, ასაკოვანი მამაკაცების ტანის საშუალო ზომა და საერთოდ მისი ვარგისობა სამხედრო სამსახურისათვის შემცირდა. რევილუციის წინ (1789) საფრანგეთში ქვეითი ჯარისკაცისთვის მინიმუმი იყო 165 სანტიმეტრი, 1818 წელს (10 მარტის კანონი) — 157, 1832 წლის 21 მარტის კანონის თანახმად — 156 სანტიმეტრი; საფრანგეთში, საშუალოდ, ჯარში ახალწვეულთა ნახევარზე მეტს სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ცნობენ მცირე ტანადობისა და ფიზიკური ნაკლის გამო. საქსონიაში 1780 წელს სამხედრო ზომა 178 სანტიმეტრი იყო, ახლა — 155. პრუსიაში იგი 157 სანტიმეტრია. დ-რ მაიერის მონაცემების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1862 წლის 9 მაისის «Bayrische Zeitung»-ში, ირკვევა, რომ 9 წლის განმავლობაში საშუალოდ პრუსიაში 1000 ახალწვეულთაგან 716 უვარგისი იყო სამხედრო სამსახურისათვის: 317 მცირე ტანადობისა და 399 ფიზიკური ნაკლის გამო. 1858 წელს ბერლინმა ვერ შეძლო თავისი ზედდარი საჯარისო კონტინგენტის მიცემა: დააკლდა 156 კაცი (J. V. Liebig: «Die Chemie in ihrer Anwendung auf Agrikultur und Physiologie», მე-7 გამოც., 1862, ტ. I, გვ. 117, 118).

⁴⁷ 1850 წლის საფაბრიკო აქტის ისტორია ამ თავშია ქვემოთ მოთხრობილი.

⁴⁸ პერიოდს მსხვილი მრეწველობის დაწყებიდან ინგლისში 1845 წლამდე მე მხოლოდ აქა-იქ ვხვები და მის შესახებ მკითხველს მივუთითებ: «Die Lage der arbeitenden Klasse in England» von Friedrich Engels, Leipzig 1845 [ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». თბილისი 1932]. თუ რა ღრმად ჩასწვდა ენგელსი კაპიტალისტური წარმოების წესის არსს, ამას გვიჩვენებს Factory Reports [ფაბრიკის ინსპექტორების ანგარიშები], Reports of Mines [სამთამადნო ინსპექტორების ანგარიშები] და სხვ., რომელნიც 1845 წლის შემდეგ

«მატყუარა მეფაბრიკე მუშაობას იწყებს არა დილის 6 საათზე, არამედ 15 წუთით — ხან მეტი, ხან ნაკლებით, — უფრო ადრე და ამთავრებს მას საღამოს არა 6 საათზე, არამედ 15 წუთით — ხან მეტი, ხან ნაკლები დროით — უფრო გვიან. იმ ნახევარ საათს, რომელიც ნომინალურად საუზმისათვის არის განკუთვნილი, იგი აკლებს 5 წუთს დასაწყისში და 5 წუთს დასასრულს, ხოლო სადილისთვის განკუთვნილ ერთ საათს აკლებს 10 წუთს დასაწყისში და 10 წუთს ბოლოში. შაბათობით იგი მუშაობს კიდევ 15 წუთს — ხან მეტს, ხან ნაკლებს — ნაშუადღევს 2 საათის შემდეგ. ამრიგად, მისი მოგებაა:

დილის 6 საათამდე . . . 15 წუთი	
საღამოს 6 საათის შემდეგ 15	>
საუზმის დროიდან . . . 10	>
სადილის დროიდან . . . 20	>

60 წუთი

სულ 5 დღეში: 300 წუთი.

შ ა ბ ა თ ბ ი თ :

დილის 6 საათამდე . . . 15 წუთი	
საუზმის დროიდან . . . 10	>
ნაშუადღევს 2 საათის შემდეგ 15	>

მთელი კვირეული მოგება: 340 წუთი.

ეს შეადგენს 5 საათსა და 40 წუთს კვირაში, რაც გამრავლებული 50 სამუშაო კვირაზე, ორი კვირის გამოკლებით უქმე დღეებისა და მუშაობის შემთხვევითი შეწყვეტის გამო, 27 სამუშაო დღეს იხლევა»⁴⁹.

იქნა გამოქვეყნებული, და თუ რა განსაცვიფრებლად დახატა მან მუშათა კლასის მდგომარეობის დეტალები, ამას მოწმობს მისი თხზულების ზერეფე შედარება «Children's Employment Commission»-ის [«ბავშვთა შრომის გამომკვლევ კომისიის»] ოფიციალურ ანგარიშებთან (1863 — 1867), რომლებიც 18 — 20 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. ეს ანგარიშები ეხება სახელდობრ მრეწველობის იმ დარგებს, სადაც 1862 წლამდე საფაბრიკო კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, და სადაც ნაწილობრივ ჯერ კიდევ ახლაც არ არის შემოღებული. მაშასადამე, ნგგელის მიერ აწერილ მდგომარეობაში არ ყოფილა შეტანილი გარედან რაიმე ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი ცვლილება. ჩემს მაგალითებს მე ვიღებ უმთავრესად თავისუფალი ვაჭრობის პერიოდიდან 1848 წლის შემდეგ, იმ სამოთხისებრი დროიდან, რომლის შესახებაც თავისუფალი ვაჭრობის იდეების მკვებარა და ამასთანავე მეცნიერულად უბადრუკი გამსაღებელნი ესოდენ მრავალ ზღაპრებს მოუთხრობენ გერმანელებს. — თუმცა აქ ინგლისის პირველ რიგში დგას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კაპიტალისტური წარმოების კლასიკური წარმომადგენელია და მხოლოდ მას მოეპოვება მუდმივი ოფიციალური სტატისტიკა აღნიშნულ საგანზე.

⁴⁹ «Suggestions and by Mr. L. Horner, Inspector of Factories», «Factories Regulation Act. Ordered by the House of Commons to be printed 9 August 1859», გვ. 4, 5,

«თუ სამუშაო დღე ყოველდღიურად 5 წუთით გადააქარბებს ნორმალურ ხანგრძლიობას, მაშინ ეს $2\frac{1}{2}$ სამუშაო დღეს მოგვეცემს წელიწადში»⁵⁰. «ერთი დამატებითი საათი ყოველდღიურად, რომელიც იმ გზით მიიღება, რომ ხან აქ და ხან იქ იტაცებენ დროის მცირე ნაწილს, წელიწადის 12 თვეს 13 თვედ აქცევს»⁵¹.

კრიზისები, როდესაც წარმოება შეწყვეტილია და მუშაობა წარმოებს მხოლოდ «მოკლე ხნით», მხოლოდ რამდენიმე დღე კვირაში, რასაკვირველია, არაფერს არა ცვლის სამუშაო დღის გაგრძელებისადმი მისწრაფებაში. რაც უფრო ნაკლები საქმე კეთდება, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოგება გაკეთებული საქმიდან. რაც უფრო ნაკლებ დროს შეიძლება მუშაობა გაგრძელდეს, მით უფრო მეტი უნდა იყოს ზედმეტი სამუშაო დრო. აი რას მოგვითხრობენ ფაბრიკის ინსპექტორები 1857—1858 წლების კრიზისის პერიოდის შესახებ:

«შეიძლება არათანმიმდევრობად მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ გადამეტებულ შრომას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ვაჭრობა ასე ცუდად მიდის, მაგრამ მისი ცუდი მდგომარეობა აქეზებს მოურიდებელ ადამიანებს გადააბიჯონ შრომის კანონიერ საზღვარს; ამ გზით ისინი უზრუნველყოფენ თავისთვის ზემოგებას... «სწორედ იმ დროს, — ამბობს ლეონარდ ჰორნერი, — როდესაც 122 ფაბრიკა ჩემს ოლქში სრულიად გაუქმებულია, 143 შეჩერებული და ყველა დანარჩენი მხოლოდ მოკლე ხნით მუშაობს, უწინდებურად ადგილი აქვს კანონით დაწესებულ სამუშაო დროზე გადამეტებულ შრომას»⁵². «თუმცა, — ამბობს ბ-ნი ჰაუელი, — მეტწილ ფაბრიკებში, საქმის ცუდი მდგომარეობის გამო, მხოლოდ ნახევარ დროს მუშაობენ, მე მაინც უწინდებურად იმდენივე საჩივარი მომდის იმის შესახებ, რომ მუშებს ყოველდღიურად $\frac{1}{2}$ ან $\frac{3}{4}$ საათს სტაცებენ (snatched), ხელყოფენ რა იმ დროს, რომელიც მათთვის კანონით დაწესებულია საუზმე-სადილისა და დასვენებისათვის»⁵³.

იგივე მოვლენა მეორდება უფრო მცირე მასშტაბით ბამბის მრეწველობის საშინელი კრიზისის დროს 1861 წლიდან 1865 წლამდე⁵⁴.

⁵⁰ «Reports of the Insp. of Fact. for the half year, October 1856», გვ. 35.

⁵¹ «Reports etc. 30th April 1858», გვ. 9.

⁵² იქვე, გვ. 43.

⁵³ იქვე, გვ. 25.

⁵⁴ «Reports etc. for the half year ending 30th April 1881». იხ. დანართი № 2: «Reports etc. 31st October 1862», გვ. 7, 52, 53. 1863 წლის მეორე ნახევარში კვლავ გახშირდა კანონის დარღვევა. შეად. «Reports etc. ending 31st October 1863», გვ. 7.

«თუ სადილობის საათებში, ანდა კანონით აკრძალულ სხვა დროს, ჩვენ წავაწყდებით მუშებს სამუშაოზე; ამის გასამართლებლად ზოგჯერ იმას გვეუბნებიან, რომ მათ არაერთად შემთხვევაში არ სურთ ფაბრიკის დატოვება და საჭიროა ძალდატანება, რათა მათ მუშაობა (მანქანების გაწმენდა და სხვ.) შეაწყვეტინო, განსაკუთრებით შაბათს ნაშუადღევს. მაგრამ, თუ «ხელებია» მანქანების შეჩერების შემდეგ მაინც ფაბრიკაში რჩება, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ დილის 6 საათიდან სალამოს 6 საათამდე, ე. ი. კანონის მიერ დაწესებულ სამუშაო საათებში, მათ არ ეძლევათ დრო ამგვარ სამუშაოს შესასრულებლად»⁵⁵.

ზემოვება, რომელიც კანონით დაწესებულ სამუშაო დროს გადაცილებული, გადამეტებული შრომით მიიღება, ბევრი მეფაბრიკისათვის იმდენად დიდი ცდუნებაა, რომ მათ არ ძალუძთ ამას შეეწინააღმდეგონ. ისინი იმედოვნებენ, რომ მათ დანაშაულში ვერ დაიჭე-

⁵⁵ «Reports etc. 31st October 1860», გვ. 23. თუ რა ფანტიზმით ეწინააღმდეგებიან, თანახმად მეფაბრიკეთა ჩვენებისა სასამართლოში, მათი საფაბრიკო «ხელებია» ფაბრიკის მუშაობის ყოველ შეწყვეტას, ამას შემდეგი კუროზი გვიჩვენებს: 1836 წლის ივნისის დასაწყისს დიუზბერგში (იორქშირი) პოლიციის მოსამართლის სახელზე შევიდა განცხადება, რომ 8 დიდი ქარხნის მესაკუთრეებმა ბეტლის მახლობლად დაარღვიეს საფაბრიკო კანონი. ამ ვაჟბატონთა ერთ ნაწილს ბრალად ედებოდა, რომ 12 — 15 წლის ასაკის ხუთ ბავშვს იძულებით ამუშავებდნენ პარასკევის დილის 6 საათიდან მომდევნო შაბათის ნაშუადღევს 4 საათამდე და არ აძლევდნენ არაერთად დასვენებას, გარდა ჭამის დროისა და ერთი საათის ძილისა შუალამისას. და ეს ბავშვები იძულებული იყვნენ შეუსვენებლად ემუშავნათ 30 საათი «shoddy-hole»-ში, როგორც უწოდებენ ჯურღმულს, სადაც მატყლის ნაგლეჯებს წეწავენ და სადაც მტვრით, ანაძენძით და სხვ. გაუღენთილი ჭერი ასაკოვან მუშებსაც კი აიძულებდა მუდამ პირი აეხვიათ ცხვირსახოცით თავისი ფილტვების დასაცავად! ბატონი ბრალდებულები ფიცის მაგივრად სიტყვიერად ირწმუნებოდნენ, — როგორც კვაკრები, ისინი მეტისმეტად გულმოდგინე მორწმუნე ადამიანები იყვნენ და ფიცს არ მიიღებდნენ, — რომ ისინი თავიანთი დიდი სათნოების გამო, ოთხი საათის ძილის ნებას უთუოდ მისცემდნენ ამ საცოდავ ბავშვებს, მაგრამ ამ ჯიუტებს არასგზით არ სურდათ დასაძინებლად წასვლა! ბ-ნი კვაკრები 20 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. დრადინი თითქოს წინასწარ გრძნობდა ამ კვაკრებს:

•Fox full fraught in seeming sanctity,
That feared an oath, but like the devil would lie,
That look'd like Lent, and had the holy leer,
And durst not sin! before he said his prayer!•

[მელია, სავეს ფარისევლური სიწმინდით, რომელსაც ფიცისა ეშინია, მაგრამ სტყუის ვით ეშმაკი, მარხული სახით და ღვთისნიერად განზე იყურება და ვერ ბედავს ცოდვის ჩადენას, ვიდრე ლოცვას არ წარმოთქვამს!]

რენ და წინასწარ ანგარიშობენ, რომ დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაშიც, უმნიშვნელო ფულადი ჯარიმისა და სასამართლოს ხარჯების სიმცირე მაინც მუდამ უზრუნველყოფს მათთვის საბოლოო ჯამში მოგებას⁵⁶. «იქ, სადაც დამატებითი დრო მიიღება წვრილ ნაქურდალთა თავმოყრით («a multiplication of small thefts») დღის განმავლობაში, ინსპექტორები თითქმის დაუძლეველ სიძნელეს ხვდებიან კანონის დარღვევის დასაბუთების დროს»⁵⁷. ამ მცირე ქურდობას, რომელიც გამოიხატება კაპიტალის მიერ მუშის სასაძილო დროის და დასასვენებელი დროის მითვისებით, ფაბრიკის ინსპექტორები უწოდებენ «petty pilferings of minutes», წუთების წვრილ ქურდ-ბაცაცობას⁵⁸, «snatching a few minutes» — წუთების წაგლეჯას⁵⁹, ანუ, მუშების ტექნიკური გამოთქმით, «nibbling and cribbling at meal times» [სასაძილო დროის გამოგლეჯას და გამოფხეკას]⁶⁰.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ატმოსფეროში ზედმეტი ღირებულების წარმოქმნა ზედმეტი შრომის მეოხებით საიდუმლოებას არ შეადგენს. «თუ ნებას მომცემთ, — მითხრა მე ერთმა ფრიად პატივცემულმა მეფაბრიკემ, — რომ მუშა ყოველდღე მხოლოდ 10 წუთით მეტი ვამუშაო, ამით თქვენ ჩემს ჯიბეში წლიურად 1 000 გირვანქა სტერლინგს ჩასდებთ»⁶¹. «დროის ატომები მოგების ელემენტებია»⁶².

ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელია სახელწოდება მუშებისა, რომელნიც სრულ დროს მუშაობენ «full times» [«სრულდროიანნი»], და სახელწოდება 13 წლისაზე ნაკლები ხნის ბავშვებისა, რომელთაც ნებადართული აქვთ მხოლოდ 6 საათი იმუშაონ — «half times» («ნახევარდროიანნი») ⁶³. აქ მუშა სხვა არაფერია, თუ არა გაპიროვნებული სამუშაო დრო. ყველა ინდივიდუალური განსხვავება დაყვანილია «სრულდროიან» და «ნახევარდროიან» მუშათა განსხვავებაზე.

⁵⁶ «Reports etc. 31st October 1856», გვ. 34.

⁵⁷ იქვე, გვ. 35.

⁵⁸ იქვე, გვ. 48.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იქვე.

⁶² «Reports of the Insp. etc. 30th April 1860», გვ. 56.

⁶³ ეს გამოთქმა ოფიციალურად მიღებულია როგორც ფაბრიკაში, ისე საფაბრიკო ანგარიშებში.

3. ინგლისის მკვიფელმოვის ღარგები, სადაც ექსპლოატაციის კანონიერი საზღვარი არ არსებობს

სამუშაო დღის გაგრძელებისადმი მისწრაფებას, ზედმეტი შრომით კემპარიტად მგლურ გაუმძღრობას აქამდე ჩვენ განვიხილავდით ისეთ სფეროში, სადაც უზომო წრეგადასულობამ, რომელსაც ვერ აღემატება, — როგორც ამას ერთი ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ამბობს, — ესპანელთა საშინელი მოპყრობაც კი ამერიკელ წითელკანიანებისადმი⁶⁴, გამოიწვია, ბოლოს, აუცილებლობა იმისა, რომ კაპიტალი კანონმდებლობითი მოწესრიგების ჯაჭვით შეზღუდულიყო. თვალი გადავავლოთ ახლა წარმოების ზოგიერთ ღარგს, სადაც სამუშაო ძალის გამოწოვა ან დღემდე ჯერ შეზღუდული არ არის, ანდა შეზღუდული არ იყო ჯერ კიდევ გუშინ.

ბ-ნმა ბროუტონმა, საგრაფოს მომრიგებელმა მოსამართლემ, 1860 წლის 14 იანვარს ნოტინგჰემის ქალაქის დარბაზში გამართულ მიტინგზე განაცხადა როგორც თავმჯდომარემ, რომ ქალაქის მოსახლეობის ნაწილში, რომელიც მაქმანის წარმოებაშია ჩაბმული, ისეთი გაჭირვება და სიღარიბეა გამეფებული, რაც მთელი დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოსათვის უცნობია... 9 — 10 წლის ბავშვებს დღის 2, 3, 4 საათზე მოსწყვეტენ მათს ჭუჭყიან საწოლებს და აიძულებენ მარტოდენ გამოკვებისათვის ღამის 10, 11, 12 საათამდე იმუშაონ; მათი სხეული დაუძღურებულა და ძალზე გამხდარი, მათი სახის გამომეტყველება გაქვავებულია და უაზრო, მთელი მათი არსება გარინდებულია, და მათი უბრალო შეხედვაც კი საშინელებაა. ჩვენ არ გვიკვირს, რომ ბ-ნი მალეტი და სხვა მეფაბრიკენი პროტესტით გამოვიდნენ ყოველგვარი დისკუსიის წინააღმდეგ... სისტემა, რომელიც ფრიად პატივცემულმა ბ-მა მონტეგიუ ველპიმ აღწერა, არის უსაზღვრო მონობის სისტემა, მონობისა, ამ სიტყვის სოციალური, ფიზიკური, მორალური და ინტელექტუალური მნიშვნელობით... რა უნდა ვიფიქროთ ქალაქზე, რომელიც საჯარო მიტინგს მართავს იმ მიზნით,

⁶⁴ მეფაბრიკეთა გაუმძღრობა, რომელნიც მოგების გამოდენებაში ისეთ საშინელებას სჩადიან, რომ მას საეჭვოა აღემატებოდეს ესპანელების მიერ ჩადენილი საშინელება, ამერიკის დაპყრობის დროს, ოქროს მოპოვების მიზნით (John Wade: «History of the Middle and Working Classes», მე-3 გამოც., London 1835, გვ. 114). ამ წიგნის თეორიული ნაწილი, პოლიტიკური ეკონომიის ერთგვარი ნარკვევი, თავისი დროისთვის ზოგიერთ ორიგინალურ აზრს შეიცავს, მაგალითად, ვაჭრობის კრიზისების შესახებ, ხოლო მისი ისტორიული ნაწილი Sir M. Eden-ის თხზულებას — «The State of the Poor», London 1797 — უსიციხვლო პლაგიატს წარმოადგენს.

რათა შუამდგომლობა აღძრას მიმეკაცების სამუშაო დროის ყოველდღიურად 18 საათით შეზღუდვის შესახებ!... ჩვენ ენაწყულიანად ვლაპარაკობთ ვირგინიელი და კაროლინელი პლანტატორების წინააღმდეგ. მაგრამ განა მათი ზანგებით ვაჭრობა, მისი მათრახისა და ადამიანის სხეულით ვაჭრობის მთელი საშინელებით, უფრო საზიზღარია, ვიდრე ადამიანის ეს ნელი მკვლელობა, რომელიც იმიტომ ხდება, რომ დამზადდეს ვუალი და საყელოები კაპიტალისტების მოგების მიზნებისათვის? ⁶⁵.

სტაფორდშირის მეთუნეობა (Pottery) უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში სამი საპარლამენტო გამოკვლევის საგანს შეადგენდა. ამ გამოკვლევათა შედეგი მოთავსებულია ბ-ნი სკრივენის ანგარიშში, რომელიც წარდგენილი იყო 1841 წელს «Children's Employment Commissioners»-ში, დ-რ გრინჰაუს 1860 წლის ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნდა Privy Council-ის [საიდუმლო საბჭოს] მედიცინის მოხელის განკარგულებით («Public Health, 3rd Report», I, 102 — 113), ბოლოს, ბ-ნ ლონჯის 1863 წლის ანგარიშში, «First Report of the Children's Employment Commission»-ში 1863 წლის 13 ივნისს. ჩემი ამოცანისთვის სრულიად საკმარისია ვისარგებლო 1860 და 1863 წლების ანგარიშების ზოგიერთი ადგილით, სადაც მოყვანილია თვით იმ ბავშვების ჩვენება, რომელნიც ექსპლოატაციას განიცდიდნენ. ამ ბავშვების მდგომარეობის მიხედვით შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა ასაკოვანთა, განსაკუთრებით ქალიშვილების და ქალების, მდგომარეობის შესახებ, და თანაც მრეწველობის ისეთ დარგში, რომელთან შედარებით ბამბის წარმოება და სხვ. ფრიალ სასიამოვნო და ჯანსაღ საქმედ გვეჩვენება ⁶⁶.

ვილჰელმ ვუდი, ცხრა წლისა: «მუშაობა დაიწყო 7 წლისა და 10 თვისამ». თავიდანვე ის «ran moulds» (გამზადებული საქონელი ფორმებში მიჰქონდა საშრობ ოთახში და შემდეგ უკან მოჰქონდა ცარიელი ფორმები). მთელი კვირის განმავლობაში იგი ყოველდღე დილის 6 საათზე მოდის და მუშაობას დაახლოებით საღამოს 9 საათზე ათავებს. «მე მთელი კვირა ყოველდღე საღამოს 9 საათამდე ვმუშაობ. ასე იყო, მაგალითად, უკანასკნელი 7 — 8 კვირის განმავლობაში». ამრიგად, 15 საათის მუშაობა შვიდი წლის ბავშვისთვის!

⁶⁵ «London Daily Telegraph» 1860 წლის 17 იანვრის თარიღით.

⁶⁶ შუად. Engels: «Lage der arbeitenden Klasse in England». Leipzig 1845, გვ. 249 — 251 [ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». თბილისი 1932, გვ. 191 — 193].

ჯ. მერეი, 12 წლის ყმაწვილი, მოგვითხრობს: «I run moulds and turn jigger» (მე მიმაქვს ფორმები და ვატრიალებ ბორბალს). «მე მოვდივარ დილის 6 საათზე, ზოგჯერ 4 საათზე. უქანასკნელი ღამის განმავლობაში მე დილის 8 საათამდე ვიმუშავე. გუშინწინდელი ღამის შემდეგ მე აღარ მიძინია. ჩემს გარდა მთელ ამ უქანასკნელ ღამეს კიდევ სხვა 8 თუ 9 ყმაწვილი მუშაობდა. ყველანი, ერთის გარდა, ისევ მოვიდნენ დღეს დილით. კვირაში მე 3 შილინგს და 6 პენსს ვიღებ. მე ამაზე მეტს არ ვიღებ მაშინაც, როდესაც მთელი ღამე ვმუშავობ. უქანასკნელ კვირაში ორჯერ მთელი ღამე ვმუშავობდი». ფერნიჰაუ, 10 წლის ყმაწვილი: «მე სასადილოდ ყოველთვის არა მაქვს მთელი საათი; ხშირად მხოლოდ ნახევარი საათი მაქვს; ასეა ხოლმე ყოველ ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს»⁶⁷.

დ-რ გრინჰაუს განცხადებით, მეთუნეობის ოლქებში, სტოკ-ეპონტრენტსა და ვულსტენტონში, სიცოცხლის ხანგრძლიობა ძალზე მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ სტოკის ოლქში 20 წელიწადზე ხნეირი მამაკაცების მხოლოდ 30,6% ია მეთუნეობაში დასაქმებული, ვულსტენტონში კი — მხოლოდ 30,4%, პირველ ოლქში გულმკერდის ავადმყოფობით — ამ კატეგორიის მამაკაცთა შორის — სიკვდილის საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი მეთუნეებზე მოდის, ხოლო მეორე ოლქში — დაახლოებით $\frac{2}{5}$. დ-რ ბუტროიდი, მკურნავი ექიმი ჰენლიში, ამბობს: «მეთუნეების თვითეული შემდგომი თაობა უფრო მცირე ტანისა და სუსტი აგებულობისაა, ვიდრე წინა თაობა». სწორედ ასევე ამბობს მეორე ექიმი, ბ-ნი მეკბინი: «მას შემდეგ, რაც მე ამ 25 წლის წინათ მეთუნეთა შორის მკურნალობა დავიწყე, ამ კლასის ამკარა გადაგვარებამ ტანისა და წონის პროგრესიულ შემცირებაში პოვა გამოხატულება». ეს ჩვენება დრ. გრინჰაუს 1860 წლის ანგარიშიდან არის ამოღებული⁶⁸.

1863 წლის კომისიის წევრების ანგარიშიდან მოგვყავს შემდეგი ადგილი: დ-რ ჯ. ტ. არლეჯი, ჩრდილო-სტაფორდშირის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ამბობს: «როგორც კლასი, მეთუნეები, მამაკაცები და ქალები, ფიზიკურად და მორალურად გადაგვარებულ მოსახლეობას წარმოადგენენ. ისინი საერთოდ მცირე ტანისანი არიან, ცუდი აგებულობისა და მათ ხშირად გულმკერდი გამრუდებული აქვთ. ისინი ნაადრევად ბერდებიან და მცირე ხანს ცოცხლობენ; ფლეგმა-

⁶⁷ «Children's Employment Commission. First Report etc. 1863». დანართი, 33, 16, 18, 19.

⁶⁸ «Public Health. 3rd Report etc.», გვ. 103, 105.

ტიურნი და სისხლნაკლულნი, ისინი ააშკარავებენ თავიანთი აგებულობის სისუსტეს დისპეპსიის გამუდმებულ შეტევებში, ღვიძლისა და თირკმლების დაავადებასა და რევმატიზმში. მაგრამ ისინი უმთავრესად გულმკერდის დაავადებას განიცდიან, ფილტვების ანთებას, კლექს, ბრონქიტს და ასთმას. ამ უკანასკნელის ერთი ფორმა მეთუნეთა დამახასიათებელი დაავადებაა და ცნობილია მეთუნის ასთმის, ანუ მეთუნის კლექსის სახელწოდებით. მეთუნეების $\frac{2}{3}$ -ზე მეტი დაავადებულია სკროფულოზით, რომელიც აზიანებს ჯირკვლებს, ძვლებს და ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილს. თუ ამ ოლქის მცხოვრებთა გადაგვარება (degenerescence) უფრო დიდი არ არის, ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით, რომ გარშემო მდებარე სასოფლო ოლქებიდან ახალი ელემენტები მოედინება და ადგილი აქვს უფრო ჯანსაღ მოდგმასთან შეუღლებას. ბ-ნი ჩარლზ პარსონსი, ამაზედ ცოტა ხნით ადრე იმავე საავადმყოფოს ექიმად ნამყოფი, კომისიის წევრს ლონჯს, სხვათა შორის, ერთ წერილში სწერს: «მე მხოლოდ პირადი დაკვირვებით შემიძლია ლაპარაკი და არა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ ჩემს არსებას მუდამ აღშფოთება იპყრობდა ამ საბრალო ბავშვების დანახვაზე, რომელთა ჯანსაღობა მსხვერპლად ეწირებოდა მათი მშობლებისა და დამპირაველების გაუმაძღრობას». იგი ჩამოთვლის მეთუნეთა შორის გავრცელებულ დაავადებათა მიზეზებს და, ბოლოს, აღნიშნავს ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს — «long hours» («ხანგრძლივ სამუშაო საათებს»). კომისიის მოხსენებაში გამოთქმულია რწმენა იმისა, რომ «მანუფაქტურა, რომელსაც ასეთი გამოჩენილი მდგომარეობა უჭირავს მთელი ქვეყნიერების თვალში, აღარ იქნება მომავალში იმ სამარცხვინო დღის მატარებელი, რომ მის დიად შედეგებს თან სდევს ფიზიკური გადაგვარება, სხეულის მრავალგვარი ტანჯვა და ნაადრევი სიკვდილი მუშა-მოსახლეობისა, რომლის შრომით და დახელოვნებით მიღწეულია ესოდენ დიდი შედეგები»⁶⁹. რაც ინგლისის მეთუნეობაზე ითქვა, იგივე ითქმის შოტლანდიის მეთუნეობაზეც⁷⁰.

ასანთის მანუფაქტურა 1833 წელს იწყება, იმ დროდან, როცა ჩხირზე ფოსფორის მიმაგრების საშუალება აღმოაჩინეს. 1845 წლიდან იგი სწრაფად განვითარდა ინგლისში; ლონდონის მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან იგი გავრცელდა განსაკუთრებით მანჩესტერსა, ბირმინჰამსა, ლივერპულსა, ბრისტოლსა, ნორვიჩსა, ნიუკესტლსა და

⁶⁹ «Children's Employment Commission. 1863», გვ. 22, 24 და XI.

⁷⁰ იქვე, გვ. XLVII.

გლაზგოში, სადაც მას თან სდევდა კრიკის შეკვრა, ავადმყოფობა, რომელიც უკვე 1845 წელს ვენის ერთმა ექიმმა აღმოაჩინა, როგორც ასანთის მკეთებელი მუშების სპეციფიკური დაავადება. ამ მუშების ნახევარს შეადგენენ 13 წელზე უმცროსი ბავშვები და 18 წელზე უმცროსი მოზარდნი. ეს მანუფაქტურა იმდენად სახელგატეხილია თავისი მაწუნ ზემოქმედებით მუშათა ჯანმრთელობაზე და თავისი სადაგელი პირობებით, რომ მუშათა კლასის მხოლოდ ყველაზე დაბეჩავებული ნაწილი — ნახევრადმშვიერი ქვრივები და სხვ. — აწვდის მას ჩამოფლეთილ, ნახევრადმშვიერ, უპატრონო და აღზრდამოკლებულ ბავშვებს⁷¹. კომისიის წევრის უაიტის მიერ მოსმენილ (1863 წელს) მოწმეთაგან 270 იყო 18 წელზე უმცროსი, 40 — 10 წელზე უმცროსი, 10 მხოლოდ 8 წლისა და 5 მხოლოდ 6 წლისა. სამუშაო დღის ცვალებადობა 12-დან 14 და 15 საათამდე, ღამის მუშაობა, უწყსრიგოდ კვება, უმეტესად თვით სამუშაო შენობებში, სადაც ჰაერი ფოსფორით არის მოწამლული. მანუფაქტურის ამ დარგში დანტე თავის უსაშინელეს ფანტასტიკურ ჯოჯოხეთზე უფრო საზარელ სურათს იპოვიდა.

შპალერის ფაბრიკაში უფრო ტლანქი ნიმუშები მანქანით იბეჭდება, ხოლო უფრო ფაქიზი — ხელით (block printing). ყველაზე გაცხოველებული მუშაობა არის ოქტომბრის დასაწყისიდან აპრილის დამლევამდე. ამ პერიოდის განმავლობაში მუშაობა ხშირად და თითქმის შეუწყვეტლივ წარმოებს დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე და უფრო გვიან, ღამითაც.

ჯ. ლიჩი აჩვენებს: ჟუანასკენელ ზამთარს (1862 წელს) 19 ქალიშვილიდან 6 არ გამოცხადებულა სამუშაოზე გადამეტებული შრომით გამოწვეული ავადმყოფობის გამო. რათა ფხიზლად იყვნენ, მუდამ უნდა უყვირო მათა-ო. ე. დეფი: «დადლილობის გამო ბავშვებს ხშირად აღარ შეუძლიათ თვალების გახელა და, მართლაც, ხშირად ჩვენ თვითონაც ძლივს ვახერხებთ ამას». ჯ. ლაიტბორნი: «მე 13 წლისა ვარ... ამ ზამთარს საღამოს 9 საათამდე ვმუშაობდით, ხოლო წინა ზამთარს — 10 საათამდე. თითქმის ყოველ საღამოს ამ ზამთარს ჩემი ფეხები ისე იყო დაწყულლებული, რომ ტკივილისაგან ვყვიროდი ხოლმე». ჯ. ეპსდენი: «ამ ჩემ ბიჭს, როდესაც 7 წლისა იყო, ზურგზე წამოკიდებული იქით და აქეთ ვატარებდი ხოლმე თოვლში და იგი 16 საათს მუშაობდა!... ხშირად, როდესაც ის მანქანასთან იდგა, მე უნდა დამეჩოქნა და ისე მეჭმია მისთვის, რადგან მას არ შეეძლო მანქანის

⁷¹ «Children's Employment Commission. 1863», გვ. LIV.

მიტოვება ან მისი გაჩერება». სმიტი, კომპანიონი და გამგე ერთი ქარხნისა მანჩესტერში, ამბობს: ჩვენ (ის აქ გულისხმობს «ხელეებს», რომელნიც «ჩვენთვის» მუშაობენ) განუწყვეტლივ ვმუშაობთ და არ ვისვენებთ სისადილოდ, ასე რომ $10\frac{1}{2}$ საათიანი სამუშაო დღე ნაშუადღევს $4\frac{1}{2}$ საათზე თავდება, და მთელი შემდგომი დრო ზეგანაკვეთური დროა⁷². (საინტერესოა, ნუთუ ეს ბ-ნი სმიტიც ერთხელაც არ ჭამს ამ $10\frac{1}{2}$ საათის განმავლობაში?) ჩვენ (იგივე სმიტი) იზვიათად ვათავებთ მუშაობას საღამოს 6 საათზე ადრე (ის აქ «ჩვენი» ცოცხალი მანქანების — სამუშაო ძალის — მოხმარების დამთავრებას გულისხმობს), ასე რომ ჩვენ (iterum Crispinus [ისევ კრისპინი] ნამდვილად მთელი წლის განმავლობაში ზეგანაკვეთურ დროს ვმუშაობთ... ბავშვები და ასაკოვანი (152 ბავშვი და 18 წელზე ნაკლები ხნის ახალგაზრდა და 140 ასაკოვანი) უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში თანაბრად მუშაობდნენ, საშუალოდ, სულ ცოტა, 7 დღე და 5 საათი კვირაში, ანუ $78\frac{1}{2}$ საათი კვირეულად. 6 კვირისთვის, რომელიც ამა წლის (1863 წლის) 2 მაისს შესრულდა, საშუალოდ უფრო მეტი მოდიოდა — 8 დღე, ანუ 84 საათი კვირაში!» მაგრამ, იგივე ბ-ნი სმიტი, რომელიც ასე გატაცებულია pluralis majestatis-ით [მათი უდიდებულესობის მსგავსად ჩვენობით] ლაპარაკობს თავის თავზე, ღიმილით დასძენს: «მანქანით მუშაობა ადვილია». ხოლო მეფაბრიკენი, რომელიც block printing-ს [ხელით ბეჭდვას] იყენებენ, ამბობენ: «ხელშრომა უფრო ჯანსაღია მანქანურ შრომაზე». საერთოდ ბ-ნი მეფაბრიკენი აღშფოთებას გამოთქვამენ იმ წინადადების გამო, რომ «მანქანები საქმლის მიღების დროს მაინც შეაჩერონ». «კანონი, — ამბობს ბ-ნი ოტლეი, შპალერის ფაბრიკის დირექტორი ბოროში (ლონდონი), — რომელიც მუშაობის ნებას დაგვრთავდა დილის 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ჩვენთვის (!) ფრიად მოსაწონი იქნებოდა, ხოლო Factory Act-ით [საფაბრიკო აქტით] დაწესებული სამუშაო დრო დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე ჩვენთვის (!) შეუფერებელია... ჩვენი მანქანები

⁷² ეს არ უნდა გავიგოთ იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენ ზედმეტი სამუშაო დრო გვესმის. ეს ვაჭბატონები $10\frac{1}{2}$ საათის შრომას ვანიხილავენ როგორც ნორმალურ სამუშაო დღეს, რომელიც, მანასადამე, ნორმალურ ზედმეტ შრომასაც შეიცავს. შემდეგ იწყება ზეგანაკვეთური დრო, რომელსაც ცოტა უკეთესად ანახლაურებენ. შემდეგში ჩვენ შემთხვევა გვექნება დავინახოთ, რომ სამუშაო ძალის გამოყენებას ეგრეთწოდებული ნორმალური დღის განმავლობაში ღირებულებაზე დაბლა ანახლაურებენ, ასე რომ ზეგანაკვეთური დრო მხოლოდ კაპიტალისტის ხრიკია, რათა მეტა ზედმეტი შრომა გამოყოფოს მუშას, თუმცა ამას ადვილი აქვს მაშინაც, როდესაც ნორმალური დღის განმავლობაში გამოყენებულ სამუშაო ძალას მართლა სრულად ანახლაურებენ.

სადილობის დროს (რა სულგრძელობაა!) გაჩერებულია. ეს გაჩერება არ იწვევს ქალაღისა და საღებავის საგრძნობ დანაკლისს». მაგრამ, — დასძენს იგი თანაგრძნობით, — მე მშვენივრად მესმის, რომ მასთან დაკავშირებული დანაკარგი არაფრად სასიამოვნოა». კომისია გულუბრყვილოდ ფიქრობს თავის ანგარიშში, რომ ზოგიერთი «ხელმძღვანელი ფირმის» შიში დროის დაკარგვისა, იმ დროისა, რომლის განმავლობაში სხვისი შრომის მითვისება ხდება, და ამით შიში «მოგების დაკარგვისა» «საკმარისი საფუძველი» არ არის იმისათვის, რომ 13 წელზე ნაკლები ხნის ბავშვები და 18 წელზე უმცროსი მოზარდნი «უსადილოდ ამყოფო» 12 — 16 საათის განმავლობაში, ანდა მისცე მათ საკმელი ისე, როგორც ორთქლის მანქანას ეძლევა ნახშირი და წყალი, მატყლს — საპონი, ბორბალს — ზეთი და ა. შ., ე. ი. თვით წარმოების პროცესის დროს, როგორც შრომის საშუალებების მარტოოდენ დამხმარე მასალა ⁷³.

მრეწველობის არც ერთ დარგს ინგლისში (ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ პურის მანქანურ დამზადებას, რომელიც პირველად ახლა იკაფავს გზას) არ შეუწარმუნებია დღემდე ისეთი ძველი და — როგორც ეს შეიძლება ვნახოთ რომის იმპერიის პოეტების თხზულებებში — ქრისტიანობის წინადროინდელი წარმოების წესიც კი, როგორც შეინარჩუნა პურის გამოცხობამ. მაგრამ კაპიტალისთვის, როგორც ეს უწინ აღვნიშნეთ, პირველ ხანებში სულ ერთია, თუ როგორია ტექნიკური ხასიათი შრომის პროცესისა, რომელსაც იგი ეუფლება. იგი მას თავდაპირველად იმ სახით იღებს, რა სახითაც მას პოულობს.

პურის დაუჯერებელი ფალსიფიკაცია, განსაკუთრებით ლონდონში, პირველად გამოამჟღავნა თემთა პალატის კომიტეტმა, რომელიც მუშაობდა «კვების საშუალებათა ფალსიფიკაციის საკითხზე» (1855 — 56 წწ.), და დ-რ ჰესელმა თავის შრომაში: «Adulteration detected» ⁷⁴. ამ გამომჟღავნებას შედეგად მოჰყვა 1860 წლის 6 აგვისტოს კანონი: «for preventing the adulteration of articles of food and drink» [კვების საგნებისა და სასმელთა ფალსიფიკაციის აღსაკვეთად], გავლენას მოკლებული კანონი, რადგანაც იგი, რა თქმა უნდა, მეტი-მეტი მორიდებით ეპყრობა ყველა ფრიტრედერს, რომელსაც ფალსი-

⁷³ «Children's Employment Commission. 1863», ჩვენებები, გვ. 123, 124, 125, 140 და LIV.

⁷⁴ წმინდად დაფხვნილი ანუ მარილში არეული შაბი ვაჭრობის ნორმალური საგანია, რომელიც დამახასიათებელ სახელს — «baker's stuff» [პურისმცობელთა მასალა] ატარებს.

ფიცირებული საქონლის ყიდვა-გაყიდვით სურს «to turn an honest penny» [«პატიოსნური გზით გროშის შეძენა»]⁷⁵. კომიტეტმა თვითონ ჩამოაყალიბა ცოტად თუ ბევრად გულუბრყვილოდ თავისი რწმენა, რომ თავისუფალი ვაჭრობა, არსებითად, ფალსიფიცირებული საქონლით, ანუ, როგორც მოსწრებულად ამბობენ ინგლისელები, «სოფისტიცირებული საგნებით» ვაჭრობას ნიშნავს. და, მართლაც, ამგვარ «სოფისტიკას» პროტაგორაზე უკეთ შეუძლია შავი თეთრად აქციოს და თეთრი შავად და ელვატებზე უკეთ გვიჩვენოს ad oculos [ნათლად] ყოველივე რეალობის წმინდა მოჩვენებითი ხასიათი⁷⁶.

ყოველ შემთხვევაში, კომიტეტმა მიაქცია საზოგადოების ყურადღება მის «პურს არსობისას» და ამით — პურის ცხოვასაც. იმავე დროს საჯარო მიტინგებზე და პარლამენტისადმი მიმართულ პეტიციებში გაისმა ლონდონელ ხაბაზ-ქარგალთა გოდება გადამეტებული შრომის შესახებ და სხვა. ეს გოდება ისე ძლიერი იყო, რომ ბ-ნი ჰ. ს. ტრემენჰირი, რომელიც აგრეთვე წევრი იყო ჩვენ მიერ არაერთხელ ხსენებული 1863 წლის კომისიისა, დანიშნულ იქნა სამეფო გამომძიებელ კომისრად. მისმა ანგარიშმა⁷⁷, მოწმეთა ჩვენებებთან ერთად, ააღელვა საზოგადოება, ააღელვა არა მისი გული, არამედ —

⁷⁵ ჰვარტლი, როგორც ვიცით, ნაზშირბადის ფრიად ენერგიული ფორმა და შეადგენს გამანოყიერებელ საშუალებას, რომელსაც კაპიტალისტური ბუზრისმწმენდელები ინგლისელ ფერმერებს მიჰყიდნიან ხოლმე. 1862 წელს ერთ სასამართლო პროცესზე ბრიტანეთის «jurymen-ის [ნაფიცი მსაჯულის] წინაშე ასეთი საკითხი წამოიჭრა გადასაწყვეტად: არის თუ არა ჰვარტლი, რომელშიც მყიდველისაგან ფარულად 90% მტკერი და ქვიშა შერეული, «ნამდვილი» ჰვარტლი, ამ სიტყვის «კომერციული» მნიშვნელობით, თუ იგი «ფალსიფიცირებული» ჰვარტლია, ამ სიტყვის «ანონიური» მნიშვნელობით. «Amis du commerce» [«ვაჭრობის მეგობრებმა»] გადაწყვიტეს, რომ ეს «ნამდვილი» კომერციული ჰვარტლია და უშედეგოდ დატოვეს სარჩელი ფერმერისა, რომელსაც, ამას გარდა, სასამართლოს ხარჯებიც დააკისრეს.

⁷⁶ ფრანგი ქიმიკოსი შვეალიე ერთ სტატიაში საქონლის «სოფისტიკაციის» [ფალსიფიკაციის] შესახებ 600-ზე მეტ საგანს განიხილავს და მრავალი მათგანისათვის ფალსიფიკაციის 10, 20, 30 სხვადასხვა მეთოდს ჩამოთვლის. იგი დასძენს, რომ მან ყველა მეთოდი არ იცის, და არც ყველას აღნიშნავს, რომელიც იცის. შაქრისთვის იგი იძლევა ფალსიფიკაციის 6 სახეობას, ზეთისხილის ზეთისთვის — 9, კარაქისთვის — 10, მარბლისთვის — 12, რძისთვის — 19, პურისთვის — 20, არაყისთვის — 23 ფქვილისთვის — 24, შოკოლადისთვის — 28, ლეინისთვის — 30, ყავისთვის — 32 და სხვა. მოწყალე ღმერთიც კი ვერ ასცდება ამ ბედს. იხ. Rouard de Card: «De la Falsification des Substances Sacramentelles». Paris 1856.

⁷⁷ «Report etc. relative to the Grievances complained of by the Journey-men Bakers etc.», London 1862, და «Second Report etc.», London 1863.

20 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

სტომაქი. თუმცა საღვთო წერილში კარგად ჩახედულმა ინგლისელმა მშვენიერად იცოდა, რომ ადამიანი, თუ იგი ღვთის მოწყალებით კაპიტალისტი ან ლენდლორდი, ან სინეკურის მქონე არ არის, მოწოდებულია ოფლითა თვისითა სჭამოს პური თვისი, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ამ პურს უნდა შეატანოს ყოველ დღე გარკვეული რაოდენობა ადამიანის ჩირქნარევი ოფლისა, აბლაბუდისა, დახოცილი შავი კიებისა და დამპალი გერმანული საფუარისა, რომ არაფერი ვთქვათ შაბზე, ქვიშაზე და სხვა ამგვარ სასიამოვნო მინერალურ შენარევებზე. ამიტომ, მიუხედავად მისი — «თავისუფალი ვაჭრობისა» — უწმინდესობისა, მისი აქამდე «თავისუფალი» სახაბაზო წარმოება სახელმწიფო ინსპექტორების კონტროლს დაუქვემდებარეს (1863 წლის საპარლამენტო სესიის დამლევს) და იმავე საპარლამენტო აქტით 18 წელზე ნაკლები ხნის პურისმცხობელ ქარგლებს აეკრძალათ მუშაობა საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე. უკანასკნელი მუხლი უფრო მკვერამეტყველურად ღალატებს, ვიდრე მთელი ტომები, წარმოების ამ დარგში არსებულ გადამეტებულ შრომაზე, დარგში, რომელიც ესოდენ პატრიარქალურია ჩვენთვის.

«ლონდონელი ხაბაზი-ქარგლის მუშაობა ჩვეულებრივად ღამის 11 საათზე იწყება. ამ დროს ის ცომსა ზელს, რაც ფრიად დამღალავი პროცედურაა, რომელიც $1\frac{1}{2}$ — $3\frac{1}{4}$ საათამდე გრძელდება, გამოსაცხობის რაოდენობისა და მისი ხარისხის მიხედვით. შემდეგ ის წვება სახელ ფიცარზე, რომელიც იმავე დროს სახურავიც არის ვარცლისა, რომელშიც ცომი იზილება, და ორიოდ საათი სძინავს, თავქვემ ფქვილის ტომარა უღევს და ზემოდან მეორე ფქვილის ტომარა ხურავს. ამის შემდეგ იწყება 5 საათის სასწრაფო და განუწყვეტელი მუშაობა: ცომის დაგუნდავება, აწონვა, ფორმის მიცემა, ლუმელში შეწყობა, იქიდან გამოღება და სხვა. სახაბაზოს ტემპერატურა 75 — 90 გრადუსს აღწევს [ფარენჰაიტით, ე. ი. 24 — 32 გრადუსს — ცელსიუსით], ამასთან პატარა სახაბაზოებში ეს ტემპერატურა უფრო მაღალია ხოლმე, ვიდრე დაბალი. როდესაც პური, ფუნთუშა და სხვ. უკვე გამომცხვარია, იწყება პურის განაწილება; მუშების მნიშვნელოვან ნაწილს, ზემოაღნიშნული მძიმე ღამის მუშაობის დამთავრების შემდეგ, მთელი დღე პური კალათებით დააქვს, ანდა გადააქვს ერთი სახლიდან მეორეში ურიკებით და ამასთანავე იგი ზოგჯერ სხვა რაიმე სამუშაოსაც ასრულებს კიდევ სახაბაზოში. წელიწადის დროისა და წარმოების ფარგლების მიხედვით მუშაობა ნაშუადღევის 1-სა და 6 საათს შუა თავდება, მაშინ როდესაც ქარგლების მეორე ნაწილი შუა-

ლამემდე მუშაობს სახაბაზოში⁷⁸. «ლონდონის სეზონის განმავლობაში იმ პურისმცხობელთა ქარგლები, რომელნიც ვესტენდში «სრულ» ფასში გასაყიდ პურს ამზადებენ, მუშაობას იწყებენ რეგულარულად ღამის 11 საათზე და ერთი ან ორი ფრიად მცირე შესვენებით შემდეგი დილის 8 საათამდე მუშაობენ. შემდეგ მათ 4, 5, 6, და ზოგჯერ 7 საათს — პურის დატარებაზე და ხანდახან სახაბაზოში ბისკვიტის გამოცხობაზე ამუშავებენ. მუშაობის გათავების შემდეგ მათ 6 საათი სძინავთ, ხშირად კი მხოლოდ 5 ან 4 საათი. პარასკევს მუშაობა მუდამ უფრო ადრე იწყება, ჩაგალითად, საღამოს 10 საათზე და შეუწყვეტლივ, იქნება ეს პურის გამოცხობა თუ დატარება, შაბათ საღამოს 8 საათამდე გრძელდება, უმეტეს შემთხვევაში კი კვირა დილის 4 ან 5 საათამდე. აგრეთვე პირველხარისხოვან სახაბაზოებშიც, რომელნიც პურს «სრულ ფასში» ყიდიან, კვირაობით კვლავ უნდა ჩატარდეს 4 — 5 საათამდე მოსამზადებელი მუშაობა შემდეგი დღისათვის... «underselling masters»-ის (მეწარმენი, რომელნიც პურს სრულ ფასზე დაბლა ყიდიან), — და ესენი-კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლონდონელ პურისმცხობელთა $\frac{3}{4}$ -ზე მეტს შეადგენენ, — ქარგლების სამუშაო დღე კიდევ უფრო ხანგრძლივია. მაგრამ მათი შრომა თითქმის მხოლოდ სახაბაზოს ფარგლებით შემოისაზღვრება, რადგან მათი პატრონები პურს მხოლოდ საკუთარ ფურნეებში ყიდიან. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პური მათ საწვრილმანო ღუქნებში მიაქვთ. კვირის დამლევს... ე. ი. ხუთშაბათს, მუშაობა აქ ღამის 10 საათზე იწყება და უმნიშვნელო შეწყვეტით შაბათის შუალამემდე გრძელდება⁷⁹.

რაც შეეხება «underselling masters»-ს, ბურჟუაზიული თვალსაზრისიცი კი აღიარებს, რომ ქარგლების უსასყიდლო შრომა (the unpaid labour of the men) მათი კონკურენციის საფუძველს შეადგენს⁸⁰. «full priced baker»-ი [პურისმცხობელი, რომელიც პურს სრულ ფასში ყიდის] აბეზლებს გამომძიებელი კომისიის წინაშე თავის კონკურენტებს — «underselling»-ებს, რომელნიც პურს მის სრულ ფასზე დაბლა ყიდიან, აბეზლებს როგორც სხვისი შრომის ქურდებსა და ფალსიფიკატორებს. «მათ კარგად მისდით საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებას ატყუებენ და თავიანთ ქარგლებს 18 საათს ამუშავებენ, ხელფასს კი მხოლოდ 12 საათისას აძლევენ»⁸¹.

⁷⁸ იქვე, «First Report etc.», გვ. VI.

⁷⁹ იქვე, გვ. LXXI.

⁸⁰ George Read: «The History of Baking». London 1848, გვ. 16.

⁸¹ Report (First) etc. Evidence. ჩვენება «full priced baker» ჩიხბენისა

პურის ფალსიფიკაცია და პურისმცხოველთა იმ კატეგორიის გაჩენა, რომელიც პურს მის სრულ ფასზე დაბლა ყიდის, — ორივე ეს მოვლენა ინგლისში მე-18 საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა, როგორც კი დაირღვა ამ ხელოსნობის ამქრული ხასიათი და ნომინალური ხაზაზ-ოსტატის ზურგს უკან გაჩნდა კაპიტალისტი, მეწისქვილის ან ალაფის სახით⁸². ამით საძირკველი ჩაეყარა კაპიტალისტურ წარმოებას, სამუშაო დღის უზომო გაგრძელებას და ღამით მუშაობას, თუმცა ამ უკანასკნელმა ლონდონშიც კი საფუძვლიანად მხოლოდ 1824 წლიდან მოიკიდა ფეხი⁸³.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ გასაგებია, რომ კომისიის ანგარიში ხაზაზ-ქარგლებს თვლის ხანმოკლე სიცოცხლის მქონე მუშებად, რომლებიც, მას შემდეგ, რაც მათ ბედნიერად დააღწიეს თავი ბავშვობის ასაკში სიკვდილიანობას, მუშათა კლასის ყველა ფენისათვის ამ ნორმალურ მოვლენას, — იშვიათად აღწევენ 42 წელს. მიუხედავად ამისა, ხაზაზთა პროფესია მუდამ ჭარბად სავსეა კანდიდატებით. ის წყარო, საიდანაც ლონდონი ამ «სამუშაო ძალებს» იზიდავს, არის შოტლანდია, დასავლეთი ინგლისის სამიწათმოქმედო ოლქები და გერმანია.

1858—1860 წლებში ირლანდიაში ხაზაზ-ქარგლებმა საკუთარ ხარჯზე დიდი მიტინგები მოაწყვეს ღამით და კვირადღით მუშაობის წინააღმდეგ აგიტაციისთვის. საზოგადოებამ, მაგალითად, 1860 წლის მაისის მიტინგზე დუბლინში, წმინდა ირლანდიური გულმხურვალებით მხარი დაუჭირა მათ. ამ მოძრაობის მეოხებით, მართლაც, წარმატებით განსჯილიყელდა მხოლოდ დღით მუშაობა უექსფორდში, კილკენში, კლონკელში, უეტერფორდში და სხვაგან. «ლიმერიკში, სადაც

⁸² Georg E Read: «The History of Baking». London 1848. მე-17 საუკუნის დამლევს და მე-18 საუკუნის დასაწყისს ყოველგვარ სარეწავში შეჭრილი Factors [აგენტები] ოციკალურად კვალიფიცირებული იყვნენ როგორც «Public Nuisances» [საზოგადოებრივი მავნებელნი]. ასე, მაგალითად, Grand Jury [ნაფიც მსაჯულთა სასამართლო] მომრიგებელ მოსამართლეთა კვარტალური სესიის დროს საგრაფო სომერსეტში თემთა პალატაში შევიდა «presentment»-ით [მოხსენებით], სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: «that these factors of Blackwell Hall are a Public Nuisance and Prejudice to the Clothing Trade and ought to be put down as a Nuisance» [ბლკველ ჰოლის ეს აგენტები საზოგადოებრივ უბედურებას წარმოადგენენ და ვნება მოაქვთ ტანსაცმლით ვაჭრობისთვის და ისინი უნდა აღმოიფხვრან როგორც მავნებელნი] («The Case of our English Wool etc.» London 1685, გვ. 6, 7).

⁸³ «First Report etc. relative to the Grievances complained of by the Journeymen Bakers etc». London 1862, გვ. VIII.

დაქირავებული ქარგლების ტანჯვამ, როგორც ცნობილია, ყოველ საზღვარს გადააჭარბა, ეს მოძრაობა ხაბაზ-მეპატრონეთა, განსაკუთრებით კი ხაბაზ-მეწისქვილეთა ოპოზიციის მიერ იქნა დამარცხებული. ლიმერიკის მაგალითმა ეს მოძრაობა შეასუსტა ენისსა და ტიპერერში. კორკში, სადაც საზოგადოებრივი აღშფოთება გაცხოველებული ფორმით გამოიხატა, მეპატრონეებმა დამარცხეს ეს მოძრაობა მით, რომ ისარგებლეს თავისი ძალაუფლებით და ქარგლები ქუჩაში გარეკეს. დუბლინში მეპატრონეებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და აგიტაციის სათავეში მდგომი ქარგლების დევნით დანარჩენებიც აიძულეს დათმობაზე წასულიყვნენ და დაითანხმეს ღამით და კვირადღით მუშაობაზე...⁸⁴ კომისია ინგლისის მთავრობისა, რომელიც თავით-ფეხამდე შეიარაღებულია ირლანდიაში, უილაჯო შენიშვნებით გამოდის დუბლინის, ლიმერიკის, კორკის და სხვ. გულქვა ხაბაზ-მეპატრონეთა წინააღმდეგ: «კომიტეტი ფიქრობს, რომ სამუშაო საათები შეზღუდულია ბუნებრივი კანონებით, რომელთა დარღვევა დაუსჯელად არ შეიძლება. იმით, რომ გარეთ გაგდების მუქარით მეპატრონეები აიძულებენ მუშებს რელიგიური რწმენა შელახონ, თავისი ქვეყნის კანონს არ დაემორჩილონ და საზოგადოებრივი აზრი აბუჩად აიგდონ (ყოველივე ეს კვირადღით მუშაობას შეეხება), ისინი აღვივებენ სიძულვილს კაპიტალსა და შრომას შორის და იძლევიან რელიგიის, ზნეობისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის სახიფათო მაგალითს... კომიტეტი ფიქრობს, რომ სამუშაო დღის გაგრძელება 12 საათს იქით უზურპატორული შეჭრაა მუშის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში, და მას დამლუპველი ზნეობრივი შედეგები მოაქვს ასეთი ჩარევით ადამიანის შინაურ ყოფაცხოვრებაში და ადამიანის მიერ შეიღის, ძმის, ქმრის და მამის ოჯახურ მოვალეობათა შესრულებაში. 12 საათზე მეტ მუშაობას ტენდენცია აქვს გაანადგუროს მუშის ჯანმრთელობა, იგი იწვევს ნაადრევ სიბერეს და სიკვდილს და, მაშასადამე, მუშათა ოჯახების უბედურებას, რომელთაც სწორედ ყველაზე უფრო საჭირო მომენტში ეკლებათ ხელიდან («are deprived») ოჯახის მეთაურის მზრუნველობა და დახმარება»⁸⁵.

ჩვენ ზევით გავეცანით ირლანდიას. არხის მეორე ნაპირას, შოტლანდიაში, სოფლის მეურნეობის მუშა, გუთნის კაცი, აღშფოთებული ჩივის თავის 13—14 საათის შრომაზე ყოვლად სუსხიან პავაში, რომელსაც ზედ ერთვის კიდევ 4 საათის დამატებითი შრომა

⁸⁴ «Report of Committee on the Baking Trade in Ireland for 1861.»

⁸⁵ იქვე.

კვირადღეობით (და ეს იმ ქვეყანაში, სადაც შაბათი წმინდა დღეთ-
 მიაჩნიათ!)⁸⁶; და სწორედ ამავე დროს ლონდონის Grand Jury-ს
 [ნაფიც მსაჯულთა სასამართლო] წინაშე წარმდგარია სამი რკინი-
 გზელი მუშა: სამგზავრო მატარებლის კონსტრუქტორი, მემანქანე და
 მესიგნალე. რკინიგზაზე მომხდარმა დიდმა უბედურმა შემთხვევამ
 ასობით მგზავრი საიქიოს გაისტუმრა. ამ უბედური შემთხვევის მი-
 ზეზი რკინიგზის მუშების დაუდევრობა იყო. ნაფიც მსაჯულთა წინაშე
 ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ 10 — 12 წლის წინათ მათი მუშაობა
 მხოლოდ 8 საათს გრძელდებოდა დღეში. ამ უკანასკნელ 5—6 წლის
 განმავლობაში კი მათ 14, 18 და 20 საათამდე გაუგრძელეს სამუ-
 შაო დრო, და როდესაც რკინიგზას დიდძალი მგზავრი აწყდება,
 როგორც, მაგალითად, საექსკურსიო მატარებლების პერიოდში, ეს
 სამუშაო დრო ხშირად განუწყვეტლივ 40 — 50 საათს გრძელდება.
 მაგრამ ისინი, რკინიგზის მუშები, ხომ ჩვეულებრივი ადამიანები
 არიან და არა ციკლოპები. გარკვეულ საზღვარს იქით მათი სამუშაო
 ძალა ვეღარ მოქმედებს. მათს სხეულს მოდუნება იპყრობს. მათი
 ტვინი ვეღარ აზროვნობს და მათი თვალებიც ვეღარ ხედავს. უაღრე-
 სად «respectable British Jurymen»-ი [დიდად პატივცემული ბრი-
 ტანელი ნაფიცმსაჯული] უპასუხებს მათ განაჩენით, რომლითაც
 ისინი სასამართლო პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი «mans-
 laughter»-ისთვის [მკვლელობისათვის], და ამასთანავე ლმობიერ
 დამატებაში იგი გამოთქვამს კეთილ სურვილს, რათა რკინიგზის
 ბატონმა კაპიტალისტ-მაგნატებმა მომავალში აუცილებელი «სამუ-
 შაო ძალის» ყიდვის დროს მეტი ხელგაშლილობა გამოიჩინონ.

⁸⁶ სოფლის მეურნეობის მუშათა საჯარო მიტინგი ლესუეიდში, გლანზოს მახლობ-
 ლად, 1866 წლის 5 იანვარს (იხ. «Workman's Advocate» 1866 წლის 13 იანვრისა).
 სოფლის მეურნეობის მუშათა ტრედ-უნიონის დაარსება 1865 წლის დამლევს, უწინა-
 რეს ყოვლისა შოტლანდიაში, ისტორიული მოვლენაა. ინგლისის ყველაზე დაბეჩავე-
 ბულ სამიწათმოქმედო ოლქში, ბეკინგჰემშირში, დაქირაებულმა მუშებმა 1867 წლის
 მარტში დიდი გაფიცვა მოაწყვეს კვირეული ხელფასის 9 — 10 შილინგიდან 12 ში-
 ლინგამდე მომატების მიზნით. (ხეშოალინშულიდან ჩანს, რომ ინგლისის სოფლის
 მეურნეობის პროლეტარიატის მოძრაობა, რომელიც სრულიად დამარცხებული იყო
 მისი მძლავრი დემონსტრაციების ჩაქრობის დროიდან 1830 წლის შემდეგ, განსაკუთ-
 რებით კი ღარიბთა ახალი კანონის შემოღების შემდეგ, — ხელახლა იწყება სამოციან
 წლებში, ვიდრე იგი, ბოლოს, 1872 წელს ეპოქისშემქმნელ მოძრაობად არ იქცა.
 II ტომში მე კვლავ დავუბრუნდები ამ საგანს, ისევე როგორც 1867 წლის შემდეგ
 გამოცემულ ლურჯ წიგნებს ინგლისის სოფლის მეურნეობის მუშის მდგომარეობის
 შესახებ. და მ ა ტ ე ბ ა მე-3 გ ა მ ო ც.)

და მეტი «დათმენა» ანუ «თვითუარყოფა», ან «მომჭირნეობა» — ნაყი-
ლი სამუშაო ძალის გამოწოვის ღროს⁸⁷.

ყველა პროფესიის, ასაკისა და სქესის მუშათა ჯერელ ბრბო-
დან, რომელნიც მეტი დაჟინებით დაგვდევენ უკან, ვიდრე მოკ-
ლულთა აჩრდილნი დასდევდნენ ოდისეის, და რომელთა სახეზე
პირველი შეხედვითვე, — ლურჯ წიგნებსაც რომ არ მივმართოთ, რო-
მელნიც მათ ილიაში უკავიათ, — მოჩანს გადამეტებული შრომა, —
ჩვენ გამოვეყოფთ კიდევ ორ ფიგურას, მოდის ტანსაცმლის მკერავ
ქალს და მჭედელს, რომელთა აშკარა კონტრასტი ამტკიცებს იმას,
რომ კაპიტალის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

1863 წლის ივნისის უკანასკნელ კვირაში ლონდონის ყველა გა-
ზეთმა მოათავსა ცნობა შემდეგი «sensational» [სენსაციური] სათა-
ურით: «Death from simple overwork» (სიკვდილი მხოლოდ გადა-
მეტებული შრომისაგან). აქ ლაპარაკი იყო ოცი წლის მკერავი ქა-
ლის მერი-ენ უოკლის სიკვდილის შესახებ; ეს ქალი მუშაობდა
ფრიალ პატისაცემ სამეფო კარის მოდის ტანსაცმელთა სახელოსნო-
ში და მას ექსპლოატაციას უწევდა სიმბათიური სახელის მქონე არ-
სება — ქალბატონი ელიზა. აქ კვლავ გამოაშკარავდა ძველი, მაგრამ

⁸⁷ «Reynolds' Newspaper», 1866 წლის 20 იანვარი. იმავე ყოველკვირეულ გაზეთს
კვირიდან კვირამდე მოჰყავს ცნობები რკინიგზაზე მომხდარ მთელ რიგ ახალ კატას-
ტროფათა შესახებ შემდეგი «sensational headings»-ით [სენსაციური სათაურებით]:
[«საშინელი და საბედისწერო შემთხვევა», «გულშემბარავი ტრაგედია»] და სხვა. ამაზე
ჩრდილოეთ სტაფორდშირის რკინიგზის ხაზის ერთმა მუშამ შემდეგი პასუხი გასცა:
«ყველამ იცის, თუ რა შედეგი მოსდევს იმას, როდესაც მემანქანის ან ცეცხლფარეშის
ყურადღება ერთი წუთით მოდუნდება. და ან როგორ შეიძლება სხვანაირად
იყოს შრომის უზომო გაგრძელების პირობებში, ყველაზე სუსტიან ამინდშიც კი, შეუ-
ჩერებლად და შეუსვენებლად? მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი შემთხვევა, რომელიც
ყოველდღე მეორდება: წარსულ ორშაბათს ცეცხლფარეშმა დილას ძალიან ადრე და-
იწყო თავისი დღიური მუშაობა. მან დაამთავრა იგი 14 საათის და 50 წუთის გან-
ვლის შემდეგ. ჩანს დაღვეაც კი ვერ მოასწრო, რომ კვლავ სამუშაოდ დაუბახეს...
მაშასადამე, მას განუწყვეტლივ 29 საათი და 15 წუთი უნდა ემუშავნა. მისი კვირეუ-
ლი სამუშაოს დანარჩენი დღეები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ოთხშაბათს —
15 საათი, ხუთშაბათს — 15 საათი და 35 წუთი, პარასკევს — 14½ საათი, შაბათს —
14 საათი და 10 წუთი, სულ 88 საათი და 30 წუთი კვირაში. და ამის შემდეგ წარმო-
იდგინეთ მისი განცდილება, როდესაც მან მხოლოდ 6 სამუშაო დღის ხელფასი
მიიღო. ეს კაცი ჯერ გამოუცდელი იყო და შეეკითხა, თუ რას გულისხმობენ სამუ-
შაო დღეში. პასუხი: 13 საათს, ე. ი. 78 საათს კვირაში. მაგრამ სადღაა მაშინ ხედ-
მეტი 10 საათის და 30 წუთის ანახლაურება? ხანგრძლივი კამათის შემდეგ მან მხო-
ლოდ 10 პენსი გასამრჯელო მიიღო. (იქვე, 1866 წ. 4 თებერვლის ნომერი.)

ხშირად გაგონილი ისტორია⁸⁸ იმის შესახებ, რომ ეს ქალები საშუალოდ დღე-ღამეში 16 $\frac{1}{2}$ საათს მუშაობენ, ხოლო სეზონის დროს ხშირად მათი მუშაობა განუწყვეტლივ 30 საათს გრძელდება, ამასთან მათს ღონეგამოლეულ «სამუშაო ძალას» დროგამომწვევით ხერგის, პორტუგალიის და ყავის მიწოდებით ასულდგმულბენ. სწორედ შუა სეზონის გახურებული მუშაობა იყო. ერთი თვალის დახამხამებაში უნდა დაემზადებინათ საზეიმო ტანისამოსი კეთილშობილი ქალბატონებისათვის, რომლებიც მიდიოდნენ უცხოეთიდან ახლად იმპორტირებულ უელსის პრინცესას პატივსაცემად გამართულ ბალზე. მერი-ენ უოკლიმ განუწყვეტლივ იმუშავა 26 $\frac{1}{2}$ საათი სხვა 60 ქალიშვილთან ერთად; 30 სული მუშაობდა ერთ ოთახში, რომელიც ძლივსთუ შეიცავდა აუცილებლად საჭირო ჰაერის კუბიკური სივრცის $\frac{1}{3}$ -ს; ღამით ისინი ორ-ორი იწვნენ ერთ საწოლზე იმ მყრალ სოროებში, სადაც საწოლი ოთახი გატიხრულია ფიცრულით⁸⁹. და

⁸⁸ შეად. F. Engels: «Die Lage der arbeitenden Klasse in England». Leipzig 1845, გვ. 253, 254 [ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». თბილისი 1932, გვ. 194 — 197].

⁸⁹ დ-რ ლიზბიმ, Board of Health-ის [სანიტარული სამმართველოს] ექიმი, იმ დროს განაცხადა: «საწოლი ოთახი მოზრდილთათვის სულ მცირე 300 კუბიკურ ფუტ ჰაერს უნდა შეიცავდეს, ხოლო საცხოვრებელი ოთახი — 500 კუბიკურ ფუტს». დ-რ. რიჩარდსონი, ლონდონის ერთი ჰოსპიტლის მთავარი ექიმი, ამბობს: «სხვადასხვაგვარი მკერავი ქალები, მოდის ტანსაცმლის, თეთრეულისა და სხვ., სამწიარად იტანჯებიან: გადამეტებული შრომით, უჭაერობით და საზრდოს ნაკლებობით ან საკმლის მონელების მოშლილობით. საერთოდ, ამგვარი შრომა ყველა პირობებში ქალებს უფრო შეეფერება, ვიდრე მამაკაცებს. მაგრამ ამ სარეწავის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, განსაკუთრებით სატახტო ქალაქში, მონოპოლიზებულია სულ რაღაც 26 კაპიტალისტის მიერ, რომლებიც იმ ძალის საშუალებით, რასაც თვით კაპიტალი წარმოშობს (that spring from capital), ცდილობენ შრომისაგან გვერდობა გარეწონონ (force economy out of labour; იგი გულისხმობს, რომ სამუშაო ძალის გაფლანგვით ისინი ხარჯების ეკონომიას ეწევიან). ამ მუშა-ქალების მთელი კლასი გრძნობს მათ ძალას. თუ ტანისამოსის მკერავი ქალი შეძლებს გაიჩინოს მუშტართა პატარა წრე, მაშინ კონკურენცია იძულებს მას იმუშაოს სახლში სულის ამოხდომამდე, რათა შეინარჩუნოს ეს წრე, და ამასთანავე იგი იძულებულია ასეთივე გადამეტებული შრომით დატანჯოს თავისი თანაშემწენი. თუ მისი საწარმო კარგად ვერ წავა, ან თუ ის დამოუკიდებლად ვერ მოეწეობა, მაშინ მიაშურებს რომელიმე სახელმწიფოს, სადაც მუშაობა თუმცა ნაკლები არ არის, მაგრამ ხელფასი უფრო ნაღდა. ამგვარად, ის ნამდვილ მონად იქცევა, რომელსაც ყოველი საზოგადოებრივი ტალღა ხან აქვთ ახეთქებს და ხან იჭით; ის ხან შიმშილით კვდება შინ პატარა ოთახში ანდა ახლა ამ შიმშილთან; ხან კი დღე-ღამეში 15, 16 და 18 საათსაც კი თითქმის აუტანელ ჰაერში მუშაობს და იკვებება ისეთი საზრდოთი, რომლის მონელება, კარგიც რომ იყოს ეს საზრდო, შეუძლებელია სუფთა ჰაერის უქონლობის გამო».

ეს მოდის ტანსაცმლის სამკერვალო ერთი საუკეთესოთაგანი იყო მთელ ლონდონში. მერი-ენ უოკლი პარასკევს გახდა ავად და კვირას გარდაიცვალა, ისე რომ, ქ-ნ ელიზას განსაცვიფრებლად, უკანასკნელი საზეიმო ტანისამოსის გათავებაც კი ვერ მოასწრო. ბ-მა კეი-ზმა, მომავლადის სარეცელთან დაგვიანებით გამოწვეულმა ექიმმა «Coroner's Jury»-ში [გვამების შემმოწმებელი სასამართლო] მშრალად განაცხადა: «მერი-ენ უოკლი მოკვდა გადამეტებულად ხანგრძლივი შრომისაგან გაჭედილ სახელოსნოში და იმის გამო, რომ მას მეტის-მეტად ვიწრო და უჭაერო საწოლ ოთახში უხდებოდა ძილი». რათა ამ ექიმისთვის წესიერი ქცევა ესწავლებინათ, «Coroner's Jury»-მ მისი ჩვენების საპასუხოდ შემდეგი განაცხადა: «განსვენებული სიღამებით მოკვდა, მაგრამ არის საფუძველი ეშიზობდეთ, რომ მისი სიკვდილი დააჩქარა გადამეტებულმა მუშაობამ გაჭედილ სახელოსნოში და სხვა». ჩვენი «თეთრი მონები», — შესძახა «Morning Star»-მა, ბატონ ფრიტ-რედერების — კობდენისა და ბრაიტის ორგანომ, — ჩვენი თეთრი მონები სულის ამოხდომამდე მუშაობენ, იღუპებიან და იხოცებიან უხმოდ⁹⁰».

აი ასეთი მსხვერპლით საზრდოობს კლექი, დაავადება, რომელიც მხოლოდ ცუდი ჰაერის შედეგია (Dr. Richardson: «Work and Overwork», «Social Science Review»-ში, 1863 წლის 18 ივლისი).

⁹⁰ «Morning Star»-ი, 1863 წლის 23 ივნისი. «Times»-მა ისარგებლა ამ შემთხვევით და გამოეყარა ამერიკელ მონათმფლობელებს ბრაიტისა და სხვ. წინააღმდეგ. ბევრი ჩვენთაგანი ფიქრობს, — ამბობს «Times»-ი, — რომ მანამდე, სანამ ჩვენ საკუთარ ქალიშვილებს სულის ამოხდომამდე ვამუშავებთ და მათრახის მაგიერ შიმშილით ვაშინებთ, ჩვენ თითქმის უფლება არა გვაქვს ცეცხლითა და მანვილით გავილაშქროთ იმ ოჯახებზე, რომელთა წევრებიც მონათმფლობელებად დაიბადნენ და რომელნიც თავიანთ მონებს ყოველ შემთხვევაში კარგად აკმევენ და ზომიერად ამუშავებენ («Times», 1863 წლის 2 ივლისი). სწორედ ამგვარადვე მოსცბო ტორიების გაზეთმა «Standard»-მა მის ღირსებას, ნიუშენ ჰოლს: «იგი ეკლესიიდან აძევებს მონათმფლობელებს და ლოცულობს იმ პატიოსან ადამიანებთან, რომელნიც ლონდონის მეეტლეებს და ომნიბუსების კონდუქტორებს და სხვ. ყოველდღე მხოლოდ 16 საათს ამუშავებენ ძალღუთი ხელფასისთვის». ბოლოს ამეტყველდა ორაკული, ბ-ნი თომას კარლილი, რომელზედაც მე უკვე 1850 წელს ვწერდი: «გენიოსის კულტში... გენიოსი ეშმაკმა წაიღო. კულტი დარჩა». მოკლე იგავში მას თანამედროვე ისტორიის ერთადერთი დადი მოვლენა, ამერიკის სამოქალაქო ომი, იქამდე დაჰყავს, რომ ჩრდილოელ პეტრეს სურს მთელი ძალ-ღონით თავი გაუჩხვოს სამხრეთელ პავლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩრდილოელი პეტრე თავის მუშას ჭირაობს «დღიურად», სამხრეთელი პავლე კი — «სიკვდილამდე» («Macmillan's Magazine». Ilias Americana in nuce. 1863 წლის აგვისტო). ასე გასკდა ბოლოს საპნის ბუშტი ტორიების სიმპათიისა ქალაქს, — და არა სოფლის, რასაკვირველია! — დაქირავებულ მუშებისადმი. ამ სიმპათიის ბირთვის ეწოდება მონობა!

«სულის ამოხდომამდე მუშაობა — ასეთია დღის წესრიგი არა მარტო მოდის ტანსაცმლის მკერავ ქალთა სახელოსნოებში, არამედ სხვა ათას ადგილას, ანუ უკეთ, ყველგან, სადაც საქმე კარგად მიმდინარეობს... ავიღოთ, მაგალითად, მჭედელი. თუ პოეტებს დავუჯერებთ, მჭედელზე უფრო ჯანსაღი და მხიარული ადამიანი ქვეყნად არ მოიპოვება. იგი დილაადრიან დგება და მზის ამოსვლამდე უროს ნაპერწკლებს აყრევენებს. არ არსებობს სხვა ადამიანი, რომელიც მისებრ ჭამდეს, სვამდეს და იძინებდეს. თუ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს, მჭედლის მდგომარეობა, ზომიერი შრომის პირობებში, მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანური მდგომარეობაა. მაგრამ გავყვეთ მას ქალაქში და ვნახოთ, შრომის რასიმძიმით არის დატვირთული ეს ღონიერი ადამიანი და რა ადგილი უჭირავს მას ჩვენი ქვეყნის სიკვდილიანობის ცხრილში. მერი-ლებონში (ლონდონის ერთ-ერთი უდიდესი უბანია) 1000 სულზე 31 მჭედელი კვდება ყოველწლიურად, რაც 11-ით აღემატება ასაკოვანი მამაკაცების საშუალო სიკვდილიანობას ინგლისში. ეს მოსაქმეობა, რომელიც ადამიანის ბუნების თითქმის ინსტინქტური ხელოვნებაა და თავისთავად უძრახველია, მხოლოდ გადაჭარბებული შრომის გამო ხდება ადამიანისათვის გამანადგურებელი. მჭედელს შეუძლია დღეში ამდენი ურო დაჰკრას, ამდენი ნაბიჯი გაიაროს, ამდენი ამოისუნთქოს, ამდენი სამუშაო შეასრულოს და საშუალოდ, ვთქვათ, 50 წელიწადი იცოცხლოს. მაგრამ მას აიძულებენ ამდენი მეტი დაჰკრას, ამდენი მეტი გაიაროს, ამდენი მეტი ამოისუნთქოს, და ყველაფერი ეს ერთად მისი სასიცოცხლო ძალის ხარჯვას ყოველდღიურად ერთი მეოთხედით აღიღებს. იგი ცდილობს ყველა ამის გაკეთებას და ამის შედეგია ის, რომ შეზღუდულ პერიოდში 1/4-თ მეტ სამუშაოს ასრულებს და 50 წლის ნაცვლად 37 წლისა კვდება»²¹.

4. დღით და ღამით მუშაობა. ზნაძვლები სისტემა

მუდმივი კაპიტალი, წარმოების საშუალებანი, თუ მათ ღირებულების ზრდის პროცესის თვალსაზრისით განვიხილავთ, მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ შრომა და ამ შრომის ყოველ წვეთთან ერთად ზედმეტი შრომის პროპორციული რაოდენობა შეიწოვონ. რამდენადაც ისინი ამას ვერ აღწევენ, მათი მხოლოდ უბრალო არსებობა კაპიტალისტიისთვის უარყოფითი დანაკარგია, რადგან იმ

²¹ Dr. Richardson: «Work and Overwork», «Social Science Review»-ში, 1863 წლის 18 ივლისი.

დროის განმავლობაში, როდესაც წარმოების საშუალებანი უქმად ძევს, ისინი უსარგებლო ავანსებულ კაპიტალს წარმოადგენენ, და ეს დანაკარგი დადებითი ხდება, როგორც კი შეწყვეტილი წარმოების განახლება აუცილებელს ხდის დამატებითი ხარჯების გაწევას. სამუშაო დღის გაგრძელება ბუნებრივი დღის საზღვრებს იქით, მისი გადატანა ღამეში მოქმედებს მხოლოდ როგორც პალიატივი, მხოლოდ რამდენადმე აკმაყოფილებს ვამპირის წყურვილს შრომის ცოცხალი სისხლისადმი. ამიტომ დღე-ღამეში მთელი 24 საათის შრომის მითვისება კაპიტალისტური წარმოების იმანენტურ მისწრაფებას წარმოადგენს. მაგრამ, რადგან ერთი და იმავე სამუშაო ძალის დღედაღამე განუწყვეტელი გამოწოვა ფიზიკურად შეუძლებელია, ამიტომ ფიზიკური დაბრკოლების გადასალახავად საჭიროა შენაცვლება დღე-ღამის განმავლობაში წარმოებაში მოხმარებულ სამუშაო ძალებს შორის, შენაცვლება, რომელიც სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა; მაგალითად, იგი შეიძლება ისე მოწესრიგდეს, რომ მუშათა პერსონალის ერთი ნაწილი ერთ კვირას დღის სამუშაოს ასრულებდეს, ხოლო მეორე კვირას — დამისას და სხვ. ცნობილია, რომ შენაცვლების ეს სისტემა, ეს ცვლადი მეურნეობა გაბატონებული იყო ინგლისის ბამბის მრეწველობისა და სხვათა სისხლკარბ, ახალგაზრდულ პერიოდში და ამჟამად, სხვათა შორის, ჰყვავის მოსკოვის გუბერნიის ბამბის სართავ ფაბრიკებში. როგორც სისტემა, წარმოების ეს ოცდაათხსაათიანი პროცესი დღესაც არსებობს კიდევ დიდი ბრიტანეთის მრეწველობის მრავალ აქამდე «თავისუფალ» დარგში, სხვათა შორის, ინგლისის, უელსისა და შოტლანდიის ბრძმედებში, სამკედლოებში, რკინის საგლინავ ქარხნებში და სხვა ლითონგადამამუშავებელ მანუფაქტურებში. შრომის პროცესი მოიცავს არა მარტონ სამუშაო დღის 24 საათს დღეში, არამედ უმრავლეს შემთხვევაში კვირა დღის 24 საათსაც. მუშების პერსონალს შეადგენენ მამაკაცები და დედაკაცები, ორივე სქესის მოზრდილნი და ბავშვები. ბავშვების და მოზარდთა ასაკი იწყება 8 წლიდან (ზოგიერთ შემთხვევაში 6 წლიდან) და ყველა საფეხურის გავლით აღწევს 18 წელს⁹². ზოგიერთ დარგში ქალიშვილები და დედაკაცები ღამით მამაკაცებთან ერთად, მუშაობენ⁹³.

⁹² «Children's Employment Commission. Third Report». London 1864, გვ. IV, V, VI.

⁹³ როგორც სტაფორდშირში, ისე სამხრეთ უელსში ახალგაზრდა ქალიშვილები და დედაკაცები ქვანახშირის მალაროებში და საკოქსებში მარტო დღისით კი არ მუშაობენ, არამედ ღამითაც. პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშებში ხშირად

თუ არ ვილაპარაკებთ ღამით მუშაობის საყოველთაო მანერე შედეგებზე⁹⁴, წარმოების განუწყვეტელი პროცესი, რომელიც 24 საათის განმავლობაში გრძელდება, უალრესად ხელსაყრელ შემთხვევას იძლევა ნომინალური სამუშაო დღის საზღვრების გადასალახავად. მაგალითად, ზემოაღნიშნულ მეტად დამღწეულ სამრეწველო დარგებში ოფიციალური სამუშაო დღე თვითეული მუშისთვის მეტ ნაწილად 12 საათს უდრის, ღამის ან დღისას. მაგრამ გადამეტებული შრომა ამ საზღვარს იქით, მრავალ შემთხვევაში, თუ ინგლისური ოფიციალური ანგარიშის სიტყვებს ვიხმართ, «ჭეშმარიტად საშინელია» (*truly fearful*)⁹⁵. «ვერაფითარი გონება ადამიანისა, — ნათქვამია ამ ანგარიშ-

აღანიშნებოდა ეს მოვლენა როგორც დიდი და საყოველთაოდ ცნობილი ბოროტების მიზეზი. ეს ქალები, რომელნიც მამაკაცებთან ერთად მუშაობენ და ოდნავ განირჩევიან მათგან თავიანთი ტანისამოსით, მუდამ ტალახში და ტვარტლში არიან ამოსვრილნი, ზნეობრივად ეცემიან, რადგან საკუთარი ღირსების გრძნობას კარგავენ, რაც სწორედ იმ მუშაობის გარდუვალი შედეგია, რომელიც ქალს არ შეეფერება» (იქვე, 194, გვ. XXVI. შეად. *Fourth Report* (1865), 61, გვ. XIII). ასევეა მინის ფაბრიკებშიც.

⁹⁴ ბუნებრივად გვეჩვენება, — შენიშნავს ფოლადის ერთი მეფაბრიკე, რომელიც ბავშვებს ღამით ამუშავებს, — რომ ღამით მომუშავე მოზარდნი დღისით ვერ იძინებენ და ვერ ბოულობენ წესიერ დასვენებას, არამედ განუწყვეტლივ დახტიალებენ მეორე დღეს» (*Children's Employment Commission. Fourth Report*, 63, გვ. XIII). სხეულის დაცვისა და განვითარებისათვის მზის სინათლის მნიშვნელობის შესახებ ერთი ექიმი, სხვათა შორის, შენიშნავს: «სინათლე უშუალოდ მოქმედებს სხეულის ქსოვილებზე, რომელთაც იგი სიმაგრეს და ელასტიკურობას აძლევს. ცხოველთა კუნთები, რომელნიც სინათლის ნორმალურ რაოდენობას მოკლებული არიან, მოდუნებული და არაელასტიკური ხდება. აღმძვრელი სტიმულის ნაკლებობის გამო ნერვების ძალა კარგავს თავის ტონუსს, და განვითარება ყოველივე იმისა, რაც ზრდის პროცესში იმყოფება, ფერხდება... რაც შეეხება ბავშვებს, მათი ჯანმრთელობისთვის გადაჭრით აუცილებელია დღის უზვი სინათლის მუდმივი დენა და მზის სხივების უშუალო მოქმედება დღის ერთი ნაწილის განმავლობაში. სინათლე ხელს უწყობს საკმლის გადამუშავებას საღ და პლასტიკურ სისხლად და ამავარებს ახლადწარმოქმნილ ბოჭყოს. იგი მოქმედებს აგრეთვე როგორც გამაღიზიანებელი საშუალება მხედველობის ორგანოებზე და ამით იწვევს ტინის სხვადასხვა ფუნქციის უფრო ინტენსიურ მოქმედებას. ბატონი ვ. სტრენჯი, უსტერის «General Hospital»-ის მთავარი ექიმი, რომლის თხზულებიდან «ჯანმრთელობის შესახებ» (1864 წ.) ეს ადგილია ამოღებული, საგანომიმებლო კომისიის წევრს ბ-ნ უაიტს ერთ წერილში სწერს შემდეგს: «წინათ მე ლანკაშირში შემთხვევა მქონდა დავკვირებოდი ღამით მუშაობის გავლენას ფაბრიკის ბავშვებზე. და, ზოგიერთი დამჭირავებლის ჩვეულებრივი მტკიცების წინააღმდეგ, გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს [შრომა ბავშვების ჯანმრთელობას მალე აზიანებს]» (*Children's Employment Commission. 4th Report*, 284, გვ. 55). მარტო ის გარეშდება, რომ ამგვარი რამე სერიოზული კამათის საგანს შეადგენს, საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, თუ როგორ მოქმედებს კაპიტალისტური წარმოება კაპიტალისტების და მათი დამკაშების ტვინის ფუნქციებზე.

⁹⁵ იქვე, 57, გვ. XII.

ში, — ვერ წარმოიდგენს იმ უამრავ შრომას, რომელსაც, მოწმეთა ჩვენების თანახმად, 9—12 წლის ბავშვები ეწვეიან, ვერ წარმოიდგენს ისე, რომ აუცილებლად არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მშობელთა და დამქირავებელთა მხრივ ძალაუფლების ამ ბოროტად გამოყენებას ბოლო უნდა მოეღოს»⁹⁶.

«იმ მეთოდს, რომლის თანახმად ბავშვებს საერთოდ შენაცვლებით დღისით და ღამით ამუშავებენ, შედეგად მოსდევს სამუშაო დღის სამარცხვინო გაგრძელება როგორც საქმის გამოცოცხლების, ისე მისი ჩვეულებრივი მსვლელობის დროს. სამუშაო დღის ეს გაგრძელება ბევრ შემთხვევაში არა მარტო საშინელია, არამედ პირდაპირ დაუჯერებელიც. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ მიზეზით რომელიმე შემცველი პატარა ბიჭი არ ცხადდება. მაშინ ერთმა ან რამდენიმე იქ მყოფმა პატარა ბიჭმა, რომელმაც თავისი სამუშაო დღე უკვე შეასრულა, მისი მაგივრობა უნდა გასწიოს. ეს სისტემა იმდენად საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ ხდება შემცველი ვაჟების გამოუცხადებლობის შემთხვევებში ადგილების შევსება, ერთი საგლინავი ქარხნის დირექტორმა მიპასუხა: «მე ხომ ვიცი, რომ ეს თქვენ ისევე კარგად მოგეხსენებათ, როგორც მე, და წარბშეუხრელად აღიარა ეს ფაქტი»⁹⁷.

ერთ საგლინავ ქარხანაში, სადაც ნომინალური სამუშაო დღე დღის 6 საათიდან საღამოს 5¹/₂ საათამდე გრძელდებოდა, ერთი ვაჟი ყოველკვირა 4 ღამეს მუშაობდა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, მეორე დღის საღამოს 8¹/₂ საათამდე... და ეს ხდებოდა მთელი 6 თვის განმავლობაში». «მეორე, 9 წლის ასაკისა, ხანდახან სამ 12 საათიან ცვლაში მუშაობდა ზედიზედ, ხოლო 10 წლის ასაკისა — ორი დღე და ორი ღამე ზედიზედ». «მესამე, ამჟამად 10 წლისა, დღის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე მუშაობდა, 3 ღამე ზედიზედ და საღამოს 9 საათამდე — დანარჩენი ღამეების განმავლობაში». «მეოთხე ამჟამად 13 წლისა, საღამოს 6 საათიდან მეორე დღის შუადღის 12 საათამდე მუშაობდა მთელი კვირის განმავლობაში და ხანდახან სამ ცვლაში ზედიზედ, მაგალითად, ორშაბათ დილიდან სამშაბათ ღამემდე». «მეხუთე, ამჟამად 12 წლისა, სტეივლის თუჯსამსხმელო ქარხანაში დღის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე მუშაობდა 14 დღის განმავლობაში, მას აღარ შესწევს უნარი განაგრძოს ასეთი მუშაობა». «ჯორჯ ელინსვორტი, 9 წლისა: «მე აქ წარსულ პარასკევს მოვედი.

⁹⁶ იქვე (4th Report, 1865), 58, გვ. XII.

⁹⁷ იქვე.

ჩვენ მეორე დღეს დილის 3 საათზე უნდა დაგვეწყო მუშაობა. ამიტომ მე აქ მთელი ღამე დავყავი. აქედან 5 მილის მანძილზე ვცხოვრობ. იატაკზე მეძინა, ქვეშ ტყავის წინსაფარი მეგო და ზემოდან მოკლე ჯუბა მეხურა. შემდეგ 2 დღეს დილის 6 საათზე მოვდიოდი აქ. დიახ! ეს თბილი ადგილია! ვიდრე აქ მოვიდოდი, მთელი წლის განმავლობაში ასევე ბრძმედის ქარხანაში ვმუშაობდი. ეს იყო ძალიან დიდი ქარხანა სოფლად. მუშაობას იქაც შაბათს დილის სამ საათზე ვიწყებდი, მაგრამ სახლში წასვლა მაინც შემეძლო დასაძინებლად, რადგან ახლო ვცხოვრობდი. სხვა დღეებში დილის 6 საათზე ვიწყებდი მუშაობას და საღამოს 6 ან 7 საათზე ვათავებდი და სხვ. ⁹⁸.

⁹⁸ იქვე, გვ. XIII. ამ «სამუშაო ძალების» განვითარების დონე, რასაკვირველია, ისეთი უნდა იყოს, როგორც ეს წარმოგვიდგება შემდეგ დიალოგში საგამომძიებლო კომისიის ერთ-ერთ წევრთან: იერემია ჰენისი, 12 წლისა: «...ოთხჯერ ოთხი რვაა, მაგრამ ოთხი ოთხინი (4 fours) თექვსმეტია... მეფე მისთვის ის არის, ვისაც მთელი ქვეყნის ფული და ოქრო აქვს (A king is him that has all the money and gold). ჩვენ მეფე გვყავს, ამბობენ, რომ ის დედოფალია, მას პრინცესა ალექსანდრას უწოდებენ. ამბობენ, რომ იგი დედოფლის შვილს გაყვა ცოლადო. პრინცესა — მამაკაცია. გ. ტერნერი, 12 წლისა: «მე ინგლისში არ ვცხოვრობ, მგონია, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს, მაგრამ მასზე არაფერი ვიცი დღემდე». ჯონ მორისი, 14 წლისა: «მე გამიგონია, რომ ღმერთმა მთელი ქვეყანა შექმნა და რომ მთელი ხალხი დაიბრჩო, გარდა ერთი კაცისა. გამიგონია, რომ ეს კაცი პატარა ჩიტი იყო». ვილიამ სმიტი, 15 წლისა: «ღმერთმა მამაკაცი შექმნა; მამაკაცმა — დედაკაცი». ედუარდ ტეილორი, 15 წლისა: «ლონდონის არაფერი ვიცი». ჰენრი მეტოუმენი, 17 წლისა: «ხანდახან გკლესიაში დავდივარ... იმის სახელი, ვიზუდაც ისინი ქადაგებენ, ვინმე იესო ქრისტე იყო, მაგრამ სხვების დასახელება მე არ შემიძლია, და იმაზედაც მე არაფრის თქმა არ შემიძლია, იგი არ მოუკლავთ, არამედ მოკვდა, როგორც ყველა ადამიანი კვდება. იგი რამდენადმე ისეთი არ იყო, როგორც სხვა ადამიანები, რადგან ის რამდენადმე მორწმუნე იყო, სხვები კი ურწმუნოები არიან» (He was not the same as other people in some ways, because he was religious in some ways, and others isn't») (იქვე, 74, გვ. XV). «ეშმაკი კეთილი პიროვნებაა. მე არ ვიცი სად ცხოვრობს იგი. ქრისტე ცუდი კაცი იყო» («The devil is a good person. I don't know where he lives». «Christ was a wicked man»). «ეს გოგო (10 წლისა) სიტყვა God-ის [ღმერთი] ნაცკლად Dog-ს [ძალი] ჩათვლით კითხულობდა და დედოფლის სახელი არ იცოდა» (Children's Employment Commission. 5th Report, 1866, გვ. 55, № 278). იგივე სისტემა, როგორც ზემოაღნიშნულ ლითონის მანუფაქტურაში, გაბატონებულია მინის და ქალაქის ფაბრიკებში. ქალაქის ფაბრიკებში, სადაც ქალაქის დამზადება მანქანების საშუალებით წარმოებს, ღამით მუშაობა მიღებულია წესად ყველა პროცესისთვის, გარდა ძონების გადარჩევისა. ზოგიერთ შემთხვევებში ღამით მუშაობა შენაკვეთების საშუალებით განუწყვეტილ მთელ კვირას გრძელდება, ჩვეულებრივ — კვირა ღამიდან შემდგომი შაბათის ღამის 12 საათამდე. მუშათა პერსონალი, რომელიც დღის ცვლაშია, კვირაში 5 დღეს მუშაობს 12 საათს ყოველდღე და ერთ დღეს — 18 საათს, ხოლო ღამის ცვლაში მუშაობს 5 ღამეს — 12 საათს ღამეში და

ყური დავუგდოთ ახლა, თუ როგორ განიხილავს თვით კაპიტალი ამ ოცდაოთხსაათიან სისტემას. იგი, რასაკვირველია, დუმილით უვლის გვერდს ამ სისტემის წრეგადასულობას, მის ბოროტმოქმედებას, რომელსაც მიზნად აქვს სამუშაო დღის «საშინელი და წარმოუდგენელი» გაგრძელება. კაპიტალი ლაპარაკობს მხოლოდ სისტემაზე მისი «ნორმალური» ფორმით.

ბ-ნი ნეილორი და ვიკერსი, ფოლადის მეფაბრიკენი, რომელნიც 600-დან 700-მდე ადამიანს ამუშავებენ, — მათ შორის მხოლოდ 10% არის 18 წელზე უმცროსი და ამათში კვლავ მხოლოდ 20 პატარა ბიჭი ეკუთვნის ღამით მომუშავე პერსონალს, — ასე მოგვითხრობენ: «პატარა ბიჭები სრულიად არ იტანჯებიან სიცხისაგან. ტემპერატურა, ალბათ, აღწევს 86 — 90 გრადუსს [ფარენჰაიტით; 30 — 32 გრადუსს ცელსიუსით]... სამჭედლოში და საგლინავ სახელოსნოებში მუშახელი დღედაღამ შენაცვლებით მუშაობს, ყველა დანარჩენ სახელოსნოში კი, პირიქით, მუშაობა მხოლოდ დღისით წარმოებს, დღის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე. სამჭედლოში მუშაობენ 12 საათიდან 12 საათამდე. ზოგიერთი მუდამ ღამით მუშაობს, დღის და ღამის მუშაობის შეუნაცვლებლად... ჩვენ არ გვგონია, რომ დღის და ღამის მუშაობას სხვადასხვანაირი გავლენა ჰქონდეს ჯანმრთელობაზე

ერთ ღამეს — 6 საათს. სხვა შემთხვევებში ყოველი წყება 24 საათს მუშაობს ერთი-მეორეზე მიყოლებით, ცვლის დღეებში. რათა 24 საათი შეასრულოს, ერთი წყება ორშაბათს 6 საათს მუშაობს და 18 საათს — შაბათს. ზოგიერთ შემთხვევებში კი შემოღებულია «შუალედური სისტემა, სადაც ქალაქის დამამზადებელ მანქანებზე დაყენებული ყველა მუშა ყოველდღე კვირაში 15 — 16 საათს მუშაობს. ეს სისტემა, — ამბობს საგამომძიებლო კომისიის წევრი ლორდი, — თითქოს აერთებს თორმეტსაათიანი და ოცდაოთხსაათიანი შენაცვლების სისტემათა მთელ ბოროტებას. ღამით მუშაობის ამ სისტემის დროს მუშაობენ 13 წელზე უმცროსი ბავშვები, 18 წელზე უმცროსი მოზარდნი და ქალები. ზანდაზან 12 საათიანი სისტემის დროს, შეძველებების მოუსვლელობის გამო, მათ ორმაგ ცვლაში უნდა ემუშავნათ, ე. ი. 24 საათი. მოწმეთა ჩვენებები ცხადყოფენ, რომ ბიჭები და გოგოები ძალიან ხშირად ზეგანაკვეთურ დროს მუშაობენ და ეს მუშაობა ხშირად განუწყვეტელი გრძელდება 24 საათი და 36 საათიც კი. მოქიქვის «განუწყვეტელ და უცვლელ» პროცესში ჩვენ ვხვდებით 12 წლის ქალიშვილებს, რომელნიც მთელი თვის განაყოფობაში ყოველდღე 14 საათს მუშაობენ ისე, რომ «მათთვის არავითარი რეგულაჟული დასვენება ან მუშაობის შეწყვეტა არ არსებობს, გარდა 2, სულ ბევრი 3, ნახევარსაათიანი შესვენების საკმლის მისაღებადა. ზოგიერთ ფაბრიკაში, სადაც სრულიად გაუქმებულია ღამით რეგულარული მუშაობა, ზეგანაკვეთური სამუშაო დრო საშინლად დიდია და ეს შრომა ხშირად მეტისმეტად ქუცყიან, გავარჯობებული ტემპერატურის მქონე და უაღრესად მონოტონურ პროცესებში წარმოებს» («Children's Employment Commission. 4th Report, 1865», გვ. XXXVIII და XXXIX).

(ბ-ნ ნეილორისა და ვიკერის ჯანმრთელობაზე?), და, ალბათ, ადამიანებს უკეთესად სძინავთ მაშინ, როდესაც ერთსა და იმავე დროს სარგებლობენ დასვენებით და არა სხვადასხვა დროს... დაახლოებით 20 ბიჭი, 18 წელზე უმცროსი, ღამის ცვლაში მუშაობს... ჩვენ არ შეგვიძლია შეველიოთ (not well do) 18 წელზე უმცროსი ვაჟების ღამით მუშაობას. ჩვენი საბუთი — წარმოების ხარჯების გადიდებაა. დახელოვებული მუშახელის და განყოფილებათა ხელმძღვანელების შოვნა ძნელია, ვაჟები კი, რამდენიც გნებავთ, იმდენი მოიპოვება... რასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენთან მომუშავე მოზარდთა შედარებით უმნიშვნელო რიცხვს, ღამით მუშაობის შეზღუდვას ჩვენთვის მცირე მნიშვნელობა ანუ ნაკლები ინტერესი ექნებოდა⁹⁹.

ბ-ნი ჯ. ელისი, ბ. ჯონ ბრაუნის და კომპ.-ის ფირმიდან, — ფოლადის და რკინის ქარხნები, — სადაც 3 000 მამაკაცი და მოზარდი მუშაობს, და სადაც ამასთან ფოლადისა და რკინის მძიმე სამუშაოთა ნაწილის შესრულება წარმოებს «დღე და ღამე ცვლადი სისტემით», — აცხადებს, რომ ფოლადის ქარხნების მძიმე პირობებში 2 ნუშა-კაცზე 1 ან 2 მოზარდი მოდის. მათს წარმოებაში 500 მოზარდი ითვლება 18 წელზე უმცროსი, აქედან დაახლოებით $\frac{1}{3}$, ანუ 170, ცამეტ წელზე უმცროსია. კანონის განზრახული ცვლილების შესახებ ბ-ნი ელისი ამბობს: «მე არ მგონია, რომ ძალიან საძრახი (very objectionable) იყოს, თუ 18 წელზე უმცროსებს აუკრძალავენ 12 საათზე მეტ მუშაობას 24 საათში. მაგრამ მე არ მგონია, რომ შეიძლებოდეს რაიმე საზღვრის დადება, რომელიც ჩვენ ხელს შეგვიშლის 12 წელზე უფროსი მოზარდები გამოვიყენოთ ღამით მუშაობისთვის. ჩვენ უფრო მივიღებდით იმ კანონს, რომელიც საერთოდ აგვიკრძალავდა 13 ან თვით 15 წელზე უმცროსი მოზარდების შრომით სარგებლობას, ვიდრე იმ კანონს, რომელიც აგვიკრძალავდა ჩვენთან უკვე მომუშავე მოზარდების ღამით მუშაობას. მოზარდები, რომელნიც დღის ცვლაში მუშაობენ, რიგრიგობით ღამის ცვლაშიც უნდა მუშაობდნენ, რადგან მამაკაცებს არ შეუძლიათ ღამით მუშაობის განუწყვეტლივ შესრულება; ეს მათს ჯანმრთელობას გაანადგურებდა. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ღამით მუშაობა, თუ იგი თითო კვირით იქნება ხოლმე შეწყვეტილი, მავნებელი არ არის. (ბ. ბ. ნეილორი და ვიკერის, პირიქით, თავიანთი წარმოების ინტერესების შესაბამისად, ფიქრობდნენ, რომ ღამით განუწყვეტელი მუშაობა კი არ არის მავნებელი, არამედ სწორედ მისი პერიოდულად ცვლადი

⁹⁹ «Fourth Report etc. 1865, 79, გვ. XVI.

შესრულება). ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანები, რომლებიც შენაცვლებით ღამით მუშაობას ეწევიან, ისევე ჯანმრთელი არიან, როგორც ისინი, რომელნიც მხოლოდ ღღისით მუშაობენ... ჩვენ წინააღმდეგი ვართ აკრძალოს 18 წელზე უმცროს მოზარდებს ღამით მუშაობა იმიტომ, რომ ეს წარმოების ხარჯებს გაადიდებდა, და სწორედ ეს არის ჩვენი ერთადერთი საბუთი. (რა გულუბრყვილო ცინიზმია!) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ხარჯების გადიდება გადააქარბებდა იმას, რის სათანადოდ ატანასაც საწარმო (the trade) შეძლებდა თუ მის წარმატებითს წარმართვას ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდა. (As the trade with due regard to etc. could fairly bear! რა წყალ-წყალა ფრაზეოლოგიაა!) აქ შრომა იშვიათია და ამგვარი რეგულირების დროს შეიძლებოდა არასაკმაოც გამხდარიყო (ე. ი. ელისი, ბრაუნნი და კომპ. შეიძლებოდა ფატალურ მდგომარეობაში ჩავარდნილიყვნენ და იძულებული გამხდარიყვნენ სამუშაო ძალაში მისი სრული ღირებულება გადაეხადათ)¹⁰⁰.

ბ-ნ კემელის და კომპ.-ის ფოლადისა და რკინის ქარხნები — «ციკლოპი» — ისეთივე დიდი მასშტაბით მუშაობენ, როგორც ზემოხსენებული ჯონ ბრაუნის და კომპ.-ის ქარხნები. მმართველმა დირექტორმა მთავრობის კომისარს უაიტს თავისი ჩვენება წერილობით გადასცა, მაგრამ შემდეგ მიზანშეწონილად დაინახა გადაემალა ხელნაწერი, რომელიც მას გადასაშინჯად დაუბრუნეს. მაგრამ ბ-ნ უაიტს კარგი მეხსიერება აქვს. მას ზედმიწევნით ახსოვს, რომ ამ ბატონ ციკლოპებისთვის ბავშვებისა და მოზარდების ღამით მუშაობის აკრძალვა «შეუძლებელი საქმეა; ეს იგივე იქნებოდა, რომ შეჩერებულიყო მათი ქარხნების მუშაობა». და, მიუხედავად იმისა, მათს საწარმოში 18 წელზე უმცროსი მოზარდი 6¹/₆-ზე ცოტა მეტი ირიცხება და მხოლოდ 1¹/₆ — 13 წელზე უმცროსი!»¹⁰¹.

ბ-ნი ე. ფ. სანდერსონი, ფირმიდან ძმები სანდერსონები და კომპ., — ფოლადსამსხმელო, რკინისაგლინავი და სამჭედლო ქარხნები ეტერკლიფში, — იმავე საგნის შესახებ ამბობს შემდეგს: «დიდი სიძნელე შეიქმნებოდა, თუ 18 წელზე უმცროსი მოზარდების ღამით მუშაობას აკრძალავდით; მთავარი სიძნელე იქნებოდა ხარჯების გადიდება, რაც აუცილებლად შედეგად მოჰყვებოდა ბავშვთა შრომის შეცვლას ასაკოვანი მამაკაცების შრომით. რამდენი დაჯდებოდა ყველაფერი ეს, მე არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ ეს ხარჯები, ალბათ, იმდენი არ

¹⁰⁰ იქვე, 80, გვ. XVI.

¹⁰¹ Fourth Report etc. 1865, 82, გვ. XVII.

იქნებოდა, რომ მეფაბრიკეს შეძლებოდა ფოლადზე ფასის მომატება და, მაშასადამე, ზარალი მას დააწვებოდა, რადგან მუშები (რა ჯი-უტი ხალხია!), რასაკვირველია, არ იკისრებდნენ ამ ზარალს. ბ-ნმა სანდერსონმა არ იცის, თუ რას უხდის იგი ბავშვებს, მაგრამ, «ალბათ, ეს შეადგენს 4-დან 5 მილინგამდე თვითეულ სულზე კვირაში... ბავშვების შრომა ისეთია, რომ მისთვის საერთოდ («generally», რასაკვირველია, არა ყოველთვის «კერძოდ») სრულიად საკმარისია მოზარდების ძალ-ლონე, და, მაშასადამე, ასაკოვანი მამაკაცების უფრო მეტი ძალ-ლონიდან არ წარმოდგებოდა არავითარი სარგებლობა, რომელიც აანაზღაურებდა ზარალს, გარდა იმ მცირერიცხოვანი შემთხვევებისა, როდესაც ძალიან მძიმე ლითონთან გვაქვს საქმე. მამაკაცებისთვის არც იქნებოდა მოსაწონი, თუ მათს განკარგულებაში არ იქნებოდნენ ყმაწვილები, რადგანაც მოზრდილნი ნაკლებად მორჩილნი არიან. გარდა ამისა, ახალგაზრდებმა სიყრმითვე უნდა დაიწყონ მუშაობა, რომ საქმე შეისწავლონ. მოზარდების შრომის შეზღუდვა მართოდენ დღიური მუშაობით ამ მიზანს ვერ მიაღწევდა». მერე რატომ? რატომ დღისით არ შეუძლიათ მოზარდებს თავიანთი ხელობის შესწავლა? თქვენი საბუთი? იმიტომ, რომ მამაკაცები, რომელნიც კვირაგამოშვებით ხან დღისით მუშაობენ და ხან ღამით, და ამ დროის განმავლობაში დაშორებულნი არიან თავიანთი ცვლის მოზარდებს, დაკარგავდნენ იმ მოგების ნახევარს, რასაც მათ გამორჩებოდნენ. სახელდობრ, ის ხელმძღვანელობა, რომელსაც ისინი მოზარდებს უწევენ, ამ უკანასკნელთა ხელფასის ნაწილად იანგარიშება და იმიტომ საშუალებას აძლევს მამაკაცებს იაფად შეიძინონ მოზარდების შრომა. თვითეული მამაკაცი თავისი მოგების ნახევარს დაკარგავდა» (სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, ბ-ნი სანდერსონები იძულებული იქნებოდნენ მოზრდილ მუშათა ხელფასის სათანადო ნაწილი საკუთარი ჯიბიდან გაეღოთ, ნაცვლად იმისა, რომ იგი მოზარდების ღამის შრომით გადაეხადათ. ამ შემთხვევაში ბ-ნი სანდერსონების მოგება ცოტათი შემცირებოდა და ეს კი სანდერსონებისთვის საკმაო საფუძველია იმისა, თუ რატომ არ შეუძლიათ მოზარდებს თავიანთი ხელობა დღისით შეისწავლონ)¹⁰². გარდა ამისა, ეს რეგულარული ღამით მუშაობა

¹⁰² ჩვენს რეფლექსიით მდიდარ და რეზონანორულ ხანაში შორს ვერ წავა ის, ვინც ყოველ მოვლენას, რაც უნდა ყველაზე ცუდი და უკუღმართი იყოს იგი, საკმაო საფუძველს ვერ გამოუჩნავს. ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა, საკმაო საფუძვლის ძალით წახდა» (Hegel: «Encyklopädie», ნაწილი I. «Die Logik», Berlin 1840, გვ. 249).

ტირთად დააწებოდა მამაკაცებს, რომლებსაც ახლა მოზარდები ცვლიან, და ამას ისინი ვერ აიტანდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ: სიძნელე იმდენად დიდი იქნებოდა, რომ ამას, ალბათ, შედეგად მოჰყვებოდა ღამით მუშაობის სრული გაუქმება. «რაც შეეხება საკუთრივ ფოლადის წარმოებას,— ამბობს ე. ფ. სანდერსონი,— ეს არავითარ განსხვავებას არ შეადგენდა, მაგრამ!...» მაგრამ ბ-ნ სანდერსონებს, ფოლადის დამზადების გარდა, სხვა საქმეც ბევრი აქვთ. ფოლადის წარმოება მხოლოდ საბაბია მოგების წარმოებისა. სადნობ ღუმელებს, საგლინავ ქარხნებს და სხვ., შენობებს, მანქანებს, რკინას, ნახშირს და სხვ. უფრო მეტი რამ აქვთ გასაკეთებელი, ვიდრე ფოლადად გადაქცევა. ისინი ზედმეტი შრომის შესაწოვად არსებობენ, და, რასაკვირველია, 24 საათში უფრო მეტს შეიწოვენ, ვიდრე 12 საათში. მართლაც, ღვთისა და კანონის ძალით ისინი სანდერსონებს უფლებას აძლევენ ისარგებლონ გარკვეული რიცხვი მუშახელის სამუშაო დროით მთელი 24 საათის განმავლობაში; ისინი კარგავენ თავიანთ ხასიათს კაპიტალისას და ამიტომ სანდერსონებისათვის წმინდა ზარალს წარმოადგენენ, რაწამსაც წყდება მათი ფუნქცია შრომის შეწოვისა. «მაგრამ მაშინ ადგილი ექნებოდა დანაკარგს იმის გამო, რომ უფრო ძვირადღირებული მანქანები ნახევარ დროს უქმად იქნებოდა და პროდუქტების ისეთი მასისთვის, რომელიც შეგვიძლია დავამზადოთ დღევანდელი სისტემის დროს, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გაგვეორკეცებინა შენობების მოცულობა და მანქანების რიცხვი, რაც ხარჯების გაორკეცებას გამოიწვევდა». მაგრამ რა უფლების ძალით მოითხოვენ პრივილეგიას სწორედ ეს სანდერსონები სხვა კაპიტალისტებთან შედარებით, რომელთაც ნება აქვთ მხოლოდ დღისით აწარმოონ მუშაობა და რომელთა შენობები, მანქანები და ნედლი მასალა ღამით უქმად არის? «ეს მართალია,— გვიპასუხებს ე. ფ. სანდერსონი ყველა სანდერსონების სახელით,— მართალია, რომ მანქანების უქმად ყოფნით წარმომდგარი დანაკარგი ვრცელდება ყველა საწარმოზე, სადაც მხოლოდ დღისით მუშაობენ. მაგრამ სადნობი ღუმელების გამოყენება ამ შემთხვევაში ექსტრაორდინარულ დანაკარგს გამოიწვევდა. მათი ამოქმედებისას იფლანგება საწვავი მასალა (ნაცვლად მუშების სასიცოცხლო მასალისა, რომელიც ამჟამად იფლანგება), ხოლო მათი შეჩერებისას დრო დაიკარგება ცეცხლის ხელახლა გაღვივებასა და აუცილებელი ტემპერატურის მიღებაზე (მაშინ როდესაც ძილის დროის დაკარგვა, მწლის ბავშვების მიერაც კი, სანდერსონული წრისათვის სამუშაო დროის მოგებას წარმოადგენს), და თვით

ლუმელებიც დაზიანდებოდნენ ტემპერატურის შეცვლით» (მაშინ როდესაც იგივე ლუმელები სრულიად არ ზიანდებიან მუშაობის დღე-ღამური შენაცვლებით)¹⁰³.

¹⁰³ «Children's Employment Commission. 4th Report etc., 1865, 85, გვ. XVII. ბატონ მინის მეფაბრიკეთა ფრთხილ მსჯელობაზე იმის შესახებ, რომ თითქოს ბავშვებისათვის «საჭმლის რეგულარული დროის შემოღება» შეუძლებელია, რადგან ამას შედეგად მოჰყვებოდა ლუმელიდან გამოსხივებული განსაზღვრული რაოდენობის სითბოს წმინდა დაკარგვა» ანუ «აფულანგვა», გამომძიებელი კომისიის წევრი ჟაიტი, რომელიც სრულიად არ წააგავს იურს, სენიორს და ა. შ. და მათს უბადრუკ გერმანულ დამკაშვებს, მაგალითად, როშერს და სხვებს, რომელნიც გულაჩუყებულნი არიან კაპიტალისტების «დომენით», «თვითურყოფით» და «მომპირნეობით» თავიანთი ფულის ხარჯვაში და მათ მიერ ადამიანის სიცოცხლის თემურლენგური მფლანგველობით, — ასე უპასუხებს: «კამისთვის რეგულარული დროის უზრუნველყოფის გამო კიდევ რომ გაიფლანგოს დღევანდელთან შედარებით გარკვეული ზედმეტი რაოდენობის სითბო, ასეთი აფულანგვა, თუნდაც ფულადი ღირებულებით გამოხატული, ვერ შეედრება სასიცოცხლო ძალის იმ აფულანგვას («the waste of animal power»), რომელსაც ახლა სამეფო განიციდის იმის გამო, რომ მინის ქარხნებში მომუშავე და ზრდის პერიოდში მყოფი ბავშვები იმდენ თავისუფალ დროსაც კი ვერ პოულობენ, რომ დამშვიდებით მიიღონ და მოინელონ საჭმელი» (იქვე, გვ. XLV). და ეს ხდება «აყვავების წელიწადში», 1865 წელს! იმ ძალის ხარჯვაზეც რომ არაფერი ვთქვათ, რაც სიმძიმის აწევასა და გადატან-გადმოტანას სჭირდება, — ბოთლების და ფლინტგლასის დამამზადებელ ქარხნებში ასეთი ბავშვი თავისი შეუწყვეტელი მუშაობის დროს 15 — 20 (ინგლისურ) მილს აცეთებს 6 საათის განმავლობაში! და მუშაობა ხშირად 14 — 15 საათი გრძელდება! ბევრ ასეთ მინის ქარხანაში, ისევე როგორც მოსკოვის საფეიქრობებში, 6 საათიანი შენაცვლების სისტემა გაბატონებული. «მთელი კვირის სამუშაო დროის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი უწყვეტი დასვენება 6 საათს უდრის; მაგრამ აქედან უნდა გამოვაკლოთ ის დრო, რომელიც საჭიროა ქარხანაში მისვლა-მოსვლისთვის, ხელ-პირის დასაბანად, ტანისამოსის ჩასაცმელად, საჭმლის მისაღებად, ყველა ეს კი დროს მოითხოვს. ამრიგად, სინამდვილეში სულ ცოტა დრო რჩება დასასვენებლად. თუ ძილს არ გამოაკლდა, ისე სხვა დრო არ რჩება სათამაშოდ და სუფთა ჰაერზე გასასვლელად, რაც ესოდენ საჭიროა ბავშვებისათვის, რომლებიც მეტად მძიმე მუშაობას ეწვევიან ასეთ გახურებულ ატმოსფეროში... ეს ხანმოკლე ძილიც კი გაფრთხობილია იმით, რომ ბავშვმა თვითონ უნდა გაიღვიძოს ღამით, დღისით მას ძილს უფრთხობს გარეშე ხმაურობა». ბ-ნი უაიტი ასაბუთებს შემთხვევებს, როდესაც ერთი მოზარდი განუწყვეტელივ 36 საათს მუშაობდა, როდესაც 12 წლის ბავშვები ღამის 2 საათამდე მუშაობენ და შემდეგ სძინავენ დღის 5 საათამდე (3 საათი!) ქარხანაშივე, რათა კვლავ შეუდგნენ დღისით მუშაობას! იმ შრომის რაოდენობა, — ამბობენ საერთო ანგარიშის რედაქტორები ტრემენჰირი და ტეფნელი, — რომელსაც დღისით და ღამით მუშაობის შენაცვლების დროს («spell of labour») ასრულებენ ვაყები, ქალიშვილები და დედაკაცები, პირდაპირ საარაკოა» (იქვე, გვ. XLIII და XLIV). ამავე დროს კი «თვითურყოფით აღსავსე» კაპიტალი მინის მრეწველობისა, პორტგვინით შეზარბოშებული, ბარბაკით ბრუნდება შუალამისას კლუბიდან სახლში და იდიოტურად ლილინებს: «Britons never, never, shall be slaves!» [«ბრიტანელები არასოდეს, არასოდეს არ იქნება მონა!»]

5. ბრძოლა ნორმალური სავაჭარო დღისთვის.
სავაჭარო დღის გაზრდების იმპლემენტითი კანონები XIV საუკუნის
ნახევრიდან XVII საუკუნის დამლევამდე

«რა არის სამუშაო დღე?» რამდენად ხანგრძლივია ის დრო, რის განმავლობაშიც კაპიტალს შეუძლია მოიხმაროს სამუშაო ძალა, რომლის დღიურ ღირებულებას ის იხდის? რამდენად შეიძლება გაგრძელდეს სამუშაო დღე იმ სამუშაო დროს იქით, რომელიც აუცილებელია თვით სამუშაო ძალის საკვლავწარმოებლად? ამ კითხვებზე, როგორც დავინახეთ, კაპიტალი ასე უპასუხებს: სამუშაო დღე შედგება სრული 24 საათისგან დღე-ღამეში, იმ მცირეოდენი დასასვენებელი საათების გამოკლებით, ურომლისოდაც სამუშაო ძალა აბსოლუტურად ვერ შეძლებს თავისი სამსახურის განახლებას. უწინარეს ყოვლისა, თავისთავად იგულისხმება, რომ მუშა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სხვა არაფერია, თუ არა სამუშაო ძალა, რომ ამიტომ მთელი მის განკარგულებაში არსებული დრო ბუნებისა და უფლების მიხედვით სამუშაო დროა და, მასასადამე, კაპიტალის თვითზრდის პროცესს ეკუთვნის. დრო ადამიანის განათლებისათვის, ინტელექტუალური განვითარებისათვის, სოციალური ფუნქციების შესრულებისათვის, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობისათვის, ფიზიკური და ინტელექტუალური სასიცოცხლო ძალების ლალი თამაშისათვის, კვირა დღის უქმობისთვისაც კი, — თუგინდ ეს თვით შაბათის თაყვანისმცემელთა მხარეშიც იყოს¹⁰⁴, — ყოველივე ეს მტკნარი სისულელეა! მაგრამ

¹⁰⁴ ინგლისში, მაგალითად, ზოგიერთ ადგილებში სოფლად ახლაც ციხეში პატიმრობით სჯიან მუშას, თუ იგი გატეხს შაბათს ბაღში მუშაობით თავისი სახლის წინ. იმავე მუშას აჯარიმებენ კონტრაქტის დარღვევისთვის, თუ იგი არ გამოცხადდება კვირა დღეს ლითონის, ქაღალდის ან მინის ქარხანაში, თუნდაც ეს გამოუცხადებლობა რელიგიური მოტივებით იყოს გამოწვეული. ორტოდოქსალური პარლამენტი ყურს იყრუებს შაბათის გატეხაზე, თუ ეს ხდება კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესში. ერთ მოხსენებაში (1863 წლის აგვისტო), სადაც თეხით და ფრინველით მოვაჭრეებთან მომუშავე ლონდონელი დღიური მუშები კვირა დღით მუშაობის გაუქმებას მოითხოვენ, ნათქვამია, რომ მათი შრომა კვირის პირველი 6 დღის განმავლობაში საშუალოდ 15 საათი გრძელდება დღეში, ხოლო კვირა დღეს 8 — 10 საათი. იმავე მოხსენებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ამ «კვირადღით მუშაობის» წამქეზებელია განსაკუთრებით აზიზი პირგემრიელობა არისტოკრატი ფარისევლების ეპიტერ პოლიდან. ეს «წმინდანებია, ასე გულმოდგინები *in cute curanda* [თავიანთ სხეულის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში], თავიანთ ქრისტიანობას ამტკიცებენ იმ მორჩილებით, რომლითაც ისინი სხვის გადამეტებულ შრომას, გაკვირებას და შიმშილს იტანენ. *Obsequium ventris istis* (მუშებისთვის) *perniciosus est* [მუცლის პატივი მათთვის (მუშებისთვის) ბევრად უფრო დამლუბველია].

თავის უზომო და ბრმა მისწრაფებაში, თავის მგლურ გაუმადლობაში ზედმეტი შრომის მიმართ, კაპიტალი გადალახავს სამუშაო დღის არა მარტო მორალურ საზღვრებს, არამედ წმინდა ფიზიკურ მაქსიმალურ საზღვრებსაც. კაპიტალი უზურპაციას ახდენს იმ დროისას, რომელიც აუცილებელია სხეულის ზრდის, განვითარებისა და ჯანმრთელად შენახვისათვის. იგი იტაცებს დროს, რომელიც მუშას ესაჭიროება სუფთა ჰაერით და მზის სხივებით სარგებლობისთვის. იგი ჰკვეცს სასაღილო დროს და უკავშირებს მას, სადაც კი შესაძლებელია, თვით წარმოების პროცესს, ისე რომ საქმელი ეძლევა მუშას როგორც წარმოების უბრალო საშუალებას, მსგავსად იმისა, როგორც ორთქლის ქვაბს ეძლევა ნახშირი და მანქანებს — ქონი ან ზეთი. საღი ძილი, რომელიც აუცილებელია სასიცოცხლო ძალის მოსაკრებად, აღსადგენად და განახლებისათვის, მას დაჰყავს გარინდების იმდენ საათამდე, რამდენიც აუცილებლად საჭიროა აბსოლუტურად დაუძღურებული ორგანიზმის გამოსაცოცხლებლად. ნაცვლად იმისა, რომ სამუშაო ძალის ნორმალურმა შენარჩუნებამ დაუდოს საზღვარი აქ სამუშაო დღეს, პირიქით, სამუშაო ძალის რაც შეიძლება მეტი ყოველდღიური დახარჯვა, რაგინდ ავადმყოფურად ძალდატანებითი და მტკივნეულიც იყოს იგი, უდებს საზღვარს მუშის დასვენების დროს. კაპიტალი არ დაეძებს სამუშაო ძალის სიცოცხლის ხანგრძლიობას. მას აინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო ძალის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება მოძრაობაში იქნას მოყვანილი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. იგი ამ მიზანს აღწევს სამუშაო ძალის სიცოცხლის ხანგრძლიობის შემოკლებით, როგორც ხარბი სოფლის მეურნე აღწევს მიწის მოსავლიანობის გადიდებას ნიადაგის ნაყოფიერების გამოფიტვით.

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოება, რომელიც არსებითად ზედმეტი ღირებულების წარმოებაა, ზედმეტი შრომის შეწოვაა, სამუშაო დღის გაგრძელებით იწვევს არა მარტო დაუძღურებას ადამიანის სამუშაო ძალისას, რომელსაც ერთმევა თავისი განვითარებისა და მოქმედების ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური პირობები. იგი იწვევს თვით სამუშაო ძალის ნაადრევ გამოფიტვას და მოსპობას¹⁰⁵. იგი ახანგრძლივებს განსაზღვრული ვადით მუშის საწარმოოდროს მისი სიცოცხლის ხანგრძლიობის შემოკლებით.

¹⁰⁵ ჩვენს უწინდელ ანგარიშებში აღნიშნული იყო სხვადასხვა გამოცდილ მეფაბრიკეთა შეხედულებანი იმის შესახებ, რომ გადამეტებულ შრომას... უმკველად თან სდევს მუშის სამუშაო ძალის უდროოდ გამოფიტვის საშიშროება (Children's Employment Commission. 4th Report, 1865 წ., 64, გვ. XIII).

მაგრამ სამუშაო ძალის ღირებულება შეიცავს იმ საქონელთა ღირებულებას, რომლებიც საჭიროა მუშის კვლავწარმოებისათვის, ანუ მუშათა კლასის გამრავლებისათვის. მაშასადამე, თუ სამუშაო დღის არაბუნებრივი გაგრძელება, რასაც აუცილებლად ეტანება კაპიტალი თვითზრდისადმი თავის უსაზღვრო მისწრაფებაში, ამოკლებს ცალკეული მუშის სიცოცხლის პერიოდს და ამით მათი სამუშაო ძალის ხანგრძლიობას, მაშინ აუცილებელი ხდება გაცვეთილი სამუშაო ძალის უფრო სწრაფი ანაზღაურება, მაშასადამე, გაცვეთის უფრო მეტი ხარჯების შესვლა სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში, სწორედ ისევე, როგორც მანქანის ღირებულების ყოველდღიურად საკვლავწარმოებელი ნაწილი მით უფრო დიდია, რაც უფრო ჩქარა ცვდება ეს მანქანა. ამიტომ თითქოს კაპიტალის საკუთარი ინტერესი მიგვიითითებს ნორმალური სამუშაო დღის დაწესების აუცილებლობაზე.

მონათმფლობელი თავის მუშას ყიდულობს ისევე, როგორც ყიდულობს თავის ცხენს. მონასთან ერთად იგი კარგავს კაპიტალს, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ახალი ხარჯის გაწევით მონების ბაზარზე. მაგრამ, რაც უნდა საბედისწეროდ გამანადგურებელი იყოს გეორგიის ბრინჯის მინდვრების და მისისიპის ჭაობების გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, ეს განადგურება ადამიანის სიცოცხლისა არც ისე დიდია, რომ იგი ვერ ანაზღაურდეს ვირჯინიის და კენტუკის ზანგთა უხვი აუზებიდან. ეკონომიური მოსაზრებანი, რომელთაც შეეძლოთ მოეცათ ერთგვარი გარანტია მონისადმი ადამიანური მოპყრობისა, რამდენადაც ეს მოსაზრებანი აიგივებენ მეპატრონის ინტერესს და მონის შენახვას, მონებით ვაჭრობის შემოღების შემდეგ, პირიქით, მონის უკიდურესი განადგურების მიზეზი ხდება, რადგან, თუკი შეიძლება მისი ადგილი სხვა მხრიდან მოყვანილმა ზანგმა დაიჭიროს, მაშინ მონის სიცოცხლის ხანგრძლიობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე მის მწარმოებლურ ძალას, სანამ ეს სიცოცხლე გრძელდება. ამიტომ, იმ ქვეყანაში, სადაც მონების შეზიდვა ხდება, მონათმფლობელური მეურნეობის ძირითადი წესი ასეთია: ნამდვილი ეკონომია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანურ პირუტყვს (human chattle) შრომის რაც შეიძლება მეტი მასა ამოსწოვო რაც შეიძლება ნაკლებ დროში. სწორედ ტროპიკული კულტურების ქვეყნებში, სადაც წლიური მოგება ხშირად პლანტაციების მთელ კაპიტალს უდრის, ზანგების სიცოცხლის ყველაზე უფრო შეუბრალებელი მსხვერპლად გაწირვა ხდება. ვესტინდოეთის — საუკუნეების განმავლობაში ამ საარაკო სიმდიდრის აკენის — მიწათმოქმედებამ

აფრიკული რასის ადამიანები მილიონობით შთანთქა. ამჟამად კუბაზე, სადაც შემოსავალი მილიონობით ითვლება და პლანტატორები ნამდვილი თავადები არიან, ჩვენ ვხედავთ, რომ მონების დიდი ნაწილი ყოველწლიურად აშკარად ნადგურდება არა მარტო იმის გამო, რომ ძალზე უხეშად იკვებება, უაღრესად დამაუძღურებელ და განუწყვეტელ ტანჯვაშია, არამედ იმის გამოც, რომ გადამეტებული შრომით, უძილობითა და დაუსვენებლობით გამოწვეულ წამებას განიცდის»¹⁰⁶.

Mutato nomine de te fabula narratur! [სახელის შეცვლით შენზე ამბობენ ამ ისტორიას!] მონობით ვაჭრობის ნაცვლად ვიგულისხმობ შრომის ბაზარი, კენტუკის და ვირჯინიის ნაცვლად — ირლანდია და ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის სამიწათმოქმედო ოლქები, აფრიკის ნაცვლად — გერმანია! ჩვენ მოვისმინეთ, თუ როგორ ანადგურებს გადამეტებული შრომა ლონდონის ხაბაზებს, და, მიუხედავად ამისა, ლონდონის შრომის ბაზარი მუდამ სავსეა სახაბაზო სარეწავში სასიკვდილოდ განწირული გერმანელი და სხვა კანდიდატებით. მეტუნეობა, როგორც დავინახეთ, მრეწველობის ერთ-ერთი ისეთი დარგია, სადაც მუშა ყველაზე ნაკლებ ხანს ცოცხლობს. მაგრამ ვხედავთ თუ არა ამის გამო მეტუნეების ნაკლებობას? ჯოჯი უეჯვუდმა, თანამედროვე მეტუნეობის გამომგონმა, თვითონ წარმოშობით ჩვეულებრივმა მუშამ, 1785 წელს განაცხადა თემთა პალატის წინაშე, მთელ წარმოებაში 15 000—20 000 ადამიანი მუშაობსო¹⁰⁷. 1861 წელს ამ მრეწველობის მარტო საქალაქო ცენტრების მოსახლეობა დიდ ბრიტანეთში 101 302 სულს შეადგენდა. ჰამბის მრეწველობა 90 წელიწადია არსებობს... იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ინგლისური რასის სამ თაობას შეეფერება, მან ჰამბის მრეწველობის მუშათა ცხრა თაობა შთანთქა¹⁰⁸. მართალია, გაცხოველებული აღმავლობის ცალკეულ ეპოქებში შრომის ბაზარი სამუშაო ძალის მიწოდების მხრივ სერიოზულ ხარვეზებს ამჟღავნებდა. ასე იყო, მაგალითად, 1834 წელს. მაგრამ ბ-ნ მეფაბრიკეებმა Poor Law Commissioners-ს [დაწესებულებებს ღარიბთათვის] წინადადება მისცეს, რომ სამიწათმოქმედო ოლქების «ჭარბმოსახლეობა» ჩრდილოეთში გაეგზავნათ, და თანაც განაცხადეს, რომ «მეფაბრიკენი მას შთანთქავდნენ

¹⁰⁶ J. E. Cairnes: «The Slave Power». London 1862, გვ. 110, 111.

¹⁰⁷ John Ward: «The Borough of Stoke-upon-Trent etc.». London 1843, 23-42.

¹⁰⁸ ფერენდის სიტყვა თემთა პალატაში 1863 წლის 27 აპრილს.

და მოიხმარდნენ¹⁰⁹. ეს მათი ნამდვილი სიტყვები იყო. «Poor Law Commissioners-ის თანხმობით მანჩესტერში აგენტები დაინიშნა. დამზადდა მიწათმოქმედი მუშების სია და იგი ამ აგენტებს გადაეცა. მეფაბრიკენი მიაწყდნენ ბიუროს, და როდესაც აირჩიეს რაც მათ ესაჭიროებოდათ, მთელი ოჯახები გადაიყვანეს სამხრეთ ინგლისიდან. ადამიანებით დატვირთული ეს ბარდანები, სათანადო ეტიკეტებით აღნიშნული, უბრალო საქონლის მსგავსად გადაგზავნეს არხებითა და ფურგონებით. ზოგი ფეხით მიჩანჩალებდა, ბევრს გზაკვალი აებნა და ნახევრად მშიერი სამრეწველო ოლქებში დახეტიალებდა. ეს ვაჭრობის ნამდვილ დარგად განვითარდა. თემთა პალატა არც-კი დაიჯერებს ამას. ასეთი რეგულარული ვაჭრობა, ასეთი მერჩარჩობა ადამიანის ხორცით განუწყვეტლივ გრძელდებოდა, და მანჩესტერელი აგენტების მიერ ამ ადამიანების ყიდვა და შემდეგ გაყიდვა მანჩესტერელ მეფაბრიკეებზე ისევე რეგულარულად ხდებოდა, როგორც ზანგების ყიდვა და შემდეგ გაყიდვა ბამბის პლანტატორებზე სამხრეთ შტატებში... 1860 წელი ბამბის მრეწველობის უმაღლეს წერტილს მოასწავებს... კვლავ თავი იჩინა მუშახელის ნაკლებობამ. მეფაბრიკეებმა კვლავ მიმართეს ადამიანის ხორცით მოვაჭრე აგენტებს... და ამ უკანასკნელებმა შემოიარეს დორსეტის ქვიშნარი გორაკები, დევონის მაღლობები და უილტის ველები, მაგრამ ჭარბ-მოსახლეობა ყველგან უკვე შთანთქმული იყო». «Bury Guardian»-ი მწარედ ჩიოდა, რომ ინგლის-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიძლებოდა შთანთქმულიყო 10 000 დამატებითი მუშახელი და მალე საჭირო იქნებოდა 30 000 ან 40 000-ზე მეტი. მას შემდეგ, რაც ადამიანის ხორცით მოვაჭრე აგენტებმა და სუბაგენტებმა 1860 წელს თითქმის უშედეგოდ შემოიარეს სამიწათმოქმედო ოლქები, «მეფაბრიკეთა დებუტაციამ მიმართა ბ-ნ ვილერსს, Poor Law Board-ის [უმაღლესი დაწესებულება ლარიბთათვის] თავმჯდომარეს თხოვნით, რომ მეფაბრიკეებს კვლავ ნება მისცემოდათ workhouses-დან [სამუშაო სახლებიდან] ლარიბი ბავშვები და ობლები წაეყვანათ»¹¹⁰.

¹⁰⁹ მეფაბრიკენი მას შთანთქავდნენ და მოიხმარდნენ. ასეთი იყო სიტყვასიტყვით ბამბის მეფაბრიკეთა განცხადება (იქვე).

¹¹⁰ იქვე. მიუხედავად საუკეთესო სურვილებისა, ვილერსი ისეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული «კანონით», რომ უარი უნდა ეთქვა მეფაბრიკეთა წადილის შესრულებაზე. მაგრამ ამ ვაჭბატონებმა მაინც თავიანთ მიხანს მიაღწიეს ლარიბებისათვის მზრუნველ ადგილობრივ დაწესებულებათა თავიანთობის მეოხებით. ფაბრიკის ინსპექტორი, ბ-ნი ა. რედგრაივი ირწმუნება, რომ ამ შემთხვევაში სისტემას, რომლის მიხედვით პაუპერების [ლარიბების] ობლები და ბავშვები «კანონით» ითვლებიან

საერთოდ, გამოცდილება უჩვენებს კაპიტალისტს, რომ არსებობს ერთგვარი მუდმივი ჭარბმოსახლეობა, ე. ი. ჭარბმოსახლეობა შედარებით კაპიტალისტის ღირებულების ზრდის მოთხოვნილებასთან ყოველ მოცემულ მომენტში, თუმცა ამ ჭარბმოსახლეობის ნაკადი დაუძლეურებულ, სწრაფად გარდამავალ, ერთიმეორის სწრაფად შემცვლელ და, ასე ვთქვათ, მოუმწიფებლად მოწყვეტილ ადამიანთა თაობებისაგან.

შეგირდებად [apprentices], «არ სდევდა თან ძველი ბოროტმოქმედებანი» — (ამ ბოროტმოქმედებათა შესახებ შეად. ენ გ ე ლ ს ი: «Die Lage der arbeitenden Klasse in England». Leipzig 1845 [ე. ენ გ ე ლ ს ი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». თბილისი 1932]), — თუმცა, მართალია, ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ამ სისტემის ბოროტად გამოყენებას იმ ქალიშვილებისა და ახალგაზრდა ქალების მიმართ, რომელნიც მოყვანილი იყვნენ შოტლანდიის სამიწათმოქმედო ოლქებიდან ლანკაშირში და ჩუშირში». ამ «სისტემის» მიხედვით მეფაბრიკე ხელშეკრულებას დებს ღარიბების თავშესაფართა ადმინისტრაციასთან გარკვეული ვადით. იგი აქმევს, აცმევს, აბინავებს ბავშვებს და თანაც ცოტა რამეს აძლევს ფულად. უკანაურ შთაბეჭდილებას ახდენს ბ-ნ რედგრეივის შემდეგი შენიშვნა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემობას, რომ ინგლისის ბამბის მრეწველობის აყვავების წლებს შორისაც კი 1860 წელი განსაკუთრებული რამ არის, და რომ ხელფასი ამ დროს ძალიან მაღალი იყო, რადგან შრომის არაჩვეულებრივი მოთხოვნა წააწყდა მოსახლეობის შემცირებას ირლანდიაში, უმაგალითო ემიგრაციას ინგლისისა და შოტლანდიის სამიწათმოქმედო ოლქებიდან აესტრალიასა და ამერიკაში, მოსახლეობის პოზიტიურ შემცირებას ინგლისის ზოგიერთ სამიწათმოქმედო ოლქში, რაც შედეგი იყო ნაწილობრივ სასიცოცხლო ძალის წარმატებით მიღწეული განადგურებისა, ნაწილობრივ კი — ჭარბმოსახლეობის წინანდელი გამოფიტვისა ადამიანის ხორციით მოვაჭრეების მიერ. და, მიუხედავად ყოველივე ამისა, ბ-ნი რედგრეივი ამბობს: «ამგვარი შრომით (ღარიბთა თავშესაფარში მყოფი ბავშვების შრომით) მხოლოდ მაშინ სარგებლობენ, როდესაც სხვა საშუალება აღარ მოიპოვება, რადგან ეს შრომა ძვირია (high-priced labour). 13 წლის მოზარდის ჩვეულებრივი ხელფასი დაახლოებით 4 შილინგს უდრის კვირაში; მაგრამ 50 ან 100 ასეთი ახალგაზრდის დაბინალება, ჩაცმა, კვება, მათთვის საეკიმო დახმარების აღმოჩენა და შესაფერი მეთვალყურეობის გაწევა, და გარდა ამისა მცირეოდენი ფულის მიცემა, — ყველა ამისთვის არ კმარა 4 შილინგი სულზე კვირაში» («Reports of the Insp. of Factories for 30th April 1860», გვ. 27). ბ-ნ რედგრეივის ავიწყდება იმის თქმა, თუ რანაირად შეუძლია თვით მუშას ყველაფერი ეს მისცეს თავის ბავშვებს მათი 4 შილინგი ხელფასით, თუკი მეფაბრიკენი ვერ ახერხებენ ანაბ 50 ან 100 ბავშვისთვის, რომელნიც ერთად ცხოვრობენ, ერთად იკვებებიან და საერთო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. იმ მცდარი დასკვნების თავიდან ასაცილებლად, რომელთა გამოყვანაც ტექსტიდან შეიძლება, აქ უნდა აღვნიშნო კიდევ, რომ ინგლისის ბამბის მრეწველობა, მას შემდეგ, რაც იგი დაექვემდებარა 1850 წლის საფაბრიკო აქტს, რომელმაც მოაწესრიგა სამუშაო დრო და სხვ., უნდა განხილულ იქნას როგორც ინგლისის სანიმუშო მრეწველობა. ინგლისის ბამბის მუშა ყოველმხრივ მაღლა დგას თავის კონტინენტურ თანამომხებზე. «პრუსიელი ფაბრიკის მუშა სულ ცოტა 10 საათით მეტს მუშაობს კვირაში, ვიდრე მისი ინგლისელი მეტოქე, ხოლო თუ იგი მუშაობს თავის საკუთარ საფეიქრო დაზგაზე შინ, მაშინ მისი დამატებითი სამუშაო საათების

შედგება¹¹¹. რასაკვირველია, მეორე მხრივ, გამოცდილება უჩვენებს დაკვირვებულ ადამიანს, თუ როგორ სწრაფად და ღრმად ანადგურებს ძირშივე ხალხის სასიცოცხლო ძალას კაპიტალისტური წარმოება; რომელიც, ისტორიულად რომ ვთქვათ, რაღაც გუშინდელი წარმოშობისაა, თუ როგორ ნელდება სამრეწველო მოსახლეობის გადაგვარება მხოლოდ სოფლის ხელუხლებელი სასიცოცხლო ელემენტების მუდმივი შეწოვით, და თუ როგორ იწყებენ თვით სოფლის მუშებიც კი გადაშენებას, მიუხედავად სუფთა ჰაერისა და მათ შორის ასე მძლავრად მოქმედი principle of natural selection-ისა [ბუნებრივი შერჩევის პრინციპისა], რომელიც ხელს უწყობს მხოლოდ ყველაზე უფრო ძლიერ ინდივიდთა გადარჩენას¹¹². თუ კაპიტალს ესოდენ «კარგი საფუძველი» აქვს უარყოს მუშათა თანამედროვე თაობის ტანჯვა, მაშინ პერსპექტივა კაცობრიობის მომავალი გადაგვარებისა, ე. ი., საბოლოოდ მისი გარდუვალელი გადაშენებისა, ისევე ნაკლებად განსაზღვრავს მის პრაქტიკულ მოქმედებას, როგორც მოსაზრებანი მზეზე დედამიწის დაცემის

ეს ზღუდეც კი ისპობა» («Reports of Insp. of Fact. 31st Oct. 1855», გვ. 103). ზემოაღნიშნულმა ფაბრიკის ინსპექტორმა რედგრივიმ 1851 წლის სამრეწველო გამოყენების შემდეგ იმოგზაურა კონტინენტზე, სპეციალურად საფრანგეთსა და პრუსიაში, რათა იქაური ფაბრიკების მდგომარეობა გამოეცლია. აი რას ამბობს იგი პრუსიელ ფაბრიკის მუშახე: «იგი იღებს ხელფასს, საქმოს უბრალო საზრდოს შესაძენად და სულ მცირე კომფორტისთვის, რომელსაც იგი მიჩვეულია და რომლითაც კმაყოფილია... იგი უფრო ცუდად ცხოვრობს და მეტს მუშაობს, ვიდრე მისი ინგლისელი მეტოქე» («Reports of Insp. of Fact. 31st Oct. 1853», გვ. 85).

¹¹¹ «გადამეტებული შრომის გამო მუშები საოცარი სისწრაფით იხოცებიან; მაგრამ დახოცილთა ადგილები მყისვე იესება და პიროვნებათა ხშირი ცვლა სრულიად არ ცვლის სურათს.» («England and America». London 1833, ტ. I, გვ. 55; ავტორი — ე. ჯ. უეკფილდი).

¹¹² იხ. «Public Health. Sixth Report of the Medical Officer of the Privy Council, 1863». გამოქვეყნებულია ლონდონში 1864 წელს. ეს ანგარიში განსაკუთრებით მიწათმოქმედ მუშებს ეხება. «სტერლენდის საგრაფოს მეტად გაუმჯობესებულ საგრაფოდ გვიხატავენ, მაგრამ ახალმა გამოკვლევამ გამოამჟღავნა, რომ ამ საგრაფოს ოლქებში, რომელნიც ოდესღაც განთქმული იყვნენ ლამაზი მამაკაცებით და მამაცი ჯარისკაცებით, მოსახლეობა გადაგვარდა გამხდარ და დაუძლურებულ რასად. ყველაზე უფრო ჯანსაღ ადგილებში, ზღვის პირას მდებარე მთის კალთებზე, ბავშვების სახე ისეთი გამხდარი და ფერმკრთალია, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ ლონდონის რომელიმე ყრუ შესახვევის მყრალ ატმოსფეროში» (Thornton: «Overpopulation and its Remedy». London 1846, გვ. 74, 75). ისინი ნამდვილად მოგვაგონებენ 30 000 «gallant Highlanders» [ჩაინდ მთიელებს], რომლებსაც გლაზგო თავის wyuds-ში და closos-ში [მთავრებულ ადგილებსა და ბუნაგებში] მეძვე ქალებთან და ჭურდებთან ერთად უყრის თავს.

შესაძლებლობის შესახებ. აქციებით ყოველი სპეკულაციის დროს ყველამ იცის, რომ ერთხელაც არის დაიკეპებს მეხი, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ ეს მეხი მის მეზობელს დაეცემა თავზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითონ მან უკვე მოხვეჭა ოქრონაწიმი და იგი საიმედო აღგილას მოათავსა. *Après moi le déluge!* [ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა!] — ასეთია ყოველი კაპიტალისტის და ყოველი კაპიტალისტური ერის ლოზუნგი. ამიტომ კაპიტალი დაუზოგავად ექცევა მუშის ჯანმრთელობას და მისი სიცოცხლის ხანგრძლიობას ყველგან, სადაც კი მას საზოგადოება არ აიძულებს სხვანაირად მოიქცეს¹¹³. ჩივილს ფიზიკური და სულიერი დაძაბუნების, ნაადრევი სიკვდილისა და გადამეტებული შრომით მიყენებული წამების შესახებ იგი ასე უბასუხებს: როგორ უნდა შეგვაწუხოს ჩვენ ამ ტანჯვამ, თუკი იგი ჩვენს სიამოვნებას (მოგებას) ადიდებს? საერთოდ და მთლიანად ეს არ არის დამოკიდებული ცალკეული კაპიტალისტის კეთილ ან ბოროტება-სურვილზე. თავისუფალი კონკურენცია კაპიტალისტური წარმოების იმანენტურ კანონებს ცალკეული კაპიტალისტის მიმართ გარეგანი იძულებითი კანონის ძალას ანიჭებს¹¹⁴.

¹¹³ თუმცა მოსახლეობის ჯანმრთელობა ეროვნული კაპიტალის ესოდენ მნიშვნელოვანი ელემენტია, მაგრამ ჩვენ ვიშინობთ იძულებული არ შევიქნეთ ვალიაროთ, რომ კაპიტალისტები სრულიად არ არიან განწყობილი შეინახონ ეს საუნჯე და დააფასონ იგი... მეფაბრიკეთა ზრუნვა მუშების ჯანმრთელობისათვის იძულებითი იყო («Times», 5 ნოემბერი 1861). «უესტ რაიდინგის მამაკაცები მთელი კაცობრიობის მუშის მწარმოებლებად გადაიქცნენ... მუშა-ხალხის ჯანმრთელობა მსხვერპლად იქნა შეწირული, და რამდენიმე თაობის განმავლობაში მთელი რასა გადაგვარდებოდა, რომ ამას რეაქცია არ მოჰყოლოდა. ბავშვთა შრომის საათები შეზღუდულ იქნა და სხვა» («Report of the Registrar General for October 1861»).

¹¹⁴ ამიტომ ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ 1863 წლის დასაწყისს 26 ფირმა, რომელიც სტაფორდში მსხვილ სამეთუნეო ქარხნებს ფლობს, მათ შორის აგრეთვე ჯ. უეჯვუდი და შეილბი, ერთ შემორანდუმში «სახელმწიფოს ძალდატანებით ხარევაზე» შუამდგომლობენ. «სხვა კაპიტალისტებთან კონკურენცია საშუალებას არ აძლევს მათ, რომ «ნებაყოფლობით» შეზღუდონ ბავშვების სამუშაო დრო და სხვა. ამიტომ რაც უნდა ბევრი ვიწუხოთ ზემოაღნიშნული ბოროტების გამო, მისი მოსპობა მეფაბრიკეთა ურთიერთშორის რაიმე შეთანხმებით შეუძლებელი იქნებოდა... მივიღეთ რა მზედვლობაში ყველა ეს გარემოება, ჩვენ დაერწმუნდით, რომ აუცილებელია იძულებითი კანონი» («Children's Employment Commission. 1st Report, 1863», გვ. 322).

და მ ა ტ ე ბ ა ¹¹⁴ შე ნ ი შ ვ ნ ის ა თ ვ ის. უფრო საოცარ მაგალითს იძლევა სულ ახლო წარსული. ბაბბის მაღალმა ფასებმა მრეწველობის გაცხოველების ხანაში აიძულა ბაბბის საქსოვი ფაბრიკების პატრონები ბლექბერნში ურთიერთშეთანხმებით შეემციოებინათ თავიანთ ფაბრიკებში სამუშაო დრო განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ეს ვადა დაახლოებით ნოემბრის დამლევს გათავდა (1871 წელს). ამავე დროს უფრო მდიდარმა მეფაბრიკებმა, რომელნიც რთვას უკავშირებენ ქსოვას, ისარგებლეს ამ შეთანხმებით

ნორმალური სამუშაო დღის დაწესება შედეგია მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოებული ბრძოლისა კაპიტალისტსა და მუშას შორის. მაგრამ ამ ბრძოლის ისტორია ორ მოპირისპირე მიმდინარეობას გვიჩვენებს. შევადაროთ, მაგალითად, ჩვენი დროის ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობა ინგლისის მუშათა სტატუტებს, დაწესებული მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნის ნახევრამდე¹¹⁵. მაშინ როდესაც თანამედროვე საფაბრიკო კანონი ძალდატანებით ამოკლებს სამუშაო დღეს, ეს სტატუტები ცდილობენ ძალდატანებით მის გახანგრძლივებას. რასაკვირველია, კაპიტალის პრეტენზიები მისი ემბრიონალური მდგომარეობის დროს, როდესაც იგი ჯერ მხოლოდ წარმოშობის პროცესში იმყოფება და, მაშასადამე, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს თავისთვის ზედმეტი შრომის საკმაო რაოდენობის შეწოვის უფლებას მარტოოდენ ეკონომიურ ურთიერთობათა ძალით, არამედ ამისთვის საჭიროებს აგრეთვე სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დახმარებას, — ეს პრეტენზიები უალრესად მცირეა შედარებით იმ დათმობებთან, რომლებზედაც იძულებულია იგი, ბუზღუნით და წინააღმდეგობის გაწევით, დათანხმდეს თავისი სრულწლოვანობის ასაკში. საჭიროა მთელი საუკუნეები, ვიდრე «თავისუფალი» მუშა კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების გამო ნებაყოფლობით დათანხმდება ამას, ე. ი. საზოგადოებრივი პირობების გამო იძულებული იქნება თავის ჩვეულებრივ საარსებო საშუალებათა ფასად გაყიდოს მთელი თავისი აქტიური სასიცოცხლო დრო და თვით შრომისუნარიანობაც კი, — ოსპის შეჭამაღზე გაყიდოს თავისი პირველშობილობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ სამუშაო დღის გაგრძელება, რასაც კაპიტალი მე-14 საუკუნის ნახევრიდან მე-17 საუკუნის ბოლომდე ესწრაფვის და ცდილობს იგი სახელმწიფოებრივი იძულებით თავს მოახვიოს სრულწლოვან მუშებს, დაახლოებით ემთხვევა სამუშაო დროის იმ საზღვარს, რომელსაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფო აქა-იქ ქმნის იმისათვის, რათა ბავშვთა სისხლის გადაქცევა კაპიტალად შეზღუდოს. ის, რაც ახლა, მაგალითად, მასაჩუსეტის სტატში — ჩრდილოეთ ამერიკის

გამოწვეული წარმოების შემკირებით, რათა გაეფართოვებინათ თავიანთი საკუთარი წარმოება და, ამგვარად, დიდი მოგება მიეღოთ წერილ მეწარმეთა ხარჯზე. ამ უკანასკნელებმა გაკირებრის დროს მიმართეს ფაბრიკის მუშებს, მოუწოდეს მათ სერიოზულად გაეწათ აგიტაცია ცხრა საათის სამუშაო დღის შემოსაღებად და აღუთქვეს ფულით დახმარება ამ მიზნისათვის!

¹¹⁵ მუშათა ეს სტატუტები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ერთსა და იმავე დროს საფრანგეთშიც, ნიდერლანდებში და სხვ., ფორმალურად გაუქმებულ იქნა ინგლისში მხოლოდ 1813 წელს, მას შემდეგ, რაც ისინი უკვე დიდხანია გაუქმებული იყო თვით წარმოებითი ურთიერთობით.

რესპუბლიკის ამ ბოლო დრომდე ყველაზე თავისუფალ შტატში — გამოცხადებულია 12 წელზე უმცროსი ბავშვების შრომის კანონიერ ზღუდვად, ინგლისში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის ნახევარში ჯან-ლონით სავსე ხელოსნების, სოფლის ძარღვიანი მოჯამაგირეების და გოლიათი მკედლების ნორმალურ სამუშაო დღეს შეადგენდა¹¹⁶.

პირველი «Statute of Labourers»-ის [«მუშათა სტატუტის»] (23, ელჟარდ III, 1349 *) გამოცემის უშუალო საბაბი (და არა მიზეზი, ვინაიდან ამგვარი კანონპლებლობა მთელი საუკუნეები განაგრძობს არსებობას უსაბაბოდ) გახდა დიდი ჭირიანობა, რომელმაც მუსრი გაავლო მოსახლეობას, ასე რომ, როგორც ერთი ტორი-მწერალი ამბობს, «სიძნელე მუშების დაქირავებისა გონივრულ ფასებში (ე. ი. იმ ფასებში, რომლებიც მუშახელის დამქირავებლებს ზედმეტი შრომის გონივრულ რაოდენობას დაუტოვებდა) მართლაც აუტანელი გახდა»¹¹⁷. ამიტომ გონივრული ხელფასი, ისევე როგორც სამუშაო დღის საზღვარი, კანონის მიერ იძულებითი წესით იყო ნაკარნახევი. უკანასკნელი პუნქტი, და მხოლოდ ის გვანტერესებს ჩვენ აქ, განმეორებულია 1496 წლის სტატუტში (ჰენრი VIII-ის დროს). სამუშაო დღის ხანგრძლიობა ყველა ხელოსნისა (artificers) და მიწათმოქმედი მუშისთვის მარტიდან სექტემბრამდე უნდა ყოფილიყო მაშინ — თუმცა ეს არასო-

¹¹⁶ არც ერთი ბავშვი 12 წელზე ნაკლები ხნისა არც ერთ საფაბრიკო საწარმოში 10 საათზე მეტს არ უნდა მუშაობდეს დღეში («General Statutes of Massachusetts», 63, თავი 12). (ეს დადგენილებანი გამოცემული იყო 1836 — 1858 წლებში.) ათი საათის სამუშაო დრო დღეში მიჩნეულ უნდა იქნას როგორც კანონიერი სამუშაო დღე ბამბის, მატყლის, აბრეშუბის, ქალაღის, მინის და სელის ყველა ფაბრიკაში, ისევე როგორც რკინისა და სპილენძის ქარხნებში. ამასთანავე ნაბრძანებია, რომ ამიერიდან არც ერთ მცირეწლოვანს, რომელიც ამა თუ იმ ფაბრიკაში მუშაობს, არ აკეზდნენ სამუშაოზე ანდა არ აიძულებდნენ იმუშაოს 10 საათზე მეტი დღეში, ანუ 60 საათზე მეტი კვირაში და რომ ამიერიდან არც ერთი მცირეწლოვანი 10 წელზე ნაკლები ხნისა არ უნდა იქნას მიღებული მუშად ფაბრიკაში ამ შტატის ფარგლებში («State of New-Jersey. An act to limit the hours of labour etc.», § 1 და 2, 1855 წლის 11 მარტის კანონი). არც ერთი მცირეწლოვანი 12 — 15 წლისა არ უნდა მუშაობდეს რაიმე საფაბრიკო წარმოებაში 11 საათზე მეტს დღეში, ანუ დღის 5 საათზე ადრე და საღამოს 7 1/2 საათზე გვიან («Revised Statutes of the State of Rhode Island etc.», თავი 139, § 23, 1 ივლისი 1857).

* ე. ი. კანონი, გამოცემული ელჟარდ III-ის მეფობის 23-ე წელს, რ ე დ.

¹¹⁷ «Sophisms of Free Trade», მე-7 გამოც. London 1850, გვ. 205. თუმცა იგივე ტოლი დასძენს: «საპარლამენტო აქტები, რომლებიც ხელფასს მუშების საზარალოდ და დამქირავებლების სასარგებლოდ აწესრიგებდნენ, 464 წლის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდა. მოსახლეობა გამრავლდა, ეს კანონები ახლა ზედმეტი და სამძიმო გახდა» (იქვე, გვ. 206).

დეს არ ყოფილა განხორციელებული — დილის 5 საათიდან საღამოს 7 — 8 საათამდე; საკმლის მიღებისთვის კი დრო ასე იყო დაწესებული: 1 საათი საუზმისთვის, 1 1/2 საათი სადილისთვის და 1/2 საათი სამხრისთვის ნაშუადღევს ოთხ საათზე, მაშასადამე, სწორედ ორჯერ მეტი შედარებით იმასთან, რაც დაწესებულია ამჟამად მოქმედი საფაბრიკო აქტით¹¹⁸. ზამთარში მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო იმავე შესვენებებით დილის 5 საათიდან შეზღუდვამდე. ელისაბედის 1562 წლის სტატუტი ყველა «დღიურად ან კვირეულად დაქირავებული» მუშისთვის სამუშაო დღის ხანგრძლიობას ხელუხლებლად ტოვებს, მაგრამ ცდილობს განსაზღვროს შესვენების დრო ზაფხულში 2 1/2 საათით, ხოლო ზამთარში — 2 საათით. სადილი მხოლოდ 1 საათი უნდა გაგრძელდეს და «სადილის შემდეგ ძილი 1/2 საათით» ნებადართულია მხოლოდ მაისის ნახევრიდან აგვისტოს ნახევრამდე. თვითვეულ გაცდენილ საათში უნდა გამოეყვითოს 1 პენი (დაახლოებით 8 ფენიგი) ხელფასიდან. მაგრამ სინამდვილეში პირობები მუშებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე სტატუტებშია აღნიშნული. ვილიამ პეტი, პოლიტიკური ეკონომიის მამამთავარი და რამდენადმე სტატისტიკის გამომგონებელიც, ერთ თავის თხზულებაში, რომელიც მე-17 საუკუნის უკანასკნელ მესამედში გამოქვეყნდა, ამბობს: «მუშები (labouring men, მაშინ საკუთრივ მიწათმოქმედი მუშები) დღეში 10 საათს მუშაობენ და კვირაში 20-ჯერ სჭამენ, სახელდობრ საქმის დღეებში — სამჯერ, ხოლო კვირადღეებში — ორჯერ; აქედან ცხადია, რომ, თუ ისინი მოისურვებდნენ პარასკევს საღამოთი ემარხულნათ და სადილს 1 1/2 საათს მოანდომებდნენ, მაშინ როდესაც ისინი ახლა მას ორ საათს ანდომებენ, დილის 11-დან 1 საათამდე, — მაშასადამე, თუ ისინი 1/30-ით მეტს იმუშაებდნენ და 1/20 ნაკლებს მოიხმარდნენ, — მაშინ ზემოაღნიშნული გადასახადის 1/10-ის

¹¹⁸ ამ სტატუტის შესახებ ჯ. უეიდი სამართლიანად შენიშნავს: «1496 წლის სტატუტიდან ჩანს, რომ კვების ხარჯები ხელოსნის შემოსავლის ერთი მესამედისა და მიწათმოქმედი მუშის შემოსავლის ნახევრის კვირალენტად ითვლებოდა და ეს გარემოება იმას გვიჩვენებს, რომ იმ დროის მუშის მდგომარეობა უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე ამჟამად, როდესაც მიწათმოქმედებისა და მანუფაქტურის მუშის კვების ხარჯები მათი ხელფასის გაცილებით უფრო დიდ ნაწილს შეადგენს» (J. W a d e: «History of the Middle and Working Classes», მე-3 გამოც., London 1835, გვ. 24, 25, 577). რაც შეეხება იმ შეზღუდვებს, ვითომც ეს განსხვავება იმ დროის და ახლანდელი საკმლის და ტანისამოსის ფასების განსხვავებით აიხსნებოდეს, ამის გასაბათილებლად საკმარისია სულ ზეროვად გადაავლოთ თვალი შემდეგ თხზულებას: «Chronicon Preciosum etc.». By Bishop Fleetwood. 1-ლი გამოც., London 1707, მე-2 გამოც., London 1745.

დასაფარავად ეს საკმარისი იქნებოდა»¹¹⁹. განა მართალი არ იყო დ-რ ენდრიუ იური, რომელიც გაიძახოდა 1833 წლის თორმეტსაათიანი ბილი შევხველი წარსულისკენ დაბრუნებას მოასწავებსო? რასაკვირველია, სტატუტებში აღნიშნული და პეტის მიერ მოხსენიებული დადგენილებანი «apprentices»-ებზეც (შეგირდებზე) ვრცელდება. მაგრამ თუ რა მდგომარეობაში იყო ბავშვების შრომა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის დამლევს — ეს შემდეგი ჩივილიდან ჩანს: «ჩვენი ახალგაზრდები აქ, ინგლისში, არაფერს არ აკეთებენ იმ დრომდე, ვიდრე შეგირდები არ გახდებიან; ამის გამო ისინი საქიროებენ, რასაკვირველია, ბევრ დროს, — 7 წელიწადს, — იმისათვის, რომ კარგი ხელოსნები გამოვიდნენ». გერმანია, პირიქით, ქება-დიდებათ იხსენიება, რადგან იქ ბავშვები აკენიდანვე «ცოტაოდენი საქმის კეთებას მაინც ეჩვევიან»¹²⁰.

¹¹⁹ W. Petty: «Political Anatomy of Ireland», 1672, გამოც. 1691, გვ. 10.

¹²⁰ «A Discourse on the necessity of encouraging Mechanic Industry». London 1689, გვ. 13. მაკოლეი, რომელმაც ვიგების და ბურჟუაზიის სასარგებლოდ ინგლისის ისტორია გააყალბა, ასეთი დეკლამაციით გამოდის: «ბავშვების ნაადრევად სამუშაოზე... აყვანა უადრესად გავრცელებული იყო მე-17 საუკუნეში თითქმის დაუჯერებელი ოდენობით მრეწველობის მაშინდელი მდგომარეობისათვის. ნორვიჩში, მატყლის მრეწველობის მთავარ ცენტრში, 6 წლის ბავშვი შრომისუნარმქონედ ითვლებოდა, იმ დროის სხვადასხვა მწერლები, და მათ შორის ისეთებიც, რომელნიც მეტისმეტად კეთილგანწყობილ მწერლებად ითვლებოდნენ, «exultation»-ით (აღფრთოვანებით) აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ამ ქალაქში მარტო ვაეებისა და ქალიშვილების შრომით იქმნება სიმდიდრე, რომელიც მათი შენახვის გარდა წლიურად 12 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. რაც უფრო საფუძვლიანად ვსწავლობთ წარსულის ისტორიას, მით უფრო მეტი საბუთი გვეძლევა უარყოფით იმათი აზრი, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენი საუკუნე ახალ სოციალურ უბედურებათა წარმოშობია... რაც მართლა ახალია, ესაა გონებრივი განვითარება, რომელიც ამ უბედურებას აღმოაჩენს, და ჰუმანურობა, რომელიც მას განკურნავს» («History of England», ტ. I, გვ. 419). მაკოლეის შეეძლო აგრეთვე იმის აღნიშვნაც, რომ მე-17 საუკუნის «მეტისმეტად კეთილგანწყობილი» *amis du commerce* [ვაჭრობის მეგობრები] აღფრთოვანებითა მოგვითხოვრებენ, რომ ჰოლანდიის ერთ-ერთ ღარიბთა თავშესაფარში 4 წლის ბავშვს ამუშავებდნენ, და ეს მაგალითი «vertu mise en pratique» [პრაქტიკულად განხორციელებული სათნოებისა] მოყვანილია როგორც ნიმუში ჰუმანურობის *à la* მაკოლეის [მაკოლეის ტიპის] წარმომადგენელთა ყველა თხზულებაში ა. სმიტის დრომდე. სწორია, რომ მანუფაქტურის წარმოშობასთან ერთად, განსხვავებით ხელოსნობისაგან, თავს იჩენს ბავშვების ექსპლუატაციის ნიშნები; ეს ექსპლუატაცია რამდენადმე ძველადაც არსებობდა გლეხებში და იგი მით უფრო განვითარებული იყო, რაც უფრო მძიმე იყო უღელი, რომელიც მიწის მუშას აწუხ. კაპიტალის ტენდენცია აშკარაა, მაგრამ თვით ფაქტები ჯერ კიდევ ისევე იშვიათია, როგორც ორთავიანი ბავშვების გაჩენა. ამიტომაც იყო, რომ მომავ-

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის უმეტეს მანძილზე, მსხვილი მრეწველობის ეპოქამდე, ინგლისის კაპიტალმა ვერ მოახერხა, რომ სამუშაო ძალის კვირეული ღირებულების გადახდით მუშის მთელ კვირას დაუფლებოდა, — სოფლის მეურნეობის მუშები ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ. ის გარემოება, რომ მუშებს ოთხი დღის ხელფასით შეეძლოთ მთელი კვირა ერჩინათ თავი, არ წარმოადგენდა მათთვის საკმაო საბუთს, რომ ორი დანარჩენი დღეც კაპიტალისტისთვის ემუშავნათ. კაპიტალის სამსახურში მყოფი ინგლისელი ეკონომისტების ერთი ნაწილი გაშმაგებით კიცხავდა მუშების ამ ჯიუტობას, ხოლო მეორე ნაწილი იცავდა მუშებს. ყური დაუვადოთ, მაგალითად, პოლემიკას ჩვენ მიერ ზემოთოყვანილ «Essay on Trade and Commerce»-ის¹²¹ ავტორსა და პოსტლტვეიტს შორის, რომლის სავაჭრო ლექსიკონი იმ დროს იმავე სახელით სარგებლობდა, როგორც ახლა მისი მსგავსი თხზულებანი მაკ კულოხისა და მაკ გრეგორისა.

სხვათა შორის, პოსტლტვეიტი ამბობს: «მე არ შემეძლია ეს მცირეოდენი შენიშვნები დავამთავრო ისე, რომ არ აღვნიშნო ის გაცვეთილი ფრაზა, რომელიც ძალიან ბევრს პირზე აკერია, ვითომც მუშა (industrious poor), თუკი იგი შეძლებს 5 დღეში იმდენი მიიღოს, რომ თავი ირჩინოს, აღარ მოისურვებს მთელი ექვსი დღე იმუშაოს. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ აუცილებელია გადასახადების შემოღებით ან სხვა რაიმე საშუალებით გაძვირებულ იქნას აუცილებელი საარსებო საშუალებანიც კი, რათა აიძულონ ხელოსანი და

ლის წინაგრძობით აღვსილნი «amis du commerce» აღფრთოვანებით გვისურათებდნენ ამას თანამედროვეთა და მომავალი თაობის საყურადღებოდ, როგორც ღირსშესანიშნავ, საკვირველ ფაქტებს და მისაბამ მაგალითს. იგივე შოტლანდიელი სიკოფანტი და ენაწყლიანი მაკოლეი ამბობს: «ამჟამად მხოლოდ რეგრესზე ლაპარაკი გვეხმის, ვხედავთ კი მხოლოდ პროგრესს», რა თვალბია და უფრო კი — რა ყუბები!

¹²¹ მუშების ბრალმდებელთა შორის ყველაზე მძევანარე არის ტექსტში აღნიშნული ანონიმური ავტორი თხზულებისა: «An Essay on Trade and Commerce: containing Observations on Taxes etc.». London 1770. ასეთივე იყო ის თავის ადრინდელ თხზულებაში: «Consideration on Taxes». London 1765. ამავე კატეგორიას ეკუთვნის არტურ იუნგიც, წარმოდგენელი ვხედი, ეს ნამდვილი პოლონიუსი სტატისტიკაში. მუშების დამცველთა შორის პირველ რიგში დგანან: ჯაკობ ვანდერლინტი: «Money answers all Things», London 1734; მღვდელი ნათენიელ ფოოსტერი, ღვთისმეტყველების დოქტორი: «An Enquiry into the Causes of the Present High Price of Provisions». London 1767; დ-რ პაისი და განსაკუთრებით პოსტლტვეიტი — როგორც თავის «Universal Dictionary of Trade and Commerce»-ის ერთ დამატებაში, ისე «Great Britain's Commercial Interest explained and improved»-ში, მე-2 გამოც., London 1755. თვით ფაქტებს იმ დროის ბევრი სხვა მწერალიც ადასტურებს, სხვათა შორის, ჯოხაი ტეკერი.

22 კ. მარკსი. «კაპიტალი», ტ. I.

მანუფაქტურის მუშა განუწყვეტლივ ექვსი დღე იმუშაონ კვირაში. მე უნდა ვითხოვო ნებართვა სხვა აზრისა ვიყო, ვიდრე ეს დიდი პოლიტიკოსები, რომელნიც ამ სამეფოს მუშა-მოსახლეობის მუდმივი მონობისათვის («the perpetual slavery of the working people») თავს არ იზოგავენ; ისინი ივიწყებენ ანდაზას: «all work and no play» (მარტოოდენ შრომა, თუ მას გართობაც არ ახლავს, დამაჩლუნგებელია). განა ინგლისელები არ ამაყობენ თავიანთი ხელოსნების და მანუფაქტურის მუშების ნიჭიერებით და დახელოვნებით, რომლებმაც დღემდე საყოველთაო კრედიტი და სახელი მოუხვეჭეს დიდი ბრიტანეთის საქონელს? რა იყო ამის მიზეზი? ალბათ, სხვა არაფერი, თუ არა ის წესი, რომლითაც ჩვენმა მუშა-ხალხმა, ბუნებით გულმხიარულმა, იცის თავის გართობა. ისინი რომ იძულებული ყოფილიყვნენ მთელი წელიწადი ემუშავნათ, კვირაში სრული ექვსი დღე, და მუდამ ერთი და იგივე საქმე ეკეთებინათ, განა ეს მათს ნიჭს არ დააჩლუნგებდა და არ გადააქცევდა ამ ფხიზელ და მარჯვე ადამიანებს გონებაჩლუნგ და ზანტ ადამიანებად; და განა ასეთი მუდმივი მონობის გამო ჩვენი მუშები არ დაკარგავდნენ თავიანთ სახელს, ნაცვლად მისი შენარჩუნებისა?... რა დახელოვნებას უნდა მოველოდეთ ასე საშინლად ტანჯული ცხოველებისაგან (hard driven animals)?.. ბევრი მათგანი 4 დღეში იმდენ სამუშაოს ასრულებს, რასაც ფრანგი 5 ან 6 დღეში შეასრულებს. მაგრამ თუ ინგლისელები მუდამ მძიმე შრომით დატვირთულ მუშებად უნდა იქნენ, მაშინ უნდა ვშიშობდეთ, რომ ისინი ფრანგებზე უფრო მეტად გადაგვარდებიან (degenerate). თუ ჩვენი ხალხი ომში მამაცობით არის განთქმული, განა არ ვიტყვი, რომ ამის მიზეზია, ერთი მხრივ, კარგი ინგლისური როსტბივი და პუდინგი, რომლითაც ის იკვებება, ხოლო, მეორე მხრივ, და არა ნაკლებ, ჩვენი კონსტიტუციის თავისუფალი სული? და რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენი ხელოსნების და მანუფაქტურის მუშების მეტი ნიჭიერება, ენერჯია და დახელოვნება შედეგი იყოს იმ თავისუფლებისა, რომლითაც ისინი თავისებურად ერთობიან? მე ვიმედოვნებ, რომ ისინი არასოდეს არ დაკარგავენ ამ პრივილეგიებს და არც იმ კეთილ ცხოვრებას, საიდანაც წარმოდგება როგორც მათი შრომისუნარიანობა, ისე მათი სიმამაცეც!»¹²².

ამაზე «Essay on Trade and Commerce»-ის ავტორი ასე უპასუხებს:

«თუ კვირის მეშვიდე დღის უქმობა ღვთისაგან არის დაწესებული, მაშინ იგულისხმება, რომ იმავე კვირის დანარჩენი დღეები

¹²² Postletwayt. იქვე. «First Preliminary Discourse», გვ. 14.

შრომას (მას სურს თქვას: კაპიტალს, როგორც ჩვენ ამას ახლავდებიან) ეკუთვნის, და ამ ღვთიური მცნების იძულებითი წესით შესრულებინება სისასტიკედ არ უნდა ჩაითვალოს... რომ კაცობრიობას საერთოდ ბუნებით მიდრეკილება აქვს ნებევრობისა და სიზანტისადმი, ამის საბედისწერო გამოცდილებას გვაძლევს თავისი საქციელით ჩვენი მანუფაქტურის ბრბო, რომელიც მუშაობს საშუალოდ არა უმეტეს 4 დღისა კვირაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საარსებო საშუალებანი ძვირდება... ვიგულისხმობ, რომ ერთი ბუშელი ხორბალი მუშის ყველა საარსებო საშუალებას წარმოადგენს, რომ იგი ხუთი შილინგი ღირს და რომ მუშა თავისი შრომით დღიურად 1 შილინგს შოულობს. ამ შემთხვევაში მუშას დასჭირდება კვირაში მხოლოდ 5 დღე იმუშაოს, და მხოლოდ 4 დღე, თუ ბუშელი 4 შილინგი ღირს... მაგრამ, რადგან ჩვენში ხელფასი საარსებო საშუალებათა ფასთან შედარებით ბევრად უფრო მაღალია, ამიტომ მანუფაქტურის მუშას, რომელიც ოთხ დღეს მუშაობს, რჩება ფულადი ნამეტი, რომლითაც მას შეუძლია კვირის დანარჩენი დღეები უსაქმოდ გაატაროს... მე ვფიქრობ, საკმაოდ ვთქვი იმის ნათელსაყოფად, რომ ზომიერი შრომა ყოველკვირეულად 6 დღის განმავლობაში ნონობას არ წარმოადგენს. ჩვენი მიწათმოქმედი მუშები ასე იქცევიან, და ყველა ნიშნის მიხედვით — ისინი უბედნიერესნი არიან მუშათა შორის (*labouring poor*)¹²³; მაგრამ ჰოლანდიელებიც ამდენსვე მუშაობენ მანუფაქტურებში და, როგორც ჩანს, ძალიან ბედნიერი ხალხია. ფრანგებიც ასე იქცევიან, რამდენადაც ამას ხელს არ უშლის სამუშაო დღის შემწყვეტი მრავალი უქმე დღე¹²⁴... მაგრამ ჩვენმა ბრბომ მაგრად ჩაიქედა თავში ის ახირებული აზრი, თითქოს მას იმ უფლებით, რომ ინგლისელად დაიბადა, ეკუთვნის პრივილეგია უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე ქვეყნის (მუშა-ხალხი). რამდენადაც ეს იდეა გავლენას ახდენს ჩვენი ჯარისკაცების სიმამაცეზე, იგი შეიძლება ერთგვარად სასარგებლოც იყოს, მაგრამ რაც უფრო ნაკლებად არიან ამ იდეით

¹²³ «An Essay on Trade and Commerce etc.» London 1770. იგი თვით მოგვითხრობს 96-ე გვერდზე, თუ რაში მდგომარეობდა უკვე 1770 წელს ინგლისის მიწათმოქმედი მუშების «ბედნიერება». «მათი სამუშაო ძალა («their working powers») მუდამ უკიდურესად დაძაბულია («on the stretch»); მათ არ შეუძლიათ იმაზე ცუდად ცხოვრება, ვიდრე ახლა ცხოვრობენ («they cannot live cheaper than they do»), და არც მეტი მუშაობა («nor work harder»).

¹²⁴ პროტესტანტიზმი დიდ როლს ასრულებს კაპიტალის წარმოშობაში უკვე მით, რომ მან თითქმის ყველა ტრადიციული უქმე დღე სამუშაო დღეებად აქცია.

გამსკვალულნი მანუფაქტურის მუშები, მით უფრო უკეთესია თვით მათთვის და სახელმწიფოსთვის. მუშები თავიანთ თავს არასოდეს არ უნდა თვლიდნენ თავიანთი უფროსებისაგან დამოუკიდებლად (*independent of their superiors*)... მეტიმეტად სახიფათოა ბრბოს წაქეზება ისეთ კომერციულ სახელმწიფოში, როგორც ჩვენი სახელმწიფოა, სადაც, შეიძლება, მთელი მოსახლეობის $\frac{7}{8}$ -ს მხოლოდ მცირე საკუთრება აქვს, ანდა სრულიად არ გააჩნია იგი¹²⁵... სრული განკურნება მანამდე არ იქნება, სანამ ჩვენი სამრეწველო ღარიბები არ დათანხმდებიან 6 დღის მუშაობაზე იმავე ფასში, რასაც ისინი ახლა 4 დღეში შოულობენ¹²⁶. ამ მიზნით, და აგრეთვე «სიზარმაცის, გარყვნილებისა და თავისუფლებაზე რომანტიკული ბოდვის აღმოსაფხვრელად», ditto [ასევე] «ღარიბთა სასარგებლოდ გადასახადების შესამცირებლად, სამეწარმეო თაოსნობის წასაქეზებლად და შრომის ფასის დასაწევად მანუფაქტურებში», — კაპიტალის ჩვენი ერთგული ეკარტი ნაცად საშუალებას გვთავაზობს: ის მუშები, რომელნიც საზოგადოებრივი ქველმოქმედებით ცხოვრობენ, ერთი სიტყვით, პაუპერები, ჩაკეტილ უნდა იქნან «იდეალურ სამუშაო სახლში» (*an ideal workhouse*). «ასეთი სახლი საშინელების სახლად (*house of terror*) უნდა გადაიქცეს»¹²⁷. ამ «საშინელების სახლში», ამ «იდეალურ workhouse»-ში მუშაობა 14 საათი უნდა წარმოებდეს დღეში, თუმცა ამ 14 საათში ჭამისთვის საჭირო დროც შედის, ასე რომ სრული 12 სამუშაო საათი რჩება»¹²⁸.

თორმეტი სამუშაო საათი ყოველდღიურად «*ideal-workhouse*»-ში, 1770 წლის საშინელების სახლში! 63 წლის შემდეგ, 1833 წელს, როდესაც ინგლისის პარლამენტმა ოთხ საფაბრიკო დარგში 13 — 18 წლის ბავშვების სამუშაო დღე სრულ 12 სამუშაო საათამდე შეამცირა, გეგონებოდათ ინგლისის მრეწველობის უკანასკნელმა საათმა

¹²⁵ «*An Essay on Trade and Commerce etc.*». London 1770, გვ. 41, 15 96, 97, 55, 56, 57.

¹²⁶ იქვე, გვ. 69. უკვე 1734 წელს ჯეკობ ვანდერლინტმა განმარტა, რომ მუშების სიზარმაცეზე კაპიტალისტების ჩივილის მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იმავე ხელფასში 4 სამუშაო დღის ნაცვლად 6-ს მოითხოვენო.

¹²⁷ იქვე, გვ. 242: «ასეთი იდეალური სამუშაო სახლი «საშინელების სახლად» უნდა გადაიქცეს და არა ღარიბთა თავშესაფარად, სადაც ისინი საქმელს უხვად ღებულობენ, თბილად და ლამაზად იკვამენ და მხოლოდ ცოტას მუშაობენ».

¹²⁸ იქვე [გვ. 260]: «ფრანგები, — ამბობს იგი, — დასცინიან ჩვენს ადფრთოვნებულ იდეებს თავისუფლებაზე» (იქვე, გვ. 78).

დაპკრაო! 1852 წელს, როდესაც ლუი ბონაპარტმა ბურჟუაზიაში ფეხის მოსამაგრებლად კანონით დაწესებული სამუშაო დღის ხელყოფა განიზრახა, მაშინ საფრანგეთის მუშა-ხალხმა ერთხმად შესძახა: «კანონი, რომელიც სამუშაო დღეს 12 საათამდე ამცირებს, ერთადერთი სიკეთეა, რაც რესპუბლიკის კანონმდებლობიდან შეგვერჩა!»¹²⁹. ციურხში 10 წლისაზე უხნესი ბავშვების შრომა 12 საათით არის შეზღუდული; აარგაუმი 1862 წელს 13 — 16 წლის ბავშვების შრომა 12 $\frac{1}{2}$ საათიდან 12 საათამდე იქნა დაყვანილი; აესტრიაში 1860 წელს 14 — 16 წლის ბავშვებისთვის — ditto [ასევე] 12 საათამდე¹³⁰. რა დიდი ძროგრესია 1770 წლის შემდეგ — «exultation»-ით [აღფრთოვანებით] შესძახებდა მაკოლე!

«საშინელების სახლი» პაუპერებისათვის, რომელზედაც კაპიტალის სული 1770 წელს ჯერ მხოლოდ ოცნებობდა, რამდენიმე წლის შემდეგ აღიმართა უზარმაზარი «სამუშაო სახლის» სახით თვით მანუფაქტურის მუშებისთვის. მისი სახელი იყო ფაბრიკა. მაგრამ ამჯერად იდეალი გაფერმკრთალდა სინამდვილის წინაშე...

¹²⁹ ისინი 12 საათზე უფრო ხანგრძლივი მუშაობის წინააღმდეგ უმთავრესად იმ საფუძვლით ილაშქრებდნენ, რომ კანონი, რომელმაც სამუშაო დროის ეს საათები დააწესა. ერთადერთი სიკეთეა, რაც მათ რესპუბლიკის კანონმდებლობიდან შერჩათა (Reports of Insp. of Fact. 31st Octob. 1855, გვ. 80). 1850 წლის 5 სექტემბრის საფრანგეთის კანონი 12 საათის სამუშაო დღის შესახებ, — ეს ბურჟუაზიის სასარგებლოდ შეცვლილი გამოცემა დროებითი მთავრობის 1848 წლის 2 მარტის დეკრეტისა, — განურჩევლად ყველა სახელოსნოზე ვრცელდება. ამ კანონის გამოცემამდე სამუშაო დღე საფრანგეთში შეუზღუდველი იყო. იგი ფაბრიკებში 14, 15 და ხან მეტ საათსაც გრძელდებოდა. იხილეთ «Des classes ouvrières en France pendant l'année 1848. Par Mr. Blanqui». ბატონ ბლანკის, ეკონომისტს და არა რევოლუციონერს, მთავრობის მიერ მიწოდებული ჰქონდა ანკეტის ჩატარება მუშების მდგომარეობის შესახებ.

¹³⁰ ბელგია სამუშაო დღის რეგულირების მხრივაც თურმე სანიმუშო ბურჟუაზიული სახელმწიფოა. ლორდი ჰოვარდ დე უელდენი, ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბრიუსელში, ინგლისის Foreign Office-ს [საგარეო საქმეთა სამინისტროს] აუწყებს 1862 წლის 12 მაისს: «მინისტრმა როყემმ განმიცხადა, რომ ბავშვების შრომა აქ შეზღუდული არ არის არც საყოველთაო კანონით და არც ადგილობრივი დადგენილებებით; რომ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მთავრობას ყოველ სხდომაზე განხრახავ ჰქონდა ამ საგნის შესახებ კანონპროექტის შეტანა პალატაში, მაგრამ იგი მუდამ დაუძლეველ დაბრკოლებას ხვდებოდა იმ ეკონისტური შიშის სახით, რომელსაც გრძობდნენ ყოველი კანონმდებლობის მიმართ, თუკი ეს კანონმდებლობა შრომის სრული თავისუფლების პრინციპს ეწინააღმდეგებოდა».

6. ბრძოლა ნორმალური საშუაოდ დღისთვის.

საშუაოდ დროის კანონიკულებითი შეზღუდვა. ინგლისის საზაბრიკო კანონმდებლობა 1833 — 1864 წწ.

მას შემდეგ, რაც კაპიტალს მთელი საუკუნეები დასჭირდა, რათა საშუაოდ დღე გაეგრძელებინა მის ნორმალურ მაქსიმალურ საზღვრამდე და შემდეგ ამ საზღვარს იქითაც, ბუნებრივი 12 საათიანი დღის საზღვრამდე¹³¹, — დაიწყო ახლა, დღიდან მსხვილი მრეწველობის წარმოშობისა მე-18 საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ზევისებურად მძლავრი და ზღვარდაუდებელი სწრაფი მოძრაობა ამ დარგში. დაიშვებოდა ყოველგვარი ზღუდე, რომელიც კი დაუმყარებია ზნეჩვეულებას და ბუნებას, ასაკს და სქესს ან დღე-ღამის ცვალებადობას. თვით დღისა და ღამის ცნებაც კი, გლეხური სიმარტივით გამოხატული ძველ სტატუტებში, იმდენად ბუნდოვანი გახდა, რომ ჯერ კიდევ 1860 წელს ერთ ინგლისელ მოსამართლეს ნამდვილი ტალმუდისებური გონებამახვილობა დასჭირდა, რომ «სასამართლოს განაჩენის წესით» განემარტა, თუ რა არის დღე და რა არის ღამე¹³². კაპიტალი თავის ორგეებს დღესასწაულობდა.

როგორც კი მუშათა კლასი, გაბრუებული წარმოების ხმაურით, რამდენადმე ისევ გონს მოვიდა, დაიწყო წინააღმდეგობის გაწევა, პირველ ყოვლისა, მსხვილი მრეწველობის სამშობლოში, ინგლისში. მაგრამ სამი ათეული წლის განმავლობაში მის მიერ ბრძოლით მოპოვებული დათმობანი წმინდა ნომინალური დარჩნენ. 1802 — 1833 წლების განმავლობაში პარლამენტმა გამოსცა 5 აქტი შრომის შესახებ,

¹³¹ «უტყველია, დიდად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ადამიანთა რომელიმე კლასი იძულებულია ყოველდღე 12 საათის განმავლობაში შრომით იტანჯებოდეს. თუ ამას კიდევ მიუვებებთ საჭმლის მისაღებად და ფაბრიკაში მისვლა-მოსვლისთვის საჭირო დროს, მაშინ ეს სინამდვილეში 14 საათს შეადგენს დღე და ღამის 24 საათიდან... ჯანმრთელობაზეც რომ არ ვილაპარაკოთ, იმედი მაქვს, ვერავინ უარყოფს იმას, რომ მორალური თვალსაზრისითაც უადრესად მავნებელია და საშინელი ბოროტებაა მშრომელთა კლასების დროის ასეთი სრული შთანთქმა, განუწყვეტლივ, 13 წლის ნორჩი ასაკიდან, ზოლო მრეწველობის «თავისუფალ» დარგებში — გაცილებით უფრო ადრეული ასაკიდანაც კი... საზოგადოებრივი მორალის ინტერესებისათვის, ჯანმრთელი მოსახლეობის აღსაზრდელად და იმისათვის, რომ ხალხთა დიდ უმრავლესობას საშუალება მიეცეს გონიერულად ისარგებლოს სიცოცხლით, დაყინებით უნდა მოვიტხოვდეთ, რათა მრეწველობის ყველა დარგში ყოველი საშუაოდ დღის ერთი ნაწილი დასვენებისა და თავისუფალი დროისთვის რჩებოდეს» (ლენონარდ ჰორნერი: «Reports of Insp. of Fact. for 31st December 1841»).

¹³² იხ. «Judgement of Mr. J. H. Otway, Belfast, Hilary Sessions, County Antrim 1860».

მაგრამ იგი იმდენად ცბიერად მოიქცა, რომ მათი იძულებითი გატარებისათვის, მოხელეთა საჭირო პერსონალისთვის და სხვ., ერთი გროშიც არ გაიღო¹³³. ეს აქტები მხოლოდ მკვდარ ასო-ანბანად დარჩა. «ფაქტია, რომ 1833 წლის აქტის გამოცემამდე ბავშვებს და მოზარდებს ამუშავებდნენ («were worked») მთელი ღამე, მთელი დღე, ანდა დღეცა და ღამეც ad libitum [თვითნებურად]»¹³⁴.

მხოლოდ 1833 წლის საფაბრიკო აქტის გამოქვეყნებიდან, რომელიც ბამბის, მატყლის, სელისა და აბრეშუმის ფაბრიკებზე ვრცელდებოდა, იწყება ნორმალური სამუშაო დღე თანამედროვე მრეწველობისათვის. კაპიტალის სულს არაფერი არ ახასიათებს უკეთესად, ვიდრე ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობის ისტორია 1833 წლიდან 1864 წლამდე!

1833 წლის კანონი აცხადებს, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღე ფაბრიკაში უნდა იწყებოდეს დილის 5 $\frac{1}{2}$ საათზე და მთავრდებოდეს საღამოს 8 $\frac{1}{2}$ საათზე, და ამ ფარგლებში, 15 საათის პერიოდში, კანონით ნებადართულია მოზარდების (ე. ი. 13 — 18 წლის ახალგაზრდების) გამოყენება დღის ყოველ დროს, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ერთი და იგივე მოზარდი 12 საათზე მეტს არ უნდა მუშაობდეს დღეში, გარდა ზოგიერთი განსაკუთრებულად გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ აქტის მეექვსე განყოფილება განსაზღვრავს, რომ «ყოველი დღის განმავლობაში ყოველ ასეთ პირს, რომლის სამუშაო დროც ზღვარდებულია, სულ ცოტა 1 $\frac{1}{2}$ საათი უნდა მიეცეს საქმლის მისაღებადა. 9 წელზე უმცროსი ბავშვების გამოყენება აკრძალული იყო, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც ქვემოთ იქნება

¹³³ ლუი ფილიპეს, ამ ბურჟუა-მეფის, რეჟიმისთვის ფრიად დამახასიათებელია, რომ ერთადერთი საფაბრიკო კანონი, რომელიც გამოიცა მისი მეფობის დროს, 1841 წლის 22 მარტს, არასოდეს არ გატარებულა ცხოვრებაში. და ეს კანონიც მხოლოდ ბავშვთა შრომას შეეხება. იგი აწესებს რვა საათს 8 — 12 წლის ბავშვებისათვის, თორმეტ საათს 12 — 16 წლის ბავშვებისათვის და სხვ., მრავალი გამონაკლისით, რომელიც ნებას იძლევა ღამით ამუშაონ რვა წლის ბავშვებიც კი. ამ კანონის ზედამხედველობა და მისი იძულებითი გატარება «amis du commerce» [ვაჭრობის შეგობრების] კეთილ ნებაზე იყო მინდობილი, — და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ყოველი თავი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არის. მხოლოდ 1853 წლიდან ერთადერთ დეპარტამენტში, Département du Nord [ჩრდილოეთის დეპარტამენტში], დაინიშნა მთავრობის ინსპექტორი ჯამაგირით. არანაკლებ დამახასიათებელია საფრანგეთის საზოგადოების განვითარებისთვის საერთოდ ის გარემოება, რომ ლუი ფილიპეს კანონი 1848 წლის რევოლუციამდე ერთადერთი კანონი იყო ამ დარგში, თუმცა საფრანგეთის საკანონმდებლო ფაბრიკა ყველაფერს თავის ქსელში ახვევს!

¹³⁴ «Reports of Insp. of Fact. for 30th April 1860», გვ. 50.

მოხსენიებული; 9—13 წლის ბავშვების შრომა შეზღუდული იყო 8-საათით დღეში. ლამის შრომა, ე. ი. ამ კანონის მიხედვით შრომა სალამოს 8 1/2 საათიდან დილის 5 1/2 საათამდე, აკრძალული იყო 9—18 წლამდე ასაკის ყველა პირთათვის.

კანონმდებელი იმდენად შორს იყვნენ განზრახვიდან — შეეღობათ კაპიტალის თავისუფლება მოზრდილთა სამუშაო ძალის გამოწვავაში ანდა, როგორც ისინი უწოდებდნენ ამას, «თავისუფლება შრომისა», რომ მათ განსაკუთრებული სისტემა გამოიგონეს საფაბრიკო აქტის ასეთი საშინელი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

ადიდი ბოროტება საფაბრიკო სისტემისა, როგორც ის ამჟამად მოწყობილია, — ნათქვამია კომისიის ცენტრალური საბჭოს პირველ ანგარიშში, რომელიც დათარიღებულია 1833 წლის 25 ივნისით, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქმნის აუცილებლობას გაგრძელებულ იქნას ბავშვების შრომა მოზრდილთა სამუშაო დღის უკიდურეს საზღვრებამდე. ერთადერთ საშუალებად ამ ბოროტების წინააღმდეგ, საშუალებად, რომელიც არ მიმართავს მოზრდილთა შრომის შეზღუდვას, საიდანაც უფრო დიდი ბოროტება წარმოიშვებოდა, ვიდრე ის, რომელიც თავიდან აცილებულ უნდა იქნას, — წარმოგვიდგება გეგმა ბავშვთა ორ ცვლაში გამოყენებისა. ამიტომ ეს გეგმა განხორციელებულ იქნა Relaisystim-ის [შენაცვლების სისტემის] სახელწოდებით («System of Relays»; Relay ინგლისურადაც იმას ნიშნავს, რასაც ფრანგულად: ე. ი. ფოსტის ცხენების გამოცვლას სხვადასხვა სადგურებზე), ისე რომ, მაგალითად, დილის 5 1/2 საათიდან ნაშუადღევს 1 1/2 საათამდე 9—13 წლის ბავშვების ერთი ცვლა იყო შებმული, ხოლო ნაშუადღევს 1 1/2 საათიდან სალამოს 8 1/2 საათამდე — მეორე ცვლა და ა. შ.

იმის ჯილდოდ, რომ ბ-ნი მეფაბრიკენი სრულიად უტიფრად უგულვებელყოფდნენ უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში გამოცემულ კანონებს ბავშვთა შრომის შესახებ, მათ ამ შემთხვევაშიც მოოქრული აბი მიართვეს ჩასაყლაპად. პარლამენტმა დაადგინა, რომ 1834 წლის 1 მარტიდან არც ერთმა ბავშვმა, 11 წელზე უმცროსმა, 1835 წლის 1 მარტიდან არც ერთმა ბავშვმა 12 წელზე უმცროსმა და 1836 წლის 1 მარტიდან არც ერთმა ბავშვმა 13 წელზე უმცროსმა 8 საათზე მეტი არ უნდა იმუშაოს ფაბრიკაში! «კაპიტალისადმი» ასეთი თანაგრძნობით გამსჭვალული «ლიბერალიზმი» მით უფრო მადლობის ღირსი იყო, რომ დ-რ ფარემ, სერ ა. კარლეილმა, სერ. ბ. ბროდიმ, სერ. ჩ. ბელმა, მისტერ გუტრიმ და სხვებმა, ერთი სიტყვით, ლონდონის ყველაზე უფრო გამოჩენილმა physicians და surgeons [თერაპევ-

ტებმა და ქირურგებმა] თავიანთ ჩვენებაში თემთა პალატის წინაშე განაცხადეს, რომ «periculum in mora!» [«საფრთხე დაყოვნებაშია!»]. დ-რ ფარემ კიდევ უფრო მკაცრად გამოთქვა ეს აზრი: «კანონმდებლობა ერთნიარად აუსილებელია ნაადრევი სიკვდილის თავიდან ასაცილებლად, სულ ერთია, რა ფორმებშიც უნდა ხდებოდეს მისი გამოწვევა, ეს წესი კი (საფაბრიკო წესი), უეჭველია, მიჩნეულ უნდა იქნას მისი გამოწვევის ერთ-ერთ ყველაზე უფრო უსაშინელეს წესად»¹³⁵. იმავე «რეფორმირებულმა» პარლამენტმა, რომელმაც ბატონი მეფაბრიკეებისადმი გამოჩენილი გულჩვილობის გამო 13 წლისაზე უმცროსი ბავშვები კიდევ მრავალი წლობით მოამწყვდია კვირეულად სამოცდათორმეტსაათიან საფაბრიკო შრომის ჯოჯოხეთში, პირიქით, საემანსიპაციო აქტით, რომელიც თავისუფლებას აგრეთვე წვეთ-წვეთად იძლეოდა, აუკრძალა პლანტატორებს აეძულებინათ ამიერიდან რომელიმე ზანგი-მონა 45 საათზე მეტი ემუშავნა კვირაში!

მაგრამ კაპიტალმა, რომელიც ამას სრულიად ვერ შეურიგდა, ახლა დაიწყო მყვირალა აგიტაცია, რაც რამდენიმე წელს გაგრძელდა. ეს აგიტაცია ეხებოდა უმთავრესად ასაკის იმ კატეგორიებს, რომელთაც ბავშვების სახელწოდებით უნდა ემუშავნათ არა უმეტეს რვა საათისა და რომელთათვის შემოღებულ იქნა ერთგვარი სავალდებულო სწავლება. კაპიტალისტური ანთროპოლოგიის თანახმად, ბავშვის ასაკი მეთექვსმეტე წელს ან, თუ გნებავთ, მეთერთმეტე წელს თავდება. რაც უფრო ახლოვდებოდა საფაბრიკო აქტის სრული განხორციელების ვადა, საბედისწერო 1836 წელი, მით უფრო გაშმაგებულად ბორგავდა მეფაბრიკეთა ხროვა. მან მართლაც მოახერხა იმდენად დაეშინებინა მთავრობა, რომ ამ უკანასკნელმა 1835 წელს წინადადება შეიტანა დაეყვანათ ბავშვის ასაკი 13 წლიდან 12 წელზე. ამასთანავე იზრდებოდა და საშიშ ხასიათს იღებდა pressure from without [დაწოლა გარედან]. თემთა პალატას აღარ ეყო გამბედაობა. მან უარი განაცხადა გადაესროლა 13 წლის ბავშვები კაპიტალის ჯაგერნაუტის ეტლის ქვეშ 8 საათზე უფრო ხანგრძლივად დღეში, და 1833 წლის აქტი საეხებით ძალაში შევიდა. იგი უცვლელი დარჩა 1844 წლის ივნისამდე.

¹³⁵ «Legislation is equally necessary for the prevention of death, in any form in which it can be prematurely inflicted, and certainly this must be viewed as a most cruel mode of inflicting it» [«Report of the select Committee on the Bill to regulate the Labour of Children in the Mills and Factories». London 1831 — 1832, გვ. 602].

იმ ათი წლის განმავლობაში, როდესაც ეს კანონი ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ კი მთლიანად აწესრიგებდა საფაბრიკო შრომას, ფაბრიკის ინსპექტორების ოფიციალური ანგარიშები სავსეა საჩივრებით ამ კანონის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ. რადგან 1833 წლის კანონი სწორედ კაპიტალის ბატონ-პატრონებს აძლევდა ნებას 15 საათის ფარგლებში — დილის 5 $\frac{1}{2}$ საათიდან საღამოს 8 $\frac{1}{2}$ საათამდე — თვითონვე განესაზღვრათ ის დრო, როდესაც ყოველ «მოზარდსა» და ყოველ «ბავშვსა» უნდა დაეწყო, შეეწყვიტა და დაემთავრებინა თავისი 12 საათის ან 8 საათის მუშაობა, და აგრეთვე ნებას აძლევდა მათ, რომ სხვადასხვა პირები თავის სხვადასხვა საათი დაენიშნათ საკმლის მისაღებად, — ამიტომ ამ ვაჟბატონებმა მალე მოიგონეს ახალი «Relaissystem», რომლის მიხედვითაც მუშა-ცხენები გარკვეულ სადგურებზე კი არ იცვლებიან, არამედ ხელახლა შეიბმებიან შესაცვლელ სადგურებზე. ჩვენ მეტს აღარ შევჩერდებით ამ სისტემის სიმშვენიერებზე, რადგან მას ჩვენ შემდეგ უნდა დავუბრუნდეთ. მაგრამ პირველი შეხედვითაც ცხადია, რომ ამ სისტემამ გააუქმა მთელი საფაბრიკო აქტის არა მარტო სული, არამედ ასო-ანბანიც. რანაირად შეეძლოთ ფაბრიკის ინსპექტორებს ყოველი ცალკეული ბავშვისა და ყოველი მოზარდის მიმართ ასეთი რთული ბუღალტერიის გამოყენების პირობებში აქედლებინათ მეფაბრიკეები დაეცვათ კანონით დაწესებული სამუშაო დრო და დაეწესებინათ კანონიერი შესვენებანი კვებისათვის? ფაბრიკების უმეტეს ნაწილში მალე ისევ დაუსჯელად გამეფდა წინანდელი ვერაგი უხამსობა. შინაგან საქმეთა მინისტრის თანადასწრებით გამართულ თათბირზე (1844 წელს) ფაბრიკის ინსპექტორები ამტკიცებდნენ ყოველგვარი კონტროლის შეუძლებლობას ამ ახლად გამოგონილი Relaissystem-ის პირობებში¹³⁶. მაგრამ, ამავე დროს პირობები ძალზე შეიცვალა. ფაბრიკის მუშებმა, განსაკუთრებით 1838 წლიდან, 10 საათის ბილი თავის ეკონომიურ ღონისძიებად გაიხადეს, ისევე როგორც ქარტია (charter) გაიხადეს მათ თავის პოლიტიკურ ღონისძიებად. თვით მეფაბრიკეთა ერთმა ნაწილმა, რომელმაც ფაბრიკული წარმოება 1833 წლის აქტის მიხედვით მოაწყო, აავსო პარლამენტი მოხსენებებით იმ ღერავ მოძმეთა უზნეო «კონკურენციაზე», რომელთაც უფრო დიდი თავხედობა ან უფრო ხელსაყრელი ადგილობრივი პირობები კანონის დარღვევის ნებას აძლევდა. ამასთანავე, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონოდა ცალკეულ მეფაბრიკეს სრული გასაქანი მიეცა თავისი გაუმადლობისათვის,

¹³⁶ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1849», გვ. 6.

შეფაბრიკეთა კლასის იდეოლოგები და პოლიტიკური ბელადები მას სულ სხვა მოპყრობას და ენას უკარნახებდნენ მუშების მიმართ. მათ დაიწყეს კამპანია პურის კანონების გასაუქმებლად და გამარჯვებისათვის მუშების დახმარებას საჭიროებდნენ! ამიტომ ისინი ალუთქვამდნენ მუშებს არა მარტო პურის ულუფის გაორკეცებას, არამედ 10 საათის ბილის მიღებასაც თავისუფალი ვაჭრობის ათასწლიური სუფევის დროს¹³⁷. მაშასადამე, მით უფრო ნაკლები უფლება ჰქონდათ მათ შებრძობებოდნენ იმ ღონისძიებას, რომელსაც მხოლოდ სინამდვილედ უნდა ექცია 1833 წლის აქტი. ბოლოს, ტორიებმა, რომელთა უწმინდეს ინტერესს, მიწის რენტას, საფრთხე მოევიდნა, ფილანთროპიული ჭეჭა-ჭუხილით გაილაშქრეს თავიანთი მტრების «უსინდისო საქციელის» წინააღმდეგ¹³⁸.

ასე წარმოიშვა 1844 წლის 7 ივნისის დამატებითი საფაბრიკო აქტი. იგი ძალაში შევიდა 1844 წლის 10 სექტემბერს. ეს აქტი მფარველობას უწევს მუშათა ახალ კატეგორიას, სახელდობრ 18 წლისაზე უხნეს ქალებს. ისინი ყოველმხრივ გაუთანასწორეს მოზარდებს, მათი სამუშაო დრო 12 საათით შეზღუდეს, ხოლო ღამით მუშაობა აკრძალეს და სხვა. ამრიგად, ეს პირველად იყო, რომ კანონმდებლობა იძულებული გახდა სრულწლოვანთა შრომისთვისაც უშუალო და ოფიციალური კონტროლი გაეწია. 1844 — 1845 წლების საფაბრიკო ანგარიშში ირონიულად ნათქვამია: «ჩვენს ყურამდე არ მოუღწევია არც ერთ შემთხვევას, რომ მოზრდილ ქალებს ეჩივლათ მათს უფლებებში ამ შეჭრის გამო»¹³⁹. 13 წელზე უმცროსი ბავშვების შრომა დაყვანილ იქნა 6¹/₂ საათამდე, ხოლო გარკვეულ პირობებში — 7 საათამდე დღეში¹⁴⁰.

ყალბი «Relaisystem»-ის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად კანონმა, სხვათა შორის, შემდეგი მნიშვნელოვანი დეტალური წესები შემოიღო: «სამუშაო დღე ბავშვებისა და მოზარდებისათვის იმ დროიდან ითვლება, როდესაც რომელიმე ბავშვი ან მოზარდი დილით ფაბრიკაში მუშაობას იწყებს». ასე რომ, თუ A,

¹³⁷ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848», გვ. 98.

¹³⁸ სხვათა შორის ლეონარდ ჰორნერი ოფიციალურად ხმარობს გამოთქმას «nefarious practices» [უსინდისო საქციელი] («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1859», გვ. 7).

¹³⁹ «Reports etc. for 30th Sept. 1844», გვ. 15.

¹⁴⁰ ეს აქტი ნებას იძლევა ბავშვები გამოიყენონ დღეში 10 საათის განმავლობაში, თუ ისინი ყოველდღე კი არ მუშაობენ, არამედ დღეგამოშვებით. საერთოდ ეს პირობა უშედეგოდ დარჩა.

მაგალითად, დილის 8 საათზე იწყებს მუშაობას და $B - 10$ საათზე, მაშინ B -ს სამუშაო დღეც იმავე საათში უნდა დასრულდეს, როგორც A -სი. სამუშაო დღის დასაწყისი ნაჩვენები უნდა იყოს საჯარო საათით, მაგალითად, უახლოესი რკინიგზის საათით, რომელთანაც შეთანხმებული უნდა იყოს ფაბრიკის ზარი. მეფაბრიკემ უნდა გამოჰკიდოს თავის ქარხანაში მსხვილი ასობით დაბეჭდილი განცხადება, სადაც აღნიშნულია სამუშაო დღის დასაწყისი, დასასრული და შესვენების დრო. ბავშვები, რომელნიც თავიანთ მუშაობას შუადღის 12 საათამდე იწყებენ, ნაშუადღევს 1 საათის შემდეგ აღარ უნდა მუშაობდნენ. ამრიგად, ნაშუადღევს ცვლა სულ სხვა ბავშვებისაგან უნდა შედგებოდეს, ვიდრე დილის ცვლა. $1\frac{1}{2}$ საათი კვებისათვის უნდა ეძლეოდეს კანონის მფარველობაში მყოფ ყველა მუშას დღის ერთსა და იმავე დროს, სულ ცოტა — ერთი საათი ნაშუადღევს 3 საათამდე. ბავშვები ან მოზარდები, რომელნიც შუადღის პირველ საათამდე მუშაობენ, არ უნდა იქნან გამოყენებული 5 საათზე მეტად, თუ მათ არ მიეცათ, სულ ცოტა, ნახევარი საათი დასვენება საქმლის მისაღებად. ბავშვები, მოზარდები ან ქალები საქმლის მიღების დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა რჩებოდნენ ფაბრიკის შენობაში, სადაც რაიმე შრომითი პროცესი წარმოებს, და სხვ.

ჩვენ დავინახეთ: ეს დადგენილებები, რომლებიც ყოველ წვრილმანს შეიცავენ და ასეთი ყაზარმული ერთფეროვნებით აწესრიგებენ სამუშაო დროს, მის საზღვრებსა და შეწყვეტას ზარის მიცემით, სრულიადაც არ წარმოადგენდნენ პარლამენტური ფანტაზიის ნაყოფს. ისინი თანდათანობით ვითარდებოდნენ არსებულ ურთიერთობათა ნიადაგზე როგორც ბუნებრივი კანონები თანამედროვე წარმოების წესისა. მათი ფორმულირება, ოფიციალური აღიარება და გამოცხადება სახელმწიფოს მიერ ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლების ნაყოფი იყო. ყველა ამის უახლოესი შედეგი ის იყო, რომ პრაქტიკამ ფაბრიკის მოზარდილი მუშა-კაცების სამუშაო დღეც იმავე შეზღუდვებს დაუმორჩილა, რადგან წარმოების პროცესთა უმეტეს ნაწილში ბავშვების, მოზარდებისა და ქალების თანამშრომლობა აუცილებელია. ამიტომ საერთოდ და მთლიანად 1844 — 1847 წლების პერიოდში თორმეტსაათიან სამუშაო დღეს საყოველთაოდ და ერთნაირად ჰქონდა ძალა მრეწველობის ყველა დარგში, რომელიც საფაბრიკო კანონმდებლობას ექვემდებარებოდა.

მაგრამ მეფაბრიკენი ასეთ «პროგრესზე» ამნაზღაურებელი «რეგრესის» მიუღებლად როდი დათანხმებულან. მათი მოთხოვნით თერთა პალატამ ფაბრიკაში სამუშაოდ ასაყვანი ბავშვების მინიმალური

ასაკი 9-დან 8 წელზე დაბლა, რათა უზრუნველყო კაპიტალი «საფაბრიკო ბავშვების დამატებითი მიწოდებით», რაც მას ღვთითა და კანონით ეკუთვნოდა¹⁴¹.

1846 — 1847 წლები ინგლისის ეკონომიურ ისტორიაში მთელ ეპოქას შეადგენენ. პურის კანონების გაუქმება, ბამბასა და სხვა ნედლე მასალაზე შემოსატანი ბაჟების გაუქმება, კანონმდებლობის გზისმაჩვენებელ ვარსკვლავად ვაჭრობის თავისუფლების აღიარება! ერთი სიტყვით, დაიწყო ათასწლიური სუფევა. მეორე მხრივ, იმავე წლებში ჩარტისტულმა მოძრაობამ და აგიტაციამ ათი საათის სამუშაო დღის სასარგებლოდ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. შურისძიებით აღსავსე ტორიებში მათ თავიანთი მოკავშირეები პოვეს. მიუხედავად ფანატიკური წინააღმდეგობისა, რომელსაც ეწეოდა თავისუფალი ვაჭრობის ვერაგი ლაშქარი ბრაიტისა და კობდენის მეთაურობით, ათსაათიანი სამუშაო დღის ბილი, რის მიღწევასაც ასე დიდხანს ცდილობდნენ, მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ.

1847 წლის 8 ივნისის ახალი საფაბრიკო აქტი აწესებდა, რომ 1847 წლის 1 ივლისიდან ძალაში შედის «მოზარდების» (13-დან 18 წლამდე) და ყველა მუშა-ქალის სამუშაო დღის წინასწარი შემცირება 11 საათამდე, ხოლო 1848 წლის 1 მაისიდან — მათი სამუშაო დღის საბოლოო განსაზღვრა 10 საათით. სხვა მხრივ ეს აქტი 1833 წლის და 1834 წლის კანონების მხოლოდ შესწორებული დამატება იყო.

კაპიტალმა წინასწარი ლაშქრობა დაიწყო, რათა ხელი შეეშალა 1848 წლის 1 მაისის აქტის სრული განხორციელებისთვის. თანაც თვითონ მუშებს, ვითომდა გამოცდილებით ტკუანასწავლთ, დახმარება უნდა აღმოეჩინათ თავიანთი საკუთარი საქმის კვლავ დანგრევაში. დროც მოხერხებულად იქნა შერჩეული. ჟუნდა გავიხსენოთ, რომ 1846 — 1847 წლების საშინელი კრიზისის გამო ფაბრიკის მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, რადგან მრავალი ფაბრიკა მხოლოდ შემოკლებულად მუშაობდა, ზოგი კი სრულიად გაჩერებული იყო. ამის გამო მუშების საგრძნობი ნაწილი უაღრესად შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ბევრი მათგანი დავალიანებული იყო. ამიტომ საკმაო დარწმუნებით შეიძლება იმის ვარაუდი,

¹⁴¹ რადგან ბავშვების სამუშაო დროის საათების შემცირებას სამუშაოზე ასაყვან ბავშვთა რიცხვის ვადიდება მოჰყვებოდა, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ 8 — 9 წლის ასაკის ბავშვთა დამატებითი მიწოდება გაძლიერებულ მოთხოვნას დაფარავდა («Reports etc. for 30th Sept. 1844», გვ. 13).

რომ ისინი უფრო ხანგრძლივ სამუშაო დროს ამჯობინებდნენ, რათა აენაზღაურებინათ წარსული დანაკლისი, ეგებ ვალიც გადაეხადათ, ან ლომბარდში დაგირავებული თავიანთი ავეჯეულობა დაეხსნათ, ან გაყიდული ნივთების ნაცვლად სხვა შეეძინათ, ანდა ეყიდათ ახალი ტანსაცმელი თავისთვის და თავისი ოჯახისათვის¹⁴². ამ გარემოებათა ბუნებრივი გავლენის გაძლიერებას ბატონი მეფაბრიკენი შეეცადნენ ხელფასის საყოველთაო შემცირებით 10⁰/₆-ის ოდენობით. ეს მოხდა თავისუფალი ვაჭრობის ახალი ხანის, ასე ვთქვათ, კურთხევის სადღესასწაულოდ. შემდეგ, როგორც კი სამუშაო დღე 11 საათამდე იქნა დაყვანილი, ხელფასი კვლავ შემცირდა 8¹/₂⁰/₆-ით, და შემდეგ ორმაგი რაოდენობით იქნა შემცირებული, როგორც კი სამუშაო დღე საბოლოოდ 10 საათამდე იქნა შემოკლებული. ამიტომ ყველგან, სადაც კი ამას გარემოება ხელს უწყობდა, ადგილი ჰქონდა ხელფასის შემცირებას, სულ ცოტა, 25⁰/₆-ით¹⁴³. ასე ხელსაყრელად მომზადებულ პირობებში დაიწყეს აგიტაცია მუშებში 1847 წლის აქტის გასაუქმებლად. ამასთან, არ ერიდებოდნენ მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა და მუქარის არავითარ საშუალებას, მაგრამ სულ ამაოდ. იმ ნახევარი დუჟინი პეტიციის შესახებ, სადაც მუშები «კანონის მიერ მიყენებულ დაჩაგრვაზე» ჩიოდნენ, სიტყვიერი დაკითხვის დროს თვით პეტიციონერები აცხადებდნენ, რომ მათ იძულებით მოაწერიეს ხელი. ისინი მართლა დაჩაგრულნი არიან, მაგრამ არა საფაბრიკო აქტით, არამედ სულ სხვა რამით¹⁴⁴. მაგრამ, თუ მეფაბრიკეებმა ვერ მოახერხეს, რომ მუშები თავიანთი სურვილისამებრ აელაპარაკებინათ, მით უფრო ხმა მალლა გაჰყვიროდნენ თვით ისინი პრესასა და პარლანენტში მუშების სახელით. ფაბრიკის ინსპექტორებს ისინი ახასიათებდნენ როგორც კონვენტის კომისრების მსგავს ადამიანებს, რომელნიც თავიანთ განუხორციელებელ ფანტაზიას ქვეყნიერების გაუმჯობესების შესახებ შეუბრალებლად სწირავდნენ მსხვერპლად

¹⁴² «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848», გვ. 16.

¹⁴³ მე დაჯერდები, რომ იმ ადამიანებს, ვინც 10 შილინგს ღებულობდა კვირაში, დაუქვითეს 1 შილინგი ხელფასის 10⁰/₆-ით საერთო შემცირების გამო, და შემდეგ კიდევ 1 შილინგი და 6 პენსი, სამუშაო დროის შემცირების გამო, — სულ 2 შილინგი და 6 პენსი; მაგრამ მიუხედავად ამისა, უმრავლესობა მაინც მტკიცედ უპერდა მხარს 10 საათის ბილს (იქვე).

¹⁴⁴ «როდესაც პეტიციაზე ხელი მოვაწერე, მე მაშინვე განაცხადე, რომ ამით რაღაც ცუდს ჩავდივარ. — მაშ რატომ მოაწერეთ ხელი? — იმიტომ რომ, თუ უარს ვიტყვოდი, ქუჩაში გამადგდებდნენ. მთხოველი მართლა «დაჩაგრულად» გრძნობდა თავს, მაგრამ არა საფაბრიკო აქტით» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848», გვ. 102).

უბედურ მუშას. მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. ფაბრიკის ინსპექტორმა ლეონარდ ჰორნერმა პირადად და თავისი თანაშემწეების დახმარებით მრავალი მოწმის დაკითხვა მოახდინა ლანკაშირის ფაბრიკებში. დაკითხული მუშების თითქმის 70%/-მა ხმა მისცა 10 საათს, გაცილებით ნაკლებმა პროცენტმა — 11 საათს, ხოლო სრულიად უმნიშვნელო უმცირესობამ — ძველებურ 12 საათს ¹⁴⁵.

მეორე «კეთილმოყოფელი» მანევრი იმაში მდგომარეობდა, რომ სრულ-ასაკოვანი მუშა-კაცები 12 — 15 საათამდე ემუშავებინათ და შემდეგ ეს ფაქტი გამოეცხადებინათ ნამდვილი პროლეტარული სურვილების ჩაუკეთესო გამომხატველად. მაგრამ «შეუბრალებელი» ფაბრიკის ინსპექტორი ლეონარდ ჰორნერი კვლავ თავის ადგილზე გაჩნდა. უმეტესობა იმ მუშებისა, რომელნიც ზეგანაკვეთურ საათებში მუშაობდნენ, აცხადებდა, რომ «ისინი ბევრად ამჯობინებდნენ 10 საათი ემუშავნათ უფრო ნაკლებ ხელფასში, მაგრამ არჩევანი მათ არ ეკუთვნის; მათ შორის იმდენი უმუშევარია და ისე ბევრი მრთველია იძულებული იმუშაოს უბრალო «piecers»-ის [მიმნასკველის] სახით, რომ, თუ ისინი სამუშაო დროის გახანგრძლივებაზე უარს იტყოდნენ, მათ ადგილს მაშინვე სხვები დაიჭერდნენ, ისე რომ მათთვის საკითხი ასე დგას: ან უფრო დიდ ხანს უნდა იმუშაონ, ანდა ქუჩაში დარჩნენ» ¹⁴⁶.

კაპიტალის წინასწარი ლაშქრობა დამარცხებით გათავდა და 1848 წლის 1 მაისს ათი საათის კანონი ძალაში შევიდა. მაგრამ ამასობაში ჩარტისტული პარტიის ფიასკომ, პარტიისა, რომლის ბელადებიც დააპატიმრეს და რომლის ორგანიზაციაც დაშალეს, ინგლისის მუშათა კლასს უკვე თავისი საკუთარი ძალის რწმენა შეურყია. მალე ამის შემდეგ იენისის აჯანყებამ პარიზში და მისმა სისხლში ჩახრჩობამ გააერთიანა, როგორც კონტინენტურ ევროპაში, ისე ინგლისში, გაბატონებული კლასების ყველა ფრაქცია: მიწის მესაკუთრენი და კაპიტალისტები, ბირჟის მგლები და მეწკრილმანეები, პროტექციონისტები და თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი, მთავრობა და

¹⁴⁵ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848», გვ. 17. ჰორნერის ოლქში, ამჟამად, 10 270 მოზრდილი მამაკაცი მუშა იყო დაკითხული 181 ფაბრიკაში. მათ ჩვენებებს შეიძლება გავეცნოთ ფაბრიკის ინსპექციის ნახევარწლის ანგარიშის დამატებაში, რომელიც 1848 წლის ოქტომბრით თავდება. ამ მოწმეთა ჩვენებები სხვა მხრივაც ძვირფას მასალას იძლევიან.

¹⁴⁶ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848». იხ. თვით ლეონარდ ჰორნერის მიერ შეკრებილი ჩვენებები № № 69, 70, 71, 72, 92, 93 და ინსპექტორის თანაშემწის A-ს მიერ შეკრებილი ჩვენებები № № 51, 52, 58, 59, 62. 70 «დამატებაში». ერთმა მეფაბრიკემ თვითონ აღიარა ეს გულახდილად. იხ. იქვე № 265-ის შემდეგ № 14 [გვ. 37].

ოპოზიცია, ხუცები და თავისუფალი მოაზრენი, ახალგაზრდა მეძავი ქალები და მოხუცი მონაზვნები, გააერთიანა საკუთრების, სარწმუნოების, ოჯახისა და საზოგადოების გადარჩენის საერთო ლოზუნგით! მუშათა კლასი გახდა ყველგან შეჩვენებული, დევნილი და იგი დაუქვემდებარეს «loi des suspects»-ს [კანონს საეჭვო პირების წინააღმდეგ]. მაშასადამე, ბატონ მეფაბრიკეებს შეეძლოთ აღარაფერს დარიდებოდნენ. მათ აშკარა ამბოხება მოაწყვეს არა მარტო ათი საათის კანონის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ მთელი კანონმდებლობისა, რომელსაც, 1833 წლიდან დაწყებული, სამუშაო ძალის «თავისუფალი» გამოწოვის რამდენადმე შეზღუდვა ჰქონდა დასახული მიზნად. ეს Proslavery Rebellion-ი [ჯანყი მონობის დასაცავად] იყო მინიატურაში, რომელიც ტარდებოდა ორ წელიწადზე მეტ ხანს ცინიკური მოურიდებლობით და ტერორისტული ენერგიით, და ორივე ეს მით უფრო იდვილი იყო, რომ ამბოხებული კაპიტალისტი ამ შემთხვევაში არაფერს კარგავდა, გარდა თავისი მუშების ტყავისა.

ქვემოაღნიშნულის გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ 1833, 1844 და 1847 წლების საფაბრიკო აქტები — სამივენი ინარჩუნებენ თავიანთ კანონიერ ძალას, რამდენადაც ერთს არ შეაქვს ცვლილება მეორეში, რომ არც ერთი მათგანი არ ზღუდავს 18 წელზე უფროსი მუშა-მამაკაცის სამუშაო დღეს, და რომ 1833 წლიდან 15 საათის პერიოდი, დღის 5 $\frac{1}{2}$ საათიდან საღამოს 8 $\frac{1}{2}$ საათამდე, კანონიერ «დღედ» დარჩა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოთავსებულიყო მოზარდების და ქალების ჯერ 12 საათის, ხოლო შემდეგ 10 საათის შრომა კანონით ნაკარნახევი პირობების საფუძველზე.

მეფაბრიკეებმა იმით დაიწყეს, რომ ზოგიერთ ადგილებში დაითხოვეს მათ მიერ დაქირავებული მოზარდების და ქალების ერთი ნაწილი, ზოგჯერ ნახევარიც კი, და ამის ნაცვლად მათ კვლავ აღადგინეს თითქმის დაიწყებული ღამით მუშაობა მოზარდული მუშა-მამაკაცებისა. 10 საათის კანონი, გაიძახოდნენ ისინი, სხვა გამოსავალს არ იძლევაო!¹⁴⁷.

მეორე ნაბიჯი ეხებოდა კანონით დაწესებულ შესვენებებს საჭმლის მისაღებად. მოვუსმინოთ ფაბრიკის ინსპექტორებს: «სამუშაო დღის 10 საათით შეზღუდვის შემდეგ მეფაბრიკენი ამტკიცებენ, — თუმცა პრაქტიკულად მათ თავიანთი შეხედულებიდან ჯერ კიდევ საბოლოოდ დასკვნა არ გამოჰყავთ, — რომ ისინი საქმაოდ იცავენ კანონს, თუ, მაგალითად, დღლით 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე მუშაობის

¹⁴⁷ 'Reports etc. for 31st October 1848', გვ. 133, 134.

დროს ერთ საათს დილის 9 საათამდე აძლევენ საქმლის მისაღებად, და $1\frac{1}{2}$ საათს საღამოს 7 საათის შემდეგ, მაშასადამე, სულ $1\frac{1}{2}$ საათს. ზოგიერთ შემთხვევაში ახლა ნახევარ საათს და ხან ერთ საათსაც აძლევენ სასაღილოდ, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ისინი სრულიად ვალდებული არ არიან ამ $1\frac{1}{2}$ საათის რაიმე ნაწილი ათი საათის სამუშაო დღის ფარგალში მოათავსონ¹⁴⁸. მაშასადამე, ბატონი მეფაბრიკენი ამტკიცებდნენ, რომ 1844 წლის აქტის პედანტურად ზუსტი დადგენილებანი საქმლის მისაღებად განკუთვნილი დროის შესახებ ნებას რთავენ მუშებს მხოლოდ ფაბრიკაში შესვლის წინ და ფაბრიკიდან გასვლის შემდეგ, ე. ი. თავიანთ სახლში ჭამონ და სვან! მართლაც და, რატომ არ უნდა ისაღილონ მუშებმა დილის 9 საათამდე? მაგრამ მეფის იურისტებმა გადაწყვიტეს, რომ კანონით დაწესებული დრო საქმლის მისაღებად მუშებს უნდა ეძლეოდეს ნამდვილი სამუშაო დღის შესვენებებში, და რომ ზედიზედ 10 საათის განუწყვეტელი მუშაობა — დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე — უკანონოა¹⁴⁹.

ამ შვიდობიანი დემონსტრაციების შემდეგ კაპიტალმა თავისი ჯანყის დასაწყებად გადადგა ნაბიჯი, რომელიც 1844 წლის კანონის ასო-ანბანს შეეფერებოდა და, მაშასადამე, ლეგალური იყო.

რასაკვირველია, 1844 წლის კანონი უკრძალავდა მუშაობის განახლებას ნაშუადღევის 1 საათის შემდეგ 8 — 13 წლის ბავშვებს, რომელნიც შუადღის 12 საათამდე მუშაობდნენ. მაგრამ ეს კანონი სრულიად არ აწესრიგებდა იმ ბავშვების ექვსაათნახევრიან შრომას, რომელთა სამუშაო დრო შუადღის 12 საათზე ან უფრო გვიან იწყებოდა! ამიტომ 8 წლის ბავშვები, თუ ისინი შუადღის 12 საათზე იწყებდნენ მუშაობას, შეიძლებოდა 12-დან 1 საათამდე გამოეყენებინათ, ე. ი. 1 საათით, ნაშუადღევის 2 საათიდან 4 საათამდე — 2 საათით და 5 საათიდან საღამოს $8\frac{1}{2}$ საათამდე — $3\frac{1}{2}$ საათით, ე. ი. სულ კანონით დაწესებული $6\frac{1}{2}$ საათით! ან კიდევ უკეთ: იმისათვის, რომ ბავშვთა შრომის გამოყენება შეეფარდებინათ სრულასაკოვანი მუშა-კაცების შრომისათვის საღამოს $8\frac{1}{2}$ საათამდე, საკმარისი იყო მეფაბრიკეებს არ მიეცათ მათთვის არავითარი სამუშაო ნაშუადღევის 2 საათამდე და ამით განუწყვეტლივ დაეკავებინათ ისინი ფაბრიკაში საღამოს $8\frac{1}{2}$ საათამდე! ახლა უკვე გარკვევით აღიარებენ, რომ ამ ბოლო დროს, იმის გამო რომ მეფაბრიკეებს გაუმიძღარი

¹⁴⁸ «Reports etc. for 30th April 1848», გვ. 47.

¹⁴⁹ «Reports etc. for 31st October» 1848», გვ. 130.

სურვილი აქვთ თავიანთი მანქანები 10 საათზე მეტ ხანს ამუშაონ, — ინგლისში დამყარდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ორივე სქესის 8 — 13 წლის ბავშვებს ფაბრიკიდან ყველა მოზარდისა და ქალის წასვლის შემდეგ, მარტო ასაკოვან მამაკაცებთან ერთად ამუშავენ სალამოს 8 1/2 საათამდე¹⁵⁰. მუშები და ფაბრიკის ინსპექტორები ჰიგიენური და მორალური მოსაზრებებით პროტესტს აცხადებდნენ. მაგრამ კაპიტალი უპასუხებდა:

«დაე ჩემ მიერ ჩადენილი საქმე
მე დამაწვეს თავზე! მე ჩემს უფლებას ვეძიებ!
მე მოვითხოვ კანონიერ სამართალს
და ჩემი თამასუქების განაღდებას!»

მართლაც, იმ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომლებიც 1850 წლის 26 ივლისს წარედგინა თემთა პალატას, 1850 წლის 15 ივლისს 275 ფაბრიკაში, მიუხედავად ყველა პროტესტისა, 3 742 ბავშვი ექვემდებარებოდა ამ «პრაქტიკას»¹⁵¹. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა! კაპიტალის გაუმძღვარმა თვალმა აღმოაჩინა, რომ 1844 წლის აქტი ნებას რთავს შუადღის წინ 5 საათის მუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება დასვენებას 30 წუთით მაინც, მაგრამ ეს კანონი ნაშუადღევის მუშაობის შესახებ ამის მსგავსს არაფერს აწესებს. ამიტომ კაპიტალმა მოითხოვა და მიიღწია კიდევ იმ ბედნიერებას, რომ 8 წლის ბავშვებს არა მარტო ამუშაებდა მძიმე პირობებში, არამედ აშიმშილებდა კიდევ განუწყვეტლევ ნაშუადღევს 2 საათიდან სალამოს 8 1/2 საათამდე!

«დიახ, გული, ასეა ნათქვამი ხელწერილში»¹⁵².

¹⁵⁰ «Reports etc. for 31st October 1848», გვ. 142.

¹⁵¹ «Reports etc. for 31st October 1850», გვ. 5, 6.

¹⁵² კაპიტალის ბუნება იგივე რჩება როგორც მის განუვითარებელ, ისე განვითარებულ ფორმებში. კანონთა კრებულში, რომელიც ნაკარნახევი იყო ამერიკის სამოქალაქო ომის დაწყებამდე ცოტა ადრე მონათმფლობელების ბატონობით ახალი მექსიკის ტერიტორიაზე, ნათქვამია: მუშა, რაკი კაპიტალისტმა მისი სამუშაო ძალა იყიდა, «მისი (კაპიტალისტის) ფულია» («The labourer is his (the capitalist's) money»). იგივე შეხედულება გავრცელებული იყო რომის პატრიციებს შორის. მათ მიერ მოვალე-პლებიზე სესხად გაცემული ფული საარსებო საშუალებათა მეშვეობით ამ მოვალის ხორცად და სისხლად იქცეოდა. მაშასადამე, ეს «ხორცი და სისხლი», «მათი ფული» იყო. აქედან წარმოდგა შეილოკისებური ათი დაფის კანონი! ლენგეს მიპოთეზა იმის შესახებ, თითქოს კრედიტორი-პატრიციები ტიბრის გაღმა მხარეს დროგამოშვებით ნადიმს მართაკდნენ მოვალეების მოხარშული ზორციით, ისევე საეჭვო რჩება, როგორც დაუმურის ჰიპოთეზა ქრისტიანული ზიარების შესახებ.

მაგრამ 1844 წლის კანონის ასო-ანბანის ამ შეილოკისებურ ჩაბლაუქებას, რამდენადაც ეს კანონი ბავშვების შრომას აწესრიგებს, უნდა მოემზადებინა მხოლოდ აშკარა ჯანყი იმავე კანონის წინააღმდეგ, რამდენადაც იგი «მოზარდებისა და ქალების» შრომას აწესრიგებს. გავიხსენოთ, რომ ამ კანონის მთავარ მიზანს და შინაარსს «ყალბი Relaissystem»-ის გაუქმება შეადგენს. მეფაბრიკებმა თავიანთი ჯანყი უბრალო განცხადებით დაიწყეს: 1844 წლის აქტის მუხლები, რომელნიც კრძალავდნენ მოზარდებისა და ქალების შრომის ნებისმიერ გამოყენებას 15 საათის საფაბრიკო დღის ნებისმიერად მოკლე შუალედებში, «შედარებით უვნებელი (comparatively harmless) იყო მანამდე, სანამ სამუშაო დრო 12 საათით იყო განსაზღვრული. მაგრამ ათსაათიანი სამუშაო დღის კანონის არსებობის დროს იგივე მუხლები აუტანელ უსამართლობას (hardship) წარმოადგენენ»¹⁵³. ამიტომ მათ სრულიად გულგრილად განუცხადეს ინსპექტორებს, რომ კანონის ასო-ანბანს ისინი ყურადღებას არ მიაქცევდნენ და თავიანთი საკუთარი ნებით კვლავ ძველ სისტემას შემოიღებდნენ¹⁵⁴. ეს თვითონ მუშებისთვის, რომელნიც ცუდი რჩევით შეცდომაში არიან შეყვანილი, სასარგებლო იქნება, რადგან ჟუფრო მალალი ხელფასის მიცემის საშუალებას იძლევა». ეს ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ ათი საათის კანონის დროს შენარჩუნებულ იქნას დიდი ბრიტანეთის სამრეწველო ბატონობა»¹⁵⁵. «შიიძლება Relaissystem-ის დროს ცოტა ძნელი იყოს კანონის დარღვევათა აღმოჩენა, მაგრამ მერე რა? (what of that?) განა შიიძლება ამ ქვეყნის დიდი სამრეწველო ინტერესები მეორეხარისხოვან საგნად მივიჩნიოთ იმისთვის, რომ ფაბრიკის ინსპექტორებს და მათს თანაშემწეებს ოდნავ შეუშლუბუქდეს ჯაფა (some little trouble)?»¹⁵⁶.

ყველა ამ ფანდმა, რა თქმა უნდა, ვერაფერი გააწყო. ფაბრიკის ინსპექტორები სასამართლოს მიმართავდნენ. მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრს, სერ ჯორჯ გრეის, მალე მეფაბრიკეთა პეტიციების ისეთი გროვა მოაწყდა, რომ 1848 წლის 5 აგვისტოს ცირკულარით მან მითითება მისცა ინსპექტორებს «არ გამოედევნონ საერთოდ აქტის ფორმალურ დარღვევას, ვიდრე დამტკიცებული არ იქნება, რომ Relaissystem-ით ბოროტად სარგებლობენ და მოზარდებს და ქალებს

¹⁵³ «Reports etc. for 30th April 1848», გვ. 28.

¹⁵⁴ ასე განაცხადა, სხვებთან ერთად, ფილანტროპმა ეშვორტმაც თავის საზიხლარ კვატრულ წერილში ლეონარდ ჰორნერისადმი («Reports etc. April 1849», გვ. 4).

¹⁵⁵ «Reports etc. for 31st October 1848», გვ. 138.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 140.

10 საათზე მეტს ამუშავებენა. ამის შემდეგ ფაბრიკის ინსპექტორმა ჯ. სტიუარტმა ნება დართო შემოეღოთ ეგრეთწოდებული შენაცვლების სისტემა საფაბრიკო დღის ხუთმეტი საათის პერიოდში მთელს შოტლანდიაში, სადაც ეს სისტემა მალე ისევ ძველებურად აყვავდა. ინგლისელმა ფაბრიკის ინსპექტორებმა, პირიქით, განაცხადეს, რომ მინისტრს არა აქვს კანონების შეჩერების დიქტატორული უფლება და კვლავ განაგრძობდნენ სასამართლოს წესით proslavery rebels-ის [მონობის დამცველ მემბოხეთა] დევნას.

მაგრამ, რა აზრი ჰქონდა სასამართლოს წინაშე საჩივრის აღძვრას, რაკი სასამართლონი, county magistrates¹⁵⁷, ყველას ამართლებდნენ? ამ სასამართლოებში მოსამართლეებად ბატონი მეფაბრიკენი იხდნენ და თავიანთ თავს თვითონ ასამართლებდნენ. აი ერთი მაგალითი. ვინმე ესკრიჯმა, ბამბის სართავი ფირმიდან — კერზო, ლიზ და კომპ. — თავისი ოლქის ფაბრიკის ინსპექტორს წარუდგინა საკუთარი ფაბრიკისთვის განზრახული Relaissystem-ის გეგმა. უარის მიღების შემდეგ იგი ჯერ გაჩუმებული იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ერთი პიროვნება, სახელად რობინზონი, აგრეთვე მეფაბრიკე-ბამბისმრთველი და, თუ პარასკევა არა, ყოველ შემთხვევაში ნათესავი მაინც ესკრიჯისა, წარდგა მომრიგებელი მოსამართლის წინაშე სტოკპორტში იმის გამო, რომ მან შემოიღო შენაცვლების ისეთივე სისტემა, როგორც ესკრიჯმა გამოიგონა. სხდომას დაესწრო 4 მოსამართლე, მათ შორის 3 მეფაბრიკე-ბამბისმრთველი ისევ იმავე უცილობელი ესკრიჯის მეთაურობით. ესკრიჯმა გაამართლა რობინზონი და განაცხადა, რომ ის, რაც რობინზონისთვის კანონიერია, სამართლიანია აგრეთვე ესკრიჯისთვისაც. ეს უკანასკნელი დაეყრდნო თავის საკუთარ კანონის ძალის მქონე გადაწყვეტილებას და დაუყოვნებლივ შემოიღო ეს სისტემა თავის საკუთარ ფაბრიკაში¹⁵⁸. რასაკვირველია, უკვე ამ სასამართლოთა შემადგენლობა კანონის აშკარა დარღვევა იყო¹⁵⁹. ესასამართლოს ამგვარი ფანდები, — ამბობს ინსპექტორი

¹⁵⁷ ეს «county magistrates», «great unpaid» [უჯამაგრო დიდებულნი], როგორც მათ ვ. კობიტი უწოდებს, მოგვაგონებენ ერთგვარ უჯამაგრო მომრიგებელ მოსამართლეებს, რომელთაც საგრაფოების საპატიო პირთაგან ნიშნავენ. სინამდვილეში ისინი გაბატონებულ კლასთა პატრიმონიალურ სასამართლოებს წარმოადგენენ.

¹⁵⁸ «Reports etc. for 30th April 1849», გვ. 21, 22. შეად. მსგავსი მაგალითები, იქვე, გვ. 4, 5.

¹⁵⁹ ვილიამ IV-ის 1 და 2 კანონის ძალით, § 24, გვ. 10, რომელიც სერ ჯონ ჰობსპუზის საფაბრიკო აქტის სახელით არის ცნობილი, აკრძალულია, რომ ბამბის სართავი ან საქსოვი ფაბრიკის პატრონმა, ან მისმა მამამ, შვილმა და ძმამ მომრიგე-

ჰაუელი, — ლაღადებენ, რომ ამას ბოლო უნდა მოეღოს... ორში ერთი: ან კანონი შეუფარდეთ ამ განაჩენებს, ანდა საქმის გარჩევა მიანდვეთ უფრო ნაკლებად მანკიერ ტრიბუნალს, რომელიც თავის გადაწყვეტილებებს კანონს შეუფარდებს... ყველა ამგვარ შემთხვევაში. როგორ სწყურია ყველას ჯამაგირიანი მოსამართლე!»¹⁶⁰.

მეფაბრიკეთა მიერ 1848 წლის აქტის ასეთ განმარტებას მეფის იურისტები უაზრობად აცხადებდნენ, მაგრამ საზოგადოების მხსნელთ ამით თავგზა არ აბნევიათ. «მას შემდეგ, რაც 7 სხვადასხვა სასამართლო ოლქში, — ამბობს ლეონარდ ჰორნერი, — 10 საჩივარი აღძვარი, რათა კანონი იძულებით გამეტარებინა, და მხოლოდ ერთ შემთხვევაში დამიჭირეს მხარი მოსამართლეებმა, ... უსარგებლოდ მიმაჩნია შემდგომი დევნა კანონის გვერდის ახვევის გამო. აქტის ის ნაწილი, რომელიც შედგენილი იყო იმ მიზნით, რომ სამუშაო საათებში ერთფეროვნება შექმნილიყო, ... აღარ არსებობს ლანკაშირში. ამასთან მე და ჩემს თანაშემწეებს არ მოგვეპოვება არავითარი საშუალება დავრწმუნდეთ, რომ იმ ფაბრიკებში, სადაც ეგრეთწოდებული Relaisssystem არის გამეფებული, მოზარდებს და ქალებს 10 საათზე მეტს არ ამუშავენ... 1849 წლის აპრილის დამლევს ჩემს ოლქში უკვე 114 ფაბრიკა მუშაობდა ამ მეთოდით, და მათი რიცხვი ამ უკანასკნელ ხანებში სწრაფად იზრდება. საერთოდ ისინი ახლა 13½ საათს მუშაობენ, დილის 6 საათიდან საღამოს 7½ საათამდე; ზოგიერთ შემთხვევაში კი — 15 საათს, დილის 5½ საათიდან საღამოს 8½ საათამდე»¹⁶¹. უკვე 1848 წლის დეკემბერში ლეონარდ ჰორნერს ხელთ ჰქონდა სია 65 მეფაბრიკის და 29 ფაბრიკის ზედამხედველისა, რომელნიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ ამ Relaisssystem-ის დროს კონტროლის არავითარ სისტემას არ შეუძლია ხელი შეუშალოს უაღრესად ექსტენსიურ გადამეტებულ შრომას¹⁶². ერთი და იგივე ბავშვები და მოზარდები ხან სართავი გაწყოფილებიდან საფეიქროში და სხვ. გადაჰყავთ, ხან-კი 15 საათის განმავლობაში ერთი ფაბრიკიდან მეორეში ერეკებიან (shifted)¹⁶³. რანაირად შეიძლება კონტროლი ვაუწყოთ იმ სისტემას, რომელიც ბოროტად იყენებს სიტყვა შენაცვლებას, რათა დაუსრულებელი ნაირსახეობით

ბელი მოსამართლის მოვალეობა შეასრულოს იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი საფაბრიკო კანონს ეხება. [«Reports etc. for 30th April 1849», გვ. 22, შენიშვნა.]

¹⁶⁰ «Reports etc. for 31th April 1849» [გვ. 22].

¹⁶¹ იქვე, გვ. 5.

¹⁶² «Reportse etc. for 31st October 1849», გვ. 6.

¹⁶³ «Reports etc. for 30th April 1849», გვ. 21.

აუროს ერთმანეთში მუშახელი, როგორც ბანქო, და ისეთნაირად შეცვალოს ყოველდღიურად შრომის და დასვენების საათები სხვადასხვა პირთათვის, რომ არასოდეს მუშახელის ერთი და იგივე სრული ჯგუფი ერთსა და იმავე ადგილას ერთსა და იმავე დროს არ მუშაობდეს!¹⁶⁴

მაგრამ, თუ ნამდვილ გადამეტებულ შრომას სრულიად განზე დაეტოვებთ, ეს ეგრეთწოდებული «Relaissystem» კაპიტალისტური ფანტაზიის ისეთი ნაყოფი იყო, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადააჭარბა ფურიემ «courtes séances» [მოკლე სხდომების] თავის იუმორისტულ ესკიზებში, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შრომის მიმზიდველობა (attraction) აქ გადაქცეულია კაპიტალის მიზიდველობად. ვნახოთ ახლა მეფაბრიკეთა ეს სქემები, რომლებსაც გულკეთილი პრესა აქებდა როგორც ნიმუშს იმისას, «თუ რა შედეგს შეიძლება მიაღწიოს გონივრულმა მზრუნველობამ და მეთოდმა» («what a reasonable degree of care and method can accomplish»). მუშა-პერსონალი ხანდახან 12 — 15 კატეგორიად იყოფოდა და თვით ამ კატეგორიათა შემადგენელი ნაწილები, თავის მხრივ, მუდამ იცვლებოდა. 15 საათის საფაბრიკო დღის პერიოდში კაპიტალი მუშას ხან 30 წუთით მიიზიდავდა და ხან ერთი საათით, შემდეგ ისევ უკუავდებდა მას, რათა კვლავ მიეზიდა იგი ფაბრიკაში და კვლავ გაეგდო იქიდან, და ასე ამ პატარ-პატარა დროის ნაკუწებში აქეთ-იქით არბენინებდა მუშას და არ უშვებდა მას ხელიდან, სანამ 10 საათის შრომას არ შეისრულებდა. ერთი და იგივე პირები, როგორც თეატრის სცენაზე, რიგრიგობით სხვადასხვა აქტის სხვადასხვა სურათში უნდა გამოსულიყვნენ. მაგრამ, როგორც მსახიობი მთელი დრამის განმავლობაში სცენას ეკუთვნის, ასევე მუშებიც ახლა 15 საათის განმავლობაში ფაბრიკას ეკუთვნოდნენ, იმ დროის ჩაუთვლელად, რომელსაც ისინი ფაბრიკაში მისვლა-მოსვლას ანდომებდნენ. ამრიგად, დასვენების საათები იძულებითი უქმად ყოფნის საათებად გადაიქცა, რაც ახალგაზრდა მუშებს სამიკიტროში ერეკებოდა, ხოლო ახალგაზრდა მუშა-ქალებს — საროსკიპოში. ყოველი ახალი გეგმის დროს, რომელსაც კაპიტალისტი ყოველდღე იგონებდა, რათა მისი მანქანები მუშა-პერსონალის გაუღიღებლად 12 — 15 საათის განმავლობაში მოძრაობაში ყოფილიყო, მუშა იძულებული ხდებოდა თავისი კერძი დროის ხან ერთ ნაგლეჯში და ხან მეორეში გადაეყლაპა. ათსაათიანი სამუშაო დღის სასარგებლოდ წარმოებული აგიტაციის დროს

¹⁶⁴ «Reports etc. for 31st October 1848», გვ. 95.

მეფაბრიკენი გაჰყვიროდნენ, მუშათა ბრბოს იმედი აქვს პეტიციების საშუალებით 10 საათის შრომაში 12 საათის ხელფასი მიიღოსო. ახლა მათ მედალი გადააბრუნეს. 10 საათის ხელფასს მეფაბრიკენი იმ სამუშაო ძალაში იხდიდნენ, რომელიც მათს განკარგულებაში 12 და 15 საათის განმავლობაში იყო¹⁶⁵. აი სად იყო ჩამარხული ძალის თავი; ეს იყო ათსაათიანი კანონის მეფაბრიკესეული გამოცემა! ესენი იყვნენ იგივე მირონცხებელი და კაცთმოყვარეობით აღსავსე ფრიტრედერები, რომელნიც პურის ბაყების წინააღმდეგ აკტიაციის დროს მთელი 10 წელიწადი ზედმიწევნით უანგარიშებდნენ მუშებს, რომ პურის თავისუფლად შემოტანის დროს 10 საათის მუშაობა, თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისის მრეწველობის საშუალებებს, სრულიად საკმარისი იქნებოდა კაპიტალისტების გასამდიდრებლად¹⁶⁶.

კაპიტალის ორი წლის ჯანყი, ბოლოს, ინგლისის ერთ-ერთ (ოთხიდან) უმაღლეს სასამართლო დაწესებულების — Court of Exchequer-ის [ხაზინის სასამართლოს] განაჩენით დაგვირგვინდა; ამ სასამართლომ ერთი შემთხვევის გამო 1850 წლის 8 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მართალია მეფაბრიკენი 1844 წლის აქტის დედააზრის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მაგრამ თვით ეს აქტი ზოგიერთ ისეთ სიტყვებს შეიცავს, რომლებიც მას უაზროდ ხდიდნენ. ამ გადაწყვეტილებით 10 საათის კანონი გაუქმებულ იქნა¹⁶⁷. მრავალი მეფაბრიკე, რომელიც აქამდე ვერ ბედავდა Relaisssystem-ის გავრცელებას მოზარდებსა და მუშა-ქალებზე, ახლა ორივე ხელით ჩაებლაუჭა მას¹⁶⁸.

მაგრამ კაპიტალის ამ, თითქოს-და, საბოლოო გამარჯვების შემდეგ საქმე უეცრად სხვანაირად დატრიალდა. მუშები აქამდე პასიურ, თუმცა შეუდრეკელ და ყოველდღიურად განახლებულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. ახლა მათ ხმამაღლა დაიწყეს პროტესტი მუქარით

¹⁶⁵ იხ. «Reports etc. for 30th April 1849», გვ. 6 და «shifting system»-ის [ჯადაჯგუფების სისტემის] ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევიან ფაბრიკის ინსპექტორები ჰუელი და სონდერსი: «Reports etc. for 31st October 1848». იხ. აგრეთვე «shift system»-ის წინააღმდეგ მიმართული პეტიცია, რომელიც ემტონის და მისი მიდამოების სამღველოებამ 1849 წლის გაზაფხულზე დედოფალს მიართვა.

¹⁶⁶ შეად., მაგალითად, R. H. Greg: «The Factory Question and the Ten Hours Bill». (London) 1837.

¹⁶⁷ F. Engels: «Die englische Zehnstundenbill» (ჩემ მიერ გამოცემულ «Neue Rheinische Zeitung»-ში. Politisch-ökonomische Revue». Aprilheft 1850, გვ. 13). იმავე უმაღლესმა სასამართლომ აღმოაჩინა ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ხრიკი, რომელიც მეკობრეების გემთა შეიარაღების წინააღმდეგ მიმართულ კანონს მის სრულ კონტრასტად აქცევდა.

¹⁶⁸ «Reports etc. for 30th April 1850».

სავსე მიტინგებზე ლანკაშირსა და იორკშირში. მაშასადამე, ეგრეთ-წოდებული ვითომდა 10 საათის კანონი უბრალო მოტყუებაა, პარლამენტური თაღლითობაა, იგი არასოდეს არ არსებულა! ფაბრიკის ინსპექტორები დაბეჯითებით აფრთხილებდნენ მთავრობას, კლასობრივმა ანტაგონიზმმა წარმოუდგენელ გამწვავებას მიადწიაო. თვით მეფაბრიკეების ერთი ნაწილი წუწუნებდა: «სასამართლოების ერთიმეორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გამო სრულიად არანორმალური და ანარქიული მდგომარეობაა გამეფებული. იორკშირში ერთი კანონი მოქმედებს, ლანკაშირში — მეორე, იმავე ლანკაშირის რომელიმე სამრევლოში — მესამე და იქვე მეზობლად — სულ სხვა. დიდ ქალაქებში მეფაბრიკეს შეუძლია კანონს გადაუხვიოს, დაბებში კი მეფაბრიკე ვერ პოულობს საჭირო პერსონალს Relaissystem-ის განსახორციელებლად და, მით უფრო, მუშების ერთი ქარხნიდან მეორეში გადასაყვანად და სხვა. სამუშაო ძალის თანაბარი ექსპლოატაცია კი კაპიტალისტების უპირველესი ადამიანური უფლებაა.

ამ პირობებში მეფაბრიკეებსა და მუშებს შორის მოხდა კომპრომისი, რომელმაც პარლამენტის სანქცია მიიღო 1850 წლის 5 აგვისტოს ახალი დამატებითი საფაბრიკო აქტის სახით. «მოზარდებისა და ქალებისთვის» სამუშაო დღე კვირის პირველ ხუთ დღეში 10 საათიდან 10¹/₂ საათამდე გადიდდა, ხოლო შაბათს 7¹/₂ საათით შეიზღუდა. მუშაობა უნდა წარმოებდეს შემდეგ პერიოდში: დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე¹⁶⁹, საათნახევრიანი შესვენებით საჭმლის მისაღებად, ამასთან ეს შესვენება უნდა ეძლეოდეს მუშებს ერთსა და იმავე დროს და 1844 წლის დადგენილებათა თანახმად და სხვა. ამით Relaissystem-ს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო¹⁷⁰. ბავშვთა შრომისთვის ძალაში ღარი 1844 წლის კანონი.

მეფაბრიკეთა ერთმა კატეგორიამ ამ შემთხვევაშიც, როგორც უწინ, უზრუნველყო თავისთვის განსაკუთრებული სენიორალური უფლებები პროლეტართა ბავშვების მიმართ. ესენი აბრეშუმის მეფაბრიკენი იყვნენ. 1833 წელს ისინი მუქარით დმუოდნენ: «თუ მათ თავისუფლებას წაართმევენ — ყველა ასაკის ბავშვი დღეში 10 საათი

¹⁶⁹ ზამთარში ამის ადგილი შეიძლება დაიჭიროს პერიოდმა დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

¹⁷⁰ ახლანდელი კანონი (1850 წლის) იყო კომპრომისი, რომლის მიხედვით მუშებმა უარი განაცხადეს 10 საათიანი დღის კანონის სიკეთეზე, რათა მიეღწიათ იმ უბრატესობისათვის, რომ იმათი მუშაობა, რომელთა შრომაც საერთოდ შეზღუდული იყო, ერთსა და იმავე დროს დაწყებულიყო და ერთსა და იმავე დროს გათავებულიყო («Reports etc. for 30th April 1852», გვ. 14).

ამუშაონ, ამას შედეგად მოჰყვება მათი ფაბრიკების გაჩერება» (if the liberty of working children of any age for 10 hours a day were taken away, it would stop their works). მათთვის, თითქოს, შეუძლებელია 13 წელზე უფროს ბავშვთა საკმაო რიცხვის ყიდვა. მათ ძალით მიაღწიეს სასურველ პრივილეგიას. მეფაბრიკეთა მიერ წამოყენებული საბაბი, როგორც შემდგომი გამოძიებით დადასტურდა, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა¹⁷¹, მაგრამ ამ გარემოებამ მათ ხელი არ შეუშალა და მთელი 10 წლის განმავლობაში დღეში 10 საათი, ისინი აბრეშუმს ახვევდნენ იმ პატარა ბავშვების სისხლიდან, რომელნიც მუშაობის შესასრულებლად სკამებზე უნდა დაეყენებინათ¹⁷². თუმცა 1844 წლის აქტმა «წაართვა» მათ «თავისუფლება», რომ 11 წელზე უმცროსი ბავშვები 6 $\frac{1}{2}$ საათზე მეტ ხანს ემუშავებინათ, მაგრამ ამის ნაცვლად მიანიჭა პრივილეგია — ემუშავებინათ 11 — 13 წლის ბავშვები დღეში 10 საათი და გააუქმა ფაბრიკის სხვა ბავშვებისათვის დაწესებული სავალდებულო სიარული სკოლაში. ამჯერად ასეთი საბაბი იყო წამოყენებული: «ქსოვილის სინაზე თითების სინაზეს მოითხოვს, რის შეძენაც შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ბავშვების ადრე შესვლით ფაბრიკაში»¹⁷³. ნაზი თითების გულისთვის ბავშვებს ხოცავდნენ, როგორც სამხრეთ რუსეთში ხოცავდნენ რქიან პირუტყვს ტყავის და ქონის გულისთვის. ბოლოს, 1844 წელს მინიჭებული პრივილეგიები 1850 წელს მხოლოდ აბრეშუმის საგრებ და სახვევ განყოფილებათათვის დარჩა; მაგრამ ახლა. რათა ზარალი აენაზღაურებინათ კაპიტალისთვის, რომელსაც მისი «თავისუფლება» წაართვეს, 11 — 13 წლის ბავშვების სამუშაო დრო გადიდებულ იქნა 10 საათიდან 10 $\frac{1}{2}$ საათამდე. საბაბი: «აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ფაბრიკებში და ჯანმრთელობისთვისაც სრულიად არ არის იგი ესოდენ მავნებელი»¹⁷⁴. ოფიციალურმა საექიმო გამოკვლევამ დაამტკიცა შემდეგ, რომ, პირიქით, «აბრეშუმის ოლქებში საშუალო სიკვდილიანობის ნორმა განსაკუთრებით მაღალია, ხოლო მოსახლეობის ქალთა ნაწილასთვის ეს ნორმა უფრო მაღალიც კი არის, ვიდრე ლანკაშირის ბამბის ოლქებში»¹⁷⁵. მიუხედავად ფაბრი-

¹⁷¹ «Reports etc. for 30th Sept. 1844», გვ. 13.

¹⁷² იქვე.

¹⁷³ «Reports etc. for 31st October 1846», გვ. 20.

¹⁷⁴ «Reports etc. for 31st October 1861», გვ. 26.

¹⁷⁵ «Reports etc. for 31st October 1861», გვ. 27. საერთოდ ფიზიკური მდგომარეობა მუშა-მოსახლეობისა, რომელზედაც საფაბრიკო კანონი ვრცელდება, ძალიან კაუმჯობესდა. ყველა საექიმო შემოწმება ერთხმად ადასტურებს ამას და ჩემმა საკუ-

კის ინსპექტორების პროტესტებისა, რაც ყოველ ნახევარ წელიწადს მეორდებოდა, ეს უხამსობა დღემდე გრძელდება¹⁷⁶.

1850 წლის კანონმა მხოლოდ «მოზარდებისა და ქალებისათვის» გადააქცია ხუთმეტსაათიანი პერიოდი, დილის 5 1/2 საათიდან საღამოს 8 1/2 საათამდე, თორმეტსაათიან პერიოდად, დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მაშასადამე, ეს კანონი არ შეეხებოდა ბავშვებს, რომელთაც ისევ ამუშავებდნენ 1/2 საათს ამ პერიოდის დაწყებამდე და 2 1/2 საათს მისი დამთავრების შემდეგ, თუმცა მათი მუშაობის საერთო ხანგრძლიობა 6 1/2 საათზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. კანონის ირგვლივ გამართული დისკუსიის დროს ფაბრიკის ინსპექტორებმა წარუდგინეს პარლამენტს ამ ანომალიით გამოწვეულ სამარცხვინო ბოროტმოქმედებათა სტატისტიკური მონაცემები. მაგრამ ამაოდ. მეფაბრიკეთა საიდუმლო ზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ ასაკოვანი

თარმა დაკვირვებამაც, რაც სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის, დამარწმუნა ამაში. ამისდა მიუხედავად, — და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვთა სიკვდილიანობის წარმოუდგენლად მაღალ ნორმას მათი სიცოცხლის პირველ წლებში, — დარ გრინჩაუს ოფიციალური ანგარიშები ცხადყოფენ ჯანმრთელობის არადაამკამყაფილებელ მდგომარეობას საფაბრიკო ოლქებში შედარებით «ნორმალური ჯანმრთელობის მქონე სამიწათმოქმედო ოლქებთან». ამის დასამტკიცებლად მომყავს, სხვათა შორის, შემდეგი ცხრილი მისი 1861 წლის ანგარიშიდან:

პროცენტული ნორმა მრეწველობაში დასაქმებულ ასაკოვანი მამაკაცებისა	სიკვდილიანობა ფილტვების დაავადებით ყოველ 100 000 მამაკაცზე.	ოლქების სახელწოდება	სიკვდილიანობა ფილტვების დაავადებით ყოველ 100 000 ქალზე	პროცენტული ნორმა მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა	ქალების სამუშაო დაოჯი
14,9	598	ვიგანი	644	18,0	ხაზბა
42,6	708	ბლუგერნი	784	84,9	»
87,3	547	პალიფაქსი	664	20,4	მატყელი
41,9	611	ბრედფორდი	603	80,0	»
81,0	691	მეგლსფლდი	804	28,0	აბრეშუმი
14,9	558	ლიკი	705	17,3	»
88,6	721	სტოკ-ჟემონ-ტრენტი	665	19,3	მეთუნეობის ნაკეთობა
80,4	728	ვულსტინრონი	727	18,9	»
—	805	8 საღი სამიწათმოქმედო ოლქი	840	—	—

¹⁷⁶ ცნობილია, თუ რა ყოყმანი თარყვეს ინგლისელმა ფრიტრედერებმა აბრეშუმის მანუფაქტურის მფარველობითი ბაფები. საფრანგეთის იმპორტის წინააღმდეგ მიმართული მფარველობის ადგილს ახლა ინგლისის ფაბრიკის ბავშვების უმფარველობა იჭერს.

მუშების სამუშაო დღე ბავშვების შემწეობით მრეწველობის აყვავების ხანაში ისევ 15 საათამდე გაედიდებინათ. შემდგომი 3 წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი ცდა ასაკოვანი მუშა-კაცების წინააღმდეგობას უნდა დაემსხვრია¹⁷⁷. ამიტომ 1850 წლის აქტი, ბოლოს, 1853 წელს შეესებულ იქნა იმით, რომ აიკრძალა «ბავშვთა შრომის გამოყენება დილით მოზარდების და ქალების მუშაობის დაწყებამდე და საღამოთი მათი მუშაობის გათავების შემდეგ». აქედან დაწყებული, 1850 წლის საფაბრიკო აქტი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, აწესრიგებდა ყველა მუშის სამუშაო დღეს მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც მას ექვემდებარებოდა¹⁷⁸. პირველი საფაბრიკო აქტის გამოქვეყნებიდან ამ დრომდე ნახევარმა საუკუნემ განელო¹⁷⁹.

კანონმდებლობამ თავისი თავდაპირველი სფეროს საზღვრები პირველად 1845 წლის «Printworks' Act»-ით (კანონით ჩითეულის ფაბრიკების და სხვ. შესახებ) გადალახა. უკმაყოფილება, რომლითაც კაპიტალი ამ ახალ «წრეგადასულობას» («Extravaganza») შეურიგდა, კანონის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის! 8 — 13 წლის ბავშვების და აგრეთვე ქალების სამუშაო დღეს იგი 16 საათით ზღუდავს, დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე, და არ იძლევა არავითარ დაკანონებულ შესვენებას საჭმლის მისაღებად. იგი ნებას რთავს, რომ 13 წელზე უფროსი ვაჟები, სურვილისამებრ, მთელი დღე და ღამე

¹⁷⁷ «Reports etc. for 30th April 1853», გვ. 31.

¹⁷⁸ 1859 და 1860 წლებში, ინგლისის ბამბის მრეწველობის უმაღლესი აყვავების ხანაში, ზოგიერთი მეფაბრიკე შეეცადა ზეგანაკეთური დროისთვის ხელფასის მომატებით ანკესზე წამოეგო ასაკოვანი მრთველი მამაკაცები და სხვ. და ამით დაეთანხმებინა ისინი სამუშაო დღის გაგრძელებაზე. ხელით საქსოვ დახვაზე და სელფაქტორზე მომუშავე მრთველებმა ბოლო მოუღეს ამ ცდას თავიანთი დამქირავებლებისადმი პეტრიციის გადაცემით, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: ფულახდილად რომ ვთქვათ, ცხოვრება ჩვენთვის მძიმე ტვირთად გადაიქცა, და სანამ ჩვენ თითქმის ო'ზი დღით კვირაში (20 საათით) უფრო ხანგრძლივად ვართ მიჯაჭვული ფაბრიკაზე, ვიდრე სხვა მუშები, ჩვენ ამ ქვეყანაში თავს ილოტებად ვგრძნობთ, და ვკიცხავთ ჩვენს თავს, რომ ვამარადისებთ სისტემას, რომელიც თვითონ ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლობისათვის ფიზიკურად და ზნეობრივად მავნებელია... ამიტომ სრული პატივისცემით გაუწევბთ, რომ მომავალი ახალი წლის პირველი დღიდანვე არც ერთი წუთით 60 საათზე მეტს არ ვიმუშავებთ კვირაში, 6 საათიდან 6 საათამდე, 1 1/2 საათის კანონიერი შესვენების გამოკლებით» («Reports etc. for 30th April 1860», გვ. 30.)

¹⁷⁹ ამ კანონის დარღვევის იმ საშუალებათა შესახებ, რომელთაც თვით კანონის რედაქცია იძლევა, შეად. პარლამენტის ანგარიში: «Factories Regulation Acts» (1859 წლის 6 ავისტო). და იქვე Leonard Horner-ის: «Suggestions for Amending the Factory Acts to enable the Inspectors to prevent Illegal Working, now become wery prevalent».

კის ინსპექტორების პროტესტებისა, რაც ყოველ ნახევარ წელიწადს მეორდებოდა, ეს უხამსობა დღემდე გრძელდება¹⁷⁶.

1850 წლის კანონმა მხოლოდ «მოზარდებისა და ქალებისათვის» გადააქცია ხუთმეტსაათიანი პერიოდი, დილის 5 1/2 საათიდან საღამოს 8 1/2 საათამდე, თორმეტსაათიან პერიოდად, დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე. მაშასადამე, ეს კანონი არ შეეხებოდა ბავშვებს, რომელთაც ისევ ამუშავებდნენ 1/2 საათს ამ პერიოდის დაწყებამდე და 2 1/2 საათს მისი დამთავრების შემდეგ, თუმცა მათი მუშაობის საერთო ხანგრძლიობა 6 1/2 საათზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. კანონის ირგვლივ გამართული დისკუსიის დროს ფაბრიკის ინსპექტორებმა წარუდგინეს პარლამენტს ამ ანომალიით გამოწვეულ სამარცხვინო ბოროტმოქმედებათა სტატისტიკური მონაცემები. მაგრამ ამოდ. მეფაბრიკეთა საიდუმლო ზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ ასაკოვანი

თარბ დაკვირვებამაც, რაც სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის, დამარწმუნა ამაში. ამისდა მიუხედავად, — და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვთა სიკვდილიანობის წარმოდგენლად მაღალ ნორმას მათი სიცოცხლის პირველ წლებში, — და გრინპაუს ოფიციალური ანგარიშები ცხადყოფენ ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას საფაბრიკო ოლქებში შედარებით «ნორმალური ჯანმრთელობის მქონე სამიწათმოქმედო ოლქებთან». ამის დასამტკიცებლად მომყავს, სხვათა შორის, შემდეგი ცხრილი მისი 1861 წლის ანგარიშიდან:

პროცენტული ნორმა მრეწველობაში დასაქმებული ასაკოვანი მამაკაცებისა	სიკვდილიანობა ფილტვის დაავადებით ყოველ 100 000 მამაკაცზე.	ოლქების სახელწოდება	სიკვდილიანობა ფილტვის დაავადებით ყოველ 100 000 ქალზე	პროცენტული ნორმა მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა	ქალების სამუშაო დარგი
14,9	598	ვიგანი	644	18,0	ბავბა
42,6	708	ბლეხბერნა	734	24,9	»
27,3	547	ქალიდაქსი	564	20,4	მატყელი
41,9	611	ბრედფორდი	603	20,0	»
21,0	691	მეკლსფოლდი	804	22,0	აბრეშუმი
14,9	558	ლიჯი	705	17,2	»
26,6	721	სტოკ-ემონ-ტრენტი	665	19,3	მეოთხეობის ნაკეთობა
20,4	728	ვულსტინრონი	727	18,9	»
—	805	8 სალი საძიწათმოქმედო ოლქი	340	—	—

¹⁷⁶ ცნობილია, თუ რა ყოყმანით უარყვეს ინგლისელმა ფრიტრედერებმა აბრეშუმის მანუფაქტურის მფარველობითი ბაჟები. საფრანგეთის იმპორტის წინააღმდეგ მიმართული მფარველობის ადგილს ახლა ინგლისის ფაბრიკის ბავშვების უმფარველობა იჭერს.

მუშების სამუშაო დღე ბავშვების შემწეობით მრეწველობის აყვავების ხანაში ისევ 15 საათამდე გაედიდებინათ. შემდგომი 3 წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი ცდა ასაკოვანი მუშა-კაცების წინააღმდეგობას უნდა დაემსხვრია¹⁷⁷. ამიტომ 1850 წლის აქტი, ბოლოს, 1853 წელს შევსებულ იქნა იმით, რომ აიკრძალა «ბავშვთა შრომის გამოყენება დილით მოზარდების და ქალების მუშაობის დაწყებამდე და საღამოთი მათი მუშაობის გათავების შემდეგ». აქედან დაწყებული, 1850 წლის საფაბრიკო აქტი, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, აწესრიგებდა ყველა მუშის სამუშაო დღეს მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც მას ექვემდებარებოდა¹⁷⁸. პირველი საფაბრიკო აქტის გამოქვეყნებიდან ამ დრომდე ნახევარმა საუკუნემ განვლო¹⁷⁹.

კანონმდებლობამ თავისი თავდაპირველი სფეროს საზღვრები პირველად 1845 წლის «Printworks' Act'-ით (კანონით ჩითეულის ფაბრიკების და სხვ. შესახებ) გადალახა. უქმაყოფილება, რომლითაც კაპიტალი ამ ახალ «წრეგადასულობას» («Extravaganza») შეურიგდა, კანონის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის! 8 — 13 წლის ბავშვების და აგრეთვე ქალების სამუშაო დღეს იგი 16 საათით ზღუდავს, დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე, და არ იძლევა არავითარ დაკანონებულ შესვენებას საჭმლის მისაღებად. იგი ნებას რთავს, რომ 13 წელზე უფროსი ვაჟები, სურვილისამებრ, მთელი დღე და ღამე

¹⁷⁷ «Reports etc. for 30th April 1853», გვ. 31.

¹⁷⁸ 1859 და 1860 წლებში, ინგლისის ბამბის მრეწველობის უმაღლესი აყვავების ხანაში, ზოგიერთი მეფაბრიკე შეეცადა ზეგანაკეთური დროისთვის ხელფასის მომატებით ანკესზე წამოეგო ასაკოვანი მრთველი მამაკაცები და სხვ. და ამით დაეთანხმებინა ისინი სამუშაო დღის გაგრძელებაზე. ხელით საქსოვ დაზაზე და სელფაქტორზე მომუშავე მრთველებმა ბოლო მოუღეს ამ ცდას თავიანთი დამჭირაველებისადმი პეტრიციის გადაცემით, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: ფულახდილად რომ ვთქვათ, ცხოვრება ჩვენთვის მძიმე ტვირთად გადაიქცა, და სახამ ჩვენ თითქმის ორი დღით კვირაში (20 საათით) უფრო ხანგრძლივად ვართ მიჯაჭვული ფაბრიკაზე, ვიდრე სხვა მუშები, ჩვენ ამ ქვეყანაში თავს ილოტებად ვგრძნობთ, და ვკიცხავთ ჩვენს თავს, რომ ვამარადისებთ სისტემას, რომელიც თვითონ ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლობისათვის ფიზიკურად და ზნეობრივად მავნებელია... ამიტომ სრული პატივისცემით გაუწყებთ, რომ მომავალი ახალი წლის პირველი დღიდანვე არც ერთი წუთით 60 საათზე მეტს არ ვიმუშაებთ კვირაში, 6 საათიდან 6 საათამდე, 1 1/2 საათის კანონიერი შესვენების გამოკლებით» («Reports etc. for 30th April 1860», გვ. 30.)

¹⁷⁹ ამ კანონის დარღვევის იმ საშუალებათა შესახებ, რომელთაც თვით კანონის რედაქტორი იძლევა, შეად. პარლამენტის ანგარიში: «Factories Regulation Acts» (1859 წლის 6 ავისტო). და იქვე Leonard Horner-ის: «Suggestions for Amending the Factory Acts to enable the Inspectors to prevent Illegal Working, now become very prevalent».

დაქანცონ მუშაობით¹⁸⁰. ეს კანონი პარლამენტის უდღეური ნაყოფია¹⁸¹.

მიუხედავად ამისა, პრინციპმა მაინც გაიმარჯვა, როცა მან ეს გამარჯვება მრეწველობის იმ მსხვილ დარგებში მოიპოვა, რომლებიც თანამედროვე წარმოების წესის სპეციფიკურ ქმნილებას შეადგენენ. ამ დარგების გასაოცარმა განვითარებამ 1853 — 1860 წლებში, რასაც უშუალოდ თან ახლდა ფაბრიკის მუშების ფიზიკური და მორალური აღორძინება, ბრძობასაც კი თვალეები აუხილა. თვით მეფაბრიკენი, რომელთაც სამუშაო დღის კანონით შეზღუდვა და რეგულირება ნახევარი საუკუნის სამოქალაქო ომში თანდათანობით გამოგლიჯეს, კვებით მიუთითებდნენ იმ კონტრასტზე, რომელიც არსებობდა მრეწველობის ამ დარგთა და ჯერ კიდევ «თავისუფალ» საექსპლოატაციო დარგთა შორის¹⁸². «პოლიტიკური ეკონომიის» ფარისევლებმა არ დააყოვნეს თავიანთი «მეცნიერების» დამახასიათებელ ახალ მიღწევად გამოეცხადებინათ იმის განჭვრეტა, რომ საკანონმდებლო გზით სამუშაო დღის რეგულირება აუცილებელი მოვლენაა¹⁸³. ადვილი გასაგებია, რომ მას შემდეგ, რაც ფაბრიკის მაგნატებმა ქედი მოიხარეს გარდუვალობის წინაშე და შეურიგდნენ მას, კაპიტალის წინააღმდეგობის უნარი თანდათან სუსტდებოდა, ხოლო ამავე დროს იზრდებოდა მუშათა კლასის შეტევითი ძალა მისი მოკავშირეების რიცხვთან ერთად საზოგადოების იმ ფენებში, რომელნიც ამ ბრძოლით არ იყვნენ უშუალოდ დაინტერესებულნი. ამით აიხსნება შედარებით სწრაფი პროგრესი 1860 წლის შემდეგ.

სამღებროები და სამთეთრებლოები¹⁸⁴ დაუქვემდებარეს 1850 წლის საფაბრიკო აქტს 1860 წელს, ხოლო მაქმანისა და წინდის

¹⁸⁰ უკანასკნელ ნახევარწელს (1857) 8 წლის ბავშვებს და მათზე უფროსებს ნამდვილად 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე ტანჯავდნენ მუშაობით ჩემს ოლქში» («Reports etc. for 31st October 1857», გვ. 39).

¹⁸¹ «Printworks' Act-ი [კანონი ჩითულის ფაბრიკების შესახებ] უვარგისად არის აღიარებული როგორც აღმზრდელობის, ისე შრომის დაცვის წესების მხრივ» («Reports etc. for 31st October 1862», გვ. 52).

¹⁸² ამას ამბობს, მაგალითად, ე. პოტერი 1863 წლის 24 მარტის «Times»-ში მოთავსებულ წერილში. «Times»-ი მოაჯონებს მას მეფაბრიკეთა ჯანყს 10 საათის კანონის წინააღმდეგ.

¹⁸³ ამას ამბობდა, სხვათა შორის, ბ-ნი ე. ნიუმარჩი, თანამშრომელი და გამომცემელი ტუკის «History of Prices»-ისა. ნუთუ მეცნიერული პროგრესი ეწოდება მხდალ დათმობებს საზოგადოებრივი ახრის წინაშე?

¹⁸⁴ 1860 წელს გამოცემული აქტი სამთეთრებლოების და სამღებროების შესახებ აწესებს, რომ სამუშაო დღე 1861 წლის 1 აგვისტოს წინასწარ შემცირებული იქნება 12 საათამდე, ხოლო 1862 წლის 1 აგვისტოს საბოლოოდ შემცირდება 10 საათამდე,

ფაბრიკები — 1861 წელს. «ბავშვთა შრომის კომისიის» მიერ (1863 წელს) გამოქვეყნებულ პირველ ანგარიშს შედეგად ის მოჰყვა, რომ იგივე ბედი ეწია ყველა თიხის ნაწარმის (და არა მარტო მეთუნეობის) მანუფაქტურას, ასანთის, ფისტონის, ვაზნის, შპალერის ფაბრიკას, ბამბის ხავერდის (fustian cutting) დამზადებას და მრავალრიცხოვან პროცესებს, რომელთაც საერთოდ «finishing»-ი (საბოლოო აპრეტურა) ეწოდება. 1863 წელს «სამთეთრებლოები ღია ჰაერზე»¹⁸⁵ და

ე. ი. 10 1/2 საათამდე საქმის დღეებში და 7 1/2 საათამდე შაბათობით. მაგრამ როდესაც დადგა საბედისწერო 1862 წელი, კვლავ გამეორდა ძველი ფარსი. ბატონმა მეფაბრიკეებმა პეტიციით მიმართეს პარლამენტს, რომ მხოლოდ ერთ წელიწადს კიდევ მოეთმინათ მოხარდებისა და ქალების თორმეტი საათის შრომა... «მრეწველობის» დღეიანდელ პირობებში (ბამბის შიმშილის დროს) ფრიად ხელსაყრელია მუშებისთვის, თუ მათ ნებას დართავენ დღეში 12 საათი იმუშაონ და, ამრიგად, რაც შეიძლება მეტი ხელფასი მიიღონ... უკვე მოხერხდა ამ შინაარსის შესაბამისად შედგენილი ბილის შეტანა თემთა პალატაში. იგი უარყოფილ იქნა შოტლანდიის სამთეთრებლო საწარმთა მუშების აგიტაციის გამო» («Reports etc. for 31st October 1862», გვ. 14 — 15). ამრიგად, თვით იმ მუშების მიერ დამარცხებულმა კაპიტალმა, რომელთა სახელითაც ის ჩემულობდა ლაპარაკს, ახლა იურიდიული სათვალეების საშუალებით აღმოაჩინა რომ 1860 წლის აქტი, რომელიც, «შრომის დაცვის» ყველა საპარლამენტო აქტის მსგავსად, აზრის მხრივ ბუნდოვნად იყო შედგენილი, საბაბს იძლეოდა არ გავრცელებინათ მისი მოქმედება ეგრეთწოდებულ «calenderers»-ზე [მწებავებზე] და «finishers»-ზე [საბოლოოდ გამოწყვანებზე]. ინგლისის იურისდიქციამ, კაპიტალის ამ მარად ყურმოკრილმა მონამ «Common Pleas»-ის [სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება] სახით დაადასტურა ეს ხრიკიანობა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში და მეტად სამწუხაროა, რომ კანონმდებლობის ნათელი განზრახვა ბათილდება სიტყვების ბუნდოვანი განმარტების საბაბით» (იქვე, გვ. 18).

¹⁸⁵ «ღია ჰაერზე» არსებული სამთეთრებლოების პატარონებმა თავი დააღწიეს 1860 წლის კანონს «სამთეთრებლოების» შესახებ ყალბი განცხადებით, ვითომც ისინი ღამით ქალებს არ ამუშავებდნენ. ეს სიყალბე გამოააშკარავეს ფაბრიკის ინსპექტორებმა, იმავე დროს კი მუშების პეტიციებმა გააქარწყლეს პარლამენტის იდილიური წარმოდგენანი «ღია ჰაერზე» აგებული სამთეთრებლოების შესახებ. ამ ჰაეროვან სამთეთრებლოებში მოწყობილია საშრობი ოთახები, სადაც ტემპერატურა 90 — 100 გრადუსამდე აღწევს ფარენჰაიტით [32 — 38 გრადუსი ცელსიუსით] და სადაც უმთავრესად ქალიშვილები მუშაობენ. «cooling» (გაგრილება) — ტექნიკური გამოთქმაა, რომლითაც აღნიშნავენ ამ საშრობი ოთახიდან შემთხვევით სუფთა ჰაერზე გამოსვლას. საშრობ ოთახში 15 ქალიშვილია; სიცხე 80 — 90 გრადუსია [27 — 32 ცელსიუსით] ტილოსთვის, ხოლო 100 გრადუსი [38 გრადუსი ცელსიუსით] და მეტი — ბატისტისთვის. 12 ქალიშვილი აუთოებს და ჰკეცავს (ბატისტს და სხვ.) პატარა ოთახში, დაახლოებით 10 კვადრატული ფუტის სივრცისა, დახშული ღუმელით შუაში. ქალიშვილები დგანან ღუმელის გარშემო, რომელიც საშინელ სიცხეს უშვებს და სწრაფად აშრობს ბატისტს, რომელსაც დასაუთოებლად ქალიშვილები ღებულობენ. საათების რიცხვი ამ «ხელებისთვის» შეუზღუდველია. თუ საქმე

სახაბაზოები დაუქვემდებარეს განსაკუთრებულ აქტებს, რომელთაგან პირველი, სხვათა შორის, აკრძალულად აცხადებს ბავშვების, მოზარდებისა და ქალების ღამით მუშაობას (სალამოს 8 საათიდან დილის 6 საათამდე), ხოლო მეორე — 18 წელზე უმცროსი ხაბაზი-ქარგლების გამოყენებას სალამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე. ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ზემოდასახელებული კომისიის შემდგომ წინადადებებს, რომელნიც «თავისუფლების» წართმევით ემუქრებიან ინგლისის მრეწველობის ყველა მთავარ დარგს, მიწათმოქმედების, სამთამადნო საქმისა და ტრანსპორტის მრეწველობის გამოკლებით^{185a}.

ბევრია, ისინი რამდენიმე დღე ზედიზედ ღამის 9 ან 12 საათამდე მუშაობენ» (*Reports etc. for 31st October 1862*, გვ. 56). ერთი ექიმი აცხადებს: «გასაგრილებლად განსაკუთრებული საათები არ არის განკუთვნილი, მაგრამ თუ ტემპერატურა მეტისმეტად აუტანელი ხდება, ან თუ მუშა-ქალებს ხელები ოფლით ესვრებათ, მათ ნება ეძლევათ ორიოდე წუთით გარეთ გავიდნენ... ამ მუშა-ქალების დაავადებათა მყუანლობის დროს ჩემ მიერ მიღებული გამოცდილება მაიძულებს დაავადებულთა ის ფაქტი, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე ბამბისმრთველი მუშა-ქალებისა (კაპიტალი კი პარლამენტისადმი მიმართულ პეტრიციებში მათ, რუბენსის მსგავსად, ჯანდონით საესედ ხატავდა!). ყველაზე გავრცელებული დაავადება მათში შემდეგი იყო: ჭლეკი, ბრონქიტი, საშვილოსნოს დაავადება, ისტერია უსაშინელესი ფორმით და რევმატიზმი. ყველა ამ დაავადებას იწვევს, როგორც მე ვფიქრობ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მათი სამუშაო ოთახების უარესად ცხელი ჰაერი და ის გარემოება, რომ მათ არა აქვთ საკმარისი თბილი ტანისამოსი, რათა თავი დაიკვან ცივი და ნესტიანი ატმოსფეროსაგან ზამთრის თვეებში შინ დაბრუნების დროს» (იქვე, გვ. 56, 57). 1863 წლის კანონის შესახებ, რომელიც შემდეგ ძალით გამოგლიჯეს «ღია ჰაერზე» არსებული სამთეარებლობების მხიაზულ პატრონებს, ფაბრიკის ინსპექტორები შენიშნავენ: «ეს აქტი სრულიად არ უწყევს მუშებს იმ მფარველობას, რაც მან თითქოს უნდა აღმოუჩინოს მათ... იგი ისეა ფორმულირებული, რომ ეს მფარველობა მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც ბავშვებს ან ქალებს სალამოს 8 საათის შემდეგ წააწყდებიან ხოლმე სამუშაოზე; და ასეთ შემთხვევაშიც კი ამ კანონით დაწესებული მეთოდი დასაბუთებისა ისეთი ხრიკებით არის შეზავებული, რომ საეჭვოა დამნაშავეის დასჯა მოხდეს» (იქვე, გვ. 52). «ეს აქტი, როგორც აქტი, რომელიც ჰუმანური და აღმზრდელობითის მიზნებს ისახავს, სრულიად უპარგისია. არ მგონია ჰუმანური საქმიანი ეწოდებოდეს იმას, როდესაც ბავშვებს და ქალებს ნებას აძლევენ, ან, რაც იგივეა, აიძულებენ 14 საათი იმუშაონ დღეში და შეიძლება მეტიც, საკმლის მისაღები დროს მიცემით, ხან უიმისოდ, — როგორც შეხედებათ — ასაკისა და სქესის განურჩევლად და იმ ოჯახთა საზოგადოებრივი ხნე-ჩვეულებების მხედველობაში მიუღებლად, რომელნიც სამთეარებლო სახელოსნოების მეზობლად იმყოფებიან» (*Reports etc. for 30th April 1863*, გვ. 40).

^{185a} * შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. 1866 წლის შემდეგ, როდესაც მეტქსტილი აღნიშნულ სტრიქონებს ეწერდი, ისევ რეაქცია დაიწყო.

7. ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღისათვის.
ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობის გავლენა
სხვა ქვეყნებზე

მკითხველს ახსოვს, რომ ზედმეტი ღირებულების წარმოება, ანუ ზედმეტი შრომის გამოწოვა, კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკურ შინაარსსა და მიზანს შეადგენს, განურჩევლად თვით წარმოების წესის ყოველგვარი ცვლილებისა, რომელსაც კაპიტალისადმი შრომის დაქვემდებარება წარმოშობს. მას ახსოვს, რომ ჩვენ მიერ აქამდე განვითარებული თვალსაზრისით მხოლოდ დამოუკიდებელი და, მამასადამე, იურიდიულად სრულწლოვანი მუშა დებს ხელშეკრულებას როგორც საქონლის გამყიდველ კაპიტალისტთან. ამრიგად, თუ ჩვენს ისტორიულ ნარკვევებში მთავარ როლს ასრულებს, ერთი მხრივ, თანამედროვე მრეწველობა, მეორე მხრივ კი — ფიზიკურად და იურიდიულად არასრულწლოვანთა შრომა, ეს იმიტომ, რომ პირველს ჩვენთვის მნიშველობა ჰქონდა მხოლოდ როგორც შრომის გამოწოვის განსაკუთრებულ სფეროს, ხოლო მეორეს — როგორც ამ გამოწოვის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითს. მაგრამ წინ რომ არ გავუსწოროთ საგნის შემდგომ განხილვას, ჩვენ შეგვიძლია ისტორიული ფაქტების მარტოოდენ საერთო კავშირის საფუძველზე შემდეგი დასკვნები გამოვიყვანოთ:

პირველი: კაპიტალის მისწრაფება სამუშაო დღის უზომო და უმოწყალო გაგრძელებისადმი უწინარეს ყოვლისა თავის დაკმაყოფილებას პოულობს მრეწველობის იმ დარგებში, სადაც წყლის, ორთქლისა და მანქანების საშუალებით ყველაზე ადრე მოხდა რევოლუციური გარდაქმნა, თანამედროვე წარმოების წესის ამ პირველქმნილებებში, — ბამბის, მატყლის, სელისა და აბრეშუმის სართავ და საქსოვ ფაბრიკებში. შეცვლილი მატერიალური წარმოების წესი და მის შესაბამისად შეცვლილი სოციალური ურთიერთობანი მწარმოებელთა,¹⁸⁸ ქმნიან თავდაპირველად სამუშაო დღის ფარგლების უზომო გადალახვას და შემდეგ კი რეაქციის სახით იწვევენ საზოგადოებრივ კონტროლს, რომელიც საკანონმდებლო წესით ზღუდავს სამუშაო დღეს მისი შესვენებებითურთ, აწესრიგებს მას და ერთსახეობა შეაქვს მასში. ამიტომ ამ კონტროლს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

¹⁸⁸ «თვითუფლი ამ კლასის (კაპიტალისტების და მუშების) მოქმედება შედეგი იყო იმ ურთიერთობისა, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ» («Reports etc. for 31st October 1848», გვ. 113).

კანონმდებლობა მხოლოდ გამონაკლისის სახით აწესებდა¹⁸⁷. მაგრამ, როგორც კი ამ კონტროლმა ახალი წარმოების წესის თავდაპირველი სფერო დაიპყრო, გამოირკვა, რომ ამასობაში საკუთრივ ფაბრიკულ რეჟიმს დაექვემდებარა არა მარტო წარმოების მრავალი სხვა დარგი, არამედ წარმოების ცოტად თუ ბევრად ჩამორჩენილი მეთოდების მქონე მანუფაქტურაც; როგორც, მაგალითად, მეთუნეობა, მინის ქარხნები და სხვ., ძველებური ხელოსნობის დარგები, როგორც ხაბაზობა და, ბოლოს, გაფანტული, ეგრეთწოდებული შინმუშაობაც კი, როგორც, მაგალითად, ლურსმნის დამზადება და სხვა¹⁸⁸, უკვე დიდი ხანია ისევე დაექვემდებარა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, როგორც ფაბრიკა. ამიტომ კანონმდებლობა იძულებული იყო თანდათან უარი ეთქვა თავის განსაკუთრებულ ხასიათზე, ანდა იქ, სადაც იგი რომაულ კაზუისტიკას მისდევს, როგორც ინგლისში, — თვითნებურად გამოეცხადებინა ფაბრიკად (factory) ყოველი სახლი, სადაც მუშაობა წარმოებს¹⁸⁹.

მეორე: სამუშაო დღის რეგულირების ისტორია წარმოების ზოგიერთ დარგში, სხვა დარგებში კი ბრძოლა ამ რეგულირებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება, ცხადად ამტკიცებს, რომ განცალკევებული მუშა, მუშა როგორც «თავისუფალი» გამყიდველი თავისი სამუშაო ძალისა კაპიტალისტური წარმოების მომწიფების გარკვეულ საფეხურზე რაიმე წინააღმდეგობის გაწევის უნარს მოკლებულია. ამიტომ ნორმალური სამუშაო დღის დამყარება შედეგია ხანგრძლივი, ცოტად თუ ბევრად ფარული სამოქალაქო ომისა კაპიტალისტთა კლასსა და მუშათა კლასს შორის. რადგან ეს ბრძოლა თანამედროვე მრეწველობის სფეროში იწყება, ამიტომ იგი ღვივდება პირველად ამ მრეწველობის სამშობლოში, ინგლისში¹⁹⁰. ინგლისის ფაბრიკის მუ-

¹⁸⁷ «საწარმოები, რომლებიც შეზღუდვას ექვემდებარებოდნენ, დაკავშირებული იყვნენ საფეიქრო საქონლის წარმოებასთან, სადაც ორთქლისა და წყლის ძალას იყენებდნენ. შრომის ესა თუ ის დარგი რომ ზედამხედველობას დაქვემდებარებოდა, ამისთვის აუცილებელი იყო ორი პირობა: ორთქლისა და წყლის ძალის გამოყენება და ამა თუ იმ სახის ბოჭკოს გადაზღვრება» («Reports etc. for 31st October 1864», გვ. 8).

¹⁸⁸ ამ ეგრეთწოდებული შინმუშაობის მდგომარეობის შესახებ მეტად მდიდარ მასალას ეპოულობთ «Children's Employment Commission»-ის უკანასკნელ ანგარიშებში.

¹⁸⁹ «უკანასკნელი სესიის აქტები (1864 წლის)... შეეზება მოსაქმეობის სხვადასხვა დარგს, სადაც წარმოების მეთოდები ძალიან განსხვავდებიან ერთიმეორისაგან და მექანიკური ძალის გამოყენება მანქანების ასამოძრავებლად აღარ შეადგენს, როგორც უწინ, აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ საწარმო კანონის ენით ფაბრიკად იწოდებოდეს» («Reports etc. for 31st October 1864», გვ. 8).

¹⁹⁰ ბელგია, კონტინენტური ლიბერალიზმის სამოთხე, ასევე ამ მოძრაობის არავითარ ნიშნებს არ გვიჩვენებს. მისი ქვანახშირის მღარაობესა და ლითონის

შები არა მარტო ინგლისის, არამედ საერთოდ მთელი თანამედროვე მუშათა კლასის მოწინავე მებრძოლნი იყვნენ, ისევე როგორც მათი თეორეტიკოსები პირველები იყვნენ, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალის თეორიას¹⁹¹. ამიტომ ფაბრიკის ფილოსოფოსი იური გმობს როგორც ინგლისის მუშათა კლასის წარუხოცველ სამარცხვინო საქციელს, რომ მან თავის დროშას «საფაბრიკო კანონების მონობა» დააწერა და ეს ლოზუნგი დაუპირისპირა კაპიტალს, რომელიც მამაცურად იბრძვის «შრომის სრული თავისუფლებისათვის»¹⁹².

საფრანგეთი ზანტად მიჩანჩალებს ინგლისის უკან. საჭირო იყო თებერვლის რევოლუცია, რათა წარმოშობილიყო თორმეტი საათის კანონი¹⁹³, რომელიც ბევრად უფრო არადაამაკმაყოფილებელია, ვიდრე

სამადნებშიაც კი ორივე სქესის და ყოველი ასაკის მუშებს სრული «თავისუფლებით» იყენებენ ყოველ ჯამს და ყოველი დროის განმავლობაში. 1 000 მომუშავე პირზე მოდის 733 მამაკაცი, 88 დედაკაცი, 135 მოზარდი და 44 ქალიშვილი 16 წელზე უმცროსი: ბრძმედებში და სხვ. ყოველ 1 000-ზე მოდის: 668 მამაკაცი, 149 დედაკაცი, 98 მოზარდი და 85 ქალიშვილი 16 წელზე უმცროსი. ამას კიდევ ემატება დაბალი ხელფასი მომწიფებული და მოუმწიფებელი სამუშაო ძალის უზომო ექსპლოატაციისთვის, საშუალოდ დღეში 2 შილინგი 8 პენსი — მამაკაცებისთვის, 1 შილინგი 8 პენსი — დედაკაცებისთვის და 1 შილინგი 2 1/2 პენსი — მოზარდებისათვის. სამაგიეროდ ბელგიამ 1863 წელს, შედარებით 1850 წელთან, თითქმის გააორკვცა გაზიდული ნახშირის, რკინის და სხვ. რაოდენობა და ღირებულება.

¹⁹¹ როდესაც რობერტ ოუენმა ამ საუკუნის მეორე ათეული წლის დამლევს სამუშაო დღის შეზღუდვის აუცილებლობას არა მარტო თეორიულად დაუკირა მხარი, არამედ პრაქტიკულადაც ათი საათის სამუშაო დღე ნამდვილად შემოიღო კიდევ თავის ფაბრიკაში ნიუ-ლენარკში, ამ ცდას დასციინოდნენ, როგორც კომუნისტურ უტოპიას, — სწორედ ისევე, როგორც დასციინოდნენ მის «წარმოებლური შრომის დეკავშირებას ბავშვების აღზრდასთან», ანდა მის მიერ შექმნილი მუშათა კოოპერაციულ საწარმოებს. ამჟამად პირველი უტოპია ფაბრიკის კანონი გახდა, მეორე — ოფიციალურ ფრაზად გადაიქცა ყველა «Factory Act»-ში [ფაბრიკის აქტში], ხოლო მესამე — ნიღაბის როლსაც კი ასრულებს რეაქციური თადლითობის დასაფარავად.

¹⁹² U r e (ფრანგული თარგმანი): «Philosophie des Manufactures». Paris 1836, ტ. II, გვ. 39, 40, 67, 77 და სხვ.

¹⁹³ «1855 წლის პარიზის ინტერნაციონალური სტატისტიკური კონგრესის» Com-pte Rendu-ში [ანგარიშში] [გვ. 332], სხვათა შორის, ნათქვამია: «საფრანგეთის კანონი, რომელიც დღიური მუშაობის ხანგრძლიობას ფაბრიკებში და სახელოსნოებში 12 საათით ზღუდავს, ამ მუშაობისთვის არავითარ გარკვეულ მუდმივ საათებს (დროის პერიოდებს) არ აწესებს, რადგან მხოლოდ ბავშვთა შრომისთვის არის დაწესებული პერიოდის დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ამიტომ მეფაბრიკეთა ერთი ნაწილი სარგებლობს იმ უფლებით, რომელსაც მათ ეს საბედისწერო დემილი ანიჭებს, და მუშებს დღითი-დღე, შეიძლება კვირა დღეების განოკლებით, განუწყვეტლივ ამუშავენ. ამისთვის ისინი იყენებენ მუშების ორ სხვადასხვა ცვლას, რომელთაგანაც

მისი ინგლისური ორიგინალი. მიუხედავად ამისა, ფრანგული რევოლუციური მეთოდი თავის განსაკუთრებულ უპირატესობასაც ამჟღავნებს. იგი ერთი დაკვრით კარნახობს განურჩევლად ყველა სახელოსნოს და ფაბრიკას სამუშაო ღღის ერთსა და იმავე ზღუდეს, მაშინ როდესაც ინგლისის კანონმდებლობა თავისი სურვილის წინააღმდეგ ემორჩილება გარემოებათა ძალას ხან ერთ პუნქტზე და ხან მეორეზე და პოულობს საუკეთესო გზას სულ ახალ-ახალი იურიდიული ხლართების შესათხზავად¹⁹⁴. მეორე მხრივ, საფრანგეთის კანონი პრინციპად აცხადებს იმას, რაც ინგლისში ბრძოლით მოიპოვება მხოლოდ ბავშვების, მცირეწლოვნებისა და ქალებისათვის და რასაც მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მოითხოვენ როგორც საყოველთაო უფლებას¹⁹⁵.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობა მოღუენებული იყო მანამდე, სანამ მონობა რესპუბლიკის ერთ ნაწილს ასახიჩრებდა. თეთრკანიანთა შრომის გან-

არც ერთი 12 საათზე მეტს არ რჩება სახელოსნოში, მაგრამ ფაბრიკის მუშაობა კი დღედაღამ წარმოებს. კანონის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მაგრამ დაკმაყოფილებულია ასევე ჰუმანურობის მოთხოვნანი? გარდა იმ «ამანადგურებელი» გავლენისა, რომელსაც ახდენს ღამით მუშაობა ადამიანის ორგანიზმზე, აღნიშნულია აგრეთვე «საბედისწერო გავლენა ორივე სქესის ღამით ერთად ყოფნისა ოდნავ განათებულ სახელოსნოებში».

¹⁹⁴ «მაგალითად, ჩემს ოლქში ერთსა და იმავე ფაბრიკის შენობაში ერთი და იგივე მეფაბრიკე როგორც მეთორბედი და მღებავი ექვემდებარება «სამეთორბელოსა და სამღებროს აქტს», როგორც ჩითუელის მწარმოებელი — «Printworks' Act'-ს [ჩითუელის ფაბრიკათა კანონს] და როგორც finisher-ი (საბოლოოდ გამოყვანი) — «Factory Act'-ს [ფაბრიკის კანონს]». (ბ-ნ ბეკერის მოხსენება ანგარიშში: «Reports etc. for 31st October 1861», გვ. 20.) ამ კანონების სხვადასხვა დადგენილების ჩამოთვლისა და აქედან გამომდინარე სირთულის აღნიშვნის შემდეგ, ბატონი ბეკერი ამბობს: «ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ძნელი უნდა იყოს ამ სამი საპარლამენტო აქტის ეხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა, თუ ფაბრიკის პატრონი კანონის გვერდის ახვევას მოისურვებს». მაგრამ სამაგიეროდ ეს უზრუნველყოფის პროცესებს ბატონ იუ-რისტებისათვის.

¹⁹⁵ ამრიგად, ფაბრიკის ინსპექტორები ბოლოს შემდეგის თქმას ბედავენ: «ეს საწინააღმდეგო მოსახრებანი (კაპიტალისა სამუშაო დროის კანონმდებლობითი შეზღუდვის წინააღმდეგ) უნდა გაქარწყლდეს შრომის უფლებათა ფართო პრინციპის წინაშე... დგება მომენტი, როდესაც თავდება მეწარმის უფლება მისი მუშის შრომაზე, და მუშა თვითონ ხდება თავისი დროის ბატონ-პატრონი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი ძალ-ღონისაგან დაკლას» («Reports etc. for 31st October 1862», გვ. 54).

თავისუფლება შეუძლებელია იქ, სადაც შავკანიანთა შრომას სამარცხვინო დალი აზის. მაგრამ მონობის სიკვდილმა მყისვე განახლებული სიცოცხლე წარმოშვა. სამოქალაქო ომის პირველი ნაყოფი იყო აგიტაცია რვასაათიანი სამუშაო დღის სასარგებლოდ, რომელმაც ლოკომოტივის შვიდმილიანი ნაბიჯებით გადაიარა ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე, ახალი ინგლისიდან — კალიფორნიამდე. მუშათა საყოველთაო კონგრესი ბალტიმორში (1866 წლის 16 აგვისტოს) აცხადებს: «თანამედროვეობის პირველი და დიადი მოთხოვნა, ამ ქვეყნის შრომის კაპიტალისტური მონობისაგან გასანთავისუფლებლად, არის გამოცემა კანონისა, რომლის ძალით ამერიკის კავშირის ყველა შტატში ნორმალურ სამუშაო დღეს 8 საათი უნდა შეადგენდეს. ჩვენ მზად ვართ ავამოძრაოთ მთელი ჩვენი ძალა, რათა სასახელო შედეგს მივაღწიოთ»¹⁹⁶. იმავე დროს (1866 წლის სექტემბრის დასაწყისს) «მუშათა ინტერნაციონალური ასოციაციის» კონგრესმა ენევაში, ლონდონის გენერალური საბჭოს წინადადებით, დაადგინა: «ჩვენ სამუშაო დღის შეზღუდვას ვაცხადებთ იმ წინასწარ პირობად, ურომლისოდაც ყოველი სხვა მისწრაფება ემანსიპაციისადმი დამარცხებით უნდა გათავდეს... ჩვენი წინადადება სამუშაო დღის კანონიერ ზღუდედ აღიარებულ იქნას 8 საათის შრომად».

ამრიგად, მუშათა მოძრაობა, რომელიც ატლანტის ოკეანის ორივე მხარეზე ინსტინქტურად განვითარდა თვით წარმოებითი ურთიერთობიდან, ადასტურებს ინგლისელი ფაბრიკის ინსპექტორის რ. ჯ. სონდერსის სიტყვებს: «არასოდეს არ შეიძლება საზოგადოების რეფორმისკენ გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები წარმატების რაიმე იმედით, თუ წინასწარ არ მოხდება სამუშაო დღის შეზღუდვა და მისთვის დაწესებული საზღვრები იძულებითი წესით არ იქნება სასტიკად დაცული»¹⁹⁷.

¹⁹⁶ ჩვენ, დანკერკის მუშები, ვაცხადებთ, რომ სამუშაო დროის ზანგრძლიობა, რომელიც საჭიროა დღევანდელი სისტემის პირობებში, მეტისმეტად დიდია და სრულიად აღა უტოვებს მუშას დროს დასვენებისა და განვითარებისათვის, პირიქით, აქვეითებს მას კაბალურ მდგომარეობამდე, რომელიც ოდნავ არის მონობაზე უფროსი («a condition of servitude but little better than slavery»). ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სამუშაო დღედ 8 საათი საქმარისა და კანონითაც უნდა იქნას ცნობილი საქმარისად; ჩვენ მოვუწოდებთ დახმარებისთვის პრესას, ამ მძლავრ ბერკეტს... ზოლო ყველა იმას, ვინც ამ დახმარებაზე უარს გვეტყვის, ჩვენ მუშათა რეფორმის და მუშათა უფლებების მტრად ჩავთვლით» (დანკერკის მუშების გადაწყვეტილებანი, შტატი ნიუ-იორკი, 1866 წელი).

¹⁹⁷ «Reports etc. for 31st October 1848», გვ. 112.

უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენი მუშა წარმოების პროცესიდან უფრო სხვანაირი სახით გამოდის, ვიდრე იგი მასში შევიდა. ბაზარზე იგი უპირისპირდებოდა სხვა საქონელმფლობელთ როგორც საქონლის — «სამუშაო ძალის» — მფლობელი, ე. ი. როგორც საქონელმფლობელი — საქონელმფლობელს. ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მან თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს მიჰყიდა, ასე ვთქვათ, შავით თეთრზე ცხადყოფდა, რომ იგი თავისუფლად განაგებს თავის თავს. დადებული გარიგების შემდეგ მქლავნდება, რომ იგი სრულიად არ იყო «თავისუფალი აგენტი», რომ ის დრო, რა ხნითაც იგი თავის სამუშაო ძალას თავისუფლად ყიდის, არის დრო, რა ხნითაც იგი იძულებულია ეს ძალა გაყიდოს¹⁹⁸, და რომ სინამდვილეში მისი წურბელა მას ხელიდან არ უშვებს «სანამ ამოსაწოვია კიდევ თუნდაც ერთი კუნთი, ერთი ძარღვი, სისხლის ერთი წვეთი»¹⁹⁹. რათა «დაიცვან» თავი die Schlange ihrer Qualen-საგან [მტანჯავი გველისაგან], მუშები უნდა შეერთდნენ და, როგორც კლასმა, იძულებით გამოაყენებინონ სახელმწიფო კანონი, ეს მძლავრი საზოგადოებრივი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლიდა თვითონ მათვე — კაპიტალთან ნებაყოფლობითი ხელშეკრულების დადებით გაეყიდათ თავიანთი თავი და შთამომავლობა სასიკვდილოდ და დასამონებლად²⁰⁰.

¹⁹⁸ ამ ამბებმა (კაპიტალის მანევრებმა, მაგალითად, 1848 — 1850 წლებში) მოგვცეს, გარდა ამისა, ურყევი საბუთი იმისა, თუ რა შემედარია ასე ხშირად წამოყენებული მტკიცება, თითქოს მუშები არავითარ დაცვას არ საჭიროებენ და განხილულ უნდა იქნან როგორც ისეთი პირები, რომელნიც სრულიად თავისუფლად განაგებენ თავიანთ ერთადერთ საკუთრებას, ე. ი. თავიანთი მარჯვენის შრომას და თავიანთ შუბლზე მოწურულ ოფლს» («Reports etc. for 30th April 1850», გვ. 45). «თავისუფალი შრომა, თუ მას საერთოდ შეიძლება ასე ეწოდოს, თავისუფალ ქვეყანაშიც კი საჭიროებს თავის დასაცავად კანონის ძლიერ ხელს» («Reports etc. for 31st October 1864», გვ. 34). «ნება დართო ანუ, რაც იგივეა, აიძულო იმუშაონ... 14 საათი დღეში საკმლის მისაღებად საჭირო შესვენებით ან უიმისოდ და სხვა.» («Reports etc. for 30th April 1863», გვ. 40).

¹⁹⁹ Friedrich Engels: «Die englische Zehnstundenbill» («Neue Rheinische Zeitung», Aprilheft, 1850, გვ. 5).

²⁰⁰ ათი საათის ბილმა მისდამი დაქვემდებარებულ სამრეწველო დარგებში იხსნა მუშები სრული გადაგვარებისაგან და დაიცვა მათი ფიზიკური მდგომარეობა» («Reports etc. for 31st October 1859», გვ. 47). «კაპიტალს (ფაბრიკებში) არასოდეს არ შეუძლია მანქანა განსაზღვრულ დროზე შეტ ხანს ამყოფოს მოძრაობაში ისე, რომ ამით მის მიერ დასაქმებული მუშების ჯანმრთელობას და ზნეობას ზიანი არ მიაყენოს; მათ კი თვითონ არ ძალუძთ თავიანთი თავის დაცვა» (იქვე, გვ. 8).

«ადამიანის განუსხვიესებელ უფლებათა» ბრწყინვალე კატალოგის ნაცვლად გვევლინება კანონის მიერ შეზღუდული სამუშაო დღის მორცხვი Magna Charta [დიდი ქარტია], რომელიც, ბოლოს, არკვეეს იმას, თუ როდის თავდება დრო, რომელსაც მუშა ყიდის, და როდის იწყება ის დრო, რომელიც თვით მას ეკუთვნის»²⁰¹.
Quantum mutatus ab illo! [რა დიდი ცვლილება!]

²⁰¹ ყიდვე უფრო მეტი სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ მუშის დროსა, რომელიც თვითონ მას ეკუთვნის, და იმ დროს შორის, რომელიც მის მეპატრონეს გუთვნის, ბოლოს, გარკვეული მიჯნა გაუღებული. მუშამ ახლა იცის, როდის თავდება დრო, რომელსაც ის ყიდის, და როდის იწყება მისი საკუთარი დრო, და როდესაც მან ეს წინდაწინვე იცის, მას შეუძლია უფრო მიზანშეწონილად გაანაწილოს თავისი საკუთარი წუთები (იქვე, გვ. 52). იმით, რომ მათ (ფაბრიკის კანონებმა) მუშები თავიანთი საკუთარი დროის ბატონებად გახადეს, მიანიჭეს ამ უკანასკნელთ მორალური ენერჯია, რომელიც მათ იქითკენ წარმართავს, რომ ოდესმე ისინი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაეპატრონონ (იქვე, გვ. 47). თავშეკავებული ირონიით და ფრიად მორიდებული სიტყვებით აღნიშნავენ ფაბრიკის ინსპექტორები იმ გარემოებას, რომ ახლანდელმა 10 საათის კანონმა რამდენადმე კაპიტალისტიც გაათავისუფლა იმ პირველყოფილი უხეშობისაგან, რომელიც ახასიათებს მას როგორც კაპიტალის უბრალო განხორციელებას, და მისცა მას დრო ერთგვარი «განათლებლისათვის». უწინ «მეწარმეს არ ჰქონდა დრო სხვა რამესთვის, გარდა მოგებისა, მუშას კი არ ჰქონდა დრო სხვა რამესთვის, გარდა შრომისა» (იქვე, გვ. 48).

თავი მეცხრე

ზედმეტი ღირებულების ნორმა და მასა

ამ თავში, ისე როგორც აქამდე, სამუშაო ძალის ღირებულება, მაშასადამე, სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის ანუ შენარჩუნებისთვის, ნაგულისხმევია მოცემულ, მუდმივ სიდიდედ.

რაკი ეს ნაგულისხმევია, ზედმეტი ღირებულების ნორმასთან ერთად მოცემულია მისი მასაც, რომელსაც ცალკეული მუშა განსაზღვრული დროის განმავლობაში კაპიტალისტს აძლევს. მაგალითად, თუ აუცილებელი შრომა დღეში 6 საათს შეადგენს, რაც ოქროთი გამოხატული 3 შილინგს, ანუ 1 ტალერს, უდრის, მაშინ 1 ტალერი იქნება ერთი სამუშაო ძალის დღიური ღირებულება, ანუ ერთი სამუშაო ძალის საყიდლად ავანსებული კაპიტალღირებულება. შემდეგ, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%-ს უდრის, მაშინ ეს ერთი ტალერი ცვალებადი კაპიტალი ერთ ტალერ ზედმეტი ღირებულების მასას აწარმოებს, ანუ მუშა ყოველდღიურად 6 საათის ზედმეტი შრომის მასას იძლევა.

მაგრამ ცვალებადი კაპიტალი ფულადი გამოხატულებაა ყველა იმ სამუშაო ძალის ერთობლივი ღირებულებისა, რომელთაც კაპიტალისტი ერთსა და იმავე დროს იყენებს. მაშასადამე, ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულება უდრის ერთი სამუშაო ძალის საშუალო ღირებულებას, გამრავლებულს გამოყენებულ სამუშაო ძალთარიცხვზე. ამრიგად, როდესაც სამუშაო ძალის ღირებულება მოცემულია, ცვალებადი კაპიტალის სიდიდე პირდაპირ შეფარდებაშია იმავდროულად დასაქმებულ მუშათა რიცხვთან. მაშასადამე, თუ ერთი სამუშაო ძალის დღიური ღირებულება უდრის 1 ტალერს, მაშინ უნდა დაავანსდეს 100 ტალერი კაპიტალი 100 სამუშაო ძალის საექსპლოატაციოდ, და n ტალერი კაპიტალი n სამუშაო ძალის ყოველდღიურსაექსპლოატაციოდ.

ამნაირადვე: თუ 1 ტალერი ცვალებადი კაპიტალი, ანუ ერთი სამუშაო ძალის ღირებულება, 1 ტალერ ყოველდღიურ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, მაშინ 100 ტალერი ცვალებადი კაპიტალი 100 ტალერ ყოველდღიურ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, ხოლო n ტალერი კაპიტალი — n ჯერ 1 ტალერ ყოველდღიურ ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უდრის ცალკეული მუშის სამუშაო დღით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას, გამრავლებულს გამოყენებულ მუშათა რიცხვზე. მაგრამ, რადგან ზედმეტი ღირებულების მასა, რომელსაც ცალკეული მუშა აწარმოებს, განისაზღვრება, სამუშაო ძალის მოცემული ღირებულების პირობებში, ზედმეტი ღირებულების ნორმით, ამიტომ აქედან გამომდინარეობს შემდეგი პირველი კანონი: წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უდრის ავანსებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდეს, გამრავლებულს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, ანუ იგი განისაზღვრება რთული შეფარდებით ერთი და იმავე კაპიტალისტი მთელი ერთსა და იმავე დროს ექსპლოატირებულ სამუშაო ძალთა რიცხვსა და ცალკეული სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხს შორის.

მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასას რომ M ვუწოდოთ, ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც დღეში საშუალოდ ცალკეული მუშა იძლევა — m , ცვალებად კაპიტალს, რომელიც ყოველდღიურად ავანსდება ერთი სამუშაო ძალის საყიდლად — v , ცვალებადი კაპიტალის საერთო ჯამს — V , საშუალო სამუშაო ძალის ღირებულებას — k , მის ექსპლოატაციის ხარისხს $\frac{a'}{a}$ ($\frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}}$) და გამოყენებულ მუშათა რიცხვს — n , — მივიღებთ:

$$M = \left\{ \begin{array}{l} \frac{m}{v} \times V \\ k \times \frac{a'}{a} \times n \end{array} \right.$$

ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ არა მარტო იმას, რომ საშუალო სამუშაო ძალის ღირებულება მუდმივი სიდიდითაა, არამედ იმასაც, რომ კაპიტალისტი მთელი გამოყენებული მუშები დაყვანილი არიან საშუალო მუშაზე. არის გამოჩენილი შემთხვევები, როდესაც წარმოებული ზედმეტი ღირებულება არ იზრდება ექსპლოატირებულ მუშათა რიცხვის შესაბამისად, მაგრამ მაშინ არც სამუშაო ძალის ღირებულება რჩება მუდმივი.

ამიტომ ზედმეტი ღირებულების განსაზღვრული მასის წარმოებისას ერთი ფაქტორის შემცირება შეიძლება ანაზღაურდეს მეორის გადიდებით. თუ ცვალებადი კაპიტალი მცირდება და იმავდროულად ზედმეტი ღირებულების ნორმა იმავე შეფარდებით იზრდება, მაშინ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უცვლელი რჩება. თუ კაპიტალისტმა, წინანდელი ვარაუდის მიხედვით, 100 ტალერი უნდა დააავანსოს, რათა ყოველდღიურად 100 მუშას გაუწიოს ექსპლოატაცია, და თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 50%-ს შეადგენს, მაშინ ეს 100 ტალერი ცვალებადი კაპიტალი იძლევა 50 ტალერ ზედმეტ ღირებულებას, ანუ 3×100 სამუშაო საათს. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ორკეცდება, ანუ სამუშაო დღე გრძელდება არა 6-დან 9 საათამდე, არამედ 6 საათიდან 12 საათამდე, მაშინ სანახევროდ შემცირებული ცვალებადი კაპიტალი, კაპიტალი 50 ტალერის ოდენობით, იძლევა ისევ 50 ტალერ ზედმეტ ღირებულებას, ანუ 6×50 სამუშაო საათს. მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის შემცირება შეიძლება ანაზღაურდეს სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ნორმის პროპორციული აწევით, ანუ დასაქმებულ მუშათა რიცხვის შემცირება შეიძლება ანაზღაურდეს სამუშაო დღის პროპორციული გაგრძელებით. მაშასადამე, გარკვეულ ფარგლებში შრომის მიწოდება, რომელიც შეიძლება იძულებით იყოს გამოწვეული კაპიტალის მიერ, დამოუკიდებელი ხდება მუშათა მიწოდებისაგან²⁰². პირიქით, ზედმეტი ღირებულების ნორმის შემცირება უცვლელად ტოვებს წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასას, თუ პროპორციულად იზრდება ცვალებადი კაპიტალის სიდიდე ანუ დასაქმებული მუშების რიცხვი.

მაგრამ მუშათა რიცხვის, ანუ ცვალებადი კაპიტალის სიდიდის კომპენსირებას ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებით, ანუ სამუშაო დღის გაგრძელებით, თავისი გადაულახავი საზღვრები აქვს. როგორც უნდა იყოს სამუშაო ძალის ღირებულება, 2 თუ 10 საათს შეადგენს მუშის შესანახად აუცილებელი სამუშაო დრო, — ერთობლივი ღირებულება, რომელიც შეუძლია მუშას დღითი-დღე აწარმოოს, მუდამ ნაკლებია იმ ღირებულებაზე, რომელშიაც საგნობრივდება

²⁰² ეს ელემენტარული კანონი, ეტყობა, უცნობია ვულგარული ეკონომიის ბანაკიდან გამოსულ ვაჰბატონათვის, ვაი-არქიმედებისათვის, რომელნიც ფიქრობენ, თითქოს შრომის საბაზრო ფასების მოთხოვნით და მიწოდებით განსაზღვრაში მათ აღმოაჩინეს საყრდენი წერტილი, მაგრამ არა სამყაროს გადასატრიალებლად, არამედ — მის შესაჩერებლად.

24 სამუშაო საათი, ნაკლებია 12 შილინგზე ანუ 4 ტალერზე, თუ ასეთია ამ 24 გასაგნობრივებული სამუშაო საათის ფულადი გამოხატულება. ჩვენი უწინდელი ვარაუდის თანახმად, როდესაც თვით სამუშაო ძალის საკვლავწარმოებლად, ანუ მის საყიდლად ავანსებული კაპიტალღირებულების ასანაზღაურებლად საჭიროა ყოველდღიურად 6 სამუშაო საათი, 500 ტალერი ცვალებადი კაპიტალი, რომელიც 500 მუშას იყენებს, ზედმეტი ღირებულების ნორმის 100% -ის ანუ 12 საათიანი სამუშაო დღის პირობებში, ყოველდღიურად აწარმოებს 500 ტალერ ზედმეტ ღირებულებას, ანუ 6×500 სამუშაო საათს. 100 ტალერი კაპიტალი, რომელიც ყოველდღიურად 100 მუშას იყენებს, ზედმეტი ღირებულების ნორმის 200% -ის ანუ 18 საათიანი სამუშაო დღის პირობებში აწარმოებს მხოლოდ 200 ტალერი ზედმეტი ღირებულების მასას, ანუ 12×100 სამუშაო საათს. და მის მიერ მთელი ახლადშექმნილი ღირებულება, ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ეკვივალენტი + ზედმეტი ღირებულება, ვერასოდეს, ვერც ერთ დღეს ვერ მიაღწევს 400 ტალერის, ანუ 24×100 სამუშაო საათის ოდენობას. აბსოლუტური ზღუდე საშუალო სამუშაო დღისა, რომელიც ბუნებით ყოველთვის ნაკლებია 24 საათზე, ქმნის აბსოლუტურ ზღუდეს იმისათვის, რომ ანაზღაურდეს ცვალებადი კაპიტალის შემცილება ზედმეტი ღირებულების გადიდებით, ანუ ექსპლოატირებულ მუშათა რიცხვის შემცილება სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხის გადიდებით. ამ ხელშესახებად თვალსაჩინო მეორე კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალის იმ ტენდენციიდან გამომდინარე მრავალი მოვლენის ასახსნელად, რომელსაც ჩვენ შემდეგში გავარკვევთ; ესაა კაპიტალის ტენდენცია — შეამციროს რაც კი შეიძლება საქმეში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, ანუ სამუშაო ძალად ქცეული თავისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილი, ტენდენცია, რომელიც ეწინააღმდეგება მის მეორე ტენდენციას — აწარმოოს რაც შეიძლება უფრო დიდი მასა ზედმეტი ღირებულებისა. პირიქით, თუ გამოყენებული სამუშაო ძალის მასა, ანუ ცვალებადი კაპიტალის სიდიდე, იზრდება, მაგრამ არა ზედმეტი ღირებულების ნორმის კლების პროპორციულად, მაშინ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა მცირდება.

მესამე კანონი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა განისაზღვრება ორი ფაქტორით: ზედმეტი ღირებულების ნორმით და ავანსებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდით. თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა, ანუ სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი, და სამუშაო ძალის

ღირებულება, ანუ აუცილებელი სამუშაო დროის სიდიდე, მაშინ, — თავისთავად გასაგებია, — რაც უფრო დიდია ცვალებადი კაპიტალი, მით უფრო დიდია წარმოებული ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების მასა. თუ მოცემულია სამუშაო დღის საზღვარი, ასევე მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილის საზღვარიც, მაშინ ღირებულების და ზედმეტი ღირებულების მასა, რომელსაც ცალკეული კაპიტალისტი აწარმოებს, ცხადია, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ მოძრაობაში მოყვანილ შრომის მასაზე. მის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის ეს მასა კი, ნაგულისხმევ პირობებში, დამოკიდებულია სამუშაო ძალის მასაზე ანუ იმ მუშათა რიცხვზე, რომელთა ექსპლოატაციას კაპიტალისტი ეწევა, ხოლო ეს რიცხვი, თავის მხრივ, განსაზღვრულია კაპიტალისტის მიერ ავანსებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდით. მაშასადამე, თუ მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოცემულია სამუშაო ძალის ღირებულება, წარმოებული ზედმეტი ღირებულების ოდენობა პირდაპირ შეფარდებაშია ავანსებულ კაპიტალთა სიდიდესთან. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ კაპიტალისტი თავის კაპიტალს ორ ნაწილად ჰყოფს. ერთ ნაწილს იგი წარმოების საშუალებებში აბანდებს. ეს მისი კაპიტალის მუდმივი ნაწილია. მეორე ნაწილს იგი ცოცხალ სამუშაო ძალად აქცევს. ეს ნაწილი მის ცვალებად კაპიტალს შეადგენს. ერთი და იმავე წარმოების წესის საფუძველზე წარმოების სხვადასხვა დარგში ადგილი აქვს კაპიტალის სხვადასხვანაირ დაყოფას მუდმივ და ცვალებად შემადგენელ ნაწილებად. წარმოების ერთსა და იმავე დარგში ეს შეფარდება იცვლება წარმოების პროცესის ტექნიკური საფუძვლისა და ამ პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციის შეცვლასთან ერთად. მაგრამ როგორც უნდა იყოს მოცემული კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად შემადგენელ ნაწილად, იქნება ამ უკანასკნელის შეფარდება პირველთან, როგორც 1:2, 1:10 თუ 1:x, — ეს სრულიად არ ცვლის ჩვენ მიერ აქ დადგენილ კანონს, რადგან წინანდელი ანალიზის მიხედვით მუდმივი კაპიტალის ღირებულება თუმცა ხელახლა გვევლინება პროდუქტის ღირებულებაში, მაგრამ არ შედის ახლადშექმნილ ღირებულებაში. 1000 მრთველის გამოსაყენებლად, რასაკვირველია, უფრო მეტი ნედლი მასალა, თითისტარი და სხვა არის საჭირო, ვიდრე 100 მრთველის გამოსაყენებლად. მაგრამ წარმოების ამ დამატებითი საშუალებების ღირებულება აიწვეს, დაიწვეს, უცვლელი დარჩება, ანდა იქნება იგი დიდი თუ მცირე, — სულ ერთია. მას არავითარი გავლენა არა აქვს ღირებულების ზრდის პროცესზე, რომელიც წარმოების ამ საშუალებათა მოძრაობაში მომყვანი სამუშაო

ძალის მიერ სრულდება. მაშასადამე, ზემოაღნიშნული კანონი ასეთ ფორმას იღებს: სხვადასხვა კაპიტალის მიერ წარმოებული ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების მასა, სამუშაო ძალის მოცემული ღირებულებისა და მისი ექსპლოატაციის თანაბარი ხარისხის პირობებში, პირდაპირ შეფარდებაშია ამ კაპიტალთა ცვალებადი შემადგენელი ნაწილების, ე. ი. მათი ცოცხალ სამუშაო ძალად ქცეულ შემადგენელ ნაწილების სიდიდესთან.

ეს კანონი აშკარად ეწინააღმდეგება მოვლენათა გარეგნულ დაკვირვებაზე დამყარებულ მთელ გამოცდილებას. ყველამ იცის, რომ ბაზმის სართავი ფაბრიკის მფლობელი, რომელიც, თუ გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის მიმართ პროცენტულად ვიანგარიშებთ, შედარებით დიდ მუდმივ კაპიტალს და მცირე ცვალებად კაპიტალს იყენებს, ამის გამო ნაკლებ მოგებას ანუ ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას როდი იღებს, ვიდრე სახაბაზოს მეპატრონე, რომელიც შედარებით მეტ ცვალებად კაპიტალს და ნაკლებ მუდმივ კაპიტალს ამოძრავებს. ამ მოჩვენებითი წინააღმდეგობის ამოსახსნელად კიდევ მრავალი შუალედური რგოლია საჭირო, როგორც ელემენტარული ალგებრის თვალსაზრისით საჭიროა მრავალი შუალედური რგოლი იმის გასაგებად, რომ $\frac{0}{0}$ შეიძლება სავსებით გარკვეულ სიდიდეს წარმოადგენდეს. თუმცა კლასიკურ ეკონომიას ეს კანონი არასოდეს არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ იგი ინსტინქტურად ეყრდნობა მას, რადგან აღნიშნული კანონი აუცილებელი დასკვნაა საერთოდ ღირებულების კანონისა. იგი ცდილობს ნაძალადევი აბსტრაქციით იხსნას ეს კანონი მოვლენის წინააღმდეგობათაგან. შემდგომ²⁰³ ჩვენ დავიანახავთ, თუ როგორ წაიბოროძია ამ დაბრკოლებაზე რიკარდოს სკოლამ. ვულგარული ეკონომია, რომელმაც ძმართლა ვერათფერი ვერ ისწავლა, აქაც, როგორც ყველგან, მოვლენის გარეგნულობას ებღაუჭება წინააღმდეგ ამ მოვლენის კანონისა. წინააღმდეგ სპინოზასი, იგი ფიქრობს, რომ ლევიცობა საკმაო საბუთია.

შრომა, რომელიც დღითი-დღე მოძრაობაში მოჰყავს რომელიმე საზოგადოების ერთობლივ კაპიტალს, შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთადერთი სამუშაო დღე. მაგალითად, თუ მუშების რიცხვი ერთი მილიონია და თვითეული მუშის საშუალო სამუშაო დღე 10 საათს უდრის, მაშინ საზოგადოებრივი სამუშაო დღე 10 მილიონი საათისაგან შედგება. თუ მოცემულია ამ სამუშაო დღის ხანგრძლიობა, — სულ ერთია, ზღვარდებულია მისი ფარგლები ფიზიკური თუ

²⁰³ ამის შესახებ დაწერილებით მეოთხე წიგნში.

სოციალური პირობებით, — ზედმეტი ღირებულების მასა შეიძლება გადიდებულ იქნას მხოლოდ მუშების რიცხვის გადიდებით, ე. ი. მუშა-მოსახლეობის გამრავლებით. მოსახლეობის ზრდა აქ მათემატიკურ საზღვარს ქმნის ზედმეტი ღირებულებისათვის, რომელსაც ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალი აწარმოებს. პირიქით, თუ მოსახლეობის სიდიდე მოცემულია, ამ საზღვარს ქმნის სამუშაო ღირებულების შესაძლებელი გაგრძელება²⁰⁴. შემდგომ თავში ჩვენ დავინახავთ, რომ ამ კანონს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების იმ ფორმისათვის, რომელსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით.

ზედმეტი ღირებულების წარმოების წინა განხილვიდან გამომდინარეობს, რომ ფულის ანუ ღირებულების ყოველი ნებისმიერი ჯამი ვერ გადაიქცევა კაპიტალად, რომ, პირიქით, ამ გადაქცევის წინამძღვარს წარმოადგენს ფულის ან საცვლელი ღირებულების განსაზღვრული მინიმუმი ფულის ან საქონლის ცალკეული მფლობელის ხელში. ცვალებადი კაპიტალის მინიმუმი — ეს არის ერთი ცალკეული სამუშაო ძალის საყიდლად გაწეული დანახარჯის ფასი, სამუშაო ძალისა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში დღით-დღე გამოიყენება ზედმეტი ღირებულების ამოსაგებად. მუშას რომ თავისი საკუთარი წარმოების საშუალებანი მოეპოვებოდეს და კმაყოფილდებოდეს მით, რომ იცხოვროს როგორც მუშამ, მისთვის საკმარისი იქნებოდა ის სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია მის საარსებო საშუალებათა საკვლავწარმოებლად, ვთქვათ, 8 საათი დღეში. მაშასადამე, წარმოების საშუალებანიც მას მხოლოდ 8 სამუშაო საათისთვის დასჭირდებოდა. პირიქით, კაპიტალისტი, რომელიც ამ 8 საათის გარდა, ვთქვათ, 4 საათის ზედმეტ შრომას ასრულებინებს მას, დამატებით ფულად თანხას საჭიროებს წარმოების დამატებითი საშუალებების შესაძენად. მაგრამ ჩვენ მიერ ნაგულისხმევ პირობებში მას უკვე ორი მუშა უნდა გამოეყენებინა, რათა ყოველდღიურად მითვისებული ზედმეტი ღირებულებით ეცხოვრა როგორც მუშას, ე. ი. თავისი აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესძლებოდა. ამ შემთხვევაში მისი წარმოების მიზანი უბრალოდ საკუთარი თავის გამოკვება იქნებოდა და არა სიმდიდრის გადიდება; კაპიტალისტურ წარმოებაში

²⁰⁴ «საზოგადოების შრომა, ე. ი. მეურნეობაში დახარჯული დრო მოცემულ სიდიდეს წარმოადგენს, მაგალითად, 10 საათს დღეში თვითფულზე მილიონი მცხოვრებიდან, ანუ 10 მილიონ საათს... კაპიტალის გადიდებას თავისი საზღვარი აქვს. ამ საზღვრის მიღწევა შეიძლება ყოველ მოცემულ პერიოდში მთელი იმ დროის ფაქტობრივი სიდიდით, რომელიც მეურნეობაშია გამოყენებული» («An Essay on the Political Economy of Nations». London 1821, გვ. 47, 49).

კი ეს უკანასკნელი იგულისხმება. ჩვეულებრივ მუშაზე რომ მხოლოდ ორჯერ უკეთესად იცხოვროს და წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნახევარი კვლავ კაპიტალად აქციოს, მუშების რიცხვთან ერთად კაპიტალისტმა რვაჯერ უნდა გაადიდოს ავანსებული კაპიტალის მინიმუმი. რა თქმა უნდა, მას შეუძლია თავისი მუშების მსგავსად უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა წარმოების პროცესში, მაგრამ მაშინ იგი იქნება რალაც საშუალო კაპიტალისტსა და მუშას შორის, იქნება «წვრილი მეპატრონე». კაპიტალისტური წარმოების გარკვეული დონე მოითხოვს იმას, რომ მთელი ის დრო, რომლის განმავლობაშიც კაპიტალისტი მოქმედებს როგორც კაპიტალისტი, ე. ი. როგორც განსახიერებელი კაპიტალი, მან მოახმაროს სხვისი შრომის მითვისებას და, ამიტომ, მის კონტროლსა და ამ შრომის პროდუქტის გაყიდვას²⁰⁵. შუა საუკუნეების ამქრული წყობილება ცდილობდა ძალდატანებითი ზომებით დაებრკოლებინა ხელოსანი-ოსტატის კაპიტალისტად გადაქცევა, რისთვისაც იგი ფრიად მცირე მაქსიმუმით ზღუდავდა მუშების რიცხვს, რომელიც თვითეულ ხელოსანს შეეძლო ჰყოლოდა. ფულის ან საქონლის მფლობელი ნამდვილად მხოლოდ მაშინ გადაიქცევა კაპიტალისტად, როდესაც წარმოებისათვის ავანსებული მინიმალური თანხა ბევრად აღემატება შუასაუკუნურ მაქსიმუმს. აქ, ისე როგორც ბუნებისმეცნიერებაში, დასტურდება ჰეგელის მიერ მის «ლოგიკაში» აღმოჩენილი კანონის სისწორე, რომ წმინდა.

²⁰⁵ «ფერმერს არ შეუძლია თავისი საკუთარი შრომის იმედით იყოს; და თუ ამას ის მაინც სჩადის, ჩემი აზრით, იგი წაგებული რჩება. მის მოსაქმეობას უნდა შეადგენდეს მთელი მეურნეობის ნეთვალყურეობა: მან თვალყური უნდა ადევნოს მლეწავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელფასი დაიკარგება, რადგან ბური გაულეწავი დარჩება; მან უნდა თვალყური ადევნოს თავის მთიბავეებს, მომკვლებს და სხვ.; იგი მუდამ გარშემო უნდა უვლიდეს თავის შემორაგულ მამულს; მას თვალი უნდა ეკიროს იმაზე, რომ აქ არავითარ დაუდევრობას ადგილი არ ჰქონდეს; ეს უკანასკნელი კი უეჭველად მოხდება, თუ იგი ერთ ადგილს იქნება მიჯაჭვული» («An Inquiry into the Connection between the present Price of Provisions and the Size of Farms etc. By a Farmer». London 1773, გვ. 12). ეს თხზულება მეტად საინტერესოა. მისი საშუალებით შეიძლება იმის შესწავლა, თუ როგორ წარმოიშვა «capitalist farmer» [«ფერმერი-კაპიტალისტი»] ან «merchant farmer» [«ფერმერი-ვაჭარი»], როგორც აქ პირდაპირ არის იგი წოდებული; აქვე შეიძლება მოისმინოთ მისი თავმოწონება «small farmer» [«წვრილი ფერმერისა»] წინაშე, რომლისთვისაც არსებითად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საკუთარი თავის განოკვებას. «კაპიტალისტების კლასი ჯერ ნაწილობრივ, საბოლოოდ კი სრულიად თავისუფლდება ხელშრომის აუცილებლობისაგან» («Text-book of Lectures on the Political Economy of Nations. By the Rev. Richard Jones. Hertford 1852. Lecture III, გვ. 39).

რაოდენობრივი ცვლილებანი გარკვეულ საფეხურზე თვისებრივ განსხვავებებში გადადიან ^{205a}.

ღირებულების ის მინიმალური თანხა, რომელიც უნდა მოეპოვებოდეს ფულის ან საქონლის ცალკეულ მფლობელს, რათა იგი კაპიტალისტად იქცეს, იცვლება კაპიტალისტური წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ხოლო განვითარების მოცემულ საფეხურზე ეს თანხა წარმოების სხვადასხვა დარგში სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ როგორია მისი განსაკუთრებული ტექნიკური პირობები. წარმოების გარკვეული დარგები კაპიტალისტური წარმოების უკვე დასაწყისშივე მოითხოვენ კაპიტალის ისეთ მინიმუმს, რომელიც ჯერ კიდევ არ მოიპოვება ცალკეულ ინდივიდთა ხელში. ეს იწვევს, ერთი მხრივ, იმას, რომ სახელმწიფო სუბსიდიები ეძლევათ ასეთ კერძო პირებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, საფრანგეთში კოლბერის დროს ანდა ზოგიერთ გერმანულ სახელმწიფოში ჩვენს დრომდე, მეორე მხრივ კი, იმას, რომ არსდება საზოგადოებანი, რომელთაც კანონით ენიჭებათ მრეწველობისა და ვაჭრობის გარკვეულ დარგთა წარმოების მონოპოლია ²⁰⁶ — საზოგადოებანი, რომელნიც თანამედროვე აქციონერულ საზოგადოებათა წინამორბედნი არიან.

ჩვენ არ შევჩერდებით იმ ცვლილებათა დეტალებზე, რომელნიც განიცადა კაპიტალისტის და დაქირავებული მუშის ურთიერთობამ წარმოების პროცესის მსვლელობაში, არ შევჩერდებით, მაშასადამე,

^{205a} თანამედროვე ქიმიში გამოყენებული მოლეკულარული თეორია, რომელიც პირველად ლორანმა და ეერარმა მეცნიერულად განავითარეს, სწორედ ამ კანონზეა დამყარებული. { დ ა მ ა ტ ე ბ ა მ ე - 3 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს . ამ შენიშვნის განსამართავად, რაც საკმაოდ ბუნდოვანია იმ პირთათვის, რომელნიც ქიმიას არ იცნობენ, აღვნიშნავთ, რომ ავტორი აქ ველისხმობს ნახშირწყალბადის შენაერთებს, რომლებსაც ეერარმა 1843 წელს პირველად აქომოლოგიური მწკრივები უწოდა; თვითვე ამ მწკრივს საკუთარი შედგენილობის ალგებრული ფორმულა აქვს. მაგალითად, პარაფენის მწკრივს: $C_n H_{2n+2}$; ნორმალური ალკოპოლების მწკრივს: $C_n H_{2n+2} O$; ნორმალურ ცხიმოვან მჟავათა მწკრივს: $C_n H_{2n} O_2$ და სხვა მრავალი. ზემოაღნიშნულ მაგალითებში მოლეკულარული ფორმულისადმი CH_2 -ის უბრალო რაოდენობრივი მიმატებით ყოველთვის თვისებრივად განსხვავებული სხეული წარმოიქმნება. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენაში ლორანის და ეერარის მონაწილეობის შესახებ, რაც მარტსმა გადაჭარბებით შეაფასა, შეად. K o p p : «Entwicklung der Chemie», München 1873, გვ. 709 და 716, და S c h o r l e m m e r : «Rise and Development of Organic Chemistry», London 1879, გვ. 54. — **შ. შ.** }

²⁰⁶ ამგვარ დაწესებულებას მარტინ ლუთერი უწოდებს «die Gesellschaft-Monopolia» [საზოგადოება-მონოპოლია].

არც თვით კაპიტალის განსაზღვრათა შემდგომ გაშლაზე. აღენიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მთავარ პუნქტს.

წარმოების პროცესში კაპიტალი განვითარდა შრომაზე მბრძანებლობად, ე. ი. მოქმედ სამუშაო ძალაზე, ანუ თვით მუშაზე მბრძანებლობად. გაპიროვნებული კაპიტალი, კაპიტალისტი, თვალყურს ადევნებს, რათა მუშამ თავისი საქმე წესიერად და სათანადო ინტენსივობით შეასრულოს.

შემდეგ, კაპიტალი განვითარდა იძულებით ურთიერთობად, რომელიც აიძულებს მუშათა კლასს იმაზე მეტი შრომა შეასრულოს, ვიდრე ამას მის საკუთარ საარსებო მოთხოვნილებათა ვიწრო ფარგლები მოითხოვს. და როგორც სხვისი შრომისმოყვარეობის მწარმოებელი, როგორც ზედმეტი შრომის ამომწოვი და სამუშაო ძალის ექსპლოატატორი — კაპიტალი თავისი ენერგიით, გაუმადლობით და ქმედუნარიანობით დიდად სჭარბობს ყველა უწინდელ პირდაპირ იძულებითს შრომაზე დამყარებულ წარმოებრივ სისტემას.

კაპიტალი შრომას თავდაპირველად იმ ტექნიკურ პირობებში იმორჩილებს, რომლებშიც მას იგი ისტორიულად პოულობს. მაშასადამე, იგი უშუალოდ არ ცვლის წარმოების წესს. ამის გამო ზედმეტი ღირებულების წარმოება იმ ფორმით, რომელშიც ჩვენ მას აქამდე განვიხილავდით, ე. ი. სამუშაო ღღის უბრალო გაგრძელებით, თვით წარმოების წესის ყოველივე ცვლილებისაგან დამოუკიდებლად გვევლინებოდა. ძველებურ სახაბაზოში იგი არანაკლებ იყო ძალაში, ვიდრე თანამედროვე ბაზმის სართავ ფაბრიკაში.

თუ წარმოების პროცესს შრომის პროცესის თვალსაზრისით განვიხილავთ, მუშა ეპყრობა წარმოების საშუალებებს არა როგორც კაპიტალს, არამედ — როგორც თავისი მიზანშეწონილი მწარმოებლური მოქმედების უბრალო საშუალებას და მასალას. ტყავის ქარხანაში, მაგალითად, იგი ეპყრობა ტყავს როგორც თავისი შრომის უბრალო საგანს. იგი ამ ტყავს კაპიტალისტიისთვის როდი თრიმლავს. სხეანაირადაა საქმე, როდესაც ჩვენ ამ წარმოებას ღირებულების ზრდის პროცესის თვალსაზრისით განვიხილავთ. წარმოების საშუალებანი მაშინვე სხვისი შრომის შეწოვის საშუალებებად იქცევა. ახლა მუშა კი არ იყენებს წარმოების საშუალებებს, არამედ წარმოების საშუალებანი იყენებენ მუშას. ნაცვლად იმისა, რომ მან მოიხმაროს წარმოების საშუალებანი, როგორც თავისი მწარმოებლური მოქმედების ნივთიერი ელემენტები, თვით ისინი ხმარობენ მას როგორც მათი საკუთარი სასიცოცხლო პროცესის ფერმენტს, ხოლო კაპიტალის სასიცოცხლო პროცესი მდგომარეობს მის, როგორც თვითმზარდი

ღირებულების, მოძრაობაში. სადნობი ღუმელები და სახელოსნოები. რომლებიც ღამე ისვენებენ და არ შეიწოვენ ცოცხალ შრომას, კაპიტალისტისთვის «წმინდა დანაკარგია» («mere loss»). ამიტომ აყენებენ სადნობი ღუმელები და სახელოსნოები სამუშაო ძალის «ღამის მუშაობაზე გამოყენების პრეტენზიას». ფულის უბრალო გადაქცევა წარმოების პროცესის მატერიალურ ფაქტორებად, წარმოების საშუალებებად, ამ უკანასკნელთ აქცევს იურიდიულ ტიტულად და იძულებითს ტიტულად სხვის შრომაზე და ზედმეტ შრომაზე. კიდევ ერთი მაგალითი დასასრულ იმის საჩვენებლად, თუ როგორ აისახება კაპიტალისტთა ცნობიერებაში ეს კაპიტალისტური წარმოებისათვის ჩვეული და მისი დამახასიათებელი შებრუნება, და უფრო მეტიც, დამახინჯება თანაფარდობისა მკვდარსა და ცოცხალ შრომას, ღირებულებასა და ღირებულების შემქმნელ ძალას შორის. ინგლისელ მეფაბრიკეთა 1848 — 1850 წლების ჯანყის დროს «პეიზლის სელისა და ბამბის ფაბრიკის, დასავლეთ შოტლანდიის ამ უძველესი და უპატივცემულესი ფირმის — კარლეილი, შვილები და კომპ., — რომელიც 1752 წლიდან არსებობს და რომელსაც თაობიდან თაობამდე ერთი და იგივე გვარი წარმართავს, მეთაურმა», მაშასადამე, ამ უაღრესად განათლებულმა ჯენტლმენმა, 1849 წლის 25 აპრილს «Glasgow Daily Mail»-ში მოათავსა წერილი²⁰⁷ შემდეგი სათაურით: «Relaissystem», სადაც, სხვათა შორის, ასეთ წარმოუდგენლად გულუბრყვილო ადგილს ეხვდებით: «მაშ განვიხილოთ ის უბედურებანი, რომლებიც სამუშაო დროის 12 საათიდან 10 საათამდე შემცირებას მოსდევს... ისინი «წარმოადგენენ» უაღრესად სერიოზულ ზიანს მეფაბრიკის პერსპექტივებისა და საკუთრებისათვის. თუ იგი (ე. ი. მისი «ხელები») 12 საათს მუშაობდა და 10 საათით იქნება შეზღუდული, მაშინ ყოველი 12 მანქანა ან თითისტარი მის დაწესებულებაში 10-მდე შემცირდება («then every 12 machines or spindles, in his establishment, shrink to 10»), და თუ იგი მოისურვებდა თავისი ფაბრიკის გაყიდვას, მაშინ ეს მანქანები და თითისტრები მხოლოდ 10-ად შეფასდებოდა, ასე რომ ყოველი ფაბრიკა მთელ ქვეყანაში თავისი ღირებულების ერთ მეექვსედს დაკარგავდა»²⁰⁸.

²⁰⁷ «Reports of Insp. of Fact. for 30th April 1849», გვ. 59.

²⁰⁸ იქვე, გვ. 60. ფაბრიკის ინსპექტორი სტიუარტი, თვითონ შოტლანდიელი, რომელიც, წინააღმდეგ ინგლისელი ფაბრიკის ინსპექტორებისა, სავსებით დაუტყვევებია კაპიტალისტურ აზროვნებას, პირდაპირ აცხადებს, რომ ეს წერილი, რომელიც მან თავის ანგარიშს დაურთო, «წარმოადგენს ყველაზე სასარგებლო ცნობას, როგორც

დასავლეთ-შოტლანდიელის ამ მემკვიდრეობით თანდაყოლილი კაპიტალისტური ტვინისათვის წარმოების' საშუალებათა, თითისტართა და სხვ. ღირებულება ისე ძლიერად ერთვის მათს კაპიტალისტურ თვისებას, თვითზრდის, ანუ ყოველდღიურად სხვისი მუქთი შრომის განსაზღვრული რაოდენობის შთანთქმის თვისებას, რომ კარლეილის და კომპანიის ფირმის მეთაურს მართლა ჰგონია, ვითომ თავისი ფაბრიკის გაყიდვის დროს მას უხდინან არა მარტო თითისტართა ღირებულებას, არამედ, გარდა ამისა, მათი ღირებულების ზრდასაც, არა მარტო შრომას, რომელიც მათშია მოქცეული და აუცილებელია ისეთივე სახის თითისტარების საწარმოებლად, არამედ — ზედმეტ შრომასაც, რომელსაც მათი დახმარებით ყოველდღიურად სწოვენ პეიზლის ახოვან დასავლეთ-შოტლანდიელებს; და სწორედ ამიტომ, ფიქრობს იგი, სამუშაო დღის ორი საათით შემცირების გამო ყოველი 12 სართავი მანქანის, გასაყიდი ფასი 10 მანქანის ფასამდე მცირდება!

კი ოდესმე მოუცია Relais-system-ის გამომყენებელ რომელიმე მეფაბრიკეს, და იგი განააკუთრებით იმისთვისაა ნავარაუდები, რომ გაფანტოს ცოლ აზრები და ეპყვები ამ სისტემის შესახებ.

25 კ. მარკსი. «კაპიტალი», ტ. I.

განყოფილება მეოთხე

მეზარღვითი ზედმეტი ღირებულების წარმოება

თავი მათე

მეზარღვითი ზედმეტი ღირებულების ცნება

სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც კაპიტალის მიერ გადახდილი სამუშაო ძალის ღირებულების მხოლოდ ეკვივალენტს აწარმოებს, აქამდე ჩვენ მიერ მიჩნეული იყო მუდმივ სიდიდედ, რასაც ის ნამდვილად წარმოადგენს წარმოების მოცემულ პირობებში, საზოგადოების ეკონომიური განვითარების არსებულ საფეხურზე. ამ აუცილებელ სამუშაო დროს ზევით მუშას შეეძლო კიდევ 2, 3, 4, 6 და სხვ. საათი ემუშავნა. ამ გაგრძელების სიდიდეზე იყო დამოკიდებული ზედმეტი ღირებულების ნორმა და სამუშაო დღის სიდიდე. თუ აუცილებელი სამუშაო დრო, ამრიგად, მუდმივი იყო, პირიქით, მთელი სამუშაო დღე ცვალებადი იყო. წარმოვიდგინოთ ახლა სამუშაო დღე, რომლის სიდიდე და რომლის დაყოფა აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად მოცემულია. ვთქვათ, მაგალითად, ხაზი ac , a ————— b — c , წარმოადგენს თორმეტი საათის სამუშაო დღეს, მონაკვეთი ab — 10 საათის აუცილებელ შრომას, ხოლო მონაკვეთი bc — 2 საათის ზედმეტ შრომას. იბადება კითხვა: რანაირად შეიძლება ზედმეტი ღირებულების წარმოების გადიდება, ე. ი. ზედმეტი შრომის გახანგრძლივება ac -ს გაუგრძელებლად ანუ მისი ყოველგვარი შემდგომი გაგრძელებისგან დამოუკიდებლად?

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღის, ac -ს, საზღვრები მოცემულია, თითქოს შესაძლებელია bc -ს გაგრძელება, თუ მისი ბოლო პუნქტი c -ს, რომელიც ამავე დროს სამუშაო დღის, ac -ს, ბოლო პუნქტია, მარჯვნივ გადანაცვლებით არა, მისი საწყისი პუნქტის b -ს გადანაცვლებით მინც საპირისპირო მიმართულებით a -სკენ. ვთქვათ,

ხაზზე a ————— b' b ————— c მონაკვეთი b' — b უდრის bc -ს ნახევარს, ე. ი. ერთ სამუშაო საათს. თუ ახლა 12 საათიან სამუშაო დღეში, ac -ში, წერტილი b გადაიწეეს b' -დღე, მაშინ bc გაგრძელდება $b'c$ -მდე, ზედმეტი შრომა ნახევარჯერ მოიმატებს, გადიდება 2-დან 3 საათამდე, თუმცა სამუშაო დღე უწინდებურად მხოლოდ 12 საათი დარჩა. მაგრამ, მაშინ ცხადია, ზედმეტი შრომის გაგრძელება bc -დან $b'c$ -მდე, 2-დან 3 საათამდე, შეუძლებელია ისე მოხდეს, რომ იმავე დროს არ შემცირდეს აუცილებელი შრომა ab -დან ab' -დღე, 10-დან 9 საათამდე. ამ შემთხვევაში ზედმეტი შრომის გაგრძელების შესაბამისად შემოკლებოდა აუცილებელი შრომა, ანუ იმ სამუშაო დროის ნაწილი, რომელსაც აქამდე მუშა ფაქტიურად თავის თავზე ხარჯავდა, ახლა გადაიქცევა სამუშაო დროდ კაპიტალისტის სასარგებლოდ. ამასთან შეიცვლებოდა არა სამუშაო დღის სიგრძე, არამედ — მისი დაყოფა აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ თვით ზედმეტი შრომის სიდიდე მოცემულია, თუ მოცემულია სამუშაო დღის სიდიდე და სამუშაო ძალის ღირებულება. სამუშაო ძალის ღირებულება, ე. ი. მისი წარმოებისთვის საჭირო სამუშაო დრო, განსაზღვრავს მისი ღირებულების კვლავწარმოებისათვის აუცილებელ სამუშაო დროს. თუ ერთი სამუშაო საათი გამოიხატება ნახევარი შილინგის ანუ 6 პენსის ოქროს რაოდენობით, და თუ სამუშაო ძალის დღიური ღირებულება 5 შილინგს შეადგენს, მაშინ მუშამ ყოველდღიურად 10 საათი უნდა იმუშაოს, რათა აანაზღაუროს თავისი სამუშაო ძალის დღიური ღირებულება, რომელიც კაპიტალისტმა გადაიხადა, ანუ აწარმოოს თავის აუცილებელ ყოველდღიურ საარსებო საშუალებათა ღირებულების ეკვივალენტი. ამ საარსებო საშუალებათა ღირებულებასთან ერთად მოცემულია მისი სამუშაო ძალის ღირებულება¹, მისი სამუშაო

¹ საშუალო დღიური ხელფასის ღირებულება განისაზღვრება იმით, რასაც მუშა საჭიროებს, «რომ იკოცნოს, იმუშაოს და იმრავლოს» (William Petty: «Political Anatomy of Ireland», 1672, გვ. 64). «შრომის ფასი მუდამ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასით განისაზღვრება, მუშა არ იღებს სათანადო ხელფასს, თუ... მუშის ხელფასი არ არის საქმარისი იმისათვის, რომ მან, თავისი — როგორც მუშის — დაბალი წოდებისა და მდგომარეობის შესაბამისად, ასაზრდოოს ისეთი დიდი ოჯახი, როგორც ბევრი მათგანის ხედრია» (J. Vanderlint: «Money answers all Things». London 1734, გვ. 15). «უბრალო მუშა, რომელსაც სხვა არაფერი გააჩნია, გარდა მარჯვენისა და თავისი ხელობისა, მხოლოდ მაშინ იღებს რაიმეს, როცა იგი აწერებს თავისი შრომა სხვებს მიჰყიდოს... შრომის ყოველ დარგში უნდა მოხდეს და ხდება კიდევ სინამდვილეში, რომ მუშის ხელფასი ზღვარდებულია მით, რაც უეჭველად აუცილებელია მისი არსებობის შესანარჩუნებლად» (Turgot:

ძალის ღირებულებასთან ერთად — მისი აუცილებელი სამუშაო დროის სიდიდე. მაგრამ ზედმეტი შრომის სიდიდე მიიღება მთელი სამუშაო დღიდან აუცილებელი სამუშაო დროის გამოკლებით. თორმეტი საათიდან ათი საათის გამოკლების შემდეგ რჩება ორი, და გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება არსებულ პირობებში ზედმეტი შრომა ამ 2 საათის ფარგალს იქით გაგრძელდეს. რასაკვირველია, კაპიტალისტს შეუძლია მუშას 5 შილინგის ნაცვლად მხოლოდ 4 შილინგი და 6 პენსი, ან კიდევ ნაკლებიც გადაუხადოს. მაშინ 4 შილინგის და 6 პენსის ამ ღირებულების კვლავწარმოებისათვის საკმარისი იქნებოდა 9 სამუშაო საათი, მაშასადამე, 12 საათის სამუშაო დღიდან ზედმეტ შრომას 2 საათის ნაცვლად 3 საათი მოუწევდა, ხოლო თვით ზედმეტი ღირებულება 1 შილინგიდან 1 შილინგსა და 6 პენსამდე აიწევდა. მაგრამ ეს შედეგი მიღწეული იქნებოდა მხოლოდ მუშის ხელფასის დაწვევით მისი სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა. 4 შილინგით და 6 პენსით, რომელსაც იგი 9 საათის განმავლობაში აწარმოებს, მას ხელთ აქვს $\frac{1}{10}$ -ით ნაკლები საარსებო საშუალებანი, ვიდრე წინათ, და ამ გზით ხდება მხოლოდ შეკვეცილი კვლავწარმოება მისი სამუშაო ძალისა. აქ ზედმეტი შრომა მხოლოდ მისი ნორმალური საზღვრების გადალახვით შეიძლება გაგრძელდეს, მისი სფერო მხოლოდ აუცილებელი სამუშაო დროის უზურპატორული წაგლეჯით შეიძლება გაფართოვდეს. მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი როლისა, რომელსაც ეს მეთოდი ხელფასის ნამდვილ მოძრაობაში ასრულებს, აქ იგი გამორიცხულია იმ წანამძღვრით, რომ ყველა საქონელს, მაშასადამე, სამუშაო ძალასაც ყიდულობენ და ყიდიან მათი სრული ღირებულების კვალობაზე. რაკი ეს ერთხელ ნაგულისხმევია, სამუშაო ძალის წარმოებისათვის ანუ მისი ღირებულების კვლავწარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო არ შეიძლება შემცირდეს იმის გამო, რომ მუშის ხელფასი მისი სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა იწევს, არამედ იგი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ იმის გამო, რომ თვით ეს ღირებულება იწევს დაბლა. თუ სამუშაო დღის სიგრძე მოცემულია, ზედმეტი შრომის გაგრძელება აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა, პირიქით, აუცილებელი სამუშაო დროის შემოკ-

«Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses». Oeuvres გამოც. Daire, ტ. I, გვ. 10). «საარსებო საშუალებათა ფასი ფაქტიურად უდრის შრომის წარმოების ხარჯებს» (Malthus: «Inquiry into the Nature and Progress of Rent and the Principles by which it is regulated». London 1815, გვ. 48, შენიშვნა).

ლება — ზედმეტი შრომის გაგრძელებიდან. ჩვენს მაგალითში სამუშაო ძალის ღირებულებამ ნამდვილად $\frac{1}{10}$ -ით უნდა დაიწიოს, რათა აუცილებელი სამუშაო დროც $\frac{1}{10}$ -ით, 10-დან 9 საათამდე, შემცირდეს, და, მაშასადამე, ზედმეტი შრომა 2-დან 3 საათამდე გაგრძელდეს.

მაგრამ სამუშაო ძალის ღირებულების ასეთი დაწევა $\frac{1}{10}$ -ით, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ საარსებო საშუალებათა ის რაოდენობა, რომელიც უწინ 10 საათში იწარმოებოდა, ახლა 9 საათში იწარმოება. ეს კი შეუძლებელია შრომის მწარმოებლური ძალის გაუდიდებლად. არსებული საშუალებებით ხარაზს, მაგალითად, შეუძლია 12 საათის სამუშაო დღეში ერთი წყვილი ფეხსაცმელი დაამზადოს. იმავე დროში რომ მან 2 წყვილი ფეხსაცმელი დაამზადოს, მისი შრომის მწარმოებლური ძალა უნდა გაორკეცდეს, და ეს უკანასკნელი კი არ შეიძლება გაორკეცდეს, თუ მისი შრომის საშუალებებში, ან მისი შრომის მეთოდში, ანდა ორივეში ერთად ცვლილება არ მოხდა. მაშასადამე, მისი შრომის საწარმოო პირობებში, ე. ი. მის წარმოების წესში, და ამიტომ თვით შრომის პროცესშიც რევოლუცია უნდა მოხდეს. შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებად ჩვენ აქ ვგულისხმობთ შრომის პროცესში მომხდარ საერთოდ ყოველგვარ ცვლილებას, რომლის გამო ამა თუ იმ საქონლის წარმოებისთვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო მცირდება, მაშასადამე, შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ძალას იძენს სახმარი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად². ამრიგად, მაშინ როდესაც ზედმეტი ღირებულების წარმოების დროს იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენ მას აქამდე განვიხილავდით, წარმოების წესი მოცემულად იგულისხმებოდა, ახლა, ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის, როცა ეს წარმოება ხდება აუცილებელი შრომის ზედმეტ შრომად გადაქცევის გზით, — სრულიად არ არის საკმარისი, რომ კაპიტალი დაეუფლოს შრომის პროცესს მისი ისტორიულად გადმონაცემი ანუ არსებული ფორმით და მხოლოდ გაადიდოს მისი ხანგრძლიობა. კაპიტალმა უნდა მოახდინოს გადატრიალება შრომის პროცესის ტექნიკურ და საზოგადოებრივ პირობებში, მაშასადამე, თვით წარმოების

² როცა ხელობა უმჯობესდება, ეს მხოლოდ იმ ახალი მეთოდების აღმოჩენას ნიშნავს, რომელთა საშუალებითაც ესა თუ ის სამუშაო შეიძლება შესრულდეს ადამიანთა უფრო ნაკლები რაოდენობით ანუ (რაც იგივეა) უფრო მოკლე დროში, ვიდრე უწინ (Galvani: «Della Moneta», ტ. III, Custodi-ის კრებულში: «Scrittori Classici Italiani di Economia Politica», Parte Moderna, Milano 1803, გვ. 158, 159). წარმოების ხარჯებზე გაწეული ეკონომია მხოლოდ წარმოებაში გამოყენებული შრომის რაოდენობის ეკონომიაა (Sismondi: «Études etc.», ტ. I, გვ. 22).

წესში; რათა აიწიოს შრომის მწარმოებლურმა ძალამ, შრომის მწარმოებლური ძალის აწევით კი დაიწიოს სამუშაო ძალის ღირებულებამ და; ამრიგად, შემოკლდეს სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია ამ ღირებულების საკვლავწარმოებლად.

სამუშაო დღის გაგრძელებით წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას მე ვუწოდებ აბსოლუტურ ზედმეტ ღირებულებას; პირიქით, იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც წარმოშობს აუცილებელი სამუშაო დროის შემოკლება და შესაბამისი ცვლილება სამუშაო დღის ორივე შემადგენელი ნაწილის სიდიდეთა შეფარდებაში, მე ვუწოდებ შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას.

იმისათვის, რომ სამუშაო ძალის ღირებულებამ დაიწიოს; საჭიროა შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება მრეწველობის ისეთი დარგები მოიცვას, რომელთა პროდუქტები სამუშაო ძალის ღირებულებას განსაზღვრავენ, მაშასადამე, ან ეკუთვნიან ჩვეულებრივ საარსებო საშუალებათა წრეს, ან შეუძლიათ მათი ადგილი დაიკავონ. მაგრამ საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა მარტო იმ შრომის რაოდენობით, რომელიც საქონელს საბოლოო ფორმას აძლევს, არამედ აგრეთვე ამ საქონლის წარმოების საშუალებებში მოქცეული შრომის რაოდენობით. მაგალითად, ფეხსაცმლის ღირებულება განისაზღვრება არა მარტო ხარაზის შრომით, არამედ ტყავის, ცვილის, ძაფისა და სხვ. ღირებულებითაც. მაშასადამე, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება და შესაბამისი გაიაფება საქონლისა მრეწველობის იმ დარგებში, რომელნიც აუცილებელ საარსებო საშუალებათა დასამზადებლად მუდმივი კაპიტალის ნივთიერ ელემენტებს, ე. ი. შრომის საშუალებებსა და შრომის მასალას იძლევიან, — დაბლა სწევენ აგრეთვე სამუშაო ძალის ღირებულებას. პირიქით, წარმოების ისეთ დარგებში, რომელნიც არ იძლევიან არც აუცილებელ საარსებო საშუალებებს და არც წარმოების საშუალებებს მათ დასამზადებლად, გადიდებული მწარმოებლური ძალა სრულიად არ ახდენს გავლენას სამუშაო ძალის ღირებულებაზე.

გაიაფებული საქონელი, რასაკვირველია, სამუშაო ძალის ღირებულებას სწევს დაბლა მხოლოდ *pro tanto*, ე. ი. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საქონელი სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში მონაწილეობს. მაგალითად, პერანგი აუცილებელი საარსებო საშუალებაა, მაგრამ — მხოლოდ ერთი მრავალთაგანი. მისი გაიაფება ამცირებს მხოლოდ მუშის ხარჯებს პერანგისთვის. აუცილებელ საარსებო საშუალებათა ერთობლივი ჯამი კი შედგება სხვადასხვა საქონლისაგან, განსაკუთრებული სამრეწველო დარგების უაღრესად სხვადასხვაგვარი

პროდუქტებისაგან, და თვითეული ასეთი საქონლის ღირებულება მუდამ შეადგენს სამუშაო ძალის ღირებულების სათანადო ნაწილს. ეს უკანასკნელი ღირებულება მცირდება მისი კვლავწარმოებისათვის აუცილებელ სამუშაო დროსთან ერთად; ამ სამუშაო დროის საერთო შემოკლება კი უდრის მის შემოკლებათა ჯამს წარმოების ყველა ზემოხსენებულ განსაკუთრებულ დარგებში. ამ ზოგად შედეგს ჩვენ აქ ისე განვიხილავთ, თითქოს იგი უშუალო შედეგი და უშუალო მიზანი იყოს ყოველ კერძო შემთხვევაში. როდესაც ცალკეული კაპიტალისტი შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებით, მაგალითად, პერანგებს აიაფებს, იგი ამ დროს სრულიადაც არ ისახავს აუცილებლად იმ მიზანს, რომ *pro tanto* დასწიოს სამუშაო ძალის ღირებულება, და. მაშასადამე, შეამოკლოს აუცილებელი სამუშაო დრო; მაგრამ რამდენადაც იგი საბოლოოდ ამ შედეგს ხელს უწყობს, ამით იგი ხელს უწყობს ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ნორმის აწევას³. კაპიტალის საყოველთაო და აუცილებელი ტენდენციები უნდა განვასხვაოთ მათი გამოვლინების ფორმებისაგან.

ის წესი სახელდობრ, თუ როგორ გამოვლინდებიან კაპიტალის გარეგნულ მოძრაობაში კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონები, როგორ ხორციელდებიან ისინი კონკურენციის იძულებითი კანონების სახით და ამიტომ როგორ აღწევენ ცალკეული კაპიტალისტის ცნობიერებას როგორც მამოძრავებელი მოტივები, — აქ არ განიხილება. მაგრამ, ერთი რამ იმთავითვე ცხადია: კონკურენციის მეცნიერული ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გაგებულია კაპიტალის შინაგანი ბუნება, სწორედ ისევე, როგორც ცის სხეულთა მოჩვენებითი მოძრაობა გასაგებია მხოლოდ მისთვის, ვინც იცნობს მათს ნამდვილ, მაგრამ გრძნობით აღუქმელ მოძრაობას. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების გასაგებად, და თანაც მხოლოდ ჩვენ მიერ უკვე მიღწეული შედეგების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს შემდეგი.

თუ ერთი სამუშაო საათი გამოიხატება n პენსის, ანუ $\frac{1}{2}$ შილინგის, ოქროს რაოდენობით, მაშინ თორმეტი საათის სამუშაო დღეში n შილინგი ღირებულება იქნება წარმოებულნი. ვთქვათ, შრომის მწარმოებლური ძალის მოცემული დონის პირობებში ამ 12 საათის

³ როდესაც მეფაბრიკე მანქანების გაუმჯობესების საშუალებით თავის პროდუქტებს აორკეცებს... ის (საბოლოოდ) იგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ გზით შეუძლია უფრო იაფად ჩააცვას მუშას... და რამდენადაც, ამრიგად, მთელი პროდუქტის უფრო ნაკლები ნაწილი ხდება მუშას» (Ramsay: «An Essay on the Distribution of Wealth». Edinburgh 1836, გვ. 168, 169).

განმავლობაში 12 ცალი საქონელი დამზადდა. თვითეულ ცალ საქონელზე დახარჯული წარმოების საშუალებების, ნედლი მასალისა და სხვ. ღირებულება, ვთქვათ, 6 პენსს უდრის. ამ პირობებში ყოველი ცალკეული საქონელი ერთი შილინგი ეღირება, სახელდობრ, 6 პენსი წარმოების საშუალებათა ღირებულება იქნება და 6 პენსიც — მათს გადაქცევაში ახლადმიმატებული ღირებულება. ვთქვათ, რომელიმე კაპიტალისტმა მოახერხა ახლა შრომის მწარმოებლური ძალის გაორკეცება, ასე რომ იგი 12 საათის სამუშაო დღეში ამ სახის საქონლის 24 ცალს აწარმოებს, ნაცვლად 12 ცალისა. ამ შემთხვევაში, თუ წარმოების საშუალებათა ღირებულება უცვლელი რჩება, ცალკეული საქონლის ღირებულება 9 პენსამდე დაიწევს, სახელდობრ: 6 პენსი იქნება წარმოების საშუალებათა ღირებულება, 3 პენსი — უკანასკნელი შრომით ახლადმიმატებული ღირებულება. მიუხედავად მწარმოებლური ძალის გაორკეცებისა, სამუშაო დღე ახლაც, როგორც უწინ, მხოლოდ 6 შილინგ ახალ ღირებულებას ქმნის, მაგრამ ეს უკანასკნელი ახლა პროდუქტების ორჯერ მეტ რიცხვზე ნაწილდება. ამიტომ ყოველ ცალკეულ პროდუქტზე ამ ერთობლივი ღირებულების მხოლოდ $\frac{1}{3}$ მოდის, ნაცვლად $\frac{1}{12}$ -ისა, 3 პენსი — ნაცვლად 6 პენსისა, ანუ, რაც იგივეა, წარმოების საშუალებებს, მათი მზა პროდუქტად გადაქცევის დროს, ახლა თვითეულ ცალ საქონელზე მხოლოდ ნახევარი სამუშაო საათი ემატება, ნაცვლად წინანდელი მთელი საათისა. ამ საქონლის ინდივიდუალური ღირებულება ახლა მის საზოგადოებრივ ღირებულებაზე დაბლა დგას, ე. ი. ეს საქონელი უფრო ნაკლები სამუშაო დრო ღირს, ვიდრე ამავე სახეობის პროდუქტთა დიდი გროვა, საშუალო საზოგადოებრივ პირობებში წარმოებული. თითო ცალი საქონელი საშუალოდ 1 შილინგი ღირს, ანუ 2 საათის საზოგადოებრივ შრომას წარმოადგენს; წარმოების წესის შეცვლისას იგი მხოლოდ 9 პენსი ღირს, ე. ი. მხოლოდ $1\frac{1}{2}$ საათის შრომას შეიცავს. მაგრამ საქონლის ნამდვილი ღირებულება არის არა მისი ინდივიდუალური, არამედ მისი საზოგადოებრივი ღირებულება, ე. ი. ეს ღირებულება გაიზომება არა იმ სამუშაო დროით, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში მწარმოებელს ფაქტიურად უღირს საქონელი, არამედ მისი წარმოებისთვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით. მაშასადამე, თუ კაპიტალისტი, რომელმაც ახალი მეთოდი გამოიყენა, თავის საქონელს მისი საზოგადოებრივი ღირებულების კვალობაზე, ე. ი. 1 შილინგად ყიდის, ამით იგი ამ საქონელს მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე 3 პენსით მეტად ყიდის, და, ამრიგად, 3 პენსს დამატებითს ზედმეტ ღირებულებას [Extra-

mehrwert] ანაღდებს. მაგრამ, მეორე მხრივ, 12 საათის სამუშაო დღე გამოიხატება მისთვის ახლა 24 ცალი საქონლით, ნაცვლად უწინდელი 12 ცალისა. მაშასადამე, ერთი სამუშაო დღის პროდუქტი რომ გაყიდოს, ის საჭიროებს ახლა გაორკეცებულ გასაღებას, ანუ ორჯერ უფრო დიდ ბაზარს. დანარჩენ უცვლელ პირობებში მისი საქონელი უფრო დიდ ბაზარს მხოლოდ თავისი ფასების დაკლების საშუალებით იპყრობს. ამიტომ ამ საქონელს კაპიტალისტი გაყიდის მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე მეტად, მაგრამ მის საზოგადოებრივ ღირებულებაზე ნაკლებად, ვთქვათ, ცალს — 10 პენსად. ამრიგად, იგი თითო ცალზე მაინც კიდევ ამოიგებს 1 პენსს დამატებითს ზედმეტ ღირებულებას. ზედმეტი ღირებულების ასეთ ზრდას მისთვის ადგილი აქვს განურჩევლად იმისა, ეკუთვნის თუ არა მისი საქონელი აუცილებელ საარსებო საშუალებათა რიცხვს და ამიტომ შედის თუ არა იგი როგორც განმსაზღვრელი მომენტი სამუშაო ძალის საერთო ღირებულებაში. მაშასადამე, ამ უკანასკნელი გარემოებისაგან დამოუკიდებლად, ყოველი ცალკეული კაპიტალისტისთვის არსებობს მამოძრავებელი მოტივი იმისა, რომ საქონელი გააიფოს შრომის მწარმოებლური ძალის გაღიდებით.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ზედმეტი ღირებულების გაღიდებულ წარმოებას აუცილებელი სამუშაო დროის შემოკლება და ზედმეტი შრომის სათანადო გაგრძელება წარმოშობს^{3a}. ვთქვათ, აუცილებელი სამუშაო დრო 10 საათს უდრის, ანუ სამუშაო ძალის დღიური ღირებულება შეადგენს 5 შილინგს, ზედმეტი შრომა — 2 საათს, მაშასადამე, ყოველდღიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულება — 1 შილინგს. მაგრამ ჩვენი კაპიტალისტი ახლა აწარმოებს 24 ცალ საქონელს, რომელსაც ის 10 პენსად ყიდის ცალს, ე. ი. სულ — 20 შილინგად. რადგან წარმოების საშუალებათა ღირებულება 12 შილინგს უდრის, ამიტომ $14\frac{2}{3}$ ცალი საქონელი მხოლოდ ავანსებულ მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. თორმეტი საათის სამუშაო დღე დანარჩენი $9\frac{3}{8}$ ცალით გამოიხატება. რადგან სამუშაო ძალის

^{3a} «მოგება, რომელსაც ადამიანი ღებულობს, იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რომ ეს ადამიანი სხვა ადამიანთა შრომის პროდუქტზე მბრძანებლობს, არამედ — იმაზე, რომ იგი თვით ამ შრომაზე მბრძანებლობს. თუ მას შეუძლია თავისი პროდუქტი უფრო ძვირად გაყიდოს, მაშინ როდესაც მისი მუშების ხელფასი უცვლელ რჩება, აშკარაა, რომ იგი მოგებაშია... მაშინ უფრო მცირე ნაწილი იმისა, რაც მან აწარმოვა, საკმაო ისია, რომ ეს შრომა მოძრაობაში მოიყვანოს, და, მაშასადამე, უმეტესი ნაწილი თვით მის საკუთარ სარგებლობაში რჩება» («Outlines of Political Economy». London 1832, გვ. 49, 50).

ფასი 5 შილინგს უდრის, ამიტომ 6 ცალი პროდუქტით გამოიხატება აუცილებელი სამუშაო დრო და $3\frac{3}{5}$ ცალით — ზედმეტი შრომა. აუცილებელი შრომის შეფარდება ზედმეტ შრომასთან, რომელიც საშუალო საზოგადოებრივ პირობებში შეადგენდა 5:1, ახლა შეადგენს მხოლოდ 5:3. იმავე შედეგის მიღება შეიძლება ამნაირად: თორმეტი საათის სამუშაო დღის პროდუქტის ღირებულება უდრის 20 შილინგს. აქედან 12 შილინგი მოდის წარმოების საშუალებათა ღირებულებაზე, რომელიც მხოლოდ ხელახლა გვევლინება პროდუქტის ღირებულებაში. მაშასადამე, რჩება კიდევ 8 შილინგი როგორც იმ ღირებულების ფულადი გამოხატულება, რომელშიაც სამუშაო დღეა წარმოდგენილი. ეს ფულადი გამოხატულება უფრო მეტია, ვიდრე ფულადი გამოხატულება იმავე სახის საშუალო საზოგადოებრივი შრომისა, რომლის 12 საათი მხოლოდ 6 შილინგით გამოიხატება. განსაკუთრებული მწარმოებლური ძალის შრომა მოქმედებს როგორც ახარისხებული შრომა, ე. ი. დროის თანაბარ მონაკვეთებში იგი მეტი სიდიდის ღირებულებას ქნის, ვიდრე იმავე სახეობის საშუალო საზოგადოებრივი შრომა. მაგრამ ჩვენი კაპიტალისტი ახლაც, როგორც წინათ, სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებაში მხოლოდ 5 შილინგს იხდის. ამის გამო მუშა ამ ღირებულების კვლავწარმოებისათვის უწინდელი 10 საათის ნაცვლად ახლა მხოლოდ $7\frac{1}{2}$ საათს საჭიროებს. ამიტომ, მისი ზედმეტი შრომა იზრდება $2\frac{1}{2}$ საათით, ხოლო მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება — 1 შილინგიდან 3 შილინგამდე. მაშასადამე, კაპიტალისტი, რომელიც გაუმჯობესებულ წარმოების წესს იყენებს, სამუშაო დღის უფრო მეტ ნაწილს ისაკუთრებს ზედმეტი შრომის სახით, ვიდრე სხვა კაპიტალისტები წარმოების იმავე დარგში. იგი კერძო შემთხვევაში იმასვე აკეთებს. რასაც კაპიტალი აკეთებს საერთოდ და მთლიანად შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების დროს. მაგრამ, მეორე მხრივ, ახალი წარმოების წესის საყოველთაო გავრცელებასთან ერთად ქრება ეს დამატებითი ზედმეტი ღირებულება და ამით ისპობა სხვაობა უფრო იაფად წარმოებულ საქონელთა ინდივიდუალურ ღირებულებასა და მათს საზოგადოებრივ ღირებულებას შორის. იგივე კანონი, რომლის ძალითაც ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება და რომელიც ახალი მეთოდის შემომღები კაპიტალისტისთვის იმ ფორმით ხდება საგრძნობი, რომ მან თავისი საქონელი მის საზოგადოებრივ ღირებულებაზე ნაკლებ უნდა გაყიდოს, — ეს კანონი, როგორც კონკურენციის იძულებითი კანონი, ჩვენი კაპიტალისტის მეტოქეებს აიძუ-

ლებს ახალი წარმოების წესი შემოიღონ⁴. ამრიგად, ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ნორმაზე მთელი ეს პროცესი საბოლოოდ მხოლოდ მაშინ მოახდენს გავლენას, როდესაც შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება წარმოების ისეთ დარგებზე გავრცელდება და, მაშასადამე, ისეთ საქონელს გააიაფებს, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებათა წრეს მიეკუთვნება და ამიტომ სამუშაო ძალის ღირებულების ელემენტებს შეადგენს.

საქონლის ღირებულება შებრუნებულ შეფარდებაშია შრომის მწარმოებლურ ძალასთან. ასევეა სამუშაო ძალის ღირებულება, რადგან იგი საქონელთა ღირებულებით განისაზღვრება. პირიქით, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება პირდაპირ შეფარდებაშია შრომის მწარმოებლურ ძალასთან. იგი მატულობს მწარმოებლური ძალის მატებასთან და კლებულობს მის კლებასთან ერთად. 12 საათის საშუალო საზოგადოებრივი სამუშაო დღე, თუ ფულის ღირებულებას უცვლელად ვიგულისხმებთ, მუდამ ერთსა და იმავე, მაგალითად, 6 შილინგ ახალ ღირებულებას აწარმოებს, სულ ერთია, როგორც უნდა ნაწილდებოდეს ღირებულების ეს ჯამი სამუშაო ძალის ღირებულების ეკვივალენტსა და ზედმეტი ღირებულებას შორის. მაგრამ თუ შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების გამო დღიურ საარსებო საშუალებათა ღირებულება და, მაშასადამე, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება 5 შილინგიდან 3 შილინგამდე დაეცემა, მაშინ ზედმეტი ღირებულება 1 შილინგიდან 3 შილინგამდე გაიზრდება. სამუშაო ძალის ღირებულების საკვლავწარმოებლად წინათ საჭირო იყო 10 სამუშაო საათი, ახლა კი მხოლოდ 6 სამუშაო საათია საჭირო. 4 სამუშაო საათი განთავისუფლდა და შეიძლება მიემატოს ზედმეტი შრომის სფეროს. აქედან წარმოდგება კაპიტალის იმანენტური მისწრაფება და მუდმივი ტენდენცია — გაადიდოს შრომის მწარმოებლური ძალა,

⁴ «თუ ჩემ მეზობელს შეუძლია, იმის გამო, რომ იგი ნაკლები შრომით მეტს ამზადებს, იაფად გაყიდოს, მაშინ მეც უნდა ვეცადო ისევე იაფად გავყიდო, როგორც ის ყიდის. ამრიგად, ყოველი დახელოვნება, ყოველი ხელობა და ყოველი მანქანა, რომელიც შესაძლებლად ზდის სამუშაო უფრო ნაკლები მუშახელით და, მაშასადამე, უფრო იაფად შესრულდეს, სხვებში შეჯიბრებას იწვევს და აიძულებს მათ, რომ იგივე დახელოვნება, იგივე ხელობა ან იგივე მანქანა გამოიყენონ, ანდა მისი მსგავსი რამ გამოიგონონ, რათა ყველანი ერთნაირ პირობებში იმყოფებოდნენ და არაეის შეეძლოს თავის მეზობელზე იაფად გაყიდოს» («The Advantages of the East-India Trade to England». London 1720, გვ. 67).

რათა გააიაფოს საქონელი და საქონლის გაიაფებით გააიაფოს თვით მუშა⁵.

საქონლის აბსოლუტური ღირებულება კაპიტალისტისთვის, რომელიც საქონელს აწარმოებს, თავისთავად სულ ერთია. მას აინტერესებს მხოლოდ ამ საქონელში მოქცეული და გაყიდვის დროს გასანაღდებელი ზედმეტი ღირებულება. ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია თავისთავად გულისხმობს ავანსებული ღირებულების ანაზღაურებას. რადგან შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება იზრდება პირდაპირი პროპორციით შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასთან, მაშინ როდესაც საქონლის ღირებულება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია იმავე განვითარებასთან, რადგან, მაშასადამე, ერთი და იგივე პროცესი საქონელს აიაფებს და მასში მოქცეულ ზედმეტ ღირებულებას ზრდის, ამით ამოხსნილია ის გამოცანა, რომ კაპიტალისტი, რომელიც მხოლოდ საცვლელი ღირებულების წარმოებისთვის ზრუნავს, მუდამ ცდილობს საქონლის საცვლელი ღირებულება დაბლა დასწიოს: წინააღმდეგობა, რომლითაც კენე, პოლიტიკური ეკონომიის ერთი დამაარსებელთაგანი, აწვალებდა თავის მოწინააღმდეგეებს და რომელზედაც მათ პასუხი ვერ გასცეს მას. «თქვენ ცნობთ, — ამბობს კენე, — რომ რაც უფრო მეტი მომჭირნეობა იქნება გაწეული ხარჯებში ან ძვირადღირებულ სამუშაოებში სამრეწველო პროდუქტების წარმოების დროს, წარმოების დაუზარალებლად, მით უფრო ხელსაყრელი იქნება ეს მომჭირნეობა, რადგან იგი ნაწარმის ფასს ამცირებს. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ წარმოება სიმდიდრისა, რომელსაც მრეწველთა შრომა

⁵ «*რა პროპორციითაც კლებულობს მუშის ხარჯები, იმავე პროპორციით მცირდება მისი ხელფასი, თუ ამავე დროს მრეწველობა განთავისუფლებულია ყოველგვარი შეზღუდვისაგან*» («*Considerations concerning Taking off the Bounty on Corn exported etc.*». London 1753, გვ. 7). მრეწველობის და ვაჭრობის ინტერესი მოითხოვს, რომ პური და ყოველნაირი საარსებო საშუალება რაც შეიძლება მეტად გაიაფდეს, ეს იმიტომ რომ, რაც მათ ძვირებს, შრომასაც ძვირებს... ყველა ქვეყანაში, სადაც მრეწველობა შეზღუდული არ არის, საარსებო საშუალებათა ფასი გავლენას უნდა ახდენდეს შრომის ფასზე. ეს უკანასკნელი მუდამ დაბლა იწევს, როდესაც იაფდება აუცილებელი საარსებო საშუალებანი» (იქვე, გვ. 3). «*ხელფასი იმავე პროპორციით კლებულობს, როგორითაც მატულობს წარმოების ძალები. მართალია, მანქანა აუცილებელ საარსებო საშუალებებს აიაფებს, მაგრამ იგი გარდა ამისა მუშასაც აიაფებს*» («*A Prize Essay on the comparative merits of Competition and Co-operation*». London 1834, გვ. 27).

წარმოქმნის, მათი ნაწარმის საცვლელი ღირებულების გადიდებაში მდგომარეობს⁶.

მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების დროს შრომის ეკონომია⁷, რომელიც შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებით მიიღება, სრულიადაც არ ისახავს მიზნად სამუშაო დღის შემოკლებას. მისი მიზანია შეამციროს მხოლოდ საქონლის განსაზღვრული რაოდენობის წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო. ის გარემოება, რომ მუშა თავისი შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალის გამო ერთ საათში, მაგალითად, ათჯერ მეტ საქონელს აწარმოებს, ვიდრე წინათ, მაშასადამე, თვითეულ ცალ საქონელს ათჯერ ნაკლებ სამუშაო დროს ანდომებს, სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ მუშა ახლაც, როგორც უწინ, 12 საათი ამუშაონ და ამ 12 საათში 120 ცალი საქონლის ნაცვლად 1200 ცალი აწარმოებინონ. მისი სამუშაო დღე შეიძლება ამავე დროს კიდევ გაგრძელდეს, ისე რომ იგი ახლა 14 საათში 1400 ცალს აწარმოებს და სხვ. ამიტომ ისეთი ყაიდის ეკონომისტების ნაწერებში, როგორიც არიან მაკ კულოხი, იური, სენიორი et tutti quanti [და მათი მსგავსნი], ერთ გვერდზე წაიკითხავთ, რომ მუშა კაპიტალის მადლობელი უნდა იყოს მწარმოებლური ძალების განვითარებისთვის, რადგან ეს განვითარება აუცილებელ სამუშაო დროს ამოკლებს, ხოლო მეორე გვერდზე წაიკითხავთ, რომ ეს მადლობა მუშამ უნდა დაამტკიცოს მით, რომ 10 საათის ნაცვლად მომავალში 15 საათი იმუშაოს. კაპიტალისტური წარმოების დროს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება მიზნად ისახავს შეამოკლოს სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაში

⁶ Quesnay: «Dialogues sur le Commerce et sur les Travaux des Artisans», «Physiocrates», გამოც. Daire, Paris 1846, გვ. 188, 189.

⁷ ეს სპეკულანტები, რომლებიც ასე ძალიან მომპირნეობენ მუშების შრომის მიმართ, რაკი ამ შრომის ფასი უნდა გადაიხადონ (J. N. Bidaut: «Du Monopole qui s'établit dans les Arts industriels et le Commerce», Paris 1828, გვ. 13). მეწარმე მუდამ ყოველ ღონეს იხმარს, რომ დროისა და შრომის მომპირნეობა გასწიოს (Dugald Stewart: Works, ed. by Sir W. Hamilton, Edinburgh 1855, ტ. VIII, «Lectures on Political Economy», გვ. 318). ისინი (კაპიტალისტები) დანტერესებულნი არიან იმით, რომ მათ მიერ წარმოებაში გამოყენებული მუშების მწარმოებლური ძალა რაც შეიძლება დიდი იყოს. მთელი მათი ყურადღება თითქმის მარტოდენ იქითყნა მიმართული, რომ ეს ძალა გაადიდონ (R. J. Ouse: «Text-book of Lectures on the Political Economy of Nations», Hertford 1852, Lecture III [გვ. 39]).

მუშამ თავისთვის უნდა იმუშაოს, რათა სწორედ ამ შემოკლებით გააგრძელოს სამუშაო დღის მეორე ნაწილი, რომლის განმავლობაში მას შეუძლია მუქთად იმუშაოს კაპიტალისტისთვის. თუ რამდენად შეიძლება ამ შედეგის მიღწევა საქონლის გაუიფებლადაც, ამას დავინახავთ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების იმ განსაკუთრებულ მეთოდებში, რომელთა განხილვაზეც ჩვენ ახლა გადავალთ.

თავი მეთერთმეტე

კოოპერაცია

როგორც დავინახეთ, კაპიტალისტური წარმოება სინამდვილეში იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ერთი და იგივე ინდივიდუალური კაპიტალი ერთსა და იმავე დროს მუშათა უფრო მეტ რიცხვს ამუშავებს, მაშასადამე, შრომის პროცესი თავის მოცულობას აფართოებს და პროდუქტს უფრო დიდი რაოდენობით იძლევა. მუშათა უფრო დიდი რიცხვის მოქმედება ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე (ან, თუ გნებავთ, შრომის ერთსა და იმავე ასპარეზზე), ერთი და იმავე სახის საქონლის საწარმოებლად, ერთი და იმავე კაპიტალისტის მბრძანებლობით, ისტორიულად და ლოგიკურად კაპიტალისტური წარმოების ამოსავალ პუნქტს შეადგენს, თვით წარმოების წესის მხრივ მანუფაქტურა, მაგალითად, თავისი ჩანასახი ფორმით ამქრული ხელოსნური მრეწველობისგან განსხვავდება მხოლოდ მუშათა უფრო დიდი რიცხვით, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე კაპიტალის მიერ არიან დასაქმებულნი. ამქრის ოსტატის სახელოსნო მხოლოდ გაფართოებულია.

მაშასადამე, განსხვავება თავდაპირველად მხოლოდ რაოდენობრივია. ჩვენ დავინახეთ, რომ ზედმეტი ღირებულების მასა, რომელსაც მოცემული კაპიტალი აწარმოებს, უდრის ცალკეული მუშის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას, გამრავლებულს ერთსა და იმავე დროს დასაქმებულ მუშათა რიცხვზე. ეს რიცხვი თავისთავად არაფერს არ ცვლის ზედმეტი ღირებულების ნორმაში, ანუ სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხში, ხოლო რაც შეეხება საერთოდ საქონლის ღირებულების წარმოებას, მისთვის, როგორც ჩანს, უმნიშვნელოა შრომის პროცესში მომხდარი ყოველი თვისებრივი ცვლილება. ეს ღირებულების ბუნებიდან გამომდინარეობს. თუ ერთი თორმეტსაათიანი სამუშაო დღე 6 შილინგში საგნობრივდება, 1 200 ასეთივე სამუშაო დღე გასაგნობრივებული იქნება 1 200 × 6 შილ.—ში. პროდუქტში განხორციელდა ერთ შემთხვევაში 12 × 1 200 სამუშაო საათი, ხოლო მეორე შემთხვევაში — 12 სამუშაო საათი. ღირებულები

წარმოებაში სიმრავალე სათვალავში მიიღება ყოველთვის მხოლოდ როგორც მრავალი ერთეული. მაშასადამე, ღირებულების წარმოებისთვის სრულიად უმნიშვნელოა, აწარმოებს 1200 მუშა ცალ-ცალკე, თუ ისინი გაერთიანებულნი არიან ერთი და იმავეკაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ.

თუმცა, გარკვეულ ფარგლებში აქ მაინც ადგილი აქვს ერთგვარ ცვლილებას. ღირებულებაში გასაგნობრივებული შრომა საშუალო საზოგადოებრივი თვისებრიობის შრომაა, მაშასადამე, საშუალო სამუშაო ძალის გამოვლინებაა. მაგრამ საშუალო სიდიდე არსებობს მუდამ მხოლოდ როგორც ერთი და იმავე სახის მრავალი სხვადასხვა ინდივიდუალური სიდიდის საშუალო. მრეწველობის ყოველ დარგში ინდივიდუალური მუშა, პეტრე ან პავლე, ცოტად თუ ბევრად იხრება საშუალო მუშისაგან. ეს ინდივიდუალური გადახრანი რომელთაც მათემატიკაში «ეთომილებანი» ეწოდება, ერთმანეთს აბათილებენ და ისპობიან, როგორც კი ჩვენ მუშათა უფრო დიდ რიცხვს ავიღებთ. ცნობილი სოფისტი და სიკოფანტი ედმუნდ ბერკი თავისი პირადი გამოცდილებით, როგორც ფერმერი, იმასაც კი ამტკიცებს, რომ უკვე ისეთი უმნიშვნელო ჯგუფისთვისა, როგორც 5 მოჯამაგირისაგან შემდგარი ჯგუფია, შრომის ყოველი ინდივიდუალური განსხვავება გამჭრალაია, მაშასადამე, მუშა-კაცის ასაკის ყოველი პირველი 5 ინგლისელი მოჯამაგირე მოცემული დროის მონაკვეთში, ბერკის თანახმად, ერთად მუშაობისას სწორედ იმდენსავე სამუშაოს შეასრულებს, როგორც ყოველი სხვა 5 ინგლისელი მოჯამაგირე⁸. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ერთსა და იმავე დროს დასაქმებულ მუშათა დიდი რიცხვის ერთობლივი სამუშაო დღე, გაყოფილი მუშათა რიცხვზე, უკვე თავისთავად საზოგადოებრივი საშუალო შრომის შემცველი დღეა. ვთქვათ, ერთი ადამიანის სამუშაო დღე, მაგალითად, 12 საათი

⁸ უეჭველია, რომ ძალ-ღონის, დახელოვნებისა და მუყაითობის მიხედვით დიდი განსხვავება არსებობს ერთი ადამიანის შრომის ღირებულებასა და ნეორე ადამიანის შრომის ღირებულებას შორის. ჩემმა საკუთარმა საფუძვლიანმა დაკვირვებამ დამარწმუნა იმაში, რომ ყოველი ხუთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მთლიანად იმდენსავე შრომას იძლევა, რამდენსაც ყოველი სხვა ხუთი ადამიანი ჩემ მიერ აღნიშნული ასაკისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ 5 კაცში ერთი შეიცავს კარგი მომუშავეს ყველა თვისებას, მეორე — ცუდისას, ხოლო დანარჩენ სამს საშუალო ადგილი უჭირავს და ისინი ცოტად თუ ბევრად უახლოვდებიან ზან პირველს, ზან მეორეს. მაშასადამე, უკვე ასე პატარა — 5 მომუშავესაგან შემდგარ — ჯგუფში სავსებით მოიპოვება სრული კომბლექტი იმისა, რის გაკეთებაც საერთოდ ყოველ 5 კაცს შეუძლია (E. Burke: *Thoughts and Details on Scarcity*. London 1800, გვ. 15, 16). შეად., გარდა ამისა, კეტლეს ახრი საშუალო ინდივიდზე.

გრძელდება. მაშინ ერთსა და იმავე დროს დასაქმებული 12 მუშის სამუშაო დღე 144 საათის ერთობლივი სამუშაო დღე იქნება, და თუმცა თვითეული თორმეტთაგანი მუშის შრომა მეტ-ნაკლებად იხრება საზოგადოებრივი საშუალო შრომისაგან, და ამიტომ ერთი და იმავე საქმის შესასრულებლად იგი რამდენადმე მეტ ან ნაკლებ დროს საჭიროებს, მაგრამ ყოველი ცალკეული მუშის სამუშაო დღე, განხილული როგორც $1\frac{1}{12}$ ასორმოცდაოთხსაათიანი ერთობლივი სამუშაო დღისა, საშუალო საზოგადოებრივ თვისებრიობას შეიცავს. მაგრან კაპიტალისტისთვის, რომელიც 12 მუშას ამუშავებს, სამუშაო დღე ამ თორმეტი მუშის ერთობლივი სამუშაო დღის სახით არსებობს. ყოველი ცალკეული მუშის სამუშაო დღე არსებობს მხოლოდ როგორც ერთობლივი სამუშაო დღის სათანადო ნაწილი, სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, ერთად, მხარდამხარ მუშაობს ეს თორმეტი მუშა. თუ მთელი კავშირი მათს სამუშაოთა შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთი და იმავე კაპიტალისტისათვის მუშაობენ. მაგრამ, თუ ეს 12 მუშა ორ-ორი იმუშავებს წვრილ ხელოსანთან, მაშინ სრულიად შემთხვევითი იქნება, თუ თვითეული ამ ხელოსანთაგანი ღირებულების ერთსა და იმავე მასას აწარმოებს, მაშასადამე; ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ნორმას განახორციელებს. ამ პირობებში ადგილი ექნებოდა ინდივიდუალურ გადახრებს. თუ რომელიმე საქონლის წარმოებას მუშა გაცილებით მეტ დროს მოანდომებდა, ვიდრე ეს საზოგადოებრივად საჭიროა, თუ ინდივიდუალურად მისთვის აუცილებელი სამუშაო დრო საგრძნობლად გადაიხრებოდა საზოგადოებრივად აუცილებელი, ანუ საშუალო, სამუშაო დროისაგან, მაშინ მისი შრომა არ ჩაითვლებოდა საშუალო შრომად, ხოლო მისი სამუშაო ძალა არ ჩაითვლებოდა საშუალო სამუშაო ძალად. ასეთი სამუშაო ძალა ან სრულიად არ გაიყიდებოდა, ანდა გაიყიდებოდა მხოლოდ სამუშაო ძალის საშუალო ღირებულებაზე ნაკლებ. მაშასადამე, იგულისხმება განსაზღვრული მინიმუმი შრომაში დახელოვნებისა და ჩვენ დავინახავთ შემდეგ, რომ კაპიტალისტური წარმოება პოულობს ასეთი მინიმუმის გაზომვის საშუალებას. მიუხედავად ამისა მაინც ადგილი აქვს ამ მინიმუმის გადახრას საშუალო დონისაგან. თუმცა, მეორე მხრივ, სამუშაო ძალის გადახდა მისი საშუალო ღირებულების მიხედვით უნდა ხდებოდეს. ამიტომ ნ წვრილი ხელოსნიდან ზოგი ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ნორმაზე მეტს მიიღებდა, ზოგიც ნაკლებს. ეს მეტ-ნაკლებობა გაბათილდებოდა მთელი საზოგადოებისთვის, მაგრამ არა ცალკეული ხელოსნისათვის. მაშასადამე, საერთოდ ღირებულების ზრდის კანონი ცალკეული მწარმოებლისათვის

მხოლოდ მაშინ ხორციელდება სავსებით, როდესაც იგი აწარმოებს როგორც კაპიტალისტი, ერთსა და იმავე დროს მრავალ მუშას იყენებს, ე. ი. როდესაც მას თავიდანვე მოძრაობაში მოჰყავს საზოგადოებრივი საშუალო შრომა⁹.

შრომის წესის უცვლელობის დროსაც მუშათა მნიშვნელოვანი რიცხვის ერთსა და იმავე დროს გამოყენება რევოლუციას იწვევს შრომის პროცესის მატერიალურ პირობებში. შენობები, სადაც ბევრი მუშაობს, ნედლი მასალის საწყობები და სხვ., ჭურჭელი, ინსტრუმენტები, აპარატები და სხვ., რომელთაც ერთსა და იმავე დროს ან რიგრიგობით იყენებს მრავალი მუშა, მოკლედ — წარმოების საშუალებათა ერთი ნაწილი შრომის პროცესში ახლა კოლექტიურად მოიხმარება. ერთი მხრივ, საქონელთა საცვლელი ღირებულება, მაშასადამე, წარმოების საშუალებათა ღირებულებაც, სრულიად არ მატულობს მათი სახმარი ღირებულების ამა თუ იმ გზით გაძლიერებული ექსპლოატაციის გამო. მეორე მხრივ, იზრდება კოლექტიურად მოხმარებულ წარმოების საშუალებათა მასშტაბი. ოთახი, სადაც 20 ფეიქარი მუშაობს თავის 20 საფეიქრო დაზგაზე, უფრო ფართო უნდა იყოს, ვიდრე ის ოთახი, სადაც ერთი დამოუკიდებელი ფეიქარი მუშაობს თავისი ორი ქარგლით. მაგრამ 20 კაცისთვის ერთი სახელოსნოს აშენება უფრო ნაკლები შრომა ღირს, ვიდრე 10 სახელოსნოს — თვითულისა ორ-ორ კაცზე — აშენება და საერთოდ მასობრივად თავმოყრილ და კოლექტიურად გამოყენებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება არ იზრდება მათი მოცულობისა და მათი სასარგებლო ეფექტის პროპორციულად. კოლექტიურად გამოყენებულ წარმოების საშუალებებს თვითეულ პროდუქტზე თავისი ღირებულების ნაკლები შემადგენელი ნაწილი გადააქვთ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მთელი ღირებულება, რომელიც მათ გადააქვთ, ერთსა და იმავე დროს უფრო მეტ პროდუქტთა მასაზე ნაწილდება, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ განცალკევებულად გამოყენებულ წარმოების საშუალებებთან შედარებით, ისინი წარმოების პროცესში თუმცა აბსო-

⁹ ბატონი პროფესორი რომერი გვამცნობს თავის აღმოჩენას, რომ ერთი მკერავი ქალი, რომელსაც პროფესორის მეუღლე ორი დღე ამუშავებს, უფრო მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე ორი მკერავი ქალი, რომელთაც პროფესორის მეუღლე ერთად ამუშავებს ერთ დღეს. ბ-ნ პროფესორს მართებს თავისი დაკვირვებანი კაპიტალისტური წარმოების პროცესზე მოახდინოს არა საბავშვო ოთახში და არა ისეთ გარემოებაში, სადაც მთავარი მოქმედი პირი, კაპიტალისტი, არ იმყოფება [R o s e h e r : *Die Grundlagen der Nationalökonomie.* მე-3 გამოც., 1858, გვ. 88 — 89].

ლუტურად მეტი ღირებულებით, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი მოქმედების სფეროს, შეფარდებით ნაკლები ღირებულებით შედიან. ამით მცირდება მუდმივი კაპიტალის ღირებულების ერთი შემადგენელი ნაწილი, მაშასადამე, მცირდება მისი სიდიდის პროპორციულად საქონლის ერთობლივი ღირებულებაც. შედეგი ისეთია, თითქოს საქონლის წარმოების საშუალებანი უფრო იაფად იწარმოებოდეს. ასეთი ეკონომია წარმოების საშუალებათა გამოყენებაში წარმოიშვება მხოლოდ მრავალთა შრომის პროცესში ამ წარმოების საშუალებათა კოლექტიურად მოხმარების მეოხებით. და ამ ხასიათს იძენენ წარმოების საშუალებანი როგორც პირობები საზოგადოებრივი შრომისა ანუ შრომის საზოგადოებრივი პირობები, განსხვავებით განცალკევებული დამოუკიდებელი მუშების ან წვრილი ხელოსნების დაქსაქსული და შედარებით ძვირ წარმოების საშუალებებისაგან, — იძენენ ამ ხასიათს მაშინაც კი, როდესაც მრავალი მუშა მხოლოდ სივრცეებრივადაა გაერთიანებული, მაგრამ ერთად როდი მუშაობს. შრომის საშუალებათა ერთი ნაწილი ამ საზოგადოებრივ ხასიათს უფრო ადრე იძენს, ვიდრე თვით შრომის პროცესი.

წარმოების საშუალებებზე ეკონომიის გაწვევა საერთოდ ორნაირი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ერთი მხრივ, რამდენადაც იგი საქონელს აიაფებს და ამით სამუშაო ძალის ღირებულებას დაბლა სწევს. მეორე მხრივ, რამდენადაც იგი ცვლის ზედმეტი ღირებულების შეფარდებას მთელ ავანსებულ კაპიტალთან, ე. ი. მისი მუდმივი და ცვალებადი შემადგენელი ნაწილების ღირებულების ჯამთან. ეს უკანასკნელი პუნქტი ამ ნაწარმოების მხოლოდ შესამე წიგნის პირველ განყოფილებაში იქნება განხილული, სადაც მთლიანობისათვის მოყვანილი იქნება აგრეთვე ბევრი რამ სხვა, რაც უკვე აქ აღძრულ საკითხს მიეკუთვნება. ანალიზის მიმდინარეობა მოითხოვს საგნის ასეთ დაყოფას, რაც ამავე დროს კაპიტალისტური წარმოების რაობას შეესაბამება. სახელდობრ, რადგან კაპიტალისტური წარმოების დროს შრომის პირობები უპირისპირდება მუშას როგორც დამოუკიდებელი რამ, ამიტომ მათზე ეკონომიის გაწვევაც გვევლინება როგორც განსაკუთრებული ოპერაცია, რომელიც სრულიად არ შეეხება მუშას და, მაშასადამე, გამოყოფილია იმ მეთოდებიდან, რომლებიც ამაღლებენ მუშის ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერებას.

შრომის ისეთ ფორმას, როდესაც მრავალი პირი წარმოების ერთსა და იმავე პროცესში ანდა წარმოების სხვადასხვა, მაგრამ

ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესებში გვეგმაზომიერად ერთიმეორის გვერდით შეერთებულად მუშაობს, კოოპერაცია ეწოდება¹⁰.

როგორც ცხენოსანთა ესკადრონის შეტევითი ძალა ან ქვეითი ჯარის მოგერიებითი ძალა არსებითად განსხვავდება იმ შეტევითი და მოგერიებითი ძალების ჯამისაგან, რომელსაც თვითეული ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი ცალკე ავითარებს, — ასევე მექანიკური ჯამი განცალკევებულ მუშათა ძალებისა განსხვავდება იმ საზოგადოებრივი ძალისაგან, რომელიც ვითარდება, როდესაც მრავალი მუშახელი ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე განუყოფელ ობერაციაში ერთად მოქმედებს; მაგალითად, როდესაც საჭიროა რაიმე სიმძიმის აწევა, ჭახრაკის მოტრიალება ანდა რაიმე დაბრკოლების გადალახვა¹¹. ყველა ამგვარ შემთხვევაში განცალკევებული ძალ-ღონით ან სრულიად შეუძლებელი იქნებოდა კომბინირებული შრომის შედეგის მიღწევა, ან მისი განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ გაცილებით უფრო ხანგრძლივ დროში, ანდა — მხოლოდ სულ მცირე მასშტაბით. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ინდივიდუალური მწარმოებლური ძალის გადიდებაზე კოოპერაციის საშუალებით, არამედ — ისეთი ახალი მწარმოებლური ძალის შექმნაზე, რომელიც თავისთავად მასობრივ ძალას უნდა წარმოადგენდეს^{11a}.

გარდა ამ ახალი ძალისა, რომელიც მრავალი ძალის ერთ საერთო ძალად შედუღებიდან წარმოიშვება, მწარმოებლურ სამუშაოთა უმრავლეს შემთხვევაში უკვე თვით საზოგადოებრივი კონტაქტი იწვევს ერთგვარ შეჯიბრებას და სასიცოცხლო ენერჯის (animal spirits) თავისებურ აღგზნებას, რაც ცალკეულ პირთა ინდივიდუალურ ქმედუნარიანობას აღიდებს; ასე რომ 12 კაცი 144 საათიან ერთობლივ სამუშაოდღეში გაცილებით უფრო მეტ ერთობლივ პროდუქტს ამზადებს,

¹⁰ «Concours des forces» [ძალთა შეერთება] (Destutt de Tracy: «Traité de la Volonté et de ses Effets». Paris 1826, გვ. 78).

¹¹ ბევრი ისეთი მარტივი სახის ობერაცია არსებობს, რომლის ნაწილებად დაყოფა შეუძლებელია და რომელიც მხოლოდ მრავალი მუშახელის გაერთიანებული მოქმედებით შეიძლება შესრულდეს. მაგალითად, დიდი მორის აწევა და დადება საზიდარზე... მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველივე ის, რის შესრულებაც შეუძლებელია, თუ მრავალი ზელი ერთმანეთს არ ეხმარება ერთსა და იმავე განუყოფელ საქმეში და ერთსა და იმავე დროს» (E. G. Wakefield: «A View of the Art of Colonization». London 1849, გვ. 168).

^{11a} «მაშინ როდესაც 1 კაცი სრულიად ვერ დაძრავს 1 ტონა სიმძიმეს და 10 კაცი ასწებს მას დიდი გაჭირვებით, 100 კაცს შეუძლია მისი აწევა, თუ თვითეული მათგანი მარტო ცალ თითს მიაშველებს» (John Bellers: «Proposals for Raising a College of Industry.» London 1696, გვ. 21).

ვიდრე 12 განცალკევებული მუშა, როდესაც თვითეული 12 საათს მუშაობს, ან — ვიდრე ერთი მუშა, რომელიც ზედიზედ 12 დღის განმავლობაში მუშაობს¹². ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანი ბუნებით, თუ პოლიტიკური არაა, როგორც ამას არისტოტელე¹³ ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცხოველია.

თუმცა მრავალი მუშახელი ერთსა და იმავე ანუ ერთნაირ სამუშაოს იმავდროულად ერთად ასრულებს, მაგრამ თვითეული მათგანის ინდივიდუალური შრომა, როგორც ერთობლივი შრომის ნაწილი, შეიძლება წარმოადგენდეს თვით შრომის პროცესის სხვადასხვა ფაზებს, რომელთაც შრომის საგანი კოოპერაციის მეოხებით უფრო სწრაფად გაივლის. მაგალითად, როდესაც კალატოზები ჩამწკრივებული არიან და ერთიმეორეს შენობის საძირკვიდან მის მწვერვალამდე აგურს აწვდიან, ამ დროს თვითეული მათგანი ერთსა და იმავე სამუშაოს ასრულებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ცალკეული ოპერაციები წარმოადგენენ ერთი მთლიანი ოპერაციის განუწყვეტელ ნაწილებს, განსაკუთრებულ ფაზებს, რომლებიც თვითეულმა აგურმა უნდა გაიაროს შრომის პროცესში, და რის მეოხებითაც ერთობლივი მუშის, ვთქვათ, 24 ხელი მას უფრო სწრაფად მიიტანს ადგილზე, ვიდრე ორი ხელი ყოველი ცალკეული მუშისა, რომელსაც ხარაჩოებზე ასვლა-ჩამოსვლა დასჭირდებოდა¹⁴. შრომის საგანი აქ იმავე სივრცეს უფრო

¹² ამაშია აგრეთვე (ე. ი. როდესაც ერთი ფერმერი 300 აკრზე მუშების იმავე რიცხვს ამუშავებს, რამდენსაც 10 ფერმერი ცალ-ცალკე — 30 აკრზე) ერთად მომუშავე მოჯამაგირეთა მნიშვნელოვანი რიცხვის უპირატესობა, რის შეგნებაც ადვილი არაა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც საქმეს პრაქტიკულად არ იცნობენ. რასაკვირველია, ვიტყვი, რომ 1 ისე შეეფარდება 4-ს, როგორც 3 : 12-ს. მაგრამ პრაქტიკაში ეს არ დასტურდება. მაკში და სხვა ამგვარი მუშაობის დროს, როდესაც მეტი სისწრაფეა საჭირო, საქმე უფრო ჩქარა და უფრო კარგად მიმდინარეობს მაშინ, როდესაც ბევრი მუშახელი ერთად მუშაობს. მაკში, მაგალითად, 2 მელრემ, 2 მტვირთავი, 2 მიმწო-დებელი, 2 შემკრები და რამდენიმე კაცი ძნასთან ან კალოზე ორჯერ მეტ სამუშაოს ასრულებენ, ვიდრე მაშინ, როდესაც მუშახელის იგივე რაოდენობა სხვადასხვა ფერმებშია პატარ-პატარა ჯგუფებად გაფანტული» («An Inquiry into the Connection between the present Price of Provisions and the Size of Farms. By a Farmer». London 1773, გვ. 7, 8).

¹³ არისტოტელეს განსაზღვრება ამ ცნებისა, არსებითად, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ბუნებით საქალაქო რესპუბლიკის მოქალაქეა. ძველი კლასიკური ქვეყნისთვის, ეს განსაზღვრება ისევე დამახასიათებელია, როგორც იანების ქვეყნისთვის ფრანკლინის განსაზღვრება, რომ ადამიანი ბუნებით იარაღის მკეთებელია.

¹⁴ უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ შრომის ასეთ ნაწილობრივ დანაწილებას შეიძლება იქაც ჰქონდეს ადგილი, სადაც ყველა მუშა ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს. მაგალითად, როდესაც კალატოზები მაღალ ხარაჩოებზე ერთმანეთს ხელიდან ხელში

მოკლე დროში გაივლის. მეორე მხრივ, შრომის კომბინირებას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც, მაგალითად, შენობის აგებას ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მხრიდან იწყებენ, თუმცა კოოპერირებული მუშები აქაც ერთსა და იმავე ანუ ერთნაირ სამუშაოს ასრულებენ. 144 საათის კომბინირებული სამუშაო დღე, რომელიც შრომის საგანს სივრცებრივად მრავალი მხრიდან უდგება, ვინაიდან კომბინირებულ ანუ ერთობლივ მუშას თვალები და ხელები წინაც აქვს და უკანაც და ერთგვარად ყველგანმყოფობის უნარიც შესწევს, — უფრო ჩქარა ამზადებს ერთობლივ პროდუქტს, ვიდრე 12 თორმეტსაათიანი სამუშაო დღე მეტ-ნაკლებად განცალკევებული მუშებისა, რომლებიც იძულებული არიან თავიანთ სამუშაოს უფრო ცალმხრივად შეუდგნენ. აქ ერთსა და იმავე დროს მწიფდება პროდუქტის სხვადასხვა სივრცებრივი ნაწილები.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ მრავალი ერთიმეორის შემავსებელი მუშახელი ერთსა და იმავე ანუ ერთნაირ სამუშაოს ასრულებს. რადგან კოლექტიური შრომის ეს უმარტივესი ფორმა უაღრესად განვითარებული სახის კოოპერაციაშიც დიდ როლს ასრულებს. როდესაც შრომის პროცესი რთულია, მაშინ მარტო ის გარემოება, რომ მუშახელის დიდი მასა ერთად მუშაობს, საშუალებას იძლევა სხვადასხვა ოპერაცია სხვადასხვა მუშახელს შორის განაწილდეს, მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს შესრულდეს და ამ გზით ერთობლივი პროდუქტის დასამზადებლად აუცილებელი სამუშაო დრო შემცირდეს¹⁵.

წარმოების მრავალ დარგში არსებობს კრიტიკული მომენტები, ე. ი. თვით შრომითი პროცესის ბუნებით განსაზღვრული დროის პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც აუცილებლად მიღწეულ უნდა

აგურს აწოდებენ, ყველანი ერთსა და იმავე შრომას ეწევიან, მიუხედავად ამისა, მათ შორის შრომის თავისებური დანაწილება არსებობს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თვითველ მათგანს აგური განსაზღვრულ მანძილზე გადააქვს და ყველას ერთად კი გადააქვს იგი დანიშნულ ადგილზე ბევრად უფრო მალე, ვიდრე თვითველი ცალკე აიტანდა ამ აგურს მალაღ ხარაჩობზე» (F. Skarbek: «Théorie des Richesses Sociales», მე-2 გამოც., Paris 1840, ტ. I, გვ. 97, 98).

¹⁵ «როდესაც რთული შრომის შესრულება საჭიროა, მაშინ სხვადასხვა ოპერაცია ერთსა და იმავე დროს უნდა შესრულდეს. ერთი ერთ სანუშაოს ასრულებს, მეორე იმავე დროს — მეორეს, და ყველა ერთად ხელს უწყობს იმ შედეგის მიღწევას, რომელსაც ცალკეული ადამიანი ვერ მიაღწევდა. ერთი ნიჩაბს უსვამს, მაშინ როდესაც მეორე საჭეს მართავს და მესამე წყალში ბადეს უშვებს ანდა ბარჯს ესვრის თევზს, და თევზობაც იძლევა შედეგს, რომელიც ამ ერთად მოქმედების გარეშე ვერ იქნებოდა მიღწეული» (Destutt de Tracy: «Traité de la Volonté et de ses Effets». Paris 1826, გვ. 78).

იქნას შრომის განსაზღვრული შედეგები. თუ, მაგალითად, საჭიროა ცხვრის ფარის გაპარსვა, ანდა რამდენიმე მორგენი ჰურის მომკა და აკრეფა, ამ შემთხვევაში პროდუქტის რაოდენობა და ხარისხი დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ ეს ოპერაცია განსაზღვრულ დროს დი-წყოს და განსაზღვრულ დროს დამთავრდეს. დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შრომის პროცესი უნდა შესრულდეს, აქ წინასწარ განსაზღვრულია, როგორც, მაგალითად, ქაშაყის დაჭერისას. ცალკეულ ადამიანს ერთი დღიდან მხოლოდ ერთი სამუშაო დღის გამოჭრა შეუძლია, მაგალითად, 12 საათისა, მაშინ როდესაც კოოპერაცია. ვთქვათ, 100 კაცისა, ამ თორმეტსაათიან დღეს 1 200 საათის სამუშაო დღედ აფართოებს. შრომის ვადის სიმცირე ანაზღაურებული ხდება შრომის მასის სიდიდით, რომელიც გადამწყვეტ მომენტში წარმოების ასპარეზზე გადაისროლება. თავის დროზე შედეგის მიღება დამოკიდებულია აქ მრავალი კომბინირებული სამუშაო დღის იმავდროულ გამოყენებაზე, ხოლო ამ სასარგებლო ეფექტის მოცულობა — მუშების რიცხვზე; ეს უკანასკნელი კი მუდამ ნაკლებია იმ მუშების რიცხვზე. რომლებიც ცალ-ცალკე იმავე დროის განმავლობაში იმავე სამუშაოს შეასრულებდნენ¹⁶. სწორედ ამ კოოპერაციის უქონლობა არის იმის მიზეზი, რომ შეერთებული შტატების დასავლეთ ნაწილში ყოველწლიურად დიდძალი მარცვლეული იკარგება და ოსტინდოეთის იმ ნაწილებში, სადაც ინგლისის ბატონობამ ძველი თემური წყობილება დაარღვია, ყოველწლიურად უამრავი ბამბა ფუჭდება¹⁷.

კოოპერაცია, ერთი მხრივ, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ შრომის სიერცებრივი სფერო გაფართოვდეს, და ამიტომ გარკვეული შრომითი პროცესების დროს ამ კოოპერაციას მოითხოვს უკვე თვით

¹⁶ მათ (სამიწათმოქმედო სამუშაოთა) შესრულებას გადამწყვეტ მომენტში უღრევი მნიშვნელობა აქვს («An Inquiry into the Connection between the present Price, etc.», გვ. 7). «მიწათმოქმედებაში დრო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია» (Liebig: «Ueber Theorie und Praxis in der Landwirtschaft», 1856, გვ. 23).

¹⁷ «შემდგომი ბოროტება, და ამას ძნელად თუ ვინმე მოელოდა იმ ქვეყანაში, რომელსაც უფრო მეტი შრომა გააქვს გარეთ, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანას, გარდა, შესაძლოა, ჩინეთისა და ინგლისისა, — იმაში მდგომარეობს, რომ ბამბის მოსაყრეფად საკმაო მუშახელი არ მოიპოვება. ამას შედეგად ის მოსდევს, რომ ბამბის მოსავლის დიდი ნაწილი მოუკრეფელი რჩება, ხოლო მეორე ნაწილს მიწიდან აგროვებენ იმის შემდეგ, როცა ბამბა ძირს დაცივიდა და, რა თქმა უნდა, თავისი ფერი დაკარგა და ნაწილობრივ დალბა კიდევ, ასე რომ წლის სათანადო დროს მუშახელის ნაკლებობის გამო პლანტატორი ამყავდა იძულებული ხდება დაკარგოს დიდი ნაწილი ბამბის მოსავლისა, რომელსაც ინგლისი ასე დიდად საჭიროებს» («Bengal Hurkaru». Bi-Monthly Overland Summary of News, 22nd July 1861).

სივრცებრივი განლაგება შრომის საგნისა; ასე, მაგალითად, იგი აუცილებელია ქაობების ამოშრობის, ჯგებირების გაკეთების, სარწყავი სამუშაოების, არხების, გზატკეცილების, რკინიგზების გაყვანის დროს და სხვა. მეორე მხრივ, კოპერაცია შესაძლებელს ხდის იმას, რომ, წარმოების მასშტაბთან შეფარდებით, წარმოების სფერო სივრცებრივად შეიზღუდოს. შრომის სივრცებრივი სფეროს ამ შეზღუდვას შრომის სამოქმედო სფეროს იმავდროული გაფართოების პირობებში, რასაც შედეგად არამწარმოებლური ხარჯების (faux frais) მნიშვნელოვანი ნაწილის თავიდან აცილება მოსდევს, წარმოშობს მუშების კონგლომერაცია, სხვადასხვა შრომითი პროცესის შეერთება და წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია¹⁸.

განცალკევებულ ინდივიდუალურ სამუშაო დღეთა იმავე სიდიდის ჯამთან შედარებით კომბინირებული სამუშაო დღე სახმარი ღირებულების მეტ მასას აწარმოებს და ამიტომ ამცირებს სამუშაო დროს. რომელიც აუცილებელია განსაზღვრული სასარგებლო ეფექტის მისაღწევად. რა გზითაც არ უნდა აღწევდეს იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მწარმოებლური ძალის გადიდებას, — მით, რომ ადიდებს შრომის მექანიკურ ძალას, თუ აფართოებს თავისი მოქმედების სივრცებრივ სფეროს, თუ სივრცებრივად ავიწროებს წარმოების ასპარეზს შეფარდებით წარმოების მასშტაბთან, თუ მოძრაობაში მოჰყავს კრიტიკულ პომენტში ბევრი შრომა მცირე დროში, თუ აღძრავს ცალკეულ პირთა შეჯიბრებას და აძლიერებს მათს სასიცოცხლო ენერგიას, თუ უწყვეტობისა და ნაირსახეობის ბეჭედს ასევე მრავალი მუშის ერთგვაროვან ოპერაციებს, თუ ერთსა და იმავე დროს ასრულებს სხვადასხვა ოპერაციას, თუ ეკონომიას ეწევა წარმოების საშუალებებზე მათი კოლექტიურად გამოყენებით, თუ საზოგადოებრივი საშუალო შრომის ხასიათს ანიჭებს ინდივიდუალურ შრომას, — ყველა ამ შემთხვევაში კომბინირებული სამუშაო დღის სპეციფიკური მწარმოებლური ძალა არის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა შრომისა, ანუ მწარმოებლური ძალა საზოგადოებრივი შრომისა. მას თვით

¹⁸ მიწის დამუშავების პროგრესის გამო, მთელი ის კაპიტალი და შრომა, — ან შეიძლება მეტიც, — რომელიც უწინ 500 აკრი მიწის ზერელე დამუშავებას ხმარდებოდა, ახლა 100 აკრი მიწის უფრო საფუძვლიანად დამუშავებას სჭირდება. თუმცა «სივრცემ, დახარჯული კაპიტალის და შრომის რაოდენობასთან შედარებით, იკლო, მაგრამ გაფართოვდა წარმოების სფერო, შედარებით წარმოების იმ სფეროსთან, რომელსაც უწინ ფლობდა და ამუშავებდა თვითთული დამოუკიდებელი მწარმოებელი» (R. Jones: «An Essay on the Distribution of Wealth», «On Rent». London 1831, გვ. 191).

კოოპერაცია წარმოშობს. სხვებთან გეგმაზეწონილ თანამშრომლობაში მუშა წარიხოს თავის ინდივიდუალურ საზღვრებს და ავითარებს თავის გვაროვნულ პოტენციას¹⁹.

თუ მუშებს საერთოდ არ შეუძლიათ ერთმანეთთან უშუალოდ ითანამშრომლონ, უკეთეს ერთად არ იქნებიან შეკრებილნი, თუ, ამიტომ, მათი თავმოყრა განსაზღვრულ ადგილას მათი კოოპერაციის პირობაა, მაშინ დაქირავებულ მუშებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ კოოპერირება, თუ ერთი და იგივე კაპიტალი, ერთი და იგივე კაპიტალისტი ერთსა და იმავე დროს იყენებს მათ, მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს ყიდულობს მათს სამუშაო ძალას. მაშასადამე, ამ სამუშაო ძალების ერთობლივი ღირებულება, ანუ მუშების ერთი დღის, კვირის და სხვ. ხელფასის ჯამი უკვე კაპიტალისტის ჯიბეში უნდა იყოს გაერთიანებული, სანამ თვით ეს სამუშაო ძალები წარმოების პროცესში გაერთიანდებიან. 300 მუშის ხელფასის ერთბაშად გადახდა, თუნდაც მხოლოდ ერთი დღისთვის, უფრო მეტი კაპიტალის დახარჯვას იწვევს, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში კვირიდან კვირამდე უფრო მცირერიცხოვანი მუშების ხელფასის გადახდა. მაშასადამე, კოოპერირებული მუშების რიცხვი, ანუ კოოპერაციის მასშტაბი დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმ კაპიტალის სიდიდეზე, რომელიც ცალკეულ კაპიტალისტს შეუძლია დახარჯოს სამუშაო ძალის საყიდლად, ე. ი. დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობით მოეპოვება თვითეულ კაპიტალისტს მრავალი მუშის საარსებო საშუალებანი.

და ეს შეეხება არა მარტო ცვალებად, არამედ მუდმივ კაპიტალსაც. მაგალითად, იმ კაპიტალისტს, რომელიც 300 მუშას ამუშავებს, ნედლი მასალა 30-ჯერ მეტი ეხარჯება, ვიდრე თვითეულს იმ ოცდაათი კაპიტალისტიდან, რომელნიც ათ-ათ მუშას ამუშავებენ. თუმცა კოლექტიურად გამოყენებულ შრომის საშუალებათა ღირებულების ოდენობა და ნივთიერი მასა, მართალია, იმავე პროპორციით არ იზრდება, როგორც დასაქმებულ მუშათა რიცხვი, მაგრამ მათი ზრდა მაინც საგრძნობია. მაშასადამე, წარმოების საშუალებათა ღირებულების

¹⁹ «ცალკეული ადამიანის ძალა ძლიერ მცირეა, მაგრამ ამ მცირე ძალების შეერთება წარმოშობს ერთობლივ ძალას, იმაზე უფრო დიდს, რასაც წარმოადგენს მისი შემადგენელი ნაწილობრივი ძალების ჯამი, ასე რომ ამ ძალების უკვე მარტო გაერთიანებას შეუძლია შეამციროს დრო და გაადიდოს სფერო მათი მოქმედებისა» (ჯ. რ. კარლი, შენიშვნა P. Verri-ს მიმართ: «Meditazioni sulla Economia Politica» (დაიბეჭდა პირველად 1773 წელს) იტალიელი ეკონომისტების გამოცემაში — *Custodi- di-ს კრებული, Parte Moderna, ტ. XV, გვ. 196*).

კონცენტრაცია ცალკეულ კაპიტალისტთა ხელში დაქირავებული მუშების კოოპერაციის მატერიალურ პირობას შეადგენს, და კოოპერაციის მოცულობა, ანუ წარმოების მასშტაბი ამ კონცენტრაციის მოცულობაზეა დამოკიდებული.

თავდაპირველად ინდივიდუალური კაპიტალის გარკვეული მინიმალური სიდიდე გვევლინებოდა აუცილებელ პირობად იმისათვის, რომ ერთსა და იმავე დროს ექსპლოატირებული მუშების რიცხვი, მაშასადამე, მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა საკმარისი ყოფილიყო, რათა თვითონ ექსპლოატატორი ხელშრომისაგან განთავისუფლებულიყო, წვრილი ხელოსნიდან კაპიტალისტად გადაქცეულიყო და, ამრიგად, კაპიტალისტური ურთიერთობა ფორმალურად ჩამოყალიბებულიყო. ახლა ეს მინიმალური სიდიდე გვევლინება მატერიალურ პირობად იმისათვის, რომ მრავალი დაქსაქსული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ინდივიდუალური შრომითი პროცესი შრომის ერთ კომპინირებულ საზოგადოებრივ პროცესად გადაიქცეს.

ასევე გვევლინებოდა თავდაპირველად კაპიტალის მბრძანებლობა შრომაზე მხოლოდ როგორც ფორმალური შედეგი იმისა, რომ მუშა კაპიტალისტისთვის, მაშასადამე, მისი მბრძანებლობის ქვეშ, მუშაობს და არა თავისთვის. მრავალი დაქირავებული მუშის კოოპერაციის განვითარებით კაპიტალის მბრძანებლობა აუცილებელი ხდება თვით შრომის პროცესის შესასრულებლად, იგი წარმოების ნამდვილ პირობად ვითარდება. კაპიტალის ბრძანება წარმოების ასპარეზზე ახლა ისევე აუცილებელი ხდება, როგორც გენერლის ბრძანება ბრძოლის ველზე.

ყოველი უშუალოდ საზოგადოებრივი, ანუ კოლექტიური შრომა, რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებს, მეტად თუ ნაკლებად მმართველობას საჭიროებს; ეს უკანასკნელი ამყარებს ინდივიდუალურ მოქმედებათა ჰარმონიას და ასრულებს საერთო ფუნქციებს, რომლებიც მთელი საწარმოო სხეულის მოძრაობიდან გამომდინარეობენ მისი დამოუკიდებელი ორგანოების მოძრაობისგან განსხვავებით. ცალკეული ვიოლინოს დამკვრელი თვითონ ლოტბარობს თავისთავს, ორკესტრი ლოტბარს საჭიროებს. აი ამ ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და შეთანხმების ფუნქცია კაპიტალის ფუნქციად იქცევა, როგორც კი მისდამი დაქვემდებარებული შრომა კოოპერაციული ხდება. ხელმძღვანელობის ფუნქცია, როგორც კაპიტალისტის სპეციფიკური ფუნქცია. სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშნებს იღებს.

უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტური წარმოების პროცესის მამოძრავებელი მოტივი და განმსაზღვრელი მიზანია რაც შეიძლება მეტი თვითზრდა კაპიტალის ღირებულებისა²⁰, ე. ი. რაც შეიძლება მეტი წარმოება ზედმეტი ღირებულებისა, მაშასადამე, სამუშაო ძალის რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაცია კაპიტალისტის მიერ. ერთსა და იმავე დროს დასაქმებული მუშების მასასთან ერთად იზრდება მათი წინააღმდეგობაც და ამით აუცილებლად იზრდება კაპიტალის დაწოლა ამ წინააღმდეგობის დასაძლევად. კაპიტალისტის ხელმძღვანელობა არის არა მარტო საზოგადოებრივი შრომითი პროცესის ბუნებიდან გამომდინარე და ამ პროცესის კუთვნილი განსაკუთრებული ფუნქცია, იგი იმავე დროს ამ საზოგადოებრივი შრომითი პროცესის ექსპლოატაციის ფუნქციაა²¹ და ამიტომ გაპირობებულია გარდუვალი ანტაგონიზმით ექსპლოატატორსა და მის მიერ საექსპლოატაციო ნედლ მასალას შორის. ასევე, წარმოების საშუალებათა მოცულობის ზრდასთან ერთად, რომლებიც დაქირავებულ მუშას სხვისი საკუთრების სახით უპირისპირდებიან, იზრდება ამ საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენებისადმი კონტროლის აუცილებლობაც²¹. შემდეგ, დაქირავებული მუშების კოოპერაცია მხოლოდ შედეგია კაპიტალის მოქმედებისა, კაპიტალისა, რომელიც მათ ერთსა და იმავე დროს ამუშავებს. მათი ფუნქციების კავშირი და მათი ერთიანობა როგორც საწარმოო კოლექტიური სხეულისა იმყოფება მათს გარეთ, კაპიტალში, რომელიც მათ თავს უყრის და ერთად აჩერებს. ამიტომ თავიანთი სამუშაოების კავშირი უპირისპირდება მათ იდეალურად, როგორც გეგმა, პრაქტიკულად — როგორც ავტორიტეტი კაპიტალისა, როგორც ძალა სხვისი ნებისყოფისა, რომელიც მათს მოქმედებას თავის საკუთარ მიზანს უმორჩილებს.

²⁰ «მოგება... წარმოების ერთადერთი მიზანია» (J. Vanderlint: «Money answers all Things». London 1734, გვ. 11).

²¹ ინგლისელი ფილისტერების გაზეთი «Spectator»-ი 1866 წლის 3 ივნისის ნომერში იუწყება, რომ კაპიტალისტებსა და მუშებს შორის თავისებური ამხანაგობის დაარსების შემდეგ «მაკუთლის წარმოების მანქანების კომპანიაში» «პირველი შედეგი იყო მასალის გაფლანგვის სწრაფი შემცირება, რადგან მუშებმა შეიგნეს, რომ მათ, როგორც ყველა სხვა მესაკუთრეს, არ შეფერის თავიანთი საკუთარი ქონების გაფლანგვა; ფუქსავატურად ვალებში ჩავარდნის შემდეგ კი მასალის გაფლანგვა დანაკარგთა უდიდესი წყაროა მრეწველობაში. იგივე გაზეთი ასეთ ძირითად ნაკლს აღნიშნავს როჩდელის კოოპერაციულ ცდებში: «მათ დაგვიმტკიცეს, რომ მუშათა ასოციაციებს შეუძლიათ წარმატებით განავონ სავაჭრო დუქნები, ფაბრიკები და მრეწველობის თითქმის ყველა დარგი, რომ მათ უაღრესად გააუმჯობესეს თვით მუშების მდგომარეობა, მაგრამ (!) ისინი არ უტოვებენ რაიმე თვალსაჩინო ადგილს კაპიტალისტს.» Quelle horreur! [რა საშინელებაა!]

მაშასადამე, თუ თავისი შინაარსით კაპიტალისტური ხელმძღვანელობა ორადი ხასიათისაა, რადგან ასეთივე ორადი ხასიათისაა თვით წარმოების პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს და რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შრომითი პროცესია და მიზნად გარკვეული პროდუქტის დამზადებას ისახავს, ხოლო, მეორე მხრივ, კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესია, — სამაგიეროდ თავისი ფორმით კაპიტალისტური ხელმძღვანელობა დესპოტიურია. რამდენადაც კოოპერაცია დიდი მასშტაბით ვითარდება, ეს დესპოტიზმიც თავის განსაკუთრებულ ფორმებს ავითარებს. მსგავსად იმისა, როგორც კაპიტალისტი უწინარეს ყოვლისა თავისუფლდება ხელშრომისაგან, რაწამსაც მისი კაპიტალი იმ მინიმალურ სიდიდეს აღწევს, რომლითაც პირველად იწყება საკუთრივ კაპიტალისტური წარმოება, — სწორედ ასევე იგი ახლა ცალკეულ მუშებსა და მუშათა ჯგუფებზე უშუალო და განუწყვეტელი მეთვალყურეობის ფუნქციას უთმობს განსაკუთრებული კატეგორიის დაქირავებულ მუშებს. როგორც ჯარი საჭიროებს სამხედრო უფროსებს, სწორედ ასევე მუშების მასაც, რომელიც ერთისა და იმავე კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ ერთად მოქმედებს, საჭიროებს სამრეწველო ობერ-ოფიცრებს (გამგებებს, managers) და უნტერ-ოფიცრებს (შრომის ზედამხედველებს, foremen, overlookers, contre-maitres), რომელნიც შრომის პროცესის განმავლობაში კაპიტალის სახელით მბრძანებლობენ. ზედამხედველური შრომა განმტკიცებული ხდება როგორც მათი განსაკუთრებული ფუნქცია. დამოუკიდებელ გლეხთა ან ხელოსანთა წარმოების წესის შედარებისას მონობაზე დამყარებულ პლანტატორულ მეურნეობასთან, ამ ზედამხედველურ შრომას ეკონომისტი წარმოების faux frais-ს [არამწარმოებლურ ხარჯებს] აკუთვნებს ^{21a}. პირიქით, კაპიტალისტური წარმოების წესის განხილვის დროს ამ ხელმძღვანელობის ფუნქციას, რამდენადაც ეს უკანასკნელი შრომის კოლექტიური პროცესის ბუნებიდან გამომდინარეობს, იგი აიგივებს იმავე ფუნქციასთან, რამდენადაც ის ამ პროცესის კაპიტალისტური და, მაშასადამე, ანტაგონისტური ხასიათით არის გაპირობებული ²².

^{21a} მას შემდეგ, რაც პროფესორმა კერნსმა აღნიშნა, «superintendence of labour» [«შრომის ზედამხედველობა»] მთავარი დამახასიათებელი თვისებაა მონათმფლობელური წარმოებისა ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ შტატებში, იგი განაგრძობს: «რადგან გლეხი-მესაკუთრე (ჩრდილოეთში) თავისი მიწის მთელ მოსავალს ისაკუთრებს, ამიტომ იგი შრომის სხვა სტიმულს არ საჭიროებს. ზედამხედველობა აქ სრულიად ზედმეტია» (Cairnes: «The Slave Power». London 1862, გვ. 48, 49).

²² სერ ჯემს სტიუარტი, რომელიც საერთოდ იმით გამოირჩევა, რომ სხვადასხვა წარმოების წესის დამახასიათებელ საზოგადოებრივ განსხვავებებს კარგად ხედავს,

კაპიტალისტი იმიტომ კი არ არის კაპიტალისტი, რომ იგი მრეწველობის ხელმძღვანელია, არამედ, პირიქით, მრეწველობის მბრძანებელი იმიტომ ხდება, რომ იგი კაპიტალისტია. უმაღლესი მბრძანებლობა მრეწველობაში კაპიტალის ატრიბუტი ხდება, ისევე როგორც ფეოდალურ ხანაში უმაღლესი მბრძანებლობა ომში და სასამართლოში მიწის საკუთრების ატრიბუტი იყო^{22ა}.

მუშა თავისი სამუშაო ძალის მესაკუთრე მხოლოდ მანამდეა, სანამ იგი, როგორც ამ ძალის გამყიდველი, კაპიტალისტს ევაკრება, და მას შეუძლია მხოლოდ ის გაყიდოს, რაც გააჩნია, — თავისი ინდივიდუალური, განცალკევებული სამუშაო ძალა. ეს ურთიერთობა სრულიად არ იცვლება იმით, რომ კაპიტალისტი ერთის ნაცვლად 100 სამუშაო ძალას ყიდულობს, ან რომ ერთის ნაცვლად 100 ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ მუშასთან დებს ხელშეკრულებას. მას შეუძლია გამოიყენოს 100 მუშა, მათი კოლპერირების გარეშე. ამიტომ კაპიტალისტი 100 დამოუკიდებელი სამუშაო ძალის ღირებულებას იხდის, მაგრამ ის არ იხდის ასეულის კომბინირებული სამუშაო ძალის ღირებულებას. როგორც დამოუკიდებელი პიროვნებანი, მუშები წარმოადგენენ ერთეულებს, რომელნიც გარკვეულ ურთიერთობაში შედიან ერთსა და იმავე კაპიტალთან, მაგრამ არა ერთმანეთთან. მათი კოლპერაცია მხოლოდ შრომის პროცესში იწყება, მაგრამ შრომის პროცესში ისინი თავის თავს უკვე აღარ ეკუთვნიან. მასში შესვლისთანავე ისინი კაპიტალს შეუსისხლბორცდნენ. როგორც კოლპერირებულნი, როგორც წევრნი მოქმედი ორგანიზმისა, თვით ისინი კაპიტალის არსებობის მხოლოდ განსაკუთრებულ წესს წარმოადგენენ. ამიტომ ის მწარმოებლური ძალა, რომელსაც ავითარებს მუშა როგორც საზოგადოებრივი მუშა, კაპიტალის მწარმოებლური ძალაა. შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა უსასყიდლოდ ვითარდება, როგორც კი მუშებს განსაზღვრულ პირობებში ჩააყენებენ, კაპიტალი კი მათ სწორედ ამ პირობებში აყენებს. რადგან შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა კაპიტალს არაფერი არ უღირს, რადგან მეორე მხრივ,

შენიშნავს: «რითაა გამოწვეული, რომ მსხვილი საწარმოები მრეწველობაში სპობენ წვრილ საწარმოს, თუ არა იმით, რომ ისინი უფრო უახლოვდებიან მონური შრომის სიმარტივეს?» («Principles of Political Economy». London 1767, ტ. I, გვ. 167, 168).

^{22ა} ამიტომ ოგიუსტ კონტს და მის სკოლას ფეოდალ-ბატონების მარადიული აუცილებლობა იმავე წესით შეეძლო ემტკიცებინა, როგორც ამას იგი კაპიტალისტ-ბატონების მიმართ შერებოდა.

ამ მწარმოებლურ ძალას მუშა მანამდე არ ავითარებს, ვიდრე თვით მისი შრომა კაპიტალს არ ეკუთვნის, ამიტომ იგი წარმოგვიდგება ჩვენ როგორც მწარმოებლური ძალა, რომელიც კაპიტალს ბუნებითვე აქვს, როგორც კაპიტალის იმანენტური მწარმოებლური ძალა.

კოლოსალურად მოჩანს მარტივი კოოპერაციის ეფექტი ძველი აზიელების, ეგვიპტელების, ეტრუსკელებისა და სხვ. ბუმბერაზ ნაგებობებში. ძველ დროში ხდებოდა ხოლმე, რომ ამ აზიურ სახელმწიფოებს სამოქალაქო და სამხედრო ხარჯების გასტუმრების შემდეგ კიდევ რჩებოდათ საარსებო საშუალებათა ერთგვარი ნამეტი, რომელიც მათ შეეძლოთ დიადი და სასარგებლო შენობების ასაგებად დაეხარჯათ. იმის გამო, რომ თითქმის მთელი არამიწათმოქმედი მოსახლეობის მუშახელი მათს მბრძანებლობაში იყო და საარსებო საშუალებათა ამ ნამეტს მხოლოდ მონარქები და ქურუმები განაგებდნენ, მათ საშუალება ჰქონდათ იმ მძლავრი მონუმენტების ასაგებად, რომლებითაც მათ ქვეყანა მოჰფინეს... კოლოსალურ ქანდაკებათა და უზარმაზარ სიმძიმეთა დასაძრავად, რომელთა გადაზიდვა განცვიფრებას იწვევს, თითქმის მარტო ადამიანის შრომა იფლანგებოდა... ამისათვის საკმარისი იყო მუშების სიმრავლე და მათი ძალ-ღონის კონცენტრაცია. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ოკეანის სიღრმიდან ამოდიან ზემოთ მარჯნის მძლავრი რიფები და იქნება კუნძულები და ხმელეთი, თუმცა თვითეული ინდივიდუალური მონაწილე (depository) ამ პროცესისა უმნიშვნელოა, სუსტი და საცოდავია. რომელიმე აზიური მონარქის არამიწათმოქმედ მუშებს თითქმის მხოლოდ თავისი ინდივიდუალური ფიზიკური შრომით შეეძლოთ საქმეში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მათი რიცხვი მათი ძალა იყო, და ამ მასების ერთიანი მმართველობის ძალამ საძირკველი ჩაუყარა ზემოაღნიშნულ ბუმბერაზ ნაგებობებს. მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ერთის ან რამდენიმე პირის ხელში ხდებოდა კონცენტრაცია იმ შემოსავალთა, რომელთა ხარჯზეც მუშები ცხოვრობდნენ, იყო შესაძლებელი ამგვარ წამოწყებათა შესრულება²³. აზიელი და ეგვიპტელი მეფეების, ან ეტრუსკელი თეოკრატების და სხვათა ეს ძალა თანამედროვე საზოგადოებაში კაპიტალისტზე გადავიდა, განურჩევლად იმისა, მოქმედებს ეს უკანასკნელი განცალკევებული კაპიტალისტის სახით, თუ კომბინი-

²³ R. Jones: «Text-book of Lectures etc.», Hertford 1852, გვ. 77, 78. ძველი ასურული, ეგვიპტური და სხვ. კოლექციები ლონდონში და ვეროპის სხვა საბუთო ქალაქებში ამ კოოპერაციული შრომითი პროცესების მოწმედ გვხვდის.

რებული კაპიტალისტის სახით, როგორც ეს აქციონერთა საზოგადოებებშია.

კოპერაცია შრომის პროცესში, იმ სახით, როგორც ჩვენ მას გაბატონებულს ვხედავთ კაცობრიობის კულტურის ჩანასახის საფეხურზე, მაგალითად, მონადირე ხალხთა შორის^{23ა}, ანდა ინდური თემების მიწათმოქმედებაში, დამყარებულია, ერთი მხრივ, წარმოების პირობების სათემო მფლობელობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, — იმაზე, რომ ცალკეულ ინდივიდს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია ქიპლარი, რომლითაც ის ტომთან ან თემთან დაკავშირებული და ისე მჭიდროდ შედუღებულია, როგორც ცალკეული ფუტკარი სკასთან. ორივე ამ თვისებით ეს კოპერაცია განსხვავდება კაპიტალისტური კოპერაციისაგან. კოპერაციის სპორადული გამოყენება დიდი მასშტაბით ანტიკურ ქვეყნებში, შუა საუკუნეებში და თანამედროვე კოლონიებში დამყარებულია უშუალო ბატონობისა და დამონების ურთიერთობაზე, უმეტესად მონობაზე. პირიქით, კოპერაციის კაპიტალისტური ფორმა თავიდანვე გულისხმობს თავისუფალ დაქირავებულ მუშას, რომელმაც თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს უნდა მიჰყიდოს. მაგრამ ისტორიულად ეს ფორმა გლეხური მეურნეობის და დამოუკიდებელი ხელოსნური წარმოების წინააღმდეგ ვითარდება, სულ ერთია, ან ხელოსნურ წარმოებას ამქრული ფორმა აქვს თუ არა²⁴. მათ საბერისპიროდ კაპიტალისტური კოპერაცია გვევლინება არა როგორც განსაკუთრებული ისტორიული ფორმა კოპერაციისა, არამედ თვით კოპერაცია გვევლინება როგორც კაპიტალისტური წარმოებითი პროცესის დამახასიათებელი და მისი სპეციფიკურად განმასხვავებელი ისტორიული ფორმა.

როგორც კოპერაციის მეოხებით გადიდებული საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა შრომისა კაპიტალის მწარმოებლურ ძალად გვევლინება, ისე თვით კოპერაცია, დამოუკიდებელ მომუშავეთა ან

^{23ა} ლენგე თავის „Théorie des Lois Civiles“-ში შეიძლება არ ცდებოდეს, როდესაც ნადირობას კოპერაციის პირველ ფორმად საზავს, ხოლო ადამიანზე ნადირობას (ომს) — ნადირობის პირველ ფორმად.

²⁴ წერილგლეხური მეურნეობა და დამოუკიდებელი ხელოსნური წარმოება ნაწილობრივ ფეოდალური წარმოების წესის ბაზისს შეადგენენ, ნაწილობრივ, მისი დაშლის შემდეგ, კაპიტალისტური წარმოების გვერდით ჩნდებიან, განაგრძობენ არსებობას; ამავე დროს ისინი კლასიკური საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მისი არსებობის საუკეთესო ხანაში, მას შემდეგ, რაც უკვე დაშლილი იყო აღმოსავლეთის თავდაპირველი თემური საკუთრება, ხოლო მონობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ვერ დაუფლებოდა წარმოებას.

წვირლ ნეპატრონეთა წარმოების პროცესის საპირისპიროდ, გვევლინება როგორც კაპიტალისტური წარმოების პროცესის სპეციფიკური ფორმა. ესაა პირველი ცვლილება, რომელსაც განიცდის თვით შრომითი პროცესი კაპიტალისადმი მისი დაქვემდებარების გამო. ეს ცვლილება სტიქიურად ხდება. მისი წინაპირობა: დაქირავებული მუშების უფრო დიდი რიცხვის ერთსა და იმავე დროს გამოყენება შრომის ერთსა და იმავე პროცესში, კაპიტალისტური წარმოების ამოსავალი პუნქტია. იგი ნიშნავს თვით კაპიტალის არსებობას. ამიტომ, თუ ერთი მხრივ, კაპიტალისტური წარმოების 'წესი ისტორიული აუცილებლობაა, რათა შრომის პროცესი საზოგადოებრივ პროცესად გადაიქცეს, მეორე მხრივ, შრომის პროცესის ეს საზოგადოებრივი ფორმა ის მეთოდია, რომელსაც კაპიტალი იყენებს, რათა შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებით უფრო სარფიანად გაუწიოს ექსპლოატაცია შრომის პროცესს.

კოოპერაცია მისი იმ მარტივი ფორმით, რომლითაც ჩვენ მას აქამდე განვიხილავდით, ემთხვევა ფართო მასშტაბის წარმოებას, მაგრამ არ შეადგენს კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების განსაკუთრებული ეპოქის არავითარ მტკიცე, დამახასიათებელ ფორმას. სულ დიდი, იგი დაახლოებით ასეთი ფორმით გვევლინება მანუფაქტურის დაწყებითს პერიოდში, როცა ეს მანუფაქტურა ჯერ კიდევ ხელოსნურია²⁶, და იმ სახის მსხვილ მიწათმოქმედებაში, რომელიც მანუფაქტურულ პერიოდს შეესაბამება და არსებითად განსხვავდება გლეხური მეურნეობისაგან მხოლოდ იმავდროულად გამოყენებულ მუშათა რაოდენობით და კონცენტრირებულ წარმოების საშუალებათა მოცულობით. მარტივი კოოპერაცია ჯერ კიდევ ვაბატონებული ფორმაა წარმოების ისეთ დარგებში, სადაც კაპიტალი დიდი მასშტაბით მოქმედებს, მაგრამ სადაც შრომის დანაწილება და მანქანები მნიშვნელოვან როლს არ ასრულებენ.

კოოპერაცია კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითად ფორმად რჩება, თუმცა თვით მისი მარტივი სახე მისი უფრო განვითარებული ფორმების გვერდით განსაკუთრებულ ფორმად გვევლინება.

²⁶ «განა მრავალთა გაერთიანებული დახელოვნება, სიბეჯითე და შეჯიბრება ერთსა და იმავე საქმეში არ წარმოადგენს ამ საქმის წარმატების საშუალებას? და განა შეეძლო ინგლისს თავისი მატყლის მანუფაქტურის ასეთ მაღალ სრულყოფამდე აყვანა რაიმე სხვა საშუალებით?» (Berkeley: «The Querist». London 1750, გვ. 56, § 521).

თავი მეთორმეტი

შრომის დანაწილება და მანუშაქტურა

1. მანუშაქტურის ორგანიზაციის წარმოშობა

შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაცია თავის კლასიკურ ფორმას მანუშაქტურაში იძენს. როგორც კაპიტალისტური წარმოებითი პროცესის დამახასიათებელი ფორმა, იგი გაბატონებული საკუთრივ მანუშაქტურული პერიოდის განმავლობაში, რომელიც გრძელდება დაახლოებით მე-16 საუკუნის ნახევრიდან მე-18 საუკუნის უკანასკნელ მესამედამდე.

მანუშაქტურა ორნაირი გზით წარმოიშვება.

ერთი გზა ასეთია. ერთ სახელოსნოში ერთი და იმავე კაპიტალისტის მბრძანებლობის ქვეშ ერთდებიან სხვადასხვაგვარი, დამოუკიდებელი ხელობის მუშები, რომელთა ხელში თანამიმდევრობით უნდა გაიაროს პროდუქტმა თავის საბოლოო დამზადებამდე. მაგალითად, ეტლი პირველად ერთობლივი პროდუქტი იყო მრავალი ისეთი დამოუკიდებელი ხელოსნის შრომისა, როგორიც არის: ეტლის ოსტატი, სარაჯი, თერძი, ზეინკალი, თოქმაჩი, ხარატი, მეყაითენე, მინის ჩამსმელი, მღებავი, ლაქის წამსმელი, მომვარაყებელი და სხვ. ეტლის მანუშაქტურა ყველა ამ სხვადასხვა ხელოსანს აერთიანებს ერთ სახელოსნოში, სადაც ისინი ერთსა და იმავე დროს მხარდამხარ მუშაობენ. ცხადია, სანამ ეტლი გაკეთებული არ იქნება, მისი მოვარაყება არ შეიძლება. მაგრამ, თუ ერთსა და იმავე დროს მრავალი ეტლი მზადდება, მაშინ მისი ერთი ნაწილი შეიძლება მუდამ ვარაყდებოდეს, ხოლო მეორე ნაწილი იმავე დროს წარმოების პროცესის წინა ფაზას გადიოდეს. აქ ჩვენ ჯერ ისევ მარტივი კოოპერაციის ნიადაგზე ვდგავართ, რომელიც მზამზარეულად პოულობს თავის მასალას ადამიანებისა და ნივთების სახით. მაგრამ სულ მალე არსებითი ცვლილება ხდება. თერძი, ზეინკალი, თოქმაჩი და სხვ., ვინც კი მხოლოდ ეტლის კეთებაშია ჩაბმული, თანდათან კარგავს ჩვევასთან ერთად უნარსაც მისდიოს თავის ძველ ხელობას მთელი მისი მოცულობით. მეორე მხრივ, მისი გაცალმხრივებული მუშაობა მოქმედების ამ შეზღუდულ

სფეროში ახლა ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ფორმას იძენს. თავდაპირველად ეტლის მანუფაქტურა დამოუკიდებელ ხელობათა კომბინირებას წარმოადგენდა. შემდეგში ეტლის წარმოება თანდათანობით იყოფა მის სხვადასხვა ნაწილობრივ ოპერაციად, რომელთაგან თვითეული ერთი რომელიმე მუშის განსაკუთრებული ფუნქციის სახით ყალიბდება, და რომელთა ერთობლიობა ამ ნაწილობრივი მუშების კავშირის საშუალებით ხორციელდება. ამგვარადვე წარმოიშვა მაუდის მანუფაქტურა და მთელი რიგი სხვა მანუფაქტურები სხვადასხვა ხელობის კომბინირების გზით ერთი და იმავე კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ²⁶.

მაგრამ მანუფაქტურა საპირისპირო გზითაც წარმოიშვება. მრავალი ხელოსანი, რომელიც ერთსა და იმავე ან ერთგვაროვან მუშაობას ასრულებს, მაგალითად, ამზადებს ქალაღს, შრიფტს ან ნემსებს, ერთი და იმავე კაპიტალის მიერ იმავდროულად ერთსა და იმავე სახელოსნოშია ჩაბმული. ეს არის კოოპერაცია მისი უმარტივესი ფორმით. თვითეული ამ ხელოსანთაგანი (შეიძლება, ერთი ან ორი ქარგლით) მთელ საქონელს ამზადებს და, მამასადამე, თანამიმდევრობით ასრულებს საქონლის დასამზადებლად საქირო სხვადასხვა ოპერაციას. იგი განაგრძობს თავისი ძველი ხელოსნური წესით მუშაობას. მაგრამ გარეშე პირობები მოითხოვენ მალე, რომ მუშების კონცენტრაცია იმავე შენობაში და მათი მუშაობის იმავდროულობა სხვაგვარად იქნას გამოყენებული. მაგალითად, მიწოდებულ უნდა იქნას განსაზღვრულ

²⁶ მანუფაქტურის წარმოქმნის ეს წესი რომ უფრო თანამედროვე მაგალითით ნათელყოფთ, მოგვეყვას შემდეგი ციტატა: ლიონსა და ნიშში აბრეშუმის რთვა და ქსოვა «სრულიად პატრიარქალურია; აქ ბევრი ქალი და ბავშვი მუშაობს, მაგრამ ეს მათ არ ქანცავს და მათს ჯანმრთელობას არ ანადგურებს. ისინი რჩებიან დრომის, ვარის, იხერისა და ვოკლიუზის მშენიერ დაბლობებში, სადაც მათ აბრეშუმის ჭია გამოჰყავთ და მისი პარკიდან ძაფს ახვევენ; ეს წარმოება არასოდეს არ იღებს ნამდვილი ფაბრიკის ხასიათს. თუ კარგად დავუკვირდებით... დავინახავთ, რომ შრომის დანაწილების პრინციპი აქ განსაკუთრებულ თავისებურებას ამჟღავნებს. აქ არიან ძაფის ამომხვევები, მძახავები, მღებავები, მეუროვეები და, ბოლოს, ფეიქრები; მაგრამ ისინი ერთ შენობაში არ არიან თავმოყრილნი და ერთსა და იმავე პატრონზე არ არიან დამოკიდებულნი; ისინი ყველანი დამოუკიდებლად მუშაობენ (A. Blanqui: «Cours d'Économie Industrielle». Recueilli par A. Blaise. Paris 1838 — 1839, გვ. 79). იმის შემდეგ, რაც ბლანკიმ ეს დაწერა, სხვადასხვა დამოუკიდებელი მუშები ნაწილობრივ გაერთიანებულ იქნენ ფაბრიკებში. [მე-4 გამოცემისათვის. ხოლო იმის შემდეგ, რაც ეს მარქსმა დაწერა, ამ ფაბრიკებში დამკვიდრდა მექანიკური საფეიქრო დაზოგა და იგი სწრაფად აძევებს ხელის საფეიქრო დაზოგს. კრეფელდის აბრეშუმის მრეწველობასაც შეეძლო საკუთარი გამოცდილებიდან ამის შესახებ ცოტა რამ ეთქვა. — ვ. მ.]

ვადაზე დიდძალი მზა საქონელი. ამიტომ შრომის დანაწილება ხდება. ნაცვლად იმისა, რომ ერთსა და იმავე ხელოსანს მიენდოს სხვადასხვა ოპერაციის თანამიმდევრობით შესრულება, ამ ოპერაციებს ერთმანეთს აშორებენ, აცალკევებენ, სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით ათავსებენ, თანაც თვითეული ოპერაციის შესრულებას ცალკე ხელოსანს ავალებენ, და ყველა ამ ოპერაციას ერთად კოოპერირებული მომუშავენი ერთდროულად ასრულებენ. ეს შემთხვევითი დანაწილება მეორდება, იგი ცხადყოფს თავის დამახასიათებელ უპირატესობას, და თანდათან შრომის სისტემატურ დანაწილებად ყალიბდება. მრავალი ოპერაციის შემსრულებელი დამოუკიდებელი ხელოსნის ინდივიდუალური პროდუქტიდან საქონელი იქცევა ხელოსანთა კავშირის საზოგადოებრივ პროდუქტად, იმ ხელოსანთა, რომელთაგან თვითეული განუწყვეტლივ ასრულებს მხოლოდ ერთსა და იმავე ნაწილობრივ ოპერაციას. იგივე ოპერაციები, რომლებიც ერთმანეთში იყო ჩაქსოვილი, როგორც თანამიმდევრული სამუშაონი ქალაქის მკეთებელი გერმანელი ამქაროსტატისა, ჰოლანდიის ქალაქის მანუფაქტურაში დამოუკიდებელი ხდებიან და აქ ერთიმეორის გვერდით მიმდინარეობენ როგორც ნაწილობრივი ოპერაციები კოოპერირებული მრავალი მუშისა. ნიურნბერგის ამქარის ოსტატი, რომელიც ნემსებს ამზადებს, ინგლისის ნემსების მანუფაქტურის ძირითად ელემენტს შეადგენს. მაგრამ მაშინ როდესაც ნიურნბერგელი ხელოსანი თანამიმდევრულად ასრულებდა ზედიზედ, შესაძლოა, 20 ოპერაციას, ინგლისის მანუფაქტურაში ერთიმეორის გვერდით, შეიძლება, 20 ხელოსანი მუშაობდა და თვითეული მათგანი ასრულებდა მხოლოდ ერთს ამ 20 ოპერაციიდან, თანაც გამოცდილების საფუძველზე ეს ოპერაციები კიდევ უფრო მეტად დანაწილდა, გამოცალკევდა და ცალკეული მუშების დამოუკიდებელ განსაკუთრებულ ფუნქციებად იქცა.

მაშასადამე, მანუფაქტურის აღმოცენება, მისი წარმოქმნა ხელოსნობიდან ორნაირი გზით ხდება. ერთი მხრივ, იგი წარმოიშევა სხვადასხვაგვარ დამოუკიდებელ ხელობათა კომბინაციიდან, რომლებიც თავიანთ დამოუკიდებლობას კარგავენ და იმდენად ცალმხრივი ხდებიან, რომ ერთი და იმავე საქონლის წარმოების პროცესში მხოლოდ ერთიმეორის შემავსებელ ნაწილობრივ ოპერაციებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, მანუფაქტურა წარმოიშევა თანაგვარი ხელოსნების კოოპერაციიდან, შლის ერთსა და იმავე ინდივიდუალურ ხელობას მის სხვადასხვა განსაკუთრებულ ოპერაციებად, აცალკევებს და იმდენად დამოუკიდებელს ხდის მათ, რომ თვითეული მათგანი ამა თუ იმ განსაკუთრებული მუშის ერთადერთ ფუნქციად იქცევა. ამიტომ

მანუფაქტურას, ერთი მხრივ, შეაქვს შრომის დანაწილება წარმოების პროცესში ანდა ავითარებს შემდგომ ამ დანაწილებას; მეორე მხრივ, იგი ახდენს იმ ხელობათა კომბინირებას, რომელნიც უწინ დამოუკიდებლად არსებობდნენ. მაგრამ, როგორც უნდა იყოს მისი ამოსავალი პუნქტი ყოველ კერძო შემთხვევაში, მისი საბოლოო სახე მუდამ ერთი და იგივეა, — იგი საწარმოო მექანიზმია, რომლის ორგანოები აღამიანები არიან.

მანუფაქტურაში შრომის დანაწილების სწორი გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგი მუხლების აღნიშვნას. უწინარეს ყოვლისა წარმოების პროცესის დანაწევრება მის განსაკუთრებულ ფაზებად აქ სავსებით ემთხვევა ხელოსნური საქმიანობის დაშლას მის სხვადასხვა ნაწილობრივ ოპერაციად. რთულია ეს ოპერაცია თუ მარტივი, იგი ხელოსნურ ხასიათს ინარჩუნებს და, მაშასადამე, დამოკიდებულია იმ ძალასა, დახელოვნებასა, სისწრაფესა და ხელმარჯვეობაზე, რასაც ყოველი ცალკეული მუშა თავისი ინსტრუმენტის გამოყენების დროს იჩენს. ბაზისად ხელოსნობა რჩება. ეს ვიწრო ტექნიკური ბაზისი გამორიცხავს წარმოების პროცესის ნამდვილად მეცნიერულ ანალიზს, რადგან ყოველი ნაწილობრივი პროცესი, რომელსაც პროდუქტი გაივლის, ხელოსნური ნაწილობრივი შრომის სახით უნდა შესრულდეს. სწორედ იმიტომ, რომ ხელოსნური დახელოვნება ამრიგად წარმოების პროცესის საფუძვლად რჩება, თვითიული მუშა მარტოოდენ ერთ ნაწილობრივ ფუნქციას ეგუება და მისი სამუშაო ძალა მთელ მის სიცოცხლეში ამ ნაწილობრივი ფუნქციის ორგანოდ იქცევა. ბოლოს, შრომის ასეთი დანაწილება კოოპერაციის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს და მრავალი მისი უპირატესობა კოოპერაციის საერთო ბუნებიდან გამომდინარეობს და არა მისი განსაკუთრებული ფორმიდან.

2. ნაწილობრივი მუშა და მისი იარაღი

თუ ახლა საგანს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, უწინარეს ყოვლისა ცხადია ის, რომ მუშა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ერთსა და იმავე მარტივ ოპერაციას ასრულებს, მთელ თავის სხეულს ამ ოპერაციის ავტომატურ ცალმხრივ ორგანოდ აქცევს და ამიტომ ამ ოპერაციის შესასრულებლად იგი უფრო ნაკლებ დროს ხარჯავს, ვიდრე ხელოსანი, რომელიც მთელ რივ ოპერაციებს შენაცვლებით ასრულებს. მაგრამ კომბინირებული ერთობლივი მუშა, რომელიც მანუფაქტურის ცოცხალ მექანიზმს წარმოადგენს, მარტოოდენ ასეთი

ცალმხრივი ნაწილობრივი მუშებისაგან შედგება. ამიტომ დამოუკიდებელ ხელოსნობასთან შედარებით აქ უფრო მცირე დროში მეტი პროდუქტი იწარმოება, ე. ი. შრომის მწარმოებლური ძალა იზრდება²⁷. უმჯობესდება ნაწილობრივი შრომის მეთოდიც მას შემდეგ, რაც იგი გარკვეული პირის განსაკუთრებულ, დამოუკიდებელ ფუნქციად იქცევა. ერთი და იმავე შეზღუდული მოქმედების მუდმივი განმეორება და ყურადღების კონცენტრაცია ამ შეზღუდულ სფეროზე გამოცდილებით ასწავლის ადამიანს მიზნად დასახული სასარგებლო შედეგის მიღწევას ძალის უმცირესი დახარჯვით. ხოლო, რადგან მუშათა სხვადასხვა თაობას ერთსა და იმავე დროს უხდება ცხოვრება და ერთსა და იმავე მანუფაქტურაში ერთად მუშაობა, ამიტომ აღნიშნული გზით შეძენილი ხერხები ტექნიკური დახელოვნებისა მალე მტკიცდება, გროვდება და ერთი თაობიდან მეორეზე გადადის²⁸.

მანუფაქტურა მართლაც ნაწილობრივი მუშის ვირტუოზობას ქმნის იმით, რომ იგი ხელობათა ბუნებრივად აღმოცენებულ განცალკევებულობას, რომელიც მან საზოგადოებაში პოვა, სახელოსნოს შიგნით კვლავ წარმოქმნის და სისტემატურად უმაღლეს წერტილამდე ავითარებს. მეორე მხრივ, მანუფაქტურის მიერ ნაწილობრივი შრომის ეს გარდაქმნა ადამიანის სასიცოცხლო მოწოდებად შეეფერება წინანდელ საზოგადოებათა მისწრაფებას — გადაექციათ ხელობა სამემკვიდრეო საქმედ, გაექვავებინათ იგი კასტის სახით ანდა, იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ისტორიული პირობები წარმოშობდნენ ინდივიდის კვალებადობას, რაც ეწინააღმდეგება კასტის არსებას, — ჩამოეყალიბებინათ ხელობა საამქროების სახით. კასტებს და საამქროებს წარმოშობს იგივე ბუნებრივი კანონი, რომელიც აწესრიგებს მცენარეთა და ცხოველთა განცალკევებას სახეობებად და ქვესახეობებად, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე კასტათა მემკვიდრეობითი ხასიათი და საამქროთა განსაკუთრებულობა საზოგადოებრივი კანონის სახით დგინდება²⁹. «დაკის

²⁷ რაც უფრო მეტადაა დანაწილებული შრომა რომელიმე მრავალფეროვან მანუფაქტურაში და რაც უფრო მეტ სხვადასხვა ნაწილობრივ მუშას აქვს იგი დაკისრებული, მით უფრო აუცილებლად კარგად და უფრო სწრაფად სრულდება იგი, უფრო ნაკლები დროისა და შრომის დაკარგვით. («The Advantages of the East-India Trade». London 1720, გვ. 71).

²⁸ მსუბუქი შრომა მხოლოდ მემკვიდრეობით გადმოცემული დახელოვნებაა (Th. Hodgskin: «Popular Political Economy». Loudou 1827, გვ. 48).

²⁹ დახელოვნებაა... სრულყოფის სათანადო საფეხურს მიაღწია ეგვიპტეში. და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ქვეყანაში სრულიად არ ჰქონდათ უფლება ხელოსნებს აელი მოვიდათ სხვა კლასის მოქალაქეთა მოსაქმეობისათვის, არამედ ისინი მართლ-

მუსლინი თავისი სიწმინდით, კორომანდელის ჩითები და სხვა ქსოვილები თავიანთი სილამაზით და ფერების გამძლეობით დღემდე უბადლოა. მიუხედავად ამისა, მათ აწარმოებენ უკაპიტალოდ, უმანქანებოდ. შრომის დაუნაწილებლად, ანუ მათს წარმოებაში არც ერთი იმ საშუალებათაგანი არაა გამოყენებული, რომელნიც ამდენ უპირატესობას ანიჭებენ ევროპულ ფაბრიკაციას. ფეიქარი იქ განცალკევებული ინდივიდია, რომელიც ქსოვილს მუშტრის დაკვეთით ამზადებს უმარტივესი კონსტრუქციის საფეიქრო დაზგაზე, რომელიც ხანდახან მხოლოდ ტლანქად შეკრული ხის ლატანებისაგან შედგება. მას საქუსალის დამჭიმავი სამარჯვიც კი არ მოეპოვება და ამიტომ საფეიქრო დაზგა მუდამ მთელი თავისი სიგრძით უნდა იყოს გაშლილი; ამის გამო იგი ისეთი მოუხეშავია და იმდენ ადგილს იჭერს, რომ მწარმოებლის ქოხში არ ეტევა; ამიტომ მწარმოებელი იძულებულია თავისი სამუშაო გარეთ, გაშლილ ადგილას შეასრულოს და ხშირად შეწყვიტოს იგი ამინდის ყოველი ცვლილების გამოა³⁰. მხოლოდ ეს სპეციფიკური დახელოვნება, თაობიდან თაობაში დაგროვილი და მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადასული, ანიჭებს ინდოელს, ისე როგორც ობობას, ამ ვირტუოზობას. და მაინც, მანუფაქტურის მუშების უმრავლესობასთან შედარებით, ასეთი ინდოელი ფეიქარი ფრიად რთულ შრომას ეწევა.

ხელოსანი, რომელიც პროდუქტის დასამზადებლად საჭირო სხვადასხვა ნაწილობრივ პროცესს ერთიმეორეზე მიყოლებით ასრულებს, უნდა იცვლიდეს ხან ადგილს და ხან ინსტრუმენტებს. ერთი ოპერაციიდან მეორეზე გადასვლა წყვეტს მისი შრომის მიმდინარეობას

ოდენ იმ ხელობას უნდა გაჰყოლოდნენ, რომელიც მათ გვარს კანონის მიერ მემკვიდრეობით ჰქონდა მინიჭებული... სხვა ხალხთა შორის ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოსნების ყურადღება მეტად ბევრ საგანზეა მიპყრობილი... ისინი ხან მიწის მუშაობას ეტანებიან, ხან სავაჭრო საქმეებს ჰკიდებენ ხელს, ხან კი ერთსა და იმავე დროს ორი ან სამი ხელობით არიან გართულნი. თავისუფალ სახელმწიფოებში ისინი ჩვეულებრივ სახალხო კრებებზე დარბიან... პირობით, ევროპტეში ყოველი ხელოსანი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში ერევა, ანდა ერთსა და იმავე დროს მრავალ ხელობას ეწევა, მძიმე სასჯელით ისჯება. ამრიგად, არაფერი არ უშლის მას ხელს გულმოდგინედ მისდიოს თავის ხელობას... ამასთან მათ თუმცა მრავალი წესი აქვთ მიღებულნი მემკვიდრეობით თავიანთ წინაპართაგან, მაგრამ მაინც გულმოდგინეთ ცდილობენ ახალი გაუმჯობესებანი გამოიგონონ» («Diodor's von Sicilien Historische Bibliothek», წიგნი 1, თავი 74, გვ. 117, 118).

³⁰ «Historical and Descriptive Account of British India etc., by Hugh Murray, James Wilson etc. Edinburgh 1832, ტ. II, გვ. 449. ინდური საფეიქრო დაზგა ძალიან მაღალია, რადგან მისი საქუსალი დაჭიმულია ვერტიკალურად.

და მის სამუშაო დღეში, ასე ვთქვათ, ხარვეზებს ქმნის. ეს ხარვეზები ამოიყვება, როდესაც იგი მთელი დღე განუწყვეტლივ ერთსა და იმავე ოპერაციას ასრულებს, ანდა ქრება იმ ზომით, რა ზომითაც მცირდება მისი ოპერაციების ცვალებადობა. შრომის ნაყოფიერების ზრდა გამოწვეულია აქ ან სამუშაო ძალის გადიდებული დახარჯვით განსაზღვრულ დროში, მაშასადამე, შრომის მზარდი ინტენსივობით, ანდა სამუშაო ძალის არამწარმოებლური დახარჯვის შემცირებით. სახელდობრ, ძალის ჭარბი დახარჯვა, რომელიც მუდამ თან სდევს უძრაობიდან მოძრაობაში გადასვლას, ანაზღაურდება ერთხელვე მიღწეული ნორმალური სისწრაფის მეტი ხანგრძლივობით. მეორე მხრივ, განუწყვეტელი ერთფეროვანი შრომა ასუსტებს იმ სასიცოცხლო ენერჯის დაძაბულობასა და აღმავლობას, რომელიც თვით მოქმედების ცვალებადობაში თავის დასვენებასა და აღგზნებას პოულობს.

შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია არა მარტო მუშის ვირტუოზობაზე, არამედ მისი სამუშაო იარაღების სრულყოფილობაზეც. ერთი და იმავე სახის იარაღები, მაგალითად, მჭრელი, მბურღავი, ბიძგველი, დამკვრელი და სხვა ინსტრუმენტები, იხმარება შრომის სხვადასხვა პროცესში, მეორე მხრივ კი შრომის ერთსა და იმავე პროცესში ერთი და იგივე ინსტრუმენტი სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს. მაგრამ რაწამსაც შრომის პროცესის სხვადასხვა ოპერაცია ერთმანეთს გამოეყოფა და თვითეული ნაწილობრივი ოპერაცია ნაწილობრივი მუშის ხელში რაც შეიძლება უფრო შესაფერ და, მაშასადამე, განსაკუთრებულ ფორმას იღებს, აუცილებელი ხდება იმ იარაღების შეცვლა, რომლებიც უწინ სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდნენ. მათი ფორმის ცვლილების მიმართულებას იძლევა გამოცდილება, რომელიც ცხადყოფს, თუ რა განსაკუთრებული სიძნელებები იქმნება ამ იარაღების უცვლელი ფორმით გამოყენების დროს. სამუშაო ინსტრუმენტების დიფერენცირება, რომლის მეოხებით ერთი და იმავე სახის ინსტრუმენტი განსაკუთრებით მტკიცე ფორმას იღებს ყოველი განსაკუთრებული გამოყენებისათვის, და მათი სპეციალიზაცია, რომლის გამო ყოველი ასეთი განცალკევებული ინსტრუმენტი მხოლოდ სპეციფიკური ნაწილობრივი მუშის ხელში ააშკარავებს მთლიანად თავისი მოქმედების უნარს, — ყოველივე ეს მანუფაქტურის დამახასიათებელია. მარტო ბირმინჰამში დაახლოებით 500 სხვადასხვა სახის ჩაქუჩი მზადდება, რომელთაგან თვითეული არა მარტო წარმოების განსაკუთრებულ პროცესს ემსახურება, არამედ მთელი მათი წყება გამოსადეგია ხშირად ერთი და იმავე პროცესის მხოლოდ სხვადასხვა ოპერაციისთვის. მანუფაქტურის პერიოდი

ამარტივებს, აუმჯობესებს და ამრავალფეროვნებს სამუშაო იარაღებს მათი შეგუებით ნაწილობრივი მუშების განსაკუთრებულ გამოცალკეებულ ფუნქციებთან³¹. ამით იგი ქმნის ამასთანავე ერთ-ერთ მატერიალურ პირობას მანქანების გამოსაყენებლად, რომლებიც მხოლოდ მარტივი იარაღების კომბინაციას წარმოადგენენ.

ნაწილობრივი მუშა და მისი ინსტრუმენტი მანუფაქტურის მარტივ ელემენტებს შეადგენენ. განვიხილოთ ახლა მანუფაქტურა მისი მთლიანი სახით.

3. მანუფაქტურის ორი ძირითადი ფორმა: ჰიბეროგენული მანუფაქტურა და ორგანული მანუფაქტურა

მანუფაქტურის შინაგან წყობას ორი ძირითადი ფორმა აქვს; ეს ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხანდახან ერთმანეთზე გადახლართული, ორ არსებითად განსხვავებულ სახეობას წარმოადგენენ და განსაკუთრებით მანუფაქტურის შემდგომი გადაქცევისას მსხვილ მანქანურ მრეწველობად სრულიად სხვადასხვა როლს ასრულებენ. მანუფაქტურის ეს ორნაირი ხასიათი თვით ნაწარმის ბუნებიდან გამომდინარეობს. ეს ნაწარმი ან დამოუკიდებელი ნაწილობრივი პროდუქტების მარტოოდენ მექანიკური გაერთიანებით იქმნება, ანდა თავის საბოლოო ფორმას იგი იღებს ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესებისა და მანიპულიაციების თანამიმდევრული მწკრივის მეოხებით.

მაგალითად, ლოკომოტივი 5 000-ზე მეტი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება. მაგრამ ის არ გამოდგება პირველი სახეობის საკუთრივ მანუფაქტურის მაგალითად, რადგან იგი მსხვილი მრეწველობის პროდუქტია. მაგრამ ასეთად გამოდგება საათი, რომელსაც უკვე ვილიამ ჰეტცი შრომის მანუფაქტურული დანაწილების საილუსტრაციოდ

³¹ ეპოქისშემქმნელ თავის თხზულებაში «სახეობათა წარმოშობა» მცენარეთა და კხოველთა ბუნებრივი ორგანოების შესახებ დარვინი აღნიშნავს: «ორგანოთა ცვალებადობის მიზეზი, სანამ ერთი და იგივე ორგანო სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, შეიძლება, იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი შერჩევა უფრო ნაკლები გულმოდგინებით იცავს ან ახშობს ფორმის ყოველ მცირე გადახრას, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორგანო მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ მიზანს ემსახურება. ასე, მაგალითად, დანებს, რომელთაც სულ სხვადასხვა საგნის საჭრელად ხმარობენ, შეუძლიათ საერთოდ მეტ-ნაკლებად ერთნაირი ფორმა შეინარჩუნონ; მაგრამ თუ იარაღის ხმარებას ერთი განსახლდრეული დანიშნულება აქვს, ამ დანიშნულების შეცვლისას უნდა შეიცვალოს მისი ფორმაც» [Charles Darwin: «The Origin of Species» etc. London 1859, გვ. 149].

იღებს. ნიურნბერგელი ხელოსნის ინდივიდუალური პროდუქტიდან საათი გადაიქცა უამრავი ნაწილობრივი მუშის საზოგადოებრივ პროდუქტად. ასეთებია, მაგალითად: დამამზადებელი [Rohwerkmacher]; ზამბარის მკეთებელი; ციფერბლატის მკეთებელი; სპირალური ზამბარის მკეთებელი; ლალის მხვრეტელი და ჩამსმელი; ისრების მკეთებელი; საათის ბუდის მკეთებელი; ხრახნილის მკეთებელი; მომეარაყებელი, მრავალი ქვეგანყოფილებით; შემდეგ თვლების მკეთებელი (აქაც კვლავ დაყოფაა: თითბერის თვლებისა და ფოლადის თვლებისა ცალ-ცალკე); კბილანა გადამცემის მკეთებელი; მომმართველი მექანიზმისა და ისრების გადამყვანი მექანიზმის მკეთებელი; *acheveur de pignon* (ამაგრებს თვლებს კბილანებში, აპრიალებს წახნაგებს და სხვ.); სატაცის მკეთებელი [Zapfenmacher]; *planteur de finissage* (სხვადასხვა თვლებს და კბილანებს მექანიზმში აწყობს); *finisseur de barillet* (კრის კბილებს, ავანიერებს ღრუებს სათანადო ზომაზე, ამაგრებს ხრუტუნას საკეტელას ზამბარას და საკეტელას); საათის სვლის დეტალების მკეთებელი, ხოლო როცა საათი ცილინდრიანია, ცილინდრების მკეთებელიც; წამყვანი თვლების მკეთებელი; ქანქარას მკეთებელი; *raquette*-ის (საათის მარეგულირებელი მექანიზმი) მკეთებელი; *planteur d'échappement* (საკუთრივ სვლის მექანიზმის მკეთებელი); შემდეგ *repasser de barillet* (საბოლოოდ აკეთებს ზამბარის ბუდეს და მოწყობილობას); ფოლადის გამპრიალებელი; თვლების გამპრიალებელი; ხრახნილების გამპრიალებელი; ციფერების მხატავი; *Blattmacher*-ი (სპილენძს ემალით ფარავს); *fabricant de pendants* (საათის ბუდეს რგოლს უკეთებს მხოლოდ); *finisseur de charnière* (საათის ბუდის შუაგულში თითბერის წკირას უკეთებს და სხვ.); *faiseur de secret* (ბუდეში სდებს ზამბარას, რომლითაც საათის სახურავი იხდება); *graveur* [გრაფიორი]; *ciseur* [მკვერავი]; *polisseur de boîte* [საათის ბუდის გამპრიალებელი] და სხვ. და სხვ., ბოლოს, *repasser* [ამწყობი], რომელიც საბოლოოდ აწყობს მთელ საათს და აამუშავებს. მხოლოდ საათის ზოგიერთი ნაწილი გაივლის სხვადასხვა ხელში და ბოლოს ყველა ეს *membra disjecta* [დაქუცმაცებული წევრები] თავს იყრის ერთი მომუშავის ხელში, რომელიც მათ ერთ მთლიან მექანიზმად აკავშირებს. ეს წმინდა გარეგნული დამოკიდებულება მზა პროდუქტისა მის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებთან, აქ, ისე როგორც სხვა მსგავსი ნაწარმის დამზადების დროსაც, მრავალი ნაწილობრივი მუშის კომბინირებას ერთსა და იმავე სახელოსნოში შემთხვევითი ხასიათის მოვლენად ხდის. ნაწილობრივი სამუშაოები, თავის მხრივ, შეიძლება შესრულდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი

სხვადასხვა ხელოსნობის სახით, როგორც ეს ხდება ვაადტის და ნეშვატელის კანტონში, მაშინ როდესაც ჟენევაში, მაგალითად, საათის დიდი მანუფაქტურები არსებობს, ე. ი. იქ ადგილი აქვს ნაწილობრივი მუშების უშუალო კოოპერირებას ერთი კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ციფერბლატი, ზამბარა და ბუდე იშვიათად მზადდება თვით მანუფაქტურაში. ფაბრიკაციის კომბინირებული მანუფაქტურული წესი აქ მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებშია ხელსაყრელი, რადგან კონკურენცია იმ მუშებს შორის, რომელნიც შინ მუშაობენ, ძალიან დიდია, წარმოების დაქუცმაცება კი მრავალ ჰეტეროგენურ პროცესად შრომის იარაღების კოლექტიური გამოყენების ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა და კაპიტალისტი გაფანტული ფაბრიკაციის დროს აღარ საჭიროებს გასწიოს ხარჯები საფაბრიკო შენობებზე და სხვ.³² მაგრამ ამ ნაწილობრივი მუშების მდგომარეობაც, რომელნიც თუმცა თავიანთ სახლში, მაგრამ მაინც კაპიტალისტისთვის (Fabricant, établisseur) მუშაობენ, სრულიად სხვაა. ვიდრე მდგომარეობა დამოუკიდებელი ხელოსნისა, რომელიც თავისი მუშტრებისათვის მუშაობს³³.

მეორე სახეობის მანუფაქტურა, მისი დამთავრებული ფორმა. ისეთ პროდუქტებს აწარმოებს, რომლებიც განვითარების ერთმანეთ-

³² 1854 წელს ჟენევამ დაამზადა 80 000 საათი, რაც კანტონ ნეშვატელის საათის წარმოების ერთ მეზუთედზე ნაკლებს შეადგენს. შო-დე-ფონი, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც საათის ერთი მთლიანი მანუფაქტურა, ყოველწლიურად ორჯერ მეტ საათს ამზადებს, ვიდრე ჟენევა. 1850 — 1861 წლამდე ჟენევაში 750 000 საათი დამზადდა. იხ. «Report from Geneva of the Watch Trade» «Reports by H. M.'s Secretaries of Embassy and Legation on the Manufactures, Commerce etc.», № 6, 1863. თუ იმ ცალკეული პროცესების დამოუკიდებლობა, რომლებიც იყოფა მხოლოდ რთული პროდუქტების წარმოება, თავისთავად ძლიერ აბრკოლებს ავტორი მანუფაქტურის გადაქცევას მსხვილ სამრეწველო მანქანურ წარმოებად, სამაგიეროდ საათის წარმოებაში ამას კიდევ ორი სხვა დაბრკოლება ემატება, სახელდობრ: სიმკირე და სიფაქიხე საათის ელემენტებისა და ის გარემოება, რომ საათი ფუფუნების საგანია, და ამიტომ სხვადასხვაგვარია, ასე რომ, მაგალითად, ლონდონის საუკეთესო ფირმებში მთელი წლის განმავლობაში ერთ დუჟინამდე საათი თუ მზადდება ისეთი. რომ ერთიმეორეს წაგავდეს. ვაშერონისა და კონსტანტინის საათის ფაბრიკა, რომელიც წარმატებით იყენებს მანქანებს, სულ დიდი საათის 3 — 4 ვარიაციას თუ იძლევა, ერთიმეორისაგან თავისი სიდიდით და ფორმით განსხვავებულს.

³³ საათის წარმოებაზე, ჰეტეროგენური მანუფაქტურის ამ კლასიკურ მაგალითზე. ხედიწივით შეიძლება შეისწავლოს კაცმა ხემაღლიწიული ხელოსნური საქმიანობის დაშლიდან გამომდინარე დიფერენციაცია და სპეციალიზაცია სამუშაო ინსტრუმენტებისა.

თან დაკავშირებულ ფაზებს, საფეხურებრივი პროცესების თანამიმდევრულ მწყობრს გაივლიან; ასეთია, მაგალითად, ნემსების მანუფაქტურა, სადაც მავთული 72 და, ასე გასინჯეთ, 92 სპეციფიკური ნაწილობრივი მუშის ხელში გაივლის.

რამდენადაც ასეთი მანუფაქტურა თავდაპირველად დაქსაქსულ ხელოსნობათა კომბინირებას ახდენს, იგი ამოკლებს სივრცებრივ დაშორებას პროდუქტის წარმოების ცალკეულ ფაზებს შორის. მცირდება დრო ამ პროდუქტის გადასვლისა ერთი სტადიიდან მეორეში, მცირდება აგრეთვე შრომა, რომლის მეშვეობით ეს გადასვლა ხორციელდება³⁴. ამგვარად, ხელოსნობასთან შედარებით ამ გზით მიიღება შრომის მწარმოებლური ძალის ზრდა, ამასთან ეს ზრდა მწარმოებლური ძალისა მანუფაქტურის საყოველთაო კოოპერაციული ხასიათიდან გამომდინარეობს. მეორე მხრივ, მანუფაქტურისთვის დამახასიათებელი პრინციპი შრომის დანაწილებისა იწვევს წარმოების სხვადასხვა ფაზის იზოლირებას, ფაზებისა, რომელნიც ერთიმეორისაგან განცალკევებულნი არიან როგორც ხელოსნური ხასიათის დამოუკიდებელი ნაწილობრივი სამუშაოები სათანადო რაოდენობისა. ამ იზოლირებულ ფუნქციებს შორის კავშირის დამყარება და მისი შენარჩუნება მოითხოვს აუცილებლად პროდუქტის განუწყვეტელ გადასვლას ერთი ხელიდან მეორეში და ერთი პროცესიდან მეორეში. მსხვილი მრეწველობის თვალსაზრისით ეს გარემოება შეადგენს დამახასიათებელ, ხარჯების გამადიდებელ და მანუფაქტურის პრინციპის იმანენტურ შეზღუდულობას³⁵.

თუ განვიხილავთ განსაზღვრული რაოდენობის ნედლ მასალას, მაგალითად, ძონძებს ქალაქის მანუფაქტურაში, ანდა მავთულს ნემსის მანუფაქტურაში, დავინახავთ, რომ ეს მასალა სხვადასხვა ნაწილობრივი მუშის ხელში გაივლის წარმოების ფაზათა მთელ რიგ თანამიმდევრულ საფეხურებს, ვიდრე, ბოლოს, პროდუქტი თავის საბოლოო ფორმას მიიღებდეს. პირიქით, თუ განვიხილავთ სახელოსნოს როგორც ერთობლივ მექანიზმს, მაშინ ნედლი მასალა ერთსა და იმავე

³⁴ როდესაც ადამიანები მუშაობის დროს ასე მჭიდროდ არიან ერთიმეორის გვერდით, მაშინ ტრანსპორტზე გაწეული შრომა აუცილებლად ნაკლები უნდა იყოს («The Advantages of the East-India Trade», გვ. 106).

³⁵ «ხელშრომის გამოყენებით გამოწვეული იზოლაცია წარმოების იმ სხვადასხვა საფეხურისა, რომელთაც პროდუქტი გაივლის მანუფაქტურაში, მეტისმეტად ზრდის წარმოების ხარჯებს; ამასთან ზარალს უმთავრესად იწვევს პროდუქტის უბრალო გადატანა ერთი შრომითი პროცესიდან მეორეში». («The Industry of Nations», London 1855, ნაწ. II, გვ. 200).

დროს თავისი წარმოების ყველა ფაზაში იმყოფება. ნაწილობრივი მუშებისგან კომბინირებული ერთობლივი მუშა თავისი მრავალრიცხოვანი, ინსტრუმენტებით შეიარაღებული, ხელების ერთი ნაწილით მავთულს სწევს, მაშინ როდესაც იმავდროულად სხვა ხელებით და სამუშაო იარაღებით მას გამართავს, სხვებით კიდევ ქრის, აწვეტიანებს და სხვ. პროცესის სხვადასხვა საფეხურის თანამიმდევრობა დროში გადაიქცა მათს სივრცობრივ განლაგებად ერთიმეორის გვერდით. ამის შედეგად დროის იმავე მონაკვეთში უფრო მეტი მზა საქონელი მიიღება³⁶. თუმცა ეს იმავდროულობა ერთობლივი პროცესის საყოველთაო კოოპერაციული ფორმიდან გამომდინარეობს, მაგრამ მანუფაქტურა არა მარტო მზად პოულობს კოოპერაციის პირობებს, არამედ ნაწილობრივად თვითონვე ქმნის მათ იმით, რომ ხელოსნურ საქმიანობას მის შემადგენელ ნაწილებად შლის. მეორე მხრივ, შრომის პროცესის ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციას იგი მხოლოდ იმით აღწევს, რომ ერთსა და იმავე მუშას ერთსა და იმავე ნაწილობრივ სამუშაოზე მიჯაჭვავს.

რადგან ყოველი ნაწილობრივი მუშის ნაწილობრივი პროდუქტი იმავე დროს მხოლოდ ერთი და იმავე ნაწარმის განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს წარმოადგენს, ამიტომ ერთი მუშა მეორეს ან მუშათა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს მათს ნედლ მასალას აწოდებს. ერთი მუშის შრომის შედეგი წარმოადგენს მეორის შრომის ამოსავალ პუნქტს. მაშასადამე, აქ ერთი მუშა უშუალოდ აძლევს სამუშაოს მეორე მუშას. სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია დასახული სასარგებლო ეფექტის მისაღწევად, ყოველ ნაწილობრივ პროცესში გამოცდილებით მყარდება, და მანუფაქტურის ერთობლივი მექანიზმი დაფუძნებულია იმ ვარაუდზე, რომ მოცემულ სამუშაო დროში გარკვეული შედეგი იქნება მიღწეული. მხოლოდ ამ ვარაუდის საფუძველზე შეიძლება, რომ შრომის სხვადასხვა, ერთიმეორის შემავსებელი პროცესი განუწყვეტლივ, იმავდროულად და სივრცობრივად ერთიმეო-

³⁶ იგი (შრომის დანაწილება) დროის ეკონომიასაც ქმნის მით, რომ ანაწილებს შრომას სხვადასხვა ოპერაციად, რომელნიც ყველა ერთად ერთსა და იმავე დროს შეიძლება შესრულდეს... შრომის ყველა იმ სხვადასხვა პროცესის იმავდროულად შესრულებით, რომლებიც ცალკეულ ადამიანს ერთიმეორის შემდეგ უნდა შეესრულებინა, შესაძლებელი ხდება, მაგალითად, რომ დიდძალი სავსებით დამთავრებული ქინძისთავი დამზადდეს ისეთი დროის განმავლობაში, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა ერთი ქინძისთავის მოსაჭრელად ანდა გასაწვეტიანებლად» (Dugald Stewart, Works, ed. by Sir W. Hamilton, Edinburgh 1855, ტ. III, «Lectures on Political Economy», გვ. 319).

რის გვერდით მიმდინარეობდეს. ცხადია, ის გარემოება, რომ ცალკეული სამუშაოები და, მაშასადამე, მუშებიც ერთიმეორეზე არიან დამოკიდებულნი, აიძულებს თვითეულ მათგანს თავისი ფუნქციის შესასრულებლად მხოლოდ აუცილებელი დრო დახარჯოს, რის გამოც შრომის სულ სხვა უწყვეტობა, ერთფეროვნება, რეგულარობა, წესრიგი³⁷ და, განსაკუთრებით, აგრეთვე ინტენსივობა იქმნება, ვიდრე ამას ადგილი აქვს დამოუკიდებელ ხელოსნობაში ან თუნდაც მარტივ კოოპერაციაში. ის გარემოება, რომ საქონელზე მხოლოდ მისი დამზადებისთვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო იხარჯება, საქონელწარმოებისას ვლინდება საერთოდ როგორც გარეშე ძალდატანება კონკურენციისა, რადგან, ზერელედ რომ ვთქვათ, ყოველმა ცალკეულმა მწარმოებელმა საქონელი მისი საბაზრო ფასის კვალობაზე უნდა გაყიდოს. მანუფაქტურაში, პირიქით, გარკვეული რაოდენობის პროდუქტის დამზადება გარკვეულ სამუშაო დროში თვით წარმოებითი პროცესის ტექნიკური კანონი ხდება³⁸.

მაგრამ სხვადასხვა ოპერაცია დროის სხვადასხვა სიდიდეს საჭიროებს და ამიტომ დროის თანაბარ მონაკვეთებში სხვადასხვა რაოდენობის ნაწილობრივ პროდუქტს იძლევა. მაშასადამე, რაკი ერთი და იგივე მუშა დღითი-დღე მუდამ მხოლოდ ერთსა და იმავე ოპერაციას უნდა ასრულებდეს, სხვადასხვა ოპერაციისთვის საჭირო ხდება მუშათა სხვადასხვა შეფარდებითი რიცხვის გამოყენება, მაგალითად, ასობის ჩამოსასხმელ მანუფაქტურაში, სადაც ჩამომსხმელი საათში 2 000 ასოს აყალიბებს, გამომკვეთი 4 000 ასოს ჰკვეთს და გამპრიალებელი 8 000 ასოს აპრიალებს, თვითეულ გამპრიალებელზე უნდა მოდიოდეს ოთხი ჩამომსხმელი და ორი გამომკვეთი. აქ კოოპერაციის პრინციპი კვლავ თავის უმარტივეს ფორმას უბრუნდება: ერთსა და იმავე დროს მუშაობაში ჩაბმული მრავალი ადამიანი, რომლებიც ერთგვაროვან შრომას ეწევიან; მაგრამ ეს პრინციპი ახლა გარკვეული ორგანული ურთიერთობის გამოხატულებაა. მაშასადამე, შრომის მანუფაქტურული დანაწილება არა მარტო ამარტივებს და ამრავალნაირებს საზოგადოებრივი ერთობლივი მუშის თვისებრივად

³⁷ რაც უფრო მეტია მრავალფეროვნება ყოველი მანუფაქტურის მუშებში... მით უფრო მეტია წესრიგი და რეგულარობა თვითეულ სამუშაოში, მით უფრო ნაკლები დრო და შრომა საჭირო მის შესასრულებლად» («The Advantages of the East-India Trade». London 1720, გვ. 68).

³⁸ მაგრამ მანუფაქტურული სახის საწარმო ამ შედეგს მრავალ დარგში მხოლოდ არასრულყოფილად აღწევს, რადგან მას არ შეუძლია ზედმიწევნითი კონტროლი გაუწიოს წარმოების პროცესის საყოველთაო კიმიურ და ფიზიკურ პირობებს.

განსხვავებულ ორგანოებს, არამედ ქმნის აგრეთვე მათემატიკურად მტკიცე შეფარდებას ამ ორგანოების რაოდენობრივი მოცულობისათვის, ე. ი. მუშათა შეფარდებითი რიცხვისათვის ანუ მუშათა ჯგუფების შეფარდებითი სიდიდისათვის თვითეულ ამ განსაკუთრებულ ფუნქციაში. თვისებრივ დანაწევრებასთან ერთად იგი შრომის საზოგადოებრივი პროცესის რაოდენობრივ ნორმებსა და პროპორციულობას ავითარებს.

თუ განსაზღვრული მასშტაბის წარმოებისთვის გამოცდილებით დამყარებულია ნაწილობრივ მუშათა სხვადასხვა ჯგუფის ყველაზე შესაფერი რიცხვითი შეფარდება, მაშინ ამ მასშტაბის გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ გამოყენებული იქნება თვითეული განსაკუთრებული მუშათა ჯგუფის ჯერადი რიცხვი³⁹. ამას კიდევ ის გარემოება ემატება, რომ ზოგიერთ სამუშაოს ერთი და იგივე ინდივიდი ერთნაირად ადვილად ასრულებს, სულ ერთია — დიდი მასშტაბით წარმოებს ეს მუშაობა თუ პატარაით; ასეთია, მაგალითად, უმაღლესი ზედამხედველობის შრომა, ნაწილობრივი პროდუქტების გადატანა წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში და სხვა. ამ სამუშაოების დამოუკიდებელ ფუნქციებად გადაქცევა, ან მათი დაკისრება განსაკუთრებული მუშებისათვის ხელსაყრელია, მაშასადამე, მხოლოდ მაშინ, თუ დასაქმებულ მუშათა რიცხვი დიდდება; მაგრამ ეს გადიდება ყველა ჯგუფს ერთბაშად იმავე პროპორციით უნდა ეხებოდეს.

ყოველი ცალკეული ჯგუფი, განსაზღვრული რიცხვი მუშებისა, რომელნიც ერთსა და იმავე ნაწილობრივ ფუნქციას ასრულებენ, ერთგვაროვანი ელემენტებისაგან შედგება და ერთობლივი მექანიზმის განსაკუთრებულ ორგანოს ქმნის. მაგრამ სხვადასხვა მანუფაქტურაში თვით ეს ჯგუფი დანაწევრებული სამუშაო სხეულია, მაშინ როდესაც ერთობლივ მექანიზმს ქმნის ამ ელემენტური საწარმოო ორგანიზმების განმეორება ანუ გამრავლება. ავიღოთ, მაგალითად, ბოთლების მანუფაქტურა. იგი ნაწილდება სამ არსებითად განსხვავებულ ფაზად. ჯერ-ერთი, მოსამზადებელი ფაზა: სამინე ნაზავების

³⁹ თუ გამოცდილებამ, ამა თუ იმ მანუფაქტურის პროდუქტის განსაკუთრებული ბუნების მიხედვით, ნათელია, როგორი უნდა იყოს ყველაზე უფრო ხელსაყრელი წესი წარმოების დაყოფისა ნაწილობრივ ოპერაციებად და მუშათა რამდენი რიცხვია საჭირო თვითეული ოპერაციისთვის, მაშინ ყველა იმ საწარმოს, რომელიც არ გამოიყენებს ამ მუშათა რაოდენობის ზუსტ ჯერად რიცხვს, უფრო მეტი დანახარჯით მოუხდება წარმოება... ეს არის სამრეწველო საწარმოთა კოლოსალური გაფართოების ერთი მიზეზთაგანი (Ch. Babington: «On the Economy of Machinery». London 1832, თავი XXI, გვ. 172, 173).

დამზადება. — ქვიშის, კირის და სხვ. ერთმანეთში არევა. — და ამ ნაწავების თხევად მინის მასად დადნობა⁴⁰. ამ პირველ ფაზაში სხვადასხვა ნაწილობრივი მუშაა დასაქმებული, ისევე როგორც საბოლოო ფაზაში, სადაც წარმოებს საშრობი ლუმელიდან ბოთლების გამოღება, მათი დახარისხება, შეფუთვა და სხვ. ამ ორ ფაზას შუა წარმოებს ბოთლების დამზადება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ანუ თხევადი მინის მასის გადამუშავება ბოთლებად. ერთი და იმავე ლუმელის საკერძესთან მუშაობს მთელი ჯგუფი, რომელსაც ინგლისში «hole»-ს [სარკმელს] უწოდებენ. ამ ჯგუფში შედის: ერთი bottle maker [ბოთლების მკეთებელი] ანუ finischer [გამომყვანი], ერთი blower [ჩამბერავი], ერთი gatherer [შემკრები], ერთი putter up [გადამწყობი] ანუ whetter off [მხეხავი] და ერთი taker in [წამლები]. ეს ხუთი ნაწილობრივი მუშა ხუთი განსაკუთრებული ორგანოა ერთიანი სამუშაო სხეულისა, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ როგორც ერთიანობას, მაშასადამე. მხოლოდ როგორც ხუთი ადამიანის უშუალო კოოპერაციას. თუ ამ ხუთწევროვან სხეულს ერთი წევრი აკლია, მთელი სხეულის მოქმედება პარალიზებულია. მაგრამ ერთსა და იმავე სადნობ ლუმელს რამდენიმე საკერძე აქვს. — ინგლისში, მაგალითად, 4 — 6-მდე; თვითეულ საკერძესთან მოთავსებულია ცეცხლგამძლე სადნობი ქოთანი თხევადი მინით და თვითეულ ასეთ ქოთანთან მუშების საკუთარი, ისეთივე ხუთწევროვანი ჯგუფი მუშაობს. ყოველი ცალკეული ჯგუფის დაყოფა აქ უშუალოდ შრომის დანაწილებაზეა დამყარებული, მაშინ როდესაც სხვადასხვა ერთგვაროვანი ჯგუფების კავშირი მარტივი კოოპერაციაა, რომელიც წარმოების ერთ-ერთ საშუალებას, ამ შემთხვევაში სადნობ ლუმელს, საერთო მოხმარების გზით უფრო მეტი ეკონომიით იყენებს. თვითეული ასეთი სადნობი ლუმელი თავისი 4-დან 6-მდე ჯგუფით ერთგვარ დამოუკიდებელ მინის სახელოსნოს ქმნის, ხოლო მინის მანუფაქტურა მოიცავს რამდენიმე ამგვარ სახელოსნოს და ამასთან ერთად იმ ხელსაწყოებს და მუშებს, რომლებიც საჭიროა წარმოების დამწყები და დამასრულებელი ფაზებისათვის.

დასასრულ, მანუფაქტურას, მსგავსად იმისა, როგორც იგი ნაწილობრივ სხვადასხვა ხელოსნობის კომბინაციიდან წარმოიშობა, შეუძლია, თავის მხრივ, სხვადასხვა მანუფაქტურის კომბინაციად

⁴⁰ ინგლისში სადნობი ლუმელი განკალკეებულია იმ ლუმელისაგან, სადაც მინა მზადდება, ხოლო ბელგიაში, მაგალითად, ორივე პოტცესს ერთი და იგივე ლუმელი ემსახურება.

განვითარდეს. მაგალითად, მინის მსხვილი მანუფაქტურები ინგლისში თვითონვე იმზადებენ ცეცხლგამძლე სადნობ ქოთნებს, რადგან ამ უკანასკნელთა ღირებულება არსებითად დამოკიდებული ვარგისი გამოვა პროდუქტი თუ უფარგისი. წარმოების რომელიმე საშუალების მანუფაქტურა აქ დაკავშირებულია პროდუქტის მანუფაქტურასთან. პირიქით, რომელიმე პროდუქტის მანუფაქტურა შეიძლება დაკავშირებულ იქნას იმ მანუფაქტურასთან, სადაც თვით ეს პროდუქტი ნელი მასალის როლს ასრულებს, ანდა სადაც ის შემდგომ შეუერთდება ამ მანუფაქტურის პროდუქტებს. მაგალითად, ფლინტ-გლასის მანუფაქტურა ხშირად კომბინირებულია გამკრიალებელ ანდა თითბერის სამსხმელო მანუფაქტურასთან; ამ უკანასკნელში სხვადასხვა მინის საგნების ლითონის ჩარჩოები მზადდება. სხვადასხვა კომბინირებული მანუფაქტურა ამ შემთხვევაში ქმნის ერთი მთლიანი მანუფაქტურის სივრცებრივად ცოტად თუ ბევრად განცალკევებულ განყოფილებებს და ამავე დროს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ წარმოების პროცესებს, რომელთაგან თვითეულს შრომის საკუთარი დანაწილება აქვს. მიუხედავად ზოგიერთი უპირატესობისა, რასაც კომბინირებული მანუფაქტურა იძლევა, ეს უკანასკნელი თავის საკუთარ საფუძველზე მაინც ვერ აღწევს ნამდვილ ტექნიკურ ერთიანობას. ეს უკანასკნელი წარმოიშობება მხოლოდ მაშინ, როდესაც მანუფაქტურა მანქანურ წარმოებად იქცევა.

მანუფაქტურული პერიოდი, რომელიც საქონელწარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებას მალე თავის შეგნებულ პრინციპად აცხადებს⁴¹, სპორადულად ანვითარებს მანქანების ხმარებასაც, განსაკუთრებით გარკვეული მარტივი მოსამზადებელი პროცესებისათვის, რომელთა შესრულებაც ადამიანთა დიდ რაოდენობას და დიდი ძალის დახარჯვას მოითხოვს. ასე, მაგალითად, ქალაქის მანუფაქტურაში მალე შენდება ქალაქის წისქვილები ძონძების დასასრესად, ხოლო მეტალურგიაში — მადნის ეგრეთწოდებული სანაყი წისქვილები მადნის დასაფშვნელად⁴². ყველაზე ელემენტარული ფორმის მანქანა რომის იმპერიამ გვიანდერმა წყლის წისქვილის სახით⁴³.

⁴¹ ეს შეიძლება, სხვათა შორის, ამოვიკითხოთ ვ. პეტის, ჯონ ბელერის, ენდრიუ იარენტონის წრონებში, *The Advantages of the East-India Trade*-ში და ჯ. ვანდერლინტის წრონებში.

⁴² ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დამლეეს საფრანგეთში როდინს და ცხავს ხმარობდნენ მადნის დასამტრეველ და გასარეცხად.

⁴³ მანქანების განვითარების მთელი ისტორია შეიძლება განხილულ იქნას ხორბალსაფქვეი წისქვილების ისტორიის მაგალითზე. ინგლისურად ფაბრიკას დღესაც mill-ს წის-

დიდი აღმოჩენები დაგვიტოვა ხელოსნობის პერიოდმა: კომპასი, თოფის წამალი, წიგნის ბეჭდვა და ავტომატური საათი. მაგრამ საერთოდ და მთლიანად მანქანა განაგრძობს იმ მეორეხარისხოვანი როლის შესრულებას, რომელსაც მას აკუთვნებს ადამ სმიტი შრომის დანაწილების გვერდით⁴⁴. ფრიად მნიშვნელოვანი გახდა მე-17 საუკუნეში მანქანების სპორადული გამოყენება, რადგან ამან იმ დროის დიდ მათემატიკოსებს თანამედროვე მექანიკის შესაქმნელად პრაქტიკული საყრდნობი და სტიმული მისცა.

მანუფაქტურული პერიოდის სპეციფიკურ მექანიზმად რჩება თვით ერთობლივი მუშა, კომბინირებული მრავალი ნაწილობრივი მუშისაგან. სხვადასხვა ოპერაცია, რომლებსაც ამა თუ იმ საქონლის მწარმოებელი შენაცვლებით ასრულებს და რომლებიც მისი შრომის პროცესში ერთ მთლიან ოპერაციად იქცევა, სხვადასხვა უნარის დაძაბვის მოითხოვს მისგან. ერთ შემთხვევაში მან მეტი ძალა უნდა განავითაროს, მეორეში — მეტი სიმარჯვე, მესამეში — მეტი ყურადღება და სხვა. მაგრამ ერთსა და იმავე ინდივიდს ეს თვისებები თანაბრად არ მოეპოვება. სხვადასხვა ოპერაციის გათიშვის, გამოცალკევებისა და იზოლირების შემდეგ ხდება მუშების დაყოფა, კლასიფიკაცია და დაჯგუფება იმ თვისებების მიხედვით, რომლებიც მათში სჭარბობს. თუ, ამრიგად, მუშების ბუნებრივი თავისებურებანი ქმნიან ნიადაგს, რომელზედაც შრომის დანაწილება აღმოცენდება, მანუფაქტურა, რაკი ერთხელ ფეხს მოიკიდებს, ავითარებს სამუშაო ძალას, რომელიც თავისი ბუნებით მხოლოდ ცალმხრივი განსაკუთრებული ფუნქციების შესასრულებლად არის გამოსადეგი. ერთობლივ

ქვილს უწოდებენ. მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლების გერმანულ ტექნოლოგიურ თხზულებებში სიტყვა *Mühle* — წისქვილი — ნიშნავს არა მარტო იმ მანქანებს, რომლებიც ბუნების ძალების საშუალებით მოძრაობენ, არამედ ყოველ მანუფაქტურასაც; სადაც მექანიკურ აპარატებს ხმარობენ.

⁴⁴ როგორც ამას მკითხველი ამ თხზულების მეოთხე წიგნში დაინახავს, ა. სმიტს არც ერთი ახალი დებულება არ წამოუყენებია შრომის დანაწილების შესახებ. მას, როგორც მანუფაქტურული პერიოდის განუზოგადებელ ეკონომისტს, მხოლოდ ის ახასიათებს, რომ იგი ხაზასამით აღნიშნავს შრომის დანაწილებას. იმ გარემოებამ, რომ ა. სმიტი მანქანებს დაქვემდებარებულ როლს აკუთვნებს, გამოიწვია მსხვილი მრეწველობის განვითარების დასაწყისში ლოდერდალის კრიტიკა, ხოლო შემდგომ უფრო განვითარებულ ეპოქაში იურის კრიტიკა. ა. სმიტი აგრეთვე ინსტრუმენტების დიფერენციაციას, რაშიაც თვით მანუფაქტურის ნაწილობრივი მუშები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, და მანქანების გამოგონებას ერთმანეთში ურევს. მანქანების გამოგონების საქმეში გარკვეული როლი ითამაშეს არა მანუფაქტურის მუშებმა, არამედ მეცნიერებმა, ხელოსნებმა, გლეხებმაც კი (ბრინდლი) და სხვ.

მუშას ახლა აქვს ყველა მწარმოებლური თვისება ერთნაირად მაღალი ხარისხის ვირტუოზობით და ამავე დროს ხარჯავს მათ მეტისმეტი მომჭირნეობით, იყენებს რა თავის ყველა ორგანოს, გაინდივიდუალებულს განსაკუთრებულ მუშებში ანდა მუშების განსაკუთრებულ ჯგუფში, მხოლოდ მათი სპეციფიკური ფუნქციებისთვის⁴⁵. ცალმხრივობა და არასრულყოფილობაც კი ნაწილობრივი მუშისა მის სრულყოფილობად იქცევა, რაკი იგი ერთობლივი მუშის ორგანო ხდება⁴⁶. რომელიმე ცალმხრივი ფუნქციისადმი შეჩვევა მუშას აქცევს ამ ფუნქციის ორგანოდ, რომელიც ინსტინქტური სისწორით მოქმედებს, მაშინ როდესაც ერთობლივი მექანიზმის დაკავშირებულობა აიძულებს მას მანქანის ცალკეული ნაწილის რეგულარობით იმოქმედოს⁴⁷.

რადგან ერთობლივი მუშის სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება იყოს უფრო მარტივი ან უფრო რთული, უფრო ტლანქი ან უფრო ფაქიზი, ამიტომ მისი ორგანოები, ინდივიდუალური სამუშაო ძალები, ფრიად სხვადასხვა ხარისხის მომზადებას მოითხოვენ და ამიტომ მათ ფრიად სხვადასხვა ღირებულება აქვთ. მაშასადამე, მანუფაქტურა ავითარებს სამუშაო ძალების იერარქიას, რომელსაც ხელფასის სხვადასხვა საფეხური შეესაბამება. თუ, ერთი მხრივ, ინდივიდუალური მუშა ცალმხრივ ფუნქციას ეგუება და მთელი სიცოცხლე მას უკავშირდება, მეორე მხრივ, სხვადასხვა შრომითი ოპერაციაც ასევე ეგუება ამ ბუნებრივ და შეძენილ დახელოვნებათა იერარქიას⁴⁸. მაგრამ ყოველი

⁴⁵ რადგან მანუფაქტურაში მუშაობა მრავალ სხვადასხვა ოპერაციად იყოფა, ხოლო თვითთული ამ ოპერაციათაგანი სხვადასხვა ხარისხის დახელოვნებასა და ძალას მოითხოვს, ამიტომ მანუფაქტურის პატრონს შეუძლია იშოვოს ზუსტად იმდენი რაოდენობის ძალა და დახელოვნება, რამდენიც თვითთული ამ ოპერაციისთვის არის საჭირო. პირიქით, პროდუქტის დამზადების მთელი პროცესის შესრულება რომ ერთ მუშას უხდებოდეს, მაშინ ამ უკანასკნელს უნდა გააჩნდეს საკმაო დახელოვნება ყველაზე ფაქიზი ოპერაციებისა და საკმაო ძალა ყველაზე მძიმე სამუშაოს შესასრულებლად» (C. H. Babbage: «On the Economy of Machinery». London 1832, თავი XIX).

⁴⁶ მაგალითად, კუნთების ცალმხრივი განვითარება, ძვლების გამართება და სხვ.

⁴⁷ საგამომძიებლო კომისიის წევრის შეკითხვაზე, თუ რა საშუალებით აღწევნ შრომის მუყაითობას დასაქმებულ მუშა-მოხარდებს შორის, მინის მანუფაქტურის მთავარმა გამგემ ბ-მა ვ. მარშალმა სრულიად სწორად უპასუხა: «მათ არ შეუძლიათ დაუდევროდ მოეპყრან თავიანთ საქმეს; რაკი ერთხელვე დაიწყეს მუშაობა, უნდა განაგრძონ კიდევ; ისინი, ასე ვთქვათ, ერთი და იმავე მანქანის ნაწილები არიან» («Children's Employment Commission. Fourth Report 1865, გვ. 247»).

⁴⁸ დ-რ იური მსხვილი მრეწველობის თავის ხოტბაში უფრო მახვილი აღლოთი სწვდება მანუფაქტურის დამახასიათებელ თვისებებს, ვიდრე უწინდელი ეკონომისტები, რომლებსთვისაც უცხო იყო მისი პოლიმიკური ამოცანა, ვიდრე მისი თანამედროვენიც კი, ვიდრე, მაგალითად, ბებუჯი, რობელიც, თუმცა როგორც მათემატიკოსი

წარმოებითი პროცესი მოითხოვს გარკვეულ მარტივ მანიპულაციებს, რომელთა შესრულებაც ყოველ ადამიანს ერთნაირად შეუძლია. ეს მარტივი მანიპულაციებიც სწყვეტენ ახლა თავიანთ ცვალებად კავშირს მოქმედების უფრო შინაარსიან მომენტებთან და განსაკუთრებულ ფუნქციად ქვეყდებიან.

ამიტომ მანუფაქტურა ყოველ ხელოსნობაში, რომელსაც იგი იპყრობს, წარმოშობს ეგრეთწოდებულ დაუხელოვნებელ მუშათა კატეგორიას, რომელთაც მკაცრად გამორიცხავდა ხელოსნური წარმოება. როდესაც მანუფაქტურა სრულიად გაცალმხრივებულ სპეციალობას მთელი შრომისუნარიანობის ხარჯზე ვირტუოზობად ავითარებს, იგი უკვე ყოველი განვითარების ნაკლსაც ერთგვარ სპეციალობად აქცევს. იერარქიული საფეხურების გვერდით თავს იჩენს მუშების უბრალო დაყოფა დახელოვნებულ და დაუხელოვნებელ მუშებად. ამ უკანასკნელთათვის სწავლის ხარჯები სრულიად არ არსებობს, ხოლო პირველთათვის, გამარტივებული ფუნქციის გამო, ეს ხარჯები, ხელოსნებთან შედარებით, მცირდება. ორივე შემთხვევაში სამუშაო ძალის ღირებულება ეცემა⁴⁹. გამონაკლისს ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც შრომის პროცესის დაშლა ქმნის ახალ დამაკავშირებელ ფუნქციებს, რომელთაც ხელოსნურ წარმოებაში ან სრულიად არ ჰქონდათ ადგილი, ანდა თუ ჰქონდათ, მხოლოდ შეზღუდული ოდენობით. სამუშაო ძალის შეფარდებითი გაუფასურება, რაც სწავლის ხარჯების გაუქმების ან მათი შემცირების შედეგია, უშუალოდ კაპიტალის ღირებულების ზრდის გაძლიერებას მოასწავებს, რადგან ყველაფერი ის, რაც ამოკლებს დროს, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის საკვლავწარმოებლად, აფართოებს ზედმეტი შრომის ფარგლებს.

და მექანიკოსი იურზე მალა დგას, მაგრამ მსხვილ მრეწველობას, ზუსტად რომ ვთქვათ, მანუფაქტურის თვალსაზრისით განიხილავს. იური შენიშნავს: «მუშის შეგუება ყოველი ცალკეული ოპერაციისადმი შეადგენს შრომის დანაწილების დედაარსს. მეორე მხრივ, იგი განმარტავს ამ დანაწილებას «როგორც სამუშაოთა შეგუებას სხვადასხვა ინდივიდუალური უნარისადმი» და ახასიათებს, ბოლოს, მთელ მანუფაქტურულ სისტემას როგორც «გრადაციათა სისტემას დახელოვნების ხარისხის მიხედვით», როგორც «შრომის დანაწილებას დახელოვნების სხვადასხვა საფეხურის მიხედვით» და სხვ. (Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 19—23, სხვადასხვა ადგილას).

⁴⁹ «ყოველი ხელოსანი... რომელსაც თავისი სრულყოფის შესაძლებლობა ერთი და იმავე მიმართულებით ვარჯიშის გზით ეძლევა... უფრო იაფი მუშა ხდება» (Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 19).

4. შრომის დანაწილება მანუფაქტურის შიგნით და შრომის დანაწილება საზოგადოების შიგნით

ჩვენ ჯერ განვიხილეთ მანუფაქტურის წარმოება, შემდეგ მისი მარტივი ელემენტები, — ნაწილობრივი მუშა და მისი იარაღი, — ბოლოს, მისი ერთობლივი მექანიზმი. ახლა ჩვენ მოკლედ შევეხებით ურთიერთობას შრომის მანუფაქტურულ დანაწილებასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას შორის; ეს უკანასკნელი ყოველი საქონელწარმოების საყოველთაო საფუძველს შეადგენს.

თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ თვით შრომას, მაშინ საზოგადოებრივი წარმოების დაყოფას მის მსხვილ გვარეობებად, როგორცაა მიწათმოქმედება, მრეწველობა და სხვ., შეიძლება ვუწოდოთ შრომის საყოველთაო (im Allgemeinen) დანაწილება, წარმოების ამ გვარეობათა დაყოფას სახეობებად და ქვესახეობებად — შრომის განსაკუთრებული (im Besonderen) დანაწილება, ხოლო შრომის დანაწილებას სახელოსნოს შიგნით — შრომის ცალკეული (im Einzelnen) დანაწილება⁵⁰.

შრომის დანაწილება საზოგადოების შიგნით და ამის შესაბამისად ინდივიდთა შეზღუდვა ამა თუ იმ განსაკუთრებული პროფესიის სფეროთი, ისევე როგორც შრომის დანაწილება მანუფაქტურის შიგნით, მოპირისპირე ამოსავალი პუნქტებიდან ვითარდება. ოჯახის შიგნით, — და შემდგომ განვითარებასთან ერთად გვარის შიგნით^{50ა}, —

⁵⁰ «შრომის დანაწილება იწყება უაღრესად სხვადასხვაგვარი პროფესიის გამოცალკევებით და მიდის წინ ისეთ დანაწილებამდე, როდესაც მრავალი მუშა ინაწილებს ერთმანეთს შორის ერთი და იმავე პროდუქტის დამზადებას, როგორც ამას ადგილი აქვს მანუფაქტურაში» (Storch: «Cours d'Économie Politique», პარიზის გამოცემა, ტ. I, გვ. 173). «იმ ხალხთა შორის, რომელთაც ცივილიზაციის განსაზღვრული საფეხურისთვის მიუღწევიათ, შრომის სამგვარ დანაწილებას ვხვდებით: პირველი, რომელსაც ჩვენ შრომის საყოველთაო დანაწილებას ვუწოდებთ, იძლევა მწარმოებელთა შემდეგ დაყოფას: მიწათმოქმედნი, მრეწველები და ვაჭრები; იგი შესაბამება ეროვნული წარმოების სამ მთავარ დარგს. მეორე, რომლისთვის შეიძლება შრომის განსაკუთრებული დანაწილება გვეწოდებინა, წარმოადგენს წარმოების ყოველი დარგის დაყოფას სახეობებად... ბოლოს, წარმოების მესამე დანაწილება, რომლისთვის შეიძლება გვეწოდებინა ოპერაციების ანუ შრომის დანაწილება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ის დანაწილება, რომელიც ცალკეულ ხელობათა და პროფესიათა ფარგლებში იქმნება... და რომელიც მანუფაქტურებისა და სახელოსნოების უმეტეს ნაწილში ბოლოებს გამოყენებას» (Skarbeck: «Théorie des Richesses Sociales», მე-2 გამოცემა, Paris 1840, ტ. I, გვ. 84, 85).

^{50ა} შენიშვნა მე-3 გამოცემისათვის. კაცობრიობის პირველყოფილი მდგომარეობის შემდგომმა მეტად საფუძვლიანმა შესწავლამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თავდაპირველად ოჯახიდან კი არ განვითარდა გვარი, არამედ, პირიქით, ეს

შრომის ბუნებრივი დანაწილება წარმოიშვება სქესობრივი და ასაკობრივი სხვაობიდან, ე. ი. წმინდა ფიზიოლოგიურ საფუძველზე, და იგი აფართოებს თავის მასალას თემის ცხოვრების გაფართოებასა, მოსახლეობის ზრდასა და განსაკუთრებით სხვადასხვა გვარებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებსა და ერთი გვარის მიერ მეორის დამორჩილებასთან ერთად. მეორე მხრივ, როგორც ეს უკვე ზემოთ მქონდა აღნიშნული, პროდუქტების გაცვლა იმ პუნქტებში იწყება, სადაც ერთმანეთს ხვდება სხვადასხვა ოჯახი, გვარი და თემი, ვინაიდან კულტურის დასაწყისში კერძო პირები კი არა, არამედ — ოჯახი, გვარი და სხვ. უპირისპირდებიან ერთმანეთს დამოუკიდებელი ერთეულების სახით. სხვადასხვა თემი მის გარშემო არსებულ ბუნებაში წარმოების სხვადასხვა საშუალებას და სხვადასხვა საარსებო საშუალებას პოულობს. ამიტომ მათი წარმოების წესი, ცხოვრების წესი და პროდუქტები სხვადასხვანაირია. აი ეს ბუნებრივად აღმოცენებული განსხვავება იწვევს სხვადასხვა თემის შეხვედრის დროს მათი პროდუქტების გაცვლას და, მაშასადამე, ამ პროდუქტების თანდათან საქონლად გადაქცევას. გაცვლა კი არა ქმნის განსხვავებას წარმოების სფეროებს შორის, არამედ იგი ურთიერთობას ამყარებს უკვე განსხვავებულ სფეროებს შორის, და, ამრიგად, მათ ერთობლივი საზოგადოებრივი წარმოების ურთიერთზე ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულ დარგებად აქცევს. აქ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოიშვება წარმოების თავდაპირველად განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სფეროებს შორის გაცვლის საშუალებით. იქ, სადაც ამოსავალ პუნქტს შრომის ფიზიოლოგიური დანაწილება შეადგენს, უშუალოდ დაკავშირებული მთლიანი ერთეულის განსაკუთრებული ორგანოები ერთმანეთს შორდებიან, იშლებიან, — ამ დაშლის პროცესს მთავარ ბიძგს აძლევს საქონელგაცვლა უცხო თემებთან, — და დამოუკიდებელნი ხდებიან იმდენად, რომ კავშირი სხვადასხვა სამუშაოთა შორის საქონელთა სახით მოცემული პროდუქტების გაცვლის მეშვეობით ხორციელდება. ერთ შემთხვევაში ის, რაც უწინ დამოუკიდებელი იყო, კარგავს ამ დამოუკიდებლობას, მეორეში — წინათ დამოკიდებული დამოუკიდებლობას იძენს.

ყოველი განვითარებული და საქონელგაცვლის მეშვეობით განხორციელებული შრომის დანაწილების საფუძველია ქალაქის გამყოფა

უკანასკნელი იყო სისხლიერ ნათესაობაზე დამყარებული ადამიანთა საზოგადოების ბუნებრივად აღმოცენებული ფორმა. ასე რომ ოჯახის უღარესად სხვადასხვა ფორმა მხოლოდ შემდგომ განვითარდა გვაროვნული კავშირების უკვე დაწყებული დაშლიდან. [მ. შ.]

სოფლისაგან⁵¹. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიური ისტორია ამ დაპირისპირებულობის მოძრაობაში მიმდინარეობს, მაგრამ ამაზე ჩვენ აქ აღარ შეეჩერდებით.

როგორც მანუფაქტურის შიგნით ერთსა და იმავე დროს მოსაქმე მუშების გარკვეული რიცხვი შრომის დანაწილების მატერიალურ წანამძღვარს შეადგენს, ასევე საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილებისთვის ამ წანამძღვარს წარმოადგენს მოსახლეობის სიდიდე და მისი სიმჭიდროვე, რომელსაც აქ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც პირველ შემთხვევაში მრავალი მუშის თავმოყრას ერთსა და იმავე სახელოსნოში⁵². მაგრამ მოსახლეობის ეს სიმჭიდროვე შეფარდებითი რამ არის. ის ქვეყანა, რომელიც შედარებით მცირედ არის დასახლებული, მაგრამ სადაც მიმოსვლის საშუალებანი განვითარებულია, უფრო მჭიდრო მოსახლეობას შეიცავს, ვიდრე ის ქვეყანა, რომელიც უფრო დასახლებულია, მაგრამ სადაც მიმოსვლის საშუალებანი არაა განვითარებული; ამ მხრივ, მაგალითად, ამერიკის კავშირის ჩრდილო შტატები უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე ინდოეთი⁵³.

რადგან საქონელწარმოება და საქონელმიმოქცევა კაპიტალისტური წარმოების წესის საყოველთაო წანამძღვარია, ამიტომ შრომის

⁵¹ სერ ჯემს სტიუარტმა ეს პუნქტი საუკეთესოდ გააშუქა. თუ რა ნაკლებად არის ამჟამად ცნობილი მისი თხზულება, რომელიც ადამ სმიტის «Wealth of Nations»-ზე [«ხალხთა სიმდიდრე»] 10 წლით ადრე გამოვიდა, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ მალთუსის თაყვანისმცემლებმა არც კი იციან, რომ პირველი გამოცემა მისი თხზულებისა «მოსახლეობის კანონი»-ს შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის წმინდა დეკლამატორულ ნაწილს, თითქმის საუკებოთ გადმოწერილია სტიუარტიდან და აგრეთვე ხუცების — უოლესისა და ტაუნსენდის — თხზულებებიდან.

⁵² არსებობს მოსახლეობის გარკვეული სიმჭიდროვე, რომელიც აუცილებელია როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ისე აგრეთვე ძალთა ისეთი კომბინაციისთვის, რომლის დროსაც შრომის ნაყოფიერება მატულობს» (James Mill: «Elements of Political Economy». London 1821, გვ. 50). «მუშათა რიცხვის გაზრდით საზოგადოების მწარმოებლური ძალა მატულობს რთული პროპორციით, რომელიც მიიღება მუშათა რიცხვის ზრდის გამრავლებით მათ შორის შრომის დანაწილების შედეგზე» (Th. Hodgskin: «Popular Political Economy», გვ. 120).

⁵³ 1861 წლიდან ბამბის მოთხოვნის გაძლიერების გამო ოსტინდოეთის ზოგიერთ მჭიდროდ დასახლებულ ოლქში ბამბის წარმოება გაფართოვდა ბრინჯის წარმოების ხარჯზე. ამიტომ ბევრგან შიმშილობა ჩამოვარდა, რადგან მიმოსვლის საშუალებათა და ამიტომ ფიზიკური კავშირის ნაკლებობის გამო, ბრინჯის არასაკმარის წარმოება ერთ ოლქში არ შეიძლებოდა ანახლავრებულიყო მისი შემოტანით მეორე ოლქიდან.

მანუფაქტურული დანაწილება მოითხოვს, რომ საზოგადოებაში უკვე არსებობდეს განვითარების გარკვეულ საფეხურამდე მიღწეული დანაწილება შრომისა. პირიქით, შრომის მანუფაქტურული დანაწილება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე, ავითარებს და ამრავლებს მას. სამუშაო ინსტრუმენტების დიფერენცირებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტ დიფერენცირებას განიცდიან წარმოების ის დარგებიც, რომლებიც ამ ინსტრუმენტებს აწარმოებენ⁵⁴. თუ მანუფაქტურული სახის წარმოება ისეთ სამრეწველო დარგზე ვრცელდება, რომელიც მთავარი ან დამხმარე დარგის სახით აქამდე სხვა დარგებთან იყო დაკავშირებული და რომელსაც ერთი და იგივე მწარმოებელი ასრულებდა, მაშინ დაუყოვნებლივ ხდება მათი გამოცალკევება და ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ დარგებად გადაქცევა. თუ მანუფაქტურული წარმოება რომელიმე საქონლის წარმოების განსაკუთრებულ საფეხურს ეუფლება, მაშინ ამ საქონლის წარმოების სხვადასხვა საფეხურები სხვადასხვა დამოუკიდებელ სამრეწველო დარგებად იქცევა. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ იქ, სადაც ნაწარმი ნაწილობრივი პროდუქტების წმინდა მექანიკურ შენაერთს წარმოადგენს, ნაწილობრივ შრომას, თავის მხრივ, შეუძლია დამოუკიდებელ, განსაკუთრებულ ხელოსნობად იქცეს. იმისათვის, რომ შრომის დანაწილება უფრო სრულყოფილად განხორციელდეს მანუფაქტურაში, წარმოების იგივე დარგი იყოფა, — მისი ნედლი მასალის სხვადასხვაობის, ან იმ სხვადასხვა ფორმების მიხედვით, რომლებიც ერთსა და იმავე ნედლ მასალას შეუძლია მიიღოს, — სხვადასხვა და ამასთან ნაწილობრივ სრულიად ახალ მანუფაქტურებად. მაგალითად, უკვე მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მარტო საფრანგეთში 100-ზე მეტი სხვადასხვაგვარი აბრეშუმქსოვილი მზადდებოდა, და ავინიონში, მაგალითად, არსებობდა კანონი, რომლის მიხედვით «თვითეული შეგირდი ვალდებული იყო წარმოების მუდამ მხოლოდ ერთი რომელიმე სახეობა აერჩია და მას არ შეეძლო ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პროდუქტის დამზადების წესი შეესწავლა». შრომის ტერიტორიული დანაწილება, რომელიც წარმოების განსაზღვრულ დარგებს განსაზღვრული ოლქებით ფარგლავს, განვითარების ახალ სტიმულს იძენს მანუფაქტურული წარმოების გამო, რომელიც ყველა თავისებურებას თავის სასარგებლოდ

⁵⁴ ასე, მაგალითად, უკვე მე-17 საუკუნეში საფიქრო მაქოების წარმოება მრეწველობის განსაკუთრებულ დარგს შეადგენდა ჰოლანდიაში.

იყენებს⁵⁵. მანუფაქტურულ პერიოდში საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილებისათვის მდიდარ მასალას იძლევა მსოფლიო ბაზრის გაფართოება და კოლონიური სისტემა, რომელნიც მანუფაქტურული პერიოდის არსებობის საყოველთაო პირობებს ეკუთვნიან. აქ უადგილო იქნებოდა იმის შემდგომი კვლევა, თუ როგორ მოიცავს შრომის დანაწილება ეკონომიურ სფეროსთან ერთად საზოგადოების ყველა დანარჩენ სფეროს და ყველგან ქმნის საფუძველს ვიწრო პროფესიონალიზმის, სპეციალობათა იმ განვითარებისა და აღამიანის ერთგვარი დაქუცმაცებისათვის, რამაც უკვე ა. ფერგიუსონს, ა. სმიტის მასწავლებელს, ათქმევინა: «ჩვენ ილოტთა ნაციას შევადგენთ, და ჩვენ შორის აღარ მოიპოვება თავისუფალი მოქალაქე»⁵⁶.

მაგრამ, მიუხედავად მრავალი ანალოგიისა და კავშირისა, რომელიც არსებობს საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილებასა და სახელოსნოს შიგნით შრომის დანაწილებას შორის, ეს ორი მოვლენა განსხვავდება ერთიმეორისაგან არა მარტო გრადაციით [graduall], არამედ არსებითადაც. ყველაზე ნათლად ეს ანალოგია უდავოდ იქ მოჩანს, სადაც წარმოების სხვადასხვა დარგი შინაგანი კავშირით არის გადახლართული ერთმანეთზე. მაგალითად, პირუტყვის მომშენებელი ხდის ტყავს, დაბალი ამ ნედლ მასალას აქცევს ტყავად, ხარაზი ამ ტყავს ფეხსაცმლად აქცევს. თვითეული მათგანი აქ საფეხურებრივ პროდუქტს აწარმოებს, საბოლოო დამთავრებული ფორმა კი მათი სხვადასხვა განსაკუთრებული შრომის კომბინირებული პროდუქტია. ამას ზედ ერთვის კიდევ შრომის სხვადასხვა დარგი, რომელიც პირუტყვის მომშენებელს, დაბალს და ხარაზს წარმოების საშუალებებს აწვდის. აქ შეიძლება ა. სმიტთან ერთად წარმოიდგინოს აღამიანმა, რომ შრომის ეს საზოგადოებრივი დანაწილება განსხვავდება მანუფაქტურული დანაწილებისაგან მხოლოდ სუბიექტურად, სახელდობრ იმ დამკვირვებლისათვის, რომელიც ერთი თვალის გადავლებით ჭკრეტს მანუფაქტურაში სივრცებრივად გაერთიანებულ სხვადასხვა ნაწილობრივ შრომას, მაშინ როდესაც საზოგადოებრივ წარმოე-

⁵⁵ «განა ინგლისის მატყლის მრეწველობა დაყოფილი არ არის იმ სხვადასხვა ნაწილებად ანუ დარგებად, რომელნიც დამკვიდრებულნი არიან გარკვეულ ადგილებში, სადაც მთელი წარმოება მარტოდენ ან უმთავრესად ამ დარგებით გამოიხატება: წმინდა მუღი მზადდება სომერსეტშირში, უხეში — იორკშირში, ორგანი მუღი — ეკზეტერში, აბზეშუში — სედბერში, კრები — ნორვიჩში, შალნარევი ქსოვილები — კენდელში, საბნები — უიტნიში და სხვა» (Berkeley: «The Querist», 1750, § 520).

⁵⁶ A. Ferguson: «History of Civil Society». Edinburgh 1767, ნაწ. IV, განყ. II, გვ. 285.

ბაში სხვადასხვა ნაწილობრივი შრომის დიდ სივრცეზე გაფანტულობა და თვითეულ განსაკუთრებულ დარგში დასაქმებულთა დიდი რიცხვი აბუნდოვანებს ამ კავშირს⁵⁷. მაგრამ რა ამყარებს კავშირს პირუტყვის მომძენებლის, დაბალისა და ხარაზის დამოუკიდებელ შრომათა შორის? ის, რომ მათი სათანადო პროდუქტები საქონლის სახით არსებობენ. რა ახასიათებს, პირიქით, შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას? ის, რომ ნაწილობრივი მუშა საქონელს არ აწარმოებს⁵⁸. მხოლოდ ნაწილობრივი მუშების კოლექტიური პროდუქტი იქცევა საქონლად^{58ა}. შრომის დანაწილება საზოგადოების

⁵⁷ საკუთრივ მანუფაქტურაში, ამბობს იგი, შრომის დანაწილება უფრო დიდად გეგმევენება, რადგან «სხვადასხვა შრომის დარგის მუშები აქ ხშირად ერთსა და იმავე სახელოსნოში შეიძლება თავმოყრილნი იყვნენ და დამკვირვებელს ერთი თვალის გადავლებით შეუძლია მათი ერთად დანახვა. პირიქით, იმ დიდ მანუფაქტურებში (!), რომელთა დანიშნულებას მზავალრიცხოვანი მოსახლეობის ფართო მოთხოვნილებათა დაცვაყოფილება შეადგენს, შრომის თვითეულ დარგში მუშების იმდენად დიდი რიცხვია დაბანდებული, რომ შეუძლებელია ყველა იმათი თავმოყრა ერთსა და იმავე სახელოსნოში... შრომის დანაწილება აქ ისე ნათლად არა ჩანს» (A. Smith: «Wealth of Nations», ტ. I, თავი 1) [ა. ს. მ. ი. ტ. I, გვ. 7]. იმავე თავშია განთქმული ადგილი, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: «შეხედეთ განათლებულ და აყვავებულ ქვეყანაში უბრალო ხელოსნის ან დღიური მუშის შინაურ მოწყობილობას...» [იქვე, ქაბთ. თარგმანი, გვ. 14] და სადაც აწერილია იმის სურათი, თუ როგორ მოქმედებენ ერთად წარმოების სხვადასხვა დარგები უბრალო მუშის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, — ეს ადგილი თითქმის სიტყვისიტყვით ამოწერილია ბ. დე მანდევლის შენიშვნებიდან მის «Fable of the Bees, or Private Vices, Publick Benefits»-ში (პირველი გამოცემა უშენიშვნებოდ 1706 წელს, მეორე — შენიშვნებით 1714 წელს).

⁵⁸ აქ უკვე აღარაფერია ისეთი, რაც ცალკეული ინდივიდის შრომის ბუნებრივ ხელფასად შეიძლება ჩაგვეთვალა. ყოველი მუშა მხოლოდ მთელის ნაწილს აწარმოებს, და რადგან თვითეულ ნაწილს თავისთავად არავითარი ღირებულება და სარგებლობა არა აქვს, ამიტომ აქ ისეთი არაფერი მოიპოვება, რომელიც მუშას შეეძლო აეღო და ეთქვა: ეს ჩემი პროდუქტია, მე მას ჩემთვის შევინახავო («Labour Defended against the Claims of Capital». London 1825, გვ. 25). ამ მშვენიერი თხზულების ავტორი არის ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული თ. ჰოდსკინი.

^{58ა} შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. ეს განსხვავება შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასა და მანუფაქტურულ დანაწილებას შორის იანკებს პრაქტიკულად უჩვენებს თვალსაჩინოდ. ერთი იმ ახალ გადასახადთაგანი, რომელიც ვაშინგტონში გამოიგონეს სამოქალაქო ომის დროს, იყო 6 $\frac{1}{2}$ -ნი აქციზი ყველა სამრეწველო პროდუქტზე. მაგრამ ისმის კითხვა: რა არის სამრეწველო პროდუქტი? კანონმდებლის პასუხია: ყოველი ნივთი პროდუქტია, თუკი ის გაკეთებულია (when it is made), და ის გაკეთებულია, თუკი გასაყიდად მზად არის. აი ერთი მაგალითი სხვა მრავალთაგან. ნიუ-იორკის და ფილადელფიის მანუფაქტურებში ძველად ქოლგებს

შიგნით ხორციელდება შრომის სხვადასხვა დარგის პროდუქტის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით, მანუფაქტურაში კი კავშირი ნაწილობრივ სამუშაოთა შორის ხორციელდება იმით, რომ სხვადასხვა სამუშაო ძალას მიჰყვებიან ერთსა და იმავე კაპიტალისტს, რომელიც ამ ძალებს კომბინირებული სამუშაო ძალის სახით იყენებს. შრომის მანუფაქტურული დანაწილება გულისხმობს წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას ერთი კაპიტალისტის ხელში, ხოლო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — წარმოების საშუალებათა დაქსაქსვას მრავალ, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელს შორის. მაშინ როდესაც მანუფაქტურაში შეფარდებითი რიცხვის, ანუ პროპორციულობის რკინის კანონის ძალით მუშათა განსაზღვრული მასები განსაზღვრულ ფუნქციებს ექვემდებარებიან, საქონელმწარმოებელთა და მათი წარმოების საშუალებათა დანაწილებაში საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა დარგებს შორის შემთხვევითობისა და თვითნებობის უწყსრივო თამაშია გამეფებული. მართალია, წარმოების სხვადასხვა სფერო მუდამ წონასწორობისაკენ ისწრაფვის. რადგან, ერთი მხრივ, თვითუღმა საქონელმწარმოებელმა რაიმე სახმარი ღირებულება უნდა აწარმოოს, მაშასადამე, განსაზღვრული საზოგადოებრივი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს, ამ მოთხოვნილებათა ფარგლები კი რაოდენობრივად განსხვავებულია და შინაგანი კავშირი სხვადასხვა მოთხოვნილებას ერთ ბუნებრივად აღმოცენებულ სისტემად აყალიბებს; მეორე მხრივ, საქონელთა ღირებულების კანონი განსაზღვრავს, თუ რამდენი შეუძლია საზოგადოებას მის განკარგულებაში მყოფი სამუშაო ღრობიდან დახარჯოს ყოველი განსაკუთრებული სახეობის საქონლის წარმოებაზე. მაგრამ წარმოების სხვადასხვა სფეროს ეს მუდმივი ტენდენცია წონასწორობისაკენ მოქმედებს მხოლოდ როგორც ამ წონასწორობის მუდმივი დარღვევის

აკეთებდნენ მთელი მათი მოწყობილობით. მაგრამ, რადგან ქოლგა არის *mixtum compositum* [შეერთება] სრულიად სხვადასხვაგვარი შემადგენელი ნაწილებისა, ამიტომ ამ უკანასკნელთა დამზადება თანდათან წარმოების ისეთ დარგებში ხდება, რომლებიც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი არიან და სხვადასხვა ადგილას მდებარეობენ. მათი ნაწილობრივი პროდუქტები ახლა დამოუკიდებელი საქონლის სახით შედიან ქოლგის მანუფაქტურაში, რომელიც მათ მხოლოდ ერთად უყრის თავს. იანკებმა ამგვარი პროდუქტები «assembled articles» (შეკრებილი ნაწარმის) სახელით მონათლეს; ეს სახელი მათ განსაკუთრებულად დაიმსახურეს როგორც გადასახადების შემკრებმა პუნქტებმა. ასე, მაგალითად, ქოლგა ჰკრება და ჯერ 60% აქციის თვითეული თავისი შემადგენელი ელემენტის ფასზე და შემდეგ კიდევ ახალ 60%-ს თავის საკუთარ ერთობლივ ფასზე.

წინააღმდეგ მიმართული რეაქცია. ის წესი, რომელსაც სახელსწრის შიგნით შრომის დანაწილების დროს იყენებენ *a priori* [წინასწარ] და გეგმაზომიერად, საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილების დროს მოქმედებს მხოლოდ *a posteriori* [შემდგომ], როგორც შინაგანი, ბრმა ბუნებრივი აუცილებლობა, რომელიც აღქმადი ხდება საბაზრო ფასების ბარომეტრული ცვალებადობის სახით და რომელიც გადალახავს საქონელმწარმოებელთა უწესრიგო თვითნებობას. შრომის მანუფაქტურული დანაწილება გულისხმობს კაპიტალისტის უცილობელ ავტორიტეტს იმ ადამიანების მიმართ, რომელნიც მისი კუთვნილი ერთობლივი მექანიზმის უბრალო წევრებს წარმოადგენენ; შრომის საზოგადოებრივი დანაწილება უპირისპირებს ერთმანეთს დამოუკიდებელ საქონელმწარმოებლებს, რომელნიც არაერთარ სხვა ავტორიტეტს არ ცნობენ, გარდა კონკურენციისა, გარდა იმ იძულებისა, რომელიც მათი ურთიერთი ინტერესების ბრძოლის შედეგია, — მსგავსად იმისა, როგორც ცხოველთა სამეფოში *bellum omnium contra omnes* [ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ] მეტად თუ ნაკლებად ცხოველთა ყველა სახეობის არსებობის პირობაა. ამიტომ იგივე ბურჟუაზიული ცნობიერება, რომელიც შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას, მუშის სამუდამოდ მიჯაჭვას ერთ რომელიმე ცალკეულ ოპერაციასზე დანაწილობრივი მუშების სრულ დაქვემდებარებას კაპიტალისადმი აქებს და აღიღებს როგორც შრომის ორგანიზაციას, რომელიც ამ შრომის მწარმოებლურ ძალას მალა სწევს, — იგივე ბურჟუაზიული ცნობიერება ასევე ხმამაღლა გამოხატავს საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის ყოველ შეგნებულ საზოგადოებრივ კონტროლს და რეგულირებას როგორც შეჭრას ინდივიდუალური კაპიტალისტის ხელშეუხებელ საკუთრების უფლებებში, მის თავისუფლებაში და თვითგამომრკვევ «გენიალობა»-ში. ფრიად დამახასიათებელია, რომ ფაბრიკული სისტემის აღფრთოვანებულ აპოლოგეტებს საზოგადოებრივი შრომის საყოველთაო ორგანიზაციის წინააღმდეგ იმაზე მწარე სიტყვა არ გააჩნიათ სათქმელად, რომ ასეთი ორგანიზაცია მთელ საზოგადოებას ფაბრიკად გადააქცევდა.

თუ კაპიტალისტურ წარმოების წესზე დამყარებულ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ანარქია და შრომის მანუფაქტურული დანაწილების დესპოტიზმი ერთიმეორეს განაპირობებენ, პირიქით, უფრო აღრინდელი საზოგადოებრივი ფორმები, სადაც ხელსწინააღმდეგეთა გამოცალკევება ბუნებრივად განვითარდა, შემდეგ ჩამოყალიბდა და, ბოლოს, კანონით განმტკიცდა, წარმოადგენენ, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შრომის გეგმაზომიერი და

ავტორიტარული ორგანიზაციის სურათს, ხოლო, მეორე მხრივ, სრულად გამორიცხავენ სახელოსნოს შიგნით შრომის დანაწილებას, ან ავითარებენ მას ძალიან მცირე მასშტაბით, ანდა — მხოლოდ სპორადულად და შემთხვევითად⁵⁹.

მაგალითად, ინდოეთის პირველყოფილი მცირე თემები, რომელნიც ნაწილობრივ დღესაც განაგრძობენ არსებობას, ემყარებიან სათემო მიწათმფლობელობას, მიწათმოქმედების უშუალო კავშირს ხელოსნობასთან და შრომის მტკიცე დანაწილებას, რომელიც ახალი თემების დაარსების დროს მზა გეგმას და სქემას იძლევა. ყოველი ასეთი თემი შეადგენს თვითკმარ მწარმოებელ მთელს, რომლის წარმოების სფერო 100 აკრიდან რამდენიმე ათასეულ აკრამდე აღწევს. პროდუქტების მთავარი მასა თვით თემის უშუალო საქროებისათვის იწარმოება და არა საქონლის სახით; ამიტომ თვით წარმოება აქ დამოკიდებული არ არის მთელ ინდოეთის საზოგადოებაში არსებულ შრომის დანაწილებაზე, რომელიც საქონელგაცვლის მეშვეობით ხორციელდება. მხოლოდ პროდუქტის ნამეტი იქცევა საქონლად, ისიც მნიშვნელოვანწილად მხოლოდ სახელმწიფოს ხელში, რომელიც უხსოვარი დროიდან პროდუქტის განსაზღვრულ რაოდენობას ნატურალური რენტის სახით იღებს. ინდოეთის სხვადასხვა ნაწილებში სხვადასხვა ფორმის თემები არსებობს. უმარტივესი ფორმის თემი მიწას კოლექტიურად ამუშავებს და მიწის პროდუქტებს თავის წევრებს შორის ანაწილებს, მაშინ როდესაც რთვას, ქსოვას და სხვ. თვითეული ოჯახი ცალკე ეწევა როგორც დამხმარე შინარეწვას. ამ ერთგვაროვან მოსაქმეობაში ჩაბმულ მასასთან ერთად ჩვენ აქ გვხვდება: «მამასახლისი», რომელიც ერთსა და იმავე დროს მოსამართლეც არის, პოლიციელიც და გადასახადის ამკრეფიც; ბუღალტერი, რომელიც მიწათმოქმედების ანგარიშს აწარმოებს და კადასტრსა და რეგისტრში შეაქვს ყველაფერი ის, რაც ამას შეეხება; მესამე მოხელე, რომელიც ბოროტმოქმედთ სდევნის და მფარველობას უწევს უცხოელ მოგზაურებს და მათ ერთი სოფლიდან მეორემდე მიაცილებს; მესაზღვრე, რომელიც თემის საზღვრებს დარაჯობს და იცავს

⁵⁹ «საყოველთაო წესადაც კი შეიძლება მივიღოთ, რომ რაც უფრო ნაკლებად განაგებს ავტორიტეტი შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით, მით უფრო მეტად ვითარდება შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით და მით უფრო ექვემდებარება იგი იქ ერთი პიროვნების ავტორიტეტს. მაშასადამე, ავტორიტეტი სახელოსნოში და ავტორიტეტი საზოგადოებაში შრომის დანაწილების მხრივ შებრუნებულ შეფარდებაშია ერთიმეორესთან» (Karl Marx: «Misère de la Philosophie». Paris 1847, გვ. 130, 131). [კ. მ. ა. რ. ქ. ს. ი: «ფილოსოფიის სიდატაკე», თბილისი 1938, გვ. 124.]

მეზობელი თემების ხელყოფისაგან; წყალსატევის მეთვალყურე, რომელიც საერთო აუზიდან წყალს ანაწილებს სამიწათმოქმედო მიზნებისათვის; ბრამინი, რომელიც რელიგიური კულტის ფუნქციებს ასრულებს; მასწავლებელი, რომელიც თემის ბავშვებს ქვიშაზე წერაკითხვას ასწავლის; კალენდრის ბრამინი, რომელიც, როგორც ასტროლოგი, თესვისა და მკის და საერთოდ ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოს ხელსაყრელ და არახელსაყრელ დროს განსაზღვრავს; მჭედელი და ხურო, რომლებიც ამზადებენ და შეაკეთებენ ყველა სამიწათმოქმედო იარაღს; მეთუნე, რომელიც სოფლისთვის ყოველნაირ ქურქელს ამზადებს; დალაქი, მრეცხავი, ოქრომჭედელი და აქა-იქ პოეტი, რომელიც ზოგიერთ თემში ოქრომჭედლის, ზოგიერთში სკოლის მასწავლებლის მაგივრობას ეწევა. ეს თორმეტიოდე პირი მთელი თემის ხარჯზე ცხოვრობს. თუ მოსახლეობა იზრდება, მაშინ დაუმუშავებელ მიწებზე მკვიდრდება ახალი თემი ძველი თემის ნიშნის მიხედვით. თემის მექანიზმი შრომის გეგმაზომიერ დანაწილებას გვიჩვენებს, მაგრამ შრომის მანუფაქტურული დანაწილება აქ შეუძლებელია, რადგან ბაზარი მჭედლისთვის, ხუროსთვის და სხვ. უცვლელი რჩება, და სულ ბევრი, სოფლების სიდიდის მიხედვით, იქ ერთი მჭედლის ან მეთუნის და სხვ. ნაცვლად ორი ან სამი გვხვდება⁶⁰. კანონი, რომელიც თემში შრომის დანაწილებას აწესრიგებს, აქ ბუნებრივი კანონის ურყევი ავტორიტეტის ძალით მოქმედებს, მაშინ როდესაც ყოველი ცალკეული ხელოსანი, მაგალითად, მჭედელი და სხვ., ყოველ ოპერაციას, რომელიც მის პროფესიას ეკუთვნის, ძველი ტრადიციული წესით, მაგრამ დამოუკიდებლად ასრულებს, და თავის სახელოსნოში არავითარ ავტორიტეტს არ ცნობს. მარტივი საწარმოო ორგანიზმი ამ თვითკმარი თემებისა, რომელნიც კვლავ წარმოიქმნებიან მულამ იმავე ფორმით, და რომელნიც, შემთხვევითი დაშლისას, იმავე ადგილს და იმავე სახელით კვლავ აღმოცნდებიან⁶¹, იძლევა გასაღებს აზიურ საზოგადოებათა იმ უცვლელობის

⁶⁰ პოდპოლკუნეიკი Mark Wilks: «Historical Sketches of the South of India». London 1810 — 1817, ტ. I, გვ. 118 — 20. ინდოეთის თემთა სხვადასხვა ფორმების კარგ შედარებას ჩვენ ვხვდებით George Campbell-ის თხზულებაში: «Modern India». London 1852.

⁶¹ ასეთ მარტივ ფორმებში... მიმდინარეობს ამ ქვეყნის მკვიდრთა ცხოვრება უხსოვარი დროიდან. სოფლების სახლები იშვიათად იცვლებოდა; და თუმცა თვით ეს სოფლები ომის, შიმშილობისა და ეპიდემიის დროს ზარალდებოდნენ და ხან საბოლოოდ ნადგურდებოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი იმავე სახელს, იმავე სახლებს, იმავე ინტერესებს და იმავე ოჯახებსაც კი ინარჩუნებდნენ და არსებობას

საიდუმლოების ასახსნელად, რომლის აშკარა კონტრასტს წარმოადგენს აზიურ სახელმწიფოთა მუდმივი რღვევა და ხელახალი წარმოქმნა და მათი დინასტიების განუწყვეტელი ცვლა. ამ საზოგადოების ძირითადი ეკონომიური ელემენტების სტრუქტურას ვერ სწვდება ღრუბლიანი პოლიტიკური სფეროს ქარიშხალი.

საამქრო კანონები, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, უკიდურესობამდე ზღუდავდნენ ქარგლების იმ რიცხვს, რომელიც შეედლო ჰყოლოდა თვითეულ ამქრის ოსტატს და ამით ისინი გეგმაზომიერად აფერხებდნენ ამქრის ოსტატის გადაქცევას კაპიტალისტად. ასევე ოსტატს მხოლოდ იმ ხელობაში შეედლო ქარგლის აყვანა, რომლის ოსტატიც თვითონ იყო. საამქრო გულმოდგინედ იცავდა თავს ვაჭრული კაპიტალის თავდასხმისაგან, კაპიტალის ამ ერთადერთი თავისუფალი ფორმისაგან, რომელიც საამქროს უპირისპირდებოდა. ვაჭარს შეედლო ეყიდა ყოველგვარი საქონელი, მხოლოდ არა შრომა როგორც საქონელი. მას ითმენდნენ როგორც ჩარჩს, ხელოსნური პროდუქტების შემსყიდველს. თუ გარეშე პირობები გამოიწვევდა შრომის შემდგომ დანაწილებას, არსებული საამქროები ქვესახეობებად იყოფოდა, ანდა ძველი საამქროების გვერდით ახლები მკვიდრდებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა სხვადასხვა ხელოსნების ერთ სახელოსნოში გაუერთიანებლად. ამიტომ ამქრული ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ წარმოქმნილი გამოცალკეება, იზოლირება და განვითარება ხელოსნობისა მანუფაქტურული პერიოდის არსებობის მატერიალურ წინამძღვარს შეადგენს, მაინც გამოირიცხავდა შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას. საერთოდ და მთლიანად მუშა და მისი წარმოების საშუალებანი ისე მჭიდროდ დარჩნენ ერთმანეთთან შეხორცებულნი, როგორც ლოკოკინა ნიჭარასთან, და, მაშასადამე, არ არსებობდა მანუფაქტურის პირველი საფუძველი: წარმოების საშუალებათა გამოცალკეება კაპიტალის სახით და მათი დაპირისპირება მუშისადმი.

მაშინ როდესაც შრომის დანაწილება მთელ საზოგადოებაში, — სულ ერთია, საქონელგაცვლის მეშვეობით ხდება იგი, თუ მისგან

განაგობდნენ საუკუნეთა განმავლობაში. სახელმწიფოს დანგრევა და დაყოფა სრულიად არ ადარებს მცხოვრებლებს; სანამ სოფელი მთელი რჩება, მათთვის სულ ერთია, რომელ ძალაუფლებას ჩაუვარდება იგი ხელში ან რომელ მბრძანებელს დაემორჩილება იგი; სოფლის შინაგანი მეურნეობა უცვლელი რჩება (Th. Stamford affils, კუნძულ იავის ყოფილი ლეიტენანტ-გუბერნატორი: «The History of Java». London 1817, ტ. I, გვ. 285).

დამოუკიდებლად, — სრულიად სხვადასხვა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციას ეკუთვნის, შრომის მანუფაქტურული დანაწილება კაპიტალისტური წარმოების წესის სავსებით სპეციფიკურ ქმნილებას წარმოადგენს.

5. მანუფაქტურის კაპიტალისტური ხასიათი

მუშების მნიშვნელოვანი რიცხვის თავმოყრა ერთი და იმავე კაპიტალის მბრძანებლობის ქვეშ ბუნებრივი ამოსავალი პუნქტია როგორც კოოპერაციისა საერთოდ, ისე მანუფაქტურისაც. პირიქით, შრომის მანუფაქტურული დანაწილება საქმეში გამოყენებულ მუშათა რიცხვის ზრდას ტექნიკურ აუცილებლობად ხდის. იმ მუშათა მინიმუმს, რომელიც ცალკეულმა კაპიტალისტმა უნდა გამოიყენოს, მას ახლა შრომის არსებული დანაწილება უკარნახებს. მეორე მხრივ, შრომის შემდგომი დანაწილების ხელსაყრელობა გაპირობებულია მუშათა რიცხვის შემდგომი გადიდებით, რის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ იმ წესით, რომ საწარმოს ყველა სხვადასხვა ჯგუფი ერთბაშად დიდდება სათანადო პროპორციით. მაგრამ კაპიტალის ცვალებად შემადგენელ ნაწილთან ერთად უნდა იზრდებოდეს მისი მუდმივი ნაწილიც, უნდა იზრდებოდეს არა მარტო წარმოების საერთო პირობების მოცულობა, მაგალითად, შენობები, ლუმელი და სხვ., არამედ განსაკუთრებით ნედლი მასალის რაოდენობაც, რომელიც მუშათა რიცხვზე გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება. ნედლი მასალის რაოდენობა, რომელსაც განსაზღვრულ დროში მუშათა განსაზღვრული რიცხვი მოიხმარს, იმავე პროპორციით დიდდება, როგორც შრომის მწარმოებლური ძალა შრომის დანაწილების გამო. მაშასადამე, კაპიტალის მინიმალური მოცულობის ზრდა ცალკეულ კაპიტალისტთა ხელში, ანუ საზოგადოებრივ საარსებო საშუალებათა და წარმოების საშუალებათა მზარდი გადაქცევა კაპიტალად არის კანონი, რომელიც მანუფაქტურის ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარეობს⁶².

⁶² ასევე არის არ არის საზოგადოებაში მოიპოვებოდეს კაპიტალი (უნდა ეთქვა საარსებო საშუალებანი და წარმოების საშუალებანი), რომელიც აუცილებელია ხელობათა შემდგომი დანაწილებისათვის; გარდა ამისა, აუცილებელია ეს კაპიტალი მეწარმეთა ხელში საკმარისი რაოდენობით იყოს დაგროვილი, რათა მათ ფართო მასშტაბით შეეძლოთ წარმოება... რაც უფრო მატულობს შრომის დანაწილება, მით უფრო მეტ კაპიტალს მოითხოვს წარმოების იარაღებისთვის, ნედლი მასალისთვის და სხვ. ერთი და იმავე მუშათა რიცხვის განუწყვეტელი გამოყენება (Storch: «Cours d'Économie Politique», პარიზის გამოცემა, ტ. 1, გვ. 250, 251). წარმოების იარაღთა კონცენტრაცია და შრომის დანაწილება ისევე განუყრელია ერთიმეორესაგან, როგორც

მანუფაქტურაში, ისე როგორც მარტივ კოოპერაციაში, მოქმედი მუშა-სხეული კაპიტალის არსებობის ფორმაა. საზოგადოებრივი საწარმოო მექანიზმი, რომელიც მრავალი ინდივიდუალური ნაწილობრივი მუშისაგან შედგება, კაპიტალისტს ეკუთვნის. ამიტომ სხვადასხვა შრომის კომბინაციიდან გამომდინარე ნწარმოებლური ძალა კაპიტალის მწარმოებლური ძალის სახით წარმოგვიდგება. საკუთრივ მანუფაქტურა წინანდელ დამოუკიდებელ მუშას არა მარტო უმორჩილებს კაპიტალის მბრძანებლობასა და დისციპლინას, არამედ გარდა ამისა თვით მუშებს შორის იერარქიულ საფეხურებს ქმნის. მაშინ როდესაც მარტივი კოოპერაცია ცალკეულ პირთა შრომის წესს საერთოდ და მთლიანად უცვლელად ტოვებს, მანუფაქტურა მასში ძირეულ რევოლუციას ახდენს და ინდივიდუალურ სამუშაო ძალას მის სასიცოცხლო ფესვებში სწვდება და მთლიანად იმორჩილებს. მანუფაქტურა ამახინჯებს მუშას იმით, რომ ხელოვნურად ავითარებს მასში მარტოდენ ერთ ცალმხრივ დახელოვნებას მთელი მისი დანარჩენი მწარმოებლური მიდრეკილებისა და ნიჭის ჩახშობის გზით, — მსგავსად იმისა, როგორც ლა-პლატის სახელმწიფოებში ცხოველს კლავენ, რათა მისი ტყავი ან ქონი მიიღონ. განსაკუთრებული ნაწილობრივი სამუშაოები არა მარტო სხვადასხვა ინდივიდს შორის ნაწილდება, არამედ თვით ინდივიდიც ნაწილდება, ნაწილობრივი შრომის ავტომატურ მამოძრავებელ იარაღად იქცევა⁶³, და, ამრიგად, ხორციელდება მენენიუს აგრიპას უგუნური იგავი, რომელშიაც ადამიანი გამოყვანილია როგორც მხოლოდ ნაწილაკი მისი საკუთარი სხეულისა⁶⁴. თუ თავდაპირველად მუშა თავის სამუშაო ძალას კაპიტალს მიჰყიდის, რადგან მას არ მოეპოვება 'მატერიალური საშუალებანი საქონლის საწარმოებლად, ახლა თვით მისი ინდივიდუალური სამუშაო ძალა ვეღარ ეწევა სამსახურს, სანამ მას კაპიტალი არ იყიდის. ის მოქმე-

პოლიტიკურ სფეროში ერთიმეორისაგან განუყრელია საჯარო ხელისუფლების კონცენტრაცია და კერძო ინტერესთა დანაწილება» (Karl Marx: *Misère de la Philosophie*. Paris 1847, გვ. 134). [ქ. მარქისი: «ფილოსოფიის სილატაქე». თბილისი 1938, გვ. 127.]

⁶³ დუგლად სტიუარტი მანუფაქტურულ მუშებს უწოდებს *living automaton... employed in the details of the work* [«ცოცხალ ავტომატებს... რომელთაც იყენებენ ნაწილობრივი შრომითი ოპერაციებისთვის»] (Works, ed. by Sir W. Hamilton, Edinburgh 1855, ტ. VIII, «Lectures on Political Economy», გვ. 318).

⁶⁴ მარჯნის თვითთული ინდივიდი მართლაც სტომაქს წარმოადგენს მარჯნის მთელი ჯგუფისათვის. მაგრამ იგი ამ ჯგუფს კი არ ართმევს საზრდოს, რომის პატრიციების მსგავსად, არამედ აწვდის მას.

დებს მხოლოდ სხებთან დაკავშირებით, ეს კავშირი კი ხორციელდება მხოლოდ მისი გაყიდვის შემდეგ, კაპიტალისტის სახელოსნოში. მოკლებული იმის უნარს, რომ თავისი ბუნებრივი თვისებების მიხედვით დამოუკიდებელი რამ შექმნას, მანუფაქტურის მუშა ავითარებს მწარმოებლურ მოქმედებას მხოლოდ როგორც კაპიტალისტის სახელოსნოს უბრალო დანამატი⁶⁵. როგორც ღეთისგან რჩეულ ხალხს შუბლზე ეწერა, რომ იგი იეღოვას საკუთრებაა, სწორედ ასევე შრომის დანაწილება მანუფაქტურის მუშას კაპიტალის საკუთრების დაღს ასვამს.

ის ცოდნა, განკერძოება და ნებისყოფა, რომელსაც, თუმცა მცირე მასშტაბით, ავითარებს დამოუკიდებელი გლეხი ან ხელოსანი, ისე როგორც ველური მთელ სამხედრო ხელოვნებას პირად მოხერხებაში ავლენს, — ახლა საჭიროა მხოლოდ მთელი სახელოსნოსთვის. წარმოების სულიერი პოტენცია სწორედ იმიტომ აფართოებს თავის მასშტაბს ერთ მხარეზე, რომ სხვა მრავალ მხარეზე იგი სრულიად ქრება. რასაც ნაწილობრივი მუშები კარგავენ, ის მათ საპირისპიროდ თავს იყრის კაპიტალში⁶⁶. შრომის მანუფაქტურული დანაწილების შედეგია ის, რომ წარმოებითი მატერიალური პროცესის სულიერი პოტენცია უპირისპირდება მუშებს როგორც სხვისი საკუთრება და მათზე გაბატონებული ძალა. განცალკევების ეს პროცესი იწყება მარტივ კოოპერაციაში, სადაც კაპიტალისტი ცალკეული მუშების მიმართ საზოგადოებრივი შრომითი სხეულის ერთიანობას და ნებისყოფას წარმოადგენს. შემდეგ იგი ვითარდება მანუფაქტურაში, რომელიც მუშას ამახინჯებს იმით, რომ მას ნაწილობრივ მუშად აქცევს. იგი მთავრდება მსხვილ მრეწველობაში, რომელიც შრომისაგან განაცალკევებს მეცნიერებას როგორც წარმოების დამოუკიდებელ პოტენციას და აიძულებს მას კაპიტალს ემსახუროს⁶⁷.

⁶⁵ მუშას, რომელიც თავის ხელობას მილიანად დაუფლებულია, შეუძლია ყველგან გამოიყენოს ეს ხელობა და საარსებო საშუალება მოიპოვოს; მეორე კი (მანუფაქტურის მუშა) მხოლოდ დანამატია, რომელსაც თავისი ამხანაგებისაგან გამოცალკევებულად არც შრომის უნარი შესწევს, არც ამისათვის საჭირო დამოუკიდებლობა და ამიტომ იძულებულია დათანხმდეს ყოველგვარ პირობებზე, რომლებსაც მას წაუყენებენ (Storch: «Cours d'Économie Politique», გამოც. Petersburg 1815, ტ. I, გვ. 204).

⁶⁶ A. Ferguson: «History of Civil Society». Edinburgh 1767, ნაწ. IV, განყ. I, გვ. 281: «პირველმა მოიგო ის, რაც მეორემ დაკარგა».

⁶⁷ მეცნიერი და მწარმოებელი მუშა დიდი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთს, და მეცნიერება, ნაცკლად იმისა, რომ მუშის ხელში თვით ამ უკანასკნელისთვის მისივე საკუთარი მწარმოებლური ძალის გადიდების საშუალებას

მანუფაქტურაში ერთობლივი მუშის და, მაშასადამე, კაპიტალის გამდიდრება საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალებით გაპირობებულია ცალკეული მუშის გალარობებით ინდივიდუალური მწარმოებლური ძალის მხრივ. უფიცობა დედა მრეწველობისა, ისე როგორც კრუმორწმუნოებისა. მსჯელობა და წარმოსახვის ძალა შეიძლება შეცდეს, მაგრამ ფეხის ან ხელის ამოძრავების ჩვევა არც ერთზეა დამოკიდებული და არც მეორეზე. მაშასადამე, მანუფაქტურა ყველაზე მეტად იქ ჰყვავის, სადაც ყველაზე მეტად დახშულია ადამიანის სულიერი მხარე, ასე რომ სახელოსნო შეიძლება განვიხილოთ როგორც მანქანა, რომლის ნაწილებსაც ადამიანები შეადგენენ⁶⁸. და მართლაც, მე-18 საუკუნის ნახევარში ზოგიერთი მანუფაქტურა იმ გარკვეული მარტივი ოპერაციების შესრულების საქმეში, რომლებიც ფაბრიკის საიდუმლოებას შეადგენდნენ, ნახევრად-იდიოტებს აძლევდა უპირატესობას⁶⁹.

ადამიანთა დიდი უმრავლესობის ინტელექტუალური განვითარება, — ამბობს ა. სმიტი, — აუცილებლად მათი ყოველდღიური საქმიანობით განისაზღვრება. ადამიანს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მცირეოდენი მარტივი ოპერაციების შესრულებას ანდომებს... არა ჭკეს შემთხვევა ავარჯიშოს თავისი გონება... საერთოდ იგი იმდენად გონებაჩლუნგი და უფიცი ხდება, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია ისეთი ქმნილებებისათვის, როგორც ადამიანია. ნაწილობრივი მუშის გონების სიჩლუნგის დასურათების შემდეგ ა. სმიტი განაგრძობს: «მისი უმოდრაო ცხოვრების ერთფეროვნება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ცვლილებას, რასაკვირველია, ახშობს მის სულიერ მხნეობასაც... იგი ანადგურებს მისი სხეულის ენერჯიასაც კი, უნარს უკარგავს ამ სხეულს ინტენსიური და ხანგრძლივი მუშაობისთვის, გარდა იმ სპეციალური საქმისა, რომელსაც იგი შეჩვეულია. ამრიგად, მისი დახელოვნება მის სპეციალურ ხელობაში, როგორც ჩანს, მისი ინტელექტუალური, სოციალური და საბრძოლო უნარის ხარჯზეა შექმნილი. მაგრამ ყოველ ინდუსტრიულ და ცივილიზებულ საზოგადოებაში ეს ის მდგომარეობაა, რომელშიც მშრომელი ღარიბი (the labouring poor), წარმოადგენდეს, თითქმის ყველგან მას უპირისპირდება... ცოდნა ხდება ის იარაღი, რომელსაც შეუძლია შრომას დაშორდეს და მის საწინააღმდეგოდ გამოვიდეს» (W. Thompson: «An Inquiry into the Principles of the Distribution of Wealth». London 1824, გვ. 274).

⁶⁸ A. Ferguson: «History of Civil Society». Edinburgh 1767, ნაწ. IV, განყ. I, გვ. 280.

⁶⁹ J. D. Tuckett: «A History of the Past and Present State of the Labouring Population». London 1846, ტ. I, გვ. 149.

უ. ი. ხალხის ფართო მასა, აუცილებლად უნდა ჩავარდეს»⁷⁰. ხალხის მასების ასეთი სრული დამახინჯების თავიდან ასაცილებლად, რაც შრომის დანაწილებას შედეგად მოსდევს, ა. სმიტი რჩევას იძლევა შემოღებულ იქნას სახალხო განათლება სახელმწიფოს ხარჯზე, თუმცა ძალიან ფრთხილი ჰომეოპათიური დოზებით. ლოგიკური თანამიმდევრობით ილაშქრებს ამის წინააღმდეგ ა. სმიტის ფრანგი მთარგმნელი და კომენტატორი ე. გარნიე, რომელიც საფრანგეთის პირველი იმპერიის დროს სრულიად ბუნებრივად სენატორად გამოიჩინა. სახალხო განათლება, მისი აზრით, შრომის დანაწილების კანონებს ეწინააღმდეგება და მისი დადასტურება «მთელი ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის განწირვას უდრის». «როგორც შრომის ყველა სხვა დანაწილება, — ამბობს იგი, — ფიზიკური შრომის გამოყოფაც გონებრივისაგან⁷¹ უფრო მკაფიო და გადამწყვეტ ხასიათს იღებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მდიდრდება საზოგადოება (ამ გამოთქმას იგი მართებულად ხმარობს კაპიტალის, მიწის საკუთრების და მათი სახელმწიფოს აღსანიშნავად). შრომის ყველა სხვა დანაწილების მსგავსად, შრომის ასეთი დანაწილება შედეგია წარსული პროგრესისა და მიზეზი მომავლისა... ნუთუ მთავრობამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს შრომის ასეთ დანაწილებას და შეაფერხოს მისი ბუნებრივი მსვლელობა? ნუთუ იგი სახელმწიფო შემოსავლის ნაწილს უნდა ხარჯავდეს იმის ცდაზე, რომ ერთმანეთში აურიოს და გათქვიფოს შრომის ორი კლასი, რომელნიც გაყოფისა და განცალკევებისაკენ მიისწრაფვიან?»⁷².

ერთგვარი სულიერი და ფიზიკური დამახინჯება გარდუვალია მთლიანად აღებულ საზოგადოებაშიც კი შრომის დანაწილების პირობებში.

⁷⁰ A. Smith: «Wealth of Nations», წიგ. V, თავი I, განყ. II. როგორც ა. ფერგიუსონის მოწაფეს, ფერგიუსონისა, რომელმაც შრომის დანაწილების მანერე შედეგები გაარკვია, — ა. სმიტს საკსებით ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხზე. თავისი თხზულების შესავალში, სადაც იგი ex professo ხოტბას ასხამს შრომის დანაწილებას, მხოლოდ გაკრით აღნიშნავს მას როგორც საზოგადოებრივი უთანასწორობის წყაროს. მხოლოდ მეხუთე წიგნში, სადაც სახელმწიფო შემოსავალი განხილული, იგი იმეორებს ფერგიუსონის აზრებს. ჩემი წიგნში: «Misère de la Philosophie» [«ფილოსოფიის სიღატაკე»] მე საკმაოდ ვრცლად აღვნიშნე ისტორიული კავშირი ფერგიუსონისა, ა. სმიტსა, ლემონტიესა და სეის შორის შრომის დანაწილების იმ კრიტიკაში, რომელიც მათ მოგვეცა; იქვე დავასურათე პირველად შრომის მანუფაქტურული დანაწილება როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის სპეციფიკური ფორმა. (Karl Marx: «Misère de la Philosophie». Paris 1847, გვ. 122 და შემდ.).
[მ. ა. რ. კ. ს. ი.: «ფილოსოფიის სიღატაკე». თბილისი 1938, გვ. 118 — 119 და შემდ.]

⁷¹ უკვე ფერგიუსონი ამბობს თავის «History of Civil Society»-ში, Edinburgh 1767, ნაწ. IV, განყ. I, გვ. 281: «ამ შრომის დანაწილების ხანაში შესაძლოა თვით აზროვნებაც განსაკუთრებულ პროფესიად გადაიქცეს».

⁷² G. Garnier, მისი თარგმანის [სმიტის] V ტ., გვ. 4 — 5.

მაგრამ რადგან მანუფაქტურულ პერიოდს გაცილებით შორს მიჰყავს შრომის სხვადასხვა დარგის ეს საზოგადოებრივი დაქუცმაცება და რადგან, მეორე მხრივ, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი შრომის დანაწილება ინდივიდის სასიცოცხლო ძარღვს სწვდება, ამიტომ სამრეწველო პათოლოგიის მასალასა და სტიმულს პირველად სწორედ მანუფაქტურული პერიოდი იძლევა⁷³.

ადამიანის დანაწევრება ნიშნავს მის სიკვდილით დასჯას, თუმან სასიკვდილო განაჩენი დაიმსახურა, და მკვლელობას, თუ მას ეს განაჩენი არ დაუმსახურებია. შრომის დანაწევრება ხალხის მკვლელობაა⁷⁴.

შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაცია, ანუ მანუფაქტურა, მის დაწყებითს პერიოდში ბუნებრივად აღმოცენებულ ქმნილებას წარმოადგენს. მაგრამ როგორც კი იგი ერთგვარ სიმტკიცეს იძენს და ფართოდ ვრცელდება, მაშინვე კაპიტალისტური წარმოების წესის შეგნებულ, გეგმაზომიერ და სისტემატურ ფორმად იქცევა. საკუთრივ მანუფაქტურის ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ იძენს მისი დამახასიათებელი დანაწილება შრომისა მიზანშეწონილ ფორმებს ჯერ გამოცდილებით, ასე ვთქვათ, მოქმედი პირების ზურგს უკან, შემდეგ კი, ამქრული ხელოსნობის მსგავსად, ცდილობს ტრადიციით

⁷³ რამაძინიმი, პრაქტიკული მედიცინის პროფესორმა პადუაში, 1713 წელს გამოაქვეყნა თავისი თხზულება: «De morbis artificum», რომელიც ფრანგულად ითარგმნა 1781 წელს და ხელახლა დაიბეჭდა 1841 წელს «Encyclopédie des Sciences Médicales-ში. 7-ème Discours: Auteurs Classiques». მსხვილი მრეწველობის პერიოდმა, რასაკვირველია, ძლიერ გააფართოვა მუშების დაავადებათა მისი კატალოგი. იხ. სხვათა შორის: «Hygiène physique et morale de l'ouvrier dans les grandes villes en général, et dans la ville de Lyon en particulier. Par le Dr. A. L. Fonteret», Paris 1858, და «Die Krankheiten, welche verschiedenen Ständen, Altern und Geschlechtern eigenthümlich sind». 6 ტომი. Ulm 1860. 1854 წელს Society of Arts-მა დანიშნა კომისია სამრეწველო პათოლოგიის შესასწავლად. ამ კომისიის მიერ შეკრებილი დოკუმენტების სია მოიპოვება «Twickenham Economic Museum»-ის კატალოგში. მეტად მნიშვნელოვან მასალას იძლევა ოფიციალური «Reports on Public Health». იხ. აგრეთვე მედიც. დოქტორის Eduard Reich-ის: «Ueber die Entartung des Menschen». Erlangen 1868.

⁷⁴ «To subdivide a man is to execute him, if he deserves the sentence, to assassinate him if he does not... the subdivision of labour is the assassination of a people». (D. Urquhart: «Familiar Words». London 1855, გვ. 119.) ჰეგელს შრომის დანაწილებაზე ძალიან ერთიკველი შეხედულებანი ჰქონდა. «განათლებულ ადამიანად შეგვიძლია უწინარეს ყოვლისა ვიგულისხმოთ ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალუძს გააკეთოს ყველაფერი ის, რასაც სხვები აკეთებენ», ამბობს იგი თავის «სამართლის ფილოსოფიაში».

განამტკიცოს ერთხელ მოპოვებული ფორმა და, ცალკეულ შემთხვევებში, განამტკიცებს კიდევ მას მთელი საუკუნეების განმავლობაში. თუ ეს ფორმა იცვლება, ეს ხდება მუდამ, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ სრულიად მეორეხარისხოვან ცვლილებებს, — მხოლოდ შრომის იარაღებში მომხდარი რევოლუციის შედეგად. თანამედროვე მანუფაქტურა, — მე აქ არ ვლაპარაკობ მანქანებზე დამყარებული მსხვილი მრეწველობის შესახებ, — თავის *disjecti membra poetae*-ს [ცალკეულ ელემენტებს] ან უკვე მზა სახით პოულობს, — როგორც, მაგალითად, ტანისამოსის მანუფაქტურა იმ დიდ ქალაქებში, სადაც იგი წარმოიშვება, — და მაშინ მან ეს გაფანტული ელემენტები მხოლოდ უნდა შეკრიბოს, ანდა დანაწილების პრინციპი თავისთავად ცხადი ხდება, რადგან იგი მოითხოვს, რომ ხელოსნური წარმოების სხვადასხვა ოპერაცია (მაგალითად, წიგნის აკინძვის დარგში) უბრალოდ გადაეცეს განსაკუთრებულ ნაწილობრივ მუშებს. ასეთ შემთხვევებში ერთი კვირის გამოცდილებაც არ არის საჭირო იმისათვის, რათა გამოინახოს სათანადო პროპორცია მუშახელის იმ რაოდენობას შორის, რომელიც აუცილებელია თვითეული ფუნქციის შესასრულებლად ⁷⁵.

შრომის მანუფაქტურული დანაწილება ხელოსნური საქმიანობის დაშლით, შრომის იარაღების სპეციალიზაციით, ნაწილობრივი მუშების შექმნით, მათი დაჯგუფებითა და ერთ მთლიან მექანიზმად კომბინირებით ქმნის საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესების თვისებრივ დაკოფას და რაოდენობრივ პროპორციულობას, მაშასადამე, ქმნის საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრულ ორგანიზაციას და ამით შრომის ახალ საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას ავითარებს. როგორც სპეციფიკურად კაპიტალისტური ფორმა საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესისა, — და იმ ისტორიულ საფუძველზე კი, რომელიც მან მზად ჰყოვა, მას არ შეეძლო სხვანაირად განვითარებულიყო, თუ არა კაპიტალისტური ფორმით, — იგი მხოლოდ განსაკუთრებული მეთოდია იმისთვის, რომ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება იწარმოებოდეს ანუ კაპიტალის თვითზრდა — რასაც საზოგადოებრივ სიმდიდრეს, «Wealth of Nations» [«ხალხთა სიმდიდრეს»]

⁷⁵ გულუბრყვილო რწმენა გამომგონებლობის გენიისადმი, რომელსაც შრომის დანაწილების დარგში ცალკეული კაპიტალისტი *a priori* იჩენს, დღემდე მხოლოდ ზოგიერთ გერმანულ პროფესორს შერჩა, მაგალითად, ბატონ რომერს; ეს უკანასკნელი მადლობის ნიშნად «diverse Arbeitslöhne»-ს [სხვადასხვა ხელფასს] უნიშნავს კაპიტალისტს, რომლის იუპიტერული თავიდან შრომის დანაწილება სრულიად დამთავრებული გამოდის. მეტი ან ნაკლები გამოყენება შრომის დანაწილებისა დამოკიდებულია ფულის კისის სიგრძეზე და არა გენიის სიდიდეზე.

და სხვ. უწოდებენ — მუშების ხარჯზე ძლიერდებოდეს. იგი არა მარტო ავითარებს შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალას კაპიტალისტისთვის, და არა მუშისთვის, არამედ ის ავითარებს მას ინდივიდუალური მუშის დამახინჯების გზით. იგი შრომაზე კაპიტალისტ ბატონობის ახალ პირობებს ქმნის. ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, იგი საზოგადოების ეკონომიურად ჩამოყალიბების პროცესში ისტორიულ პროგრესს და განვითარების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, მეორე მხრივ, იგი ცივილიზებული და გაქნილი ექსპლოატაციის საშუალებაა.

პოლიტიკური ეკონომია, რომელიც საკუთრივ მეცნიერებად პირველად მანუფაქტურულ პერიოდში გვევლინება, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას საერთოდ განიხილავს მხოლოდ შრომის მანუფაქტურული დანაწილების თვალსაზრისით⁷⁶, ე. ი. როგორც საშუალებას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შრომის იმავე რაოდენობით მეტი საქონელი დამზადდეს, მაშასადამე, გაიადფდეს საქონელი და დაჩქარდეს კაპიტალის დაგროვება. საქმის რაოდენობრივი მხარისა და საცვლელი ღირებულების ასეთი ხაზგასმის სრულიად საპირისპიროდ ძველი კლასიკური ქვეყნის მწერლები მხოლოდ და მხოლოდ თვისებრივ მხარეს და სახმარ ღირებულებას აქცევდნენ ყურადღებას⁷⁷. საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგებად

⁷⁶ უფრო ძველი მწერლები, როგორცაა პეტი, ანონიმური ავტორი «Advantages of the East-India Trade»-ისა და სხვ., უფრო გარკვევით აღნიშნავენ მანუფაქტურული შრომის დანაწილების კაპიტალისტურ ხასიათს, ვიდრე ა. სმიტი.

⁷⁷ ახალი დროის მწერალთა შორის გამონაკლისს შეადგენს მე-18 საუკუნის ბოგეირთი მწერალი, რომელიც შრომის დანაწილების საკითხში თითქმის მხოლოდ ძველი მწერლების აზრებს იმეორებს. ასეთებია, მაგალითად, ბეკარია და ჯემს ჰარისი. ბეკარია ამბობს: «ყოველმა ადამიანმა საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ, თუ იგი თავის ფიზიკურ და გონებრივ ძალას ერთი და იმავე სახის სამუშაოს და ერთი და იმავე პროდუქტების დამზადებას ახმარს, მაშინ უფრო ადვილად აღწევს უფრო მნიშვნელოვან და უკეთეს შედეგებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ადამიანი მისთვის საჭირო ყველა საგანს თვითონვე დაამზადებდა... ამრიგად, როგორც საერთო, ისე თავიანთი საკუთარი სარგებლობის ინტერესებისათვის ადამიანები დაყოფილი არიან სხვადასხვა კლასად და წოდებად» (Cesare Beccaria: «Elementi di Economia Publica», გამოც. Custodi, Parte Moderna, ტ. XI, გვ. 28). ჯემს ჰარისი, შემდეგში გრაფი ნალმსბერი, ცნობილი თავისი «Diaries»-ით [«ღლიურებითა»] პეტერბურგში მისი ფიზიკის შესახებ, თვითონვე ამბობს ერთ შენიშვნაში, რომელსაც იგი უკეთებს თავის «Dialogus concerning Happiness»-ს, London 1741, (შემდეგ გადაბეჭდილი იყო «Three Treatises etc.»-ში, მე-3 გამოც., London 1772): «მთელი დასაბუთება იმ დებულებისა, რომ საზოგადოება ბუნებრივი რამ არის (სახელდობრ, დასაბუთება, რომელიც ხელობათა დანაწილებისა პრინციპზეა დამყარებული)... ჩემ მიერ ამოღებულია პლატონის «რესპუბლიკის» მეორე წიგნიდან».

დაყოფის გამო საქონელი უკეთ მზადდება; ადამიანის სხედასხვა მიღრეკილება და ტალანტი შესაფერ სამოქმედო სფეროს ირჩევს⁷⁸, ხოლო ამ სფეროს შეუზღუდველად შეუძლებელია სადმე რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა⁷⁹. მაშასადამე, შრომის დანაწილების მეოხებით უმჯობესდება პროდუქტიც და მისი მწარმოებელიც. თუ ანტიკური ქვეყნის მწერლები ხანდახან პროდუქტების მასის ზრდასაც იხსენიებენ, ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ სახმარი ღირებულების სიუხვეს გულისხმობენ. არც ერთი სიტყვით არა აქვთ მათ ნახსენები საცვლელი ღირებულება და საქონლის გაიაფება. სახმარი ღირებულების ამ თვალსაზრისს საეცებით შეუპყრია როგორც პლატონი⁸⁰, რომელიც შრომის დანაწილებაში ხედავს საზოგადოების

⁷⁸ ასე, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ ოდისეაში, თავი XIV, ტაეპი 228: «*Ἄλλος γὰρ τ' ἄλλοισιν διὴν ἐπιτέρεται ἔργους*» [ადამიანები ერთნაირი როდი არიან; ზოგს ერთი საქმე მოსწონს, ზოგს მეორე], სექსტოს ემპირიკოსის არქილოქე კი ამბობს «*Ἄλλος ἄλλῃ ἐπ' ἔργῳ καρδίην ἰσίνεσται*» [ერთი ადამიანის გულს ერთი საქმე ახარებს, მეორისას — მეორე].

⁷⁹ «*Πολλ' ἡπιστάτο ἔργα, καθὼς δ' ἡπίστατο πάντα*» [მან ბევრი საქმე იცოდა, მაგრამ სუყველა ცუდადა]. ათენელი, როგორც საქონელმწარმოებელი, უპირატესობას გრძნობდა სპარტელთან შედარებით, რადგან ამ უკანასკნელს ომის საჭიროებისათვის თავის განკარგულებაში ადამიანები კი ჰყავდა, მაგრამ ფული არ გააჩნდა. და სწორედ ამას ალაპარაკებს თუკიდიდე პერიკლეს იმ სიტყვაში, რომლითაც იგი ათენელებს მიმართავს და პელოპონესის ომისაკენ მოუწოდებს: «*Σάσαισι τε εἰσοιστέοισι οἱ αἰτουσῆσι τῶν δι' ἑμῶν ἢ χρεῖμασι πολεμεῖν*» [საკუთარი მოხმარებისთვის მწარმოებელი ომში საკუთარ სხეულს უფრო ადვილად გაინეტებენ, ვიდრე ფულს:] (თუკიდიდე, წიგნი I, განყოფ. 141). მიუხედავად ამისა, ათენელების იდეალი იყო, მატერიალურ წარმოებაშიც კი, *ἀσταιχία* [აუჭარაკია], რომელიც ეწინააღმდეგება შრომის დანაწილებას: «*παρ' ἃν γὰρ τὸ εἶ, παρὰ τούτων καὶ τὸ ἀσταιχῆς*» [საიდანაც კეთილდღეობა წარმოიშვება, იქიდან წარმოდგება დამოუკიდებლობაც]. ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ 30 ტირანის დამხობის ეპოქაშიც კი 5 000 ათენელიც არ მოიპოვებოდა, რომელთაც მიწის საკუთრება არ ჰქონოდათ.

⁸⁰ შრომის დანაწილება თვისი შიგნით პლატონს გამოჰყავს მოთხოვნილებათა მრავალმხრივობისა და ინდივიდების ნიჭთა ცალმხრივობიდან. მისი ძირითადი დებულება ისაა, რომ მუშა უნდა ვგუებოდეს საქმეს და არა საქმე მუშას; ეს უკანასკნელი კი აუცილებელია, როდესაც მუშა ერთსა და იმავე დროს სხედასხვა ხელობას მისდევს, ე. ი. როდესაც ესა თუ ის საქმე მისთვის მეორეხარისხოვანია. «*Ὁσ γὰρ... ἐπέλει τὸ πραττέμεῖον τῆν τὸν πράττειντος ὁσλήν περιμέμεῖν, ἀλλ' ἀνέγκη τὸν πράττειντα τῆν πραττομένην ἐπακολουθεῖν μὴ ἔν περιεργῶν μέρεν.* — *Ἀνέγκη. — Ἐκ βῆ τούτων πλείων τε ἔκαστα γίγνεται καὶ ἄλλοισιν καὶ ἄλλοις ἑαυτὸν εἰς ἕν κατὰ φύσιν καὶ ἕν καίρεν ὁσλήν τῶν ἄλλων ἄγει, πρᾶττει*» [ვიხილიდან საქმე მწარმოებლის მოცულობას კი არ უნდა ელოდებოდეს, არამედ მწარმოებელი საქმეს ბეჯითად უნდა ასრულებდეს და არა სხვანა შორის. — ეს აუცილებელია. — მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ როდესაც ადამიანი მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებს, რომელიც მის ნიჭს შეეფერება, ამასთანავე

წოდებებად დაყოფის საფუძველს, ისე ქსენოფონტიც⁸¹, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ბურჟუაზიული ინსტინქტით უკვე უფრო უახლოვდება შრომის დანაწილების პრინციპს სახელოსნოს შიგნით. პლატონის რესპუბლიკა, რამდენადაც მასში შრომის დანაწილება სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ პრინციპად არის აღიარებული, მხოლოდ ეგვიპტის კასტური წყობილების ათენური იდეალიზაციაა; ეგვიპტე სამრეწველო ქვეყნის ნიმუშად ითვლებოდა პლატონის თანა-

თავის დროზე და ისე, რომ სხვა სამუშაო ხელს არ უშლის, მაშინ ყველაფერი უფრო ადვილად, უზად და კარგად მზადდება» (*«Respublica», წიგნი I, გამოც. მე-2, Bailler, Orulli etc.*). ამის მსგავს აზრებს გამოთქვამს თუკიდიდე, წიგნი I, განყოფ. 142: «სახლავო საქმე ისეთივე ხელოვნებაა როგორც ყოველივე სხვა; ამიტომ მისი სხვათა შორის, როგორც მეორეხარისხოვანი საკმის, შესრულება შეუძლებელია. პირიქით, მის გვერდით ყველა სხვა საქმე მეორეხარისხოვანი უნდა იყოს. საქმემ რომ მწარმებელს უტანდეს, ამბობს პლატონი, მაშინ ხშირად წარმოების კრიტიკული მომენტი გამოგვჩნდება და ნაწარმიც გაფუჭდება, *«ἐργὸν καὶ τὸν ἀδίκλητον»* [«შრომის შედეგი დაიღუპება»]. ამვე პლატონისებურ იდეას ჩვენ ვხვდებით სამთეთრებულების ინგლისელ მესაკუთრეთა პროტესტში საფაბრიკო აქტის იმ მუხლის წინააღმდეგ, რომელიც ყველა მუშისთვის გარკვეულ საათს აწესებს საკმლის მისაღებად. მათი საქმე მუშებს ვერ შეეგუება, რადგანაც «არც ერთი ოპერაცია, როგორცაა გამოხარუვა, გამორეცხვა, გათეთრება, დაჯანდვრა, გაპრიალება და შეღებვა, არ შეიძლება წარმოების დაუსრულებლად შეჩერებულ იქნას განსაზღვრულ მომენტში... ყველა მუშისთვის ერთი და იმავე სასაღილო საათის სავალდებულო დაწესებით შეიძლება ზოგიერთი ძვირფასი საქონელი გაფუჭდეს ამა თუ იმ ოპერაციის დაუმთავრებლობის გამო». *Le platonisme ou va-t-il se nicher!* [სად არ ამოყოფს თავს პლატონიზმი!]

⁸¹ ქსენოფონტი გვიამბობს, სპარსეთის მეფის სუფრახზე საკმლის მიღება არა მარტო სასახლეოა, არამედ გარდა ამისა ეს საკმელი სხვასთან შედარებით გაცილებით უფრო გემრიელიცააო. «და ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან, მსგავსად იმისა, როგორც ყველა სხვა ხელოვნება დიდ ქალაქებში განსაკუთრებით სრულყოფილია, ასევე საკმელიც მეფის სასახლეში სრულიად განსაკუთრებულად მზადდება. პატარა ქალაქებში ერთი და იგივე კაცი საწოლსაც აკეთებს, კარებსაც, გუთანსაც და მაგიდასაც: ამას გარდა ხანდახან იგი სახლებსაც აშენებს და ძალიან კმაყოფილია, თუ თავის სარჩენად საკმაოდ აკვეთას შოულობს. სრულიად შეუძლებელია, რომ ადამიანი, რომელიც ამდენ სხვადასხვა საქმეს ჰკიდებს ხელს, ყველაფერი კარგად გააკეთოს. მაგრამ დიდ ქალაქებში, სადაც ყოველი ხელოსანი მრავალ მყიდველს პოულობს, ერთი ხელობაც საკმარისია თავის სარჩენად. ხშირად ერთ ადამიანს რაიმე ხელობის მთლიანად ცოდნაც კი არ სჭირდება, მაგალითად, ერთი აკეთებს მხოლოდ მამაკაცის ფეხსაცმელს, მეორე მხოლოდ დედაკაცისას. ზოგან ერთი მხოლოდ ფეხსაცმელს კერავს, მეორე ტყუას გამოკრის; ერთი მხოლოდ გამოკრის ტანისამოსს, მეორე მხოლოდ აერთებს მატერის სხვადასხვა ნაჭერს. აუცილებლად ასეა, რომ ვინც უმარტივეს სამუშაოს ასრულებს, იგი მას უქველად საუკეთესოდ ასრულებს. ასევე ითქმის სამხარეულო ხელოვნებებზე» (*Xenophon: «Cyropaedica», წიგნი VIII, თავი 2*). აქ ყურადღება ექცევა სახმარი ღირებულების მარტოოდენ ხარისხს, თუმცა უკვე ქსენოფონტემ იცის, რომ შრომის დანაწილების მასშტაბი ბაზრის მოცულობაზეა დამოკიდებული.

მედროვე სხვა მწერლებისთვისაც, მაგალითად, იზოკრატესთვის⁸², და ეს მნიშვნელობა შეინარჩუნა მან რომის იმპერიისდროინდელი პერძნებისთვისაც⁸³.

საკუთრივ მანუფაქტურის პერიოდში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც მანუფაქტურა კაპიტალისტური წარმოების წესის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, მისი დამახასიათებელი ტენდენციების სრული განხორციელება მრავალნაირ დაბრკოლებას აწყდება. თუმცა მანუფაქტურა, როგორც დავინახეთ, მუშების იერარქიულ დანაწილებასთან ერთად ქმნის მათ უბრალო დაყოფას დახელოვნებულ და დაუხელოვნებელ მუშებად, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი პირველთა გადამძლევი მნიშვნელობის გამო ძლიერ შეზღუდულია. თუმცა მანუფაქტურა ცალკე ოპერაციებს თავისი ცოცხალი სამუშაო ორგანოების მომწიფების, ძალისა და განვითარების სხვადასხვა დონეს უფარდებს და, მაშასადამე, გზას უხსნის ქალების და ბავშვების მწარმოებლურ ექსპლოატაციას. მაგრამ ეს ტენდენცია საერთოდ და მთლიანად მარცხდება მუშა-მამაკაცების ზნე-ჩვეულებათა და წინააღმდეგობის გამო. თუმცა ხელოსნური საქმიანობის დაშლა ამცირებს მუშების მომზადების ხარჯებს და, მაშასადამე, მუშაძალის ღირებულებასაც, მიუხედავად ამისა, უფრო ძნელი ნაწილობრივი სამუშაოს შესწავლას ხანგრძლივი დრო სჭირდება, და იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელი საჭირო არ არის, მუშები მას თავგამოდებით იცავენ. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ ინგლისში laws of apprenticeship-ი [კანონები შეგირდობის შესახებ] მათი შეიღწეიანი სწავლების ვადით სრულ ძალაში იყო მანუფაქტურული პერიოდის დამლევამდე] და ისინი მხოლოდ მსხვილმა მრეწველობამ მოსპო. რადგან ხელოსნური დახელოვნება მანუფაქტურის საფუძვლად რჩება და იქ მოქმედი

⁸² «მან (ბუზირისმა) ყველანი სხვადასხვა კასტებად დაყო... ბრძანება გასცა, რომ ერთი და იგივე ადამიანი მუდამ ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდეს, რადგან იცოდა, რომ ვინც ხელობას ზმირად იცვლის, არც ერთ საქმეს საფუძვლიანად არ აკეთებს; ხოლო ვინც მუდამ ერთსა და იმავე ხელობაზეა, თავის საქმეს საუკეთესოდ ასრულებს. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ეგვიპტელებმა ხელოვნებისა და ხელოსნობის დარგში თავიანთ მუტუაქეებს უფრო მეტად გადააპარბეს, ვიდრე აპარბეს ოსტატი გაუწრთუნელ მუშას, და შექმნეს იმდენად სრულყოფილი დაწესებულებანი მეფის ძალაუფლების და სახელმწიფოებრივი წყობილების დასაცავად, რომ სახელგანთქმული ფილოსოფოსები, რომელნიც ამ საკითხს ეხებიათ, ეგვიპტის სახელმწიფოებრივ წყობილებას უფრო აქებენ, ვიდრე რომელიმე სხვას» (Isocrat. «Busiris», თავი 8).

⁸³ შეად. Diodorus Siculus [«Diodor's v. Sicilien Historische Bibliothek», წიგნი I, 1831 წ.].

ერთობლივი მექანიზმი მოკლებულია თვით მუშებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ჩონჩხს, ამიტომ კაპიტალს მუდამ მუშების ურჩობასთან უხდება ბრძოლა. ადამიანის ბუნების სუსტი მხარე ისეთია, — ამბობს ჩვენი მეგობარი იური, — რომ, რაც უფრო დახელოვნებულია მუშა, მით უფრო თვითნებაა იგი და მით უფრო ძნელია მისი დამორჩილება და, მაშასადამე, მით უფრო დიდ ზიანს აყენებს იგი თავისი ახირებული თვითნებობით ერთობლივ მექანიზმს⁸⁴. ამიტომ მთელი მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში გაისმის ჩივილი მუშების უდისციპლინობაზე⁸⁵. იმ დროის მწერლებიც რომ არ მოწმობდნენ ამას, ის უბრალო ფაქტებიც, რომ მე-16 საუკუნიდან დაწყებული მსხვილი მრეწველობის ეპოქამდე კაპიტალი ვერ ახერხებს მანუფაქტურის მუშის განკარგულებაში მყოფი მთელი სამუშაო დროის დაუფლებას, და რომ მანუფაქტურას საერთოდ ხანმოკლე არსებობა აქვს და მუშების იმიგრაცია-ემიგრაციასთან ერთად იგი ტოვებს თავის ადგილსამყოფელს ერთ მხარეში, რათა მეორეში აღორძინდეს, — უკვე ეს ფაქტები მეტს მეტყველებენ, ვიდრე მთელი ბიბლიოთეკები. «წესრიგი ამა თუ იმ სახით უნდა დამყარდეს», გაიძახის 1770 წელს ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული «Essay on Trade and Commerce»-ის ავტორი. «წესრიგი», — იმეორებს 66 წლის შემდეგ დ-რ ენდრიუ იური, — «წესრიგი» აკლდა მანუფაქტურას, რომელიც «შრომის დანაწილების სქოლასტიკურ დოგმაზე» იყო დამყარებული, და ეს «წესრიგი არკრაიტმა შექმნა».

ამასთანავე მანუფაქტურას არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების დაპყრობა მთელი მისი მოცულობით და არც მისი ძირფესვიანად გადატრიალება. იგი აღმართული იყო როგორც ეკონომიური ხელოვნების ქმნილება საქალაქო ხელოსნობისა და სასოფლო შინამრეწველობის ფართო საფუძველზე. განვითარების გარკვეულ საფეხურზე მისი საკუთარი ვიწრო ტექნიკური ბაზისი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მის მიერვე შექმნილ წარმოების მოთხოვნილებებთან.

მანუფაქტურის ერთ-ერთ ყველაზე სრულ ქმნილებას შეადგენდა ის სახელოსნო, სადაც თვით შრომის იარაღები იწარმოებოდა, განსაკუთრებით კი, უფრო რთული მექანიკური აპარატები, რომელთაც მაშინ უკვე იყენებდნენ. «ასეთი სახელოსნო, — ამბობს იური, — წარმოადგენდა შრომის დანაწილების სურათს მისი მრავალი საფე-

⁸⁴ Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 20.

⁸⁵ ტექსტში ნათქვამი ინგლისის უფრო მეტად შეეხება, ვიდრე საფრანგეთს, და საფრანგეთს უფრო მეტად, ვიდრე ჰოლანდიას.

ხურით. ბურღს, საჭრელს, სახარატო დაზგას თავ-თავისი საკუთარი მუშები ჰყავდა, იერარქიულად დანაწილებულნი მათი დახელოვნების ხარისხის მიხედვითა. შრომის მანუფაქტურული დანაწილების ამ პროდუქტმა, თავის მხრივ, მანქანები წარმოშვა. მანქანებმა გააუქმეს ხელოსნური შრომა როგორც საზოგადოებრივი წარმოების მომწესრიგებელი პრინციპი. ამრიგად, ერთი მხრივ, ისპობა ტექნიკური საფუძველი მუშის სამუდამო მიჯაჭვისა ერთსა და იმავე ნაწილობრივ ფუნქციაზე. მეორე მხრივ, ირღვევა ის ზღუდეები, რომლითაც ეს პრინციპი ჯერ კიდევ აფერხებდა კაპიტალის ბატონობას.

თავი მეცამეტი

მანქანები და მსხვილი მრეწველობა

1. მანქანების განვითარება

ჯონ სტიუარტ მილი თავის აპოლიტიკური ეკონომიის პრინციპებში⁸⁶ ამბობს: «საეკუა, ყველა დღემდე მომხდარ მექანიკურ გამოგონებას თუნდაც ერთი რომელიმე ადამიანის დღიური ჯაფა შეემსუბუქებინოს»⁸⁶. მაგრამ ეს არც შეადგენს კაპიტალისტურად გამოყენებული მანქანების მიზანს. შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების ყველა სხვა მეთოდის მსგავსად, მანქანამ უნდა გააიფოს საქონელი და შეამციროს სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელსაც მუშა საკუთარი თავისთვის იყენებს, რათა გააგრძელოს სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელსაც მუშა მუქთად აძლევს კაპიტალისტს. მანქანა საშუალებაა ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად.

წარმოების წესის გადატრიალების ამოსავალ პუნქტს მანუფაქტურაში სამუშაო ძალა შეადგენს, ხოლო მსხვილ მრეწველობაში — შრომის საშუალება. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გადაიქცა შრომის საშუალება იარაღიდან მანქანად, ანუ რით განსხვავდება მანქანა ხელოსნის ინსტრუმენტისაგან. რასაკვირველია, აქ ლაპარაკია მხოლოდ ფართო ხასიათის ზოგად დამახასიათებელ ნიშნებზე, რადგან ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ეპოქებს შორის აბსტრაქტულად-მტკიცე გამმიჯვნილი ხაზები ისევე არ არსებობს, როგორც დედამიწის ისტორიის ეპოქებს შორის.

მათემატიკოსები და მექანიკოსები — და ამას იმეორებს ზოგიერთი ინგლისელი ეკონომისტიც — ამბობენ, იარაღი მარტივი მანქანაა, მანქანა კი რთული იარაღიაო. ისინი მათ შორის ვერაუთარ არსებითს განსხვავებას ვერ ხედავენ და მანქანას უწოდებენ ისეთ მარტივ მექანიკურ საშუალებებსაც, როგორცაა ბერკეტი, დახრილი სიბრტყე,

⁸⁶ მილს უნდა ეთქვა: «თუნდაც ერთი რომელიმე ადამიანის, ვინც სხვისი შრომით არ ცხოვრობსო», რადგან, უეჭველია, მანქანამ წარჩინებული მუქთახორების რიცხვი აალიან გაამრავლა.

ხრახნილი, სოლი და სხვა⁸⁷. და მართლაც, თვითეული მანქანა ასეთი მარტივი საშუალებებისაგან შედგება, როგორც უნდა იყოს მათი გარეგნული სახის შეცვლა და კომბინირება. მაგრამ ეკონომიური თვალსაზრისით ეს ახსნა-განმარტება სრულიად არ ვარგა, რადგან იგი მოკლებულია ისტორიულ ელემენტს. მეორე მხრივ, იარაღსა და მანქანას შორის განსხვავებას იმაში ეძებენ, რომ იარაღის მამოძრავებელი ძალაა ადამიანი, მანქანისა კი — ადამიანის ძალისაგან განსხვავებული ბუნების ძალა, მაგალითად, ცხოველი, წყალი, ქარი და სხვ.⁸⁸ მაგრამ ამ განმარტების მიხედვით ხარებშემბული გუთანი, რომელიც წარმოების სრულიად სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის, მანქანა იქნებოდა, ხოლო Claussen's circular loom-ი [კლაუსენის მრგვალი საფეიქრო დაზგა], რომელიც ერთი მუშის ხელს მოჰყავს მოძრაობაში და 96 000 ყულფს აკეთებს წუთში, — უბრალო იარაღი. კიდევ მეტიც: იგივე loom-ი [საფეიქრო დაზგა] იარაღი იქნებოდა, თუ მას ხელი ამოძრავებს, და მანქანა იქნებოდა, თუ მას ორთქლი ამოძრავებს. რადგან ცხოველის ძალის გამოყენება კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი გამოგონებაა, ამიტომ გამოდის, რომ მანქანური წარმოება თითქოს წინ უძღოდა ხელოსნურ წარმოებას. როდესაც 1735 წელს ჯონ უაიეტმა ქვეყანას ამცნო თავისი სართავი მანქანის გამოგონება და ამასთან ერთად მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციაც, მას კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ ამ მანქანას ადამიანის ნაცვლად ვირი ამოძრავებდა, და, მიუხედავად ამისა, ეს როლი მაინც ვირს ხედა წილად. მანქანა იმისთვისაა, «რომ უთითებოდ რთავდეს», ამბობდა მისი პროგრამა⁸⁹.

⁸⁷ იხ., მაგალითად, H u t t o n: «Course of Mathematics» [London 1841 — 1843, ტ. I — II].

⁸⁸ ამ თვალსაზრისით შეიძლება აგრეთვე მკვეთრი საზღვრის გავლება იარაღსა და მანქანას შორის: ბარი, ჩაქუჩი, სატეხი და სხვ., ბერკეტები და ხრახნილები, რომელთა მამოძრავებელ ძალას, — რაგინდ ოსტატურადაც იყვნენ ისინი ნაკეთები, — ადამიანი შეადგენს... ყველა ეს იარაღის ტიპების ფარგალში შედის; მაშინ როდესაც გუთანი მისი მამოძრავებელი ცხოველური ძალით, ქარისა და სხვ. წისქვილები მანქანებში უნდა ჩაირიცხოს» (Wilhelm Schulz: «Die Bewegung der Produktion». Zürich 1843, გვ. 38). ეს თხზულება ერთგვარად ქების ღირსია.

⁸⁹ მასზე ადრეც უკვე ხმარობდნენ სართავ მანქანებს, თუმცა ძალიან განუვითარებელს, ალბათ, ყველაზე ადრე იტალიაში. საერთოდ ტექნოლოგიის კრიტიკული ისტორია დაგვიმტკიცებდა, თუ რაოდენ ნაკლებად ეკუთვნის ერთ რომელსამე ცალკეულ პიროვნებას მე-18 საუკუნის ესა თუ ის გამოგონება. მაგრამ დღემდე ასეთი შრომა არ არსებობს. დარვიწნა ყურადღება მიაპყრო ბუნებრივი ტექნოლოგიის ისტორიას, ფ. ი. მცენარეთა და ცხოველთა იმ ორგანოების წარმოქმნას, რომლებიც მათი

ყოველი განვითარებული მანქანური მოწყობილობა შედგება სამი არსებითად სხვადასხვა ნაწილისაგან: მანქანა-ძრავისაგან, გადამცემი მექანიზმისაგან და, ბოლოს, მანქანა-იარაღისაგან, ანუ სამუშაო მანქანისაგან. მანქანა-ძრავა მოქმედებს როგორც მთელი მექანიზმის მამოძრავებელი ძალა. იგი თვითონ წარმოშობს თავის საკუთარ ძრავძალას, როგორც, მაგალითად, ორთქლის მანქანა, კალორიული მანქანა, ელექტრო-მაგნეტური მანქანა და სხვა, ანდა იმპულსს იღებს გარედან, ბუნების რომელიმე ძალისაგან, როგორც, მაგალითად, წყლის ბორბალი — ვარდნილი წყლისაგან, ქარის წისქვილის ფრთები — ქარისაგან და სხვა. გადამცემი მექანიზმი, რომელიც მქნევარა თვლების, მოძრავი ლილვების, ებილა თვლებისა, ექსცენტრიკების, ლეროების, თასმების, ლევების, შუალედი ნაწილებისა და სხვადასხვაგვარი მოწყობილობისაგან შედგება, აწესრიგებს მოძრაობას, ცვლის, სადაც ეს საჭიროა, მის ფორმას, — მაგალითად, პერპენდიკულარულ ფორმას წრიულ ფორმად გარდაქმნის, — ანაწილებს მოძრაობას და გადააქვს იგი სამუშაო მანქანებზე. მექანიზმის ორივე ეს ნაწილი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სამუშაო მანქანა მოძრაობაში მოიყვანოს, რის მეოხებითაც ეს უკანასკნელი შრომის საგანს ჩაიჭერს და მიზანშეწონილად შეცვლის მას. მანქანის სწორედ ეს ნაწილი, სამუშაო მანქანა, მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის ამოსავალი პუნქტია. იგი ახლაც მუდამ ამოსავალი პუნქტია

სიცოცხლისათვის წარმოების ორგანოების როლს ასრულებენ. განა ასეთივე ყურადღების ღირსი არ არის საზოგადოებრივი ადამიანის მწარმოებლური ორგანოების შექმნის ისტორია, ყოველი განსაკუთრებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამ მატერიალური ბაზისის შექმნის ისტორია? და განა ასეთი ისტორიის დაწერა უფრო ადვილი არ იქნებოდა, ვინაიდან, როგორც ვიკო ამბობს, კაცობრიობის ისტორია იმით განირჩევა ბუნების ისტორიისაგან, რომ პირველი შექმნილია ჩვენ მიერ და მეორე კი — არა? ტუქნოლოგია ამჟღავნებს ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, მისი ცხოვრების უშუალო წარმოების პროცესს და ამით მისი ცხოვრების საზოგადოებრივ ურთიერთობათა და მათგან გამომდინარე გონებრივ წარმოდგენათა წარმოების პროცესსაც. რელიგიის ყოველი ისტორიაც კი, რომელიც აბსტრაქტულია ამ მატერიალური ბაზისისაგან, — უკრიტიკოა. სინამდვილეში ბევრად უფრო ადვილია ანალიზის საშუალებით ბუნდოვან რელიგიურ წარმოდგენებში მიწიერი რაობა დაინახო, ვიდრე, პირიქით, — რეალური ცხოვრების არსებული ურთიერთობიდან მისი შესაბამისი რელიგიური ფორმები გამოიყვანო. უკანასკნელი მეთოდი ვრთადერთი მატერიალისტური და, მაშასადამე, მეცნიერული მეთოდია. ნაკლი აბსტრაქტული ბუნებისმეცნიერული მატერიალიზმისა, რომელიც ისტორიულ პროცესს გამორიცხავს, უკვე გამოსკვივის მის მიმდევართა აბსტრაქტულ და იდეოლოგიურ წარმოდგენებში, როგორც კი ისინი თავიანთი სპეციალობის საზღვრებს სცილდებიან.

ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხელოსნური ან მანუფაქტურული წარმოება მანქანურ წარმოებად იქცევა.

თუ მანქანა-იარაღს, ანუ საკუთრივ სამუშაო მანქანას, ახლო დავაკვირდებით, ჩვენ მასში აღმოვაჩინთ საერთოდ და მთლიანად იმავე აპარატებსა და იარაღებს, თუმცა ხშირად ძალიან გადასხვაფერებულთ, რომლებითაც ხელოსანი და მანუფაქტურის მუშა მუშაობს, მაგრამ ახლა ისინი წარმოადგენენ არა ადამიანის იარაღებს, არამედ მექანიზმის იარაღებს, ანუ მექანიკურ იარაღებს. ან მთელი მანქანა მხოლოდ ძველი ხელოსნური ინსტრუმენტის ცოტად თუ ბევრად შეცვლილ მექანიკურ გამოცემას წარმოადგენს, — მაგალითად, მექანიკური საფეიქრო დაზგა⁹⁰, — ანდა სამუშაო მანქანის ტანზე მორგებული მოქმედი ორგანოები ჩვენი ძველი ნაცნობებია, მაგალითად: თითისტრები — სართავი მანქანისა, ჩხირები — წინდის საქსოვი მანქანისა, ხერხები — ხე-ტყის სახერხი მანქანისა, დანები — საქრელი მანქანისა და სხვა. ამ იარაღების განსხვავება სამუშაო მანქანის საკუთრივ სხეულისაგან ისე შორს მიდის, რომ იგი მათს წარმოშობაშიც "კი მკვლავნდება. სახელდობრ, ამ სამუშაო იარაღებს მეტწილად დღესაც კიდევ ხელოსნური ან მანუფაქტურული წესით აწარმოებენ და შემდეგ მათ მანქანური წესით წარმოებულ სამუშაო მანქანის სხეულზე ამაგრებენ⁹¹. მაშასადამე, სამუშაო მანქანა ისეთი მექანიზმია, რომელიც სათანადო მოძრაობის მიღების შემდეგ თავისი იარაღებით იმავე ოპერაციებს ასრულებს, რასაც ტუწუნ მუშა ასრულებდა მსგავსი იარაღებით. საქმის დედაარსი სრულიად არ იცვლება იმით, თუ საიდან მომდინარეობს ეს მამოძრავებელი ძალა, — ადამიანიდან თუ ისევ მანქანიდან. მას შემდეგ, რაც საკუთრივ იარაღი ადამიანის ხელიდან მექანიზმზე გადავიდა, მანქანა უბრალო იარაღის ადგილს იჭერს. განსხვავება იარაღსა და მანქანას შორის ერთი შეხედვითვე თვალში გვეცემა, თუნდაც რომ თვით ადამიანი ჯერ კიდევ რჩებოდეს

⁹⁰ განსაკუთრებით მექანიკური საფეიქრო დაზგის პირვანდელ ფორმაში ერთი შეხედვითვე შეიძლება ამოვიცნოთ ძველებური საფეიქრო დაზგა. თავისი თანამედროვე ფორმით იგი არსებითად შეცვლილი გვევლინება.

⁹¹ მხოლოდ დაახლოებით 1850 წლიდან მხადდება ინგლისში მანქანური წესით სამუშაო მანქანებისთვის უფრო და უფრო დიდი ნაწილი იარაღებისა, თუმცა მათ აწარმოებენ არა ის მეფაბრიკენი, რომელნიც თვით მანქანებს ამზადებენ. ამგვარი მექანიკური იარაღების საწარმოებლად ხმარებული მანქანებია, მაგალითად, automatic bobbin making engine [ავტომატური მასრის მანქანა], card-setting engine [კარდ-ამწყობი მანქანა], მანქანები დგომის საწარმოებლად და მიულისა და ვატერის სართავი მანქანებისათვის თითისტართა დასამზადებლად.

პირველ ძრავად. რაოდენობა სამუშაო ინსტრუმენტებისა, რომლებითაც ადამიანს ერთსა და იმავე დროს შეუძლია იმოქმედოს, შეზღუდულია მისი ბუნებრივი საწარმოო ინსტრუმენტებით, მისი საკუთარი სხეულის ორგანოების რიცხვით. გერმანიაში ერთხელ სცადეს, რომ ერთ მრთველს ორი ჯარა ეტრიალებინა, მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს ორივე ხელით და ფეხით ემუშავნა. მაგრამ ეს მეტად დიდ დაძაბულობას მოითხოვდა. უფრო მოგვიანებით ორთითისტარიანი ჯარა გამოიგონეს, მაგრამ ისეთი ვირტუოზი-მრთველი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ორ ძაფს დაართავდა, თითქმის ისევე იშვიათი აღმოჩნდა, როგორც ორთავიანი ადამიანი. პირიქით, ჯენი [სართავი მანქანა] თავიდანვე 12—18 თითისტარზე რთავს, წინდების საქსოვი მანქანა ერთად რამდენიმე ათას ჩხირზე ქსოვს და სხვა. რიცხვი სამუშაო იარაღებისა, რომლებსაც იმავდროულად ამუშავებს ერთი და იგივე სამუშაო მანქანა, თავიდანვე თავისუფალია იმ ორგანული შეზღუდვისაგან, რომლითაც მუშის ხელოსნური იარაღი შემოიფარგლება.

მრავალ ხელოსნურ იარაღში განსხვავება ადამიანსა როგორც უბრალო მამოძრავებელ ძალასა და ადამიანსა როგორც ნამდვილ სამუშაოს შემსრულებელ მუშას შორის გრძობით აღქმად ფორმას ღებულობს. მაგალითად, ჯარაზე მუშაობის დროს ფეხი მოქმედებს მხოლოდ როგორც მამოძრავებელი ძალა, მაშინ როდესაც ხელი, რომელიც თითისტარზე მუშაობს, წიწავს და გრეხს ბამბას, ე. ი. საკუთრივ რთვის ოპერაციას ასრულებს. ხელოსნური ინსტრუმენტის სწორედ ამ უკანასკნელ ნაწილს სწვდება უწინარეს ყოვლისა სამრეწველო რევოლუცია, რომელიც ადამიანს, იმ ახალ შრომასთან ერთად, რაც მანქანაზე თვალყურის დაჭერასა და მისი შეცდომების თავისი ხელით გასწორებაში გამოიხატება, ჯერჯერობით კიდევ მამოძრავებელი ძალის წმინდა მექანიკური როლის ასრულებას უტოვებს. პირიქით, ზის იარაღები, რომლებზედაც ადამიანი იმთავითვე მოქმედებდა მხოლოდ როგორც მარტივი მამოძრავებელი ძალა, მაგალითად, ხელსაფქვეავის სახელურის დატრიალების დროს⁹², ტუმბოს ხმარების დროს, საბერვლის სახელურის აწევ-დაწვევის დროს, როდინში ნაყვის დროს და სხვ., — ეს იარაღები, მართალია, უწინარეს ყოვლისა იწვევენ ცხოველის, წყლისა და ქარის გამოყენებას მამოძ-

⁹² მსვე ეგვიპტელი ამბობს: «არა შეუკრა პირი ხარსა მღეწველსა». ქრისტიანი გერმანელი ფილანტროპები კი, პირიქით, ყმას, რომელსაც ხორბლის დაფქვის დროს მამოძრავებელ ძალად იყენებდნენ, კისერზე ხის დიდ რკალს უკეთებდნენ, რათა მას ხელით პირთან ფქვილი ვერ მიეტანა.

რავებელ ძალად⁹³. ნაწილობრივ მანუფაქტურულ პერიოდში, ცალკეულ შემთხვევებში კი უკვე უფრო ადრეც, ეს იარაღები მანქანებად ვითარდებიან, მაგრამ წარმოების წესში რევოლუციას ვერ ახდენენ. ის გარემოება, რომ ეს იარაღები თავიანთი ხელოსნური ფორმითაც კი უკვე მანქანებია, აშკარა ხდება მსხვილი მრეწველობის პერიოდში. ის ტუმბოები, მაგალითად, რომლებითაც ჰოლანდიელებმა 1836 — 1837 წლებში პარლემის ტბა ამოტუმბეს, აგებული იყო ჩვეულებრივი ტუმბოს პრინციპის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ დგუშები მოძრაობაში მოჰყავდათ არა ადამიანის ხელით, არამედ — უზარმაზარი ორთქლის მანქანებით. ჩვეულებრივ და მეტად არასრულყოფილ სამკედლოს საბერველს ინგლისში ახლაც კი ზოგჯერ მექანიკურ საბერველად გარდაქმნიან მარტოოდენ იმით, რომ მის სახელურს ორთქლის მანქანას შეუერთებენ. თვით ორთქლის მანქანასაც კი, რა სახითაც იგი გამოგონებული იყო მანუფაქტურულ პერიოდში მე-17 საუკუნის დამლევეს და განაგრძობდა არსებობას მე-18 საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისამდე⁹⁴, არავითარი სამრეწველო რევოლუცია არ გამოუწვევია. პირიქით, სწორედ სამუშაო მანქანების შექმნამ წარმოშვა აუცილებლობა იმისა, რომ ორთქლის მანქანაში რევოლუცია მომხდარიყო. როგორც კი ადამიანი, შრომის საგანზე სამუშაო იარაღით მოქმედების ნაცვლად, მხოლოდ მამოძრავებელი ძალის სახით იწყებს მოქმედებას სამუშაო მანქანაზე, მისი კუნთები მამოძრავებელი ძალის სრულიად შემთხვევითი სამოსელი ხდება და ამ სამოსლის ადგილი შეიძლება დაიკავოს ქარმა, წყალმა, ორთქლმა და სხვამ. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმას, რომ ასეთმა შენაცვლებამ შესაძლებელია ხშირად დიდი ტექნიკური ცვლილებებიც გამოიწვიოს

⁹³ ნაწილობრივ ბუნებრივ ჩანჩქერთა ნაკლებობამ და ნაწილობრივ ბრძოლამ მდგარი წყლის სიჭარბესთან აიძულა ჰოლანდიელები გამოეყენებინათ ქარი როგორც მამოძრავებელი ძალა. თვით ქარის წისქვილი ჰოლანდიელებმა გერმანიიდან გადაიღეს, სადაც ამ გამოგონებამ სერიოზული ბრძოლა გამოიწვია თავადაზნაურებსა, ხუცებსა და იმპერატორს შორის იმის გამო, თუ ქარი ამ სამთაგან ვის ეკუთვნისო. გერმანიაში ამბობდნენ, ჰერი ადამიანს სხვის საკუთრებად ხდისო (**Luft macht eigen**), მაშინ როდესაც ჰოლანდია სწორედ ქარმა გახადა თავისუფალი. აქ მან ჰოლანდიელი კი არ გახადა სხვის საკუთრებად, არამედ მიწა გადააქცია ჰოლანდიელთა საკუთრებად. ჯერ კიდევ 1836 წელს ჰოლანდიაში 6 000 ცხენძალის შემცველ 12 000 ქარის წისქვილს ამუშავებდნენ, რათა ამ ქვეყნის ორი მესამედი კვლავ ჰაობებად არ გადაქცეულიყო.

⁹⁴ თუმცა იგი დიდად გაუმჯობესებულ იქნა უატის მიერ მისი პირვანდელი ფრთოვანებული უბრალოდ მოქმედი ორთქლის მანქანის სახით, მაგრამ ამ ფორმით იგი დარჩა მხოლოდ უბრალო ამწვე მანქანად წყლისა და მარილის ხსნარისათვის. 30 კ. მარკსი. «კაპიტალი», ტ. I.

იმ მექანიზმში, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ადამიანის მამოძრავებელი ძალისთვის იყო აგებული. ამჟამად ყველა მანქანა, რომლებსაც ჯერ კიდევ გზის გაკვალვა სჭირდებათ, როგორც, მაგალითად, საკერავი მანქანა, პურის დამამზადებელი მანქანა და სხვ., თუ მათი დანიშნულება თავიდანვე არ გამოორიცხავს მცირე მასშტაბს, — ისეა აგებული, რომ მათთვის ერთნაირად გამოსაყენებელია როგორც ადამიანის, ისე წმინდა მექანიკური მამოძრავებელი ძალა.

მანქანა, საიდანაც სამრეწველო რევოლუცია მომდინარეობს, იჭერს მუშის ადგილს, რომელიც მხოლოდ ერთი იარაღით მუშაობს, იჭერს ისეთი მექანიზმით, რომელიც ერთბაშად ხმარობს ერთნაირი ან ერთგვაროვანი იარაღების მთელ მასას და მოძრაობაში მოდის ერთი მამოძრავებელი ძალის საშუალებით, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს ამ უკანასკნელის ფორმა⁹⁵. ჩვენ აქ გვაქვს მანქანა, მაგრამ ჯერ მხოლოდ როგორც მარტივი ელემენტი მანქანური წარმოებისა.

სამუშაო მანქანის მოცულობისა და მისი იმავდროულად მოქმედი იარაღების რიცხვის გადიდება უფრო დიდ მამოძრავებელ მექანიზმს მოითხოვს, და ეს მექანიზმი კი თავისი საკუთარი წინაღობის დასაძლევად უფრო მძლავრ ძრავძალას საჭიროებს, ვიდრე ადამიანის ძალა არის, — თუ არაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, რომ ადამიანი მეტად არასრულყოფილი იარაღია ერთფეროვანი და უწყვეტი მოძრაობის წარმოებისათვის. თუ, ნავარაუდევის თანახმად, ადამიანი მხოლოდ უბრალო მამოძრავებელი ძალის სახით მოქმედებს, მაშასადამე, მისი იარაღის ადგილი სამუშაო მანქანამ დაიჭირა, მაშინ შეიძლება მამოძრავებელი ძალის სახითაც შეენაცვლოს ადამიანს ბუნების ძალა. მანუფაქტურული პერიოდიდან გადმოცემულ ყველა დიდ მამოძრავებელ ძალთა შორის ცხენის ძალა ყველაზე უვარგისი იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ცხენს საკუთარი თავი აქვს, და ნაწილობრივაც იმიტომ, რომ იგი ძვირია და ფაბრიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია⁹⁶. მიუხედავად ამისა, მსხვილი მრეწველობის სიყრმის პერიოდში ცხენს მაინც ხშირად იყენებდნენ,

⁹⁵ ყველა ამ მარტივი ინსტრუმენტის შეერთება, რომელნიც ერთადერთი ძრავას საშუალებით მოძრაობენ, მანქანას წარმოადგენს (Babbage: «On the Economy of Machinery». London 1832 [გვ. 136]).

⁹⁶ 1861 წლის იანვარში ჯონ ჩ. მორტონმა მოსსენება წაიკითხა Society of Arts-ში [ბელონობათა საზოგადოებაში] იმითმოქმედებაში გამოყენებულ ძალთა შესახებ. ამ მოხსენებაში, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: «ყოველი გაუმჯობესება, რომელიც

რასაც მოწმობს, გარდა იმდროინდელი აგრონომების ჩივილისა, დღემდე დარჩენილი წესიც ყოველი მექანიკური ძალის გამოხატვისა ცხენძალით. ქარი ძალიან ცვალებადია და მისთვის კონტროლის გაწევა შეუძლებელია; გარდა ამისა წყლის ძალის გამოყენება ინგლისში, მსხვილი მრეწველების სამშობლოში, ძალიან გავრცელებული იყო უკვე მანუფაქტურულ პერიოდში. უკვე მე-17 საუკუნეში სცადეს წისქვილის ორი მბრუნავი დოლაბი და, მაშასადამე, ორი საფქვავი ერთი წყლის ბორბლით აემოძრავებინათ. მაგრამ გადამცემი მექანიზმის მოცულობის გადიდება კონფლიქტში მოექცა არასაკმაო წყალძალასთან, და ეს იყო ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც ხელი შეუწყო ხახუნის კანონთა უფრო ზუსტ გამოკვლევას. ასევე მამოძრავებელი ძალის არარეგულარულმა მოქმედებამ წისქვილებში, რომელნიც მოძრაობაში მოჰყავდათ მხრეულით დაკვრისა და წვეის საშუალებით, გამოიწვია მქნევარა ბორბლის თეორიისა და პრაქტიკული გამოყენების დამუშავება⁹⁷, რამაც შემდეგში ესოდენ დიდი როლი შეასრულა მსხვილ მრეწველობაში. ამნაირად განავითარა მანუფაქტურულმა პერიოდმა მსხვილი მრეწველობის პირველი მეცნიერული და

მიწის ნიადაგის ერთფეროვნებას ხელს უწყობს, გამოსადეგად ხდის ორთქლის მანქანას წმინდა მექანიკური ძალის მისაღებად... ცხენის ძალა იქ არის საჭირო, სადაც მრუდგზეულები და სხვაგვარი დაბრკოლებანი აფერხებენ ერთფეროვან მოქმედებას. ასეთი დაბრკოლებანი დღითი-დღე უფრო და უფრო ქრებან. იმ ოპერაციებში, რომელნიც მოითხოვენ ნებისყოფის უფრო მეტ გამოვლენას და ნაკლებ ფიზიკურ ძალას, მარტოდენ გამოსაყენებელია ძალა, რომელსაც ყოველ მომენტში ადამიანის გონება წარმართავს, მაშასადამე, ადამიანის ძალა. შემდეგ ბ-ნ მორტონს ორთქლის ძალა, ცხენის ძალა და ადამიანის ძალა დაჰყავს ჩვეულებრივ საზომ ერთეულზე, რომელიც ორთქლის მანქანებისთვის არის მიღებული, სახელდობრ დაჰყავს იმ ძალაზე, რომელსაც შეუძლია წუთში 33 000 გირვანქის აწევა ერთი ფუტის სიმაღლეზე, და თვითვე ორთქლის ცხენძალაზე შემდეგ ხარჯებს ანგარიშობს: ორთქლის მანქანის გამოყენების დროს — 3 პენსს, ხოლო ცხენის გამოყენების დროს — 5 $\frac{1}{2}$ პენსს საათში. შემდეგ, ცხენის სიჯანსაღე რომ შენარჩუნებული დარჩეს, მან დღეში მხოლოდ 8 საათი უნდა იმუშაოს. ორთქლის ძალის საშუალებით მიწის დამუშავებისას შეიძლება ცხენების რაოდენობა შემცირებულ იქნას მთელი წლის განმავლობაში ყოველ 7 ცხენზე სამით მაინც და ამავე დროს ორთქლის მანქანის ხარჯები არ აღემატება გამოკლებული ცხენების შესაწახ ხარჯებს იმ 3 — 4 თვის განმავლობაში, როდესაც მათ ნამდვილად ამუშავებენ. ბოლოს, იმ სამიწათმოქმედო ოპერაციების დროს, სადაც ორთქლის ძალის გამოყენება შესაძლებელია, ორთქლის ძალა, ცხენის ძალასთან შედარებით, აუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს. ორთქლის მანქანის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო იქნებოდა 66 მუშა საათში 15 შილინგის საერთო ხელფასით, ხოლო ცხენის სამუშაოს შესასრულებლად — 32 მუშა საათში 8 შილინგის საერთო ხელფასით.

⁹⁷ ფაულჰაბერი, 1625. დე კო, 1688.

ტექნიკური ელემენტები. არკრაიტის სართავი ვატერ-მანქანა იმთავითვე წყლის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში. მაგრამ წყლის ძალის გამოყენებაც უმთავრეს მამოძრავებელ ძალად სხვადასხვა დამაბრკოლებელ გარეწობასთან იყო დაკავშირებული. არ შეიძლებოდა სურვილისამებრ წყლის მომატება, არც მისი ნაკლებობის შევსება; ზოგჯერ იგი შრებოდა და, უწინარეს ყოვლისა, მას წმინდა ლოკალური ხასიათი ჰქონდა⁹⁸. მხოლოდ უატის მეორე მანქანის, ეგრეთწოდებული ორმაგად მოქმედი ორთქლის მანქანის, გამოგონებით გამონახულ იქნა პირველი ძრავა, რომელიც ნახშირისა და წყლის დახარჯვით თვითონვე ქმნის თავის მამოძრავებელ ძალას და რომლის ნოქმედება მთლიანად ადამიანის კონტროლს ექვემდებარება; ძრავა, რომელიც მოძრავია და თან საშუალებაც მიმოძრაობისა, რომელიც ქალაქური სისტემისაა და არა სოფლურისა, წყლის ბორბლისებრ, შესაძლებელს ხდის წარმოების კონცენტრაციას ქალაქებში, ნაცვლად იმისა, რომ დაქსაქსოს იგი სოფლებში, როგორც ამას წყლის ბორბალი იწვევდა⁹⁹; ბოლოს, ძრავას ტექნიკური გამოყენება უნივერსალური ხასიათისაა და მისი ადგილსამყოფელი შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული ამა თუ იმ ლოკალურ პირობებზე. უატის დიდი გენიოსობა ჩანს მის მიერ 1784 წლის აპრილში აღებული პატენტის დეტალური აღწერილობიდან, სადაც იგი გვისურათებს თავის ორთქლის მანქანას არა როგორც გამოგონებას განსაკუთრებული მიზნებისათვის, არამედ როგორც მსხვილი მრეწველობის უნივერსალურ ფაქტორს. იგი აღნიშნავს აქ ისეთ გამოყენებებს, რომელთაგან ზოგიერთი, მაგალითად, ორთქლის ურო, მხოლოდ ნახევარ საუკუნეზე უფრო მეტი ხნის შემდეგ იქნა შემოღებული. მაგრამ მას საეჭვოდ მიაჩნდა ორთქლის მანქანის გამოყენება საზღვაო ნაოსნობაში. მისმა მიმდევრებმა, ბოლტონმა და უატმა, 1851 წლის ლონდონის სამრეწველო გამოფენაზე გამოიტანეს უზარმაზარი ორთქლის მანქანა საოკეანო გემებისათვის.

⁹⁸ ტურბინების უახლესი გამოგონება წყლის ძალის სამრეწველო ექსპლოატაციას ბევრი უწინდელი შეზღუდვისაგან ათავისუფლებს.

⁹⁹ ტექსტილური მანუფაქტურის არსებობის პირველ ხანებში საწარმოს ადგილმდებარეობა დამოკიდებული იყო წყლის ისეთი ნაკადის არსებობაზე, რომლის ვარდნილობა საკმარისი იყო წყლის ბორბლის საბრუნებლად; და თუმცა წყლით მოძრავი ფაბრიკების გამართვა შინამრეწველური სისტემის დაშლის დასაწყისს მოასწავებდა, მაგრამ ეს ფაბრიკები, რომელნიც ძალუხნებურად მოთავსებული უნდა ყოფილიყვნენ წყლის ნაკადების გასწვრივ და ხშირად ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული იყვნენ, უფრო სოფლური სისტემის ნაწილს წარმოადგენდნენ, ვიდრე

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც იარაღები ადამიანის ორგანიზმის იარაღებიდან მექანიკური აპარატის — სამუშაო მანქანის — იარაღებად იქცა, მამოძრავებელმა მანქანამაც მიიღო დამოუკიდებელი ფორმა. სრულიად განთავისუფლებული იმ შეზღუდვათაგან, რომლებიც თან ახლავს ადამიანის ძალას. ამით ის ცალკეული სამუშაო მანქანა, რომელსაც ჩვენ აქამდე განვიხილავდით, მანქანური წარმოების უბრალო ელემენტის დონემდე დაქვეითდება. ერთ მანქანა-ძრავას ახლა შეუძლია ერთსა და იმავე დროს მრავალი სამუშაო მანქანა მოიყვანოს მოძრაობაში. იმავდროულად ამოძრავებულ სამუშაო მანქანათა რიცხვის გადიდებასთან ერთად იზრდება მანქანა-ძრავა და მასთან ერთად გადამცემი მექანიზმიც ფართოდ განშტოებულ აპარატად იქცევა.

ახლა ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი რამ: მრავალი ერთგვაროვანი მანქანის კოოპერაცია და მანქანათა სისტემა.

ერთ შემთხვევაში მთელ სამუშაოს ერთი და იგივე სამუშაო მანქანა ასრულებს. იგი ასრულებს ყველა იმ სხვადასხვა ოპერაციას, რომელსაც უწინ ერთი ხელოსანი ასრულებდა თავისი იარაღით, — მაგალითად, ფეიქარი საფეიქრო დაზგის საშუალებით, — ანდა რამდენიმე ხელოსანი რიგრიგობით ასრულებდა სხვადასხვა იარაღის საშუალებით, სულ ერთია, იყვნენ ისინი დამოუკიდებელი ხელოსნები თუ წევრნი ერთი და იმავე მანუფაქტურისა¹⁰⁰. მაგალითად, კონვერტების დამამზადებელ თანამედროვე მანუფაქტურაში ერთი მუშა კეცავდა ქალაქს საკეციტ, მეორე წებოს უსვამდა, მესამე გადაკეცავდა სფარველს, სადაც მონოგრამა უნდა დაბეჭდილიყო, მეოთხე ბეჭდავდა ამ მონოგრამას და სხვ., და ყოველი ამ ნაწილობრივი ოპერაციის

ქალაქურისა; მხოლოდ ორთქლის ძალის შემოღება, წყლის ძალის ნაცვლად, იწვევს ფაბრიკების თავმოყრას ქალაქებში და იმ ადგილებში, სადაც საკმაო რაოდენობით მოიპოვება ორთქლის წარმოებისათვის საჭირო წყალი და ნახშირი. ორთქლის მანქანა სამრეწველო ქალაქების დედაა (ა. რედგრეივი: «Reports of the Insp. of Fact. for 30th April 1860», გვ. 36).

¹⁰⁰ შრომის მანუფაქტურული დანაწილების თვალსაზრისით ფეიქრობა მარტივი კი არა, — პირიქით, რთული ხელოსნური შრომა იყო, და, ამრიგად, მექანიკური საფეიქრო დაზგა არის მანქანა, რომელიც სულ სხვადასხვაგვარ ოპერაციებს ასრულებს. საერთოდ მცდარია ის წარმოდგენა, თითქოს თანამედროვე მანქანები თავდაპირველად ისეთ ოპერაციებს ეფუძლებიან, რომლებიც შრომის მანუფაქტურულმა დანაწილებამ გაამარტივა. რთვა და ფეიქრობა მანუფაქტურულ პერიოდში ახალ სახეობებად დაიყო, სათანადო იარაღებმა გაუმჯობესება და ცვლილება განიცადეს, მაგრამ თვით შრომითი პროცესი, რომელიც სრულიად არ დანაწილებულა, ხელოსნური დარჩა. მანქანის ამოსავალი პუნქტია არა შრომა, არამედ — შრომის საშუალება.

შესასრულებლად თვითეული კონვერტი ხელიდან ხელში უნდა გადასულიყო. კონვერტების დამამზადებელი მარტო ერთი მანქანა ყველა ამ ოპერაციას ერთბაშად ასრულებს და საათში 3 000 კონვერტს და შეტსაც ამზადებს. ქალაქის პარკების დამამზადებელი ერთი ამერიკული მანქანა, რომელიც გამოტანილი იყო 1862 წლის ლონდონის სამრეწველო გამოფენაზე, ჭრის ქალაქს, უსვამს წებოს, კეცავს და ამზადებს წუთში 300 ცალს. ერთობლივ პროცესს, რომელიც მანუფაქტურაში დანაწილებული იყო და გარკვეული თანამიმდევრობით სრულდებოდა, აქ მხოლოდ ერთი სამუშაო მანქანა ასრულებს, რომელიც სხვადასხვა იარაღის კომბინაციის საშუალებით მოქმედებს. წარმოადგენს ასეთი სამუშაო მანქანა რომელიმე უფრო რთული ხელოსნური იარაღის მხოლოდ მექანიკურ კვლავწარმოქმნას, თუ სხვადასხვაგვარ, მანუფაქტურული წესით სპეციალიზებულ, მარტივ ინსტრუმენტთა კომბინაციას, — ფაბრიკაში, ე. ი. მანქანურ წარმოებაზე დამყარებულ სახელოსნოში, ყოველთვის კვლავ გვევლინება მარტივი კოოპერაცია, და ამასთან იგი (მხედველობაში არ ვიღებთ აქ მუშას) გვევლინება, უწინარეს ყოვლისა, როგორც სივრცეებრივი კონგლომერაცია ერთგვაროვანი და იმავდროულად ერთად მოქმედი სამუშაო მანქანებისა. მაგალითად, საფეიქრო ფაბრიკა წარმოიშვება მრავალი მექანიკური საფეიქრო დაზვის თავმოყრით და სამკერვალო ფაბრიკა — მრავალი საკერავი მანქანის თავმოყრით ერთსა და იმავე სახელოსნოში. მაგრამ აქ ადგილი აქვს ტექნიკურ ერთიანობას, რამდენადაც მრავალ ერთგვაროვან სამუშაო მანქანას პირველადი საერთო მოტორის გულისცემა აძლევს იმპულსს იმავდროულად და თანაბრად იმ გადამცემი მექანიზმის საშუალებით, რომელიც ნაწილობრივ აგრეთვე საერთოა მათთვის, რადგან იგი ყოველ ცალკეულ სამუშაო მანქანასთან მხოლოდ განსაკუთრებული შტოთია გადაბმული. როგორც მრავალი იარაღი ერთი სამუშაო მანქანის ორგანოებს შეადგენს. სწორედ ასევე მრავალი სამუშაო მანქანა ახლა მხოლოდ ერთი და იმავე მამოძრავებელი მექანიზმის ერთგვაროვან ორგანოებს წარმოადგენს.

მაგრამ მანქანების სისტემა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ცალკეული დამოუკიდებელი მანქანის ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში იჭერს, როდესაც შრომის საგანმა უნდა გაიაროს მთელი რიგი ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საფეხურებრივი პროცესები, რომელთაც სხვადასხვაგვარი, მაგრამ ერთიმეორის შემავსებელი სამუშაო მანქანების მთელი ჯაჭვი ასრულებს. აქ კვლავ გვევლინება მანუფაქტურის დამახასიათებელი კოოპერაცია, შრომის

დანაწილებაზე დამყარებული, მაგრამ ახლა იგი ნაწილობრივი სამუშაო მანქანების კომბინაციის სახით წარმოგვიდგება. სხვადასხვა ნაწილობრივი მუშის სპეციფიკური იარაღები, როგორცაა, მაგალითად, მატყლის მანუფაქტურაში მატყლის მვენტაეის, მატყლის მჩეჩაეის, ხაოს მკრელის, მატყლის მრთველისა და სხვათა იარაღები, აქ ახლა გადაქცეულია სპეციალიზებული სამუშაო მანქანების იარაღებად, რომელთაგან თვითეული წარმოადგენს განსაკუთრებულ ორგანოს განსაკუთრებული ფუნქციის შესასრულებლად სამუშაო მექანიზმის კომბინირებულ სისტემაში. იმ დარგებში, სადაც მანქანების სისტემა პირველად შედის, თვით მანუფაქტურა საერთოდ და მთლიანად ამ სისტემას წარმოების პროცესის დანაწილებისა და, მაშასადამე, ორგანიზაციის ბუნებრივად აღმოცენებულ საფუძველს აძლევს¹⁰¹. მაგრამ აქ იმთავითვე თავს იჩენს ერთი არსებითი განსხვავება. მანუფაქტურაში მუშებმა, განცალკევებულნი იქნებიან ისინი თუ ჯგუფებად გაერთიანებულნი, განსაკუთრებული ნაწილობრივი პროცესი უნდა შეასრულონ თავიანთი ხელოსნური იარაღით. თუ აქ, ერთი მხრივ, მუშა მიკუთვნებულია პროცესს, მეორე მხრივ, თვით ეს პროცესიც უკვე წინასწარ შეგუებულია მუშას. დანაწილების ეს სუბიექტური პრინციპი მანქანური წარმოებისთვის არ არსებობს. აქ ერთობლივი პროცესი ობიექტურად, აღებული თავისთავად, მის შემადგენელ ფაზებად იშლება და თვითეული ნაწილობრივი პროცესის შესრულებისა და ნაწილობრივი პროცესების ერთმანეთთან დაკავშირების პრობლემა

¹⁰¹ მსხვილი მრეწველობის ეპოქამდე მატყლის მანუფაქტურა გაბატონებული მანუფაქტურა იყო ინგლისში. ამიტომ ექსპერიმენტების უმეტესობა, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, სწორედ ამ მანუფაქტურაში ჩატარდა. მატყლის საქმეში მიღებული გამოცდილება სასარგებლო გამოდგა ბამბისთვისაც, რომლის მექანიკური გადაამუშავება უფრო იოლ მოსაზრადებელ მუშაობას მოითხოვს; ასევე შემდეგში, პირიქით მატყლის მექანიკური მრეწველობა ბამბის მექანიკური რთვისა და ფეიქრობის საფუძველზე ვითარდება. მატყლის მანუფაქტურის ცალკეულ ელემენტებს, მაგალითად, მატყლის ჩეჩას, პირველად ამ უკანასკნელ ათეულ წლებში დაეუფლა ფაბრიკული სისტემა. «მექანიკური ძალის გამოყენებას მატყლის საჩეჩად... რაც ფართოდ გავრცელდა «საჩეჩი მანქანის», განსაკუთრებით ლისტერის მანქანის, შემოღების შემდეგ... უმკველია შედეგად ის მოჰყვა, რომ მრავალ ადამიანს სამუშაო დაეკარგა. უწინ მატყლი ხელით იჩეჩებოდა, უმეტესად მატყლის მჩეჩაეის სახლში. ახლა მას საერთოდ ფაბრიკაში ჩეჩენ, და ხელით მუშაობა ზედმეტი შეიქნა, გარდა იმ განსაკუთრებული სახის სამუშაოს შემთხვევებისა, როდესაც ხელით დაჩეჩი მატყლს ჯერ კიდევ უპირატესობა აქვდა. ბევრმა ხელით მჩეჩაემა ფაბრიკაში იშოვა სამუშაო; მაგრამ ხელით მჩეჩაეის პროდუქტი მანქანის პროდუქტთან შედარებით ისე მცირეა, რომ ხელით მჩეჩაეების ძალიან დიდი რიცხვი უმუშევრად არის დარჩენილი» («Reports of Insp. of Fact for 31st October 1856, გვ. 16.)

გადაწყვეტილია მექანიკის, ქიმიისა და სხვ. ტექნიკური გამოყენების საშუალებით¹⁰², ამასთან, რასაკვირველია, თეორიული კონცეფცია უწინდებურად სრულყოფილი უნდა გახდეს დიდი მასშტაბით დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. თვითეული ნაწილობრივი მანქანა მის უშუალოდ მიმდევნო მანქანას აწვდის ნედლ მასალას და რადგან ყველა მანქანა იმავდროულად მოქმედებს, ამიტომ პროდუქტი განუწყვეტლივ იმყოფება როგორც თავისი წარმოშობის პროცესის სხვადასხვა საფეხურზე, ისე წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლის პროცესშიც. როგორც მანუფაქტურაში ნაწილობრივი მუშაობის უშუალო კოაპერაცია ქმნის განსაზღვრულ რაოდენობრივ შეფარდებას განსაკუთრებულ მუშათა ჯგუფებს შორის, ასევე მანქანების დანაწევრებულ სისტემაში განუწყვეტელი მოქმედება ნაწილობრივი მანქანებისა, რომელნიც ერთიმეორეს სამუშაოს აწვდიან, ქმნის განსაზღვრულ შეფარდებას ამ მანქანების რიცხვსა, მოცულობასა და სისწრაფეს შორის. კომბინირებული სამუშაო მანქანა, რომელიც ახლა სხვადასხვაგვარი ცალკეული სამუშაო მანქანებისა და ამ უკანასკნელთა ჯგუფების დანაწევრებულ სისტემას წარმოადგენს, მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო უწყვეტია მის მიერ წარმოებული ერთობლივი პროცესი, ე. ი. რაც უფრო მცირე შეწყვეტებით გადადის ნედლი მასალა პროცესის პირველი ფაზიდან მის უკანასკნელ ფაზაში, მაშასადამე, რაც უფრო მეტად უწყობს ხელს ამ გადასვლას წარმოების ერთი ფაზიდან მეორეში არა ადამიანის ხელი, არამედ თვით მექანიზმი. ამიტომ თუ მანუფაქტურაში ცალკეული პროცესების იზოლირება თვით შრომის დანაწილებიდან გამომდინარე პრინციპს წარმოადგენს, განვითარებულ ფაბრიკაში, პირიქით, გაბატონებულია ცალკეული პროცესების უწყვეტობის პრინციპი.

მანქანების სისტემა, არის იგი დამყარებული ერთგვაროვანი სამუშაო მანქანების უბრალო კოაპერაციაზე, როგორც ფეიქრობაში, თუ სხვადასხვაგვარი მანქანების კომბინაციაზე, როგორც რთვაში, — თავისთავად დიდ ავტომატს წარმოადგენს, რაკი იგი მოძრაობაში მოჰყავს საკუთარი მოძრაობის წარმომშობ ერთ პირველად ძრავას. მაგრამ შესაძლებელია მთელი სისტემა, მაგალითად, ორთქლის მანქანას მოჰყავდეს მოძრაობაში, თუმცა ცალკეული სამუშაო მანქანები

¹⁰² «მაშასადამე, ფაბრიკული სისტემის პრინციპი იმაში მდგომარეობს... რომ ცალკეულ ხელოსანთა შორის შრომის დანაწილება ანუ შრომის საფეხურებად დაყოფა შეცვლილია შრომის პროცესის დანაწილებით მის არსებითს შემადგენელ ელემენტებად» (U r e: «Philosophy of Manufactures», გვ. 20).

გარკვეული მოძრაობისთვის კიდევ საჭიროებენ მუშის დახმარებას, როგორც ეს საჭირო იყო, მაგალითად, მიულ-მანქანაზე მუშაობისას, ვიდრე selfacting mule [სელფაქტორი, ავტომატური მიულ-მანქანა] იქნებოდა შემოღებული, და როგორც ეს საჭიროა ამჟამადაც წმინდა რთვის დროს; ანდა მანქანის განსაზღვრული ნაწილები, რათა მათ სათანადო ოპერაციები შეასრულონ, მსგავსად იარაღისა მუშაში უნდა წარმართოს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მანქანათმშენებლობაში, ვიდრე slide rest (საბრუნავი ბრჯენი) სელფაქტორად გარდაიქმნებოდა. როდესაც სამუშაო მანქანა ადამიანის დაუხმარებლად ასრულებს ყველა იმ მოძრაობას, რაც აუცილებელია ნედლი მასალის დასამუშავებლად, და მხოლოდ ადამიანის მხრივ კონტროლს საჭიროებს, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს მანქანების ავტომატურ სისტემასთან, რომელიც მაინც ატარებს დეტალებში მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობას. მაგალითად, აპარატი, რომელიც თუნდაც ერთი ძაფის გაწყვეტისთანავე ავტომატურად აჩერებს სართავ მანქანას, და selfacting stop-ი [ავტომატური ამომრთველი], რომელიც აჩერებს გაუმჯობესებულ ორთქლის საფეიქრო დაზგას, როგორც კი მისაქსეველი ძაფი გამოილევა მაქოს მასრაზე, სავსებით უახლესი გამოგონებაა. როგორც წარმოების უწყვეტობის, ისე ავტომატური პრინციპის განხორციელების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ახლანდელი ქალაქის ფაბრიკა. ქალაქის წარმოებაზე საერთოდ შეიძლება დეტალურად და საუკეთესოდ იქნას შესწავლილი როგორც განსხვავება წარმოების სხვადასხვა საშუალებათა ბაზისზე დამყარებული სხვადასხვა წარმოების წესისა, ისე კავშირიც საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობისა ამ სხვადასხვა წარმოების წესთან; ძველი გერმანული ქალაქის წარმოება ნიმუშია ხელოსნური წარმოებისა, მე-17 საუკუნის ჰოლანდია და მე-18 საუკუნის საფრანგეთი იძლევიან საკუთრივ მანუფაქტურის ნიმუშს, თანამედროვე ინგლისი კი — ავტომატური ფაბრიკაციის ნიმუშია წარმოების ამ დარგში; მაშინ როდესაც ჩინეთსა და ინდოეთში დღემდე ამავე მრეწველობის ორი სხვადასხვა ძველანური ფორმა არსებობს.

დანაწევრებული სისტემა სამუშაო მანქანებისა, რომელნიც თავიანთ მოძრაობას გადაძვენი მექანიზმის საშუალებით იღებენ მხოლოდ ერთი ცენტრალური ავტომატისაგან, მანქანური წარმოების უაღრესად განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. ცალკეული მანქანის ნაცვლად აქ გამოდის მექანიკური ურჩხული, რომლის სხეულს მთელი საფაბრიკო შენობები უკავია და რომლის დემონური ძალა, ჯერ თითქმის შეუმჩნეველი მისი ბუმბერაზი ნაწილების საზეიმო-მწყობრ

მოდრაობაში, ამოხეტაქავს მისი ურიცხვი ნამდვილი სამუშაო ორგანობის გაშმაგებულ ორომტრიალში.

მიულ-მანქანები, ორთქლის მანქანები და სხვ. უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე გაჩნდებოდა მუშა, რომლის სპეციალურ მოსაქმეობას შეადგენს ორთქლის მანქანების, მიულ-მანქანებისა და სხვ. გაკეთება, სწორედ ისე, როგორც ადამიანი უფრო ადრე ატარებდა ტანისამოსს, ვიდრე თერძი გაჩნდებოდა. მაგრამ ვოკანსონის, არკრაიტის, უატის და სხვ. გამოგონებათა განხორციელება მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ამ გამოგონებებმა პოვეს მანუფაქტურული პერიოდის მიერ მზად გადმოცემული დახელოვნებული მუშა-მექანიკოსების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ მუშების ერთი ნაწილი სხვადასხვა პროფესიის დამოუკიდებელი ხელოსნებისაგან შედგებოდა, მეორე ნაწილი გაერთიანებული იყო მანუფაქტურებში, სადაც, როგორც ეს ზემოთ მოვიხსენიეთ, შრომის დანაწილება განსაკუთრებული სისასტიკით ბატონობდა. გამოგონებათა გამრავლებასა და ახლად გამოგონებული მანქანების მზარდ მოთხოვნასთან ერთად უფრო და უფრო ვითარდებოდა, ერთი მხრივ, მანქანების ფაბრიკაციის გამოყოფა მრავალგვარ დამოუკიდებელ დარგებად, მეორე მხრივ კი — შრომის დანაწილება მანქანათმშენებელი მანუფაქტურის შიგნით. მაშასადამე, ჩვენ აქ მანუფაქტურაში ვხედავთ მსხვილი მრეწველობის უშუალო ტექნიკურ საფუძველს. მანუფაქტურა აწარმოებდა მანქანებს, რომელთა საშუალებით მსხვილი მრეწველობა აუქმებდა ხელოსნურ და მანუფაქტურულ წარმოებას წარმოების იმ დარგებში, რომლებსაც იგი უწინარეს ყოვლისა ეუფლებოდა. მაშასადამე, მანქანური წარმოება თავდაპირველად სტიქიურად აღიმართა მისთვის შეუსაბამო მატერიალურ საფუძველზე. განვითარების გარკვეულ საფეხურზე მას უნდა მოეხდინა გადატრიალება თვით ამ საფუძველში, რომელიც მან პირველად მზად პოვა და შემდგომ განავითარა, მისი ძველი ფორმის დაცვით, და შეექმნა თავისი საკუთარი წარმოების წესის შესაბამისი ახალი ბაზისი. როგორც ცალკეული მანქანა ჩია მანქანად რჩება, სანამ მას მხოლოდ ადამიანი ამოდრავებს, როგორც მანქანების სისტემა ვერ განვითარდებოდა თავისუფლად, სანამ წინათ ხმარებული მამოძრავებელი ძალის — ცხოველის, ქარის და წყლისა — კი — ადგილი ორთქლის მანქანამ არ დაიჭირა, ასევე მსხვილი მრეწველობის განვითარება მოდუნებული იყო, სანამ მისი დამახასიათებელი წარმოების საშუალების — თვით მანქანის — არსებობა შესაძლებელი იყო ინდივიდუალური ძალისა და ინდივიდუალური დახელოვნების მეოხებით, მაშასადამე, სანამ იგი დამოკიდებული იყო კუნთების განვითარებაზე.

თვალის სიმახვილეზე და ხელის ვირტუოზობაზე, რომელთა საშუალებით ნაწილობრივი მუშა მანუფაქტურის შიგნით და ხელოსანი მანუფაქტურის გარეთ თავის ჩია ინსტრუმენტებს იყენებდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მანქანების სიძვირეს, როგორც მათი ამგვარი წესით წარმოშობის შედეგს, — გარემოებას, რომელიც შეგნებული მოტივის სახით ამოძრავებს კაპიტალს, — უკვე მანქანური წესით წარმოებული მრეწველობის გაფართოება და მანქანების შექრა წარმოების ახალ დარგებში სავსებით გაპირობებული იყო მუშათა ისეთი კატეგორიის ზრდით, რომელიც, თავისი მოსაქმეობის ნახევრად არტისტული ხასიათის გამო, მხოლოდ თანდათანობით და არა ნახტომისებურად შეიძლებოდა გამრავლებულიყო. მაგრამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე მსხვილი მრეწველობა ტექნიკურადაც წინააღმდეგობაში მოექცა თავის ხელოსნურ და მანუფაქტურულ ბაზისთან. მანქანა-ძრავას, გადამცემი მექანიზმისა და სამუშაო მანქანების მოცულობის გადიდება, მათი შემადგენელი ნაწილების უფრო დიდი სირთულის, მრავალფეროვნებისა და უფრო მკაცრი რეგულარობის გაძლიერება იმდენად, რამდენადაც სამუშაო მანქანა ეთიშებოდა თავის ხელოსნურ ნიმუშს, რომელიც თავდაპირველად მთლიანად განსაზღვრავდა მის კონსტრუქციას, და იღებდა თავისუფალ, მხოლოდ მისი მექანიკური ამოცანით განსაზღვრულ, ფორმას¹⁰³, ავტომატური სისტემის განვითარება და სულ უფრო და უფრო აუცილებელი გამოყენება ძნელად დასამუშავებელი მასალისა, მაგალითად, რკინისა; ხის ნაცვლად, — აი, ის ბუნებრივად აღმოცენებული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ყველგან აწყდებოდა ინდივიდუალურ ზღუდეს, რომელსაც მანუფაქტურაში კომბინირებული მუშათა პერსონალიც კი მხოლოდ რამდენადმე გადალახავს, მაგრამ არსებითად კი ვერ სპობს.

¹⁰³ მექანიკური საფეიქრო დაზგა თავისი თავდაპირველი ფორმით უმთავრესად ხისგან შედგება, ხოლო გაუფუძოებესებულ, თანამედროვე, — რკინისგან. თუ რაოდენ დიდი გავლენა აქვს პირველ ხანებში წარმოების საშუალების ძველ ფორმას მის ახალ ფორმაზე, ამას გვიჩვენებს, სხვათა შორის, თანამედროვე ორთქლის საფეიქრო დაზგის სრულიად ზერელე შედარებაც კი ძველთან, თანამედროვე თუჯსამსხმელო ქარხნებში არსებული საბერელების შედარება ჩვეულებრივი სამჭედლო საბერელის პირვანდელ უმწეო მექანიკურ კვლავწარმოქმნასთან, ანდა იქნებ ყველაზე უფრო დამარწმუნებლად ამას გვიჩვენებს თანამედროვე ლოკომოტივის გამოგონებამდე ნაცადი ლოკომოტივი, რომელსაც ნამდვილად ორი ფეხი ჰქონდა და ცხენით ხან ერთს ასწევდა მაღლა და ხან მეორეს. მხოლოდ მექანიკის შემდგომი განვითარების და პრაქტიკული ცდების დაგროვების საფუძველზე ხდება მანქანის ფორმის სავსებით მექანიკური პრინციპით განსაზღვრა და ამიტომ იგი სრულიად თავისუფლდება იმ იარაღის ტრადიციული ფორმისგან, რომელიც ახლა მანქანის სახეს ღებულობს.

მანუფაქტურა ვერასოდეს ვერ შექმნიდა ისეთ მანქანებს, როგორც არის, მაგალითად, თანამედროვე სასტამბო დაზგა, თანამედროვე ორთქლის საფეიქრო დაზგა და თანამედროვე საჩეჩი მანქანა.

წარმოების წესის გადატრიალება მრეწველობის ერთ რომელიმე სფეროში ანალოგიურ გადატრიალებას იწვევს სხვა სფეროშიც. ეს ითქმის უწინარეს ყოვლისა მრეწველობის ისეთ დარგებზე, რომელნიც თუმცა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გამო ისე არიან იზოლირებულნი, რომ თვითეული მათგანი დამოუკიდებელ საქონელს აწარმოებს, მაგრამ მაინც გადახლართული არიან ერთმანეთზე როგორც ფაზები ერთობლივი პროცესისა. ასე, მაგალითად, მანქანურმა რთვამ გამოიწვია მანქანური ფეიქრობის აუცილებლობა და ორივემ ერთად კი აუცილებელი გახდა მექანიკურ-ქიმიური რევოლუცია სამთეთრებლო, საჩითავ და სამღებრო წარმოებაში. ასევე, მეორე მხრივ, ბამბის რთვის წარმოებაში მომხდარმა რევოლუციამ გამოიწვია გამოგონება *ginn*-ისა [ჯინისა], — მანქანისა ბამბის ბოქკოსგან თესლის გასაცლელად, რითაც პირველად გახდა შესაძლებელი ბამბის წარმოება ამჟამად საჭირო დიდი მასშტაბით¹⁰⁴. მრეწველობისა და მიწათმოქმედების წარმოების წესში მომხდარმა რევოლუციამ კი განსაკუთრებით აუცილებელი გახდა აგრეთვე რევოლუცია საზოგადოებრივი წარმოების პროცესის საყოველთაო პირობებში, ე. ი. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებებში. როგორც კომუნიკაციის და ტრანსპორტის საშუალებანი ისეთი საზოგადოებისა, რომლის *pivot*-ს [ღერძს], — ფურიეს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — შეადგენდა წვრილი მიწათმოქმედება მისი დამხმარე შინამრეწველობითურთ და საქალაქო ხელოსნური წარმოება, სრულიად ვეღარ აკმაყოფილებდნენ წარმოების მოთხოვნილებებს მანუფაქტურულ პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი შრომის ფართო დანაწილებას, შრომის საშუალებათა და მუშების კონცენტრაციას, როდესაც შექმნილი იყო კოლონიური ბაზრები, რის გამოც იმათაც ნამდვილად განიცადეს გადატრიალება, — სწორედ ასევე მანუფაქტურული პერიოდის მიერ ნაანდერძევი ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებანი მალე გადაიქცა აუტანელ დაბრკოლებად მსხვილი მრეწ-

¹⁰⁴ იანკი ელი უიტნის მიერ გამოგონილმა *cottongin*-მა [ბამბის ჯინმა] უკანასკნელ ხანამდე არსებითად უფრო ნაკლები ცვლილება განიცადა, ვიდრე მე-18 საუკუნის სხვა რომელიმე მანქანამ. მხოლოდ უკანასკნელ (1867 წლის წინა) ათწლეულში მეორე ამერიკელმა, ბ-მა ემერემ ალბანიდან (ნიუ-იორკი), განდევნა ხმარებიდან უიტნის მანქანა სრულიად მარტივი და ამავე დროს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მეოხებით.

ველობისთვის, რომელსაც ახსიათებს წარმოების დაუცხრომელი სისწრაფე, მასობრივი მასშტაბი, მუდმივი გადასროლა კაპიტალისა და მუშათა მასებისა წარმოების ერთი სფეროდან მეორეში და მის მიერ ახლადშექმნილი მსოფლიო-საბაზრო კავშირურთიერთობა. ამიტომ, გარდა იალქნიანი გემების მშენებლობაში მომხდარი სრული გადატრიალებისა, თანდათან მოხდა კომუნიკაციისა და ტრანსპორტის მოწყობილობის შეგუება მსხვილი მრეწველობის წარმოების წესთან სამდინარო გემების, რკინიგზების, საოკეანო ორთქლის გემებისა და ტელეგრაფის მთელი სისტემის საშუალებით. მაგრამ ის უამრავი რკინა, რომელიც ახლა უნდა გამოეყებათ, შეედუღებინათ, დაეჭრათ, დაებურღათ და დაეყალიბებინათ, თავის მხრივ, მოითხოვდა ბუმბერაზ მანქანებს, რომელთა შექმნაც მანუფაქტურულ მანქანათმშენებლობას არ შეეძლო.

ამრიგად, მსხვილი მრეწველობა უნდა დაუფლებოდა თავის დამახსიათებელ წარმოების საშუალებას, თვით მანქანას, და მანქანებით მანქანები უნდა ეწარმოებინა. მხოლოდ ასე შექმნა მან პირველად თავისი ადეკვატური ტექნიკური საფუძველი და დადგა თავის საკუთარ ფეხზე. მართლაც, მანქანური წარმოების ზრდასთან ერთად, რასაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, მანქანა თანდათანობით ეუფლებოდა საოპერაციო მანქანების ფაბრიკაციას. მაგრამ მხოლოდ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე უზარმაზარმა სარკინიგზო მშენებლობამ და საოკეანო ნაოსნობამ წარმოშვა ის ციკლოპური მანქანები, რომელთაც პირველადი ძრავების ასაგებად იყენებენ.

მანქანის საშუალებით მანქანების ფაბრიკაციის ყველაზე არსებითს საწარმოო პირობას შეადგენდა მანქანა-ძრავა, რომელსაც უნარი ექნებოდა განეერთარებინა ყოველნაირი ზომის ძალა და რომელიც ამავე დროს მთლიანად დაექვემდებარებოდა კონტროლს. ასეთი მანქანა-ძრავა უკვე არსებობდა ორთქლის მანქანის სახით. მაგრამ ამასთან ერთად ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მანქანური წესით დამზადებულიყო მანქანის ცალკეული ნაწილებისთვის საჭირო ზუსტი გეომეტრიული ფორმები: ხაზი, სიბრტყე, წრე, ცილინდრი, კონუსი და ბირთვი. მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ეს პრობლემა ჰენრი მოდსლეიმ გადაწყვიტა slide rest-ის [საბრუნო ბრჯენის] გამოგონებით; ეს უკანასკნელი მალე ავტომატურ მექანიზმად იქცა და სახარა-ტო დაზვიდან, რომლისთვისაც იგი თავდაპირველად განკუთვნილი იყო, შეცვლილი ფორმით გადატანილ იქნა სხვა მანქანათმშენებელ მანქანებზე. ამ მექანიკურმა მოწყობილობამ შეცვალა არა რომელიმე

საგანგებო იარაღი, არამედ — თვით ადამიანის ხელი, რომელიც განსაზღვრულ ფორმას ქმნის იმით, რომ მკრელი ინსტრუმენტის პირს დაიჭერს შრომის მასალის — მაგალითად, რკინის — წინ ან ზევით, მასთან მიახლოებით და მიყოლებით. ამნაირად მოხერხდა მანქანათა ცალკეული ნაწილების გეომეტრიული ფორმების წარმოება ისეთი სიადვილით, ზედმიწევნით და სისწრაფით, რასაც ყველაზე დახელოვნებული მუშის ხელიც კი ვერავითარი გამოცდილებით ვერ მიაღწევდა¹⁰⁵.

თუ მანქანათმშენებლობისათვის გამოყენებული მანქანური მოწყობილობის იმ ნაწილს განვიხილავთ, რომელიც საკუთრივ მანქანა-იარაღს წარმოადგენს, ჩვენ მასში კვლავ ხელოსნურ ინსტრუმენტს დავინახავთ, მხოლოდ — ბუმბერაზული ზომისას. მაგალითად, საბურღი მანქანის მოქმედი ნაწილი უზარმაზარი ბურღია, რომელიც ორთქლის მანქანის საშუალებით მოძრაობს და ურომლისოდ, თავის მხრივ, დიდი ორთქლის მანქანისა და ჰიდრავლური პრესის ცილინდრების წარმოება შეუძლებელი იქნებოდა. მექანიკური სახარატო დაზგა ჩვეულებრივი, ფეხით სამოძრავებელი სახარატო დაზგის ციკლოპური კვლავწარმოქმნაა; სარანდი მანქანა წარმოადგენს რკინის ხუროს, რომელიც რკინას იმავე იარაღებით ამუშავებს, რომლებითაც ხურო ხეს ამუშავებს; სამუშაო იარაღი, რომელიც ლონდონის გემსაშენზე რკინის ჯავშნებსა ჭრის, ვეება სამართებელს წარმოადგენს; იარაღი რკინის საჭრელი მანქანისა, რომელიც რკინას ისე ჭრის, როგორც თერძის მაკრატელი მაუდს, უზარმაზარი მაკრატელია; ორთქლით მოძრავ უროს ჩვეულებრივი ჩაქუჩის თავი აქვს, მაგრამ ისეთი სიმძიმისა, რომ თორიც კი¹⁰⁶ ვერ მოიქნევდა მას. მაგალითად, ერთი ასეთი ორთქლით მოძრავი ურო, რომელიც ნესმისის გამოგონება იყო, 6 ტონაზე მეტს იწონის და 7 ფუტის სიმალიდან ეცემა პერპენდიკულარულად 36 ტონის სიმძიმის გრდემლს. მისთვის სრუ-

¹⁰⁵ «The Industry of Nations». London 1855, ნაწ. II, გვ. 239. იქვე ნათქვამია: «რაგინდ უბრალოდ და გარეგნობით უმნიშვნელოდ გვეჩვენებოდეს სახარატო დაზგის ეს დანართი, ჩვენ ვფიქრობთ, ვადაპარებდა არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მისი გავლენა მანქანების გაუმჯობესებასა და გავრცელებაზე ისევე დიდი იყო, როგორც გავლენა უატის მიერ თვით ორთქლის მანქანაში განხორციელებული გაუმჯობესებისა. მისმა შემოღებამ მაშინვე გამოიწვია ყოველგვარი მანქანების სრულყოფა და გაიფება და ბიძგი მისცა ახალ გამოგონებათა და გაუმჯობესებათა წარმოშობას».

¹⁰⁶ ლონდონში ერთ ასეთ მანქანას, რომელიც paddle-wheel shafts-ის [გემის ბორბლის ლილვის] საჭედავად იხმარება, Thor-ი [თორი] ეწოდება. ეს მანქანა 16 1/2 ტონის სიმძიმის ლილვს ისევე ადვილად ჰედავს, როგორც მკედელი — ნალს.

ლიად არაფერს ნიშნავს გრანიტის ლოდი ფხენილად აქციოს და ამავე დროს მას ისიც შეუძლია, რომ თანდათან მსუბუქი დარტყმით რბილ ხეში ლურსმანი ჩაასოს¹⁰⁷.

შრომის საშუალება მანქანების სახით ისეთ საარსებო მატერიალურ ფორმას იღებს, რომელიც განაპირობებს ადამიანის ძალის შენაცვლებას ბუნების ძალით და ემპირიკული რუტინული წესების შენაცვლებას ბუნებისმეცნიერების შეგნებული გამოყენებით. მანუფაქტურაში შრომის საზოგადოებრივი პროცესის დანაწევრება წმინდა სუბიექტურია, ნაწილობრივი მუშების კომბინაციაა; მანქანურ სისტემაში კი მსხვილ მრეწველობას აქვს სრულიად ობიექტური საწარმოო ორგანიზმი, რომელსაც მუშა პოვებს როგორც წარმოების მზა მატერიალურ პირობას. მარტივ კოოპერაციაში და იმ კოოპერაციაშიც კი, რომელიც შრომის დანაწილების გამო სპეციალიზებულია, განცალკევებული მუშის განდევნა განსაზოგადოებული მუშის მიერ წარმოგვიდგება ჯერ კიდევ ცოტად თუ ბევრად როგორც შემთხვევითი მოვლენა. მანქანები კი, იმ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომელთაც ქვემოთ მოვიხსენიებთ, მარტოდენ უშუალოდ განსაზოგადოებული ანუ კოლექტიური შრომის ხელში მოქმედებენ. მაშასადამე, შრომის პროცესის კოოპერაციული ხასიათი იქცევა ახლა ტექნიკურ აუცილებლობად, რომელიც თვით შრომის საშუალების ბუნებით არის ნაქარნახევი.

2. მანქანის ღირებულების გადატანა პროდუქტზე

ჩვენ დავინახეთ, რომ კოოპერაციით და შრომის დანაწილებით წარმომდგარი მწარმოებლური ძალები კაპიტალს არაფერი უღირს. ისინი საზოგადოებრივი შრომის ბუნებრივი ძალებია. ასევე არაფერი უღირს მას ბუნების ძალები, როგორცაა ორთქლი, წყალი და სხვ., რომლებიც წარმოებითი პროცესებისათვის გამოიყენება. მაგრამ როგორც ფილტვები ესაჭიროება ადამიანს, რათა ისუნთქოს, ასევე ესაჭიროება მას ადამიანის ხელის ქმნილებათ, რათა ბუნების ძალები მწარმოებლურად მოიხმაროს. წყლის ბორბალი აუცილებელია წყლის მამოძრავებელი ძალის ექსპლოატაციისთვის, ორთქლის მანქანა — ორთქლის დრეკადობის ექსპლოატაციისთვის. მეცნიერებაზედაც იგივე ითქმის, რაც ბუნების ძალებზე. ელექტროდენის მოქმედების სფეროში მაგნიტის ისრის გადახრილობის კანონი, ანდა კანონი მაგნიტიზმის წარმოშობისა რკინაში, რომელსაც ელდენი უვლის,

¹⁰⁷ ხე-ტყის დასამუშავებელი მანქანები, რომელთა გამოყენება მცირე მასშტაბითაც შეიძლება, მეტწილად ამერიკელების მიერ არის გამოგონებული.

მისი აღმოჩენის შემდეგ გროზადაც არავის უღირს¹⁰⁸. მაგრამ ამ კანონების საექსპლოატაციოდ სატელეგრაფო და სხვა საქმეში ძვირადღირებული და რთული აპარატია საჭირო. როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, იარაღი არ განიღვენება მანქანის მიერ. ადამიანის ორგანიზმის ჩია იარაღიდან იგი ადამიანის მიერ შექმნილი მექანიზმის გაფართოებულ და გამრავლებულ იარაღად იქცევა. კაპიტალი ახლა მუშას ამუშავენს არა ხელოსნური იარაღით, არამედ — მანქანით, რომელიც თვით წარმართავს თავის იარაღებს. ამიტომ, თუ ერთი შეხედვითვე ცხადია, რომ წარმოების პროცესში ბუნების უზარმაზარი ძალებისა და ბუნებისმეცნიერების ჩართვით მსხვილმა მრეწველობამ შრომის ნაყოფიერება არაჩვეულებრივად უნდა გააძლიეროს, სრულიადაც ასევე ცხადი როდია: მწარმოებლური ძალის ეს გაძლიერება ნაცილი ხომ არ არის, მეორე მხრივ, შრომის ხარჯვის გაძლიერებით. მუდმივი კაპიტალის ყველა სხვა შემადგენელი ნაწილის მსგავსად, მანქანა არავითარ ღირებულებას არა ქმნის, მაგრამ თავისი საკუთარი ღირებულება გადააქვს პროდუქტზე, რომლის წარმოებასაც იგი ემსახურება. რამდენადაც მანქანა ღირებულებას შეიცავს და ამიტომ მას ღირებულება პროდუქტზე გადააქვს, იმდენად იგი ამ უკანასკნელის ღირებულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. გაიაფების ნაცვლად იგი აძვირებს პროდუქტს თავისი საკუთარი ღირებულების შესაბამისად. ცხადზე უცხადესია, რომ მანქანა და სისტემატურად განვითარებული მანქანური მექანიზმი, მსხვილი მრეწველობის ეს დამახასიათებელი შრომის საშუალება, შეუდარებლად უფრო დიდი ღირებულებისაა, ვიდრე ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების შრომის საშუალებანი.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მანქანა მუდამ მთლიანად შედის შრომის პროცესში და მუდამ მხოლოდ ნაწილობრივ ღირებულების ზრდის პროცესში. იგი არასოდეს არ უმატებს იმაზე მეტ ღირებულებას, რასაც საშუალოდ თვით კარგავს თავისი გაცვეთით. მაშასადამე, დიდი განსხვავება არსებობს მანქანის ღირებულებასა და ღირებულების იმ ნაწილს შორის, რომელიც მანქანის მიერ პერი-

¹⁰⁸ მეცნიერება კაპიტალისტს საერთოდ «არაფერია» უღირს, რაც მას სრულიად ხელს არ უშლის, რომ მეცნიერებას ექსპლოატაცია გაუწიოს. კაპიტალი ისევე ითვისებს «სხვის» მეცნიერებას, როგორც სხვის შრომას. მაგრამ «კაპიტალისტური» მითვისება და «პირადი» მითვისება — მეცნიერებისა თუ მატერიალური სიმდიდრისა — სრულიად სხვადასხვა რამეა. თვით დ-რ იური ჩიოდა იმ უხეშ უცოდინრობაზე, რომელსაც მანქანების გამოყენებელი მისი ძვირფასი მეფაბრიკენი მექანიკაში იჩენდნენ, ხოლო ლიბიგი მოგვითხრობს ინგლისის ქიმიურ ნაწარმთა მეფაბრიკების საოცარ უეცრობაზე ქიმიაში.

ოდულად გადაიტანება პროდუქტზე. დიდი განსხვავება არსებობს მანქანას როგორც ღირებულების შემქმნელ ელემენტსა და მანქანას როგორც პროდუქტის შემქმნელ ელემენტს შორის. რაც უფრო დიდია ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ერთი და იგივე მანქანა ერთი და იმავე შრომის პროცესში განმეორებით მუშაობს, მით უფრო დიდია ეს განსხვავება. მართალია, ჩვენ დავინახეთ, რომ შრომის ყოველი საშუალება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ანუ წარმოების იარაღი, მუდამ მთლიანად შედის შრომის პროცესში და ყოველთვის მხოლოდ ნაწილობრივ, თავისი ყოველდღიური საშუალო გაცვეთის პროპორციის მიხედვით, — ღირებულების შექმნის პროცესში. მაგრამ ეს განსხვავება ხმარებასა და გაცვეთას შორის ბევრად უფრო დიდია მანქანისთვის, ვიდრე იარაღისთვის, რადგან მანქანა უფრო გამძლე მასალისაგან არის აგებული და უფრო დიდხანს ძლებს. მისი გამოყენება კი, ზუსტი მეცნიერული კანონებით მოწესრიგებული, შესაძლებელს ხდის მისი შემადგენელი ნაწილებისა და მის მიერ მოხმარებულ საშუალებათა დახარჯვაში უფრო დიდი ეკონომიის დაცვას და, ბოლოს, მისი საწარმოო ასპარეზი შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე იარაღისა. თუ ორივეს, მანქანასა და იარაღს, გამოვაკლებთ მათზე გაწეულ ყოველდღიურ საშუალო ხარჯებს, ანუ ღირებულების იმ შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ისინი მატებენ პროდუქტს თავისი ყოველდღიური საშუალო გაცვეთისა და დამხმარე ნივთიერების, მაგალითად, ზეთის, ნახშირისა და სხვ. მოხმარების გამო, — მაშინ დავინახავთ, რომ ეს მანქანა და იარაღი მუქთად მოქმედებს, სწორედ ისევე როგორც ადამიანის შრომის დაუხმარებლად არსებული ბუნების ძალები. რაც უფრო დიდია მოცულობა მანქანის მწარმოებლური მოქმედებისა იარაღის მწარმოებლურ მოქმედებასთან შედარებით, მით უფრო დიდია მისი უსასყიდლო სამსახურის მოცულობა იარაღის ასეთსავე სამსახურთან შედარებით. მხოლოდ მსხვილ მრეწველობაში სწავლობს ადამიანი იმას, რომ თავისი წარსული უკვე გასაგნობრივებული შრომის პროდუქტი, მსგავსად ბუნების ძალისა, დიდი მასშტაბით მუქთად აამოქმედოს¹⁰⁹.

¹⁰⁹ რიკარდო ხანდახან ისე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მანქანის ამ მოქმედებას, — თუმცა მას იგი ისევე ნაკლებად აქვს გარკვეული, როგორც შრომის პროცესსა და ღირებულების შექმნის პროცესს შორის არსებული საერთო განსხვავება, — რომ ზოგჯერ ივიწყებს ღირებულების შემადგენელ ნაწილს, რომელიც მანქანას გადააქვს პროდუქტზე, და მანქანებს სრულიად უთანატოლებს ბუნების ძალებს. მაგალითად, იგი ამბობს: «აღამ სმიტი არასოდეს არ ამცირებს იმ სამსახურს, რომელსაც ჩვენ ბუნების ძალები და მანქანები გვიწევენ, მაგრამ სრულიად სწორად განასხვავებს 31 კ. მარქსი. «კაპიტალი». ტ. I.

კოოპერაციისა და მანუფაქტურის განხილვისას ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოების გარკვეული საყოველთაო პირობები, მაგალითად, შენობები და სხვ., უფრო ეკონომიურად გამოიყენება კოლექტიური მოხმარების დროს შედარებით იზოლირებული მუშების მიერ წარმოების დაქსაქსული პირობების მოხმარებასთან, მაშასადამე, ისინი ნაკლებ აძვირებენ პროდუქტს. მანქანური წარმოების დროს არა მარტო სამუშაო მანქანის სხეული მოიხმარება მისი მრავალი იარაღის მიერ, არამედ ერთი და იგივე მანქანა-ძრავაც გადამცემი მექანიზმის ნაწილითურთ მრავალი სამუშაო მანქანის მიერ ერთად მოიხმარება.

თუ განსხვავება მანქანის ღირებულებასა და ღირებულების იმ ნაწილს შორის, რომელიც მანქანას ყოველდღიურად თავის პროდუქტზე გადააქვს, მოცემულია, მაშინ ის ოდენობა, რომლითაც ღირებულების ეს ნაწილი პროდუქტს აძვირებს, დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა პროდუქტის მოცულობაზე, ასე ვთქვათ, მის ზედაპირზე. 1858 წელს გამოქვეყნებულ ლექციაში ბ-ნი ბენისი ბლექბერნიდან ანგარიშობს, რომ თეითეული რეალური მექანიკური ცხენძალა^{109a}

მათ მიერ საქონლისადმი მიმატებული ღირებულების ბუნებას... რადგან ისინი თავიანთ სამუშაოს უსასყიდლოდ ასრულებენ, ამიტომ ის დახმარება, რომელსაც ჩვენ გვიწევს, არაფერს მატებს საცვლელ ღირებულებას» (Ricardo: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 336, 337). [შეად. დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგერის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 237.] რასაკვირველია, რიკარდოს შენიშვნა სამართლიანია, რამდენადაც იგი მიმართულია გ. ბ. სეის წინააღმდეგ, რომელიც როშავს, თითქოს მანქანა ეწევა იმ «სამსახურს», რომ ქმნის ღირებულებას, რომელიც ამოგების ნაწილს შეადგენს.

^{109a} [შენიშვნა მე-3 გამოცემისათვის. ერთი ცხენძალა უდრის 33 000 ფუტო-გირვანქას წუთში, ე. ი. ძალას, რომელიც ერთ წუთში ასწევს 33 000 გირვანქას 1 (ინგლისურ) ფუტზე ანუ 1 გირვანქას — 33 000 ფუტზე. აი, ასეთი ცხენძალა იჯულისხმება ზემოთ. მაგრამ ჩვეულებრივ კომერციულ ენაზე და აქა-იქ ამ წიგნის ციტატებშიც განსხვავებულია ერთი და იმავე მანქანის «ნომინალური» და «კომერციული», ანუ «ინდიკატორული» ცხენძალა. ძველებურ, ანუ ნომინალურ, ცხენძალას ანგარიშობენ, მხოლოდ და მხოლოდ დგუშის მოძრაობისა და ცილინდრის დიამეტრის მიხედვით, და სრულიად მზედველობაში არ იღებენ ორთქლის წნევას და დგუშის სისწრაფეს, ე. ი. ფაქტიურად ეს ნიშნავს შემდეგს: ეს ორთქლის მანქანა, მაგალითად, 50 ცხენძალას შეიცავს, თუ იგი ორთქლის ისეთივე სუსტი წნევით და დგუშის ისეთივე მცირე სისწრაფით მოძრაობს, როგორც ბოლტონისა და უატის დროს. მაგრამ ეს ორი ფაქტორი მას შემდეგ უზომოდ გაიზარდა. იმ მექანიკური ძალის გასახომად, რომელსაც ახლა ნამდვილად იძლევა მანქანა, გამოვანილ იქნა ინდიკატორი, რომელიც ორთქლის წნევას აღნიშნავს. დგუშის მოძრაობის სისწრაფის დადგენა ადვილია. ამგვარად, ამა თუ იმ მანქანის «ინდიკატორული», ანუ «კომერციული», ცხენძალის საზომი წარმოადგენს მათემატიკურ ფორმულას, რომელიც ერთსა და იმავე დროს ითვალისწინებს ცილინდრის დიამეტრს, დგუშის აწევის სიმაღლეს, დგუშის სისწრა-

ამოძრავებს 450 სელფაქტორის მიულის თითისტარს სათანადო წინასწარ მოწყობილობასთან ერთად, ანუ 200 ვატერის თითისტარს, ანუ 15 საფეიქრო დაზგას 40-დიუმიანი ქსოვილისთვის საჭირო საქსველ, სახამებელ და სხვა წინასწარ მოწყობილობასთან ერთად. თვითეული ორთქლის ცხენძალის დღიური ხარჯები და მის მიერ ამოძრავებული მანქანების გაცვეთა ნაწილდება პირველ შემთხვევაში 450 მიულის თითისტარის დღიურ პროდუქტზე, მეორეში — 200 ვატერის თითისტარის პროდუქტზე და მესამეში — 15 მექანიკური საფეიქრო დაზგის პროდუქტზე, ასე რომ თვითეულ უნც ნართზე ან თვითეულ ადლ ქსოვილზე ღირებულების სულ მცირე ნაწილი გადადის. ასევეა ზემოაღნიშნულ მაგალითში ორთქლის უროს შესახებ. რადგან უროს დღიური გაცვეთა, ნახშირის მოხმარება და სხვ. ნაწილდება რკინის უზარმაზარ მასაზე, რომელსაც იგი ყოველდღე ქედავს, ამიტომ თვითეულ ცენტნერ რკინას ემატება მხოლოდ ღირებულების უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ფრიალ დიდი იქნებოდა, ამ ციკლოზურ იარაღს რომ მხოლოდ პატარა ლურსმნების ჩარქობა უხდებოდეს.

თუ სამუშაო მანქანის მოქმედების ფარგალი, მაშასადამე, მისი იარაღების რაოდენობა ანუ, როდესაც საქმე ძალას ეხება, მათი მოცულობა მოცემულია, მაშინ პროდუქტის მასა დამოკიდებულია ამ მანქანის მოქმედების სისწრაფეზე, ე. ი., მაგალითად, თითისტართა ტრიალის სისწრაფეზე, ან უროს დაკვრის რაოდენობაზე ერთი წუთის განმავლობაში. ამ უზარმაზარ უროთაგან ზოგიერთი ერთ წუთში 70 დაკვრას ასრულებს, რაიდერის პატენტის მიხედვით მანქანა, რომელიც თითისტართა გამოსაქედად მცირე ზომის ორთქლის უროთი მოქმედებს, წუთში 700 დაკვრას ასწრებს.

თუ მოცემულია ის პროპორცია, რომლის მიხედვითაც მანქანას ღირებულება პროდუქტზე გადააქვს, მაშინ ღირებულების ამ ნაწილის სიდიდე თვით მანქანის ღირებულების სიდიდეზეა დამოკიდებული ¹¹⁰.

ფეს და ორთქლის წნევას, და ამით გვიჩვენებს, თუ ამ 33 000 ფუტო-გირვანქას რამდენჯერ ავითარებს ნამდვილად მანქანა ერთ წუთში. ამიტომ ერთი ნომინალური ცხენძალა შეიძლება სინამდვილეში 3, 4 და, ასე გასინჯეთ, 5 ინდიკატორულ, ანუ ნამდვილ, ცხენძალას იძლეოდეს. ამის აღნიშვნა საჭიროა სხვადასხვა შემდგომი ციტატების განმარტებისათვის... **ფ. მ. |**

¹¹⁰ მკითხველი, რომელიც კაპიტალისტური წარმოდგენებით არის შებოჭილი, რასაკვირველია, ვერ ხედავს აროცენტს, რომელსაც მანქანა თავისი კაპიტალიზებულიების *pro rata* [პროპორციულად] მატებს პროდუქტს. მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ მანქანას, — ენაიდან იგი, მსგავსად მუდმივი კაპიტალის ყველა სხვა შემადგენელი ნაწილისა, სრულიად არა ქმნის ახალ ღირებულებას, — არ შეუძლია მიემატოს პროდუქტს არავითარი ახალი ღირებულება პროცენტისა საბელწოდებით. შემდეგ, ცხადია, რომ აქ, სადაც ხედვები ღირებულების წარმოებაზეა ლაპარაკი, არც

რაც უფრო ნაკლებ შრომას შეიცავს თვით მანქანა, მით უფრო ნაკლებ ღირებულებას მატებს იგი პროდუქტს. რაც უფრო ნაკლები ღირებულება გადააქვს მას პროდუქტზე, მით უფრო მეტია მისი წარმადობა და მით უფრო უახლოვდება მის მიერ გაწეული სამსახური ბუნების ძალების მიერ გაწეულ სამსახურს. მანქანის საშუალებით მანქანის წარმოება კი ამცირებს მის ღირებულებას მის მოცულობასა და მოქმედებასთან შედარებით.

ხელოსნური ან მანუფაქტურული წესით წარმოებულ საქონელთა ფასებისა და იმავე საქონელთა, როგორც მანქანურ პროდუქტთა, ფასების შედარებითი ანალიზი საერთოდ იმ შედეგს იძლევა, რომ მანქანურ პროდუქტში ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რომელიც შრომის საშუალების მიერ არის გადაცემული, იზრდება შეფარდებით. მაგრამ კლებულობს აბსოლუტურად. ესე იგი მისი აბსოლუტური სიდიდე კლებულობს, მაგრამ მისი სიდიდე მატულობს პროდუქტის, მაგალითად, გირვანქა ნართის, ერთობლივ ღირებულებასთან შეფარდებით¹¹¹.

ერთი მისი ნაწილი არ შეიძლება აპრიორულად ვიგულისხმოთ «პროცენტის» სახელწოდებით. კაპიტალისტური გამოანგარიშების წესი, რომელიც *prima facie* [პირველი შეხედვით] თითქოს უაზროა და ღირებულების შექმნის კანონებს ეწინააღმდეგება, ამ ნაშრომის მესამე წიგნში იქნება ახსნილ-განმარტებული.

¹¹¹ ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი, რომელსაც მანქანა პროდუქტს მატებს, კლებულობს აბსოლუტურად და შეფარდებით იმ შემთხვევაში, როდესაც მანქანის მიერ ცხენი და საერთოდ მუშა-პირუტყვი განდევნილია მხოლოდ როგორც მამოძრავებელი ძალა და არა როგორც მანქანა ნივთიერების ცვლისათვის (*Stoffwechschmaschine*). აღვნიშნავთ, სხვათა შორის, რომ დეკარტი თავისი განსახზვრით — ცხოველი უბრალო მანქანა არისო — საქმეს უყურებდა მანუფაქტურული პერიოდის თვალთახედვით, განსხვავებით მუა საუტყუნებისაგან, როდესაც ცხოველი ადამიანის თანაშემწედ მიიჩნდათ, როგორც შემდეგში ბ-ნ ფონ ჰალერსაც ასე მიაჩნდა იგი თავის თხზულებაში «*Restauration der Staatswissenschaften*». რომ დეკარტი, ისე როგორც ბეკონი, წარმოების წესის ცვლილებას და ადამიანის მიერ პრაქტიკულად ბუნების დაუფლებას აზროვნების მეთოდის ცვლილების შედეგად თვლიდა, ამას გვიჩვენებს მისი «*Discours de la Méthode*», სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: «შესაძლებელია (მის მიერ ფილოსოფიაში შემოღებული მეთოდის საშუალებით) ცხოვრებისათვის ფრიალ სასარგებლო ცოდნას მივალწიოთ და, წინააღმდეგ იმ სპეკულაციური ფილოსოფიისა, რომელსაც სკოლებში ასწავლიან, გამოვნახოთ პრაქტიკული ფილოსოფია, რომლის საშუალებით, რაკი გვეცოდინება ცეცხლის, წყლის, ჰაერის, ვარსკვლავებისა და ყველა სხვა ჩვენს ირგვლივ მყოფი სხეულის ძალა და მოქმედება ისევე, როგორც ვიცით ჩვენი ხელოსნების სხვადასხვა ხელოა, — ჩვენ შეგვეძლო სწორედ ასეთივე წესით გამოვეყენებინა ისინი სხვადასხვა დანიშნულებისთვის, რომლისთვისაც შესაფერისნი არიან, და მით გავმადაროყავით ბატონ-პატრონნი ბუნებისა» და: ამგვარად «ხელი შეგვეწყო ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის». სერ დედლი ნორსის «*Discourses upon Trade*»-ის (1691)

ცხადია, რომ თუ რომელიმე მანქანის წარმოება იმდენივე შრომა ჯდება, რამდენიც მისი გამოყენებით იზოგება, მაშინ მხოლოდ ამ შრომის გადანაცვლება ხდება, მაშასადამე, ერთობლივი ჯამი შრომისა, რომელიც საჭიროა რომელიმე საქონლის წარმოებისათვის, არ მცირდება, ანუ შრომის მწარმოებლური ძალა არ დიდდება. მაგრამ სხვაობა იმ შრომასა, რაც მანქანა ჯდება, და იმ შრომას ქშორის, რასაც იგი ზოგავს, ანუ მანქანის წარმადობის ხარისხი, ცხადია, არ არის დამოკიდებული იმ სხვაობაზე, რომელიც მანქანის საკუთარ ღირებულებასა და მის მიერ შენაცვლებული იარაღის ღირებულებას შორის არსებობს. პირველი სხვაობა იმ დრომდე განაგრძობს არსებობას, სანამ მანქანაზე გაწეული შრომითი ხარჯები და ამიტომ მანქანის მიერ პროდუქტისადმი მიმატებული ნაწილი ღირებულებისა ნაკლებია იმ ღირებულებაზე, რომელსაც მუშა თავისი იარაღით შეუერთებდა შრომის საგანს. ამიტომ მანქანის წარმადობა გაიზომება იმ ხარისხით, რომლითაც მანქანა ადამიანის სამუშაო ძალას შეენაცვლება. ბ-ნ ბენისის თანახმად 450 მიულის თითისტარზე სათანადო მოსამზადებელ მოწყობილობასთან ერთად, რასაც ერთი ორთქლის ცხენძალა ამოძრავებს, $2\frac{1}{2}$ მუშა მოდის¹¹²; ამასთან თვითაეული selfacting mule spindle [სელფაქტორის თითისტარი] ათსაათიან სამუშაო დღეში 13 უნც (საშუალო ნომრის) ნართს დაართავს, რაც კვირაში $2\frac{1}{2}$ მუშის კვალობაზე $365\frac{5}{8}$ გირვანქა ნართს შეადგენს. ამრიგად, დაახლოებით 366 გირვანქა ბამბის (გამარტივებისათვის მხედველობაში არ ვიღებთ ნარჩენს) ნართად გარდაქმნას მხოლოდ 150 სამუშაო საათი, მაშასადამე, 15 ათსაათიანი სამუშაო დღე აჭირდება, მაშინ როდესაც ჯარაზე მუშაობისას, როცა ხელით მრთველი

წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ დეკარტის მეთოდის გამოყენებამ პოლიტიკურ ეკონომიაში დასაწყისი მისცა ამ უკანასკნელის განთავისუფლებას ფულის, ვაჭრობისა და სხვ. შესახებ არსებული ძველი ზღაპრებისა და ცრუ წარმოდგენებისაგან. საერთოდ კი უწინდელი ინგლისელი ეკონომისტები ბეკონისა და ჰობსის ფილოსოფიას ემბროზიან, მაშინ რადესაც შემდგომ ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისათვის პოლიტიკური ეკონომიის ფილოსოფოსი *ჯარჯინი* [უპირატესად] ლოკი ვახდა.

¹¹² ესენის საეკონომიკო პალატის წლიური ანგარიშის თანახმად (1863 წლის ოქტომბერი), კრუპის ფოლადსამსხმელო ქარხანა 1862 წელს 161 სადნობი, სავარგარო და ცემენტის ღუმელით, 32 ორთქლის მანქანით (1800 წელს მანჩესტერში დაახლოებით სულ ამდენი ორთქლის მანქანა მუშაობდა) და 14 ორთქლის უროთი, რომელიც ერთად 1236 ცენქალას წარმოადგენდა, 49 სამკვდლო ქურით, 203 მანქანა-იარაღით და დაახლოებით 2400 მუშით — 13 მილიონ გირვანქა ჩანოსნებულ ფოლადს აწარმოებდა. 1 ცხენძალაზე აქ 2 მღშაც არ მოდის.

60 საათში 13 უნც ნართს ამზადებს, ბამბის იმავე რაოდენობას 2 700 ათსაათიანი სამუშაო ღლე, ანუ 27 000 სამუშაო საათი მოუნდებოდა¹¹³. იქ, სადაც blockprinting-ის ძველი მეთოდი, ანუ ხელით დაჩითვა, მანქანური ბეჭდვით არის შენაცვლებული, ერთი მანქანა ერთი მუშაკის ან მოზარდის დახმარებით საათში იმდენსავე ოთხფეროვან ჩითს ჩითავს, რამდენსაც უწინ 200 მუშა-კაცი ჩითავდა¹¹⁴. ვიდრე 1793 წელს ელი უიტნი cottongin-ს გამოიგონებდა, ერთი გირვანქა ბამბიდან თესლის გამოცლა საშუალოდ ერთი სამუშაო ღლე ჯდებოდა. მისი გამოგონების საშუალებით ერთ ზანგ ქალს ღლეში 100 გირვანქა ბამბის გარჩევა შეეძლო, ხოლო მას შემდეგ cottongin-ის წარმადობის ძალამ კიდევ საგრძნობლად იმატა. გირვანქა ბამბის ბოქკო, რომლის წარმოება უწინ 50 ცენტი ღირდა, შემდეგში 10 ცენტად იყიდებოდა და თან მეტი მოგებითაც, ე. ი. მეტი გადაუხდელი შრომის ჩათვლით. ინდოეთში ბამბის ბოქკოდან თესლის გამოსაცლელად ხმარობენ ნახევრად მანქანისმაგვარ ინსტრუმენტს. ეგრეთწოდებულ churka-ს [ჩილიკა-ჯოხს], რომლის საშუალებით ერთი მამაკაცი და ერთი დედაკაცი ღლეში 28 გირვანქას არჩევენ. იმ churka-ს საშუალებით კი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დ-რ ფორბსმა გამოიგონა, ერთი მამაკაცი და ერთი მოზარდი ღლეში 250 გირვანქას არჩევენ. სადაც მამოძრავებელ ძალად ხარებს, ორთქლს ან წყალს ხმარობენ, იქ ამ მანქანისთვის საჭიროა მხოლოდ რამდენიმე ბიჭი და გოგო, რომელნიც feederes-ის (ე. ი. მანქანისთვის მასალის მიმწოდებელია) როლს ასრულებენ. 16 ასეთი მანქანა, რომელიც ხარებით მოჰყავთ მოძრაობაში, ყოველღლე ასრულებს ისეთ სამუშაოს. რომელიც უწინ საშუალოდ 750 კაცის შრომას მოითხოვდა¹¹⁵.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორთქლის მანქანა ორთქლის გუთნის ხმარების დროს ერთ საათში 3 პენსად, ანუ $\frac{1}{4}$ შილინგად, იმდენ სამუშაოს ასრულებს, რამდენსაც 66 კაცი — 15 შილინგად ერთ საათში. მე კვლავ ვუბრუნდები ამ მაგალითს მცდარი წარმოდგენის თავიდან ასაცილებლად. სახელდობრ, ეს 15 შილინგი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს იმ შრომის გამოხატულებას.

¹¹³ ბებეჯის გამოანგარიშებით ივაზე მარტო რთვა-შრომა ბამბის ღირებულებას თითქმის 117% -ით ადიდებს. იმავე დროს (1832 წელს) ინგლისში მთელი ის ღირებულება, რაც მანქანებმა და შრომამ წმინდა რთვის დროს ბამბას მიუმატეს, ნედლი მასალის ღირებულების დაახლოებით 33%-ს უდრიდა (*On the Economy of Machinery*. London 1832, გვ. 214).

¹¹⁴ გარდა ამისა, მანქანური ბეჭდვის დროს საღებავი იზოგება.

¹¹⁵ შეად. Paper read by Dr. Watson. Reporter on the Products to the Government of India, before the Society of Arts, 17 April 1860.

რომელიც 66 კაცის მიერ ერთი საათის განმავლობაშია მიმატებული. თუ ზედმეტი შრომის შეფარდება აუცილებელ შრომასთან 100%¹¹⁶ იქნებოდა, მაშინ ეს 66 მუშა საათში 30 შილინგის ღირებულებას აწარმოებდა, თუმცა მათ მიერ ხელფასის სახით მიღებული ეკვივალენტით, ე. ი. 15 შილინგით, 66 სამუშაო საათიდან მხოლოდ 33-ია გამოხატული. მაშასადამე, თუ ვიგულისხმებთ, რომ მანქანა სწორედ იმდენივე ღირს, რამდენსაც მის მიერ განდევნილი 150 მუშის წლიური ხელფასი შეადგენს, ვთქვათ, 3 000 გირვანქა სტერლინგი, მაშინ ეს 3 000 გირვანქა სტერლინგი არავითარ შემთხვევაში არ არის ფულადი გამოხატულება მთელი იმ შრომისა, რომელიც 150 მუშამ გასწია და შრომის საგანს მიუმატა, არამედ გამოხატულებაა მხოლოდ მათი წლიური შრომის იმ ნაწილისა, რომელიც თვით მათთვის ხელფასშია წარმოდგენილი. პირიქით, მანქანის ფულადი ღირებულება. 3 000 გირვანქა სტერლინგი, გამოხატავს მთელ შრომას, რომელიც მის წარმოებაზეა დახარჯული, რა შეფარდებითაც არ უნდა შეადგენდეს ეს შრომა ხელფასს მუშისთვის და ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისთვის. მაშასადამე, თუნდაც რომ მანქანა იმდენი ღირდეს, რამდენიც მის მიერ შენაცვლებული სამუშაო ძალა ღირს, თვით ამ მანქანაში გასაგნობრივებული შრომა მაინც მუდამ ბევრად ნაკლებია მის მიერ შენაცვლებულ ცოცხალ შრომაზე¹¹⁶.

თუ მანქანას ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც პროდუქტის გაიადფების საშუალებას, მაშინ მის ხმარებას საზღვარი აქვს დადებული იმით, რომ მისი საკუთარი წარმოება ნაკლები ღირს იმ შრომაზე, რომლის შენაცვლებაც მისი გამოყენებით ხდება. მაგრამ ეს საზღვარი კაპიტალისტისთვის უფრო ვიწროდ არის შემოხაზული. რადგან კაპიტალი იხდის არა გამოყენებულ შრომას, არამედ გამოყენებული სამუშაო ძალის ღირებულებას, ამიტომ მანქანის გამოყენება მისთვის ზღვარდებულია იმ სხვაობით, რომელიც არსებობს მანქანის ღირებულებასა და მანქანის მიერ შენაცვლებული სამუშაო ძალის ღირებულებას შორის. რადგან საკუთარ დღის დანაწილება აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყანაში, ისევე როგორც იგი სხვადასხვანაირია ერთსა და

¹¹⁶ ეს უტყვი აგენტები (მანქანები) ყოველთვის გაცილებით ნაკლები შრომის პროდუქტს წარმოადგენენ, ვიდრე ის შრომაა, რომელსაც ისინი შენაცვლებიან. თუნდაც რომ მათი ფულადი ღირებულება ერთნაირი იყოს (Ricardo: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 40). [შუად. დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგერის საფუძვლები». თბილისი 1937, თავი I. გვ. 28.]

იმევე ქვეყანაშიც სხვადასხვა პერიოდში ანდა — ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაშიც წარმოების სხვადასხვა დარგში; რადგან, შემდეგ, რეალური ხელფასი მუშისა მისი სამუშაო ძალის ღირებულებაზე ხან დაბლა და ხან მაღლა იწევს, ამიტომ სხვაობა მანქანის ფასსა და მანქანის მიერ შესანაცვლებელი სამუშაო ძალის ფასს შორის შეიძლება საგრძნობ რყევას განიცდიდეს, თუნდაც რომ სხვაობა მანქანის საწარმოებლად აუცილებელი შრომის რაოდენობასა და მანქანის მიერ შენაცვლებული შრომის ერთობლივ რაოდენობას შორის უცვლელი რჩებოდეს^{116a}. მაგრამ მხოლოდ პირველი სხვაობა განსაზღვრავს საჭონლის წარმოების ხარჯებს თვით კაპიტალისტისთვის და ახდენს მასზე გავლენას კონკურენციის იძულებითი კანონების მეშვეობით. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ამჟამად ინგლისში გამოგონებული მანქანები მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში გამოიყენება, ისევე როგორც მე-16 და მე-17 საუკუნეში გერმანიაში გამოგონებულ მანქანებს მხოლოდ ჰოლანდიაში ხმარობდნენ, ანდა როგორც მე-18 საუკუნეში საფრანგეთის ზოგიერთი გამოგონების ექსპლოატაციას მხოლოდ ინგლისში ჰქონდა ადგილი. განვითარების მხრივ უფრო ძველ ქვეყნებში თვით მანქანა თავისი გამოყენებით წარმოების ზოგიერთ დარგში იწვევს სხვა დარგებში შრომის ისეთ სიჭარბეს (redundancy of labour, ამბობს რიკარდო), რომ აქ ხელფასის დაცემა სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა აბრკოლებს მანქანის ხმარებას და მას ზედმეტად, ხშირად შეუძლებლადაც ხდის კაპიტალის თვალსაზრისით, რომლის მოგება მის მიერ გამოყენებული შრომის შემცირებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ — გადახდილი შრომის შემცირებიდან. ინგლისის მატყლის მანუფაქტურის ზოგიერთ დარგში ამ უკანასკნელ წლებში ბავშვების შრომა ძალიან შემცირდა, ალაგ-ალაგ თითქმის სრულიად განდევნილია. რატომ? საფაბრიკო კანონმა აუცილებელი გახადა ბავშვთა ორი ცვლის შემოღება, რომელთაგან ერთი ცვლა 6 საათს მუშაობს, მეორე — 4 საათს, ანდა თვითეული ცვლა — მხოლოდ 5 საათს. მაგრამ მშობლებმა არ ისურვეს half-timers (ნახევარღროიანები) უფრო იათად გაეყიდნათ, ვიდრე უწინ full-timers (სრულღროიან) ბავშვებს ჰყიდდნენ. აქედან წარმოდგა half-timers-ის შენაცვლება მანქანებით¹¹⁷. ვიდრე მალარობებში

^{116a} შენიშვნა მეორე გამოცემაში ს. ა. ამიტომ კომუნისტურ საზოგადოებაში მანქანებს სულ სხვა ასპარეზი ექნებოდა, ვიდრე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

¹¹⁷ ამჟამინდელი არ დაიტოვებენ, თუ საჭირო არაა, 13 წელზე უფრო ახალგაზრდა ბავშვთა ორ ცვლას... მართლაც, მეფაბრიკთა ერთი ჯგუფი, მატყლის მრთველები,

ქალებისა და ბავშვების (10 წლამდე) შრომას აკრძალავდნენ, კაპიტალს, თავისი მორალური კოდექსის და განსაკუთრებით თავისი თავდავთრის მიხედვით, დასაშვებად მიაჩნდა შიშველი ქალები და გოგონები, ხშირად მამაკაცებთან ერთად, ნახშირის და სხვა მაღაროებში ემუშავებინა და მან მხოლოდ ამ აკრძალვის შემდეგ მიმართა მანქანებს. იანკებმა ქვის სამტერეველ მანქანები გამოიგონეს. ინგლისელები ამ მანქანებს არ ხმარობენ, რადგან «საბრალო» (*wretch*) — ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის მიერ შემოღებული სპეციალური სახელწოდებაა მიწათმოქმედი მუშის აღსანიშნავად), რომელიც ამ მუშაობას ასრულებს, თავისი შრომის ისე მცირე ნაწილის საფასურს ღებულობს, რომ მანქანების შემოღება კაპიტალისტს გაუძვირებდა წარმოებას¹¹⁸. ინგლისის არხებში კარჭაპების გამწვევ ძალად და სხვ. ზოგჯერ ცხენების მაგივრად ახლაც კიდევ ქალებს ამუშავებენ¹¹⁹, რადგან ცხენისა და მანქანის წარმოებისათვის საჭირო შრომა მათემატიკურად მოცემულ სიდიდეს წარმოადგენს, ხოლო შრომა, რომელიც სჭირდება ქალთა შენახვას ჭარბმოსახლეობიდან, ყოველგვარ გაანგარიშებაზე დაბლაა. ამიტომ არსად არა აქვს ადგილი ადამიანის ძალის იმაზე მეტად უსირცხვილო ფლანგვას ყოველგვარ უაზრო რამეებზე. ვიდრე სწორედ ინგლისში, მანქანების ქვეყანაში.

3. მანქანური წარმოების უახლოესი წინმოგვიდა გუზაგუ

მსხვილი მრეწველობის ამოსავალ პუნქტს, როგორც დავინახეთ. შრომის საშუალებაში მომხდარი რევოლუცია შეადგენს, ხოლო შრომის საშუალება, რომელმაც გადატრიალება განიცადა, თავის ყველაზე უფრო განვითარებულ ფორმას ფაბრიკის დანაწევრებულ მანქანურ

იშვიათად ამუშავებენ ახლა 13 წელზე უფრო ახალგაზრდა ბავშვებს, ე. ი. ნახევარდროიანებს. მათ შემოიღეს სხვადასხვა სახის ახალი, გაუმჯობესებული მანქანები, რის გამო ბავშვების შრომა (ე. ი. 13 წელზე უფრო ახალგაზრდებისა) სრულიად ზედმეტი შეიქნა. ბავშვთა რიცხვის ამგვარი შემცირების საილუსტრაციოდ მე მინდა აღვნიშნო ერთი შრომითი პროცესი, სადაც ერთი აპარატის, ეგრეთწოდებული *piecing machine*-ის [მიმჭახავი მანქანის] შეერთებით არსებულ მანქანებთან 6 ან 4 ნახევარდროიანის შრომა, თვითული მანქანის თავისებურების მიხედვით, შეიძლება შესრულებულ იქნას ერთი მოზარდის (13 წელზე მეტხნიანის) მიერ... «ნახევარდროის სისტემა» სტიმული იყო «*piecing machine*-ის გამოგონებისათვის» (*Reports of Insp. of Fact. for 31st October 1858*).

¹¹⁸ მანქანების... გამოყენება ხშირად შეუძლებელია მანამდე, სანამ შრომა (იგი გულისხმობს ხელფასს) არ აიწვეს (Ricard: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 479). [შეად. დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937, თავი XXXI, გვ. 338.]

¹¹⁹ იხ. «Report of the Social Science Congress at Edinburgh. October 1863».

სისტემაში ღებულობს. ვიდრე ჩვენ განვიხილავდეთ, თუ როგორ არის ჩაქსოვილი ამ ობიექტურ ორგანიზმში ადამიანური მასალა, შევისწავლოთ ამ რევოლუციის ზოგიერთი ზოგადი უკუქმედება თვით მუშაზე.

ა) დამატებითი სამუშაო ძალის მითვისება
კაპიტალის მიერ. ქალებისა და ბავშვების შრომა

რამდენადაც მანქანა კუნთებრივ ძალას ზედმეტად ხდის, იგი ხდება საშუალება იმისა, რომ გამოყენებულ იქნან კუნთებრივ ძალას მოკლებული, ანდა არასაკმარისი ფიზიკური განვითარების, მაგრამ უფრო მოქნილი ორგანოების მქონე მუშები. ამიტომ ქალებისა და ბავშვების შრომა პირველი სიტყვა იყო მანქანათა კაპიტალისტური გამოყენებისა! შრომისა და მუშის შენაცვლების ეს მძლავრი საშუალება ამით დაუყოვნებლივ გადაიქცა დაქირავებული მუშების რიცხვის გამრავლების საშუალებად, ვინაიდან მან კაპიტალის უშუალო ბატონობას დაუმორჩილა მუშის ოჯახის ყველა წევრი, სქესისა და ასაკის განურჩევლად. იძულებითმა შრომამ კაპიტალისტის სასარგებლოდ დაიპყრო არა მარტო ბავშვთა სათამაშო ადგილი, არამედ — ადგილი იმ თავისუფალი შრომისაც, რომელიც, ოჯახურ წრეში და ადათის ფარგლებში წარმოებულ, თვით ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა¹²⁰.

სამუშაო ძალის ღირებულება განსაზღვრული იყო სამუშაო დროით, რომელიც არა მარტო ინდივიდუალურად ასაკოვანი მუშის, არამედ მთელი მისი ოჯახის შესანახად არის აუცილებელი. როცა მანქანა

¹²⁰ ბამბის კრიზისის დროს, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომს მოჰყვა, დ-რ ედუარდ სმიტი ინგლისის მთავრობის მიერ გაგზავნილი იყო ლანკაშირში, ჩეშირში და სხვა ადგილებში ბამბის მრეწველობის მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად და მოსახსენებლად. მის მოხსენებაში ნათქვამია სწავთა შორის: გარდა იმისა, რომ ამ კრიზისმა მუშები ფაბრიკულ ატმოსფეროს მოაშორა, ჰიგიენურად მას სხვა დადებითი შედეგებიც მოჰყვა. მუშების ცოლები ახლა საჭირო თავისუფალ დროს პოულობენ თავიანთ ბავშვებს ძუძუ აწოვონ, იმის ნაცვლად, რომ ისინი გოდფრუის cordial-ით (ოპიუმის პრეპარატით) მოწამლონო. იმათ ახლა დრო დაურჩათ საჭმლის დამზადება ისწავლონო. საუბედუროდ, საჭმლის დამზადების ხელოვნება სწორედ იმ დროს შეისწავლეს, როდესაც მათ საჭმელი არაფერი ჰქონდათ. მაგრამ აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მოახდინა კაპიტალმა თავისი თვითზრდისათვის იმ შრომის უზურპაცია, რომელიც აუცილებელი იყო საოჯახო მოხმარებისათვის. ამგვარადვე გამოიყენეს კრიზისი იმისათვის, რომ განსაკუთრებულ სკოლებში კერვა ესწავლებინათ მუშათა ქალიშვილებისთვის. ამერიკის რევოლუცია და მსოფლიო კრიზისი შეიქნა საჭირო იმისათვის, რათა მუშათა ქალიშვილებს, რომელნიც მთელი ჰეგელისთვის რთავენ, კერვა ესწავლათ!

მუშის ოჯახის ყველა წევრს შრომის ბაზარზე ისვრის, იგი მამაკაცის სამუშაო ძალის ღირებულებას მთელ მის ოჯახზე ანაწილებს. ამიტომ იგი ფასს უკარგავს მის სამუშაო ძალას. იმ ოჯახის სამუშაო ძალის ყიდვა, რომელიც, მაგალითად, ოთხ სამუშაო ძალას შეიცავს, შეიძლება უფრო ძვირი ღირდეს, ვიდრე უწინ ოჯახის უფროსის სამუშაო ძალის ყიდვა ღირდა, მაგრამ სამაგიეროდ ახლა ერთი დღის ადგილს ოთხი დღის სამუშაო დღე იჭერს და მათი ფასი ეცემა პროპორციულად იმ ნამეტისა, რომელსაც წარმოადგენს ოთხის ზედმეტი შრომა ერთის ზედმეტი შრომასთან შედარებით. ერთმა ოჯახმა რომ თავი იჩინოს, ახლა ოთხმა უნდა აძლიოს კაპიტალს არა მარტო შრომა, არამედ — ზედმეტი შრომაც. ამრიგად, მანქანა იმთავითვე საექსპლუატაციო ადამიანურ მასალასთან ერთად, კაპიტალის ამ ნამდვილ საექსპლუატაციო სარბიელთან ერთად¹²¹, აღიღებს ექსპლუატაციის ხარისხსაც.

მანქანა ძირეულ რევოლუციას ახდენს აგრეთვე კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმალურ გამოხატულებაში, ხელშეკრულებაში მუშასა და კაპიტალისტს შორის. საქონელგაცვლის ნიადაგზე პირველი წინაპირობა ის იყო, რომ კაპიტალისტი და მუშა უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს როგორც თავისუფალი პიროვნებანი, როგორც დამოუკიდებელი საქონელმფლობელები: ერთი — როგორც ფულისა და წარმოების საშუალებათა მფლობელი, მეორე — როგორც სამუშაო ძალის მფლობელი. მაგრამ ახლა კაპიტალი მოუმწიფებელთ ან ნახევრადმოწიფელთ

¹²¹ მუშების რიცხვი ძალიან გაიზარდა იმის გამო, რომ გახშირდა მამაკაცების შრომის შენაცვლება დედაკაცების შრომით და უწინარეს ყოვლისა — ასაკოვანთა შრომის შენაცვლება ბავშვების შრომით. 3 გოგო 13 წლისა, 6 — 8 შილინგი ხელფასით კვირაში, 1 ასაკოვანი მამაკაცის მაგივრობას სწევს, რომლის ხელფასი კვირაში 18-იდან 45 შილინგამდე აღწევს (Th. de Quincey: 'The Logic of Political Economy'. London 1844, შენიშვნა 147 გვერდისათვის). რადგანაც შეუძლებელია ოჯახის ზოგიერთი ფუნქცია, მაგალითად, ბავშვების მოვლა, კვება და სხვ., სრულად აღიკვეთოს, ამიტომ დედები, რომლებიც კაპიტალმა ოჯახს წაართვა, იძულებული არიან ასე თუ ისე მოადგილეები დაიქირაონ. სამუშაოები, რომელთაც ოჯახური მოხმარება მოითხოვს, მაგალითად, კრვა, დაკრება და სხვ., შენაცვლებულ უნდა იქნას მზა საქონლის ყიდვით. მაშასადამე, ოჯახური შრომის ხარჯვის შემცირება ფულადი ხარჯების გადიდებას შეესაბამება. ამიტომ მუშის ოჯახის წარმოების ხარჯები იზრდება და შემოსავლის გადიდებას აწონასწორებს. ამას ზედ ერთვის ის გარემოება, რომ შეუძლებელი ხდება საარსებო საშუალებათა დამზადებისა და გამოყენების საქმეში ეკონომიისა და მიხანშეწონილობის დაცვა. ამ ფაქტების შესახებ, რომელთაც ოფიციალური პოლიტიკური ეკონომია მალავს, მდიდარი მასალა მოიპოვება ფაბრიკის ინსპექტორების «Reports»-ში, «Children's Employment Commission»-ის ანგარიშებში და განსაკუთრებით — «Reports on Public Health»-ში.

ყიდულობს. წინათ მუშა ყიდდა თავის საკუთარ სამუშაო ძალას, რომლის განმკარგულებელი თვით იგი იყო როგორც ფორმალურად თავისუფალი პიროვნება. ახლა იგი თავის ცოლ-შვილს ყიდის. იგი მონათვაპარი ხდება¹²². მოთხოვნა ბავშვთა შრომაზე ხშირად თავისი ფორმითაც წააგავს მონა-ზანგებზე მოთხოვნას, როგორც ამას მრავალჯერ ამოიკითხავდა ადამიანი ამერიკული გაზეთების განცხადებებში. «ჩემი ყურადღება, — ამბობს, მაგალითად, ინგლისის ერთი ფაბრიკის ინსპექტორი, — მიიპყრო განცხადებამ, რომელიც მოთავსებული იყო ჩემი ოლქის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მანუფაქტურული ქალაქის ადგილობრივ გაზეთში. განცხადება სიტყვისიტყვით ასეთი იყო: «საჭიროა 12 — 20 ყმაწვილი, რომელნიც შეიძლება ჩაითვალოს 13 წლისაზე არა უფრო ახალგაზრდებად. ფასი 4 შილინგი კვირაში. იკითხეთ» და სხვ.¹²³ ფრაზა «რომელნიც შეიძლება ჩაითვალოს 13 წლისაზე არა უფრო ახალგაზრდებად» იმიტომაა, რომ 13 წელზე ნაკლები ხნის ბავშვებისთვის Factory Act-ის [საფაბრიკო აქტის] თანახმად მხოლოდ 6 საათის მუშაობაა ნებადართული. ასაკი უნდა დაადასტუროს ოფიციალური თანამდებობის ექიმმა (certifying surgeon). მაშასადამე, მეფაბრიკე ისეთ ყმაწვილებს მოითხოვს, რომელნიც თვალად სრულ 13 წლიანებს ჰგვანან. მეფაბრიკეთა მიერ დაქირავებულ 13 წელზე უფრო ახალგაზრდა ბავშვთა რიცხვის შემცირება, რაც ზოგჯერ ნახტომებით მიმდინარეობს და ასეთ გაკვირვებას იწვევს უკანასკნელი

¹²² იმ დიადი ფაქტის საპირისპიროდ, რომ ქალებისა და ბავშვების შრომის შეზღუდვა ინგლისის ფაბრიკებში ბრძოლით გამოსტაცეს კაპიტალს ასაკოვანმა მუშა-მამაკაცებმა, «Children's Employment Commission»-ის სულ უკანასკნელ ანგარიშებში მოცემულია მაგალითები მუშა-შობილების ჭეშმარიტად აღმამფოთებელი და სავსებით მონათვაპრული განწყობილებისა ბავშვებით ჩარჩობისადმი. კაპიტალისტური ფარისეველი კი, როგორც ეს იმავე «Reports»-დან შეიძლება დაეინახოთ, ამხელს ამ მის მიერვე შექმნილ, სამუდამოდ დაკანონებულ და ექსპლოატაციის წყაროდ ქვეულ სიმშცეს, რომელსაც იგი სხვა შემთხვევაში შრომის თავისუფლებისა სახელით ნათლავს. «მოიშველიეს ბავშვების შრომა... რათა ბავშვებს საკუთარი დღიური პურის მოსაპოვებლად ემუშავნათ. მოკლებულნი ძალას ასეთი შეუფერებელი ჯაფის ასატანად, მოუმზადებულნი თავიანთი მომავალი ცხოვრების მოსაწყობად, ეს ბავშვები ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომელიც მათ ფიზიკურად და ზნეობრივად ანადგურებს. ებრაელი ისტორიკოსი, რომელიც ტიტეს მიერ იერუსალიმის განადგურების შესახებ მოგვითხრობს, ამბობს: გასაკვირველი არ არის, რომ ამ ქალაქს ასეთი საშინელი განადგურება ხედა წილად, როდესაც ერთმა უმოწყალო დედამ თავისი საკუთარი შვილი მსხვერპლად შეიწირა, რათა საშინელი შიმშილის დაუცხრომელი წყურვილი მოეკლათ». («Public Economy Concentrated». Carlisle 1833, გვ. 66).

¹²³ ა. რედგრევი, «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1858», გვ. 40, 41.

ოცი წლის ინგლისურ სტატისტიკაში, ფაბრიკის ინსპექტორებისავე სიტყვით, უმთავრესად იმ certifying surgeons-ების საქმე იყო, რომელნიც ბავშვებს კაპიტალისტების ექსპლოატატორული წყურვილის და მშობლების ჩარჩული სურვილის მიხედვით შეუცვლიდნენ ხოლმე ასაკს. ლონდონის სახელგატეხილ ბეტნელ გრინის კვარტალში ორშაბათ-სამშაბათობით, დილით, ღია ბაზარი იმართება, სადაც 9 წლიდან დაწყებული ორივე სქესის ბავშვები თვითონ ექირაავენ იან ლონდონის აბრეშუმის მანუფაქტურებს. ჩვეულებრივი პირობები ასეთია: 1 შილინგი და 8 პენსი კვირაში (ეს მშობლებს ეკუთვნის) და 2 პენსი პირადად ჩემთვის, ჩაის გარდა. ხელშეკრულება მხოლოდ ერთი კვირის ვადით იდება. სცენები და სიტყვა-პასუხი ამ ბაზარზე ქემმარითად აღმამფოთებელია¹²⁴. ინგლისში ზოგჯერ დღესაც ხდება, რომ დედაკაცებს «workhouse-იდან [სამუშაო სახლიდან] ბავშვები გამოჰყავთ და მათ პირველ შემხვედრ მყიდველს მიაქირავენ კვირაში 2 შილინგად და 6 პენსად»¹²⁵. წინააღმდეგ კანონმდებლობისა, დიდ ბრიტანეთში მშობლების მიერ დღესაც კიდევ იყიდება სულ ცოტა 2 000 ყმაწვილი როგორც საკვამლე მილების მწმენდავი ცოცხალი მანქანები (თუმცა მათ შესანაცვლებლად ნამდვილი მანქანები არსებობს)¹²⁶. იმ გარემოებამ, რომ სამუშაო ძალის გამყიდველსა და მყიდველს შორის არსებულ იურიდიულ ურთიერთობაში მანქანის მეოხებით რეეოლუცია მოხდა, ასე რომ მთელ მათს გარიგებას თავისუფალ პიროვნებათა ხელშეკრულების მოჩვენებითი გარეგნობაც კი დაეკარგა, — შემდეგში იურიდიული საბუთი მისცა ინგლისის პარლამენტს საფაბრიკო საქმეში სახელმწიფოს ჩარევის გასამართლებლად. ყოველთვის, როდესაც საფაბრიკო კანონი 6 საათით ზღუდავს ბავშვების შრომას მრეწველობის იმ დარგებში, რომელთაც იგი მანამდე არ ეხებოდა, ხელახლა იწყება მეფაბრიკეთა გოდება: ზოგიერთ მშობლებს, მოთქვამენ ისინი, თავიანთი შვილები გამოჰყავთ კანონდაქვემდებარებული მრეწველობიდან, რათა ისინი გაყიდონ ისეთ დარგებში, სადაც ჯერ კიდევ «შრომის თავისუფლება» ბატონობს, ე. ი. სადაც 13 წელზე ნაკლები ხნის ბავშვები იძულებული არიან მოზრდილებთან გათანაბრებულად

¹²⁴ «Children's Employment Commission. 5th Report». London 1866, გვ. 81, № 31. {მე-4 გამოცემისათვის. აბოეშუმის მრეწველობა ბეტნელ გრინში ამჟამად თითქმის სრულიად მოსპობილია. — ვ. ვ.}

¹²⁵ «Children's Employment Commission. 3rd Report». London 1864, გვ. 53, № 15.

¹²⁶ იქვე, 5th Report, გვ. XXII, № 137.

იმუშაონ, და სადაც, მაშასადამე, შეიძლება მათი უფრო ძვირად გაყიდვა. მაგრამ, რადგან კაპიტალი ბუნებით ლეველერია, ე. ი. ნოითხოვს წარმოების ყველა დარგში შრომის ექსპლოატაციის პირობათა თანასწორობას როგორც თავის თანდაყოლილ ადამიანურ უფლებას, ამიტომ ბავშვების შრომის კანონმდებლობითი შეზღუდვა მრეწველობის ერთ დარგში ხდება მიზეზი მისი შეზღუდვისა მეორე დარგში.

ჩვენ უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ ფიზიკური დეგრადაცია ბავშვების და მოზარდებისა, აგრეთვე მუშათა ცოლებისა, რომლებსაც მანქანა კაპიტალის ექსპლოატაციას უმორჩილებს ჯერ პირდაპირ — მანქანურ საფუძველზე აღორძინებულ ფაბრიკებში, — და შემდეგ არაპირდაპირაც — მრეწველობის ყველა დანარჩენ დარგში. ამიტომ ჩვენ აქ შევიჩრდებით მხოლოდ ერთ პუნქტზე, სახელდობრ მუშათა ბავშვების კოლოსალურ სიკვდილიანობაზე მათი სიცოცხლის პირველ წლებში. ინგლისში არსებობს 16 სარეგისტრაციო ოლქი, სადაც 100 000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე, ხნოვანებით ერთ წლამდე, საშუალოდ 9 000 სიკვდილის შემთხვევა მოდის წლიურად (მარტო ერთ ოლქში — 7 047); 24 ოლქში — 10 000-ზე მეტი, მაგრამ 11 000-ზე ნაკლები; 39 ოლქში — 11 000-ზე მეტი, მაგრამ 12 000-ზე ნაკლები; 48 ოლქში — 12 000-ზე მეტი, მაგრამ 13 000-ზე ნაკლები; 22 ოლქში — 20 000-ზე მეტი, 25 ოლქში — 21 000-ზე მეტი, 17-ში — 22 000-ზე მეტი, 11-ში — 23 000-ზე მეტი; ჰუში, ულვერჰემპტონში, ეშტონ-ანდერ-ლაინში და პრესტონში — 24 000-ზე მეტი, ნოტინჰემში, სტოკპორტში და ბრედფორდში — 25 000-ზე მეტი, უიზბიჩში — 26 000 და მანჩესტერში — 26 125¹²⁷. როგორც 1861 წლის ოფიციალურმა სანიტარულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, სიკვდილიანობის ასეთი მაღალი ნორმის მიზეზი, თუ ადგილობრივ პირობებს მხედველობაში არ მივიღებთ, უმთავრესად არის დედების მუშაობა ოჯახს გარეთ და აქედან წარმომდგარი მოუვლელობა ბავშვებისა, მათდამი ცუდი მოპყრობა, სხვათა შორის, შეუფერებელი კვება, კვების ნაკლებობა, ოპიუმის პრეპარატებით კვება და სხვ.; ამას ერთვის არაბუნებრივი გაუცხოება დედებისა საკუთარი შვილების მიმართ, ხოლო ამის შედეგია ბავშვთა განზრახ დამშვევა და მოწამლევა¹²⁸. პირიქით, ისეთ სამიწათმოქმედო ოლქებში, «სადაც

¹²⁷ «Sixth Report on Public Health». London 1864, გვ. 34.

¹²⁸ «მან (1861 წლის გამოკვლევაში)... ცხადყო გარდა ამისა, რომ ჩვენ მიერ აღწერილ პირობებში, ერთი მხრივ, ბავშვები იხოცებიან უყურადღებობისა და ცუდი მოვლის გამო, რაც მათი დედების ფაბრიკებში მუშაობის შედეგია, და, მეორე მხრივ,

ქალები ყველაზე ნაკლებად არიან სამუშაოში ჩაბმული, სიკვდილიანობის პროცენტიც უმცირესია»¹²⁹. მაგრამ 1861 წლის საგამომძიებლო კომისია იმ მოულოდნელ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილოეთის ზღვის ნაპირების გასწვრივ მდებარე ზოგიერთ წმინდა სამიწათმოქმედო ოლქში ბავშვების (1 წლამდე) სიკვდილიანობის ნორმა ყველაზე უფრო სახელგატეხილი საფაბრიკო ოლქების სიკვდილიანობის ნორმას აღწევს. ამიტომ დ-რ იულიანე ჰანტერს დაევალი ადგილობრივ გამოეკვლია ეს მოვლენა. მისი ანგარიში დართული აქვს «Sixth Report on Public Health»-ს¹³⁰. მანამდე ეგონათ, რომ ბავშვებს ანადგურებს მალარია და ყველა ის დაავადება, რომელიც დაბლობ და ჭაობიან ადგილებს ახასიათებს. გამოკვლევამ პირდაპირ ამის საწინააღმდეგო დასკვნა მოგვცა, — სახელდობრ, «რომ სწორედ იმავე მიზეზმა, რომელმაც მოსპო მალარია, ე. ი. ნოყიერ სახნავე მიწებად იმ ნიადაგის გადაქცევამ, რომელიც უწინ ზამთარში ჭაობიან ადგილს წარმოადგენდა, ხოლო ზაფხულში — მწირ საძოვარს, გამოიწვია ძუძუმწოვარ ბავშვთა არაჩვეულებრივად დიდი სიკვდილიანობის ნორმა»¹³¹. ამ ოლქებში დ-რ ჰანტერის მიერ დაკითხულმა 70 მკურნავმა ექიმმა «საკვირველი ერთსულოვნება» გამოიჩინა ამ საკითხში. სახელდობრ, მიწათმოქმედების კულტურაში მომხდარ რევოლუციასთან ერთად აქ შემოდებულ იქნა სამრეწველო სისტემა. «ვათხოვილ ქალებს, რომელნიც ჯგუფ-ჯგუფად ქალიშვილებთან და მოზარდებთან ერთად მუშაობენ, განსაზღვრულ ფასში გადასცემს მოიჯარის სრულ განკარგულებაში განსაკუთრებული პირი, «gangmeister»-ად [არტელის მეთაურად] წოდებული, რომელიც მთელ ჯგუფებს ქირაობს. ეს არტელები ზმირად მრავალი მილის მანძილით გადაინაცვლებენ ადგილს თავიანთი სოფლებიდან; მათ შეხვდებით დილა-საღამოობით სოფლის შარაგზებზე, ქალებს აცვიათ მოკლე კაბები, შესაფერი ზედატანი და ჩექმები, ხან შარვლებიც; გარეგნულად ლონივრები და ჯანსაღები მოჩანან, მაგრამ ზნედაცემულნი არიან ჩვეულებად გამხდარი გარყვნილებით და სრულიად არ ფიქრობენ იმ საშინელ შედეგებზე, რასაც მათი ამგვარი საქმიანობის და დამოუკიდებელი

დედები იმდენად კარგავენ ბუნებრივ გრძნობას თავიანთი ბავშვებისადმი, რომ ჩვეულებრივ არ სწუხან მათ სიკვდილს და ზოგჯერ... პირდაპირ ზომებსაც კი იღებენ ამ სიკვდილის გამოსაწვევად» (იქვე).

¹²⁹ იქვე, გვ. 454.

¹³⁰ იქვე, გვ. 454—463. «Reports by Dr. Henry Julian Hunter on the excessive mortality of infants in some rural districts of England».

¹³¹ იქვე, გვ. 35, 455, 456.

ცხოვრების გამო განიცდიან და ამიტომ იღუპებიან მათი შინ მიტოვებული ბავშვები»¹³². აქ კვლავ მეორდება საფაბრიკო ოლქების ყველა მოვლენა, თანაც კიდევ უფრო გაძლიერებულად: ბავშვების ფარული მკვლელობა და ოპიუმის პრეპარატებით ბავშვთა კვება¹³³. «ცოდნა იმ ბოროტებისა, რომელსაც წარმოშობს მოზრდილი ქალების ყოველი ხანგრძლივი სამრეწველო მუშაობა, ამართლებს ჩემს დიდ ზიზღს ამ მუშაობისადმი». — ამბობს დ-რ საიმონი, ინგლისის Privy Council-ის [საიდუმლო საბჭოს] მოხელე ექიმი და «Public Health»-ის [სახალხო ჯანმრთელობის] ანგარიშთა მთავარი რედაქტორი¹³⁴. ინგლისის მანუფაქტურული ოლქებისთვის, — ამბობს ფაბრიკის ინსპექტორი რ. ბეკერი ერთ ოფიციალურ ანგარიშში, — ნამდვილად ბედნიერება იქნება, თუ ყოველ გათხოვილ ქალს, რომელსაც ოჯახი ჰყავს, საერთოდ ფაბრიკაში მუშაობა აეკრძალება»¹³⁵.

მორალური დამახინჯება, რასაც ქალთა და ბავშვთა შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაცია წარმოშობს, ისეთი ამომწურავი სისრულით არის ფ. ენგელსის მიერ მის წიგნში «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» და სხვა მწერლების მიერ აწერილი, რომ მე აქ მხოლოდ ამის გახსენებით ვკმაყოფილდები. ინტელექტუალურმა გავლერებამ კი, რაც ხელოვნურადაა გამოწვეული მოუმწიფებელი ადამიანების გადაქცევით ზედმეტი ღირებულების მაწარმოებელ უბრალო მანქანად, და რაც სულ ადვილი გასარჩევია იმ ბუნებრივი უვიცობისაგან, რომელიც ხელუხლებლად ტოვებს ადამიანის გონებას ისე, რომ ზიანს არ აყენებს თვით მის განვითარების უნარს და მის ბუნებრივ ნაყოფიერებას, — ამ ინტელექტუალურმა გავლერებამ ბოლოს ინგლისის პარლამენტსაც კი აღიარებინა პირველდაწყებითი სწავლება სავალდებულო პირობად 14 წელზე ნაკლები ხნის ბავშვების «მწარმოებლური» გამოყენებისათვის ყველა იმ სამრეწველო

¹³² იქვე, გვ. 456.

¹³³ ინგლისის როგორც საფაბრიკო, ისე სამიწათმოქმედო ოლქებში დღითიდღე ძლიერდება ოპიუმის მოხმარება მოზრდილი მუშა-მამაკაცებისა და მუშა-ქალების მიერ. «ოპიუმის პრეპარატების გასაღებისათვის ხელისშეწყობა... ზოგიერთი გამბედავი ბითუმად მოვაჭრის მთავარ მიზანს შეადგენს. დროვისტები ოპიუმს ისეთ საქონლად თვლიან, რომელსაც ყველაზე მეტი გასავალი აქვს» (იქვე, გვ. 459). ძუძუმწოვარი ბავშვები, რომელთაც ოპიუმს აძლევენ, «სახედაღმეჭილი ხდებიან პატარა ბებრებივით ანდა — ნოკრუნჩხული პატარა მაიმუნებივით» (იქვე, გვ. 460). აი, როგორ იძიებენ შურს ინგლისზე ინდოეთი და ჩინეთი.

¹³⁴ იქვე, გვ. 37.

¹³⁵ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 59. ეს ფაბრიკის ინსპექტორი უწინ ექიმი იყო.

დარგში, რომელიც საფაბრიკო კანონმდებლობას ექვემდებარება. კაპიტალისტური წარმოების სული აშკარად გამოსჭვივის საფაბრიკო აქტების ეგრეთწოდებული აღზრდის მუხლების ყოველად უხეირო რედაქციაში, იმ ადმინისტრაციული აპარატის დაუწესებლობაში, ურომლისოდაც ეს სავალდებულო სწავლება უმეტეს შემთხვევაში კვლავ ილუზორული ხდება, მეფაბრიკეთა ოპოზიციაში სწავლების ასეთი კანონის წინააღმდეგაც კი და იმ თაღლითობასა და ხრიკებში, რასაც ისინი მიმართავენ პრაქტიკაში ამ კანონისათვის გვერდის ასახვევად. «მართო საკანონმდებლო ხელისუფლება დასაგმობი, რადგან მან გამოსცა ფიქციური კანონი (delusive law), რომელიც ყასიდად ზრუნავს ბავშვების აღზრდისათვის, მაგრამ ნამდვილად არც ერთ ისეთ დადგენილებას არ შეიცავს, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას. კანონი არათერს არ განსაზღვრავს, გარდა იმისა, რომ ბავშვები ყოველდღე გარკვეული დროის (3 საათის) განმავლობაში ოთხ კედელ შუა უნდა იყვნენ ჩაკეტილი შენობაში, რომელსაც სკოლა ეწოდება, და რომ ბავშვის მიმბარებელმა ყოველკვირეულად უნდა მიიღოს ამის შესახებ მოწმობა იმ პირისაგან, რომელიც მასწავლებელი კაცის ან ქალის სახელით ხელს მოაწერს მას»¹³⁶. შესწორებული საფაბრიკო აქტის გამოცემამდე 1844 წელს იშვიათი არ იყო სკოლაში დასწრების ისეთი მოწმობები, რომელთაც ხელმოწერის ნაცვლად ჯვარი ჰქონდათ დასმული მასწავლებელი კაცისა თუ ქალის მიერ, რადგან ამ უკანასკნელებმა თვით წერა არ იცოდნენ. ერთი სკოლის დათვალიერებისას, სადაც ასეთ მოწმობებს იძლეოდნენ, მე ისე განცვიფრებული დავრჩი მასწავლებლის უვიცობით, რომ მას შევეკითხე: «მითხარით, გეთაყვა, თქვენ კითხვა იცით?» — «საერთოდ კი (summat)», — იყო მისი პასუხი. თავის გასამართლებლად მან დაუმატა: «ყოველ შემთხვევაში მე ზედამხედველობას ვუწევ ჩემს მოწაფეებს». 1844 წლის აქტის შემუშავების დროს ფაბრიკის ინსპექტორები კიცხავდნენ სკოლებად წოდებულ დაწესებულებათა სამარცხვინო მდგომარეობას, რომელთა მოწმობები კანონის მიხედვით მათ სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ეცნოთ. მაგრამ მთელი მათი მიღწევა იმით გამოიხატა, რომ 1844 წლიდან «მასწავლებელს თავისი ხელით უნდა ჩაეწერა ციფრები სკოლის მოწმობაში, ditto [ასევე] საკუთარი ხელითვე უნდა მოეწერა თავისი სახელი და გვარი»¹³⁷. სერჯონ კინკეიდი, შოტლანდიელი ფაბრიკის ინსპექტორი, მოგვითხრობს

¹³⁶ ლეონარდ ჰორნერი, «Reports of Insp. of Fact. for 30th June 1857», გვ. 17.

¹³⁷ იგივე «Reports-ში of Insp. of Fact. for 31st October 1855», გვ. 18, 19.

ამასვე თავისი სამსახურის გამოცდილების მიხედვით. «პირველ სკოლას, რომელიც ჩვენ ვინახულებთ, განაგებდა ვინმე ქ-ნი ენ კილინი. როდესაც მე ამ ქალს წინადადება მივეცი დაეწერა თავისი გვარი, მან იქვე შეცდომა დაუშვა, დაიწყო რა ასო C-თი, მაგრამ მალე გაასწორა ეს შეცდომა და განაცხადა, ჩემი გვარი K-თი იწყებაო. მაგრამ მისი ხელმოწერის გასინჯვის დროს სასკოლო მოწმობების წიგნში შევამჩნიე, რომ იგი სხვადასხვანაირად აწერდა ხელს და მისი ხელნაწერი აშკარად ამტკიცებდა, რომ იგი მასწავლებლობის უნარს მოკლებული იყო. თვითონაც აღიარა, რომ არ შეუძლია ქურნალის წარმოება... მეორე სკოლაში მე ვნახე, რომ სასწავლო ოთახს სიგრძე ჰქონდა 15 ფუტი, განი — 10 ფუტი, და იქ მოთავსებული იყო 75 ბავშვი, რომლებიც რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდნენ»¹³⁸. მაგრამ არა მარტო ამგვარ უბადრუკ ჯურღმულებში იღებენ ბავშვები სკოლის მოწმობებს, თუმცა იქ არავითარ ცოდნას არ იძენენ; ბევრ სკოლაში, სადაც მასწავლებელი საკმაოდ მომზადებულია, მისი შრომა თითქმის სრულიად უნაყოფოა, რადგან ყველა ასაკის ბავშვები, დაწყებული 3 წლიდან, ყოველგვარი წესის დარღვევით არიან ერთმანეთში არეული. მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში დატაკურია, სავსებით დამოკიდებულია მიღებული პენსების რაოდენობაზე, ხოლო ამ პენსების რიცხვი მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად არის ოთახი ბავშვებით გაქედილი. ამას ზედ ერთვის სკოლის არასაკმაო მოწყობილობა ავეჯეულობით, წიგნებისა და სხვა სასწავლო მასალების ნაკლებობა და სულშემხუთავი, საზიზლარი ჰაერის მავნებელი მოქმედება თვით საწყალ ბავშვებზე. მე ვიყავი ბევრ ასეთ სკოლაში, სადაც ვნახე მთელი რიგი ბავშვები, რომელნიც სრულიად პარაფერს არ აკეთებდნენ; და ამას მოწმობებში სკოლაში სიარულს უწოდებენ და ასეთი ბავშვები ოფიციალურ სტატისტიკაში სწავლამიღებულებად (educated) ირიცხებიან»¹³⁹. შოტლანდიაში მეფაბრიკენი ცდილობენ, რამდენადაც შეიძლება, არ იყოლიონ ისეთი ბავშვები, რომელნიც ვალდებულნი არიან სკოლაში იარონ. ეს საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად დიდია მეფაბრიკეთა უარყოფითი განწყობილება სავალდებულო სწავლების დადგენილებათა მიმართ»¹⁴⁰. მახინჯი და საზიზლარი ფორმით ვლინდება ეს საჩინო და სხვა ამგვარ საწარმოებში, რომელნიც

¹³⁸ სერ ჯონ კინკეიდი, «Reports of Insp. of Fact for 31st October 1858», გვ. 31, 32.

¹³⁹ ლეონარდ პორნერი, «Reports etc. for 31st October 1857», გვ. 17, 18.

¹⁴⁰ სერ ჯონ კინკეიდი, «Reports of Insp. etc. for 31st October 1856», გვ. 66.

ვანსაკუთრებულ საფაბრიკო კანონს ექვემდებარებიან. ამ კანონის თანახმად «თვითეული ბავშვი საჩითავ საწარმოში შესვლამდე სკოლაში უნდა იყოს ნატარები სულ ცოტა 30 დღე და არანაკლებ 150 საათისა რ თვის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის მის საწარმოში შესვლის პირველ დღეს. საწარმოში მუშაობის დროს მან აგრეთვე უნდა იაროს სკოლაში ყოველ რ თვეში 30 დღის ანუ 150 საათის განმავლობაში... სკოლაში სიარული უნდა ხდებოდეს დილის 8 საათსა და საღამოს რ საათს შუა. სკოლაში ყოფნა დღეში $2\frac{1}{2}$ საათზე ნაკლები ანდა 5 საათზე გადამეტებული ზემოაღნიშნულ 150 საათის ანგარიშში არ უნდა ჩაითვალოს. ჩვეულებრივ პირობებში ბავშვები სკოლაში დადიან დილით და საღამოთი, 30 დღის განმავლობაში, დღეში ხუთი საათი; 30 დღის შემდეგ, როდესაც კანონიერი საერთო ჯამი — 150 საათი — მიღწეულია, როდესაც ბავშვები, თუ მათი საკუთარი ენით ვიტყვი, თავიანთ წიგნს ათავებენ, ისინი ისევ საჩითავ საწარმოში ბრუნდებიან, სადაც კვლავ რ თვე რჩებიან, ვიდრე არ დადგება გადახდის ახალი ვადა, — სკოლაში სიარულის ვადა, — და მაშინ კვლავ სკოლაში რჩებიან მანამდე, სანამ ხელახლა თავიანთ წიგნს არ გაათავებენ... ბევრ ბავშვს, რომელთაც კანონით დაწესებული 150 საათი გაუტარებიათ სკოლაში, რ თვეს საჩითავში ყოფნის შემდეგ კვლავ სკოლაში დაბრუნებისას ხელახლა უხდება სწავლის თავიდან დაწყება... მათ, რასაკვირველია, ყველაფერი დაეწესებული აქვთ, რაც უწინ სკოლაში ყოფნის დროს შეუძენიათ. სხვა საჩითავ საწარმოებში ბავშვთა გაშვება სასკოლო მეცადინეობისთვის სავსებით დამოკიდებულია თვით ფაბრიკის საქმეთა მსვლელობაზე, მის საჭიროებაზე. დადგენილი საათების შევსება ყოველი ექვსთვიანი პერიოდისათვის ხდება სკოლაში 3-დან 5-საათამდე ყოფნის ერთმანეთზე მითვლით, რაც, შესაძლოა, ნახევარი წლის მანძილზე ჭიანჭურდება. მაგალითად, ბავშვი ერთ დღეს სკოლაში არის დილის 8-დან 11 საათამდე, მეორე დღეს — ნაშუადღევს 1-დან 4-მდე; შემდეგ რამდენიმე დღე სრულიად არ დადის სკოლაში და — უეცრად კვლავ ჩნდება იქ ნაშუადღევს 3-დან რ საათამდე; ამის შემდეგ დადის ზედიზედ იქნებ 3 ან 4 დღე, ანდა მთელი კვირის განმავლობაში და მერე ისევ ქრება სამი კვირით ან მთელი თვით და ისევ ბრუნდება სკოლაში რამდენიმე საათით უსაქმობის დღეებში, როდესაც მისი დამჭირავებელი შემთხვევით მას არ საჭიროებს; ამრიგად, ბავშვს, ასე ვთქვათ, ბურთივით აქეთ-იქით ისვრიან (buffet), — სკოლიდან ფაბრიკაში და ფაბრიკიდან სკოლაში, ვიდრე არ შეივსება 150

საათია¹⁴¹. კომბინირებული მუშა-პერსონალისადმი ბავშვებისა და ქალების უამრავი რიცხვის მიმატებით მანქანა ამსხვრევს, ბოლოს, იმ წინააღმდეგობას, რომელსაც მუშა-მამაკაცი კიდევე უწევდა კაპიტალის დესპოტიზმს მანუფაქტურულ ხანაში¹⁴².

ბ) სამუშაო დღის გაგრძელება

თუ მანქანა უძლიერესი საშუალებაა შრომის ნაყოფიერების გასაღიდეზღად, ე. ი. საქონლის წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო დროის შესამოკლებლად, მაშინ როგორც კაპიტალის მატარებელი იგი ხდება, უწინარეს ყოვლისა მის მიერ უშუალოდ დაპყრობილ მრეწველობის დარგებში, უძლიერესი საშუალება სამუშაო დღის გაგრძელებისა ყოველგვარ ბუნებრივ საზღვარს იქით. მანქანა, ერთი მხრივ, ქნის ახალ პირობებს, რომელნიც შესაძლებლობას აძლევენ კაპიტალს ამ თავის მუდმივ ტენდენციას აღვირი მიუშვას და, მეორე მხრივ, იგი წარმოშობს ახალ მოტივებს სხვისი შრომისადმი კაპიტალის დაუცხრომელი წყურვილის გასაძლიერებლად.

უწინარეს ყოვლისა შრომის საშუალების მოძრაობა და საწარმოო მოქმედება დამოუკიდებელ ხასიათს იენს მანქანაში მუშის მიმართ. შრომის საშუალება იქცევა თავისდათავად სამრეწველო *perpetuum*

¹⁴¹ ა. რედგრევი, «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1857», გვ. 41, 42. ინგლისის მრეწველობის იმ დარგებში, სადაც საფაბრიკო აქტი (არა Printworks Act-ი კანონი საჩითავი ფაბრიკების შესახებ), რომელზეც ახლახან იყო ლაპარაკი ტექსტში) უკვე დიდი ხანია ძალაშია, დაბრკოლებანი სასწავლო დადგენილებათა წინააღმდეგ ამ უკანასკნელ წლებში რამდენადმე დაძლეულია. მრეწველობის იმ დარგებში კი, რომლებიც საფაბრიკო კანონს არ ექვემდებარება, ჯერ კიდევ ძალიან გავრცელებულია შეხედულება მინის მეფაბრიკის ჯ. გედისისა, რომელიც საგამომძიებლო კომისიის წევრს უაიტს ასე ასწავლის: «რამდენადაც მე მესმის, მეტი განათლება, რასაც ამ უკანასკნელ წლებში მუშათა კლასის ერთი ნაწილი იღებს, ბოროტებას წარმოადგენს. იგი სახიფათოა, რადგან მუშას მეტისმეტად დამოუკიდებელს ხდის» («Children's Employment Commission. 4th Report». London 1865, გვ. 253).

¹⁴² ერთმა მეფაბრიკემ, ბ-მა მ-მ, მაცნობა, რომ იგი თავის მექანიკურ საფეიქრო დახვეჭე მხოლოდ და მხოლოდ ქალებს ამუშავებს; უპირატესობას ვაძლევ გათხოვილ ქალებს, განსაკუთრებით ოჯახის პატრონებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ოჯახის არსებობაო; იმათ ბევრად მეტი გულისყური და მორჩილება აქვთ, ვიდრე გაუთხოვრებს, და იძულებული არიან თავიანთი ძალღონე უაღრესად დაძაბონ, რათა აუცილებელი საარსებო სახსარი მოიპოვონ. ამრიგად, სათნობა, ქალთა ხასიათის სპეციფიკური სათნობა, მათთვის საზარალო ხდება, ამრიგად, მათი ბუნების დამახასიათებელი ზნეობრიობა და სისათუთე მათი დამონავების საშუალებად, მათი ტანჯვის წყაროდ იქცევა» («Ten Hours' Factory Bill. The Speech of Lord Ashley, 15th March». London 1844, გვ. 20).

mobile-დ [განუწყვეტლივ მოქმედ მექანიზმად], რომელიც განუწყვეტლივ შეძლებდა წარმოებას, რომ იგი არ აწყდებოდეს ერთგვარ ბუნებრივ ზღუდეს თავის თანაშემწე-ადამიანში, ადამიანის სხეულის სისუსტეს და მის თვითნებობას. ამიტომ როგორც კაპიტალი, — და როგორც ასეთს ავტომატს გააჩნია კაპიტალისტის პიროვნებაში ცნობიერება და ნებისყოფა, — შრომის საშუალება გამსჭვალულია მისწრაფებით მინიმუმამდე დაიყვანოს ეს წინამღობი, მაგრამ ელასტიკური ბუნებრივი ზღუდე ადამიანისა¹⁴³. თუმცა ეს წინაღობა უმისოდაც შესუსტებულია მანქანაზე მუშაობის მოჩვენებითი სიადვილით და ქალებისა და ბავშვების მეტი დამყოლობითა და მორჩილებით¹⁴⁴.

მანქანის წარმადობა, როგორც დაეინახეთ, შებრუნებულ შეფარდებაშია ღირებულების იმ შემადგენელი ნაწილის სიდიდესთან, რომელიც მანქანის მიერ პროდუქტზე გადაიტანება. რაც უფრო ხანგრძლივია ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მანქანა მოქმედებს, მით უფრო დიდია პროდუქტთა მასა, რომელზედაც მის მიერ მიმტებული ღირებულება ნაწილდება, და მით უფრო ნაკლებია ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც იგი ცალკეულ საქონელს მატებს.

¹⁴³ «ძვირადღირებული მანქანების საყოველთაო გავრცელების შემდეგ ადამიანი იძულებული გახდა თავის საშუალო ძალღონეზე მეტად იმუშაოს» (Robert Owen: «Observations on the Effect of the Manufacturing System». მე-2 გამოც., London 1817 [გვ. 16]).

¹⁴⁴ ინგლისელები, რომელთაც უყვართ რაიმე გარემოების მიზეზად მიიჩნიონ ის, რაც მხოლოდ გამოყვანიების პირველ გარეგან ფორმას წარმოადგენს, ფაბრიკებში გრძელი სამუშაო დროის მიზეზად ხშირად ასახელებენ დიდძალ ბავშვთა ჰეროდესებურ მიტაცებას, რასაც კაპიტალი საფაბრიკო სისტემის ჩასახვის პირველ ხანებში ეწეოდა ღარიბთა და ობოლთა თავშესაფარებიდან და რითაც მან სრულიად უნებისყოფო ადამიანური მასალა მოიპოვა. ასე, მაგალითად, ფილდენი, თვითონ ინგლისელი მეფაბრიკე, ამბობს: «ცხადია, რომ სამუშაო დროის გაგრძელება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყვანილ უპატრონო ბავშვთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ მეწარმენი მუშებისაგან დამოუკიდებელნი გახდნენ და, რომ მათ, რაკი ერთხელე ამ გზით მოპოვებული უბადრუკი ადამიანური მასალის საშუალებით გრძელი სამუშაო დრო წესად გაიხადეს, შემდეგ ეს წესი ადვილად მოახვიეს თავს თავიანთ მებოლებსაც» (J. Fielden: «The Curse of the Factory System». London 1836, გვ. 11). ქალთა შრომის შესახებ ფაბრიკის ინსპექტორი სონდერსი 1844 წლის საფაბრიკო ანგარიშში ამბობს: «მუშა ქალთა შორის არიან ქალები, რომელნიც ზედისზედ მრავალი კვირის განმავლობაში, ორიოდე დღის გამოკლებით, დილის 6 საათიდან ღამის 12-საათამდე მუშაობენ, 2 საათზე ნაკლები ხნის შეწყვეტით ჭამისათვის, ასე რომ 5 დღის განმავლობაში კვირაში დღე-ღამის 24 საათიდან მათ მხოლოდ 6 საათი რჩებათ სახლში მისვლა-მოსვლისთვის და ლოგინში მოსახვედრებადა».

ხოლო მანქანის აქტიური სიცოცხლის პერიოდს, ცხადია, განსაზღვრავს სამუშაო დღის სიგრძე ანუ ყოველდღიური შრომის პროცესის ხანგრძლიობა, გამრავლებული დღეების რიცხვზე, რომელთა განმავლობაშიც ეს პროცესი მეორდება.

მანქანის გაცვეთა სრულიად არ შეესაბამება მათემატიკური სიზუსტით იმ დროს, რომლის განმავლობაშიც იგი გამოიყენება. მაგრამ კიდევ რომ ვიგულისხმოთ ასეთი შესაბამისობა, მანქანა, რომელიც $7\frac{1}{2}$ წლის განმავლობაში ყოველდღიურად 16 საათს მუშაობს, წარმოების იმავე სიდიდის პერიოდს მოიცავს და იმავე რაოდენობის ღირებულებას მატებს ერთობლივ პროდუქტს, რამდენსაც იგივე მანქანა მიუმატებდა იმ შემთხვევაში, როდესაც 15 წლის განმავლობაში ყოველდღიურად მხოლოდ 8 საათს მუშაობს. მაგრამ პირველ შემთხვევაში მანქანის ღირებულება იკლავწარმოებდა ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე — მეორე შემთხვევაში, და კაპიტალისტი $7\frac{1}{2}$ წელიწადში იმდენსავე ზედმეტ შრომას შთანთქავდა ამ მანქანის საშუალებით, რამდენსაც 15 წელიწადში.

მანქანის მატერიალური გაცვეთა ორნაირია. პირველი წარმოდგება მისი ხმარებიდან — როგორც ფულის მონეტა ცვდება მიმოქცევის გამო, — მეორე კი — მისი უხმარობიდან, — როგორც უხმარი ხმალი ჟანგდება ქარქაშში. უკანასკნელ შემთხვევაში მანქანის განადგურება სტიქიური ძალების შედეგია. პირველი სახის გაცვეთა ცოტად თუ ბევრად პირდაპირ შეეფარდება მანქანის ხმარებას, მეორე სახის გაცვეთა კი — რამდენადმე შებრუნებულ შეფარდებაშია მის ხმარებასთან¹⁴⁵.

მაგრამ მატერიალურ გაცვეთასთან ერთად მანქანა, ასე ვთქვათ, მორალურ გაცვეთასაც განიცდის. იგი კარგავს საცვლელ ღირებულებას იმდენადვე, რამდენადაც იმავე კონსტრუქციის მანქანების კლავწარმოება უფრო იაფი ხდება, ანდა უკეთესი მანქანები იწყებენ მისთან კონკურენციას¹⁴⁶. ორივე შემთხვევაში, რაგინდ ჯერ კიდევ

¹⁴⁵ «უმოქმედობა... ზიანს აყენებს ლითონური მექანიზმის მოძრავ ფაქიზ ნაწილებს» (Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 28).

¹⁴⁶ უკვე უწინ მოხსენიებული «Manchester Spinner»-ი [მანჩესტერელი მრთველი] («Times», 26 November 1862) მანქანის ხარჯებს მოაკლუთენებს იმის (ლაპარაკია მანქანის გაცვეთის ჩამოწერაზე), რაც განკლუთენილია იმ დანაკარგის დასაფარავად, რომელიც მუდამ წარმოდგება იმის გამო, რომ ერთი მანქანა, ვიდრე იგი გაიკეთება, შენაცვლელად ხდება მეორე, უფრო ახალი და გაუმჯობესებული კონსტრუქციის, მანქანითა.

ახალი და გამძლე იყოს მანქანა, მისი ღირებულება აღარ განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რომელიც თვით მასში ფაქტიურად გაანგნობრივებულია, არამედ იგი განისაზღვრება მისივე კვლავწარმოების ანუ უკეთესი მანქანის კვლავწარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროით. ამიტომ იგი ცოტად თუ ბევრად კარგავს თავის ღირებულებას. რაც უფრო მოკლეა ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც იკვლავწარმოება მისი ერთობლივი ღირებულება, მით უფრო ნაკლებია მისი მორალური გაცვეთის საფრთხე, და რაც უფრო გრძელია სამუშაო დღე, მით უფრო მოკლეა ეს პერიოდი. მანქანის პირველად შემოღებისას წარმოების რომელიმე დარგში, ზედიზედ მისდევნენ ერთმანეთს მისი უფრო იაფი კვლავწარმოების ახალ-ახალი მეთოდები¹⁴⁷ და გაუმჯობესებანი, რომელნიც არა მარტო ცალკეულ ნაწილებს ან აპარატებს, არამედ მთელ კონსტრუქციას მოიცავენ. ამიტომ მანქანის სიცოცხლის პირველ პერიოდში სამუშაო დღის გაგრძელების ეს განსაკუთრებული მოტივი უდიდესი სიძლიერით მოქმედებს¹⁴⁸.

თუ სხვა პირობებს უცვლელად და სამუშაო დღის სიდიდეს მოცემულად ვიგულისხმებთ, მუშების გაორკეცებული რიცხვის ექსპლოატაცია მოითხოვს მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის გაორკეცებას, რომელიც დახარჯულია როგორც მანქანებსა და შენობებზე, ისე ნედლ მასალაზე, დამხმარე ნივთიერებაზე და სხვ. სამუშაო დღის გაგრძელებით ფართოდება წარმოების მასშტაბი, მაშინ როდესაც კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მანქანებსა და შენობებზეა დახარჯული, უცვლელი რჩება¹⁴⁹. ამის გამო არა მარტო იზრდება ზედმეტი ღირებულება, არამედ მის მისაღებად აუცილებელი ხარჯებიც

¹⁴⁷ ასეერთოდ მიღებულია, რომ ახლადგამოგონებული მანქანის პირველი ცალის აგება თითქმის ხუთჯერ მეტი ღირს, ვიდრე მეორე ცალის აგება (B a b b a გ ე: «On the Economy of Machinery». London 1832, გვ. 349).

¹⁴⁸ რამდენიმე წლის განმავლობაში ბლონდის ფაბრიკაციაში ისეთი მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი გაუმჯობესება მოხდა, რომ კარგად შენახული მანქანა, თავდაპირველად 1 200 გირვანქა სტერლინგად ღირებული, რამდენიმე წლის შემდეგ 60 გირვანქა სტერლინგად იყიდებოდა... გაუმჯობესება ისეთი სისწრაფით მიმდინარეობდა, რომ მანქანები მანქანათმშენებელთა ხელში დაუმთავრებელი რჩებოდა, რადგან ისინი უკვე ძველდებოდნენ უფრო უკეთეს გამოგონებათა გამო. ამიტომ ამ ქარიშხლისა და შეტყეის პერიოდში ბლონდის მეფაბრიკებმა პირვანდელი 8 საათის სამუშაო დრო მალე მუშების ორმაგი ცვლის შემოღების გზით 24 საათამდე გააძიდეს (იქმე, გვ. 233).

¹⁴⁹ თავისთავად ცხადია, რომ ბაზარზე არსებული მიქცევა-მოქცევისა და მოთხოვნის ცვლებადი შეკუმშვა-გაფართოების დროს მუდამ ისეთ შემთხვევებს ეწეება ადგილი, როდესაც მეფაბრიკეს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი საბრუნავი

კლებულობს. თუმცა ამ მოვლენას ცოტად თუ ბევრად ადგილი აქვს საერთოდ ყოველი სამუშაო დღის გაგრძელების დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შრომის საშუალებად გადაქცეული ნაწილი კაპიტალისა საერთოდ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობისაა¹⁵⁰. მართლაც, მანქანური წარმოების განვითარება კაპიტალის მუდამ მზარდ შემადგენელ ნაწილს ისეთ ფორმაში შებოჭავს, რომელშიც იგი, ერთი მხრივ, მუდამ შეიძლება ღირებულების ზრდისათვის იქნას გამოყენებული, მეორე მხრივ კი, კარგავს სახმარ და საცვლელ ღირებულებას, რაწამსაც შეწყდება მისი კონტაქტი ცოცხალ შრომისთან. «როდესაც მიწათმოქმედი, — ასე ასწავლიდა ინგლისის ბამბის მრეწველობის მაგნატი ბ-ნი ეშვორტი პროფესორ ნასაუ ვ. სენიორს, — როდესაც მიწათმოქმედი ბარს ხელიდან აგდებს, იგი უსარგებლოდ ხდის ამ დროის განმავლობაში 18 პენს კაპიტალს. როდესაც ვინმე ჩვენი ხალხიდან (ე. ი. ფაბრიკის მუშებიდან) ფაბრიკას ტოვებს, ამით იგი უსარგებლოდ ხდის 100 000 გირვანქა სტერლინგად ღირებულ კაპიტალს»¹⁵¹. აბა იფიქრეთ! უსარგებლოდ გახადო, თუნდ ერთი წუთითაც, კაპიტალი, რომელიც 100 000 გირვ. სტერლინგი ღირდა! ეს ხომ მართლა აღმაშფოთებელია, თუ ვინმე ჩვენი ხალხიდან საზოგადოდ ოდესმე ფაბრიკას ტოვებს! მანქანური მოწყობილობის მუდამ მზარდი მოცულობა «სასურველად» ხდის, — როგორც ამას ეშვორტის მიერ განსწავლული სენიორი ფიქრობს, — სამუშაო დღის მუდამ მზარდ გაგრძელებას¹⁵².

მანქანა აწარმოებს შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას არა მარტო იმით, რომ იგი პირდაპირ დაბლა სწევს სამუშაო ძალის

კაპიტალი ძირითადი კაპიტალის გაუდიდებლად, ... თუკი ნედლი მასალის დამატებითი რაოდენობის დამუშავება შესაძლებელია შენობებისა და მანქანებისათვის საჭირო დამატებითი ხარჯების გაუღებლად» (R. Torrens: «On Wages and Combination». London 1834, გვ. 64).

¹⁵⁰ ტექსტში აღნიშნული გარემოება მხოლოდ სისრულისათვის მოიხსენიება აქ, რადგან მოგების ნორმას, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან, მე მხოლოდ მესამე წიგნში განვიხილავ.

¹⁵¹ Senior: «Letters on the Factory Act». London 1837, გვ. 13, 14.

¹⁵² «ძირითადი კაპიტალის დიდი ჰარბობა საბრუნავ კაპიტალთან შედარებით... სასურველად ხდის ხანგრძლივ სამუშაო დღეს». მანქანური მოწყობილობისა და სხვ. მზარდ მოცულობასთან ერთად «სამუშაო დროის გაგრძელების მოტივი უფრო ძლიერდება, რადგან იგი ერთადერთი საშუალებაა ძირითადი კაპიტალის შეფარდებითი გადიდებიდან მოგების მისაღებად» (იქვე, გვ. 11 — 13). «თვითუფლ ფაბრიკაში ადგილი აქვს სხვადასხვა ხარჯებს, რომელნიც უცვლელად რჩებიან იმის მიუხედავად, მეტ თუ ნაკლებ ხანს მუშაობს ფაბრიკა; ასეთებია, მაგალითად, შენობის ქირა, ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადები, ცეცხლისაგან დახლევვა, სხვადასხვა მუდ-

ღირებულებას და არაპირდაპირ აიაფებს მას მის კვლავწარმოებაში შემავალ საქონელთა გაიაფებით, არამედ იმითაც, რომ მის პირველ შემოღებისას, როდესაც ამას ჯერ კიდევ სპორადული ხასიათი აქვს, მანქანის მფლობელის მიერ გამოყენებულ შრომას იგი პოტენციურად უზრუნველ აქცევს, მანქანური პროდუქტის საზოგადოებრივ ღირებულებას მის ინდივიდუალურ ღირებულებაზე უფრო მაღლა სწევს და ამ გზით შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტს სამუშაო ძალის დღიური ღირებულება დღიური პროდუქტის ღირებულების შედარებით ნაკლები ნაწილით აინახალოს. ამიტომ ამ გარდამავალ პერიოდში, როდესაც მანქანური წარმოება ერთგვარ მონოპოლიად რჩება, მოგება არაჩვეულებრივ ოდენობას აღწევს, და კაპიტალისტიც ცდილობს ეს «*erste Zeit der jungen Liebe*» [ქაბუკური სიყვარულის პირველი წუთები] რაც შეიძლება საფუძვლიანად გამოიყენოს სამუშაო ძალის უკიდურეს შესაძლებლობამდე გაგრძელებით. დიდი მოგება კიდევ უფრო კიდობს მოგების დაუცხრომელ წყურვილს ამწვავებს.

წარმოების განსაზღვრულ დარგში მანქანის საყოველთაო გავრცელების შესაბამისად მანქანური პროდუქტის საზოგადოებრივი ღირებულება ძირს იწევს მის ინდივიდუალურ ღირებულებამდე და ძალაში შედის კანონი, რომლის თანახმად ზედმეტ ღირებულებას წარმოშობს არა ის სამუშაო ძალა, რომელიც კაპიტალისტმა მანქანით შეცვალა, არამედ, პირიქით, — ის სამუშაო ძალა, რომელსაც იგი მანქანაზე ამუშავებს. ზედმეტ ღირებულებას მხოლოდ კაპიტალის ცვალებადი ნაწილი წარმოშობს, და ჩვენ დავინახეთ, რომ ზედმეტი ღირებულების მასა ორი ფაქტორით განისაზღვრება: ზედმეტი ღირებულების ნორმით და იმავდროულად დასაქმებულ მუშათა რიცხვით. როდესაც სამუშაო ძალის სიგრძე მოცემულია, ზედმეტი ღირებულების ნორმა განისაზღვრება იმ შეფარდებით, რომლის მიხედვით სამუშაო ძლე აუცილებელ და ზედმეტ შრომად იყოფა. იმავდროულად დასაქმებულ მუშათა რიცხვი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კაპიტალის ცვალებადი ნაწილის მუდმივ ნაწილთან შეფარდებაზე. მაგრამ ცხადია, რომ მანქანური წარმოება, რაც უნდა დიდად გააფართოოს მან შრომის მწარმოებლური ძალის გაზრდით ზედმეტი შრომა აუცილებელი შრომის ხარჯზე, ამ შედეგს იგი მხოლოდ იმით აღწევს, რომ მოცემული კაპიტალის მიერ დასაქმებულ

მეტი მუშების სელფასი, მანქანების გაფუჭება და მთელი რიგი სხვა ხარჯები, რომელთა პროპორცია მოგებისადმი იმავე ოდენობით კლებულობს, რა ოდენობითაც წარმოების მოცულობა მატულობს» («*Reports of the Insp. of Fact. for 31st October 1862*», გვ. 19).

მუშათა რიცხვს ამცირებს. კაპიტალის ერთ ნაწილს, რომელიც უწინ ცვალებადი იყო, ე. ი. ცოცხალ სამუშაო ძალად გარდაქმნას განიცდიდა, იგი აქცევს მანქანებად, მაშასადამე, მუდმივ კაპიტალად, რომელიც არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ აწარმოებს. შეუძლებელია, მაგალითად, ორ მუშას იმდენი ზედმეტი ღირებულება გამოსწურო, რამდენიც 24 მუშას. თუ თვითეული ამ 24 მუშიდან ყოველ 12 საათში მხოლოდ ერთი საათის ზედმეტ შრომას იძლევა, მაშინ ყველანი ერთად 24 საათის ზედმეტ შრომას მოგვცემენ, ორი მუშის მთელი შრომა კი მხოლოდ 24 საათს შეადგენს. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად მანქანის გამოყენებას ახლავს იმანენტური წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იმ ზედმეტი ღირებულების ორი ფაქტორიდან, რომელიც მოცემული სიდიდის კაპიტალს შოაქვს, მანქანა ერთ ფაქტორს, ზედმეტი ღირებულების ნორმას, მხოლოდ იმ გზით გაადიდებს, რომ მეორე ფაქტორს, მუშათა რიცხვს, შეამცირებს. ეს იმანენტური წინააღმდეგობა აშკარაა, როგორც კი მრეწველობის რომელიმე დარგში მანქანების საყოველთაო გავრცელებისთანავე მანქანური წესით წარმოებული საქონლის ღირებულება ყველა იმავე გვარის საქონლის მარეგულირებელი საზოგადოებრივი ღირებულება ხდება; და სწორედ ეს წინააღმდეგობაა, რომელიც, თუმცა კაპიტალისტის ცნობიერებამდე ვერ აღწევს¹⁵³, კვლავ აიძულებს კაპიტალს უკიდურესად გააგრძელოს სამუშაო დღე, რათა ექსპლოატირებულ მუშათა რიცხვის შედარებითი შემცირება ანაზღაუროს არა მარტო შეფარდებითი ზედმეტი შრომის გადიდებით, არამედ აგრეთვე აბსოლუტური ზედმეტი შრომის გადიდებითაც.

ამრიგად, მანქანების კაპიტალისტური გამოყენება, ერთი მხრივ, ახალ მძლავრ მოტივებს ქმნის სამუშაო დღის უზომო გაგრძელებისათვის და თვით შრომის წესსა და აგრეთვე საზოგადოებრივი სამუშაო ორგანიზმის აგებულებაში იმგვარ გადატრიალებას ახდენს, რომელიც სამუშაო დღის გაგრძელების ამ ტენდენციისადმი ყოველგვარ შეწინააღმდეგებას ამსხვრევს; მეორე მხრივ, იგი წარმოშობს, — ნაწილობრივ იმით, რომ კაპიტალისთვის წინათ ხელმიუწვდომელ მუშათა ფენებს ახლა კაპიტალის უღელში აბამს, ნაწილობრივ კი იმით, რომ მანქანის

¹⁵³ თუ რატომ ვერ აღწევს ეს იმანენტური წინააღმდეგობა ცალკეული კაპიტალისტის ცნობიერებამდე და ამიტომ ვერ აისახება იგი მისი შეხედულებებით შებოჭილ პოლიტიკურ ეკონომიაში, ამას ჩვენ მესამე წიგნის პირველ განყოფილებებში დავინახავთ.

მიერ განდევნილ მუშებს უმუშევრად ტოვებს. — ჭარბ მუშა-მოსახლეობას¹⁵⁴, რომელიც იძულებულია კაპიტალის მიერ ნაკარნახევ კანონს დაემორჩილოს. აქედან წარმოდგება ის ღირსშესანიშნავი მოვლენა თანამედროვე მრეწველობის ისტორიაში, რომ მანქანა სამუშაო დღის ყველა მორალურ და ბუნებრივ ზღუდეს პირქვე ამხობს. აქედანვეა ის ეკონომიური პარადოქსი, რომ სამუშაო დროის შემცირების უძლიერესი საშუალება იქცევა უტყუარ საშუალებად იმისა, რომ მუშის და მისი ოჯახის სიცოცხლის მთელი დრო კაპიტალის განკარგულებაში მყოფ სამუშაო დროდ გადაიქცეს ამ კაპიტალის ღირებულების გასადიდებლად. «თვითეულ იარაღს, — ოცნებობდა არისტოტელე, ძველი დროის უდიდესი მოაზროვნე, — რომ შეეძლოს სათანადო სამუშაო შეასრულოს სხვისი ბრძანებით ანდა თავისი ნებით, მსგავსად იმისა, როგორც დედალოსის ხელოვნების ქმნილებანი მოძრაობდნენ თავისით, ანდა როგორც ჰეტესტოს ზედადგარი თავისი ნებით იწყებდა საღმრთო სამსახურს, ამრიგად, საფეიქრო მაქო რომ თავისთავად ქსოვდეს, — მაშინ არც ოსტატს დასჭირდებოდა თანაშემწეები და არც ბატონს — მონები»¹⁵⁵. ხოლო ანტიპატროსი, ციცერონის დროის ბერძენთა მეოსანი, მიესალმებოდა ხორბლის დასათქვავად წყლის წისქვილის გამოგონებას, ყველა მწარმოებლური მანქანის ამ ელემენტარულ ფორმას, როგორც მონა-ქალების განმათავისუფლებელ და ოქროს ეპოქის აღმდგენელ მოვლენას!¹⁵⁶

¹⁵⁴ რიკარდოს ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მანქანაში ხედავდა არა მარტო საქონლის წარმოების საშუალებას, არამედ *redundant population*-ის [ჭარბი მოსახლეობის] წარმოების საშუალებასაც.

¹⁵⁵ F. Biese: «Die Philosophie des Aristoteles». Berlin 1842, ტ. II, გვ. 408.

¹⁵⁶ აქ მომყავს ეს ლექსი, თარგმნილი შტოლბერგის მიერ, რადგანაც იგი, მსგავსად წინანდელი ციტატებისა შრომის დანაწილების შესახებ, ახასიათებს ანტიკურ და თანამედროვე შეზღუდულებათა კონტრასტს:

«Schonet der mahlenden Hand, o Müllerinnen, und schlafet
Sanft! es verkünde der Hahn euch den Morgen umsonst!
Düo hat die Arbeit der Mädchen den Nymphen befohlen,
Und jetzt hüpfen sie leicht über die Räder dahin,
Dass die erschütterten Achsen mit ihren Speichen sich wälzen,
Und im Kreise die Last drehen des wälzenden Steins.
Lasst uns leben das Leben der Väter, und lasst uns der Gaben
Arbeitslos uns freun, welche die Göttin uns schenkt».

(«Gedichte aus dem Griechischen übersetzt von Christian Graf zu Stolberg. Hamburg 1782» [გვ. 312]).

[«დასავენეთ თქვენი ხელები, მუქველო ქალებო, და იძინეთ უდარდელად! ამოდგა უწყობთ თქვენ განთიადი მამალმა! დეომ ქალოწვილების შრომა ნიმუფებს დააკისრა,

«წარმართნი, სწორედ წარმართნი!» მათ, როგორც ეს აღმოაჩინა შორსმჭვრეტელმა ბასტიამ და მასზე უწინ კიდევ უფრო ბრძენმა მაკულახმა, არაფერი გაეგებოდათ არც პოლიტიკური ეკონომიის და არც ქრისტიანობისა. მათ არ ესმოდათ, სხვათა შორის, რომ მანქანა ყველაზე უფრო უტყუარი საშუალებაა სამუშაო დღის გასაგრძელებლად. მართალია, ისინი ამართლებდნენ ერთთა მონობას, მაგრამ — როგორც საშუალებას სხვათა სრული ადამიანური განვითარებისათვის. ხოლო რათა ექადაგნათ მასების მონობა იმ მიზნით, რომ ზოგიერთი გაუთლელ-უმეცარი ან ნახევრად განათლებული მეტიჩარა გამხდარიყო «eminent spinner» [«გამოჩენილი მრთველია», «extensive sausage maker» [«მსხვილი მეძებვეა»] და «influential shoe black-dealer» [«გავლენიანი ვაქსით მოვაჭრეა», — ამისათვის ისინი მოკლებულნი იყვნენ სპეციფიკურ ქრისტიანულ გრძნობებს.

ე) შრომის ინტენსიფიკაცია

სამუშაო დღის უზომო გაგრძელება, რასაც კაპიტალის განკარგულებაში მყოფი მანქანა ქმნის, შემდეგში წარმოშობს, როგორც უკვე დავინახეთ, რეაქციას საზოგადოებაში, რომლის სასიცოცხლო ფესვებს იგი საფრთხეში აგდებს, და ამით იწვევს შეზღუდული ნორმალური სამუშაო დღის დაწესებას კანონმდებლობითი გზით. ამ უკანასკნელის საფუძველზე ვითარდება გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა, რომელსაც ჩვენ უკვე უწინ შევხვდით, სახელდობრ შრომის ინტენსიფიკაცია. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების ანალიზის დროს საქმე შეეხებოდა უწინარეს ყოვლისა შრომის ექსტენსიურ სიდიდეს, მაშინ როდესაც მისი ინტენსივობა იგულისხმებოდა როგორც წინასწარ მოცემული სიდიდე. ჩვენ ახლა უნდა განვიხილოთ ექსტენსიური სიდიდის გარდაქმნა ინტენსიურ ანუ ხარისხოვან სიდიდედ.

თავისთავად იგულისხმება, რომ მანქანური სისტემის განვითარებასა და მანქანის მუშათა სპეციალური კონტინგენტის მიერ გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ბუნებრივად მატულობს შრომის სისწრაფე და ამით შრომის ინტენსივობაც. ასე, ინგლისში ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამუშაო დღის გაგრძელება ფაბრიკული შრომის ინტენსივობის ზრდასთან ხელიხელჩაბმული მიდის. მაგრამ გასაგებია, რომ ისეთი

და ისინი მარდად დაბტიან ახლა თვლებზე, ისე რომ შერხეული ღერძები თავისი მანებითურთ ბრუნავენ წრეში და მძიმე დოლაბებს აბრუნებენ. მაშ ვიცხოვროთ მამაბაბურად და დაეტკბეთ გაურჯელად ქალ-ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქრითა.]

მუშაობის დროს, რომელსაც გაცხოველებული მოქმედების წარმავალი პაროქსიზმები კი არ ახასიათებს, არამედ რომელიც ყოველდღიურად განმეორებული, რეგულარული ერთფეროვნებით მიმდინარეობს, უნდა დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც სამუშაო დღის გაგრძელება და შრომის ინტენსივობა ერთიმეორეს გამორიცხავენ, ასე რომ სამუშაო დღის გაგრძელება შეიძლება შეუთავსდეს მხოლოდ შრომის ინტენსივობის ხარისხის დაწვეას და, პირიქით, ინტენსივობის ხარისხის აწევა — მხოლოდ სამუშაო დღის შემცირებას. როგორც კი მუშათა კლასის აღშფოთების თანდათანობითი გაძლიერების გამო სახელმწიფო იძულებული გახდა სამუშაო დრო ძალით შეემოკლებინა და უწინარეს ყოვლისა საკუთრივ ფაბრიკისთვის ნორმალური სამუშაო დღე ეკარნახებინა, მაშასადამე, იმ მომენტიდან, როდესაც ზედმეტი ღირებულების წარმოების გადიდება სამუშაო დღის გაგრძელების გზით ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელი გახდა, კაპიტალი მთელი თავისი ძალით და სრული შეგნებით დაეწაფა შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებას მანქანური სისტემის დაჩქარებული განვითარების საშუალებით. ამასთანავე ერთად იცვლება შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ხასიათი. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდი საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალის მეოხებით მუშამ მეტის წარმოება შეძლოს იმავე დროის განმავლობაში იმავე შრომის დახარჯვით. იგივე სამუშაო დრო ერთობლივ პროდუქტს იმავე ღირებულებას მატებს, როგორც უწინ, თუმცა ეს უცვლელად დარჩენილი საცვლელი ღირებულება ახლა უფრო მეტი სახმარი ღირებულებით გამოიხატება, და ამიტომ ცალკეული საქონლის ღირებულება დაბლა იწევს. მაგრამ სულ სხვა სურათს ვხედავთ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო დღის იძულებითი შემოკლება, რომელიც მძლავრ ბიძგს აძლევს მწარმოებლური ძალის განვითარებას და წარმოების პირობების ეკონომიას, ამასთან ერთად ძალას ატანს მუშას მეტი შრომა დახარჯოს იმავე დროის განმავლობაში, გააძლიეროს სამუშაო ძალის სიმძაფრე, უფრო მკიდროდ ამოავსოს სამუშაო დროის სერტები, ე. ი. მოახდინოს შრომის კონდენსაცია იმ ზომამდე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ შემოკლებული სამუშაო დღის ფარგლებში. მოცემული პერიოდის ფარგლებში ეს შეკუმშული შრომის მეტი მასა ახლა იანგარიშება შრომის მეტ რაოდენობად, რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს. სამუშაო დროის, როგორც გავრცობილი სიდიდისა, ზომასთან ერთად ჩვენ ახლა გვევლინება ზომა მისი

შეკუმშვის ხარისხისა ¹⁵⁷. ათსაათიანი სამუშაო დღის უფრო ინტენსიური საათი ახლა იმდენსავე ანდა მეტ შრომას, ე. ი. მეტ დახარჯულ სამუშაო ძალას შეიცავს, ვიდრე თორმეტსაათიანი სამუშაო დღის უფრო სვრეტებიანი საათი. ამიტომ მისი პროდუქტი იმდენსავე ანდა მეტ ღირებულებას შეიცავს, ვიდრე უფრო სვრეტებიანი $1\frac{1}{2}$ საათის პროდუქტი. თუ არას ვიტყვით შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების გადიდებაზე, რომელიც შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების შედეგია, ახლა, მაგალითად, $6\frac{2}{3}$ საათის აუცილებელ შრომაზე $3\frac{1}{2}$ საათის ზედმეტი შრომა იმავე ღირებულების მასას აძლევს კაპიტალისტს, რასაც უწინ 8 საათის აუცილებელ შრომაზე 4 საათის ზედმეტი შრომა აძლევდა.

ახლა საკითხავია: რანაირად ხდება შრომის ინტენსიფიკაცია? სამუშაო დღის შემოკლების პირველი შედეგი დამყარებულია იმ თავისთავად გასაგებ კანონზე, რომ სამუშაო ძალის ქმედუნარიანობა შებრუნებულ შეფარდებაშია მისი მოქმედების დროსთან. ამიტომ, გარკვეულ ფარგლებში, რაც სამუშაო ძალის ხარჯვის ხანგრძლიობის მხრივ იკარგება, ის მისი ინტენსივობით ნაზღაურდება. იმისათვის კი, რათა მუშამ ნამდვილად მეტი სამუშაო ძალა ამოქმედოს, კაპიტალი ზრუნავს ხელფასის გადახდის მეთოდის საშუალებით ¹⁵⁸. მანუფაქტურებში, — მაგალითად, მეთუნეობის მანუფაქტურაში, სადაც მანქანა არავითარ ანდა უმნიშვნელო როლს ასრულებს, — საფაბრიკო კანონის შემოღებამ აშკარად დაამტკიცა, რომ სამუშაო დღის უბრალო შემოკლება საოცრად ადიდებს შრომის რეგულარობას, ერთფეროვნებას, წესრიგს, უწყვეტობას და ენერჯიას ¹⁵⁹. მაგრამ საეჭვოდ ჩანდა, რომ ასეთი შედეგი ექნებოდა ამას საკუთრივ ფაბრიკაშიც, რადგან იმ გარემოებამ, რომ აქ მუშა დამოკიდებულია მანქანის უწყვეტ და ერთფეროვან მოძრაობაზე, უკვე დიდი ხანია ფაბრიკაში უსასტიკესი დისციპლინა დაამყარა. ამიტომ, როდესაც 1844 წელს სამუშაო

¹⁵⁷ რა თქმა უნდა, წარმოების სხვადასხვა დარგში ადგილი აქვს საერთოდ განსხვავებებს შრომის ინტენსივობაში. ეს განსხვავებანი, როგორც უკვე ა. სმიტმა დაგვანახა, ნაწილობრივ წონასწორდება თანაგა ზემოებათა ძალით, რომელნიც დამახასიათებელია ყოველგვარი შრომისთვის. მაგრამ სამუშაო დროზე როგორც ღირებულების საზომზე ზეგავლენას აქაც ადგილი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ინტენსიური და ექსტენსიური სიდიდე წარმოადგენს შრომის იმავე რაოდენობის ერთიმეოთხის მოპირისპირე და ერთმანეთის გამომრიცხველ გამოხატულებას.

¹⁵⁸ განსაკუთრებით ცალობრივი ხელფასით, — იმ სახეობის ხელფასით, რომელიც განხილული იქნება მეექვსე განყოფილებაში.

¹⁵⁹ იხ. «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865».

დღის 12 საათზე დაბლა დაწვევის საკითხი ირჩეოდა, მეფეაბრიკეებმა თითქმის ერთხმად განაცხადეს, რომ «მათი ზედამხედველები სხვადასხვა სამუშაო სადგომებში თვალყურს ადევნებენ იმას, რომ მუშახელმა დრო არ დაკარგოს», რომ «მუშების სიფხიზლისა და ყურადღების (the extent of vigilance and attention on the part of the workmen) გაძლიერება თითქმის შეუძლებელია», და რომ, ამიტომ, თუ ყველა სხვა პირობას, — როგორცაა მაგალითად, მანქანების სისწრაფე და სხვ., — უცვლელად ვიგულისხმებთ, უზარობა იქნება კეთილმოწყობილ ფაბრიკებში მუშების ყურადღების გაძლიერებისაგან და ა. შ. რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს მოველოდეთ»¹⁶⁰. ეს მტკიცება ექსპერიმენტით იქნა დარღვეული. ბ-მა რ. გარდნერმა 1844 წლის აპრილის 20-დან თავის ორ დიდ ფაბრიკაში, პრესტონში, 12 საათის ნაცვლად 11 საათის სამუშაო დღე შემოიღო. დაახლოებით ერთი წლის განვლის შემდეგ ის შედეგი აღმოჩნდა, რომ «იმავე ხარჯების გაწევით იმავე რაოდენობის პროდუქტი იქნა მიღებული და ყველა მუშას იმდენი ხელფასი ერგო 11 საათში, რამდენიც უწინ — 12 საათში»¹⁶¹. მე არ ვეხები აქ მატყლის საერთავ და საჩჩი განყოფილებებში ჩატარებულ ექსპერიმენტებს, რადგან ეს ექსპერიმენტები მანქანების სისწრაფის გადიდებასთან (2⁹/₆-ით) იყო დაკავშირებული. პირიქით, საფეიქრო განყოფილებაში, სადაც ამასთანავე ფრიად სხვადასხვანაირი ხარისხის მსუბუქი სახიანი ქსოვილები მზადდებოდა, არავითარი ცვლილება არ მომხდარა წარმოების ობიექტურ პირობებში. შედეგი ასეთი იყო: «1844 წლის 6 იანვრიდან 20 აპრილამდე, როდესაც თორმეტსაათიანი სამუშაო დღე იყო, თვითელი მუშის საშუალო ხელფასი 10 შილინგს და 1¹/₂ პენსს უდრიდა კვირაში; 1844 წლის 20 აპრილიდან 29 ივნისამდე კი, როდესაც თერთმეტსაათიანი სამუშაო დღე იყო, საშუალო ხელფასი 10 შილინგს და 3¹/₂ პენსს შეადგენდა კვირაში»¹⁶². ამ შემთხვევაში 11 საათის განმავლობაში უფრო მეტი იწარმოებოდა, ვიდრე უწინ 12 საათში, — და ეს მხოლოდ და მხოლოდ მუშების უფრო მეტი და უფრო თანაბარი გამძლეობისა და მათი დროის ეკონომიის გამო. მაშინ როდესაც მუშამ იგივე ხელფასი მიიღო და ერთი საათი თავისუფალი დრო მოიგო, კაპიტალისტმა პროდუქტთა იგივე მასა მიიღო და ნახშირის, გაზის და სხვ. ერთი

¹⁶⁰ «Reports of Insp. of Fact. for 1844 and the quarter ending 30th April 1845», გვ. 20, 21.

¹⁶¹ იქვე, გვ. 19. რადგან ცალობრივი ხელფასი არ შეცვლილა, კვირული ხელფასის სიდიდე პროდუქტის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული.

¹⁶² იქვე, გვ. 20.

საათის ხარჯვა დაზოგა. ამგვარივე ექსპერიმენტები, მსგავსი შედეგებით, ჩატარდა ბ-ნ ჰოროკისა და ჯექსონის ფაბრიკებში¹⁶³.

როგორც კი სამუშაო დღის შემოკლება, რომელიც უწინარეს ყოვლისა შრომის კონდენსაციის სუბიექტურ პირობას ქმნის, ე. ი. განსაზღვრული დროის განმავლობაში მეტი ძალის დახარჯვის უნარს უღვიძებს მუშას, იძულებითი, ე. ი. საკანონმდებლო წესით ხორციელდება, მანქანა კაპიტალის ხელში იქცევა ობიექტურ და სისტემატურად გამოყენებულ საშუალებად იმისათვის, რომ იმავე დროის განმავლობაში მეტი შრომა იქნას გამოწურული. ამის მიღწევა ხდება ორნაირი წესით: მანქანების სისწრაფის გადიდებით და ერთი და იმავე მუშის სამეთვალყურო მექანიზმის მოცულობის გაფართოებით, ე. ი. ამ მუშის სამუშაო სარბიელის გაფართოებით. მანქანათა კონსტრუქციის გაუმჯობესება ნაწილობრივ აუცილებელია იმისათვის, რათა უფრო გაძლიერდეს მუშის შევიწროვება, ნაწილობრივ კი იგი თავისთავად თან სდევს შრომის ინტენსიფიკაციას, რადგან სამუშაო დღის შეზღუდვა კაპიტალისტს აიძულებს წარმოების ხარჯების სასტიკი ეკონომია გასწიოს. ორთქლის მანქანის გაუმჯობესება აღიღებს მისი დგუშის დარტყმათა რაოდენობას წუთში და ამავე დროს, ძალის მეტი დაზოგვის გამო, შესაძლებლობას ქმნის წინანდელი ზომის მოტორით და თან წინანდელი ოდენობის ნახშირის დახარჯვით ანდა ნაკლების დახარჯვითაც უფრო დიდი მექანიზმი იქნას ამოძრავებული. გადამცემი მექანიზმის გაუმჯობესება ამცირებს ხახუნს და, — რაც ასე ცხადად განასხვავებს თანამედროვე მანქანას ძველისაგან, — მსხვილ და წვრილ ლილვთა დიამეტრი და წონა დაჰყავს მუდამ კლებად მინიმუმამდე. ბოლოს, სამუშაო მანქანის გაუმჯობესება აძლიერებს მის სისწრაფეს, აფართოებს მის მოქმედებას და ამასთანავე ამცირებს მის მოცულობას, — როგორც ამას ვხედავთ თანამედროვე ორთქლის საფეიქრო დაზვის მაგალითზე, — ან აღიღებს მანქანის კორპუსთან ერთად მის მიერ ამოქმედებულ იარაღთა მოცულობას და რიცხვს, — როგორც ამას ვხედავთ სართავ მანქანაზე, — ანდა აძლიერებს ამ იარაღთა ძვრადობას შეუმიჩნეველ ნაწილობრივ ცვლილებათა საშუალებით, — როგორც, მაგალითად, 50-იან წლების შუა რიცხვებში selfac-

¹⁶³ იქვე, გვ. 21. ზემოაღნიშნულ ექსპერიმენტებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მორალური ელემენტი. ჩვენ, — განუცხადეს მუშებმა ფაბრიკის ინსპექტორს, — უფრო გულმოდგინედ ვმუშაობთ, მუდამ ვფიქრობთ ჯილდოზე, — საღამოს უფრო ადრე შინ წასვლის შესაძლებლობაზე; მთელი ფაბრიკა, სულ ახალგაზრდა მიმძაზვიდან დაწყებული ყველაზე მოხუც მუშამდე, გამსჭვალულია მხნეობითა და თავგამოდებით, და ჩვენ ახლა უფრო მეტ დახმარებას ვუწევთ ერთმანეთს» (იქვე).

ting mule-ის [სელფაქტორის] თითისტართა სისწრაფე გადიდებულ იქნა ამგვარად $\frac{1}{6}$ -თ.

სამუშაო დღის 12 საათამდე შემცირება ინგლისში 1833 წელს მოხდა. უკვე 1836 წელს ერთი ინგლისელი მეფაბრიკე აცხადებდა: ჟღერდებოდა დროსთან შედარებით შრომა ფაბრიკაში ძალიან გაიზარდა იმის გამო, რომ მანქანის მნიშვნელოვნად გაზრდილი სისწრაფე მუშისაგან მეტ ყურადღებას და მოქმედებას მოითხოვს¹⁸⁴. 1844 წელს ლორდმა ეშლიმ, ახლანდელმა გრაფმა შეფტსბერიმ, თემთა პალატაში შემდეგი დოკუმენტურად დასაბუთებული განცხადება გააკეთა:

ფაბრიკულ პროცესებში დასაქმებულთა შრომა ამჟამად სამჯერ მეტია, ვიდრე ამ ოპერაციების შემოღებისას იყო. ეჭვს გარეშეა, მანქანამ ისეთი საქმე შეასრულა, რომლის გაკეთებას მილიონობით ადამიანთა ძარღვები და კუნთები დასჭირდებოდა, მაგრამ მანვე განსაკვიფრებლად (prodigiously) გაადიდა ადამიანის შრომა, რომელიც თავის საშინელ მოძრაობას დაუმორჩილა... ორი მიულ-მანქანის მეთვალყურეობა რაც ამ მანქანებს შორის წინ და უკან სიარულს მოითხოვს 12 საათის განმავლობაში, № 40 ნართის რთვის დროს, 1825 წელს 8 მილი მანძილის გავლას მოითხოვდა. 1832 წელს ის მანძილი, რომელიც უნდა გავლილიყო 12 საათის განმავლობაში ორი მიულ-მანქანის მეთვალყურეობისას იმავე ნომრის რთვის დროს, უდრიდა 20 მილს და ხშირად მეტსაც. 1825 წელს მრთველს, 12 საათის განმავლობაში, თვითეულ მიულ-მანქანაზე 820 ძაფის გასწორება უნდა შეესრულებინა, რაც მთლად ორ მანქანაზე 12 საათში 1 640 გასწორებას შეადგენდა. 1832 წელს მრთველს, 12 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში, თვითეულ მიულ-მანქანაზე — 2 200, სულ — 4 400 გასწორება უნდა შეესრულებინა; 1844 წელს თვითეულ მიულ-მანქანაზე — 2 400, სულ 4 800 გასწორება უნდა შეესრულებინა, ზოგიერთ შემთხვევაში კი შრომის საჭირო რაოდენობა (amount of labour) კიდევ უფრო დიდია... აქ მე ხელთ მაქვს კიდევ სხვა — 1842 წლის — დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ შრომა პროგრესიულად მატულობს არა მხოლოდ იმის გამო, რომ უფრო დიდი მანძილია გასაველელი, არამედ — იმიტომაც, რომ იზრდება წარმოებული საქონლის რაოდენობა, მაშინ როდესაც მუშათა რიცხვი პროპორციულად კლებულობს; და, შემდეგ, კიდევ იმიტომ, რომ ახლა ხშირად ცუდ ბამბას ართავენ, რაც მეტ შრომას მოითხოვს...

¹⁸⁴ John Fielden: 'The Course of the Factory System'. London 1836, გვ. 32.

შრომის დიდ ზრდას ჰქონდა ადგილი საჩეჩ განყოფილებაშიც. ერთი ადამიანი ახლა ისეთ სამუშაოს ასრულებს, რომელიც უწინ ორ ადამიანს შორის იყო განაწილებული... საფეიქრო განყოფილებაში, სადაც მრავალი ხალხი მუშაობს, უმეტესად მდელრობითი სქესისა, ამ უკანასკნელ წლებში შრომა, მანქანების სისწრაფის გადიდების გამო, სრული 10⁹/₆-ით გაიზარდა. 1838 წელს ყოველკვირეულად 18 000 hanks [შულო] ირთვოდა, ხოლო 1843 წელს ეს რიცხვი 21 000-დე ავიდა. 1819 წელს picks-ის [მაქოს დარტყმათა] რიცხვი ორთქლის საფეიქრო დაზგაზე წუთში 60-ს უდრიდა, ხოლო 1842 წელს — 140-ს, რაც შრომის დიდ ზრდას მოასწავებს¹⁶⁵.

ის გარემოება, რომ შრომამ ასეთ საკვირველ ინტენსივობას მიაღწია უკვე 1844 წელს, 12 საათიანი სამუშაო დღის კანონის ბატონობის დროს, თითქოს ამართლებდა ინგლისელ მეფაბრიკეთა განცხადებას, რომელნიც მაშინ ამბობდნენ: ამ მიმართულებით შემდგომი წინსვლა შეუძლებელია და ამიტომ სამუშაო დროის ყოველი შემდგომი შემცირება წარმოების შემცირებას უდრისო. მეფაბრიკეთა მსჯელობის მართებულობა რომ მხოლოდ მოჩვენებითი იყო, ამას საუკეთესოდ ამტკიცებს მათი დაუღალავი ცენზორის, ფაბრიკის ინსპექტორის ლეონარდ ჰორნერის შემდეგი განცხადება, რომელიც სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა:

«რადგან წარმოებულ პროდუქტთა რაოდენობას უმთავრესად მანქანების სისწრაფე აწესრიგებს, ამიტომ მეფაბრიკე დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ ეს სისწრაფე უკიდურესობამდე ავიდეს, რამდენადაც მასთან შესათავსებელია შემდეგი პირობები: მანქანების დაცვა ძალიან სწრაფი გაფუჭებისაგან, წარმოებულ საქონელთა კეთილხარისხოვნობის შენარჩუნება და უნარი მუშისა მიჰყვეს მანქანის მოძრაობას, თანაც ისე, რომ მუშის დაძაბულობა არ იყოს იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია განუწყვეტლივ განავითაროს. ხშირად ხდება, რომ მეფაბრიკე, აჩქარების გამო, მანქანების მოძრაობას გადამეტებულ სისწრაფეს აძლევს. მაშინ ხშირი მტვრევა და პროდუქტის დაბალი ხარისხი გადასწონის ამ სისწრაფის ხელსაყრელობას, და მეფაბრიკეც იძულებულია შეანელოს ანქანების მსვლელობა. რადგან აქტიური და დაკვირვებული მეფაბრიკე მუდამ მონახავს იმის მაქსიმუმს, რის მიღწევაც შესაძლებელია, ამიტომ მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ 11 საათში შეუძლებელია იმდენის წარმოება, რამდენისაც — 12 საათში.

¹⁶⁵ Lord Ashley: 'The Ten Hours' Factory Bill. Speech of the 15th March'. London 1844, გვ. 6 — 9, სხვადასხვა ადგილას.

გარდა ამისა, მე ვფიქრობდი, რომ ცალობრივი ხელფასით დაქირავებულმა მუშამ თავისი ძალ-ღონე მაქსიმალურად უნდა დაძაბოს, რამდენადაც მას შეუძლია შრომის იგივე ინტენსივობა მუდმივად შეინარჩუნოს»¹⁶⁶. ამიტომ ჰორნერი, წინააღმდეგ გარდნერის და სხვათა ექსპერიმენტებისა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 12 საათიანი სამუშაო დღის შემდგომი შემოკლება აუცილებლად შეამცირებს პროდუქტის რაოდენობას¹⁶⁷. მის მიერ 1845 წელს გამოთქმულ ექვებს იგი თვით აღნიშნავს 10 წლის შემდეგ იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად არ ესმოდა მას მაშინ ელასტიკურობა მანქანისა და ადამიანის სამუშაო ძალისა, რომელნიც, სამუშაო დღის იძულებითი შემოკლების გამო, თანაბრად ავითარებენ მაქსიმალურ დაძაბულობას.

გადავიდეთ ახლა 1847 წლის შემდგომ პერიოდზე, როდესაც ინგლისის ბამბის, მატყლის, აბრეშუმისა და სელის ფაბრიკებისათვის საკანონმდებლო გზით დაწესდა 10-საათიანი სამუშაო დღე.

ათითისტრების სისწრაფე ვატერ-მანქანაზე გაიზარდა წუთში 500 ბრუნვით, მიულ-მანქანაზე — 1000-ით, ე. ი. ვატერის თითისტრების სისწრაფე, რომელიც 1839 წელს 4 500 ბრუნვას უდრიდა წუთში, ახლა (1862 წელს) 5 000-ს აღწევს, ხოლო მიულის თითისტრების სისწრაფე, რომელიც უწინ 5 000 ბრუნვას უდრიდა, ახლა აღწევს 6 000-ს წუთში; სისწრაფე გადიდა პირველ შემთხვევაში $\frac{1}{10}$ -ით, მეორე შემთხვევაში კი — $\frac{1}{6}$ -ით»¹⁶⁸. ჯემს ნესმისი, სახელოვანი სამოქალაქო ინჟინერი პეტრიკოფტიდან, მანჩესტერის ახლო, 1852 წელს ლეონარდ ჰორნერისადმი ერთ-ერთ წერილში განმარტავს იმ გაუმჯობესებას, რომელიც 1848-დან 1852 წლამდე მოხდა ორთქლის მანქანაში. როცა აღნიშნავს, ორთქლის ცხენძალა, რომელიც ოფიციალურ საფაბრიკო სტატისტიკაში დღესაც იმ მოქმედების მიხედვით განისაზღვრება, რაც მას 1828 წელს ჰქონდა¹⁶⁹, არსებითად მხოლოდ

¹⁶⁶ «Reports of Insp. of Fact. [for quarter ending 30th September 1844, and from 1st October 1844] to 30th April 1845», გვ. 23.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 22.

¹⁶⁸ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 62.

¹⁶⁹ 1862 წლის «Parliamentary Returns»-ის შემდეგ ეს მდგომარეობა შეიცვალა. ნომინალური ძალის ნაცვლად აქ თანამედროვე ორთქლის მანქანებისა და წყლის ბორბლების ნამდვილი ორთქლის ცხენძალა გვევლინება [იხ. შენიშვნა 109^ა, გვ. 492 — 493]. ასევე საძახავი თითისტრები აღარაა უკვე არეული საკუთრივ სართავ თითისტრებში (როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1839, 1850 და 1856 წლების «Returns»-ში [ანგარიშებში]); შემდეგ, მატყლის ფაბრიკებისთვის მომატებულია «ქსუს»-ის [ზაოს მანქანების] რიცხვი, შემოღებულია გარჩევა, ერთი მხრივ, ჯუშის და ქერალის ფაბრიკებსა და, მეორე მხრივ, სელის ფაბრიკებს შორის; ბოლოს, პირველად შეტანილია ანგარიშებში წინდებისაკოვი წარმოება.

ნომინალურია და ნამდვილი ძალის მხოლოდ ინდექსად [პირობით მაჩვენებლად] შეიძლება გამოყენებულ იქნასო, — იგი სხვათა შორის ამბობს: ყოველ ექვს გარეშეა, რომ წინანდელი წონის ორთქლის მანქანა, — ხშირად იგივე მანქანები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათში თანამედროვე გაუმჯობესებაა განხორციელებული, — საშუალოდ 50%-ით მეტ სამუშაოს ასრულებს, ვიდრე უწინ, და რომ ბევრ შემთხვევაში იგივე მანქანა, რომელიც 220 ფუტის ზღვრული სისწრაფისას წუთში 50 ცხენძალას იძლეოდა, ახლა ნაკლები ნახშირის დახარჯვით 100 ცხენძალაზე მეტს იძლევა... თანამედროვე ორთქლის მანქანა წინანდელი ნომინალური ცხენძალით ახლა, იმ გაუმჯობესების გამო, რომელიც განხორციელებულია მის კონსტრუქციაში, მისი მოცულობის შემცირებასა და ორთქლის ქვების აგებულებაში. და სხვ., მეტი სიმძლავრით მოქმედებს, ვიდრე უწინ... ამიტომ, თუმცა ნომინალური ცხენძალის მიხედვით ახლაც იმდენივე მუშახელია დასაქმებული, რამდენიც უწინ, მაგრამ სამუშაო მანქანებთან შეფარდებით მათი რიცხვი ამჟამად ნაკლებია¹⁷⁰. 1850 წელს შეერთებული სამეფოს ფაბრიკები ხმარობდნენ 134 217 ნომინალურ ცხენძალას 25 638 716 თითისტრისა და 301 495 საფეიქრო დაზვის ასამოძრავებლად. 1856 წელს თითისტართა რიცხვი შეადგენდა 33 503 580-ს და საფეიქრო დაზგებისა — 369 205-ს. საჭირო ცხენძალა რომ იგივე დარჩენილიყო, რაც 1850 წელს იყო, მაშინ 1856 წელს 175 000 ცხენძალა იქნებოდა საჭირო. ნამდვილად კი, ოფიციალური მონაცემების თანახმად, იგი მხოლოდ 161 435-ს უდრიდა, მაშასადამე, 10 000 ცხენძალაზე ცოტა მეტით ნაკლებს იმასთან შედარებით, რაც უნდა დასჭირებოდა 1850 წლის გაანგარიშების საფუძველზე¹⁷¹. «1856 წლის უკანასკნელი ანგარიში (ოფიციალური სტატისტიკა) ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საფაბრიკო სისტემა ძალიან სწრაფად ვრცელდება, რომ მუშახელის რიცხვი მანქანებთან შეფარდებით შემცირდა, რომ ორთქლის მანქანას, ძალის ეკონომიისა და სხვა გაუმჯობესების გამო, უფრო დიდი წონის მანქანები მოჰყავს მოძრაობაში და რომ პროდუქტის რაოდენობის ზრდას აღწევენ სამუშაო მანქანების გაუმჯობესებით, ფაბრიკაციის მეთოდების შეცვლით, მანქანების სისწრაფის გადიდებით და მრავალი სხვა საშუალებით»¹⁷². «დიდმა გაუმჯობესებამ, რომელიც შემოღებულია ყოველგვარ მანქანაში, ძალიან გაადიდა მანქანების

¹⁷⁰ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1856», გვ. 14, 20.

¹⁷¹ იქვე, გვ. 14, 15.

¹⁷² იქვე, გვ. 20.

წარმადობის ძალა. ექვს გარეშეა, რომ სამუშაო დღის შემოკლებამ... სტიმული მისცა ამ გაუმჯობესებას. ამ უკანასკნელმა და მუშის უფრო ინტენსიურმა დაძაბვამ შედეგად ის მოიტანა, რომ (2 საათით, ანუ $\frac{1}{6}$ -ით) შემოკლებულ სამუშაო დღეში იმდენი პროდუქტი მიიღო მზადდება, რამდენიც უწინ უფრო ხანგრძლივი სამუშაო დღის განმავლობაში მზადდებოდა¹⁷³.

თუ როგორ იმატა სამუშაო ძალის უფრო ინტენსიურ ექსპლოატაციასთან ერთად მეფაბრიკეთა გამდიდრებამ, ამას მარტო ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ინგლისის ბამბის და სხვ. ფაბრიკების საშუალო წლიური ზრდა 1838-დან 1850 წლამდე შეადგენდა 32-ს, ხოლო 1850-დან 1856 წლამდე — 86-ს.

თუმცა ასე დიდი იყო ინგლისის მსხვილი მრეწველობის პროგრესი 8 წლის განმავლობაში, 1848 წლიდან 1856-მდე, როცა 10 საათიანი სამუშაო დღე იყო გაბატონებული, მაგრამ მას გაცილებით გადააქარბა შემდგომი ექვსი წლის — 1856 — 1862 წლის — პერიოდის პროგრესმა. მაგალითად, აბრეშუმის ფაბრიკებში იყო თითისტარი: 1856 წ. — 1 093 799, 1862 წ. — 1 388 544; საფეიქრო დაზგა: 1856 წ. — 9 260 და 1862 წ. — 10 709; პირიქით, მუშების რიცხვი: 1856 წ. იყო 56 131 და 1862 წ. — 52 429. ეს ნიშნავს თითისტართა რიცხვის მატებას 26,9%-ით, საფეიქრო დაზგებისას — 15,6%-ით და იმედროულად მუშების რიცხვის შემცირებას — 7%-ით. 1850 წელს კამეოლის ფაბრიკებში იხმარებოდა 875 830 თითისტარი, 1856 წ. — 1 324 549 (მატება 51,2%) და 1862 წ. — 1 289 172 (შემცირება 2,7%). მაგრამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საძახავ თითისტარს, რაც 1856 წლის ანგარიშში აღნიშნულია, ხოლო 1862 წლის ანგარიშში კი არაა შეტანილი, მაშინ თითისტართა რაოდენობა 1856 წლიდან თითქმის უცვლელი რჩება. პირიქით, თითისტართა და საფეიქრო დაზგის სისწრაფე 1850 წლიდან ბევრ შემთხვევაში გაორკეცდა. ორთქლის საფეიქრო დაზგების რიცხვი კამეოლის ფაბრიკებში იყო: 1850 წ. — 32 617, 1856 წ. — 38 956 და 1862 წ. — 43 048. ამ დაზგებზე მუშაობდა: 1850 წ. — 79 737 ადამიანი, 1856 წ. — 87 794 და 1862 წ. — 86 063; მათში ბავშვები (14 წლამდე) იყვნენ: 1850 წ. — 9 956, 1856 წ. — 11 228 და 1862 წ. — 13 178. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ 1862 წელს 1856 წელთან შედარებით საფეიქრო დაზგების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მომუშავეთა საერთო

¹⁷³ «Reports etc. for 31st October 1858», გვ. 9, 10. შეად. «Reports etc. for 30th April 1860», გვ. 30 და შემდ.

რიცხვი შემცირდა და ექსპლოატირებულ ბავშვთა რიცხვი კი გადიდდა¹⁷⁴.

1863 წლის 27 აპრილს პარლამენტის წევრი ფერენდი თემთა პალატაში შემდეგი განცხადებით გამოვიდა: «ლანკაშირის და ჩეშირის 16 ოლქის მუშების დელეგატებმა, რომელთა დავალებითაც მე ვლამბარაკობ, გადმომცეს, რომ მანქანების გაუმჯობესების გამო ფაბრიკებში შრომა განუწყვეტლივ იზრდება. წინათ ერთი მუშა თავისი თანაშემწით ორ საფეიქრო დაზგას უძღვებოდა, ახლა კი ერთი მუშა უთანაშემწოდ სამ საფეიქრო დაზგას და ხშირად ოთხსაც კი ემსახურება და სხვ. როგორც მათ მიერ გადმოცემული ფაქტებიდან ჩანს, 12 საათის შრომა ახლა 10-ზე ნაკლები სამუშაო საათის ფარგლებშია ჩაქედლილი. ამიტომ თავისთავად გასაგებია, თუ რა საშინლად გადიდდა ფაბრიკის მუშების ჯაფა ამ უკანასკნელ წლებში»¹⁷⁵.

ამიტომ ფაბრიკის ინსპექტორები თუმცა განუწყვეტლივ და სრული უფლებით აქებენ 1844 და 1850 წლების საფაბრიკო კანონების ხელსაყრელ შედეგებს, მაგრამ თან იმასაც აღიარებენ, რომ სამუშაო დღის შემოკლებამ გამოიწვია შრომის ისეთი ინტენსივობა, რომელიც მუშის ჯანმრთელობაზე, მამასადამე, თვით სამუშაო ძალაზე განანადგურებლად მოქმედებს. «მეტწილ ბამბის, მაულისა და აბრეშუმის ფაბრიკებში დამქანცავი აღზნება, აუცილებელი მანქანებთან მუშაობისას, რომელთა მოძრაობა ასე არაჩვეულებრივად სწრაფი გახდა ამ უკანასკნელ წლებში, უნდა იყოს, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მიზეზი ფილტვების დაავადებათაგან გამოწვეული სიკვდილიანობის ამ ზრდისა, რომელიც დ-რ გრინჰაუმი ცხადყო თავის უკანასკნელ

¹⁷⁴ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 100 და 130.

¹⁷⁵ თანამედროვე ორთქლის საფეიქრო დაზგის საშუალებით ერთი ფეიქარი 2 დაზგაზე ამზადებს ახლა კვირაში 60 საათის მუშაობით გარკვეული ზარისხისა და განსახლურული სიგრძე-სიგანის 26 ცალ ქსოვილს, ხოლო ძველი ორთქლის საფეიქრო დაზგაზე მას მხოლოდ 4 ასეთი ცალის დამზადება შეეძლო. თვითუფი ასეთი ცალის მოქსოვის ზარჯებმა უკვე 1850 წლის დასაწყისში 2 შილინგი და 9 პენსიდან 5 1/8 პენსამდე დაიწია.

დამატება მე-2 გამოცემისათვის. «30 წლის წინათ (1841 წელს) ერთ ბამბის მრთველს 3 თანაშემწითურთ მოეთხოვებოდა მხოლოდ ერთი წყვილი 300 — 324 თითისტრანი მიულ-მანქანის მეთვალყურეობა. ახლა (1871 წლის ბოლოს) მან 5 თანაშემწითურთ თვალყური უნდა ადევნოს მიულ-მანქანებს, რომლებიც 2200 თითისტარს შეიცავენ, და იგი სულ ცოტა შეიძლება მეტ ნართს აწარმოებს, ვიდრე 1841 წელს აწარმოებდა» (ალექსანდრე რედგრაფი, ფაბრიკის ინსპექტორი, «Journal of the Society of Arts»-ში, January 5, 1872).

შესანიშნავ ანგარიშში¹⁷⁶. ყოველ ექვს გარეშეა, რომ, როდესაც კანონით კაპიტალს ერთხელ და სამუდამოდ დახშული აქვს სამუშაო დღის გაგრძელების შესაძლებლობა, მისი ტენდენცია — აინაზღაუროს ეს შეზღუდვა შრომის ინტენსივობის ხარისხის სისტემატური ამალღებით და მანქანის ყოველი გაუმჯობესება აქციოს უფრო მეტი სამუშაო ძალის ამოწოვის საშუალებად, მალე კელავ მიაღწევს იმ მობრუნების პუნქტს, სადაც გარდუვალთ ხდება სამუშაო დროის ხელახალი შემცირება¹⁷⁷. მეორე მხრივ, ინგლისის მრეწველობის გრიგალისებური განვითარება 1848 წლიდან მოყოლებული დღემდე, ე. ი. 10 საათიანი სამუშაო დღის პერიოდში, გაცილებით აღემატება მის განვითარებას 1833 — 1847 წლებში, ე. ი. 12 საათიანი სამუშაო დღის პერიოდში, ვიდრე ეს უკანასკნელი აღემატება თავისი სისწრაფით მრეწველობის განვითარებას საფაბრიკო სისტემის შემოღებიდან ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ე. ი. შეუზღუდველი სამუშაო დღის პერიოდში¹⁷⁸.

4. ფ ა ბ რ ი კ ა

ამ თავის დასაწყისში ჩვენ განვიხილეთ ფაბრიკის სხეული, მანქანური სისტემის დანაწევრება. შემდეგ ჩვენ დავეინახეთ, თუ როგორ ამრავლებს მანქანა კაპიტალის საექსპლოატაციო ადამიანურ მასალას ქალებისა და ბავშვების შრომის მითვისების გზით, როგორ ახდენს იგი მუშის მთელი სასიცოცხლო დროის კონფისკაციას სამუშაო დღის უზომო გაგრძელებით და, ბოლოს, როგორ ხდება, რომ მისი განვითარება, რომელიც შესაძლებელს ხდის პროდუქტის გასაოცრად მზარდი რაოდენობით წარმოებას სულ უფრო და უფრო ნაკლები დროის განმავლობაში, — წარმოადგენს სისტემატურ საშუალებას იმისათვის, რომ დროის ყოველ მოცემულ მომენტში მეტი შრომა ამოქმედდეს, ე. ი. სულ უფრო მეტი ინტენსივობით მოხდეს სამუშაო ძალის ექსპლოატაცია. ახლა ჩვენ განვიხილავთ ფაბრიკას მთლიანად და თანაც მისი უაღრესად განვითარებული ფორმით.

¹⁷⁶ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1861», გვ. 25, 26.

¹⁷⁷ ამჟამად (1867 წელს) ლანკაშირში ფაბრიკის მუშებში დაწყებულია აგიტაცია 8 საათიანი სამუშაო დღისათვის.

¹⁷⁸ შემდეგი რამდენიმე ციფრი გვიჩვენებს საკუთრივ «ფაბრიკების» პროგრესს შეერთებულ სამეფოში 1848 წლიდან:

დ-რ იურს, ავტომატური ფაბრიკის პინდარს, აწერილი აქვს ფაბრიკა, ერთი მხრივ, როგორც ეკოპერაცია სხვადასხვა კატეგორიის მუშებისა, ასაკოვანთა და მცირეწლოვანთა, რომლებიც დახელოვნებულად და ბეჯითად თვალყურს ადევნებენ მწარმოებლურ მანქანათა სისტემას, რომელიც განუწყვეტელ მოძრაობაში მოჰყავს ცენტრალურ ძალას (პირველ ძრავას), მეორე მხრივ — როგორც ეუზარმაზარი ავტომატი, შემდგარი ურიცხვ მექანიკურ და თვითცნობიერ ორგანოთაგან, რომელნიც ერთი და იმავე საგნის საწარმოებლად სოლიდარულად და შეუწყვეტლივ მოქმედებენ, ასე რომ ყველა ეს ორგანო ემორჩილება ერთ მამოძრავებელ ძალას, რომელსაც თავისი თავი თვითონ მოჰყავს მოძრაობაში. ეს ორი განმარტება სრულიადაც არ არის იდენტური. პირველის მიხედვით კომბინირებული ერთობლივი მუშა, ანუ საზოგადოებრივი შრომითი ორგანიზმი, გვევლინება აქტიურად მოქმედ სუბიექტად, მექანიკური ავტომატი კი — ობიექტად; მეორე განმარტების მიხედვით კი თვით ეს ავტომატი სუბიექტია, ხოლო მუშები, როგორც ცნობიერი ორგანოები, მის უცნო-

	ე ქ ს პ ო რ ტ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა			
	1848 წ.	1851 წ.	1890 წ.	1895 წ.
ბამბეულის ფაბრიკები				
ბამბის ნართი (გირვ.)	135 881 182	148 966 106	187 845 855	103 751 455
საყრავი ძაფი (გირვ.)		4 892 176	6 217 554	4 648 611
ბამბის ქსოვ. (იარდი)	1 091 878 980	1 548 161 789	2 776 218 427	2 015 237 851
სელის და ქირალის ფაბრიკები				
ნართი (გირვ.) . . .	11 722 182	18 841 526	81 210 612	86 777 834
ქსოვილი (იარდი) . .	85 901 519	129 108 753	143 998 778	247 015 829
აბრეშუმის ფაბრიკები				
ყაბი და გრეზილი აბრეშუმი (გირვ.) .	[1848 წ.] 468 825	482 513	807 402	812 589
ქსოვილი (იარდი) . .		1 181 456	1 607 298	2 869 837
ვალეულის ფაბრიკები				[146 878 თოვი]
მატყლისა და კამყო- ლის ნართი (გირვ.) . .		14 670 880	27 583 968	[102 778 გირვ.]
ქსოვილი (იარდი) . .		151 231 158	190 087 587	31 660 287
				278 887 418

ბიერო ორგანოებთან არიან დაკავშირებულნი და მათთან ერთად ცენტრალურ მამოძრავებელ ძალას ექვემდებარებიან. პირველი განმარტება შეეხება მანქანების ყოველნაირ გამოყენებას დიდი მასშტაბით, ხოლო მეორე განმარტება ახასიათებს მათს კაპიტალისტურ გამოყენებას და, მაშასადამე, თანამედროვე საფაბრიკო სისტემას. ამიტომაც იურის ჩვეული მანერაა დაგვიხატოს ცენტრალური მანქანა, რომლიდანაც მოძრაობა გამომდინარეობს, არა მხოლოდ როგორც ავტომატი, არამედ როგორც ავტოკრატი. ამ უზარმაზარ

	ექსპორტის ღირებულება			
	1849 წ. გირვ. სტერლ.	1861 წ. გირვ. სტერლ.	1880 წ. გირვ. სტერლ.	1885 წ. გირვ. სტერლ.
ბამბეულის ფაბრიკები				
ნართი	5 927 681	8 884 026	9 870 875	10 851 049
ქსოვილი	16 758 869	28 454 810	42 141 605	48 908 796
სმლის და შირის ფაბრიკები				
ნართი	488 449	951 428	1 801 272	2 505 497
ქსოვილი	2 802 789	4 107 896	4 804 808	9 155 858
აბრეშუმის ფაბრიკები				
ყაჭი და გრებილი აბრეშუმი	77 788	196 880	828 107	768 064
ქსოვილი	—	1 180 898	1 587 808	1 409 221
შალეულის ფაბრიკები				
მატყლისა და კაშვლის ნართი	776 975	1 484 544	8 848 450	5 424 047
ქსოვილი	5 788 629	8 877 188	12 158 998	20 102 259

(იხ. ლურჯი წიგნები: «Statistical Abstract for the United Kingdom», № 8 და № 13. London 1861 და 1866).

ლანკაშირში ფაბრიკების რიცხვმა მოიმატა 1839 — 1850 წლებში მხოლოდ 4%-ით, 1850 — 1856 წლებში — 19%-ით, 1856 — 1862 წლებში — 33%-ით, მაშინ როდესაც თერთმეტი წლის ხანგრძლიობის ორივე პერიოდში მომუშავეთა რიცხვმა აბსოლუტურად მოიმატა და შეუარდებით იკლო. შეად. «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 63. ლანკაშირში ბამბეულის ფაბრიკები სჭარბობს. ხოლო პროპორციულად თუ რა დიდი ადგილი უჭირავთ მათ საერთოდ ნართისა და ქსოვილის დამზადებაში, ეს იქიდან ჩანს, რომ ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ირლანდიის ყველა ამგვარი ფაბრიკიდან მათ წილად მოდის 45,2%, ყველა თითისტრიდან — 83,3%, ყველა ორთქლის საფეიქრო დაზვიდან — 81,4%, მათი მამოძრავებელი ყველა ორთქლის ცხენძალიდან — 72,6% და დასაქმებულ პირთა ერთობლივი რიცხვიდან — 58,2% (იქვე, გვ. 62, 63).

სახელოსნოებში ორთქლის კეთილმოქმედი ძალა თავის გარშემო უამრავ ქვეშევრდომს უყრის თავს»¹⁷⁹.

სამუშაო იარაღთან ერთად მუშიდან მანქანაზე გადადის ამ იარაღის მართვის ვირტუოზობაც. იარაღის ქმედუნარიანობა განთავისუფლებულია ადამიანის სამუშაო ძალის პიროვნული ზღუდეებისაგან. ამით ისპობა ის ტექნიკური საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია შრომის დანაწილება მანუფაქტურაში. ამიტომ სპეციალისტ-მუშების იერარქიის ნაცვლად, რაც ამ მანუფაქტურას ახასიათებს, ავტომატურ ფაბრიკაში თავს იჩენს ტენდენცია იმ სამუშაოთა გათანაბრების ანუ ნიველირებისა, რომლებიც მანქანების თანაშემწეებმა უნდა შეასრულონ¹⁸⁰; ნაწილობრივ მუშათა შორის ხელოვნურად წარმოშობილი განსხვავების ნაცვლად ჩნდება, უმთავრესად, ბუნებრივი განსხვავება ასაკისა და სქესის მიხედვით.

რამდენადაც ავტომატურ ფაბრიკაში შრომის დანაწილება კვლავ გვევლინება, იგი წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა მუშების განაწილებას სხვადასხვა სპეციალურ მანქანას შორის და მუშათა მასების — თუმცა ეს მასები მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფებს არ შეადგენენ — განაწილებას ფაბრიკის სხვადასხვა განყოფილებაში, სადაც ისინი ერთიმეორის გვერდით მოთავსებულ და ერთგვაროვან სამუშაო მანქანებზე მუშაობენ, ე. ი. სადაც ისინი შეერთებულნი არიან მხოლოდ მარტივი კოოპერაციით. მანუფაქტურაში დანაწევრებული ჯგუფის ადგილას აქ არის მთავარი მუშის დაკავშირება რამდენსამე თანაშემწესთან. არსებითი დაყოფა მუშებისა აქ იმით გამოიხატა, რომ ერთინამდვილად სამუშაო მანქანაზე მუშაობენ (ამათ ჯგუფს ეკუთვნიან ზოგი ის მუშებიც, რომელნიც მანქანა-ძრავას მეთვალყურეობენ ანუ კვებავენ) და სხვები არიან ამ მანქანების მუშათა უბრალო დამხმარენი (თითქმის მარტოოდენ ბავშვები). ამ დამხმარეთა ჯგუფს მიეკუთვნება მეტ-ნაკლებად ყველა «feeders»-ი [მკვებავები] (რომელნიც მანქანას სამუშაო მასალას აწვდიან). ამ მთავარ კატეგორიებთან ერთად არსებობს კიდევ რიცხობრივად უმნიშვნელო პერსონალი, რომელიც თვალყურს ადევნებს ყველა მანქანას და მათ მუდმივ შეკეთებას აწარმოებს, — მაგ., ინჟინრები, მექანიკოსები, დურგლები და სხვ. ეს უმაღლესი, ნაწილობრივ მეცნიერულად განათლებული და ნაწილობრივ ხელოსნური ხასიათის მუშათა ფენა ფაბრიკის მუშების

¹⁷⁹ Ure: «Philosophy of Manufacture», გვ. 18.

¹⁸⁰ იქვე, გვ. 31. შეად. Karl Marx: «Misère de la Philosophie». Paris 1847, გვ. 140, 141. [შეად. კარლ მარქსი: «ფილოსოფიის სიღატაკე», თბილისი 1938, გვ. 130, 131.]

წრის გარეშე დგას და მხოლოდ უბრალოდ არის ამ უკანასკნელთან მიერთებული¹⁸¹. შრომის ეს დანაწილება წმინდა ტექნიკურია.

ყოველი მუშაობა მანქანაზე მუშის აღრიხანად მომზადებას მოითხოვს, რათა მუშამ ისწავლოს თავისი საკუთარი მოძრაობის შეგუება ავტომატის ერთგვაროვან განუწყვეტელ მოძრაობასთან. რამდენადაც ერთობლივი მანქანური მექანიზმი თვითონ სხვადასხვაგვარი, იმავდროულად მოქმედი და კომბინირებული მანქანების სისტემას წარმოადგენს, ამ სისტემაზე დამყარებული კოოპერაცია მოითხოვს სხვადასხვაგვარ მუშათა ჯგუფების განაწილებას სხვადასხვაგვარ მანქანებს შორის. მაგრამ მანქანური წარმოება სპობს იმის აუცილებლობას, რომ ეს განაწილება მანუფაქტურული წესით იყოს განმტკიცებული ერთი და იმავე მუშის ერთსა და იმავე ფუნქციაზე სამუდამო მიჯაჭვით¹⁸². რადგან ფაბრიკის ერთობლივი მოძრაობა მუშიდან კი არ მომდინარეობს, არამედ — მანქანიდან, ამიტომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პერსონალის მუდმივ ცვლას შრომის პროცესის შეუწყვეტლად. ამის აშკარა დამამტკიცებელ საბუთს იძლევა Re-laissystem, რომელიც გამოყენებულ იქნა ინგლისის მეფაბრიკეთა ჯანყის დროს 1848 — 1850 წლებში. ბოლოს, ის სისწრაფე, რომლითაც ადამიანი სიყრმეში მანქანაზე მუშაობას სწავლობს, სპობს ასევე იმის აუცილებლობას, რომ აღიზარდოს მარტოოდენ მანქანის მუშათა განსაკუთრებული კატეგორია¹⁸³. ხოლო დამხმარე

¹⁸¹ განზრახ ჩადენილი სტატისტიკური სიყალბისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, — ამ სიყალბის დამტკიცება უფრო დაწვრილებითაც შეიძლებოდა, — რომ ინგლისურ საფაბრიკო კანონმდებლობას თავისი მოქმედების სფეროდან კატეგორიულად გამორიცხებული ჰყავს ტექსტის ბოლოში აღნიშნული მუშები, რომლებსაც იგი არა თვლის ფაბრიკის მუშებად; მეორე მხრივ, პარლამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები ასევე გადაჭრით ათავსებენ ფაბრიკის მუშების კატეგორიაში არა მარტო ინჟინრებს, მექანიკოსებს და სხვ., არამედ აგრეთვე ფაბრიკის გამგებებს, ნოქრებს, შიკრიკებს, საწყობის ზედამხედველებს, შემფუთველებს და სხვ., — ერთი სიტყვით, ყველას, გარდა თვით ფაბრიკის პატრონისა.

¹⁸² იური აღიარებს ამას. იგი ამბობს, მუშები «საჭიროების შემთხვევაში» შეიძლება გადაყვანილ იქნან გამგის ნებით ერთი მანქანიდან მეორეზე, და გამარჯვებული კილოთი გაიძახის: «ამგვარი გადანაცვლება აშკარად ეწინააღმდეგება ძველ რუტინას, რომელიც ანაწილებს შრომას და ერთ მუშას აკისრებს ჭინძისთავების ბოლოების გაწვეტიანებას, მეორეს — თავების გაკეთებას». პირიქით, მას უნდა დაესვა საკითხი, თუ რატომ იღებენ ხელს ამ «ძველ რუტინაზე» ავტომატურ ფაბრიკაში მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

¹⁸³ როდესაც მუშაზელის ნაკლებობაა, — როგორც, მაგალითად, ამერიკის სამოქალაქო ომის დროს იყო, — ბურჟუა ფაბრიკის მუშებს გამოწვევის სახით შვს მუშაობაზე ანუშვებებს, მაგალითად, გზების გაყვანაზე და სხვა. ბამბეულის უმოშვეარი

მუშათა საქმიანობა ფაბრიკაში შესაძლებელია ნაწილობრივ მანქანით იქნას შენაცვლებული¹⁸⁴, ნაწილობრივაც იგივე საქმიანობა, თავისი სრული სიმარტივის გამო, შესაძლებლად ხდის ამ ჯაფით დატვირთულ პირთა სწრაფ და მუდმივ ცვლას.

თუმცა მანქანა ტექნიკურად სპობს შრომის დანაწილების ძველ სისტემას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც განაგრძობს გაჭირვებით არსებობას ფაბრიკაში ჯერ ჩვეულების გამო, როგორც ტრადიცია მანუფაქტურისა, შემდეგ კი კაპიტალი მას სისტემატურად კვლავ წარმოქმნის და განამტკიცებს კიდევ უფრო საზიზღარი ფორმით როგორც სამუშაო ძალის ექსპლოატაციის საშუალებას. სპეციალობა, რომელიც წარმოადგენდა ნაწილობრივი იარაღის ხმარებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, იქცევა სპეციალობად, რომელიც წარმოადგენს ნაწილობრივი მანქანის მომსახურებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მანქანის ბოროტად გამოყენება იმისათვის ხდება,

მუშებისათვის დაწესებული ინგლისის «ateliers nationaux» [ნაციონალური სახელოსნობები] 1862 და შემდგომი წლებისა იმით განიარჩეოდა 1848 წლის საფრანგეთის ნაციონალური სახელოსნობისაგან, რომ ამ უკანასკნელებში მუშას სახელმწიფოს ხარჯზე უნდა შეესრულებინა არამწარმოებლური სამუშაოები, ხოლო პირველებში იგი მწარმოებლურ საქალაქო სამუშაოებს ასრულებდა ბურჟუას სასარგებლოდ და ამასთან უფრო იფადაც მუშობდა, ვიდრე ჩვეულებრივი მუშები, რომლებისთვისაც უმუშევარს ძალუხეზურად კონკურენცია უნდა გაეწია. «ბამბულის მუშების ფიზიკური გარეგნობა, ექვს გარეშეა, გაუმჯობესდა. ამას შე ვაწერ, ... რანდენდაც ლაპარაკია მამაკაცებზე, იმ გარემოებას, რომ ისინი ღია ადგილას ასრულებენ საზოგადოებრივ სამუშაოებს. (აქ ლაპარაკია პრესტონის ფაბრიკის მუშებზე, რომელნიც აპრესტონის კაობის» ამოშრობაზე მუშობდნენ.) («Reports of Insp. of Fact. October 1865», გვ. 59.)

¹⁸⁴ მაგალითი: სხედასხვა მექანიკური აპარატი, შემოღებული შალეულის ფაბრიკებში 1844 წლის კანონის შემდეგ ბავშვების შრომის შესანაცვლებლად. როდესაც თვით ბ-ნ მეფაბრიკეთა ბავშვებს მოუხდებათ ფაბრიკაში დამხმარე მუშის «სკოლის» გავლა, მაშინ მექანიკის ეს თითქმის ზელუხლებელი სფერო გასაოცარ აღმავლობას პოუვებს. «საეჭვოა მოიპოვებოდეს ისეთი სახიფათო მანქანა, როგორიცაა selfacting mules [სელფაქტორები]. უბედურ შემთხვევითა მეტი წილი პატარა ბავშვებს ატყდება თავს იმის გამო, რომ ისინი იატაკის დასაგველად ამ მანქანის ქვეშ ფორთხავენ, როდესაც იგი მოძრაობაშია. მრავალი «minders»-ი (მიულ-მანქანის მუშა) სასამართლოს წესით მიცემული იყო პასუხისგებაში (ფაბრიკის ინსპექტორების მიერ) და მათ ფულადი ჯარიმა მიუსაჯეს ამგვარი დანაშაულისათვის, მაგრამ ამას რაიმე საერთო თვალსაჩინო სარგებლობა არ მოუტანია. მანქანათმშენებელნი რომ თვითმცველ იარაღს გამოიგონებდნენ, რომლის ხმარება მოსპობდა მანქანების ქვეშ ამ პატარა ბავშვების ფორთხვის აუცილებლობას, ეს იქნებოდა სასიკეთო დამატება ჩვენს მფარველობითი ღონისძიებებისადმი» («Reports of Insp. of Factories for 31st October 1866», გვ. 63).

რომ თვით მუშა ბავშვობიდანვე ნაწილობრივი მანქანის ნაწილად გადააქციონ¹⁸⁵. ამრიგად, არა მარტო საგრძნობლად მცირდება მუშის საკუთარი ძალის საკვლავწარმოებლად საჭირო ხარჯები, არამედ ამავე დროს დამთავრებულ სახეს ღებულობს მუშის უმწეო დამოკიდებულებაც ფაბრიკაზე მთლიანად, მაშასადამე, კაპიტალისტზე. აქ, როგორც ყველგან, უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან: წარმადობის ზრდა, რომელსაც საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის განვითარება წარმოშობს, და წარმადობის ზრდა, რომელსაც ამ პროცესის კაპიტალისტური ექსპლოატაცია წარმოშობს.

მანუფაქტურასა და ხელოსნობაში მუშა იარაღს იმსახურებს, ფაბრიკაში კი თვით ემსახურება მანქანას. იქ შრომის იარაღის მოძრაობა მისგან გამომდინარეობს, აქ კი იგი უნდა მიჰყვეს მის მოძრაობას. მანუფაქტურაში მუშები ცოცხალი მექანიზმის ორგანოებს წარმოადგენენ. ფაბრიკაში მკვდარი მექანიზმი მათგან დამოუკიდებლად არსებობს და ისინი მასთან დაკავშირებული არიან როგორც ცოცხალი დანართნი. ამოსაწყენი ერთფეროვნება უსასრულო მტანჯავი შრომისა, რომელიც მუდამ სულ ერთსა და იმავე მექანიკურ პროცესს ასრულებს, სიზიფის შრომას ჰგავს: შრომის ტვირთი, კლდის მსგავსად, ისევ და ისევ უბრუნდება ქანცგამოლეულ მუშასა¹⁸⁶. მანქანური შრომა, რომელიც ნერვულ სისტემას მთლიანად იპყრობს, ახშობს კუნთების მრავალნიარ მოძრაობას და ართმევს ადამიანს თავისუფალი ფიზიკური და გონებრივი მოქმედების ყოველგვარ შესაძლებლობას¹⁸⁷. შრომის გაადვილებაც კი ტანჯვის საშუალებად იქცევა, რადგან მანქანა მუშას კი არ ათავისუფლებს შრომისაგან, არამედ მის შრომას —

¹⁸⁵ აქედან უნდა შევაფასოთ საარაკო ახრი პროდონისა, რომელიც მანქანას აყალიბებს, არა როგორც შრომის საშუალებათა სინთეზს, არამედ როგორც ნაწილობრივ სამუშაოთა სინთეზს თვით მუშებისათვის.

¹⁸⁶ F. Engels: *„Lage der arbeitenden Klasse in England“*. Leipzig 1845, გვ. 217. [შეად. ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში», თბილისი 1932, გვ. 168.] სრულიად ორდინარული ოპტიმისტი ფრიტრედერიკ კი, ბატონი მოლინარი, შენიშნავს: «ის ადამიანი, რომელიც დღეში 15 საათს მექანიზმის ერთფეროვან მოძრაობას მეთვალყურეობს, უფრო მალე ცვეთბა, ვიდრე მაშინ, როდესაც იმავე დროის განმავლობაში თავის ფიზიკურ ძალას ამოქმედებს. ეს სამეთვალყურეო შრომა, რომელიც შეიძლება გონების სასარგებლო ვარჯიშობად გამომდგარიყო, თუ იგი მეტისმეტად არ გაგრძელდებოდა, ბოლოს და ბოლოს, ანადგურებს თავისი ზომად გადასულობით გონებასაც და თვით სხეულსაც» (G. de Molinari: *„Études Économiques“*, Paris 1846 [გვ. 49]).

¹⁸⁷ F. Engels: *„Lage“* და ა. შ., გვ. 216. [შეად. ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში», თბილისი 1932, გვ. 167.]

შინაარსისგან. ყოველ კაპიტალისტურ წარმოებას, რამდენადაც იგი არა მარტო შრომის პროცესია, არამედ — ამავე დროს კაპიტალისტური ღირებულების ზრდის პროცესიც, ახასიათებს საერთოდ ის, რომ მუშა კი არ იყენებს შრომის პირობას, არამედ შრომის პირობა იყენებს მუშას; მაგრამ ეს უკუღმართი ურთიერთობა მხოლოდ მანქანურ სისტემაში იღებს ტექნიკურად ხელშესახებ რეალობას. შრომის საშუალება იმით, რომ იგი ავტომატად იქცევა, თვით შრომითი პროცესის დროს უპირისპირდება მუშას როგორც კაპიტალი, როგორც მკვდარი შრომა, რომელიც იმორჩილებს ცოცხალ სამუშაო ძალას და გამოსწოვს მას. წარმოების პროცესის ინტელექტუალური ძალების გამოთიშვა ხელშრომისაგან და მათი გადაქცევა კაპიტალის ბატონობად შრომაზე თავის დასრულებულ სახეს ღებულობს, როგორც ეს უკვე წინათ აღვნიშნეთ, მანქანურ საფუძველზე აგებულ მსხვილ მრეწველობაში. მანქანაზე მომუშავე ინდივიდუალური, გამოფიტული მუშის ნაწილობრივი დახელოვნება ქრება როგორც უმნიშვნელო დეტალი მეცნიერების, ბუნების კოლოსალური ძალებისა და საზოგადოებრივი მასობრივი შრომის წინაშე, რომელნიც განხორციელებული არიან მანქანურ სისტემაში და მასთან ერთად «მეწარმის» (master) ბატონობას ქმნიან. ამიტომ ეს მეწარმე, რომლის ტვინში მანქანები და მათზე მისი მონობოლია ერთმანეთთანაა განუყრელად დაკავშირებული, მუშახელებთან კონფლიქტის დროს ზიზლით მიმართავს მათ ამ სიტყვებით: «ფაბრიკის მუშებს მუდამ უნდა ახსოვდეთ თავიანთ სასარგებლოდ, რომ მათი შრომა სინამდვილეში ფრიალ დაბალი ხარისხის დახელოვნებული შრომაა; რომ არც ერთი სხვა შრომა ასე ადვილად არ შეითვისება და, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ღირსებას, არც ნაზღაურდება ასე კარგად; რომ არც ერთი სხვა შრომა სრულიად გამოუცდელისა ასე ხანმოკლე სწავლებით, ასე მოკლე დროში და ასე უხვად არ შეიძლება მოაპოვებულ იქნას. წარმოების საქმეში ფაქტიურად მეწარმის მანქანები ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე მუშის შრომა და დახელოვნება, რაც ნ თვეში შეისწავლება და რის შესწავლაც ყოველ გლეხ-მოჯამაგირეს შეუძლია»¹⁸⁵.

მუშის ტექნიკური დამორჩილება შრომის საშუალების ერთფეროვანი მსვლელობისადმი და ორივე სქესისა და უალრესად სხვადა-

¹⁸⁵ «The Master Spinners' and Manufacturers' Defence Fund. Report of the Committee». Manchester 1854, გვ. 17. შემდეგ ჩვენ დაინახეთ, რომ «მეწარმე» სულ სხვა პანგებზე იწყებს მღერას, როცა მას «ცოცხალი» ავტომატების დაკარგვის ზიდათი მოვლის.

სხვა ასაკის ინდივიდთაგან თავისებური შეხამება და შედგენა ერთი მთლიანი შრომითი ორგანიზმისა კმნის ყაზარმულ დისციპლინას, რომელიც სრულყოფილ ფაბრიკულ რეჟიმად ყალიბდება და სავსებით ავითარებს ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულ საზედამხედველო შრომას, მაშასადამე, მუშების დანაწილებას ხელშრომის მუშებად და შრომის ზედამხედველებად, რიგითი სამრეწველო ჯარისკაცებად და სამრეწველო უნტერ-ოფიცრებად. «მთავარ სიძნელეს ავტომატურ ფაბრიკაში... შეადგენდა... დისციპლინა, რომელიც აუცილებელი იყო, რათა ადამიანებს უკუეგდოთ მათთვის ჩვეული უწესრიგობა მუშაობაში და დიდი ავტომატის უცვლელი რეგულარობის იდენტურნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ავტომატური სისტემის მოთხოვნილებათა და სისწრაფის შესაბამისი დისციპლინარული კოდექსის გამოგონება და მისი წარმატებით გამოყენება — ეს ჰერკულესის ღირსი საქმე — იყო კეთილშობილი საქმე არკრაიტისა! ახლაც კი, როდესაც ეს სისტემა სავსებით ჩამოყალიბებულია, თითქმის შეუძლებელია იმ მუშებს შორის, რომლებმაც უკვე მოწიფულ ასაკს მიაღწიეს, გამოსადეგი თანაშენწეების გამონახვა ავტომატური სისტემისათვის»¹⁸⁹. საფაბრიკო კოდექსი, რომელშიაც კაპიტალი კერძოუფლებრივი წესით და თვითნებურად აყალიბებს თვითმპყრობელურ ბატონობას თავის მუშებზე, ისე რომ არ ატარებს ძალაუფლებათა განაწილებას, რაც საერთოდ ასე ძვირფასია ბურჟუაზიისთვის, და არც წარმომადგენლობით სისტემას, რაც კიდევ უფრო ძვირფასია მისთვის, — ეს კოდექსი უბრალო კაპიტალისტური კარიკატურაა შრომის პროცესის საზოგადოებრივი მოწესრიგებისა, რომელიც აუცილებელი ხდება დიდი მასშტაბით განხორციელებული კოოპერაციისა და შრომის საშუალებათა, განსაკუთრებით მანქანების, კოლექტიური გამოყენების დროს. მონების მეთვალყურის მათრახის ადგილს აქ ზედამხედველის საჯარიმო წიგნი იჭერს. ყოველი დასჯა, ბუნებრივია, ფულადი ჯარიმით და ხელფასიდან გამოქვითვით გამოიხატება, და ფაბრიკის ლიკურგების საკანონმდებლო გონებამახვილობის წყალობით მათი კანონების დარღვევა, შეიძლება ითქვას, უფრო სარფიანია მათთვის, ვიდრე იმავე კანონების დაცვა¹⁹⁰.

¹⁸⁹ Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 15. ვინც არკრაიტის ბიოგრაფიას იცნობს, ის არასოდეს არ უწოდებს ამ გენიალურ დალაქს «კეთილშობილის» სახელს. მე-18 საუკუნის ყველა დიდ გამოგონებელს შორის იგი უდავოდ სხვის გამოგონებათა უდიდესი ჭურდი და ყველაზე მდაბალი სუბიექტი იყო.

¹⁹⁰ «მონობა, რომლითაც ბურჟუაზიამ პროლეტარიატი შებორკა, არსად ისე ათლად არა ჩანს, როგორც საფაბრიკო სისტემაში. აქ ქრება ყოველნაირი

ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ მატერიალურ პირობებს, რომლებშიც ფაბრიკული შრომა მიმდინარეობს გრძნობის ყველა ორგანო თანაბრად ზიანდება ხელოვნურად აწეული ტემპერატურის, ნედლი მასალის ნარჩენით გაჟღენთილი ჰაერისა და გამაყრუებელი ხმაურით.

თავისუფლება იურიდიულადაც და ფაქტიურადაც. დილის 5¹/₂ საათზე მუშა ფაბრიკაში უნდა იყოს; თუ იგი ორიოდე წუთით იგვიანებს, მას აჯარიმებენ, თუ 10 წუთით იგვიანებს, საუზმის გათავებამდე სრულიად არ შეუშვებენ და ერთი მეოთხედი დილის ხელფასი მისთვის დაკარგულია. მან სხვისი ბრძანებით უნდა ჰკმოს, სვას და იძინოს... დესპოტური ზარი მოუწოდებს მას დატოვოს ლოჯინი, საუზმე და სადილი. და რა ხდება თვით ფაბრიკაში? აქ მეფაბრიკე აბსოლუტური კანონმდებელია. იგი გამოსცემს ისეთ საფაბრიკო წესებს, როგორც მოესურვება; მას შეაქვს ცვლილება და დამატებანი თავის კოდექსში, როგორც მოეპოიანება; და თუნდაც რომ წარმოუდგენელი სისულელე შეიტანოს ამ კოდექსში, სასამართლოები მაინც ეუბნებიან მუშას: რადგან ნებაყოფლობით დათანხმდით ამ ხელშეკრულებას, ახლა ვალდებული ხართ იგი შეასრულოთ კიდევცო... ეს მუშები განწირულნი არიან ცხრა წლიდან დაწყებული სიკვდილამდე სულიერად და ფიზიკურად იტანჯონ (F. Engels: «Die Lage der arbeitenden Klasse in England». Leipzig 1845, გვ. 217 და შ.). [შეად. ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». თბილისი 1932, გვ. 168 — 169.] თუ რას ამბობენ სასამართლონი, მე ამას ორი მაგალითით გავაშუქებ. ერთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა შეფილდში 1866 წლის დამლევის. იქ ერთი მუშა ორი წლით ლითონის ფაბრიკას მიექირავე. მეფაბრიკესთან უთანხმოების გამო მან დატოვა ფაბრიკა და განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში იგი აღარ იმუშავებდა მასთან. ეს მუშა სამართალში მისცეს ხელშეკრულების დარღვევისთვის და ორი თვის ციხე გადაუწყვიტეს (თუ მეფაბრიკემ დაარღვია ხელშეკრულება, მისი გასამართლება შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო წესით და იგი პასუხს აგებს მხოლოდ ფულადი ჯარიმის გადახდით). ორი თვის სასჯელის მოზღის შემდეგ მას იგივე მეფაბრიკე წინადადებას აძლევს დაბრუნდეს ფაბრიკაში ძველი ხელშეკრულების თანახმად. მუშა უარს ამბობს. მან უკვე მოიხადა სასჯელი ხელშეკრულების დარღვევისათვის. მეფაბრიკეს ხელახლა შეაქვს საჩივარი და სასამართლოს ხელახლა გამოაქვს სასჯელი, თუმცა ერთი მოსამართლეთაგანი, ბ-ნი ში, საჯაროდ იურიდიულ საშინელებას უწოდებს ასეთ წესს, როცა შესაძლებელია ერთი და იმავე ადამიანის დასჯა ბერიოდულად მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში ერთი და იმავე შეცოდებისა თუ დანაშაულისათვის. ეს განაჩენი გამოტანილი იყო არა «Great Unpaid» [დიად უსასყიდლო — სოფლის მომრიგებელ მოსამართლის] მიერ, არა პროვინციული დოგბერის მიერ, არამედ — ლონდონში, ერთ-ერთი უმაღლესი სასამართლო დაწესებულების მიერ. [მე-4 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ე ი ს. ეს ამჟამად გაუქმებულია. გარდა ზოგიერთი გამოწაკლის შემთხვევისა, — მაგალითად, საჯარო-საზოგადოებრივი გაზის ქარხნები, — ამჟამად ინგლისში ხელშეკრულების დარღვევისას მუშა იურიდიულად გათანასწორებულია დამკირავებელთან და მისი პასუხისგებაში მიცემა შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო წესით. — ვ. შ.] — მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა უილტშირში 1863 წლის ნოემბრის დამლევის. ორთქლის საფეკრო დაზგებზე დაახლოებით 30-მა მომუშავე ქალმა, რომელნიც მუშაობას ეწეოდნენ ვინმე ჰერებთან, მაუდის მეფაბრიკესთან ლეოერს მილში, უესტ-ჰერი ლი, გაფიცვა გამოაცხადა, იმიტომ რომ სხენებულ ჰერებს ასეთი სასიამოვნო

ბისაგან და სხვ., არას ვამბობთ იმ საფრთხეზე, რასაც ადამიანის სიცოცხლეს უქმნიან ერთიმეორის გვერდით მჭიდროდ გამწყკრივებულ მანქანები, რომელნიც წლის დროთა ცვლის სიზუსტით იძლევიან

ჩვეულება ქონდა: დილაობით დაგვიანებისთვის ამ მუშა-ქალებს ხელფასიდან ურიცხავდა 6 პენსს 2 წუთისთვის, 1 შილინგს — 3 წუთისთვის და 1 შილინგსა და 6 პენსს — 10 წუთისათვის. 9 შილინგის კვალობაზე საათში ეს შეადგენს დღეში 4 გირვანქა სტერლინგს და 10 შილინგს, მათი საშუალო ხელფასი კი წელიწადში არასოდეს 10-დან 12-მდე შილინგს არ აღემატება კვირაში. ჰერემა აგრეთვე ერთ მოზარდს დაავალა ფაბრიკის საათი საყვირით ეცნობებინა ხოლმე, რასაც ზოგჯერ თვითონ ასრულებდა დილის 6 საათზე ადრე; და თუ მუშები სწორედ საყვირის ხმის შეწყვეტისას იქ არ იქნებოდნენ, ალაყაფის კარები იკეტებოდა და გარეთ დარჩენილებს აჯარიმებდნენ; რადგან მთელ შენობაში საათი არ იყო, ამიტომ უბედური მუშები ჰერეპის მიერ დარჩევილ ახალგაზრდა დარაჯის სრულ განკარგულებაში იყვნენ. «გაფიცულებმა», ოჯახის დედებმა და ქალიშვილებმა, განაცხადეს, რომ ისინი მუშაობას შეუდგებიან, თუ დარაჯის მაგიერ საათს დადგამენ და უფრო გონივრული საჯარიმო ტარიფი იქნება შემოღებული. ჰერემა 19 დედაკაცსა და ქალიშვილს უჩივლა მაგისტრატთან [მომრიგებელ მოსამართლესთან]. ხელშეკრულების დარღვევისათვის. თვითულ მათგანს მიუსაჯეს 6 პენსი ჯარიმა და 2 შილინგი და 6 პენსი სასამართლოს ხარჯები, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჰერეპი ხალხის მასამ სტვენით გააცილა სასამართლოდან. — მეფაბრიკთა ერთ-ერთი საყვარელი ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელფასიდან გამორიცხვით სჯიან მუშებს მათთვის გადაცემული მასალის ცუდი ხარისხისათვის. ამ მეთოდმა 1866 წელს ინგლისის მეთუნეობის მწარმოებელ ოლქებში საყოველთაო გაფიცვა გამოიწვია. «Children's Employment Commission»-ის ანგარიშებში (1863 — 1866) აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც მუშა, ნაცლად იმისა, რომ ხელფასს იღებდეს, თავისი შრომის შედეგად და ჯარიმათა წესის გამო თავისი დიდებული მეწარმის მოვალეც კი ხდება. აგრეთვე ბამბის წარმოების უკანასკნელმა კრიზისმა გამოამყვანა საგულისხმო ნიშნები იმ გონება-მახვილობისა, რასაც ავტოკრატი მეფაბრიკენი იჩენენ ხელფასის დაკლების საქმეში. «მე თვითონ, — ამბობს ფაბრიკის ინსპექტორი რ. ბეკერი, — ამას წინათ სამართალში მივეცი ერთი ბამბის მეფაბრიკე, რადგან იგი ამ მიმე უფარველ დროში ზოგიერთ მის მიერ დაჭირებულ მოზარდს» (13 წელზე უფროსს) ხელფასიდან 10 პენსს უქვითავდა ასაკის შესახებ გაცემულ საექიმო მოწმობაში, რომელიც მას შოლოდ 6 პენსი უღირს და რისთვისაც კანონით მხოლოდ 3 პენსის დაქვითვა შეიძლება, ჩვეულება კი სრულიად კრძალავს ამას... მეორე მეფაბრიკე იმავე მიზნის მისაღწევად ისე, რომ კანონთან კონფლიქტი არ მოუხდეს, თვითულ საწყალ ბავშვს, რომელიც მისთვის მუშაობს, 1 შილინგს ახდევინებს ვითომდა რთვის ხელოვნებისა და საიდუმლოების სწავლებაში, რაწამსაც ექიმის მოწმობა ბავშვს აღიარებს საკმაოდ მომწიფებულად ამგვარი მუშაობისათვის. მაშასადამე, არსებობს სიღრმეში დაფარული მიმდინარეობა, რომელიც უნდა ვიცოდეთ, რათა გავიგოთ ისეთი არაჩვეულებრივი მოვლენები, როგორიცაა გაფიცვა და ისეთ დროში, როგორიცაა ახლანდელია» (აქ ლაპარაკია მექანიკური ფეიქრების გაფიცვაზე დარვენის ფაბრიკაში 1863 წლის ივნისში). «Reports of Insp. of Fact. for 30th April 1863», გვ. 50, 51. (საფაბრიკო ანგარიშები ყოველთვის უფრო შორს მიდის, ვიდრე მათი ოფიციალური თარიღი.)

თავიანთ სამრეწველო ბიულეტენებს დახოცილთა და დაკრილთა შესახებ^{190ა}. წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა ეკონომია, რაც პირველად საფაბრიკო სისტემაში მწიფდება, როგორც სათბურში, კაპიტალის ხელში იქცევა ამასთანავე მუშის სისტემატურ ძარცვად. შრომის დროს მისთვის ისეთი აუცილებელი სასიცოცხლო პირობების გაძარცვად, როგორცაა: სივრცე, ჰაერი, სინათლე და აგრეთვე ყველა სხვა საშუალება წარმოების პროცესის იმ პირობებისაგან დასაცავად, რომელნიც მუშის სიცოცხლისათვის სახიფათოა ან მავნებელი მისი ჯანმრთელობისათვის, — მუშის უკეთმოწყობის პირო-

^{190ა} სახიფათო მანქანებისაგან დამცველ კანონებს დადებითი გავლენა ჰქონდათ. «მაგრამ... ამჟამად გაჩნდა უბედურ შემთხვევათა ახალი წყაროები, რომლებიც ამ 20 წლის წინათ არ არსებობდა, სახელდობრ — მანქანების გაძლიერებული სისწრაფე-თვლები, ლილვები, თითისტრები და საფეიქრო დაზგები ახლა მოძრაობაში მოხყავს გადიდებულ და მუდამ მზარდ ძალას; თითებმა ახლა უფრო სწრაფად და უფრო მტკიცედ უნდა დაიჭირონ გაწყვეტილი ძაფი, რადგან დაყოვნების ან გაუფრთხილებლობის გამო მათ დაღუპვა მოეღის... უბედურ შემთხვევათა დიდი რიცხვი გამოწვეულია იმით, რომ მუშები ცდილობენ სწრაფად დაამთავრონ თავიანთი სამუშაო. უნდა გვახსოვდეს, რომ მეფაბრიკათათვის უალრესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მათი მანქანები განუწყვეტელ მოძრაობაში იყოს, ე. ი. რომ ნართი და ქსოვილი განუწყვეტლოვ იწარმოებოდეს. ყოველი გაჩერება ერთი წუთითაც კი დაკარგავს არა მარტო მამოძრავებელი ძალის, არამედ — პროდუქციისაც. ამიტომ ზედამხედველები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან პროდუქტის რაოდენობით, მუდამ აჩქარებენ მუშებს, რათა მანქანები არ გაჩერდეს; ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია მუშებისათვისაც, რომელნიც წონის ან ცალობის მიხედვით იღებენ ხელფასს. ამიტომ, თუმცა მეტწილად ფაბრიკებში ფორმალურად აკრძალულია მანქანების წმენდა მათი მოძრაობის დროს, მაგრამ სინამდვილეში ეს მუდამ ასე ხდება. მარტო ამ გარემოებამ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში 906 უბედური შემთხვევა გამოიწვია... თუმცა მანქანების გაწმენდა ყოველდღე ხდება. მაგრამ იგი საფუძვლიანად წარმოებს უფრო ხშირად შაბათობით და მეტწილად ეს ხდება მანქანების მოძრაობის დროს. ამ ოპერაციას არ უნახლაურებენ მუშებს და ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მაღე დაასრულონ იგი. ამიტომ პარასკევობით და განსაკუთრებით კი შაბათობით უბედურ შემთხვევათა რიცხვი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვა დღეებში. უბედურ შემთხვევათა ნამეტი პარასკევს კვირის პირველი 4 დღის უბედურ შემთხვევათა საშუალო რიცხვთან შედარებით შეადგენს დაახლოებით 12¹/₆-ს, ხოლო შაბათის ნამეტი წინა 5 დღის საშუალოსთან შედარებით შეადგენს 25¹/₆-ს; მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შაბათობით ფაბრიკის სამუშაო დღე 7¹/₂ საათს გრძელდება, კვირის დანარჩენ დღეებში კი — 10¹/₂ საათს, გამოვა, რომ ეს ნამეტი 65¹/₆-ს აღემატება» («Reports of Insp. of Factories for 31st October 1866». London 1867, გვ. 9, 15, 16, 17).

ბებზე კი ლაპარაკიც ხომ სრულიად ზედმეტია¹⁸¹. განა მართალი არ არის ფურთიე, როცა ფაბრიკებს «შემსუბუქებულ კატორლას» უწოდებს?¹⁸².

5. ბაძილა მუშასა და მანქანას შორის

ბაძილა კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის თვით კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობისთანავე იწყება. იგი მძვინვარებს მთელი მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში¹⁸³. მაგრამ

¹⁸¹ მესამე წიგნის პირველ განყოფილებაში მე გვიამბობთ სულ უკანასკნელ დროს მომხდარ ინგლისელ მეფაბრიკეთა ერთ გულაშქრებაზე საფაბრიკო აქტის იმ მუხლების წინააღმდეგ, რომელთაც მიზნად აქვთ მუშახელებისა ორგანიზების დაცვა სიცოცხლისათვის სახიფათო მანქანებისაგან. აქ საკმარისი იქნება ერთი ადგილის მოყვანა ფაბრიკის ინსპექტორის ლეონარდ ჰორნერის ოფიციალური ანგარიშიდან: «მე მსმენია მეფაბრიკეთა დაუშვებელი ფუქსაეატური ლაპარაკი ზოგიერთი უბედური შემთხვევის შესახებ, მაგალითად: თითის დაკარგვა უმნიშვნელო რამ არისო. მუშის სიცოცხლე და მომავლის იმედები იმდენად დამოკიდებულია მის თითებზე, რომ თითის დაკარგვა მისთვის უაღრესად სერიოზული მოვლენაა. როდესაც მე ასეთი უგუნური ყბედობა მესმოდა ხოლმე, შეკითხვით მიემართავდი: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ერთ დამატებით მუშას საჭიროებთ და ორმა მუშამ მოგმართათ, ორივემ თანაბარი შრომის უნარისა და ნიჭის პატრონმა. მაგრამ ერთ მათგანს ცეიო ან საჩუქრებელი თითი აკლია, — რომელს აირჩევდით თქვენ? ისინი დაუყოვნებლივ აცხადებდნენ, რომ აირჩევდნენ იმ მუშას, რომელსაც თითი არ აკლია... ამ ვაჭბატონ მეფაბრიკებს ყალბი რწმენა აქვთ იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი ფსევდო-ფილანთროპიულ კანონმდებლობას უწოდებენ» («Reports of Insp. of Fact. 31st October 1855»). ეს ვაჭბატონები «გონიერი ხალხია» და ტყუილად კი არ თანაუგრძობენ მონათმფლობელთა ამბოხებას:

¹⁸² იმ ფაბრიკებში, რომლებიც დიდი ხანია ექვემდებარებიან საფაბრიკო აქტს, რომლითაც გათვალისწინებულია სამუშაო დროის იძულებითი შეზღუდვა და სხვა დადგენილებანი, — უკვე მოისპო ზოგიერთი წინანდელი ბოროტება. თვით მანქანების გაუმჯობესებამ, განსაზღვრულ პუნქტამდე მისული, მოითხოვს «საფაბრიკო შენობების გაუმჯობესებულ კონსტრუქციას», რაც მუშებისათვის სასარგებლოა (შეად. «Reports etc. for 31st October 1863», გვ. 109).

¹⁸³ იხ., სხვათა შორის, John Houghton: «Husbandry and Trade improved». London 1727. «The Advantages of the East-India Trade, 1720». John Bellers: «Proposals for Raising a College of Industry», London 1696. «სამწუხაროდ, მეწარმენი და მუშები მუდამ ომის მდგომარეობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. პირველთა უტყველი მიზანია რაც შეიძლება იაფი შრომა მოიპოვონ და ამ მიზნის მისაღწევად ყოველნაირ ზრიკს მიმართავენ; ხოლო უკანასკნელნი იმავე გულმოდგინებით ცდილობენ ისარგებლონ ყოველი შემთხვევით, რათა დაქირავებულებს თავიანთი გადიდებული მოთხოვნები მიადებინონ» («An Inquiry into the Causes of the Present High Price of Provisions», 1767, გვ. 61, 62. (ავტორი, — მღვდელი ნათენიელ ფორსტერი, — სავსებით მუშების ძხარეზე.)

თვით შრომის საშუალების, ე. ი. კაპიტალის არსებობის ამ მატერიალური ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას მუშა მხოლოდ მანქანების შემოღების დროიდან იწყებს. იგი უკანყდება წარმოების საშუალების ამ განსაზღვრულ ფორმას როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის მატერიალურ საფუძველს.

მე-17 საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელმა ევროპამ განიცადა მუშების ამხედრება ეგრეთწოდებული Bandmühle-ს (ლენტური დაზვის), აგრეთვე Schnurmühle-დ ანუ Mühlenstuhl-ად წოდებულის) წინააღმდეგ, ე. ი. ლენტებისა და ბუზმენტების საქსოვი მანქანის წინააღმდეგ¹⁹⁴. მე-17 საუკუნის პირველი მესამედის დამლევს ქართი მოძრავი სახეობის მანქანა, აგებული ერთი ჰოლანდიელის მიერ ლონდონის მახლობლად, ბრბოს არეულობის მსხვერპლი გახდა. ჯერ

¹⁹⁴ **Bandmühle** გერმანიაში გამოიგონეს. იტალიელი აბატი ლანჩლოტი ერთ თხზულებაში, რომელიც 1636 წელს ვენეციაში გამოვიდა, მოგვითხრობს: «დანციველმა ანტონ მიულერმა თითქმის 50 წლის წინათ (ლანჩლოტი 1629 წელს წერდა) ქ. დანციგში ნახა ერთი ფრიად ოსტატურად გაკეთებული მანქანა, რომელიც ერთბაშად 4 — 6 ქსოვილს ამზადებდა. მაგრამ, რადგან ქალაქის საბჭო შიშობდა, რომ ეს გამოგონება მრავალ მუშას მათხოვრად გადააქცევდა, ამიტომ მან ეს მანქანა აკრძალა და ბრძანება გასცა ფარულად წყალში ან სხვაგვარად დაეხრჩოთ მისი გამოგონი». ლეიდენში იგივე მანქანა პირველად 1629 წელს იქნა გამოყენებული. ბუზმენტების მქსოველთა ამბოხებამ აიძულა მაგისტრატი ჯერ სულ აეკრძალა ეს მანქანა; გენერალურმა შტატებმა 1623, 1639 და სხვ. წლების დადგენილებებით შეზღუდეს მისი ხმარება; ბოლოს, 1661 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, იგი ნებადართულ იქნა განსაზღვრული პირობებით. ამ ქალაქში, — ამბობს ბოქსტორნი (*Institutiones Politicæ*, Leyden 1663) ლეიდენში ლენტების საქსოვი დაზვის შემოღების შესახებ, — დაახლოებით 20 წლის წინათ რამდენიმე კაცმა გამოიგონა საქსოვი იარაღი, რომლითაც ერთ მუშას უფრო მეტი ქსოვილის დამზადება შეეძლო და უფრო ადვილად, ვიდრე უამისოდ რამდენსამე მუშას იმავე დროის განმავლობაში. ამან ფეიქრების უკმაყოფილება და საჩივარი გამოიწვია, და, ბოლოს, მაგისტრატმა აკრძალა იარაღის ხმარება. იგივე მანქანა 1676 წელს აკრძალულ იქნა კლენში, ხოლო მისმა შემოღებამ ინგლისში იმავე დროს მუშების მღელვარება გამოიწვია. 1685 წლის 19 თებერვალს იმპერატორის ბრძანებულებით აიკრძალა მისი ხმარება მთელ გერმანიაში. ჰამბურგში მაგისტრატის ბრძანებით ეს მანქანა საჯაროდ დასწევს. 1719 წლის 9 თებერვალს კარლოს VI-მ განაახლა 1685 წლის ბრძანებულება, ხოლო საქსონიის საჟურფიურსტომში იმისი საყოველთაოდ ხმარება მხოლოდ 1765 წელს იქნა ნებადართული. ეს მანქანა, რომელმაც ამდენი აურხაური გამოიწვია, მართლაც წინამორბედი იყო სართავი და საქსოვი მანქანებისა, მაშასადამე, მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციისა. ქსოვაში სრულიად გამოუცდელ მოზარდს შეეძლო მამოძრავებელი ღეროს უბრალო გაწევა-გამოწევით მოძრაობაში მოეყვანა მთელი დაზვა ყველა მისი ნაწილითურთ, და მანქანა, გაუმჯობესებული ფორმით, ერთბაშად 40 — 50 ცალ ქსოვილს იძლეოდა.

კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისს წყლით მოძრავი ხე-ტყის სახერხი მანქანები ინგლისში ძლივს უმკლავდებოდნენ ხალხის წინააღმდეგობას, რომელსაც პარლამენტი მხარს უჭერდა. 1758 წელს, როდესაც ევერეტმა პირველად ააგო ცხვრის საპარსი წყლით მოძრავი მანქანა, ეს მანქანა უმუშევრად დარჩენილმა 100 000 კაცმა დასწვა. არკრაიტის scribbling mills-ის [კარდ-მანქანების] და საჩეჩი მანქანების წინააღმდეგ პეტიცია შეიტანა პარლამენტში 50 000 მუშამ, რომელნიც წინათ მატყლის წეწვით თავს ირჩინდნენ. მანქანების მასობრივმა განადგურებამ ინგლისის სამანუფაქტურო ოლქებში მე-19 საუკუნის პირველი 15 წლის განმავლობაში, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით ორთქლის საფეიქრო დაზვის გამოყენების გამო და რაც ცნობილია ლუდიტების მოძრაობის სახელწოდებით, საბაბი მისცა სიდმაუსის, კესტლირისა და სხვათა ანტიიაკობინურ მთავრობას ყველაზე რეაქციული ძალმომრეობითი ღონისძიებების შემოღებისათვის. საჭიროა დრო და გამოცდილება, რათა მუშამ ისწავლოს მანქანის გარჩევა მისი კაპიტალისტური გამოყენებისაგან და, მაშასადამე, თავისი იერიშების გადატანათვით წარმოების მატერიალური საშუალებებიდან მათი ექსპლოატაციის საზოგადოებრივ ფორმაზე¹⁹⁵.

ბრძოლა ხელფასისათვის მანუფაქტურის შიგნით გულისხმობს მანუფაქტურას როგორც ფაქტს და სრულიადაც არაა მიმართული მისი არსებობის წინააღმდეგ. რამდენადაც კი ბრძოლა მანუფაქტურის შექმნის წინააღმდეგ არის მიმართული, ამ ბრძოლას აწარმოებენ არა დაქირავებული მუშები, არამედ საამქროს ოსტატები და პრივილეგიებით აღჭურვილი ქალაქები. ამიტომ მანუფაქტურული პერიოდის მწერლები შრომის დანაწილებაში ხედავენ უმთავრესად საშუალებას პოტენციური მუშების შენაცვლებისათვის და არა ნამდვილი მუშების განდევნისათვის. ეს განსხვავება თავისთავად გასაგებია. მაგალითად, როდესაც ამბობენ: ინგლისში 100 მილიონი კაცი იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ ძველი სისტემის ჯარაზე იმდენი ბამბა დაერთოთ, რამდენსაც ახლა მანქანის საშუალებით 500 000 კაცი ართავსო, — ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ მანქანამ ამ მილიონების ადგილი დაიჭირა, რომელნიც სინამდვილეში არასოდეს არ არსებობდნენ. ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ სართავი მანქანების შესანაცვლებლად მრავალი მილიონი მუშახელი იქნებოდა საჭირო. პირიქით,

¹⁹⁵ ძველებურ მანუფაქტურებში ხანდახან ახლაც მეორდება მანქანების წინააღმდეგ მუშათა ამბოხების ტლანქი ფორმა. მაგალითად, ასე იყო კლიბების წარმოებაში შეფილდში 1865 წელს.

როდესაც ამბობენ: ორთქლის საფეიქრო დაზგამ ინგლისში 800 000 ფეიქარი ქუჩაში გამოყარაო, — მაშინ იგულისხმება არა არსებული მანქანები, რომელთა შესანაცვლებლად მუშათა განსაზღვრული რიცხვი იქნებოდა საჭირო, არამედ — განსაზღვრული რიცხვი არსებული მუშებისა. რომელთაც ფაქტიურად მანქანა შეენაცვლა, ანუ რომელიც მანქანამ განდევნა. მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში საფუძვლად ხელოსნური წარმოება რჩებოდა, თუმცა ეს უკანასკნელი დანაწილებული იყო. ახალი კოლონიური ბაზრების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო ქალაქის მუშების შედარებით მცირე რიცხვით, რომელიც შუა საუკუნეების მიერ იყო გადმოცემული, და საკუთრივ მანუფაქტურამ წარმოების ახალი სარბიელი გაუხსნა სოფლის მოსახლეობას, რომელიც ფეოდალიზმის რღვევასთან ერთად სოფლის მიწაწყლიდან იღვევებოდა. ამიტომ მაშინ უფრო აშკარად ჩანდა სახელოსნოებში შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის დადებითი მხარე: დასაქმებულ მუშათა მწარმოებლური ძალის გაძლიერება¹⁹⁶. მართალია, ბევრ ქვეყანაში დიდი ხნით ადრე მსხვილი მრეწველობის პერიოდის დაწყებამდე მიწათმოქმედებაში გამოყენებულმა კოოპერაციამ და მცირეოდენთა ხელში შრომის საშუალებათა კომბინაციამ გამოიწვია წარმოების წესში და, ამიტომ, სოფლის მოსახლეობის საარსებო პირობებში და მოსაქმეობის საშუალებებში დიდი, უეცარი და ძალდატანებითი რევოლუცია. მაგრამ ეს ბრძოლა თავდაპირველად მიწის მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა შორის უფრო წარმოებს, ვიდრე კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის; მეორე მხრივ,

¹⁹⁶ სერ ჯემს სტიუარტს მანქანების მოქმედებაც ჯერ კიდევ სავსებით ამ მნიშვნელობით ესმის. «მაშასადამე, მე მანქანებში ვხედავ საშუალებას მომუშავეთა რიცხვის გასაღივებლად (პოტენციურად), რომელთაც კვება არ სჭირდებათ... აბა რით განიორჩევა მანქანის ეფექტი ახალ მცხოვრებთა გაჩენით გამოწვეული ეფექტისაგან?» («Principes d'Économie Politique», ფრანგული თარგმანი, ტ. I, წიგნი 1, თავი XIX). ბევრად უფრო გულბრწყილია პეტო, რომელიც ამბობს, მანქანა «პოლიგამიის» მაგივრებას ეწვევა. ეს თვალსაზრისი უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ შეერთებული შტატების ზოგიერთი ნაწილის მიმართ არის სწორი. პირიქით: «იშვითად შეიძლება მანქანის წარმატებით გამოყენება იმისათვის, რომ ცალკეული მუშის შრომა შემცირებულ იქნას. მის აგებაზე უფრო მეტი დრო დაიხარჯებოდა, ვიდრე მისი გამოყენებით დაიხარჯებოდა. მანქანის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილად სასარგებლო, როდესაც იგი დიდი მასშტაბით მოქმედებს, როდესაც ერთი მანქანა ათასობით ადამიანთა შრომას უწყვეს დახმარებას. ამიტომ მანქანებს მეტწილად უფრო მეტი დრო დასახლებულ ადგილებში იყენებენ, სადაც უფრო მეტი უმუშევრები არიან... მანქანები გამოიყენება არა მუშების ნაკლებობის გამო, არამედ იმ სიადვილის გამო, რომლითაც შეიძლება ადამიანთა მსების ჩაბმა მუშაობაში» (Piercy Ravenstone: «Thoughts on the Funding System and its Effects». London 1824, გვ. 45).

რამდენადაც მუშების ადგილს შრომის საშუალებანი — ცხვრები, ცხენები და სხვ. — იკავებენ, უშუალო ძალმომრეობის აქტები აქ სამრეწველო რევოლუციის პირველ წანამძღვარს ქმნიან. ჯერ მუშები იღვენებიან მიწა-წყლიდან, შემდეგ კი ცხვრები ჩნდებიან. მიწის დიდი მასშტაბით მტაცებლობა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ინგლისში, პირველად ქმნის გავრცელების ასპარეზს მსხვილი მიწათმოქმედებისათვის¹⁹⁶. ამიტომ ამ გადატრიალებას მიწათმოქმედებაში თავდაპირველად უფრო პოლიტიკური რევოლუციის მოჩვენებითი ხასიათი აქვს.

შრომის საშუალება, როგორც კი იგი მანქანის სახით გამოდის, მაშინვე თვით მუშის კონკურენტი ხდება¹⁹⁷. კაპიტალის ღირებულების თვითზრდა მანქანის მეოხებით პირდაპირ შეფარდებაშია მუშების რიცხვთან, რომელთა არსებობის პირობებს მანქანა სპობს. კაპიტალისტური წარმოების მთელი სისტემა იმაზეა დაფუძნებული, რომ მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას როგორც საქონელს. შრომის დანაწილება ცალმხრივ ხასიათს აძლევს ამ სამუშაო ძალას იმით, რომ გადააქცევს მას მხოლოდ ნაწილობრივ დახელოვნებად ცალკეული ნაწილობრივი იარაღის წარსამართავად. რა წამსაც იარაღის მართვა მანქანას ხვდება წილად, სამუშაო ძალის სახმარ ღირებულებასთან ერთად ქრება მისი საცვლელი ღირებულებაც. გაუფასურებული ქალაქის ფულის მსგავსად მუშა მყიდველს ვეღარ შოულობს. მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელსაც მანქანა ამრიგად ზედმეტ მოსახლეობად აქცევს, ე. ი. მოსახლეობად, რომელიც უშუალოდ უკვე საჭირო აღარ არის კაპიტალის თვითზრდისათვის, ერთი მხრივ, იღუბება ძველი ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების უთანასწორო ბრძოლაში მანქანური წარმოების წინააღმდეგ, და მეორე მხრივ, აწყდება მრეწველობის ყველა უფრო ადვილად მისაწვდომ დარგებს, ზედმეტად ავსებს შრომის ბაზარს, და, ამიტომ, სამუშაო ძალის ფასს მის ღირებულებაზე დაბლა სწევს. როგორც ამბობენ, პაუპერად ქცეული მუშებისათვის დიდ ნუგეშს ის გარემოება უნდა შეადგენდეს, რომ, ერთი მხრივ, მათი ტანჯვა მხოლოდ «დროებითია» («a temporary

¹⁹⁶ ამ ქმე-4 გამოცემისათვის. ეს გერმანიაზედაც ითქმის. სადაც ჩვენში, მაშასადამე, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, მსხვილი მიწათმოქმედება არსებობს, იგი შესაძლებელი გახდა მხოლოდ «Bauernlegen»-ის [გლეხთა აყრის] გამო, რომელიც დაიწყო მე-16 საუკუნიდან, განსაკუთრებით 1648 წლიდან. — შ. მ.]

¹⁹⁷ მანქანა და შრომა მუდამ მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს» (Ricardo: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 479) [დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეჭდვის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 338.]

inconvenience), და, მეორე მხრივ, მანქანა მხოლოდ თანდათანობით ეუფლება წარმოების მთელ სარბიელს, რის გამო მისი განაღდგურებელი მოქმედების არე და ინტენსივობა სუსტდება. აქ ერთი ნუგეში მეორეს აბათილებს. როდესაც მანქანა თანდათანობით იპყრობს წარმოების სარბიელს, იგი ქმნის ქრონიკულ სილატაკეს მის მეტოქე მუშათა ფენებში. როდესაც ეს დაპყრობა სწრაფად ხდება, მანქანის მოქმედება მასობრივია და მძაფრი. მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება იმაზე უფრო საშინელი სურათი, ვიდრე ინგლისელ ბამბეულის ხელოსან ფეიქართა ნელი განადგურება, რომელიც ათეული წლებით გრძელდებოდა და, ბოლოს, 1838 წელს დამთავრდა. ბევრი მათგანი შიმშილით დაიხოცა, ბევრიც დიდხანს გაჭირვებით განაგრძობდა არსებობას ოჯახიანად $2\frac{1}{2}$ პენსით დღიურად¹⁹⁸. პირიქით, მწვავე შედეგები გამოიწვია ინგლისურმა ბამბეულის მანქანამ ოსტ-ინდოეთში, რომლის გენერალ-გუბერნატორი 1834—1835 წლებში ადასტურებდა შემდეგს: «ვაჭრობის ისტორიაში ამ უბედურების ბადალი, საეჭვოა, მოიპოვებოდეს. ინდოეთის ველები ბამბის ფეიქართა ძვლებითაა მოთეთრებულია. რასაკვირველია, რამდენადაც ეს ფეიქრები ამქვეყნიურ დროებითს სიცოცხლეს გამოესალმენ, მანქანამ მათ მხოლოდ «დროებითი ტანჯვა» მიაყენა. მაგრამ მანქანის «დროებითი»

¹⁹⁸ ინგლისში 1833 წლის დარბითა კანონის შემოღებამდე კონკურენცია ხელოსნურ და მანქანურ ქსოვას შორის დიდხანს გაგრძელდა იმის მეოთხებით, რომ მინიმუმზე დაბლა დაკუმულ ხელფასს სამრეწოლები დახმარებას უმატებდნენ. «მისი მაღალკურთხევა ბ-ნი ტერნერი 1827 წელს მოძღვარი იყო უილმსლოში, სამრეწველო ოლქ ზეშირში. გადასახლების გამოცვლელი კომიტეტის კითხვები და ტერნერის პასუხები ამ კითხვებზე გვიჩვენებს, თუ რანაირად ახერხებდა ხელშრომმა მანქანებისათვის კონკურენციის გაწევას. კითხვა: «განდევნა თუ არა ხელით საქსოვი დაზგის გამოყენება მექანიკური დაზგის გამოყენებამ?» პასუხი: «უეჭველად; იგი უფრო მეტად იქნებოდა განდევნილი, ვიდრე ეს სინამდვილეშია, ხელით მქსოველები «რომ არ იყვნენ ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებული, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს ხელფასის შემცირებაზე დათანხმდნენ». კითხვა: «მაგრამ, როდესაც ხელით მქსოველი ისეთ ხელფასზე თანხმდება, რომელიც საკმარისი არ არის არსებობისათვის, ზომ არ მოეღობა იგი «აარსებო საშუალებათა დეფიციტის დასაფარავად საღარიბო დახმარებას სამრეწველო-საგან?» პასუხი: «დიახ, მართლაც მეტოქეობას მექანიკურ დაზგასა და ხელით საქსოვ დაზგას შორის საღარიბო დახმარება ასულდგმულებს». ამრიგად, დამამცირებელი პაუპერიზმი, ანდა ემიგრაცია — აი ის სარგებლობა, რომელიც მანქანების შემოღებამ მშრომელებს მოუტანა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საპატიო და რამდენადმე დამოუკიდებელ ხელოსანთა მდგომარეობიდან ისინი დაქვეითდნენ საბრალო ბაწანწალას მდგომარეობამდე და თავს დამამცირებელი სამოწყალო ლუკმა-პურიით ირჩენენ. აი რას უწოდებენ დროებით გაჭირვებას» («A Prize Essay on the Comparative Merits of Competition and Co-operation». London 1834, გვ. 29).

მოქმედება პერმანენტულია, რადგან იგი მუდამ წარმოების ახალ-ახალ დარგებს იპყრობს. მაშასადამე, ის დამოუკიდებელი და განკერძოებული ხასიათი, რასაც საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესი აძლევს შრომის პირობებსა და შრომის პროდუქტს მუშის მიმართ, მანქანების შემოღებით ვითარდება სრულ დაპირისპირებულობად, ერთი მხრივ. მუშებსა და, მეორე მხრივ, შრომის პირობებსა და შრომის პროდუქტს შორის¹⁹⁹. ამიტომ მანქანების შემოღებასთან ერთად პირველად იწყება მუშების მრისხანე ამბოხება შრომის საშუალების წინააღმდეგ.

შრომის საშუალება ამარცხებს მუშას. რასაკვირველია, ეს პირდაპირი დაპირისპირებულობა ყველაზე აშკარად მაშინ ვლინდება, როდესაც ახლადშემოღებული მანქანა კონკურენციას უწევს ტრადიციულ ხელოსნურ ან მანუფაქტურულ წარმოებას. მაგრამ თვით მსხვილი მრეწველობის ფარგლებშიც მანქანების განუწყვეტელი გაუმჯობესება და ავტომატური სისტემის განვითარება ანალოგიურად მოქმედებს. მანქანების გაუმჯობესების მუდმივი მიზანი ისაა, რომ შემცირდეს ხელით მუშაობა ანუ გაუმჯობესდეს წარმოების პროცესი ფაბრიკაში იმით, რომ საწარმოო ჯაჭვის ამა თუ იმ რგოლში ადამიანის აპარატი შეიცვალოს რკინის აპარატით²⁰⁰. «ორთქლისა და წყლის ძალის გამოყენება მანქანებისათვის, რომელთაც აქამდე ხელით ამოძრავებდნენ, ყოველდღე ხდება... მუდამ წარმოებს მანქანების შედარებით მცირე გაუმჯობესებანი, რომელთაც მიზნად აქვთ მამოძრავებელი ძალის ეკონომია, პროდუქტის გაუმჯობესება, წარმოების გადიდება იმავე დროის განმავლობაში, ანდა — განდევნა ბავშვის, ქალის ან მამაკაცისა, და თუმცა ყველა ეს გაუმჯობესება ერთი შეხედვით დიდი წონის არაა, მაგრამ მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა»²⁰¹. ყველგან, სადაც კი ესა თუ ის ოპერაცია დიდ დახელოვნებას და

¹⁹⁹ იმავე მიზეზს, რომელსაც შეუძლია გაადიდოს ქვეყნის შემოსავალი (ე. ი. როგორც იქვე განმარტავს რიკარდო, ლენდლორდებისა და კაპიტალისტების შემოსავალი, რომელთა სიმდიდრე, ეკონომიური თვალსაზრისით, საერთოდ = Wealth of the Nation [ერის სიმდიდრეს]), შეუძლია იმავე დროს წარმოშვას ზედმეტი მოსახლეობა და გააუარესოს მუშების მდგომარეობა (Ricardo: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 469). [დ. რიკარდო: აპოლიტიკური ეკონომიის და დაბეჭერის საფუძვლები. თბილისი 1937, გვ. 322.] მექანიზმის ყოველგვარი გაუმჯობესების მუდმივი მიზანი და ტენდენცია ნამდვილად იმაში მდგომარეობს, რომ სრულიად ჩამოიშოროს ადამიანის შრომა ან შეამციროს მისი ფასი ასაკოვანი მუშა-მამაკაცების შრომის ნაცვლად ქალებისა და ბავშვების შრომის გამოყენებით, ანდა დახელოვნებული მუშების ნაცვლად შავი მუშების გამოყენებით (Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 23).

²⁰⁰ «Reports of Insp. of Fact. 31st October 1858», გვ. 43.

²⁰¹ «Reports etc. for 31st October 1856», გვ. 15.

უტყუარ ხელს მოითხოვს, ცდილობენ რაც შეიძლება მალე მოაცილონ იგი ისეთ მუშას, რომელსაც აქვს მეტად დახელოვნებული ხელი და ხშირად მიდრეკილება ყოველგვარი უწყსრიგობისადმი, და დააკისრონ განსაკუთრებულ მექანიზმს, რომელიც ისე კარგად არის მოწყობილი, რომ ბავშვსაც კი შეუძლია მისი მეთვალყურეობა»²⁰². «ავტომატურ სისტემაში მუშის ტალანტი პროგრესიულად იღვევება»²⁰³. «მანქანების გაუმჯობესება მოითხოვს არა მარტო იმას, რომ შემცირდეს რიცხვი ასაკოვანი მუშებისა, რომელნიც დასაქმებული არიან განსაზღვრული შედეგის მისაღწევად, არამედ იმასაც, რომ შეიცვალოს ინდივიდთა ერთი კატეგორია მეორით: უფრო დახელოვნებულნი — ნაკლებ დახელოვნებულნი, ასაკოვანნი — ბავშვებით, მამაკაცები — ქალებით. ყველა ეს ცვლილება ხელფასის დონის მუდმივ რყევას იწვევს»²⁰⁴. «მანქანა ასაკოვან მუშებს განუწყვეტლივ ერეკება ფაბრიკიდან»²⁰⁵. მანქანური სისტემის არაჩვეულებრივი ელასტიკურობა, წარმომდგარი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების, მექანიკურ საშუალებათა უკვე არსებული მოცულობისა და ტექნიკის მუდმივი პროგრესის შედეგად, დაგვანახვა ამ მანქანური სისტემის ძლევამოსილმა სელამ, რომელიც სამუშაო დღის შემცირებით იყო გამოწყვეული. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა 1860 წელს, ინგლისის ბამბის მრეწველობის უდიდესი აყვავების ხანაში, მანქანების იმ სწრაფ ერთიმეორის შემცვლელ გაუმჯობესებას და მის შესაბამისად ხელოსნური შრომის განდევნას, რასაც ადგილი ჰქონდა შემდგომი სამი წლის

²⁰² Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 19. «აგურხანებში გამოყენებული მანქანების დიდი სარგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ქარხნის პატრონებს სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებენ დახელოვნებული მუშების მიმართ» («Children's Employment Commission. 5th Report». London 1866, გვ. 180, № 46).

დამატება მე-2 გამოცემისათვის: ბ-ნი სტეროკი, «Great Northern Railway»-ს სამანქანო განყოფილების მთავარი გამგე, მანქანების (ლოკომოტივებისა და სხვ.) ავების შესახებ აცხადებს: «ძვირ (expensive) ინგლისელ მუშებს დღითი-დღეს სულ უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობით იყენებენ. წარმოება დიდდება გაუმჯობესებული ინსტრუმენტების გამოყენებით, და ამ ინსტრუმენტებს, თავის მხრივ, მუშების უფრო დაბალი კატეგორია (a low class of labour) ემსახურება... წინათ ორთქლის მანქანის ყველა ნაწილს აუცილებლად დახელოვნებული შრომა აწარმოებდა. ახლა კი იგივე ნაწილები იწარმოება ნაკლებად დახელოვნებული შრომით, მაგრამ კარგი ინსტრუმენტების საშუალებით... ინსტრუმენტებად მე ვგულისხმობ მანქანების ასაგებად გამოყენებულ მანქანებს» («Royal Commission on Railways Minutes of Evidence, № 17862 და 17863». London 1867).

²⁰³ Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 20.

²⁰⁴ იქვე, გვ. 321.

²⁰⁵ იქვე, გვ. 23.

განმავლობაში ამერიკის სამოქალაქო ომის ზეგავლენით? საკმარისია ამის შესახებ ინგლისის ფაბრიკის ინსპექტორების ოფიციალური ანგარიშებიდან აქ ორიოდ მაგალითი დავასახელოთ. მანჩესტერის ერთმა მეფაბრიკემ განაცხადა: «75 კარდ-მანქანის ნაცვლად ჩვენ ახლა მხოლოდ 12-ს ვხმარობთ და ეს 12 მანქანა წინანდელი რაოდენობისა და იმავე ხარისხის პროდუქტს იძლევა, თუ უკეთესს არა... ხელფასის ეკონომია კვირაში 10 გირვანქა სტერლინგს უდრის, ხოლო ზამბის ნახევრისა — 10⁰/₆-ს». მანჩესტერის ერთ-ერთ წმინდართვის ფაბრიკაში «სწრაფი მოძრაობის საშუალებით და სხვადასხვა ავტომატური პროცესების შემოღებით მუშა-პერსონალი შემცირდა ერთ განყოფილებაში ერთი მეოთხედით, ხოლო მეორეში — ნახევარზე მეტით, მაშინ როდესაც საჩეჩმა მანქანამ, რომელიც დადგმული იყო მეორე კარდ-მანქანის ნაცვლად, საგრძნობლად შეამცირა მუშახელის რიცხვი საჩეჩ განყოფილებაში». მეორე სართავი ფაბრიკა კიდევ თავის საერთო ეკონომიას «ხელებზე» 10⁰/₆-ს ანგარიშობს. ბ-ნი ჯილმერები, სართავი ფაბრიკის მფლობელები მანჩესტერში, აცხადებენ: «ჩვენს blowing Department-ში [საპენტ განყოფილებაში] მუშახელისა და ხელფასის ეკონომია, რომელიც ახალი მანქანების შემოღების შედეგი არის, ჩვენი ანგარიშით სრულ მესამედს უდრის... jack frame room-ში [საფთილავ განყოფილებაში] და drawing frame room-ში [ლენტურ მანქანათა განყოფილებაში] ხარჯებისა და მუშახელის ეკონომია დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს; სართავ განყოფილებაში ხარჯების ეკონომია დაახლოებით ერთ მესამედს უდრის. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის; ახალი მანქანების გამოყენების გამო ჩვენი ნართი, ფეიქრებისთვის გადასაცემი, იმდენად გაუმჯობესებულია, რომ ისინი უფრო მეტსა და უკეთეს ქსოვილს აწარმოებენ, ვიდრე ძველი მანქანური წესით დამზადებული ნართისაგან აწარმოებდნენ»²⁰⁶. ფაბრიკის ინსპექტორი ა. რედგრეივი ამას დასძენს: «წარმოების ზრდა და იმავე დროს მუშების რიცხვის შემცირება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ; შალეულის ფაბრიკებში ახლახან მუშახელის ახალი შემცირება დაიწყო და იგი კიდევ გრძელდება; ამ რამდენიმე დღის წინათ ერთმა სკოლის მასწავლებელმა, რომელიც როჩდელის მახლობლად ცხოვრობს, მითხრა, რომ მოსწავლეთა რიცხვის დიდი შემცირება ქალთა სკოლებში მარტო კრიზისის ბრალი კი არ არის, არამედ შალეულის ფაბრიკის

²⁰⁶ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1863», გვ. 108 და შემდ.

მანქანებში მომხდარი ცვლილებებისაც, რის გამო საშუალოდ 70 Halbzeitler [ნახევარდროიანი] იქნა დათხოვილია²⁰⁷.

იმ მექანიკურ გაუმჯობესებათა ერთობლივ შედეგს, რასაც, ამერიკის სამოქალაქო ომის გამო, ადგილი ჰქონდა ინგლისის ბამბეულის მრეწველობაში, გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

ფაბრიკების რიცხვი

	1858 წ.	1861 წ.	1868 წ.
ინგლისი და უელსი	2 046	2 715	2 405
შოტლანდია	152	163	131
ირლანდია	12	9	13
შეერთებული სამეფო	2 210	2 887	2 549

ორთქლის საფეხრო დაზბების რიცხვი

	1858 წ.	1861 წ.	1868 წ.
ინგლისი და უელსი	275 590	368 125	344 719
შოტლანდია	21 624	30 110	31 864
ირლანდია	1 633	1 757	2 746
შეერთებული სამეფო	298 847	399 992	379 329

თითისტრების რიცხვი

	1858 წ.	1861 წ.	1868 წ.
ინგლისი და უელსი	25 818 576	28 352 152	30 478 228
შოტლანდია	2 041 129	1 915 398	1 397 546
ირლანდია	150 512	119 944	124 240
შეერთებული სამეფო	28 010 217	30 387 494	32 000 014

დასაქმებულთა რიცხვი

	1858 წ.	1861 წ.	1868 წ.
ინგლისი და უელსი	341 170	407 598	357 052
შოტლანდია	34 698	41 237	39 809
ირლანდია	3 345	2 734	4 203
შეერთებული სამეფო	379 213	451 569	401 064

²⁰⁷ იქვე, გვ. 109. მანქანების სწრაფმა გაუმჯობესებამ ბამბის კრიზისის დროს საშუალება მისცა ინგლისელ მეფაბრიკებს, რომ ამერიკის სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე კვლავ აევისთ მსოფლიო ბაზარი. უკვე 1866 წლის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში თითქმის შეუძლებელი გახდა ქსოვილების გაყიდვა. ამით დაიწყო კონსიგნაციის წესით საქონლის გაზიდვა ჩინეთსა და ინდოეთში, რამაც, რასაკვირველია, ბაზრის ავსებას (გქაჟა) უფრო ინტენსიური ხასიათი მისცა. 1867 წლის დასაწყისში მეფაბრიკებმა მიმართეს თავიანთ ჩვეულებრივ საშუალებას, — ხელფასის შემცირებას 5%-ით. მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და განაცხადეს, — თეორიულად ეს საე-

ამრიგად, 1861 წლიდან 1868 წლამდე 338 ბამბეულის ფაბრიკა გაქრა, ე. ი. უფრო მეტი წარმადობის მქონე და უფრო მსხვილი მანქანები დაგროვდა კაპიტალისტთა მცირე რიცხვის ხელში. ორთქლის საფეიქრო დაზგების რიცხვი 20 663-ით შემცირდა; მაგრამ იმავე დროს მათი პროდუქტი გადიდა, ასე რომ გაუმჯობესებული საფეიქრო დაზგა ახლა უფრო მეტს აწარმოებდა, ვიდრე ძველი ორთქლის საფეიქრო დაზგა. ბოლოს, თითისტართა რიცხვმა იმატა 1 612 541-ით, ხოლო დასაქმებულ მუშათა რიცხვმა იკლო 50 505-ით. მაშასადამე, «დროებითი» სილატაკე, რომლითაც ბამბის კრიზისი მუშებს ავიწროებდა, გაძლიერდა და გახანგრძლივდა მანქანების სწრაფი და შეუჩერებელი გაუმჯობესებით.

მაგრამ მანქანა მოქმედებს არა მარტო როგორც დაუძლეველი კონკურენტი, რომელიც მუდამ მზად არის დაქირავებული მუშა «ზედმეტი» გახადოს. კაპიტალი ხმამაღლა და ტენდენციურად აცხადებს მანქანას მუშისადმი მტრულად განწყობილ ძალად და მას ამ სახით იყენებს კიდევ. იგი ხდება ბრძოლის უმძლავრესი საშუალება კაპიტალის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მუშათა პერიოდულ ამბოხებათა, გაფიცვათა და სხვ. ჩასახშობად²⁰⁸. გასკელის თქმით, ორთქლის მანქანა თავიდანვე «ადამიანის ძალის» მოწინააღმდეგე იყო; იგი შესაძლებლობას აძლევდა კაპიტალისტს გაებათილებინა მუშების მზარდი პრეტენზიები, რომელნიც კრიზისით ემუქრებოდნენ ახლადშემოდებულ ფაბრიკულ სისტემას²⁰⁹. შეიძლებოდა დაწერილიყო ისეთ გამოგონებათა მთელი ისტორია 1830 წლიდან დაწყებული, რომლებიც წარმოიშვა, როგორც მხოლოდ ბრძოლის საშუალებანი კაპიტალისა მუშების ამბოხებათა წინააღმდეგ. უწინარეს

სებით მართებული იყო, — დახმარების ერთადერთი საშუალება სამუშაო დროის შემცირება, კვირაში 4 დღეს მუშაობა არისო. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ვაე-ბატონები, რომელნიც თავიანთ თავს მრეწველობის კაპიტნებს უწოდებენ, იძულებული იყვნენ ანას დათანხმებოდნენ ისე, რომ ზოგან ხელფასი შეამცირეს 5%-ით, ზოგან კი სრულიად უცვლელი დატოვეს.

²⁰⁸ «ურთიერთობა მეწარმეებსა და მუშახელს შორის მინისა და ბოთლის ქარხნებში — ეს ქრონიკული გაფიცვაა». აქედან წარმოდგება დაპრესილი მინის წარმოების სწრაფი აღმავლობა, სადაც მთავარ ოპერაციებს მანქანა ასრულებს. ერთი ფირმა ნიუკესტლში, რომელიც უწინ 350 000 გირვანქა დანაბერ მინას ამზადებდა, ახლა ამის ნაცვლად 3 000 500 გირვანქა დაპრესილ მინას ამზადებს («Children's Employment Commission. 4th Report 1865», გვ. 262, 263).

²⁰⁹ Gaskell: «The Manufacturing Population of England». London 1833, გვ. 3, 4.

ყოვლისა, მკითხველს მოვაგონებთ selfacting mule-ს, რადგან ამით ავტომატური სისტემის ახალი ხანა იწყება ²¹⁰.

ნესმისი, ორთქლის უროს გამომგონი, თავის ჩვენებაში Trades' Unions Commission-ის [ტრედ-უნიონთა მდგომარეობის გამოკვლევითი კომისიის] წინაშე შემდეგ ცნობას იძლევა მანქანების იმ გაუმჯობესებათა შესახებ, რომელნიც მან შემოიღო 1851 წელს მომხდარი მანქანათმშენებელ მუშათა დიდი და ხანგრძლივი გაფიცვის შედეგად: ჩვენს თანამედროვე მექანიკურ გაუმჯობესებათა დამახასიათებელ ნიშანს თვითმოქმედი სამუშაო მანქანების შემოღება წარმოადგენს. რაც ახლა მექანიკურმა მუშამ უნდა აკეთოს და რის გაკეთებაც ყველა მოზარდს შეუძლია, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თვითონ იმუშაოს, არამედ იმაში, რომ მანქანის მშვენიერ მუშაობას თვალყური ადევნოს. მთელი კლასი მუშებისა, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ დახელოვნებაზე არიან დამოკიდებულნი, ახლა ჩამოშორებულია. 1 მექანიკოსზე უწინ 4 მოზარდს ვამუშავებდი. ამ ახალი მექანიკური კომბინაციების მეოხებით ასაკოვანი მუშების რიცხვი 1500-დან 750-დღე დაეიყვანე. ამას შედეგად ჩემი მოგების მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყვა.

საღებავით მბეჭდავი ერთი მანქანის შესახებ საჩითავ ქარხნებში იური ამბობს: «ბოლოს კაპიტალისტები შეეცადნენ ამ აუტანელი მონობისაგან (სახელდობრ მუშებთან დადებული მათთვის მძიმე სახელშეკრულებო პირობებისაგან) განთავისუფლებას, რისთვისაც მათ მოიშველიეს მეცნიერების რესურსები, და სულ მალე ისინი აღდგენილ იქნენ თავიანთ კანონიერ უფლებაში, და ეს უფლება არის უფლება თავისა სხეულის დანარჩენ ნაწილებზე». ერთი აღმოჩენის შესახებ, რომელიც ქსელის გასახამებლად იზმარება და უშუალოდ გაფიცვით იყო გამოწვეული, იგი ამბობს: «უკმაყოფილოთა ურდომ, რომელსაც შრომის დანაწილების ძველ სიმაგრეებში თავი უძლეველად მიაჩნდა. დაინახა, რომ მას გვერდიდან შემოუარეს და მისი მოგერიებით საშუალებანი თანამედროვე მექანიკური ტაქტიკით გაანადგურეს. ისინი იძულებული გახდნენ სავსებით დამორჩილებოდნენ გამარჯვებულის წყალობასა და რისხვას». Selfacting mule-ს გამოგონების შესახებ ის ამბობს: «იგი მოწოდებული იყო სამრეწველო კლასებს შორის წესიერება კვლავ აღედგინა... ეს გამოგონება ადასტურებს ჩვენ მიერ უკვე

²¹⁰ ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი გამოყენება მანქანებისა მანქანების ასაგებად ბ-ნმა ფერბერმა გამოიგონა იმ გაფიცვების ზეგავლენით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მის საკუთარ მანქანათმშენებელ ფაბრიკაში.

განვითარებულ დოქტრინას, რომ კაპიტალი, რომელიც მეცნიერებას თავის სამსახურში აყენებს, მუდამ აიძულებს მეამბოხე შრომახელს მას დაემორჩილოს»²¹¹. თუმცა იურის ნაშრომი 1835 წელს გამოვიდა, მაშასადამე, იმ დროს, როდესაც ფაბრიკული სისტემა ჯერ კიდევ შედარებით სუსტად იყო განვითარებული, იგი მაინც ფაბრიკული სულის კლასიკურ გამოხატულებად რჩება არა მარტო თავისი გულახდილი ცინიზმის გამო, არამედ — იმ გულუბრყვილობის გამოც, რომლითაც ავტორი კაპიტალისტური ტვინის უაზრო წინააღმდეგობებს როშავს. იმ «დოქტრინის» განვითარების შემდეგ, მაგალითად, რომ კაპიტალი მის მიერ ჯამაგირზე აყვანილი მეცნიერების დახმარებით ამუდამ აიძულებს მეამბოხე შრომახელს მას დაემორჩილოს», იგი აღწვთობას გამოთქვამს იმის გამო, რომ გარკვეული მხრიდან ბრალს სდებენ მექანიკა-ფიზიკის მეცნიერებას, ვითომ ეს უკანასკნელი მდიდარი კაპიტალისტების დესპოტიზმს ექირავება და ღარიბ კლასთა ჩაგვრის საშუალება ხდება». მრავალაღმთქმელი ქადაგების შემდეგ იმის შესახებ, თუ რაოდენ სასარგებლოა მუშებისათვის მანქანების სწრაფი განვითარება, იგი აფრთხილებს მუშებს, რომ თავიანთი ურჩობით, გაფიცვებითა და სხვ. ისინი მანქანების განვითარებას აჩქარებენ. ამგვარი ძალადობითი ამბოხებანი, — ამბობს იგი, — ააშკარავებენ ადამიანის უსაზოზღრესი სახის სიბეცეს, რომელიც მას თავისი თავის ჯალათად ხდის». რამდენიმე გვერდით ამაზე წინ ნათქვამია პირიქით: «ეს ძლიერი შეხლა-შემოხლა და მუშაობის შეწყვეტა რომ არ ყოფილიყო, რაც მუშების ყალბი შეხედულებით არის გამოწვეული, ფაბრიკული სისტემა ბევრად უფრო სწრაფად განვითარდებოდა და ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა ყველა დაინტერესებული მხარისთვის». შემდეგ იგი ისევ წარმოთქვამს: «დიდი ბრიტანეთის საფაბრიკო ოლქების მოსახლეობის საბედნიეროდ, გაუმჯობესება მექანიკაში მხოლოდ თანდათანობით ხდება». «მანქანას, — ამბობს იგი, — უსამართლოდ უსაყვედურებენ იმას, რომ იგი ასაკოვანთა ხელფასს ამცირებს, რადგან ამ უკანასკნელთა განსაზღვრულ ნაწილს ფაბრიკიდან აძევებს, რის გამო ასაკოვანთა რიცხვი შრომის მოთხოვნილებას აღემატება. მაგრამ იგივე მანქანა აღიღებს ბავშვთა შრომის მოთხოვნას და ამით აღიღებს მათი ხელფასის ნორმას». მეორე მხრივ, იგივე ნუგეშისმცემელი იცავს ბავშვების დაბალ ხელფასს იმით, რომ ეს გარემოება ხელს შეუშლის მშობლებს ნაადრევად დაიწყონ თავიანთი შვილების გზავნა ფაბრიკებში». მთელი მისი წიგნი შეუზღუდველი

²¹¹ Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 367 — 370.

სამუშაო დღის აპოლოგიაა და მის ლიბერალურ სულს შუა საუკუნეების უშვებნელეს დროს მოაგონებს ის გარემოება, რომ კანონმდებლობა კრძალავს 13 წლის ბავშვები დღეში 12 საათზე მეტ ხანს აწამონ. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას მოუწოდოს ფაბრიკის მუშებს სამადლობელი ლოცვა მიუძღვნან უზენაეს განგებას, რამაც მანქანების საშუალებით «მისცა მათ თავისუფალი დრო თავიანთ უკვდავ ინტერესებზე ფიქრისათვის»²¹².

6. მანქანების მიერ განდევნილ მუშათა კოჰპენსაციის თეორია

მთელი რიგი ბურჟუაზიული ეკონომისტები, როგორცაა ჯემს ბილი, მაკ კულოხი, ტორენსი, სენიორი, ჯონ სტიუარტ მილი და სხვ., ამტკიცებენ, რომ ყველა მანქანა, რომელიც მუშებს აძევებს, იმავე დროს მუდამ და აუცილებლად ათავისუფლებს სათანადო კაპიტალს, რომელიც ამავე განდევნილ მუშებს სამუშაოს აძლევს²¹³.

ვიგულისხმობთ, რომ კაპიტალისტი, მაგალითად, შპალერის მანუფაქტურაში 100 მუშას ამუშაავებს, თითოს 30 გირვანქა სტერლინგად წელიწადში. მაშასადამე, მის მიერ წლიურად დახარჯული ცვალებადი კაპიტალი 3 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. წარმოვიდგინოთ, რომ მან გაუშვა 50 მუშა და დანარჩენ 50-ს ამუშაავებს მანქანებზე. რომლებიც მას 1 500 გირვანქა სტერლინგი უღირს. გამარტივებისათვის მხედველობის გარეშე ვტოვებთ შენობებს, ნახშირს და სხვ. ვიგულისხმობთ შემდეგ, რომ წლიურად დახარჯული ნედლი მასალა უწინდებურად 3 000 გირვანქა სტერლინგი ღირს²¹⁴. «განთავისუფლდა» ამ ცვლილების გამო რაიმე კაპიტალი? ძველი წესით წარმოების დროს მთელი დახარჯული თანხა 6 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით სანახევროდ მუდმივი კაპიტალს შეადგენდა და სანახევროდ — ცვალებად კაპიტალს. ახლა ამ თანხას შეადგენს 4 500 გირვანქა სტერლინგი (3 000 გირვანქა სტერლინგი — ნედლი მასალისა და 1 500 გირვანქა სტერლინგი — მანქანებისთვის) მუდმივი კაპიტალი და 1 500 გირვანქა

²¹² Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 368, 7, 370, 280, 322, 321, 475.

²¹³ რიკარდო თავდაპირველად ამ შეხედულებას იზიარებდა, მაგრამ შემდეგში გარკვევით უარყო იგი მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული მიუდგომლობითა და ქვეშარიტების სიყვარულით. იხ. David Ricardo: «Principles of Political Economy», თავი XXXI «On Machinery» [დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეჭდვის საფუძვლები». თბილისი 1937, თავი XXXI].

²¹⁴ NB. მე ილუსტრაცია მომყავს სავსებით ზემოაღნიშნული ეკონომისტების ყაიდაზე.

სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი. ცვალებადი, ანუ ცოცხალ სამუშაო ძალად გარდაქმნილი, ნაწილი კაპიტალისა ახლა ერთობლივი კაპიტალის მხოლოდ ერთ მეოთხედს შეადგენს, ნაცვლად ნახევრისა. განთავისუფლების მაგივრად აქ ხდება კაპიტალის შეზოგვა ისეთი ფორმით. რომ შეწყდება მისი გაცვლა სამუშაო ძალაზე, ე. ი. ხდება ცვალებადი კაპიტალის მუდმივ კაპიტალად გადაქცევა. 6 000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი ახლა, სხვა მხრივ თანაბარ პირობებში, ვერასდროს 50 მუშაზე მეტს ვერ დაასაქმებს. მანქანის ყოველ გაუმჯობესებასთან ერთად კაპიტალი უფრო და უფრო ნაკლებ მუშებს იყენებს. თუ ახლადშემოღებული მანქანები უფრო იაფი ელირებოდა. ვიდრე მათ მიერ განდევნილი სამუშაო ძალისა და სამუშაო იარაღების ღირებულებათა ჯამი, მაშასადამე, თუ ისინი, მაგალითად. 1 500-ის ნაცვლად მხოლოდ 1 000 გირვანქა სტერლინგი ელირებოდა. მაშინ 1 000 გირვანქა სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი მუდმივ კაპიტალად გადაიქცეოდა, ე. ი. შეიზოგებოდა, ხოლო 500 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი განთავისუფლდებოდა. ეს უკანასკნელი, თუ იმავე წლიურ ხელფასს ვიგულისხმებთ, შეადგენს დაახლოებით 16 მუშის დასაქმების ფონდს, — მაშინ როდესაც გაშვებული იყო 50 მუშა, — და ნამდვილად 16 მუშაზე ნაკლებისაც, რადგან ეს 500 გირვანქა სტერლინგი კაპიტალად გარდაქმნისას ნაწილობრივ ისევ მუდმივ კაპიტალად უნდა იქცეს, მაშასადამე, მისი მხოლოდ ნაწილი შეიძლება სამუშაო ძალად გადაიქცეს.

მაგრამ ვთქვათ, რომ ახალი მანქანების დამზადება სამუშაოს აძლევს მექანიკოსების უფრო დიდ რიცხვს; შეიძლება თუ არა ეს გარემოება ქუჩაში გაყრილ მეშალერეთა კომპენსაციად გამოდგეს? უკეთეს შემთხვევაში მანქანების დამზადება იმაზე ნაკლებ მუშას მოითხოვს, ვიდრე ამ მანქანების გამოყენებით განიღვენება. 1 500 გირვანქა სტერლინგი, რომელიც უწინ მხოლოდ დათხოვნილ მეშალერეთა ხელფასს წარმოადგენდა, ახლა მანქანების სახით წარმოადგენს: 1) მანქანების დასამზადებლად საჭირო წარმოების საშუალებათა ღირებულებას, 2) ამ მანქანების დამამზადებელ მექანიკოსთა ხელფასს და 3) ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მათ აპატრონსა რჩება. შემდეგ: რაკი მანქანა მზადაა, მას აღარ სჭირდება განახლება სიკვდილამდე. მაშასადამე, იმისათვის, რომ მექანიკოსების დამატებითმა რიცხვმა მუდმივი სამუშაო მიიღოს, საჭიროა შალერის მეფაბრიკებმა ერთი-მეორეზე მიყოლებით განდევნონ მუშები მანქანების შემოღებით.

და მართლაც, კაპიტალის ხსენებულ აპოლოგეტებს არცა აქვთ მხედველობაში კაპიტალის ამგვარი განთავისუფლება. ისინი განთავისუფ-

ლებული მუშების საარსებო საშუალებებს გულისხმობენ. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ, მაგალითად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მანქანა არა მარტო ათავისუფლებს 50 მუშას და ამით ხდის მათ თავისუფალთა, არამედ ამავე დროს სწყვეტს მათს კავშირს 1 500 გირვანქა სტერლინგად ღირებულ საარსებო საშუალებებთან და, ამრიგად, «ათავისუფლებს» ამ საარსებო საშუალებებს. მაშასადამე, ის უბრალო და სრულიად არა ახალი ფაქტი, რომ მანქანა ათავისუფლებს მუშას საარსებო საშუალებებისაგან, ეკონომისტების ცნით რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ მანქანა ათავისუფლებს საარსებო საშუალებებს მუშისთვის, ანუ აქცევს მათ მუშის გამომყენებელ კაპიტალად. როგორც ვხედავთ, ყველაფერი დამოკიდებულია გამოთქმის ხერხზე. *Nominibus mollire licet mala*. [ბოროტება ლამაზი სიტყვებით შერბილება.]

ამ თეორიის მიხედვით, 1 500 გირვანქა სტერლინგად ღირებული საარსებო საშუალებანი შეადგენდა კაპიტალს, რომელიც ზრდიდა თავის ღირებულებას 50 დათხოვნილი მეშპალერის შრომის მეოხებით. მაშასადამე, რაწამსაც 50 მუშა უმუშევარი ხდება, ეს კაპიტალი კარგავს თავის საქმიანობას და ვერ ისვენებს მანამდე, ვიდრე არ პოვებს ახალ დაბანდებას, სადაც ამ ორმოცდაათ მუშას შესაძლებლობა ეძლევათ ისევე მწარმოებლურად მოიხმარონ იგი. ამრიგად, ადრე თუ გვიან კაპიტალი და მუშები კვლავ ერთმანეთს უნდა შეხვდნენ, და მაშინ კომპენსაციაც მზად არის. მაშასადამე, მანქანის მიერ განდევნილ მუშათა ტანჯვა ისევე წარმავალია, როგორც ამქვეყნიური სიმდიდრე.

1 500 გირვანქა სტერლინგის საარსებო საშუალებანი არასოდეს არ უპირისპირდებოდნენ დათხოვნილ მუშებს კაპიტალის სახით. კაპიტალის სახით მათ უპირდაპირდებოდა მხოლოდ 1 500 გირვანქა სტერლინგი, რომელიც ახლა მანქანებად არის გადაქცეული. თუ ახლოს განვიხილავთ, ენახავთ, რომ ეს 1 500 გირვანქა სტერლინგი წარმოადგენს 50 დათხოვნილი მუშის მიერ წლიურად წარმოებული შპალერის მხოლოდ ნაწილს, რომელსაც ისინი თავიანთი დამჭირავებლისაგან ხელფასად იღებდნენ, მაგრამ — არა *in natura* [ნატურით], არამედ — ფულადი ფორმით. 1 500 გირვანქა სტერლინგად გადაქცეული შპალერით ისინი ყიდულობდნენ იმავე ღირებულების საარსებო საშუალებებს. ამიტომ ეს უკანასკნელნი არსებობდნენ მათთვის არა როგორც კაპიტალი, არამედ — როგორც საქონელი, და ამ საქონელთა მიმართ თვით ისინი დაჭირავებული მუშები კი არ იყვნენ, არამედ — მყიდველები. ის გარემოება, რომ მანქანამ მუშები ყიდვის საშუალებათაგან ჯგაან-

თავისუფლა, მათ მყიდველებისგან არა-მყიდველებად აქცევს. აქედან წარმოდგება სათანადო საქონელთა მოთხოვნის შემცირება. *Voilà tout.* [ესაა სულ.] თუ ამ შემცირებული მოთხოვნის კომპენსაცია არ ხდება მისი გადიდებით სხვა რომელიმე მხრივ, მაშინ ეცემა იმ საქონელთა საბაზრო ფასი, რომელთა მოთხოვნაც შემცირებულია. თუ ეს შედარებით დიდხანს გრძელდება და უფრო დიდი მასშტაბით, მაშინ ადგილი აქვს მოცემულ საქონელთა წარმოებაში ჩაბმული მუშების დათხოვნას. ნაწილი იმ კაპიტალისა, რომელიც უწინ აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებდა, იკვლავწარმოება ახლა სხვა ფორმით. საბაზრო ფასების დაცემისა და კაპიტალის გადანაცვლების დროს აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებაში დასაქმებული მუშებიც «თავისუფლდებიან» თავიანთი ხელფასის ერთი ნაწილისაგან. მაშასადამე, ნაცვლად იმის დამტკიცებისა, რომ მანქანა, როცა ის მუშებს ათავისუფლებს საარსებო საშუალებებისაგან, იმავე დროს ამ საარსებო საშუალებებს მუშების გამოძყენებელ კაპიტალად აქცევს, ბ-ნი აპოლოგეტი მოთხოვნისა და მიწოდების თავისი ნაცადი კანონით ამტკიცებს, პირიქით, რომ მანქანა მუშებს ქუჩაში ერეკება არა მარტო წარმოების იმ დარგიდან, სადაც იგი შემოღებულია, არამედ იმ დარგებიდანაც, სადაც იგი არ არის შემოღებული.

ნამდვილი ფაქტები, ეკონომიური ობტიმიზმით გაუკუღმართებული, ასეთია: მანქანების მიერ განდევნილი მუშები სახელოსნოდან შრომის ბაზარზე იტყორცნებიან და ამრავლებენ იქ იმ სამუშაო ძალთა რიცხვს, რომელნიც უკვე კაპიტალისტური ექსპლოატაციის განკარგულებაში იმყოფებიან. მეშვიდე განყოფილებაში ჩვენ დავინახავთ, რომ მანქანების ეს მოქმედება, რომელსაც ჩვენ აქ მუშათა კლასის კომპენსაციად გვისახავენ, სინამდვილეში მისთვის, პირიქით, უსაშინელესი უბედურებაა. აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: მრეწველობის ერთი დარგიდან გარეკილ მუშებს შეუძლიათ, რა თქმა უნდა, რომელიმე სხვა დარგში ეძიონ სამუშაო. თუ მათ ეს სამუშაო იშოვებს და ამით აღდგენილ იქნა კავშირი მათსა და მათთან ერთად განთავისუფლებულ საარსებო საშუალებათა შორის, — ეს მოხდება ახალი, დამატებითი კაპიტალის საშუალებით, რომელიც დაბანდებას ეძებს, და არა იმ კაპიტალის მეოხებით, რომელიც უკვე უწინ მოქმედებდა და ახლა მანქანებად არის გადაქცეული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც რა ცოტა იმედი უნდა ჰქონდეთ მათ სამუშაოს შოვნისა! ეს საბრალონი, შრომის დანაწილებით დამახინჯებულნი, თავიანთ ძველ სამუშაო სფეროს გარეშე ისე უმნიშვნელო ღირებულებას წარმოადგენენ, რომ ადგილის

შოვნა შეუძლიათ შრომის მხოლოდ მცირეოდენ და დაბალხარისხოვან-
ამიტომ, მუშახელით მუდამ ჭარბად სავსე დარგებში. სადაც ანაზღაუ-
რება მცირეა ²¹⁵. შემდეგ, მრეწველობის ყოველი დარგი ყოველწლიუ-
რად იზიდავს ადამიანთა ახალ ნაკადს, რომელიც რეგულარული ანაზ-
ღაურებისა და ზრდისათვის მას აუცილებელ კონტინგენტს აწვდის.
როგორც კი მანქანა გაანთავისუფლებს მრეწველობის განსაზღვრულ
დარგში დასაქმებული მუშების ერთ ნაწილს. მაშინვე სამაგიერო კონ-
ტინგენტიც ხელახლა განაწილდება და მას შრომის სხვადასხვა დარგი
ნთქავს, მაშინ როდესაც პირვანდელი მსხვერპლნი უმეტესწილად
კინიდეებიან და ილუპებიან გარდამავალ ხანაში.

უეჭველია, მანქანა თავისთავად არ არის პასუხისმგებელი საარსე-
ბო საშუალებებისაგან მუშების «განთავისუფლებისათვის». იგი აიაფებს
და ამრავლებს პროდუქტს მის მიერ დაპყრობილ დარგში და პირველ
ხანებში უცვლელად ტოვებს მრეწველობის სხვა დარგებში წარმოე-
ბულ საარსებო საშუალებათა მასას. მაშასადამე, როგორც მანქანის
შემოღების შემდეგ, ისე მანამდე, საზოგადოებას განთავისუფლებული
მუშებისათვის იმდენივე ანდა უფრო მეტი საარსებო საშუალებანი
მოეპოვება, თუ არას ვიტყვით წლიური პროდუქტის იმ დიდ ნაწილზე.
რომელიც არამომუშავეთა მიერ იფლანგება. და ამაშია ეკონომიური
აპოლოგეტიკის მთელი აზრი! მანქანის კაპიტალისტური გამოყენების-
გან განუყრელი წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმები არ არსებობენ.
ვინაიდან მათ თვით მანქანა კი არ წარმოშობს, არამედ — მისი კაპი-
ტალისტური გამოყენება! მაშასადამე, რადგან მანქანა. თავისთავად
განხილული, სამუშაო დროს ამოკლებს, მაშინ როდესაც მისი კაპი-
ტალისტური გამოყენება სამუშაო დღეს აგრძელებს, რადგან იგი
თავისთავად შრომას აადვილებს, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყე-
ნება აძლიერებს შრომის ინტენსივობას, რადგან იგი თავისთავად ბუ-
ნების ძალებზე ადამიანის გამარჯვებას მოასწავებს, ხოლო მისი კაპი-
ტალისტური გამოყენება ბუნების ძალთა მეშვეობით ადამიანს იმო-

²¹⁵ ე. ბ. სეის უაზრო ჩმახვის წინააღმდეგ ერთი რიკარდოელი შენიშნავს ამასთან
დაკავშირებით: «შრომის განვითარებული დანაწილების დროს მუშების დახელოვნება
მხოლოდ იმ განსაკუთრებულ დარგშია გამოსაყენებელი, სადაც ეს დახელოვნება იქნა
შეძენილი; თვით მუშა ერთგვარი მანქანაა. ამიტომ სრულიად არაფერს შევლის თუ-
თიყუშვით ყბედობა: ყველა საგანს თავისი დონის გამონახვის ტენდენცია აქვს.
საკმარისია მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო და დავინახავთ, რომ საგნები დიდხანს ვერ
პოულობენ თავიანთ დონეს, და თუ პოულობენ, ეს დონე მაშინ უფრო დაბალია, ვიდრე
პროცესის დასაწყისში იყო» («An Inquiry into those Principles respecting
the Nature of Demand etc.». London 1821, გვ. 72).

ნებს, რადგან იგი თავისთავად მწარმოებლის სიმდიდრეს ამრავლებს, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყენება მას ალატაკებს და სხვ., — ამიტომ ბურჟუაზიული ეკონომისტი უბრალოდ აცხადებს: თავისთავად მანქანის განხილვა თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ყველა ეს აშკარა წინააღმდეგობა მხოლოდ უგვანო სინამდვილის მოჩვენებითი გარეგნობაა. თავისთავად კი, მაშასადამე, თეორიაშიც ეს წინააღმდეგობანი სრულიად არ არსებობენო. ამრიგად, იგი თავს აღარ იმტკრევეს ფიქრით და: გარდა ამისა, სისულელეს მიაწერს თავის მოწინააღმდეგეს. ვითომც ეს უკანასკნელი თვით მანქანას ებრძვის და არა მის კაპიტალისტურ გამოყენებას.

ბურჟუაზიული ეკონომისტი სრულიადაც არ უარყოფს, რომ აქ ზოგჯერ დროებითი უსიამოვნებანიც წარმოიშვება; მაგრამ სად არის მედელი, უკუმსარე რომ არ ჰქონდეს! მანქანების სხვაგვარი, თუ არა კაპიტალისტური. გამოყენება მისთვის შეუძლებელია. მაშასადამე, მუშის ექსპლოატაცია მანქანის საშუალებით მისთვის იგივეა; რაც მანქანის ექსპლოატაცია მუშის მიერ. ამრიგად, ვინც ამტკავნებს, თუ როგორია სინამდვილეში საქმის ვითარება მანქანების კაპიტალისტური გამოყენების მხრივ, მას არ სურს საერთოდ მათი გამოყენება, იგი სოციალური პროგრესის წინააღმდეგია!²¹⁶ სწორედ ცნობილი ავაზაკის ბილ საიკსის ყაიდის მსჯელობაა: «ბ-ნო ნაფიცო მსაჯულნო! ეს კომივოიაჟორები. მართალია, ყელგამოქრილი არიან. მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ გახლავთ, — დანის ბრალია. ნუთუ ასეთი წარმავალი უსიამოვნების გამო ჩვენ უნდა ავკრძალოთ დანის ხმარება? აბა ერთი დაფიქრდით! რა იქნებოდა უდანოდ მიწათმოქმედება და ხელოსნობა? განა დანა ისევე გამკურნავი არ არის ქირურგიაში, როგორც იგი განსწავლულია ანატომიაში? და, გარდა ამისა, ის განა სანატრი თანაშენიწე არ არის ქეიფში? მოსპეთ დანა და — თქვენ ამით გადაგტყორცნით უკან უღრმეს ბარბაროსობაშია»²¹⁶ ა.

²¹⁶ ამ თავმომწონე კრეტინიზმის ერთი ვირტუოზთავანი არის. სხვათა შორის, ნაკ კულოხი. «თუ ხელსაყრელია, — ამბობს, მაგალითად, იგი 8 წლის ბავშვის გულ-ღებრყვილო აღტყინებით, — მუშის დახელოვნების უფრო და უფრო განვითარება, რათა მას შეეძლოს საქონლის სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით წარმოება შრომის იმავე ანდა ნაკლები რაოდენობით. მაშინ ხელსაყრელი უნდა იყოს აგრეთვე, რომ იგი სარგებლობდეს ისეთი მანქანების დახმარებით, რომელნიც ყველაზე ქმედითად ხელს უწყობენ მას ამ შედეგის მიღწევაში» (Mac Culloch: «Principles of Political Economy». London 1830, გვ. 166).

²¹⁶ა. «სართავი მანქანის გამოგონმა ინდოეთი გაანადგურა, მაგრამ ეს ჩვენ ნაკლებად გვეხება» (A. Thiers: «De la Propriété». [Paris 1848, გვ. 275]). ბ-ნი ტიერი აქ სართავ მანქანას მექანიკურ საფიქრო დახვაში ურევს, «მაგრამ ეს ჩვენ ნაკლებად გვეხება».

მანქანას, თუმცა იგი აუცილებლად აძვევებს მუშებს შრომის იმ დარგებიდან, სადაც ის შემოღებულია, მაინც შეუძლია შრომის სხვა დარგებში გამოიწვიოს მოსაქმეობის გადიდება. მაგრამ ამ მოქმედებას საერთო არაფერი აქვს ეგრეთწოდებულ კომპენსაციის თეორიასთან. რადგან ყოველი მანქანური პროდუქტი, მაგალითად, ერთი ადლი მანქანური ქსოვილი, უფრო იაფია, ვიდრე მის მიერ განდევნილი იმგვარივე პროდუქტი ხელშრომისა, ამიტომ აქედან შემდეგი აბსოლუტური კანონი გამომდინარეობს: თუ მანქანური წესით წარმოებული საქონლის მთელი რაოდენობა უდრის მის მიერ შენაცვლებული საქონლის მთელ რაოდენობას, რომელიც ხელოსნური ან მანუფაქტურული წესით იწარმოება, მაშინ გამოყენებული შრომის მთელი ჯამი მცირდება. შრომის ის გადიდება, რომელიც საჭიროა თვით შრომის საშუალებათა, — მაგალითად, მანქანების, ნახშირის და სხვ., — წარმოებისთვის, ნაკლები უნდა იყოს შრომის იმ შემცირებაზე, რომელიც ამ მანქანების გამოყენებითაა გამოწვეული. წინააღმდეგ შემთხვევაში მანქანური პროდუქტი ისევე ძვირი ანდა უფრო ძვირი იქნებოდა, ვიდრე ხელშრომის პროდუქტი. მაგრამ საქონლის ერთობლივი მასა, რომელიც მანქანების საშუალებით მუშების შემცირებული რაოდენობით იწარმოება, ნაცვლად იმისა, რომ უცვლელი დარჩეს, ფაქტიურად ისეთი ოდენობით იზრდება, რაც ბევრად აღემატება განდევნილი ხელოსნური საქონლის ერთობლივ მასას. ვთქვათ, 400 000 ადლი მანქანური ქსოვილი მუშების უფრო ნაკლები რიცხვით იწარმოება, ვიდრე 100 000 ადლი ხელნაკსოვი. გაოთხკეცებული პროდუქტი ოთხჯერ მეტ ნედლ მასალას შეიცავს. მაშასადამე, ნედლი მასალის წარმოება უნდა გაოთხკეცდეს. რაც შეეხება მოხმარებულ შრომის საშუალებებს, მაგალითად, შენობებს, ნახშირს, მანქანებს და სხვ., საზღვრები, სადამდეც შეიძლება გაიზარდოს მათი წარმოებისთვის საჭირო დამატებითი შრომა, იცვლება იმ სხვაობის მიხედვით, რომელიც არსებობს მუშების ერთი და იმავე რიცხვის მიერ მანქანური წესით დამზადებული პროდუქტის მასასა და ხელშრომის წესით დამზადებული პროდუქტის მასას შორის.

მაშასადამე, მანქანური წარმოების გაფართოებით მრეწველობის ერთ დარგში, უწინარეს ყოვლისა, იზრდება წარმოება სხვა დარგებშიც, რომელნიც პირველს აწვდიან მისთვის საჭირო წარმოების საშუალებებს. თუ რამდენად იზრდება ამის გამო მომუშავეთა რიცხვი, ეს, სამუშაო დღის სიგრძისა და შრომის ინტენსივობის მოცემულ პირობებში, დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის შედგენილობაზე, ე. ი. მისი მუდმივი და ცვალებადი შემადგენელი ნაწილების თანაფარ-

დობაზე. ეს თანაფარდობა, თავის მხრივ, ძალიან იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად იპყრობს ან უკვე დაიპყრო მანქანამ მრეწველობის ესა თუ ის დარგი. მანქანების გამოყენების განვითარებასთან ერთად ინგლისში არაჩვეულებრივად გაიზარდა სამადნეებსა და ნახშირის მაღაროებში სამუშაოდ განწირულ ადამიანთა რიცხვი, თუმცა ეს ზრდა უკანასკნელ ათწლეულებში შენელებულია სამათამდნო წარმოებაში ახალი მანქანების გამოყენების გამო²¹⁷. მანქანასთან ერთად ჩნდება ახალი სახის მუშა, — მანქანის მწარმოებელი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მანქანური წარმოება უფრო და უფრო მეტი მასობრივი მასშტაბით ეუფლება წარმოების ამ დარგსაც²¹⁸. შემდეგ, რაც შეეხება ნედლ მასალას²¹⁹, ყოველ ექვს გარეშეა, მაგალითად, რომ ბამბის რთვის მძაფრმა განვითარებამ სწრაფად წასწია წინ ბამბის მოყვანა შეერთებულ შტატებში და მასთან ერთად არა მარტო ხელი შეუწყო მონათეაქრობის სწრაფად აყვავებას აფრიკაში, არამედ აგრეთვე ზანგების მოშენება გადააქცია ეგრეთწოდებული მოსახლერე მონათმფლობელი შტატების მთავარ საქმიანობად. 1790 წელს, როდესაც შეერთებულ შტატებში მონების პირველი აღწერა მოხდა, მათი რიცხვი 697 000-ს უდრიდა, ხოლო 1861 წელს დაახლოებით 4 მილიონს შეადგენდა. მეორე მხრივ, არანაკლებ უეჭველია ისიც, რომ შალეულის მექანიკური ფაბრიკების აყვავებამ და მასთან ერთად სახნავი მიწების პროგრესიულმა გადაქცევამ ცხვრების საძოვრებად გამოიწვია მიწათმოქმედი მუშების მასობრივი განდევნა და მათი გადაქცევა «მოკარბებულებად». ირლანდიაში ამჟამადაც მიმდინარეობს ეს პროცესი.

²¹⁷ 1861 წლის აღწერის მიხედვით (London 1863, ტ. II) ინგლისისა და უელსის ნახშირის მაღაროებში დასაქმებულ მუშათა რიცხვი შეადგენდა 246 613-ს, ამათში 73 546 — ოც წელზე ახალგაზრდა და 173 067 — ოც წელზე უფროსი იყო. პირველ ჯგუფში იყო: 5 — 10 წლისა — 835, 10 — 15 წლისა — 30 701, 15 — 19 წლისა — 42 010. რკინის, სპილენძის, ტყვიის, კალის და სხვა სამადნეებში დასაქმებულ მუშათა რიცხვი შეადგენდა 319 222-ს.

²¹⁸ 1861 წელს ინგლისსა და უელსში მანქანების წარმოებაში დასაქმებული იყო 60 807 ადამიანი; ამ რიცხვში შედიან მეფაბრიკენიც თავიანთი ნოკრებით და სხვ., ditto [აგრეთვე] ამ დარგის ყველა აგენტი და ვაჭარი. პირიქით. გამორიცხული არიან მწარმოებელნი უფრო წერილი მანქანებისა, როგორცაა, მაგალითად, საკრაავი მანქანები და სხვ., აგრეთვე მწარმოებელნი სამუშაო მანქანების ინსტრუმენტებისა, მაგალითად, თითისტარათა და სხვა. სამოქალაქო ინჟინრების საერთო რიცხვი შეადგენდა 3 329-ს.

²¹⁹ რადგან რკინა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნედლი მასალაა, ამიტომ აქ აღვნიშნავთ, რომ 1861 წელს ინგლისსა და უელსში ითვლებოდა 125 771 რკინა-მსხმელი, ამათში 123 430 — მამაკაცი და 2 341 — დედაკაცი. პირველთა რიცხვში იყო 30 810 ოც წელზე უმცროსი და 92 620 — ოც წელზე უფროსი.

რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი მოსახლეობა. 1845 წლის შემდეგ თითქმის სანახევროდ შემცირებული; კიდევ უფრო მცირდება იმ ოდენობამდე, რაც სავსებით შეესაბამება ირლანდიის ლენდლორდთა და ბ-ნ ინგლისელ შალეულის მეფაბრიკეთა მოთხოვნილებას.

თუ მანქანა იპყრობს წინა ან შუალედურ საფეხურებს, რომელნიც შრომის საგანმა უნდა გაიაროს, ვიდრე თავის უკანასკნელ ფორმას მიიღებდეს, მაშინ შრომის მასალასთან ერთად იზრდება შრომის მოთხოვნა იმ საწარმოებში, რომლებშიც ჯერ კიდევ წარმოების ხელოსნური ან მანუფაქტურული წესია და სადაც მანქანური ფაბრიკატი შედის. მანქანის საშუალებით რთვა, მაგალითად. ისე იაფად და ისე უხვად იძლეოდა ნართს, რომ ხელშრომის ფეიქრებს პირველ ხანებში შეეძლოთ ხარჯების გაუდიდებლად მთელი დრო ემუშავნათ. ამგვარად გაიზარდა მათი შემოსავალი²²⁰. აქედან წარმოდგა მუშახელის მოზღვაება ბამბაქსოვილის წარმოებაში; ვიდრე ის 800 000 ფეიქარი, რომელთაც სიცოცხლე მისცა ინგლისში მანქანებმა: „Jenny-მ [ჯენიმ], „Throstle-მ [ვატერმა] და „Mule-მ [მიულ-მანქანამ], არ მოსპო ორთქლის საქსოვმა დაზგამ. ამნაირადვე ტანსაცმლის მასალის სიუხვესთან ერთად, რაც მანქანური წესით მზადდება, იზრდება თერძების. მკერავეი ქალებისა და სხვ. რიცხვი; ვიდრე საკერავეი მანქანა გაჩნდებოდა.

იმ ნედლი მასალის, ნახევარფაბრიკატების, სამუშაო ინსტრუმენტებისა და სხვათა მზარდი მასის შესაბამისად, რომელთაც მანქანური წარმოება გვაწვდის შედარებით მცირერიცხოვანი მუშებით, ამ ნედლი მასალისა და ნახევარფაბრიკატების დამუშავება. თავის მხრივ, იყოფა ურიცხვ ქვესახეობად. მაშასადამე, იზრდება საზოგადოებრივი წარმოების დარგთა ნაირსახეობა. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მანქანურ წარმოებას გაცილებით უფრო შორს მიჰყავს, ვიდრე მანუფაქტურას. რადგან პირველი გაცილებით უფრო მეტად აღიდებს მის მიერ დაპყრობილ მრეწველობის დარგთა მწარმოებელურ ძალას.

²²⁰ «4 ასაკოვანი პირისაგან (ბამბის მქსოველისაგან) და ორი ბავშვისაგან — winders [ნასრაზე დამხვევნი] — შემდგარი ოჯახი წარსული საუკუნის დამლევეს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის კვირაში, 10 საათის მუშაობით დღიურად, 4 გირვანქა ატერლინგს შოულობდა: თუ სამუშაო ძალიან საჩქარო იყო, მათ მეტის შოვნაც შეეძლოთ... უწინ ისინი მუდამ გასაქირში იყვნენ ნართის არასაკმაო მიწოდების გამო» (Gaskell: «The Manufacturing Population of England». London 1833, გვ. 25 — 27).

მანქანის შემოღების უახლოესი შედეგი ისაა, რომ იგი ადიდებს ზედმეტ ღირებულებას და ამასთანავე პროდუქტთა მასას, რომლითაც ეს ზედმეტი ღირებულება გამოიხატება; მაშასადამე, იმ სუბსტანციასთან ერთად, რასაც კაპიტალისტთა კლასი მთელი თავისი დანართით მოიხმარს. მანქანა ამრავლებს თვით ამ საზოგადოებრივ ფენებს. ამ უკანასკნელთა სიმდიდრის ზრდა და იმ მუშათა რიცხვის შეფარდებით მუდმივი შემცირება, რომელნიც საჭირონი არიან აუცილებელ საარსებო საშუალებათა საგნების საწარმოებლად. ქმნის ახალ ფუფუნების მოთხოვნილებასთან ერთად ახალ საშუალებებსაც ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოებრივი პროდუქტის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი ზედმეტ პროდუქტად იქცევა და ამ ზედმეტი პროდუქტის უმეტესი ნაწილი იკვლავწარმოება და მოიხმარება სულ უფრო ფაქიზ და მრავალფეროვან ფორმებში. სხვა სიტყვებით: ფუფუნების საგნების წარმოება იზრდება²²¹. პროდუქტთა სულ უფრო მეტი გაფაქიზება და გამრავალფეროვნება გამომდინარეობს აგრეთვე მსოფლიო ბაზრის ახალი ურთიერთობიდან, რასაც მსხვილი მრეწველობა ქმნის. საქმე მარტო იმაში როდია, რომ მოხპარების საზღვარგარეთულ საშუალებათა უფრო მეტი რაოდენობა ვაიცვლება შინაგან პროდუქტზე, არამედ იმაშიც, რომ შინაგან მრეწველობაში სულ უფრო დიდი რაოდენობით შედის უცხოური ნედლი მასალა. შემადგენელი ნივთიერებანი, ნახევარფაბრიკატები და სხვ., როგორც წარმოების საშუალებანი. ამ მსოფლიო-ბაზრულ ურთიერთობასთან ერთად იზრდება შრომის მოთხოვნა სატრანსპორტო მრეწველობაში და ეს უკანასკნელი მრავალ ახალ ქვესახეობად იყოფა²²².

წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა გამრავლება პუშების რიცხვის შეფარდებითი შემცირებისას იწვევს შრომის გაფართოებას მრეწველობის ისეთ დარგებში, რომელთა პროდუქტებს, მაგალითად, არხებს, დოკებს, გვირაბებს, ხიდებს და სხვ., ნაყოფი მხოლოდ შორეულ მომავალში მოაქვთ. პირდაპირ მანქანური წარმოების საფუძველზე ანდა მისი შესაბამისი საერთო სამრეწველო გადატრიალების ნიადაგზე იქმნება წარმოების სრულიად ახალი დარგები და, ამიტომ,

²²¹ ფ. ენგელსი ნაშრომში «Lage der arbeitenden Klasse in England». [ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში», თბილისი 1938] აღნიშნავს აწორედ ამ ფუფუნების საგნების მწარმოებელ მუშათა დიდი ნაწილის უბადრუკ მდგომარეობას. ამის დამამტკიცებელი მრავალი ახალი საბუთი იხილეთ «Children's Employment Commission»-ის ანგარიშებში.

²²² 1861 წელს ინგლისისა და უელსის სავაჭრო ფლოტში მოსაქმეობდა 94 665 პეხლავრი.

შრომის ახალი ასპარეზი. მაგრამ მათი შეფარდებითი წილი ერთობლივ წარმოებაში სრულიადაც არაა მნიშვნელოვანი უაღრესად განვითარებულ ქვეყნებშიც კი. მუშების რიცხვი, რომელთაც ეს დარგები სამუშაოს აძლევენ, იზრდება იმის შესაბამისად, თუ რამდენად კვლავ წარმოიქმნება უაღრესად ტლანქი ხელშრომის აუცილებლობა. ამგვარი მრეწველობის მთავარ დარგებად შეიძლება ჩაითვალოს ამჟამად გაზის წარმოება, ტელეგრაფი, ფოტოგრაფია, სანაოსნო და სარკინიგზო საქმე. 1861 წლის აღწერის მიხედვით (ინგლისსა და უელსში) გაზის მრეწველობაში (გაზის ქარხნები, მექანიკური აპარატების წარმოება, გაზის კომპანიების აგენტები და სხვ.) მუშაობდა 15 211 კაცი. ტელეგრაფის საქმეში — 2 399, ფოტოგრაფიაში — 2 366, გემებზე — 3 570 და რკინიგზებზე — 1 705 999; ამათ რიცხვშია ჩათვლილი მთელი ადმინისტრაციული და კომერციული პერსონალი და, გარდა ამისა. დაახლოებით 28 000 მეტ-ნაკლებ მუდმივად დასაქმებული «დაუხელოვნებელი» მიწისმთხრელი. მაშასადამე, მრეწველობის ამ ხუთ ახალ დარგში დასაქმებულ პირთა საერთო რიცხვი შეადგენს 94 145-ს.

ბოლოს, უაღრესად გადიდებული მწარმოებლური ძალა ჰქმსხვილი მრეწველობის დარგებში, რასაც თან ჭახლავს, როგორც ეს ჩვეულებრივ შემჩნეულია, სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ინტენსიური და ექსტენსიური ზრდა წარმოების ყველა დანარჩენ დარგში, იმის საშუალებას იძლევა, რომ მუშათა კლასის სულ უფრო მზარდი ნაწილი არამწარმოებლურად გამოიყენებოდეს და, ამრიგად, სულ უფრო დიდი რაოდენობით იკვლავწარმოებოდეს ძველი შინამონები მომსახურე კლასისა სახელწოდებით, მაგალითად, შინამოსამსახურეთა, მოახლეთა, ლაქიათა და სხვათა სახით. 1861 წლის აღწერით ინგლისისა და უელსის მთელი მოსახლეობა 20 066 224 სულს შეადგენდა; ამათში — 9 776 259 მამრობითი სქესისა იყო და 10 289 965 — მდედრობითისა. თუ აქედან გამოვაკლებთ შრომისუნარმოკლებულებს სიბერისა ან უწლოვანობის გამო, ყველა «არამწარმოებელ» დედაკაცს, მოზარდსა და ბავშვს, შემდეგ — «იდეოლოგიურ» წოდებებს, როგორცაა მთავრობის პირები, ხუცები, იურისტები, ჯარი და სხვ., აგრეთვე — ყველა იმათ, ვის განსაკუთრებულ მოსაქმეობასაც მხოლოდ და მხოლოდ ის შეადგენს, რომ სხვისი ნაშრომი მოიხმაროს მიწის რენტის, პროცენტებისა თუ სხვათა სახით, ბოლოს, თუ გამოვაკლებთ ლატაკებს, მაწანწალებს, ბოროტმოქმედთა და სხვ., — დარჩება დაახლოებით 8 მილიონი სული ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკისა; ამ რიცხვში ჩათვლილია ყველა კაპიტალისტიც.

რომლებიც ასე თუ ისე მოქმედებენ წარმოებაში, ეაქრობაში, ფინანსების დარგში და ა. შ. ამ 8 მილიონიდან მოდის:

სოფლის მეურნეობის მუშებზე (მწყემსების და ფერმერებთან მცხოვრები მოჯამაგირეებისა და მოახლეების ჩათვლით)	1 098 261	ადამიანი
ყველა იმათზე, რომელნიც მუშაობენ ბამბის, შალეულის, კამვოლის, სელის, ქერელის, აბრეშუმის და ჯუტის ფაბრიკებში, წინდის მექანიკურ საქსოვებში და მაქმანის წარმოებაში	642 607	²²³ >
ყველა იმათზე, რომელნიც ნახშირის მალაროებსა და სამადნეებში მოსაქმეობენ	565 835	>
ყველა მეტალურგიულ ქარხნებსა (ბრძმედები, საგლინავე საწარმონი და სხვ.) და სხვადასხვაგვარ ლითონურ მანუფაქტურებში მოსაქმეებზე	396 998	²²⁴ >
მომსახურე კლასზე	1 208 648	²²⁵ >

თუ ყველა საფეიქრო ფაბრიკაში მოსაქმეთა რიცხვს მივუმატებთ ნახშირის მალაროებისა და ლითონის სამადნეების პერსონალს, მივიღებთ — 1 208 442-ს; ხოლო თუ პირველთა რიცხვს მივუმატებთ ყველა მეტალურგიული ქარხნისა და მანუფაქტურის პერსონალს, მივიღებთ სულ 1 039 605-ს, ე. ი. ორივე შემთხვევაში თანამედროვე შინამონების რიცხვზე ნაკლებს. აი, აღმაფრთოვანებელი შედეგი მანქანების კაპიტალისტური ექსპლოატაციისა!

²²³ აქედან მამრობითი სქესისაა 13 წელს ზევით — მხოლოდ 117 596.

²²⁴ აქედან მდედრობითი სქესისა — 30 501.

²²⁵ აქედან მამრობითი სქესისა — 137 447. ამ 1 208 648-დან გამორიცხულია ის პერსონალი, რომელიც არ მსახურობს კროძო პირებთან.

დამატება მე-2 გამოცემისათვის. 1861 წლიდან 1870 წლამდე მამრობითი სქესის მომსახურეთა რიცხვი თითქმის გაორგუდა. იგი 267 671-მდე გაიზარდა. 1847 წელს ნადირის დარაჯთა რიცხვი (არისტოკრატიულ სანადირო პარკებში) უდრიდა 2 694-ს, 1869 წელს კი — 4 921-ს. — ახალგაზრდა ქალიშვილებს, რომელნიც ლონდონელ წვრილ ბურჟუებთან მსახურობენ, ხალხური ენით *little slaves*-ს, პატარა მონებს, უწოდებენ.

7. მუშავის უკუგდება და მიზიდვა მანქანური
წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით.
კრიზისები გავრცელების შემთხვევაში

პოლიტიკური ეკონომიის ყველა სალი გონების მქონე წარმომადგენელი აღიარებს, რომ ახალი მანქანების შემოღება შავი ჭირით მოქმედებს იმ ტრადიციულ ხელოსნობათა და მანუფაქტურათა მუშებზე, რომელთაც ეს მანქანები უწინარეს ყოვლისა კონკურენციას უწევენ. თითქმის ყველანი დასტირიან ფაბრიკის მუშის მონობას. მაგრამ რა არის მთავარი საბუთი, რომელსაც ყველა ისინი აყენებენ? ის მოსაზრება. რომ მანქანები, ყველა იმ საშინელების შემდეგ, რომელიც თან სდევს მათი შემოღებისა და განვითარების პერიოდს, ბოლოს და ბოლოს კი არ ამცირებენ. არამედ ამრავლებენ შრომის მონების რიცხვს! დიახ, პოლიტიკური ეკონომია ზეიმობს იმ საზიზლარი თეორემით, — საზიზლარით ყველა «ფილანთროპისტის», რომელსაც სწამს კაპიტალისტური წარმოების წესის მარადიული და ბუნებრივი აუცილებლობა, — თეორემით, რომ უკვე მანქანურ წარმოებაზე დამყარებული ფაბრიკაც კი; თავისი ზრდის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი «გარდამავალი დროის» განვლის შემდეგ, უფრო მეტ მუშებს აბამს ტანჯვის უღელში, ვიდრე თავდაპირველად იგი ქუჩაში ერეკებოდა!²²⁶

²²⁶ განილს, პირიქით. მანქანური წარმოების საბოლოო შედეგად მიიჩნია შრომის მონების რიცხვის აბსოლუტური შემცირება, რომელთა ხარჯზე შემდეგ იკვებებიან სულ უფრო მზარდი რაოდენობით «gens honnêtes» [კეთილშობილი ადამიანები] და თავიანთ ცნობილ «perfectibilité perfectible»-ს [სრულყოფისშემძლე სრულყოფის უნარს] ავითარებენ. რაროც ცუდად ესმოდეს განილს წარმოების მოძრაობა. იგი იმას მინც გრძნობს, რომ მანქანა მეტად საბედისწერო დაწესებულებაა. რაკი მისი შემოღება ღატაკებად აქცევს დასაქმებულ მუშებს, ხოლო მისი განვითარება უფრო მეტ შრომის მონებს წარმოშობს, ვიდრე მან ისინი თავდაპირველად დახოცა. მისი საკუთარი თვალსაზრისის კრეტინიზმი შეიძლება მხოლოდ მისივე სიტყვებით გამოითქვას: «კლასები, რომელთაც ბედმა დაუწესა წარმოება და მოხმარება, მცირდებიან, ხოლო კლასები, რომელნიც განაგებენ შრომას და აღდევენ მთელ ხალხს შვებას, ნუგეშსა და განათლებას, მრავლდებიან... და ითვისებენ ყველა იმ სარგებლობას, რაც კი შრომის ხარჯების შემცირების, პროდუქტთა სიუხვისა და მოხმარების საგანთა გაიფუტებიდან გამომდინარეობს. ამ გზით კაცობრიობა ადის გენიოსობის უმაღლეს ქმნილებამდე, აღწევს საიდუმლოებით სავსე სიღრმეს რელიგიისას, ამყარებს მხსნელ მორალურ პრინციპებს (რომლებიც ყველა სარგებლობის მითვისებაში და სხვ. მდგომარეობს), კანონებს თავისუფლებისა (თავისუფლებისა ამ კლასებისთვის. რომლებსაც ბედმა დაუწესა წარმოება?) და ძალაუფლების დასაცავად, მორჩილებისა და სამართლიანობის, მოვალეობისა და ჰუმანურობის დასაცავად». ეს აბდაუბდა მოთავსებულია M. Ch. Ganilh-ის წიგნში: «Des Systèmes d'Economie Politique etc.», ნე-2 გამაც., Paris 1821. ტ. 1. გვ. 224. შეად. იქვე. გვ. 212.

მართალია, ზოგიერთი მაგალითი, — თუნდაც ინგლისის კამეოლის და აბრეშუმის ფაბრიკებისა, — გვიჩვენებს, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე საფაბრიკო დარგების უაღრეს გაფართოებას შეიძლება თან სდევდეს მუშათა რიცხვის არა მარტო შეფარდებითი, არამედ აბსოლუტური შემცირებაც. 1860 წელს, როდესაც პარლამენტის განკარგულებით შეერთებული სამეფოს ყველა ფაბრიკის საგანგებო აღწერა მოხდა, ლანკაშირის, ჩეშირის და იორკშირის საფაბრიკო ოლქების იმ ნაწილში, რომელიც ფაბრიკის ინსპექტორს რ. ბეკერს ჰქონდა მინდობილი, ირიცხებოდა 652 ფაბრიკა; აქედან 570 შეიცავდა: 85 622 ორთქლის საფეიქრო დაზვას, 6 819 146 თითისტარს (საძახავი თითისტრების ჩათვლელად), 27 439 ცხენძალას ორთქლის მანქანებში და 1 390-ს — წყლით მოძრავ თვლებში. ამ ფაბრიკებში 94 119 ადამიანი მუშაობდა. 1865 წელს კი ამავე ფაბრიკებში იყო: 95 163 საფეიქრო დაზვა, 7 025 031 თითისტარი, 28 925 ცხენძალის ორთქლის მანქანები და 1 445 ცხენძალის წყლით მოძრავი თვლები, დასაქმებულთა რიცხვი — 88 913. მაშასადამე, 1860 წლიდან 1865 წლამდე ამ ფაბრიკებში გაიზარდა: ორთქლის საფეიქრო დაზვათა რიცხვი $11\frac{1}{2}\%$ -ით, თითისტართა — $3\frac{1}{2}\%$ -ით, ორთქლის ცხენძალისა — $5\frac{1}{2}\%$ -ით, ხოლო იმავე დროს დასაქმებულთა რიცხვმა იკლო $5,5\frac{1}{2}\%$ -ით²²⁷. 1 852 — 1 862 წლებში ადგილი ჰქონდა ინგლისის შალეულის ფაბრიკაციის საგრძნობ ზრდას, მაშინ როდესაც გამოყენებულ მუშათა რიცხვი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდი მასშტაბით განდევნა წინა პერიოდების შრომა ახლად შემოღებულმა მანქანებმა²²⁸. იმ შემთხვევებში, როცა დაკვირვება გვიჩვენებს

²²⁷ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 58 და შ. მაგრამ იმავე დროს უფრო მატერიალური საფუძველიც წარმოებაში მუშათა მზარდი რიცხვის ჩასაბმელად მოცემული იყო: დაარსებულ იქნა 110 ახალი ფაბრიკა 11 625 ორთქლის საფეიქრო დაზვით, 628 756 თითისტრით, 2 695 ორთქლისა და წყლის ცხენძალით (იქვე).

²²⁸ «Reports etc. for 31st October 1862», გვ. 79.

და მ ა ტ ე ბ ა მ ე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ე ი ს. 1871 წლის დეკემბრის დამლევს ფაბრიკის ინსპექტორმა ა. რედგრეივმა ერთ თავის მოხსენებაში, რომელიც მან ბრადფორდში წაიკითხა — «New Mechanic's Institution»-ში, განაცხადა: ეს ერთი ხანია მე გაკვირვებული ვარ იმით, თუ რამდენად შეიცვალა მატყლის ფაბრიკების გარეგნული სახე. უწინ ეს ფაბრიკები ქალებით და ბავშვებით იყო სავსე, ახლა კი თითქოს ყველა სამუშაოს მანქანა ასრულებს. ჩემს შეკითხვაზე ერთმა მეფაბრიკემ შემდეგი განმარტება მომცა: ძველი სისტემის დროს მე 63 ადამიანს ვამუშავებდი; გაუმჯობესებული მანქანების შემოღების შემდეგ მუშახელი 33-მდე დავიყვანე, და სულ ახლახან, ახლად დიდ გაუმჯობესებათა გამო, მე შევძელი მათი რიცხვი 33-დან 13-მდე დამეყვანა.

დასაქმებული ფაბრიკის მუშათა რიცხვის გადიდებას, ხშირად ეს გადიდება მხოლოდ მოჩვენებითია, ე. ი. იგი გამოწვეულია არა უკვე მანქანურ წარმოებაზე დამყარებული ფაბრიკის გაფართოებით, არამედ — დამხმარე დარგების თანდათანობითი მიმატებით. მაგალ., ამქანური საფეიქრო დაზგებისა და ამ დაზგებზე მომუშავე ფაბრიკის მუშების რიცხვის ზრდა 1838 წლიდან 1858 წლამდე (ბრიტანეთის) პამბეულის წარმოებაში გამოწვეული იყო უბრალოდ ამ დარგის საწარმოთა გაფართოებით; პირიქით, სხვა ფაბრიკებში ეს ზრდა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ დაიწყეს ორთქლის ძალის ახლად გამოყენება ხალიჩების, ლენტების, ტილოს და სხვ. საფეიქრო დაზგებისათვის, რომელთაც უწინ ადამიანის კუნთების ძალით ამოძრავებდნენ²²⁹. მაშასადამე, ამ მუშების — ფაბრიკის მუშების — რიცხვის ზრდა მხოლოდ გამოხატულება იყო დასაქმებული მუშების საერთო რიცხვის შემცირებისა. ბოლოს, ჩვენ აქ სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმას, რომ ყველგან, გარდა ლითონის ფაბრიკებისა, მოზარდი მუშები (18 წელზე უმცროსნი), ქალები და ბავშვები ფაბრიკის პერსონალის გაცილებით მეტ ნაწილს შეადგენენ.

მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ, მიუხედავად მანქანური წარმოების მიერ მუშათა მასის ფაქტიურად განდევნისა და მათი პოტენციურად შენაცვლებისა, ფაბრიკის მუშების რიცხვი თვით მანქანური წარმოების ზრდის გამო, რომელიც იმავეგვარი ფაბრიკების რიცხვის გადიდებისა ანდა უკვე არსებულ ფაბრიკათა ფარგლების გაფართოებაში პოულობს თავის გამოხატულებას, — შეიძლება ბოლოს და ბოლოს უფრო დიდი იყოს, ვიდრე რიცხვი განდევნილი მანუფაქტურული მუშებისა ან ხელოსნებისა. ვიგულისხმობთ, რომ ყოველკვირეულად გამოყენებული კაპიტალი, მაგალითად, 500 გირვანქა სტერლინგი, ძველი წარმოების წქის ღროს $\frac{2}{5}$ -ით მუდმივისა და $\frac{3}{5}$ -ით ცვალებადი ნაწილისაგან შედგება, ე. ი. 200 გირვანქა სტერლინგი წარმოების საშუალებებზე იხარჯება და 300 გირვანქა სტერლინგი — სამუშაო ძალაზე, ვთქვათ, 1 გირვანქა სტერლინგი თითო მუშაზე. მანქანურ წარმოებაზე გადასვლით ერთობლივი კაპიტალის შედგენილობა იცვლება. ახლა, მაგალითად, მისი $\frac{1}{5}$ შეადგენს მუდმივ ნაწილს და $\frac{4}{5}$ — ცვალებადს, ე. ი. სამუშაო ძალაზე სულ მხოლოდ 100 გირვანქა სტერლინგი იხარჯება. მაშასადამე, წინათ დასაქმებულ მუშათა $\frac{2}{5}$ -ს ახლა დაითხოვენ. თუ ეს ფაბრიკული წარმოება გაფართოვდა და ერთობლივი გამოყენებული კაპიტალი, წარმოების სხვა დანარჩენი პირობების უცვლელობისას, 500 გირვანქა

²²⁹ «Reports etc. for 31st October 1856», გვ. 16.

სტერლინგიდან 1 500 გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა, მაშინ დასაქმებული იქნება 300 მუშა, სწორედ იმდენი, რამდენიც სამრეწველო რევოლუციამდე იყო. თუ გამოყენებული კაპიტალი კიდევ გაიზარდა და 2 000 გირვანქა სტერლინგამდე ავიდა, — დასაქმებული იქნება 400 მუშა, ე. ი. $\frac{1}{3}$ -ით მეტი, ვიდრე საქმის ძველებური წარმართვის პირობებში იყო. წარმოებაში გამოყენებულ მუშათა რიცხვი აქ აბსოლუტურად 100-ით გაიზარდა, ხოლო შეფარდებით, ე. ი. ერთობლივ აენსებულ კაპიტალთან შედარებით, იგი 800-ით შემცირდა, რადგან საქმის ძველებური წარმართვის პირობებში 2 000 გირვანქა სტერლინგ კაპიტალს 400-ის ნაცვლად 1 200 მუშა ეყოლებოდა დასაქმებული. მაშასადამე, დასაქმებულ მუშათა რიცხვის შეფარდებითი შემცირება შეთავსებადია მის აბსოლუტურ ზრდასთან. ზემოთ ჩვენ ვივლილხმეთ, რომ ერთობლივი კაპიტალის ზრდის დროს მისი შედგენილობა უცვლელი რჩება, რადგან წარმოების პირობები არ იცვლება. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ მანქანური სისტემის ყოველ განვითარებასთან ერთად კაპიტალის მუდმივი ნაწილი, რომელიც შედგება მანქანებისაგან, ნედლი მასალისაგან და სხვ., იზრდება, მაშინ როდესაც ცვალებადი ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალაზე იხარჯება, მცირდება, და ჩვენ ვიცით ამასთანავე, რომ არც ერთი სხვა წარმოების წესის დროს ასე განუწყვეტელ გაუმჯობესებას არა აქვს ადგილი და ამიტომ ერთობლივი კაპიტალის შედგენილობა ასე ცვალებადი არ არის. მაგრამ ამ მუდმივ ცვალებადობას ასევე მუდამ შეწყვეტს ხოლმე პაუზები და წმინდა რაოდენობრივი გაფართოება მოცემულ ტექნიკურ საფუძველზე. ამით იზრდება დასაქმებულ მუშათა რიცხვი. მაგალითად, მუშების რიცხვი შეერთებული სამეფოს ბამბის, შალეულის, კამვოლის, მაუდის, სელისა და აბრეშუმის ფაბრიკებში 1835 წელს მხოლოდ 354 684-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც 1861 წელს მარტო ფეიქართა რიცხვი (ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკობრივი საფეხურისა 8 წლიდან დაწყებული), რომელნიც ორთქლის დაზგებზე მუშაობდნენ, 230 654-ს უდრიდა. რასაკვირველია, ეს ზრდა ნაკლებად საგარანოა აღმოჩნდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1838 წელს ინგლისში ირიცხებოდა ბამბის 800 000 ხელით მქსოველი მათთან ერთად მომუშავე ოჯახის წევრების ჩათვლით²³⁰; ჩვენ

²³⁰ ხელით მქსოველთა (ბამბისა და ბამბანარევი ქსოვილების მქსოველთა) ტანჯვა-ვაება სამეფო კომისიის კვლევა-ძიების საგანი იყო; თუმცა მათი უბედურება აღიარებულ იქნა და მის გამო სწუხდნენ კიდევ, მაგრამ მათი მდგომარეობის გაუმჯობესება (!) შემთხვევასა და დროთა ვითარებას მიანდვეს, და შეიძლება იმედი ვიკონიოთ,

აქ სრულიად არას ვამბობთ აზიაში და ევროპის კონტინენტზე განდევნილ ხელმქსოველ ფეიქრებზე.

მკირეოდენ შენიშვნებში, რომლებიც უნდა გავუკეთოთ კიდევ ამ პუნქტს. ჩვენ შევეხებით ნაწილობრივ წმინდა ფაქტიურ ურთიერთობას. რომელთანაც თვით ჩვენს თეორიულ კვლევას ჯერ კიდევ არ მიეუყვანივართ.

ვიდრე მრეწველობის გარკვეულ დარგში მანქანური წარმოება ტრადიციული ხელოსნობისა და მანუფაქტურის ხარჯზე ფართოვდება, მისი წარმატება ისევე უქვევლია, როგორც ნემსიანი თოფებით შეიარაღებული ჯარის წარმატება შვილდისრებით შეიარაღებული ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პირველ პერიოდს, როდესაც მანქანა პირველად იპყრობს თავის მოქმედების სფეროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ არაჩვეულებრივი მოგების გამო, რომლის წარმოებასაც ეს მანქანა ხელს უწყობს. ეს მოგება არათუ თავისთავად წარმოადგენს კაპიტალის დაჩქარებული დაგროვების წყაროს, არამედ იზიდავს კიდევ წარმოების ხელსაყრელ სფეროში დიდ ნაწილს დამატებითი საზოგადოებრივი კაპიტალისას, რომელიც სულ ახლად და ახლად იქმნება და ახალ დარგებს ეძებს დასაბანდებლად. ის განსაკუთრებული სარფიანობა, რომელიც ქარიშხლისა და შეტევის პირველ პერიოდს ახასიათებს, ყოველთვის მეორდება წარმოების იმ დარგებში, სადაც მანქანა ახლად არის შემოღებული. მაგრამ როდესაც საფაბრიკო სისტემა გარკვეულ გავრცელებას და სიმწიფის გარკვეულ საფეხურს აღწევს, განსაკუთრებით როდესაც თვით მისი საკუთარი ტექნიკური საფუძველი, მანქანები, თავის მხრივ, მანქანითვე იწარმოება, როდესაც რევოლუცია ხდება როგორც ნახშირისა და რკინის მოპოვებაში, ისე ლითონის დამუშავებასა და სატრანსპორტო საქმეში, საერთოდ როდესაც იქმნება მსხვილი მრეწველობის შესაბამისი საყოველთაო პირობები წარმოებისა, — მაშინ ეს წარმოების წესი იძენს ისეთ ელასტიკურობას, უეცარი ნახტომისებრი გაფართოების ისეთ უნარს, რომელსაც საზღვარს უღებს მხოლოდ ნედლი მასალა და გასაღების ბაზარი. მანქანა, ერთი მხრივ, პირდაპირ იწვევს ნედლი მასალის რაოდენობის გადიდებას, როგორც, მაგალითად, cottongin-მა [ბამბის ჯინმა] ბამბის წარმოების გადიდება გამოიწვია²³¹. მეორე მხრივ, მანქანური პრო-

რომ ეს ტანჯვა-ვება ახლა (20 წლის შემდეგ) თითქმის (nearly) გამქრალია, რასაც, ალბათ, ხელი შეუწყო ორთქლის საფეიქრო დახვევის ძლიერმა გავრცელებამ ამჟამად (Reports of Insp. of Fact. for 31st October 1856, გვ. 15).

²³¹ სხვა მეთოდები, რომელთა საშუალებით მანქანა ზემოქმედებას ახდენს ნედლი მასალის წარმოებაზე, მესამე წიგნში იქნება მოხსენიებული.

დუქტის სიიადე და ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებებში მომხდარი გადატრიალება იარაღია უცხო ბაზრების დასაპყრობად. მანქანური წარმოება, რომელიც ანადგურებს ამ უცხოურ ბაზრებზე ხელოსნურ წარმოებას, იძულებითი წესით გადააქცევს ამ ბაზრებს თავისი ნედლი მასალის წარმოების ასპარეზად. ასე, მაგალითად, ოსტ-ინდოეთი იძულებული გახდა ეწარმოებინა დიდი ბრიტანეთისათვის ბამბა, მატყლი, ქერელი, ჯუტი, ინდიგო და სხვ. ²³². მსხვილი მრეწველობის ქვეყნებში მუშების მუდმივი გადაქცევა «მოჭარბებულე-ბად» იწვევს გაძლიერებულ ემიგრაციას და უცხო ქვეყნების კოლონიზაციას, რომელიც ნედლი მასალის პლანტაციებად იქცევიან მეტროპოლიისთვის, როგორც, მაგალითად, ავსტრალია გადაიქცა მატყლის წარმოების ადგილად ²³³. იქმნება შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება, რაც მანქანური წარმოების მთავარი ცენტრების განლაგებას შეესაბამება და რაც დედამიწის ერთ ნაწილს გადააქცევს უმთავრესად სამიწათმოქმედო წარმოების სფეროდ მეორე ნაწილისათვის, რომელიც უპირატესად სამრეწველო წარმოების სფეროს წარმოადგენს. ეს რევოლუცია მჭიდროდ დაკავშირებულია იმ გადატრიალებებთან მიწათმოქმედებაში, რომელთა უფრო საფუძვლიან გამოკვლევას ჩვენ აქ ჯერ არ შევუდგებით ²³⁴.

ბ-ნ გლადსტონის ინიციატივით თემთა პალატამ 1867 წლის 17 თებერვალს დაადგინა შეკრებილიყო სტატისტიკური მონაცემები ყოველნაირი მარცვლეულის, ხორბლისა და ფქვილის შესახებ, რაც კი შეერთებულ სამეფოში იქნა შეტანილი ან იქიდან გატანილი 1831 წლიდან 1866 წლამდე. ქვემოთ მე მომყავს ამ სტატისტიკური მონაცემების შეჯამებული ცხრილი. ფქვილი აღებულია მარცვლეულის კვარტერებით (იხ. ცხრილი 573 გვერდზე).

²³² ბამბის გაზიდვა ოსტ-ინდოეთიდან დიდ ბრიტანეთში:

1846 წ. — 34 540 143 გირ., 1860 წ. — 204 141 168 გირ., 1865 წ. — 445 947 600 გირ.

მატყლის გაზიდვა ოსტ-ინდოეთიდან დიდ ბრიტანეთში:

1846 წ. — 4 570 581 გირ., 1860 წ. — 20 214 173 გირ., 1865 წ. — 20 679 111 გირ.

²³³ მატყლის გაზიდვა კეთილი იმედის კონცხიდან დიდ ბრიტანეთში:

1846 წელს — 2 958 457 გირ., 1860 წ. — 16 574 345 გირ., 1865 წ. — 29 920 623

გირე.

მატყლის გაზიდვა ავსტრალიიდან დიდ ბრიტანეთში:

1846 წ. — 21 789 346 გირ., 1860 წ. — 59 166 616 გირ., 1865 წ. — 109 734 261 გირ.

²³⁴ თვით ეკონომიური განვითარება შეერთებული შტატებისა ევროპის, განსაკუთრებით კი ინგლისის, მსხვილი მრეწველობის ნაყოფია. შეერთებული შტატები, მათი თანამედროვე სახით (1866 წ.), ჯერ კიდევ განხილულ უნდა იქნას როგორც

ფაბრიკული წარმოების უზარმაზარი, ნახტომისებრი განვრცობა-
დობა და ის გარემოება, რომ იგი მსოფლიო ბაზარზე და მოკიდებული,
აუცილებლად წარმოშობს გაცხოველებულ წარმოებას, რასაც თან
მოსდევს ბაზრების ჭარბად გავსება, ბაზრების შემცირებით კი მოდუ-
ნება იწყება. მრეწველობის სიცოცხლე იქცევა საშუალო გამოცოცხ-
ლების, აყვავების, ჭარბწარმოების, კრიზისისა და შეფერხების მთელ
რიგ თანმიმდევრულ პერიოდებად. ის ალაღბედობა და მერყევი მდგო-
მარეობა, რასაც მუშის მოსაქმეობას და ამით მის არსებობას მან-
ქანური წარმოება უქმნის, ნორმალურ მოვლენად იქცევა სამრეწველო
ციკლის პერიოდების ცვლის დამყარებისთანავე. თუ აყვავების ხანას
არ ჩავთვლით, კაპიტალისტებს შორის გააფთრებული ბრძოლა წარ-
მოებს ინდივიდუალური ადგილისათვის ბაზარზე. ეს მათი წილი ბაზარ-
ზე პირდაპირ შეეფარდება პროდუქტის სიიარვეს. გარდა იმისა, რომ
ამით გამოწვეულია მეტოქეობა სამუშაო ძალის შემცველი გაუმჯობე-
სებული მანქანებისა და წარმოების ახალი მეთოდების ხმარებაში, ყო-
ველთვის დგება ისეთი მომენტი, როდესაც მწარმოებლები ცდილობენ

ვეროპის კოლონია. [მე-4 გამოცემისათვის. «მას შემდეგ შეერთებული შტა-
ტები მსოფლიოს მეორე სამრეწველო ქვეყნად განითარდა, თუმცა მათ ამის გამო თა-
ვიანთი კოლონიური ხასიათი მთლად არ დაუკარგავთ. — ვ. მ.]

ბამბის გახიდევა შეერთებული შტატებიდან დიდ ბრიტანეთში გირვანქობით:

1846 წელს — 401 949 393	1859 წელს — 961 707 264
1852 წელს — 765 630 544	1860 წელს — 1 115 890 608

მარცვლეულის და სხვ. გახიდევა შეერთებული შტატებიდან დიდ ბრიტანეთში (1850
და 1862 წლებში) ინგლისური ცენტნერებით:

	1850 წ.	1862 წ.
ზორბალი	16 202 312	41 033 503
ქერი	3 669 653	6 624 800
შვრია	3 174 801	4 426 994
ჭვავი	388 749	7 108
ზორბლის ფქვილი	3 819 440	7 207 113
უგრებელა	1 054	19 571
სიმინდი	5 473 161	11 694 818
Bore ანუ Bigg (განსაკუთ- რებული ჯიშის ქერი)	2 039	7 675
მუხუდო	811 620	1 024 722
ლობიო	1 822 972	2 037 137

საერთო გახიდევა 34 365 801 74 083 351

სუთულთანი პერიოდები და 1866 წელი

	1861—1866	1866—1840	1841—1846	1846—1860	1861—1866	1866—1860	1861—1866	1866
საშუალოდ წელიწადში								
იმპორტი (კვარტრებში)	1 096 373	2 389 729	2 843 865	8 776 552	8 345 237	10 913 612	15 009 871	16 457 340
საშუალოდ წელიწადში								
ექსპორტი (კვარტრებში)	225 263	251 770	139 056	155 461	307 491	341 150	302 754	216 218
იმპორტი სკარბობის ექსპორტს საშუალოდ წელიწადში	874 110	2 137 959	2 704 809	8 621 091	8 037 746	10 572 462	14 707 117	16 241 122
მოსახლეობა								
საშუალოდ წელიწადში თვითწელი პერიოდისათვის	24 621 107	25 929 507	27 262 559	27 797 598	27 572 923	28 391 544	29 381 760	29 935 404
საშუალოდ წელიწადში თვითწელი პერიოდის და სხვ. საშუალო რაოდენობა (კვარტრებში), რომელიც მიიზარება თვითწელი მცხოვრების მიერ ყოველწლიურად, მთელ მოსახლეობაზე თანასწორად განაწილების პირობებში, და რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი წარმოების დამატებას	0,036	0,082	0,099	0,310	0,291	0,372	0,501	0,543

საქონლის გაიაფების მისაღწევად ხელფასი იძულებითი წესით სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა დასწიონ²³⁵.

მაშასადამე, ფაბრიკის მუშების რიცხვის ზრდა გაპირობებულია ფაბრიკებში დაბანდებული ერთობლივი კაპიტალის შედარებით ბევრად უფრო სწრაფი ზრდით. მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ სამრეწველო ციკლის მიქცევისა და მოქცევის პერიოდების ფარგლებში მიმდინარეობს. გარდა ამისა, იგი ყოველთვის შეწყდება ხოლმე ტექნიკური პროგრესის გამო, რომელიც მუშებს ხან შეენაცვლება პოტენციურად და ხან გააძევებს ფაქტიურად. ასეთი თვისებრივი ცვლილება მანქანურ წარმოებაში ყოველთვის აძევებს მუშებს ფაბრიკიდან ან ფაბრიკის კარს უხშობს რეკრუტთა ახალ ნაკადს, მაშინ როდესაც ფაბრიკების

²³⁵ ლესტერში ფეხსაცმლის მეფაბრიკეთა «ლოკალტი» ქუჩაში გაყრილი მუშების მოწოდებაში (1866 წლის ივლისში), რომელიც მიმართული იყო «Trade Societies of England»-ისადმი [ინგლისის პროფესიული კავშირებისადმი], სხვათა შორის, ნათქვამია: «დაახლოებით 20 წლის წინათ ლესტერში ფეხსაცმლის წარმოებაში გადატრიალება მოხდა იმის გამო, რომ ძაფით კერვის ნაცვლად ლურსმნების ხმარება შემოიღეს. მაშინ კარგი ხელფასის მიღება შეუძლებლად. მაღე ეს ახალი საქმე ძალიან გაფართოვდა. ძლიერი კონკურენცია დაიწყო სხვადასხვა ფირმებს შორის უკეთესი ფეხსაცმლის დასამზადებლად. მაგრამ მაღე უფრო ცუდი სახის კონკურენციამ იჩინა თავი, სახელდობრ — მისწრაფებამ იმისადმი, რომ ერთმანეთი დაემარცხებინათ ბაზარზე უფრო იაფფასიანი საქონლის (undersell) გატანით. ამის მაგზე შედეგები მაღე გამააჟიარავდა ხელფასის დაწვეით და შრომის ფასი ისეთი სისწრაფით ეცემოდა, რომ ბევრი ფირმა ახლა მხოლოდ უწინდელი ხელფასის ნახევარს იხდის. და მაინც, თუმცა ხელფასი სულ უფრო დაბლა ეცემა, მოგება, როგორც ჩანს, მატულობს შრომის ტარიფის ყოველ ცვლილებასთან ერთად. — მრეწველობის არახელსაყრელ პერიოდებსაც კი იყენებენ მეფაბრიკენი იმისათვის, რათა ხელფასის გადამეტებული დაწვეით, ე. ი. მუშის აუცილებელ საარსებო საშუალებათა პირდაპირ მოპარვით, არაჩვეულებრივი მოგება მიიღონ. აი მაგალითი. ლაპარაკია აბრემუმქსოვის კრისტისზე კოვენტრიში: იმ ცნობებიდან, რომლებიც მე მივიღე როგორც მეფაბრიკეთაგან, ისე მუშებისაგან, უეჭველად გამომდინარეობს, რომ ხელფასი შემცირებულია უფრო მეტად, ვიდრე ამას უცხოელ მწარმოებელთა კონკურენცია ანდა სხვა გარემოება მოითხოვდა. ფეიქრების უმრავლესობა მუშაობს ისეთ ხელფასზე, რომელიც დაწეულია 30 — 40% -ით. ერთი ნაჭერი ლენტის, რომელშიაც ფეიქარი 5 წლის წინათ 6 ან 7 შილინგს იღებდა, ახლა მას მხოლოდ 3 შილინგს და 3 პენსს ან 3 შილინგს და 6 პენსს აძლევს; მეორე სამუშაო, რომელშიაც წინათ 4 შილინგს ან 4 შილინგს და 3 პენსს იხდიდნენ, ახლა მხოლოდ 2 შილინგს ან 2 შილინგს და 3 პენსს იძლევა. ხელფასი დაწეულია უფრო მეტად, ვიდრე ეს საჭიროა მოთხოვნის გამოსაცოცხლებლად. სინამდვილეში მრავალი სხვადასხვაგვარი ლენტის წარმოებაში ხელფასის შემცირებას არც კი მოჰყოლია თან საქონლის ფასის რაიმე დაკლება» (კომისიის წევრის ფ. დ. ლონჯის ანგარიში «Children's Employment Commission»-ში, 5th Report 1866, გვ. 114, № 1).

უბრალო რაოდენობრივი გაფართოება გარდა გაძევებული მუშებისა ახალ კონტინგენტსაც ნთქავს. ამრიგად, ფაბრიკა განუწყვეტელი იზიდავს და უკუაგდებს მუშებს, სტუორცინის აქეთ-იქით, და ყოველივე ამას თან სდევს სამუშაოზე აყვანილ მუშათა მულმივი ცვალებადობა სქესის, ასაკისა და დახელოვნების მიხედვით.

ფაბრიკის მუშის ბედის ყველაზე ნათელ ილუსტრაციას მივიღებთ, თუ ოდნავ თვალს გადავავლებთ ინგლისის ბამბის მრეწველობის ბედს.

1770 წლიდან 1815 წლამდე ბამბის მრეწველობა შევიწროებული ან შეფერხებულია 5 წლის განმავლობაში. ამ 45 წლის პირველი პერიოდის მანძილზე ინგლისელ მეფაბრიკეებს მანქანებისა და მსოფლიო ბაზრის მონოპოლია ჰქონდათ. 1815 წლიდან 1821 წლამდე შევიწროებული მდგომარეობაა. 1822 და 1823 წლები აყვავების წლებია. 1824 წელი — კოალიციის საწინააღმდეგო კანონის გაუქმება, ფაბრიკების საყოველთაო ძლიერი გაფართოება. 1825 წელი — კრიზისი. 1826 წელს — ბამბის მრეწველობის მუშების საშინელი გაჭირვება და ამბოხებანი. 1827 წელს — მცირე გაუმჯობესება. 1828 წელს — ორთქლის საფეიქრო დაზგების რაოდენობის დიდი ზრდა და ექსპორტის გაძლიერება. 1829 წელს ექსპორტი, განსაკუთრებით ინდოეთში, სჭარბობს ყველა წინა წელს. 1830 წელს — ბაზრების ჰარბად გავსება, დიდი გაჭირვება. 1831 წლიდან 1833 წლამდე — განუწყვეტელი შევიწროებული მდგომარეობა, ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჩამოერთვა აღმოსავლეთ აზიასთან (ინდოეთსა და ჩინეთთან) ვაჭრობის მონოპოლია. 1834 წელს — ფაბრიკების და მანქანური წარმოების დიდი ზრდა, მუშახელის ნაკლებობა; ახალი კანონი ღარიბების შესახებ ხელს უწყობს სოფლის მუშების გადასახლებას საფაბრიკო ოლქებში; სოფლის საგრაფოებიდან ბავშვებს მასობრივად ერეკებიან მრეწველობაში; თეთრი მონებით ვაჭრობა. 1835 წელს — დიდი აყვავება; იმავე დროს შიმშილით იხოცებიან ბამბის ხელით მქსოველები. 1836 წელს — დიდი აყვავება. 1837 და 1838 წლებში — შევიწროებული მდგომარეობა და კრიზისი. 1839 წელს — გამოცოცხლება. 1840 წელს — დიდი დებრესია, ამბოხებანი, ჯარების ჩარევა. 1841 და 1842 წლებში — ფაბრიკის მუშების საშინელი გაჭირვება. 1842 წელს მეფაბრიკენი მუშებს ითხოვენ ფაბრიკებიდან, რათა აუცილებელი გახადონ პურის კანონების გაუქმება; მუშები მრავალი ათასობით აწყდებიან იორკშირს, საიდანაც მათ ჯარები უკან ერეკებიან; მუშათა წინამძღოლებს ლანკასტერში ასამართლებენ. 1843 წელს — დიდი გაჭირვება. 1844 წელს — კვლავ გამოცოცხლება. 1845 წელს — ძლიერი აყვავება.

1846 წელს — ჯერ შეუჩერებელი აღმავლობა, შემდეგ კი — რეაქციის ნიშნები; პურის კანონების გაუქმება. 1847 წელს — კრიზისი; ხელფასის საყოველთაო შემცირება 10 და მეტი პროცენტით «big loaf-ის [დიდი მრგვალი პურისა] სადიდებლად. 1848 წელს — შევიწროებული მდგომარეობა გრძელდება; მანჩესტერს ჯარი იცავს. 1849 წელს — კვლავ გამოცოცხლება. 1850 წელს — აყვავება. 1851 წელს — საქონლის ფასების დაცემა, დაბალი ხელფასი, ხშირი გაფიცვები. 1852 წელს იწყება გაუმჯობესება, გაფიცვები გრძელდება; მეფაბრიკენი იმუქრებიან უცხოელი მუშების იმპორტით. 1853 წელს ექსპორტის გაძლიერება; რვათვიანი გაფიცვა და დიდი გაჭირვება პრესტონში. 1854 წელს — აყვავება, ბაზრების ჭარბად ავსება. 1855 წელს შეერთებული შტატებიდან, კანადიდან და აღმოსავლეთი აზიის ბაზრებიდან მრავლად მოდის ცნობები გაკოტრებათა შესახებ. 1856 წელს — დიდი აყვავება. 1857 წელს — კრიზისი. 1858 წელს — გაუმჯობესება. 1859 წელს — ძლიერი აყვავება, ფაბრიკების ზრდა. 1860 წელს ინგლისის ბამბის მრეწველობის განვითარება უმაღლეს წერტილს აღწევს; ინდოეთის, ავსტრალიისა და სხვა ბაზრები ისეა გავსებული, რომ ეს მარაგი 1863 წელსაც მათ მიერ ჯერ კიდევ არ იყო მთლად შთანთქმული; სავაჭრო ხელშეკრულება საფრანგეთთან; ფაბრიკებისა და მანქანური წარმოების უდიდესი ზრდა. 1861 წელს აღმავლობა რამდენიმე ხანს გრძელდება, შემდეგ რეაქცია, ამერიკის სამოქალაქო ომი, ბამბის შიმშილი. 1862 — 1863 წლებში — სრული კრახი.

ბამბის შიმშილის ისტორია იმდენად დამახასიათებელია, რომ არ შეიძლება ერთი წუთით მაინც არ შევიჩერდეთ მასზე. ზემოაღნიშნული ცნობებიდან 1860 — 1861 წლების მსოფლიო ბაზრის მდგომარეობის შესახებ ჩანს, რომ ბამბის შიმშილი მეფაბრიკეთათვის დროული იყო და ნაწილობრივ ხელსაყრელიც; ეს ფაქტი აღიარებული იყო მანჩესტერის სავაჭრო პალატის ანგარიშებში, საჯაროდ გამოცხადებული პარლამენტში პალმერსტონის და დერბის მიერ და დადასტურებული მოვლენებით²³⁶. რასაკვირველია, იმ ფაბრიკებს შორის, რომელთა რიცხვი 1861 წელს შეერთებულ სამეფოში 2887-ს შეადგენდა, მრავალი პატარა ფაბრიკაც იყო. ფაბრიკის ინსპექტორის ა. რედგრეივის ანგარიშის მიხედვით, რომლის საგამგებლო ოლქში ამ 2887 ფაბრიკიდან 2109 შედიოდა, უკანასკნელიდან 392 ფაბრიკა, ანუ 19⁰/₁₀₀, თვითეული 10 ორთქლის ცხენძალაზე ნაკლებს ხმარობდა, 345, ანუ

²³⁶ შეად. «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 30.

16⁰/₁₀₀, — 10 — 20-დე, ხოლო 1 372 ფაბრიკა — 20-ს და მეტსაც²³⁷. წვრილი ფაბრიკების უმრავლესობა საფეიქროებს წარმოადგენდა და დაარსებული იყო 1858 წლის შემდეგ, აყვავების პერიოდში, უმთავრესად სპეკულანტების მიერ, რომელთაგან ერთი ნართს იძლეოდა, მეორე — მანქანას და მესამე — შენობებს; აქ ფაბრიკებს განაგებდნენ ყოფილი overlookers-ები [ფაბრიკის ზედამხედველები] ან სხვა მცირე შეძლების ადამიანები. ეს წვრილი მეფაბრიკენი მეტწილად გაჩანაგდნენ. იმავე ბედს არგუნებდა მათ ვაჭრობის კრიზისიც, ეს უკანასკნელი რომ ბამბის შიმშილს არ შეეფერხებინა. თუმცა ისინი მეფაბრიკეთა საერთო რიცხვის ერთ მესამედს შეადგენდნენ, მაგრამ მათი ფაბრიკები ბამბის მრეწველობაში დაბანდებული ერთობლივი კაპიტალის გაცილებით ნაკლებს ნთქავდა. რაც შეეხება შეფერხების ფარგლებს, სარწმუნო შეფასების თანახმად, 1862 წელს უმოქმედოდ იყო თითისტართა 60, 3⁰/₁₀₀ და საფეიქრო დაზგათა 58⁰/₁₀₀. ეს ციფრები მრეწველობის მთელ დარგს შეეხება და, რასაკვირველია, ფრიად ცვალებადია ცალკეული ოლქების მიხედვით. ფაბრიკების მხოლოდ მეტად მცირე რიცხვი მუშაობდა სრულ დროს (60 საათს კვირაში), დანარჩენები მუშაობდნენ ხანგამოშვებით. იმ მცირერიცხოვანი მუშებისთვისაც კი, რომელნიც სრულ დროს და ჩვეულებრივ ცალობრივ ხელფასზე მუშაობდნენ, კვირული ხელფასი ძალაუნებურად შემცირდა იმის გამო, რომ უკეთესი ხარისხის ბამბა შენაცვლებულ იქნა ცუდით, Sea Island-ის ბამბა — ეგვიპტის ბამბით (წმინდა რთვაში), ამერიკული და ეგვიპტური ბამბა — (ოსტ-ინდური) სურათით და წმინდა ბამბა — ბამბის ნახევრისა და სურათის ნარევით. სურათის ბამბის მოკლე ბოქო, მისი ქუჩუიანობა, ძაფის ხშირი წყვეტადობა, ფქვილის ნაცვლად ყოველგვარი მძიმე ინგრედიენტების [შემადგენელი ნაწილების] ხმარება ქსელის გასახამებლად და სხვა, — ყველაფერი ეს ამცირებდა მანქანების სისწრაფეს ან საფეიქრო დაზგების რაოდენობას, რომელთა მეთვალყურეობა ერთ ფეიქარს შეეძლო, აღიღებდა შრომას, რომელიც მანქანების მუშაობის დეფექტების გასწორებას სჭირდებოდა, და პროდუქტის მასის შემცირებასთან ერთად ამცირებდა ცალობრივ ხელფასს. სურათის ხმარებისას, მაშინაც კი, როცა მუშა სრულ დროს მუშაობდა, მისი დანაკარგი 20, 30 და მეტ პროცენტს აღწევდა. მაგრამ მეფაბრიკეთა უმრავლესობამ ცალობრივი ხელფასის ნორმაც შეამცირა 5, 7¹/₂ და 10⁰/₁₀₀-ით. აქედან შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომელნიც მუშაობდნენ მხოლოდ 3, 3¹/₂ ან 4 დღეს კვირაში,

²³⁷ შეად. «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 19.

ანდა — 6 საათს დღეში. 1863 წელს, მას შემდეგ, რაც უკვე შედარებითი გაუმჯობესება მოხდა, ექსპოზიციების, მრთველებისა და სხვათა კვირეული ხელფასი შეადგენდა 3 შილინგსა და 4 პენსს, 3 შილინგსა და 10 პენსს, 4 შილინგსა და 6 პენსს, 5 შილინგსა და 1 პენსს და ა. შ.²³⁸. ამ საშინელი გაჭირვებული მდგომარეობის დროსაც კი არ დამცხრალა მეფაბრიკის გამომგონებლობა ხელფასიდან გამოქვითვის საქმეში. ეს გამოქვითვა ხდებოდა ნაწილობრივ ჯარიმის სახით ნაწარმის იმ ნაკლის გამო, რაც გამოწვეული იყო მეფაბრიკისავე ბამბის უვარგისობით, შეუფერებელი მანქანებით და სხვა. როდესაც კი მეფაბრიკე მუშათა საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეც იყო, თვითონვე უხდიდა თავის თავს ბინის ქირას მუშის ნომინალური ხელფასიდან გამოქვითვის გზით. ფაბრიკის ინსპექტორი ა. რედგრეივი მოგვითხრობს selfacting minders-ის [მიულ-მანქანაზე, სელფაქტორზე მომუშავეთა] შესახებ (თვითთელი ეს მუშა ორ მიულ-სელფაქტორს მართავდა), რომ ისინი «თოთხმეტი დღის სრული მუშაობის შემდეგ 8 შილინგსა და 11 პენსს იღებდნენ; აქედან მათ უქვითავდნენ ბინის ქირას, რომლის ნახევარს მეფაბრიკე მათ ისევ უკან უბრუნებდა საჩუქრის სახით, ასე რომ minder-ს სრული 6 შილინგი და 11 პენსი მიჰქონდა სახლში. ფეიქრების კვირეული ხელფასი 1862 წელს უკანასკნელ თვეებში 2 შილინგითა და 6 პენსით იწყებოდა»²³⁹. ხშირად ბინის ქირას ხელფასიდან მუშახელს მაშინაც კი უქვითავდნენ, როცა იგი მხოლოდ მოკლე დროს მუშაობდა²⁴⁰. საკვირველი არ არის, რომ ლანკაშირის ზოგიერთ ნაწილში ერთგვარი შიმშილის ჭირი გაჩნდა! მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი ის ვარემოება იყო, რომ წარმოების პროცესის გარეყოფილებით მუშის ხარჯზე ხდებოდა. ეს იყო ნამდვილი *experimenta in corpore vili* [ცდები არადღირებულ ცოცხალ სხეულზე], მსგავსი ანატომების ექსპერიმენტებისა ბაყაყებზე. «თუმცა მე, — ამბობს ფაბრიკის ინსპექტორი რედგრეივი, — აღვნიშნე მუშების ნამდვილი შემოსავალი მრავალ ფაბრიკაში, მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ ამ თანხას ისინი ყოველკვირეულად იღებენ. მუშების შემოსავალი დიდ რყევას განიცდის მეფაბრიკეთა მულმივი ექსპერიმენტირების გამო (*experimentalizing*)... მათი შემოსავალი აიწვეს და დაიწვეს ხოლმე იმის მიხედვით, თუ როგორი ხარისხისაა ბამბის ნარევი: იგი ნაკლებია წინანდელ შემოსავალზე ხან 15⁰/₁₀₀-ით,

²³⁸ «Reports etc. for 31st October 1865», გვ. 41 — 45.

²³⁹ «Reports etc. for 31st oct. 1863», გვ. 41, 42.

²⁴⁰ იქვე, გვ. 51.

ხან კი მომდევნო ან შემდგომ კვირაში 50—60^o/₆-ითა²⁴¹. ეს ექსპერიმენტები მუშების მარტო საარსებო საშუალებათა ხარჯზე როდი ხდებოდა. მუშები პასუხს აგებდნენ ამისთვის თავისი ხუთივე გრძნობით. ბამბის გაშლაზე მომუშავენი მატუბინებენ, რომ აუტანლად მყარალი სუნისაგან მათ გული მისდით... ბამბის გადასარჩევ, საპენტ და საჩქ განყოფილებაში მომუშავეებს ბამბის მტვერი და ქუჭყი სასუნთქავ მილებს უღიზიანებს, იწვევს ხველას და სუნთქვის გაძნელებას... რადგან ბამბის ბოჭკო მოკლეა, ამიტომ ნართს გახამების დროს უმატებენ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნივთიერებას, სახელდობრ ყოველგვარ სუროგატებს, ნაცვლად ფქვილისა, რომელიც უწინ იხმარებოდა. აქედან წარმოდგება ფეიქრების გულისრევა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებანი. ბრონქიტი გავრცელებული დაავადებაა, მტვრით გამოწვეული, სწორედ ისევე როგორც ყელის ანთება; შემდეგ — კანის დაავადება, გამოწვეული სურათის ქუჭყით კანის გაღიზიანების გამო. მეორე მხრივ, ფქვილის სუროგატები ბ-ნი მეფაბრიკებისათვის წარმოადგენდნენ ფორტუნატუსის უღვევლ ქისას, იმიტომ რომ ამ სუროგატებით ნართის წონა დიდდებოდა. «მათი წყალობით 15 გირვანქა ნედლი მასალა, ნართად ქცეული, 26 გირვანქას იწონის»²⁴². ფაბრიკის ინსპექტორების 1864 წლის 30 აპრილის ანგარიშში კვითხულობთ: «ამ დამხმარე რესურსებს მრეწველობა ახლა ჭეშმარიტად არასაკადრისი ოდენობით იყენებს. ავტორიტეტული წყაროდან ვიცი, რომ 8 გირვანქა წონის ქსოვილი 5¹/₄ გირვანქა ბამბისგან და 2³/₄ გირვანქა სახამებლისაგან მზადდება. მეორე 5¹/₄ გირვანქა წონის ქსოვილი 2 გირვანქა სახამებელს შეიცავს. ეს არის საექსპორტო ჩვეულებრივი Shirtings [საპერანგე ქსოვილი]. სხვაგვარ ქსოვილებში ზოგჯერ 50^o/₆ სახამებელს უმატებენ, ასე რომ მეფაბრიკებს შეუძლიათ დაიკვებნონ და მართლაც იკვებნან, რომ ისინი მდიდრდებიან, ყიდიან რა ქსოვილს უფრო იაფად, ვიდრე მასში მოთავსებული ნართის ნომინალური ღირებულებაა»²⁴³. მაგრამ მუშები იტანჯებოდნენ არა მარტო მეფაბრიკეთა ექსპერიმენტებით ფაბრიკებში და მუნიციპალიტეტების ექსპერიმენტებით ფაბრიკებს გარეთ, არა მარტო ხელფასის შემცირებისა და უმუშევრობის გამო, არა მარტო სიღარიბით და მოწყალეობით, არა მარტო ლორდებისა და თემთა პალატის წევრების ხოტბით.

²⁴¹ «Reports etc. for 31st October 1863», გვ. 50, 51.

²⁴² იქვე, გვ. 62, 63.

²⁴³ «Reports etc. for 30st April 1864», გვ. 27.

უბედური ქალები, რომლებმაც ბამბის შიმშილის გამო სამუშაო დაკარგეს, საზოგადოების ნაძირალებად იქცნენ და ასეთებადვე დარჩნენ... ახლგაზრდა მეძავ ქალთა რიცხვი ამჟამად უფრო გაიზარდა, ვიდრე ოდესმე უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში²⁴⁴.

ამრიგად, ინგლისის ბამბის მრეწველობის პირველი 45 წლის მანძილზე, 1770 წლიდან 1815 წლამდე, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ 5 წლის კრიზისსა და შეფერხებას, მაგრამ ეს პერიოდი ამ მრეწველობის მსოფლიო მონოპოლიის პერიოდი იყო. მეორე 48-წლიან პერიოდში, 1815 წლიდან 1863 წლამდე, გამოცოცხლებისა და აყვავების მხოლოდ 20 წელი მოდის შევიწროებული მდგომარეობისა და შეფერხების 28 წელზე. 1815 — 1830 წლებში იწყება კონკურენცია კონტინენტურ ევროპასთან და შეერთებულ შტატებთან. 1833 წლიდან ხდება აზიის ბაზრების იძულებითი გაფართოება «ადამიანთა მოდგმის განადგურების» მეოხებით. პურის კანონების გაუქმების შემდეგ, 1846 წლიდან 1863 წლამდე, საშუალო გამოცოცხლებისა და აყვავების 8 წელიწადზე მოდის შევიწროებული მდგომარეობისა და შეფერხების 9 წელი. თუ როგორი იყო ბამბის მრეწველობის ასაკოვანი მუშა-მამაკაცების მდგომარეობა აყვავების ხანაშიც კი, ამაზე შეიძლება ქვემოთ დართული შენიშვნის მიხედვით ვიმსჯელოთ²⁴⁵.

²⁴⁴ ბოლტონის პოლიციის უფროსის ჰარისის წერილიდან, «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 61, 62.

²⁴⁵ ბამბის მრეწველობის მუშების მიერ — 1863 წლის გაზაფხულზე — საემიგრაციო საზოგადოების დასაარსებლად გამოცემულ მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: ამჟამად რომ ფაბრიკის მუშების დიდი გადასახლება აბსოლუტურად აუცილებელია, — ამას იშვიათად თუ ვინმე უარყოფს. მაგრამ ემიგრაციის შეუწყვეტელი ნაკადი რომ ყველა დროში აუცილებელია და რომ უამისოდ შეუძლებელია ჩვეულებრივ პირობებში ჩვენი მდგომარეობის შენარჩუნება, — ამას შემდეგი ფაქტები ადასტურებენ: 1814 წელს გაზიდული ბამბეული საქონლის ოფიციალური ღირებულება (რომელიც მხოლოდ რაოდენობის ინდექსია) 17 665 378 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, მისი ნამდვილი საბაზრო ღირებულება კი — 20 070 824 გირვანქა სტერლინგს. 1858 წელს გაზიდული ბამბეული საქონლის ოფიციალური ღირებულება შეადგენდა 182 221 681 გირვანქა სტერლინგს, ნამდვილი საბაზრო ღირებულება კი — მხოლოდ 43 001 322 გირვანქა სტერლინგს, ასე რომ რაოდენობის გაათქვამებამ გამოიწვია ფასის გაორკეცებაზე ოდნავ მეტი გადიდება. ეს შედეგი, რომელიც ესეოდენ საბედისწერო იყო საერთოდ ქვეყნისათვის და განსაკუთრებით ფაბრიკის მუშებისათვის, გამოწვეული იყო სხვადასხვა გარემოების დამთხვევით. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გარემოება ისაა, რომ მუდამ მეტი შრომა აუცილებელი მრეწველობის ამ დარგისათვის, რომელიც, განადგურების შიშით, ბაზრის განუწყვეტელ გაფართოებას საჭიროებს. ჩვენმა ბამბის ფაბრიკებმა შეიძლება შეწყვიტონ ხოლმე თავიანთი მუშაობა ეპკრობის პერიოდული შეფერხების გამო, რომელიც თანამედროვე პირობებში ისევე გარდუვალია, როგორც თვით

8. მსხვილი მრეწველობის მიერ მანუფაქტურის, ხელოსნობისა და შინაშუაშრომის გაჩვენების მოსპობა

ა) ხელოსნურ წარმოებასა და შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაციის მოსპობა

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ სპობს მანქანა ხელოსნურ წარმოებაზე დამყარებულ კოოპერაციას და ხელოსნური შრომის დანაწილებაზე დამყარებულ მანუფაქტურას. პირველი გვარის მაგალითს წარმოადგენს სამკელი მანქანა, რომელიც მომკელთა კოოპერაციის ადგილს იჭერს. მეორე გვარის მკათიო მაგალითს საკერავი ნემსების დამამზადებელი მანქანა წარმოადგენს. ადამ სმიტის თანახმად, მის დროს 10 ადამიანი შრომის დანაწილების მეოხებით დღეში 48 000-ზე მეტ ნემსს ამზადებდა. პირიქით, მარტო ერთი მანქანა 11-საათიან სამუშაო დღეში 145 000 ნემსს იძლევა. ერთი დედაკაცი ან ქალიშვილი საშუალოდ 4 ამგვარ მანქანას მეთვალყურეობს და, მაშასადამე, ამ მანქანების საშუალებით დღეში დაახლოებით 600 000-ს, კვირაში 3 000 000-ზე მეტ ნემსს აწარმოებს²⁴⁶. რამდენადაც ცალკეული სამუშაო მანქანა კოოპერაციის ან მანუფაქტურის ადგილს იჭერს, იმდენად მას, თავის მხრივ, შეუძლია ხელოსნური წარმოების საფუძველი გახდეს. მაგრამ ხელოსნური წარმოების ასეთი კვლავწარმოქმნა, მანქანურ საფუძველზე დამყარებული, წარმოადგენს ფაბრიკულ წარმოებაზე გადასვლას, რომელიც ჩვეულებრივ თავს იჩენს კიდევ ყოველთვის, როგორც კი მანქანის მოძრაობაში ადამიანის კუნთების ძალას მექანიკური მამოძრავებელი ძალა — ორთქლი ან წყალი — შეენაცვლება. სპორადულად, და ყოველ შემთხვევაში მხოლოდ დროებით, წვრილი წარმოება შეიძლება დაუკავშირდეს მექანიკურ მამოძრავებელ ძალას ორთქლის დაქირავებით, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ბირმინგამის ზოგიერთ მანუფაქტურაში, ანდა — პატარა კალორიული მანქანების ხმარებით, როგორც ამას ადგილი აქვს

სიკვდილი. მაგრამ ეს ადამიანის გამოგონებლობას არ აჩერებს. თუმცა, სულ მცირე ვარაუდით, ეს ქვეყანა ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში 6 მილიონმა ადამიანმა დატოვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უალრესი აყვავების ხანაშიც კი ასაკოვანი მამაკაცების დიდი პროცენტი ვერ პოულობს ფაბრიკებში რაიმე სამუშაოს, რა პირობებითაც უნდა იყოს იგი; ეს შედეგა შრომის მუდმივი გაძევებისა პროდუქტის გაიფხინის მიზნით. (Reports of Insp. of Fact. for 30th April 1863, გვ. 51, 52). ერთ-ერთ მომდევნო თავში ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ცდილობდნენ ბ-ნი მეფაბრიკენი ბამბის წარმოების კატასტროფის დროს ხელი შეეშალათ ფაბრიკის მუშების ემიგრაციისათვის ყოველნაირი საშუალებით, სახელმწიფოს დახმარებითაც კი.

²⁴⁶ «Children's Employment Commission 4th Report 1864», გვ. 108, № 447.

საფეიქრო საქმის ზოგიერთ დარგში და სხვ.²⁴⁷ კოვენტრის აბრეშუმ-საფეიქრო წარმოებაში სტიქიურად განვითარდა «ფაბრიკა-კოტეჯების» გამართვის ექსპერიმენტი. კვლარატულად გაშენებული კოტეჯების მწკრივთა ცენტრში აგებულ იქნა ეგრეთწოდებული engine-house [მანქანათა სახლი] ორთქლის მანქანისათვის, რომელიც ღერძების საშუალებით კოტეჯებში მოთავსებულ საფეიქრო დაზგებთან იყო შეერთებული. ყველა ამგვარი ფაბრიკისათვის ორთქლს იღებდნენ ქირით, მაგალითად, 2¹/₂ შილინგად თვითეულ საფეიქრო დაზგაზე. ეს ორთქლის რენტა ყოველკვირეულად იყო გადასახდელი იმის მიუხედავად, მუშაობდა საფეიქრო დაზგები თუ არა. თვითეული კოტეჯი შეიცავდა 2 — 6 საფეიქრო დაზგას, რომელიც მუშებს ეკუთვნოდა ან კრედიტით იყო შეძენილი, ანდა ნაქირავები. ბრძოლამ ფაბრიკა-კოტეჯსა და საკუთრივ ფაბრიკას შორის 12 წელზე მეტ ხანს გასტანა. იგი დამთავრდა 300 ფაბრიკა-კოტეჯის სრული განადგურებით²⁴⁸. იმ შემთხვევებში, როცა პროცესის ბუნება არ მოითხოვდა იმთავითვე დიდი მასშტაბით წარმოებას, უკანასკნელ ათეულ წლებში მრეწველობის ახლად აღორძინებულმა დარგებმა, როგორც იყო, მაგალითად, დამზადება კონვერტებისა, ფოლადის კალმებისა და სხვათა, ჩვეულებრივ განვლეს ჯერ ხელოსნური და მერე მანუფაქტურული წარმოება როგორც ფაბრიკული წარმოებისაკენ გარდამავალი ხანმოკლე ფაზები. ეს მეტამორფოზი დიდ სიძნელეს წარმოადგენს იქ, სადაც პროდუქტის მანუფაქტურული წარმოება ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესების თანმიმდევრულ მწკრივს კი არ წარმოადგენს, არამედ მრავალ სხვადასხვაგვაროვან პროცესს შეიცავს. ეს გარემოება შეადგენდა დიდ დაბრკოლებას, მაგალითად, ფოლადის კალმის ფაბრიკული წარმოებისათვის. მაგრამ უკვე 15 წლის წინათ გამოგონილ იქნა ავტომატი, რომელიც ერთბაშად 6 სხვადასხვაგვაროვან პროცესს ასრულებს. 1820 წელს ხელოსნური წარმოება პირველ ფოლადის კალამს ამზადებდა 12 დუჟინს 7 გირვანქა სტერლინგად და 4 შილინგად, 1830 წელს მანუფაქტურა იმავე რაოდენობას ამზადებდა 8 შილინგად, ხოლო ამჟამად ფაბრიკა აწვდის მას ბითუმად მოვაჭრეებს 2 — 6 პენსად²⁴⁹.

²⁴⁷ შეერთებულ შტატებში ხშირად ხდება ხელოსნობის ამგვარი კვლავწარმოქმნა მანქანურ საფუძველზე. სწორედ ამიტომ კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია ფაბრიკულ წარმოებაზე გარდუფალ გადასვლასთან, იქ შეიღმობიანი ნაბიჯებით წავაწინ შედარებით ვეროპასთან და ინგლისთანაც კი.

²⁴⁸ შეად. «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 64.

²⁴⁹ ბ-მა ჯილოტმა დააარსა ბირმინგამში ფოლადის კალმების პირველი მანუფაქტურა დიდი მასშტაბით. უკვე 1851 წელს იგი ამზადებდა 180 მილიონზე მეტ

ბ) ფაბრიკის უკუგავენა მანუფაქტურასა და
შინმუშაობაზე

საფაბრიკო სისტემის განვითარებასთან და მიწათმოქმედებაში იმ გადატრიალებასთან ერთად, რომელიც ამ განვითარებას თან ახლავს, არა მარტო ფართოვდება წარმოების ფარგლები მრეწველობის ყველა სხვა დარგში, არამედ იცვლება მათი ხასიათიც. მანქანური წარმოების პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დაანაწევროს წარმოების პროცესი მის შემადგენელ ფაზებად და ამგვარად წარმოშობილი პრობლემები გადაწყვიტოს მექანიკის, ქიმიისა და სხვ. გამოყენების საშუალებით, მოკლედ, ბუნებისმეცნიერებათა საშუალებით, — ყველგან გადაწყვეტი ხდება. ამიტომ მანქანა შეიჭრება მანუფაქტურაში ხან ერთი და ხან მეორე ნაწილობრივი პროცესის შესასრულებლად. ამით მანუფაქტურის მყარი, კრისტალიზებული წყობა, შრომის ძველი დანაწილებიდან წარმომდგარი, ირღვევა და აღვილს უთმობს მუდმივ ცვალებადობას. გარდა ამისა, ერთობლივი მუშის ანუ კომბინირებული მუშა-პერსონალის შემადგენლობაშიც ძირეული გადატრიალება ხდება. წინააღმდეგ მანუფაქტურული პერიოდისა, შრომის დანაწილების გეგმა ახლა დამყარებულია ქალთა, ყველა ასაკის ბავშვთა და დაუხელოვნებელ მუშათა შრომის გამოყენებაზე, სადაც კი ეს შესაძლებელია, ერთი სიტყვით, დამყარებულია იაფფასიანი შრომის, «cheap labour»-ის გამოყენებაზე, როგორც ამას მოხდენილად უწოდებენ ინგლისელები. და ეს შეეხება არა მარტო ყველა დიდი მასშტაბის კომბინირებულ წარმოებას, სულ ერთია, ხმარობს იგი მანქანებს თუ არა, არამედ — ეგრეთწოდებულ შინამრეწველობასაც, იმის მიუხედავად, მუშების კერძო ბინებში წარმოებს იგი თუ პატარა სახელოსნოებში. ამ ეგრეთწოდებულ თანამედროვე შინამრეწველობას სახელწოდების გარდა არაფერი აქვს საერთო ძველებურ შინამრეწველობასთან, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელ საქალაქო ხელოსნობას, დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობას და, უწინარეს ყოვლისა, — სახლს მუშის ოჯახისთვის. ახლა ეს შინამრეწველობა ფაბრიკის, მანუფაქტურის ან სავაჭრო დაწესებულების

კალამს და წელიწადში 120 ტონა ფოლადის ფურცელს ზარჯავდა. ბირმინგამში, რომელმაც თავის მონოპოლიად აქცია მრეწველობის ეს დარგი შეერთებულ სამეფოში, ამჟამად მრავალ მილიარდ ფოლადის კალამს აზადებს ყოველწლიურად. 1861 წლის აღწერით მომუშავე პირთა რიცხვი შეადგენდა 1 428-ს, მათ შორის იყო 1 268 მუშა-ქალი, 5 წლის ასაკიდან დაწყებული.

საგარეო განყოფილებად არის გადაქცეული. ფაბრიკისა და მანუფაქტურის მუშებისა და ხელოსნების გარდა, რომლებსაც კაპიტალი თავს უყრის მასობრივად ერთ ადგილას და უშუალოდ მბრძანებლობს, კაპიტალს უხილავი დაფებით მოძრაობაში მოჰყავს მეორე არმიაც, არმია დიდ ქალაქებსა და სოფლებში გაფანტული შინამუშებისა. მაგალითი: ბ.ბ. ტილთა პერანგების ფაბრიკა ლონდონდერიში, ირლანდიაში, ამუშავებს 1 000 ფაბრიკის მუშას და 9 000 სოფლად გაფანტულ შინამუშას²⁵⁰.

იაფთვასიანი და მოუმწიფებელი სამუშაო ძალის ექსპლოატაცია უფრო უსირცხვილო ხასიათს იღებს თანამედროვე მანუფაქტურაში, ვიდრე საკუთრივ ფაბრიკაში, რადგან ამ უკანასკნელის ტექნიკურ საფუძველს, — კუნთებრივი ძალის შენაცვლებას მანქანებით და შრომის სიმარტივეს, — მანუფაქტურა უმეტეს ნაწილად მოკლებულია; ამასთან მანუფაქტურაში ადგილი აქვს ქალის ანდა მცირეწლოვანთა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ორგანიზმის ყველაზე უსინდისოდ მოწამლვას სხვადასხვა შხამიანი ნივთიერებითა და სხვა. ეგრეთწოდებულ შინმუშაობაში ექსპლოატაცია კიდევ უფრო უსირცხვილო ხასიათს ღებულობს, ვიდრე მანუფაქტურაში, რადგან მუშების მხრივ წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაქსაქსულობის გამო მცირდება, რადგან საკუთრივ სამუშაოს მიმცემსა და მუშას შორის შეჭრილია მძარცველი პარაზიტების მთელი ხროვა, რადგან შინმუშაობა ყველგან ებრძვის იმავე დარგის მანქანურ ან, ყოველ შემთხვევაში, მანუფაქტურულ წარმოებას, რადგან სიღარიბე უსპობს მუშას შრომის აუცილებელ პირობებს, — ფართობს, სინათლეს, ვენტილაციას და სხვ., — რადგან დასაქმებულობის არარეგულარობა იზრდება და, რადგან, ბოლოს, ამ უკანასკნელ თავშესაფარში იმათთვის, ვინც მსხვილმა მრეწველობამ და მიწათმოქმედებამ «მოჭარბებულებად» აქცია, კონკურენცია მუშებს შორის თავის მაქსიმუმს აღწევს. წარმოების საშუალებათა ეკონომია, რაც პირველად სისტემატურად მანქანურმა წარმოებამ განავითარა და რასაც იმავეითვე თან სდევდა სამუშაო ძალის ყველაზე დაუზოგავი ფლანგვა და მტაცებლური მოპყრობა შრომის ფუნქციონირების ნორმალური წანამძღვრებისადმი, ახლა მით უფრო ამჟღავნებს ამ თავის ანტაგონისტურ და კაცისმკვლელურ მხარეს, რაც უფრო ნაკლებად არის განვითარებული მრეწველობის ამა

²⁵⁰ «Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. LXVIII, № 415.

თუ იმ დარგში შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა და კომბინირებული შრომითი პროცესების ტექნიკური საფუძველი.

ე) თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა

განემარტავ რამდენიმე მაგალითით ზემოთ წამოყენებულ დებულებებს. არსებითად მკითხველი უკვე იცნობს მრავალ საბუთს იმ განყოფილებიდან, რომელიც სამუშაო დღეს შეეხება. ბირმინგამსა და მის მიდამოებში ლითონდამმუშავებელი მანუფაქტურები უმთავრესად უმძიმესი სამუშაოებისათვის იყენებენ 30 000 ბავშვსა და მოზარდს და 10 000 ქალს. ჩვენ აქ მათ ვხედავთ ჯანმრთელობისათვის საზიანო სპილენძსამსხმელო ქარხნებში, ღილების ფაბრიკებში, მოჭიქვის, გაღვანილებისა და გალაქვის სამუშაოებზე²⁵¹. ასაკოვანთა და მცირეწლოვანთა გადამეტებულმა შრომამ ლონდონის სხვადასხვა გაზეთების და წიგნების მბეჭდავ სტამბებს «სასაკლავოს» საპატრო სახელი მოუხვეჭა^{251a}. ასეთსავე გადამეტებულ შრომას, რომლის მსხვერპლნი აქ განსაკუთრებით დედაკაცები, ქალიშვილები და ბავშვები არიან, ვხედავთ წიგნების სამკაზმაოებში. მცირეწლოვანთა მძიმე შრომა თოკის დამამზადებელ ფაბრიკებში; ღამით მუშაობა მარილის ქარხნებში, სანთლისა და სხვადასხვა ქიმიურ მანუფაქტურებში; მოზარდთა გამანადგურებელი გამოყენება საფეიქრო დაზგების სატრიალებლად აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებში, რომელნიც მექანიკურ მამოძრავებელ ძალას არ ხმარობენ²⁵². ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარ, კუჭყიან და იაფფასიან სამუშაოს წარმოადგენს ძონძების გადარჩევა, რისთვისაც უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილებს და დედაკაცებს იყენებენ. ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი, გარდა უამრავი საკუთარი ძონძებისა, მთელი მსოფლიოს ძონძებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს. ძონძები შემოდის აქ იაპონიიდან, სამხრეთ ამერიკის უშორესი სახელმწიფოებიდან და კანარის კუნძულებიდან. მაგრამ ძონძების მომწოდებელი მთავარი წყაროებია: გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, ეგვიპტე, თურქეთი, ბელგია და ჰოლანდია. ძონძებს ხმარობენ მიწის სასუქად, ანაძენძის (ლეიბების

²⁵¹ და ქლიბების ხევაზედაც კი შეფილდში ბავშვებს ამუშავებენ!

^{251a} «Children's Employment Commission. 5th Report 1866», გვ. 3, № 24, გვ. 6, № 55, 56, გვ. 7, № 59, 60.

²⁵² იქვე, გვ. 114, 115, № 6, 7. კომისიის წევრი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თუ მანქანა საერთოდ ადამიანის ადგილს იკვთს, აქ მოზარდი, სიტყვისიტყვით, მანქანის ადგილს იკვრს.

სატენის) და Shoddy-ის (ხელოვნური მატყლის) დასამზადებლად და ქალაქის ნედლეულად. ძონძების გადამრჩევი ქალები შუამავალ-გამავრცელებელნი არიან ყვავილისა და სხვა გადამდები სენისა, რომლის პირველი მსხვერპლი თვითონვე ხდებიან²⁵³. როგორც კლასიკური მაგალითი გადამეტებული, მძიმე და შეუფერებელი შრომისა და ამის შედეგად იმ მუშების სრული გაუხეშებისა, რომლებსაც ბავშვობიდანვე იყენებენ, შეიძლება დავასახელოთ, სამადნეებისა და ნახშირის მალარობის გარდა, კრამიტის და აგურის დამამზადებელი ქარხნები, რომელნიც ახლად გამოგონილ მანქანას ინგლისში ჯერ კიდევ (1867 წელს) მხოლოდ აქა-იქ იყენებენ. მაისიდან სექტემბრამდე მუშაობა დილის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდება, და, — თუ გაზრობა ღია ჰაერზე წარმოებს, — ხშირად დილის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. სამუშაო დღე დილის 5 საათიდან საღამოს 7 საათამდე «შეკვეცილად», «ზომიერად» ითვლება. აქ ორივე სქესის ბავშვებს 6 წლიდან და 4 წლიდანაც კი ამუშაებენ. ისინი იმდენსავე საათს მუშაობენ, რამდენსაც ასაკოვანნი, ხშირად მეტსაც. სამუშაო მძიმეა, და ზაფხულის სიცხე კიდევ უფრო აძლიერებს დაქანცულობას. მაგალითად, მოსლის ერთ-ერთ აგურის ქარხანაში ერთი 24 წლის ქალიშვილი დღეში 2000 აგურს ამზადებდა 2 მცირე-წლოვანი გოგონას დახმარებით, რომელნიც თიხას ზიდავდნენ და აგურებს აწყობდნენ. ამ გოგონებს ყოველდღიურად 10 ტონა თიხა ამოჰქონდათ ორმოს მოლიპულ ნაპირებზე 30 ფუტის სიღრმიდან და გადაჰქონდათ იგი 210 ფუტის მანძილზე. «შეუძლებელია ბავშვმა ეს აგურხანის სალხინებელი ისე განელოს, რომ არ დაქინდეს ზნეობრივად... უწმაწური სიტყვა-პასუხი, რომელიც მათ ესმით სიყრმიდანვე, უზრდელი და უსიროცხვილო ზნე-ჩვეულებანი, რომელთა გავლენის ქვეშ ისინი უვიცებად და ველურებად იზრდებიან, — ხდის მათ მთელი შემდგომი სიცოცხლისათვის გზაკვალ-აბნეულ, მანკიერ, უზნეო აღამიანებად... დემორალიზაციის საშინელ წყაროს წარმოადგენს ბინადრობის წესი. თვითული moulder-ი (მეყალიბე, რომელიც დახელოვნებული მუშაა და მუშათა ჯგუფის მეთაური) აძლევს თავის 7 კაცისაგან შემდგარ ჯგუფს ბინას და საჭმელს თავის ქოხში ანუ კოტეჯში. მამაკაცებს, ბიჭებს და გოგონებს ამ ქოხში ძინავთ, განურჩევლად იმისა, ეკუთვნიან თუ არა ისინი მეყალიბის ოჯახს. ეს ქოხი ჩვეულებრივ შედგება 2 ოთახისგან, მხოლოდ გამონაკლისის

²⁵³ იხ. ანგარიში ძონძებით ვაჭრობის შესახებ და მრავალი საილუსტრაციო ფაქტი: «Public Health-ში, 8th Report». London 1866, დამატება, გვ. 196 — 208.

სახით — 3-სგან, რომლებიც აგებულია პირდაპირ მიწაზე ერთ სართულად და ცუდი ვენტილაციით. სხეული იმდენად გამოფიტულია მთელი დღის განმავლობაში მძიმე მუშაობით, რომ აღარავინ ფიქრობს ჰიგიენის წესების, სისუფთავისა და ზრდილობის დაცვაზე. ბევრი ამ ქობთაგანი უწესრიგობის, სიბინძურისა და დამტვერიანების ნიმუშს წარმოადგენს... ყველაზე დიდი ბოროტება ამ სისტემისა. რომელიც ახალგაზრდა ქალებს ასეთ სამუშაოზე იყენებს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მათ ჩვეულებრივ სიყრმიდანვე უკავშირებს სამუდამოდ ყოვლად გათახსირებულ ნაძირალებს. ვიდრე მათ ბუნება შთააგონებდეს, რომ ისინი ქალები არიან, ისინი უკვე გაუხეშებულ, ენაწარყვნილ ბიჭებად (*rough, foul-mouthed boys*) არიან გადაქცეულნი. მათხოვრულ, ჭუჭყიან ძონძებში გახვეულნი, მუხლებს ზემომდე გაშიშვლებულნი, ტალახში თმა და სახემოსვრილნი, ისინი ეჩვევიან ზიზღით უყურონ ზრდილობისა და სირცხვილის ყოველგვარ გრძნობას. სადილობის დროს გაშხლართულნი წვეანან მინდორში, ანდა უჭკრეტენ ბიჭებს, რომელნიც იქვე მახლობელ არხში ბანაობენ. მძიმე დღიური სამუშაოს დამთავრების შემდეგ იცვამენ უკეთეს ტანისამოსს და მამაკაცებს ლუღხანებში მისდევენ. მთელ ამ კლასში რომ ბავშვობიდანვე საშინელი ლოთობაა გავრცელებული, ეს სრულიად ბუნებრივია. «ყველაზე უარესი ისაა, რომ მეაგურეებს საკუთარი თავის იმედი სრულიად დაკარგული აქვთ. თქვენ, ბატონო, — უთხრა ერთმა საუკეთესო მათგანმა საუსოლფილდის მოძღვარს, — ისევე წარმატებით შეგეძლოთ გეცადათ ეშმაკის მოქცევა და გასწორება, როგორც მეაგურისაც!» (*You might as well try to raise and improve the devil as a brickie, Sir!*)²⁵⁴.

შრომის პირობების კაპიტალისტური ეკონომიის შესახებ თანამედროვე მანუფაქტურაში (მანუფაქტურად აქ იგულისხმება ყველა მსხვილი სახელოსნო, გარდა საკუთრივ ფაბრიკებისა) ჩვენ ვბოულობთ ოფიციალურ და უაღრესად მდიდარ მასალას მეოთხე (1863 წლის) და მეექვსე (1864 წლის) «Public Health Reports»-ში. Workshops-ის (სახელოსნოების) აღწერილობა, განსაკუთრებით ლონდონის მესტამპებების და თერძებისა, აღემატება ჩვენი რომანისტების ყველაზე საშინელ ფანტაზიას. ამ სახელოსნოების გავლენა მუშების ჯანმრთელობაზე თავისთავად გასაგებია. დ-რი საიმონი, Privy

²⁵⁴ «Children's Employment Commission. 5th Report 1866», გვ. XVI — XVIII, № 86 — 97, და გვ. 130 — 133, № 39 — 71. შეად. აგრეთვე იქვე, 3rd Report 1864, გვ. 48, 56.

Council-ის [საიდუმლო საბჭოს] უფროსი მოხელე ექიმი და «Public Health Reports»-ის ოფიციალური რედაქტორი, სხვათა შორის, ამბობს: ჩემს მეოთხე (1863 წლის) ანგარიშში მე აღვნიშნე, თუ პრაქტიკულად რამდენად შეუძლებელია მუშებისათვის დაიცვან ბოლომდე თავიანთი უპირველესი უფლება, ჯანმრთელობის უფლება, მიაღწიონ იმას, რომ, რა საქმისთვისაც უნდა აგროვებდეს მათ დამქირავებელი, სამუშაო, რამდენადაც ეს დამქირავებელზეა დამოკიდებული, თავისუფალი იყოს ჯანმრთელობისათვის ყველა იმ მანერე პირობებისაგან, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელია. აღვნიშნე, რომ, მაშინ როდესაც მუშებს პრაქტიკულად არ შესწევთ უნარი ჯანმრთელობის ეს უფლება თვითონვე მოიპოვონ, მათ არ შეუძლიათ აგრეთვე ნამდვილი დახმარების მიღება სანიტარული პოლიციის მოხელეების მხრივაც... ათი-ათასობით მუშა-კაცებისა და მუშა-ქალების სიცოცხლე ამჟამად უსარგებლოდ სახიჩრდება და მოკლდება დაუსრულებელი ფიზიკური ტანჯვით, რაც შედეგია მხოლოდ იმ უბრალო ფაქტისა, რომ ისინი მუშაობენა²⁵⁵. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს სახელოსნო მუშების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დ-რი საიმონი იძლევა სიკვდილიანობის შემდეგ ცხრილს:

მრეწველობის სათანადო დარგებში დასაქმებულ ყველა ასაკის პირთა რიცხვი	მრეწველობის დარგები ჯანმრთელობის მიხედვით	სიკვდილიანობის ნორმა 100 000 კაცზე მრეწველობის სათანადო დარგებში (ასაკის მიხედვით)		
		25 — 35 წ.	35 — 45 წ.	45 — 55 წ.
958 265	მიწათმოქმედება			
22 301 მამაკაცი	ინგლისსა და უელსში	743	805	1 145
12 377 ქალი	ლონდონელი თერძები	958	1 262	2 093
13 803	ლონდონელი მბეჭდავები	894	1 747	2 367 ²⁵⁶

²⁵⁵ «Public Health, 6th Report». London 1864, გვ. 29, 31.

²⁵⁶ იქვე, გვ. 30. დ-რ საიმონი შენიშნავს, რომ 25 — 35 წლის ასაკის ლონდონელ თერძთა და მბეჭდავთა სიკვდილიანობა სინამდვილეში გაცილებით უფრო მეტია. რადგან მათი ლონდონელი დამქირავებელნი სოფლიდან მრავალ ახალგაზრდას (30 წლამდე) იღებენ «შეგირდებად» და «improvers-ებად» (რომელთაც სურთ თავიანთ ოსტატობაში დახელოვნება). ესენი აღწერაში ლონდონელებად არიან ჩათვლილნი, რის გამოც დიდდება ადამიანთა ის რიცხვი, რომლის მიხედვითაც ლონდონის მოსახლეობის სიკვდილიანობის ნორმის გამოანგარიშება ხდება,

d) თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე შ ი ნ მ უ შ ა ო ბ ა

ახლა გადავდივარ ეგრეთწოდებულ შინნუშაობაზე. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მსხვილი მრეწველობის ზურგს უკან კაპიტალის მიერ აღმართული ექსპლოატაციის ეს სფერო და ამ ექსპლოატაციის საშინელებანი, საჭიროა განვიხილოთ, მაგალითად, ერთი შეხედვით სრულიად იდილიური წარმოება ლუჰსმნისა, რომელსაც ვხვდებით ინგლისის ზოგიერთ მივარდნილ სოფელში²⁵⁷. ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით რამდენიმე მაგალითით მაქმანის წარმოებისა და ჩალის წნვის ისეთი დარგებიდან, სადაც მანქანებს ჯერ სრულიად არ იყენებენ, ანდა რომელნიც მანქანურ და მანუფაქტურულ წარმოებას კონკურენციას უწყვენ.

ინგლისის მაქმანის წარმოებაში დასაქმებული 150 000 ადამიანიდან დაახლოებით 10 000-ზე ვრცელდება 1851 წლის საფაბრიკო აქტის ძალა. დანარჩენ დიდძალ უმრავლესობას — 140 000-ს — შეადგენენ დედაკაცები, მოზარდნი და ბავშვები ორივე სქესისა, თუმცა ამათში მამრობითი სქესი სუსტად არის წარმოდგენილი. ამ «იაფი» საექსპლოატაციო მასალის ჯანმრთელობის მდგოპარეობის სურათს იძლევა დ-რ ტრუმენის, ნოტინგემის General Dispensary-ის [საზოგადო პოლიკლინიკის] ექიმის, შემდეგი ცხრილი. 686 პაციენტიდან, მაქმანის მქსოველი ქალებიდან — მეტწილად 17 — 24 წლის ასაკში — კლექით დაავადებული იყო:

1852 წელს	1	45-ზე	1857 წელს	1	13-ზე
1853	>	1 28	>	1	15
1854	>	1 17	>	1	9
1855	>	1 18	>	1	8
1856	>	1 15	>	1	8

კლექით დაავადებულთა რიცხვის ასეთმა პროგრესიულმა ზრდამ უნდა დააკმაყოფილოს ოპტიმისტი პროგრესისტები და თავისუფალი ვაჭრობის თეორიის უსირცხვილო მატყუარა გერმანელი კომიოიაჟორები.

მაშინ როდესაც თვით მათი წილი ლონდონის მოსახლეობის სიკვდილიანობის შემთხვევათა რიცხვში შეფარდებით მცირეა. ისინი მეტწილად, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფობის დროს, ისევ სოფლებში ბრუნდებიან (იქვე).

²⁵⁷ აქ ლაპარაკია ჩაქუჩით ნაქვედ ლურსმანზე და არა მანქანური წესით დამზადებულ დაჭრილ ლურსმანზე. იხ. «Children's Employment Commission. 3rd Report», გვ. XI, XIX, № 125 — 130; გვ. 152, № 11; გვ. 114, № 487; გვ. 137, № 674.

²⁵⁸ «Children's Employment Commission. 2nd Report», გვ. XXII, № 166.

1861 წლის საფაბრიკო აქტი აწესრიგებს საკუთრივ მაქმანის ქსოვას, რამდენადაც იგი მანქანების საშუალებით წარმოებს, და ეს კი საერთო წესია ინგლისში. მრეწველობის ის დარგები, რომლებსაც ჩვენ აქ მოკლედ განვიხილავთ, — და განვიხილავთ არა იმათ, სადაც მუშები მანუფაქტურებში, მალაზიებში და სხვაგან არიან თავმოყრილნი, არამედ სადაც მუშები ე. წ. შინმომუშავენი არიან, — ეს დარგები იყოფა ორ კატეგორიად: 1) lace finishing-ად (მანქანების საშუალებით დამზადებული მაქმანის საბოლოო გამოყვანა; ეს კატეგორია, თავის მხრივ, მრავალ ქვედანაყოფს შეიცავს), 2) მაქმანის ქსოვად.

Lace finishing-ი [საბოლოო გამოყვანა] სრულდება შინმუშაობის წესით ეგრეთწოდებულ «mistresses houses»-ში [ოსტატ-ქალების სახლებში], ან ქალების კერძო ბინებში; ეს ქალები მარტოკა ან თავის ბავშვებთან ერთად მუშაობენ. «Mistresses houses»-ის მეპატრონე ქალები თვითონ ღარიბები არიან. სახელოსნოს მათი კერძო ბინის ნაწილი უკავია. ისინი იღებენ შეკვეთას მეფაბრიკეებისაგან, მალაზიების პატრონებისაგან და სხვ. და ამუშაობენ დედაკაცებს, ქალიშვილებს და პატარა ბავშვებს იმ რაოდენობით, რაც შეეფერება მათი ოთახების მოცულობას და მოთხოვნის რუყვას წარმოების ამ დარგში. მუშა-ქალების რიცხვი ზოგიერთ სახელოსნოში 20 — 40-ს უდრის, ზოგან კი — 10 — 20-ს. საშუალო მინიმალური ასაკი, როდესაც ბავშვები მუშაობას იწყებენ, 6 წელია, მაგრამ ზოგიერთი 5 წლიდან, ხან კი უფრო ადრეც, იწყებს მუშაობას. ჩვეულებრივი სამუშაო დრო გრძელდება დღის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, საათნახევრიანი შესვენებით საქმლის მისაღებად; საქმლის მიღება რეგულარულად არ ხდება, ხშირად საქმელს თვით იმ მყარ სოროებში სჭამენ, სადაც მუშაობა წარმოებს. როდესაც საქმე კარგად მიდის, მუშაობა ხშირად დღის 8 საათიდან (ზოგჯერ 6 საათიდანაც) ღამის 10, 11 ან 12 საათამდე გრძელდება. ინგლისურ ყაზარმებში თვითეულ ჯარისკაცზე დაწესებულია 500 — 600 კუბ. ფუტი ჰაერი, სამხედრო ლაზარეთებში — 1 200. ზემოაღნიშნულ სამუშაო სოროებში კი თვითეულ სულზე 67 — 100 კუბ. ფუტი მოდის. ამავე დროს გაზის სინათლეს ჰაერის ჟანგბადი მიაქვს. მაქმანის სისუფთავის დასაცავად ბავშვებმა, ზამთარშიაც, ხშირად ფეხთ უნდა გაიხადონ, თუმცა იატაკი თლილი ქვის ან აგურისაა. «ნოტრენგემში» ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ 14 — 20 ბავშვი შეყრილია ერთ პატარა ოთახში, ფართობით შესაძლებელია არა უმეტეს 12 კვად. ფუტისა, სადაც ისინი დღეში 15 საათს მუშაობენ ისეთ სამუშაოზე, რომელც თავისთავადაც დამქანცველი და თავმომაბეზრებელია თავისი ერთ-

ფეროვნებით, თანაც ამ მუშაობის შესრულება ისეთ საშინელ ანტი-ჰიგიენურ პირობებში უხდებოდა, როგორც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ... სულ პატარა ბავშვებიც კი გასაოცარი დაძაბული ყურადღებითა და სისწრაფით მუშაობენ, თითების მოძრაობის თითქმის სრულიად შეუჩერებლად ან შეუნელებლად. თუ მათ რაიმე კითხვით მიმართავთ, ისინი თვალს არ მოაშორებენ სამუშაოს, ერთი წუთის დაკარგვის შიშითა. «გრძელი ჯოხია ბავშვების გამოსაფხიზლებელი საშუალებაა «mistresses»-ის ხელში და იგი მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო გრძელია სამუშაო დრო. «ბავშვები თანდათან იღლებიან და ჩიტვიით მოუსვენარნი ხდებიან იმ ხანგრძლივი დროის დასასრულს, რომლის განმავლობაშიც მიჯაჭვულნი არიან თავიანთ სამუშაოზე, სამუშაოზე, რომელიც ერთფეროვანია, დამესტებელი თვლებისა და დამქანცავი იმის გამო, რომ მუშაობის დროს სხეული ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფება. ეს ნამდვილი მონური «შრომაა» («Their work is like slavery») ²⁵⁹. იქ, სადაც დედაკაცები თავიანთ ბავშვებთან ერთად მუშაობენ შინ, ე. ი. ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით — ერთ ნაჭირავებ ოთახში, ხშირად ჭერქვეშა ოთახში, — მდგომარეობა, თუ კი ეს შესაძლებელია, კიდევ უარესია. ამგვარ სამუშაოს ნოტინგემის მიდამოებში 80 მილის მანძილზე აძლევენ. როდესაც მაღაზიაში მომუშავე ბავშვი საღამოს 9 — 10 საათზე ამ მაღაზიას ტოვებს, მას ხშირად კიდევ გზაზე მთელ შეკვრას ატანენ შინ სამუშაოდ. ფარისეველი კაპიტალისტი თავისი დაჭირავებული მსახურის პირით, რასაკვირველია, თან აყოლებს მას გულმოკლბობ ფრაზას: «ეს დედისთვისააო», თუმცა მან ძალიან კარგად იცის, რომ საბრალო ბავშვი შინ უნდა დაჯდეს და დედას მოეხმაროს ²⁶⁰.

სამაქმანო მრეწველობა გავრცელებულია უმთავრესად ინგლისის ორ სამიწათმოქმედო ოლქში: ჰონიტონის სამაქმანო ოლქში, რომელიც მდებარეობს დევონშირის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ 20 — 30 მილის მანძილზე და მოიცავს აგრეთვე ჩრდილო დევონის რამდენიმე ადგილს, და მეორე ოლქში, რომელიც მოიცავს ბეკინგემის, პედფორდის და ნორტჰემპტონის საგრაფოების დიდ ნაწილს და ოქსფორდშირის და ჰენტინგდონშირის მეზობელ ნაწილებს. სოფლის

²⁵⁹ «Children's Employment Commission, 2nd Report 1864», გვ. XIX, XX, XXI.

²⁶⁰ იქვე, გვ. XXI, XXII.

დღიური მუშების კოტეჯები იმავე დროს ჩვეულებრივ სახელოსნოებიცაა. ზოგი მანუფაქტურის პატრონი 3 000-ზე მეტ ასეთ მუშას ამუშავებს, უმთავრესად — ბავშვებსა და მოზარდებს, მხოლოდ მდებრობითი სქესისას. აქ მეორდება იგივე მდგომარეობა, რაც lace finishing-ის შესახებ აღვნიშნეთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ «mistresses houses»-ის ნაცვლად აქ ეგრეთწოდებული «lace schools»-ია (სამაქმანო სკოლები), რომლებიც ღარიბ დედაკაცებს აქვთ გამართული თავიანთ ქოხებში. ამ სკოლებში ბავშვები მუშაობენ 5 წლის ასაკიდან, ხან უფრო ნორჩებიც, 12 — 15 წლამდე, პირველი წლის განმავლობაში სულ პატარები — დღეში 4 — 8 საათს, ხოლო შემდეგ — დღის 6 საათიდან საღამოს 8 — 10 საათამდე. «ოთახები საერთოდ პატარა კოტეჯების ჩვეულებრივი საცხოვრებელი ოთახებია, ბუხარი დაცობილია ჰაერის წვევის თავიდან ასაცილებლად, ოთახში მყოფნი, ზოგჯერ ზამთარშიც, მხოლოდ საკუთარი ცხოველური სითბოთი თბებიან. სხვა შემთხვევებში ეს ეგრეთწოდებული სასკოლო ოთახები პატარა და ულუმელო საკუჭნაოების მსგავს სადგომებს წარმოადგენენ... ამ ხვრელების გაჭედვა ხალხით და ამის გამო ჰაერის გაფუჭება ხშირად უკიდურეს საზღვარს აღწევს. ამას თან ერთვის საზიანო მოქმედება ჩასადენების, ფეხისალავების, აუროლებულ ნივთიერებათა და სხვა სიბინძურისა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა პატარა კოტეჯების შესასვლელთანა. სადგომების შესახებ: ერთ სამაქმანო სკოლაში 18 ქალიშვილია და ერთი ოსტატი-ქალი, თვითეულ სულზე 35 კუბ. ფუტი მოდის; მეორე სკოლაში, სადაც აუტანელი მყრალი სუნი დგას, 18 სულია, სულზე 24¹/₂ კუბ. ფუტი მოდის. ხდება ხოლმე, რომ ამ მრეწველობაში 2 — 2¹/₂ წლის ბავშვებსაც ამუშავებენ»²⁶¹.

ბეკინგემისა და ბედფორდის სოფლის საგრაფოების იმ ადგილებში, სადაც მაქმანების ქსოვა შეწყდება ხოლმე, ჩალის წნევა იწყება იგი ვრცელდება ჰერტფორდშირის დიდ ნაწილში და ესექსის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში. 1861 წელს ჩალის წნვასა და ჭილის ქულების წარმოებაში დასაქმებული იყო 40 043 ადამიანი, აქედან მამრობითი სქესი ყველა ასაკისა — 3 815, დანარჩენები იყვნენ მდებრობითი სქესისა, რომელთაგან 14 913 იყო 20 წელზე უფრო ახალგაზრდა და მათში 7 000-მდე ბავშვი ირიცხებოდა. სამაქმანო სკოლების ნაცვლად აქ არის «straw plait schools»-ები («ჩალის საწნავი

²⁶¹ «Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. XXIX, XXX-

სკოლებია). ჩალის წნვის სწავლას აქ ბავშვები ჩვეულებრივ 4 წლიდან იწყებენ, ზოგჯერ 3-სა და 4 წელს შუაღ. რასაკვირველია, არავითარ აღზრდას ისინი არ ღებულობენ. თვითონ ბავშვები დაწყებით სკოლებს «natural schools»-ებს («ნამდვილ სკოლებს») უწოდებენ, განსხვავებით იმ სისხლისმწოველ დაწესებულებათაგან, სადაც მათ მხოლოდ იმიტომ ამუშავებენ, რათა გააკეთებინონ მათი ნახევრადდამშეული დედების მიერ მიცემული სამუშაო, ჩვეულებრივ 30 იარდის რაოდენობით დღეში. იგივე დედები ხშირად მათ კიდევ სახლში ღამის 10, 11 და 12 საათამდე ამუშავებენ. ჩალა მათ უჭრის თითებს, პირს, რომლითაც მუდამ ამ ჩალას ასველებენ. ლონდონის მოხელე ექიმების საერთო აზრით, რასაც დ-რ ბელარდი დასკვნის სახით გადმოგვცემს, თვითეული ადამიანისათვის საწოლ ან სამუშაო ოთახში 300 კუბ. ფუტი მინიმალურ სივრცეს უნდა ღებდეს. ჩალის საწნავ სკოლებში კი ეს სივრცე უფრო ნაკლებია, ვიდრე მაქმანის საქსოვ სკოლებში, სახელდობრ: $12\frac{2}{3}$, 17, $18\frac{1}{2}$ კუბ. ფუტი და 22 კუბ. ფუტზე ნაკლები თვითეულ სულზე. ჟემპირესი, — ამბობს კომისიის წევრი უაიტი, — იმ სივრცის ნახევარზე ნაკლებია, რასაც დაიჭერდა ბავშვი, მოთავსებული ყველა განზომილებით 3 ფუტიან ყუთში». ასეთ ნეტარებაში არიან ბავშვები 12 თუ 14 წლამდე. დატაკი, დაქვეითებული მშობლები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ ბავშვების საშუალებით რაც შეიძლება მეტი გამორჩენა ნახონ. როდესაც ბავშვები წამოიზრდებიან, რასაკვირველია, აღარაფრად აგდებენ თავიანთ მშობლებს და მიატოვებენ მათ. «საკვირველი არ არის, რომ ამგვარად აღზრდილ მოსახლეობაში უმეტრება და გარყვნილება გამეფებული... მისი ზნეობა უაღრესად დაბალ საფეხურზეა... ქალების დიდ რიცხვს უკანონო შვილები ჰყავს და ზოგიერთს ისეთ მოუმწიფებელ ასაკში, რომ კრიმინალური სტატისტიკის მცოდნენიც კი გაოცებაში მოდიან ამის გამო»²⁶². და ამ სანიმუშო ოჯახების სამშობლო ევროპის სანიმუშო ქრისტიანული ქვეყანაა, როგორც ამბობს გრაფი მონტალამბერი, უეჭველად კომპეტენტური პიროვნება ქრისტიანობის საკითხებში!

ხელფასი, რომელიც საერთოდ მათხოვრულია მრეწველობის ზემოაწერილ დარგებში (ჩალის საწნავ სკოლებში ბავშვების მაქსიმალური ხელფასი, გამონაკლისის სახით, 3 შილინგს უდრის კვირაში),

²⁶² «Children's Employment Commission. 2nd Report 1864, გვ. XL, XLI.

თავის ნომინალურ სიდიდეზე დაბლა იწევს truck-system [საქონლით და არა ნალდი ფულით შრომის გასტუმრების სისტემის] გამო, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებულია განსაკუთრებით მაქმანის მწარმოებელ ოლქებში²⁶³.

ე) თანამედროვე მანუფაქტურისა და შინმუშაობის გადასვლა მსხვილ მრეწველობაზე. ამ რევოლუციის დაჩქარება წარმოების აღნიშნულ წესებზე საფაბრიკო კანონების გავრცელებით

სამუშაო ძალის გაიაფება მარტივად ქალებისა და მცირეწლოვანთა სამუშაო ძალის ბოროტად გამოყენებით, შრომისა და ცხოვრების ყველა ნორმალური პირობის უბრალო წაგლეჯით, მხოლოდ სასტიკი, ზომიერად დაჯარბებული და ღამით წარმოებული შრომის გამოყენებით — ბოლოს და ბოლოს გარკვეულ გადაულახავ ბუნებრივ ზღუდეს აწყდება და მასთან ერთად ამავე ზღუდეს აწყდება ამ საფუძვლებზე დამყარებული საქონლის გაიაფებაც და საერთოდ კაპიტალისტური ექსპლოატაცია. როგორც კი, ბოლოს, ეს საზღვარი მიღწეული ხდება, — და ამას კი დიდი ხანი სჭირდება, — მაშინვე დგება ჟამი მანქანების შემოღებისათვის და გაფანტული შინმუშაობის (და აგრეთვე მანუფაქტურის) ფაბრიკულ წარმოებად სწრაფი გარდაქმნისათვის.

ამ მოძრაობის ყველაზე კოლოსალურ მაგალითს იძლევა «wearing apparel»-ის [ჩაცმა-დახურვის საგნების] წარმოება. «Children's Employment Commission»-ის კლასიფიკაციის მიხედვით მრეწველობის ეს დარგი მოიცავს ქილის ქუდების, ქალთა ქუდებისა და ჩაჩის მკეთებლებს, თერძებს, milliners და dressmakers-ებს²⁶⁴, თეთრეულისა და სხვ. მკერავ ქალებს, კორსეტის, ხელთათმნისა და ფეხსაცმლის მწარმოებლებს, გარდა ამისა, სხვა მრავალ წვრილ დარგს, მაგალითად, ყელსახვევების და საყელოების წარმოებას და სხვა. ქალთა პერსონალი, რომელიც მრეწველობის ამ დარგებში მუშაობდა ინგლისსა და ლელსში, 1861 წელს 586 298 შეადგენდა: ამათში, სულ ცოტა, 115 242 ქალი 20-ზე ნაკლები, ხოლო 16 650 — 15 წელზე ნაკლები ხნის იყო. ამ მუშა-ქალთა რიცხვი შეერთებულ სამეფოში (1861

²⁶³ «Children's Employment Commission. 1st Report 1863», გვ. 185.

²⁶⁴ Millinery — ეს არის წარმოება საყურთი თევზოვანობისა, მაგრამ აგრეთვე ქალის მანტიებისა და მანდილების წარმოებაც, ხოლო dressmakers იგივეა, რაც ჩვენში მოდის ტანსაცმლის მკერავი ქალები.

წელს) 750 334-ს შეადგენდა. იმავე წელს ქუდის, ფეხსაცმლისა და ხელთათმნის წარმოებაში და სამკერვალოებში დასაქმებულ მამაკაცთა რიცხვი ინგლისსა და უელსში 437 969 შეადგენდა, ამათში 15-ზე ნაკლები წლის იყო 14 964, 15 — 20 წლამდე — 89 285 და 20 წელზე უხნესი — 333 117. ამ მონაცემებში არ შედის ბევრი წვრილი წარმოება, რომელიც ამ დარგებს ეკუთვნის. მაგრამ თუ ჩვენ ზემოაღნიშნულ ციფრებს ავიღებთ იმ სახით, როგორც ისინი მოცემულია, მაშინ მარტო ინგლისისა და უელსისთვის მივიღებთ, 1861 წლის აღწერის მიხედვით, საერთო ჯამს — 1 024 277 სულს, მაშასადამე, დაახლოებით იმდენს, რამდენიც ჩაბმულია მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში. ჩვენთვის ახლა გასაგები ხდება, თუ რისთვის აწარმოებენ მანქანები თითქოს ჯადოსნურად პროდუქტთა ესოდენ უამრავ მასას და ხელს უწყობენ მუშათა ესოდენ უამრავი მასების «განთავისუფლებას».

«Wearing apparel»-ის წარმოებას ეწევიან მანუფაქტურები, რომელნიც თავის შიგნით მხოლოდ კვლავ აღადგენენ შრომის იმ დანაწილებას, რომლის *membra disiecta*-ს [დაქსაქსულ წევრებს] მზამზარეულს პოულობენ; ამ წარმოებას ეწევიან უფრო წვრილი ხელოსან-ოსტატები, რომელნიც უწინდებურად ინდივიდუალური მომხმარებლისთვის კი არ მუშაობენ, არამედ — მანუფაქტურებისა და მალაზიებისათვის, ასე რომ ხშირად მთელი ქალაქები და ოლქები თავის სპეციალურ ხელობად იხდიან წარმოების ამა თუ იმ დარგს, მაგალითად, ფეხსაცმლის კერვას და სხვ.; ბოლოს, «Wearing apparel»-ის წარმოებას უმთავრესად ეწევიან ეგრეთწოდებული შინამუშები, რომელნიც მანუფაქტურებისათვის, მალაზიებისათვის და უფრო წვრილი ოსტატებისათვისაც კი საგარეო განყოფილებას წარმოადგენენ²⁶⁵. შრომის მასალის, ნედლეულის, ნახევარ-ფაბრიკატის და სხვათა მასას იძლევა მსხვილი მრეწველობა, იაფი ადამიანური მასალის (*tailable à merci et miséricorde* [წყალობასა და რისხვას დაქვემდებარებულის]) მასას კი მსხვილი მრეწველობისა და მიწათმოქმედების მიერ «განთავისუფლებულნი» შეადგენენ. მრეწველობის ამ დარგის მანუფაქტურათა წარმოშობის მიზეზია უმთავრესად კაპიტალისტების საჭიროება — ხელთ ჰყავდეთ მოთხოვნის ყოველი

²⁶⁵ ინგლისურ *millinery*-ს და *dressmaking*-ს ეწევიან მეტწილად მეწარმეთა უნობებში ნაწილობრივ იქ მცხოვრები დაქირავებული მუშა-ქალები, ნაწილობრივ — გარედან მოსული დღიურად მომუშავე ქალები.

მოძრაობისათვის შესაფერი და მზადმყოფი არმია²⁸⁸. მაგრამ ეს მანუფაქტურები თავიანთ გვერდით შემდგომშიც ინარჩუნებდნენ დაქსაქსულ ხელოსნურ წარმოებასა და შინაწარმოებას როგორც ფართო საფუძველს. ზედმეტი ღირებულების დიდი ოდენობით წარმოება შრომის ამ დარგებში, მათი ნაწარმის პროგრესიულ გაიაფებასთან ერთად, გაპირობებული იყო და არის უმთავრესად ხელფასის იმ მინიმალური ოდენობით, რომელიც ძლივს თუ იყო საკმარისი მხოლოდ მათხოვრული არსებობისათვის და რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანისთვის ძლივს თუ შესაძლებელ სამუშაო დროის მაქსიმუმთან. სწორედ სიიაფე ადამიანის ოფლისა და ადამიანის სისხლისა, რაც საქონლადაა გადაქცეული, — აი რა აფართოებდა მუდამ და ყოველდღე აფართოებს გასაღების ბაზარს, ინგლისისთვის განსაკუთრებით კოლონიურ ბაზარსაც, სადაც ამასთანავე ინგლისური ჩვეულება და გემოვნებაა გაბატონებული. ბოლოს, დადგა გადამწყვეტი მომენტი. ძველი მეთოდის საფუძველი, მასალის სახით მუშის მარტო-ოდენ ტლანქი ექსპლოატაცია, რასაც მეტ-ნაკლებად თან ახლდა სისტემატურად განვითარებული დანაწილება შრომისა, საკმარისი აღარ დარჩა მზარდი ბაზრისა და კაპიტალისტების კიდევ უფრო სწრაფად მზარდი კონკურენციის პირობებში. დადგა მანქანის დრო. ის მანქანა, რომელმაც გადამწყვეტი რევოლუციური როლი შეასრულა, მანქანა, რომელიც თანაბრად ეფუძლება წარმოების ამ სფეროს ყველა ურიცხვ დარგს, მაგალითად, მოდური საქონლის წარმოებას, თერძობას, მეწაღეობას, მკერაობას, მექუდეობას და სხვ., — არის საკერავი მანქანა.

მისი უშუალო მოქმედება მუშებზე დაახლოებით ისეთივეა, როგორც საერთოდ ყველა მანქანისა, რომელიც მსხვილი მრეწველობის პერიოდში წარმოების ახალ დარგებს იპყრობს. სულ პატარა ბავშვები იძულებული ხდებიან მუშაობას ჩამოაშორდნენ. მანქანის მუშების ხელფასი მატულობს შინამუშების ხელფასთან შედარებით, რომელთაგან ბევრი «ღარიბთა შორის უღარიბესნი» («the poorest of the poor») არიან. იმ ხელოსნების ხელფასი, რომელნიც უკეთეს პირობებში იმყოფებიან და რომლებსაც მანქანა კონკურენციას უწევს, დაბლა იწევს. მანქანის ახალი მუშები არიან მხოლოდ და მხოლოდ

²⁸⁸ კომისიის წევრმა უაიტმა დაათვალიერა სამხედრო ტანსაცმლის ერთი მანუფაქტურა, სადაც 1 000 — 1 200 ადამიანი მუშაობდა, თითქმის ყველა მდგომარეობით სქესისა, ფეხსაცმლის ერთი მანუფაქტურა, სადაც 1 300 ადამიანი მუშაობდა, რომელთაგან თითქმის ნახევარს ბავშვები და მოზარდები შეადგენდნენ და სხვ. («Children's Employment Commission. 2nd Report», გვ. XVII, № 319).

ქალიშვილები და ახალგაზრდა დედაკაცები. მექანიკური ძალის დახმარებით ისინი სპობენ მამაკაცთა შრომის მონოპოლიას უფრო მძიმე სამუშაოთა დარგში და მოხუცებულ ქალთა და მოუშვიფებელ ბავშვთა მასებს ერეებიან უფრო მსუბუქი სამუშაოებიდან. ძლევამოსილი კონკურენცია ანადგურებს ხელით მომუშავე ყველაზე სუსტ მუშებს. შემადრწუნებელი ზრდა ლონდონში შიმშილით სიკვდილის (death from starvation) შემთხვევებისა უკანასკნელ ათწლეულში პარალელურად მიმდინარეობს მანქანური კერვის გავრცელებასთან ერთად²⁶⁷. ახალი მუშა-ქალები, საკერავე მანქანაზე მომუშავენი, რომლებსაც ეს მანქანა მოძრაობაში მოჰყავთ ხელით და ფეხით, ანდა — მარტო ხელით, მჯდომარე ან ფეხზე დგომით, იმისდა მიხედვით, თუ რა სიმძიმის, სიდიდისა და სპეციალური დანიშნულებისაა მანქანა, — დიდ სამუშაო ძალას ხარჯავენ. შრომის პროცესის ხანგრძლიობის გამო მათი მუშაობა მანებელი ხდება ჯანმრთელობისთვის, თუმცა ეს პროცესი ჩვეულებრივ უფრო მოკლეა, ვიდრე ძველი სისტემის დროს. ყველგან, სადაც კი საკერავე მანქანა შეიჭრება ისედაც ვიწრო და ხალხით გაჭედილ სახელოსნოში, მაგალითად, ფეხსაცმლის, კორსეტის, ქუდისა და სხვ. წარმოებაში, იგი აძლიერებს ჯანმრთელობისათვის საზიანო გავლენას. «შობაბქედილება, — ამბობს კომისიის წევრი ლორდი, — რასაც განიცდი ამ დამალ სადგომებში შესვლისას, სადაც მანქანაზე 30 — 40 კაცი მუშაობს ერთად, აუტანელია... სიცხე, რომელიც დგას, ნაწილობრივ უთოების გასახურებელი გაზის ლუმელების გამო, საშინელია... მაშინაც კი, როცა ასეთ სახელოსნოებში დაწესებულია ეგრეთწოდებული ზომიერი სამუშაო დრო, ე. ი. დღის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ყოველდღე სისტემატურად 3 — 4 ადამიანს გული უწუხდება»²⁶⁸.

საზოგადოებრივ წარმოების წესში მომხდარი გადატრიალება, — ეს აუცილებელი შედეგი წარმოების საშუალების გარდაქმნისა, გარდამავალი ფორმების კრულ ქაოსში მიმდინარეობს. ეს ფორმები იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად და რაოდენ დიდი ხანია

²⁶⁷ აი მაგალითი. «Registrar General»-ის 1864 წლის 26 თებერვლის კვირული ანგარიში სიკვდილიანობის შესახებ აღნიშნავს შიმშილით სიკვდილის 5 შემთხვევას. იმავე დღეს «Times»-ი იუწყება შიმშილით სიკვდილის ახალ შემთხვევას. ერთი კვირის განმავლობაში ექვსი მსხვერპლი შიმშილით სიკვდილისა!

²⁶⁸ «Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. LXVII, № 406 — 409; გვ. 84, № 124; გვ. LXXIII, № 441; გვ. 66, № 6; გვ. 84, № 126; გვ. 78, № 85; გვ. 76, № 69; გვ. LXXII, № 483.

დაიპყრო საკერავმა მანქანამ მრეწველობის ესა თუ ის დარგი, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი შემოღებისას მუშების მდგომარეობა, რამდენად გაბატონებულია მანუფაქტურული და ხელოსნური წარმოება ან შინაწარმოება, რა ოდენობისაა სახელოსნოების ქირა და სხვა²⁶⁹. მაგალითად, მოდური საქონლის წარმოებაში, სადაც შრომა უკვე ორგანიზებული იყო, უმთავრესად მარტივი კოოპერაციის სახით, საკერავი მანქანა თავდაპირველად მანუფაქტურული წარმოების მხოლოდ ახალ ფაქტორს წარმოადგენს. თერძობაში, პერანგის, ფეხსაცმლისა და სხვ. წარმოებაში ყველა ფორმა ერთმანეთშია გადახლართული. აქ ნამდვილი ფაბრიკული წარმოებაა. იქ — შუამავალნი კაპიტალისტისაგან en chef [შეფი კაპიტალისტისაგან] იღებენ ნედლ მასალას და თავს უყრიან ჯგუფუჯგუფად «საკანში» ან «მანსარდებში» საკერავ მანქანებთან 10-დან 50-მდე და ზოგჯერ მეტ დაქირავებულ მუშას. ბოლოს, როგორც ეს საერთოდ ხდება ყველა იმგვარი მანქანის ხმარებისას, რომელიც დანაწევრებულ სისტემას არ წარმოადგენს და რომლის გამოყენება შეიძლება პატარა ფორმატით, — ხელოსნები ან შინამუშები, თავიანთი ოჯახის ან მცირეოდენი უცხო მუშების დახმარებით, საკუთარ საკერავ მანქანებს ხმარობენ²⁷⁰. ინგლისში ფაქტიურად ახლა ასეთი სისტემაა გაბატონებული: კაპიტალისტი თავს უყრის მანქანების დიდ რაოდენობას თავის შენობებში და მანქანურ პროდუქტს შემდგომი გადამუშავებისათვის შინამუშების მთელ არმიას უნაწილებს²⁷¹. მაგრამ გარდამავალი ფორმების სიჭრელე ვერ მალავს ნამდვილ ფაბრიკულ წარმოებად გადაქცევის ტენდენციას. ამ ტენდენციას ასაზრდოებს თვით საკერავი მანქანის ხასიათი, — მისი მრავალნაირი გამოყენების შესაძლებლობა იწვევს წინათ ერთმანეთისაგან გათიშულ წარმოების დარგთა გაერთიანებას ერთსა და იმავე შენობაში და ერთი და იმავე კაპიტალისტის მბრძანებლობის ქვეშ; მასვე ასაზრდოებს ის გარემოებაც, რომ წინასწარი

²⁶⁹ «სახელოსნოების ქირა, როგორც ეტყობა, ის ფაქტორია, რომელსაც საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ასე რომ სწორედ ამიტომ სატაბტო ქალაქში ყველაზე დიდხანს ძლებდა ძველი სისტემა სამუშაოს გაცემისა წვრილ მწარმოებლსა და ოჯახებზე და სწორედ იქ უბრუნდებოდნენ ყველაზე ადრე ამ სისტემას» (იქვე, გვ. 83, № 123). უკანასკნელი ფრაზა მხოლოდ და მხოლოდ ფეხსაცმლის წარმოებას შეეხება.

²⁷⁰ ამას ადგილი არა აქვს ხელთათმისა და სხვ. წარმოებაში, სადაც მუშების მდგომარეობა ძლივს თუ განირჩევა პაუპერთა მდგომარეობისაგან.

²⁷¹ «Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. 83, № 122.

დაბლანდვა და რამდენიმე სხვა ოპერაცია ყველაზე უფრო მოსახერხებელია იქ, სადაც მანქანაა მოთავსებული; ბოლოს, ამავე მიმართულებით მოქმედებს გარდუვალი ექსპროპრიაცია ხელოსნებისა და შინამუშებისა, რომელნიც საკუთარი მანქანებით აწარმოებენ. ეს ბედი მათ ახლა ნაწილობრივ უკვე ეწიათ. საკერავ მანქანებში დაბანდებული კაპიტალის მასის მუდმივი ზრდა²⁷² ხელს უწყობს წარმოების გაფართოებას და წარმოშობს ბაზარზე შეფერხებას, რაც შინამუშებისათვის სიგნალია იმისა, რომ თავიანთი საკერავი მანქანები გაყიდონ. თვით ამ მანქანების ჭარბწარმოება აიძულებს მწარმოებლებს, რომელნიც მანქანების გასაღებას საჭიროებენ, ეს მანქანები კვირეული ქირით გასცენ და, ამრიგად, სასიკვდილო კონკურენციას ქმნის მანქანების წვრილ მესაკუთრეთათვის²⁷³. მანქანების კონსტრუქციის მუდმივი ცვალებადობა და მათი გაიფება ასევე მუდამ ფასს უკარგავს ძველ ეგზემპლარებს და მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტებისათვის ხდის ხელსაყრელად მანქანების გამოყენებას, რომლებსაც ისინი მასობრივად და ჩალის ფასად ყიდულობენ. დასასრულ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქაც, როგორც გადატრიალების ყველა მსგავს პროცესში, ეკუთვნის ადამიანის შენაცვლებას ორთქლის მანქანით. ორთქლის ძალის გამოყენება თავდაპირველად წმინდა ტექნიკურ დაბრკოლებებს აწყდება, როგორცია, მაგალითად, მანქანების ძაგძაგი, მათი სისწრაფის რეგულირების სიძნელე, უფრო მსუბუქი მანქანების სწრაფი გაფუჭება და სხვა; მაგრამ გამოცდილება მალე ასწავლის ადამიანს ყველა ამ დაბრკოლების დაძლევის²⁷⁴. თუ, ერთი მხრივ, მრავალი სამუშაო მანქანის კონცენტრაცია უფრო მსხვილ მანუფაქტურებში ორთქლის ძალის გამოყენებას მოითხოვს, მეორე მხრივ, კონკურენცია, რასაც ორთქლი ადამიანის კუნთებს უწევს, აჩქარებს მუშებისა და სამუშაო მანქანების კონცენტრაციას დიდ ფაბრიკებში. ასე, მაგალითად, ინგლისის წარმოების უზარმაზარი სფერო — «wearing apparel»-ი, ისე როგორც წარმოების სხვა დარგების უდიდესი ნაწილი, ამჟამად განიცდის მანუფაქტურის, ხელოსნობისა და შინამუშაობის რევოლუციურ გარდაქმნას ფაბრიკულ წარმოე-

²⁷² ლესტერში, ერთ-ერთ ფეხსაცმლის წარმოებაში, რომელიც ბითუმად გასაყიდ საქონელს აწვადებს, უკვე 1864 წელს 800 საკერავ მანქანას ხმარობდნენ.

²⁷³ «Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. 84, № 124.

²⁷⁴ ასე, მაგალითად, პიმლიკოს (ლონდონი) სამხედრო ტანსაცმლის საწობში, ტილიესა და ჰენდერსონის ფაბრიკაში (ლონდონდერიში), რომელიც პერანგებს აწვადებს, ტიტიის ფირმის ტანსაცმლის ფაბრიკაში (ლიმერიკში), სადაც 1 200-მდე «ხელსა» აშუშავდნენ.

ბად, და ეს მას შემდეგ, რაც ყველა ზემოაღნიშნული ფორმა მსხვილი მრეწველობის ზეგავლენით სრულიად შეიცვალა, გაიხრწნა, დასახიჩრდა და ყველამ უკვე დიდი ხანია კვლავ აღადგინა, გადაჭარბებითაც კი, ფაბრიკული სისტემის მთელი საშინელებანი, მისი განვითარების დადებითი მომენტების გადმოუღებლად²⁷⁵.

ამ სტიქიურად მიმდინარე სამრეწველო რევოლუციას ხელოვნურად აჩქარებს საფაბრიკო კანონების გავრცელება მრეწველობის ყველა იმ დარგზე, სადაც ქალები, მოზარდნი და ბავშვები მუშაობენ. სამუშაო დღის იძულებითი რეგულირება ხანგრძლიობის, შესვენების, დაწყების და დამთავრების მხრივ, შენაცვლების სისტემა ბავშვებისათვის, გარკვეულ ასაკამდე ყველა ბავშვის გამორიცხვა და სხვ., — ყოველივე ეს, ერთი მხრივ, აუცილებლად იწვევს მანქანების გამრავლებას²⁷⁶ და კუნთების ნაცვლად ორთქლის გამოყენებას მამოძრავებელ ძალად²⁷⁷. მეორე მხრივ, იმისათვის, რათა სადგომით ანახლაურდეს ის, რაც დროის მხრივ იკარგება, ადგილი აქვს კოლექტიურად გამოსაყენებელ წარმოების საშუალებათა, — ლუმელების, შენობების და სხვ. — გაფართოებას, ერთი სიტყვით, ადგილი აქვს წარმოების საშუალებათა მეტ კონცენტრაციას და ამის შესაბამის-

²⁷⁵ «ტენდენცია ფაბრიკული სისტემისადმი» («Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. LXVII). «მთელი ეს წარმოება ამჟამად გარდაბავალ მდგომარეობაში იმყოფება და ისეთსავე ცვლილებას განიცდის, როგორც უწინ სამაქმანო მრეწველობა, საფეიქრო დარგმა და სხვებმა განიცადეს» (იქვე, № 405). «სრული რევოლუცია» (იქვე, გვ. XLVI, № 318). 1840 წლის «Children's Employment Commission»-ის დროს წინდების ქსოვა ჯერ კიდევ ხელშრომას წარმოადგენდა. 1846 წლიდან შემოდებულა სხვადასხვა მანქანები, რომელნიც ამჟამად ორთქლის საშუალებით მოქმედებენ მოძრაობაში. ორივე სქესის და 3 წლიდან დაწყებული სხვადასხვა ასაკის მომუშავეთა საერთო რიცხვი ინგლისის წინდებსაქსოვ წარმოებაში 1862 წელს დაახლოებით 129 000-ს შეადგენდა. ამ რიცხვიდან, 1862 წლის 11 თებერვლის Parliamentary Return-ის [საპარლამენტო ანგარიშის] თანახმად. საფაბრიკო აქტს მხოლოდ 4 063 ადამიანი ექვემდებარებოდა.

²⁷⁶ ასე, მაგალითად, მეთუნეობის შესახებ კოკრენის ფირმა «Britain Pottery, Glasgow» იუწყება: წარმოების უწინდელი მასშტაბის შესანარჩუნებლად ჩვენ მიემართეთ მანქანების გაძლიერებულ გამოყენებას, რომლებზედაც არაკვალიფიციური მუშები მუშაობენ, და ყოველდღე ვრწმუნდებით იმაში, რომ ახლა პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობით დაშლდება შეგვიძლია, ვიდრე ძველი მეთოდის დროს» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 13). «საფაბრიკო აქტის მოქმედება იწვევს იმას, რომ მანქანების შემოღება ფართოვდება» (იქვე, გვ. 13, 14).

²⁷⁷ ასე, მაგალითად, მეთუნეობაზე საფაბრიკო აქტის გავრცელების შემდეგ ამ დარგში handmoved jiggers-ის [ხელით სატრიალებელი ჩარხების] ნაცვლად power jiggers-ის [მექანიკური ჩარხების] გამრავლებას აქვს ადგილი.

სად მუშების მეტ კონგლომერაციას. ყოველთვის, როდესაც მანუფაქტურას საფაბრიკო კანონმდებლობა ემუქრება, მთავარ საწინააღმდეგო საბუთად გაცხარებით მუდამ იმას აღნიშნავენ, რომ საფაბრიკო კანონისადმი დაქვემდებარების პირობებში აუცილებელი ვახდება უფრო დიდი კაპიტალის დახარჯვა წარმოების ძველი მასშტაბით გასაგრძობადო. ხოლო რაც შეეხება მანუფაქტურასა და შინმუშაობას შორის არსებულ შუალედურ ფორმებს და თვით შინმუშაობას, — სამუშაო დღისა და ბავშვთა შრომის შეზღუდვით მათ ნიადაგი ეცლებათ ფეხქვეშ. იაფი სამუშაო ძალის უსაზღვრო ექსპლოატაცია მათი კონკურენტუნარიანობის ერთადერთ საფუძველს შეადგენს.

ფაბრიკული წარმოების არსებითი პირობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი სამუშაო დღის რეგულირებას ექვემდებარება, არის შედეგის ნორმალური უზრუნველყოფა, ე. ი. დარწმუნება იმაში, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში წარმოებული იქნება საქონლის განსაზღვრული რაოდენობა ან მიღწეული იქნება მიზნად დასახული სასარგებლო ეფექტი. შემდეგ, რეგულირებული სამუშაო დღის კანონით დაწესებული შესვენებანი გულისხმობენ, რომ მუშაობის უეცარი და პერიოდული შეჩერება შესაძლებელია წარმოების პროცესში მყოფი პროდუქტისათვის სრულიად ზიანის მიუყენებლად. შედეგის ასეთი უზრუნველყოფა და მუშაობის შეწყვეტის შესაძლებლობა, რასაკვირველია, უფრო ადვილად მისაღწევია წმინდა მექანიკურ წარმოებაში, ვიდრე იქ, სადაც ქიმიური და ფიზიკური პროცესები გარკვეულ როლს ასრულებენ, როგორც, მაგალითად, მეთუნეობაში, სამთვთრებლო, სამღებრო, სახაბაზო წარმოებაში და ლითონდამუშავებელ მანუფაქტურათა უმრავლესობაში. იქ, სადაც შეუზღუდველი სამუშაო დღის, ღამით მუშაობისა და ადამიანის ძალღონის თავისუფალი გაფლანგვის რუტინაა გამეფებული, ყოველი სტიქიური დაბრკოლება წარმოების ერთგვარ მარადიულ ბუნებრივ ზღუდედ მიაჩნიათ. არც ერთი საწამლავი ისე უტყუარად არა სპობს მწერებს, როგორც საფაბრიკო კანონი ასეთ ბუნებრივ ზღუდეებს. მეთუნეობის სარეწავთა ბატონ-პატრონებზე უფრო ხმაშაღლა არავინ არ გაჰყვიროდა «შეუძლებლობაზე». 1864 წელს მათ თავს მოახვიეს საფაბრიკო კანონი და უკვე 16 თვის შემდეგ გაქრა ყველა შეუძლებლობა. საფაბრიკო კანონით გამოწვეული «გაუმჯობესებული მეთოდები სამეთუნეო მასის (slip) მომზადებისა აორთქლის ნაცვლად დაპრესვის გზით, გამოუწვავი საქონლის გამომშრობი ღუმელის ახალი კონსტრუქცია და სხვ., — ყოველივე ეს დიდი მნიშვნელობისაა

მეთუნეობის ხელოვნებაში და მოასწავებს ისეთ წინსვლას, რომლის მსგავსს ადგილი არ ჰქონია უკანასკნელ საუკუნეში... ღუმელის ტემპერატურა საგრძნობლად დაკლებულია და იმავე დროს საგრძნობლად შემცირებულია ნახშირის მოხმარება და უფრო სწრაფია მისი მოქმედება საქონელზე²⁷⁸. მიუხედავად ყველა წინასწარმეტყველებისა, გაიზარდა არა მეთუნეობის ნაწარმის დანახარჯთფასი, არამედ პროდუქტის მასა, ასე რომ გაზიდვამ 12 თვის განმავლობაში, 1864 წლის დეკემბრიდან 1865 წლის დეკემბრამდე, მოგვცა ღირებულების ნამეტი 138 628 გირვ. სტერლ. რაოდენობით წინა სამი წლის გაზიდვის საშუალო ოდენობასთან შედარებით. ასანთის ფაბრიკაციაში ბუნების კანონად იყო მიჩნეული, რომ მოზარდებს სადილის ჭამის დროსაც კი ესველებინათ ასანთის ჩხირები ფოსფორის თბილ ხსნარში, რომლის შხამიანი ორთქლი სახეში სცემდა მათ. საფაბრიკო აქტმა (1864 წელს), რომელმაც ფაბრიკები აიძულა დროის ეკონომია გაეწიათ, შემოაღებინა მათ «dipping machine» (ამოსავლები მანქანა), საიდანაც ორთქლი ვეღარ აღწევს მუშამდე²⁷⁹. ასევე ამჟამად სამაქმანო მანუფაქტურის იმ დარგების შესახებ, რომელნიც საფაბრიკო კანონს ჯერ კიდევ არ ექვემდებარებიან, ამტკიცებენ, თითქოს საქმლის მიღების დრო აქ არ შეიძლება რეგულარული იყოს, რადგან სხვადასხვა სამაქმანო მასალას გასაშრობად ესაჭიროება სხვადასხვა ხანგრძლიობის დრო, რაც 3 წუთიდან 1 საათამდე და ხან მეტსაც გრძელდება. ამაზე «Children's Employment Commission»-ის წევრები უპასუხებენ: «აქ ისეთივე პირობებია, როგორიც შპალერის საბეჭდავში. ამ დარგის ზოგიერთი მთავარი მეფაბრიკე ენერგიულად აცხადებდა, გამოსაყენებელი მასალის ბუნება და ნაირსახეობა პროცესებისა, რომლებიც ამ მასალამ უნდა გაიაროს, შეუძლებლად ხდის, დიდი ზარალის განუცდელად, მუშაობის უეცრად შეჩერებას საქმლის მისაღებად... Factory Act's Extension Act-ის [კანონი საფაბრიკო აქტის გავრცელების შესახებ] (1884 წლის) მეექვსე კარის მეექვსე მუხლის თანახმად, მათ მიეცათ ამ კანონის გამოცემის დღიდან 18 თვის ვადა, რომლის გასვლის შემდეგ საფაბრიკო აქტით დაწესებული შესვენების პაუ-

²⁷⁸ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 96 და 127.

²⁷⁹ ამის და სხვა მანქანების შემოღებამ ასანთის ფაბრიკაში გამოიწვია ის, რომ ერთ-ერთ მის განყოფილებაში 230 მოზარდი შეცვალა 14 — 17 წლის ასაკის 32 ვაჟმა და ქალიშვილმა. მუშების ამგვარი ეკონომია კიდევ უფრო გაძლიერდა 1865 წელს ორთქლის ძალის გამოყენებით.

ზეები უნდა შემოეღოთა²⁸⁰. როგორც კი კანონმა პარლამენტის სანქცია მიიღო, ბატონმა მეფაბრიკეებმა აღმოაჩინეს შემდეგი: «ის უხერხულობა, რასაც ჩვენ ველოდით საფაბრიკო კანონის შემოღებისაგან, არ შექმნილა. ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ წარმოება ოდნავ შესუსტებულიყოს. ნამდვილად იმავე დროის განმავლობაში ჩვენ უფრო მეტს ვაწარმოებთ»²⁸¹. როგორც ვხედავთ, ინგლისის პარლამენტი, რომელსაც, უეჭველია, გენიალობას ვერავენ შესწამებს, გამოცდილებით მივიდა იმის გაგებაამდე, რომ იძულებითის კანონს შეუძლია უბრალო ბრძანებით მოსპოს წარმოების ყველა ეგრეთწოდებული ბუნებრივი დაბრკოლება, მიმართული სამუშაო დღის შეზღუდვისა და რეგულირების წინააღმდეგ. ამიტომ მრეწველობის ამა თუ იმ დარგში საფაბრიკო აქტის შემოღებისას წესდება ვადა 6-დან 18 თვემდე, და უკვე თვით მეფაბრიკეთა საქმეა იზრუნონ ამ ხნის განმავლობაში ტექნიკურ დაბრკოლებათა მოსპობისათვის. მიიღობს სიტყვები: «Impossible? Ne me dites jamais ce bête de mot!» («შეუძლებელია? ნუ გამაგონებთ ნურასოდეს ამ სულელურ სიტყვას!») — ზედგამოჭრილია განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიისათვის. მაგრამ, თუ საფაბრიკო კანონი, ამრიგად, იმ მატერიალურ ელემენტებს, რომლებიც აუცილებელია მანუფაქტურული წარმოების ფაბრიკულ წარმოებად გადაქცევისათვის, ასე ვთქვათ, სათურისებურად ამწიფებს, იგი ამასთანავე ერთად იმით, რომ მეტი კაპიტალის დახარჯვის აუცილებლობას ქმნის, აჩქარებს წვრილი ხელოსან-ოსტატების დაღუპვას და კაპიტალის კონცენტრაციას²⁸².

თუ წმინდა ტექნიკურ და ტექნიკურად თავიდან ასაცდენ დაბრკოლებებს განზე დავტოვებთ, სამუშაო დღის რეგულირებას წინ ეღობება თვით მუშების უწყსრიგო ჩვეულება, განსაკუთრებით იქ, სადაც ცალობრივი ხელფასია გაბატონებული და სამუშაო დღისა ან კვირის ერთი ნაწილის გაცდენა შეიძლება ანაზღაურდეს შემდგომი გადამეტებული შრომით ან ღამე მუშაობით, — მეთოდი, რომელიც აჩლუნგებს ასაკოვან მუშას, ანადგურებს მის ამხანაგებს —

²⁸⁰ «Children's Employment Commission. 2nd Report 1864», გვ. IX, № 50.

²⁸¹ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 22.

²⁸² აუცილებელი გაუმჯობესებანი... არ შეიძლება შემოღებულ იქნას ბევრ ძველ მანუფაქტურაში ისეთი კაპიტალის დაუხარჯავად, რომელიც აღემატება ბევრი ახლანდელი მფლობელის შესლებას... წარმავალი დეზორგანიზაცია აუცილებლად თან სდევს საფაბრიკო აქტების შემოღებას. ამ დეზორგანიზაციის მოკულობა პირდაპირ შეუფარდება აღმოსაფხვრელი ბოროტების სიდიდეს» (იქვე, გვ. 96, 97).

მცირეწლოვანებსა და ქალებს²⁸³. თუმცა სამუშაო ძალის ასეთი არარეგულარული ხარჯვა წარმოადგენს ბუნებრივ ტლანქ რეაქციას ერთფეროვანი და მოსაწყენი მტანჯავი შრომის წინააღმდეგ, მაგრამ გაცილებით უფრო მეტად იგი გამომდინარეობს თვით წარმოების ანარქიიდან, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს სამუშაო ძალის თავაშვებულ ექსპლოატაციას კაპიტალის მიერ. სამრეწველო ციკლის საყოველთაო პერიოდულ ცვალებადობათა და ბაზრის განსაკუთრებულ რყევასთან ერთად წარმოების ყოველ დარგში თავს იჩენს განსაკუთრებით ეგრეთწოდებული სეზონი და ანაზღვეულობა უმოკლეს დროში შესასრულებელი დიდი შეკვეთებისა, ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, იქნება ეს სეზონური სამუშაოები გაპირობებული ნაოსნობისათვის ხელსაყრელი წლის სეზონთა პერიოდულობით თუ მოდით. ეს უეცარი შეკვეთები მით უფრო ჩვეულებრივი ხდება, რაც უფრო ვრცელდება რკინიგზები და ტელეგრაფი. «სარკინიგზო სისტემის გავრცელებამ მთელ სახელმწიფოში, — ამბობს, მაგალითად, ერთი ლონდონელი მეფაბრიკე, — ძალიან შეუწყო ხელი მოკლევადიან შეკვეთათა ჩვეულებას; გლაზგოდან, მანჩესტერიდან და ედინბურგიდან მყიდველები ახლა ორ კვირაში ერთხელ, ანუ საქონლის ბითუმად საყიდლად, მოდიან სიტის დიდ სავაჭრო სახლებში, რომლებსაც ჩვენ საქონელს ვაწვდით. იმის მაგივრად, რომ საქონელი პირდაპირ საწყობიდან იყიდონ, როგორც ეს უწინ ჩვეულებად იყო, ისინი გვაძლევენ შეკვეთებს, რომლებიც ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევასრულოთ. წინა წლებში ჩვენ ყოველთვის შეგვეძლო სუსტი მოთხოვნის დროს წინასწარ გვემუშავნა შემდგომი სეზონის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ახლა არავის შეუძლია გაითვალისწინოს, თუ რა მოხდება მოთხოვნაში»²⁸⁴.

²⁸³ ბრძმელებში, მაგალითად, კვირის დამლევს სამუშაო დღე ძალიან გავრძობებულია, რადგან მუშებს სჩვევიათ ორშაბათის გაცდენა, ზოგჯერ კი, ნაწილობრივ ან მთლიანად, სამშაბათისაც («Children's Employment Commission. 3rd Report», გვ. VI). «წერილი ხელოსან-ოსტატები ჩვეულებრივ ძალიან არარეგულარულად მუშაობენ. დაკარგავენ 2 ან 3 დღეს და შემდეგ ამ დანაკარგის ასანაზღაურებლად მთელ ღამეს მუშაობენ... ისინი მუდამ ამუშაებენ თავიანთ ბავშვებს, თუკი ასეთები ჰყავთ» (იქვე, გვ. VII). «მუშაობის დაწყება არარეგულარულად წარმოებს, იმ შესაძლებლობისა და ჩვეულების გამო, რომ ეს დანაკლისი ანაზღაურებული იქნება გადამეტებული მუშაობით» (იქვე, გვ. XVIII). «ბირმინგამში დიდძალი დრო იკარგება... რადგან ისინი დროს ერთ ნაწილს უქმად ატარებენ და დანარჩენი დროს განმელობაში კი მუშაობით წელს იწყებენ» (იქვე, გვ. XI).

²⁸⁴ «Children's Employment Commission. 4th Report», გვ. XXXII. «სარკინიგზო სისტემის გაფართოებამ, როგორც ამბობენ, ძალიან შეუწყო ხელი უეცარი

იმ ფაბრიკებსა და მანუფაქტურებში, რომელნიც საფაბრიკო კანონს ჯერ კიდევ არ ექვემდებარებიან, გაბატონებულია უსაშინე-
ლესი გადამეტებული შრომა: პერიოდულად — ეგრეთწოდებული სე-
ზონის დროს და არარეგულარულად — უეცარი შეკვეთების გამო.
ფაბრიკის, მანუფაქტურის და მალაზიის გარესფეროში, — შინმუშა-
ობის სფეროში, რომელიც უამისოდაც სრულიად არარეგულარულია
და ნედლი მასალისა და შეკვეთის მხრივ სავსებით დამოკიდებული
კაპიტალისტის თვითნებობაზე, კაპიტალისტისა, რომელიც აქ არავი-
თარი მოსაზრებებით არ არის შეზღუდული შენობების, მანქანების
და სხვ. გამოყენების საქმეში და არაფრის დაკარგვის რისკს არ
ეწევა, გარდა თვით მუშის ტყავისა, — ამ გარესფეროში სისტემა-
ტურად იზრდება მრეწველობის სარეზერვო არმია, მუდამ კაპიტა-
ლის განკარგულებაში მყოფი არმია, რომელიც თხელდება წელიწადის
ერთი ნაწილის განმავლობაში ულმობელი კატორღული შრომის
გამო და მეორე ნაწილის განმავლობაში მაწანწალა ხდება სამუშაოს
უქონლობის გამო. მეწარმენი, — ამბობს, «Children's Employment
Commission», — შინმუშაობის ჩვეულებად ქცეული არარეგულარო-
ბის ექსპლოატაციას ეწვეიან, რათა იმ დროის განმავლობაში, როცა
აუცილებელია განსაკუთრებული სასწრაფო სამუშაოების შესრულება,
გააგრძელონ მუშაობა ღამის 11, 12, 2 საათამდე, — სინამდვილეში
კი, როგორც ამას მოარული ფრაზა გამოთქვამს, რომელ საათამდეც
გნებავთ, და ეს იმ სადგომებში, «სადაც მარტო სიმყრალე კმარა
იმისათვის, რომ ადამიანი წაიქცეს» (the stench is enough to knock
you down). შეიძლება თქვენ მიხვიდეთ კარებთან და შეალოთ კიდევ,
მაგრამ უცებ შეგზარავთ და შიგ შესვლას ვეღარ გაბედავთ»²⁸⁵.
«ჩვენი მეწარმენი ახირებული ხალხია, — ამბობს ერთი დაკითხული
მოწმე, მეწაღე, — იმათ ჰგონიათ, თითქოს მოზარდს არავითარ ვნე-
ბას არ მოუტანს, თუ მას წლის ერთ ნახევარში საშინელი შრომით
სტანჯავენ, მეორე ნახევარში კი აიძულებენ თითქმის სრულიად
უსაქმოდ იხეტიალოს»²⁸⁶.

ტექნიკურ დაბრკოლებათა მსგავსად, ამ ეგრეთწოდებულ «სავაჭ-
რო ჩვეულებებსაც» (usages which have grown with the growth of
trade) დაინტერესებული კაპიტალისტები წარმოების ძბუნებრივ

შეკვეთების გაცემის ჩვეულებას; ამას კი შედეგად მოსდევს აჩქარებულობა, ჰამის
დროისაღმი უყურადღებობა და ზედმეტ საათებში მუშაობა (იქვე, გვ. XXXI).

²⁸⁵ «Children's Employment Commission. 4th Report», გვ. XXV, № 235, 237.

²⁸⁶ იქვე, გვ. 127, № 56.

ზღუდელა აცხადებდნენ და აცხადებენ დღესაც; ეს იყო ბამბის მრეწველობის ლორდთა ჩვეულებრივი ჩივილი იმ ხანაში, როცა მათ საფაბრიკო კანონი პირველად ემუქრებოდა. თუმცა მათი მრეწველობა უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დარგი, მსოფლიო ბაზარსა და, ამიტომ, ნაოსნობასაც ეყრდნობა, მაგრამ გამოცდილებამ მაინც ცხადყო მათი სიცრუე. მას შემდეგ ინგლისის ფაბრიკის ინსპექტორებს ეგრეთწოდებულ «საეაქრო დაბრკოლებაზე» მითითება ყოველთვის უსაფუძვლო მომიზეზებად მიაჩნიათ²⁸⁷. და მართლაც, «Childr. Empl. Commission»-ის საფუძვლიანი და კეთილსინდისიერი გამოკვლევა ამტკიცებს, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში სამუშაო დღის რეგულირებით მხოლოდ უფრო თანაბრად განაწილებოდა მთელს წელიწადზე იქ გამოყენებული შრომის მასა²⁸⁸, რომ სამუშაო დღის რეგულირება პირველ რაციონალურ ლაგამს ამოსდებდა ადამიანის მომსპობ, უაზრო და თავისთავად მსხვილი მრეწველობის სისტემის შეუფერებელ ფუქსავატ კაპრიზებს მოდისას²⁸⁹, რომ საოკეანო ნაოსნობისა და საერთოდ კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებამ გააუქმა სეზონური მუშაობის საკუთრივ ტექნიკური საფუძველი²⁹⁰, რომ ყველა სხვა გარემოება, რომელიც ვითომდა

²⁸⁷ «რაც შეეხება ზარალს, რასაც ვაჭრობა განიცდის ზღვით სექსპორტო შევებით თავის დროზე შეუსრულებლობის გამო, მე მაგონდება, რომ ეს იყო მეფაბრიკეთა ჩვეული არგუმენტი 1832 და 1833 წლებში. ყველაფერი, რაც ახლა შეიძლება ითქვას ამ საგანზე, მოკლებულია იმ ძალას, რომელსაც იგი შეიკავდა მაშინ, როდესაც ორთქლს ჯერ კიდევ არ გაენახვებინა ყველა მანძილი და არ შეექმნა ტრანსპორტის ახალი საშუალებანი. თუ ეს არგუმენტი იმ დროს უმწეო აღმოჩნდა პრაქტიკული გამოცდილების წინაშე, უეჭველია იგი დღესაც ახალ გამოცდას ვერ გაუძლებს» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1862», გვ. 54, 55).

²⁸⁸ «Children's Employment Commission. 4th Report», გვ. XVIII, № 118.

²⁸⁹ ჯერ კიდევ 1699 წელს ჯონ ბელერსმა აღნიშნა, რომ «მოდის მერყეობა აუცილებლად ამრავლებს ღირებებს. იგი ორმაგ ბოროტებას შეიცავს: 1) ქარგლები ზამთარობით დიდ გაჭირვებას განიცდიან უმუშევრობის გამო, რადგან ქსოვილით მოვაჭრენი და ფეიქარ-მეწარმენი ვერ ბედავენ თავიანთი კაპიტალის გაღებას ქარგლების დასასაქმებლად, ვიდრე არ გამოზაფხულდება და ვიდრე ისინი არ გაიგებენ, თუ როგორი იქნება მოდა; 2) გაზაფხულობით ფეიქარ-მეწარმეებს აღარ ჰყოფნით ქარგლების რიცხვი, ასე რომ ისინი იძულებულნი არიან მოიწვიონ მრავალი შეგირდი, რათა დააკმაყოფილონ სამეფოს მთელი ვაჭრობის მოთხოვნილება წლის ერთი მეოთხედის ამ ნახევრის განმავლობაში. ამით მიწათმოქმედებას მუშახელი აკლდება, სოფელი კარგავს სამუშაო ძალას, ქალაქი იცემა მათხოვრებით და ზამთარში ბევრი, ვისაც მათხოვრობის რცხენია, შიმშილით კვდება» («Essays about the Poor, Manufactures etc.», გვ. 9).

²⁹⁰ «Children's Employment Commission. 5th Report», გვ. 171, № 34.

კონტროლს არ ემორჩილება, თავიდან ასაცილებელი ხდება შენობების გაფართოებით, დამატებითი მანქანებით, იმავდროულად დასაქმებული მუშათა რიცხვის გადიდებით²⁹¹ და აქედან თავისთავად გამომდინარე უკუქცევითი გავლენით მსხვილი ვაჭრობის სისტემაზე²⁹². მაგრამ კაპიტალი, როგორც მის არაერთხელ განუცხადებია თავის წარმომადგენელთა პირით, თანხმდება ამ გადატრიალებას «მხოლოდ საყოველთაო საპარლამენტო აქტის ზეგავლენით»²⁹³, რომელიც იძულებითი კანონმდებლობის გზით აწესრიგებს სამუშაო დღეს.

9. საფაბრიკო კანონმდებლობა (დადგენილებანი ჯანსაღი მოღვაწის დაცვისა და ალკოჰოლის შეხახვზე). მისი საყოველთაო გავრცელება ინგლისში

საფაბრიკო კანონმდებლობა, ეს პირველი შეგნებული და გეგმაზომიერი ზემოქმედება საზოგადოებისა მისი წარმოების პროცესის სტიქიურად ჩამოყალიბებულ წყობაზე, როგორც დავინახეთ, მსხვილი მრეწველობის ისეთივე აუცილებელი პროდუქტია, როგორც ბამბის ნართი, სელფაქტორები და ელექტრონის ტელეგრაფი. ვიდრე იმაზე გადავიდოდეთ, თუ როგორ ჰპოვა საფაბრიკო კანონმდებლობამ საყოველთაო გავრცელება ინგლისში, საჭიროა მოკლედ აღინიშნოს მისი

²⁹¹ ასე, მაგალითად, ბრადფორდის ექსპორტერ-ვაჭართა ჩვენებაში ნათქვამია: «ასეთ პირობებში ცნადია, რომ საჭირო არაა მოზარდებმა უფრო დიდხანს იმუშაონ მალახიებში, ვიდრე დილის 8 საათიდან საღამოს 7 ან 7½ საათამდე. ეს მხოლოდ დამატებითი ხარჯების და დამატებითი მუშახელის საკითხია. (მოზარდებს არ მოუხდებოდათ ასე გვიან მუშაობა, ზოგიერთი მეწარმე რომ მოგების ასე ხარბი არ იყოს; დამატებითი მანქანა სულ 16 თუ 18 გირვანქა სტერლინგი ღირს)... ყველა სიძნელე გამომდინარეობს არასაკმაო მოწყობილობიდან და შენობის ნაკლებობიდან» (იქვე, გვ. 171, № 35, 36, 38).

²⁹² იქვე. ერთი ლონდონელი მეფაბრიკე, რომელიც სხვათა შორის სამუშაო დღის იძულებითს რეგულირებაში ხედავს საშუალებას მუშების დასაცავად მეფაბრიკეთა წინააღმდეგ და მეფაბრიკეთა დასაცავად საბითუმო ვაჭრობის წინააღმდეგ, შემდეგს ამბობს: «ჩვენი წარმოების შევიწროება გამოწვეულია ექსპორტერების მიერ, რომელთაც სურთ, მაგალითად, საქონელი იალქნიანი გემით გაგზავნონ, რათა განსაზღვრული სეზონის დასაწყისში დანიშნულებების ადგილას ჰქონდეთ საქონელი და იმავე დროს ჯიბეში ჩაიღონ ის განსხვავება, რაც არსებობს იალქნიანი გემისა და ორთქლის გემის ფრახტს შორის; ანდა ორ გემში ისინი ირჩევენ უფრო სწრაფმავალს, რათა უტყობთის ბაზარზე თავიანთ კონკურენტებზე ადრე გამოვიდნენ».

²⁹³ ამის თავიდან აცილება, — ამბობს ერთი მეფაბრიკე, — შეიძლებადა წარმოების იმ გაფართოების ხარჯზე, რაც საყოველთაო საპარლამენტო აქტის ზეგავლენით უნდა მოხდეს» (იქვე, გვ. X, № 38).

ზოგიერთი მუხლი, რომელიც სამუშაო დღის საათების რიცხვს არ ეხება.

სანიტარული წესები, თუ არას ვიტყვით მათ რედაქციაზე, რომელიც უადვილებს კაპიტალისტს ამ წესებისათვის გვერდის ახვევას, მეტად ღარიბი შინაარსისაა და ფაქტიურად შეიცავენ დებულებებს. მარტოდენ კედლების გათეთრებისა და სისუფთავის დაცვის ზოგიერთი ღონისძიების, ვენტილაციისა და სახიფათო მანქანებისაგან დაცვის შესახებ. მესამე წიგნში ჩვენ დავუბრუნდებით კიდევ მეფაბრიკეთა ფანტიკურ ბრძოლას იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც აკისრებდა მათ მცირე ხარჯების გაღებას მათი «ხელების» ორგანიზების დასაცავად. აქ კვლავ ბრწყინვალედ დასტურდება ფრიტრედერიული დოგმა, რომ ანტაგონისტური ინტერესების შემცველ საზოგადოებაში თვითეული თავისი პირადი სარგებლობისათვის ზრუნვით ხელს უწყობს საერთო კეთილდღეობას. საკმარისია ერთი მაგალითი. ცნობილია, რომ განვლილი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ირლანდიაში ძალიან გაფართოვდა სელის მრეწველობა და მასთან ერთად გამრავლდა scutching mills-ის (სელის საძენძი ფაბრიკების) რიცხვი. 1864 წელს იქ ასეთი mills-ი 1 800 იყო. პერიოდულად, შემოდგომაზე და ზამთრობით, მუშებს, რომელნიც სრულიად არ იცნობენ მანქანებს, — უმთავრესად მოზარდებსა და ქალებს, მეზობელ წვირლ ფერმერთა ვაჟებს, ქალიშვილებს და ცოლებს, — სწყვეტენ მინდვრის სამუშაოებს, რათა scutching mills-ში ვალცის მანქანებს სელი აწოდონ. ის უბედური შემთხვევები, რასაც აქ ადგილი აქვს, სრულიად უმაგალითოა თავისი რაოდენობით და ინტენსივობით მანქანების ისტორიაში. მარტო ერთ ასეთ scutching mill-ში, კილდინენში (კორკის მახლობლად), 1852 წლიდან 1856 წლამდე ადგილი ჰქონდა სიკვდილის 6 და მძიმედ დაზავების 60 შემთხვევას, რომელთა თავსიდან აცილება შეუძლებოდა სულ მარტივი, რამდენიმე შილინგად ღირებული, მოწყობილობით. დაუნპეტრიკის ფაბრიკების certifying surgeon-ი [ოფიციალური ექიმი] დ-რ უაიტი აცხადებს 1865 წლის 15 დეკემბრის ერთ ოფიციალურ ანგარიშში: «scutching mills-ში მომხდარი უბედური შემთხვევები უსაშინელესია. უმეტეს შემთხვევაში ტანს მოგლეჯილი აქვს სხეულის მეოთხედი ნაწილი. სიკვდილი ანდა ბედშავი უმწეობითა და ტანჯვით აღსავსე მომავალი — აი დასახიჩრებათა ჩვეულებრივი შედეგები. ფაბრიკების გამრავლება ამ ქვეყანაში, რასაკვირველია, ამ საშინელი შედეგების გამრავლებას გამოიწვევს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ სახელმწიფო scutching mills-სათანადო კონტროლს გაუწევდა, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებ-

ბინა მრავალი მსხვერპლი ადამიანთა ჯანმრთელობის და სიცოცხლის მხრივ²⁹⁴. აბა რა დაახასიათებდა კაპიტალისტური წარმოების წესს იმაზე უკეთესად, ვიდრე აუცილებლობა იმისა, რომ მას სახელმწიფოს იძულებითი კანონით უნდა დაეკისროს სისუფთავისა და ჯანმრთელობის უმარტივესი წესების დაცვა? «1864 წლის საფაბრიკო აქტმა მეთუნეობაში 200-ზე მეტი სახელოსნოს შეეთთრება და გასუფთავება გამოიწვია, და ეს მას შემდეგ, რაც ყოველი ამგვარი ოპერაციის შესრულების მხრივ ამ სახელოსნოების მიერ 20 წლის დათმენას ანდა სრულ დათმენას ჰქონდა ადგილი (აი, ესაა კაპიტალის «დათმენა!»). ამ დაწესებულებებში მუშაობს 27 800 მუშა, რომელნიც აქამდე, ზომაგადასული შრომის დროს დღით და ზმირად ლამითაც, მოწამლული ჰაერით სუნთქავდნენ, რის გამოც ეს თავისთავად შედარებით უვნებელი წარმოება მუდამ ავადმყოფობისა და სიკვდილის ბუდე იყო. საფაბრიკო აქტმა ძალიან გაამრავლა ვენტილაციის მოწყობილობა»²⁹⁵. ამავე დროს საფაბრიკო აქტის გამოყენების ეს დარგი ნათლად გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი მთელი თავისი არსებით გამორიცხავს ყოველგვარ რაციონალურ გაუმჯობესებას გარკვეულ საზღვარს იქით. ჩვენ მიერ უკვე რამდენჯერმე იყო აღნიშნული, რომ ინგლისელ ექიმებს 500 კუბ. ფუტი ჰაერი ერთ ადამიანზე ერთხმად მიაჩნიათ ძლიერძლივობით საკმარის მინიმუმად მუდმივი მუშაობის დროს. კარგი! მაგრამ, თუ საფაბრიკო აქტი მთელი თავისი იძულებითი ღონისძიებებით არაპირდაპირ აჩქარებს წვრილი სახელოსნოების ფაბრიკებად გადაქცევას და, მასთანადე, არაპირდაპირ ხელყოფს უფრო წვრილი კაპიტალისტების საკუთრების უფლებას და უზრუნველყოფს მსხვილი კაპიტალისტების მონოპოლიას, მაშინ კანონის ძალით თვითეული მუშისთვის სახელოსნოში ჰაერის აუცილებელი რაოდენობის უზრუნველყოფა ერთი დაკვრით მოახდენდა პირდაპირ ათასობით წვრილ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციას! ეს ძირს გამოუთხრია კაპიტალისტური წარმოების წესს, ე. ი. კაპიტალის — მსხვილის თუ წვრილის — თვითზრდას, რომელიც სამუშაო ძალის «თავისუფალი» ყიდვისა და მოხმარების მეოხებით წარმოებს. ამიტომ ამ 500 კუბ. ფუტი ჰაერის წინაშე საფაბრიკო კანონმდებლობას სული ეხუთება. სანიტარული დაწესებულებანი, მრეწველობის გამომკვლვეი კომისიები და ფაბრიკის

²⁹⁴ «Children's Employment Commission. 5th Report», გვ. XV, № 72 და შემდ.

²⁹⁵ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 127.

ინსპექტორები ისევ და ისევ იმეორებენ ამ 500 კუბ. ფუტის აუცილებლობას და კაპიტალისტების მისი იძულებითი წესით დაკისრების შეუძლებლობას. ამრიგად, ისინი ფაქტიურად აღიარებენ, რომ ჭლეტი და ფილტვების სხვა დაავადებანი მუშებისა კაპიტალისტების პირობას წარმოადგენენ²⁹⁶.

რაგინდ უბადრუკიც უნდა იყოს საერთოდ და მთლიანად საფარკო აქტის დადგენილებანი აღზრდის შესახებ, მათ პირველდაწყებითი სწავლება შრომის სავალდებულო პირობად გამოაცხადეს²⁹⁷. ნათმა წარმატებამ პირველად დაამტკიცა, რომ შესაძლებელია სწავლებისა და ტანვარჯიშობის დაკავშირება²⁹⁸ ფიზიკურ შრომასთან, მაშასადამე, ფიზიკური შრომისაც სწავლებასა და ტანვარჯიშობასთან. მასწავლებელთა ჩვენებიდან ფაბრიკის ინსპექტორებმა მალე დაადგინეს, რომ ფაბრიკაში მომუშავე ბავშვები, თუმცა ორჯერ ნაკლებ დროს სწავლობენ, ვიდრე დღისით სკოლაში რეგულარულად მოსიარულე მოწაფეები, მაგრამ მაინც იმდენსავე და ხშირად მეტსაც ასწობენ სწავლაში. ამის მიზეზი სულ უბრალოა. ის, ვინც სკოლაში

²⁹⁶ გამოცდილებით დადასტურებულია, რომ საშუალო ჯანმრთელობის ადამიანი საშუალო ინტენსივობის ყოველი შესუნთქვის დროს დაახლოებით 25 კუბ. დუიმ ჰაერს შეისუნთქავს და წუთში მან დაახლოებით 20-ჯერ უნდა შეისუნთქოს. ამის ნიხედვით ადამიანისთვის 24 საათის განმავლობაში საჭირო იქნებოდა დაახლოებით 720 000 კუბ. დუიმი, ანუ 416 კუბ. ფუტი ჰაერი. მაგრამ ცნობილია, რომ ერთხელ შესუნთქული ჰაერი გამოუსადეგარია იმავე პროცენტისთვის მეორედ, ვიდრე იგი არ გაიწმინდება ბუნების დიად სახელისნაშთში. ვალენტინის და ბრუნერის მიერ ჩატარებული ცდების თანახმად, ჯანმრთელი ადამიანი საათში, როგორც ჩანს, დაახლოებით 1 300 კუბ. დუიმ ნახშირმჟავას ამოისუნთქავს. ეს იქნებოდა დაახლოებით 8 უნცი ჰაერი ნახშირი, ფილტვებიდან ამოტყორცნილი 24 საათში. თვითეულ ადამიანს, სულ ცოტა, 800 კუბ. ფუტი ჰაერი მაინც უნდა ჰქონდეს» (ჰექსლი). [«Lessons in Elementary Physiology». London 1866, გვ. 105.]

²⁹⁷ ინგლისის საფარკო აქტის თანახმად, მშობლებს არ შეუძლიათ თავიანთი 14 წელზე ნაკლები ხნის ბავშვები «კონტროლქვეშ მყოფ» ფაბრიკებში მისცენ, თუ ისინი მათ ამავე დროს ელემენტარულ სწავლა-განათლებას არ მიაღებინებენ. მეფარკო პასუხისმგებელია ამ კანონის დაცვისათვის. «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 111).

²⁹⁸ თუ რა საუცხოო შედეგები მოსდევს ტანვარჯიშობის (ვაჟთათვის აგრეთვე სამხედრო წრეთის) დაკავშირებას ბავშვების სავალდებულო სწავლებასთან ფაბრიკებსა და ღარიბთა სკოლებში, ამის შესახებ იხ. ნ. ვ. სენიორის სიტყვა, წარმოთქმული «National Association for the Promotion of Social Science»-ის მეშვიდე წლიურ კონგრესზე «Report of Proceedings etc.»-ში, London 1863, გვ. 63, 64, აგრეთვე — ფაბრიკის ინსპექტორების ანგარიში, 1865 წლის ოქტომბრის 31 თარიღით, გვ. 118, 119, 120, 126 და შემდ.

მხოლოდ ნახევარ დროს ატარებს, ყოველთვის დასვენებულია და მას თითქმის მუდამ შეუძლია და აქვს სურვილი ისწავლოს. ნახევრად შრომისა და ნახევრად სწავლის სისტემა თვითეულს ამათგან დასვენების ხასიათს აძლევს და, მაშასადამე, უფრო სასარგებლოა ბავშვისთვის, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, რომ ისინი შეუწყვეტლად მიმდინარეობდნენ. ბავშვი, რომელიც დიდიდანვე, განსაკუთრებით სიცხიან ამინდში, სკოლაში ზის, ვერასოდეს ვერ შეეჯიბრება იმას, ვინც დასვენებული და მხნე მოდის თავის სამუშაოდან²⁹⁹. შემდგომი დამადასტურებელი საბუთები ამის შესახებ მოიპოვება სენიორის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა 1863 წელს ედინბურგში სოციოლოგიურ კონგრესზე. იგი აქ, სხვათა შორის, აღნიშნავს, თუ როგორ უსარგებლოდ აღიღებს მასწავლებელთა შრომას მაღალი და საშუალო კლასების მოწაფეებისათვის დაწესებული ცალმხრივი წარმოებას მოწყვეტილი და გრძელი სასკოლო დღე, «მაშინ როდესაც ბავშვებს აიძულებს დახარჯონ დრო, ჯანმრთელობა და ენერგია არა მარტო უნაყოფოდ, არამედ — პირდაპირ საზიანოდაც»³⁰⁰. საფაბრიკო სისტემიდან,

²⁹⁹ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 118. ერთმა გულუბრყვილო აბრეშუმწარმოებელმა მეფაბრიკემ «Children's Employment Commission»-ის გამომკვლევ კომისიის წევრებს განუცხადა: «მე სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ კარგი მუშების წარმოქმნის ნამდვილი საიდუმლოება ბავშვობის ასაკიდან დაწყებული შრომისა და სწავლების ერთიმეორესთან დაკავშირებაში მდგომარეობს. რასაკვირველია, შრომა არ უნდა იყოს არც მეტად დაძაბული, არც უსიამოვნო და არც ჯანმრთელობისათვის საზიანო. მე ვისურვებდი, რომ ჩემს საკუთარ ბავშვებს ჰქონდეთ მუშაობა და თამაშობა ასეთი დასვენების სახით სკოლაში მეტადინეობის შემდეგ» («Children's Employment Commission. 5th Report», გვ. 82, № 36).

³⁰⁰ სენიორის სიტყვა «National Association for the Promotion of Social Science»-ის მე-7 წლიური კონგრესის «Report of Proceedings»-ში, გვ. 66. მსხვილი მრეწველობა რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე მატერიალური წარმოების წესში და საზოგადოებრივ წარმოების ურთიერთობაში მომხდარი გადატრიალების მეოხებით გადატრიალებას ახდენს აგრეთვე ადამიანთა თავებშიც, — ამას ნათლად გვიჩვენებს ნ. ვ. სენიორის სიტყვის (1863 წლის) შედარება 1833 წლის საფაბრიკო კანონის წინააღმდეგ მიმართულ მის ფილიპიკასთან, ანდა ხსენებული კონგრესის შეზღუდულებათა შედარება იმ ფაქტთან, რომ ინგლისის ზოგიერთ სოფელ-ადგილებში მშობლებს დღესაც აკრძალული აქვთ, შიმშილით სიკვდილის შიშით, თავიანთი ბავშვებისთვის სწავლა-აღზრდის მიცემა. ასე, მაგალითად, ბ-ნი სნელი გადმოგვცემს, რომ სომერსეტშირში ასეთი ჩვეულებრივი პრაქტიკა არის: როდესაც ვინმე ღარიბი სამრევლოს მიმართავს დახმარებისათვის, მას იძულებულს ხდინან თავისი ბავშვები სკოლიდან გამოიყვანოს. ასევე ბ-ნი უოლესტონი, ფელტჰემელი მღვდელი, მოგვითხრობს შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთ ოჯახს უარი უთბრებს ყოველგვარ დახმარებაზე. «რადგან ისინი თავიანთ ბავშვებს სკოლაში ატარებდნენ!»

როგორც ეს დაწვრილებით შეიძლება დავინახოთ რობერტ ოუენის ნაწერებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც გარკვეულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისათვის მწარმოებლურ შრომას სწავლებასა და ტანვარჯიშობას უკავშირებს, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ — ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად.

ჩვენ დავინახეთ, რომ მსხვილი მრეწველობა ტექნიკურად სპობს შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას, რაც ადამიანს მთლიანად აჯაჭვავს მისი სიცოცხლის განმავლობაში ერთ რომელიმე ნაწილობრივ ოპერაციას; ამავე დროს მსხვილი მრეწველობის კაპიტალისტური ფორმა კიდევ უფრო საშინელი სახით აღადგენს შრომის ამ დანაწილებას: საკუთრივ ფაბრიკაში — მუშის გადაქცევით ნაწილობრივი მანქანის ცნობიერ დანამატად, ხოლო სხვაგან ყველგან — ნაწილობრივ მანქანისა და მანქანური შრომის სპორადული გამოყენებით³⁰¹ და ნაწილობრივ — ქალების, ბავშვებისა და დაუხელოვნებელი შრომის, როგორც შრომის დანაწილების ახალი საფუძვლის, შემოღებით. წინააღმდეგობა შრომის მანუფაქტურულ დანაწილებასა და მსხვილი მრეწველობის არსს შორის ძალდატანებით იკაფავს გზას. იგი ვლინდება, სხვათა შორის, იმ საშინელ ფაქტში, რომ თანამედროვე ფაბრიკებსა და მანუფაქტურებში მომუშავე ბავშვთა დიდი ნაწილი, სათუთი ასაკიდან დაწყებული უმარტივეს მანიპულაციებზე მიჯაჭვული, წლების განმავლობაში ექსპლოატაციას განიცდის და მოკლებულია საშუალებას შეისწავლოს რაიმე სამუშაო, რომელიც შემდგომ მას გამოსადეგად გახდიდა თუნდაც მარტო იმავე მანუფაქტურასა ან ფაბრიკაში.

³⁰¹ იქ, სადაც ხელოსნური მანქანები, ადამიანის ძალით ამოძრავებულნი, პირდაპირ ან არაპირდაპირ კონკურენციას უწევენ უფრო განვითარებულ მანქანებს, ე. ი. ისეთ მანქანებს, რომელნიც მექანიკურ მამოძრავებელ ძალას გულისხმობენ, — ადგილი აქვს დიდ ცვლილებას მუშის მიმართ, რომელიც მანქანას ამოძრავებს. თავდაპირველად ორთქლის მანქანა ეწეოდა მუშის მაგივრობას, ახლა კი მუშა უნდა შეენაცვლოს ორთქლის მანქანას. ამიტომ მუშის სამუშაო ძალის დაძაბულობა და ხარჯვა უაღრესად დიდია, განსაკუთრებით მოზარდთათვის, რომელთაც წილად ხედათ ეს წამება! ასე, მაგალითად, კომისიის წევრმა ლონჯმა კოვენტრაში და მის მიდამოებში ნახა 10 — 15 წლის ბავშვები, რომლებიც ლენტის დახვას ატრიალებდნენ; არას ვამბობთ უფრო ნორჩებზე, რომელთაც უფრო მცირე ზომის დახვები უნდა ეტრიალებინათ. ეს არაჩვეულებრივად მძიმე შრომაა. ბიჭები აქ ორთქლის ძალის უბრალო შემნაცვლებელნი არიან («Children's Employment Commission. 5th Report 1866», გვ. 114, № 6). «მონობის ამ სისტემის» (როგორც მას უწოდებს ოფიციალური ანგარიში) გამანადგურებელი შედეგების შესახებ იხ. იქვე და შემდგ. გვერდები.

ინგლისის სტამბებში, მაგალითად, უწინ ადგილი ჰქონდა ძველი მანუფაქტურული და ხელოსნური წარმოების სისტემის შესაბამისად შეგირდების გადასვლას შედარებით ადვილი სამუშაოდან უფრო შინაარსიან სამუშაოზე. შეგირდები გადიოდნენ სწავლის კურსს, სანამ მცოდნე მესტამბეები არ გახდებოდნენ. წერა-კითხვის ცოდნა ხელობის აუცილებელი პირობა იყო ყველასთვის. ყველაფერი ეს შეიცვალა საბეჭდი მანქანის შემოღებით. ეს მანქანა ორგვარ მუშებს ამუშავებს: ასაკოვან მუშას, მანქანის მეთვალყურეს, და მოზარდებს. მეტწილად 11 — 17 წლისას, რომელთა საქმე მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ მანქანას სუფთა ქაღალდის ფურცელი დაუდონ ანდა დაბეჭდილი გამოაცალონ. ამ გულგამწყალბელ მუშაობას ისინი ეწევიან, განსაკუთრებით ლონდონში, 14, 15, 16 საათს განუწყვეტლივ რამდენიმე დღეს კვირაში და ხშირად 36 საათსაც ზედინედ მხოლოდ 2 საათის შესვენებით საქმლის მისაღებად და ძილისათვის!³⁰² დიდმა უმეტესობამ წერა-კითხვა არ იცის და, როგორც წესი, სრულიად გავლურებული, არანორმალური არსებანი არიან. იმისათვის, რომ თავისი სამუშაოს შესრულება შეძლონ, მათთვის არაერთარი ინტელექტუალური აღზრდა არაა საჭირო; მათ ცოტა შემთხვევები აქვთ დახელოვნებისთვის და კიდევ უფრო ნაკლები — გონების განვითარებისათვის; მათი ხელფასი, თუმცა რამდენადმე მაღალია მოზარდთათვის, მაგრამ ისე არ იზრდება, როგორც თვით ისინი წლოვანებით იზრდებიან, და უმრავლესობას არაერთარი შესაძლებლობა არა აქვს მანქანის ზედამხედველის უფრო შემოსავლიანი და პასუხსაგები ადგილი დაიჭიროს, რადგან თვითეულ მანქანაზე მხოლოდ ერთი მეთვალყურე და ხშირად 4 მოზარდი მოდისა³⁰³. როგორც კი ისინი ხნიერნი ხდებიან საბავშვო შრომისათვის, ე. ი. აღწევენ დაახლოებით 17 წლის ასაკს, მათ სტამბიდან ითხოვენ. ისინი ბოროტმოქმედების კანდიდატები ხდებიან. მათთვის სხვაგან რაიმე სამუშაოს შოვნის ზოგიერთი ცდა მუდამ უშედეგოდ რჩებოდა მათი უვიცობის, მოუხეშაობისა და ფიზიკური და ინტელექტუალური დაკნინების გამო.

ის, რაც ითქვა შრომის მანუფაქტურულ დანაწილებაზე სახელოსნოს შიგნით, ძალაში რჩება საზოგადოებაში შრომის დანაწილების მიმართაც. ვიდრე ხელოსნობა და მანუფაქტურა საზოგადოებრივი წარმოების საერთო საფუძველს შეადგენს, მწარმოებლის.

³⁰² «Children's Employment Commission. 5th Report 1866», გვ. 3, № 24.

³⁰³ იქვე, გვ. 7, № 60.

დაქვემდებარება წარმოების მხოლოდ ერთი განსაკუთრებული დარგისადმი, მისი საქმიანობის პირვანდელი მრავალფეროვნების დარღვევა³⁰⁴ განვითარების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს. წარმოების ყოველი ცალკეული დარგი, ამ საფუძველზე დამყარებული, ემპირიულად პოულობს თავის შესაფერ ტექნიკურ ფორმას, ნელ-ნელა სრულყოფს და სწრაფად აყალიბებს მას, როგორც კი სიმწიფის გარკვეული დონე მიღწეულია. დროგამოშვებითი ცვლილების გამომწვევია, გარდა შრომის ახალი მასალისა, რომელსაც ვაჭრობა იძლევა, შრომის ინსტრუმენტის თანდათანობითი ცვლილება. მაგრამ ეს ინსტრუმენტიც, რაკი ერთხელ ნაპოვნია ემპირიულად მისი სათანადო ფორმა, იგი შეაქვევდება ამ ფორმას, როგორც ამას ამტკიცებს მისი ერთი თაობის ხელიდან მეორე თაობის ხელში გადასვლა ხშირად ათასეული წლების განმავლობაში. დამახასიათებელია, რომ მე-18 საუკუნემდე ცალკეულ ხელობებს ეწოდებოდა *mysteries* (*mystères*) [საიდუმლოებანი], რომელთა წყვედიადში შესვლა მხოლოდ ემპირიულად და პროფესიულად განდობილს შეეძლო³⁰⁵. მსხვილმა მრეწველობამ ჩამოგლიჯა ის ფარდა, რომელიც ადამიანებს უმაღლესად წარმოების მათსავე საკუთარ საზოგადოებრივ პროცესს და გამოცანად ხდიდა წარმოების სხვადასხვა სტიქიურად გამოცალკევებულ დარგებს ერთიმეორისათვის და თვითეულ დარგში განდობილისთვისაც კი. მსხვილი მრეწველობის პრინციპმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი წარმოებითი პროცესი, თავისდათავად და უწინარეს ყოვლისა ადამიანის ხელისაგან დამოუკიდებლად, დანაწილდეს მის შემადგენელ ელემენტებად, — შექმნა მთელი

³⁰⁴ «სტატისტიკური ანგარიშების თანახმად, მთიანი შოტლანდიის ზოგიერთ ნაწილში... მრავალი მწყემსი-მეცხვარე და *cotters* [უმიწაწყლო გლეხები] ცოლშვილითურთ ატარებდნენ ფებსაცმელს, რომელსაც თვითონ აკეთებდნენ მათ მიერვე გამოყვანილი ტყავისგან; ეცვათ ტანისამოსი, რომელსაც სხვა ხელი არ მიჰკარებია, გარდა მათი საკუთარისა, და რომლის მასალა მათ მიერვე გაპარსული ცხვრის მატყლი ანდა მათ მიერვე მოყვანილი სელი იყო. ტანისამოსის დასამზადებლად თითქმის არც ერთი საგნის ყიდვა არ სჭირდებოდათ, გარდა სადღისის, ნემსის, სათითურის და ქსოვის დროს სახმარებელი რკინის იარაღების ძალიან მცირე ნაწილისა. საღებავებს ამაღებდნენ თვითონ ქალები ხეებისაგან, ბუჩქებისაგან, ბალახებისაგან და სხვ.» (Dugald Stewart: «Works», გამოც. Hamilton, ტ. VIII, 327 — 328).

³⁰⁵ ეტიენ ბუალოს განთქმული წიგნი «*Livre des métiers*», სხვათა შორის, ასეთ მოთხოვნას შეიცავს: ოსტატად მიღებისას ქარგალმა ფიცი უნდა მისცეს, რომ «ძმურად შეიყვარებს თავის ძმებს, მზარს დაუჭერს მათ, — თვითეული თავის *metier*-ში [ხელობაში], — ნებაყოფლობით არ გასცემს ხელობის საიდუმლოებას და, მთელი საამქროს ინტერესების გულისთვისაც კი, არასოდეს არ მიაქცევს მყიდველის ყურადღებას სხვისი ნაწარმის ნაკლზე, რათა თავისი საკუთარი საქონელი მოაწონოს.»

თანამედროვე მეცნიერება ტექნოლოგიისა. საზოგადოებრივი წარმოების პროცესის აქრელებული, გარეგნულად შინაგან კავშირს მოკლებული და გაყინული ფორმები დაიშალა ბუნებისმეცნიერების გამოყენების შედეგებულ-გეგმაზომიერ და, სასურველი სასარგებლო ეფექტის მიხედვით, სისტემატურად დანაწევრებულ დარგებად. ტექნოლოგიამ აღმოაჩინა აგრეთვე მოძრაობის ის რამდენიმე დიდი ძირითადი ფორმა, რომლითაც აუცილებლად მიმდინარეობს ადამიანის სხეულის ყოველი მწარმოებლური მოქმედება, მიუხედავად ხმარებული ინსტრუმენტების ნაირსახეობისა, — სწორედ ისე, როგორც მექანიკამ, მიუხედავად მანქანების უაღრესი სირთულისა, იცის, რომ ისინი მარტივ მექანიკურ ძალთა მუდმივ განმეორებას წარმოადგენენ. თანამედროვე მრეწველობა არასოდეს არ განიხილავს და არც თვლის ამა თუ იმ წარმოებითი პროცესის არსებულ ფორმას საბოლოო ფორმად. ამიტომ მისი ტექნიკური საფუძველი რევოლუციურია, მაშინ როდესაც ყველა უწინდელი წარმოების წესის საფუძველი არსებითად კონსერვატიული იყო³⁰⁸. მანქანების, კიმიური პროცესების და სხვა მეფორმების საშუალებით იგი მუდამ გადატრიალებას ახდენს, წარმოების ტექნიკურ საფუძველთან ერთად, მუშების ფუნქციებში და შრომის პროცესის საზოგადოებრივ კომბინირებაში. ამით იგი ასევე მუდამ არევოლუციურებს შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით და განუწყვეტლივ ისვრის კაპიტალის მასებს და მუშათა მასებს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. ამიტომ მსხვილი მრეწველობის ბუნება განაპირობებს შრომის ცვალებადობას, ფუნქციების დენადობას, ნუშის ყოველმხრივ მობილობას. მეორე

³⁰⁸ ბურჟუაზიას არ შეუძლია არსებობა, თუ არ გამოიწვია განუწყვეტელი რევოლუციური გარდაქმნა წარმოების იარაღებისა, მაშასადამე, წარმოებითი ურთიერთობისა, მაშასადამე, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა. პირიქით, წარმოების ძველი წესის უცვლელად შენარჩუნება არსებობის პირველი პირობა იყო ყველა წინანდელი მრეწველი კლასისათვის. განუწყვეტელი გადატრიალება წარმოებაში, განუწყვეტელი რყევა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, მუდმივი მერყეობა და მოძრაობა განასხვავებს ბურჟუაზიულ ეპოქას ყველა წინანდელი ეპოქისაგან. ყველა გაქვავებული, ჟანგმოკიდებული ურთიერთობა და მათი თანმყოლი, ძველთაგან საპატიოდ მიჩნეული წარმოდგენანი და შეხედულებანი ირღვევა, ყველა ახლად აღმოცენებული ძველდება, ვიდრე გაქვავებას მოასწრებდეს. ყოველივე წოდებრივი და უძრავი ქრება, ყოველივე წმინდა შემწიკლული ხდება და ადამიანები ბოლოს იძულებულნი ხდებიან ფზიხელი თვალთ შეხედონ თავიანთი ცხოვრების მდგომარეობას და თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას. (F. Engels und Karl Marx: «Manifest der Kommunistischen Partei». London 1848, გვ. 5). [შეად. კ. მარქსი და ფ. ენგელსი: «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». თბილისი 1952, გვ. 43].

მხრივ, იგი თავისი კაპიტალისტური ფორმით კვლავ აღადგენს შრომის ძველ დანაწილებას მისი სხვადასხვა გაქვავებული სპეციალობით. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ სპობს ეს აბსოლუტური წინააღმდეგობა მუშის მდგომარეობის ყოველნაირ სიმშვიდეს, სიმყარეს და უზრუნველყოფილობას, მუდამ ემუქრება მას შრომის საშუალებებთან ერთად საარსებო საშუალებანიც³⁰⁷ ხელიდან გამოსტაცოს და მის ნაწილობრივ ფუნქციასთან ერთად თვით იგიც ზედმეტი გახადოს; როგორ მძვინვარედ ვლინდება ეს წინააღმდეგობა მუშათა კლასის განუწყვეტელ მასობრივ ქლელტაში, სამუშაო ძალის უზომო გაფლანგვაში და იმ განადგურებაში, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ანარქიასთან. ესაა უარყოფითი მხარე. მაგრამ თუ შრომის ცვალებადობა ახლა გზას იკაფავს როგორც ბუნების გარდუვალი კანონი და მოქმედებს ბუნების კანონის ბრმა გამანადგურებელი ძალით, კანონისა, რომელიც ყველგან დაბრკოლებას აწყდება³⁰⁸, მეორე მხრივ, მსხვილი მრეწველობა თვით თავისი კატასტროფებით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდის იმას, რომ შრომის ცვალებადობა და ამიტომ მუშების რაც შეიძლება მეტი მრავალმხრივობა აღიარებულ იქნას საზოგადოებრივი წარმოების საყოველთაო კანონად, რომლის ნორმალურ განხორციელებას უნდა შეეგუოს ურთიერთობანი. იგი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდის იმას, რომ საშინელება იმ ბედკრული მუშა-მოსახლეობისა, რომელიც რეზერვად, თავისუფალ განკარგულებაშია დატოვებული კაპიტალის მზარდი ცვალებადი საექსპლოატაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შეცვალოს

307

‘You take my life,
When you do take the means whereby I live.’

[«თქვენ მართმევთ სიცოცხლეს,

ოდეს მართმევთ საშუალებას, რომლითაც ვცხოვრობა.»]

(შექსპირი. [ჟენეციელი ვაჭარი, IV, 1.])

³⁰⁸ ერთი ფრანგი მუშა სან-ფრანცისკოდან დაბრუნების შემდეგ წერს: «მე არასოდეს არ დავიჯერებდი, რომ ყველა იმ ხელობის შესრულებას შეეძლებოდა, რომელზეც მე კალიფორნიასი ვმუშაობდი. მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ გარდა წიგნის ბეჭდვისა სხვაში არაფერში ვვარგოდი... მაგრამ როდესაც მე ამ ავანტიურისტების ქვეყანაში მოვბვდი, სადაც თავიანთ ხელობას უფრო ადვილად იცვლიან, ვიდრე თქვენ თქვენს პერანგს, — მერწმუნეთ!, — მეც სხვებსავით მოვიქეცი. რადგან მაღაროებში მუშაობა საკმაოდ ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, თავი გავანებე მას და გადავბარედი ქალაქში, სადაც როგორცობით ვიყავი სტამბის მუშა, სახლის მხურავი, ტყვის ჩამომსხმელი და სხვა. მას შემდეგ, რაც გამოცდილებით გავიგე, რომ ყოველგვარ სამუშაოზე ვარ გამოსადეგი, მე ჩემს თავს უფრო ნაკლებ ვგრძნობ მოლოუსად და უფრო მეტად ვგრძნობ ადამიანად» (A. Corbon: ‘De l’Enseignement professionnel’, №-2 გამოც., გვ. 50).

შრომის ცვალებადი მოთხოვნილებისათვის ადამიანის გამოყენების აბსოლუტურმა შესაძლებლობამ, რომ ნაწილობრივი ინდივიდი, უბრალო მატარებელი ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციისა, შეცვალოს ყოველმხრივ განვითარებულმა ინდივიდმა, რომლისთვისაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქცია წარმოადგენს საქმიანობის ერთიმეორის შემცვლელ სხვადასხვა წესს. ამ გადატრიალების პროცესის ერთ მომენტს, რომელიც სტიქიურად განვითარდა მსხვილი მრეწველობის საფუძველზე, წარმოადგენენ პოლიტექნიკური და აგრონომიული სკოლები, მეორეს — «*coles d'enseignement professionnel*» [პროფესიული სკოლები], სადაც მუშათა ბავშვები იძენენ ცოტაოდენ ცოდნას ტექნოლოგიაში და წარმოების სხვადასხვა ინსტრუმენტის პრაქტიკული გამოყენების საქმეში. თუ საფაბრიკო კანონმდებლობა, ეს პირველი მცირეოდენი დათმობა, რაც ძალით გამოგლიჯეს კაპიტალს, ფაბრიკულ შრომას მხოლოდ პირველადწყობითს სწავლებას უკავშირებს, მაშინ ექვს გარეშეა, რომ მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების გარდუვალი დაპყრობა სათანადო ადგილს მოუპოვებს მუშათა სკოლებში ტექნოლოგიურ სწავლებასაც, როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულს. ექვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ წარმოების კაპიტალისტური ფორმა და მისი შესაბამისი ეკონომიური ურთიერთობა მუშებისა დიამეტრალურ წინააღმდეგობაშია გადატრიალების ასეთ ფერმენტებთან და მათ მიზანთან — შრომის ძველი დანაწილების გაუქმებასთან. მაგრამ წარმოების გარკვეული ისტორიული ფორმის წინააღმდეგობათა განვითარება მისი დაშლისა და ახლად ჩამოყალიბების ერთადერთი ისტორიული გზაა. «*Ne sutor ultra crepidam!*» [ხაარზო, იცოდე შენი კალაპოტი!>] — ეს *nec plus ultra* [მწვერვალი] ხელოსნური სიბრძნისა საშინელ სისულელედ გადაიქცა იმ მომენტიდან, როცა მესაათე უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა, დალაქმა არკრაიტმა — სართავი მანქანა და მუშა-იუველირმა ფულტონმა — გემი ³⁰⁹.

³⁰⁹ ჯონ ბელერსს, ამ ნამდვილ ფენომენს პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში, უკვე მე-17 საუკუნის დამლევს სრულიად ნათლად ესმოდა ახლანდელი აღზრდისა და შრომის დანაწილების მოსაბობის აუცილებლობა, რომელნიც საზოგადოების ორივე კიდურზე, თუმცა საპირისპირო მიმართულებით, წარმოშობენ ჰიპერტროფიას და ატროფიას, ლამაზად ამბობს იგი, სხვათა შორის: «უქმი სწავლა დიდად არა სჯობს სწავლას უქმად ყოფნისა... ფიზიკური შრომა თავდაპირველი დაწესებულებაა ღვთისა... შრომა ისევე აუცილებელია სხეულის ჯანსაღობისათვის, როგორც საქმელი — მისი სიცოცხლისათვის; იმიტომ რომ ის უსიამოვნება, რასაც ადამიანი თავს არიდებს უქმად ყოფნით, თავს ატყდება მას ავადმყოფობის სახით... შრომა სიცოცხლის

რამდენადაც საფაბრიკო კანონმდებლობა ფაბრიკაში, მანუფაქტურაში და სხვ. შრომის აწესრიგებს, ეს თავდაპირველად გვეჩვენება მხოლოდ როგორც ჩარევა კაპიტალის ექსპლოატატორულ უფლებებში. პირიქით, ყოველი რეგულირება ეგრეთწოდებული შინმუშაობისა³¹⁰ მაშინვე წარმოგვიდგება როგორც პირდაპირი შექრა patria potestas-ში [მამის უფლებებში], ე. ი. თანამედროვე ენით რომ განვიმარტოთ, მშობლების ავტორიტეტის სფეროში, და ეს კი ისეთი ნაბიჯია, რომლის წინაშე ინგლისის გულჩვილი პარლამენტი დიდხანს თრთოლით უკან იხევდა. მაგრამ ფაქტების ძალამ, ბოლოს. გამოიწვია იძულებითი აღიარება იმისა, რომ მსხვილი მრეწველობა, ძველი ოჯახის ეკონომიურ საფუძველთან და მის შესაბამის ოჯახურ შრომასთან ერთად არღვევს თვით ძველ ოჯახურ ურთიერთობასაც. ბავშვების უფლება საჯაროდ უნდა აღიარებულყო. «საუბედუროდ, — ნათქვამია «Children's Employment Commission»-ის 1866 წლის საბოლოო ანგარიშში, — მოწმეთა ყველა ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ ორივე სქესის ბავშვები არავისგან დაცვას ისე ძალიან არ საჭიროებენ, როგორც თავიანთი მშობლებისგანა. ბავშვების შრომის საერთოდ და განსაკუთრებით შინმუშაობაში მათი შრომის უზომო ექსპლოატაციის სისტემას ზღვს უწყობს ის გარემოება, რომ მშობლები შეუზღუდველად და უკონტროლოდ სარგებლობენ თვითნებური და დაუზოგავი ძალაუფლებით თავიანთი ნორჩი და სათუთი შთამომავლობის მიმართ... მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ აბსოლუტური უფლება, — თავიანთი შვილები უბრალო მანქანებად გადააქციონ ყოველკვირეულად ამდენი და ამდენი ხელფასის მისაღებად... ბავშვებს და მოზარდებს აქვთ იმის უფლება, რომ კანონმდებლობამ დაიცვას ისინი მშობელთა ძალაუფლების ისეთი ბოროტვა მოყენებისაგან, რომელიც ნაადრევად არღვევს მათს ფიზიკურ ძალას და აქვეითებს მათს მორალურ და ინტელექტუალურ არსებას»³¹¹. მაგრამ მშობლების

კრაქს ხეთს უმატებს, ხოლო აზრი მას ანთებს... ბავშვა უაზრო შრომა (ეს წინასწარმეტყველურად ნათქვამია ბახედოვებისა და მათი თანამედროვე უშნო მიმბაძველების წინააღმდეგ) ბავშვის გონებას უაზრო გონებად ტოვებს» («Proposals for raising a College of Industry of all useful Trades and Husbandry». London 1696, გვ. 12, 14, 18).

³¹⁰ სხვათა შორის ამას მეტწილად ადგილი აქვს აგრეთვე უფრო წვრილ სახელოსნოებში, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ მაქმანის მანუფაქტურისა და ჩალის წნვის მაგალითებზე და რის ჩვენებაც უფრო დეტალურად შეიძლება განსაკუთრებით აგრეთვე ლითონმანუფაქტურების მაგალითზე შევიღდში, ბირმინგამში და სხვ.

³¹¹ «Children's Employment Commission. 5th Report», გვ. XXV, № 162 და 2nd Report, გვ. XXXVIII, № 285, 289; გვ. XXV, XXVI, № 191.

ძალაუფლების ბოროტგამოყენებამ კი არ შექმნა მოუმწიფებელი სამუშაო ძალის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ექსპლოატაცია კაპიტალის მიერ, არამედ, პირიქით, ექსპლოატაციის კაპიტალისტურმა წესმა ამ ძალაუფლების შესაბამისი ეკონომიური საფუძვლის განადგურებით გადააქცია იგი ბოროტგამოყენებად. რაგინდ საშინელი და საზიზღარი იყოს ძველი ოჯახური წყობილების დარღვევა კაპიტალისტური სისტემის დროს, მაინც მსხვილი მრეწველობა, რომელიც გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ქალებს, მოზარდებს და ორივე სქესის ბავშვებს ოჯახის ფარგლებს გარეთ წარმოების საზოგადოებრივად ორგანიზებულ პროცესებში, ახალ ეკონომიურ საფუძველს ქმნის ოჯახისა და ორივე სქესს შორის ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის. რასაკვირველია, ასევე სიბრიყვე იქნება — ოჯახის აბსოლუტურ ფორმად მივიჩნიოთ მისი ქრისტიანულ-გერმანული ფორმა, ან ძველი რომაული, ან ძველი ბერძნული, ანდა აღმოსავლური, რომელნიც, სხვათა შორის, ერთმანეთთან დაკავშირებით ისტორიული განვითარების ერთიან მწკრივს შეადგენენ. ასევე ცხადია, რომ კომბინირებული მუშა-პერსონალის შედგენა ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკის ინდივიდთაგან, რაც თავისი სტიქიურად შექმნილი, უხეში, კაპიტალისტური ფორმით, როცა მუშა წარმოების პროცესისთვის არსებობს და არა წარმოების პროცესი მუშისთვის, გახრწნისა და მონობის მოშხამულ წყაროს წარმოადგენს, — პირიქით, სათანადო პირობებში ჰუმანური განვითარების წყაროდ უნდა გადაიქცეს¹¹².

აუცილებლობა იმისა, რომ საფაბრიკო კანონი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ სართავი და საფეიქრო ფაბრიკებისათვის, მანქანური წარმოების ამ პირველქმნილებათათვის, — უნდა გადაიქცეს მთელი საზოგადოებრივი წარმოების საყოველთაო კანონად, როგორც დავინახეთ, გამომდინარეობს მსხვილი მრეწველობის ისტორიული განვითარების მსვლელობიდან, მრეწველობისა, რომლის ზურგს უკან მანუფაქტურის, ხელოსნობისა და შინმუშაობის ტრადიციული ფორმა სრულ რევოლუციურ გარდაქმნას განიცდის: მანუფაქტურა მულამ ფაბრიკად იქცევა, ხელოსნობა — მანუფაქტურად, და, ბოლოს, ხელოსნობისა და შინმუშაობის სფეროები შედარებით საოცრად მოკლე ხანში იქცევა ტანჯვა-ვაების ჯურღმულებად, სადაც თავისუფლად დანაწარმობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის

¹¹² «ფაბრიკული შრომა შეიძლება ისევე სუფთა და ჩინებული იყოს, როგორც შინმუშაობა. და იქნება — უფრო მეტადაც» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 127).

აღვირახსნილი საშინელება. ორი გარემოებაა აქ ბოლოს და ბოლოს გადამწყვეტი მნიშვნელობის: პირველი — გამოცდილება, რომელიც მუდამ ახლად მეორდება, რომ კაპიტალი, როგორც კი იგი საზოგადოებრივი პერიფერიების მხოლოდ ზოგიერთ პუნქტზე დაექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს, თავის დანაკლისს ზომაზე მეტად ინაზღაურებს სხვა პუნქტებზე³¹³, და მეორე — თვით კაპიტალისტების გოდება კონკურენციის თანასწორი პირობებისათვის, ე. ი. შრომის ექსპლოატაციის თანასწორი ზღუდეებისათვის³¹⁴. მოვისმინოთ ორი ამონაკვეთი ამის შესახებ. ბ.ბ. ვ. კუკსლებმა (ლურსმნის, ჯაჭვის და სხვ. მეფაბრიკებმა ბრისტოლში) ნებაყოფლობით შემოიღეს თავიანთ საწარმოში საფაბრიკო კანონის წესები. «რადგან ძველი მოუწესრიგებელი სისტემა ისევ განაგრძობს არსებობას მეზობელ საწარმოებში, ამიტომ ისინი ასეთ უსამართლობას განიცდიან: მათთან მომუშავე მოზარდებს მიიტყუებენ (enticed) სხვაგან და იქ მათ საღამოს 6 საათის შემდეგ ამუშავენ. ეს უსამართლობაა ჩვენ მიმართ, — ამბობენ, რასაკვირველია, ისინი, — და თანაც ზარალი, რადგან ამ გზით მოზარდებს ძალ-ღონის ნაწილი ეცლებათ, რომლისგანაც მთელი სარგებლობა ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო»³¹⁵. ბ-ნი ჯ. სიმპსონი (ქალაქის ბარკებისა და კოლოფების მეფაბრიკე ლონდონში) აცხადებს «Children's Employment Commission»-ის წევრების წინაშე: «თუ მზად არის ხელი მოაწეროს ყოველ პეტიციას საფაბრიკო აქტის შემოსაღებად. დღევანდელ პირობებში ის მუდამ მოუსვენრობას განიცდის ღამდამობით (the always felt restless at night), თავისი სახელოსნოს დაკეტვის შემდეგ, როდესაც გაიფიქრებს, რომ სხვები უფრო მეტ ხანს ეწევიან მუშაობას და მას ცხვირწინ სტაცებენ შეკვეთებს»³¹⁶. «უსამართლობა იქნებოდა მსხვილი მეწარმეების მიმართ, — ამბობს «Children's Employment Commission»-ი დასკვნის სახით, — მათი ფაბრიკები რომ რეგულირებას დაექვემდებაროს, მაშინ როდესაც წარმოების მათსავე საკუთარ დარგში წვრილი წარმოება სამუშაო დროის არავითარ კანონმდებლობითს შეზღუდვას არ ექვემდებარება. კონკურენციის უთანასწორო პირობების უსამართლობას, რასაც ადგილი ექნებოდა იმიტომ, რომ წვრილ სახელოსნოებზე

³¹³ «Reports of Insp. of Fact. for 31st October 1865», გვ. 27, 32.

³¹⁴ ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთი მოიპოვება «Reports of Insp. of Fact.»-ში.

³¹⁵ «Children's Employment Commission. 5th Report», გვ. X, № 35.

³¹⁶ იქვე, გვ. IX, № 28.

არ გავრცელდებოდა სამუშაო საათების შეზღუდვა, დაემატებოდა კიდევ ის ზარალიც მსხვილი მეფაბრიკეებისათვის, რომ მოზარდთა და ქალთა შრომის მიწოდება იმ სახელოსნოებისაკენ იბრუნებდა პირს, რომელთაც კანონი არ შეხებია. ბოლოს, ეს ბიძგს მისცემდა წვრილი სახელოსნოების გამრავლებას, სადაც, თითქმის უკლებლივ, სუსტად არის დაცული ხალხის ჯანმრთელობის, კეთილმდგომარეობის, აღზრდისა და საერთო გაუმჯობესების პირობები³¹⁷.

თავის დასკვნითს ანგარიშში «Children's Employment Commission»-ი წინადადებას იძლევა საფაბრიკო აქტს დაექვემდებაროს 1 400 000-ზე მეტი ბავშვი, მოზარდი და ქალი, რომელთაგან თითქმის ნახევარი ექსპლოატაციას განიცდის წვრილი წარმოებისა და შინმუშაობის სისტემის გამო³¹⁸. «თუ, — ამბობს კომისია, — პარლამენტი ჩვენს წინადადებას მთლიანად მიიღებს, მაშინ უქვეყლია, რომ ასეთი კანონმდებლობა უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას იქონიებდა არა მარტო მცირეწლოვანებსა და სუსტებზე, რომლებსაც იგი პირველ რიგში შეეხება, არამედ ასაკოვანი მუშების უდიდეს მასაზედაც, რომელნიც პირდაპირ (ქალები) და არაპირდაპირ (მამაკაცები) მისი მოქმედების სფეროში მოექცევიან. იგი აიძულებდა მათ დაეცვათ რეგულარული და შემცირებული სამუშაო დრო, იგი დაზოგავდა და გაზრდიდა ფიზიკური ძალის იმ მარაგს, რომელზედაც ასე ძალიან

³¹⁷ იქვე, გვ. XXV, № 165 — 167. მსხვილი წარმოების უპირატესობის შესახებ წვრილ წარმოებასთან შედარებით იხ. «Children's Employment Commission. 3rd Report», გვ. 13, № 144; გვ. 25, № 121; გვ. 26, № 125; გვ. 27, № 140 და სხვ.

³¹⁸ მრეწველობის დარგები, რომლებზედაც საფაბრიკო კანონები უნდა გავრცელდებოდა, შემდეგია: მაქმანის მანუფაქტურა, წინდების ქსოვა, ჩალის წნვა, ტანსაცმლის დამზადება მისი მრავალნაირი სახით, ხელოვნური ყვავილების კეთება, ფეხსაცმლის, ქუდისა და ხელთათმნის წარმოება, მეთერძობა, ლითონის ყველა ქარხანა, ბრძმედებიდან მოყოლებული ნემსის ფაბრიკებამდე და სხვ., ქალაქის ფაბრიკები, მინის მანუფაქტურა, თამბაქოს მანუფაქტურა, რეზინის წარმოება, სვარცხლების ფაბრიკაცია (საფეიქროებისთვის), ხალიჩების ხელით ქსოვა, საწვიმარი და სამზუური ქოლგების მანუფაქტურა, თითისტრების და მასრების ფაბრიკაცია, წიგნების ბეჭდვა, წიგნების კაზმვა, საწერი საგნებით ვაჭრობა (Stationery, — ამას მიკუთვნება ქალაქის კოლოფების, ბანქოს, ქალაქის საღებავებისა და სხვათა დამზადება), ბაგირის წარმოება, აქატის მორთულობათა წარმოება, აგურის ქარხნები, აბრეშუმის მანუფაქტურა ხელშრომით, აბრეშუმის ლენტების წარმოება [Coventry-Weberei], მარილის, ქონის სანთლის და ცემენტის წარმოება, შაქრის წარმოება, ბისკიტის დამზადება, სხვადასხვა ხისდამმუშავებელი და სხვა შერეული სამუშაოები.

არის დამოკიდებული როგორც მათი საკუთარი, ისე მთელი ქვეყნის კეთილდღეობა; იგი დაიცავდა მოზარდ თაობას იმ გადაჭარბებული დაძაბულობისაგან ადრეულ ასაკში, რომელიც აუძლურებს მის ორგანიზმს და მის ნაადრევ დაძაბუნებას იწვევს; დასასრულ, იგი მისცემდა ბავშვებს, 13 წლამდე მაინც, პირველდაწყებითი სწავლების მიღების შესაძლებლობას და ამით ბოლოს მოუღებდა იმ წარმოუდგენელ უვიცობას, რომელიც ასე სწორად არის აწერილი კომისიის მოხსენებებში და რომლის ცქერა არ შეიძლება უიმისოდ, რომ მწვავე გულსტიკილი და ეროვნული დამცირების ღრმა გრძნობა არ განიცადათ³¹⁹. ტორიულმა სამინისტრომ 1867 წლის 5 თებერვლის სეფე-სიტყვაში განაცხადა, რომ მან მრეწველობის გამომკვლევე კომისიის წინადადებანი ჩამოაყალიბა «bills»-ის [კანონპროექტების] სახით³¹⁹ ა. ამისათვის მას დასჭირდა ახალი ოცწლიანი *experimentum in corpore vili* [ექსპერიმენტი არადღირებულ ცოცხალ სხეულზე]. უკვე 1840 წელს დაინიშნა საპარლამენტო კომისია ბავშვების შრომის გამოსაკვლევად. მისმა ანგარიშმა (1842 წელს), ნ. ვ. სენიორის სიტყვით, გადაშალა ლუსაშინელესი სურათი კაპიტალისტების და მშობლების გაუმაძღრობის, ეგოიზმის და სიმკაცრისა, — სურათი ბავშვთა და მოზარდთა სილატაკის, დეგრადაციის და განადგურებისა, რომლის მსგავსი არასოდეს არ უხილავს მსოფლიოს... შეიძლებოდა გვეფიქრა, ანგარიში წარსული ღრობის საშინელებას აღწერსო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ეს საშინელება ახლაც ისეთივე ინტენსივობით განაგრძობს არსებობას, როგორც უწინ. ამ ორი წლის წინათ პარლუიკის მიერ გამოქვეყნებული ბროშურა ადასტურებს, რომ 1842 წელს მხილებული ბოროტებანი დღესაც (1863 წელს) სრულ ძალაში არიან... ეს ანგარიში (1842

³¹⁹ იქვე, გვ. XXV, № 169.

^{319a} *Factory Acts Extension Act* [დამატებითი კანონი მრეწველობის ახალ დარგებზე საფაბრიკო აქტის გავრცელების შესახებ] მიღებულ იქნა 1867 წლის 12 აგვისტოს. იგი აწესრიგებს ყველა ლითონსამსხმელო, სამკედლო და ლითონდამმუშავებელ ქარხნებს, მანქანათა ფაბრიკების ჩათვლით, შემდეგ — მინის ქარხნებს, ქაღალდის, გუტაპერჩის, კაუჩუკისა და თამბაქოს მანუფაქტურებს, სტამბებს და სამკაზმოებს, ბოლოს — ყველა სახელოსნოს, სადაც 50-ზე მეტი ადამიანი მუშაობს. — *Hours of Labour Regulation Act* [სამუშაო საათების მარეგულირებელი აქტი], რომელიც მიღებულ იქნა 1867 წლის 17 აგვისტოს, აწესრიგებს უფრო წვრილ სახელოსნოებს და ეგრეთწოდებულ შინმუშაობას.

ამ კანონებს, 1872 წლის ახალ *Mining Act*-ს [კანონს საშადნეების შესახებ] და სხვ. მე კიდევ დაუბორონდები II ტომში.

წლისა) მთელი 20 წლის მანძილზე უყურადღებოდ იყო დატოვებული და ამ ხნის განმავლობაში იმ ბავშვებს, რომელნიც ისე გაიზარდნენ, რომ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არც იმაზე, რასაც ჩვენ მორალს ვუწოდებთ, და არც სასკოლო განათლებაზე, სარწმუნოებაზე ანდა ბუნებრივ ოჯახურ სიყვარულზე, — ნება მისცეს ახლანდელი თაობის მშობლები გამხდარიყვნენ³²⁰.

მაგრამ საზოგადოებრივი მდგომარეობა შეიცვალა. პარლამენტმა ვერ გაბედა 1863 წლის კომისიის მოთხოვნები ისევე უკუეგლო, როგორც მან თავის დროზე უკუეგლო 1842 წლის კომისიის მოთხოვნები. ამიტომ უკვე 1864 წელს, როდესაც კომისიამ თავისი ანგარიშების მხოლოდ ერთი ნაწილი გამოაქვეყნა, საფეიქრო მრეწველობისათვის მოქმედ კანონს დაექვემდებარა: თიხის ნაწარმის მრეწველობა (მეტუნეობის ჩათვლით), შპალერის, ასანთის, ვაზნის და ფისტონის ფაბრიკაცია, აგრეთვე ხავერდის კრეჭა. 1867 წლის 5 თებერვალს მაშინდელმა ტორიულმა კაბინეტმა სეფე-სიტყვაში განაცხადა, რომ დასამტკიცებლად წარადგენდა იმ კომისიის დასკვნითს წინადადებებზე დაფუძნებულ კანონპროექტებს, რომელმაც ამასობაში — 1866 წელს — თავისი მუშაობა დაამთავრა.

1867 წლის 15 აგვისტოს Factory Acts Extension Act [დამატებითი კანონი მრეწველობის ახალ დარგებზე საფაბრიკო აქტის ვაერცელების შესახებ] და იმავე წლის 21 აგვისტოს Workshops' Regulation Act [სახელოსნოების მომწესრიგებელი აქტი] დამტკიცებულ იქნა მეფის მიერ; პირველი კანონი აწესრიგებს მსხვილ, მეორე კი — წვირლ საწარმოებს.

Factory Acts Extension Act საფაბრიკო კანონს უქვემდებარებს პრემედებს, რკინისა და სპილენძის ქარხნებს, სამსხმელო ქარხნებს, მანქანათა ფაბრიკებს, ლითონის სახელოსნოებს, გუტაპერჩის, ქალაღდის, მინის და თამბაქოს ფაბრიკებს, შემდეგ — სტამბებსა და წიგნების სამკაზმოებს და საერთოდ ყველა ამგვარ სამრეწველო სახელოსნოს, სადაც 50 ანდა მეტი ადამიანი იმავდროულად წელიწადში მუშაობს არანაკლებ 100 ღღისა.

რამდენადმე რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ კანონის მოქმედების სფეროს სივრცეზე, მოვიყვანთ აქ ზოგიერთ მის მიერ დაღვენილ განმარტებას:

«ხელოსნობა ნიშნავს (ამ კანონში): ყოველნაირ ხელშრომას, როცა ეს შრომა წარმოებს პროფესიის წესით, ანუ საშოკრის

³²⁰ Senior: «Social Science Congress». [Edinburgh 1863], გვ. 55 — 58.

მიღების მიზნით, ანდა შემთხვევის დროს, გასაყიდად განკუთვნილი რაიმე საგნის ან მისი ნაწილის დასამზადებლად, შესაცვლელად, გასამშვენებლად, შესაკეთებლად ან დასამთავრებლად.

ეს ახელოსანო ნიშნავს: ყველა ოთახს ან ადგილს, დახურულს ან ცის ქვეშ გაშლილს, სადაც «ხელოსნობას» ეწევა ბავშვი, მოზარდი ან ქალი და სადაც შესვლისა და კონტროლის უფლება აქვს მას, ვისაც ეს ბავშვი, მოზარდი ან ქალი სამუშაოზე ჰყავს დაყენებული.

«დასაქმებული ნიშნავს: გარკვეულ «ხელოსნობაში», ფასით ან უფასოდ, მომუშავეს ოსტატთან ან ერთ-ერთ მშობელთან, როგორც ეს უფრო დაწვრილებით განსაზღვრულია ქვემოთ.

«მშობელი ეწოდება: მამას, დედას, მეურვეს ან სხვა პირს, რომელსაც აქვს მეურვეობის ანუ ზედამხედველობის უფლება ამა თუ იმ... ბავშვზე ან მოზარდ მუშაზე».

მუხლი მე-7, რომელიც სასჯელს აწესებს კანონის დადგენილებათა წინააღმდეგ ბავშვების, მოზარდთა და ქალების დასაქმებისათვის, ფულად ჯარიმას აკისრებს არა მარტო სახელოსნოს პატრონს, იქნება იგი ერთ-ერთი მშობელი თუ სხვა ვინმე, არამედ — «მშობლებსა და სხვა პირებსაც, რომელნიც მეურვეობას უწევენ ბავშვს, მოზარდს ან ქალს, ან პირდაპირ სარგებლობას იღებენ მათი შრომისაგან».

Factory Acts Extension Act, რომელიც მსხვილ საწარმოებზე ვრცელდება, ძირითად საფაბრიკო აქტზე გაცილებით დაბლა დგას თავისი უზადრუჟი გამონაკლისებისა და კაპიტალისტების მიმართ მხდელი კომპრომისების გამო.

Workshops' Regulation Act, ეს მთელი თავისი ღეტალებით უზადრუჟი აქტი, მკედარ ასო-ანბანად დარჩა საქალაქო და ადგილობრივ მმართველობათა ხელში, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ მისი ცხოვრებაში გატარება. როდესაც 1871 წელს პარლამენტმა მათ ეს უფლებამოსილება ჩამოართვა და იგი გადასცა ფაბრიკის ინსპექტორებს, რომელთა კონტროლის სფერო ერთი დაკვრით 100 000-ზე მეტი სახელოსნოთი და 300 მარტოოდენ აგურის ქარხნით გაფართოვდა, ამ დროს ინსპექციის პერსონალის მიმართ ისე დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს, რომ მხოლოდ 8 თანაშემწე მიუმატეს, თუმცა ეს პერსონალი მანამდეც ძალიან მცირერიცხოვანი იყო²¹.

²¹ საფაბრიკო ინსპექციის პერსონალს შეადგენდნენ: 2 ინსპექტორი, 2 ინსპექტორის თანაშემწე და 41 სუბინსპექტორი. ახალი 8 სუბინსპექტორი დანიშნეს 1871 წელს. ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში საფაბრიკო კანონების ცხოვრე-

ამრიგად, ინგლისის 1867 წლის ამ კანონმდებლობაში თვალში გეცემათ, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ გაბატონებულ კლასთა პარლამენტი იძულებული გახდა პრინციპულად მიეღო ესოდენ არაჩვეულებრივი და ფართო ღონისძიებანი კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკიდურესობათა წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, — ორჭოფობა, უგულობა და *mala fides* [არაკეთილსინდისიერება], რომლითაც პარლამენტი შემდეგში ამ ღონისძიებებს პრაქტიკულად ახორციელებდა.

1862 წლის გამომკვლევმა კომისიამ წინადადება შეიტანა აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის ახლად მოწესრიგების შესახებ, მრეწველობისა, რომელიც იმით განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან, რომ აქ მიწათმფლობელთა და მრეწველ კაპიტალისტთა ინტერესები ხელისხელჩაკიდებულია. ამ ორი ინტერესის დაპირისპირებულობა ხელს უწყობდა საფაბრიკო კანონმდებლობას; ამ დაპირისპირებულობის არარსებობა საქმარისია იმ გაჭიანურებისა და ზრიკების ასახსნელად, რასაც ადგილი ჰქონდა სამთამადნო მრეწველობის კანონმდებლობის დარგში.

1840 წლის გამომკვლევმა კომისიამ ისეთი საშინელი და აღმაშფოთებელი ფაქტები გამოამჟღავნა და ისეთი სკანდალი გამოიწვია მთელ ევროპაში, რომ პარლამენტი იძულებული გახდა დაემშვიდებინა თავისი სინდისი 1842 წლის Mining Act-ით [სამადნეების აქტით], რომელიც დაკმაყოფილდა იმით, რომ ბავშვებს 10 წლამდე და ქალებს მიწის ქვეშ მუშაობა აუკრძალა.

შემდეგ — 1860 წელს — გამოქვეყნდა Mines' Inspection Act [კანონი სამთამადნო ინსპექციის შესახებ], რომლის ძალით მალაროები დაექვემდებარა საგანგებოდ ამისათვის დანიშნულ სახელმწიფო მოხელეთა ინსპექციას და აიკრძალა იქ 10 — 12 წლის ბიჭების სამუშაოზე აყვანა, თუ მათ არ ექნებოდათ სკოლის მოწმობა, ანდა არ ივლიდნენ სკოლაში გარკვეული საათების განმავლობაში. დანიშნული ინსპექტორების კურიოზულად მცირე რიცხვის, მათი უმნიშვნელო უფლებებისა და სხვა მიზეზთა გამო, რასაც ამ გამოკვლევის შემდგომი მსვლელობიდან დავინახავთ, ეს აქტი მხოლოდ მკედარ ასო-ანბანად დარჩა.

ბაში გატარების მთელი ხარჯები 1871 — 1872 წლებში შეადგენდა მხოლოდ 25 347 გირვანჯა სტერლინგს. აქ შედის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ სასამართლო პროცესების ხარჯებიც.

«Report from the Select Committee on Mines, together with... Evidence, 23. July 1866» — ერთი უახლესი ლურჯ წიგნთაგანია სამთამადნო მრეწველობის შესახებ. ესაა ნაშრომი თემთა პალატის წევრებისაგან შემდგარი კომიტეტისა, რომელიც აღჭურვილი იყო უფლებით გამოეწვია და დაეკითხა მოწმეები; იგი წარმოადგენს სქელ ტომს in folio, სადაც თვით «Reports»-ი [ანგარიში] შეიცავს მხოლოდ ხუთ სტრიქონს შემდეგი შინაარსისას: კომიტეტს არაფრის თქმა არ შეუძლია, საჭიროა კიდევ მეტი მოწმეების დაკითხვა!

მოწმეთა დაკითხვის წესი მოგვაგონებს cross examinations-ს [ჯვარედინ დაკითხვას] ინგლისის სასამართლოს წინაშე, სადაც ადვოკატი უსირცხვილო, თავგზაამრევი, ყოველმხრივ მიმართული შეკითხვებით ცდილობს მოწმის დაბნევის და მისი სიტყვების დამახინჯებას. ადვოკატები აქ თვითონ პარლამენტის საგამომძიებლო კომისიის წევრები არიან, მათ შორის — მალაროების მესაკუთრენი და მალაროების ექსპლოატატორები; მოწმეები არიან მთამადნის მუშები. უმთავრესად ქვანახშირის მალაროებიდან. მთელი ეს ფარსი ისე დამახასიათებელია კაპიტალის სულისათვის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ამონაწერი. მიმოხილვის გასაადვილებლად გამოკვლევის შედეგები და სხვ. ცალკე რუბრიკებადაა დაყოფილი. მკითხველს მოვავაზნებ, რომ შეკითხვები და სავალდებულო პასუხები ინგლისურ ლურჯ წიგნებში დანომრილია, და რომ ის მოწმეები, რომელთა ჩვენებაც აქ მოგვყავს, ნახშირის მალაროების მუშები არიან.

1) მალაროებში მუშაობა მცირეწლოვანთა 10 წლის ასაკიდან დაწყებული. მუშაობა, გზის ჩათვლით მალაროებამდე და მალაროებიდან, ჩვეულებრივ 14 — 15 საათი გრძელდება, — განსაკუთრებულ შემთხვევებში მეტიც, — დილის 3, 4, 5 საათიდან საღამოს 4—5 საათამდე (№ 6, 452, 83). ასაკოვანი მუშები ორ ცვლად მუშაობენ, რვა-რვა საათს, მაგრამ მცირეწლოვანთათვის, ხარჯების შემცირების მიზნით, ასეთი შენაცვლება არ არსებობს (№ 80, 203, 204). პატარა ბავშვებს უმთავრესად იყენებენ კარების გამღებ-დამხურავებად მალაროების სხვადასხვა განყოფილებაში, უფრო მოზრდილებს კი — უფრო მძიმე სამუშაოზე, ნახშირის გადასაზიდად და სხვ. (№ 122, 739, 1747). ხანგრძლივი სამუშაო დღე მიწისქვეშა სამუშაოებზე არსებობს 18 — 22-მდე სასაათისთვის, როდესაც ხდება გადასვლა საკუთრივ სამალაროო მუშაობაზე (№ 161). ბავშვებს და მოზარდებს ახლა უფრო ტანჯავენ მუშაობით, ვიდრე ოდესმე უწინ (№ 1663 — 1667). მალაროს მუშები თითქმის ერთხმად მოითხოვენ ისეთი საპარლამენტო აქტის გამოცემას, რომელიც აკრძალავს მალაროებში მუშაობას

14 წლის ასაკამდე. და აი აქ ჰესი ვივიენი (თვითონ ქვანახშირის მალაროს ექსპლოატატორი) ასეთ კითხვას იძლევა: «ეს მოთხოვნა მშობლების მეტ ან ნაკლებ სიღარიბეზე ხომ არაა დამოკიდებული?» — და შემდეგ ბ-ნი ბრიუსი დასძენს: «განა სიმკაცრე არ იქნება, თუ მამა მკვდარია ან დასახიჩრებული და სხვ., შემოსავლის ეს წყარო წაერთვას ოჯახს? და წესი ხომ საყოველთაო უნდა იყოს... თქვენ გინდათ განა, რომ 14 წლის ასაკამდე ბავშვების მიწისქვეშა მუშაობა აიკრძალოს ყველა შემთხვევაში?» — პასუხი: «ღიახ, ყველა შემთხვევაში» (№ 107—110). ვივიენი: «თუ 14 წლამდე მუშაობა მალაროებში აიკრძალება, მშობლები განა არ დაიწყებენ თავიანთი შვილების გზავნას ფაბრიკებში და სხვაგან?» — როგორც საერთო წესი, — არა» (№ 174). მუშა: «კარების გაღება და მიხურვა ადვილ საქმედ ეჩვენება კაცს. მაგრამ ეს მეტად დამტანჯველი მუშაობაა. მუდმივ ორპირ ქარს რომ თავი დავანებოთ, ბავშვი ტყვეობაშია, ნამდვილ ბნელ კარცერშია ჩაგდებული». ბურჟუა ვივიენი: «განა არ შეუძლია ბავშვს კარს დარაჯობდეს და წიგნიც იკითხოს, თუ სანთელი ექნება?» — ჯერ-ერთი, მას დასკირდებოდა სანთლის ყიდვა; გარდა ამისა, მას ამის ნებას არ მისცემდნენ. იგი იქ იმიტომაა დაყენებული, რომ თავის საქმეს ყური უგდოს, მან განსაზღვრული მოვალეობა უნდა შეასრულოს. მე არასოდეს არ მინახავს, რომ რომელიმე ბავშვი მალაროში წიგნს კითხულობდეს» (№ 139, 141, 143, 158, 160).

2) აღზრდა. მალაროს მუშები მოითხოვენ კანონს ბავშვების სავალდებულო სწავლების შესახებ, როგორც ეს დაწესებულია ფაბრიკებში. ისინი აცხადებენ, რომ 1860 წლის კანონის მუხლი, რომელიც აწესებს სკოლის მოწმობას აუცილებელ პირობად 10—12 წლის ბავშვების მუშაობისთვის, სრულიად ილუზორულია. კაპიტალისტურ გამოძიებელთა მიერ გამოყენებული მეთოდი «მწვალებლური» დაკითხვისა აქ ჭეშმარიტად კურიოზულ ხასიათს იღებს. «ვის წინააღმდეგ უფრო საჭიროა კანონი, — მეწარმეთა თუ მშობლების წინააღმდეგ? — ორივეს წინააღმდეგ» (№ 115). «უფრო პირველთა წინააღმდეგ, ვიდრე მეორეთა წინააღმდეგ?» — აბა რა გიპასუხოთ ამაზე?» (№ 116). «ეტყობა თუ არა მეწარმეებს რაიმე სურვილი, რომ სამუშაო საათები შეუთანხმონ სკოლაში სიარულს? — არასოდეს» (№ 137). «აუშჯობესებენ თუ არა მალაროს მუშები შემდეგ თავიანთ სწავლა-აღზრდას? — საერთოდ ისინი უარესდებიან; ითვისებენ ცუდ ზნე-ჩვეულებას; ეჩვევიან ლოთობას, ბანქოს თამაშს და სხვ. და სრულიად ეცემიან» (№ 211). «რატომ არ გზავნიან ბავშვებს სალამოს სკოლებში? — ქვანახშირის ოლქებში უმეტესწილად ასეთი სკოლები სულ არ არსებობს.

ხოლო, რაც მთავარია, ბავშვები ისე დაქანცული არიან გადამეტებული ხანგრძლივი შრომით, რომ დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებათ» (№ 454). «მაშასადამე, — დაასკვნის ბურჟუა, — თქვენ სწავლა-განათლების წინააღმდეგი ხართ? — სრულიადაც არა, მაგრამ» და სხვა. «ავალდებულებს თუ არა 1860 წლის აქტი მალაროების პატრონთ და სხვებს მოითხოვონ სკოლის მოწმობა, როდესაც ისინი 10 — 12 წლის ბავშვებს ქირაობენ? — კანონი — კი, მაგრამ მეწარმეები ამას არ ასრულებენ». «თქვენი აზრით, კანონის ეს მუხლი ყოველთვის არ სრულდება? — იგი სრულიად არ სრულდება» (№ 443, 444). «მალაროს მუშები ძალიან არიან დაინტერესებულნი სწავლა-აღზრდის საკითხით? — დიდი უმრავლესობა — დიახ» (№ 717). «ძალიან სურთ მათ კანონის ცხოვრებაში გატარება? — დიდ უმრავლესობას — დიახ» (№ 718). «მაშ რატომ იძულების გზით არ მიაღწევენ ისინი ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას? — ზოგიერთ მუშას შეიძლება სურდეს არ დაუშვას მოზარდი სამუშაოზე სკოლის მოწმობის გარეშე, მაგრამ ამისათვის იგი შემჩნეული კაცი (a marked man) გახდება» (№ 720). «ვის მიერ შემჩნეული? — თავისი დამჭირავებლის მიერ» (№ 721). «ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ დამჭირავებლები დევნას დაუწყებდნენ ადამიანს კანონისადმი მორჩილებისათვის? — მგონია, რომ კი, ისინი ამას იზამენ» (№ 722). «რატომ არ ამბობენ მუშები უარს ასეთი მოზარდების შრომის გამოყენებაზე? — ამის გარჩევა მუშებს არ ეკითხება» (№ 123). «თქვენ პარლამენტის ჩარევას მოითხოვთ? — თუ მალაროს მუშათა ბავშვების სწავლა-აღზრდისათვის მნიშვნელოვანი რამ უნდა მოხდეს, ეს უნდა გატარდეს ცხოვრებაში საპარლამენტო აქტის იძულებითი წესით» (№ 1634). «ეს უნდა გავრცელდეს დიდი ბრიტანეთის ყველა მუშის ბავშვებზე, თუ — მარტო მალაროს მუშებზე? — მე აქ ვარ მოსული, რომ მალაროს მუშების სახელით ვილაპარაკო» (№ 1636). «რით განსხვავდებიან მალაროს მუშათა ბავშვები სხვებისაგან? — იმით, რომ ისინი შეადგენენ გამონაკლისს საერთო წესიდან» (№ 1638). «რა მხრივ? — ფიზიკურად» (№ 1639). «რატომ მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სწავლა-აღზრდა, ვიდრე სხვა კლასთა ბავშვებისათვის? — მე არ ვამბობ, რომ იგი უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, მაგრამ რადგან ისინი გადაქარბებულ მუშაობას ეწევიან მალაროებში, მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ დღისა და საკვირაო სკოლებში» (№ 1640). «მართალია ხომ, რომ ამგვარ საკითხებზე შეუძლებელია აბსოლუტურად მსჯელობა?» (№ 1644). «საკმაოდაა სკოლები ოლქებში? — არა» (№ 1646). «სახელმწიფომ რომ ყველა ბავშვის სკოლაში გაგზავნა მოითხოვოს,

საიდან უნდა გაჩნდეს ამდენი სკოლები ყველა მათთვის? — მე მგონია, რომ თუ ამას გარემოება მოითხოვს, სკოლებსაც მოაწყობენ» (№ 1647).. «არა მარტო ბავშვების, არამედ მალაროს ასაკოვანი მუშების დიდმა უმრავლესობამაც კი არც წერა იცის და არც კითხვა» (№ 705, 726).

3) ქალთა შრომა. თუმცა 1842 წლიდან უკვე აღარ უშვებენ ქალებს მიწის ქვეშ სამუშაოდ, მაგრამ მათ ამუშავებენ ზედაპირზე ნახშირის დატვირთვაზე და სხვ., ნახშირით სავსე ვედროების მისაზიდად არხებთან და რკინიგზის ვაგონებთან, ნახშირის დახარისხებაზე და სხვა. ქალთა შრომის გამოყენება ძალიან გაძლიერდა უკანასკნელ 3—4 წელიწადში (№ 1727). ესენი უმთავრესად მალაროს მუშების ცოლები, ქალიშვილები და ქვრივები არიან, 12 წლიდან 50 და 60 წლამდე ასაკისა (№ 645, 1779, 1781). «რას ფიქრობენ მალაროს მუშები ქალების შრომაზე მალაროებში? — ისინი საერთოდ გმობენ მას» (№ 648). «რატომ? — მათ ეს შრომა ქალთა სქესის დამამკირებლად მიაჩნიათ» (№ 649) «...ისინი მამაკაცისებურ ტანისამოსს ატარებენ. ბევრ შემთხვევაში ამით ყოველი სირცხვილის გრძობა დახშულია. ზოგიერთი ქალი თუთუნს ეწვეა. მუშაობა აქ ისევე ქუჩყიანია, როგორც თვით მალაროებში. ბევრი მათგანი გათხოვილია და ოჯახური მოვალეობის შესრულება კი არ შეუძლია» (№ 651 — 654, 701). «შეუძლიათ ქვრივ ქალებს სხვაგან სადმე ასეთი შემოსავლიანი საქმე (8 — 10 შილინგი კვირაში) იშოვონ? — მე ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია» (№ 709 — 708). «და თქვენ მაინც მზად ხართ (რა გულქვაობაა!) რომ მათ ცხოვრების ეს წყარო წაერთვათ? — უეჭველად» (№ 710). «საიდან წარმოდგა ასეთი სულიერი განწყობილება? — ჩვენ, მალაროს მუშები, იმდენად ვცემთ პატივს მშვენიერ სქესს, რომ არ შეგვიძლია გულგრილად ვუყუროთ მის ტანჯვას ქვანახშირის მალაროებში... ეს მუშაობა მეტწილად ძალიან მძიმეა. ბევრი ამ ქალიშვილთაგანი დღეში 10 ტონამდე სიმძიმეს სწევს» (№ 1715, 1717). «ფიქრობთ თქვენ, რომ მალაროებში მომუშავე ქალები უფრო უზნეონი არიან, ვიდრე ფაბრიკებში მომუშავენი? — ცუდების პროცენტი აქ უფრო მეტია, ვიდრე ფაბრიკებში მომუშავე ქალიშვილთა შორის» (№ 1732). «მაგრამ თქვენ ხომ ფაბრიკებში არსებული ზნეობრივი მდგომარეობითაც არა ხართ კმაყოფილი? — მართალია, არა ვართ» (№ 1733). «მაშ თქვენ გასურთ აკრძალოთ ქალთა შრომა ფაბრიკებშიც? — არა, მე ეს არა მსურს» (№ 1734). «რატომ? — იგი ქალთა სქესისთვის უფრო საკადრისია და შესაფერი» (№ 1735). «მაგრამ, იგი რომ მავნებელია მათი ზნეობისათვის, როგორც თქვენ ფიქრობთ? — არა, სრულიადაც ისე მავნებელი არაა, როგორც მალაროებში.

თუმცა მე ამას ვამბობ არა მარტო ზნეობრივი, არამედ ფიზიკური და სოციალური მოსაზრებებითაც. ქალიშვილების სოციალური დეგრადაცია უაღრესად სავალალოა, უკიდურესია. როდესაც ეს ქალიშვილები მაღაროს მუშების ცოლები ხდებიან, მათი ქმრები დიდად იტანჯებიან ამ დეგრადაციის გამო, რაც მათ სახლიდან გარეთ და ლოთობისაკენ ერეკება» (№ 1736). «მაგრამ განა იგივე არ ითქმის რკინის ქარხნებში მომუშავე ქალებზედაც? — მე წარმოების სხვა დარგებზე არ შემიძლია ლაპარაკი» (№ 1737). «მაგრამ რა განსხვავებაა რკინის ქარხნებში მომუშავე ქალებსა და მაღაროებში მომუშავე ქალებს შორის? — მე ეს საკითხი არ მიკვლევია» (№ 1740). «შეგიძლიათ თქვენ აღმოაჩინოთ რაიმე განსხვავება ამ ორ კატეგორიას შორის? — მე დანამდვილებით ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ კარდაკარ დაეღლით მე გავეცანი საქმის სამარცხვინო მდგომარეობას ჩვენს ოლქში» (№ 1741). «თქვენ ძალიან გსურთ მოისპოს ქალთა შრომა ყველგან, სადაც იგი დამაქვეითებელ გავლენას ახდენს? — დიახ... თავიანთ საუკეთესო გრძნობებს ბავშვები მხოლოდ დედობრივი აღზრდისაგან იძენენ» (№ 1750). «მაგრამ ეს ხომ ქალების სამიწათმოქმედო მუშაობასაც შეეხება? — მუშაობა იქ წელიწადის მხოლოდ ორ დროს გრძელდება, ჩვენთან კი ქალები წელიწადის მთელ ოთხ დროს მუშაობენ» (№ 1751). «ისინი ხშირად დღე და ღამე მუშაობენ, თავით ფეხებამდე სველები, მათი ორგანიზმი სუსტდება, ჯანმრთელობა ნადგურდება» (№ 1753). «თქვენ ხომ საერთოდ არ შეგისწავლიათ ეს საკითხი (ქალთა შრომის საკითხი)? — მე ვაკვირდებოდი ჩემს ირგვლივ და შემიძლია ვთქვა, რომ არსად არ მინახავს ისეთი რამ, რაც თავისი საზიანო მოქმედებით შეედრებოდეს ქალთა შრომას მაღაროებში. ეს — მამაკაცის შრომაა და ისიც — განსაკუთრებით ღონიერი მამაკაცებისა» (№ 1753, 1793, 1794). «მაღაროს მუშებიდან საუკეთესონი, რომელთაც სურთ ამადღინენ და განათლდინენ, არათუ არ ღებულობენ თავიანთი ცოლებიდან მხარდაჭერას, არამედ, პირიქით, მათი მეოხებით ქვეითდებიან» (№ 1808). ბურჟუების ასეთ წაღმა-უკუღმა შეკითხვების გაგრძელების შემდეგ გამოაშკარავდა, ბოლოს, საიდუმლოება მათი «სიბრალოლისა» ქვრივების, ღარიბი ოჯახებისა და მსგავსთა მიმართ: მაღაროების მესაკუთრე მთავარ მეთვალყურეობას ანდობს ცნობილ ჯენტლმენებს; ამ უკანასკნელთა პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერში რაც შეიძლება მეტი ეკონომია გასწიონ, რათა ამით მოწონება დაიმსახურონ, და იქ, სადაც მამაკაცს დღეში 2 შილინგი და 6 პენსი უნდა მიეღო, მომუ-

შავე ქალიშვილებს 1 შილინგს ან 1 შილინგს და 6 პენსს აძლევენ» (№ 1816).

4) გარდაცვლილთა გვამების შემმოწმებელი ქიური. «კმაყოფილი არიან თუ არა მუშები თქვენს ოლქებში ნაფიც მსაჯულთა მიერ გვამების შემმოწმებით, როდესაც რაიმე უბედურება ხდება? — არა, არ არიან კმაყოფილი» (№ 360). «რატომ არ არიან? — განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნაფიც მსაჯულებად ნიშნავენ ისეთ პირებს, რომელთაც მაღაროების აბსოლუტურად არაფერი გაეგებათ. მუშებს არასოდეს არ იწვევენ, თუ არა მხოლოდ მოწმეებად. საერთოდ იწვევენ მეზობლად მცხოვრებ მეწვრილმანეებს, რომელნიც მაღაროების მფლობელთა — თავიანთ მუშტართა — გავლენის ქვეშ იმყოფებიან, და მოწმეების ტექნიკური გამოთქმები არც კი ესმით. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მაღაროს მუშები ამ ნაფიც მსაჯულთა რიცხვში შედიოდნენ. ჩვეულებრივ განაჩენი მოწმეთა ჩვენებას ეწინააღმდეგება» (№ 361, 364, 366, 368, 371, 375). «განა ნაფიცი მსაჯულები მიუდგომელნი არ უნდა იყვნენ? — დიახ». «მერე და მუშები მიუდგომელნი იქნებიან? — მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა იქნენ ისინი მიუდგომელნი. ისინი საქმის მცოდნენი არიან». «მაგრამ, განა მათ არ ექნებათ მიდრეკილება გამოითანონ ხოლმე მუშების სასარგებლოდ უსამართლო და მკაცრი განაჩენები? — არა, არა მგონია» (№ 378, 379, 380).

5) ყალბი საზომ-სასწორი და სხვა. მუშები მოითხოვენ ხელფასს ყოველკვირეულად და არა ორ კვირაში ერთხელ, ნახშირის ჩაბარებას წონით და არა ვედროების კუბიკური ტევადობის მიხედვით, ზომების მიღებას ყალბი სასწორის ხმარების წინააღმდეგ და სხვ. (№ 1071). «თუ ვედროებს გაადიდებენ მოტყუებით, ხომ შეუძლია მუშას ვიატოვოს მაღარო და ამის შესახებ მაღაროს ადმინისტრაციას 14 დღით ადრე აცნობოს? — მაგრამ თუ იგი სხვა ადგილზე გადავა, იქაც იმასვე ნახავს» (№ 1071). «მაგრამ ხომ შეუძლია მაინც დატოვოს ის ადგილი, სადაც უსამართლობას სჩადიან? — ყველგან იგივეა გამეფებული» (№ 1072). «მაგრამ შეუძლია მუშას დატოვოს თავისი ადგილი, თუ ამის შესახებ იგი ორი კვირით ადრე განაცხადებს? — დიახ» (№ 1073). მორჩა და გათავდა!

6) სამთამადნო ინსპექცია. მუშები მარტო გაზების აფეთქების დროს მომხდარ უბედურ შემთხვევებს როდი განიცდიან. ასევე უნდა ვუჩიოდეთ ჩვენ ცუდ ვენტილაციას ქვანახშირის მაღაროებში, რის გამო იქ მუშები ძლივს სუნთქავენ; ამიტომ მათ ყოველნაირი მუშაობის უნარი ეკარგებათ. ასე, მაგალითად, სწორედ ამჟამად მაღაროს იმ განყოფილებაში, სადაც მე ვმუშაობ, საზიზღარმა ჰაერმა მრავალი

მუშა მთელი კვირაობით ლოგინად ჩააგდო. მთავარ გასაველელებში მეტწილად ჰაერი საკმარისია, მაგრამ არ არის საკმარისი სწორედ იქ, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. თუ მუშა ვენტილაციის შესახებ საჩივარს გაუგზავნის ინსპექტორს, მას დაითხოვენ და იგი გახდება «შემჩნეული» ადამიანი, რომელიც ვერსად სხვაგან სამუშაოს ვერ იპოვის. 1860 წლის «Mining inspecting Act» [აქტი სამთამადნო ინსპექციის შესახებ] — მხოლოდ ფარატინა ქალაღია. ინსპექტორმა — მათი რიცხვი კი ძალზე მცირეა — 7 წლის განმავლობაში, შესაძლოა, ფორმალურად ერთხელ ინახულოს მალარო. ჩვენი ინსპექტორი სრულიად უუნარო, 70 წლის მოხუცია, რომელიც 130-ზე მეტ ქვანახშირის მალაროს უწევს მეთვალყურეობას. ინსპექტორების დიდ რაოდენობასთან ერთად ჩვენ სუბინსპექტორებსაც ვსაჭიროებთ» (№ 234 და შემდ.). «მაშ მთავრობამ უნდა იყოლიოს ინსპექტორების ისეთი არმია, რომ თვითონ მათ, მუშების მხრივ ინფორმაციის მიუწოდებლად, შეეძლოთ ყველა იმის გაკეთება, რასაც თქვენ მოითხოვთ? — ეს შეუძლებელია, მაგრამ ინფორმაციის მისაღებად ისინი თვითონ მალაროებში უნდა მიდიოდნენ» (№ 280, 277). «არ ფიქრობთ, რომ პასუხისმგებლობა (!) ვენტილაციისთვის და სხვ. ამის შემდეგ მალაროების მფლობელთაგან მთავრობის მოხელეებზე გადავიდოდა? — სრულიადაც არა; მათი საქმე ის უნდა იყოს, რომ აიძულონ ყველანი დაიცვან უკვე არსებული კანონები» (№ 285). «როდესაც თქვენ სუბინსპექტორებზე ლაპარაკობთ, ხომ არ გულისხმობთ მცირეჯამაგირიან და დაბალი ხარისხის მოხელეებს დღევანდელ ინსპექტორებთან შედარებით? — მე სრულიად არ ვარ დაბალი ხარისხის მოსურვე, თუ უკეთესის მოცემა შეგიძლიათ» (№ 294). «თქვენ რა გსურთ, მეტი ინსპექტორები თუ ინსპექტორებზე უფრო დაბალი კატეგორიის ხალხი? — ჩვენ ვსაჭიროებთ ისეთ ხალხს, რომელიც მალაროებში მიდი-მოდიოდეს და თავისი საკუთარი ტყავის გადარჩენის შიში არ აკანკალებდეს» (№ 295). «რომ ასრულდეს თქვენი სურვილი დაბალი ხარისხის ინსპექტორების დანიშვნის შესახებ, მათი გამოუცდელობა განა საფრთხეს არ წარმოშობდა და სხვ.? — არა; მთავრობის საქმეა შესაფერი ხალხის დანიშვნა» (№ 297). დაკითხვის ასეთი წესი, ბოლოს, საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარისთვისაც კი უაზრო გახდა. «თქვენ გსურთ, — ჩაერია იგი, — პრაქტიკოსი ადამიანები, რომლებიც თვით ამ მალაროებს ათვალერებდნენ და მოახსენებდნენ ინსპექტორს, და ეს უკანასკნელი მაშინ შეძლებს თავისი უფრო ფართო ცოდნის გამოყენებას» (№ 298, 299). «ყველა ამ ძველი მალაროს ვენტილაცია დიდ ხარჯებს არ გამოიწვევდა? — დიახ, ხარჯები, ალბათ, გადიდდებოდა, მაგრამ ადამიანთა

სიცოცხლე დაკული იქნებოდა» (№ 581). ერთი მაღაროს მუშა პროტესტს აცხადებს 1860 წლის აქტის მე-17 მუხლის წინააღმდეგ: «ამეამდ, თუ სამთამადნო ინსპექტორი მაღაროს რომელსამე ნაწილს მუშაობისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში ნახავს, მან უნდა აცნობოს ეს მაღაროს მფლობელს და შინაგან საქმეთა მინისტრს. ამის შემდეგ მაღაროს მფლობელს 20 დღე ეძლევა მოსაფიქრებლად; ამ 20 დღის გასვლის შემდეგ მას შეუძლია უარი თქვას ყოველგვარ ცვლილებაზე. თუ იგი სწორედ ასე მოიქცევა, მაშინ მან უნდა მისწეროს შინაგან საქმეთა მინისტრს და წარუდგინოს 5 სამთო ინჟინრის სია, რომელთაგან მინისტრმა სამედიატორო მოსამართლეები უნდა აირჩიოს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ შემთხვევაში მაღაროს მფლობელი ფაქტიურად თვითონვე ინიშნავს თავის საკუთარ მოსამართლეებს» (№ 581). ბურჟუა-გამომძიებელი, თვითონვე მფლობელი მაღაროებისა, შენიშნავს: «ეს წმინდა სპეკულაციური შეპასუხებაა» (№ 586). «მაშასადამე, თქვენ მეტად დაბალი წარმოდგენა გაქვთ სამთო ინჟინრების პატიოსნებაზე? — მე ვამბობ, რომ ეს მეტად უმართებულო და უსამართლო შეხედულებაა» (№ 588). «განა სამთო ინჟინრებს არ უჭირავთ ისეთი ერთგვარად ოფიციალური მდგომარეობა, რომელიც მათს გადაწყვეტილებას მიკერძობაზე მალა აყენებს, რასაც თქვენ ასე უფრთხით? — მე უარს ვამბობ გიპასუხოთ კითხვაზე ამ ადამიანების პირადი ხასიათის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ შემთხვევაში ისინი ძალიან მიკერძობით მოქმედებენ, და მათ უნდა წაერთვას ამის უფლება იქ, სადაც ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია» (№ 589). იმავე ბურჟუას ჰყოფნის უსირცხვილობა, რომ შეეკითხოს: «არ გგონიათ თქვენ, რომ მაღაროების პატრონებიც ზარალობენ აფეთქების დროს?». ბოლოს: «განა თქვენ, მუშებს, არ შეგიძლიათ თვითონ დაიცვათ თქვენი ინტერესები ისე, რომ მთავრობის დახმარებას არ მიმართოთ? — არა» (№ 1042). 1865 წელს დიდ ბრიტანეთში იყო 3 217 ქვანახშირის მაღარო და — 12 ინსპექტორი. ერთი იორკშირელი მაღაროს მფლობელი («Times», 1867 წლის 26 იანვარი) თვითონ ანგარიშობს, რომ ინსპექტორებს, მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ მათი სხვადასხვა წმინდა ბიუროკრატიული მოვალეობა, რასაც მთელი მათი დრო მიაქვს, 10 წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეეძლოთ მაღაროს დათვალიერება. გასაკვირველი აღარ არის, რომ უკანასკნელ წლებში (განსაკუთრებით 1866 და 1867 წლებში) კატასტროფების რიცხვმა და მოცულობამ პროგრესიულად მოიმატა (მსხვერპლთა

რიცხვი ზოგჯერ 200 — 300 მუშის რაოდენობით გამოიხატება). ასეთია «თავისუფალი» კაპიტალისტური წარმოების მშენებლობები!

ყოველ შემთხვევაში, 1872 წლის აქტი, რაგინდ ბევრი ნაკლიც ჰქონდეს მას, მაინც პირველია, რომელიც აწესრიგებს მაღაროებში მომუშავე ბავშვთა სამუშაო საათებს და რამდენადმე პასუხისმგებლობას აკისრებს მაღაროების ექსპლოატატორებსა და მაღაროების მფლობელთ ეგრეთწოდებული უბედური შემთხვევებისათვის.

მიწათმოქმედებაში ბავშვთა, მოზარდთა და ქალთა შრომის გამოკვლევა 1867 წლის სამეფო კომისიამ რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ანგარიში გამოაქვეყნა. იყო რამდენიმე ცდა, რომ საფაბრიკო კანონმდებლობის პრინციპები, თუნდაც შეცვლილი ფორმით, მიწათმოქმედების მიმართაც გამოეყენებინათ, მაგრამ ყველა ეს ცდა დღემდე სრულიად უშედეგოდ დარჩა. მაგრამ მე აქ ყურადღება უნდა მივაქციო ერთ გარემოებას: ამ პრინციპების საყოველთაოდ გამოყენების დაუძლეველი ტენდენციის არსებობას.

თუ, ერთი მხრივ, აუცილებელი გახდა საფაბრიკო კანონმდებლობის — როგორც მუშათა კლასის ფიზიკური და ინტელექტუალური დაცვის საშუალების — საყოველთაო გავრცელება, მეორე მხრივ, იგივე კანონმდებლობა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, საყოველთაოდ ხდის და აჩქარებს გაფანტული და წვრილი მასშტაბის შრომითი პროცესების შეცვლას მსხვილი, საზოგადოებრივი მასშტაბის კომბინირებული შრომითი პროცესებით, ე. ი. საყოველთაოდ ხდის და აჩქარებს კაპიტალის კონცენტრაციას და ფაბრიკული რეჟიმის ერთმპყრობელობას. იგი არღვევს ყველა ძველებურ და გარდამავალ ფორმას, რომელთა უკან ნაწილობრივ კიდევ დამალულია კაპიტალის ბატონობა, და ცვლის მას კაპიტალის პირდაპირი, დაუფარავი ბატონობით. ამით იგი საყოველთაო ხასიათს აძლევს აგრეთვე პირდაპირ ბრძოლას ამ ბატონობის წინააღმდეგ. როდესაც ეს კანონმდებლობა ცალკეულ სახელოსნოებს აიძულებს დაამყარონ ერთგვარობა, რეგულარობა, წესრიგი და ეკონომია, იგი იმ მძლავრი ბიძგით, რომელსაც სამუშაო დღის შეზღუდვა და რეგულირება აძლევს ტექნიკას, აძლიერებს მთლიანად აღებული კაპიტალისტური წარმოების ანარქიას და კატასტროფებს, შრომის ინტენსივობას და მანქანის კონკურენციას მუშასთან. წვრილი წარმოებისა და შინამუშაობის სფეროებთან ერთად იგი სპობს ემოკარბებულია მუშების უკანასკნელ თავშესაფარს და ამით სპობს მთელი საზოგადოებრივი მექანიზმის დამცველ სარქველს, რომელიც მანამდე არსებობდა. წარმოების პროცესის მატერიალურ პირობებსა და საზოგადოებრივ კომბინაციასთან ერთად იგი ამწიფებს

ამ პროცესის კაპიტალისტური ფორმის ყველა წინააღმდეგობას და ანტაგონიზმს, მაშასადამე, ამწიფებს ამავე დროს ახალი საზოგადოების შექმნის ელემენტებს და ძველი საზოგადოების გადატრიალების მომენტებს ³²².

10. მსხვილი მრეწველობა და მიწათმოქმედება

რევოლუცია, რომელსაც მსხვილი მრეწველობა იწვევს მიწათმოქმედებაში და სამიწათმოქმედო წარმოების აგენტთა სოციალურ ურთიერთობაში, შეიძლება გარკვეულ იქნას მხოლოდ შემდეგში. აქ კი

³²² რობერტ ოუენი, კოაპერაციული ფაბრიკებისა და კოაპერაციული სავაჭროების მამა, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სრულიად არ იზიარებდა თავის წამბაძველთა ილუზიებს გარდაქმნის ამ იზოლირებულ ელემენტთა მნიშვნელობის შესახებ, არა მარტო ფაქტიურად გამოდიოდა თავის ცდებში საფაბრიკო სისტემიდან, არამედ თეორიულადაც მას სოციალური რევოლუციის ამოსავალ პუნქტად აცხადებდა. ბ-ნ ვისერინგს, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორს ლეიდენის უნივერსიტეტში, თითქოს რაღაც ამის მსგავსის წინაგონება აქვს, როდესაც თავის წიგნში — *Handboek van Praktische Staatshuishoudkunde*, [Amsterdam] 1860 — 62, რომელიც ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ყველა უგვანობას უაღრესად შესაფერი ფორმით გადმოგვცემს, თავგამოდებით იცავს ხელოსნურ წარმოებას მსხვილი მრეწველობის წინააღმდეგ. [ქმ-4 გამოცემისათვის. ახალი იურიდიული ზღარათი (ამ ტომის 380 გვ.), რომელიც შექმნილი იყო ინგლისური კანონმდებლობის მიერ ერთიმეორის საწინააღმდეგო აქტებით, — *Factory Acts*-ით, *Factory Acts Extension Act*-ით და *Workshops' Act*-ით, — ბოლოს აუტანელი გაზა და, ამრიგად, *Factory and Workshop Act*-ის სახით 1878 წელს განხორციელდა მთელი საფაბრიკო კანონმდებლობის კოდფიკაცია. რასაკვირველია, შეუძლებელია აქ დაწვრილებითი კრიტიკის მოცემა ინგლისის ამ სამრეწველო კოდექსის შესახებ, რომელიც დღესაც ძალაშია. ამიტომ დავკმაყოფილდებით შემდეგი შენიშვნებით. აქტი ვრცელდება: 1) საფეიქრო ფაბრიკებზე. აქ თითქმის ყველაფერი ძველებურად რჩება: ნებადართული სამუშაო დრო ბავშვებისთვის 10 წელს ზევით $5\frac{1}{2}$ საათი დღეში, ანდა 6 საათი, მაგრამ ამ შემთხვევაში შაბათობით აღარ ამუშავებენ; მოზარდები და დედაკაცები 5 დღის განმავლობაში ათათ საათს მუშაობენ, ხოლო შაბათობით — არა უმეტეს $6\frac{1}{2}$ საათისა. — 2) არასაფეიქრო ფაბრიკებზე. აქ დადგენილებანი ახლა უფრო უახლოვდებიან პირველი ნომრით აღნიშნულ დადგენილებებს, ვიდრე უწინ, მაგრამ მაინც მოიპოვება კაპიტალისტთა სასარგებლო ზოგიერთი გამოწვევის, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვებულ იქნას შინაგან საქმეთა მინისტრის სპეციალური ნებართვით. — 3) *Workshops*-ებზე [სახელოსნოებზე], რომლებიც დაახლოებით ისევე განსაზღვრული, როგორც უწინდელ აქტში. რამდენადაც იქ ბავშვები, მოზარდნი და ქალები მუშაობენ. *Workshops*-ები თითქმის გათანაბრებულია არასაფეიქრო ფაბრიკებთან, კვლავ ერთგვარი შედეგობით დეტალებში. — 4) *Workshops*-ებზე, სადაც არ მუშაობენ არც ბავშვები, არც მოზარდნი, არამედ — მხოლოდ 18 წელზე უფროსნი ორივე სქესისა; ამ კატეგორიისათვის კიდევ შემდგომი შედეგობები დაწესებული. — 5) *Domestic*

საკმარისი იქნება მისი ზოგიერთი წინასწარ აღებული შედეგის მოკლედ აღნიშვნა. თუ მიწათმოქმედებაში მანქანების ხმარებას მეტწილად არ ახლავს ის მავნებელი ფიზიკური შედეგები, რომელნიც მას მოაქვს ფაბრიკის მუშისთვის²²², სამაგიეროდ, მუშების «მოჭარბებულებად» გადაქცევის მხრივ, იგი აქ უფრო ინტენსიურად და დაუბრკოლებლად მოქმედებს, როგორც ჩვენ ამას უფრო დაწვრილებით შემდეგ დავინახავთ. მაგალითად, კემბრიჯისა და საფოლკის საგრაფოებში ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე დამუშავებული მიწის ფართობი ძალიან გადიდა, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობა იმავე პერიოდის განმავლობაში არა მარტო შეფარდებით, არამედ აბსოლუტურადაც შემცირდა. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწათმოქმედების მანქანები ჯერჯერობით მარტოოდენ პოტენციურად იჭერენ მუშების ადგილს, ე. ი. მწარმოებლებს მეტი მიწის დამუშავების შესაძლებლობას აძლევენ, მაგრამ ფაქტიურად დასაქმებულ მუშებს არ აძევენ. ინგლისსა და უელსში 1861 წელს მიწათმოქმედების მანქანების წარმოებაში 1 034 ადამიანი იღებდა მონაწილეობას, მაშინ როდესაც მიწათმოქმედი მუშების რიცხვი, რომლებიც

Workshops-ებზე [წინასახელისნობებზე], სადაც მხოლოდ ოჯახის წევრები მუშაობენ თავიანთ ბინაში; ამ სახელისნობისთვის კიდევ უფრო ვლასტიკური წესები არსებობს და გარდა ამისა, ისეთი შეზღუდვა, რომ მინისტრის ანდა სასამართლოს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ინსპექტორს შეუძლია დაათვალიეროს მხოლოდ ისეთი სადგომი, რომელიც იმავე დროს საცხოვრებელი ბინა არ არის; ბოლოს, დაწესებულია სრული თავისუფლება ჩალის წნვის, მაქმანის ქსოვისა და ხელთათმნის წარმოებისათვის ოჯახში. მიუხედავად მრავალი ნაკლისა, ეს აქტი, შვეიცარიის 1877 წლის 23 მარტის ფედერალურ საფაბრიკო კანონთან ერთად, მაინც კიდევ საუკეთესო კანონია ამ დარგში. მისი შედარება ზემოაღნიშნულ შვეიცარულ ფედერალურ კანონთან განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, იმიტომ რომ იგი მეტად თვალსაჩინოდ ხდის ორი ისეთი საკანონმდებლო მეთოდის უპირატესობასა და ნაკლს, როგორიცაა: ინგლისური, «ისტორიული», მეთოდი, რომელიც საქმეში ერევა შემთხვევიდან შემთხვევამდე, და უფრო განმარტავადებული, კონტინენტური მეთოდი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციებზეა აგებული. სამწუხაროდ, ინგლისური კოდექსი სახელისნობის მიმართ გამოყენების მხრივ მეტწილად ჯერ კიდევ მკვდარ ასო-ანბანად რჩება ინსპექტორთა არასაკმაო პერსონალის გამო. — **ფ. ე. }**

²²² ინგლისის მიწათმოქმედებაში გამოყენებული მანქანების დაწვრილებითი აღწერა მოიპოვება დ-რ W. Ham-ის თხზულებაში «Die Landwirtschaftlichen Geräte und Maschinen Englands», მე-2 გამოც., 1856. ინგლისის მიწათმოქმედების განვითარების მიმოხილვაში ბ-ნი ჰამი მეტისმეტად უკრიტიკოდ მისდევს ბ-ნ ლუნს დე ლავერანს. [მე-4 გამოცემისათვის. რა თქმა უნდა, ეს შრომა ახლა მოძველებულია. — **ფ. ე. }**

ორთქლის მანქანებსა და სამუშაო მანქანებზე მუშაობდნენ, სულ მხოლოდ 1 205 შეადგენდა.

მიწათმოქმედების სფეროში მსხვილი მრეწველობა ყველაზე რევოლუციურად მოქმედებს იმ მხრივ, რომ ანადგურებს ძველი საზოგადოების ბურჯს, «გლესს», და მის ადგილას დაქირავებული მუშა გამოჰყავს. ამრიგად, სოციალური გადატრიალების მოთხოვნილებანი და სოციალური დაპირისპირებულობა სოფელშიც ისეთივე ხდება, როგორც ქალაქში. ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე არარაციონალური და არამიზანშეწონილი წარმოების ადგილს იჭერს მეცნიერების შეგნებული, ტექნოლოგიური გამოყენება. კაპიტალისტური წარმოების წესი ამთავრებს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის იმ თავდაპირველი ოჯახური კავშირის გაწყვეტას, რომელიც ორთავეს ადრეულ განუვითარებელ ფორმებს შეიცავდა. მაგრამ ამავე დროს იგი ქმნის მატერიალურ წინამძღვრებს ახალი, უმაღლესი სინთეზისას, — მიწათმოქმედებისა და მსხვილი მრეწველობის კავშირისას მათი დაპირისპირებულად განვითარებული ფორმების საფუძველზე. ქალაქის მოსახლეობის ჭარბობის მუდმივ ზრდასთან ერთად კაპიტალისტური წარმოება თავს უყრის ამ მოსახლეობას დიდ ცენტრებში და ამით აგროვებს, ერთი მხრივ, საზოგადოების წინმოძრაობის ისტორიულ ძალას და, მეორე მხრივ, აბრკოლებს ნივთიერებათა ცვლას ადამიანსა და მიწას შორის, ე. ი. აბრკოლებს ნიადაგისათვის მისი იმ შემადგენელი ნაწილების დაბრუნებას, რომლებიც ადამიანმა კვებისა და ტანსაცმლის საშუალებათა სახით მოიხმარა, მაშასადამე, არღვევს ნიადაგის მუდმივი ნაყოფიერების მარადიულ ბუნებრივ პირობას. ამით იგი ანადგურებს ამავე დროს ქალაქის მუშების ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოფლის მუშების ინტელექტუალურ ცხოვრებას³²⁴. მაგრამ ნივთიერებათა ამ ცვლის წმინდა სტიქიურად აღმოცენებული პირობების განადგურებით კაპიტალისტური წარმოება ამავე დროს იძულებით იწვევს მის სისტემატურად აღდგენას ისეთი კანონის სახით, რომელიც საზოგადოებრივ წარმოებას აწესრიგებს, და ისეთი ფორმით,

³²⁴ «ხალხს თქვენ ორ მტრულ ბანაკად ჰყოფთ: უხეშ გლეხებად და განებივრებულ ქონდრის კაცებად. დიერთო ჩემო! ერი, რომელიც სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის ინტერესების კვალობაზეა დაყოფილი, თავის თავს ჯანსაღ ერად თვლის და განათლებულსა და ცივილიზებულსაც კი უწოდებს თავის თავს, არა მიუხედავად, არამედ სწორედ ამ საოცარი და არაბუნებრივი დაყოფის გამო» (David Urquhart: «Familiar Words». London 1855, გვ. 119). ეს ადგილი გვიჩვენებს ერთსა და იმავე დროს ძალას და სისუსტეს ისეთი კრიტიკისას, რომელსაც შეუძლია თანამედროვეობის განსჯა და გაეცხვება, მაგრამ არა მისი გაგება.

რომელიც ადამიანის სრულ განვითარებას შეესაბამება. მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც მანუფაქტურაში, წარმოების პროცესის კაპიტალისტური გარდაქმნა იმავე დროს გვევლინება როგორც მწარმოებელთა მარტიროლოგი, შრომის საშუალება — როგორც საშუალება მუშის დამონების, ექსპლოატაციის და გალატაკებისა, ხოლო შრომის პროცესების საზოგადოებრივი კომბინაცია — როგორც ორგანიზებული ჩახშობა მისი ინდივიდუალური ცხოველმოქმედების, თავისუფლების და დამოუკიდებლობისა. სოფლის მუშების განფანტულობა დიდ სივრცეზე ახშობს მათი წინააღმდეგობის ძალას, მაშინ როდესაც ქალაქის მუშების კონცენტრაცია აძლიერებს ამ ძალას. თანამედროვე მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც საქალაქო მრეწველობაში, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება და შრომის უფრო გაძლიერებული ამოქმედება თვით სამუშაო ძალის განადგურებისა და გამოფიტვის ხარჯზე ხდება. და|კაპიტალისტური მიწათმოქმედების ყოველი პროგრესი არის არა მარტო პროგრესი მუშის გაძარცვის ხელოვნებისა, არამედ ამასთანავე ნიადაგის გაძარცვის ხელოვნებისაც, ყოველი პროგრესი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა გარკვეულ დროში არის იმავე დროს პროგრესი ამ ნაყოფიერების მუდმივ წყაროთა განადგურებისა. რაც უფრო მეტად ეყრდნობა ესა თუ ის ქვეყანა, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, მსხვილ მრეწველობას როგორც თავისი განვითარების ფარულ საფუძველს, მით უფრო სწრაფია განადგურების ეს პროცესი³²⁵. ამიტომ

³²⁵ შეად. Liebig: «Die Chemie in ihrer Anwendung auf Agrikultur und Physiologie», მე-7 გამოც. 1862, განსაკუთრებით პირველ ტომში «Einleitung in die Naturgesetze des Feldbaues». თანამედროვე მიწათმოქმედების უარყოფითი მხარის გარკვევა, ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით, ლიბიხის ერთ-ერთ უკვედავ დამსახურებას შეადგენს. მისი ისტორიული ექსკურსიები მიწათმოქმედების ისტორიაში, თუმცა ისინი ზოგიერთ უხეშ შეცდომას შეიცავენ, ნათესს ჰფენენ სათანადო საკითხებს. სამწუხარაო მხოლოდ, რომ იგი მოუფიქრებლად გამოთქვამს ზოგიერთ შეხედულებას, მაგალითად, შემდეგს: მიწის მეტისმეტი გაფხვიერება და ხშირი მოხვნა აძლიერებს ჭაერის ცვლას მიწის სვრეტთან ნაწილებში, ადიდება და ანახლებს ნიადაგის ზედაპირს, რომელზედაც ჭაერმა უნდა იმოქმედოს; მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ მიწის მოსავლის გადიდება არ შეიძლება იყოს პროპორციული იმ შრომისა, რაც დახარჯულია ამ მიწაზე, არამედ იგი გაცილებით ნაკლები პროპორციით წარმოებს. «ეს კანონი, — დასძენს ლიბიხი, — პირველად ჯ. სტ. მილმა გამოთქვა თავის «Principles of Political Economy»-ში, ტ. I, გვ. 17, შემდგენაირად: «რომ მიწის პროდუქტის caeteris paribus [სხვა თანაბარ პირობებში] გადიდება წარმოებს კლებადი პროპორციით დასაქმებულ მუშათა რაოდენობასთან შედარებით (ბ-ნი მილი აქ რიკარდოს სკოლის საყოველთაოდ ცნობილ კანონსაც კი მცდარი ფორმულირებით იმეორებს,

კაპიტალისტური წარმოება ავითარებს ტექნიკას და საზოგადოებრივი წარმოების პროცესის კომბინაციას მხოლოდ იმ გზით, რომ იგი იმავე დროს ანადგურებს ყოველი სიმდიდრის წყაროს: მიწას და მუშას.

რადგან «the decrease of the labourers employed»-ი [გამოყენებულ მუშათა რიცხვის შემცირება] მუდამ თან ახლდა ინგლისში მიწათმოქმედების პროგრესს და ამიტომ ინგლისისთვის და ინგლისში გამოგონებული კანონი სრულიად გამოუყენებელი აღმოჩნდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ინგლისში), — ეს სოფლის მეურნეობის უნივერსალური კანონია. ეს გარემოება საკმაოდ საკვირველია, რადგან მილი არ იცნობდა ამ კანონის საფუძველს» (ლიბიზი, ზემოაღნიშნულ შრომაში, ტ. 1, გვ. 143 და შენიშვნა). თუ არას ვიტყვით იმაზე, რომ ლიბიზი მცდარად განმარტავს სიტყვა «შრომას», რომელიც მას სულ სხვანაირად ესმის, ვიდრე პოლიტიკურ ეკონომიას, ყოველ შემთხვევაში, «საკმაოდ საკვირველია», რომ იგი ჯ. სტ. მილს ხდის პირველ მათემატიკურად იმ თეორიისა, რომელიც ჯემს ანდერსონმა პირველად გამოაქვეყნა ა. სმიტის დროს და შემდეგ იმეორებდა სხვადასხვა ნაწერებში მე-19 საუკუნის დამდეგამდე, თეორიისა, რომელიც 1815 წელს მიითვისა მალთუსმა, პლაგიატის ოსტატმა საერთოდ (მოსახლეობის მთელი მისი თეორია უსიკრებელი პლაგიატის წარმოადგენს), რომელიც განაეითარა უესტმა ანდერსონთან ერთ დროს და მისგან დამოუკიდებლად, რომელიც რიკარდომ 1817 წელს ღირებულების საერთო თეორიას დაუკავშირა და რომელმაც იმ დროიდან რიკარდოს სახელით მთელი მსოფლიო შემოიარა, რომელმაც 1820 წელს ეულგარიზაცია განიცადა ჯემს მილის [ჯ. სტ. მილის მამის] ხელში და რომელიც, ბოლოს, განმეორებულ იქნა, სხვა მრავალთა შორის, ჯ. სტ. მილის მიერ, როგორც გაცვეთილ ფრაზად ქცეული სასკოლო დოგმა. უდავოა, რომ ჯ. სტ. მილი თავის, ყოველ შემთხვევაში, «საკმაოდ საკვირველ» ავტორიტეტს თითქმის მხოლოდ ამგვარ *qui pro quo*-ს უნდა უმადლოდეს.

განყოფილება მეხუთე

აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება

თავი მეთოთხმეტე

აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება

შრომის პროცესს ჩვენ უწინარეს ყოვლისა (იხ. თავი მეხუთე) განვიხილავდით აბსტრაქტულად, მისი ისტორიული ფორმებისაგან დამოუკიდებლად, როგორც პროცესს ადამიანსა და ბუნებას შორის. ჩვენ იქ ვამბობდით: «თუ მთელ პროცესს მისი შედეგის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ორივე, შრომის საშუალება და შრომის საგანი, გვევლინება როგორც წარმოების საშუალებანი, თვით შრომა კი — როგორც მწარმოებლური შრომა». მე-7 შენიშვნაში ჩვენ დავსძენდით: «მწარმოებლური შრომის ეს განსაზღვრა, რომელსაც შრომის მარტივი პროცესის თვალსაზრისით ვღებულობთ, სრულიად არ არის საკმარისი კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის». სწორედ ეს უნდა გავარკვეოთ აქ უფრო ვრცლად.

რამდენადაც შრომის პროცესი წმინდა ინდივიდუალურია, ერთი და იგივე მუშა აერთიანებს ყველა ფუნქციას, რომელთა გათიშვა შემდგომ ხდება. ბუნების საგნების ინდივიდუალური მითვისების დროს თავისი სასიცოცხლო მიზნების მისაღწევად მუშა თვით უწყვეს თავის თავს კონტროლს. შემდეგ კი მას უწყვეტ კონტროლს. ცალკეულ ადამიანს არ შეუძლია იმოქმედოს ბუნებაზე, თუ არ აამოქმედა თავისი საკუთარი კუნთები თავისი საკუთარი ტვინის კონტროლქვეშ. როგორც თვით ბუნებაში თავი და ხელი ერთსა და იმავე ორგანიზმს ეკუთვნის, ასევე შრომის პროცესი აერთიანებს გონებრივ შრომას და ფიზიკურ შრომას. შემდეგ ისინი ერთმანეთს სცილდებიან და მტრულ დაპირისპირებულობამდე მიდიან. პროდუქტი საერთოდ ინდივიდუალური მწარმოებლის უშუალო პროდუქტიდან გადაიქცევა ერთობლივი

მუშის საზოგადოებრივ, საერთო პროდუქტად, ე. ი. იმ კომბინირებული მუშა-პერსონალის პროდუქტად, რომლის წევრები შრომის საგანზე უშუალო ზემოქმედებისაგან უფრო ახლო ან უფრო შორს იმყოფებიან. ამიტომ თვით შრომის პროცესის კოოპერაციული ხასიათი აუცილებლად აფართოებს მწარმოებლური შრომის და მისი მატარებლის, მწარმოებელი მუშის, ცნებას. მწარმოებლურად რომ იმუშაო, ამისთვის აუცილებელი აღარ არის ახლა თვითონ შეახო ხელი შრომის საგანს; საკმარისია იყო ერთობლივი მუშის ორგანო, შეასრულო ერთ-ერთი მისი ქვეფუნქცია. მწარმოებლური შრომის ზემოაღნიშნული თავდაპირველი განსაზღვრა, გამოყვანილი თვით მატერიალური წარმოების ბუნებიდან, მუდამ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ერთობლივი მუშის მიმართ, რომელიც ერთ მთლიანობად განიხილება. მაგრამ იგი უკვე აღარ შეეფერება მის თვითულ, ცალკეულად აღებულ, წევრს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ვიწროვდება მწარმოებლური შრომის ცნება. კაპიტალისტური წარმოება არის არა მარტო საქონლის წარმოება, იგი არსებითად ზედმეტი ღირებულების წარმოებაა. მუშა თავისთვის კი არ აწარმოებს, არამედ — კაპიტალისტის. ამიტომ აღარა კმარა უკვე მარტო ის, რომ იგი საერთოდ აწარმოებს, მან ზედმეტი ღირებულება უნდა აწარმოოს. მხოლოდ ის მუშაა მწარმოებელი, რომელიც კაპიტალისტისთვის ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს ანუ კაპიტალის ღირებულების თვითზრდას ენსახურება. ასე, მაგალითად, სკოლის მასწავლებელი, თუ დასაშვებია მაგალითის არჩევა მატერიალური წარმოების სფეროს გარეშე, მწარმოებელი მუშა იქნება იმ შენთხვევაში, თუ იგი არა მარტო წრთვნის ბავშვების თავებს, არამედ აგრეთვე ილაჯს იწყვეტს მეწარმის გასამდიდრებლად. ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელმა თავისი კაპიტალი სასწავლო ფაბრიკაში მოათავსა და არა ძეხვის ფაბრიკაში, სრულიად არ ცვლის იმ ურთიერთობას, რომელსაც ჩვენ აქ ვარკვევთ. ამიტომ მწარმოებელი მუშის ცნება სრულიადაც არ შეიცავს მარტო იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს მოქმედებასა და მის სასარგებლო ეფექტს შორის, მუშასა და შრომის პროდუქტს შორის, არამედ იგი შეიცავს აგრეთვე სპეციფიკურად საზოგადოებრივ, ისტორიულად წარმოშობილ წარმოებითს ურთიერთობას, რომელიც მუშას კაპიტალის ზრდის უშუალო იარაღად ხდის. მაშასადამე, მწარმოებელ მუშად ყოფნა ბედნიერება კი არ არის, არამედ უბედობაა. ამ ნაშრომის მეოთხე წიგნში, რომელიც თეორიის ისტორიას განიხილავს, უფრო დაწვრილებით დავინახავთ, რომ კლასიკური პოლიტიკური

ეკონომია თავიდანვე მწარმოებელი მუშის დამახასიათებელ ნიშანს ზედმეტი ღირებულების წარმოებაში ხედავდა. ანიტომ ზედმეტი ღირებულების ბუნებაზე მისი შეხედულების ცვლილებასთან ერთად იცვლება მისი განსაზღვრაც მწარმოებელი მუშისა. ასე, მაგალითად, ფიზიოკრატები აცხადებენ, მხოლოდ სამიწათმოქმედო შრომაა მწარმოებლური, რადგან მართო ის იძლევა ზედმეტ ღირებულებასო. ფიზიოკრატებისთვის კი ზედმეტი ღირებულება მხოლოდ და მხოლოდ მიწის რენტის ფორმით არსებობს.

სამუშაო დღის გაგრძელება იმ საზღვარს იქით, რომლის ფარგლებშიც მუშა თავისი სამუშაო ძალის ღირებულების მხოლოდ ეკვივალენტის წარმოებას შეძლებდა, და ამ ზედმეტი შრომის მითვისება კაპიტალის მიერ — აი ეს არის აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება შეადგენს კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო საფუძველს და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების ამოსავალ პუნქტს. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების დროს სამუშაო დღე უკვე თავიდანვე ორ ნაწილად არის გაყოფილი: აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად. ზედმეტი შრომის გასაგრძელებლად მოკლდება აუცილებელი შრომა ისეთი მეთოდებით, რომელთა საშუალებით ხელფასის ეკვივალენტი უფრო ნაკლებ დროში იწარმოება. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება მხოლოდ სამუშაო დღის სიგრძის ირგვლივ ტრიალებს; შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება ძირეულ რევოლუციას ახდენს შრომის ტექნიკურ პროცესებსა და საზოგადოებრივ დაჯგუფებებში.

მაშასადამე, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება გულისხმობს სპეციფიკურად კაპიტალისტურ წარმოების წესს, რომელიც თავისი მეთოდებით, საშუალებებით და პირობებით თვით წარმოიშვება სტიქიურად და ვითარდება მხოლოდ შრომის კაპიტალისადმი ფორმალური დაქვემდებარების ნიადაგზე. ფორმალური დაქვემდებარების ადგილს იჭერს შრომის რეალური დაქვემდებარება კაპიტალისადმი.

აქ საკმარისია უბრალოდ აღინიშნოს ნარევი ფორმები, რომელთა არსებობისას არც პირდაპირი იძულებით გამოიწურება ზედმეტი შრომა მწარმოებლისაგან, და არც აგრეთვე კაპიტალისადმი მწარმოებლის ფორმალურ დაქვემდებარებას აქვს ადგილი. კაპიტალი აქ ჯერ კიდევ არ დაუფლებია უშუალოდ შრომის პროცესს. დამოუკიდებელ მწარმოებელთა გვერდით, რომელნიც ეწვევიან ხელოსნობას ანდა მიწათმოქმედებას წარმოების ტრადიციული, მამაკაპური წესე-

ბით, გამოდის მევახშე ან ვაჭარი, მევახშური კაპიტალი ან სავაჭრო კაპიტალი, რომელიც პარაზიტულად წოვს მათ. ექსპლოატაციის ამ ფორმის ბატონობა საზოგადოებაში გამოირიცხავს კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობას, თუმცა, მეორე მხრივ, იგი შეიძლება შეადგენდეს გარდამავალ საფეხურს ამ უკანასკნელისაკენ, როგორც ეს შუა საუკუნეების დამლევეს იყო. დასასრულ, როგორც ამას თანამედროვე შინაშეშობის მაგალითი გვიჩვენებს, გარკვეული ნარევი ფორმები კვლავ წარმოიქმნება ალაგ-ალაგ მსხვილი მრეწველობის საფუძველზე, თუმცა სრულიად შეცვლილი სახით.

თუ, ერთი მხრივ, აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების საწარმოებლად საკმარისია შრომის მარტოოდენ ფორმალური დაქვემდებარება კაპიტალისადმი, მაგალითად, საკმარისია, რომ ხელოსანი, რომელიც უწინ დამოუკიდებლად, თავისთვის, ანდა ამქრის ოსტატის ქარგლის სახით მუშაობდა, გადაიქცეს დაქირავებულ მუშად, რომელიც კაპიტალისტის უშუალო კონტროლქვეშ იმყოფება, მეორე მხრივ, ჩვენ დავინახეთ, რომ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდები იმავე დროს აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდებია. სამუშაო დღის უზომო გაგრძელება ხომ ჩვენ წარმოგვიდგა როგორც მსხვილი მრეწველობის ყველაზე უფრო დამახასიათებელი პროდუქტი. საერთოდ სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესი კარგავს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების უბრალო საშუალების სახეს, როგორც კი იგი ეუფლება წარმოების მთელ დარგს, ანდა, კიდევ მეტი, — მრეწველობის ყველა გადამწყვეტ დარგს. მაშინ იგი წარმოების პროცესის საყოველთაო, საზოგადოებრივად გაბატონებულ ფორმად იქცევა. როგორც შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების განსაკუთრებული მეთოდი, იგი მოქმედებს ახლა, ჯერ-ერთი, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იპყრობს მრეწველობის ისეთ დარგებს, რომელნიც აქამდე მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარებოდნენ კაპიტალს, მაშასადამე, რამდენადაც იგი სულ უფრო და უფრო ვრცელდება; მეორე — რამდენადაც მის მიერ უკვე დაპყრობილი მრეწველობის დარგები განუწყვეტლივ განიცდიან რევოლუციურ გარდაქმნას წარმოების მეთოდების ცვალებადობის გამო.

გარკვეული თვალსაზრისით განსხვავება აბსოლუტურ და შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას შორის საერთოდ ილუზორულად წარმოგვიდგება. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება აბსოლუტურია, რადგან იგი გულისხმობს სამუშაო დღის აბსოლუტურ გაგრძელებას იმ სამუშაო დროის საზღვარს იქით, რომელიც აუცილებელია თვით

მუშის არსებობისათვის. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება შეფარდებითია, რადგან იგი გულისხმობს შრომის ნაყოფიერობის განვითარებას, რომელიც ნებას იძლევა შეზღუდულ იქნას აუცილებელი სამუშაო დრო სამუშაო დღის ერთი ნაწილით. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ზედმეტი ღირებულების მოძრაობას, მაშინ ეს მოჩვენებითი იგივეობა გაქრება. რაკი კაპიტალისტური წარმოების წესი ერთხელვე დამყარდა და საყოველთაო წარმოების წესად იქცა, განსხვავება აბსოლუტურ და შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას შორის მაშინვე შესაძინევი ხდება, როგორც კი საქმე ეხება საერთოდ ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებას. თუ ვიგულისხმებთ, რომ სამუშაო ძალას ყიდულობენ მისი ღირებულების მიხედვით, ჩვენ ასეთი ალტერნატივის წინაშე დავდგებით: თუ მოცემულია შრომის მწარმოებლური ძალა და მისი ინტენსივობის ნორმალური დონე, მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმამ შეიძლება აიწიოს მხოლოდ სამუშაო დღის აბსოლუტური გაგრძელებით; მეორე მხრივ, თუ მოცემულია სამუშაო დღის საზღვარი, ზედმეტი ღირებულების ნორმა შეიძლება ამალდეს მხოლოდ სამუშაო დღის შემადგენელი ნაწილების, ე. ი. აუცილებელი შრომისა და ზედმეტი შრომის, შეფარდებითი სიდიდის ცვლილებით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, უკეთეს ხელფასმა არ უნდა დაიწიოს სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა, შრომის ნაყოფიერების ანუ ინტენსივობის ცვლილებას.

თუ მუშა მთელ თავის დროს თავისთვის და თავისი მოდგმისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა წარმოებას მოახმარს, მას აღარ დარჩება დრო, რომ უსასყიდლოდ იმუშაოს მესამე პირთათვის. ვიდრე შრომის ნაყოფიერება გარკვეულ დონეს არ მიაღწევს, მუშას არ ექნება თავის განკარგულებაში ის ჭარბი დრო, ურომლისოდაც არ შეიძლება იყოს ზედმეტი შრომა და, მაშასადამე, არც კაპიტალისტი, მაგრამ არ შეიძლება იყოს აგრეთვე არც მონათმფლობელი, არც ფეოდალი-ბარონი, ერთი სიტყვით — არ შეიძლება იყოს მსხვილ მესაკუთრეთა კლასი¹.

ამრიგად, შეიძლება ვილაპარაკოთ ზედმეტი ღირებულების ბუნებრივ ბაზისზე, მაგრამ — მხოლოდ იმ სრულიად ზოგადი აზრით,

¹ უკვე თვით არსებობა კაპიტალისტური მეწარმეებისა როგორც განსაკუთრებული კლასისა დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე (Ramsay: «An Essay on the Distribution of Wealth». Edinburgh 1836, გვ. 206). «თვითეული ადამიანის შრომა რომ საკმარისი იყოს მხოლოდ მისი საკუთარი საზრდოს უზრუნველსაყოფად, მაშინ საკუთრებაც ვერ იარსებებდა» (Ravenstone: «Thoughts on the Funding System». London 1824, გვ. 14, 15).

რომ ბუნებაში არ მოიპოვება არავითარი აბსოლუტური დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდეს ერთ ადამიანს თავისი საკუთარი არსებობისთვის საჭირო შრომა თავიდან აიცილოს და მეორეს გადააქისროს; ასევე შეიძლება, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ ბუნებაში არ მოიპოვება აბსოლუტური დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდეს ერთ ადამიანს მეორის ხორცი საჭმელად იხმაროს^{1a}. შრომის ამ ბუნებრივად აღმოცენებულ ნაყოფიერებას სრულიად არ უნდა დავუკავშიროთ მისტიკური წარმოდგენანი, როგორც ეს ზოგჯერ ხდებოდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები თავიანთი შრომით პირველყოფილი ცხოველური მდგომარეობიდან გამოდიან, მაშასადამე, როდესაც თვით მათი შრომა უკვე რამდენადმე განსაზოგადოებულია, — წარმოიქმნება ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთი ადამიანის ზედმეტი შრომა მეორის არსებობის პირობა ხდება. კულტურის დასაწყისში მოპოვებული მწარმოებლური ძალები შრომისა უმნიშვნელოა, მაგრამ ასევე უმნიშვნელოა მოთხოვნილებანიც, რომლებიც მათი დაკმაყოფილების საშუალებებთან ერთად ვითარდებიან. შემდეგ, აღნიშნულ დაწყებითს საფეხურებზე საზოგადოების იმ ნაწილთა შეფარდებითი ოდენობა, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ, სრულიად უმნიშვნელოა უშუალო მწარმოებელთა მასასთან შედარებით. შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის ზრდასთან ერთად იზრდება ეს ნაწილებიც აბსოლუტურად და შეფარდებით². თუმცა კაპიტალი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა, წარმოიშვება ეკონომიურ ნიადაგზე, რომელიც განვითარების ხანგრძლივი პროცესის პროდუქტია. შრომის არსებული ნაყოფიერება, საიდანაც კაპიტალი გამომდინარეობს როგორც თავისი საფუძვლიდან, არის არა ბუნების მონაცემი, არამედ ისტორიისა, რომელიც ათასეულ საუკუნეებს მოიცავს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზოგადოებრივი წარმოების ცოტად თუ ბევრად განვითარებულ მდგომარეობას, შრომის ნაყოფიერება დაკავშირებული რჩება ბუნებრივ პირობებთან. ამ პირობების მთლიანად დაყვანა შეიძლება თვით ადამიანის ბუნებაზე, მაგალითად, რასაზე და სხვ., და ადამიანის გარემომცველ ბუნებაზე. გარეშე

^{1a} ახლახან მომხდარი გამოანგარიშების მიხედვით, დედამიწის მხოლოდ იმ კუთხეებში, რომლებიც უკვე გამოკვლეულია, სულ ცოტა 4 მილიონი კანიბალი ცხოვრობს.

² ამერიკის ველურ ინდიელებს შორის თითქმის ყველაფერი მომუშავეს ეკუთვნის, პროდუქტის 99% შრომის წილად მოდის. ინგლისში მუშას შეიძლება $\frac{1}{3}$ -ც არ უწევდეს («The Advantages of the East-India Trade etc. London 1720, გვ. 72, 73).

ბუნებრივი პირობები ეკონომიური თვალსაზრისით იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ბუნებრივი სიმდიდრე საარსებო საშუალებათა სახით, ე. ი. ნიადაგის ნაყოფიერება, თევზით მდიდარი წყლები და სხვ., და ბუნებრივი სიმდიდრე შრომის საშუალებათა სახით, როგორც, მაგალითად, ჩქარი ჩანჩქერები, სანაოსნო მდინარეები, ხე-ტყე, ლითონი, ნახშირი და სხვა. კულტურის დაწყებითს საფეხურებზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველი სახეობის ბუნებრივ სიმდიდრეს, ხოლო განვითარების მაღალ საფეხურებზე — მეორე სახეობის სიმდიდრეს. შეადარეთ, მაგალითად, ინგლისი ინდოეთს, ანდა — ანტიკურ ქვეყანაში — ათენი და კორინთო შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს.

რაც უფრო ნაკლებია აბსოლუტურად დასაკმაყოფილებელ ბუნებრივ მოთხოვნილებათა რიცხვი, და რაც უფრო მეტია ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება და უფრო ხელსაყრელია ჰავა, მით უფრო ნაკლებია სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია მწარმოებლის სიცოცხლის შენარჩუნებისა და კვლავწარმოქმნისათვის. მაშასადამე, მით უფრო მეტი შეიძლება იყოს მისი შრომის ნამეტი, რომელიც გაიცემა სხვებისთვის, იმ შრომასთან შედარებით, რომელიც მას სჭირდება თავისთვის. ასე, მაგალითად, უკვე დიოდორე აღნიშნავს ძველი ეგვიპტელების შესახებ: «სრულიად დაუჯერებელია, თუ რა მცირე შრომას და ხარჯებს იწვევს მათთვის მათი ბავშვების აღზრდა. ისინი მათ სულ უბრალო საჭმელს უხარშავენ; აძლევენ მათ აგრეთვე საჭმელად პაპირუსის ძირის ნაწილს, რამდენადაც შესაძლებელია მისი ცეცხლზე შეწვა, და — ჭაობის მცენარეების ფესვებსა და ღეროებს, ხან ნედლს, ხან მოხარშულს და ხან შემწვარს. ბავშვების უმრავლესობა ფეხშიშველა და ტანშიშველა დაიარება, რადგან ჰავა ძალიან რბილია. ამიტომ ბავშვის აღზრდა მშობლებს საერთოდ 20 დრაქმაზე მეტი არ უჯდებათ. ამით აიხსნება უმთავრესად ეგვიპტის მოსახლეობის ასეთი მრავალრიცხოვნობა, რის გამოც შესაძლებელი გახდა მრავალ გრანდიოზულ ნაგებობათა აღმართვა³. მაგრამ სინამდვილეში ძველი ეგვიპტის გრანდიოზულ ნაგებობათა მიზეზი იმდენად მოსახლეობის სიმრავლე არ იყო, რამდენადაც ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული მოსახლეობის დიდი ნაწილის გამოყენება ამ საქმეში. როგორც ინდივიდუალური მუშა მით უფრო ზედმეტ შრომას იძლევა, რაც უფრო ნაკლებია მისი აუცილებელი სამუშაო დრო, ასევე — რაც უფრო ნაკლებია მუშა-მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც საჭიროა აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების-

³ «Diodor's von Sicilien Historische Bibliothek», წიგნი 1, თავი 80 [გვ. 126].

თვის, მით უფრო მეტია ის ნაწილი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვა საქმეში.

რაკი კაპიტალისტური წარმოება ნაგულისხმევია, მაშინ, სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში და სამუშაო დღის მოცემული სიგრძის დროს, ზედმეტი შრომის სიდიდე იცვლება შრომის ბუნებრივი პირობების, განსაკუთრებით აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს, პირიქით, უნაყოფიერესი ნიადაგი ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყოს კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებისათვის. კაპიტალისტური წარმოების წესი გულისხმობს ადამიანის ბატონობას ბუნებაზე. მეტისმეტად გულუხვი ბუნება ადამიანს, როგორც ბავშვს, ხელით ატარებს. იგი არ ხდის მის საკუთარ განვითარებას ბუნებრივ აუცილებლობად⁴. კაპიტალის სამშობლოა არა ტროპიკული ჰავა მისი დიდმშვენიერი მცენარეულობით, არამედ — ზომიერი ზონა. არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ — მისი დიფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ საფუძველს და აიძულებს ადამიანს, იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის მეოხებით, რომელშიც იგი მეურნეობას ეწევა, გაამრავალფეროვნოს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, შრომის საშუალებანი და შრომის წესები. აუცილებლობა ბუნების ამა თუ იმ ძალის საზოგადოებრივი კონტროლისა, მისი ყაირათიანად გამოყენებისა, მისი დიდი მასშტაბით მისაკუთრების ან დამორჩილებისა ადამიანის ხელით შექმნილ ნოწყობილობათა საშუალებით უაღრესად გადამწყვეტ როლს ასრულებს მრეწველობის ისტორიაში. ამის მაგალითია წყლის

⁴ პირველი (ბუნებრივი სიმდიდრე), რომელიც უფრო ხელსაყრელია და სახირო, ხდის ხალხს უზრუნველს, ამას და განებივრებულს; მეორე კი, პირიქით, ხელს უწყობს სიფხიზლის, მეცნიერების, დახელოვნებისა და პოლიტიკურ დაწესებულებათა განვითარებას» (*England's Treasure by Foreign Trade. Or the Balance of our Foreign Trade is the Rule of our Treasure. Written by Thomas Mun, of London, Merchant, and now published for the common good by his son John Mun. London 1669, გვ. 181, 182*). ამე არ შემოიძლია წარმოვიდგინო იმაზე უარესი წყველა მთელი ხალხისთვის, ვიდრე ის, რომ იგი გადატყორცნილი იყოს დედამიწის ისეთ კუთხეში, სადაც ბუნება უმეტესად თვითონ იძლევა საარსებო საშუალებებს და სადაც ჰავა მცირე მზრუნველობას მოითხოვს ტანსაცმლისათვის და აედროისაგან თავდაცვისათვის... რა თქმა უნდა, შესაძლებელია მეორე უკიდურესობაც. ნიადაგი, რომელსაც შრომა ნაყოფს ვერ გამოაღებინებს, ისევე ცუდია, როგორც ის ნიადაგი, რომელიც უშრომლად იძლევა უზე ნაყოფს» (*An Inquiry into the Causes of the Present High Price of Provisions. London 1767, გვ. 10.*)

რეგულირება ეგვიპტეში⁵, ლომბარდიაში, ჰოლანდიაში და სხვ., ანდა — ინდოეთში, სპარსეთში და სხვ., სადაც ხელოვნური არხების საშუალებით მორწყვა ნიადაგს მარტო აუცილებელ წყალს კი არ აწვდის, არამედ იზავდროულად ლამთან ერთად მთებიდან მინერალური სასუქი მოაქვს. ესპანეთისა და სიცილიის სამრეწველო აყვავების საიდუმლოება არაბების ბატონობის დროს არხების გაყვანაში მდგომარეობდა⁶.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იძლევა მუდამ მხოლოდ ზედმეტი შრომის შესაძლებლობას, მაგრამ არასოდეს არ ქმნის თავისთავად ნამდვილ ზედმეტ შრომას, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებას ანუ ზედმეტ პროდუქტს. შრომის სხვადასხვა ბუნებრივი პირობებითაა გამოწვეული ის, რომ შრომის ერთი და იგივე რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს⁷, რომ, მაშასადამე, სხვა მხრივ მსგავს პირობებში, აუცილებელი სამუშაო დრო სხვადასხვაა. ეს ბუნებრივი პირობები ზედმეტ

⁵ ნილოსის წყალდიდობის პერიოდების გამომანგარიშების აუცილებლობამ შექმნა ეგვიპტური ასტრონომია და მასთან ერთად ქურუმთა კასტის, როგორც მიწათმოქმედების ხელმძღვანელის, ბატონობა. «შის მოქცევა წლის ის დროა, როდესაც იწყება ნილოსის ადიდება; ამიტომ მას ეგვიპტელები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაჰკვირვებოდნენ... წელიწადის ამ პერიოდის განსაზღვრა მათთვის აუცილებელი იყო, რათა თავიანთი სამიწათმოქმედო ღონისძიებანი ამის მიხედვით მოეწესრიგებინათ. ამიტომ მათ უნდა ეთებნათ ცაში მისი დაბრუნების ცხადი ნიშანი» (Cuvier: «Discours sur les révolutions du globe». გამოც. Hoefter. Paris 1863, გვ. 141).

⁶ წყალმომარაგების რეგულირება ერთ-ერთი მატერიალური საფუძველი იყო სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელიც ვრცელდებოდა ინდოეთის წვრილ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ საწარმოო ორგანიზმებზე. ინდოეთის მაჰმადიან მბრძანებლებს ეს უფრო კარგად ესმოდათ, ვიდრე მათს ინგლისელ მემკვიდრეებს. მოგაგონებთ მხოლოდ 1866 წლის შიმშილობას, რომელმაც ბენგალის საპრეზიდენტოს ორისის ოლქში მილიონზე მეტი ინდოელი იმხევერპლა.

⁷ არ მოიხილება ორი ქვეყანა, რომელიც ერთი და იმავე რაოდენობის საარსებო საშუალებებს იძლეოდეს თანაბარი სიუხვით და შრომის ერთი და იმავე რაოდენობის დაბარჯით... ადამიანთა მოთხოვნილებანი მატულობს ან კლებულობს იმ ჰავის სიმკაცრის ან ზომიერების მიხედვით, რომელშიც ისინი ცხოვრობენ; მაშასადამე, ის შეფარდებითი მოცულობა, რომლითაც სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებლები იძულებულნი არიან თავიანთი მრეწველობა წარმართონ, არ შეიძლება ერთნაირი იყოს; შეუძლებელია აგრეთვე მისი სხვადასხვაობის ხარისხის განსაზღვრა სხვა რამით, თუ არა სითბოს და სიცივის ხარისხის მიხედვით; აქედან შეიძლება ზოგადი დასკვნის გამოყვანა, რომ შრომის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ადამიანთა გარკვეული რაოდენობის შესანაზად, ყველაზე მეტია ცივ ჰავაში და ყველაზე ნაკლები — ცხელ ჰავაში; პირველ შემთხვევაში არა მარტო ადამიანები საჭიროებენ მეტ ტანსაცმელს, არამედ იქ მიწაც უკეთესად უნდა დაბუხავდეს, ვიდრე მეორეში: («An Essay on the

შრომაზე გავლენას ახდენენ მხოლოდ როგორც ბუნებრივი ზღუდე, ე. ი. განსაზღვრავენ მხოლოდ იმ პუნქტს, საიდანაც შეიძლება დაიწყოს სხვებისთვის მუშაობა. რამდენადაც მრეწველობა ვითარდება, იმდენადვე უკან იწევს ეს ბუნებრივი ზღუდე. დასავლეთეევროპულ საზოგადოებაში, სადაც მუშა მხოლოდ ზედმეტი შრომით ყიდულობს ნებართვას, რათა თავისი საკუთარი არსებობისთვის იმუშაოს, ადგილად იქმნება ილუზია, თითქოს ზედმეტი პროდუქტის მოცემა ადამიანის შრომის თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენდეს⁸. მაგრამ ავიღოთ, მაგალითად, მცხოვრები აზიური არქიპელაგის აღმოსავლეთის კუნძულებისა, სადაც საგო ტყეში იზრდება. «ადგილობრივი მცხოვრებნი ხერხეტენ ხეს და, როდესაც დარწმუნდებიან, რომ გული დამწიფებულა, ჭრიან მას და ანაწილებენ მრავალ ნაჭრად; შემდეგ ამოფხევენ გულს, შეურევენ წყალს, გაწურავენ და ამგვარად იღებენ სავსებით მოსახმარ საგოს ფქვილს. ერთი ხე ჩვეულებრივად 300 გირვანქას იძლევა და შეუძლია 500 — 600 გირვანქამდე მოცემა. მაშასადამე, იქ ისე მიდიან ტყეში თავისთვის პურის მოსაჭრელად, როგორც ჩვენში შეშის დასამზადებლად⁹. ვთქვათ, ასეთ აღმოსავლეთ-აზიელ პურისმჭრელს ყველა თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კვირაში 12 სამუშაო საათი სჭირდება. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მას უშუალოდ მხოლოდ ერთ რამეს ანიჭებენ, — მეტ თავისუფალ დროს. იმისათვის, რომ ეს თავისუფალი დრო მან თავისთვის მწარმოებლურად მოიხმაროს, საჭიროა მთელი რიგი ისტორიული პირობები; ხოლო იმისათვის, რომ მან იგი ზედმეტი შრომის სახით სხვებისთვის დახარჯოს, საჭიროა იძულება გარედან. იქ რომ კაპიტალისტური წარმოება იყოს შემოღებული, მაშინ ჩვენი ვაჟაკი იძულებული იქნებოდა, შეიძლება, 6 დღე ემუშავნა კვირაში, რათა ერთი სამუშაო დღის პროდუქტი თვითონ მიესაკუთრებინა. ბუნების ხელგაშლილობა არ იძლევა იმის ახსნა-განმარტებას, თუ რატომ მუშაობს იგი ახლა 6 დღეს კვირაში, ანდა რატომ იძლევა 5 დღის ზედმეტ შრომას. იგი გვიხსნის მხოლოდ, თუ რატომ არის შემოსაზღვრული მისი აუცილებელი სამუშაო დრო ერთი დღით კვირაში.

Governing Causes of the Natural Rate of Interest. London 1750, გვ. 60). ავტორი ამ ანონიმური თხზულებისა, რამაც მთელი ეპოქა შექმნა, არის ჯ. მესი. იუმბა აქედან გადმოიღო თავისი თეორია პროცენტის შესახებ.

⁸ ყოველი შრომა უნდა იძლეოდეს (უნდა ვიფიქროთ, რომ ესეც მოკალაქის უფლები და მოვალეობის ცეკუნის) რაიმე ნამეტს (პროდუქტს).

⁹ F. Schouw: «Die Erde, die Pflanzen und der Mensch», მე-2 გამოც., Leipzig 1854, გვ. 148.

მაგრამ მის ზედმეტ პროდუქტს ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოშობდა ადამიანის შრომის რალაც თანდაყოლილი საიდუმლო თვისება.

შრომის მწარმოებლური ძალები, — როგორც ისტორიულად განვითარებულნი, საზოგადოებრივნი, ისე ბუნებით გაპირობებულნი, — იმ კაპიტალის მწარმოებლურ ძალებად გვეჩვენება, რომელსაც შრომა უერთდება.

რიკარდო არასოდეს არ იწუხებს თავს ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხით. იგი განიხილავს მას როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის შინაგანად დამახასიათებელ მოვლენას, — წესისა, რომელიც მის თვალში საზოგადოებრივი წარმოების ბუნებრივ ფორმას წარმოადგენს. იქ, სადაც იგი შრომის ნაყოფიერებაზე ლაპარაკობს, იგი ეძებს მასში არა ზედმეტი ღირებულების არსებობის მიზეზს, არამედ — მხოლოდ მიზეზს, რომელიც ზედმეტი ღირებულების სიდიდეს განსაზღვრავს. მისმა სკოლამ კი, პირიქით, ხმამაღლა გამოაცხადა, რომ მოგების (იგულისხმება: ზედმეტი ღირებულების) წარმოშობის მიზეზი შრომის მწარმოებლური ძალაა. ეს, ყოველ შემთხვევაში, პროგრესია მერკანტილისტებთან შედარებით, რომლებსაც, თავის მხრივ, პროდუქტთა ფასის ნამეტი, მათი წარმოების ხარჯებთან შედარებით, გამოჰყავთ გაცვლიდან, პროდუქტის გაყიდვიდან მის ღირებულებაზე მაღლა. მიუხედავად ამისა, რიკარდოს სკოლამაც ამ პრობლემას მხოლოდ გვერდი აუხვია, ვერ გადაწყვიტა იგი. 'და მართლაც, ეს ბურჟუაზიული ეკონომისტები სწორი ინსტინქტით გრძნობდნენ, რომ ძალიან სახიფათოა ზედმეტი ღირებულების წარმოშობის მწვავე საკითხის ღრმა გამოკვლევა. მაგრამ რა უნდა ითქვას, როდესაც ბატონი ჯონ სტიუარტ მილი ნახევარი საუკუნით რიკარდოს შემდეგ მდიდურად აღნიშნავს თავის უპირატესობას მერკანტილისტების წინაშე, და ულაზათოდ იმეორებს რიკარდოს პირველი ვულგარიზატორების უფარვის ფანდებს?

მილი ამბობს: ამოგების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ შრომა მეტს აწარმოებს, ვიდრე ეს საჭიროა მის შესანახად. ჯერჯერობით ეს მხოლოდ ძველი ჰანგებიია; მაგრამ მილს სურს აქ რალაც თავისიცი დაუმატოს. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ: მიზეზი, თუ რატომ იძლევა კაპიტალი მოგებას, იმაში მდგომარეობს, რომ საზრდო, ტანისამოსი, ნედლი მასალა და შრომის საშუალებანი უფრო მეტ ხანს ძლებენ, ვიდრე ეს საჭიროა მათი წარმოებისთვის. მილი აქ ერთმანეთში ურევს სამუშაო დროის ხანგრძლიობას და მისი პროდუქტების ხანგრძლიობას. ამ თვალსაზრისით პურისინცხობელი, რომლის

პროდუქტები მხოლოდ ერთ დღეს ძლებენ, ვერასოდეს ვერ შეძლებდა თავისი დაქირავებული მუშებისაგან იმდენივე მოგების მიღებას, რამდენსაც იღებს მანქანათმშენებელი, რომლის პროდუქტები 20 წელს და კიდევ მეტს ძლებენ. რასაკვირველია, ჩიტის ბუდე იმაზე მეტ დროს რომ არ ძლებდეს, რაც მისი გაკეთებისთვის არის საჭირო, ჩიტი უბუდოდ უნდა წასულიყო იოლად.

ამ ძირითადი ქეშმარიტების დადგენის შემდეგ მილი ადგენს თავის უპირატესობას მერკანტილისტების წინაშე: «მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ მოგება გაცვლის შემთხვევითი ფაქტიდან კი არ წარმოდგება, არამედ — შრომის მწარმოებლური ძალიდან; ამა თუ იმ ქვეყნის ერთობლივი მოგება მუდამ განისაზღვრება შრომის მწარმოებლური ძალით, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა ადგილი გაცვლას. მოსაქმეობათა დანაწილება რომ არ არსებობდეს, მაშინ არც ყიდვას და არც გაყიდვას ადგილი არ ექნებოდა, ნაგრამ მოგება მაინც დარჩებოდა. მაშასადამე, აქ გაცვლა, ყიდვა და გაყიდვა — კაპიტალისტური წარმოების ეს საყოველთაო პირობები — წმინდა წყლის შემთხვევითი მოვლენა ყოფილა, და მოგებას ადგილი აქვს მაშინაც კი, როდესაც სამუშაო ძალის ყიდვა და გაყიდვა არ არსებობს!

შემდეგ: «თუ ამა თუ იმ ქვეყნის მუშების ერთობლიობა მათი ხელფასის ჯამზე 20%-ით მეტს აწარმოებს, მაშინ მოგება 20% იქნება, როგორც უნდა იყოს საქონლის ფასების მდგომარეობა». — ერთი მხრივ, ეს უაღრესად მოსწრებული ტაეტოლოგიაა, რადგან, თუკი მუშები თავიანთი კაპიტალისტებისათვის 20%-ს ზედმეტ ღირებულებას აწარმოებენ, მაშინ კაპიტალისტების მოგება შეეფარდება მუშების ერთობლივ ხელფასს, როგორც 20 : 100. მეორე მხრივ, აბსოლუტურად შენეცდარია, რომ მოგება «20% იქნება». ეს უკანასკნელი აუცილებლად ნაკლები იქნება, რადგან მოგება ავანსებული კაპიტალის მთელი ჯამის მიხედვით იანგარიშება. ვთქვათ, კაპიტალისტმა, მაგალითად, დააფანსა 500 გირვანქა სტერლინგი, აქედან 400 გირვანქა სტერლინგი წარმოების საშუალებების სახით, 100 გირვანქა სტერლინგი ხელფასის სახით. დაუშვათ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა, როგორც ეს ზემოთ ვივულისხნეთ, 20%-ს უდრის, მაშინ მოგების ნორმა იქნება 20 : 500, ე. ი. 4% და არა 20%.

ამას მოსდევს ბრწყინვალე ნინუში იმისა, თუ როგორ განიხილავს მილი საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა ისტორიულ ფორმას: «მე ვვულისხმობ ყველგან საქმის დღევანდელ მდგომარეობას, რომელიც, გარდა მცირეოდენი გამოხაკლისისა, გაბატონებულია ყველგან, ე. ი. ვვულისხმობ, რომ კაპიტალისტი ეწევა ყველა

წინასწარ ხარჯს, მუშის ხელფასის გადახდის ჩათვლით». საკვირველი ოპტიკური ცთომილებაა — ყველგან ხედავდე მდგომარეობას, რომელიც დედამიწაზე მხოლოდ გამონაკლისის სახითაა გაბატონებული! მაგრამ გავეყვით შენდევ. მილი კეთილმოწყალებით აღიარებს: «არ არსებობს აბსოლუტური აუცილებლობა იმისა, რომ ეს ასე იყოს». პირიქით. ძმუშას შეეძლო მთელი თავისი ხელფასის მიღებასაც კი დალოდებოდა სამუშაოს სრულ დამთავრებამდე, თუ მას თავის შესანახავად ამ ხნის განმავლობაში აუცილებელი საარსებო საშუალებანი ექნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი რამდენადმე კაპიტალისტი იქნებოდა, რომელიც კაპიტალს მოათავსებდა საწარმოში და ამ უკანასკნელს მის წასამართავად აუცილებელი ფონდის ნაწილს მიაწვდიდა». ასეთივე უფლებით მილს შეეძლო ეთქვა, რომ მუშა, რომელიც თავის თავს ავანსად აძლევს არა მარტო საარსებო საშუალებებს, არამედ — შრომის საშუალებებსაც, სინამდვილეში თავისი საკუთარი თავის დაქირავებული მუშაა. ანდა, რომ ამერიკელი გლეხი თავისი საკუთარი თავის მონაა, რომელიც საბატონო ბეგარას მხოლოდ თავის თავს უხდის და არა ბატონს.

ნას შემდეგ, რაც მიღმა ასე ნათლად დაგვიმტკიცა, რომ კაპიტალისტური წარმოება მაინც იარსებებდა, კიდევ რომ არ არსებულყო, იგი ისეთივე საკმაო თანამიმდევრობით გვიმტკიცებს, რომ კაპიტალისტური წარმოება არ არსებობს მაშინაც კი, როდესაც იგი არსებობს. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი (ე. ი. როდესაც კაპიტალისტი ავანსად აძლევს დაქირავებულ მუშას ყველა მის საარსებო საშუალებას) მუშა შეიძლება განხილულ იქნას იმავე თვალსაზრისით (ე. ი. როგორც კაპიტალისტი). ეს იმიტომ რომ, როდესაც იგი თავის შრომას საბაზრო ფასზე დაბლა (!) გასცემს, მას შეიძლება ისე შეეხედოთ, თითქოს იგი ავანსად აძლევდეს თავის მეწარმეს განსხვავე-

* მარქსის იმ მითითების საფუძველზე, რომელიც მოცემულია 1878 წლის 28 ნოემბერს ნ. ფ. დანიელსონისადმი (ნ. — ონისადმი) მიწაწერ წერილში, ამ აზრის დასაწყისი შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

«ამას მოსდევს ბრწყინვალე ნიმუში იმისა, თუ როგორ განიხილავს მილი საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა ისტორიულ ფორმას: მე ვგულისხმობ ყველგან, — ამბობს იგი, — საქმის დღევანდელ მდგომარეობას, რომელიც, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, გაბატონებულია ყველგან, სადაც მუშები და კაპიტალისტები განსაკუთრებულ კლასებს წარმოადგენენ». ბატონი მილი იმდენად კეთილია, რომ სურს დაიჯეროს: «არ არსებობს აბსოლუტური აუცილებლობა იმისა, რომ ეს ასე იყოს, ისეთი ეკონომიური სისტემის დროსაც კი, სადაც მუშები და კაპიტალისტები განსაკუთრებულ კლასებს წარმოადგენენ». შეად. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზ., ტ. XXVII, გვ. 18 (რუს. გამოც.). რ ე დ.

ბას (?) და სხვა^{9a}. სინამდვილეში კი მუშა ავანსის სახით უსასყიდლოდ აძლევს კაპიტალისტს თავის შრომას კვირის და სხვ. განმავლობაში, რათა კვირის და სხვ. დამლევს მიიღოს მისი საბაზრო ფასი; მილის აზრით ეს მუშას კაპიტალისტად ხდის! გაშლილ ვაკეზე ყოველი ბორცვიც მთად გვეჩვენება; ჩვენი დღევანდელი ბურჟუაზიის; გაცვეთილი აზრი_მის «დიად მოაზროვნეთა» ყალიბით უნდა გაიზომოს.

^{9a} J. St. Mill: «Principles of Political Economy». London 1868, გვ. 252 — 253, სხვადასხვა ადგილას. [ზემოაღნიშნული ადგილები აღებულია «კაპიტალის» ფრანგული გამოცემიდან. — ვ. შ.]

თავი მეთხუთმეტი

სამუშაო ძალის ფასის და ზედმეტი ღირებულების სიდიდის ცვლილება

სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება საშუალო მუშის ჩვეულებრივ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულებით. ამ საარსებო საშუალებათა მასა, — თუმცა მათი ფორმა შეიძლება ცვალებადობას განიცდიდეს, — მოცემულია განსაზღვრული საზოგადოების განსაზღვრულ ხანაში და ამიტომ განხილულ უნდა იქნას როგორც მუდმივი სიდიდე. იცვლება მხოლოდ ამ მასის ღირებულება. კიდევ ორი სხვა ფაქტორი შედის სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრაში. ერთი მხრივ, მისი განვითარების ხარჯები, რომლებიც წარმოების წესთან ერთად იცვლება, მეორე მხრივ — მისი ბუნებრივი განსხვავება, იმის მიხედვით, თუ როგორია ეს სამუშაო ძალა, მამაკაცისა თუ დედაკაცის, ასაკოვანისა თუ მოზარდის. ამ სხვადასხვა სამუშაო ძალის მოხმარება, კვლავ გაპირობებული წარმოების წესით, დიდ განსხვავებას ქმნის მუშის ოჯახის კვლავწარმოების ხარჯებში და ასაკოვანი მუშა-მამაკაცის ღირებულებაში. მაგრამ შემდეგში გამოკვლევის დროს ორივე ეს ფაქტორი გამორიცხულია⁹⁸.

ჩვენ ვგულისხმობთ: 1) რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, 2) რომ სამუშაო ძალის ფასი ხანდახან მის ღირებულებაზე მაღლა იწივს, მაგრამ მასზე დაბლა კი არასოდეს არ ეცემა.

ასეთი ვარაუდის დროს აღმოჩნდა, რომ სამუშაო ძალის ფასის და ზედმეტი ღირებულების შეფარდებითი სიდიდენი გაპირობებულია სამი გარემოებით: 1) სამუშაო ძალის სივრცით, ანუ შრომის ექსტენსიური სიდიდით; 2) შრომის ნორმალური ინტენსივობით, ანუ მისი ინტენსიური სიდიდით, ე. ი. იმით, რომ შრომის განსაზღვრული

⁹⁸ 281 გვერდზე [ამ გამოცემის 402 — 403 გვერდზე] განხილული შემთხვევა აქ, რასაკვირველია, აგრეთვე გამორიცხულია. [შენიშვნა მე-3 გამოცემისათვის — შ. შ.]

რაოდენობა იხარჯება განსაზღვრულ დროში; 3) ბოლოს — შრომის მწარმოებლური ძალით, ე. ი. იმით, რომ მწარმოების პირობების განვითარების დონის მიხედვით შრომის ერთი და იგივე რაოდენობა ერთსა და იმავე დროში პროდუქტის უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ რაოდენობას იძლევა. ცხადია, აქ შესაძლებელია მეტად სხვადასხვაგვარი კომბინაცია იმის მიხედვით, თუ ერთი ამ სამ ფაქტორთაგანი მუდმივია, ხოლო ორი — ცვალებადი, ან ორი მუდმივია და ერთი ცვალებადი, ანდა, ბოლოს, — სამივე იმავდროულად ცვალებადია. ეს კომბინაციები მრავალნაირდება კიდევ იმის გამო, რომ სხვადასხვა ფაქტორის იმავდროული ცვლილებისას ამ ცვლილების სიდიდე და მიმართულება შეიძლება სხვადასხვა იყოს. ქვემოთ განხილულია მხოლოდ მთავარი კომბინაციები.

I. სამუშაო ძლის სიდიდე და შრომის ინტენსივობა მუდმივია (მომცემულია), შრომის მწარმოებლური ძალა — ცვალებადი

ამ წანამძღვრის პირობებში სამუშაო ძალის ღირებულება და ზედმეტი ღირებულება განისაზღვრება სამი კანონით:

პირველი: გარკვეული სიდიდის სამუშაო დღე მუდამ გამოიხატება ერთი და იმავე ახლადშექმნილი ღირებულებით, სულ ერთია, როგორც უნდა იცვლებოდეს შრომის მწარმოებლური ძალა, მასთან ერთად — პროდუქტის მასა და, მაშასადამე, ცალკეული საქონლის ფასიც.

მაგალითად, თორმეტსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება უდრის 6 შილინგს, თუმცა მწარმოებულ სახმარ ღირებულებათა მასა შრომის მწარმოებლურ ძალასთან ერთად იცვლება, მაშასადამე, 6 შილინგის ღირებულება საქონელთა უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ რაოდენობაზე ნაწილდება.

მეორე: სამუშაო ძალის ღირებულება და ზედმეტი ღირებულება ერთი მეორისადნე შებრუნებული მიმართულებით იცვლება. შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილება, მისი ზრდა ან შემცირება, შებრუნებული მიმართულებით მოქმედებს სამუშაო ძალის ღირებულებაზე და პირდაპირი მიმართულებით — ზედმეტ ღირებულებაზე.

თორმეტსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება მუდმივი სიდიდეა, მაგალითად, 6 შილინგი. ეს მუდმივი სიდიდე უდრის ზედმეტი ღირებულების ჯამს პლუს სამუშაო ძალის ღირებულება, რომელსაც მუშა ეკვივალენტით ანაზღაურებს. თავისთავად იგულისხმება, რომ რომელიმე მუდმივი სიდიდის ორი შესაკრები ნაწილიდან ვერც ერთი ვერ მოიმატებს ისე, თუ მეორე

არ შემცირდა. სამუშაო ძალის ღირებულება არ შეიძლება ავიდეს 3 შილინგიდან 4-მდე, თუ ზედმეტი ღირებულება არ დაეცემა 3 შილინგიდან 2-მდე, და, პირუკუ, ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება ავიდეს 3 შილინგიდან 4-მდე, თუ სამუშაო ძალის ღირებულება არ დაეცემა 3 შილინგიდან 2-მდე. მაშასადამე, ამ პირობებში შეუძლებელია სამუშაო ძალის ღირებულების ან ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდის ცვლილება უიმისოდ, თუ ამავე დროს არ ხდება მათი შეფარდებითი, ანუ შედარებითი სიდიდის ცვლილება. შეუძლებელია ისინი ერთსა და იმავე დროს მცირდებოდნენ ან იზრდებოდნენ.

შემდეგ, სამუშაო ძალის ღირებულება არ შეიძლება დაეცეს, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება გაიზარდოს უიმისოდ, თუ არ გაიზრდება შრომის მწარმოებლური ძალა; მაგალითად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სამუშაო ძალის ღირებულებამ შეიძლება დაიწიოს 3 შილინგიდან 2-მდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალა შესაძლებლობას იძლევა 4 საათის განმავლობაში წარმოებულ იქნას საარსებო საშუალებათა იგივე მასა, რომელიც უწინ თავის საწარმოებლად 6 საათს მოითხოვდა. პირიქით, სამუშაო ძალის ღირებულებამ შეიძლება აიწიოს 3 შილინგიდან 4-მდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაეცემა შრომის მწარმოებლური ძალა, მაშასადამე, თუ საჭირო იქნება 8 საათი საარსებო საშუალებათა იმავე რაოდენობის საწარმოებლად, რომლისთვისაც უწინ 6 საათი კმაროდა. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ შრომის ნაყოფიერების მომატება ამცირებს სამუშაო ძალის ღირებულებას და ამით აღიძვებს ზედმეტ ღირებულებას, მაშინ როდესაც, პირიქით, შრომის ნაყოფიერების შემცირება აღიძვებს სამუშაო ძალის ღირებულებას და ამცირებს ზედმეტ ღირებულებას.

ამ კანონის ფორმულირების დროს რიკარდოს მხედველობიდან გამორჩა ერთი გარემოება: თუმცა ზედმეტი ღირებულების, ანუ ზედმეტი შრომის, სიდიდის ცვლილება გულისხმობს სამუშაო ძალის ღირებულების, ანუ აუცილებელი შრომის, სიდიდის შებრუნებულ ცვლილებას, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ისინი ერთი და იმავე პროპორციით იცვლებიან. ისინი მატულობენ ან კლებულობენ ერთი და იმავე სიდიდით. მაგრამ ის შეფარდება, რომლის მიხედვით მატულობს ან კლებულობს ახლადშექმნილი ღირებულების ან სამუშაო ძალის თვითეთლი ნაწილი, დამოკიდებულია იმ თავდაპირველ დანაწილებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილებამდე. ვთქვათ, სამუშაო ძალის ღირებულება უდრის 4 შილინგს, ანუ აუცილებელი სამუშაო დრო — 8

საათს, ზედმეტი ღირებულება — 2 შილინგს, ანუ ზედმეტი შრომა — 4 საათს; თუ შრომის მწარმოებლური ძალის ზრდის გამო სამუშაო ძალის ღირებულება დაიწევს 3 შილინგამდე, ანუ აუცილებელი შრომა — 6 საათამდე, მაშინ ზედმეტი ღირებულება აიწევს 3 შილინგამდე, ანუ ზედმეტი შრომა — 6 საათამდე. ერთი და იგივე სიდიდე — 2 საათი, ანუ 1 შილინგი, იქ ემატება, აქ აკლდება. მაგრამ სიდიდეთა პროპორციული ცვლილება ორივე შემთხვევაში სხვადასხვაა. მაშინ როდესაც სამუშაო ძალის ღირებულება კლებულობს 4 შილინგიდან 3-მდე, მაშასადამე, $\frac{1}{4}$ -ით, ანუ 25% -ით, ზედმეტი ღირებულება მატულობს 2 შილინგიდან 3-მდე, მაშასადამე, $\frac{1}{2}$, ანუ 50% -ით. აქედან გამომდინარეობს, რომ ის პროპორცია, რომლითაც ზედმეტი ღირებულება იზრდება ან მცირდება შრომის მწარმოებლური ძალის გარკვეული ცვლილების გამო, მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლები იყო, და მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მეტი იყო თავდაპირველად სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც ზედმეტი ღირებულებით გამოიხატება.

მესამე: ზედმეტი ღირებულების მომატება ან შემცირება მუდამ შედეგია, მაგრამ იგი არასოდეს არ არის მიზეზი სამუშაო ძალის ღირებულების სათანადო შემცირების ან მომატებისა¹⁰.

რადგან სამუშაო დღე მუდმივი სიდიდეა და ღირებულების მუდმივი სიდიდით გამოიხატება, რადგან ზედმეტი ღირებულების სიდიდის ყოველ ცვლილებას სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდის შებრუნებული ცვლილება შეესაბამება, და რადგან სამუშაო ძალის ღირებულება შეიძლება მხოლოდ შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილებასთან ერთად შეიცვალოს, — ანიტომ, ცხადია, აქედან გამომდინარეობს, რომ ამ პირობებში ზედმეტი ღირებულების სიდიდის ყოველ ცვლილებას სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდის შებრუნებული

¹⁰ ამ მესამე კანონს მაკ კულოზმა, სხვათა შორის, ის უაზრო დამატება გაუკეთა, რომ ზედმეტი ღირებულება შეიძლება იზრდებოდეს სამუშაო ძალის ღირებულების შეუმცირებლად იმ გადასახადების გაუქმების გამო, რომლებიც კაპიტალისტს უწინ უნდა ეხადაო. ასეთი გადასახადების გაუქმება აბსოლუტურად არაფერს ცვლის ზედმეტი ღირებულების ჩაოდენობაში, რომელსაც უშუალოდ წოვს მუშას მრეწველი კაპიტალისტი. იგი ცვლის მხოლოდ იმ პროპორციას, რომლის მიხედვით კაპიტალისტი ზედმეტ ღირებულებას საკუთარ ჯიბეში იღებს ანდა მან ეს ზედმეტი ღირებულება მესამე პირებს უნდა გაუნაწილოს. ამრიგად, იგი ჩრულიად უცვლელად ტოვებს შეფარდებას სამუშაო ძალის ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის. მაშასადამე, მაკ კულოზის გამონაკლისი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მან ვერ გაიგო ზოგადი წესი; ამგვარი უბედურება მას ისევე ზშირად ემართება რიკარდოს გავულგარტებისას, როგორც ჟ. ბ. სეის — ა. სმიტის ვულგარიზაციის დროს.

ცვლილება წარმოშობს. ამიტომ, თუ უწინ ჩვენ დავინახეთ, რომ სამუშაო ძალის ღირებულების და ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეთა ცვლილება შეუძლებელია მათი შეფარდებითი სიდიდეების შეუცვლელად, ახლა ვხედავთ, რომ მათი ღირებულების შეფარდებითი სიდიდეების ცვლილება შეუძლებელია სამუშაო ძალის ღირებულების აბსოლუტური სიდიდის შეუცვლელად.

მესამე კანონის ნიხედვით, ზედმეტი ღირებულების სიდიდის ცვლილება გულისხმობს სამუშაო ძალის ღირებულების ცვლილებას, რომელიც შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილებით არის გამოწვეული. პირველი სახის ცვლილების საზღვარი მოცემულია სამუშაო ძალის ღირებულების ახალი საზღვრით. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც გარემოებანი ამ კანონს მისი მოქმედების გამომჟღავნების საშუალებას აძლევენ, შესაძლებელია შუალედური ცვლილებანი. მაგალითად, თუ შრომის მწარმოებლური ძალის მომატების გამო სამუშაო ძალის ღირებულება ეცემა 4 შილინგიდან 3-მდე, ანუ აუცილებელი სამუშაო დრო — 8 საათიდან 6-მდე, მაშინ სამუშაო ძალის ფასი შესაძლებელია დაეცეს მხოლოდ 3 შილინგ და 8 პენსამდე, 3 შილინგ და 6 პენსამდე, 3 შილინგ და 2 პენსამდე და სხვ., მაშასადამე, ზედმეტმა ღირებულებამ შეიძლება აიწიოს მარტოოდენ 3 შილინგ და 4 პენსამდე, 3 შილინგ და 6 პენსამდე, 3 შილინგ და 10 პენსამდე და სხვა. დაცემის ხარისხი, რომლის უკანასკნელი საზღვარი 3 შილინგია, დამოკიდებულია შეფარდებითს წონაზე, რომელსაც სასწორზე დებს ერთი მხრივ, კაპიტალის დაწოლა და, მეორე მხრივ, მუშების წინააღმდეგობა.

სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება საარსებო საშუალებათა გარკვეული რაოდენობით. შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილებასთან ერთად იცვლება ამ საარსებო საშუალებათა ღირებულება, და არა მათი მასა. თვით ეს მასა შრომის მწარმოებლური ძალის მომატებით შეიძლება გაიზარდოს ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე პროპორციით როგორც მუშისთვის, ისე კაპიტალისტისთვის, ისე რომ არ მოხდეს არავითარი ცვლილება სამუშაო ძალის ფასის და ზედმეტი ღირებულების სიდიდეთა შორის. თუ სამუშაო ძალის თავდაპირველი ღირებულება 3 შილინგია და აუცილებელი სამუშაო დრო 6 საათს შეადგენს, თუ ასევე ზედმეტი ღირებულება 3 შილინგია, ანუ ზედმეტი შრომაც 6 საათს შეადგენს, — მაშინ შრომის მწარმოებლური ძალის გაორკეცება, სამუშაო დღის იმავე დანაწილების პირობებში, სამუშაო ძალის ფასსა და ზედმეტ ღირებულებას უცვლელად დატოვებდა. მხოლოდ თვითეული ბათვანი ახლა გამოხატული

იქნებოდა ორჯერ მეტ, მაგრამ სათანადოდ გაიაფებულ სახმარ ღირებულებებში. თუმცა სამუშაო ძალის ფასი უცვლელი დარჩებოდა, იგი ახლა მის ღირებულებაზე მაინც უფრო მაღალი იქნებოდა. სამუშაო ძალის ფასი კიდევ რომ დაცემულიყო, მაგრამ არა მისი ახალი ღირებულებით მოცემულ მინიმალურ საზღვრანდე, $1\frac{1}{2}$ შილინგანდე, არამედ — 2 შილინგ და 10 პენსამდე, 2 შილინგ და 6 პენსამდე და სხვ., თვით ეს დაცემული ფასი მაინც საარსებო საშუალებათა გადიდებულ მასას წარმოადგენდა. ამრიგად, შრომის მზარდი მწარმოებლური ძალის დროს სამუშაო ძალის ფასი შეიძლება განუწყვეტლივ ეცემოდეს მუშის საარსებო საშუალებათა მასის იმავდროულ, განუწყვეტელ ზრდასთან ერთად. მაგრამ შეფარდებით, ე. ი. ზედმეტი ღირებულებასთან შედარებით, სამუშაო ძალის ღირებულება განუწყვეტლივ დაბლა დაიწვედა და, მაშასადამე, უფრო გაღრმავდებოდა უფსკრული მუშისა და კაპიტალისტის საარსებო დონეს შორის¹¹.

პირველად რიკარდომ ჩამოაყალიბა მტკიცედ ზემოთ დადგენილი სამი კანონი. მის მიერ მოცემული განხილვის ნაკლი შემდეგია: 1) იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელთა ფარგლებშიც ამ კანონებს ძალა აქვთ, რიკარდო თვლის კაპიტალისტური წარმოების თავისთავად გასაგებ, საყოველთაო და ერთადერთ შესაძლებელ პირობებად. მისთვის არ არსებობს არავითარი ცვლილება არც სამუშაო ძალის სიგრძეში და არც შრომის ინტენსივობაში, ასე რომ შრომის მწარმოებლური ძალა მისთვის თავისთავად ერთადერთ ცვალებად ფაქტორს წარმოადგენს. 2) მაგრამ როგორც ყველა სხვა ეკონომისტს, რიკარდოსაც არასოდეს არ გამოუკვლევია ზედმეტი ღირებულება როგორც ასეთი, ე. ი. მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან, მაგალითად, მოგების, მიწის რენტისა და სხვ., დამოუკიდებლად, და სწორედ ეს გაცილებით უფრო მეტად აყალბებს მის ანალიზს. ამიტომ იგი უშუალოდ ერთმანეთში ურევს ზედმეტი ღირებულების ნორმის კანონებსა და მოგების ნორმის კანონებს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების შეფარდებაა ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან, მაშინ როდესაც ზედმეტი ღირებუ-

¹¹ «როდესაც მრეწველობის წარმადობაში ცვლილება ხდება, ასე რომ შრომისა და კაპიტალის მოცემული რაოდენობით მეტი ან ნაკლები პროდუქტი იწარმოება, ზელფასის შეფარდებითი სიდიდე შეიძლება საგრძნობლად შეიცვალოს, მაშინ როდესაც პროდუქტის რაოდენობა, გამოხატული ამ შეფარდებითი სიდიდით, იგივე რჩება; ანდა შეიძლება პროდუქტის რაოდენობა შეიცვალოს, მაშინ როდესაც შეფარდებითი სიდიდე უცვლელი დარჩეს» («*Outlines of Political Economy etc.*» London 1832, გვ. 67).

ლების ნორმა არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება ამ კაპიტალის მხოლოდ ცვალებად ნაწილთან. ვთქვათ, 500 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი (C) იყოფა ნედლ მასალად, შრომის საშუალებებად და სხვა, რომელთა საერთო ღირებულება უდრის 400 გირვანქა სტერლინგს (c), და 100 გირვანქა სტერლინგის რაოდენობის ხელფასად (v); შემდეგ, ვიგულისხმობთ, რომ ზედმეტი ღირებულება უდრის 100 გირვანქა სტერლინგს (m). მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა იქნება

$$\frac{m}{v} = \frac{100 \text{ გირვ. სტერლ.}}{100 \text{ გირვ. სტერლ.}} = 100\%,$$

ხოლო მოგების ნორმა

$$\frac{m}{C} = \frac{100 \text{ გირვ. სტერლ.}}{500 \text{ გირვ. სტერლ.}} = 20\%.$$

გარდა ამისა, ცხადია, რომ მოგების ნორმა შეიძლება დამოკიდებული იყოს ისეთ გარემოებებზე, რომელთაც არავითარი გავლენა არა აქვთ ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. შემდეგში, ამ ნაწარმოების მესამე წიგნში, მე ცხადვყოფ, რომ გარკვეულ პირობებში ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე ნორმა შეიძლება გამოიხატოს მოგების უაღრესად სხვადასხვა ნორმით, ხოლო ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნორმა — მოგების ერთი და იმავე ნორმით.

II. საშუაოდ დღე და შრომის მწარმოებლური ძალა მუდმივია. შრომის ინტენსივობა — ცვალებადი

შრომის მზარდი ინტენსივობა გულისხმობს შრომის გადიდებულ დახარჯვას დროის იმავე მონაკვეთში. ამიტომ უფრო ინტენსიური სამუშაო დღე ხორციელდება პროდუქტის უფრო მეტ რაოდენობაში, ვიდრე იმავე ხანგრძლიობის, მაგრამ ნაკლებ ინტენსიური სამუშაო დღე. მართალია, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების დროსაც იგივე სამუშაო დღე მეტ პროდუქტს იძლევა. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ცალკეული პროდუქტის ღირებულება დაბლა იწევს, რადგან იგი ახლა უფრო ნაკლები შრომა ღირს, ვიდრე უწინ; პირველ შემთხვევაში კი ღირებულება უცვლელი რჩება, რადგან პროდუქტი ახლაც, როგორც უწინ, იმავე რაოდენობის შრომა ღირს. პროდუქტების რაოდენობა აქ იზრდება ისე, რომ მათი ფასი არ ეცემა. მათ რაოდენობასთან ერთად მათი ფასების ჯამიც იზრდება, მაშინ როდესაც მწარმოებლური ძალის გადიდების დროს ღირებულების იგივე ჯამი მხოლოდ პროდუქტების გადიდებული მასით გამოიხატება. ამრიგად, სამუშაო საათების რაოდენობის უცვლელობისას უფრო ინტენსიური სამუშაო დღე ხორციელდება მეტ ახლად-

შექმნილ ღირებულებაში, მაშასადამე, ფულის მეტ რაოდენობაში, თუ ფულის ღირებულება უცვლელია. სამუშაო ძლის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება იცვლება ნორმალური საზოგადოებრივი დონისაგან ამ სამუშაო ძლის ინტენსივობის გადახრასთან ერთად. მაშასადამე, იგივე სამუშაო დღე გამოიხატება ახლა არა მუდმივი, როგორც უწინ, არამედ ცვალებადი ახლადშექმნილი ღირებულებით, მაგალითად, უფრო ინტენსიური 12 საათიანი სამუშაო დღე — 7 შილინგით, 8 შილინგით და სხვ., ნაცვლად 6 შილინგისა, რომლითაც გამოხატულია ჩვეულებრივი ინტენსივობის 12 საათიანი სამუშაო დღე. ცხადია: თუ სამუშაო ძლის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება იცვლება, ვთქვათ, 6-დან 8 შილინგამდე, მაშინ ამ ახლადშექმნილი ღირებულების ორივე ნაწილი — სამუშაო ძალის ფასი და ზედმეტი ღირებულება — შეიძლება იმავდროულად გაიზარდოს ერთი და იმავე ან სხვადასხვა პროპორციით. სამუშაო ძალის ფასი და ზედმეტი ღირებულება შეიძლება ორივე იმავდროულად 3 შილინგიდან 4-მდე გაიზარდოს, თუ ახლადშექმნილი ღირებულება 6-დან 8 შილინგამდე აიწევს. სამუშაო ძალის ფასის აწევა ამ შემთხვევაში არ შეიცავს აუცილებლად მისი ფასის აწევას მის ღირებულებაზე მალა. პირიქით, მას შეიძლება თან სდევდეს სამუშაო ძალის ღირებულების დაცემა. ეს ხდება მუდამ, როდესაც სამუშაო ძალის ფასის აწევა არ ანაზღაურებს ამ ძალის აჩქარებულ გაცვეთას.

ჩვენ ვიცით, რომ, წარმავალ გამოჩენისთა გარდა, შრომის ნაყოფიერების ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ცვლილებას სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდეში და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების სიდიდეშიც, თუ მრეწველობის იმ დარგთა პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, მუშის ჩვეულებრივ მოხმარებაში შედის. ასეთ შეზღუდვას აქ ადგილი არა აქვს. იცვლება დახარჯული შრომის სიდიდე ექსტენსიურად თუ ინტენსიურად, მისი სიდიდის ცვლილებას ყოველთვის შეესაბამება ახლადშექმნილი ღირებულების სიდიდის ცვლილება, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს იმ საგნის ბუნება, რომლითაც ეს ღირებულება გამოიხატება.

შრომის ინტენსივობამ რომ იმავდროულად და თანაბრად მოიმატოს მრეწველობის ყველა დარგში, მაშინ ინტენსივობის ახალი, უფრო მაღალი ხარისხი ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ნორმალურ დონედ გადაიქცეოდა და, მაშასადამე, ექსტენსიურ სიდიდედ აღარ ჩაითვლებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შრომის ინტენსივობის საშუალო ხარისხი სხვადასხვა ერთი სხვადასხვა იქნებოდა და ამიტომ იგი შეცვლიდა ღირებულების კანონის გამოყენებას სხვადასხვა ერთს

განსხვავებული სამუშაო დღეებისათვის. ერთი ერის უფრო ინტენსიური სამუშაო დღე უფრო მეტი ფულით გამოიხატება, ვიდრე მეორე ერის ნაკლებ ინტენსიური სამუშაო დღე¹².

III. შრომის მწარმოებლური ძალა და ინტენსივობა მუშაობაში, სამუშაო დღე — ცვალებადი

სამუშაო დღე შეიძლება ორი მიმართულებით იცვლებოდეს. იგი შეიძლება შემოკლდეს ან გაგრძელდეს.

1) სამუშაო დღის შემოკლება მოცემულ პირობებში, ე. ი. შრომის მწარმოებლური ძალისა და ინტენსივობის უცვლელიობისას, უცვლელად ტოვებს სამუშაო ძალის ღირებულებას და, მაშასადამე, აუცილებელ სამუშაო დროსაც. იგი ანციარებს ზედმეტ შრომას და ზედმეტ ღირებულებას. ამ უკანასკნელის აბსოლუტური სიდიდის დაცემასთან ერთად ეცემა მისი შეფარდებითი სიდიდეც, ე. ი. მისი სიდიდე სამუშაო ძალის ღირებულების უცვლელ სიდიდესთან შეფარდებით. მხოლოდ სამუშაო ძალის ფასის დაწვევით მის ღირებულებაზე დაბლა შეედლო კაპიტალისტს ზარალის თავიდან აცილება.

ყველა გაცვეთილი ფრაზა, მიმართული სამუშაო დღის შემოკლების წინააღმდეგ, გულისხმობს, რომ ეს მოვლენა აქ ნაგარაუდევ პირობებში ხდება, მაშინ როდესაც სინამდვილეში, პირიქით, — შრომის ნაყოფიერების და ინტენსივობის ცვლილება ან წინ უძღვის სამუშაო დღის შემოკლებას, ანდა უშუალოდ მოსდევს მას¹³.

2) სამუშაო დღის გაგრძელება: ვთქვათ, აუცილებელი სამუშაო დრო უდრის 6 საათს, ანუ სამუშაო ძალის ღირებულება — 3 შილინგს, ზედმეტი შრომა ასევე უდრის 6 საათს და ზედმეტი ღირებულება — 3 შილინგს. მაშინ ერთობლივი სამუშაო დღე შეადგენს 12 საათს და გამოიხატება 6 შილინგი ახლადშექმნილი ღირე-

¹² ესევე თანაბარ პირობებში ინგლისელ მეფაბრიკეს განსახვრული დროის მანძილზე პროდუქტების გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის დამზადება შეუძლია, ვიდრე უცხოელ მეფაბრიკეს, რის გამოც წონასწორობაში მოდის განსხვავება 60 საათის სამუშაო კვირასა ჩვენში და 72 ან 80 საათის სამუშაო კვირას შორის უცხოეთში» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1855», გვ. 65). კონტინენტურ ფაბრიკებში საკანონმდებლო გზით სამუშაო დღის უფრო მნიშვნელოვანი შემოკლება ყველაზე უტყუარი საშუალება იქნებოდა კონტინენტურ და ინგლისურ სამუშაო საათს შორის არსებულ ამ განსხვავების შესამციკრებლად.

¹³ არსებობს ამნახლადურებელი გარემოებანი... როგორც ეს გამოააშკარავა Ten Hours Act-ის [ათი საათის სამუშაო დღის აქტის] მოქმედებაში («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848», გვ. 7).

ბულებით. თუ სამუშაო დღე 2 საათით გრძელდება და სამუშაო ძალის ფასი უცვლელი რჩება, მაშინ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდესთან ერთად იზრდება მისი შეფარდებითი სიდიდეც. თუმცა სამუშაო ძალის ღირებულება თავისი აბსოლუტური სიდიდის მიხედვით უცვლელი რჩება, შეფარდებით იგი ეცემა. პარაგრაფ I-ით ნაგულისხმევ პირობებში სამუშაო ძალის ღირებულების შეფარდებითი სიდიდე არ შეიძლება შეცვლილიყო, თუ არ შეიცვლებოდა მისი აბსოლუტური სიდიდე. აქ კი, პირიქით, სამუშაო ძალის ღირებულების შეფარდებითი სიდიდის ცვლილება ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდის ცვლილების შედეგია.

რადგან ახლადშექმნილი ღირებულება, რომლითაც სამუშაო დღე გამოიხატება, ამ უკანასკნელის გაგრძელებასთან ერთად იზრდება, ამიტომ სამუშაო ძალის ფასი და ზედმეტი ღირებულებაც შეიძლება იმავდროულად გაიზარდოს — ერთი და იმავე ან სხვადასხვა სიდიდით. მაშასადამე, ეს იმავდროული ზრდა შესაძლებელია ორ შემთხვევაში: სამუშაო დღის აბსოლუტური გაგრძელების დროს და შრომის მზარდი ინტენსივობის დროს სამუშაო დღის გაუგრძელებლად.

სამუშაო დღის გაგრძელებისას სამუშაო ძალის ფასი შეიძლება დაეცეს მის ღირებულებაზე დაბლა, თუნდაც რომ ნომინალურად იგი უცვლელი დარჩეს, ან გაიზარდოს კიდევ. როგორც გვახსოვს, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება განისაზღვრება სახელდობრივით, თუ როგორია ამ სამუშაო ძალის ნორმალური საშუალო ხანგრძლიობა ანუ მუშის სიცოცხლის ნორმალური პერიოდი და სასიცოცხლო სუბსტანციის სათანადო, ნორმალური, ადამიანის ბუნების დამახასიათებელი გადაქცევა მოძრაობად¹⁴. განსაზღვრულ პუნქტამდე სამუშაო ძალის გაძლიერებული გაცვეთა, რაც განუყრელად დაკავშირებულია სამუშაო დღის გაგრძელებასთან, შეიძლება ანაზღაურდეს მისი გაძლიერებული აღდგენით. ამ პუნქტს იქით გაცვეთა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და იმავე დროს ირღვევა სამუშაო ძალის კვლავწარმოებისა და ფუნქციონირების ყველა ნორმალური პირობა. ამ მომენტიდან სამუშაო ძალის ფასი და მისი ექსპლოატაციის ხარისხი უკვე აღარ არიან თანაზომადი სიდიდენი.

¹⁴ შრომის რაოდენობა, რომელიც დაზარალებული ადამიანის მიერ 24 საათის განმავლობაში, შეიძლება დაახლოებით განისაზღვროს იმ ქიმიურ ცვლილებათა გამოკვლევის საშუალებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მის სხეულში, რადგან მატერიის შეცვლილი ფორმები მაჩვენებელია მამოძრავებელი ძალის წინანდელი მოქმედებისა (Grove: «On the Correlation of Physical Forces»).

IV. შრომის ხანგრძლივობის, მწარმოებლური ძალისა და ინტენსივობის იმავლაროული ცვალებადობა

ცხადია, აქ მრავალი კომბინაცია არის შესაძლებელი. შეიძლება ცვლილებას განიცდიდეს ყოველი ორი ფაქტორი და ერთი უცვლელი რჩებოდეს, ანდა შეიძლება სამივე განიცდიდეს ცვლილებას იმავედროულად. ისინი შეიძლება იცვლებოდნენ ერთნაირი ან სხვადასხვა ოდენობით, ერთი და იმავე ან ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებით, ამასთან მათი ცვლილებანი შეიძლება გაბათილდეს ნაწილობრივ ან მთლიანად. მაგრამ I, II და III პარაგრაფების დასკვნების შემდეგ ყველა შესაძლებელი შემთხვევის ანალიზი ადვილია. ყოველი შესაძლებელი კომბინაციის შედეგს ვიპოვიოთ, თუ რიგრიგობით განვიხილავთ თვითნებულ ფაქტორს როგორც ცვალებადს, ხოლო დანარჩენებს — როგორც მუდმივს. ამიტომ ჩვენ აქ მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ ორ მნიშვნელოვან შემთხვევას.

1) შრომის კლებადი მწარმოებლური ძალა სამუშაო დღის იმავდროულ გაგრძელებასთან ერთად.

როდესაც ჩვენ აქ შრომის კლებად მწარმოებლურ ძალაზე ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს შრომის ის დარგები, რომელთა პროდუქტები სამუშაო ძალის ღირებულებას განსაზღვრავენ, ასე, მაგალითად, შრომის მწარმოებლური ძალის შემცირება ნიადაგის მზარდი უწყაყოფობისა და მიწათმოქმედების პროდუქტთა სათანადო გაძვირების გამო. ვთქვათ, სამუშაო დღე უდრის 12 საათს, მის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება — 6 შილინგს, აქედან ნახევარი ანაზღაურებს სამუშაო ძალის ღირებულებას, ხოლო მეორე ნახევარი ზედმეტ ღირებულებას ქმნის. მაშასადამე, სამუშაო დღე იყოფა 6 საათ აუცილებელ შრომად და 6 საათ ზედმეტ შრომად. ვთქვათ, მიწათმოქმედების პროდუქტების გაძვირების გამო სამუშაო ძალის ღირებულება 3-დან 4 შილინგამდე ავიდა, მაშასადამე, აუცილებელი სამუშაო დრო — 6-დან 8 საათამდე. თუ სამუშაო დღე უცვლელი რჩება, მაშინ ზედმეტი შრომა ეცემა 6-დან 4 საათამდე, ხოლო ზედმეტი ღირებულება — 3-დან 2 შილინგამდე. თუ სამუშაო დღე ორი საათით გაგრძელდა, ე. ი. 12-დან 14 საათამდე, მაშინ ზედმეტი შრომა რჩება 6 საათი, ხოლო ზედმეტი ღირებულება — 3 შილინგი, მაგრამ სამუშაო ძალის ღირებულებასთან შედარებით, რომელიც აუცილებელი შრომით იზომება, ზედმეტი ღირებულების სიდიდე ეცემა. თუ სამუშაო დღე 4 საათით გრძელდება, 12-დან 16 საათამდე, მაშინ ზედმეტი ღირებულებისა და სამუშაო ძალის ღირებულების, ზედმეტი შრომისა და

აუცილებელი შრომის პროპორციული სიდიდეები უცვლელი რჩება, მაგრამ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე იზრდება 3-დან 4 შილინგამდე, ხოლო ზედმეტი შრომის აბსოლუტური სიდიდე — 6-დან 8 სამუშაო საათამდე, ე. ი. $\frac{1}{3}$ -ით, ანუ — $33\frac{1}{3}\%$ -ით. მაშასადამე, შრომის კლებადი მწარმოებლური ძალისა და სამუშაო ძლის იმავდროული გაგრძელების დროს ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე შეიძლება უცვლელი დარჩეს, მაშინ როდესაც მისი შეფარდებითი სიდიდე ეცემა; მისი შეფარდებითი სიდიდე შეიძლება უცვლელი დარჩეს, მაშინ როდესაც მისი აბსოლუტური სიდიდე იზრდება, და, ბოლოს, სამუშაო ძლის გაგრძელების მიხედვით, შეიძლება იმავდროულად გაიზარდოს ზედმეტი ღირებულების როგორც შეფარდებითი, ისე აბსოლუტური სიდიდე.

1799 — 1815 წლების პერიოდში საარსებო საშუალებათა ფასების ზრდამ ინგლისში გამოიწვია ხელფასის ნომინალური ზრდა, თუმცა ნამდვილი, საარსებო საშუალებებით გამოხატული ხელფასი დაეცა. აქედან უესტმა და რიკარდომ დასკვნა გამოიყვანეს — სამიწათმოქმედო შრომის ნაყოფიერების შემცირებამ ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა გამოიწვია, და ეს მხოლოდ მათს ფანტაზიაში არსებული ვარაუდი მათ გახადეს ამოსავალ პუნქტად ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის სიდიდეთა თანაფარდობის მნიშვნელოვანი ანალიზისათვის. მაგრამ, სინამდვილეში, შრომის გადიდებული ინტენსივობისა და სამუშაო ძლის იძულებითი გაგრძელების გამო, ზედმეტი ღირებულება გაიზარდა იმ დროს აბსოლუტურადაც და შეფარდებითაც. ეს ის პერიოდი იყო, როცა სამუშაო ძლის უზომო გაგრძელებამ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა¹⁵, პერიოდი, რომელსაც

¹⁵ აქური და შრომა იწვიათად მიდის საჯსებით თანაბარ დონეზე; მაგრამ არსებობს აშკარა სახელვარი, რომლის იქით მათი დაშორება შეუძლებელია. რაც შეეხება ძალ-ღონის არაჩვეულებრივ დაძაბვას მშრომელი კლასების მიერ სიძვირის პერიოდში და ამ სიძვირით გამოწვეულ დაცემას ხელფასისას, რაც მოხსენიებულია მოწმეთა ჩვენებებში (სახელდობრ პარლამენტის კომიტეტების წინაშე 1814 — 1815 წელს), უნდა აღინიშნოს, რომ იგი ფრიად სასახელოა ცალკე პირებისათვის და, უქვევლია, ხელს უწყობს კაპიტალის ზრდას. მაგრამ არც ერთი ჭეშანური ადამიანი არ მოისურვებს, რომ ძალ-ღონის ასეთი დაძაბვა მუდმივად და შეუსუსტებლად გაგრძელდეს. იგი ქება-დიდების ღირსია, როგორც დროებითი გამოსავალი; მაგრამ თუ იგი მუდმივი გახდებოდა, მაშინ მივიღებდით იმის ანალოგიურ შედეგებს, რასაც ადგილი აქვს, როდესაც ხალხის გამრავლება მისი საარსებო საშუალებებით დაშვებულ უკიდურეს საზღვრებს აღწევს (Malthus: 'Inquiry into the Nature and Progress of Rent'. London 1815, გვ. 48, შენიშვნა). მალთუსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი აქ ხახვასით აღნიშნავს სამუშაო ძლის გაგრძელებას, რომელზედაც იგი პირდაპირ

განსაკუთრებით ახასიათებს აჩქარებული ზრდა კაპიტალიზმისა ერთ მხარეზე, პაუპერიზმისა — მეორეზე¹⁶.

2) შრომის ინტენსივობისა და მწარმოებლური ძალის ზრდა სამუშაო დღის ინაევდროულ შემცირებასთან ერთად.

შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალა და შრომის მზარდი ინტენსივობა ერთი მხრივ ერთნაირად მოქმედებენ. ერთიც და მეორეც ადიდებს განსაზღვრული დროის განმავლობაში საწარმოებელ პროდუქტთა მასას. მაშასადამე, ორივე ამოკლებს სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომელსაც მუშა თავის საარსებო საშუალებათა ანუ მათი ეკვივალენტის საწარმოებლად საჭიროებს. სამუშაო დღის აბსოლუტური ნინიმალური საზღვარი საერთოდ წარმოიქმნება ამ ნისი აუცილებელი, მაგრამ შემოკლების უნარმქონე შემადგენელი ნაწილით. მთელი სამუშაო დღე რომ ამ ნაწილამდე დავიდეს, მაშინ მოისპობოდა ზედმეტი შრომაც, რაც შეუძლებელია კაპიტალის რეჟიმის პირობებში. წარმოების კაპიტალისტური ფორმის გაუქმება საშუალებას მოგვცენს შევზღუდოთ სამუშაო დღე აუცილებელი შრომით. მაგრამ ეს უკანასკნელი, სხვა თანაბარ პირობებში, თავის ფარგლებს გააფართოებდა. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მუშის საარსებო პირობები უფრო მდიდარი შეიქნებოდა და მისი საარსებო მოთხოვნილებანი

მიუთითებს თავისი პაფლუტის სხვა ადგილასაც, მაშინ როდესაც რიკარდო და სხვები, მიუხედავად ფაქტების დადასისა, ყველანი თავიანთ გამოკვლევას საფუძვლად უდებდნენ სამუშაო დღის მუდმივ სიდიდეს. მაგრამ კონსერვატიული ინტერესები, რომელთა მსახური მალთუსი იყო, ხელს უშლიდა მას დაენახა, რომ სამუშაო დღის უზომო გაგრძელებას და მასთან ერთად მანქანების არაჩვეულებრივ განვითარებას და ქალებისა და ბავშვების შრომის ექსპლუატაციას, «მოკარბებულად» უნდა გაეხადა მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით როდესაც მოისპობოდა ომით გამოწვეული მოთხოვნა და ინგლისის მონოპოლია მსოფლიო ბაზარზე. რასაკვირველია, გაცილებით უფრო მიზეზებული იყო და უფრო შეეფერებოდა გაბატონებული კლასების ინტერესებს, რომელთაც მალთუსი წმინდა ხეცური გულმოდგინებით გუნდრუქს უკმევს, რომ მას ეს «კარბმოსახლეობა» ბუნების მარადიული კანონებით აესხნა და არა მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების ისტორიულ-ბუნებრივი კანონებით.

¹⁶ «ომის დროს კაპიტალის ზრდის წარმომშობ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა შრომელი კლასების — ყოველ საზოგადოებაში ამ ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასების — ძალ-ღონის უდიდესი დაძაბვა და, შეიძლება, მათი კიდევ უფრო დიდი გაჭირვება. ქალებისა და ბავშვების უფრო მეტი რაოდენობა გარემოებათა გამო იძულებული იყო სამრეწველო შრომისათვის მოეკიდა ხელი; უწინდელი მუშები კი იმავე მიზეზით იძულებულნი იყვნენ თავიანთი დროის უდიდესი ნაწილი წარმოების გადიდებისათვის შეეწირათ» («Essays on Political Economy in which are illustrated the Principal Causes of the Present National Distress». London 1830, გვ. 248).

გაიზრდებოდა. მეორე მხრივ, ახლანდელი ზედმეტი შრომის ერთი ნაწილი აუცილებელ შრომად ჩაითვლებოდა, სახელდობრ ის შრომა, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი სარეზერვო და დაგროვების ფონდის შესაქმნელად.

რაც უფრო მეტად იზრდება შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო მეტად შეიძლება შემოკლდეს სამუშაო დღე, ხოლო რაც უფრო მეტად მოკლდება სამუშაო დღე, მით უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს შრომის ინტენსივობა. საზოგადოებრივი თვალსაზრისით, შრომის ნაყოფიერება იზრდება აგრეთვე მისი ეკონომიით. ეს უკანასკნელი შეიცავს არა მარტო წარმოების საშუალებათა ეკონომიას, არამედ — ყოველგვარი უსარგებლო შრომის თავიდან აცილებასაც. მაშინ როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესი ყოველ ცალკეულ საწარმოში იძულებით ქმნის ეკონომიას, მისი კონკურენციის ანარქიული სისტემა იწვევს წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა და სამუშაო ძალის უზომო გაფლანგვას, რასაც ზედ ერთვის უამრავი ისეთი ფუნქცია, რაც ამჟამად აუცილებელია, მაგრამ არსებითად ზედმეტი.

თუ მოცემულია შრომის ინტენსივობა და მწარმოებლური ძალა, საზოგადოებრივი სამუშაო დღის ნაწილი, რომელიც აუცილებელია მატერიალური წარმოებისთვის, მით უფრო მოკლეა, მაშასადამე, ის დრო, რომელიც მოპოვებულია ინდივიდთა თავისუფალი, გონებრივი და საზოგადოებრივი მოქმედებისთვის, მით უფრო დიდია, რაც უფრო თანაბრად განაწილებულია შრომა საზოგადოების ყველა ქმედუნარიან წევრთა შორის, რაც უფრო ნაკლებია შესაძლებლობა ერთი საზოგადოებრივი ფენისათვის თავიდან მოიშოროს და სხვა საზოგადოებრივ ფენას დააკისროს შრომის ბუნებრივი აუცილებლობა. სამუშაო დღის შემოკლების აბსოლუტურ საზღვარს ამ მხრივ შრომის საყოველთაოობა წარმოადგენს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერთი კლასის თავისუფალი დრო მასების მთელი სასიცოცხლო დროის სამუშაო დროდ გადაქცევის საშუალებით იქმნება.

თანადი მეთოდის გამოყენებით

ზედმეტი ღირებულების ნორმის სხვადასხვა ფორმულა

ჩვენ დავინახეთ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა შემდეგი ფორმულებით გამოიხატება:

$$I. \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{ცვლადი კაპიტალი}} \left(\frac{m}{s} \right) = \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{სამუშ. ძალის ღირებულება}} = \frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}}$$

პირველი ორი ფორმულა ღირებულებათა შეფარდების სახით გამოხატავს იმას, რასაც შესაძენ — დროის იმ მონაკვეთთა შეფარდების სახით, რომელშიც ეს ღირებულებანი იწარმოება. ეს ერთიმეორის შემცვლელი ფორმულები ცნების მხრივ მტკიცედ ჩამოყალიბებულია. ანიტონ ჩვენ მათ ვპოულობთ უკვე კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში, მართალია, არა შეგნებულად დამუშავებული ფორმით, არა-ნედ ნხოლოდ არსებითად. აქ სამაგიეროდ ჩვენ ვხვდებით შემდეგ ნაწარმოებ ფორმულებს:

$$II. \frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{სამუშაო დღე}} = \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{პროდუქტის ღირებულება}} = \frac{\text{ზედმეტი პროდუქტი}}{\text{ერთობლივი პროდუქტი}}$$

ერთი და იგივე შეფარდება გამოხატულია აქ შენაცვლებით ხან სამუშაო დროის ფორმით, ხან ღირებულებათა ფორმით, რომელშიც ეს სამუშაო დროა განხორციელებული, და ხან პროდუქტების ფორმით, რომელშიც ეს ღირებულებანი არსებობენ. რასაკვირველია, იგულისხმება, რომ პროდუქტის ღირებულება აქ უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც სამუშაო დღის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება, პროდუქტის ღირებულების მუდმივი ნაწილი კი გამორიცხულია.

II ფორმულებით შრომის ექსპლოატაციის ნამდვილი ხარისხი, ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმა, მცდარად არის გამოხატული. ვთქვათ, სამუშაო დღე უდრის 12 საათს. თუ ჩვენი უწინდელი მაგალითის სხვა ვარაუდს უცვლელად დავტოვებთ, მაშინ შრომის ექსპლოატაციის ნამდვილ ხარისხს ამ შემთხვევაში გამოვხატავთ შემდეგი პროპორციებით:

$$\frac{6 \text{ საათის ზედმეტი შრომა}}{6 \text{ საათის აუცილებელი შრომა}} = \frac{3 \text{ შილ. ზედმეტი ღირებულება}}{3 \text{ შილ. ცვალებადი კაპიტალი}} = 100\%$$

ხოლო II ფორმულების მიხედვით ჩვენ მივიღებთ:

$$\frac{6 \text{ საათის ზედმეტი შრომა}}{12 \text{ საათის სამუშაო დღე}} = \frac{3 \text{ შილ. ზედმეტი ღირებულება}}{6 \text{ შილ. ახლადშექმნილი ღირებულება}} = 50\%$$

ეს ნაწარმოები ფორმულები მართლაც გამოხატავენ იმ პროპორციას, რომლის მიხედვითაც სამუშაო დღე ანუ მის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება კაპიტალისტსა და მუშას შორის ნაწილდება. მაგრამ, თუ ჩვენ მათ ჩავთვლით კაპიტალის თვითზრდის ხარისხის უშუალო გამოხატულებად, მაშინ მივიღებთ მცდარ კანონს: ზედმეტი შრომა, ანუ ზედმეტი ღირებულება, ვერასოდეს ვერაძლიერებს 100% -ს¹⁷.

¹⁷ იხ. მაგალითად, «Dritter Brief an v. Kirchmann von Rodbertus. Widerlegung der Ricardo'schen Lehre von der Grundrente und Begründung einer neuen Rententheorie». Berlin 1851. შემდეგში მე კვლავ დავებრუნდები ამ თხზულებას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი თეორია მიწის რენტისა მცდარია, სწორად განჭვრეტს კაპიტალისტური წარმოების არსს. ქ დ ა მ ა ტ ე ბ ა მე-3 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს. მკითხველი ხედავს, თუ რა სამართლიანად აფასებდა მარქსი თავის წინამორბედებს, როგორც კი იგი მათში დაინახავდა ნამდვილ წინსვლას, რაიმე სწორ ახალ აზრს. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული როდბერტუსის წერილები რუდ. მიიერისადმი რამდენადმე აქარწყლებენ ზემოაღნიშნულ დადებითს შეფასებას. იქ ნათქვამია შემდეგი: «უნდა დავიხსნათ კაპიტალი არა მარტო შრომისგან, არამედ საკუთარი თავისგანაც; ეს კი ფაქტიურად საუკეთესოდ მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც მეწარმე-კაპიტალისტის საქმიანობას განვიხილავთ როგორც სახალხო-სამეურნეო ანუ სახელმწიფოებრივ-სამეურნეო ფუნქციებს, რომლებიც დაკისრებული აქვს მას კაპიტალისტური საკუთრების მიერ, ხოლო მის მოგებას — როგორც ჯამაგირის ერთგვარ ფორმას, ვინაიდან ჩვენ ჯერ სხვა სოციალურ ორგანიზაციას არ ვიცნობთ. მაგრამ ჯამაგირი მოწესრიგებულ უნდა იქნას და შემცირებული, თუკი იგი ძალიან ბევრს აკლებს ხელფასს. ამნაირადვე უნდა იქნას მოგერიებული მარქსის იერიში საზოგადოებაზე, — ასე ფუნქციონირებს იგი წიგნს... საერთოდ მარქსის წიგნი იმდენად კაპიტალის გამოკვლევას არ წარმოადგენს, რამდენადაც კაპიტალის თანამედროვე ფორმის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკას; ამ ფორმას იგი ურევს თვით კაპიტალის ცნებაში, და სწორედ აქედან წარმოდგება ყველა მისი „შეცდომა“ «Briefe

რადგან ზედმეტი შრომა მუდამ შეადგენს სამუშაო დღის მხოლოდ ნაწილს, ანუ ზედმეტი ღირებულება — მთელი ახლადშექმნილი ღირებულების მხოლოდ ნაწილს, ამიტომ ზედმეტი შრომა აუცილებლად მუდამ ნაკლებია, ვიდრე სამუშაო დღე, ანუ ზედმეტი ღირებულება მუდამ ნაკლებია, ვიდრე ახლადშექმნილი ღირებულება. მაგრამ იმისათვის, რომ ისინი ერთმანეთს შეეფარდონ როგორც $\frac{100}{100}$, თანატოლნი უნდა იყვნენ. ზედმეტმა შრომამ რომ მთელი სამუშაო დღე შთანთქას (აქ ლაპარაკია სამუშაო კვირის, სამუშაო წლისა და სხვ. საშუალო დღეზე), აუცილებელი შრომა ნულზე უნდა დავიდეს. მაგრამ, თუ აუცილებელი შრომა გაქრა, გაქრება ზედმეტი შრომაც, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ პირველის ფუნქციაა. ამიტომ შეფარდება

$$\frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{სამუშაო დღე}} = \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{ახლადშექმნილი ღირებულება}} \text{ ვერასოდეს ვერ მიაღწევს ნიუტონს } \frac{100}{100} \text{ და მით უფრო ვერ აიწევს } \frac{100+x}{100} \text{-მდე. მაგრამ ეს საე-}$$

სებით შესაძლებელია ზედმეტი ღირებულების ნორმისთვის, რომელიც შრომის ექსპლოატაციის ნამდვილ ხარისხს გამოხატავს. ავიღოთ, მაგალითად, ბატონ ლ. დე ლავერნის გამოანგარიშება, რომლის მიხედვით ინგლისელი მიწათმოქმედი მუშა პროდუქტის ანუ მისი ღირებულების მხოლოდ $\frac{1}{4}$ -ს იღებს, კაპიტალისტი კი (მოიჯარე) — $\frac{3}{4}$ -ს¹⁸, სულ ერთია, როგორც უნდა ნაწილდებოდეს შემდეგში ეს ნადავლი კაპიტალისტსა, მიწის მესაკუთრესა და სხვათა შორის. ამის მიხედვით ინგლისელი სოფლის მუშის ზედმეტი შრომა შეეფარდება მის აუცილებელ შრომას, როგორც 3:1, ე. ი. ექსპლოატაციის პროცენტული ნორმა უდრის 300%-ს.

სკოლური ნეთადი სამუშაო დღის მუდმივ სიდიდედ განხილვისა განმტკიცდა II ფორმულების გამოყენებით, რადგან აქ ზედმეტი შრომა მუდამ შედარებულია მოცემული სიდიდის სამუშაო დღესთან. იგივე ხდება, როდესაც მხედველობაში იღებენ მხოლოდ ახლადშექმ-

etc. von Dr. Rodbertus-Jagetzow, herausgegeben von Dr. Rud. Meyer. Berlin 1881, ტ. I, გვ. 111, როდებერტუსის 48-ე წერილი). — ამგვარი გაცვეთილი იდეოლოგიური ფრაზებით სრულიად ბათილდება როდებერტუსის «სოციალური წერილები» პირველი გაბეჭდილი საწყისები. — **ფ. მ.** }

¹⁸ თავისთავად ცხადია, რომ ამ გამოანგარიშების დროს გამოკლებულია პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ დახარჯულ მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს. ბ-ნ ლ. დე ლავერნი, რომელიც ინგლისის ბრმა თავყვანისმცემელია, დაბალ შეფარდებას უფრო იძლევა, ვიდრე მაღალს.

ნილი ღირებულების განაწილებას. სამუშაო დღე, რომელიც უკვე გასაგნობრივებულია ახლადშექმნილ ღირებულებაში, მუდამ მოცემული სიდიდის სამუშაო დღეა.

ზედმეტი ღირებულების და სამუშაო ძალის ღირებულების გამოხატვა ახლადშექმნილი ღირებულების ნაწილების სახით, — გამოხატვის წესი, რომელსაც, სხვათა შორის თვით კაპიტალისტური წარმოების წესი წარმოშობს და რომლის მნიშვნელობაც ჩვენთვის შემდეგში გახდება ნათელი, — მალავს კაპიტალისტური ურთიერთობის სპეციფიკურ ხასიათს, სახელდობრ იმ ფაქტს, რომ ადგილი აქვს ცვალებადი კაპიტალის გაცვლას ცოცხალ სამუშაო ძალაზე და, მაშასადამე, მუშა ჩამოშორებულია პროდუქტს. ამის ნაცვლად იქმნება მცდარი მოჩვენებითობა ასოციაციის ურთიერთობისა, სადაც მუშა და კაპიტალისტი ერთმანეთს შორის ინაწილებენ პროდუქტს მისი წარმოქმნილი სხვადასხვა ფაქტორების პროპორციულად¹⁹.

თუმცა ფორმულები II მუდამ შეიძლება პირუკუ I ფორმულადა გადავაქციოთ. თუ, მაგალითად, ჩვენ გვაქვს:

$$6 \text{ საათის ზედმეტი შრომა}$$

$$12 \text{ საათის სამუშაო დღე}$$

მაშინ აუცილებელი სამუშაო დრო უდრის 12 საათის სამუშაო დღეს მინუს 6 საათის ზედმეტი შრომა. მაშასადამე, მივიღებთ:

$$\frac{6 \text{ საათის ზედმეტი შრომა}}{6 \text{ საათის აუცილებელი შრომა}} = \frac{100}{100}$$

$$\frac{6 \text{ საათის აუცილებელი შრომა}}{6 \text{ საათის აუცილებელი შრომა}} = \frac{100}{100}$$

მესამე ფორმულა, რომელსაც მე აქა-იქ უკვე წინასწარ ვიყენებდი, ასეთია:

$$\text{III. } \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{სამუშაო ძალის ღირებულება}} = \frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}} = \frac{\text{გადაუხდელი შრომა}}{\text{გადახდილი შრომა}}$$

$$\text{ის გაუგებრობა, რომელიც ფორმულას } \frac{\text{გადაუხდელი შრომა}}{\text{გადახდილი შრომა}} \text{ შეეძლო}$$

გამოეწვია, თითქოს კაპიტალისტი იხდიდეს შრომის საზღაურს და არა სამუშაო ძალისას, ისპობა ზემოთ მოცემული განხილვის შემდეგ.

¹⁹ რადგან კაპიტალისტური წარმოების პროცესის ყველა განვითარებული ფორმა კოოპერაციის ფორმაა, ამიტომ, რა თქმა უნდა, იმაზე ადვილი არაფერია, რომ ამ ფორმების სპეციფიკურად ანტაგონისტური ხასიათისაგან აბსტრაქცირება მოვახდინოთ და ისინი თავისუფალი ასოციაციის ფორმებად დავსახოთ, როგორც ამას გრაფი ა. დე

ფორმულა $\frac{\text{გადაუხდელი შრომა}}{\text{გადახდილი შრომა}}$ წმინდოდ პოპულარული გამოხატულებათ

ფორმულისა $\frac{\text{ზედმეტი შრომა}}{\text{აუცილებელი შრომა}}$. კაპიტალისტი იხდის სამუშაო ძალის

ღირებულებას ან ამ უკანასკნელისაგან გადახრილ ფასს სამუშაო ძალისას და გაცვლის²⁰ გზით იღებს. თავის განკარგულებაში თვით ცოცხალ სამუშაო ძალას. ამ სამუშაო ძალის გამოყენება კაპიტალისტის მიერ ორ პერიოდად იყოფა. ერთი პერიოდის განმავლობაში მუშა აწარმოებს მხოლოდ ღირებულებას, რომელიც მისი სამუშაო ძალის ღირებულებას უდრის, მაშასადამე, აწარმოებს მხოლოდ ეკვივალენტს. ამრიგად, სამუშაო ძალის ავანსებულ ფასში კაპიტალისტი იღებს აქ იმავე ფასის პროდუქტს. ეს ისე გამოდის, თითქოს კაპიტალისტს პროდუქტი მზამზარეულად ეყიდოს ბაზარზე. პირიქით, ზედმეტი შრომის პერიოდის განმავლობაში სამუშაო ძალის გამოყენება ქმნის კაპიტალისტისათვის ღირებულებას, რომლის სანაცვლოდ კაპიტალისტი არავითარ ღირებულებას არ ხარჯავს²⁰. სამუშაო ძალის ეს ფუნქციონირება მას მუქთად აქვს. ამ გაგებით ზედმეტ შრომას შეიძლება გადაუხდელი შრომა ეწოდოს.

ამრიგად, კაპიტალი არა მარტო მბრძანებლობათაა შრომაზე, როგორც ა. სმიტი ამბობს. იგი არსებითად მბრძანებლობათაა გადაუხდელ შრომაზე. ყოველ ზედმეტი ღირებულება, რა განსაკუთრებული ფორმითაც უნდა ჩამოყალიბდეს იგი შემდეგ, — მოგების, პროცენტის, რენტისა თუ სხვა სახით, — თავისი სუბსტანციით გადაუხდელი სამუშაო დროის მატერიალიზაციაა. კაპიტალის თვითზრდის საიდუმლოება იმაშია, რომ კაპიტალის განკარგულებაში გადადის სხვისი გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა.

ლაბორდი სჩადის: «De l'Esprit d'Association dans tous les Intérêts de la Communauté»-ში. Paris 1818. იანკი ჰ. კერი ამ ფოკუსს ასეთივე წარმატებით ასრულებს ხოჯჯერ მონური სისტემის ურთიერთობის მიმართაც კი.

²⁰ თუმცა ფიზიოკრატებმა ვერ განჭვრიტეს ზედმეტი ღირებულების საიდუმლოება, მაგრამ მათთვის ის მაინც ნათელი იყო, რომ ზედმეტი ღირებულება «დამოუკიდებელი და მესაკუთრის სრულ განკარგულებაში მყოფი სიმდიდრეა, რომელიც მას არ უყიდა, მაგრამ რომელსაც იგი ყიდის» (Turgot: «Réflexions sur la Formation et la Distribution des Richesses», გვ. 11).

განყოფილება მიეძღვნა

ხელუასი

თავი მიჩვილები

სამუშაო ძალის ღირებულების, შესაბამისად ფასის, გადაქცევა ხელუასად

ბურჟუაზიული საზოგადოების ზედაპირზე მუშის ხელუასი გვევლინება შრომის ფასის სახით, ფულის განსაზღვრული რაოდენობის სახით, რასაც შრომის განსაზღვრულ რაოდენობაში იხდიან. აქ ლაპარაკობენ შრომის ღირებულებაზე და მის ფულად გამოხატულებას უწოდებენ შრომის აუცილებელ ანუ ბუნებრივ ფასს. მეორე მხრივ, ლაპარაკობენ შრომის საბაზრო ფასზე, ე. ი. ისეთ ფასზე, რომელიც მის აუცილებელ ფასზე მაღლა ან დაბლა მერყეობს.

მაგრამ რა არის საქონლის ღირებულება? მის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივი შრომის საგნობრივი ფორმა. რით ვზომავთ საქონლის ღირებულების სიდიდეს? მასში მოქცეული შრომის სიდიდით. მაშასადამე, რა განსაზღვრავდა, მაგალითად, 12 საათის სამუშაო დღის ღირებულებას? 12 საათის შრომა, რომელსაც 12 საათის სამუშაო დღე შეიცავს; მაგრამ ეს ბანალური ტავტოლოგიაა²¹.

²¹ «რიკარდო საკმაოდ მოხერხებულად უხვევს გვერდს იმ სიძნელეს, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს საფრთხეს უქმნის მის თეორიას, სახელდობრ, რომ ღირებულება წარმოებაში დახარჯული შრომის რაოდენობაზე დამოკიდებული. ეს პრინციპი რომ ბოლომდე მკაცრად დავიცვათ, მაშინ გამოვა, რომ შრომის ღირებულება შრომის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობაზე დამოკიდებული, რაც, ცხადია, უაზრობაა. ამიტომ აზრის მოხერხებული შებრუნებით რიკარდო შრომის ღირებულებას დამოკიდებულს ხდის შრომის რაოდენობაზე, რომელიც საკითხა ხელუასის წარმოებისათვის; ანდა, თუ მისი საკუთარი სიტყვებით ვილაპარაკებთ, იგი ამტკიცებს, შრომის ღირებულება უნდა გაიზომოს შრომის იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ხელუასის საწარმოებლად; ამ უკანასკნელში კი იგი გულისხმობს შრომის რაოდენობას, აუცილებელს იმ ფულის ან საქონლის საწარმოებლად, რომელიც მუშას ეძლევა. ეს იგივე იქნებოდა, რომ გვეთქვა: მაუდის ღირებულება გაიზონება არა ამ მაუდის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით, არამედ შრომის იმ რაოდენობით, რომელიც დახარჯულია იმ ვერცხლის წარმოებაზე, რაზედაც ეს მაუდი გაიცვლება» («A Critical Dissertation on the Nature etc. of Value», გვ. 50, 51).

იმისათვის, რომ შრომა საქონლის სახით ბაზარზე გაიყიდოს, იგი, რა თქმა უნდა, ამ გაყიდვამდე უნდა არსებობდეს. მაგრამ მუშას რომ შეეძლოს თავის შრომას დამოუკიდებელი არსებობა მისცეს, მაშინ იგი საქონელს გაყიდდა და არა შრომას²².

ეს წინააღმდეგობანიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, უშუალო გაცვლა ფულის, ე. ი. გასაგნობრივებული შრომისა ცოცხალ შრომაზე გააუქმებდა ან ღირებულების კანონს, რომელიც პირველად სწორედ კაპიტალისტური წარმოების ნიადაგზე ვითარდება თავისუფლად, ანდა თვით კაპიტალისტურ წარმოებას, რომელიც სწორედ დაქირავებულ შრომაზეა დამყარებული. დავუშვათ, მაგალითად, რომ 12 საათის სამუშაო დღე 6 შილინგი ფულადი ღირებულებითაა გამოხატული. ან ეკვივალენტები გაიცვლება ერთიმეორეზე, და მაშინ მუშა თავის 12 საათის შრომაში 6 შილინგს მიიღებს. მისი შრომის ფასი მისი პროდუქტის ფასის ტოლი იქნებოდა. ამ შემთხვევაში იგი არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ შექმნიდა მისი შრომის მყიდველისთვის, ეს 6 შილინგი კაპიტალად ვერ გადაიქცეოდა, კაპიტალისტური წარმოების საფუძველი გაქრებოდა; მაგრამ სწორედ ამ საფუძველზე ყიდის მუშა თავის შრომას და ამ საფუძველზე წარმოადგენს მისი შრომა დაქირავებულ შრომას. ანდა 12 საათის შრომაში იგი 6 შილინგზე ნაკლებს იღებს, ე. ი. 12 საათის შრომაზე ნაკლებს. 12 საათის შრომა გაიცვლება 10, 6 და სხვ. საათის შრომაზე. უთანატოლო სიდიდეთა ეს გათანატოლება აბათილებს არა მარტო ღირებულების განსაზღვრას; ასეთი თავისი თავის გამაბათილებელი წინააღმდეგობა საერთოდ ვერც კი გამოითქმება ანუ ვერც კი ჩამოყალიბდება კანონის სახით²³.

²² «თუ თქვენ შრომას საქონელს უწოდებთ, იგი, ყოველ შემთხვევაში, არ წააგავს იმ საქონელს, რომელიც ჯერ იწარმოება გაცვლის მიზნით და შემდეგ გაიტანება ბაზარზე, სადაც იგი უნდა გაიყვალოს სათანადო რაოდენობით იმავდროულად ბაზარზე არსებულ სხვა საქონელზე; შრომა მხოლოდ იმ მომენტში იქმნება, როდესაც იგი ბაზარზე გააქვთ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ბაზარზე გააქვთ მანამდე, სანამ იგი შეიქმნებოდეს» («Observations on certain Verbal Disputes etc.», გვ. 75, 76).

²³ «თუ შრომას განვიხილავთ როგორც საქონელს, ხოლო კაპიტალს, შრომის პროდუქტს, როგორც მეორე საქონელს, მაშინ, თუ ამ ორი საქონლის ღირებულება შრომის თანატოლი რაოდენობით განისაზღვრება, შრომის მოცემული რაოდენობა... გაიცვლებოდა კაპიტალის ისეთ რაოდენობაზე, რომელიც იმავე შრომის რაოდენობით იქნებოდა წარმოებული; ნამყო შრომა... გაიცვლებოდა იმავე რაოდენობის აწმყო შრომაზე. მაგრამ შრომის ღირებულება განისაზღვრება... შრომის არა იმდენივე რაოდენობით, როგორც სხვა საქონელთა ღირებულება» (ე. გ. უეკფილდი მის მიერ გამოცემულ ა. სმიტის «Wealth of Nations»-ში. London 1836, ტ. I, გვ. 231, შენიშვნა).

საქმეს სრულიად არ შველის, თუ ჩვენ შრომის მეტი რაოდენობის გაცვლას მის ნაკლებ რაოდენობაზე გამოვიყვანთ ფორმის სხვაობიდან, ე. ი. იქიდან, რომ ერთ შემთხვევაში შრომა გასაგნობრივებულია, ხოლო მეორეში — ცოცხალი²⁴. ეს მით უფრო უაზროა. რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა ნამდვილად მასში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობით, არამედ მისი წარმოებისათვის აუცილებელი ცოცხალი შრომის რაოდენობით. ვთქვათ, საქონელი 6 სამუშაო საათს წარმოადგენს. თუ ისეთ გამოგონებას ექნება ადგილი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მისი წარმოება 3 საათის განმავლობაში, მაშინ უკვე წარმოებული საქონლის ღირებულებაც სანახევროდ დაიწვეს. იგი წარმოადგენს ახლა 3 საათს უწინდელი 6 საათის აუცილებელი საზოგადოებრივი შრომის ნაცვლად. მაშასადამე, საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება მისი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობით და არა ამ შრომის საგნობრივი ფორმით.

ის, რაც ფულის მფლობელს საქონლის ბაზარზე უშუალოდ უპირისპირდება, სინამდვილეში არის არა შრომა, არამედ მუშა. ის, რასაც ეს უკანასკნელი ყიდის, არის მისი სამუშაო ძალა. რაწამს მუშის შრომა ნამდვილად იწყება, ეს შრომა მას უკვე აღარ ეკუთვნის, მაშასადამე, მას იგი ვეღარც გაყიდის. შრომა ღირებულების სუბსტანცია და იმანენტური საზომია, მაგრამ თვით მას ღირებულება არა აქვს²⁵.

გამოთქმაში «შრომის ღირებულება» ღირებულების ცნება არა მარტო სავსებით გამჭრალაია, არამედ გადასულია თავის დაპირისპირებულობაში. ეს ისეთივე წარმოსახვითი გამოთქმაა, როგორც, მაგალითად, მიწის ღირებულება. მაგრამ ასეთი წარმოსახვითი გამოთქმანი თვით წარმოებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობენ. ეს არის კატეგორიები არსებითი ურთიერთობათა გამოვლინების ფორმებისათვის. ნივთები რომ გამოვლინებაში ხშირად დანახინჯებული

²⁴ «საჭირო იყო შეთანხმება (კიდევ ერთი ნიმუში «*contrat social*»-ისა [«საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა»), რომ ყოველთვის, როდესაც შესრულებული შრომა შესასრულებელ შრომაზე გაიცვლება, უკანასკნელი (კაპიტალისტი) უფრო მეტ ღირებულებას მიიღებს, ვიდრე პირველი (მუშა)» (*Simonde de Simondi: «De la Richesse Commercial». Genève 1803, ტ. I, გვ. 37*).

²⁵ «შრომა, ღირებულების ერთადერთი საზომი... ყოველი სიმდიდრის შემქმნელი, თვითონ არ არის საქონელი». (*Th. Hodgskin: «Popular Political Economy», გვ. 186*).

სახით წარმოგვიდგება, ეს საკმაოდ ცნობილია ყველა მეცნიერებაში, გარდა პოლიტიკური ეკონომიისა²⁶.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ სრულიად უკრიტიკოდ გადმოიღო ყოველდღიური ცხოვრებიდან «შრომის ფასის» კატეგორია, რათა შემდეგ დაესვა საკითხი: როგორ განისაზღვრება ეს ფასი? იგი მალე დაწმუნდა, რომ მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის ცვლილება არაფერს არ ხსნის შრომის ფასში, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის ფასშიც, გარდა მისი ცვლილებისა, ე. ი. გარდა საბაზრო ფასების რყევისა გარკვეულ სიდიდეზე დაბლა ან მაღლა. თუ მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ფარავს, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, ქრება ფასების რყევა. მაგრამ მაშინ მოთხოვნა და მიწოდებაც უკვე აღარაფერს გვიხსნის. როდესაც მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ფარავს, მაშინ შრომის ფასი წარმოადგენს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრულ ფასს, მის ბუნებრივ ფასს, რომელიც, ამრიგად, წამოიჭრა როგორც ნამდვილი საკვლევო საგანი. ანდა იღებდნენ საბაზრო ფასის რყევას უფრო ხანგრძლივი პერიოდის, მაგალითად, ერთი წლის, განმავლობა-

²⁶ პირიქით, ამგვარი გამოთქმების მიჩნევა უბრალო *licentia poetica*-ად [პოეტურ თავისუფლებად] გვიჩვენებს მხოლოდ ანალიზის უმწეობას. საწინააღმდეგოდ პრუდონის ფრაზისა: «შრომის მიაკეთებენ ღირებულებას არა იმიტომ, რომ ის თავისთავად საქონელია, არამედ იმიტომ რომ, როგორც ვარაუდობენ, იგი ღირებულებას პოტენციურად შეიცავს. შრომის ღირებულება ხატოვანი თქმაა და სხვ.», — მე შევნიშნავ: «შრომა-საქონელში, რომელიც საშინელ რეალობას წარმოადგენს, იგი მხოლოდ გრამატიკულ ვლიფსს ხედავს. მაშასადამე, მთელი თანამედროვე საზოგადოება, რომელიც დამყარებულია შრომა-საქონელზე, ამიერიდან დაფუძნებულია პოეტურ თავისუფლებაზე, ხატოვან გამოთქმაზე. თუ საზოგადოებას სურს ამოსპოს ყველა უწესოება, რომელიც მას ტანჯავს, კარგი და პატიოსანი, მაშინ მან მოსპოს ყველა არაკეთილშობიანი გამოთქმა და შეცვალოს ენა; ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ მიმართოს აკადემიის თხოვნით, გამოუშვას მან თავისი ლექსიკონის ახალი გამოცემა (Karl Marx: *Misère de la Philosophie*, გვ. 34, 35). [შეად. კარლ მარქსი: «ფილოსოფიის სიღატაკე». თბილისი 1938, გვ. 52.] კიდევ უფრო მოხერხებული იქნება, რასაკვირველია, რომ «ღირებულებაში» სრულიად არაფერი არ ვიგულისხმოთ. მაშინ ამ კატეგორიაში შეიძლება მოურიდებლად ყველაფერი მოთავსდეს. ასე იქცევა, მაგალითად ე. ბ. სეი. რა არის «ღირებულება» (*valeur*)? პასუხი: იის, რაც რაიმე ნივთი ღირს. ხოლო რა არის «ფასი»? პასუხი: «რაიმე ნივთის ღირებულება, გამოხატული ფულით». და რატომ აქვს «იწის შრომას... ღირებულება? იმიტომ, რომ მასში გარკვეულ ფასს იძლევიან». მაშასადამე, ღირებულება ის არის, რაც საქონელი ღირს, ხოლო მიწას «ღირებულება» აქვს, რადგან მის ღირებულებას «ფულით გამოხატავენ». ეს, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მარტივი მეთოდია საგნების მიზეზისა და წარმოშობის საკითხების გადასაწყვეტად.

ში, და ნახულობდნენ, რომ მისი გადახრა ამა თუ იმ მიმართულებით უწონასწორდება ერთგვარ საშუალო სიდიდეს, მუდმივ სიდიდეს. ცხადია, ეს საშუალო სიდიდე უნდა განესაზღვროთ სხვაგვარად, ვიდრე ურთიერთგამაწონასწორებელი გადახრანი თვით მისგან. ეს ფასი, რომელიც შრომის შემთხვევითს საბაზრო ფასებზე ბატონობს და მათ აწესრიგებს, შრომის აუცილებელი ფასია (ფიზიოკრატიები) ანუ «ბუნებრივი ფასია» (აღამ სმიტი), შეიძლება იყოს მხოლოდ, როგორც ყველა სხვა საქონლის ფასი, ფულით გამოხატული მისი ღირებულება. ამ გზით ფიქრობდა პოლიტიკური ეკონომია შრომის შემთხვევითს ფასებში გაღწევას და მისი ღირებულების მიგნებას. როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, ეს ღირებულებაც შემდეგში წარმოების ხარჯებით განისაზღვრებოდა. მაგრამ რა არის წარმოების ხარჯები მუშისა, ე. ი. ის ხარჯები, რომელთაც მოითხოვს თვით მუშის წარმოება ან კვლავწარმოება? ამ კითხვამ შეცვალა პოლიტიკურ ეკონომიაში, შეუგნებლად, თავდაპირველი კითხვა, რადგანაც შრომის წარმოების ხარჯების, როგორც ასეთის, გამოკვლევის დროს იგი რკალში ტრიალებდა და ადგილიდან ვერ იძროდა. მაშასადამე, ის, რასაც იგი შრომის ღირებულებას (value of labour) უწოდებს, სინამდვილეში ღირებულებაა სამუშაო ძალისა, რომელიც მუშის პიროვნებაში არსებობს და თავისი ფუნქციისაგან, შრომისაგან, ისევე განსხვავდება, როგორც მანქანა — თავისი ოპერაციებისაგან. როდესაც იკვლევდნენ განსხვავებას შრომის საბაზრო ფასსა და მის ეგრეთწოდებულ ღირებულებას შორის, ამ ღირებულების შეფარდებას მოგების ნორმასთან, შრომის მიერ წარმოებულ საქონლის ღირებულებასთან და სხვ., ვერასოდეს ვერ ამჩნევდნენ, რომ ანალიზის მსვლელობა იწვევდა არა მარტო იმას, რომ შრომის საბაზრო ფასებიდან მის ზოჩვენებითს «ღირებულებამდე» მიდიოდნენ, არამედ იმასაც, რომ თვით შრომის ღირებულება, თავის მხრივ, სამუშაო ძალის ღირებულებამდე დაჰყავდათ. იმის გამო, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა საკუთარი ანალიზის ამ შედეგების შესახებ, უკრიტიკოდ იღებდა «შრომის ღირებულების», «შრომის ბუნებრივი ფასის» და სხვ. კატეგორიებს, როგორც აღნიშნული ღირებულებითი ურთიერთობის უკანასკნელ ადექვატურ გამოხატულებას, იგი გაება, როგორც ჩვენ ამას შემდეგში დავინახავთ, ამოუცნობელ წინააღმდეგობათა ხლართში. ამავე დროს კი მან მტკიცე სამოქმედო ბაზისი შეუქმნა ვულგარული ეკონომიის ზერელობას, რომელიც პრინციპულად მოვლენათა მარტოოდენ გარეგნულ მხარეს ცნობს.

უწინარეს ყოვლისა ვნახოთ, თუ როგორ გამოიხატება სამუშაო ძალის ღირებულება და ფასი თავის გარდაქმნილ ფორმაში ხელფასის სახით.

ჩვენ ვიცით, რომ სამუშაო ძალის დღიური ღირებულება ნაანგარიშეგია მუშის სიცოცხლის გარკვეული ხანგრძლიობის მიხედვით, რომელსაც შეესაბამება სამუშაო დღის გარკვეული სიგრძე. დავეშვათ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღე უდრის 12 საათს და სამუშაო ძალის დღიური ღირებულება 3 შილინგს, რაც ფულადი გამოხატულებაა ღირებულებისა, რომელშიც 6 სამუშაო საათია განხორციელებული. თუ მუშა 3 შილინგს იღებს, იგი იღებს 12 საათის განმავლობაში მოქმედი თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას. თუ სამუშაო ძალის ამ დღიურ ღირებულებას დღიური შრომის ღირებულების სახით გამოვხატავთ, მაშინ მივიღებთ ფორმულას: 12 საათის შრომას აქვს 3 შილინგი ღირებულება. ამრიგად, სამუშაო ძალის ღირებულება განსაზღვრავს შრომის ღირებულებას, ანუ — ფულადი განხატულებით — მის აუცილებელ ფასს. ხოლო თუ სამუშაო ძალის ფასი მისი ღირებულებისაგან იხრება, მაშინ შრომის ფასიც იხრება მისი ეგრეთწოდებული ღირებულებისაგან.

რადგან შრომის ღირებულება მხოლოდ ირაციონალური განხატულებაა სამუშაო ძალის ღირებულებისა, ამიტომ თავისთავად გასაგებია, რომ შრომის ღირებულება ნუდამ ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე მის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება, ვინაიდან კაპიტალისტი მუდამ მეტხანს ამოქმედებს სამუშაო ძალას, ვიდრე ეს აუცილებელია ამ უკანასკნელის საკუთარი ღირებულების საკვლავწარმოებლად. ზემოაღნიშნულ მაგალითში 12 საათის განმავლობაში მოქმედი სამუშაო ძალის ღირებულება უდრის 3 შილინგს, ე. ი. ღირებულებას, რომლის კვლავწარმოებისათვის იგი 6 საათს საჭიროებს. ხოლო მის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება 6 შილინგია, რადგან სამუშაო ძალა ფაქტიურად 12 საათს მოქმედებს, მის მიერ შექმნილი ღირებულება კი დამოკიდებულია არა მის საკუთარ ღირებულებაზე, არამედ — მისი მოქმედების ხანგრძლიობაზე. ამგვარად, ჩვენ ვიღებთ იმ, ერთი შეხედვით, უაზრო შედეგს, რომ შრომას, რომელიც 6 შილინგს ქმნის, თვითონ აქვს 3 შილინგი ღირებულება²¹.

²¹ შეად. «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859, გვ. 40, სადაც მე ვაცხადებ, რომ კაპიტალის განხილვის დროს უნდა გადაწყდეს შემდეგი პრობლემა: «როგორ მიგვაყვართ წარმოებას მარტოოდენ სამუშაო დროით განსაზღვრული საცვლელი ღირებულების ბახისზე იმ შედეგამდე, რომ შრომის საცვლელი ღირე-

შემდეგ, ჩვენ ვხედავთ: 3 შილინგი ღირებულება, რომლითაც სამუშაო ღირსის გადახდილი ნაწილი, ე. ი. 6 საათის შრომა გამოიხატება, გვევლინება როგორც ღირებულება ან ფასი მთელი 12 საათის სამუშაო ღირსისა, რომელიც 6 გადაუხდელ საათს შეიცავს. მაშასადამე, ხელფასის ფორმის მიერ წაშლილია ყოველგვარი კვალი სამუშაო-ღირსის დაყოფისა აუცილებელ შრომად და ზედმეტ შრომად, გადახდილ და გადაუხდელ შრომად. მთელი შრომა გვევლინება როგორც გადახდილი შრომა. საბატონო შრომის დროს ყმის შრომა საკუთართავისთვის და მისი იძულებითი შრომა მემამულისათვის სივრცისა და დროის მხრივ სავსებით ხელშესახებად განსხვავდება ერთიმეორისაგან. მონური შრომის დროს სამუშაო ღირსის ის ნაწილიც კი, რომლის განმავლობაშიც მონა მხოლოდ თავის საკუთარ საარსებო საშუალებათა ღირებულებას ანაზღაურებს, რომლის განმავლობაშიც იგი, მაშასადამე, ფაქტიურად საკუთარი თავისთვის მუშაობს, გვევლინება როგორც პატრონისათვის გაწეული შრომა. მთელი მისი შრომა გვევლინება როგორც გადაუხდელი შრომა²⁸. დაქირავებული შრომის დროს, პირიქით, ზედმეტი შრომაც კი, ანუ გადაუხდელი შრომა, გვევლინება როგორც გადახდილი შრომა. იქ საკუთრების ურთიერთობა მალავს მონის მიერ საკუთარი თავისათვის გაწეულ მუშაობას, აქ კი ფულადი ურთიერთობა მალავს დაქირავებული მუშის მუქთ მუშაობას.

აქედან გასაგებია, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ძალის ღირებულებისა და ფასის გარდაქმნას ხელფასის ფორმად, ე. ი. თვით შრომის ღირებულებად და ფასად. ამ გამოვლინების ფორმაზე, რომელიც უხილავად ხდის ნამდვილ ურთიერთობას და სწორედ მის პირდაპირ საწინააღმდეგო ურთიერთობას გვიჩვენებს, დანყარებულია როგორც მუშის, ისე კაპიტალისტის ყველა იურიდიული წარმოდგენა, კაპიტალისტური წარმოების წესის ყველა მისტიფიკაცია, ყველა მისი თავისუფლების ილუზია და ვულგარული ეკონომიის ყველა აპოლოგეტური ხრიკი.

თუ მსოფლიო ისტორიას დიდი დრო დასჭირდა ხელფასის საიდუმლოების ამოსაცნობად, — პირიქით, არაფერია იმაზე უფრო ბულება ნაკლებია, ვიდრე მისი პროდუქტის საცვლელი ღირებულება? (შეად. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 69.)

²⁸ «Morning Star», უაზრობამდე გულუბრყვილო ორგანო ფრიტრედერებისა ლონდონში, ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ადამიანისთვის მისაწვდომი მთელი ზნეობრივი აღმფთვებით აღნიშნავდა მუდამ იმ ფაქტს, რომ «Confederate States»-ში [სამხრეთ შტატებში] ზანგები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ. უკეთესი იქნებოდა, რომ მას შეედარებინა ასეთი ზანგის დღიური ხარჯები თავისუფალი მუშის დღიურ ხარჯებთან, მაგალითად, ლონდონის ისტ-ენდში.

აღვილი, ვიდრე გაგება გამოვლინების ამ ფორმის აუცილებლობისა, მისი *raisons d'être*-ისა.

კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლას თავდაპირველად სრულიად იმავე სახით აღვიქვამთ, როგორც ყველა სხვა საქონლის ყიდვასა და გაყიდვას. მყიდველი იძლევა ფულის გარკვეულ თანხას, გამყიდველი — ფულისაგან განსხვავებულ ნივთს. იურიდიული ცნობიერება აქ ხედავს უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ნივთიერ განსხვავებას, რომელიც იურიდიულად ეკვივალენტური ფორმულებით გამოიხატება: «*Do ut des*», «*do ut facias*», «*facio ut des*» და «*facio ut facias*» [«გაძლევ რათა მომცე», «გაძლევ, რათა გააკეთო», «ვაკეთებ, რათა მომცე», და «ვაკეთებ, რათა გააკეთო»].

შემდეგ: რადგან საცვლელი ღირებულება და სახმარი ღირებულება თავისთავად უთანაზომო სიდიდეებია, ამიტომ გამოთქმა «შრომის ღირებულება», «შრომის ფასი» არ გვეჩვენება უფრო ირაციონალურად, ვიდრე გამოთქმა «ბამბის ღირებულება», «ბამბის ფასი». ამას ზედ ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ მუშას ხელფასს აძლევენ მას შეძღვევ, რაც მან უკვე გაიღო თავისი შრომა. თავისი ფუნქციით, როგორც გადახდის საშუალება, ფული შემდგომ უკეთებს რეალიზაციას მიწოდებული პროდუქტის ღირებულებას, ანუ ფასს, მაშასადამე, ამ შემთხვევაში — მიწოდებული შრომის ღირებულებას, ანუ ფასს. დასასრულ, «სახმარი ღირებულება», რომელსაც მუშა კაპიტალისტს აწოდებს, ნამდვილად მისი სამუშაო ძალა კი არ არის, არამედ — ამ უკანასკნელის ფუნქცია, განსაზღვრული სისარგებლო შრომა, თერძის, ხარაზის, მრთველის შრომა და სხვა. ის გარემოება, რომ იგივე შრომა, მეორე მხრივ, ღირებულების შექმნელი საყოველთაო ელემენტია, — თვისება, რომლითაც იგი ყველა სხვა საქონლისაგან განირჩევა, — ჩვეულებრივი ცნობიერების ფარგლებს გარეთ რჩება.

თუ ჩვენ მუშის თვალსაზრისზე დავდგებით, რომელიც 12 საათის შრომაში 6 საათის შრომით შექმნილ ღირებულებას იღებს, ვთქვათ, 3 შილინგს, მისი 12 საათის შრომა ნამდვილად 3 შილინგის ყიდვის საშუალებაა. მისი სამუშაო ძალის ღირებულება შეიძლება მის ჩვეულებრივ საარსებო საშუალებათა ღირებულებასთან ერთად იცვლებოდეს, 3-დან 4 შილინგამდე, ან 3-დან 2 შილინგამდე, ანდა, მისი სამუშაო ძალის ღირებულების უცვლელობის პირობებში, მისი ფასი, მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადი თანაფარდობის გამო, შეიძლება 4 შილინგზე ავიდეს, ან 2 შილინგამდე დაეცეს, — იგი მუდამ 12 სამუშაო საათს იძლევა. ამიტომ ყოველი ცვლილება იმ ეკვივალენტის სიდიდეში, რასაც იგი იღებს, მას აუცილებლად თავისი 12 სამუშაო

შაო საათის ღირებულების, ანუ ფასის, ცვლილებად ეჩვენება. ამ გარემოებამ ადამ სმიტი, რომელიც სამუშაო ღირებულებას მუდმივ სიდიდედ განიხილავს²⁹, პირიქით, იმ მცდარ მტკიცებამდე მიიყვანა, რომ შრომის ღირებულება მუდმივია, მიუხედავად იმისა, რომ საარსებო საშუალებათა ღირებულება იცვლება და ამიტომ იგივე სამუშაო ღირებულების მქონე ან ნაკლები ფულის რაოდენობით გამოიხატება.

თუ, მეორე მხრივ, კაპიტალისტს ავიღებთ, მას სურს უწინარეს ყოვლისა რაც შეიძლება მეტი შრომა მიიღოს რაც შეიძლება ნაკლები ფულით. ამიტომ პრაქტიკულად მას აინტერესებს მხოლოდ განსხვავება სამუშაო ძალის ფასსა და იმ ღირებულებას შორის, რომელსაც ამ სამუშაო ძალის ფუნქციონირება ქმნის. მაგრამ კაპიტალისტი ცდილობს ყველა საქონელი რაც შეიძლება იაფად იყიდოს და თავის მოგების წყაროს ყველგან ხედავს უბრალო მოტყუებაში, ღირებულებაზე იაფად ყიდვაში და მასზე ძვირად გაყიდვაში. ამიტომ იგი ვერ მიდის იმის გაგებაში, რომ, მართლა რომ არსებობდეს ისეთი რამ, როგორცაა შრომის ღირებულება, და იგი რომ მართლა იხდიდეს ამ ღირებულებას, მაშინ ვერავითარი კაპიტალი ვერ იარსებებდა და მისი ფული კაპიტალად ვერ გადაიქცეოდა.

ამასთანავე ხელფასის ნამდვილი მოძრაობა გვიჩვენებს ისეთ მოვლენებს, რომელნიც თითქოს გვიმტკიცებენ, რომ ფასს იხდიან არა სამუშაო ძალის ღირებულებაში, არამედ მისი ფუნქციის, ე. ი. თვით შრომის ღირებულებაში. ეს მოვლენები ჩვენ შეგვიძლია ორ დიდ ჯგუფზე დავიყვანოთ. პირველი: ხელფასის ცვლილება სამუშაო ძალის სიგრძის ცვლილებასთან ერთად. სწორედ ასევე შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანაც, რომ ფასს იხდიან არა მანქანის ღირებულებაში, არამედ — მისი ოპერაციების ღირებულებაში, რადგან მანქანის დაქირავება ერთი კვირით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ერთი დღით. მეორე: ინდივიდუალური განსხვავება სხვადასხვა მუშების ხელფასს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ. მაგრამ ასეთსავე ინდივიდუალურ განსხვავებას ვპოულობთ მონური შრომის სისტემაში, სადაც უკვე ადგილი აღარა აქვს არავითარ ილუზიებს, სადაც თვით სამუშაო ძალის გაყიდვა ხდება სრულიად აშკარად, შეუფერადებლად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მონური სისტემის დროს იმ სამუშაო ძალისაგან წარმომდგარი სარგებლობა,

²⁹ მხოლოდ შემთხვევით, როცა ა. სმიტი ცალკობრივ ხელფასზე ლაპარაკობს, იგი გადაკვირვით ეხება სამუშაო ძალის ცვლილებას.

რომელიც საშუალო დონეზე მაღლა დგას, ანდა იმ სამუშაო ძალი-საგან წარმომდგარი ზარალი, რომელიც საშუალო დონეზე დაბლა დგას, წილად ხვდება მონათმფლობელს, დაქირავებული შრომის სისტემის დროს კი — თვით მუშას, რადგან მუშის სანუშაო ძალის გაყიდვა ამ უკანასკნელ შენთხვევაში ხდება თვით მუშის მიერ, პირველ შენთხვევაში კი — მესამე პირის მიერ.

თუმცა, გამოვლინების ისეთი ფორმების შესახებ, როგორცაა «შრომის ღირებულება და ფასი», ანდა «ხელფასი», განსხვავებით იმ არსებითი ურთიერთობისაგან, რომელიც ამ ფორმებში გვევლინება, ე. ი. სამუშაო ძალის ღირებულებისა და ფასისაგან განსხვავებით, — იგივე ითქმის, რაც ყოველი გამოვლინების ყველა ფორმისა და მათს უკან დამალული საფუძვლის შესახებ. პირველნი უშუალოდ თავისთავად კვლავ წარმოიქმნებიან როგორც ჩვეულებრივი ფორმები აზროვნებისა, მეორენი კი პირველად ნეცნიერებამ უნდა აღმოაჩინოს. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ახლოს მიდის საქმის ნამდვილ ვითარებასთან, მაგრამ შეგნებულად ვერ აყალიბებს მას. მას არც შეუძლია ეს, ვიდრე იგი თავის ბურჟუაზიულ ტყავშია გახვეული.

თავი მეთვრამეტე

დროითი ხელფასი

თვით ხელფასი, თავის მხრივ, ფრიად მრავალნაირ ფორმას იღებს; ეს გარემოება არ შეიძლება ამოვიკითხოთ პოლიტიკური ეკონომიის ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში, რომელნიც, გატაცებულნი საგნის მარტოოდენ მატერიალური მხარით, უგულებელყოფენ ფორმის ყოველგვარ განსხვავებას. მაგრამ ყველა ამ ფორმის გამოკვლევა განუკუთვნება სპეციალურ მოძღვრებას დაქირავებული შრომის შესახებ, მაშასადამე, ამ თხზულების საგანს არ შეადგენს. აქ მხოლოდ მოკლედ განვიხილავთ ორ გაბატონებულ ძირითად ფორმას.

სამუშაო ძალის გაყიდვა, როგორც ვიცით, ყოველთვის დროის განსაზღვრული პერიოდით ხდება. ამიტომ ის გარდაქმნილი ფორმა, რომლითაც სამუშაო ძალის დღიური ღირებულება, კვირეული ღირებულება და სხვ. უშუალოდ გამოიხატება, არის «დროითი ხელფასის» ფორმა, მაგალითად, დღიური ხელფასი და სხვ.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მეთხუთმეტე თავში განხილული კანონები სამუშაო ძალის ფასისა და ზედმეტი ღირებულების სიდიდის ცვლილების შესახებ ხელფასის კანონებად იქცევა ფორმის უბრალო შეცვლით. ასევე განსხვავება სამუშაო ძალის საცვლელ ღირებულებასა და იმ საარსებო საშუალებათა მასას შორის, რომლებშიც ეს ღირებულება გადადის, ახლა ნომინალურ და რეალურ ხელფასს შორის არსებულ განსხვავებათა სახით გვევლინება. ზედმეტი იქნებოდა გაგვეღეორობინა გამოვლინების ფორმის მიმართ ის, რაც უკვე განხილული იყო არსებითი ფორმის შესახებ. ამიტომ ჩვენ დაკმაყოფილებით დროითი ხელფასის დამახასიათებელი მცირეოდენი პუნქტების აღნიშვნით.

ფულადი თანხა³⁰, რომელსაც ეუშა იღებს თავის დღიურ შრომაში, კვირეულ შრომაში და სხვ., შეადგენს მისი ნომინალური ხელფასის,

³⁰ თვით ფულის ღირებულება აქ ყოველთვის იგულისხმება როგორც მუდმივი.

ე. ი. ღირებულების მიხედვით შეფასებული ხელფასის ჯამს. მაგრამ ცხადია, რომ სამუშაო დღის სიგრძის მიხედვით, მაშასადამე, ყოველდღიურად მუშის მიერ მიწოდებული შრომის რაოდენობის მიხედვით, ერთი და იგივე დღიური ხელფასი, კვირეული ხელფასი და სხვ., შეიძლება წარმოადგენდეს შრომის სულ სხვადასხვა ფასს, ე. ი. ფულის მეტად სხვადასხვა თანხას შრომის ერთი და იმავე რაოდენობისთვის³¹. ამრიგად, დროითი ხელფასის მიმართ კვლავ უნდა განვახსავოთ ხელფასის, მაგალითად, დღიური ხელფასის, კვირეული ხელფასის და სხვ., ერთობლივი ჯამი და შრომის ფასი. მაგრამ როგორ უნდა ვიპოვოთ ეს ფასი, ე. ი. შრომის მოცემული რაოდენობის ფულადი ღირებულება? შრომის საშუალო ფასს მივიღებთ იმით, რომ სამუშაო ძალის საშუალო დღიურ ღირებულებას გავყოფთ საშუალო სამუშაო დღის საათების რიცხვზე. თუ, მაგალითად, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება უდრის 3 შილინგს, ანუ 6 სამუშაო საათში ახლადშექმნილ ღირებულებას, ხოლო სამუშაო დღე გრძელდება 12 საათს, მაშინ ერთი სამუშაო საათის ფასი = $\frac{3 \text{ შილინგი}}{12} = 3$ პენსს.

სამუშაო საათის ამ გზით მონახული ფასი შრომის ფასის საზომ ერთეულად გამოიყენება.

აქედან გამომდინარეობს, რომ დღიური ხელფასი, კვირეული ხელფასი და სხვ. შეიძლება დარჩეს უცვლელი, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ფასი განუწყვეტლივ ეცემა. ასე, მაგალითად, თუ ჩვეულებრივი სამუშაო დღე 10 საათი გრძელდება და სამუშაო ძალის დღიური ღირებულება უდრის 3 შილინგს, მაშინ სამუშაო საათის ფასი $3\frac{3}{8}$ პენსს შეადგენს; ეს უკანასკნელი დაიწევს 3 პენსამდე, როგორც კი სამუშაო დღე 12 საათამდე გაგრძელდება, და $2\frac{2}{8}$ პენსამდე, როგორც კი სამუშაო დღე 15 საათს მიაღწევს. მიუხედავად ამისა, დღიური თუ კვირეული ხელფასი უცვლელი რჩება. პირიქით, დღიურმა ან კვირეულმა ხელფასმა შეიძლება მოიმატოს, თუ შრომის ფასი მუდმივად რჩება ანდა ეცემა კიდევ. თუ, მაგალითად, სამუშაო დღე 10 საათს გრძელდება და სამუშაო ძალის დღიური ღირე-

³¹ შრომის ფასი არის თანხა, რომელსაც შრომის მოცემულ რაოდენობაში იხდიან (Sir Edward West: «Price of Corn and Wages of Labour». London 1826, გვ. 67). უესტი ავტორია ანონიმური თხზულებისა, რომელმაც პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში ეპოქა შექმნა: «Essay on the Application of Capital to Land. By a Fellow of the University College of Oxford». London 1815.

ბულემა 3 შილინგია, მაშინ სანუშაო საათის ფასი $3\frac{3}{5}$ პენსს შეადგენს. თუ მუშა, სამუშაოს მომატების გამო, შრომის იმავე ფასის პირობებში 12 საათს იმუშავენს, მაშინ მისი დღიური ხელფასი 3 შილინგსა და $7\frac{1}{5}$ პენსამდე გაიზარდება შრომის ფასის შეუცვლელად. იმავე შედეგს მივიღებდით, შრომის ექსტენსიური სიდიდის ნაცვლად მისი ინტენსიური სიდიდე რომ გადიდებულიყო³². ამიტომ დღიური ან კვირეული ნომინალური ხელფასის მომატებას შეიძლება თან სდევდეს შრომის უცვლელი ან კლებადი ფასი. იგივე შეიძლება ითქვას მუშის ოჯახის შემოსავლის შესახებ, როგორც კი ოჯახის მეთაურის მიერ გაწეული შრომის რაოდენობას ოჯახის სხვა წევრების შრომაც ემატება. მაშასადამე, არსებობს შრომის ფასის დაკლების მეთოდები, რომლებიც დამოუკიდებელია დღიური ან კვირეული ნომინალური ხელფასის შემცირებისაგან³³.

საყოველთაო კანონი კი ასეთი გამოდის: თუ დღიური, კვირეული და სხვ. შრომის რაოდენობა მოცემულია, მაშინ დღიური ან კვირეული ხელფასი დამოკიდებულია შრომის ფასზე, რომელიც, თავის მხრივ, იცვლება ან სანუშაო ძალის ღირებულებასთან ერთად, ან მისი ფასის ამ ღირებულებისაგან გადახრასთან ერთად. თუ, პირიქით, მოცემულია შრომის ფასი, მაშინ დღიური ან

³² ხელფასი დამოკიდებულია შრომის ფასზე და გაწეული შრომის რაოდენობაზე... ხელფასის გადიდება არ გულისხმობს აუცილებლად შრომის ფასის ზრდას. სამუშაოს გაგრძელებისა და მისი უფრო მეტად დაძაბვის პირობებში ხელფასი შეიძლება საგრძნობლად გაიზარდოს, მაშინ როდესაც შრომის ფასი შეიძლება იგივე დარჩეს» (West: «Price of Corn and Wages of Labour». London 1826, გვ. 67, 68, 112). რაც შეეხება მთავარ საკითხს: თუ როგორ განისაზღვრება «შრომის ფასი», ამას უესტი თავს აღწევს ბანალური ფრაზებით.

³³ ამას კარგად გრძნობს მე-18 საუკუნის სამრეწველო ბურჟუაზიის ყველაზე უფრო ფანტიკოსი წარმომადგენელი, ჩვენ მიერ ხშირად ციტირებული თხზულების «Essay on Trade and Commerce»-ის ავტორი, თუმცა ამ საგანს იგი ძალიან ბუნდოვნად გადმოგვცემს: «ეს არის შრომის რაოდენობა და არა მისი ფასი (ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს დღიურ ან კვირეულ ნომინალურ ხელფასს), რომელიც საარსებო საშუალებათა ფასით განისაზღვრება. თუ საარსებო საშუალებათა ფასი საგრძნობლად ეცემა, მაშინ შესაბამისად ეცემა შრომის რაოდენობაც... მეფაბრიკეებმა იციან, რომ არსებობს შრომის ფასის აწევის და დაწევის სხვა გზებიც, გარდა მისი ნომინალური რაოდენობის შეცვლისა». (აღნიშნული თხზულება, გვ. 48, 61). ნ. ვ. სენიორი თავის შრომაში «Three Lectures on the Rate of Wages». London 1830, სადაც იგი უესტის თხზულებით სარგებლობს, თუმცა დაუსახელებლად, სხვათა შორის, ამბობს: «მუშა უმთავრესად ხელფასის რაოდენობით არის დაინტერესებული» (გვ. 15). მაშასადამე, მუშა დაინტერესებულია უმთავრესად იმით, რასაც იგი იღებს, ე. ი. ხელფასის ნომინალური რაოდენობით და არა იმით, რასაც იგი იძლევა, ე. ი. შრომის რაოდენობით!

კვირეული ხელფასი დამოკიდებულია დღიური ან კვირეული შრომის რაოდენობაზე.

დროითი ხელფასის საზომ ერთეულს, სამუშაო საათის ფასს, მივიღებთ, თუ სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებას გავყოფთ ჩვეულებრივი სამუშაო დღის საათების რიცხვზე. დავუშვათ, რომ სამუშაო დღე შეადგენს 12 საათს, ხოლო სამუშაო ძალის დღიური ღირებულება უდრის 3 შილინგს, ანუ 6 სამუშაო საათში ახლადშექმნილ ღირებულებას. ამ პირობებში სამუშაო საათის ფასი იქნება 3 პენსი, ხოლო მის მიერ ახლადშექმნილი ღირებულება — 6 პენსი. შემდეგ, თუ მუშა ყოველდღიურად 12 საათზე ნაკლებს მუშაობს (ანდა 6 დღეზე ნაკლებს კვირაში), მაგალითად, მხოლოდ 6 ან 8 საათს, მაშინ, შრომის იმავე ფასის პირობებში, იგი მიიღებს მხოლოდ 2 ან 1 $\frac{1}{2}$ შილინგ დღიურ ხელფასს³⁴. რადგან ჩვენი ვარაუდის თანახმად მან საშუალოდ 6 საათი უნდა იმუშაოს დღეში, რათა მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის ღირებულების შესაბამისი დღიური ხელფასი აწარმოოს, და რადგან იმავე ვარაუდის თანახმად თვითეულ საათში იგი თავისთვის მხოლოდ ნახევარ საათს მუშაობს, ხოლო მეორე ნახევარს — კაპიტალისტისთვის, ამიტომ, ცხადია, იგი ვერ გამოიმუშავებს 6 საათის შრომით ახლადშექმნილ ღირებულებას, თუ 12 საათზე ნაკლებს იმუშავებს. თუ უწინ ჩვენ გადამეტებული შრომის გამანადგურებელი შედეგები დავინახეთ, ახლა ჩვენ ვხედავთ მუშის იმ ტანჯვის წყაროს, რომელიც მისი არასრულდასაქმებულობიდან წარმოედგება.

თუ საათობრივი ხელფასის ფიქსაცია იმგვარად ხდება, რომ კაპიტალისტი ვალდებულია გადაიხადოს არა გარკვეული დღიური ან კვირეული ხელფასი, არამედ მხოლოდ ის სამუშაო საათები, რომლის განმავლობაშიც მას მოესურვება მუშის გამოყენება, მაშინ კაპიტალისტი შეუძლია ამუშაოს მუშა უფრო ნაკლები დროის განმავლობაში იმ დროსთან შედარებით, რომელიც თავდაპირველად საფუძვლად

³⁴ ამგვარი ანორმალური არასრულდასაქმებულობის გავლენა სრულიად განსხვავდება სამუშაო დღის საყოველთაო, კანონით დაწესებული იძულებითი შემცირების გავლენისაგან. პირველს არაფერი აქვს საერთო სამუშაო დღის აბსოლუტურ ხანგრძლიობასთან და შეუძლია წარმოიშვას როგორც თხუთმეტი საათის, ისე ექვსი საათის სამუშაო დღის პირობებში. პირველ შემთხვევაში შრომის ნორმალური ფასი გამოანგარიშებულია იმ ვარაუდით, რომ მუშა საშუალოდ დღეში 15 საათს მუშაობს, ხოლო მეორე შემთხვევაში იმ ვარაუდით, რომ იგი დღეში საშუალოდ 6 საათს მუშაობს. ამიტომ შედეგი ერთი და იგივე დარჩება, თუ იგი პირველ შემთხვევაში დასაქმებული იქნება მხოლოდ 7 $\frac{1}{2}$ საათი, მეორეში — მხოლოდ 3 საათი.

დაედო საათობრივი ხელფასის, ანუ შრომის ფასის საზომი ერთეულის განსაზღვრას. რადგან ეს საზომი ერთეული განსაზღვრულია შემუშავებულია

ფარდებით სამუშაო ძალის დღიური ღირებულება, ამიტომ იგი, მოცემული რაოდენობის საათების სამუშაო დღე რასაკვირველია, ყოველ აზრს კარგავს, როგორც კი სამუშაო დღე საათების განსაზღვრულ რაოდენობას უკვე აღარ შეიცავს. ისპობა კავშირი გადახდილ და გადაუხდელ შრომას შორის. კაპიტალისტს შეუძლია ახლა ამოსწუროს მუშას განსაზღვრული რაოდენობის ზედმეტი შრომა, ისე რომ არ დაუტოვოს მას სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია მუშის არსებობის შესანარჩუნებლად. მას შეუძლია მოსპოს დასაქმებულობის ყოველი რეგულარობა და მხოლოდ საკუთარი ხელსაყრელობის, თვითნებობისა და წუთიერი ინტერესების მიხედვით შეცვალოს უაღრესად გადამეტებული შრომა შედარებითი ანდა სრული უმუშევრობით. იმ საბაბით, რომ იგი «შრომის ნორმალურ ფასს იხდის», მას შეუძლია არანორმალურად გააგრძელოს სამუშაო დღე და მუშას კი არავითარი სათანადო კომპენსაცია არ მისცეს. ამიტომ სრულიად გონივრული იყო ლონდონელი მშენებელი მუშების ამბოხება (1860 წელს) კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ მათთვის თავს მოეხვიათ ეს საათობრივი ხელფასი. სამუშაო დღის კანონმდებლობითი შეზღუდვა ამგვარ უმსგავსეობას ბოლოს უღებს, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ვერ სპობს არასრულდასაქმებულობას, რომელიც გამომდინარეობს მანქანების კონკურენციიდან, გამოყენებულ მუშათა კვალიფიკაციის შეცვლიდან, ნაწილობრივი და საყოველთაო კრიზისებიდან.

დღიური ან კვირეული ხელფასის ზრდის დროს შრომის ფასი შეიძლება ნორმალურად უცვლელი დარჩეს და, მიუხედავად ამისა, თავის ნორმალურ დონეზე დაბლა დაეცეს. ამას ადგილი აქვს ყოველთვის, როდესაც, შრომის, ანუ სამუშაო საათის, ფასის მუდმივობის პირობებში, სამუშაო დღეს მის ჩვეულებრივ ხანგრძლიობაზე მეტად

აგრძელებენ. თუ წილადში სამუშაო ძალის დღიური ღირებულება იზრდება

მნიშვნელი, კიდევ უფრო ჩქარა იზრდება მრიცხველი. ღირებულება სამუშაო ძალისა, ამ უკანასკნელის გაცვეთის გამო, იზრდება ამ ძალის მოქმედების ხანგრძლიობასთან ერთად, და უფრო სწრაფი პროპორციითაც კი, ვიდრე ნატულობს მისი მოქმედების ხანგრძლიობა. ამიტომ მრეწველობის მრავალ დარგში, სადაც გაბატონებულია დროითი ხელფასი და სამუშაო დრო არ არის შეზღუდული კანონით, ბუნებრივად გამომუშავდა ჩვეულება, რომ სამუშაო დღე მხოლოდ

გარკვეულ საზღვრამდე ითვლება ნორმალურად, მაგალითად მეთუ საათის გასვლამდე («normal working day», «the day's work», «the regular hours of work» [ნორმალური სამუშაო დღე, დღიური მუშაობა, რეგულარული სამუშაო საათები]). ამ საზღვარს იქით სამუშაო დრო შეადგენს ზეგანაკვეთურ დროს (overtime) და მასში, საათის კვალობაზე, მეტს იხდის (extra pay), თუმცა ეს მომატება ხშირად სრულიად უმნიშვნელო პროპორციით ხდება³⁵. ნორმალური სამუშაო დღე არსებობს აქ როგორც ერთგვარი წილადი ნამდვილი სამუშაო დღისა, ამასთან ეს უკანასკნელი ხშირად მთელი წლის განმავლობაში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე პირველი³⁶. შრომის ფასის ზრდა სამუშაო დღის გაგრძელებასთან ერთად მის გარკვეულ ნორმალურ საზღვრებს იქით ბრიტანეთის მრეწველობის სხვადასხვა დარგში ისეთ ხასიათს იღებს, რომ შრომის დაბალი ფასი ეგრეთ-წოდებული ნორმალური დროის განმავლობაში აიძულებს მუშას, თუკი მას სურს საერთოდ საკმაო ხელფასი მიიღოს, იმუშაოს ზეგანაკვეთური დრო, რაშიც უკეთეს ხელფასს იძლევიან³⁷. სამუშაო

³⁵ ზეგანაკვეთური დროის გადახდის ნორმა (მაქმანის წარმოებაში) იმდენად მცირეა — $1/3$ — პენი და სხვ. საათში, — რომ იგი სრულ კონტრასტს წარმოადგენს იმ დიდ ზიანთან შედარებით, რასაც ზეგანაკვეთური მუშაობა აყენებს მუშების ჯანმრთელობას და სასიცოცხლო ძალას... გარდა ამისა, ამგვარად მოპოვებული ხელფასის მცირე ნაშეტი ხშირად ისევ იხარჯება გამოცოცხლებულ საშუალებებზე» («Children's Employment Commission. 2nd Report», გვ. XVI, № 117).

³⁶ მაგალითად, შპალერის წარმოებაში ახლახან შემოღებულ საფაბრიკო აქტამდე. ჩვენ ვმუშაობთ სასადილო შესვენების გარეშე, ისე რომ $10\frac{1}{2}$ საათის სამუშაო დღე ნაშუადღევს $4\frac{1}{2}$ საათზე თავდება, ხოლო მთელი დანარჩენი დრო ზეგანაკვეთური დროა და ეს უკანასკნელი საღამოს 8 საათზე ადრე იშვიათად თავდება, ასე რომ ფაქტიურად ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვეწვიით შრომას ზეგანაკვეთურ დროში» (მისტერ სმიტის ჩვენება «Children's Employment Commission. 1st Report»-ში, გვ. 125).

³⁷ მაგალითად, შოტლანდიის სამეთვრეტილოებში: შოტლანდიის ზოგიერთ ნაწილში მრეწველობის ამ დარგში (1862 წლის საფაბრიკო აქტის შემოღებამდე) ზეგანაკვეთური დროის სისტემა იყო მიღებული, ე. ი. 10 საათი ნორმალურ სამუშაო დღედ ითვლებოდა. ამაში მუშა 1 შილინგს და 2 პენსს იღებდა. მაგრამ ამას ყოველდღიურად ემატებოდა 3 ან 4 საათი ზეგანაკვეთური დრო, რისთვისაც 3 პენსს იძლეოდნენ საათში. ამ სისტემის შედეგი: მუშას, რომელიც მხოლოდ ნორმალურ დროს იმუშავებდა, მხოლოდ 8 შილინგს კვირეული ხელფასის მიღება შეეძლო... ზეგანაკვეთური საათების გარეშე მას ხელფასი არ ჰყოფნიდა» («Reports of Insp. of Fact. for 30th April 1863», გვ. 10). «ზეგანაკვეთური დროის გადიდებული ხელფასი არის ის ცდუნება, რომელსაც მუშები წინააღმდეგობას ვერ უწევენ» («Reports of Insp. of Fact. for 30th April 1848», გვ. 5). ლონდონის სიტის წიგნთსამკაზმოებში ძალიან ბევრ ახალგაზრდა 14 — 15 წლის ქალიშვილებს ამუშავებენ, სახელდობრ — საშეირდო

დღის საკანონმდებლო გზით შეზღუდვა ბოლოს უღებს ამ სიამოვნებას³⁸.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რაც უფრო ხანგრძლივია სამუშაო დღე მრეწველობის ამა თუ იმ დარგში, მით უფრო დაბალია ხელფასი³⁹. ფაბრიკის ინსპექტორი ა. რედგრეივი ასურათებს ამას ოცწლიანი პერიოდის, 1839 — 1859, შედარებითი მიმოხილვით, საიდანაც ჩანს, რომ იმ ფაბრიკებში, რომლებზედაც 10 საათის კანონი ვრცელდება, ხელფასმა აიწია, მაშინ როდესაც იმ ფაბრიკებში, სადაც დღეში 14 — 15 საათს მუშაობენ, დაიწია⁴⁰.

კანონიდან: «როდესაც შრომის ფასი მოცემულია, დღიური ან კვირეული ხელფასი დამოკიდებულია გაწეული შრომის რაოდენობაზე» გამომდინარეობს, უწინარეს ყოვლისა, რომ რაც უფრო დაბალია შრომის ფასი, მით უფრო დიდი უნდა იყოს შრომის რაოდენობა ანუ მით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს სამუშაო დღე, რათა მუშამ უზრუნველყოს თავისი, თუნდაც სულ მათხოვრული, საშუალო ხელფასი. შრომის ფასის დაბალი დონე ბიძგს აძლევს სამუშაო დროის გაგრძელებას⁴¹.

კონტრაქტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულ სამუშაო საათებს აწესებს. მიუხედავად ამისა, ყოველი თვის უკანასკნელ კვირაში ისინი მუშაობენ ღამის 10, 11, 12 და 1 საათამდე, ასაკოვან მუშებთან ერთად, ძალიან შერეულ წრეში. «მეწარმენი აცდუნებენ (tempt) მათ გადიდებული ხელფასით და ფულით იმ კარგი ვანშიმსათვის», რომლითაც მათ მახლობელ დუქნებში უმასპინძლებიან. დიდი გარყვნილება, რაც ამ გზით «young immortals»-ში [«მარადუკნობ ახალგაზრდობაში»] ვრცელდება («Children's Employment Commission. 5th Report», გვ. 44, № 191), ანახლავს რებებულია იმით, რომ ისინი, სხვათა შორის, მრავალ ბიბლიას და სულის საცონებელ წიგნს კაზმავენ.

³⁸ იხ. «Reports of Insp. of Fact. for 30th April 1863», გვ. 5. ლონდონელმა მუშებელმა მუშებმა სრულიად სწორად შეაფასეს საქმის ვითარება, როდესაც მათ 1860 წლის დიდი გაფიცვის და ლოკაუტის დროს განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან მიიღონ საათობრივი ხელფასი მხოლოდ ორი პირობით: 1) სამუშაო საათის ფასთან ერთად უნდა დაწესდეს 9 ან 10 საათის ნორმალური სამუშაო დღე; ამასთან ათსაათიანი სამუშაო დღის საათი უფრო მეტად უნდა ფასობდეს, ვიდრე ცხრასაათიანი სამუშაო დღის საათი; 2) თვითეული საათი, რომელიც ნორმალურ დღეს აღემატება, როგორც ზეგანაკვეთური დრო, შედარებით უფრო მეტად უნდა ფასობდეს.

³⁹ «გარდა ამისა, აღსანიშნავია სწორედ ის ფაქტი, რომ სადაც ხანგრძლივი სამუშაო დრო სავსეა წესს შეადგენს, იქ ხელფასიც დაბალია» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1863», გვ. 9). «შრომა, რომელიც უმნიშვნელო საზრდოს იძლევა, მეტწილად გადაკარბებით დიდხანს გრძელდება» («Public Health. 6th Report 1864», გვ. 15).

⁴⁰ «Reports of Insp. of Fact. for 30th April 1860», გვ. 31, 32.

⁴¹ მაგალითად, ინგლისში მუშები, რომელნიც ლურსმანს ხელით აკეთებენ იძულებულნი არიან, შრომის დაბალი ფასის გამო, დღეში 15 საათი იმუშაონ, რათა სულ

მაგრამ, პირიქით, სამუშაო დროის გაგრძელებაც, თავის მხრივ, იწვევს შრომის ფასის და მასთან ერთად დღიური ან კვირეული ხელფასის დაცემას.

შრომის ფასის განსაზღვრიდან წილადით

სამუშაო ძალის დღიური ღირებულება

მოცემული რაოდენობის საათების სამუშაო დღე

გამომდინარეობს, რომ სამუშაო დღის უბრალო გაგრძელებაც კი დაბლა სწევს შრომის ფასს, თუ რაიმე კომპენსაცია არ ხდება. მაგრამ იგივე გარემოებანი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ კაპიტალისტს დიდი ხნით გააგრძელოს სამუშაო დღე, ჯერ შესაძლებლობას უქმნიან, საბოლოოდ კი აიძულებენ მას ნომინალურადაც დასწიოს შრომის ფასი, სანამ არ დაიწვეს სამუშაო საათების გადიდებული რიცხვის ერთობლივი ფასი, ე. ი. დღიური ან კვირეული ხელფასი. აქ საკმარისია აღინიშნოს ორი გარემოება. თუ 1 ადამიანი 1 $\frac{1}{2}$, ან 2 ადამიანის სამუშაოს ასრულებს, მაშინ იზრდება შრომის მიწოდება, თუნდაც უცვლელი რჩებოდეს ბაზარზე მყოფი სამუშაო ძალის მიწოდება. ამგვარად შექმნილი კონკურენცია მუშებს შორის შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტს დასწიოს შრომის ფასი, ხოლო შრომის ფასის დაცემა, თავის მხრივ, შესაძლებლობას აძლევს მას კიდევ უფრო გაადიდოს სამუშაო დრო⁴². მაგრამ მალე ის გარემოება, რომ კაპიტალისტის განკარგულებაშია გადაუხდელი შრომის არანორმალური რაოდენობა, ე. ი. ისეთი რაოდენობა, რომელიც საშუალო საზოგადოებრივ დონეს აღემატება, თვით კაპიტალისტებს შორის კონკურენციის იარაღად იქცევა. საქონლის ფასის ერთი

მცირე კვირეული ხელფასი მიიღონ. ბევრი, ძალიან ბევრი საათი უნდა იმუშაოს მან ყოველდღე დაუცხრომლად, რათა 11 პენსი ან 1 შილინგი აიღოს, და აქედან 2 $\frac{1}{2}$ — 3 პენსი მიდის იარაღების გაცვეთაზე, სათბობ მასალაზე და რკინის ნარჩენებზე» («Children's Employment Commission. 3rd Report», გვ. 136, № 671). ქალები იმავე სამუშაო დროის განმავლობაში მხოლოდ 5 შილინგ კვირეულ ხელფასს იღებენ (იქვე, გვ. 137, № 674).

⁴² თუ, მაგალითად, ფაბრიკის მუშა უარს იტყოდა ემუშავნა დიდი რაოდენობით დაწესებული საათების განმავლობაში, მას სულ მოკლე ხანში შეეცლიდა მყოფე მუშა, რომელიც დათანხმდებოდა მუშაობას, რა ხანგრძლივიც უნდა ყოფილიყო სამუშაო დრო, და თვით კი, ამგვარად, უმუშევარი გახდებოდა» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1848». ჩვენება, გვ. 39, № 58). «თუ ერთი კაცი ორის სამუშაოს ასრულებს... მოგების ნორმა საერთოდ მატულობს... რადგან შრომის ეს დამატებითი მიწოდება ამცირებს მის ფასს» (Senior: «Three Lectures on the Rate of Wages». London 1830, გვ. 15).

ნაწილი შრომის ფასისგან შედგება. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ შრომის ფასის გადაუხდელი ნაწილი საქონლის ფასში შედიოდეს. იგი შეიძლება საქონლის მყიდველს მიეცეს საჩუქრად. ასეთია პირველი ნაბიჯი, რომელსაც კონკურენციის ზეგავლენა იწვევს. მეორე ნაბიჯი, მისივე ზემოქმედებით გამოწვეული, მდგომარეობს იმაში, რომ ასევე საქონლის გასაყიდი ფასიდან გამოირიცხოს ნაწილი მაინც იმ არანორმალური ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც შექმნილია სამუშაო დღის გაგრძელებით. ამ წესით წარმოიქმნება ჯერ სპორადულად, და შემდეგ კი თანდათან ყალიბდება საქონლის არანორმალურად დაბალი გასაყიდი ფასი, რომელიც ანიეროდან ხდება მუდმივი საფუძველი მათხოვრული ხელფასისა და ზომიერადსული სამუშაო დროისა, რომელთა ნაყოფს იგი თავდაპირველად წარმოადგენდა. ჩვენ აქ მხოლოდ ვაკვრით აღვნიშნავთ ამ მოძრაობას, რადგან კონკურენციის ანალიზი ამ შემთხვევაში ჩვენს საგანს არ შეადგენს. მიუხედავად ამისა, ვალაპარაკოთ ერთი წუთით თვით კაპიტალისტი. «ბირმინგამში კონკურენცია მეწარმეთა შორის ისე ძლიერია, რომ ზოგიერთი ჩვენგანი იძულებულია ჩაიღინოს შრომის დამქირავებლის სახით ისეთი საქციელი, რომლისაც სხვა დროს ჩვენვე შეგვრცხვებოდა; მიუხედავად ამისა მეტი ფული მაინც ვერ კეთდება (and yet no more money is made), — მხოლოდ საზოგადოებას აქვს აქედან სარგებლობა»⁴³. გავიხსენოთ ლონდონელ მეხაბაზეთა ორი კატეგორია, რომელთაგანაც ერთი პურს სრულ ფასად ყიდის (the «fullpriced» bakers), ხოლო მეორე — მის ნორმალურ ფასზე დაბლა («the underpriced», «the undersellers»). «Fullpriced»-ები თავიანთ კონკურენტებს შემდეგი სიტყვებით ამხელენ პარლამენტის საგამომძიებლო კომისიის წინაშე: «ისინი არსებობენ მხოლოდ იმის წყალობით, რომ, ჯერ-ერთი, ატყუებენ საზოგადოებას (საქონლის ფალსიფიკაციით) და, მეორე, თავიანთ მუშებს 18 სამუშაო საათს სწოვენ 12 საათის ხელფასში... გადაუხდელი შრომა (the unpaid labour) მუშებისა ის იარაღია, რომლის საშუალებითაც საკონკურენციო ბრძოლა წარმოებს... მეხაბაზე-პატრონთა შორის არსებული კონკურენცია არის ის მიზეზი, რომელიც ღამით მუშაობის მოსპობას აძნელებს. Underseller-ი, რომელიც თავის პურს მის დანახარჯთფასზე დაბლა ყიდის, — ეს უკანასკნელი კი ფქვილის ფასთან ერთად იცვლება, — ამ ზარალს იმით ინაზღაურებს, რომ თავის მუშებს მეტ შრომას გამოწურავს. თუ მგ ჩემს მუშებს მხოლოდ 12 საათის შრომას გამოვალბინებ, ჩემი

⁴³ «Children's Employment Commission. 3rd Report». ჩვენებანი, გვ. 66, № 22.

მეზობელი კი 18 ან 20-ისას, იგი, რა თქმა უნდა, დამამარცხებს საქონლის გასაყიდ ფასში. მუშებს რომ შეეძლოთ ზეგანაკვეთური დროისთვის ხელფასის დაბეჯითებით მოთხოვნა და მიღება, მაშინ ამ მანევრს მალე მოეღებოდა ბოლო... დიდი ნაწილი მუშებისა, რომელთაც *underseller*-ები ამუშავებენ, უცხოელების, მოზარდებისა და სხვა პირთაგან შედგება; ისინი იძულებული არიან დასჯერდნენ თითქმის ყოველ ხელფასს, რომლის მიღებაც კი მათ შეუძლიათ⁴⁴.

ეს იერემიიდან იმიტომაცაა აგრეთვე საინტერესო, რომ იგი გვიჩვენებს, თუ როგორ აისახება კაპიტალისტის ტვინში წარმოებითი ურთიერთობის მარტოოდენ გარეგნულობა. კაპიტალისტმა არ იცის, რომ შრომის ნორმალური ფასიც გადაუხდელი შრომის განსაზღვრულ რაოდენობას გულისხმობს, და რომ სწორედ ეს გადაუხდელი შრომა არის მისი მოგების ნორმალური წყარო. ზედმეტი სამუშაო დროის კატეგორია მისთვის საერთოდ არ არსებობს, რადგან ეს ზედმეტი სამუშაო დრო შესულია ნორმალურ სამუშაო დღეში, ამ უკანასკნელს კი კაპიტალისტი, მისი აზრით, დღიური ხელფასით ისტუმრებს. მაგრამ მისთვის არსებობს, რასაკვირველია, ზეგანაკვეთური დრო, ე. ი. სამუშაო დღის გაგრძელება იმ საზღვარს იქით, რომელიც შრომის ჩვეულებრივ ფასს შეესაბამება. თავისი კონკურენტის საპირისპიროდ, რომელიც საქონელს მის ჩვეულებრივ ფასზე დაბლა ყიდის, იგი დაჟინებითაც კი მოითხოვს, რომ ეს ზეგანაკვეთური დრო დამატებითი ხელფასით (*extra pay*) იქნას გასტუმრებული. მან კვლავ არ იცის, რომ ეს დამატებითი ხელფასი სწორედ ისევე გულისხმობს გადაუხდელ შრომას, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო საათის ფასი. დავუშვათ, მაგალითად, რომ თორმეტსაათიანი სამუშაო დღის ერთი საათის ფასი უდრის 3 პენსს, ე. ი. $\frac{1}{2}$ სამუშაო საათში ახლადმექმნილ ღირებულებას, ხოლო ზეგანაკვეთური სამუშაო საათის ფასი — 4 პენსს, ე. ი. $\frac{2}{3}$ სამუშაო საათში ახლადმექმნილ ღირებულებას. პირველ შემთხვევაში კაპიტალისტი მიითვისებს უფასოდ სამუშაო საათის $\frac{1}{2}$ -ს, მეორე შემთხვევაში — $\frac{1}{3}$ -ს.

⁴⁴ «Report etc. relative to the Grievances complained of by the Journeymen Bakers». London 1862, გვ. LII და იქვე ჩვენებანი, № 479, 359, 27. სხვათა შორის, *fullpriced*-ებიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ და როგორც ამას თვით მათი დამცველი ბენეტი აღიარებს, აიძულებენ თავიანთ მუშებს «დაიწყონ მუშაობა საღამოს 11 საათზე ან უფრო ადრე და ხშირად აგრძელებენ მას შემდგომი საღამოს 7 საათამდე» (იქვე, გვ. 22).

თავი მეცხრამეტი

ცალობრივი ხელფასი

ცალობრივი ხელფასი სხვა არაფერია, თუ არა გარდაქმნილი ფორმა დროითი ხელფასისა, სწორედ ისევე როგორც დროითი ხელფასი გარდაქმნილი ფორმაა სამუშაო ძალის ღირებულებისა, ანუ ფასისა.

ცალობრივი ხელფასის დროს ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მუშის მიერ გაყიდული სახმარი ღირებულება მისი სამუშაო ძალის ფუნქცია, ე. ი. ცოცხალი შრომა კი არ არის, არამედ უკვე პროდუქტში გასაგნობრივებული შრომაა, და რომ თითქოს ამ შრომის ფასი სამუშაო ძალის დღიური ღირებულება განისაზღვრება არა წილადით მოცემულ რაოდ. საათების სამუშ. დღე როგორც ეს დროითი ხელფასის დროს არის, არამედ — მწარმოებლის ქმედუნარიანობით ⁴⁵.

ამ მოჩვენებითობის დამაჯერებლობა ძლიერ უნდა შერყეულიყო უწინარეს ყოვლისა უკვე იმ ფაქტით, რომ ხელფასის ორივე ფორმა მრეწველობის ერთსა და იმავე დარგში იმავდროულად არსებობს ერთიმეორის გვერდით. მაგალითად: «ლონდონელი ასოთამწყობები

⁴⁵ «ცალობრივი ხელფასის სისტემა გარკვეულ ეპოქას მოასწავებს მუშის ისტორიაში; მას უკავია შუალედური მდგომარეობა კაპიტალისტის ნებასურვილზე დამოკიდებულ უბრალო დღიურ მუშასა და კოოპერაციის მუშაკს (artizan) შორის, რომელიც თავის პიროვნებაში მუშის და კაპიტალისტის შეერთებას გვიპირდება ანლო მომავალში. ცალობრივი მუშები ფაქტიურად თავიანთი თავის პატრონები არიან, მაშინაც კი, როცა მეწარმის კაპიტალით მუშაობენ» (John Watts: «Trade-Societies and Strikes, Machinery and Co-operative Societies». Manchester 1865, გვ. 52, 53). მე მომავალს ციტატა ამ პატარა თხზულებიდან, რადგან იგი წარმოადგენს ნამდვილ სანაგვეს აპოლოგეტიკის ყველა უკვე დიდი ხნის გალაყვებული გაცვეთილი ფრაზებისათვის. იგივე ბ-ნი უოტსი უწინ ოუენისტი იყო და 1842 წელს მან გამოაქვეყნა მეორე პატარა თხზულება: «Facts and Fictions of Political Economists», სადაც იგი, სხვათა შორის, Property [საკუთრებას] Robbery-ად [ძარცვად] აღიარებს. მაგრამ ეს უკვე დიდი ხნის ამბავია.

ჩვეულებრივად ცალობრივ ხელფასზე მუშაობენ, მაშინ როდესაც დროითი ხელფასი მათთან გამონაკლისს შეადგენს. პროვინციის ასოთანწყობები კი, პირიქით, როგორც წესი, დროითს ხელფასს იღებენ, ხოლო ცალობრივი ხელფასი მათში გამონაკლისს შეადგენს. გემზე მომუშავე ხუროები ლონდონის ნავსადგურში ცალობრივ ხელფასს იღებენ, ინგლისის ყველა დანარჩენ ნავსადგურში კი — დროითს ხელფასს⁴⁶. ლონდონის ერთსა და იმავე სასარაჯო სახელოსნოებში იმავე სამუშაოსთვის ფრანგებს ხშირად ცალობრივი ხელფასი ეძლევათ, ხოლო ინგლისელებს — დროითი ხელფასი. საკუთრივ ფაბრიკებში, სადაც ცალობრივი ხელფასი საყოველთაოდ გაბატონებულია, შრომის ზოგიერთი ფუნქცია, ტექნიკური მიზეზების გამო, ამ შეფასებას არ ექვემდებარება და ამიტომ მათი გადახდა დროითი ხელფასით ხდება⁴⁷. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ხელფასის გადახდის ფორმების სხვადასხვაობა არ ცვლის მის დედაარსს, თუმცა ერთი ფორმა შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის, ვიდრე მეორე.

დავუშვათ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღე 12 საათისგან შედგება, — აქედან 6 გადახდილია და 6 გადაუხდელი. ამ დღის განმავლობაში ახლადშექმნილი ღირებულება, ვთქვათ, 6 შილინგს უდრის, მაშასადამე, ერთ სამუშაო საათში შექმნილი — 6 პენსს. ვთქვათ, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მუშა, რომელიც საშუალო დონის ინტენსივობით და დახელოვნებით მუშაობს, მაშასადამე, ფაქტიურად პროდუქტის წარმოებას მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს

⁴⁶ T. J. Dunning: 'Trades' Unions and Strikes'. London 1860, გვ. 22.

⁴⁷ აი ნიმუში იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს მეფაბრიკის თადლითობას ხელფასის ამ ორი ფორმის ერთმანეთის გვერდით იმავდროულად არსებობა: ფაბრიკა ამუშაუებს 400 კაცს; აქედან ნახევარი ცალობრივ ხელფასზე მუშაობს და პირდაპირ დინტერესებულია უფრო დიდხანს იმუშაოს. დანარჩენ 200 კაცს ეძლევა დღიური ხელფასი, ისინი ისევე ხანგრძლივად მუშაობენ, როგორც სხვები, მაგრამ ამ ზეგანაკვეთური დროისათვის არაფერს არ იღებენ... ამ 200 კაცის შრომა $\frac{1}{2}$ საათის განმავლობაში დღიურად უდრის ერთი ადამიანის შრომას 50 საათის განმავლობაში, ანუ ერთი ადამიანის კვირეული შრომის $\frac{5}{8}$ -ს და მეწარმისთვის თვალსაჩინო მოგებას შეადგენს» ('Reports of Insp. of Fact. for 31st October 1860', გვ. 9). ზეგანაკვეთურ საათებში მუშაობა ჯერ კიდევ გაბატონებულია საგრძობლად და უმეტეს შემთხვევაში თვით კანონი იძლევა ბოროტმოქმედების აღმოჩენისა და დამნაშავეთა დასჯის შეუძლებლობის გარანტიას. ჩემს მრავალ წინანდელ ანგარიშში ცხადუყავი... თუ რა უსამართლობას განიცდის ყოველი მუშა, რომელიც იღებს არა ცალობრივ, არამედ კვირეულ ხელფასს» (ლენარდ ჰორნერი: 'Reports of Insp. of Fact. for 30th April 1859', გვ. 8, 9).

ანდომებს, 12 საათის განმავლობაში 24 ცალ პროდუქტს ამზადებს, სულ ერთია, წარმოადგენენ ეს უკანასკნელნი ცალკეულ ერთეულებს, თუ განუყოფელი პროდუქტის ზომადს ნაწილებს. ამრიგად, ამ 24 ცალის ღირებულება, მათში მოთავსებული კაპიტალის მუდმივი ნაწილის გამოკლების შემდეგ, შეადგენს 6 შილინგს, ხოლო თვითეული ცალის ღირებულება — 3 პენსს. მუშა თითო ცალში $1\frac{1}{2}$ პენსს იღებს და, ამრიგად, 12 საათის განმავლობაში 3 შილინგს გამოიმუშავეს. მსგავსად იმისა, როგორც დროითი ხელფასის პირობებში ერთი და იგივეა, დავეუშვებთ ჩვენ, რომ მუშა 6 საათს თავისთვის მუშაობს და 6 საათს კაპიტალისთვისთვის, თუ თვითეულ საათში იგი ნახევარს თავისთვის მუშაობს და მეორე ნახევარს კაპიტალისთვისთვის, — სწორედ ასევე აქაც იგივეა, ვიტყვი იმას, რომ თვითეული ცალი ნახევარად გადახდილია, ნახევრად კი — გადაუხდელი, თუ იმას, რომ 12 ცალის ფასი მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულებას ანაზღაურებს, ხოლო დანარჩენ 12 ცალში განხორციელებულია ზედმეტი ღირებულება.

ცალობრივი ხელფასის ფორმა ისევე ირაციონალურია, როგორც დროითი ხელფასის ფორმა. ასე, მაგალითად, ორი ცალი საქონელი ერთი სამუშაო საათის პროდუქტია და, მაშასადამე, მათზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა ღირებულების გამოკლების შემდეგ, 6 პენსის ღირებულებისაა, მაშინ როდესაც მუშა მათში მხოლოდ 3 პენსს იღებს. სინამდვილეში ცალობრივი ხელფასი უშუალოდ არავითარ ღირებულებითს ურთიერთობას არ გამოხატავს. აქ საქონლის ცალის ღირებულება კი არ იზომება მასში განხორციელებული სამუშაო დროით, არამედ, პირიქით, მუშის მიერ დახარჯული შრომა იზომება მის მიერ წარმოებული საქონლის ცალთა რიცხვით. დროითი ხელფასის პირობებში შრომა უშუალოდ იზომება მისი ხანგრძლიობით, ცალობრივი ხელფასის პირობებში კი — იმ პროდუქტის რაოდენობით, რომელშიც განსაზღვრული ხანგრძლიობის შრომაა შედეგებული⁴⁸. თვით სამუშაო დროის ფასი, საბოლოოდ, შემდეგი განტოლებით განისაზღვრება: დღიური შრომის ღირებულება = სამუშაო ძალის დღიურ ღირებულებას. ამრიგად, ცალობრივი ხელფასი დროითი ხელფასის მხოლოდ სახეშეცვლილი ფორმაა.

⁴⁸ ხელფასი შეიძლება თრგვარი საშუალებით გაიზომოს: ან შრომის ხანგრძლიობით, ანდა — მისი პროდუქტით: (*Abrege élémentaire des principes de l'Économie Politique*. Paris 1796, გვ. 32). ამ ანონიმური თხზულების ავტორია ე. გარნიე.

განვიხილოთ ახლა ცოტა უფრო დაწვრილებით ცალობრივი ხელფასის დამახასიათებელი თავისებურებანი.

შრომის ხარისხს აქ თვით პროდუქტი უწევს კონტროლს, რადგან ცალობრივ ხელფასს სრულად მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევიან, თუ პროდუქტი საშუალო ღირსებისაა. ცალობრივი ხელფასი ამ მხრივ ხელფასის ჩამოკლების და კაპიტალისტური თაღლითობის დაუშვრეტელი წყაროა.

ცალობრივი ხელფასი კაპიტალისტს შრომის ინტენსივობის სრულიად გარკვეულ საზომს აძლევს. მხოლოდ ის სამუშაო დრო, რომელიც განხორციელებულია წინასწარ განსაზღვრულ და გამოცდილების მიხედვით დაწესებულ საქონლის რაოდენობაში, ითვლება საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროდ და გადაიხდება როგორც ასეთი. ამიტომ ლონდონის დიდ სამკერვალო სახელოსნოებში შრომის პროდუქტის გარკვეულ ცალს, მაგალითად, ჟილეტს და სხვ., უწოდებენ საათს, ნახევარ საათს და სხვ., ხოლო საათი 6 პენსად ითვლება. პრაქტიკიდან ცნობილია, თუ რას უდრის ერთი საათის საშუალო პროდუქტი. ახალი მოდის შემოღების დროს, შეკეთების დროს და სხვ. დამქირავებელსა და მუშას შორის იწყება დავა იმის შესახებ, უდრის თუ არა პროდუქტის მოცემული ცალი შრომის ერთ საათს და სხვ., ვიდრე ეს საკითხი აქაც გამოცდილებით არ გადაწყდება. იგივე ხდება ლონდონის ავეჯეულობის სახელოსნოებში და სხვ. თუ მუშა საშუალო შრომაუნარიანობას მოკლებულია და ამის გამო არ შეუძლია დღიური სამუშაოს განსაზღვრული მინიმუმის შესრულება, მაშინ მას დაითხოვენ⁴⁹.

რადგან შრომის ხარისხს და ინტენსივობას აქ თვით ხელფასის ფორმა უწევს კონტროლს, შრომის ზედამხედველობის გაწევა მეტწილად ზედმეტი ხდება. ამიტომ ცალობრივი ხელფასი წარმოადგენს როგორც ზემოაღწერილი თანამედროვე შინაშეშობის, ისე ექსპლოატაციისა და ჩაგვრის იერარქიულად დანაწევრებული სისტემის საფუძველს. ამ სისტემას ორი ძირითადი ფორმა აქვს. ცალობრივი ხელფასი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პარაზიტების შეჭრას კაპიტა-

⁴⁹ მას (მრთველს) ბამბის გარკვეული წონა ეძლევა და მის ნაცვლად განსაზღვრული დროის შემდეგ მან უნდა ჩააბაროს განსაზღვრული სიწმინდის ძაფი ან ნართი გარკვეული წონით, ამასთან გირვანქა დამზადებულ პროდუქტში იგი განსაზღვრულ ხელფასს იღებს. თუ მის მიერ შესრულებული სამუშაო ცუდი ხარისხისაა, მას აჯარიმებენ. თუ იგი რაოდენობით იმ მინიმუმზე ნაკლებია, რაც დაწესებულია განსაზღვრული დროისთვის, მაშინ მას დაითხოვენ და უფრო დახელოვნებულ მუშას აიყვანენ (Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 316, 317).

ლისტსა და დაქირავებულ მუშას შუა, ე. ი. ხელს უწყობს შრომის გადაყიდვას შუამავალთა მიერ (subletting of labour). შუამავალთა მოგებას წარმოქმნის მხოლოდ და მხოლოდ განსხვავება შრომის ფასსა, რომელსაც კაპიტალისტი იხდის, და ამ ფასის იმ ნაწილს შორის, რომელსაც შუამავლები ფაქტიურად უტოვებენ მუშას⁵⁰. ამ სისტემას ინგლისში დამახასიათებელი სახელწოდება აქვს «Sweating system» (ოფლსადენი სისტემა). მეორე მხრივ, ცალობრივი ხელფასი საშუალებას აძლევს კაპიტალისტს დადოს ხელშეკრულება მთავარ მუშასთან: მანუფაქტურაში — ჯგუფის მეთაურთან, მაღაროში — მემალაროესთან და სხვ., ფაბრიკაში, — საკუთრივ მანქანის მუშასთან; ამ ხელშეკრულებამ პროდუქტის ცალკეული ცალისათვის ისეთი ფასი უნდა დააწესოს, რომელიც საშუალებას მისცემს მთავარ მუშას თვით აიყვანოს დამხმარე მუშები და აძლიოს მათ ხელფასი. მუშების ექსპლოატაცია კაპიტალის მიერ ხორციელდება აქ ერთი მუშის მიერ მეორე მუშის ექსპლოატაციის საშუალებით⁵¹.

რაკი ცალობრივი ხელფასი არსებობს, რასაკვირველია, მუშის პირადი ინტერესი მოითხოვს რაც შეიძლება ინტენსიურად დაძაბოს თავისი სამუშაო ძალა, რაც თავის მხრივ კაპიტალისტს ინტენსივობის ნორმალური დონის აწევას უადვილებს^{51a}. სწორედ ასევე მუშის

⁵⁰ «როცა შრომის პროდუქტი მრავალთა ხელში გაივლის, რომელთაგან თვითმუშს სურს მოგებაში მონაწილეობა მიიღოს, მაშინ როდესაც მხოლოდ უკანასკნელი ეწევა ნამდვილად მუშაობას, — ამ შემთხვევაში კირა, რომელსაც ფაქტიურად იღებს მომუშავე ქალი, მეტისმეტად უმნიშვნელოა» («Children's Employment Commission. 2nd Report», გვ. LXX, № 424).

⁵¹ აბოლოგეტი უოტსიცი კი შენიშნავს: «ცალობრივი ხელფასის სისტემის დიდი გაუმჯობესება იქნებოდა, თუ მუშები, რომელნიც განსახლდნენ სამუშაოს ასრულებენ, ყველანი თავიანთი უნარის მიხედვით ხელშეკრულების პირდაპირი მონაწილენი იქნებოდნენ, იმის ნაცვლად, რომ ერთი მუშა დაინტერესებული იყოს გადაჭარბებულად ამუშაოს თავისი ამხანაგები პირადი სარგებლობისათვის. ამ სისტემის საძაგლობის შესახებ იხ. «Children's Employment Commission. 3rd Report», გვ. 66, № 22; გვ. 11, № 124; გვ. XI, № 13, 53, 59 და ა. შ.

^{51a} ამ ბუნებრივ შედეგს ხშირად ხელს უწყობენ ხელოვნური ზომებით. მაგალითად, ლონდონის Engineering Trade-ში [მანქანათმშენებელ წარმოებაში] ჩვეულებრივია შემდეგი ხერხი: «კაპიტალისტი ირჩევს მუშების განსახლდნენ რიცხვის მეთაურად კაცს, რომელსაც განსაკუთრებული ფიზიკური ძალა და სიმარჯვე შესწევს; სამ თვეში ერთხელ ანდა სხვა ვადებში იგი დამატებითს ხელფასს აძლევს მას იმ პირობით, რომ იგი ყოველმხრივად შეეცადოს რაც შეიძლება უფრო მხურვალე შეჯიბრება გამოიწვიოს თავის თანამომუშავეებში, რომელნიც ჩვეულებრივ ხელფასს იღებენ... ეს ყოველი კომენტარის გარეშე გასაგებად ხდის კაპიტალისტების ჩივილს იმის გამო, რომ ტრედ-უნიონები თითქოს ადუნებენ მოქმედების უნარს, მაღალ დახელოვნებას და სამუშაო

პირადი ინტერესი მოითხოვს სამუშაო დღის გაგრძელებას, რადგან ამით მისი დღიური ან კვირეული ხელფასი მატულობს⁵². ანით იწყება ის რეაქცია, რომელიც ჩვენ მიერ უკვე აწერილი იყო დროითი ხელფასის გამოკვლევისას, თუ არას ვიტყვით იმაზე, რომ სამუშაო დღის გაგრძელება ცალობრივი ხელფასის უცვლელობის პირობებშიც კი, თავისთავად შრომის ფასის დაცემას შეიცავს.

დროითი ხელფასის პირობებში, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთი და იმავე ფუნქციისთვის გაბატონებულია ერთნაირი ხელფასი, მაშინ როდესაც ცალობრივი ხელფასის დროს, მართალია, სამუშაო დროის ფასი პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობით გაიზომება, მაგრამ დღიური ან კვირეული ხელფასი მუშების ინდივიდუალური სხვადასხვაობის მიხედვით იცვლება: მოცემულ დროში ერთი მუშა პროდუქტის მხოლოდ მინიმუმს იძლევა, მეორე — საშუალო ნორმას, მესამე — საშუალოზე მეტს. მაშასადანე, მუშის ნამდვილი შემოსავლის მხრივ აქ დიდ განსხვავებას აქვს ადგილი იმისდა მიხედვით, თუ როგორია ინდივიდუალური მუშების დახელოვნება, ძალა, ენერჯია, ამტანობა და სხვ.⁵³ რა თქმა უნდა, ეს არაფერს ცვლის საყოველთაო ურთიერთობაში კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის. ჯერ-ერთი, ინდივიდუალური განსხვავებანი ერთმანეთს უაბათილებენ, თუ

ძალას» (*stinting the action, superior skill and working power*) (Dunning: «*Trades' Unions and Strikes*». London 1860, გვ. 22, 23). რადგან ავტორი თვით მუშაა და ტრედ-უნიონის მდივანი, შეიძლება ეს სიტყვები გადაპარბებულად გვეჩვენოს. მაგრამ იხილეთ, მაგალითად, ჯ. ჩ. მორტონის «*highly respectable*» [«დიდად პატივსადება»] სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედიაში სტატია «*Labourer*» [«მუშა»], სადაც მოიჯარებს ურჩევნ იმავე მეთოდს, როგორც ნაცადს.

⁵² ყველასთვის, ვინც ცალობრივ ხელფასს იღებს... ხელსაყრელია სამუშაო დღის კანონიერი ფარგლების გადალახვა. ასეთი გადამეტებული მუშაობის სურვილს ვხედავთ განსაკუთრებით ქალებს შორის, რომელნიც ფეიქრებად და ძაფის გადამხვევებად მუშაობენ» («*Reports of Insp. of Fact. for 30th April 1858*», გვ. 9). «ცალობრივი ხელფასის ასეთი სისტემა, რომელიც ესოდენ სასარგებლოა კაპიტალისტისთვის... პირდაპირ მიმართულია იქითკენ, რომ წაახალისოს ახალგაზრდა მეთუნე ძალზე გადამეტებულად იმუშაოს 4 ან 5 წლის მანძილზე, რაშიც იგი ხელფასს იღებს ცალობის მიხედვით, მაგრამ მეტისმეტად დაბალი შეფასებით. ეს ერთი იმ მთავარ მიზეზთაგანია, რომელიც იწვევს მეთუნეთა ფიზიკურ დეგენერაციას» («*Children's Employment Commission. 1st Report*», გვ. XIII).

⁵³ «იმ წარმოებაში, სადაც შრომას ცალობის მიხედვით, მაშასადამე, ნარდად ანაზღაურებენ... ხელფასი შეიძლება მეტად სხვადასხვანაირი იყოს თავისი სიდიდით... დღიურად მუშაობის დროს კი ჩვეულებრივ ერთნაირი დონეა... რაც როგორც მეწარმის, ისე მუშის მხრივ აღიარებულია ხელფასის ნორმად მოცემული წარმოების საშუალო შრომაუნარიანი მუშისათვის» (Dunning: «*Trades' Unions and Strikes*». London 1860, გვ. 17).

სახელოსნოს მთლიანად ავიღებთ, ასე რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ სამუშაო დროში საშუალო რაოდენობის პროდუქტს იძლევა და გადახდილი ერთობლივი ხელფასი წარმოების ამ დარგის საშუალო ხელფასი იქნება. მეორე, უცვლელი რჩება შეფარდება ხელფასსა და ზედმეტ ღირებულებას შორის, რადგან ცალკეული მუშის ინდივიდუალურ ხელფასს შეესაბამება მის მიერ ინდივიდუალურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების რაოდენობა. მაგრამ ცალობრივი ხელფასი, რომელიც ინდივიდუალური მოქმედების სფეროს აფართოებს, ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ინდივიდუალობის, თავისუფლების გრძობის, დამოუკიდებლობისა და თვითკონტროლის უნარის განვითარებას მუშებში, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოშობს მათ შორის ურთიერთკონკურენციას. ამიტომ ცალობრივი ხელფასის ტენდენციაა ინდივიდუალური ხელფასის საშუალო დონეზე მაღლა აწევით დაბლა დასწიოს თვით ეს დონე. მაგრამ იქ, სადაც განსაზღვრული ცალობრივი ხელფასი უკვე დიდი ხნის ტრადიციით განმტკიცებული იყო და ამიტომ მისი შემცირება განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა, მეწარმენი გამონაკლისის სახით მიმართავდნენ აგრეთვე ცალობრივი ხელფასის ძალდატანებით შეცვლას დროითი ხელფასით. ამის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, მაგალითად, ლენტების მქსოველი მუშების დიდი გაფიცვა 1860 წელს კოვენტრიში⁵⁴. ბოლოს, ცალობრივი ხელფასი

⁵⁴ «ხელოსან-ქარგლების შრომა წესრიგდება დღითად ან ცალობით (à la journée ou à la pièce)... მეწარმეებმა იციან დაახლოებით, თუ რამდენი სამუშაოს შესრულება შეუძლიათ მუშებს ყოველდღითად თვითელ წარმოებაში და ამიტომ მათ წმირად შესრულებული სამუშაოს მიხედვით ისტუმრებენ; ასე მუშაობენ ეს ქარგლები, რამდენიც შეუძლიათ, საკუთარი დაინტერესებით ყოველი სხვა ზედამხედველობის გარეშე» (Cantillon: «Essai sur la Nature du Commerce en général», გამოც. Amsterdam 1756, გვ. 185 და 202. პირველი გამოცემა გამოვიდა 1755 წელს). ამრიგად, კანტილიონი, რომლიდანაც უხვად ისარგებლეს კენემ, სერ ჯემს სტიუარტმა და ა. სმიტმა, უკვე აქ გვიხატავს ცალობრივ ხელფასს როგორც დროითი ხელფასის უბრალოდ სახეშეცვლილ ფორმას. კანტილიონის ფრანგული გამოცემის სასათაურო გვერდზე აღნიშნულია, თითქოს იგი თარგმანი იყოს ინგლისურიდან, მაშინ როდესაც ინგლისური გამოცემა «The Analysis of Trade, Commerce etc. by Philip Cantillon, late of the City of London, Merchant» არა მარტო ფრანგულის შემდეგ არის გამოსული (1759 წელს), არამედ თავისი შინაარსითაც შემდგომ გადამუშავებას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ფრანგულ გამოცემაში იუმი ჯერ კიდევ არ არის მოხსენიებული, მაშინ როდესაც ინგლისურში, პირიქით, პეტრი თითქმის აღარც ჩანს. ინგლისური გამოცემა თეორიულად ნაკლებად მნიშვნელოვანია, სამაგიეროდ იგი შეიცავს ყოველგვარ სპეციალურ ცნობას ინგლისის ვაჭრობის, ძვირფასი ლითონებით ვაჭრობისა და სხვ. შესახებ, რაც ფრანგულ გამოცემაში არ მოიპოვება. ამიტომ ინგლისური

ზემოაღწერილი საათობრივი სისტემის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს⁵⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ცალობრივი ხელფასი ხელფასის ისეთი ფორმაა, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება კაპიტალისტურ წარმოების წესს. თუმცა იგი სრულიადაც არ წარმოადგენს რაიმე ახალს, — ცალობრივი ხელფასი დროითი ხელფასის გვერდით ოფიციალურად იხსენიება, სხვათა შორის, საფრანგეთის და ინგლისის მე-14 საუკუნის მუშათა სტატუტებში, — მაგრამ მაინც ფართო გასაქანს მხოლოდ საკუთრივ მანუფაქტურულ ხანაში პოულობს. მსხვილი მრეწველობის ქარიშხლისა და შეტევის პერიოდში, სახელდობრ 1798 — 1815 წლებში, იგი სამუშაო დროის გაგრძელებისა და ხელფასის შემცირების ბერკეტს წარმოადგენდა. იმ პერიოდის ხელფასის მოძრაობის ფრიად მნიშვნელოვან მასალას ჩვენ ვპოულობთ ლურჯ წიგნებში: «Report and Evidence from the Select Committee on Petitions respecting the Corn Laws» (პარლამენტის სესია 1813—1814 წლებისა) და «Reports from the Lords' Committee, on the state of the Growth, Commerce, and Consumption of Grain, and all Laws relating thereto» (1814—1815 წლების სესია). აქ დოკუმენტურად დადასტურებულია შრომის ფასის განუწყვეტელი დაცემა ანტიიაკობინური ომის დაწყების მომენტიდან. საფეიქრო წარმოებაში, მაგალითად, ცალობრივი ხელფასი იმდენად დაეცა, რომ, მიუხედავად მეტად გაგრძელებული სამუშაო დღისა, დღიური ხელფასი ამ დროს უფრო დაბალი იყო, ვიდრე უწინ. «ფეიქრის რეალური შემოსავალი ამჟამად გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე უწინ იყო; მისი ოდესღაც ფრიად მნიშვნელოვანი უპირატესობა ჩვეულებრივ მუშასთან შედარებით ახლა თითქმის სავსებით გაქრალა. მართლაც, განსხვავება დახელოვნე-

გამოცემის სათაურზე აღნიშნული სიტყვები: «taken chiefly from the Manuscript of a very ingenious Gentleman deceased, and adapted etc». [ფადმოღებულია უმთავრესად ერთი ფრიად ნიჭიერი, აწ განსვენებული ჯენტლმენის ხელნაწერიდან და შეესაბამება და სხვ.], ალბათ, უპირალო გამოვლენად უნდა ჩაითვალოს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროისათვის.

⁵⁵ «რამდენჯერ გვინახავს, რომ ზოგიერთ სახელოანოში გაცილებით მეტ მუშებს უყრიან თავს, ვიდრე ეს საჭიროა ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად. ხშირად მუშებს ქირაობენ რამელიმე გაუთვალისწინებელი სამუშაოს მოლოდინში, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ წარმოდგენაში არსებობს; რადგან მუშებს ხელფასს ცალობით აძლევენ, ეს არავითარ რისკს არ წარმოადგენს მეწარმისათვის, ვინაიდან დროის ყოველი დეკარგვით მხოლოდ და მხოლოდ უმუშევრად დარჩენილი მუშები ზარალობენ» (H. Grégoir: «Les Typographes devant le Tribunal Correctionnel de Bruxelles». Bruxelles 1865, გვ. 9).

ბული და ჩვეულებრივი შრომის ფასს შორის გაცილებით უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე რომელიმე უწინდელ პერიოდში»⁵⁶. თუ რამდენად ნაკლები სარგებლობა მოუტანა სოფლის პროლეტარიატს ცალობრივი ხელფასის გავლენით გაძლიერებულმა შრომის ინტენსივობამ და ექსტენსივობამ, ამას გვიჩვენებს შემდეგი ადგილი, ამოღებული ერთი თხზულებიდან, რომელიც ლენდლორდებისა და მოიჯარეების ინტერესებს იცავს: «სამიწათმოქმედო ოპერაციების უდიდეს ნაწილს ასრულებენ ადამიანები, რომელნიც დაქირავებული არიან დღიურ ან ცალობრივ ხელფასზე. მათი კვირეული ხელფასი დაახლოებით 12 შილინგს უდრის; და თუმცა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ცალობრივი ხელფასის პირობებში, მუშაობისადმი მეტი წახალისების გამო, მუშა 1 ან, შეიძლება, 2 შილინგით მეტს გამოიმუშავეს, ვიდრე კვირეული ხელფასის პირობებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ ჩვენ მის შემოსავალს მთლიანად შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ამ დანამატს აწონასწორებს მის მიერ სამუშაოს დაკარგვა წლის განმავლობაში... შემდეგ ჩვენ აღმოვაჩინებთ საერთოდ, რომ ამ ადამიანთა ხელფასი განსაზღვრულ შეფარდებაშია აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასთან, ასე რომ ორი შვილის პატრონს შეუძლია შეინახოს ოჯახი და არ მიმართოს სამრეველოს დახმარებას»⁵⁷. მალთუსმა მაშინ იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებული იყო პარლამენტის მიერ, შენიშნა: «უნდა გამოვტყდე, რომ ცალობრივი ხელფასის პრაქტიკის ფართო გავრცელება არასასიამოვნოდ მიმაჩნია. დღეში 12 ან 14 საათის მძიმე შრომა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში — ეს მართლა აუტანელია ადამიანის არსებისათვის»⁵⁸.

სახელოსნოებში, რომლებიც საფაბრიკო კანონს ექვემდებარებიან, ცალობრივი ხელფასი საყოველთაო წესად არის გადაქცეული, რადგან კაპიტალს იქ შეუძლია სამუშაო დღე მხოლოდ ინტენსიურად გააფართოოს⁵⁹.

შრომის ნაყოფიერების შეცვლასთან ერთად იცვლება სამუშაო დრო, რომელსაც პროლეტარიატი ერთი და იგივე რაოდენობა გამოხატავს. მაშასადამე, იცვლება აგრეთვე ცალობრივი ხელფასიც, რადგან იგი

⁵⁶ «Remarks on the Commercial Policy of Great Britain». London 1815, გვ. 48.

⁵⁷ «A Defence of the Landowners and of Farmers of Great Britain». London 1814, გვ. 4, 5.

⁵⁸ Malthus: «Inquiry into the Nature etc. of Rent». London 1815.

⁵⁹ «მუშები, რომელნიც ცალობრივ ხელფასს იღებენ, ალბათ, ფაბრიკის ყველა მუშის $\frac{1}{6}$ -ს შეადგენენ» («Reports of Insp. of Fact. for 30th April 1858», გვ. 9).

განსაზღვრული სამუშაო დროის ფასის გამოხატულებაა. ჩვენ მიერ შემომოყვანილ მაგალითში 12 საათის განმავლობაში იწარმოებოდა 24 ცალი პროდუქტი, მაშინ როდესაც 12 საათში ახლად შექმნილი ღირებულება უდრიდა 6 შილინგს, სამუშაო ძალის დღიური ღირებულება — 3 შილინგს, სამუშაო საათის ფასი — 3 პენსს და ერთ ცალზე ხელფასი — $1\frac{1}{2}$ პენსს. თვითეულ ცალში $\frac{1}{2}$ სამუშაო საათი იყო შეწოვილი. თუ იგივე სამუშაო დღე, შრომის გაორკეცებული ნაყოფიერების გამო, 24-ის ნაცვლად 48 ცალს მოგვცემს და ყველა დანარჩენი პირობა უცვლელი დარჩება, მაშინ ცალობრივი ხელფასი $1\frac{1}{2}$ პენსიდან $\frac{3}{4}$ პენსამდე დაიწვეს, რადგან თვითეული ცალი ახლა $\frac{1}{2}$ სამუშაო საათის ნაცვლად მხოლოდ $\frac{1}{4}$ -ს წარმოადგენს. $24 \times 1\frac{1}{2}$ პენსი = 3 შილინგს, ასევე $48 \times \frac{3}{4}$ პენსი = 3 შილინგს. სხვა სიტყვებით: ცალობრივი ხელფასი იმავე პროპორციით მცირდება, რომლითაც იზრდება განსაზღვრული დროის განმავლობაში წარმოებული საქონლის ცალთა რიცხვი⁶⁰, მაშასადამე, რა პროპორციითაც მცირდება თვითეულ ცალზე დახარჯული სამუშაო დრო. ცალობრივი ხელფასის ეს ცვლილება, რამდენადაც ის წმინდა ნომინალურია, იწვევს მუდმივ ბრძოლას კაპიტალისტსა და მუშას შორის: ეს ხდება ან იმიტომ, რომ კაპიტალისტი სარგებლობს ამ საბაბით, და შრომის ფასს ნამდვილად დაბლა სწევს, ან იმიტომ, რომ შრომის მწარმოებლური ძალის ზრდასთან სდევს მისი ინტენსივობის ზრდაც; ანდა იმიტომ, რომ მუშას ცალობრივი ხელფასის მოჩვენებითი ფორმა, — ვითომც მას უხდიან მის პროდუქტს და არა მის სამუშაო ძალას, — სინამდვილედ მიაჩნია და ამის გამო იგი წინააღმდეგობას უწევს ხელფასის ისეთ დაკლებას,

⁶⁰ ამისი სართავი მანქანის მწარმოებლური ძალა ზუსტად არის გაზომილი და ამ მანქანის დახმარებით გაწეული შრომის ფასის ოდენობა კლებულობს მანქანის მწარმოებლური ძალის ზრდასთან ერთად, თუმცა არა იმავე პროპორციით (Ure: «Philosophy of Manufactures», გვ. 317). ამ უკანასკნელ აპოლოგეტურ შენიშვნას იური თვითვე აბათილებს შემდეგ. ის აღიარებს, მაგალითად, რომ mule-ის გაგრძელებისას დამატებითი შრომა თვით ამ გაგრძელებიდან წარმოდება. მაშასადამე, შრომის შემცირება იმავე პროპორციით არ ხდება, როგორც იზრდება მისი მწარმოებლური ძალა. შემდეგ: ასეთი გადიდების საშუალებით მანქანის მწარმოებლური ძალა მატულობს $\frac{1}{5}$ -ით. თუ ეს ნამდვილად ხდება, მრთველი შესრულებულ შრომაში ვეღარ იღებს შრომის ფასს იმ ნორმით, როგორც ეს უწინ იყო. მაგრამ, რადგან მისი ხელფასი $\frac{1}{5}$ -ით არ მცირდება, ამიტომ გაუმჯობესება (მანქანის) ადიდებს მის ფულად შემოსავალს მოცემულ სამუშაო საათებში — მაგრამ... მაგრამ... ზემოთ ნათქვამი ერთგვარ შესწორებას საჭიროებს... ამ თავისი დამატებითი $\frac{1}{5}$ შილინგიდან მრთველმა ცოტა რამ უნდა გაიღოს მცირეწლოვან თანაშემწეთათვის, რომელნიც ასაკოვანი მუშების ნაწილს წარმოებიდან ატყებენ (იქვე, გვ. 320, 321), რაც არავითარ შემთხვევაში არ მოწმობს ხელფასის ზრდის ტენდენციას.

რომელსაც არ შეესაბამება საქონლის გასაყიდი ფასის დაკლება. ამუშები გულდასმით აღდევნებენ თვალყურს ნედლი მასალის ფასს და დამზადებული საქონლის ფასს და, ამრიგად, შეუძლიათ ზედმიწევნით გამოიანგარიშონ თავიანთ დამჭირავებელთა მოგება⁶¹. კაპიტალი სამართლიანად უარყოფს ამგვარ პრეტენზიას როგორც დაჭირავებული შრომის ბუნების უხეშ გაუგებლობაზე დამყარებულს⁶². იგი აღმფოთებულია კანდიერი მოთხოვნით, რომ დაიბეგროს მრეწველობის პროგრესი, და კატეგორიულად აცხადებს, შრომის ნაყოფიერება მუშას საერთოდ სრულიად არ ეხებაო⁶³.

⁶¹ H. Fawcett: «The Economic Position of the British Labourer». Cambridge and London 1865, გვ. 178.

⁶² ლონდონის «Standard»-ში 1861 წლის 26 ოქტომბრის თარიღით ჩვენ ვხვდებით ანგარიშს ჯონ ბრაიტისა და კომპ.-ის ფირმის პროცესის შესახებ, რომელიც აღძრული იყო მის მიერ როჩდელის სასამართლოს წინაშე ახალიჩების მქსოველთა ტრედ-უნიონის წევრების წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ დაშინება. ბრაიტის ფირმამ შემოიღო ახალი მანქანა, რომელიც 240 იარდ ხალიჩას იმავე დროში და იმავე შრომით (!) ამზადებს, რაც უწინ 160 იარდის საწარმოებლად იყო საჭირო. მუშებს არავითარი უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ იმ მოგებაში, რომელიც შედეგია იმისა, რომ მათი მეწარმენი თავიანთ კაპიტალს ტექნიკური გაუმჯობესებისათვის იყენებენ. ამის გამო ბატონმა ბრაიტებმა წინადადება შეიტანეს შეემცირებინათ ხელფასის ნორმა 1 1/2 პენსიდან 1 პენსამდე თვითივე იარღზე, ამასთან მუშის შემოსავალი იმავე შრომისთვის სწორედ იგივე რჩებოდა, რაც უწინ იყო. მაგრამ ეს იყო ხელფასის ნომინალური შემცირება, და ამის შესახებ, როგორც ირწმუნებიან, მუშები წინასწარ არ ყოფილან მართებულად გაფრთხილებულნი.

⁶³ «ტრედ-უნიონები, როცა ხელფასის გარკვეული დონის შენარჩუნებას ესწრაფვიან, ამით ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ გაუმჯობესებული მანქანებიდან წარმოდგარ მოგებაში!». (Quelle horreur! [რა საშინელებაა!])... «ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას იმ საფუძვლით, რომ შრომა შემცირებულია... სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ სურთ გადასახადის შემოღება სამრეწველო გაუმჯობესებაზე» («On Combination of Trades». ახალი გამოც. London 1834, გვ. 42).

თავი მეოცე

ხელფასის ნაციონალური განსხვავება

მეთხუთმეტე თავში ჩვენ განვიხილავდით სხვადასხვაგვარ კომბინაციას, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ძალის ღირებულების აბსოლუტური ან შეფარდებითი (ე. ი. ზედმეტ ღირებულებასთან შედარებით) სიდიდის ცვლილებამ; ამასთან აღმოჩნდა, მეორე მხრივ, რომ საარსებო საშუალებათა რაოდენობა, რაშიც სამუშაო ძალის ფასი ხორციელდება, თავის მხრივ, შეიძლება ამ ფასის ცვლილებისაგან დამოუკიდებელ⁶⁴ ან განსხვავებულ რყევას განიცდიდეს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამუშაო ძალის ღირებულების — შესაბამისად ფასის — უბრალო გადასვლით ხელფასის ეგზოტერულ [გარეგნულ, ზედაპირულ] ფორმაში ყველა ეს კანონი ხელფასის მოძრაობის კანონებად იქცევა. რაც ამ მოძრაობის ფარგლებში ცვალებადი კომბინაციის სახით გვევლინება, იგი შეიძლება სხვადასხვა ქვეყნისთვის ნაციონალურ ხელფასთა იმპედროული განსხვავების სახით წარმოგვიდგეს. მაშასადამე, ნაციონალურ ხელფასთა შედარების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ყველა მომენტი, რომელიც სამუშაო ძალის ღირებულების სიდიდის ცვლილებას განსაზღვრავს: ბუნებრივ და ისტორიულად განვითარებულ პირველ საარსებო მოთხოვნილებათა ფასი და მოცულობა, მუშის აღზრდის ხარჯები, ქალთა და ბავშვთა შრომის როლი, შრომის ნაყოფიერება, მისი ექსტენსიური და ინტენსიური სიდიდე. სულ ზერეფე შედარებაც კი მოითხოვს იმას, რომ უწინარეს ყოვლისა საშუალო დღიური ხელფასი სხვადასხვა ქვეყნის ერთსა და იმავე წარმოებაში დაყვანილ იქნას

⁶⁴ ჩუხტი არ იქნება იმის თქმა, რომ ხელფასი (აქ ლაპარაკია მის ფულად გამოხატულებაზე) გაიზარდა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საქონლის მეტი რაოდენობის უფრო იაფად ყიდვის საშუალებას იძლევა (დავიდ ბიუკენენი მის მიერ გამოცემულ ა. სმიტის «Wealth of Nations»-ში, 1814, ტ. I, გვ. 417, შენიშვნა).

ტოლი ხანგრძლიობის სამუშაო დღეზე. დღიური ხელფასის ასეთი გათანაბრებების შემდეგ დროითი ხელფასი გადაყვანილ უნდა იქნას ცალკობრივ ხელფასზე, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი წარმოადგენს როგორც შრომის ნაყოფიერების, ისე მისი ინტენსიური სიდიდის საზომს.

ყოველ ქვეყანაში არსებობს შრომის გარკვეული საშუალო ინტენსივობა; შრომა, რომელიც ამ საშუალო ინტენსივობაზე დაბლა დგას, ამა თუ იმ საქონლის წარმოებისას საზოგადოებრივად აუცილებელ დროზე მეტს ხარჯავს, და ამიტომ იგი ნორმალური ხარისხის შრომად არ ჩაითვლება. მხოლოდ ინტენსივობის დონე, რომელიც ნაციონალურ საშუალო დონეს აღემატება, ცვლის ამა თუ იმ ქვეყანაში ღირებულების გაზომვას სამუშაო დროის უბრალო ხანგრძლიობით. სხვაგვარადაა საქმე მსოფლიო ბაზარზე, რომლის ინტეგრალურ ნაწილებსაც ცალკეული ქვეყნები წარმოადგენენ. შრომის საშუალო ინტენსივობა იცვლება ქვეყნების მიხედვით; ერთში მეტია, მეორეში ნაკლები. ამრიგად ეს ნაციონალური საშუალო სიდიდენი ჰქმნიან იმ კიბეს, რომლის საზომ ერთეულს უნივერსალური შრომის საშუალო ერთეული წარმოადგენს. მაშასადამე, უფრო ინტენსიური ნაციონალური შრომა ნაკლებად ინტენსიურ შრომასთან შედარებით თანასწორ დროში აწარმოებს მეტ ღირებულებას, რომელიც ფულის მეტი რაოდენობით გამოიხატება.

მაგრამ ღირებულების კანონი მისი ინტერნაციონალური გამოყენების დროს კიდევ უფრო მეტ ცვლილებებს განიცდის იმის მეოხებით, რომ მსოფლიო ბაზარზე ნაციონალური შრომა, რომელსაც უფრო მეტი მწარმოებლური ძალა აქვს, ითვლება აგრეთვე უფრო ინტენსიურ შრომად, ვიდრე კონკურენცია არ აიძულებს უფრო მეტი მწარმოებლური ძალის მქონე ერს თავისი საქონლის გასაყიდი ფასი ამ საქონლის ღირებულებამდე დასწიოს.

ნაციონალური შრომის საშუალო ინტენსივობა და ნაყოფიერება ამა თუ იმ ქვეყანაში ინტერნაციონალურ დონეზე მალლა იწივს იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც ამ ქვეყნის კაპიტალისტური წარმოება ვითარდება⁶⁴. მაშასადამე, ერთი და იმავე სახეობის საქონელთა სხვადასხვა რაოდენობას, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში თანასწორ სამუშაო დროში იწარმოება, არათანატოლი ინტერნაციონალური

⁶⁴ა. სხვა ადგილას ჩვენ განვიხილავთ, თუ რა გარემოებებს შეუძლიათ შრომის ნაყოფიერების მიმართ სახე შეუცვალონ ამ კანონის მოქმედებას წარმოების ცალკეული დარგებისათვის.

ღირებულება აქვს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ფასებით, ე. ი. ინტერნაციონალური ღირებულების მიხედვით განსხვავებული ფულადი თანხებით. ამრიგად, ფულის შეფარდებითი ღირებულება ნაკლებია იმ ერში, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი უფრო განვითარებულია, ვიდრე იმ ერში, სადაც წარმოების ეს წესი ნაკლებადაა განვითარებული. მაშასადამე, აქედან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ ნომინალური ხელფასი, ფულით გამოხატული ეკვივალენტი სამუშაო ძალისა, ასევე უფრო მაღალი იქნება პირველში ვიდრე მეორეში; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგივე ითქმის ნამდვილ ხელფასზე, ე. ი. მუშის განკარგულებაში მყოფ საარსებო საშუალებებზე.

მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფულის ღირებულების ეს შეფარდებითი განსხვავებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მაინც ხშირად ვნახავთ, რომ დღიური, კვირეული და სხვ. ხელფასი პირველ, უფრო განვითარებული კაპიტალისტური წარმოების მქონე, ერში უფრო მაღალია, ვიდრე მეორეში, მაშინ როდესაც შრომის შეფარდებითი ფასი, ე. ი. შრომის ფასი, როგორც ზედმეტ ღირებულებასთან, ისე აგრეთვე პროდუქტის ღირებულებასთან შედარებით, მეორე ერში უფრო მაღლა დგას, ვიდრე პირველში⁶⁵.

ჯ. ვ. კაუელი, 1833 წლის საფაბრიკო კომისიის წევრი, სართავი წარმოების გულდასმითი გამოკვლევის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «ხელფასი მეფაბრიკეთათვის ფაქტიურად უფრო დაბალია ინგლისში, ვიდრე კონტინენტზე, თუმცა მუშისთვის იგი შეიძლება მაღალიც

⁶⁵ ა. სპიტის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკაში ჯემს ანდერსონი შენიშნავს: «უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ, თუმცა შრომის მოჩვენებითი ფასი ჩვეულებრივად უფრო დაბალია ლარბ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედების პროდუქტები, განსაკუთრებით პური, იაფია, მაგრამ სინამდვილეში იგი იქ უმეტეს შემთხვევაში რეალურად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ვინაიდან ის ხელფასი, რომელსაც მუშა დღიური შრომისათვის იღებს შრომის ნამდვილ ფასს არ შეადგენს, თუმცა იგი მისი მოჩვენებითი ფასია. ნამდვილი ფასი არის ის, რაც ფაქტიურად უღირს მეწარმეს დამზადებული პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობა; ხოლო ამ თვალსაზრისით შრომა თითქმის ყოველთვის მდიდარ ქვეყანაში უფრო იაფია, ვიდრე უფრო ღარიბ ქვეყანაში, თუმცა პურის და სხვა საარსებო საშუალებათა ფასი უკანასკნელში ჩვეულებრივად უფრო დაბალია, ვიდრე პირველში... შრომა, დღიურად გასტუმრებული, გაცილებით უფრო იაფია შოტლანდიაში, ვიდრე ინგლისში... ხოლო შრომა, ანაზღაურებული ცალობრივი ხელფასით, საერთოდ უფრო იაფია! ინგლისში» (James Anderson: «Observations on the means of exciting a spirit of National Industry etc.», Edinburgh 1777, გვ 350, 351). — პირიქით, დაბალი ხელფასი, თავის მხრივ, შრომის გაძვირებას იწვევს. «შრომა ირლანდიაში უფრო ძვირია, ვიდრე ინგლისში, მიუხედავად იმისა ანდა სწორედ იმიტომ, რომ ხელფასი იქ გაცილებით უფრო დაბალია» (№ 2074, «Royal Commission on Railways, Minutes». 1867).

იყოს» (Ure: «Philosophy of Manufactures». გვ. 314). ინგლისელი ფაბრიკის ინსპექტორი ალექსანდრე რედგრეივი 1866 წლის 31 ოქტომბრის საფაბრიკო ანგარიშში ინგლისისა და კონტინენტის სახელმწიფოების შედარებითი სტატისტიკის საშუალებით ამტკიცებს, რომ კონტინენტზე შრომა, მიუხედავად უფრო დაბალი ხელფასისა და გაცილებით უფრო ხანგრძლივი სამუშაო დროისა, პროდუქტთან შედარებით უფრო ძვირია, ვიდრე ინგლისში. ერთი ინგლისელი დირექტორი (manager) ერთ-ერთი ბამბის ფაბრიკისა ოლდენბურგში აცხადებს, რომ იქ სამუშაო დრო ყოველდღე $14\frac{1}{2}$ საათს გრძელდება, დილის $5\frac{1}{4}$ საათიდან საღამოს 8 საათამდე, შაბათის ჩათვლით, და რომ იქაური მუშები ინგლისელი ზედამხედველების მეთვალყურეობით ამ დროის განმავლობაში ცოტა უფრო ნაკლებ პროდუქტს ამზადებენ, ვიდრე ინგლისელები 10 საათის განმავლობაში, ხოლო გერმანელი ზედამხედველების მეთვალყურეობით — გაცილებით უფრო ნაკლებს. ხელფასი იქ ბევრად უფრო დაბლა დგას, ვიდრე ინგლისში, ბევრ შემთხვევაში 50%-ით, მაგრამ მუშახელის რიცხვი მანქანებთან შეფარდებით გაცილებით მეტია, — ზოგიერთ განყოფილებაში ეს რიცხვი ინგლისურს შეეფარდება როგორც 5 : 3. ბ-ნი რედგრეივი იძლევა მეტად დეტალურ ცნობებს რუსეთის ბამბის ფაბრიკების შესახებ. ეს ცნობები მან მიიღო ერთი ინგლისელი manager-ისაგან [დირექტორისაგან], რომელიც სულ მცირე ხნის წინათ იქ მუშაობდა. ამ რუსულ ნიადაგზე, რაც ესოდენ უხვია ყოველნაირი სიმახინჯით, სრულიად გაფურჩქნილია ინგლისის factories-ის [საფაბრიკო სისტემის] სიყმაწვილის პერიოდის ძველი საშინელებანი. მმართველნი, რასაკვირველია, ინგლისელები არიან, რადგანაც ადგილობრივი რუსი კაპიტალისტი არ ვარგა საფაბრიკო საქმისათვის. მიუხედავად მუშათა გადამეტებული შრომისა, დღე და ღამე განუწყვეტელი მუშაობისა და ყოვლად უმნიშვნელო ხელფასისა, რუსული ფაბრიკატი ძლივძლივობით არსებობს მხოლოდ საზღვარგარეთული ფაბრიკატის შეზიდვის აკრძალვის მეოხებით. დასასრულ, ავილოთ კიდევ ბ-ნ რედგრეივის მიერ შედგენილი შედარებითი მიმოხილვა თითისტრების საშუალო რიცხვისა, რომელიც მოდის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თვითეულ ფაბრიკაზე და თვითეულ მრთველზე. ბ-ნი რედგრეივი თვითვე აღნიშნავს, რომ ეს ციფრები შეკრებილია მის მიერ რამდენიმე წლის წინათ და რომ მას შემდეგ ინგლისში ფაბრიკების მოცულობაც და თითისტართა რიცხვიც თვითეულ მუშაზე გაიზარდა. მაგრამ რედგრეივი გულისხმობს, რომ მის მიერ ჩამოთვლილ

კონტინენტურ ქვეყნებში პროგრესი ამ მხრივ შედარებით იმავე ტემპით მიმდინარეობდა, ასე რომ მის რიცხობრივ მონაცემებს თავისი შედარებითი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

თითისტართა საშუალო რიცხვი თვითმუშა ფაბრიკაზე

ინგლისში	12 600	თითისტარი	თვითმუშა	ფაბრიკაზე
შვეიცარიაში	8 000	„	„	„
ავსტრიაში	7 000	„	„	„
საქსონიაში	4 500	„	„	„
ბელგიაში	4 000	„	„	„
საფრანგეთში	1 500	„	„	„
პრუსიაში	1 500	„	„	„

თითისტართა საშუალო რიცხვი თვითმუშა მუშაზე

საფრანგეთში	14	თითისტარი	თვითმუშა	ადამიანზე
რუსეთში	28	„	„	„
პრუსიაში	37	„	„	„
ბავარიაში	46	„	„	„
ავსტრიაში	49	„	„	„
ბელგიაში	50	„	„	„
საქსონიაში	50	„	„	„
პატარა გერმანულ სახელმწიბში	55	„	„	„
შვეიცარიაში	55	„	„	„
დიდ ბრიტანეთში	74	„	„	„

ეს შედარება, — ამბობს ბ-ნი რედგრევი, — გარდა სხვა მიზეზებისა, არახელსაყრელია დიდი ბრიტანეთისთვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ იქ არსებობს ფაბრიკების მეტად დიდი რიცხვი, სადაც მანქანური ფეიქრობა დაკავშირებულია რთვასთან, მაშინ როდესაც განაგარიშების დროს საფეიქრო დაზგაზე მომუშავე არც ერთი პირი გამორიცხული არაა. უცხოეთის ფაბრიკები კი, პირიქით, უმეტესად მხოლოდ სართავი ფაბრიკებია. ჩვენ რომ შეგვეძლოს საფრანგეთთან სიდიდეების ზუსტად შედარება, მე დავასახელებდი ჩემს ოლქში მრავალ მაშასართავ ფაბრიკას, სადაც მხოლოდ ერთი მუშამამაკაცი (minder) და ორი თანამუშავე ქალი მეთვალყურეობენ 2 200-თითისტარიან mule-ს და ამზადებენ ყოველდღიურად 220 გირვანქა ნართს, სიგრძით 400 (ინგლისურ) მილსა («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1866», გვ. 31 — 37, სხვადასხვა ადგილას).

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში ინგლისურმა კომპანიებმა ხელი მოჰკიდეს რკინიგზების გაყვანას და ამასთან

ადგილობრივი მცხოვრებლების გვერდით ამუშავებენ ინგლისელი მუშების გარკვეულ რიცხვს. ამრიგად, პრაქტიკულმა აუცილებლობამ აიძულა ისინი ანგარიში გაეწიათ შრომის ინტენსივობის ნაციონალური განსხვავებისთვის, და ამას მათთვის ზარალი არ მოუტანია. მათი გამოცდილება გვასწავლის, რომ თუმცა ხელფასის დონე ცოტად თუ ბევრად შეესაბამება შრომის საშუალო ინტენსივობას, მაგრამ შრომის შეფარდებითი ფასი (ე. ი. პროდუქტთან შედარებით) საერთოდ საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს.

ხელფასის დონის გამოკვლევის ცდაში⁶⁶, ამ თავის ყველაზე უფრო ადრინდელ ეკონომიურ თხზულებაში, გ. კერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სხვადასხვა ნაციონალური ხელფასი პირდაპირ პროპორციულია ნაციონალური საშუალო დღის წარმადობის დონისა, რათა ამ ინტერნაციონალური თანაფარდობიდან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ ხელფასი საერთოდ მატულობს და კლებულობს შრომის ნაყოფიერების პროპორციულად. ზედმეტი ღირებულების წარმოების მთელი ჩვენი ანალიზი გვიმტკიცებს ამ დასკვნის უაზრობას იმ შემთხვევაშიც კი, კერის რომ მართლა დაესაბუთებია თავისი წინამძღვრები და ჩვეულებისამებრ უთავბოლოდ არ აერია ერთმანეთში უკრიტიკოდ და ზერელედ შეკოწიწებული სტატისტიკური მასალა. მაგრამ ყველაზე უკეთესი ის არის, რომ თვითონ კერი არ ამტკიცებს, სინამდვილეში საქმე სწორედ ისე ხდება, როგორც ეს თეორიის მიხედვით უნდა ხდებოდესო. სახელდობრ, სახელმწიფოს ჩარევამ დაამახინჯა ეს ბუნებრივი ეკონომიური ურთიერთობა. ამიტომ ნაციონალური ხელფასი ისე უნდა გაანგარიშდეს, თითქოს მისი ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს მიაქვს გადასახადის სახით, თვით მუშას ხედებოდეს წილად. განა არ უნდა ჩაფიქრებოდა ბ-ნი კერი შემდეგ იმ საკითხს, რომ იქნებ ეს «სახელმწიფოებრივი ხარჯებიც» კაპიტალისტური განვითარების ბუნებრივი ნაყოფია? ეს მსჯელობა სავსებით ღირსია იმ ადამიანისა, რომელმაც კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ჯერ გამოაცხადა ბუნებისა და გონების მარადიულ კანონებად, რომელთა თავისუფალი ჰარმონიული მოქმედება მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევით ირღვევა, რათა შემდეგ აღმოეჩინა, რომ ინგლისის ჯოჯოხეთური გავლენა მსოფლიო ბაზარზე — გავლენა, რომელიც, როგორც ჩანს, კაპიტალისტური წარმოების ბუნებრივი კანონებიდან არ

⁶⁶ «Essay on the Rate of Wages: with an Examination of the Causes of the Differences in the Conditions of the Labouring Population throughout the World», Philadelphia 1835.

გამომდინარეობს — აუცილებელს ხდის სახელმწიფოს ჩარევას, სახელ-
დობრ, ბუნებისა და გონების ამ კანონების დაცვას სახელმწიფოს მიერ,
alias [სხვა სიტყვებით], — პროტექციონიზმის სისტემას. მან აღმოაჩინა
შემდეგ, რომ რიკარდოს და სხვათა თეორემები, სადაც ჩამოყალი-
ბებულია არსებული საზოგადოებრივი დაპირისპირებულობანი და
წინააღმდეგობანი, ნამდვილი ეკონომიური განვითარების იდეალურ
პროდუქტს კი არ წარმოადგენენ, არამედ, პირიქით, კაპიტალისტური
წარმოების ნამდვილი წინააღმდეგობანი ინგლისსა და სხვა ქვეყნებში
რიკარდოსა და სხვათა თეორიის შედეგია! ბოლოს, მან აღმოაჩინა,
რომ კაპიტალისტური წარმოების წესის თანდაყოლილ სიმშვენიერეს
და ჰარმონიას საბოლოო ანგარიშით ვაჭრობა სპობს. კიდევ ერთი
ნაბიჯი წინ და — იგი აღმოაჩენს, ალბათ, რომ კაპიტალისტური წარ-
მოების ერთადერთი ბოროტება თვით კაპიტალია. მხოლოდ ადამიანს,
რომელსაც ახასიათებს ასეთი კოლოსალური უუნარობა კრიტიკისა
და ასეთი ცრუსწავლულობა, შეეძლო იმის დამსახურება, რომ, მიუხე-
დავად თავისი პროტექციონისტული ერესისა, ჰარმონიული სიბრძნის
საიდუმლო წყარო გამხდარიყო რომელიმე ბასტიასათვის და თავი-
სუფალი ვაჭრობის ყველა სხვა თანამედროვე ოპტიმისტისათვის.

განყოფილება მეშვიდე

კაპიტალის დაბროვების პროცესი

გარკვეული ფულადი თანხის გადაქცევა წარმოების საშუალებებად და სამუშაო ძალად არის პირველი მოძრაობა, რასაც ასრულებს ღირებულების გარკვეული რაოდენობა, რომელმაც კაპიტალის სახით უნდა იმოქმედოს. ეს მოძრაობა ხდება ბაზარზე, მიმოქცევის სფეროში. ამ მოძრაობის მეორე ფაზა, წარმოების პროცესი, დამთავრებულია, რაწამს წარმოების საშუალებანი გადაქცეულია საქონლად, რომლის ღირებულებაც მისი შემადგენელი ნაწილების ღირებულებას აღემატება, მაშასადამე, შეიცავს თავდაპირველად ავანსებული კაპიტალის ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება. ეს საქონელი ამის შემდეგ კვლავ მიმოქცევის სფეროში უნდა იქნას გადასროლილი. საქონლა მისი გაყიდვა, მისი ღირებულების რეალიზაცია ფულში, ამ ფულის ხელახლა კაპიტალად გადაქცევა და ასე შემდეგ, ისევ თავიდან. ეს წრებრუნვა, რომელიც მუდამ ერთსა და იმავე თანმიმდევრულ ფაზებს გაივლის, შეადგენს კაპიტალის მიმოქცევას.

კაპიტალის დაბროვების პირველი პირობაა, რომ კაპიტალისტმა შეძლოს თავისი საქონლის გაყიდვა და ამ გზით მიღებული ფულის უდიდესი ნაწილის ისევ კაპიტალად გადაქცევა. შემდგომ ივლისხმება, რომ კაპიტალი თავის მიმოქცევის პროცესს ნორმალური სახით ასრულებს. ამ პროცესის დაწვრილებითი ანალიზი მეორე წიგნის საგანს შეადგენს.

კაპიტალისტი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, ე. ი. უშუალოდ გამოსწოვს მუშებს გადაუხდელ შრომას და საქონელში ახდენს მის ფიქსირებას, მართალია ამ ზედმეტი ღირებულების პირველი მიმთვისებელია, მაგრამ არაავითარ შემთხვევაში არ არის მისი საბოლოო მესაკუთრე. მან იგი შემდეგ უნდა გაინაწილოს, სხვა

კაპიტალისტებთან ერთად, რომელნიც მთლიანად აღებულ საზოგადოებრივ წარმოებაში სხვა ფუნქციებს ასრულებენ, მიწის მესაკუთრესთან და სხვა. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება სხვადასხვა ნაწილებად დაიყოფა. მისი სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა კატეგორიის პირთა ხელში გადადის და სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ფორმას იღებს, როგორცაა: მოგება, პროცენტი, სავაჭრო მოგება, მიწის რენტა და სხვ. ზედმეტი ღირებულების ეს გარდაქმნილი ფორმები შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ მესამე წიგნში.

ამრიგად, ერთი მხრივ, ჩვენ აქ ვგულისხმობთ, რომ კაპიტალისტი, რომელიც საქონელს აწარმოებს, ამ საქონელს მისი ღირებულების მიხედვით ყიდის, და მეტად აღარ ვეხებით მის უკან დაბრუნებას საქონლის ბაზარზე: არც იმ ახალ ფორმებს, რომელთაც კაპიტალი იღებს მიმოქცევის სფეროში, და არც კვლავწარმოების კონკრეტულ პირობებს, რომლებიც მათშია დამალული. მეორე მხრივ, ჩვენ კაპიტალისტი-მწარმოებელი მიგვაჩნია მთელი ზედმეტი ღირებულების მესაკუთრედ ან, თუ გნებავთ, ნადავლის ყველა მონაწილის წარმომადგენლად. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა ჩვენ განვიხილავთ დაგროვებას აბსტრაქტულად, ე. ი. როგორც უშუალო წარმოების პროცესის უბრალო მომენტს.

მაგრამ, რამდენადაც დაგროვებას ადგილი აქვს, კაპიტალისტი ახერხებს წარმოებული საქონლის გაყიდვას და აქედან აღებული ფულის კაპიტალად უკუგადაქცევას. შემდეგ: ზედმეტი ღირებულების დაყოფა სხვადასხვა ნაწილებად სრულიად არ ცვლის მის ბუნებას და არც იმ აუცილებელ პირობებს, რომლებშიც იგი დაგროვების ელემენტი ხდება. როგორც უნდა იყოს ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილის პროპორცია, რომელსაც თავისთვის იტოვებს ან სხვებს უთმობს კაპიტალისტი-მწარმოებელი, — ეს უკანასკნელი ამ ზედმეტ ღირებულებას პირველ რიგში მუდამ თვითონ მიისაკუთრებს. მაშასადამე, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ დაგროვების განხილვისას, სწორედ იმასვე შეიცავს დაგროვების ნამდვილი პროცესი. მეორე მხრივ, ზედმეტი ღირებულების დაყოფა და მიმოქცევის მეშვეობითი მოძრაობა აბუნდოვანებს დაგროვების პროცესის მარტივ ძირითად ფორმას. ამიტომ მისი წმინდა ანალიზი მოითხოვს ჯერჯერობით ყველა იმ მოვლენისაგან აბსტრაქტიზებას, რომელნიც მისი მექანიზმის შინაგან მოძრაობას ფარავენ.

თაზი ოცდამეერთე

მარტივი კვლავწარმოება

როგორც უნდა იყოს წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ფორმა, ეს პროცესი უნდა იყოს განუწყვეტელი, ე. ი. მან პერიოდულად მუდამ ხელახლა ერთი და იგივე სტადიები უნდა გაიაროს. როგორც მოხმარების შეწყვეტა არ შეუძლია საზოგადოებას, ასევე არ შეუძლია მას წარმოების შეწყვეტაც. ამიტომ ყოველი საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, განხილული მუდმივ კავშირში და მისი განახლების განუწყვეტელ დინებაში, არის იმავე დროს კვლავწარმოების პროცესი.

წარმოების პირობები იმავე დროს კვლავწარმოების პირობებია. არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია განუწყვეტლივ აწარმოოს, ე. ი. აკვლავწარმოოს, თუ მან თავისი პროდუქტების გარკვეული ნაწილი განუწყვეტლივ ხელახლა არ გადააქცია წარმოების საშუალებებად, ანუ ახალი წარმოების ელემენტებად. ყველა სხვა თანაბარ პირობებში, საზოგადოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავისი სიმდიდრე იმავე მასშტაბით აკვლავწარმოოს ანუ შეინარჩუნოს, თუ იგი, მაგალითად, წლის განმავლობაში დახარჯულ წარმოების საშუალებებს, ე. ი. შრომის საშუალებებს, ნედლ მასალას და დამხმარე მასალას, შეცვლის *in natura* [ნატურით] ახალი ეგზემპლარების ტოლი რაოდენობით, რომელიც უნდა გამოეყოს პროდუქტების წლიურ მასას და ხელახლა წარმოების პროცესს შეუერთდეს. მაშასადამე წლიური პროდუქტის განსაზღვრული რაოდენობა წარმოებას ეკუთვნის. იგი იმთავითვე მწარმოებლური მოხმარებისათვის არის განკუთვნილი და უმთავრესად ისეთი ნატურალური ფორმით არსებობს, რომელიც თავისთავად უარყოფს ინდივიდუალურ მოხმარებას.

თუ წარმოებას კაპიტალისტური ფორმა აქვს, მაშინ კვლავწარმოებაც ასეთ ფორმას ატარებს. როგორც კაპიტალისტურ წარმოების წესში შრომის პროცესი მხოლოდ ღირებულების ზრდის პროცესის

საშუალებად გვევლინება, სწორედ ასევე კვლავწარმოება გვევლინება მხოლოდ საშუალებად იმისა, რომ იკვლავწარმოებოდეს ავანსებული ღირებულება კაპიტალის სახით, ე. ი. თვითმზარდი ღირებულების სახით. კაპიტალისტის დამახასიათებელი ეკონომიური ნიღაბი იმიტომ არის მტკიცედ დაკავშირებული ამა თუ იმ პიროვნებასთან, რომ მისი ფული განუწყვეტილად კაპიტალის სახით მოქმედებს. თუ, მაგალითად, ავანსებული ფულადი თანხა 100 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით ამ წელიწადს კაპიტალად გადაიქცა და 20 გირვანქა სტერლინგი ზედმეტი ღირებულება აწარმოვა, მაშინ მან იგივე ოპერაცია უნდა გაიმეოროს მომავალ წელსაც და ასე შემდეგ. როგორც კაპიტალიზმის პერიოდული ნამატი, ანუ მოქმედი კაპიტალის პერიოდული ნაყოფი, ზედმეტი ღირებულება იღებს კაპიტალიდან წარმომდგარი შემოსავლის ფორმას¹.

თუ ეს შემოსავალი კაპიტალისტს მხოლოდ მოხმარების ფონდის სახით ემსახურება, ან თუ იგი ისევე პერიოდულად მოიხმარება, როგორც მოიპოვება, მაშინ, ყველა დანარჩენ თანაბარ პირობებში, ადგილი აქვს მარტივ კვლავწარმოებას. თუმცა უკანასკნელი მხოლოდ წარმოების პროცესის უბრალო განმეორებაა იმავე მასშტაბით, მაგრამ ეს უბრალო განმეორება ანუ უწყვეტობა ანიჭებს პროცესს გარკვეულ ახალ თვისებებს ანუ, უკეთ, სპობს მოჩვენებითს თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის, როგორც მხოლოდ განკერძოებული აქტისათვის.

წარმოების პროცესის დასაწყისს წარმოადგენს სამუშაო ძალის ყიდვა განსაზღვრული დროით, და ეს დასაწყისი მუდამ ახლდება, როგორც კი თავდება შრომის გაყიდვის ვადა და ამით თავდება წარმოების განსაზღვრული პერიოდიც, მაგალითად, კვირა, თვე და სხვ. მაგრამ მუშას ხელფასს აძლევენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისმა სამუშაო ძალამ უკვე შეასრულა თავისი მოქმედება და განახორციელა საქონელში როგორც თავისი საკუთარი ღირებულება, ისე

¹ ამდირები, რომელნიც სხვისი შრომის პროდუქტებს მოიხმარენ, ამ უკანასკნელთ მხოლოდ გაცვლის აქტით (საქონლის ყიდვით) ღებულობენ. ამიტომ მათ, როგორც ეტყობა, მალე უნდა ამოწურონ თავიანთი სარგებერვო ფონდი... მაგრამ საზოგადოებრივ წყობილებაში სიმდიდრემ მიიღო უნარი სხვისი შრომის საშუალებით კვლავწარმოებისა... სიმდიდრე, შრომის მსგავსად და შრომის საშუალებით, იძლევა წლიურ ნაყოფს, რომლის მოსაპოვებ წლის განმავლობაში შეიძლება ისე, რომ მდიდარი ამით უფრო ღარიბი არ გახდება. ეს ნაყოფი შემოსავალია, რომელსაც კაპიტალი წარმოშობს» (S i m o n d i : «Nouveaux Principes d' Économie Politique», გამოც. Paris, ტ. I, გვ. 81, 82).

ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, მუშამ აწარმოვა როგორც ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით განვიხილავთ მხოლოდ კაპიტალისტის მოხმარების ფონდის სახით, ისე თავისი საკუთარი საზღაურის ფონდიც, ე. ი. ცვალებადი კაპიტალი, — აწარმოვა უფრო ადრე, ვიდრე ეს უკანასკნელი დაუბრუნდება მას ხელფასის სახით; და მას მხოლოდ მანამდე ამუშავებენ, სანამ იგი ამ ფონდს განუწყვეტლივ აკვლავწარმოებს. აქედან წარმოდგება მეთექვსმეტე თავში «II»-ით აღნიშნული ფორმულა ეკონომისტებისა, რომელიც ხელფასს თვით პროდუქტის ნაწილის სახით განიხილავს². ეს არის თვით მუშის მიერ განუწყვეტლივ კვლავწარმოებული პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც განუწყვეტლივ უკანვე უბრუნდება მას ხელფასის ფორმით. რასაკვირველია, კაპიტალისტი მას ამ საქონლურ ღირებულებას ფულით უხდის. მაგრამ ეს ფული მხოლოდ გარდაქმნილი ფორმაა შრომის პროდუქტისა. მაშინ როდესაც მუშა წარმოების საშუალებათა ნაწილს ახალ პროდუქტად აქცევს, მისი წარსული შრომის პროდუქტი ხელახლა ფულად იქცევა. მისი წარსული კვირის ან განვლილი ნახევარი წლის შრომა არის ის წყარო, საიდანაც მის დღევანდელ ან მომავალი ნახევარი წლის შრომას ისტუმრებენ. ილუზია, რასაც ფულადი ფორმა ქმნის, ქრება მაშინვე, რაწამსაც ჩვენ ცალკეული კაპიტალისტის და ცალკეული მუშის ნაცვლად კაპიტალისტთა კლასს და მუშათა კლასს განვიხილავთ. კაპიტალისტთა კლასი განუწყვეტლივ აძლევს მუშათა კლასს ფულადი ფორმით ჩეკს იმ პროდუქტის გარკვეული ნაწილის მისაღებად, რომელიც წარმოებულია მუშების მიერ და მითვისებული კაპიტალისტების მიერ. ამ ჩეკს მუშა ასევე განუწყვეტლივ უბრუნებს უკან კაპიტალისტთა კლასს და სამაგიეროდ ამ უკანასკნელისაგან იღებს თავისი საკუთარი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც თვითონ მას ერგება. პროდუქტის საქონლური ფორმით და საქონლის ფულადი ფორმით შენიღბულია ეს გარიგება.

მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალი მხოლოდ განსაკუთრებული ისტორიული ფორმაა, რომელშიც ვლინდება საარსებო საშუალებათა ფონდი, ანუ სამუშაო ფონდი, რომელსაც საჭიროებს მუშა თავისი

² ხელფასი, ისევე როგორც მოგება, შეიძლება განვიხილოთ როგორც მზა პროდუქტის ნაწილი (G. Ramsay: «An Essay on the Distribution of Wealth». Edinburgh 1836, გვ. 142). პროდუქტის ნაწილი, რომელიც ერგება მუშას ხელფასის ფორმით (James Mill: «Éléments d'Économie Politique», ფრანგული თარგმანი Parissot-ისა, Paris 1823, გვ. 34).

არსებობის შესანარჩუნებლად და საკლავწარმოებლად და რომელსაც საზოგადოებრივი წარმოების ყველა სისტემის დროს იგი მუდამ თვით უნდა აწარმოებდეს და აკლავწარმოებდეს. სამუშაო ფონდი განუწყვეტლივ მხოლოდ იმიტომ მიედინება მუშისკენ მისი შრომის გადახდის საშუალებათა სახით, რომ მისი საკუთარი პროდუქტი მუდამ შორდება მას კაპიტალის სახით. მაგრამ სამუშაო ფონდის გამოვლინების ეს ფორმა სრულიად არ ცვლის იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტი მუშას მის საკუთარ ვასაგნობრივებულ შრომას აძლევს ავანსად³. ავიღოთ ყმა-გლეხი, რომელიც საბატონო ბეგარას იხდის. ვთქვათ, იგი თავისი საკუთარი წარმოების საშუალებებით თავის საკუთარ ნაკვეთზე კვირაში, მაგალითად, 3 დღეს მუშაობს. კვირის დანარჩენი სამი დღის განმავლობაში კი ბატონის მამულში საბატონო შრომას ეწევა. იგი განუწყვეტლივ აკლავწარმოებს თავის საკუთარ სამუშაო ფონდს, და ეს უკანასკნელი არასოდეს არ იღებს მის მიმართ გადახდის იმ საშუალებათა ფორმას, რომლებიც მესამე პირმა მისი შრომის სანაცვლოდ დააავანსა. სამაგიეროდ მისი გადაუხდელი, იძულებითი შრომაც არასოდეს არ იღებს ნებაყოფლობითი და გადახდილი შრომის ფორმას. თუ ხვალ მემამულე მითთვისებს ყმის მიწას, მუშა-პირუტყვს, თესლს, — ერთი სიტყვით, მის წარმოების საშუალებებს, მაშინ ამიერიდან ყმამ თავისი სამუშაო ძალა მემამულეს უნდა მიჰყიდოს. ყველა დანარჩენ თანაბარ პირობებში, იგი უწინდებურად კვირაში 3 დღეს იმუშაავებს, 3 დღეს თავისთვის და 3 დღეს — ყოფილი ბატონისათვის, რომელიც ახლა დამქირავებლად გადაიქცა. იგი უწინდებურად მოიხმარს წარმოების საშუალებებს წარმოების საშუალებათა სახით და მათს ღირებულებას პროდუქტზე გადაიტანს. ახლაც, როგორც უწინ, პროდუქტის განსაზღვრული ნაწილი კლავწარმოების პროცესში შევა. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც საბატონო შრომა დაქირავებული შრომის ფორმას იღებს, ასევე ყმის მიერ უწინდებურად წარმოებული და კლავწარმოებული შრომის ფონდიც იღებს კაპიტალის ფორმას, რომელიც ავანსად მიღებული აქვს ყმა-გლეხს ყოფილი მემამულისაგან. ბურჟუაზიული ეკონომისტი, რომლის შეზღუდულ გონებას არ ძალუძს განასხვაოს გამოვლინების ფორმა იმისაგან, რაც მასში ვლინდება, თვალებს ხუჭავს იმ ფაქტის წინაშე, რომ

³ «როდესაც კაპიტალი გამოიყენება იმისათვის, რომ მუშებს ავანსად მიეცეს მათი ზღუდასი, იგი არაფერს არ უმატებს იმ ფონდს, რომელიც დანიშნულია შრომის შესანახად» (კეინზის «ფინანსების მიერ გამოცემულ მალთუსის შრომაში: «Definitions in Political Economy». London 1853, გვ. 22).

ახლაც კი მთელ დედამიწის ზურგზე სამუშაო ფონდი მხოლოდ გამონაკლისის სახით გამოდის კაპიტალის ფორმით ⁴.

რა თქმა უნდა, ცვალებადი კაპიტალი კარგავს კაპიტალისტის საკუთარი ფონდიდან ავანსებული ღირებულების ხასიათს ^{5a}, როგორც კი კაპიტალისტური წარმოების პროცესს მისი განახლების მუდმივ დინებაში განვიხილავთ. მაგრამ ეს პროცესი სადმე და ოდესმე ხომ უნდა დაწყებულიყო. ამიტომ, ჩვენ მიერ აქამდე მიღებული თვალსაზრისით დასაშვებია, რომ კაპიტალისტი ოდესღაც რომელიღაც, სხვისი გადაუხდელი შრომისაგან დამოუკიდებელი, თავდაპირველი დაგროვების წყალობით, ფულის პატრონი გახდა, და რომ ამის გამო შეეძლო მას ბაზარზე გამოსვლა სამუშაო ძალის მყიდველის სახით. ამასთანავე კაპიტალისტური წარმოების პროცესის უკვე უბრალო უწყვეტობა, ანუ მარტივი კვლავწარმოება, იწვევს კიდევ სხვა თავისებურ ცვლილებებს, რომლებიც შეეხება არა მარტო კაპიტალის ცვალებად ნაწილს, არამედ ერთობლივ კაპიტალსაც.

თუ ზედმეტი ღირებულება, რომელსაც პერიოდულად, მაგალითად, ყოველწლიურად, 1 000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი ქმნის, 200 გირვანქა სტერლინგს უდრის და თუ ეს ზედმეტი ღირებულება ყოველწლიურად მოხმარება, ცხადია, რომ იმავე პროცესის ხუთი წლის განმავლობაში განმეორების შემდეგ მოხმარებული ზედმეტი ღირებულების ჯამი უდრის 200×5 , ანუ უდრის თავდაპირველად ავანსებულ 1 000 გირვ. სტერლ. კაპიტალღირებულებას. წლიური ზედმეტი ღირებულება რომ მხოლოდ ნაწილობრივ ყოფილიყო მოხმარებული, მაგალითად, მხოლოდ სანახევროდ, მაშინ იმავე შედეგს მივიღებდით წარმოების პროცესის ათი წლის განმავლობაში განმეორების შემდეგ, რადგან $100 \times 10 = 1 000$. საერთოდ, ავანსებული კაპიტალღირებულება, გაყოფილი წლიურად მოხმარებულ ზედმეტ ღირებულებაზე, იძლევა წლების რიცხვს, ანუ კვლავწარმოების პერიოდების რიცხვს, რომელთა გასვლის შემდეგ თავდაპირველად ავანსებული

⁴ «კაპიტალისტების მიერ მუშების საარსებო საშუალებათა დაავანსება დედამიწის ერთ მეთხებულზედაც არ ხდება» (Richard Jones: «Text-book of Lectures on the Political Economy of Nations». Hertford 1852, გვ. 36).

^{5a} «თუმცა მანუფაქტურის მუშა თავის ხელფასს ავანსად იღებს დამკირავებლისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელს ფაქტიურად არაფერი ეხარჯება, რადგან ამ ხელფასის ღირებულება ჩვეულებრივად კვლავ აღიდგინება მოგებასთან ერთად იმ საგნის გაზრდილ ღირებულებაში, რომლისთვისაც გამოყენებულ იქნა მუშის შრომა» (A. Smith: «Wealth of Nations», წიგნ. II, თავი III, გვ. 311). [ა. სმიტი: «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». თბილისი 1938, ტ. I, გვ. 376.]

კაპიტალი მოხმარებულია კაპიტალისტის მიერ და, მაშასადამე, გამქრალია. კაპიტალისტის წარმოდგენა, თითქოს იგი სხვისი გადაუხდელი შრომის პროდუქტს, ზედმეტ ღირებულებას, მოიხმარს და თავდაპირველ კაპიტალიზაციას კი მთლიანად ინახავს, სრულიად ვერ ცვლის ფაქტიურ მდგომარეობას. წლების გარკვეული რიცხვის გასვლის შემდეგ კაპიტალისტის მიერ მითვისებული კაპიტალიზაციის უდრის იმ ზედმეტი ღირებულების ჯამს, რომელიც ამ წლების განმავლობაში უეკვივალენტოდ არის მითვისებული მის მიერ, ხოლო მის მიერ მოხმარებული ღირებულების ჯამი უდრის თავდაპირველ კაპიტალიზაციას. მართალია, მას ხელთ რჩება კაპიტალი, რომლის სიდიდე არ შეცვლილა და რომლის ნაწილი, მაგალითად, შენობები, მანქანები და სხვ., უკვე არსებობდა, როცა მან თავისი საწარმო აამუშავა. მაგრამ აქ ლაპარაკია კაპიტალიზაციის ზედაპირზე და არა მის მატერიალურ შემადგენელ ნაწილებზე. თუ ვინმე მთელ თავის ქონებას გაფლანგავს იმით, რომ აიღებს ვალს, რომელიც ამ ქონების ღირებულებას უდრის, მაშინ მთელი მისი ქონება სწორედ მისი ვალის მხოლოდ ერთობლივ ჯამს წარმოადგენს. სწორედ ასევე, თუ კაპიტალისტმა მოიხმარა თავისი ავანსებული კაპიტალის ეკვივალენტი, მაშინ ამ კაპიტალის ღირებულება წარმოადგენს მხოლოდ მის მიერ უსასყიდლოდ მითვისებული ზედმეტი ღირებულების ერთობლივ ჯამს. მისი ძველი კაპიტალის ღირებულების არც ერთი ატომი აღარ არსებობს.

ამრიგად, ყოველგვარი დაგროვებისაგან დამოუკიდებლად, უკვე წარმოების პროცესის უბრალო უწყვეტობა, ანუ მარტივი კვლავწარმოება, აუცილებლად აქცევს, ცოტად თუ ბევრად მოკლე ან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ყოველ კაპიტალს დაგროვილ კაპიტალად, ანუ კაპიტალიზაციულ ზედმეტ ღირებულებად. ეს კაპიტალი, თუნდაც რომ იგი წარმოების პროცესში შესვლისას მისი გამომყენებლის პირადი შრომით შექმნილ საკუთრებას წარმოადგენდეს, ადრე თუ გვიან იქცევა უეკვივალენტოდ მითვისებულ ღირებულებად, ანუ გადაუხდელი სხვისი შრომის მატერიალიზაციად — ფულადი ფორმით ან სხვა სახით.

მეოთხე თავში ჩვენ დავინახეთ: იმისათვის, რომ ფული კაპიტალად გადაქცეულიყო, საკმარისი არ იყო საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის არსებობა. ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო, რომ მყიდველისა და გამყიდველის სახით ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ, ერთი მხრივ, ღირებულების ან ფულის მფლობელი, მეორე მხრივ, ღირებულების შემქმნელი სუბსტანციის მფლობელი;

აქეთ წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა მფლობელი, იქით კი მფლობელი მარტოოდენ სამუშაო ძალისა. მაშასადამე, გათიშვა შრომის პროდუქტისა თვით შრომისაგან, შრომის ობიექტური პირობებისა სუბიექტურისაგან — სამუშაო ძალისაგან, — აი რა იყო ფაქტიურად მოცემული საფუძველი, ამოსავალი პუნქტი კაპიტალისტური წარმოების პროცესისა.

მაგრამ ის, რაც თავდაპირველად ამოსავალი პუნქტი იყო, შემდეგში, პროცესის უბრალო უწყვეტობის მეოხებით, მარტივი კვლავწარმოების მეოხებით, სულ ახლად და ახლად იწარმოება და მარადისდება როგორც საკუთარი შედეგი კაპიტალისტური წარმოებისა. ერთი მხრივ, წარმოების პროცესი განუწყვეტლივ აქცევს ნივთიერ სიმდიდრეს კაპიტალად, ღირებულების ზრდის საშუალებად და მოხმარების საშუალებად კაპიტალისტისთვის. მეორე მხრივ, მუშა მუდამ იმავე სახით გამოდის ამ პროცესიდან, რა სახითაც შევიდა მასში: როგორც სიმდიდრის პიროვნული წყარო, მაგრამ მოკლებული ყველა საშუალებას, რომ ეს სიმდიდრე თავისთვის განახორციელოს. რადგან ამ პროცესში შესვლამდე მისი საკუთარი შრომა თვით მისგან განრიღებული, კაპიტალისტის მიერ მითვისებული და კაპიტალთან შესისხლხორციებული იყო, ამიტომ ეს შრომა იმავე პროცესის განმავლობაში მუდამ სხვის პროდუქტში საგნობრივდება. რადგან წარმოების პროცესი იმავე დროს კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის მოხმარების პროცესია, ამიტომ მუშის პროდუქტი განუწყვეტლივ იქცევა არა მარტო საქონლად, არამედ კაპიტალად, — ღირებულებად, რომელიც ამოსწოვს ღირებულების შემქმნელ ძალას, საარსებო საშუალებებდად, რომელნიც ადამიანებს ყიდულობენ, წარმოების საშუალებებდად, რომელნიც მწარმოებელს გამოიყენებენ⁵. მაშასადამე, თვით მუშა განუწყვეტლივ აწარმოებს ობიექტურ სიმდიდრეს კაპიტალის სახით, როგორც მისთვის უცხო, მასზე გაბატონებულ და მის გამყვლეფ ძალას; ხოლო კაპიტალისტი ასევე განუწყვეტლივ აწარმოებს სამუშაო ძალას, როგორც სიმდიდრის სუბიექტურ წყაროს, განცალკევებულს თავისი საკუთარი გასაგნობრივებისა და განხორციელების საშუალებებისგან, აბსტრაქტულ და მხოლოდ მუშის სხეულში არსებულს, — ერთი

⁵ ეს მწარმოებლური მოხმარების განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი თვისებაა. რაც მწარმოებლურად მოიხმარება, — კაპიტალია და კაპიტალად იქცევა მოხმარების მეოხებით» (James Mill: «Éléments d'Économie Politique.» ფრანგული თარგმანი Parisot-სა, Paris 1823, გვ. 242). მაგრამ ჯემს მილმა ვერ მიაგნო ამ «განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი თვისების» კვალს.

სიტყვით, აწარმოებს მუშას, როგორც დაქირავებულ მუშას⁶. მუშის ეს მუდმივი კვლავწარმოება ანუ გამარადისება არის კაპიტალისტური წარმოების sine qua non [აუცილებელი პირობა].

მუშის მოხმარება ორგვარია. თვით წარმოებაში იგი თავისი შრომით მოიხმარს წარმოების საშუალებებს და აქცევს მათ პროდუქტებად, რომელთაც უფრო მაღალი ღირებულება აქვთ, ვიდრე ავანსებულ კაპიტალს. ეს არის მისი მწარმოებლური მოხმარება. ეს არის იმავე დროს მისი სამუშაო ძალის მოხმარება კაპიტალისტის მიერ, რომელმაც ეს სამუშაო ძალა იყიდა. მეორე მხრივ, მუშა იმ ფულს, რომელიც მას კაპიტალისტმა გადაუხადა მისი სამუშაო ძალის ყიდვის დროს, ხარჯავს საარსებო საშუალებათა შესაძენად. ეს არის მისი ინდივიდუალური მოხმარება. მაშასადამე, მუშის მწარმოებლური და ინდივიდუალური მოხმარება სრულიად განსხვავებულია ერთიმეორისაგან. პირველ შემთხვევაში მუშა მოქმედებს როგორც კაპიტალის მამოძრავებელი ძალა და კაპიტალისტს ეკუთვნის; მეორე შემთხვევაში იგი ეკუთვნის თავის თავს და ასრულებს თავის ინდივიდუალურ სასიცოცხლო ფუნქციებს წარმოების პროცესის გარეთ. პირველის შედეგია კაპიტალისტის არსებობა, მეორის — თვით მუშის არსებობა.

სამუშაო ღლის და სხვ. განხილვის დროს გზადაგზა გამოირკვა, რომ მუშა ხშირად იძულებულია თავისი ინდივიდუალური მოხმარება წარმოების პროცესის უბრალო შემთხვევით ეპიზოდურად აქციოს. ამ შემთხვევაში იგი მოიხმარს საარსებო საშუალებებს მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი სამუშაო ძალა მოქმედებაში ამყოფოს, სწორედ ისე, როგორც ორთქლის მანქანას აძლევენ ნახშირს და წყალს, და ბორბალს — საცხებ ზეთს. მისი მოხმარების საშუალებანი აქ წარმოების ერთ-ერთი საშუალების მოხმარების საშუალებანია უბრალოდ, მისი ინდივიდუალური მოხმარება უშუალოდ მწარმოებლური მოხმარებაა. მაგრამ ეს ისეთ ბოროტგამოყენებად წარმოგვიდგება, რომელიც თითქოს კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის არაა არსებითი⁷.

4

⁶ არასაკვირველია, მართალია, რომ ახლადშემოღებული მანუფაქტურა მრავალ ღარიბს სამუშაოს აძლევს, მაგრამ ისინი მაინც ღარიბებად რჩებიან, ხოლო მანუფაქტურის შემდგომი განვითარება ბევრ სხვას აღარიბებს» («Reasons for a limited Exportation of Wool». London 1677, გვ. 19). «ფერმერი სისულელეს ამტკიცებს, როდესაც ამბობს, მე ღარიბებს ვინახავო. ნამდვილად ის ღარიბებს სიღატაკში ტოვებს» («Reasons for the late Increase of the Poor-Rates: or a comparative View of the Prices of Labour and Provisions», London 1777, გვ. 31).

⁷ როსი არ ამეტყველდებოდა ასეთი თავგამოდებით ამ მუხლის შესახებ, რომ მართლა ჩასწვდომოდა «მწარმოებლური მოხმარების» საიდუმლოებას.

საქმე სულ სხვა სახეს იღებს, როგორც კი ჩვენ განვიხილავთ არა ცალკეულ კაპიტალისტს და ცალკეულ მუშას, არამედ კაპიტალისტთა კლასს და მუშათა კლასს, არა საქონლის წარმოების განცალკევებულ პროცესს, არამედ — კაპიტალისტური წარმოების პროცესს მის დინებაში და მის საზოგადოებრივ მოცულობაში. როდესაც კაპიტალისტი თავისი კაპიტალის ნაწილს სამუშაო ძალად აქცევს, ამით იგი თავისი ერთობლივი კაპიტალის ღირებულებას ზრდის. იგი ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს. კაპიტალისტი მოგებას პოულობს არა მარტო იმაში, რასაც იგი მუშისაგან იღებს, არამედ იმაშიც, რასაც იგი მას აძლევს. სამუშაო ძალაზე გაცვლის გზით გასხვისებული კაპიტალი იქცევა საარსებო საშუალებებად, რომელთა მოხმარება არსებული მუშების კუნთების, ნერვების, ძვლების, ტვინის და სხვ. კვლავლდგენას და ახალი მუშების შექმნას ემსახურება. მაშასადამე, მუშათა კლასის ინდივიდუალური მოხმარება მის აბსოლუტურად აუცილებელ ფარგლებში მხოლოდ უკუგადაქცევა კაპიტალის მიერ სამუშაო ძალაზე გაცვლის გზით გასხვისებულ საარსებო საშუალებებისა სამუშაო ძალად, რომელსაც კაპიტალმა ხელახალი ექსპლოატაცია უნდა გაუწიოს. ეს არის წარმოება და კვლავწარმოება კაპიტალისტისთვის ყველაზე უფრო აუცილებელი წარმოების საშუალებისა, თვით მუშისა. ამრიგად, მუშის ინდივიდუალური მოხმარება კაპიტალის წარმოების და კვლავწარმოების მომენტად რჩება იმისდა მიუხედავად, თუ სად ხდება ეს მოხმარება, სახელოსნოში, ფაბრიკაში და სხვ. თუ გარეთ, შრომის პროცესის შიგნით თუ მის გარეთ, სწორედ ისევე როგორც მანქანის გაწმენდა წარმოების შემადგენელი ნაწილია იმისდა მიუხედავად, თუ როდის ხდება იგი, შრომის პროცესის დროს თუ მის განსაზღვრულ პაუზებში. საქმე სრულიად არ იცვლება იმით, რომ მუშა თავის ინდივიდუალურ მოხმარებას თავის დასაკმაყოფილებლად ახორციელებს და არა კაპიტალისტის გულისთვის. ასევე მუშა-პირუტყვის მოხმარებაც წარმოების პროცესის აუცილებელ მომენტად რჩება, თუმცა პირუტყვი თვით შეირგებს, რასაცა კვამს. მუშათა კლასის მუდმივი შენახვა და კვლავწარმოება კაპიტალის კვლავწარმოების მუდმივ პირობად რჩება. ამ პირობის შესრულება კაპიტალისტს დამშვიდებით შეუძლია მიანდოს მუშების თვითდაცვისა და გამრავლების ინსტინქტს. იგი მხოლოდ იმისთვის ზრუნავს, რომ მათი ინდივიდუალური მოხმარება რაც შეიძლება აუცილებელი მინიმუმით შემოსაზღვროს და, როგორც ცა დედამიწისაგან, დაშორებულია იმ სამხრეთამერიკულ სიტლანქისაგან,

რომელიც აიძულებს მუშებს ნაკლებად ნოციერი საქმლის ნაცვლად უფრო ნოციერი საქმელი მიიღონ⁸.

ამიტომაც კაპიტალისტი და მისი იდეოლოგი, ეკონომისტი, მწარმოებლურ მოხმარებად თვლიან მუშის ინდივიდუალური მოხმარების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელია მუშათა კლასის გამარადისებისათვის, რომელიც, მაშასადამე, ნამდვილად უნდა მოიხმაროს მუშამ, რათა კაპიტალმა შეძლოს სამუშაო ძალის მოხმარება; რასაც მუშა ამის გარეშე თავისი პირადი სიამოვნებისათვის მოიხმარს, — არამწარმოებლური მოხმარება⁹. კაპიტალის დაგროვება რომ ხელფასის მომატებას და, მაშასადამე, მუშის მოხმარების საშუალებათა გადიდებას იწვევდეს, ისე რომ მას შედეგად არ მოსდევდეს მეტი სამუშაო ძალის მოხმარება კაპიტალის მიერ, მაშინ დამატებითი კაპიტალი არამწარმოებლურად იქნებოდა მოხმარებული¹⁰. მართლაც: მუშის ინდივიდუალური მოხმარება თვით მისთვის არამწარმოებლურია, რადგან იგი კვლავ წარმოქმნის მხოლოდ ინდივიდს, რომელიც მოხმარების საშუალებებს საჭიროებს; იგი მწარმოებლურია კაპიტალისტისა და სახელმწიფოსათვის, რადგან იგი წარმოებაა სხვისი სიმდიდრის მწარმოებელი ძალისა¹¹.

⁸ «სამხრეთ-ამერიკის მადაროების მუშები, რომელთა ყოველდღიური მუშაობა (იქნებ ყველაზე მძიმე მთელ ქვეყანაზე) იმაში მდგომარეობს, რომ 450 ფუტის სიღრმიდან თავიანთი მხრებით ამოათრიონ დედამიწის ზედაპირზე 180 — 200 გირვანქა წონის მქონე მადნის ტვირთი, ჯერ კიდევ მხოლოდ პურით და ცერცვით იკვებებიან; ისინი მარტო პურით კვებას ამჯობინებდნენ, მაგრამ მათი ბატონები, რომლებმაც დაინახეს, რომ მარტო პურით კვების დროს ისინი ისე ინტენსიურად ვერ იმუშავებენ, მათ ისე ეპყრობიან, როგორც ცხენებს, და აიძულებენ ცერცვი ჭამონ; ცერცვი კი შედარებით უფრო მეტ ფოსფორს შეიცავს, ვიდრე პურია» (Liebig: «Die Chemie in ihrer Anwendung auf Agrikultur und Physiologie», მე-7 გამოც., 1862, I ნაწ., გვ. 194, შენიშვნა).

⁹ James Mill: «Éléments d'Économie Politique». ფრანგული თარგმანი Parisot-ისა, Paris 1823, გვ. 238 და შემდ.

¹⁰ «თუ შრომის ფასი ისე დიდად აიწევდა, რომ, მიუხედავად კაპიტალის ნამატისა, შეუძლებელი იქნებოდა მეტი შრომის გამოყენება, მაშინ მე ვიტყვოდი, რომ კაპიტალის ასეთი ნამატი არამწარმოებლურად მოიხმარება» (Ricard: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 163). [შეად. დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 115.]

¹¹ «ერთადერთი მწარმოებლური მოხმარება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის სიმდიდრის მოხმარება ანუ განადგურება (იგი გულისხმობს წარმოების საშუალებათა მოხმარებას) კაპიტალისტის მიერ კვლავწარმოების მიზნით... მუშა... მწარმოებლური მოხმარებელია იმ პირისათვის, რომელიც მას ამუშავებს, და სახელმწიფოსათვის, მაგრამ, ზუსტად რომ ვთქვათ, არა საკუთარი თავისთვის» (Malthus: «Definitions in Political Economy». London 1853, გვ. 30).

ამრიგად, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მუშათა კლასი, შრომის უშუალო პროცესის გარეშეც კი, კაპიტალის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც მკედარი სამუშაო ინსტრუმენტი. მუშათა კლასის ინდივიდუალური მოხმარებაც კი გარკვეულ ფარგლებში კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის მხოლოდ ერთი მომენტია. მაგრამ თვით ეს პროცესი ზრუნავს უკვე იმისათვის, რომ ეს შეგნებით დაჯილდოებული საწარმოო ინსტრუმენტები არსად გაიქცნენ, ზრუნავს იმით, რომ მუშების შრომის პროდუქტს მუდამ აშორებს მათს პოლუსს და ეს პროდუქტი კაპიტალის მოპირისპირე პოლუსზე გადააქვს. მუშების ინდივიდუალური მოხმარება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მათს საკუთარ შენახვას და კვლავწარმოებას, მეორე მხრივ, საარსებო საშუალებათა მოსპობით იგი უზრუნველყოფს მათს შეუწყვეტელ ხელახალ გამოსვლას შრომის ბაზარზე. რომელი მონა მიჯაჭვული იყო თავის მესაკუთრეზე, დაქირავებული მუშა კი უხილავი ძაფებით არის მიბმული მასზე. მუშის დამოუკიდებლობის ილუზია შენარჩუნებულია იმით, რომ ინდივიდუალური მეპატრონე-დამქირავებელი მუდმივად იცვლებიან, იგი შენარჩუნებულია აგრეთვე იმით, რომ არსებობს ხელშეკრულების *fictio juris* [იურიდიული ფიქცია].

წინათ კაპიტალი იქ, სადაც ეს მას საჭიროდ მიაჩნდა, თავისუფალი მუშის მიმართ თავისი საკუთრების უფლებას იძულებითი კანონის მეოხებით ახორციელებდა. ასე, მაგალითად, 1815 წლამდე ინგლისში მანქანათმშენებელი მუშების ემიგრაცია აკრძალული იყო მძიმე სასჯელის დადებით.

მუშათა კლასის კვლავწარმოება შეიცავს აგრეთვე დახელოვნების დაგროვებას და გადაცემას ერთი თაობიდან მეორე თაობაზე¹². თუ რამდენად სჩვევია კაპიტალისტს ასეთი დახელოვნებული მუშათა კლასის არსებობა მიაკუთვნოს წარმოების იმ პირობებს, რომლებიც მის კუთვნილებას შეადგენენ, და სინამდვილეში განიხილოს იგი როგორც თავისი ცვალებადი კაპიტალის რეალური არსებობა, — ეს განსაკუთრებით მკაფიოდ შელავნდება მაშინ, როდესაც კრიზისი მას წარმოების ამ პირობის დაკარგვის საშიშროების წინაშე აყენებს. როგორც ცნობილია, ამერიკის სამოქალაქო ომისა და მისი თანმხლები ბამბის შიმშილის გამო, ბამბის წარმოების მუშათა უმრავლესობა

¹² ერთადერთი ნივთი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ იგი დაგროვილი და წინასწარ დამზადებულია, არის მუშის დახელოვნება... დახელოვნებული შრომის დაგროვება და შენახვა, ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ობერაცია, მუშების დიდი უმრავლესობის მიმართ კაპიტალის დაუხარჯავად ხორციელდება (Hodgskin: *Labour Defended etc.*, გვ. 12, 13).

ლანკაშირში და სხვაგან ქუჩაში იქნა გამოყრილი. თვით მუშათა კლასის წიაღიდან, ისევე როგორც საზოგადოების სხვა ფენებიდან, გაისმა მოწოდება, რომ სახელმწიფოს დახმარებით ან ნებაყოფლობითი ნაციონალური შემოწირულების საშუალებით მოწყობილიყო «მოქარბებული ნუშების» ემიგრაცია ინგლისის კოლონიებში ან შვედეთულ შტატებში. მაშინ «Times»-მა გამოაქვეყნა (1863 წლის 24 მარტს) მანჩესტერის სავაჭრო პალატის ყოფილი პრეზიდენტის ედმუნდ პოტერის წერილი. ამ წერილს თემთა პალატაში სამართლიანად უწოდეს «მეთაბრიკეთა მანიფესტი»¹³. ჩვენ მოგვყავს აქ ამ წერილიდან ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი, სადაც აშკარად აღიარებულია კაპიტალის ის უფლება, რომ სამუშაო ძალა მისი საკუთრებაა.

ბამბის მრეწველობის მუშებს არწმუნებენ, რომ მათი შრომის მიწოდება ბაზარზე ძალზე დიდია... რომ იგი უნდა შემცირდეს, შესაძლოა, ერთი მესამედით და მაშინ დამყარდება ნორმალური მოთხოვნა დანარჩენ ორ მესამედზე... საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით მოითხოვს ემიგრაციას... პატრონს (ე. ი. ბამბის მეთაბრიკეს) არ შეუძლია, გულდამშვიდებით უცქიროს თავისი მუშახელის მიწოდების შემცირებას; მისი აზრით ეს იმდენადვე უსამართლოა, რამდენადაც უმართებულო. თუ ემიგრაციას დახმარებას უწყვეტ საზოგადოებრივი ფონდიდან, მაშინ მას, მეთაბრიკეს, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მოუსმინონ მას, ანდა, შესაძლოა, უფლება აქვს პროტესტიც განაცხადოს». იგივე პოტერი მოგვითხრობს შემდეგ, თუ რა სასარგებლოა ბამბის მრეწველობა, როგორ «უდავოდ მიიზიდა მან ირლანდიისა და ინგლისის სამიწათმოქმედო ოლქების მოსახლეობა», რა უზარმაზარია მისი ფარგლები, როგორ მოგვცა მან 1860 წელს მთელი ინგლისის ექსპორტის $\frac{5}{12}$ და როგორ გაძლიერდება იგი კვლავ მცირეოდენი წლების შემდეგ ბაზრის, განსაკუთრებით ინდოეთის ბაზრის, გაფართოების შეოხებით და იმის გამო, რომ საკმაო რაოდენობით ნახდება იძულებითი «შემოზიდვა ბამბისა ნპენსის კვალობაზე გირვანქაში». იგი განაგრძობს შემდეგ: «დრო, — ერთი, ორი, შეიძლება სამი წელიწადი, — შექმნის საჭირო რაოდენობას... ამიტომ მე მინდა დავსვა კითხვა: ღირსია თუ არა დაცვისა ეს მრეწველობა, ღირს თუ არა გარჯად მანქანების (სახელდობრ ცოცხალი სამუშაო მანქანების) წესიერი შენახვა და განა უდიდესი სისულელე არ იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ მათზე ხელი აგვედო?»

¹³ ეს წერილი შეიძლება ჩაითვალოს «მეთაბრიკეთა მანიფესტად» (ფერენდი, წინადადება ბამბის შიმშილის გამო, თემთა პალატის სხდომა 1863 წლის 27 აპრილს).

მე ვფიქრობ, რომ ეს ასეა. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ მუშები არ წარმოადგენენ საკუთრებას («I allow that the workers are not a property»), ლანკაშირისა და ფაბრიკის მებატრონეთა საკუთრებას; მაგრამ ისინი ორივეს სიძლიერეს წარმოადგენენ; ისინი წარმოადგენენ ინტელექტუალურ და გაწვრთნილ ძალას, რომლის შენაცვლება ერთი თაობის მანძილზე შეუძლებელია. პირიქით, სხვა მანქანები, რომლებზედაც ისინი მუშაობენ («the mere machinery which they work»), შეიძლება უმეტესწილად წარმატებით შეგვეცვალო და გავეუმჯობესებინა 12 თვის განმავლობაში¹⁴. ხელი შეუწყვეთ ან ნება დართეთ (!) სამუშაო ძალის ემიგრაციას, და — რა მოუვათ მაშინ კაპიტალისტებს? («Encourage or allow the working power to emigrate, and what of the capitalist?») ეს გულის ამონაკენისი მოგვაგონებს ჰოფმარშალ კალბს)... წაიყვანეთ რჩეული მუშები, და — ძირითადი კაპიტალი უაღრესად გაუფასურდება, ხოლო საბრუნავი კაპიტალი ვერ გაუძლებს ბრძოლას უფრო დაბალი ხარისხის შრომის მცირე მიწოდებასთან... ჩვენ გვეუბნებიან, რომ მუშებს თვითონვე სურთ ემიგრაცია. ეს ფრიად ბუნებრივია მათი მხრივ... შეამცირეთ, შეზღუდეთ ბაშბის წარმოება სამუშაო ძალის წართმევის საშუალებით (by taking away its working power), შეამცირეთ, მაგალითად, 1/3-ით ან ხუთი მილიონით ხელფასის ხარჯები, და — რა მოელის მაშინ უახლოეს კლასს, რომელიც მუშებზე მალა დგას, ე. ი. წვრილმანით მოვაჭრეებს? რა მოელის მიწის რენტას და კოტეჯების ქირას?... რა მოელის წვრილ ფერმერებს, სახლმფლობელთა და მიწის მესაკუთრეთა ამ უკეთეს ფენას? და მითხარით, განა შეიძლება იყოს ამაზე უფრო თვითმკვლელური გეგმა ქვეყნის ყველა კლასისათვის, ვიდრე ეს გეგმაა, რომელიც ასუსტებს

¹⁴ მკითხველს ახსოვს, რომ იგივე კაპიტალი ჩვეულებრივ პირობებში სულ სხვა ჰანგზე მღერის, როდესაც საქმე ხელფასის დაკლებას ეხება. მაშინ «პატრონები» ერთხმად აცხადებენ (იხ. განყოფილება მეოთხე, შენიშვნა 188, გვ. 536): «ფაბრიკის მუშებს მუდამ უნდა ახსოვდეთ თავიანთ სასარგებლოდ, რომ მათი შრომა სინამდვილეში ფრიად დაბალი ხარისხის დახელოვნებული შრომაა; რომ არც ერთი სხვა შრომა ასე ადვილად არ შეითვისება და, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ღირსებას, არც ნაზღაურდება ასე კარგად; რომ არც ერთი სხვა შრომა სრულიად გამოუცდელისა ასე ხანმოკლე სწავლებით, ასე მოკლე დროში და ასე უხვად არ შეიძლება მოპოვებულ იქნას. წარმოების საქმეში ფაქტიურად მეწარმის მანქანები (ეს მანქანები, როგორც გვეუბნებიან ახლა, შეიძლება წარმატებით შენაცვლებულ და გაუმჯობესებულ იქნან 12 თვეში) ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვიდრე მუშის შრომა და დახელოვნება (ახლა გვეუბნებიან, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება აღდგენილ იქნას 30 წლის განმავლობაში), რაც 6 თვეში შეისწავლება და რის შესწავლაც ყოველგვარ მოჯამაგირეს შეუძლია».

ერს მისი საუკეთესო ფაბრიკის მუშების ექსპორტით და მისი ყველაზე უფრო მწარმოებლური კაპიტალისა და სიმდიდრის ერთი ნაწილის გაუფასურებით?» «მე ვიძლევი რჩევას ალებულ იქნას 5 — 6 მილიონიანი სესხი, განაწილებული 2 ან 3 წელიწადზე; ეს ფული უნდა დაიხარჯოს განსაკუთრებული კომისრების ზედამხედველობით, რომელნიც დაექვემდებარებიან ღარიბთა დახმარების ადმინისტრაციას ბამბის წარმოების ოლქებში; ეს საქმე უნდა მოწესრიგდეს სპეციალური კანონით, ერთგვარი იძულებითი შრომის დაწესებით იმ პირთა მორალური ღირებულების შესანარჩუნებლად, რომელნიც მოწყალეობას იღებენ... განა შეიძლება მიწის მესაკუთრებისთვის ან მეწარმეებისთვის იყოს რაიმე იმაზე უარესი («can anything be worse for landowners or masters»), რასაც წარმოადგენს მათი საუკეთესო მუშების დაკარგვა და დანარჩენებში დემორალიზაციისა და უკმაყოფილების შეტანა ფართო გამანადგურებელი ემიგრაციის მეოხებით და ღირებულებისა და კაპიტალის განადგურებით მთელ პროვინციაში?»

პოტერი, ბამბის მეფაბრიკეთა ინტერესების ეს შეუდარებელი მლადადებელი, განასხვავებს ორგვარ მანქანას; ერთიც და მეორეც კაპიტალისტს ეკუთვნის, ერთი მუდამ მის ფაბრიკაში იმყოფება, ხოლო მეორე ღამით და კვირაობით მის გარეთ კოტეჯებში ბინადრობს. პირველი მკვდარია, მეორე — ცოცხალი. მკვდარი მანქანები არა მარტო ყოველდღიურად ცვდება და უფასურდება, არამედ, მუდმივი ტექნიკური პროგრესის გამო, მათი არსებული მასის დიდი ნაწილი განუწყვეტლივ ისე ძველდება, რომ შესაძლებელი და ხელსაყრელი ხდება რამდენიმე თვეში მათი შენაცვლება ახალი მანქანებით. ცოცხალი მანქანა კი, პირიქით, მით უფრო უმჯობესდება, რაც უფრო დიდხანს მსახურობს, რაც უფრო მეტად გროვდება მასში თაობათა დახელოვნება. «Times»-ი, სხვათა შორის, ასეთ პასუხს აძლევდა ფაბრიკის ამ მაგნატს:

«ბ-ნი ე. პოტერი ისეა გამსჭვალული ბამბის მეფაბრიკეთა არაჩვეულებრივი და აბსოლუტური მნიშვნელობის შეგნებით, რომ იგი ამ კლასის შესანარჩუნებლად და მისი პროფესიის უკვდავსაყოფად მზადაა ძალით ჩაკეტოს ნახევარი მილიონი მუშა ერთ დიდ მორალურ სამუშაო სახლში [workhouse]. ღირსია თუ არა დაცვისა ეს მრეწველობა? — გვეკითხება ბ-ნი პოტერი. რასაკვირველია, ყველა პატიოსანი საშუალებით, — ვუპასუხებთ ჩვენ. ღირს თუ არა გარჯად მანქანების წესიერი შენახვა? — კვლავ გვეკითხება ბ-ნი პოტერი. აქ ჩვენ საგონებელში ვვარდებით. ბ-ნი პოტერი მანქანებში ადამიან-მანქანებს გულისხმობს, რადგან იგი გვარწმუნებს, რომ მას ფიქრად არა აქვს

განიხილოს ისინი მეწარმის აბსოლუტურ საკუთრებად. ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, რომ არ მიგვაჩნია «გარჯის ღირსად» ანდა შესაძლებლადაც კი ადამიან-მანქანების წესიერი შენახვა, ე. ი. მათი ჩაკეტვა და ზეთის წაცხება, ვიდრე ისინი არ დაგვჭირდება. ადამიან-მანქანებს ერთი თვისება აქვთ: ისინი ქანგდებიან უმოქმედობისაგან, რაც უნდა წასცხოთ ზეთი, ან რაც უნდა წმინდოთ ისინი. გარდა ამისა, ადამიან-მანქანებს, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, შეუძლიათ თავიანთი ნებით ორთქლის მოცემა და აფეთქება ანდა წმ. ვიტის გაშმაგებული ცეკვის მოწყობა ჩვენს დიდ ქალაქებში. შეიძლება, როგორც ბ-ნი პოტერი ამბობს, მუშების კვლავწარმოებისათვის უფრო ხანგრძლივი დრო იყოს საჭირო, მაგრამ ჩვენ, თუ გვეყოლება მემანქანეები და გვექნება ფული, ყოველთვის ვიპოვით მოქმედ, გამძლე და გამრჯეულ ადამიანებს, რათა მათგან უფრო მეტი ფაბრიკის ოსტატები წარმოვქმნათ, ვიდრე ოდესმე დაგვჭირდება... ბ-ნი პოტერი ლაყბობს მრეწველობის ხელახალ გამოცოცხლებასზე 1, 2, 3 წელიწადში და მოითხოვს ჩვენგან არ წავახალისოთ ან ნება არ დავართოთ სამუშაო ძალის ემიგრაციას! რომ მუშებს ემიგრაციის სურვილი აქვთ, ეს მას ბუნებრივად მიაჩნია, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ეს ნახევარი მილიონი მუშა და 700 000 სული, რომელნიც მათ ოჯახებს შეადგენენ, მათი სურვილის წინააღმდეგ, ერმა ბამბის სამრეწველო ოლქებში უნდა ჩაკეტოს და — რაც ამის აუცილებელი შედეგია — ძალით უნდა ჩაახშოს მათი უკმაყოფილება და თვით ისინი მოწყალების მიცემით შეინახოს, — ყოველივე ეს იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება ეს მუშები ერთ მშვენიერ დღეს კვლავ დასჭირდეთ ბამბის მეფაბრიკეებს... დაღვა დრო, როდესაც ამ კუნძულების დიადმა საზოგადოებრივმა აზრმა უნდა გააკეთოს რაიმე, რათა «ეს სამუშაო ძალა» დაიხსნას მათგან, ვინც მას ისე ეპყრობა, როგორც ნახშირს, რკინას და ბამბას» («to save this «working power» from those who would deal with it as they deal with iron coal and cotton») ¹⁵.

«Times»-ის სტატია მხოლოდ *jeu d'esprit* [თამაში გონებამახვილობით] იყო. «დიადმა საზოგადოებრივმა აზრმა» სინამდვილეში გაიზიარა ბ-ნი პოტერის აზრი, რომ ფაბრიკის მუშა ფაბრიკის მოძრავი დანამატია მხოლოდ. მუშების ემიგრაციას წინაღუდგენ ¹⁶. ისინი

¹⁵ «Times», 1863 წლის 24 მარტი.

¹⁶ პარლამენტს არ გაუღია არც ერთი ფარტინგი ემიგრაციისათვის; მან გამოსცა მხოლოდ კანონები, რომლებიც უფლებას ანიჭებდნენ მუნიციპალიტეტებს მუშების ცოცხალ-მკვდარნი შეენახათ ანდა ექსპლოატაცია გაეწიათ მათთვის ნორმალური

ჩაკეტეს ბამბის სამრეწველო ოლქების «მორალურ სამუშაო სახლში» და უწინდებურად შეადგენენ «ლანკაშირის ბამბის მეფაბრიკეთა სიძლიერეს» (the strenght).

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების პროცესი თავისი საკუთარი მსვლელობით კვლავ აღადგენს სამუშაო ძალის გათიშვას შრომის პირობებისაგან. ამით იგი კვლავ აღადგენს და ამარადისებს მუშის ექსპლოატაციის პირობებს. იგი განუწყვეტლივ აიძულებს მუშას გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, რათა იცხოვროს, და განუწყვეტლივ აძლევს საშუალებას კაპიტალისტს იყიდოს იგი, რათა გამდიდრდეს¹⁷. ახლა უკვე შემთხვევითი ამბავი აღარ არის, რომ საქონლის ბაზარზე ერთმანეთს უპირისპირდებიან კაპიტალისტი და მუშა როგორც მყიდველი და გამყიდველი. თვით პროცესის უღმობელი მსვლელობა მუდამ უკუგადატყორცნის საქონლის ბაზარზე ერთ მათგანს როგორც თავისი სამუშაო ძალის გამყიდველს და მუდამ გადააქცევს მის საკუთარ პროდუქტს ყიდვას საშუალებად მეორის ხელში. სინამდვილეში მუშა ეკუთვნის კაპიტალს უკვე მანამდე, ვიდრე იგი თავის თავს კაპიტალისტს მიჰყიდდეს. მუშის ეკონომიური დამონება¹⁸ ერთსა და იმავე

ხელფასის მიუცემლად. ხოლო, როდესაც სამი წლის შემდეგ საქონლის ჭირმა იფეთქა, პარლამენტმა უხეშად დაარღვია პარლამენტური ეტიკეტი კი და მყისვე გაიღო მილიონები მილიონურ ლენდლორდების ზარალის ასანახლაურებლად, რომელთა მოიჯარეებმაც ისედაც აინახლაურეს ზარალი ხორცზე ფასების აწვეის მეოხებით. მიწის მესაკუთრეთა მხეტურმა ბღაველმა პარლამენტის გახსნის დროს 1866 წელს ცხადყო, რომ საჭირო არ არის ინდოელი იყო, რათა თავყვანი სტეძროხა-საბალას, და — არც იუპიტერი, რათა ხარად გადაიქცე.

¹⁷ «მუშა მოითხოვდა საარსებო საშუალებებს, რათა ეცხოვრა, მეწარმე კი მოითხოვდა შრომას, რათა მოგება მიეღო» (Sismondi: «Nouveaux Principes d'Économie Politique», გამოც. Paris, ტ. I, გვ. 91).

¹⁸ ამ დამონების ტლანქი გლგებური ფორმა არსებობს დერჰემის საგრაფოში. ეს ერთი იმ მცირერიცხოვან საგრაფოთაგანია, სადაც ადგილობრივი პირობები არ უზრუნველყოფენ ფერმერის უდავო საკუთრების უფლებას მიწათმოქმედების დლიური მუშების მიმართ. სამთავანდო მრეწველობა ამ უკანასკნელთ ამოჩვევის შესაძლებლობას აძლევს. ამიტომ აქ, საერთო წესის წინააღმდეგ, ფერმერი მხოლოდ იმ მიწებს იღებს იჯარით, სადაც მუშების კოტეჯები მოიპოვება. კოტეჯის ქირა ხელფასის ნაწილს შეადგენს. ამ კოტეჯებს «hind's houses» [«მოჯამაგირეთა სახლებსა»] უწოდებენ. მათი მიქირავება მუშებისათვის ხდება გარკვეულ ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულების პირობით, ხელშეკრულების ძალით, რომელსაც «სასიდაჯს» [ბატონყმური დამოკიდებულება] ჰქვია და რომლის მიხედვით მუშა, მაგალითად, ვალდებულია იმ დროის განმავლობაში, როცა იგი სხვა ადგილას მუშაობს, თავის მაგივრად თავისი ქალიშვილი და სხვ. გაგზავნოს. თვით ამ მუშას ეწოდება ხიდსიანი, ანუ ყმა. ეს ურთიერთობა სრულიად ახალი მხრიდან გვიჩვენებს აგურთვე მუშის ინდივიდუალურ მოხმარებას როგორც მოხმარებას კაპიტალისთვის, ანუ მწარმოებლურ მოხმარებას. «სინტერესოა

დროს გაპირობებულისა და შენიღბულიც მის მიერ თვითგაყიდვის პერიოდული განახლებით, მის ინდივიდუალურ მეპატრონე-დაქირავებელთა შეცვლით და მისი შრომის საბაზრო ფასის რყევით¹⁹.

მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების პროცესი, განხილული მის უწყვეტ კავშირში, ანუ როგორც კვლავწარმოების პროცესი, აწარმოებს არა მარტო საქონელს, არა მარტო ზედმეტ ღირებულებას, არამედ იგი აწარმოებს და აკვლავწარმოებს თვით კაპიტალისტურ ურთიერთობას: ერთ მხარეზე კაპიტალისტს, ხოლო მეორე მხარეზე — დაქირავებულ მუშას²⁰.

აღინიშნოს, რომ ამ «bondsman»-ის განავალიც კი მისი ანგარიშიანი მბრძანებლის შემოსავალში ირიცხება... ფერმერი მთელ ამ მიდამოებში ფეხისალაგების გაკეთების ნებას არ აძლევს, გარდა თავისი საკუთარი ფეხისალაგებისა, და ამ მხრივ არ ითმენს თავისი სუბერენული უფლების არავითარ შელახვას» («Public Health. 7th Report 1864», გვ. 188).

¹⁹ გავიხსენოთ, რომ როცა საქმე ბავშვების შრომას და სხვ. ეხება, თვითგაყიდვის ფორმლობაც კი ქრება.

²⁰ «კაპიტალი დაქირავებულ შრომას გულისხმობს, ხოლო დაქირავებული შრომა — კაპიტალს. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და წარმოქმნიან ერთმანეთს. განა ბამბის ფაბრიკის მუშა მარტო ბამბის ქსოვილს აწარმოებს? არა, იგი კაპიტალს აწარმოებს. იგი აწარმოებს ღირებულებას, რომელიც ხელახლა იმას ემსახურება, რომ მის შრომაზე მბრძანებლობა გასწიოს და მისი შრომის საშუალებით ახალი ღირებულება შექმნას» (Karl Marx: «Lohnarbeit und Kapital», «Neue Rheinische Zeitung», № 266, 1849 წლის 7 აპრილი). [შეად. კ. მარქსი: «დაქირავებული შრომა და კაპიტალი». კ. მარქსის და ფ. ენგელსის «რჩეული ნაწერები». თბილისი 1950, ტ. I, გვ. 83.] ამ სათაურით «Neue Rheinische Zeitung»-ში გამოქვეყნებული სტატიები ნაწყვეტებია იმ ლექციებისა, რომლებიც მე წავიკითხე ამ თემაზე 1847 წელს ბრიუსელში გერმანელ მუშათა კავშირში და რომელთა დაბეჭდვა შეწყდა თებერვლის რევოლუციის გამო.

თავი ოცდამეორე

ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად

1. კაპიტალისტური წარმოების პროცესი გაზარტოვებული მასშტაბით: საქონელწარმოების საკუთრების კანონთა გადაქცევა კაპიტალისტური მითვისების კანონებად

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ წარმოშობს ზედმეტ ღირებულებას კაპიტალი; ახლა უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ წარმოშობს კაპიტალს ზედმეტი ღირებულება. ზედმეტი ღირებულების გამოყენებას კაპიტალის სახით, ანუ ზედმეტი ღირებულების უკუგადაქცევას კაპიტალად, კაპიტალის დაგროვება ეწოდება²¹.

განვიხილოთ ეს პროცესი უწინარეს ყოვლისა ცალკეული კაპიტალისტის თვალსაზრისით. დავეუშვათ, მაგალითად, რომ ბამბის მრთველმა მეფაბრიკემ 10 000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალი დააფანსა, აქედან $\frac{1}{6}$ ბამბის, მანქანებისა და სხვ. სახით, ხოლო $\frac{1}{6}$ ხელფასის სახით. დავეუშვათ, რომ ყოველწლიურად იგი აწარმოებს 240 000 გირვანქა ნართს, რომელიც 12 000 გირვანქა სტერლინგი ღირს. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%⁰-ს უდრის, მაშინ ზედმეტი ღირებულება მოქცეული იქნება ზედმეტ პროდუქტში, ანუ წმინდა პროდუქტში, რომელიც 40 000 გირვანქა ნართს შეადგენს, ანუ — მთლიანი პროდუქტის $\frac{1}{6}$ -ში. ამ ზედმეტი პროდუქტის ღირებულება, რომლის რეალიზაცია გაყიდვის საშუალებით უნდა მოხდეს, 2 000 გირვანქა სტერლინგს უდრის. 2 000 გირვ. სტერლ. ღირებულების თანხა 2 000 გირვ. სტერლ. ღირებულების თანხაა. არც დაყნოსვით, არც დახედვით არ შეიძლება იმის გაგება, რომ ეს ფული ზედმეტი ღირებულებაა. ის გარემოება, რომ ესა თუ ის ღირებულება

²¹ «კაპიტალის დაგროვება: შემოსავლის ნაწილის გამოყენება კაპიტალის სახით» (Malthus: «Definitions etc.», გამოც. Cazenove., გვ. 11). «შემოსავლის გადაქცევა კაპიტალად» (Malthus: «Principles of Political Economy», მე-2 გამოც., London 1836, გვ. 320).

თავისი ხასიათით ზედმეტი ღირებულებაა, გვიჩვენებს, თუ როგორ მოხვდა იგი მისი მესაკუთრის ხელში, მაგრამ სრულიად არ ცვლის ღირებულების ან ფულის ბუნებას.

მაშასადამე, მრთველმა-მეფაბრიკემ რომ ეს ახლად შემატებული თანხა 2000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით კაპიტალად გადაექციოს, ამისთვის მან აქედან, ყველა დანარჩენ თანაბარ პირობებში, უნდა დააანანსოს $\frac{1}{5}$ ბამბის და სხვ. საყიდლად და $\frac{1}{5}$ ახალი მრთველი-მუშების დასაქირავებლად, რომლებიც ბაზარზე იპოვნიან იმ საარსებო საშუალებებს, რომელთა ღირებულებაც მან მათ ავანსად მისცა. მაშინ ეს 2000 გირვანქა სტერლინგი ახალი კაპიტალი ამოქმედდება რთვის საქმეში და, თავის მხრივ, 400 გირვანქა სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას მოიტანს.

კაპიტალღირებულება თავდაპირველად ავანსებული იყო ფულადი ფორმით; ზედმეტი ღირებულება, პირიქით, უკვე თავიდანვე არსებობს როგორც ღირებულება მთლიანი პროდუქტის განსაზღვრული ნაწილისა. როდესაც ეს მთლიანი პროდუქტი გაიყიდება, ე. ი. ფულად გადაიქცევა, მაშინ კაპიტალღირებულება კვლავ თავის თავდაპირველ ფორმას მიიღებს, ხოლო ზედმეტი ღირებულება შეიცვლის თავისი არსებობის თავდაპირველ სახეს. მაგრამ ამ მომენტიდან ორივე, კაპიტალღირებულება და ზედმეტი ღირებულება, ფულად თანხას წარმოადგენს და მათი ხელახალი გადაქცევა კაპიტალად სრულიად ერთი და იმავე წესით ხდება. როგორც ერთ, ისე მეორე ფულად თანხას კაპიტალისტი საქონლის საყიდლად ხარჯავს, რის გამოც მას საშუალება ეძლევა ხელახლა დაიწყოს თავისი პროდუქტის დამზადება და ამჯერად უფრო გაფართოებული მასშტაბით. მაგრამ, რათა ეს საქონელი იყიდოს, მან იგი ბაზარზე უნდა პპოვოს.

მისი საკუთარი ნართი მხოლოდ იმიტომ მიმოიქცევა, რომ მას თავისი წლიური პროდუქტი ბაზარზე გააქვს, როგორც ამას ყველა სხვა კაპიტალისტი აკეთებს თავისი საქონლის მიმართ. მაგრამ, ვიდრე საქონელი ბაზარზე გავიდოდა, იგი უკვე იმყოფებოდა წარმოების წლიურ ფონდში, ე. ი. იმ ყოველგვარი საგნების ერთობლივ მასაში, რომლებდაც იქცევა წლის განმავლობაში ცალკეული კაპიტალების ერთობლივი ჯამი, ანუ ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალი, — ის კაპიტალი, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი იმყოფება ყოველი ცალკეული კაპიტალისტის ხელში. ბაზარზე მომხდარი პროცესები ახორციელებენ მხოლოდ წლიური წარმოების შემადგენელი ცალკეული ნაწილების ბრუნვას, მათ ისინი ერთი ხელიდან მეორეში გადააქვთ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ არც ერთობლივი წლიური

წარმოების გადიდება და არც წარმოებული საგნების ბუნების შეცვლა. მაშასადამე, თუ როგორ შეიძლება მოხმარებულ იქნას წლიური ერთობლივი პროდუქტი, — ეს დამოკიდებულია მის საკუთარ შედგენილობაზე და სრულიადაც არ არის დამოკიდებული მის მიმოქცევაზე.

უწინარეს ყოვლისა, წლიურმა წარმოებამ უნდა მოგვცეს ყველა ის საგანი (სახმარი ღირებულებანი), რომელთა ხარჯზეც უნდა მოხდეს კაპიტალის იმ ნივთობრივი შემადგენელი ნაწილების ანაზღაურება, რომლებიც წლის განმავლობაში დაიხარჯა. ამ ნაწილის გამოკლების შემდეგ რჩება წმინდა, ანუ ზედმეტი პროდუქტი, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ რისგან შედგება ეს ზედმეტი პროდუქტი? შესაძლოა, ისეთი საგნებისაგან, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალისტთა კლასის მოთხოვნილებების და სურვილების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. საგნებისაგან, რომლებიც მათს მოხმარების ფონდში შედის? ეს რომ ასე იყოს, მაშინ ზედმეტი ღირებულება სრულიად გაიფლანგებოდა და ადგილი ექნებოდა მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას.

დაგროვება რომ მოხდეს, აუცილებელია ზედმეტი პროდუქტის ერთი ნაწილი კაპიტალად გადაიქცეს. მაგრამ, სასწაულის მოუხდენელად, კაპიტალად შეიძლება გადავაქციოთ მხოლოდ ისეთი საგნები, რომლებიც გამოსაყენებელია შრომის პროცესში, ე. ი. წარმოების საშუალებანი, და შემდეგ ისეთი საგნები, რომლებიც საჭიროა მუშის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ე. ი. საარსებო საშუალებანი. მაშასადამე, წლიური ზედმეტი შრომის ნაწილი გამოყენებულ უნდა იქნას დამატებითი წარმოების საშუალებებისა და საარსებო საშუალებების დასამზადებლად, იმ რაოდენობის გადამეტებით, რაც საჭიროა ავანსებული კაპიტალის ასანაზღაურებლად. ერთი სიტყვით: ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გადაქცევა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ზედმეტი პროდუქტი, რომლის ღირებულებასაც ეს ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს, უკვე შეიცავს ახალი კაპიტალის ნივთობრივ შემადგენელ ნაწილებს ^{21a}.

^{21a} ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ საგარეო ვაჭრობას, რომლის საშუალებითაც ამა თუ იმ ერს შეუძლია გადააქციოს ფუფუნების საგნები წარმოების საშუალებებად ან საარსებო საშუალებებად და პირიქით. კვლევა-ძიების საგანი რომ მისი წმინდა სახით წარმოვიდგინოთ, ე. ი. თანმხლებ გამაბუნდოვანებელ გარემოებათა მხედველობაში მიუღებლად, ჩვენ უნდა განვიხილოთ მთელი მოვაჭრე მსოფლიო როგორც ერთი ერი და ვიგულისხმოთ, რომ კაპიტალისტური წარმოება ყველგან განმტკიცდა და წარმოების ყველა დარგს დაეუფლა.

იმისათვის, რომ ეს შემადგენელი ელემენტები ფაქტიურად ამოქმედდეს კაპიტალის სახით, კაპიტალისტთა კლასს ესაჭიროება დამატებითი შრომა. თუ უკვე დასაქმებული მუშების ექსპლოატაცია არ შეიძლება გაძლიერდეს ექსტენსიურად ან ინტენსიურად, მაშინ აუცილებელია დამატებითი სამუშაო ძალის გამოყენება. ამისთვისაც უკვე იზრუნა კაპიტალისტური წარმოების მექანიზმმა: იგი აკვლავ წარმოებს მუშათა კლასს როგორც ხელფასზე დამოკიდებულ კლასს, რომლის ჩვეულებრივი ხელფასი საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს არა მარტო ამ კლასის შენარჩუნება, არამედ მისი გამრავლებაც. ამ სხვადასხვა ასაკის დამატებითს სამუშაო ძალას თვით მუშათა კლასი აწვდის ყოველწლიურად კაპიტალს, ასე რომ ამ უკანასკნელმა საჭიროა მხოლოდ შეუერთოს ეს ძალა დამატებითს წარმოების საშუალებებს, რომელთაც უკვე შეიცავს წლიური პროდუქცია, და ზედმეტი ღირებულების კაპიტალად გადაქცევაც მზად არის. დაგროვება, კონკრეტულად განხილული, იგივეა, რაც კაპიტალის კვლავწარმოება მზარდი მასშტაბით. მარტივი კვლავწარმოების წრებრუნვა იცვლება და, სისმონდის გამოთქმით, სპირალად იქცევა²¹⁸.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ ჩვენს მაგალითს. ეს ძველი ამბავია: აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ და სხვა. თავდაპირველი კაპიტალი 10 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით იძლევა 2 000 გირვ. სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც კაპიტალად იქცევა. ახალი კაპიტალი 2 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით იძლევა 400 გირვანქა სტერლინგ ზედმეტ ღირებულებას; ეს ზედმეტი ღირებულება, ისევ კაპიტალიზებული, მაშასადამე, მეორე დამატებით კაპიტალად ქცეული, 80 გირვანქა სტერლინგ ახალ ზედმეტ ღირებულებას იძლევა და ა. შ.

ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილს, რომელსაც თვით კაპიტალისტი მოიხმარს. ასევე ნაკლებად გვაინტერესებს ჩვენ ამჟამად საკითხი, უერთდება დამატებითი კაპიტალი თავდაპირველ კაპიტალს, თუ სცილდება მას, რათა დამოუკიდებლად გაადიდოს თავისი ღირებულება; გამოიყენებს ამ კაპიტალს იგივე კაპიტალისტი, რომელმაც ის დააგროვა, თუ იგი მას სხვას გადასცემს. ჩვენ არ უნდა დაევიწყოთ მხოლოდ, რომ ახლადშექმნილ კაპიტალთან ერთად თავდაპირველი კაპიტალი განაგრძობს

²¹⁸ დაგროვების ანალიზს, რომელსაც სისმონდი იძლევა, ის დიდი ნაკლი აქვს, რომ ავტორი ადვილად კმაყოფილდება ფრაზით: «შემოსავლის გადაქცევა კაპიტალად» და არ იკვლევს ამ ოპერაციის მატერიალურ პირობებს.

თავისი თავის კვლავწარმოებას და ზედმეტი ღირებულების წარმოებას, და რომ იგივე ითქმის ყოველი დაგროვილი კაპიტალის და მის მიერ წარმოშობილი დამატებითი კაპიტალის შესახებ.

თავდაპირველი კაპიტალი შეიქმნა 10 000 გირვანქა სტერლინგის დაავანსების საშუალებით. საიდან იშოვა იგი მისმა პატრონმა? თავისი საკუთარი და თავის წინაპართა შრომით! — ერთხმად გვიპასუხებენ პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელნი^{21c}, და მართლაც, მათი ვარაუდი თითქოს ერთადერთია, რომელიც საქონელწარმოების კანონებს ეგუება.

სულ სხვაგვარადაა საქმის ვითარება 2 000 გირვანქა სტერლინგი დამატებითი კაპიტალის შემთხვევაში. მისი წარმოშობის პროცესი ჩვენ ზედმიწევნით ვიცით. იგი კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულებაა. წარმოშობიდანვე იგი არ შეიცავს ღირებულების არც ერთ ატომს, რომელიც წარმოშობილი არ იყოს სხვისი გადაუხდელი შრომით. წარმოების საშუალებანი, რომელთაც უერთდება დამატებითი სამუშაო ძალა, აგრეთვე საარსებო საშუალებანი, რითაც ეს სამუშაო ძალა თავის თავს ინახავს, სხვა არაფერია, თუ არა შემადგენელი ნაწილები ზედმეტი პროდუქტისა, — იმ ხარკისა, რომელსაც კაპიტალისტთა კლასი ყოველწლიურად სტაცებს მუშათა კლასს. თუ კაპიტალისტთა კლასი ამ ხარკის ნაწილით დამატებითს სამუშაო ძალას ყიდულობს, თუნდაც სრულ ფასში, ისე რომ ეკვივალენტი ეკვივალენტზე გაიცვლება, — ეს მაინც ძველი მეთოდია დამპყრობლისა, რომელიც დაპყრობილთაგან საქონელს ყიდულობს მათი საკუთარი, მის მიერ ნაძარცვი ფულით.

თუ დამატებითი კაპიტალი იმავე მუშას ამუშავებს, რომელმაც ეს კაპიტალი აწარმოვა, მაშინ ამ მუშამ, ჯერ-ერთი, უნდა განაგრძოს თავდაპირველი კაპიტალის ღირებულების გადიდება და გარდა ამისა უნდა გამოიყიდოს თავისი უწინდელი გადაუხდელი შრომის ნაყოფი უფრო მეტი შრომით, ვიდრე იგი დაჯდა. თუ ჩვენ ამ პროცესს განვიხილავთ როგორც გარიგებას კაპიტალისტთა კლასსა და მუშათა კლასს შორის, მაშინ საქმის ვითარება სრულიად არ შეიცვლება იმით, რომ მანამდე დასაქმებული მუშების გადაუხდელი შრომის ხარჯზე დამატებითს მუშებს ჩააბამენ საქმეში. შესაძლოა აგრეთვე, რომ კაპიტალისტი დამატებითს კაპიტალს გადააქცივს მანქანად,

^{21c} «თავდაპირველი შრომა, რომლის მეოხებითაც მისი კაპიტალი წარმოიშვა» (S i s m o n d i : «Nouveaux Principes d'Économie Politique», გამოც. Paris, ტ. I-გვ. 109).

რომელიც ამ დამატებითი კაპიტალის მწარმოებელს ქუჩაში გადაისვრის და მას ორიოდ ბავშვით შეცვლის. ყველა შემთხვევაში მუშათა კლასმა ამ წლის ზედმეტი შრომით შექმნა კაპიტალი, რომელიც შემდეგ წელს დამატებითს შრომას გამოიყენებს²². ესაა ის, რასაც ეწოდება: კაპიტალით კაპიტალის წარმოქმნა.

პირველი დამატებითი კაპიტალის — 2 000 გირვანქა სტერლინგის — დაგროვების წანამძღვარი იყო 10 000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების თანხა, რომელიც ავანსებული იყო კაპიტალისტის მიერ და რომელიც მას ეკუთვნოდა მისი «თავდაპირველი შრომის» ძალით. პირიქით, მეორე დამატებითი კაპიტალის, 400 გირვანქა სტერლინგის, წანამძღვარი მხოლოდ და მხოლოდ პირველის, 2 000 გირვანქა სტერლინგის, წინასწარი დაგროვებაა, რომლის კაპიტალიზებულ ზედმეტ ღირებულებას ეს 400 გირვანქა სტერლინგი წარმოადგენს. საკუთრება წარსულ გადაუხდელ შრომაზე არის ახლა ერთადერთი პირობა ცოცხალი გადაუხდელი შრომის აწინდელი მითვისებისა სულ უფრო მზარდი მოცულობით. რაც უფრო მეტი დააგროვა კაპიტალისტმა, მით უფრო მეტის დაგროვება შეუძლია მას.

რამდენადაც ზედმეტი ღირებულება, რომლისგანაც დამატებითი კაპიტალი № 1 შედგება, შედგება სამუშაო ძალის ყიდვისა თავდაპირველი კაპიტალის ნაწილით, ყიდვისა, რომელიც სავსებით შეესაბამება საქონელგაცვლის კანონებს და, იურიდიულად განხილული, გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მუშა თავისუფლად განაგებს თავის საკუთარ უნარ-ძალას, ხოლო ფულის ან საქონლის მფლობელი — თავის კუთვნილ ღირებულებებს; რამდენადაც დამატებითი კაპიტალი № II და სხვ. მხოლოდ დამატებითი კაპიტალის № I-ის უბრალო შედეგია, მაშასადამე, შედეგი იმავე პირველი ურთიერთობისა; რამდენადაც ყოველი ცალკეული გარიგება მუდამ შეესაბამება საქონელგაცვლის კანონს, ე. ი. რამდენადაც კაპიტალისტი მუდამ ყიდულობს სამუშაო ძალას, ხოლო მუშა მუდამ ყიდის ამ ძალას, — და დაუშვავთ თუნდაც, რომ ყიდის მისი ნამდვილი ღირებულებით, — იმდენად ცხადია, რომ საქონელწარმოებაზე და საქონელმიმოქცევაზე დამყარებული კანონი მითვისებისა, ანუ კერძო საკუთრების კანონი, თავისი საკუთარი, შინაგანი, გარდუვალი დიალექტიკის მეოხებით თავის სრულ დაპირისპირებულობაში გადადის. ეკვივალენტების გაცვლა, რაშიც თავდაპირველი ოპერაცია მდგომარეობდა, ისე შებრუნდა, რომ ეს

²² «შრომა კაპიტალს ქმნის, სანამ კაპიტალი შრომას გამოიყენებდეს» (E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. II. გვ. 110).

გაცვლა მხოლოდ მოჩვენებითი გახდა; და ეს იმის მეოხებით, რომ, ჯერ-ერთი, სამუშაო ძალაზე გაცვლილი ნაწილი კაპიტალისა თვით არის მხოლოდ ერთი ნაწილი უეკვივალენტოდ მითვისებული სხვისი. შრომის პროდუქტისა, მეორე კი, იგი არა მარტო ანაზღაურებულ უნდა იქნას მისი მწარმოებლის მიერ, მუშის მიერ, არამედ ანაზღაურებულ უნდა იქნას ახალი ნამეტით. მაშასადამე, გაცვლითი ურთიერთობა კაპიტალისტსა და მუშას შორის იქცევა მიმოქცევის პროცესის მხოლოდ მოჩვენებად, შიშველ ფორმად, რომელიც უცხოა თვით შინაარსისათვის და მხოლოდ აბუნდოვანებს მას. სამუშაო ძალის მუდმივი ყიდვა და გაყიდვა ფორმაა. შინაარსი კი იმაში ნდგომარეობს, რომ კაპიტალისტი უკვე გასაგნობრივებული სხვისი შრომის ნაწილს, რასაც იგი განუწყვეტილად უეკვივალენტოდ ითვისებს, მუდამ ხელახლა სხვისი ცოცხალი შრომის მეტ რაოდენობაზე ცვლის. თავდაპირველად საკუთრების უფლება საკუთარ შრომაზე დამყარებულად წარმოგვიდგებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდი მართებული უნდა ყოფილიყო, რადგან ბაზარზე მხოლოდ სწორუფლებიანი საქონელმფლობელები უპირისპირდებიან ერთმანეთს, ამასთან სხვისი საქონლის მითვისების საშუალება არის მხოლოდ გასხვისება თავისი საკუთარი საქონლისა, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ შრომის საშუალებით შეიძლება შეიქმნას. ახლა კი საკუთრება გვევლინება კაპიტალისტის მხარეზე როგორც უფლება სხვისი გადაუხდელი შრომის ან ამ შრომის პროდუქტის მითვისებისა, ხოლო მუშის მხარეზე — როგორც შეუძლებლობა თავისი საკუთარი პროდუქტის მითვისებისა. საკუთრების გათიშვა შრომისაგან ხდება აუცილებელი შედეგი იმ კანონისა, რომლის ამოსავალი პუნქტიც, როგორც ჩანს, მათი იგივეობა იყო²³.

მაშასადამე, თუნდაც გარეგნულად ისე მოჩანდეს, რომ მითვისების კაპიტალისტური წესი მკვეთრად ეწინააღმდეგება საქონელმწარმოების თავდაპირველ კანონებს, მაინც მითვისების ეს წესი სრულიადაც არ წარმოიშვება ამ კანონების დარღვევიდან, არამედ, პირიქით, მას ამ კანონების გამოყენება წარმოშობს. მოკლე მიმოხილვა მოძრაობის იმ ფაზათა თანამიმდევრობისა, რომელთა დასკვნითი.

²³ კაპიტალისტის საკუთრება სხვისი შრომის პროდუქტზე აუცილებელი შედეგია მითვისების იმ კანონისა, რომლის ძირითადი პრინციპი იყო, პირიქით, ჭვითეული-მუშის უცილობელი უფლება საკუთრებისა თავისი საკუთარი შრომის პროდუქტზე» (Cherbuliez: «Richesse ou Pauvreté». Paris 1841, გვ. 58. თუმცა ეს დიალექტიკური გარდაქმნა სწორად არ არის განხილული ამ ნაშრომში).

პუნქტიც კაპიტალისტური დაგროვებაა, ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახებებს ამას.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ დავინახეთ, რომ ღირებულების განსაზღვრული ჯამის თავდაპირველი გადაქცევა კაპიტალად სავსებით გაცვლის კანონების მიხედვით ხდებოდა. ერთი ამ გამცვლელთაგანი ყიდის თავის სამუშაო ძალას, მეორე — ყიდულობს მას. პირველი იღებს თავისი საქონლის ღირებულებას და ამით მეორეზე ასხვისებს მის სახმარ ღირებულებას, ე. ი. შრომას. ამის შემდეგ მეორე წარმოების საშუალებებს, რომლებიც უკვე მას ეკუთვნის, შრომის შემწეობით, რაც ასევე მისი კუთვნილებაა, გადააქცევს ახალ პროდუქტად და ეს უკანასკნელიც კანონით მას ეკუთვნის.

ამ პროდუქტის ღირებულება შეიცავს: ჯერ-ერთი, წარმოების მოხმარებულ საშუალებათა ღირებულებას. სასარგებლო შრომას არ შეუძლია წარმოების ამ საშუალებათა მოხმარება, თუ იმავე დროს მათს ღირებულებას ახალ პროდუქტზე არ გადაიტანს; მაგრამ იმისათვის, რომ სამუშაო ძალა გაყიდვის საგანი გახდეს, მას უნდა შეეძლოს სასარგებლო შრომის მიწოდება მრეწველობის იმ დარგისათვის, სადაც ის გამოყენებულ უნდა იქნას.

შემდეგ, ახალი პროდუქტის ღირებულება შეიცავს სამუშაო ძალის ღირებულების ეკვივალენტს და ზედმეტ ღირებულებას. და ეს სწორედ იმიტომ, რომ განსაზღვრული ვადით — ერთი დღით, კვირით და სხვ. — გაყიდულ სამუშაო ძალას უფრო ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ის ღირებულებაა, რომელსაც ამ განსაზღვრული დროის განმავლობაში მისი მოხმარება ქმნის. მაგრამ მუშამ თავისი სამუშაო ძალის საცვლელი ღირებულების საფასური მიიღო და ამით გაასხვისა მისი სახმარი ღირებულება, — როგორც ამას ადგილი აქვს ყოველი ყიდვა-გაყიდვის დროს.

ის გარემოება, რომ ამ განსაკუთრებულ საქონელს, სამუშაო ძალას, თავისებური სახმარი ღირებულება აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი შრომას იძლევა, მაშასადამე, ღირებულებას ქმნის. სრულიად არ ეხება საქონელწარმოების საყოველთაო კანონს. მაშასადამე, თუ ხელფასის სახით ავანსებული ღირებულების ჯამი არა მარტო უბრალოდ აღმოჩნდება ხელახლა პროდუქტში, არამედ აღმოჩნდება ზედმეტი ღირებულებით გადიდებული, ამის მიზეზია არა მოტყუება გამყიდველისა, — ამ უკანასკნელმა ხომ მთლიანად მიიღო თავისი საქონლის ღირებულება, — არამედ მხოლოდ ამ საქონლის მოხმარება მყიდველის მიერ.

გაცვლის კანონი განაპირობებს ერთმანეთზე გაცვლილ საქონელთა მხოლოდ საცვლელი ღირებულებების ტოლობას. იგი იმთავითვეც კი გულისხმობს მათს სახმარ ღირებულებათა სხვაობას და მას აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ სახმარ ღირებულებათა მოხმარების პროცესთან, რომელიც მხოლოდ მაშინ იწყება, როცა სავაჭრო გარიგება სავსებით დამთავრებულია.

მაშასადამე, ფულის თავდაპირველი გადაქცევა კაპიტალად ხდება საქონელწარმოების ეკონომიურ კანონებთან და მათგან გამომდინარე საკუთრების უფლებასთან სრული შესაბამისობით. მიუხედავად ამისა, მას შედეგად მოსდევს:

1) რომ პროდუქტი კაპიტალისტს ეკუთვნის და არა მუშას;

2) რომ ამ პროდუქტის ღირებულება, ავანსებული კაპიტალის ღირებულების გარდა, შეიცავს კიდევ ზედმეტ ღირებულებას, რაც მუშას შრომა უღირდა, ხოლო კაპიტალისტს — არაფერი, და რომელიც, მიუხედავად ამისა, კაპიტალისტის კანონიერ საკუთრებას შეადგენს.

3) რომ მუშამ თავისი სამუშაო ძალა შეინარჩუნა და ხელახლა შეუძლია მისი გაყიდვა, თუ კი მყიდველს იშოვის.

მარტივი კვლავწარმოება მხოლოდ პერიოდული განმეორებაა ამ პირველი ოპერაციისა; ამასთან ყოველთვის ფული სულ ახლად და ახლად კაპიტალად იქცევა. მაშასადამე, აქ კანონი კი არ ირღვევა, — პირიქით, მას მუდმივი მოქმედების შესაძლებლობა ეძლევა. «რამდენიმე ერთმანეთის მომდევნო გაცვლის აქტი უკანასკნელს პირველის წარმომადგენლად ხდის მხოლოდ» (Sismondi: «Nouveaux Principes d'Économie Politique», ტ. I, გვ. 70).

მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მარტივი კვლავწარმოება საკმარისია, რათა მთლიანად შეიცვალოს ის ხასიათი, რომელიც ამ პირველ ოპერაციას ჰქონდა, რამდენადაც ჩვენ მას განცალკევებული პროცესის სახით განვიხილავდით. იმთავან, რომელიც ნაციონალურ შემოსავალს ერთმანეთში ინაწილებენ, ერთნი (მუშები) ყოველ წელს ახალი შრომის დახარჯვით იძენენ ამ შემოსავალზე ახალ უფლებას, ხოლო მეორეებმა (კაპიტალისტებმა) უკვე წინასწარ შეიძინეს მუდმივი უფლება შემოსავალზე თავდაპირველი შრომის დახარჯვით» (Sismondi, იქვე, გვ. 111). შრომის სფერო, როგორც ვიცით, არ არის ერთადერთი, სადაც პირმშობეა სასწაულებს ახდენს.

საქმის ვითარება სრულიად არ შეიცვლება, თუ მარტივი კვლავწარმოების ნაცვლად ავიღებთ კვლავწარმოებას გაფართოებული მასშტაბით, ანუ დაგროვებას. პირველ შემთხვევაში კაპიტალისტი ფლანგავს მთელ ზედმეტ ღირებულებას, ხოლო მეორეში იგი ამკლავებს

თავის მოქალაქეობრივ ქველმოქმედებას იმით, რომ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ ერთ ნაწილს წიხმარს, დანარჩენს კი ფულად აქცევს.

ზედმეტი ღირებულება მისი საკუთრებაა, იგი სხვას არასოდეს არ ეკუთვნოდა. თუ იგი მას დააყენებს წარმოებისთვის, ამ დაყენებას იგი მოახდენს თავისი საკუთარი ფონდიდან სწორედ ისე, როგორც ის მოიქცა ბაზარზე პირველად გამოსვლის დღეს. ის გარემოება, რომ ეს ფონდი ამ შემთხვევაში მისი მუშების გადაუხდელი შრომიდან წარმოიშვება, სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. თუ მუშა *B*-ს დაქირავება ხდება იმ ზედმეტი ღირებულების ხარჯზე, რომელიც მუშა *A*-მ აწარმოვა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ჯერ ერთი, *A*-მ, რომელმაც ეს ზედმეტი ღირებულება შექმნა, თავის საქონელში მიიღო უკანასკნელ გროშამდე სრული და სამართლიანი ფასი, მეორე, — ეს საქმე სრულიად არ ეხება *B*-ს. ერთადერთი, რასაც *B* მოითხოვს და რისი მოთხოვნის უფლებაც მას აქვს, არის ის, რომ კაპიტალისტმა მას სამუშაო ძალის ღირებულება გადაუხადოს. «ორივემ კიდევ მოიგო: მუშამ იმიტომ, რომ მას ავანსად მისცეს მისი შრომის ნაყოფი (უნდა ეთქვა: სხვა მუშების გადაუხდელი შრომის ნაყოფი) უფრო ადრე, ვიდრე ეს შრომა დამთავრდებოდა (უნდა ეთქვა: ვიდრე მისი შრომა ნაყოფს მოიტანდა); მეწარმემ იმიტომ, რომ ამ მუშის შრომა უფრო მეტი ღირდა, ვიდრე მისი ხელფასი» (უნდა ეთქვა: უფრო მეტი ღირებულება აწარმოვა, ვიდრე მისი ხელფასის ღირებულება) (Sismondi, იქვე, გვ. 135).

რასაკვირველია, საქმე სულ სხვანაირად წარმოგვიდგება, თუ ჩვენ კაპიტალისტურ წარმოებას მისი განახლების განუწყვეტელ დინებაში განვიხილავთ და ცალკეული კაპიტალისტისა და ცალკეული მუშის ნაცვლად მხედველობაში მივიღებთ მათს ერთობლიობას, კაპიტალისტთა კლასს და მის მოპირისპირე მუშათა კლასს. მაგრამ ამით ჩვენ ისეთ მასშტაბს გამოვიყენებდით, რომელიც საქონელწარმოებისთვის სრულიად უცხოა.

საქონელწარმოებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად მხოლოდ გამყიდველი და მყიდველი. მათი ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლით თავდება. თუ გარიგება მეორდება, ეს ხდება უკვე ახალი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო უწინდელთან, და აქ მხოლოდ შემთხვევას შეუძლია შეპყაროს ერთად იგივე მყიდველი და გამყიდველი.

ამრიგად, თუ საქონელწარმოება, ან მისი რომელიმე პროცესი განხილული იქნება მისივე საკუთარი ეკონომიური კანონების მიხედვით, მაშინ გაცვლის ყოველი აქტი უნდა განვიხილოთ ცალკე, სრულიად დაუკავშირებლად როგორც გაცვლის იმ აქტთან, რომელიც მას წინ უსწრებს, ისე იმასთან, რომელიც მას მოსდევს. ხოლო რადგან ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებს შორის ხდება, ამიტომ დაუშვებელია, რომ ჩვენ აქ ვეყოთ მთელ საზოგადოებრივ კლასებს შორის არსებული ურთიერთობანი.

რაც უნდა გრძელი იყოს თანმიმდევრულ კვლავწარმოებათა და მათზე აღრე მომხდარ დაგროვებათა მწკრივი, რომელიც ამჟამად მოქმედმა კაპიტალმა განვლო, ეს უკანასკნელი მუდამ ინახავს თავის თავდაპირველ უბიწოებას. სანამ გაცვლის ყოველი აქტის დროს — თუ ამ აქტს განცალკევებულად ავიღებთ — დაცულია გაცვლის კანონები, მითვისების წესმა შეიძლება სრული გადატრიალება განიცადოს და იმავე დროს ხელუხლებელი დარჩეს საკუთრების უფლება, რომელიც საქონელწარმოებას შეესაბამება. საკუთრების იგივე უფლება ძალას ინარჩუნებს როგორც დასაწყისში, როცა პროდუქტი მწარმოებელს ეკუთვნის და როცა მას, ეკვივალენტის ეკვივალენტზე გაცვლით, მხოლოდ საკუთარი შრომით შეუძლია გამდიდრდეს, ისე — კაპიტალისტურ პერიოდშიც, როცა საზოგადოებრივი სიმდიდრე სულ უფრო მზარდი ნასშტაბით იმათი საკუთრება ხდება, ვისაც შეუძლია გამუდმებით ახლად და ახლად მიითვისოს სხვისი გადაუხდელი შრომა.

ეს შედეგი გარდუვალია, რამდენადაც თვითონ მუშა სამუშაო ძალას თავისუფლად ყიდის როგორც საქონელს. მაგრამ საქონელწარმოებაც მხოლოდ ამ მომენტიდან იღებს საყოველთაო ხასიათს და წარმოების ტიპიური ფორმა ხდება; მხოლოდ ამ მომენტიდან ყოველი პროდუქტი იმთავითვე გასაყიდად იწარმოება, და მთელი წარმოებული სიმდიდრე მიმოქცევის სფეროს გაივლის. მხოლოდ იქ, სადაც დაქირავებული შრომა ბაზისია საქონელწარმოებისა, ეს უკანასკნელი ეუფლება მთელ საზოგადოებას; მაგრამ მხოლოდ იქ შეუძლია კიდევ მას გაშალოს ყველა თავისი ფარული პოტენცია. თქმა იმისა, რომ დაქირავებული შრომის გამოჩენა საქონელწარმოებას ამახინჯებს, ნიშნავს იმის თქმას, რომ საქონელწარმოება, თუ მას სურს დაუმახინჯებელი დარჩეს, არ უნდა განვითარდეს. რამდენადაც საქონელწარმოება თავისი საკუთარი იმანენტური კანონების შესაბამისად კაპიტალისტურ წარმოებად ვითარდება.

ამდენადვე საქონელწარმოების საკუთრების კანონები კაპიტალისტური მითვისების კანონებად იქცევა²⁴.

ჩვენ დავინახეთ, რომ მარტივი კვლავწარმოების დროსაც კი მთელი ავანსებული კაპიტალი, როგორადაც უნდა იყოს იგი თავდაპირველად მოპოვებული, დაგროვილ კაპიტალად, ანუ კაპიტალიზებულ ზედმეტ ღირებულებად იქცევა. მაგრამ წარმოების დინებაში მთელი თავდაპირველად ავანსებული კაპიტალი საერთოდ ქრობად სიდიდედ (*magitudo evanesces* მათემატიკური მნიშვნელობით) იქცევა უშუალოდ დაგროვილ კაპიტალთან შედარებით, ე. ი. შედარებით ზედმეტ ღირებულებასთან, ანუ ზედმეტ პროდუქტთან, რომელიც ისევ კაპიტალად არის გადაქცეული, თანაც სულ ერთია, ვის ხელში მოქმედებს იგი: ვინც ის დააგროვა, თუ — სხვის ხელში. ამიტომ პოლიტიკური ეკონომია გვიხატავს კაპიტალს საერთოდ როგორც «დაგროვილ სიმდიდრეს» (გარდაქმნილ ზედმეტ ღირებულებას, ანუ შემოსავალს), «რომელიც ხელახლა ზედმეტი ღირებულების საწარმოებად გამოიყენება»²⁵, ხოლო კაპიტალისტს — როგორც «ზედმეტი პროდუქტის მფლობელს»²⁶. ამავე შეხედულებას, მხოლოდ სხვა ფორმით, გამოხატავენ, როცა ამბობენ, მთელი არსებული კაპიტალი დაგროვილი ანუ კაპიტალიზებული პროცენტიაო, რადგან პროცენტი ზედმეტი ღირებულების უბრალო წილადაა²⁷.

2. გაზარტოვებული მასშტაბის კვლავწარმოების მცდარი გაგება პოლიტიკური ეკონომიის მიერ

ვიდრე ჩვენ დაგროვების, ანუ ზედმეტი ღირებულების კაპიტალად უკუვადაქცევის, ზოგიერთ უფრო დაწვრილებითს განსაზღვრას შევეუდგებოდეთ, აუცილებელია თავიდან ავიცილოთ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ გამოჩეკილი ორაზროვნობა.

²⁴ ამიტომ, მართლაც რომ გასაოცარია ხერხიანობა პრუდონისა, რომელსაც სურს კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა მით, რომ მას უპირისპირებს საქონელწარმოების საკუთრების მარადიულ კანონებს!

²⁵ «კაპიტალი, ე. ი. დაგროვილი სიმდიდრე, მოგების მიზნით გამოყენებულია. (Malthus: «Principles of Political Economy» გვ. 262). «კაპიტალი... შედგება შემოსავლის დაზოგვით მიღებული სიმდიდრისაგან და გამოიყენება მოგების მიზნით» (R. Jones: «Text-book of Lectures on the Political Economy of Nations».. Hertford 1852, გვ. 16).

²⁶ «ზედმეტი პროდუქტის ანუ კაპიტალის მფლობელი» («The Source and Remedy of the National Difficulties. A Letter to Lord John Russel». London 1821).

²⁷ «კაპიტალი, დაზოგვილი კაპიტალის თვითთელი ნაწილის რთული პროცენტებით, იმდენად გაიზარდა, რომ მსოფლიოს მთელი სიმდიდრე, რომელიც შემოსავალს

როგორც საქონელი, რომელსაც კაპიტალისტი თავისი საკუთარი მოხმარებისთვის ყიდულობს ზედმეტი ღირებულების ნაწილით, არ არის მისთვის წარმოების საშუალება და ღირებულების ზრდის საშუალება, ასევე შრომაც, რომელსაც იგი თავის ბუნებრივ და სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყიდულობს, არ არის მწარმოებლური შრომა. იმის ნაცვლად, რომ ამ საქონლისა და შრომის ყიდვით მან ზედმეტი ღირებულება კაპიტალად აქციოს, იგი, პირიქით, მოიხმარს ანუ ხარჯავს მას როგორც შემოსავალს. წინააღმდეგ ძველანაურული პრინციპისა, რომელიც, ჰეგელის სამართლიანი თქმით, «არსებული ქონების მოხმარებაში მდგომარეობს» და განსაკუთრებით განოვლინდება პირადი მომსახურების ფუფუნებაში, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კაპიტალის დაგროვება მოქალაქის პირველ მოვალეობად გამოეცხადებინა და დაუღალავად ექადაგნა: ვერ დააგროვებს ის, ვინც შეჭამს მთელ თავის შემოსავალს, ნაცვლად იმისა, რომ ამ შემოსავლის საგრძნობი ნაწილი მოანდომოს დამატებითი მწარმოებელი მუშების დაქირავებას, რომლებსაც უფრო მეტი შემოაქვთ, ვიდრე მათზე იხარჯება. მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას უხდებოდა პოლემიკის გამართვა ხალხის ცრურწმენის წინააღმდეგ, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას და განძის დაგროვებას ერთმანეთში ურევს²⁸, და ამიტომ ფიქრობს, რომ დაგროვილი სიმდიდრე ის სიმდიდრეა, რომელიც გადარჩენილია განადგურებას თავის არსებულ ნატურალურ ფორმაში, მაშასადამე, გადარჩენილია მოხმარებას და აგრეთვე გამორიცხულია მიმოქცევის სფეროდან. ფულის გამორიცხვა მიმოქცევის სფეროდან პირდაპირ საპირისპირო იქნებოდა მისი კაპიტალის სახით გამოყენებისა, ხოლო საქონლის დაგროვება განძის შექმნის მიზნით — აშკარა უგუნურება^{28a}.

იძლევა, უკვე დიდი ხანია მართოდენ კაპიტალის პროცენტს წარმოადგენს» (London «Economist», 1859 წ. 19 ივლისი).

²⁸ «არც ერთ თანამედროვე ეკონომისტს არ შეუძლია დაზოგვაში უბრალოდ განძის დაგროვება იგულისხმოს; მაგრამ, თუ განზე დაეტოვებთ ამ შეზღუდულ და არასაკმარის ოპერაციას, ეს ტერმინი, ნაციონალურ სიმდიდრესთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ, სახელდობრ იმ მნიშვნელობით, რომელიც გამოდინარეობს დანახოვის სხვადასხვა მოხმარებიდან და დაფუძნებულია დაზოგვით გასტუმრებული შრომის სახეობათა რეალურ განსხვავებაზე» (Malthus: «Principles of Political Economy», გვ. 38 — 39).

^{28a} ასე, მაგალითად, ბალხაკს, რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ყველა გლფერის სიძუნწე, გამოჰყავს მოხუცი ჩარჩი გობსკი, უკვე გაბავშვებული, როდესაც თგი იწყებს ახუხულავებული საქონლისაგან განძის შექმნას.

საქონლის დაგროვება დიდი რაოდენობით შედეგია მიმოქცევის შეფერხებისა ან კარბწარმოებისა²⁹. მართალია, ხალხის წარმოდგენაში აისახება სურათი, ერთი მხრივ, მდიდრების მოხმარების ფონდის სახით დაგროვილი დოვლათისა, რომელიც ნელნელა იხარჯება და, მეორე მხრივ, მარაგის შექმნისა, — მოვლენა, რომელიც წარმოების ყველა წესს ახასიათებს და რომელზედაც ჩვენ კიდევ შევჩერდებით. ცოტა ხანს მიმოქცევის პროცესის ანალიზის დროს.

ამდენად, მაშასადამე, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია სავსებით მართალია, როდესაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, როგორც დაგროვების პროცესის დანახასიათებელ მომენტს, იმ გარემოებას, რომ ზედმეტ პროდუქტს მოიხმარებენ მწარმოებელი მუშები ნაცვლად არამწარმოებელი მუშებისა. მაგრამ აქვე იწყება მისი შეცდომა. ა. სმიტმა მოღაღ შემოიღო იმის მტკიცება, რომ დაგროვება უბრალოდ ზედმეტი პროდუქტის მოხმარებაა მწარმოებელი მუშების მიერ, ე. ი. იმის მტკიცება, რომ ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაცია მისი უბრალო გადაქცევაა სამუშაო ძალად. მოუხსმინოთ, მაგალითად, რიკარდოს: «უნდა გვესმოდეს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ყველა პროდუქტი მოხმარებული იქნება; მაგრამ უდიდესი განსხვავება, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, იმაში მდგომარეობს, თუ ვინ მოიხმარს ამ პროდუქტს: ის, ვინც აკვლავწარმოებს ახალ ღირებულებას, თუ — ვინც მას არ აკვლავწარმოებს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ შემოსავალი იზოგება და ემატება კაპიტალს, ჩვენ აქ ვგულისხმობთ, რომ შემოსავლის იმ ნაწილს, რომელზედაც ამბობენ კაპიტალს მიემატაო, მოიხმარებენ მწარმოებელი მუშები ნაცვლად არამწარმოებელი მუშებისა. ყველაზე დიდი შეცდომა ის იქნება, თუ ვიგულისხმობთ, რომ კაპიტალის გადიდება შესაძლებელია იმით, რომ მას არ მოიხმარებენ»³⁰. ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც ადამ სმიტის კვალდაკვალ რიკარდო და ყველა შემდგომი მათი ბანისმიმცემი იმეორებს, — ეს არის იმის მტკიცება, რომ შემოსავლის ის ნაწილი, რომელზედაც ამბობენ, კაპიტალს მიემატაო, მწარმოებელი მუშების მიერ მოიხმარება». ამ წარმოდგენის თანახმად, მთელი ზედმეტი ღირებულება, რომელიც კაპიტალად იქცევა, ცვალებადი კაპიტალი

²⁹ «მარაგის დაგროვება... გაცვლის შეჩერება... კარბწარმოება», (Th. Corbet: «An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals». London 1841, გვ. 14).

³⁰ Ricard: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 163, შენიშვნა. [შეად. დ. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 115.]

უნდა გახდეს. ნამდვილად კი იგი, ისევე როგორც თავდაპირველად ავანსებული ლირებულება, იყოფა მუდმივ კაპიტალად და ცვალებად კაპიტალად, წარმოების საშუალებებად და სამუშაო ძალად. სამუშაო ძალა ის ფორმაა, რომლითაც ცვალებადი კაპიტალი არსებობს წარმოების პროცესში. ამ პროცესში თვით იგი კაპიტალისტის მიერ მოიხმარება. სამუშაო ძალა თავისი ფუნქციის — შრომის — საშუალებით წარმოების საშუალებებს მოიხმარს. ამასთანავე სამუშაო ძალის საყიდლად გაღებული ფული იქცევა საარსებო საშუალებებად, რომელიც მოიხმარება არა მწარმოებლური შრომის, არამედ — მწარმოებელი მუშის მიერ. ძირფესვიანად შემცდარი ანალიზის საშუალებით ა. სმიტი იმ უაზრო დასკვნამდე მიდის, რომ, თუმცა ყოველი ინდივიდუალური კაპიტალი მუდმივ და ცვალებად შემადგენელ ნაწილებად იყოფა, საზოგადოებრივი კაპიტალი მხოლოდ ცვალებადი კაპიტალისაგან შედგება, ე. ი. მხოლოდ ხელფასის გასასტუმრებლად იხარჯება. მაგალითად, ვთქვათ, რომ მაუდის მეფაბრიკე კაპიტალად აქცევს 2 000 გირვანქა სტერლინგს. ამ ფულის ერთი ნაწილით იგი ფეიქრებს ქირაობს, მეორე ნაწილით ყიდულობს მატყლის ნართს, მანქანებს და სხვ. მაგრამ ის ადამიანები, რომელთაგანაც იგი ნართს და მანქანებს ყიდულობს, მიღებული ფულის ნაწილს ისევე ხარჯავენ შრომაზე და ა. შ., ვიდრე მთელი ეს 2 000 გირვანქა სტერლინგი არ დაიხარჯება ხელფასის გასასტუმრებლად, ანდა მთელი პროდუქტი, წარმოდგენილი ამ 2 000 გირვანქა სტერლინგით, მწარმოებელი მუშების მიერ არ იქნება მოხმარებული. ჩვენ ვხედავთ: მთელი ამ არგუმენტის ძალა მდგომარეობს სიტყვებში «და ა. შ.», რაც ჩვენ პონტოელიდან პილატესთან გვაგზავნის. და მართლაც, ა. სმიტი თავის გამოკვლევას სწორედ იმ ადგილას სწყვეტს, სადაც მისი სიძნელე იწყება³¹.

სახამ ჩვენ მხოლოდ ერთობლივი წლიური წარმოების ფონდი გვაქვს მხედველობაში, ყოველწლიური კვლავწარმოების პროცესი აღვილი გასაგებია. მაგრამ წლიური პროდუქციის ყველა შემადგე-

³¹ მიუხედავად თავისი «ლოგიკისა», ბ-ნი ჯ. სტ. მილი ვერსად ვერ ამჩნევს თავის წინამორბედთა თუნდაც ისეთ მცდარ ანალიზს, რომელიც ბურჟუაზიული ჰორიზონტის ფარგლებშიც კი, წმინდა სპეციალური თვალსაზრისით, აშკარა შესწორებას მოითხოვს. იგი ყველგან მოწაფური დოგმატიზმით იმეორებს თავის მასწავლებელთა თავგზაბნეულ აზრებს. ასე იქცევა იგი ამ შემთხვევაშიც: «თვით კაპიტალი ხანგრძლივი პროცესის დროს, ბოლოს და ბოლოს, მთლიანად ხელფასს ხმარდება და მაშინაც კი, როდესაც იგი ანაზღაურებულია პროდუქტის გაყიდვით, იგი კვლავ ხელფასად იქცევა».

ნელი ნაწილი გატანილ უნდა იქნას საქონლის ბაზარზე, და აი, აქ იწყება სიძნელე. ცალკეული კაპიტალების და პირად შემოსავალთა მოძრაობანი ერთმანეთში იხლართება, ირევა და იკარგება საყოველთაო ადგილცვლაში, — საზოგადოებრივი სიმდიდრის მიმოქცევაში, — რომელიც თვალს გვიჭრელებს და გამოკვლევას მეტად დახლართულ ამოცანებს უყენებს გადასაჭრელად. მეორე წიგნის მესამე განყოფილებაში მე მოვახდენ ნამდვილ კავშირურთიერთობათა ანალიზს. ფიზიოკრატების დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ თავიანთ «Tableau économique»-ში პირველად სცადეს წლიური პროდუქციის სურათის მოცემა იმ სახით, როგორც იგი მიმოქცევიდან გამოდის³².

სხვათა შორის, თავისთავად იგულისხმება, რომ პოლიტიკურ ეკონომიას არ გაუშვია ხელიდან შემთხვევა — გამოეყენებინა კაპიტალისტთა კლასის ინტერესების დასაცავად ა. სმიტის დებულება: რომ წმინდა პროდუქტის მთელი ის ნაწილი, რომელიც კაპიტალადაა გადაქცეული, მუშათა კლასის მიერ მოიხმარება.

3. ზედმეტი ღირებულების დანაწილება კაპიტალად და შემოსავლად. დამყვანის თეორია

წინა თავში ჩვენ განვიხილავდით ზედმეტ ღირებულებას, შესაბამისად ზედმეტ პროდუქტს, მხოლოდ როგორც კაპიტალისტის ინდივიდუალური მოხმარების ფონდს, ამ თავში კი აქამდე — მხოლოდ როგორც დაგროვების ფონდს. ნამდვილად იგი არც პირველია და არც მეორე ცალ-ცალკე, არამედ ორივეა ერთსა და იმავე დროს.

³² კვლავწარმოების პროცესის, მაშასადამე, ასევე დაგროვების, დახასიათების მხრივ ა. სმიტმა ბევრ შემთხვევაში არამეტო უწინ ვერ გადადგა ნაბიჯი, არამედ, თავის წინამორბედებთან და განსაკუთრებით ფიზიოკრატებთან შედარებით, გადაჭრით უკან დაიხია. მის იმ ილუზიასთან, რომელიც ტექსტშია მოხსენიებული, დაკავშირებულია მართლაც საარაკო დოგმა, რომელიც მან პოლიტიკურ ეკონომიას უანდერძა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის ფასი ხელფასის, მოგებისა (პროცენტის) და მიწის რენტისაგან შედგება, ე. ი. მხოლოდ ხელფასისა და ზედმეტი ღირებულებებისაგან. შტორხი, რომელიც ამ საფუძვლიდან გამოდის, გულუბრყვილოდ მაინც აღიარებს: «შეუძლებელია აუცილებელი ფასის დაშლა მის უმარტივეს ელემენტებად» (Storch: «Cours d'Économie Politique». გამოც. Petersbourg 1815, ტ. II, გვ. 140. შენიშვნა). რა მშვენიერი ეკონომიური მეცნიერებაა, რომელიც შეუძლებლად აღიარებს საქონლის ფასის დაშლას მის უმარტივეს ელემენტებად! უფრო დაწვრილებით ჩვენ ამ საგანს განვიხილავთ მეორე წიგნის მესამე განყოფილებაში და მესამე წიგნის მეშვიდე განყოფილებაში.

ზედმეტი ღირებულების ერთ ნაწილს კაპიტალისტი მოიხმარს როგორც revenue-ს [შემოსავალს]³³, ხოლო მეორე ნაწილს გამოიყენებს როგორც კაპიტალს, ანუ აგროვებს.

როდესაც მოცემულია ზედმეტი ღირებულების მასა, მაშინ ერთი ამ ნაწილთაგანი მით უფრო დიდია, რაც უფრო მცირეა მეორე ნაწილი. თუ ყველა დანარჩენ პირობას უცვლელად ვივლისებთ, შეფარდება, რომლითაც ეს განაწილება ხდება, განსაზღვრავს დაგროვების სიდიდეს. მაგრამ ამ განაწილებას ახდენს სწორედ ზედმეტი ღირებულების მესაკუთრე, კაპიტალისტი. მაშასადამე, იგი მისი ნებასურვილის აქტია. მის მიერ აღებული ხარკის იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც იგი აგროვებს, ამბობენ, იგი მას ზოგავსო, რადგანაც იგი მას არ ჰამს, ე. ი. რადგანაც იგი, როგორც კაპიტალისტი, ასრულებს თავის ფუნქციას, სახელდობრ — ვთითგამდიდრების ფუნქციას.

მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტი გაპიროვნებული კაპიტალია, მას აქვს ისტორიული მნიშვნელობა და ის ისტორიული უფლება არსებობისა, რომელსაც, გონებადამხვილი ლიხნოვსკის სიტყვით, «keinen Datum nicht hat» [«არა აქვს თარიღი»]. მხოლოდ ამდენად იმარხება მისი საკუთარი წარმავალი აუცილებლობა კაპიტალისტური წარმოების წესის წარმავალ აუცილებლობაში. მაგრამ ამდენადვე მისი მოქმედების მამოძრავებელი მოტივი სახმარი ღირებულება და მოხმარება კი არ არის, არამედ საცვლელი ღირებულება და მისი გადიდება. როგორც ღირებულების ზრდის ფანატიკოსი, იგი კაცობრიობას უღმობლად აიძულებს აწარმოოს წარმოებისათვის, მაშასადამე განაეითაროს საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალები და შექმნას წარმოების მატერიალური პირობები, რომელთაც მარტოდმარტო შეუძლიათ გახდნენ რეალური ბაზისი იმ უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმისთვის, რომლის ძირითადი პრინციპი თვითეული ინდივიდის სრული და თავისუფალი განვითარებაა. კაპიტალისტი პატივისცემით სარგებლობს მხოლოდ როგორც განსახიერება კაპიტალისა. როგორც ასეთი, იგი, განძის დამგროვებლის მსგავსად, აბსოლუტური გამდიდრებისადმი მისწრაფებით არის შეპყრობილი. მაგრამ ის, რაც განძის დამგროვებლისთვის ინდივიდუა-

³³ მკითხველი შეამჩნევს, რომ სიტყვა revenue [შემოსავალი] ორნაირი მნიშვნელობით იხმარება: ჯერ-ერთი, ზედმეტი ღირებულების, როგორც კაპიტალიდან პერიოდულად გამოდინარე ნაყოფის, აღსანიშნავად და მეორე, ამ ნაყოფის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელსაც კაპიტალისტი პერიოდულად მოიხმარს ანუ თავის მოხმარების ფონდს უერთებს. მე ვტოვებ ამ ორნაირ მნიშვნელობას, რადგან იგი ინგლისელი და ფრანგი ეკონომისტების ჩვეულებრივ ტერმინოლოგიას შეეფერება.

ლური მანიაა, კაპიტალისტისათვის მოქმედებაა იმ საზოგადოებრივი მექანიზმისა, რომელშიც იგი მხოლოდ ერთი მამოძრავებელი ბორბალთაგანია. გარდა ამისა, კაპიტალისტური წარმოების განვითარება აუცილებელს ხდის სამრეწველო საწარმოში დაბანდებული კაპიტალის განუწყვეტელ ზრდას, ხოლო კონკურენცია თვითველ ინდივიდუალურ კაპიტალისტს თავს ახვევს კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტურ კანონებს როგორც გარეგან იძულებითს კანონებს. იგი აიძულებს მას განუწყვეტლივ გააფართოოს თავისი კაპიტალი, რათა შეინარჩუნოს ეს უკანასკნელი, თავისი კაპიტალის გაფართოვება კი მას შეუძლია მხოლოდ პროგრესიული დაგროვების გზით.

ამიტომ, რამდენადაც კაპიტალისტის ყოველი საქმე და მოქმედება მხოლოდ ფუნქციურად მისივე სახით ნებისყოფითა და შეგნებით დაჯილდოვებული კაპიტალისა, იმდენად თავისი საკუთარი, პირადი მოხმარება კაპიტალისტს თავისი კაპიტალის დაგროვების გაძარცვად მიაჩნია, მსგავსად იმისა, როგორც იტალიურ ბულატერიაში პირადი ხარჯები კაპიტალისტის დებეტის მხარეს იწერება მისი კაპიტალის მიმართ. დაგროვება საზოგადოებრივი სიმდიდრის სამყაროს დაპყრობაა. ექსპლოატირებული ადამიანური მასალის მასასთან ერთად იგი აფართოებს კაპიტალისტის პირდაპირ და არაპირდაპირ ბატონობას³⁴.

³⁴ მევახშის, — კაპიტალისტის ამ ძველი, თუმცა მუდამ განახლებული ფორმის, — მაგალითზე ლუთერი ძალიან კარგად გვიჩვენებს, რომ ბატონობის წყურვილი გამდიდრებისადმი მისწრაფების ერთ-ერთი ელემენტია. წარმართებს შეეძლოთ თავიანთი ჭკუით დაესკნათ, რომ მევახშე ოთხმაგი ქურდი და კაცისმკვლელია. ჩვენ კი, ქრისტიანები, მათ ისეთ პატივსაც ვცემთ, რომ თითქმის ვლოცულობთ მათზე მათი ფულის გულისათვის... ის, ვინც სხვას საზრდოს გამოსწოვს, ძარცვავს და ჰპარავს, ისეთივე საზიზღარი მკვლელობის ჩამდენია (რამდენადაც ეს დამოკიდებულია მასზე), როგორც ის, ვინც სხვას შიმშილით კლავს და ლუპავს. მევახშე ყოველივე ამას სჩადის და მშვიდად ზის თავის სავარძელში, მაშინ როდესაც იგი საზრჩობელაზე უნდა გვიდოს, აქ მას იმდენი ყვავ-ყორანი უნდა ჰკორტინდეს, რამდენი გულდენიც მას მოუპარავს, და იმდენი ხორცი უნდა ჰქონდეს მის სხეულს, რომ ყველა ყვავ-ყორანს ეყოს საწიწქნად და გასაყოფად. პატარა ქურდ-ბაცაცები საზრჩობელაზე აჭყავთ... პატარა ქურდ-ბაცაცებს ხუნდებს ადებენ, დიდი ქურდები კი ოქრომკვდში და აბრეშუმში გამოწყობილი დადიან... მაშასადამე, მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება ისეთი დიდი მტერი ადამიანისა (ეშმაკის გარდა), როგორც ძუნწი და მევახშე, რადგან მას სურს ყველა ადამიანი ღმერთად გადაიქცეს. თურქები, მიმტაცებელნი და ტირანები ბოროტნი არიან, მაგრამ ხალხს არსებობას მაინც ვერ უსპობენ და თვითვე აღიარებენ, რომ ბოროტნი და მტერნი არიან. მათ შეუძლიათ და კიდევ უნდა ჰქონდეთ ხანდახან ზოგიერთი შეტრალება. მევახშე და ძუნწი კი ყოველნაირად იმას ცდილობს, რომ მთელი ქვეყანა შიმშილით და წყურვილით, მწუხარებითა და გაჭირვებით აავსოს, რათა ყველაფერი მხოლოდ მას ჰქონდეს, რათა ყველამ თავისი ზედმეტი მიიღოს 47 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

მაგრამ პირველქმნილი ცოდვა ყველგან მოქმედებს. კაპიტალისტური წარმოების წესის, დაგროვებისა და სიმდიდრის განვითარებასთან ერთად კაპიტალისტი აღარ რჩება კაპიტალის უბრალო განსახიერებად. ადამი მისი საკუთარი სისხლხორცისა აღვიძებს მასში «ადამიანურ გრძობას», ამასთან იგი იმდენად განათლებული ხდება, რომ დაცინვით უარყოფს ასკეტურ გატაცებას როგორც დრომოქმული განდამგროვებლის ცრურწმენას. მაშინ როდესაც კლასიკური კაპიტალისტი გმობს ინდივიდუალურ მოხმარებას როგორც თავისი ფუნქციის წინააღმდეგ მიმართულ ცოდვას და დაგროვების «დათმენას», მოდერნიზებულ კაპიტალისტს უკვე ძალუძს განიხილოს დაგროვება როგორც «უარისთქმა» სიანოვნებისადმი მისწრაფებაზე. «Zwei Seelen wohnen, ach! in seiner Brust, die eine will sich von der andern trennen!» [«აჰ, ორი სული ცოცხლობს მის გულმკერდში, და ორივენი ურთიერთისგან გაყრას ლამობენ»].

კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ დასაწყისში, — ხოლო თვითეული კაპიტალისტი parvenue [მეტეჩარა] ინდივიდუალურად გაივლის ამ ისტორიულ საფეხურს, — გაბატონებულია გამდიდრების წყურვილი და სიძუნწე როგორც აბსოლუტური ვნებანი. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების პროგრესი ქმნის არა მარტო განცხრომათა მთელ სამყაროს; სპეკულაციისა და საკრედიტო საქმის

მისგან, როგორც ღვთისაგან, და მის საუკუნო ყმად გადაიქცეს... იგი ატარებს ძოწეულს, ოქროს ძეწკვს, ბეჭდებს, ცხვირ-პირს იმშვენებს და სურს, რომ მას უყურებდნენ და ადიდებდნენ, როგორც სათნო, ღვთისნიერ ადამიანს... მევახზე დიდი და საშინელი ცხოველია, იგი ურჩხულია, რომელიც ყველაფერს ანადგურებს კაკუსზე, გერონზე და ანტეოსზე უარესად. მაგრამ იგი თავს ილამაზებს და ღვთისნიერი სახის გამომეტყველებას იღებს, რომ ვერაფერს შენიშნოს, თუ სად მიდიან ის ხარები, რომლებსაც იგი პირუტყლმა თავის ბუნაგში მიათრევს. მაგრამ ჭერკულესმა უნდა გაიგონოს ხარების და ტყვეების ღმთილი, მოძებნოს კაკუსი კლდეებსა და ღრეებში და გაათავისუფლოს ხარები ამ საშინელი არსებისაგან. ვინაიდან კაკუსი ეწოდება საშინელ არსებას, და ეს საშინელი არსება ღვთისნიერი მევახზეა, რომელიც ყველაფერს იპარავს, იტაცებს და სანსლავს. და თითქოს მას ცუდი არაფერი ჩაუდენია და არავის შეეძლია მისი მხილება, რადგან იგი ხარებს პირუტყლმა ითრევს თავის ბუნაგში და ხარები ისეთ ვკალს ტოვებენ, თითქოს ისინი იქიდან იქნენ გამოშვებულნი. მევახზე ასე ატყუებს მთელ ქვეყანას და ცდილობს მოაჩვენოს ყველას, ვითომც მას სარგებლობა მოაქვს და ქვეყანას ხარებს აძლევს, ნამდვილად კი იტაცებს და თვითონვე სანსლავს მათ... და თუკი შარაგზაზე მძარცველებს და კაცისმკვლელებს ბორბალზე აკრავენ და თავებს ჰკვეთენ, რამდენად უფრო მეტად უნდა დაისაჯოს ყველა მევახზე ბორბალზე გაკვრით, სხეულიდან ძარღვების ამოღევით, განდევნით, წყევლა-კრულვით და თავის მოკვეთით» (Martin Luther: «An die Pfarrherrn, wider den Wucher zu predigen». Wittenberg 1540).

განვითარებასთან ერთად იგი წარმოშობს უეცარი გამდიდრების ათასგვარ წყაროს. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ერთგვარი ჩვეულებრივი დონე ფლანგვისა, რაც იმავე დროს სიმდიდრის გამოფენა და, მაშასადამე, კრედიტის მიღების საშუალებაა, «საბრალო კაპიტალისტისთვის მისი საქმის ინტერესებით ნაკარნახევი აუცილებლობაც კი ხდება. ფუფუნება კაპიტალის წარმომადგენლობის ხარჯებში შედის. გარდა ამისა, კაპიტალისტი არ მდიდრდება განძის დამგროვების მსგავსად, ე. ი. იმასთან შეფარდებით, თუ როგორია მისი პირადი შრომა და პირადი მოხმარების შეკვეცა, არამედ იგი მდიდრდება იმდენად, რამდენადაც ის სხვის სამუშაო ძალას ამოსწოვს და აიძულებს მუშას უარი თქვას ცხოვრების ყველა სიამეზე. ამიტომ, მართალია კაპიტალისტის მფლანგველობას არასოდეს არა აქვს ისეთი *bona fide* [გულღია] ხასიათი, როგორც დარდიმანდი ფეოდალის მფლანგველობას და მის წიალში, პირიქით, მუდამ იმალება უადრესად ბინძური სიძუნწე და წვრილმანური ანგარიშიანობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაპიტალისტის ფლანგვა იზრდება მის მიერ წარმოებულ დაგროვებასთან ერთად, ისე რომ ერთი სრულიად არ უშლის ხელს შეორეს. ამით კაპიტალ-ინდივიდის კეთილშობილ გულში იმავედროულად ვითარდება ფაუსტიცებური კონფლიქტი დაგროვებისადმი მისწრაფებასა და სიამოვნების წყურვილს შორის.

«მანჩესტერის მრეწველობა», — ნათქვამია ერთ თხზულებაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1795 წელს დ-რ ეიკინის მიერ, — «შეიძლება ოთხ პერიოდად დაიყოს. პირველ პერიოდში მეფაბრიკენი იძულებულნი იყვნენ დაულალავად ემუშავნათ თავიანთი არსებობის შესანარჩუნებლად. განსაკუთრებით მდიდრდებოდნენ ისინი მშობლების მოტყუებით, რომელნიც მათ აძლევდნენ თავიანთ ბავშვებს apprentices-ის (შეგირდების) სახით და ბევრსაც იხდიდნენ ამაში, მაშინ როდესაც შეგირდები შიმშილით იხოცებოდნენ. მეორე მხრივ, საშუალო მოგება დაბალი იყო და დაგროვება დიდ დაზოგვას მოითხოვდა. ისინი განძის დამგროვებელთა მსგავსად ცხოვრობდნენ და თავიანთი კაპიტალის პროცენტებიდანაც კი ბევრს არას ხარჯავდნენ. მეორე პერიოდში მათ მცირე ქონების შეძენა დაიწყეს, მაგრამ ისევე დაულალავად მუშაობდნენ, როგორც წინათ, ვინაიდან შრომის უმუშალო ექსპლოატაცია, როგორც მოეხსენება მონების ყოველ მეთვალყურეს შრომას მოითხოვს, «და ისევე სადად ცხოვრობდნენ, როგორც უწინ... მესამე პერიოდში დაიწყო ფუფუნება, და საწარმოებიც გაფართოვდა სამეფოს ყველა სეაჟრო ქალაქში ცხენოსნების (ცხენოსანი კომივიო-აჟორების) გაგზავნით შეკვეთების მისაღებად. უნდა ვიფიქროთ, რომ

1690 წლამდე იშვიათად ან სულ არ არსებობდა მრეწველობაში შეძენილი კაპიტალი 3 000 — 4 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობისა. მაგრამ დაახლოებით ამ დროს ან ცოტა უფრო გვიან მრეწველებმა უკვე დააგროვეს ფული და დაიწყეს ქვის სახლების აგება ნაცვლად ხის და თიხის სახლებისა... ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ერთმა მანჩესტერელმა მეფაბრიკემ, რომელიც თავის სტუმრებს ერთი თასი უცხოეთის ღვინით გაუმასპინძლდა, მითქმა-მოთქმა და გაოცება გამოიწვია მის მეზობლებში. მანქანური წარმოების შემოღებამდე მეფაბრიკეთა ხარჯი სალამოობით დუქნებში, სადაც ისინი იკრიბებოდნენ, არ აღემატებოდა 6 პენსს ერთ ჭიქა პუნშში და 1 პენსს თამბაქოს ხვეულში. მხოლოდ 1758 წელს დაინახეს პირველად — და ამან შექმნა მთელი ეპოქა — «ერთი მრეწველი კაცი საკუთარ ეტლში!» «მეოთხე პერიოდი», მე-18 საუკუნის უკანასკნელი მესამედი, «არის დიდი ფუფუნებისა და ფლანგვის პერიოდი, რასაც ხელს უწყობდა წარმოების გაფართოება»³⁵. ნეტავ რას იტყოდა კეთილი დ-რ ეიკინი, იგი რომ მეკვდრეთით აღდგეს და ახლანდელ მანჩესტერს გადახედოს!

დააგროვეთ! დააგროვეთ! აი მოსე და წინასწარმეტყველნი! «შრომისმოყვარეობა იძლევა იმ მასალას, რასაც დაზოგვა აგროვებს»³⁶. მაშასადამე, დაზოგეთ, დაზოგეთ, ე. ი. გადააქციეთ ისევ კაპიტალად ზედმეტი ღირებულების, ანუ ზედმეტი პროდუქტის, რაც შეიძლება მეტი ნაწილი! დაგროვება დაგროვებისათვის და წარმოება წარმოებისათვის, — ამ ფორმულით კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გამოხატა ბურჟუაზიული პერიოდის ისტორიული მოწოდება. მას ერთი წამითაც არ მოუტყუებია თავი სიმდიდრის მშობიარობის ტკივილების შესახებ³⁷; მაგრამ რა აზრი აქვს გოდებას ისტორიული აუცილებლობის წინაშე? თუ პროლეტარი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით მხოლოდ მანქანაა ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის, კაპიტალისტიც ამავე თვალსაზრისით მხოლოდ

³⁵ Dr. Aikin: «Description of the Country from 30 to 40 miles round Manchester». London 1795, გვ. 182 და შემდ.

³⁶ A. Smith: «Wealth of Nations», წიგ. III, თავი III. [შეად. ა. სმიტი: «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». თბილისი 1938, ტ. I, გვ. 385.]

³⁷ თვით ე. ბ. სეიცი კი ამბობს: «მდიდრების დანახოვი ღირებების ხარჯზე იქმნება». «რომელი პროლეტარი თითქმის მთლიანად საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა... თითქმის შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოება პროლეტარების ხარჯზე ცხოვრობს, ცხოვრობს იმ ნაწილით, რომელსაც იგი მათ ართმევს შრომის გასამარჯელოდან» (S i s m o n d i: «Études etc.», ტ. I, გვ. 24).

მანქანაა ამ ზედმეტი ღირებულების ზედმეტ კაპიტალად გადაქცევისათვის. იგი ფრიად სერიოზულად უყურებს კაპიტალისტის ისტორიულ ფუნქციას. რათა კაპიტალისტის გული უვნებადი გაეხადა იმ საბედისწერო კონფლიქტისაგან, რომელიც სიამოვნების წყურვილსა და გამდიდრების წყურვილს შორის არსებობს, მალთუსი ამ საუკუნის მეოცე წლების დასაწყისში იცავდა შრომის დანაწილებას, რომლის მიხედვითაც დაგროვების საქმე წარმოებაში ნამდვილად ჩაბმულ კაპიტალისტს ეკუთვნის, ხოლო გაფლანგვის საქმე — ზედმეტი ღირებულების დანარჩენ მონაწილეებს, სახელდობრ: მიწის არისტოკრატისას, იმ პირთ, რომელთაც სახელმწიფო და ეკლესია ინახავს და სხვა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამბობს იგი, «ხარჯვის მიდრეკილებისა და დაგროვების მიდრეკილების (the passion for expenditure and the passion for accumulation) განცალკევებას»³⁸. ბატონმა კაპიტალისტებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია განცხრომისა და მაღალი საზოგადოების ადამიანები გახდნენ, განგაში ასტეხეს. როგორ, — გაჰყვიროდა ერთი მათი დამცველთაგანი, რიკარდოს მიმდევარი, — ბატონი მალთუსი ქადაგებს მიწის მაღალ რენტას, დიდ გადასახადებს და სხვ. იმისათვის, რომ მრეწველთა საქმიანობას განუწყვეტელი სტიმული ეძლეოდეს მათზე არამწარმოებელ მომხმარებელთა დაწოლით! რასაკვირველია, წარმოება, წარმოება მუდამ გაფართოებული მასშტაბით, — ასეთია ლოზუნგი, მაგრამ «ასეთი პროცესის მეოხებით წარმოება შეიძლება უფრო შეფერხდეს, ვიდრე განვითარდეს. აგრეთვე არ არის საესებით სამართლიანი (nor is it quite fair) ერთნი უსაქმოდ გყავდეს მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაოზე ერეკებოდნენ სხვებს, რომელთა ხასიათის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ (who are likely, from their characters), რომ მათ შეუძლიათ, თუ აიძულებთ, წარმატებით იმოქმედონ»³⁹. რამდენადაც მას უმართებულოდ მიაჩნია წააქეზონ მრეწველი კაპიტალისტი დაგროვებისადმი შით, რომ მის რძეს ნაღები მოხადონ, იმდენადვე იგი საჭიროდ თვლის მუშის ხელფასის შესაძლებელ მინიმუმამდე შეზღუდვას, «რათა შენარჩუნებულ იქნას მისი შრომისმოყვარეობა». იგი ერთი წუთითაც არ მალავს აგრეთვე, რომ მოგების საიდუმლოება გადაუხდელი შრომის მითვისებაში მდგომარეობს. «გაძლიერებული მოთხოვნა მუშების მხრივ მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ისინი თანახმა არიან აიღონ

³⁸ Malthus: «Principles of Political Economy», გვ. 319, 320.

³⁹ «An Inquiry into those Principles respecting the Nature of Demand etc.». [London 1821], გვ. 67.

თავისთვის საკუთარი პროდუქტის მცირე ნაწილი და მისი უფრო დიდი ნაწილი თავიანთ დამჭირებლებს დაუტოვონ; და თუ ამბობენ, ეს მოხმარების შემცირების (მუშების მხრივ) გამო glut-ს (ბაზრის ავსებას, კარბჭარმოებას) წარმოშობსო, მე შემძლია მხოლოდ ვუპასუხო, რომ glut მაღალი მოგების სინონიმია⁴⁰.

სწავლულთა კინკლაობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განაწილდეს მუშებიდან გამოწოვილი დავლა მრეწველ კაპიტალისტსა და უკმ მიწათმფლობელებს და სხვათა შორის ისე, რომ ეს განაწილება რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს დაგროვებისათვის, მიწყდა ივლისის რევოლუციის წინ. მალე აშის შემდეგ გაისმა ქალაქის პროლეტარიატის საყვირის ხმა ლიონში და სოფლის პროლეტარიატმა ინგლისში ხანძარი გააჩაღა. არხის გამოღმა აზვირთდა ოუენიზმი, ხოლო გაღმა — სენსიმონიზმი და ფურიერიზმი. დაჰკრა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის საათმა. ნასაუ ვ. სენიორმა სწორედ ერთი წლით ადრე, ვიდრე იგი მანჩესტერში აღმოაჩენდა, რომ კაპიტალის მოგება (პროცენტის ჩათვლით) გადაუხდელი «უკანასკნელი მეთორმეტე სამუშაო საათის» პროდუქტია, აუწყა ქვეყანას მეორე აღმოჩენა. «მე — დიდის ამბით წარმოთქვა მან, — სიტყვა კაპიტალს, განხილულს როგორც წარმოების იარაღს, სიტყვა დათმენით ვცვლია⁴¹». აი ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის «აღმოჩენათა» ქემმარიტად სწორუპოვარი ნიმუში! გარკვეულ ეკონომიურ კატეგორიას იგი

⁴⁰ «An Inquiry into those Principles respecting the Nature of Demand etc.». [London 1821], გვ. 50.

⁴¹ Senior: «Principes fondamentaux de l'Économie Politique». თარგ. Arrivabene-სი. Paris 1836, გვ. 308. ძველი კლასიკური სკოლის მიმდევართათვის ეს რაღაც მეტად უახრო იყო. ბ-ნი სენიორს სიტყვები: შრომა და კაპიტალი შეცვლილი აქვს სიტყვებით: შრომა და დათმენა... დათმენა უბრალო უარყოფაა. მოგების წყაროს დათმენა კი არ შეადგენს, არამედ მწარმოებელურად გაყოფილი კაპიტალის მოხმარება. (ჯონ კეიზნოვის მიერ გამოცემული მალთუსის «Definitions in Political Economy». London 1853, გვ. 130, შენიშვნა). ბ-ნი ჯ. სტ. მილი, პირიქით, ერთ გვერდზე რიკარდოს მოგების თეორიას იმეორებს, ხოლო მეორეზე — ითვისებს სენიორის «გასამრჯელოს დათმენისათვის». რამდენადაც მისთვის უცხოა ჰეგელის «წინააღმდეგობა», — ეს წყარო ყოველი დიალექტიკისა, — იმდენად თავისუფლად გრძნობს იგი თავს უგვანო წინააღმდეგობებში.

და მ ა ტ ე ბ ა მე-2 გ ა მ ო ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს. ვულგარულ ეკონომისტს არასოდეს არ უფიქრია იმაზე, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება შეიძლება განვიხილოთ როგორც «დათმენა» მისი საპირისპირო მოქმედებისა. ჰამა დათმენა მარხულობისა, სიარული დათმენა ერთ ადგილას დგომისა, მუშაობა დათმენა უქმად ყოფნისა, უქმად ყოფნა დათმენა მუშაობისა და სხვ. ეს ვაჟბატონები კარგს იხამდნენ, სინოზას სიტყვებს რომ ჩაუვირდებოდნენ: *Determinatio est negatio* [განსაზღვრება არის უარყოფა].

სიკოფანტური ფრაზით ცვლის. *Voilà tout* [აი ყველაფერი]. «როდესაც ველური, — გვასწავლის სენიორი, — მშვილდ-ისარს აკეთებს, მაშინ იგი მრეწველობას ეწევა, მაგრამ დათმენას არ მისდევს». ეს გვაძლევს ჩვენ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ და რატომ მზადდებოდა საზოგადოების უწინდელ წყობილებაში შრომის საშუალებები კაპიტალისტის «დაუთმენლად». «რაც უფრო წინ მიდის საზოგადოება, მით უფრო მეტ დათმენას მოითხოვს იგია»⁴², სახელდობრ იმათ მხრივ, ვინც მწარმოებას ეწევა, რათა სხვისი შრომა და მისი პროდუქტი მიითვისოს. შრომის პროცესის ყველა პირობა ამიერიდან კაპიტალისტის დათმენის შესაბამისი რაოდენობის აქტად იქცევა. რომ ხორბალს არა მარტო ჭამენ, არამედ თესენ კიდევ, — ამას კაპიტალისტის დათმენას უნდა ვუმაღლოდეთ! თუ ღვინოს დრო ეძლევა დასადუღებლად, — ესეც კაპიტალისტის დათმენითაა!⁴³ კაპიტალისტი თავის საკუთარ სისხლბორცს ძარცვავს, როდესაც «მუშას წარმოების იარაღებს ასესხებს» (!), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ამ იარაღებს სამუშაო ძალასთან შეერთებით კაპიტალად გამოიყენებს, ნაცვლად იმისა, რომ შთანთქმავს ორთქლის მანქანები, ბამბა, რკინიგზები, სასუქი, შესაბამელი ცხენი და სხვ., ანდა, როგორც ეს ბავშვურად წარმოუდგენია ვულგარულ ეკონომისტს, გაფლანგოს «მათი ღირებულება» ფუფუნების საგნებისა და მოხმარების სხვა საშუალებათა სახით⁴⁴. თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს კაპიტალისტთა კლასმა, ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დღემდე გულმოდგინედ დაფარულ საიდუმლოებას შეადგენს. ერთი სიტყვით, ქვეყნიერება მხოლოდ კაპიტალისტის, ვიზნუს [ინდოეთის ღმერთის] ამ თანამედროვე

⁴² Senior: იქვე, გვ. 342.

⁴³ «არავინ... არ დათესდა, მაგალითად, თავის ხორბალს და არ გააჩერებდა მას ერთ წელს მიწაში, ან თავის ღვინოს არ დატოვებდა მთელი წლობით სარდაფში, ნაცვლად იმისა, რომ ეს ნივთები ანდა მათი გვერვალენტი თვითონვე ერთბაშად მოეხმარა... მას რომ დამატებითი ღირებულების მიღების იმედი არ ჰქონოდა და სხვ.» (Scrope: «Political Economy», გამოც. A. Potter-ისა. New-York 1841, გვ. 133, 134).

⁴⁴ «შევიწროება, რაშიც კაპიტალისტი თავის თავს ადებს იმით, რომ თავის წარმოების საშუალებებს მუშას ასესხებს» (შემარბილებელი გამოთქმა «ასესხებს» აქ იმისთვისაა ნახმარი, რომ ვულგარული ეკონომისტების ნაცადი მანერის მიხედვით მრეწველი კაპიტალისტის მიერ ექსპლოატირებული დაქირავებული მუშა გაიგივებულ იქნას თვით მრეწველ კაპიტალისტთან, რომელიც ფულს სხვა კაპიტალისტისაგან სესხულობს!), «ნაცვლად იმისა, რომ მათი ღირებულებით თვითონ ისარგებლოს მოხმარებისა და სიამოვნების საგნებად მათი გადაქცევით» (G. de Molinari: «Études Économiques». Paris 1846, გვ. 36).

მომნანიებლის, თვითგვემის წყალობით არსებობს. არა მარტო დაგროვება, არამედ «კაპიტალის უბრალო შენახვაც კი ძალთა მუდმივ დაძაბვას მოითხოვს, რათა წინააღმდეგე მისი შექმნის ცდუნებას»⁴⁵. მაშასადამე, ცხადია, უბრალო ჰუმანურობა მოითხოვს, რომ კაპიტალისტი განთავისუფლდეს წამებისა და ცდუნებისაგან, სწორედ ისევე, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გეორგიის მონათმფლობელი მონობის მოსპობით განთავისუფლდა მტანჯველი დილემისაგან: «შამპანურში გაფლანგოს ზანგი მონებიდან ამოწოვილი მთელი ზედმეტი პროდუქტი, თუ ნაწილობრივ ისევ ზანგებისა და მიწის უფრო მეტ რაოდენობად გადააქციოს იგი.

სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში ადგილი აქვს არა მარტო მარტივ კვლავწარმოებას, არამედ კვლავწარმოებას გაფართოებული ფარგლებით, თუმცა ეს უკანასკნელი სხვადასხვა მასშტაბით წარმოებს. წარმოება და მოხმარება პროგრესიულად იზრდება, მაშასადამე, მეტი პროდუქტი იქცევა წარმოების საშუალებად. მაგრამ ეს პროცესი არ გვევლინება კაპიტალის დაგროვებად და, ამიტომ, არც კაპიტალისტის ფუნქციად, ვიდრე მუშას მისი წარმოების საშუალებანი, მაშასადამე, მისი პროდუქტიც და მისი საარსებო საშუალებანიც ჯერ კიდევ კაპიტალის ფორმით არ დაპირისპირებიან⁴⁶. რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი რიჩარდ ჯონსი, მალთუსის შემკვიდრე პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე ოსტ-ინდოეთის კოლეჯში, ჰეილიბერიში, კარგად განმარტავს ამას ორი მნიშვნელოვანი ფაქტით. რადგან ინდოეთის ხალხის უმრავლესობას საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხები შეადგენენ, ამიტომ მათი პროდუქტი, მათი შრომის საშუალებანი და საარსებო საშუალებანი, არასოდეს არ არსებობს «ისეთი ფონდის სახით (*in the shape*), რომელიც სხვისი შემოსავლიდან (*saved from revenue*) იზოგება და რომელ-

⁴⁵ Courcelle-Seneuil: «Traité théorique et pratique des entreprises industrielles», მე-2 გამოც., Paris 1857, გვ. 57.

⁴⁶ «შემოსავლის განსაკუთრებული სახეობანი, რომლებიც უაღრესად ხელს უწყობენ ნაციონალური კაპიტალის პროგრესს, იცვლება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და ამიტომ სულ სხვადასხვაა იმ ერებში, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან... მოგება... საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, ხელფასთან და რენტასთან შედარებით, დაგროვების უმნიშვნელო წყაროს წარმოადგენს... როდესაც ნაციონალური შრომის ძალთა საგრძნობ გადიდებას ფაქტიურად ადგილი აქვს, მაშინ შედარებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგებას როგორც დაგროვების წყაროს» (Richard Jones: «Text-book etc.», გვ. 16, 21).

მაც, მაშასადამე, არ გაუვლია დაგროვების წინასწარი პროცესი («a previous process of accumulation»⁴⁷). მეორე მხრივ, იმ პროცენტებში, სადაც ინგლისის ბატონობამ ყველაზე ნაკლებად დაშალა ძველი სისტემა, არამიწათმოქმედი მუშები სამუშაოს ღებულობენ უშუალოდ მსხვილი მემამულეებისაგან, რომელთა ხელშიც გადადის სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტის ერთი ნაწილი ხარკის ან მიწის რენტის სახით. ამ ზედმეტი პროდუქტის ერთ ნაწილს მსხვილი ფეოდალები ნატურალური ფორმით მოიხმარენ, მეორე ნაწილი კი მათთვის მუშების მიერ ფუფუნების საგნებად და მოხმარების სხვა საშუალებებად არის გადაქცეული, მაშინ როდესაც დანარჩენი შეადგენს მუშების ხელფასს, რომელნიც თავიანთი შრომის იარაღების მესაკუთრენი არიან. წარმოება და კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით აქ თავისი გზით მიმდინარეობს და სრულიად არ საჭიროებს ამ საკვირველი წმინდანის, ამ ნაღვლიანი სახის რაინდის, ამ «თვითღამთმენი» კაპიტალისტის ჩარევას.

4. ბარემომბანი, კომლენიც განსაზღვრავენ დაგროვების ოდენობას დამოუკიდებლად იმ პროპორციისაგან, კომლის მიხედვით ზედმეტი ღირებულება დაიძროს კაპიტალად და შემოსავლად. — სანუშაო ძალის მძვალთაბაციის ხარისხი. — შრომის მუდამომალური ძალა. — მზადნი სხვაობა დაბანდებულ და მოხმარებულ კაპიტალს შორის. — ავანსებული კაპიტალის სიდიდე.

თუ შეფარდებას, რომლითაც ზედმეტი ღირებულება კაპიტალად და შემოსავლად იყოფა, მოცემულად ვიგულისხმებთ, მაშინ დაგროვილი კაპიტალის ოდენობა, ცხადია, დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე. დავუშვათ, რომ 80% კაპიტალად იქცევა, 20% კი იჭმება; მაშინ დაგროვილი კაპიტალი 2 400 გირვანქა სტერლინგს ან 1 200 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, იმისდა მიხედვით, თუ რას უდრის ერთობლივი ზედმეტი ღირებულება: 3 000 თუ 1 500 გირვანქა სტერლინგს. ამრიგად, დაგროვების სიდიდის განსაზღვრაში მონაწილეობს ყველა ის გარემოება, რომელიც ზედმეტი ღირებულების მასას განსაზღვრავს. შევეჯამოთ ეს გარემოებანი აქ ერთხელ კიდევ, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი დაგროვების შესახებ ახალ თვალსაზრისს იძლევიან.

როგორც ვიცით, ზედმეტი ღირებულების ნორმა პირველ რიგში დამოკიდებულია სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხზე.

⁴⁷ იქვე, გვ. 37.

პოლიტიკური ეკონომია ისე დიდად აფასებს ამ გარემოებას, რომ შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებით გამოწვეული დაგროვების აჩქარებას ხშირად აიგივებს მუშის გადიდებული ექსპლოატაციით გამოწვეული დაგროვების აჩქარებასთან⁴⁸. იმ განყოფილებებში, სადაც განხილულია ზედმეტი ღირებულების წარმოება, მუდამ ვგულისხმობდით, რომ ხელფასი სამუშაო ძალის ღირებულებას მაინც უდრის. მაგრამ ხელფასის იძულებითი დაწვევა ამ ღირებულებაზე დაბლა იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრაქტიკაში, რომ ცოტა ხანს მაინც უნდა შევჩერდეთ მასზე. გარკვეულ ფარგლებში იგი ფაქტიურად მუშის აუცილებელი მოხმარების ფონდს კაპიტალის დაგროვების ფონდად აქცევს.

ხელფასს, — ამბობს ჯ. სტ. მილი, — მწარმოებლური ძალა სრულიად არა აქვს; იგი ერთ-ერთი მწარმოებლური ძალის ფასია: ხელფასი ისევე ნაკლებად იღებს მონაწილეობას, თვით შრომის გვერდით, საქონლის წარმოებაში, როგორც თვით მანქანების ფასი. შრომის მიღება რომ ყიდვის გარეშე შეიძლებოდეს, მაშინ ხელფასი ზედმეტი იქნებოდა⁴⁹. მაგრამ მუშებს რომ ჰაერით კვება შეეძლოთ, მაშინ მათი ყიდვაც არავითარი ფასით არ მოხერხდებოდა. მაშასადამე, უფასო შრომა საზღვარია, ამ სიტყვის მათემატიკური გაგებით; იგი მუდამ მიუღწეველია, თუმცა მასთან მიახლოება მუდამ შეიძლება. კაპიტალის მუდმივი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ ხელფასი ამ ნულოვან დონეზე დაიყვანოს. ჩემ მიერ ხშირად დასახელებული მე-18 საუკუნის მწერალი, «Essay on Trade and Commerce»-ის ავტორი, ინგლისის კაპიტალის მხოლოდ საიდუმლო ზრახვებს ამტკიცებს, როდესაც ინგლისის ისტორიულ სასი-

⁴⁸ «რიკარდო ამბობს: საზოგადოებრივი განვითარების სწავლასზე საფუძვრზე კაპიტალის, ანუ შრომის გამოსაყენებელ (ე. ი. მის საექსპლოატაციო) საშუალებათა დაგროვება ცოტად თუ ბევრად სწრაფია და ყველა შემთხვევაში დამოკიდებული უნდა იყოს შრომის მწარმოებლურ ძალებზე. შრომის მწარმოებლური ძალები კი საერთოდ ყველაზე დიდი იქაა, სადაც ნაყოფიერი ნიადაგის სიუხვეა». თუ ამ წინადადებაში შრომის მწარმოებლური ძალები ნიშნავს თვითთული პროდუქტის იმ სათანადო ნაწილის სიმცირეს, რომელიც იმათ ზედებათ, ვისი შრომითაც იგი იწარმოება, მაშინ რიკარდოს დებულება უბრალო ტაქტოლოგიაა, რადგან დანარჩენი ნაწილი ის ფონდია, საიდანაც, თუ ამას მისი შესაკუთრე მოისურვებს («if the owner pleases»), შეიძლება კაპიტალი დაგროვდეს. მაგრამ ამას უმეტეს შემთხვევაში ადგილი არა აქვს იქ, სადაც მიწა უაღრესად ნაყოფიერია» («Observations on certain Yermal Disputes etc.», გვ. 74, 75).

⁴⁹ J. St. Mill: «Essays on some unsettled Questions of Political Economy». London 1844, გვ. 90.

ცოცხლო ამოცანად აცხადებს ინგლისის მუშების ხელფასის დაწვევას ფრანგულ და ჰოლანდიურ დონემდე⁵⁰. იგი, სხვათა შორის, გულუბრყვილოდ ამბობს: «მაგრამ თუ ჩვენს ღირებებს (მუშების სიმბოლური სახელწოდება) ფუფუნებაში ცხოვრება სურთ... მაშინ, რასაკვირველია, მათი შრომა უფრო ძვირი უნდა იყოს... თმა დაგიდგებათ ყალჭზე, თვალი რომ გადაავლოთ იმ უამრავ ზედმეტ საგანს («heap of superfluties»), რომლებსაც ხმარობენ ჩვენი მანუფაქტურის მუშები; ეს საგნებია: არაყი, ჯინი, ჩაი, შაქარი, უცხოეთის ხილი, მაგარი ლუდი, ჩითი, ბურნუთი, თამბაქო და სხვა»⁵¹. ავტორს მოჰყავს ციტატა ერთი ნორტემპტონშირის მეფაბრიკის ნაწარმოებიდან, რომელიც ზეცისკენ თვალაპყრობილი მოთქვამს: «შრომა მთელი ერთი მესამედით უფრო იაფია საფრანგეთში, ვიდრე ინგლისში, რადგან ფრანგი ღირებები დაუღალავად მუშაობენ და ცუდად იკვებებიან და იცვავენ; მათი მთავარი საზრდოა პური, ხილი, ბალახეული, მცენარეულობის ძირები და ხმელი თევზი; ისინი ძალიან იშვიათად კაშენ ხორცს და, როდესაც ხორბალი ძვირია, პურსაც ძალიან ცოტას ხმარობენ»⁵². «ამასთანავე, — განაგრძობს Essay-ისტი, — ისინი მხოლოდ წყალს და მსგავს წყალ-წყალა სასმელებს სვამენ, ისე რომ მართლა განსაცვიფრებლად ცოტა ფულს ხარჯავენ... რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობის შექმნა ძნელია, მაგრამ იგი მიუღწეველი არ არის, როგორც ამას ნათლად ამტკიცებს მისი არსებობა როგორც საფრანგეთში, ისე ჰოლანდიაში»⁵³. ორი ათეული წლის შემდეგ ერთი

⁵⁰ «An Essay on Trade and Commerce» London 1770, გვ. 44. ამის მსგავსად, 1866 წლის დეკემბრის და 1867 წლის იანვრის «Times»-ში მოთავსებულ იქნა ინგლისელ მალაროს მფლობელთა გულის ამონაკენესი, სადაც აღწერილი იყო ბუნდოვანი მდგომარეობა ბელგიელი მალაროს მუშებისა, რომელნიც არ მოითხოვენ და არ იღებენ იმაზე მეტს, რაც სწორედ საჭიროა, რათა იარსებონ თავიანთი «master»-ების მიწარმეებისათვის. ბელგიელი მუშები ბევრს ითმენენ, მაგრამ «Times»-ის ფურცლებზე მათი სამაგალითო მუშებად გამოცხადება — ეს უკვე მეტისმეტია! ამის პასუხი იყო ბელგიელი მალაროს მუშების გაფიცვა 1867 წლის თებერვალში (მარშიენის ახლოს), რომელიც ტყვია-წამლით იქნა ჩაქრობილი.

⁵¹ იქვე, გვ. 44, 45.

⁵² ნორტემპტონშირის მეფაბრიკე აქ ღვთისნიერ სიყალბეს სჩადის, რომელიც მას მიეცემა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის გულისთქმას. ის ვითომ ინგლისელი და ფრანგი მანუფაქტურული მუშების ცხოვრებას ადარებს ერთმანეთს, მაგრამ, როგორც შემდეგ თვითონვე გამოგვიტყდება, ზემომოყვანილი სიტყვებით იგი მხოლოდ ფრანგი მიწათმოქმედი მუშების ცხოვრებას აკვიწრს!

⁵³ «An Essay on Trade and Commerce». London 1770, გვ. 70, 71.

შენი შენა მესამე გამოცემისათვის. დღეს, იმ კონკურენციის მეხებით, რომელიც მსოფლიო ბაზარზე შეიქმნა მას შემდეგ, რაც ეს ციტირებული

ამერიკელი შარლატანი, გაბარონებული იანკი ბენჯამინ ტომპსონი (იგივე გრაფი რუშფორდი), იმავე ფილანთროპიული მიმართულებით იღვწოდა, რითაც ღვთისა და კაცის დიდი მადლობა დაიმსახურა. მისი «Essays» წარმოადგენს სამზარეულო წიგნს, რომელიც სავესეა ყოველგვარი რეცეპტებით იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მუშის საკვები ძვირადღირებული ნორმალური საგნების შეცვლა სუროგატებით. აი ამ საკვირველი «ფილოსოფოსის» ერთი განსაკუთრებით უებარი რეცეპტი: «5 გირვანქა ქერი, 5 გირვანქა სიმინდი, 3 პენსის ქაშაყი, 1 პენსის მარილი, 1 პენსის ძმარი, 2 პენსის პილპილი და მწვანელი, — სულ 20³/₄ პენსით მზადდება წვენი 64 კაცისთვის, ამასთან მარცვლეულის საშუალო ფასების პირობებში ეს ხარჯები კიდევ შეიძლება შემცირდეს ¹/₄ პენსამდე (სამ ფენიგზე ნაკლები) თვითეულ სულზე»⁵⁴. საქონლის ფალსიფიკაციამ, რაც თან ახლავს კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, ზედმეტი გახადა ტომპსონის იდეალები⁵⁵.

სტრიქონები დაიწერა, ჩვენ საგრძნობლად წაიწიეთ წინ ამ საკითხში. «თუ ჩინეთი — ეუბნებოდა პარლამენტის წევრი სტეპლტონი თავის ამომრჩევლებს, — დიდ სამრეწველო ქვეყნად გადაიქცევა, მე არ ვიცი როგორ გაუძლებს ამას ევროპის მუშა-მოსახლეობა, უიმისოდ, თუ იგი თავისი კონკურენტების დონემდე არ დაიწვეს» («Times», 1873 წლის 3 სექტემბერი). — ახლა უკვე არა კონტინენტური, — არა, ჩინური ხელფასი წარმოადგენს ინგლისის კაპიტალის სანატრელ ოცნებას.

⁵⁴ Benjamin Thompson: «Essays Political, Economical and Philosophical etc.». 3 ტომი. London 1796 — 1802, ტ. I, გვ. 288. თავის შრომაში «The State of the Poor, or an History of the Labouring Classes in England etc.» სერ ფ. მ. იდენი დაბეჯითებით ურჩევს სამუშაო სახლების ზედამხედველებს რუმფორდის მათხოვრულ წვეს და საყვედურით აღსავსე სიტყვებით აფრთხილებს ინგლისელ მუშებს, რომ «შოტლანდიაში მრავალი ოჯახი არსებობს, რომელიც მთელი თვეების განმავლობაში ხორბლის, ჭვავისა და ხორცის ნაცვლად მხოლოდ მარილით და წყლით შეზავებული შვრიით და ქერის ფქვილით იკვებება და, მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან კომფორტულად ცხოვრობს» («and that very comfortably too»). (იქვე, ტ. I, წიგნი II, თავი 2, გვ. 503). ანალოგიურ «მითითებებს» ადგილი ჰქონდა აგრეთვე მე-19 საუკუნეში. «ინგლისელ მიწათმოქმედ მუშებს, — ვკითხულობთ, მაგალითად, — არ სურთ ნარევი დაბალი ხარისხის პურის ჭამა. შოტლანდიაში, სადაც აღზრდა უკეთესია, ეს ცრურწმენა, ალბათ, უცნობია» (Charles H. Parry, M. D.: «The Question of the Necessity of the existing Cornlaws considered». London 1816, გვ. 69). მაგრამ იგივე პარი ჩვიის, ინგლისელი მუშა ამკამად (1815 წელს) ძალიან ჩამოქვეითებულია იდენის დროსთან (1797 წელთან) შედარებით.

⁵⁵ როგორც ირკვევა პარლამენტის უკანასკნელი საგამომძიებლო კომისიის ანგარიშებიდან საარსებო საშუალებათა ფალსიფიკაციის შესახებ, ინგლისში თვით წამლების ფალსიფიკაცია გამოწვევის კი არ შეადგენს, არამედ საერთო წესია. მაგალითად, ლონდონის ოცდაათობნეტ სხვადასხვა აფთიაქში ნაყიდი ოპიუმის 34 ნიმუშის გამო-

მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულებში ინგლისელმა ფერმერებმა და ლენდლორდებმა ხელფასი აბსოლუტურ მინიმუმზე დაიყვანეს იმით, რომ სოფლის მეურნეობის დღიურ მუშებს ისინი აძლევდნენ ხელფასის სახით საარსებო მინიმუმზე ნაკლებს, ხოლო დანარჩენს სამრევლო დახმარების სახით უხდიდნენ. აი მაგალითი იმ ოინბაზობისა, რასაც მაშინ ინგლისელი დოგბერები მიმართავდნენ ხელფასის ტარიფის «კანონიერი» დაწესების დროს: «როდესაც სკვაირები 1795 წელს სპინჰემლენდისათვის ხელფასს აწესებდნენ, ისინი სწორედ სადილობდნენ, მაგრამ, ალბათ, ფიქრობდნენ, მუშებისთვის ასეთი რამ საჭირო არ არისო... მათ გადაწყვიტეს, რომ კვირეული ხელფასი თითო კაცზე 3 შილინგს უნდა უდრიდეს, როდესაც ერთი მთელი პური, წონით 8 გირვანქა და 11 უნცი, 1 შილინგი ღირს, და ეს ხელფასი სისტემატურად უნდა იზრდებოდეს, სანამ ამ პურის ფასი 1 შილინგს და 5 პენსს მიაღწევდეს. როგორც კი პურის ფასი ამ დონეს გადააჭარბებს, ხელფასმა პროპორციულად უნდა იკლოს, ვიდრე პურის ფასი 2 შილინგს მიაღწევდეს; და მაშინ თითო კაცის საზრდო $\frac{1}{6}$ -ით ნაკლები უნდა იყოს უწინდელთან შედარებით»⁵⁶. 1814 წელს ლორდთა პალატის საგანმომძიებლო კომისიის წინაშე ჩვენებას აძლევდა ვინმე ა. ბენეტი, მსხვილი ფერმერი, მომრიგებელი მოსამართლე, ღარიბთა სახლის გამგე და ხელფასის მომწესრიგებელი. შეკითხვაზე: «არსებობს თუ არა რაიმე გარკვეული შეფარდება მუშების დღიური შრომის ღირებულებასა და მათს სამრევლო დახმარებას შორის» — მან უპასუხა: «დიახ. ყოველი ოჯახის ნომინალურ ხელფასს იმდენი ემატება, რომ თვითეული ოჯახის კვირეული შემოსავალი უნდა უდრიდეს ერთი მთელი პურის (8 გირვანქა და 11 უნცი) ღირებულებას და 3 პენსს სულზე... ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ერთი მთელი პური საკმარისია ოჯახის თვითეული წევრის გამოსაკვებად ერთი კვირის განმავლობაში; 3 პენსი ტანისამოსისთვის ეძლევათ; თუ სამრევლო თვით მოისურვებს ტანისამოსის მიცემას, ეს 3 პენსი გამოაკლდება დახმარებას. ეს პრაქტიკა გაბატონებულია არა მარტო უილტშირის მთელ დასავლეთ ნაწილში, არამედ,

კვლევით დადასტურდა, რომ 31 შემთხვევაში ოპიუმი გაყალბებული იყო ხაშხაშის თავებით, ხორბლის ფეკლით, ხის წებოთი, თიხით, ქვიშით და სხვ. ზნორად მორფიუმის ნასახიცი კი არ მოიპოვებოდა შიგ.

⁵⁶ G. B. Newham (barrister at law [ადვოკატი]): «A Review of the Evidence before the Committees of the two Houses of Parliament on the Cornlaws». London 1815, გვ. 28, შენიშვნა.

ვეფქრობ, მთელ ქვეყანაში»⁵⁷. «ამგვარად, — გაჰყვირის იმ დროის ერთ-ერთი ბურჟუაზიული მწერალი, — ფერმერები მთელი წლების განმავლობაში ხელს უწყობდნენ თავიანთ თანამემამულეთა ღირსეული კლასის გადაგვარებას იმიტ, რომ აიძულებდნენ მათ სამუშაო სახლში ეძებნათ თავშესაფარი... ფერმერმა გაადიდა თავისი საკუთარი მოგება მით, რომ ხელი შეუშალა უაღრესად აუცილებელი სამომხმარებლო ფონდის დაგროვებასაც კი მუშების მიერ»⁵⁸. თუ რა როლს ასრულებს ამჟამად ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, კაპიტალის დაგროვების ფონდის შექმნაში მუშის აუცილებელი სამომხმარებლო ფონდის პირდაპირი გაძარცვა, ეს ჩვენ დავინახეთ, მაგალითად, ეგრეთწოდებული შინმუშაობის განხილვის დროს (იხ. თავი მეცამეტე, № 8, d). სხვა ფაქტებს ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ამ განყოფილებაში.

თუმცა მრეწველობის ყველა დარგში მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შრომის საშუალებებისაგან შედგება, საკმარისი უნდა იყოს დაბანდების მოცულობით განსაზღვრული მუშების გარკვეული რაოდენობისთვის, მაგრამ სრულიად საჭირო არ არის, რომ იგი მუდამ იმავე პროპორციით იზრდებოდეს, როგორც დასაქმებული მუშების რაოდენობა იზრდება. ვთქვათ, რომელიმე ფაბრიკაში 100 მუშა 8 საათიან სამუშაო დღეში 800 სამუშაო საათს იძლევა. თუ კაპიტალისტი მოისურვებს ამ ჯამის სანახევროდ გადიდებას, მას შეუძლია კიდევ ორმოცდაათი ახალი მუშა დაიქირაოს; მაგრამ მაშინ მან აგრეთვე ახალი კაპიტალი უნდა დააყვანოს, არა მარტო ხელფასისათვის, არამედ — შრომის საშუალებებისთვისაც. მაგრამ მას შეუძლია აგრეთვე ამუშაოს ძველი 100 მუშა 12 საათი, ნაცვლად 8 საათისა, და მაშინ საკმარისი იქნება უკვე არსებული შრომის საშუალებანი, მხოლოდ ეს უკანასკნელნი ამ შემთხვევაში უფრო ადრე გაცვდება. ამრიგად, სამუშაო ძალის უფრო მძლავრი დაძაბვით შექმნილ დამატებითს შრომას შეუძლია გაადიდოს ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი ღირებულება, ე. ი. დაგროვების სუბსტანცია, ისე რომ წინასწარ და პროპორციულად არ გაადიდოს კაპიტალის მუდმივი ნაწილი.

⁵⁷ იქვე, გვ. 19, 20.

⁵⁸ Ch. H. Parry: «The Question of the Necessity of the existing Corn-laws considered». London 1816, გვ. 77, 69. ბ-მა ლენდლორდებმა, თავის მხრივ, არათუ აინახლაურეს ხარალი ანტი-იაკობინური ომისა, რომელსაც ისინი ინგლისის სახელით აწარმეებდნენ, არამედ უაღრესად გამდიდრდნენ კიდევ. «18 წლის განმავლობაში მათი რენტა გაორკვედა, გასამკვედა, გაოთხკვედა და, გამონაკლის შემთხვევებში, კიდევ გაექვსკვედა» (იქვე, გვ. 100, 101).

მომპოვებელ ნრეწველობაში, მაგალითად, სამთამადნო წარმოებაში, ნედლი მასალა ავანსებული კაპიტალის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. შრომის საგანი აქ წინანდელი შრომის პროდუქტი კი არ არის, არამედ მუქთად ნაბოძებია ბუნების მიერ. ასეთია, მაგალითად, ლითონის მადანი, ქვანახშირი, ქვა და სხვ. აქ მუდმივი კაპიტალი შედგება შრომის თითქმის მარტოოდენ ისეთი საშუალებებისაგან, რომელნიც ადვილად დაიტევენ შრომის გადიდებულ რაოდენობას (მაგალითად, მუშების დღისა და ღამის ცვლათა დაწესებით). მაგრამ, დანარჩენ თანაბარ პირობებში, პროდუქტის მასა და ღირებულება იზრდება გამოყენებულ შრომასთან პირდაპირი შეფარდებით. აქ, ისე როგორც წარმოების პირველ დღეს, პროდუქტის თავდაპირველი შემქმნელნი, მაშასადამე, კაპიტალის ნივთიერი ელემენტების შემქმნელნიც, ადამიანი და ბუნება, ხელიხელჩაკიდებული მიდიან. სამუშაო ძალის ელასტიკურობის გამო დაგროვების ფარგლები ფართოვდება მუდმივი კაპიტალის წინასწარ გაუდიდებლად.

მიწათმოქმედებაში არ შეიძლება დამუშავებული მიწის გაფართოება თესლისა და სასუქის დამატებითი დაავენების გარეშე. მაგრამ თუ ეს დაავენება უკვე მოხდა, მაშინ ნიადაგის თვით წმინდა მექანიკური დამუშავებაც კი სასწაულებრივ გავლენას ახდენს პროდუქტის რაოდენობაზე. შრომის გადიდებული რაოდენობა, რომელსაც მუშების უწინდელი რიცხვი იძლევა, აძლიერებს ამგვარად ნიადაგის ნაყოფიერებას და აძლიერებს ისე, რომ არ საჭიროებს ახალ ხარჯებს შრომის საშუალებებისთვის. ეს კვლავ ადამიანის პირდაპირი ზემოქმედებაა ბუნებაზე, რომელიც ახალი კაპიტალის ჩაურევლად გაძლიერებული დაგროვების უშუალო წყარო ხდება.

ბოლოს, საკუთრივ მრეწველობაში შრომის ყოველი დამატებითი დახარჯვა გულისხმობს ნედლი მასალის, მაგრამ არა აუცილებლად აგრეთვე შრომის საშუალებების, სათანადო დამატებითს დახარჯვას. და რადგან მომპოვებელი მრეწველობა და მიწათმოქმედება დამუშავებელ მრეწველობას მისთვის საჭირო ნედლ მასალას და მის შრომის საშუალებათა ნედლ მასალას აწვდის, ამიტომ დამმუშავებელი მრეწველობა სარგებლობას ნახულობს პროდუქტების იმ დამატებითს რაოდენობაში, რომელიც პირველი ორი დარგის მიერ დამატებითი კაპიტალის დაუხარჯავედაა შექმნილი.

საერთო შედეგი ასეთია: კაპიტალი იერთებს სინდიდროს ორსავე თავდაპირველ ფაქტორს, სამუშაო ძალას და მიწას, და ამით იძენს ექსპანსიის უნარს, რაც მას საშუალებას აძლევს გაათართოს თავისი დაგროვების ელემენტები იმ სახლებრებს იქით, რომლებიც

თითქოს აღმართულია მისი საკუთარი სიდიდით, აღმართული იმ უკვე წარმოებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებით და მასით, რომლებშიც კაპიტალის არსებობა ხორციელდება.

კაპიტალის დაგროვების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონე.

შრომის მწარმოებლურ ძალასთან ერთად იზრდება პროდუქტების მასა, რომლითაც გამოიხატება განსაზღვრული ღირებულება, მაშასადამე, განსაზღვრული სიდიდის ზედმეტი ღირებულებაც. ზედმეტი პროდუქტის მასა იზრდება ზედმეტი ღირებულების უცვლელი და კლებადი ნორმის დროსაც კი, თუ ეს ნორმა უფრო ნელა კლებულობს, ვიდრე მატულობს შრომის მწარმოებლური ძალა. ამიტომ, როცა ზედმეტი პროდუქტის დანაწილება შემოსავლად და დამატებითს კაპიტალად უცვლელია, კაპიტალისტის მოხმარება შეიძლება გაიზარდოს დაგროვების ფონდის შეუმცირებლად. დაგროვების ფონდის პროპორციული სიდიდე შეიძლება გაიზარდოს მოხმარების ფონდის ხარჯზეც კი, მაშინ როდესაც საქონლის გაიაფებას კაპიტალისტის განკარგულებაში იმდენივე მოხმარების საგნები გადააქვს, რამდენიც უწინ, ანდა კიდევ უფრო მეტიც. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, როგორც დავინახეთ, ხელისებლჩაკიდებული მიმდინარეობს მუშის გაიაფება, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდა, თუნდაც რომ რეალური ხელფასი მატულობდეს. ეს უკანასკნელი არასოდეს არ მატულობს შრომის ნაყოფიერების პროპორციულად. ამრიგად, ცვალებადი კაპიტალის იმავე ღირებულებას მოძრაობაში მოჰყავს მეტი სამუშაო ძალა და, მაშასადამე, მეტი შრომაც. მუდმივი კაპიტალის იგივე ღირებულება გამოიხატება წარმოების საშუალებათა მეტი რაოდენობით, ე. ი. შრომის საშუალებათა, სამუშაო მასალისა და დამხმარე მასალის მეტი რაოდენობით და, მაშასადამე, იძლევა როგორც პროდუქტის, ისე ღირებულების უფრო მეტ შემქმნელ ელემენტებს, ანუ შრომის შემწოვ ელემენტებს. ამიტომ, დამატებითი კაპიტალის უცვლელი და კლებადი ღირებულების დროსაც კი ადგილი აქვს აჩქარებულ დაგროვებას. არა მარტო ფართოვდება ნივთიერად კვლავწარმოების ფარგლები, არამედ ზედმეტი ღირებულების წარმოება უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე დამატებითი კაპიტალის ღირებულება.

შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება გავლენას ახდენს აგრეთვე თავდაპირველ კაპიტალზე, ე. ი. უკვე წარმოების პროცესში მყოფ კაპიტალზე. მოქმედი მუდმივი კაპიტალის ნაწილი შედგება შრომის საშუალებებისაგან, როგორცაა მანქანები და სხვ., რომელთა

მოხმარება და, მაშასადამე, კვლავწარმოება ანუ იმავე გვარეობის ახალი ეგზემპლარებით შენაცვლება მხოლოდ უფრო ხანგრძლივ პერიოდებში ხდება. მაგრამ შრომის ამ საშუალებათა ერთი ნაწილი ყოველწლიურად კვდება, ე. ი. თავისი მწარმოებლური ფუნქციის საბოლოო მიზანს აღწევს. ამიტომ ეს ნაწილი ყოველწლიურად იმყოფება თავისი პერიოდული კვლავწარმოების ანუ იმავე გვარეობის ახალი ეგზემპლარებით შენაცვლების სტადიაში. თუ შრომის მწარმოებლური ძალა ვითარდება იმ დარგებში, სადაც შრომის ეს საშუალებანი იწარმოება, — იგი კი განუწყვეტლივ ვითარდება მეცნიერებისა და ტექნიკის შეუჩერებელ პროგრესთან ერთად, — მაშინ ძველის ადგილს იჭერს უფრო ქმედუნარიანი და, თუ ამ ქმედუნარიანობის მოცულობას მხედველობაში მივიღებთ, უფრო იაფი მანქანა, იარაღი, აპარატი და სხვა. ძველი კაპიტალი იკვლავწარმოება უფრო მწარმოებლური ფორმით, თუ არას ვიტყვით შრომის არსებული საშუალებების მუდმივ ნაწილობრივ ცვლილებებზე. მუდმივი კაპიტალის მეორე ნაწილი, ნედლი მასალა და დამხმარე მასალა, იკვლავწარმოება განუწყვეტლივ წლის განმავლობაში, მასალა კი, რომელსაც მიწათმოქმედება იძლევა, — მეტწილად წელიწადში ერთხელ. მაშასადამე, გაუმჯობესებული მეთოდების და სხვ. ყოველი შემოღება თითქმის იმავდროულად მოქმედებს აქ დამატებითს კაპიტალზე და უკვე მოქმედ კაპიტალზე. ქიმიის ყოველი პროგრესი არა წარტო ამრავლებს სასარგებლო ნივთიერებათა რაოდენობას და უკვე ცნობილ ნივთიერებათა სასარგებლო გამოყენების რიცხვს და, მაშასადამე, აფართოებს კაპიტალის ზრდასთან ერთად მისი დაბანდების სფეროსაც; ამასთანავე იგი გვასწავლის წარმოებისა და მოხმარების პროცესის ექსკრემენტების უკანვე ჩართვას კვლავწარმოების პროცესის წრებრუნვაში და, ამრიგად, ქმნის კაპიტალის ახალ ნივთიერებას კაპიტალის წინასწარ დაუხარჯავად. როგორც ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაცია ძლიერდება სამუშაო ძალის მარტოოდენ მეტი დაძაბვით, ასევე მეცნიერება და ტექნიკა ქმნის მოქმედი კაპიტალის ექსპანსიის ძალას, ამ კაპიტალის მოცემული სიდიდისაგან დამოუკიდებლად. ეს ძალა გავლენას ახდენს ამასთანავე თავდაპირველი კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც შესულია თავისი განახლების სტადიაში. თავის ახალ ფორმაში ეს კაპიტალი ნუქთად ითვისებს იმ საზოგადოებრივ პროგრესს, რომელიც მისი ძველი ფორმის ზურგს უკან განხორციელდა. რასაკვირველია, მწარმოებლური ძალის ამ განვითარებას იმავე დროს თან სდევს მოქმედი კაპიტალის ნაწილობრივი გაუფასურება. რამდენადაც ეს გაუფასურება მწვავედ

საგრძნობი ზდება კონკურენციის მეოხებით, მისი მთავარი სიმძიმე აწვება მუშას, რომლის გაძლიერებული ექსპლოატაციით კაპიტალისტი თავისი ზარალის ანაზღაურებას ცდილობს.

შრომას გადააქვს პროდუქტზე მის მიერ მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება. მეორე მხრივ, წარმოების საშუალებათა ღირებულება და მასა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს შრომის მოცემულ რაოდენობას, იზრდება იმ პროპორციით, რომლითაც დიდდება შრომის ნაყოფიერება. მაშასადამე, თუ შრომის მოცემული რაოდენობა უმატებს კიდევ თავის პროდუქტებს მუდამ ერთი და იმავე ოდენობის ახალ ღირებულებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად მაინც იზრდება ის ძველი კაპიტალღირებულება, რაც მას იმავედროულად პროდუქტზე გადააქვს.

თუ ინგლისელი და ჩინელი მრთველები, მაგალითად, იმავე რაოდენობის საათების განმავლობაში იმავე ინტენსივობით იმუშავენ, მაშინ ერთი კვირის განმავლობაში ორივე თანატოლ ღირებულებას შექმნის. ამ თანატოლობის მიუხედავად, დიდი განსხვავება არსებობს მძლავრი ავტომატით მომუშავე ინგლისელის კვირეული პროდუქტის ღირებულებასა და ჯარაზე მომუშავე ჩინელის კვირეული პროდუქტის ღირებულებას შორის. იმავე დროში, რომლის განმავლობაში ჩინელი ერთ გირვანქა ბამბას დაართავს, ინგლისელი დაართავს მრავალ ასეულ გირვანქას. ძველ ღირებულებათა მრავალასჯერ გადიდებული ჯამი ადიდებს ინგლისელის პროდუქტის ღირებულებას; ამ პროდუქტში ეს ძველი ღირებულებანი შენახული რჩება ახალი სასარგებლო ფორმით და მათ შეუძლიათ, ამრიგად, ხელახლა იმოქმედონ კაპიტალის სახით. «1782 წელს, — გვაუწყებს ფ. ენგელსი, — წინა სამი წლის განმავლობაში მიღებული მატყლის მთელი მოსავალი ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ეწყო (ინგლისში) მუშების ნაკლებობის გამო და კიდევ დიდხანს იქნებოდა ასე დაწყობილი, ახლად გამოგონებული მანქანა რომ არ მიშველებოდა და არ დაერთა იგია»⁵⁹. მანქანების სახით გასაგნობრივებულ შრომას, რასაკვირველია, არც ერთი ადამიანი არ გაუჩენია უშუალოდ, მაგრამ მან საშუალება მისცა მუშების მცირე რიცხვს შედარებით მცირე ცოცხალი შრომის დამატებით არა მარტო მწარმოებლურად მოეხმარათ მატყლი და მიემატებინათ მისთვის ახალი ღირებულება, არამედ შეენახათ, ნართის და სხვ. სახით,

⁵⁹ F. Engels: «Lage der arbeitenden Klasse in England». Leipzig 1845, გვ. 20. [ფ. ენგელსი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». თბილისი 1932, გვ. 26.]

შისი ძველი ღირებულება. ამით მან შექმნა იმავე დროს საშუალება და იმპულსი მატყლის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. ცოცხალ შრომას ბუნებითვე აქვს მინიჭებული უნარი: შეინახოს ძველი ღირებულება, როცა ახალ ღირებულებას ქმნის. ამიტომ თავის წარმოების საშუალებათა ქმედუნარიანობის, მოცულობისა და ღირებულების ზრდასთან ერთად, ე. ი. დაგროვების ზრდასთან ერთად, რომელიც თან სდევს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებას, შრომა სულ ახალი ფორმით ინახავს და ამარადისებს მუდამ მზარდ კაპიტალღირებულებას⁶⁰. შრომის ეს ბუნებრივი ძალა გვევლინება

⁶⁰ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, შრომის პროცესის და ღირებულების ზრდის პროცესის არადამატყვარილებელი ანალიზის გამო, არასოდეს არ გაუგია ბერიანად კვლავწარმოების ეს მნიშვნელოვანი მომენტი. მაგალითისათვის ავიღოთ რიკარდო. მაგალითად, იგი ამბობს: როგორც უნდა შეიცვალოს მწარმოებლური ძალა, — მილიონი ადამიანი ფაბრიკებში მუდამ ერთსა და იმავე ღირებულებას ქმნის. ეს სწორია, თუ მოცემულია მათი შრომის ექსტენსივობა და ინტენსივობის დონე. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის, — და აი ამას უშვებს მხედველობიდან რიკარდო თავის ზოგიერთ დასკვნაში, — რომ ერთი მილიონი ადამიანი, თავისი შრომის სხვადასხვა მწარმოებლური ძალის დროს, პროდუქტად აქცევს წარმოების საშუალებათა სულ სხვადასხვა მასას და ამიტომ თავის პროდუქტში ინახავს ღირებულების სულ სხვადასხვა მასას, რომელიც, მაშასადამე, მის მიერ მოცემულ პროდუქტების ღირებულებათაგან მეტად განსხვავებულია. გაკვრით უნდა აღენიშნოთ, რომ რიკარდო ამოდ ცდილობდა აეხსნა ამ მაგალითით ფ. ბ. სეისთვის, თუ რა განსხვავებაა სახმარ ღირებულებასა (რომელსაც იგი აქ უწოდებს *wealth*-ს, ნივთიერ სიმდიდრეს) და საცვლელ ღირებულებას შორის. სეი უპასუხებს: რაც შეეხება იმ სიძნელეს, რომელზედაც რიკარდო მიუთითებს, როდესაც იგი ამბობს, მილიონ ადამიანს შეუძლია წარმოების გაუმჯობესებული მეთოდებით ორჯერ ან სამჯერ მეტი სიმდიდრე შექმნას მეტი ღირებულების შეუქმნელადო, — ეს სიძნელე ქრება, თუ ჩვენ, როგორც ეს საჭიროა, წარმოებას განვიხილავთ როგორც გაცვლას, სადაც ადამიანი თავისი შრომის, მიწისა და კაპიტალის მწარმოებლურ სამსახურს გაიღებს, რათა პროდუქტები მიიღოს. ამ მწარმოებლურ სამსახურთა საშუალებით მოვიპოვებთ ჩვენ ყველა იმ პროდუქტს, რომელიც ქვეყნად არსებობს. და აი... ჩვენ მით უფრო მდიდრები ვართ, ჩვენს მწარმოებლურ სამსახურს მით უფრო მეტი ღირებულება აქვს, რაც უფრო მეტ სასარგებლო ნივთებს მივიღებთ იმ გაცვლაში, რასაც წარმოება ეწოდება» (J. B. Say: «*Lettres à M. Malthus*». Paris 1820, გვ. 168, 169). «სიძნელე, — ეს სიძნელე მხოლოდ მისთვის არსებობს და არა რიკარდოსთვის, — რომელიც სეიმ უნდა ახსნას, შემდეგში მდგომარეობს: რატომ არ იზრდება სახმარ ღირებულებათა ღირებულება, როდესაც მათი რაოდენობა შრომის გადიდებული მწარმოებლური ძალის გამო იზრდება? პასუხი: ეს სიძნელე მოისწნება იმით, თუ ვეთილივინებთ და სახმარ ღირებულებას საცვლელ ღირებულებას ვუწოდებთ. საცვლელი ღირებულება ისეთი რამ არის, რაც ასე თუ ისე დაკავშირებულია გაცვლასთან. მაშასადამე, ვუწოდოთ წარმოებას შრომის და წარმოების საშუალებათა «გაცვლა» პროდუქტზე, და მაშინ დღესავით ნათელი გახდება, რომ ჩვენ მით უფრო მეტ საცვლელ ღირებულებას მივიღებთ, რაც უფრო მეტ სახმარ

როგორც თვითშენარჩუნების ძალა კაპიტალისა, რომელთანაც იგი შესისხლბორცებულია, სწორედ ისევე, როგორც შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალები გვევლინება კაპიტალის თვისებათა სახით, ხოლო ზედმეტი შრომის მუდმივი მითვისება კაპიტალისტის მიერ — კაპიტალის მუდმივი თვითზრდის სახით. შრომის ყველა ძალა წარმოგვიდგება კაპიტალის ძალთა სახით, ისევე როგორც საქონლის ღირებულების ყველა ფორმა — ფულის ფორმათა სახით.

კაპიტალის ზრდასთან ერთად იზრდება განსხვავება დაბანდებულ და მოხმარებულ კაპიტალს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: იზრდება ღირებულებითი და ნივთიერი მასა შრომის საშუალებათა, როგორცაა შენობები, მანქანები, სადრენაჟო მილები, მუშა-პირუტყვი, ყოველგვარი აპარატები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მულამ განმეორებულ წარმოების

ღირებულებას გვაძლევს წარმოება. სხვანაირად რომ ვთქვათ: რაც უფრო მეტ სახმარ ღირებულებას, მაგალითად, წინდებს აძლევს წინდების მეფაბრიკეს სამუშაო დღე, მით უფრო მდიდარია იგი წინდებით. მაგრამ აქ სეის უეცრად ავლიდება, რომ წინდების მეტ რაოდენობასთან ერთად მათი «ფასი» (რომელსაც, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო საცკლელ ღირებულებასთან) ეცემა, «რადგან კონკურენცია აიძულებს მათ (მწარმოებლებს) ისეთ ფასში გაყიდონ პროდუქტი, რაც მათ იგი უღირთ». მაგრამ საიდან წარმოდება მაშინ მოგება, თუ კაპიტალისტი თავის საქონელს იმ ფასში ყიდის. რაც მას იგი უღირს? მაგრამ never mind [ეს არაფერია]. სეი აცხადებს, რომ შრომის მწარმოებლური ძალის ზრდის გამო ახლა თვითეული იმავე ეკვივალენტში ორ წყვილ წინდას იძენს ნაცვლად უწინდელი ერთი წყვილისა და სხვ. შედეგი, რომელსაც იგი აღწევს, სწორედ ის დებულებაა რიკარდოსი, რომლის დარღვევაც მას სურდა. გონების ამ საოცარი დაძაბვის შემდეგ იგი ტრიუმფით მიმართავს მალთის შემდეგი სიტყვებით: «ასეთია, მოწყალეო ხელმწიფე, დასაბუთებული მოძღვრება, ურომლისოდაც, ამას ეაცხადებ მე, შეუძლებელია პოლიტიკური ეკონომიის უძნელესი საკითხების გადაწყვეტა, განსაკუთრებით იმ საკითხის ახსნა, თუ როგორ შეიძლება რომელიმე ერი, მიუხედავად იმისა, რომ სიმდიდრეს ღირებულება შეადგენს, უფრო მდიდარი გახდეს, როცა მისი პროდუქტების ღირებულება კლებულობს» (იქვე, გვ. 170). ერთი ინგლისელი ეკონომისტი შენიშნავს სეის ამგვარი ფოკუსების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ «Lettres»-ში: «ლახბობის ასეთი აღტაცებული მანერა («those affected ways of talking») საერთოდ შეადგენს იმას, რასაც ბ-ნი სეი თავის მოძღვრებას უწოდებს და რის სწავლებასაც იგი ურჩევს მალთუსს პარტფორდში, როგორც ეს უკვე ხდება «ევროპის სხვადასხვა ადგილს»-ო. იგი ამბობს: «თუ თქვენ ამ დებულებებში რაიმე პარადოქსალურად გეჩვენებათ, მაშინ დაუკვირდით იმ საგნებს, რომელთაც ისინი გამოხატავენ, და მე გაკვადნიერდები მოგახსენოთ, რომ ისინი თქვენ ფრად უბრალოდ და გონივრულად წარმოადგებათ. ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ამასთანავე ერთად ისინი იმავე პროცესის გამო ჩვენ მოგვეჩვენება ყველაფრად, მხოლოდ ორიგინალურად ან მნიშვნელოვანად კი — არასოდეს» («An Inquiry into those Principles respecting the Nature of Demand etc.», გვ. 116, 110).

პროცესებში მთელი თავისი მოცულობით მოქმედებენ, ე. ი. ემსახურებიან განსაზღვრული სასარგებლო ეფექტის მიღწევას, მაშინ როდესაც ისინი მხოლოდ თანდათანობით ცვდებიან და, ამიტომ, თავიანთ ღირებულებას მხოლოდ ნაწილ-ნაწილ კარგავენ, მაშასადამე, ეს ღირებულება აგრეთვე მხოლოდ ნაწილ-ნაწილ გადააქვთ პროდუქტზე. რამდენადაც შრომის ეს საშუალებანი პროდუქტის შექმნას ემსახურებიან, პროდუქტს კი ღირებულებას არ უმატებენ, ე. ი. რამდენადაც მთლიანად გამოიყენებიან, ზოიხმარებიან კი მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, იმდენად, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, ისინი ისეთსავე მუქტ სამსახურს ეწევიან, როგორც ბუნების ძალები: წყალი, ორთქლი, ჰაერი, ელექტრობა და სხვ. წარსული შრომის ეს მუქტი სამსახური, დაუფლებული და სულჩადგმული ცოცხალი შრომით, გროვდება დაგროვების ფარგლების ზრდასთან ერთად.

რადგან წარსული შრომა მუდამ კაპიტალის სამოსელში გამოდის, ე. ი. A, B, C-ს და სხვ. შრომის პასივი არამშრომელი X-ის აქტივად იქცევა, ამიტომ ბურჟუა და ეკონომისტები ქება-დიდებათ იხსენიებენ წარსული შრომის ღვაწლს; ამ წარსულმა შრომამ, შოტლანდიელი გენიოსის მაკ კულოხის აზრით, განსაკუთრებული ჯილდოც კი უნდა მიიღოს (პროცენტის, მოგებისა და სხვ. სახელწოდებით)⁶¹. ამრიგად, იმ წარსული შრომის განუწყვეტლივ მზარდ მნიშვნელობას, რომელიც წარმოების საშუალებათა სახით შრომის ცოცხალ პროცესში მონაწილეობს, მიაწერენ არა თვით მუშას, რომლია წარსული და გადაუხდელი შრომაც იგი არის, არამედ მუშისაგან განრიდებულ ამ შრომის განსახიერებას, ე. ი. მის განსახიერებას კაპიტალში. კაპიტალისტური წარმოების პრაქტიკულ აგენტებს და მის ყბედ იდეოლოგებს ისევე არ ძალუძთ წარმოიდგინონ წარმოების საშუალება გათიშულად იმ ანტაგონისტური საზოგადოებრივი დამახასიათებელი ნიღაბისაგან, რომელსაც ეს წარმოების საშუალება ამჟამად ატარებს, როგორც მონათმფლობელს არ ძალუძს წარმოიდგინოს მუშა, როგორც ასეთი, მონის დამახასიათებელი თვისებებისაგან გათიშულად.

თუ მოცემულია სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი, ზედმეტი ღირებულების მასა განისაზღვრება იმავდროულად ექსპლოატირებულ მუშათა რიცხვით, ხოლო ეს უკანასკნელი შეესაბამება, თუმცა ცვალებადი პროპორციით, კაპიტალის სიდიდეს. მაშასადამე, რაც

⁶¹ მაკ კულოხმა გაცილებით უფრო ადრე აიღო პატენტი «wages of past labour»-ზე [«გასამრჯელო წარსული შრომისათვის»], ვიდრე სენიორმა «wages of abstinence»-ზე [«გასამრჯელო დათმენისათვის»].

უფრო იზრდება კაპიტალი თანმიმდევრული დაგროვების მეოხებით, მით უფრო იზრდება ღირებულების ჯამი, რომელიც მოხმარების ფონდად და დაგროვების ფონდად იყოფა. ამიტომ კაპიტალისტს შეუძლია უფრო განცხრომით იცხოვროს და იმავე დროს მეტი «დათმენა» გასწიოს. და, ბოლოს, წარმოების ყველა მამოძრავებელი ძალა მით უფრო ენერგიულად მოქმედებს, რაც უფრო მეტად ფართოვდება წარმოების მასშტაბი ავანსებული კაპიტალის მასასთან ერთად.

5. აგაითყოფილებული შრომის ფონდი

ჩვენი გამოკვლევის მსვლელობაში გამოირკვა, რომ კაპიტალი მუდმივი სიდიდე კი არ არის, არამედ საზოგადოებრივი სიმდიდრის ელასტიკური ნაწილია, რომელიც მუდამ მერყეობს და იცვლება ზედმეტი ღირებულების შემოსავლად და დამატებით კაპიტალად დაყოფასთან ერთად. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ მაშინაც კი, როდესაც მოქმედი კაპიტალის სიდიდე მოცემულია, მასთან შესისხლხორცეული სამუშაო ძალა, მეცნიერება და მიწა (ამ უკანასკნელში ეკონომიური თვალსაზრისით იგულისხმება შრომის ყველა საგანი, რასაც ბუნება ადამიანის დაუხმარებლად იძლევა) შეადგენს მის ელასტიკურ პოტენციას, რომელიც გარკვეულ ფარგლებში კაპიტალს მისი საკუთარი სიდიდისაგან დამოუკიდებელ მოქმედების სარბიელს აძლევს. ამასთანავე ჩვენ მხედველობის გარეშე დავტოვეთ მიმოქცევის პროცესის ყველა ის პირობა, რომელიც იწვევს კაპიტალის ერთი და იმავე მასის ამოქმედებას სულ სხვადასხვა სიძლიერით. რადგან ჩვენ ვვულისხმობდით კაპიტალისტური წარმოების საზღვრებს, მამასადამე, საზოგადოებრივი წარმოების პროცესის წმინდა სტიქიურად აღმოცენებულ ფორმას, ამიტომ ჩვენ მხედველობის გარეშე დავტოვეთ ყოველგვარი უფრო რაციონალური კომბინაცია, რომელიც შეიძლება განხორციელებულ იქნას უშუალოდ და გეგმავლობიერად წარმოების არსებულ საშუალებათა და სამუშაო ძალთა მეოხებით. კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას იმთავითვე ჩვეულებად ჰქონდა განეხილა საზოგადოებრივი კაპიტალი როგორც მოქმედების მუდმივი ძალის მქონე მუდმივი სიდიდე. მაგრამ ეს ცრურწმენა უცილობელ დოგმად განმტკიცდა მხოლოდ ფილისტერების მანამთავრის იერემია ბენტამის მეოხებით, რომელიც მე-19 საუკუნის უგვანო ბურჟუაზიული აზროვნების ფხიზელ-პედანტურ და თავმომაბეზრებლად ყბედ ორაკულს წარმოადგენს⁶².

⁶² იხ., სხვათა შორის, J. Bentham: «Théorie des Peines et des Récompenses», თარგ. Et. Dumont-ისა, მე-3 გამოც., Paris 1826, ტ. II, წიგნ. IV, თავი 2.

ბენტამი ფილოსოფოსთა შორის იგივეა, რაც მარტინ ტეპერი პოეტებს შორის. ორივე მხოლოდ ინგლისში შეიძლება და წარმოქმნილიყო⁶³. მისი დოგმის თვალსაზრისით სრულიად გაუგებარია წარმოების პროცესის ყველაზე ჩვეულებრივი მოვლენები, როგორცაა, მაგალითად, მისი უეცარი გაფართოება და შეკუმშვა, და დაგროვებაც კი⁶⁴. ეს დოგმა აბოლოგეტური მიზნებით გამოიყენეს როგორც თვით ბენტამმა, ისე მალთუსმა, ჯემს მილმა, მაკ კულოხმა და სხვ., კერძოდ კი იმ მიზნით, რომ ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. კაპიტალის ის ნაწილი,

⁶³ იერემია ბენტამი წმინდა ინგლისური მოვლენაა. არც ერთ ეპოქაში და არც ერთ ქვეყანაში, — ჩვენი ფილოსოფოსის ქრისტიან ვოლფის გამოუვლებლადაც კი, — არ გამოჩენილა ჯერ არაყინ, ვისაც ასეთი თვითკმაყოფილებით ექადაგნა ყოვლად უფერული და უადრესად ბანალური აზრები. სარგებლიანობის პრინციპი ბენტამის გამოგონება როდი იყო. იგი მხოლოდ უნიკოდ იმეორებდა იმას, რაც ნიჭიერად გამოთქვეს ჰელვეციუსმა და მე-18 საუკუნის სხვა ფრანგებმა. თუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა არის სასარგებლო, მაგალითად, ძალისთვის, მაშინ ჩვენ ძალის ბუნება უნდა გამოვიკვლიოთ. მაგრამ თვით ეს ბუნება არ შეიძლება გამოყვანილ იქნას საარგებლიანობის პრინციპიდან. თუ ჩვენ ამ პრინციპს ადამიანის მიმართ გამოვიყენებთ და სარგებლიანობის პრინციპის თვალსაზრისით შევადგინებთ ადამიანის ყოველ მოქმედებას, მოძრაობას, ურთიერთობას და სხვ., მაშინ, უწინარეს ყოვლისა, საქმე გვექნება საერთოდ ადამიანის ბუნებასთან და შემდეგ — ყოველ ეპოქაში ისტორიულად სახეშეცვლილ ადამიანის ბუნებასთან. მაგრამ ასეთი საკითხებისათვის ბენტამი თავს არ იწუხებს. ყოვლად გულბრწყვილი სიყვევჩით მას თანამედროვე ფილისტერი, — კერძოდ ინგლისელი ფილისტერი, — ნორმალურ ადამიანად წარმოუდგენია. ის, რაც სასარგებლოა ამ ახირებული ნორმალური ადამიანისათვის და მისი წრისათვის, სასარგებლოა თავისთავად. შემდეგ ამ მასშტაბით ზომავს იგი წარსულს, აწმყოს და მომავალს. მაგალითად, ქრისტიანული რელიგია «სასარგებლოა», რადგან იგი რელიგიური თვალსაზრისით გმობს იმავე ბოროტმოქმედებას, რასაც სისხლის სამართლის კოდექსი სჯის იურიდიულად. მხატვრული კრიტიკა «მავნებელია», რადგან იგი ხელს უშლის საბატო პირებს დასტკბნენ მარტინ ტეპერის ნაწარმოებებით და სხვ. აი ასეთი ნაგავით აავსო წიგნების მთელი მთები ამ მონერხებულმა ვაჟბატონმა, რომლის დღეობია: «nulla dies sine linea» [«თუნდაც ერთი სტრიქონი დღეში». მე რომ ჩემი მეგობრის შ. ჰაინეს გამბედაობა მქონდეს, ბ-ნ იერემიას ბურჟუაზიული სისულელის გენიოსს ვუწოდებდი.

⁶⁴ «ეკონომისტებს ძლიერ დიდი მიდრეკილება აქვთ... კაპიტალის განსაზღვრული რაოდენობა და მუშების განსაზღვრული რიცხვი განიხილონ როგორც ერთნაირი ძალის მქონე წარმოების იარაღები, რომელნიც გარკვეული ერთნაირი ინტენსივობით მოქმედებენ... ის... ვინც აცხადებს, ... საქონელი წარმოების ერთადერთი ფაქტორიაო (agents), ამით ამტკიცებს, რომ წარმოება საერთოდ არ შეიძლება გაფართოვდეს, რადგან ასეთი გაფართოებისათვის წინასწარ უნდა გადიდდეს საარსებო საშუალებათა, ნედლი მასალისა და სამუშაო იარაღების რაოდენობა, რაც ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია წარმოების ზრდა, თუ იგი წინასწარ არ გაიზარდა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლებელია საერთოდ მისი ზრდა» (S. Bailey: «Money and its Vicissitudes», გვ. 58, 70). ბელი იმ დოგმას უმთავრესად მიმოქცევის პროცესის თვალსაზრისით აკრიტიკებს.

რომელიც სამუშაო ძალად იქცევა, მუდმივ სიდიდედ დაეხატათ. მათ შეთხზეს ზღაპარი, რომ ცვალებადი კაპიტალის ნივთიერი არსებობა, ე. ი. საარსებო საშუალებათა მასა, რასაც ეს კაპიტალი მუშისთვის წარმოადგენს, ანუ ეგრეთწოდებული შრომის ფონდი, საზოგადოებრივი სიმდიდრის განკერძოებული ნაწილია, რომელიც ბუნებრივი ბორკილებით არის შემოფარგლული და რომლის გაფართოება შეუძლებელია. იმისათვის, რომ ამოძრავდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის ის ნაწილი, რომელმაც მუდმივი კაპიტალის სახით, ანუ — თუ ნივთიერ გამოხატულებას მივცემთ — წარმოების საშუალებათა სახით უნდა იმოქმედოს, საჭიროა ცოცხალი შრომის გარკვეული მასა. ეს უკანასკნელი ტექნოლოგიურად მოცემულია. მაგრამ მოცემული არ არის არც მუშების რიცხვი, რომელიც საჭიროა შრომის ამ მასის ასამოძრავებლად, რადგან ეს უკანასკნელი იცვლება ინდივიდუალური სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხთან ერთად, და — არც ამ სამუშაო ძალის ფასი; მოცემულია მხოლოდ მისი მინიმალური და თანაც მეტად ელასტიკური ზღუდე. ფაქტები, რომლებიც ამ დოგმას საფუძვლად უდევს, ასეთია: ერთი მხრივ, მუშას არ ეკითხება საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილება არამუშების მოხმარების საშუალებებად და წარმოების საშუალებებად. მეორე მხრივ, მუშას მხოლოდ განსაკუთრებულ ხელსაყრელ შემთხვევებში შეუძლია გააფართოოს ეგრეთწოდებული «შრომის ფონდი» მდიდრების «შემოსავლის» ხარჯზე⁶⁵.

თუ რა უაზრო ტაქტოლოგიამდე მივყავართ ცდას — შრომის ფონდის კაპიტალისტური ზღუდე მივიჩნიოთ მის ბუნებრივ საზოგადოებრივ ზღუდედ, ამას, სხვათა შორის, გვიჩვენებს პროფესორ ფაუსეტის მაგალითი. «ამა თუ იმ ქვეყნის საბრუნავი კაპიტალი⁶⁶, —

⁶⁵ ჯ. სტ. მილი თავის «Principles of Political Economy»-ში [წიგნი II, თავი 1, § 3] ამბობს: «შრომის პროდუქტის განაწილება ამჟამად წარმოებს შეგონებულნი შეფარდებით შრომასთან: ყველაზე მეტ ნაწილს ის იღებს, ვინც არასოდეს არ მუშაობს, ამის შემდეგ ყველაზე მეტს — ის, ვისი შრომაც თითქმის მხოლოდ ნომინალურია, და ასე, დაღმავალი ხაზით, ხელფასი მცირდება იმდენად, რამდენადაც შრომა უფრო მძიმე და არასასიამოვნო ხდება. ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო დამღლელ და დამქანცველ ფიზიკურ შრომას ეწევა, არ უნდა მოელოდეს დანამდიდრებით ყველაზე აუცილებელ საარსებო საშუალებათა მიღებასაც კი». გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავ, რომ თუ ისეთი ადამიანები, როგორიცაა ჯ. სტ. მილი და მისი მსგავსნი, ღირსნი არიან გაკიცხვისა იმ წინააღმდეგობისთვის, რომელიც არსებობს მათს ძველებურ გეონომიურ დოგმებსა და მათს თანამედროვე ტენდენციებს შორის, სამაგიეროდ სრულიად უმართებულო იქნებოდა მათი ერთ ხროვაში არევა ვულგარულ გეონომისტ-პოლოლოგებთან.

⁶⁶ მე აქ მკითხველს მოვავიწყებ, რომ კატეგორიები: ცვალებადი და მუდმივი კაპიტალი პირველად მე შემოვიღე ხმარებაში. პოლიტიკური გეონომია, დაწყებული

ამბობს იგი, — მისი შრომის ფონდია. ამიტომ იმისათვის, რომ გამოვიანგარიშოთ საშუალო ფულადი ხელფასი, რომელსაც თვითნებური მუშაიღებს, ჩვენ ეს კაპიტალი უბრალოდ მუშა-მოსახლეობის რიცხვზე უნდა გავყოთ»⁶⁷. მაშასადამე, ჩვენ ჯერ ნამდვილად გადახდილ ინდივიდუალურ ხელფასს შევკრებთ ერთ ჯამად და შემდეგ ვაცხადებთ, რომ ეს შეკრება ღვთისა და ბუნების მიერ დაწესებული «შრომის ფონდის» ღირებულების ჯამს შეადგენს. ბოლოს, ამ გზით მიღებულ ჯამს ჩვენ ვყოფთ მუშების რიცხვზე, რათა კვლავ აღმოვაჩინოთ, თუ რამდენი მოდის საშუალოდ ყოველ ინდივიდუალურ მუშაზე. ეს მართლაცდა არაჩვეულებრივად მოხერხებული პროცედურაა. მაგრამ იგი ხელს არ უშლის ბ-ნ ფაუსეტს სულმოუთქმელად მიაყოლოს: «ინგლისში ყოველწლიურად დაგროვილი ერთობლივი სიმდიდრე ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი თვით ინგლისში გამოიყენება ჩვენი საკუთარი მრეწველობის შესანარჩუნებლად; მეორე ნაწილი სხვა ქვეყნებში გაიტანება... ჩვენს მრეწველობაში გამოყენებული ნაწილი ამ ქვეყანაში ყოველწლიურად დაგროვილი სიმდიდრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს»⁶⁸. ამრიგად, უდიდესი ნაწილი ყოველწლიურად მზარდი ზედმეტი პროდუქტისა, რომელსაც უეკვივალენტოდ ართმევენ ინგლისელ მუშებს, კაპიტალად იქცევა არა ინგლისში, არამედ — უცხო ქვეყნებში. მაგრამ ამნაირად გატანილ დამატებითს კაპიტალთან ერთად გაიტანება აგრეთვე ღვთისა და ბენტამის მიერ გამოგონებული «შრომის ფონდის» ნაწილიც⁶⁹.

ა. სმიტის დროიდან, წალმა-უკულმა დომხალივით ურევს იმ განსახლვრებებს, რომლებსაც ეს კატეგორიები შეიცავს, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ფორმათა იმ განსხვავებაში, რასაც მიმოქცევის პროცესი წარმოშობს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. მეორე წიგნის მეორე განყოფილება.

⁶⁷ H Fawcett, პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი კემბრიჯში: «The Economic Position of the British Labourer». London 1865, გვ. 120.

⁶⁸ იქვე, გვ. 122; 123.

⁶⁹ შეიძლებაოდა გვეთქვა, რომ ხდება ყოველწლიური ექსპორტი ინგლისიდან არა მარტო კაპიტალის, არამედ — მუშებისაც, ემიგრაციის სახით. მაგრამ ტექსტში სულაც არაა ლაპარაკი გადასახლებულთა ქონებაზე, რომელიც უმეტეს ნაწილად მუშები არ არიან. ისინი უმთავრესად ფერმერის შვილები არიან. დამატებითი კაპიტალი, რომელიც ყოველწლიურად იგზავნება ინგლისიდან უცხოეთში მოგების მიღების მიზნით, ყოველწლიურ დაგროვებასთან შედარებით გაცილებით უფრო საგრძნობ სიდიდეს წარმოადგენს, ვიდრე ყოველწლიური ემიგრაცია მოსახლეობის ყოველწლიურ მატებასთან შედარებით.

თავი ოცდამეხუთე

კაპიტალისტური დაბროვების საშოველთაო კანონი

I. საშოვაო ძალის მოთხოვნის ზრდა დაბროვების პაკალელუხად კაპიტალის უცვლელი შედგენილობის დროს

ამ თავში ჩვენ ვარკვევთ იმ გავლენას, რომელსაც ახდენს კაპიტალის ზრდა მუშათა კლასის ბედ-იღბალზე. ამ გამოკვლევის უმთავრესი ფაქტორი არის კაპიტალის შედგენილობა და ის ცვლილებანი, რომლებსაც ეს შედგენილობა განიცდის დაბროვების პროცესის მსვლელობაში.

კაპიტალის შედგენილობა ორნაირი აზრით უნდა გავიგოთ. ღირებულების მხრივ კაპიტალის შედგენილობა განისაზღვრება იმ შეფარდებით, რომლის მიხედვითაც კაპიტალი იყოფა მუდმივ კაპიტალად, ანუ წარმოების საშუალებათა ღირებულებად, და ცვალებად კაპიტალად, ანუ სამუშაო ძალის ღირებულებად, ხელფასის ერთობლივ ჯამად. თუ განვიხილავთ მასალის მხრივ, როგორც ეს უკანასკნელი წარმოების პროცესში მოქმედებს, ყოველი კაპიტალი იყოფა წარმოების საშუალებად და ცოცხალ სამუშაო ძალად; ეს შედგენილობა განისაზღვრება იმ შეფარდებით, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, წარმოების გამოყენებულ საშუალებათა მასასა და, მეორე მხრივ, ამ საშუალებათა გამოსაყენებლად საჭირო შრომის რაოდენობას შორის. პირველს მე ვუწოდებ კაპიტალის ღირებულებით შედგენილობას, მეორეს — კაპიტალის ტექნიკურ შედგენილობას. მათ შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. რათა ეს დამოკიდებულება გამოვხატო, კაპიტალის ღირებულებითს შედგენილობას, რამდენადაც იგი კაპიტალის ტექნიკური შედგენილობით განისაზღვრება და ამ შედგენილობის ცვლილებებს ასახავს, მე ვუწოდებ კაპიტალის ორგანულ შედგენილობას. იქ, სადაც კაპიტალის შედგენილობაზეა პირდაპირ ლაპარაკი, მუდამ მისი ორგანული შედგენილობა იგულისხმება.

მრავალრიცხოვანი ცალკეული კაპიტალი, რომელიც დაბანდებულა წარმოების განსაზღვრულ დარგში, ცოტად თუ ბევრად განიჩევა ერთმეორისაგან თავისი შედგენილობით. ამ კაპიტალების ინდივიდუალურ შედგენილობათა საშუალო გვაძლევს ჩვენ მოცემული წარმოების დარგის ერთობლივი კაპიტალის შედგენილობას. ბოლოს, წარმოების ყველა დარგის საშუალო შედგენილობათა საერთო საშუალო გვაძლევს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი კაპიტალის შედგენილობას, და ჩვენ საბოლოოდ მხოლოდ ამაზე გვექნება ლაპარაკი შემდგომში.

კაპიტალის ზრდა გულისხმობს მისი ცვალებადი, ანუ სამუშაო ძალად გადაქცეული, შემადგენელი ნაწილის ზრდას. ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელიც დამატებით კაპიტალად არის გადაქცეული, მუდამ უნდა განიცდიდეს უკუგადაქცევას ცვალებად კაპიტალად, ანუ დამატებითს შრომის ფონდად. თუ ვიგულისხმებთ, რომ სხვა უცვლელ პირობებთან ერთად კაპიტალის შედგენილობაც უცვლელი რჩება, ე. ი. უწინდებურად სამუშაო ძალის იგივე მასაა საჭირო იმისათვის, რომ წარმოების საშუალებათა განსაზღვრული მასა, ანუ მუდმივი კაპიტალი, მოიყვანოს მოძრაობაში, მაშინ ცხადია, შრომის მოთხოვნა და მუშების საარსებო საშუალებათა ფონდი გაიზრდება კაპიტალის შესაბამისად, და გაიზრდება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო ჩქარა იზრდება კაპიტალი. რადგან კაპიტალი ყოველწლიურად აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, რომლის ერთი ნაწილი ყოველწლიურად უერთდება თავდაპირველ კაპიტალს, რადგან თვით ეს ნამატი ყოველწლიურად იზრდება უკვე მოქმედი კაპიტალის მოცულობის გადიდებასთან ერთად, და, ბოლოს, რადგან გამდიდრებისადმი განსაკუთრებული სწრაფვის ზეგავლენით, — როგორც, მაგალითად, ეს ხდება ახლად განვითარებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შედეგად ახალი ბაზრების გახსნის, კაპიტალის გამოყენების ახალი სფეროების შექმნის დროს და სხვ., — დაგროვების ფარგლები შეიძლება უეცრად გაფართოვდეს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების, ანუ ზედმეტი პროდუქტის შეცვლილი დანაწილებით კაპიტალად და შემოსავლად, — ამიტომ კაპიტალის დაგროვების მოთხოვნილებამ შეიძლება გაასწროს სამუშაო ძალის, ანუ მუშათა რიცხვის, ზრდას, მუშახელის მოთხოვნამ გაასწროს მის მიწოდებას და, ამრიგად, ხელფასმაც შეიძლება აიწიოს. ეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოხდეს კიდევ, რაკი ზემოაღნიშნული წანამძღვარი უცვლელი რჩება. რადგან ყოველ წელს მუშათა მეტი რიცხვი გამოიყენება, ვიდრე წინა წელს, ამიტომ ადრე თუ გვიან უნდა დადგეს მომენტი, როდესაც დაგროვების

მოთხოვნილება შრომის ჩვეულებრივ მიწოდებას გაასწრებს და როდესაც, მაშასადამე, ადგილი ექნება ხელფასის მომატებას. ჩივილი ამის შესახებ გაისმის ინგლისში მთელი მე-15 საუკუნისა და მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში. მაგრამ ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი პირობები, რომელშიც დაქირავებული მუშები სიცოცხლეს ინარჩუნებენ და მრავლდებიან, სრულიად ვერ ცვლის კაპიტალისტური წარმოების ძირითად ხასიათს. როგორც მარტივი კვლავწარმოება განუწყვეტლივ აკვლავწარმოებს თვით კაპიტალისტურ ურთიერთობას, — კაპიტალისტებს ერთ მხარეზე, დაქირავებულ მუშებს მეორეზე, — ასევე კვლავწარმოება გაფართოებული მასშტაბით, ანუ დაგროვება, აკვლავწარმოებს კაპიტალისტურ ურთიერთობას გაფართოებული მასშტაბით: მეტ კაპიტალისტებს ანუ უფრო მსხვილ კაპიტალისტებს — ერთ პოლუსზე და მეტ დაქირავებულ მუშებს — მეორეზე. კვლავწარმოება სამუშაო ძალისა, რომელიც მუდამ უნდა უერთდებოდეს კაპიტალს როგორც საშუალება მისი ღირებულების ზრდისა, რომელიც ვერ დაშორდება კაპიტალს და რომლის მორჩილება კაპიტალისადმი მხოლოდ იმ ინდივიდუალური კაპიტალისტების ცვალებადობითაა შენიღბული, რომლებსაც სამუშაო ძალამ თავისი თავი უნდა მიჰყიდოს, — ეს კვლავწარმოება სინამდვილეში თვით კაპიტალის კვლავწარმოების მომენტს შეადგენს. მაშასადამე, კაპიტალის დაგროვება პროლეტარიატის გამრავლებაა⁷⁰.

⁷⁰ Karl Marx: «Lohnarbeit und Kapital». [შედ. კ. მარქსი: «დაქირავებული შრომა და კაპიტალი». კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის «რჩეული ნაწერები». თბილისი 1950, ტ. I.] მასების თანასწორი ჩაგვრის პირობებში ესა თუ ის ქვეყანა მით უფრო მდიდარია, რაც უფრო მეტი პროლეტარი ჰყავს მას (Colins: «L'Économie Politique, Source des Révolutions et des Utopies prétendues Socialistes». Paris 1857, ტ. III, გვ. 331). «პროლეტარად» ეკონომიური აზრით იგულისხმება მხოლოდ დაქირავებული მუშა, რომელიც აწარმოებს «კაპიტალს» და ზრდის მის ღირებულებას, და რომელსაც ქუჩაში აგდებენ, რაწამსაც იგი ზედმეტი ხდება «ბატონი კაპიტალის» — ასე უწოდებს ამ პერსონას პეკერი — თვითზრდის მოთხოვნილებისათვის. უღრანი ტყის უძლეური პროლეტარია — ეს როშერის საამური ფანტაზიის ნაყოფია. უღრანი ტყის მცხოვრები იმავე ტყის მესაკუთრეა და ამ ტყეს იგი, როგორც თავის საკუთრებას, ორანგუტანგის მსგავსად სრულიად დაუნდობლად ეპყრობა. მაშასადამე, იგი პროლეტარი არ არის. ის პროლეტარი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უღრანი ტყე რომ მის ექსპლოატაციას ეწეოდეს და არა, პირიქით, იგი — უღრანი ტყის ექსპლოატაციას. რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდება არა მარტო თანამედროვე პროლეტარს, არამედ სიფილისით და სკროფულოზით დაავადებულ «ბატონისან პირებსაც». მაგრამ ბატონი ვილჰელმ როშერი უღრან ტყედ, ალბათ, თავის მშობლიურ ლიუნებურგერ ჰაიდეს გულისხმობს.

კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას ისე კარგად ესმოდა ეს დებულება, რომ ა. სმიტი, რიკარდო და სხვ., როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, მცდარად აიგივებენ კიდევ დაგროვებას ზედმეტი პროდუქტის მთელი კაპიტალიზებული ნაწილის მწარმოებელი მუშების მიერ მოხმარებასთან, ანდა — ამ ნაწილის გარდაქმნასთან დამატებით დაქირავებულ მუშებად. უკვე 1696 წელს ჯონ ბელერსი ამბობს: «ვისმე რომ ჰქონდეს 100 000 აკრი მიწა, იმდენივე გირვანქა სტერლინგი ფული და ჰყავდეს იმდენივე სული პირუტყვი, რა იქნებოდა ეს მდიდარი კაცი უმუშებოდ, თუ არა მუშა თვითვე? და რადგან მუშები ანდიდრებენ ადამიანებს, რაც უფრო მეტია მუშა, მით უფრო მეტია მდიდარი... ღარიბის შრომა მდიდრის მადანია»⁷¹. ასევე ბერნარ დე მანდევილი მე-18 საუკუნის დამდეგს ამბობს: «იქ, სადაც საკუთრება საკმაოდ დაცულია, უფრო ადვილი იქნებოდა უფულოდ ცხოვრება, ვიდრე უღარიბებოდ, რადგან ვინ მოისურვებდა მუშაობას?... მუშები, თუ ისინი, ერთი მხრივ, შიმშილით სიკვდილისგან დაცული უნდა იყვნენ, მეორე მხრივ, არაფერს არ უნდა იღებდნენ ისეთს, რაც დაზოგვის ღირსია. თუ ზოგიერთ შემთხვევაში დაბალი კლასიდან გამოსული ადამიანი არაჩვეულებრივი მუყაითობით და შიმშილობით მალდებდა იმ მდგომარეობაზე ზევით, რომელშიც იგი აღზრდილია, ამაში მას ხელი არაეინ არ უნდა შეუშალოს: უდავოა, რომ მომჭირნეობით ცხოვრება — ეს ყველაზე გონივრულია ყოველი ცალკეული პიროვნებისათვის, ყოველი ცალკეული ოჯახისათვის საზოგადოებაში; მაგრამ ყველა მდიდარი ერის ინტერესი ის არის, რომ ღარიბთა უდიდესი ნაწილი არასოდეს უსაქმოდ არ იყოს და თანაც მუდამ მთლიანად ხარჯავდეს იმას, რასაც იღებს... ვინც ყოველდღიური შრომით ირჩენს თავს, იძულებულია იშრომოს მხოლოდ თავისი საჭიროების გამო, რომლის შემსუბუქებასაც მოითხოვს კეთილგონიერება, მაგრამ რომლის განკურნება უგუნურება იქნებოდა. ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია მუშა-კაცი ბეჯითად აქციოს, ზომიერი ხელფასია. მეტად მცირე ხელფასი მას ტემპერამენტის მიხედვით ან მხდალად აქცევს, ანდა სასოწარკვეთილებაში აგდებს, ძალიან დიდი ხელფასი თავხედად და ზარმაცად ხდის... ყველა ზემონათქვამიდან ის გამომდინარეობს, რომ თავისუფალ ერში, სადაც მონობა აკრძალულია, ყველაზე უტყუარ სიმდიდრეს შრომის-მოყვარე ღარიბთა მასა შეადგენს. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ იგი

⁷¹ John Bellers: «Proposals for raising a College of Industry». London 1696, გვ. 2.

დაუშრეტელი წყაროა ფლოტისა და არმიის შესავსებად, უიმისოდ არავეთარ სიამოვნებას არ ექნებოდა ადგილი და არც ერთი ქვეყნის პროდუქტი არ გამოიყენებოდა სარფიანად. საზოგადოება (რომელიც, რასაკვირველია, არამუშებისგან შედგება) რომ ბედნიერად ამყოფოდა ხალხი — კმაყოფილი უბადრუკი მდგომარეობითაც კი, ამისათვის საჭიროა, რომ დიდი უმრავლესობა უვიცი და ღარიბი ღარჩეს. ცოდნა აფართოებს და ამრავლებს ჩვენს სურვილებს, და რაც უფრო ცოტა სურს ადამიანს, მით უფრო ადვილად შეიძლება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება⁷². მანდევისს, ამ პატიოსან და ნათელი გონების მქონე კაცს, ჯერ კიდევ ვერ გაუგია ის, რომ თვით დაგროვების პროცესის მექანიზმი კაპიტალთან ერთად ამრავლებს «შრომისმოყვარე ღარიბთა» მასას, ე. ი. დაქირავებულ მუშებს, რომლებმაც თავიანთი სამუშაო ძალა მზარდი კაპიტალის ღირებულების გადიდების მზარდ ძალად უნდა გადააქციონ და სწორედ ამით გაამარადისონ ის მდგომარეობა, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან თავიანთ საკუთარ, კაპიტალისტად გაპიროვნებულ, პროდუქტზე. ამ დამოკიდებულებითი ურთიერთობის შესახებ სერ ფ. მ. იდენი შენიშნავს თავის თხზულებაში «ღარიბთა მდგომარეობა, ანუ ინგლისის მუშათა კლასის ისტორია»: ჩვენს გეოგრაფიულ ზონაში მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა შრომა, და ამიტომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მაინც დაუღალავად უნდა იმუშაოს... ზოგიერთებს კი, რომელნიც არ მუშაობენ, მაინც აქვთ თავიანთ განკარგულებაში შრომა-მუყაითობის პროდუქტები. მაგრამ ამასაც შესაკუთრენი მხოლოდ და მხოლოდ ცივილიზაციას და წესიერებას უნდა უმადლოდნენ; ისინი მთლიანად ქმნილებანი არიან სამოქალაქო დაწესებულებებისა⁷³; ვინაიდან ისინი აღიარებენ, რომ შრომის ნაყოფის მითვისება არა მარტო შრომით, არამედ სხვა გზითაც შეიძლება. დამოუკიდებელი ქონების ხალხი თავის ქონებას თითქმის სავ-

⁷² B. de Mandeville (*The Fable of the Bees*, მე-5 გამოც., London 1728, შენიშვნები, გვ. 212, 213, 328). ზომიერი ცხოვრება და მუდმივი შრომა ღარიბისთვის არის გზა მატერიალური ბედნიერებისაკენ (აქ იგულისხმება რაც შეიძლება გრძელი სამუშაო დღე და რაც შეიძლება ნაკლები საარსებო საშუალება) და სახელმწიფოს (ე. ი. მიწის მესაკუთრების, კაპიტალისტების და მათი პოლიტიკური წარჩინებული მოხელეებისა და აგენტების) გამდიდრებისაკენ («An Essay on Trade and Commerce». London 1770, გვ. 54).

⁷³ იდენს უნდა დაესვა კითხვა იმის შესახებ, თუ ვისი ქმნილებაა «სამოქალაქო დაწესებულებანი»? იურიდიული ილუზიების თვალსაზრისით იგი კანონს კი არ განიხილავს როგორც მატერიალური წარმოებითი ურთიერთობის პროდუქტს, არამედ,

სებით სხვის შრომას უნდა უმადლოდეს და არა თავის საკუთარ ნიქს, რომელიც სრულიადაც არაა სხვის ნიჭზე უკეთესი; მიწისა და ფულის მფლობელობით კი არ განირჩევიან მდიდრები საზოგადოების მშრომელი ნაწილისაგან, არამედ — შრომაზე მბრძანებლობით («the command of labour»)... ღარიბს შეეფერება არა განკიცხული ანუ მონური მდგომარეობა, არამედ შემსუბუქებული და ლიბერალური დამოკიდებულების მდგომარეობა («a state of easy and liberal dependence»), საკუთრების მქონე პირებს კი შეეფერება სათანადო გავლენა და ავტორიტეტი მათ შორის, ვინც მათთვის მუშაობს. ასეთი დამოკიდებულებითი ურთიერთობა, როგორც ეს ადამიანის ბუნების ყოველ მცოდნეს მოეხსენება, აუცილებელია თვით მუშების კეთილდღეობისათვის»⁷⁴. სერ ფ. მ. იდენი — შეგნიშნავთ გაკვრით — ადამ სმიტის ერთადერთი მოწაფეა, რომელმაც მე-18 საუკუნეში მნიშვნელოვანი რამ გააკეთა⁷⁵.

პირიქით, წარმოებითი ურთიერთობა მიაჩნია მას კანონის პროდუქტად. ლენგემ მარტო ერთი სიტყვით დაარღვია მთლიანად მონტესკიეს ილუზორული «Esprit des lois» [«კანონთა სული»]: «L'esprit des lois, c'est la propriété» [«კანონთა სული საკუთრებაა»].

⁷⁴ Edén: «The State of the Poor, or an History of the Labouring Classes in England», ტ. I, წიგ. I, თავი I, გვ. 1, 2 და წინასიტყვაობა, გვ. XX.

⁷⁵ თუ მკითხველი აქ მალთუსს გაიხსენებს, რომლის «Essay on Population». 1798 წელს გამოვიდა, მე მოვავლინებ, რომ ეს ნაწარმოები თავისი პირვანდელი ფორმით მხოლოდ მოწაფისებურ-ბერეულ და ხუცურ-დეკლამატორული პლაგიატია, გადმოღებული დეფოს, სერ ჯემს სტიუარტის, ტაუნსენდის, ფრანკლინის, უოლესისა და სხვებისაგან და არც ერთ დამოუკიდებლად ნააზრევ დებულებას არ შეიცავს. დიდი განგაში, რაც ამ პამფლეტმა გამოიწვია, მხოლოდ პარტიული ინტერესებით აიხსნება. საფრანგეთის რევოლუციამ ბრიტანეთის სამეფოში თავგამოდებული დამცველები ჰპოვა; ამოსახლეობის პრინციპი, ნელ-ნელა შემუშავებული მე-18 საუკუნეში, შემდეგ, დიდი სოციალური კრიზისის დროს, ბუკითა და ნაღარით გამოცხადებული როგორც უებარი საშუალება კონდორსესა და სხვათა მოძღვრების წინააღმდეგ, დიდი ზემოთ იქნა მიღებული ინგლისის ოლიგარქიის მიერ, როგორც კაცობრიობის შედგოში განვითარებისადმი ყოველი მისწრაფების აღმომფხვრელი. მალთუსმა, ფრიად გაკვირვებულმა თავისი გამარჯვებით, დაიწყო ძველი სქემის შეცვლა ბერეულ და კომპილიკური წესით თავმოყრილი მასალით და მიმატება ახლისა, რომელიც აღმოჩენილი კი არ იყო მალთუსის მიერ, არამედ — მხოლოდ მითვისებული. — გაკვრით უნდა აღინიშნოს, რომ მალთუსმა, თუმიცა ის ინგლისური ეკლესიის ბუცესი იყო, უქორწინობის ბერული აღთქმა დასდო. სახელდობრ — ეს ერთი პირობათაგანია კემბრიჯის პროტესტანტული უნივერსიტეტის fellowship-ისა [წევრობისა]. ჩვენ ნებას არა ვრთავთ, რომ ცოლიანი კაცი კოლეჯის წევრი იყოს. ვინც ცოლს შეირთავს, პირიქით, დაუყოვნებლივ თავი უნდა დაანებოს წევრობას» («Reports of Cambridge University Commission», გვ. 172). ეს გარემოება მალთუსს — მის სასარგებლოდ — განასხვავებს სხვა პროტესტანტი ხუცებისგან, რომელთაც უკუაგდეს კათოლიკური

დაგროვების იმ პირობებში, რომლებსაც ჩვენ აქამდე ვგულისხმობდით და რომლებიც მუშებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია, კაპიტალზე მუშათა დამოკიდებულების ურთიერთობა გახვეულია ასატან ანუ, როგორც იდენი ამბობს, «შემსუბუქებულ და ლიბერალურ ფორმებში». იმის ნაცვლად, რომ ეს დამოკიდებულებითი ურთიერთობა კაპიტალის ზრდასთან ერთად უფრო ინტენსიური

მცნება მღვდლების უქორწინობის შესახებ და შეითვისეს მცნება ინიყოფიერეთ და იმრავლეთა როგორც თავიანთი სპეციფიკური ბიბლიური მისია იმდენად, რომ თვითონ ყველგან მართლაც უკადრისს ზომამდე ხელს უწყობენ მოსახლეობის გამრავლებას, მაშინ როდესაც იმავდროულად ისინი მუშებს მოსახლეობის პრინციპს უქადაგებენ. დამახასიათებელია, რომ ცოდვაში ჩაეარდნის ეკონომიური პაროდია, ადამის ვაშლი, «urgent appetite» [დაუძლეველი ნდობა], «the checks which tend to blunt the shafts of Cupid» [დაბრკოლებანი, რომელნიც კუპიდონის ისრის დაჩლუნგებას ცდილობენ], როგორც მხიარულად ამბობს ხუცესი ტაუნსენდი, — რომ ეს საჩოთირო პუნქტი მონოპოლიად გაიხადეს წინათა და დღესაც პროტესტანტული თეოლოგიის ანუ, უკეთ, ეკლესიის ბატონმა წარმომადგენლებმა. ვენეციელი ბერის ორტუსის, ამ ორიგინალური და გონებამახვილი მწერლის გამოკლებით, მოსახლეობის მოძღვრების მქადაგებელი მეტწილად პროტესტანტი ხუცები არიან. ასეთია: Bruckner-ი: «Théorie du Système animal», Leyde 1767, სადაც ამოწურულია მოსახლეობის მთელი თანამედროვე თეორია და რომელსაც იდეები მისცა იმავე თემამე გამართულმა ხანმოკლე კამათმა კენესა და მის მოწაფეს მირაბო-მამას შორის, შემდეგ — ხუცესი უოლესი, ხუცესი ტაუნსენდი, ხუცესი მალთუსი და მისი მოწაფე მღვდელ-მთავარი ტ. ჩალმერსი, აღარას ვამბობთ in this line [ამავე მიმართულების] უფრო პატარა მგლანხელ ხუცებზე. თავდაპირველად პოლიტიკურ ეკონომიის იკვლევდნენ ფილოსოფოსები — ჰობსი, ლოკი, იუმი, კომერსანტები და სახელმწიფო მოღვაწეები — ტომას მორი, ტემპლი, სიუელი, დე ვიტტი, ნორსი, ლოუ, ვანდერლინტი, კანტილიონი, ფრანკლინი, განსაკუთრებით კი თეორიულად იკვლევდნენ მას, და უდიდესი წარმატებითაც, ექიმები — პეტი, ბარბონი, მანდევილი, კენე. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის შუა ხანაში სასულიერო პირი ბ-ნი ტეკერი, თავისი დროისთვის თვალსაჩინო ეკონომისტი, ბოდისი იხდის, რომ იგი მამონის საკითხებს იკვლევდა. შემდეგ, სახელდობრ მოსახლეობის პრინციპის წარმოშობასთან ერთად, დაჰკრა პროტესტანტ-ხუცების სათმა. თითქოს ამ მარჩიელთა მოვლინებას წინასწარ გრძნობდაო, პეტი, რომელიც მოსახლეობას სიმდიდრის საფუძვლად თვლიდა და, ადამ სმიტის მსგავსად, ხუცების დაუძინებელი მტერი იყო, ამბობს: «რელიგია ყველაზე უფრო მაშინ ჰყვავის, როდესაც მღვდლები თავიანთ სხეულს ჰკვებენ, ისევე როგორც სამართალი იქ ჰყვავის უადრესად, სადაც ადვოკატები შიმშილით იხოცებიან». ამიტომ იგი ურჩევს პროტესტანტ-ხუცებს, რაკი მათ არ სურთ პავლე მოციქულის მცნებას მისიდიონ და «ჰკვებონ» თავიანთი სხეული უქორწინობით, «იმაზე მეტს ნუღარ გამოჩვენებენ ხუცებს [ითხ to breed more Churchmen]», რის დატევაც შეუძლიათ არსებულ სამრევლოებს (benefices); ე. ი., თუ ინგლისში და უელსში მხოლოდ 12 000 სამრევლოა, უაზრობა იქნებოდა 24 000 ხუცესის გამოჩენა (it will not be safe to breed 24 000 ministers), რადგან 12 000 არაუზრუნველყოფილი ადამიანი მუდამ ცხოვრების სახსრის ძებნაში იქნება, და რა შეიძლება მათთვის იყოს უფრო ადვილი, ვიდრე ის, რომ

გახდეს, იგი მხოლოდ უფრო ექსტენსიური ხდება, ე. ი. კაპიტალის ექსპლოატაციისა და ბატონობის სფერო ფართოვდება მხოლოდ მის საკუთარ სიდიდესა და მის ქვეშევრდომთა რიცხვის ზრდასთან ერთად. ამ ქვეშევრდომთ მათი საკუთარი მზარდი ზედმეტი პროდუქტიდან, რომელიც ასევე მზარდი მოცულობით დამატებით კაპიტალად იქცევა, უკანვე უბრუნდებათ უფრო დიდი ნაწილი გადახდის

გავიდნენ ხალხში და დაიწყონ მტკიცება, რომ 12 000 სამრევლოს მოძღვარი სწამლავს მათ სულებს, შიმშილით ძალას ჰხდის იმავე სულებს და უჩვენებს მათ მოლოპულ გზას ზეცისკენ? (Petty: «A Treatise on Taxes and Contributions». London 1667, გვ. 57). ადამ სმიტის განწყობილება მისი დროის პროტესტანტ ხუცებისადმი შემდეგით ხასიათდება. თავის წერილში «A Letter to A. Smith, LL. D. On the Life, Death and Philosophy of his Friend David Hume. By One of the People called Christians», მე-4 გამ., Oxford 1784, დ-რ ჰორნი, ანგლიკანური ეკლესიის ნორეიჩელი ეპისკოპოსი, ჰკიცხავს ა. სმიტს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ერთ-ერთ საჯარო წერილში ბატონ სტრეენისადმი «დაბალხამებული გამოჰყავს თავისი მეგობარი დავიდი» (ე. ი. იუმი), იმის გამო, რომ იგი საზოგადოებას უამბობს, თუ როგორ «ერთობოდა იუმი თავის სასიკვდილო სარეცელზე ლუკიანეთი და ვისტი», და ისეთ თავზედობასაც კი იჩენს, რომ წერს: «მე მუდამ მიმაჩნდა იუმი, როგორც მის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ, სრულიად ბრძენი და სათნოიანი ადამიანის იდეალის განსახიერებად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანის სუსტი ბუნებისთვის». აღშფოთებული ეპისკოპოსი წარმოთქვამს: «ჯანა მართებულია თქვენის მხრივ, მოწყალეო ხელმწიფეგ, დასახოთ სრულიად ბრძნული და სათნოიანი ხასიათის და ყოფაქცევის ადამიანად ისეთი კაცი, რომელიც შეპყრობილი იყო შუფრიგებელი ზიზღით ყოველივე იმისადმი, რასაც რელიგია ეწოდება, და რომლის ყოველი ნერვი დაკომული იყო იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად აღმოეფხვრა ადამიანის მეხსიერებიდან რელიგიის სახელწოდებაც კი?» (იქვე, გვ. 8). «მაგრამ გულს ნუ გაიტებთ. ტუმშარტების მოყვარულნო, ათეიზმი ხანმოკლეა» (იქვე, გვ. 17). ადამ სმიტი ისეთი «საზიზღარი ურჯულთა» («the atrocious wickedness»), რომ სახელმწიფოში ათეიზმს ქადაგებს (სახელმწიფო — თავისი «Theory of moral sentiments»-ის საშუალებით)... ვიცი თქვენი ბრძკობა, ბატონო დოქტორო! თქვენ კარგად მოგიფიქრათ, მაგრამ ანგარიში გეშლებათ. დავიდ იუმის მაგალითით თქვენ გსურთ დაამტკიცოთ, რომ ათეიზმი ერთადერთი გამამხნეველი («cordial») საშუალებაა სასოწარკვეთილებით შეპყრობილი სულისა და უებარი წამალი სიკვდილის შიშის წინააღმდეგ... მაშ იცინეთ ბაბილონის ნანგრევებზე და მიესალმეთ გაბოროტებულ მტარვალ ფარაონს!» (იქვე, გვ. 21, 22). ერთ-ერთი ორტოდოქსი მსმენელი ა. სმიტისა წერს ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ: «იუმთან მეგობრობა ხელს უშლიდა სმიტს ქრისტიანი ყოფილიყო... მას იუმის ყოველი სიტყვა სჯეროდა, იუმს რომ ეთქვა მისთვის, მთვარე მწყანე ყველიაო, დაიჯერებდა. ამიტომ ის იმასაც უჯეროდა, რომ არც ღმერთი არსებობს და არც სასწაული. თავისი პოლიტიკური პრინციპებით იგი რესპუბლიკანიზმს უახლოვდებოდა» («The Bee». By James Anderson. Edinburgh 1791 — 1793, ტ. III, გვ. 164, 165). ხუცესი თ. ჩალმერსი ეკვით უყურებს ა. სმიტს და ფიქრობს, რომ მან მხოლოდ ბოროტი განზრახვით გამოიგონა «არამწარმოებელი მუშების» კატეგორია საგანგებო პროტესტანტ-ხუცებისთვის, მიუხედავად მათი კერთხეული შრომისა უფლის ვენანში-49 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

საშუალებათა სახით, ასე რომ მათ შეუძლიათ გააფართოონ თავიანთ მოთხოვნილებათა ფარგალი, უკეთ მოაგვარონ თავიანთი მოხმარების ფონდი ტანსაცმლისა, ავეჯულობისა და სხვ. და შექმნან ფულის მცირე სათადარიგო ფონდები. მაგრამ როგორც უკეთესი ტანსაცმელი, საჭმელი, მოპყრობა და უფრო დიდი peculium [მონათა ქონება რომში] არ სპობს მონის დანოკიდებულებითს ურთიერთობას და ექსპლოატაციას, ასევე არ სპობს იგი დაქირავებული მუშის დანოკიდებულებითს ურთიერთობას და ექსპლოატაციას. შრომის ფასის გადიდება კაპიტალის დაგროვების შედეგად სინამდვილეში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოცულობა და სიმძიმე ოქროს ჯაჭვისა, რომელიც თვით დაქირავებულმა მუშამ უკვე გამოჰქედა თავისთვის, ამ ჯაჭვის ნაკლებად დაჭიმვის შესაძლებლობას იძლევა. ამ საგანზე დავის დროს უმეტეს შემთხვევაში ვერ ხედავდნენ უმთავრესს, სახელდობრ, კაპიტალისტური წარმოების differentia specifica-ს [განმასხვავებელ ნიშანს]. სამუშაო ძალას აქ იმიტომ კი არ ყიდულობენ, რომ იმ სამსახურით, რომელსაც ეს სამუშაო ძალა ეწვევა, ანდა იმ პროდუქტით, რომელსაც იგი იძლევა, მყიდველმა პირადი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. მყიდველის მიზანია თავისი კაპიტალის ღირებულების გადიდება, წარმოება საქონლისა, რომელიც უფრო მეტ შრომას შეიცავს, ვიდრე მყიდველი მასში იხდის, მაშასადამე, შეიცავს ღირებულების ნაწილს, რომელიც მყიდველს არაფერი უღირს და რომლის რეალიზაცია, მიუხედავად ამისა, საქონლის გაყიდვის საშუალებით ხდება. ხედმეტი ღირებულების წარმოება, ე. ი. მოგების მიღება — ასეთია ამ წარმოების წესის აბსოლუტური კანონი. სამუშაო ძალა შეიძლება გაყიდვის საგანი იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოების საშუალებებს შეინახავს როგორც კაპიტალს, აკელაეწარმოებს თავის საკუთარ ღირებულებას როგორც კაპიტალს და გადაუხდელი შრომის სახით დამატებითი კაპიტალის წყაროს წარმოადგენს⁷⁶. მაშასადამე, სამუშაო ძალის გაყიდვის პირობები, იქნება ეს მუშისთვის მეტად თუ ნაკლებად ხელსაყრელი,

⁷⁶ შენიშვნა მე-2 გამოცემისათვის. «მაგრამ საზღვარი როგორც მრეწველობის, ისე მიწათმოქმედების მუშების სამუშაოში ჩაბმისა ერთი და იგივეა, სახელდობრ — შესაძლებლობა იმისა, რომ მეწარმემ მუშების შრომის პროდუქტიდან მოგება მიიღოს... თუ ხელფასის დონე მაღლა იწევს იმდენად, რომ მეწარმის მოგება საშუალო მოგებაზე დაბლა ეცემა, მაშინ იგი აღარ მისცემს მუშებს სამუშაოს ანდა მისცემს მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი ხელფასის შემცირებაზე დათანხმდებიან» (John W. Hale: «History of the Middle and Working Classes», მე-3 გამოც., London 1835, გვ. 241).

გულისხმობს მისი გაყიდვის მუდმივი განმეორების აუცილებლობას და სიმდიდრის — როგორც კაპიტალის — მუდმივ გაფართოებულ კვლავწარმოებას. ხელფასი, როგორც დავინახეთ, თავისი ბუნების თანახმად მუდამ გულისხმობს იმას, რომ მუშა გადაუხდელი შრომის განსაზღვრულ რაოდენობას იძლევა. სრულიად მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ ხელფასის მომატება შრომის ფასის დაცემასთან ერთად და სხვ., მისი მომატება უკეთეს შემთხვევაში ნიშნავს მხოლოდ იმ გადაუხდელი შრომის რაოდენობრივ შემცირებას, რომელიც მუშამ უნდა შეასრულოს. ეს შემცირება არასოდეს არ შეიძლება მივიღეს იმ პუნქტამდე, სადაც ის საფრთხეს შეუქმნიდა თვით კაპიტალისტური სისტემის არსებობას. მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ ხელფასის ნორმის ირგვლივ ატეხილი და ძალდატანებითი წესით გადასაწყვეტი კონფლიქტები, — და ადამ სმიტმა უკვე გვიჩვენა, რომ საერთოდ და მთლიანად ასეთი კონფლიქტების დროს მეპატრონე მუდამ მეპატრონედ რჩება, — შრომის ფასის მომატება, რომელიც კაპიტალის დაგროვებიდან გამომდინარეობს, შემდეგ ალტერნატივას გულისხმობს:

ან შრომის ფასი განაგრძობს მომატებას, რადგან მისი გადიდება არ აბრკოლებს დაგროვების პროგრესს; ამაში არაფერია საკვირველი, რადგან აზობს ა. სმიტი, «მოგების დაცემის დროსაც კი კაპიტალს არა მარტო შეუძლია გაიზარდოს, არამედ გაცილებით უფრო სწრაფადაც გაიზარდოს... დიდი კაპიტალი მცირე მოგების დროსაც კი საერთოდ უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე მცირე კაპიტალი დიდი მოგების დროს» («Wealth of Nations», I [ფრანგული თარგმ. გარნიესი], გვ. 189. [შეად. «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». თბილისი 1938, ტ. I, გვ. 107, 108.]). ამ შემთხვევაში ცხადია, გადაუხდელი შრომის შემცირება სრულიად ხელს არ უშლის კაპიტალის ბატონობის გაფართოებას.

ანდა, — და ეს ალტერნატივის მეორე მხარეა, — შრომის ფასის მომატების გამო ნელდება დაგროვება, რადგან ჩლუნგდება მოგების სტიმული. დაგროვება კლებულობს. მაგრამ მის შემცირებასთან ერთად ქრება ამ შემცირების მიზეზიც, სახელდობრ — დისპროპორცია კაპიტალსა და საექსპლოატაციო სამუშაო ძალას შორის. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმი თვითონვე იცილებს თავიდან იმ წარმავალ დაბრკოლებებს, რომლებსაც იგი ხანგამოშვებით ქმნის. შრომის ფასი კვლავ ეცემა იმ დონემდე, რომელიც კაპიტალის ღირებულების ზრდის მოთხოვნილებებს შეესაბამება, იქნება ეს დონე უფრო მაღალი, დაბალი, თუ თანასწორი იმ დონესთან შედარებით, რომელიც ნორმალურად ითვლებოდა ხელფასის მომატების დაწყებამდე.

ამრიგად, პირველ შემთხვევაში სამუშაო ძალის ანუ მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური ანდა პროპორციული ზრდის შემცირება კი არ ხდის კაპიტალს ნამეტ კაპიტალად, არამედ, პირიქით, კაპიტალის გადიდება ქმნის საექსპლოატაციო სამუშაო ძალის ნაკლებობას. მეორე შემთხვევაში სამუშაო ძალის ანუ მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური ანდა პროპორციული ზრდის მომატება კი არ ქმნის კაპიტალის ნაკლებობას, არამედ, პირიქით, კაპიტალის შემცირება ხდის საექსპლოატაციო სამუშაო ძალას ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მის ფასს ნამეტ ფასად. კაპიტალის დაგროვების სწორედ ეს აბსოლუტური მოძრაობანი აისახება როგორც შეფარდებითი მოძრაობანი საექსპლოატაციო სამუშაო ძალის მასისა და ამიტომ გვეჩვენება, თითქოს ისინი გამოწვეული იყოს ამ უკანასკნელის საკუთარი მოძრაობით. მათემატიკური გამოთქმა რომ ვიხმაროთ: დაგროვების სიდიდე დამოუკიდებელი ცვლადია, ხელფასის სიდიდე — დამოკიდებული, და არა პირიქით. ასევე სამრეწველო ციკლის კრიზისის ფაზაში საქონლის ფასების საყოველთაო დაცემა გამოიხატება როგორც ფულის შეფარდებითი ღირებულების მომატება, ხოლო აყვავების ფაზაში საქონლის ფასების საყოველთაო მომატება — როგორც ფულის შეფარდებითი ღირებულების დაცემა. ეგრეთწოდებულ Currency School-ს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ მაღალი ფასების დროს ცოტა ფული მიმოიქცევა, ხოლო დაბალი ფასების დროს — ბევრი. მისი უეციობა და ფაქტების სრული გაუგებლობა⁷⁷ პოულობს ღირსეულ პარალელს ეკონომისტებში, რომლებიც დაგროვების ზემოაღნიშნულ მოვლენებს იმნაირად განმარტავენ, თითქოს ერთ შემთხვევაში მოიპოვება ცოტა, ხოლო მეორე შემთხვევაში — ბევრი დაქირავებული მუშა.

კაპიტალისტური წარმოების კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს ვითომდა «მოსახლეობის ბუნებრივ კანონს», უბრალოდ შემდეგს ნიშნავს: შეფარდება კაპიტალსა, დაგროვებასა და ხელფასის ნორმას შორის სხვა არაფერია, თუ არა შეფარდება გადაუხდელ, კაპიტალად გადაქცეულ შრომასა და იმ დამატებითს შრომას შორის, რომელიც საჭიროა დამატებითი კაპიტალის ასამოძრაებლად. მაშასადამე, ეს სრულიადაც არ არის შეფარდება ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, სიდიდისა, ერთი მხრივ, კაპიტალის სიდიდესა და, მეორე მხრივ, მუშა-მოსახლეობის რიცხვს შორის; პირიქით, საბოლოო ანგა-

⁷⁷ შედ. Karl Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie», გვ. 166 და შემდ. [შედ. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953, გვ. 246 და შემდ.]

რიშით ეს არის მხოლოდ ერთი და იმავე მუშა-მოსახლეობის გადაუხდელი და გადახდილი შრომის შეფარდება. თუ გადაუხდელი შრომის მასა, რომელსაც მუშათა კლასი იძლევა და რომელსაც კაპიტალისტთა კლასი აგროვებს, იმდენად სწრაფად იზრდება, რომ იგი მხოლოდ გადახდილი შრომის არაჩვეულებრივი დამატებით შეიძლება კაპიტალად გადაიქცეს, მაშინ ხელფასი მატულობს და, დანარჩენ თანაბარ პირობებში, გადაუხდელი შრომა შეფარდებით კლებულობს. მაგრამ როგორც კი ეს შემცირება აღწევს იმ პუნქტს, სადაც კაპიტალის მასაზრდოვებელი ზედმეტი შრომის მიწოდება აღარ ხდება ნორმალური რაოდენობით, იწყება რეაქცია: შემოსავლის უფრო მცირე ნაწილი იქცევა კაპიტალად, დაგროვება ფერხდება და ხელფასის აღმავალი მოძრაობა შებრუნებული მოძრაობით იცვლება. ამრიგად, შრომის ფასის აწევა რჩება იმ საზღვრებში მოქცეული, რომელნიც არა მარტო ხელუხლებლად ტოვებენ კაპიტალისტური სისტემის საფუძვლებს, არამედ უზრუნველყოფენ მის კვლავწარმოებას მზარდი მასშტაბით. მაშასადამე, კაპიტალისტური დაგროვების კანონი, რომელიც ბუნების კანონის მისტიკურ სახეს იღებს, სინამდვილეში მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ კაპიტალისტური დაგროვების ბუნება გამორიცხავს შრომის ექსპლოატაციის დონის ყოველ ისეთ შემცირებას ანდა შრომის ფასის ყოველ ისეთ მომატებას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა კაპიტალისტური ურთიერთობის მუდმივ კვლავწარმოებას და თანაც მის კვლავწარმოებას სულ უფრო და უფრო გაფართოებული მასშტაბით. სხვანაირად არც შეიძლება იყოს წარმოების ისეთი წესის დროს, როდესაც მუშა არსებულ ღირებულებათა ზრდის მოთხოვნილებისთვის არსებობს, ნაცვლად იმისა, რომ, პირიქით, მატერიალური სინდიდრე მუშის განვითარების მოთხოვნილებისთვის არსებობდეს. როგორც რელიგიაში ადამიანზე ბატონობს მისი საკუთარი თავის პროდუქტი, ისე კაპიტალისტურ წარმოებაში ადამიანზე ბატონობს მისი საკუთარი ხელის პროდუქტი ^{77a}.

^{77a} მაგრამ თუ დაუბრუნდებით ჩვენს პირველ გამოკვლევას, სადაც ნაჩვენებია... რომ თვით კაპიტალი ადამიანის შრომის ნაწარმოებია მხოლოდ... მაშინ სრულიად გაუგებრად გვეჩვენება, თუ როგორ შეიძლება, რომ ადამიანი თავისი საკუთარი პროდუქტის — კაპიტალის — ბატონობის ქვეშ მოექცეს და მას დემორჩილოს; და რადგან სინამდვილეში უდავოდ ასეც ხდება, ამიტომ ძალაუვნებურად იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ მუშა, ეს უფალი კაპიტალისა — როგორც მისი შემქმნელი — კაპიტალის მონა გახდა? (V o n T h ü n e n: «Der isolierte Staat». მეორე ნაწ., მეორე განყოფ., Rostock 1863, გვ. 5, 6). თიუნენის დამსახურება იმაშია, რომ მან საკითხი დააყენა. მისი პასუხი კი პირდაპირ ბავშვურია.

2. კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შემზარდებითი შემცირება დაგროვებისა და მისი თანამგზავრი კონცენტრაციის მსვლელობაში

თვით ეკონომისტების აზრით, ხელფასის აწევას იწვევს არა საზოგადოებრივი სიმდიდრის უკვე არსებული ოდენობა, არც უკვე მოპოვებული კაპიტალის სიდიდე, არამედ მართოდმართო დაგროვების განუწყვეტელი ზრდა და ამ ზრდის სისწრაფის ხარისხი (ა. სმიტი [განმკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ], წიგ. I, თავი მ). აქამდე ჩვენ განვიხილავდით ამ პროცესის მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ ფაზას, სახელდობრ იმ ფაზას, რომელშიც ადგილი აქვს კაპიტალის ზრდას კაპიტალის უცვლელი ტექნიკური შედგენილობის პირობებში. მაგრამ პროცესი ამ ფაზის იქით მიდის.

რაკი მოცემულია კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო საფუძველი, დაგროვების მსვლელობაში ყოველთვის დგება ისეთი მომენტი, როცა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განვითარება დაგროვების მძლავრი ბერკეტი ხდება. «იგივე მიზეზი, — ამბობს ა. სმიტი, — რონელიც ხელფასს ზალდა სწევს, სახელდობრ კაპიტალის გადიდება, იწვევს შრომის მწარმოებლური უნარის გაძლიერებას და შრომის ნაკლებ რაოდენობას შესაძლებლობას აძლევს პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობა აწარმოოს».

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბუნებრივ პირობებს, როგორცაა ნიადაგის ნაყოფიერება და სხვ., და დამოუკიდებლად და განცალკევებულად მომუშავე მწარმოებელთა დახელოვნებას, რომელიც ამასთან უფრო თვისებრივად ვლინდება ნაწარმის ვარგისიანობაში, ვიდრე რაოდენობრივად მის მასაში, — შრომის ნაყოფიერების საზოგადოებრივი დონე გამოიხატება წარმოების იმ საშუალებათა შეფარდებითი მოცულობით, რომლებსაც მუშა გადააქცევს პროდუქტად განსაზღვრული დროის განმავლობაში სამუშაო ძალის ერთი და იმავე დაძაბვით. წარმოების საშუალებათა მასა, რომელთა შემწეობით მუშა მოქმედებს, იზრდება მისი შრომის ნაყოფიერებასთან ერთად. ეს წარმოების საშუალებანი ამასთანავე ორნაირ როლს ასრულებენ. ერთის ზრდა შედეგია, მეორის ზრდა კი — პირობა შრომის მზარდი ნაყოფიერებისა. მაგალითად, შრომის მანუფაქტურული დანაწილებისა და მანქანების გამოყენებისას ერთსა და იმავე დროს მეტი ნედლი მასალის გადამუშავება ხდება, მაშასადამე, ნედლი მასალისა და დამზარე ნივთიერებათა მეტი მასა შედის შრომის პროცესში. ეს არის შედეგი შრომის მზარდი ნაყოფიერებისა. მეორე მხრივ, გამოყენებული მანქანების, მუშა-პირუტყვის, მინერალური სასუქის, სადრენაჟო

მიღების და სხვ. მასა არის პირობა შრომის მზარდი ნაყოფიერებისა. იგივე ითქმის წარმოების საშუალებათა მასაზე, რომელიც თავმოყრილია შენობების, ბრძმედების, ტრანსპორტის საშუალებებისა და სხვ. სახით. მაგრამ იქნება წარმოების საშუალებათა მოცულობის ზრდა მათთან შეერთებულ სამუშაო ძალასთან შედარებით პირობა თუ შედეგი, — იგი ორივე შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ზრდას გამოხატავს. მაშასადამე, უკანასკნელის მომატება ელინდება შრომის მასის შემცირებაში შედარებით წარმოების საშუალებათა იმ მასასთან, რომელიც ამ შრომას მოძრაობაში მოჰყავს, ანუ იგი ელინდება შრომის პროცესის სუბიექტური ფაქტორის სიდიდის შემცირებაში შედარებით მის ობიექტურ ფაქტორთან.

კაპიტალის ტექნიკური შედგენილობის ეს ცვლილება, წარმოების საშუალებათა მასის ზრდა მათი მაცოცხლებელი სამუშაო ძალის მასასთან შედარებით, აისახება მის ღირებულებითს შედგენილობაში, კაპიტალიზაციის მუდმივი შემადგენელი ნაწილის გადიდებაში მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის ხარჯზე. მაგალითად, თავდაპირველად, პროცენტულად თუ ვიანგარიშებთ, რომელიმე კაპიტალის 50% იხარჯება წარმოების საშუალებებზე და 50% სამუშაო ძალაზე; შემდეგში, შრომის ნაყოფიერების დონის განვითარებასთან ერთად, 80% იხარჯება წარმოების საშუალებებზე და 20% სამუშაო ძალაზე და ა. შ. ეს კანონი კაპიტალის მუდმივი ნაწილის შეუჩერებელი ზრდისა ცვალებად ნაწილთან შედარებით ყოველ ნაბიჯზე დასტურდება (როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები) საქონელთა ფასების შედარებითი ანალიზით, სულ ერთია — შევადარებთ ერთისა და იმავე ერის სხვადასხვა ეკონომიურ ეპოქას, თუ სხვადასხვა ერს ერთსა და იმავე ეპოქაში. შეფარდებითი სიდიდე ფასის იმ ელემენტისა, რომელიც მხოლოდ მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას, ანუ კაპიტალის მუდმივ ნაწილს წარმოადგენს, პირდაპირ შეფარდებაში იქნება, ხოლო შეფარდებითი სიდიდე ფასის მეორე ელემენტისა, რომელიც შრომას ისტუმრებს, ანუ კაპიტალის ცვალებად ნაწილს წარმოადგენს, საერთოდ შებრუნებულ შეფარდებაში იქნება დაგროვების პროგრესთან.

მაგრამ კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შემცირება მუდმივთან შედარებით, ანუ კაპიტალიზაციის შემცველი შედგენილობა მხოლოდ დაახლოებით გვიჩვენებს ცვლილებას მის ნივთიერ შემადგენელ ელემენტთა შედგენილობაში. თუ, მაგალითად, რთვის საქმეში ამჟამად მოთავსებული კაპიტალიზაციის 7/8 მუდმივია და 1/8 ცვალებადი, ხოლო მე-18 საუკუნის დამდეგს მისი 1/2 მუდმივი

იყო და $\frac{1}{2}$ — ცვალებადი, მაშინ ნედლი მასალის, შრომის საშუალებათა და სხვ. მასა, რომელსაც დღეს მწარმოებლურად მოიხმარს რთვა-შრომის განსაზღვრული რაოდენობა, პირიქით, მრავალ ასეულჯერ მეტია, ვიდრე მე-18 საუკუნის დასაწყისში იყო. ამის მიზეზი უბრალოდ ის არის, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად არა მარტო მატულობს მის მიერ გამოყენებულ წარმოების საშუალებათა მოცულობა, არამედ ეცემა მათი ღირებულება მათს მოცულობასთან შედარებით. მაშასადამე, მათი ღირებულება მატულობს აბსოლუტურად, მაგრამ არა პროპორციულად მათი მოცულობისა. ამიტომ სხვაობა მუდმივ კაპიტალსა და ცვალებად კაპიტალს შორის გაცილებით უფრო ნელა იზრდება, ვიდრე სხვაობა წარმოების საშუალებათა იმ მასასა, რადაც მუდმივი კაპიტალი გადაიქცევა, და სამუშაო ძალის იმ მასას შორის, რადაც ცვალებადი კაპიტალი გადაიქცევა. პირველი სხვაობა მატულობს უკანასკნელის მომატებასთან ერთად, მაგრამ უფრო ნაკლები ოდენობით.

ამასთან, თუ დაგროვების პროგრესი კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შეფარდებითს სიდიდეს ამცირებს, ამით იგი სრულიადაც არ გამოიციხავს მისი აბსოლუტური სიდიდის ზრდას. დავუშვათ, რომ თავდაპირველად კაპიტალიზაციის 50%-ს შეადგენს მუდმივი კაპიტალი და 50%-ს — ცვალებადი, შემდეგში კი — 80%-ს მუდმივი და 20%-ს — ცვალებადი. თუ ამასობაში თავდაპირველი კაპიტალი, ვთქვათ 6 000 გირვანქა სტერლინგი, გაიზარდა 18 000 გირვანქა სტერლინგამდე, მაშინ მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილიც გაზრდილია $\frac{1}{3}$ -ით. წინათ იგი 3 000 გირვანქა სტერლინგი იყო, ახლა კი 3 600 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. მაგრამ თუ უწინ საკმარისი იყო კაპიტალის გადიდება 20%-ით, რათა შრომის მოთხოვნა გაზრდილიყო 20%-ით, ახლა ამისთვის საჭიროა თავდაპირველი კაპიტალის გასამკეცება.

მეოთხე განყოფილებაში ნაჩვენები იყო, რომ შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარება გულისხმობს კოოპერაციას დიდი მასშტაბით, რომ მხოლოდ ამ წინამძღვრის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს შრომის დანაწილება და კომბინირება, მოხდეს წარმოების საშუალებათა ეკონომია მასობრივი კონცენტრაციის მეოხებით, წარმოიშვას შრომის ისეთი საშუალებანი, რომელთა გამოყენება უკვე მათი ნივთიერი ბუნების მიხედვით მხოლოდ კოლექტიურადაა შესაძლებელი, — მაგალითად, მანქანების სისტემა და სხვ., — ჩადგეს წარმოების სამსახურში ბუნების კოლოსალური ძალები და წარმოების პროცესი მეცნიერების ტექნოლოგიურ გამოყენებად გადა-

იქცეს. საქონელწარმოების საფუძველზე, სადაც წარმოების საშუალებანი კერძო პირების საკუთრებას შეადგენს, სადაც ხელით მომუშავე, ამიტომ, ან განცალკევებულად და დამოუკიდებლად აწარმოებს საქონელს, ანდა ყიდის თავის სამუშაო ძალას როგორც საქონელს, რადგან მას არ მოეპოვება საშუალება დამოუკიდებელი წარმოებისთვის, — ზემოაღნიშნული წინამძღვრის რეალიზაცია ხდება მხოლოდ ინდივიდუალური კაპიტალების ზრდის საშუალებით, ანუ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წარმოების საზოგადოებრივი საშუალებანი და საარსებო საშუალებანი კაპიტალისტების კერძო საკუთრებად იქცევა. საქონელწარმოების ნიადაგზე წარმოება მსხვილი მასშტაბით მხოლოდ კაპიტალისტური ფორმით შეიძლება ვითარდებოდეს. ამიტომ კაპიტალის რაოდენადმე დაგროვება ინდივიდუალურ საქონელმწარმოებელთა ხელში სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესის წინამძღვარს შეადგენს. ამიტომ ჩვენ უნდა გვევლისხმნა ასეთი დაგროვება ხელოსნობიდან კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის დროს. მას შეიძლება თავდაპირველი დაგროვება ვუწოდოთ, რადგან იგი სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების ისტორიული შედეგი კი არაა, არამედ მისი ისტორიული საფუძველია. თუ როგორ წარმოიშვება თვით იგი, ჩვენ აქ ამის გამოკვლევას ჯერ კიდევ არ ვსაჭიროებთ. საკმარისია ის, რომ იგი ამოსავალ პუნქტს შეადგენს. მაგრამ შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გადიდების ყველა მეთოდი, რომელიც ამ საფუძველზე აღმოცენდება, იმავე დროს ზედმეტი ღირებულების ანუ ზედმეტი პროდუქტის გადიდებული წარმოების მეთოდია, ზედმეტი პროდუქტისა, რომელიც, თავის მხრივ, დაგროვების შემქმნელი ელემენტია. მაშასადამე, ეს მეთოდები იმავე დროს კაპიტალის კაპიტალით წარმოების მეთოდებია, ანუ მისი დაჩქარებული დაგროვების მეთოდებია. ზედმეტი ღირებულების განუწყვეტელი უკუგადაქცევა კაპიტალად წარმოების პროცესში შემავალი კაპიტალის მზარდი სიდიდით გამოიხატება. ეს გარემოება, თავის მხრივ, ხდება საფუძველი წარმოების გაფართოებული მასშტაბისა, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების მეთოდებისა, რომლებიც თან სდევს ამ წარმოებას, და ზედმეტი ღირებულების დაჩქარებული წარმოებისა. მაშასადამე, თუ კაპიტალის დაგროვების გარკვეული დონე გვევლინება როგორც პირობა სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესისა, ეს უკანასკნელი, უკუქმედების გზით, იწვევს კაპიტალის დაჩქარებულ დაგროვებას. ამიტომ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად ვითარდება სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესი, და სპეციფიკურად კაპიტალისტურ წარმოების წესთან

ერთად — კაპიტალის დაგროვება. ორივე ეს ეკონომიური ფაქტორი, იმ რთული ურთიერთდამოკიდებულების გამო, რომლის თანახმად ერთის ბიძგი მეორეს გადაეცემა, კაპიტალის ტექნიკურ შედგენილობაში წარმოშობს იმ ცვლილებას, რომლის ძალითაც ცვალებადი შემადგენელი ნაწილი სულ უფრო მცირდება მუდმივთან შედარებით.

ყოველი ინდივიდუალური კაპიტალი წარმოების საშუალებათა მეტი ან ნაკლები კონცენტრაციაა სათანადო მბრძანებლობით მეტი ან ნაკლებ მუშათა არძიაზე. ყოველი დაგროვება ახალი დაგროვების საშუალება ხდება. კაპიტალის სახით მოქმედი სიმდიდრის მასის გადიდებასთან ერთად დაგროვება აძლიერებს კაპიტალის კონცენტრაციას ინდივიდუალურ კაპიტალისტთა ხელში და, ამრიგად, აფართოებს მსხვილი მასშტაბის წარმოებისა და სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების მეთოდების საფუძველს. საზოგადოებრივი კაპიტალის ზრდა მრავალი ინდივიდუალური კაპიტალის ზრდით ხორციელდება. თუ ყველა სხვა გარემოებას უცვლელად ვიგულისხმებთ, ინდივიდუალური კაპიტალები და მათთან ერთად წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია იზრდება იმ პროპორციით, რომლის მიხედვით ისინი საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის სათანადო ნაწილებს შეადგენენ. ამავე დროს თავდაპირველ კაპიტალებს მოწყდება ყლორტები და იწყებენ მოქმედებას როგორც ახალი დამოუკიდებელი კაპიტალები. აქ დიდ როლს ასრულებს ანასთან, სხვათა შორის, ქონების გაყოფა კაპიტალისტების ოჯახებში. ამიტომ კაპიტალის დაგროვებასთან ერთად ცოტად თუ ბევრად იზრდება კაპიტალისტების რიცხვიც. ორი გარემოება ახასიათებს ამ სახის კონცენტრაციას, რომელიც უშუალოდ დაგროვებას ემყარება ანდა, უფრო მეტიც, იდენტურია ამ დაგროვებისა. პირველი: წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა მზარდი კონცენტრაცია ინდივიდუალურ კაპიტალისტთა ხელში, თუ სხვა პირობები უცვლელი რჩება, შეზღუდულია საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის დონით. მეორე: საზოგადოებრივი კაპიტალის ნაწილი, დაბანდებული წარმოების ყოველ განსაკუთრებულ სფეროში, დაყოფილია მრავალ კაპიტალისტს შორის, რომელნიც ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც დამოუკიდებელი და ერთიმეორის მეტოქე საქონელმწარმოებელნი. მაშასადამე, დაგროვება და მისი თანამგზავრი კონცენტრაცია არა მარტო დაქსაქსულია მრავალ პუნქტში, არამედ მოქმედი კაპიტალების ზრდა გადახლართულია აგრეთვე ახალი კაპიტალის წარმოქმნასა და ძველის დანაწილებასთან. ამიტომ, თუ დაგროვება გვევლინება, ერთი მხრივ, როგორც წარმოების საშუალებათა და შრომაზე მბრძანებლობის

მზარდი კონცენტრაცია, მეორე მხრივ, იგი გვევლინება როგორც უკუგდება მრავალი ინდივიდუალური კაპიტალისა ერთიმეორის მიერ.

ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალის ამ დაქუცმაცებას მრავალ ინდივიდუალურ კაპიტალად ანუ მისი ნაწილების მიერ ერთიმეორის განზიდულობას წინააღმდეგობას უწევს მათი მიზიდულობა. ეს უკვე აღარ არის უბრალო, დაგროვების იდენტური კონცენტრაცია წარმოების საშუალებებისა და შრომაზე მბრძანებლობისა. ეს არის უკვე წარმოქმნილ კაპიტალთა კონცენტრაცია, მათი ინდივიდუალური დამოუკიდებლობის მოსპობა, კაპიტალისტის ექსპროპრიაცია კაპიტალისტის მიერ, მრავალი წვრილი კაპიტალის გადაქცევა მცირერიცხოვან მსხვილ კაპიტალებად. ეს პროცესი იმით განირჩევა პირველისაგან, რომ იგი უკვე არსებულ და მოქმედ კაპიტალთა მხოლოდ შეცვლილ განაწილებას გულისხმობს, მაშასადამე, მისი მოქმედების სარბიელი არ არის შეზღუდული საზოგადოებრივი სიმდიდრის აბსოლუტური ზრდით, ანუ დაგროვების აბსოლუტური საზღვრებით. კაპიტალი თავს იყრის აქ კოლოსალური რაოდენობით ერთის ხელში, რადგან იგი ქრება იქ მრავალთა ხელში. ეს არის საკუთრივ ცენტრალიზაცია, განსხვავებული დაგროვებისა და კონცენტრაციისაგან.

კაპიტალთა ამ ცენტრალიზაციის, ანუ კაპიტალის მიერ კაპიტალის მიზიდვის კანონები არ შეიძლება აქ განვიხილოთ. საკმარისი იქნება მოკლე ფაქტიური მითითებანი. საკონკურენციო ბრძოლა საქონლის გაიფების გზით წარმოებს. საქონლის გაიფება *caeteris paribus* [სხვა თანაბარ პირობებში] დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი — წარმოების მასშტაბზე. ამიტომ უფრო მსხვილი კაპიტალი უფრო წვრილ კაპიტალს ამარცხებს. გავიხსენოთ შენდევ, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებით იზრდება იმ ინდივიდუალური კაპიტალის მინიმალური მოცულობა, რომელიც საჭიროა საქონის წარმართვისათვის ნორმალურ პირობებში. ამიტომ შედარებით მცირე კაპიტალი მისწრაფვის წარმოების ისეთი სფეროებისაკენ, რომლებსაც მსხვილი მრეწველობა დაუფლებია ჯერ მხოლოდ სპორადულად ანუ არა საესეებით. კონკურენცია მძვინვარებს აქ პირდაპირი შეფარდებით მეტოქე კაპიტალების რიცხვთან და შებრუნებული შეფარდებით მათს სიდიდესთან. ეს კონკურენცია მთავრდება მუდამ მრავალი უფრო წვრილი კაპიტალისტის დაღუპვით, რომელთა კაპიტალიც ნაწილობრივ გადადის გამარჯვებულის ხელში, ნაწილობრივ კი იღუპება. გარდა ამისა, კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად წარმოიქმნება სრულიად ახალი ძალა, კრედიტი; იგი თავდაპირველად მალულად მოიპარება როგორც დაგროვების

მორიდებული დამხმარე და უხილავი ძაფებით იზიდავს ინდივიდუალური ანდა შეკავშირებული კაპიტალისტების ხელში საზოგადოების ზედაპირზე დიდ ან პატარა მასებად დაქსაქსულ ფულად სახსრებს; მაგრამ იგი მალე ხდება ახალი და საშინელი იარაღი საკონკურენციო ბრძოლაში და, ბოლოს, იქცევა უზარმაზარ სოციალურ მექანიზმად კაპიტალთა ცენტრალიზაციისათვის.

იმდენად, რამდენადაც ვითარდება კაპიტალისტური წარმოება და დაგროვება, ვითარდება აგრეთვე კონკურენცია და კრედიტი — ეს ორი ყველაზე მძლავრი ბერკეტი ცენტრალიზაციისა. ამასთან ერთად დაგროვების პროგრესი აღიღებს საცენტრალიზაციო მასალას, ე. ი. ცალკეულ კაპიტალებს, მაშინ როდესაც კაპიტალისტური წარმოების გაფართოება ქმნის, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ მოთხოვნილებას და, მეორე მხრივ, ტექნიკურ საშუალებებს იმ უზარმაზარ სამრეწველო საწარმოთათვის, რომელთა განხორციელება დაკავშირებულია კაპიტალის წინასწარ ცენტრალიზაციასთან. მაშასადამე, ცალკეული კაპიტალების ურთიერთმიზიდულობის ძალა და ცენტრალიზაციისადმი ტენდენცია უფრო ძლიერია ამჟამად, ვიდრე ოდესმე უწინ. თუმცა ცენტრალიზაციისკენ მიმართული მოძრაობის შედარებითი გავრცელება და ენერჯია რამდენადმე განისაზღვრება კაპიტალისტური სიმდიდრის უკვე მიღწეული სიდიდით და ეკონომიური მექანიზმის უპირატესობით, მაგრამ მაინც ცენტრალიზაციის პროგრესი სრულიად არ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი კაპიტალის სიდიდის პოზიტიურ ზრდაზე. და ეს განსაკუთრებით განასხვავებს ცენტრალიზაციას კონცენტრაციისაგან, რომელიც მხოლოდ სხვანაირი გამოხატვაა კვლავწარმოებისა გაფართოებული მასშტაბით. ცენტრალიზაცია შეიძლება ხდებოდეს უკვე არსებული კაპიტალების განწილების უბრალო შეცვლით, საზოგადოებრივი კაპიტალის შემადგენელ ნაწილთა რაოდენობრივი დაჯგუფების უბრალო შეცვლით. კაპიტალი აქ, ერთის ხელში, შეიძლება გაიზარდოს უდიდეს მოცულობამდე, რადგან იქ, სხვა ადგილას, იგი გამოეცლება მრავალთა ხელს. წარმოების ყოველ მოცემულ დარგში ცენტრალიზაცია მიაღწევდა თავის უკიდურეს საზღვარს, ყველა მასში დაბანდებული კაპიტალი რომ ერთადერთ კაპიტალად შედუღებულიყო⁷⁷. ყოველ მოცემულ საზოგადოებაში ეს საზღვარი მიღწეული იქნებოდა მხოლოდ იმ მომენტში,

⁷⁷ ქმენი შენა მე-4 გამოცემისათვის. — ინგლისისა და ამერიკის უახლესი ტრესტები უკვე ესწრაფვიან ამ მიზანს და ცდილობენ გააერთიანონ ყოველ

როდესაც მთელი საზოგადოებრივი კაპიტალი შეერთდებოდა ერთადერთი ცალკეული კაპიტალისტის ანდა კაპიტალისტთა ერთადერთი საზოგადოების ხელში.

ცენტრალიზაცია ამთავრებს დაგროვების საქმეს იმით, რომ მრეწველ კაპიტალისტებს შესაძლებლობას აძლევს გაათავოთონ თავიანთი ოპერაციების მასშტაბი. იქნება ეს უკანასკნელი შედეგი დაგროვების თუ ცენტრალიზაციისა, ხდება თუ არა ცენტრალიზაცია ძალდატანებითი შეერთების გზით, — როდესაც გარკვეული კაპიტალები ხდება მიზიდვის ისეთი მძლავრი ცენტრები სხვებისთვის, რომ ამსხვრევენ მათს ინდივიდუალურ შეკავშირებას და შემდეგ მიიზიდავენ თავისკენ მათს განცალკევებულ ნამსხვრევებს, — ანდა მიმდინარეობს თუ არა უკვე შექმნილი ან შექმნის პროცესში მყოფი კაპიტალების მასის უფრო უმტკივნეულო შეერთება აქციონერულ საზოგადოებათა დაარსების საშუალებით, — ეკონომიური ეფექტი ყველა ამ შემთხვევაში იგივე რჩება. სამრეწველო საწარმოთა ფარგლების ზრდა წარმოადგენს ყველგან ამოსავალ პუნქტს მრავალთა ერთობლივი შრომის უფრო ფართო ორგანიზაციისათვის, მისი მატერიალური მამოძრავებელი ძალების უფრო ფართო განვითარებისათვის, ე. ი. განცალკევებულ და ტრადიციული წესით მოქმედ წარმოების პროცესთა პროგრესიული გადაქცევისათვის საზოგადოებრივად კომბინირებულ და მეცნიერულად წარმართულ წარმოების პროცესებად.

მაგრამ ცხადია, რომ დაგროვება, კაპიტალის თანდათანობითი გადიდება კვლავწარმოების საშუალებით, რომელიც მოძრაობის წრიული ფორმიდან სპირალურ ფორმაში გადადის, ფრიად ნელი პროცესია ცენტრალიზაციასთან შედარებით, რომელიც საზოგადოებრივი კაპიტალის ინტეგრალური ნაწილების მხოლოდ რაოდენობრივი დაჯგუფების შეცვლას საჭიროებს. ქვეყნიერება ჯერ კიდევ ურკინიგზებოდ იქნებოდა, იგი რომ იძულებული ყოფილიყო იმ დრომდე მოეცადა, ვიდრე დაგროვება ზოგიერთ ცალკეულ კაპიტალს იმდენად გაადიდებდა, რომ რკინიგზების მშენებლობას შეაძლებინებდა. ცენტრალიზაციამ, პირიქით, აქციონერულ საზოგადოებათა საშუალებით, ანას, ასე ვთქვათ, ხელის ერთი დაქნევით მიაღწია. და, ამრიგად, დაგროვების მოქმედების გაძლიერებით და დაჩქარებით ცენტრალიზაცია იმავე დროს აფართოებს და აჩქარებს კაპიტალის ტექნიკურ შედგენილობაში იმ გადატრიალებას, რომელიც ადიდებს მის მულმივ

შემთხვევაში მრეწველობის ამა თუ იმ დარგის ყველა დიდი საწარმო ერთ დიდ აქციონერულ საზოგადოებად ფაქტიური მონოპოლიით. — **მ. მ.**

ნაწილს მისი ცვალებადი ნაწილის ხარჯზე და ამით შეფარდებით ამცირებს შრომის მოთხოვნას.

ცენტრალიზაციის საშუალებით ასე სწრაფად შემჭიდროებული უამრავი კაპიტალი იკვლავწარმოება და იზრდება იმგვარადვე, როგორც სხვა კაპიტალი, მაგრამ — უფრო სწრაფად, და ამრიგად საზოგადოებრივი დაგროვების ახალი მძლავრი ბერკეტი ხდება. მაშასადამე, როდესაც ლაპარაკობენ საზოგადოებრივი დაგროვების პროგრესზე, ამაში — ამჟამად — უთქმელად იგულისხმება ცენტრალიზაციის მოქმედებაც.

ნორმალური დაგროვების მსვლელობაში შექმნილი დამატებითი კაპიტალი (იხ. თავი XXII, 1) წარმოადგენს უმთავრესად ახალ გამოგონებათა და აღმოჩენათა ექსპლოატაციის, საერთოდ ინდუსტრიული სრულყოფის დამხმარე საშუალებას. მაგრამ ძველი კაპიტალიც დროთა ვითარებაში აღწევს ისეთ მომენტს, როცა იგი მთლიანად განახლებას განიცდის, როცა ის კანს იცვლის და ასევე ხელახლა იზადება ტექნიკურად ისეთი სრულყოფილი ფორმით, რომლის დროსაც საკმარისია შრომის უფრო ნაკლები მასა მანქანებისა და ნედლეულის უფრო დიდი მასის მოძრაობაში მოსაყვანად. შრომის მოთხოვნის აბსოლუტური შემცირება, რაც აქედან გარდუვალად გამომდინარეობს, თავისთავად ცხადია, მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტია განახლების ამ პროცესში მყოფი კაპიტალი, რომელიც მაკენტრალიზებული მოძრაობის მეოხებით უკვე მასობრივად არის თავმოყრილი.

ამრიგად, ერთი მხრივ, დაგროვების მსვლელობაში შექმნილი დამატებითი კაპიტალი თავის სიდიდესთან შეფარდებით სულ უფრო ნაკლებად იზიდავს მუშებს. მეორე მხრივ, ძველი კაპიტალი, პერიოდულად კვლავწარმოებული ახალი შედგენილობით, სულ უფრო უკუაგდება მის მიერ უწინ დასაქმებულ მუშებს.

3. შიშვარდებითი ზარბოზსახლოობის ანუ სამკაწველო საკეზიკო არმიის მზარდი წარმოება

კაპიტალის დაგროვება, რომელიც თავდაპირველად მისი მხოლოდ რაოდენობრივი გაფართოების სახით გვევლინებოდა, ხორციელდება, როგორც დავინახეთ, მისი შედგენილობის მუდმივი თვისებრივი ცვლილების, მისი მუდმივი შემადგენელი ნაწილის განუწყვეტელი გადიდებით ცვალებადი ნაწილის ხარჯზე^{79c}.

^{79c} შენიშვნა მესამე გამოცემისათვის. მარქსის საკუთარ ეგზემპლარში ამ ადგილას ასეთი მინაწერია: აქ შემდგომი გამოყენებისათვის უნდა აღი-

სპეციფიკურად კაპიტალისტური წარმოების წესი, მისი შესაბამისი განვითარება შრომის მწარმოებლური ძალისა და ამით გამოწვეული ცვლილება კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში ნარტოფებდაფებ კი არ მიჰყვება დაგროვების პროგრესს, ანუ საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას. ყოველივე ეს გაცილებით უფრო ჩქარა მიდის წინ, რადგან ერთობლივი კაპიტალის უბრალო დაგროვებას, ანუ აბსოლუტურ გაფართოებას, თან ახლავს მისი ინდივიდუალური ელემენტების ცენტრალიზაცია, ხოლო დამატებითი კაპიტალის ტექნიკურ გადატრიალებას — პირვანდელი კაპიტალის ტექნიკური გადატრიალება. მაშასადამე, დაგროვების პროგრესთან ერთად მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან, თუ იგი თავდაპირველად იყო 1:1, იცვლება როგორც 2:1, 3:1, 4:1, 5:1, 7:1 და სხვ., ასე რომ კაპიტალის ზრდის კვალობაზე სამუშაო ძალად შემდეგში იქცევა მისი ერთობლივი ღირებულების $\frac{1}{2}$ -ის ნაცვლად მხოლოდ $\frac{1}{3}$, $\frac{1}{4}$, $\frac{1}{5}$, $\frac{1}{6}$, $\frac{1}{8}$ და სხვ., ხოლო წარმოების საშუალებებად — $\frac{2}{3}$, $\frac{3}{4}$, $\frac{4}{5}$, $\frac{5}{6}$, $\frac{7}{8}$ და სხვ. რადგან შრომის მოთხოვნა ერთობლივი კაპიტალის ოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ — მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის ოდენობით, ამიტომ იგი პროგრესიულად მცირდება ერთობლივი კაპიტალის ზრდასთან ერთად, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ჩვენ უწინ ვგულისხმობდით, მის პროპორციულად გაიზარდოს. იგი ეცემა ერთობლივი კაპიტალის სიდიდესთან შეფარდებით და აჩქარებული პროგრესით — ამ სიდიდის ზრდასთან ერთად. თუმცა ერთობლივი კაპიტალის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილიც, ე. ი. მასთან შესისხლხორცებული სამუშაო ძალა, მაგრამ იგი მუდამ კლებადი პროპორციით იზრდება. შუალედი პერიოდები, რომელთა მანძილზეც დაგროვება მოქმედებს როგორც წარმოების უბრალო გაფართოება მოცემულ ტექნიკურ საფუძველზე, მოკლდება. საჭირო ერთობლივი კაპიტალის აჩქარებული დაგროვება მზარდი პროგრესით აუცილებელი ხდება არა მარტო იმისათვის, რომ შეწოვილ იქნას ნუშების გარკვეული დამატებითი რიცხვი, ან თუნდაც იმისათვის, რომ, ძველი კაპიტალის მუდმივი მეტამორფოზის გამო, შეინარჩუნონ სამუშაო უკვე დასაქმებულმა მუშებმა. თვით ეს მზარდი დაგროვება და ცენტრალიზაცია, თავის

ნიშნოს: თუ გაფართოება მხოლოდ რაოდენობრივია, მაშინ უფრო დიდი ან უფრო მცირე კაპიტალისთვის წარმოების ერთსა და იმავე დარგში მოგებანი ისე შეეფარდება ერთიმეორეს, როგორც ავანსებული კაპიტალების სიდიდენი. თუ რაოდენობრივი გაფართოება თვისებრივად მოქმედებს, მაშინ იმავედროულად მატულობს მოგების ნორმა უფრო დიდი კაპიტალისთვის. — **ფ. მ.]**

მხრივ, ხდება წყარო კაპიტალის შედგენილობის ახალი ცვლილებისა ანუ მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის ხელახალი აჩქარებულ შემცირებისა შედარებით მუდმივ ნაწილთან. ერთობლივი კაპიტალის ცვალებადი შემადგენელი ნაწილის ეს შეფარდებითი შემცირება, აჩქარებული ერთობლივი კაპიტალის ზრდასთან ერთად, და აჩქარებული უფრო სწრაფად, ვიდრე მისი საკუთარი ზრდა, ისე გვეჩვენება მეორე მხარეზე, თითქოს, პირიქით, მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა უფრო ჩქარა ხდებოდეს, ვიდრე ცვალებადი კაპიტალის, ანუ ამ მოსახლეობის დამსაქმებელ საშუალებათა ზრდა. ნამდვილად კი კაპიტალისტური დაგროვება მუდამ ქმნის, ამასთან თავის ენერჯიასა და ოდენობასთან შეფარდებით, რელატიურ, ე. ი. კაპიტალის ღირებულების ზრდის საშუალო მოთხოვნილებასთან შედარებით ჭარბ და ამიტომ — ზედმეტ, ანუ დამატებითს მუშა-მოსახლეობას.

თუ ერთობლივ საზოგადოებრივ კაპიტალს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მისი დაგროვების მოძრაობა ხან პერიოდულ ცვლილებებს იწვევს, ხან კი ამ მოძრაობის მომენტები ერთსა და იმავე დროს წარმოების სხვადასხვა სფეროს შორის ნაწილდება. ზოგიერთ სფეროში კაპიტალის შედგენილობის ცვლილება ხდება მისი აბსოლუტური ოდენობის გაუდიდებლად, მარტოდენ კონცენტრაციის გამო; სხვაგან კაპიტალის აბსოლუტური ზრდა დაკავშირებულია მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის, ანუ მის მიერ შთანთქმული სამუშაო ძალის აბსოლუტურ შემცირებასთან; ზოგან კი კაპიტალი იზრდება ხან თავის მოცემულ ტექნიკურ საფუძველზე და თავის ზრდასთან შეფარდებით იზიდავს დამატებითს სამუშაო ძალას, ხან კი ხდება კაპიტალის ორგანული ცვლილება და მცირდება მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილი; ყველა სფეროში კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ზრდა და ამიტომ დასაქმებული მუშების რიცხვის ზრდაც მუდამ დაკავშირებულია ძლიერ რყევასთან და დროებითი ჭარბმოსახლეობის შექმნასთან, სულ ერთია, მიიღებს ეს ჭარბმოსახლეობა უკვე დასაქმებული მუშების უკუგდების შესამჩნევ ფორმას, თუ მისი ჩვეული საგდები არხების მიერ დამატებითი მუშა-მოსახლეობის გაინელებული შეწოვის უფრო შეუმჩნეველ, მაგრამ არანაკლებად ნამდვილ ფორმას⁷⁸. უკვე მოქმედი საზოგადოე-

⁷⁸ ინგლისის და უელსის აღწერა გვიჩვენებს, სხვათა შორის:

მიწათმოქმედებაში ჩაბმულ ყველა პირთა რაოდენობა (მესაკუთრეების, ფერმერების, მებაღეების, მწყემსებისა და სხვ. ჩათვლით) იყო: 1851 წ. — 2 011 447, 1861 წ. — 1 924 110, შემცირება — 87 337; წალეულის წარმოებაში: 1851 წ. — 102 714; 1861 წ. — 79 242; აბრეშუმის ფაბრიკებში: 1851 წ. — 111 940, 1861 წ. — 101 678,

ბრივი კაპიტალის სიდიდესა და მისი ზრდის დონესთან ერთად, წარმოების მასშტაბის გაფართოებასა და მოქმედ მუშათა მასის გადიდებასთან ერთად, მათი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასთან, სიმდიდრის ყველა წყაროს სიუხვის გაფართოებასა და გაძლიერებასთან ერთად ფართოვდება აგრეთვე მასშტაბი კაპიტალის მიერ მუშების გაძლიერებული მიზიდვისა და მასთან დაკავშირებული მათი გაძლიერებული უკუგდებისა, მატულობს კაპიტალის ორგანული შედგენილობის და კაპიტალის ტექნიკური ფორმის ცვლილების სისწრაფე, და ფართოვდება წარმოების იმ სფეროთა წრე, რომელნიც ხან ერთდროულად, ხან კი თანმიყოლებით ამ ცვლილებას განიცდიან. მაშასადამე, მუშა-მოსახლეობა იმით, რომ იგი კაპიტალის დაგროვებას აწარმოებს, თვითონვე აწარმოებს მზარდი მოცულობით იმ საშუალებებს, რომელნიც თვით მას შეფარდებითს ჰარბმოსახლეობად აქცევენ⁷⁹. ეს არის კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელი კანონი მოსახლეობისა, ისევე როგორც წარმოების ყოველ განსაკუთრებულ

დამჩითავნი: 1851 წ. — 12 098, 1861 წ. — 12 556, — ეს უმნიშვნელო მომატება, მიუხედავად საქმის უზომო გაფართოებისა, მომუშავეთა რიცხვის დიდ პროპორციულ დაკლებას იწვევს; მეჭუდეები: 1851 წ. — 15 957, 1861 წ. — 13 814; ჭილის ქუდების და ქალის ქუდების მკეთებელი: 1851 წ. — 20 393, 1861 წ. — 18 176; ალაოს მკეთებელი: 1851 წ. — 10 566, 1861 წ. — 10 677; სანთლის ჩამომსხმელი: 1851 წ. — 4 949, 1861 წ. — 4 686. ამ შემცირების მიზეზი, სხვათა შორის, განით განათების გავრცელება; მესაეარტლები: 1851 წ. — 2 038, 1861 წ. — 1 478; მებრახვები: 1851 წ. — 30 552, 1861 წ. — 31 647, უმნიშვნელო მომატება სახერხი მანქანების გავრცელების გამო; ლურსმნის მკეთებელი: 1851 წ. — 26 940, 1861 წ. — 26 130, შემცირება მანქანების კონკურენციის გამო; კალისა და სპილენძის მადაროს მუშები: 1851 წ. — 31 360, 1861 წ. — 32 041. ბამბის რთვისა და ქსოვის წარმოებაში კი: 1851 წ. — 371 777, 1861 წ. — 456 646; ქვანახშირის მადარებში: 1851 წ. — 183 389, 1861 წ. — 246 613. «საერთოდ მუშების რიცხვის გადიდებას 1851 წელს შემდეგ ადგილი ჰქონდა უმეტესად ისეთ დარგებში, სადაც მანქანები დღემდე ჯერ კიდევ წარმატებით ვერ იქნა გამოყენებული» («Census of England and Wales for 1861», ტ. III. London 1863, გვ. 35 — 39).

⁷⁹ კლასიკური სკოლის ზოგიერთ გამოჩენილ ეკონომისტს თუმცა წინასწარი მიხედვითა ჰქონდა, მაგრამ არ ესმოდა ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი სიდიდის პროგრესული შემცირების კანონი და მისი გავლენა დაქირავებულ მუშათა კლასის მდგომარეობაზე. ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის ჯონ ბარტონს, თუმცა იგი, როგორც ყველა სხვა, მუდმივ კაპიტალს და ძირითადად, ცვალებად კაპიტალს და საბრუნავს ერთმანეთში ურედა. იგი ამბობს: «შრომის მოთხოვნა დამოკიდებულია საბრუნავი და არა ძირითადი კაპიტალის ზრდაზე. სწორი რომ იყოს ის, რომ შეფარდება ამ ორი სახის კაპიტალს შორის ერთნაირია ყველა დროსა და ყველა გარემოებაში, აქედან ფაქტიურად იმ დასკვნას მივიღებდით, რომ წარმოებაში ჩაბმულ

ისტორიულ წესს სინამდვილეში აქვს თავისი განსაკუთრებული, ისტორიული ხასიათის კანონი მოსახლეობისა. მოსახლეობის აბსტრაქტული კანონი მხოლოდ მცენარეთა და ცხოველთათვის არსებობს, ვიდრე ამ სფეროში ადამიანი ისტორიულად არ ჩაერევა.

მაგრამ, თუ ჭარბი მუშა-მოსახლეობა აუცილებელი პროდუქტია დაგროვებისა, ანუ სიმდიდრის განვითარებისა კაპიტალისტურ საფუძველზე, ეს ჭარბმოსახლეობა, თავის მხრივ, ხდება კაპიტალისტური დაგროვების ბერკეტი და კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის პირობაც კი. იგი შეადგენს კაპიტალის განკარგულებაში მყოფ სამრეწველო სარეზერვო არმიას, რომელიც კაპიტალს ისე აბსოლუტურად ეკუთვნის, თითქოს მას იგი თავის საკუთარ ხარჯზე გამოეზარდოს. ეს სარეზერვო არმია ქმნის კაპიტალის თვითმზარდი ღირებულების ცვალებად მოთხოვნილებათათვის მუდამ საექსპლოატაციოდ გამზადებულ ადამიანურ მასალას, მოსახლეობის ნამდვილი მატების

მუშათა რიცხვი ქვეყნის სიმდიდრის პროპორციულია. მაგრამ ასეთი ვითარების ვარაუდი სიმართლის ნასახსაც არ შეიცავს. რაც უფრო სრულყოფილი ხდება წარმოება და ვრცელდება ცივილიზაცია, მით უფრო დიდია ძირითადი კაპიტალის ხვედრითი წილი საბრუნავ კაპიტალთან შედარებით. ძირითადი კაპიტალის რაოდენობა, დაბანდებული ერთ ცალ ბრიტანულ მუსლინის წარმოებაში, სულ ცოტა, ასჯერ და იქნებ ათასჯერაც მეტია, ვიდრე ძირითადი კაპიტალი, დაბანდებული ინდური მუსლინის ასეთივე ცალის დამზადებაში. და საბრუნავი კაპიტალის წილი კი ასჯერ და ათასჯერ ნაკლებია... მთელი წლიური დანახოვიც რომ ძირითად კაპიტალს მიმატებოდა, ეს შრომის მოთხოვნის ზრდაზე არაერთად გავლენას არ მოახდენდა» (John Barton: «Observations on the Circumstances which influence the Condition of the Labouring Classes of Society». London 1817, გვ. 16, 17). «იმავე მიზეზს, რომელიც ქვეყნის წმინდა შემოსავლის გადიდებას იწვევს, შეუძლია იმავე დროს წარმოშვას მოსახლეობის სიჭარბე და გააუარესოს მუშათა მდგომარეობა» (Ricardo: «Principles of Political Economy», მე-3 გამოც., London 1821, გვ. 469). [შუად. რიკარდო: «პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები». თბილისი 1937, გვ. 332.] კაპიტალის გადიდებასთან ერთად «მოთხოვნა (შრომის) შეფარდებით შემცირდება» (იქვე, გვ. 480, შენიშვნა). [შუად. ქართ. გამოც. გვ. 339] «კაპიტალის რაოდენობა, განკუთვნილი შრომის შესანახად, შეიძლება იცვლებოდეს კაპიტალის მთელი რაოდენობის ყოველგვარი ცვლილებისაგან დამოუკიდებლად... დიდი რყევა სამუშაოს რაოდენობაში და დიდი ტანჯვა შეიძლება უფროც განზირდეს, და განზირდეს იმდენად, რამდენადაც თვით კაპიტალი უფრო უხვი ხდება» (Richard Jones: «An Introductory Lecture on Political Economy». London 1833. [დანართი «Syllabus of a Course of Lectures on the Wages of Labour», გვ. 12]. «მოთხოვნა (შრომის) არ იზრდება... მთელი კაპიტალის დაგროვებასთან შეფარდებით... ამიტომ ყოველი გადიდება ნაციონალური კაპიტალისა, რომელიც განკუთვნილია კვლავწარმოებისათვის, საზოგადოებრივი პროგრესის მსვლელობაში სულ უფრო და უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს მუშის მდგომარეობაზე» (G. Ramsay: «An Essay on the Distribution of Wealth». Edinburgh 1836, გვ. 90, 91).

საზღვრებისაგან დამოუკიდებლად. დაგროვებასთან და მის თანამგზავრ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასთან ერთად იზრდება კაპიტალის უეცარი გაფართოების ძალა, არა მარტო იმიტომ, რომ იზრდება მოქმედი კაპიტალის ელასტიკურობა და აბსოლუტური სიმდიდრე, რომლის მხოლოდ ერთ ელასტიკურ ნაწილს კაპიტალი შეადგენს, არა მარტო იმიტომ, რომ კრედიტი, ყოველი განსაკუთრებული გალიზიანების დროს, მყისვე გადასცემს წარმოებას სრულ განკარგულებაში ამ სიმდიდრის არაჩვეულებრივ ნაწილს დამატებითი კაპიტალის სახით. თვით წარმოების პროცესის ტექნიკური პროგრესი, — მანქანები, ტრანსპორტის საშუალებანი და სხვ., — შესაძლებლად ხდის უდიდესი მასშტაბით იმას, რომ ზედმეტი პროდუქტი ყველაზე სწრაფად გადაიქცეს წარმოების დამატებითს საშუალებებად. საზოგადოებრივი სიმდიდრის მასა, რომელიც დაგროვების პროგრესთან ერთად იზრდება და რომელსაც დამატებით კაპიტალად გადაიქცევის უნარი შესწევს, გაშმაგებით შეიჭრება წარმოების ძველ დარგებში, რომელთა ბაზარი უეცრად ფართოვდება, ანდა — ახლად წარმოქმნილ დარგებში, როგორცაა რკინიგზები და სხვ., რომელთა საჭიროებას წარმოების ძველი დარგების განვითარება წარმოშობს. ყველა ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ ერთბაშად და სხვა სფეროებში წარმოების მასშტაბის შეუმცირებლად ხდებოდეს ადამიანთა დიდი მასების გადასროლა გადაწყვეტ პუნქტებზე. ამ მასებს ჭარბმოსახლეობა იძლევა. თანამედროვე მრეწველობის დამახასიათებელი სასიცოცხლო გზა, ეს მცირე მერყეობით წყვეტილი ათწლიანი ციკლის ფორმა, ციკლისა, რომელიც საშუალო გაცხოველების, მაღალი წნევის წარმოების, კრიზისისა და შეჩერების პერიოდებისაგან შედგება, დამყარებულია სამრეწველო სარეზერვო არმიის, ანუ ჭარბმოსახლეობის განუწყვეტელ წარმოქმნაზე, მის მეტ ან ნაკლებ შთანთქმაზე და კვლავწარმოქმნაზე. სამრეწველო ციკლის ფაზათა ცვალებადობა, თავის მხრივ, აღიღებს ჭარბმოსახლეობას და მისი კვლავწარმოების ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი ხდება.

თანამედროვე მრეწველობის ეს თავისებური სასიცოცხლო გზა, რომელიც ჩვენ კაცობრიობის არც ერთ უწინდელ ხანაში არ გვხვდება, შეუძლებელი იყო აგრეთვე კაპიტალისტური წარმოების სიყმაწვილის პერიოდში. კაპიტალის შედგენილობა მხოლოდ თანდათანობით და ძალიან ნელა იცვლებოდა. მაშასადამე, მის დაგროვებას შეეფერებოდა საერთოდ შრომის მოთხოვნის პროპორციული ზრდა. რაგინდ ნელიც ყოფილიყო მისი დაგროვების პროგრესი თანამედროვე ხანასთან

შედარებით, იგი მაინც აწყდებოდა საექსპლოატაციო მუშა-მოსახლეობის ბუნებრივ ზღუდეებს; ამ ზღუდეთა გადალახვა კი შესაძლებელი იყო ძალდატანებითი საშუალებებით, რომელთაც ჩვენ მხოლოდ შემდეგში მოვიხსენიებთ. წარმოების მასშტაბის უეცარი და კონველსიური გაფართოება წანამძღვარია მისი უეცარი შეკუმშვისა; ეს უკანასკნელი კვლავ იწვევს პირველს, მაგრამ პირველი შეუძლებელია უკვე საექსპლოატაციოდ მზადყოფი ადამიანური მასალის გარეშე, მუშათარიცხვის გაუდიდებლად, რაც დამოუკიდებელია მოსახლეობის აბსოლუტური ზრდისაგან. მუშათა რიცხვის ეს გადიდება იქმნება უბრალო პროცესის მეოხებით, რომელიც განუწყვეტლივ «ათავისუფლებს» მუშების ერთ ნაწილს ისეთი მეთოდების საშუალებით, რომელნიც ამცირებენ დასაქმებულ მუშათა რიცხვს გადიდებულ წარმოებასთან შეფარდებით. მაშასადამე მოძრაობის მთელი ის ფორმა, რომელიც თანაწედროვე მრეწველობის დამახასიათებელია, იქიდან წარმოდგება, რომ ადგილი აქვს მუშა-მოსახლეობის ერთი ნაწილის განუწყვეტელ გადაქცევას დაუსაქმებელ ანდა ნახევრადდასაქმებულ მუშახელად. პოლიტიკური ეკონომიის ზერელობა, სხვათა შორის, იმაში მკლავნდება, რომ იგი კრედიტის გაფართოებას და შეკუმშვას, სამრეწველო ციკლის ცვალებადი პერიოდების ამ უბრალო სიმპტომს, მათს მიზეზად სახავს. როგორც ციური სხეულები, ერთხელვე განსაზღვრულ მოძრაობაში მოყვანილნი, განუწყვეტლივ იმეორებენ ამ მოძრაობას, სწორედ ასევე საზოგადოებრივი წარმოებაც, რაკი იგი ერთხელვე მოექცევა ცვალებადი გაფართოებისა და შეკუმშვის მოძრაობაში, მუდამ იმეორებს ამ მოძრაობას. შედეგი, თავის მხრივ, მიზეზი ხდება და ცვლადი ფაზები მთელი პროცესისა, რომელიც მუდამ აკვლავწარნობს თავის საკუთარ პირობებს, პერიოდულობის ფორმას იღებენ. რაკი ეს პერიოდულობა ერთხელ განმტკიცდა, პოლიტიკური ეკონომიაც კი იწყებს იმის გაგებას, რომ შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის წარმოება, ე. ი. მოსახლეობისა, რომელიც კაპიტალის თვითზრდის საშუალო მოთხოვნილებასთან შედარებით ნამეტი მოსახლეობაა, — თანამედროვე მრეწველობის არსებობის პირობას წარმოადგენს.

«დავუშვათ, — ამბობს ჰ. მერივეილი, წინათ პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ოქსფორდში, შემდეგში კი ინგლისის კოლონიათა-სანიინსტროს მოხელე, — დავუშვათ, რომ ერმა კრიზისის დროს მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე, რათა ემიგრაციის საშუალებით გაითავისუფლოს თავი რამდენიმე ასეული ათასი ზედმეტი მუშახელისგან; რა შედეგი მოჰყვებოდა ამას? ის, რომ შრომის მოთხოვნის პირველ

განახლებისთანავე თავს იჩენდა მისი ნაკლებობა. რაც უნდა სწრაფად ხდებოდეს აღამიანთა კვლავწარმოქმნა, ყოველ შემთხვევაში, ასაკოვან მუშათა შესაცვლელად ნთელი თაობის დროა საჭირო. მაგრამ ჩვენი მეფაბრიკეების მოგება დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, თუ რამდენად შესწევთ მათ ძალა გამოიყენონ გაცხოველებული მოთხოვნის ხელსაყრელი მომენტი და, ამრიგად, შესუსტების პერიოდში თავიდან აიშორონ ზარალი. ეს შესაძლებლობა უზრუნველყოფილია მათთვის მხოლოდ მანქანებზე და ხელშრომაზე მბრძანებლობით. მათ უნდა შეეძლოთ თავისუფალი მუშახელის პოვნა, მათ უნდა შეეძლოთ საჭიროებისამებრ გაშალონ ანდა შეკუმშონ თავიანთი ოპერაციების აქტივობა, ბაზრის მდგომარეობის მიხედვით, თუ არადა, უეჭველია, ისინი ვერ შეძლებენ მათი გაათვრებული კონკურენციის პირობებში იმ უბირატესობის შენარჩუნებას, რაზედაც დამყარებულია ამ ქვეყნის სიმდიდრე⁸⁰. მალთუსიც კი ჭარბმოსახლეობას, რომელსაც იგი მისთვის ჩვეული შეზღუდულობის შესაბამისად მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური ზედმეტი ზრდით ხსნის და არა მისი შეფარდებითი სიჭარბით, — თანამედროვე მრეწველობის აუცილებლობად აღიარებს. იგი ამბობს: «გონივრული ზნე-ჩვეულება ქორწინების სფეროში, თუ იგი გარკვეულ დონემდეა გავრცელებული უმთავრესად მანუფაქტურასა და ვაჭრობაზე დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასში, შეიძლება საზარალო გახდეს ქვეყნისთვის... მოსახლეობის ბუნების თანახმად, მუშების ნამატი არ შეიძლება გავიდეს ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნის გამო, ვიდრე არ გაივლის 16 — 18 წელიწადი, შემოსავლის კაპიტალად გადაქცევა კი დაზოგვის საშუალებით შეიძლება გაცილებით უფრო ჩქარა მოხდეს; ამა თუ იმ ქვეყანას მუდამ მოეწიოს ის, რომ მისი შრომის ფონდი უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე მოსახლეობა»⁸¹. რაკი, ამრიგად, პოლიტიკურმა ეკონომიამ მუშათა შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის

⁸⁰ H. Merivale: «Lectures on Colonization and Colonies». London 1841, and 1842, ტ. I, გვ. 146.

⁸¹ Malthus: «Principles of Political Economy», გვ. 254, 319, 320. ამ თხზულებაში მალთუსი, ბოლოს, სისმონდის დახმარებით აღმოაჩენს კაპიტალისტური წარმოების მშვენიერ სამებას: ჭარბწარმოებას, ჭარბმოსახლეობას, ჭარბმონხმარებას, ამ three very delicate monsters indeed! [სამ, მართლაცადა, ფრიად სათნო ურჩხულს!] შეად. F. Engels: «Umriss zu einer Kritik der Nationalökonomie» «Deutsch-Französische Jahrbücher»-ში, არნოლდ რუგესა და კარლ მარქსის გამოცემა. Paris 1844, გვ. 107 და შემდ. [შეად. ფ. ენგელსი: «ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1947, გვ. 29 — 34.]

მუდმივი წარმოება კაპიტალისტური დაგროვების აუცილებლობად გამოაცხადა, იგი ხნიერი ქალწულის მსგავსად, თავის «beau idéal» [ებრწყინვალე იდეალს] — კაპიტალისტს — შემდეგი სიტყვებით აღაპარაკებს «ქარბია მუშების მიმართ, რომელნიც გაძევებულნი არიან ქუჩაში მათივე საკუთარი ქმნილების — დამატებითი კაპიტალის — მიერ: ჩვენ, მეფაბრიკენი, ვაკეთებთ თქვენთვის ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია, მით, რომ ვადიდებთ კაპიტალს, რომლითაც თქვენ უნდა იარსებოთ, ხოლო თქვენ უნდა გააკეთოთ დანარჩენი მით, რომ შეუფარდოთ თქვენი რიცხვი საარსებო საშუალებებს»⁸².

კაპიტალისტური წარმოებისათვის სულაც არ კმარა თავისუფალი სამუშაო ძალის ის რაოდენობა, რასაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება იძლევა. თავისი თავისუფალი განვითარებისთვის იგი საჭიროებს ამ ბუნებრივი ზღუდისაგან დამოუკიდებელ სამრეწველო სარეზერვო არმიას.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ცვალებადი კაპიტალის გადიდება ან შემცირებას ზუსტად შეესაბამება დასაქმებული მუშების რიცხვის გადიდება ან შემცირება.

მაგრამ მუშათა რიცხვის უცვლელობის და შემცირების პირობებშიც კი ცვალებადი კაპიტალი, რომელიც ამ მუშებზე მბრძანებლობს, იზრდება, თუ ინდივიდუალური მუშა მეტ შრომას იძლევა და, ამიტომ, მისი ხელფასი მატულობს, თუმცა შრომის ფასი უცვლელი რჩება ან კლებულობს კიდევ, მხოლოდ კლებულობს უფრო ნელა, ვიდრე მატულობს შრომის მასა. ასეთ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალის გადიდება ხდება მაჩვენებელი შრომის მეტი რაოდენობისა და არა დასაქმებული მუშების მეტი რიცხვისა. თვითეული კაპიტალისტი აბსოლუტურად დაინტერესებულია გამოწუროს შრომის განსაზღვრული რაოდენობა მუშების უფრო ნაკლებ, ვიდრე მეტ რიცხვს, თუნდაც ეს უკანასკნელი ისევე იაფი ანდა უფრო იაფიც ჯდებადეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მუდმივი კაპიტალის დახარჯვა იზრდება მოძრაობაში მოყვანილ შრომის მასასთან შეფარდებით, პირველ შემთხვევაში კი — გაცილებით უფრო ნელა. რაც უფრო დიდია წარმოების მასშტაბი, მით უფრო გადამწყვეტია ეს მოტივი. მისი მნიშვნელობა იზრდება კაპიტალის დაგროვებასთან ერთად.

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის და შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება — ერთსა და იმავე დროს მიზეზი და შედეგი დაგროვებისა — შესაძლებლობას აძლევს კაპიტა-

⁸² Harriet Martineau: «The Manchester Strike». London 1832, გვ. 101.

ლისტს ცვალებადი კაპიტალის იმავე დახარჯვით მოძრაობაში მოიყვანოს მეტი შრომა ინდივიდუალური სამუშაო ძალის მეტი ექსტენსიური ან ინტენსიური ექსპლოატაციის საშუალებით. შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ იგი იმავე კაპიტალიზაციებით მეტ სამუშაო ძალას ყიდულობს, პროგრესიულად აძევებს უფრო დახელოვნებულ მუშებს ნაკლებად დახელოვნებულებით, მომწიფებულთ — მოუმწიფებულებით, მამაკაცებს — დედაკაცებით, მოზრდილებს — ახალგაზრდებით ან ბავშვებით.

ამრიგად, ერთი მხრივ, დაგროვების პროგრესთან ერთად მეტ ცვალებად კაპიტალს მეტი შრომა მოჰყავს მოძრაობაში მუშათა რიცხვის გაუდიდებლად; მეორე მხრივ, იმავე სიდიდის ცვალებად კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს მეტი შრომა სამუშაო ძალის იმავე მასით და, ბოლოს, მოძრაობაში მოჰყავს უფრო მეტი დაბალი ღირსების საშუაო ძალა მაღალი ღირსების სამუშაო ძალის გაძევებით.

შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის წარმოება ანუ მუშების განთავისუფლება სამუშაოდან ამიტომ კიდევ უფრო ჩქარა მიმდინარეობს, ვიდრე ისედაც დაგროვების პროგრესით დაჩქარებული ტექნიკური გადატრიალება წარმოების პროცესში და ამ გადატრიალების შესაბამისი პროპორციული შემცირება კაპიტალის ცვალებადი ნაწილისა მუდმივთან შედარებით. თუ წარმოების საშუალებანი, რამდენადაც მათი მოცულობა და მოქმედების ძალა მატულობს, სულ უფრო კლებადი ოდენობით იქცევა მუშების დასაქმების საშუალებებად, თვით ეს შეფარდება, თავის მხრივ, სახეს იცვლის კიდევ შემდეგი გარემოებით: რამდენადაც იზრდება შრომის მწარმოებლური ძალა, კაპიტალი უფრო სწრაფად ქმნის თავისთვის შრომის გადიდებულ მიწოდებას, ვიდრე თავის მოთხოვნას მუშახელზე. მუშათა კლასის დასაქმებული ნაწილის გადამეტებული შრომა ადიდებს მისი რეზერვის რიგებს, მაშინ როდესაც გაძლიერებული დაწოლა, რასაც უკანასკნელნი თავიანთი კონკურენციით ახდენენ პირველზე, პირიქით, აიძულებს მას გასწიოს გადამეტებული შრომა და დაემორჩილოს კაპიტალის მზრუნველობას. ის გარემოება, რომ მუშათა კლასის ერთი ნაწილის ხვედრია იძულებითი უსაქმობა მეორე ნაწილის გადამეტებული შრომის გამო, და პირიქით, ცალკეული კაპიტალისტის გამდიდრების საშუალება ხდება⁸³ და ამასთანავე აჩქარებს სამრეწველო სარეზერვო

⁸³ ბაბისის შიმშილის დროსაც კი — 1863 წელს — ბლექბერნის ბაბისმართველთა ერთ პამფლეტში ჩვენ ვხედავთ ალმწიფობით სავსე ჩვილს იმ გადამეტებულ შრომის გამო, რომელიც, საფაბრიკო კანონის ძალით, რასაკვირველია, მხოლოდ

არმიის წარმოებას საზოგადოებრივი დაგროვების პროგრესის შესაბამისი მასშტაბით. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მომენტი შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის წარმოქმნაში, ამას ამტკიცებს, მაგალითად, ინგლისი. მისი ტექნიკური საშუალებანი შრომის «დასაზოგავად» კოლოსალურია. მაგრამ, ხეალ რომ შრომა საყოველთაოდ შეიზღუდოს რაციონალურ ზომამდე და მუშათა კლასის სხვადასხვა ფენისათვის დაწესდეს გრადაციები ასაკისა და სქესის მიხედვით, მაშინ არსებული მუშა-მოსახლეობა აბსოლუტურად არასაკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ნაციონალური წარმოება მისი ახლანდელი მასშტაბით განგრძობილიყო. ამეხნად «არამწარმოებელი» მუშების დიდი უმრავლესობა მაშინ «მწარმოებელ» მუშებად უნდა გადაქცეულიყო.

საერთოდ და მთლიანად ხელფასის საყოველთაო მოძრაობა წესრიგდება ნხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო სარეზერვო არმიის იმ

ასაკოვანი მუშა-მამაკაცების ხვედრს შეადგენდა. ასაკოვანი მუშებისაგან ამ ფაბრიკაში დღიურად 12 — 13 საათამდე მუშაობას მოითხოვდნენ, მაშინ როდესაც ასობით მოიპოვებოდნენ ისეთები, რომელნიც იძულებულნი არიან უსაქმოდ იყვნენ, თუმცა სიამოვნებით იმუშავებდნენ განსახლებულნი დროის განმავლობაში, რათა შეინახონ თავიანთი ოჯახები და გადაარჩინონ თავიანთი ამხანაგები უდროო სიკვდილს გადამეტებული შრომის გამო. «ჩვენ, — ნათქვამია შემდეგ, — გვიჩნდოდა გვეკითხნა: იძლევა თუ არა ხეგანაკვეთურ სამუშაოთა ასეთი პრაქტიკა რაიმე კეთილი განწყობილების შესაძლებლობას დამქირავებელთა და «მსახურთა» შორის? გადამეტებული შრომის მსხვერპლნი ისევე გრძნობენ უსამართლობას, როგორც ისინი, რომელთა ხვედრიც ამ გადამეტებული შრომის გამო იძულებითი უსაქმობაა (condemned to forced idleness). შრომა რომ სამართლიანად იყოს განაწილებული, შესასრულებელი სამუშაო ამ ოლქში საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ნაწილობრივად ყველას ემუშავნა. ჩვენ მოვიტხოვთ მხოლოდ ჩვენს უფლებას, როდესაც მივმართავთ დამქირავებლებს მოწოდებით, — მუშები საერთოდ მხოლოდ მოკლე დრო ანუშაონ, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე საქმის დღევანდელი მდგომარეობა რჩება, ნაცლად იმისა, რომ ერთმა ნაწილმა გადამეტებულად იმუშაოს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი იძულებულია სამუშაოა უქონლობის გამო ქველმოქმედებით ძლივძლივობით თავი გაიტანოს» («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1863, გვ. 8). — «Essay on Trade and Commerce»-ის ავტორი თავისი ჩვეული შეუცდომელი ბურჟუაზიული ინსტინქტით ხვდება, თუ რა გავლენა აქვს შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას დასაქმებულ მუშებზე. სიზარმაცის (idleness) მეორე მიზეზი ამ სამეფოში მუშახელის რიცხვის ნაკლებობაა. როგორც კი ფაბრიკატებზე რაიმე არაჩვეულებრივი მოთხოვნის გამო შრომის მასა არასაკმარისი ხდება, მუშები თავიანთ მნიშვნელობას გრძნობენ და სურთ აგრძნობინონ ეს აგრეთვე თავიანთ დამქირავებელთაც. ეს განსაკვიფრებელია; მაგრამ ამ ვაჟბატონების აზროვნება ისეა გათახსირებული, რომ ასეთ შემთხვევაში მუშათა ჯგუფები ერთმანეთს უთანხმდებიან, რათა თავიანთი დამქირავებელნი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენონ მით, რომ მთელი დღე უქმად დახეტებინან» («An Essay on Trade and Commerce. London 1770» გვ. 27, 28). ეს ვაჟბატონები სახელდობრ ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ.

გაფართოებით და შეკუმშვით, რომელიც სამრეწველო ციკლის პერიოდულ ცვლას შეესაბამება. მაშასადამე, ეს გაფართოება და შეკუმშვა განისაზღვრება არა მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვის მოძრაობით, არამედ იმ ცვალებადი შეფარდებით, რომლის მიხედვით მუშათა კლასი იყოფა აქტიურ არმიად და სარეზერვო არმიად, განისაზღვრება ჭარბმოსახლეობის შეფარდებითი მოცულობის გადიდებით და შემცირებით, იმ ოდენობით, რომლითაც იგი ხან შთაინთქმება და ხან კი ისევ თავისუფლდება. თანამედროვე მრეწველობისათვის დამახასიათებელია ათწლიანი ციკლი მისი პერიოდული ფაზებით, რომლებიც ამასთან დაგროვების მსვლელობაში შეწყდება ხოლმე სულ უფრო აჩქარებული ერთიმეორის მიმდევრო არარეგულარული რყევით; ასეთი მრეწველობისათვის მართლაც მშვენიერი იქნებოდა კანონი, რომელიც შრომის მოთხოვნას და მიწოდებას კაპიტალის გაფართოებისა და შეკუმშვის მეოხებით, ე. ი. ნისი თვითმზარდი ღირებულების ყოველი მოთხოვნილების შესაბამისად კი არ მოაწესრიგებდა და არც ისე, რომ შრომის ბაზარი ხან შედარებით გაუესებელი ყოფილიყო კაპიტალის გაფართოების გამო, ხან კი ზედმეტად ავსებული ნისი შეკუმშვის გამო, — არამედ, რომელიც, პირიქით, კაპიტალის მოძრაობას დამოკიდებულს გახდიდა მოსახლეობის მასის აბსოლუტურ მოძრაობაზე. მაგრამ ეს კანონი პოლიტიკური ეკონომიის დოგმაა. ამ დოგმის თანახმად, კაპიტალის დაგროვების გამო ხელფასი მატულობს. შრომის გადიდებული ხელფასი მუშა-მოსახლეობის უფრო სწრაფი გამრავლების სტიმული ხდება და ეს გრძელდება მანამდე, ვიდრე შრომის ბაზარი ზედმეტად არ აივსება, მაშასადამე, ვიდრე კაპიტალი მუშების მიწოდებასთან შედარებით ნაკლები არ გახდება. მაშინ ხელფასი ეცემა და ჩვენ ვხედავთ მედალის მეორე მხარეს. ხელფასის დაცემის გამო მუშა-მოსახლეობა თანდათან თხელდება, ისე რომ მასთან შეფარდებით კაპიტალი კვლავ მოჭარბებული ხდება, ანდა, როგორც ამას სხვები განმარტავენ, ხელფასის დაცემა და ამის შესაბამისი გაძლიერება მუშათა ექსპლოატაციისა კვლავ აჩქარებს დაგროვებას, მაშინ როდესაც იმავე დროს ხელფასის დაბალი დონე მუშათა კლასის ზრდას აფერხებს. ამგვარად, კვლავ იქმნება ვითარება, როდესაც შრომის მიწოდება უფრო ნაკლებია, ვიდრე შრომის მოთხოვნა, ხელფასი იზრდება და სხვა. განვითარებული კაპიტალისტური წარმოებისათვის ეს მართლაც მოძრაობის მშვენიერი მეთოდია! ვიდრე ხელფასის მომატების გამო ნამდვილად შრომისუნარიანი მოსახლეობის რაიმე დადებითი ზრდა მოხდებოდეს, რამდენჯერმე გავიდოდა ის ვადა, რომლის განმავლობაშიც

აუცილებლად უნდა ჩატარდეს სამრეწველო ლაშქრობა და მოხდეს გადაწყვეტი ბრძოლა.

1849 და 1859 წლების პერიოდში, პურის ფასების დაცემასთან ერთად, მოხდა პრაქტიკულად წმინდა ნომინალური აწევა ხელფასისა ინგლისის სანიწათმოქმედო ოლქებში; მაგალითად, უილტშირში კვირეულმა ხელფასმა აიწია 7-დან 8 შილინგამდე, დორსეტშირში 7 ან 8-დან 9 შილინგამდე და სხვა. ეს იყო იმის შედეგი, რომ ადგილი ჰქონდა მიწათმოქმედი ჭარბმოსახლეობის უჩვეულო რაოდენობით წასვლას, რაც გამოწვეული იყო ომის მოთხოვნილებით, რკინიგზების მშენებლობის, ფაბრიკების, სამთაბადნო საქმის და სხვ. მასობრივი გაფართოებით. რაც უფრო დაბალია ხელფასი, მით უფრო მაღალი პროცენტული რიცხვით გამოიხატება ყოველი მისი აწევა, რაგინდ უმნიშვნელოც იყოს იგი. თუ კვირეული ხელფასი, მაგალითად, 20 შილინგია და იგი 22 შილინგამდე აღის, მაშინ მომატება 10% -ს შეადგენს; თუ, პირიქით, იგი მხოლოდ 7 შილინგია და აღის 9 შილინგამდე, მაშინ მომატება $28\frac{1}{7}\%$ -ს შეადგენს, რაც ფრად მნიშვნელოვანად ელერს. ყოველ შემთხვევაში, ფერმერებმა განგაში ასტეხეს და ლონდონის «Economist»-იც კი ამ მათხოვრული ხელფასის გამო სრულიად სერიოზულად ყბედობდა «a general and substantial advance»-ზე⁸⁴ [«საყოველთაო და მნიშვნელოვან წინსვლაზე»]. რა ქნეს ფერმერებმა? განა იმათ დაუცადეს ამ ბრწყინვალე ხელფასის გამო სოფლის მუშების ისეთ გამრავლებას, რომ მათი ხელფასი კვლავ დაცემულიყო, როგორც ეს საქმე წარმოუდგენია დოგმატურ-ეკონომიურ ტვინს? მათ მეტი მანქანები შემოიღეს და მუშები მყისვე ისევ «მოჭარბებულნი» გახდნენ ისეთი ოდენობით, რაც ფერმერებისათვისაც კი დამაკმაყოფილებელი იყო. ახლა მიწათმოქმედებაში დაბანდებულ იქნა «მეტი კაპიტალი», ვიდრე უწინ, და ეს დაბანდება უფრო მწარმოებლური ფორმით მოხდა. ამით დაეცა შრომაზე მოთხოვნა არა მხოლოდ შეფარდებით, არამედ აბსოლუტურადაც.

ზემოაღნიშნული ეკონომიური ფიქცია ერთმანეთში ურევს კანონებს, რომელნიც აწესრიგებენ ხელფასის საყოველთაო მოძრაობას, ანუ ურთიერთობას მუშათა კლასსა, ე. ი. ერთობლივ სამუშაო ძალასა და ერთობლივ საზოგადოებრივ კაპიტალს შორის, და იმ კანონებს, რომელნიც აწესრიგებენ მუშა-მოსახლეობის განაწილებას წარმოების ცალკეულ სფეროებს შორის. თუ, მაგალითად, ხელსაყრელი კონიუნქტურის გამო დაგროვება წარმოების განსაზღვრულ სფეროში განსაკუთრებით

⁸⁴ «Economist», January 21, 1860.

გაცხოველებულია, ზოგება აქ საშუალო მოგებაზე მეტია და დამატებითი კაპიტალიც იქით მიისწრაფვის, — მაშინ, რა თქმა უნდა, იზრდება შრომის მოთხოვნა და ხელფასი. გადიდებული ხელფასი უფრო მეტ მუშა-მოსახლეობას იზიდავს ამ სფეროში, რომელიც უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე არ გაძდება სამუშაო ძალით; მაშინ ხელფასი ხანგრძლივი დროით კვლავ ეცემა თავის უწინდელ საშუალო დონემდე ანდა — უფრო დაბლაც კი, თუ მუშათა ეს მოზღვავება ძალიან დიდი იყო. მაშინ წარმოების აღნიშნულ დარგში არათუ შეწყდება მუშათა იმიგრაცია, არამედ ემიგრაციაც კი დაიწყება. აქ ეკონომისტს ჰგონია, ვითომც იგი ხედავს, თუ «სად და როგორ» ხდება ხელფასის გადიდებასთან ერთად მუშათა რიცხვის აბსოლუტური გადიდება, და მუშათა რიცხვის აბსოლუტურ გადიდებასთან ერთად — ხელფასის შემცირება; მაგრამ სინამდვილეში იგი ხედავს მხოლოდ შრომის ბაზრის ადგილობრივ რყევას წარმოების რომელიმე ცალკეულ სფეროში, იგი ხედავს მხოლოდ მოვლენებს მუშა-მოსახლეობის განაწილებისას კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა სფეროში, ამ კაპიტალის ცვალებადი მოთხოვნილებების მიხედვით.

სამრეწველო სარეზერვო არმია შეჩერებისა და საშუალო გაცხოველების პერიოდებში დაწოლას ახდენს მუშათა აქტიურ არმიაზე და ალაგმავს ხოლმე მის მოთხოვნებს ჭარბწარმოებისა და პაროქსიზმის პერიოდში. მაშასადამე, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა ის სარბიელია, რომელზედაც მოძრაობს შრომის მოთხოვნისა და მიწოდების კანონი. იგი ზღუდავს ამ კანონის მოქმედების ასპარეზს ისეთი ფარგლებით, რომლებიც აბსოლუტურად შეესაბამება კაპიტალის ექსპლოატაციის წყურვილს და მის მისწრაფებას ბატონობისადმი. აქ უადგილო არ იქნება დავუბრუნდეთ ეკონომიური აპოლოგეტიკის ერთ-ერთ დიად ღვაწლს. გავიხსენოთ, რომ, თუ ახალი მანქანის შემოდებით ან ძველის გავრცელებით ცვალებადი კაპიტალის ნაწილი მუდმივ კაპიტალად იქცევა, ამ ოპერაციას, რომელიც «მოჭავს» კაპიტალს და სწორედ ამით «ათავისუფლებს» მუშებს, ეკონომისტი-აპოლოგეტი, პირიქით, ისე განმარტავს, თითქოს იგი ათავისუფლებს კაპიტალს მუშისთვის. მხოლოდ ახლა შეგვიძლია სრულიად ღირსეულად შევაფასოთ აპოლოგეტის უსირცხვილობა. სინამდვილეში თავისუფლებიან არა მარტო უშუალოდ მანქანის მიერ განდევნილი მუშები, არამედ — მათი შემნაცვლებელი კონტინგენტიც და ის დამატებითი კონტინგენტიც, რომელიც საქმის ჩვეულებრივი გაფართოებისას მის ძველ საფუძველზე, რეგულარულად შთაინთქმება. ისინი ახლა ყველანი «განთავისუფლებული» არიან და ყოველ ახალ

კაპიტალს, რომელსაც მოქმედება სწყურია, შეუძლია თავის განკარგულებაში იყოლიოს ისინი. მიიზიდავს კაპიტალი სწორედ ამ მუშებს თუ სხვებს, ამის გავლენა შრომის საყოველთაო მოთხოვნაზე ნულის ტოლი იქნება, სანამ ეს კაპიტალი საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ გაათავისუფლოს ბაზარი სწორედ იმდენი მუშისაგან, რამდენიც მანქანამ ბაზარზე გადაისროლა. თუ კაპიტალი მუშების ნაკლებ რიცხვს ჩააბამს წარმოებაში, მაშინ გაიზრდება მოჭარბებულთა რაოდენობა; თუ იგი მომეტებულ რიცხვს ჩააბამს წარმოებაში, მაშინ გაიზრდება შრომის საყოველთაო მოთხოვნა მხოლოდ იმ სხვაობის კვალობაზე, რომელიც არსებობს დასაქმებულთა და ღვანთავისუფლებულთა შორის. ამრიგად, შრომის საყოველთაო მოთხოვნის გაძლიერება, რომელიც სხვა პირობებში შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო დაბანდების მაძიებელი დამატებითი კაპიტალის მიერ, ყოველ შემთხვევაში იმდენად ბათილდება, რამდენადაც მანქანის მიერ ქუჩაში განდევნილი მუშები ამისთვის საკმარისია. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი ზრუნავს იმისათვის, რომ კაპიტალის აბსოლუტური ზრდას თან არ ახლდეს შრომის საყოველთაო მოთხოვნის სათანადო გადიდება. და ამას უწოდებს აპოლოგეტი განდევნილი მუშების სილატაკის, ტანჯვისა და შესაძლებელი დაღუპვის კომპენსაციას გარდამავალ პერიოდში, რომელიც მათ სამრეწველო სარეზერვო არმიაში ერეკება! შრომის მოთხოვნა არ არის კაპიტალის ზრდის იდენტური, შრომის მიწოდება არ არის მუშათა კლასის ზრდის იდენტური, ისე რომ აქ ორი ერთმეორისაგან დამოუკიდებელი ძალის ურთიერთ ზემოქმედებას ჰქონდეს ადგილი. *Les dées sont pipés* [კამათლები ყალბია]. კაპიტალი ერთსა და იმავე დროს ორივე მხარეზე მოქმედებს. თუ, ერთი მხრივ, მისი დაგროვება შრომის მოთხოვნას აღიძვრს, იგი აღიძვრს, მეორე მხრივ, მუშათა მიწოდებას მათი ღვანთავისუფლებისა საშუალებით, მაშინ როდესაც იმავე დროს დაუსაქმებელთა დაწოლა დასაქმებულებზე აიძულებს ამ უკანასკნელთ გაიღონ მეტი შრომა, მაშასადამე, იგი შრომის მიწოდებას რამდენადმე დამოუკიდებელს ხდის მუშათა მიწოდებისაგან. შრომის მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოძრაობა ამ ბაზისზე აგვირგვინებს კაპიტალის დესპოტიზმს. ამიტომ, როდესაც მუშები ჩასწვდებიან იმ საიდუმლოებას, თუ როგორ ხდება, რომ, რაც უფრო მეტს მუშაობენ ისინი, მით უფრო მეტ სხვის სიმდიდრეს აწარმოებენ, და რაც უფრო იზრდება მათი შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო მეტად არასაიმედო ხდება მათთვის შესაძლებლობაც კი მათი ფუნქციონირებისა კაპიტალის თვითზრდის საშუა-

ლების სახით; როდესაც ისინი აღმოაჩენენ, რომ თვით მათ შორის არსებული კონკურენციის ინტენსივობის დონე მთლიანად დამოკიდებულია შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის დაწოლაზე; როდესაც ისინი, ამის გამო, ტრედ-უნინონების და სხვ. საშუალებით ცდილობენ ჩამოაკალიბონ გვეგმაზომიერი ურთიერთქმედება დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა შორის, რათა მოსპონ ანდა შეასუსტონ მათი კლასისათვის გამანადგურებელი შედეგები კაპიტალისტური წარმოების ამ ბუნებრივი კანონისა, — მაშინ კაპიტალი და მისი სიკოფანტი, ეკონომისტი, გაპყვირიან მოთხოვნისა და მიწოდების «მარადიული» და, ასე ვთქვათ, «სადმართო» კანონის დარღვევის შესახებ. ყოველი კავშირი დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა შორის არღვევს ამ კანონის «წმინდა» სახით მოქმედებას. მეორე მხრივ, რამდენადაც კოლონიებში, მაგალითად, არახელსაყრელი გარემოებანი აბრკოლებენ სამრეწველო-სარეზერვო არმიის შექმნას და მასთან ერთად კაპიტალისტთა კლასზე მუშათა კლასის აბსოლუტურ დამოკიდებულებას, — კაპიტალი, თავის ტრივიალურ სანჩო-პანსასთან ერთად, ილაშქრებს მოთხოვნისა და მიწოდების «სადმართო» კანონის წინააღმდეგ და ცდილობს დაიმორჩილოს იგი იძულებითი ზომების საშუალებით.

4. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის არსებობის სხვადასხვა ფორმა. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი

შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა არსებობს ყველა შესაძლებელი ელფერით. ყოველი მუშა ეკუთვნის მას იმ დროის განმავლობაში, როდესაც იგი ნახევრად ან სრულიად უმუშევარია. თუ ნხედველობაში არ მივიღებთ იმ დიდ ფორმებს, რომლებიც პერიოდულად მეორდება და რომლებითაც სამრეწველო ციკლის ფაზების ცვლა ჭარბმოსახლეობას აღბეჭდავს, ისე რომ ეს უკანასკნელი ხან მწვავე სახეს იღებს კრიზისების დროს, ხან კი ქრონიკულს — საქმის ნელი მსვლელობის დროს, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ფორმებს, მაშინ შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას ყოველთვის სამი ფორმა აქვს: დენადი, ფარული და შეჩერებული.

თანამედროვე მრეწველობის ცენტრებში — ფაბრიკებში, მანუფაქტურებში, სამთამადნო საწარმოებში, მალაროებში და სხვ. — მუშები ხან განიდევნებიან, ხან უფრო მეტი რაოდენობით ისევ მიიზიდებიან, ასე რომ საერთოდ და მთლიანად დასაქმებული მუშების რიცხვი მატულობს, თუმცა — მუდამ კლებადი პროპორციით წარმოების მასშტაბთან შედარებით. ჭარბმოსახლეობა აქ დენადი ფორმით არსებობს.

როგორც საკუთრივ ფაბრიკებში, ისე ყველა მსხვილ სახელოსნოში, სადაც მანქანები გარკვეულ როლს ასრულებენ, ანდა სადაც თუნდ მარტო შრომის თანამედროვე დანაწილებაა გატარებული, მასობრივად არის საჭირო ჭაბუკ-ასაკოვანი მუშა-მამაკაცები. როცა ისინი სრულწლოვანი ხდებიან, მათგან მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვი გამოიყენება წარმოების იმავე დარგში, უმეტესობას კი რე-ვულარულად სამუშაოდან ერეკებიან. ეს უკანასკნელნი შეადგენენ დენადი ჭარბმოსახლეობის ელემენტს, რომელიც მრეწველობის მოცულობასთან ერთად იზრდება. მისი ერთი ნაწილი გადასახლებას იწყებს და სინამდვილეში მხოლოდ უკან მისდევს ემიგრირებულ კაპიტალს. ამის ერთი შედეგთაგანი ის არის, რომ ქალთა მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მამაკაცთა, რის მაგალითს ინგლისი იძლევა. ის გარემოება, რომ მუშათა მასის ბუნებრივი ნამატი ვერ აკმაყოფილებს კაპიტალის დაგროვების მოთხოვნილებებს და თან მაინც აღემატება მას, თვით კაპიტალის მოძრაობის წინააღმდეგობას წარმოადგენს. კაპიტალს ესაჭიროება მუშათა დიდი მასები მოუმწიფებელ ასაკში და უფრო ნაკლებად — დავაუკაცებულნი. ეს წინააღმდეგობა არ არის მეტად მლაღადებელი, ვიდრე მეორე წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იმ დროს ჩვიან მუშახელის ნაკლებობაზე, როდესაც მუშები მრავალი ათასობით გარიყულნი არიან ქუჩაში, რადგან შრომის დანაწილებამ ისინი წარმოების განსაზღვრულ დარგს მიაჯაკჷვა⁸⁵. ამასთანავე სამუშაო ძალის მოხმარება კაპიტალის მიერ ისე სწრაფად ხდება, რომ საშუალო ასაკის მუშა მეტწილად უკვე მეტ-ნაკლებად დაბერებულია. იგი მოექცევა მოჭარბებულთა რიგებში, ან უმალღესი საფეხურიდან დაბალზე ჩამოქვეითდება. სწორედ მსხვილი მრეწველობის მუშათა შორის ვხვდებით ჩვენ ყველაზე ხანმოკლე სიცოცხლეს. «დ-რ ლიმ, მანჩესტერის სანიტარულმა ექიმმა, გამოარკვია, რომ ამ ქალაქში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა, შეძლებული კლასისათვის უდრის 38 წელიწადს, მუშათა კლასისათვის კი — მხოლოდ 17-ს. ლივერპულში იგი შეადგენს 35 წელიწადს პირველისათვის, 15-ს — მეორისათვის. მაშასადამე,

⁸⁵ მაშინ როდესაც 1866 წლის უკანასკნელ ნახევარწლედში ლონდონში 80 000—90 000 უმუშევარი იყო, იმავე ნახევარწლედის საფაბრიკო მოხსენებაში ნათქვამია: ჩანს, აბსოლუტურად სწორი არ არის ის აზრი, რომ მოთხოვნა მუდამ მიწოდებას კმნის სწორედ იმ მომენტში, როდესაც ეს საჭიროა. შრომის მიმართ ამას ადგილი არ ჰქონია, რადგან მუშახელის ნაკლებობის გამო უკანასკნელ წელს მრავალი მანქანა გაჩერებული იყო («Reports of Insp. of Fact. for 31st October 1866», გვ. 81).

აქედან ჩანს, რომ პრივილეგიებულ კლასს აქვს სიცოცხლის ასიგნობა (had a lease of life) ორჯერ მეტი, ვიდრე ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში მყოფ მის თანამოქალაქეთა^{85a}. ამ პირობებში პროლეტარიატის ამ ნაწილის აბსოლუტური ზრდა საჭიროებს ისეთ ფორმას, რომელიც ამრავლებს მის რიცხვს, მიუხედავად მისი ელემენტების სწრაფი გაცვეთისა. მაშასადამე, საჭიროა მუშების თაობათა სწრაფი ცვლა. (ამავე კანონს ძალა არა აქვს მოსახლეობის დანარჩენი კლასების მიმართ.) ამ საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება ნადრევი ქორწინებით, რაც აუცილებელი შედეგია იმ პირობებისა, რომელშიც ცხოვრობენ მსხვილი მრეწველობის მუშები, და — იმ პრემიით, რომელსაც იძლევა მუშათა ბავშვების წარმოებისათვის მათი ექსპლოატაცია.

როგორც კი კაპიტალისტური წარმოება ეუფლება მიწათმოქმედებას, ანდა იმდენად, რამდენადაც იგი მას ეუფლება, აქ მოქმედი კაპიტალის დაგროვებასთან ერთად აბსოლუტურად კლებულობს სოფლის მუშა-მოსახლეობის მიმართ მოთხოვნა, ისე რომ მუშების განდევნას თან არ სდევს მათი მომეტებული მიზიდულობა, როგორც ამას ადგილი აქვს არასამიწათმოქმედო მრეწველობაში. ამიტომ, სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი მუდამ მზად არის გადავიდეს ქალაქის ანუ მანუფაქტურის პროლეტარიატში, და ამ გარდაქმნის ხელსაყრელი პირობების მოლოდინშია. (მანუფაქტურაში აქ მთელი არასამიწათმოქმედო მრეწველობა იგულისხმება.)⁸⁶ მაშასადამე, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ეს წყარო შეუწყვეტლივ მიზინა-რეობს. მაგრამ მისი განუწყვეტელი დენა ქალაქებისაკენ გულისხმობს თვით სოფლად მუდმივად ფარულ ჭარბმოსახლეობას, რომლის ოდენობა შესამჩნევი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი საგდები

^{85a} სიტყვა, წარმოთქმული ბირმინგჰამში ჯ. ჩემბერლენის — მაშინ ქალაქის თავის, {ახლა (1883) ვაქრობის მინისტრის} — მიერ, სანიტარული კონფერენციის განხილვაზე 1875 წლის 15 იანვარს.

⁸⁶ 1861 წლის აღწერით ინგლისში და უელსში ირიცხებოდა 781 ქალაქი 10 960 998 მცხოვრებით, მაშინ როდესაც სოფლად და სოფლის სამრეელოებში — მხოლოდ 9 105 226... 1851 წლის აღწერით ითვლებოდა 580 ქალაქი, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით უდრიდა მათს გარშემო მდებარე სასოფლო ოლქების მოსახლეობას. მაგრამ, მაშინ როდესაც სასოფლო ოლქებში მოსახლეობა შემდგომი 10 წლის განმავლობაში მხოლოდ $\frac{1}{2}$ მილიონით გაიზარდა, 580 ქალაქში იგი გაიზარდა 1 554 067-ით. მოსახლეობის ნამატი სოფლის სამრეელოებში შეადგენს $6,5\%$ -ს, ქალაქებში — $17,3\%$ -ს. განსხვავება ზრდის ნორმაში გამოწვეულია სოფლიდან ქალაქში გადასახლებით. მოსახლეობის საერთო ზრდის სამი მეოთხედი ქალაქებზე მოდის (Census etc., ტ. III, გვ. 11, 12).

არხები განსაკუთრებულად ფართოდ იხსნება. ამიტომ სოფლის მუშა ხელფასის მინიმალურ დონემდეა ჩამოქვეითებული და ერთი ფეხით მუდამ პაუპერიზმის ჭაობში დგას.

შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის მესამე კატეგორია, შეჩერებული ჭარბმოსახლეობა, ქმნის აქტიურ მუშათა არმიის ნაწილს, მაგრამ ფრიად არარეგულარულად დასაქმებულს. ამრიგად, იგი შეადგენს კაპიტალისთვის გამოსაყენებელი სამუშაო ძალის დაუშრეტელ საცავს. მისი ცხოვრების დონე მუშათა კლასის ცხოვრების საშუალო ნორმალურ დონეზე დაბლა ეცემა და სწორედ ეს ხდის მას კაპიტალისათვის ექსპლოატაციის განსაკუთრებულ დარგთა ფართო საფუძვლად. მას ახასიათებს სამუშაო დროის მაქსიმუმი და ხელფასის მინიმუმი. ზენოთ, შინმუშაობის განხილვისას, ჩვენ უკვე გავცანით მის მთავარ ფორმას. იგი განუწყვეტლივ გროვდება მსხვილი მრეწველობის და მიწათმოქმედების მოჭარბებული მუშებისაგან და განსაკუთრებით დაღუპვის გზაზე შემდგარ მრეწველობის იმ დარგთა მუშებისაგან, სადაც ხელოსნურ წარმოებას ამარცხებს მანუფაქტურული წარმოება, ხოლო უკანასკნელს — მანქანური წარმოება. მისი ოდენობა ფართოვდება იმისდა კვალად, თუ როგორ ვითარდება დაგროვების მოცულობასა და ენერჯიასთან ერთად «მოჭარბებულთა შექმნა». მაგრამ იგი ქმნის ამასთანავე ერთად მუშათა კლასის ელემენტს, თავისი თავის კვლავმაწარმოებელ და გამმარადისებელ ელემენტს, რომელიც შედარებით უფრო მეტ მონაწილეობას იღებს მუშათა კლასის საერთო ზრდაში, ვიდრე დანარჩენი ელემენტები. და მართლაც, არა მარტო დაბადებისა და სიკვდილის შემთხვევათა რიცხვი, არამედ ოჯახთა აბსოლუტური სიდიდეც უკუთარდობაშია ხელფასის დონესთან, მაშასადამე, საარსებო საშუალებათა მასასთან, რომელიც მოიპოვება მუშათა სხვადასხვა კატეგორიის განკარგულებაში. კაპიტალისტური საზოგადოების ეს კანონი უაზრო იქნებოდა ველურებში, ანდა განათლებულ კოლონისტებშიც კი. იგი მოგვაგონებს ინდივიდუალურად სუსტი და სასტიკად დევნილი ცხოველების სახეობათა მასობრივ გამრავლებას⁸⁷.

⁸⁷ «როგორც ჩანს, სიღარიბე ხელს უწყობს გამრავლებას» (A. Smith: «Wealth of Nations», წიგნი I, თავი 8 [შუად. ა. ს მი ტ ი: «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». თბილისი 1938, გვ. 91]). თავაზიანი და გონებაშეზვილი აბატის გალიანის აზრით, ეს განსაკუთრებით ბრძნულადაც კი არის ღვთისაგან დაწესებული: «დემოთმა ისე დააწესა, რომ ადამიანები, რომლებიც უადრესად სასარგებლო მუშაობას ასრულებენ, უხვად იბადებიან» (Galiani: «Della Moneta», ტ. III Custodi-ს კრებულისა «Scrittori Classici italiani di Economia Politica». Par-

დასასრულ, შეფარდებითი ქარბმოსახლეობის ყველაზე დაბალი ფენა პაუპერიზმის სფეროში ბინადრობს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მაწანწალებს, ბოროტმოქმედთ, მეძავეებს, მოკლედ — ნამდვილ ლუმპენ-პროლეტარიატს, საზოგადოების ამ ფენას სამი კატეგორია შეადგენს. პირველი: შრომისუნარიანები. საკმარისია მხოლოდ ზერელედ გადავაყოლოთ თვალი ინგლისის პაუპერიზმის სტატისტიკას და დავინახაეთ, რომ მისი მასა იზრდება ყოველი კრიზისის დროს და კლებულობს ყოველი გაცხოველების დროს. მეორე: ობლები და პაუპერთა ბავშვები. ისინი სამრეწველო სარეზერვო არმიის კანდიდატები არიან და მრეწველობის დიდი აღმავლობის პერიოდებში, როგორც, მაგალითად, 1860 წელს, სწრაფად და მასობრივად აქტიურ მუშათა არმიას უერთდებიან. მესამე: დაქვეითებულნი, გამათხოვრებულნი, შრომისუნარდაკარგულნი. ესენი არიან სწორედ ის ინდივიდები, რომელნიც ილუპებიან იმ უძრაობის გამო, რასაც შრომის დანაწილება იწვევს, ისეთნი, რომლებიც მუშის ნორმალურ სასიცოცხლო ხანზე მეტს ძლებენ; ანდა, ბოლოს, მრეწველობის მსხვერპლნი, რომელთა რიცხვი იზრდება სახიფათო მანქანების, სამთამადნო წარმოების, ქიმიური ფაბრიკების და სხვ. გავრცელებასთან ერთად, — დასახიჩრებულნი, დაავადებულნი, ქვრივები და სხვა. პაუპერიზმი წარმოადგენს აქტიური მუშათა არმიის ინვალიდების სახლს და სამრეწველო სარეზერვო არმიის მკვდარ ტვირთს. პაუპერიზმის წარმოქმნას შეიცავს შეფარდებითი ქარბმოსახლეობის წარმოქმნა, მის აუცილებლობას — ამ უკანასკნელის აუცილებლობა, და მასთან ერთად იგი წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოებისა და სიმდიდრის განვითარების საარსებო პირობას. იგი ეკუთვნის კაპიტალისტური წარმოების *faux frais*-ს [არამწარმოებლურ ხარჯებს], მაგრამ ეს უკანასკნელი კაპიტალს შეუძლია მეტწილად თავიდან აიცილოს და მუშათა კლასსა და წვრილ საშუალო კლასს გადააკისროს.

რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი სიმდიდრე, მოქმედი კაპიტალი, მისი ზრდის მოცულობა და ენერჯია, მაშასადამე, რაც უფრო მეტია აგრეთვე პროლეტარიატის აბსოლუტური სიდიდე და მისი შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო დიდია სამრეწველო

te Moderna, Milano 1801, გვ. 78). «სილატაკე, შიმშილისა და ეპიდემიათა უკიდურეს საზღვრამდე მისული, არ აფერხებს მოსახლეობის ზრდას; არამედ, პირიქით, უფრო მისი გამრავლების ტენდენციას შეიცავს» (S. Laing: «National Distress», 1844, გვ. 69). ამ დებულების სტატისტიკური მონაცემებით გაშუქების შემდეგ ლენგი განაგრძობს: «მთელი ქვეყნიერება რომ კეთილდღეობაში იმყოფებოდეს, მაშინ დღემიწაზე მოსახლეობაც გაჭირბოდა».

სარეზერვო არმია. თავისუფალი სამუშაო ძალა იმავე მიზეზების გამო ვითარდება, რა მიზეზებითაც ვითარდება კაპიტალის გაფართოების ძალა. მაშასადამე, სამრეწველო სარეზერვო არმიის შეფარდებითი სიდიდე იზრდება სიმდიდრის ძალებთან ერთად. მაგრამ, რაც უფრო დიდია ეს სარეზერვო არმია აქტიურ მუშათა არმიასთან შედარებით, მით უფრო მასობრივია მყარი ჭარბმოსახლეობა, რომლის სილატაკეც უკუფარდობაშია მის შრომით დატანჯულობასთან. ბოლოს, რაც უფრო დიდია მუშათა კლასის ლატაკური ფენები და სამრეწველო სარეზერვო არმია, მით უფრო დიდია ოფიციალური პაუპერიზმი. ეს კაპიტალისტური დაგროვების აბსოლუტური, საყოველთაო კანონია. ყველა სხვა კანონის მსგავსად, იგი თავის განხორციელების დროს სახეს იცვლის მრავალნაირ გარემოებათა გამო, რომელთა ანალიზი აქ უადგილოა.

გასაგებია იმ ეკონომიური სიბრძნის სისულელე, რომელიც უქადაგებს მუშებს, — შეუფარდონ თავიანთი რიცხვი კაპიტალის თვითზრდის მოთხოვნილებებს. კაპიტალისტური წარმოებისა და დაგროვების მექანიზმი მუდამ უფარდებს მათ რიცხვს კაპიტალის თვითზრდის ამ მოთხოვნილებებს. პირველი სიტყვა ამ შეგუებისა არის შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიის შექმნა, უკანასკნელი სიტყვა — აქტიური მუშათა არმიის მუდამ მზარდი ფენების სილატაკე და პაუპერიზმის მკვდარი ტვირთი.

კანონი, რომლის თანახმად წარმოების საშუალებათა მუდამ მზარდი მასა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების პროგრესის გამო, შეიძლება მოყვანილ იქნას მოძრაობაში ადამიანის ძალის მუდამ კლებადი ხარჯვით, — ეს კანონი კაპიტალისტურ საფუძველზე, სადაც მუშაკი არ გამოიყენებს შრომის საშუალებებს, არამედ შრომის საშუალებანი გამოიყენებენ მუშას, იმით გამოიხატება, რომ, რაც უფრო მაღალია შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო დიდია მუშათა დაწოლა მათი დასაქმების საშუალებებზე, მაშასადამე, მით უფრო არასაიმედოა მათი არსებობის აუცილებელი პირობა: საკუთარი ძალის გაყიდვა სხვისი სიმდიდრის გასადიდებლად, ანუ კაპიტალის თვითზრდისათვის. ამრიგად, წარმოების საშუალებათა და შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე მწარმოებელი მოსახლეობისა, კაპიტალისტურ გამოხატულებას, პირიქით, იმაში პოულობს, რომ მუშა-მოსახლეობა მუდამ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კაპიტალის თვითზრდის მოთხოვნილება.

მეოთხე განყოფილებაში შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების ანალიზის დროს ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური

მისტემის ფარგლებში შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარების ყველა მეთოდი ინდივიდუალური მუშის ხარჯზე ხორციელდება; წარმოების განვითარების ყველა საშუალება გადაიქცევა მწარმოებელზე გაბატონებისა და მისი ექსპლოატაციის საშუალებად; ისინი ასახიჩრებენ მუშას იმით, რომ მას ნაწილობრივ-აღამიანად აქცევენ, მანქანის დანამატად ხდიან, აძლიერებენ მისი შრომის სიმძიმეს, უკარგავენ ამ შრომას შინაარსს, განარიღებენ მუშისაგან შრომის პროცესის სულიერ ძალებს იმდენად, რამდენადაც მეცნიერება უკავშირდება შრომის პროცესს როგორც დამოუკიდებელი ძალა; ისინი ამახინჯებენ პირობებს, რომელშიც მუშა მუშაობს, უმორჩილებენ მუშას შრომის პროცესის დროს ყველაზე წვრილმან, საზიზღარ დესპოტიზმს, მისი სიცოცხლის მთელ დროს სამუშაო დროდ აქცევენ და მის ცოლშიც კაპიტალისტური ჯაგერნაუტის ბორბლებს ქვეშ ჰყრიან. მაგრამ ზედმეტი ღირებულების წარმოების ყველა მეთოდი იმავე დროს დაგროვების მეთოდიც, და დაგროვების ყოველი ვაფართოება, პირიქით, ამ მეთოდების განვითარების საშუალება ხდება. აქედან გამოდის, რომ იმდენად, რამდენადაც კაპიტალი გროვდება, მუშის მდგომარეობა უნდა გაუარესდეს, როგორც უნდა იყოს — მაღალი თუ დაბალი — მისი ხელფასი. ბოლოს, ის კანონი, რომელიც მუდამ იცავს წონასწორობას შეფარდებითს ქარბმოსახლეობასა, ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიასა, და დაგროვების მოცულობასა და ენერჯიას შორის, მიაჯაჭვავს მუშას კაპიტალს უფრო მტკიცედ, ვიდრე ჰეფესტოს ურომ მიაჯაჭვა პრომეთეოსი კლდეს. ეს კანონი განაპირობებს სილატაკის დაგროვებას, რომელიც კაპიტალის დაგროვებას შეესაბამება. მაშასადამე, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სილატაკის, შრომითი ტანჯვის, მონობის, უვიცობის, გაველურების და მორალური დეგრადაციისა მოპირისპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს.

კაპიტალისტური დაგროვების ეს ანტაგონისტური ხასიათი⁸⁸ აღნიშნული აქვთ სხვადასხვა ფორმით ეკონომისტებს, თუმცა ამას ისინი ურევენ ნაწილობრივ მსგავს, მაგრამ არსებითად მაინც

⁸⁸ «დღითი-დღე უფრო ცხადი ხდება, რომ წარმოებით ურთიერთობას, რომელშიც ბურჟუაზია მოძრაობს, აქვს არა მთლიანი, მარტივი, არამედ — გაორებული ხასიათი; რომ იმავე ურთიერთობაში, რომელშიც სიმდიდრე იწარმოება, იწარმოება აგრეთვე სიღატაკე; რომ იმავე ურთიერთობაში, რომელშიც მწარმოებლურ ძალთა განვითარება ხდება, ვითარდება აგრეთვე დაჩაგრვის ძალა; რომ ეს ურთიერთობა წარმომოხსნის ბურჟუაზიულ

განსხვავებულ. მოვლენებში, რომელნიც წინაკაპიტალისტურ წარმოების წესებს ეკუთვნიან.

ვენეციელი ბერი ორტესი, მე-18 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი-ეკონომისტი, კაპიტალისტური წარმოების ანტაგონიზმს განიხილავს როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრის საყოველთაო ბუნებრივ კანონს. ეკონომიური სიკეთე და ეკონომიური ბოროტება ყოველ ერში მუდმივ წონასწორობაშია (*il bene ed il male economico in una nazione sempre all' istessa misura*), დოვლათის სიუხვე ერთისთვის მუდამ ეთანატოლება იმავე დოვლათის ნაკლებობას მეორისათვის (*la copia de' beni in alcuni sempre eguale alla mancanza di essi in altri*). მცირეოდენთა დიდ სიმდიდრეს მუდამ თან სდევს შეუდარებლად დიდი რაოდენობისათვის აუცილებელის აბსოლუტური გაძარცვა. ამა თუ იმ ერის სიმდიდრე შეესაბამება მის მოსახლეობას, მისი სილატაკე კი — მის სიმდიდრეს. ერთთა შრომისმოყვარეობა იძულებით იწვევს მეორეთა უქმად ყოფნას. ღარიბები და უქმადყოფნი მდიდრების და მოქმედ ადამიანთა აუცილებელი ნაყოფია» და სხვ.⁸⁹. ორტესის შემდგომ — დაახლოებით 10 წლის შემდეგ — ანგლიკანურ-პროტესტანტული ხუცესი ტაუნსენდი სრულიად მოურიდებლად აქებადიდებდა სიღარიბეს როგორც სიმდიდრის აუცილებელ პირობას. კანონით დაწესებული იძულება შრომისადმი დაკავშირებულია მეტად დიდ სიძნელესთან, ძალდატანებასთან და აურზაურთან, მაშინ როდესაც შიმშილი არა მარტო მშვიდ, წყნარ და განუწყვეტელ ზეგავლენას ახდენს. არამედ, როგორც მუყაითობისა და შრომის ბუნებრივი მოტივი. უაღრესად მძლავრ დაძაბვას იწვევს. მაშასადამე, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ შიმშილი პერმანენტულ მოვლენად ვაქციოთ მუშათა კლასისთვის და, ტაუნსენდის აზრით, ამისთვის ზრუნავს მოსახლეობის პრინციპი, რომელიც განსაკუთრებით ქმედითია ღარიბთა შორის. «ჩანს, ბუნებრივი კანონია, რომ ღარიბნი რამდენადმე წინდაუხედავნი (*improvident*) არიან (სახელდობრ ისე წინდაუხედავნი, რომ ჩნდებიან ქვეყნად უოქროსკოვზოდ პირში), ისე რომ

სიმდიდრეს, ე. ი. ბურჟუაზიული კლასის სიმდიდრეს, მხოლოდ იმ გზით, რომ მუდამ ანადგურებს ამ კლასის ცალკეულ წევრთა სიმდიდრეს და ქმნის მუდამ მზარდ პროლეტარიატს» (*Karl Marx: «Misère de la Philosophie», გვ. 116*).
 კ. მარქსი: «ფილოსოფიის სილატაკე». თბილისი 1938, გვ. 113.]

⁸⁹ G. Ortes: «Della Economia Nazionale libri sei, 1777», Custodi-ს გამოც. *Parte Moderna*, ტ. XXI, გვ. 6, 9, 22, 25 და სხვ. ორტესი იქვე, გვ. 32, ამბობს: «იმის ნაცვლად, რომ შევთხზა უსარგებლო სისტემები ხალხთა გასაბედნიერებლად, მე დაკმაყოფილდები მათი უბედურების მიზეზთა გამოკვლევით».

მუდამ მოიპოვებიან ადამიანები (that there always may be some) საზოგადოებაში ფრიად ტლანქი, ქუჩყიანი და საზიზღი ფუნქციების შესასრულებლად. ამის გამო ადამიანთა ბედნიერების ჯამი (the stock of human happiness) ძალიან მატულობს, უფრო ნაზი ადამიანები (the more delicate) თავისუფლებიან ჰაპანწყვეტისაგან და შეუძლიათ დაუბრკოლებლად მისდიონ უფრო მაღალ მოწოდებას და სხვ... კანონს ღარიბთა შესახებ ტენდენცია აქვს დაარღვიოს ჰარმონია და სილამაზე, სიმეტრია და წესი ამ სისტემისა, რომელიც ღმერთსა და ბუნებას ქვეყნად გაუჩენია⁹⁰. თუ ვენეციელი ბერი ბედისწერაში, რომელიც სილატაკეს ამარადისებს, ქრისტიანული ქველმოქმედების, სასულიერო პირთა უქორწინობის, მონასტრებისა და სამადლო დაწესებულებათა არსებობის გამართლებას ხედავდა, პროტესტანტი ხუცესი, პირიქით, ამაში ხედავს საბაბს ინგლისის ღარიბთა იმ კანონების დასაგმობად, რომელთა ძალით ღარიბებს მინიჭებული ჰქონდათ სულ უმნიშვნელო საზოგადოებრივი დახმარების უფლება. «საზოგადოებრივი სიმდიდრის პროგრესი, — ამბობს შტორხი, — წარმოშობს საზოგადოების იმ სასარგებლო კლასს... რომელიც ასრულებს ყველაზე მოსაწყენ, დაბალ და უსაზიზღრეს სამუშაოს, ერთი სიტყვით — კისრულობს ყველაფერს, რაც ცხოვრებაში უსიამოვნო და დამჩაგვრელია და სწორედ ამით უქმნის სხვა კლასებს თავისუფალ დროს, მხიარულ სულიერ განწყობილებას და ხასიათის ტრადიციულ (c' est bon!) [ეს შესანიშნავია!] ღირსებას და სხვ.»⁹¹. შტორხი სვამს კითხვას, მაშ რაში მდგომარეობს ამ კაპიტალისტური ცივილიზაციის უპირატესობა

⁹⁰ «A Dissertation on the Poor Laws. By a Well-wisher to Mankind (ხუცესი ბ-ნი ჯ. ტაუნსენდი) 1786», ხელახლა გამოცემული London 1817, გვ. 15, 39, 41. ამ «ფაქიხ» ხუცესს. — რომლის ზემოდასახელებული ნაწერებიდან და აგრეთვე მისი «ესპანეთში მოგზაურობიდან» მალთუსი სწორად მთელ გვერდებს გადმოწერს. — თავისი დოქტრინის უდიდესი ნაწილი გადმოღებული აქვს სერ ჯ. სტიუარტიდან, თუმცა ამ უკანასკნელს იგი ამაზინჯებს, მაგალითად, როდესაც სტიუარტი ამბობს: «ამ მონობის დროს არსებობდა ძალდატანებითი მეთოდი, რომელიც ადამიანებს მშრომელებად ხდიდა (არამშრომელთათვის) ...ადამიანებს მაშინ აიძულებდნენ გაეწიათ შრომა (ე. ი. მუქთი შრომა სხვებისთვის), რადგან ისინი სხვების მონები იყვნენ; ახლა კი ადამიანები იძულებულნი არიან გასწიონ შრომა (ე. ი. მუქთი შრომა არამშრომელთათვის), რადგან ისინი თავიანთ საკუთარ მოთხოვნილებათა მონები არიან, — როდესაც ამას ამბობს, მას აქედან არ გამოჰყავს დასკვნა, როგორც ამ მსუქან ხუცესს, რომ დაქირავებული მუშები მუდამ შიმშილს უნდა განიცდიდნენ. პირიქით, მას სურს გაამრავლოს მათი მოთხოვნილებანი და იმავე დროს გაზადოს ამ მოთხოვნილებათა მზარდი რიცხვი სტიმულად მათი შრომისა «უფრო ფაქიხთათვის».

⁹¹ Storch: «Cours d'Économie Politique», გამოც. Petersbourg 1815, ტ. III, გვ. 223.

ბარბაროსობის წინაშე, ცივილიზაციისა, რომელსაც თან ახლავს მასების სილატაკე და დეგრადაცია? იგი პოულობს მხოლოდ ერთ პასუხს: — უშიშროებაში! «მრეწველობისა და მეცნიერების პროგრესის მეოხებით, — ამბობს სისმონდი, — ყოველ მუშას შეუძლია ყოველდღე გაცილებით მეტი პროდუქტი აწარმოოს, ვიდრე ეს საჭიროა მისი საკუთარი მოხმარებისათვის. მაგრამ იმავე დროს, თუმცა მისი შრომა სიმდიდრეს ქმნის, ეს სიმდიდრე, თუ იგი მას თვითონ მოიხმარდა, ნაკლებ შრომისუნარიანად გახდიდა მას. მისი აზრით, «ადამიანები (ე. ი. არამშრომელი ადამიანები), ალბათ, უარს იტყოდნენ ხელოვნებათა ყოველ გაუმჯობესებაზე, აგრეთვე ყველა იმ სიამოვნებაზე, რასაც გვანიჭებს მრეწველობა, თუ ამის შესაძენად მათ დასჭირდებოდათ ისეთივე მძაფრი შრომა, როგორიცაა მუშის შრომა... ამჟამად გარჯა განშორებულია გასამრჯელოსაგან; ეს ერთი და იგივე ადამიანი კი არ არის, რომელიც ჯერ მუშაობს და შემდეგ ისვენებს: პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ერთი მუშაობს, მეორემ უნდა დაისვენოს... მაშასადამე, შრომის მწარმოებლურ ძალთა უსასრულო გამრავლებას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა რაიმე შედეგი, გარდა უქმადმყოფ მდიდართა ფუფუნების და განცხრომის მომატებისა»⁸². — ბოლოს, დესტიუტ დე ტრასი, გულცივი ბურჟუაზიული დოქტრინერი, უხეშად გამოთქვამს ამას: «ღარიბი ერები ისინი არიან, სადაც ხალხი კარგად ცხოვრობს, მდიდარი ერები კი — ისინი, სადაც ხალხი ჩვეულებრივ ღარიბია»⁸³.

5. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის ილუსტრაცია

a) ინგლისი 1846 — 1866 წლებში

თანამედროვე საზოგადოების არც ერთი პერიოდი არ არის ისე ხელსაყრელი კაპიტალისტური დაგროვების შესასწავლად, როგორც განვლილი უკანასკნელი 20 წლის პერიოდი. გეგონებათ, თითქოს მას ფორტუნატუსის ულეველი ქისა უპოვებიაო. მაგრამ ყველა ქვეყნიდან ისევე ინგლისი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს, რადგან მას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიო ბაზარზე, რადგან კაპიტალისტური წარმოების წესი მხოლოდ აქ არის სავესებით განვითარებული დარადგან, ბოლოს, 1846 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის ათასწლიური

⁸² Simondi: «Nouveaux Principes d'Économie Politique», ტ. I, გვ. 79, 80, 85.

⁸³ Destutt de Tracy: «Traité de la Volonté et de ses Effets». Paris 1826, გვ. 231.

სუფევის დამყარებამ ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას უკანასკნელი თავშესაფარი წაართვა. წარმოების ის ტიტანური პროგრესი, რომლის მეოხებით ოცწლიანი პერიოდის მეორე ნახევარი კვლავ გაცილებით სჭარბობს პირველს, უკვე საკმაოდ იყო აღნიშნული მეოთხე განყოფილებაში.

თუმცა ინგლისის მოსახლეობის აბსოლუტური მატება ძალიან დიდი იყო უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში, მაგრამ შეფარდებითი მატება, ანუ ნამატის ნორმა, განუწყვეტლივ ეცემოდა, როგორც ამას ოფიციალური აღწერიდან ამოღებული ცხრილი გვიჩვენებს:

ინგლისის და უელსის მოსახლეობის ყოველწლიური პროცენტული ნამატი ათწლეულებში:

1811 — 1821	1,533%
1821 — 1831	1,446%
1831 — 1841	1,326%
1841 — 1851	1,216%
1851 — 1861	1,141%

განვიხილოთ ახლა, მეორე მხრივ, სიმდიდრის ზრდა. ყველაზე საიმედო დასაყრდენ პუნქტს იძლევა აქ საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი მოგების, მიწის რენტისა და სხვ. მოძრაობა. დასაბეგრი მოგების ნამატი (ფერმერებისა და ზოგიერთი სხვა რუბრიკის ჩათვლელად) 1853-დან 1864 წლამდე შეადგენდა დიდი ბრიტანეთისათვის 50,47%-ს (ანუ 4,58%-ს საშუალოდ წელიწადში)⁹⁴, ხოლო მოსახლეობის ნამატი იმავე პერიოდში — დაახლოებით 12¹/₂%-ს. დაბეგრილი მიწის რენტის გადიდება (სახლების, რკინიგზების, მალარობის, სათევზაოებისა და სხვ. ჩათვლით) 1853-დან 1864 წლამდე შეადგენდა 38¹/₂%-ს, ანუ 3⁵/₁₂%-ს წლიურად; აქედან ყველაზე დიდი წილი მოდის შემდეგ რუბრიკებზე:

	წლიური შემოსავლის გადიდება 1858-დან 1864 წლამდე	გადიდება წლის განმავლობაში
სახლებიდან	38,60%	3,50%
ქვის სამტერყვებიდან	84,76%	7,70%
მალაროებიდან	68,85%	6,26%
რკინის სადნობი ქარხნებიდან	39,92%	3,63%
სათევზაოებიდან	57,37%	5,21%
გაზის ქარხნებიდან	126,02%	11,45%
რკინიგზებიდან	83,29%	7,57% ⁹⁵

⁹⁴ 'Tenth Report of the Commissioners of H. M.'s Inland Revenue. London 1866, გვ. 38.

⁹⁵ იქვე.

თუ შევადარებთ ერთმანეთს 1853 — 1864 წლის პერიოდის ოთხ-წლედებს, დავინახავთ, რომ შემოსავლის გადიდების დონე განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, 1853-დან 1857 წლამდე მოგებიდან წარმომდგარი შემოსავალი წლიურად შეადგენს 1,73%-ს, 1857-დან 1861 წლამდე — 2,74%-ს წლიურად და 1861-დან 1864 წლამდე — 9,30%-ს წლიურად. შემოსავლის ერთობლივი ჯამი, რომელიც დაბეგრული იყო საშემოსავლო გადასახადით შეერთებულ სამეფოში, შეადგენდა: 1856 წ. — 307 068 898 გირვანქა სტერლინგს, 1859 წ. — 328 127 416 გირვანქა სტერლინგს, 1862 წ. — 351 745 241 გირვანქა სტერლინგს, 1863 წ. — 359 142 897 გირვანქა სტერლინგს, 1864 წ. — 362 462 279 გირვანქა სტერლინგს, 1865 წ. — 385 530 020 გირვანქა სტერლინგს⁹⁶.

კაპიტალის დაგროვებას იმავე დროს თან ახლდა მისი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. თუმცა ინგლისში ოფიციალური სამიწათმოქმედო სტატისტიკა არ არსებობდა (ირლანდიაში არსებობდა), ათმა საგრაფომ ნებაყოფლობით წარადგინა იგი. აქ აღმოჩნდა ასეთი შედეგი: 1851-დან 1861 წლამდე 100 აკრზე ნაკლები მიწის იჯარა 31 583-დან 26 567-დღე შემცირდა, ე. ი. 5 016 იჯარა გაერთიანდა უფრო მსხვილ იჯარასთან⁹⁷. 1815 წლიდან 1825 წლამდე არ მოიპოვებოდა სამემკვიდრეო გადასახადით დაბეგრული არც ერთი მოძრავი ქონება, რომელიც 1 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი ღირებულების ყოფილიყო; პირიქით, 1825 წლიდან 1855 წლამდე ასეთი ქონება იყო 8, 1855 წლიდან 1859 წლის ივნისამდე, ე. ი. 4 $\frac{1}{2}$ წელიწადში, — 4⁹⁸. მაგრამ ცენტრალიზაცია ყველაზე უკეთესად ჩანს

⁹⁶ ეს ციფრები საკმარისია შედარებისათვის. მაგრამ თუ აბსოლუტურად განვიხილავთ, მცდარია, რადგან, ალბათ, ყოველწლიურად 100 მილიონ გირვანქა სტერლინგ შემოსავალს «მაღავენ». შინაგანი შემოსავლის დამბეგრავ მოხელეთა ჩივილი სისტემატური მოტყუების შესახებ, განსაკუთრებით კომერსანტებისა და მრეწველების მხრივ, მეორდება ყოველ მათს ანგარიშში. ასე, მაგალითად, ერთ ანგარიშში ნათქვამია: «ერთმა აქციონერულმა საზოგადოებამ თავისი დასაბეგრავი მოგება 6 000 გირვანქა სტერლინგით განსაზღვრა, ხოლო შემფასებელმა იგი განსაზღვრა 88 000 გირვანქა სტერლინგით და საბოლოოდ გადასახადი ამ თანხის მიხედვით იქნა გასტუმრებული. მეორე კომპანიამ აჩვენა 190 000 გირვანქა სტერლინგი შემოსავალი, მაგრამ იძულებული იყო ელიარებინა, რომ ნამდვილი შემოსავალი 250 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა» (იქვე, გვ. 42).

⁹⁷ «Census etc.», ტ. III, გვ. 29. ჯონ ბრაიტის მტკიცება, რომ 150 მემამულეს ეკუთვნის ინგლისის მიწის ნახევარი და 12 მემამულეს — შოტლანდიის მიწის ნახევარი, ჯერ კიდევ არ არის დარღვეული.

⁹⁸ «Fourth Report etc. of Inland Revenue». London 1860, გვ. 17.

1864 — 1865 წლების საშემოსავლო გადასახადის რუბრიკა D-ს (მოგება, ფერმერის და სხვ. მოგების ჩათვლელად) მოკლე ანალიზიდან. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ ამ წყაროდან მიღებული შემოსავალი income tax-ს [საშემოსავლო გადასახადს] იხდის მხოლოდ 60 გირვანქა სტერლინგიდან დაწყებული. ეს დასაბეგრი შემოსავალი ინგლისსა, უელსსა და შოტლანდიაში შეადგენდა 1864 წ. 95 844 222 გირვანქა სტერლინგს, 1865 წ. — 105 435 787 გირვანქა სტერლინგს⁹⁹, ხოლო დაბეგრილთა რიცხვი შეადგენდა 1864 წ. 308 416 სულს მთელი მოსახლეობის 23 891 009-დან, 1865 წ. — 332 431 სულს მთელი მოსახლეობის 24 127 003-დან. ამ შემოსავლის განაწილებას ორსავე წელიწადში შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

	წელიწადი, დასრულებული 1864 წ. 5 აპრილს		წელიწადი, დასრულებული 1865 წ. 5 აპრილს	
	შემოს. მოგებიდან გირვ. სტერლ.	პირთა რაოდენობა	შემოს. მოგებიდან გირვ. სტერლ.	პირთა რაოდენობა
მთელი შემოსავალი	95 844 222	308 416	105 435 787	332 431
აქედან	57 028 290	22 334	64 554 297	24 075
აქედან	36 415 225	3 619	42 535 576	4 021
აქედან	22 809 781	822	27 555 313	973
აქედან	8 744 762	91	11 077 238	107

1855 წელს შეერთებულ სამეფოში დამზადებული იყო 61 453 079 ტონა ქვანახშირი 16 113 267 გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა, 1864 წ. — 92 787 873 ტონა 23 197 968 გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა, 1855 წ. — 3 218 154 ტონა თუჯი 8 045 385 გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა, 1864 წ. — 4 767 951 ტონა 11 919 877 გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა. 1854 წელს შეერთებულ სამეფოში საექსპლოატაციო რკინიგზების სიგრძე შეადგენდა 8 054 მილს, ხოლო მათში დაბანდებული კაპიტალი — 286 068 794 გირვანქა სტერლინგს; 1864 წელს ეს სიგრძე უდრიდა 12 789 მილს, დაბანდებული კაპიტალი — 425 719 613 გირვანქა სტერლინგს. 1854 წელს შეერთებული სამეფოს მთელი ექსპორტი და იმპორტი

⁹⁹ ეს წმინდა შემოსავალია, მაშასადამე. შემოსავალი, რომელიც რჩება კანონით დაშვებულ გარკვეულ გამოქვითვათა შემდეგ.

შეადგენდა 268 210 145 გირვანქა სტერლინგს, 1865 წ. — 489 923 285 გირვანქა სტერლინგს. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ექსპორტის მოძრაობას:

1846 წ.	58 842 377	გირვანქა სტერლინგო	
1849 „	63 596 052	„	„
1856 „	115 826 948	„	„
1860 „	135 842 817	„	„
1865 „	165 862 402	„	„
1866 „	188 917 563	„	„ ¹⁰⁰

ამ მცირე მონაცემების შემდეგ გასაგებია ბრიტანეთის ხალხის გენერალური რეგისტრატორის საზეიმო შეძახილი: «თუმცა ძალიან სწრაფი იყო მოსახლეობის ზრდა, მაგრამ იგი მაინც ვერ მისდევდა ფეხდაფეხ მრეწველობისა და სიმდიდრის პროგრესს»¹⁰¹. მიემართოთ ახლა ამ მრეწველობის უშუალო აგენტებს, ანუ ამ სიმდიდრის მწარმოებლებს, მუშათა კლასს. «ქვეყნის სოციალური მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, — ამბობს გლადსტონი, — რომ ამჟამად ხალხის მოხმარებითი ძალის შემცირებასა და მშრომელი კლასის გაჭირვებისა და სიღატაკის ზრდასთან ერთად იმავდროულად ხდება სიმდიდრის მუდმივი დაგროვება მაღალ კლასებში და კაპიტალის განუწყვეტელი ზრდა»¹⁰². ასე ამბობდა ეს გულჩვილი მინისტრი თემთა პალატაში 1843 წლის 13 თებერვალს. ოცი წლის შემდეგ, 1863 წლის 16 აპრილს, თავის სიტყვაში, ბიუჯეტის წარდგენის დროს, იგი ამბობდა: «1842 — 1852 წლებში დასაბეგრი შემოსავალი ჩვენში გაიზარდა 6⁰/₁₀₀-ით... 8 წლის განმავლობაში, 1853 — 1861 წლებში, იგი გაიზარდა, თუ საფუძვლად 1853 წელს მივიღებთ, 20⁰/₁₀₀-ით. ეს ფაქტი იმდენად განსაცვიფრებელია, რომ თითქმის დაუჯერებელია... სიმდიდრისა და ძლიერების ეს თავბრულდამხვევი ზრდა... მთლიანად შეძლებული კლასებით შემოისაზღვრება, მაგრამ... მაგრამ მას უნდა ჰქონდეს არაპირდაპირი სარგებლობა მუშათა მოსახლეობისთვისაც, რად-

¹⁰⁰ ამჟამად, 1867 წლის მარტს, ინდოეთ-ჩინეთის ბაზარი უკვე სრულიად სასუსო იხვევ ბრიტანეთის ბაზმის მეფაბრიკეთა მიერ კონსიგნაციის წესით გატანილი საქონლით. 1866 წელს დაიწყო ბაზმის მუშების ხელფასის დაკლება 5⁰/₁₀₀-ით, 1867 წელს ამგვარი ოპერაციის გამო მოხდა 20 000 კაცის გაფიცვა პრესტონში. (ეს იყო პროლოგი კრიზისისა, რომელმაც ამის შემდეგ მალე იფეთქა. — **ფ. მ.**)

¹⁰¹ «Census etc.», ტ. III, გვ. 11.

¹⁰² გლადსტონი თემთა პალატაში, 1843 წლის 13 თებერვალს («Times», 14 February 1843. — «Hansard», 13 February).

გან იგი აიაფებს საყოველთაო მოხმარების საგნებს, — მაშინ როდესაც მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ღარიბები ყოველ შემთხვევაში ნაკლებ ღარიბნი შეიქნენ. რომ სიღარიბის უკიდურესობანი შემცირდა, — ამის თქმას მე ვერ გაგებლავა¹⁰³. რა უმწურო შემობრუნებაა! თუ მუშათა კლასი ღარიბი «ღარიბი», თანაც მხოლოდ «ნაკლებ ღარიბი» იმ შეფარდებით, რითაც იგი «სიმდიდრისა და ძლიერების თავბრუდამხვევად» აღიღებას! ქმნიდა მესაკუთრეთა კლასისათვის, — ეს იმას ნიშნავს, რომ შეფარდებით იგი უწინდებურად ღარიბი დარჩენილა. თუ სიღარიბის უკიდურესობანი არ შემცირებულა, მაშინ ისინი გადიდებულა, რადგან გადიდდა სიმდიდრის უკიდურესობანი. რაც შეეხება საარსებო საშუალებათა გაიაფებას, ოფიციალური სტატისტიკა, მაგალითად, ლონდონის Orphan Asylum-ის [ობოლთა თავშესაფარი სახლის] ცნობები საშუალოდ სამი წლისათვის, 1860-დან 1862 წლამდე, შედარებით 1851 — 1853 წლებთან, გვიჩვენებს მათს გაძვირებას 20%-ით. შემდგომ 3 წელში, 1863 — 1865 წლებში, პროგრესიულად ძვირდება ხორცი, კარაჭი, რძე, შაქარი, მარილი, ნახშირი და მთელი რიგი სხვა აუცილებელი საარსებო საშუალებანი¹⁰⁴. გლადსტონის შემდეგი საბიუჯეტო სიტყვა, 1864 წლის 7 აპრილს წარმოთქმული, პინდარისებური ხოტბაა გამდიდრების პროგრესისა და ხალხის ბედნიერებისა, რომელსაც ზომიერი ხასიათი ეძლევა «სიღარიბის» გამო. იგი ლაპარაკობს, «აუპერიზმის კიდეზე» მდგომ მასებზე, წარმოების დარგებზე, «სადაც ხელფასი არ აწეულა», და, ბოლოს, მუშათა კლასის ბედნიერებას შემდეგი სიტყვებით დაასკვნის: «ადამიანის ცხოვრება ათიდან ცხრა შემთხვევაში უბრალო ბრძოლაა არსებობისათვის»¹⁰⁵. პროფესორი

¹⁰³ გლადსტონი თემთა პალატაში, 1863 წლის 16 აპრილს («Morning Star», 17 April).

¹⁰⁴ იხ. ოფიციალური ცნობები ლურჯ წიგნში: «Miscellaneous Statistics of the United Kingdom». ნაწ. VI. London 1866, გვ. 260 — 273, სხვადასხვა ადგილას. ობლების თავშესაფართა და სხვ. სტატისტიკის ნაცვლად, დამამტკიცებელ საბუთად გამოდგებოდა აგრეთვე სამინისტრო პრესის დეკლარაციები იმის დასაცავად, რომ სამეფო სახლის შვილებს დოტაცია უნდა მიეცეთ. იქ არასოდეს არ არის დაიწყებული საარსებო საშუალებათა გაძვირება.

¹⁰⁵ გლადსტონი თემთა პალატაში 1864 წლის 7 აპრილს. «Hansard»-ის ვერსია კი ლაპარაკობს: «და კიდევ უფრო ზოგადად რომ ვთქვათ: რა არის უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლე, თუ არა ბრძოლა არსებობისათვის?» მუდმივ და აშკარა წინააღმდეგობას გლადსტონის 1863 და 1864 წლების საბიუჯეტო სიტყვებში ერთი ინგლისელი მწერალი ახასიათებს შემდეგი ციტატით ბუალოდან [«Oeuvres», t. I. Londres 1780, გვ. 53]:

«Voilà l'homme en effet. Il va du blanc au noir.
Il condamne au matin ses sentiments du soir.»

ფაუსტეტი, რომელიც გლადსტონის მსგავსად არ არის შებოჭილი ოფიციალური მოსაზრებებით. უბოდიშოდ აცხადებს: «მე, რა თქმა უნდა, არ უარვყოფ იმას, რომ კაპიტალის ამ გადიდებით (უკანასკნელ ათწლეულებში) ფულადი ხელფასი გაიზარდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი სარგებლობა უმეტესწილად ისევ იკარგება, რადგან მრავალი საარსებო საშუალება შეუწყვეტლივ ძვირდება (მისი აზრით, ძვირფასი ლითონების ღირებულების დაცემის გამო)... მდიდრები სწრაფად ხდებიან უფრო მდიდარნი (the rich grow rapidly richer), მაშინ როდესაც მშრომელი კლასების მდგომარეობას არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა... მუშები თითქმის მონები ხდებიან მეწვრილმანეებისა, რომელთა მოვალენიც ისინი არიან»¹⁰⁶.

განყოფილებებში, სადაც განხილულია სამუშაო ღლე და მანქანები, ჩვენ წინაშე გადაიშალა ის პირობები, რომელშიც ბრიტანეთის მუშათა კლასი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში «სიმდიდრისა და ძლიერების თავბრუდამხვევ ზრდას» ქმნიდა შეძლებული კლასებისათვის. მაგრამ მაშინ ჩვენს ყურადღებას მუშა იპყრობდა უმთავრესად მისი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების დროს. კაპიტალისტური დაგროვების კანონთა სავსებით გასაშუქებლად საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ მუშის მდგომარეობა სახელოსნოს გარეთ. მისი კვებისა და ბინის პირობები. ამ წიგნის ფარგლები გვიკარნახებს აქ უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მივიღოთ სამრეწველო პროლეტარიატისა და მიწათმოქმედი ნუშების ის ნაწილი, რომელიც მცირე ხელფასს ღებულობს, ე. ი. მუშათა კლასის უმრავლესობა.

მაგრამ ჯერ კიდევ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ოფიციალური პაუპერიზმის შესახებ. ე. ი. მუშათა კლასის იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც დაუკარგავს თავისი საარსებო პირობები, სამუშაო ძალის გაყიდვის შესაძლებლობა, და სულს იბრუნებს საზოგადოებრივი

*Importun à tout autre, à soi même incommode,
Il change à tous moments d'esprit comme de mode.*

[«ი როგორია ადამიანი ნამდვილად. იგი ხან თეთრს ირჩევს და ხან შავს, დილით გმობს იმას, რასაც საღამოს იცავს. აუტანელი სხვებისთვის, ტვირთად უხდებია თავის თავს, იგი ყოველ წამს ვით მოდას იცვლის თავის აზრს.»]

(«The Theory of the Exchanges etc.» London 1864, გვ. 135).

¹⁰⁶ H. Fawcett: «The Economic Position of the British Labourer». London 1865, გვ. 67, 82. რაც შეეხება მუშების სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ დამოკიდებულებას მეწვრილმანეებზე, ეს შედეგია იმისა, რომ მათი სამუშაოზე ყოფნა სულ უფრო მეტ მერყეობასა და შეწყვეტას განიცდის.

მოწყალებით. ოფიციალური მონაცემების მიხედვით ინგლისში¹⁰⁷ ითვლებოდა პაუპერთა რიცხვი: 1855 წელს — 851 369, 1856 წელს — 877 767, 1865 წელს — 971 433. ბამბის შიმშილის გამო ეს რიცხვი გაიზარდა 1863 და 1864 წლებში — 1 079 382 და 1 014 978-დღე. 1866 წლის კრიზისმა, რომელიც ყველაზე მძიმედ ლონდონს დააწვა, გამოიწვია მსოფლიო ბაზრის ამ ცენტრში, სადაც მცხოვრებთა უფრო მეტი რიცხვია, ვიდრე შოტლანდიის სამეფოში, პაუპერიზმის ზრდა 1866 წელს 19,5%-ით, შედარებით 1865 წელთან, და 24,4%-ით, შედარებით 1864 წელთან, და უფრო მეტი ზრდა 1867 წლის პირველ თვეებში, შედარებით 1866 წელთან. პაუპერიზმის სტატისტიკის ანალიზის დროს ხაზგასმით აღსანიშნავია ორი პუნქტი. ერთი მხრივ, პაუპერთა მასობრივად მომატება და დაკლება ასახავს სამრეწველო ციკლის პერიოდულ ცვლას. მეორე მხრივ, ოფიციალური სტატისტიკა პაუპერიზმის ნამდვილი მოცულობის შესახებ სულ უფრო და უფრო მაცუთური მაჩვენებელი ხდება იმდენად, რამდენადაც კაპიტალის დაგროვებასთან ერთად ვითარდება კლასობრივი ბრძოლა და, მაშასადამე, მუშების თვითშეგნებაც. მაგალითად, ბარბაროსობა პაუპერებისადმი მოპყრობაში, რის შესახებაც ინგლისური პრესა («Times», «Pall Mall Gazette» და სხვ.) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ასე ხმამაღლა გაჰყვიროდა, დიდი ხნის ამბავია. ფ. ენგელსმა 1844 წელს აღნიშნა სწორედ ასეთივე საშინელება და «სენსაციური ლიტერატურის» სწორედ ასეთივე წარმავალი, ფარისევლური აღშფოთება. მაგრამ შიმშილით სიკვდილის («deaths by starvation») შემთხვევათა საშინელი ზრდა ლონდონში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უთუოდ ამტკიცებს მუშების მზარდ ზიზლს სამუშაო სახლებში¹⁰⁸, ლატაკთა ამ დამსჯელ დაწესებულებებში, არსებული მონობისადმი.

¹⁰⁷ ინგლისში შემავალად მუდამ იგულისხმება უელსი, დიდ ბრიტანეთში — ინგლისი, უელსი და შოტლანდია, შეერთებულ სამეფოში — ეს სამი მხარე და ირლანდია.

¹⁰⁸ ა. სმიტის შემდეგ მომხდარ პროგრესს თავისებურ შუქს ჰყენს ის გარემოება, რომ ა. სმიტისთვის სიტყვა *workhouse* [სამუშაო სახლი] ჯერ კიდევ ხანდახან *manufactory*-ს [საფაბრიკო შენობა] ტოლფასოვანი სიტყვაა. მაგალითად, მისი წიგნის იმ თავის დასაწყისში, რომელიც შრომის დანაწილებას ეხება, ნათქვამია: «შრომის სხვადასხვა დარგში დასაქმებული მუშები შეიძლება ხშირად თავმოყრილნი იყვნენ ერთსა და იმავე სამუშაო სახლში». [შეად. ა. სმიტი: «გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ». თბილისი 1938. ტ. I, გვ. 7.]

ბ) ბრიტანეთის სამრეწველო მუშათა კლასის
მცირეხელფასიანი ფენები

გადავიდეთ ახლა სამრეწველო მუშათა კლასის მცირეხელფასიან ფენებზე. ბამბის შიმშილის დროს, 1862 წელს, Privy Council-მა [საიდუმლო საბჭომ] დაავალა დ-რ სმიტს გამოეკვლია სიღატაკეში ჩავარდნილ ბამბის მუშათა კვების პირობები ლანკაშირსა და ჩეშირში. მრავალი წლის უწინდელმა დაკვირვებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ «შიმშილით გამოწვეულ დაავადებათა (starvation diseases) თავიდან ასაცილებლად» დედაკაცის ყოველდღიური საზრდო უნდა შეიცავდეს საშუალოდ, სულ ცოტა, 3900 გრან ნახშირბადს და 180 გრან აზოტს, ხოლო მამაკაცის ყოველდღიური საზრდო — სულ ცოტა, 4300 გრან ნახშირბადს და 200 გრან აზოტს, ე. ი. დედაკაცისთვის დაახლოებით იმდენ მასაზრდოებელ ნივთიერებას, რამდენიც 2 გირვანქა კარგი ხორბლის პურში მოიპოვება, მამაკაცისთვის — $\frac{1}{3}$ მეტს; საშუალოდ კვირაში სრულსაკოვანი დედაკაცებისა და მამაკაცებისთვის, სულ ცოტა, 28600 გრან ნახშირბადს და 1300 გრან აზოტს. მისი გამოანგარიშება გასაოცრად დადასტურდა პრაქტიკულად იმით, რომ იგი შეესაბამება საზრდოს იმ მცირე ოდენობას, სადამდეც დაიწია ბამბის მუშების მოხმარებამ მათი გაჭირვებული მდგომარეობის გამო. 1862 წლის დეკემბერში ისინი იღებდნენ 29211 გრან ნახშირბადს და 1295 გრან აზოტს კვირაში.

1863 წელს Privy Council-მა დაადგინა მოეხდინათ ინგლისის მუშათა კლასის იმ ნაწილის უმწეო მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც ყველაზე ცუდად იკვებებოდა. დ-რ საიმონმა, Privy Council-ის ოფიციალურმა ექიმმა, ამ მუშაობისათვის აირჩია ზემოხსენებული დ-რ სმიტი. მისი გამოკვლევა ვრცელდება, ერთი მხრივ, მიწათმოქმედ მუშებზე, მეორე მხრივ, აბრეშუმქსოველებზე, მკერავ ქალებზე, ტყავის ხელთათმნის მკეთებლებზე, წინდის მქსოველებზე, ხელთათმნის მქსოველებზე და ხარახებზე. უკანასკნელი კატეგორიები, გარდა წინდის მქსოველებისა, მხოლოდ ქალაქის მუშები არიან. გამოკვლევის დროს წესად იქნა მიღებული ამოერჩიათ თვითეულ კატეგორიაში ყველაზე უფრო ჯანმრთელი და შედარებით კარგად მოწყობილი ოჯახები.

საერთო შედეგი ამ გამოკვლევისა ის იყო, რომ «მხოლოდ ქალაქის მუშების ერთ გამოკვლეულ კატეგორიაში აზოტის მოხმარება ოდნავ აღემატებოდა იმ აბსოლუტურ მინიმუმს, რომლის ქვევითაც შიმშილით დაავადება იწყება; რომ ორ კატეგორიაში ადგილი ჰქონდა ნაკლებობას, სახელდობრ ერთ მათგანში ძალიან დიდ ნაკლებობას

როგორც აზოტიან, ისე ნახშირბადიან საზრდოს მხრივ; რომ გამოკვლეული მიწათმოქმედი ოჯახების ერთ მეხუთედზე მეტი იღებდა აუცილებელზე ნაკლებ ნახშირბადიან საზრდოს, ერთ მესამედზე მეტი იღებდა აუცილებელზე ნაკლებ აზოტიან საზრდოს, და რომ სამ საგრაფოში (ბერკშირში, ოქსფორდშირში და სომერსეტშირში) მინიმუმზე ნაკლებობა აზოტიანი საზრდოსი ჩვეულებრივი მოვლენა იყო¹⁰⁹. მიწათმოქმედ მუშათა შორის ყველაზე ცუდად იკვებებოდნენ ინგლისის, შეერთებული სამეფოს ამ უმდიდრესი ნაწილის, მუშები¹¹⁰. საერთოდ სოფლის მუშებს შორის ცუდი კვება უმთავრესად ქალებისა და ბავშვების ხვედრი იყო, ვინაიდან «მამაკაცმა უნდა ჭამოს, რათა თავისი სამუშაო შეასრულოს». კიდევ უფრო მეტი გაჭირვება მძიმეგარებდა ქალაქის მუშათა გამოკვლეულ კატეგორიებს შორის. «ისინი ისე ცუდად იკვებებიან, რომ ბევრ შემთხვევაში ადგილი აქვს საშინელ და ჯანმრთელობის გამანადგურებელ! ნაკლებობას» (ყველა ეს კაპიტალისტის «თვითუარყოფა!» სახელდობრ — უარყოფა იმ საარსებო საშუალებათა გადახდისა, რომლებიც აუცილებელია მისი მუშახელის გაჭირვებული არსებობისათვის!)¹¹¹.

შემდეგი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ ზემოხსენებული წმინდა ქალაქის მუშების კატეგორიათა კვების დონე დ-რ სმიტის მიერ მიღებულ მინიმალურ რაოდენობას და ბამბის მუშათა კვების პირობებს მათი უდიდესი გაჭირვების დროს¹¹²:

ორივე სქესი	ნახშირბადის საშუალო კვირეული რაოდენობა	აზოტის საშუალო კვირეული რაოდენობა
5 საქალაქო მრეწველობის დარგი . .	28 876 გრანი	1 192 გრანი
ლანკაშირის უმუშევარი საფაბრიკო მუშები	29 211 „	1 295 „
მინიმუმად მიჩნეული რაოდენობა ლანკაშირის მუშა მამაკაცებისა და ქალებისათვის საშუალოდ	28 600 „	1 330 „ ¹¹³

სამრეწველო მუშათა გამოკვლეული კატეგორიების ნახევარი, ^{60/125} სრულიად არ ხმარობდა ლუდს, 28⁰/₁₀₀ — რძეს. თხევად საკვებ

¹⁰⁹ «Public Health. 6th Report etc. for 1863». London 1864, გვ. 13.

¹¹⁰ იქვე, გვ. 17.

¹¹¹ იქვე, გვ. 13.

¹¹² იქვე დანართი, გვ. 232.

ნივთიერებათა საშუალო კვირეული რაოდენობა მერყეობდა ოჯახზე 7 უნციდან მკერავ ქალებს შორის $24\frac{3}{4}$ უნცამდე წინდის მქსოველთა შორის. უმეტესობას იმათგან. ვინც სრულიად არ ხმარობდა რძეს, ლონდონის მკერავი ქალები შეადგენდნენ. ყოველკვირეულად მოხმარებული პურის რაოდენობა მერყეობდა $7\frac{3}{4}$ გირვანქიდან მკერავი ქალებისათვის $11\frac{1}{4}$ გირვანქამდე ხარაჭებისათვის და საშუალოდ შეადგენდა კვირაში 9,9 გირვანქას სრულსაკოვანზე. შაქრის რაოდენობა (სიროფი და სხვ.) მერყეობდა 4 უნციდან ყოველკვირეულად ტყავის ხელთათმნის მკეთებელთათვის 11 უნცამდე წინდის მქსოველებისათვის; საშუალო რაოდენობა კვირაში ყველა კატეგორიისათვის უდრიდა 8 უნცს სრულსაკოვანზე. კარაქის (ცხიმი და სხვ.) საერთო საშუალო ყოველკვირეული რაოდენობა უდრიდა 5 უნცს მოზრდილზე. ხორცის (ქონი და სხვ.) საშუალო ყოველკვირეული რაოდენობა მოზრდილზე მერყეობდა $7\frac{1}{4}$ უნციდან აბრეშუმმქსოველებისათვის $18\frac{1}{4}$ უნცამდე ტყავის ხელთათმნის მკეთებლისათვის; საშუალოდ სხვადასხვა კატეგორიისათვის 13,6 უნცი მოდიოდა. ყოველკვირეული ხარჯები თვითეული მოზრდილის გამოსაკვებად შემდეგ საშუალო რიცხვებს შეადგენდა: აბრეშუმმქსოველთათვის — 2 შილინგს და $2\frac{1}{2}$ პენსს, მკერავ ქალთათვის — 2 შილინგს და 7 პენსს, ტყავის ხელთათმნის მკეთებელთათვის — 2 შილინგს და $9\frac{1}{2}$ პენსს, ხარაჭთათვის — 2 შილინგს და $7\frac{3}{4}$ პენსს, წინდის მქსოველთათვის — 2 შილინგს და $6\frac{1}{4}$ პენსს. მეკლსფილდის აბრეშუმმქსოველთათვის საშუალო კვირეული ხარჯი მხოლოდ 1 შილინგს და $8\frac{1}{2}$ პენსს შეადგენდა. კვების მხრივ ყველაზე ცუდ კატეგორიებს წარმოადგენდნენ მკერავი ქალები, აბრეშუმმქსოველები და ტყავის ხელთათმნის მკეთებლები¹¹³.

დ-რ საიმონი თავის საერთო სანიტარულ ანგარიშში ამ კვების პირობების შესახებ ამბობს: იმ გარემოებას, რომ მრავალ შემთხვევაში კვების ნაკლებობა სხვადასხვა დაავადებას წარმოშობს ან ამწვავებს, დაადასტურებს ყველა, ვინც იცნობს საექიმო პრაქტიკას ლარიბთა შორის ანდა ჰოსპიტლების პაციენტებს, — ჰოსპიტლებში მწოლიარეთ თუ გარედან მოსიარულეთ... მაგრამ ამას ემატება სანიტარული თვალსაზრისით კიდევ ერთი სხვა, ფრიად მნიშვნელოვანი, გარემოება... უნდა გავიხსენოთ, რომ კვების საშუალებათა ნაკლებობის ატანა მხოლოდ დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ხდება და, როგორც წესი, კვების საგრძნობი გაუარესება მხოლოდ შედეგია სხვა წინასწარი ნაკლებობისა. გაცილებით ადრე, სანამ კვების ნაკლებობა ჰიგი-

¹¹³ «Public Health. 6th Report etc. for 1863». London 1864, გვ. 232, 233.

ენურად საგრძნობი შეიქნება, სანამ ფიზიოლოგს თავში მოუყვას დათვალოს აზოტისა და ნახშირბადის გრანები, რომელთა შუა სიცოცხლე და შიმშილით სიკვდილი მერყეობს, საოჯახო მეურნეობას ხელიდან ეცლება ყოველგვარი მატერიალური კეთილმოწყობილობა. ტანსაცმელი და გათბობა უფრო მეტად უარესდება, ვიდრე საქმელი. სუსხიანი აედრის წინააღმდეგ არ მოიპოვება დაცვის საკმაო საშუალება; ბინის სიეწროვე იმ ზომამდე მიდის, რომ წარმოშობს ან ამწვავებს სხვადასხვა ავადმყოფობას; არ მოიპოვება თითქმის არავითარი ნასახი ბინის მოწყობილობისა და ავეჯეულობისა; თვით სისუფთავის დაცვაც ძვირია და მეტად გაძნელებული. თუ თავმოყვარეობის გამო კიდევ ცდილობენ სისუფთავის დაცვას, ყოველი ამგვარი ცდა მოასწავებს დამატებით ტანჯვას შიმშილისაგან. ბინავლებიან იქ, სადაც ყველაზე იაფად შეიძლება თავშესაფრის პოვნა: უბნებში, სადაც სანიტარული პოლიციის ღონისძიებანი ყველაზე ნაკლებ შედეგებს აღწევენ, სადაც უსაზიზღრესი სადენი მიღებია, ყველაზე ნაკლები მიმოსვლაა, ყველაზე მეტი სიბინძურება, ყველაზე უვარგისი და ცუდი წყლის მიწოდებაა, და — ქალაქებში, სადაც სინათლისა და ჰაერის უდიდესი ნაკლებობაა. ასეთია ჯანმრთელობის საფრთხე, რაც ღარიბთა გარდუვალი ხვედრია, თუ სიღარიბეს თან ახლავს კვების ნაკლებობა. თუ ამ ბოროტებათა ჯამი საშინელი მნიშვნელობისაა სიცოცხლისათვის, მარტოდენ საზრდოს ნაკლებობა თავისთავად აუტანელია... ეს აზრები შემადრწუნებელია, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რომ სიღარიბე, რაზედაც აქ ლაპარაკია, არ არის უსაქმურობით წარმომდგარი სიღარიბე, ის სიღარიბე, რომელიც თვითონვეა დამნაშავე თავის წარმოშობაში. ეს მუშების სიღარიბეა. მეტსაც ვიტყვით: რაც შეეხება ქალაქის მუშებს, აქ შრომა, რომლის საშუალებითაც ისინი მცირე ლუკმას ყიდულობენ, უმეტეს შემთხვევაში ყოველ ზომას სცილდება. და მაინც მხოლოდ მეტად პირობითი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ ეს შრომა შესაძლებლობას აძლევს მუშას შეინარჩუნოს თავისი არსებობა... უმრავლეს შემთხვევაში არსებობის ეს ნომინალური შენარჩუნება წარმოადგენს მხოლოდ მეტ-ნაკლებად გრძელ შემოსავლელ გზას პაუპერიზმისაკენ¹¹⁴.

მხოლოდ ეკონომიური კანონების ცოდნით აშკარავდება შინაგანი კავშირი ყველაზე ბეჯით მუშათა ფენების შიმშილით გამოწვეულ ტანჯვასა და კაპიტალისტურ დაგროვებაზე დამყარებულ მდიდართა უხემ ან რაფინირებულ ფლანგვას შორის. სხვანაირადაა საქმე, თუ

¹¹⁴ «Public Health». 6th Report etc. for 1863. London 1864, გვ. 14, 15.

საბინაო პირობებს ავიღებთ. ყოველი მიუდგომელი დამკვირვებელი ხედავს, რომ რაც უფრო მასობრივია წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია, მით უფრო მეტია მუშების სათანადო შეჯგუფება ერთსა და იმავე სივრცეზე, და რომ, მაშასადამე, რაც უფრო სწრაფია კაპიტალისტური დაგროვება, მით უფრო უბადრუკია მუშათა საბინაო პირობები. სიმდიდრის პროგრესის თანამგზავრი «გაუმჯობესება» (improvements) ქალაქებისა ცუდად გაშენებული უბნების დანგრევით, ბანკებისთვის, უნივერსალური მალაზიებისთვის და სხვათათვის სასახლეების აშენებით, ქუჩების გაფართოებით საქმიანი მიმოსვლისათვის და ფუფუნების ეტლების სასეირნოდ, ქალაქის რკინიგზების გაყვანით და სხვ., სწრაფად ერეკება ღარიბებს სულ უფრო უარეს და მჭიდროდ გაჭედულ ჯურღმულებში. მეორე მხრივ, ყველამ იცის, რომ საცხოვრებელი ბინების სიძვირე შებრუნებულ შეფარდებაშია მათ ღირსებასთან და რომ სილატაკის მალაროთა ექსპლოატაცია სახლების მშენებელი სპეკულანტების მხრივ უფრო მეტი მოგებითა და ნაკლები ხარჯით ხდება, ვიდრე ოდესმე წარმოებდა პოტოზის მალაროების ექსპლოატაცია. კაპიტალისტური დაგროვების და, მაშასადამე, კაპიტალისტური საკუთრების ურთიერთობათა ანტაგონისტური ხასიათი საერთოდ¹¹⁵ აქ იმდენად ნათელი ხდება, რომ ინგლისის ოფიციალური ანგარიშებიც კი ამ საგნის შესახებ საესეა ერეტიკული თავდასხმით «საკუთრებასა და მის უფლებებზე». მრეწველობის განვითარებას, კაპიტალის დაგროვებას, ქალაქების ზრდასა და «გამშვენეირებას» ისე ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბოროტების გავრცელება, რომ მხოლოდ იმ გადამდებ სენტა გავრცელების შიშმა, რომელნიც «კეთილშობილებსაც» არ ინდობენ, გამოიწვია 1847 წლიდან 1864 წლამდე ათეულზე მეტი სანიტარულ-პოლიციური საპარლამენტო აქტი, ხოლო შეშინებული ბურჟუაზია ზოგიერთ ქალაქში, როგორც, მაგალითად, ლივერპულში, გლაზგოში და სხვ., ჩაერია ამ საქმეში თავისი მუნიციპალიტეტების საშუალებით. მიუხედავად ამისა, დ-რ საიმონი თავის 1865 წლის ანგარიშში ამბობს: «საერთოდ რომ ვთქვათ, ეს ბოროტება ინგლისში არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება». Privy Council-ის განკარგულებით

¹¹⁵ «არსად პიროვნების უფლებები ისე საჯაროდ და ისე უსივრცელოდ არ ეწირებოდა მსხვერპლად საკუთრების უფლებას, როგორც მუშათა კლასის საბინაო პირობების საქმეში. ყოველი დიდი ქალაქი ადამიანთა სამსხვერპლოა, საკურთხეველია, სადაც ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იხოცება გაუმადლოების მოლოხისათვის» (S. Laing: «National Distress», 1844, გვ. 150).

1864 წელს გამოკვლეულ იქნა სოფლის მუშათა საბინაო პირობები, ხოლო 1865 წელს — უღარიბესი კლასებისა ქალაქებში. დ-რ იულიანე ჰანტერის საუცხოო შრომები მოთავსებულია «Public Health»-ის მე-7 და მე-8 ანგარიშში (1865 წ.). სოფლის მუშებს მე შემდეგ დავუბრუნდები. ქალაქის საბინაო პირობების აღწერას მე წავეუძღვარებ დ-რ საიმონის ზოგად შენიშვნას: «თუმცა ჩემი ოფიციალური თვალსაზრისი, — ამბობს იგი, — მხოლოდ და მხოლოდ ექიმის თვალსაზრისია, მაგრამ ყველაზე ჩვეულებრივი ჰუმანური გრძობა ნებას არ მძლევს უგულვებელყო ამ ბოროტების მეორე მხარე. თავის უაღრეს ხარისხს მიღწეული იგი თითქმის აუცილებლობით იწვევს ყოველი ზრდილობის იმგვარ უარყოფას, სხეულთა და ფიზიკურ ფუნქციათა ისეთ ბინძურ აღრევას, ისეთ სქესობრივ სიშიშვლეს, რომ ყველა ამას უფრო ცხოველური ხასიათი აქვს, ვიდრე ადამიანური. ამ ზეგავლენის განცდა — ეს არის თავის დამცირება, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო ხანგრძლივია იგი. ბავშვებისათვის, რომელნიც ამ წყვეულ პირობებში დაბადებულან, ეს სამუდამო შეჩვენების ნათლისღებას (baptism into infamy) მოასწავებს. და უაღრესად უიმედოა სურვილი, რომ ამ პირობებში ჩაყენებული ადამიანები სხვა მხრივ მიისწრაფოდნენ ცივილიზაციის იმ ატმოსფეროსაკენ, რომლის დედა-არსიც ფიზიკურ და მორალურ სიწმინდეში მდგომარეობს»¹¹⁶.

ბინების სივიწროვის ანდა აგრეთვე ადამიანთა საცხოვრებლად ამ ბინების აბსოლუტური უვარგისობის მხრივ ლონდონს პირველი ადგილი უკავია. «უდავოა ორი გარემოება, — ამბობს დ-რ ჰანტერი, — ჯერ-ერთი, ლონდონში არსებობს ოცამდე დიდი ახალშენი, თითო დაახლოებით 10 000 მცხოვრებით, რომელთა უმწეო მდგომარეობა აღემატება ყოველივე იმას, რაც ოდესმე ნახულა ინგლისში, და ეს თითქმის სავსებით ბინების ცუდი მდგომარეობის შედეგია; მეორე, ბინების სივიწროვე და სახლების სიძველე ამ ახალშენებში ახლა გაცილებით უარესია, ვიდრე ეს 20 წლის წინათ იყო»¹¹⁷.

¹¹⁶ «Public Health. 8th Report. London 1866, გვ. 14, შენიშვნა.

¹¹⁷ იქვე, გვ. 89. ბავშვების შესახებ ამ ახალშენებში დ-რ ჰანტერი ამბობს: «ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ზრდიდნენ ბავშვებს ღარიბთა უკიდურესი შემპიდროების ხანამდე, და გაბედული წინასწარმეტყველი იქნებოდა ის, ვინც იწინასწარმეტყველებდა, თუ რა ყოფაქცევას უნდა მოველოდეთ იმ ბავშვებისგან, რომელნიც ამ ქვეყნისთვის უპრეცედენტო პირობებში იზრდებიან საშიში კლასების წევრებად და შუალამამდე დროს ატარებენ ყველა ასაკის მთვრალ, ბინძურ და ჭირვეულ პიროვნებებთან» (იქვე გვ. 56).

«გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ცხოვრება ლონდონისა და ნიუკესტლის ბევრ ნაწილში ჯოჯოხეთურია»¹¹⁸.

მაგრამ მუშათა კლასის ის ნაწილიც, რომელიც შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფება, ასევე მეწვრილმანეები და წვრილი ბურჟუაზიის სხვა ელემენტებიც ლონდონში თანდათან უფრო განიცდიან ბინების სივიწროვის ამ საშინელი პირობების საბედისწერო გავლენას, იმის მიხედვით, თუ როგორ მიდის წინ «გაუმჯობესება» და მასთან ერთად ძველი ქუჩებისა და სახლების დანგრევა, თუ როგორ იზრდება ფაბრიკების რიცხვი და ადამიანთა დენა დედაქალაქში და, ბოლოს, თუ როგორ მატულობს ბინის ქირა, ქალაქის მიწის რენტასთან ერთად. ბინის ქირამ ისე უზომოდ მოიმატა, რომ მუშების მხოლოდ მცირე რიცხვს შეუძლია ერთ ოთახზე მეტი იქიროსა¹¹⁹. ლონდონში თითქმის არც ერთი სახლმფლობელობა არ მოიპოვება, რომელსაც გარს არ ეხეოს «middlemen» [«შუამავალთა»] უამრავი ხროვა. მიწის ფასი სწორედ ლონდონში მუდამ ძალიან მაღალია მის წლიურ შემოსავალთან შედარებით, რადგან ყოველი მყიდველი სპეკულაციას ეწევა იმაზე, რომ ადრე თუ გვიან კვლავ გაასხვისოს ეს მიწა Jury Price-ში (ექსპროპრიაციის დროს ნაფიცთა მიერ დაწესებულ ფასებში), ანდა რაც შეიძლება მეტი გამორჩენა მიიღოს მისი ღირებულების განსაკუთრებული აწევით ამა თუ იმ მსხვილ საწარმოსთან სიახლოვის გამო. ამის შედეგია რეგულარული ვაჭრობა გაქირავების კონტრაქტების შესყიდვის ირგვლივ, რომელთა ვადაც მოახლოებულია. «ჯენტლმენებისაგან, რომელნიც ამ საქმეს ეწევიან, შესაძლებელია მოველოდეთ, რომ ისინი მოიქცევიან ისე, როგორც იქცევიან, ე. ი. მდგმურებს რაც შეიძლება მეტს გამორჩებიან და თვით სახლს გადასცემენ თავიანთ მონაცვლეებს ისეთ გაჩანაგებულ მდგომარეობაში, როგორც კი ეს შესაძლებელია»¹²⁰. ბინის ქირა კვირეულია, და ეს ბატონები არავითარ რისკს არ ეწევიან. ქალაქის შიგნით რკინიგზების გაყვანის გამო «ახლახან, ერთ შაბათ საღამოს, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში შეიძლებოდა მრავალი ოჯახის ნახვა, რომელნიც გაძევებული იყვნენ თავიანთი ძველი ბინებიდან; მათ ზურგზე წამოეკიდათ თავიანთი მცირე სარჩო-საბადებელი, აქეთ-იქით დაეხეტებოდნენ და ვერ პოულობდნენ თავშესაფარს, გარდა სამუშაო სახლისა»¹²¹. სამუშაო

¹¹⁸ იქვე, გვ. 62.

¹¹⁹ «Report of the Officer of Health of St. Martin's-in-the-Fields» 1865.

¹²⁰ «Public Health. 8th Report». London 1866, გვ. 91.

¹²¹ იქვე, გვ. 88.

სახლები უკვე ზედმეტად გავსებულა, ხოლო პარლამენტის მიერ უკვე ნებადართული «გაუმჯობესებანი» ჯერ მხოლოდ განხორციელების დაწყებით სტადიაშია. როცა მუშებს აძევენ მათი ძველი ბინების დანგრევის გამო, ისინი არ ტოვებენ თავიანთ სამრევლოს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბინადებიან მის საზღვარზე, უახლოეს სამრევლოში. «რასაკვირველია, ისინი ცდილობენ დასახლდნენ რაც შეიძლება ახლო თავიანთ სამუშაო ადგილთან. შედეგი ის არის, რომ ორი ოთახის ნაცვლად, ოჯახმა ერთი ოთახი უნდა იქირაოს. მომატებული ქირითაც კი იგი მიიღებს ისეთ საცხოვრებელ ბინას, რომელიც უარესია, ვიდრე ის ცუდი ბინა, საიდანაც ის გააძევეს. მუშების ნახევარი სტრენდში საჭიროებს უკვე ორი მილი მანძილის გავლას სამუშაო ადგილამდე». ეს სტრენდი, რომლის მთავარი ქუჩა უცხოელზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ლონდონის სიმდიდრით, შეიძლება გამოდგეს ლონდონში მცხოვრებთა სიმჭიდროვის ნიმუშად. იმავე სტრენდის ერთ სამრევლოში სანიტარულმა მოხელემ დაითვალა 581 ადამიანი აკრზე, თუმცა ამ სივრცეს ნახევარი ტემზაც მიათვალა. თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველი სანიტარულ-პოლიციური ღონისძიება, რომელიც, როგორც ამას აქამდე ადგილი ჰქონდა ლონდონში, უვარგისი სახლების დანგრევის გამო აძევენ მუშებს ერთი უბნიდან, იმით თავდება, რომ ისინი უფრო მჭიდროდ სახლდებიან მეორეში. ამთელი ეს პროცედურა, — ამბობს დ-რ ჰანტერი, — ან უნდა მოისპოს აუცილებლად როგორც სრული უაზრობა, ან უნდა გაიღვიძოს საზოგადოებრივმა სიმპათიამ (!) იმისადმი, რასაც ახლა გაუზვიადებლად შეიძლება ნაციონალური მოვალეობა ვუწოდოთ, სახელდობრ — თავშესაფრის შექმნისადმი იმ ხალხისთვის, რომელსაც თვითონ არ შეუძლია შეიძინოს იგი კაპიტალის უქონლობის გამო, მაგრამ შეუძლია დააკმაყოფილოს გამჭირავებელნი ქირის პერიოდული გადახდით»¹²². საკვირველი რამაა კაპიტალისტური მართლმსაჯულება! მიწის მესაკუთრე, სახლის პატრონი, კომერსანტი, როდესაც ის ექსპროპრიაციას განიცდის «გაუმჯობესებათა» გამო, მაგალითად, რკინიგზების, ახალი ქუჩების გაყვანისას და სხვ., მართო სრულ სასყიდელს როდი იღებს; იგი თავისი იძულებითი «თვითუარყოფისათვის» ღვთისა და კაცის კანონის ძალით ნუგეშცემული უნდა იყოს გარდა ამისა საგრძნობი მოგებითაც. ხოლო მუშას ცოლით,

¹²² «Public Health. 8th Report. London 1866, გვ. 89.

შვილებით და მთელი ქონებით ქუჩაში ისერიან და — თუ იგი მასობრივად მიაწყდება ქალაქის უბანს, სადაც მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით ზრუნავს კეთილმოწყობისათვის, მას სანიტარული პოლიცია სდევნის!

მე-19 საუკუნის დამდეგს ინგლისში არ მოიპოვებოდა არც ერთი ქალაქი, გარდა ლონდონისა, რომელშიც 100 000 მცხოვრები ყოფილიყო. მხოლოდ 5 ქალაქში ითვლებოდა 50 000-ზე მეტი მცხოვრები. ამჟამად 28 ქალაქია ისეთი, სადაც 50 000-ზე მეტი მცხოვრებია თვითუფლში. ამ ცვლილების შედეგი იყო არა მარტო უზომო ზრდა ქალაქის მცხოვრებლებისა, არამედ — ისიც, რომ ძველი, მჭიდროდ დასახლებული პატარა ქალაქები გადაიქცნენ ახლა ცენტრებად, რომელთა გარშემო ყოველი მხრიდან ახალი შენობები აშენდა და სადაც არსაიდან წმინდა ჰაერი არ შედის. რადგან მდიდრები იქველარ პოულობენ სიამოვნებას, ამიტომ ისინი უფრო მზიარულ გარეუბნებში სახლდებიან. ამ მდიდრების ადგილზე მოსული ადამიანები სახლდებიან უფრო დიდ სახლებში; მთელი ოჯახი ერთ ოთახში თავსდება და ხშირად მდგმურებსაც იყენებს. ამგვარად, მოსახლეობა შექუჩებულია ისეთ სახლებში, რომლებიც არ არის მისთვის განკუთვნილი, სრულიად არ არის მისი შესაფერი და სადაც ისეთი პირობებია, რომლებიც მართლა დამამკირებელია მოზრდილთათვის და გამანადგურებელი ბავშვთათვის¹²⁵. რაც უფრო სწრაფად გროვდება კაპიტალი რომელიმე სამრეწველო ანდა კომერციულ ქალაქში, მით უფრო სწრაფად აწყდება ქალაქს საექსპლოატაციო ადამიანთა მასალა, მით უფრო უვარგისია ნაჩქარევად და სახელდახელოდ აშენებული მუშათა ბინები. ამიტომ ნიუკესტლ-ეპონ-ტაინს, როგორც ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის ოლქის მუდამ მდიდარ და მზარდ ცენტრს, ლონდონის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ბინათჯოჯოხეთში. იქ ცალკეულ საკნებში ბინადრობს არანაკლებ 34 000 კაცისა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის აბსოლუტური საშიშროების გამო ნიუკესტლსა და გეიტსჰედში პოლიციის განკარგულებით ახლახან დანგრეულ იქნა მრავალი სახლი. ახალი სახლების მშენებლობა ძალიან ნელა მიდის, ხოლო მრეწველობის განვითარება — ძალიან სწრაფად. ამიტომ 1865 წელს ქალაქი უფრო გავსებული იყო, ვიდრე ოდესმე უწინ. თითქმის არც ერთი საკანი აღარ იყო გასაქირავებელი. დრემბლტონი, ტიფით დაავადებულთა ნიუკესტლის ჰოსპიტლის ექიმი,

¹²⁵ «Public Health. 8th Report». London 1866, გვ. 55, 56.

ამბობს: ყოველ ექვს გარეშეა, რომ ტიფის არსებობისა და გავრცელების მიზეზია ადამიანთა ზედმეტად შემჭიდროება და მათი ბინების უსუფთაობა. სახლები, სადაც ჩვეულებრივ მუშები ცხოვრობენ, მიყრუებულ შესახვევებში და ეზოებში მდებარეობს. სინათლის, ჰაერის, სივრცისა და სისუფთავის მხრივ ეს სახლები ნამდვილი ნიმუშია უვარგისობისა და უჰიგიენობისა, სამარცხვინო მოვლენა ყოველი განათლებული ქვეყნისათვის. მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები ღამით იქ ერთმანეთში არეულნი წვანან. რაც შეეხება მამაკაცებს, მათი ღამის წყება განუწყვეტლივ მისდევს დღისას და დღისა — ღამისას, ასე რომ ლოგინი თითქმის ვერ ასწრებს გაცივებას. სახლები, ცუდად მომარაგებულია წყლით და უფრო ცუდად — ფეხისადგილებით, უსუფთაო და უვენტილაციოა, გაჟღენთილია გადამდები სენითა¹²⁴. ასეთი ხერხელების კვირეული ქირა 8 პენსიდან 3 შილინგამდე აღის. ენიუკესტლ-ეპონტაინი, — ამბობს დ-რ ჰანტერი, — წარმოადგენს ნიმუშს ჩვენი თანამემაშულებების ერთ-ერთი ულამაზესი ტომისას, რომელიც, გარეშე პირობების — სახლებისა და ქუჩების გაშენების — გამო, ხშირად თითქმის ბარბაროსულ მდგომარეობამდეა ჩამოქვეითებულია¹²⁵.

კაპიტალისა და შრომის მიქცევ-მოქცევის გამო ამა თუ იმ სამრეწველო ქალაქის საბინაო პირობები შეიძლება დღეს დამაკმაყოფილებელი იყოს, ხვალ კი — საძაგელი. ანდა ქალაქის ხელისუფალნი, ბოლოს, ზომებს ღებულობენ ამ უსაზიზღრეს უწყისობათა თავიდან ასაცილებლად. მეორე დღესვე ირლანდიელი მაწანწალები და ვალატაკებული ინგლისელი მიწათმოქმედი მუშები კალიასავით ჩნდებიან. მათ სარდაფებსა და ბელეებში ჰყრიან, ანდა მუშების უწინდელ რიგიან სადგომებს აქცევენ ბინად, სადაც პერსონალი ისევე სწრაფად იცვლება, როგორც იცვლებოდა სამხედრო დაბანაკება სახლებში ოცდაათწლიანი ომის დროს. მაგალითი: ბრედფორდი. იქ მუნიციპალიტეტის ფილისტერებმა სწორედ საქალაქო რეფორმას მოჰქიდა ხელი. ამასთანავე იქ ჯერ კიდევ 1861 წელს 1 751 სახლი იყო თავისუფალი. მაგრამ ერთბაშად საქმე კარგად წავიდა, რაზედაც ახლახან ტკბილ-ლიბერალური ბატონი ფორსტერი, ზანგების მეგობარი, ასე საამოდ კაკანებდა. საქმის გაუმჯობესებასთან ერთად, რასაკვირველია, მატულობს მუდამ მღელვარე «სარეზერვო არმიის» ანუ «შეფარდებითი კარბმოსახლეობის» ტალღა. საზიზღარი სარდაფული ბინები და

¹²⁴ «Public Health. 8th Report». London 1866, გვ. 149.

¹²⁵ იქვე, გვ. 50.

საკნები, როგორც ეს რეგისტრირებულია სიაში¹²⁶, რომელიც დ-რ ჰანტერმა მიიღო ერთი დამზღვევი საზოგადოების აგენტისაგან, დასახლებული იყო უმეტესად მაღალხელფასიანი მუშებით. ისინი აცხადებდნენ, რომ სიამოვნებით იქირავებდნენ უკეთეს ბინებს, მათი შოვნა რომ შეიძლებოდა. მაგრამ ისინი მთელი თავიანთი ოჯახებით თანდათან დატაკდებიან და ავადდებიან, მაშინ როდესაც ტკბილ-ლიბერალური ფორსტერი, პარლამენტის წევრი, ცრემლებსა ღვრის თავისუფალი ვაჭრობის სიკეთისა და მოგების გამო, რაც წილად ხვდება ბრედფორდის გამოჩენილ საქმოსნებს შალეულის წარმოებაში. 1865 წლის 5 სექტემბრის ანგარიშში დ-რ ბელი, ბრედფორდის ღარიბთა ექიმი, ტიფით დაავადებულთა საშინელ სიკვდილიანობას თავის ოლქში საბინაო პირობებს მიაწერს: ერთ სარდაფში, რომლის მოცულობა 1500 კუბიკური ფუტია, ცხოვრობს 10 სული... ვინსენტსტრიტზე,

¹²⁶ სია, შედგენილი მუშათა დამზღვევი ერთ-ერთი საზოგადოების აგენტის მიერ ბრედფორდში:

ვალკანსტრიტი № 122	1 ოთახი	16 სული
ლამლისტრიტი № 13	1 „	11 „
ბაუერსტრიტი № 41	1 „	11 „
პორტლენდსტრიტი № 112	1 „	10 „
ჰარდისტრიტი № 17	1 „	10 „
ნორსტრიტი № 18	1 „	16 „
იქვე № 17	1 „	13 „
ვაიმერსტრიტი № 19	1 „	8 მოზრდილი
ჯოუნსტრიტი № 56	1 „	12 სული
ჯორჯსტრიტი № 150	1 „	3 ოჯახი
რაიფლ-კორტი, მერიიგიტი № 11	1 „	11 სული
მარშალსტრიტი № 28	1 „	10 „
იქვე № 49	3 „	3 ოჯახი
ჯორჯსტრიტი № 128	1 „	18 სული
იქვე № 130	1 „	16 „
ედვარდსტრიტი № 4	1 „	17 „
ჯორჯსტრიტი № 49	1 „	2 ოჯახი
იორკსტრიტი № 34	1 „	2 „
სოლტ პაისტრიტი	2 „	26 სული
ს ა რ დ ა ფ ე ბ ი		
რეჯენტ სკუერი	1 სარდაფი	8 სული
ეიკსტრიტი	1 „	7 „
რობერტს კორტი № 33	1 „	7 „
ბეკ პრეტსტრიტი, სადგომი, რომელსაც მესპილენმეთა სახე-ლოსნოდ ხმარობენ	1 „	7 „
გბენიხერსტრიტი № 27	1 „	6 „ (არც ერთი მამაკაცი 18 წ. უფროსი).

გრინ ეირ პლეისზე და ლისზე 223 სახლია ზედიზედ აშენებული 1 450 მცხოვრებით, 435 საწოლით და 36 ფეხისადგილით... თვითეულ საწოლზე — ამ სიტყვაში კი მე ვგულისხმობ ქუჩყიანი ძონძების ბოხჩას ან ბურბუშელას გროვას — მოდის საშუალოდ 3,3 სული, ზოგჯერ 5 და 6 სულიც. ბევრს გაუხდელად და ულოგინოდ ცარიელ იატაკზე ძინავს, ახალგაზრდა კაცები და ქალები, ცოლიანები და უცოლოები — ყველა ერთმანეთშია არეული. განა საჭიროა კიდევ დაეუმატოთ, რომ ეს სადგომები უმეტესად ბნელი, ნესტიანი, ბინძური და მყარალი ბუნაგებია, სრულიად შეუფერებელი ადამიანის საცხოვრებლად? ეს ცენტრებია, საიდანაც ვრცელდება ავადმყოფობა და სიკვდილი, რომელიც იტაცებს თავის მსხვერპლს იმ შეძლებულთა წრიდანაც (of good circumstances), ვისი ნებართვითაცაა, რომ გადამდებ სნეულებათა ასეთი ჩირქოვანი წყალუმი მძვინვარებს ჩვენს წრეში¹²⁷.

ლონდონის შემდეგ ბინების უქონლობის მხრივ ბრისტოლს მესამე ადგილი უჭირავს. აქ, ევროპის ამ ერთერთ უმდიდრეს ქალაქში, გამეფებულია გაშიშვლებული სიღატაკე («blankest poverty») და ბინის გაჭირვება¹²⁸.

ე) მოხეტიალე მოსახლეობა

გადავიდეთ ახლა მოსახლეობის იმ ფენაზე, რომელიც წარმოშობით სოფლურია, მოსაქმეობით კი მეტწილად ინდუსტრიული. იგი წარმოადგენს კაპიტალის მსუბუქ ინფანტერიას, რომელსაც კაპიტალი თავისი საჭიროებისამებრ ხან ერთ პუნქტზე გადაისვრის და ხან მეორეზე. თუ ლაშქრად წასული არ არის, იგი «დაბანაკებულია». მოხეტიალეთა შრომა გამოიყენება სხვადასხვა სამშენებლო და სადრენაჟო სამუშაოსათვის, აგურის დამზადების, კირის გამოწვის, რკინიგზების აგებისა და სხვ. სამუშაოებისათვის. გადამდებ სნეულებათა ამ მოძრავ რაზმს — მოხეტიალე მუშებს იმ ადგილებში, რომელთა მახლობლად მათ დაბანაკება უხდებათ, შეაქვთ ყვავილი, ტიფი, ხოლერა, ქუნთრუშა და სხვ¹²⁹. იმ საწარმოებში, სადაც დიდი კაპიტალის დახარჯვაა საჭირო, როგორც, მაგალითად, რკინიგზების გაყვანის დროს და სხვ., მეწარმე უმეტესად თვითონ ათავსებს თავის არმიას ხის ფარდულებში და სხვა ამის მსგავს სადგომებში, — სახელდახელოდ გაშენებულ სოფლებში, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველ

¹²⁷ «Public Health. 8th Report». London 1866, გვ. 114.

¹²⁸ იქვე, გვ. 50.

¹²⁹ «Public Health. 7th Report». London 1865, გვ. 18.

სანიტარულ მოწყობილობას, არ ექვემდებარებიან ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლს და ძალიან ხელსაყრელი არიან ბატონი მოიჯარე-ჩამბარებლისათვის, რომელიც ორმაგად უწევს ექსპლოატაციას მუშებს: როგორც მრეწველობის ჯარისკაცებს და როგორც ბინის დამქირავებლებს. იმისდა მიხედვით, თუ რამდენ ხერხელს შეიცავს ხის ქოხი, 1-ს, 2-ს, თუ 3-ს, მის მობინადრეს, მიწის მთხრელს და სხვ., უხდება 1, 3, 4 შილინგის გადახდა კვირაში¹³⁰. საკმარისია ერთი მაგალითი. 1864 წლის სექტემბერში, გვაუწყებს დ-რ საიმონი, შინაგან საქმეთა მინისტრს სერ ჯორჯ გრეის სევენოკსის სამრევლოს Nuisance Removal Committee-ის [ანტისანიტარული პირობების სალიკვიდაციოდ დაწესებული კომიტეტის] თავმჯდომარემ შემდეგი ცნობა გადასცა: «ჯერ კიდევ 12 თვის წინათ ყვაველი სრულიად უცნობი იყო ჩვენს სამრევლოში. ამაზე ცოტა ხნით ადრე დაიწყო მუშაობა რკინიგზის გასაყვანად ლიუიშემიდან ტენბრიჯამდე. გარდა იმისა, რომ მთავარი სამუშაოები სრულდებოდა ამ ქალაქის მახლობლად უშუალოდ, აქვე იყო გამართული მთელი საწარმოს მთავარი საწყობი. ამიტომ აქ დიდძალი ხალხი იყო დასაქმებული. რადგან ყველას მოთავსება კოტეჯებში შეუძლებელი იყო, ამიტომ მოიჯარე-ჩამბარებელმა, ბ-მა ჯეიმ, რკინიგზის ხაზის გასწვრივ სხვადასხვა პუნქტებში ააშენებინა ქოხები მუშების დასაბინავებლად. ამ ქოხებს არ ჰქონდათ არც ვენტილაცია, არც სადენი მილი, და გარდა ამისა, ისინი მობინადრეებით ძალაუნებურად გავსებული იყო ზედმეტად, რადგან ყოველ დამქირავებელს სხვა მდგმური უნდა აეყვანა კიდევ, რაგინდ მრავალრიცხოვანიც ყოფილიყო მისი საკუთარი ოჯახი და მიუხედავად იმისა, რომ თითო ქოხი მხოლოდ ორი ოთახისაგან შედგებოდა. თანახმად საექიმო ანგარიშისა, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ამის შედეგი ის იყო, რომ ამ საბრალო ხალხს ღამით ყოველნაირი შევიწროება უნდა აეტანა ჰაერის შეხუთვის გამო, რათა თავიდან აეცილებინა სენით გაჟღენთილი სიმყარაღე, რომელიც ასდიოდა ფანჯრების წინ მდებარე ბინძური წყლის გუბებს და ფეხის-ადგილებს. ბოლოს, ჩვენს კომიტეტს მოუვიდა საჩივარი ერთი ექიმისგან, რომელსაც შემთხვევა ჰქონდა ეს ქოხები ენახა. იგი მეტად მწარე სიტყვებით აღნიშნავდა ამ ეგრეთწოდებული საცხოვრებელი ბინების მდგომარეობას და დიდ შიშს გამოთქვამდა სერიოზული შედეგების გამო იმ შემთხვევაში, თუ სანიტარული ზომები არ იქნებოდა მიღებული. აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც ბ-მა ჯეიმ იკისრა

¹³⁰ «Public Health. 7th Report». London 1865, გვ. 165.

ისეთი სახლის აშენება, სადაც დაუყოვნებლივ უნდა მოეთავსებინათ მასთან მომუშავე პირები, როგორც კი ისინი გადამდები სენით ავად გახდებოდნენ. გასული ივლისის დამლევს მან გაიმეორა ეს დაპირება, მაგრამ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს მის სისრულეში მოსაყვანად, თუმცა იმ დროიდან რამდენიმე შემთხვევა იყო ყვავილისა და ამის შედეგად სიკვდილის ორი შემთხვევა. 9 სექტემბერს ექიმმა კელსონმა მაცნობა ყვავილის ახალი შემთხვევების შესახებ ამავე ქოხებში, რომელთა მდგომარეობა, მისი აღწერით, საშინელია. თქვენდა (მინისტრის) საყურადღებოდ უნდა დავუმატო, რომ ჩვენს სამრევლოში არსებობს იზოლირებული სახლი, ეგრეთწოდებული გადამდებ სნეულებათა სახლი, სადაც მკურნალობენ სამრევლოს წევრებს, რომელნიც ავად ხდებიან გადამდები სენით. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ეს სახლი მუდამ ზომამზე მეტად გავსებულია ავადმყოფებით. ერთ ოჯახში 5 ბავშვი მოკვდა ყვავილით და ციებ-ციხელებით. ამა წლის 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე იყო ყვავილით სიკვდილის არანაკლებ 10 შემთხვევისა, აქედან 4 — ზემოაღნიშნულ ქოხებში, გადამდები სენის ამ ბუდეში. შეუძლებელია დაავადების შემთხვევათა რიცხვის გამორკვევა, რადგან ის ოჯახები, სადაც დაავადებას ადგილი აქვს, მალავენ მას, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია¹³¹.

ქვანახშირის და სხვა მალაროების მუშები ბრიტანეთის პროლეტარიატის უკეთესხელფასიან კატეგორიას ეკუთვნიან. თუ რა უჯდებათ მათ თავიანთი ხელფასი, ეს ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა სხვა ადგილას¹³². აქ კი სწრაფად თვალს გადავავლებ მათს საბინაო პირობებს. მალაროს ექსპლოატატორი, იქნება იგი მესაკუთრე თუ მოიჯარე, ჩვეულებრივ აშენებს კოტეჯების განსაზღვრულ რიცხვს თავის მუშახელისთვის. მუშები ძმუქთადა იღებენ კოტეჯებს და

¹³¹ იქვე, გვ. 18, შენიშვნა. ჩემს ან ლე ფრიტ უნიონის ღარიბთა მზრუნველი ალფრედს «Registrar-General-ის [გენერალურ რეგისტრატორს]: დაუბოლოებელი მრავალი პატარა გამოკვებულია გაკეთებული კირნარ მალალ გორაკში. ეს გამოკვებულები წარმოადგენენ საცხოვრებელ ბინას მიწის მიზრულებისა და სხვა მუშებისათვის, რომელნიც რკინიგზის გაყვანაზე მუშაობენ. გამოკვებულები ვიწროა და ნესტიანი, მათ არა აქვთ სადენი მილი და ფენისადგილი; ისინი მოკლებული არიან ყოველნაირ ვენტილაციას, გარდა თაღებში დატანებული ხვრელისა, რომელიც იმავე დროს საკვამლეს როლს ასრულებს. ყვავილი მძვინვარებს და უკვე სიკვდილის რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი (ტროვლოდიტთა შორის) ამის გამო» (იქვე, შენიშვნა 2).

¹³² 625 და შემდგომ გვერდებზე მოყვანილი დაწვრილებითი ცნობები უმთავრესად ქვანახშირის მალაროების მუშებს შეეხება. ლითონის მალაროების მუშების უფრო ცუდი მდგომარეობის შესახებ იხ. 1864 წლის Royal Commission-ის [სამეფო კომისიის] კეთილსინდისიერი ანგარიში.

სათბობ ნახშირს, ე. ი. ეს უკანასკნელი შეადგენენ ხელფასის *in natura* [ნატურით] აღებულ ნაწილს. ვისიც ამგვარად მოწყობა არ ხერხდება, ის ამის სამაგიეროდ ლებულობს 4 გირვანქა სტერლინგს წელიწადში. სამთამადნო ოლქები სწრაფად იზიდავენ მრავალრიცხოვან მოსახლეობას, რომელიც შედგება თვით მალაროს მუშებისაგან და მათ ირგვლივ დაჯგუფებულ ხელოსნებისაგან, მეწვრილმანეებისაგან და სხვ. აქ, ისე როგორც ყველგან, სადაც მჭიდრო მოსახლეობაა, მიწის რენტა მაღალ დონეზე დგას. ამიტომ მთამადნის მეწარმე ცდილობს რაც შეიძლება ვიწრო ადგილზე, მალაროების პირას, იმდენი კოტეჯი ააგოს, რამდენიც აუცილებელია სწორედ იმისათვის, რომ გაქედოს ისინი ყველა თავისი მუშახელით და მათი ოჯახებით. თუ მახლობლად ახალი მალაროები გაიხსნება, ანდა კვლავ დაიწყება ძველი მალაროების დამუშავება, მაშინ ეს სივიწროვე მატულობს. კოტეჯების აშენების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ თვალსაზრისს, — «უართქმას» კაპიტალისტის მიერ ნაღდი ფულით იმგვარი ხარჯების გაწევანზე, რომელნიც აბსოლუტურად აუცილებელი არაა. მალაროს მუშებისა და ნორტემბერლენდისა და დერჰემის მადნებთან დაკავშირებული სხვა მუშების ბინები, — ამბობს დ-რ იულიანე ჰანტერი, — შეიძლება საშუალოდ ყველაზე უვარჯისი და ძვირია, რასაც კი ამ მხრივ ინგლისი დიდი მასშტაბით იძლევა, გარდა, შეიძლება, მსგავსი ოლქებისა მონმაუტშირში. არაჩვეულებრივი უვარჯისობის მიზეზია მეტისმეტი სიმრავლე ხალხისა, რომლითაც საესეა ყოველი ოთახი, გაშენებული ადგილის სივიწროვე, სადაც მჭიდროდ შეჯგუფულია მრავალი სახლი, წყლის ნაკლებობა და ფეხისადგილების უქონლობა, ხშირად გამოყენებული მეთოდი, რომლის მიხედვით ერთი სახლი მეორეზეა დადგმული, ან დაყოფილია flats-ებად (ასე რომ სხვადასხვა კოტეჯები ურთიერთზე ვერტიკალურად განლაგებულ სართულებს წარმოადგენენ)... მეწარმე ისე უცქერის მთელ ახალშენს, თითქოს ეს უკანასკნელი დროებით იყოს დაბანაკებული და არა მუდმივად მაცხოვრებელი»¹³³. ამოცემული ინსტრუქციების შესასრულებლად, — ამბობს დ-რ სტივენსი, — მე დავათვალთ იერე დერჰემ უნიონის დიდი სამთამადნო სოფლების უმეტესი ნაწილი... ძალიან მცირე გამოწაკლის გარდა ყველა მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ არსად არავითარ ზომებს არ ლებულობენ მცხოვრებთა ჯანმრთელობის დასაცავად... მალაროს ყველა მუშა მიჯაჭვულია («bound») — ეს სიტყვა, ისე როგორც

¹³³ «Public Health. 7th Report». London 1865, გვ. 180, 182.

bondage, ბატონყმობის ხანიდან მომდინარეობს) მოიჯარეზე («lease») ანდა მალაროს მესაკუთრეზე 12 თვით. თუ ისინი თავიანთ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ან რაიმე გზით აწყენინებენ ზედამხედველს («viewer»), ეს უკანასკნელი მათი სახელის გასწვრივ თავის საზედამხედველო წიგნში დასვამს ნიშანს ან აკეთებს შენიშვნას და ახალი წლიური ხელშეკრულების დადების დროს მათ დაითხოვს... მე მგონია, რომ არც ერთი სახის truck-system [ხელფასის ნატურით გადახდის სისტემა] არ შეიძლება იყოს იმ სისტემაზე ცუდი, რომელიც გაბატონებულია ამ მჭიდროდ დასახლებულ ოლქებში. მუშა იძულებულია თავისი ხელფასის ნაწილის სახით მიიღოს სახლი, რომელიც გადამდები სენის მძვინვარების სფეროში იმყოფება. მას არ შეუძლია თავის თავს თვითონ უშველოს. იგი ყოველმხრივ ყმაა (he is to all intents and purposes a serf). და საერთოდ საუკეთესოა, რომ ვისმე შეეძლოს მისთვის შევლა გარდა მისი მესაკუთრისა, ეს მესაკუთრე კი, პირველ ყოვლისა, რჩევა-დარიგებას თავის ბალანსში ამოიკითხავს და ამის შედეგი საკმაოდ უტყუარია. მუშა წყალსაც მესაკუთრისაგან იღებს. კარგია იგი თუ ცუდი, მიაწოდეს იგი მას თუ არა, მან უნდა გადაიხადოს მასში ფული ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, უნდა დასთანხმდეს ხელფასიდან შესაფერ გამოკეცივას¹³⁴.

«საზოგადოებრივ აზრთან» ანდა აგრეთვე სანიტარულ პოლიციასთან კონფლიქტის დროს კაპიტალი სრულიადაც არ ერიდება იმას, რომ ის ნაწილობრივ სახიფათო და ნაწილობრივ დამამცირებელი პირობები, რომლებშიც იგი აყენებს მუშის შრომას და შინაურ ცხოვრებას, «გაამართლოს» იმით, რომ ეს აუცილებელია მუშის უფრო მომგებიანი ექსპლოატაციისათვის. ასეა, როდესაც იგი უარს აცხადებს სახიფათო მანქანებისაგან დასაცავ მოწყობილობაზე ფაბრიკებში, ვენტილაციაზე, თავდაცვის ზომებზე მალაროებში და სხვ. იგივე ითქმის აქ მალაროს მუშათა ბინების შესახებაც. ბინების უვარგისობის გასამართლებლად, — ამბობს დ-რ საიმონი, Privy Council-ის მოხელე ექიმი, თავის ოფიციალურ მოხსენებაში, — მიუთითებენ იმაზე, რომ მალაროების ექსპლოატაცია ჩვეულებრივ საიჯარო წესით ხდება, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადა (ქვანახშირის მალაროებში უმეტესწილად 21 წელიწადი) ძალიან მოკლეა და მოიჯარე თავს არ იწუხებს იმისათვის, რომ კარგად მოწყობილი ბინები ააშენოს მუშებისათვის და ხელოსნებისათვის და სხვ., რომელთაც საწარმო იზიდავს. ხელგამლილობაც რომ გამოეჩინა მოიჯარეს, მიწის მესაკუთრე ჩაშლიდა

¹³⁴ «Public Health. 7th Report. London 1865, გვ. 515, 517.

მის გეგმებს. სახელდობრ, მიწათმფლობელი მაშინვე მოითხოვდა არაჩვეულებრივ მაღალ დამატებითს რენტას იმ პრივილეგიისათვის, რომ მიწის ზედაპირზე გაშენებულია წესიერი და კეთილმოწყობილი სოფელი იმ მუშების დასაბინავებლად, რომლებიც მისი მიწისქვეშა საკუთრების ამოღებაზე მუშაობენ. ეს აკრძალვითი ფასი, თუ არა პირდაპირი აკრძალვა, აფრთხობს აგრეთვე სხვებსაც, ვინც სხვა პირობებში ასეთი სოფლების გაშენების მსურველი იქნებოდა... მე აღარ შევჩერდები ამ გამართლების საფუძვლიანობის განხილვაზე და არც იმაზე, თუ ვის დაეკისრებოდა საბოლოოდ კარგად მოწყობილი ბინებისათვის გაწეული დამატებითი ხარჯები: მიწათმფლობელს, მალაროს მოიჯარეს, მუშებს თუ საზოგადოებას... მაგრამ ისეთი სამარცხვინო ფაქტების გამო, რომლებიც გამომეტლავნებულა (დ-რ ჰანტერის, სტივენსის და სხვ.) თანდართულ საანგარიშო მოხსენებებში, აუცილებელია ზომების მიღება მათი თავიდან ასაცილებლად... მიწის საკუთრების უფლებით აქ ისე სარგებლობენ, რომ დიდ საზოგადოებრივ უსამართლობას სჩადიან. როგორც მალაროების მესაკუთრე, მიწათმფლობელი სამრეწველო ახალშენს თავის სამფლობელოში იწვევს სამუშაოდ, ხოლო შემდეგ იგი, როგორც მიწის ზედაპირის მესაკუთრე, შეუძლებლად ხდის იმას, რომ მის მიერ შეკრებილი მუშებისათვის გამოინახოს რიგიანი ბინა, აუცილებელი მათი ცხოვრებისათვის. მალაროს მოიჯარე (კაპიტალისტი-ექსპლოატატორი) სრულიად არ არის ფულის მხრივ დაინტერესებული, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გაორებულ ოპერაციას, რადგან მან კარგად იცის, რომ, თუ მიწათმფლობელის პრეტენზიები გადაჭარბებულია, შედეგები მას როდი დაატყდება თავს, რომ მუშები, რომელთაც ეს შედეგები წილად ხვდება, მეტად უვიცნი არიან იმისათვის, რომ იცოდნენ თავიანთი ჯანმრთელობის უფლებები, და რომ არც ყველაზე საზოგადოებრივი ბინები და არც უაღრესად აყროლებული სასამელი წყალი არასოდეს არ გახდება მათი გაფიცვის საბაზი»¹²⁵.

მ) კრიზისების გავლენა მუშათა კლასის

უკეთესხელფასიან ნაწილზე

სანამ საკუთრივ მიწათმოქმედ მუშებზე გადავიდოდე, უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა გავლენას ახდენენ კრიზისები მუშათა კლასის თვით უკეთესხელფასიან ნაწილზე, მის არისტოკრატიაზე. გავიხსენოთ, რომ 1857 წელს მოხდა ერთი იმ

¹²⁵ «Public Health. 7th Report. London 1865, გვ. 16.

დიდ კრიზისთაგანი, რომლითაც ყოველთვის თავდება სამრეწველო ციკლი. მომდევნო კრიზისმა 1866 წელს მოუწია. ამ კრიზისმა, რომელმაც უკვე წინასწარ იჩინა თავი ნამდვილ საფაბრიკო ოლქებში ბამბის იმ შიმშილის გამო, რამაც მრავალი კაპიტალი განდევნა მისთვის ჩვეული გამოყენების სფეროდან ფულის ბაზრის დიდ ცენტრებში, ამ შემთხვევაში მიიღო უმთავრესად ფინანსური ხასიათი. 1866 წლის მაისში მისი დასაწყისი გვაუწყა ლონდონის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის გაკოტრებამ, რასაც უშუალოდ თან მოჰყვა მრავალრიცხოვან სპეკულაციურ ფინანსურ საზოგადოებათა დაღუპვა. ერთ-ერთი უდიდესი დარგი ლონდონის იმ წარმოებათაგან, რომელთაც ეს კატასტროფა თავს დაატყდა, იყო რკინის გემების მშენებლობა. ამ მრეწველობის დარგის მაგნატები სპეკულაციის ხანაში არა მარტო უაღრესად ზომბადაჭარბებულ წარმოებას ეწეოდნენ, არამედ გარდა ამისა მათ უამრავი დაკვეთაც კი აიღეს იმ სპეკულაციური ვარაუდით, რომ კრედიტის წყარო მომავალშიც უხეად იღინებდა. ამეამად დადგა საშინელი რეაქცია, რომელიც ლონდონის მრეწველობის სხვა დარგებში¹³⁶ დღემდე, 1867 წლის მარტის დამლევამდე, გრძელდება. მუშათა მდგომარეობის დასახსიათებლად მოვიყვანთ შემდეგ ადგილს «Morning Star»-ის ერთი იმ კორესპონდენტის დაწვრილებითი ანგარიშიდან, რომელმაც 1867 წლის დასაწყისს დაათვალიერა ამ უბედურების მთავარი ცენტრები. «ლონდონის აღმოსავლეთით, პოპლარის, მილუოლის, გრინვიჩის, დეტფორდის, ლაიმპაუზის და კენინგ-ტაუნის ოლქებში სულ ცოტა 15 000 მუშა ოჯახებითურთ უკიდურეს გაჭირვებას განიცდის, მათ შორის 3 000-ზე მეტი კვალიფიციური მექანიკოსია. მათი სათადარიგო ფონდები ამოწურულია ექვსი-რვა თვის

¹³⁶ «ლონდონის ღარიბთა მასობრივი დამშვევა! («Wholesale starvation of the London Poor!»)... ამ უჟანასყნელ დღეებში ლონდონის სახლების კედლებზე დიდი პლაკატები იყო გაკრული შემდეგი ღირსშესანიშნავი განცხადებით: «მსუქანი ხარები, მზიერი ადამიანები! მსუქანმა ხარებმა დატოვეს თავიანთი ბრალის სასახლეები, რათა გაასუქონ მდიდრები მათ მშვენიერ დარბაზებში, მაშინ როდესაც დამშვეული ადამიანები იღუპებიან და კედლებიან თავიანთ საცოდავ სორობებში». ამ უბედურების მაუწყებელი წარწერით პლაკატების განახლება გამუდმებით წარმოებს. რაწამს ამ განცხადებათა ერთ წყებას ააგლეჯენ ან ზედ სხვა განცხადებას გადააკრავენ, ხელად ჩნდება ახალი იმავე ან სხვა საჯარო ადგილას... ეს გვაგონებს ცუდის მომასწავებელ ნიშნებს, რომელნიც საფრანგეთის ხალხს 1789 წლის ამბებისათვის ამზადებდნენ... სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისელი მუშები თავიანთი ცოლშვილით სიცივისა და შიმშილისაგან იხრცებიან, მილიონობით ინგლისურ ფულს, ამ ინგლისური შრომის პროდუქტს, რუსულ, ესპანურ, იტალიურ და უცხოეთის სხვა სესხებში ათავსებენ» («Reynolds' Newspaper», 20 January 1867).

უმუშევრობით... ძლიერ გამიჭირდა სამუშაო სახლის კარებთან (პოპლარში) მისვლა, რადგან იგი გარშემორტყმული იყო დამშეულთა ბრბოთი. ეს ბრბო პურის ბარათებს ელოდა, მაგრამ ამ ბარათების განაწილების დრო ჯერ არ დამდგარიყო. ეზო წარმოადგენს დიდ კვადრატს ფარდულით, რომელიც გაშენებულია კედლების გარშემო. შუაგულ ეზოში თოვლის დიდი გროვა ფარავდა ქვაფენილს. აქ ზოგან პატარა ადგილები შემოღობილი იყო ტირიფის წნულებით, ცხერის ფარეხების მსგავსად, სადაც კარგ ამინდში მამაკაცები მუშაობენ. ჩემი იქ მისვლის დღეს ეს ფარეხები ისე იყო დათოვლილი, რომ იქ ჯდომა არავის შეეძლო. მიუხედავად ამისა, სახურავის წინწამოშვერილი ნაწილის ქვეშ შეფარებული მამაკაცები მსხვილ ქვებს ამტვრევდნენ ქვაფენილისათვის. თვითეული მათგანი დიდ ქვაზე იჯდა და მძიმე ჩაქუჩით ამტვრევდა გაყინულ გრანიტს, სანამ 5 ბუშელს არ დაამტვრევდა. მაშინ თავდებოდა მისი დღიური მუშაობა და იგი იღებდა 3 პენსს და პურის მისაღებ ბარათს. ეზოს მეორე ნაწილში უბადრუკი პატარა ხის სახლი იდგა. შევადეთ თუ არა კარი, ჩვენ დავინახეთ, რომ სახლი ავსებული იყო მამაკაცებით, რომელნიც ერთმანეთს ეკვროდნენ გასათბობად. ისინი ძენძავდნენ გემის თოკებს და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რომელი მათგანი უფრო ხანგრძლივად შეძლებდა მუშაობას საზრდოს მინიმუმით, რადგანაც გამძლეობა სახელის საქმე იყო. მარტო ამ ერთ სამუშაო სახლში 7 000 კაცმა მიიღო დახმარება, მათ შორის იყო მრავალი ასეული ადამიანი, რომელნიც 6 ან 8 თვის წინათ ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველაზე მაღალ ხელფასს იღებდნენ კვალიფიციური შრომისათვის. მათი რიცხვი გაორკეცებული იქნებოდა, თუ არა ის გარემოება, რომ მრავალი მათგანი მთელი თავისი ფულადი დანაზოგის ამოწურვის შემდეგაც კი გაურბის სამრევლოს დახმარებას, სანამ კიდევ მოეპოვება რაიმე დასაჯირავებელი... დავტოვე სამუშაო სახლი და შემოვთავრე ქუჩები, სადაც უმთავრესად გაშენებულია ერთსართულიანი სახლები, რომლებიც ასე მრავალრიცხოვანია პოპლარში. მე მიმიძლოდა უმუშევართა კომიტეტის წევრი. პირველი სახლი, სადაც ჩვენ შევედით, ეკუთვნოდა რკინის ქარხნის მუშას, რომელიც უკვე 27 კვირაა უმუშევრად იყო. მე ვნახე ეს კაცი მთელი მისი ოჯახით უკანა ოთახებში მოთავსებული. ოთახში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი ცოტაოდენი ავეჯეულობა და ცეცხლი ენთო. ეს აუცილებელი იყო, რათა ბავშვების შიშველი ფეხები ყინვისაგან დაეცვათ, რადგან საშინელი ცივი დღე იდგა. თეფშზე ცეცხლის პირას იდო კანაფის ნაძენძი, რომელსაც ცოლი და შვილები წეწავდნენ სამუშაო სახლიდან მისაღები პურის

საფასურში. ქმარი ერთ ზემოაღწერილ ეზოში მუშაობდა და იღებდა პურის ბარათს და 3 პენსს ღღეში. ახლა ის მოსულიყო სახლში სასადილოდ, ძალიან მშვიერი, როგორც მან მწარე ღიმილით გვითხრა, მის სადილს კი შეადგენდა პურის რამდენიმე ქონწასმული ნატეხი და ერთი ჭიქა ჩაი ურძეოდ... შემდეგი კარი, სადაც ჩვენ დავაკაჟუნეთ, ერთმა შუახნის ქალმა გაგვიღო; ამ უკანასკნელმა უსიტყვოდ გაგვიყვანა პატარა უკანა ოთახში, სადაც მთელი მისი ოჯახი ჩუმად იჯდა და თვალები მიეპყრო ცეცხლისაკენ, რომელიც სწრაფად ქრებოდა. ისეთი გაპარტახება და უიმედობა მოჩანდა ამ ხალხის სახეზე და მათ პატარა ოთახში, რომ შე არ მოვისურვებდი ამის მსგავსი სცენა ოდესმე კიდევ მენახა. ამათ ვერაფერი იშოვნეს, ჩემო ბატონო, — თქვა ქალმა და მიგვითითა თავის შვილებზე, — ვერაფერი 26 კვირის განმავლობაში, და მთელი ჩვენი ფული გამოიღია, მთელი 20 გირვანქა სტერლინგი, რაც მე და ოჯახის მამამ უკეთეს დროს შემოვიღებთ და ვოცნებობდით, რომ ის გაჭირვებისას დახმარებას გაგვიწევდა. აი ნახეთ, — წამოიძახა მან თითქმის ველური ხმით და გამოგვიწოდა თავისი საბანკო წიგნაკი, სადაც სისტემატურად აღნიშნული იყო შეტანილი და გამოტანილი ფული, ისე რომ ჩვენ შეგვეძლო დაგვენახა, თუ როგორ დაიწყო მათი მცირე ქონება 5 შილინგის შეტანით, როგორ გაიზარდა იგი თანდათან 20 გირვანქა სტერლინგამდე და შემდეგ ისევ დაიღია გირვანქა სტერლინგებიდან შილინგებამდე, ვიდრე უკანასკნელმა ჩაწერამ ეს წიგნაკი უბრალო თეთრი ქაღალდის ნაგლეჯად არ გადააქცია. ეს ოჯახი ერთ ღარიბულ სადილს იღებდა სამუშაო სახლიდან... შემდეგ ჩვენ ვესტუმრეთ ნავსაშენზე მომუშავე ირლანდიელის ცოლს. ჩვენ ვნახეთ იგი აუღმყოფი უჭმელობისაგან, ტანისამოსით იწვა ლეიბზე და ოდნავ დაფარული იყო ხალიჩის ნაგლეჯით, რადგან მთელი ლოგინი დაგირავებული ჰქონდა. საბრალო ბავშვები უვლიდნენ მას, მაგრამ ეტყობოდათ, რომ, პირიქით, თვით ისინი საჭიროებდნენ დედის მხრივ მოვლას. ცხრამეტი კვირის იძულებითმა უმუშევრობამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე, და როდესაც მწარე წარსულის ისტორიას გვიამბობდა, იგი ისე ოხრავდა, თითქოს უკეთესი მომავლის ყოველი იმედი დაჰკარგოდა... როდესაც სახლიდან გამოვედით, ჩვენთან მოირბინა ერთმა ახალგაზრდა კაცმა და გვთხოვა შეესულიყავით მის სახლში და გვენახა, ხომ არ შეიძლებოდა რისამე გაკეთება მისთვის. ახალგაზრდა ცოლი, ორი ლამაზი ბავშვი, გირავნობის ქვითრების გროვა და სრულიად ცარიელი ოთახი, — აი ყველაფერი, რის ჩვენებაც მას შეეძლოა.

აი კიდევ ერთი ამონაწერი ტორიული გაზეთებიდან 1866 წლის კრიზისის სამწუხარო შედეგების შესახებ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ლონდონის აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკია, არის საბინადრო ადგილი არა მარტო რკინის გემების მშენებელი მუშებისა, რომლებიც უკვე ამ თავის ტექსტში იყვნენ მოხსენიებულნი, არამედ ცენტრიც ევროეფოდებულ «შინმუშაობისა», რომლის საფასურიც მუდამ მინიმუმზე დაბალია. «საშინელი სანახაობა გადაიშალა გუშინ სატახტო ქალაქის ერთ ნაწილში. თუმცა ისტენდის ათასეულ უმუშევართ მასობრივი დემონსტრაცია არ მოუწყვიათ შავი ბაირაღებით, მაინც ხალხის ზღვა საკმაოდ შთამაგონებელი იყო. გავიხსენოთ, თუ როგორ იტანჯება ეს მოსახლეობა. იგი შიმშილით კვდება. ეს უბრალო და საშინელი ფაქტია. ისინი 40 000 არიან... ჩვენ თვალწინ, ამ საკვირველებით აღსავსე სატახტო ქალაქის ერთ უბანში, სიმდიდრის უამრავ დაგროვებასთან ერთად, რაც ოდესმე უხილავს ქვეყნიერებას, 40 000 ადამიანი უმწოდ შიმშილით კვდება! ეს ათასები ახლა სხვა კვარტალებს აწყვდება. მუდამ ნახევრად მშვიდნი, ისინი ჩაგვეყვირიან ყურში თავიანთ ტანჯვაზე, შეღალადებენ ზეცას, მოგვითხოვნი თავიანთ უბადრუკ ბინებზე, იმაზე, რომ მათთვის შეუძლებელია სამუშაოს შოვნა და ამათა მოწყალეობის თხოვნა. ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც დაბევრილნი არიან ღარიბთა სასარგებლოდ, სამრევლოების მხრივ წაყენებულ მოთხოვნათა გამო, თვითონაც პაუპერიზმის კიდეზე არიან მისულნი» («Standard», 5 April 1867).

რადგან ინგლისის კაპიტალისტებს შორის მოდად იქცა საქმის ისე დასურათება, თითქოს ბელგია მუშების სამოთხე იყოს, ვინაიდან იქ «შრომის თავისუფლება», ანუ, რაც იგივეა, «კაპიტალის თავისუფლება» არ არის დარღვეული არც ტრედ-უნიონების დესპოტიზმით და არც საფაბრიკო კანონებითო, — ამიტომ საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას ბელგიელი მუშის ბედნიერებაზე. უეჭველია, არაფერ არ იყო ისე ღრმად ჩახედული ამ ბედნიერების საიდუმლოებაში, როგორც განსვენებული ბ-ნი დიუკესიო, ბელგიის ციხეებისა და საქველმოქმედო საზოგადოებათა მთავარი ინსპექტორი და ბელგიის ცენტრალური სტატისტიკური კომისიის წევრი. ავიღოთ მისი თხზულება: «Budgets économiques des classes ouvrières en Belgique». Bruxelles 1855. აქ ჩვენ ვხედავთ, სხვათა შორის, ბელგიელი მუშის ნორმალურ ოჯახს, რომლის წლიური გასავალი და შემოსავალი ძალიან ზედმიწევნითი მონაცემების მიხედვით არის გამომანგარიშებული და რომლის კვების პირობები შემდეგ შედარებულია ჯარისკაცის, მეზღვაუ-

რისა და ტუსალის კვების პირობებთან. ოჯახი «შედგება მამის, დედისა და ოთხი ბავშვისაგან». ამ ექვსი სულიდან «ოთხი შეიძლება მთელი წელიწადი სასარგებლო შრომას ეწეოდეს»; იგულისხმება, «რომ მათ შორის არც ავადმყოფები არიან და არც შრომისუნარმოკლებულნი», რომ მათ არ მოსდით აგრეთვე «ხარჯები რელიგიური, მორალური და ინტელექტუალური მიზნებისთვის, გარდა ფრიად მცირე ხარჯებისა საეკლესიო სკამისათვის», არ უხდებათ «ფულის შეტანა შემნახველ სალაროში და არც სიბერისაგან დამზღვევ სალაროში», არც «ფუფუნების და ან სხვა რაიმე ზედმეტი ხარჯების გაწევა». მაგრამ მამა და უფროსი შვილი თამბაქოს წვევენ და კვირაობით ლუდ-ხანაში დადიან, რაზედაც მათ კვირაში მთელი 86 სანტიმი ეხარჯებათ. იმ ხელფასის საერთო შენაჯამიდან, რასაც, წარმოების სხვადასხვა დარგის მუშები იღებენ, გამომდინარეობს... რომ უმაღლესი დღიური ხელფასი საშუალოდ შეადგენს: 1,56 ფრ. მამაკაცებისათვის, 89 სანტიმს დედაკაცებისათვის, 56 სანტიმს ვაჟებისათვის და 55 სანტიმს ქალიშვილებისათვის. ამ გამოანგარიშებით ოჯახის წლიური შემოსავალი, სულ დიდი-დიდი, 1 068 ფრანკს შეადგენს... იმ ოჯახისთვის, რომელიც ჩვენ ტიპიურ ოჯახად მივიჩნით, ყველა შესაძლებელი შემოსავალი ვიანგარიშეთ. მაგრამ თუ დედის ხელფასსაც ვიანგარიშებთ, მაშინ ჩვენ ამით მოვამზორებთ ოჯახურ მეურნეობას მის ხელმძღვანელს; ვინ იზრუნებს ოჯახისათვის, პატარა ბავშვებისათვის? ვინ მოხარშავს? ვინ გარეცხავს? ვინ დააკერებს? ეს დილემა მუდამ დღე წამოიჭრება მუშის წინაშე.

ამის მიხედვით ოჯახის ბიუჯეტი ასეთი გამოდის:

მამა	300	სამუშაო დღე	1,56	ფრანკი	დღეში	468	ფრანკი
დედა	»	»	0,89	»	»	267	»
ვაჟი	»	»	0,56	»	»	168	»
ქალიშვილი	»	»	0,55	»	»	165	»

სულ 1 068 ფრანკი

ოჯახის წლიური გასავალი და მისი დეფიციტი შეადგენდა, თუ მუშას საზრდო ექნებოდა:

მეზღვაურის	1 828	ფრ.	დეფიციტი	760	ფრ.
ჯარისკაცის	1 473	»	»	405	»
ტუსალის	1 112	»	»	44	»

ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა ოჯახების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს შეუძლია თავი გამოიკვებოს არა ისე, როგორც იკვებება მეზღვაური ან ჯარისკაცი, არამედ თუნდაც ისე, როგორც იკვებება

ტუსადი. საშუალოდ ყოველი ტუსადი ბელგიაში 1847 — 1849 წლებში 63 სანტიმი ჯდებოდა დღეში, რაც მუშის ყოველდღიურ საკვებ ხარჯებთან შედარებით 13 სანტიმის განსხვავებას იძლევა. ციხის მმართველობისა და ზედამხედველობის ხარჯები ბათილდება იმით, რომ ტუსადი ბინის ქირას არ იხდის... მაგრამ, რით აიხსნება ის გარემოება, რომ მუშების დიდი რიცხვი, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა დიდი უმრავლესობა, ახერხებს კიდევ უფრო მცირე საშუალებებით ცხოვრებას? მხოლოდ იმით, რომ მუშები მიმართავენ ისეთ აუცილებელ საშუალებებს, რომელთა საიდუმლოებაც მხოლოდ მათ იციან; ისინი იმცირებენ დღიურ ულუფას; ჰამენ ჰეაგის პურს ხორბლის პურის ნაცვლად; ხორცს ცოტას ჰამენ ან სრულიად არ ჰამენ; იგივე ითქმის კარაქისა და ბოსტნეულის შესახებ; მთელი ოჯახი შეკუნჭულია ერთ ან ორ საკანში, სადაც გოგონებს და ბიჭებს ერთად სძინავთ, ხშირად ერთსა და იმავე თივის ლეიბზე; ისინი ზოგავენ ტანსაცმელს, თეთრეულს და სისუფთავის საშუალებებს; უარს ამბობენ უქმე დღეებში გართობაზე და, ერთი სიტყვით, უდიდეს გაჭირვებას იტანენ. რაკი ერთხელ მიაღწია მუშამ ამ უკიდურეს საზღვარს, საარსებო საშუალებათა ფასების სულ მცირე მომატება, მუშაობის რაიმე შეფერხება და ავადმყოფობა აძლიერებს მის სილატაკეს და მთლიანად ანადგურებს მას. ვალები მატულობს, კრედიტი ამოწურულია, ტანისამოსი და ყველაზე აუცილებელი ავეჯეულობა ლომბარდში იგზავნება და, ბოლოს, ოჯახი ღარიბთა სიაში ჩარიცხვას ითხოვს¹³⁷. ნამდვილად კი «კაპიტალისტების ამ სამოთხეშია აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასების სულ მცირე ცვლილებასთან სდევს სიკვდილის შემთხვევათა და ბოროტმოქმედებათა რიცხვის ცვლილება! (იხ. Manifest der Maatschappij: «De Vlamingen Vooruit! Brussel 1860», გვ. 15, 16.) მთელ ბელგიაში ირიცხება 930 000 ოჯახი, აქედან, ოფიციალური სტატისტიკით: 90 000 მდიდარი (ამომრჩეველი) = 450 000 სული; 390 000 ოჯახი წვრილი ბურჟუაზიისა, ქალაქის და სოფლის, რომლის დიდი ნაწილი მუდამ პროლეტარიატის რიგებში გადადის, = 1 950 000 სული. ბოლოს, 450 000 მუშის ოჯახი = 2 250 000 სული, რომელთაგანაც სანიმუშო ოჯახები სტკებებიან დიუკესიოს მიერ აღწერილი ბედნიერებით. 450 000 მუშის ოჯახიდან 200 000-ზე მეტი ღარიბთა სიაშია.

¹³⁷ D u c p é t i a u x: «Budgets économiques des classes ouvrières en Belgique», Bruxelles 1855, გვ. 151, 154, 155.

ე) ბრიტანეთის მიწათმოქმედი პროლეტარიატი

კაპიტალისტური წარმოებისა და დაგროვების ანტაგონისტური ხასიათი არსად არ ვლინდება იმაზე უფრო სასტიკად, ვიდრე ინგლისის მიწათმოქმედების (მეცხოველეობის ჩათვლით) პროგრესში და ინგლისის სოფლის მუშის რეგრესში. სანამ მის ახლანდელ მდგომარეობაზე გადავალ, ერთი თვალის გადავლებით შევეხები მის წარსულს. თანამედროვე მიწათმოქმედება ინგლისში მე-18 საუკუნის ნახევრიდან იწყება, თუმცა მიწის საკუთრების ურთიერთობაში მომხდარი გადატრიალება, საიდანაც, როგორც თავისი საფუძვლიდან, წარმოების წესის შეცვლა გამომდინარეობს, გაცილებით უფრო აღრინდელ ხანას მიეკუთვნება.

თუ ჩვენ ავიღებთ არტურ იუნგის, ზუსტი დამკვირვებლის, თუმცა ზერელე მოაზროვნის, მონაცემებს 1771 წლის სოფლის მუშის შესახებ, დავინახავთ, რომ ამ სოფლის მუშის როლი მეტად უზადრუკია მე-14 საუკუნის დამლევეს მის წინამორბედთან შედარებით, «როცა ამ უკანასკნელს დოვლათიანად ცხოვრება და სიმდიდრის დაგროვება შეეძლო»¹³⁸; აღარას ვიტყვით მე-15 საუკუნეზე, «ოქროს ხანაზე ინგლისელი მუშებისათვის სოფლად და ქალაქად». მაგრამ ჩვენ არ გვესაჭიროება ასე შორს დავიხიოთ უკან. 1777 წლის ერთ ფრიად შინაარსიან თხზულებაში ვკითხულობთ: «მსხვილი ფერმერი თითქმის ჯენტლმენის მდგომარეობამდე ამაღლდა, მაშინ როდესაც ღარიბი სოფლის მუშა თითქმის მიწასთანაა გასწორებული... მისი უბედური მდგომარეობა ნათლად წარმოგვიდგება, თუ შევადარებთ მისი ცხოვრების პირობებს ამჟამად და 40 წლის წინათ... მიწის მესაკუთრე და ფერმერი ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ მუშის დასაჩაგრავად»¹³⁹. შემდეგ ავტორი დაწვრილებით გვიჩვენებს, რომ რეალური ხელფასი სოფლად 1737 წლიდან 1777 წლამდე თითქმის ერთი მეოთხედით, ანუ 25%-ით, დაეცა. «თანამედროვე პოლიტიკა, — ამბობს იმავე

¹³⁸ James E. Th. Rogers (პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტში): «A History of Agriculture and Prices in England», Oxford 1866, ტ. I, გვ. 690. ეს გულდასმით დამუშავებული თხზულება, რომელიც დღემდე ორ ტომად არის გამოქვეყნებული, მოიცავს მხოლოდ 1259 — 1400 წლების პერიოდს. მეორე ტომი მხოლოდ სტატისტიკურ მასალას შეიცავს. ეს არის პირველი უტყუარ წყაროებზე დამყარებული «History of Prices» (ფასების ისტორია), რომელიც ჩვენ იმ დროისთვის მოგვეპოვება.

¹³⁹ «Reasons for the late Increase of the Poor-Rates; or, a comparative View of the Price of Labour and Provisions». London 1777, გვ. 5, 11.

დროს დ-რ რიჩარდ პრაისი, — მფარველობს ხალხის მაღალ კლასებს; ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ ადრე თუ გვიან სამეფოს მთელი მოსახლეობა მხოლოდ ჯენტლმენებისა და მათხოვრებისაგან, მაგნატებისა და მონებისაგან იქნება შემდგარია¹⁴⁰.

მიუხედავად ამისა, ინგლისელი სოფლის მუშის მდგომარეობა 1770 — 1780 წლებში, როგორც კვების და ბინის მხრივ, ისე სულიერი განწყობილების, გართობის და სხვ. მხრივ, წარმოადგენს იდეალს, რომელიც შემდეგში არასოდეს არ ყოფილა მიღწეული. მისი საშუალო ხელფასი, გამოხატული ხორბლის პინტებით, 1770 — 1771 წლებში 90 პინტს შეადგენდა, იდენის დროს (1797 წელს) — მხოლოდ 65-ს, 1808 წელს კი — სულ 60-ს¹⁴¹.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ სოფლის მუშების მდგომარეობა ანტი-იაკობინური ომის დასასრულს, როდესაც ასე უზომოდ მდიდრდებოდნენ მიწის არისტოკრატები, ფერმერები, მეფაბრიკენი, ვაჭრები, ბანკირები, ბირჟის რაინდები, არმიის მიმწოდებელნი და სხვ. ნომინალური ხელფასი გაიზარდა ნაწილობრივ ბანკის ბილეთების გაუფასურების გამო, ნაწილობრივ კი ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად პირველი საჭიროების საგანთა ფასების მომატების გამო. მაგრამ ხელფასის ნამდვილი მოძრაობის დადგენა შეუძლებელია ფრიად უბრალო წესით, დეტალებისადმი მიუპართავად, რაც აქ უადგილო იქნებოდა. ლარიბთა კანონი და სათანადო ადმინისტრაცია ერთი და იგივე იყო 1795 და 1814 წლებში. გავიხსენოთ, თუ როგორ სრულდებოდა ეს კანონი სოფლად: მოწყალეების სახით სამრევლო შეავსებდა ნომინალურ ხელფასს იმ მინიმუმამდე, რაც აუცილებელია მუშის გაჭირვებული არსებობისათვის. შეფარდება ფერმერის მიერ გადახდილ ხელფასსა და ამ ხელფასის იმ დეფიციტს შორის, რომელსაც შეავსებდა სამრევლო, გვიჩვენებს ორ რამეს: ჯერ-ერთი, ხელფასის დაცემას მის მინიმუმზე დაბლა, მეორე — იმას, თუ რამდენად

¹⁴⁰ Dr. Richard Price: «Observations on Reversionary Payments». მე-6 გამოც. By W. Morgan. London 1805, ტ. II, გვ. 158, 159. პრაისი 159 გვერდზე შენიშნავს: «სამუშაო დღის ნომინალური ფასი ამჟამად მხოლოდ 4-ჯერ ან, სულ დიდი, 5-ჯერ მეტია, ვიდრე 1514 წელს იყო. ხოლო პურის ფასი 7-ჯერ მეტია, ხორცისა და ტანსაცმლის — დაახლოებით 15-ჯერ. ამრიგად, შრომის ფასი ისე ძლიერ ჩამორჩა აუცილებელ საარსებო საშუალებათა ხარჯების ზრდას, რომ ამჟამად იგი ამ ხარჯებთან შეფარდებით, როგორც ჩანს, იმის ნახევარსაც კი არ შეადგენს, რასაც ის უწინ შეადგენდა».

¹⁴¹ «Barton: «Observations on the Circumstances which influence the Condition of the Labouring Classes of Society». London 1817, გვ. 26. მე-15 საუკუნის დამლევისათვის შეად. Eden: «The State of the Poor».

შედგებოდა სოფლის მუშა დაქირავებული მუშისა და პაუპერისაგან; ანდა იმას, თუ რამდენად იყო იგი გადაქცეული თავის სამრევლოს ყმად. ავიღოთ ისეთი საგრაფო, რომელიც ასახავს ყველა დანარჩენი საგრაფოსათვის დამახასიათებელ საშუალო მდგომარეობას. 1795 წელს საშუალო კვირეული ხელფასი ნორტჰემპტონშირში შეადგენდა 7 შილინგს და 6 პენსს, 6 სულისაგან შემდგარი ოჯახის წლიური ხარჯების მთელი ჯამი — 36 გირვანქა სტერლინგს, 12 შილინგს და 5 პენსს, მისი მთელი შემოსავალი — 29 გირვანქა სტერლინგს და 18 შილინგს, სამრევლოს მიერ შეესებული დეფიციტი — 6 გირვანქა სტერლინგს, 14 შილინგს და 5 პენსს. იმავე საგრაფოში კვირეული ხელფასი შეადგენდა 1814 წელს 12 შილინგს და 2 პენსს, 5 სული-საგან შემდგარი ოჯახის წლიური ხარჯების მთელი ჯამი — 54 გირვანქა სტერლინგს, 18 შილინგს და 4 პენსს, მისი მთელი შემოსავალი — 36 გირვანქა სტერლინგს და 2 შილინგს, სამრევლოს მიერ შეესებული დეფიციტი — 18 გირვანქა სტერლინგს, 16 შილინგს და 4 პენსს¹⁴²; 1795 წელს დეფიციტი შეადგენდა ხელფასის ერთ მეოთხედზე ნაკლებს, 1814 წელს — ნახევარზე მეტს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ პირობებში ის მცირეოდენი კომფორტი, რომელსაც ჯერ კიდევ ხედავდა იდენი სოფლის მუშის კოტეჯში, 1814 წლისათვის გაქრა¹⁴³. ყველა იმ ცხოველიდან, რომლებსაც ფერმერი ინახავს, ამიერიდან მუშა, *instrumentum vocale* [მეტყველი იარაღი], ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, რომელსაც ყველაზე მეტად ტანჯავენ, ყველაზე ცუდად კვებავენ და ყველაზე უხეშად ეპყრობიან.

საქმის ასეთი ვითარება მშვიდად გრძელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე 1830 წლის მღელვარე აჯანყებამ არ გვამცნო ჩვენ (ე. ი. გაბატონებულ კლასებს) ცეცხლმოკიდებული ძნების სინათლეზე, რომ სილატაკე და ყრუ მშფოთვარე უკმაყოფილება თანაბარი ძალით ღვივის როგორც მიწათმოქმედი, ისე ინდუსტრიული ინგლისის წიაღში¹⁴⁴. სედლერმა მაშინ თემთა პალატაში სოფლის მუშები «თეთრი მონების» («white slaves») სახელით მონათლა, ერთმა ეპისკოპოსმა გაიმეორა ეს ეპითეტი ზედა პალატაში. იმ დროის ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტი, ე. გ. უექფილდი ამბობს: «საიხრეთ ინგლისის

¹⁴² Parry: «The Question of the Necessity of the Existing Cornlaws Considered». London 1816, გვ. 86.

¹⁴³ იქვე, გვ. 213.

¹⁴⁴ S. Laing: «National Distress», 1844, გვ. 62.

სოფლის მუშა არ არის არც მონა და არც თავისუფალი ადამიანი, ის პაუპერიაა¹⁴⁵.

იმ ხანამ, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა პურის კანონების გაუქმებას, ახალი შუქი მოჰქონა სოფლის მუშების მდგომარეობას. ერთი მხრივ, ბურჟუაზიული აგიტატორების ინტერესს შეადგენდა დამეტიციებით, თუ როგორ ნაკლებად იცავდნენ მფარველობით საბაჟო კანონები პურის ნამდვილ მწარმოებლებს. მეორე მხრივ, მრეწველი ბურჟუაზია აღწვოთებული იყო ფაბრიკების მდგომარეობის გამომწვევებით მიწის არისტოკრატების მიერ, ამ გათახსირებულ, უგულო და წარჩინებულ უსაქმურთა ყალბი სიმპათიით ფაბრიკის მუშის ტანჯვისადმი და მათი «დიპლომატიური აღგზნებით» საფაბრიკო კანონმდებლობის სასარგებლოდ. ძველი ინგლისური ანდაზაა, რომ, თუ ორი ქურდი ერთმანეთს თმაში სწვდა, მუდამ სასარგებლო რამ მოხდებოდა. და მართლაც, მყვირალა და გააფთრებულმა დავამ გაბატონებული კლასის ორ ფრაქციას შორის იმ საკითხის შესახებ, თუ რომელი მათგანი უფრო უსირცხვილოდ ეწვევა მუშის ექსპლოატაციას, მარჯვნიდან და მარცხნიდან ხელი შეუწყო კემშარიტების გამორკვევას. გრაფი შეფტსბერი, იგივე ლორდი ეშლი, მოწინავე მებრძოლი იყო არისტოკრატების ფილანთროპიულ ლაშქრობაში ფაბრიკების წინააღმდეგ. ამიტომ იგი წარმოადგენდა 1844 — 1845 წლებში საყვარელ თემას «Morning Chronicle»-ისათვის მის მიერ მიწათმოქმედ მუშათა მდგომარეობის გამომკვლევების დროს. ამ გაზეთმა, იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანმა ლიბერალურმა ორგანომ, სოფლის ოლქებში გაგზავნა საკუთარი კომისრები, რომელნიც სრულიადაც არ დაკმაყოფილებულან საყოველთაო აღწერით და სტატისტიკით, არამედ გამოაქვეყნეს როგორც გამოკვლეული მუშათა ოჯახების, ისე მფლობელ მემამულეთა სახელები. შემდეგ ცხრილში (გვ. 851) მოყვანილია ხელფასი, რომელსაც იღებდნენ სამი სოფლის მცხოვრებნი ბლენფორდის, უიმბორნის და პულის მახლობლად. ეს სოფლები ბ-ნ ჯ. ბენკის და გრაფ შეფტსბერის საკუთრებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პაპი «low church»-ისა [დაბალი ეკლესიისა], ეს მეთაური ინგლისელი პიეტისტებისა, ისევე როგორც მისი თანაამხანაგი ბენკი, მუშების მათხოვრულ ხელფასს კიდევ საგრძნობ ნაწილს აკლებდნენ სახლის ქირის საბაზით.

¹⁴⁵ «England and America». London 1833, ტ. I, გვ. 47.

პირველი სოფელი

ა) ბავშვები		ბ) ოჯახის წევრთა რიცხვი		გ) ავირეული ხელფასი მამაკაცისა		დ) ავირეული ხელფასი ბავშვისა		ე) ავირეული შემოსავალი მთელი ოჯახისა		ფ) ავირეული ბინის ქირა		გ) მთელი ავირეული შემოსავალი ბინის ქირის გამოკლებით		ჰ) ავირეული ხელფასი სულზე	
		შ.	პ.					შ.	პ.	შ.	პ.	შ.	პ.	შ.	პ.
2	4	8	0	—	—	8	0	2	0	6	0	1	6		
3	5	8	0	—	—	8	0	1	6	6	6	1	3 ¹ / ₂		
2	4	8	0	—	—	8	0	1	0	7	0	1	9		
2	4	8	0	—	—	8	0	1	0	7	0	1	9		
6	8	7	0	1) 1 შ. 6 პ.; 2) 2 შ.		10	6	2	0	8	6	1	0 ¹ / ₄		
3	5	7	0	—	—	7	0	1	4	5	8	1	1 ¹ / ₂		

მეორე სოფელი

		შ.	პ.		შ.	პ.	შ.	პ.	შ.	პ.			
6	8	7	0	1) 1 შ. 6 პ.; 2) 1 შ. 6 პ.		10	0	1	6	8	6	1	0 ³ / ₄
6	8	7	0	—	—	7	0	1	3 ¹ / ₂	5	8 ¹ / ₂	0	8 ¹ / ₂
8	10	7	0	—	—	7	0	1	3 ¹ / ₂	5	8 ¹ / ₂	0	7
4	6	7	0	—	—	7	0	1	6 ¹ / ₂	5	5 ¹ / ₂	0	11
3	5	7	0	—	—	7	0	1	6 ¹ / ₂	5	5 ¹ / ₂	1	1

მესამე სოფელი

		შ.	პ.		შ.	პ.	შ.	პ.	შ.	პ.			
4	6	7	0	—	—	7	0	1	0	6	0	1	0
3	5	7	0	1) 2 შ.; 2) 2 შ. 6 პ.		11	6	0	10	10	8	2	1 ¹ / ₂
0	2	5	0	—	—	5	0	1	0	4	0	2	0 ¹ / ₂

პურის კანონების გაუქმებამ არაჩვეულებრივი ბიძგი მისცა ინგლისის მიწათმოქმედებას. დრენაჟი დიდი მასშტაბით¹⁴⁷, პირუტყვის

¹⁴⁶ «London Economist», 1845 წ. 29 მარტი, გვ. 290.

¹⁴⁷ ამ მიზნით მიწის არისტოკრატია თვითონ აძლევდა თავის თავს სესხად ფონდს სახელმწიფო სალაროდან, რასაკვირველია, პარლამენტის საშუალებით, ძალიან დაბალი პროცენტით, რომელიც ფერმერებს ორმაგად უნდა გადაეხადათ მისთვის.

ბაგური კვების და ხელოვნური საკვები ბალახის მოყვანის ახალი სისტემა, მექანიკური აპარატების შემოღება მიწის გასანოყიერებლად, თიხნარი ნიადაგის დამუშავების ახალი წესი, მინერალური სასუქის გაძლიერებული ხმარება, ორთქლის მანქანის და ყოველგვარი ახალი სამუშაო მანქანების გამოყენება და სხვ., საერთოდ — უფრო ინტენსიური კულტურა ახასიათებს ამ ეპოქას. სოფლის მეურნეობის სამეფო საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი პიუზეი ამტკიცებს, რომ (შეფარდებითი) სამეურნეო ხარჯები ახალი მანქანების შემოღების გამო თითქმის ნახევრად შემცირდა. მეორე მხრივ, მიწის აბსოლუტური მოსავლიანობა სწრაფად გადიდდა. მეტი კაპიტალის დახარჯვა თვითეულ აკრზე, მაშასადამე, იჯარის დაჩქარებული კონცენტრაცია, ახალი მეთოდის ძირითად პირობას შეადგენდა¹⁴⁸. ამავე დროს დასამუშავებელი მიწის ფართობი 1846 წლიდან 1865 წლამდე 464 119 აკრით გაფართოვდა, თუ აღარაფერს ვიტყვით აღმოსავლეთ საგრაფოების იმ დიდ ფართობზე, რომელიც ბაჭიებისათვის შემოღობილი ადგილებიდან და მწირი საძოვრებიდან რაღაც ჯადოსნობით მშვენიერ პურის ყანებად გადაიქცა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამასთანავე ერთად შემცირდა მიწათმოქმედებაში დასაქმებულ პირთა საერთო რიცხვი. რაც შეეხება საკუთრივ მიწის მუშებს ორივე სქესისა და ყველა ასაკისას, მათი რიცხვი 1 241 269-დან 1851 წელს დაეცა 1 163 227-მდე 1861 წელს¹⁴⁹. ამიტომ, თუ ინგლისელი გენერალური რეგისტრატორი სამართლიანად შენიშნავს: «ფერმერების და სოფლის მუშების ზრდა 1801 წლიდან არავითარ შესაბამისობაში არ არის მიწათმოქმედების პროდუქტის ზრდასთან»¹⁵⁰, ეს შეუსაბამობა გაცილებით უფრო მეტად ახასიათებს უკანასკნელ პერიოდს, როდესაც სოფლის მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება ხელიხელჩაკიდებული მიდი-

¹⁴⁸ საშუალო ფერმერების შემცირება მოჩანს განსაკუთრებით აღწერის რუბრიკებში: «ფერმერის ვაჟიშვილი, ქალიშვილი, შვილიშვილი, ძმა, და, ძმისწული, დისწული», მოკლედ — თვით ფერმერის საკუთარი ოჯახის წევრები, რომელნიც მასთან მუშაობენ. ამ რუბრიკებში ირიცხებოდა 1851 წელს 216 851 სული, 1861 წელს — მხოლოდ 176 151 სული. 1851 წლიდან 1871 წლამდე ინგლისში 20 აკრზე ნაკლები ფართობის ფერმები 900-ზე მეტად შემცირდა; ფერმები, რომელთა ფართობი 50 — 75 აკრს შეადგენდა, შემცირდა 8 253-დან 6 370-მდე; იგივე ითქმის ყველა დანარჩენ ფერმაზე, რომელთა ფართობი 100 აკრზე ნაკლები იყო. პირიქით, იმავე 20 წლის განმავლობაში მსხვილი ფერმების რიცხვი გაიზარდა; 300 — 500 აკრისა გაიზარდა 7 771-დან 8 410-მდე, 500 აკრზე მეტისა — 2 755-დან 3 914-მდე, 1 000 აკრზე მეტისა — 492-დან — 582-მდე.

¹⁴⁹ ცხვრების მწყემსთა რიცხვი გაიზარდა 12 517-დან 25 559-მდე.

¹⁵⁰ «Census etc.», ტ. III, გვ. 36.

ოდა დასამუშავებელი მიწის ფართობის გაფართოებასა, უფრო ინტენსიურ კულტურასა, მიწასთან შეერთებული და მის დასამუშავებლად გადაღებული კაპიტალის განსაცვიფრებელ დაგროვებასა, ინგლისის აგრონომიის ისტორიაში მიწის პროდუქტის უმაღალითო ზრდასთან, მიწის მესაკუთრეთა რენტიისა და კაპიტალისტური ფერმერების სიმდიდრის უზომო გადიდებასთან ერთად. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ საქონლის გამსალებელი საქალაქო ბაზრების განუწყვეტლივ სწრაფ გაფართოებას და თავისუფალი ვაჭრობის ბატონობას, მაშინ აღმოჩნდება, რომ სოფლის მუშა *post tot discrimina rerum* [ესოდენ მრავალი ხიფათის შემდეგ], ბოლოს, ჩაყენებული იყო ისეთ პირობებში, რომელთაც მისთვის *secundum artem* [თეორიის მიხედვით] უღარესი ბედნიერება უნდა მიენიჭებინათ.

პროფესორი როჯერსი, პირიქით, იმ დასკვნამდე მიდის, რომ დღევანდელი ინგლისელი სოფლის მუშის მდგომარეობა არაჩვეულებრივად გაუარესდა არა მარტო მისი წინამორბედების მდგომარეობასთან შედარებით მე-14 საუკუნის უკანასკნელ ნახევარში და მე-15 საუკუნეში, არამედ მისი წინამორბედების მდგომარეობასთანაც 1770 — 1780 წლების პერიოდში, რომ იგი კვლავ ყმა გახდა, სახელდობრ — ისეთი ყმა, რომელიც ცუდად იკვებება და ცუდ ბინაში ცხოვრობს¹⁵¹. დ-რ იულიანე ჰანტერი თავის საუცხოო მოხსენებაში სოფლის მუშათა ბინების შესახებ ამბობს: «hind-ის (სოფლის მუშის სახელწოდებაა, რომელიც ბატონყმობის ხანას ეკუთვნის) საარსებო ხარჯები განსაზღვრულია რაც კი შეიძლება მცირე რაოდენობით, რომლითაც მას შეუძლია იცხოვროს... მისი ხელფასი და ბინა სრულიად არ შეესაბამება მისგან გამოსაწოვ მოგებას. ფერმერის ანგარიშში იგი ნამდვილი ნულია¹⁵²... მისი საარსებო საშუალებანი ყოველთვის განიხილება როგორც მუდმივი ოდენობა»¹⁵³. «რაც შეეხება მისი შემოსავლის შემდგომ შემცირებას, მას შეუძლია თქვას: *nihil habeo, nihil curo* [არაფერი მაქვს და არაფერზე ვზრუნავ]. მას არ ეშინია მომავლის,

¹⁵¹ Rogers: «A History of Agriculture and Prices in England». Oxford 1866, ტ. I, გვ. 693. ბატონი როჯერსი ლიბერალურ სკოლას ეკუთვნის, კობდენის და ბრაიტის პირადი მეგობარია, მაშასადამე, არ არის *laudator temporis acti* [ძველი დროების თაყვანისმცემელი].

¹⁵² «Public Health. 7th Report». London 1865, გვ. 242. ამიტომ არაჩვეულებრივი არ არის, თუ ან სახლის პატრონი მოუმატებს ბინის ქირას, როგორც კი გაიგებს, რომ მუშა ცოტა მეტს გამოიმუშავებს, ანდა ფერმერი დაუკლებს მუშას ხელფასს, «რადგან მისმა ცოლმა სამუშაო იშოვა» (იქვე).

¹⁵³ იქვე, გვ. 135.

რადგან არაფერი გააჩნია გარდა იმისა, რაც მისი არსებობისათვის აბსოლუტურად აუცილებელია. მან გაყინვის წერტილს მიაღწია და ფერმერის ანგარიშიც აქედან გამომდინარეობს. რაც უნდა მოხდეს, მას წილი არ უდევს არც ბედნიერებაში და არც უბედურებაში¹⁵⁴.

1863 წელს მოხდა ოფიციალური გამოკვლევა იმ ბოროტმოქმედთა კვების და მუშაობის პირობებისა, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ გადასახლება და იძულებითი საზოგადოებრივი მუშაობა. ამის შედეგები მოთავსებულია ორ სქელ ლურჯ წიგნში. «გულდასმითი შედარება, — ნათქვამია იქ სხვათა შორის, — ინგლისის ციხეებში მყოფ ბოროტმოქმედთა საჭმლისა სამუშაო სახლების პაუპერების საჭმელთან და იმავე ინგლისის თავისუფალ სოფლის მუშების საჭმელთან უდავოდ ცხადყოფს, რომ პირველნი გაცილებით უკეთ იკვებებიან, ვიდრე რომელიმე ამ ორი დანარჩენი კლასიდანა¹⁵⁵, ხოლო ესამუშაოს რაოდენობა, რომელსაც საზოგადოებრივ სამუშაომისჯილთაგან მოითხოვენ, შეადგენს დაახლოებით იმის ნახევარს, რასაც ჩვეულებრივი სოფლის მუშა ასრულებსა¹⁵⁶. აი ზოგიერთი დამახასიათებელი მოწმის ჩვენება. ჯონ სმიტი, ედინბურგის ციხის დირექტორი, აჩვენებს, № 5056: «საჭმელი ინგლისის ციხეებში გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი სოფლის მუშების საჭმელია. № 5075: «ფაქტია, რომ შოტლანდიის ჩვეულებრივი მიწათმოქმედი მუშები ძალიან იშვიათად იღებენ რაიმე ხორცეულს». № 3047: «ხომ არ იცით რაიმე საფუძველი იმისა, რომ ბოროტმოქმედნი გაცილებით უფრო უკეთესად (much better) უნდა იკვებებოდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი სოფლის მუშები? — რასაკვირველია, არაა. № 3048: «მიგაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად შემდგომი ექსპერიმენტები იმისათვის, რომ იძულებითი საზოგადოებრივ სამუშაომისჯილ ტუსაღთა საჭმელი დაუახლოვდეს თავისუფალ სოფლის მუშათა საჭმელს?»¹⁵⁷ «სოფლის მუშას, — ნათქვამია იქ, — შეეძლო ეთქვა: მე ვეწევი მძიმე მუშაობას და საჭმელი საკმაოდ არა მაქვს. როდესაც ციხეში ვიყავი, ამდენს არ ვმუშაობდი და საჭმელი კი უხვად მქონდა, ამიტომ ჩემთვის უკეთესია ციხეში ვიყო, ვიდრე თავისუფლად»¹⁵⁸. იმ ცხრილებიდან, რომელნიც თანდართული

¹⁵⁴ იქვე, გვ. 134.

¹⁵⁵ «Report of the Commissioners... relating to Transportation and Penal Servitude». London 1863, გვ. 42, № 50.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 77. Memorandum by the Lord Chief Justice.

¹⁵⁷ იქვე, ტ. II, ჩვენებანი [გვ. 418, 239].

¹⁵⁸ იქვე, ტ. I, დანართი, გვ. 280.

აქვს მოხსენების პირველ ტომს, შედგენილია შემდეგი შედარებითი მიმოხილვა.

კვირეული საჯმლის ოდენობა^{168a}

	აზოტური შემაღვენილი ნაწილები	უაზოტო შე- მაღვენილი ნაწილები	მინერალური შემაღვენილი ნაწილები	საერთო ჯამი
ბოროტმოქმედისა პორტ- ლანდის ციხეში	უნცი 28,95	უნცი 150,06	უნცი 4,68	უნცი 183,69
სამეფო ფლოტის მეზღვაუ- რისა	29,63	152,91	4,52	187,06
ჯარისკაცისა	25,55	114,49	3,94	143,98
მეეტლისა (მუშის)	24,53	162,06	4,23	190,82
ასოთამწყობისა	21,24	100,83	3,12	125,19
სოფლის მუშისა	17,73	118,06	3,29	139,08

1863 წლის საექიმო კომისიის გამოკვლევის საერთო შედეგი, ხალხის იმ კლასთა კვების მდგომარეობის შესახებ, რომელნიც უფრო ცუდად საზრდოობენ, უკვე ცნობილია მკითხველისათვის. მას ახსოვს, რომ სოფლის მუშათა ოჯახების დიდი ნაწილის კვება იმ მინიმალურ დონეზე დაბლა დგას, რომელიც საჭიროა ჯიშისათვის და დაავადების თავიდან ასაცილებლად. ეს განსაკუთრებით ხდება კორნუოლის, დევონის, სომერსეტის, უილტისის, სტაფფორდის, ოქსფორდის, ბერკისის და ჰერტისის ყველა წმინდა სამიწათმოქმედო ოლქში. საჯმლის რაოდენობა, რომელსაც სოფლის მუშა იღებს, — ამბობს დრსმიტი, — მეტია, ვიდრე ამას გვიჩვენებს საშუალო რაოდენობა, რადგანაც იგი იღებს გაცილებით მეტ საარსებო საშუალებათა ნაწილს, აუცილებელს მისი შრომისთვის, ვიდრე მისი ოჯახის დანარჩენი წევრები; უფრო ღარიბ ოლქებში მას წილად ხვდება თითქმის მთელი ხორცი და ქონი. საჯმლის რაოდენობა, რომელიც წილად ხვდება ცოლს და აგრეთვე ბავშვებს ამ უკანასკნელთა სწრაფი ზრდის ხანაში, ბევრ შემთხვევაში, სახელდობრ — თითქმის ყველა საგრაფოში, მოკლებულია უმთავრესად აზოტსა¹⁶⁹. თვით ფერმერთან მცხოვრებ

^{168a} იქვე, გვ. 274, 275.

¹⁶⁹ «Public Health. 6th Report 1863», გვ. 238, 249, 261, 262.

მოჯამაგირეები და მომსახურე ქალები კარგად იკვებებიან. მათი რიცხვი 288 277-დან 1851 წელს შემცირდა 204 962-მდე 1861 წელს. ქალების შრომა ტრიალ მინდორზე, — ამბობს დ-რ სმიტი, — რაც უნდა ცუდი შედეგი მოსდევდეს მას საზოგადოდ, დღევანდელ პირობებში დიდად სასარგებლოა ოჯახისათვის, რადგან იგი აწვდის მას საშუალებას ფეხსაცმლისა და ტანისამოსის შესაძენად და ბინის ქირის გადასახდელად, და, ამრიგად, უკეთესი კვების შესაძლებლობას აძლევს მას¹⁶⁰. ამ გამოკვლევების ერთი ყველაზე შესანიშნავი შედეგი იყო იმ ფაქტის დადგენა, რომ სოფლის მუშა გაცილებით უფრო ცუდად იკვებება ინგლისში, ვიდრე შეერთებული სამეფოს დანარჩენ ნაწილში (is considerably the worst fed), როგორც ამას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

ნახშირბადის და აზოტის კვირეული მოხმარება
საშუალოდ თვითნაწილ სოფლის მუშაზე

	ნახშირბადი	აზოტი
ინგლისი	40 673 გრანი	1 594 გრანი
უელსი	48 354 „	2 031 „
შოტლანდია	48 980 „	2 348 „
ირლანდია	43 366 „	2 434 „ ¹⁶¹

¹⁶⁰ «Public Health. 6th Report 1863», გვ. 262.

¹⁶¹ იქვე, გვ. 17. ინგლისელი სოფლის მუშა იღებს რძის იმ რაოდენობის მხოლოდ მეოთხედს და პურის იმ რაოდენობის მხოლოდ ნახევარს, რასაც იღებს ირლანდიელი სოფლის მუშა. ამ უკანასკნელის კვების უკეთესი პირობები უკვე აღნიშნა ა. იუნგმა თავის «Tour in Ireland»-ში მიმდინარე საუკუნის დამდეგს. ამის მიზეზი უბრალოდ ის არის, რომ დარიბი ირლანდიელი ფერმერი გაცილებით უფრო ჭმანურია, ვიდრე მდიდარი ინგლისელი ფერმერი. რაც შეეხება უელსს, ტექსტში მოყვანილი ცნობები არ ვრცელდება მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე. ყველა იქაური ექიმი ერთხმად აღიარებს, რომ სიკვდილიანობის ნორმა, კლექის, სკროფულოზის და სხვ. გამო, ინტენსიურად მატულობს მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად და ამ გაუარესებას ყველა მიაწერს სიღარიბეს. სოფლის მუშის დღიური შენახვა იქ 5 პენსი ჯდება, ბევრ ოლქში ფერმერი (თვითონაც გაჭირვებული) ამაზე ნაკლებს იხდის. დამარილებული ხორცის ნაკერი, წითელ ხესავით გამაგრებული, რომელიც მონელების პროცესის ჯაფადაც არა ღირს, ანდა ქონის ნაკერი შეადგენს სანელებელ მასალას პურის ფეკელიისა და ხაზვის ანდა შვრიისაგან დამზადებული დიდი რაოდენობის ფაფისათვის, და ეს არის დღით-დღე სოფლის მუშის სადილი... მრეწველობის პროგრესს მისთვის ის შედეგი ჰქონდა, რომ ამ სუსხიან და ნესტიან ჰავაში

«დ-რ ჰანტერის მოხსენების ყოველი გვერდი, — ამბობს დ-რ ჰაიმონი თავის ოფიციალურ სანიტარულ მოხსენებაში, — მოწმობს ჩვენი სოფლის მუშის ბინის არასაკმაო რაოდენობას და უბადრუკ ხარისხს. და აი უკვე მრავალი წელია, რაც მისი მდგომარეობა ამ მხრივ პროგრესიულად უარესდება. ახლა გაცილებით უფრო ძნელია მისთვის

შინაურული წესით დამზადებული სქელი მათი განდევნილია იაფფასიანი ბამბის ქსოვილებით და უფრო მაგარი სასმელი — «ნომინალური» ჩაით... ქარსა და წვიმაში ზანგრძლივი მუშაობის შემდეგ მიწის მუშა თავის ქოხში ბრუნდება, რათა მიუჯდეს ტორფისაგან ან თიხისა და ქვანახშირის ნარჩენთა გორბისგან გადავივებულ ცეცხლს, რომელიც წვის დროს ნახშირის და გოგირდის მკვას ბოლს ახრჩოლებს. ქოხის კედლები წარმოადგენს თიხასა და ქვას, იატაკი — ცარიელ მიწას, რომელიც აქ ქოხის აშენებამდე იყო, სახურავი შეკაწიწებულია მიყრილ-მოყრილი ჩალის ღეროებისაგან. ჰითბოს შესანარჩუნებლად ყოველი ხერედი დაცობილია, და ჯოჯოხეთური სიმყარის ატმოსფეროში, ამ ტალანიან მიწაზე, იგი თავის ერთადერთ ტანისამოსში, რომელსაც ხშირად საკუთარ სხეულზე აშრობს, იწყებს ვახშობას თავის ცოლშვილთან. ბები-ქალები, რომელნიც იძულებულნი არიან გაატარონ ღამის ნაწილი ამ ქოხში, აგვიწერდნენ, თუ როგორ ეფლობოდათ მათ ფეხები მიწიანი იატაკის ტალახში და როგორ იყვნენ იძულებულნი — იოლად წასულიყვნენ — გაეხერხათ კედელში ხერედი, რათა ცოტა სუფთა ჰაერი მაინც შეესუნთქათ. მრავალი მოწმე, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე, გვიჩვენებს, რომ გლეხი, რომელიც არასაკმაოდ იკვებება (underfed), ყოველ ღამეს განიცდის ამასა და ჯანმრთელობისთვის სხვა სახიანო ჯავლებას, და მართლაც საკმაოდ მოიპოვება იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამის შედეგი სუსტი და სკრაფულოზიანი მოსახლეობაა... კარმარტენშირის და კარდიგანშირის სამრეწოლს მოსამსახურეთა ცნობები დამარწმუნებლად ადასტურებენ საქმის ასეთსავე მდგომარეობას. ამას ზედ ერთვის კიდევ უფრო დიდი ბოროტება — იდიოტიზმის გავრცელება. ახლა ორიოდ სიტყვა ჰაეის პირობების შესახებ. ძლიერი სამხრეთ-დასავლეთის ქარები უბერავენ მთელ მხარეს 8 — 9 თვეს წელიწადში, მათ თან სდევს კოკისპირული წვიმა, რომელიც უმთავრესად გორაკების დასავლეთ კალთებზე მოდის. ხეები იშვიათია და მხოლოდ მყუდრო ადგილებში მოიპოვება, გაშლილ ადგილას მათ ქარი ძირფესვიანად გლეჯს. ქოხები მთის ტერასებზეა მიკრული, ხშირად გამოქვაბულებში და ქვის სამტერეგებში, ამ საძირებზე შეიძლება იარსებოს მხოლოდ მეტად მომცრო ჯიშის ცხვარმა და ადგილობრივმა რქიანმა პირუტყვმა... ახალგაზრდები გლამორგენის და მონმაუტის სამთამადნო ოლქებში მიდიან... კარმარტენშირი მალაროს მუშების სანერგვა და მათი ინვალიდების სახლი... მოსახლეობა მხოლოდ გაჭირვებით ინარჩუნებს ერთ ღონეზე თავის რიცხვს. ასე, მაგალითად, კარდიგანშირში ირიცხებოდა:

		1861 წ.	1861 წ.
მამრობითი	სქესის	45 155	44 446
მდედრობითი	„	52 459	52 955
		97 614	97 401

(დ-რ ჰანტერის მოხსენება: «Public Health. 7th Report 1864». London 1865, 498 — 502, სხვადასხვა ადგილას).

საცხოვრებელი ბინის შოვნა, და თუ იშოვა, ეს ბინა გაცილებით უფრო ნაკლებად შეეფერება მის მოთხოვნილებებს, ვიდრე ეს, შეიძლება, ამ რამდენიმე ასეული წლის მანძილზე იყო. ეს ბოროტება სწრაფად იზრდება, განსაკუთრებით უკანასკნელი 30 ან 20 წლის განმავლობაში, და სოფლის მცხოვრების ბინის პირობები ამჟამად უაღრესად სავალალოა. იგი სრულიად უმწეოა ამ მხრივ, თუ ისინი, ვისაც მისი შრომა ამდიდრებს, არ მიიჩნევენ საჭიროდ მოეპყრან მას ერთგვარი თანაგრძობით. იშოვნის თუ არა მუშა საცხოვრებელ ბინას იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავეს, გამოსადეგი იქნება ეს ბინა ადამიანისათვის თუ ღორებისათვის, იქნება თუ არა მასთან გაშენებული პატარა ბაღი, რომელიც ასე ძლიერ ამსუბუქებს სიღარიბის ტვირთს, — ყველაფერი ეს დამოკიდებულია არა იმაზე, რომ მუშას აქვს სურვილი ან შესწევს უნარი გადაიხადოს სათანადო ბინის ქირა, არამედ — იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ სხვები ლუფლებას ისარგებლონ თავიანთი საკუთრებით სურვილისამებრ. რაც უნდა დიდი იყოს საიჯარო მიწის ნაკვეთი, არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც სავალდებულოდ ხდიდეს, რომ ამ მიწის ნაკვეთზე იმყოფებოდეს ბინების, და მით უმეტეს კარგი ბინების, განსაზღვრული რაოდენობა მუშებისათვის; აგრეთვე კანონი არ ანიჭებს მუშას არავითარ უფლებას იმ მიწის მიმართ, რომლისთვისაც მისი შრომა ისევე აუცილებელია, როგორც წვიმა და მზის შუქი... კიდევ ერთი საყოველთაოდ ცნობილი გარემოება ხრის სასწორს მის წინააღმდეგ... ეს არის ღარიბთა კანონის გავლენა მისი დადგენილებებით დასახლებისა და ღარიბთა სასარგებლოდ გადასახადით დაბეგვრის შესახებ¹⁶². მისი ზეგავლენით ყოველი სამრევლო ფულის მხრივ დანიტერესებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მასში მცხოვრებ სოფლის მუშათა რიცხვი, რადგან იმის ნაცვლად, რომ მიწის მუშაობამ მძიმე შრომით დაქანცულ მუშას და მის ოჯახს ნამდვილი და მუდმივი დამოუკიდებლობა მიანიჭოს, სამწუხაროდ, მას უმეტეს შემთხვევაში იგი აღრე თუ გვიან შემოვლილი გზით პაუპერიზმამდე მიჰყავს, პაუპერიზმამდე, რომელთანაც მუშა მთელი გზის მანძილზე იმდენად ახლოა, რომ ყოველი დაავადება ან რაიმე დროებითი უმუშევრობა აიძულებს მას უშუალოდ სამრევლოს დახმარებას მიმართოს. და ამიტომ მიწათმოქმედი მუშების ყოველი დასახლება სამრევლოში, ცხადია, მოასწავებს გადასახადის მომატებას ღარიბთა სასარგებლოდ... საკმარისია მხოლოდ

¹⁶² 1865 წელს ეს კანონი ოდნავ გაუმჯობესდა. გამოცდილება მალე გვიჩვენებს, რომ ამგვარი შეკრთება საქმეს არ შევლის.

გადაწყვეტონ მსხვილმა მიწათმფლობელებმა¹⁶³, რომ მათს მამულში არ უნდა იყოს მუშების არაერთი ბინები, და ისინი მაშინვე თავისუფლდებიან ნახევრად თავიანთი პასუხისმგებლობისაგან ლარიბთათვის. თუ რამდენად შეადგენდა ინგლისის კონსტიტუციისა და კანონის განზრახვას ამგვარი უცილობელი მიწის საკუთრების დაწესება, საკუთრებისა, რომელიც ლენდლორდს შესაძლებლობას აძლევს ამოიხმაროს თავისი საკუთრება როგორც მოესურვება, მოეპყრას მიწის მუშებს როგორც უცხოელებს და გააძევოს ისინი თავისი ტერიტორიიდან, — ეს ისეთი საკითხია, რომლის შესახებაც მსჯელობა ჩემს მოხსენებაში არ შედის... გაძევების ასეთი უფლება მარტო თვორია როდია. იგი უდიდესი მასშტაბით ხორციელდება პრაქტიკულად. ეს ერთი იმ გარემოებათაგანია, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა აქვს სოფლის მუშის საბინაო პირობებზე... იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია ბოროტება, შეიძლება ვიმსჯელოთ უკანასკნელი აღწერის საფუძველზე, რომლის მიხედვით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სახლებზე მოთხოვნა ადგილობრივ გაძლიერდა, ინგლისის 821 სხვადასხვა ოლქში სახლების ნგრევამ იმატა; ამრიგად, 1861 წელს მოსახლეობა, რომელიც 1851 წელთან შედარებით $5\frac{1}{2}\%$ -ით გაიზარდა, შეკუნძულ იქნა $4\frac{1}{2}\%$ -ით შემცირებულ სივრცეში, ამასთანავე მხედველობაში არ ვიღებთ იმ პირობას, რომელნიც იძულებული იყვნენ დაეკარგათ მკვიდრი მოსახლეობის უფლება (სახელდობრ — იმ სამრევლოებში, სადაც ისინი მუშაობენ)... როგორც კი მოსახლეობის აყრის პროცესი თავის მიზანს აღწევს, მისი შედეგი, ამბობს დ-რ ჰანტერი, მოჩვენებითი სოფელია (show-village), სადაც კოტეჯები მცირეოდენ რიცხვზეა დაყვანილი და სადაც არავის არა აქვს ცხოვრების უფლება, გარდა ცხვრის მწყემსებისა, მებაღეებისა და ნადირის დარაჯებისა, გარდა ამ მუდმივ მსახურთა, რომელნიც ჩვეულებრივ მოწყალე ბატონის შედარებით უკეთესი მოპყრობით სარგებლობენ¹⁶⁴. მაგრამ მიწა დამუშავებას საჭიროებს, და ჩვენ ვხედავთ, რომ მუშები,

¹⁶³ შემდგომის გასაგებად: close villages (ჩაკეტილი სოფლები) ეწოდება იმ სოფლებს, რომელთა მიწის შესაკუთრებ ერთი ან ორი მსხვილი ლენდლორდია; open villages (ღია სოფლები) — სადაც მიწა მრავალ წვრილ შესაკუთრეს ეკუთვნის. სწორედ ამ უკანასკნელ ადგილებზე შეუძლიათ მშენებელ სპეკულანტებს ააგონ კოტეჯები და საცხოვრებელი სახლები.

¹⁶⁴ ასეთი მოჩვენებითი სოფელი ძალიან კოხტად გამოიყურება, მაგრამ იგი ისევე არარეალურია, როგორც სოფლები, რომლებსაც ხედავდა ეკატერინე II ყირიმში მოგზაურობის დროს. უკანასკნელ ხანებში ძვირად ცხვრების მწყემსსაც აძევებენ ამ show-villages-იდან. მაგალითად, მარკეტ ჰარბორის მახლობლად ცხვრების საძვარია,

რომელიც ამ საქმეს აკეთებენ, მიწის მესაკუთრესთან კი არ ცხოვრობენ, არამედ მოდიან რომელიმე ღია სოფლიდან, რომელიც აქედან დაშორებულია შეიძლება სამი მილით, სოფლიდან, სადაც ისინი მიიღო მრავალრიცხოვანმა წვრილმა სახლის მესაკუთრემ მას შემდეგ, რაც მუშების კოტეჯები დანგრეულ იქნა ჩაკეტილ სოფლებში. იქ, სადაც ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ ეს შედეგი იქნას მიღწეული, კოტეჯები უმთავრესად თავიანთი უბადრუკი სახით ღალატდებიან იმ ბედზე, რომელიც მათი ხვედრია. ისინი ბუნებრივი რღვევის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. სანამ სახლის სახურავი არ დაშლილა, მუშას ნება ეძლევა გადაიხადოს ბინის ქირა, და იგი ხშირად ძლიერ მოხარულია, რომ ამის ნებას აძლევენ, თუნდაც რომ მას ისეთი ფასის გადახდა მოუხდეს, როგორსაც კარგი ბინისთვის იხდიან. მაგრამ არავითარი რემონტი, არავითარი გაუმჯობესება, გარდა იმისა, რის გაკეთებასაც თვით მათხოვარივით ღარიბი მდგმური შეძლებს. ბოლოს, როდესაც სადგომი სრულიად გამოუსადეგარი გახდება საცხოვრებლად, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთი დანგრეული კოტეჯით მეტი იქნება და ამდენადვე დაიკლებს გადასახადიც ღარიბთა სასარგებლოდ. მაშინ როდესაც მსხვილი მესაკუთრენი ამ გზით თავიდან იშორებენ ღარიბთა გადასახადს მათი კუთვნილი მიწებიდან მოსახლეობის გაძევებით, უახლოესი დაბა-ქალაქები ანდა ღია ადგილები იღებენ ამ გაძევებულ მუშებს; უახლოესი, ვამბობ, თუმცა ეს უახლოესია შეიძლება 3—4 მილის მანძილით იყოს დაშორებული იმ ფერმას, სადაც მუშამ ყოველდღიურად მძიმე შრომა უნდა გასწიოს. ამრიგად, მის დღიურ შრომას, თითქოს ეს არაფერი იყოს, ემატება კიდევ ყოველდღე 6—8 მილის გავლის აუცილებლობა, რათა მან დღიური ლუკმა იშოვოს. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, რომელსაც მისი ცოლშვილი ასრულებს, ამჟამად იმავე მძიმე პირობებში წარმოებს. მაგრამ ეს კიდევ არ არის მთელი ბოროტება, გამოწვეული სამუშაო ადგილის სიშორით. ღია ადგილებში მშენებელი სპეკულანტები ყიდულობენ მიწის მცირე ნაკვეთებს, რომლებსაც ისინი ფარავენ რაც შეიძლება მჭიდროდ ყველაზე იაფფასიანი ქონხანებით. და აი ამ უბადრუკ ბინებში, რომელთაც, თუნდაც რომ გაშლილ ველებს ესაზღვრებოდნენ, ქალაქის ყველაზე უფარვისი ბინების უსა-

თითქმის 500 აკრი, რომელიც მხოლოდ ერთი ადამიანის შრომას მოითხოვს. გრძელი სავალი გზის შესამოკლებლად ამ ფართო ველებზე, ლესტერის და ნორტჰემპტონის მშენებელ საძოვრებზე, მწყემსს ჩვეულებრივად ფერმის ტერიტორიაზე აძლევდნენ კოტეჯს. ახლა მას მეცამეტე შილინგს აძლევენ ბინისთვის, რომელიც მან უნდა ეძებოს რომელიმე შორეულ ღია სოფელში.

შინგლესი ნიშნები ახასიათებს, მოთავსებული არიან ინგლისის მიწათმოქმედი მუშები¹⁸⁵... მეორე მხრივ, სრულიად არ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ მიწაზე მობინადრე მუშაც კი, რომელსაც იგი ამუშავებს, შოულობს იქ საცხოვრებელ ბინას, როგორც ეს მწარმოებლური შრომით საესე მის ცხოვრებას შეეფერება. თავადების მამულებშიც კი მუშის კოტეჯი ხშირად ყოველად უმწეო მდგომარეობაშია. არიან ისეთი ლენდლორდები, რომლებსაც თავლებიც კი საკმაოდ მიაჩნიათ თავიანთი მუშებისა და მათი ოჯახებისათვის და რომელნიც მიუხედავად ამისა, არ თაკილობენ, რომ მათი გაჭირავებით რაც შეიძლება მეტი ფული ჩაიჯიბონ¹⁸⁶. დაე ეს იყოს სრულიად დანგრეული ქოხი ერთი

¹⁸⁵ ამუშათა სახლები (ღია ადგილებში, რომელნიც, რასაკვირველია, მუდამ ხედმეტად ავსებულია) ჩვეულებრივ მწყრივად არის გაშენებული და უკანა მხრით მიქცეულია მიწის იმ მცირე ნაკვეთის განაპირა საზღვარზე, რომელსაც მშენებელი სპეკულანტი თავისად თვლის. ამიტომ სინათლე და ჰაერი იქ შეიძლება მხოლოდ წინამხრიდან შევიდეს» (ღ-რ ჰანტერის მოხსენება: «Public Health. 7th Report 1864». London 1865, გვ. 135). ძალიან ხშირად ლუდხანის პატრონი ან მეწვრილმანე სოფლად სახლებსაც აჭირავებს. ამ შემთხვევაში სოფლის მუშისათვის იგი ფერმერის გვერდით მეორე ბატონს წარმოადგენს. მუშა ამავე დროს მისი მუშტარიც უნდა იყოს. «10 შილინგით კვირაში, წლიური ბინის ქირის — 4 გირვანქა სტერლინგის გამოკლებით, იგი ვალდებულია იყიდოს ჩაისი, შაქრის, ფქვილის, საპნის, სანთლის, ლუდის განსაზღვრული რაოდენობა იმ ფასებში, რომელთაც მეწვრილმანე მოისურვებს» (იქვე, გვ. 132). ეს ღია სოფლები ნამდვილად ინგლისის მიწათმოქმედი პროლეტარიატის «გამასწორებელ კოლონიებს» წარმოადგენენ. მრავალი კოტეჯი ნამდვილი ღამის გასათევი სახლია, სადაც გავლით თავს იყრის ახლობელი არემარის მოხეტიალე ბრბო. მიწის მუშა და მისი ოჯახი, რომელნიც ხშირად, სწორედ რომ განსაკვირვებლად, ხასიათის სიფაქიზე და სიწმინდეს გათახსირებულ პირობებში ინარჩუნებენ, აქ აუცილებლად ილუბებიან. წარჩინებულ შეილოკებს შორის, რასაკვირველია, მოდად შემოვიდა ფარისეულურად მხრები აათამაშონ მშენებელი სპეკულანტების, წვრილ მესაკუთრეთა და ღია სოფლების გახსენებაზე. რა თქმა უნდა, მათ კარგად იციან, რომ მათი «ჩაკეტილი სოფლები და მოჩვენებითი სოფლები» წარმოადგენენ «ღია სოფლების» სამშობლოს და უამისოდ ვერც იარსებებდნენ. «ღია სოფლების წვრილ მესაკუთრეთა გარეშე სოფლის მუშების უდიდესი ნაწილი იძულებული იქნებოდა ღამე გაეთია იმ მამულების ხეშტევეშ, სადაც ისინი მუშაობენ» (იქვე, გვ. 135). «ღია» და «ჩაკეტილი» სოფლების სისტემა გაბატონებულია მთელ შუა და აღმოსავლეთ ინგლისის საგრაფოებში.

¹⁸⁶ «სახლის გამჭირავებელი (ფერმერი ან ლენდლორდი) მდიდრდება პირდაპირ ან არაპირდაპირ იმ კაცის შრომით, რომელსაც იგი 10 შილინგს აძლევს კვირაში, და ისევე ართმევს ამ ღირებ 4 ან 5 გირვანქა სტერლინგს სახლის წლიური ქირის სახით; ეს სახლები საჯაროდ რომ გაიყიდოს ბაზარზე, სულ 20 გირვანქა სტერლინგი არა ღირს, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ ხელოვნურ ფასებს იმიტომ, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს უთხრას თავის მდგმურს: «ან დაიჭირავე ჩემი სახლი, ან აიბარავე და სხვა ბინა იშოვე ჩემგან შრომის მოწმობის მოუცემლად... თუ ადამიანი მოისურვებს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას და წავა რკინიგზაზე ლიანდაგების დასაგებად ან ქვის

საძინებელი საკნით, მოკლებული ცეცხლის კერას, ფეხისადგილს, გასაღებ ფანჯარას, წყალსადენს, თუ ორმოდან გამონადენ წყალს არ ჩავთვლით, მოკლებული ბაღს, — მუშა უძღურია ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. და ჩვენი სანიტარულ-პოლიციური კანონები (The Nuisances Removal Acts) მხოლოდ მკედარ ასო-ანბანს წარმოადგენენ. მათი შესრულება ხომ დაკისრებული აქვს სწორედ იმ მესაკუთრეებს, რომელნიც ასეთ ხერხებს აჭირავენ... არ უნდა გვიხვედეს თვალებს ზოგიერთი გამონაკლისი და სინათლით მოსილი ცალკეული სურათები, და არ უნდა აეუხვიოთ გვერდი ისეთ ფაქტებს, რომლებიც ინგლისის ცივილიზაციას სამარცხვინო ლაქად აზის. და მართლაც, რა შემზარავი უნდა იყოს საქმის მდგომარეობა, თუ, მიუხედავად არსებული ბინების აშკარა საშინელებისა, კომპეტენტური დამკვირვებელი ერთხმად აღიარებენ, რომ ბინების საყოველთაო უვარგისობაც კი შეუდარებლად უფრო მცირე ბოროტებაა იმასთან შედარებით, რასაც მათი რიცხობრივი ნაკლებობა წარმოადგენს. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც სოფლის მუშათა ბინების სივიწროვე ღრმა მწუხარების საგანია არა მარტო იმ ადამიანთათვის, რომელნიც ჯანმრთელობისათვის ზრუნავენ, არამედ — ყველა იმათთვის, ვინც საერთოდ წესიერ და ზნეობრივ ცხოვრებას აფასებს. მართლაც, სულ ახლად და ახლად, თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით, რომელნიც სტერეოტიპულად გვეჩვენება, მომხსენებლები ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების შესახებ სასოფლო ოლქებში აღნიშნავენ ბინების სივიწროვეს როგორც მიზეზს, რომელიც აქარწყლებს ყოველგვარ ცდას, — შეჩერებულ იქნას ერთხელ გავრცელებული ეპიდემიის განვითარება. ახლად და ახლად აღნიშნავენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ თუმცა სოფლის ცხოვრებას ადამიანის ჯანმრთელობაზე უაღრესად კარგი გავლენა აქვს, მაგრამ მოსახლეობის სიმჭიდროვე, რომელიც ასე ძლიერ აჩქარებს გადამდები სენის გავრცელებას, იმავე დროს ხელს უწყობს არაგადამდები სენის წარმოშობასაც. და იმ პირთ, რომელთაც ეს მდგომარეობა გამოამჟღავნეს, არ დაუფარავთ შემდგომი უბედურებანიც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათს თავდაპირველ თემას

სამტკრეველ, იგივე ძალა მიმართავს მას ამ სიტყვებით: «იმუშავე ჩემთვის ამ დაბალ ხელფასზე ანდა აიბარგე ერთი კვირით ადრე გაფრთხილების შემდეგ; თან წაიყვანე შენი ღორიც, თუკი ასეთ მოგვაპოვება, შემდეგ კი ვნახოთ, რას მოგიტანს ის კარტოფილი, რომელიც შენს ბოსტანში მოდის». ხოლო თუ მესაკუთრეს მისი ინტერესი სხვა ზომებს უპარნახებს, მაშინ იგი (ან ფერმერი) ასეთ შემთხვევაში არჩევს ბინის ქირის მომატებას, როგორც ჯარიმას სამსახურიდან გაქცევისათვის» (დ-რ ჰანტერი, იქვე, გვ. 132).

შხოლოდ ჯანმრთელობისათვის ზრუნვა შეადგენდა, ისინი თითქმის იძულებულნი იყვნენ საგნის მეორე მხარის განხილვაშიც შესულიყვნენ. როდესაც ისინი აღნიშნავდნენ, თუ რაოდენ ხშირია შემთხვევა, როცა ორივე სქესის სრულწლოვანნი, ცოლიანები და უცოლონი, ერთად არიან შეყრილნი (huddled) ვიწრო საწოლ ოთახებში, მათ მოხსენებებს ის რწმენა უნდა გამოეწვიათ, რომ აღწერილ პირობებში ყველაზე უხეშად ილახება სირცხვილისა და წესიერების გრძნობა და თითქმის აუცილებლად ისპობა ყოველგვარი მორალი¹⁶⁷... მაგალითად, ჩემი უკანასკნელი მოხსენების დანართში, დ-რ ორდი თავის მოხსენებაში ტიფის გავრცელების შესახებ უინგში, ბეკინგჰემშირში, იხსენიებს ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ტიფით დაავადებული მივიდა იქ უინგრევიდან. თავისი ავადმყოფობის პირველ დღეებში მას ეძინა სხვა 9 სულთან ერთ ოთახში. ორ კვირაში სხვებიც ავად გახდნენ, რამდენიმე კვირის განმავლობაში 9 სულიდან 5 ავად გახდა ტიფით და ერთი მოკვდა კიდევ! იმავე დროს დ-რ ჰარვეი, სენტ ჯორჯის ჰოსპიტლის ექიმი, რომელიც ეპიდემიის დროს უინგში დადიოდა თავისი კერძო პრაქტიკის გამო, ასეთსავე ცნობებს მაწუდის: «ერთ ახალგაზრდა ქალს, ტიფით დაავადებულს, ღამე ერთ ოთახში ეძინა მამასთან, დედასთან, თავის უკანონო შვილთან, ორ ახალგაზრდა კაცთან — თავის ძმებთან, და თავის ორ დასთან, რომელთაგან თვითეულს უკანონო შვილი ჰყავდა, სულ 10 სულს. რამდენიმე კვირის წინათ იმავე ოთახში 13 ბავშვს ეძინა»¹⁶⁸.

დ-რ ჰანტერმა გამოიკვლია სოფლის მეურნეების 5 375 კოტეჯი არა მარტო წმინდა სამიწათმოქმედო ოლქებში, არამედ ინგლისის ყველა

¹⁶⁷ ახლად დაქორწინებულნი არავითარ მისაბამ მაგალითს არ წარმოადგენენ მოზრდილი ძმებისა და დებისთვის, რომელთაც იმავე ოთახში სძინავთ; და თუმცა ამ მაგალითების რეგისტრაცია შეუძლებელია, მაგრამ მოიპოვება საცქაო საბუთი იმ მტკიცების გასამართლებლად, რომ დიდი ტანჯვა და ხშირად სიყვდილიც წილად ზღდება ქალებს, რომელნიც სისხლის აღრევის დანაშაულს სჩადიან». (დ-რ ჰანტერი იქვე, გვ. 137). სოფლის ერთი პოლიციელი მოხელე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფარული აგენტი იყო ლონდონის ყველაზე ცუდ კვარტალებში, თავისი სოფლის ქალიშვილების შესახებ ამბობს: «ასეთი უხეში უზნეობა ახალგაზრდულ ასაკში, ასეთი თავაშვებულობა და უსირცხვილობა მე არასოდეს არ მინახავს ჩემი პოლიციური სამსახურის დროს ლონდონის ყველაზე ცუდ ნაწილებში... ისინი ღორებივით ცხოვრობენ; მოზრდილ ვაჟებს და ქალიშვილებს, დედებს და მამებს — ყველას ერთ ოთახში სძინავს» («Children's Employment Commission. 6th Report. London 1867, დანართი, გვ. 77, № 155).

¹⁶⁸ «Public Health. 7th Report 1864», გვ. 9 — 14, სხვადასხვა ადგილას.

საგრაფოში. ამ 5 375 კოტეჯიდან 2 195-ში მხოლოდ თითო დასაძინებელი ოთახი იყო (ხშირად იგივე საცხოვრებელი ოთახი), 2 930-ში მხოლოდ ორ-ორი და 250-ში ორზე მეტი. მომყავს აქ მოკლე ცნობები თორმეტი საგრაფოს მდგომარეობის შესახებ.

1) ბ ე დ ფ ო რ დ შ ი რ ი

რესლინგფორტი: საწოლი ოთახი დაახლოებით 12 ფუტია სიგრძით და 10 სიგანით, თუმცა ბევრი ამაზე უფრო პატარაც არის. პატარა ერთსართულიანი ქოხი ხშირად გატიხრულია ფიცრით ორ საწოლ ოთახად, ხშირად ერთი საწოლი მოთავსებულია სამზარეულოში, რომლის სიმაღლევც 5 ფუტს და 6 დუიმს უდრის. სახლის ქირა 3 გირვანქა სტერლინგია. მდგმურებმა თვითონ უნდა აიშენონ ფეხისადგილი, სახლის პატრონი მათ მხოლოდ ორმოს აძლევს. ხშირია, რომ, როცა ერთი აკეთებს ფეხისადგილს, მით ყველა მეზობელი სარგებლობს. სახლი, სადაც ცხოვრობს ერთი ოჯახი, გვარად რიჩარდსონი, თავისი სილამაზით შეუდარებელია. ამისი კირის კედლები გაფუყულია, როგორც ქალის კაბა რევერანსის დროს. სახლის სახურავის ერთი ნაწილი ამოზნექილია, მეორე ჩაზნექილი, და ამ უკანასკნელზე საცოდავად დგას საკვამური, თიხისა და ხისაგან გაკეთებული მოღრეცილი მილი, რომელიც სპილოს ხორთუმს წააგავს. ამ მილს გრძელი ჯოხი აქვს მიდგმული საყრდენ ბოძად, რომ არ ჩამოვარდეს, კარი და ფანჯარა რომბის ფორმისაა. გამოკვლეული 17 სახლიდან მხოლოდ 4-შია თითო საწოლ ოთახზე მეტი და ეს 4 სახლიც მთლად გავსებულია. ერთ სახლში, რომელსაც მხოლოდ ერთი საწოლი ოთახი ჰქონდა, მოთავსებული იყო 3 მოზრდილი და 3 ბავშვი, მეორეში — ცოლქმარი და 6 ბავშვი და სხვ.

დენტონი: ბინის ქირა დიდია, 4—5 სტერლინგამდე, მამაკაცების კვირეული ხელფასი — 10 შილინგია. მათ იმედი აქვთ, რომ ბინის ქირას დაფარავენ ჩალის დაწვით, რასაც ოჯახი ეწევა. რაც უფრო მეტია ბინის ქირა, მით უფრო ბევრნი უნდა მოთავსდნენ ერთად, რათა გადაიხადონ იგი. 6 სული უფროსები, რომელნიც 4 ბავშვთან ერთადერთ საწოლ ოთახში არიან მოთავსებულნი, იხდიან ბინის ქირას 3 გირვანქა სტერლინგს და 10 შილინგს. ყველაზე იაფი სახლი დენტონში, სიგრძით გარედან 15 ფუტი, სიგანით 10, ქირავდება 3 გირვანქა სტერლინგად. გამოკვლეული 14 სახლიდან მხოლოდ 1-ში იყო 2 საწოლი ოთახი. სოფლის წინ სახლია, გარედან სრულიად

გაბინძურებული მდგმურების მიერ, კარების ქვეითა ნაწილი 9 დუი-ში გამჭრალა სიღამპლისაგან, კარის ნაცვლად უბრალო ხერელია. რომელიც საღამომობით მოხერხებულად იხურება შიგნიდან აგურებით და ჭილობჩამოფარებულია. ნახევარი ფანჯარა, მინაც და ჩარჩოც უკვალოდ დაკარგულა. აქ უავეჯოდ შეხიზნულები არიან ერთად 3 მოზრდილი და 5 ბავშვი. დენტონი ბიგლსუეიდ უნიონის სხვა ნაწილზე უარესი არ არის.

2) ბერკშირი

ბინჰემი: 1864 წლის ივნისს ერთ ცენტ-ში (ერთსართულიან კოტეჯში) ცხოვრობდნენ ქმარი, ცოლი და 4 ბავშვი. ერთი ქალიშვილი დაბრუნდა სამუშაოდან სახლში ქუთორუშით დაავადებული. ის გარდაიცვალა. ერთი ბავშვი ავად გახდა და მოკვდა. დედა და ერთი ბავშვი ტიფით იყვნენ ავად, როდესაც დ-რ ჰანტერი მიიწვიეს. მამას და ერთ ბავშვს გარეთ ეძინათ, მაგრამ თუ რა ძნელი იყო აქ იზოლაციის უზრუნველყოფა, ეს იქიდან ჩანს, რომ გადამდებენიანი ოჯახის საცვლები გარეცხვის მოლოდინში საცოდავი სოფლის ხალხით გაქედილ საბაზრო მოედანზე ეყარა. სახლის ბინის ქირა 1 შილინგია კვირაში; ერთი საწოლი ოთახი ცოლქმრისა და 6 ბავშვისთვის. ერთი სახლი ქირავდება 8 პენსად (კვირაში), სიგრძით 14 ფუტი და 6 დუიმი. სიგანით 7 ფუტი, სამზარეულო — 6 ფუტის სიმაღლით; საწოლ ოთახს არც ფანჯარა აქვს, არც ცეცხლის კერა, არც კარი, არც ღია ადგილი გარდა გასასვლელისა, არავითარი ბალი. დიდი ხანი არაა, რაც აქ ცხოვრობდა ერთი კაცი ორი მოზრდილი ქალიშვილით და ერთი მოზარდი ვაჟიშვილით, მამას და შვილს საერთო საწოლზე ეძინათ. ქალიშვილებს დერეფანში. ვიდრე ეს ოჯახი აქ ცხოვრობდა, თვით-ულ ამ ქალიშვილს ბავშვი ეყოლა; ერთი სამუშაო სახლში წავიდა მოსალოცინებლად და შემდეგ შინ დაბრუნდა.

ე) ბეკინგჰემშირი

30 კოტეჯში — 1 000 აკრ მიწაზე — ცხოვრობს აქ დაახლოებით 130 — 140 სული. ბრედენჰემის სამრეველოს 1 000 აკრი უჭირავს; 1851 წელს იქ იყო 36 სახლი და მოსახლეობა, რომელიც შედგებოდა 84 მამაკაცისაგან და 54 დედაკაცისაგან. ეს სქესობრივი შეუსაბამობა შესუსტდა 1861 წელს, როდესაც ირიცხებოდა 98 მამრობითი და 87 მდედრობითი სქესის მცხოვრები; 10 წლის განმავლობაში მოემატა

14 მამაკაცი და 33 დედაკაცი; სახლების რიცხვი კი ამავე დროს შემცირდა ერთით.

უინსლო: მისი დიდი ნაწილი ახლად არის აშენებული კარგი სტილით; სახლებზე მოთხოვნა, ეტყობა, მნიშვნელოვანია, რადგან ეს უბადრუკი კოტეჯები ქირავდება 1 შილინგად, 1 შილინგად და 3 პენსად კვირაში.

უოტერ იტონი: აქ მესაკუთრებმა მოსახლეობის ზრდის გამო არსებული სახლების თითქმის 20% დაანგრიეს. ერთმა ღარიბმა მუშამ, რომელსაც თავის სამუშაომდე თითქმის 4 მილის გავლა უხდებოდა, შეკითხვაზე, ნუთუ მას არ შეეძლო უფრო ახლო დაექირავებინა კოტეჯი, ასე უპასუხა: «არა, ისინი მეტად ერიდებიან მდგმურად აიყვანონ ჩემისთანა დიდი ოჯახის მქონე ადამიანი».

ტინკერს ენდი, უინსლოს მახლობლად: ერთი საწოლი ოთახი, სადაც ცხოვრობს 4 მოზრდილი და 4 ბავშვი, სიგრძით 11 ფუტი, სიგანით 9 ფუტი, სიმაღლით 6 ფუტი და 5 დუიმი უმაღლეს პუნქტზე; მეორე, სადაც მოთავსებულია 6 სული, სიგრძით 11 ფუტი და 3 დუიმი, სიგანით 9 ფუტი, სიმაღლით 5 ფუტი და 10 დუიმი. თვითვე ამ ოჯახზე უფრო ნაკლები ფართობი მოდის, ვიდრე კატორღამისჯილზე. არც ერთ სახლს ერთ საწოლ ოთახზე მეტი არა აქვს, არაერთი უკანა კარი, წყალი ძალიან იშვიათია. ბინის ქირა — 1 შილინგი და 4 პენსიდან 2 შილინგამდე კვირაში. გამოკვლეული 16 სახლის მდგმურებიდან მხოლოდ ერთადერთი კაცი შოულობდა 10 შილინგს კვირაში. ჰაერის მარაგი, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში თვითვე სულზე მოდის, უდრის იმას, რაც წილად ხედებოდა ადამიანს, გამომწყვდეულს ღამით ყუთში, რომლის მოცულობაც 4 კუბ. ფუტს შეადგენს. ეს კია, რომ ძველ ქოხებს ბლომად მოეპოვება ბუნებრივი ვენტილაცია.

4) კ ე მ ბ რ ი ჯ შ ი რ ი

გემბლინგეი სხვადასხვა მესაკუთრეს ეკუთვნის. აქ ნახავთ ისეთ უბადრუკ ქოხებს (cots), რომელთა მსგავსი არსად არ მოიპოვება. აქ გავრცელებულია ქილის წნვა. საშინელი დაღლილობა და სიბინძურესთან უიმედო შერიგება გამეფებულია გემბლინგეიში. გაპარტახება, რაც ცენტრშიც შესამჩნევია, ნამდვილ წამებად იქცევა განაპირა ნაწილებში, ჩრდილოეთით და სამხრეთით, სადაც სახლები დღე-ნიადაგ ინგრევა. ლენდლორდები, რომელნიც იქ არ ცხოვრობენ,

უხვად სწოვენ სისხლს ამ ღარიბთა ბუდეს. ბინის ქირა ძალიან დიდია. თითო საწოლი ოთახი გაქედლია 8 — 9 სულით, ორ შემთხვევაში ერთ პატარა საწოლ ოთახში ცხოვრობდა 6 ადამიანი, თითო 1 ან 2 ბავშვით.

5) ე ს ე ქ ს ი

ამ საგრაფოს მრავალ სამრევლოში მოსახლეობის და კოტეჯების შემცირება ხელიხელჩაკიდებული მიდის. მაგრამ სახლების დანგრევამ არანაკლებ, ვიდრე 22 სამრევლოში, ვერ შეაჩერა მოსახლეობის ზრდა ან ვერ მოახდინა მისი გაძევება, რაც ყველგან ხდება ქალაქებისკენ მიგრაციისა სახელწოდებით. ფინგრინგჰოს სამრევლოში, რომელსაც 3443 აკრი უჭირავს, 1851 წელს 145 სახლი იყო, 1861 წელს — მხოლოდ 110, მაგრამ მოსახლეობას არ სურდა წასვლა და ახერხებდა გამრავლებას ასეთ პირობებშიც კი. რემზდენ კრეისში 1851 წელს 252 სული 61 სახლში ცხოვრობდა, 1861 წელს 262 სული უკვე 49 სახლში იყო შეკუთვული. ბეზილდენში 1851 წელს 1827 აკრზე 157 სული 35 სახლში ცხოვრობდა, ამ ათწლეულის დამლევეს 180 სული 27 სახლში თავსდებოდა. ფინგრინგჰოს, სამხრეთ ფენბრიჯის, უიდფორდის, ბეზილდენის და რემზდენ კრეისის სამრევლოებში 1851 წელს 8 449 აკრზე 1392 სული 316 სახლში ცხოვრობდა, 1861 წელს იმავე ფართობზე — 1473 სული 249 სახლში.

6) ჰ ე რ ფ ო რ დ შ ი რ ი

ამ პატარა საგრაფომ უფრო მეტი უბედურება განიცადა «გაძევების სულისაგან», ვიდრე სხვა რომელიმე ინგლისში. ნედბის მთლიანად გატენილი კოტეჯები, უმრავლეს შემთხვევაში 2 საწოლი ოთახით, მეტწილად ფერმერებს ეკუთვნის. ესენი ადვილად აქირავებენ მათ 3 ან 4 გირ. სტერლინგად წელიწადში და მუშებს უხდიან ხელფასს 9 შილინგს კვირაში!

7) ჰ ე ნ ტ ი ნ გ დ ო ნ შ ი რ ი

პარტფორდში 1851 წელს 87 სახლი იყო, მალე ამის შემდეგ ამ პატარა სამრევლოში, რომელსაც 1720 აკრი უჭირავს, დანგრეულ იქნა 19 კოტეჯი; მცხოვრებთა რიცხვი 1831 წელს 452 სულს შეადგენდა, 1851 წელს — 382 სულს და 1861 წელს — 341 სულს. გამოკვლეულია 14 ციხე-თითო საწოლი ოთახით. ერთ მათგანში ცხოვრობს

ცოლქმარი, 3 მოზრდილი ვაჟიშვილი, 1 მოზრდილი ქალიშვილი, 4 ბავშვი, სულ — 10 სული; მეორეში — სამი მოზრდილი, 6 ბავშვი. ერთი ამ ოთახთაგანი, სადაც 8 სულს ეძინა, სიგრძით 12 ფუტი და 10 დუიმი იყო, სიგანით — 12 ფუტი და 2 დუიმი, სიმაღლით — 6 ფუტი და 9 დუიმი; საშუალო რიცხვით, თუ გამოწვეული ადგილების ფართობსაც ჩავთვლით, თვითეულ სულზე დაახლოებით 130 კუბიკური ფუტი მოდიოდა. 14 საწოლ ოთახში ცხოვრობდა 34 მოზრდილი და 33 ბავშვი. ამ კოტეჯებთან იშვიათად იყო გაშენებული ბაღები, მაგრამ ბევრ მდგმურს უფლება ეძლეოდა იჯარით აელო მიწის ნაკვეთები 10 — 12 შილინგად rood-ში ($\frac{1}{4}$ აკრი). ეს მიწის პარცელები საკმაოდ დაშორებულია საცხოვრებელ სახლებს, რომელთაც, როგორც წესი, ფეხისადგილები არა აქვთ და ოჯახის წევრები ან უნდა წავიდნენ თავიანთ პარცელებზე და იქ დატოვონ თავიანთი ექსკრემენტები ან, როგორც, ბოდიშს მოვითხოვთ, ამას ჩადიან აქ, გაავსონ ამით კარადის გამოსაწვევი ყუთი. როდესაც ყუთი გაივსება, მას გამოსწვევენ და სცლიან იქ, სადაც საჭიროა. იაპონიაში ცხოვრების პირობები ამ მხრივ უფრო ჰიგიენურია.

8) ლინკოლნშირი

ლენგტოფტი: ერთი მოქალაქე ცხოვრობს აქ რაიტის სახლში ცოლით, სიდედრით და 5 ბავშვით; სახლს აქვს სამზარეულო-დერეფანი, საკუქნაო და საწოლი ოთახი სამზარეულოს ზემოთ; სამზარეულო და საწოლი ოთახი სიგრძით 12 ფუტი და 2 დუიმი, სიგანით — 9 ფუტი და 5 დუიმი, მთელი ფართობი — 21 ფუტი და 2 დუიმი სიგრძით, 9 ფუტი და 5 დუიმი სიგანით. საწოლი ოთახი მოთავსებულია სახურავის ქვეშ, კედლები ვიწროვდება ქერთან შაქრის თავის მსგავსად და ფასადის მხრიდან სამერცხულია. რატომ ცხოვრობდა აქ იგი? ბალის გულისათვის? არა, ის ძალიან პატარაა. ბინის ქირის გულისათვის? არც ამისათვის. ბინის ქირა ღიღია, 1 შილინგი და 3 პენსი კვირაში. თავის სამუშაო ადგილთან სიახლოვის გამო? არა, იგი დაშორებულია 6 მილით, ასე რომ მას ყოველდღე 12 მილის გავლა უხდება აქეთ-იქით. იგი ცხოვრობდა აქ იმიტომ, რომ ეს იყო ერთადერთი ცხ-ი, რომელიც ქირავდებოდა, მას კი ესაჭიროებოდა ცხ-ი მხოლოდ თავისთვის, სადაც უნდა მდგარიყო იგი, რა ფასიც უნდა ღირებულყო და რა მდგომარეობაშიც უნდა ყოფილიყო. შემდეგი ცხრილი შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს 12 სახლის შესახებ ლენგტოფტში 12 საწოლი ოთახით, სადაც მოთავსებულია 38 მოზრდილი და 36 ბავშვი:

12 სახლი ლენატოვტში

სახლი	საწოლი ოთახი	მოზრდი- ლები	ბავშვები	მდგომარეობის რიცხვი	სახლი	საწოლი ოთახი	მოზრდი- ლები	ბავშვები	მდგომარეობის რიცხვი
№ 1	1	3	5	8	№ 7	1	3	3	6
„ 2	1	4	3	7	„ 8	1	3	2	5
„ 3	1	4	4	8	„ 9	1	2	0	2
„ 4	1	5	4	9	„ 10	1	2	3	5
„ 5	1	2	2	4	„ 11	1	3	3	6
„ 6	1	5	3	8	„ 12	1	2	4	6

9) კენტი

კენინგტონი მთლიანად გავსებული იყო 1859 წელს, როცა იქ ხუნაგი გაჩნდა და სამრევლო ექიმმა მოსახლეობის უფრო ღარიბი კლასის მდგომარეობის ოფიციალური გამოკვლევა მოახდინა. მან აღმოაჩინა, რომ აქ, სადაც ადამიანისაგან შრომის დიდი რაოდენობა მოითხოვება, მრავალი ციფს-ი დანგრეულია და ახალიც არ არის აგებული. ერთ უბანში 4 სახლი იყო birdcages (ჩიტის გალიებად) წოდებული; თვითელი მათგანი 4 ოთახს შეიცავდა შემდეგი ზომით ფუტებსა და დუიმებში:

სამზარეულო	9,5 × 8,11 × 6,6
საქუჩაო	8,6 × 4,6 × 6,6
საწოლი ოთახი	8,5 × 5,10 × 6,3
საწოლი ოთახი	8,3 × 8,4 × 6,3

10) ნორტჰემპტონშირი

ბრენვორსი, პიკფორდი და ფლური: ამ სოფლებში ზამთრობით ქუჩებში 20 — 30 უმუშევარი დაძრწის. ფერმერები საკმაოდ ვერას-დროს ვერ ამუშავებენ მიწას პურისა და ძირნაყოფას მოსაყვანად და ლენდლორდმა უფრო მიზანშეწონილად დაინახა ყველა იჯარით გაცემული მიწის გაერთიანება 2 ან 3 ნაკვეთად. აქედან წარმოდგება სამუშაოს ნაკლებობა. მაშინ როდესაც თხრილის ერთ ნაპირას მიწა დამუშავებას საჭიროებს, მეორე მხრიდან მოტყუებული

მუშები მათ შურის თვალით უცქერიან. სრულიადაც არ არის საკვირველი, თუ მუშები, უადრესად დაქანცულნი ზედმეტი შრომით ზაფხულში და ნახევრად მშვიდნი ზამთარში, თავისებური დიალექტით ამბობენ, რომ «the parson and gentlefolks seem frit to death at them»^{168a}.

ფლურში ნახავთ შემთხვევებს, რომ ფრიად მცირე ზომის საწოლ ოთახში ცხოვრობს ცოლქმარი 4, 5, 6, ბავშვით, 3 ადამიანი 5 ბავშვით, ცოლქმარი პაპითა და ქუთნარუშით დააყადებული 6 ბავშვით და სხვ.; 2 სახლში 2 საწოლი ოთახით ცხოვრობს 2 ოჯახი, თითო 8 და 9 სულსაგან შემდგარი.

11) უილტშირი

სტრეტონი: დათვალიერებულია 31 სახლი, აქედან 8-ში მხოლოდ თითო საწოლი ოთახია. პენტილი იმავე სამრევლოში: ერთი cot-ი ქირავდება 1 შილინგად და 3 პენსად კვირაში, იქ ცხოვრობს 4 მოზრდილი და 4 ბავშვი; გარდა კედლებისა იქ არაფერი არ იყო კარგი, დაწყებული ტლანქად გათლილი ქვის იატაკით და გათავებული დამპალი ჩაღის სახურავით.

12) უორსტერშირი

სახლების დანგრევას აქ ისეთი სასტიკი ხასიათი არ ჰქონია, თუმცა 1851 — 1861 წლებში მდგმურების რაოდენობა თვითეულ სახლზე გადიდა 4,2-დან 4,6-დე.

ბედსი: აქ ბევრი სახლი და ბაღჩაა. ზოგიერთი ფერმერი აცხადებს, რომ cot-ი «a great nuisance here, because they bring the poor» (cot-ი — დიდი ბოროტებაა, რადგან ღარიბებს იზიდავს). ერთი ჯენტლმენის განცხადებით: «ღარიბების მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესდება; 500 cot-ი რომ აშენდეს, ისევე დაიტაცებენ, როგორც ნამცხვარს, და მართლაც, რაც მეტს აშენებენ, მით უფრო მეტი მოთხოვნილებაა, — მაშასადამე, მისი აზრით, სახლები ქმნიან მდგმურებს, რომელნიც, რასაკვირველია, «დაბინავების საშუალებებზე» ზეგავლენას ახდენენ. ამაზე დ-რ ჰანტერი შენიშნავს: «კარგი, მაგრამ ეს ღარიბები ხომ საიდანდაც უნდა მოვიდნენ, და რადგან ბედსში არ არსებობს არავითარი განსაკუთრებული მიმზიდველი ძალა, როგორც, მაგალითად, ქველმოქმედებაა, ამიტომ უნდა არსებობდეს

^{168a} «მღვდელმა და აზნაურმა თითქოს ერთმანეთს შეჭყიდეს, რომ ისინი შიმშილით ამოწყვიტონ».

უფრო უარესი ადგილი, რომელიც მათ აქეთვე ერიკება. თვითეულ მათგანს რომ შეეძლოს თავისი სამუშაო ადგილის ახლო ცენტის და მცირე მიწის ნაკვეთის შოვნა, მაშინ, უეჭველია, იგი უპირატესობას მისცემდა ამ ადგილს ბედის წინაშე, სადაც მიწის ერთ პატარა ნაკვეთში ორჯერ მეტს იხდის, ვიდრე ფერმერი თავისაშია.

შეუწყვეტელი ემიგრაცია ქალაქებში, შეუწყვეტელი წარმოქმნა «ჭარბმოსახლეობისა» სოფლად ფერმების ცენტრალიზაციის, სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევის, მანქანების შემოღებისა და სხვ. გამო და სოფლის მოსახლეობის მუდმივი გაძევება კოტეჯების განადგურების გამო ხელიხელჩაკიდებული მიდია. რაც უფრო ნაკლებ-დასახლებულია ესა თუ ის ოლქი, მით უფრო დიდია მისი «შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა», მით უფრო დიდია მისი ზეგავლენა დასაქმების საშუალებებზე, მით უფრო დიდია სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური ნამეტი მისი დაბინაების საშუალებებთან შედარებით, მაშასადამე, მით უფრო დიდია ადგილობრივი ჭარბმოსახლეობა სოფლებში და გადამდები სენის გამაერცვლებელი შეჯგუფება ადამიანებისა. ადამიანთა მასების ასეთი შემკიდრობა გაფანტულ პატარა სოფლებში და დაბებში შეესაბამება მოსახლეობის ნაძალადეგ აყრას მიწის ფართობებიდან. სოფლის მუშების განუწყვეტელი გადაქცევა «მოჭარბებულებად», მიუხედავად მათი რიცხვის შემცირებისა და მათი პროდუქტის მასის ზრდისა, პაუპერიზმის აკვანია. მათი ევენტუალური პაუპერიზმი არის მათი გაძევების მოტივი და მთავარი წყარო ბინების გაჭირვებისა, რაც საბოლოოდ ანადგურებს მათი წინააღმდეგობის უნარს და ხდის მათ მიწათმფლობელთა¹⁶⁹ და

¹⁶⁹ «Hind»-ის [სოფლის მოჯამაგირის] უხსოვარდროინდელი მოსაქმეობა მის მდგომარეობასაც კი ღირსებას ანიჭებს. იგი არ არის მონა, არამედ მშვიდობიანობის ჯარისკაცი და ღირსი იმისა, რომ ლენდლორდმა მიუჩინოს მას საცხოვრებელი ადგილი, როგორც შეეფერება ცოლიან კაცს, რადგან ლენდლორდი მოთხოვს მისგან ისეთსავე იძულებითს შრომას, როგორც სახელმწიფო — ჯარისკაცისაგან. იგი ისევე არ იღებს საბაზრო ფასს თავის შრომაში, როგორც არ იღებს ამას ჯარისკაცი. ჯარისკაცივით იგი მიჰყავთ ახალგაზრდა, უცოდინარი, მცოდნე მხოლოდ თავისი ხელობისა და თავისი საცხოვრებელი ადგილისა. ნაადრევ დაქორწინებას და ბინადრობის სხვადასხვა კანონის მოქმედებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს მისთვის, როგორც ჯარში გაწვევას და სამხედრო სისხლის სამართლის დებულებას ჯარისკაცისათვის» (დ-რ ჰანტერი: «Public Health. 7th Report 1864». London 1865, გვ. 132). ზოგჯერ რომელიმე განსაკუთრებულად გულჩვილი ლენდლორდი წუხს თვით მის მიერ შექმნილი გაპარტახების გამო. «ძალიან მოსაწყენია განმარტობით თავის მამულში ყოფნა, — ამბობდა გრაფი ლეისტერი, როდესაც მას ჰოლკემის კოშკის აგების

ფერმერთა ნამდვილ მონებად; ასე რომ ხელფასის მინიმუმი მათთვის ბუნებრივ კანონად ყალიბდება. მეორე მხრივ, სოფელი, მიუხედავად თავისი მუდმივი «მეფარდებითი ჯარბმოსახლეობისა», იმავე დროს არასაკმაოდ არის დასახლებული. ეს მეღაენდება არა მარტო როგორც ადგილობრივი მოვლენა იმ პუნქტებში, საიდანაც მეტად სწრაფად ხდება ხალხის დინება ქალაქებისაკენ, მაღაროებისაკენ, რკინიგზებისაკენ და სხვ., არამედ ეს მეღაენდება ყველგან, როგორც მკის დროს, ისე გაზაფხულს და ზაფხულს, იმ მრავალ მომენტში, როდესაც ინგლისის მეტად გულდასმით მოვლილი და ინტენსიური მიწათმოქმედება დამატებითს მუშახელს საჭიროებს. სოფლის მუშები მუდამ ძალიან ბევრია მიწათმოქმედების საშუალო მოთხოვნილებებისათვის და ძალიან ცოტა მისი განსაკუთრებული ანუ დროებითი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად¹⁷⁰. ამიტომაც ოფიციალურ დოკუმენტებში ჩვენ ვხვდებით ერთი და იმავე ადგილების წინააღმდეგობით აღსავსე ჩივილს შრომის ნაკლებობისა და სიჭარბის შესა-

დამთავრებას ულოცავდნენ, — მე ვიხედები ჩემს ირგვლივ და ვერ ვხედავ ვერც ერთ სახლს გარდა საკუთარი სახლისა. მე ბუმბერაზ ციხეთა ბუმბერაზი ვარ და ყველა ჩემი მეზობელი ვშთანთქე».

¹⁷⁰ მსგავს მოვლენას ვხედავთ საფრანგეთში უკანასკნელ ათეულ წლებში, იმის მიხედვით, თუ როგორ ეფუძლება იქ კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებას და მიერეკება «მოჭარბებულ» სოფლის მოსახლეობას ქალაქებისაკენ. ასევე ვხედავთ აქ საბინაო და სხვა პირობების გაუარესებას სწორედ «მოჭარბებულთა» წარმოშობ სათავეებთან. თავისებური «*prolétariat foncier*»-ის [მიწის პროლეტარიატის] შესახებ, რომელიც შექმნილია პარცელური სისტემის მიერ, იხილეთ, სხვათა შორის, ზემოთ დასახელებული თხზულება Colins-ისა: «*L'Économie Politique*» და Karl Marx: «*Der Achtzehnte Brumaire des Louis Bonaparte*». New York 1852, გვ. 56 და შ. [კარლ მარქსი: «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა». კ. მარქსის და ფ. ენგელსის «რჩეული ნაწერები». თბილისი 1950, ტ. I, გვ. 375 და შემდ.-]. 1846 წელს ქალაქის მოსახლეობა საფრანგეთში შეადგენდა 24,42%, სოფლის — 75,58%, 1861 წელს ქალაქის — 28,86%, სოფლის — 71,14%-ს. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობის პროცენტული ნაწილის შემცირება უფრო დიდია. უკვე 1846 წელს პიერ დიუბონი მღერის თავის «*Ouvriers*»-ში:

«*Mal vêtus, logés dans des trous,
Sous les combles, dans les décombres,
Nous vivons avec les hiboux
Et les larrons, amis des ombres*»

[ცუდად ჩაცმულნი ვცხოვრობთ ხერხელებში,
ჭერაქვეშ ვვაჭვს ბინა, ბნელ ჯურღმულებში,
ვცხოვრობთ ბუებთან, ქურდ-ბაცაცებთან,
წყვედიადი ღამის ტოლ-მეგობრებთან].

ხებ ერთსა და იმავე დროს. მუშახელის დროებითი ან ადგილობრივი ნაკლებობა სრულიად არ იწვევს ხელფასის გადიდებას, არამედ აიძულებს ქალებსა და ბავშვებს ჩაებან მიწათმოქმედებაში სამუშაოდ და მუშათა ასაკს სულ უფრო და უფრო დაბლა სწევს. როგორც კი ქალებისა და ბავშვების ექსპლოატაცია დიდ ფარგლებს აღწევს, იგი თავის მხრივ, სოფლის მუშა-მამაკაცების მოჭარბებულ მუშებად გადაქცევისა და მათი ხელფასის შემცირების ახალ საშუალებად იქცევა. აღმოსავლეთ ინგლისში ჰყვავის ამ *cercle vicieux* [მოჯადოებელი წრის] მშვენიერი ნაყოფი — ეგრეთწოდებული *Gangsystem* (არტელების ანუ ჯგუფების სისტემა), რასაც მე აქ მოკლედ შევეხები¹⁷¹.

არტელური სისტემა არსებობს თითქმის მხოლოდ ლინკოლნშირში, ჰენტინგდონშირში, კემბრიჯშირში, ნორფოლკში, საფოლკში და ნოტინგჰემშირში და აქა-იქ ნორტჰემპტონის, ბედფორდისა და რეტლენდის მეზობელ საგრაფოებში. როგორც მაგალითი, ავიღოთ აქ ლინკოლნშირი. ამ საგრაფოს უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ახალი ხმელეთის ნაწილს, რომელიც წინათ ჭაობი იყო და რომელიც, როგორც ზემოდასახელებულ აღმოსავლეთ საგრაფოებში, ზღვას გამოსტაცეს. ორთქლის მანქანამ ჭაობების დაშრობაში სასწაული მოახდინა. იქ, სადაც წინათ ჭაობები და ქვიშნარი იყო, ახლა პურის თავთავების ზღვა ღელავს და იგი ფრიად მაღალ რენტას იძლევა. იგივე ითქმის ხელოვნურად შექმნილ ნარიყ ნიადაგზე, როგორც, მაგალითად, ექსპლოატაციის კუნძულზე და სხვა სამრეწლოებში ტრენტის ნაპირზე. რამდენადაც ახალი ფერმები იქმნებოდა, არათუ არ აგებდნენ ახალ კოტეჯებს, არამედ ძველებსაც ანგრევდნენ, ხოლო მუშახელის მიწოდება ხდებოდა რამდენიმე მილით დამორებული ღია სოფლებიდან, რომელნიც მდებარეობდნენ მთის ფერდობების ირგვლივ დაკლაკნილი შარაგზების პირას. უწინ მოსახლეობა მხოლოდ იქ პოულობდა თავშესაფარს ხანგრძლივი ზამთრის წყალდიდობისაგან. 400 — 1 000 აკრ ფერმაზე დაბინავებულ მუშებს (მათ უწოდებენ *confined labourers* [ემიმაგრებულ მუშებს]) იყენებენ მხოლოდ მუდმივი მძიმე სამიწათმოქმედო საშუაოსთვის, რომელსაც ცხენების საშუალებით ასრულებენ. თვითვე 100 აკრზე ძლივს მოდის საშუალოდ ერთი კოტეჯი. ერთი ფერმერი, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული ჭაობიანი მიწის ნაკვეთი, ამბობს, მაგალითად, სავამომძიებლო

¹⁷¹ მეექვსე და უკანასკნელი «*Report of Children's Employment Commission*», რომელიც გამოქვეყნებული იყო 1867 წლის მარტის დამლევს, მხოლოდ სამიწათმოქმედო «*Gangsystem*»-ის შეხება.

კომისიის წინაშე: «ჩემი ფერმა 320 აკრს აღემატება, იგი სულ პურის სათესი მიწაა. იქ კოტეჯი სრულიად არ არის. ახლა ჩემთან ერთი მუშა ცხოვრობს. მე მყავს ოთხი მეჯინიბე, რომლებიც მახლოვლად ცხოვრობენ. მსუბუქ სამუშაოს, რომელიც მრავალ მუშახელს საჭიროებს, არტელები ასრულებენ¹⁷². ნიადაგი ბევრ მსუბუქ მინდვრის სამუშაოს მოითხოვს, როგორცაა, მაგალითად, სარეველა ბალახისაგან გამარგვლა, მიწის შემოყრა, განოყიერების გარკვეული ოპერაციები, ქვებისაგან გაწმენდა და სხვ. ყოველივე ეს სრულდება არტელების, ანუ ორგანიზებული ჯგუფების, საშუალებით, რომელნიც ღია სოფლებში ცხოვრობენ.

არტელი 10-დან 40 ან 50-დე პირისაგან შედგება, სახელდობრ — ქალებისაგან, ორივე სქესის ახალგაზრდებისაგან (13 — 18 წლისა), თუმცა 13 წლის ვაჟები ჩვეულებრივ თავს ანებებენ არტელს, და, ბოლოს, ორივე სქესის ბავშვებისაგან (6 — 13 წლის). სათავეში დგას gangmaster [არტელის მეთაური]; იგი ჩვეულებრივი სოფლის მუშაა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, გაქნილი, მაწანწალა და ლოთი, და ამავე დროს აღჭურვილი თაოსნობითა და savoir faire-თი [გაქნილობით]. იგი აგროვებს არტელის წევრებს, რომელნიც მუშაობენ მისი და არა ფერმერის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელს იგი უმეტეს ნაწილად ნარდად ურიგდება და მისი შემოსავალი, რომელიც საშუალოდ დიდად არ აღემატება ჩვეულებრივი სოფლის მუშის შემოსავალს¹⁷³, თითქმის სრულიად დამოკიდებულია იმ დახელოვნებაზე, რომლითაც მას შეუძლია სულ მოკლე დროში რაც შეიძლება მეტი შრომის რაოდენობა გამოაღებინოს თავის არტელს. ფერმერებმა აღმოაჩინეს, რომ ქალები მხოლოდ მამაკაცების დიქტატურის ქვეშ მუშაობენ წესიერად, მაგრამ, მეორე მხრივ, ქალები და ბავშვები, თუკი ერთხელ ჩაებნენ საქმეში, ნამდვილი თავგანწირვით მუშაობენ, — ეს უკვე ფურთემ იცოდა, — მაშინ როდესაც მოზრდილი მუშამამაკაცი ისე ცბიერია, რომ რაც შეუძლია ზოგავს თავის ძალას. არტელის მეთაური ერთი მამულიდან მეორეში გადადის, და ასე ამუშავებს თავის არტელს 6 — 8 თვეს წელიწადში. ამიტომ მასთან მუშაობა მუშის ოჯახისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია და საიმედო, ვიდრე ცალკეულ ფერმერთან, რომელიც მხოლოდ შემთხ-

¹⁷² «Children's Employment Commission. 6th Report». ჩვენება, გვ. 37, № 173. — Fenland — ჰაობიანი ადგილი.

¹⁷³ თუმცა არტელის ცალკეული მეთაურები გადაიქცნენ ფერმერებად, რომელნიც 500 აკრს იღებენ იჯარით, ანდა — მთელი რიგი სახლების მესაკუთრებდა.

ვევით აძლევს სამუშაოს ბავშვებს. ეს გარემოება იმდენად განამტკიცებს მის გაგლენას ღია დასახლებულ ადგილებში, რომ ბევრ შემთხვევაში ბავშვების დაქირავება მხოლოდ მისი მეშვეობით ხდება. ბავშვების ინდივიდუალურად გაქირავება, არტელისაგან მოწყვეტით, მის მეორეხარისხოვან საქმეს შეადგენს.

ამ სისტემის «ბნელი მხარეებია»: ბავშვების და მოზარდების გადაჭარბებული შრომა, დიდი მანძილი, რომელიც მათ უნდა გაიარონ ყოველდღიურად მამულებში მიმოსვლის დროს, 5 — 6 მილის და ხან 7 მილის სიშორეზე და, ბოლოს, არტელის დემორალიზაცია. თუმცა არტელის მეთაური, რომელსაც ზოგიერთ ადგილებში «the driver»-ს (მეხრეს) უწოდებენ, შეიარაღებულია გრძელი ჯოხით, მაგრამ იშვიათად ხმარობს მას, და მკაცრ მოპყრობაზე ჩივილი გამოწვევის წარმოადგენს. იგი დემოკრატიული იმპერატორია ანდა რაღაც ჰამელნის ლეგენდარული თავისუფლებისმაცვარი. მაშასადამე, იგი საჭიროებს პოპულარობას თავის ქვეშევრდომებს შორის და მიიზიდავს მათ ბოშური ზნე-ჩვეულებით, რომელიც ჰყავის მისი მფარველობის ქვეშ. არტელში გამეფებულია ტლანქი მოურიდებლობა, მხიარული თავაშვებულობა და ფრიად უსირცხვილო თავხედობა. ჩვეულებრივ არტელის უფროსი იხდის დანახარჯს ლუდხანაში, შემდეგ ბრუნდება სახლში, რა თქმა უნდა, ბარბაცით, მარჯვნივ და მარცხნივ დაყრდნობილი ორ ახოვან დედაკაცზე, წინ მიუძღვის მთელ ჯგუფს, ბავშვები და ახალგაზრდები უკან მისდევენ, უსაქციელობენ, ოხუნჯობენ და მღერიან ვულგარულ სიმღერებს. უკან დაბრუნებისას ხშირი მოვლენაა ის, რასაც ფურიე «ფანეროგამიას» [საჯარო სქესობრივ კავშირს] უწოდებს. ხშირია აგრეთვე, რომ ცამეტი და თოთხმეტი წლის ქალიშვილები ორსულდებიან მათი ტოლ-მეგობარი ვაჟებისაგან. ღია სოფლები, რომელნიც არტელებს კონტინგენტს აწვდიან, სოდომად და გომორად¹⁷⁴ იქცევიან და ორჯერ მეტ უკანონოშობილთ იძლევიან, ვიდრე მთელი დანარჩენი სამეფო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, თუ რა ზნეობის პატრონნი არიან ის გათხოვილი ქალები, რომელნიც ქალიშვილობის დროს ამ სკოლაში აღიზარდნენ. მათი შვილები, უკეთუ ოპიუმში არ მოუღებენ მათ ბოლოს, არტელის კანდიდატებად იბადებიან.

არტელი, ზემოაღწერილი კლასიკური ფორმით, ცნობილია საჯარო, საზოგადოებრივი, ან მოხეტიალე არტელის სახელწოდებით

¹⁷⁴ ქალიშვილების ნახევარი ლიუდფორდში დაიღუპა არტელების გამო (იქვე დანართი, გვ. 6, № 32).

(public, common or tramping gang). გარდა ამისა არსებობს აგრეთვე კერძო არტელები (private gangs). მათი შემადგენლობა ისეთივეა, როგორც საზოგადოებრივი არტელის, მაგრამ წევრების რიცხვი ნაკლებია და მუშაობენ არა არტელის მეთაურის, არამედ სოფლის რომელიმე ხნიერი მოჯამაგირის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლისთვისაც ფერმერს სხვა უკეთესი გამოყენება ვერ უპოვია. აქ ბოშური ზნე-ჩვეულება გამქრალია, მაგრამ ყველა მოწმის ჩვენების თანახმად გაუარესებულია ხელფასი და ბავშვებისადმი მოპყრობა.

არტელური სისტემა, რაც უკანასკნელ წლებში სულ უფრო ვრცელდება¹⁷⁵, ცხადია, არა არტელის მეთაურის სარგებლობისათვის არსებობს. იგი არსებობს მსხვილი ფერმერების¹⁷⁶ ანუ მიწათმფლობელების გასამდიდრებლად¹⁷⁷. ფერმერისათვის არ არსებობს სხვა უფრო მოხერხებული მეთოდი, რომ მუშათა პერსონალი ნორმალურ დონეზე დაბლა იყოლოს და იმავე დროს მუდამ მზად ჰყავდეს დამატებითი სამუშაოს შემთხვევისათვის დამატებითი მუშახელი, რათა რაც შეიძლება ნაკლები ფულით მეტი შრომა გამოძალოს¹⁷⁸ და მოზრდილი მუშა-მამაკაცები «მოჭარბებულად» აქციოს. ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ აღიარებენ, ერთი მხრივ, რომ სოფლის მუშა ცოტად თუ ბევრად იტანჯება უმუშევრობისაგან, მეორე მხრივ კი, აცხადებენ, რომ არტელური სისტემა «აუცილებელია» მუშა-

¹⁷⁵ ეს სისტემა ძალიან გავრცელდა უკანასკნელ წლებში. ზოგიერთ ადგილას იგი სულ ამ მოკლე ხანშია შემოღებული, ხოლო სადაც იგი უფრო ძველი დროიდან არსებობს, უფრო მეტი და უფრო მცირეწლოვანი ბავშვები მუშაობენ არტელებში (იქვე, გვ. 79, № 174).

¹⁷⁶ «წერილი ფერმერები არ სარგებლობენ არტელური შრომით». «არტელურ შრომას იყენებენ არა მწირ მიწაზე, არამედ ისეთ მიწაზე, რომელიც იძლევა რენტას 2 გირვანქა სტერლინგიდან 2 გირვანქა სტერლინგსა და 10 შილინგამდე აკრზე» (იქვე, გვ. 17, 14).

¹⁷⁷ ერთ ამ ვაჟბატონთაგანს ისე გაუტკბა ეს რენტა, რომ იგი აღშფოთებით აცხადებს საჯამომდიებლო კომისიის წინაშე, მთელი ეს აურზაური ამ სისტემის სახელწოდებიდან წარმოდგებაო. «Gang»-ის ნაცვლად რომ მას ვუწოდოთ ახალგაზრდული სამრეწველო-სამიწათმოქმედო-კოლაპერაციული ასოციაცია, რომელიც თავის თავს თვითონ ინახავს, მაშინ ყველაფერი წესიერად იქნებოდაო.

¹⁷⁸ «არტელური შრომა ყველა სხვა შრომაზე უფრო იაფია, და ეს არის მიზეზი, თუ რატომ სარგებლობენ ამ შრომით», — ამბობს არტელის ერთი ყოფილი მეთაური (იქვე, გვ. 17, № 14). «არტელური სისტემა უეჭველად ყველაზე იაფია ფერმერისათვის და ასევე უეჭველია, რომ იგი ყველაზე დამღუპველია ბავშვებისათვის», — ამბობს ერთი ფერმერი (იქვე, გვ. 16, № 3).

მამაკაცების ნაკლებობისა და ქალაქებში მათი გადასახლების გამო¹⁷⁹. ლეარძლისაგან გაწმენდილი მინდორი და ადამიანთა ლეარძლი ლინკოლნშირისა და სხვ. — აი კაპიტალისტური წარმოების მოპირისპირე პოლუსები¹⁸⁰.

¹⁷⁹ ექვს გარეშეა, ბევრ სამუშაოს, რომელსაც ახლა არტელებში ბავშვები ასრულებენ, უწინ მამაკაცები და დედაკაცები ასრულებდნენ. იქ, სადაც ქალებისა და ბავშვების შრომით სარგებლობენ, უმუშევარი მამაკაცები მეტია ახლა, ვიდრე უწინ (*more men are out of work*) (იქვე, გვ. 43, № 202). მეორე მხრივ, სხვათა შორის: «მუშათა საკითხი (*labour question*) ბევრ სამიწათმოქმედო ოლქში, განსაკუთრებით იქ, სადაც პური მოდის, ისე სერიოზულად დგას ემიგრაციისა და დიდ ქალაქებში გადასახლების სიადვილის გამო, რასაც ხელს უწყობს რკინიგზები, რომ მე (ეს «მე» — ერთი დიდი მემაჟღის სასოფლო აგენტია) ბავშვების შრომა აბსოლუტურად აუცილებლად მიმაჩნია» (იქვე, გვ. 80, № 180). *The labour question* (მუშათა საკითხი) ინგლისის სამიწათმოქმედო ოლქებში, განსხვავებით დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოსაგან, წარმოადგენს *the landlords' and farmers' question* (ლენდლორდებისა და ფერმერების საკითხს): როგორ უნდა გამარადისდეს სოფლად საკმაოდ «შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა» და ამით «ხელფასის მინიმუმში» სოფლის მუშისათვის, მიუხედავად სოფლის მოსახლეობის სულ უფრო და უფრო გაძლიერებული გადასახლებისა?

¹⁸⁰ ჩემ მიერ ზემოთ ციტირებული «*Public Health Report*»-ი, სადაც ბავშვების სიკვდილიანობასთან დაკავშირებით ვაკვრით არის ლაპარაკი არტელურ სისტემაზე, უცნობი დარჩა პრესისთვის და, მაშასადამე, ინგლისის საზოგადოებისთვისაც. პირიქით, «*Children's Employment Commission*»-ის უკანასკნელმა მოხსენებამ პრესას სასურველი «სენსაციური» სახარღო მისცა. მაშინ როდესაც ლიბერალური პრესა კითხვას აყენებდა, თუ როგორ დაუშვეს ამგვარი სისტემის განვითარება თავიანთ მამულში, თავიანთ თვალწინ კეთილშობილმა ჯენტლმენებმა, ლედებმა და სახელმწიფო ეკლესიის მღვდლებმა, რომლებითაც საესეა ლინკოლნშირი, სწორედ იმ პერსონაჟებმა, რომელნიც უგზავნიდნენ ანტიპოდებს თავიანთ საკუთარ «მისიებს სამხრეთ-ოკეანის ველურთა ზნე-ჩვეულების გასაუმჯობესებლად», — არისტოკრატიული პრესა კმაყოფილდებოდა მხოლოდ შენიშვნებით სოფლის მეცხოვრებთა უბნში გათახსირების შესახებ, რომელნიც თავიანთ ბავშვებს ამგვარ მონობაში ჰყიდდნენ! ხოლო იმ წყვეულ პირობებში, რაც ამ «კეთილშობილებმა» ხვედრად არგუნეს სოფლის მეცხოვრებს, გასაგები იქნებოდა, ამ უკანასკნელს რომ თავისი შვილები კიდევ შეეჭამა. რაც მართლა საკვირველია — ეს არის ხასიათის ის წმინდა ღირსებაანი, რომელნიც მან უმეტესწილად შეინარჩუნა. ოფიციალურ მოხსენებათა ავტორები აღნიშნავენ, რომ იმ ოლქებშიც კი, სადაც შემოღებულია არტელური სისტემა, მშობლები მას ზიზღით უყურებენ. ჩვენ მიერ შეკრებილ მოწმეთა ჩვენებებში მოიპოვება მდიდარი მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ მშობლები მრავალ შემთხვევაში მადლობელნი იქნებოდნენ იმ იძულებითი კანონისათვის, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა შეწინააღმდეგებოდნენ იმ ცუტუნებას და ძალდატანებას, რასაც ისინი ხშირად განიცდიან. ხან სამრევლოს მოხელე, ხან დამჭირავებელი აიძულებს მათ, მუშაობიდან მოხსნის მექარით, რომ შვილები სკოლის მაგივრად სამუშაოდ გაგზავნონ... დროისა და ძალის ყოველი გაფლანგვა, ყოველი ტანჯვა, რასაც ქმნის სოფლის მეცხოვრებისა და მისი ოჯახისთვის გადაჭარბებული

f) ი რ ლ ა ნ დ ი ა

ამ განყოფილების დასასრულს ერთხელ კიდევ უნდა გადავაგლოთ თვალი ირლანდიას. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ ფაქტებს, რომლებსაც აქ მნიშვნელობა აქვთ.

1841 წელს ირლანდიის მოსახლეობა გაიზარდა 8 222 664 სულამდე, 1851 წელს იგი შემცირდა 6 623 985-მდე, 1861 წელს — 5 850 309-მდე, 1866 წელს — $5\frac{1}{2}$ მილიონამდე, ე. ი. დაახლოებით 1801 წლის დონემდე დავიდა. ეს შემცირება დაიწყო შიმშილობის 1846 წელს, ასე რომ 20 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ირლანდიამ დაჰკარგა თავისი მოსახლეობის $\frac{5}{16}$ -ზე მეტი¹⁸¹. ემიგრანტთა ერთობლივი რიცხვი 1851 წლის მაისიდან 1865 წლის ივლისამდე შეადგენდა 1 591 487 სულს, ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, 1861 — 1865 წლებში — $\frac{1}{2}$ მილიონზე მეტს. დასახლებულ კომლთა რიცხვი 1851 — 1861 წლებში შემცირდა 52 990-ით. 1851 — 1861 წლებში ფერმათა რიცხვი, სივრცით 15—30 აკრამდე, გაიზარდა 61 000-ით, 30 აკრზე მეტი სივრცისა — 109 000-ით, მაშინ როდესაც ფერმების ერთობლივი რიცხვი შემცირდა 120 000-ით. მასასა-დამე, ეს შემცირება გამოწვეულია მხოლოდ 15 აკრზე ნაკლები ფერმების განადგურებით, ე. ი. მათი ცენტრალიზაციით.

მოსახლეობის რიცხვის შემცირებას, რასაკვირველია, საერთოდ და მთლიანად თან სდევდა პროდუქტების მასის შემცირება. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია განვიხილოთ 5 წელი, 1861 — 1865 წლები, რომელთა განმავლობაშიც გადასახლდა $\frac{1}{2}$ მილიონზე მეტი და მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვი შემცირდა $\frac{1}{3}$ მილიონზე მეტად (იხ. ცხრილი A).

და უსარგებლო დაღლა, ყოველი შემთხვევა, როდესაც მშობლებს შეუძლიათ მიაწვრონ თავიანთი შვილების მორალური დაცემა კოტეჯების ზედმეტად ავსებას ანდა არტელური სისტემის გამათანხირებელ გავლენას, — ყოველივე ეს იწვევს ღარიბ მშრომელთა გულში გრძობას, რომელიც ადვილი გასაგებია და არ საჭიროებს უფრო დაწვრილებითს აღწერას. ისინი გრძობენ, რომ მრავალ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას განიცდიან ისეთი პირობების გამო, რომლებსთვისაც ისინი არავითარ შემთხვევაში პასუხისმგებელი არ არიან, რომლებზედაც, ეს რომ მათ ნებაზე იყოს დამოკიდებული, არასოდეს თანხმობას არ განაცხადებდნენ და რომელთა წინააღმდეგ უძღურნი არიან იბრძოდნენ (იქვე, გვ. XX, № 82; გვ. XXIII, № 96).

¹⁸¹ ირლანდიის მოსახლეობა: 1801 წ. — 5 319 867 სული, 1811 წ. — 6 084 996, 1821 წ. — 6 869 544, 1831 წ. — 7 828 347, 1841 წ. — 8 222 664.

ცხრილი A
პირუტყვის რამდენობა

წლები	ცხენი		რქიანი პირუტყვი		
	საერთო რიცხვი	შემცირება	საერთო რიცხვი	შემცირება	მატება
1860	619 811	—	3 606 374	—	—
1861	614 232	5 579	3 471 688	134 686	—
1862	602 894	11 338	3 254 890	216 798	—
1863	579 978	22 916	3 144 231	110 659	—
1864	562 158	17 820	3 262 294	—	118 063
1865	547 867	14 291	3 493 414	—	231 120

წლები	ცხვარი			ლორი		
	საერთო რიცხვი	შემცირება	მატება	საერთო რიცხვი	შემცირება	მატება
1860	3 542 080	—	—	1 271 072	—	—
1861	3 556 050	—	13 970	1 102 042	169 030	—
1862	3 456 132	99 918	—	1 154 324	—	52 282
1863	3 308 204	147 982	—	1 067 458	86 866	—
1864	3 366 941	—	58 737	1 058 480	8 978	—
1865	3 688 742	—	321 802	1 299 893	—	241 413

ზემომოყვანილი ცხრილიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ცხენი	რქიანი პირუტყვი	ცხვარი	ლორი
აბსოლუტ. შემცირება	აბსოლუტ. შემცირება	აბსოლუტ. მატება	აბსოლუტ. მატება
71 944	112 960	146 662	28 821 ¹⁸³

მივმართოთ ახლა მიწათმოქმედებას, რომელიც იძლევა საარსებო საშუალებებს პირუტყვისა და ადამიანისათვის. შემდეგ ცხრილში გამოანგარიშებულია შემცირება ან მატება ყოველი ცალკეული წლისათვის წინა წელთან შედარებით. მარცვლელს ეკუთვნის: პური,

¹⁸³ შემდეგი კიდევ უფრო სავალალო იქნებოდა, თუ უფრო უკან დაიხვედით. ასე, 1865 წ. ცხვარი იყო 3 688 742, ხოლო 1856 წ.— 3 694 294; ლორი 1865 წ.— 1 299 893, ხოლო 1858 წ.— 1 409 883.

შერია, ქერი, ჭვავი, ცერცვი და მუხუდო, ბოსტნეულს — კარტოფილი, თაღვამი, ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, ძირთეთრა, ცერცველა და სხვ.

ცხრილი B

ხნულების და ველების (შესაბ. სამომარბის) ფართობის
მატება ან შემცირება აკროში

წლები	მარცვ- ლული	ბოსტნეული		სათიბები და იონჯა		სელი		მიწის მთელი ფართობი მი- წათმოქმედე- ბისა და მცხ.	
	შემცი- რება	შემცი- რება	მატება	შემცი- რება	მატება	შემცი- რება	მატება	შემცი- რება	მატება
1861	15 701	36 974	—	47 969	—	—	19 271	81 873	—
1862	72 734	74 785	—	—	6 623	—	2 055	138841	—
1863	144719	19 358	—	—	7 724	—	63 922	92 431	—
1864	122437	2 317	—	—	47 486	—	87 761	—	10 493
1865	72 450	—	25 241	—	68 970	50 159	—	28 218	—
1861 — 1865	428041	108193	—	—	22 834	—	122850	330870	—

1865 წელს რუბრიკაში «სათიბები» მიემატა 127 470 აკრი, უნთავრესად იმიტომ, რომ ფართობი რუბრიკაში «დაუმუშავებელი მწირი ადგილები და ჭაობები» შემცირდა 101 543 აკრით. თუ შევადარებთ 1865 წელს 1864 წელთან, მაშინ მარცვლეულის მოსავლის შემცირება შეადგენს 246 667 კვარტერს, აქედან 48 999 კვარტერი ხორბალი, 166 605 — შერია, 29 892 — ქერი და სხვ.; კარტოფილის შემცირება 446 398 ტონას შეადგენდა, თუმცა მისი ფართობი გადიდა 1865 წელს და სხვ. (იხ. ცხრილი C, გვ. 881).

ირლანდიის მოსახლეობის მოძრაობიდან და სამიწათმოქმედო წარმოებიდან გადავიდეთ იმ მოძრაობაზე, რასაც ადგილი აქვს მისი ლენდლორდების, მსხვილი ფერმერებისა და მრეწველი კაპიტალისტების ქისაში. იგი თავის ასახვას პოულობს საშემოსავლო გადასახადის შემცირებასა და მომატებაში. შემდეგი ცხრილის — D (გვ. 882) გასაგებად უნდა აღინიშნოს, რომ რუბრიკა D (მოგება ფერმერთა მოგების გამოკლებით) შეიცავს ეგრეთწოდებულ «პროფესიულ» მოგებასაც, ე. ი. ადვოკატების, ექიმებისა და სხვ. შემოსავალს, ხოლო რუბრიკები C და E, რომლებიც ცალკე არ არის აქ ჩამოთვლილი, შეიცავს მოხელეების, ოფიცრების, სახელმწიფო სინეკურათა მიმღები პირების, სახელმწიფო ფონდების მფლობელთა და სხვ. შემოსავალს.

ცხრილი C

მატება ან შემცირება დაფუძვამებული მიწის ფართობის, პროდუქტის რაოდენობისა და თვითნებულ პაკვამ და ერთობლივი პროდუქტის რაოდენობისა 1865 წელს 1864 წელსთან შედარებით

პროდუქტის დასახელება	დაფუძვებული მიწა აკრობით		1865		პროდუქტის რაოდენობა თვითნებულ აკრებზე		1865		ერთობლივი პროდუქტის რაოდენობა			
	1864	1865	მატება	შემცირება	1864	1865	ცენტნერები	ფუნტები	1864	1865		
									მატება	შემცირება		
ხორბალი	276488	268889	—	8494	13,8	13,0	—	0,3	875789 კვადრ.	828768	—	48989 კვადრ.
შვია	1914898	1749298	—	68668	12,1	12,3	0,2	—	7826939	7659737	—	168806
ქერი	172700	177102	4402	—	15,9	14,0	—	1,0	781609	789017	—	29892
Bere (ქერი)	—	—	—	—	10,4	14,8	—	1,0	10160	18889	—	1171
ჯიში	8894	10091	1197	—	8,5	10,4	1,9	—	13880	18894	5684	33.
პეკვი	—	—	—	—	4,1	9,9	—	0,5	4812388 ტონ.	8696990	—	448898
კარტოფილი	1089724	1066280	28568	—	10,8	9,9	—	0,4	8487889	8861888	—	105976
თაღამი	887865	854212	—	8148	—	—	—	—	—	—	—	—
პარბალი	14078	14889	810	—	10,6	18,9	2,8	—	147284	191887	44659	—
კომოსტო	81891	89022	1801	—	9,3	10,4	1,1	—	397876	850293	—	—
სელი	801889	281488	—	50280	—	—	—	—	—	—	—	—
თივა	1808689	1878493	88924	—	84,2	36,2	—	9,0	64608	89861	—	24945 ტონ.
					1,6	1,9	0,2	—	2807168	8095707	461554	—

18 ტექსტის მოკლებები შედგენილია შემდეგი მასალების მიხედვით: «Agricultural Statistics. Ireland. General Abstracts, Dublin, 1866 წლის და შემდეგი წლების, და «Agricultural Statistics. Ireland. Tables showing the Estimated Average Produce etc. Dublin 1866». ცნობილია, რომ ეს ოფიციალური სტატისტიკა და ყოველწლიურად წარდგინება პარლამენტს დასაბუთებულია 1871 წელს 1871 წელსთან შედარებით. ამიტომაც ადგილი ქონდა ძირითადი კულტურების — თაღამი, ჭარბი და სხვა; დაფუძვებული სიონის ფართობის შემცირება მოხდა ანკვარის — 68 682 აკრო, სელის — 84 867 აკრო, და 80 000 აკრზე ნაკლებით — სარეზინო, ირგა, ცარცყვლა და შალვი. მიწის 4 000 აკრო, კარტოფილის — 68 682 აკრო, სელის — 84 867 აკრო, და 80 000 აკრზე ნაკლებით — სარეზინო, ირგა, ცარცყვლა და შალვი. მიწის ფართობი, რომელიც ხორბალის კულტურის ქმრის უნაბესელოა 5 წლის განმავლობაში თანდანიანობით მცირდებოდა შემდგომად: 1866 წელს — 85 000 აკრო, 1868 წ — 280 000 აკრო, 1870 წ — 299 000 აკრო, 1871 წ — 244 000 აკრო, 1872 წ — 228 000 აკრო. ჩვენ შევადგინეთ, რომ 1873 წლისთვის, თუ დამარცხდებოდნენ სოფლები, პარტუკელის სულდამოსამ მოქმედი 2 000 სტერი, 80 000 რქიანი პორტუკელი, 68 689 ცხვარი და დაჯდმა 988 000 ლონი.

ცხრილი D
საშემოსავლო გადასახადით დასაბაზრი შემოსავალი
ირლანდიაში (გირვ. სტერლინგობით)

	1860	1861	1862	1863	1864	1865
რუბრია A. მიწის რენტა	12 893 629	13 003 554	13 398 938	13 494 091	13 470 700	13 801 616
რუბრია B. ფერმერების მოგება	2 765 387	2 773 644	2 987 899	2 938 923	2 980 874	2 946 072
რუბრია D. საპრეწველო და სხვ. მოგება	4 891 632	4 836 208	4 858 800	4 846 497	4 546 147	4 850 199
ყველა რუბრია A-დან E-მდე	22 962 865	22 998 894	23 597 574	23 658 661	23 236 298	23 930 340 ¹⁸⁴

რუბრია D-ში შემოსავლის საშუალო-წლიური მატება 1853 — 1864 წლებში შეადგენდა მხოლოდ 0,93%-ს, დიდ ბრიტანეთში კი იმავე დროს ეს მატება გამოიხატება 4,58%-ით. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების განაწილებას (ფერმერთა მოგების გამოკლებით) 1864 და 1865 წლებში:

ცხრილი E
რუბრია D. შემოსავალი მოგებიდან (60 გირვანძა სტერლინგზე მითი)
ირლანდიაში

	1864		1865	
	გირვ. სტერლ.	განაწილებული პირთა რაოდენობაზე	გირვ. სტერლ.	განაწილებული პირთა რაოდენობაზე
საერთო წლიური შემოსავალი წლიური შემოსავალი 60 გ. სტ.-ზე მტი და 100 გ. სტ.-ზე ნაკლები	4 368 610	17 467	4 669 979	18 081
საერთო წლიური შემოსავლი-დან	288 726	5 015	222 575	4 708
ნაშთი საერთო წლიური შემოსავლისა	1 979 068	11 821	2 028 471	12 184
მათ შორის {	2 150 518	1 181	2 418 938	1 194
აქედან {	1 073 408	1 010	1 098 027	1 044
	1 078 912	121	1 820 906	150
	923 307	76	1 034 881	72
	646 377	28	736 444	28
	262 819	8	274 528	8 ¹⁸⁵

¹⁸⁴ «Tenth Report of the Commissioners of Ireland Revenue». London 1866.

¹⁸⁵ ერთობლივი წლიური შემოსავალი რუბრიაში D დაკლებულია წინა ცხრილის მონაცემებისაგან, რადგან კანონით ნებადართულია გარკვეული გამოკვეთვები.

ინგლისი, — განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ქვეყანა და უმთავრესად სამრეწველო მხარე, — სისხლისაგან დაიცვებოდა, მას რომ ირლანდიის ხალხის ბედი განეცადა. მაგრამ ირლანდია ამჟამად მხოლოდ ინგლისის სამიწათმოქმედო ოლქს წარმოადგენს, დაშორებულია მისგან ფართო არხით და აწვდის მას მარცვლეულს, მატყლს, პირუტყვს, სამრეწველო და სამხედრო რეკრუტებს.

გაუდაბურებამ გამოიწვია ის, რომ მრავალი მიწა დაუმუშავებელი დარჩა, მიწათმოქმედების პროდუქტის რაოდენობამ დიდად იკლო¹⁸⁶ და, მიუხედავად ამისა, რომ პირუტყვის მოშენებისათვის განკუთვნილი ფართობი გადიდდა, ზოგიერთ მის დარგში აბსოლუტური შემცირება მოხდა, სხვა დარგში კი — მცირეოდენი წინსვლა, რაც მოსახსენებლადაც არა ღირს და რაც შეფერხებულია მუდმივი უკუსვლით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის შემცირებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდებოდა მიწის რენტა და ფერმერის მოგება, თუმცა უკანასკნელი ისე მუდმივად არ იზრდებოდა, როგორც პირველი. მიზეზი ადვილი გასაგებია. ერთი მხრივ, ფერმების ცენტრალიზაციის და სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევის გამო ერთობლივი პროდუქტის უფრო დიდი ნაწილი ზედმეტ პროდუქტად იქცეოდა. ზედმეტი პროდუქტი იზრდებოდა, თუმცა ერთობლივი პროდუქტი, რომლის ნაწილსაც იგი შეადგენს, მცირდებოდა. მეორე მხრივ, ამ ზედმეტი პროდუქტის ფულადი ღირებულება უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მისი მასა, რადგან ხორცის, მატყლის და სხვ. საბაზრო ფასები ინგლისში უკანასკნელ 20 წელს, განსაკუთრებით კი უკანასკნელ 10 წელს, განუწყვეტლივ იზრდებოდა.

წარმოების დაქუცმაცებული საშუალებანი, რომელნიც თვით მწარმოებელთათვის სამუშაო და საარსებო საშუალებებს წარმოადგენენ და რომელთაც არ ემატება სხვისი შრომა ახალი ღირებულების შესაქმნელად, ისევე არ შეადგენენ კაპიტალს, როგორც თვით მწარმოებლის მიერ მოხმარებული პროდუქტი არ შეადგენს საქონელს. თუმცა მოსახლეობის მასის შემცირებასთან ერთად შემცირდა მიწათმოქმედებაში დაბანდებულ წარმოების საშუალებათა მასა, მიუხედავად ამისა მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის მასა მაინც გაიზარდა, რადგან წინათ დაქუცმაცებულ წარმოების საშუალებათა ნაწილი კაპიტალად გადაიქცა.

¹⁸⁶ თუ პროდუქტის რაოდენობა თვითუღწეულ აკრზედაც შედარებით მცირდება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლისი 1¹/₂ საუკუნის განმავლობაში ეწეოდა არაპირდაპირ ირლანდიის ნიადაგის ექსპორტს და მიწის დამმუშავებელთ საშუალებასაც კი არ აძლევდა აენახლაურებიანთ ნიადაგის შემადგენელი ნაწილები.

ირლანდიის ერთობლივი კაპიტალი, დაბანდებული მიწათმოქმედების გარეშე მრეწველობასა და ვაჭრობაში, ორი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში გროვდებოდა ნელა და მუდმივი დიდი რყევით. პირიქით, მით უფრო სწრაფად ვითარდებოდა მისი ინდივიდუალური შემადგენელი ნაწილების კონცენტრაცია. დასასრულ, რაც უნდა უმნიშვნელო ყოფილიყო მისი აბსოლუტური ზრდა, — რელატიურად, მოსახლეობის შემცირებულ რიცხვთან შედარებით, იგი იზრდებოდა.

ამრიგად, აქ ჩვენ თვალწინ დიდი მასშტაბით გადაშლილია ისეთი პროცესი, რომლის უმჯობესს ვერც კი მოისურვებდა ორტოდოქსალური ეკონომია იმ თავისი დოგმის დასამტკიცებლად, რომლის მიხედვით სილატაკეს წარმოშობს აბსოლუტური ჰარმონიზაცია და წონასწორობას კვლავ აღადგენს მოსახლეობის შემცირება. ეს ექსპერიმენტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მალთუსიანელთა მიერ ესოდენ განდიდებული შავი ჰირი მეთოთხმეტე საუკუნის შუა წლებში. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს შემდეგი: მე-19 საუკუნის წარმოებითი ურთიერთობისადმი და მისი შესაბამისი მოსახლეობის ურთიერთობისადმი მე-14 საუკუნის საზომის მიყენება თავისთავად პედანტური გულუბრყვილობა იყო; მაგრამ ეს გულუბრყვილობა გარდა ამისა უყურადღებოდ ტოვებდა აგრეთვე იმ გარემობას, რომ თუ არხგამოდმა, ინგლისში, შავ ჰირს და მის მიერ გამოწვეულ მოსახლეობის შემცირებას შედეგად მოჰყვა სოფლის მოსახლეობის განთავისუფლება და გამდიდრება, სამაგიეროდ არხგალმა, საფრანგეთში, მას კვალდაკვალ მისდევდა უფრო მეტი დამონება და უკიდურესი სილატაკე^{186a}.

1846 წელს ირლანდიაში შიმშილმა მილიონზე მეტი ადამიანი გაელიტა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ლატაკი ხალხი. ქვეყნის სიმდიდრისთვის მას მცირედი ზიანიც არ მიუყენებია. შემდგომ ოცწლედში მომხდარ და სულ უფრო და უფრო მზარდ ემიგრაციას არ გაუნადგურებია, როგორც ეს ოცდაათწლიანი ომის დროს მოხდა, ადამიან-

^{186a} რადგან ირლანდია «მოსახლეობის პრინციპის» აღთქმის ქვეყნად ითვლება, ამიტომ ტ. სედლერმა, ვიდრე იგი გამოაქვეყნებდა თავის თხზულებას მოსახლეობის შესახებ, გამოსცა თავისი განთქმული წიგნი: «Ireland, its Evils and their Remedies», მე-2 გამოც., London 1829, სადაც იგი სტატისტიკურ მონაცემებს ადარებს ცალკეული პროვინციებისა და თვითველ პროვინციაში ცალკეული საგრაფოების მიხედვით და ამტკიცებს, რომ სიღარიბე იქ პირდაპირ შეფარდებაში კი არ არის მოსახლეობის რიცხვთან, როგორც ეს მალთუსის სურს, არამედ — შებრუნებულ შეფარდებაში.

ნებთან ერთად მათი წარმოების საშუალებანი. ირლანდიურმა გენიამ აღმოაჩინა სრულიად ახალი მეთოდი ღარიბი ხალხის, ასე ვთქვათ, ჯადოსნურად გადატყორცნისა ათასეული მილის მანძილზე მისი სილატაკის ადგილიდან. შეერთებულ შტატებში გადასახლებული ემიგრანტები ყოველწლიურად გზავნიან სახლში სამგზავრო ფულს იქ დარჩენილთათვის. ყოველი ჯგუფი, რომელიც ამ წელს გადასახლებულა, იზიდავს შემდგომ წელს მეორე ჯგუფს. ამრიგად, ირლანდიას არა მარტო არაფერი ეხარჯება ამ ემიგრაციაზე, არამედ ეს უკანასკნელი მისი საექსპორტო ოპერაციების ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან დარგს შეადგენს. დასასრულ, იგი წარმოადგენს სისტემატურ პროცესს, რომელიც გარდამავალ ხარვეზს კი არ ქმნის მოსახლეობის მასაში, არამედ ყოველწლიურად იტაცებს უფრო მეტ ხალხს, ვიდრე ეს შეიძლება ანაზღაურდეს მოსახლეობის ყოველწლიური ნამატით, ასე რომ მოსახლეობის აბსოლუტური დონე ყოველწლივით კლებულობს^{186a}.

როგორი იყო შედეგები ირლანდიაში დარჩენილი, ჰარბმოსახლეობისაგან განთავისუფლებული მუშებისათვის? ეს შედეგები ისეთი იყო, რომ შეფარდებითი ჰარბმოსახლეობა ამჟამად ისევე დიდია, როგორც 1846 წლამდე იყო, რომ ხელფასი ისევე დაბალია, რომ შრომის სიმძიმე უფრო იმატა და სილატაკე სოფლად ახალ კრიზისს გვიქადის. მიზეზები სულ მარტივია. რევოლუცია მიწათმოქმედებაში ფებდაფებ მისდევდა ემიგრაციას. შეფარდებითი ჰარბმოსახლეობის წარმოქმნა უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება. C ცბრილის თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ სახნავი მიწების გადაქცევა საძოვრებად ირლანდიაში უფრო მწვავედ მოქმედებს, ვიდრე ინგლისში. აქ მეცხოველეობასთან ერთად იზრდება საკვები ბალახეულის კულტურა, ირლანდიაში კი კლებულობს. მაშინ როდესაც მიწების ის დიდი ფართობები, რომლებიც წინათ მუშავდებოდა, დატოვებულია დაუმუშავებლად ანდა გადაქცეულია მუდმივ საძოვრებად, წინათ გამოუყენებელი მიწირი მიწების და ჭაობების დიდი ნაწილი მეცხოველეობის გაფართოებას ემსახურება. უფრო წვრილი და საშუალო მოიჯარენი, — მე მათ რიცხვს ვაკუთვნებ ყველას, ვინც 100 აკრ მიწაზე მეტს არ ამუშავებს, — ჯერ კიდევ თითქმის საერთო რიცხვის $\frac{8}{10}$ -ს შეადგენენ^{186 b}. მათ ახლა

^{186 a} 1851 — 1874 წლების პერიოდში გადასახლებულთა საერთო რიცხვი 2 325 922-ს აღწევდა.

^{186 b} შენიშვნა მეორე გამოცემისათვის. ერთი ცბრილის თანახმად Murphy-ს თხზულებაში: 'Ireland, Industrial, Political and Social', 1870,

უფრო მეტად და უფრო მწვავედ აწვება კაპიტალისტურად წარმართული მიწათმოქმედების კონკურენცია, ვიდრე უწინ, და ამიტომ ისინი დაქირავებულ მუშათა კლასს მუდამ ახალ რეკრუტებს აძლევენ. ირლანდიის ერთადერთი მსხვილი მრეწველობა, სელდამმუშავებელი მრეწველობა, საჭიროებს ასაკოვან მუშა-მამაკაცთა შედარებით მცირე რიცხვს და საერთოდ, მიუხედავად მისი გაფართოებისა ბამბის გაძვირების შემდეგ 1861 — 1866 წლებში, მხოლოდ მოსახლეობის შედარებით უმნიშვნელო ნაწილს აძლევს სამუშაოს. ყველა სხვა მსხვილი მრეწველობის მსგავსად, იგი მუდმივი რყევით თავის საკუთარ სფეროში მუდამ წარმოშობს შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა აბსოლუტურად იზრდება მის მიერ შთანთქმულ ადამიანთა მასა. სოფლის მოსახლეობის სილატაკე წარმოდგენს კვარცხლბეკს თეთრეულობისა და სხვა გიგანტური ფაბრიკებისათვის, რომელთა მუშების არმია უმეტესწილად გაფანტულია სოფლად. აქ ჩვენ კვლავ ვხვდებით შინმუშაობის ზემოაღწერილ სისტემას, რომელიც დაბალ ხელფასში და გადამეტებულ შრომაში პოულობს «მოჭარბებული» მუშების შექმნის მეთოდურ საშუალებებს. დასასრულ, თუმცა მოსახლეობის შემცირებას აქ ისეთი გამანადგურებელი შედეგი არ მოსდევს, როგორც განვითარებული კაპიტალისტური წარმოების მქონე ქვეყანაში, მაგრამ მას აქაც მუდამ უკუგავლენა აქვს შინაგან ბაზარზე. ხარვეზები, რომელთაც აქ ემიგრაცია ქმნის, ზღუდავს არა მარტო შრომის ადგილობრივ მოთხოვნას, არამედ მეწვრილმანეების, ხელოსნებისა და საერთოდ წვრილი მრეწველების შემოსავალსაც. აქედან წარმოდგება 60-დან 100 გირვანქა სტერლინგამდე შემოსავლის შემცირება E ცხრილში.

სოფლის დაქირავებულ მუშათა მდგომარეობის ნამდვილ აღწერას ირლანდიაში ჩვენ ვპოულობთ ირლანდიელ ღარიბთა სამზრუნველოების ინსპექტორთა მოხსენებებში (1870)^{186d}. ისეთი მთავრობის მოხელეებმა, რომელიც მხოლოდ ხიშტების საშუალებით და ხან ცხადი, ხან ფარული საალყო წესებით არსებობს, უნდა დაიცვან ერთგვარი სიფრთხილე სიტყვა-პასუხში, რასაც მათი ინგლისელი კოლეგები ადვილად უგულებელყოფენ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არ

მთელი მიწის 94,6%-ს შეადგენენ ფერმები, რომელთა ფართობიც — თვითულისა — არ აღემატება 100 აკრს, 5,4%-ს კი — ფერმები, რომელთა ფართობიც 100 აკრზე მეტია.

^{186d} «Reports from Poor Law Inspectors on the Wages of Agricultural Labourers in Ireland». Dublin 1870. — შეად. აგრეთვე «Agricultural Labourers (Ireland) Return etc.», 8th March 1861.

აძლევენ ნებას თავიანთ მთავრობას ილუზიებით თავი შეიქციოს. მათი ცნობების მიხედვით ხელფასის დონე, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან დაბალია სოფლად, უკანასკნელ 20 წელიწადში მაინც გაიზარდა 50—60%-ით და ახლა საშუალოდ 6—9 შილინგს შეადგენს კვირასში. მაგრამ ამ მოჩვენებითი გადიდების უკან იმალება ხელფასის ნამდვილი შემცირება, რადგან იგი ვერც კი აწონასწორებს აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასების იმ მომატებას, რაც ამ დროის განმავლობაში მოხდა; ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ამონაწერი ერთი ირლანდიური სამუშაო სახლის ოფიციალური ანგარიშებიდან:

საშუალო კვირეული ხარჯები ერთი სულის შესანახად

წელიწადი	სახრდო	ტანსაცმელი	სულ
1848 წ. 29 სექტ. — 1849 წ. 29 სექტ.	1 შილ. 3 $\frac{1}{4}$ პ.	0 შ. 3 პენსი	1 შილ. 6 $\frac{1}{4}$ პ.
1868 წ. 29 სექტ. — 1869 წ. 29 სექტ.	2 „ 7 $\frac{1}{4}$ „	0 „ 6 „	3 „ 1 $\frac{1}{4}$ „

ამრიგად, აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასი თითქმის ორჯერ გადიდდა, ტანსაცმლის ფასი კი გადიდდა სწორედ ორჯერ იმასთან შედარებით, რაც 20 წლის წინათ იყო.

მაგრამ, მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ ასეთი შეუსაბამობა, მარტოოდენ შედარება ფულით გამოხატული ხელფასის დონისა სრულიადაც ვერ მოგვცემდა სწორ დასკვნას. შიმშილობამდე ხელფასის დიდ ნაწილს სოფლად *in natura* [ნატურით] იხდიდნენ, ფულით კი — მხოლოდ უმცირეს ნაწილს; ამჟამად ყულისთ გადახდა საერთო წესია. უკვე აქედან ჩანს, რომ რანაირიც უნდა ყოფილიყო რეალური ხელფასის მოძრაობა, მისი ფულადი გამოხატულება უნდა აწეულიყო. ჯიმშილობამდე დღიურად დაქირავებულ სოფლის მუშას პატარა მიწის ნაკვეთი ჰქონდა, სადაც მას მოჰყავდა კარტოფილი და ინახავდა ღორსა და ფრინველს. ამჟამად მან უნდა იყიდოს არა მარტო ყოველგვარი საარსებო საშუალება, არამედ მას ხელიდან ეცლება შემოსავალიც, რომელსაც იღებდა ღორის, ფრინველისა და კვერცხის გაყიდვითა¹⁸⁷. და მართლაც, წინათ სოფლის მუშები

¹⁸⁷ იქვე, გვ. 29, 1.

შერეულნი იყვნენ წვრილ ფერმერებთან და უმეტესწილად იმ საშუალო და მსხვილი ფერმების ერთგვარ არიერგარდს შეადგენდნენ მხოლოდ, სადაც ისინი სამუშაოს შოულობდნენ. მხოლოდ 1846 წლის კატასტროფის შემდეგ იწყება მათი გამოყოფა წმინდა დაქირავებულ მუშათა კლასის ნაწილად, ჩამოყალიბება იმ განსაკუთრებულ წოდებად, რომელიც თავის დაქირავებულთან მხოლოდ ფულადი ურთიერთობით არის დაკავშირებული.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორი იყო მათი საბინაო პირობები 1846 წლამდე. მას შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. სოფლის დაქირავებულ მუშათა ერთი ნაწილი, — თუმცა ეს ნაწილი დღითიდღე მცირდება, — ჯერ კიდევ ფერმერების მიწებზე ცხოვრობს საესეებით გაჭედილ ქოხებში, რომელთა საზარელი მდგომარეობა დიდად სჭარბობს იმ აუტანელ სურათს, რასაც ჩვენ ამ მხრივ ინგლისის სასოფლო ოლქები წარმოგვიდგენენ. ეს მდგომარეობა კი, გარდა ულსტერის ზოგიერთი ადგილისა, საყოველთაოა; ასეთია იგი სამხრეთით — კორკის, ლიმერიკის, კილკენის და სხვ. საგრაფოებში; აღმოსავლეთით — უიკლოში, უოქსფორდში და სხვ.; ირლანდიის ცენტრში — კინგსსა და კუინს კაუნტში, დუბლინის საგრაფოში და სხვ.; ჩრდილოეთით — დაუნში, ენტრიმში, ტირონში და სხვ.; ბოლოს, დასავლეთით — სლაიგოში, როსკომონში, მაიოში, გელუეში და სხვ. ეს, — ამბობს ერთი ინსპექტორთაგანი, — სამარცხვინოა ჩვენი ქვეყნის რელიგიისა და ცივილიზაციისათვის. დღიური მუშებისათვის რომ ეს ჯურღმულები მიმზიდველი გახადონ, სისტემატურად სტაციებენ მიწის იმ პაწია ნაკვეთებსაც კი, რომლებიც მათ უხსოვარი დროიდან გააჩნდათ. «ლენდლორდებისა და მათი მოურავების მხრივ ამგვარი დევნა-შევიწროების შეგნებამ გამოიწვია სოფლის დღიურ მუშებში შესაფერი გრძნობა ზიზღისა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეპყრობა მათ როგორც უუფლებო რასას»^{187a}.

მიწათმოქმედებაში მომხდარი რევოლუციის პირველი აქტი ის იყო, რომ გრანდიოზული მასშტაბით და თითქოს ზემოდან ნაკარნახევი ლოზუნგით განადგურებულ იქნა სამუშაო ადგილას მდებარე ქოხები. მრავალი მუშა ამგვარად გახდა იძულებული თავშესაფარი სოფლებსა და ქალაქებში მოეძებნა. იქ მათ, როგორც ნაგავს, ყრიდნენ ჯურღმულებში, ხვრელებში, სარდაფებში და ყველაზე ცუდი კვარტალების ყველაზე უარეს კუთხეებში. ათასობით ირლანდიელი

^{187a} იქვე, გვ. 12.

ოჯახები, რომელნიც, ერთგვარი ნაციონალური წინარწმენით შეპყრობილი ინგლისელების დამოწმებითაც კი, გამოირჩეოდნენ თავიანთი იშვიათი ერთგულებით ოჯახური კერისადმი, თავიანთი უღარდელი მხიარულობით და ოჯახური ზნე-ჩვეულების სითაქიზით, უეცრად მანკიერების კერებში გადაწერგილნი აღმოჩნდნენ. მამაკაცებს ახლა სამუშაო უნდა ეძებნათ მეზობლად მცხოვრებ ფერმერებთან, რომელნიც მათ ქირაობენ მხოლოდ დღიურად, ე. ი. ხელფასის ყველაზე არასაიმედო ფორმის საფუძველზე; ამასთანავე «ისინი ახლა იძულებულნი არიან დიდი მანძილი გაიარონ ფერმამდე და უკან დაბრუნებისას, ხშირად სველდებიან თავით-ფეხებამდე და იტანენ ბევრ სხვა უბედურებას, რასაც უმეტეს შემთხვევაში შედეგად მოსდევს დავრდომილობა, ავადმყოფობა და, მაშასადამე, გაჭირვება»^{187ა}.

ქალაქებს წლითიწლობით უხდებოდათ იმ მუშების მიღება, რომელნიც სასოფლო ოლქებში მოჭარბებულად ითვლებოდნენ^{187ბ}, და ამის შემდეგ კიდევ უკვირთ, «რომ ქალაქებსა და დაბებში არსებობს მოჭარბებული მუშახელი, ხოლო სოფლად მუშების ნაკლებობა!»^{187დ}. ქვემარტება კი ის არის, რომ ეს ნაკლებობა საგრძნობი ხდება მხოლოდ გადაუღებელი სამიწათმოქმედო სამუშაოების დროს, მკაში და გაზაფხულის პირას, ხოლო წელიწადის სხვა დროს მრავალი მუშახელი უსაქმოდ რჩება»^{187ე}, «რომ მოსავლის აღების შემდეგ, ოქტომბრიდან გაზაფხულის დაწყებამდე, თითქმის არავითარი სამუშაო არ მოიპოვება მათთვის»^{187ფ}, და მუშაობის დროსაც კი «ხშირად მთელ დღეებს კარგავენ და მუშაობის ყოველგვარ შეწყვეტას განიცდიან»^{187გ}.

ეს შედეგები მიწათმოქმედებაში მომხდარი რევოლუციისა, ე. ი. სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევისა, მანქანების გამოყენებისა, შრომის სასტიკი დაზოგვისა და სხვ., უფრო მწვავედ იმ სანიმუშო ლენდლორდების წყალობით, რომელნიც, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი რენტა უცხოეთში გაფლანგონ, იმდენად მოწყალენი არიან, რომ ირლანდიაში თავიანთ მამულებში ცხოვრობენ. რათა არავითარ შემთხვევაში არ დაირღვეს მოთხოვნისა და მიწოდების კანონი, ეს ვაჟბატონები გამოძალვენ «ახლა თითქმის მთელ მათთვის საჭირო შრომას

187 ა იქვე, გვ. 25.

187 ბ იქვე, გვ. 27.

187 დ იქვე, გვ. 26.

187 ე იქვე, გვ. 1.

187 ფ იქვე, გვ. 32.

187 გ იქვე, გვ. 25.

თავიანთ წვრილ ფერმერებს, რომელნიც, ამგვარად, იძულებულნი არიან ოფლი ღვარონ თავიანთი ლენდლორდებისთვის ისეთ ხელფასში, რაც ხშირად ჩვეულებრივი დღიური მუშის ხელფასზე უფრო დაბალია, თუ სრულიად არაფერს ვიტყვი იმ უხერხულობასა და ზარალზე, რაც იქიდან წარმოდგება, რომ ამ ფერმერებმა უნდა მიატოვონ თავიანთი საკუთარი მიწები თესვის ან მოსავლის აღების კრიტიკულ მომენტშია^{187h}.

ამრიგად, სამუშაოს მერყევი და არარეგულარული ხასიათი, ხშირი და ხანგრძლივი უმუშევრობა, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ყველა ეს სიმპტომი, აღნუსხულია ღარიბთა სამზრუნველოების ინსპექტორების მოხსენებებში როგორც სხვადასხვაგვარი გაჭირვება, რაც თავს ატყდება ირლანდიის მიწათმოქმედ პროლეტარიატს. გავიხსენოთ, რომ ამგვარ მოვლენებს ჩვენ შევხვდით ინგლისის სოფლის პროლეტარიატშიც. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ინგლისში, ამ სამრეწველო ქვეყანაში, სამრეწველო რეზერვი იკრიბება სოფელში, მაშინ როდესაც ირლანდიაში, მიწათმოქმედების ქვეყანაში, სამიწათმოქმედო რეზერვი იკრიბება ქალაქებში, გაძევებული სოფლის მუშების ამ თავშესაფრებში. ინგლისში მოჭარბებული მიწათმოქმედი მუშები ფაბრიკის მუშებად იქცევიან; ირლანდიაში კი, ქალაქებში გაძევებულნი, თუმცა გავლენას ახდენენ ქალაქად არსებულ ხელფასზე, მაინც სოფლის მუშებად რჩებიან და მუდამ უკან იგზავნიებიან სოფლად სამუშაოს საძებნელად.

ოფიციალურ მოხსენებათა ავტორებს შემდეგი საბოლოო დასკვნა განოაქვთ დღიურად დაქირავებულ სოფლის მუშების მატერიალური მდგომარეობის შესახებ: «თუმცა ისინი ძალიან მომჭირნედი ცხოვრობენ, მაგრამ ხელფასი ძლივს ჰყოფნის მათ და მათს ოჯახებს საზრდოს საშოვნელად და ბინის ქირის გასასტუმრებლად; ტანსაცმლისათვის მათ ესაჭიროება დამატებითი შემოსავალი... მათი საბინაო პირობები, სხვა გაჭირვებასთან ერთად, განსაკუთრებულად უწყობს ხელს ამ კლასის დაავადებას ტიფით და ტლექითა¹⁸⁷ⁱ. ამის შემდეგ სრულიად გასაკვირველი არ არის, რომ მოხსენებათა ავტორების ერთსულოვანი დამოწმების თანახმად, ამ კლასის რიგებში ვრცელდება ყრუ უკმაყოფილება, რომ ეს კლასი წარსულისაგან მიისწრაფვის, აწმყო სძულს და მომავალს უიმედოდ უყურებს, რომ იგი «დემაგოგების დამღუპველ გავლენას ემორჩილება» და მხოლოდ ერთი

^{187h} იქვე, გვ. 30.

¹⁸⁷ⁱ იქვე, გვ. 21, 13.

აკვიატებული იდევით სულდგმულობს — გადასახლდეს ამერიკაში. აი რა ნეტარების ქვეყნად გადააქცია მწვანე ერიანი მოსახლეობის შემცირებამ — ამ დიადმა მალთუსისეულმა პანაცეამ!

თუ რა კეთილდღეობაში არიან ირლანდიელი მანუფაქტურის მუშები, ამას ერთი შემდეგი მაგალითიც გვიჩვენებს:

ჩემი ახლახან ჩატარებული საინსპექციო მოგზაურობის დროს ჩრდილოეთ ირლანდიაში, — ამბობს ინგლისელი ფაბრიკის ინსპექტორი რობერტ ბეკერი, — მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, თუ როგორ ცდილობდა ერთი დახელოვნებული ირლანდიელი მუშა ყოველად უმწეო საშუალებებით განათლება მიეცა თავისი შვილებისათვის. მე სიტყვა-სიტყვით მომყავს მისი ნაამბობი, როგორც ეს პირადად მისგან გავიგონე. ის რომ მართლა ფაბრიკის დახელოვნებული მუშაა, ეს იქიდან ჩანს, რომ მას მანჩესტერის ბაზარზე გასაგზავნი საქონლის წარმოებისათვის იყენებენ. ჯონსონი: მე ხელობით *beetler*-ი [მპენტავი] ვარ და დილის 6 საათიდან ღამის 11 საათამდე ვმუშაობ, ორშაბათიდან პარასკევამდე; შაბათობით საღამოს 6 საათზე ვათავებთ მუშაობას და 3 საათი გვაქვს სადილისა და დასვენებისათვის. მე 5 შვილი მყავს. ამ მუშაობისთვის ვიღებ 10 შილინგს და 6 პენსს კვირაში; ჩემი ცოლიც მუშაობს და კვირაში 5 შილინგს იღებს. უფროსი ქალიშვილი, თორმეტი წლისა, სახლს უთვალყურებს. ის ჩვენი მზარეულია და ერთადერთი თანაშემწე. იგი სკოლისათვის ამზადებს უმცროსებს. ჩემი მეუღლე ჩემთან ერთად მიდის სახლიდან სამუშაოზე. ერთი ქალიშვილი, რომელიც ჩვენი სახლის წინ გაივლის ხოლმე, დილის 5¹/₂ საათზე მალევიძებს. სამუშაოზე წასვლის წინ ჩვენ არაფერს ვჭამთ. თორმეტი წლის ქალიშვილი მთელი დღე უვლის პატარებს. ჩვენ დილის 8 საათზე ვსაუზნობთ და ამისთვის სახლში მოვდივართ. ჩაის ერთხელ ვსვამთ კვირაში. საერთოდ ჩვენ ფაფას (*stirabout*) ვამზადებთ ხან შვრიის და ხან სიმინდის ფქვილისას, იმის მიხედვით, თუ რის შოვნა შეგვიძლია. ზამთარში ჩვენ სიმინდის ფქვილს ცოტა მაქარს და წყალს ვუმატებთ. ზაფხულში ცოტა კარტოფილი მოგვდის, რომელსაც ჩვენ თვითონ ვთესავთ მიწის მცირე ნაკვეთზე და როცა კარტოფილი გაგვითავდება, ისევე ფაფას ვუბრუნდებით. და ასე მიდის დღითი-დღე, კვირა და სამუშაო დღეები, ასე მიდის მთელი წელიწადი. დღიური მუშაობის დამთავრების შემდეგ მე საღამოთი მუდამ ძალიან დაღლილად ვგრძნობ თავს. ხორცის ნაჭერს განსაკუთრებულ შემთხვევაში, ძალიან იშვიათად თუ ვხედავთ. ჩვენი სამი ბავშვი სკოლაში დადის, რისთვისაც ჩვენ 1 პენსს ვიხდით კვირაში თვითეულ სულზე. ჩვენი ბინის ქირა 9 პენსს უდრის კვირაში, ტორფი და გათბობა, 56 კ. მარქსი. *კაპიტალი, ტ. I.*

სულ ცოტა, 1 შილინგი და 6 პენსი ღირს თოთხმეტ დღეში»¹⁸⁸. აი ირლანდიური ხელფასი, აი ირლანდიური ცხოვრება!

მართლაც, ირლანდიის სილატაკე კვლავ ყოველდღიურ საკითხად გადაიქცა ინგლისში. 1866 წლის დამლევს და 1867 წლის დასაწყისს ერთი ირლანდიელი მიწის მაგნატთაგანი, ლორდი დეფერინი, შეუდგა ამ საკითხის გადაწყვეტას «Times»-ის ფურცლებზე. «Wie menschlich von solch' grossem Herrn!» [«რა ადამიანურობაა ასეთი ღიდი კაცისაგან!»]

ეს ცხრილიდან ჩვენ დავინახეთ, რომ 1864 წელს 4 368 610 გირვ. სტერლ. მთელი მოგებიდან მარტო 262 610 გირვანქა სტერლინგი მოგების 3 რაინდმა [Plusmacher] მიიღო, 1865 წელს კი «დათმენის» იმავე 3 ვირტუოზმა 4 669 979 გირვ. სტერლ. მთელი მოგებიდან ჩაიჯობა 274 448 გირვანქა სტერლინგი, 1864 წელს 26 პლუსმახერმა 646 377 გირვანქა სტერლინგი მიიღო, 1865 წელს 28 პლუსმახერმა — 736 448 გირვანქა სტერლინგი, 1864 წელს 121 პლუსმახერმა — 1 066 912 გირვანქა სტერლინგი, 1865 წელს 186 პლუსმახერმა — 1 320 996 გირვანქა სტერლინგი, 1864 წელს 1 131 პლუსმახერმა — 2 150 818 გირვანქა სტერლინგი, თითქმის მთელი წლიური მოგების ნახევარი; 1865 წელს 1 194 პლუსმახერმა მიიღო 2 418 933 გირვანქა სტერლინგი, მთელი წლიური მოგების ნახევარზე მეტი. მაგრამ წლიური ნაციონალური შემოსავლის ის უდიდესი ნაწილი, რომელსაც ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მიწის მაგნატების უმნიშვნელო რიცხვი ნთქამს, იმდენად უზარმაზარია, რომ ინგლისურ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს მიზანშეწონილად მიაჩნია მიწის რენტის განაწილების შესახებ არ მისცეს ისეთივე სტატისტიკური მასალა, რომელსაც იგი მოგების განაწილების შესახებ იძლევა. ლორდი დეფერინი ერთი ამ მიწის მაგნატთაგანია. რენტა და მოგება რომ ოდესმე შეიძლებოდეს «მოჭარბებული» იყოს, ანდა მათი სიუხვე დაკავშირებული იყოს როგორმე ხალხის სილატაკის სიუხვესთან, — ამის წარმოდგენა, რასაკვირველია, ისევე «irrespectable» [«არასაკადრისია»], როგორც «არაჯანსაღი» (unsound). ლორდი ფაქტებს ეყრდნობა. ფაქტი კი ის არის, რომ, როცა ირლანდიის მოსახლეობა მცირდება, იზრდება ირლანდიის მიწის რენტა, რომ მოსახლეობის შემცირება «ხელსაყრელია» მიწის მესაკუთრისათვის, მაშასადამე, მიწისთვისაც, ე. ი. ხალხისთვისაც, რომელიც მხოლოდ დანამატია მიწისა. ამრიგად, იგი აცხადებს, რომ ირლანდია ჯერ კიდევ ჰარბად დასახლებულია, და რომ ემიგრაციის ნაკადი

¹⁸⁸ «Reports of Insp. of Fact. 31st October 1866», გვ. 96.

ჯერ კიდევ ძალიან ნელა მიმდინარეობს. სრულყოფილ ბედნიერებას რომ მიაღწიოს, ირლანდია სულ ცოტა $\frac{1}{3}$ მილიონ მუშას კიდევ უნდა გამოეთხოვოს. არ იფიქროთ, რომ ეს, — ყოველივე დანარჩენს გარდა აგრეთვე პოეტი, — ლორდი სანგრადოს სკოლიდან მოვლენილი ექიმი იყოს, რომელიც, რაკი ავადმყოფს გაუმჯობესებას ვერ შეამჩნევდა, დაუნიშნავდა სისხლის გამოშვებას, კვლავ სისხლის გამოშვებას, ვიდრე პაციენტის სისხლთან ერთად მისი სნეულებაც არ გაქრებოდა. ლორდი დეფერინი ნაცვლად დაახლოებით ორი მილიონისა, მხოლოდ $\frac{1}{3}$ მილიონისთვის მოითხოვს ხელახლა სისხლის გამოშვებას, რომელთა მოუცილებლად მართლაც ვერ დამყარდებოდა ერინში ათასწლიური სუფევა. ამის დამტკიცება ადვილია.

საიჯარო ფერმების რიცხვი და გოცულობა
ირლანდიაში 1864 წელს

1 ფერმები 1 აკრამდე		2 ფერმები 1 — 5 აკრამდე		3 ფერმები 6 — 15 აკრამდე		4 ფერმები 16 — 30 აკრამდე	
რიცხვი	აკრი	რიცხვი	აკრი	რიცხვი	აკრი	რიცხვი	აკრი
48 653	25 394	82 037	288 916	176 368	1 836 310	136 578	3 051 343

5 ფერმები 31 — 50 აკრამდე		6 ფერმები 51 — 100 აკრამდე		7 ფერმები 100 აკრზე მეტ		8 საერთო ფართობი	
რიცხვი	აკრი	რიცხვი	აკრი	რიცხვი	აკრი		
71 961	2 906 274	54 247	3 983 880	31 927	8 227 807	20 319 924 აკრი ^{186a}	

ცენტრალიზაციამ მოსპო 1851-დან 1861 წლამდე უმთავრესად პირველი სამი კატეგორიის ფერმები, ერთ აკრზე ნაკლები და არა უმეტესი 15 აკრისა. ყველაზე უწინ ისინი უნდა განადგურდნენ. ეს შეადგენს 307 058 «მოჰარბებულ» ფერმებს და, თუ ოჯახზე შემცირებული საშუალო გამოანგარიშებით 4 სულს ვივარაუდებთ, — 1 228 232 სულს. თუ დავუშვებთ, რაც დაუჯერებელია, რომ აქედან მიწათმოქმედებაში

^{186a} საერთო ფართობი შეიცავს აგრეთვე კუობებს და უდაბურ მიწებს.

მომხდარი რევოლუციის შემდეგ $\frac{1}{4}$ კვლავ სამუშაოს იშოვის, გადასახლებული მაშინაც დარჩება 921 174 ადამიანი. კატეგორიები 4, 5, 6, 15 აკრზე მეტი, მაგრამ არა უმეტესი 100 აკრისა, როგორც უკვე ინგლისში დიდი ხანია ცნობილია, კაპიტალისტური მარცვლეული მეურნეობისათვის ძალიან მცირეა, ხოლო მეცხვარეობისათვის თითქმის უმნიშვნელო სიდიდეა. მაშასადამე, წინანდელი ვარაუდის მიხედვით უნდა გადასახლდეს კიდევ 788 761 ადამიანი, სულ: 1 709 532. და რადგან *l'appétit vient en mangeant* [მალა ჭამაში მოდის], ამიტომ მიწათმფლობელთა თვალები მალე აღმოაჩენენ, რომ ირლანდია $3\frac{1}{4}$ მილიონი მეცხოვრებითაც მაინც ლატაკი ქვეყანაა და ლატაკია იმიტომ, რომ ჭარბად დასახლებულია, მაშასადამე, მისი მოსახლეობის შემცირება გაცილებით უფრო შორს უნდა წავიდეს, რათა მან შეასრულოს თავისი ნამდვილი დანიშნულება: გადაიქცეს ინგლისისათვის ცხვრების ქვეყნად და პირუტყვის საძოვრებად ¹⁸⁸⁸.

¹⁸⁸⁸ ამ თხზულების მესამე წიგნში, მიწის საკუთრების განყოფილებაში, მე უფრო დაწვრილებით ცხადვყოფი, თუ რა გეგმაშეწონილად გამოიყენეს შიმშილი და მისგან შექმნილი მდგომარეობა როგორც ცალკეულმა მიწის მესაკუთრებმა, ისე ინგლისურმა კანონმდებლობამაც, რათა ძალდატანებით გაეტარებინათ რევოლუცია მიწათმოქმედებაში და შეემცირებინათ ირლანდიის მოსახლეობა ლენდლორდებისთვის ხელსაყრელ ოდენობამდე. იქვე დაფუძრულდები აგრეთვე წვრილი ფერმერებისა და სოფლის მუშების მდგომარეობას. აქ კი მოვიყვან მხოლოდ ერთ ციტატას. ნასაუ ე. სენიორი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ თხზულებაში: *«Journals, Conversations and Essays relating to Ireland, 2 ტომი, London 1868, ტ. II, გვ. 282, ამბობს სხვათა შორის: «დ-რ ჯ-მ მართებულად აღნიშნა, რომ ჩვენ გვაქვს ღარიბთა კანონის სახით მძლავრი იარაღი იმისათვის, რომ ლენდლორდებს გამარჯვება მივანიჭოთ; მეორე იარაღი — ემიგრაციაა. ირლანდიის არც ერთი მეგობარი არ მოისურვებს, რომ გაგრძელდეს ომი (ლენდლორდებსა და წვრილ კელტურ ფერმერებს შორის) და უფრო ნაკლებად მოისურვებს, რომ იგი ფერმერების გამარჯვებით დამთავრდეს... რაც უფრო მალე გათავდება იგი (ეს ომი), რაც უფრო მალე გადაიქცევა ირლანდია საძოვრებად (grazing country) შედარებით მცირე მოსახლეობით, რომელსაც საჭიროებს ეს საძოვრები, მით უკეთესი იქნება ყველა კლასისთვის. — 1815 წელს ინგლისის პურის კანონები უზრუნველყოფდნენ ირლანდიისათვის პურის თავისუფლად შეზიდვას დიდ ბრიტანეთში. მაშასადამე, ისინი ხელოვნურად უწყობდნენ ხელს მარცვლეულის წარმოებას. ეს მონობოლია უეცრად მოისპო პურის კანონების გაუქმებით 1846 წელს. თუ აღარას ვიტყვით ყველა დანარჩენ გარემოებაზე, მართო ეს მოვლენაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ მძლავრი გაქანება მისცემოდა ირლანდიაში სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევას, ფერმების ცენტრალიზაციას და წვრილი გლეხების გაძევებას. მას შემდეგ, რაც 1815 — 1846 წლებში სახელი გაუთქვეს ირლანდიის ნიადაგის ნაყოფიერებას და საჯაროდ გამოაცხადეს, იგი თვით ბუნებით დანიშნულია ზორობლის მოსაყვანადო, ახლა ინგლისის აგრონომებმა, ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა უეცრად აღმოაჩინეს, რომ იგი თურმე სხვა არაფრისთვის არ ყოფილა გამო-*

ამ მომგებიან მეთოდს, როგორც ყოველივე კარგს ამ ქვეყნად, თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. ირლანდიაში მიწის რენტის დაგროვებასთან ერთად ხდება ირლანდიელთა დაგროვება ამერიკაში. ცხერისა და ხარის მიერ გაძევებული ირლანდიელი კვლავ გვიწვლინება ოკეანის იქითა მხარეს როგორც ფენიელი. და ზღვების ძველი მბრძანებლის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო მრისხანედ ირაზმება ახალგაზრდა ბუმბერაზული რესპუბლიკა.

*Acerba fata Romanos agunt
Scelusque fraternae necis.*

[სასტიკი ბედი და ვერაგული ძმათმკვლელობა
კვალდაკვალ სდევნის რომაელებს. (ჰორაც.)]

სადეგი, თუ არა მხოლოდ საკვები ბალახის მოსაყვანად! ბატონმა ლეონს დე ლაფერნმა არ დააყოვნა და ეს აღმოჩენა არხის გაღმა მხარეს გაიმეორა. ისეთი «სერიოზული» კაცი უნდა იყო, როგორც ბატონი ლაფერნია, რომ ასეთი ბავშვური ზღაპრებით მოიხიბლო.

თავი ოცდამოთხე

ეგრეთყოფილი თავდაპირველი დაგროვება

1. თავდაპირველი დაგროვების საილუმოოება

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გადაიქცევა ფული კაპიტალად, როგორ წარმოშობს კაპიტალი ზედმეტ ღირებულებას და როგორ იქმნება ზედმეტი ღირებულებისაგან მეტი კაპიტალი. მაგრამ კაპიტალის დაგროვება გულისხმობს ზედმეტ ღირებულებას, ზედმეტი ღირებულება — კაპიტალისტურ წარმოებას, ეს უკანასკნელი კი — კაპიტალისა და სამუშაო ძალის დიდ მასათა არსებობას საქონელმწარმოებელთა ხელში. ამრიგად, მთელი ეს მოძრაობა თითქოს მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია გამოსვლა მხოლოდ მაშინ, თუ დაფუძვებით, რომ კაპიტალისტურ დაგროვებას წინ უძღოდა «თავდაპირველი» დაგროვება (აღამ სმიტის «previous accumulation»), დაგროვება, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესის შედეგი კი არ არის, არამედ — მისი ამოსავალი პუნქტია.

ეს თავდაპირველი დაგროვება დაახლოებით იმავე როლს ასრულებს პოლიტიკურ ეკონომიაში, როგორსაც პირველქმნილი ცოდვა თეოლოგიაში. აღამმა ვაშლი იგემა და ამით აღამიანთა მოდგმა შთავარდა ცოდვასა. მის წარმოშობას განმარტავენ იმით, რომ მოგვიტხრობენ მას როგორც შორეული წარსულის ანეკდოტს. უხსოვარი დროიდან არსებობდნენო, ერთი მხრივ, ბეჯითი, კევიანი და, უწინარეს ყოვლისა, მომჭირნე რჩეული აღამიანები, ხოლო, მეორე მხრივ, — მაწანწალა ზარმაცები, მთელი თავიანთი სარჩო-საბადებლისა და კიდევ მეტის გამინიავებლნი. მართალია, შეცოდების თეოლოგიური ლეგენდა მოგვიტხრობს, თუ როგორ მიესაჯა აღამიანს ოფლითა თვისითა მოიპოვოს პური თვისი; ეკონომიური შეცოდების ისტორია კი გვიმეღავენებს, თუ როგორ მოხდა, რომ არსებობენ აღამიანები, რომელთაც ეს ხვედრი აცილებიათ. მაგრამ ეს სულ

ერთია. მოხდა ისე, რომ პირველთ დააგროვეს სიმდიდრე, უკანასკნელთ კი საბოლოოდ აღარაფერი დარჩათ გასაყიდი, გარდა საკუთარი ტყავისა. და ამ შეცოდების მომენტიდან იწყება თურმე სილატაქე ფართო მასისა, რომელსაც, მიუხედავად მთელი თავისი შრომისა, ჯერ კიდევ არაფერი აქვს გასაყიდი, გარდა თავის თავისა, და მცირეოდენთა სიმდიდრე, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება, თუმცა მათ დიდი ხანია შეწყვიტეს მუშაობა. ასეთი სულელური ზღაპრების ცოხნით უმასპინძლდება, მაგალითად, propriété-ს [საკუთრების] გამართლების მიზნით, ბ-ნი ტიერი ოდესღაც ესოდენ გონებამახვილ ფრანგებს, და ისიც სახელმწიფო მოღვაწისათვის შესაფერი დარბაისლური სერიოზულობით. მაგრამ როგორც კი საკითხი საკუთრებას ეხება, წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ დაიცვან ბავშვური ანაბანას თვალსაზრისი როგორც ერთადერთი მართებული თვალსაზრისი ყველა ასაკისა და განვითარების ყველა საფეხურისათვის. როგორც ვიცით, ნამდვილ ისტორიაში დიდ როლს ასრულებს დაპყრობა, დამონება და ძარცვა-გლეჯა, — ერთი სიტყვით, ძალადობა. მაგრამ თვინიერ პოლიტიკურ ეკონომიაში იმავეთვე იდილია სუფევდა. უფლება და «შრომა» თავიდანვე გამდიდრების ერთადერთი საშუალება იყო, «მიმდინარე წელი», რასაკვირველია, ყოველთვის გამონაკლისს შეადგენდა. სინამდვილეში თავდაპირველი დაგროვების მეთოდები ყველაფერია, რაც გნებავთ, მხოლოდ არა იდილია.

ფული და საქონელი, სწორედ ისევე როგორც წარმოების საშუალებანი და საარსებო საშუალებანი, თავისთავად სრულიადაც არ წარმოადგენენ კაპიტალს. ისინი საჭიროებენ კაპიტალად გარდაქმნას. მაგრამ თვით ეს გარდაქმნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, რომელნიც შემდეგ სახეს იღებენ: ერთმანეთს უნდა დაუპირდაპირდეს და კონტაქტში შევიდეს ორი მეტად განსხვავებული სახის საქონელმფლობელი, — ერთი მხრივ, ფულის, წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა მესაკუთრენი, რომელთაც მათ მიერ მითვისებული ღირებულების ჯამის გასადიდებლად ესაჭიროებათ სხვისი საშუალო ძალის ყიდვა; მეორე მხრივ, — თავისუფალი მუშები, საკუთარი საშუალო ძალის გამყიდველნი და, მაშასადამე, შრომის გამყიდველნი. თავისუფალი მუშები ორნაირი აზრით: თვით მუშები უშუალოდ არ განეკუთვნებიან წარმოების საშუალებებს, როგორც, მაგალითად, მონები, ყმები და სხვ., მაგრამ არც წარმოების საშუალებანი ეკუთვნის მათ, როგორც, მაგალითად, გლეხს და სხვ., რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწყება; პირიქით, მუშები თავისუფალნი არიან წარმოების საშუალებებისაგან, ჩამომორებულნი და

მოკლებულნი ამ საშუალებებს. საქონლის ბაზრის ამ პოლარიზაციით მოცემულია კაპიტალისტური წარმოების ძირითადი პირობები. კაპიტალისტური ურთიერთობა გულისხმობს, რომ საკუთრება შრომის განხორციელების პირობებზე გათიშულია მუშისაგან. როგორც კი კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფეხზე დგება, იგი არათუ ინარჩუნებს ამ გათიშვას, არამედ აკვლავწარმოებს მას სულ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით. მაშასადამე, პროცესი, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობას ქმნის, არ შეიძლება იყოს სხვა რამე, თუ არა პროცესი გათიშვისა მუშასა და მისი შრომის პირობების საკუთრებას შორის, პროცესი, რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ საარსებო საშუალებებს და წარმოების საშუალებებს კაპიტალად აქცევს, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალო მწარმოებელს — დაქირავებულ მუშად. ამრიგად, ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვება სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული პროცესი მწარმოებლისა და წარმოების საშუალებათა გათიშვისა. იგი წარმოგვიდგება როგორც «თავდაპირველი», რადგან კაპიტალისა და მისი შესაბამისი წარმოების წესის წინაისტორიას ქმნის.

კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა წარმოქმნა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურიდან. ამ უკანასკნელის დაშლამ პირველი ულემენტები გაათავისუფლა.

უშუალო მწარმოებელს, მუშას, მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო გამხდარიყო თავისი პიროვნების ბატონ-პატრონი, როცა იგი მიწაზე აღარ იყო მიკრული და როცა მოისპო მისი ბატონყმური ანუ ფეოდალური დამოკიდებულება სხვა პიროვნებაზე. შემდეგ, იმისათვის, რომ მუშა გამხდარიყო სამუშაო ძალის თავისუფალი გამყიდველი, რომელიც თავის საქონელს მიაწოდებდა ყველგან, სადაც იგი ბაზარს იპოვიდა, იგი უნდა განთავისუფლებულიყო ამქრების ბატონობისაგან, ქარგლებისა და შევირდების შესახებ არსებული ამქრული წესდებებისაგან და შრომის ყოველგვარი შემზღუდველი წესებისაგან. ამრიგად, ისტორიული მოძრაობა, რომელიც მწარმოებლებს დაქირავებულ მუშებად აქცევს, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება როგორც მათი განთავისუფლება ფეოდალური ბეგრისაგან და ამქრული იძულებისაგან; და ჩვენი ბურჟუაზიული ისტორიკოსებისათვის მხოლოდ ეს მხარე არსებობს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ახლად განთავისუფლებულნი მხოლოდ მაშინ ხდებიან თავიანთი თავის გამყიდველნი, როდესაც მათ წართმეული აქვთ წარმოების ყველა საშუალება და არსებობის ყველა გარანტია, რაც კი მინიჭებული ჰქონდათ ძველი ფეოდალური დაწესებულებების მიერ. და ამ ექსპროპრიაციის

ისტორია სისხლისა და ცეცხლის ენით არის ჩაწერილი კაცობრიობის მატრიანეში.

მრეწველ კაპიტალისტებს, ამ ახალ მზრუნველთ, თავის მხრივ, უნდა განედევნათ არა მარტო საამქროს ოსტატები, არამედ — ფეოდალებიც, რომელნიც სიმდიდრის წყაროს ფლობდნენ. ამ მხრივ მათი გაძლიერება ნაყოფია ძლიერამოსილი ბრძოლისა ფეოდალური ხელისუფლებისა და მისი აღმაშფოთებელი პრივილეგიების წინააღმდეგ, აგრეთვე საამქროებისა და იმ ბორკილების წინააღმდეგ, რომლებითაც ისინი ბოჭავდნენ წარმოების თავისუფალ განვითარებას და ადამიანის თავისუფალ ექსპლოატაციას ადამიანის მიერ. მაგრამ მრეწველობის რაინდებმა მხოლოდ იმიტომ შეძლეს მახვილის რაინდების დამარცხება, რომ მათ გამოიყენეს გარემოებანი, რომელთა შექმნაშიც მათ სრულიად წილი არ ედოთ. ისინი დაწინაურდნენ იმავე ბინძური საშუალებებით, რითაც ოდესღაც რომის განთავისუფლებული მონა თავის პატრონზე [patronus] გაბატონდა.

ამოსავალი პუნქტი იმ განვითარებისა, რომელიც წარმოშობს როგორც დაქირავებულ მუშას, ისე კაპიტალისტს, მუშის დამონება იყო. განვითარება მდგომარეობდა ამ დამონების ფორმის შეცვლაში და ფეოდალური ექსპლოატაციის კაპიტალისტურ ექსპლოატაციად გადაქცევაში. ამ პროცესის მსვლელობის გასაგებად ჩვენ სრულიადაც არ გვჭირდება შორს დავიხიოთ უკან წარსულისაკენ. თუმცა კაპიტალისტური წარმოების პირველ საწყისებს ჩვენ უკვე მე-14 და მე-15 საუკუნეში ხმელთაშუაზღვის ზოგიერთ სანაპირო ქალაქში სპორადულად ვხვდებით, მაგრამ კაპიტალისტური ერა მაინც მხოლოდ მე-16 საუკუნიდან იწყება. სადაც იგი აღორძინებას იწყებს, იქ ბატონყმობა დიდი ხნით აღრე მოისპო და შუა საუკუნეების მშვენიერბამ — სუვერენულმა ქალაქმა — უკვე დიდი ხანია თავისი ელფერი დაჰკარგა.

თავდაპირველი დაგროვების ისტორიაში ეპოქისშემქმნელია ყველა ის გადატრიალება, რომელიც კაპიტალისტების კლასისათვის, მისი შექმნის პროცესში ბერკეტს წარმოადგენს; უწინარეს ყოვლისა, ასეთი მნიშვნელობისაა ის მომენტები, როცა ადამიანთა დიდი მასებე უეცრად და ძალდატანებით მოწყვეტილნი ხდებიან საარსებო საშუალებებს და გადატყორცნილნი შრომის ბაზარზე როგორც კანონგარეშე დაყენებული პროლეტარები. სოფლის მეურნეობის მწარმოებლის ექსპროპრიაცია, გლეხის გაბოვანობა, მთელი პროცესის საფუძველს შეადგენს. ამ ექსპროპრიაციის ისტორია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ელფერს იღებს, სხვადასხვა თანამიმდევრობით და სხვადასხვა

ისტორიულ ხანაში სხვადასხვა ფაზებს გაივლის. კლასიკური ფორმით იგი მხოლოდ ინგლისში მიმდინარეობს და ჩვენც სწორედ ამიტომ მაგალითისათვის ინგლისს მივმართავთ¹⁸⁹.

2. სოფლის მოსახლეობის მიწის მესპროკრიაცია

ინგლისში ბატონყმობა ფაქტიურად მე-14 საუკუნის დამლევს მოისპო. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა¹⁹⁰ მაშინ, — და უფრო კი მე-15 საუკუნეში, — თავისუფალი, საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხებისაგან შედგებოდა, სულ ერთია რანაირი ფეოდალური სამოს-ლითაც უნდა ყოფილიყო დაფარული ეს მათი საკუთრება. დიდი საბატონო მამულების bailiff-ი [მოურავი], ოდესღაც ყოფილი ყმა, განდევნილ იქნა თავისუფალი ფერმერის მიერ. მიწათმოქმედი დაქირავებული მუშები ნაწილობრივ შედგებოდნენ გლეხებისაგან, რომელნიც თავისუფალ დროს მსხვილ მემამულეებთან მიდიოდნენ სამუშაოდ, ნაწილობრივ კი დაქირავებული მუშების, — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, — განსაკუთრებული კლასისაგან, შეფარდებით და აბსოლუტურად მცირერიცხოვანი კლასისაგან. ამასთანავე ეს დაქი-

¹⁸⁹ იტალიაში, სადაც კაპიტალისტური წარმოება ყველაზე ადრე განვითარდა, აგრეთვე ყველაზე ადრე მოხდა ბატონყმური ურთიერთობის დაშლა. ყმა აქ უფრო ადრე განთავისუფლდა, ვიდრე იგი მოიპოვებდა ხანდაზმულობის რაიმე უფლებას მიწაზე. ამიტომ ეს განთავისუფლება მას მყისვე კანონგარეშე დაყენებულ პროლეტარად აქცევს და ეს უკანასკნელი ამათთანვე მაშინვე პოულობს ახალ ბატონებს იმ ქალაქებში, რომელნიც უმეტესწილად ჯერ კიდევ ძველი რომის დროიდან იყვნენ შემორჩენილნი. როცა მსოფლიო ბაზრის რევოლუციამ მე-15 საუკუნის დამლევს ჩრდილო-იტალიის სავაჭრო ბატონობას ბოლო მოუღო, დაიწყო მოძრაობა შებრუნებული მიმართულებით. ქალაქის მუშები მასობრივად იღვენებოდნენ სოფლად, სადაც მათ დასაბამი მისცეს მებაღეობის მსგავსად ორგანიზებული წვრილი მიწათმოქმედების კულტურის არნახულ აღმავლობას.

¹⁹⁰ წვრილი მიწათმფლობელნი, რომელნიც თავიანთ საკუთარ მიწას საკუთარი ხელით ამუშავებდნენ და თავიანთ ზომიერ კეთილდღეობას შეჰპაროდნენ, ... მაშინ ერის გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, ვიდრე ახლა... 160 000-ზე არანაკლები მიწის მესაკუთრე, რომელნიც თავიანთი ოჯახებით მთელი მოსახლეობის, ალბათ, 1/4-ზე მეტს შეადგენდნენ, ცხოვრობდნენ წვრილი freehold — მიწის ნაკვეთების (freehold — მიწის სრული საკუთრებაა) დამუშავებით. ამ წვრილ მიწათმფლობელთა საშუალო შემოსავალი უდრის 60 — 70 გირვანქა სტერლინგს. გამოანგარიშებულია, რომ იმ პირთა რიცხვი, რომელნიც საკუთარ მიწას ამუშავებდნენ, უფრო შიტი იყო, ვიდრე სხვისი მიწების მოიჯარეთა (Macaulay: «History of England», მე-10 გამოცე., London 1854, ტ. I, გვ. 333, 334). ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის უკანასკნელ მესამედში ინგლისის ხალხის 1/3 მიწათმოქმედებს მისდევდა (იქვე, გვ. 413). — მე იმიტომ მომყავს მაკოლეს სიტყვები, რომ იგი, როგორც ისტორიის სისტემატური ფალსიფიკატორი, რაც შეუძლია აფუჩეჩებს, ამგვარ ფაქტებს.

რავებული მუშებიც ფაქტიურად დამოუკიდებელი მეურნე გლეხები იყვნენ, რადგან მათ ხელფასთან ერთად კოტეჯი და 4 ან კიდევ მეტი აკრი სახნავი მიწა ეძლეოდათ. გარდა ამისა, ნამდვილ გლეხებთან ერთად ისინი სარგებლობდნენ სათემო მიწებით, სადაც თავიანთ პირუტყვს აძოვებდნენ და შოულობდნენ სათბობ მასალას: შეშას, ტორფსა და სხვ.¹⁹¹ ევროპის ყველა ქვეყანაში ფეოდალურ წარმოებას ახასიათებს მიწის დანაწილება რაც შეიძლება მეტ, ფეოდალებზე დამოკიდებულ, პირთა შორის. ფეოდალური მეზატონის, ისევე როგორც ყოველი სუვერენის, ძლიერება დამყარებული იყო არა მისი რენტის ოდენობაზე, არამედ მისი ქვეშევრდომების რიცხვზე, ხოლო ეს უკანასკნელი დამოკიდებული იყო საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხების რიცხვზე¹⁹². ამიტომ, თუმცა ინგლისის მიწა-წყალი ნორმანების მიერ დაპყრობის შემდეგ დაყოფილი იყო უზარმაზარ საბარონოებად, რომელთაგან თვითეული ხშირად 900 ძველ ინგლის-საქსურ სალორდოს შეიცავდა, მიუხედავად ამისა, ეს მიწა-წყალი მოფენილი იყო წვრილგლეხური მეურნეობებით, სადაც მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდა მსხვილი საბატონო მამული. ასეთმა ურთიერთობამ და იმავე დროს ქალაქური ცხოვრების აყვავებამ, რაც ასე დამახასიათებელია მე-15 საუკუნისათვის, შექმნა იმ სახალხო სიმდიდრის შესაძლებლობა, რომელსაც ასე მჭევრმეტყველურად აგვიწერს კანცლერი ფორტესკიუ თავის «Laudibus Legum Angliae»-ში, მაგრამ ეს ურთიერთობა გამორიცხავდა კაპიტალისტურ სიმდიდრეს.

იმ გადატრიალების პროლოგს, რომელმაც კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველი შექმნა, ადგილი ჰქონდა მე-15 საუკუნის უკანასკნელ მესამედში და მე-16 საუკუნის პირველ ათეულ წლებში. შრომის ბაზარზე გადასროლილ იქნა კანონგარეშე დაყენებული

¹⁹¹ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყმაც კი არა მარტო მესაკუთრეა, — თუნდაც ღალის გადამხდელი მესაკუთრე, — მეორე მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც მის კარმიდამოს აკრავს, არამედ სათემო მიწის კოლექტიური საკუთრების თანამოზიარეც. «გლეხი იქ (სილვზიაში) ყმა არის». მიუხედავად ამისა, ეს serfs [ყმები] სათემო მიწებს ფლობენ. «დღემდე სილვზიელები ჯერ კიდევ ვერ დაუთანხმებიათ სათემო მიწების დაყოფაზე, მაშინ როდესაც ნოინმარკში არ მოიპოვება არც ერთი სოფელი, სადაც ეს დაყოფა არ მომხდარიყოს უდიდესი წარმატებით» (M i r a b e a u: «De la Monarchie Prussienne». Londres 1788, ტ. II, გვ. 125, 126).

¹⁹² იაპონია მიწის საკუთრების თავისი წმინდა ფეოდალური ორგანიზაციით და თავისი განვითარებული წვრილგლეხური მეურნეობით ევროპული შუა საუკუნეების უფრო სწორ სურათს იძლევა, ვიდრე მთელი ჩვენი ისტორიული წიგნები, რომელნიც უმეტესწილად ბურჟუაზიული ცრუახრებიტაა გაქლენილი. შუა საუკუნეების ხარჯზე «ლიბერალობა» მეტად იოლი საქმეა.

პროლეტარების მასა იმ ფეოდალური რაზმების დაშლის გამო, რომელნიც, სერ ჯემს სტიუარტის სწორი შენიშვნით, «ყველგან უსარგებლოდ და პირთამდე ავსებდნენ სახლებსა და ციხე-დარბაზებს». თუმცა მეფის ხელისუფლება, თვითონ შედეგი ბურჟუაზიული განვითარებისა, აბსოლუტურ სუვერენიტეტს ესწრაფვოდა და ძალდატანებით აჩქარებდა ამ რაზმების დაშლას, მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო ამ დაშლის ერთადერთი მიზეზი. თვით მსხვილმა ფეოდალებმა, რომელნიც სასტიკ ანტაგონიზმში იმყოფებოდნენ მეფის ხელისუფლებასა და პარლამენტთან, შეუდარებლად უფრო მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი შექმნეს იმით, რომ ძალადურად განდევნეს გლეხები მიწებიდან, რომლებზედაც ამ გლეხებს საკუთრების ისეთივე ფეოდალური უფლება ჰქონდათ, როგორიც თვით ფეოდალებს, და სათემო მიწები მიიტაცეს. ამ მოვლენას უშუალო ბიძგი მისცა ინგლისში განსაკუთრებით ფლანდრიული მატყლის მანუფაქტურის აყვავებამ და ამის შესაბამისად მატყლის ფასების აწევამ. ძველი ფეოდალური თავადაზნაურობა დიდმა ფეოდალურმა ომებმა შთანთქა, ახალი კი თავისი დროის შვილი იყო, დროისა, რომლისთვისაც ფული ყველა ძალიდან უძლიერეს ძალად ითვლებოდა. სახნავი მიწების გადაქცევა ცხვრების საძოვრებად ფეოდალების ლოზუნგი გახდა. თავის «Description of England. Prefixed to Holinshed's Chronicles»-ში ჰარისონი აგვიწერს, თუ რა გამანადგურებელ გავლენას ახდენს ქვეყანაზე წვრილი გლეხების ექსპროპრიაცია. «What care our great incroachers!» («რა ენაღვლებათ ჩვენს დიდ უზურპატორებს!»). გლეხების ბინები და მუშების კოტეჯები ან განადგურებული იყვნენ ძალდატანებით, ანდა უპატრონოდ მიტოვებულნი. «თუ ჩვენ, — ამბობს ჰარისონი, — შევადარებთ თვითეული სარაინდო მამულის ადრინდელ აღწერებს, დავინახავთ, რომ ურიცხვი სახლი და წვრილგლეხური მეურნეობა განადგურებულა, რომ მიწა გაცილებით ნაკლებ ხალხს ასაჭრდოებს, რომ მრავალი ქალაქი დაეცა, თუმცა ზოგი ახალიც აყვავდა... მე შემედლო ბევრი რამ მეთქვა იმ ქალაქებსა და სოფლებზე, რომელნიც ცხვრების საძოვრებისათვის გაანადგურეს და სადაც მხოლოდ მებატონეთა სახლები დარჩა». ამ ძველი ქრონიკების ჩივილი მუდამ გადაჭარბებულია, მაგრამ ზედმიწევნით გამოხატავს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა მაშინ წარმოებით ურთიერთობაში მომხდარმა რევოლუციამ თვით თანამედროვეებზე. თუ ერთმანეთს შევადარებთ კანცლერ ფორტესკიუს და ტომას მორის თხზულებებს, აშკარად დავინახავთ მე-15 და მე-16 საუკუნეებს შორის არსებულ უფსკრულს. როგორც ტორნტონი ამას სამართლიანად შენიშნავს, ინგლისის

მუშათა კლასმა თავისი ოქროს ხანიდან ყოველი გარდამავალი საფეხურის გაუფლელად ამოჰყო თავი რკინის საუკუნეში.

კანონმდებლობა შეშინდა ამ გადატრიალებით. იგი ჯერ კიდევ არ იღვა ცივილიზაციის იმ სიმაღლეზე, სადაც «Wealth of the Nation» [«ნაციონალური სიმდიდრეა»], ე. ი. კაპიტალის შექმნა და ხალხთა მასების შეუბრალებელი ექსპლოატაცია და პაუპერიზაცია ყოველი სახელმწიფოებრივი სიბრძნის ultima Thule-დ [უკიდურესს საზღვრად] ითვლება. ჰენრიხ VII-ის შესახებ დაწერილ თავის ისტორიაში ბეკონი ამბობს: «ამ დროს (1489 წელს) გამრავლდა საჩივრები იმის გამო, რომ სახნავი მიწები გადააქციეს საძოვრებად (ცხვრებისათვის და სხვ.), რომელთა მეთვალყურეობა ადვილად შეუძლია რამდენიმე მწყემსს; მიწები, რომელნიც გაცემული იყო დროებრივი, სამუდამო, ან წლიური იჯარით (წლიური იჯარით ცხოვრობდა «yeomen»-ების, [თავისუფალ მიწათმოქმედთა] დიდი ნაწილი), საბატონო მამულებად გადაიქცა. ამას შედეგად მოჰყვა ხალხის და, მაშასადამე, ქალაქების, ეკლესიების, სამეთვალყურეობის განადგურება... მეფე და პარლამენტი განსაკვიფრებელი სიბრძნით ცდილობდნენ ამ ბოროტების მოსპობას... მათ მიიღეს ზომები მოსახლეობის გამანადგურებელი სათემო მიწების უზურპაციის (depopulating inclosures) წინააღმდეგ და მოსახლეობის გამანადგურებელი სასაძოვრო მეურნეობის (depopulating pasturage) წინააღმდეგ, რაც ფეხდაფეხ მისდევს ამ უზურპაციას». ჰენრიხ VII-ის აქტით, 1489, მუხ. 19, აკრძალული იყო იმ გლეხთა სახლების დანგრევა, რომელთაც, სულ ცოტა, 20 აკრი მიწა მაინც ეკუთვნოდა. ჰენრიხ VIII-ის 25 აქტით ეს კანონი განახლებულ იქნა. იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: «საიჯარო მიწების უმრავლესობა და პირუტყვის დიდი ჯოგები, განსაკუთრებით ცხვრის ფარა, მკირეოდენტა ხელშია თავმოყრილი, რის გამო მიწის რენტა მეტად გაიზარდა, მიწის დამუშავება (tillage) კი მეტად დაეცა, ეკლესიები და სახლები დაინგრა და ხალხის საოცრად დიდმა მასებმა დაჰკარგეს თავიანთი თავის და თავიანთი ოჯახების რჩენის შესაძლებლობა. ამიტომ კანონი მოითხოვს განადგურებულ გლეხთა სახლკარის აღდგენას, განსაზღვრავს სახნავ მიწებსა და საძოვრებს შორის შეფარდებას და სხვა. 1533 წლის ერთ-ერთი აქტი გოდებს, ზოგიერთ მესაკუთრეს 24 000 ცხვარი ჰყავსო და მათ რიცხვს ორი ათასით საზღვრავს¹⁰³. ერთნაირად უნაყოფო იყო როგორც

¹⁰³ თავის «უტოპიაში» ტომას მორი მოგვითხრობს ისეთ უცნაურ ქვეყანაზე, სადაც «ცხვრები ადამიანებს ჰამენ» («Utopia», თარგმ. Robinson-ისა, გამოც. Arber. London 1869, გვ. 41).

ხალხის ჩივილი, ისე ჰენრიხ VII-ის დროიდან დაწყებული 150 წლის განმავლობაში გამოცემული კანონები წვრილი ფერმერებისა და გლეხთა ექსპროპრიაციის წინააღმდეგ. მათი უშედეგობის საიდუმლოება შეუგნებლად გაამელავნა ბეკონმა. «ჰენრიხ VII-ის აქტი, — ამბობს იგი თავის «Essays, civil and moral»-ში, თავი 29, — ღრმა-აზროვანი და განსაცვიფრებელი იყო, რადგან მან განსაზღვრული ნორმალური ზომის სასოფლო მეურნეობანი და კარმიდამოები შექმნა, ე. ი. ამ უკანასკნელთ დაუტოვა მიწის იმდენი რაოდენობა, რომ მათ შეძლებოდათ სახელმწიფოსათვის მიეცათ საკმაო სიმდიდრის მქონე და არა დამონებულ მდგომარეობაში მყოფი ქვეშევრდომები, და იმავე დროს გუთანი სჭეროდა ხელში თვით მესაკუთრეს და არა დაქირავებულს» («to keep the plough in the hand of the owners and not hirelings») 192a. მაგრამ კაპიტალისტური სისტემა, პირიქით, მოითხოვდა ხალხთა მასების მონურ მდგომარეობას, თვით ამ მასების გადაქცევას დაქირავებულებად და მათი შრომის საშუალებათა გადაქცევას კაპიტალად. ამ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში კანონმდებლობა ცდილობდა სოფლის დაქირავებული მუშის თვითმული კოტეჯისათვის 4 აკრი მიწა დაეტოვებინა და უკრძალავდა მას თავის

192a ბეკონი განმარტავს კავშირს თავისუფალ შეძლებულ გლეხობასა და კარგი ინფანტერიის შორის. «სამეფოს ძლიერებისა და ზნე-ჩვეულების შენარჩუნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საკმაო მოცულობით იჯარის შენახვა, რათა უზრუნველყოფილიყო ჯანსაღ და უნარიან ადამიანთა უჭირველი არსებობა და განმტკიცებულიყო საბეჭდო მიწების დიდი ნაწილის მფლობელობა yeomanry-ს ხელში, ე. ი. იმ ადამიანთა ხელში, რომელთაც საშუალო ადგილი უჭირავთ კეთილშობილთა, კოტერებსა (cottagers) და მოჯამაგირეთა შორის... ვინაიდან სამხედრო საქმის ყველაზე კომპეტენტურ პირთა საერთო აზრით... არმიის მთავარ ძალას ინფანტერია, ანუ ქვეითი ჯარი შეადგენს. მაგრამ კარგი ინფანტერიის შესაქმნელად საჭიროა ადამიანები, რომელნიც აღზრდილნი არიან არა მონობაში ან სიღატაკეში, არამედ — თავისუფლებასა და გარკვეულ კეთილდღეობაში. ამიტომ, თუ სახელმწიფო უმთავრესად აზნაურებისა და კეთილშობილებისაგან შედგება, ხოლო სოფლის მოსახლეობა და მიწათმოქმედნი უბრალო მუშები ან მოჯამაგირენი არიან, ანდა კოტერები, ე. ი. ლატანნი, რომელთაც თავიანთი ქოხები აქვთ, ასეთ პირობებში შეიძლება კარგი ცხენოსანი ჯარი შედგეს, მაგრამ არასოდეს არ შედგება კარგი, მტკიცე ქვეითი ჯარი... ამას ჩვენ ვხედავთ საფრანგეთში, იტალიაში და ზოგიერთ სხვა უცხო ქვეყანაში, სადაც ფაქტიურად მთელ მოსახლეობას თავდაზნაურობა და ლატაკი გლეხობა შეადგენენ... ისეთი რაოდენობით, რომ ეს ქვეყნები იძულებულნი არიან გამოიყენონ თავიანთი ქვეითი ჯარებისათვის შევიცარიელი და სხვ. დაქირავებული ბანდები; აქედან წარმოდგება აგრეთვე ის, რომ ამ ერებს ხალხი ბევრი ჰყავთ, ჯარისკაცები კი ცოტა» («The Reign of Henry VII etc. Verbatim Reprint from Kennet's England», გამოც. 1719, London 1870, გვ. 308).

კოტეჯში მდგმურების მიღებას. ჯერ კიდევ 1627 წელს, იაკობ I-ის დროს, ვინმე როჯერ კროკერს ფრონტ-მილიდან სამსჯავრო განაჩენი გამოუტანეს იმის გამო, რომ მან თავის მამულში, ფრონტმილში, კოტეჯი ააშენა და არ გამოჰყო კანონით დადგენილი 4 აკრი მიწა; ჯერ კიდევ 1638 წელს, კარლოს I-ის დროს, დანიშნული იყო სამეფო კომისია იმ მიზნით, რომ გაეტარებინათ ძველი კანონები, განსაკუთრებით კანონი 4 აკრი მიწის შესახებ; უკვე კრომველის მიერ აკრძალული იყო ლონდონიდან 4 მილის მანძილზე ისეთი სახლის აგება, რომელსაც 4 აკრი მიწა არ ექნებოდა. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის მუშა საჩივრით მიმართავდა სისამართლოს, თუ მის კოტეჯს 1 — 2 აკრი მიწა არ ექნებოდა დატოვებული. ახლა კი იგივე მუშა ბედნიერია, თუ მის კოტეჯთან გაშენებულია პატარა ბაღი ან თუ მას ამ კოტეჯის მახლობლად რამდენიმე საყენი მიწის იჯარით აღება შეუძლია. «მიწათმფლობელები და მოიჯარეები აქ ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ, — ამბობს დ-რ ჰანტერი. — მცირეოდენი მიწის ნაკვეთი კოტეჯთან მეტისმეტ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა მუშას»¹⁹⁴.

ხალხთა მასების ძალდატანებითი ექსპროპრიაციის პროცესს ახალი მძლავრი ბიძგი მისცა მე-16 საუკუნეში რეფორმაციამ და საეკლესიო მამულების კოლოსალურმა დატაცებამ, რაც ამ რეფორმაციას შედეგად მოჰყვა. რეფორმაციის დროისათვის კათოლიკური ეკლესია ინგლისის მიწა-წყლის დიდი ნაწილის ფეოდალური მესაკუთრე იყო. მონასტრების განადგურებამ და სხვ. მათი მცხოვრებნი პროლეტარებად გადააქცია. თვით საეკლესიო მამულები უმეტესწილად საჩუქრად გადასცეს მეფის მტაცებელ ფეოდიტებს ანდა სულ დაბალ ფასებში მიჰყიდეს სპეკულანტ ფერმერებს და ქალაქელებს, რომელნიც მასობრივად აძევებდნენ ძველ მკვიდრ მოიჯარეებს და აერთიანებდნენ მათს მეურნეობას. საეკლესიო სამეათედოს გარკვეული ნაწილის საკუთრებად მიღების უფლება, რაც კანონით გარანტირებული იყო გაღარიბებულ მიწათმოქმედთათვის, ამ უკანასკნელთ უსიტყვოდ ჩამოერთვათ¹⁹⁵. «Pauper ubique jacet» [«ღარიბები ყველგან არიან»] —

¹⁹⁴ დ-რ ჰანტერი: «Public Health 7th Report 1864». London 1865, გვ. 134. — მიწის რაოდენობა, რომელიც დაწესებული იყო (ძველი კანონებით), ამჟამად მიჩნეული იქნებოდა მუშებისათვის ძალიან დიდად, რაც მათ წვრილ ფერმერებად გადააქცევდა» (George Roberts: «The Social History of the People of the Southern Counties of England in past Centuries». London 1856, გვ. 184, 185).

¹⁹⁵ «ღარიბთა უფლება საეკლესიო სამეათედოს ნაწილზე დაწესებულია ძველი სტატუტებით» (J. D. Tuckett: «A History of the Past and Present State of the Labouring Population». London 1846, ტ. II, გვ. 804, 805).

წარმოთქვა დედოფალმა ელისაბედმა თავისი ერთი მოგზაურობის შემდეგ ინგლისში. მისი მეფობის 43 წლისთავზე, ბოლოს, იძულებული გახდნენ ოფიციალურად ელიარებინათ პაუპერიზმი მით, რომ საღარიბო გადასახადი შემოიღეს. «ამ კანონის ავტორებს რცხვენოდით აშკარად გამოეთქვათ მისი მოტივები და ამიტომ ყველა ჩვეულების წინააღმდეგ იგი ყოველგვარი preamble-ს [განმარტებითი წინასიტყვაობის] გარეშე გამოაქვეყნეს¹⁹⁶. კარლოს I-ის 16 აქტით, 4, ეს კანონი მუდმივად იქნა გამოცხადებული და მხოლოდ 1834 წელს მიიღო მან ახალი, უფრო მკაცრი ფორმა¹⁹⁷. მაგრამ რეფორმაციის ეს უშუალო ეფექტი არ წარმოადგენდა მის ყველაზე ხანგრძლივ შედეგს. საეკლესიო საკუთრება შეადგენდა მიწის საკუთ-

¹⁹⁶ William Cobbett: «A History of the Protestant Reformation», § 471.

¹⁹⁷ პროტესტანტული «სული», სხვათა შორის, შემდეგიდან ჩანს. სამხრეთ ინგლისში რამდენიმე მიწათმფლობელი და შეძლებული ფერმერი შეიკრიბნენ და ერთად მოთათბირების შემდეგ გამოიმუშავეს 10 კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს სწორი განმარტება ელისაბედის კანონისა ღარიბების შესახებ და ეს კითხვები დასკვნისათვის გადასცეს იმ დროის გამოჩენილ იურისტს სერჯანტ სნიგეს (შემდეგში, იაკობ I-ის დროს, მოსამართლე). მეცხრე კითხვა: «სამრევლოს ზოგიერთმა მდიდარმა ფერმერმა გამოიგონა ბრძნული გეგმა, რომლის საშუალებითაც შეიძლება აცილებულ იქნას ყველა უხერხულობა ამ აქტის სისრულეში მოყვანის დროს. ისინი წინადადებას იძლევიან სამრევლოში ციხე აშენდეს. ყოველ ღარიბს, რომელიც არ მოისურვებს აღნიშნულ ციხეში ჯდომას, უარი უნდა ეთქვას დახმარებაზე. შემდეგ, მეზობელ სოფლებს უნდა გაეზავნოს ცნობა, რომ თუ იქ მოიპოვება ისეთი პიროვნება, რომელიც მოისურვებს ამ სამრევლოს ღარიბების იჯარით აყვანას, იგი ვალდებულია გამოგზავნოს თავისი დალუქული წინადადება განსაზღვრული დროისათვის და თანაც აღნიშნოს ის უმცირესი ფასი, რომელშიც მას სურს ჩვენი ღარიბების აყვანა და შენახვა. ამ გეგმის ავტორები გულისხმობენ, რომ მეზობელ საგრაფოებში მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელთაც არ სურთ მუშაობა და არ გააჩნიათ შეძლება ან კრედიტი საიჯარო მიწის ან გემის შესაძენად, ისე რომ გაურჯელად შეეძლოთ ცხოვრება («so as to live without labour»). ასეთი პირები, ალბათ, მოისურვებენ მიმართონ სამრევლოს ფრიად ხელსაყრელი წინადადებით. თუ ზოგჯერ მოხდება, რომ ეს ღარიბები დაიღუპებიან დამკვირავებლის ხელში, მაშინ ცოდვა ამ უკანასკნელს დაატყდება თავს, რადგან სამრევლომ მოიხადა თავისი მოვალეობა ამ ღარიბების წინაშე. თუმცა კი ჩვენ ვმიშობთ, რომ ეს აქტი არ იძლევა ამგვარი ბრძნული ღონისძიების (prudential measure) შესაძლებლობას. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამ საგრაფოს და მის ახლო მდებარე საგრაფოების დანარჩენი freeholder-ები [დამოუკიდებელი წვრილი მიწათმფლობელები] ჩვენ შემოგვიერთდებიან და აიძულებენ თავიანთ წევრებს თვით პალატაში შეიტანონ კანონპროექტი, რომელიც ნებას დართავს ღარიბების დატუსაღებას და მათი იძულებითი წესით მუშაობას, ასე რომ იმ პირს, ვინც არ დაემორჩილება დატუსაღებას, უნდა მოესპოს დახმარების მიღების უფლება. ჩვენ

რების ძველ ურთიერთობათა რელიგიურ სიმაგრეს. ამ სიმაგრის დაცემის შემდეგ ეს ურთიერთობაც დიდხანს ვეღარ იარსებებდა¹⁹⁸.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში yeomanry, დამოუკიდებელი გლეხობა, უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მოიჯარეთა კლასი. იგი შეადგენდა კრომველის მთავარ ძალას და, თვით მაკოლეის აღიარებითაც კი, წარმოადგენდა დადებით კონტრასტს მოქიფე აზნაურებთან, მათ შინაყმებთან და სოფლის ხუცებთან შედარებით, რომელთა მოვალეობას ბატონის «ნასაყვარლევთა» დაქორწინება შეადგენდა. სოფლის დაქირავებული მუშებიც კი ჯერ კიდევ სათემო მიწების თანამფლობელები იყვნენ. Yeomanry დაახლოებით 1750 წელს გაქრა¹⁹⁹, ხოლო მე-18 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში გაქრა მიწათმოქმედთა თემური საკუთრების

ვიმედოვნებთ, რომ ეს სილატაკეში ჩავარდნილ პირთ ხალისს დაუკარგავს დახმარება მოითხოვონ. (will prevent persons in distress from wanting relief) (R. Blakey: «The History of Political Literature from the Earliest Times». London 1855, ტ. II, გვ. 84, 85). — შოტლანდიაში ბატონყმობის გაუქმება რამდენიმე საუკუნით გვიან მოხდა, ვიდრე ინგლისში. ჯერ კიდევ 1698 წელს ფლექტერმა, სალუნიდან, განაცხადა შოტლანდიის პარლამენტში: «ლატაკთა რიცხვი შოტლანდიაში 200 000-ზე ნაკლები არ არის. ერთადერთი საშუალება, რომელიც მე, რწმენით რესპუბლიკელს შემძლია წამოვაყენო ამის წინააღმდეგ, ეს ძველი ბატონყმური მდგომარეობის აღდგენა და მონებად გადაქცევა ყველა იმათი, ვინც მოკლებულია უნარს იზრუნოს თავისი საკუთარი არსებობისათვის». ასევე მსჯელობს იდენი თავის შრომაში «The State of the Poor», ტ. I, თავი I, გვ. 60, 61: «ბატონყმური ურთიერთობის შესუსტებას, როგორც ჩანს, გარდუვალად თან სდევს პაუპერიზმი... მანუფაქტურა და ვაჭრობა — აი ჩვენი ქვეყნის ღარიბთა ნამდვილი მშობლები». იდენი, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული შოტლანდიელი, «რწმენით რესპუბლიკელი», ცდება მხოლოდ ერთში: მიწათმოქმედი იმიტომ კი არ იქცა პროლეტარად ან პაუპერად, რომ ბატონყმობა მოისპო, არამედ იმიტომ, რომ მოისპო მისი საკუთრება მიწაზე. — საფრანგეთში, სადაც ექსპროპრიაცია სხვა წესით მოხდა, ინგლისის ღარიბთა კანონს შეესაბამება მთლენის 1571 წლის ორდონანსი და 1656 წლის ედიქტი.

¹⁹⁸ ბ-ნი როჯერსი, მიუხედავად იმისა, რომ იგი იმ დროს პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში, ამ პროტესტანტული ორტოდოქსიის ცენტრში, თავის «History of Agriculture»-ის წინასიტყვაობაში ხაზგასმით აღნიშნავს ხალხთა მასების პაუპერიზაციას, რაც რეფორმაციამ გამოიწვია.

¹⁹⁹ «A Letter to Sir T. C. Bunbury, Bt.: On the High Price of Provisions. By a Suffolk Gentleman». Ipswich 1795, გვ. 4. მსხვილი ფერმერული მეურნეობის ფანტიკური დამკვედიც კი, ავტორი თხზულებისა «Inquiry into the Connection between the Present Price of Provisions and the Size of Farms etc.». London 1773, გვ. 139, ამბობს: «ყველაზე ძალიან ვწუხვარ ჩვენი yeomanry-ს [ომენების] გაქრობას, იმ ადამიანთა ჯგუფის გაქრობას, რომელნიც სინამდვილეში ჩვენი ერის დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, ვწუხვარ, როცა ვხედავ, რომ მათი მიწები ახლა მონოპოლისტ-ლორდების ხელშია, იჯარით გაცემული იმ წვილად ფერმერებზე, 57 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

უკანასკნელი კვალი. ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ აგრარული რევოლუციის წმინდა ეკონომიურ მამოძრავებელ ძალებს. ჩვენ გვინტერესებს მისი ძალდატანებითი ბერკეტები.

სტიუარტების რესტავრაციის დროს მიწის მესაკუთრებმა საკანონმდებლო წესით გაატარეს ის უზურპაცია, რომელიც კონტინენტზე ყოველივე საკანონმდებლო ცერემონიის გარეშე განხორციელდა. მათ მოსპეს ფეოდალური საადგილმამულო წესწყობილება, ე. ი. თავიდან მოიცილეს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ბეგარა, «აუნა-ზლაურეს» სახელმწიფოს ზარალი გლეხებსა და ხალხის დანარჩენ მასაზე გადასახადების შემოღებით, მიითვისეს თანამედროვე კერძო საკუთრების უფლება მამულებზე, რაზედაც მხოლოდ ფეოდალური უფლება ჰქონდათ და, ბოლოს, ინგლისის სოფლის მუშებს თავს მოახვიეს დასახლების კანონები («laws of settlement»), რომელთაც *mutatis mutandis* [სათანადო ცვლილებებით] ისეთივე გავლენა იქონიეს ინგლისის მიწათმოქმედ გლეხებზე, როგორც თათარ ბორის გოდუნოვის ბრძანებულებამ რუს გლეხობაზე.

«Glorious Revolution»-მა (სახელოვანმა რევოლუციამ) ვილჰელმ III ორანელთან ერთად²⁰⁰ ძალაუფლება ჩააბარა მოგებისმომხვევქ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს. მათ ახალი ერა აღნიშნეს იმით, რომ კოლოსალური მასშტაბით ეწეოდნენ სახელმწიფო მიწების იმ მიტაცებას, რაც უწინ მხოლოდ ზომიერ ფარგლებში ხდებოდა. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სახელმწიფო მიწების გასაჩუქრება, ჩალის ფასად გაყიდვა, ან პირდაპირი უზურპაციის გზით კერძო მამულებთან შეერთება²⁰¹. ყველაფერი ეს ხდებოდა ისე,

რომელნიც საიჯარო ნაკვეთებს თითქმის ისეთსავე პირობებში ღებულობენ, როგორც ვასალები და პირველივე ბედუკუღმართი შემთხვევის დროს შეიძლება გაძევებულ იქნან.

²⁰⁰ ამ ბურჟუაზიული გმირის საკუთარ მორალურ სახეზე წარმოდგენას იძლევა სხვათა შორის შემდეგი ამონაწერი: «დიდი მამულები ირლანდიაში, რომლებიც 1695 წელს ლედი ორკნემ საჩუქრად მიიღო, საჯარო დადასტურებაა იმისა, თუ რა ძლიერი იყო მეფის სიყვარული და რა დიდი გავლენა ჰქონდა ლედის... ლედი ორკნის დიდ დამსახურებას, ალბათ, შეადგენდა — *foeda laborum ministeria*» [სიყვარულის ბინძური სამსახური]. (Sloane Manuscript Collection — ბრიტანეთის მუზეუმში, № 4224. ხელნაწერის სათაური: «The Charakter and Behaviour of King William, Sunderland etc. as represented in Original Letters to the Duke of Shrewsbury from Somers, Halifax, Oxford, Secretary Vernon etc.» იგი სავსეა კურიოზებით.)

²⁰¹ «სამეფო მიწების უკანონო გასხვისება, ნაწილობრივ ყიდვის და ნაწილობრივ ჩუქების საშუალებით, შეადგენს ინგლისის ისტორიის სკანდალურ თავს... ერის გიგანტურ მოტყუებას (*gigantic fraud on the nation*)» (F. W. Newman: «Lectures on Political Economy». London 1851, გვ. 129, 130). (თუ როგორ შეიძინეს

რომ კანონიერების არავეითარი ფორმა არ იყო დაცული. ასე თაღლითურად მითვისებული სახელმწიფო ქონება დატაცებულ საეკლესიო მამულებთან ერთად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი რესპუბლიკური რევოლუციის დროს მათ ხელახლა არ დაუკარგავთ, ინგლისური ოლიგარქიის თანამედროვე თავადური მფლობელობის საფუძველს შეადგენს²⁰². ბურჟუა-კაპიტალისტები ხელს უწყობდნენ ამ ოპერაციას, სხვათა შორის, იმ მიზნით, რომ მიწა თავისუფალი ვაჭრობის საგნად გადაექციათ, სამიწათმოქმედო მსხვილი წარმოების ასპარეზი გაეფართოებინათ, კანონგარეშე დაყენებული პროლეტარების დენა სოფლიდან გაეძლიერებინათ და სხვა. ამასთანავე მიწის ახალი არისტოკრატია ბუნებრივი მოკავშირე იყო ახალი ბანკოკრატისა, კვერცხიდან ამ ახლახან გამოჩეკილი ფინანსური არისტოკრატისა, და იმ მსხვილი მანუფაქტურისტებისა, რომელნიც მაშინ მფარველობითს ბაჟებს ეყრდნობოდნენ. ინგლისის ბურჟუაზია აქ მხოლოდ თავის ინტერესებს იცავდა და ისევე სწორად მოქმედებდა, როგორც შვედელი მოქალაქენი, რომელნიც, პირიქით, თავიანთ ეკონომიურ ბურჟუთან — გლეხობასთან ხელიხელჩაკიდებულნი, მხარს უჭერდნენ მეფეს, რომელიც ძალით უკანვე ართმევდა არისტოკრატისა უკანასკნელის მიერ მიტაცებულ სამეფო მიწებს (1604 წლიდან დაწყებული, და შემდეგ კარლოს X და კარლოს XI დროს).

თემური საკუთრება — სრულიად განსხვავებული ზემოგანხილული სახელმწიფო საკუთრებისაგან, — იყო ძველგერმანული დაწესებულება, რომელიც არსებობას განაგრძობდა ფეოდალიზმის მფარველობის ქვეშ. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მისი ძალდატანებითი უზურპაცია, რასაც უმეტესწილად თან სდევდა სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევა, მე-15 საუკუნის დამლევს იწყება და გრძელდება მე-16 საუკუნეში. მაგრამ მაშინ ეს პროცესი ინდივიდუალური ძალმომრეობის სახით მიმდინარეობდა და მის წინააღმდეგ ამაოდ იბრძოდა კანონმდებლობა 150 წლის განმავლობაში. მე-18 საუკუნის პროგრესი იმაში მქლავნდება, რომ თვით კანონი ახლა სახალხო მიწების გაძარცვის იარაღი ხდება, თუმცა მსხვილი ფერმერები, გარდა ამისა,

ინგლისის დღევანდელმა მსხვილმა მემამულეებმა თავიანთი ქონება, ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იხ. «Our old Nobility. By Noblesse Oblige». London 1879. — შ. ე.]

²⁰² წაიკითხეთ, მაგალითად, ე. ბერკის პამფლეტი ბედფორდის საჭერცოგო გვარეულობაზე, რომლის შტოსაც წარმოადგენს ლორდი ჯონ რასელი, «the tomtit of liberalism» [გაქნილი ვაჟბატონი ლიბერალიზმისა].

თავიანთ საკუთარ მცირე მეთოდებსაც იყენებენ²⁰³. ძარცვა-გლეჯის პარლამენტურ ფორმას წარმოადგენს «Bills for Inclosures of Commons» (სათემო მიწების შემოფარგვლის კანონები), ე. ი. დეკრეტები, რომელთა საშუალებითაც მემამულეებმა თავივე აჩუქეს თავის თავს სახალხო მიწები კერძო საკუთრებად, — ხალხის ექსპროპრიაციის დეკრეტები. სერ ფ. მ. იდენი თავის მოხერხებულად აგებულ ადვოკატურ სიტყვას, სადაც იგი ცდილობს სათემო საკუთრება იმ მსხვილ მიწათმფლობელთა კერძო საკუთრებად დაგვიხატოს, რომელთაც ფეოდალების ადგილი დაიჭირეს, თავივე აბათილებს იმით, რომ საჭიროდ მიაჩნია «სათემო მიწების შემოსაფარგლავად საყოველთაო პარლამენტური აქტია, მაშასადამე, აღიარებს, რომ აუცილებელია პარლამენტური სახელმწიფოებრივი გადატრიალება სათემო მიწების კერძო საკუთრებად გადაქცევისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებლობისაგან მოითხოვს «ზარალის ანაზღაურებას» ექსპროპრიირებულ დარიბებისთვის²⁰⁴.

როდესაც დამოუკიდებელი იომენების ადგილი დაიკავეს tenants-at-wille-ბმა, წვრილმა ფერმერებმა, რომელნიც მიწას წლიური იჯარით იღებდნენ, დამონებულმა და მთლიანად ლენდლორდების თვითნებობაზე დამოკიდებულმა ბრბომ, — სათემო მიწების სისტემატურმა ძარცვა-გლეჯამ, სახელმწიფო ქონების ძარცვასთან ერთად, განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმ მსხვილი ფერმების ზრდას, რომელთაც მე-18 საუკუნეში «კაპიტალ-ფერმებს»²⁰⁵ ან «სავაჭრო ფერმებს»²⁰⁶ უწოდებდნენ, ხელი შეუწყო აგრეთვე სოფლის მოსახლეობის პროლეტარიატად გადაქცევას, მის «განთავისუფლებას» მრეწველობისათვის.

მაგრამ ნაციონალური სიმდიდრისა და ხალხის სიღარიბის იდენტურობა მე-18 საუკუნისათვის ჯერ კიდევ არ იყო ისე ნათელი,

²⁰³ ფერმერები უკრძალავენ კოტერებს (cottagers) რაიმე ცოცხალი არსების შენახვას, გარდა თავიანთი თავისა, იმ საბაბით, რომ თუ ისინი შინაურ პირუტყვს ან ფრინველს იყოლიებდნენ, მაშინ საკვების ქურდობას დაიწყებდნენ ბელლებში. ისინი ამბობენ აგრეთვე, თუ გსურთ, რომ კოტერები ბეჯითი იყვნენ, ისინი სიღარიბეში უნდა გაავდეთო. მაგრამ სინამდვილეში ფერმერები ასე ძალადურად ითვისებენ ყველა უფლებას სათემო მიწებზე» («A Political Inquiry into the Consequences of Enclosing Waste Lands». London 1785, გვ. 75).

²⁰⁴ Eden: «The State of the Poor», წინასიტყვაობა.

²⁰⁵ «Capital farms» («Two Letters on the Flour Trade and the Dearness of Corn. By a Person in Business». London 1767, გვ. 19, 20).

²⁰⁶ «Merchant-farms» («An Inquiry into the Causes of the Present High Price of Provisions». London 1767, გვ. 11, შენიშვნა). ავტორი ამ კარგი თხზულებებისა, რომელიც ანონიმურად გამოქვეყნდა, იყო მღვდელი ნათენიელ ფორსტერი.

როგორც მე-19 საუკუნისათვის. აქედან წარმოიშვა გაცხარებული პოლიტიკა იმ დროის ეკონომიურ ლიტერატურაში «inclosure of commons»-ის [სათემო მიწების შემოფარგვლის] შესახებ. იმ უამრავი შასალიდან, რაც მე ხელთ მაქვს, მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ადგილს, რომელიც ნათლად ასურათებს იმდროინდელ მდგომარეობას.

ჭერტფორდშირის მრავალ სამრევლოში, — წერს ერთი აღწვითებული კალმოსანი, — 24 ფერმა, თითო 50 — 150 აკრი საშუალოდ, 3 ფერმადაა გაერთიანებულია²⁰⁷. ჩორტჰემპტონშირსა და ლესტერშირში ძალიან გავრცელებული იყო სათემო მიწების შემოფარგვლა და ამ შემოფარგვლით წარმომდგარი ახალი სალორდოების უმეტესი ნაწილი საძოვრებად იყო გადაქცეული; ამის შედეგად მრავალ სალორდოში, სადაც უწინ 1500 აკრი იხვნებოდა, ახლა 50 აკრიც არ არის მოხსული... უწინდელი საცხოვრებელი სახლების, ბელლებისა და თავლების ნანგრევებია, — აი, ერთადერთი ნაშთი, რომელიც დარჩენილა უწინდელი მცხოვრებლების შემდეგ. ზოგიერთ ადგილას 100 სახლისა და კომლისგან მხოლოდ... 8 ან 10 დარჩა... სამრევლოების უმეტეს ნაწილში, სადაც შემოფარგვლა 15 ან 20 წლის წინათ დაიწყო, ძალიან შვირდონი რიცხვი დარჩა იმ მიწის მესაკუთრეთაგან, რომელნიც უწინ ჯერ კიდევ შემოუფარგლავ მიწებს ამუშავებდნენ. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც 4 ან 5 მდიდარი პირუტყვმომშენებელი ძალით ისაკუთრებს დიდ და ახლად შემოფარგულულ სალორდოებს, რომელნიც უწინ 20 — 30 ფერმერის და იმავე რაოდენობის წვრილი მესაკუთრეებისა და გლეხების ხელში იყო. ყველა ესენი ოჯახებითურთ გამოძევებულნი არიან თავიანთი სამფლობელოებიდან, მათთან ერთად გამოძევებულია მრავალი სხვა ოჯახიც, რომელიც მათგან სამუშაოს და არსებობის საშუალებას პოულობდა²⁰⁸. შემოფარგვლის საბაბით მომიჯნავე ლენდლორდები ისაკუთრებდნენ არა მარტო დაუმუშავებელ მიწებს, არამედ ხშირად იმ მიწებსაც, რომელთაც ამუშავებდნენ ან თემისავე წევრები, ან სხვა პირები, რომელნიც ამ მიწებს თემისაგან ლებულობდნენ გარკვეულ საფასურში. ამე აქ ვლაპარაკობ მანამდე შემოუფარგლავი, მაგრამ უკვე დამუშავებული მიწების და მიწის ნაკვეთების შემოფარგვლაზე. ის მწერლებიც კი, რომელნიც ამ inclosures [შემოფარგვლას] იცავდნენ, აღიარებენ, რომ ეს შემოფარგვლა აძლიერებს მსხვილ ფერმათა მონოპოლიურ მდგომარეობას, აღიღებს

²⁰⁷ Thomas Wright: «A short Address to the Public on the Monopoly of Large Farms», 1779, გვ. 2, 3.

²⁰⁸ მლდ. Addington: «Inquiry into the Reasons for and against Inclosing Open Fields». London 1772, გვ. 37 — 43, სხვადასხვა ადგილას.

საარსებო საშუალებათა ფასებს და იწვევს მოსახლეობის მკვეთრ შემცირებას... და უდაბური მიწების შემოფარგვლაც კი, რასაც ადგილო აქვს ამჟამად, სტაცებს ღარიბს მის საარსებო საშუალებათა ნაწილს და აფართოებს უმისოდაც მეტისმეტად დიდ ფერმებს»²⁰⁹. «თუ მიწა, — ამბობს დ-რ პრაისი, — რამდენიმე მსხვილი ფერმერის ხელში გადადის, მაშინ წვრილი ფერმერები საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად იძულებულნი ხდებიან სხვისთვის იზრომონ და ყველაფერი, რაც მათ სჭირდებათ, ბაზარზე იყიდონ... (უწინ იგი წვრილ ფერმერებს თვლიდა წვრილ მესაჯუთრეთა და ფერმერთა მასად, რომელნიც თავს ინახავენ მათ მიერ დამუშავებული მიწის პროდუქტებით, ცხვრით, ფრინველით, ლორით სათემო მიწაზე, — ისე რომ თითქმის არ სჭირდებათ საარსებო საშუალებათა შესაძენად ბაზარზე გასვლა)... შეიძლება მეტ შრომას ჰქონდეს ადგილი, რადგან იძულებაც მეტია ამისათვის... ქალაქები და მანუფაქტურები გაიზრდება, რადგან იქ სულ უფრო მეტ ხალხს ერეკებიან და ეს ხალხი იძულებულია სამუშაო ეძებოს. აი ის შედეგები, რასაც გარდუვალად უნდა იწვევდეს ფერმების კონცენტრაცია და რასაც იგი სინამდვილეში იწვევს კიდევ ესოდენ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს სამეფოში»²¹⁰. Inclosures [შემოფარგვლის] საერთო შედეგებს იგი ამნაირად დაასკვნის: «საერთოდ ხალხის დაბალი კლასების მდგომარეობა თითქმის ყოველ მხრივ გაუარესდა; წვრილი მიწათმფლობელები და ფერმერები დღიურად მომუშავეთა და დაქირავებულთა მდგომარეობამდე არიან დაქვეითებულნი; ამავე დროს კი საარსებო საშუალებათა მოპოვება ამ მდგომარეობაში მათთვის უფრო ძნელი გახდა»²¹¹.

²⁰⁹ Dr. R. Price: «Observations on Reversionary Payments», მე-6 გამოც. By W. Morgan. London 1805, ტ. II, გვ. 155. წაიკითხეთ ფორსტერი, ედინგტონი, კენტი, პრაისი და ჯემს ანდერსონი და შეადარეთ მათ მაკ კულონის უბადრუკი სიკოფანტური ყბედობა მის კატალოგში: «The Literature of Political Economy». London 1845.

²¹⁰ იქვე, გვ. 147.

²¹¹ იქვე, გვ. 159. ეს ძველ რომს მოგვაგონებს. «მდიდრებმა ხელში ჩაიგდეს გაუყოფელი მიწების უდიდესი ნაწილი. იმ დროის პირობების მიხედვით ისინი დაიმედებულნი იყვნენ, რომ მიწებს მათ აღარ ჩამოართმევდნენ; ამიტომ ისინი ყიდულობდნენ მეზობლად მდებარე ღარიბთა მიწების ნაკვეთებს, ნაწილობრივ მათი თანხმობით, ნაწილობრივ კი ძალით ართმევდნენ მათ ამ ნაკვეთებს, ასე რომ განცალკევებული მიწების ნაცვლად ისინი ახლა მეტად გაფართოებულ მიწებს ამუშავებდნენ. ამასთანავე მიწის დასამუშავებლად და პირუტყვის მოსაშენებლად ისინი იყენებდნენ მონებს, რადგან თავისუფალ ადამიანებს სამხედრო სამსახურში წაიყვანდნენ და, მაშასადამე, ისინი

მართლაც, სათემო მიწების უზურპაციამ და რევოლუციამ, რომელიც თან სდევდა მას მიწათმოქმედებაში, ისე მწვავედ იმოქმედა სოფლის მეურნეობის მუშების მდგომარეობაზე, რომ, თვით იდენის სიტყვით, მათი ხელფასი 1765—1780 წლებში მინიმუმზე დაბლა დაეცა და ამ ხელფასის შევსება ლარობთა ოფიციალური დახმარების ხარჯზე ხდებოდა. ხელფასი, ამბობს იგი, «საკმარისი იყო მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელ საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად».

მაგრამ მოგუსმინოთ ახლა inclosures [შემოფარგვის] დამცველს, დ-რ პრაისის მოწინააღმდეგეს. «სწორი არ არის ის დასკვნა, რომ მოსახლეობამ იკლო, რადგან ხალხი თავის შრომას აღარ ფლანგავს გაშლილ მიწებზე... თუ იმის შემდეგ, რაც წვრილი გლეხები ისეთ ადამიანებად გადაიქცნენ, რომლებმაც სხვებისთვის უნდა იმუშაონ, უფრო მეტი შრომა ამოძრავდა, ეს ხომ სასარგებლო და სასურველია ერისათვის (ამ უკანასკნელს, რასაკვირველია, დაქირავებულ მუშებად გადაქცეული გლეხები არ ეკუთვნიან)... თუ მათი კომბინირებული შრომა გამოყენებული იქნება ერთ ფერმაში, პროდუქტის რაოდენობა მეტი იქნება: ამ გზით იქმნება ზედმეტი პროდუქტი მანუფაქტურისთვის, და წარმოებული პურის რაოდენობასთან შეფარდებით მატულობს მანუფაქტურა — ჩვენი ერის ეს ოქროს მადანი»²¹².

მათთან ვეღარ იმუშაებდნენ. მონათმფლობელობას მათთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა კიდევ იმ მხრივ, რომ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების გამო მონებს შეეძლოთ თავისუფლად გამრავლება და ბევრი შვილების გაჩენა. ამრიგად, ძლიერნი მთელ სიმდიდრეს დაეპატრონენ და ქვეყანა მონებით აივსო. იტალიელთა რიცხვი კი, პირიქით, თანდათან მცირდებოდა სიღარიბის, გადასახადებისა და სამხედრო ბეგრის გაძლიერების გამო. ხოლო როცა მშვიდობიანობის ხანა დგებოდა, მათი ხვედრი იყო სრული უმოქმედობა, რადგან მთელ მიწებს მდიდრები ფლობდნენ და თავისუფალი ადამიანების ნაცვლად ისინი მონებს იყენებდნენ მიწის დასამუშაებლად» (A p p i a n: «Römische Bürgerkriege», I. 7). ეს ადგილი შეეხება ლიციონის კანონების წინა ხანას. სამხედრო სამსახური, რამაც ასე ძლიერ დააჩქარა რომის პლემსის ვანადგურება, იყო აგრეთვე ის მთავარი საშუალება, რომლითაც კარლოს დიდმა თავისუფალი გერმანელი გლეხების ფეოდალურად დამოკიდებულ და ყმა გლეხებად გადაქცევა ხელოვნურად დააჩქარა.

²¹² «An Inquiry into Connection between the Present Price of Provisions etc.», გვ. 124, 129. ამგვარსავე მსჯელობას, ხოლო საპირისპირო ტენდენციით შეფერადებულს, ჩვენ ვხვდებით სხვა ავტორის თხზულებაში: «მუშებს თავიანთი კოტეჯებიდან აძვებენ და ისინი იძულებულნი ხდებიან ქალაქში ეძებონ სამუშაო; — მაგრამ მაშინ ადგილი აქვს ნამეტი პროდუქტის უფრო დიდი რაოდენობით მიღებას, და, ამრიგად, კაპიტალი მატულობს» («The Perils of the Nation», მე-2 გამოც., London 1843, გვ. XIV).

ტორიულად განწყობილი და თანაც «ფილანთროპოსი» სერ ფ. მ. იდენი გვიჩვენებს, სხვათა შორის, სტოელთა იმ სულიერი სიმშვიდის ნაგალითს, რომლითაც ეკონომისტები განიხილავენ «საკუთრების წმინდა უფლებების» უაღრესად თავხედურ დარღვევას და უაღრესად უხეშ ძალმომრეობას პიროვნების წინააღმდეგ, როგორც კი ყოველივე ეს საჭირო ხდება იმისათვის, რომ კაპიტალისტურ წარმოების წესს საფუძველი ჩაეყაროს. იმ უამრავ ძარცვა-გლეჯას, სისასტიკეს და მასობრივ უბედურებას, რაც თან ახლავს ხალხის ძალადურ ექსპროპრიაციას მე-15 საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაწყებული მე-18 საუკუნის დამლევაამდე, იგი მიჰყავს მხოლოდ მისთვის «ასუსტრველ» შემდეგ დასკვნითს მსჯელობამდე: «აუცილებელი იყო სათანადო (due) პროპორციის დამყარება სახნავ მიწებსა და საძოვრებს შორის. ჯერ კიდევ მთელი მე-14 საუკუნის მანძილზე და მე-15 საუკუნის უმეტესი ხნის განმავლობაში 2, 3 და 4 აკრ სახნავ მიწაზეც კი 1 აკრი საძოვარი მოდიოდა. მე-16 საუკუნის ნახევარში ეს პროპორცია ასე შეიცვალა: 2 აკრი საძოვარი ახლა 2 აკრ სახნავ მიწაზე მოდიოდა, შემდეგ — 1 აკრზე, ვიდრე, ბოლოს, მიღწეული არ იქნა სათანადო პროპორცია: 3 აკრი საძოვარი 1 აკრ სახნავ მიწაზე».

მე-19 საუკუნეში, რასაკვირველია, გაქრა ხსენებაც კი იმ კავშირისა, რომელიც არსებობდა მიწათმოქმედსა და თემურ საკუთრებას შორის. მერმინდელი დროის შესახებ რომ არა ვთქვათ-რა, მიიღო თუ არა სოფლის მოსახლეობამ ერთი ფარტინგი სახლადური იმ 3511770 აკრი სათემო მიწისათვის, რომელიც ჩამოერთვა მას 1801 — 1831 წლებში და გადაეცა პარლამენტური წესით ლენდლორდებს საჩუქრად ლენდლორდების მიერ?

დასასრულ, მიწათმოქმედთა მიწების ექსპროპრიაციის უკანასკნელი დიდი პროცესი ცნობილია ეგრეთწოდებული «Clearing of Estates» სახელით («მამულების გაწმენდა» — ნამდვილად კი ადამიანთა გაძევება ამ მამულებიდან). ეს «გაწმენდა» ექსპროპრიაციის ყველა ზემოგანხილული ინგლისური მეთოდის კულმინაციურ პუნქტს წარმოადგენს. როგორც ჩვენ თანამედროვე მდგომარეობის აღწერის დროს წინა განყოფილებაში დავინახეთ, ახლა, როცა აღარ მოიპოვებინ უკვე დამოუკიდებელი გლეხები გამოსაძევებლად, საქმე მიდგა კოტეჯებისაგან მიწების «გაწმენდაზე», ასე რომ სოფლის მეურნეობის მუშები ვეღარ პოულობენ აუცილებელ თავშესაფარ ადგილს მათ მიერ დამუშავებულ მიწაზე. ხოლო, თუ რას წარმოადგენს «Clearing of Estates» ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჩვენ შეგვიძლია ამას გავეცნოთ მხოლოდ მთიან შოტლანდიაში — თანამედროვე რომანების

ამ ალტჰმის ქვეყანაში. იქ ეს პროცესი განსხვავდება თავისი სისტემატური ხასიათით, იმ მასშტაბის სიდიდით, რომლითაც ის ერთი დაკვრით ხორციელდება (ირლანდიაში მემამულენი რამდენიმე სოფელს ერთბაშად ჰყრიან; მთიან შოტლანდიაში კი ეს ერთბაშად «გაწმენდა» შეეხება ისეთ მიწის ნაკვეთებს, რომელთა ფართობი გერმანულ საჰერცოგოებს უდრის), და, ბოლოს, ჩამორთმეული მიწის საკუთრების განსაკუთრებული ფორმით.

მთიანი შოტლანდიის კელტები შედგებოდნენ კლანებისაგან, რომელთაგან თვითეული მის მიერ დაკავებული მიწის მესაკუთრე იყო. კლანის წარმომადგენელი, მისი უფროსი, ანუ «დიდი კაცი», ამ მიწის მესაკუთრე იყო მხოლოდ ტიტულის ძალით, სწორედ ისევე როგორც ინგლისის დედოფალი მთელი ნაციონალური ტერიტორიის მესაკუთრეა თავისი ტიტულის ძალით. როდესაც ინგლისის მთავრობამ მოახერხა ამ «დიდ კაცებს» შორის ატეხილი შინაური ომების ჩახშობა და ბოლო მოუღო მათს განუწყვეტელ თავდასხმებს დაბლობი შოტლანდიის ველებზე, კლანების წინამძღოლებს სულაც არ აუღიათ ხელი თავიანთ ძველ ყაჩაღურ ხელობაზე; შეიცვალა მხოლოდ ამ უკანასკნელის ფორმა. საკუთარი ძალაუფლებით გადააქციეს მათ ტიტულის ძალით მინიჭებული თავიანთი საკუთრების უფლება კერძო საკუთრების უფლებად. მაგრამ რადგან ისინი კლანის წევრების მხრივ წინააღმდეგობას წააწყდნენ, გადაწყვიტეს მათი განდევნა აშკარა ძალმომრეობით. «იმავე უფლებით, — ამბობს პროფესორი ნიუმენი, — შეეძლო ინგლისის მეფეს გაკანდიერებულიყო და ზღვაში ჩაეყარა თავისი ქვეშევრდომები»²¹³. ამ რევოლუციას, რომელიც შოტლანდიაში პრეტენდენტის უკანასკნელი აჯანყების შემდეგ დაიწყო, შეიძლება გავეცნოთ მის პირველ ფაზებში სერ ჯემს სტიუარტისა²¹⁴ და ჯემს ანდერსონის ნაშრომთა მიხედვით²¹⁵. მე-18 საუკუნეში მიწიდან აყრილ გლეხებს ამასთანავე აეკრძალათ ემიგრაცია, რათა ისინი ძალდატანებით გაერეკათ

²¹³ F. W. Newman: «Lectures on Political Economy». London 1851, გვ. 132.

²¹⁴ სტიუარტი ამბობს: «ამ მიწების რენტა (მას შეცდომით გადააქვს მიწის რენტის ეკონომიური კატეგორია იმ ხარკზე, რომელსაც უხდიან taskmen-ები [ვასალები] კლანის მეთაურს) სრულიად უმნიშვნელოა მათს ფართობთან შედარებით, ხოლო რაც შეეხება იმ პირთა რიცხვს, რომელნიც იჯარით ცხოვრობენ, იქნებ აღმოჩნდეს, რომ მიწის პატარა ნაკვეთი შოტლანდიის მთიან ადგილებში ათჯერ მეტ ხალხს ასახროვებს, ვიდრე იმავე ღირებულების მიწა უმდიდრეს პროვინციებში» (Works etc., ed. by General Sir James Steuart, his son. London 1801, ტ. I, თავი XVI, გვ. 104).

²¹⁵ James Anderson: «Observations on the Means of exciting a Spirit of National Industry etc.», Edinburgh 1777.

გლანგოში და სხვა საფაბრიკო ქალაქებში²¹⁶. მე-19 საუკუნეში გაბატონებული მეთოდის²¹⁷ ნიმუშად აქ საკმარისია მოვიყვანოთ ჰერცოგინა სეტერლენდის მიერ წარმოებული «გაწმენდა». ეკონომიურად ამ განსწავლულმა პიროვნებამ, როგორც კი იგი მმართველობას შეუდგა, გადაწყვიტა ჩაეტარებინა რადიკალური ეკონომიური მკურნალობა და საძოვრებად გადაექცია მთელი საგრაფო, რომლის მოსახლეობა წინათ გატარებული ანალოგიური ზომებით უკვე 15 000 სულამდე იყო დაყვანილი. 1814—1820 წლებში ეს 15 000 მცხოვრები, დაახლოებით 3 000 ოჯახი, სისტემატურად იღვევებოდა და ისპობოდა. ყველა მათი სოფელი გაანადგურეს და დასწვეს, ხოლო ყველა მინდორი საძოვრებად აქციეს. ბრიტანელი ჯარისკაცები ეგზეკუციისათვის იყვნენ გაგზავნილნი და საქმე მიდიოდა აშკარა შეტაკებამდე ადგილობრივ მოსახლეობასთან. ერთი მოხუცი ქალი თავის ქოხში დასწვეს, რადგან მან უარი განაცხადა მის დატოვებაზე. ასე, მითთვისა ამ ქალბატონმა 794 000 აკრი მიწა, რომელიც უხსოვარი დროიდან კლანს ეკუთვნოდა. განდევნილ ბინადართ მან მისცა ზღვის პირას დაახლოებით 6 000 აკრი მიწა, 2 აკრი ოჯახზე. ეს 6 000 აკრი მიწა მანამდე უღებურ ადგილს წარმოადგენდა და მესაკუთრეებს არაეი-

²¹⁶ ძალმომრეობით ექსპროპრიირებულნი 1860 წელს კანადაში გადაგზავნეს ყალბი დაპირებებით. ზოგიერთები მთებში და კუნძულებზე გაიხიზნენ. მათ გამოედევნენ პოლიციელები, რომლებთანაც ხელჩართული შეტაკება მოუხდათ და ბოლოს თავს უშველეს.

²¹⁷ «მთიან ადგილებში, — ამბობს 1814 წელს ბიუკენენი, ა. სმიტის კომენტატორი, — საკუთრების ძველ სისტემას ყოველდღიურად ძალდატანებით ანგრევენ... ლენდლორდი უყურადღებოდ ტოვებს სამემკვიდრეო მოიჯარეებს (აქაც ეს კატეგორია შემცდარად არის გამოყენებული), მიწას იმას უთმობს, ვინც ყველაზე მეტ იჯარას იძლევა, და, თუ ეს უკანასკნელი მიწის გამაუმჯობესებელია (improver), მას მაშინვე კულტურის ახალი სისტემა შემოაქვს. მიწა, მოფენილი უწინ წვრილი გლენებით, დასახლებული იყო მისი პროდუქტების რაოდენობის შესაბამისად; გაუმჯობესებული კულტურის ახალი სისტემის და გადიდებული რენტის დროს ცდილობენ რაც შეიძლება მეტი პროდუქტის მიღებას ნაკლები ხარჯების გაწევით, და ამ მიზნით თავიდან იშორებენ მუშახელს, რომელიც უსარგებლო გახდა... მშობლიური მზარდიდან განდევნილი ადამიანები არსებობის სახსარს ეძებენ საფაბრიკო ქალაქებში და სხვა» (David Buchanan: «Observations on etc. A. Smith's Wealth of Nations». Edinburgh 1814, ტ. IV, გვ. 144). «შოტლანდიის დიდკაცობამ მთელი ოჯახების ექსპროპრიაცია მოახდინა ისე, თითქოს მანვე ბალახი ამოეგდოს ძირფესვიანად; იგი ისე ეპყრობა სოფლებს და მათს მოსახლეობას, როგორც შურისძიებით შეპყრობილი ინდიელები გარეული ცხოველების ბუნაგებს ეპყრობიან... ადამიანს ყიდიან ცხვრის ტყავზე ან ცხვრის ფეხზე და კიდევ უფრო იაფადაც... ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციებზე მონღოლების თავდასხმის დროს მონღოლთა საბჭოში წამოიჭრა წინადადება მთელი მოსახლეობის ამოყლტისა და მისი მიწების საძოვრებად გადაქცევის შესახებ».

თარ შემოსავალს არ აძლევდა. ჰერცოგინამ კეთილშობილ გრძნობათა ისეთი სიუხვე გამოიჩინა, რომ აკრი მიწა 2 შილინგ და 6 პენსად მისცა იჯარით კლანის იმავე წევრებს, რომელნიც ასეული წლების მანძილზე მისი საგვარეულოსათვის სისხლს ღვრიდნენ. მთელი წართმეული მიწა კლანისა მან დაჰყო მეცხვარეობისათვის განკუთვნილ 29 მსხვილ ფერმად და თვითველ ფერმაში მხოლოდ ერთი კომლი დაასახლა, უმეტესწილად ინგლისელი მოიჯარე-მოჯამაგირეები. 1825 წელს 15 000 გელის ადგილი უქვე 131 000 ცხვარმა დაიჭირა. ზღვის პირას გადატყორცნილ აბორიგენტთა [მკვიდრთა] ნაწილი მეთევზეობით ცდილობდა თავის რჩენას. ისინი ამფიბიებად იქცნენ და, როგორც ერთი ინგლისელი მწერალი ამბობს, სანახევროდ ხმელეთზე, ცხოვრობდნენ და სანახევროდ წყალში, მაგრამ ორივე ერთად მხოლოდ სანახევროდ უზრუნველყოფდა მათს არსებობას²¹⁸.

მაგრამ გულად გელებს უფრო მძიმე განსაცდელი მოელოდათ მთიურ-რომანტიკული თაყვანისცემისათვის კლანის «დიდი კაცების» წინაშე. თევზის სუნი «დიდ კაცებს» ცხვირში ეცათ. მათ აქ რალაც მომგებნიანი საქმე დაყნოსეს და იჯარით მისცეს ზღვის ნაპირი მსხვილ ლონდონელ თევზით მოვაჭრეებს. გელები ხელმეორედ გააძევეს²¹⁹.

მაგრამ, ბოლოს, ცხვრის საძოვრების ნაწილიც ხელახლა სანადირო პარკებად იქცევა. ცნობილია, რომ ინგლისში ნამდვილი ტყეები

ეს წინადადება სისრულეში მოიყვანა მთიანი შოტლანდიის მრავალმა ლენდლორდმა. თავის საკუთარ ჭეყვანაში საკუთარ თანამემამულეთა მიმართ (George Ensor: «An Inquiry concerning the Population of Nations». London 1818, გვ. 215, 216).

²¹⁸ როდესაც ახლანდელი ჰერცოგინა სეტერლენდი დიდი ხეიმით შეხვედა ლონდონში მისის ბიჩერ-სტოუს, «Uncle Tom's Cabin»-ის [ბიძია თომას ქობის] ავტორს, რათა გამოემკლავნებინა თავისი სიმპათია ამერიკის რესპუბლიკის ზანგმონებისადმი, — ეს სიმპათია მან, სხვა არისტოკრატ-ქალებთან ერთად, განზრახ დაივიწყა სამოქალაქო ომის დროს, როცა ყოველი ინგლისელის «კეთილშობილი» გული თანაუგრძნობდა მონათმფლობელებს, — მე დავასურათე «New York Tribune»-ში თვით სეტერლენდის მონების მდგომარეობა (ეს წერილი ნაწილობრივ ციტირებულია კერის მიერ «The Slave Trade»-ში. Philadelphia 1853, გვ. 202, 203). ჩემი სტატია გადაბეჭდილი იყო ერთ შოტლანდიურ გაზეთში და გამოიწვია ცხარე პოლემიკა ამ უკანასკნელსა და სეტერლენდის სიკოფანტებს შორის.

²¹⁹ საინტერესო ცნობებს ამ თეზით ვაქრობის შესახებ ჩვენ ვხვდებით დავიდ ურკარტის «Portfolio. New Series»-ში. — ნასაუ ვ. სენორი თავის ხემოციტირებულ თხზულებაში: «Journals, Conversations and Essay relating to Ireland», London 1868, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა, «სეტერლენდში მიღებულ ხომებს ახასიათებს როგორც ერთერთ უაღრესად კეთილმოქმედ «გაწმენდას» (clearing), რომელთაც კი ადგილი ჰქონია უსოფარი დროიდან» (იქვე).

არ არსებობს. ნადირი, რომელიც არისტოკრატთა პარკებში მოიპოვება, კონსტიტუციური შინაური ცხოველია, ისევე ჩასუქებული, როგორც ლონდონის ალდერმენები [ქალაქის საბჭოს წევრები]. ამიტომ შოტლანდია «კეთილშობილ გატაცებათა» უკანასკნელი თავშესაფარია. «მთიან ადგილებში, — ამბობს სომერსი 1848 წელს, — ტყით დაფარული ფართობი საგრძნობლად გაფართოვდა^{219a}. აქ, გეიკის ერთ მხარეს თქვენ თვალწინ გადაშლილია ახლადგაშენებული ტყე — გლენფეში, ხოლო იქ, მეორე მხარეს — ახლადგაშენებული ტყე — არდვერიკი. იქვე გადაჭიმულია ბლექ-მაუნტი — უზარმაზარი, ახლახან წარმოქმნილი უდაბნო. აღმოსავლეთიდან დასავლეთით ებერდინის მიდამოებიდან ობენის ფრიალო კლდეებამდე ამჟამად ტყეების განუწყვეტელი ზოლი მისდევს, ხოლო მთიანი მხარის სხვა ნაწილებში გაშენებულია ახალი ტყეები: ლოკ არკეიგი, გლენგერი, გლენმორისტონი და სხვ... მათი მიწების ცხვრის საძოვრებად გადაქცევამ... გელეები უფრო მწირ ადგილებზე გადარეკა. ახლა მაღალი ჯიშის ფრინველ-ნადირი იკავებს ცხვრის ადგილს და გელეებს კიდევ უფრო საშინელ სილატაკეში აგდებს... სანადირო პარკი და ხალხი ერთად ვერ მოთავსდება. ყოველ შემთხვევაში ერთმა მათგანმა ადგილი უნდა დატოვოს. თუ საუკუნის უახლოეს მეოთხედში სანადირო ადგილების რიცხვი და ფარგლები ისევე გაიზრდება, როგორც საუკუნის განვლილ მეოთხედში იზრდებოდა, მაშინ ვერც ერთ გელს ვეღარ ნახავთ თავის მშობლიურ მიწაზე. ეს მოძრაობა მთიანი ადგილების მიწათმფლობელთა შორის გამოწვეულია ნაწილობრივ მოდით, არისტოკრატიული თავქარიანობით, ნადირობის ქინით და სხვ., ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ისინი ვაჭრობენ ნანადირევით მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიღების მიზნით. და ეს იმიტომ, რომ ფაქტიურად მთიანი ადგილი, სანადიროდ დატოვებული, ბევრ შემთხვევაში შეუდარებლად უფრო მომგებიანია, ვიდრე იგივე ნაკვეთი, ცხვრის საძოვრად გადაქცეული... ნადირობის მოტრფიალე, რომელიც სანადირო ადგილს ეძებს, ისეთ ფასს იმეტებს, როგორც ატანაც კი მის ქისას შეუძლია... ის უბედურება, რაც მთიან ქვეყანას თავს დაატყდა, როდი ჩამოუფარდება თავისი საშინელებით იმ უბედურებას, რაც ინგლისს მიაყენა ნორმანელი მეფეების პოლიტიკამ. ნადირს

^{219a} შოტლანდიის «deer forests» [სანადირო პარკებში] არც ერთი ხე არ მოიპოვება. აქედან ცხვრებს აძევენ და წიშველა მთებზე ირმებს ერეკებიან და ამ ადგილს «deer forests»-ს უწოდებენ. მაშასადამე, აქ ტყის გაშენების კულტურაც კი არ არსებობს.

უფრო ფართო სივრცე მიეცა, მაშინ როდესაც ადამიანები სულ უფრო შევიწროვებულ ფარგლებში მოამწყვდიეს... თავისუფლება ხალხს ერთიმეორეზე ერთმევა... ჩაგვრა კი ყოველდღიურად მატულობს. ხალხის «გაწმენდას» და გაძევებას მესაკუთრეები მისდევენ როგორც მტკიცე პრინციპს, როგორც აუცილებელ სამიწათმოქმედო ღონისძიებას, მსგავსად იმისა, როგორც, ამერიკისა და ავსტრალიის გაუტეხელ მიწებზე ხეებსა და ბუჩქებს ჩეხენ, და ეს ოპერაცია მშვიდად და საქმიანი წესით მიმდინარეობს»²²⁰.

²²⁰ Robert Somers: «Letters from the Highlands; or, the Famine of 1847». London 1848, გვ. 12 — 28, სხვადასხვა ადგილას. ეს წერილები პირველად «Times»-ში გამოქვეყნდა. ინგლისელი ეკონომისტები, რასაკვირველია, გლეხის შიმშილს 1847 წელს მათი კარბმოსახლეობით ხსნიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი, თურმე, ავიწროებდნენ თავიანთ საარსებო საშუალებებს. «Clearing of Estates», ანუ «Bauernlegen» [გლეხების დასაქურისება], როგორც ამას გერმანიაში უწოდებდნენ, აქ განსაკუთრებით ოცდაათწლიანი ომის შემდეგ გაძლიერდა და ამან გამოიწვია ჯერ კიდევ 1790 წელს გლეხთა აჯანყება საქსონიის საკუროფიურსტოში. იგი გაბატონებული იყო განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანიაში. პრუსიის პროვინციათა უმრავლესობაში გლეხთა საკუთრების უფლება პირველად ფრიდრიხ II-ემ უზრუნველყო. სიღვზიის დაპყრობის შემდეგ მან აიძულა მემამულეები აღედგინათ გლეხების ქონები, ბელღები, და სხვ. და მოემარაგებინათ გლეხთა მეურნეობანი პირუტყვით და იარაღებით. მას ესაჭიროებოდა ჯარისკაცები თავისი არმიისათვის და გადასახად-გადამხდლები თავისი ზახინისათვის. თუ რა სასიამოვნო იყო სხვათა შორის გლეხის ცხოვრება ფრიდრიხ II-ის უხამსი ფინანსური პოლიტიკისა და მისი მმართველობის სისტემის დროს, რომელიც დესპოტიზმის, ბიუროკრატიზმისა და ფეოდალიზმის წარმოადგენდა, ეს შეგვიძლია დავინახოთ იმავე ფრიდრიხის თავყანისციცემლის მირაბოს შემდეგი სიტყვებიდან: «სელი ჩრდილოეთ გერმანიაში მიწათმოქმედის ერთ-ერთ უდიდეს სიმდიდრეს შეადგენს. მაგრამ, ადამიანთა მოდგმის საუბედუროდ, იგი წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას უკიდურესი სიღატაკის წინააღმდეგ და არა კეთილდღეობის წყაროს. პირდაპირი გადასახადები, შინაყმის სამსახური და სხვადასხვაგვარი საბატონო ბეგარა ანადგურებს გერმანულ გლეხს, მით უმეტეს, რომ მან არაპირდაპირი გადასახადებიც უნდა იხადოს ყველ-ფერში, რასაც ყიდულობს... და ამ განადგურებას საბოლოოდ ის ემატება, რომ მკს ნება არა აქვს ვაყიდოს თავისი პროდუქტები, სადაც და როგორც მოესურვება. მას ნება არა აქვს აგრეთვე იყიდოს მისთვის საჭირო პროდუქტები იმ ვაჭრებისაგან, რომელთაც შეეძლოთ იფაოდ მიეწოდებინათ მისთვის ეს პროდუქტები. ყველა ეს გარემოება ანადგურებს მას შეუმჩნეველად და ის ვერ გაისტუმრებდა ვადაზე პირდაპირ გადასახადებს, რთვის რომ არ ეწუოდეს; ეს რთვა მას გარკვეულ დახმარებას უწევს იმიტომ, რომ იგი ნაყოფიერად ამუშავებს მის ცოლს, შვილებს, მოჯამაგირეს, მოახლეს და თვით მას. მაგრამ რა უბადრუკია ეს ცხოვრება, მიუხედავად ამ დახმარებისა! ზაფხულში იგი კატორღელივით მუშაობს ხენაზე და მოსავლის აღებაზე; 9 საათზე წევა და 2 საათზე დგება, რათა მძიმე სამუშაოს თავი გაართვას. ზამთარში მას უფრო ხანგრძლივი დასვენებით თავისი ძალ-ღონე უნდა აღედგინა; მაგრამ მას არ ვყოფოდა ხორბალი

საეკლესიო მამულების გაძარცვა, სახელმწიფო მიწების თაღლითურად გასხვისება, სათემო საკუთრების დატაცება, უზურპატორული და შეუბრალებელი ტერორიზმის გზით განხორციელებული გადაქცევა ფეოდალური საკუთრებისა და კლანური საკუთრებისა თანამედროვე

პურად და თესლად, თუ იგი იძულებული იქნებოდა თავისი მოსავალი გაეყიდნა გადასახადების გასასტუმრებლად. ამიტომ ამ დანაკლისის შესავსებად მან რთვას უნდა მიჰყოს ხელი, ... თანაც უდიდესი დაძაბულობით უნდა იმუშაოს. ამიტომაცაა, რომ გლეხი ზამთარში შუალამისას ან ღამის 1 საათზე წვება და 5 ან 6 საათზე დგება; ანდა წვება 9 საათზე და დგება 2 საათზე, და ასე ყოველდღე მთელი სიცოცხლის განმავლობაში, გარდა კვირა დღისა. ეს ზომადგატარებული ღამის ტეხა და შრომა ანადგურებს ადამიანის ორგანიზმს და ამიტომაცაა, რომ მამაკაცები და დედაკაცები უფრო ადრე ბერდებიან სოფლად, ვიდრე ქალაქად (Mirabeau: «De la Monarchie Prussienne». Londres 1788, ტ. III, გვ. 212 და შემდ.).

დანატება მე-2 გამოცემისათვის. 1866 წლის აპრილს, 18 წლის შემდეგ დღიდან რობერტ სომერსის ზემოციტირებული ნაშრომის გამოქვეყნებისა, პროფესორმა ლეონ ლევიმ წაიკითხა მოხსენება «Society of Arts»-ში ცხვრების საძოვრების სანადირო პარკებზე გადაქცევის შესახებ, სადაც იგი ასურათებს იმას, თუ რამდენად წინ წავიდა მთიანი შოტლანდიის გაუდაბნოება. იგი, სხვათა შორის, ამბობს: მოსახლეობის გაძევება და მიწების გადაქცევა ცხვრის საძოვრებად წარმოადგენდა შემოსავლის მიღების ხელსაყრელ საშუალებას სათანადო ხარჯების გაუწევლად... ცხვრის საძოვრების ნაცვლად სანადირო პარკების გაშენება მთიან ადგილებში ჩვეულებად გადაიქცა. ცხვრებს ახლა გარეული ცხოველები აძევებენ, მსგავსად იმისა, როგორც უწინ ადამიანებს აძევებდნენ, რათა ცხვრებისთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ... ფორთაშორში შეიძლება ისე გაიაროს ადამიანი მთელი მანძილი გრაფ დელზუზის მამულებიდან ჯონ ოგროტის მამულებამდე, რომ ტყიანი ადგილებიდან არ გამოვიდეს. — ბევრ მათგანში (ამ ტყეებში) უკვე დიდი ხანია ბინადრობს მელია, გარეული კატა, კვერნა, ქრცვინი, სინდიოფალა და ალპის კურდღელი; ბაჭია, ციყვი და ვირთაგვა კი მხოლოდ ამ ბოლო დროს გაჩნდა იქ. უზარმაზარი მიწის ნაკვეთები, რომლებიც შოტლანდიის სტატისტიკაში აღნიშნულია როგორც უაღრესად ნაყოფიერი და ვრცელი საძოვრები, ამჟამად ყოველივე კულტურას და გაუმჯობესებას მოკლებულია და რამდენიმე პიროვნების მართლოდენ სანადირო გართობის საგანს შეადგენენ — გართობისა, რომელიც მხოლოდ სულ მოკლე ხანს გრძელდება წლის განმავლობაში.

1866 წლის 2 ივნისის ლონდონის «Economist»-ი წერს: «ერთი შოტლანდიური გახეთი უკანასკნელი კვირის ახალ ამბებში, სხვათა შორის, შემდეგს მოგვითხრობს: სტერლინდში ერთი საუკეთესო ცხვრის ფერმა, რომელშიც ამას წინათ კონტრაქტის ვადის გასვლის გამო 1 200 გირვანქა სტერლინგი წლიური რენტა შეაძლიეს, გადაქცეულია «deer forest»-ად! [სანადირო პარკად]. ფეოდალური ინსტიტუტები ისევე მოქმედებენ... როგორც ნორმანელების შემოსევის დროს... როდესაც 36 სოფელი გაანადგურეს New Forest-ის [ახალი ტყის] გასაშენებლად... ორი მილიონი აკრი და მათ შორის რამდენიმე უნაყოფიერეა მიწის ნაკვეთი შოტლანდაში გადაქცეულია ნამდვილ უდაბნოდ. გუნდ ტილტის ბუნებრივი ბალახი უნაყოფიერესად ითვლებოდა პერტის საგრაფოში; ბენ ოლდერის deer forest-ი საუკეთესო ბალახს იძლეოდა

კერძო საკუთრებად — აი, თავდაპირველი დაგროვების მრავალნაირი იდილიური მეთოდები. ამ მეთოდებით დაიპყრეს ასპარეზი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის, დაუმორჩილეს მიწა კაპიტალის ბატონობას და შეუქმნეს საქალაქო მრეწველობას კანონგარეშე დაყენებული პროლეტარიატის აუცილებელი მიწოდება.

3. სისხლიანი კანონმდებლობა მძსპროკრიჩიკაშულთა წინააღმდეგ მე-15 საუკუნის დასასრულიდან. კანონები ხელშასის დასაწვევად

ფეოდალური რაზმების დაშლის გამო და გრივალისებური ძალდატანებითი ექსპროპრიაციით მიწა-წყლიდან განდევნილი ადამიანები, ეს კანონგარეშე დაყენებული პროლეტარიატი, ვერ შთაინთქმებოდა აღმავალი მანუფაქტურის მიერ იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც იგი ქვეყნად ჩნდებოდა. მეორე მხრივ, ადამიანები, უეცრად ამოვარდნილნი ცხოვრების ჩვეულებრივი კალაპოტიდან, ვერ შეეგუებოდნენ ასევე სწრაფად ახალი ვითარებით შექმნილ დისციპლინას. ისინი მასობრივად იქცეოდნენ მათხოვრებად, ავაზაკებად და მაწანწალებად, ნაწილობრივ თავისი ნებით, უმეტეს შემთხვევაში კი — გარემოებათა ძალდატანებით. აქედან წარმოდგა მე-15 საუკუნის დამლევეს და მთელი მე-16 საუკუნის განმავლობაში სისხლიანი კანონმდებლობა მაწანწალობის წინააღმდეგ მთელ დასავლეთ ევროპაში. ახლანდელი მუშათა კლასის მამები უწინარეს ყოვლისა დასჯილ იქნენ იმისათვის, რომ ისინი იძულებით გადააქციეს მაწანწალებად და პაუპერებად. კანონმდებლობა მათ განიხილაედა როგორც «ნებაყოფლობით» დამნაშავეებს და იმ ვარაუდიდან გამოდიოდა, რომ მათ შეეძლოთ, თუ სურვილი ექნებოდათ, განეგრძოთ მუშაობა ძველ, უკვე არარსებულ პირობებში.

ინგლისში ეს კანონმდებლობა ჰენრიხ VII-ის დროს დაიწყო.

ჰენრიხ VIII-ის 1530 წლის აქტის თანახმად, მოხუცებულ და "შრომაუუნარო მათხოვრებს ხება ეძლევათ იმათხოვრონ. პირიქით,

ბადენოკის ვრცელ ოლქში; ბლევ მუნტის ტყის ნაწილი შავი ცხვრის საუკეთესო საძოვარს წარმოადგენდა მთელ შოტლანდიაში. თუ რა სივრცის იყო ის მიწა, რომელიც უდაბნოდ იქცა ნადირობის მოყვარულთა გასართობად, ამის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ფაქტიდან, რომ იგი თავისი მოცულობით პერტის მთელ საგრაფოს ბევრად აღემატება. თუ შემოსავლის რაოდენ წყაროს კარგავს ქვეყანა ამ იძულებითი გაპარტახების გამო, იქიდან ჩანს, რომ ბენ ოლდერის ტყის ნიადაგს შეეძლო გამოეკვება 15 000 ცხვარი და რომ იგი შოტლანდიის მთელი სანადირო ადგილების მხოლოდ $\frac{1}{30}$ ნაწილს შეადგენს... მთელი ეს სანადირო ადგილი სრულიად გამოუყენებელი რჩება წარმოებისათვის;... ეს იმავე უდრის, რომ იგი ჩრდილოეთ ზღვაში ყოფილიყო ჩაძირული. კანონმდებლობის ძლიერმა ხელმა ბოლო უნდა მოუღოს ამ მწირი ადგილების ანუ უდაბნოების ახირებული წესით შექმნას.

შრომაუნარიან მაწანწალებს გამათრახება და საპყრობილე მოვლით სასჯელად. ისინი უნდა მიაკრან ურემზე და მანამდე სცემონ, ვიდრე სისხლი არ ამოასხამს მათი სხეულიდან; შემდეგ მათ უნდა ჩამოერთვათ ფიცი, რომ დაბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში, ან იქ, სადაც ისინი უკანასკნელ სამ წელიწადს ცხოვრობდნენ, და «შეუდგებიან შრომას» (to put himself to labour). რა სასტიკი ირონიაა! ჰენრიხ VIII-ის 27-ე აქტი იმეორებს ამ კანონს და ახალი დამატებებით ამძაფრებს. მაწანწალობის განმეორების შემთხვევაში დაწესებულია განმეორებითი გამათრახება და ნახევარი ყურის მოჭრა; ამ დანაშაულის მესამედ ჩამდენი კი სიკვდილით ისჯება როგორც მძიმე დანაშავე და საზოგადოების მტერი.

ედუარდ VI-ემ 1547 წელს, თავისი მეფობის პირველსავე წელიწადს, გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ყველა, ვინც მუშაობას ერიდება, იმის მონა უნდა გახდეს, ვინც მას დააბეზღებს როგორც უსაქმოდ მოხეტიალეს. პატრონმა თავისი მონა უნდა კვებოს პურით და წყლით, აძლიოს მას წყალწყალა სასმელები და ხორცის ისეთი ნარჩენები, როგორიც მას მოეპრიანება. მას უფლება აქვს მათრახითა და ბორკილების დადებით იძულებით ამუშაოს მონა, რაგინდ საზიზღარიც იყოს ეს სამუშაო. თუ მონა ორი კვირით გაეპარება თავის პატრონს, მაშინ მას სამუდამო მონობა მიესჯება და შუბლზე ან ლოყაზე დაესმება დალი «S». თუ იგი მესამედ გაიქცევა, დაისჯება სიკვდილით როგორც სახელმწიფოს მოღალატე. პატრონს შეუძლია იგი გაყიდოს, ანდერძით გადასცეს სხვას, გააქიროს როგორც მონა, როგორც ყველა სხვა მოძრავი ქონება ან პირუტყვი. თუ მონები თავიანთი ბატონების წინააღმდეგ რაიმეს განიზრახავენ, აგრეთვე სიკვდილით დაისჯებიან. მომრიგებელი მოსამართლენი ვალდებული არიან ეძებონ გაქცეული მონები მათი ბატონების განცხადების მიხედვით. თუ აღმოჩნდება, რომ გაქცეული მაწანწალა სამი დღე უსაქმოდ დაეხეტებოდა, მას დაბადების ადგილას აგზავნიან, გახურებული შანთით გულზე დაღს «V» ამოსწავენ, ბორკილებს გაუყრიან და გზებზე ან სხვა საქმეზე ამუშავენ. თუ მაწანწალა თავისი დაბადების ადგილის შესახებ ყალბ ცნობას მისცემს, მაშინ იგი დაისჯება იმით, რომ ამ ადგილის, მისი მცხოვრებლების ანუ კორპორაციის სამუდამო მონა გახდება და აღიბეჭდება დალით — «S». ყველას უფლება აქვს მაწანწალებს შეიღები წაართვას და შეგირდების სახით თავისთან იყოლიოს — ვაჟები 24 წლამდე და ქალიშვილები 20 წლამდე. თუ გაიქცევიან, ისინი ზემოაღნიშნულ ასაკამდე მონები ხდებიან თავიანთ აღმზრდელ-მეპატრონეებისა, რომელთაც შეუძლიათ სურვილისამებრ

მათ ბორკილი დაადონ, მათრახით სცემონ და სხვ. ყოველ მეპატრონეს შეუძლია თავის მონას კისერზე, ფეხებზე ან ხელებზე რკინის სალტე დაადოს, რათა ადვილად გაარჩიოს სხვებისაგან და არ მისცეს დამალვის შესაძლებლობა²²¹. ამ კანონის უკანასკნელი ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ღარიბებმა უნდა იმუშაონ იმ ოლქისათვის ან იმ პირთათვის, რომლებიც მათ გამოკვებასა და მათთვის სამუშაოს გამონახვას კისრულობენ. ამგვარ სამრევლო მონებს ჩვენ ვხვდებით ინგლისში დიდხანს მე-19 საუკუნეშიც roundsmen-ის (მოსიარულეთა) სახელწოდებით.

ელისაბედის 1572 წლის კანონი: მათხოვრები, რომელთაც მოწყალების თხოვის ნებართვა არა აქვთ და 14 წელზე მეტი ხნის არიან, სასტიკად უნდა იქნან გამათრახებულნი და მარცხენა ყურზე დალდასმულნი, თუ მათ არავენ აიყვანს მსახურად ორი წლის ვადით; რეციდივის შემთხვევაში, თუ ისინი 18 წელზე მეტი ხნის არიან, და თუ მათ არავენ აიყვანს მსახურად ორი წლის ვადით, სიკვდილით უნდა დაისაჯონ; მესამე რეციდივის დროს კი შეუბრალებლად ისჯებიან სიკვდილით როგორც სახელმწიფოს მოღალატენი. ანალოგიურია: ელისაბედის კანონი მე-18, მუხ. 13, და 1597 წლის კანონი^{221*}.

²²¹ «Essay on Trad etc.»-ს ავტორი შენიშნავს: «ედუარდ VI-ის მეფობის დროს ინგლისელებმა მართლაც თითქოს სრულიად სერიოზულად დაიწყეს მანუფაქტურის წაქეზება და ღარიბებისათვის სამუშაოს მიწოდება. ამას ჩვენ გვაუწყებს ერთი ღირსშესანიშნავი კანონი, სადაც ნათქვამია, რომ ყველა მაწანწალას დადი უნდა ჰქონდეს დასმული» და სხვ. («An Essay on Trade and Commerce», London 1770, გვ. 5).

^{221a} ტომას მორი თავის «უტოპიაში» ამბობს: «ასე ხდება ხოლმე, რომ ხარბი და გაუმადლარი ღორმუცელა, რომელიც თავისი საშობლო ქვეყნის ნამდვილი ჭირია, ათასი აკრომბით თავს უყრის მიწას და შემოუარგლავს მას წნელით ან ღობით, ანდა ძალდატანებით და უსამართლობით იკამდე მიჰყავს მისი მესაკუთრენი, რომ ისინი იძულებულნი არიან ყველაფერი გაყიდონ. ამა თუ იმ საშუალებით, თუ ნებით არა — ძალით, ისინი იძულებულნი ხდებიან გასახლდნენ — ეს საცოდავი, გულუბრყვილო და საბრალო არსებანი! მამაკაცები, დედაკაცები, ქმრები, ცოლები, ობლები, ქვრივები, ატირებული დედები ჭუჭუმწოვარი ბავშვებით, და მთელი ოჯახები, სახსარმოკლებულნი და მრავალრიცხოვანნი თავისი შემადგენლობით, რადგან მიწათმოქმედება მრავალ მუშახელს მოითხოვდა. ისინი შორდებიან, ვამბობ მე, თავიანთ ნაცნობ და შეჩვეულ მშობლიურ ადგილებს და ვერსად ვერ პოულობენ თავშესაფარს. მთელი მათი შინაური ავეჯეულობის გაყიდვას, — თუმცა ამ ავეჯეულობას დიდი ღირებულება არა აქვს, — სხვა პირობებში შეიძლება ერთგვარი დანხარება გაეწია მათთვის; მაგრამ უცერად გაძევებულნი, ისინი იძულებულნი ხდებიან თითქმის უფასოდ გადაყარონ იგი. და როდესაც ამ ხეტიალში ისინი უკანასკნელ გროუსს ხარჯავენ, მითხარით ლეთის გულისათვის, რალა დარჩენიათ მათ გარდა ქურდობისა, 58 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

იაკობ I-ის კანონის თანახმად, ყველა, ვინც უსაქმოდ დაეხეტება და მათხოვრობს, მაწანწალად ითვლება. მომრიგებელი მოსამართლენი Petty Sessions-ში [ადგილობრივ სასამართლოებში] აღჭურვილნი არიან უფლებით ასეთ მაწანწალებს მიუსაჯონ საჯარო გამათრახება და დაპატიმრება, — პირველად 6 თვით, ხოლო მეორედ — ორი წლით. საპყრობილეში ყოფნის დროს მათი გამათრახება უნდა ხდებოდეს ისე ხშირად და იმ ზომამდე, როგორც ეს მომრიგებელ მოსამართლეებს მოეხასიათებათ... გაუსწორებელ და საშიშ მაწანწალებს მარცხენა მხარზე დალი — «R» უნდა დაასვან და იძულებითი მუშაობა მიუსაჯონ; თუ მათ კიდევ დაიჭერენ მათხოვრობაში, მაშინ შეუბრალებლად უნდა დასაჯონ სიკვდილით. ამ დადგენილებებს კანონის ძალა ჰქონდა მე-18 საუკუნის დასაწყისამდე და ისინი მხოლოდ ანას მე-12 აქტით, მუხ. 23, გაუქმდა.

ამგვარ კანონებს ვხვდებით საფრანგეთშიც, სადაც მე-17 საუკუნის ნახევარში მაწანწალებმა ეგრეთწოდებული «მაწანწალათა სამეფო» (roy-aume des truands) დააარსეს პარიზში. ჯერ კიდევ ლუი XVI-ის მეფობის დასაწყისს გამოიცა ორდონანსი (1777 წლის 13 ივლისს), რომლის ძალითაც ყოველი ჯანსაღი მამაკაცი 16-დან 60 წლამდე გალერებზე იგზავნებოდა, თუ მას არსებობის საშუალება არ გააჩნდა და რაიმე პროფესიას არ მისდევდა. ანალოგიური შინაარსისა იყო კარლოს V-ის კანონი, გამოცემული ნიდერლანდებისათვის 1537 წლის

რომ შემდეგ ჩამოხრობილ იქნან კანონის და სამართლის ძალით, ანდა დაიწყონ მათხოვრობა? მაგრამ მაინც საპყრობილეში ათავსებენ მათ როგორც მაწანწალებს, იმიტომ რომ ისინი დაეხეტებიან და არ მუშაობენ; ამავე დროს კი არც ერთ ადამიანს არ სურს მათ სამუშაო მისცეს, რაგინდ ძალიანაც იყვნენ ისინი მოწადინებულნი ამ მუშაობას. ამ ღარიბი ლტოლვილებიდან, რომელთაც, ტომას მორის სიტყვით, პირდაპირ აიძულებდნენ ეჭურნათ, «ჰენრიზ VIII-ის მეფობის დროს დასჯილი იყო სიკვდილით 72 000 დიდი და პატარა ქურდი» (Holinshead: «Description of England», ტ. I, გვ. 186). ელისაბედის დროს «მაწანწალებს მთელი ჯგუფობით ახრჩობდნენ და ჩვეულებრივ წელიწადი ისე არ გავიდოდა, რომ ამა თუ იმ ადგილას 300 ან 400 ადამიანი არ ჩამოეხრჩოთ» (Stype: «Annals of the Reformation and Establishment of Religion, and other Various Occurrences in the Church of England during Queen Elisabeth's Happy Reign», მე-2 გამოც., 1725, ტ. II). იმავე სტრასბურის სიტყვით: სომერსეტში მარტო ერთი წლის განმავლობაში სიკვდილით დასჯილი იყო 40 ადამიანი, 35 — დაღდასმული, 37 — გამათრახებული და 183 «თავზე ხელაღებული ავაზაკი» — განთავისუფლებული. მიუხედავად ამისა, ამბობს იგი, «მომრიგებელ მოსამართლეთა დაუდევრობისა და ზალხის უაზრო თანაგრძნობის გამო, ბრალდებულთა ეს საგრძნობი რიცხვი ნამდვილ ბოროტმოქმედთა ერთ მეხუთედსაც არ შეადგენს». იგი დასძენს: ინგლისის სხვა საგრაფოები არ იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე სომერსეტში, ბევრი უარეს მდგომარეობასაც კი განიცდიდა.

ოქტომბერში, ჰოლანდიის შტატების და ქალაქების პირველი ედიქტი 1614 წლის 19 მარტს, გაერთიანებული პროვინციების პლაკატი 1649 წლის 25 ივნისს და სხვ.

ამრიგად, სოფლის მოსახლეობა, ძალდატანებით თავის მიწა-წყალს ჩამოშორებული, განდევნილი და მაწანწალად გადაქცეული, შესახარი ტერორისტული კანონების საშუალებით — გამათრახებით, დადაღვით და წამებით — დაქირავებული შრომის სისტემის აუცილებელ დისციპლინას დაუმორჩილეს.

არა კმარა, რომ ერთ პოლუსზე კაპიტალის სახით გვევლინება შრომის პირობები, ხოლო მეორეზე — ადამიანები, რომელთაც არაფერი გააჩნიათ გასაყიდი, გარდა თავიანთი სამუშაო ძალისა. არა კმარა აგრეთვე აიძულო ეს ადამიანები ნებაყოფლობით გაყიდონ თავიანთი თავი. კაპიტალისტური წარმოების წინსვლასთან ერთად ვითარდება მუშათა კლასი, რომელიც თავისი აღზრდის, ტრადიციისა და ჩვეულების გამო ამ წარმოების წესის მოთხოვნებს თავისთავად გასაგებ ბუნებრივ კანონებად აღიარებს. განვითარებული კაპიტალისტური წარმოების პროცესის ორგანიზაცია ამსხვრევს ყოველგვარ წინააღმდეგობას; შეფარდებითი ჰარბმოსახლეობის გამუდმებული წარმოქმნა აჩერებს შრომის მოთხოვნისა და მიწოდების კანონს და, მაშასადამე, ხელფასსაც, იმ კალაპოტში, რომელიც კაპიტალის თვითზრდის მოთხოვნილებებს შეესაბამება; ეკონომიურ ურთიერთობათა ბრმა ძალდატანება განამტკიცებს კაპიტალისტის ბატონობას მუშაზე. არა ეკონომიური ხასიათის, პირდაპირ ძალდატანებას, მართალია, ჯერ კიდევ იყენებენ, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ გამონაკლისის სახით. საქმის ჩვეულებრივი მსვლელობის დროს მუშა შეიძლება მინებებულ იქნას «წარმოების ბუნებრივ კანონებზე», ე. ი. იმაზე, რომ იგი დამოკიდებულია კაპიტალზე და ეს დამოკიდებულება თვით წარმოების პირობებიდან გამომდინარეობს, მათ მიერ არის უზრუნველყოფილი და გამარადისებული. სულ სხვანაირადაა კაპიტალისტური წარმოების ისტორიული გენეზისის პერიოდში. ამომავალი ბურჟუაზია საჭიროებს და იყენებს სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას, რათა «მოაწესრიგოს» ხელფასი, ე. ი. იძულებით მოათავსოს იგი ისეთ ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობენ ნამეტის კეთებას [Plusmacherei], რათა გააგრძელოს სამუშაო დღე და თვით მუშა კაპიტალზე ნორმალური დამოკიდებულების მდგომარეობაში ჩააყენოს. აი ესაა არსებითი მომენტი ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვებისა.

დაქირავებული მუშების კლასი, რომელიც მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა, შეადგენდა მაშინ და შემდგომ საუკუნეშიც

ხალხის ფრიად უმნიშვნელო ნაწილს; იგი თავისი მდგომარეობის მძლავრ დასაყრდენს პოულობდა დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობაში სოფლად და ამქრულ ორგანიზაციაში ქალაქად. როგორც სოფლად, ისე ქალაქად მეპატრონენი და მუშები სოციალურად ახლოს იმყოფებოდნენ ერთმანეთთან. შრომის დაქვემდებარება კაპიტალისადმი მხოლოდ ფორმალური იყო, ე. ი. თვით წარმოების წესს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სპეციფიკურად კაპიტალისტური ხასიათი. კაპიტალის ცვალებადი ელემენტი დიდად სჭარბობდა მის მუდმივ ელემენტს. ამიტომ დაქირავებული შრომის მოთხოვნა სწრაფად იზრდებოდა კაპიტალის ყოველ დაგროვებასთან ერთად, მაშინ როდესაც დაქირავებული შრომის მიწოდება მძიმე ნაბიჯით მიჰყვებოდა ამ მოთხოვნას. ნაციონალური პროდუქტის დიდი ნაწილი, რომელიც შემდეგში კაპიტალის დაგროვების ფონდად გადაიქცა, იმ დროს ჯერ კიდევ მუშის მოხმარების ფონდში შედიოდა.

დაქირავებული შრომის კანონმდებლობა, რომელიც თავიდანვე მუშის ექსპლოატაციას ისახავდა მიზნად და შემდეგშიც მუდამ მტრულად იყო განწყობილი მუშათა კლასის მიმართ²²², ინგლისში ელუარდ III-ის 1349 წლის Statute of Labourers-ით [მუშათა სტატუტით] იწყება. საფრანგეთში მას შეესაბამება 1350 წლის ორდონანსი, გამოცემული მეფე ჟანის სახელით. ინგლისისა და საფრანგეთის კანონმდებლობა პარალელურად ვითარდება და თავისი შინაარსით იდენტურია. მე აქ აღარ დავუბრუნდები მუშათა სტატუტებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი სამუშაო დღის გაგრძელებას ისახავენ მიზნად, ვინაიდან ეს მუხლი უკვე ზემოთ იყო განხილული (თავი მერვე, 5).

Statute of Labourers [მუშათა სტატუტი] თემთა პალატის დაჟინებითი საჩივრების შედეგად გამოიცა. «უწინ, — გულუბრყვილოდ ამბობს ერთი ტორი, — ღარიბები ისეთ მაღალ ხელფასს მოითხოვდნენ, რომ იგი საფრთხეში აგდებდა მრეწველობას და სიმდიდრეს. ახლა მათი ხელფასი ისე დაბალია, რომ იგი კვლავ საფრთხეში აგდებს მრეწველობას და სიმდიდრეს, და ეს საფრთხე ამჟამად უფრო სხვაგვარია და, შესაძლოა, უფრო საშიში, ვიდრე უწინ»²²³. კანონით

²²² ყოველთვის, როდესაც კანონმდებლობა ცდილობს მოაწესრიგოს დავა მეწარმეთა (masters) და მათს მუშებს შორის, მისი მრჩევლები მუდამ მეწარმენი არიან — ამბობს ა. სმითი. «L'esprit des lois, c'est la propriété» [საკუთრება — აი კანონების სული] — ამბობს ლენგე.

²²³ «Sophisms of Free Trade. By a Barrister». London 1850, გვ. 235. იგი გესლიანად დასძენს: «ჩვენ მუდამ მზად ვიყავით მხარი დაგვეჭირა დამქირავებლისათვის. ნუთუ არაფრის გაკეთება არ შეიძლება დაქირავებულის სასარგებლოდ?» [გვ. 236].

დაწესდა ხელფასის ტარიფი ქალაქისა და სოფლისთვის, ცალობრივი და დღიური სამუშაოსათვის. სოფლის მუშების დაქირავება უნდა მომხდარიყო წლიურად, ხოლო ქალაქის მუშებისა — თავისუფალ ბაზარზე. დატუსაღების მუქარით აიკრძალა იმაზე მაღალი ხელფასის მიცემა, რასაც სტატუტი ითვალისწინებდა, ამასთან მაღალი ხელფასის მიმღებს უფრო მეტი სასჯელი მოელოდა, ვიდრე მის მიმცემს. ჯერ კიდევ ელისაბედის კანონის მიხედვით, მუხ. მე-18 და მე-19 შეგირდების შესახებ, იმას, ვინც კანონით დაწესებულ ნორმაზე მაღალ ხელფასს გასცემდა, ათი დღით დატუსაღება მოელოდა, ხოლო მის მიმღებს — ოცდაერთი დღით დატუსაღება. 1360 წლის კანონმა უფრო სასტიკი სასჯელი დააწესა და მეწარმის იმის უფლებაც კი მიანიჭა, რომ ფიზიკური ძალდატანების გზით აეძულებინა მუშები კანონით დაწესებული ტარიფის მიხედვით ემუშავნათ. ყველა გაერთიანება, ხელშეკრულება, ფიცი და სხვა., რითაც კალატოზები და დურგლები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, გამოცხადებულ იქნა გაბათილებულად. მუშათა კოალიციები მიჩნეული იყო მძიმე დანაშაულად, დაწყებული მე-14 საუკუნიდან 1825 წლამდე, როდესაც გაუქმებულ იქნა კოალიციის საწინააღმდეგო კანონები. 1349 წლის მუშათა სტატუტის და შემდგომ გამოცემული ყველა კანონის სული ნათლად გამოსჭვივის იმაში, რომ სახელმწიფო მართალია ხელფასის მაქსიმუმს კი აწესებს, მაგრამ მის მინიმუმს სრულიად არ ეხება.

მე-16 საუკუნეში, როგორც ვიცით, მუშათა კლასის მდგომარეობა მეტად გაუარესდა. ფულადმა ხელფასმა აიწია, მაგრამ არა იმ პროპორციით, როგორითაც მოხდა ფულის ფასის დაცემა და ამის შესაბამისად საქონელთა ფასების გადიდება. მაშასადამე, ფაქტიურად ხელფასი დაეცა. მიუხედავად ამისა, კანონები, რომელთა მიზანს ხელფასის დაწევა შეადგენდა, განაგრძობდა არსებობას, თანაც ამავე დროს ყურებს სჭირდნენ და დაღვდნენ იმათ, ვისი აყვანაც სამსახურში არავის სურდა. ელისაბედის კანონი შეგირდების შესახებ, 5, მუხ. 3, უფლებას ანიჭებდა მომრიგებელ მოსამართლეებს დაეწესებინათ გარკვეული ხელფასი და შეეცვალათ იგი წელიწადის დროისა და საქონელთა ფასების მიხედვით. იაკობ I-მა შრომის ეს რეგულირება გაავრცელა აგრეთვე ფეიქრებზე, მრთველებზე და ყველა სხვა კატეგორიის მუშებზე²²⁴, გეორგ II-ემ კი მუშათა კოალიციის წინააღმდეგ მიმართული კანონები ყველა მანუფაქტურაზე განაზოგადა.

²²⁴ იაკობ I-ის სტატუტის ერთი პუნქტიდან, მუხ. 6, ჩანს, რომ ზოგიერთი შემთხვევაში, რომელიც იმავე დროს მომრიგებელი მოსამართლე იყო, თავის თავს ნებას აძლევდა თვითონ დაეწესებინა ოფიციალურად ხელფასის ტარიფი საკუთარ

საკუთრივ მანუფაქტურულ პერიოდში კაპიტალისტური წარმოების წესი საკმაოდ განმტკიცებული იყო იმისათვის, რომ ხელფასის კანონმდებლობითი მოწესრიგება შეუსრულებადივ გაეხადა და ზედმეტიც, მაგრამ მაინც სურდათ საჭირო შემთხვევისათვის ხელთ ჰქონოდათ ძველი არსენალიდან აღებული იარაღი. ჯერ კიდევ გეორგ II-ის კანონით, 8, აკრძალული იყო ლონდონის და მისი მიდამოების თერძ-შეგირდებისათვის 2 შილინგსა და 7 1/2 პენსზე მეტი დღიური ხელფასის მიცემა, გარდა საყოველთაო გლოვის დღეებისა; ჯერ კიდევ გეორგ III-ის აქტი 13, მუხ. 68, უფლებას ანიჭებდა მომრიგებელ მოსამართლეებს მოეწესრიგებინათ აბრეშუმმქსოველთა ხელფასი; ჯერ კიდევ 1796 წელს საჭირო იყო უმაღლესი სასამართლოების ორი-დადევნილება იმ საკითხის გადასაწყვეტად, უნდა გავრცელებულიყო თუ არა მომრიგებელი მოსამართლეების მიერ დაწესებული ხელფასის ნორმები არამიწათმოქმედ მუშებზეც; ჯერ კიდევ 1799 წელს საპარლამენტო აქტით დადასტურდა, რომ შოტლანდიის მაღაროს მუშების ხელფასი მოწესრიგებული იყო ელისაბედის დროინდელი სტატუტით და ორი, 1661 და 1671 წლის, შოტლანდიის აქტით. თუ რამდენად რადიკალურად შეიცვალა ამ დროისათვის პირობები, ეს ცხადყოფრთმა გაუგონარმა შემთხვევამ ინგლისის თემთა პალატაში. აქ, სადაც 400 წლის განმავლობაში იქმნებოდა კანონები იმ მაქსიმუმის შესახებ,

სახელოსნოებში. გერმანიაში, განსაკუთრებით ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, ხშირად იცემოდა სტატუტები ხელფასის დასაწევად. «მემამულეებს ძალიან ემძიმებოდათ ხალხისაგან დაცარიელებულ ადგილებში შინამსახურთა და მუშათა ნაკლებობა. ყველა სოფლის მცხოვრებს აკრძალული ჰქონდა ოთახების მიჭირავება მარტოხელა მამაკაცებისათვის ან ქალებისათვის; ყველა ასეთი მდგმურის შესახებ უნდა ეცნობებინათ ხელისუფლებისათვის და ჩაეგდათ საპყრობილეში, თუ ისინი არ ისურვებდნენ შინამსახურებად გახდომას, თუნდაც რომ სხვა რაიმე სამუშაო ჰქონოდათ საცხოვრებლად, მაგალითად, გლეხებისათვის პურის დათესვა დღიურ ხელფასში ანდა ფულით და ხორბლით ვაჭრობა (Kaiserliche Privilegien und Sanctionen für Schlesien, I, 125). მთელი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის მმართველთა ბრძანებულებებში მუდამ გაისმის მწარე ჩივილი ბოროტ და თავაშვებულ ბრბოზე, რომელიც არ ემორჩილება სასტიკ რეჟიმს და არ არის კმაყოფილი კანონით დაწესებული ხელფასით. ცალკეულ მემამულეს აკრძალული აქვს მისცეს იმაზე მეტი, რაც დაწესებულია ადგილობრივი ნიხრით. და მაინც შინამსახურთა პირობები ომის შემდეგ ზოგჯერ კიდევ უკეთესი იყო, ვიდრე 100 წლის შემდეგ; სილეზიაში ჯერ კიდევ 1652 წელს შინამსახური კვირაში ორჯერ იღებდა ხორცს, ხოლო ჩვენს საუკუნეში სწორედ იმავე სილეზიაში მოიპოვებოდა ისეთი ადგილები, სადაც შინამსახურნი ხორცს წელიწადში მხოლოდ სამჯერ იღებდნენ. აგრეთვე დღიური ხელფასიც ომის შემდეგ უფრო მაღალი იყო, ვიდრე შემდგომ საუკუნეებში» (G. Freitag: [«Neue Bilder aus dem Leben des deutschen Volkes». Leipzig 1862, გვ. 34, 35]).

რასაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცილებოდა ხელფასი, უიტბრედმა 1796 წელს წინადადება შეიტანა კანონმდებლობითი გზით ხელფასის მინიმუმის განსაზღვრის შესახებ სოფლის მეურნეობის მუშებისათვის. პიტი შეეწინააღმდეგა ამას, მაგრამ აღიარა, «ლარიბების მდგომარეობა საშინელიაო (cruel)». ბოლოს, 1813 წელს, კანონები ხელფასის რეგულირების შესახებ გაუქმებულ იქნა. ეს კანონები სასაცილო ანომალიად გადაიქცა მას შემდეგ, რაც კაპიტალისტმა დაიწყო შრომის რეგულირება ფაბრიკაში თავისი პირადი კანონმდებლობის საშუალებით და ლარიბთა სასარგებლოდ შემოღებული გადასახადით ცდილობდა შეეცხო სოფლის მუშის ხელფასი აუცილებელ მინიმუმამდე. მაგრამ დღემდე სრულიად ხელუხლებლად დაცულია მუშათა კანონმდებლობის მუხლები მეწარმისა და მუშებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესახებ, ხელშეკრულებაზე უარისთქმის ვადების შესახებ და სხვ., დაცულია ის მუხლები, რომელთა თანახმად კონტრაქტის დამრღვევი მეწარმის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას მხოლოდ სამოქალაქო საჩივარი, ხოლო მუშა, რომელმაც კონტრაქტი დაარღვია, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

კოალიციების წინააღმდეგ მიმართული სასტიკი კანონები დაემხო 1825 წელს პროლეტარიატის მრისხანე პოზიციის წინაშე. მაგრამ ისინი დაემხო მხოლოდ ნაწილობრივ. ძველი სტატუტების ზოგიერთი ჩინებული ნაშთი მხოლოდ 1859 წელს გაქრა. ბოლოს, 1871 წლის 29 ივნისის საპარლამენტო აქტი მოითხოვდა ამ კლასობრივი კანონმდებლობის უკანასკნელი ნაშთების მოსპობას ტრედუნიონების კანონიერად აღიარების გზით. მაგრამ იმავე თარიღით გამოცემულმა საპარლამენტო აქტმა (an act to amend the criminal law relating to violence, threats and molestation) ფაქტიურად აღადგინა უწინდელი მდგომარეობა ახალი ფორმით. ასეთი პარლამენტური ხრიკის მეოხებით ის საშუალებანი, რომელთა გამოყენებაც მუშებს შეუძლიათ თავიანთი გაფიცვის ან ლოკაუტის (შეკავშირებულ მეფაბრიკეთა გაფიცვა, როცა ისინი თავიანთ ფაბრიკებს ერთსა და იმავე დროს ხურავენ) დროს, ჩამოერთვა საერთო კანონმდებლობას და დაექვემდებარა განსაკუთრებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომლის ინტერპრეტაცია დამოკიდებული იყო თვით მეფაბრიკეებზე, რომლებიც მომრიგებელ მოსამართლეთა როლს ასრულებდნენ. ორი წლით ადრე იმავე თემთა პალატამ და იმავე ბატონმა გლადსტონმა ცნობილი კეთილშობილური წესით შეიტანეს კანონპროექტი ყველა იმ განსაკუთრებული სისხლის სამართლის კანონის გასაუქმებლად, რომელიც მიმართული იყო მუშათა

კლასის წინააღმდეგ. მაგრამ ეს კანონპროექტი მეორე წაკითხვას არ გასცილებია, და საქმე იქამდე გაჭიანურდა, ვიდრე, ბოლოს, «დიდი ლიბერალური პარტია» ტორიებს არ დაუკავშირდა და არ აღიჭურვა გაბედულებით — გადაჭრით გაელაშქრნა იმ პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელმაც მას ძალაუფლება ხელში ჩაუგდო. მაგრამ «დიდი ლიბერალური პარტია» არ დაკმაყოფილდა ამ ლალატით და ნება მისცა ინგლისელ მოსამართლეებს, რომელნიც მუდამ მლიქვნელობდნენ გაბატონებული კლასების წინაშე, კვლავ გამოეჩხრიკათ ძველი კანონები «კონსპირაციათა» [შეთქმულებათა] შესახებ და გაეგრცელებინათ ისინი მუშათა კოალიციებზე. როგორც ვხედავთ, ინგლისის პარლამენტი მხოლოდ თავისი სურვილის წინააღმდეგ და მასების დაწოლით განაცხადა უარი გაფიცვისა და ტრედ-უნიონების წინააღმდეგ მიმართულ კანონებზე, და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც თვით ეს პარლამენტი მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში ცინიკური უსირცხვილობით გამოდიოდა კაპიტალისტების მუდმივი ტრედ-უნიონის როლში მუშების წინააღმდეგ.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ სწორედ რევოლუციური ქარტეხილის დაწყებისთანავე გაზედა წაერთმია მუშებისათვის ახლახან მოპოვებული ასოციაციის უფლება. 1791 წლის 14 ივნისის დეკრეტით მან მუშათა ყველა კოალიცია გამოაცხადა «თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის» ხელყოფად, რომელიც ისჯება 500 ლივრის ჯარიმით და იმით, რომ მოქალაქეს აქტიური უფლებანი ერთმევა ერთი წლის ვადით²²⁵. ამ კანონმა, რომელმაც სახელმწიფოებრივ-პოლიციური ზომებით კაპიტალსა და შრომას შორის ატეხილი საკონკურენციო ბრძოლა კაპიტალისთვის ხელსაყრელ ჩარჩოებში მოაქცია. გაუძლო ყველა რევოლუციას და დინასტიათა ცვლილებას. ტერორის მთავრობამაც კი ხელუხლებლად დატოვა ეს კანონი. მხოლოდ სულ

²²⁵ ამ კანონის პირველი მუხლი ამბობს: «რადგან ერთი და იმავე მდგომარეობის ან პროფესიის ყოველგვარ კორპორაციათა გაუქმება საფრანგეთის კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს შეადგენს, ამიტომ მათი აღდგენა რაიმე საბაბით ან რაიმე ფორმით აკრძალულია». მუხლი მეოთხე აცხადებს: «თუ ერთი და იმავე პროფესიის, ხელობის ანუ სპეციალოზის მოქალაქეები მოილაპარაკებენ ერთმანეთში და პირობას შეკრავენ იმ მიზნით, რომ შეთანხმებულად უარი განაცხადონ დახმარებაზე თავიანთი პროფესიით თუ შრომით, ანდა დათანხმდნენ ამ დახმარებაზე მხოლოდ განსაზღვრულ ფასში, მაშინ ასეთი მოლაპარაკება და პირობის შეკვრა აღიარებულ უნდა იქნას... კონსტიტუციის, თავისუფლების და ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა და სხვ. ხელყოფა», ე. ი. სახელმწიფოებრივ დანაშაულად, სწორედ ისევე, როგორც ეს ძველ მუშათა სტატუტებში იყო («*Révolutions de Paris*». Paris 1791, ტ. III, გვ. 523).

ახლახან ამოშალეს იგი Code Pénal-იდან [სისხლის სამართლის კოდექსიდან]. უაღრესად დამახასიათებელია ამ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი გადატრიალების დასაბუთება. «თუმცა სასურველია, — ამბობს მომხსენებლად გამოსული შაპელიე, — რომ ხელფასი უფრო მაღალი იყოს, ვიდრე დღეს არის, რათა ის, ვინც ამ ხელფასს იღებს, განთავისუფლდეს აბსოლუტური, თითქმის მონური დამოკიდებულებისაგან, რაც გამოწვეულია აუცილებელ საარსებო საშუალებათა უქონლობით», მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუშებს არა აქვთ უფლება შეთანხმდნენ თავიანთი ინტერესების გარშემო, იმოქმედონ ერთად და ამით შეამსუბუქონ თავიანთი აბსოლუტური დამოკიდებულება, რაც თითქმის იგივე მონობაა, რადგან სწორედ ამით ისინი შელახავდნენ «თავიანთი ci-devant maîtres-ის [ყოფილ მებატრონეთა], ახლანდელ მეწარმეთა თავისუფლებას» (მუშების მონობაში დატოვების თავისუფლებას!), და რადგანაც კოალიცია, კორპორაციათა ყოფილი მებატრონეების დესპოტიზმის წინააღმდეგ მიმართული, იქნებოდა — გამოიციანთ! — საფრანგეთის კონსტიტუციის მიერ გაუქმებულ კორპორაციათა აღდგენა! ²²⁶.

4. კაპიტალისტური ფერმეციების გენეზისი

მას შემდეგ, რაც ჩვენ განვიხილეთ ის ძალდატანება, რამაც კანონგარეშე დაყენებული პროლეტარიატი შექმნა, ის სისხლიანი რეჟიმი, რამაც ისინი დაქირავებულ მუშებად გადააქცია, ის უწმინდური მაღალსახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, რომლებიც შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებასთან ერთად კაპიტალის დაგროვებას პოლიციური ზომებით აძლიერებდა, — ისმის კითხვა: საიდანღა გაჩნდნენ თავდაპირველად კაპიტალისტები? სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაცია ხომ უშუალოდ მხოლოდ მსხვილ მიწის მესაკუთრებს ქმნის. რაც შეეხება ფერმერების გენეზისს, ჩვენ შეგვიძლია, ასე ვთქვათ, კვალდაკვალ განვიხილოთ იგი, რადგან ეს ნელი პროცესია, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს. თვით ყმები, და მათთან ერთად თავისუფალი წვრილი მიწის მესაკუთრენიც, მეტად სხვადასხვანაირ ქონებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და ამიტომ მათი ემანსიპაცია ც სულ სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში მოხდა.

ინგლისში ფერმერის პირველ ფორმას წარმოადგენდა bailiff [მებატონის მამულის მოურავი], რომელიც თვითონ ყმა იყო. იგი

²²⁶ Buchez et Roux: «Histoire Parlementaire», ტ. X, გვ. 193 — 195, სხვადასხვა ადგილას.

თავისი მდგომარეობით ძველრომაული villicus-ის მსგავსია, თუმცა მოქმედების უფრო შეზღუდული სფეროთი. მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში bailiff-ის ადგილს იჭერს ფერმერი, რომელსაც ლენდლორდი ამარაგებს თესლით, პირუტყვით და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. მისი მდგომარეობა დიდად არ განირჩევა გლეხის მდგომარეობისაგან. ფერმერი მხოლოდ მეტი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა. იგი მალე métayer-ი, მონახევრე-მოიჯარე ხდება. ეს უკანასკნელი იძლევა მიწათმოქმედებისთვის აუცილებელი კაპიტალის ერთ ნაწილს, ლენდლორდი — მეორე ნაწილს. მთელ პროდუქტის ისინი ურთიერთ შორის კონტრაქტით განსაზღვრული პროპორციის მიხედვით ინაწილებენ. იჯარის ეს ფორმა ინგლისში მალე ქრება და ადგილს უთმობს ფერმერს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომელიც საკუთარ კაპიტალს ზრდის დაქირავებული მუშების გამოყენებით და ზედმეტი პროდუქტის ნაწილს, ფულით ან ნატურით, ლენდლორდს აძლევს რენტის სახით.

მე-15 საუკუნის განმავლობაში, ვიდრე დამოუკიდებელი გლეხი და სოფლის მეურნეობის მუშა, რომელიც დაქირავებულ შრომასთან ერთად დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა, საკუთარი შრომით თავისთვის ქმნიან დოვლათს, — ფერმერის ცხოვრების დონე და მისი წარმოების სფერო თანაბრად ზომიერი რჩება. მიწათმოქმედებაში მომხდარი რევოლუცია, რომელიც მე-15 საუკუნის უკანასკნელ მესამედში დაიწყო და თითქმის მთელი მე-16 საუკუნე (თუმცა მისი უკანასკნელი ათწლეულების გამოკლებით) გაგრძელდა, ისეთივე სისწრაფით ამდიდრებდა ფერმერს, რა სისწრაფითაც იგი სოფლის მოსახლეობას ადატაკებდა²²⁷. სათემო საძოვრების უზურპაცია და სხვ. საშუალებას აძლევს ფერმერს საგრძნობლად გაამრავლოს თავისი პირუტყვის სულადობა თითქმის ხარჯების გაუღებლად, ამასთანავე ეს პირუტყვი მას უფრო უხვ სასუქს აწვდის მიწის დასამუშავებლად.

მე-16 საუკუნეში ამას ზედ ერთვის კიდევ ერთი ვადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტი. იმ დროს საიჯარო ხელშეკრულებებს ხანგრძლივი ვადით, ხშირად 99 წლის ვადით, დებდნენ. ძვირფასი ლითონების და, მასასადამე, ფულის ღირებულების შეუჩერებელ დაცემას ოქროს ზოდები მოჰქონდა ფერმერებისათვის. იგი, თუ არაფერს

²²⁷ «ფერმერები, — ამბობს ჰარისონი თავის «Description of England»-ში, — რომელთაც უწინ უძნელდებოდათ 4 გირ. სტერლინგი რენტის გადახდა, ახლა იხდიან 40, 50, 100 გირ. სტერლინგს და მაინც არახელსაყრელად მიაჩნიათ თავიანთი ოპერაცია, თუ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხელზე არ დარჩათ 6 — 7 წლის რენტა».

ვიტყვით ყველა ზემოგანხილულ გარემოებაზე, ამცირებდა ხელფასს. ხელფასის ეს შემცირებული ნაწილი ფერმერის მოგებას ემატებოდა. ხორბლის, მატყლის, ხორცის, ერთი სიტყვით, მიწათმოქმედების ყველა პროდუქტის ფასების განუწყვეტელი მომატება ფერმერის ფულადი კაპიტალის ზრდას იწვევდა, მისი ყოველივე მონაწილეობის გარეშე, მაშინ როდესაც მიწის რენტა, რომელიც მას უნდა გადაეხადა, ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული იყო ფულის ძველი ღირებულების მიხედვით²²⁸. ამრიგად, იგი ერთსა და იმავე დროს თავისი დაქირავებული მუშების ხარჯზეც მდიდრდებოდა და თავისი ლენდლორდის ხარჯზეც. მაშასადამე, საკვირველი არ არის, თუ მე-16 საუკუნის დამლევს ინგლისში შეიქმნა მაშინდელი დროისთვის მდიდარი «კაპიტალისტ-ფერმერების» კლასი²²⁹.

²²⁸ იმ გავლენის შესახებ, რაც ფულის გაუფასურებას ჰქონდა მე-16 საუკუნეში საზოგადოების სხვადასხვა კლასზე, იხ.: «A Compendious or Briefe Examination of Certayne Ordinary Complaints of Diverse of our Countrymen in these our Days. By W. S., Gentleman» (London 1581). ამ თხზულების დილოგურმა ფორმამ ხელი შეუწყო იმ აზრის გავრცელებას, რომ მას დიდხანს შექსპირს მიაწერდნენ და ჯერ კიდევ 1751 წელს ხელახლა გამოიცა მისი სახელით. თხზულების ავტორი ვილიამ სტაფორდია. ერთ ადგილას რაინდი (knight) ასე მსჯელობს:

რ ა ი ნ დ ი: თქვენ, ჩემო მეზობელო, სოფლის მეურნე, თქვენ, ბ-ნო მეწვრილმანე და თქვენ, ჩემო კეთილო მესპილენძე, თქვენ, ისევე როგორც სხვა ხელოსნებს უფრო ადვილად შეგიძლიათ თქვენი ინტერესები დაიცვათ. ვინაიდან, რაც უფრო ძვირია ახლა ყველა ნივთი უწინდელთან შედარებით, მით უფრო ემატება ფასები თქვენს საქონელს და თქვენი შრომის პროდუქტებს, რომელთაც თქვენ ყიდით. მაგრამ ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყიდი, რომ შეგვეძლოს ფასების აწევა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რასაც განვიცდით კვლავ ყიდვის დროს». სხვა ადგილას ვინაი-
 დი ვკითხება დოქტორს: «გთხოვთ მითხრათ, ვინა გყავთ თქვენ მხედველობაში? და, პირველ ყოვლისა, ვინ არის ისეთი, რომელიც, თქვენი აზრით, ამასთან არავითარ ზარალს არ განიცდის?» — დოქტორი: «მე მხედველობაში მყავს ყველა ისინი, ვინც ყიდვა-გაყიდვით ცხოვრობს, რადგან როგორც ძვირად ყიდულობენ, ისე ძვირადაც ყიდნიან». — რ ა ი ნ დ ი: «მაშ ვინ არიან ისინი, რომელნიც, თქვენი სიტყვით, მოგებაში რჩებიან ამ შემთხვევაში?» — დოქტორი: «რასაკვირველია, ყველა ისინი, ვინც თავის მამულს ანდა საიჯარო მიწას ძველი რენტის პირობებში ამუშავებს. ვინაიდან ისინი ძველი ნორმების მიხედვით იხდიან და ახლის მიხედვით კი ყიდნიან, ე. ი. თავიანთ მიწაში ისინი ძალიან იაფ ფასებს იხდიან და ძვირად ყიდიან ყოველივე იმას, რაც ამ მიწაზე იზრდება...» — რ ა ი ნ დ ი: «მაშ ვინ არიან ისინი, ვინც თქვენი სიტყვით უფრო წაგებაშია, ვიდრე მოგებაში?» — დოქტორი: «ესენი არიან ყველა კეთილშობილნი, ჯენტლმენები და დანარჩენნი ყველანი, რომელნიც ან მტკიცედ დაწესებული რენტით ცხოვრობენ ან ჯამაგირით, ან თვითონ არ ამუშავებენ თავიანთ მიწას, ანდა არ ეწევიან ყიდვა-გაყიდვას».

²²⁹ საფრანგეთში rûgisseur-ი, მოურავი და ზარკთა ამკრეფი ფეოდალის სასარგებლოდ ადრინდელ შუა საუკუნეებში, მალე იქცევა homme d'affaires-ად [საქმოსნად],

5. შიშათმომცემელბაში მოხსლარი ჩვეოლუტისი უკუზავლენა მკაფუველოზაჟი. შინაზანი ბაზისი შიმენა სამკაფუველო კაპიტალისთვის

სოფლის მოსახლეობის ანაზდეული და მუდამ განახლებული ექსპროპრიაცია და გაძევება მიწებიდან, როგორც დავინახეთ, აწვილიდა საქალაქო მრეწველობას პროლეტარების ახალ მასებს, რომელნიც საესებით საამქრო ურთიერთობის გარეშე იღვენენ, — ბრძნული გარემოება, რამაც საბაბი მისცა მოხუც ა. ანდერსონს (არ უნდა ავურიოთ ჯემს ანდერსონში) თავის ნაწარმოებში ვაჭრობის ისტორიის შესახებ დარწმუნებულიყო განგების პირდაპირ ჩარევაში. ჩვენ უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთი წუთით თავდაპირველი დაგროვების ამ ელემენტზე. სოფლის იმ დამოუკიდებელი მოსახლეობის შეთხელებას, რომელიც თვი-

რომელიც გამოძლივით, მოტყუებით და სხვ. მალე კაპიტალისტის საფებურამდე აღწევს. ზოგჯერ ეს *régisseur*-ები თვითონ კეთილშობილთა წოდებას ევუთვნოდნენ, მაგალითად: «ამ ანგარიშს წარუდგენს ჟაკ დე ტორესი, რანდი კასტელანი ბეზანსონში, თავის სენიორს, ანგარიშმგებელს დიჟონში ბატონ ჰერცოგის, ბურგუნდიის გრაფის, წინაშე, იმ რენტის შესახებ, რომელიც უნდა გადახდეს აღნიშნულ საკასტელანოს 1359 წლის დეკემბრის 25-დან 1360 წლის დეკემბრის 28-მდე». (Alexis Monteil: «Traité des Matériaux Manuscrits etc.», გვ. 234). უკვე აქ ჩანს, თუ რა დიდი ნაწილი ხვდება შუამავალს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მაგალითად, ეკონომიურ დარგში ყველა საქმეს ნალებსა ხდიან ფინანსისტები, ვებირაფები, ვაჭრები და მეწვრილმანები; სამოქალაქო სამართლის დარგში ვეკილი ფეკტენის მომჩივან-მოპასუხეს; პოლიტიკაში დეპუტატს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამომრჩეველს, მინისტრს უფრო მეტი, ვიდრე მეფეს; რელიგიაში ღმერთი უკანა რიგშია გადაწული «შუამავლის» მიერ და ეს უკანასკნელი — კვლავ გადაწელებულია ხუცების მიერ, რომელნიც, თავის მხრივ, გარდუვალი შუამავალი არიან კეთილ მწყემსსა და მის ცხოვართა შორის. საფრანგეთში, ისევე როგორც ინგლისში, დიდი ფეოდალური ტერიტორიები დანაწილებული იყო დაუსრულებელ და მრავალ პატარა მეურნეობად, მაგრამ ამით გაცილებით უფრო არახელსაყრელი პირობები იყო შექმნილი სოფლის მოსახლეობისათვის. მე-14 საუკუნის განმავლობაში განვითარდა იჯარა, ფერმები ანუ *terriers*. მათი რიცხვი განუწყვეტილი იზრდებოდა და 100 000-ს გადააჭარბა. ისინი იხდიდნენ მიწის ცვალებად რენტას, პროდუქტის $\frac{1}{12}$ -დან $\frac{1}{8}$ -დე, ფულით ან ნატურით. *Terriers*-ებს შეადგენდნენ ლენები, ქველენები (*fiefs, arrière-fiefs*) და სხვ., იმ მამულების ღირებულებისა და სივრცის კვალობაზე, რომელთაგანაც ზოგიერთები მხოლოდ რამდენიმე არპანისაგან შედგებოდა. ამ *terriers*-ის ყველა მფლობელს მინიჭებული ჰქონდა ამა თუ იმ ხარისხით სასამართლოს უფლებები მის ნაკვეთებზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ; ასეთი ხარისხი ოთხი იყო. ადვილი გასაგებია, თუ რა ჩაგვრას განიცდიდა სოფლის მოსახლეობა ყველა ამ პატარა ტირანისაგან. მონტეილი ამბობს, რომ იმ დროს საფრანგეთში 160 000 სასამართლო იყო იქ, სადაც ახლა საქმარისია 4 000 სასამართლო (მომრიგებელი მოსამართლეების ჩათვლით).

თონ წარმართავდა საკუთარ მეურნეობას, შეესაბამებოდა არა მარტო სამრეწველო პროლეტარიატის შემჭიდროვება, მსგავსად იმისა, როგორც, ჟოფრუა სენტ-ილერის მიხედვით, მსოფლიო მატერიის შესქელება ერთ ადგილზე აიხსნება მისი შეთხელებით მეორეზე²³⁰. მიწა, მიუხედავად დამმუშავებელთა რიცხვის შემცირებისა, ახლა იმდენსავე, ან კიდევ უფრო მეტ პროდუქტს იძლეოდა, ვიდრე უწინ, რადგან მიწის საკუთრების ურთიერთობაში მომხდარ რევოლუციას თან ახლდა დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები, კოოპერაციის გაფართოება, წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია და სხვ., და რადგან სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშები არა მარტო იძულებული ხდებოდნენ უფრო ინტენსიურად ემუშავნათ²³¹, არამედ სულ უფრო და უფრო მცირდებოდა წარმოების ის სფერო, სადაც ისინი თავიანთი საჭიროებისათვის მუშაობდნენ. ამრიგად, სოფლის მოსახლეობის ნაწილის განთავისუფლებით თავისუფლდება აგრეთვე მისი უწინდელი საარსებო საშუალებანი. ეს უკანასკნელი ახლა ცვალებადი კაპიტალის ნივთიერ ელემენტებად იქცევიან. ღვთის ანაბრად მიტოვებულმა გლეხმა მათი ღირებულება თავისი ახალი ბატონისაგან — მრეწველი კაპიტალისტისაგან უნდა გამოისყიდოს ხელფასის სახით. შინაგან ნედლ მასალასაც, რასაც სოფლის მეურნეობა მრეწველობას აწვდის, იგივე ბედი ეწია, რაც საარსებო საშუალებებს. იგი მუდმივი კაპიტალის ერთ-ერთ ელემენტად გადაიქცა.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ერთი ნაწილი ვესტფალიელი გლეხებისა, რომელნიც ფრიდრიხ II-ის დროს ყველანი სელის რთვას* მისდევდნენ, ძალდატანებით იქნა ექსპროპრიირებული და მიწიდან განდევნილი, ხოლო დატოვებული ნაწილი გადაიქცა მსხვილი ფერმერების მოჯამაგირებებად. ამავე დროს მრავლდება მსხვილი სელსართავი და საქსოვი საწარმონი, სადაც მიწიდან «განთავისუფლებულნი» მხოლოდ დაქირავებული მუშების ადგილს პოულობენ. სელი ახლაც ისე გამოიყურება, როგორც უწინ. მასში არც ერთი ბოჭკო არ შეცვლილა, მაგრამ მის სხეულში ახალი სოციალური სული შეიჭრა, იგი ახლა მანუფაქტურის მეპატრონეთა მუდმივი კაპიტალის ნაწილს

²³⁰ იხ. მისი «Notions de Philosophie Naturelle». Paris 1838.

²³¹ პუნქტი, რომელსაც სერ ჯემს სტიუარტი ხაზგასმით აღნიშნავს.

* ორიგინალში უთარგმნელი სიტყვების თამაშია: «Bauern, die... alle Flachs, wenn auch keine Seide spannen» — გლეხები, რომელნიც... ყველანი ეწეოდნენ სელის რთვას, თუმცა არა აბრეშუმისას. გამოთქმა «keine Seide spinnen» სიტყვა-სიტყვით ნიშნავს «აბრეშუმის არართვას» გადატანითი მნიშვნელობით კი — «გაპირვებულ ცხოვრებას». რ. ედ.

შეადგენს. თუ უწინ სელი განაწილებული იყო უამრავ წვრილ მწარმოებელს შორის, რომელთაც თვითვე მოჰყავდათ იგი და რომელნიც თვითვე ართავდნენ მას წვრილ-წვრილად თავიანთ ოჯახებთან ერთად, ახლა ის გაერთიანებულია ერთი კაპიტალისტის ხელში, რომელიც მას სხვებს ართვევინებს და აქსოვინებს თავისთვის. სელის დასართავად დახარჯული დამატებითი შრომა წინათ თავის რეალიზაციას პოულობდა ურიცხვ გლეხურ ოჯახთა დამატებითს შემოსავალში, ხოლო ფრიდრიხ II-ის დროს — გადასახადებში pour le roi de Prusse [სიტყვასიტყვით: «პრუსიის მეფისათვის», გადატანითი აზრით კი — «ტყუილ-უბრალოდ»]. ახლა მისი რეალიზაცია ხდება მცირეოდენ კაპიტალისტთა მოგების სახით. თითისტრები და საფეიქრო დაზგები, უწინ რომ სოფლად იყო გაფანტული, ახლა თავმოყრილია რამდენიმე დიდ სამუშაო ყაზარმაში, ისე როგორც თვით მუშები და ნედლი მასალა. თითისტრებიც, საფეიქრო დაზგებიც და ნედლი მასალაც მრთველთა და ფეიქართა დამოუკიდებელი არსებობის საშუალებებიდან ამიერიდან მათზე მბრძანებლობის²³² და მათი გადაუხდელი შრომის ამოწოვის საშუალებად იქცევა. მსხვილ მანუფაქტურათა, ისევე როგორც მსხვილ ფერმათა, გარეგნობა სრულიად არ მოწმობს იმას, რომ ისინი წარმოშვა მრავალი წვრილი საწარმოო ერთეულის გაერთიანებამ და მრავალი წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლის ექსპროპრიაციამ. მაგრამ მიუდგომელი დამკვირვებელი არ მოტყუვდება ამ გარეგნობით. მირაბოს — რევოლუციის ამ ლომის — დროს მსხვილ მანუფაქტურებს ისევ manufactures réunies-ს, გაერთიანებულ სახელოსნოებს, უწოდებდნენ, მსგავსად იმისა, როგორც ამჟამად გაერთიანებულ მიწებზე ვლაპარაკობთ. ყურადღებას აქცევენ, — ამბობს შირაბო, — მხოლოდ მსხვილ მანუფაქტურებს, სადაც ასობით ადამიანები მუშაობენ ერთი დირექტორის ხელმძღვანელობით და რომელთაც ჩვეულებრივ გაერთიანებულ მანუფაქტურებს (manufactures réunies) უწოდებენ. პირიქით, ყურადღების ღირსად არ ხდიან იმ სახელოსნოებს, სადაც გაფანტულია მრავალი მუშა და თვითთული მათგანი თავისი რისკით და პასუხისმგებლობით მუშაობს. ისინი უკანა რიგში არიან ჩამოყენებულნი. ეს-კი ძლიერ დიდი შეცდომაა, რადგან მხოლოდ ისინი ქმნიან ხალხის სიმდიდრის ნამდვილად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს... გაერთიანებული ფაბრიკა (fabrique réunie) გასა-

²³² «მე თქვენ, — ამბობს კაპიტალისტი, — ნებას გაძლევთ შემსახუროთ იმ პირობით, რომ მომცეთ ის მცირეოდენი, რაც თქვენ ვრჩებათ, იმ გარჯაში, რომელსაც მე ვკისრულობ თქვენზე მბრძანებლობით» (J. J. Rousseau: «Discours sur L'Économie Politique» [Genève 1760, გვ. 70]).

ოცრად ამდიდრებს ერთ ან ორ მეწარმეს, მაგრამ მუშები მხოლოდ დღიურად არიან დაქირავებულნი მეტ ან ნაკლებ ხელფასში და სრულადად არ იღებენ მონაწილეობას მეწარმის კეთილდღეობაში. პირიქით, განცალკევებულ ფაბრიკაში (fabrique séparée) არავინ მდიდრდება, მაგრამ მრავალი მუშა კეთილდღეობაში იმყოფება... ბევრი და მომჭირნე მუშათა რიცხვი გაიზარდება, რადგან გონივრულ ცხოვრებასა და მოქმედებაში ისინი ხედავენ თავიანთი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესების საშუალებას, ნაცვლად იმისა, რომ მიაღწიონ ხელფასის ოდნავ გადიდებას, რასაც არასოდეს არ ექნება დიდი მნიშვნელობა მომავლისთვის და რაც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ შესაძლებლობას მისცემს მუშებს ცოტათი გაიუმჯობესონ თავიანთი ცხოვრება, მაგრამ ესეც მხოლოდ დღიდან-დღემდე. განცალკევებული ინდივიდუალური მანუფაქტურები, მეტწილად წვრილ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულნი, უზრუნველყოფენ თავისუფლებასა²³⁷. სოფლის მოსახლეობის ნაწილის ექსპროპრიაცია და სოფლიდან განდევნა ათავისუფლებს მუშებთან ერთად არა მარტო მათს საარსებო საშუალებებს და მათი შრომის მასალას სამრეწველო კაპიტალისათვის, არამედ შინაგან ბაზარსაც ქმნის.

მართლაც, ის მოვლენები, რომლებიც წვრილ გლეხებს დაქირავებულ მუშებად აქცევს, ხოლო მათს საარსებო საშუალებებს და შრომის საშუალებებს — სამრეწველო კაპიტალის ნიეთობრივ ელემენტებად, ამავე დროს ამ კაპიტალს შინაგან ბაზარს უქმნის. უწინ გლეხის ოჯახი თვითვე აწარმოებდა და ამუშავებდა საარსებო საშუალებებს და ნედლ მასალას, რომელთაც შემდეგ მეტწილად თვითვე ხმარობდა. ეს ნედლეული და საარსებო საშუალებანი ახლა საქონლად იქცა; მსხვილი ფერმერი ყიდის ამ საქონელს, იგი მანუფაქტურაში პოულობს თავის ბაზარს. ნართი, ტილო, უხეში მატყლის ნაწარმი — ნიეთები, რომელთა ნედლეულიც თვითეული გლეხის ოჯახში მოიპოვებოდა და მის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ირთვოდა და იქსოვებოდა, — ახლა გადაქცეულია მანუფაქტურულ ნაწარმოებად, რომლის გამსაღებელ ბაზარს სწორედ სამიწათმოქმედო ოლქები

²³⁷ Mirabeau: «De la Monarchie Prussienne». Londres 1788, ტ. III, გვ. 20 — 109, სხვადასხვა ადგილას. თუ მირაბოს მიაჩნდა, რომ დაქუცმაცებული სახელმწიფოები უფრო ეკონომიური და უფრო მეტი მწარმოებლური ძალის მქონეა, ვიდრე «გაერთიანებული» სახელმწიფოები, და თუ ამ უკანასკნელში იგი ხედავს ისეთ მცენარეებს, რომელნიც მხოლოდ ხელოვნურად და სათბურის წესითაა გაზარდილი მთავრობათა ზრუნვის შედეგად, — ეს აიხსნება კონტინენტურ მანუფაქტურათა უმეტესი ნაწილის მაშინდელი მდგომარეობით.

შეადგენენ. მრავალრიცხოვანი, გაფანტული მომხმარებელნი, რომელთა მოთხოვნილებასაც დღემდე აკმაყოფილებდა თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით მომუშავე მრავალი წვრილი მწარმოებელი, ახლა თავს იყრიან ერთ დიდ ბაზარზე, რომელსაც ამარაგებს სამრეწველო კაპიტალი²³⁴. ამრიგად, იმ გლეხობის ექსპროპრიაციასთან ერთად, რომელიც უწინ საკუთარ მეურნეობას ეწეოდა, წარმოების საშუალებათაგან ამ გლეხობის ჩამოშორებასთან ერთად მხარდამხარ მიმდინარეობს სასოფლო დამხმარე მრეწველობის განადგურება, მანუფაქტურისა და მიწათმოქმედების გათიშვის პროცესი. და მხოლოდ სასოფლო შინაწარმოების განადგურებას შეუძლია მისცეს ამა თუ იმ ქვეყნის შინაგან ბაზარს ის სივრცე და მტკიცე მდგომარეობა, რაც კაპიტალისტურ წარმოების წესს ესაჭიროება.

მაგრამ საკუთრივ მანუფაქტურული პერიოდი ჯერ კიდევ არ იწვევს რადიკალურ გარდაქმნას. გავიხსენოთ, რომ მანუფაქტურა მხოლოდ თანდათანობით იპყრობს ნაციონალურ წარმოებას და მუდამ ემყარება საქალაქო ხელოსნობას და შინა-სასოფლო დამხმარე მრეწველობას როგორც თავის ფართო საფუძველს. თუ ამ უკანასკნელთ მანუფაქტურა სპობს ერთ რომელიმე ფორმაში, წარმოების განსაკუთრებულ დარგებსა და გარკვეულ პუნქტებში, სამაგიეროდ ის ხელახლა ქმნის მათ სხვა პუნქტებში, რადგანაც მას რამდენადმე თვითვე ესაჭიროება ისინი ნედლი მასალის დასამუშავებლად. ამიტომ იგი ქმნის იმ წვრილ მიწათმოქმედთა ახალ კლასს, რომლებისთვისაც მიწის დამუშავებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მთავარ მოსაქმეობას კი შეადგენს სამრეწველო შრომა, რომლის პროდუქტებიც მათ უნდა მიჰყიდონ — უშუალოდ ან ვაჭრის მეშვეობით — მანუფაქტურას. ეს გარემოება არის ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა არა მთავარი, იმ მოვლენისა, რომელიც უწინარეს ყოვლისა კვალს უბნევს ინგლისის ისტორიის მკვლევარს. მე-15 საუკუნის უკანასკნელი მესა-

²³⁴ «როდესაც 20 გირვანქა მატყლი თანდათანობით წლის განმავლობაში მუშის ოჯახისთვის საჭირო ტანსაცმლად იქცევა ამ ოჯახის საკუთარი შრომით, რასაც იგი სხვა სამუშაოთაგან თავისუფალ დროს ეწევა, ეს არავის არ აკვირვებს. მაგრამ გაიტანეთ ეს მატყლი ბაზარზე, გაგზავნეთ ფაბრიკაში, შემდეგ მაკლერთან, მერე ვაჭართან, და თქვენ მიიღებთ მსხვილ სავაჭრო ოპერაციას და მასში დაბანდებული ნომინალური კაპიტალი ამ მატყლის ღირებულებაზე ოცჯერ მეტი ღირებულების იქნება... ამ წესით ხდება მშრომელი კლასის ექსპლოატაცია, რათა შენახულ იქნას ფაბრიკის საბრალე მოსახლეობა, მედუქნეთა პარაზიტული კლასი და ფიქტიური კომერციული, ფულადი და ფინანსური სისტემა» (David Urquhart: «Familiar Words». London 1855, გვ. 120).

მედიდან დაწყებული მის ყურადღებას იპყრობს მუდმივი, მხოლოდ დროგამოშვებით შეწყვეტილი ჩივილი კაპიტალისტური მეურნეობის ზრდაზე სოფლად და გლეხობის პროგრესულ განადგურებაზე. მეორე მხრივ, მკვლევარი ხედავს, რომ გლეხობა მუდამ არსებობს, თუმცა შემცირებული რაოდენობით და სულ უფრო გაუარესებულ პირობებში²³⁵. ამის მთავარი მიზეზი შემდეგია: ინგლისში დროგამოშვებით ხან მარცვლეულის მეურნეობა სჭარბობს და ხან მეცხოველეობა, და ამის მიხედვით მერყეობს გლეხური წარმოების ფარგლები. მხოლოდ მსხვილი მრეწველობა იძლევა მანქანებთან ერთად კაპიტალისტური მიწათმოქმედების მტკიცე საფუძველს, ეწევა სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის რადიკალურ ექსპროპრიაციას და ამთავრებს მიწათმოქმედებისა და შინა-სასოფლო მრეწველობის გათიშვას და ამ უკანასკნელის ფესვებს — როვასა და ქსოვას — ძირფესვიანად აღმოფხვრის²³⁶. მაშასადამე, მხოლოდ იგი იპყრობს სამრეწველო კაპიტალისტათვის მთელ შინაგან ბაზარს²³⁷.

²³⁵ გამონაკლისს აქ კრომველის ხანა შეადგენს. ვიდრე რესპუბლიკა არსებობას განაგრძობდა, ინგლისის ხალხთა მასების ყველა ფენამ თავი დააღწია იმ დეგრადაციას, რასაც ეს ფენები ტიუდორების დროს განიცდიდნენ.

²³⁶ ტუკეტმა იცის, რომ საკუთრივ მანუფაქტურიდან და სოფლის ანუ შინამანუფაქტურის რღვევიდან, მანქანების შემოღებასთან ერთად, მატყლის მსხვილი მრეწველობა წარმოიშვება (T u c k e t t: «A History of the Past and Present State of the Labouring Population». London 1846, ტ. I, გვ. 144). ფუთანი და უღელი ღმერთების გამოგონება და გმირების საქმე იყო; განა საფეიქრო დაზა, თითისტარი და ჯარა ნაკლებად კეთილშობილი წარმოშობის არიან? თქვენ აცალკევებთ ჯარას გუთნისაგან, თითისტარს უღლისაგან და ხელთ გრჩებათ ფაბრიკები და ღარიბთა სახლები, კრედიტი და პანიკა, ორი მტრული ერი, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული (D a v i d U r q u h a r t: «Familiar Words». London 1855, გვ. 122). მაგრამ გამოდის კერი და ბრალსა სდებს ინგლისს, რასაკვირველია, არა უსაფუძვლოდ, იმაში, რომ იგი ცდილობს გადააქციოს ყველა სხვა ქვეყანა მხოლოდ მიწათმოქმედების ქვეყნად და თვითონ გახდეს მთელი მსოფლიოს მეფაბრიკე. კერი ამტკიცებს, რომ ამგვარად იქნა განადგურებული თურქეთი, რადგანაც «მიწათმფლობელთ და მიწათმოქმედთ არასოდეს არ ჰქონდათ დართული ნება (ინგლისის მიერ) თავიანთი მდგომარეობა განემტკიცებინათ საფეიქრო დაზასთან გუთნისა და უროსთან ფარცხის ბუნებრივი კავშირის საშუალებით» («The Slave Trade», გვ. 125). მისი აზრით, თვითონ ურკარტი ერთი მთავარი მიზეზთაგანია თურქეთის განადგურებისა, სადაც იგი ინგლისის ინტერესების დასაცავად თავისუფალ ვაჭრობას ჰდაგებდა. მაგრამ ყველაზე კარგი ის არის, რომ კერის, სხვათა შორის, რუსეთის ყურმოჭრილ მონას, სურს წინააღმდეგს პროტექციონიზმის სისტემის მეოხებით გათიშვის იმ პროცესს, რომელსაც ეს სისტემა აჩქარებს.

²³⁷ ფილანთროპიულად განწყობილი ინგლისელი ეკონომისტები, როგორც მილი, როჯერსი, გოლდვინ სმიტი, ფაუსეტი და სხვ., და ლიბერალური მეფაბრიკენი, როგორც ჯონ ბრაიტი და კომპ., ეკითხებიან ინგლისელ მიწის არისტოკრატებს, 59 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

6. მკაფველი კაპიტალისტის გენეზისი

მრეწველი ²³⁸ კაპიტალისტის გენეზისი არ განირჩეოდა იმ თანდათანობით, როგორც ფერმერის გენეზისს ახასიათებს. ექვს გარეშეა, რომ ზოგიერთი წვრილი ამქარ-ოსტატი და კიდევ უფრო დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი წვრილი ხელოსნები და დაქირავებული მუშებიც კი გადაიქცნენ ჯერ წვრილ კაპიტალისტებად, ხოლო შემდეგ, დაქირავებული შრომის მზარდი ექსპლოატაციისა და კაპიტალის სათანადო დაგროვების მეოხებით — კაპიტალისტებად *sans phrase*. კაპიტალისტური წარმოების სიყმაწვილის ხანაში, ისევე როგორც შუა საუკუნეების ქალაქური ცხოვრების სიყმაწვილის ხანაში, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ გახდებოდა გაქცეულ ყმათაგან მეპატრონე და ვინ — მსახური, უმეტეს შემთხვევაში იმის მიხედვით ხდებოდა, თუ ვინ უფრო ადრე ან გვიან იყო გაქცეული თავისი ბატონისაგან. მაგრამ ამ მეთოდის კუს ნაბიჯით მსვლელობა სრულიად არ შეეფერებოდა ახალი მსოფლიო ბაზრის სავაჭრო მოთხოვნილებებს, რომელიც მე-15 საუკუნის დამლევის დიდმა აღმოჩენებმა შექმნა. შუა საუკუნეებმა გვიანდერა კაპიტალის ორი სხვადასხვა ფორმა, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებში მწიფდება და კაპიტალისტური წარმოების წესის ხანის დაწყებამდე ითვლება კაპიტალად *quand même* [საერთოდ]: მევახშური კაპიტალი და ვაჭრული კაპიტალი. ამაჟამად საზოგადოების მთელი სიმდიდრე პირველად კაპიტალისტის ხელში გადადის... იგი უხდის რენტას მიწის მესაკუთრეს და ხელფასს — მუშას, გადასახადსა და სამეათედოს — ამკრეფ მოხელეს და თავისთვის იტოვებს შრომის წლიური პროდუქტის დიდ, სინამდვილეში — უდიდეს და განუწყვეტლივ მზარდ ნაწილს. ამაჟამად კაპიტალისტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მესაკუთრე, რომლის ხელშიც უწინარეს ყოვლისა მთელი საზოგადოებრივი სიმდიდრე გადადის, თუმცა არაერთარ კანონს ამ საკუთრების უფლება მისთვის არ გადაუცია... ასეთი ცვლილება საკუთრების სფეროში გამოიწვია კაპიტალზე პროცენტის აღება... და არანაკლებ ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ მთელი

როგორც ღმერთი ვკითხებოდა კენს მისი ძმის აბელის შესახებ: სად წავიდნენ ათასობით ჩვენი *Freeholder*-ები [თავისუფალი გლეხები]? თქვენ თვითონ საიდან გაჩნდით? ამ *Freeholder*-ების განადგურებიდან. რატომ არ კითხულობთ შემდეგ, სად წავიდნენ დამოუკიდებელი ფეიქრები, მრთველები, ხელოსნები?

²³⁸ მრეწველია აქ «მიწათმოქმედის» საპირისპიროა. ეკონომიური «კატეგორიის» მნიშვნელობით ფერმერი ისეთივე მრეწველი კაპიტალისტია, როგორც მეფაბრიკე.

ვეროპის კანონმდებელნი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ამისთვის მევახშეობის საწინააღმდეგო კანონების გამოცემით... კაპიტალისტის მიერ ქვეყნის მთელი სიმდიდრის ხელში ჩაგდება ნამდვილი რევოლუციაა საკუთრების უფლებაში, მაგრამ რომელი კანონით ან კანონთა კრებულით იყო გამოწვეული ეს რევოლუცია? ²³⁹. ავტორს უნდა სცოდნოდა, რომ რევოლუციები არ ხდება კანონების ძალით.

მევახშეობისა და ვაჭრობის მეოხებით შექმნილი ფულადი კაპიტალის გადაქცევის სამრეწველო კაპიტალად ხელს უშლიდა ფეოდალური წყობილება სოფლად და ამქრული წყობილება ქალაქად ²⁴⁰. ეს ზღუდეები მოისპო ფეოდალური რაზმების დაშლასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაციასა და ნაწილობრივ გაძევებასთან ერთად. ახალი მანუფაქტურა გაჩნდა საზღვაო საექსპორტო ნავსადგურებში ანდა ხმელეთის ისეთ პუნქტებში, რომელნიც ძველი ქალაქური ცხოვრებისა და მისი ამქრული წყობილების კონტროლის გარეშე იმყოფებოდნენ. აქედან წარმოიშვა ინგლისში corporate towns-ის [ამქრული კორპორაციული წყობილების მქონე ძველი ქალაქების] გააფთრებული ბრძოლა მრეწველობის ამ ახალ სანერგეთა წინააღმდეგ.

ოქროსა და ვერცხლის მადნების აღმოჩენა ამერიკაში, ადგილობრივი მოსახლეობის აღმოფხვრა, დამონება და ცოცხლად დამარხვა მალაროებში, პირველი ნაბიჯების გადადგმა ოსტ-ინდოეთის დასაპყრობად და გასაძარცვავად, აფრიკის გადაქცევა შავკანიანებზე ნადირობის ნაკრძალად, — აი რა ახასიათებს კაპიტალისტური წარმოების ხანის განთიადს. ეს იდილიური პროცესები თავდაპირველი დაგროვების მთავარი მომენტებია. ამას თან მოსდევს ევროპის ერების სავაჭრო ომი, რომლის ასპარეზსაც მთელი დედამიწა შეადგენს. ეს ომი იწყება ნიდერლანდების ჩამოშორებით ესპანეთისაგან, იგი ბუმბერაზულ სახეს იღებს ინგლისის ანტიიაკობინურ ომში და დღესაც გრძელდება ისეთი მტაცებლური ომის სახით, როგორცაა ომი ჩინეთის წინააღმდეგ ოპიუმისათვის და ა. შ.

თავდაპირველი დაგროვების სხვადასხვა მომენტები ნაწილდება, სხვადასხვა ქვეყნებს შორის გარკვეული ისტორიული თანამიმდევრობით, სახელდობრ: ესპანეთსა, პორტუგალიასა, ჰოლანდიისა,

²³⁹ «The Natural and Artificial Right of Property Contrasted». London 1832, გვ. 98, 99. ამ ანონიმური თხზულების ავტორია თ. ჰოდსკინი.

²⁴⁰ ჯერ კიდევ 1794 წელს ლიდსის მაუდის წერილი ხელისნები გზავნიდნენ პარლამენტში დეპუტაციას პეტციით—გამოეცათ კანონი, რომელიც აუკრძალავდა ყოველ ვაჭარს მეფაბრიკედ გახდომას (Dr. Aikin: «Description of the Country from thirty to forty miles round Manchester». London 1795).

საფრანგეთსა და ინგლისს შორის. ინგლისში მე-17 საუკუნის დამლევეს ადგილი აქვს ამ მომენტების სისტემატურად თავმოყრას კოლონიურ სისტემაში, სახელმწიფო სესხთა სისტემაში, თანამედროვე საგადასახადო სისტემაში და პროტექციონიზმის სისტემაში. ეს მეთოდები მნიშვნელოვანწილად დამყარებულია უაღრესად უღმობელ ძალდატანებაზე, როგორც, მაგალითად, კოლონიური სისტემა. მაგრამ ყველა მეთოდი სარგებლობს სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით, ე. ი. საზოგადოების კონცენტრირებული და ორგანიზებული ძალდატანებით, რათა დააჩქაროს ფეოდალური წარმოების წესის კაპიტალისტურ წარმოების წესად გარდაქმნის პროცესი და შეამოკლოს მისი გარდამავალი საფეხურები. ძალდატანება ბებიაქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ფეხმძიმედაა ახლით, თვით ძალდატანება ეკონომიური ფაქტორია.

ქრისტიანული კოლონიური სისტემის შესახებ ლაპარაკობს ვ. ჰაუიტი, ადამიანი, რომელმაც ქრისტიანობა თავის სპეციალობად გაიხადა: «ის ბარბაროსობა და საზიზღარი მხეცობა, რასაც ეგრეთწოდებული ქრისტიანული რასები სჩადიოდნენ მსოფლიოს ყოველ კუთხეში და ყოველი ხალხის მიმართ, რომლის დაპყრობასაც ისინი ახერხებდნენ, ვერ პოულობს თავის შესადარს მსოფლიო ისტორიის ვერც ერთ ხანაში, ვერც ერთ რასაში, რაგინდ ველური და გაუნათლებელი, დაუნდობელი და უსირცხვილო იყოს იგია»²⁴¹. ჰოლანდიის კოლონიური მეურნეობის ისტორია — ჰოლანდია კი სანიმუშო კაპიტალისტური ქვეყანა იყო მე-17 საუკუნეში — «ღალატის, მოსყიდვის, ვერაგული მკვლელობისა და სისაძაგლის შეუდარებელ სურათს გადაგვიშლის»²⁴². ყველაზე დამახასიათებელია ჰოლანდიელების სისტემა ადამიანთა გატაცებისა ცელებსზე მონათა კადრების შესაქმნელად კუნძულ იავას-თვის. ამ მიზნით ისინი საგანგებოდ ამზადებდნენ ადამიანთა მტაცებლებს. მტაცებელი, თარჯიმანი და გამყიდველი ამ ვაჭრობის მთავარი

²⁴¹ William Howitt: «Colonization and Christianity. A Popular History of the Treatment of the Natives by the Europeans in all their Colonies». London 1838, გვ. 9. მონებისადმი მოპყრობის შესახებ კარგ შეჯამებულ ცნობებს იძლევა Charles Comte: «Traité de Législation», მე-3 გამოც., Bruxelles 1837. საჭიროა ამ ნაშრომის დეტალურად შესწავლა, რათა დავინახოთ, თუ რად იქცევა თვითონ ბურჟუა და რად აქცევს იგი მუშას იქ, სადაც მას შეუძლია დაურიდებლად გარდაქმნას ქვეყნიერება თავის ხატად და მსგავსად.

²⁴² Thomas Stamford Raffles, კუნძულ იავას ყოფილი ლეიტენანტ-გუბერნატორი: «The History of Java». London 1817 [ტ. II, დანართი, გვ. CXC — CXCI].

აგენტები იყვნენ, ხოლო ადგილობრივი პრინციები — მთავარი გამყიდველნი. მოტაცებული ახალგაზრდობა ცელებესის საიდუმლო საპყრობილეებში იყო დამწყვდეული, ვიდრე არ მიაღწევდა იმ ასაკს, რომელიც საკმაო იყო მონებით დასატვირთავ გემებზე გასაგზავნად. ერთი ოფიციალური ანგარიში გვაუწყებს: «მაგალითად, ეს ქალაქი მაკასარი სავსეა საიდუმლო საპყრობილეებით, რომლებიც ერთი მეორეზე უფრო საშინელია; ისინი მთლად გაქვდილია ტუსალებით, გაუმაძღრობისა და ტირანიის ამ საბრალო მსხვერპლით, რომელნიც ბორკილგაყრილნი და ძალად მოწყვეტილნი არიან თავიანთ ოჯახებსა. მალაკას დაპყრობის მიზნით ჰოლანდიელებმა პორტუგალიელი გუბერნატორი მოისყიდეს. 1641 წელს მან ისინი ქალაქში შეუშვა. ჰოლანდიელებმა მაშინვე გუბერნატორის სახლს მიაშურეს და ვერაგულად მოჰკლეს იგი, რათა ამით «თავიდან აეცილებინათა შეპირებული ქრთამის — 21 875 გირვანქა სტერლინგის — გადახდა. ყველგან, სადაც კი ისინი ფეხს შედგამდნენ, მათ შესვლას ყველგან შედეგად მოსდევდა გაპარტახება და გაუდაბურება. ბანიუვანგში, იავას პროვინციაში, 1750 წელს 80 000 მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო 1811 წელს — მხოლოდ 8 000. ასეთი გახლავთ *doux commerce* [უწყინარი ვაჭრობა]!

როგორც ცნობილია, ინგლის-ოსტ-ინდოეთის კომპანიამ, გარდა პოლიტიკური ბატონობისა ოსტ-ინდოეთში, ხელთ იგდო განსაკუთრებული მონოპოლიური უფლება ჩაით ვაჭრობის და საერთოდ ჩინეთთან ვაჭრობისა, და აგრეთვე საქონლის გაზიდვისა ევროპიდან და ევროპაში. მაგრამ ნაოსნობა ინდოეთის სანაპიროებზე და კუნძულებს შორის, და ასევე ვაჭრობა ინდოეთის შიგნით ამ კომპანიის მაღალი თანამდებობის პირთა მონოპოლია შეიქმნა. მარილის, ოპიუმის, ბეტელის და სხვა საქონლის მონოპოლია სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროდ იქცა. თანამდებობის პირნი თვითონ აწესებდნენ ფასებს და თვითნებურად ატყავებდნენ საცოდავ ინდოელებს. ამ კერძო ვაჭრობაში მონაწილეობას იღებდა გენერალ-გუბერნატორი. მისი ფავორიტები ისეთ პირობებში იღებდნენ კონტრაქტებს, რომ ალქიმიკოსებზე უკეთესად შეეძლოთ ოქროს შექმნა არაფრისაგან. დიდი ქონება სოკოსავით ერთ დღეს ჩნდებოდა, და თავდაპირველი დაგროვება ისე ხორციელდებოდა, რომ არც ერთი შილინგის გაღება ავანსის სახით არ ხდებოდა. უორენ ჰეისტინგსის სასამართლოს პროცესი სავსეა ასეთი მაგალითებით. აი ერთი მათგანი. ვინმე სალივენს გადაეცა ოპიუმის კონტრაქტი მისი გამგზავრებისას — ოფიციალური მინდობილობით — ინდოეთის იმ ნაწილში, რომელიც სრულიად დაშორებულია ოპიუმის წარმოების რაიონს. სალივენმა თავისი კონტრაქტი

ვინმე ბინს 40 000 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა; ბინმა იმავე დღეს ეს კონტრაქტი 60 000 გირვ. სტერლინგად გაყიდა. უკანასკნელი მყიდველი და ამ კონტრაქტის შემსრულებელი აცხადებს, რომ მას კიდევ აუარებელი მოგება დარჩა აქედან. პარლამენტში წარდგენილი ერთი საბუთის თანახმად, 1757 — 1766 წლებში კომპანიამ და მისმა მოხელეებმა აიძულეს ინდოელები, რომ ამ უკანასკნელთ მათთვის 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი ეჩუქებინათ! 1769 — 1770 წლებში ინგლისელებმა ხელოვნურად გამოიწვიეს შიმშილი იმით, რომ მთელი ბრინჯი შეისყიდეს და უარი განაცხადეს მის გაყიდვაზე, თუ ეს უკანასკნელი საზღაპრო ფასების კვალობაზე არ მოხდებოდა²⁴³.

ყველაზე საშინელი მოპყრობა ადგილობრივი მოსახლეობისადმი, რა თქმა უნდა, იმ პლანტაციებში იყო, რომელნიც მხოლოდ საექსპორტო ვაჭრობისათვის იყვნენ განკუთვნილნი, მაგალითად, ვესტ-ინდოეთში, და აგრეთვე მდიდარ და მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში, რომელნიც მტაცებლობის და ავაზაკობის მსხვერპლი შეიქნენ, მაგალითად, მექსიკაში და ოსტ-ინდოეთში. თუმცა, ნამდვილ კოლონიებშიც არ დაყოვნებულა თავდაპირველი დაგროვების ქრისტიანული ხასიათის გამოძევა. ახალი ინგლისის პურიტანებმა, პროტესტანტიზმის ამ ფხიზელმა ვირტუოზებმა, 1703 წელს თავიანთ Assembly-ზე [საკანონმდებლო კრებაზე] მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად ყოველი ინდოელის სკალპზე და ყოველ დატყვევებულ წითელკანიანზე 40 გირვანქა სტერლინგი იყო ჯილდოდ დაწესებული; 1720 წელს პრემია ყოველ სკალპზე 100 გირვანქა სტერლინგს უდრიდა. 1744 წელს, მას შემდეგ, რაც მასაჩუეტს-ბეიმ ერთი ტომი შეამბოხედ გამოაცხადა, შემდეგი ფასები დაწესდა: 12 წლის და მეტი ხნის ყოველ მამაკაცის სკალპზე — 100 გირვანქა სტერლინგი ახალი ვალუტით, ტყვე მამაკაცზე — 105 გირვანქა სტერლინგი, ტყვე დედაკაცზე ანდა ბავშვზე — 55 გირვანქა სტერლინგი; დედაკაცის ანდა ბავშვის სკალპზე — 50 გირვანქა სტერლინგი! რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კოლონიურმა სისტემამ შური იძია ამ ხვთისნიერ pilgrim fathers-ის [მამა პილიგრიმების] შთამომავლებზე, რომელნიც ამ ხნის განმავლობაში თავის მხრივ, მემბოხენი გახდნენ. ინგლისელების წაქეზებით და მოსყიდვით ისინი იქნენ tomahawked [ტომაჰაკებით დახოცილნი].

²⁴³ 1866 წელს მარტო ორისის პროვინციაში მილიონზე მეტი ინდუსი დაიხოცა შიმშილით. მიუზღდავად ამისა, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ინდოეთის სახელმწიფო საღარო გაემდიდრებინათ იმით, რომ დამშულებს მაღალ ფასებში მიჰყიდდნენ საარსებო საშუალებებს.

ბრიტანეთის პარლამენტმა სისხლისმსმელობა და სკალპირება «ლეთისა და ბუნების მიერ მონიჭებულ საშუალებად» გამოაცხადა.

კოლონიური სისტემა ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელოვნურად დაჩქარებულ ზრდას. «Gesellschaften Monopolia» [«საზოგადოებანი-მონოპოლიები»] (ლუთერი) კაპიტალის კონცენტრაციის მძლავრი ბერკეტები იყვნენ. კოლონიები უზრუნველყოფდნენ სწრაფად წარმოქმნილი მანუფაქტურებისათვის გამსაღებელ ბაზარს და ამ ბაზრის მონოპოლიის საშუალებით გაძლიერებულ დაგროვებას. ევროპის ფარგლებს გარეთ პირდაპირი ძარცვის, დამონებისა და ავაზაკური მკვლელობის გზით შექმნილი განძი ისევ მეტროპოლიაში მოედინებოდა და აქ კაპიტალად იქცეოდა. ჰოლანდიამ, რომელმაც კოლონიური სისტემა პირველად და სავსებით განავითარა, უკვე 1648 წელს თავისი სავაჭრო ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია. მის «თითქმის განუყოფელ მფლობელობაში იმყოფებოდა ოსტ-ინდოეთის ვაჭრობა და სავაჭრო ურთიერთობა ევროპულ სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთს შორის. თავისი მეთევზეობით, ნაოსნობით და მანუფაქტურით იგი ყველა დანარჩენ ქვეყანას სჭარბობდა. რესპუბლიკის კაპიტალი შეიძლება უფრო მეტიც იყო, ვიდრე მთელი დანარჩენი ევროპის კაპიტალი». [G. Gülich: «Geschichtliche Darstellung etc.». Jena 1830, ტ. I, გვ. 371.] გიულიხს, ამ სტრიქონების ავტორს, ავიწყდება დაუმატოს, რომ ჰოლანდიის ხალხთა მასები უკვე 1648 წელს უფრო მეტად იტანჯებოდნენ ზედმეტი შრომით, უფრო ღარიბები იყვნენ და უფრო უხეშად იჩაგრებოდნენ, ვიდრე მთელი დანარჩენი ევროპის ხალხთა მასები.

ამჟამად სამრეწველო ჰეგემონიას თან სდევს სავაჭრო ჰეგემონია. საკუთრივ მანუფაქტურულ პერიოდში კი, პირიქით, სავაჭრო ჰეგემონია უზრუნველყოფს სამრეწველო ბატონობას. აქედან წარმოდგა ის უპირატესი როლი, რასაც მაშინ კოლონიური სისტემა ასრულებდა. იგი ის «უცხო ღმერთი» იყო, რომელიც დაბრძანდა საკუთხეველზე ევროპის ძველი ღმერთების გვერდით და ერთ მშვენიერ დღეს ერთი წაკვრით გადაყარა ყველა ისინი. კოლონიურმა სისტემამ მოგების მიღება კაცობრიობის საბოლოო და ერთადერთ მიზნად გამოაცხადა.

საჯარო კრედიტის, ე. ი. სახელმწიფო ვალების სისტემამ, რომლის ჩანასახებს გენუასა და ვენეციაში ჩვენ უკვე შუა საუკუნეებში ვპოულობთ, მთელი ევროპა დაიპყრო მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში, კოლონიური სისტემა თავისი საზღვაო ვაჭრობით და სავაჭრო ომებით მის ხელოვნურ სანერგედ გადაიქცა. ამრიგად, იგი

თავდაპირველად ჰოლანდიაში განმტკიცდა. სახელმწიფო ვალი, ე. ი. სახელმწიფოს გასხვისება — სულ ერთია, იქნება იგი დესპოტური, კონსტიტუციური თუ რესპუბლიკური — თავის ბეჭედს ასვამს კაპიტალისტურ ერას. ეგრეთწოდებული ნაციონალური სიმდიდრის ერთადერთი ნაწილი, რომელიც ნამდვილად იმყოფება თანამედროვე ხალხთა ერთობლივ მფლობელობაში, არის მათი სახელმწიფო ვალი^{243a}. ამიტომ სრულიად თანმიმდევრულია თანამედროვე დოქტრინა იმის შესახებ, რომ ხალხი მით უფრო მდიდრდება, რაც უფრო ძლიერდება მისი დავალიანება. საჯარო კრედიტი კაპიტალის *credit* [მრწამსი] ხდება. და სახელმწიფოს დავალიანების წარმოშობასთან ერთად, ნაცვლად სული წმინდის გმობისა, რომლისთვისაც არა არს მიტეება, მიუტეებელ ცოდვად იქცევა სახელმწიფო ვალისადმი ნდობის შერყევა.

სახელმწიფო ვალი თავდაპირველი დაგროვების ერთ-ერთი უძლიერესი ბერკეტი ხდება. თითქოს ჯადოსნური კვერთხის დარტყმით იგი არამწარმოებლურ ფულს მწარმოებლურ ძალას ანიჭებს და, ამგვარად, მას კაპიტალად აქცევს; ამასთანავე იგი არიდებს მას ყოველგვარ სიძნელეს და საშიშროებას, რაც განუყრელად თან სდევს ფულის დაბანდებას მრეწველობაში და მევახშურ ოპერაციებსაც კი. სახელმწიფოს კრედიტორები სინამდვილეში არაფერს იძლევიან, რადგან მათ მიერ გასესხებული ფული იქცევა ადვილად გადასაცვლელ სახელმწიფო ვალის მოწმობებად, რომელნიც მათ ხელში სწორედ ისევე განაგრძობენ მიმოქცევას, როგორც იმავე რაოდენობის ნაღდი ფული. მაგრამ გარდა იმისა, რომ ამგვარად შეიქმნა უსაქმო რანტიეთა კლასი და ერთბაშად წარმოიშვა სიმდიდრე ფინანსისტებისა, რომელნიც მთავრობასა და ერს შორის შუამავლობენ, სწორედ ისევე, როგორც სიმდიდრე გადასახადების მოიჯარე-შემსყიდველებისა, ვაჭრებისა, კერძო მეფაბრიკეებისა, რომელთაც ყოველი სახელმწიფო სესხის საგრძობლად დიდი ნაწილი ციდან ჩამოვარდნილი კაპიტალის სამსახურს უწევს, — სახელმწიფო ვალმა შექმნა აგრეთვე აქციონერული საზოგადოებანი, ვაჭრობა ყოველგვარი ფასიანი ქაღალდებით, ძლიერი სპეკულაცია და აჟიოტაჟი, ერთი სიტყვით: ბირჟაზე თამაში და თანამედროვე ბანკოკრატია.

^{243a} ვილიამ კობეტი შენიშნავს, რომ ინგლისში ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება «სამეფო» დაწესებულებად იწოდება, მაგრამ ამის სამაგიეროდ არსებობს «ნაციონალური» ვალი. (*national debt*).

ნაციონალური ტიტულებით გაძლიერებული მსხვილი ბანკები მათი წარმოშობის დღიდანვე წარმოადგენდნენ მხოლოდ კერძო სპეკულანტების საზოგადოებებს, რომელნიც დახმარებას უწყევდნენ მთავრობებს და რომელთაც, მინიჭებული პრივილეგიების გამო, შეეძლოთ მათთვის ფულის სესხება. ამიტომ სახელმწიფო ვალების დაგროვების ყველაზე სწორ საზომს წარმოადგენს ამ ბანკების აქციათა თანდათანობითი აწევა; ბანკების აყვავება კი იწყება ინგლისის ბანკის დაარსების მომენტიდან (1694 წელს). ინგლისის ბანკმა თავისი მოქმედება იმით დაიწყო, რომ ფულს სესხად აძლევდა მთავრობას 8%-ის კვალობაზე; ამავე დროს იგი პარლამენტის მიერ აღჭურვილ იქნა უფლებით მოეჭრა ფული იმავე კაპიტალისაგან, რომელსაც ის ხელახლა მიასესხებდა საზოგადოებას ბანკნოტების სახით. ამ ბანკნოტებით მას შეეძლო თამასუქების დისკონტირება, სესხის გაცემა საქონლის გირავნობით და ძვირფასი ლითონების შესყიდვა. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, და თვით ბანკის მიერ გამოშვებული საკრედიტო ფული იქცა იმ მონეტად, რომლითაც ინგლისის ბანკი სესხს აძლევდა სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის ხარჯზე სახელმწიფო ვალების პროცენტებს იხდიდა. არ იყო საკმარისი ის, რომ ბანკი ერთი ხელით იძლეოდა, რათა მეორე ხელით უფრო მეტი აეღო; მაშინაც კი, როდესაც იღებდა, იგი რჩებოდა ერის მუდმივ კრედიტორად მის მიერ გაცემულ მთელ თანხაზე, უკანასკნელ გროშამდე. თანდათან იგი გახდა ქვეყნის ლითონის მარაგის უცილობელი შემნახველი და მთელი სავაჭრო კრედიტის მიმზიდველი ცენტრი. სწორედ იმავე დროს, როდესაც ინგლისში შეწყდა ცეცხლის კოცონზე კუდიანების დაწვა, დაიწყეს იქ ყალბი ბანკნოტების გამკეთებელთა ჩამოხრჩობა. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვე ადამიანებზე ბანკოკრატების, ფინანსისტების, რანტიების, მაკლერების, სპეკულანტებისა და ბირჟის მგლების ხროვის ამ უეცარმა ამოტივტივებამ, ამას ცხადყოფენ იმ დროის თხზულებები, მაგალითად, ბოლინბროკისა^{243ა}.

სახელმწიფო ვალებთან ერთად აღმოცენდა საერთაშორისო საკრედიტო სისტემა, რომელიც ხშირად ამა თუ იმ ხალხის თავდაპირველი დაგროვების ერთერთ ფარულ წყაროს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, მტაცებლობის ვენეციური სისტემის სისაძაგლე კაპიტალისტური სიმდიდრის ამგვარ ფარულ საფუძველს ქმნის

^{243ა} «დღეს რომ თათრები შემოესიონ ევროპას, ძალიან ძნელი იქნებოდა მათთვის იმის ახსნა-განმარტება, თუ რას ნიშნავს ჩვენში ფინანსისტი» (Montesquieu: «Esprit des lois», გამოც. Londres 1769, ტ. IV, გვ. 33).

ჰოლანდიისათვის, რომელსაც ვენეცია თავისი დაქვეითების ხანაში დიდძალ ფულად თანხას აძლევდა სესხად. ასეთივე ურთიერთობაა ჰოლანდიასა და ინგლისს შორის. უკვე მე-18 საუკუნის დასაწყისს ჰოლანდიის მანუფაქტურას ბევრად გაუსწრო ინგლისისამ და ჰოლანდიამ დაჰკარგა ვაბატონებული სავაჭრო და სამრეწველო ერის მდგომარეობა. ამიტომ 1701—1776 წლების განმავლობაში მის მთავარ საქმიანობას შეადგენს დიდძალი კაპიტალის სესხად მიცემა, განსაკუთრებით მისი ძლიერი მეტოქისათვის — ინგლისისათვის. მსგავსი ურთიერთობა დამყარდა ამჟამად ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის. მრავალი კაპიტალი, რომელიც დღეს შეერთებულ შტატებში მოქმედებს ისე, რომ არავითარ ნიშანს არ გვაწვდის თავისი ვინაობის შესახებ, ბავშვების სისხლია, რომელიც მხოლოდ გუშინ იყო კაპიტალიზებული ინგლისში.

რადგან სახელმწიფო ვალი სახელმწიფო შემოსავალს ემყარება და ამ შემოსავალმა წლიური პროცენტები და სხვა გადასახდელი უნდა დაფაროს, ამიტომ თანამედროვე საგადასახადო სისტემა ნაციონალურ სესხთა სისტემის აუცილებელ დამატებად იქცა. სესხი საშუალებას აძლევს მთავრობას ისე დაფაროს საგანგებო ხარჯები, რომ გადასახადგადამხდელმა ეს არ იგრძნოს მაშინვე, მაგრამ იგივე სესხი საბოლოოდ მაინც გადასახადების გადიდებას მოითხოვს. მეორე მხრივ, გადასახადების მომატება, გამოწვეული ზედიზედ აღებული ვალების დაგროვებით, იძულებს მთავრობას ახალი საგანგებო ხარჯების გაწევის დროს ზუღამ ახალ სესხს მიმართოს. ამიტომ თანამედროვე ფისკალური სისტემა, რომლის ბრუნვის ლერძსაც აუცილებელ საარსებო საშუალებათა დაბეგვრა (მაშასადამე, მათი გაძვირება) შეადგენს, თავის წიაღში ატარებს გადასახადთა ავტომატური ზრდის ჩანასახს. გადასახადებით ზედმეტად დატვირთვა შემოხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ, პირიქით, ამ სისტემის პრინციპია. ჰოლანდიაში, სადაც ეს სისტემა პირველად იყო შემოღებული, დიდი პატრიოტი დე ვიტი აქებდა მას თავის «მაქსიმუმში» როგორც საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ დაქირავებული მუშა გახდეს მორჩილი, ზომიერი, ბეჯითი და... გადამეტებული შრომის ამტანი. მაგრამ ის გამანადგურებელი გავლენა, რასაც ეს სისტემა დაქირავებულ მუშებზე ახდენს, ჩვენ აქ უფრო ნაკლებად გვანტერესებს, ვიდრე მის მიერ გამოწვეული იძულებითი ექსპროპრიაცია გლახის, ხელოსნის, ერთი სიტყვით, წვრილი ბურჟუაზიის ყველა შემადგენელი ნაწილისა. ამის შესახებ არ არსებობს ორი აზრი, არ არსებობს ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორისაც კი. მაექსპროპრიირებელი

მოქმედება ფისკალური სისტემისა კიდევ უფრო ძლიერდება პროტექციონიზმის მეოხებით, რომელიც თვით ფისკალური სისტემის ერთ-ერთ განუყრელ ნაწილს წარმოადგენს.

იმ მნიშვნელოვანმა როლმა, რომელსაც სახელმწიფო ვალი და მისი შესაბამისი ფისკალური სისტემა ასრულებს სიმდიდრის კაპიტალიზაციისა და მასების ექსპროპრიაციის საქმეში, შეცდომაში შეიყვანა მთელი რიგი მწერლები, მაგალითად, კობეტი, დაბლდეი და სხვები, რომელნიც თანამედროვე ხალხთა სილატაკის მთავარ მიზეზს აქ ეძებენ.

პროტექციონიზმის სისტემა ხელოვნური საშუალება იყო იმისათვის, რომ მომხდარიყო მეფაბრიკეთა ფაბრიკაცია, დამოუკიდებელ მუშათა ექსპროპრიაცია, წარმოების ნაციონალურ საშუალებათა და საარსებო საშუალებათა კაპიტალიზაცია და წარმოების ძველი წესიდან თანამედროვე წესზე გადასვლის ვადის ძალდატანებითი შემოკლება. ევროპული სახელმწიფოები ხელიდან გლეჯდნენ ერთმანეთს ამ გამოგონების პატენტს და რაკი ერთხელ ჩადგნენ მოგების რაინდთა სამსახურში, ისინი არ კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ ამ მიზნით ბეგრავდნენ საკუთარ ხალხს, არაპირდაპირ — მფარველობით ბაჟებით და პირდაპირ — საექსპორტო პრემიებით და სხვა. დამოკიდებულ მეზობელ ქვეყნებში აღმოუხვრილ იქნა ყოველი მრეწველობა, მაგალითად, ირლანდიის მატყლის მანუფაქტურა — ინგლისის მიერ. ევროპის კონტინენტზე ეს პროცესი კოლბერის მაგალითის მიხედვით კიდევ უფრო გამარტივდა. მრეწველის თავდაპირველი კაპიტალი აქ ნაწილობრივ პირდაპირ სახელმწიფო ხაზინიდან მოედინება. «რა საჭიროა, — ამბობს მირაბო, — ასე შორს ვეძიოთ საქსონიის მანუფაქტურის აყვავების მიზეზი შეიდწლიანი ომის წინ? ეს მიზეზი 180 მილიონი სახელმწიფო ვალია»²⁴⁴.

კოლონიური სისტემა, სახელმწიფო ვალები, გადასახადების სიმძიმე, პროტექციონიზმი, სავაჭრო ომები და სხვ., ეს ყლორტები საკუთრივ მანუფაქტურული პერიოდისა ბუმბერაზულად იზრდება მსხვილი მრეწველობის ყმაწვილობის პერიოდში. ამ მრეწველობის დაბადების დღესასწაული აღინიშნა ყრმათა დიდი იროდისებური ჟღერით. როგორც სამეფო ფლოტი თავის მეზღვაურებს, ისე ფაბრიკებიც ძალდატანებით აგროვებენ თავიანთ მუშებს. თუმცა ძლიერ გულგრილად უყურებს სერ ფ. მ. იდენი სოფლის მოსახლეობის

²⁴⁴ Mirabeau: «De la Monarchie Prussienne». Londres 1788, ტ. VI, გვ. 101.

ექსპროპრიაციის საშინელებას, რომელიც მე-15 საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაწყებული მის დრომდე, ე. ი. მე-18 საუკუნის დამლევამდე გრძელდება, თუმცა დიდი თვითკმაყოფილებით მიესალმება ის ამ პროცესს, როგორც «აუცილებელს» კაპიტალისტური მიწათმოქმედების შესაქმნელად და «სწორი თანაფარდობის დასამყარებლად სახნავ მიწებსა და საძოვრებს შორის», — მაგრამ სამაგიეროდ ვერ ამკლავნებს იმავე ეკონომიურ განჭვრეტას, რათა დაინახოს ბავშვების მოტაცებისა და დამონების აუცილებლობა მანუფაქტურული წარმოების ფაბრიკულ წარმოებად გადასაქცევად და კაპიტალსა და სამუშაო ძალას შორის სწორი თანაფარდობის დასამყარებლად. ის ამბობს: «შეიძლება საზოგადოების მხრივ ყურადღების ღირსი იყოს შემდეგი საკითხი: განა შეუძლია იმ მრეწველობას, რომელიც თავისი წარმატებისთვის იძულებულია კოტეჯებიდან და სამუშაო სახლებიდან მოიტაცოს ღარიბი ბავშვები, რომელნიც ჯგუფობრივი შენაცვლებით თითქმის მთელი ღამე უნდა მუშაობდნენ შეუსვენებლად, იმ მრეწველობას, რომელიც გარდა ამისა განურჩევლად ერთად აგროვებს ორივე სქესის, სხვადასხვა ასაკისა და მიდრეკილების პირთ, რასაც შედეგად მოსდევს ახალგაზრდობის გარყვნა და გათახსირება ცუდი მაგალითის შეთვისების გამო, — განა შეუძლია ასეთ მრეწველობას გაადიდოს ნაციონალური და ინდივიდუალური ბედნიერება?»²⁴⁵. «დერბიშირსა, ნოტიנגჰემშირსა და განსაკუთრებით ლანკაშირში, — ამბობს ფილდენი, — გამოყენებული იყო ახლადგამოგონილი მანქანები დიდ ფაბრიკებში; ეს ფაბრიკები გაშენებული იყო ნაკადების მახლობლად, რომელთაც შეეძლოთ მოძრაობაში მოეყვანათ წყლის ბორბალი. ამ ადგილებს, რომელნიც დაშორებულნი იყვნენ ქალაქებს, ერთბაშად ათასობით მუშახელი დასჭირდათ; განსაკუთრებით ლანკაშირს, დღემდე შედარებით უფრო მწირ და სუსტად დასახლებულ ადგილს, ესაჭიროებოდა ახლა უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის სიმრავლე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ბავშვების პაწია და მარდ თითებზე. მაშინვე ჩვეულებად გადაიქცა შეგირდების (!) აყვანა ლონდონის, ბირმინგამის და სხვა სამრეწლო-სამუშაო სახლებიდან. ეს პატარა უმწეო ქმნილებანი, 7 — 13 ან 14 წლისანი, ათიათასობით იგზავნებოდნენ ჩრდილოეთში. დამქირავებელს (ე. ი. ბავშვების მტაცებელს) ჩვეულებად გადაექცა თავისი შეგირდების შემოსვა, კვება და დაბინავება ფაბრიკის ახლო მდებარე შეგირდთა სახლებში. დაქირავებულ იქნენ ზედამხედველები, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ

²⁴⁵ Eden: «The State of the Poor», წიგ. II, თავი I, გვ. 421.

შეგირდების მუშაობისათვის. მონების ამ მეთვალყურეთა ინტერესი მოითხოვდა რაც შეიძლება ზედმეტად ემუშავებინათ ბავშვები, რადგან მათი გასამრჯელო დამოკიდებული იყო პროდუქტის რაოდენობაზე, რომელსაც გამოსწოვდნენ თვითეულ ბავშვს. სიმკაცრე ამის ბუნებრივი შედეგი იყო... ბევრ საფაბრიკო ოლქში, განსაკუთრებით ლანკაშირში, ეს უმანკო და უმწეო ქმნილებანი, რომელნიც მეფაბრიკეთა ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი, გულშემზარავ წამებას განიცდიდნენ. ისინი სიკვდილის პირამდე იყვნენ მიყვანილი გადამეტებული შრომით... მათ ამათრახებდნენ, ბორკილებს უყრიდნენ და ტანჯავდნენ უაღრესად დახელოვნებული და სასტიკი წამებით; ხშირად, შიმშილით გაძვალტყავებულთ, მათრახის ცემით აიძულებდნენ ემუშავნათ... ზოგჯერ ისინი თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავდათ!.. დერბიშირის, ნოტინგემშირის და ლანკაშირის მშენიერი რომანტიკული ველები, მოშორებულნი საზოგადოებრივ კონტროლს, წამებისა და ხშირად მკვლელობის საშინელ ადგილებად იქცა!.. მეფაბრიკეთა მოგება უზომო იყო. ეს მხოლოდ აღიზიანებდა მათს მგლურ გაუმადლობას. მათ შემოიღეს ღამით მუშაობა, ე. ი. როდესაც მუშების ერთი ჯგუფი უკვე დაღლილი იყო დღის მუშაობით, მათ მზად ჰყავდათ მეორე ჯგუფი ღამის სამუშაოს შესასრულებლად; დღის ჯგუფი წვებოდა ლოგინში, რომელსაც ტოვებდა ღამის ჯგუფი, და vice versa [პირიქით]. ლანკაშირში, ხალხური გადმოცემით, ლოგინი არასოდეს არ ცივდებოდა²⁴⁶.

²⁴⁶ John Fielden: «The Curse of the Factory System». London 1836, გვ. 5, 6. იმ საძაღობის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა თავდაპირველად ფაბრიკებში, შეად. Dr. Aikin: «Description of the Country from thirty to forty miles round Manchester», London 1795, გვ. 219, და Gisborne: «Inquiry into the Duties of Men», 1795, ტ. II. რადგან ორთქლის მანქანამ ფაბრიკები სოფლის წყალვარდილებიდან ქალაქების ცენტრებში გადაიტანა, ამიტომ «დათმენის-მოყვარული» კაპიტალისტის ხელში მოიპოვებოდა ბავშვთა საქმაროცხვი და იგი აღარ საჭიროებდა მონების ძალდატანებით წამოყვანას სამუშაო სახლებიდან. როდესაც სერ რობერტ პილმა («Plausibilität-ის კეთილწესიერების» მინისტრის» მამამ) 1815 წელს შეიტანა პარლამენტში ბილი ბავშვთა დაცვის შესახებ, მაშინ ფრენსის ჰორნერმა (Bullion-Committee [ზოდების კომიტეტის] lumen-მა [მწათობმა] და რიკარდოს ინტიმურმა მეგობარმა) განაცხადა თემთა პალატაში: «საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთი გაკოტრებულის ქონებასთან ერთად გამოცხადებული იყო გასაყიდად საჯარო ვაჭრობით და გაიყიდა კიდევც, როგორც ამ ქონების ნაწილი, ფაბრიკაში მომუშავე ბავშვთა გროვა, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ. ორი წლის წინათ (1813 წელს) King's Bench-ში [უმალღეს სასამართლოში] ერთი აღმამფოთებელი შემთხვევა იჩივდა. საკმე ეხებოდა რამდენიმე ბავშვს. ლონდონის ერთმა სამრევლომ ეს ბავშვები გადასცა ერთ მეფაბრიკეს, ამ უკანასკნელმა

კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა სირცხვილისა და სინდისის უკანასკნელი ნატამალი დაჰკარგა. ერები ცინიკურად ტრაბახობდნენ ყოველგვარი სისაძაგლით, თუკი ეს უკანასკნელი კაპიტალის დაგროვების საშუალებას 'მეადგენდა. წაიკითხეთ, მაგალითად, ვაჭრობის გულუბრყვილო მატთანე, 'მედგენილი გულუბრყვილო ა. ანდერსონის მიერ. აქ იგი ინგლისის სახელმწიფოებრივი სიბრძნის უაღრეს გამარჯვებას ხედავს იმ გარემოებაში, რომ ინგლისმა უტრეხტის ზავის დროს asiento-ს ხელშეკრულებით [ხელშეკრულება მონათვაჭრობის შესახებ] აიძულა ესპანელები დათანხმებულყვენენ ინგლისისათვის ისეთი პრივილეგიის მინიჭებაზე, რომელიც მას ნებას აძლევდა ზანგებით ვაჭრობა, რასაც იგი აქამდე მხოლოდ აფრიკასა და ინგლისის ვესტ-ინდოეთს შორის ეწეოდა, ამიერიდან აგრეთვე აფრიკასა და ესპანურ ამერიკას შორისაც ეწარმოებინა. ინგლისმა მიიღო უფლება 1743 წლამდე ყოველწლიურად ესპანურ ამერიკისთვის მიეწოდებინა 4 800 ზანგი. ამით ამავე დროს ბრიტანეთის კონტრაბანდისათვის ოფიციალური საფარი შეიქმნა. ლივერპული სწრაფად გაიზარდა მონათვაჭრობის საფუძველზე. ეს უკანასკნელი მისი მეთოდი თავედაპირველი დაგროვებისა. და დღემდე ლივერპულის «მაღალი საზოგადოება» დარჩა მონათვაჭრობის პინდარად, ვაჭრობისა, რომელიც, — შეად. დ-რ ეიკინის ზემოაღნიშნული თხზულება 1795 წლისა, — «კომერციული თაოსნობის უნარს ვნებად აქცევს, სახელოვან მეზღვაურებს ქმნის და უამრავ ფულს იძლევა». ლივერპული 1730 წლამდე მონებით ვაჭრობას 15 გემით ეწეოდა, 1751 წ. — 53, 1760 წ. — 74, 1770 წ. — 96 და 1792 წ. — 132 გემით.

ინგლისში ბავშვთა მონობის შემოღებით ბამბის მრეწველობამ იმავე დროს ხელი შეუწყო იმას, რომ შეერთებული შტატების მონური მეურნეობა, რომელიც მანამდე ცოტად თუ ბევრად პატრიარქალური იყო, ექსპლოატაციის კომერციულ სისტემად გადაქცეულიყო.

ისინი თავის მხრივ, სხვას გადასცა. ბოლოს, რამდენიმე ფილანთროპმა აღნიშნული ბავშვები იპოვნა სრულიად დონემიხდლინი შიმშილისაგან (absolute famine). მეორე შემთხვევას, უფრო აღმაშფოთებელს, იგი გაეცნო როვორც პარლამენტის საგამომძიებლო კომისიის წევრი, რამდენიმე წლის წინათ ლონდონის ერთმა სამრევლომ და ლანკაშირის ერთმა მეფაბრიკემ ურთიერთ შორის დადეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მეფაბრიკე ვალდებული იყო მის მიერ ნაყიდ ყოველ 20 ჯანსად ბავშვზე ერთი იდიოტი მიეღო.

საერთოდ დაქირავებული მუშების ფარული მონობა ევროპაში საკუთრებად თავის საფუძვლად აშკარა მონობას ახალ ქვეყანაში²⁴⁷.

Tantae molis erat [ასეთ შრომას საჭიროებდა] კაპიტალისტური წარმოების წესის «მარადიულ ბუნების კანონთა» თავისუფალი გამოვლინებისათვის პირობების შექმნა, მუშებისა და მათი შრომის საშუალებათა ერთმანეთისაგან გათიშვის პროცესის განხორციელება, ერთ პოლუსზე საზოგადოებრივ წარმოების საშუალებათა და საარსებო საშუალებათა კაპიტალად გადაქცევა, ხოლო მოპირისპირე პოლუსზე ხალხთა მასების გადაქცევა დაქირავებულ მუშებად, თავისუფალ «მომუშავე ღარიბებად», თანამედროვე ისტორიის ამ შედეგად²⁴⁸. თუ ფული, ოქეის სიტყვით, «ამ ქვეყნად ერთ ლოყანზე

²⁴⁷ 1790 წელს ინგლისურ ვესტ-ინდოეთში 1 თავისუფალ ადამიანზე 10 მონა მოდიოდა, ფრანგულში — 14 და ჰოლანდიურში — 23 (*Henry Brougham: «An Inquiry into the Colonial Policy of the European Powers»*. Edinburgh 1803, ტ. II, გვ. 74).

²⁴⁸ გამოთქმა «labouring poor» [მომუშავე ღარიბი] გვხვდება ინგლისის კანონმდებლობაში იმ მომენტიდან, როდესაც დაქირავებული მუშების კლასი საგრძობლად შესამჩნევი ხდება. «Labouring poor» უპირისპირდება ერთი მხრივ «idle poor»-ს [ზარმაც ღარიბს], მათხოვრებს და სხვ., მეორე მხრივ, იმ მუშებს, რომელნიც ჯერ კიდევ საუკებთ არ განთავისუფლებულან საკუთრებისაგან, ჯერ კიდევ თავიანთი შრომის საშუალებათა მესაკუთრენი არიან. გამოთქმა «labouring poor» კანონმდებლობიდან გადავიდა პოლიტიკურ ეკონომიაში, სადაც იგი ხზარებაშია კელპბერის, ჯ. ჩაილდისა და სხვათა დროიდან ა. სმიტამდე და იდენამდე. ამის მიხედვით უნდა განვსაჯოთ ვდმუნდ ბერკის, ამ «execrable political cantmonger»-ის [სახიზღარი პოლიტიკური პირმოთნისა] *bonne foi* [კეთილსინდისიერება], როდესაც იგი გამოთქმას «labouring poor» უწოდებს «execrable political cant»-ს [სახიზღარ პოლიტიკურ პირმოთნობას]. ეს სიკოფანტი, რომელიც ინგლისური ოლიგარქიის ხარჯზე ყოფნისას რომანტიკოსის როლს ასრულებდა საფრანგეთის რევოლუციის მიმართ, სწორედ ისევე, როგორც ამერიკის არეულობის დასაწყისში ჩრდილო-ამერიკის ახალშენების ხარჯზე ყოფნისას იგი ლიმერალის როლს ასრულებდა ინგლისური ოლიგარქიის მიმართ, — სრულიად ჩვეულებრივი ბურჟუაიკი: «ვაჭრობის კანონები ბუნების კანონებია და, მაშასადამე, ღვთის კანონებიც» (*E. Burke: «Thoughts and Details on Scarcity»*, გამოც. London 1800, გვ. 31, 32). საკვირველი არ არის, რომ იგი, ერთგული ღვთისა და ბუნების კანონებისა, თავის თავს მუდამ საუკეთესო ბაზარზე ჰყიდდა! ტეკერის თხზულებებში, — ტეკერი იყო ხუცევი და ტორი, მაგრამ სხვა მხრივ პატიოსანი ადამიანი და კარგი ეკონომისტი, — ჩვენ ვხვდებით ამ ვდმუნდ ბერკის ძალიან კარგ დახასიათებას მისი ლიბერალური მოღვაწეობის ხანაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სამარცხვინო უპრინციპობას, რომელიც გაბატონებულა დღეს პოლიტიკურ ეკონომიაში და რომელსაც მოწიწებით სწამს «ვაჭრობის კანონები», მაშინ ჩვენი მოვალეობაა ისევ და ისევ დავგმოთ ბერკები, რომელნიც თავიანთი მიმდევრებისაგან განირჩევიან მხოლოდ ერთი რამით — ტალანტით!

ბუნებრივი სისხლიანი ლაქით იბადება²⁴⁹, კაპიტალს თავით ტერ-
ფამდე ყველა სერეტიდან სისხლი და ჭუჭყი სდის²⁵⁰.

7. კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია

რაში მდგომარეობს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, ე. ი. მისი ისტორიული გენეზისი? რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარ-
მოადგენს მონებისა და ყმების უშუალო გადაქცევას დაქირავებულ
მუშებად, მაშასადამე, უბრალო ფორმაცვალებას, იგი ნიშნავს მხო-
ლოდ უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაციას, ე. ი. საკუთარ
შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრების დაშლას.

კერძო საკუთრება, როგორც დაპირისპირებულობა საზოგადო-
ებრივი, კოლექტიური საკუთრებისა, მხოლოდ იქ არსებობს, სადაც
შრომის საშუალებანი და შრომის სხვა გარეშე პირობები კერძო
პირებს ეკუთვნის. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ ვინ არიან ეს კერ-
ძო პირები — მუშები თუ არამუშები, იცვლება კერძო საკუთრების
ხასიათიც. უსასრულო ნაირსახეობა, რომელსაც კერძო საკუთრება
ერთი შეხედვით თვალწინ გადაგვიშლის, მხოლოდ ამ ორ კიდურს
შორის არსებულ შუალედურ მდგომარეობას ასახავს.

მუშის კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე წვრილი
წარმოების საფუძველს შეადგენს, ხოლო წვრილი წარმოება საზოგა-
დობრივი წარმოების და თვით მუშის თავისუფალი ინდივიდუალობის
განვითარების აუცილებელი პირობაა. რა თქმა უნდა, წარმოების
ეს წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონყმობისა და სხვა დამო-
კიდებულებითი ურთიერთობის დროსაც. მაგრამ იგი ჰყვავის, მთელ
თავის ენერჯიას ავლენს და ადეკვატურ კლასიკურ ფორმას იღებს

²⁴⁹ Marie Augier: «Du Crédit Public».

²⁵⁰ «კაპიტალი, — ამბობს «Quarterly Reviewer»-ი, — შფოთსა და დავიდარაბას
გაურბის და შშიშარა ბუნებისაა. ეს ფრიად მართალია, მაგრამ სრული ჭეშმარიტება
მინც არ არის. კაპიტალს ეშინია მოგების უქონლობის ან ფრიად მცირე მოგებისა,
როგორც ბუნებას — სიკარხელისა. სათანადო მოგების დროს კაპიტალი მამაცი ხდება.
10 პროცენტის პირობებში კაპიტალის გამოყენება ყველგან შეიძლება; 20 პროცენტის
დროს იგი იწყებს გაცხოველებას; 50 პროცენტის დროს კარგავს წონასწორობას;
100 პროცენტის დროს ფეხით თელავს ყველა ადამიანურ კანონს; 300 პროცენტის
დროს არ მოიპოვება ისეთი ბოროტმოქმედება, რომელიც მან არ გაბედოს, თუნდაც
ამისთვის თვით საბრძოლელას საშიშროება მოელოდეს. თუ შფოთსა და დავიდარაბას
მოგება მოჰყვება, კაპიტალი ორივეს ხელს შეუწყობს. დამამტკიცებელი საბუთი:
კონტრაბანდა და მონებით ვაჭრობა» (T. J. Dunning: «Trades' Unions and
Strikes». London 1860, გვ. 35, 36).

მხოლოდ იქ, სადაც მუშა თავისუფალი კერძო მესაკუთრეა შრომის იმ პირობებისა, რომელთაც თვითონვე იყენებს, გლეხი — სახნავი მიწისა, რომელსაც იგი ამუშავებს, ხელოსანი — იარაღისა, რომელსაც იგი ვირტუოზულად დაუფლებია.

ეს წარმოების წესი გულისხმობს მიწისა და წარმოების დანარჩენ საშუალებათა დაქუცმაცებას. იგი გამორიცხავს როგორც წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას, ისე კოოპერაციას, გამორიცხავს შრომის დანაწილებას ერთი და იმავე წარმოებითი პროცესების შიგნით, საზოგადოებრივ ბატონობას ბუნებაზე და ბუნების ძალთა საზოგადოებრივ რეგულირებას, საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა თავისუფალ განვითარებას. იგი ეგუება წარმოებისა და საზოგადოების მხოლოდ ვიწრო, ბუნებრივად აღმოცენებულ ფარგლებს. მისი გამარადისების სურვილი, როგორც პეკერი სამართლიანად შენიშნავს, «საყოველთაო საშუალოობის დეკრეტირებას» ნიშნავს. განვითარების გარკვეულ საფეხურზე იგი თვით ქმნის თავისი საკუთარი მოსპობის მატერიალურ საშუალებებს. ამ მომენტიდან საზოგადოების წიაღში იღვიძებენ ძალები და მისწრაფებანი, რომელნიც ამ წარმოების წესის მიერ თავს შებორკილად გრძნობენ. ეს წარმოების წესი უნდა მოისპოს და ისპობა კიდევ. მისი მოსპობა, წარმოების ინდივიდუალურ და დაქუცმაცებულ საშუალებათა გადაქცევა წარმოების საზოგადოებრივად კონცენტრირებულ საშუალებებად, ე. ი. მრავალთა წვრილი საკუთრების გადაქცევა მცირეოდენთა გიგანტურ საკუთრებად, ხალხთა ფართო მასების მიწის, საარსებო საშუალებათა და შრომის იარაღების ექსპროპრიაცია, ხალხთა მასების ეს საშინელი და მძიმე ექსპროპრიაცია, კაპიტალის წინაისტორიას წარმოადგენს. იგი მოიცავს მთელ რიგ ძალადურ მეთოდებს, რომელთაგანაც ჩვენ განვიხილეთ ზემოთ მხოლოდ ეპოქისშემქმნელი მეთოდები, როგორც მეთოდები კაპიტალის თვედაპირველი დაგოვებისა. უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება ყველაზე დაუნდობელი ვანდალიზმით და უაღრესად უსირცხვილო, ბინძურ, წვრილმან და საზიზღარ ვნებათა ზეგავლენით. თავისი შრომით მოპოვებული კერძო საკუთრება, დამყარებული ცალკეული, დამოუკიდებელი მუშა-ინდივიდის, ასე ვთქვათ, შეზრდაზე მის შრომის პირობებთან, იდენება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თუმცა ფორმალურად თავისუფალი, შრომის ექსპლოატაციაზე²⁵¹.

²⁵¹ ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც საზოგადოებისათვის სრულიად ახალია... ჩვენ მივისწრაფვით ყოველი სახეობის საკუთრება ჩამოვაშროთ 60 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

როგორც კი გარდაქმნის ეს პროცესი საკმარისად არღვევს ძველ საზოგადოებას მთელი სიღრმე-სიგანით, როგორც კი მუშები პროლეტარებად იქცევიან, ხოლო მათი შრომის პირობები — კაპიტალად, როგორც კი კაპიტალისტური წარმოების წესი თავის საკუთარ ფეხზე დგება, — მაშინვე შრომის შემდგომი განსაზოგადოება, მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა შემდგომი გადაქცევა საზოგადოებრივ-საექსპლოატაციო, მაშასადამე, წარმოების საერთო საშუალებებად და, ამიტომ, კერძო მესაკუთრეთა შემდგომი ექსპროპრიაცია, ახალ ფორმას იღებს. ახლა ექსპროპრიაცია მოელის უკვე არა მუშას, რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა, არამედ კაპიტალისტს, რომელიც მრავალ მუშას ექსპლოატაციას უწევს.

ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალის ცენტრალიზაციით. ერთი კაპიტალისტი ამარცხებს მრავალ კაპიტალისტს. ხელიხელჩაკიდებული ამ ცენტრალიზაციასთან, ანუ მრავალი კაპიტალისტის ექსპროპრიაციასთან, რომელსაც კაპიტალისტთა მცირე რიცხვი ახდენს, სულ უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება შრომითი პროცესის კოოპერაციული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტექნიკური გამოყენება, მიწის გეგმაზომიერი ექსპლოატაცია, შრომის საშუალებათა გადაქცევა შრომის ისეთ საშუალებებად, რომელთა გამოყენებაც მხოლოდ კოლექტიურად შეიძლება, წარმოების ყველა საშუალების ეკონომია მათი როგორც კომბინირებული საზოგადოებრივი შრომის წარმოების საშუალებათა გამოყენებით, ვითარდება ყველა ხალხის ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და ამასთანავე ერთად კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური ხასიათი. კაპიტალის მაგნატების რიცხვის მუდმივ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ გარდაქმნის ამ პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეს, მასობრივად იზრდება სილატაკე, ჩაგვრა, დამონება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე იზრდება აღშფოთებაც მუდამ ზრდადი და თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილი, გაერთიანებული და ორგანიზებული მუშათა კლასისა. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს

იმ პუნქტს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ ვარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი, ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია.

კაპიტალისტური წარმოების წესიდან გამომდინარე კაპიტალისტური მითვისების წესი და, მაშასადამე, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც პირველი უარყოფაა ინდივიდუალური, საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრებისა. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა. იგი კვლავ აღადგენს არა კერძო საკუთრებას, არამედ ინდივიდუალურ საკუთრებას კაპიტალისტური ეპოქის მონაპოვართა საფუძველზე — კოოპერაციის საფუძველზე და მიწისა და წარმოების იმ საშუალებათა კოლექტიური მფლობელობის საფუძველზე, რომელნიც თვით შრომის მიერ არის წარმოებული.

ცალკეულ პირთა საკუთარ შრომაზე დამყარებული, დაქუცმაცებული კერძო საკუთრების გადაქცევა კაპიტალისტურ საკუთრებად, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივი, მძიმე და ძნელი პროცესია, ვიდრე საზოგადოებრივ წარმოების პროცესზე უკვე ფაქტიურად დამყარებული კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად. იქ საქმე ეხებოდა ხალხთა მასების ექსპროპრიაციას მცირეოდენი უზურპატორების მიერ, აქ კი — მცირეოდენი უზურპატორების ექსპროპრიაციას ხალხთა მასების მიერ ²⁵².

²⁵² მრეწველობის პროგრესი, რისი ძალაუნებური მატარებელიც არის ბურჟუაზია, რომელიც უძღურია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ პროგრესს, მუშების იმ განცალკევების ნაცვლად, რასაც მათი კონკურენცია იწვევს, — ქმნის მუშების რევოლუციურ გაერთიანებას ასოციაციის საშუალებით. მაშასადამე, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება თვით ის საფუძველი, რომელზედაც იგი პროდუქტებს აწარმოებს და ისაკუთრებს. იგი უწინარეს ყოვლისა თავის საკუთარ შესაფლავებს წარმოშობს. ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად გარდუვალა... ყველა იმ კლასიდან, რომელიც ამჟამად ბურჟუაზიას უპირისპირდება, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. დანარჩენი კლასები უძღურდებიან და ისობიან მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია. საშუალო წოდებანი: წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი, — ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დალუპვისაგან იხსნან თავიანთი არსებობა საშუალო წოდებათა სახით... ისინი რეაქციონერები არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკან მიატრიალონ (K. Marx und F. Engels: «Manifest der Kommunistischen Partei». London 1848, გვ. 11, 9). [შეად. კ. მარქსი და ფ. ენგელსი: «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». თბილისი 1952, გვ. 56, 53.]

თავი ოცდამეხუთე

კოლონიზაციის თანამედროვე თეორია ²⁵³

პოლიტიკური ეკონომია ერთმანეთში ურევს პრინციპულად ორ ფრიად სხვადასხვა სახეობის კერძო საკუთრებას, რომელთაგან ერთი დამყარებულია მწარმოებლის საკუთარ შრომაზე, მეორე კი — სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე. მას ავიწყდება, რომ ეს უკანასკნელი არა მარტო სრული დაპირისპირებულობაა პირველისა, არამედ იზრდება კიდევ მხოლოდ მის საფლავზე.

ევროპის დასავლეთში, პოლიტიკური ეკონომიის სამშობლოში, თავდაპირველი დაგროვების პროცესი ცოტად თუ ბევრად დამთავრებულია. კაპიტალისტურმა რეჟიმმა ან პირდაპირ დაიმორჩილა აქ მთელი ნაციონალური წარმოება, ან იქ, სადაც ურთიერთობანი ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებულია, იგი კონტროლს უწევს, ყოველ შემთხვევაში არაპირდაპირ, იმ საზოგადოებრივ ფენებს, რომელნიც მის გვერდით არსებობას განაგრძობენ, დრომოჭმულ წარმოების წესს ეკუთვნიან და რღვევას განიცდიან. კაპიტალის ამ მზა სამყაროს მიმართ ეკონომისტი მით უფრო ლაჩრული გულმოდგინეობით და სასოებით ცდილობს გამოიყენოს წინაკაპიტალისტური სამყაროს წარმოდგენანი სამართალსა და კერძო საკუთრებაზე, რაც უფრო ხმამაღლა ღაღადებენ ფაქტები მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ.

სულ სხვა მდგომარეობაა კოლონიებში. კაპიტალისტური რეჟიმი იქ ყველგან აწყდება დაბრკოლებას მწარმოებლის მხრივ, რომელიც, როგორც მფლობელი თავისი საკუთარი შრომის პირობებისა, თავისი შრომით თავის თავს ამდიდრებს და არა — კაპიტალისტს. ამ ორი

²⁵³ აქ ლაპარაკია ნამდვილ კოლონიებზე, ყამირ მიწებზე, სადაც სახლდებიან თავისუფალი იმიგრანტები. შეერთებული შტატები ეკონომიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ევროპის კოლონიაა. თუმცა აქ იგულისხმება ისეთი ძველი გაშენებული ადგილებიც, სადაც მონობის მოსპობამ ძირფესვიანად შეცვალა მთელი ურთიერთობა.

ურთმანეთისადმი დიამეტრალურად დაპირისპირებული ეკონომიური სისტემის წინააღმდეგობა პრაქტიკულად აქ მათს ბრძოლაში ვლინდება. სადაც კაპიტალისტს მისი მეტროპოლიის ძალაუფლება ზურგს უმაგრებს, იგი ცდილობს ძალმომრეობით ჩამოიშოროს გზიდან საკუთარ შრომაზე დამყარებული წარმოებისა და მითვისების წესი. იგივე ინტერესი, რომელიც აიძულებს კაპიტალის სიკოფანტს, ეკონომისტს, თეორიულად დაასაბუთოს მეტროპოლიაში კაპიტალისტური წარმოების წესისა და მისი საკუთარი დაპირისპირებულობის იგივეობა, — იგივე ინტერესი აიძულებს მას აქ «to make a clean breast of it» [«გულახდილად აღიაროს»] და ხმამაღლა გამოაცხადოს ამ ორი წარმოების წესის დაპირისპირებულობა. ამ მიზნით იგი ამტკიცებს, რომ შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარება — კოოპერაცია, შრომის დანაწილება, მანქანების გამოყენება დიდი მასშტაბით და სხვ. — შეუძლებელია, თუ არ მოხდა მუშების ექსპროპრიაცია და მათი წარმოების საშუალებათა სათანადო გადაქცევა კაპიტალად. ეგრეთწოდებული ნაციონალური სიმდიდრის ინტერესებისათვის იგი ეძებს ხელოვნურ საშუალებებს ხალხის სიღარიბის შესაქმნელად. აქ მისი აპოლოგეტური აბჯარი ფუტუროს მსგავსად იფშენება.

ე. გ. უეკფილდის დიდი დამსახურება ის კი არ არის, რომ მან ახალი რამ აღმოაჩინა კოლონიების²⁵⁴ შესახებ, არამედ ის, რომ მან კოლონიებში აღმოაჩინა მეტროპოლიის კაპიტალისტურ ურთიერთობათა სინამდვილე. როგორც პროტექციონიზმის სისტემა თავის წარმოშობის ხანაში²⁵⁵ ესწრაფვის კაპიტალისტების ფაბრიკაციას მეტროპოლიაში, ასევე უეკფილდის კოლონიზაციის თეორია, რომლის განხორციელებასაც ინგლისი ცდილობდა გარკვეული დროის განმავლობაში საქანონმდებლო გზით, ესწრაფვის დაქირავებული მუშების ფაბრიკაციას კოლონიებში. ამას იგი «systematic colonization»-ს (სისტემატურ კოლონიზაციას) უწოდებს.

უწინარეს ყოვლისა უეკფილდმა აღმოაჩინა კოლონიებში, რომ ფულის, საარსებო საშუალებათა, მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებათა საკუთრება ჯერ კიდევ არ ხდის ადამიანს კაპიტალისტად, თუ მას აკლია ისეთი დამატება, როგორიცაა დაქირავებული მუშა,

²⁵⁴ ის მცირეოდენი სინათლე, რაც უეკფილდმა თვით კოლონიების რაობის გარკვევაში შეიტანა, სავსებით გათვალისწინებული იყო უფრო ადრე მირაბო-მამის, ფიზიოკრატებისა და კიდევ უფრო ადრე ინგლისელი ეკონომისტების მიერ.

²⁵⁵ შემდეგ ეს სისტემა დროებითი აუცილებლობის ხასიათს იღებს საერთაშორისო საკონკურენციო ბრძოლაში. მაგრამ, როგორც უნდა იყოს მისი მოტივი, შედეგები ერთი და იგივე რჩება.

ე. ი. სხვა ადამიანი, რომელიც იძულებულია თავისი ნებით გაყიდოს თავისი თავი. მან აღმოაჩინა, რომ კაპიტალი ნივთი კი არ არის, არამედ ნივთების მეშვეობით დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა ადამიანთა შორის²⁵⁶. ბ-მა პილმა, — მოთქვამს იგი, — თან წაიღო ინგლისიდან გედის მდინარის ნაპირზე [Swan River] ახალ ჰოლანდიაში 50 000 გირვანქა სტერლინგად ღირებული საარსებო საშუალებანი და წარმოების საშუალებანი. ბ-ნი პილი იმდენად წინდახედული იყო, რომ გარდა ამისა მან თან წაიყვანა 3 000 სული მშრომელი კლასიდან, მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები. მაგრამ, როდესაც მან დანიშნულ ადგილს მიაღწია, ბატონ პილს აღარ დაჩა არც ერთი მსახური ლოგინის დამგებად ან მდინარიდან წყლის მომტანად²⁵⁷. საბრალო ბატონი პილი, რომელმაც ყველაფერი გაითვალისწინა, გარდა მხოლოდ ინგლისის წარმოებითი ურთიერთობის ექსპორტისა გედის ნაპირზე!

უეკფილდის შემდგომ აღმოჩენათა გასაგებად საჭიროა ორიოდ წინასწარი შენიშვნა. ჩვენ ვიცით, რომ თუ წარმოებისა და არსებობის საშუალებანი უშუალო მწარმოებლის საკუთრებაა, მაშინ ისინი კაპიტალს არ შეადგენენ. მათი გადაქცევა კაპიტალად მხოლოდ ისეთ პირობებში ხდება, როდესაც ისინი იმავე დროს მუშის ექსპლუატაციისა და მუშაზე ბატონობის საშუალებას წარმოადგენენ. მაგრამ მათი ეს კაპიტალისტური სული ეკონომისტის თავში ისეთი მჭიდრო ცოლქმრული კავშირით არის შეერთებული მათს ნივთიერ სუბსტანციასთან, რომ იგი მათ ყოველგვარ პირობებში კაპიტალის სახელით ნათლავს, მაშინაც კი, როდესაც ისინი კაპიტალის პირდაპირ კონტრასტს წარმოადგენენ. ასე ემართება უეკფილდსაც. შემდეგ: წარმოების იმ საშუალებათა დაქუცმაცებას, რომელნიც მრავალი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ან საკუთარი მეურნეობის მქონე მუშის ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენენ, იგი უწოდებს კაპიტალის

²⁵⁶ ზანგი ზანგია. მხოლოდ განსაზღვრულ ურთიერთობაში იქცევა იგი მონაბამბის სართავი მანქანა არის მანქანა ბამბის სართავად. მხოლოდ განსაზღვრულ ურთიერთობაში იქცევა იგი კაპიტალად. ამ ურთიერთობათაგან გამოთიშული, იგი ისევე არ არის კაპიტალი, როგორც ოქრო თავისთავად არაა ფული ან შაქარი — შაქრის ფასი... კაპიტალი არის საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა. იგი ისტორიული წარმოებითი ურთიერთობაა (Karl Marx: «Lohnarbeit und Kapital». «Neue Rheinische Zeitung», № 266, 1849 წლის 7 აპრილი). [შეად. კარლ მარქსი: «დაქირავებული შრომის და კაპიტალი». კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები. თბილისი 1950, ტ. I, გვ. 79, 80.]

²⁵⁷ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. II, გვ. 33.

თანაბარ დანაწილებას. ეკონომისტსაც იგივე ემართება, რაც ფეოდალურ იურისტს. ეს უკანასკნელი წმინდა ფულად ურთიერთობასაც თავის ფეოდალურ იურიდიულ ეტიკეტს აკრავდა.

კაპიტალი რომ თანაბრად ყოფილიყო განაწილებული საზოგადოების ყველა წევრს შორის, — ამბობს უეკფილდი, — მაშინ არც ერთი ადამიანი არ იქნებოდა დაინტერესებული იმაზე მეტი კაპიტალი დაეგროვებინა, რის გამოყენებაც მას თავისი საკუთარი ხელით შეუძლია. ამას რამდენადმე ადგილი აქვს ამერიკის ახალ კოლონიებში, სადაც მიწის საკუთრებით გატაცება აბრკოლებს დაქირავებული მუშების კლასის არსებობას²⁵⁸. მაშასადამე, ვიდრე მუშას შეუძლია თავისთვის დააგროვოს, — და ეს კი მას შეუძლია, ვიდრე იგი თავის წარმოების საშუალებათა მესაკუთრე რჩება, — მანამდე კაპიტალისტური დაგროვება და კაპიტალისტური წარმოების წესი შეუძლებელია. დაქირავებული მუშების კლასი, რომელიც ამისთვის აუცილებელია, არ მოიპოვება. მაშ როგორ მოხდა ძველ ევროპაში მუშის შრომის პირობების ექსპროპრიაცია, როგორ შეიქმნა კაპიტალი და დაქირავებული შრომა? სრულიად ორიგინალური სახის *contrat social*-ის [საზოგადოებრივი ხელშეკრულების] საშუალებით. «კაცობრიობამ... შეითვისა მარტივი მეთოდი კაპიტალის დაგროვების ხელის შესაწყობად», დაგროვებისა, რომელიც მას, რასაკვირველია, ადამის დროიდან თავისი არსებობის უკანასკნელ და ერთადერთ მიზნად მიაჩნდა; «კაცობრიობა გაიყო კაპიტალის მესაკუთრეებად და შრომის მესაკუთრეებად... ეს გაყოფა ნებაყოფლობითი შეთანხმებისა და კომბინაციის შედეგი იყო»²⁵⁹. ერთი სიტყვით: კაცობრიობის მასამ თვითონ მოახდინა თავისი თავის ექსპროპრიაცია «კაპიტალის დაგროვების» სადიდებლად. ამ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა, რომ ასეთი ფანტიკური თვითუარყოფის ინსტინქტი მთელი თავისი სიძლიერით უნდა გამოვლინებულიყო სწორედ კოლონიებში, რადგან მხოლოდ იქ არსებობენ ისეთი ადამიანები და გარემოებანი, რომელთაც შეეძლოთ ამ *contrat social*-ის გადატანა ოცნების სამეთოდან სინამდვილის სამეთოდში. მაგრამ მაშინ საერთოდ რა აზრი ექნებოდა «სისტემატურ კოლონიზაციას» წინააღმდეგ ბუნებრივად აღმოცენებული კოლონიზაციისა? თუმცა: «საექვოა, ეკუთვნის თუ არა ამერიკული კავშირის ჩრდილოეთ შტატებში თუნდაც ერთი მეთაური ნაწილი მოსახლეობისა დაქირავებული მუშების კატეგორიას...

²⁵⁸ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. I, გვ. 17.

²⁵⁹ იქვე, გვ. 18.

ინგლისში... ხალხის დიდი მასა დაქირავებული მუშებისაგან შედგება²⁶⁰. კიდევ მეტი: მშრომელი კაცობრიობის მისწრაფება თვითექსპროპრიაციისადმი კაპიტალის სადიდებლად იმდენად უმნიშვნელოა, რომ მონობა, თვით უეჭვილდის სიტყვითაც კი, კოლონიური სიმდიდრის ერთადერთი ბუნებრივად აღმოცენებული საფუძველია. მისი სისტემატური კოლონიზაცია არის მხოლოდ *pis aller* [აუცილებელი ბოროტება], რადგან მას საქმე აქვს თავისუფალ ადამიანებთან და არა მონებთან. ესან-დომინგოში პირველად დასახლებულ ესპანელებს არც ერთი მუშა არ მისვლიათ ესპანეთიდან. მაგრამ უმუშებოდ (ე. ი. უმონებოდ) კაპიტალი დაილუპებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ მცირე ოდენობამდე დავიდოდა, როცა ყოველ ინდივიდს შეეძლებოდა მისი გამოყენება თავისი საკუთარი ხელით. სწორედ ასე მოხდა ინგლისელების მიერ დაარსებულ უკანასკნელ კოლონიაში, სადაც დაქირავებული მუშების ნაკლებობის გამო დაილუპა დიდძალი კაპიტალი თესლის, პირუტყვისა და იარაღის სახით, და სადაც არც ერთ ახალმოსახლეს არ მოეპოვება იმ კაპიტალზე მეტი, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს თავისი საკუთარი ხელითა²⁶¹.

ჩვენ დავინახეთ, რომ ხალხთა მასების მიწის ექსპროპრიაცია კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველს შეადგენს. თავისუფალი კოლონიის დედაარსი კი პირიქით, იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მასა ჯერ კიდევ სახალხო საკუთრებას წარმოადგენს და, ამიტომ, თვითველ ახალმოსახლეს შეუძლია მისი ნაწილი თავის კერძო საკუთრებად და თავის ინდივიდუალურ წარმოების საშუალებად გადააქციოს, ისე რომ ხელი არ შეუშალოს უფრო გვიანდელ მოსახლეს ასეთივე ოპერაციის ჩატარებაში²⁶². ეს არის საიდუმლოება როგორც კოლონიების აყვავებისა, ისე მათი მორღნელი წყლულისა — მათი შეწინააღმდეგებისა კაპიტალის დამკვიდრებისადმი. ესადაც მიწა ძალიან იაფია და ყველა ადამიანი თავისუფალი, სადაც თვითველს შეუძლია სურვილისამებრ მიიღოს მიწის ნაკვეთი თავისთვის, იქ არა მარტო ძალიან ძვირია შრომა, — თუ მხედველობაში მივიღებთ მუშის წილს

²⁶⁰ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. 1, გვ. 42, 43, 44.

²⁶¹ იქვე, ტ. II, გვ. 5.

²⁶² იმისათვის, რომ მიწა კოლონიზაციის ელემენტი გახდეს, იგი მარტო დაუმუშავებელი კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას, რომელიც შეიძლება კერძო საკუთრებად გადაიქცეს. (იქვე, ტ. II, გვ. 125).

მისი შრომის პროდუქტში, — არამედ იქ ძნელია საერთოდ კომბინირებული შრომის შოვნა, რა ფასადაც უნდა იყოს»²⁶³.

რადგან კოლონიებში ჯერ კიდევ არ მომხდარა გათიშვა მუშისა შრომის პირობებისაგან და ამ უკანასკნელთა საფუძვლისაგან — მიწისაგან, ან ეს გათიშვა ხდება მხოლოდ სპორადულად ან მეტად შეზღუდულ სივრცეზე, ამიტომ ჯერ კიდევ არ მომხდარა აგრეთვე მიწათმოქმედების გამოყოფა მრეწველობისაგან, ჯერ კიდევ არ მოსპობილა სოფლის შინამრეწველობა. მაშ საიდანღა გაჩნდება იქ შინაური ბაზარი კაპიტალისთვის? ამერიკაში არ მოიპოვება მოსახლეობის არც ერთი ნაწილი, რომელიც მარტოდენ მიწათმოქმედებას მისდევდეს, გარდა მონებისა და მათი პატრონებისა, რომელნიც აერთიანებენ კაპიტალს და შრომას მსხვილ საწარმოებში. თავისუფალი ამერიკელები, რომელნიც თვითონ ამუშავებენ მიწას, იმავე დროს ბევრ სხვა საქმესაც ჰკიდებენ ხელს. მათთვის აუცილებელი ავეჯეულობისა და იარაღების ნაწილს ისინი ჩვეულებრივ თვითვე ამზადებენ. ხშირად თვითონვე აშენებენ თავისთვის საკუთარ სახლებს და თავიანთი მრეწველობის პროდუქტი ფრიად შორეულ ბაზარზე გააქვთ. ისინი მრთველებიც არიან და ფეიქრებიც, თვითონ ამზადებენ საპონს და სანთელს, ფენსაცმელს და ტანისამოსს თავიანთი საკუთარი მოხმარებისათვის. ამერიკაში მიწათმოქმედება ხშირად მჭედლის, მეწისქვილისა და მეწვრილმანის დამხმარე მოსაქმეობას წარმოადგენს²⁶⁴. რა გასაქანი ექნება კაპიტალისტის «თვითუარყოფას» ასეთ ახირებულთა შორის?

კაპიტალისტური წარმოების დიადი მშვენიერება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა მარტო გამუდმებით აკვლავწარმოებს დაქირავებულ მუშას როგორც დაქირავებულ მუშას, არამედ კაპიტალის დაგროვების შესაბამისად იგი მუდამ აწარმოებს დაქირავებულ მუშების შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას. ამრიგად, შრომის მოთხოვნისა და მიწოდების კანონი სწორ კალაპოტში თავსდება, ხელფასის რყევა კაპიტალისტური ექსპლოატაციისათვის სასურველ ფარგლებში ექცევა და, ბოლოს, უზრუნველყოფილი ხდება მუშის აუცილებელი სოციალური დამოკიდებულება კაპიტალისტზე, ის აბსოლუტური დამოკიდებულებითი ურთიერთობა, რომელიც ეკონომისტს შეუძლია თავის სახლში, მეტროპოლიაში, ისე შეაფერადოს და დახატოს, თითქოს ეს თავისუფალი სახელშეკრულებო ურთიერთობაა

²⁶³ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. I, გვ. 247.

²⁶⁴ იქვე, გვ. 21, 22.

მყიდველსა და გამყიდველს შორის, თანაბრად დამოუკიდებელ ორ საქონელმფლობელს შორის: საქონელ-კაპიტალის მფლობელსა და საქონელ-შრომის მფლობელს შორის. მაგრამ კოლონიებში ეს მშვენიერი ილუზია ქრება. აბსოლუტური მოსახლეობა აქ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მეტროპოლიაში, რადგან მრავალი მუშა აქ უკვე მომწიფებული გამოდის ქვეყნად, და მაინც შრომის ბაზარი პულამ გაუვსებელი რჩება. შრომის მოთხოვნისა და მიწოდების კანონი ძალას ჰკარგავს. ერთი მხრივ, ძველი ქვეყანა განუწყვეტლივ ისვრის იქ ექსპლოატაციით გატაცებულ, თვითუარყოფით შეპყრობილ კაპიტალს; მეორე მხრივ, რეგულარული კვლავწარმოქმნა დაქირავებული მუშებისა როგორც დაქირავებული მუშებისა, ფრიად არასასიამოვნო და ნაწილობრივ დაუძლეველ დაბრკოლებებს აწყდება. და ვისა სცალია იფიქროს კაპიტალის დაგროვების შესაბამისად მოჭარბებული დაქირავებული მუშების წარმოქმნაზე! დღევანდელი დაქირავებული მუშა ხვალ ხდება დამოუკიდებელი გლეხი, რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა, ანდა იგი ხდება ხელოსანი. იგი ქრება შრომის ბაზრიდან, მაგრამ არა იმიტომ, რომ კვლავ მოგვევლინოს სამუშაო სახლში. ეს მუდმივი გადაქცევა დაქირავებული მუშებისა დამოუკიდებელ მწარმოებლებად, რომელნიც ნაცვლად იმისა, რომ კაპიტალისთვის იმუშაონ, თავისთვის მუშაობენ და ბატონ კაპიტალისტის ნაცვლად თავის თავს ამდიდრებენ, თავის მხრივ, უაღრესად მავნე ზემოქმედებას ახდენს შრომის ბაზრის მდგომარეობაზე. საქმე მარტო ის კი არაა, რომ დაქირავებული მუშის ექსპლოატაცია უმართებულოდ დაბალ დონეზე რჩება. დაქირავებული მუშა, გარდა ამისა, თვითუარყოფით შეპყრობილ კაპიტალისტზე თავის დამოკიდებულ მდგომარეობასთან ერთად ჰკარგავს იმის გრძნობასაც, რომ იგი ამ კაპიტალისტზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარეობს მთელი ის სავალალო მდგომარეობა, რასაც ასე რიხიანად, ასე მჭევრმეტყველურად და ასე გრძნობიერად აგვიწერს ჩვენი ე. გ. უეკფილდი.

დაქირავებული შრომის მიწოდება, — ჩივის იგი, — არ არის არც მუდმივი, არც რეგულარული და არც საკმაო. ის «მუდამ არა მარტო ფრიად მცირეა, არამედ უზრუნველყოფილიც არ არის»²⁶⁵. «თუმცა მუშასა და კაპიტალისტს შორის გასანაწილებელი პროდუქტი დიდია, მაგრამ მუშა ისეთ დიდ ნაწილს იღებს, რომ იგი მალე კაპიტალისტი ხდება... პირიქით, დიდი რაოდენობით სიმდიდრის დაგროვება მხოლოდ მცირეოდენთ შეუძლიათ, თუნდაც რომ არაჩვეულებრივად დიდხანს

²⁶⁵ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. II, გვ. 116.

ცოცხლობდნენ ისინი»²⁶⁶. მუშები არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ ნებას კაპიტალისტს უარყოს მათი შრომის უდიდესი ნაწილის გადახდა. მას არ უშველის ისიც, თუ იგი იმდენად მოხერხებული იქნება, რომ თავისი კაპიტალის იმპორტთან ერთად საკუთარ დაქირავებულ მუშებსაც ევროპიდან მოიყვანს. «ისინი მალე ანებებენ თავს დაქირავებულ შრომას, იქცევიან დამოუკიდებელ გლეხებად და კონკურენტებადაც კი გამოდიან მათი უწინდელი დამქირავებლების წინააღმდეგ თვით დაქირავებული შრომის ბაზარზე»²⁶⁷. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა! რიხიანმა კაპიტალისტმა თავისი საკუთარი ოფლით ნაშოვარი ფულით საკუთარი ხორცშესხმული კონკურენტები შემოიზიდა ევროპიდან! ამით ხომ ყველაფერს ბოლო ეღება! გასაკვირველი არ არის, თუ უეჭოდელი უჩივის იმას, რომ კოლონიების დაქირავებულ მუშებში ნაკლებადაა დამოკიდებულებითი ურთიერთობა და დამოკიდებულების გრძობა. «მაღალი ხელფასის გამო, — ამბობს მისი მოწაფე მერივეილი, — კოლონიებში არსებობს მძლავრი წყურვილი უფრო იაფფასიანი და უფრო მორჩილი შრომისა, საჭიროება ისეთი კლასისა, რომელსაც კაპიტალისტი უკარნახებს თავის პირობებს, ნაცვლად იმისა, რომ ეს პირობები მას მუშებმა უკარნახონ... ძველ ცივილიზებულ ქვეყნებში მუშა თუმცა თავისუფალია, მაგრამ ბუნების კანონის ძალით დამოკიდებულია კაპიტალისტზე; კოლონიებში ეს დამოკიდებულება ხელოვნური საშუალებებით უნდა შეიქმნას»²⁶⁸.

²⁶⁶ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. I, გვ. 131.

²⁶⁷ იქვე, ტ. II, გვ. 5.

²⁶⁸ Merivale: «Lectures on Colonization and Colonies». London 1841 და 1842, ტ. II, გვ. 235 — 314, სხვადასხვა ადგილას. მოლინარიც კი — ეს ლმობიერი ვულგარული ეკონომისტი-ფრიტრედერი — ამბობს: «კოლონიებში, სადაც მონობა გაუქმდა ისე, რომ იძულებითი შრომის ადგილი არ დაუკავებია თავისუფალი შრომის სათანადო რაოდენობას, ჩვენ დავინახეთ საპირისპირო მოვლენა იმისა, რაც ყოველდღიურად ჩვენ თვალწინ ხდება. ჩვენ დავინახეთ, რომ უბრალო მუშები, თავის მხრივ, ექსპლოატაციას უწევდნენ მრეწველ მეწარმეებს და მოითხოვდნენ მათგან ისეთ ხელფასს, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა იმ კანონიერ წილს [part légitime], რაც მათ პროდუქტიდან ერგებოდა. რადგან პლანტატორები მოკლებული იყვნენ საშუალებას მიეღოთ თავიანთ შაქარში ისეთი ფასი, რომელსაც შეეძლო დაეფარა ხელფასის გადადება, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ შეეცნოთ დანაკლისი ჯერ თავისი მოგებიდან და შემდეგ თვით თავისი კაპიტალიდან. მრავალი პლანტატორი ამგვარად განადგურდა, ზოგმა კი დახურა თავისი წარმოება, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი განადგურება ... ექვს გარეშეა, უმჯობესია დაილუოს დაგროვილი კაპიტალი, ვიდრე ადამიანთა მთელი თაობანი (რა დიდსულოვნებაა ბატონი მოლინარის მხრივ); მაგრამ განა უცეთესი არ იქნებოდა, რომ არც ერთი დაღუპულიყო და არც მეორე?» (Molinari: «Études Économiques». Paris 1846, გვ. 51, 52). ბატონო

მაშ რა შედეგი მოსდევს, უეკფილდის მიხედვით, ამ სავალალო მდგომარეობას კოლონიებში? მწარმოებელთა და ნაციონალური ქონების დაქუცმაცების ბარბაროსული სისტემა²⁶⁹. წარმოების საშუალებათა დაქუცმაცება მრავალრიცხოვან, დამოუკიდებელ მეურნე-მესაკუთრეთა შორის სპობს კაპიტალის ცენტრალიზაციასთან ერთად კომბინირებული შრომის ყველა საფუძველს. ყოველი ხანგრძლივი სამეწარმეო საქმე, რომელიც მთელი წლობით გრძელდება და დიდი ძირითადი კაპიტალის დახარჯვას მოითხოვს, თავის განხორციელებისას დაბრკოლებებს აწყდება. ევროპაში კაპიტალი არც ერთ წუთს არ ფერხდება, რადგან მუშათა კლასი იქ მის ცოცხალ დამატებას შეადგენს, მუდამ უხვად მოიპოვება, მუდამ მის განკარგულებაშია. მაგრამ კოლონიურ ქვეყნებში!.. უეკფილდი გვიამბობს ფრიად სამწუხარო ანეკდოტს. იგი ესაუბრა ზოგიერთ კაპიტალისტს კანადიდან და ნიუ-იორკის შტატიდან, სადაც, უნდა ითქვას, იმიგრაციის ტალღები ხშირად ფერხდება და «მოჭარბებული» მუშების ნალექს ტოვებს. «ჩვენი კაპიტალი, — მოთქვამს მელოდრამის ერთ-ერთი მოქმედი პირი, — ჩვენი კაპიტალი მზად იყო მრავალი ოპერაციისათვის, რომელთა სისრულეში მოყვანა ხანგრძლივ დროს მოითხოვს; მაგრამ, განა შეგვეძლო ასეთი ოპერაციები დაგვეწყო იმ მუშებთან, რომელნიც, — ეს ჩვენ ვიცოდით, — მალე ზურგს შემოგვაქცევდნენ? ჩვენ რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით იმაში, რომ ამ იმიგრანტთა შრომის შენარჩუნებას შევძლებდით, მყისვე სიამოვნებით დავიჭირავებდით მათ და თანაც მაღალ ფასებში. კიდევ მეტი: თუნდაც დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ მათ დავკარგავდით, მაინც დავიჭირავებდით მათ, თუკი იმედი გვექნებოდა ახალი იმიგრანტების მიღებისა ჩვენი საჭიროებისდა კვალად»²⁷⁰.

მოლინარო! ბატონო მოლინარო! რა მოელის მაშინ ათ მცნებას, მოსეს და წინასწარმეტყველებს, მოთხოვნისა და მიწოდების კანონს, თუ ევროპაში «entrepreneur» [მეწარმე] შეუმცირებს მუშას მის part légitime-ს [კანონიერ წილს], ხოლო ვესტ-ინდოეთში, პირიქით, მუშა შეუმცირებს ამ კანონიერ წილს მეწარმეს! და ან რა არის, გეთაყვა, ეს «part légitime», რომელსაც, თქვენივე აღიარებით, კაპიტალისტი არ იხდის ევროპაში ყოველდღიურად? ბატონ მოლინაროს ძლიერ ექავება ხელები: იქ, კოლონიებში, სადაც მუშები იმდენად «simples» [გაუთლელნი] არიან, რომ კაპიტალისტების «ქსპლოატაციას ეწვევიან», მას სურს პოლიციური ზომებით სწორად აამოქმედოს მოთხოვნისა და მიწოდების კანონი, რომელიც სხვა შემთხვევაში ავტომატურად მოქმედებს.

²⁶⁹ Wakefield: «England and America». London 1833, ტ. II, გვ. 52.

²⁷⁰ იქვე, გვ. 191, 192.

მას შემდეგ, რაც უეკფილდმა საუცხოოდ დაახასიათა ის კონტრასტა, რომელსაც წარმოადგენს ინგლისის კაპიტალისტური მიწათმოქმედება და მისი «კომბინირებული» შრომა ამერიკის გაფანტულ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით, იგი უნებლიედ მედალის უკანამხარესაც გვიჩვენებს. მისი აღწერით ამერიკელი ხალხის მასა შეძლებულია, დამოუკიდებელი, თაოსანი და შედარებით განათლებული, მაშინ როდესაც ინგლისელი მიწათმოქმედი მუშა საბრალო მაწანწალაა (a miserable wretch), პაუპერია... რომელ ქვეყანაშია ეს, გარდა ჩრდილოეთ-ამერიკისა და ზოგიერთი ახლად დაარსებული კოლონიისა, რომ მიწათმოქმედებაში გამოყენებული თავისუფალი შრომის საფასური ასე საგრძნობლად აღემატება მუშის ყველაზე აუცილებელ საარსებო საშუალებებს?... ეკვს ვარეშეა, რომ მუშა-ცხენები ინგლისში გაცილებით უკეთესად იკვებებიან, ვიდრე ინგლისელი მიწათმოქმედი, რადგან ცხენები მეტი ღირებულების მქონე საკუთრებას წარმოადგენენ»²⁷¹. მაგრამ never mind [სულ ერთია], ეროვნული სიმდიდრე ხომ თავისი ბუნებით იგივეა, რაც ხალხის სიღატაკე.

მაშ, როგორ უნდა განიკურნონ კოლონიები ანტიკაპიტალისტური წყლულისაგან? მთელი მიწა რომ ერთი დაკვრით სახალხო საკუთრებიდან კერძო საკუთრებად გადავაქციოთ, ამით თუმცა ბოროტების ფესვები მოისპობა, მაგრამ მასთან ერთად მოისპობა კოლონიებიც. დახელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოჰკლა. საჭიროა ამ ყამირ მიწებზე მთავრობამ დააწესოს მოთხოვნისა და მიწოდების კანონისაგან დამოუკიდებელი, ხელოვნური ფასი, რომელიც იმიგრანტს აიძულებს უფრო ხანგრძლივად იმუშაოს დაქირავებულ მუშად, ვიდრე საკმაო ფულს იშოვის, რათა მიწის ნაკვეთი იყიდოს²⁷² და დამოუკიდებელ გლეხად იქცეს. ფონდი, რომელიც

²⁷¹ E. G. Wakefield: «England and America». London 1833, ტ. I, გვ. 47, 246.

²⁷² «თქვენ ამბობთ, რომ მიწის და კაპიტალის მითვისების მეოხებითაა, რომ ადამიანი, რომელსაც გარდა თავისი ხელებისა არაფერი გააჩნია, სამუშაოს შოულობს და თავისთვის შემოსავალს ქმნის... პირიქით, სწორედ მიწის ინდივიდუალური მითვისების გამო ხდება, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც თავიანთი ხელების გარდა არაფერი გააჩნიათ... თუ ადამიანს თქვენ უჭაერო სივრცეში მოათავსებთ, ამით თქვენ წაართმევთ მას სუნთქვისათვის აუცილებელ ჰაერს. ასევე იქცეით თქვენ, როდესაც მიწას ეპატრონებით... ეს იგივეა, რომ იგი ყოველგვარი სიმდიდრისაგან დაცარიელებულ ადგილას მოათავსოთ, რათა მან ვერ შეძლოს სხვაგვარად არსებობა, თუ არა თქვენი ნება-სურვილის მიხედვით» (C o l i n s: «L' Economie Politique, Source des Révolutions et des Utopies prétendues socialistes». Paris 1857, ტ. III, გვ. 267 — 271, სხვადასხვა ადგილას).

იმით იქმნება, რომ მიწები დაქირავებული მუშისათვის მიუწვდომელ ფასში იყიდება, ე. ი. ფულადი ფონდი, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების საღმრთო კანონის დარღვევის გზით ხელფასიდან გამოიწურება, — ეს ფონდი მთავრობამ, თავის მხრივ, იმას უნდა მოახმაროს, რომ ფონდის ზრდის შესაბამისად ეკროპიდან კოლონიებში შეზიდოს ღარიბ-ღატაკნი და ამ გზით ბატონ კაპიტალისტს მისი ბაზარი დაქირავებული შრომისა სავსე მდგომარეობაში შეუნარჩუნოს. ასეთ პირობებში «tout sera pour le mieux dans le meilleur des mondes possibles» [ყველაფერი საუკეთესოდ მოეწყობა ყველა ქვეყანათა შორის ამ საუკეთესო ქვეყანაშია]. ასეთია «სისტემატური კოლონიზაციის» დიადი საიდუმლოება. «ამ გეგმის თანახმად, — ზემოთ გაიძახის უეკთილდი, — შრომის მიწოდება მუდმივი და რეგულარული უნდა იყოს; ეს იმიტომ, რომ, ჯერ-ერთი, იმიგრირებული მუშები ყველანი, — რადგან არც ერთ მათგანს არ შეუძლია შეიძინოს მიწა, ვიდრე ერთხანს ფულზე არ იმუშავენ, — ერთად იმუშავენდნენ ქირით და თავიანთ დამქირავებელს შეუქმნიდნენ კაპიტალს უფრო მეტი შრომის გამოსაყენებლად; მეორე, — ყველა, ვინც დაქირავებულ შრომას თავს დაანებებდა და მიწის მესაკუთრე გახდებოდა, სწორედ მიწის ყიდვით უზრუნველყოფდა გარკვეულ ფონდს ახალი შრომის მისაწოდებლად კოლონიებში»²⁷³. სახელმწიფოს მიერ დაწესებული მიწის ფასი, რასაკვირველია, «საკმაო» (sufficient price) უნდა იყოს, ე. ი. იმდენად მაღალი, «რომ ხელი შეუშალოს მუშებს გადაიქცნენ დამოუკიდებელ გლეხებად, სანამ არ გაჩნდებიან სხვები, რომელნიც მზად არიან დაიჭირონ მათი ადგილი დაქირავებული შრომის ბაზარზე»²⁷⁴. ეს «საკმაო მიწის ფასი» სხვა არაფერია, თუ არა შერბილებული გამოხატულება გამოსასყიდი ფულისა, რასაც მუშა იხდის კაპიტალისტის სასარგებლოდ იმ ნებართვისათვის, რომ დაქირავებული შრომის ბაზრიდან ისევ მიწას დაუბრუნდეს. მუშამ ჯერ ბატონ კაპიტალისტს უნდა შეუქმნას «კაპიტალი» მუშების უფრო მეტი რაოდენობის ექსპლოატაციისათვის და შემდეგ დააყენოს შრომის ბაზარზე თავისი «მოადგილე», რომელსაც მთავრობა მუშის ხარჯზე მის ყოფილ მეპატრონე-კაპიტალისტს ზღვის გაღმა მხრიდან მიაწვდის.

ფრიად დამახასიათებელია, რომ ინგლისის მთავრობა რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდა «თავდაპირველი დაგროვების» ამ მეთოდს, რეკომენდებულს ბ-ნ უეკთილდის მიერ სპეციალურად

²⁷³ Wakefield: «England and America». London 1833, ტ. II, გვ. 192.

²⁷⁴ იქვე, გვ. 45.

კოლონიებში გამოსაყენებლად. რასაკვირველია, ამას ისეთივე სამარცხვინო დამარცხება მოჰყვა შედეგად, როგორც პილის საბანკო აქტს. შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ ემიგრაციის ნაკადმა გადაიხარა ინგლისის კოლონიებიდან შეერთებული შტატებისაკენ. ამავე დროს კაპიტალისტური წარმოების პროგრესმა ევროპაში, რასაც თან ახლდა მთავრობის მხრივ გაძლიერებული ჩაგვრა, უეჭოდის რეცეპტი ზედმეტი გახადა. ერთი მხრივ, ადამიანთა კოლოსალური და შეუჩერებელი დინება, რაც წლითი-წლობით ამერიკისაკენ მიიმართება, უძრავ ნალექს ტოვებს შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში, რადგან ამ უკანასკნელის შრომის ბაზარზე ემიგრაციის ტალღა ევროპიდან უფრო სწრაფად ისვრის ადამიანებს, ვიდრე მეორე ტალღა ემიგრაციისა მოასწრებდეს მათ წალეკვას დასავლეთისაკენ. მეორე მხრივ, ამერიკის სამოქალაქო ომს შედეგად მოჰყვა კოლოსალური ნაციონალური ვალი და ამასთან ერთად გადასახადების სიმძიმე, უაღრესად უხამსი ფინანსური არისტოკრატის წარმოქმნა, საზოგადოებრივი მიწების უდიდესი ნაწილის დარიგება სპეკულაციურ საზოგადოებათათვის, რკინიგზების, მალარობისა და სხვათა ექსპლოატაციის მიზნით შექმნილ საზოგადოებათათვის, — ერთი სიტყვით, შედეგად მოჰყვა კაპიტალის უაღრესად სწრაფი ცენტრალიზაცია. ამრიგად, დიდი რესპუბლიკა უკვე აღარ წარმოადგენს აღთქმის ქვეყანას ემიგრირებული მუშებისათვის. კაპიტალისტური წარმოება იქ ბუმბერაზული ნაბიჯებით მიდის წინ, თუმცა ხელფასის დაწვევა და დაქირავებული მუშის დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ დასულა ევროპულ ნორმალურ დონემდე. თვით უეჭოდის მიერ ასე ხმამაღლა დაგმობილი უსირცხვილო განიავება დაუმუშავებელი კოლონიური მიწებისა, რომელთაც ინგლისის მთავრობა ურიგებს არისტოკრატებს და კაპიტალისტებს, ადამიანთა ტალღასთან ერთად, რომლებსაც ოქროს მადნები იზიდავენ, და იმ კონკურენციასთან ერთად, რომელსაც ინგლისური საქონლის იმპორტი უწევს ყველაზე წვრილ ხელოსანსაც კი, — ყოველივე ამან წარმოშვა, განსაკუთრებით ავსტრალიაში²⁷⁵.

²⁷⁵ როგორც კი ავსტრალია საყოთარი თავის კანონმდებელი გახდა, მან, რასაკვირველია, ახალმოსახლეთათვის ხელსაყრელი კანონები გამოსცა, მაგრამ ინგლისელების მიერ ერთხელე განხორციელებული მიწების განიავება დაბრკოლებად გადაედობა. «პირველი და მთავარი მიზანი, რომელსაც 1862 წლის ახალი მიწის კანონი ეწერა დევისის, იმაში მდგომარეობს, რომ ხალხს დასახლების შესაძლებლობა გაუადვილოს» («The Land Law of Victoria» by the Hon. G. Duffy, Minister of Public Lands. London 1862 [გვ. 3]).

საკმაო «შეთარდებითი კარბი მუშა-მოსახლეობა», ისე რომ თითქმის ყოველ საფოსტო გემს მოაქვს სამწუხარო ამბავი ავსტრალიის შრომის ბაზრის ზედმეტად გავსების შესახებ — «glut of the Australian labour-market», — და პროსტიტუცია იქ ალაგ-ალაგ ისევე უხკად ჰყვავის, როგორც ლონდონის ჰეიმარკტში.

მაგრამ ჩვენ აქ კოლონიების მდგომარეობა როდი გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს აქ მხოლოდ ის საიდუმლოება, რომელიც ძველი ქვეყნის პოლიტიკურმა ეკონომიამ ახალ ქვეყანაში აღმოაჩინა და ხმამაღლა გამოაცხადა: კაპიტალისტური წარმოებისა და დაგროვების წესი და, მაშასადამე, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც გულისხმობს საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრების მოსპობას, ე. ი. მუშის ექსპროპრიაციას.

«კაპიტალის» I ტომში დასახელებულ
მნიშვნელოვან სახელოთა
საძიებელი

ა

- ათენეოს (Athenaeus) ნავკრატისელი (დაახლ. III საუკ. დასაწყისი წ. წ. აღ.) — 131, 171.
ანა (1665 — 1714) — ინგლისის დედოფალი 1702-დან 1714 წლამდე — 209, 924.
ანახარსისი (Anacharsis) (VI საუკ. ძვ. წ. აღ.) — 131.
ანდერსონი, ადამ (Anderson, Adam) (1692 — 1765) — 934, 952.
ანდერსონი, ჯემს (Anderson, James) (1739 — 1808) — 639, 706, 779, 912, 915, 934.
ანტიპატროსი (Antipatros) ფესალონიკელი (დაახლ. II საუკ. ძვ. წ. აღ.) — 517.
აპიანე ალექსანდრიელი (Appian) (II საუკ. ძვ. წ. აღ.) — 913.
არიოსტო, ლოდოვიკო (Ariosto, Lodovico) (1474 — 1533) — 44.
არისტოტელე (Aristoteles) (384 — 322 ძვ. წ. აღ.) — 80, 81, 108, 113, 195, 196, 211, 415, 517.
არკრაიტი, რიჩარდ (Arkwright, Richard) (1732 — 1792) — 468, 478, 484, 537, 543, 617.

61 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I.

არქილოქე (Archilochus) (დაიბადა VII საუკ. პირველ ნახევარში ძვ. წ. აღ.) — 465.

არქიმედი (Archimedes) სირაკუზელი (287 — 212 ძვ. წ. აღ.) — 386.

ბ

ბაზედოვი, იოჰან ბერნჰარდ (Basedow, Johann Bernhard) (1723 — 1790) — 618.

ბალზაკი, ონორე დე (Balzac, Honoré de) (1799 — 1850) — 742.

ბარბონი, ნიკოლა (Barbon, Nicholas) (1640 — 1698) — 49, 50 — 53, 159, 166, 167, 185, 186, 778.

ბარტონი, ჯონ (Barton, John) (XVIII საუკ. დასასრული — XIX საუკ. დასაწყისი) — 795, 796, 848.

ბასტია, ფრედერიკ (Bastiat, Frédéric) (1801 — 1850) — 15, 82, 108, 246, 518, 710.

ბებელი, ავგუსტ (Bebel, August) (1840 — 1913) — 42.

ბებეჯი, ჩარლზ (Babbage, Charles) (1792 — 1871) — 440, 444, 476, 496, 513.

- ბეილი, სემუელ (Bailey, Samuel) (1791 — 1870) — 68, 76, 85, 110, 769.
- ბეინსი, ჯონ (Baynes, John) — 492, 495.
- ბეკარია, ჩეზარე (Beccaria, Cesare) (1738 — 1794) — 464.
- ბეკონი, ფრენსის (Bacon, Francis) (1561 — 1626) — 494, 495, 903, 904.
- ბელერსი, ჯონ (Bellers, John) (1654 — 1725) — 169, 178, 187, 414, 442, 541, 606, 617, 775.
- ბელი, ჩარლზ (Bell, Charles) (1774 — 1842) — 354.
- ბენტამი, იერემია (Bentham, Jeremy) (1748 — 1832) — 225, 768, 769, 771.
- ბერკი, ედმუნდ (Burke, Edmund) (1729 — 1797) — 263, 297, 410, 909, 953.
- ბერკლი, ჯორჯ (Berkeley, George) (1685 — 1753) — 426, 450.
- ბეტლერი, სემუელ (Butler, Samuel) (1612 — 1680) — 51.
- ბიდო, ჟ. ნ. (Bidaut, J. N.) (XIX საუკ. პირველი ნახევარი) — 407.
- ბიხე, ფრანც (Biese, Franz) (1803 — 1895) — 517.
- ბიუკენენი, დავიდ (Buchanan, David) (1779 — 1848) — 163, 704, 916.
- ბიუშე, ფილიპ ჟოზეფ ბენჯამენ (Buche, Philippe Joseph Benjamin) (1796 — 1866) — 931.
- ბიჩერ-სტოუ, ჰარიეტ ელიზაბეტ (Beecher-Stowe, Harriet Elisabeth) (1811 — 1896) — 917.
- ბლანკი, ჟერომ ადოლფ (Blanqui, Jérôme Adolphe) (1798 — 1854) — 351, 428.
- ბლეკი, რობერტ (Blakey, Robert) (1795 — 1878) — 907.
- ბლოკი, მორის (Block, Maurice) (1816 — 1901) — 19.
- ბოლინბროკი, ჰენრი სენტ-ჯონ (Bolingbroke, Henry Saint-John) (1678 — 1751) — 947.
- ბოლტონი, მეტიუ (Boulton, Matthew) (1728 — 1809) — 478, 492.
- ბონაპარტე, ლუი (Bonaparte, Louis) (1808 — 1873) — 351, 872.
- ბოქსჰორნი, მარკუს სუერიუს (Boxhorn, Marcus Suerius) (1602 — 1653) — 542.
- ბრაიტი, ჯონ (Bright, John) (1811 — 1889) — 15, 323, 359, 703, 818, 853, 939.
- ბრეი, ჯონ ფრენსის (Bray, John Francis) (1809 — 1895) — 92.
- ბრენტანო, ლუიო (Brentano, Luigi) (1844 — 1931) — 43, 44 — 46.
- ბრინდლი, ჯემს (Brindley, James) (1716 — 1772) — 443.
- ბრიუკნერი, ჯონ (Bruckner, John) (1726 — 1804) — 778.
- ბროდი, ბენჯამინ კოლინს (Brodie, Benjamin Collins) (1783 — 1862) — 354.
- ბროდჰარსტი, ჯ. (Broadhurst, J.) — 75.
- ბროუმი, ჰენრი (Brougham, Henry) (1778 — 1868) — 953.
- ბრუნერი (Brunner) — 610.
- ბუაგილბერტი, პიერ (Boisguillebert, Pierre) (1646 — 1714) — 168, 180, 181.
- ბუალო, ეტიენ (Boileau, Etienne) (1200 — 1270) — 614.
- ბუალო, ნიკოლა (Boileau, Nicolas) (1636 — 1711) — 821.

ბ

- გალიანი, ფერნანდო (Galiani, Fernando) (1728 — 1787) — 98, 117, 119, 130, 197, 203, 399, 810.
- განილი, შარლ (Ganilh, Charles) (1758 — 1836) — 82, 107, 121, 222, 230, 566.
- გასკელი, პ. (Gaskell, P.) — 551, 562.
- გეორგ II (1683 — 1760) — ინგლისის მეფე 1727-დან 1760 წლამდე — 55, 126, 927, 928.

- ვეორგ III (1738 — 1820) — ინგლისის მეფე 1760-დან 1820 წლამდე — 928.
- ვისბორნი, თომას (Gisborne, Thomas) (1758 — 1846) — 951.
- ვიულიხი, გუსტავ ფონ (Güllich, Gustav von) (1791 — 1847) — 12, 945.
- ვლადსტონი, ვილიამ (Gladstone, William) (1809 — 1898) — 41, 42, 43, 44, 45, 571, 820 — 822, 929.
- ვოდუნოვი, ბორის თედორესძე (1551 — 1605) — რუსეთის მეფე 1598 წლიდან — 908.
- ვოთე, იოჰან ვოლფგანგ (Goethe, Johann Wolfgang) (1749 — 1832) — 92, 114, 249, 748, 892.
- ვოტშედი, იოჰან კრისტოფ (Gottsched, Johann Christoph) (1700 — 1766) — 276.
- გრეგი, რობერტ ჰაიდ (Greg, Robert Hyde) (1795 — 1875) — 369.
- გრეგუარ, ჰ. (Grégoir, H.) — 700.
- გრეი, ჯონ (Gray, John) (1799 — 1850) — 92.
- გრეი, ჯორჯ (Grey, George) (1799 — 1882) — 365, 836.
- გროვი, ვილიამ რობერტ (Grove, William Robert) (1811 — 1896) — 663.

დ

- დაბლდეი, თომას (Doubleday, Thomas) (1790 — 1870) — 949.
- დანტე, ალიგიერი (Dante, Alighieri) (1265 — 1321) — 10, 135, 312.
- დარვინი, ჩარლზ (Darwin, Charles) (1809 — 1882) — 434, 471.
- დაუმერი, გეორგ ფრიდრიხ (Daumer, Georg Friedrich) (1800 — 1875) — 364.
- დეკარტი, რენე (Descartes, René) (1596 — 1650) — 494, 495.
- დენინგი, ტ. ჯ. (Dunning, T. J.) (1799 — 1873) — 694, 698, 954.
- დესტიუტ-დე-ტრასი, ანტუან ლუი კლოდ, გრაფი (Destutt de

- Tracy, Antoine Louis Claude, Comte) (1754 — 1836) — 106, 201, 209, 414, 416, 816.
- დეფერინი, ბლექკუდი ფრედერიკ ტემპლ, ლორდი (Dufferin, Blackwood Frederick Temple, Lord) (1826 — 1902) — 892, 893.
- დეფი, ჩარლზ გევენ (Duffy, Charles Gavan) (1816 — 1903) — 969.
- დეფო, დანიელ (Defoe, Daniel) (1660 — 1731) — 777.
- დიდრო, დენი (Diderot, Denis) (1713 — 1784) — 172.
- დიოდორე სიცილიელი (Diodorus Siculus — Diodor von Sicilien) (I საუკ. მეორე ნახევარი ძვ. წ. აღ.) — 183, 299, 432, 467, 646.
- დიუქპესიო, ედუარდ (Ducrest, Edouard) (1804 — 1868) — 844, 846.
- დიუპონი, პიერ (Dupont, Pierre) (1821 — 1870) — 872.
- დიეტენი, იოსებ (Dietzgen, Joseph) (1828 — 1888) — 16.
- დრაიდენი, ჯონ (Dryden, John) (1631 — 1700) — 306.

ე

- ედინგტონი, სტივენ (Addington, Stephen) (1729 — 1796) — 911, 912.
- ედუარდ III (1312 — 1377) — ინგლისის მეფე 1327 წლიდან — 126, 344, 926.
- ედუარდ VI (1537 — 1553) — ინგლისის მეფე 1547 წლიდან — 922, 923.
- ეველინგი, ედუარდ (Aveling, Edward) (1851 — 1898) — 33, 34.
- ევერეტი (Everet) — 543.
- ეიკინი, ჯონ (Aikin, John) (1747 — 1822) — 749, 750, 941, 951, 952.
- ეკატერინე II (1729 — 1796) — რუსეთის იმპერატორი 1762 წლიდან — 859.
- ელისაბედი (1533 — 1603) — ინგლისის დედოფალი 1558 წლიდან — 345, 906, 923, 924, 927, 928.

- ენგელსი, ფრიდრიხ (Engels, Friedrich) (1820 — 1895) — 32, 38, 46, 57, 65, 100, 184, 186, 195, 210, 275, 300, 303, 304, 309, 322, 340, 369, 382, 392, 428, 447, 503, 506, 535, 538, 545, 563, 572, 615, 636, 653, 654, 670, 764, 791, 793, 799, 820, 823, 909, 957.
- ენსორი, ჯორჯ (Ensor, George) (1769 — 1843) — 917.
- ეპიკურე (Epikur) (341 — 271 ძვ. წ. აღ.) — 105.
- ეშვეგე, ვილჰელმ ლუდვიგ (Eschwege, Wilhelm Ludwig) (1777 — 1855) — 56.
- ეშლი, ანტონი კუპერ, გრაფი შეფტსბერი (Ashley, Antony Cooper Earl of Shaftesbury) (1801 — 1885) — 523, 524, 850.

3

- ვალენტინი, გაბრიელ გუსტავ (Valentin, Gabriel Gustav) (1810 — 1883) — 610.
- ვალუა, ფილიპ VI (1293 — 1350) — საფრანგეთის მეფე 1328 წლიდან — 120.
- ვანდერლინტი, ჯეკობ (Vanderlint, Jacob) (გარდაიც. 1740 წ.) — 159, 168, 169, 186, 347, 350, 397, 421, 442, 778.
- ველინგტონი, არტურ უელესლი (Wellington, Arthur Wellesley) (1769 — 1852) — 160.
- ვერი, პიეტრო (Verri, Pietro) (1728 — 1797) — 59, 60, 118, 172, 419.
- ვიკო, ჯიოვანი ბატისტა (Vico, Giovanni Battista) (1668 — 1744) — 472.
- ვილიამი IV (1765 — 1837) — ინგლისის მეფე 1830 წლიდან — 366.
- ვილკსი, მარკ (Wilks, Mark) (1760 — 1831) — 455.

- ვილსონი, ჯემს (Wilson, James) (1805 — 1860) — 290, 432.
- ვილჰელმ III ორანელი (1650 — 1702) — ინგლისის მეფე 1689 წლიდან — 908.
- ვირტი, მაქს (Wirth, Max) (1822 — 1900) — 102, 290.
- ვისერინგი, ს. (Vissering, S.) (1818 — 1888) — 635.
- ვიტი, იან დე (Witt, Jan de) (1625 — 1672) — 778, 948.
- ვობანი, სებასტიან ლეპრესტრ დე (Vauban, Sébastien le Prestre de) (1633 — 1707) — 180.
- ვოკანსონი, ჟაკ დე (Vaucanson, Jacques de) (1709 — 1782) — 484.
- ვოლფი, ვილჰელმ (Wolff, Wilhelm) (1809 — 1864) — 1.
- ვოლფი, ქრისტოფიან (Wolff, Christian) (1679 — 1754) — 769.

ზ

- ზეტბერი, გეორგ ადოლფ (Soetbeer, Georg Adolph) (1814 — 1892) — 31.
- ზიბერი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1844 — 1888) — 19.
- ზორგე, ფრიდრიხ ალბერტ (Sorge, Friedrich Albert) (1828 — 1906) — 34.

თ

- თიუნენი, იოჰან ჰენრიხ ფონ (Thünen, Johann Heinrich von) (1783 — 1850) — 783.
- თუკიდიდე (Thukydides) (460 — 400 ძვ. წ. აღ.) — 465, 466.

ი

- იაკობ I (1566 — 1625) — ინგლისის მეფე 1603 წლიდან — 905, 906, 924, 927.
- იარენტონი, ენდრიუ (Yarrenton, Andrew), (1616 — 1684) — 442.

- იდენი, ფრედერიკ მორტონი (Eden, Frederic Morton) (1766 — 1809) — 308, 758, 776 — 778, 848, 849, 907, 910, 913, 914, 949, 950, 953.
- იერონიმე წმინდანი, ევზები სოფრონი I (Hieronimus, Eusebius Sophronius I) (დაახლ. 340 — 420 ძვ. წ. აღ.) — 134.
- იზოკრატე (Isokrates) (436 — 338 ძვ. წ. აღ.) — 467.
- იუმი, დავიდ (Hume, David) (1711 — 1776) — 159, 649, 699, 778, 779.
- იუნგი, არტურ (Young, Arthur) (1741 — 1820) — 159, 291, 347, 847, 856.
- იური, ენდრიუ (Ure, Andrew) (1778 — 1857) — 40, 288, 334, 346, 379, 407, 443, 444, 445, 468, 482, 490, 512, 530, 532, 533, 537, 548, 553, 554, 696, 702, 707.

კ

- კანტილიონი, ფილიპ რიჩარდ (Cantillon, Philipp Richard) (1680 — 1734) — 699, 778.
- კარლეილი, თომას (Carlyle, Thomas) (1795 — 1881) — 323.
- კარლი, ჯიან რინალდო (Carli, Gian Rinaldo) (1720 — 1795) — 419.
- კარლოს (დიდი) (742 — 814) — მეფე 768 წლიდან, იმპერატორი 800 წლიდან — 913.
- კარლოს I (1600 — 1649) — ინგლისის მეფე 1625 წლიდან — 905, 906.
- კარლოს II (1630 — 1685) — ინგლისის მეფე 1660 წლიდან — 161.
- კარლოს V ჰაბსბურგი (1500 — 1558) — ესპანეთის მეფე და გერმანიის იმპერატორი 1519 წლიდან — 924.
- კარლოს VI (1685 — 1740) — გერმანიის იმპერატორი 1711 წლიდან — 542.
- კარლოს X გუსტავი (1622 — 1660) — შვეციის მეფე 1654 წლიდან — 909.

- კარლოს XI (1655 — 1697) — შვეციის მეფე 1660 წლიდან — 909.
- კელპეპერი, თომას (Culpeper, Thomas) (1578 — 1662) — 953.
- კემბელი, ჯორჯ (Campbell, George) (1824 — 1892) — 455.
- კენე, ფრანსუა (Quesnay, François) (1694 — 1774) — 14, 141, 406, 407, 699.
- კენეტი, უაიტ (Kennet, White) (1660 — 1728) — 904.
- კენტი, ნათანიელ (Kent, Nathaniel) (1737 — 1810) — 912.
- კერი, ჰენრი ჩარლზ (Carey, Henry Charles) (1793 — 1879) — 277, 672, 709, 917, 939.
- კერნსი, ჯონ ელიოტ (Cairnes, John Elliot) (1823 — 1875) — 251, 338, 422.
- კესტლირი, რობერტ სტიუარტი (Castlereagh, Robert Stewart) (1769 — 1822) — 543.
- კეტლე, ლამბერ ადოლფ ჟაკ (Quételet, Lambert Adolphe Jacques) (1796 — 1874) — 410.
- კეინსი, თომას დე (Quincey, Thomas de) (1785 — 1859) — 501.
- კისელიოვი, პავლე დიმიტრისძე გრაფი (1788 — 1872) — 301.
- კიუვიე, ჟორჟ (Cuvier, Georges) (1769 — 1832) — 648.
- კლაუზენი, ჰენრიხ, იგივე კარლ ჰოინი (Clauren, Heinrich, alias Karl Heun) (1771 — 1854) — 283.
- კო, სოლომონ დე (Caus, Salomon de) (1576 — 1626) — 477.
- კობდენი, რიჩარდ (Cobden, Richard) (1804 — 1865) — 15, 323, 359, 853.
- კობეტი, უილიამ (Cobbett, William) (1762 — 1835) — 366, 906, 946, 949.
- კოლბერი, ჟან ბატისტ (Colbert, Jean Baptiste) (1619 — 1683) — 392, 949.

კოლენი, ჟან გიიომ სეზარ ალექსანდრ იპოლიტ (Colins, Jean Guillaume César Alexandre Hippolyte) (1783 — 1859) — 774, 872, 967.

კოლუმბი, ქრისტოფოროსი (Columbus, Christophorus) (დაახლ. 1446 — 1506) — 169.

კონდილიაკი, ეტიენ ბონო დე (Condillac, Etienne Bonnot de) (1750 — 1780) — 203, 204.

კონდორსე, მარი ჟან, მარკიზ დე (Condorcet, Marie Jean, marquis de) (1743 — 1794) — 777.

კონტი, აგუსტე (Comte, Auguste) (1798 — 1857) — 423.

კონტი, ფრანსუა შარლ ლუი (Comte, François Charles Louis) (1782 — 1837) — 942.

კოპი, ჰერმან (Kopp, Herman) (1817 — 1892) — 392.

კორბეტი, თომას (Corbet, Thomas) — 193, 743.

კორბონი, კლოდ ანტიმ (Corbon, Claude Anthime) (1808 — 1891) — 616.

კრომველი, ოლივერ (Cromwell, Oliver) (1599 — 1658) — 905, 907, 939.

კუგელმანი, ლუდვიგ (Kugelman, Ludwig) (1830 — 1902) — 11.

კუსა, ალექსანდრ იოჰან I (Kusa, Alexander Johann I) (1820 — 1873) — 215.

კურსელ-სენეილი, ჟან გუსტავ (Courcelle-Seneuil, Jean Gustave) (1813 — 1892) — 295, 754.

ლ

ლაბორდი, ალექსანდრ, მარკიზ დე (Laborde, Alexandre, marquis de) (1774 — 1842) — 671, 672.

ლავერნი, ლუი გაბრიელ ლეონს დე (Lavergne, Louis Gabriel

Léonce de) (1809 — 1880) — 636, 670, 895.

ლანჩელოტი (Lancelotti) (1575 — 1643) — 542.

ლასალი, ფერდინანდ (Lassale, Ferdinand) (1825 — 1864) — 4, 137.

ლასკერი, ედუარდ (Lasker, Edouard) (1829 — 1884) — 42.

ლაშატრი, მორის (Lachâtre, Maurice) (1814 — 1900) — 25, 27, 34.

ლეტრონ, გიიომ ფრანსუა (LeTrosne, Guillaume François) (1728 — 1780) — 51, 55, 119, 132, 145, 150, 154, 186, 202, 203, 204, 206, 209, 267.

ლევი, ლეონ (Levi, Leone) (1821 — 1888) — 920.

ლემონტეი, პიერ ედუარდ (Lemontey, Pierre Edouard) (1762 — 1826) — 461.

ლენგე, სიმონ ნიკოლა ანრი (Linguet, Simon Nicolas Henri) (1736 — 1794) — 295, 364, 425, 777, 926.

ლენგე, სემუელ (Laing, Samuel) (1780 — 1868) — 253, 811, 828, 849.

ლესინგი, გოტჰოლდ ეფრაიმ (Lessing, Gotthold Ephraim) (1729 — 1781) — 22.

ლიბიხი, იუსტუს ფონ (Liebig, Justus von) (1803 — 1873) — 303, 417, 490, 638, 639, 722.

ლიქურგი (Lykurg) (დაახლ. IX საუკუნე წ. აღ.) — 537.

ლიცინიუსი, გაი ლიცინიუს სტოლონი (Licinius, Gajus Licinius Stolo) (IV საუკუნე წ. აღ.) — 913.

ლიხნოვსკი, ფელიქს, თავადი (1814 — 1848) — 746.

ლოდერდელი, ჯემს, გრაფი (Lauderdale, James, Earl of) (1759 — 1839) — 443.

ლოიდი — იხ. ოვერსტონი

ლოკი, ჯონ (Locke, John) (1632 — 1704) — 49, 50, 119, 132, 161, 167, 193, 495, 778.

ლორანი, ოგუსტ (Laurent, Auguste) (1807 — 1853) — 392.
 ლოუ, ჯონ (Law, John) (1671 — 1729) — 119, 778.
 ლუთერი, მარტინ (Luther, Martin) (1483 — 1546) — 174, 246, 392, 747, 748, 945.
 ლუი (ლუდოვიკო) X I V (1638 — 1715) — საფრანგეთის მეფე 1643 წლიდან — 180.
 ლუი (ლუდოვიკო) X V I (1754 — 1793) — საფრანგეთის მეფე 1774 წლიდან — 924.
 ლუი-ფილიპე (1773 — 1850) — საფრანგეთის მეფე 1830 წლიდან — 353.
 ლუკიანე (125 — 180 ახ. წ. აღ.) — 779.
 ლუკრეციუსი (ტიტ ლუკრეციუს კარ) (Titus Lucretius Carus) (98 — 55 ძვ. წ. აღ.) — 273.

მ

მაიერი, ზიგმუნდ (Mayer, Sigmund) — 12.
 მაიტცენი, ავგუსტ (Meitzen, August) (1822 — 1910) — 300.
 მაკგრეგორი, ჯონ (Mac Gregor, John) (1797 — 1857) — 347.
 მაკულოხი, ჯონ რამსეი (Mac Culloch, John Ramsey) (1789 — 1864) — 185, 193, 196, 245, 347, 407, 518, 554, 559, 657, 767, 768, 912.
 მაკლარენი, ჯემს (Maclaren, James) — 127.
 მაკლეოდი, ჰენრი დუნინგ (Mac leod, Henry Dunning) (1821 — 1902) — 82, 197.
 მაკოლეი, თომას ბაბინგტონ (Macaulay, Thomas Babington) (1800 — 1859) — 346, 347, 351, 900, 907.
 მალთუსი, თომას რობერტ (Malthus, Thomas Robert) (1766 — 1834) — 208, 270, 398, 448, 639, 665,

666, 701, 716, 722, 730, 741, 742, 751, 752, 754, 755, 765, 766, 769, 777, 778, 799, 815, 884.
 მანდევილი, ბერნარ დე (Mandeville, Bernard de) (1670 — 1753) — 451, 775, 776, 778.
 მანი, თომას (Mun, Thomas) (1571 — 1641) — 647.
 მარტინო, ჰარიეტ (Martineau, Harriet) (1802 — 1876) — 800.
 მარქს-ვევლინგი, ელვონორა (ტუსი) (Marx-Aveling, Eleanor (Tussy)) (1855 — 1898) — 33, 40, 44, 45.
 მარქსი, კარლ (Marx, Karl) (1818 — 1883) — 10, 13, 19 — 22, 23, 25, 27 — 37, 39 — 46, 49, 55, 57, 100, 101, 103, 108, 115, 117, 124, 125, 127, 132, 148, 159, 160, 176, 177, 178, 183, 184, 195, 246, 392, 428, 454, 458, 461, 532, 615, 669, 676, 729, 774, 782, 792, 799, 814, 872, 957, 960.
 მაურერი, გეორგ ლუდვიგ ფონ (Maurer, Georg Ludwig von) (1790 — 1872) — 95, 300.
 მაქსიმილიანე (ავსტრიის ერცჰერცოგი — ფრუთ წოდ. მექსიკის იმპერატორი) (1832 — 1867) — 215.
 მენდელსონი, მოსე (Mendelssohn, Moses) (1729 — 1786) — 22.
 მენენიუსი, აგრიპა ლანატუს (Menenius, Agrippa Lanatus, (გარდაიცვალა 493 ძვ. წ. აღ.) — 458.
 მერეი, ჰიუ (Murray, Hugh) (1779 — 1846) — 432.
 მერიევილი, ჰერმან (Merivale, Herman) (1806 — 1874) — 798, 799, 965.
 მერსიე დე ლარივიერ, პოლ პიერ (Mercier de la Rivière, Paul Pierre) (1720 — 1793) — 142, 143, 168, 189, 192, 202, 207, 244.
 მერფი, ჯონ ნიკოლეს (Murphy, John Nicholas) — 885.

მესი, ჯოზეფე (Massie Joseph) (გარდაიცვ. 1784 წ.) — 649.

მილი, ჯემს (Mill, James) (1773 — 1836) — 148, 160, 197, 238, 253, 448, 554, 639, 715, 719, 722, 769.

მილი, ჯონ სტიუარტი (Mill, John Stuart) (1806 — 1873) — 15, 160, 173, 470, 554, 638, 639, 650 — 653, 744, 752, 756, 770, 939.

მირაბო, ვიქტორ, მარკიზი დე (Mirabeau, Victor, marquis de) (1715 — 1789) — 778, 959.

მირაბო, ონორე, გრაფი დე (Mirabeau, Honoré, comte de) (1749 — 1791) — 603, 901, 919, 920, 936, 937, 949.

მიულერი, ადამ ჰენრიხ (Miller, Adam Heinrich) (1779 — 1829) — 161.

მაოდსლეი, ჰენრი (Maudsley, Henry) (1771 — 1831) — 487.

მოლინარი, გუსტავ დე (Molinari, Gustave de) (1819 — 1912) — 535, 753, 965, 966.

მომზენი, თეოდორ (Mommsen, Theodor) (1817 — 1903) — 214, 219.

მონტალამბერი, შარლ, გრაფი დე (Montalembert, Charles, comte de) (1810 — 1870) — 593.

მონტეილი, ამან ალექსის (Monteil, Amans Alexis) (1769 — 1850) — 934.

მონტესკიე, შარლ დე (Montesquieu, Charles Louis de) (1689 — 1755) — 119, 160, 777, 947.

მორი, ტომას (More, Thomas) (1478 — 1535) — 778, 902, 923, 924.

მორტონი, ჯონ ჩალმერს (Morton, John Chalmers) (1821 — 1888) — 476, 477, 698.

მური, სემუელ (Moore, Samuel) (1830 — 1912) — 33, 34.

6

ნესმიტი, ჯემს (Nasmyth, James) (1808 — 1890) — 488, 525, 552.

ნიბური, ბარტოლდ გეორგე (Niebuhr, Barthold Georg) (1776 — 1831) — 298.

ნიუმარჩი, ვილიამ (Newmarch, William) (1820 — 1882) — 374.

ნიუმენი, სემუელ ფილიპს (Newman, Samuel Philipps) (1797 — 1842) — 205, 264.

ნიუმენი, ფრენსის ვილიამ (Newman, Francis William) (1805 — 1897) — 908, 915.

ნიუჰემი, გ. ბ. (Newnham, G. B.) — 759.

ნორსი, დედლი (North, Dudley) (1641 — 1691) — 132, 157, 161, 173, 494, 778.

მ

მვერსტონი ლორდ, სემუელ ჯონს ლოიდ (Overstone Lord, Samuel Jones Loyd) (1796 — 1883) — 160, 185.

ოლმსტედი, ფრედერიკ ლო (Olmsted, Frederiek Law) (1882 — 1903) — 251.

ოპდაიკი, ჯორჯ (Opdyke, George) (1805 — 1880) — 210.

ოგიე, მარი (Augier, Marie) — 953, 954.

ორტესი, ჯიამარია (Ortes, Giannmaria) (1713 — 1790) — 778, 814.

ოუენი, რობერტ (Owen, Robert) (1771 — 1858) — 101, 124, 379, 511, 612, 635.

პ

პალმერსტონი, ჰენრი ჯონ (Palmerston, Henry John Temple, Lord) (1784 — 1865) — 576.

პანინი, ჯიოვანი ფრანჩესკო (Pagnini, Giovanni Francesco) (1715 — 1789) — 120.

პარი, ვილიამ ედუარდ (Parry, William Edward) (1790 — 1855) — 125.

პარი, ჩარლზ ჰენრი (Parry, Charles Henry) (1779 — 1860) — 758, 760, 849.

პეკერი, კონსტანტენ (Pecqueur, Constantin) (1801 — 1887) — 774, 955.

პერიკლე (Perikles) (დაახლ. 490 — 429 ძვ. წ. აღ.) — 465.

პეტი, ვილიამ (Petty, William) (1623 — 1687) — 60, 69, 107, 121, 132, 159, 182, 187, 219, 345, 346, 397, 434, 442, 464, 544, 699, 778, 779.

პილი, რობერტ (Peel, Robert) (1750 — 1830) — 951.

პილი, რობერტ (Peel Robert) (1788 — 1850) — 15, 183, 294, 951, 969.

პინდარი (Pindar) (დაახლ. 522 — 443 ძვ. წ. აღ.) — 193, 530, 952.

პინტო, ისაკ (Pinto, Jsaac) (1715 — 1787) — 193.

პიტი, ვილიამ უმცროსი (Pitt, William, junior) (1759 — 1806) — 263, 929.

პლატონი (427 — 347 ძვ. წ. აღ.) — 465, 466.

პოსტლეთეიტი, მელაკი (Postlethwayt, Malachy) (1707 — 1767) — 347, 348.

პრაისი, რიჩარდ (Price, Richard) (1723 — 1791) — 347, 848, 912, 913.

პროტაგორა (Protagoras) (დაახლ. 485 — 415 ძვ. წ. აღ.) — 315.

პრუდონი, პიერ ჟოზეფ (Proudhon, Pierre Joseph) (1809 — 1865) — 92, 111, 535, 649, 676, 741.

ქ

ქანი II (1319 — 1364) — საფრანგეთის მეფე 1350 წლიდან — 926.

ქერარი, შარლ ფრედერიკ (Gerhardt, Charles Frédéric) (1816 — 1856) — 392.

ქოფრუა სენტ-ილერ, ეტიენ (Geoffroy Sainet-Hilaire, Etienne) (1772 — 1844) — 935.

ღ

რაიტი, თომას (Wright, Thomas) — 911.

რაიხი, ედუარდ (Reich, Eduard) (1836 — 1919) — 462.

რამაძინი, ბერნარდინო (Ramadzeni, Bernardino) (1633 — 1714) — 462.

რამსეი, ჯორჯ (Ramsay, George) (1800 — 1871) — 207, 211, 401, 644, 715, 796.

რასელი, ჯონ, ლორდი (Russel, John, Lord) (1792 — 1878) — 743, 909.

რაფლზ, თომას სტემფორდ (Raffles, Thomas Stamford) (1781 — 1826) — 456, 942.

რედგრევი, ალექსანდრე (Redgrave, Alexander) — 339, 340, 341, 479, 502, 510, 528, 549, 567, 576, 578, 689, 707, 708.

რევენსტონი, პირსი (Ravenstone, Piercy) (გარდ. 1830 წ.) — 544, 644.

რენიო, ელიას (Regnault, Elias) (1801 — 1868) — 302.

რიდი, ჯორჯ (Read, George) — 317, 318.

რიკარდო, დავიდ (Ricardo, David) (1772 — 1823) — 13, 14, 19, 75, 84, 85, 101, 106, 107, 110, 160, 184, 213, 240, 261, 263, 291, 389, 491, 492, 497, 498, 499, 517, 545, 547,

- 554, 638, 639, 650, 656, 657, 659, 665, 666, 669, 673, 710, 722, 743, 752, 756, 765, 766, 775, 796, 951.
- რიჩარდსონი, ბენჯამინ უორდ (Richardson, Benjamin Ward) (1828 — 1898) — 322, 323, 324.
- რობერტსი, ჯორჯ (Roberts, George) (გარდ. 1860 წ.) — 905.
- როდბერტუსი, იოჰან კარლ (Rodbertus, Johann Karl) (1805 — 1875) — 669, 670.
- როჯიე, შარლ (Rogier, Charles) (1800 — 1885) — 351.
- როსი, პელეგრინო (Rossi, Peleg-rino) (1787 — 1848) — 221.
- როშერი, ვილჰელმ (Roscher, Wil-helm) (1817 — 1894) — 121, 204, 262, 263, 276, 290, 334, 412, 463, 774.
- როჯერსი, ჯემს ედვინ ტო-როლდ (Rogers, James Edwin Thorold) (1823 — 1890) — 847, 853, 907, 939.
- როუ (როუ-ლავერნე), პიერ სელეს-ტენ (Roux-Lavergne, Pierre Célestin) (1802 — 1874) — 931.
- როუა, ჟ. (Roy, J.) — 28, 34.
- როუარ დე კარ, პი მარი (Rouard de Card, Pie Marie) — 315.
- როუბენსი, პეტერ პაულ (Rubens, Peter Paul) (1577 — 1640) — 376.
- როუგე, არნოლდ (Ruge, Arnold) (1803 — 1880) — 100, 195, 799.
- როუმფორდი — იხ. ტომპსონი, ბენჯამინ.
- როუსო, ჟან ჟაკ (Rousseau, Jean Jacques) (1712 — 1778) — 936.
- ს**
- საიმონი, ჯონ (Simon, John) (1816 — 1904) — 506, 587, 824, 826, 828, 829, 836, 839, 857.
- სეი, ჟან ბატისტ (Say, Jean Baptiste) (1767 — 1832) — 106, 148, 197, 209, 246, 262, 461, 492, 558, 657, 676, 750, 765, 766.
- სენიორი, ნასაუ ვილიამ (Senior, Nassau William) (1790 — 1864) — 283 — 285, 288, 290, 334, 407, 514, 554, 610, 611, 623, 685, 690, 752, 753, 767, 894, 917.
- სეტერლენდი, ელიზაბეტ, ჰერცოგინა (Sutherland, Elisabeth, Duchess of) (XVIII საუკ. დასასრული — XIX საუკ. შუა ხანა) — 916.
- სეტერლენდი, ჰარიეტ ელიზაბეტ, ჰერცოგინა (Sutherland, Harriet Elisabeth, Duchess of) (1806 — 1868) — 917.
- სექსტო ემპირიკოსი (Sextus, Empirikus) (II საუკ. დასასრული ახ. წ. აღ.) — 465.
- სიდმაუსი, ჰენრი ედინგტონ (Sidmouth, Henry Addington) (1757 — 1844) — 543.
- სისმონდი, ჟან შარლ ლეონარდ სისმონდ დე (Sismondi, Jean Charles Léonard Simonde de) (1773 — 1842) — 13, 199, 222, 298, 399, 675, 714, 728, 733, 734, 738, 739, 750, 799, 816, 956.
- სიული, მაქსიმილიან დე ბეტუნე (Sully, Maximilian de Bethune) (1560 — 1641) — 778.
- სკარბეკი, ფრედერიკ (Skarbek, Fryderyk) (1792 — 1866) — 416, 446.
- სკროპი, ჯორჯ იულიუს პულეტ (Scrope, George Julius Poulett) (1797 — 1876) — 753.
- სმიტი, ადამ (Smith, Adam) (1723 — 1790) — 19, 64, 107, 159, 160, 213, 346, 443, 448, 450, 451, 461, 464, 491, 520, 581, 639, 657, 672, 674, 677, 681, 699, 704, 706, 717, 743 — 745, 750, 771, 775, 777, 778, 779, 781, 784, 810, 823, 896, 916, 926, 953.
- სმიტი, გოლდვინ (Smith, Goldwin) (1823 — 1910) — 939.

სომერსი, რობერტ ჯ. (Somers, Robert J.) (1822 — 1891) — 918, 919, 920.
 სონდერსი, რობერტ ჯ. (Saunders, Robert J.) — 369, 381, 511.
 სოფოკლე (Sophokles) (დაახლ. 496 — 406 ძვ. წ. აღ.) — 171.
 სპინოზა, ბენედიქტ დე (Spinoza, Benedictus de) (1632 — 1677) — 22, 389, 752.
 სტაფორდი, ვილიამ (Stafford, William) (1554 — 1612) — 933.
 სტიუარტები — 908.
 სტიუარტი, დუგალდ (Stewart, Dugald) (1753 — 1828) — 407, 438, 458, 614.
 სტიუარტი, ჯ. (Stuart J.) — 366, 394.
 სტიუარტი, ჯემს (Stewart, James) (1712 — 1780) — 40, 159, 186, 191, 229, 422, 448, 544, 699, 777, 815, 902, 915, 935.
 სტრაიპი, ჯონ (Strype, John) (1643 — 1737) — 924.

ტ

ტაუნსენდი, ჯოზეფ (Townsend, Joseph) (1739 — 1816) — 448, 777, 814, 815.
 ტეილორი, სედლი (Taylor, Sedley) — 43 — 46.
 ტეკერი, ჯოზია (Tucker, Josiah) (1712 — 1799) — 347, 778, 953.
 ტეკეტი, ჯონ დებელ (Tuckett, John Debell) (გარდაიცვალა 1864 წ.) — 460, 905, 939.
 ტემპლი, ვილიამი (Temple, William) (1628 — 1699) — 778.
 ტუპერი, მარტინ (Tupper, Martin) (1810 — 1889) — 769.
 ტიერი, ლუი ადოლფ (Thiers, Louis Adolphe) (1797 — 1877) — 559, 897.

ტიტე, ფლავიოს ვესპასიან (Titus, Flavius Vespasianus) (39 — 81 ახ. წ. აღ.) — 502.
 ტიუდორები — 939.
 ტურგო, ან რობერტ (Turgot, Anne Robert) (1727 — 1781) — 230, 397, 672.
 ტომპსონი, ბენჯამინ, გრაფი რუმფორდ (Thompson, Benjamin, Count of Rumford) (1753 — 1814) — 758.
 ტომპსონი, ვილიამ (Thompson, William) (1785 — 1833) — 460.
 ტორენსი, რობერტ (Torrens, Robert) (1780 — 1864) — 207, 220, 236, 514, 554.
 ტორნტონი, ვილიამ თომას (Thornton, William Thomas) (1813 — 1880) — 219, 341, 902.
 ტუკი, თომას (Tooke, Thomas) (1774 — 1858) — 374.

უ

უაიტი, ჯონ (Wyatt, John) (1700 — 1766) — 471.
 უაიტი, ჯ. ე. (White, J. E.) — 312, 326, 331, 334, 510, 596.
 უატი, ჯემს (Watt, James) (1736 — 1819) — 475, 478, 484, 488, 492, 617.
 უეიდი, ჯონ (Wade, John) (1788 — 1875) — 9, 308, 345, 780.
 უეილენდი, ფრენსის (Wayland, Francis) (1796 — 1865) — 209, 265.
 უეიკფილდი, ედუარდ გიბონ (Wakefield, Edward Gibbon) (1796 — 1862) — 341, 414, 674, 735, 849, 959 — 962, 964, 966 — 969.
 უესტი, ედუარდ (West, Edward) (1782 — 1828) — 639, 665, 684, 685.
 უეჯუუდი, ჯოზია (Wedgwood, Josiah) (1730 — 1795) — 338, 342.
 უიტნი, ელი (Whitney, Eli) (1765 — 1825) — 486, 496.

უოლესი, რობერტ (Wallace, Robert) (1697 — 1771) — 448, 777, 778.
 უორდი, ჯონ (Ward, John) — 338.
 უოტსენი, ჯონ ფორბს (Watson, John Forbes) (1827 — 1892) — 496.
 უოტსი, ჯონ (Watts, John) (1818 — 1887) — 693, 697.
 ურკარტი, დავიდ (Urquhart, David) (1805 — 1877) — 131, 462, 637, 917, 938, 939.

ფ

ფაულჰაბერი, იოჰან (Faulhaber, Johann) (1580 — 1635) — 477.
 ფაუსეტი, ჰენრი (Fawcett, Henry) (1833 — 1884) — 703, 770, 771, 822, 939.
 ფერგიუსონი, ადამ (Ferguson, Adam) (1723 — 1816) — 159, 450, 459, 460, 461.
 ფერიე, ფრანსუა ლუი ოგიუსტ (Ferrier, François Louis Auguste) (1777 — 1861) — 82.
 ფილდენი, ჯონ (Fielden, John) (1784 — 1849) — 511, 523, 950, 951.
 ფიხტე, იოჰან გოტლიბ (Fichte, Johann Gottlieb) (1762 — 1814) — 71.
 ფლიტვუდი, ვილიამ (Fleetwood, William) (1656 — 1723) — 345.
 ფონტერე, ანტუან ლუი (Fontenot, Antoine Louis) — 462.
 ფორბონაი, ფრანსუა (Forbonnais, François) (1722 — 1800) — 119.
 ფორსტერი, ნათანიელ (Forsster, Nathaniel) (დაახლ. 1726 — 1790) — 347, 541, 910, 912.
 ფორტესკიუ, ჯონ (Fortescue, John) (დაახლ. 1394 — 1476) — 901, 902.
 ფრანკლინი, ბენჯამინ (Franklin, Benjamin) (1706 — 1790) — 69, 210, 230, 415, 777, 778.
 ფრეიტაგი, გუსტავ (Freitag, Gustav) (1816 — 1895) — 928.

ფრიდრიხ II (1712 — 1786) — მეფე 1740 წლიდან — 919, 935, 936.
 ფულარტონი, ჯონ (Fullarton, John) (1780 — 1849) — 165, 166, 182, 186.
 ფულტონი, რობერტ (Fulton, Robert) (1765 — 1815) — 617.
 ფურიე, შარლ (Fourier, Charles) (1772 — 1837) — 368, 486, 541, 874, 875.

ჭ

ქსენოფონტი (დაახლ. 430 — 354 ძვ. წ. აღ.) — 466.

ყ

ყარსელი — ვილიამს, ვილიამ ფენვიკი, ბარონი ყარსისა (Kars von Kars — Williams, William Fenwick, Baronet of Kars) (1800 — 1883) — 160.

შ

შევალიე, ჟან ბატისტ ალფონსე (Chevalier, Jean Baptiste Alfonse) (1793 — 1879) — 315.
 შერბიულიე, ანტუან ელიზე (Cherbuliez, Antoine Elisée) (1797 — 1869) — 233, 237, 736.
 შფეტსბერი — იხ. ეშლი.
 შექსპირი, უილიამ (Shakespeare, William) (1564 — 1616) — 110, 140, 170, 364, 365, 616, 933.
 შორლემერი, კარლ (Schorlemmer, Karl) (1834 — 1892) — 392.
 შოუ, იოაკიმ ფრედერიკ (Schouw, Joakim Frederik) (1789 — 1852) — 649.
 შტორხი, ჰენრიხ ფრიდრიხ (Storch, Heinrich Friedrich) (1766 — 1835) — 223, 233, 446, 457, 459, 745, 815.
 შულცე-დელიჩი, ჰერმან (Schulze-Delitsch, Hermann) (1808 — 1883) — 4.

ჩ

ჩაილდი, ჯოზაია (Child, Josiah) (1630 — 1699) — 953.

ჩალმერსი, თომას (Chalmers, Thomas) (1780 — 1847) — 196, 208, 778, 779.

ჩემბერლენი, ჯოზეფ (Chamberlain, Joseph) (1836 — 1914) — 809.

ჩერნიშევსკი, ნიკოლოზ გაბრიელის-ძე (1828 — 1889) — 15.

ც

ცინცინატი, ლუცი კვინციუს (Cincinatus, Lucius Quincius) (450 ძვ. წ. აღ.) — 236.

ციცერონი, მარკ ტული (Cicero, Marcus Tullius) (106 — 43 ძვ. წ. აღ.) — 517.

ხ

ხუარესი, ბენიტო (Juarez, Benito) (1806 — 1872) — 215.

ჯ

ჯეკობ, ვილიამ (Jacob, William) (1762 — 1851) — 56, 279.

ჯენოვეზი, ანტონიო (Genovesi, Antonio) (1712 — 1769) — 196.

ჯონსი, რიჩარდ (Jones, Richard) (1790 — 1855) — 40, 391, 407, 418, 424, 717, 741, 754, 796.

ჰ

ჰაინე, ჰენრიხ (Heine, Heinrich) (1797 — 1856) — 382, 769.

ჰალერი, კარლ ლუდვიგ ფონ (Haller, Karl Ludwig von) (1768 — 1854) — 494.

ჰამი, ვილჰელმ ფონ (Hamm, Wilhelm von) (1820 — 1880) — 636.

ჰანსენი, გეორგ (Hansson, Georg) (1809 — 1894) — 300.

ჰანტერი, ჰენრი იულიან (Hunter, Henry Julian) — 505, 829, 831, 833, 834, 838, 840, 853, 857, 859, 861 — 863, 865, 870, 871, 905.

ჰარისი, ჯემს (Harris, James) (1709 — 1780) — 464.

ჰარისი, ჯემს, მალმსბერის პირველი გრაფი (Harris, James, first Earl of Malmesbury) (1746 — 1820) — 464.

ჰარისონი, ვილიამ (Harrison, William) (1534 — 1593) — 902, 932.

ჰატონი, ჩარლზ (Hutton, Charles) (1737 — 1823) — 471.

ჰაუიტი, ვილიამ (Howitt, William) (1792 — 1879) — 942.

ჰაუტონი, ჯონ (Houghton, John) (გარდაიცვალა 1705 წ.) — 541.

ჰეგელი, გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ (Hegel, Georg Friedrich Wilhelm) (1770 — 1831) — 22, 23, 61, 119, 134, 215, 229, 332, 391, 462, 742, 752.

ჰელვეციუსი, კლოდ ადრიენ (Helvetius, Claude Adrien) (1715 — 1771) — 769.

ჰენრიხ III (1551 — 1589) — მეფე 1574 წლიდან — 170.

ჰენრიხ VII (1457 — 1509) — მეფე 1485 წლიდან — 344, 903, 904, 921.

ჰენრიხ VIII (1491 — 1547) — მეფე 1509 წლიდან — 903, 921, 922, 924.

ჰერაკლიტე (Herakleitos) ბნელი (დაახლ. V საუკ. ძვ. წ. აღ.) — 137.

ჰერენშვანდი, ჟან (Herrenschwand, Jean) (1728 — 1811) — 157.

ჰესელი, არტურ ჰილ (Hassall, Arthur Hill) (1817 — 1894) — 223, 314.

ჰექსლი, თომას ჰენრი (Huxley, Thomas Henry) (1825 — 1895) — 610.

ჰობსი, თომას (Hobbes, Thomas) (1588 — 1679) — 218, 495, 778.

ჰოდსკინი, თომას (Hodgskin, Thomas) (1787 — 1869) — 431, 448, 451, 675, 723, 941.

ჰოლინშედი, რაფაელ (Holinsched, Raphael) (გარდაიცვალა 1580 წ.) — 924.

ჰომეროსი (Homer) (დაახლ. IX VII საუკ. ძვ. წ. აღ.) — 84.

ჰოპკინსი, თომას (Hopkins, Thomas) — 291.

ჰორნერი, ლეონარდ (Horner-Leonard) (1785 — 1864) — 285, 304, 305, 352, 357, 361, 365, 367, 373, 507, 508, 524, 525, 541, 694.

ჰორნერი, ფრენსის (Horner, Francis) (1778 — 1817) — 951.



ლიტერატურული და მიმოლოგიური სახელები

- აბელი — 940.
 აბრაამი — 733.
 ადამი — 134, 748, 778, 896, 961.
 ანტეოსი — 748.
 ბუხირისი — 467.
 გერიონი — 748.
 გიორგი წმიდა — 44.
 გობსეკი — 742.
 დედალოსი — 517.
 დეო — 517.
 დოგბერი — 110, 538, 759.
 დონ-კიხოტი — 109.
 ეკარტი — 350.
 ვიშნუ — 753.
 იაკობი — 733.
 იელოვა — 459.
 ისააკი — 733.
 იუპიტერი — 728.
 კაენი — 940.
 კაკუსი — 748.
 კალბი — 725.
 კვიკლი — 65.
 კრისპინი — 313.
 კუპიდონი — 778.
 მარიტორნა — 112.
 მედუზა — 7.
 მოლოხი — 828.
 მოსე ეგვიპტელი — 474, 750, 966.
 ოდისეი — 321.
 პაელე — 778.
 პარასკევა — 366.
 პერსეი — 8.
 პეტრე — 135.
 პლუტოსი — 171.
 პოლონიუსი — 347.
 პონტოელი პილატე — 744.
 პრომეთეოსი — 813.
 რობინზონ კრუზო — 101, 102, 104.
 საბალა (ძროხა საბალა) — 728.
 საიკსი, ბილ — 559.
 სანგრადო — 893.
 სანჩო-პანსა — 807.
 სიხიფი — 171, 535.
 სიკოლი — 110.
 ტორი — 488.
 ფაუსტი — 114.
 ფორტუნატუსი — 579, 816.
 შეილოკი — 365, 861.
 ჯაგერნაუტი — 355, 813.
 ჰამელნის თავგისკერია — 875.
 ჰერკულესი — 537, 748.
 ჰეფესტო — 517, 813.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა	83-
წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის	III
ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის	3
წინასიტყვაობა ფრანგული გამოცემისათვის	11
ბოლოსიტყვაობა ფრანგული გამოცემისათვის	27
წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის	28
წინასიტყვაობა ინგლისური გამოცემისათვის	29
წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის	33
წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის	39

წ ი ვ ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი

კაკიბაძის წარმოების პროცესი

გ ა ნ ე ო შ ი ლ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ს ა მ ო ნ ე ლ ი დ ა ო შ ლ ი

თავი პირველი. სამონელი	49
1. საქონლის ორი ფაქტორი: სახმარი ღირებულება და ღირებულება (ღირებულების სუბსტანცია, ღირებულების სიდიდე)	49
2. საქონელში განხორციელებული შრომის ორადი ხასიათი	57
3. ღირებულების ფორმა ანუ საცვლელი ღირებულება	64
A. ღირებულების მარტივი, ცალკეული ანუ შემთხვევითი ფორმა	66
1) ღირებულების გამოხატულების ორი პოლუსი: ღირებულების შეფარდებითი ფორმა და ეკვივალენტური ფორმა	66
2) ღირებულების შეფარდებითი ფორმა	67
ა) ღირებულების შეფარდებითი ფორმის შინაარსი	67
ბ) ღირებულების შეფარდებითი ფორმის რაოდენობრივი განსაზღვრულობა	72

3) ეკვივალენტური ფორმა	75
4) ღირებულების მარტივი ფორმა მთლიანად	81
B. ღირებულების სრული ანუ გაშლილი ფორმა	84
1) ღირებულების გაშლილი შეფარდებითი ფორმა	84
2) განსაკუთრებული ეკვივალენტური ფორმა	85
3) ღირებულების სრული ანუ გაშლილი ფორმის ნაკლოვანებანი	86
C. ღირებულების საყოველთაო ფორმა	87
1) ღირებულების ფორმის შეცვლილი ხასიათი	87
2) ღირებულების შეფარდებითი ფორმისა და ეკვივალენტური ფორმის განვითარების ურთიერთობა	90
3) გადასვლა ღირებულების საყოველთაო ფორმიდან ფულად ფორმაზე	92
D. ფულადი ფორმა	93
4. საქონლის ფეტიშური ხასიათი და მისი საიდუმლოება	94
თავი მეორე. ბაცვლის პრცეპსი	111
თავი მესამე. ფული ანუ სპომნალმიგომცემა	123
1. ღირებულების საზომი	123
(ფასი. ფასების მასშტაბი. ფასების საყოველთაო ზრდა ან საყოველთაო დაცემა. ფულის საანგარიშო სახელწოდებანი, საანგარიშო ფული. ღირებულების სიდიდისა და ფასის რაოდენობრივი თანაუმთხვევადობა. მათი თვისებრივი თანაუმთხვევადობა. ფასი — როგორც საქონლის ღირებულების მხოლოდ იდეალური ფორმა.)	
2. მიმოქცევის საშუალება	135
a) საქონელთა მეტამორფოზი	135
(წრებრუნვა ს — ფ — ს. გაყიდვა: ს — ფ. ყიდვა: ფ — ს. საქონლის ერთობლივი მეტამორფოზი. საქონელმიმოქცევა. განსხვავება საქონელმიმოქცევისა და პროდუქტთა გაცვლას შორის.)	
b) ფულის ტრიალი	148
(საქონლის მეტამორფოზი და ფულის ტრიალი. ფულის მიერ ორჯერ ადგილცვლა. მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა. ტრიალის სისწრაფე. ტრიალის მდინარება და შენელება. მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის განმსაზღვრელი ფაქტორები.)	
c) მონეტა. ღირებულების ნიშანი	161
(მონეტა და ზოდი, მონეტის გაცემა. ღირებულების ნიშანი. ვერცხლისა და სპილენძის ნიშნები. ქალაქის ფული. კანონი ქალაქის ფულის მიმოქცევისა იძულებითი კურსით.)	
3. ფული	167
a) განძის შექმნა	167
b) გადახდის საშუალება	173
c) მსოფლიო ფული	182

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა მ ი ო რ ი

ფულის ბალანსები კაპიტალად

თავი მეოთხე. ფულის ბალანსები კაპიტალად	188
1. კაპიტალის საყოველთაო ფორმულა	188
2. საყოველთაო ფორმულის წინააღმდეგობანი	199
3. სამუშაო ძალის ყიდვა და გაყიდვა	213
(«თავისუფალი მუშა». სამუშაო ძალის ღირებულება. საქონელ «სამუშაო ძალის» თავისებური ბუნება.)	

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა მ ი ს ს მ ი

აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება

თავი მეხუთე. შრომის პროცესი და ღირებულების წარმოების პროცესი	227
1. შრომის პროცესი	227
(შრომის საგანი, ნედლი მასალა, შრომის საშუალება. წარმოების საშუალება. მწარმოებლური მოხმარება. შრომის პროცესი როგორც კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის მოხმარების პროცესი.)	
2. ღირებულების ზრდის პროცესი	238
(ღირებულების შექმნის პროცესი. სამუშაო ძალის ღირებულება და შრომის პროცესში ამ ძალის მოხმარებით შექმნილი ღირებულება ორი სხვადასხვა სიდიდეა. ღირებულების ზრდის პროცესი, კაპიტალის გენეზისი.)	
თავი მეექვსე. მუდმივი კაპიტალი და ცვლადი კაპიტალი	254
თავი მეშვიდე. ზედმეტი ღირებულების წარმოება	269
1. სამუშაო ძალის ექსპლუატაციის ხარისხი	269
2. პროდუქტის ღირებულების გამოხატულება პროდუქტის პროპორციული ნაწილებით.	280
3. სენიორის ეუკანასკნელი სათი	283
4. ზედმეტი პროდუქტი	290
თავი მერვე. სამუშაო დღე	292
1. სამუშაო დღის საზღვრები	292
2. ზედმეტი შრომის დაუცხრომელი წყურვილი. მფებარიც და ბოიარიც	297
3. ინგლისის მრეწველობის დარგები, სადაც ექსპლუატაციის კანონიერი საზღვარი არ არსებობს	308
(მაქმანის წარმოება. მეთუნეობა. ასანთის მანუფაქტურა. შპალერის წარმოება. სახაბაზო წარმოება. რკინიგზა. სამკერვალო წარმოება. მჭედელი.)	
4. დღით და ღამით მუშაობა. შენაცვლების სისტემა	324
(მეტალურგია და ლითონის მრეწველობა.)	
5. ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღისთვის. სამუშაო დღის გაგრძელების იძულებითი კანონები XIV საუკუნის ნახევრიდან XVII საუკუნის დამლევამდე	335

(დაუზოგავი მოპყრობა კაპიტალისა მუშის ჯანმრთელობისა და სი-
ცოცხლისადმი. ინგლისის მუშათა სტატუტები. სამუშაო დღის ზან-
გრძობობა XVIII საუკუნეში მსხვილი მრეწველობის ეპოქამდე.)

- 6. ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღისთვის. სამუშაო დროის კანონ-
იძულებითი შეზღუდვა. ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობა
1833 — 1864 წწ. 352
(1833 წ., 1844 წ., 1847 წ., 1850 წ. აქტები. აბრეშუმის ფაბრიკები.
ჩითულის ფაბრიკები. სამღებროები და სამეთერთებლოები.)
- 7. ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღისათვის. ინგლისის საფაბრიკო
კანონმდებლობის გავლენა სხვა ქვეყნებზე 377

თავი მეცხრე. ზედმეტი ღირებულების ნორმა და მასა 384

ბ ა ნ ო ვ ი ლ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე

შოშარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება

თავი მეთექვსმეტი. შოშარდებითი ზედმეტი ღირებულების ცნება 396

თავი მეთერთმეტე. კოოპერაცია 409

(კაპიტალისტური წარმოების ამოსავალი პუნქტი, კაპიტალისტური
წარმოების რაოდენობრივი განსხვავება საამქრო ხელოსნური მრეწ-
ველობისაგან. საზოგადოებრივი საშუალო შრომა. წარმოების საშუა-
ლებათა ეკონომია. კოოპერაციული შრომის საზოგადოებრივი მწარ-
მოებლური ძალა. კოოპერაციის ადრინდელი ფორმები. მისი კაპიტა-
ლისტური ფორმა.)

თავი მეოთხმეტე. შრომის დანაწილება და მანუფაქტურა 427

- 1. მანუფაქტურის ორგანიზაციის წარმოშობა 427
- 2. ნაწილობრივი მუშა და მისი იარაღი 430
- 3. მანუფაქტურის ორი ძირითადი ფორმა: ჰეტეროგენური მანუფაქტურა
და ორგანული მანუფაქტურა 434
- 4. შრომის დანაწილება მანუფაქტურის შიგნით და შრომის დანაწილება
საზოგადოების შიგნით 446
- 5. მანუფაქტურის კაპიტალისტური ხასიათი 457

თავი მეცამეტე. მანქანები და მსხვილი მრეწველობა 470

- 1. მანქანების განვითარება 470
- 2. მანქანის ღირებულების გადატანა პროდუქტზე 489
- 3. მანქანური წარმოების უახლოესი ზემოქმედება მუშაზე 499
 - ა) დამატებითი სამუშაო ძალის მითვისება კაპიტალის მიერ. ქალე-
ბისა და ბავშვების შრომა 500
 - ბ) სამუშაო დღის გაგრძელება 510
 - გ) შრომის ინტენსიფიკაცია 518
- 4. ფაბრიკა 529
- 5. ბრძოლა მუშასა და მანქანას შორის 541
- 6. მანქანების მიერ განდევნილ მუშათა კომპენსაციის თეორია 554
- 7. მუშების უკუგდება და მიზიდვა მანქანური წარმოების განვითარე-
ბასთან დაკავშირებით. კრიზისები ბამბის მრეწველობაში 566

8. მსხვილი მრეწველობის მიერ მანუფაქტურის, ხელოსნობისა და შინ- მუშაობის გარეველუციურება	581
a) ხელოსნურ წარმოებასა და შრომის დანაწილებაზე დამყარე- ბული კოოპერაციის მოსაზრება	581
b) ფაბრიკის უკუგავლენა მანუფაქტურასა და შინმუშაობაზე	583
c) თანამედროვე მანუფაქტურა	585
d) თანამედროვე შინმუშაობა	589
(მაქმანის ფაბრიკა. ჩალის წნვა.)	
e) თანამედროვე მანუფაქტურისა და შინმუშაობის გადასვლა მსხვილ მრეწველობაზე, ამ რეველუციის დაჩქარება წარმოების აღნიშნულ წესებზე საფაბრიკო კანონების გავრცელებით	594
(საკერავი მანქანა.)	
9. საფაბრიკო კანონმდებლობა (დადგენილებანი ჯანმრთელობის დაც- ვისა და აღზრდის შესახებ). მისი საყოველთაო გავრცელება ინგლისში (სამთამადნო მრეწველობა.)	607
10. მსხვილი მრეწველობა და მიწათმოქმედება	635

ბ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა მ ი ხ უ თ ე

აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი
ლიკიბულების წარმოება

თავი მეთოთხმეტე. აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ლირიბუ- ლება	640
თავი მეთხუთმეტე. სამუშაო ძალის ფასის და ზედმეტი ლირიბულების სიდიდის ცვლილება	654
I. სამუშაო დღის სიდიდე და შრომის ინტენსივობა მუდმივია (მოცემუ- ლია), შრომის მწარმოებლური ძალა — ცვალებადი	655
II. სამუშაო დღე და შრომის მწარმოებლური ძალა მუდმივია, შრომის ინტენსივობა — ცვალებადი	660
III. შრომის მწარმოებლური ძალა და ინტენსივობა მუდმივია, სამუშაო დღე — ცვალებადი	662
IV. შრომის ხანგრძლიობის, მწარმოებლური ძალისა და ინტენსივობის იმავედროული ცვალებადობა	664
თავი მეთექვსმეტე. ზედმეტი ლირიბულების ნორმის სხვადასხვა ფორ- მულა	668

ბ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა მ ი მ კ ვ ს ე

ხელფასი

თავი მეჩვიდმეტე. სამუშაო ძალის ლირიბულების, შესაბამისად ფასის, გადაქცევა ხელფასად	673
თავი მეთერამეტე. დროითი ხელფასი	683
თავი მცხრამეტე. ცალკობრივი ხელფასი	693
თავი მეთცე. ხელფასის ნაციონალური განსხვავება	704

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე შ ვ ი დ ე

კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ბ რ ო ვ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი

თავი ოცდამეერთე. მარტივი კვლავწარმოება 713
 (მუშათა კლასი როგორც კაპიტალის კუთვნილება. კაპიტალისტური წარმოების პროცესი აკვლავწარმოებს ურთიერთობას კაპიტალისტსა და მუშას შორის.)

თავი ოცდამეორე. ზემდგომი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად . . . 730

1. კაპიტალისტური წარმოების პროცესი გაფართოებული მასშტაბით. საქონელწარმოების საკუთრების კანონთა გადაქცევა კაპიტალისტური მითვისების კანონებად 730
2. გაფართოებული მასშტაბის კვლავწარმოების მცდარი გაგება პოლიტიკური ეკონომიის მიერ 741
3. ზედმეტი ღირებულების დანაწილება კაპიტალად და შემოსავლად. დათმენის თეორია 745
4. გარემოებანი, რომელნიც განსაზღვრავენ დაგროვების ოდენობას დამოუკიდებლად იმ პროპორციისაგან, რომლის მიხედვით ზედმეტი ღირებულება დაიყოფა კაპიტალად და შემოსავლად. — სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ხარისხი. — შრომის მწარმოებლური ძალა. — მზარდი სხვაობა დაბანდებულ და მოხმარებულ კაპიტალს შორის. — ავანსებული კაპიტალის სიდიდე 755
5. ეგრეთწოდებული შრომის ფონდი 768

თავი ოცდამესამე. კაპიტალიზმური დაბრკობების საშუკმელთაშუა კანონი 772

1. სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდა დაგროვების პარალელურად კაპიტალის უცვლელი შედგენილობის დროს 772
2. კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შეფარდებითი შემცირება დაგროვებისა და მისი თანამგზავრი კონცენტრაციის მსუვლოებაში 784
3. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ანუ სამრეწველო სარეზერვო არმიის მზარდი წარმოება 792
4. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის არსებობის სხვადასხვა ფორმა. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი 807
5. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის ილუსტრაცია
 - a) ინგლისი 1846 — 1866 წლებში 816
 - b) ბრიტანეთის სამრეწველო მუშათა კლასის მცირებელფასიანი ფენები 824
 (კვების პირობები. საბინაო პირობები. ლონდონი. ნიუკესტლ-უპონ-ტაინი. ბრედფორდი. ბრისტოლი.)
 - c) მოხეტიალე მოსახლეობა 835
 (საბინაო პირობები. რკინიგზის მუშები. ქვანახშირის და სხვა მალარობის მუშები.)
 - d) კრიზისების გაგლეწა მუშათა კლასის უკეთესხელფასიან ნაწილზე 840
 (რკინის გემების მშენებლები ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში.)

e) ბრიტანეთის მიწათმოქმედი პროლეტარიატი	847
(მოხეტიალე არტელები.)	
f) ირლანდია	878
თავი ოცდამეოთხე. ებრაეთში აღმართული თავდაპირველი დაბრკობა	896
1. თავდაპირველი დაგროვების საიდუმლოება	896
2. სოფლის მოსახლეობის მიწის ექსპროპრიაცია	900
(სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევა მე-15 საუკუნის უკანასკნელ მესამედში და მე-16 საუკუნის პირველ ათეულ წლებში. რეფორმაცია და საეკლესიო მამულების დატაცება. ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიულ საკუთრებად გადაქცევა. რესტავრაცია და «Glorious Revolution» (სახელოვანი რევოლუცია). სახელმწიფო ქონების დატაცება. თემური საკუთრება და მისი გაძარცვა. «Clearing of Estates» (მამულების გაწმენდა), სახნავი მიწის გადაქცევა ცხვრების საძოვრებად და ცხვრების საძოვრების გადაქცევა სანადირო პარკებად მთიან შოტლანდიაში.)	
3. სისხლიანი კანონმდებლობა ექსპროპრიირებულთა წინააღმდეგ მე-15 საუკუნის დასასრულიდან. კანონები ხელფასის დასაწვევად	921
4. კაპიტალისტური ფერმერების გენეზისი	931
5. მიწათმოქმედებაში მომხდარი რევოლუციის უკუგავლენა მრეწველობაზე. შინაგანი ბაზრის შექმნა სამრეწველო კაპიტალისტების	934
6. მრეწველი კაპიტალისტის გენეზისი	940
(კოლონიური სისტემა. სახელმწიფო ვალების სისტემა. თანამედროვე საგადასახადო სისტემა და პროტექციონიზმის სისტემა. ბავშვთა ქლექტა მსხვილი მრეწველობის დაბადებისას.)	
7. კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია	954
თავი ოცდამეხუთე. კოლონიზაციის თავდაპირველი ეტაპები	958

ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

«კაპიტალის» I ტომში დასახელებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი	971
ლიტერატურული და მითოლოგიური სახელები	985

ფოტოილუსტრაციები

გ. მარქსის პორტრეტი 1867 წ.	II-III შორის
ფაქსიმილე მარქსის 1867 წ. 16 აგვისტოს წერილისა ენგელსისადმი	V
«კაპიტალის» I ტომის პირველი გერმანული გამოცემის გარეკანი	5
«კაპიტალის» I ტომის პირველი რუსული გამოცემის გარეკანი	17
ფაქსიმილე წერილისა, რომელიც მარქსმა მისწერა ლაშატრს — «კაპიტალის» ფრანგული თარგმანის გამომცემელს	25

К. МАРКС
КАПИТАЛ
ТОМ I
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1954

ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორები { თ. სახურჩი
 { ია. ყიფშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-1954.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 62,5. უე 05154.
ტირაჟი 25 000. შეკვეთის № 778.

ფასი 16 მან. 20 კაპ.

•

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.